გიორგი ყუფარაძე

მზემცინარობა

გიორგი ყუფარაძე

მზემცინაროზა

ავტორი გირჩევთ წიგნს გაეცნოთ დასვენებულ და
საღად ყოფნის დროს, რათა ამ წიგნის ნაჟური აზრებით
დატკბეთ და გაითავისოთ

თბილისი
2012 წ.

UDC (უაკ) 821.353.1–84
ყ–981

ამჯერად ავტორი შეეცადა კვლავ გაემდიდრებინა ჩვენი მსოფლმხედველობა და შემოგვთავაზა მომდევნო 23.000 აფორიზმი, მაქსიმა, სენტენცია, რომელიც მკითხველის ცნობიერებას სიამით ეჟღურტულება. ავტორმა ცალკეულ თავებად შემოგვთავაზა „წიგნის რედაქტორის“ და „ცოლის და ცოლისდების“ მოწონებული აზრები, რათა მკითხველი გაერკვეს რამდენად ეხმიანება წიგნის ავტორის ამ უახლოესი ხალხის გემოვნება მკითხველისას.

რედაქტორი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ლერი ჩანტლაძე

© გ. ყუფარაძე, 2012 წ.

ISBN 978-9941-0-4641-4

რედაქტორის წინათქმა

ადამიანს ოთხი რამ ამკობს: ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება და ზნეობა. ეს თვისებები უხვად აქვს მიმადლებული გიორგი ყუფარაძეს, ამ საინტერესო წიგნის ავტორს. ძნელია გადაჭარბებით შეაფასი ის გულმოდგინე შრომა და სულიერი ხელგაშლილობა, რაც კიდევ ერთხელ ჩადო ავტორმა თავის მორიგ სქელტანიან წიგნში. მკითხველი კვლავ დარწმუნდება რაოდენ ვრცელია ცხოვრებისეული სიბრძნით გაჯერებული ავტორისეული სივრცის პარამეტრები. წიგნის ფურცლებზე უშურველად მოწოდებული რჩევა-დარიგებები და მახვილგონივრული დაკვირვებები ნებისმიერი მკითხველის ინტერესს და გემოვნებას ეპასუხება. მის წინაშეა იმ კაცის შემოქმედება, რომელმაც არაერთ განსხვავებულ ჟანრში მოსინჯა ძალა და ყველგან შესამჩნევი წარმატებით.

მხოლოდ უბრალო ჩამოთვლაც როგორი შთამაგონებელია: ახალგაზრდულ ასაკში წარმატებული ქართული რაგბის ერთ-ერთი პიონერი. სწორედ მაშინ ქუხდა ჩვენი რაგბის სახელი ყოფილ საბჭოთა არეალში. კვების ტექნოლოგიის არა მარტო საუცხოო მცოდნე, არამედ შემოქმედი კულინარი და ამ დარგში ორიგინალური წიგნის ავტორი. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. უაღრესად საინტერესოა გიორგი ყუფარაძის ლიტერატურული პროდუქცია: რომანები და პიესები. ცალკე მინდა აღვნიშნო მისი ახლახანს დასტამბული ორიგინალური ნაშრომი „მტვერდაუდებელი 100-100“, რომელიც მსოფლიოსა და საქართველოს გამოჩენილ პიროვნებათა ასეულებს წარმოგვიდგენს მათი საქმიანობის და მოღვაწეობის სფეროში დატოვებული კვალის მიხედვით. ცნობილია, რომ ადამიანის ნიჭიერება, როგორც წესი, ერთ, ვიწრო, ჩარჩოში ვარ თავსდება და სრულიად საპირისპირო ასპარეზზე აღწევს წარმატებას. „ნიჭიერი ყველაფერში ნიჭიერიაო“, იტყვიან და ასეცაა. გიორგიმ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე და ღირებულება ცოდნა და პროფესიონალიზმია.

ამაში გვარწმუნებს მისი, როგორც გონიერი და რისკიანი ბიზნესმენის საქმიანობა.

გიორგი ყუფარაძე პიროვნული, ზნეობრივი, თვისებებით გამოირჩევა: არის თავმდაბალი, კომუნიკაბელური და შეჭირვებულთათვის მხარის შესაშველებლად ყოველწუთიერად მზადმყოფი. განსაკუთრებული სიამოვნებით ეხმარება ნიჭიერ ავტორს სულიერი ნაღვაწის გამომზეურებაში.

ახლა რამდენიმე სიტყვა უშუალოდ წინამდებარე წიგნზე. ეს უკვე მესამეა მის მსგავს წინამორბედთა შემდგომ. ცხადია, აფორისტულ, სენტენციურ და ორიგინალურ ფრაზათა ამ ოკეანეში, ყოველი მათგანი თანაბარი ღირებულებისა ვერ იქნება, მაგრამ ყოველი მათგანი ღირებულია როგორც შინაარსით დატვირთულ ცხოვრებაგავლილი კაცის ნააზრევი. სიბრძნის ამ ოკეანეში შუქურებივით ანათებენ აზრითა და იუმორით გამოსარჩევი ფრაგმენტები. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ.

„ფიქრით ხვნა-თესვა პურის მოსავალს არ იძლევა“.

„ბუზღუნას დაავადებას ტკბილი სიტყვით არჩენენ“.

„დაღვინებულ აზრებს ნუ დავაძმარებთ!“

„მეგობრობა მყარია თუ ერთმანეთს „შენობით“ ველაპარაკებით და „თქვენობით“ ვეპყრობით“.

„დაბადებას და სიყვარულს არავინ გვეკითხება“.

„ხალხს ჩემი მტერი ენდო, ხალხის არჩეულს – ეშმაკი“.

„ქართული პენსია სკვდილის უვერტურაა“.

„დასნეულებული იდეები მედიკამენტებით არ იკურნება“.

„უგუნური მეგობრის ყოლას გონიერი მტერისა სჯობს – მომზადებულ მაინც დახვდები“.

„ხელისგულზე ერბოკვერცხის მოწვა შეიძლება – თუკი ხელისგული სხვისია“.

„ყველაფრის ბოლოში არაფერია“.

დანარჩენი თავად ამოარჩიე, ფიქრთან დაძმობილებულო მკითხველო“

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ლერი ჩანტლაძე

ადამიანი

1. დიდი ადამიანი, გონიერებით იქნება თუ მოცულობით, ადვილად შესამჩნევია და მეტ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ცხოვრებას ავანსად ყოველთვის არ გამოადგება.
2. ადამიანი რომ ბრიყვადაა დაბადებული, სიბერეში სხვათა შემხედვარე რწმუნდება.
3. პატიოსან კაცს ჩხუბი არ სჭირდება, მაგრამ თუ აუცილებელია, კიდეც უნდა იჩხუბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი წესიერება ეჭვქვეშ დადგება.
4. უვარგისი კერატი არც გასამრავლებლად უქნია ღმერთს და არც საჭმელად, ასევეა ძალზე მორცხვი და წესიერი ადამიანი.
5. უნებლიედ დაშვებული შეცდომა ადამიანის ბუნებას გამოხატავს, განზრახ დაშვებული – ინდივიდის გენს.
6. მცირე დანაშაულის შენდობა ადამიანს გამოსწორების გზაზე აყენებს, დიდი – რეციდივის სურვილს უმძაფრებს.
7. ადამიანი ზოგჯერ თანამედროვეთა ზიზღით ავადდება და კვდება, რადგან მას ამ დროში ვერ გაუგეს.
8. უნაკლო ადამიანები არ არსებობენ, თუმცა ნაკლიც დროის შესატყვის დაკონკრეტებას მოითხოვს.
9. სიძნელეებთან შერკინებაა ადამიანის სულიერების და ხორცის საწრთობი.
10. ადამიანი რომ დაიყოლიო, მას დასაკარგიც უნდა დაუდგინო და საპოვნელიც.
11. „გარეგნობით იღებენ და ჭკუის მიხედვით აცილებენ“ – ყოფიერების ცნობილი ფორმულაა, მაგრამ მის ტოლობა ამ ადამიანის საბოლოოდ შესაცნობად ყოველთვის არ გამოდგება.
12. თუ ადამიანს ნიღბით აღვიქვამთ, მაშინ მისი შინაგანი ბუნების შეცნობის პროცესიც არ დაყოვნდება.
13. საკუთარი თავის შეფასების განრიგი თავადვე უნდა შეადგინო და გარანტიაც შენ უნდა იყო.
14. ადამიანის ცხოვრება ეტაპებისაგან შედგება და რიგითობის ყველა კაპრიზი დროის შესატყვისად უნდა დაკმაყოფილდეს.

15. ცოდნა, რომელიც ადამიანს იმქვეყნადაც გამოადგება, სიბრძნის ნახელავია, რწმენასთან შერევით.
16. ასაკის მატება, ზოგჯერ სიცოცხლის გახანგრძლივებით ბიუროკრატიული ბუნების ადამიანებს ამრავლებს და უნიათობის წისქვილზე წყალს ასხამს.
17. არიან ადამიანები, რომლებსაც სხვისი არც გაჭირვება სჯერათ, არც ხუმრობა, ხოლო დახმარებაზე საუბარი ხომ ზედმეტია, მაგრამ ფორტუნა მაინც მათ მხარესაა.
18. უსამართლობა, უხეშობა, უწმინდურობა, ურცხვობა, უგვანობა, უწიგნურობა, ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას ახასიათებს, რათა მისნაირივე კოლეგებისგან თავი წარმატებით დაიცვან.
19. სიფხიზლესაც, წესიერებასაც, ზღვარის დადება სჭირდება, რათა ადამიანი რობოტად არ იქცეს, სიცოცხლის არსი შეიცნოს და ცხოვრების მადლი შეირგოს.
20. უვარგისი ადამიანიც ამაყად გამოიყურება, თუ მას ხელისუფალი მხარს უჭერს.
21. ადამიანის გონებამ უნდა იცოდეს თავს ვისთვის, რისთვის სწირავს და რა თანხისთვის, რისკავს.
22. როდესაც საყვარელ ადამიანს კეთილად იხსენებენ, ამაყდები და სიტყვები არ გყოფნის შენი გრძნობების გამოსახატავად.
23. წარმატების პიკი და კრიზისი ადამიანის სულიერებაზე გავლენას ახდენს.
24. ადამიანი შეიძლება ვარგისი, ხერხიანი, ქვეშქვეშა, გაქნილი, მოხერხებული იყოს, მაგრამ ის რომ კაცია, ცხოვრებამ უნდა გადაამოწმოს.
25. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი, ჯაბანი, როგორიც არ უნდა მოვნათლოთ, ამ ადამიანს ცოლი მოჰყავს, ბავშვებს ზრდის, დიდხანს ცოცხლობს, იძულებით პატიოსანი, სხვის საქმეში ცხვირს არ ჰყოფს, ემოციებს არ ჰყვება და ყველა ეს პარამეტრი მას კაიკაცობაზე ლაპარაკობს.
26. თანასწორობა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, შესაძლებლობების და უნარის გაუთვალისწინებლად.
27. ადამიანმა ცხოვრება გამარჯვებებით უნდა დაასრულოს და „ბასტა“.
28. ტყვიის ტრაექტორიის ძალა ადამიანს დააფიქრებს, მაგრამ ხშირად დაგვიანებით.
29. ადამიანის დევიზი უნდა იყოს მოყვასის პატივისცემა ქვენა გრძნობების გარეშე.

30. ადამიანს თუ დასაკარგი ან მისაღები რაიმე არ აქვს, მხოლოდ პერსპექტივით მისი მოთოკვა ჭირს.
31. ადამიანს გულწრფელი მონანიება ამშვიდებს და არა ხელების მოჩვენებითი თავში ცემა.
32. ყველა ადამიანს სხვასთან შედარებით თავი უცოდველი ჰგონია და ამისათვის გარკვეულ დივიდენდებს მოითხოვს.
33. ადამიანისათვის უპირველესი ოცნებით რწმენაა იმისა, რომ ის ვიღაცას სჭირდება და გამოდგება იმ დიდი საქმის საკეთებლად, რომელზეც მას ხეირიანი წარმოდგენაც არ აქვს.
34. მარიონეტების გარეშე ცხოვრება, ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რა ქნას ამბიციურმა ადამიანმა, როგორღა გაერთოს, თუ სხვაზე უფროსობა სწადია.
35. გონიერების მცდელობა მუდამ ამოუცნობი დარჩება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გაგებით როგორც ადამიანი ჩამოიწერება.
36. ადამიანთა დასამორჩილებლად მათ ინფრასტრუქტურასთან დაახლოებას ცდილობდნენ.
37. ადამიანი თავის ფანტაზიას სხვისაზე მაღლა აყენებს და ეს სიამოვნებას გვრის.
38. თუ ადამიანს არ სურს მას ვერც სიკეთის კეთებას დაავალებ და ვერც ბოროტებას.
39. სასიყვარულო ეჭვიანობიდან დაწყებული, უფულობით დამთავრებული, ყველა ადამიანს ებრძვის და ჭკუას ასწავლის.
40. გაუმაძღრობა ადამიანს დანაშაულისკენ უბიძგებს, იმისდამიუხედავად, მისი გენი მოწოდებულია ამისათვის თუ არა.
41. ადამიანმა უნდა იცოდეს ის, რაც გამოადგება და ცოტა მეტი, თუ უნდა თავთან შეჭიდებით ყოფა არ გაიმწაროს.
42. ადამიანი ხშირად თავისი გრძნობების მონა ხდება და ეს აქცევს მას სამყაროს შვილად.
43. გაუზრდელი და ზრდილი, ეს ეპითეტები ადამიანს ახასიათებს, იმისდამიუხედავად, დრო და გარემო რა ხასიათზე აყენებს.
44. დღეს ყველაფერი დასწრებაზე, რეკლამაზეა, რამაც ადამიანს გემოვნების დაჭაშნიკების უნარი დააკარგვინა.
45. „მოცულობითი“ ადამიანები კეთილნი არიან, დაცინვასაც მხიარულად იტანენ და იშვიათადაც ბრაზდებიან, რადგან ისინი თავის ძალას გრძნობენ და თანამოსურნეთა მოჩვენებით ამბიციებს არად აგდებენ.
46. ადამიანის შენება, ჩამოყალიბება წვრილმანებიდან იწყება და კითხვის ნიშნით მთავრდება, რადგან არ ვიცით მშენებლობა დამთავრებულია და თუ კიდევ აშენება-დამშვენება სჭირდება.

47. ადამიანის ბუნება შეცნობას ნაკლებად ექვემდებარება, ხოლო რას მოიმოქმედებს, ეშმაკმა უწყის.
48. საშუალო ადამიანის დამსახურება ყველა დროში ერთია: ნაშიერი ამრავლოს და უსახელოდ გაქრეს.
49. დაღვინებული ადამიანი განაღდებულ მომავალს უფრო აფასებს, ვიდრე ჯეელობა, რადგან პირველს მარადიულობის პრობლემა აწუხებს, მეორეს ამისათვის ჯერ ვერ მოუცლია.
50. ადამიანი ბედნიერების, იმედის, შემთხვევის, ოცნებით მაძიებელი გონიერი არსებაა, რომელსაც სიყვარული ყოველთვის თან უნდა ახლდეს.
51. სინამდვილეში ადამიანთა ურთიერთკავშირი განუსაზღვრელია, უსასრულოა, უალტერნატივოა და მათდაუნებლიედ უანგაროა.
52. ლოგიკის მორჩილება და უნივერსალური სისტემების თაყვანისცემა ადამიანის ასიმეტრიულ გონებას აჩლუნგებს და მეცნიერული კვლევებისათვის გამოუსადეგარს ხდის.
53. ადამიანები იყოფიან: მოაზროვნეებად, ბრიყვებად, გულიანებად, უგულოებად, კაცებად, არაკაცებად, ინტელექტუალებად. ეთაყვანებიან: ცეცხლს, ჰაერს, წყალს, დედამიწას, სამყაროს, ვარსკვლავებს, უსასრულობას. ყოფთ: შეხედულებები, გენი, ამბიციები, შური, გაუგებრობა, ხასიათი, ჯობნის სურვილი. აწუხებთ: ფლეგმატიზმი, მელანქოლია, რისხვა, სევდა, ქოლერიკობა, ისტერია, შეუთავსებლობა. მიისწრაფიან: დროსტარებისაკენ, კარიერისკენ, წარმოჩენისკენ, წაგლეჯვისკენ, კარგი ცხოვრებისკენ, შთამომავლობის დატოვებისთვის, ამქვეყნად სახელის დაგდებისთვის. აერთიანებთ: სიხარული, სევდა, გაჭირვება, თანადგომა, სიყვარული, მეგობრობა, ეროვნულობა. ძირითადად ავადდებიან: დისფუნქციების მოშლით, შარდსადენების გაცივებით, ვნების დაკარგვით, სპაზმებით, ინსულტით, ოსტეოხონდროზით, გულით. იბრძვიან: სამართლიანობისთვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, კანონის დაცვისათვის, მშვიდობისათვის, ბუნების დაბინძურების საწინააღმდეგოდ, თანასწორუფლებიანობისათვის. ზოგავენ: წამებს, წუთებს, საათებს, დღეებს, კვირეებს, თვეებს, წლებს. ამრავლებენ: შვილებს, შვილიშვილება, ნათლიებს, შთამომავლობას, ტრადიციებს, კულტურას, წინაპართა დანატოვარს. ამ შერკინებების „დომხალში“, სიტყვების თამაშში გადის ამქვეყნიურად ყოფნის დრო და ბოლომდე ვერ გავრკვეულვართ, რისთვის მოვედით და რაში დავჭირდით განგებას.
54. „ხელოვნური ინტელექტი“ ადამიანს ვერ შეცვლის, მიუხედავად იმისა, რომ „ხელოვნურობა“ მას ინფორმაციის დაგროვებაში ჯობნის, მაგრამ სიახლის გააზრებაში ადამიანს კონკურენტი არ ჰყავს.

55. ადამიანები იმიტომ ლოთობენ, რომ მათზე მოთხოვნა არ არის და ვერ საქმდებიან საყვარელი საქმის კეთებით.
56. ადამიანს უნდა ახასიათებდეს ბუნებრივი და მითიური სიდიადე, თუ უნდა ამქვეყნად თავი შემდგარად, პიროვნებად, იგრძნოს.
57. ადამიანის ძირითადი დანიშნულებაა ცხოვრებისეული სივრცის მოწყობა, ადაპტირება, ჯანმრთელი მიწიერი სიამოვნების შეცნობა, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, ნაშიერის დატოვება და თავის დროზე ამ ქვეყნიდან გადაბარგება.
58. გონიერება ახალ ცოდნას გვმატებს, ხოლო ბრმა რწმენა ზომბად და გაწვრთნილი ცხოველის მსგავს არსებად გვაქცევს. საოცარია, მაგრამ ყველა ზემოთქმული პარამეტრი შეიძლება ერთ ადამიანში იყოს თავმოყრილი.
59. ბუნებრივ და მითიურ სიდიადესაც ადამიანის გონება ქმნის.
60. ადამიანს ფიქრი ეზარება და ცდილობს ეს საფიქრალი იმას აჰ-კიდოს, ვინც ჭკვიანად ეჩვენება, რათა თავად ალიბი და სხვაზე სასაყვედურო ჰქონდეს.
61. ერთიანი ბრიყვული მოქმედება (ებმ) ადამიანს აიძულებს ცივილი-ზაციის მიღწევებს კი არ ეზიაროს, არამედ მისი მონა გახდეს.
62. გონიერების ბნელ უბნებში მოთავსებული შემოქმედებითი ძლა, ფაქ-იზი ბუნებისაა, რომელიც ავად თუ კარგად ადამიანის ცნობიერების მართავს და მას მოფრთხილება, მოთოკვა სჭირდება.
63. ადამიანს ცივილიზაციის შემოტევის მიმართ იმუნიტეტი დაქვეით-ებული აქვთ, ამიტომ ის ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიც შემოგვე-ჭრება, მაგრამ არ უნდა გავრყვნათ და გავირყვნეთ, რათა მისმა მონატანმა არ გადაგვაგვაროს, გაგვაქროს.
64. პატიოსნებაზე, ღირსებაზე, სინდის-ნამუსზე, სპეკულირება და ადა-მიანის ცდუნება აკრძალული ხერხია, რადგან თქვენ მის სათუო გრძნობებზე ძალადობთ.
65. სამწუხაროდ, ადამიანთა 100%-დან ნდობას 5% იმსახურებს და ისიც შიგადაშიგ, თუ ძალა იგრძნო.
66. პენსიას ადამიანი მის მიერ დატოვებული საქმიანობის შედეგის მიხედვით უნდა იღებდეს და არა იმის მიხედვით, ვინ რამდენი წელს იმუშავა, რა თანამდებობა ეკავა და ვისი დაჭიტლაყებით იყო თანა-მდებობის სკამზე წამოსკუპებული.
67. უიღბლო ადამიანის მოვლენას სულ არ გაჩენილიყო ის ჯობდა, რად-გან მან მხოლოდ „დასტუკება-დაკაკუნება“ მოასწრო ამქვეყნად.
68. ადამიანი შეიძლება ყველა დაავადებისაგან განიკურნოს, გარდა სისულელის ჩადენისაგან, რადგან ეს ცხოვრებას უმხიარულებს.

69. დათვია, ამბობენ იმ ადამიანზე, რომელიც სიკეთის კეთებას ცდილობს, მაგრამ თავისი ძალის და შესაძლებლობების განსჯა და განსაზღვრა უჭირს.
70. მძვინვარება და დიქტატი მაშინაა გამართლებული, თუ ადამიანს ელემენტარული სიმართლის პოვნა შეუძლია.
71. ადამიანთა ურთიერთობა, განუსაზღვრელი – განუსჯელი და „დაუთოებელია“.
72. გენეტიკური ჰოროსკოპით დაპროგრამებული ადამიანი, სინონიმია გონიერების დამუნათებისა, რომელიც ზოგჯერ ცნობიერების გარკვეული უბნებიც მხარს უბამს.
73. ხშირად ადამიანი იმას „ხედავს“, რაც აკლია და რაზეც ოცნებობს, და მისი გაფეტიშებით ნაკლსაც ფარავს, სულსაც იწყნარებს და სინამდვილესაც, თავისი ჭკუით, ბიშტს უჩვენებს.
74. ადამიანი ძირითადად იმ მსოფლმხედველობით და მენტალიტეტით ყალიბდება, რასაც მას ბავშვობიდან შთააგონებენ და რა რწმენის ყარაულობასაც მიანდობენ. ასე, რომ ადამიანს ცივილიზაცია კი არ რყვნის, არამედ აღზრდის ელემენტების დავიწყება და სიახლეზე მორგების უუნარობა.
75. სიბერეში ადამიანს სისულელის ჩადენის უნარის გარდა, ყოველგვარი უნარი ერთმევა და სკლეროზში გადაიზრდება.
76. ადამიანი ფულზე უნდა მბრძანებლობდეს და არა – პირიქით, თუ ის საკმარისზე მეტი აქვს.
77. „სამომხმარებლო რეციდივი“, ეს ის „პერპენტუუმ-მობილეა“, რომელიც არც ადამიანის გონებას ასვენებს და არც კუჭის გვემას.
78. ადამიანი ისე იქცევა, როგორც კარნახობს განსჯის უნარი, ჯანმრთელი ინსტინქტი, შექმნილი გარემოება დროის გარკვეულ მონაკვეთში.
79. როდესაც ყასიდად აქებენ, ყოველი შემთხვევისთვის პატივს მიაგებენ, ასეთი ადამიანის ადგილი სამოთხეში დაჯავშნულია.
80. ადამიანი თავზე დასაფიქრებლად მაშინაც ვერ იცლის, როდესაც ამისთვის თავზესაყრელი წლები ჰქონდა.
81. ადამინი მხდალი უფრო საკუთარი გენის გამოა, ვიდრე შექმნილი გარემოებით და ბედით.
82. საყვარელი ადამიანი ყოველთვის ჩვენთანაა, რაც უნდა მოშორებით ცხოვრობდეს და იღვწოდეს.
83. ვინც ფულისწყრომას და მლიქვნელობას ყურად არ იღებს, ის უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა.
84. ადამიანის გონიერება მის ფანტაზიას ვერასოდეს დაეწევა და ვერც ვერასოდეს ბოლომდე შესწვდება.

85. ადამიანი რაც უნდა ბრიყვი იყოს, თუ ენაზე კბილის დაჭერა იცის, საზოგადოების წევრად აღიქმება.
86. სიავე და შურისძიება ზოგჯერ გადავადებას და მკურნალობას მოითხოვს, რადგან გვინდა – არ გვინდა, ადამიანი სიკეთის კეთებას უნდა ემსახურებოდეს.
87. იდიალური ადამიანი ხელს სამყაროსაც არ აძლევს, რადგან მისი ამქვეყნიური დანიშნულების აღსრულება გაუჭირდება.
88. ყველა ადამიანს თავისი ენერგიის გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვს და მისი შემდგომი ცხოვრება ამაზეა დამოკიდებული.
89. თეორიულად დიდ მიზანს პატარა არ უნდა ამჯობინო, მაგრამ რეალობაში ადამიანი ხარ თანდაყოლილი სისუსტეებით.
90. ადამიანი როგორც ქებას, ასევე განკიცხვასაც იმსახურებს, ხოლო შეფარდებას დრო ადგენს.
91. ადამიანს უკვდავებას შეაცნობინებს: სიყვარული, დაგემოვნების ცოდნა, სურვილების აღსრულება, სასიამოვნო ტემბრი, ოცნების თავისუფლება, სიხარული, იმედი და ყველაფერი, რასაც მისი სული ელტვის.
92. ადამიანის ყველაზე დიდი მეგობარი გამორჩენაა, სარგებელია მათ შორის სიკეთის, კეთილი გაგებით.
93. უნაკლო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ ეს ნაკლი საიმედოდ უნდა ჩავურთოთ, რათა თავი ედმეტად არ გამოჰყოს.
94. ოცნების, სურვილების, ასრულება ადამიანს უკეთესს არ ხდის, რადგან ყოველივეს მისი გენური მსოფლმხედველობა განსაზღვრავს და განსჯის.
95. ადამიანი, რომელიც სისულელეს არ სჩადის და დიდს არაფერს მიჰქარავს, ესეც საამაყო და სასახელოა მოუწესრიგებელი ქვეყნისათვის.
96. ადამიანის შეცნობა და მისი მეგობრად გახდომა, დამოკიდებულია ცხოვრების გამართლებაზე ორივეს მხრიდან.
97. რეალური სურვილების ოდენობა განსაზღვრავს ადამიანის დაუბოღმავი გონიერებას.
98. რიდი და სიამაყე ადამიანს ამშვენებს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში.
99. ადამიანისთვის ყველაზე მწარე, მისი სულიერების რეალობით გამათრახებაა.
100. გონიერებაც უფასურდება, თუ ის ადამიანის კეთილდღეობას არ ემსახურება და რეკლამას არ უწევს.

101. წარმატება-წარუმატებლობა დამოკიდებულია ადამიანის ხასიათზე და მის საქმეზე მორგებაზე.
102. სიბრიყვე გამბედავია, თავხედია, ზიზღი საშინელებაა, სიყვარული საოცრებაა, გონიერება მორიდებულია და ათასი სხვა. როგორ თავსდება ეს „დომხალი“ ერთი ადამიანის თავში, გაუგებარია.
103. უნაკლო და „ნამდვილ“ ადამიანებად მომავალში ალბათ რობოტები მოგვევლინებიან.
104. ადამიანისაგან, რომელიც ჯერ კიდევ წითლდება, შეიძლება რაღაც სასარგებლო „გამოიჩორკნოს“.
105. მიზანდასახული, ვნებიანი და ფანტაზიის მქონე ადამიანი არ შეიძლება უბედური იყოს.
106. იმედის მქონე ადამიანს მცირედის კეთებაშიც უნდა დავეხმაროთ, თუ დიდი საქმის საკეთებლად, ჯერ-ჯერობით, ხელი არ მიუწვდება.
107. ადამიანი თავისი ადგილის ძიებაშია და ამას მთელი სიცოცხლე ხშირად უშედეგოდ ანდომებს.
108. ადამიანს ხელთ უპყრია ბუნების ამოხსნის საშუალებები და არა – გარდაქმნისა, რაც უნდა გაითავისოს.
109. ადამიანმა თავი თავადვე უნდა უზრუნველყოს, თუ რა გზით, შემთხვევის და არჩევანის საქმეა.
110. სხვა ქვეყანაში ადამიანი იმ მზეს და გარემოს ეძებს, რომელიც მის სულს, ამბიციებს, ჯიბეს, უკეთ გაათბობს.
111. საოცარია ადამიანის ბუნება, რად სურს სახელის დაგდება ამქვეყნად, თუკი იმქვეყნად ვერაფერს გაიგებს.
112. ადამიანს ჯერ ღვინის სმა უნდა ვასწავლოთ და შემდგომ მივანიჭოთ სტუმრის სტატუსი.Ჯ
113. პასუხისმგებლობა არა მარტო ცნობიერებას, არამედ მთლიანად ადამიანის ბუნებას ცვლის.
114. საქმიან ადამიანს ზიზღის და შურის არ უნდა ეშინოდეს და არად აგდებდეს, რადგან ისინი, ადრე თუ გვიან, თითს დაუქნევენ.
115. პერსპექტივის გარეშე ადამიანის მეობას „ჩასვენება“ უწერია.
116. ადამიანის ნაკლი წვრილმანებიდან იწყება, რომელიც დიდ ნაკლში არ უნდა გადაიზარდოს.
117. ნდობას მავნე ხასიათის ადამიანი ვერ დაიმსახურებს, რაც უნდა კარგი რეკომენდაცია უმაგრებდეს ზურგს.
118. ცოდვის ჩადენა არც უნდა გეხერხებოდეს და არც უნდა გვინდოდეს, მაშინ დადგება ჩვენგან ადამიანი.
119. დიდი ბუნების ადამიანს კარგი ქცევა და მცდელობა გაუკეთებელ საქმეს აკეთებინებს.

120. ხშირად დაპირისპირებას შემთხვევა იწყებს და შემთხვევა ამთავრებს და აქ ადამიანური ფაქტორი არაფერ შუაშია.
121. ადამიანმა მის მიერ კარგი საქმეების კეთების კალენდარი უნდა შექმნას.
122. ადამიანი სიცოცხლისადმი მიმართებაში, ხარისხის მიუხედავად, გაუმაძღარია.
123. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც ბედის შეცდენა არ ენატროს.
124. ადამიანის საქმიანობა მანამ იქნება სათუო, სანამ ეს სამყარო და ადამიანი იარსებებს.
125. ადამიანი თავისი გზააბნეულობით, შეცდომებით, სხვასაც გზას უბნევს.
126. ბუნებას ადამიანის ტექნიკური მიღწევების პოტენციალის არ ეშინია და არც არასოდეს შეეშინდება, რადგან სამაგიეროს გადახდა შეუძლია.
127. სამყაროს გონიერებას, უპირველესად, ადამიანის სიხარბე ებრძვის.
128. ადამიანი, სხვა ცხოველებთან შედარებით, ლამაზი და ვერაგი ცხოველია, რადგან აზროვნებს.
129. ადამიანის უგნურების ირგვლივ ტრიალს ჯერ-ჯერობით დასასრული არ უჩანს.
130. დღეს ჩვენს სახეზე გვაქვს ადამიანთა რაობის „პროსტიტუცია“, გუშინდელი „ამხანაგო“ დღეს კვლავ „ბატონო“ გახდა, რომლის თავისდროზე მოტვინვა გვიჭირდა.
131. ადამიანი თავის გადასახედიდან, ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც სამართლიანად იქცევა.
132. ადამიანის ხარისხს გულის ფანცქალი განსაზღვრავს და გულის გაჩერება უღებს ბოლოს.
133. ადამიანი არც დაჭკვიანებულა და არც დაჭკვიანდება, რადგან დაჭკვიანების შემთხვევაში დაპირისპირება არ იქნება, დაპირისპირება არ იქნება – წინამძღოლი არ დაგვჭირდება, წინამძღოლი არ დაგვჭირდება – სახელმწიფო გვექნება, სახელმწიფო არ გვექნება – თავის მოსაწონებელიც დაგვეკარგება, ხოლო ეს უკანასკნელი ადამიანის საჭიროებას მოსპობს.
134. ბედნიერება, უბედურებას, „ისე რა“ ხასიათზე ყოფნას, ყველაზე უკეთ ადამიანის სახის „ტერიტორიაზე“ აღბეჭდილი ფერები გამოხატავს.
135. თუ ადამიანის ბედნიერება ბედის დამსახურებაა, უნიათობა მასვე უნდა დაბრალდეს.

136. „საეჭვო ამაგისათვის“ ადამიანის წყენინება არ ღირს, გამომშვიდობებისას ერთი მადლობა მაინც უნდა გადაუხადო.
137. ადამიანი თუ სასიკეთოს აკეთებს, ღმერთის დამსახურებაა, თუ ცუდს – საკუთარი უგვანობის, ბალანსი გასაგებია, მაგრამ დებეტ-კრედიტი არ გამოდის.
138. ადამიანის რაობა ხშირად დროის შესატყვისად ფასდება და მომდევნო თაობების შესაფერის რეალობას არ ექვემდებარება.
139. ადამიანი სამყაროს ყველაზე მავნებელი ყაჩაღია, ყველას თავს „ესხმის“ და პასუხისგება არაფერზე არ უნდა.
140. უმთავრესი ადამიანისთვის მაინც პრინციპების აღსრულებაა.
141. ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის მისი სულიერებაა, რომლითაც ვაჭრობას ზოგი არ თაკილობს.
142. ვირი ვერც აქლემს შეცვლის და ვერც ცხენს, მაგრამ მის საჭიროებას არავინ გამორიცხავს, ასევეა ადამიანთა მოდგმა, ყველა ბუნებას ნაღვაწია მათ შორის სულელიც, რომლის შემხედვარე ჭკუის მოხმობას ვსწავლობთ.
143. ყველა ჩვენგანი საკუთარი გრძნობების, სულიერების, მეფეც უნდა ვიყოთ და იმპერატორიც.
144. ცუდად აღზრდილი ადამიანის ზნეობა კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.
145. გონიერება ადამიანში, ღირსებასაც აყალიბებს, მიზანსაც და მისწრაფებასაც.
146. დაუფიქრებლად ვნების ბოლოც გაუგებარია, მაგრამ არა – ადამიანის ბუნებისთვის და განგების ნებისთვის.
147. ხშირად არც საკუთარ თავს ვაფასებთ და არც მისი შესაძლებლობების შეცნობას ვცდილობთ.
148. საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი ხშირად ჩვენთვისაც უცნობია.
149. ადამიანი სამყაროს მდგმურია და ის არაფრად უღირს, მაგრამ არც სამყაროს ვუღირვართ რაიმედ.
150. წესით ადამიანი თავის მისწრაფებებს უნდა ემორჩილებოდეს და არა – დროის ყივილს, ფეხის აყოლას, მაგრამ სურვილი ერთია, შესაძლებლობა მეორეა და ბედს უნდა დავემორჩილოთ.
151. ღირსებას კონკურენციის არ ეშინია, რადგან ის ყველა ადამიანს განუმეორებელი აქვს.
152. ადამიანი ხშირად სახიფათო თანამდებობათა დაკავებაზე იმიტომ თანხმდება, რომ მას საკუთარ თავზე მეტად კარიერის კიბე იტაცებს.
153. აღზრდა ადამიანს საქმის და სიკეთის საკეთებლად უბიძგებს.

154. ადამიანი სხვათა სიკეთის საკეთებლად იბადება, მაგრამ უპირველესად თავისთვის ჩალიჩობს.
155. ადამიანს გაცილებით უკეთ და მეტად საქმის კეთება მაშინ შეუძლია, თუ დასახული მიზნის ასრულების იმედი ექნება.
156. უპირველესია ადამიანობა, მოვალეობის გრძნობების გათავისება.
157. ადამიანს შინაგანად უჭირს თავის სუსტი მხარის გამომზეურება და სხვას დაუხმარებლად მასთან ბრძოლა.
158. ადამიანი იმქვეყნად მხოლოდ ცხოვრების დაღლით და არა უსაქმურობის შედეგად უნდა გადასახლდეს.
159. სიყვარულის ღმერთი ვენერაა, დაქორწინებისა – იუნონა, რომლებიც ერთმანეთში, საუკუნეთა გამოცდილების მიუხედავად, ვერ რიგდებიან, მაგრამ ეტყობა განგების შექმნილი ადამიანის ბუნების შეცვლა მთლიანობაში მათაც უჭირთ.
160. იშვიათია, რომ ადამიანმა თავისი ახლობელი სიტყვით მაინც არ გაკენწლოს, ამის საბაბი აქვს თუ არა.
161. ადამიანი წინ და უკან სიარულში იმ წლებსაც კარგავს, რომლის გახსენების წინააღმდეგი არ არის.
162. აღზრდა სხვაა, შესაძლებლობების ანდერძით დატოვება – სხვა, აი, ადამიანთა შორის განსხვავების მთავარი ალგორითმი.
163. თუ ადამიანს თავის მოკვლა უნდა, ეტყობა, მიზეზიც განსჯადია, ხოლო თუ სხვისი, ამას განსჯა სჭირდება და არა – მიზეზი.
164. ადამიანს გასაქცევი ყოველთვის არ უნდა დაუტოვო თუ სამუდამოდ სამშობლოს დატოვებას აპირებს და დაბრუნებაზე არ ფიქრობს.
165. შემეცნება და აზროვნება ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და უკვდავებისაკენ უბიძგებს.
166. ადამიანს ბედნიერს, საკუთარ ხასიათში, სანუკვარი ბედის შეფუთვა ხდის.
167. ადამიანს ეშმაკის მოგონება იმიტომ დასჭირდა, რომ თავისი და სხვისი ცოდვები მისთვის აეკიდა, განტევების ვაცის როლი დაეკისრებინა და ალიბის სახით ეთქვა „ეშმაკმა შეაცდინა“, ხოლო რატომ შეცდა, ამაზე პასუხისგება არ უნდა.
168. ადამიანი სიამოვნებისთვის, მისწრაფებისთვის, გონივრული არსებობისთვის, უნდა იღვწოდეს.
169. სიზარმაცე „ჭირს მოგვჭამს“, თუ ადამიანს საქმეს მისწრაფებისამებრ შევურჩევთ.
170. რაღაცა სხვებისთვისაც უნდა აკეთო, რომ ამქვეყნად მოსვლის აზრი შეიცნო.

171. მომნუსხველი ღიმილი ადამიანის შინაგანი სამაყროს გამონათებაა.
172. კარგი განწყობა ადამიანებს სიკეთისა და დიდი საქმეების საკეთებლად მომართავს.
173. ადამიანის გონიერების მომწიფების დროის შემოკლების მცდელობა შედეგს არ იძლევა, თუ ეს ნიჭის წყალობით არ მოხდება.
174. მთავარია, ყოფის ბუნება-გუნებამ არ გამოგვიტანოს განაჩენი, თორემ ადამიანის „მოხლაფორთებულ“ კანონს და სასჯელს რაღაცას მოვუხერხებთ.
175. ყველაზე გონიერ ადამიანსაც სიბრიყვის სიმპტომი ახასიათებს.
176. უნაკლო ადამიანი მეგობრად არ გამოდგება – ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.
177. სინდისი ადამიანის საუკეთესო მეგობარია, თუ თავად ადამიანმა არ უგანა.
178. ადამიანის თანდაყოლილი იარაღი ხმალია, სიავის გასაკვეთად და ფარი კი – სიკეთის დასაცავად.
179. ყოყოჩობა ბევრს ახასიათებს. რატომ? უბრალოდ, ფუყე ადამიანია.
180. ზოგჯერ ადამიანებს შინაგანად უჩნდებათ სურვილი ქვეყნის ოცნებით მართვის, მიუხედავად თავიანთი შესაძლებლობების ცოდნისა, რატომღაც ყველაფერი „ხუთიანზე“ გამოსდით.
181. ადამიანს, ძირითადად, ისე ექცევიან როგორც იმსახურებს.
182. ცილისწამება, წაქეზება, დაპირისპირება, ყველაზე საშიში იარაღია ადამიანთა ურთიერთობაში.
183. „შენი-ჩემის“ გარეშე ადამიანმა შეიძლება იარსებოს, მაგრამ ცხოვრება და განვითარება გაუჭირდება.
184. მე, პირველ რიგში, ადამიანის სულიერების სუნთქვა უნდა მომეწონოს და შემდგომ ადამიანი, მას რომ გვერდით ამოვუდგე.
185. სიამაყე და თვითდამკვიდრება ადამიანს თავს პიროვნებად აგრძნობინებს.
186. რწმენის გარეშე ადამიანი ისევ ორფეხა ცხოველად იქცევა, ხოლო ტექნიკური პროგრესის მეშვეობით გაირყვნება და გადაგვარდება.
187. შიშის, შრომის, სურვილის, იმედის, გარეშე ადამიანის ცხოვრება ერთ თეთრზე ნაკლებია.
188. გამოგონება უამრავია, გამოსაყენებელი გაცილებით მცირეა, რადგან ადამიანის მოთხოვნები ძალზე შეზღუდულია.
189. ადამიანის სიმდიდრეს რეალურად გული განსაზღვრავს და არა – ჯიბე.

190. თეორიულად ადამიანი თავისუფლებისთვის არის გაჩენილი, პრაქტიკულად შიგადაშიგ ყურის აწევას ითხოვს.
191. ალბათ ისიც ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი ვერ ესწრება თავის ნაღვაწის ნგრევას და იმ იმედით კვდება, რომ მის საქმეს ვინმე გააგრძელებს.
192. ადამიანის დაკმაყოფილება ყველა ასპექტში, რაც არ უნდა ბედის ნებიერა იყოს, შეუძლებელია.
193. ადამიანს, უმთავრესად, ღირსება წარმოაჩენს დაფინანსებით, შემდგომ მოდის გარეგნობა და ჭკუა.
194. ინტელექტუალური შესაძლებლობა, ყოფის შედეგის მიუხედავად, ადამიანს აიძულებს სიკეთით იღვაწოს.
195. დაცინვას კაცი არ მოუკლავს“, მაგრამ მისი ძალიან გვეშინია და ვერიდებით, თუმცა ზოგჯერ პირიქითაა, დაცინვის შედეგად ადამიანი უფრო წინდახედული და მობილიზებული ხდება.
196. ცხოველსა და ადამიანს შორის, მეტყველების უნარის გარდა, სხვაობა ყოფის წარმართვაში თითქმის არ არის, ორივეს თვალი იქითკენ გაურბით ვის რა წაღლიტონ.
197. საყოველთაო იდეალების და საკუთარი მეობის წარმოჩენის გარეშე ნორმალურ ადამიანს ცხოვრება უჭირს.
198. უთხრა ადამიანს ის, რაც მას არ სიამოვნებს, ზოგჯერ გმირობის ტოლფასია.
199. დიდი სიკეთეა, თუ ადამიანს საკუთარი სიმდიდრის აღმოჩენაში უმწიკვლოდ დაეხმარები.
200. სიყვარული ერთია, თავს აჯობო – მეორეა, ოჯახის შექმნა – მესამეა, ასე, რომ სიყვარულის კონგლომერატს და მის შენარჩუნებას ბევრი ადამიანური „ტინგიცობა“ სჭირდება.
201. თანაგრძნობა და კაცთმოყვარეობის უნარია, ადამიანად რომ დაგაფიქსირებს.
202. უცნაურობაც საჭიროა ადამიანის რაობისათვის, რათა ცხოვრება წინ წაიგდოს და მის ყოფას ფასი დაედოს.
203. ადამიანი დროს ისე საზრიანად და შემოქმედებითად უნდა ხარჯავდეს, რომ სიკვდილზედ ფიქრის დრო არ დარჩეს.
204. ყველაფრის ცოდნისკენ ლტოლვა ადამიანს აბრმავებს და დაუკვირვებელს ხდის.
205. კანიბალიზმზე ადამიანმა დიდი ხნის წინათ თქვა უარი, ვეგეტარიანელობა მოდაში შემოდის, მზის სხივებით კვებას მომავალი აქვს და ამის დასტური უცხოპლანეტელთა გამოსახულებაა. ეტყობა, ეს იქნება ცივილიზაციის უკანასკნელი მიღწევა-ჰიტი.

206. ასაკის გამოცდილება და წარსულის ცოდნა ხშირად რეალურ ხეირს იძლევა პროფილაქტიკის თვალსაზრისითაც, იმდენად ხმასაყოლილი და მიმდობია ადამიანი.
207. ადამიანი ბუნების უძღები შვილია და არა უჭკვიანესი, თუნდაც იმიტომ, რომ ყნოსვა და ხიფათის მოახლოვების შეცნობა ცხოველებს გაცილებით უკეთესი აქვთ.
208. იღვაწოს როგორც ყველასათვის მოსაწონმა და მიღებულმა ადამიანმა, ამ ბედნიერებას სხვა დივიდენდები საქებრად არ სჭირდება.
209. აზროვნება აცხოვრებს და კვებავს ადამიანს და არა – სულიერება და რწმენა.
210. რამდენი ლამაზი, მოხდენილი გონიერი სიტყვა და აზრია, რომელიც რეალობაში არ ამართლებს, რადგან ადამიანი ინსტინქტით ცხოვრობს და არა – ინტუიციით.
211. ადამიანს ოცნება-ილუზიებით ცხოვრება მოსწონს, ყოველ შემთხვევაში, უკეთ იძინებს.
212. არის ადამიანი, არის ადამიანის პროვოკაცია და დრო ამის გადამოწმების საშუალებას გვიტოვებს.
213. ადამიანის ავ-კარგიაობის შეცნობაც მეცნიერებაა და ამას ცხოვრების გამოცდილების გაცნობიერება იძლევა.
214. ადამიანს ყველა უკან მოსროლილი წელი ამხნევებს, აკრიტიკებს და ჯანმრთელობას აცლის.
215. ადამიანს, უნდა – არ უნდა, ბუნებას უნდა ენდოს, მაგრამ ბუნება პირიქით, ვერ გარისკავს.
216. ჩვენი ხასიათის პატარ-პატარა ნაკლოვანებების გამოსწორება საჭირო არ არის, სხვებისგან ხომ უნდა გამოვირჩეოდეთ.
217. ყოველ ადამიანს თავისი პათოლოგია აწვალებს, იმისდამიუხედავად, ემჩნევა თუ არა.
218. თავის და სურვილების დიდხანს დამალვა შეუძლებელია, რადგან ცოცხალმა ადამიანმა თავი სადღაც ხომ უნდა გამოყოს.
219. ხშირად სიკეთის მქნელს „დედა“ აქვს ნატირები ადამიანის უმადურობით.
220. უზომოდ მშრომელი და ერთგული ადამიანი, იმ ტრაგიკულ არსებას, ვირს, მოგვაგონებს, რომელსაც ზურგზე აკიდებული მძიმე ტვირთის ტარება უჭირს, მაგრამ ვერც გადასაგდებად იმეტებს.
221. ადამიანებს ჯიში და ჯილაგი, ძირითადად, კარგი აქვთ, მაგრამ გააჩნია მათ კარიერის საფეხურებზე დგომის მიხედვით განვიხილავთ თუ საკრედიტო ბარათზე დადებული თანხით.

222. ადამიანი, რომელიც ამქვეყნად მოვლენის დაფასებას ისწავლის, უკვე ბედნიერია.
223. ნებისყოფა ადამიანს ამაღლებს კიდეც და მიწაზეც ანარცხებს, თუ აზროვნებას არ დაატანს.
224. გონიერება, უგნურობა, ადამიანს ყოველთვის თან დაჰყვება და ეს ყოფის გამახალისებელი და თავის წარმოსაჩენი საშუალებაა.
225. წესით ყველა ადამიანი ბედნიერების ღირსია, მაგრამ როგორ გადანაწილდება, მათ არავინ ეკითხება.
226. ხშირად გულით ნაკეთები სიკეთე ადამიანს უფრო აბერებს, ვიდრე შემთხვევით ნაკეთები, რადგან პირველში სიყვარულიცაა.
227. „სიშიშვლე“ დიდ გავლენას ვერ ახდენს ადამიანებზე, მაგრამ სტრიპტიზზე ამას ვერ იტყვი.
228. თევზაობა, ნადირობა, ტურიზმი, ადამიანს დროის გასაყვანად სჭირდება თავის „მოქაჩლებით“.
229. ადამიანს თავის განუმეორებლობას აგრძნობინებს თავმოყვარეობა და არა – სიამაყე.
230. გონიერება ადამიანის სულის შესაცნობად არ კმარა, თუმცა მისი ზოგიერთი პარამეტრის დადგენა შესაძლებელია.
231. ადამიანს ბევრი ვალდებულება აქვს ცხოვრებაში, მაგრამ ზოგიერთს თავადვე ირჩევს.
232. ხასიათია, უპირველესად, ადამიანის სილამაზე, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება.
233. სულიერსა და ხორციელს შორის არავითარი სხვაობა არ არის, უბრალოდ, ადამიანის მოგონილია ჭკუის საჭყლეტად და თავის გასართობად.
234. მოვალეობის შეგნება დრამად იქცევა, თუ ის ადამიანს თანდაყოლილი არ აქვს ან მის დაკარგვას აპირებს.
235. „დალაბრა“ ჩლუნგი გონების ადამიანები საკმაოდაა, ამასთან, დავალების ძალზე კარგი შემსრულებლები არიან და დიდ ძალასაც წარმოადგენენ.
236. ადამიანის შესაცნობად მისი იუმორის გრძნობის გაშიფრვაც კმარა.
237. არალოგიკური ქმედება ადამიანს ათამამებს, ახლისებს და ცხოვრებასთან სიამით ათამაშებს.
238. ყველა ცოცხალი არსება სამყაროს კადნიერების მორჩილია, ადამიანის მხრიდან წინააღნდეგობის გაწევის სურვილის მიუხედავად.
239. საინტერესო და გონებადახლართული წინააღმდეგობის დაძლევა ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს.

240. თავის შეცნობა სამყაროს შეცნობასთან გვაახლოებს.
241. ყველასაგან მიტოვებული ადამიანისათვის ყველაფერი სულერთია, რადგან ის უკვე ადამიანი აღარ არის.
242. ადამიანის შესაძლებლობათა ზრდას ტექნიკურ პროგრესზე გამოდევნება ახდენს.
243. საშინელებაა, როდესაც უფროსის პოსტზე მეწვრილმანე, პედანტი, ფანტაზიის არმქონე ადამიანი ხდება, რაც უნდა სხვა ღირებულებები გააჩნდეს.
244. სიმართლის ღაღადი იმიტომაა საჭირო, რომ ადამიანმა ძალა იგრძნოს, რწმენა შეიძინოს და თავს პატივი მიაგოს.
245. საზოგადო საქმიანობის გარეშე ადამიანი განუვითარებელ ორფეხა ცხოველად რჩება.
246. ყოველივე პროგრესული, ადამიანს ღირსებას ჰმატებს და სიკეთის საკეთებლად მიერეკება.
247. ყველა ადამიანში სასარგებლოს მოძიება შეიძლება, თუ ამის სურვილი ორივე მხარეს ექნება.
248. რადგან თეორიულად ყველა ადამიანი საკუთარი თავის მეფეა, მასზე უმიზნო ძალადობა სახელმწიფოებრიობის ღალატის ტოლფასია.
249. დიდ ადამიანს, განგებასთან ერთად, ორგინალობაც სჭირდება, რათა გონიერებასთან ერთად, სულიც დაიპყროს.
250. ადამიანს მუდამ სჭირდება და აწუხებს ღირსების იდეალები.
251. ადამიანი ჩასახვიდანვე ბუნების ავი შვილია.
252. საქმიან და შემოქმედ ადამიანს მოშურნე ყოველთვის ეყოლება, რაც უნდა ღვთაებრივი ბუნებისა იყოს.
253. ადამიანი მოწოდებით კეთილია, თუ დრომ და შემთხვევამ გზა არ აურია.
254. წარსულში გამოჩენილი ადამიანები თავიდან სიღარიბეში იყვნენ, ხოლო რადგან დღეს გაჭირვება მოდაში არ არის, გენიოსთა გავრცელების არეალიც შეიზღუდა.
255. კარგი ადამიანები გადამეტებული შექებით არც უნდა გავაფუჭოთ, თავიც არ უნდა მოვაბეზროთ.
256. ადამიანი მაშინ ცხოვრობს, თუ საკუთარ თავს ჯობნის, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს.
257. ეტყობა ადამიანს მაინც მონობისკენ აქვს მიდრეკილება, ხან ქალს ემონება, ხან ნივთს და ხან რას და ხან რას არა.
258. თავისი დროის შემოკლება და თავის შეცნობა ადამიანს დროულად უნდა შეეძლოს.

259. არის კარგი ამბიციებიც, რომელიც ადამიანს მიზანს უსახავს.
260. დიდი ადამიანია ის, ვინც ცხოვრებაში მისთვის განკუთვნილ როლს წარმატებით ასრულებს და მთავარი როლი არ აინტერესებს.
261. ადამიანი უკეთ ცდილობს, თუ მას დასაკარგი და არც არავის დასაყვედრებელი არაფერი აქვს.
262. ადამიანს შუბლი სულის ანაბეჭდის წარმოსაჩენად გააჩნია, კეფა – თავში წამოსარტყმელად, რათა ჭკუა შეირხეს და სასიკეთო საქმე აკეთოს.
263. ჭკუა ადამიანს ან მტრის ყოლას ასწავლის, ან მეგობრის ღალატს ან ბრბოს უმადურობას.
264. პატიოსანი-უპატიოსნო, სიკეთე-სიავე, კარგი-ცუდი, ადამიანთა მოდგმას ახასიათებს და ზოგჯერ, გონიერების მოშველიებით, ზოგი რამ მისაღებიცაა.
265. ადამიანი მოსაუბრეს კი არა, სულის მონათესავე ყბედს ეძებს.
266. გადახედავ მატიანეს და გაოცდები, რომ ერის გენი და ადამიანის ბუნება უცვლელია.
267. ადამიანებს კარიერის შესატყვისად და საჭიროების შესაბამისად აფასებენ, მაგრამ ყველა არ „იყიდება“.
268. ადამიანისთვის გადაულახავი სიძნელეები არ არსებობს, რადგან მათ დასაძლევადაა მოვლენილი.
269. ადამიანი თანდათანობით მიმზიდველობას ჰკარგავს, გონიერებას გულმავიწყობა ეპარება, მაგრამ უგნურების ღიტინს მაინც გრძნობს.
270. ტაქტიანი ქცევა მოხერხებულმა ადამიანებმა მოიგონეს, რათა პარტნიორი ზრდილობიანად მოატყუონ.
271. ადამიანს უნდა ახასიათებდეს კაცთმოყვარეობა, საზრიანობა, ცოდნა, სიზუსტე, ხოლო შეძენილ ცოდვებს რაღაც ეშველება.
272. ადამიანს დედაც სჭირდება და დედინაცვალიც, რათა ამ ყოფის მადლი შეიცნოს.
273. ქვეყანაში ბუნტის, ცვლილებების, პერიოდში ადამიანთა გარკვეულ ნაწილს უძვრება თავაშვებულობის ჭია, რომელიც არც რწმენის შედეგია და არც – ერისადმი სიყვარულის, რადგან ყველა თავისას გაიძახის და ყველას საუფროსო სკამზე მოკალათება უნდა.
274. ზოგჯერ კეთილ ადამიანად ასაკის მატება და ცხოვრების გამოცდილება გვხდის.
275. ცოდვილს ანგელოზად ვერ ვაქცევთ, მაგრამ ადამიანობის გარკვეულ პარამეტრებს თუ შევუნარჩუნებთ, ისიც დიდი მადლია.

276. მიღწეულით დაკმაყოფილების უფლებას, ადამიანს შინაგანი ბუნება არ აძლევს და აქ გონიერება და წინდახედულება არაფერშუაშია.
277. ადამიანის წარმოსახვა ოკეანესავით უკიდეგანოა, გარკვეულ შედეგებზე ხელის შევლებით.
278. მოდა გაცილებით მეტ ადამიანს იცვლის, ვიდრე – პირიქით.
279. ადამიანი საკუთარ თავზე ფიქრისთვის ვერასოდეს ხეირიანად ვერ აიცლის, სულ რაღაცის მცდელობაშია.
280. ადამიანს მიჩვეული გზიდან გადახვევა უჭირს, მაგრამ გზის აბნევა ზოგიერთ წინდაუხედავ ხელისუფალს თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა დაპირებით და განუხორციელებელი იმედით.
281. ადამიანის ყველაზე დიდი მეგობარი სიამოვნების მომტანი შრომაა, რომელიც სათანადო დივიდენდებს იძლევა.
282. ადამიანისთვის აუცილებელი კომპონენტებია: გონიერება, სამყაროს სილამაზის გათავისება, იმედი, სხვათა დარიგება, საკუთარი თავის შეცნობა და მასზე ბატონობა, შემდგომ მოდის კვლავწარმოების სურვილი და საკუთარი მეობის დასამახსოვრებლად წარმოჩენა.
283. ადამიანი შემთხვევის ნაყოფია ჩასახვიდან ბოლომდე.
284. ამბობენ, წლების მატება ჭკუას გვმატებსო, მაგრამ არა – ყველას და არა – ყოველთვის.
285. წინათ ამბობდნენ, თუ შვილი უსირცხვილი, ავყია და ქურდბაცაცა გამოგივათ, გახადეთ გლადიატორი, დღეს ასეთებს ან ჯარში უშვებენ ჭკუის სასწავლად ან პოლიტიკაში ფულის საშოვნელად, ასე რომ ადამიანის აზროვნებას, ნირის შეცვლას, საუკუნეთა გონებრივი ორომტრიალი ვერ შველის.
286. ადამიანი ასაკში თავის ეშმაკებს მისტირის და ისევ ამ „ბაგაჟით“ ფიქრობს იმქვეყნად გადასახლებას.
287. ადამიანებს სიდიადისკენ მიდრეკილებაც ახასიათებთ და არამზადობისკენაც, მაგრამ ეს მათზე ხელის ჩაქნევის უფლებას არ გვაძლევს.
288. ადამიანი უნდა ეცადოს ყველა სიტუაციაში ადამიანად დარჩეს, ყოველგვარი ეშმაკის და ანგელოზის მოშველიება-გადაბრალების გარეშე.
289. ჩვენთვის სანუკვარ ადამიანებსაც შური და მომხიბვლელობა ცვლის.
290. ადამიანის ბედს მისი დაბადების ადგილი და შესაძლებლობა წყვეტს და არა მხოლოდ აღზრდა.

291. მართალია, ადამიანები ერთმანეთისთვის იბადებიან, მაგრამ საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრებაც არ ავიწყდებათ.
292. შინაგანი სურვილები და გარეგნული შესაძლებლობები ადამიანის განზრახვათა სააღრიცხვო ბარათია.
293. შეიძლება ადამიანს სიცოცხლის მანძილზე დროც ცუდი შეხვდეს და უნიათი ხელისუფლებაც, მაგრამ ცხოვრების გასატანი ლელო შეძლებისგვარად უნდა გაიტანოს.
294. ადამიანმა საკუთარი თავისადმი რწმენა და ოცნების შესაძლებლობა არასოდეს უნდა მიაფუჩეჩოს.
295. ადამიანი გამოცდილების აკრეფას, ჭკუის ჭყლეტას, დაღვინებას, სხვათა შეცდომების გათვალისწინებით, ყოველდღიურად უნდა ახდენდეს.
296. სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ყველა ერთმანეთის მხარდაჭერას ცდილობს, გაუნათლებელი ადამიანის გარდა.
297. ადამიანს რეალური მიზნები ამშვენებს, ხოლო მათი განხორციელება განადიდებს.
298. ყველა გონიერს, მეტ-ნაკლებად, სინდის-ნამუსიც აწუხებს და ალბათ, ესაა ადამიანი.
299. ტვინის გამორეცხვა ბევრ ადამიანს სჭირდება, ოღონდ ეს სუფთა ხელებით უნდა ვაკეთოთ.
300. ადამიანს გარდაქმნა, მიზნის დასახვა, კარგი ანაზღაურებით, ხელეწიფება, მაგრამ არა ყველას მიმართ და არა ყოველთვის.
301. რწმენა, ჩვევები, ერთია, სამსახური, გამორჩენა – მეორე, ამიტომაცაა ადამიანის შეცნობა ძნელი.
302. ბედნიერებაა, როდესაც ასაკის მატებასთან ერთად ადამიანის ფუტლიარი დიდხანს იცვლება.
303. უგუნურება-გადაცდენის მიზეზი ისაა, რომ ბევრი ადამიანი ამ სამყაროსთვის მკვახეა და ვერც ვერასოდეს მომწიფდება.
304. თანამედროვე მიღწევებმა ადამიანთა ურთიერთობას, კავშირის სურვილს, ძირი არ უნდა გამოუთხაროს.
305. გონიერება სიბერის მოახლოებას ყურად არ იღებს და მისთვის განკუთვნილ საქმიანობას უპრენტეზიოდ განაგრძობს.
306. ადამიანი, ძირითადად, ინტუიციით უნდა შეიცნო, რადგან ხშირად მისი შეცნობა ცხოვრების გამოცდილებით არ კმარა.
307. ადამიანი მოწოდებულია სრულყოფილი უფრო სრულჰყოს და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს.
308. მოწყენილობაა ადამიანის მტერი და არა – წყნარი ცხოვრების უნარი, რომელსაც სიცოცხლის დაისი აფასებს.

309. არის შენი პრეტენზიები, რომლის მხარდაჭერა არ გსიამოვნებს (ვთქვათ, შვილის ქმედებას კიცხავ და ირგვლივმყოფნი ყასიდადაც არ გეწინააღმდეგებიან და მხარს გიჭერენ).
310. ზოგჯერ საკუთარი სინდისის დაკბენა გვიხდება, რაც ადამიანობის მაჩვენებელია.
311. ადამიანის დანიშნულებაა მივცეთ ერთმანეთს საშუალება საკუთარ ჭკუაზე ვიცხოვროთ, ყოველგვარი უსახო შურის გარეშე.
312. ადამიანის შესაფასებლად საჭიროა: მისი ნიჭის შესაძლებლობაზე გამრავლება და ხასიათზე გაყოფა.
313. ადამიანს სიმართლის პირში თქმაც უნდა დაამახსოვროთ, ოღონდ სიკეთის გადახდის გახსენებით.
314. ადამიანი, ძაღლისაგან განსხვავებით, ვერც პატივისცემას იგებს და ვერც ბოლომდე გიერთგულებს და გაგიტანს, თუ შენს ხელში ძალას და სასუსნავს არ ხედავს.
315. ადამიანის გონიერების ასაკი, მისი ცოდნით განისაზღვრება და არა წლების მატებით.
316. ცოცხალ არსებებს შორის, ხანდაზმულობაში, ყველაზე მეტ დეფორმაცია-დევალვაციას ადამიანის სხეული განიცდის.
317. იყო ადამიანი, საკუთარი კუდაბზიკობით, დიდი პასუხისმგებლობაა საკუთარი „მეს“ წინაშე.
318. ადამიანზე გავლენას ბევრი რამ ახდენს, მაგრამ ჯობს ეს ხდებოდეს ირიბად, ალმაცერად.
319. ადამიანმა დამარცხებაც უნდა იგემოს და გამარჯვებაც, მაგრამ ამ უკანასკნელის მოჭარბებით.
320. ადამიანი საინტერესო გახდება, თუ მასთან ინტერვიუს აღებისას, ისეთ მოხდენილ და მისახვედრ კითხვებს დაუსვამთ, რომ იძულებული გახდეს უნებლიედ შელამაზებული პასუხებით თავი მოგვაწონოს.
321. რათა ასაკის ტვირთი მორალურად არ დაგვაწვეს, წლების მატება არ უნდა შევიმჩნიოთ.
322. ადამიანი ვალდებულია საკუთარ თავს აჯობოს, იმისდამიუხედავად, დიდი საქმეების კეთებისათვის არის მოვლენილი თუ ქუჩებში სისუფთავის დასაცავად.
323. იყო ყველა დროის და ხალხის ადამიანი, ეს აღიარება განგების ნების გარეშე არ მოხერხდება.
324. ბუნებით კარგი ადამიანი ცუდი ვერ გახდება და – პირიქით, დროის კაურებმა ყოფის რა უცნაურობაც უნდა შემოგვთავაზოს.

325. ადამიანის უგუნურებას სურს შექმნილი გარემოთი ისარგებლოს, დრო იხელთოს და იმაზე მეტი იგდოს ხელთ, რაც სჭირდება და ეკუთვნის.
326. თაღლითური ცივილიზაცია, დემოკრატია, შინაგანად განწირულია ნგრევისათვის, რაც უნდა გარეგნულად მომხიბვლელად გამოიყურებოდეს (დღევანდელი საქართველო, რუსეთი).
327. თავი ტანს ზემოთ იმიტომაცაა დამაგრებული, რომ ყოველივეს ზემოდან უყუროს, სხეულის ყველა ნაწილი აკონტროლოს და გარკვეულ გარემოში ჭკუაც მოაძლიეროს.
328. ადამიანს გააზრებაზე მეტად, მოსმენა ყბედობა და გაკრიტიკება უყვარს.
329. შეიძლება დაღვინებული ასაკიც აძმარდეს, გააჩნია დროის ყივილს და ადამიანის გუნება-შეგნებას.
330. წინათ ადამიანს ლამაზად ჩაცმა წარმოაჩენდა, დღეს ლამაზად გახდომაა მოდაში.
331. თუ ბედს მივიწყებული ჰყავხარ, შენთვის სამყარო ყოველთვის უსამართლო და განუსჯელი იქნება.
332. ადამიანს საკუთარი თვისებების არჩევა არ შეუძლია, მაგრამ სად, რა დროს, როგორ მოიქცეს, ამის უნარი შესწევს, თუ მოინდომა და თავი მოთოკა.
333. საოცარია ადამიანის ბუნება-გუნება: კოდი არ იცვლება, ხშირად არსებულზე უარესი ხდება რაც იყო, მაგრამ ტექნიკური პროგრესი წინ მიიწევს. ეტყობა, ყოველივე ამას განგება ითვალისწინებს ოცნების, იმედის „ნაღრძობი ჭკუის“ ხარჯზე და საზოგადოების განვითარებას არ აფერხებს, რათა სამყარო ამ ორფეხა, ჯიუტი, ცხოველის გარეშე არ დარჩეს.
334. ზედმეტი ფიქრი ცხოვრების რაობაზე ადამიანს აავადებს, რადგან მასში ყოფის განსჯის ბაცილაა მოკალათებული.
335. უმადური შთამომავალი საფლავში წამოგორებულს დაგიწყებს აწმყოში გაშლილი კარტებით ჭკუის სწავლებას, აქ რომ არ შეშლოდა, იქ რომ ქარხანა ეყიდა, დღეს ჩვენ გაცილებით უკეთ ვიქნებოდითო. იმის მაგიერ, რომ წინაპრის შეცდომა გაითვალისწინოს და ტვინი გაანძრიოს.
336. უგუნურებას მდიდარი ჩაიდენს თუ ღარიბი, ორივე ნერვების მომშლელია. პირველი ღირსია, მეორეს არ უმართლებს.
337. ბალახის კაშკაშა სიმწვანის აღქმა ჩვენს ხასიათზეა დამოკიდებული და არა მინდვრის ფერზე.

338. ჩვენი მეობისთვის ყოველივე სწრაფად ჭკნობადია, იმისდამიუხედავად, დღეგრძელნი ვართ თუ არა.
339. საკუთარი თავის ფლობის ხელოვნება, დროული მოთოკვით, ერთეულ პიროვნებათა ხვედრია.
340. ადამიანს გულით პატივს მიაგებენ მისი ხასიათის გამო, შემდგომ მოდის მისი საჭიროება, ავტორიტეტი და ცოდნა.
341. ზოგი ისეთი ქარაფშუტაა, სანამ უგუნურების წყალს არ „აადუღებს“, ვერ გრძნობს, აბაზანაშია წამოწოლილი, თუ ყოფის ქვაბში იხარშება.
342. სხვათა ჭკუის სწავლება „თავის საზიანოდ“, პრაქტიკულად ყველა “ნაცარქექიას“ ეხერხება, ხოლო თეორიულად მისი ნიჭის შესაძლებლობათა გამოყენებას, მხოლოდ წარმოსახვით ვახერხებთ.
343. ადამიანებს ბუნების წინააღმდეგ გამოცხადებული აქვთ ტოტალიტარული ომი და დღევანდელობა ამას რატომღაც მშვიდად უყურებს, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ ამ გათავხედებას იგი არ გვაპატიებს (მაგ. უაზრო ოდენობით ბუნებრივი აირის და ნავთობის მოპოვება).
344. ხშირად წარუმატებლობის წამალი შემოქმედებითი ჭიტლაყია, ადამიანის გონზე მოსაყვანად და წარმატების გზის გასახსნელად.
345. ადამიანის ბუნებას დრო და ეპოქა წარმოაჩენს, მაგრამ მიზეზი ადამიანის ხელმოცარულობაა: უგუნურება ყოველთვის ჩვენთანაა.
346. წლები თანდათანობით გვაიძულებს ვნებას წავუყრუოთ, სექსი დავივიწყოთ, ალკოჰოლს მოვერიდოთ და მოგონებებით ვიარსებოთ.
347. არის გონებაგადაუხნელი, ყამირი და ნასვენი ხალხი, რომელიც არაფერს თესავს, მაგრამ არიან „გონებაგადახნულები“. ისინი სიახლეს, სიკეთეს, თესავენ, უვლიან და იმკიან კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არ უმართლებთ.
348. სიბრძნე ასაკის პრიორიტეტი არ არის, უბრალოდ, მთელი დატვირთვით გვამუშავებენ და ენერგიაც დაქვეითებული გვაქვს.
349. გესლი გველსაც აქვს და გველური ხასიათის მქონე ადამიანსაც, რაც გარკვეულ სიტუაციაში მოხვედრისას გამომჟღავნდება.
350. ბავშვს სათამაშოთი ამუნათებენ, ყმაწვილს – ფიცით, ზრდასრულს – კარიერით, ასაკს – იუბილეს გადახდით და ბოლოს ხვდები, რომ ყველაფერი ადამიანის მოღორების ჟანრია და ხარისხს ემორჩილება.
351. ჩვენ უცბად „ვერკვევით“ იმ სიტუაციაში, რომელზეც უარის თქმა წინასწარ გამზადებული გვაქვს და მზად ვართ ისე გონივრულად არ მოვიქცეთ, როგორც ჩვენგან ელიან. აქ, უპირველესად, დამნაშავეა პირადი ამბიციები, ადამიანური უგუნურება და გამორჩენის მცდელობა.

352. ყველაზე დიდი სიმდიდრე უდრტვინველად დაგროვილი წლებია, რომელსაც ვერც ერთი სიმდიდრე ვერ შეედრება, გარდა დასამახსოვრებელი სახელის დატოვებისა.
353. ყველაზე შემაძრწუნებელია საყვარელი ადამიანის უაზროდ, უმიზეზოდ და უდროოდ წასვლა.
354. ყბედობის სურვილი ასაკის მატების დამსახურებაა, სკლეროზის ოპტიმიზმის შემოპარვით.
355. ადამიანის გადაგვარება ადვილია, შედეგების მონელებაა ძნელი.
356. ადამიანის ბუნებრივი რესურსი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ფიზიკური და სულიერი რეალიზაცია.
357. ჩვენც ორფეხა ცხოველები ვართ, მაგრამ მეტი რომანტიზმით, ადამიანური ეშმაკობებით, ვნებებით.
358. გონიერებისთვის ადამიანი მუდამ დაკვირვების ობიექტია, მისი თქვენთან ყოფნა-არყოფნით, რათა უკეთ გაირკვეს მისი ბუნება ყოფის მდგომარეობაში.
359. ადამიანის სიზარმაცე მოჩვენებითია, რადგან მისთვის საინტერესო საქმე დროულად ვერ მოიძია.
360. ადამიანები ფაქტიურად არიან: პირმოთნენი, ორპირნი, უსამართლონი, დაუნახავნი, ჟინიანნი, შურიანნი, ცრუმორწმუნენი, უზნეონი, ჭკუანაღრძობნი, ვირეშმაკები, ცდილობენ იყვნენ: გულკეთილნი, მოყვასნი, გულუხვი, შემნდობნი, სამართლიანნი, გონიერნი, ჭკვიანები, საქმიანები, შრომისმოყვარენი, მოსიყვარულენი და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მცდელობა და სინამდვილე ერთმანეთს ერწყმის და რაღაც სასიკეთო გამოდის.
361. იყო ხალხის რჩეული, რომელიც შენ გიგებს, უნდიხარ, უყვარხარ, დიდი ბედნიერება და იღბალია.
362. ამქვეყნად ჩვენი ყოველი ნაბიჯის გადადგმა პრემიერაა, რადგან მომდევნო ნაბიჯის გადადგმისას რა მოხდება, არავინ უწყის.
363. წინასწარმეტყველობისკენ სწრაფვა ადამიანური კაპრიზის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა.
364. თანასწორუფლებიანობასაც დამსახურება უნდა, თუ გინდა ადამიანად ჩაგთვალონ და პატივი მოგაგონ.
365. მიუხედავად დროზე მორგების ერთნაირი მცდელობისა, ადამიანს საწყისი და ბოლო სხვადასხვანაირი აქვს.
366. ყველა იბადება თანასწორი უფლებებით, იზრდება სხვადასხვა პირობებში, რომელთა რაობა, ნიჭთან ერთად, ისევ შემთხვევამ და დროის ფეტიშმა უნდა გამოავლინოს.
367. რომ დაუფიქრდე, ადამიანთა უმრავლესობა, გარდა სიცოცხლის კვლავწარმოებისა, ისეთს არაფერს აკეთებს, რომ სიბერეში პენსია

დაუნიშნო, გარდა იმისა, რომ ის მხცოვანი ადამიანია და მის ხვედრს მომავალში შენც გაიზიარებ.

368. წლების მატება, შესაძლებლობათა დაქვეითება, ასაკოვნების თავმოყვარეობას ძირს უთხრის.

369. ნაბახუსევისთვის ყველაზე დიდი გამართლება დილის ხაშია, არყით – ან გამოფხიზლდება ან კვლავ გამოთვრება.

370. ქორწინება თავისებური ტყვედ დანებების მცდელობაა, თუმცა დიდი ოცნებით და იმედით.

371. საკუთარი თავის შეფასება-გადაფასება, გონიერების ფარგლებში, ჭირს, იმდენად დიდია ჩვენი ამბიციების დაწოლა.

372. ადამიანებს დამცირების დავიწყების უნარი რომ არ ჰქონდეთ, დღეს დედამიწაზე ადამიანები თითზე ჩამოსათვლელნი იქნებოდნენ.

373. „წესებს გარეშე სიკვდილია“, თუ სიბერეში ბავშვობის სასიამოვნო წლებს ვერ იხსენებ ე.ი. უმადური და ყოფის მადლის შეუცნობლად მიდიხარ იმქვეყნად.

374. პერსპექტივა ყველას ერთი გვაქვს სიცოცხლის საწყისით და ბოლოთი, მაგრამ ოპტიზმი გვაქვს სხვადასხვა საკუთარი სიჯიუტით, ბედით და ამქვეყნად ყოფნის მადლით.

375. ასაკი დამსახურებისათვის დანიშნული პენსიის ოდენობით ფასდება და არა – ადრე მიღებული ჯილდოებით და როგორი სითბოთი და სიყვარულით მოიხსენიებენ.

376. ადამიანს აწესრიგებს მოვალეობის შეცნობა და იმის გაცნობიერება, რომ გარკვეულ საქმეს სხვა უკეთ ვერ გააკეთებს და მის გარდა მას არავინ დაეხმარება.

377. შვილები მშობლების ნაღდ ფასს ასაკში იგებენ, რეალურს – ბებიაბაბუად გახდომის შემდეგ.

378. იარაღი ადამიანს სითამამეს მატებს და არა – წინდახედულებას.

379. თვითდარწმუნებულობა, გარკვეული ტესტის ჩატარების გარეშე, საზარალო და უმადური საქმეა.

380. ასტროლოგია ვარსკვლავების უწესრიგოდ გადაადგილების შესწავლაა, ადამიანის ბედის მიბმით.

381. დილეტანტის სიძლიერე მაღალჩინოსნის ნაცნობობაშია, საქმიანი ადამიანის ცოდნა-მცდელობაშია, მაგრამ სამწუხაროდ, პირველი მეორეს ხშირად სჯობნის, რადგან ბედის უგნურებამ ასე ინება.

382. საკუთრების გარეშე ადამიანს „ფეტიში“ დაკარგული აქვს.

383. ცნობილ და სახელგანთქმულ ადამიანს დიდება, დროის გათავხედების მიუხედავად, ყველა განზომილებაში თან ახლავს და ჭუჭყი არ ეკარება.

384. ადამიანს ეშმაკობა და იდუმალება კატის აქვს, გულუბრყვილობა და ერთგულება ძაღლის, თუმცა გააჩნია ადამიანს, გააჩნია ცხოველს – ყველას თანდაყოლილი გენი და შეძენილი ხუშტურები აქვს.
385. ჩვენი ყველაზე დიდი შესაძლებლობა ფხიზელი ძილია – თან ოცნებობ, თან ისვენებ.
386. ადამიანი, რომელიც არ ცდება, არ ნანობს – რობოტია.
387. სიცოცხლე ყოველთვის ღირს და უპირველესია, ასაკის მატების და სხეულის „ჭრაჭუნის“ მიუხედავად.
388. გაჭირვების ჟამს გაცინების ხელოვნების ცოდნაც საჭიროა, უმწეოდ და ბრიყვად რომ არ გამოიყურებოდე.
389. მთავარია ვიღაცას ვჭირდებოდეთ, გამოვადგებით თუ არა, სხვა საკითხია.
390. ადამიანს ხშირად ცხოვრების ალიყურიც ვერაფერს მატებს, ზოგიერთი იმდენად უცნაური ბუნებისაა.
391. ადამიანის ბუნება ყოველთვის გამოუცნობი რჩება, ახლოდან შეისწავლი თუ შორიდან.
392. თეორიულად ყველა ადამიანი ბედნიერია, თუ პრაქტიკულად თავისი მცდელობით კმაყოფილია.
393. ადამიანი უნდა ამხიარულო, ასიამოვნო შენი პიროვნებით, ურთიერთგაგებით.
394. მოდა მიდის და მოდის, ხოლო ადამიანი თავის ასაკთან რჩება და კვლავ „ხვალ რა ჩაიცვას, არ იცის“.
395. იცხოვრო შენი სიამოვნებისთვის, მემუარების დატოვებით, ბედნიერებაა კვადრატში.
396. ალკოჰოლს ისეთი უნარების „გამოვლენა“ შეუძლია ადამიანში, რომელზე წარმოდგენა თავადაც არ ჰქონდა.
397. ადამიანის და ძაღლის ერთგულებაც სხვის დასანახადაა განკუთვნილ-გაპიარებული.
398. გვინდა – არ გვინდა, საბოლოოდ, ერთმანეთს მაინც ვჭირდებით, ამიტომაც გონიერებას, მოთმინებას, ურთიერთგაგებას უნდა მოვუხმოთ.
399. არის მრავალი გაუმართლებელი სიამოვნება, მოთხოვნილება, რომელზეც ადამიანებს დაძალებით ხელი უნდა ავაღებინოთ: თამბაქო, ნარკოტიკი, აზარტული თამაში, უაზრო ჭამა. ეს მაშინ, როდესაც თხოვნა და დამოძღვრა უძლურია.
400. მალე ადამიანის აზროვნებაში ინტერნეტის ინფორმაციის წილი გონიერებისთვის მისაღებზე მეტად გაიზრდება.

401. ფეტიშიზმიც ადამიანური მოთხოვნაა და მისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მას გააფეტიშებენ თუ სხვას.
402. დღევანდელი ცივილიზაცია ადამიანის სულს მარტოობისთვის იმეტებს და არც ენანება.
403. კროსვორდებით გატაცება ადამიანის შესაძლებლობათა დაქვეითების საზომია.
404. სამყაროს მოქალაქეობის სურვილი ბევრს აქვს, ოღონდ თავის გადასახედიდან.
405. დღეს ბუნებრივ სილამაზეს კონკურენციის გაშიშვლება უწევს, რადგან ადამიანებმა დაკარგეს რეალური ამაოების შეცნობის უნარი.
406. ქამელეონის სიმპტომები ყველა ჩვენგანში ჩადებულია ან უნდა ჩავდოთ, რათა ცხოვრებისეული იმუნიტეტები გამოვიმუშაოთ.
407. პატივისცემა რომ დაიმსახურო, ადამიანებს იშვიათად უნდა შეხვდე და ისიც ოფიციოზით.
408. ყველა ჩვენგანს გული გართობისკენ მიუწევს, მაგრამ სინამდვილეში საყვარელი საქმის კეთება ურჩევნია.
409. დიდება, სახელი, წუთიერი დაავადებაა, სენია, რომელიც სიამოვნებით უნდა აღიქვა, მაგრამ სერიოზულად არ უნდა მოეპყრა, რადგან ისიც დროებითია.
410. საოცარია ადამიანის ბუნება: ის არ სჯერა, რაც გვერდზე აქვს და იცის, ხოლო რასაც ზღაპრად ეუბნებიან, რწმენის გასამტკიცებლად, უკომპრომისოდ იჯერებს, რადგან მას იმდენად დიდი შიში აქვს სამყაროს იდუმალებისა, რომ ყოველივე რეალურს, ხელშესავლებს, წარმოსახვითს და ბუნდოვანს ამჯობინებს.
411. უნდა ვეცადოთ ადამიანს სიკეთე კაიფით ვაკეთებინოთ, რათა ყოველგვარი უგუნურებისკენ მიდრეკილებას ბიშტი უჩვენოს.
412. მჯობნის ჯობნის მიზანი ყველასათვის ერთია – თავის დამახსოვრება და მატერიალური დაინტერესება.
413. საკუთარი თავი თავადვე უნდა დავიფასოთ, ოღონდ იუმორის გამოყენებით.
414. ყველა ადამიანი მოსაწონია თუ თავის მამხილებელმა გენმა არ გასწირა და ადამიანად დატოვა.
415. რა არის საჭირო და რა – არა, ძნელი გასარკვევია, როდესაც ადამიანი თავის ჭკუაზე „გაფრენის“ სურვილს არასოდეს არ კარგავს.
416. ადამიანი სამყაროს უსარგებლო ნაფლეთია, მაგრამ დიდი გულით და ქიშპობის უნარით.
417. ადამიანის წარსულს დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაც კუდი არ უნდა გამოვაბათ, მაგრამ მისი გენის მიმართ ყურადღებით უნდა

ვიყოთ, რადგან დრომ და შემთხვევამ შეიძლება მისი ნაძირალა გენი გამოასწორა, მაგრამ ხელსაყრელ შემთხვევაში რეციდივად რომ მოგვევლინოს, შესაძლებელია.

418. თეორიულად უხიაგ ადამიანს გამოსწორების ვადა სიკვდილამდე აქვს, მაგრამ პრაქტიკულად მისი გამოსწორების შანსი ნულის ტოლია.

419. ადამიანს არ აქვს უფლება სიბერისთვის განკუთვნილი ბედნიერება ჯეელობაში გაანიავოს.

420. ზოგი ადამიანი ჩრჩილივით არის მოვლენილი ამ ქვეყნად: მისთვის სულ ერთია, ვისთვის განკუთვნილი ყოფის „ქურქით“ ჩაიგემრიელებს პირს, ოღონდ საკბილო იყოს.

421. საპატიო „ჯაჭვი“ იმ ადამიანებისთვისაა შექმნილი, რომელიც უყვართ, მაგრამ ამავე დროს შიშობენ, რაიმე არ მიჰქარონ.

422. დანახვისთანავე უნდა შეიცნო ადამიანის ჯიში და როგორ გენშია შეფუთვნილი.

423. უგუნურის ხაფანგში გაბმა ძნელი არ არის, თუ ღირებულებათა გადაფასებაში ვერ ერკვევა და განსჯა-წინხედვის უნარი დაკარგული აქვს.

424. ადამიანს უმთავრესად ის სამუშაო, საქმიანობა, ღლის, რომელიც არ მოსწონს, მოვალეობას იხდის.

425. ადამიანიც მორიელს ჰგავს, მასზე რაც უნდა იზრუნო, მაინც გიკბენს, სიყვარულით იქნება ეს თუ არა, რადგან მასში თავისუფლებისკენ ლტოლვა, ქიშპობა და მოუთოკავი „მე“ იღვიძებს.

426. უპირველესად თავის იმედი უნდა გვქონდეს, შემდგომ – შემთხვევის და ნაცნობ-მეგობრების, გააჩნია, ვის რაში დასჭირდება შენ გვერდით დგომა.

427. კომპლექსების „დიდი მორისგან“ ყველა ადამიანი დროულად უნდა გათავისუფლდეს, თუ უნდა ამქვეყნიური ცხოვრების მადლი იგემოს და დააჭაშნიკოს.

428. სიცილის უნარი კარგი წინაპირობაა ადამიანის შესაფასებლად და სასიკეთოდ შემოსატრიალებლად.

429. ადამიანს, მუხრუჭის გარეშე, ბევრი სიავის მოტანა ძალუძს.

430. რწმენაზე, მამაკაცის პენისზე და ეკონომიკაზე ძლიერი იარაღი, ჯერ-ჯერობით, დედამიწას არ გააჩნია და არც არავის გაუგონია.

431. ღირსეული ადამიანის დროულ დაფასებას ხშირად მისი უდროო გარდაცვალება „შველის“.

432. სხვისას არ უნდა დავხარბდეთ, საკუთარი არ უნდა გავანიავოთ, ესაა ადამიანის გონიერების დაღვინების ყადრი და ფასი.

433. ადამიანისთვის დიდი ბედნიერება მასზე რეალური ზრუნვაა და არა – თავის მოსაწონი დეკლარირება.
434. მთავარია თავისადმი რწმენის შენარჩუნება იმედით, დანარჩენ ადამიანურ სისუსტეებს, ასე თუ ისე, მოევლება.
435. ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე ცხოვრების დეპოზიტზე დადებული, მისი გასავლელი, ხელუხლებელი წლებია.
436. საკუთარი თავის ღალატს, პირველ რიგში, საკუთარი მეობა არ გაპატიებს.
437. ზნეობა გულუბრყვილობას, მის ალიბს, ვერც იტანს და არც ურიგდება.
438. ჩვენ იმით განვსხვავდებით პირველყოფილი ადამიანებისგან, რომ ჭკუას იმაზე მეტად ვაჭრაჭუნებთ, ვიდრე დღევანდელობას ესაჭიროება.
439. ადამიანს შემთხვევისათვის ალღოს აღება გამოცდის.
440. ადამიანი რაღაცით მუდამ უკმაყოფილოა და ეს არის მისი რაობის შემნარჩუნებელი ალგორითმი. სხვაგვარად ის გადაშენდებოდა.
441. ადამიანი ნაღდ არჩევანს გაუცნობიერებლად აკეთებს, რადგან გაცნობიერებულიდან ხშირად ხელის შესავლები არაფერი გამოდის.
442. ადამიანი უმთავრესად იმედით ცხოვრობს, მცდელობას არ აკლებს და იცის სხვათა გულის მონადირება.
443. იშვიათია ადამიანი გარემოს და დროის შესატყვისად არ დახურდავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფარულ კლინიკასთან გვაქვს საქმე.
444. კეთილდღეობისაკენ, ცოდნისკენ, სიკეთის კეთებისკენ, ლტოლვა ამაღლებს ადამიანს.
445. ბუნების, გუნების, ბედის, სხვაობის მიუხედავად, გაჭირვებადალხინების დროს, ერთმანეთს ვემსგავსებით, რაც ადამიანური გენის საოცრებაა.
446. ასაკში ჩვენი ჭირვეულობა ისევ შინაურებს უნდა ავკიდოთ, რადგან კეთილისმდომთათვის ჩამოწერილი ტვირთი ვართ.
447. ადამიანი მუდამ არჩევანის წინაშეა, ზოგჯერ გაუცნობიერებელისაც, მაგრამ ბედნიერებაა, როდესაც ფორტუნას ნახელავს იბრალებს და წილში სხვას არ ისვამს.
448. პატარა ასე უსუსური, სასიამოვნო, ფაქიზი, მოყვასი, მჩხავანა, რომ არ იყოს, მისი აღზრდა ადამიანთა მოდგმას გაუჭირდებოდა და შედეგად გადაშენება დაემუქრებოდა.
449. ადამიანის უგუნურება მისი ბუნების ნაწილია და შიგადაშიგ, ზოგჯერ მისდაუნებლიედ, ამ ნაკლს იმეორებს.

450. წარსულის გარკვეულ ნაწილს ყველა ჩვენგანი უფრთხილდება, ელოლიავება და აწმყოს „მომვლელად“ უყურებს.
451. ფსონში ყველა არ ჩაიდება, საამისოდ ადამიანსაც შერჩევა სჭირდება.
452. რაც უფრო ახლო ეცნობი ადამიანებს, მით უფრო ოცდები, რადგან გაცილებით დიდი ნაძირალები არიან, ვიდრე გეგონა.
453. ადამიანები არც ისე სულელები არიან, როგორც გამოიყურებიან, მაგრამ მათ ამისკენ მერკანტულობა, გამორჩენის სურვილი, საზოგადოებაში თავის ადგილის მოძიება, აიძულებს.
454. ადამიანის ბუნებას მისთვის შერჩეული „ყოფის ლაგამი“ უნდა ამოვდოთ, რათა დოღის ცხენობაზე უარი არ გვითხრას და ფრთიანი ცხენის, „პეგასის“, ნაცვლად ფრთაასხმული ვირეშმაკი არ შემოგვრჩეს.
455. საკუთარი წარსული გაუცნობიერებელ ღიმილს იწვევს, ვერ გარკვეულხარ, თავის კმაყოფილი დარჩე თუ პრეტენზიები წაუყენო.
456. ამქვეყნიური ცოდვის ტვირთს ყველა ჩვენგანი ვატარებთ, იმისდამიუხედავად, ვგრძნობთ ამ ტვირთს ზურგზე თუ არა.
457. ერთმნიშვნელოვანი პასუხის და რჩევა-დარიგების გაცემა ყველასათვის გვეხერხება, გარდა საკუთარი თავისა.
458. ბუნება სიმახინჯესაც უსამართლოდ ექცევა, მის წარმოჩენას სჯობდა საერთოდ არ გაეჩინა, რადგან კარგის და ცუდის შედარებითმა ჩვენებამ, ადამიანი მაინც უკეთეს არსებად ვერ აქცია.
459. ადამიანი იმქვეყნად ხშირად იმ დროს გადაბარგდება, როდესაც მას უნდოდა ეცოცხლა, ყოველ შემთხვევაში, „მოქელგაბრიელისგან“ განსხვავებით, მას ასე ეგონა.
460. ზრდასრული ადამიანის დაიმედებას ბავშვობის ასაკის სასიამოვნო მოგონება-გახსენება სჭირდება, რადგან სხვანაირად, დღევანდელობის ყოფის სიჭრელეს იმედით ვერ აღიქვამს.
461. საკუთარი თავისათვის გადანახულ საუკეთესო და ოპტიმალურ რჩევებს ყველაზე ცუდად თავად ვიყენებთ.
462. სიცოცხლის წყურვილი ჩვენი სხეულის კვების წყაროა.
463. სიცოცხლის საამებლად ადამიანს ყოველთვის ბედნიერების თანაბრად გადანაწილება არ მოსწონს, მას გაცილებით მეტი უნდა.
464. ადამიანს არავინ აიძულებს იცხოვროს ცუდად, თუ მას ამის „ნიჭი“ და მიდრეკილება არ აქვს.
465. ადამიანში კარგი იმ შემთხვევაში უნდა მოვიძიოთ, როცა ამის საწყისს მის ბუნებაში ჩადებულს ვგრძნობთ.

466. ადამიანის ჯიში, ეტყობა, მაინც გამოცდილების ნახლაფორთებია, ვიდრე გენის, რადგან ზოგჯერ მაინც საზოგადოების შეთხზულ კანონებს ემორჩილება.
467. საკუთარი თავის ჯობნა ადამიანობის სტატუსის და კაცად დარჩენის გარანტიაა.
468. ყველა ჩვენგანი მიუწვდომლის მოხელთებას ოცნებობს, რათა სხვებს აჯობოს, თავისიანებში წარმოჩინდეს და მათთან ერთად თავი მოიწონოს.
469. კეთილი გულის ადამიანი თავის საიდუმლოსაც ცუდად ინახავს.
470. კ. მარქსის თეორიების შეცდომა ის იყო, რომ ადამიანზე გაცილებით უკეთ ფიქრობდა, ვიდრე სინამდვილეშია.
471. ეტყობა, ჩვენი აზროვნება, ანალიზი, არ უქნია ღმერთს, თორემ დღეს აფრიკის კონტინენტი უნდა იყოს ყველა სხვა კონტინენტთან შედარებით განვითარებული, რადგან სითბო, საკვები, თავისუფალი დრო, საკმარისზე მეტი აქვთ, დაჯექი და იფიქრე, აღმოაჩინე, გონება გაანძრიე, მაგრამ თუ ადამიანს რაიმე არ აწუხებს, პრობლემები არ აქვს, ვერც ჭკუას მოუხმობს, არც ხელს გაანძრევს და ვერც განვითარდება.
472. კიდევ კარგი, განგებამ ამდენი „ვაგონი“ ადამიანი გააჩინა, ზოგი შესაკეთებელი, ზოგიც თავიდან გასაკეთებელი, თორემ ამდენი „ჭკუანაღრძობი ელმავლის“ ატანა სამყაროს ძალზე გაუჭირდებოდა.
473. ყველა ჩვენგანმა საკუთარ ბოღმასთან მოლაპარაკება უნდა ისწავლოს.
474. საკუთარ წარსულს, ჩვენივე უმოქმედობით, თითო-თითო აგურს ვაცლით, რითაც მას დავიწყებისთვის ვამზადებთ, ვწირავთ.
475. ადამიანი, რომელიც მათემატიკას პატივს არ სცემს და მასში ვერ ერკვევა, მისდაუნებლიედ დემაგოგია.
476. ადამიანი ცხოვრობს სიამოვნებისთვის, ყოფის მადლის შეცნობისთვის, სიკეთის თესვისთვის და ამას რა გზით მოახერხებს, მნიშვნელობა არ აქვს.
477. ადამიანი ერთგვარი ისტორიული ძეგლია, მატიანის ქანდაკება, ყოფის ნატურმორტია, რომლის ოდიოზურობას ყავლი გასდის, მაგრამ გადასაგდებად არ გვემეტება, რადგან მან დროის ამდენ გათავხედებას და მის პომპეზურ კრიზისს გაუძლო.
478. ადამიანს, საკუთარი მეობისგან განსხვავებით, მრავალი მოვალეობა აწევს, მაგრამ კაცი კაცად უნდა დარჩეს და „მორჩა“.
479. ადამიანის გონიერების საზომი მიზნობრივი ცნობისმოყვარეობაა, გაუცნობიერებელი პატრიოტიზმით, რეალური კანონზომიერებების შეცნობით, რომელიც მისთვის, ჯერ-ჯერობით, მიუწვდომელია.

480. ადამიანის ვალია სამყაროს წესრიგში უმტკივნეულოდ ჩაერთოს, მოერგოს,სასიკეთო საქმე აკეთოს და მომავლის იმედით იმქვეყნად უდრტვინველად გადასახლდეს.
481. ადამიანში, უპირველესად ფასეულობა, ღირსება, გონიერება, უნდა მოვიძიოთ, ამის შემდგომ დავადგინოთ რაში გამოგვადგება.
482. წესით, ყველა დამყოლი, მოყვასი, მომთმენი, გულკეთილი ადამიანი, უპრეტენზიო ადამიანების პანთეონში უნდა დაგვემარხა, მაგრამ ისინი ამას არ იმსახურებენ, რადგან შემართება, მცდელობა, ჭიდილია, ამქვეყნად მოსვლას რომ აზრს აძლევს.
483. ჩვენდაუნებლიედ, ყველა ჩვენგანი მრუდე გრძნობების ანომალიას ვემსახურებით, ოღონდ თავშეკავებით და თავზე კონტროლით.
484. „30 ვერცხლის“ პრობლემას, სამწუხაროდ, ვერც მომდევნო საუკუნეთა ქროლვა ვერ მოაგვარებს, რადგან „მჯობნის-მჯობი“ ინსტიტუტი გადაგვარდება ე.ი. ადამიანი დაბეჩავდება ან გაქრება.
485. ჩვენი ბედი მეტ-ნაკლებად ცნობილია და მიზანი დასახული გვაქვს, ამიტომ უკანდახევა არ უნდა ვიკადროთ – ასაკი დაგვსჯის და გასახსენებელიც ცოტა გვექნება.
486. ადამიანის მოძიება ძნელი არ არის, მაგრამ მისი გადაგვარების ატანაა ძნელი.
487. ადამიანი საკუთარი აზრის მონაა, მაგრამ გონიერება სხვათა აზრებიდანაც სარგებელს კრეფს.
488. ღარიბი იმიტომ კი არ შიმშილობს, რომ მიწას მისი გამოკვება არ შეუძლია, არამედ იგი არავინ შეაფუცხუნა და გონიერების მათრახი, მისივე სასიკეთოდ, არ გადაუჭირა.
489. ყველაფერი ყოველთვის არ შეიძლება სასიამოვნო ან უსიამოვნო იყოს, მთავარია, რა ხასიათზე ხარ და რის კეთებას ცდილობ.
490. ბუნებით ადამიანი მტაცებელია და მისი გადაკეთება, ამის მცდელობის მიუხედავად, ჯერ-ჯერობით, ნაადრევია.
491. კეთილშობილებას თავი სახალხოდ არაფრით მოაქვს, მაგრამ წინააღმდეგი არ არის, მისი წარმოჩენა სხვამ იკისროს მისივე კარნახით.
492. ადამიანები ხშირად არ ასრულებენ თავის ვალდებულებას, მაგრამ მათი ცნობიერებისთვის მისაღებ ძირითადი პოსტულატის შესრულებას არ გაურბიან.
493. ადამიანს „პრობლემები“ თავის გასართობად სჭირდება.
494. საქმის დაჭერა ჭკვიან ადამიანთან სჯობს, მაგრამ შენი „მოჯოკვრის“ შანსი მეტია.

495. წარმატება და მარცხი ერთმანეთს ყოველთვის ვერ უგებენ, მაგრამ პიროვნების წარმოსაჩენად აუცილებელია.
496. საქმიან, შემოქმედ და სიახლის მაძიებელ ადამიანს ბედი და წუთისოფელი ყოველთვის გვერდში უდგას.
497. „ჯოჯოხეთური“ მისწრაფებები, მეტ-ნაკლებად, ყველას გვახასიათებს.
498. ამქვეყნად ყველა უკმაყოფილოა, წკმუტუნებს და რატომ, თავადაც ვერ აუხსნია, რადგან საკუთარი უნიათობის აღიარება უჭირს.
499. ყველას უნდა შეეძლოს იმ დღის სადღეგრძელოს შესმა, როდესაც ის ამაყი იყო და საკუთარი თავი მოსწონდა.
500. სულიერება, ზნეობა, აღზრდის შედეგია, ხოლო თვითმყოფადობა და ნიჭი მშობლების ნაანდერძევია.
501. ადამიანი ძილის, სიზმრების, ოცნების, გარეშე, ვერც კაიფს შეიცნობდა და ვერც ამ სამყაროს შემორჩებოდა.
502. თუ პიროვნება თავად კისრულობს ერისთვის სასიკეთო ყველა სახის დატვირთვას – უბრალოდ, მოწოდება და გენი აქვს ჯანმრთელი.
503. დიდ პიროვნებას ყველაფრის უფლება აქვს, თუ თავის სჯერა, არ ცდება და დროის ყისმათი გვერდს უმშვენებს.
504. პიროვნებაა ის, ვისაც ოცნებაშიც ვერ ვჯობნით.
505. ადამიანის გრძნობათა ღელვა არ ბერდება, გამოცდილებას იძენს და კვლავ დროს შესატყვისად წარმოგვაჩენს და წარმოჩინდება.
506. როდესაც არაფერი გვაქვს საკეთებელი, ჯობს უსაქმურობა შინაურებში არ გავამჟღავნოთ – იმიჯი შეგველახება.
507. ადამიანმა, ბედის განჩინებით მიღებული ტკივილი სხვას არ უნდა აჰკიდოს, მას თავადვე უნდა მოუაროს და ბედის განაწყენება მასზე სიახლის მორგებით გაანეიტრალოს.
508. პიროვნება ისაა, ვისი თანხმობაც და უარიც შემხვედრ კითხვებს არ იწვევს.
509. ასაკში ანგარიშს იმ შემთხვევაში გიწევენ, როცა ადრეული დამსახურების იმუნიტეტი გიფარავს.
510. ადამიანი ზოგჯერ კომიკურ სიტუაციაში ხვდება, თავისი ბუნებრივი გამოსვლით, ყოველგვარი გართულებების გარეშე და ეს ყოფას უხალისებს.
511. პრობლემებს ხშირად ჩვენი გენი და აღზრდა გვიქმნის, რადგან ჯერ კიდევ გონიერ წვრთნას საჭიროებენ მათრახით.
512. სიტყვით სულის სისუფთავისკენ მივილტვით, მაგრამ რეალურად როგორ გამოგვდის, ჩვენ ბუნება-განწყობაზეა დამოკიდებული.

513. გადამეტებული კომფორტისკენ სწრაფვას, ფუფუნება შთანთქავს ან მასზე აგორებული შური.
514. ნერვების აშლაც, საბოლოოდ, სიმშვიდისკენ გვიბიძგებს, იმისდა-მიუხედავად, საქმეს ეშველება თუ არა.
515. ფაქტიურად, ადამიანის გუნება, ხასიათი, წვრთნას არ ემორ-ჩილება, ის უბრალოდ ქამელეონივით იქცევა და საწყის პოზიციას უბრუნდება.
516. უშვილობის უმიზეზოდ მოპოვება ხშირად ადამიანობის დაკარგვის ტოლფასია.
517. აღზრდა ადამიანის ბუნებას დროულად ამჟღავნებს, მაგრამ არ გარდაქმნის.
518. ზოგჯერ სიბერე ასაკის მატებაში გვერევა და ამ უკანასკნელს, ხშირად, სიბერესთან საქმე არ აქვს, როცა გული მარად ახალგაზ-რდაა.
519. უმდიდრესი ადამიანია, ვინც მცირედით კმაყოფილდება, მაგრამ ამ სიმდიდრის მოხმარას შინაურები არ „ანებებენ“ და საყვედურებით იკლებენ.
520. არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ნიღაბს ატარებენ და ამავე ნიღბით კვდებიან, თუ მათი რეალური სახე შემთხვევამ არ გამოამჟღავნა.
521. ფეთქებადი ბუნების ადამიანმა თავის ხასიათი სხვაზე უკეთ უნდა იცოდეს და ყოფის „დანაღმულ“ ადგილებში სიარულს და ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნას უნდა ერიდოს.
522. მთავარია ადამიანს ხელი არ შევუშალოთ აზრების ფრქვევით თავ-ის წარმოჩენაში და არა მათ განხორციელებაში, რადგან მისთვის უმთავრესია თავს პატივი მიაგოს.
523. რატომღაც ჩადენილი სისულელის მოგონება ასაკში გვატკბობს, ალბათ, ანალიზის შედეგად გახარებულნი ვართ, რომ გადავრჩით.
524. საკუთრებას ღარიბნი, შეუძლონი, ნაქურდლად აღიქვამენ, ხოლო თავიანთ უნიათობას და უინიციატივობას ყურად არ იღებენ.
525. ადამიანს ფუფუნების უფლებაც აქვს, ოღონდ პიროვნებად დარ-ჩენაა აუცილებელი.
526. ქვეყნის ინტერესები, შენი კაცური „მე“, სიყვარულს არ უნდა გად-ააყოლო, მასთან გარიგებას უნდა შეეცადო, რადგან არის რაღაცა, გამოხტება შემთხვევა, როდესაც საკუთარ თავს, ნანატრ ოცნებას, უნდა აჯობო და შენი ჯიში და ჯილაგი უნდა ამრავლო.
527. ქორწინება ერთდროულად ორი ადამიანის ხედვაა, ერთ-ერთის პროვოცირებით და მეორის თანხმობით, რადგან თავიდან გამბე-დაობა, ბედნიერების ყულფში თავის გასაყოფად, ერთ-ერთს ეყო.

528. უგუნურებასაც თავის რეზერვები აქვს კოლექტიური ცნობიერებით, ამბიციებით და სხვაზე აყოლით.
529. ამბიციები, თვითდარწმუნება, გულგრილობა, მეტ-ნაკლებად ყველას გვახასიათებს და ყოფის ამ გადახრებით რატომღაც, ყველა კმაყოფილია.
530. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, მაგრამ საკითხავია, რის და ვის ხარჯზე.
531. ტირილით ვიბადებით და იმქვეყნად, ხანდაზმულ ასაკში, თუ დანანებით, თვალზე ცრემლით, გაგვაცილებენ, ისიც ბედნიერებაა.
532. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც დაუგეგმავი უბედურება არ განუცდია.
533. სამწუხაროდ, ყველა კაპრიზი ადამიანებს თავში აქვთ: როდესაც ერთმანეთს ყურს უგდებენ, ანგარიშს არ უწევენ და „სხვისი ჭირი ღობის ჩხირად მიაჩნიათ“.
534. ყველა ასაკს შესატყვისი კომფორტი სჭირდება, თავის მოგიჟიანებით, მოწონებით, გაგებით.
535. ადამიანს ალიყურს უფრო მეტად ენა „აჭმევს“, ვიდრე ხელები.
536. ადამიანს, დროის გარკვეულ მონაკვეთში, შეიძლება რჩევა და სიმართლის თქმა სჭირდება, მაგრამ მისი ხასიათის უკადრისობის პარამეტრებიც უნდა გაითვალისწინოთ.
537. კესონური დაავადებაა, როდესაც ადამიანი სიღარიბიდან უცბად ამოძვრება და სიხარულით ისე იბნევა, რომ სასარგებლო საქმის კეთება უჭირს.
538. ასაკში სხვაზე უკეთ ვიცით, თავად რას წარმოვადგენდით და რას წარმოვადგენთ, მაგრამ ჩვენდამი „ნასროლი“ კომპლიმენტები სიცოცხლის გახანგრძლივების მხარდაჭერაა.
539. ისეთი უსაშველო არაფერია, რომლის გადატანა ადამიანმა ვერ შეძლოს, თუ ნერვული სისტემა წესრიგში აქვს.
540. არიან ადამიანები, რომელთაც შეძლების უქონლობის გამო, ვერაგობაზე და მამაძაღლობაზე წარმოდგენა არ აქვთ, მაგრამ დღეს-დღეობით მათი ოდენობა თანდათან მცირდება, რაც ცივილიზაციის და ინტერნეტის დამსახურებაა.
541. სამწუხაროდ, კაცობაში ბევრს ეშლება, რადგან ისინი ეგრეთწოდებული ადამიანები არიან და არა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ღმერთები.
542. გამარჯვებას ფასი მაშინ აქვს, თუ მის გემოს შეიცნობ, იწამებ და საკუთარი თავის წინაშე მართალი ხარ.

543. ყოფიერებისგან განსხვავებით, ადამიანის ფსიქოლოგია ძნელად იცვლება და თუ იცვლება – მინუსით.
544. მიმნდობი ხალხი ადვილად ტყუვდება, გამოდის, რომ გადამეტებული პატიოსნებაც, ნდობაც ადამიანთა მოდგმის „ცოდვაა“.
545. ასაკში, უკან მოხედვისას, როდესაც აღმოაჩენ რომ ღირშესანიშნავი არაფერი ჩაგიდენია, იძულებული ხდები რაღაც მითი შექმნა, რაც ტრაბახის და თავის მოწონების საშუალებას მოგცემს, საკუთარი თავის წინაშე მაინც.
546. ადამიანის დახასიათება მისი ანკეტური მონაცემებით არასრულყოფილია, მაგრამ მისი რაობის ფორმალურად დასადგენად საკმარისია.
547. სიჩუმით ტკბობასაც თავისი პარამეტრები აქვს, რომლის გათავისებას ხასიათზე ყოფნა სჭირდება.
548. ნახევრად მეგობარი, ცხადია, ნაღდ მეგობარს ვერ სჯობნის, მაგრამ პერსპექტიულია.
549. ადამიანის ბოლომდე შეფასება არც დიდი ხნის ნაცნობობით შეიძლება და არც მასთან „ფუთი მარილის შეჭმით“, რადგან მაინც ურჩი ბუნების შვილია თავის კაურებით, გადახრებით და ნერვული სისტემით.
550. როდესაც სათნოების ნაღველი შემოგვაწვება, იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ არ გადაგვარებულვართ.
551. სანამ შარვალში უდრეკი ამაყადაა, მანამ გული მსუბუქია და იმ ქარს გაეკიდება, რომელიც ვნების ნიავს აგრძნობინებს.
552. ადამიანს სახეს სექსში, ხშირად ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ნერვები აკარგვინებს, გაუთვალისწინებელი შედეგებით.
553. უპირველესად „პური“ განსაზღვრავს ადამიანის ღირსებას და მერე წამოყოფს თავს მისი გენი.
554. ამაყია ის ადამიანი, ვის გარეშეც ცხოვრება გვიჭირს.
555. მარტოობა ხშირად ხასიათია და ზოგჯერ უხასიათობაც.
556. მართალია ადამიანი აზროვნებით „საქონელია“, მაგრამ მისი პოლიტიკურ სასაკლაოზე გაგზავნა მაინც ცოდვაა.
557. თუ ცნობილი, საჭირო, პიროვნება გახდები, იმდენი ძუძუმტე გამოგიჩნდება, ვისი დედიკოების და ბებიკოების ძუძუც გიწოვია, რომ ამდენი რძის დამლევი დღეს გოლიათი უნდა იყო.
558. ბედნიერი ადამიანი მუდამ ოპტიმისტია და პესიმიზმისთვის ჭიტლაყი მუდამ მზად აქვს.
559. ნაღდი ინტელიგენტია ყველა ის, ვისაც თავისი პროფესია და საქმე უყვარს და მხოლოდ მოხვეჭისთვის არ მსახურობს, ამასთან, აღზრდასთან ერთად, გენიც და ქრომოსომებიც ინტელიგენტის აქვს.

560. ხსოვნა ადამიანური ავ-კარგის გამომზეურებაა სიცოცხლის მანძილზე.
561. ადამიანის შეცნობა არც ნეგატივით შეიძლება და არც პოზიტივით, ის დრომ და ყოფის მდინარებამ უნდა გადაამოწმოს.
562. სიჯიუტე ამბიციური დაავადებაა, სიბრიყვის დიაგნოზით.
563. ყველას ის ხუმრობა უნდა მივაწოდოთ, რომელსაც მისი მენტალიტეტი შესწვდება.
564. სიტყვა „ადამიანი“ ჟღერს, მაგრამ ხშირად იმქვეყნად უაზროდ და უსიტყვოდ გაიპარება.
565. უფსკრულთან მიახლოება ადამიანს არ აშინებს, მაგრამ მის პირას დგომა აკრთობს და უკანდასახევს უკეტავს.
566. ადამიანს ბევრი რაღაც-რაღაცების კეთება შეუძლია, გააჩნია ვისთვის, რისთვის და რატომ.
567. ადამიანი მაინც უმადური არსებაა: თავის გამჩენ ღმერთს ედავება, ევაჭრება და თავის მომაბეზრებლად სულ რაღაცას სთხოვს.
568. ადამიანი ადამიანს წარმოშობს მასზე უკეთესის იმედით.
569. ადამიანის უმთავრესი საზომი ერთეული მისი სიცოცხლის წლებია.
570. პოლიტიკურად ადამიანი მარად დაუღვინებელი არსებაა.
571. ბედნიერების მწარმოებელი კონვეიერის შექმნაც შეიძლება, თუ ყველა ერთად ხელებს დავიკაპიწებთ, საქმეს მცოდნე და გამოცდილ პიროვნებას ვანდობთ, ერთმანეთის ღალატს გულში არ გავივლებთ, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანის ბუნებას, თანდაყოლილ გაიძვერა გენს.
572. ადამიანს მუდმივი დასაყრდენი არ გააჩნია, ის მთლიანად დროის და შემთხვევის სურვილზეა დამყარებული.
573. ადამიანთან საბოლოოდ დამშვიდობება დიდი გულგატეხილობის შედეგია, რადგან იმქვეყნად შეხვედრის ალბათობა ძალზე უმნიშვნელოა.
574. ფაქტიურად ადამიანი წვალებისთვის არის მოვლენილი, სიხარულის მაკიაჟით.
575. მარტოობის სურვილი დარჩენილი ასაკის ახლებურად დაჭაშნიკების მცდელობაცაა.
576. ადამიანის დაუყვედრებელი თვისებაა შეცდომები დაუშვას, სარგებელის მცდელობით.
577. სხვებთან შეუდარებლად თავი ყველას მოგვწონს, მაგრამ ამით ჩვენი ამბიციები არ კმაყოფილდება.
578. მარტოხელა ადამიანი თავისუფალია კვადრატში, ოღონდ მინუსით.

579. ადამიანად ყოფნას ამქვეყნად მოსვლის მიზეზების გაცნობიერება სჭირდება.
580. ამაყი ადამიანი თავის სიტყვაზე პასუხს გულითაც აგებს და გონებითაც.
581. ადამიანია, ვისაც ნიჭის გარეშე პიროვნებად აღიარებენ, კაცად ჩათვლიან.
582. ენთუზიასტი იმ „ჯიგარის“ მქონე ადამიანია, რომელიც ვნებებს სად დააბანდებს, ხშირად თავიდან არ იცის.
583. მოულოდნელობა ყველას გვაშინებს, გვაოცებს, გვახარებს და მინორში ან მაჟორში გვაგდებს.
584. გონიერებისთვის ყველა ადამიანი ერთი საზომით იცნობა, სხვადასხვა „მეგაბაიტით“.
585. ცინიზმი თავისებური უარყოფითი გამოსავალია, საკუთარი თავის წინაშე რომ წარმოჩინდე და ისიამოვნო.
586. ხშირად ადამიანი ერთს ფიქრობს, მეორეს მეტყველებს, მესამეს აკეთებს – უბრალოდ, აღზრდა და გენი აქვს ასეთი.
587. ადამიანად დარჩენას ჩვენმა ნაკლმა, გადაცდენამ, სისუსტეებმა, ხელი არ უნდა შეუშალოს.
588. ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ მის თავაშვებულობის მტრობას არაფერი შეედრება, თუ მას ბედს მიანდობს.
589. ხასიათს ადამიანი არ ქმნის, ის შეძენილია ან თანდაყოლილი.
590. წამიერი სისუსტეც კი გავლენას ახდენს ადამიანის რაობაზე და მის ბედზე.
591. ზოგი ისეთი „გორისაა“, რომ რისკთან დაკავშირებულ „ქაქის“ ჭამას თავს ვერ ანებებს, მიუხედავად განცდილი „ბათქა-ბუთქისა“ (მაგ., კასკადიორი).
592. გონიერების ჭაპანწყვეტის ნორმების დარღვევაც ცოდვაა – ადამიანი უაზროდ გადაიღლება.
593. არიან „ჭკვიანები“, რომლებიც ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ და თავიანთი უნიკალობის დამადლებაც არ ავიწყდებათ.
594. სიტყვის მასალაა „სხვის დაწყობილს, ჩემი დაუწყობელი მირჩევნიაო“, მარტოდ გულის მოფხანაა ვითომ?!
595. ჭკვიანი წამყვანია, სულელი – მღოღავი, მაგრამ თავზე წარმოდგენა ყველას თავისი და „ჭიპმოჭრილი“ აქვს.
596. ადამიანი სიხარულისთვის ცხოვრობს, ოღონდ სინდისის დაუვიწყებლად.
597. ხასიათია ადამიანის დიაგნოზი და როგორ მოვთოკავთ და ვუმკურნალებთ, ყოველთვის ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

598. ბოლომდე უბედური ადამიანები არ არსებობენ, მათაც აქვთ გამონათების წლები, დღეები, წამები და გულმავიწყობა.
599. ამბიციები, რომელიც ადამიანის „მეს“ არ ათავხედებს, მისაღები და აუცილებელია.
600. ბუნებით გულახდილობა ზოგჯერ სიბრიყვის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ხშირად თამაშობენ და თავს გვაწონებენ.
601. ადამიანს ხშირად კარგის, ცუდის და საშიშის გარჩევა უჭირს, რადგან ამის ამოხსნას განგებას ანდობს, ხოლო თავად მომჩივანის როლით კმაყოფილდება.
602. „ნდობა გაამართლა“ და „ნდობით სარგებლობს“ – სხვადასხვა ჟღერადობისაა, მაგრამ აზრი ერთი აქვთ.
603. ადამიანი ხვალ რას მოიმოქმედებს, არავინ უწყის, რადგან ისიც ამ არეული სამყაროს შვილია.
604. სარკეში თავი უფრო მოგვწონს, ვიდრე ფოტოზე, რადგან პირველში ჩვენს თავს ვხვდებით ასაკის მატებასთან შეჩვევით, ხოლო სურათზე აღმოჩენას ვაკეთებთ.
605. ადამიანი ზოგჯერ უნდა ფიქრობდეს იმ ღირებულებებზე, რომელიც ფულზე არ იცვლება.
606. ადამიანის შესაფასებლად მათემატიკის ფორმულების გამოყენებაც შეიძლება და ემოციური აღქმაც, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ხელმისაწვდომია მასის ინტელექტისთვის.
607. ადამიანად ჩამოსაყალიბებელი აუცილებელი ნორმა: განვითარება, მატერიალურად მომაგრება, მშობლების და მასწავლებლებისთვის პატივის მიგება, შრომისუნარიანობა, სრულყოფილება, ინტელექტის ამაღლება, ურთიერთობის დამყარების ცოდნა, საკუთარი მსოფლმხედველობა, თავის შეცნობა, ჰარმონიულობა, გარკვეული მატერიალური და მორალური ბალანსის ქონა, ჭეშმარიტ ღირებულებათა დაფასება, რწმენა, იმედი, სიკეთის სიკეთით გადახდა, სიტყვის პატრონობა, სიხარულისკენ ლტოლვა, ბედნიერების მოფრთხილება, საზოგადოების ინტერესების დაცვა, სხვისი და საკუთარი თავისუფლების გაფრთხილება, ასაკის ზედმეტად არგათავისება, არ იუცხოვოს ის, რაც ბუნებრივია, მიზანშეწონილია, ისწავლოს სიყვარულის და ოჯახის მოფრთხილება, ეცადოს მუდამ იყოს მშვიდობის მტრედი.
608. ჩვენს ნაკვალევს ყოველთვის ჩვენს „მესთან“ არ მივყავართ, რაც ზოგჯერ დიდი შეღავათია.
609. სადღესასწაულო პროფესიებიც კი ადამიანს არჩევანის წინაშე ამყოფებს და ყოველდღიურობას აჩვევს.

610. ადამიანს აძლიერებს სიცილის უნარი და არა – დაცინვის.
611. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანს ყველაფერი წინ აქვს, მათ შორის, ათეროსკლეროზი, ოსტეოხონდროზი და სიცოცხლის სხვა შემაწუხებელ დაავადებათა „თაიგული“, მიუხედავად იმისა, რომ წლებს, ჯერჯერობით, არც ერთ ადგილზე გაყინვა შეუძლია და არც უკან დაბრუნება.
612. ადამიანი სუსტი არსებაა და მას რომ ეს სისუსტე დავამალვინოთ, ზოგჯერ მასზე სიყვარულით მათრახის გადაჭერაა საჭირო.
613. სამწუხაროდ, ნორმალურ ადამიანურ ბედნიერებასაც კი სათანადოდ ვერ ვაფასებთ.
614. შეცდომებისაგან გათავისუფლება აუცილებელია სხვათა დაუხმარებლად და გაუხმაურებლად.
615. ადამიანის სხეულში თავი ის თავნება ნაწილია, რომელიც სხეულის ნაწილებს თავის ჭკუაზე ატარებს და ერთი შეხედვით გაუკეთებელსაც აკეთებინებს.
616. ნაკლის აღიარებაც იძულებითია, მიუხედავად იმისა, რომ მცირედ სარგებელს მაინც იძლევა ალიბის მოშველიებით.
617. ადამიანს საკვების გადამუშავებაზე მეტად გონების გადამუშავება სჭირდება სიცოცხლის შესაცნობად და გასახანგრძლივებლად.
618. ზოგჯერ აშკარა ნაკლის მქონე ადამიანი ჯობს საამხანაგოდ, ვიდრე გაუგებარი და „მუდო“.
619. „ხმოვანი“ და თავდაუჯერებელი აუტისტი ძნელი ასატანია.
620. ადამიანი დიდების ძიებით კი არა, უკვდავების მოხვეჭის მცდელობით უნდა იყოს დაკავებული.
621. თუ ადამიანის სტატუსს ატარებ, სხვათა ტანჯვა-წამების მიმართ გულგრილი ვერ იქნები.
622. სიბრიყვეც ჩვენი გაჯეჯილების შედეგია.
623. ხასიათი ადამიანის ბედში ბევრ რამეს განსაზღვრავს, მაგრამ ძალას ვერ შეედრება.
624. ადამიანს მცოდნეს, მაძიებელს, გონიერი ძალისხმევა და მიზნის დასახვა ხდის.
625. კითხვა-პასუხის საღამოს საკუთარ თავს ყოველდღე უნდა ვუწყობდეთ.
626. მარადისობას შორიდან ვეტრფით, ერთეულ გამონაკლისთა გარდა.
627. დაფასებულ-გაფეტიშებული მაგალითების ძალა ადამიანზე გავლენის მოსახდენად უდიდესია.
628. წესიერი ადამიანის აღელვება განსჯას არ იწვევს.

629. სისულელის კეთებასაც ადამიანი თანდათან უნდა შევაჩვიოთ, თუ გვინდა ეს საქმიანობაც თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.
630. ადამიანთა ურთიერთობის აკადემიაში მოხვედრა და შემდგომ სწავლება ყველას ხვედრი არ არის.
631. ადამიანს ყოველთვის ინტერესებდა ქარაგმებით, გამოცანებით, ორაზროვანი ლაპარაკი, სულიერების საამებლად და გონების გასაჯეჯილებლად.
632. სიჯიუტის ნაკლი ისაა, რომ ხშირად იმ ადამიანებს გვაკარგვინებს, რომლებთანაც ბევრი საერთო გვქონდა და გვექნებოდა.
633. ყველა ჩვენგანი გამოცანაა და ურთიერთგამოცნობასაც ასეთივე მეგაბაიტის ადამიანები ცდილობენ.
634. არიან ამბიციური გენის ადამიანები, რომლებსაც უნდათ ყველას აჯობონ და ამისათვის არც თავს ზოგავენ და არც სხვას ინდობენ.
635. ადამიანი, რაც უნდა დიდი წარმოდგენა ჰქონდეს თავზე, მაინც ჩვეულებრივი მოლაპარაკე ცხოველია.
636. ადამიანს ის გამოუსწორებელი სიჯიუტე ახასიათებს, რომლის მეშვეობითაც სამყაროს კაურებს ევაჭრება, ეაჯება და ცდილობს მის საიდუმლოს სული ამოხადოს.
637. ადამიანი კეთილი სურვილებით უნდა იღვწოდეს, მაგრამ მუშტის ჩვენებას არ უნდა მოერიდოს, რადგან ცხოვრება, დრო და ყოფის გამოცდილებაა ასეთი.
638. ყველა ჩვენგანს ამ სამყაროდან იმ სამყაროში რაღაცის წაღება დამახსოვრებით გვინდა, მაგრამ რა, ვერ გავრკვეულვართ.
639. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანი მაინც განუსჯელი ცხოველია, მას იმაზე გაცილებით მეტი უნდა, რასაც იმსახურებს და ეკუთვნის და ალბათ, სამყაროს უცნაური ნებაც ესაა.
640. დღეს ადამიანს განგების „წინაპირობები“ აღარ აკმაყოფილებს, ის ინტერნეტის უსასრულო ინფორმაციითა გადაგვარებული.
641. ადამიანები, საქმიანობასთან ერთად, მაიმუნობასაც ასწავლიან ერთმანეთს და თავადვე სწავლობენ.
642. როცა ადამიანებს ერთმანეთის დანახვა არ უნდათ ე.ი. მათ ერთმანეთის ხასიათები შეიცნეს.
643. უსუსურობა, უნიათობა, არა მარტო ადამიანის ღირსებას, არამედ მის გამჩენსაც შეურაცხყოფს.
644. რწმენა საკუთარი ღირსების შეცნობაა, ტექნიკური პროგრესისკენ ლტოლვა ადამიანს პიროვნებად აქცევს, ხოლო სიყვარულის შეცნობის ძალა – ადამიანად კვადრატში.

645. თუ ადამიანი შინაგანად გრძნობს ახალგაზრდობას, ის მხარდაუდებელი ბედნიერია.
646. ეშმაკისა და მიქელგაბრიელის დახმარება არ სჭირდებათ ადამიანებს, მაგრამ თავიანთი დაუდევრობით ამას თავად თავაზობენ.
647. გაორების გარეშე, ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაც გაუჭირდება.
648. ცხვრის ბუნებიან ადამიანებს სერიოზულად არ უნდა მოვეპყრათ, რატომღაც შედეგებით არ ამართლებენ.
649. მე. ეტყობა, მაინც მომდევნო საუკუნეთა ადამიანი ვარ და არავინაა დამნაშავე, რომ ამქვეყნად რამდენიმე საუკუნით ადრე გავჩნდი.
650. სიზარმაცეს ადამიანი არ შეუქმნია, მაგრამ ამ „სიამოვნებას“ თავს ვერ ანებებს.
651. ცნობიერების ფსიქოლოგიური და ფიქსირებული გადატვირთვა „ბიბლიადრამებთანაა“ დაკავშირებული, რომელიც ადამიანთა დამოძღვრას ცდილობს.
652. დახელოვნებული ურთიერთობა, შემოქმედებითი ოსტატობა, მიზნისაკენ მისწრაფება, „ჰომოსაპიენსს“ ჯერ ადამიანად აქცევს და შემდგომ – პიროვნებად.
653. ძირითადად ადამიანები უბრალო ღიმილით, კეთილი სიტყვით და შთაბეჭდილების შეძენით კმაყოფილდებიან.
654. უშიშარი ადამიანი თავისებურად ფსიქიურად დაავადებულია.
655. ადამიანის ბოლომდე ადამიანად დარჩენაც განგების მომადლებული ნიჭია.
656. ადამიანი შეიძლება რაღაცის და ვიღაცის ქომაგიც იყოს, მაგრამ კაცობის სტატუსამდე რაღაც აკლდეს და თავის „მეს“ ვერ მოერიოს.
657. ყველაზე მომგებიანი და სამართლიანი ყოველთვის სასარგებლო და მისაღები არ არის, რადგან ადამიანის ცნობიერებას თავისი ხუშტური ახლავს.
658. ზოგი დაბადებიდანვე ჩერჩეტია, ზოგის გასულელება კი ყოფის გაკვეთილია დამსახურებაა.
659. გაბორიტებულ, ყველაზე განაწყენებულ და დაბოღმილ, ადამიანზე საშიში არაფერია.
660. ცუდ ადამიანში კარგის დანახვაც შეიძლება, თუ მას ნერვების სიმებს ზომიერად აუშლი და დაუყვავებ.
661. ადამიანისთვის აუცილებელია მოუსმინონ, წარმოჩნდეს, დასაქმდეს, სხვანაირად თავს დამცირებულად გრძნობს და საკუთარ რაობაში ეჭვი ეპარება.

662. ადამიანის სული თვალებიდან თბება, ყურიდან ტკბება, ცხვირი კი სიამის სიოს შთაბერავს.
663. ხუმრობისკენ, გართობისკენ, მაიმუნობისკენ, მიდრეკილება თავისი გაცუცურაკებით, მოტყუებით, დაყვედრებით, ადამიანის ბუნებაა და ვერსად გავექცევით.
664. ჭკვიან ადამიანს შექება უხდება, რადგან არ ადიდგულებს.
665. ჯობს კეთილშობილი თვისებების გაღვივება ადამიანების საბოლოო შეცნობის გარეშე მოხდეს.
666. ადამიანს ცხოვრება იქ უადვილდება, სადაც თავს თავისუფლად გრძნობს და იქ ყოფნა უხარია.
667. ყველას ჩვენი სიმართლე, სამართალი და ალიბი გვაქვს, თავის შეხედულებით, კაურებით, ვირეშმაკობით.
668. დროის კულტურა ჩვენს აღზრდას ემსახურება, ხოლო სახელმწიფოებრიობა თავად ხალხმა უნდა შექმნას და ყველა ჩვენგანმა საკუთარი თავი თავადვე უნდა აღზარდოს.
669. საყვარელ საქმეზე გადაგებულ პიროვნებას სხვა საქმიანობა არ აინტერესებს და არც გამოსდის.
670. სილამაზესთან, პიროვნებასთან, დროის ყივილთან, ყოფნა სიამაყეა, თუ ისინი შენ მიმართ სასიკეთოდ განეწყობიან.
671. ყველა ცდილობს ჭკვიანი იყოს ან ასეთად მოგვაჩვენოს თავი, მიუხედავად მისი ნიჭისა, შესაძლებლობისა და მენტალიტეტისა.
672. ადამიანი შექმნილია სიხარულისთვის და გაწბილებისთვისაც, რათა არ გაყოყოჩდეს და გადაგვარდეს.
673. ადამიანთა უმრავლესობას, მოსალოდნელი გაქიაქების მიუხედავად, ტრაბახი სიამოვნებს.
674. ადამიანის ავ-კარგიანობა მისი სარგებლიანობის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ და არა იმის მიხედვით, რა თანამდებობას აცდენს.
675. ცრემლის დანიშნულება დიდი სიხარულის, მწუხარების, სინანულის, სიყვარულის, აღტაცების და მრავალი სხვა ადამიანური გრძნობების გამოხატვსა და არასოდეს იტყუება.
676. სამყაროს უკეთ შესაცნობად ბევრი შესაძლებლობა გამოუყენებელი რჩება, რომლის მიზეზი ადამიანთა უსუსურობაა.
677. ადამიანი, რომელიც არასოდეს იცვლება, ადამიანი არ არის – როობოტია.
678. ნებისყოფა ყველასთან და ყოველთვის გამარჯვებული გამოდის, იმისდამიუხედავად, სიცოცხლეს ადრე დაამთავრებს თუ გვიან.
679. დღეს ადამიანის რაობის საზომია ფული, ქონება, ნაცნობობა და არა – მისი კაცობა და საქმე.

680. ეგოიზმი საკუთარი თავზე უაზროდ შეყვარების უსინდიეო ნაყოფია.
681. ეშმაკ ადამიანთან საიდუმლო არ უნდა წამოგვცდეს, მას ისე უნდა ეღადაო, რომ თავისი საიდუმლო მისდაუნებლიედ გაგიმხილოს და გაგანდოს.
682. ადამიანი, რომელიც მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს, ქვეყნის მოქალაქედ ვერასოდეს იქცევა.
683. ადამიანს სიცოცხლის შეცნობის უნარი უნდა მართავდეს და არა – მოახლოებული სიკვდილის შიში.
684. ადამიანი მხოლოდ იმ ცოდვების საკეთებლადაა გაჩენილი, რომელსაც გამართლებას მოუძებნის.
685. ნებისყოფა ნებიერი ბუნების მქონეთ ძალზე ალამაზებს და ამკობს.
686. ყველაზე ძნელი, ალბათ, იმის გარკვევაა, რა ასაკში უნდა მოსთხოვო ადამიანს გონიერება.
687. ადამიანი რაც უფრო გაჭირვებულია, მით უფრო პრეტენზიულია, რადგან სურს თავისი უნიათობა სხვას გადააბრალოს და ალიბის მსგავსიც მოიშველიოს.
688. ადამიანს მისი საჭიროების შეცნობა აკეთილშობილებს და საქმისადმი თავდადებას უორკეცებს.
689. ადამიანი უნდა გიყვარდეს, მაგრამ ამას ჩვენი ცნობიერებაც უნდა შეეჩვიოს და გაუგოს.
690. ადამიანი ბედნიერებას მოწყურებული მანქანაა, თავისი ცოდვებით და მონანიების უფლებით.
691. პედანტს არც ეთაყვანებიან და არც ბაძავენ, მიუხედავად მისი მოწესრიგებულობისა, სიტყვის კაცობისა, რადგან ფეთქებადი ხასიათი აქვს.
692. ტვინგახსნილი, მოხერხებული, ავანტურისტი ბუნების, ადამიანი, ქვეყანაში არეულობის დროს თავს უკეთ გრძნობს და „თევზის ჭერასაც მღვრიე წყალში“ უკეთ ახერხებს.
693. ადამიანთა შეცნობა მათი ბიოგრაფიების „დაჯახების“ შედეგად ხდება და არა სურვილით და რეკლამით.
694. ადამიანის შეგნება ასეული წლების კულტურის ნაღვაწის შესატყვისად უნდა იზრდებოდეს. მაგრამ ბუნების კაურებს და განგების ნებას ვინ რას გაუგებს.
695. ადამიანს მოლოდინი, სასურველი ტყუილი და სხვადასხვა დაპირებანი ნერვებს უმშვიდებს, ამასობაში ასაკიც წამოეპარება და გულგრილობაც.

696. პატრიოტი სათაყვანებელი გმირის ასლი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პიროვნებად ვერ წარმოჩინდება.
697. ადამიანი, რომელსაც ცხოვრების გამოცდილება აქვს და ყოფის ანალიზის უნარი შესწევს, ის არც ხალხია, არც მასა და არც ბრბო, ის პიროვნებაა.
698. ადამიანი ხარ და უკეთესი ცხოვრებისკენ უნდა ილტვოდე, მაგრამ მხოლოდ დაფიქრება-ანალიზის შემდგომ.
699. ადამიანისთვის უმთავრესია საკუთარი თავის წინაშე იყოს მართალი და ამას სხვა გაიზიარებს თუ არა, დიდად არ უნდა ინაღვლოს.
700. მთავარია საკუთარი ენერგეტიკის შენარჩუნება, რათა თავი ბოლომდე ადამიანად ვიგრძნოთ.
701. ადამიანის დანიშნულებაა ყოფის უმაღლეს თამასას გაეთამაშოს, დაძლიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ამქვეყნად მოვლენის მისია დევალვირებულია.
702. თანამედროვე კულტურულ, ცივილიზებულ, ადამიანს წარსული უნდა ჰქონდეს, რათა მოჭარბებული მოხვეჭის ბაცილით არ დაავადდეს და ამაოების არსი შეიცნოს.
703. ადამიანი როდის არის გულწრფელი-ცრუპენტელა, მტყუან-მართალი, კეთილი – უარესი, გარჩევა თავადვე უჭირს, მაშინაც კი, როდესაც თავის-თავთან მარტო დარჩება.
704. მახსოვრობაც არჩევითია და ეს ადამიანის ბუნების კაურებს სავსებით ეთვისება.
705. ადამიანს სურს იმაზე მეტი ჰქონდეს, რაც აქვს, მაგრამ არ აფასებს რასაც მაიღწია, რადგან მას არ ესმის, რომ ქონა – არქონა შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონს ემორჩილება და რაღაც მომენტში ყველაფერი მთავრდება.
706. არის კატეგორია ხალხის, რომელსაც ორი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება შუბლზე აწერია და ფართომოხმარების შავი სამუშაოებისთვის არ გამოდგება.
707. არიან ადამიანები, რომლებსაც ნიჭის გამო პატივს სცემ, მაგრამ არ გიყვარს, რადგან შენი ჰორმონებით, ინტელექტით, მისგან შორს დგახარ.
708. ლოთებს და სულელებს ექსტრემალურ პირობებში ზედმეტად უმართლებთ, რადგან ამ დროს ნერვიულ სტრესს ნაკლებად განიცდიან.
709. იბადებიან ადამიანებად ან ცხოველებად, გარკვეულ გარემოში შეიძლება მათ როლები გაცვალონ, მაგრამ გენი მაინც თავისას ითხოვს და ყველას მის კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

710. ხშირად ადამიანი ორჯერ მგლად უნდა იქცეს, თუ უნდა გამრავლდეს, ნაშიერს უაპტრონოს და ადამიანად დარჩეს.
711. ადამიანია, ვინც თავს კონტროლს უწევს, შეუძახებს, ხელებს დაიკაპიწებს და არა ის, ვინც ინსტინქტებით, წამხედურობით, მოქმედებს და უაზროდ ცხოვრობს.
712. „მე შენ გჯობივარ“, ან „უნდა გაჯობო“, ყველა ადამიანს მეტნაკლებად გულში უდევს, იმისდამიუხედავად, ამას ამჟღავნებს თუ არა.
713. ადამიანებს, უმართლებთ თუ არ უმართლებთ, მათი უმრავლესობა მაინც ბრიყვია, წარსულის გაკვეთილებს ვერ ითვალისწინებს და გამოსწორებაზე ეტყობა, არც განგებაა თანახმა.
714. ადამიანის შესაცნობად სულ მცირე განზომილებაა საჭირო: სად, რა, როდის და როგორ წარმოჩინდება, არავის უწყის.
715. უეცარი დიდებისგან ბევრი „იცენტრება“ და მუხრუჭების დაჭერას ველარ ახერხებს, იმდენად უმცირდება ადამიანად შესაძლო დარჩენის იმუნიტეტი.
716. შემოქმედთან გატოლების მცდელობა ადამიანს ბევრ სასიამოვნო უხერხულობას უქმნის.
717. ნამდვილი სასწაული ადამიანის გამოუმჟღავნებელი შესაძლებლობებია, რომელიც ექტრემალურ გარემოში ვლინდება.
718. შიშის შეცნობა სირცხვილი არაა, უბრალოდ, არ უნდა დაემონო.
719. ფილოსოფოსები ყველას შეუნდობენ გადაცდენას, მათ შორის, იმ ეკლესიის მსახურთ, რომლებმაც ისინი კოცონზე დაწვეს და ეშაფოტზე გაისტუმრეს.
720. კაცი ისაა, ვინც ადამიანს სულის იარებს მოუშუშებს ან ცდილობს მაინც.
721. გარემო პირობები და განგების წიხლი ადამიანს საბოლოოდ აყალიბებს.
722. ადამიანური სისუსტეების ცოდნა ყველა შემოქმედის ვალია.
723. ადამიანი მოკვდავიცაა და უკვდავიც, გააჩნია, შთამომავლობამ როგორ უნდა დაიმახსოვროს.
724. უკვდავება მაინც ერთეულ ბედნიერ გამონაკლისთა ხვედრია.
725. ადამიანი ურთიერთშერწყმის თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს, რომელსაც ზოგჯერ კომპრომისს ეძახიან.
726. ეჭვი ადამიანს სულს უღრნღის, თან ცდილობს თავი უკეთ მოგვაჩვენოს.
727. უკვდავებას ადამიანის ბუნება ვერ ენათესავება, მაგრამ უკვდავის სახელის დასატოვებლად კი იბრძვის.

728. ადამიანი, უმთავრესად, ცნობიერების ქექვისთვისაა მოწოდებული.
729. უგუნურების მოსასმენად ადამიანის ტვინის გარკვეული ნაწილი მარად მზადაა.
730. პიროვნებაა, ვინც თავის ჯიშის და ჯილაგის წარსული იცის.
731. ადამიანს გამოცდილების გადაღებისკენ და სწავლისკენ უნდა ჰქონდეს მიდრეკილება.
732. ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და ასეთად დარჩება, სანამ ცივილიზაციის მიღწევებს იყენებს.
733. შემოქმედი ადამიანი საქმეს მაინც იპოვის, დროის ყივილი რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ფეხს უდებდეს.
734. ადამიანის რაობისთვის, წარმოჩენისთვის, უმთავრესია არა ახალი შთაბეჭდილებების ტყვეობაში ყოფნა, არამედ ახალი ამბების რეალური აღქმა და საკუთარი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ გადამოწმება.
735. არის ადამიანთა კატეგორია, რომელთა ყოფნა დედამიწაზე საშიშია, მაგრამ მათი არყოფნის შემთხვევაში ავის და კარგის გარჩევა გაჭირდებოდა.
736. ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ბევრ სისულელეს სჩადის, ამიტომაც მას გადაუდებელი დახმარება სჭირდება, მათრახით იქნება, დაყვავებით თუ სასუსნავით.
737. ადამიანი ამ სამყაროში ფაქტიურად გონების და არა – ძალის საშუალებით ძალაობს.
738. ჩვენი „მე“ ჩვენი ყოფის, რაობის, წარმატების, საწინდარია, იმისდამიუხედავად, რომ ზოგჯერ მისი შეცნობა ჩვენც გვიჭირს.
739. ამაყად თავის მოჩვენება, ფაქტობრივად, ნაკლოვანებების დამალვის მცდელობაა კვადრატში.
740. თუ პატივისცემას და უპატივცემულობას ერთნაირი სიმშვიდით ვხვდებით, ადამიანად უკვე ჩამოვყალიბდით.
741. უმიზნო ადამიანი ფაქტობრივად მკვდარია.
742. ბედნიერებაა ისიც, თუ ადამიანს სხვათაშორის გაიხსენებენ.
743. შთაბეჭდილება ხშირად ადამიანის განწყობაზეა დამოკიდებული.
744. უქმად ყოფნა ადამიანს თრგუნავს და ყოფის ხალისს უკარგავს.
745. პრობლემის დასმა ყველას შეუძლია, გონიერი ხალხის ხარჯზე.
746. საკუთარი მეობის რაობაზე გამოკიდება ზოგჯერ ადამიანს ძალზე ძვირად უჯდება.
747. აზროვნების უნიკალური სტილი, შემოქმედება, პირველ რიგში, საკუთარ თავთან საიდუმლო სერობაა.

748. ღირსეული კაცის სიკვდილი ამქვეყნად სტუმრად ყოფნაა, გარდასახვა – გარდაცვალებით.
749. ოპტიმიზმის ნაპერწკალი ცოცხალი ადამიანის ოცნებაში არასოდეს ჩაკვდება, თუ ის ბუნებით „გაუსვენებელი მკვდარი“ არ არის.
750. მედგარი ადამიანი არა მარტო უგუნურებას, უბედურებასაც ჭიტლაყის ამოკვრით ისტუმრებს.
751. ჩვენი საწყისი ადამიანობაა, დროის „გაბანძების“ მიუხედავად.
752. ადამიანის გენის შეცნობა ყოველთვის ძნელია.
753. ადამიანის ბუნება იმდენად განსხვავებულია, რომ ზოგჯერ საკუთარი შეცდომების ხარჯზე ჭკუას ვერ სწავლობს და თანდაყოლილი გულკეთილობით რეციდივს კვლავ იმეორებს.
754. ადამიანის რაობა შინაარსიანი რომ გახდეს, მას, პირველ რიგში, დაღვინება სჭირდება.
755. ადამიანის დაცემაში არა მარტო სატანის ხელი ურევია, არამედ აღზრდისაც და გარემოსიც.
756. წინასწარ განუსაზღვრელ ზრახვებსაც ადამიანი თავის გუნების და ბუნების შესატყვისად განუსჯელად და ვნებით სჩადის.
757. თანდაყოლილია გემოვნება თუ შეძენილი, ადამიანისთვის სულერთია.
758. ჭკუით გამოტენილ ადამიანსაც მაინც ხასიათი და დროის ყივილი მართავს.
759. ადამიანები ხშირად ურთიერთსიძულვილით ანგარებას სჩადიან, მაგრამ ეს ქიშპობა ზოგჯერ ფუფუნებისკენ გზას ხსნის.
760. ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა და ხშირად ამ უკმაყოფილების მიზეზი მისთვის გაუგებარია, რადგან რა უნდა, თავადაც არ უწყის.
761. ადამიანი თავისუფალ გარემოში, ლაღობის დროს უნდა შევაფასოთ და არა – გაჭირვების ჟამს, როდესაც მობილიზებულია.
762. იბადებიან დიდ თუ პატარა ადამიანებად, ამის გამოსავლენად გარემო და დროის „ჭყიპინია“ საჭირო.
763. წინმავალ ადამიანს სულიც წინ წაუძღვება.
764. ადამიანის ბუნებაა საპირისპირო იფიქროს და არა – აკეთოს.
765. ზოგჯერ ადამიანური სისუსტე მავანს საინტერესო და საყვარელ არსებად აქცევს.
766. დიდი ადამიანები უკან არ იხედებიან.
767. ადამიანის მრავალი უარყოფითი თვისება, ავანგარდიზმი, მათრახს იმსახურებს, მაგრამ მათ გარეშე სახეირო არც არაფერი შეიქმნებოდა.

768. ადამიანი შეიძლება გარკვეულ დროს უღონო იყოს, მაგრამ უნდა ეცადოს სიცოცხლე ამაოდ არ დაამთავროს.
769. ეტყობა, ადამიანი მაინც ბუნების ბუშია, მიუხედავად იმისა, რომ მის შვილებზე თავს დებს.
770. ზოგი თუ არაფერს აკეთებს, ისიც ბედნიერებაა, ისეთი გენის და ჯიშ-ჯილაგის პატრონია.
771. ადამიანი იმ დონეზე და იმ პროპორციით უნდა შევაქოთ, რომ უკეთესი გახდეს და წავახალისოთ.
772. თუ ყოველდღე თითო ადამიანს სიხარულს მივანიჭებთ, ეს ჩვენი საქველმოქმედო ოცნების მაქსიმუმია.
773. ხშირად გულწრფელი მცდელობა განსაზღვრავს ადამიანის რაობას და არა – საქმის ნაძალადევად კეთება.
774. ადამიანისთვის საამაყო თითქოს ყველაფერია, ხოლო სინამდვილე-ში არაფერია.
775. მოჭარბებული ვნება მსხვერპლს ითხოვს და იწირავს კიდეც.
776. ბედს ადამიანი ეჭიდება თავისთვისაც და სხვისთვისაც, მაგრამ როგორ გამოცხვება რა გემო ექნება, მისთვის წინასწარ უცნობია.
777. ნაღდ ადამიანად ჩამოყალიბება უდიდესი ბედნიერებაა თუ ამას თავადვე შეიცნობ.
778. ადამიანის გონიერების მატებას, დროის ყივილიც ხელს უწყობს.
779. ადამიანი სახელმწიფოს სამსახურში თანამდებობაზე ყოფნის დროს შეიცნობა და არა მაშინ, როდესაც დროზე ადრე დაახურდავებენ და პენსიაში გაუშვებენ.
780. სიმთვრალეში სახის დამკარგავის ცივილიზებულ ადამიანად აღქმა ძნელია.
781. ხასიათი ყველას სხვადასხვა გვაქვს, მაგრამ მასში ხარვეზების აღ-მოჩენა ჩვენს ოპონენტებზეა დამოკიდებული.
782. ცალკეული ადამიანის მოწონება უფრო ძნელია, ვიდრე ადამიანთა ჯგუფის.
783. აქტიური სპორტი არა მარტო ადამიანს ანვითარებს, არამედ ბევრი სისულელის ჩადენისგან იხსნის.
784. საკუთარი თავის წარმოჩენის ბლოკირება ძნელია, იმდენად დიდია გაჯეჯილების სურვილი, განსაკუთრებით – ასაკში.
785. ადამიანი ბევრ წვალობს, იღვწის, სახელს იხვეჭს, ჩალიჩობს, გარ-და, იქნება, გარდაიცვლება და აქაც არ ისვენებს და არ ისვენებენ, თუ ის ცნობილი და ერისათვის საამაყოა.
786. სამწუხაროდ უმტრო კაცი ცოდვაცაა, არარაობაც და არც წამქე-ზებელი ჰყავს.

787. ადამიანებს რომ სარგებელი მოუტანო, ამისათვის მარტო აღზრდა არ კმარა, უბრალოდ წესიერ ადამიანად უნდა იყო დაბადებული.
788. ადამიანის შეცნობა თვით გადამწყვეტ წუთებშიც შეუძლებელია, რადგან მის ქმედებას აფექტი განსაზღვრავდა და არა – განსჯა, რომლისთვის დრო არ რჩებოდა.
789. ყველა ჩვენგანში ზის ეშმაკი, გააჩნია, მას გაქანების როგორ ნებას მივცემთ ჩვენივე უნებისყოფობით.
790. ადამიანს ძეგლი რომ დაუდგა, მთავარია მის ბიოგრაფიაში ცუდი არ სჭარბობდეს კარგს და ამასთან ორიგინალობითაც უნდა გამოირჩეოდეს.
791. ცივილიზებულ ადამიანს შეიძლება ველური გენიც ჰქონდეს, მაგრამ მთავარია, ტრადიციები დროის და გარემოს შესატყვისად როგორ განვითარდება.
792. გულგატეხილი, უიმედო, კაცი არავის უყვარს, მათ შორის, ღმერთსაც.
793. ადამიანებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად ერთმანეთის შურთ და ალბათ ესაა იმის გარანტი, რომ არ მოდუნდებიან და არ გადაშენდებიან.
794. ადამიანი მისთვის უცნობი ბედით იბადება, მაგრამ განგებისთვის ყოველივე წინასწარ ცნობილია.
795. ადამიანისთვის მთავარია ადვილად მისახვედრი საყოველთაო გონიერება და არა – ჭკუის ჭყლეტა და შეცდომების რეცხვა.
796. ადამიანი გულგრილობის და თავგანწირვის კონგლომერატია, ზომიერი ყოფა მას სწყინდება, თრგუნავს, მაგრამ ის მაინც ადამიანია.
797. ადამიანის დაცემას, სამწუხაროდ, არც ზღვარი აქვს, არც გამართლება და ტექნიკური პროგრესის გაჯეჯილებაც არ შველის.
798. ადამიანი, რომელიც სილამაზეს ეტრფის, განსაკუთრებული ფენომენია.
799. ადამიანს უმთავრესი კონფლიქტი საკუთარ თავთან მოსდის, თუ „მაიმუნობისთვის“ არაა შექმნილი.
800. ადამიანი ყოველთვის ისურვებს იმაზე მეტს, რაც აქვს, რადგან ასეთია მისი გენი.
801. არ უნდა იყო ღარიბი და არც უმწეო, ასე უნდა შთააგონო თავს, როგორ რწმენასაც უნდა ვეთაყვანებოდეთ.
802. თვითმაცდურობა მეტ-ნაკლებად ყველას გვახასიათებს, რადგან უაზრო სიამოვნებას გვანიჭებს.
803. გონიერებასთან ანგარიშიანი ჩალიჩი ჩვენი სიდიადის და უბადრუკობის მაჩვენებელიცაა.

804. ადამიანი ბედნიერების მრწამსს ვერასოდეს შეიგნებს, რადგან მისი გენეტიკური დაავადებაა – მარად უკმაყოფილო უნდა იყოს.
805. ადამიანმა უნდა დაიცვას იმ ქვეყნის ქცევის ნორმები და იქაური ქუდი უნდა დაიხუროს, სადაც თუნდაც დროებით აღმოჩნდება.
806. ავკარგიან ადამიანს სიცოცხლეს აზროვნება უხანგრძლივებს და მას სხვათა ჭკუის დარიგება არ სჭირდება.
807. ყველა მოყვარე სიყვარულის ღირსი და შენი ბუნებისა შეიძლება არ არის, მაგრამ ადამიანის ჩამოსაყალიბებლად განგებას სხვა უკეთესი ვარიანტი არ შემოუთავაზებია.
808. ერთი შეხედვით, სიკეთის და ბოროტების გაგებას, ადამიანი მთელი სიცოცხლე უშედეგოდ ანდომებს, იმდენად ცვალებადია დრო, შემთხვევა, ქცევის ნორმები, სამყარო.
809. გონიერი ადამიანის ღირსება რეალური აზროვნებაა, უგუნურის – მოჭარბებული ფული, რომელზეც გარკვეულწილად არც პირველი ამბობს უარს.
810. სხვათა განსჯა-განკითხვა ტვინის ჭყლეტას არ მოითხოვს და არც გრძნობებს შეურაცხყოფს საკუთარი თავის წინაშე.
811. ადამიანს ყოფის ალგორითმების ამოხსნა გონების სიდიადედ არ მიაჩნია.
812. მთავარია ადამიანთა შორის სხვაობის დადგენა და არა – ათი განწყობა.
813. მეტნაკლებად თავის წარმოჩენას და სახელის მოხვეჭის ყველა ცდილობს, ხოლო რაში გამოადგებათ, ამაზე წარმოდგენაც არ აქვთ.
814. მოყვასის შემცნობი და შემგუებელი ადამიანი ბედნიერია.
815. საკუთარი თავის პატიება ყველაზე ძნელია, თუ ხედავ, რომ შენი უინიციატივობის გამო „ღლავი“ ხელიდან გაუშვი.
816. ადამიანისთვის დამახასიათებელია ამაღლებაც და დაცემაც ყოველგვარი ფილოსოფიის და ინტრიგების გარეშე.
817. მართალია, ადამიანს არ უნდა უძახო: ყეყეჩი, უხიაგი, უსაქმური, მაგრამ არც ისე უნდა წაუყრუო, რომ ასეთად იქცეს, რადგან მისი გაორებულ-გაუხედნავი ბუნება საბოლოოდ გადაგვარდება, გაქრება და სამყაროც, ფაუნაც, ერთ პოტენციურად გამოსადეგ, ცოცხალ, არსებას დაკარგავს.
818. გულის კანონი ხშირად არ ეთანხმება გონებისას, სულიერება ხშირად მხარს არ უჭერს სხეულის ზრახვებს, ყური არ უჯერებს თვალს, სურვილი და ვნება ერთმანეთს ვერ უგებენ. შემეცნების წყარო მხოლოდ გონება არ არის, ასე, რომ ადამიანის კონსტრუქციაშიც ბევრი შეუსაბამობაა, რომლის აღმოფხვრა, ალბათ, შეუძლებელია.

819. ჩვეულებრივი მოკვდავი, რომელიც გონიერებაზე ამპარტავნებით თავს არ დებს, დიდებული ადამიანია.
820. გარდაუვალობა, შიში, ზოგჯერ სიყვარულის წინაპირობაცაა, ვაჟკაცობისაც და საკუთარი მეობის წარმოჩენისაც.
821. ყოველი სამართლიანი მოთხოვნა ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.
822. ანგელოზი არავინაა, მაგრამ ადამიანად დარჩენა უნდა შევძლოთ.
823. გაუწვრთნელი ადამიანი მიწაზე უფრო ხშირად იტეხს ფეხს, ვიდრე გაწვრთვნილი ცირკის ჯამბაზი ბაგირზე.
824. სული და ხორცი ცოდვებს ერთდროულად ინანიებენ და ერთმანეთს ეხმარებიან.
825. სიმდიდრე გონიერი, შემოქმედი, პატიოსანი, ადამიანის ხელში ბოროტებად არასოდეს იქცევა.
826. პიროვნების შეფასების ლაკმუსი, მისი ჭირში და არა ლხინში გამოცდაა.
827. ბედნიერებაა თუ ადამიანი ბოლომდე იხარჯება, რადგან ის თავის ფასს უკეთ შეიცნობს როგორც ამ, ისე იმქვეყნად.
828. საბრალო ჩვენი გონება – რამდენი საფიქრალ-საკეთებელი აქვს თავის წარმოსაჩენ-გამოსაჩენად.
829. საკუთარ თავზე გადაჭარბებულ ფიქრს ხშირად უბედობა და უბედურება მოაქვს.
830. გართობის სხვადასხვა სახეობა და „ჰობი“ რომ არ გამოენახა, ადამიანი დღემდე ვერ მოაღწევდა.
831. არის ადამიანური თვისებები, რომლის დანახვა მიკროსკოპითაც შეუძლებელია და როდის და როგორ წამოყოფს თავს, არავინ უწყის.
832. ჩვენს მომავალ შესაძლებლობებს საკუთარი თავის ჯობნა განსაზღვრავს და არა ჩვენი წარმოსახული ღმერთი.
833. სამყაროს გონიერების და დრო-სივრცის თანდათანობით დაუფლება ადამიანისთვის უმთავრესია.
834. ფაქტიურად ყველაფერზე გენი აგებს პასუხს და არა ადამიანის გული და გონება.
835. ბედნიერებაა, როდესაც ოპტიმისტად იბადები, თავს მოწყენის უფლებას არ აძლევ და ზოგჯერ მიზანსაც აღწევ.
836. დასამუნათებელი ადამიანი თავისი რაობით არასოდეს არ ჰგავს სხვას.
837. სულიერად დაჭრილი და ხორცით დაკოდილი ის ადამიანია, რომელიც ძალზე განიცდის ირგვლივმყოფთა გაჭირვებას და გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნას.

838. ასაკი, მოვალეობის შეცნობა და საქმიანობისადმი სიყვარულია, ადამიანს რომ აყალიბებს.
839. თუ ადამიანმა თავისი ქმედებისთვის პასუხი არ აგო, ის პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება.
840. მართალია, ადამიანის გონიერება პირუტყვისგან განსხვავდება, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის.
841. რწმენამ ზოგჯერ ზედმეტად თავის ატკივება იცის, მაგრამ ადამიანობა რომ შეინარჩუნო, აუცილებელია.
842. მდინარების საწინააღმდეგოდ სიარული, უპირველესად, საკუთარი მეობის წარმოჩენის სურვილის შედეგია.
843. ყველას გვინდა ვიღაცას და რაღაცას წარმოვადგენდეთ, თანაც სხვისი დახმარებით, ხელის გაუნძრევლად.
844. ადამიანი, რომელიც თავის სიტყვას ფასს არ ადებს, ყბედია.
845. სხვათაგან შექებას უნდა ვერიდოთ, მაგრამ არც უნდა ავკრძალოთ – უამისოდ ავტორიტეტის შექმნა ძნელია.
846. ადამიანის დანიშნულება მარად ახლის ათვისება-განახლებაა.
847. ალბათ, ადამიანს მაიმუნს იმიტომ ამსგავსებენ, რომ „მაიმუნობისკენ“ აქვს მიდრეკილება.
848. თვითდაკმაყოფილება ადამიანის უდიდესი მანკია.
849. ადამიანი ძლიერი, მოხერხებული, არსებაა თუ გონიერებას მოუხმობს და სიზარმაცისთვის წიხლის ჩაზელას არ დაიზარებს.
850. ადამიანი უხეში თიხიდან, ხის ფოთლებით ნაკვები ჭუპრიდან და მიწაში ჩამარხული რკინის მადნისგან ულამაზეს და საჭირო ნაწარმს აკეთებს და ამის შემდგომ გვინდა ვთქვათ, რომ ის უსუსური არსებაა?! მივცეთ დრო და თავის „განათლების“ წყალობით დედამიწას თავდაყირა დააყენებს.
851. ადამიანის ცნობადობას გული განსჯის და არა – გონიერება.
852. საკუთარი ნება, ეგოიზმი, გონიერების ფარგლებში, ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს, რათა სხვაც წარმოაჩინოს და თავადაც წარმოჩნდეს.
853. სნეულება ადამიანის რაობის შესანარჩუნებლად და ალიყურის საჭმევად არის განკუთვნილი, რათა თავის ადგილს ამ სამყაროში შეეგუოს.
854. მგლის ბუნების ადამიანს ლოდინი და თავის შეწუხება არ უყვარს, ის ყოველივეს ურიგოდ მოპოვებას ცდილობს.
855. ზოოფობია შიშია ცხოველების მიმართ, იხტიოფობია – თევზების მიმართ, პანოფობია – ყვავილების მიმართ, გინეფობია კი – ქალების მიმართ. ე.ი. ჩვენ კაცად დაბადებულ „ჩვართან“ გვაქვს საქმე,

რომელიც სამყაროს შემქმნელ არსებათა წინაშე პანიკურ შიშს განიცდის და თრთის.

856. ადამიანთა ცნობიერებას ხშირად ხელისუფალთა ოინბაზობა რყვნის და გადააგვარებს.

857. ადამიანს გონებასთან ჭიდილი ძალას ჰმატებს.

858. მარად ადამიანად დარჩენაა ძნელი და არა – შიგადაშიგ ადამიანად ყოფნა.

859. ადამიანები ერთმანეთს იცნობენ, ირჩევენ, შორდებიან, იშვიათად კი, თუ ბედმა ინება, შემორჩებიან.

860. მოთმინების ძალასთან და გონიერებასთან შერწყმა ერთეულთა ხვედრია.

861. ადამიანს უმთავრესად სიტყვა არცხვენს და არა – საქმე.

862. ზოგჯერ ადამიანს ცხოველობას ვაბრალებთ, მაგრამ ცხოველი დღესაც ვერ გარკვეულა რა საერთო აქვთ ოთხფეხებს ორფეხებთან.

863. ყოველივეს საკუთარი თვალებით უნდა შეხედო, რათა საკითხი საკუთარი მეობის შესატყვისად განსაჯო და დაამუღამო.

864. რწმენა და აფექტი ადამიანს აიძულებს გმირობა ან უგუნურება ჩაიდინოს, რაც დაბინდულ გონებას ძალას ჰმატებს.

865. ზოგჯერ ადამიანს კუთვნილზე მეტი უნდა უწილადო, რათა მისმა ბუნებამ „გამოანათოს“.

866. ადამიანი, რომელსაც არავისგან არაფერი სჭირდება, ან დებილია ან თავის ჭიას იხალისებს.

867. სხვათა ნაკლოვანებების აღმოჩენა ჩვენთვისაც მავნებელია, ვინ იცის, იქნებ სამეგობროდ გამზადებული ადამიანი დავკარგეთ.

868. სიბერე ხშირად დამსახურებას ამრავლებს და იმასაც მიიწერს, რაზეც მას თავის დროზე არც უფიქრია.

869. ადამიანის ბუნება-გუნება გაფრთხილებას მოითხოვს, თავის მოქაჩლებით და კონტროლით.

870. ადამიანი საქმის „წარმოებით“ უფრო შეიცნობა, ვიდრე მცდელობით.

871. ადამიანი სხვადასხვა ჰორმონის შესაცნობადაა მოვლენილი ამქვეყნად, რათა განგების ნაღვაწი და ადამის ნეკნიდან შექმნილი მრავალი ევას სურნელი დააჭაშნიკოს.

872. არის რაღაც, რაც ადამიანის ცნობიერებას არ უნდა ანდო, რადგან მასში გონიერების ნასახიც არ დევს. მაგ.: ტატუს დღევანდელი მოდა.

873. საკუთარ თავში სათუო გრძნობათა აღმოჩენა ყველას არ ძალუძს, რადგან შინაგანად ამისთვის მზად არ არიან.

874. რიდის უქონელ ადამიანს, სულ ცოტა, ალიყურთან „გასაუბრება“ ელის.
875. უაზრო მარტოობის ბზიკი ადამიანს არარაობად აქცევს საკუთარ ცნობიერებაშიც.
876. მარტოხელა ადამიანს არაფრის მიღწევა არ შეუძლია, მათ შორის გენიოსსაც რადგან მასაც ხალხის გარემო სჭირდება დასაკვირვებლად, სიახლის აღმოსაჩენად.
877. საიდუმლოებას თუ განდობ, ე.ი. ჩემდაუნებლიედ მეგობრობასაც ავტომატურად გთავაზობ.
878. ადამიანები, რომლებსაც რატომ და რისთვის ცოცხლობენ, არ აინტერესებთ, უბრალოდ არსებობენ და ამითაც კმაყოფილები არიან.
879. რატომღაც ყოველთვის საწინააღმდეგოს კეთება გვაინტერესებს და ესაა, ალბათ ადამიანის ბუნება.
880. ზოგჯერ სიბერესაც გაჯიქება სჭირდება, რათა ყველას არ მიავიწყდე და თავსაც შეუძახო.
881. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მე ადამიანის ბოლომდე წესიერების, უმწიკვლოების, არ მჯერა, გამოცდილება მაქვს ასეთი.
882. ადამიანად რომ იქცე, ყველაზე ცოტა, შიშის დაძლევაა საჭირო.
883. სიკვდილის შიში ყოველთვის თან გვახლავს, მაგრამ უფრო მეტად იმქვეყნიურის შეუცნობლობა გვაშინებს.
884. უნაკლო ადამიანი ამ სამყაროში საცხოვრებლად არ გამოდგება.
885. ვისაც საკუთარი მეობის წარმოჩენისთვის გარჯა ეზარება, ის სიკეთის ღვთაებრიობას ვერასოდეს ეზიარება.
886. ბევრი ჩვენგანი ძილის წინ „ნაყოფიერად“ ფიქრობს, მაგრამ უმთავრესად, უშედეგოდ.
887. თავითკმაყოფილება, ფუფუნებისკენ მისწრაფება და გარყვნილებისკენ მიდრეკილება ადამიანობის დაღუპვის პირველი სიმპტომია.
888. „უგულო ადამიანის“ გული იმიტომაცაა გაყინული, რომ მისი გალღვობა სერიოზულად ჯერ არავის უცდია.
889. ზოგჯერ თავის გამოჩენის სურვილი ადამიანში იმდენად დიდია, რომ მოსალოდნელ პოპულარობას სისულელის ჩადენითაც არ ერიდება.
890. დანაშაულს ხშირად აფექტში, წინასწარ განუსჯელად სჩადიან, ამიტომაცაა, რომ გონიერების მუხრუჭები მუდამ წესრიგში უნდა გვქონდეს.
891. უცოდინრობა, მოსმენის უუნარობა, სიახლისადმი გულგრილობა, ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდი მანკია.

892. ადამიანს ანგელოზად ყოფნა არ სურს, უბრალოდ თავის ასეთად მოჩვენებას ცდილობს.
893. ხშირად ადამიანს არსებობასა და ცხოვრებას შორის ხაზის გავლება უჭირს.
894. ადამიანად ამაღლებას არც ფუფუნება შველის და არც გაჭირვება, ისევ სჯობს მოწონებული გენით დაიბადო.
895. შექების და თავის წარმოჩენის სურვილი ყველაზე უპრეტენზიო ადამიანსაც ენერგიას მატებს.
896. განათლებული ადამიანი მსჯელობს სურვილებით, მეცნიერი კი გამოცდილებით და შედეგით.
897. ცოდვას არც საზღვარი აქვს და არც – გამართლება, მაგრამ შინაგანი საზღვრების დადგენა თავადვე უნდა შევძლოთ, რადგან ადამიანი მაინც სუსტი, მერყევი და დროის ყივილს აყოლილი არსებაა.
898. საკუთარი თავის მართვის უნარი საუკეთესო თანდაყოლილი ნიჭია.
899. ყველაზე დიდი მტერი ჩვენი მოუთოკავი უხიაგი და გაურანდავი ჩვევებია.
900. თუ საჭირო პიროვნება ხარ, ხვევნა-კოცნას არც მტერი დაგაკლებს და არც მოყვარე, ერთი – რიდით, მეორე – მოურიდებლად.
901. ხშირად ადამიანის გამოსაცნობ კოდს მასთან საუბარი გვიხსნის.
902. ადამიანი ყოველთვის ვერ აფასებს იმას რაც აქვს, რადგან ყოველთვის მეტი უნდა და ისიც – მუქთად.
903. ადამიანი სხვას რჩევებს ადვილად ურიგებს, ხოლო თავისთვის გადანახულ რჩევებს დიდხანს აღვინებს.
904. შეცდომა ყველას მოგვდის და ეს მისაღებიცაა, მაგრამ გამოუსწორებლის ჩადენას უნდა ვერიდოთ.
905. პირველ რიგში, ადამიანები ვართ ჩვენივე სისუსტით, მერმე ვართ ქვეყნის, ერის და რწმენის შვილები.
906. გონიერების კულტის დაჭიტლაყებას, ჩვენდაუნებლიედ, ყველა ვაფერხებთ, ზოგჯერ თავის მოწონებით.
907. ადამიანს ღირსება არ აკლია, თუ რწმენას იქონიებს და ხელის განძრევა არ ეზარება.
908. ადამიანს დაღვინებამდე გრძნობები მართავს და არა დრო.
909. ადამიანი, უპირველესად, ტრადიციებს, რწმენას, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს, უნდა ვაზიაროთ და შემდგომ – განათლებას.
910. იყო კმაყოფილი საკუთარი ქმედებით, სიმდიდრეა, თუ სრულ ჭკუაზე ხარ.
911. თავი უნდა გვიყვარდეს, მაგრამ არა უგუნურების დონეზე.

912. სიზმარი გადაღლილ გონებასთან აბსურდული ჭიდილია, რომლისგანაც ქვენა ბუნების ფანტაზია რაღაცას გამოადნობს.
913. ადამიანი შინაგანად მარად უხილავი არსებაა, თუნდაც ჩვენს გვერდზე იდგეს.
914. ეჭვიანობა მაინც თანდაყოლილი სათავისო ბუნების შედეგია, რადგან მის გარეშე უკონტროლობა ფოფინდება და ადამიანთა მოდგმა აღიგვება.
915. ისეთ ადამიანს უნდა დაუახლოვდე, რომლის საჩუქარი არც შეგაშინებს და არც გაგაკვირვებს.
916. ადამიანმა ყველას და ყოველივეს წინაშე პასუხი უნდა აგოს, თუ მას გონიერი ხელისუფალი ჰყავს.
917. ადამიანი საკუთარ თავს ხშირად იმ ფასს ადებს, რა ფასადაც არასოდეს გაიყიდება.
918. ნაკლი ყველას გვაქვს, მაგრამ მის გამოსწორებაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს.
919. ადამიანი, რომლისთვისაც ყოველივეს სულიერება განსაზღვრავს და განსჯის, გონიერ და საჭირბოროტო კითხვებს ვერ დასვამს.
920. სიცილი ადამიანის ცნობიერების გაჯეჯილებას ხელს უწყობს.
921. სიმდიდრე–სიღარიბე ადამიანის რაობას განსაზღვრავს, მაგრამ არ განსჯის.
922. ადამიანის მოტყუება ადვილია, მაგრამ გულუბრყვილობისთვის მისი გამართლება – ძნელი.
923. ადამიანი მარად შეუმჩნეველი რჩება, რაც უნდა კარგად იცნობდე და რა წარმოდგენაც გქონდეს მასზე.
924. ზოგი ადამიანი უჯიშო ხესავითაა, ძირს გაუფხვიერებ, მორწყავ, გადაყვები და მაინც უხეირო იზრდება.
925. ადამიანი ადრეულ ასაკში ყალიბდება, მაგრამ ზნეს და ფერს დროის, გარემოს და გამორჩენის შესატყვისად იცვლის.
926. ადამიანები არ იცვლებიან, თუ ისინი ერთმანეთს განგების ნებით ეთვისებიან.
927. ზოგჯერ ადამიანი საკუთარ საქციელს ვერ უგებს, მაგრამ ეგუება.
928. იმედგადაწურული ადამიანი ახლოს არ უნდა გაიკარო, დაგასეენიანებს, დაგთარსავს.
929. მარად და ყველგან იმედის შენარჩუნება დიდსულოვნებაზე მიუთითებს.
930. მეგობრის შერჩევაში, დროსა და გარემოსთან ერთად, ბუნების ძალებიც უნდა დაგვეხმარონ.

931. ასაკოვანმა ადამიანმა თავი ან მუშაობით უნდა გაირთოს ან ლაქლაქით.
932. ადამიანს დაცემის უფლება არ უნდა მივცეთ, თორემ წამოყენება გაჭირდება.
933. თუ შენს გემოვნებას არ იზიარებენ, საწყენია, თუ შენ არ იზიარებ – ჩვეულებრივი მოვლენაა.
934. არც ჩვენს უვიცობას აქვს საზღვარი და არც ჩვენი ცნობიერების მცდელობას.
935. რატომღაც ადამიანი დიქტატისგან გათავისუფლებას იმიტომ ცდილობს, რომ სხვა დათრგუნოს.
936. შენზე რაღაცით ნაწყენი ადამიანი უგუნურების ქვას როდის გესვრის, არავის უწყის.
937. არაორიდინალურ და ყველასათვის საყვარელ ადამიანს მეგობრობას ნუ შესთავაზებ, ჯობს მისი ამხანაგობა, ნაცნობობა, დაიბრალო.
938. ადამიანად ქცევას შინაურებთან ხშირი გაპაექრება სჭირდება.
939. სიტყვით ადამიანის განკურნებაც შეიძლება, გააჩნია ჩვენ ცნობიერების მეგაბაიტს, ტემბრს.
940. გონიერება, გამოცდილება, აუცილებლობა, ბუნების მიერაა ნაკარნახევი, სიბრძნე, უმეცრება, საზრიანობა – ინსტინქტებით.
941. ზოგჯერ სხვისთვის შეძახება საკუთარი თავისთვის შეძახების ტოლფასია.
942. მარტო დარჩენილი ადამიანი ცოდვას სჩადის, თუ უგუნებო ხასიათზეა.
943. სიმდიდრის მიუხედავად, ზოგი თავისი ცნობიერებით მაინც ღარიბი რჩება.
944. ადამიანი ბედნიერების მონაა.
945. საკუთარ თავს ყველაზე მეტად თავად ადამიანი ღალატობს თავის უცნაურობებით, უნიათობით, უაზრობით.
946. სიკვდილს ადამიანი ვერსად დაემალება, თუ იმქვეყნად წასვლაზე რეზოლუცია დადებულია.
947. ადამიანმა ზოგჯერ თავის თავში ისიც უნდა აღმოაჩინოს, რის მოძიება თეორიულადაც შეუძლებელია.
948. საკუთარ თავს რომ ბევრ რაღაცაში დაეთანხმო, ისიც ბევრს ნიშნავს.
949. შენთვის მიუღებელი ბუნების ადამიანს თუ შეისწავლი, მისი ატანა, ასე თუ ისე, შესაძლებელია.

950. მოყვასის შეურაცხყოფას ბრიყვი დაურიდებლად სჩადის, რაც მისი უგუნურებაა კვადრატში.
951. ადამიანი ვერც რჩევას იტანს და ვერც არასრულფასოვან ქმედებაზე სიტყვის გადაკვრას.
952. თანდაყოლილ ცოდვებს ბოლომდე ვერ ვჯობნით, მაგრამ დროდადრო მისი მოთოკვა და სადღაც გამოსწორებაც შესაძლებელია.
953. ინსტინქტი, ცნობიერება, ცდა, სიახლის კეთების და თავის შეცნობის საუკეთესო საშუალებაა.
954. უგერგილო ადამიანი მარად „განტევების ვაცის“ ძიებაშია, რათა თავისი უხიაგობა სხვას გადააბრალოს.
955. ხასიათს შეუძლია იყოს: კლასიკური, რომანტიკული, პრინციპული. გააჩნია, რა საკითხი აქვს მოსაგვარებელი.
956. მოვალეობის გრძნობაა ადამიანის კეთილგანწყობის „ანიც და ბანიც“.
957. ადამიანი სასარგებლოა, თუ ის მრავლდება და ამ საქმეში სხვასაც ხელს უწყობს ე.ი. კვლავწარმოება არ წყდება და სიცოცხლის გაგრძელებას ემსახურება.
958. ადამიანად ჩამოყალიბებაზე თაობები საუკუნეების განმავლობაში იღვწოდნენ.
959. ადამიანი ყველაფრის უფლებას იტოვებს, რაზეც ხელი მიუწვდება თუ ამით არ დაზარალდება.
960. წინამორბედთა ნაღვაწის გაცნობიერებაა, ადამიანებად რომ გვაქცევს.
961. უნდა ეცადო ყველგან პირველი იყო, მაგრამ ადამიანადაც უნდა დარჩე.
962. ადამიანის რაობა სინამდვილეში არ ისაზღვრება, არც იწონება იმდენად გამოუცნობია.
963. ადამიანი თუ არაადამიანად არ იქცევა ისიც ბედნიერებაა.
964. ადამიანის ნამდვილი სახე გართობისას, პურობისას და გაბრაზების დროს მჟღავნდება.
965. ძნელია იმ კაცისაგან რაღაც ისწავლო, ვისაც პატივს არ მიაგებენ და ჭკუითაც ვერ დაიკვეხნის.
966. ადამიანს სათავისო ბევრი რამ ამახსოვრდება, გარდა სიკვდილისა.
967. ადამიანის რაობა თავისი „მეს“ ძიებაში მჟღავნდება.
968. საკუთარი თავის ოპონირებით გაჯეჯილება დიდად სასიკეთო საქმეა.
969. ადამიანი იმითაც ბედნიერია, როდესაც მისი ნახლაფორთალ-ნაჩალიჩარი აზრები ბრძენისას შეეფრთხიალება და ემთხვევა.

970. ადამიანი განგების მოჭარბებული წყალობითაც კი უკმაყოფილოა და მაინც მეტი უნდა.
971. ხშირად ადამიანის მსოფლმხედველობის შეცვლა კი არა, მისი დროებით დასუფთავებაც კი შეუძლებელია, იმდენად „პრინციპულია“.
972. თუ შენს მახვილგონიერებაზე იცინიან, ჩათვალე, რომ უკვე პიროვნება ხარ.
973. საკუთარ თავს უაზროდ ბევრს ვპატიობთ, ესაა ჩვენი უპირველესი შეცდომა.
974. რატომღაც ყველა პატარა, მათ შორის მოცულობითაც, ამბიციურია.
975. კეთილ ადამიანს, უბრალოდ, სხვისი სჯერა და არ სჭირდება ფიციმტკიცი.
976. ადამიანს ცხოველზე მაღლა მეტყველების უნარი აყენებს და არა ინტუიცია, რომელიც ცხოველზე უარესი აქვს.
977. ბრიყვზე ბედნიერი არავინ იქნებოდა, ზოგჯერ რომ თავის მოთოკვის უნარს ფლობდეს.
978. ადამიანი უძლიერესი ცხოველია მოხერხებით და არა – ძალით.
979. ეტყობა ადამიანად ქცევასაც, არამარტო სურვილი, ინტენსიური ვარჯიშიც სჭირდება.
980. თითქმის შეუძლებელი განხორციელდება, თუ გინდა თავს პატივი მიაგო.
981. განწირული ადამიანის ყვირილი დიდხანს ყურში გვიწივის და გულს გვიღრღნის.
982. ადამიანს ზოგჯერ აქვს კითხვები, რომლზეც პასუხის გაცემა განგებასაც უჭირს.
983. უვიცს სურვილის მიუხედავად, ძალზე უჭირს სწავლულის როლის გათავისება, თანაც გაამაყებით.
984. ფიქრით სამყაროს შეცვლას ვცდილობთ, მაგრამ ჩვენი ცნობიერების მეგაბაიტი ამისათვის ოცნებითაც კი მზად არ არის.
985. მიზნისკენ სწრაფვა ადამიანის რაობაზე მიუთითებს.
986. ქალს მისთვის თავის გასულელება და თავის მოგიჟიანება ძალზე მოსწონს, მიუხედავად იმისა, სერიოზულად ფიქრობს ამ მამაკაცზე თუ არა.
987. ადამიანის მიერ ჩასადენ სიბრიყვეთა ჯამი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩაუდენია.
988. დღეს ადამიანებს შორის განსხვავებას პიარი ქმნის და არა – მათი დამსახურება.

989. ზოგი სასწაული ბოდვად გადაიქცევა, მაგრამ ადამიანთა მოდგმას ეს არ აშინებს.
990. ადამიანის განსჯა უმადური საქმეა, იმდენად მრავალფეროვანია მისი ბუნება და ხასიათი.
991. ასაკში საკუთარი ფოტოს დანახვა არ მოგვწონს, მაგრამ ვეჩვევით.
992. ადამიანის ქცევას ზოგჯერ დროის ჭიტლაყი და განგების თავში წამორტყმა სჭირდება.
993. ადამიანის ბიოგრაფია საცნობიც უნდა იყოს და გამოსაცნობიც, თუ გვსურს ვენდოთ.
994. ყველაფრის საკუთარ თავში პოვნა შეუძლებელია, თუ ცოტა „გვერდზეც“ არ გაიხედე.
995. ადამიანი თავის გადასარჩენად ბევრ ცოდვას სჩადის, მაგრამ უმეტესად, გარდაუვალს და დროისთვის აუცილებელს.
996. ადამიანისთვის სიხარულის მინიჭება ყოველდღიურობად უნდა ვაქციოთ.
997. ადამიანი მუდამჟამს საპირისპიროს ძიებაშია და ავად თუ კარგად რაღაცას პოულობს.
998. საკუთარ სურვილებს ფლობა და ვარჯიში სჭირდება, რომ უფრო აქტიურად იღვწოდეს.
999. ადამიანს ასაკისთვის სახასიათო შეცდომები არ ელევა.
1000. მამობრივი სასჯელი ასტანია და სასარგებლოც, მაგრამ ამას ასაკში და დროში გაჯეჯილება სჭირდება.
1001. სექსუალური ლტოლვა ადამიანს გონებას უხშობს, მაგრამ სიამოვნების საზღვრებს უსასრულოდ უფართოებს „გარკვეულ მომენტამდე“.
1002. ადამიანებისთვის უმთავრესია წინაპართა მოვლილი საფლავების მონახულება ისე, რომ არ შერცხვეს.
1003. ბედნიერი სიბერის შეცნობა, მხოლოდ ირგვლივმყოფთა დაბერების შედეგად ხერხდება.
1004. მარცხენა და მარჯვენა იმიტომაც არსებობს, რომ ყოფას ალღო აუღო და შენი გზა მოიძიო.
1005. საკუთარ ნაკლოვანებებს, გასააზრებლად და გამოსასწორებლად, მახსოვრობის ალიყურით გამოფხიზლება სჭირდება.
1006. გონიერება წარმატება-წარუმატებლობას არ იმჩნევს.
1007. ძირითადად საკუთარ ჭკუას უნდა დავეყრდნოთ, მაგრამ ზოგჯერ შესაძლებელია სხვათა ჭკუის ნაცოხნ-ნაოფლარი გამოვიყენოთ.

1008. საკუთარ თავს თუ არ იცოდებ, შეიძლება უეცრად ხელში შემოგადნეს.
1009. ადამიანთა უმრავლესობას თავიანთი ინტერესები აწუხებთ, მხოლოდ ერთეულებია რწმენას და თავიანთ მეობას რომ ებღაუჭებიან.
1010. ადამიანთა უმრავლესობა ეტყობა „მონად“ იბადება, რადგან თავისი შეხედულება ამ საკითხზე, არ აქვს.
1011. დიდი ადამიანისგან ქების მოსმენა სიამის მომგვრელი დიაგნოზია.
1012. არის გასახსენებელი, რომლის ტირაჟირება არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ მისი გახსენება ღიმილს და სიამოვნებას ერთდროულად გვანიჭებს.
1013. ძილის წინ შენი დღევანდელი საქმიანობის კრედიტ-დებეტის განხილვა, მეორე დღისთვის საქმის საკეთებლად აღგვაზნებს.
1014. ჩვენ ყველანი მაინც არასრულფასოვნები ვართ, იმისდამიუხედავად, ტვინი თავიდან ჟონავს თუ არა.
1015. ადამიანთა საქმიანობას უნდა დავაკვირდეთ და არა – მათ დაპირებას და სიტყვას.
1016. საკუთარი თავის მართვის დაუფლება სხვათა მართვის უნარის სინონიმია.
1017. ადამიანმა საკუთარი თავის წარმოჩენა რეალიზაციით უნდა ისწავლოს, სხვათა თვალის შევლება – მოწონებით.
1018. ერთმა შემთხვევამ შეიძლება გმირად და ცნობად ადამიანად გაქციოს, ხოლო მოქალაქედ გახდომას შეიძლება მთელი ცხოვრებაც არ ეყოს.
1019. არასრულფასოვნებაც ადამიანურ განცდას ემორჩილება.
1020. ჭეშმარიტი სიყვარულ-სიძულვილის დადგენა, ურთიერთშერწყმის უნარს ემორჩილება.
1021. მშობლები გვაჩენენ, დრო გვზრდის, ხოლო ასაკთან ჭიდილი ადამიანად გვაქცევს.
1022. მარად წინ ყურება უკვდავების და წარმოჩენის გარანტიაა.
1023. მარტოობა ხშირად თავის გადამოწმება-შემოწმების საშუალებაა მახსოვრობის და გონების მოხმობით.
1024. ზოგჯერ გონებით ყრუ არავის რჩევას ყურად არ იღებს.
1025. შედეგის მისაღებად სიმართლის თქმასაც ფორმა, ფაბულა და გონების წახმარება სჭირდება.
1026. წესიერ ადამიანს საფლავიც ასევე წესისამებრ უნდა ჰქონდეს მოვლილ-გამართული.

1027. ძნელია იმ ადამიანს ელაპარაკო, რომელიც ზოოპარკში მცხოვრებ ლომობაზე თავს დებს, ტყეში გასეირნების პრეტენზიით.
1028. მოსმენის უნარი საერთო ენის გამონახვა და ნაჩქარევი დასკვნებისაგან თავშეკავების საშუალებაა.
1029. სიბერე დანიშნულების ადგილზე მისვლას, მოკლე, აღმართიანი გზის ნაცვლად, გრძელი დაღმართის გზით ამჯობინებს, რადგან დრო აქვს, მაგრამ ჯანი არ მოსდევს.
1030. ზოგჯერ ასაკში გვიდგება ისეთი პერიოდი, როდესაც შემთხვევითი ხალხის დანახვა და ბრიყვების მოსმენა არ გვინდა, იმდენად ამაღლებული გვეჩვენება საკუთარი თავი ირგვლივმყოფებთან შედარებით.
1031. ლოთობა უგუნურებას ეჭიდავება და რატომ, თავადაც ვერ გარკვეულა.
1032. გულკეთილს სახეზე ეტყობა და მას ძაღლიც კი არ დაუყეფს.
1033. ნდობა სიცოცხლეს ალაღებს, ახალისებს და ახანგრძლივებს.
1034. სხვისი კრიტიკა გვართობს და გვსიამოვნებს, განსაკუთრებით, თუ ვინმე ყასიდად მხარს გვიჭერს.
1035. ადამიანის აზარტს საზღვარი არ აქვს, მან ყველაფერი საუკეთესო დროულად უნდა დააჭაშნიკოს.
1036. წერის მანერა გამოხატავს ადამიანის გრძნობას, გემოვნებას, მსოფლმხედველობას.
1037. ადამიანების უპირველესი ღირსებაა: ენაზე კბილის დაჭერა, აფექტში თავის შეკავება და მოყვასის სიყვარული.
1038. ადამიანის წინათგრძნობა უფრო სანდოა, ვიდრე გონიერება.
1039. ყველა შეცდომის პატიება შეიძლება, თუ ის წინასწარგანზრახვით და უგუნურებით არ იყო ჩადენილი.
1040. უსაქმური ვერც ვაჟკაცი იქნება და არც ჭკუა მოეკითხება.
1041. ადამიანი თავისი რაობის საწყისს ვერასოდეს ჩაწვდება, ფანტაზიის მიუხედავად.
1042. ადამიანის შეფასებისას მისი აზროვნების შესაძლებლობა ყბედობის უნარში არ უნდა აგვერიოს.
1043. ყველა ჩვენგანი, შედეგის მიუხედავად, თავს ფასს ადებს ყოფიერების ფსონში ჩასადებად.
1044. უბედურება გულმა უნდა განიცადოს, სულმა იგრძნოს და არა – მხოლოდ ყოვლის განმსჯელმა გონიერებამ.
1045. გემოვნებას გონიერების განსჯა წინ ვერ უდგება, რადგან ადამიანის ბუნება ასეთია.

1046. გმირი ნებსით თუ უნებლიედ, სხვათა პრობლემების გადაჭრას ეწირება.
1047. გრძნობათაღელვა ბრიყვს და ჭკვიანს ერთნაირი აქვთ, მაგრამ შედეგია განსხვავებული.
1048. სისულელის ჩადენისას ადამიანი უფრო გულს ეყრდნობა, ვიდრე ჭკუა-გონებას.
1049. გონიერებისთვის ბოროტებაც და სიკეთეც ერთნაირად გასაგებია, რადგან მას ბუნების კანონზომიერების ესმის.
1050. გრძნობები, მეობა, აზროვნება, დაუხურდავებლად უნდა შევინარჩუნოთ.
1051. მოგვაწერენ, მივიწერთ, სინამდვილეში ესაა ადამიანის შეფასების კრიტერიუმი.
1052. გემოვნებასაც სხვადასხვა უცნობი და ცვალებადი წმინდანი ჰყავს, გარკვეული დროით და გარკვეულ დრომდე.
1053. სიყმაწვილე სიბერეში როდის გაგვეპარება და სიბერე სიყმაწვილეს როდის დაუბრუნდება, არავინ უწყის.
1054. ბავშვების მართვა გაცილებით ძნელია, ვიდრე დიდების, რადგან ეს უკანასკნელი კარიერაზე ოცნებობს, ხოლო ბავშვებს ეს არ აინტერესებთ.
1055. ჭკვიანური გამომეტყველება მისი გონიერების ალგორითმის ამოხსნის უნარზეა დაყრდნობილი.
1056. განათლება შრომის გასალაღებელი საშუალებაა, სიახლის აღქმის უნარით.
1057. გული ყველაზე უკეთ გრძნობს თანამეინახის გულის სიწმინდეს და მისწრაფებებს.
1058. ზოგის მცირედი ანცობა ღიმილს გვგვრის და არ გვავიწყდება, ეტყობა, ორიგინალობის გამო.
1059. გულს გრძნობათაღელვა აყალიბებს და აყალბებს გარემოს შესატყვისად.
1060. ყველა განზრახვა ფრთაშესხმული უნდა იყოს, რათა მან თავისი „მე“ დაიკმაყოფილოს.
1061. გაბრაზება გულის ქავილს დანანებით იწვევს.
1062. ადამიანის ქცევის უგუნურებას, ტექნიკური პროგრესის მრავალჯერ გაჯეჯილებაც არ შველის.
1063. ჩაგვთვალონ ფილოსოფოსად, გვაამაყებს, მაგრამ აქ სახარბიელოს მოძიება ძნელია.
1064. ადამიანებს თავზე ძალის დატანება, ჭკუის მოხმობა, უჭირთ, რაც პიროვნებად დაბადებულებს არ ეხება.

1065. ადამიანი რომელიც რჩევებს ყურად არ იღებს, კვლავ გასარანდავია.
1066. თავზე წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ, მაგრამ სხვას არ უნდა ვამცნოთ.
1067. ძლიერი და დიდი მოცულობის ადამიანები უმთავრესად კეთილები არიან, რადგან სისაძაგლით მათი სხეული ნაკლებად სენიანდება.
1068. უმიზნო ადამიანი ცოდვაა, რადგან ის ამქვეყნად მოვლინებას ვერ ამართლებს.
1069. ზოგი, ცოდნა-გამოცდილების ნაცვლად, ასაკში მხოლოდ წლებს გვთავაზობს და პატივის მიგებასაც მოითხოვს.
1070. ჩვენს ჭკუაზე მოთარგმნილი თავაგდასავალი სიამოვნებას გვანიჭებს.
1071. ხშირად ეშმაკობას სიბრძნის საწყისებთან მივყავართ და გონიერ ადამიანად წარმოგვაჩენს.
1072. ადამიანი ისეთივე უნდა დარჩეს, როგორიცაა, რადგან ადრე თუ გვიან, ერთმანეთს ვეგუებით.
1073. საკუთარი სიბრიყვის დანახვა თავის გადაფასებას გვაიძულებს.
1074. სინანული ჩვენს გენეტიკურ რაობას ვერ ასწორებს.
1075. ჭკუამახვილობა ადამიანს საინტერესოსაც ხდის და უსიამოვნოსაც, ამიტომ მას ხშირად ერიდებიან.
1076. ვნებას ზღვარის შეცნობა უჭირს და ვერც მუხრუჭებს იყენებს დროულად.
1077. ვნებას ყოველთვის ვეთაყვანებით იმის მიუხედავად, მის შესაძლებლობებს ვიყენებთ თუ არა.
1078. ხასიათსაც თავისი ხერხემალი აქვს, მაგრამ ზოგჯერ „უტვინო“.
1079. გზააბნეული, სასოწარკვეთილი ადამიანი იმქვეყნად გადაბარგების წინააღმდეგი არ არის.
1080. ზოგი სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთში ადგილის დაჯავშნას ცდილობს.
1081. საოცრება თუ ჩვენი მოვლინებაა ამქვეყნად, დანიშნულება ისაა, თუ რას ვტოვებთ და რით დავამახსოვრებთ თავს შთამომავლობას.
1082. ორფეხა ცხოველი, რატომღაც, მარად ანგელოზის ფრთების გამობმის ცდაშია.
1083. ცოდვების საბოლოოდ მონანიებას ვერც ამქვეყნად ვასწრებთ და ეტყობა, ვერც იმქვეყნად მოვასწრებთ, ასეთია ადამიანის გულმავიწყობის შედეგი.
1084. თავის მოწონებასაც ცოდნა უნდა გადამლაშების და დავიწყების გარეშე.

1085. მეხსიერების ღალატი გონიერების ჭრაჭუნის სინონიმია.
1086. საკუთარი თავის შეცნობის ხარისხით ირგვლივმყოფთ განსაზღვრავ და ადგენ.
1087. ადამიანს ზედმეტს ნუ მოვთხოვთ, იგი ისეთივე მოკვდავია, როგორც ყველა.
1088. უძლურებას, ჩვენდა გასაკვირად, ბევრი უარყოფითი თვისება აღმოაჩნდა.
1089. მეტყველება ამჟღავნებს ჩვენს რაობას.
1090. პირადი ინტერესები, ხშირად, კანონიერების ჩრდილსაც იყენებს.
1091. ხშირად ჩვენს სურვილებს ჩვენი კაცობის პარამეტრები ადგენენ.
1092. მარტოობის დღესასწაული მის ქომაგთა ხასიათს განსაზღვრავს.
1093. სიბერეს გონიერი ეპითეტებით ამკობენ, მაგრამ „უგუნურ“ ჯეელობას მაინც ვერ შეედრება.
1094. სამართალს ადამიანის ბუნება-გუნება ეძებს და არა – მისი რწმენა და პარტიულობა.
1095. სხვათა დახასიათების მცდელობა საკუთარ დახასიათება-ბუნებას ეხმაურება.
1096. კარიერას ის ქმნის, ვინც უძლურს უთმობს, ძლიერთან ღირსებას ინარჩუნებს და იცის ზემდგომთან როგორ წარმოჩნდეს.
1097. თუ ნაკლი მოგვწონს და გავითავისეთ, ის უკვე ნაკლი აღარაა, რადგან მისით წარმოჩენას ვცდილობთ.
1098. მიცვალებულზე „კარგს ამბობენ ან არაფერს“, ამიტომ აქ სიმართლის გატირაჟება ხშირად უხერხულია.
1099. ბრიყვები თავიანთი „გონიერებით“ კომედიებს აწყობენ და აღფრთოვანდებიან.
1100. მიცვალებულსაც იმქვეყნად თავისი „ბაითი“ სჭირდება.
1101. რეალობაში თავის შეცნობა ჭირს.
1102. წარმატება-წარუმატებლობა, ბრიყვი-ჭკვიანის აღქმა, დაუფასებელი უნარია.
1103. ვნებას კონკრეტულად რა სურს, თავადაც ვერ გაუგია.
1104. სანამ ადამიანს გაიცნობდე, მასში პიროვნებას ხედავ, გაიცნობ და ფართე მოხმარების ადამიანი შეგრჩება ხელში.
1105. ადამიანი ყოველთვის უნდა იხარჯებოდეს, რომ თავისი მეობა აზეიმოს.
1106. შვილებს ვუყვარვართ, განსჯასაც არ გვამადლიან და ბევრსაც გვპატიობენ, როცა ასაკი მუხანათურად წამოგვეპარება.
1107. მდუმარებას მრავალი სიდიადე ახლავს, პირობით იქნება თუ უპირობოდ.

1108. დიდი ადამიანის ბუნება წვრილმანებზე არ ხურდავდება.
1109. ყველა დიდი ადამიანი თავის თაობის მეანდერძეა.
1110. ბედნიერებას იმსახურებენ და მერმე ფლობენ, გარკვეული გამონაკლისის გარდა.
1111. „გასულელება“, ჩვენს მეს ხშირად თავის დაუკარგავადაც ეხერხება.
1112. ბედნიერება ხშირად სიფრთხილეს გვერდზე მოისვრის და უკონტროლოდ ცხოვრობს.
1113. ადამიანი – მგელი, მაინც ადამიანია.
1114. ყველა გენიოსი გაუგებრობის, გაჭირვების, ფესვებიდანაა აღმოცენებული, ხელის წამოკვრაზე დამყნობით.
1115. ადამიანი შეუჩვეველსაც ეჩვევა თუ ამ უცნობ „ურჩხულს“ ხშირად იხილავს.
1116. დაუძალებლადაც ადამიანს ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა მისდაუნებლიედ უხდება.
1117. ცხადია, დედას არ უნდა ვაწყენინოთ, მაგრამ შეიძლება ჩვენი ხუშტურებით გავაჯავროთ, ოღონდ ასაკის შესატყვისად და გარკვეულ დრომდე.
1118. სწავლა ბედნიერების და დღეგრძელობის შეგრძნებას შეძლებისდაგვარად გვიხანგრძლიოვებს.
1119. გონებრივი განვითარება და ჭკუის მატება შესაძლებლობათა გაფართოებას, სტატუსს, მოითხოვს.
1120. სწავლა, ბედთან ერთად, ბევრ სხვა სიკეთეს გვაძლევს.
1121. უწიგნურობას, ცოდნის შეძენის მიმართ ყალთაბანდობას, ასაკში ყველა ემდურება.
1122. უპირველესად მზის ქვეშ ადგილის დაკავებაა მთავარი, რათა შენი ადგილი იცოდე ამ სამყაროში.
1123. გრძნობებით მსჯელობას, ფაცი-ფუცს, არაფრის აღქმა, გაგება, არ შეუძლია გარდა ემოციების ფრქვევისა.
1124. ჭკუის მეტი თუ ადამიანს არაფერი აბადია, ეს მის პრაქტიკულ უჭკუობაზე მიუთითებს.
1125. ჭკუა მატერიალურია და გონიერებისგან განსხვავებით, პირველ რიგში, რაიმე ხელშესავლების მოპოვებისთვის უნდა იღვწოდეს.
1126. წინ აუჩქარებელი სიარული, სანამ დრო და ასაკი მხარს გვიბამს, უყოყმანოდ უნდა შევძლოთ.
1127. ადამიანი ბუნებას უნდა გამორჩეს რაღაცას და კუთვნილიც უნდა დაუბრუნოს.

1128. რეალობაში ადამიანის გარდაქმნას, არავითარი რწმენა, ტექნიკური პროგრესი და წარღვნისადმი შიში არ შველის.
1129. ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაა დატოვოს საბუთი, რომ ის ამქვეყნად მოვლენილი იყო და ცხოვრობდა.
1130. ადამიანი უგუნური ორფეხა ცხოველია და ეტყობა ამიტომაც იქცა იმად, რაც არის.
1131. თავისქება ადამიანს არ ამაღლებს, მაგრამ პიარისთვის ადგილს ტოვებს.
1132. გამბედაობას გონიერებასთან თანადგომის უნარი დაქვეითებული აქვს.
1133. გამომეტყველებით ადამიანის რაობის გამოცნობა შეიძლება, ღიმილით – თუ რაზეა „წამსვლელი“.
1134. რეგვენის ჭკუა მდუმარეა, იმდენად, რომ რეგვენად თავის შეცნობასაც ვერ ახერხებს.
1135. ჯეელი ვნების ყურმოჭრილი მონაა, ასაკი – ვნებაზე ენით ნაჭორავების.
1136. მოთმინება სიმამაცეა გარკვეულ დრომდე და გადამლაშებამდე.
1137. დაურიდებელი და მწარე ენის მქონე ადამიანების მიმართ, რატომღაც, ყველა მორიდებული ხდება.
1138. გულის ლტოლვებს გონიერება ყოველთვის ვერ ეხმარება.
1139. ვნების მოჭარბებას ყველა ასაკი თავის შესაძლებლობის და მენტალიტეტის მიხედვით უმკლავდება და აღასრულებს.
1140. ადამიანი, უმთავრესად, საკუთარი შეცდომების მსხვერპლია, სხვაზე გადაბრალებით.
1141. ცუდ ხასიათს, განსაკუთრებით თრობისას, ვერავითარი ნიღბის აფარება ვერ შველის.
1142. ადამიანის დანიშნულებაა მის ირგვლივ მყოფი გარემო ადამიანური და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს.
1143. ზოგი სისულელეს უნებლიედ სჩადის, ზოგს სისულელე სისულელითვე მოსდის.
1144. ქალი სიყვარულს, მამაკაცისგან განსხვავებით, გრძნობის გაუმჟღავნებლად ცდილობს.
1145. ბუნებას აღიქვამს ადამიანი, ხოლო ბუნება ქმნის ადამიანს ისეთად, როგორიც არის.
1146. ახალგაზრდულ შემართებას, უკომპრომისობას, გამოცდილების შერწყმასთან ერთად, ადამიანის შესაძლებლობები აჰყავთ კვადრატში, კუბში, თუ დროც და გარემოც მის მხარესაა.

1147. დღევანდელ მოთხოვნათა დაკმაყოფილება წინხედვით – ესაა ჩვენი მოვალეობა.
1148. ყველაზე მდიდარი, ალბათ, ბრძენია, რადგან დროული სიკვდილის გარდა აღარაფერი ესაჭიროება.
1149. მოურჩენელი და მტანჯველი დაავადების მკურნალი სიკვდილია, ამით თავადაც მოისვენებ და სხვასაც დაასვენებ.
1150. სიხარულის გამოხატვა, გაზიარების გარეშე, მადლს ჰკარგავს და კუთვნილ სიამოვნებას ვერ შეიგრძნობ.
1151. ვნებაზე ბორკილების დადება ყოველთვის არ ამართლებს, რადგან ის მაინც თავისას ესწრაფვის და ცდილობს.
1152. გონიერება ბედის მორჩილებას მოითხოვს, იმედის რევანშით.
1153. ყველა პიროვნებას თავისი ჭკუის „მებაღე“ სჭირდება.
1154. ადამიანი თავისი სახელის დატოვებაზე იმიტომაც ოცნებობს, რომ ყველა სხვა „თავზემოხვეული“ იმედისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელის იმედი უფრო აქვს.
1155. უმეტესად ყველა ჩვენგანი ნააზრევის უგუნურებით, უსახობით, დავადებულია, ბედნიერი გამონაკლისის გარდა.
1156. პური, სწავლა, სიყვარული – აქედან იწყება ადამიანი და მისი ჩამოყალიბება.
1157. გულახდილობაც ზოგჯერ ბედნიერებას გვანიჭებს.
1158. იდეალს რატომღაც შორიდან ვეტრფით და მასთან მიახლოება გვაფრთხობს.
1159. მხოლოდ ცოდნა, შემართება და შეუპოვარი ხასიათია, რაც ადამიანის მეობას აკეთილშობილებს.
1160. განწყობილებაზე დამოკიდებულ, თუნდაც შემოქმედ ადამიანს, გადაუდებელ საქმეს არ აკისრებენ.
1161. შეუპოვრობას, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი დაუნდობლობა და სისასტიკე უნდა ახასიათებდეს, შედეგს რომ მიაღწიოს.
1162. ასაკის გადასახედიდან ჯეელობაში ბევრი სისულელე ჩაგვიდენია, მაგრამ იმ ასაკს ეს უხდებოდა და ალამაზებდა.
1163. დღეს ადამიანი, უნდა – არ უნდა, მსოფლიოს ნაწილია, თავის განცდებით და შემართებით.
1164. ჩვენი ვალია ყოველდღიურად გავიაზროთ რისთვის მოვედით ამ ქვეყანაზე – მასის შესავსებად თუ თავის დასამახსოვრებლად.
1165. ამქვეყნად დასაკარგი ყველა ჩვენგანს უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა ადამიანად ჩამოვყალიბდეთ.
1166. თვალ-ყური, ჭკუა-გონება, ენა-ვნება, ესაა და ეს ადამიანის არსების ანიც და ბანიც.

1167. ადამიანი თავის გასამართლებლად ალიბს ყოველთვის მოიძიებს თავისივე გადასახედიდან.
1168. „სხეულის ენის“ აღქმა სწავლას და ვნების გაჯირითებას მოითხოვს.
1169. ადამიანი დაცემულიც უნდა მივიღოთ და აღმდგარიც, თუ ჯერ კიდევ მისი სწორ გზაზე დაყენება შეიძლება.
1170. მატერიალიზმი დიდ გავლენას ახდენს გემოვნების ჩამოყალიბებაცვალებადობაზე.
1171. ვნებების მორჩილება თავისებური მონობაა, მაგრამ სასიამოვნო მოსაგონარი.
1172. ადამიანი მოლაპარაკე ცხოველია და მისთვის მეტის მოთხოვნას ხშირად მკრეხელობასთან მივყავართ.
1173. გულით შეყვარებული ადამიანი მალე გვავიწყდება, განსჯით – დიდხანს გვახსოვს და ვაფასებთ.
1174. ადამიანის უმთავრესი დანიშნულება „ბზიკია“, ანუ მარად წინ იაროს, თუნდაც უკანმოუხედავად.
1175. ცოცხალი არსების და განსაკუთრებით, ადამიანის, დანიშნულებაა სხვათა ყურადღება მიიპყროს და წარმოჩნდეს.
1176. ზოგი იმდენადაა სამყაროს აპოკალიფსის პროგნოზით გატაცებული, რომ პროგნოზი დიაგნოზად ექცევა.
1177. ყველა ჩვენგანი ერთს ფიქრობს, მეორეს ლაპარაკობს, მესამეს აკეთებს ანუ ერთდროულად პატრიოტიცაა, პოლიტიკოსიც, ნაძირალაც და ეს პირადი ინტერესებისათვის ხარკის გაღებად მიაჩნია.
1178. ასე საჭირო ვნება ყოველგვარ სიმშვიდეს ებრძვის, გვაამაყებს და ბოლოს მაინც გვამშვიდებს.
1179. ყველა ჩვენგანის უმთავრესი დანიშნულება საკუთარი თავის წარმატებული აღმოჩენა და სასიკეთოდ გაპიარებაა.
1180. ვეცადოთ გონიერების კრიტიკული მასა არ გადაიზარდოს პათოლოგიაში, რათა ადამიანმა დიდხანს იარსებოს.
1181. სერიალების მოტრფიალე რეალობასთან მწყრალადაა.
1182. ადამიანს უნდა ჰქონდეს შინაგანი კონტროლის უნარი და არა – გარედან შიშით იმართებოდეს.
1183. ყველა ჩვენგანს დრო და დრო, მორიგი საქმიანი ოქმის შესადგენი ვიზიტი უნდა ჰქონდეს საკუთარ თავთან.
1184. ასაკს თავშეკავების უნარი შესწევს გაბრაზების მიჩქმალვით და ბობოქარი გულის დამშვიდების მცდელობით.
1185. კეთილ ადამიანს ხმის ამოუღებლადაც შეუძლია ცხოვრება და აქ ჭკუის მოხმობა არაფერ შუაშია.

1186. სიკვდილ-სიცოცხლის ბაიათი სამყაროს ყველაზე დიდი გონიერებაა, რომელიც პიროვნების უკვდავებაში გადაიზრდება.
1187. ადამიანს დროთა ყივილში მოგზაურობა ვერც გონიერებას უცვლის და ვერც ცნობიერებას, ვერც ხასიათს, უბრალოდ რასაც ის აკეთებს, ეს ცივილიზაციის მოდისთვის ხარკის გაღებაა და მეტი არაფერი.
1188. ხშირად წილხვედრზე მეტის მითვისება გვინდა, ამიტომაც ვართ ადამიანები.
1189. ელფერსა და ელეთ-მელეთს შორის ის სხავობაა, რომ ერთი გარეგნობას ამჟღავნებს, მეორე სულიერებას.
1190. ძალა გონიერებას უნდა ემსახურებოდეს, ხოლო მოხერხებულობა თავადაა სასურველი შედეგის მომტანი ძალა.
1191. ადამიანი ის მატერიაა, რომლის სასურველ თარგზე მორგება ყოველთვის არ ხერხდება.
1192. ადამიანის ბედს, შესაძლებლობის მიუხედავად, მაინც შემთხვევა წყვეტს.
1193. სილამაზესაც ბედნიერების შარმი თან უნდა დაჰყვეს.
1194. ცივილიზაციის საწყისს ბავშვი დედიდან იძენს და ზოგჯერ საშოდან გამოსვლის შემდგომ, გაუფრთხილებლობის გამო, ჰკარგავს.
1195. თავის მოთოკვის ცოდნა უდიდესი გამარჯვებაა საკუთარ ამბიციებზე.
1196. მშობლების ვალი მომდევნო თაობათა წინაშე განუსაზღვრელია და ხშირად ამას თავად მშობლებიც ვერ აცნობიერებენ.
1197. მოვალეობის შეცნობამ აქცია მაიმუნი ადამიანად და არა – შრომამ.
1198. ადამიანის თვითმყოფადი ნიღბის ჩამოხსნა ყველა დროში ჭირდა.
1199. მარტოობისაგან კაიფის მიღებას, ნიჭთან ერთად, უშფოთველი ნერვების სისტემაც უნდა.
1200. უმიზნო, უაზრო, ადამიანი ფაქტიურად მკვდარია.
1201. ნებისყოფა და მიზანი ყველა ძალას ფორას მისცემს.
1202. ყველა ჩვენგანი, მისდაუნებლიედ, საკუთარ ბედს ეთამაშება და ამას ჩვენთვის გაუგებარი სიამოვნებაც მოაქვს.
1203. პირდაპირ მაშინ უნდა იყურო, თუ დასახული გზა და მიზანი შენთვის ცნობილია.
1204. უგუნურება თავისებური დაავადებაა, რომელსაც ოქროს საწოლში ჩაწვენა და მკურნალობა არ შველის.
1205. სიცოცხლეს აზროვნება ძალას ჰმატებს და უხანგრძლივებს.

1206. ადამიანი, რომელიც საკუთარ ბედზე არ დაიწუწუნებს, საკუთარ შეცდომებს სილას არ უთავაზებს, მომავალს იმედით არ უყურებს და ყოფის კმაყოფილია, დაპროგრამებული რობოტია.
1207. ბედნიერება დაფასებული განცდის შედეგია.
1208. ინიციატივაგაუღებელი ადამიანი გაუსვენებელი მკვდრის სინონიმია.
1209. ამაღლებული გრძნობები, უპირველესად, სიამოვნებას პატრონს ანიჭებს.
1210. შეცდომის ხარისხის დაუდგენლად მისი პატიება უაზრობაა.
1211. ტვინის გვემას დანაშაულზე წასწრება იწვევს და არა – მოსალოდნელი სასჯელი.
1212. ყველა ჩვენგანში ლაფსუსების ვირუსია დაბუდებული და სად და როდის „იბარტყებს“, არავინ უწყის.
1213. ნასვამი ადამიანი იმ ხასიათს ამჟღავნებს, რომელსაც სიფხიზლეში „ვეტო“ აქვს დადებული.
1214. სიკვდილი ყოველივეს წერტილს უსვამს, იმქვეყნად ჩვენი პერსპექტივების გარდა.
1215. ცნობადი სიტყვების ჩემებური განმარტებითი ლექსიკონი 100-ის ფარგლებში: 1. ადამიანი – მარადიული მსჯელობის საგანი; 2. აზრები – თავხედობისკენ მიდრეკილია; 3. არჩევნები – აუტისტთა ვნებათა ღელვის საგანი; 4. აღზრდა – წრვთვნა, სასურველია ალიყურის გარეშე; 5. ახალგაზრდობა – მარად სანატრელი სილაღე; 6. ბედი – დროულად ყველას კარზე არ აკაკუნებს; 7. ბიზნესი – უმადური და საშური საქმიანობა; 8. ბრბო – რა უნდა თავადაც არ უწყის; 9. გენიოსი – განგების დაუმადლებელი საჩუქარი; 10. – გენი – რაობის გამოცდა; 11. გონიერება – იშვიათი ხილი; 12. დემოკრატია – მარად დაუდუღებელი აქსიომა; 13. დრო – დაუფასებელი ღირებულება; 14. ეკონომიკა – ყველა ხელისუფლების აქილევსის ქუსლი; 15. ერი – მარად ჩამოყალიბების პროცესშია მყოფი; 16. ეჭვი – უგარანტიობის გარკვეული გარანტია; 17. ვედრება – სხვაზე მეტად არმიქარვის მუდმივი მცდელობაა; 18. ვექილი – ფულთან და კანონთან დამეგობრებული უგვანობა; 19. ზრუნვა – უპირველესად საკუთარ თავზე; 20. თავაზიანობა – თავის გამოდება გამორჩენისათვის; 21. თავისუფლება – რასაც შინაგანად ყველა იმსახურებს; 22. იმედი – გონიერების საწყისი; 23. „ინდიკო თაობა“ – ჩვენთვის გასაკვირად გაუგებარი, იმედის მომცემი, პატარები; 24. კანონი – მოსარგები აპეური; 25. კაპრიზი – თუ გაგივა; 26. კაცი – არაფუტლიარი; 27. კულტურა – ყოფიერების ამულეტი; 28. ლიტერატურა – გონიერე-

ბის უშედეგო საცხობი; 29. მამაკაცი – ყველაფერია, თუ ფალოსი არ ღალატობს; 30. „მასმედია“ – სულიერი წაწლაობის ერთ-ერთი სახე; 31. მეობა – ეცადე გაუფრთხილდე და არ დაახურდაო იაფად; 32. მარტოობა – ისიც ფასდადებული; 33. მარადისობა – სურვილი, რომელიც ოცნებას არ ემორჩილება; 34. მეცნიერება – კაიფის ერთ-ერთი შედეგიანი სახეობა; 35. მოყვარე – პირში საძრახავი, თუ გონიერია; 36. მოქალაქეობა – პასუხისმგებლობა, რომლის არსი ბოლომდე არავინ უწყის; 37. მრავალფეროვნება – კარგია თუ ფანტაზიის უნარი გყოფნის; 38. მტერი – პოტენციური მოყვარე; 39. მწერლობა – სხვათა განცდების დაღვინების მცდელობა, საჭაშნიკოდ; 40. ნალოლიავები აზრები – განსჯის გარეშე კაიფი; 41. ნდობა – უმეტესობა არ იმსახურებს; 42. – ოცნება – უკიდეგანო გაფრენის საშუალება; 43. ოჯახი – იჯარით აღებული ბედნიერება; 44. პასუხისმგებლობა – საკუთარ თავთან მათრახის შიშით გაჯეჯილება; 45. პატივის მიგება – სულიერების ზეიმი; 46. პიროვნება – სხვადასხვა განზომილების ინდივიდი; 47. პოლიტიკა – აუცილებელი სიბინძურე, გამორჩენით; 48. პროფესიონალი – თავისი საქმის დასტაქარი; 49. ჟიური – არაგანსჯადი შემფასებელნი; 49. ჟონგლიორობა – სიტყვებით თამაში; 50. რედაქტორი – საკუთარი გემოვნებით მოძალადე; 51. რაობა – მარად დასადგენი აქსიომა; 52. რწმენა – შინაგანი მოთხოვნილებაა, თავის დაზღვევის მცდელობა; 52. სამშობლო – შეუცვლელი განზომილება; 53. საზოგადოებათმცოდნეობა – მეცნიერებას მიტმასნილი გაუგებრობა; 54. საქართველო – გაუგებარი სურვილების ქვეყანა; 55. სახელმწიფო – გონიერება მათრახით; 56. სექსი – გარყვნილი პროგრესი; 57. სიდედრი – ანეგდოტების მარადიული საგანი; 58. სილამაზე – მონათმფლობელი; 59. სისტემა – წესრიგი კვადრატში; 60. სიღარიბე – სიზარმაცე და უნიათობა კვადრატში; 61. სტატისტიკა – პროფესიონალი თაღლითი; 62. სულიერება – ხორცთან მიჯაჭვული ამაღლებული შეუცნობადი გრძნობა; 63. სუფრის ფილოსოფია – მასვე, მაჭამე, მალხინე! 64. ტრფობა – სიყვარულის დაზღვევის საწყისი; 65. უიმედობა – მარტოკა მობორიალე. 66. უმადურობა – თანდაყოლილი გრიპი; 67. ფიქრები – ასაფრენად გამზადებული ბუშტები; 68. ფული – მეძავი, რომელიც ყველას ვერ ჩაეხუტება; 69. ფუფუნება – მახრჩობელა; 70. ქალი – სიანჩხლისთვის გაჩენილი მშვენიერება; 71. ქართველები – დღევანდელი დღით მცხოვრებნი ბედის უმადურები; 72. ქიცი და ქიცმაცური – შეუშლელი ვუნდერკინდი; 73. ღირებულებები – ჯერ კიდევ დაუფასებელი რამ; 74. ღიღინ-ღიღინი – სიამოვნებ-

ის თავისებური ალგორითმი; 75. ყისმათი – ბედის და შემთხვევის შერწყმა; 76. ყოფნა-არყოფნა – მარად საკითხავი უცნობი; 77. შეგონება – სხვისი ჯობს ზოგჯერ შენსას; 78. შედეგი – აქსიომა, რომელსაც არ ედავებიან; 79. შემოქმედება – რჩეულთა სამსჯავრო; 80. – შემთხვევა – ბედის ავან-ჩავანი. 81. შიში – დაუღვინებელი გულგრილობა საკუთარი თავის მიმართ; 82. შური – ყველასი და ყოველივეს სასიკეთო უგულვებელყოფა; 83. ჩალიჩი – ცოდნისა და ძალის მჯობნი; 84. ჩუმად-ჩუმად – საკრალური აზრების კაიფი; 85. ცოლი – ჩვენზე მზრუნველი, ფალოსით გაცნობილი, მოყვარე; 86. ცხოვრების ფილოსოფია – იტანჯე და სხვაც ტანჯე; 87. ძალაუფლება – ნანატრი, თუკი მისი გამოყენების მადლი გაცხია; 88. ძრომიალა აზრები – დაბინდულ-დაბანდებული ნაფიქრი; 89. წაღმა-უკუღმა – ყოფა, რომელიც მის ირგვლივ გვატრიალებს და გვასაზრდოებს; 90. წყობა – არაფერშუაშია, მთავარია ვინ არის ხელისუფალი; 91. წუთისოფელი – სიამტკბილობისკენ მიმავალი გზა თუ გაგვიმართლა; 92. ჭეშმარიტება – არც არავინ გაურბის და არც არავინ იყენებს; 93. ჭკუა – კაიფის მისაღები განზომილება; 94. ჭუკ-ჭუკი – სასმელით სიამოვნების მიღების ცოდნა; 95. ხალხი – ყოველივეს მცოდნე, ფეხებზემკიდია არსება; 96. ხასიათი – ყველას ჩვენი გვაქვს წარმოსაჩენად თუ საშუალება მოგვეცა; 97. ჯანმრთელობა – მარად გასაფრთხილებელი; 98. ჯეელობა – უკონტროლო აღფრთოვნება; 99. ჯიგარი – კარგია თუ ბოლომდე შეგვრჩა; 100. – ჰე, ღმერთო, ერთო! – ბოლოს მაინც მის იმდზე ვრჩებით.

1216. ყოველივე ადამიანისთვის არის შექმნილი თუ სასიკეთოდ გამოიყენებს.

1217. პატივმოყვარეობაში ბევრი უარყოფითი რამ ბინადრობს, მაგრამ თავს მაინც ადამიანად გრძნობ.

1218. რატომღაც ადამიანი სახე და ჭკუაშეცვლილი უბრუნდება თავის პირველყოფილ საწყისს, რათა „გადაგვარდეს“ და ევოლუციის პროცესები თავისივე გადასახედიდან თავიდან დაიწყოს.

1219. უნდა მოერიდო პრობლემურ ადამიანებს, რომლებსაც არც თავის გაეგებათ და არც სხვისი შეესმინებათ.

1220. ანალიზის უნარდაკარგული ადამიანი მასის, ბრბოს, წარმომადგენელია.

1221. ადამიანებს მომწიფებულ ასაკში იმდენად ნათესაური კავშირი არ აკავშირებთ, რამდენადაც საერთო ინტერესები და გამორჩენა.

1222. მკაცრი, ქედუხრელი, ადამიანებიდან, ხშირად სასიკეთო საქმის მკეთებელი, შემოქმედი, ადამიანები იბადებიან.

1223. სურვილი და მცდელობა ყოველთვის შესაძლებლობებზე მეტია, მაგრამ წინსვლისთვის აუცილებელია.
1224. მოთხოვნილებათა ზომიერება ბედნიერების ბარომეტრია.
1225. სიმართლის მოყვარული ადამიანის ნდობაც შეიძლება და მასთან მეგობრობაც.
1226. თავის გაკონტროლება მუდამ უნდა შევძლოთ, მიუხედავად სურვილისა, ყველაზე უკეთესები ვიყოთ.
1227. ძნელია ადამიანის უგუნურად აწყობილ ცნობიერებას რაიმე გაუგო და „მოთარგმნო“.
1228. ჩვენ დადებითი ემოციების მოტანაც შეგვიძლია და უარყოფითისაც, გააჩნია, რა გვანიჭებს სიამოვნებას.
1229. ბუნებით დიდ ადამიანებს ამპარტავნება არ ახასიათებთ, რადგან მათი სიდიადე პიარს არ საჭიროებს.
1230. ვნების დაოკება უფრო ადვილია, ვიდრე ენაზე კბილის დაჭერა და ყბედობისგან თავის შეკავება.
1231. ასაკოვნების ბედნიერებას ორი განზომილება აქვს: როდესაც ყველას სჭირდები და უნდიხარ და როდესაც არავის ახსოვხარ.
1232. გენეტიკურად უგვანოს ვერ გადააკეთებ, მთავარია, მის ანკესზე არ წამოეგო.
1233. სხვა და სხვა მიზეზთა გამო ადამიანის გონიერების გამოცნობა ზოგჯერ საფრთხეშია.
1234. ის, ვინც წინასწარ შედეგს არ ჭვრეტს და გმირობას ისე სჩადის, შედეგს ხშირად ცუდიც მოაქვს.
1235. ადამიანს, ძირითადად ბუნება-გუნება მართავს და არა – ჭკუის მოხმობა და გონიერების შეჯერება, რასაც ვერავითარი ისტორიული გამოცდილება და დროზე მორგების მცდელობა ვერ შველის.
1236. სიძულვილი, იმსახურებ – არ იმსახურებ, მაინც უსიამოვნო შეგრძნებაა.
1237. განსასჯელი ჩრდილიც იმ სინათლის მატარებელია, რომელიც ჩვენგან აირეკლება ე.ი. ჩვენ ვართ ყოვლის საწყისი.
1238. ყოველ ცნობიერებას თავისი განზომილება აქვს და თავისი მეობის წარმოჩენა აწუხებს.
1239. ადამიანი ხშირად იმას აკეთებს, იმ წუთში რა ხასიათზეცაა და მოსალოდნელ შედეგზე დასაფიქრებლად დრო არ ჰყოფნის.
1240. მცოდნე რეგვენი აუტისტია კვადრატში.
1241. ლაგამი გონებას უნდა ამოვდოთ და არა იმ ენას, რომელიც მას უსწრებს, რადგან ენის ჭარტალს საწყისი მაინც გონებაში აქვს.
1242. იმქვეყნად გადაბარგება დედის საშოში დაბრუნების ტოლფასია, შემდგომ საუკუნეებში კვლავ ამქვეყნად მოვლინებით.

1243. თუ საკუთარ „მე“-ს არ სჭირდები, თუნდაც თეორიულად, ძებნას არავინ დაგიწყებს.
1244. დიდი ადამიანის შეცდომა ამიტომაც არ არის საშიში, რომ ის შეიძლება შეცდეს, მაგრამ არ მიჰქარავს.
1245. საქმე თუ საკუთარ თავზე მეტად გიყვარს, ეს შენი გონიერების მაჩვენებელია.
1246. ყველას გაუცნობიერებელი გემოვნება გვაქვს.
1247. ყველა დროის აფერისტები ერთმანეთს უგებენ, ურთიერთ და ქვეყნის გასაჭირს დაუფიქრებლად ხვდებიან.
1248. სურვილების მოჭარბება დღის საათებს არ ადიდებს.
1249. ბედნიერებისთვის ყველა ჩვენგანი იღვწის, მაგრამ რაა ბედნიერება – საბოლოოდ ჩვენთვის უცნობია.
1250. რატომღაც იმაზე მეტ პატივს ვითხოვთ, ვიდრე ვიმსახურებთ და სტატუსით გვერგება.
1251. სიკვდილი, უპირველესად, იმედს ასამარებს.
1252. უაზროდ გაწეული წინააღმდეგობა უბრალო კაპრიზია, გაამაყებული „მეს“ სისულელის გამოფენით.
1253. გრძნობების სწავლა არ შეიძლება, რადგან ამის საგანი და ლიტერატურა არ არსებობს.
1254. ზოგჯერ ფიქრების გადაქექვა დაუგეგმავ სიამოვნებას გვანიჭებს.
1255. ლოთობა ნებაყოფლობითი უგუნურებაა, რადგან ამ დროს ტვინი გათიშულია.
1256. კუჭთან საერთო ენის გამონახვა ყოველთვის ძნელი იყო და იქნება.
1257. ბუნების კანონებსა და კაცობრიობის ისტორიას შორის დაპირისპირებაში არბიტრის როლს ყოველთვის ადამიანი ასრულებს.
1258. ყველა ნიჭიერი ადამიანი უცნაურია, ყველა გონიერი ადამიანი შემოქმედია, ყველა პატიოსანი ადამიანი ერის შვილია.
1259. ადამიანის ჭკუის ლაკმუსი ხშირად უმუხრუჭო ენაა.
1260. სისულელის ყველაზე მეტი მფარველი გულია, არარსებული ალიბის მიშველიებით.
1261. ნამდვილი გრძნობები დროთა განმავლობაში იფერფლება, მაგრამ არ ქრება.
1262. ჯიუტებსაც, ინდივიდუალისტებსაც, დიქტატის ბუნების მქონეთაც, უხდებათ გენიალურ აზრებთან გაჯეჯილება, თუ შედეგის მიღწევა უნდათ.
1263. შეცდომებიც საკუთარი უნდა დაუშვა და პლაგიატობას შეეშვა, თუ გინდა თვითმყოფადობით დაგიმახსოვრონ.

1264. ღმერთმა ისეთი შვილი მოგვცეს, რომ მას არასოდეს ესაყვედუროს ვინმესთვის „გაეკეთებინე ერთი მამაჩემს და შენგან რა ხვითოც დადგებოდა, იმასაც ვნახავდიო“.
1265. ადამიანს სხვათა ბოროტება აღაშფოთებს, საკუთარი ბოროტების ჩადენის მცდელობას არ ებრძვის და ეს ცხოვრება საყოველთაო „ბაირამი“ ჰგონია.
1266. თავისმართლება ჩაუდენელი დანაშაულის ლეგალიზებას ნიშნავს.
1267. ბედის გამოცდას, კარგად თუ ავად, უნდა გაუგო, რათა საკუთარი მეობა შეინარჩუნო.
1268. მთავარია, ადამიანს აღზრდით, იდეალების გაფეტიშებით, ირგვლივმყოფთა მცდელობაში პირველად არ მივცეთ გადაცდენის საშუალება, რადგან მოგვიანებით შეიძლება დაგვიანებული იყოს მისი სასიკეთოდ შემოტრიალება.
1269. ცაც და დედამიწაც თავის წილ მეგზურებს ითხოვს, ამ დედამიწაზე მცხოვრებთა სახით.
1270. სიბერე დასანანი არაა, თუ აზროვნების უნარი წლიდან წლამდე მატულობს.
1271. ჩვენი შესაძლებლობების რეალიზაციის უდიდესი ნაწილი ჩვენს განწყობაზეა დამოკიდებული.
1272. დეპრესიით ისინი ავადდებიან, რომლებსაც ცხოვრებაში არაფერი მოჰკლებიათ.
1273. ცუდია, როდესაც რევანშს შენი სახელით სხვა იღებს, რადგან საკუთარი თავის უნიათობაში რწმუნდები.
1274. კაცი გულწრფელი ინტრიგანია, ქალი – ქვეშქვეშა, მაგრამ მათი ურთიერთობა მაინც შემთხვევაზე და ბედზეა დამყარებული.
1275. ზოგჯერ შექებასაც გადამონმება სჭირდება, რომ არ გვავნოს.
1276. სიკვდილზე რაც უნდა ვიფიქროთ ან არ ვიფიქროთ, მაინც მოვა, რიგით თუ ურიგოდ.
1277. შეიძლება ისე წახვიდე ამ ქვეყნიდან, რომ სხვისი შემხედვარე საკუთარ არსებას ვერ ჩასწვდე.
1278. ზოგჯერ გარკვეული დროით თავის მოტყუება სასარგებლოცაა და სასიამოვნოც.
1279. უსაფუძვლო შეფასება, მათ შორის, ქება-დიდებაც, შეურაცხმყოფელია გონიერი კაცისათვის.
1280. სულიერად ამაღლებული ადამიანი პიროვნებაა.
1281. ვნების მოჭარბება სულელს აგიჟებს და ჭკვიანს ასულელებს, მაგრამ ამის გარეშე ქვეყანა გადაშენდებოდა.

1282. ენების ცოდნა ცუდი არ არის, თუ აზროვნებასაც მიახმარ.
1283. ბედნიერება სიფრთხილის სინონიმია, იმდენად, რამდენადაც მან ამ ყოფას ალღო აუღო.
1284. ყბედობა ძალიან ბევრ ადამიანს აძლევს საშუალებას თავი მუნჯად არ იგრძნოს, მიუხედავად იმისა, რომ მის საუბარს აზრი არ აქვს.
1285. გაუგებრობა იმათაც ნერვებს უშლის, ვისაც მასთან საერთოდ საქმე არ აქვს.
1286. ადამიანმა, რომელსაც საკუთარ სულში ჩახედვის უნარი შესწევს, პიროვნების სტატუსი უკვე დაიმსახურა.
1287. კაცი, რომელსაც არ აგინებენ, მოშურნე და აუგის მთქმელი არ ჰყავს, რობოტია და არა – ადამიანი.
1288. თუ სხვათა სისულელეს ყურად არ იღებ, ისიც გონიერებაა.
1289. ყბედობა დაფიქრების უუნარობის შედეგია.
1290. მუცლის ამოყორვა, ტრავმირება, ხშირად გურმანობაზე თავის დადების შედეგია.
1291. „უგზო-უკვლოდ განათლებულმა“ ისიც იცის, რაც სახალხოდ ტირაჟირებას არ ექვემდებარება.
1292. ზოგჯერ ნერვების მომშლელად ჭკვიანი ადამიანიც მოსარიდებელია, რადგან იმ სიმართლეს ქადაგებს, რომელსაც გული არ იღებს, ხოლო გონება მხარს უჭერს და ფაქტიურად მის მხარესაა.
1293. ადამიანს რომ 101 წელს უსურვებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო წელი მომდევნო 100 წლის დაგეგმარებას უნდა მოახმაროს წინა 100 წლის ცხოვრების შეცდომების გათვალისწინებით.
1294. დიდ პიროვნებას ყოფითი ბიოგრაფია არ სჭირდება, ეს მისთვის უაზრო ტვირთია.
1295. არის წლები, რომელთა უცვლელად უკან დაბრუნება უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებდა.
1296. მანკიერი საქმეებისადმი ზიზღი უპირველესად გულმა უნდა იგრძნოს, შედეგის გააზრებით.
1297. საკუთარი თავი არასოდეს არ უნდა „მიაგდო“, ამით ხშირად სხვასაც და საკუთარ საქმიანობასაც აყენებ ზიანს.
1298. სიბრძნე, ბუნება, გუნება, ადამიანის გონიერებას განეკუთვნება და მას განსჯის ნაცვლად მხრების შეშველება სჭირდება.
1299. არის ასაკი, რომელსაც სხვა წლებზე მეტად წინდახედულება, დაჭკვიანება და მიმტევებლობა მოეთხოვება.
1300. ლოთი სასმელში გონიერებას უფრო „საქმიანად“ ხარჯავს, ვიდრე სიმწრით ნაშოვნ ფულს.

1301. ზოგჯერ ერთი შეხედვით უგუნურებას გამოკიდებული ადამიანის ფინიში დიდებაა.
1302. პირუტყვობასთან გათანაბრების სურვილი ადამიანად წოდებულ გარკვეულ ნაწილს ხშირად უჩნდება.
1303. ნოსტალგიას რეალურად ჩვენი ახალგაზრდული წლები იწვევს.
1304. სუფთა ჰაერი მუხანათურად აღგვიძრავს წინდაუხედავ მადას, რომლის წინაშე გონიერება ხშირად ხელებაწეულია.
1305. გარდაცვალება ყოველთვის სიკვდილს არ ნიშნავს, თუ მისი ხსოვნა შთამომავლობას დარჩება და ზოგჯერ გულს აუჩქარებს.
1306. დღეს ადამიანის ცნობიერების „მეგაბაიტი“ იმ დონეზეა ასული, რომ თუ კი რაიმე გამოდნება, ორ ბატონსაც მოემსახურება და მეტსაც.
1307. საკუთარ ნაკლოვანებებს სხვისი თვალითაც უნდა შეხედო და გაიაზრო.
1308. გენია ტრადიცია და ჩვენი ამქვეყნად ყოფნის „აიწონა-დაიწონას“ ალგორითმიც.
1309. სარკე ასაკში დაუნდობელი „მაბეზღარაა“, მაგრამ ახლადგადაღებულ ფოტოსურათს „მაბეზღარობაში“ ვერ შეედრება.
1310. დღევანდელი ადამიანიც, პირველ რიგში, გვარის გამგრძელებლის უზრუნველყოფაზე უნდა ფიქრობდეს, რათა წინაპრების ამაგი დააფასოს. სვანეთში ძმის მოსისხლეს, დამ ძმისშვილის ნაცვლად თავისი შვილის ტყუპისცალი მოაკვლევინა, რათა გვარის გამგრძელებელი არ დაკარგულიყო.
1311. მამას – პატივი, რიდი, დედას – სიყვარული, მოკრძალება – აი, ესაა და ეს შვილის დანიშნულება.
1312. იმედი მაინც გონიერების ნაჩალიჩებია უსაქმურობის, ძალად დასვენების, შედეგად.
1313. პოლიტიკას ყველა დროში, ბუნტის და რევოლუციების მოთხოვნით, რატომღაც რეგრესისკენ აქვს მიდრეკილება.
1314. ადამიანის სულიერი სამყაროს შეცნობაა ძნელი, მიუხედავად იმისა, რომ თანდაყოლილი და შეძენილი ნაკლი არც თუ ისე ცოტა აქვს.
1315. სიკვდილი არარაობად გვაქცევს, მაგრამ იქაც ჩვენს მეობას ვერ ვეშვებით.
1316. საკუთარი თავის ფასის შენარჩუნებისთვის მარტო წამოშობა, სიმდიდრე, განათლება, არ კმარა – გენეტიკამაც ხელი უნდა შეგიწყოს.
1317. სხეულის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ჯეელობას ინარჩუნებს, უბერებელი გულია.

1318. შემართებას ჭკუა აძლევს შესაძლებლობებს.
1319. უმიზნო დასპონსორება ადამიანს რყვნის და ხელი მარად სათხოვნელად აქვს გაშვერილი.
1320. ბრიყვებს უგუნურებისკენ გენეტიკური მისწრაფება აქვთ, რაც მათ ახალისებთ.
1321. უბედურების ატანა შეუდრეკელი ბუნების კაცს შეუძლია და არა ყველა ადამიანს.
1322. ყოვლისშემძლეობის სურვილი საკუთარ თავზე გადახტომას და ბუნების მოთოკვის მცდელობას ნიშნავს.
1323. ცქერა და სმენა ურთიერთშემცველი ალგორითმია.
1324. სიბერეს თავისი კაიფი აქვს, თუ შენს ნაშიერთ წარმატებულს და იმედიანს ხედავ.
1325. გულმავიწყობა ყველას მეტ-ნაკლებად ეპატიება.
1326. განსაცდელი ყველა უმნიშვნელო შეღავათს, დახმარებას, ტკბილად გვახსენებს.
1327. ადამიანი პროცესს ივიწყებს, შედეგი კი დიდხანს ახსოვს.
1328. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე, გარდაუვალი სიკვდილისთვის ბიშტის ჩვენების საშუალება სიცილია, თუ თავის დაცვა დროულად ვეღარ მოასწრო.
1329. კეთილი კაცია, ვინც მადლიერებით იღებს კუთვნილ ქება-დიდებას, გონიერია, ვინც გაცხრილავს და დამსახურებულს მადლიერებით შეირგებს.
1330. სიბერე სამართლიანობისკენ დაკოჭლებული მისწრაფებაა.
1331. თვითჩაღრმავება თვითკონტროლის, თვითგანსჯის სინონიმია და როგორც გავითავისებთ ამ ცნებებს, იმისდამიხედვით, ბედიც ჩვენს მხარეზე დადგება.
1332. ადამიანი რომ ხარ, უნდა დაამტკიცო, რადგან მხოლოდ ადამიანად დაბადება არ კმარა.
1333. ადამიანთა სულებში ხშირად ჩახედვა სასურველ ასოციაციას არ იწვევს.
1334. თუ ადამიანის ფენომენს ხოტბას შევასხამთ, მის ცნობიერებას და სიცოცხლისუნარიანობას დითირამბებს ვუმღერებთ, მისივე საგალობლად იქცევა.
1335. ადამიანი ერთდროულად ცხოველიც არის, გააჩნია, გარკვეულ დროს როგორ აზროვნებს და რის ხასიათზეა.
1336. ყველა ჩვენგანის მომავალში წარსულის ის კაურები დევს, რომელიც ჩვენთვის უცნობია.
1337. უკვდავებას სახელი აღწევს და არა – სული.

1338. ძილს ბედნიერებაც მოაქვს და უბედურებაც, თუ დროულად არ გაიღვიძებ.
1339. უნდა ვეცადოთ ღმერთკაცები ვიყოთ, რათა ჩვენ მიერ დატოვებული სახელის მადლი შთამომავალმა შეიგრძნოს.
1340. ეტყობა, კაციჭამიობის პრინციპი მარადიულია, იმისდამიუხედავად, ადამიანის ხორცს დღეს რეალურად მივირთმევთ თუ ვირტუალურად.
1341. ადამიანები ბუნებით მონებად იბადებიან, მონებად იქცევიან ან მონებად სხვებს აქცევენ.
1342. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გრძნობს, რომ ამ სამყაროს უსუსური მატლები ვართ.
1343. ხშირად გული გლოვობს იმას, რაც გონიერებისთვის დაკარგული არ არის.
1344. ადამიანის შექმნა ადვილია, მისი დროზე მორგება და სწორ გზაზე დაყენებაა ძნელი.
1345. პატივმოყვარეობა გადაღლას და „ხვალ გავაკეთებოს“ ვერ იტანს.
1346. ლოთობას სიფხიზლე მოსდევს, ოღონდ გონიერების გარეშე.
1347. ზოგი დასამახსოვრებელი ადამიანი უკეთესია თუ დროულად გადაბარგდება იმქვეყნად ნაკლები პრეტენზიებით, რათა თანამედროვეებმა ისტორიას უკეთ დაამახსოვრონ.
1348. ხშირად ადამიანს ბუნების ბუშად ყოფნა უფრო აწყობს, ვიდრე შვილობა, რადგან პირველს ცუღლუტობის გზა უკვე გახსნილი აქვს.
1349. გურმანისთვის ჭამა, გადაძღომით, იგივეა, რაც მეცნიერისთვის მოჭარბებული ფიქრი ახლის აღმოჩენაზე.
1350. ჰარმონია, ჰაეროვნება – აი, მიზანდასახული ადამიანის შემოქმედების და ყოფის უცვლელი ალგორითმი.
1351. სიახლის შეგრძნება ტვინის იმედიანად გაცისკროვნებაა სიკეთის საკეთებლად.
1352. ადამიანის კაიფი წლების შესატყვისად იცვლება, სხვადასხვა განზომილებებით საზრდოობს და არსებობს.
1353. პიროვნებებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება მათ მოჩვენებით გონიერებაზე მიუთითებს.
1354. სული ყოველთვის ცოდვილია, რადგან ადამიანის „უგუნურ“ სხეულშია მოკალათებული.
1355. თავია თვითდაჯერებული თუ მასში ჩადებული ჭკუა, ძნელი სათქმელია, მაგრამ გულმა რომ მხარი უნდა აუბას – უდაოა.

1356. სხვათა გაქიაქება და დაცინვა ზოგს გენში უზის და ამას არაფერი შველის, სანამ მისივე მასტის „კოლეგა“ არ დაუპირისპირდება.
1357. ხელმოცარული მუდამ ფუჭი იმედით არსებობს.
1358. ადამიანის ფსიქიკის გაგება შეუძლებელია, რადგან ამის საშუალებას მისი გონიერების მეგაბაიტი არ იძლევა.
1359. შენი მოყირჭება ოჯახის წევრებს არ უნდა შეეხოს.
1360. სკლეროზი მახსოვრობას გვაკარგვინებს, რაც ხშირად ჭკუის დაკარგვად აღიქმება.
1361. ბუმბერაზად გახდომა ძნელია, ბუმბერაზად წასვლა – უფრო ძნელი.
1362. სასურველია გარდაცვალების წინ ყველამ ნეკროლოგი თავად დაწეროს.
1363. ყველაზე დაუზარებლად ჭიტლაყი და ალიყური საკუთარ თავს უნდა უთავაზო.
1364. საკუთარ თავთან შერკინება თუ სასარგებლოდ დამთავრდა, ბედნიერებაა.
1365. ადამიანი ამ სამყაროს საბოლოო ფერფლია, რომელიც განაყოფიერებას უნდა მოემსახუროს.
1366. ბედნიერია ადამიანი სანამ დაუგეგმავ უბედურებას არ დაჭაშნიკებს.
1367. „საღერღელაშლილი“ ადამიანის მოთოკვა უფრო ძნელია, ვიდრე უგვანო ბუნებისა, რადგან პირველს ზოგჯერ ხასიათის გასასწორებლად იშვიათად ეცვლება გუნება, ხოლო მეორეს სულ აშლილი აქვს და მარად წინააღმდეგობას აწყდება.
1368. გრძნობათა ქარტეხილი, უმთავრესად, ინტუიციით ცხოვრობს.
1369. ინდივიდს ინდუიდუალიზმის მკურნალი სჭირდება „აქსიომებით“ და სიყვარულის „გაჩითვით“.
1370. ხელმოცარული სიდარბაისლით არ გამოირჩევა, მას უფრო უგუნურებისკენ აქვს მიდრეკილება.
1371. სიბერის კაიფის გასაღები განვლილ ცხოვრებაში კეთილსინდისიერებით ჩაწვდომის მცდელობაცაა.
1372. წამბაძველობა ხიბლის დამსახურებაცაა.
1373. დღევანდელი ადამიანის დაპროგრამების მცდელობა მას „რობოტიზმის ფილოსოფიამდე“ მიიყვანს.
1374. რასაც ჩვენი გონიერება გასწვდება, იმას ვაღმერთებთ, ვაღიარებთ და ვაფეტიშებთ გაუცნობიერებლად.
1375. ბოროტი ადამიანები იბადებიან, მაგრამ მათ გარემო არ უნდა შევუქმნათ ისეთი, რომ თანდაყოლილი თვისებები ამბიციებით გამოავლინონ.

1376. ბუნებისგან ადამიანმა პრივილეგია თვითნებურად მოიპოვა, რისთვისაც შიგადაშიგ ისჯება კიდეც.
1377. გონიერების ქმედება ზოგჯერ უგუნურებას უტოლდება.
1378. მარტოობა იმ ბედნიერებას არ იძლევა, რისთვისაც ადამიანია მოწოდებული.
1379. ადამიანი ადვილად იგებს, რაც მისთვის სარგებლის და სხვისთვის ზიანის მომტანია.
1380. სიმყუდროვეს უგუნურება ვერასოდეს აფასებდა, რადგან თავის წარმოჩენის ყოველგვარი შანსი მშვიდობიანობის დამყარებამდე ჰქონდა.
1381. ნებისყოფა ზოგჯერ ბედისწერას ეაჯება და ბიშტსაც უჩვენებს.
1382. სხვათა აზრის შიში, ჩვენი უსუსურობის მაჩვენებელია.
1383. უმეცრებას სიკვდილის შიში არ აქვს, უბრალოდ, ამაზე არ ფიქრობს.
1384. ბედნიერებას ხშირად ჩვენ სულიერი და ხორციელი შესაძლებლობები განსაზღვრავს.
1385. მოსმენის სურვილდაკარგული ადამიანის არც იკურნება და არც ჭკუა ემატება.
1386. ადამიანი, უმთავრესად, თავის ქცევით და ყოფითი შესაძლებლობით ფასდება.
1387. ბედის მქონე ადამიანს უნდა ვერიდოთ, რადგან მისი შემყურე ბედი ჩვენთვის არაფერს გაიმეტებს.
1388. ჩვენთვის უსარგებლოს ან არ ვამჩნევთ ან გავკიცხავთ.
1389. ყოველდღიური აქტიური ფიზიკური ვარჯიში წამლების მოხმარებას ამცირებს, მაგრამ ტრავმებს ამრავლებს.
1390. დღესაც ბევრი ვიგინდარა ადამიანი თავისი გენის მონაა და გაჯოხვას და მათრახს იმსახურებს, რათა სასარგებლო საქმეს ეწიოს.
1391. სურვილების გარეშე ადამიანი სიცოცხლის ღირსიც არ არის.
1392. ნებისყოფა აქცევს ადამიანს ადამიანად, კაცად, პიროვნებად.
1393. ზოგი იმიტომ კითხულობს ბევრს, რომ უძილობას ებრძოლოს.
1394. თეორიულად „წინა კაცი უკანა კაცის ხიდია“, თუ უკანას ფეხი დაუცდა, წინა კაცს უკანა კაცი ფეხებზე ჰკიდია“, მაგრამ პრაქტიკულად შეცდომის რეციდივისაგან და გადაცდენისაგან არავინაა დაზღვეული.
1395. ადამიანთა უმრავლესობა კარგსაც ეგუება და ცუდსაც, შეფასების გარეშე.
1396. დიდების მწვერვალი მაინც ადამიანის შინაგანი უბრალოებაა.

1397. ადამიანი ადამიანისაგან შეიქმნია და მისი ძიება ბაქტერიებში, თიხაში, ადამის ნეკნში, უაზრობაა.
1398. უნაკლო ადამიანი რობოტიც კი აღარ არის, მასაც აქვს თავისი გართულებები, მოკლე და გრძელი ჩართვით.
1399. ადამიანი შედგება მკვრივი და თხევადი მატერიისაგან, რომელიც სიცოცხლეს გულით და სულით აგრძელებს.
1400. სიცილი ზოგჯერ საქმის კეთებისას შუამავლის როლს ასრულებს.
1401. ჭამა, დიეტაზე მეტად, „თავკონტროლს“ და შინაგან აღზრდას მოითხოვს.
1402. დამსახურებისთვის ადამიანი არა მარტო მატერიალურად უნდა წაავხალისოთ, არამედ მორალურად და ჯილდოებით, რათა მან თავისი ფასი სიცოცხლეში შეიცნოს.
1403. ბიჭი თუ იბადება, თავიდანვე ბავშვია, მაგრამ გოგონა უკვე ქალია.
1404. ასაკში ალკოჰოლი უფრო ახლოა სექსთან, ვიდრე გონიერებასთან.
1405. ჭკუისაგან განსხვავებით, გონიერების დეფიციტს განვლილი წლების გადასახედი ამჩნევს.
1406. ხშირად იუმორი შუამავალია დაბოღმასა და გაბრაზებას შორის.
1407. უგუნურებისთვის ცუდი და კარგი სულერთია.
1408. ჭამის სურვილის მოთოკვაა ძნელი და არა ცარიელ კუჭზე სიმართლით დანაყრება.
1409. უცხოს, უცნაურს და საშიშს, რატომღაც, უდრტვინველად ვეთამაშებით შედეგის გაუცნობიერებლად.
1410. კეთილგონიერება ის ბედნიერი თვისებაა, რომელსაც სხვა იშვიათად თუ შეედრება.
1411. სიბერეც, ასაკის პარამატრებში, გარჯას და დაფასებას მოითხოვს.
1412. გონიერების საზღვრების დარღვევა არც ჭკუას ეპატიება და არც – უჭკუობას.
1413. უგუნურება თავის გამოსაჩენად დროს და გარემოს არ ირჩევს.
1414. სხეულს სილამაზე ამშვენებს, იმისდამიუხედავად, ჭკუა დაანათლეს თუ არა.
1415. ადამიანს თეორიულად უფლებები დიდი აქვს, მაგრამ პრაქტიკულად – მცირედის დაცვაც უჭირს.
1416. უმიზნო, უფანტაზიო, ადამიანი უბედურია.
1417. სიცილ-ტირილი ხშირად გონიერების მარაგის დაცლა-შევსებაზეა დამოკიდებული.

1418. ძილს ნებისყოფასთან შეჭიდება უჭირს.
1419. სიხარული ჭკუას მადლიერებით ეთამაშება.
1420. მოსაყოლიც ჭკუის მოხმობას მოითხოვს.
1421. ადამიანი თავის სრულყოფას იმქვეყნად გადასახლებულიც განაგრძობს.
1422. ბრიყვს თავდაჯერებულობა გონიერების სანაცვლოდ სჭირდება.
1423. ადამიანის ბუნება მის ჩვეულებებს განსაზღვრავს.
1424. ურთიერთთანხმობის მიღწევის შეფასება მრავლის გამგონ ყურსაც უჭირს.
1425. თვისება, უნარი, მიზნის მისაღწევად აუცილებელია.
1426. ყველა ღირსება საქმით დაბალანსებას მოითხოვს.
1427. გამოსწორებული შეცდომაც სიბერემდე არ უნდა ვათრიოთ, დროულად უნდა დავივიწყოთ.
1428. ასაკი დამსახურების მიხედვით უნდა დაფასდეს და არა – ჯეელობაში ვინ ვისთან მეგობრობდა და ახლოს იყო.
1429. ადამიანი თავის ბედთან ერთად მოგზაურობს, მიუხედავად იმისა, აცნობიერებს ამას თუ არა.
1430. წამიერი ბედნიერების გახსენებაც კი ჩვენი რაობის შეცნობის სიხარულია.
1431. აზრს მალვაც უხდება და გამომზეურებაც, გააჩნია ვისთან უნდა გაიჯირითოს.
1432. ნებისყოფა კვადრატში ყველა ძალაზე მეტია.
1433. მარტოობის კაიფი არც ყველას ხვედრია და ვერც უმეტესთა გონიერება ჩაწვდება ოპონირების გარეშე.
1434. მიზნის გაფეტიშება შესაძლებლობათა მოზღვავებას იწვევს.
1435. გემრიელი ჭამის საბოლოო შედეგი ჯანმრთელი გამონაყოფია, რომელიც ხშირად უფრო მეტ სიამოვნებას გვანიჭებს.
1436. ჭამა და სექსი ადამიანის ძირითადი დანიშნულებაცაა და მოვალეობაც, ერთი სიცოცხლის გასაგრძელებლად, მეორე – რომ გამრავლდეს და ადამიანის სახსენებელი ამქვეყნად არ მოისპოს.
1437. ადამიანმა ისეთ ასაკს უნდა მაიღწიოს, რომ მარტო თავის თავზე იფიქროს და ყველა ამქვეყნიური პრობლემა მოგვარებული ჰქონდეს.
1438. შვილს რაც უნდა შეუძახო, ის მაინც შთამომავლობის გენის ვირეშმაკი შვილობილია.
1439. უძლური კაცი წესიერ ადამიანად ვერ ჩამოყალიბდება.
1440. სიცარიელეში მოძრაობას ადამიანი დიდხანს ვერ უძლებს.
1441. სიახლეს და ახალს, მათ შორის ბედნიერებასაც, გათავისება უნდა.

1442. პირველ რიგში სიცოცხლე უნდა დავაფასოთ, შემდგომ – სამშობლო, ოჯახი, სიყვარული.
1443. სულელის გაკვირვება მხოლოდ სულელს შეუძლია.
1444. დროებით სულელად ყოფნის უფლება ყველას აქვს.
1445. ზოგჯერ სიბრიყვე გონებას ახალისებს და სიახლის აღმოჩენისკენ უბიძგებს.
1446. ფატალური უნდობლობა მოკლე ჭკუის შედეგია.
1447. ღირსება შეიძლება ისე დაიკარგოს, რომ მასზე არავინ არაფერი იცოდეს.
1448. ადამიანი რომ მოვთოკოთ და დავიმორჩილოთ, რაიმე ღირებული დასაკარგიც უნდა დავუტოვოთ.
1449. ბოროტებას მაშინაც უნდა ვერიდოთ, როცა საქმის საკეთებლად აუცილებელია.
1450. ადამიანის რაობის წარმოსაჩენად გულმა თავის საქმე უნდა აკეთოს, ჭკუამ თავისი, ხოლო გონიერებამ ყური ორთავეს უნდა უგდოს.
1451. დაჩოქებასაც თავისი ვარიანტები ახლავს: წარმოსახვით ღმერთს უჩოქებ თუ რეალურად ხელისუფლებას. პირველს სულიერების ხარჯზე შეიძლება რაღაც გამორჩე, მეორემ შეიძლება სურვილები რეალობად აქციოს.
1452. ადამიანს ბევრი უნდა, მაგრამ მცირეოდენითაც კმაყოფილდება დროის, გარემოსა და საკუთარი ხასიათის შესატყვისად.
1453. ახალგაზრდობას და სიბერეს სინამდვილის ობიექტურად აღქმა ერთნაირად უჭირთ.
1454. ბედნიერად ყოფნისთვის მარტო სურვილი არ კმარა, მაგრამ აუცილებელია.
1455. ბედნიერებასაც ლაგამის ამოდება სჭირდება, რათა უდროოდ თავი არ წაგვართვას და სადმე არ გადავიჩეხოთ.
1456. საქმიანი მსჯელობა ზოგჯერ რიგი მოვლენების უცოდინრობის წარმომჩენია.
1457. სამწუხაროდ, ადამიანს გაორებასთან ერთად, გასამმაგებაც ახასიათებს და უბედურება ისაა, რომ ამ გარემოებაში თავადვე იბნევა.
1458. ადამიანს იმქვეყნად გადაბარგების შემდგომაც ამქვეყნიური სურვილები ახსოვს.
1459. მოსმენის უნარდაკარგული ადამიანი, უპირველესად, თავს აყენებს განუკურნებელ ჭრილობას.
1460. ბრძენი ისაა, ვისაც თავისი გამოსწორებული შეცდომები ახსოვს, ხოლო გამოუსწორებელი დიდი ხანია დავიწყებული აქვს.

1461. ყველა ჩვენგანი სიკვდილს ბედის ბანქოს ჩალიჩობით ეთამაშება.
1462. თუ გინდა ადამიანად თავი იგრძნო, ყველგან მშვენიერება უნდა დაიცვა და ეთაყვანო.
1463. სიკვდილის დამმარცხებელი ყველა გმირია.
1464. უცნაურ ადამიანთა „სისულელეებისადმი“ ეჭვიანობას, შედეგი არ მოაქვს, ისევ მათი უყურადღებოდ დატოვება სჯობს.
1465. ზოგჯერ აბსურდს უფრო საქმიანად უდგებიან, ვიდრე რეალობას, რადგან იქ თავის გამოჩენის შანსი რჩება.
1466. ადამიანის რაობა ლაკონურობაზეა აგებული ამბის გაზვიადებაა.
1467. სიტყვის მოსმენას, რომელიც საინტერესო სიახლეს ღაღადებს, რა სჯობს.
1468. ზედაპირული ადამიანები მხიარული ბუნებისანი არიან, რადგანაც პასუხს არაფერზე აგებენ.
1469. საკუთარი თავის გაცნობიერება ძვირი გვიჯდება.
1470. ადამიანებს ბევრი საერთო აქვთ ცუდი და ძალზე ცოტა – კარგი და მისაბაძი.
1471. სულიც და სხეულიც, თეორიით და პრაქტიკით, სიყვარულსა და სიძულვილსავით ერთმანეთს ექიშპებიან, მაგრამ უერთმანეთოდ ფასს დაკარგავდნენ და ვერც იარსებებდნენ.
1472. წარსულს არ უნდა ეპატრონებოდეს, ვინც აწმყოში ღმერთს არ უქნია და მომავლის პერსპექტივაც სათუო აქვს.
1473. სიკვდილის შიში ყველა ჩვენს მიღწევას შინაგანად თრგუნავს.
1474. კეთილგონიერება ყველა ასაკის ხვედრი არ არის.
1475. ვამპირი სისხლის გარეშე თავს ვერ შეინარჩუნებს.
1476. პიროვნება მისი მოღვაწეობის დროის შესატყვისად უნდა დაფასდეს და არა მხოლოდ დღევანდელი ცნობიერების განსჯით.
1477. გონიერ მტერთან შებმა მეტ სახელს გვმატებს, ვიდრე უგუნურთან მეგობრობა.
1478. გულის განტოლებების გამოცნობა გონიერების ალგორითმებს ამოხსნაზე ძნელია.
1479. ყველა ჩვენგანი თავისებური ანგელოზია გარკვეულ პარამეტრებში.
1480. ყველას ჰგონია დიდი პიროვნებაა, მაგრამ მას ვერ უგებენ და არც ეხმარებიან.
1481. იმქვეყნად გადასასახლებლად დაბადებიდან მზადა ვართ, მაგრამ ამას ვერ ვგრძნობთ, სანამ შინაგანად არ მოვმწიფდებით.
1482. ადამიანები ერთმანეთს ვექიშპებით სამყაროში ადგილის მოსაპოვებლად. ეს ასე იყო, ასევე იქნება და ამას ვერავითარი გონიერების ნაჟური ვერ შველის, რადგან „მე“ ყოველთვის წინ დგას.

1483. ასაკს თავისთვის გადანახული კაურები აქვს სიკვდილთან საბრძოლველად.
1484. გონიერებას ნებისყოფა წარმოაჩენს დასახული მიზნის მიღწევით.
1485. უძლურების სასიამოვნო და შელამაზებული ალიბია სიბერე.
1486. ჯალათობა პროფესიაა, რომელიც შებრალებას და ცრემლს გამორიცხავს.
1487. თანდაყოლილი იმედიანობა, რეალურ იმედს განუსჯელად არ ეთანხმება.
1488. ჩვენი შეცდომის მოწმე, შეცდომის თანამოაზრეა.
1489. რჩევა-დარიგებებისთვის წაყრუება გონების სიყრუის მაჩვენებელია.
1490. ზოგჯერ მოთმინებაც გონიერებას მოითხოვს კვადრატში, კუბში.
1491. გულის განზრახვების შეცნობა ხშირად გონიერებას უჭირს.
1492. ადამიანი ოცნებით ანგელოზებში დაფრინავს, ხოლო რეალობაში თავის მოდგმასთან ჯირითით იწყებს.
1493. ხშირად ადამიანები პრობლემებს თავადვე იქმნიან და თავადვე ებრძვიან.
1494. სიზუსტე კეთილგონიერების მომასწავებელია.
1495. დედაბუნება დაუნდობელი ძუკნაცაა და მოყვარული დედაც, გააჩნია როგორ მოვეპყრობით.
1496. მოწონება პირველ რიგში თვალის და ყურის დამსახურებაა. შემდგომ მოდის გული და გონება.
1497. ადამიანს ეჭვიანობა არ უხდება, მაგრამ მიზანს უსახავს და ახალისებს.
1498. ადამიანს უამრავი მისწრაფება აქვს და რეალობაში რომელს გამოიყენებს, მისთვისაც ხშირად უცნობია.
1499. ადამიანმა თავისი წილი წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც უნდა დაიბედოს, თუ სურს შთამომავლობას არგოს და დაიმახსოვრონ.
1500. სულისთვის სიყმაწვილის დაბრუნებას ხშირად სიბერე ცდილობს.
1501. მიზანდასახულ ადამიანს ყოველთვის უპირატესობა აქვს.
1502. თვითმყოფადობა და „თავდავნატრი“ სინონიმებია საკუთარი „მეს“ გასაჯირითებლად.
1503. სიბერის ჩაბუჟბუჟებულ სიყვარულს გაუმარჯოს, რომელმაც მიჩვევა იცის თავისი ერთგულებით და მზრუნველობით.
1504. ადამიანის აღქმა ხშირად გონიერების ნაჯაფს არ ემორჩილება.

1505. მეგობრობა დიდი გამოგონებაა, თუ ბოლომდე გაგვიმართლებს.
1506. უმთავრესია საკუთარ თავს რაიმე ვასწავლოთ.
1507. ადამიანს ყოველთვის საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს, ეს ილუზიების მოშველიებით იქნება თუ უიმისოდ.
1508. საკუთარი თავის მიმართ სიმკაცრე გვიჭირს, მაგრამ არც გაუმართლებელი შეღავათები უნდა ვაკადროთ.
1509. საკუთარ შეხედულებებს ვიცავთ თავის წარმოსაჩენად, იმ უცნაურობებთან ერთად, რომელზეც გონიერებას წარმოდგენაც არ აქვს.
1510. ადამიანები რაც უნდა ერთმანეთს ჰგვანდნენ, ყველა მათგანს თავისი ისტორია, გართულებებით და კაურებით, აქვს.
1511. უგუნურები ვერც თავის შეცდომებზე სწავლობენ და ვერც სხვისაზე, მაგრამ თავი სულელად არ მაიჩნიათ.
1512. გმირობა, უპირველესად, ჩემთვის შედეგია, შემდგომ მოდის პროცესი და მისი მსვლელობის ალგორითმი.
1513. სწავლის პროცესი ფაქტობრივად ბედნიერებაა და არა სიმწარე, თუკი ამისათვის მოწოდებული ხარ და ნიჭიც შენს მხარესაა.
1514. გმირობის უფლება იმას აქვს, ვინც მოსალოდნელ შედეგს 60%-ით მაინც განსაზღვრავს.
1515. ვინც რწმენას, იმედს, კარგავს და სასიყვარულო მოლანდებები არ აწუხებს, ის, მისდაუნებლიედ, სიკვდილზე ფიქრობს.
1516. სიმარტოვესაც თავისი მორზეს ანბანი აქვს და მასავით მარტოხელას ამ ანბანით ესაუბრება.
1517. მარტო კაცის ცხოვრება სიცოცხლედ არ ითვლება.
1518. ხშირად ვერ გაგვიგია, ხორციელი მოთხოვნები გვიმორჩილებს თუ რაღაც ჩვენთვის გაურკვეველი ნება, რომ არაფერი ვთქვათ საკუთარი სულიერების კაურების შეცნობაზე.
1519. ცოდვა – ხორციელ ლტოლვასთან მორგებით, ცდუნება – ადამიანის ფანატიკური დამოკიდებულება გარემოსთან, ცრურწმენა – ჭეშმარიტების ძიებისთვის კვანტის გამოდება, ესაა და ეს ადამიანის ნეტარების მუდმივი პოსტულატი.
1520. თუ იმსახურებ, იღბალი ზურგს არ შეგაქცევს.
1521. საკუთარი თავის ალერსიც და შემწყნარებლობაც სახის გამომეტყველებას ძალზე უხდება.
1522. ზოგჯერ ჩვენი წინსვლის მიზეზი თანდაყოლილი ღიმილია, რომლის ხიბლი, განათლებაით, შემართებით, უნდა იყოს შეზავებული.
1523. გონიერებასაც „ჭკუანაღრძობი“, შემოქმედებითი, განათლება სჭირდება, რათა ინდივიდს საკუთარი თავის პოვნაში დაეხმაროს.

1524. ადამიანი ტანჯვისთვის მზად ყოველთვის არ არის, რადგან ბედს სერიოზულად ჯერ არ გაუწბილებია.
1525. საკუთარი უძლურების შეცნობა ადამიანურ პროტესტს იწვევს, მაგრამ დამნაშავის მოძიებით.
1526. გმირობა არაფერია, თუ დამარცხდები და შენს სახელს ვერ გაა-ჯეჯილებ.
1527. რჩევა-დარიგებამ, უპირველესად, გულში უნდა გაიაროს, გონიერების განსჯით.
1528. გონება მარად შემართული და ნავარჯიშები უნდა იყოს, რათა შექმნილი გარემოებისთვის მიღებული გადაწყვეტილება მზად ჰქონდეს.
1529. გონება, გული და სული, ერთ სხეულშია მოთავსებული, პარამ-ეტრებით და გვერდში ურთიერთდგომით.
1530. ფილოსოფია და მედიცინა ადამიანის გონების და შესაძლებლობე-ბის მარგი ქმედების კოეფიციენტს, როგორც სულიერს, ასევე ხორ-ციელს, წარმოაჩენს და სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს უწ-ყობს.
1531. თვითდაჯერება ზოგჯერ გონების შეზღუდულობაზე და უდროოდ დაღვინებაზე მიუთითებს.
1532. ყოველივე უნდა გადამოწმდეს, რაც შეცვლილია და ნდობის არ იმსახურებს, მათ შორის, ჭკუაც.
1533. დაუმსახურებლად თავის მოჩვენება-წარმოჩენა დროებით შესა-ძლებელია, მაგრამ როგორც წესი, კრახით მთავრდება.
1534. სიკვდილი სიცოცხლის კვლავწარმოების აკვანია, გენის და ჯიშის გაუმჯობესების მცდელობით.
1535. მოწონება – არმოწონებას არც მორცხვობა შველის და არც – სითამამე.
1536. ადამიანი თავისი პლუს-მინუსის შეფასებაზე უფრო ფიქრობს, ვი-დრე საქმის კეთებაზე და ფულის შოვნაზე.
1537. ჩვენი მსგავსნი მოგვწონს, მაგრამ ზოგჯერ ვერ ვუგებთ.
1538. მოტივირებული, შემართებული, ენერგია ყოველთვის თან უნდა ვიქონიოთ.
1539. გრძნობამ ასაკი არ იცის, თუ საკუთარი ცნობიერების და ვნების წინაშე „დახურდავებული“ არ არის.
1540. ევროპელებად არ ხდებიან, ევროპელებად იბადებიან – გენეტიკაა უპირველესი.
1541. ქონება – არქონება, უმთავრესად, დამსახურებაზეა დამოკიდე-ბული.

1542. გული კონტროლს არ ემორჩილება, კონტროლი კი – გულის გამოძახილს, მაგრამ თანადგომას მაინც ახერხებს.
1543. ზოგჯერ გადასაგდებად სისულელეც არ გვემეტება, იმდენად დიდია ჩვენი მოთხოვნილება მასზე.
1544. არიან ადამიანები, რომელთა გარეშე ცხოვრება ძალზე გვიჭირს, თუმცა ისინი ჩვენ გარეშეც უკეთ იცხოვრებდნენ.
1545. ბედნიერების მზა ფორმა არ არსებობს, ის თავადვე უნდა შექმნა, მიხვდე, გაითავისო შენი ბუნების შესატყვისად.
1546. ტაშ-ფანდურისაგან განსხვავებით, მეგობრობას განსჯა უყრის საფუძველს.
1547. დუმილს თავისი მომხიბვლელობა აქვს, თუ საქმეს და შენს ბუნებას სჭირდება.
1548. საკუთარი ცოდვები ხშირად ლამაზად გამოიყურება, შედეგის მიუხედავად.
1549. ყოველთვის ყურადღების ღირსნი ვერ ვიქნებით, მაგრამ ეს თავს არ უნდა ვაგრძნობინოთ.
1550. გამწარებისას ადამიანად დარჩე ძნელია, მაგრამ უნდა ეცადო.
1551. საიდუმლოს ზურგზე აკიდება არ ღირს, თუ ენაზე კბილის დაჭერა არ შეგიძლია.
1552. უპირველესად უნდა ვეძიოთ ვინ გვიბიძგებს ზრახვების აღსრულებაში და არა – გადაცდენაში.
1553. ყველაზე მეტ ზიანს თავს ჩვენი უგუნურებით ვაყენებთ.
1554. ხელმისაწვდომის დაიღლიავებაც თავისებური ბედნიერებაა.
1555. გული ამბიციურია, ზოგჯერ ყოველივე უგუნურებაზე წამსვლელი, მაგრამ ბოლოში კეთილია, თუ დაწყნარების საშუალება მიეცი.
1556. ინტელიგენტია ის, ვინც თავისი ინტელექტის კოეფიციენტის ამაღლებას ცდილობს.
1557. ადამიანი თავისი ბუნებით, მართალია, მორჩილი არ უნდა იყოს, მაგრამ არც გადარეულობა ვარგა.
1558. ბედნიერებაა, თუ ყველას სჭირდები და სხვათა დახმარება არ გჭირდება.
1559. რწმენის. სიწმინდის და ღირებულებათა, შეცნობის გარეშე ადამიანად დარჩენა ჭირს.
1560. ზოგი ბერდება, ზოგს წლები ემატება, ზოგიც იზრდება, მაგრამ ახალგაზრდობას ამის გარჩევა უჭირს და თავის საზიანოდ მათ არაფერს ეკითხება.
1561. აზრს და ძალას თუ გონივრულად, მოხერხებით, გამოვიყენებთ, დიდი საქმეების კეთებაა მოსალოდნელი.

1562. ბავშვი შეიძლება იყოს „მიგდებული“, „აყვანილი“, „არჩეული“, გააჩნია, ამას როგორ აუხსნის მშობელი ნაშვილებს.
1563. ინტელიგენტი, ფაქტობრივად, ინტელეტუალის სინონიმია, სასიკეთო საქმეთა კეთების მცდელობით.
1564. დროის რთულ მოთხოვნებს ინტელიგენტი უნდა პასუხობდეს დაუზარებლად, შეულამაზებლად და სამშობლოს სიყვარულით.
1565. ადამიანი, ხშირად, სურვილების მონა ხდება.
1566. სრულყოფილებისკენ მისწრაფებაა მთავარი და არა – გარეშეთა უგვანობისთვის ალიყურის ჭმევა.
1567. მეგობრობას ცენზი მაშინ ემატება, თუ მისი წარმატება ჩვენც რაღაცაში გამოგვადგება და ყოფის დივიდენდებს მოგვცემს.
1568. ადამიანები ყველაზე უდარდელად დაუბრუნებელ წამებს კარგავენ, რომელიც მაინცდამაინც არ ენაღვლებათ.
1569. ყველა უპერსპექტივო საქმიანობა პერსპექტიული გახდება, თუ მას მონდომებას და ორიგინალურ აზროვნებას მოვახმართ.
1570. ყველა ჩვენგანი უნიკალურია, ზოგი ამის გამოვლენას ახერხებს, ზოგიც – ვერა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვინდა და თავს ამგვარად ვინუგეშებთ.
1571. საწყალია ის ადამიანი, ვისაც ღორს შეადარებენ არა იმიტომ, რომ გემრიელი ხორცი აქვს.
1572. ადამიანის გონებაში არსებული აზრობრივი წიაღისეული გაცილებით მეტია, ვიდრე წარმოსახვითი, მაგრამ ფუჭ აზრებს გადამუშავება, გამოდნობა და წარმოჩენა სჭირდება.
1573. ზოგჯერ ისეთ ხასიათზე ხარ, იმის დაჯერებაც გიჭირს, ცოცხალი რომ ხარ.
1574. უნდობლობის წამალი – ღიმილია, ეჭვის – თვალების შემონათება, გაიძვერობის – მუშტი.
1575. თავი სავსეა ყოფის ლოგარითმული განტოლებებით, მაგრამ მისი ამომხსნელი ზოგჯერ „უთავოდ თავიანია“ ე.ი. მოხერხებულია.
1576. თეორიულად სიძულვილის დამსახურება არავის უნდა, სიყვარულისგან განსხვავებით, მაგრამ სამწუხაროდ, პრაქტიკაში პირიქით ხდება, როდესაც ურთიერთგასაგებს ერთმანეთს ვერ უგებენ.
1577. დაღვინებული აზროვნება სიბერეს დივიდენდებს მატებს, მაგრამ საქმის კეთება, ჯეელური სულის დაუხმარებლად, უჭირს.
1578. სიტყვის ჭაშნიკსაც თავის დამგემოვნებელი სჭირდება თავისი ორიგინალობით და რეალობის აღქმის ავ-კარგით.
1579. დილეტანტისთვის ყველაფერი შესაძლებელია, მათ შორის, შეუძლებელიც, თუ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული და განგებას მისთვის თავში წამორტყმა არ ეზარება.

1580. ულამაზონი არ არსებობენ, რადგან სილამაზის გარდა არსებობს ღიმილი, სიტყვათა გახმოვანება, გონიერება და ჩვენი უაზრო გემოვნებაც, რომელსაც რა მოსწონს, ყოფით გაფილტრული გონიერებისთვისაც კი გაუგებარია.

1581. ზოგჯერ თავზე დაყრდნობაც შეუძლებელია, იმდენად ცვალებადი ჭკუის ვართ და იმდენად დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ბედის, ფანტაზიის.

1582. კეთილი გული და სუსტი ნერვები შეუთავსებელია.

1583. სიბერეში ხვდები, რომ ძილის წინ ქალის წარმოსახვაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ შენთვის გაუცნობიერებელ იმქვეყნიურ სისულელეზე არ ფიქრობ.

1584. გულწრფელობას, მხარში ამოსადგომად, თვითდაჯერება და ანალიზის უნარი სჭირდება.

1585. იუმორი ჩვენი შემართების, ნიჭის და საკუთარი მეობის სიყვარულის შედეგია.

1586. სიცრუე, გაუმართლებელი აკრძალვებით, იარაღის უნებართვო ტარება, დანაშულებს აგროვებს და მათი ჩადენის ხარისი და ალიბი კვადრატში აჰყავს.

1587. ამქვეყნად უამრავი ტკივილი, გაუგებრობა, ფეხის დადება, არსებობს და სულაც არაა საჭირო, რომ ყოველივე ეს საკუთარ თავზე ულიმიტოდ გამოვცადოთ, ზოგჯერ განსჯაც საკმარისია.

1588. მიზეზის განსჯაა ძნელი და არა – მისი მომიზეზება და მონახვა.

1589. ხასიათია ჩვენი ყოფიდან ამომგდებიც, დამკვალიანებელიც და ბედის მომტანიც.

1590. სხვისთვის ჭკუის დარიგება დიდი კაიფია, მაგრამ რამდენად შინაგანად გეთანხმებიან და სარგებელს ნახულობენ, ეს სხვა „ბაიათია“.

1591. წყენის არშემჩნევა, უყურადღებოდ დატოვება, მაწყენარისთვის სილის გაწვნის სინონიმია.

1592. უგუნური ქცევის რევერანსებს ასაკის ჭრაჭუნი აფასებს და არა ის დრო და შემთხვევა, როდესაც ეს ჩაიდინე.

1593. რატომლაც წონის დაკლებას ყველა უშრომლად – უწვალებლად ნატრობს.

1594. ჰოროსკოპების იმედზე მყოფთ პერსპექტივა აქვთ ძალზე საეჭვო, იმედის მიცემის მიუხედავად.

1595. სიმახინჯე დანაშაული არაა, მაგრამ სული დამახინჯებული არ ჰქონდეს, ძნელია, იმდენად დიდია გარეგნული არასრულყოფილების ზეწოლა.

1596. ბედნიერება ბრმაა, მაგრამ თავის რჩეულს მაინც ნახულობს.
1597. ემოციური, აფექტის შედეგად გამოწვეული, ნაკლი, ზადი, ადამიანს გაცილებით მეტად ვნებს, ვიდრე ფიზიკური, თანდაყოლილი.
1598. დაბადებასა და გარდაცვალებას შორის ტირე დევს ბედის ნაჩუქარი სიგანით.
1599. აღმაფრენის საიდუმლოს გრძნობათა აფეთქება გვამცნობს და ოვაციებით გვაკვალიანებს.
1600. ადამიანი თავისი ბედნიერების მოსამართლეცაა, პროკურორიც, ვექილიც და ჯალათიც და აქ ბედი არაფერშუაშია.
1601. პოზის დაჭერას ცოდნა სჭირდება, მის შენარჩუნებას – ბედი.
1602. ხასიათს ხშირად გონიერება ვერ ერევა და ვერც თავის ჭკუაზე მართავს.
1603. ყველაზე უდრტვინველად, შეუმჩნევლად, ტვინი მუშაობს, მაგრამ მისი შრომა, ბედნიერი გამონაკლისის გარდა, შეუმჩნეველი რჩება.
1604. ყველაზე მეტად ადამიანს კარიერის კიბეზე დგომა ამშვენებს, განსაკუთრებით, თუ ეს მისი საქმეა.
1605. ტკბილი სიტყვა ბევრს გვაკეთებინებს, მათ შორის, გაუკეთებელსაც, ქათინაურის მთქმელს გააჩნია.
1606. უიმედობა ყოფის ის ფუღურაა, საიდანაც აღარაფერი სახეირო არ გამოითხრება, რადგან ამას არავინ ცდილობს.
1607. სიტყვა, ავტორიტეტის გარეშე, გაცილებით მავნებელია, ვიდრე უყბოდ ყოფნა.
1608. ადამიანთა უდიდესი ბედნიერება ისაა, რომ მათ კვლავ სჯერათ სიყვარულის, ბედნიერების, კაცობრიობის და იმედს არ კარგავენ.
1609. ზოგჯერ ისეთ გარემოში მოხვდები, ისეთი მამაკაცის ცოლს დააჭაშნიკებ, რომ სირცხვილით სად შეძვრე არ იცი და კრიჭა არ გეხსნება, რადგან პირველ რიგში ადამიანი ხარ და შემდგომ – მამაკაცი.
1610. სიხარბე-შეძენა, სიძუნწე-ხელმომჭირნეობა, გაუმაძღრობა-მოთხოვნა, ყოველივე ეს ადამიანური თვისებებია თუ არ გადავამლაშებთ და დაავადებად არ ვაქცევთ.
1611. აზარტი კარგია, თუ მის კარებს გონიერებაზე მორგებული გასაღებით აღებ.
1612. აზარტი აღმაფრენის სუროგატია დაწევის შანსის დაკარგვით.
1613. როდესაც არ იცი, როგორ მოიქცე, გულის, ინტუიციის და წინათგრძნობის ნაჯვარის კარნახს უნდა დაუჯერო.
1614. ძალზე ახლობელია ის, ვის გარეშეც შენს ნაოცნებარს აღსრულება არ უწერია.

1615. საკუთარ „მე“-ზე, ისევ ჩვენი „მე“ ბრაზობს, თუ სათანადოდ არ უმართლებს და შედეგს ვერ აღწევს.
1616. დიდი ადამიანისთვის მთავარია უზრუნველყოფილი თავისუფალი დრო და მისი ნაღვაწის ყოფიერების ფართო გზაზე გაყვანა.
1617. გონიერებას, წყენის დასავიწყებლად, „ფეხებზემკიდია“ ხასიათის დამუღამება სჭირდება.
1618. შეცდომას ბრძენი სჩადის თუ ბრიყვი, ერთნაირად გულდასაწყვეტია, განსაკუთრებით, თუ გამოცდილება აქვთ.
1619. შიმშილი გონიერებას ვნებს, მაგრამ გადაძღომაზე მეტად არა.
1620. სიმკაცრეს, მომთხოვნელობას, ყველაზე მეტად გონიერება სჭირდება.
1621. თავაზიანობაშიც პიროვნება უნდა ვეძებოთ და ამოვიცნოთ, რადგან ხშირად მათშიცაა ნაძირალები.
1622. ზოგს ნაპოვნ ფულშიც ეჭვი ეპარება, თუ დამრგვალებული არაა: ვინმემ საფულედან ხომ არ მოიპარაო.
1623. მშობლები ახალგაზრდობაში გვიყვარს და ანგარიშს ვუწევთ, ასაკში – ვაფასებთ და ვეთანხმებით.
1624. სიბერის ასაკიდან ახალგაზრდული წლების განსჯა სიბრიყვეა, რადგან დაღვინებული და მაჭარი სული ერთმანეთს არ ეთანხმებიან.
1625. დიდი საქმისთვის მოწოდებულ ადამიანს პატარა საქმის სტაბილურად კეთება უჭირს.
1626. თუ „გიქრის“, სანამ ქარი თავად არ ჩადგება, სწორ გზაზე ვერ დადგები.
1627. მსახიობისაგან განსხვავებით, კარიერისტს გრიმის მოხსნა ავიწყდება.
1628. სიბერესაც სათუთი და გონივრული მოპყრობა სჭირდება, რათა ასაკისთვის შეუფერებელი ფრთები არ გამოისხას.
1629. არ ღირს იმ ადამიანთან საქმის დაჭერა, რომელიც ზოგჯერ ბაწარზე ფიქრობს, მისთვის გაუცნობიერებელ ისეთ რისკს ეწევა.
1630. უნდა ვეცადოთ, ჩვენი სიკვდილი რაც შეიძლება გვიან გამოვაფხიზლოთ და გავაღვიძოთ.
1631. ზოგი იმდენად უხიაგი ჩნდება, რომ ზაფხულში უნდა დაიბადოს, რადგან მის გამოსაკვებად ზამთარში ძუძუს ამოღება დედასაც კი გაუჭირდება.
1632. გონიერი კაცის სულელურ ქმედებაშიც კი უდიდესი ჭკუა და იმედი გამოკრთის მომავლისათვის.

1633. ეტყობა, სამყაროსაც თავისი ხულიგნები სჭირდება, კანონზომიერებების დასარღვევად, გასართობად და ამიტომაც გააჩინა ადამიანი.

1634. სილამაზე, უპირველესად, მსხვერპლს, დროს, ფულს და ფეტიშს ითხოვს.

1635. ცა, ვარსკვლავები, მიწა, უძრავი ქონებით – ესაა და ეს ადამიანის გონების ხელშესავლები.

1636. სიბრძნის პირველი საფეხური ადამიანის შეცნობის ცდაა, რომელიც ხშირად გვაწბილებს.

1637. ყველაზე მეტად ადამიანს ის აბერებს და აავადებს, როცა არავის სჭირდება და მასზე არ ზრუნავენ.

1638. თეორიულად ადამიანი ყველასათვის მოსაწონი, მისაღები, უნდა იყოს, მაგრამ მაშინ ის არც ადამიანი იქნება.

1639. მისაბაძი ადამიანი ყველას მოსწონს, მაგრამ მიბაძვა უჭირთ და ამიტომაც მოსწონთ.

1640. ადამიანს იმედის იმედი მაინც უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოცხალ-მკვდარია.

1641. ყველა პატარა ერის წარმომადგენელს დიდი ერის ამბიციები აწვალებს, რათა თავის გაამაყებულ მეობას, ნიჭს, წარმოჩენის საშუალება მისცეს.

1642. ცოდვებსაც ბოლომდე მიყვანა სჭირდება, რათა ის განსჯადი იყოს.

1643. ყველასგან იყო გამორჩეული, მძიმე ტვირთია შენთვის, შენიანებისთვის კი თავის წარმოსაჩენია.

1644. ჭკვიანია ის, ვინც ზომიერებას იცავს, აფექტშიც თავს იკავებს და არ გადაამლაშებს.

1645. მავნე ჩვევებისათვის თავის დანებება ძნელია, თუ გსიამოვნებს და გაითავისე თავის „წარმოსაჩენად“.

1646. ბუნებას არაფერი ეშლება, უბრალოდ, ადამიანის გონება არ ღვინდება იმ დონეზე, რომ მას გაუგოს.

1647. აზროვნება მტრის დასათრგუნავად უნდა იყოს მზად, გული – მოყვარეთა შესაძენად.

1648. პირველ რიგში, ადამიანმა თავისი „მეს“ შესაძლებლობა უნდა იწამოს, სხვის დაუყვედრებლად წარმატებებს რომ მიაღწიოს.

1649. გონებას რწმენაში ხშირად რაციონალური მარცვლის აღმოჩენა უჭირს, მაგრამ რაღაც რომ სწამდეს, წინააღმდეგი არ არის, რადგან ამისათვის შინაგანადაა მომწიფებული.

1650. ხელისუფლებას ყველაზე უკეთ ეხერხება კანონიერების კანონიერი დადგენილებებით დარღვევა.
1651. გაკვირვების უნარიც გამარჯვების საწყისია.
1652. შენს ავტორიტეტს მიტმასნილი ახლობელი მეგობრობას ბოლომდე ვერ გაგიწევს.
1653. ძალა, გავლენა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, ყოველთვის არასაკმარისია და მეტი გვინდა.
1654. ასაკის შესატყვისი, გონებით, არასოდეს ვიქნებით, თუნდაც ჩვენივე გადასახედიდან.
1655. უკვდავების ალგორითმი ხსოვნაა.
1656. უცოდინრობის დამალვას, ნიჭთან ერთად, ზრდილობიას ცოდნა სჭირდება.
1657. ვინ იცის, ბუნებას როგორ გაუმართლებდა ადამიანის მაგვარი ცოცხალი არსება რომ არ ჰყოლოდა, მაგრამ მაშინ ხოტბას ვინ შეასხამდა, წარმოაჩენდა, მის მშვენიერებას.
1658. მტრის ყოლა ხშირად მაზანდას გვიმაღლებს, ოღონდ გააჩნია მტრის „ავტორიტეტსაც“.
1659. ბედნიერებაში გვეპარება ეჭვი და არა იმაში, რომ სხვას ვჯობნით.
1660. მრისხანებასაც თავისი პარამეტრები და დროის შერჩევა სჭირდება.
1661. შემოქმედება, ნიჭის გარეშე, ყველა დარგში თავხედობას მოითხოვს.
1662. მშვიდად ყოფნა საკუთარ „მე“-სთან საერთო ენის ძალადაუტანებლად გამონახვაა.
1663. სახელის მოპოვება: თავის განძრევას, თანდაყოლილ ტალანტს, მასშტაბურ ხედვას, შემართებას, შედეგით მოითხოვს, შემდგომ მოდის საკუთარი მეობის შეცნობა, პრეტენზიების გაჩენა და მხართეძოზე წამოწოლის სურვილი.
1664. მიზანი რაც უფრო დიდია, მისი მოქრთამვა მით უფრო გაძნელებულია.
1665. ასაკში ძნელია მოჭარბებული დროის ისე გადანაწილება, რომ საჭიროც იყო, შენი საყვარელი საქმეც აკეთო და შენით კმაყოფილნი დარჩნენ.
1666. ინტერნეტს ადამიანზე გავლენას მოხდენა არ შეუძლია, ის ადამიანში დამალული გენის უარყოფით პარამეტრებს ეხმაურება.
1667. იმას, რასაც ბავშვი გააკეთებს და ეპატიება, დიდს არავინ შეუნდობს, პირიქით, გაუკვირდებათ, შეაქებენ და ამ ბავშვს მომავალ „ვუნდერკინდად“, გენიოსად, მონათლავენ.

1668. წარსულის სასიამოვნოდ გახსენება და აწმყოსათვის ნიშნის მიგება, იმდენად პროტესტის გამოხატვა არ არის, რამდენადაც ასაკის ჩამოკიდება.

1669. უჭკუოსაც თავის კაპრიზები და გამოხდომები აქვს, რაც ზოგჯერ მოულოდნელად ჭკვიანი აზრების წარმოთქმაში გამოიხატება.

1670. მრისხანება ადამიანის ნერვების შეზეთვაა, რათა მან უკეთ იაზროვნოს, როდესაც დაწყნარდება და თავის საქციელს გადახედოს.

1671. არეულობა, გაუგებრობა, ომი, ადამიანის ბუნების და მისი შიგთავსის ყველაზე დიდი გამომხატველია.

1672. დღევანდელი ახალგაზრდობა სხეულით ფიქრობს, ტვინის გარეშე აზროვნებს და ცოდნის მადლის ფასი ვერ დაუდგენია.

1673. გული და თვალი გაცილებით მეტ განსაკუთრებულს ხედავს, ვიდრე გონება.

1674. ერთ გონიერს, მეორე გონიერის აზრის გადახარშვა ხშირად უჭირს, მაგრამ მათი შეხვედრა მაინც ჯობს, ვიდრე იმასთან, ვისაც საკუთარი აზრი საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ დითირამბების გალობა არ ეშლება.

1675. ადამიანს იმდენად უყვარს თავი, რომ მზადაა იმქვეყნიური ცხოვრება დაიჯეროს და ამ სურვილს არავითარი განათლება არ შველის.

1676. ადამიანში ჩვენ ერთდროულად შეგვიძლია დავინახოთ მისი სისუსტე, სისაძაგლე, თვითმყოფადობა და გონება. გააჩნია, რა ხასიათზე ვართ და ვინ არის ჩვენი აზრის ხარისხის „მაძიებელი“.

1677. ცდუნებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძნელია, თუ მისთვის მოწოდებული ხარ, გარკვეული ცოდნაც ხელს გიწყობს, რისკის გაწევის სურვილი და გამბედაობა კი თავად მოდის.

1678. უდანაშაულო ადამიანისათვის „განტევების ვაცის“ როლის დაკისრება ყველაზე დიდი დანაშაულია იმ სამყაროშიც.

1679. ადამიანის დანიშნულებაა: უყვარდეს, პატივს მიაგებდეს, ოცნებობდეს, ცდილობდეს, შრომობდეს, იმედს არ ჰკარგავდეს, შთამომავლობას ამრავლებდეს და მომავალ თაობებს თავის გამოცდილებას გადასცემდეს.

1680. დღეს მხოლოდ „სანახაობა და პური“, სიყვარულის, თანადგომის გარეშე, ძირს უთხრის საზოგადოებას და მის სახელმწიფოებრიობას.

1681. მარტოობა უსაქმური ხალხის საქმე არ არის.

1682. დაბერებით უგვანონიც ბერდებიან ჭკუის მატების გარეშე, მაგრამ მათ ეს არ აღელვებთ.

1683. მორცხვიც იბადება და თავხედიც, მაგრამ მათი შესაძლებლობების გამჟღავნების პარამეტრებს მაინც კარიერის კიბის საფეხურები განსაზღვრავს.

1684. ყველაზე მეტად ჭკუა შრომობს, თავის განუწყვეტელი ფიქრით, მიუხედავად იმისა, რომ მისი „ნაღვაწის“ უმეტესი ნაწილი გამოუსადეგარია.

1685. როდესაც ადამიანი აზროვნებს, შემართულია, მას ცხოვრებაში რაღაც სიახლენი ელის, მათ შორის, მოულოდნელი სიყვარულიც.

1686. ბალზაკის ასაკს გადაცილებული ვნების ბანკროტობის წინაშეა, რამდენიმე გაფხაკურება და „ბასტა“.

1687. ყველას ჩვენი ნაკლი კუდს უნდა გვწვავდეს, მაგრამ არა იმდენად, რომ ყველასათვის შესამჩნევი გახდეს.

1688. რატომღაც, შემოქმედებაში გონებით ნაღვაწს, გულით ნაღვაწი „ჯობნის“, რადგან ის უფრო მისაღებია, ადვილად გასაგებია და ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება.

1689. მამობა ადვილია, ასაკში შვილისათვის გაგება ძნელია, როდესაც ის თავს კაცად გრძნობს.

1690. ადამიანი ყველა სახის კომფორტს და სიამოვნებას დრო და დრო უნდა ეზიაროს, რათა ყოფა არ მოყირჭდეს და თავი ადამიანად იგრძნოს.

1691. ლოთობა თავის გამოცდის თავისებური ექსპერიმენტია: რამდენად უგუნური შეიძლება გახდე.

1692. გრძნობათა ღელვა, სექსი, თავდავიწყება, პირველადია, მაგრამ მისი აღიარება გვიჭირს და გვაფრთხობს, რადგან საკითხი მოწონებაზე, სიყვარულზე, ოჯახის შექმნაზე, გადაგვაქვს.

1693. სიზმარში ნანახი, ნაოცნებარი, უხამსობის მიუხედავად, საკუთარი თავის არ უნდა გრცხვენოდეს, რადგან ხორციელი ადამიანი ხარ და ამ გაუცნობიერებელი სამყაროს შვილი.

1694. დაწყვილება, დაოჯახება, ზოგს სხვის ქორწილში ხაშლამის ჭამა ჰგონია.

1695. უმეცრება, ცრურწმენა, გონებას ვერ ეთვისება, მაგრამ რა ვუყოთ წინათგრძნობას, რომელიც ხშირად მართლდება.

1696. სიბერე მეგობრებსაც ობს ადებს, რადგან სკლეროზი და სხვა დაავადებანი ხშირად შეხვედრა-შეხმიანების საშუალებას არ იძლევა, მატერიალურ შესაძლებლობებთან ერთად.

1697. მცდელობა, ოცნება, მიზანი, აყალიბებს ხასიათს და შედეგსაც დაუმადლებლად იმკის.

1698. ყველა ცივილიზებულ და ფუფუნებაში მცხოვრებ ადამიანს ერთი საზრუნავი სარწმუნოება აქვს „გახდომამაიზმი“.

1699. ადამიანის ბედს მისი ხასიათი განსაზღვრავს განსჯით და დაა-ჭაშნიკებით.

1700. ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლია წამლიქვნელება, წატრაბახება, თავის წარმოჩენა „გაბრექვით“ და საკუთარი წონა-ზომის არცოდნა შექმნილ გარემოში, დროში.

1701. ახლობლებშიც კი ბევრჯერ შემპარვია ეჭვი და არც თუ ისე უსა-ფუძვლოდ, განსაკუთრებით, ეს ასაკში იგრძნობა: თუ არ სჭირდები, არც გახსენებენ.

1702. ვაჟიშვილები ხასიათით იშვიათად გვანან დედებს და ეს მათი ტრა-გედიაც არის და ბედნიერებაც, რადგან ისინი მამაკაცებად ყალიბ-დებიან, რაც შეეხება ხარისხს, გენზე და ბედზეა დამოკიდებული.

1703. ხანდაზმულები დასაღვინებელ ახლობელს რჩევა-დარიგებებით თავს აბეზრებენ, როდესაც ეს რჩევები ამ ახალგაზრდობისთვის მი-უღებელია, რადგან ის შეყვარებულ-გატაცებულ-დაჰიპნოზებულია.

1704. უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც მასწავლებელს ნიჭიერი მოს-წავლე გამოუჩნდება, მის იმედებს გაამართლებს და ასაკში ჭკუის დამრიგებლად მოიხსენიებს.

1705. ასაკის მატება ყოველთვის გონიერების მატების მაჩვენებელი არ არის, ის უფრო ცოდნის ბითუმად დაგროვების და „სკლეროზის“ აკიდებისათვის განკუთვნილი ჯიუტი „ვირია“.

1706. კაპიტალის დაგროვებისკენ სწრაფვა ზარმაცებს და გაუბედავებს ფუჭად ჩაუვლის.

1707. მეორე „მე“ ყოველთვის ჩვენი მეგობარი არ არის.

1708. ისიც ადამიანად დარჩენაა თუ დაუნანებლად და ზიზღით არავინ დაგასაფლავებს.

1709. ნაღდ ადამიანს რეალური ნაკლოვანებები აქვს, ხოლო კარგს – ჩრდილოვანი გადახრები.

1710. შემოქმედი მაძღარი არ უნდა იყოს, მაგრამ არც ისე უნდა შიოდეს, რომ სხვა უმნიშვნელო საქმეებზე მოცდეს დამატებითი შემოსავლის მისაღებად და კუჭის ამოსაყორად – ეს დანაშაულია შთამომავლობის წინაშე.

1711. სხვისთვის დაუმადლებლად გაყოფილი შესაძლებლობა, ადამი-ანის კარგ ბუნებაზე და მის მოხვეჭის უნარზე მეტყველებს.

1712. დაუდგრომელი ხასიათი და გასახედნად გამზადებული გონიერება ამაღლებს ადამიანს საკუთარ თვალში.

1713. არც ერთ მამას არ ჰყავს ისეთი შვილი, როგორიც მას უნდა, რაც შვილმაც უნდა გაითვალისწინოს და „ჯინაზე“ მამას აჯობოს.
1714. ყველა თეორიულ „ალხანას“ თავისი პრაქტიკული „ჩალხანა“ ჰყავს. ასე, რომ ადამიანებს თავისნაირი „დარეხვილების“ პოვნა არ უჭირთ.
1715. ძნელი სათქმელია, სასიკეთო საქმის საკეთებლად გონებით შეჭიდება სჯობს თუ გულით შეჯერება, რადგან არავის უწყის, ბედის ვარსკვლავი ვის როდის და სად დაუჯდება.
1716. ისიც დიდი ბედნიერებაა, გქონდეს უნარი წინასწარ შეიცნო ის, რასაც არც შედეგი მოაქვს, არც მადლიერება და არც სიკეთე, გარდა გაკვირვება-გაოცებისა.
1717. ადამიანი ყბედი გემოვნების გადამხალისებელია, ვიდრე სიახლის და სილამაზის მაჩვენებელი.
1718. ადამიანი ტყუილუბრალოდ არც უყვარდებათ და არც უარყოფენ, თუ ეს ბედი-შემთხვევის მოგონილი არ არის.
1719. შუბლზე დარჩენილი ყველა ნაოჭი გაფრთხილებას და სიამაყის შეცნობას მოითხოვს, რადგან მასში ჩვენი ცხოვრების კოდის ავ-კარგი ბედთან შეთანხმებითაა გამოხატული.
1720. ძნელია თავის ტვინის დიქტატურისაგან თავის დაღწევა, იმას გაკეთებინებს, რაც მას უნდა.
1721. მიუხედავად ცხოვრებისეული გამოცდილებისა, გონიერება ხშირად მიმნდობია, რადგან სურვილი აქვს ადამიანში სიკეთის საწყისები დაინახოს.
1722. ზოგჯერ ვერ ვამჩნევთ, ჩვენთვის სანდო და საყვარელი ადამიანი ცუდისკენ როგორ იცვლება, როდესაც ეჭვი, შური და თავისადმი უაზრო საყვედურები დაუგროვდება.
1723. ადამიანი, რომელიც თანამდებობას თავის შეგნებით ემსახურება, ხელმძღვანელია.
1724. საზოგადოება მაშინ დადგება ფეხზე, თუ ყველანი ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობთ და არა საკუთარი მეთი.
1725. მასკულტურა ფართო მოხმარების ხელოსნობაა.
1726. ძნელია იმ ხალხთან საუბარი, რომელსაც ნიჭი დიპლომატიაში გაქნილი ტალეირანი და ამბიციების მქონე მაკიაველი ჰგონია, რომელთა ბიოგრაფია არც ერთ მათგანს არ წაუკითხავს.
1727. ვისაც ბევრის თქმა შეუძლია დროის მცირე მონაკვეთში ლამაზად და დამრთგუნველად, ის არის მარად ქალის ფავორიტი.

აღზრდა

1728. ბავშვი სიყვარულით კი არ უნდა დავსაჯოთ, არამედ სიყვარულით უნდა შთავაგონოთ. მცდელობა ერთია, მაგრამ შედეგი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

1729. სწავლის უმთავრესი მიზანი პრესტიჟული დასაქმების პოვნაა და არა ცარიელი, გამოუყენებელი განათლების მიღება.

1730. ახალგაზრდობის ყველა იდეის, წინადადების, აზრის, დროულად გამოხმაურებამ მის წარმატების „წამთაქებელი ნათლია“ შეიძლება გაგხადოთ.

1731. მწვრთნელი ყველაზე დიდი დიქტატორია, რომელიც თავის შეგირდებს აიძულებს დღეში რამდენიმე საათს ერთიდაიგივე და მოსაბეზრებელი ვარჯიშები დახვეწონ. ასევეა ხელისუფალი: მან ხალხი უნდა აიძულოს თავგამოდებით იშრომოს, რადგან შედეგი ყოველგვარ წვალება-უხერხულობას გადაფარავს, გარდა ერთეული მოქალაქის „აზრუკებისა“, რომლებიც ხელისუფლის კრიტიკას თავის წარმოსაჩენად ცდილობენ.

1732. ბავშვებისთვის მთავარია ბედნიერების მინიჭება, რაც შეეხება აღზრდას, ამაში სკოლაც მოგეხმარება, ქუჩაც და მათი მომწიფების ასაკიც.

1733. ნებაყოფლობით სიკეთის კეთებას გარემო, აღაზრდა და დროის ყივილი გვაიძულებს.

1734. თუ სტუდენტთა მეოთხედი ფრიადოსანია, წარჩინებულია, საზოგადოებას ამდენი „დებილის“ დანიშნულებისამებრ განაწილება გაუჭირდება.

1735. ახალგაზრდობის ხარჯვას ბედი და გამოცდილების დროულად ათვისება სჭირდება, ასაკს – დაკარგული დროის არშემჩნევა.

1736. აღზრდა და ჩვევა ერთმანეთს არ სცნობენ.

1737. ბავშვობის დრო მიიზლაზნება, ხოლო მოწიფული დროში ვერ ეტევა და სად ეჩქარება, ვერ გაუგია.

1738. ახალგაზრდობას მოდაზე გადასწრებაც ახასიათებს, რადგან მისი სურვილია ეპოქას გაუსწროს და ძველს და თანამედროვეს „ენა გამოუყოს“.

1739. ყველაზე უკეთ ოჯახის მთლიანობას, ჯერ-ჯერობით ბავშვების ოდენობა და მათზე ზრუნვა ინახავს.

1740. დედას მაშინ უნდა დაურეკო, თუ შენს ცხოვრებაში რაღაც არასასიამოვნო მოხდა, მაგრამ მასში მისი ღრმად გათვითცნობიერება ყოველთვის საჭირო არ არის, მის ასაკსაც უნდა გაუფრთხილდეთ.
1741. ახალგაზრდობა ისეთი თვითმყოფადობით უნდა გავლიოთ, რომ ოცნებაში უკან დაბრუნებულს, თავიდან გავლამ გაგვახალისოს.
1742. მშობლები ყოველთვის ნიშნს უგებენ არშემდგარ საკუთარ ბავშვობას და შვილები იძულებულნი არიან გარკვეულ ასაკამდე მათ კაპრიზებს და სურვილებს ყური უგდონ.
1743. „უგზოუკვლოდ განათლება“ დასახულ მიზანს ვერ აღწევს და არც რაიმე ხელშესახებს იძლევა.
1744. მოხდენილად და ბედნიერად წარმოჩენის დიზაინს განათლება და თავის მოქაჩლება სჭირდება.
1745. ბავშვების კეთება ნიჭია, დამჯერი ბავშვების კეთება კი ხელოვნებაა.
1746. ასაკი საბოლოოდ ანგარიშს ითხოვს – რაში გავხარჯეთ ახალგაზრდობა.
1747. აღზრდას, ოჯახს, სკოლას, ბებიას, ბაბუას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქუჩას ვერაფერი შეედრება.
1748. სამუშაო დღე ახალგაზრდობისათვის სიცილ-ხარხარში გადის, ასაკოვანთათვის – „მძიმე“ სამუშაო დღედ.
1749. უფროს-უმცროსობის იერარქია და სხვათა პატივისცემის გენი დედის რძესავით აკვნიდან უნდა ვიგემოთ.
1750. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც ცხოვრებაში ერთი ან ორი ხეირიანი გზის გამკვლევი და მასწავლებელი ჰყოლია.
1751. ბავშვის დასჯის უფლება არავის აქვს, მათ შორის სიყვარულით და კეთილი სურვილებითაც.
1752. ბავშვობა ყველა მომდევნო ასაკს ბიშტს უჩვენებს და ფორას აძლევს სიამოვნებით.
1753. ბავშვს ყველაფერი აოცებს, მაგრამ ყოველივეს სწრაფად ითვისებს, ლამაზი ცინიზმით და თავის სასარგებლოდ.
1754. ბედნიერებაა, თუ შვილები ყოველთვის მართლები არიან.
1755. კარგმა პედაგოგმა აღსაზრდელებში, თავისი ჭკუით, ინტუიციით, ხორცშესასხმელი მოსწავლე უნდა შეარჩიოს, რათა მომავალში მისი წარმატების იმედით სიამოვნება წინასწარ განიცადოს.
1756. ასაკი თავისი ცხოვრებით იმ შემთხვევაშია კმაყოფილი, თუ უკანმოსახედი რამე ღირშესანიშნავი და ღირსეული დარჩა.
1757. მშობლებზე ლოცვა და მათთან შეხმაურება არასდროს „უდროო“ არ არის.
1758. ვაჟი დედის სიყვარულმა და მამის რიდმა უნდა აღზარდოს, ხოლო ქალი – პირიქით.

1759. ბავშვი მშობლებზე ადრე მწიფდება დროის გათვალისწინებით, თუ მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას დროულად დავაწყებინებთ.
1760. ფემინიზაცია ოჯახზე და მზრუნველობაზე ხელის აღებას არ ნიშნავს, რადგან უფლება შვილი შობოს და აღზარდოს, ქალისთვის არავის წაურთმევია.
1761. არის რაღაც, რასაც ასაკის გონიერება და გამოცდილება ვერ იგებს, მაგრამ ახალგაზრდობისათვის ყველაფერი გაუგებარი გასაგებია და ამით თავსაც იწონებს.
1762. ასაკის მატება გონიერებას ახალისებს და ქარაფშუტობის ხასიათზე აყენებს, რათა მეორე ახალგაზრდობას იქნებ ხელი გამოჰკრას.
1763. ყველაზე საინტერესო, დასაჭაშნიკებელ და ჭკუის სასწავლ სიტყვებს ბავშვები ღაღადებენ, რაც აღფრთოვანებასთან ერთად გაკვირვებასაც იწვევს.
1764. ახალგაზრდობა სიბერეზე იმიტომ არ ფიქრობს, რომ უამრავი დრო აქვს დასახარჯავ-სატარებელი.
1765. ქალის მასწავლებელი განგების ნაჩუქარი ინტუიციაა, მამაკაცისა – გარემო და ფეხის წატეხვის ოდენობა.
1766. თუ გინდა, დროულად პატივი მოგაგონ და შენი არ შურდეთ, ასწავლეთ ის, რაც დღეს გამოადგებათ და მათი მენტალიტეტი უდრტვინელად აითვისებს.
1767. სწავლების ხარისხი დამოკიდებულია მოსწავლე – მასწავლებლის ურთიერთგაგებაზე და არა – სურვილზე.
1768. ყველა კარგი მასწავლებელი, აღმზრდელი, მშობლის სინონიმია.
1769. რჩევა-დარიგება მოგვწონს, მანამ რჩევის შედეგი დიდად არ გვაინტერესებს.
1770. თუ შვილს ცუდი ჩვევებისკენ მიდრეკილებას შეამჩნევთ, პროფესიონალთა არმიაში ან პოლიციაში გაგზავნე სასამსახუროდ, რადგან ამ ხასიათის და ბუნების ადამიანები ხშირად ფორმით და დაფინანსებით განსხვავდებიან იმ უგვანო გენის „კოლეგებისაგან“, რომლებსაც ისინი ებრძვიან და იჭერენ.
1771. დიდებს ჰგონიათ, რომ ბავშვები ერთნაირად ტირიან, თორემ ყოველ მათგანს თავისი მიზეზი და გენის გადასახედი ატირებს.
1772. ახალგაზრდობას, ბრიყვული რჩევები უყვარს, შედეგების გაუთვალისწინებლად.
1773. ახალგაზრდობის წასვლას ვგრძნობთ და არა – მის გაპარვას.
1774. სწავლას და სწავლებასაც გამბედაობა და თვითმყოფადობა სჭირდება.
1775. „გული წაიღო ამ ყოველდღიურმა სწავლებამ“, მაგრამ მის გარეშე სახეირო არაფერი გამოდის.

1776. გამარჯვება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამოძღვრავს მწვრთნელი მოსწავლეს.
1777. საბედნიეროდ, მე ბევრი კარგი მასწავლებელი მყავდა, სამწუხაროდ, არც ერთი მრჩეველი, რომლის ავტორიტეტს და ცხოვრების გამოცდილებას დავაფასებდი და მისი რჩევის შესატყვისად მოვიქცეოდი.
1778. ბავშვობის წლებს, ხარისხის მიუხედავად, ჩვენდაუნებლიედ ვეთაყვანებით.
1779. მშობლის სიმკაცრის გაგება-ახსნას გონის დაღვინება სჭირდება.
1780. ის, რაც ახალგაზრდაბის მაქსიმალიზმს ეპატიება, ასაკის მინიმალიზმს არ ეკადრება.
1781. ზოგ ნიჭს, დასაწყისში, დაძალება და გზაზე დაყენება სჭირდება, რათა ახალგაზრდული თავაშვებულობა დროულად ნიჭის დაღვინებას მოახმაროს.
1782. ყველა ბავშვს სიახლის ათვისების თავისი „მეგაბაიტი“ აქვს და ყმაწვილებს მისი გათვალისწინებით უნდა ვმოძღვრავდეთ.
1783. სულიერების იეროგლიფები ბავშვის გულზე სკოლაშივე იწერება.
1784. ქმედებაც შესაძლებლობათა აღზრდაზეა დამოკიდებული.
1785. ღირსება აღზრდის ნაწილია, გენთან ერთად.
1786. ახალგაზრდობის გასაფრენად გამზადებული ფრთები სიახლის კეთება-გამოცდაში უნდა გავხარჯოთ, რათა ძალა იგრძნოს და იწამოს.
1787. პატარები იმ „საოცარ სისულელეებს“ სჩადიან, რომლებიც დიდებს ამხიარულებს.
1788. გენიოსისთვის, შემოქმედისთვის ოჯახი მძიმე ტვირთია და ამ ტვირთში მასთან შედარებით უნიჭო შვილების აღზრდაც შედის.
1789. შვილებმა მეტი პატივი თეორიულად მამებს უნდა მიაგონ, თუ მათი არაპრაქტიკული არჩევანი არა, დედები მათ ვერ შობდნენ.
1790. მშობლის მოვალეობაა, უპირველესად, შვილს მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგოს, მომავალი თაობის წარმოების აუცილებლობით დაკვალიაანოს, დანარჩენს ან თვითონ განსჯის, ან ცხოვრების ორომტრიალი.
1791. რჩევა-სწავლება ყველაზე უკეთ უნდა ანაზღაურდეს, თუ კონსულტაციას გთხოვენ.
1792. ღირსეულად მოპყრობას ყველაზე მეტად პატარები იმსახურებენ, რადგან ღირსება არა მარტო უნდა შეიცნონ, არამედ უნდა გაითავისონ.
1793. სიკეთის შთაგონება ბავშვობიდანვე აუცილებელია, რათა უგნურობას დამუხრუჭების უნარი განუვითარდეს.

1794. წესიერებას, როგორც საგანს, მოსწავლეებს არ ასწავლიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ის თანდაყოლილი ნიჭია.
1795. მასწავლებლის ფასი ყველაზე უკეთ გენიოსმა იცის.
1796. ახალგაზრდობა, სიბერისაგან განსხვავებით, სიკვდილს არ ევაჭრება, რადგან სხეულის დაბეჩავების სიმპტომები მას ჯერ არ უგრძვნია და მასზე არც უფიქრია.
1797. მასწავლებელი თავისი ბუნებით, მოწოდებით, მაზოხისტია, პირველ რიგში მოსწავლეზე ზრუნავს და შემდგომ – საკუთარ თავზე.
1798. აღზრდის ხელოვნება ყველაზე დიდი სიმდიდრეა, თუ ღირსეულ შემცვლელებს დავტოვებთ.
1799. წვრთნა ახალგაზრდობისთვის არის განკუთვნილი, რადგან სიბერის წვრთნა შედეგს არ იძლევა.
1800. ასაკში დროსთვის ფეხის აყოლა ძნელია, რადგან ტექნიკური პროგრესის დაწევას ახალგაზრდული სული და რქებით მიწოლა სჭირდება.
1801. არის შეკითხვები, რომლითაც შეიძლება ლექტორს შეურაცხოფა მოაყენოთ; ასეთი უცოდინარი და დაბალი დონის პიროვნება ლექციას არ უნდა ესწრებოდეს.
1802. გონიერი, ენერგიული, თავისებური, ბავშვები იშვიათად გვევლინებიან, ამიტომ მათ ცალქობისთვის ისე უნდა გაუწყრეთ, რომ თავი მათზე მზრუნველად დავამახსოვროთ.
1803. ახალგაზრდობა ოცნების, გმირობის, თავდავიწყების, უკანმოუხედავი წლებია.
1804. ასაკს, მეუღლესთან ერთად, რა დაკარგა და რა დააბანდა ახალგაზრდობაში, გახსენება უჭირს.
1805. ბავშვის ბედნიერ ღიმილს ვერც ერთი დიდი ბედნიერების გულიანი ხარხარი ვერ შეწვდება.
1806. შვილს იმდენი არ უნდა დაუტოვო, რომ შვილიშვილების ცოდვაში ჩადგე, რათა მათი მშობლები უსაქმურებად და ფულიან რეგვენებად არ იქცნენ.
1807. ბავშვს უმთავრესად მიბაძვის უნარი გააჩნია და არა მოსმენა-დაჯერების.
1808. განათლება და რწმენაც ნაძალადევია, ერთი აუცილებლობით, მეორე შთამომავლობით.
1809. დღეს ახალგაზრდობის გამანათლებელი და აღმზრდელი ინტერნეტია, მშობლების როლი მათი გაჩენით და გენიოსის დამოძღვრით შემოიფარგლება, ალბათ მომავალ ტექნიკურ პროგრესამდე, როდე-

საც ბავშვის ჩასახვა-გაჩენას, აღზრდას, წყვილის სპერმის და კვერცხუჯრედის მეშვეობით რობოტებს დააკისრებენ.

1810. ბავშვის ყველა დასჯაში მშობლის უნიათობა იფარება.

1811. ყველაზე დიდი ხელოვნება ბავშვის ჩასახვისთვის წინასწარ მზადებაა, რათა ნაშიერი ქვეყანას კი არ დააწვეს მძიმე ტვირთად, არამედ ქვეყნის ტვირთის ტარების გარკვეული ნაწილი ითაოს.

1812. დღეს ბავშვებისათვის კომპიუტერზე თამაშიც ცოდნის და გამოცდილების მომტანია.

1813. ახალაგზრდობის თავაშვებულობა ასაკს კეთილი სურვილებით შურს.

1814. ხშირად მშობლებს, შთამომავალთა კვლავწარმოების საქმეში, იმედს ვერ ვუმართლებთ: განა მათ იგი იმიტომ გვშობს, რომ ერთიორი შვილიშვილით დაკმაყოფილდნენ?

1815. ყველა მასწავლებლის ვალია შეგირდის აზრის გამოცოცხლება, სწორ გზაზე დაყენება და არა მხოლოდ საგნების სწავლება და სასხვათაშორისო დარიგება.

1816. აღმზრდელის სიყვარული გონიერებას და წინჭვრეტას უნდა იყოს ამოფარებული.

1817. პირადი ინტერესები რომ საზოგადოს დაუმორჩილო, თავი ქვეყნის მოქალაქედ უნდა იგრძნო და არა – მის დანამატად, ამასთან მორალი, აღზრდაა საჭირო კვადრატში.

1818. ბავშვის გულუბრყვილობის აუზში მომავალი გონიერების შადრევანი ჩქეფს.

1819. ახალგაზრდულ სისხლის ყივილში გონიერება იშვიათად ერევა.

1820. ახალგაზრდობა „ვარსკვლავების“ მოსაწყვეტადაა გაჩენილი, მაგრამ ზოგი გადამეტებულად წუნიაა და მათი დანახვა ჟინს არ უღვიძებს.

1821. ასაკს უფრო რჩევა-დარიგებისაკენ აქვს მიდრეკილება, ვიდრე ჩვენება-კეთებისკენ.

1822. ბავშვებზე ზრუნვა სინამდვილეში მშობლებისთვის გართობაა, მზრუნველობის გამოვლენით, მიმბაძველობით თავის წარმოჩენის, ინტუიციით გამოწვეული აუცილებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვების აღზრდას ხელს არავინ მოჰკიდებდა.

1823. ჩვენი აღზრდილები იმქვეყნიდანაც უნდა გავაკონტროლოთ, რომ არ მიჰქარონ.

1824. მწეველთა, მსმელთა, ღორმუცელათა, ოდენობა ქვეყანაში რომ შემცირდეს, სკოლებში დაგემოვნების სწავლება უნდა დავიწყოთ, რადგან რეალური ღირებულების მცოდნე ადამიანი ფალსიფიცირე-

ბულ ნაწარმს მოერიდება ან იმ ოდენობით არ მიირთმევს, რაც მის ჯანმრთელობას ვნებს.

1825. ახალგაზრდობის სულის ნებას ასაკის ვერავითარი დივიდენდები ვერ შეედრება.

1826. ყოველი ახალი თაობა ძველს ღიმილით უყურებს.

1827. დღევანდელი ტექნიკური პროგრესის შემხედვარეს, ცოტა არ იყოს, 21-ე საუკუნის დასაწყისმა დამაბნია. სკოლებში ბუნებისმეტყველების საგნები გააერთიანეს და ზოგ სკოლაში ერთად იკითხება, სამწუხაროდ, ამ „გენიალურ“ გადაწყვეტილებას ჩემი გონება ვერ ხვდება; მოტივი ერთია – ბავშვებს სწავლა არ უნდათ.

1828. ლამაზი და გონიერი ბავშვის ჩასახვას, ერთი თვის წესიერი ცხოვრება მაინც სჭირდება უალჰოკოლოდ.

1829. ჩვენი კაპრიზი შვილების მიმართ ჩვენივე მშობლების დამსახურებაა, რადგან ისინი ასე გვზრდიან. ახლა ვხვდებით, რომ თავს უმიზეზოდ ვაბეზრებთ, მაგრამ მშობელს შვილის ჭკუის დარიგების გარეშე ცხოვრება უჭირს.

1830. წინათ დიდ ადამიანებს მოსწავლეები ჰყავდათ, დღეს მათ როლს ინტერნეტი გაუცნობიერებლად ასრულებს და არა ყოველთვის სასიკეთოდ.

1831. ახალგაზრდობაში ბებრული მაკიაჟი გვაოცებს და ღიმილს იწვევს, რადგან ამ ნიღაბის საჭიროებას ჯეილები ვერ აცნობიერებენ.

1832. აღზრდა შეიძლება კარგი გვქონდეს, მაგრამ მისი ზომიერების ფარგლებში გამოყენება არავის უსწავლებია.

1833. აღზრდილ ვაჟებს ისევ ქალები არჩევენ და უკეთებენ რეკლამას, მამაკაცები ქალების აზრს მხარს უჭერენ და ამის შემდგომ ამჩნევენ.

1834. ყველა მომდევნო ჯიშის და ჯილაგის შერწყმა, ქალის და ვაჟის გენების შეხებასაც ითვალისწინებს და ყველა ახალი თაობა რაღაცით განსხვავდება თავის წინამორბედისაგან.

1835. სწავლა მაშინ გსიამოვნებს, თუ არ გაიძულებენ და თანაც სული გთხოვს და არა გონება.

1836. აღზრდა ყოველთვის პრობლემატურია, მაგრამ მასაც გამართლება სჭირდება, რათა ცუდ დროში და გარემოში არ მოხვდეს და აღმზრდელის მცდელობა წყალში არ ჩაიყაროს.

1837. კარგი აღზრდა საშუალებას გვაძლევს, ბრიყვისგან მოშორებით ვიყოთ.

1838. საგნებს არ ასწავლიან, სწავლობენ.

1839. განათლების საბჭოთა სისტემა ცუდი არ იყო, მაგრამ დაოსტატება და პროფესიონალიზმი მოიკოჭლებდა.

1840. ახალგაზრდობასთან ყოფნა და მუშაობა კარგია, ჟანგი არ მოგეკიდება.
1841. გოგონას სკოლაში, უპირველესად, სიარული, ჯდომა, თვალების დაჟუჟუნება, მეტყველებს ხელოვნება, მოდაზე ჩაცმა და პირადი ჰიგიენა უნდა ვასწავლოთ, მისივე ბედნიერი მომავლის დასაბნდებლად.
1842. სწავლის შეძენა ნიჭზე და სურვილზეა დამყარებული და აქ უფულობა და დროის უკულმართობა არაფერშუაშია.
1843. კარგი ცუდი ვერ გახდები, თუ ასეთად არ დაიბადე, აღიზარდე და ჩვენთვის უცნობმა გენებმა თავის არ წამოყვეს.
1844. სიცოცხლის არსის შეცნობას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისი დაფასება და გაფრთხილება სჭირდება, მაგრამ ჯეელებისთვის ეს, ჯერ-ჯერობით, გაუგებარია.
1845. ყველა თაობას თავისი საკაიფო აქვს, რომელსაც ძველი თაობა, მცდელობის მიუხედავად, ყოველთვის ვერ იგებს და ცდილობს ეს არ გამოხატოს.
1846. სხვათა დამოძღვრისათვის შემართული, მეტს ხედავს, უკეთ აზროვნებს, სამართლიანად განსჯის, უმთავრესად, შეგირდებისთვის.
1847. ახალგაზრდა თავქარიანი უნდა იყოს, ასაკოვანი – დინჯი, რათა ორივე თაობა საშუალო შეწონილი ქმედებით დატკბეს.
1848. ბავშვობა ბავშვობაშივე სიკეთის პკურებით უნდა მომწიფდეს.
1849. მშობელი ყოველთვის მშობლად რჩება და ასაკის მიუხედავად ჩვენს დარიგებაზე ხელს არ აიღებს.
1850. ბავშვის წარმატების აკვანი დედამ უნდა დაარწიოს, გენის შემწეობით და თავისავე მცდელობით.
1851. ბავშვობის წართმევა მოქალაქეობის ჩამორთმევის ტოლფასია.
1852. წინაპართა ცოდნის, გამოცდილების, მსოფლმხედველობის, ახალგაზრდობაში გაცნობიერება იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ცხოვრების მარათონის გავლისას, გარკვეულ ეტაპებზე ის შეცდომები არ დავუშვათ, რამაც წინაპრებს და ქვეყანას „ცხვირიდან ძმარი“ ადინა.
1853. ალკოჰოლის ზომიერად მოხმარებას ჯერ ვნება არავისთვის მოუტანია, მაგრამ სწორედ ამ ზომიერების, დაცვა გვიჭირს, ჩვენი ბუნების და აღზრდის გადამკიდეს.
1854. ტრადიციების გარეშე აღზრდილი ადამიანის ქცევა, ხშირად საქონლისას ემსგავსება და ამას განათლების საბუთი არ შველის.
1855. საცდუნებლისაგან თავშეკავებას აღზრდა, შიში და თავის მოფრთხილება სჭირდება.

1856. სამწუხაროა, როდესაც დიდი ადამიანების შვილებს და აღზრდილთ, ღირსეულ გამხსენებელთა გარეშე, ბევრი აკლდებათ.
1857. არის შეძენილი ზადი, რომელსაც თანდაყოლილი გენი მხარს უჭერს და არის საშიშროება, რომ მათი შთამომავალიც ამ ნაკლით მოგვევლინება: თამბაქო, ლოთობა, ნარკოტიკები.
1858. შრომის სურვილის აღძვრის გარეშე ყოველგვარი სწავლება და აღზრდა არარაობაა და მიზანს ვერ აღწევს.
1859. ჭკუის სწავლების „პერპენტუუმ მობილე“ შვილს, ასაკის მიუხედავად, გარანტირებული აქვს.
1860. განათლება სიამოვნების მომგვრელია და არა იმდენად შედეგისა, რადგან ამ უკანასკნელის გამოყენებას ნიჭი, მოხერხებულობა, ბედი, სჭირდება.
1861. ახალგაზრდობის ბედნიერება ისაა, რომ ყოფის უცნაურობათა ალგორითმში, ჯერ-ჯერობით, ვერ ერკვევა და მისდაუნებლიედ სიცოცხლეს, ყოფის გაუცნობიერებლად, იმედით ეტრფის.
1862. იყო პედაგოგი მოწოდებით განგების ნება, შინაგანი მოწოდება და ცოდნის მიღების მსურველთათვის ბედნიერებაა.
1863. ხშირად სკოლის საგანს პედაგოგის მიდგომა გვაყვარებს, თუ ნიჭმაც ხელი შეუწყო.
1864. ჯეელობისთვის განკუთვნილი თავქარიანობის წლები დროზე ადრე ან ასაკის შესატყვისად უნდა დაიხარჯოს, რადგან მას, რაც ახალგაზრდობაში „გვეპატიება“, ასაკში ვერ გაგვიგებენ.
1865. შვილის გაჩენა, აღზრდის საკითხი, უპირველესად, გენეტიკა, შინაგანი მოთხოვნა, თანდაყოლილი თვისება, მოვალეობის შეგნებაა, შემდგომ მოდის მზრუნველობა და თავის წარმოჩენა.
1866. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბევრს არ აქვს ის აღზრდა, განათლება, ცხოვრების ფხა, რომელიც იძლევა დივიდენდებს.
1867. ალბათ, უახლოეს დროში პროფესორ-მასწავლებლებს ინტერნეტი შეცვლის და ამ განათლებიდან რა ხეირი გამოვა, საბოლოოდ არავინ უწყის.
1868. ახალგაზრდობას, რომელიც თავისი დროის სექსით არ არის დაავადებული, სიბერეში გასახსენებელიც თითქმის არაფერი დარჩება.
1869. გამოცდილება აღმზრდელია და არა – ცხოვრების მასწავლებელი.
1870. აღზრდაში შედის: შიში-რიდი, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, დემოკრატიის საწყისები, თავისუფლება მოწოდებით და დროის გათავხედების გათვალისწინება.
1871. ბედნიერებაა, როდესაც შვილები მშობლებს უსმენენ და მათ რჩევა-დარიგებებს „შეურაცხყოფად“ არ იღებენ.

1872. ყველა ბავშვში იმალება სიჯიუტე და სიბრიყვე მომავალში გამოსამჟღავნებელი გენით.

1873. მოზარდი, ყველაფერ ცუდს და კარგს, პირველ რიგში, ქუჩიდან იღებს, რადგან თავისუფლების სიო აქედან უბერავს და მას თავის აზრის გამოხატვის უფლება მისცა.

1874. დღევანდელმა დემოკრატიამ ბრძენი სოლომონის აზრებს აღზრდის საკითხში მსუქანი წითელი ხაზი გადაუსვა, რადგან ბავშვის დასჯა შიშით, რიდით და დაყვავებით, აქტუალობას ჩვენს დროშიც არ ჰკარგავს.

1875. ბავშვები დედას უკეთ უგებენ, მაგრამ რიდი მამების აქვთ.

1876. ახალგაზრდული ნიჭი და თავხედობა ყველა დარგში გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ასაკი და ცოდნა-გამოცდილება, რადგან ნიჭისთვის უმთავრესია შემართება და ენერგია, განსაკუთრებით, თუ ის რჩევა-დარიგებებსაც ყურს უგდებს.

1877. ახალგაზრდობა დაუგეგმავ დოტაციებს ყოფისგან გაცილებით მეტს იღებს ვიდრე იმსახურებს, ასაკი – გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ეიმედება.

1878. შვილების ყოლა ადვილია, მათი შენს ჭკუაზე აღზრდა და ამ ქვეყნიდან იმ იმედით წასვლა, რომ შთამომავლობა შენს გენს გააგრძელებს, ძნელია.

1879. მშობელს ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, მაგრამ მეტ-ნაკლები ყურადღებით და ზრუნვით.

1880. ეთიკა, ჩვევა, აღზრდა, დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, სადაც გვიხდება საქმიანობა და თავის მატერიალურად უზრუნველყოფა.

1881. აღზრდა ნიჭს მოითხოვს, აღსაზრდელი – აღმზრდელის ნიჭიერებას, აღმზრდელი – აღზრდილის მხრიდან დაფასება-გახსენებას.

1882. კმაყოფილი ხარ, როდესაც შვილებს საკმარისად აფინანსებ, ბედნიერი, როდესაც ისინი გაფინანსებენ, ვინაიდან ტყუილად არ გიწვალია, გიშრომია.

1883. ბავშვის აღზრდას თეორიები და განსწავლულობა არ შველის, მას სიყვარული და სულიერება უნდა აჩუქო.

1884. ღორმუცელობა გაუზრდელობის შედეგია.

1885. მთელ ბავშვობას თამაშებში ვატარებ, რომელიც მომდევნო ასაკის მოუცლელობისთვის გადახდილი ავანსია, სიცოცხლის ბოლომდე რომ გაგვყვება.

1886. ახალგაზრდობაში მშობლების რიდი გვაქვს, სიბერეში უდროოდ წარსული მშობლების გაცნობიერებული სიყვარული.

1887. ადამიანს ხშირად აღზრდა და შესაძლებლობა არ აძლევს საშუალებას უწესო იყოს და არა ის, რომ წესიერი დაიბადა და ასეთი გენი აქვს.
1888. აღზრდა საკუთარი თავის არდავიწყება და არა – თავზე გადაყოლა და საზოგადოებრივი საქმის მიფუჩეჩებაა.
1889. სიკარგე მიბაძვის, აღზრდის, გენის, გათავისების შედეგია, სხვანაირად სიკეთეს ვერ იზამ.
1890. წლებს ასაკი უფრო ერკინება, ვიდრე ახალგაზრდობა, რომელმაც მისი ფასი ჯერ ვერ გაითავისა.
1891. ბავშვს უარი არაფერზე უთხრა, მაგრამ აღზრდა-დარიგების შეზელვა არ დაივიწყო.
1892. მომთვინიერებელსა და მასწავლებელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მის მიერ გაწვრთნილი მხეცებისკენ ზურგით არ დგება, ხოლო მეორე ზურგსუკანაც უნდა ხედავდეს, რას აკეთებენ მისი აღსაზრდელები.
1893. ადამიანის აღმზრდელი მაინც გარემოა, ხოლო მისი ყოფის შემქმნელი დროა, ბედის მხარდაჭერით.
1894. მამა უპირველესად „შამქმნელია“, შემდგომ მოდის მისი ავტორიტეტის რეგალიები, როგორც აღმზრდელისა, თუ გარეშეთა ამბიციებმა და ბედის უკულმართობამ ხელი არ შეუშალა.
1895. განგება რომ ზედმეტად არ შევაწუხოთ, ადამიანის ჩამოსაყალიბებელი ყოველი სისულელის დაძლევა ცოდნით, არსებული თამაშის წესების და სულიერების შეცნობის შესატყვისად უნდა მოხდეს.
1896. სრულქმნა, ჩამოყალიბებაა მთავარი და არა ოცნებით ბედის იმედზე ყოფნა.
1897. რჩევა-დარიგება ყველაზე მეტად საკუთარ თავს სჭირდება, ოღონდ სხვათა გამოცდილების გონების ფილტრში გატარებით.
1898. აღსაზრდელის აღმზრდელის ჭკუაზე მყნობა უდიდესი ხელოვნებაა.
1899. ასაკისთვის ბედნიერებაა, თუ ყოველივე ძველებურად გესმის, ახლებურად ხედავ და რაც არ გესმის, იმასაც შენებურად განსჯი.
1900. მოკლე გზა პერსპექტივის მქონეთ უნდა ასწავლოთ, უმოკლესი – მოხერხებულთ, რათა ყველამ თავის ნიჭის და იღბლის შესატყვისად განვლოს ნაჩვენები სვლაგეზი.
1901. ღმერთმა ნუ ქნას, ახალგაზრდამ არ „გაახუროს“, „არ დაუფშტვინოს“, მაგრამ დროებით, ზომიერების ფარგლებში და უფროს-უმცროსობის შეცნობით.
1902. შენთვის განკუთვნილი საწვრთნელი ჯოხი, შენზე უნდა „დაილიოს“, გადატყდეს, რათა ჭკუის მატების, დაღვინების და აღზრდის მადლი შეიცნო.

1903. შვილების ქცევა მშობლებს არ მოსწონთ, შვილებს – მშობლების, მაგრამ რა დღეში ჩავარდებოდა ჩვენი ადრეული წინაპარი, მას რომ თავის შთამომავლების ქცევა ენახა.
1904. ადამიანს ქუჩა ასწავლის, დრო აწრთობს და აღზრდა ეხმარება.
1905. აღზრდა მოლაპარაკებებით დროს გაყვანაა, რომელსაც ამასობაში ასაკის მატება და დაღვინებაც წამოეწევა.
1906. აღზრდა ხელოვნებაა, თუ მას აღსაზრდელის ბუნებას მოვარგებთ და მისგან რაღაც სასიკეთო გამოვა.
1907. ყველა ჩვენგანში ბავშვობა ბუდობს და თუ არა ასაკის მატება, მოვალეობის შეცნობა, მარად ბავშვებად დავრჩენოდით.
1908. ბავშვს ღმერთის შესატყვისად უნდა მოვეპყრათ, ხოლო განგებას სიყვარულის მაგვარი ალერსი საკუთარ გულში არ უნდა მოვაკლოთ.
1909. აღზრდა, უმთავრესად, უარის თქმის არგუმენტირებაა და არა ყველაფერზე თანხმობა.
1910. ნერვული სისტემა და განათლების „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ განსჯის თუ როგორ გავხდით საკუთარი ემოციების მფლობელი.
1911. ბავშვი სიყვარულით არ უნდა „დავინდოთ“, რათა მან ცხოვრების ორმოტრიალში ფეხი დროულად შეყოს.
1912. ახალგაზრდობა და სიამაყე თანდათან გვტოვებს, რჩება გამოცდილება და ასაკის მატება, რომელიც ჯეელობის გახსენებას და ყოფის ყადრის დამუღამებას ოცნებით თავიდან იწყებს.
1913. განგებასთან გაუგებრობასაც მოევლება, თუ აღზრდას მოთმინებით და სიყვარულით ვისწავლით.
1914. სიმდიდრეს და ფუფუნებას მოხმარების კულტურა აღზრდა-ნიჭით სჭირდება.
1915. ახალგაზრდობას, ყველაზე მეტად, სისულელისკენ მიდრეკილება ვნებს, რაც მის სიცოცხლისუნარიანობაში, ფანტაზიის განუსჯელობაში და ვნების დაოკებაში გამოიხატება.
1916. გმირობა მოვალეობა არაა, ის აფექტის, რწმენის და აღზრდის შედეგია.
1917. 30 წლამდე ახალგაზრდა თავისუფალი, ენერგიული, უნდა იყოს, მიმზიდველს, ახალს, საინტერესოს, დაუფიქრებლად ითვისებდეს, თუკი ბუნებით გენიოსი არ არის და ყოფის გზის კვლევა სხვა პარამეტრებით არ უწევს.
1918. შენთვის მიუღებელის არშემჩნევა აღზრდას მოითხოვს, ხოლო ალიყურის ჭმევა – სადაც წვრთნაა აუცილებელი.

1919. ბავშვობა საკაიფო გასახსენებელია თუნდაც დღევანდელი გადასახედიდან, შელამაზებით.
1920. ფილოლოგია ჩვენი აღზრდის ბაგა-ბაღია, საიდანაც ჩვენი განათლება იწყება.
1921. მასწავლებელი ის ხატია, რომელსაც სიკვდილის შემდეგაც ეთაყვანებიან და იხსენებენ.
1922. სკოლა გვაძლევს იმ ცოდნას, აღზრდას, რის ათვისებაც ჩვენ შევძელით, დარჩეს – მშობლები, ქუჩა, გარემო პირობები.
1923. „ადამიანთმცოდნეობა“, როგორც უპირველესი საგანი, ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, თუ გვინდა მომავალში „კაცებთან“ გვქონდეს საქმე და არა – წარსულით მოტრაბახე გადაგვარებულ „ჰომო საპიენსთან“.
1924. მშობლების ავ-კარგიანობას მათ მიერ აღზრდილი შვილების ყურადღების ხარისხი და ინტენსიობა განსაზღვრავს.
1925. ბავშვობის ნაპერწკალი და მისი გამოძახილი ყოველთვის ფაქიზად უნდა შევინახოთ და მოვეპყრათ.
1926. ზოგიერთის ხასიათი გაკვირვებას იწვევს, მის წარმომავლობასთან, აღზრდასთან და გარეგნობასთან შედარებით, რადგან, ეტყობა, გენმა თავისთვის რაღაც წაიჩალიჩა.
1927. ყველა ასაკს თავისი ავი „ბზიკი“ ჰყავს და აქ გონიერება არაფერშუაშია.
1928. სწავლა აუცილებლობის შეცნობის, სურვილის, იმედის, გარეშე წამებაა, მით უმეტეს, თუ ეს შერკინება არ გსიამოვნებს და მოვალეობას იხდი ვიღაცის და რაღაცის წინაშე.
1929. თავად ახალგაზრდობის სტატუსია სილამაზე და არა პირიქით.
1930. გმირობის ჩამდენს, უმთავრესად, დაფიქრების დრო წართმეული აქვს და ინტუიციით მოქმედებს, გარემოს და დროის შეუცნობლად, მაგრამ აქაც აღზრდა და გენია უმთავრესი.
1931. აღზრდაა ისიც, თუ სხვის უკეთურ ქცევის არ შეიმჩნევ, როცა ეს გარდაუვალი არ არის.
1932. პედაგოგიურ ექსპერიმენტებს ის „დადებითი“ აურა აქვს, რომ რასაც ჩაიფიქრებთ, იმ შედეგს „მიიღებთ“.
1933. ახალგაზრდობის ზომბირება ადვილია, მაგრამ ბევრს სულიერება და აღზრდა ეღობება წინ, სანამ დაღვინდებოდეს და ჭკუა შეემატებოდეს, გარკვეულ გამოცდილებასთან ერთად.
1934. ახალაგზრდობა მარად მიმზიდველია, სიამით გასახსენებელია, ჩვენი დაღვინებული გონიერება რაც უნდა გაიქაჩოს.

1935. აღზრდა მომავლის ხედვა-შექმნაა, თუ დრო და ბუნება ჩვენს მხარეს იქნა.
1936. სანამ შენი მეგობაითი საშუალებას გაძლევს, უნდა ისწავლო და იღვაწო, რათა ასაკში დასვენებისა არ შეგრცხვეს.
1937. პირველ რიგში მშობლის, მოძღვრის, მასწავლებლის, ვალია მომავალ თაობაში მისი კუთვნილი ნიჭის აღმოჩენა მისი განვითარება, შესაძლებლობების გაფართოება სწავლება-დამოძღვრით.
1938. თანამედროვე მშობლების დანიშნულებაა შვილებს გზად და ხიდად გამოადგეს გარკვეულ ასაკამდე. რაც შეეხება ჭკუის დარიგებას, ეს განგების პრეროგატივაა, რადგან მათთვის ჭკუის დარიგება დროის დაკარგვაა და საკუთარ თავზე გაბრაზებაც, რადგან ისე ვერ აღზარდე, რომ გაგიგოს და გაუგო.
1939. ყველაზე აუცილებელი ადამიანში თვითშეგნების დამკვიდრებაა და ყოველივე, მისი გენეტიკის გათვალისწინებით, მის ღირსებით აღზრდას უნდა ემსახურებოდეს.
1940. მშობელმა უნდა იცოდეს, თუ ვინ გაზარდა, რა „მასტის“ შვილიშვილებს დატოვებს და რა იმედით აპირებს იმქვეყნად გადაბარგებას.
1941. ბავშვებს მუსიკაში მეცადინეობას, ნიჭთან ერთად, დედები აიძულებენ და შედეგით ყველაზე მეტად მადლიერები არიან.
1942. ახალგაზრდობა და გამოუცდელობა იმაზე მეტი ზადი არ არის, რაც ასაკისთვის გამოცდილება და შეუძლობა.
1943. აღზრდა თავისებური სამოდელო ბიზნესია, ცხოვრების პოდიუმზე გამოსვლით და თავის წარმოჩენით.
1944. სიკეთის კეთება უდიდესი შემოქმედებაცაა, თუ ამის ნიჭი დანათლული გაქვს.
1945. მშობლად გახდომას სურვილი სჭირდება, ხოლო ღირსეულად პირმშოს განათლებას, ნიჭთან ერთად, აღზრდის პროფესიის დაუფლება.
1946. გვინდა – არ გვინდა, მომდევნო თაობებს უნდა მოვეფეროთ, ვასწავლოთ და სიკეთისკენ მოვუწოდოთ ყოფის მაგალითების ჩვენებაშთაგონებით.
1947. გმირობა სხვათა დოყლაპიობის, დაშვებული შეცდომების, მაგრამ კაცურად აღზრდის და გენის შედეგია.
1948. მშობლის თხოვნაზე რომ შვილი დაფიქრდება და ჭოჭმანს დაიწყებს, ის ბუნებით ვიგინდარაა.
1949. სანუკვარი, სათუთი, ოჯახის სიყვარული ბავშვებს თავიდანვე უნდა ვასწავლოთ, შთავაგონოთ, რათა პატარობიდანვე იგრძნონ და გაითავისონ.

1950. ბავშვის დასჯა მიუღებელია, მაგრამ ზოგჯერ საჭირო და აუცილებელია ქვეყანას და თავსაც რომ არგოს.
1951. მამინაცვლის მიერ სიყვარულით აღზრდილი სასახელო შვილობილი მისი კვადრატში აყვანილი მამობის დასტურია.
1952. მამა-დედა უცვლელი განზომილებაა, მამინაცვალ-დედინაცვალი ცვალებადი, მაგრამ აღზრდის ხარისხს მაინც შედეგი ადგენს და არა – გენეტიკა, სისხლი და ხორცი.
1953. ქუჩური, უბნური, ბირჟული აღზრდა დღეს ინტერნეტმა შეცვალა და ეს შემდგომში რას მოგვიტანს ან რა სახის აღზრდით შეიცვლება, არავის უწყის.
1954. სიბერე განვლილი ახალგაზრდობის გახსენების კაიფია, დღევანდელობის გადასახედიდან, წარსულის შელამაზებით.
1955. ჯეელობა ბევრ სისულელეს და სიკეთეს გვაკეთებინებს.
1956. დადებითი მაგალითების მოყვანა და არა – ჭკუის დარიგება, აღზრდის ელექსირია.
1957. თუ ერთადერთი ვაჟი გყავთ, ის ფუძეს არ უნდა მოაშოროთ, რადგან გვარის გაგრძელებას, ჯიშის და ჯილაგის გაჯეჯილებას საფრთხე ემუქრება, ამიტომ შვილს გვარის და შთამომავლობის დაფასებას ბავშვობიდანვე უნდა ჩავჩიჩინებდეთ.
1958. ყველა რიტუალი ადამიანის აღზრდის, აღზევების და მისი მენტალიტეტის გამოვლენაა.
1959. გემოვნება აღზრდის, ცოდნის, გარემოს გათავისების, შედეგია, გონიერების მოშველიებით.
1960. ერთგულებაც თავის გაგებას, დროს და აღზრდის თავის ჭკუაზე მორგების ფენომენს მოითხოვს.
1961. იარაღის ფლობის, ტარების, შენახვის, ხელოვნება ერის შინაგან კულტურაზე, აღზრდაზე, ბუნებაზე, მიუთითებს.
1962. დემოკრატია მხოლოდ წყობის გაფეტიშება არ არის, ის, უპირველესად, აღზრდაა საკუთარი თავისა, კანონის პატივისცემით და მოვალეობის შეგნებით.
1963. ყველა ასაკს თავისი მომხიბვლელობა აქვს.
1964. ყველა ასაკი მისთვის შესატყვის პატარ-პატარა ცოდვების და სისუსტეების გუდას აგროვებს და სიამოვნებით ატარებს.
1965. ასაკის გაყოყოჩება პიროვნების საჭიროების გაზრდაზეა დამყარებული.
1966. ბიჭის აღზრდის ლომის წილი მაინც დედას ეკუთვნის, თუნდაც მამას დაემსგავსოს.

1967. ბიჭი ღირსების შეგნებით უნდა აღვზარდოთ, გოგო – თავის ფასის შეგნებით, ოღონდ თავის მოკატუნებით.
1968. ბედნიერების შეცნობა და ბედნიერების აღქმა აღზრდაზე, დროზე და თანდაყოლილ ნიჭზეცაა დამყარებული.
1969. შვილისთვის შეიძლება თავიც გადავდოთ, მაგრამ მას რომ ბანქოს, ნარდს, ჭადრაკს, ვეთამაშებით, მოგებას ვცდილობთ, რადგან საკუთარი „მეს“ წარმოჩენის გარეშე, სიცოცხლე აზრს კარგავს.
1970. მშობლის სიტყვას ფასი ადევს გონიერების ფარგლებში და დროის შესატყვისად.
1971. მამა შვილის აღზრდაში არმონაწილეობის მიუხედავად, მაინც უნდა იცნობდეს თავისი გენის ინტელექტუალურ საკუთრებას, რამლის ავტორი თავადვეა.
1972. პატარებია, სამყაროსთან რომ გვაკავშირებს, რადგან მათში კაცობრიობის კვლავწარმოების კოდია ჩადებული.
1973. მშობლებზე ზრუნვის სხვაზე გადაბარება, საკუთარი თავის უპატივცემულობაა.
1974. ხშირად დედის გულის სიკეთის მთესველი ალგორითმები შვილებისთვისაც გაუგებარია.
1975. აღზრდის ხელოვნებას აღსაზრდელის ბუნებამაც ხელი უნდა შეუწყოს.
1976. ახალგაზრდობაში ნაცოდვილარი შეიძლება ასაკში ჭკუის მოსახმობად გამოვიყენოთ.
1977. ასაკი ახალგაზრდობას დღევანდელი შესაძლებლობით და ჭკუით მისტირის.
1978. მასწავლებელია ის, ვინც შეგირდს თავისთვის სასარგებლო ცხოვრებისთვის ამზადებს და არა – გაუგებარ-გაუხედნავ საერთო საქმიანობისთვის.
1979. ბავშვის გონებაში დაუკითხავად არ უნდა ჩავერიოთ, რათა თვითმყოფადობა არ დავუკარგოთ.
1980. მასწავლებლობა ადვილია, გამორჩეული მოსწავლის შემჩნევა და დამოძღვრა – ძნელი.
1981. სწავლება, ნიჭის წარმოჩენით, მდიდრულად გვმოძღვრავს.
1982. სიამაყე და თავზე წარმოდგენა რამდენიმე საკუთარი „მეს“ შეცნობის მცდელობაა კვადრატში.
1983. შეყვარებული ადამიანი აღზრდას არ ექვემდებარება.
1984. მოთხოვნათა შეზღუდვა რწმენაზე და აღზრდაზეა დამოკიდებული და არა – ტექნიკური პროგრესის გათავხედებაზე.
1985. პატივისცემა არა მარტო აღზრდა, არამედ, მოპირისპირე მხარის იძულებაცაა.

1986. მშობლებს მე მაინც შვილებთან „დისტანციის“ დაცვას ვურჩევდი – სიყვარულით და წესრიგის დაცვით.
1987. სიჭაბუკეში აღტკინებით ჩადენილ გადაცდენებს დათრგუნული სიბერის განსჯა ვერ უშველის.
1988. მარად მსხვერპლის გაღების სურვილი ცუდი აღზრდის შედეგია, გენთან ერთად.
1989. გაუბედაობა უფრო გენის ბრალია, ვიდრე დროის, გარემოს და აღზრდისა.
1990. შვილის შეცნობა არც ისე ადვილია, როგორც მშობლებს თავიდან ეგონათ.
1991. შვილის განებივრება დანაშაულია და აქ სიყვარული არაფერშუაშია, უბრალოდ, მშობელს ცხოვრების გამოცდილება აქვს ნაკლები.
1992. მასწავლებლებს ვუსურვოთ, მშობლების მიერ ასალესად მობარებული ხმალი, ჟანგმოკიდებული არ დაებრუნებინოთ.
1993. დღეს მშობლებს ბავშვების აღზრდაზე პრაქტიკულ ზრუნვას, ისევ მათი დაფინანსება ურჩევნიათ, რადგან მათაც უნდათ თანამედროვე პროგრესის შესატყვისად ცხოვრების წლებს ზომაზე მეტი გემო „ჩაატანონ“.
1994. აღზრდა და ურთიერთობა ყოველთვის ერთმანეთს არ ეხმიანებიან.
1995. ხშირად შეგირდები უკეთეს მასწავლებლებად გვევლინებიან, ვიდრე კოლეგები.
1996. მასწავლებელია ის, ვისი აზრებიც ჩვენს გონებაში რჩება და ვიყენებთ.
1997. სწავლება მაშინ იძენს ძალას და იძლევა შედეგს, თუ მასწავლებელს გულით სწამს ის, რასაც ასწავლის.
1998. დათმობებს სხვის მიმართ ნათესაური გრძნობა, კეთილი გული და აღზრდა გვაკეთებინებს და არა – გონიერება.
1999. დანაკარგები გარკვეულ ასაკში ნერვებს გვივარჯიშებს და მის მოთოკვასაც გვასწავლის.
2000. აღზრდას ჭკუის საცნობი მაგალითებით წარმოჩენა პიარით სჭირდება, რათა ის მისაბაძი და გასათავსებელი გახდეს.
2001. აღზრდა ნებისყოფის, შემართების და ბედის გარეშე, სასურველ შედეგს არ იძლევა.
2002. ახალგაზრდობას, გარკვეული დროით, ყველაფერი „ფეხებზე ჰკიდია“ და ესაა მათთვის დასამახსოვრებელი ბედნიერება.
2003. ხასიათიც თანდაყოლილი გენის პროდუქტია და არა – განათლება – აღზრდის.

2004. ჯეელობა რატომღაც უგუნურებას ეტრფის და გარკვეული დროით ამით კმაყოფილდება.
2005. ახალგაზრდული „გონების ჭრაჭუნის“, მოხმობის, წლების დამთავრება, ჭკუის მატებას ყოველთვის არ ნიშნავს.
2006. მშობლები შვილისთვის ღმერთია, თუ ამისათვის მათი გენი მზადაა.
2007. რჩევა-დარიგება ასაკის საქმეა, შესრულება – ჯეელობის, ურთიერთშერწყმა – დაღვინების.
2008. აღზრდა აღზრდისაგან განსხვავდება და ხშირად ერთმანეთს ექიშპებიან.
2009. აღზრდაც ტრადიციებს, ბედის ნებას, ემორჩილება, თუმცა არავინ უწყის დროის ყივილი როგორ იმოქმედებს.
2010. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობას არც მოთმინება ჰყოფნის და არც გამოცდილება, ამ ნაკლს ენთუზიაზმით ასწორებს და თავის დროს სჯობნის.
2011. ყველას სურს მას მოუსმინონ და არა – პირიქით. განსაკუთრებით ეს ასაკში იგრძნობა.
2012. ჯეელობის საზომი სიბერის რაობაა, დროის ყივილთან შეთანხმებით.
2013. ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ტექნიკურ პროგრესთან და თანამედროვე მოთხოვნილებებთან შერწყმა აღზრდაა.
2014. წარსულის სიკეთეს დედა უნდა გვახსენებდეს, გმოძღვრავდეს, ხოლო მომავლის იმედს მამა უნდა გვინერგავდეს.
2015. დედა ის ნიადაგია, რაზეც მოსავალი აღმოცენდება, ხოლო მამა ის მხვნელ-მთესველია, რომელიც მოსავალს მოიყვანს და დააბინავებს.
2016. აღმზრდელს პასუხისმგებლობის დაკარგვის უფლება არ აქვს.
2017. შვილის შობა და აღზრდა, ახალი მატერიის შექმნის ტოლფასია გვარის და ჯილაგის წინაშე და ვალის დაბრუნება შენთვის მონიჭებული სიცოცხლისათვის.
2018. აღზრდა მაშინაა კარგი, როცა აღმზრდელს აღსაზრდელი უგებს და აღმზრდელს აღსაზრდელი ეამაყება.
2019. კაცობის სწავლება ოჯახში იწყება, სწავლების წლებში ვითარდება და მთელი სიცოცხლე გრძელდება.
2020. აღზრდა სიცილ-ტირილის ხანგრძლივობის ქრონომეტრაჟით იზომება.
2021. ნიჭს შენაძენიც უნდა უმაგრებდეს ზურგს, რათა მის საჭიროებაში ახლობლებიც დავარწმუნოთ.
2022. ღირსეული შვილების აღზრდა, ყველაზე დიდი სამსახურია ქვეყნის, ისტორიის, ერის და საკუთარი მეობის წინაშე.

2023. აღზრდის ხელოვნება თანდათან იხვეწება, მაგრამ ადამიანი უფრო გონიერი არ ხდება, რადგან განგება ამას არ დაუშვებს, მომხრეები და ადვილად დასაყოლიებლები დააკლდება.
2024. ყველა არეულობა, რევოლუცია, „ატამანს“ ითხოვს, თავისი ერთგული მრევლით და ზურგში დანის ჩაცემითაც.
2025. დღეს, ეტყობა, ბავშვის ყოლა-აღზრდაც გართობაა, თორემ მის გაჩენას დღევანდელ „ხალისობას“ მიჩვეულნი არ მოინდომებენ.
2026. ასაკი ბევრ ყოფიერ შეცდომებს იხსენებს, მაგრამ მისი გამოსწორების შეგნება, შეძლება და სურვილი არ აქვს.
2027. მოვალეობისადმი სერიოზული დამოკიდებულება გენის, გარემოს და აღზრდის შედეგია.
2028. ბავშვს ბავშვობა ზოგჯერ მომაბეზრებელ დონეზე უნდა ავუყვანოთ, რათა მარად ბავშვად დარჩენა არ მოინდომოს.
2029. მამად, ბაბუად, გახდომა ადვილია, აღმზრდელად ქცევაა ძნელი.
2030. ვაჟის აღზრდა გვარის დამოძღვრა და შენი მეობის წარმოჩენის მცდელობაა.
2031. სწავლა ქვის კოდვაა ჯეელისთვის, ასაკისთვის სასიამოვნო გართობაა.
2032. საკუთარი „მეს“ აღზრდაზე ძნელი არაფერია.
2033. ასაკს შეცდომა არ ეპატიება, მაგრამ წლების მატება ივიწყებს და პატიობს.
2034. ხასიათის წრთობას ბევრი ისეთი რამ უნდა, რაც სწავლა-განათლებაში არ ეტევა.
2035. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას სწავლის ხარისხი განაპირობებს.
2036. განათლება ცვლის სამყაროზე შეხედულებებს და არა – სამყაროს.
2037. აღზრდა გარემო პირობების პოსტულატებს უფრო ემორჩილება, ვიდრე წვრთნის.
2038. შვილები, მათდაუნებლიედ, უფრო გვაბაძავენ, ვიდრე გვიჯერებენ.
2039. დღეს სულიერ სიმდიდრეს ძალად გადემოკრატებული ახალგაზრდობა მატერიალურს ამჯობინებს და ხალისობს.
2040. ჭკვიანად თავის წარმოჩენასაც აღზრდა და ბედი სჭირდება.
2041. დაძალებით ჭკუის სწავლება, განათლებისგან განსხვავებით, ასაკში მადლიერებას არ იწვევს თუ აღსაზრდელი ყმაწვილი არაა.
2042. ასაკი უფრო კეთილია, ვიდრე ამბობოქრებული ახალგაზრდობა, რადგან პირველს მეორის ენერგიის შესაძლებლობები დაქვეითებული აქვს.

2043. ბედნიერებაც შეფარდებითია და ამის შეცნობაც ასაკის პრეროგ-ატივაა.
2044. ცუდი აღზრდა, უვარგისობა, ყოფის უფსკრულის პირას გვაყენ-ებს.
2045. აღზრდამ ინდივიდი პიროვნებად უნდა მოგვივლინოს და არა – ფართომოხმარების ორფეხა ცხოველად.
2046. ბავშვის აღზრდას უფრო მის სულიერების გავარჯიშება სჭირდ-ება, ვიდრე – გონიერების.
2047. ახალგაზრდობა ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ასაკი კი – მოჩვენ-ებითი კეთილდღეობა.
2048. ბავშვის უნარი ჩვენი მცდელობით არ უნდა ჩავანაცვლოთ, მას თვითმყოფადობა უნდა დავუტოვოთ.
2049. ბავშვობის, ახალგაზრდობის, დროულად გახსენება, შვილების აღზრდაში გარკვეულ შეღავათს იძლევა.
2050. აზროვნების სწავლასაც გონების დაუზოგავი ვარჯიში სჭირდ-ება.
2051. ხშირად მარტოობა არაფერს გვასწავლის, პირიქით – გასცემს დაგროვილ და გააზრებულ ცოდნას.
2052. მამები ისეთი განსჯით უნდა მოიქცნენ, რომ მათი ქცევის შემხედ-ვარე შვილებმა ის ნაკლოვანებად არ აქციონ.
2053. შვილები მშობლების დახმარებას ვერც იგებენ და ვერც გაიაზრე-ბენ გარკვეულ ასაკამდე და ამიტომაც მათი დამოძღვრის პერიოდში თანასწორუფლებიანობაზე საუბარი არ ამართლებს.
2054. ყველაზე სასიამოვნო გასახსენებელია უდრტვინველი ბავშვობა, თავისი კაურებით.
2055. ბავშვის გაგებას და შედეგის მიღწევას მათთან „გატოლება“ და მოლაპარაკება სჭირდება.
2056. სწავლებას, რომ არ დაგზარდეს, თავი უნდა მოაწონო და შენს პერსპექტივაზე ფსონიც უნდა დასდონ.
2057. შვილის აღზრდა გამართლებაა, მაგარამ მცდელობა მის ჩამოყა-ლიბებას არ უნდა დავაკლოთ.
2058. იმედი, რომ ღირსეულ შვილს აღზრდი, უარყოფითი მაგალითების მიუხედავად, ყველა მშობლის გულში მარად უნდა ღვივოდეს.
2059. ბავშვებს ბავშვურად დროის გატარების უფლება ტექნიკური პროგრესის მებაირახტრედ გაგვიზრდის.
2060. განათლება შეიძლება მიღებული იქნეს ნებაყოფლობით, დაძა-ლებით, პირველს ქუჩა გვაძლევს, მეორეს სკოლა და რომელი რა დროს გამოგვადგება არავინ უწყის.

2061. სამწუხაროდ, ადამიანი იმასაც ეჩვევა, რასაც არ უნდა მიჩვევოდა მისი აღზრდა-წარმოშობის გათვალისწინებით.
2062. თაობების აღზრდა ტრადიციებზე, დროის ყივილზეა, დამოკიდებული და ეროვნული მენტალიტეტზე.
2063. ბავშვი რომ მოქალაქედ იქცეს, მისი აღზრდა სამშობლოს სიყვარულით უნდა დავიწყოთ, ხოლო სწავლება ცხოვრების რაობის განათლებასთან ეტაპობრივი შერწყმით.
2064. ბავშვი იზრდება გონივრული აკრძალვებზე, მის სიყვარულში ეჭვშეუტანლად.
2065. აღზრდა ჩვენს მანერებს აუმჯობესებს და არა ხასიათს.
2066. მოვალეობის ერთგულება სიკვდილამდე – აი, აღზრდის უმთავრესი პოსტულატი.
2067. მამობა ტკბილი ეკალია და იმისათვის იღვწის, რომ უგუნურების სენით შვილი არ დაავადდეს.
2068. შვილებიც ბევრ რამეს გვასწავლიან, მაგრამ ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ.
2069. ცუდად გაზრდილი შვილი მშობლების მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს.
2070. ადამიანის ჩამოყალიბებაში აღზრდა უმთავრესია, გენის ზეწოლის მიუხედავად.
2071. ადამიანის აღზრდა და საბოლოოდ ჩამოყალიბება ისევ თანდაყოლილი ნიჭის, გენის, საქმეა.
2072. აღზრდის უმთავრესი მიზანია, ბავშვს, განათლებასთან ერთად, ცხოვრების ფასში და ყოფის მოსალოდნელ კაურებში დროულად გაარკვიოს.
2073. ყმაწვილის აღზრდა სუსხით წრთობაა, რათა დროულად გახდეს დამოუკიდებელი და სათბურში არ აღიზარდოს.
2074. ბედნიერებისკენ გზას ტაშფანდურით არ იკვლევენ.
2075. მშობლებმა ერთმანეთის შეცვლა უნდა შეძლონ, რათა ბავშვმა სითბო ორივესაგან აკრიფოს.
2076. ადამიანებს ფაქტიურად აღზრდა განასხვავებს ერთმანეთისაგან და არა მათი სიფათი და ბუნება.
2077. ბავშვი თავისებურად ფიქრობს და მართალიცაა, ამიტომ მშობელი უნდა ეცადოს გაუგოს.
2078. მასწავლებლის ავტორიტეტი და მისდამი ნდობა ყველა მოძღვარზე მაღლა უნდა იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერის მომავალი საჭოჭმანოა.
2079. სწავლებაში გულიც მონაწილეობს, ჭკუაც და გარემოც, იმისდამიუხედავად, რომ მშობლებზე მეტად მასწავლებლები არ გვიყვარს.

2080. სკოლა-აღზრდა ბევრ რასმეს გვასწავლის, მაგრამ უმთავრესი მაინც ნიჭია და ის გარემო, სადაც უნდა დაბანდდეს.
2081. დაყვავება, კარგი მანერები, სიკეთისკენ მიდრეკილება, საყვარელი საქმიანობის კეთებით ადამიანს ბავშვობიდან უნდა ვასწავლოთ და ჩავუნერგოთ, თუ გვინდა თავსაც გამოადგეს და სხვასაც.
2082. ყველა პატარა დაბადებიდან გენიოსია, თუ მათ სათანადოდ ავამეტყველებთ და დროულად შევამჩნევთ.
2083. აღზრდა გარეშეთა კონტროლსაც ითვალისწინებს.
2084. შვილი შრომის, დასაქმების, მცდელობით უნდა დავტვირთოთ, რათა ფეხქვეშ ყოფის მატერია არ გამოეცალოს.
2085. უვიცობა ყოველთვის იყო „განათლების“ სულისჩამდგმელი და მოძალადე მასწავლებელი.
2086. თვითაღზრდა ალიყურის მრავალნაირ ასორტიმენტს გვთავაზობს საცალოდ და ბითუმად.
2087. აღზრდის პროცესი მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს და არა – უზნეოდ აღზრდილ ბავშვს.
2088. ზოგჯერ აღსაზრდელს სიძნელეები განგებ უნდა შევუქმნათ, რათა მათი დაძლევა ვასწავლოთ.
2089. გვაყალიბებს აღზრდა, ადამიანებად კი დრო გვაქცევს.
2090. აღზრდის შედეგს ნეტარებაც მოაქვს და ტკივილიც, რაც უფრო გენის და დროის დამსახურებაა, ვიდრე წვრთნის.
2091. შვილის დასჯის და ზედმეტი ყურადღების საფუძველი მშობლის უანგარო სიყვარულია.
2092. მშობელმა ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყოს შვილს, რათა მან კარგი საქმეების კეთებით გამოავლინოს გენის შესაძლებლობები.
2093. შვილის აღზრდა მშობელს ბედნიერებას ანიჭებს, ესაა მისი საუკეთესო გასართობიც და ზრუნვის ალიბიც.
2094. მშობელმა შვილს უპირველესად უნდა ასწავლოს როგორ გახდეს ბედნიერი, საქმიანი, მოყვასი და საზოგადოების შესამჩნევი.
2095. აღზრდა მცირედით დაკმაყოფილებაა, ფუფუნების გამორიცხვით, თუ გვინდა განათლებული და თავის მოიმედე მოქალაქე მივიღოთ.
2096. დედამ შვილს, უპირველესად, რწმენის მორჩილება უნდა ჩაუნერგოს, რადგან დანარჩენს თავად ცხოვრება, გარემო და გენი ასწავლის.
2097. ბავშვის აღზრდა თამაშ-თამაშით, ზღაპრების გმირთა გაფეტიშებით და სათუო კომპიუტერ-ინტერნეტით იწყება, რომელშიც არა მარტო გართობის, არამედ შემოქმედებითი შრომის სიყვარულიც უნდა იყოს ჩადებული.

2098. უნიჭო შეგირდი არ არსებობს, არსებობენ არაკვალიფიციური პედაგოგები, რომლებმაც აღსაზრდელთან საერთო ენა ვერ გამონახეს და საგანი და თავი ვერ შეაყვარეს.
2099. უმართაობის საფუძველი ცუდი აღზრდაა.
2100. თვითაღზრის ბევრი საშუალება არსებობს, მაგრამ უპირველესი საკუთარი შეცდომებისთვის ალიყურის მოგერიებაა.
2101. თუნდაც ერთი ღირსეული მოსწავლის გარეშე დარჩენილი მასწავლებელი, პროფესიიდან გამომდინარე, არარაობაა.
2102. ცუდი აღზრდა ხშირად ცუდ გენზეა დამოკიდებული და არა – მასწავლებელზე. „მარტო აღზრდა ვერას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“. თუმცა არც დრო, გარემო, ქვეყნის რაობის ფაქტორია, გამოსარიცხი.
2103. მასწავლებელსა და პედაგოგს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი გვასწავლის, მეორე გვზრდის, ერთი მოვალეობას იხდის გასამრჯელოსთვის, მეორესთვის შედეგია უმთავრესი და შემდგომ – ფული.
2104. ვუნდერკინდს გაწყრომა და ჭკუის დარიგება, დაყვავებისაგან განსხვავებით, ვერაფერს შესძენს.
2105. ასაკის მიუხედავად მშობლებისთვის მარად ჭკუის დასარიგებელი ღლაპები ვართ. ღმერთმა კიდევ დიდხანს აცოცხლოთ.
2106. ადამიანის აღზრდა ძილშიც ხდება, იმისდამიუხედავად, საოცნებო სიზმრებს ხედავს თუ არა.
2107. სულიერების სივრცეში ტიხრების ნგრევა-მოშლა სიკეთის მომტანი არ არის, რადგან ცივილიზაციის ბევრი მონაპოვარი გაკულტურდება, აღირევა, უკეთესის ძიებაში გადაგვარდება და გაქრება.
2108. გაუნათლებელი და ტრადიციებზე აღუზრდელი შვილი მტრად თუ არა, გვარის შემარცხვენლად შეიძლება იქცეს.
2109. შვილის სიყვარული და მისი აღზრდაც ზომიერებას მოითხოვს, რათა იმ საქმიანობას ეწიოს, რისთვისაც არის შინაგანად მოწოდებული.
2110. გმირობის ჩადენა აღზრდაზე და სულის მოთხოვნაზეა დამოკიდებული, რასაც ზოგჯერ აფექტიც ეხმარება.
2111. ეტყობა, ბავშვი მაინც მამის რიდმა, დედის სიყვარულმა, ბებიას დაყვავებამ და ბაბუის დახმარებით გათავხედებამ უნდა აღზარდოს და გაწვრთნას.
2112. ზედმეტად მიმდობი ხასიათი სიზარმაცის და არასწორი აღზრდის მაჩვენებელია.
2113. მასწავლებლები კარგი მყავდნენ, მაგრამ ჭკუას დამრიგებელი არ მყოლია და ახლა ვხვდები, რომ ზომიერების ფარგლებშიც საჭირო ყოფილა.

აქეთური-იქეთური

2114. თავმდაბლობას ვერ გაითამაშებ, ამ თვისებით უნდა დაიბადო და კარიერის კიბეს არ უნდა გაეკარო.
2115. ვნება, რომელიც ჩვენს სხეულს ხშირად იპყრობს, წმინდას აღარაფერს უტოვებს.
2116. ყველაფერი სულით დაავადებულმა და ჭკუანაღრძობმა იცის.
2117. წარსულის ბედნიერებას მომავლის პესიმიზმი აუფასურებს.
2118. ცოცხალ არსებას გაჭირვება და ინტუიცია ასწავლის მოპოვებას და არა გონიერება. მაგ. წერომ სატყუარად პურის ნამცეცები ჩაყარა მდინარეში და თევზი დაიჭირა. ასე, რომ სხვა ბუნების შვილებიც თუ ასეთი მოხერხებულნი გახდებიან, ორფეხა ცხოველს კონკურენტები გამოუჩნდებიან და როგორ გადაუჯოკრავენ ამ სამყაროს „მბრძანებელ“ ადამიანს, არავის უწყის.
2119. ბედის საჩუქრით არასოდეს უნდა დავკმაყოფილდეთ, თუ გვინდა ცხოვრებაში წინ წავიწიოთ და ყოფა ჩვენს ჭკუაზე მოვთოკოთ.
2120. სიამაყე თავის ხუშტურებს ეწირება ან იმარჯვებს, რადგან საშუალოსა და შეწონილს არარაობად მიიჩნევს.
2121. დაქორწინება გამოცდას უწყობს როგორც წყვილს, ასევე მათ ქომაგებს სიდედრ-დედამთილის და სიმამრ-მამამთილის სახით.
2122. დღეს „ზედმეტი“ აქსექსუარების ტარებაა „ქაჯობა“ და არა – ქუჩაში ტიტლიკანა ხეტიალი.
2123. სიახლეს, ჭორს, მაშინ უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუ ჩვენს ირგვლივ მყოფთ ეს აინტერესებთ.
2124. შრომისმოყვარეობის შედეგი დაფასებას იძლევა და არა – გამდიდრების შესაძლებლობას, რადგან ეს უკანასკნელი შემართების პრეროგატივაა.
2125. უმთავრესად მას არ უმართლებს, ვისაც დასახული მიზანი არ აქვს და „ჩალიჩი“ ეზარება.
2126. სიავეც და სიკეთეც დროდადრო კარზე დაგიკაკუნებს, კარებს რომელს გაუღებ, შენს გამჭრიახობაზე დამოკიდებული.
2127. უცბად არაფერი კეთდება, თუ წინასწარ ნაფიქრი არაა.
2128. გაამხელ ინტელექტუალურ საკუთრებას და „დაგაწერენ“, არ გაამხელ და არავის აინტერესებს, შედეგად ცუდია იმ დროში და

ქვეყანაში ცხოვრება, სადაც თავის შეწუხება არავის უნდა და თვალი ყველას წაგლეჯაზე უჭირავს.

2129. ბედი ახალგაზრდებს. ლამაზებს, მოხერხებულებს წყალობს, ხოლო სიბერე ასაკის შესატყვისად ჯანმრთელად ყოფნას ცდილობს.

2130. ზოგჯერ ასაკით გამოწვეული უსაქმურობა გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე ამ საქმეზე დაგეშილები.

2131. ნაკლს დამფარავი დიზაინი უხდება, იმდაგვარად, რომ ნაკლი ვერვინ შეამჩნიოს.

2132. კამათლის გაგორებაში და ბანქოში თუ გიმართლებს, თამაშის ნიუანსების ცოდნა აუცილებელი არ არის.

2133. უადგილო სიამაყეს, ამპარტავნობას, ტიტველი უკანალი უჩანს.

2134. კარიერის გარეშე აფრენა შესაძლებელია თუ პატრონი გყავს, თუ არა და „ჩანჩალი“ გარანტირებულია.

2135. სამწუხაროდ, უმრავლესობა ხშირად ტყუის, რადგან მისი ფანტაზიას შრომისმოყვარეობა აკლია.

2136. მომავლის ყოფის „ბაითის“ შეცნობას ოცნებაც ფანტაზიით სჭირდება.

2137. მესაფლავე ყველა იმ მიცვალებულის პატრონს თანაუგრძნობს, ვინც დასაფლავების ფულს კუთვნილზე გაცილებით მეტს იხდის.

2138. სისულელის ჩადენის უფლება ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

2139. ყველაზე ადვილი სიმართლის თქმაა, ამის დამახსოვრებას ასაკი ხელს არ უშლის.

2140. მხარის დაჭერას ახლობლებისგან მაშინაც უნდა ვგრძნობდეთ, როდესაც მთლად მართლები არ ვართ.

2141. კარგი მაგალითი ნერვებს მაშინ გვიშლის თუ მის მიბაძვას გვაძალებენ.

2142. წონის მატება უაზრო დროსტარების და დროის გამოყენების არცოდნის შედეგია.

2143. ცდუნებიდან ხელის აღებას ასაკის ალიყური სჭირდება.

2144. ხანდაზმული ბავშვობის სურათებს რომ გახედავ, სინანული გეუფლება, რა კარგი ყოფილხარ პატარაობისას და თანაც მომხიბვლელი.

2145. თანამედროვე ოპტიმიზმი აგებულია დაუკვალიანებელ ინფორმაციაზე, რომლიც ხშირად არაადეკვატურია.

2146. მარადიულობის კანდიდატებს მოთმინების ნერვი გაწყვეტილი აქვთ.

2147. რომ ვისიამოვნოთ, ზოგჯერ საამო ტყუილითაც უნდა შევამკოთ ერთმანეთი.

2148. სიკვდილის წინ პანაშვიდიც უნდა გადაიხადო, ნეკროლოგსაც უნდა გაეცნო, ქელეხიც უნდა „გაახაზირო“ და ევტანაზიის მოშველიებით მიიცვალო, რადგან იმქვეყნად მივლინებულს ამქვეყნიური პატივის მიგებას ვერავინ გაგიმხელს.
2149. ბავშვების კეთება ყველაზე სასიამოვნო შემოქმედებითი პროცესია, თუ დარახტულ შთამომავალთა მიღება გინდა და ამ საქმეს სერიოზულად ეკიდები.
2150. ავტორიტეტის დაკარგვა ადვილია, მისი თავიდან აღდგენის სიძნელის აყვანაა კვადრატში, კუბში.
2151. ხშირად გამბედაობას თავხედობა მხარს უჭერს, მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა.
2152. არგუმენტს არგუმენტაციის უფლება შეზღუდული აქვს.
2153. სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას და ვერდიქტის გამოტანას ყველა ცდილობს, რადგან პროცესია საინტერესო და ძალზე მიმზიდველი.
2154. ყველას იმის მოსმენა სურს, რაც სიამოვნებთ და სჭირდებათ, ხოლო სხვის მოსასმენზე ყურს მაშინ ამახვილებენ, თუ წილში ჩაუჯდებიან და იხეირებენ.
2155. მუქთად ნაშოვნი სიმდიდრის ტარება, განგების მიერ შემთხვევით დამოძღვრილ ერთეულთა ხვედრია.
2156. სერიოზულობა, ხშირად იმედს იუმორით მოითხოვს, რათა მასაც სათანადოდ გაუგონ და წარმოჩინდეს.
2157. ბედნიერება სიკეთეა, მაგრამ მისთვის ავის და კარგის გარჩევა აუცილებელია.
2158. ბუნებრივად რომ გამოიყურებოდე, თავი უნდა მოიქაჩლო მოვალეობის ცოდნით და თავის შეცნობით.
2159. გართობა, თუ არავის საფრთხეს არ უქმნის, ბედნიერებაა.
2160. ლოთობა სიფხიზლის სარკეა, მასში დროულად ჩახედვით.
2161. გამარჯვებით გაამაყებული, სიმთვრალით გაბრუებულის სინონიმია – ორივე დროებითია.
2162. საქმის კეთება ყველა ყბედობას, ჭკუის სწავლების და ნიშნის მოგებას ბიშტს უჩვენებს.
2163. ჩვენი ამქვეყნად მოსვლის მთავარი აზრი სიკვდილთან თანდათან შეგუებაა.
2164. ავად თუ კარგად ყველანი ჩვენს საქმეს ვეჩალიჩებით, მაგრამ ეს იმის უფლებას არ გვაძლევს თავი სხვაზე ჭკვიანად წარმოვიდგინოთ.
2165. არის ხსოვნა, რომელსაც სიკვდილის კარამდე გაიყოლებ, არის მოგონება, რომელიც დროულად უნდა მოიშორო და დავიწყებას მისცე.

2166. არყის ოყნა არარეკომინდებული დროსტარებაა დათრობით, დასაყოლიებელის გარეშე.
2167. ნაბახუსევზე გამოსვლა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე დროსტარება და თრობა განსაკუთრებით სხვის ხარჯზე.
2168. იუმორის გრძნობა კარგსაც და ცუდსაც დროებით აერთიანებს.
2169. შემთხვევა სადაოა, ბედნიერება დროებითია, „თავდავნატრია“ მუდმივი და უცვლელი.
2170. უნაყოფო შრომაა ეძებო ლოგიკა, სიმართლე, კანონიერება, იქ, სადაც არავის არაფერი აინტერესებს, გარდა საკუთარი ტყავისა.
2171. მარტოობის დღესასწაული – თავისუფლების საეჭვო სუროგატია.
2172. 150 გრ. არაყი ნერვებს ამშვიდებს, 100 გრ. მადას აღგვიგძრავს, 50 გრ. არტერიულ წნევას დაბლა სწევს, ასე, რომ ადამიანთა გალოთებაში არყის სმა კი არის დამნაშავე, არამედ მისი მიღების წესების და ხეირიანი არყის დაგემოვნების უცოდინარობა.
2173. ჩვენ ისე მდიდრები არ ვართ, რომ იაფფასიანი ფალსიფიცირებული არაყი ვსვათ და შემდგომ ვიმკურნალოთ.
2174. იუმორის გრძნობის დაკარგვა, სულიერებას გარყვნისკენ ისე უბიძგებს, რომ ამას ვერც ვგრძნობთ.
2175. დაგროვილი ენერგიის ხარჯვის უცოდინარობას თავის ატკივებამდე მივყავართ.
2176. სადაო მარტოობაა, როდესაც საკუთარ თავთან ქეიფობ და თანამეინახეებს წარმოდგენით ეჭუკჭუკები.
2177. დღეს რეცენზიას რობოტებიც დაწერენ, თუ მათ ფაილს მათრახის და სასუსნავის კოდით დავაპროგრამებთ.
2178. ციფრი ჯიუტი საგანია, რომელსაც ყურით მოთრეული ფაქტები ვერ უარყოფს.
2179. საროსკიპოსაც თავის რეჟისორი სჭირდება, რომელსაც „ოღრაშს“ ეძახიან, რათა კლიენტმა დაგეგმილზე მეტი ისიამოვნოს და გადაიხადოს.
2180. იუმორს უნიკალური სიბრძნე ახლავს, რომელიც არც არავის ედავება და არც კიცხავს.
2181. იუბილე კულტად გახდომის ერთდღიანი საშუალებაა.
2182. კვერცხი თავისებური განტოლებაა ოთხი უცნობით: დედალის, მამალის, ყვინჩილას და წიწილას სადაურობით.
2183. მთავარია, რა ღირხარ პირადად და რას წარმოადგენ და არა ის, სად დაიბადე და აღიზარდე.
2184. „მე შენ მიყვარხარ“ და „მე ძალზე ვწუხვარ“, ეს ორი საწინააღმდეგო აზრი გულახდილად და გულისხმიერად უნდა იყოს ნათქვამი.

2185. შეცდომას, გადაცდენას, კუდით ქვის სროლა და დროულად გამოსწორებ უხდება.
2186. შეიფერეთ ყველა ლაქუცი, წამლიქვნელება, მიეცით მათაც საშუალება თავიანთი შეთხზული ქათინაურებით ისიამოვნონ.
2187. ხშირად ეგრეთწოდებული არისტოკრატის „ნარეცხი“ მორალს გვიკიჟინებს, ჭკუასა გვასწავლის და არც თუ იშვიათად ჩვენს თავზე წამოჯდომასაც ახერხებს.
2188. სიტყვის თქმას აზრი მაშინ აქვს, როდესაც მას მსმენელი მრავალფეროვნად აღიქვამს და ამახსოვრდება.
2189. წყვილი ერთმანეთს უკომპრომისო სიყვარულს სთავაზობს, მაგრამ ვნება მაინც ეშმაკობს.
2190. ცოლს თუ სექსში მორცხვობა და განზრახ განაზება უხდება, კახპას პროფესიონალიზმი და ვნების მიყენების მრავალფეროვნების ცოდნა ამშვენებს.
2191. წყვილის SMS-ს ბოლომდე არ დაეჯერება, მაგრამ დასაჯერებლად დროის ხარჯვა სასიამოვნოა.
2192. შედეგიანი და არაფრის დამავალდებულებელი ვნება ხვადობის ხასიათზე გვაყენებს.
2193. ზოგჯერ ვცდებით და გვეჩვენება, რომ ქალი გვიყვარს, რადგან შეცდომით ვნების შედეგებს ვეყრდნობით და არა – გულისთქმას.
2194. ჩვენს წარმოდგენაში ყველაზე სანატრელი და მიუკარებელი ქალებიც კი ჩვენთან სექსაობის მსხვერპლია.
2195. წყვილის ტყეში გაშვება სახიფათოა: ვინ იცის, სუფთა ჰაერი, ნიავის ქროლვა, დაბურული ტყე, როგორ იმოქმედებს მათ ცნობიერებაზე, გონიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
2196. აფორიზმი იგივე პოემაა, ფილოსოფიის შერევით და გონიერების მარილის მოყრით.
2197. ალკოჰოლის გადამეტებული მიღებისაგან განსხვავებით, ვნებით გადამეტებული გადატვირთვა სიყვარულის ლოთად ვერ გაქცევს, რადგან ამ სახით თრობას გენის გათავხედება სჭირდება.
2198. ნამდვილ სიამოვნებას წყვილი მაშინ განიცდის, თუ სექსაობა ქალის უშუალო მცდელობით და ხელმძღვანელობით ტარდება.
2199. ფილოსოფიურად ყველაფრის მტკიცება და ყოველივე გაუთვითცნობიერებელზე ალიბის ყურით მოთრევა შეიძლება, გარდა ბუნების ლანძღვისა, დანაგვიანებისა – სამყარო არ გვაპატიებს.
2200. სიტყვა „არა“ ზოგჯერ სინონიმია დაუგეგმავი სიზარმაცის, გაუბედაობის და „სისხლის უქონლობის“.

2201. მოულოდნელ მოვლენათა აუხსნელობა, ბევრს აბნევს, გონს უბინდავს და ხელის განძრევის სურვილს უკარგავს, იმდენად ძნელია შეჩვეულის გადაჩვევა და სიახლესთან შეგუება.

2202. შემთხვევითობას და ფორტუნას პატივი უნდა მივაგოთ, მაგრამ არ უნდა ვემონოთ და განმეორების შესაძლებლობებს არ ველოდოთ.

2203. ჩვენ ამქვეყნად კარგი „რამე-რუმეების“ მოსაგონებლად და შესალამაზებლად ვართ მოვლენილნი და არა ცუდი რაღაც-რუღაცეის გასახსენებლად და სიცოცხლის გასამწარებლად.

2204. ყველა სადღეგრძელო სუფრაზე მომწიფებას მოითხოვს და არა თავის სათბურში წინასწარ გამოყვანას.

2205. გაჭირვებასთან სინდისი, თავისუფლება, დემოკრატია, შეუთავსებელია, პროვოკაციაა, ხალხის გასაცუცურაკებლად, როდესაც მას გაჭირვებიდან თავის დაღწევის უნარი არ შესწევს.

2206. ყველაფრის ბოლომდე გათვალისწინება და განსჯა შეუძლებელია, ხელშეკრულებას რაც უნდა გამოცდილი ექსპერტის ხელი ეტყობოდეს.

2207. საიდუმლოს შენახვას აზროვნებას მოთოკვა უხდება.

2208. მშვენიერებას, სილამაზეს, გონიერებას, არბიტრი არ სჭირდება, მაგრამ მათ წარმოსაჩენად „ტრიბუნი“ და საზოგადოებაა საჭირო.

2209. გოგონები თავის ინტუიციით და გრძნობების კარნახით უფრო სარგებლობენ და იღვწიან, ვიდრე ბიჭები თავიანთი ნაქები ჭკუით და ანალიზით.

2210. ბიბლიოთეკა გონიერების ძალზე საჭირო და პრესტიჟული საყრდენია, რომლითაც ერთეულები ნებაყოფლობით სარგებლობენ, ხოლო იძულებით კი – სტუდენტები.

2211. მოხერხებულობა სანუკვარს გულში შემპარავი ხმით იპყრობს პარტნიორს და თავის ვნებით ატარებს.

2212. წყალობა ჩვენთვის ბევრ ქალს გაუღია, სხვადასხვა ვარიანტებით, მაგრამ ყველასათვის ვალის დასაბრუნებლად და მადლობის გადასახდელად არც ჯანი გვაქვს და არც დრო გვყოფნის.

2213. ლანგრით მოტანილ იუმორსაც გამჭრიახობის საწებელი და თანამეინაიხეთა ხასიათზე მორგება სჭირდება.

2214. კუჭს დიდი მოთხოვნები აქვს, მაგრამ მისი ზედმეტად დაკმაყოფილება თავადვე ვნებს.

2215. ვნებას, ჟინს, გატაცებას, ბევრი სიკეთეც მოაქვს და გაწბილებაც, მაგრამ მის გარეშე სიცოცხლე არ გალამაზდებოდა და ყოფიერებას აზრი მოაკლდებოდა.

2216. კომენტირებული იუმორი ხუმრობა კი არა, საცოდაობაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსმენელი იუმორის გრძნობას მოკლებულია.
2217. სტუმრის ყველაზე მისასალმებელი თვისება და მასპინძლის პატივისცემა – სატრაპეზოს დროული დატოვებაა.
2218. ტალანტმა თავის დაცვა უნდა შეძლოს, ეს მოხერხებით იქნება თუ ცოდნის „ვირეშმაკული“ გამოყენებით.
2219. თხოვნაზე ზოგი დაფაცურდება, ზოგიც ცნობად მიიღებს, მაგრამ არიან ისეთებიც, თავისივე თხოვნას რომ შემოგაგებენ და მთხოვნელიდან თხოვნის შემსრულებელი გახდები.
2220. უფროსის წინაშე მლიქვნელობა მოჩვენებით გაბრაზებასაც გასწავლის და ხითხითსაც დაგაწყებინებს.
2221. უხერხულ პოზას და პოზიციას ჩვენივე უგნურება და უნიათობა მიგვაღებინებს.
2222. კრიტიკის გათავისება შეცდომის გამოსწორების ტოლფასია.
2223. შენდობა იმ შანსის მიცემაა, რომ მომავალში აღარ მიჰქაროს.
2224. ასაკის მატება ხასიათის გაფუჭების შეუმჩნეველი სინონიმია.
2225. სიამოვნების ალგორითმია: ყველამ ის გითხრას, რაც შენ გესიამოვნება და ყველგან ის თქვა, რაც შენ გსიამოვნებს.
2226. აღმაფრენა, შემართება, ის ძალაა, რომელსაც ბევრი გასაოცარი შედეგის მოტანა შეუძლია, თუ მას ყურადღებას არ მოვაკლებთ.
2227. გამბედაობის, თავხედობის, უხეშობის, ერთმანეთში აღრევა შესაძლებელია, მაგრამ ყოფის კოქტეილი გამოდის უგემური.
2228. სულელების დოღი, ჭკვიანების გამოსამზეურებლად, ამ სამყაროს შექმნის ალგორითმია.
2229. ასაკი შესაძლებლობებთან ერთად, შინაურებში ავტორიტეტს გვაკარგვინებს, მაგრამ ხშირად ჩვენით ტრაბახობენ და თავი მოაქვთ.
2230. პოპულარობასა და აღიარებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დროის ყივილია, მეორე მუდმივი და დრო და დრო გასახსენებელი.
2231. თქმა და საუბარი ადვილია, მაგრამ აზრის თავიმოყრაა ძნელი.
2232. ინფორმაციით თავის გამოტენვა შეიძლება, მაგრამ თავში ჭუჭყის დამჭერი გონიერების ფილტრებიც უნდა ვიქონიოთ და მისი გაწმენდით და დავიწყებით.
2233. პრინციპებს პატივს უნდა ვცემდეთ და სხვებსაც უნდა ვუზიარებდეთ, რათა საერთო ენა გამონახოს.
2234. ყველას უნდა თავის წარმოჩენა, მაგრამ რა გზით, დღეს უკვე ამას მნიშვნელობა არ აქვს.

2235. მლიქვნელის მეგობრად არგამოდგომის ცოდნის მიუხედავად, მას გვერდიდან მაინც არ იშორებენ, იმდენად დიდია დაუმსახურებელი შექებით გამოწვეული ხიბლი.
2236. უვიცობისაგან განსხვავებით, ცოდნა მოკრძალებას, ტირაჟირებას და საქმის კეთებას მოითხოვს.
2237. სისულელეებისკენ მიდრეკილება ყველას გვაქვს, ოღონდ სადავეების დროული მოთოკვით.
2238. სენტიმენტალიზმიც და მგრძნობიერებაც ბალახს ერთნაირად მირთმევენ, მაგრამ განცალკევებით ბალახობენ.
2239. ქალს შეგიძლია გარკვეული შეთქმულება მოუწყო, თუ მას მოულოდნელად დილაადრიან სახლში უმაკიაჟოდ მოინახულებ.
2240. მსოფლმხედველობა უმეტესობას არ გაგვაჩნია, მაგრამ აწმყოს შეფასებას საკუთარი გადასახედიდან ყველანი ვცდილობთ.
2241. უსუსურად რომ არ მიიჩნიონ, ზოგი იმ დაპირებებსაც თავზე იღებს, რომლის შესრულება წინასწარ იცის რომ არ შეუძლია.
2242. ზოგჯერ გამარჯვებაზე თხრობას, ნათრობზე გამოსვლა უხდება.
2243. ნიჭი გვაიძულებს ბავშვობა, ყრმობა, შუახნოვნება და ასაკი ბრწყინვალედ თუ არა, წარმატებით მაინც გავიაროთ.
2244. ვნებაც მსხვერპლს ითხოვს და არ დაეძებს, შინაურია თუ გარეული.
2245. სიამაყის უგულებელყოფის და სიყვარულ-სიძულვილის შერწყმის მცდელობის ბაზაზე იბადება ფილოსოფიური აზრები.
2246. ვისწავლოთ ერთმანეთთან აუცილებლობის გარეშე შეუწუხებლობა და რიდი, თუ გვინდა სიამტკბილობა გაგრძელდეს.
2247. მოულოდნელობას ყოველთვის უნდა ველოდოთ, გვაქვს ამის გაკვეთილები გავლილი თუ არა.
2248. პირველ რიგში საკუთარი საქმე უნდა აკეთო, ხოლო სხვისი შიგადაშიგ და მთხოვნელის ცენზის შესატყვისად.
2249. კითხვის ტექნიკასაც დაუფლება სჭირდება: ერთ წუთში შესაძლებელია ერთი გვერდის შინაარსის გაცნობა. მაგრამ გააჩნია წიგნსაც.
2250. იუმორმა გონება უნდა გაანათოს და გასიამოვნოს.
2251. მოულოდნელობა ყველას გვაკვირვებს, მაგრამ ზოგი მოულოდნელობით გამოწვეულ შეკრთობას განცდით და ლამაზად თამაშობს.
2252. დაპირისპირება ჭკუის სალესავია, მაგრამ გონიერებას რამდენად რგებს – გაუგებარია.
2253. უსაქმურები და ზარმაცები ზღაპრებში ბაირამობენ თავიანთი მოხერხებულობით, ხოლო რეალობაში, თუ განგებამაც არ გადმოხედა, მათი ფასი ნულია.

2254. კეთილი სურვილები, საქმიანობით უნდა განმტკიცდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სურვილებიც დაიკარგება.
2255. შესაძლებლობას და სინამდვილეს ერთად ზოგჯერ თავის მოწონება უჭირთ.
2256. სასაცილოს და საინტერესოს ნახვა ყველას ქმედებაში შეიძლება, თუ ირგვლივ მხიარული კომპანია.
2257. საზღვრის გავლება ყველგან შეიძლება, სადაც ჩვენი გონიერების სასაზღვრო ბოძს დავსვამთ.
2258. ყველაზე მეტად მოწინააღმდეგისგან უნდა ისწავლო, რათა მისთვის „განაღდებულ“ ფანდზე მოუგო.
2259. გულახდილობა პატივისცემას იწვევს, მაგრამ ყოფას პატიოსნების შესატყვისად ვერ აწყობს.
2260. რეალურად იმის აღქმა, რაც შენ იცი, ყოველთვის არ ხერხდება.
2261. ჯობს თავს მკაცრად მოვექცეთ და არაფერი ვაპატიოთ, ვიდრე ვაპატიოთ და შეცდომა სხვა ვარიანტით გაიმეოროს.
2262. სიამოვნებას, ქომაგობას და მაყურებლად ყოფნასაც ცოდნა და ვარჯიში სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებრობა, გაწბილება და ქომაგის სტატუსის ჩამოქვეითება გველის.
2263. ბუნების დახმარებაა მასთან ჰარმონიაში ყოფნა და უშნოდ ჩარევის აღკვეთა.
2264. მოჭარბებული ვნება უფრო ხორციელი „მწუხარების“ გამოხატვაა, ვიდრე სულიერების.
2265. ეტყობა ადამი და ევა პირველი სოციალისტები იყვნენ, მათ ვაშლის გარდა არაფერი გააჩნდათ და სამოთხეში უშფოთველად ცხოვრობდნენ, სანამ კაპიტალიზმის იდეოლოგიით გარყვნილმა გველმა ევა არ შეაცდინა და ცხოვრება არ აურია.
2266. იყო ყურადღებიანი ან სხვათა ცხოვრებით იცხოვრო, სხვადასხვა შედეგის მომტანია, პირველით თავს იწონებენ, მეორეთი თავს „იჩმორებენ“ და სხვებსაც უხერხულობას უქმნიან.
2267. სოციალიზმს ექვსი სასიკეთო საოცრება ჰქონდა („ყველა მუშაობდა, მაგრამ მაღაზიებში დეფიციტი იყო, დეფიციტი იყო, მაგრამ მაცივარში ყველაფერი ჰქონდათ, ყველაფერი აუცილებელი ჰქონდათ, მაგრამ ყველა უკმაყოფილო იყო, ყველა უკმაყოფილო იყო, მაგრამ პროტესტს ადგილი არ ჰქონდა, პროტესტს არ გამოთქვამდნენ. მაგრამ გულით არავინ მუშაობდა, მაგრამ უმუშევრობა არ იყო“), რომელიც რაოდენობიდან ხარისხში ადრე თუ გვიან გადაიზრდებოდა მაგრამ ამ სიკეთის მქონე ხალხს არც მოთმინება ეყო, არც წინდახედულება და წამხედურობას და შურს გადააყოლა

თავისი რწმენა და უსაფრთხო მომავალიც, რადგან ყოველივეს ხელისუფლების სათავეში მოსული წყვეტს და არა წყობის ხარისხი და მისი უნიკალობა.

2268. თავის ტვინის ფუნქციები: შეგნება, ლოგიკა, ინტუიცია, ზეგეგმიური შეგნებაც გაყოფილია და თავისუფლებისკენ მიისწრაფიან, ალბათ, ამითაცაა გამოწვეული ადამიანის ლტოლვა თავისუფლებისაკენ იმისდამიუხედავად, ხელეწიფება მისი გამოყენება თუ არა.

2269. ყოველთვის გვეკუთვნის საკუთარი ცხოვრება თუ არა, ძნელი სათქმელია, როდესაც ირგვლივ ამდენი საცდუნებელია და შეცდომების ჩადენის „ბაირამი“-ა.

2270. როდესაც წინა საუკუნეთა ტექნიკურ პროგრესის შესაძლებლობებს ვაანალიზებთ, გახარებული ვრჩებით, რომ ცხოვრება ამ საუკუნეში მაინც მოგვიწია.

2271. განვითარება, მარტივიდან რთულისკენ, მაგრამ გარემოებათა გამო შეიძლება პირიქითაც მოხდეს და ეს მოვლენა მოდად უნდა მოვნათლოთ.

2272. ხასიათზე უამრავი სულიერების სტერეოტიპია მობმულ-მიწებული, ამიტომაც მისი შეცნობა ერთი შეხედვით ყოველთვის ჭირს და სათუოა.

2273. ურთიერთობაში ვიძენთ და ვაფასებთ ერთიანობას და სიყვარულს, თუ ის ჩვენთვის მისაღები გონიერების საწებელშია ამოსვრილი.

2274. უმრავლესობის აზრი ყოველთვის პატივისცემას ვერ იმსახურებს, მაგრამ არც არავინ ცდილობს ამ უალტერნატივო აქსიომის შეცვლას, რათა ქვეყანა უკეთ მართოს მისმა ღირსეულმა – ექსკლუზივმა და არა უმრავლესობის ფართო მოხმარების წევრმა.

2275. ტვინის მასაჟი, ვარჯიში, აუცილებელია, ოღონდ სიფრთხილით, შინაგანი განწყობით და უხეში ძალის გამოუყენებლად.

2276. დღევანდელი სამყაროს ცივილიზაცია ახალგაზრდა, შერაცხადია, მოსულელოა, ამასთან, სულიერ მემკვიდრეობას უმრავლესობაც გულუბრყვილოდ ექცევა და უმცირესობაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოფის ფონს მაინც გადიან და დროს თავის ჭკუაზე ირგებენ.

2277. საყვედურებს, საჩივარს, ბნკარედების გამოტოვებით, მონაცვლეობით გაეცანით, მათი არსის შეცნობას, უფრო სამართლიანად შეძლებთ.

2278. ყველაფრის გაცემა შეიძლება, თუ პარტნიორი ღირსეულია, მთავარია, რაში გამოიყენებს და რა საქმეს გამოადგება.

2279. ხმის ტემბრმა უნდა განსაზღვროს თქვენი დამოკიდებულება მოსაუბრესთან, ტელეფონით საუბრისას იქნება თუ პირადად შეხვედრისას.
2280. სიყვარული, სიძულვილი, მიზნის მიღწევა, თავის გამოჩენა, რისკის გარეშე არ ხერხდება.
2281. ის საკითხი, რომელიც თქვენ არ გესმით, ნუ დაინტერესდებით, მაინც არ გამოგადგება.
2282. კონფლიქტი კონსენსუსის დროულ ძიებას მოითხოვს და არა მის დავიწყებამდე გაჭიანურებას.
2283. სიყვარული ერთია, თაფლობისთვე მეორეა, ოჯახის შექმნა მესამეა, ყველაფერს კი გადამოწმება-განმტკიცება სჭირდება, რათა ოცნება და გეგმები ერთმანეთს მოერგოს.
2284. სუფრის მადლი, მჭერმეტყველებასთან ერთად, პოეზიის ამონაკრებით უნდა იყოს შეზავებული, თუ გინდა მასზე ყოფნის ფასი იგრძნო და მიხვდე.
2285. ეცადეთ რაღაც-რაღაცების ჩუქება ისწავლოთ, მათ შორის, შენთვის გამოუსადეგარისაც – ჩაგეთვლებათ და გულკეთილობის იმიჯს შეგმატებთ.
2286. დღეს ეროტიკას კულტურა უნდა მიესადაგოს და გონიერების განსჯას დაექვემდებაროს.
2287. გონიერმა კრიტიკამ შეიძლება მოწინააღმდეგესაც ასიამოვნოს, თუკი მიღებულ დოგმებზე სერიოზულად და მიუღებელზე იუმორით ისაუბრებთ.
2288. სამწუხაროდ, ზოგჯერ აქტიურობას პასიურობა ჯობნის, თუ ყოველივე უგვანოთა ხელშია.
2289. ასაკის მატება ხდება მიუტევებლად მომთხოვნი და არა – უპასუხისმგებლო სხვის მიმართ.
2290. გონიერებას იმის აღმოჩენაც შეუძლია, რაც არ არსებობს და არც იარსებებს და ამიტომაც არის მოსაფრთხილებელი.
2291. მომავალში წყვილთა ურთიერთობაში საველე, სახელდახელო „ფასფუტი“ მეტი იქნება. ინტერნეტში სხვადასხვა პოზებში წარმოჩენილი პარტნიორი, ხელოვნური სილიკონის ქალი და მამაკაცის დაპროგრამებული ფალოსი და ვნებაც „მიღებულ-დაკმაყოფილებელია“.
2292. ჯადოსნური ინტეგრალები არ არსებობს, მაგრამ თავის წარმოსაჩენად ზოგი მათი აღმოჩენის მცდელობაშია.
2293. გადაჭარბებულმა სექსმა, „ტუსოვკამ“, ცხვირში ამორტყმა იცის და რა სახით, არავის უწყის.

2294. არის დარგები, სადაც მიღებული შედეგის მიუხედავად ჰონორარს, გასამრჯელოს, მაინც გიხდიან.
2295. ვნების მოთოკვის ცოდნა საჭიროა, მაგრამ არა ყველგან და არა ყოველთვის.
2296. „ვალდებული ხარ“ – განსაკუთრებული და მრავალსვლიანი დატვირთვა აქვს ამ ფრაზას ფორმას, მოთხოვნას და შესრულებას.
2297. ამბობენ გენომოდიცირებული პროდუქტები დაყოვნების ბომბია, მაგრამ მაინც მოსახლეობის მატებით და სიცოცხლის გახანგრძლივებით, ზეიმით.
2298. წარსულთან კავშირი იუმორით უნდა გვქონდეს.
2299. თუ ფული გაქვს, მოხერხებულიც ხარ, ამაყიც და შენი ჭკუის დარიგებაც ასატანია, თუ თანამდებობას ფლობ, ჭკვიანიც ხარ, სიმპათიურიც და შენს სიტყვას ფასი ადევს. თუ საჭირო და საქმიანი კაცი ხარ, თავიანთ მცდელობას შენით ოცნების ფრთებს ასხამენ, ამაყობენ, ტრაბახობენ, თუ ჩვეულებრივი მოკვდავი და წესიერი ადამიანი ხარ, არავის ახსოვხარ, არც შენი ბედით ვინმე ინტერესდება. ამრიგად, როგორც ირკვევა, მთავარია, ვიღაცას რაღაცაში დასჭირდე თავის წარმოსაჩენად, გამოსადეგად, სატრაბახოდ. ასე, რომ უბრალოება, პატიოსნება და შრომისადმი სიყვარულის მოდა არასოდეს დამდგარა და ეტყობა, იძულების გარეშე არც დადგება.
2300. აფორიზმი ხშირად იმ აზრის დაბადებაა, რომელიც ცვლის ადამიანთა მსოფლმხედველობას და იმ დროში გვახედებს, რომლის ფილოსოფიის შეცნობა დღევანდელობას გაუჭირდებოდა.
2301. ჩვენ ვიღაცისთვის ვმუშაობთ, ვიღაცას ვემორჩილებით და ტრაბახიც არ გვავიწყდება.
2302. ზოგჯერ ჩვენი აღმაფრენა, შთაგონება, ირონიაა, რომელიც არავის ვნებს და ყველას ამხიარულებს.
2303. უმიზეზო, უმიზნო, უაზრო კინკლაობა თავისებური სიბრიყვეა, გართობასაც და თავის მოწონების კაიფიც.
2304. ყველანი, ჩვენი ჭკუით, ბელადად ვართ დაბადებულნი, რომ დაგვიჯერებდნენ და უფროსობის უფლება მოეცათ?!
2305. ღვინის სმას გზა აქვს გასავლელი: სანამ თრობაში გადაიზრდებოდეს, ანგარიში უნდა გაუწიოს თავსაც, თანამეინახეებსაც, მსაპინძელსაც რათა ღვინო სათრობად კი არა, არამედ დროს სატარებლად მოიხმარონ.
2306. სიკეთე სიკეთის კეთებით უნდა ნაზღაურდედებოდეს და არა – ვალის გადახდით.
2307. არ უნდა ეკამათო მათ, რომლებსაც შენზე ამაგი აქვთ გაწეული და თავიანთი მდგომარეობით თქვენზე მაღლა დგას.

2308. შიმშილს ყველა ემორჩილება, მიუხედავად იმისა, აღზრდა და რწმენა წინააღმდეგობას უწევს.
2309. დაგემოვნების უნარს მოსახლეობის უმრავლესობა არ ფლობს, მაგრამ მწარმოებელს ეს უფლებას არ აძკლევს, რომ დაგემოვნების მცოდნეთა შთამომავალს დაგემოვნების უნარი წაართვას.
2310. უყურადღებობას და ცუდ მახსოვრობას ალიბი სხვადასხვა, მაგრამ შედეგი ერთნაირია აქვთ.
2311. ჭკუა ყოველთვის ორი დილემის წინაშე დგას, აჰყვეს გულის თქმას თუ არა, რადგან შედეგს რა მოუხდება და რა – არა, წინასწარ არავის უწყის.
2312. ყველა საქმე შემართებით და შემოქმედებითად უნდა ვაკეთოთ, თუ გვინდა შედეგით დავაგვირგვინოთ და დაგვაფასონ.
2313. ყველა სახის მომსახურება ვალის აღება-გადახდას მოითხოვს.
2314. გონიერება სარკეში იმასაც ხედავს, რის დანახვაც არ მოსწონს, მაგრამ თანდათან ეჩვევა და ინელებს.
2315. სიკვდილის გარეშე სიცოცხლე ვერ იზეიმებდა.
2316. ცოდნას, რჩევას, არასოდეს არ მოაქვს შედეგი მათთვის, ვინც რისკის გაწევას ერიდება და ზარმაცობს.
2317. ბოლომდე მიყვანილ საქმეს ალიბი არ აქვს, რადგან ან არ უნდა დაგეწყო, ან პერსპექტივა წინასწარ უნდა განგესაზღვრა.
2318. რწმენისადმი მიდრეკილებაც გენეტიკურია.
2319. ხშირად იმ სიკეთის მკეთებელსაც ვივიწყებთ, რომელსაც ჩვენზე ამაგი აქვს გაწეული. ალბათ, იმიტომ, რომ მას ამისათვის ფული გადაუხადეს (მაგ., მასწავლებელი, ექიმი, ყოფილი ცოლი).
2320. გონიერება ძვირფასიცაა, ხელშეუხებელიც, სათუთიც, მაგრამ მას მამაცობაც თან უნდა ახლდეს.
2321. ჩვენი მოწონებული ყოველთვის მშვენიერია და მის სულიერებას კონკურენტი არ ჰყავს.
2322. სიცოცხლეს ფასი არ ადევს, ის „დაუფასებელ-დაუსრულებელია“.
2323. ყველამ თავისი ქონების, შესაძლებლობების დატოვებისას ის ანდერძი უნდა მოირგოს, რისი თავიც აქვს.
2324. ისიც დიდი ნიჭია, თუ ამდენ მოლაყბეთა, სიტყვათა რახა-რუსში, რაიმე სასარგებლოს დაიჭერ და გამოიყენებ.
2325. ჩვენი მოსამართლე ჩვენივე წარსულია, თავისი კაურებით და რევერანსებით.
2326. გონივრულად გამოყენებული ვნება, ბედნიერების მომტანია და სიცოცხლის ელექსირიცაა.

2327. ცოდვილს აზროვნება დაბორკილი აქვს და თავისუფლად ყოფნის უფლებას თავისი ნახელავი არ აძლევს.
2328. კარგმა და ცუდმაც მოყირჭება იცის და ის ახლით უნდა შეიცვალოს, მომდევნო მობეზრებამდე.
2329. უღირსს სიმდიდრისთვის არ აქებენ, მაგრამ საკმეველს უკმევენ და ჩასაფრებულნი არიან, იქნებ რაიმე ერგოთ.
2330. ყველანი ვიღაცისთვის ვმუშაობთ და ყველანი ვიღაცის ხელქვეითი ვართ და ვტრაბახობთ: ჩემი უფროსი სჯობია შენსას.
2331. გონიერება ერთის შეხედვით სიბრიყვეა, როდესაც რაღაც სხვათათვის გაუგებარის აღმოჩენას ცდილობს.
2332. ყველაზე მეტად საკუთარი აზროვნება მოითხოვს გონიერების საცერში გატარებას.
2333. აფორიზმი და სხარტი ლაკონური აზროვნება სინონიმებია.
2334. მთავარი პრინციპების კორექტირებაა, თორემ აზრთა სხვადასხვაობის კონსენსუსი ყოველთვის მოხერხდება.
2335. იმას, რასაც თვალი შეიცნობს, ვერც ყური აღიქვამს, ვერც გული და სული, რადგან ის ფაქტს აფიქსირებს.
2336. გონიერებაც, დროთა განმავლობაში, საერთო გაგებასთან ერთად, ცოდნის შევსებას და რევიზიას მოითხოვს.
2337. ზომიერება, წარმატების და სიცოცხლის გახანგრძლივების გარანტიაა.
2338. ძაღლსა და ცოლს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს რაც უნდა აწყენინო, არ გიღალატებს, მეორეს ამას ვერ მოთხოვ და არც შეგარჩენს.
2339. გაბრაზებისას, გონიერება დათრგუნულია და თავშეკავების დადგომას უცდის.
2340. წარმატების მისაღწევად და წასახალისებლად ზოგჯერ წარუმატებელობაცაა საჭირო.
2341. ცოლი სამშობლოს მაგვარ ასოციაციებას უნდა იწვევდეს და გული მასთან დაბრუნებას გთხოვდეს.
2342. რესტორნის დანიშნულებაა მეგობრებში დროსტარება, საჭირო და სასიამოვნო ხალხის გაცნობა, კულინარიის მიღწევების დაგემოვნება და არა – უაზრო თავშეყრა ღრეობით და ფულის გადაყრით.
2343. გონიერების ყველა მცდელობას რომ მხარს უჭერდნენ და სათანადოდ აფასებდნენ, სამყარო ასე ჭრელი და აზროვნებისთვის ასე გაუგებარი არ იქნებოდა.
2344. მუდმივი მზადყოფნა ბევრ გაუთვალიწინებელ შემთხვევას აგვარიდებს.

2345. სირცხვილის გრძნობა თანდაყოლილია, ან სტრესის შედეგია.
2346. თვალების დაღლას და გონის გადატვირთვასაც სარგებელი უნდა მოჰქონდეს, მათ შორის, მატერიალურიც.
2347. ვნებისთვის მთავარია სექსაობის პროფესიონალი და არა მისი წარსული და სულიერების ქალწულობა.
2348. ზოგჯერ ყოფის კვანძის გახსნას მისი შეუმჩნევლობა ჯობს.
2349. სიბერეში ვხვდებით ახალგაზრდობის ყველაზე დიდ შეცდომას, როდესაც საკმარისი ოდენობით ვერ ვტოვებთ ნაშიერს და გვარის გამგრძელებელს.
2350. ხელმძღვანელი, რომელსაც არ სცალია და არასოდეს დრო არ ყოფნის, ღმერთს საუფროსედ არ უქნია.
2351. ზოგს დაუსწრებლად უყვარს სხვისი აზრების გაქიაქება და ეს თავის წარმოჩენა და ვაჟკაცობა ჰგონია.
2352. ერთმანეთი უნდა შევიცოდოთ, დავიტიროთ კიდეც, მაგრამ ერთმანეთის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვას ვერიდოთ.
2353. ვნების ანკესის გადაგდებას ხასიათზე მოვყავართ, სურვილს – ლამაზი „ღლავის“ ამოთრევა-დამუღამებისა.
2354. განსჯის და სამართლიანობისათვის თავის მტვრევას მითების შექმნა სჭირდება, რომ ვიღაცა მაინც დავაჯეროთ.
2355. არის რაღაცა, რომელსაც შენ არ გააკეთებდი (მაგ. სოკრატემ გაქცევას საწამლავის მიღება არჩია) მაგრამ დიდი პიროვნების მიერ ჩადენილი ეს „სისულელე“ უნდა აქო და ადიდო.
2356. ზოგისთვის ბედნიერება ჯერ არ დაფეხმძიმებულა, შედეგის დაბადებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
2357. ყველას ვიღაცის და რაღაცის წინაშე ვალი გვადევს, რომელსაც დროულად გასტუმრება სჭირდება.
2358. ყბედობისაგან განსხვავებით, შრომას, დაძალების გარეშე, უმეტესობა გაურბის, რადგან უპირველესი გართობა და თვითრეკლამირებაა.
2359. ზემდგომის „სიაფანდზე“ განრისხებას მოაქვს შედეგი და არა მის უხეშობას.
2360. მეგობრისთვის, მტრისთვის, უცნობისთვის, ერთნაირი უნდა ვიყოთ, თუ გვინდა ბოლომდე კაცებად დავრჩეთ და სიმართლემ ქვენა გრძნობების გარეშე იზეიმოს.
2361. შენთვის „შეუფერებელი“ ცოლის გარეშე ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ ამქვეყნად ყოფნის სამახსოვროდ ნაშიერი და გვარის გამგრძელებელი ხომ უნდა დატოვო.
2362. ხუმრობა-შეხუმრება, კარგი იარაღია ხასიათის საწრთობად, თუ ირგვლივ შემოქმედი და აზრიანი ხალხია.

2363. ზოგჯერ ისეთი რამ და ვინმე გამოგადგება, რასაც ვერასოდეს იფიქრებდი, ამიტომაცაა ნათქვამი: „ნაჩუქარს და შემთხვევის წყალობას კბილს არ უსინჯავენო“.
2364. გამარჯვებული, დალხინებული, ყველგან ყველგან ბრძენია, რადგან უბედობამ ვერა დააკლო რა.
2365. აზრი, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, თავისუფლებას მოიპოვებს, თუნდაც მისი გამოყენება არ ვიცოდეთ.
2366. გონების საწმენდი მჭერმეტყველებაა, რომელიც ცოდნას ბრწყინვალებას ანიჭებს.
2367. იშვიათად გადაცდენის უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ ყოველნაირად უნდა ვერიდოთ.
2368. სიკეთე, ქმედება-შედეგის გარეშე, მხოლოდ მცდელობაა და თავის მოტყუება.
2369. გონიერება მინიშნებით ყველაფერს ხვდება, ხოლო უგნური ჩვენებითაც ვერაფერს მიხვდება.
2370. გონიერება იმით კი არ უნდა ამაყობდეს, რაც ფეხებქვეშ აქვს ამოდებული, არამედ ყოველი ნაბიჯის გადადგმის შედეგითაც.
2371. მოძრაობის თანდათანობითი აჩქარება, განვითარების საწყისია.
2372. მუდმივი და უცვლელი ამქვეყნად არაფერია, მათ შორის, სიყვარული, ბედნიერება, პრინციპები და იდეალები.
2373. ყველა გულს თავისი კოდი აქვს და მის გაშიფვრას დღეს „ინტერნეტიც“ ახერხებს.
2374. შენიანებს მაშინაც არ უნდა გაექცე, როცა ცხოვრების ალიყურის იწვნევ.
2375. ყბედობაა, თუ არაფერს ამტკიცებს, საუბარია, თუ საკითხში გარკვევა გინდა.
2376. შრომა დაძალებით ცუდი ჩვევების მკურნალიცაა.
2377. ცნობისმოყვარეობა ცუდი არ არის, ოღონდ გარკვეულ საკითხში და იქ, რაც შენ გესმის.
2378. სიტყვა არ იკარგება, მაგრამ თავისი შესატყვისი ახალი შეუძლია დაბადოს.
2379. ჩვენ არასოდეს ვიქნებით იმაზე უკეთესი, რაც ვიყავით.
2380. „ბაიკა“ ზოგჯერ უკეთ ხსნის გარემოებათა გაუხსნელ კვანძებს.
2381. როგორც არ უნდა გაწვალდე და დრომ როგორც არ უნდა ზურგი გაქციოს, იყავი უპრეტენზიო, უშუალო, უშფოთველი.
2382. ზოგჯერ მოკლესიტყვაობა გრძელსიტყვაობას იმიტომ ვერ სჯობნის, რომ მსმენელთა უმეტესობა დილეტანტი და საქმის უცოდინარია.

2383. ზოგჯერ სიკვდილსაც უჩნდება შეღავათების და გადავადების სურვილი, თუ მის წინაშე პიროვნებაა.
2384. სიმდიდრე გონიერ ზრუნვას მოითხოვს, წინაპართა გამოცდილების შესატყვისად.
2385. წინასწარ ყველაფრის განჭვრეტა და ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ ყოფის პოსტულატების გათავისება და დაცვა ბევრ უგერგილობას აგვაცილებს.
2386. პროფესიას მარკას მოთხოვნილება და შემოსავალი უწევს და არა – მისი სიძნელე და აუცილებლობა.
2387. თავდამსხმელს მეტი ამბიციები აქვს, ვიდრე დამცველს, რომელიც ფიქრობს: „ვაი, თუ ვერ გავუმკლავდე“.
2388. გამარჯვება დამარცხებულის მიმართ დიდსულოვნებასაც ითვალისწინებს.
2389. მოგზაურობას ის ნაკლი აქვს, რომ თავდაპირველ ჩანაფიქრს იმ სახით ვერ ვიღებთ, როგორც გვინდოდა.
2390. ჭორს და ხმის დარხევას რატომღაც ყურადღებით ვუსმენთ, იმისდამიუხედავად, გვჯერა თუ არა.
2391. მოულოდნელობაა, რომ გვაფრთხობს და გვაკვირვებს, თორემ მზე რომ ამოვა და ჩავა ყოველდღიური, „ჩვეულებრივი“, მოვლენაა.
2392. თავის მართლებას მჭერმეტყველება იუმორით სჭირდება – უფრო შთამბეჭდავია.
2393. ინტელექტუალური საკუთრება სასიკეთო საქმეების საკეთებლადაა მოწოდებული, ოღონდ წვრილმანების ცოდნით და ყურადღების მოკრეფით.
2394. კადნიერება და კეთილგონიერება ხშირად „საძოვარზე“ ერთად დადიან.
2395. აზროვნება მისი შედეგების გამოყენების გარეშე, დამარცხებას არ უტოლდება, მაგრამ არც დიდი სარგებელი მოაქვს.
2396. პატივის მიგება პიროვნების გონიერების „მეგაბაიტმა“ უნდა გვაიძულოს და არა – გამორჩენის სურვილმა.
2397. ერთობა, ერთიანობა, ურთიერთდაყვავება, წარმატების საწინდარია.
2398. ზომიერება უნდა დავიცვათ, მაგრამ აქაც არ უნდა „გადავამლაშოთ“ – სიცოცხლის ფრაგმენტები შეუცნობელი დაგვრჩება.
2399. გონიერებას სხვისი ნაკლიც თავისად მიაჩნია და ცდილობს მისი ნიშნებიდან გაიწმინდოს.
2400. შემართება ხშირად ძალას და შესაძლებლობებს ეპაექრება და ზოგჯერ თავისიც გააქვს.

2401. როდესაც დაპირება ბევრია და საქმე ცოტა, სიღარიბეც შესამჩნევია და სიმდიდრეც საშურია.
2402. თრობა და ქალი ერთდროულად ვნების აღმაფრენისთვის არ გამოდგება, ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ.
2403. სიკეთე თავის გასავლელ გზას ანგრევს, აშენებს და სიმართლით კირწყლავს.
2404. სიმდიდრე და სიღარიბე გაუცნობიერებელია სინონიმებია, თუ ურთიერთს თავი დააღწიეს.
2405. ზოგჯერ წყენის „გადაყლაპვა“ უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მისი დამახსოვრება და სიმაგიეროს გადახდის მცდელობისათვის დროის დაკარგვა და ნერვების აშლა.
2406. უმნიკვლო ორი კოცნა არსებობს: ერთი, როდესაც ახლადდაბადებულ ბიჭს მამა შუბლზე კოცნის და მეორე საფლავში ჩასვენების წინ, დავაჟკაცებული ვაჟი მშობელს შუბლზე ეამბორება.
2407. ხელმოცარულობა ბევრ ისეთ რამეს გვასწავლის, რის ცოდნაც საჭირო არ არის, მაგრამ აუცილებელია, ამ მდგომარეობიდან რომ გამოძვრე.
2408. სამწუხაროდ, ცხოვრების უდიდეს ნაწილს არასაჭირო საქმის კეთებაში, ლაზღანდარობაში, ვკარგავთ და ამას გართობა-დასვენებას ვეძახით.
2409. საქმის დროულად წამოწყება და დამთავრება, ყველაზე დიდი, მაგრამ შეუმჩნეველი ღვაწლია.
2410. როგორ იცხოვრე, ამას მომდევნო თაობები განსჯიან, ხოლო როგორ ცოცხლობ და რამდენ ხანს იცხოვრებ, ამისათვის დღესვე უნდა გაისარჯო.
2411. დიდება თავის გზას ყოველთვის თავად გაიკვლევს, თუ ძალასა მცდელობას დაახმარს.
2412. სიმართლით მეტყველებას – სალამ-ქალამი და მართალ სიტყვას საწებელი – არ სჭირდება.
2413. აჩქარება ყოველთვის კარგად არ მთავრდება, მაგრამ მასაც აქვს გამართლება და გამოუვალი მდგომარეობით გამოწვეული საჩვენებელი შედეგი.
2414. როცა უგნურება გონიერებას კიცხავს, ეს უკანასკნელი თავის სიმაღლეზე დგას.
2415. უზომოდ მიღებული ალკოჰოლი გონიერებისთვის საწამლავია, მაგრამ თვითნაბადი ნიჭი მას ზოგჯერ თავისი შემოქმედების წარმოსაჩენად იყენებს.

2416. დაბნეულობა ზოგჯერ უსაზღვროა, მაგრამ მის გარეშე გამჭრიახობის შეფასება გაჭირდებოდა.
2417. რჩევა, რომელიც შედეგს არ იძლევა, ვალის მოხდაა.
2418. ვეცადოთ მშვიდობის მტრედის აფრენა ჩვენი ხელიდან ხდებოდეს.
2419. პირველ რიგში, თავი უნდა გაკიცხო იმ სიტყვებით, რის თქმასაც სხვისთვის აპირებ.
2420. უგნურისთვის დახმარების გაწევა უგნურების ფილმზე დასწრების ტოლფასია.
2421. რაც ცვალებადია, კარგია და ჭირიც მოგვჭამა.
2422. სირბილი დაცემასაც ითვალისწინებს, ამიტომაც მარცხის შემთხვევაში, დროულად უნდა წამოვდგეთ და ქომაგები არ გავაწბილოთ.
2423. სტუმრით წატრაბახება მასპინძელს სიამოვნებას გვრის.
2424. ღვარძლიდან თავის დაღწევა, შემართების უნარს და დროის გაყვანის ხელოვნებას მოითხოვს.
2425. გამორჩეული ნიჭის ინდივიდით სპონსორიც თავს იწონებს.
2426. გამარჯვებული მუდამ მართალია, მას მომდევნო საუკუნეების გამოცდილებაც არ ასამართლებს.
2427. აუცილებელი უნდა შევიძინოთ, ხოლო აუცილებლად არასაჭირო დროულად უნდა მოვიშოროთ.
2428. უფროსის „გადმოცემით“ დაწეული რისხვა, რატომღაც სიმართლიანი გვეჩვენება და შინაგანად თითქმის ვეთანხმებით.
2429. ბრიყვის თავისუფლება თვითნებობაა, მისთვის გაუგებარ რაკურსში.
2430. დიდებას, სახელს, არც მორცხვობა უყვარს და არც გადაჭარბება მოსწონს.
2431. ყველა იმქვეყნად წასულს თავისი უნდა მიეგოს და დამსახურების შესატყვისად უნდა გაიხსენოს მომდევნო თაობებმა.
2432. სხვაზე ბატონობის ვნებიან სურვილს არავითარი გონიერება და შთაგონება არ შველის.
2433. პირფერობა და ცბიერება ერთად ვერ სძოვენ, მაგრამ კარიერისთვის ორივეს დაუფიქრებლად იყენებენ.
2434. კარგი სურვილებით, რიდით და საქმის კეთებით გამდიდრება არ ხერხდება.
2435. საერთო ინტერესები სიძულვილს, მეგობრობას, საწყისს უქმნის, მაგრამ ხშირად უსაფუძვლოდ.
2436. ზოგჯერ მხიარულების მოთოკვა ისევე ძნელია, როგორც მრისხანებისა.

2437. თავისუფლება, შესატყვისი ყოფის გარეშე, მაღალფარდოვანი სიტყვაა.
2438. გონიერება ქმედებასთან უფრო ახლოა, ვიდრე მცდელობასთან.
2439. ვეცადოთ უსაქმურობით, გაუბედაობით, უხასიათობით, ტვინი არ დავჟანგოთ და გონიერებას მცდელობის ჟანგბადი არ მოვაკლოთ.
2440. სურვილების ასრულება, ყოველთვის ჩვენს მცდელობაზე არ არის დამოკიდებული.
2441. ცილისწამების საწინააღმდეგო ვაქცინა უნდა გამოვიგონოთ, რათა ცილის დამბრალებელი მოვარჩინოთ და სიმართლე ვათქმევინოთ.
2442. ასაკის გონიერება და ყოფის შესაძლებლობა დროულად არ წყვილდება, ხოლო როდესაც სურვილი უჩნდება, უკვე ხანდაზმულია და უპერსპექტივო.
2443. შრომით მოპოვებულით შენი ნებართვით თუ სხვაც ისარგებლებს, სასიხარულოა.
2444. ყოფის ალგორითმი მერყეობას ვერ იტანს.
2445. ზომიერების ცოდნა, დაცვა, გამოყენება, უდიდესი ნიჭია.
2446. ბუნებასთან შერწყმული ყველა ქმედება გონიერების დაჭაშნიკებაზე მიუთითებს.
2447. დაუპატიჟებლად სხვის პურღვინოზე წარმოდგენითაც კი არ უნდა იქეიფო.
2448. უყურადღებობას ჯერ არავინ მოუკლავს, მაგრამ გულის დაწყვეტა იცის.
2449. ენას რომ ყველა თავის გამონათქვამზე ხელი მოეწერა და ბეჭედი დაესვა, ამდენს არ იყბედებდა.
2450. ღვინის სმა სიამოვნებაა. ოღონდ სულის გაუცემლად და ცოდვის ჩაუდენლად.
2451. მცირეს თუ დროულად ვამჩნევთ, ის მცირე აღარ არის.
2452. გონიერებითვის ავტორიტეტი არ არსებობს, ან მცოდნე ხარ, ან უვიცი.
2453. ცდები იძლევა იმ უარყოფით შედეგს, რომელიც დადებით შედეგში გადაიზრდება.
2454. გონიერების სისუფთავეს სიწყნარე და მშვიდობიანი გარემო სჭირდება.
2455. საკვები რაციონალურად გემრიელი უნდა იყოს და არა შესახედავად მადის აღმძვრელი.
2456. ინვალიდს უნდა დავეხმაროთ, ღარიბს სიღარიბის ჭაობიდან ამოსვლა უნდა ვასწავლოთ, რომ მცდელობა დაგვიფასოს. და სხვებსაც სიღარიბის დაძლევა გაუადვილოს.

2457. მთავარი პრობლემა არ არის, მთავარია მისი გონივრულ „მოთარგმნა“, გულთან მიტანა საქმის კეთებით.
2458. გონიერება ერთდროულად სულელსაც ამჩნევს, ჭკვიანსაც, მცოდნესაც და ამაში ტრაგედიას ვერ ხედავს.
2459. ყველანი საკუთარ სიცოცხლეს ფაფხურით ვაფასებთ და ასე თუ ისე, ვყიდით.
2460. სერიოზულობას ასაკთან შერწყმა და დაღვინება უხდება.
2461. მე ჩემი ცოდნის გამოყენებას არავის ვამადლი, რადგან ნებისმიერი ცოდნა გაუმჯობესებას მოითხოვს და ღმერთმა ხელი მოუმართოს.
2462. მიზნის მისაღწევად გზები ბევრია, მაგრამ ოპტიმალურია ის, რა გზაზეც გაგიმართლა.
2463. სურვილს, თავდაჯერებასთან ერთად, მოთმინების უნარიც უნდა ახასიათებდეს, მაშინაა ის სასურველი სტუმარი გონიერებისთვის.
2464. ყოველივე ახალი ეჭვს ბადებს: ნუთუ ამის გაკეთება ადრე არ შეიძლებოდა?!
2465. იუმორი დანაღმული სიტყვების და აზრის კონგლომერატია და იქ უნდა აფეთქდეს, სადაც მთხრობელი საჭიროდ ჩათვლის.
2466. გადამეტებული სერიოზულობა სიბრიყვის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.
2467. აფორიზმს წონა აქვს და არა – გამორჩენა, მის სიბრძნეს იშვიათად ითავისებენ.
2468. სიბრძნე, ფრთების გაშლის გარეშე, თანამდებობის სიბრიყვეს ვერ დაძლევს.
2469. პროტექციაც გამორჩენის მცდელობად ითვლება, როცა შედეგს გვაძლევს.
2470. ზემდგომის უმიზეზოდ „აყეფება“ ხშირად საქმის კეთებას აჩქარებს.
2471. პიროვნება არ ეპუება ეპოქას, თავის დროს ჯობნის, მაგრამ მომავლის შედეგებზე პასუხისგება არ უნდა.
2472. უიღბლო-უბედოს არ გაეკარო, უშედეგო ზრუნვა შეგრჩება.
2473. საჭირო სიტყვის კატა-თაგვობანასავით წვალებაც გარკვეულ სიამოვნებას გვანიჭებს.
2474. ყველა დიდი საქმე იმ სიძნელეების დაძლევას მოითხოვს, რომელსაც საქმის კეთების ჟინი ვერ ამჩნევს.
2475. დაბნეულობას, ყოფის ხაბა-ხუბიდან გამოსაყვანად, დაყვავება სჭირდება, უფრო ამართლებს.
2476. თუ გერიდებიან, პატივს მიგაგებენ, თუ არა და მათი კაცი ხარ, შენთან სიახლოვეს არაფრად თვლიან.

2477. დაცინვის ობიექტების უყურადღებობა, დამცინავს ნერვებს უფუფქავს.
2478. ჭკვიანები რომ ვართ, ამაში ეჭვი არავის ეპარება, განსაკუთრებით, დაბადებიდან უჭკუოებს.
2479. უგუნურებს ისეთი სიტყვებით უნდა მიმართო, რომ თავი უხერხულად იგრძნოს და შერკინების ადგილი ჩუმად დატოვოს.
2480. უსაქმური, ლოთი, ჭკუის დამრიგებელი ძნელი ასატანია.
2481. „გველობას“ სიცრუესთან ეტყობა ნათესაური კავშირი აქვს, და ზოგჯერ საერთო ენასაც ნახულობენ.
2482. წყენის დავიწყების ყველაზე საუკეთესო საშუალება, მისი ფეხებზე დაკიდებაა.
2483. ჩვენს დიდებას, ახლობლები შინაურულად უყურებენ და შესატყვისად ვერ აღიქვამენ.
2484. ცხვირის ყველგან უკითხავად ჩაყოფა არ ნიშნავს, რომ იდეალური ყნოსვის პატრონი ხარ.
2485. სიბრიყვისკენ მიდრეკილება არავის უყურადღებოდ არ ტოვებს.
2486. სარკე და ფოტოგრაფია ყველაზე პატიოსანი, უტყუარი, ნერვების მომშლელი, „მეგობარია“ მოხუცისთვის.
2487. ღირსება ძნელად აღსაქმელია, ნაკლი ადვილად შესამჩნევია და ეს უმთავრესი სხვაობაა მათ შორის.
2488. ორჭოფობასაც თავის კაიფი ახლავს, თუ სწორ გზას შემოქმედებითად ეძებს.
2489. სწორ გზაზე მოსიარულეს მოშურნეთა აზრი არ უნდა აინტერესებდეს.
2490. მოკრძალებული ყოველთვის ამაყს ვერ ჯობნის, რადგან თუ ვერ შეგამჩნიეს, ვერც დასახულ მიზანს მიაღწევ.
2491. ველაზე დიდი გონიერება დროული საქმის კეთებაა, ხელისშემშლელთა გვერდზე მოსროლით.
2492. სირცხვილი სინდისის საინონიმი არ არის და სიმორცხვე ყოველთვის ყოფის მოსაწყობად არ გამოდგება.
2493. კეთილდღეობის გამოყენებასაც ცოდნა და ბრძოლა უნდა.
2494. ბრიყვები ჭეშმარიტებას სხვათა გონიერების ნასუფრალიდან ნათაქებს ღაღადებენ შეუცნობლად.
2495. ზოგისთვის ინტერნეტი ოჯახის წევრია, რომლის მომსახურების გადასახადს ალიმენტით იხდის.
2496. სიკეთეც იკარგება, თუ მას ღირსეული გამგრძელებელი და შთამომავალი არ ჰყავს.

2497. წიგნებიდან განსხვავებით, ინტერნეტი მეტ ინფორმაციას და თავხედობის უნარს გვმატებს, ვიდრე ცოდნას.
2498. ეჭვიანობა და კონტროლი, ზომიერების ფარგლებში, აუცილებელია, რადგან სხვანაირად მოპოვებულს ვერ მოუფრთხილდები და ვერ დაიცავ.
2499. გამბედაობას, თავდადებას, გამოსარჩლებას, საკუთარი აზრით დამუხტული მუხრუჭი სჭირდება.
2500. სიბერე ახოვანებას, მიმზიდველობას და გონიერების აღმავლობას ერთდროულად კარგავს და კნინდება.
2501. მორცხვობასაც მისთვის შესაფერი ფონი სჭირდება, რათა თავი მოგაწონოს.
2502. დახმარება გაჭირვებულს თავად უნდა შესთავაზო და შენი მცდელობა შენვე დაგეხმარება.
2503. ვნებასაც ყოფიერების ნიღაბი აქვს აფარებული და ისე მოქმედებს, როგორც მას ხელეწიფება.
2504. ტრანსსექსუალისთვის ყველა მამაკაცი წაკითხულ-გადაკითხული წიგნია.
2505. დაშორება – განშორება ძნელი არ არის, თუ გული ამის უფლებას გვაძლევს.
2506. ვნებას ზოგჯერ ვეწინააღმდეგებით, მაგრამ ის თავს არ გვანებებს და ხშირად გვაცდენს.
2507. დიდების ხიფათში თავის გაყოფას დაღვინებული ასაკი ვერ შველის.
2508. ცოცხალი მაგალითი ყველა პერსპექტიულ მაგალითზე მაღლა დგას.
2509. საიდუმლო, რომელიც დავიწყებული გაქვს, ყველაზე უკეთ შენახულია, დაცულია და არც წამოგცდება.
2510. ჩვენი საქმიანობა, ჩვენი აზროვნების, რაობის, მცდელობის, ყველაზე უკეთესი მომთარგმნელია.
2511. სიმართლეს ზოგჯერ ზომიერად გაბუქებულს წარმოგვიდგენენ, რათა პოპულარული და დასამახსოვრებელი გახდეს.
2512. ზოგჯერ მოწინააღმდეგე უკეთ გვიცნობს, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს.
2513. ზოგჯერ სიმართლის თქმასაც მორალური უფლება სჭირდება.
2514. ბრიყვმა მოვალეობა არც უნდა იკისროს და არც უნდა დავავალოთ.
2515. მცდელობას რაღაც საქმის გადაჭრა უნდა შეეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მოჩვენებითი იქნება.

2516. ყველა ხელმოცარულს ახსნა-განმარტება და თავის მართლება სჭირდება.
2517. ქვეშევრდომი უფროსის ცოდნით და ავტორიტეტით აღფრთოვანებული უნდა იყოს, თუ გვინდა სასიკეთო საქმე უსიტყვოდ და წარმატებით აკეთოს.
2518. თანამდებობის პირის ნაცნობობა და პროტექცია სათუთი მატერია და ის მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როდესაც სხვა გზა არ დაგვრჩენია.
2519. ყოფის აქსიომები ხშირად გვაცუცურაკებს, მაგრამ შეძლებისამებრ ყოფის ახალ თეორემებს ვუპირისპირებთ.
2520. აზრში, რომელიც სიტყვების კორიანტელშია გახვეული, სიახლე არაფერია.
2521. სურვილზე მეტად საქმის კეთებას გერგილიანობა და მცდელობა ახერხებს.
2522. შემოწმებულ-გადამოწმებულს სცემენ პატივს და არა პერსპექტიულ, მაგრამ შეუმოწმებელ სიახლეს.
2523. უგნურებასაც თავისი არგუმენტები აქვს, განსაკუთრებით, თუ ზემდგომი დაინტერესებულია.
2524. სიცილსაც და მწუხარებასაც გაგება და შენდობა სჭირდება.
2525. ცუდიც და კარგიც ერთად ბალახობენ, მაგრამ მათ წარმოჩენას შემთხვევა და გარემო სჭირდება.
2526. ჩადენილი ცოდვები, რომელიც სიბერეს გვიმწარებს, დანაშაულია და არა გადაცდენა.
2527. სწორ გზაზე სიარულის საშუალებას გამოცდილება გვაძლევს, საქმის კეთებისას მასზე რქებით მიწოლა.
2528. გონიერების მწვერვალებთან მიახლოებაა ძნელი და არა უბრალოდ აზროვნება.
2529. ყველა ახალი აზრს განსჯა, დაღვინება, წარმოჩენა სჭირდება, რათა მან თავისი ადგილი სამყაროში დროულად დაიკავოს.
2530. წახალისება, დაინტერესება, შეიძლება ქრთამიც იყოს, დამსახურების შესატყვისად გაცემული.
2531. ზოგი ქმედება სიამოვნებას გვანიჭებს, ოღონდ გახმაურების გარეშე და რეპუტაციის ხელშეუხებლად.
2532. სიჩერჩეტე მუდმივი განზომილებაა, ის არც ახალგაზრდობაში გვანებებს თავს და არც ასაკში, რადგან მასთან ურთიერთობა სიამოვნებას გვგვრის.
2533. მოდაში სიტიტვლის შემოსვლასთან დაკავშირებით, ტანსაცმლის ნაჭერი გაცილებით ნაკლები იხარჯება, მაგრამ მოდაზე შეკერილი გაცილებით ძვირი ღირს.

2534. ფაქტები უმრავლესობის არაობიექტურ მცდელობას ალიყურს სთავაზობს და მის წინაშე ქედს იხრის.
2535. გაბედული აზრი, დროის რეალობას ეწირება, მაგრამ თავისას, ადრე თუ გვიან, გამოთხრის და შედეგს აღწევს.
2536. ავი ხასიათის, სიკეთის საკეთებლად გამოყენება, წარმატების საწინდარია.
2537. წამოწყება, რომელიც კარგად მთავრდება, თავისი ეპოქის ნაკლს შეღავათს აძლევს, რადგან მხოლოდ აკრიტიკებს და არ აგინებს.
2538. მცდელობის და საკუთარი ინიციატივით მოპოვებულ სიამოვნებას ბადალი არ აქვს.
2539. სიამაყე, გონიერების მიერ გაწნულ ალიყურს ვერ გრძნობს.
2540. პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებას დიპლომატიასთან და კონსენსუსთან არაფერი ესაქმება.
2541. სიბრიყვეზე მბრძანებლობა გამორიცხულია.
2542. დამრგვალებული რიცხვები შეიძლება იტყუებიან, მაგრამ პატივსაცემია, ვინაიდან დასამახსოვრებლად ადვილია.
2543. აფორიზმი სხარტი, საზრიანი და სასარგებლო ფრაზაა შენივე სიამოვნებისათვის.
2544. ვარაუდი ჩავარდნის დედაა და იმედის დედინაცვალი.
2545. მოკლე და სწორი გადაწყვეტილებები, მოხერხებულს და სარფიანს ვერ ჯობნის – „ზარალიანია“.
2546. ზომიერება ყველა სიკეთის საწყისი და დამამშვიდებელია.
2547. სენტიმენტალობა, ზედმეტი ვიში-ვიში ბევრს ვერაფერს გვმატებს.
2548. გონიერება ყოველთვის უმცირესობაშია – უმრავლესობა ვერ იგებს და უფრთხის.
2549. ყველაზე უკეთესი გამამართლებელი შედეგია, ის გონიერების პლუს და მინუსს ერთდროულად ხედავს.
2550. ხუმრობა, სხარტი და დასამახსოვრებელი აზრების გარეშე, უზრდელობაა.
2551. ზოგჯერ სკეპტიკოსსაც სურს ცდებოდეს, იმდენად დიდია დასმული საკითხის ყოფნა-არყოფნის პრობლემა.
2552. თანამდებობა წარმოაჩენს პიროვნებას და მისი ავ-კარგიანობის ლაკმუსია.
2553. ხუმრობაზე ყველა ადამიანის წამოგება შეიძლება, თუ ხუმრობა-გათამაშებას წინასწარ ორგანიზაციას გავუკეთებთ.
2554. მოთხოვნა მხოლოდ შესაძლებლობების მიხედვით და არა – სურვილებით, რეალურია და ამართლებსა კიდეც.

2555. არ მომწონს, როდესაც უგნურება რეკლამის მიზნით, ნაღდს, რეალურს უსინდისოდ აეკიდება და თავის წარმოჩენას ცდილობს.
2556. ის, რაც არ იყიდება, ფასი არ ედება ან ძალზე ძველია და არ იცის რა ფასი დაადონ, ან ჩამოწერილია, რადგან აქ საქმე მოგებაზე არ არის, აქ უბრალოდ ნივთის განუმეორებლობა – უნიკალობაა დასადგენი.
2557. აჩქარება ყველაფერს ვნებს, მათ შორის, აღზრდასაც, დაოჯახებასაც, ფულის შოვნის მცდელობასაც და იმქვეყნად გადაბარგებასაც – მეტი ხელშესავლების დატოვება შეიძლებოდა.
2558. მორიგებას, თავხედობასთან ერთად დიდი გამბედაობაც სჭირდება მოწინააღმდეგესთან.
2559. ფანტაზია ერთჯერადი ჩაის „პაკეტია“, რომელსაც დროის შესატყვისად იყენებენ და შემდგომ მოისვრიან.
2560. ძალას არ ეხუმრებიან, ემორჩილებიან, ბაძავენ და ცდილობენ თავადაც ძლიერნი გახდნენ.
2561. ჭკუის ჭყლეტვა წინდახედულების, პერსპექტივის, განსჯის გარეშე, იგივე უგნურებაა.
2562. უაზრო მხიარულება უკულტურობის, უსაქმოდ ყოფნის, შედეგია.
2563. გონიერებისათვის უმიზნო წიხლის დაჭერა, ზოგჯერ ჩვენთვის არასასიამოვნო გახსენებებს ამოატივტივებს.
2564. რატომღაც ჩვენი ამქვეყნად მოვლენით ყველას გვგონია დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ რა სახით, ვერ დაგვისაბუთებია.
2565. გონიერებას მხოლოდ დამსახურებული შექება არ ვნებს.
2566. ყველა ასაკს თავისი ხნოვანების და ყოფის მეგაბაიტის შესატყვისად მოეკითხება.
2567. არის კომპლიმენტი, რომელსაც გარეშე ყური შეურაცხყოფად აღიქვამს, მაგრამ ყველა შენი კოლეგა ამ კომპლიმენტს სიამოვნებით შეიფერებს.
2568. სიბერე სიხარული არ არის, მაგრამ ბედნიერებაზე პრეტენზიას აცხადებს, რადგან იმქვეყნად გადაბარგებას მაინც სჯობს.
2569. დაპირისპირების გარეშე ყველა აზრი უინტერესოა.
2570. ამბობენ, ენა ძროხისაა კარგი, მაგრამ ტკბილად მოუბრისას ვერ შეედრება.
2571. ასაკს უფრო ნაკეთები საქმე მოსწონს, ვიდრე დაპირება, გონიერების წარმოჩენა და გრძნობათა „ფრქვევა“.
2572. ყველა წყობას და მცდელობას დროულად მომწიფება სჭირდება, მაგრამ რუსეთს არაფერი შველის, ყოველთვის გვიან მწიფდება,

ეტყობა ცივი კლიმატია „დამნაშავე“ მის მუდმივ ჩამორჩენაში, გვიან მომწიფებაში.

2573. ირონია სერიოზულობას ამოფარებული დაცინვაა, იუმორი ხუმრობაა გულახდილი ორაზროვნებით.

2574. პატარ-პატარა დეფექტები და ზადი ყველას გვაქვს, რათა ირგვლივმყოფთაგან გამოვირჩეოდეთ და ჩვენი უნაკლობით მათ გული არ დავწყვიტოთ.

2575. უხიაგი სინდისიც არსებობს, რომელსაც სხვის უსინდისობაში თავის ჩაყოფა და წარმოჩენა უნდა.

2576. სიბრიყვეს ალტერნატივა არ აქვს გარდა ერთისა, ან დიდი ბუტიაა ან მოკრძალებული ჩერჩეტი.

2577. კრიტიკა უგნურების გრიპიდან თავის დასაღწევი წამალია, რათა დაავადება „სიამაყე“ არ გაგვირთულდეს.

2578. ჩამოყალიბებული პრინციპების, ტრადიციების, ცხოვრების ნირის, აჩქარებულ დარღვევას არაფერი სასიკეთო არ მოაქვს.

2579. ყველა დარგს თავისი კლასიფიკაცია და სამართალი აქვს, რათა პროფესიონალიზმი ამაღლდეს და წარმოჩინდეს.

2580. დღეს ჭორის გავრცელების საშუალება ინტერნეტიცაა და ბევრი სიამოვნებით ერთობა.

2581. ჰარმონიას, შეგნებას, მცდელობას, ერთად ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

2582. მიზანი, ხელის დაკაპიწების გარეშე, არარაობაა.

2583. სხვისი აზრების გაფეტიშება არ დაგვჭირდება, თუ ჩვენს რიგიან გონივრულად გამოვიყენებთ.

2584. მოკლე და აზრიან მეტყველებას ის უპირატესობა აქვს, რომ ვისთვისაც საჭიროა და გასაგები, ის გაიგებს.

2585. ეჭვიანობა მისასალმებელი არ არის, მაგრამ არც უყურადღებობაა მოსაწონი – გულგრილობას დაგვწამებენ.

2586. დღეს წარმატებას საბილეთო სალაროსთან რიგი განსაზღვრავს და არა – ჭეშმარიტებასთან მიახლოვება.

2587. თავაზიანობას ბევრი სიმბოლიზმი ახასიათებს, რომლის რეალობად მიჩნევა ყოველთვის საჭირო არ არის.

2588. იუმორი მახვილგონიერების დაწმენდა-დასვენების საუკეთესო ფილტრია.

2589. ძალაუფლება, სიყვარულს, თავმოყვარეობა ვერ ეცილება, ეჭიდავება.

2590. ბუნებისაგან ყველა ვალის დაბრუნებას მოითხოვს, თორემ როგორ, რა დროს და რა თავნით, არავის უწყის.

2591. სიკვდილი ყოველივეს ასწორებს და გვავიწყებს, გამოდის, რომ ის ყველაზე გონიერი მკურნალი და დასტაქარია.
2592. ინტელიგენცია დღეს უფრო გამყიდველს მაგონებს, ვიდრე გონიერების მაღაზიის მფლობელს, რადგან ინტელექტით მოვაჭრე ბევრია ხოლო გონიერების პატრონი და მფლობელი – იშვიათი.
2593. ყველა სიახლე სუფთად უნდა გაკეთდეს, ძველი დოგმების გარეშე.
2594. მთავარია წყვილის ვნებათა ტალღების შერწყმა, რაც შეეხება სიყვარულს, თუ არ მოვა, მოწონებას წინ რაღა დაუდგება, როდესაც ვნება კმაყოფილია.
2595. ლოთისთვის ასაკი ცხოვრების აზრია, ღვინო – სიამოვნების მომტანი, რაც შეეხება წყალს, მიკრობების გასავრცელებელი ბუდეა, რომელიც ლოთის ხასიათზე მოყვანას ვერ ახერხებს.
2596. დეიდებს და ბიძებს ახალგაზრდა კურო და „შხვართი“ იმიტომაც მოსწონთ და ეძალებიან, რომ მათაც უნდათ გარკვეული დროით, ვნების ცოდვებს „შეეთამაშონ“.
2597. დასაძრახია „სპერმატოზოიდობა“, მამლაყინწობა და არა – ხვადობა და მისი შესაძლებლობა.
2598. ფუფუნება, მომხვეჭელობა, სხვაზე ჯობნის დაუოკებელი მცდელობაა, შობადობის დაუძინებელი მტერია.
2599. საქმეში „ხელის დაბანას“ ისევ „ფეხების დაბანა“ სჯობს, დროულად მაინც გავეცლებით.
2600. პატივმოყვარეობასაც თავის საზღვრები უნდა დავუწესოთ.
2601. ასაკი ჯილდოებს ითვლის და არა – წარმატებებს.
2602. ყველა სახის ზღვარის დარღვევა მითქმა-მოთქმით საქმის გადახედვას იწვევს.
2603. უნივერსალური ერთიანობაში სარგებლიანია, მაგრამ ხარისხი ხშირ-ხშირად გადახედვას საჭიროებს.
2604. ვნება შესაძლებლობების ყულაბაა, რომელიც ერთხელაც იქნება, დაცარიელდება.
2605. ტყისგან ჩვენ ერთდროულად: ნიადაგის ეროზიული პროცესებისგან დაცვაც გვინდა, ჟანგბადის მოწოდებაც, სასმელი წყლისა და სამასალე ხისაც, ისე, რომ ბუნების კაპრიზი არ გავითვალისწინოთ და ტყეს უსინდისოდ მოვეპყრათ.
2606. უგუნურებისთვის მთქნარების „ავარდნა“, სიკეთის საკეთებლად გაღებულ პირსაც კი გვამუწინებს.
2607. იუმორი უპირველესად გონიერების გადასახედიდან იმსახურებს ყურადღებას და შემდგომ ოხუნჯობით.

2608. დოგმები რევიზიას არ ექვემდებარება, არადა, საჭიროა.
2609. სატირისა და ირონიისაგან განსხვავებით, გადამეტებული უცნაურობა, მოულოდნელი ფინალი, იუმორის სასუსნავია.
2610. ზოგჯერ გენიოსიც აუტანელია, თუ თავის საფირმო იუმორს არ ფლობს.
2611. პირველ რიგში ენამ იცის „რა უნდა“ ან „უნდა კი“?!
2612. გონიერება – ხალისით, ავტორიტეტი – უხალისოდ, შეცდომებს ორივე აღიარებს.
2613. ემოციები და ღიმილი ხშირად ჩვენს განათლებაზე, ცენზზეა დამოკიდებული.
2614. ტექნიკური პროგრესი დაუოკებლად წინ მიიწევს. სანამდე – ალბათ, მეორედ მოსვლამდე.
2615. გადამატებული პასუხისმგებლობის გრძნობაც საზიანოა, შინაურებს ვნებს, მათ სურვილების შესასრულებლად ვერ იცლი.
2616. შეცდომის გარეშე საქმე არ კეთდება, მაგრამ მასაც ლიმიტი უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა ყურით მოთრეული ალიბი.
2617. ჩვენს გარშემო ისეთი სამყაროს შექმნას ვცდილობთ, რის საშუალებასაც საკუთარი ხასიათი გვაძლევს.
2618. ასაკში ძირითადად საქმე გვაახლოებს. ჯეელობაში – სურვილი.
2619. იუმორს ჭკუანაღრძობი გონიერება თხზავს და ამიტომაცაა, რომ ასე გვახალისებს და გვართობს.
2620. საწყისი ყოველთვის წმინდა გარემოებათა გამო იწყებს დანაგვიანებას.
2621. ჰუმანიზმისა და კეთილდღეობისათვის სასურველია გამოსაღები მთლიანად გადავიხადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ დაპირებათა კორიანტელი გვექნება.
2622. დღევანდელობას წარსულის უნიათობა და უგნურება არ უნდა აწვებოდეს და თავის წარმოსაჩენად ხელს არ უშლიდეს.
2623. ვულკანის „სუპერ“ ამოფრქვევის ლამაზი სანახაობა ტრაგედიაა და ზოგჯერ ტერიტორიების შემომატებაც, თუ ის ოკეანეში ჩაედინება.
2624. „ხვალ შევეხმიანოთ, გამოიარეთ“, მას უნდა შეტყვისებოდეს: „გადაწყვეტილია, მობრძანდით, მიღებული ხართ“, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ არ მოეწონეთ და პირიქით ხდება.
2625. იუმორი მოგონილ უგნურებასთან, სიამოვნების მომნიჭებელი კამათია.
2626. უბრალოება ყოველთვის სწორ გზაზე დგას.
2627. ყოველი სიახლე ასაკის მატებასთან ერთად მოსაბეზრებელია, მათ შორის **SMS**-ით ჭორაობა და ურთიერთგაცნობა.

2628. გულახდილობა თეორიულად მისასალმებელია, მაგრამ რეალობა-ში არ ამართლებს, ვერ გიგებენ.
2629. სიკეთის კეთებასაც წახალისება, წაბიძგება, ზემდგომის თხოვნა, სჭირდება და თუ შედეგს გამოიღებს, მეთოდის ოპონირება მხედ-ველობაში არ მიიღება.
2630. სამყაროს უდიდესი გულგრილობა ახასიათებს ყველაფერში და ყველას მიმართ.
2631. ზოგჯერ „ნაძალადევი“ სტუმარი მასპინძელ საქმოსანს, გარკვეულ ცოდვებს პატიობს „მაღარიჩის“ სანაცვლოდ.
2632. პატიოსნება უიმედოსთვის კოზირია, მთავრობის სალანძღავად და შინაურებში თავის გასამართლებლად.
2633. ეთიკა-ესთეტიკას, პირველ რიგში, ავის განსჯის გაგება სჭირდ-ება, ამის საუკეთესოს გათავისებით.
2634. ჩვენ პრინციპებს სხვებმაც პატივი უნდა მიაგონ, მაგრამ თავზე სხვისი დაძალებით არ უნდა მოვახვიოთ.
2635. აზროვნებას, რატომღაც, ხშირად გრძნობათა ჩოჩქოლი უჯოკრავს.
2636. სხვაზედ „გემრიელად“ დაკვირვება საკუთარი თავის „უგემურად“ შეცნობის საშუალებაა.
2637. თავის ბუნებრივად მოკატუნება, თავის წარმოჩენის მცდელობა-ცაა და გარეშეთათვიაც შეუმჩნეველია.
2638. თუ ყოფის „ქაქის“ მუქთა ჭამას გემო გაუგე, მერე ძნელია გად-აჩვევა.
2639. დაინტერესებამ, მიზანმა, შეიძლება მტრები მეგობრებად თუ არა, თანამოაზრეებად მაინც აქციოს.
2640. სიფრთხილე ხშირად გონიერების ტოლფასია.
2641. იმას, რაც არ მოგვწონს, შეიძლება შევეჩვიოთ, მაგრამ ფასიც უნდა ედოს და რამედ უნდა ღირდეს.
2642. თანაბარი ძალების დაპირისპირებათა გაჭიანურებას, დანაშაულ-ამდე მივყავართ და მძიმე ტვირთად გვაწევს.
2643. დანაშაული და „ფეხებზემკიდიობა“ ერთიდაიგივეა, რადგან ერთი აშკარა დანაშაულს სჩადის, მეორე – ფარულს, საზოგადოებისთვის არც ერთს სარგებელი არ მოაქვს.
2644. სიავეს თუ სიკეთემ არ გაულაწუნა და შეარცხვინა, სხვანაირად სიავე თავის მცდელობას არ დათმობს.
2645. ბოლო-ბოლო, ჩვენი ძირითადი საქმიანობა, ზრუნვა, მაინც ჯიბის გატენა, მუცლის ამოყორვაა და ბასტა.
2646. დღევანდელი ტურისტი მხარის გასაცნობად არ მოგზაურობს, მას თავისიანების წინაშე იმიჯი და გართობა უფრო აღელვებს.

2647. ციტატებს ჭკვიან და ენაკვიმატ ხალხზე სჭირდება შემოწმება, რათა ფართე მკთხველისათვის გასაგები და მისაღები გახდეს.
2648. სენტიმენტალობა არც ცოდვაა, არც ზადია, მაგრამ რეალობასთან უცერემონიო ურთიერთობა სჯობს.
2649. ყველა მოდა დროის გარკვეული ჩამორჩენილობის აღმოფხვრის და ძველზე ობის მოშორების მცდელობაა.
2650. პრობლემის დაუნახაობაც დანაშაულია და მასზე ზერელე მიდგომაც, გადაწყვეტილების ხარისხზე რომ არაფერი ვთქვათ.
2651. კონსერვატიზმის დამსახურებაა, მოჭარბებულ ოპტიმიზმს რომ ამუხრუჭებს და შეცდომებისაგან იფარავს.
2652. არასტანდარტულ გარემოშიც რაღაცის გარკვევა შეიძლება, თუ ვინმე რასმეს გეკითხება.
2653. ყველა ღობეს, საზღვარს, ზღვარს, თავისი დანიშნულება უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ნგრევა გარანტირებულია.
2654. მხიარულებას, დროსტარებას, იმდენად შესაძლებლობა არ სჭირდება, რამდენადაც სურვილი და ურთიერთთანადგომა.
2655. ემლიქვნელებიან იმათ, ვისგანაც რაიმეს გამოელიან, ემორჩილებიან იმას, ვისიც ერიდებათ და ულუკმაპუროდ დარჩენის ეშინიათ.
2656. სასიამოვნოა, როდესაც უნიჭოებისაგან განსხვავებით, იუმორის ნიჭი გაცილებით მეტს აქვს მიმადლებული, ვიდრე წარმოგვიდგენია.
2657. ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღების უფლება თვით გენიოსებსაც არ აქვთ, სანამ აზრი არ დაღვინდება.
2658. ბედნიერებას სხვებისთვის პატივის მიგების უნარიც გვინარჩუნებს.
2659. სასოებასაც შეუმჩნეველი ზადი აქვს და მასაც ვერ უგებენ.
2660. შემთხვევასთან შეხვედრას ყოველთვის შევძლებთ, თუკი დავეძებთ.
2661. აბსურდული შეუძლებელთან მეგობრობს და ზოგჯერ რაღაც სახეიროც გამოსდით.
2662. მუქთაობასაც დროულად გამოყენება სჭირდება.
2663. ყოველი გაუთავისებელი საქმე უგულოდ და მოვალეობის მოხდით კეთდება.
2664. ყველა საქმიანობას მისი განმახორციელებელის ავტორიტეტიც სჭირდება.
2665. გეგმას და გადაწყვეტილებას, ყოველთვის შესაძლო ვარიანტი უნდა ჰქონდეთ.

2666. უსირცხვილობას, უსინდისობას, სექსის მონობას, არაფერი შველის, ამიტომაც მათ თავიანთი ადგილი უნდა მივუჩინოთ დაძალებით თუ ნებაყოფლობით.
2667. საკუთარი სიბრიყვის შეცნობა და მისთვის ალიბის მოძიება, უკვე გონიერებისკენ იხრება.
2668. ყოველი წარმატება გამოყენების უნარს და ფინიშს ითხოვს.
2669. ზოგიერთი ისეთი ზარმაცი და უვარგისია, რომ მის ეზოში შემწვარი გოჭი, პირში ხაჭაპიურით, რომ დანავარდობდეს, მისი დაჭერა შეეზარება.
2670. სიტკბოს, სიმწარის გარეშე, გემოს ვერ ჩავატანთ.
2671. სიწმინდე-წესიერება, პატიოსნება-სიმართლე, სიყვარული-ტრფობა, შეფასებას არ საჭიროებენ.
2672. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, მაგრამ სირცხვილს გააჩნია. არის სირცხვილი, რომლის მონელება და დავიწყებაც შეიძლება.
2673. ყველაფერი უცხო ძვირფასია, დედებულია, საინტერესოა, როგორც ყოველი ახალი და მიუწვდომელი.
2674. რაც არ გამოიყენება, ყველაფერს ჟანგი და ობი ედება, გარდა ძველი სამარხებისა, რომელმაც მუზეუმი უნდა დაამშვენოს და ხალხი უნდა გააოგნოს.
2675. ბედნიერებით განცხრომა იოლია, მისი შენარჩუნებაა ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც.
2676. სტუმრად მიღება და ქრთამი ერთმანეთისაგან განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ მიზანი ერთი აქვთ – კეთილლგანწყობის ყიდვა.
2677. ფეხებზემკიდიაობით, უგნურებით, ბედნიერებაზე ხელის კვრაც შეიძლება და მისი გაცუცურაკებაც, მაგრამ ბოლოში ვინ დარჩება მოტყუებული, ამას შემდგომში ასაკი გვაგრძნობინებს.
2678. ყველაზე ლამაზი, თვალუწვდენელი, არაორდინალური, აზრია, პრაქტიკული გამოსავლით, მაგრამ მისი შემმჩნევი და დამფასებელი ძალზე ცოტაა.
2679. რისკის გარეშე გამარჯვებაც ელფერს კარგავს.
2680. სტუმარი რაც უნდა პატივისაცემი იყოს, მაინც წამსვლელი სჯობს.
2681. ერთგულება, გულმაგრობაც, წვრთნას და დაფინანსებას მოითხოვს.
2682. ხელქვეითი უფროსს მანამ უერთგულებს, სანამ მისი უფროსად ყოფნის იმედი აქვს.

2683. სამსახურში საქმიანობის და ერთგულების კოეფიციენტი ხელფასის ოდენობის და პერსპექტივის ტოლია.
2684. დღეს ტაილანდში, ახალშობილთა ჭიპლარიდან დელიკატესს ამზადებენ, ეს იმის მაჩნებელი ხომ არ არის, რომ კანიბალიზმი მოდაში შემოვიდა.
2685. ვნება ზოგჯერ საზიანოა, მაგრამ ამასთან ერთად სასიამოვნო გასახსენებელიც, თუ შეგვრჩა.
2686. დედამიწასაც სამყაროში თავისი „შტრიხკოდი“ აქვს, რათა სამყაროს სხვა ცდომილებიდან გამოვარჩიოთ.
2687. ყველა საუბარი ყბედობა და მასლაათია, თუ მას საქმის კეთების სურვილი და შედეგი არ ახლავს.
2688. საკუთარ რჩევებს პატივი ეცი, მაგრამ არ გაათამამო, გაათამაშო.
2689. ზოგჯერ სპონტანური ქმედება უფრო ამართლებს, ვიდრე წინასწარ დაგეგმილ-განჭვრეტილი, გააჩნია, შემთხვევას რა ხასიათზე და რა სახით უნდა ჩვენთან ნავარდი.
2690. იარაღის წინაშე ყველა უძლურია, თუ მის წინააღმდეგ ილეთს არ ფლობ.
2691. მშვენიერება ერთეულია, საცალოა, იშვიათია და მის ნაკლებობასაც ამიტომ განვიცდით.
2692. გადამეტებულ მცდელობას ზოგჯერ უხერხულობამდე მივყავართ.
2693. თავი, რომელმაც საკუთარი თავი შექმნა, თავისივე თავის ღმერთია.
2694. უკვდავებამდე ამაღლება, ყველა მოკვდავის ვალია და არა – სურვილი.
2695. შემთხვევა საჭირო დროს ბედის დროული მხარდაჭერაა.
2696. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა თავს გვახვევს ბევრ არასაჭირო ქმედებას.
2697. გრამატიკასაც სიყვარული სჭირდება, რათა მასში სასიამოვნო და თბილი სიტყვები მეტი იყოს და უხეში და მრავალაზროვანი ცოტა.
2698. მომავალში ჩვენთვის წინასწარ კვარცხლბეკის მოძიება გარკვეულ სიამოვნებას გვგვრის.
2699. სისულელის ჩადენაც ბედის განწყობას ესატყვისება.
2700. თავის დროული დახმარება დიდი ხელგაშლილობაა დახმარებაგაწეულისთვის.
2701. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემთან საუბარს გარკვეული ცოდნა, თავის განძრევა და რეალობის გათვალისწინება სჭირდება.

2702. გონიერება ყოველთვის გაშიფრას არ ითხოვს, რაც სასარგებლო და საქმიანია, თავადვე ხვდები.
2703. სისულელის ჩადენას უკანა სვლა არ აქვს და საკუთარი თავის წინაშე ბოდიშის მოხდა არ შველის.
2704. სურვილს სხვისთვის შეუცნობელი სურნელი ახლავს, განსაკუთრებით, თუ ის აღსრულებადია.
2705. კრიტიკა, ოპონირება, „სასიამოვნო გამოსაღებია“, რათა პიროვნება მეტად შეამჩნიონ და დააფასონ.
2706. მლიქვნელობის „პირველ კერძად“ მირთმევის წინააღმდეგი არავინაა, მიუხედავად აღზრდისა და მსოფლმხედველობისა.
2707. მრავალფეროვნებას სიკეთეც მოაქვს და სიახლეც, მაგრამ სიმდიდრის დასაგროვებლად არ გამოდგება.
2708. დღეს უმთავრესად თავი იმათ სტკივათ, ვისაც დაკავებული ადგილის შესატყვისი ტვინი არ აბადიათ.
2709. იდიოტურ იდეოლოგიას ყოველთვის მხარს უჭერდა ცხვირმოუხოცავი ახალგაზრდობა, რომლებზეც ყოველთვის ფეხს იწმენდნენ ასეთივე ვიგინდარები.
2710. იდეალებთან შერკინება არავის გამოსდგომია და არც გამოადგება, ქვენა გრძნობების მცდელობის მიუხედავად.
2711. უსახსრო არც ეკლესიას სჭირდება და არც ხელისუფლებას – ზედმეტი ტვირთია.
2712. უცხო მხარეში შენმა გვარმა რომ გაიხაროს, თაობების დაჭაშნიკება და ჩალიჩი სჭირდება.
2713. გონიერებს ბრიყვები მათი აზრების გასატირაჟებლად და რეკლამირებისთვის სჭირდებათ.
2714. ძალაც და დიდებაც ცვეთადია, მათ თუ ახალ საგმირო საქმეებს არ დავავალებთ და არ დავტვირთავთ.
2715. კარგი აფორიზმის ძალა ის არის, რომ მკითხველი ისაკუთრებს და ავტორს არავინ ეძებს.
2716. სამყარო გამოუსწორებელი ოპტიმისტებით და დარეხვილი პესიმისტებითაა სავსე და ცალ-ცალკე მათ გამოსწორებას საშველი არ ადგება.
2717. სიკვდილზე ფიქრი, უმთავრესად, ვნების მოთხოვნის დაქვეითების და უსაქმურობის შედეგია და არა – ასაკის.
2718. სიტყვას და ურთიერთობას პატრონობა სჭირდება.
2719. დაცემასაც წინასწარ სიმაღლის მოძიება-დადგენა სჭირდება.
2720. ოპტიმიზმი, ანალიზის გარეშე, კომედიანტობაა, ბედის გარეშე – არარაობა.

2721. ბედნიერების მოსვლას არ უცდიან, მას ეძებენ, მოიპოვებენ, ითავისებენ.
2722. სხვა ღირსებებთან ერთად, ჩემი ნაკლი ის არის, რომ მე პედაგოგობა და ორატორობა არ მიზიდავს, რადგან ეს დროის დაკარგვად მიმაჩნია, უამისოდ კი დრო და საუკუნე ვერ გეხმაურება.
2723. უგუნურებას სასჯელი ვერ აშინებს, უბრალოდ, გონიერებას აფრთხილებს და საკუთარ ამბიციებს იკმაყოფილებს.
2724. ზოგს სქელ ჯიბეში მეტი „ავტორიტეტი“ უდევს, ვიდრე თავში.
2725. აზროვნება, რომელსაც სიცოცხლეში კუჭის ამოვსებაც არ შეუძლია, შესაძლოა მომავალშიც არავის დასჭირდეს.
2726. გათავხედება ძალას არ ნიშნავს, თუ გონიერებას, შემართებასთან ერთად, დაუპირისპირებთ.
2727. ყველა სახის და ოდენობის ჭკუას ოპტიმიზმი სჭირდება, იმისდამიუხედავად აქვს ჭკუის ნასახი თუ არა.
2728. საკუთარ სხეულთან მოლაპარაკება რომ ისწავლო, თავზე მუშაობის შედეგად მიღებული კაიფი უნდა გაითავისო.
2729. შრომას ადამიანი პროპაგანდით და პერსპექტივის დანახვით უნდა მივაჩვიოთ და არა კუჭის ამოვსებით.
2730. ოპტიმიზმს რწმენა, იდეალები და სათანადო დრო სჭირდება თავისი „მეს“ გასატანად.
2731. ინტელექტი კარგია, მაგრამ ელიტარულ განათლებას ვერ ჯობნის.
2732. გონიერებას სადაავეების მოშვებაც სჭირდება და მოზიდვაც, მაგრამ უმთავრესია თავდაჭერა იცოდეს.
2733. ჩემი შვილები სინამდვილეში, ჩვენზე მეტად ჭკვიანები არიან, ხოლო ჩვენ უფრო მოხერხებულნი ვართ, ვიდრე ჩვენს ცოლებს ჰგონიათ.
2734. რაციონალური მოთხოვნილება და სიამოვნება ერთმანეთს ხშირად ემთხვევა.
2735. დღეს დღიურის წერა და SMS-ით გადაგზავნაც მობილით შეიძლება, მაგრამ ამით წერის ხარისხი არ იცვლება.
2736. სხვას რომ გაუგო, ჯერ მისი ცხოვრების „გრამატიკა“ უნდა შეისწავლო და შემდგომ მისი დღევანდელობის გადასახედი.
2737. ქალებზე, მეცნიერებაზე, რწმენაზე დიდი კაიფი არ არსებობს, რადგან ისინი ჭედავენ სასიამოვნოდ გასახსენებელ მოგონებებს.
2738. საკვირველია: გლადიატორსაც ჰქონდა მსოფლმხედველობა და ღირსების კანონი და ზოგჯერ, გათავისუფლების შემდეგ, კვლავ გლადიატორობას უბრუნდებოდა.

2739. ცოდნა ის ნარკოტიკია, რომლის მიმალვა და წარმოუჩენლობა გვიჭირს.
2740. ფილოსოფია განათლებული, მოყვასი და სასიამოვნო გარეგნობის ქალია, რომელიც სულით ჰერმაფროდიტია, ხორციელად ხვადია, მცდელობით აღმზრდელი დედაა, რომელსაც თავის ძირითად მოვალეობად გონიერთა გამრავლება და ხალხისთვის თავის მეობით მხრის აბმა მიაჩნია.
2741. მე მანამ მაინტერესებს მსმენელი, სანამ ჩემ აზრს დააფიქსირებს, რადგან შემდგომ ის, მისდაუნებლიედ, ჩემი მოპაექრე და მრჩეველი ხდება.
2742. სიცილი გაჭირვებას გულის „მოფხანაში“ ეხმარება და „ფხანვის“ ხარისხი არ აინტერესებს.
2743. „ცუდი საქონელი არ არსებობს, არსებობს ცუდი გამყიდველი“. ეს იგივეა: ცუდი დრო არ არსებობს, არსებობს დროის ცუდად გამომყენებელს ან: ცუდი პოლიტიკა არ არსებობს, არსებობს ცუდი ხელისუფალი.
2744. ჭკუის და დროის შეთანხმებას სათანადო სწრაფვა და გარემო სჭირდება.
2745. ძალა ყოველთვის მართალია, სისუსტე კომპრომისებშია დახელოვნებული მლიქვნელობის მიკედლებით.
2746. საშიშროება – შესაძლებლობის სინონიმია, ყოველ შემთხვევაში, ჩინური სიტყვა „კრიზისს“ ასე გვიხსნის.
2747. იარაღის მომხიბვლელობის შეცნობა ყველას ხვედრი არ არის, რადგან ის არა მარტო შეტევის საშუალებაა, არამედ სულის სიმშვიდის შენარჩუნების ხელოვნებაცაა.
2748. გონიერება ქალებს შინაგანად ალამაზებს, ხოლო მამაკაცებს გარეგნულ ეფექტს მატებს.
2749. „სამოთხის ვაშლი“ ქალის და კაცის ცდუნების მარტივი, მაგრამ საყოველთაო შეთავაზებაა, რომელსაც წყვილი დღესაც სიამოვნებით და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიირთმევს.
2750. სპორტი შემთხვევის, ნიჭის, წვრთნის, ნაჯვარია, ვნების დაოკებით.
2751. სენისგან არ იკურნებიან, მას დროებით აღწევენ თავს.
2752. დაპირისპირებული და საკუთარი აზრების შედეგის განჭვრეტა ყოველთვის ძნელია, წინასწარი გათვლებით რაც უნდა სწორად გვეჩვენებოდეს.
2753. ქორწინებას, ტოლობის გარდა, ვერც ერთი სხვა თანაფარდობა ვერ ეგუება.

2754. ქორწინების ერთ-ერთი სიკეთე ისიც არის, რომ ჭკუის მუდმივი დამრიგებელი გვერდში გყავს და ამას არ გამადლის.
2755. კრივი ის ლამაზი შერკინებაა, რომელიც ხელოვნებაში გადაიზრდება, თუ მოწინააღმდეგეებს ტექნიკური არსენალი ყოფნით.
2756. თბილისი ლამაზი ქალაქია, მაგრამ დღეს დევნილებისაგან არის ოკუპირებული.
2757. თუ პატივმოყვარეობას გავამრავლებთ ხელგაშლილობაზე, მივამატებთ სიამაყეს კვადრატში, მივიღებთ გათავხედებას კუბში.
2758. ხელგაშლილობა და სიამაყე შეუთავსებლები არიან და დიდხანს ერთად ვერ ძლებენ.
2759. პიროვნების ხმა გვხიბლავს, მეტყველების უნარი გვთრგუნავს, რადგან ეს მოხიბვლის ერთ-ერთი იარაღია.
2760. მისდაუნებლიე სისულელის წამოროშვა ქალის ღიმილს იწვევს და კაცს დასაცინს ხდის.
2761. უფროსმა ზოგჯერ „ჭიქაში ქარიშხლის ატეხვა“ უნდა მოითხოვოს, თუ სურს თანამშრომლებმა დააფასონ და რიდით მოექცნენ.
2762. ბრძნულ აზრებთან ზიარება, რაც შენს მსოფლმხედველობას ეპასუხება, დროის სასიამოვნო მოკვლაა.
2763. გულის გასახალისებლად ყველა ლამაზ და ფხიან სიტყვას კონფისკაცია უნდა გაუკეთოთ.
2764. თავს ტანის მოხდენილი ტარება უნდა შეეძლოს, რადგან კარგს წარმოჩენა სჭირდება და არა – რეკლამა.
2765. უგუნურება და პრობლემები ბიძაშვილები არიან.
2766. უვიცობა თავის დახურდავებას ცდილობს, მაგრამ მსურველი არ არის.
2767. კოცნას, ეტყობა, ჩვენთვის უცნობი ანტისეპტიკური თვისებები აქვს, თორემ ყველა გადამდები დაავადება კოცნით უნდა შეგვყროდა.
2768. საკითხი იმდაგვარად უნდა გადაწყდეს, რომ კარგა ხნით სწორად იქ ვიაროთ, სადაც ჯერარს.
2769. დალაქი, პარიკმახერი, სტილისტი, ერთი პროფესიაა, მაგრამ დროის შესატყვისად.
2770. უგუნურება ადამიანს კი არ უდგენს ანგარიშს და არამედ – სამყაროს.
2771. ფსიქიატრია იდიოტთა შერკინებაა, როგორც ექიმის ისე ავადმყოფის მხრივ, რადგან თუ მათ ერთმანეთს ვერ გაუგეს, ურთიერთდიაგნოზის დასმაზე და მათ განკურნებაზე საუბარი ზედმეტია.
2772. ცოდნისაგან განსხვავებით, განათლება პროფესიას და პროფე-

სიონალს არ ნიშნავს.

2773. სიყვარულიც და გრიპიც მიკრობებით გადადის, რადგან შეუმჩნევლად შემოგვეპარებიან.

2774. რუსეთი ყველასათვის „დედილოა“, მაგრამ არა – თავისთვის.

2775. რესტორანში შეფ-მზარეულის რეპუტაციაა მთავარი და არა – შენობის ფასადი და მომსახურების დიზაინი.

2776. უგუნურ ქმედებას სახელის გატეხვა მოსდევს.

2777. დღეს თარგმნას, რედაქციას, კომპიუტერიც ახერხებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ხარისხზე არ ედავებიან, რადგან რაიმე თუ ისე არ არის, როგორც საჭიროა, ისევ ადამიანის შექმნილი პროგრამის ნაკლია.

2778. გონიერების რევიზია ამბიციებს მოთოკავს და სქესს შეამოწმებს.

2779. რუსეთი, უპირველესად, სულის გამოძახილია და არა – გონის და ანალიზის.

2780. სქესისაგან მიღებულ კაიფს სხვა მიწიერი ვერ შეედრება.

2781. წმინდანობას ბევრი ცდილობს, მაგრამ პრაქტიკულად მისკენ ცოტა მიილტვის.

2782. პაემანი ხვალ შეიძლება „სტრელკად“ – ოფიციალურ შეხვედრად გადაიქცეს, იმდენად მოუცლელი შეიძლება იყოს მომდევნო თაობა.

2783. ინფორმაცია და ირონია მტრები არიან, მაგრამ თუ ნიჭი აქვთ, ერთმანეთს უნდა გაუგონ და ითანამშრომლონ.

2784. ინტელექტუალის და ინტელიგენტის აზროვნება ემოციურად სწორია, მაგრამ რეალობაში გამოყენება არა აქვს და ცუდად აფინანსებენ.

2785. ინტელექტუალი სასიამოვნოდ მეტყველებს, მაგრამ ცუდი შესანახია, რადგან მარად ყურადღებას ითხოვს.

2786. რწმენის შეცვლას ისევ იდეოლოგიის შეცვლა სჯობს, რადგან სარფიანადაც აფინანსებენ.

2787. ცხოველს, ადამიანისაგან განსხვავებით, ძალად ვერ გააკეთებინებ, რაც მას არ სიამოვნებს. რაც შეეხება სასუსნავს, ცხოველი, თქვენც რომ გასიამოვნოთ, იმისთვის იღებს.

2788. ოპტიმისტი, პაემანზე თუ ქალი დროულად არ მოვა, სხვას „გამოიჭერს“, პესიმისტი – თუ მოვიდა, ფიქრობს სად წაიყვანოს, თავი რომ მოაწონოს.

2789. ჩვენი წესიერების ზედმეტად ხაზგასმა, ჩვენი მშობლების კიდევ ერთხელ გახსენებაა პლუსით.

2790. სიახლის კეთებას ზოგს მისი კრიტიკა ურჩევნია.
2791. დღეს ყოველი სიახლე რეკლამას იმსახურებს, რა თემასაც უნდა ეხებოდეს.
2792. ხსოვნა დიდებული კაპიტალდაბანდებაა, გადამლაშების გარეშე.
2793. თავის დროზე რომ რუსეთის მეფეს ა. პუშკინი და მ. ლერმონტოვი ციხეში ჩაეგდო, მას შთამომავლობა ავად მოიხსენიებდა, მაგრამ მათ სიცოცხლეს აჩუქებდა და ქვეყანას არაერთი გენიალური ნაწარმოები დარჩებოდა. ასე, რომ სიმკაცრე და თვითნებობა ყოველთვის ცუდ შედეგს არ იძლევა.
2794. პლაგიატობას მაშინ აგკიდებენ, თუ სხვისი აზრი ავტორზე უკეთ გამოთქვი და წარმოაჩინე.
2795. ყველა ჩვენგანი თავის შეგონებათა ძეგლის დატოვებას უნდა ცდილობდეს, ეს მატერიალური იქნება თუ სულიერი.
2796. შეცდომები გონების მოკრების წინამორბედია, კარგი სურვილებით და რეალური შედეგით.
2797. თავზე ხელის აღება უიმედობის შედეგია, შეუპოვრობა – იმედის ნაპერწკლის დამსახურებაა.
2798. შრომა და დასვენება განუყრელია, ამ უკანასკნელის სურვილით და პირველის მცდელობით.
2799. მახვილგონიერება ჯავშანჟილეტით უნდა დაბრძანდებოდეს.
2800. მსხვილგონიერებაც დროის შერჩევას და სინატიფეს მოითხოვს, რათა სათქმელი ნიშანში მოხვდეს და არავინ გაანაწყენოს.
2801. სიღარიბე და სიკვდილი არ მეგობრობენ, მაგრამ ერთმანეთთან ახლოს არიან.
2802. სულში ჩამწვდომი სიტყვების კონფისკაცია და აზროვნებისთვის ჩუქება უკვე აფორიზმია.
2803. დაწნეხილი აზროვნება აფორიზმია.
2804. აზრის პოსტულატებად გარდაქმნა და მისი „ინტეგრალიზაცია“ – აფორიზმია.
2805. ანეგდოტი სტარტიდან ფინიშამდე ჩასაფრებული ორაზროვნებით და ინტონაციით იღვწის.
2806. ანეგდოტის შექმნა ნიჭით შეიძლება, გადახალისება ჭკუის მყნობით და ენის მორწყვით.
2807. არა მარტო ქალის, არამედ ენის „ათვისებაც“ შეიძლება ყველაზე გარყვნილ ფორმაში.
2808. „ვინც არაფერს აკეთებს, რისკს არ ეწევა – არც სცოდავს“ ე.ი. სამოთხე უსაქმურების თავშეყრის ადგილი ყოფილა, ამქვეყნიდან კაცურად გადაბარგების შემდეგ.

2809. ძალზე ძნელია იყო წარმოსახვით ქართველი, როდესაც შენს წინაშე ამდენი გაქსუებული და გათავხედებული „მეა“, რომელთა წინაშე ყველა დამნაშავეა, საკუთარი უტვინობის გარდა.
2810. ძნელია, როდესაც ვერ გიგებენ, მათ შორის, დილეტანტებიც.
2811. ძალა ნებისყოფა არ არის, პირიქით კი – ნებისყოფა ძალად წარმოგვიდგება.
2812. სიცილი დაპირისპირების პროფილაქტიკაა, დაცინვა დაპირისპირების მიზეზია.
2813. საოცარია, ფლორას და ფაუნას არავითარი სექსუალური განათლება არ აქვთ და თავიანთი მიხვედრილობით უკეთ გამრავლდებოდნენ, რომ ეს ორფეხა, სექსში განათლებული ადამიანი, ხელს არ უშლიდეს და მათ „შინაურ საქმეებში“ არ ერეოდეს.
2814. არის აქსიომა, ჭეშმარიტება, ხუმრობა, რომელთა ჭორის დონეზე გატირაჟება უხერხულია.
2815. თანხმობასა და უარს შორის სხვაობას დავადგენთ, თუ გვეცოდინება ვინ ამბობს, ვის ეუბნებიან და ვისი სიტყვაა გადამჭრელი.
2816. აფორიზმის რაობაში ხმის ინტონაციის დამუშავებაც იგულისხმება.
2817. იდეალური კამპანიაა ერთი ხასიათის, მისწრაფების, ნაცნობი მამაკაცები და მამაკაცის ალერსს მოწყურებული უცნობი ქალები.
2818. გამარჯვებულს არც ასამართლებენ და არც მათ გენელოგია-გენიალობაში ეპარება ვისმეს ეჭვი.
2819. ჯილდო, ორდენი, უპირველესად, შთამომავლობისათვის არის მოგონილი, რათა წინაპარი ზოგჯერ გაიხსენონ, წარმოჩინდნენ და სული გაითბონ.
2820. ეშმაკის საჯობნელად ეჭვის დათესვა და გაღვივებაა საჭირო, როგორ მოუვლი და რა შედეგს მოიმკი, დროის კაპრიზზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული.
2821. „დარეხვილი“ ხალხი და სიმდიდრით დახმარება რომ არა, დღეს ამერიკა და ავსტრალია აღმოუჩენელი დარჩებოდა.
2822. თავის შეურაცხყოფაა, თუ ვნების შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ გაიცნობიერებ და სათანადოდ არ გამოიყენებ.
2823. წყვილთა შორის ურთიერთობას სექსიც აწესრიგებს, ვნების მარგი ქმედების კოეფიციენტით.
2824. მოდელიერი სიახლის მსგავსს იგონებს, მოდის ყივილად ასაღებს, ფულსაც შოულობს, ვინაიდან მომხმარებელი უსიტყვოდ იფხეკს ჯიბეებს.

2825. სამყარო, რომელიც ჩვენს გონებაში დაისადგურებს, ყოველთვის მისაღები და მოსაწონი არ არის.
2826. შეგნებით დაზღვეული ადამიანები წარმოდგენით ერთი ასაკისანი ხდებიან.
2827. ვისურვოთ, რომ ჩვენი ყველა მტრის საფლავი ყვავილებით იყოს მოფენილი.
2828. მტერში, პირველ რიგში, ღირსება და გონიერება უნდა ვეძიოთ, რომ ჩვენი შესაძლებლობა დავუპირისპიროთ და ვაჯობოთ.
2829. უკვდავება ჩვენს შთამომავლობაში და მისი ჯიშის და ჯილაგის უწყვეტ გამრავლებაშია.
2830. პროვოკატორისთვის ყველაზე ადვილი შავი კატის იქ მონახვაა, სადაც ის არ არის.
2831. ალკოჰოლის სმის კულტურის გათავისებაში, მისი დაგემოვნების ცოდნა უნდა დაგვეხმაროს, რათა ფალსიფიცირებული სასმელის მოხმარებას შევეშვათ და მაღალი ხარისხის ყლუპებით ვისიამოვნოთ.
2832. ალკოჰოლის დანიშნულებაა ტვინის შეთბობა ხასიათზე მოყვანით და არა – გადახურება.
2833. ალკოჰოლიც იგივე ნარკოტიკია, მხოლოდ მსუბუქ ფორმებში, თავის ტკივილით და ნათრობიდან გამოსვლის მცდელობით.
2834. ხალხის გამოთაყვანება სასიამოვნო სიტყვებით და არა – ციფრებით, ქვეყნის შესაძლებლობათ მიხედვით, ყველაზე ადვილიცაა და შედეგიანიც.
2835. ერთგულების კაიფს ასაკში შევიცნობთ.
2836. თავის მოკატუნება „მშვიდობის მტრედის“ სინონიმად არ გამოდგება.
2837. კომპლექსს და დაკომპლექსებას სხვადასხვა საწყისი აქვთ, ერთი ბუნებრივია, მეორე შეძენილი.
2838. კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა სინონიმებია, მაგრამ პირველი მოეთხოვება დაბალი რანგის მოხელეს, მეორე დიდი რანგის – მეპატრონეს, მფლობელს.
2839. კრიტიკას უფრო მეტად კარგი განზრახვა ამოძრავებს, ვიდრე ქვენა მისწრაფებები თავის წარმოჩენით, მაგრამ მისი მაინც არ სჯერათ.
2840. მჭერმეტყველება მსმენელის გონიერებას „ბოღმავს“, მაგრამ შებოლების ხარისხზე პასუხს არ აგებს.
2841. კოსმოსური ხომალდი იგივე მკაცრი რეჟიმის ციხეა, საინტერესო საქმიანობით და სახელით.

2842. სამყაროს კონსტიტუციის შემქმნელიც უცნობი რჩება, რადგან ის გაცილებით წინ იყურება და ხალხის აზროვნება ვერ ეწევა, მითუმეტეს, თუ ამის სურვილი არ აქვს.

2843. მიზანი მაინც პირველადია, საშუალებები და შესაძლებლობა მეორადი და სათუო.

2844. შვილიშვილის ყოლის კაიფს, აზროვნებისაგან განსხვავებით, გულით ვერ შეცვლი, მისთვის მაინც შვილია უპირველესი.

2845. რიყის ქვა არც თუ ისე ცუდი „ადამიანური“ მასალაა, თუ გონივრულად დავაწახნაგებთ.

2846. ბუნებაში ვინ ვის აკვირდება და როგორ ზემოქმედებას ახდენს, განსჯას არ ექვემდებარება.

2847. ხელმძღვანელობა ადაპტირების დაჩქარებაა, შემთხვევის გამოყენების ცოდნა და დროის კაურების შენ ჭკუაზე მორგების უნარია, დანარჩენი ცოდნა-განათლებაა და თუ მოინდომებ, თავადვე მოვა, არ დააყოვნებს.

2848. საკუთარი თავია ყველაზე დიდი კაპიტალი, თუ მისი მოვლა-პატრონობის უნარი შეგვწევს. ალბათ, იმიტომაც, რომ კაპიტალი ლათინურად თავს ნიშნავს.

2849. კაზინოში სიარულის გადაჩვევაა ძნელი, თორემ წაგების მიზეზი ყოველთვის მოიძებნება, კვლავ რომ ითამაშოს.

2850. იღბალიც მარად იღბლიანთან არის.

2851. ძლიერი მუდამ ოპტიმისტია და სუსტსაც იმედი ეძლევა, თუ მის გვერდით დგას და მის მფარველობას გრძნობს.

2852. რაკი გვაქებენ, ჩვენგან რაღაც სახეიროს გამოდნობა კიდევ შეიძლება.

2853. აფორიზმი, მოაზროვნიდან გამოწურული, უკვე დაღვინებული აზრია, რომლის შესმა ყველას შეუძლია, მაგრამ ამით თრობა ერთეულ გონიერთა ხვედრია.

2854. აზრი, რომელიც შენდაუნებლიედ ტვინში გაიელვებს, უკვე დასაფიქრებელია.

2855. სინაზე სიკეთის კეთებისკენ ფარული მისწრაფებაა.

2856. სათადარიგო ტვინი საინტერესო აზრების ახსნა-განმარტებისთვის სათადარიგო პარაშუტივით აუცილებელია, რათა ამ ქვეყანას იმედიანად ვუყურეთ.

2857. ძალადობაც თვისებურ ინტერესს იწვევს ვიღაცის და რაღაცის მიმართ, განსჯის კაიფის უფლების გარეშე.

2858. საუბარი, ლაპარაკი, ყბედობაც, თავისი „მასტის“ მსმენელს მოითხოვს.

2859. ცნობისმოყვარესთვის ყოველივე შედეგზეა დამყარებული, ვიდრე მორალზე, მაგ., ბუნებრივისაგან განსხვავებით და ხელოვნური შეჯვარებით, უჭკვიანესი ან ლამაზი გარეგნობის ბავშვი შეიძლება დაიბადოს.

2860. მტრებზე გამარჯვებაც გამარჯვებაა და საკუთარ თავზეც, რადგან ეს უკანასკნელი ავტორიტეტებს, საკუთარი „მეს“ გარდა, არ სცნობს.

2861. ჩვენს გენიალობაში, სხვებს კი არა, ხშირად ეჭვი ჩვენც გვეპარება, განსაკუთრებით, როდესაც მივქარავთ.

2862. ცოდნა-უვიცობის კრიტერიუმებს, შენს ირგვლივმყოფებში, საკუთარი ადგილის მოძიება ადგენს.

2863. უმეცრებაა თამამი და არა – უცოდინრობა, რადგან ამ უკანასკნელს ზოგჯერ გონიერების ჭიტლაყი ახლავს.

2864. ორის ტკივილი უარყოფითი პლუსია, ვიდრე ერთის მინუსი, რადგან ერთმანეთს თანაუგრძნობენ.

2865. წვრილმანები ყოფის უვიცობაზე მოქმედებს.

2866. მიზნების გეგმაზომიერებას სურვილის ნაუცბათეობა ახასიათებს.

2867. სიძლიერე და სისუსტე განუყრელია მათი შესაძლებლობების განსჯით.

2868. ორატორის სიტყვიდან თუ 1% მიზანს გვისახავს და 0,1% რეალურ საქმეს, მაშინ ამ სიტყვის მოსმენა ღირს.

2869. სურვილსა და მიზანს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს რეალური საფუძველი აქვს.

2870. იღბალი ცოდნის შეძენა-გამოყენებაა და არა – მრავალფეროვანი ინფორმაციული „ნაგვის“ თავში დაგროვება.

2871. წინასწარ გათვლა, დაანგარიშება, განჭვრეტა, ფორტუნას ვერ სჯობნის.

2872. ქორწინების პროცესიც გარკვეული შრომაა, ღიმილის მოშველიებით.

2873. ჩვენ ხედვას ბევრი ფაქტი ეწინააღმდეგება.

2874. ძალის გონიერებით ზრდაა ცოდნა.

2875. ყოველი სიახლე ძნელად მისაღებია, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ 11% შეიძლება გამოდგეს.

2876. ძალადობა და ვნება სხვადასხვა რამაა, მაგრამ ზომიერების ფარგლებში „არას“ ძახილით და ჩუმი თანხმობით ერთი მეორეს უხდება და სიამოვნებას ანიჭებს.

2877. ჯოჯოხეთი ვისთვისაა განკუთვნილი, ზოგჯერ თვით მისმა მოციქულმა ეშმაკმაც არ იცის, იმდენად საინტერესო და „შებერტყილ“ ხალხთან აქვს საქმე.

2878. ამბობენ, ბუნება არაფერში ცდებაო, მაგრამ ამის ყოველთვის დაჯერება შეუძლებელია, მისი „თავქარიანობიდან“ გამომდინარე.

2879. სამოთხისაგან განსხვავებით, ჯოჯოხეთის კარი ყველასათვის ღიაა. იქ არც დახასიათებას გთხოვენ, არც წიგნიერებას და არც ის აინტერესებთ, ძველად რა გიკეთებიათ.

2880. თავის მოკვლა, ერთი მხრივ, ცოდვაა, მეორე მხრივ, ღმერთთან ადრეული დაბრუნების მცდელობა და ამ ცოდვა-მადლში ჭეშმარიტების მოძიება ჭირს.

2881. ბერკეტი უნარის „ბიძაშვილია“, მისი გამოყენების ცოდნით და შედეგის მიღწევით.

2882. ყოველივეს საწყისია თესლი, სპერმა, კვერცხი, დამტვერვა, თუ როგორ, საიდან, ამ კითხვის დასმას აზრი და დასასრული არ აქვს.

2883. ღვინის დაყენებაზე უფრო მისი შესმის კულტურის დამუღამება ჭირს, რადგან ამ საქმის ჭაშნიკის მცოდნე მასწავლებელი ღვინის დამყენებლებზე გაცილებით მეტია.

2884. საუბრისას ლაგამის ამოდების უნარი ერთეულ წინდახედულთა ხვედრია.

2885. სიკვდილზე ფიქრი ახლოსაც არ უნდა გავიკაროთ, დაახლოება და შემოჩვევა იცის.

2886. ყვავილის ბუტკოს და მტვრიანას ერთმანეთზე სიყვარულით „დაკვდომა“ ახალ სიცოცხლეს იძლევა, თავისი მომხიბვლელობით და კვლავწარმოებით, რომლის დანახვასაც ჩვენ ნაყოფში ვახერხებთ.

2887. მარადიული არც სიკვდილის შემდგომ გახსენებაა, რადგან „მოასფალტებული“ სკლეროზის წყალობით ვიღაცას მაინც დავავიწყდებით.

2888. თუ შვილი სჯობნის მამას, მაშინ ჯიშის წარმოჩენის მეთოდოლოგია წესრიგშია და ბუნების კანონზომიერების ყველა მუხლი დაცულია.

2889. სიზმრის ხარისხს ცხადში ფიქრის ხარისხი განსაზღვრავს.

2890. სამუშაოს, რომელიც სხვისთვის თეორიულადაც რთულია, პრაქტიკულად შეიძლება სიბნელეს არ გრძნობდე, თუ ის შენი შემოქმედებაა.

2891. დიდება ხელშეუხებელი და საამაყოა, თუ დროულად აღიარებენ და აფინანსებენ, დანარჩენ შემთხვევაში, სასიამოვნო ბლეფია.

2892. საქმის კეთება – არ კეთება ზოგჯერ სიტყვის „ქეიფზეა“ დამყარებული.
2893. ხელმიუწვდომელობა ხშირად უნებისყოფობის შედეგია, ხელმიწვდომილობა – მისწრაფებებისა, თუ ბუნებამ ამ სიკეთით დაგაჯილდოვა.
2894. ცოლსა და საყვარელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მოვალეობას დაუფიქრებლად ასრულებს, მეორე – დაფინანსების პერსპექტივით.
2895. წინასწარმეტყველება უგუნურებისაგან, შემთხვევისაგან, თავის დაღწევის პროფილაქტიკად არ გამოდგება, რადგან კეთილი სურვილისთვის ყველა წინასწარ განსჯილი შედეგი „უცნობია და საეჭვო“.
2896. უგნური ამ ქვეყნად ბევრია, მაგრამ მათ ერთმანეთისგან გამოყოფას და ტიპებად დაყოფას არავინ ცდილობს.
2897. კოლექტიურ გაცნობიერებას, ხშირად თვითლიკვიდაციის ტენდენცია გააჩნია, თუ მასში კორექტივების შემტანი პიროვნება არ გაჩნდა. ეს აქსიომა ყველა დარგში უცვლელად მოქმედებს.
2898. იმქვეყნად „გაწვევა“ ჰუმანიზმს არ ცნობს – ასეთია სამყაროს კანონზომიერება.
2899. მოხერხებულობის ძალა ცბიერ აზროვნებაშია კარგი, რადგან თუ შენთვის იღვწი, იმალება, თუ სინათლეზე გამოგაქვს, ქრება.
2900. ფერმერია ის, ვინც სარეველა ბალახს ამოთხრის და შემდეგ შეუკურთხებს, გლეხი კი ჯერ შეუკურთხებს და შემდეგ ამოთხრის ან არ ამოთხრის.
2901. თანამეინახეებთან ფხიზლად ყოფნაა რისკი და არა მათთან ერთად თრობა, რადგან ფხიზელს ვერ გაგიგებენ, ვერ გაუგებ და ჩხუბიც ატყდება.
2902. სავარძელი შემოსავლის, დაფასების, გარეშე ჯირკია და მეტი არაფერი.
2903. სიდიადე ყოველთვის უფსკრულის პირას დგას, საკმარისია ფეხი დაუცდეს და მისგან თითქმის არაფერი რჩება.
2904. სუფრასთან მოლხენა, სასიამოვნო მასლაათი, ერთმანეთის შეცნობის საწინდარია.
2905. შერკინება ძირითადად აზროვნება, მონაცემების შეგროვებაა, რადგან შეჯიბრში მიუმზადებლად დღეს არავინ მონაწილეობს.
2906. ყველა ქმედებას თავისი ყოფის ფორმულა და გამართლება აქვს.
2907. დაფიქრებულად სიმამაცის ჩადენის შემდეგ, აფექტში ჩადენილი გმირობისაგან განსხვავებით, არ უნდა წამოგცდეს, რომ გეშინოდა.

2908. სიღარიბეზე არ საუბრობენ, ურიგდებიან ან გამოძვრებიან.
2909. იმედის კანონს ალოგიკურობა ახასიათებს, რომლის რაობაში ჩაწვდომა ერთეულთა ხვედრია.
2910. ქართველი სიზმარშიც ვიღაცას ესარჩლება, მაგრამ ამბიციებით და თავის დაყვედრებით.
2911. სამწუხაროდ, რაციონალური აზროვნებით აშენებული სასახლე ხშირად უვარგისია, რადგან ამ შენობაში საცხოვრებლად ხალხი ჯერ მზად არ არის.
2912. სამწუხაროდ, დაღუპულთა ხსოვნა „მარადიულია“ საჭიროების და დროთა მოთხოვნის შესატყვისად.
2913. ბერბიჭა თავისი ცხოვრების დიქტატორია, ხელისუფალია, თავისუფალია. დაოჯახების შემდეგ ყველა ამ უპირატესობას დაკარგავს, მოჩვენებითი კეთილდღეობის სახელი „მონობის“ უღელს მისდა დაუკითხავად მოარგებს და სიცოცხლის ბოლომდე „აცე-აცეს“ ძახილით ატარებს.
2914. ბოროტება, გარდა ცუდის კეთების ხელოვნებისა, სხვა ჟანრს ვერ ცნობს – ასეთად იშვა.
2915. დღეს „ოქროს თევზს“ თავად „ახალი რუსები“ უსრულებენ სურვილებს, ოღონდ ზემოდან დავალება-დაძალებით.
2916. ასაკოვან ცოლ-ქმარს უფრო შემთხვევითი კავშირი აკმაყოფილებთ, ვიდრე ვნებით აღსავსე ღამეები, რადგან ამისათვის ყავლი გასდით და ასაკის მატების „სიკეთეც“ ფეხს უდებს.
2917. ნეიტრალურ მსმენელს კარგი გამგონი სჯობს, რომელიც მხარში ამოგიდგება, დაგეხმარება, რადგან მსმენელები მაინც უინიციატივონი არიან და მხოლოდ აპლოდისმენტებით და ვიშ-ვიშით კმაყოფილდებიან.
2918. უცოდველი, შეუცდენელი, არავინაა, რაც შეეხება გამოსწორებაზე ფიქრს, ამისთვის გონება ყველას არ უღვინდება და ზოგიერთი რა შტერიც იყო, იმ შტერად რჩება.
2919. ფაქტი გვაიძულებს, სურვილის მიუხედავად, პატივი მივაგოთ თუ მას თითის მოსაკაკვ ალიბს არ შევაგებებთ.
2920. უბედურება წყაროს სათავეში უნდა მოსპო, რათა ეს „წყალუკა“ მდინარედ არ იქცეს და უაზროდ არ წაგვლეკოს.
2921. „რატომ“ და „რატომაც არა“, სხვადასხვა განზომილებაა: ეს უკანასკნელი აღგვაგზნებს, ფრთებს გამოგვასხამს და ცხოვრების კაიფს გვიორმაგებს.
2922. ბედნიერებაა, როდესაც გევაჟკაცებიან და თან ფეხებსაც ვერ „გჭამენ“.

2923. ენას კბილი ისე უნდა დააჭირო, რომ მეტყველების სურვილი არ დაუკარგო, რათა ყოველივეს მიმართ გულგრილი არ გახდეს, ასე, რომ კბილის დაჭერასაც ცოდნა და ადგილი სჭირდება.

2924. ძილის წინ სექსზე ფიქრის უგულებელყოფა სიკვდილზე ფიქრის გააქტიურებას იწვევს.

2925. აფორიზმი რომ წაიკითხო, სურვილი უნდა გაგიჩნდეს, სურვილს აზროვნება სჭირდება, აზროვნებას – გაცნობიერება, გაცნობიერებას – დრო და თუ ამდენად თავს მოიქაჩლებ, მაშინ უფლება გაქვს მას ეზიარო, გონება გაიმდიდრო და სულიერება დაიტკბო.

2926. კაცობრიობა შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონზეა დაყრდნობილი, ჩემს მშობლებს ვნების დასაოკებელი აქტი რამდენიმე წამით ადრე ან გვიან რომ ჩაეტარებინათ, შეიძლება სხვა სპერმას ეყოჩაღა და მაშინ ან სხვა სქესი ან სხვა გ. ყუფარაძე მოევლინებოდა ამ ქვეყანას. ასე, რომ ადამიანი განუსჯელად ისახება დედის საშოში და განსჯით გვევლინება ამ სამყაროში.

2927. ქორწინება წარმოსახვის გამარჯვებაა გონიერებაზე.

2928. თავის გასულელება კი შეიძლება, ცივილიზაციაზე აყოლით, მაგრამ შედეგმა რომ ცხვირში არ ამოგარტყას, შეუძლებელია.

2929. „ქურდი“ და „ფრაერი“ რაც უნდა ანტაგონიზმში იყვნენ, ორივენი ციხის უფროსის გამდიდრებას ემსახურებიან, რადგან გარკვეული შეღავათებისთვის ორივესგან ქრთამს იღებს, პირველისაგან – „ობშჩიაკიდან“, მეორესგან – „დანაზოგიდან“.

2930. იმ სიტყვებს აქვს ფასი, რომელიც ღრმა დატვირთვით გამოირჩევა და მისი ტონალობა მეტ კაიფს განგაცდევინებს. მაგ. „ტრაკია“, „არაკაცია“, „ჩამშვებია“ და არა – მაბეზღარაა, ცუდი კაცია, გამცემია.

2931. მასლაათი სიამოვნებას გვგვრის, მაგრამ საქმიან მსჯელობას ვერ შეედრება.

2932. წინასწარმეტყველება რწმენის, ფანტიზმის, „ბზიკის“ შედეგია.

2933. განათლების, ტრადიციების და კუთხურობის გარეშე ყველა ანეგდოტი რქიანია და მისი ფასი ნულს უტოლდება.

2934. სამწუხაროდ თუ საბედისწეროდ და იმის გამოც, რომ ენაზე კბილის დაჭერა შემიძლია, ყოველთვის იმაზე მეტ ინფორმაციას ვფლობთ, ვიდრე უნდა მცოდნოდა. შედეგად მე ადამიანთა შეფასება-შეცნობის საშუალება მომეცა, მათ ავკარგიანობაზე კითხვის ნიშნების დასმით, ხოლო ასაკის მატებამ ზოგიერთ მათგანზე ძახილის ნიშანიც დამასმევინა და მრავალწერტილიც.

2935. როგორც ირკვევა, გულსაც მისთვის გასაგები ტვინი აქვს, თავისივე ინტეგრალებით.
2936. სათქმელზე მეტი თუ გულის კუნჭულში დასამალავი გაქვს, ისიც თავისებური კაიფია, რადგან მიგაჩნია, რომ სხვა არ არის მისი გაცნობიერების ღირსი.
2937. ყველას მოსაწონი რომ გააკეთო, სულელი უნდა იყო, ხოლო სიკეთის მკეთებელს ყველა ეცოდება, სულ დაძაბულია, რომ მასზე აუგი არ სთქვან.
2938. სითამამეც სილამაზეს მოითხოვს, კომპლექსებმა რომ არ დაჩაგროს და დათრგუნოს.
2939. ზოგჯერ ორიგინალური, ახალი, დანაშაულიც აღფრთოვანებას იწვევს.
2940. დემოგრაფიაც შეიძლება ვიგინდარების ხელში მოხვდეს და მისი იმიჯი მიწასთან გაასწორონ.
2941. არც მკვახე ხილის შენახვა ჯობს და არც სიმწიფით ხიდან თავად ჩამოვარდნილის, ორივე შემთხვევაში საშუალო-შეწონილი ჯობს, მუდამ მოგებული დავრჩებით.
2942. სიზმარი ცხადში იშვიათად გვიხდება, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ გონება ძილშიც მუშაობს და უსაქმურად ვერ სძლებს.
2943. „მეუღლეს“ და „ცოლს“ შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შთაგონებით გაიძულებს მისი სურვილის აღსრულებას, მეორე ყოფის საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვს მის ნების დაკმაყოფილებას.
2944. პროფესიული კრივი ულამაზესი სანახაობაა: რითმით ცეკვა ფეხების სწრაფი გადაადგილებით, ხელების მომხიბვლელი მოძრაობით, აპერკოტით და ნოკაუტის წერტილის დასმით.
2945. დიდი იდეები, იდეალები, არ მთავრდება, მათ დანერგვა-გამოცდას უამრავი ხალხის სიცოცხლე ტყუილ-უბრალოდ ეწირება.
2946. ყველაზე დიდი იუმორისტი ამინდია, რომელიც ხანდახან ისე აურდაურევს, რომ ვერც ერთი იუმორისტი კონკურენციას ვერ უწევს.
2947. იუმორსაც ყოველდღე ახალი „ატამანი“ სჭირდება გონებამახვილობის და ყოფის მომენტების გაელვების შესატყვისად.
2948. მხიარულება და სიცილი სხვადასხვა განზომილებაა, რადგან ერთი შინაგანი მოთხოვნილებაა, მეორე – შემთხვევის წყალობა.
2949. ალკოჰოლის მიღება ასაკის მატების შესატყვისად უფრო გემრიელი, სატრაბახო და მათრობელაა.
2950. ინფორმაციაა, რასაც ვისმენთ, ცოდნა – რასაც საკუთარი გამოცდილებით ვიძენთ.

2951. არიან ამბიციური ქვეყნები, ხელი რასაც უნდა მოჰკიდონ, საბოლოოდ ისტერიკა და ყბედობა გამოსდით.
2952. ქვეშევრდომობა მანამ ზეიმობს, სანამ ეშმაკობა გასდის და მისი გამომზეურებით თავს არ იწუხებენ.
2953. ექსპერტის აზრი მისაღებია, თუ ჩვენს მოსაზრებებს, სურვილებს ეხმაურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიკერძოებულია და მიუღებელია.
2954. კონსულტანტი, მრჩეველი, ბევრია, მაგრამ მათში იმ ღირსეულის აღმოჩენა ძნელია, რომელსაც დაუჯერებთ.
2955. დაზვერვა ვირეშმაკობის თამაშია, ერთ-ერთის გაცუცურაკებით და იშვიათი ყაიმით.
2956. არის საკვები, რომელიც, ალბათ, „მაიმუნობისთვის“ – თავის შესაქცევადაა, განკუთვნილი, იმდენი ხლაფორთი სჭირდება მის გაფცქვნას. მაგ., პამელა.
2957. ანეგდოტი მოკლემეტრაჟიანი ხიტია, მსუბუქი იუმორით და სულიერების ჭიტლაყით.
2958. სილამაზე საკუთარ თავში გულდაჯერებულობა, ნიშნის მიგება და ამბიციების გამოვლენაა.
2959. დიდხანსაა შესაძლებელი იმ გონიერების პარაზიტობა, რომელიც გახლართულია გაურკვევლობის ალგორითმში.
2960. თავის მოგიჟიანების ნიშნები ყველასი ერთნაირია, შედეგია განსხვავებული.
2961. არიან „ხმადაბლა მოსაუბრენი“, რომელთა დამრიგებლური ტემბრი ტელევიზორის ხმას ახშობს და ქმრის ყურები მიკროფონი ჰგონია.
2962. ენას უბრალო, გასაგები საუბარი, ჟრუანტელი, უხდება და არა – გონიერების ნატიფ საცვლებში შეფუთვნილი ენის სტრიპტიზი.
2963. თუ არაორდინალური ხუმრობის „გაშიშვლებას“ შევეცდებით, მისი სტრიპტიზით ვერ დავტკბებით.
2964. ლექტორმა გამოცდა იმდაგვარად უნდა წარმართოს ფასიანი სწავლების დროს, რომ სტუდენტმა დაიჯეროს, რომ მას რაღაც ასწავლეს.
2965. სტრიპტიზი ზოგისთვის კულტურის გადმონაშთია, ემოციების დაფრთიანების და უსაფრთხო სექსის საშუალებაა.
2966. შავ იუმორსაც თავისი მუხტი აქვს, სიავის მინიშნებით და გონების ჭყლეტით.
2967. ტალახის შხეფი ყველას გვაჯადოებს, აღმაფრენის წინწკლებს გვაფრქვევს, რათა იმის ნაყოფის ნამსხვრევებს სხვა ვაზიაროთ.

2968. სიდიადესაც მხრის ამბმელი და ტვინის გამომცხობი სჭირდება, „მეობა“ რომ იგრძნოს.
2969. მამაკაცური „ღირსება“ ქალისგან სექსუალური პროვოკაციების მოწყობას მოითხოვს და არა – თანაგრძნობას და დაცვას.
2970. აი, დემაგოგია: „მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს და შენ რა ღმერთი გიწყრებაო“ – ქართველი ბებია საყვედურობს სოფელში შვილიშვილს.
2971. დედამიწის გაპარტახების შემყურე ვარსკვლავები დიდი ხანია არამიწიერ ნერვებს ძაბავენ და როდის მოინდომებენ ჩვენს დასჯას, არავინ უწყის.
2972. ირონიაა, რაც ჩანაფიქრზე უკეთ გამოგვდის, ხოლო იუმორია, რაც გინდოდა გეთქვა და მეტ-ნაკლებად ყველამ გაიგო.
2973. აფორიზმების გააზრებას ნიჭი და მოთმინების უნარი სჭირდება, რათა მისი მადლი იგრძნო და დააფასო.
2974. ზოგჯერ სიზმარიც პრივატიზაციას მოითხოვს, საკუთარი აზრების გადასამოწმებლად.
2975. ცხოველთა დაწყვილება სეზონურია, ასაკობრივია, მუდმივია, სანამ ოცნება ამის უფლებას აძლევს.
2976. თეორიულად მედიცინა ყველაზე ჰუმანური პროფესიაა, მაგრამ პრაქტიკულად თავს ვერ სჯობნის და წვალება-დაყოვნებებით ავადმყოფს მაინც იმქვეყნად ისტუმრებს.
2977. რეპრესიები, ეტყობა, სამოთხეშიც მოსალოდნელია, თუ იქ ზომაზე მეტად ამბიციური და ნიჭიერი ხალხი შეიყრება.
2978. მარტოობის და უსაქმურობის მკურნალი „ყვერებში მახათის გაყრაა“ სხვადასხვა ვარიანტებით.
2979. საბოლოო შედეგისთვის უფულო „პორტმონეს“ ლამაზად დაგდებაც, მომხიბვლელია, რათა სულმა მედიდურობა ბოლომდე შეინარჩუნო.
2980. კრიტიკის ქარიშხალს ახალგაზრდობას აკადრებთ თუ არ აკადრებთ – მაინც არ ამართლებს.
2981. ენაზე ყოველთვის გრამატიკა ძალადობს, უსწორებს, ყურსაც უწევს და სამართლიანადაც.
2982. აფორიზმი ავტორის მსოფლმხედველობის და ხასიათის ნაჯვარია.
2983. მუშტიკრივის დროს საუკეთესო არგუმენტი ძალაა და არა – გონიერება.
2984. არ აკეთო ის, რაც გესმის, გონიერებასთან ახლოა, მაგრამ თუ გაინტერესებს, მაშინ?

2985. ახსნა-განმარტება იგივე ალიბის მოძიებაა.
2986. ნებაყოფლობითი, უფასო, რჩევის ფასი ნულია.
2987. ვიცით, რომ კამათი სისულელეა, მაგრამ გული ამას არ გვეკითხება.
2988. „ქანქარის ემოციები“ ყოველთვის მოთოკვას არ ემორჩილება, რადგან ის ლაღია და თანდაყოლილი.
2989. არავისი გეშინოდეს, ისიც საშიშია, რადგან სიფრთხილე თავს არ იტკივებს.
2990. ბუნება მცირედის და რაციონალურის მიღებაზე ნებართვას არ გვთხოვს, მაგრამ მაქსიმუმის მიღების მცდელობისთვის მოზრდილ ალიყურს გვთავაზობს.
2991. ბუნება კი არ ისვენებს შთამომავლობაზე, არამედ – პირიქით და თანაც საკუთარი მენტალიტეტით და წინაპრის ნიჭის კვლავწარმოებით გაზიარება არ უნდა.
2992. ჰორმონების თამაშის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია, მაგრამ დაფიქრებისთვის დროის გამონახვა აუცილებელია.
2993. პლანეტა როგორ ჩავიბარეთ და როგორ ჩავაბარებთ, მომდევნო თაობები დიდად არ ინტერესდებიან, რადგან ის მაინც დროებითი სასუფეველია.
2994. ყრუ გაცილებით უკეთ ხედავს და გრძნობს, ვიდრე არაყრუ – მონდომებულია და იმიტომ.
2995. მტრის მიტევება შესაძლებელია, მაგრამ დავიწყება არ ამართლებს.
2996. სამყაროც თავისი არსებობის წამებს ითვლის, მიუხედავად მისი უსასრულობისა.
2997. სიცილი ერთადერთი წამალია, რომელსაც დოზის შერჩევა არ სჭირდება.
2998. ჭარბი, ზედმეტი, თეორიულად კარგია, პრაქტიკულად ზედმეტი შრომა და გონების ჭყლეტაა.
2999. იუმორს ფორმულა არ სჭირდება – აქსიომაა, ან გაითავისებ მის სარკაზმს ან არა.
3000. მიწიერი ცივილიზაცია ძალზე ახალგაზრდაა, სულელია, უგუნურია, შეურაცხადია, ამბიციურია, ამიტომაც პურის ცარიელი თავთავივით თავი მაღლა უჭირავს, რომელზეც დიდი წარმოდგენა აქვს.
3001. ას საუკეთესოში მოსახვედრად ფორმულა ასეთია: $S_{100}=NG^2$ ე.ი. პიროვნების ნიჭი გამრავლებული მისი განუმეორებლობის კვადრატზე.

3002. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ, ქართული წლის თვეებიდან, მე ძველსაც გავიხსენებდი, ახალსაც დაუმატებდი და წლის დასაწყისიდან თვეებს ამდაგვარად წარმოვაჩენდი: მეკვლეთვე, მარხვობისთვე, აღრევისთვე, ხნათათვე, კვირტობისთვე, თიბათვე, მკათათვე, მარიამობა, ენკენიისთვე, ღვინობისთვე, გიორგობისთვე, ქრისტეშობისთვე.

3003. „ჯანმრთელ სხეულში, ჯანმრთელი სული დევს“, „ეს რა ჩინური აჭია-ბაჭიაა“, „კვირაში შვიდი პარასკევი აქვს“, „ცხვირით დარჩა“, „ნერვებზე თამაშობს“, „თავის ტყავში ვერ ეტევა“, „მე ხელები დამიბანია“, „განტევების ვაცი“, „რაც რუსისთვის კარგია, ის გერმანელებისთვის საზიანოა“, „შენს ენას ძირძიტი“, „ფულს სუნი არ ასდის“, „ურწმუნო თომა“, „ვინც მახვილით მოვა, იმავე მახვილით დაიღუპება“, „საქმეს მყრალი სუნი ასდის“, „ჩხირკედალობის შეფი“, „ზურგს უკან არაფერი აბადია“, „საქმის ქუდი დავახურეთ ამათ“ და სხვა უამრავ ამდაგვარ პოპულარულ გამონათქვამს ისტორიული მისამართი აქვს და თავისი „ბაიკა“ ახლავს.

3004. ზოგი ჭკუას მოსახარშ ტვინად აღიქვამს და საქონელს უწოდებს (გამოთქმა: „ჭკუა კარგი საქონელია“).

3005. ზოგჯერ გონებით გალაღებული ერთი აფორიზმის შობა მთელი შემოქმედებითი ნაღვაწის ტოლფასია.

3006. ცნობისმოყვარეობა მთლად ურიგო არ არის, განსაკუთრებით, თუ შენთვის მომგებიანად მთავრდება.

3007. სურვილი შედეგს ცხვირს ვერ მოხოცავს, მაგრამ მცდელობა მისასალმებელია.

3008. ლექტორს სტუდენტში უნდა აინტერესებდეს გონების გახსნილობა, სიახლის აღქმის უნარი, ცოდნის შეძენის მცდელობა და არა მისი წიგნის ენით მეტყველება და წიგნის გვერდების ათვისება.

3009. სიტყვას, რომელიც მატერიალურად არ არის გამაგრებული, ფასი არ აქვს.

3010. სამართლიანი სამართალი მოსმენა-განსჯის გარეშე არ მიიღება.

3011. მდინარის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა საამაყოა, განსაკუთრებით, თუ შედეგიანია.

3012. გულუბრყვილობა სასწაულების შვილობილია.

3013. მსოფლიოს მოსახლეობის გაერთიანების პროცესი, ერთმანეთისთვის ზადის მიუყენებლად, დღესვე უნდა დაიწყოს, რადგან ამას ტექნიკური პროგრესის გაჯეჯილება გვკარნახობს.

3014. სამწუხაროდ, დღეს რუსეთში 1937 წლის მსგავსი სიბინძურის ჩატარებაა საჭირო, რათა მისმა მოსახლეობამ მომავლის რეალობა

შეიცნოს და გაერთიანდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ამხელა ტერიტორია პატარა ქვეყნებად, ოლქებად, სამთავროებად, დანაწილებისათვის არის განწირული.

3015. ზომიერ-გააზრებული შიმშილი ადამიანის ორგანიზმს ასუფთავებს, აწრთობს, კურნავს, ხოლო უზომო-უაზრო ფიტავს, აავადებს და აგრესიულს ხდის.

3016. დღეს იუმორს მარტო მარილით შეზავება არ შველის, მას წიწაკა, ძმარიც უნდა დავუმატოთ უგვანოთათვის ცხვირიდან ძმრის სადენად.

3017. სიცილის უნარი ბადებს სიახლეს, თუ მას ცოტათი მაინც ჭკუას შევაზელთ.

3018. პროფესია, ქალისაგან განსხვავებით, ღალატს ვერ იტანს, რადგან პირველმა შეიძლება რამდენიმე ღალატი შეგინდოს მეორისაგან განსხვავებით.

3019. დარგის ბუმბერაზს დროულად მტვერის გადაწმენდა აფასებს და არა – აწმყო.

3020. თუ მიზანს საშუალებები ამართლებენ, მაშინ მიზანიც ღირსახსოვარი უნდა იყოს.

3021. საქმიანობით დაკავებული მამაკაცი საცოდაობაა, ქალი საშინელებაა.

3022. სიცილი გვიცავს სიბრიყვესთან დაწინდულ „გონიერებისაგან“ და ნერვებს გვიმშვიდებს.

3023. თუ გაუნათლებელი დებილი აუტისტია, მაშინ ინფორმირებული დებილი „აუტიდია“ – ორმაგად დებილია.

3024. ალკოჰოლის მოხმარებას პროფესიონალიზმი სჭირდება, რათა მან უფრო მეტი სიამოვნება მოგვგვაროს.

3025. დაუმუშავებელი მიწა გაჩერებული საწარმოა, ხოლო მიზნის არქონა – ქვეყნის დაქცევის საწყისიცაა და ბოლოც.

3026. მიზანი გარკვეულ შეზღუდვებსაც ისახავს, ნებით იქნება ეს თუ უნებლიედ.

3027. მოთხოვნილების მიზანი შესაძლებლობათა გამოვლენაა.

3028. ბუნება „ჰომო საპიენსის“ გარეშე უკეთ იგრძნობდა თავს, მაგრამ შემფასებელი დააკლდებოდა.

3029. ადამიანებისაგან განსხვავებით, ბუნების გათავხედებას საყვედურს ვერ ვკადრებთ.

3030. საწყისს ზოგჯერ დასასრული არ აქვს და ის „პერპენტუუმ-მობილეს“ ემსგავსება.

3031. აფორიზმი ხელოვნების საყვარელი ბიჭია და ფილოსოფიის ნანატრი შვილობილი.

3032. ერთს თავი ჭკუით მდიდარი ჰგონია, მეორე ქონებითაა მდიდარი, მაგრამ მათ საჭიროებას და რაოდენობას აწმყოს კაურები განსაზღვრავს და განსჯის და არა – კეთილშობილური სურვილები.

3033. სამოთხე-ჯოჯოხეთში ყოფნას ადამიანის ბუნება-გუნება უნდა ირჩევდეს და არა ურჩევდნენ.

3034. ჭკვიან თავს უჭკუო თმები კი ტოვებენ, მაგრამ თმები გონიერების დიზაინისთვის და პეწისთვის მაინც საჭიროა.

3035. პესიმიზმსაც და ოპტიმიზმსაც თავიანთი საძრომიალო ხვრელების გათხრა სჭირდებათ თავის გამოსაყოფად.

3036. გულიანი და დაუძაბავი სიცილი დავადებათა პროფილაქტიკის ერთ-ერთი საშუალებაა.

3037. აფორიზმი, რომელიც მცირედ დაფიქრებასაც არ მოითხოვს, აფორიზმი კი არა – იუმორია.

3038. აფორიზმს სიღრმეს და სიბრძნეს იუმორით შეზელვა ჰმატებს.

3039. აფორიზმის ალგორითმია: საღი აზრის გამოთქმა სხვას არ უნდა დაასწრო.

3040. აბნეული ადამიანის სწორ გზაზე დაყენება აფორიზმსაც შეუმჩნეველი იუმორით შეუძლია.

3041. აფორიზმი ის „კუხარკაა“, რომელიც სხვათა ნაღვაწის გალამაზება – წარმოჩენას ემსახურება.

3042. აფორიზმი სიტყვათა სურნელოვანი თაიგულია, გააჩნია, ვის გსურს მიართვა, გონიერს თუ აუტისტს.

3043. აფორიზმი ის უნიკალური სპერმატოზოიდია, რომელიც სიბრძნეს ჯიშით ამრავლებს.

3044. ადამიანი დაბადებულია აზროვნებისთვის, ფრინველი ფრენისთვის, თევზი ცურვისთვის, ხოლო „ცხოველი“ ერთმანეთის დაჭმისთვის და ამგვარად გამრავლებისთვის.

3045. რა შეიძლება იცოდეს თევზმა იმ ქვაბზე, რომელშიც ის იხარშება? თავისი უბედობის გარდა არაფერი.

3046. ენაზე კბილის დაჭერაზე უკეთესია დუმილი კვადრატში.

3047. აფორისტის მიერ დაწერილი ერთი გვერდი, მწერლის მთელ წიგნს უდრის და სჯობნის, მაგრამ თანამედროვეებში დამფასებელი არ ჰყავს.

3048. ამინდის წარმოქმნის მექანიზმი საოცარი ფენომენია, მაგრამ მისი მშვენიერების შეუმჩნევლობა შეუძლებელია.

3049. ალკოჰოლი საკეთის და სიბრიყვის ბრძოლად იქცევა, თუ სმის კულტურას არ დავამუღამებთ.

3050. მწუხრისაგან თავის დაძვრენა ისევ გონების დასაქმებას უნდა ვანდოთ.
3051. გულუბრყვილობა, ბედნიერებაზე ფიქრი და ნიჭით აღფრთოვანება ყოველთვის გონთმისაწვდომი უნდა იყოს.
3052. სიტყვები არც იწონება, არც იზომება, ის მხოლოდ გულის ძგერის სიძლიერით გამოიხატება.
3053. ზოგი ისეთი მოუცლელია, რომ საკუთარ დასაფლავებასაც კი აგვიანებს.
3054. დროის შესატყვისად ჭკუის მატება და დაღვინება ხელისუფალთა შორის, რატომღაც, მისი დაჭაშნიკების სურვილს არ იწვევს.
3055. ანეგდოტი ჭკუის გასამხიარულებელი საშუალება და საღი აზრების მოგერიებაა „მოჭრით“.
3056. ყველა ჩვენგანი საკუთარი შავის შელამაზებას ჭკუის დიზაინით ცდილობს იმისდამიუხედავად აქვს ამის უნარი თუ არა.
3057. გრძნობათა ჩოჩქოლი უგუნურებასთან ბრძოლის ელექსირია, გონიერების უკუგორებით.
3058. სტიქია ყველაზე დიდი კრიმინალია, დაუნდობელი აგრესორია, რომელსაც პროტესტს, განსჯას, დასჯას, ვერავინ უხერხებს.
3059. სამყაროს ძალებს როგორ აუჩუჩუნდებათ და დედამიწის რომელ წერტილს რაგვარად გააბახებენ, არავის უწყის, მიუხედავად ჩვენს თავზე დიდი წარმოდგენისა.
3060. სიტყვა „ტრაკიას“ სხვადასხვა ტონალობაში აჟღერებას აქვს მისთვის გასაგები დანიშნულება, შემეცნების და ბოღმის გადმონთხევის უნარით.
3061. „შავი კატა“ თავს ყველაზე უკეთ „შავების“ ქურდულ ქვეყანაში გრძნობს, რადგან მისი სიშავე შეუმჩნეველი რჩება.
3062. ზეგავლენა ეფექტურია, თუმცა გააჩნია გენს, ჯიშს და ჯილაგს.
3063. საკუთარ თავზე საყვარელი მეგობარი არ შეიძლება იყოს, თუ მის აღზრდაში „სათანადო შეცდომა“ არ იყო დაშვებული.
3064. შერწყმული და ურთიერთგაგებული სიცილი მეგობრობის დიდი საწინდარია.
3065. გრძნობების ჩქროლვას ინტეგრალების ამოხსნა არ სჭირდება, მას ამ მომენტში უგუნურად ყოფნაც აკმაყოფილებს.
3066. შექებაც და ძაგებაც ორივე ასატანია, თუ ვიცით ისინი ვინ არიან.
3067. ბრძანების შესრულებაც გონიერებას მოითხოვს, რათა შესადავებელი არ დარჩეს.
3068. ქურდის დანიშნულებაა, ის აწაპნოს, რაც ცუდად დევს და არა – მოითხოვოს და იყაჩაღოს.

3069. პრაქტიკულად რევოლუცია სახალხო არეულობაა, ფრონტია, უნიათო პოლიტიკოსთა, დილეტანტთა და ვიგინდარათა თავის წამოყოფის შესაძლებლობით.

3070. პრაქტიკულად რევოლუცია სახალხო არეულობაა, ფრონტია, უნიათო პოლიტიკოსთა, დილეტანტთა და ვიგინდარათა თავის წამოყოფის შესაძლებლობით.

3071. აწონილი სიტყვებით საუბარი-მასლაათი გართობა და მოჭარბებული დროის ლამაზად გაყვანაა.

3072. სიცილის აბები ჯერ არ გამოუგონებიათ, მაგრამ მის მიღებას ამა თუ იმ გზით ვახერხებთ.

3073. აფორიზმი ჭკუის საღრძობის, გულის მოფხანის, ნიშნის მიგების, სულის შეთბობის, აზრთა გაჯირითების, გონიერების შეჯერების, გაუგებრობისთვის ბიშტის ჩვენების, ადამიანის სისუსტეთა შეცნობის, საკუთარი აზრის დათვალიერების და კიდევ მრავალ სხვა ფაქტორთან აღქმული ელექსირია.

3074. ბრძანება-დავალებაში მთავარია შინაარსის ამოკითხვა და არა – სიტყვათა წყობა და რახარუხი.

3075. ძნელია ამ ტვინის შეცნობა, რომელიც ყოველივეს სხვებს აბრალებს და თავი მარად მართლად და დაჩაგრულად მოაქვს (თუნდაც დღევანდელი საქართველო).

3076. სინანული უკვე გამოყენებული ტვინის უკან დაბრუნების მცდელობაა.

3077. არც გრძნობების პარვა ამართლებს და არც დაუდევრად მათთვის მოპყრობა.

3078. გონიერებაც და უგუნურებაც თავისებური ვირუსია და ვის რა გარემოში შეეყრება, არავის უწყის.

3079. ყველა ნატვრა გაბრაზებულ გუნებაზე რომ ამხდარიყო, სამყარო არ იარსებებდა.

3080. შინაგანი ჰორმონების ბალანსსაც ტოლობის დასადგენად მათემატიკასთან გასაუბრება სჭირდება.

3081. თუ კარგად დავუკვირდებით, ბუნების დაუწერელი კანონები ყველგან მოქმედებს – მოზრდილი, დიდი ზომის დედლის უკანალი, უფრო მომხიბვლელად გამოიყურება, ვიდრე მამლის და ეს ბუნების კანონზომიერება ეტყობა, ყველა მდედრზე ვრცელდება.

3082. ქმედება გვაიძულებს ვიყოთ უკეთესნი. რაც უნდა იყოს, დღეისთვის გაუგებარი და მიუღებელია.

3083. ლანძღვა ზოგჯერ აღიარებას, პატივისცემას, რეკლამას და შიშსაც ნიშნავს, თუ მაგინებელი შენამდე ვერ ამაღლდება.

3084. ყალბ მომავალს რეალობის დანახვა და შეფასება არ შეუძლია, ის იმდენად მოულოდნელად დაგატყდება თავზე.
3085. საიდუმლოა ის, რაც ორმა „ქაქნაჭამმა“ იცის ან შენმა ღმერთმა, დანარჩენი საიდუმლოს არ განეკუთვნება.
3086. ხშირად პროკლამაცია უგუნური აზრების გავრცელების მცდელობაა იმ თავის დასაცავად, რომელიც უფასურია და არაფერი ღირს.
3087. პოლიტიკისაგან განსხვავებით, სექსში დაყოვნებას სათუო შედეგი მოჰყვება.
3088. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ სიბრძნე და სექსი იშვიათად ძოვენ ერთად ამქვეყნიური ბედნიერების თავიანთი გაგებით.
3089. ძვლების ჩაყრის პრობლემა არ არსებობს, მთავარია ჩაყრის ადგილი უკვდავყონ და დაიმახსოვრონ.
3090. თანდაყოლილ-დანატოვარისაგან განსხვავებით, შეძენილი უფრო მოგვწონს, განსაკუთრებით – ჭკუა.
3091. სახელის უკვდავების ალგორითმის ამხსნელად, ავად თუ კარგად, ჯერ ხელი არავის გაუწაფავს.
3092. გვინდა – არ გვინდა, მოდა ჩვენით ინტერესდება, რადგან თუ „მოდისტი“ არ ხარ, დრო გადის, ძველი ახლებურად ბრუნდება და შენი ჩაცმულობაც მოდა ხდება დროის ჩასწორებით და ასაკის შესატყვისად..
3093. ნაპოლეონისეული გეგმები კარგია, თუ მას ბაზარი აქვს და მასზე რაღაც სიახლის შენება შეგიძლია.
3094. გზა, უპირველესად, მოგზაურებისთვის უნდა შენდებოდეს და არა მხოლოდ გადასაადგილებლად და ტვირთის გადასაზიდად.
3095. უნდა ილოთო სიხარულის აღსანიშნავად და არა მწუხარების ჩასახშობად.
3096. იუმორის ალგორითმს „შეღიტინება“ სჭირდება და მარადიულობის მოპოვებაზე არ უნდა გაიქაჩოს.
3097. ყველა კუნთი ორნამენტი-ჩუქურთმაა თუ რეალური ძალის მქონე არ არის.
3098. სისხლი, რომელიც არ ჩქეფს და მდორედ გადაადგილდება ჩვენს სხეულში, ნაღდი სისხლი აღარ არის, ის უკვე ფალსიფიცირებულია.
3099. ბედნიერება სურვილების განსჯას და მხარში ამოდგომას მოითხოვს.
3100. საიდუმლოებანი დიდხანს ვერ ცოცხლობენ, თუ ის გონიერების ანალიზს ეჭიდავებიან.

3101. საკუთარ თავში მოკალათება და წიგნის კითხვა ორ სიამოვნებას ერთდროულად გვანიჭებს: ერთი სულიერებას გვმატებს, მეორე კუჭის მოქმედებას ახალისებს.
3102. ჟრუანტელის ტანში დავლა, უდიდესი ემოციების მუხტის გაელვებაა, კაიფის შეცნობით.
3103. რწმენას შედეგის გარეშე თავის წარმოჩენა უჭირს, ხოლო შედეგს – მცდელობის გარეშე.
3104. ზოგჯერ „მშვიდობით“ თქმა გაცილებით ადვილია ვიდრე „ნახვამდის“, რადგან პირველით სამუდამოდ შორდები, ხოლო მეორეთი იმედს იტოვებ და უტოვებ და ეს ორჭოფობა გაცილებით ძნელი მოსანელებელია, ვიდრე გადაწყვეტილი „ბასტა“.
3105. უკმაყოფილების ზღვარზე გადაბიჯება ყოველთვის კარგ შედეგს არ იძლევა, განსაკუთრებით, როდესაც ასაკი აკრეფილი გაქვს.
3106. წარსულში თოხარიკით სიამით მოგზაურობა ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.
3107. საკუთარი თავის წარმოჩენა-შეცნობაც კი სხვასთან შედარებით გვიხდება.
3108. გაკვირვება ყოველთვის აღფრთოვანებას არ ნიშნავს და არც აღფრთოვანება ნიშნავს ყოველთვის მლიქვნელობა-წამლიქვნელებას.
3109. ანგელოზი და შავი ხელთათმანი შეუთავსებელია.
3110. ბედის დანიშაულს გონიერების შესაძლებლობები ვერაფერს შველის, გამართლების უნიათო ალიბის მონახვის მიუხედავად.
3111. თუ თევზაობას, ნადირობას, კაცისკვლას, გართობას, სპორტს, თუ ვაჟკაცობას დავარქმევთ, სიცოცხლის ხელყოფასთან გვექნება საქმე.
3112. უთაფლო ფუტკარიც არსებობს, თუ მის საკეთებელ საქმეს თავს ვერ ადგამს.
3113. მცირედი არაფერი სანდო და ხელშესავლები არ არის და ხშირად სახიფათოა.
3114. აფორიზმი გონიერებით მონელებული სიბრძნეა, რომლის გადაკეთებაზე ჭკუის ჭყლეტა არ ღირს.
3115. დაბადება ცოდნის დაგროვების მცდელობის სინონიმია.
3116. ბუნება მოძრაობას სცემს პატივს და მის მცდელობას ეხმიანება.
3117. თქვენთან კამათი იმის მაჩვენებელია რომ თქვენი ამქვეყნად ყოფნა კვლავ საჭიროა.
3118. კარგად ნათქვამი გაშიფრული სიტყვაც კი ვნების ყმაა.
3119. ზოგის ბედი უპატრონოდ იქ დაეხეტება, სადაც მასზე ფეხის დამდები და ხელის წამვლები არავინაა.

3120. სამოთხეში მოხვედრა სასჯელია თუ ბედნიერება ჯერ კიდევ საკითხავია – გააჩნია ინდივიდს და სასიამოვნო ცოდვების ჩადენისკენ მის მიდრეკილებას.
3121. ხაკერს და კრეკერს (ბოროტი ხაკერი) შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავის შესაძლებლობით, გონიერებით, ჟინს ისწორებს, ერთობა, ხოლო მეორე ჯიბეს „ბარაქა-დოვლათს“ ჰმატებს ცოდნის მოხერხებული გამოყენებით სხვის ხარჯზე.
3122. თავით მომუშავე ფეხებით მომუშავეს ჯობს, მაგრამ აქვს ერთი ნაკლიც: მას თანდათან თავზე წარმოდგენა ექმნება და ამიტომ ზემდგომი მასზე გონიერი, ეშმაკი და ავტორიტეტის მქონე უნდა იყოს.
3123. „იდიოტნახევარივით“ სიცილი იდიოტის სიცილზე წინ დგას, რადგან ახალი და განსხვავებულია.
3124. შემოქმედის საყოველთაო გამოგონება ანეგდოტია, რომელიც მოწოდებულია გონების საჯილდაოდ და გასახალისებლად.
3125. სიბრიყვეს მახვილგონიერება და გამოცდილი თვალი ყოველთვის გალიაში ამყოფებს.
3126. მშობლებს თუ ერთმანეთის ღირსეულად შეცვლა შეუძლიათ, მაშინ ისინი მშობლები კვადრატში ყოფილან.
3127. სიბრიყვის დაჭერა ძნელი არ არის, მისი გონიერებასთან დაახლოება და გაწვრთნაა ძნელი.
3128. ცეცხლი, უპირველესად, უნდა აღვიქვათ როგორც გათბობის საშუალება და შემდგომ ჩვენი უგუნურების შედეგად შეძენილი მტრების მოსპობის საშუალება.
3129. სამართლიანი დაცინვა ავტომატის ჯერზე უფრო ეფექტურია.
3130. ქარს ბევრი სიკეთეც მოაქვს, თუ კარგად ჩავუკვირდებით და შევისწავლით.
3131. ვაჟკაცობა აზროვნებაა, სიფრთხილის დაცვით და დროის შესატყვისად ჩასაფრებით.
3132. მცირედი „სიბრიყვის“ მოხერხებული შერევა საუბარს ალამაზებს და მსმენელს აფხიზლებს.
3133. ყველაფრის გაგება შეიძლება, შეფარდებით, შელამაზებით და გამორჩენის იმედით.
3134. სპორტი, უპირველესად, ფსიქოლოგიური ჭიდილია და შემდგომ – ფიზიკური შერკინება.
3135. გული ყოველთვის კარგის მრჩეველი არ არის, ზოგჯერ ისეთ ყულფში გაჰყოფს თავს, რომელსაც გონება არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

3136. გულის ფართხალს დათმობა უნდა ეხერხებოდეს, თუ უნდა არ ევნოს.
3137. ბრიყვთა მასწავლებელი ყველაზე საცოდავია – შედეგს ვერ ხედავს.
3138. ბოროტებას, უმთავრესად, თვითდაჯერებული ბრიყვები ისე სჩადიან, რომ თავიანთ უგუნურებას ვერ გრძნობენ.
3139. იუმორი შინაგანად უნდა იგრძნო და გონებაში სიცილით და ორაზროვნად გადახარშო.
3140. წონასწორობის დარღვევა, ბედნიერი გამონაკლისის გარდა, უარყოფით შედეგს იძლევა.
3141. ძალზე ძნელია ერთი ავტორის მიერ აფორიზმების წერა ერთიდაიგივე საკითხზე „პლაგიატობის მაგვარის“ გარეშე.
3142. მე წიგნს აზროვნების შესაჯერებლად ვწერ და არა – მეგობაიტების შესავსებად და გართობისათვის.
3143. დაგროვება და შექმნა სინონიმებია და ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ.
3144. ფაქტები ჭიდილს მოითხოვს და არა ალიყურის გაწნას.
3145. „კარგად დარეხვილი“ უნდა იყო, რომ დასამახსოვრებელ პიროვნებად იქცე.
3146. გაბრაზების მკურნალი უხსოვარი დროიდანვე არითმეტიკა იყო, ციფრების გაბრაზების გავლამდე დათვლით.
3147. მტერსაც გონებაში გატარებული სათქმელი უნდა მიახალო და არა – გულში წარმოშობილი.
3148. ზედმიწევნით ეშმაკები უაზროდ ალიბს იშველიებენ, მაგრამ ხშირად პატარა უგუნურებაზე ფეხს იტეხენ, რადგან არ ეგონათ თუ მოწინააღმდეგე ასეთი უსუსური და უნიათო იყო.
3149. გონება გონიერებს ეძებს.
3150. გონიერების შეცნობას ჭკუა სჭირდება, წინხედვის მეგობაიტით.
3151. აზროვნების წარმოსაჩენად სიტყვებს გალამაზება სჭირდება გონის მოხმობით.
3152. თავქარიანობა ყოველთვის საჭირო იყო და იქნება ვნების წარმოსაჩენად და პარტნიორის მოსაპოვებლად.
3153. მგზავრობას დიდხანს თავშესაფრის შენარჩუნება უჭირს.
3154. იდეალიზმს მატერიალიზმის გარეშე ცხოვრება უჭირს.
3155. გადაცდენას შეცდომის გატირაჟება არ შველის, მაგრამ არც მათი ჯიუტად დაცვაა მისასალმებელი.
3156. დღეს ინტერნეტი ჩვენი თანამგზავრი, ნაცნობია და არა – უმწიკვლო მეგობარი.

3157. ბრიყვთან ვირტუალურად საქმის დაჭერაც კი სიბრიყვეა კვადრატში.
3158. სიცილს მაშინ იყენებენ, როდესაც ყველა მცდელობამ ფიასკო განიცადა და პერსპექტივაში ყველა შანსი ამოწურულია.
3159. საკუთარი კულტურისადმი გაუცხოება, მსოფლიო კულტურაში მოწონება-ათქვეფის მიზნით, საკუთარ თავთან გაუცხოების საწინდარია, რომელიც ეროვნულ ფესვებს გვაშორებს და გაუცნობიერებლად საკუთარი კულტურის გარეშე დაგვტოვებს.
3160. შენ ვიგინდარა უძახე და მისი შექებაც გონიერთათვის საამოა.
3161. მეგობრებს შეიძლება სხვადასხვა მენტალიტეტი ჰქონდეთ, მაგრამ მიზნისკენ სწრაფვა – ერთნაირი.
3162. ცოდნა დაგროვებას მოითხოვს, მაგრამ სკლეროზი „ტეხავს“.
3163. სიამოვნებაა ის, რასაც იშვიათად განვიცდით და არა – სხვისთვის შესაშური ყოველდღიურობა.
3164. გამოუყენებელ გონიერებას ან ეშმაკები ეუფლებიან ან უკვალოდ ქრება, რაც საკუთარი დროის ღალატის ტოლფასია.
3165. ყოველივე გაუსაზრისი გაუხარებელ-გაუგებარია.
3166. აუტისტი – ინფორმირებული ყბედია, რომელმაც სიტყვით ვითომ იცის რა აკეთოს, ხოლო ფაქტობრივად უმაქნისია.
3167. კომპრომისის ენა გონიერ კაცს აფიქრებს და გულს ულბობს.
3168. დაკვირვებასაც შემართება და დაუღალავი შრომა სჭირდება.
3169. სისულელეს თუ ყურს არ ვათხოვებთ, შეუმჩნეველი დარჩება.
3170. საქმე სიტყვების კორიანტელს არ უშინდება.
3171. ქვეყანა ცარიელი გუდაა ან – პირიქით, გააჩნია, ვინ როგორ და რომელი მხრიდან შეხედავს.
3172. ზოგჯერ უხეში ძალა მოფერების სინონიმია.
3173. მეტისმეტად მოჭარბებული და უმიზნო, ცუდიც და კარგიც, უვარგისია და საშიშიც.
3174. ფაქტიურად ჩვენი სხეულის ყველა ნაწილი აზროვნებს და მეტყველებს, თუ ჩვენ მისი ენის შესწავლას შევძლებთ და მის რაობას ჩავწვდებით.
3175. სიცარიელეში სიწმინდე ვერ დაისადგურებს და არც აღიქმება.
3176. ცარიელი თავი რატომღაც ყველაზე ნაკლებად ცდილობს ცოდნით შევსებას.
3177. უმნიშვნელოდ თვალის დახუჭვა შესაძლებელია, თუ მას შანსი არ აქვს რეციდივად იქცეს.
3178. არნდომის განცდაც ზოგჯერ გონიერებაა.
3179. საკუთარ აზრებთან ჩოჩქოლი მოგვწონს, მიზანს გვისახავს და ძალას გვმატებს.

3180. ქალის და კაცის ზრახვები პირველ პაემანზე სხვადასხვაა, რადგან პირველი უკვე სიყვარულზე, ოჯახის შექმნაზე, ფიქრობს იმ დროს, როდესაც მეორეს სექსიც აკმაყოფილებს.
3181. საეჭვო გაკიცხვა ჭორს ფრთებს ასხამს და საფრენად ამზადებს.
3182. ნამოქმედარზე მეტად უმეცრებით ნათქვამი რჩება.
3183. განცდის მიხედვით მწუხარებაც და სიხარულიც ერთი რიგისაა.
3184. სისუსტის და უნიათობის „გაბაზრება“-შემჩნევა მოწინააღმდეგესაც კი არ უნდა ვაკადროთ.
3185. გონიერების ნებაყოფლობითი თვითმფლანგველობაა, ამ სამყაროს რაობის შეცნობას რომ რაღაცას ჰმატებს.
3186. მკაცრი დისციპლინით პროფესიონალიზმი მიუღწეველს აღწევს.
3187. სხვის საქმეში ცხვირის ჩასაყოფად ყველა პოტენციური დილეტანტია მოწოდებული.
3188. აფორიზმი გონებისთვის დამაფიქრებელი დიზაინია.
3189. ცოდვების არც გადამალვა შეიძლება და არც გამომზეურება, მისი წამალია ანალიზის უნარი.
3190. ყოველივე დროებითი ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი და განსჯადი იყო.
3191. ცივილიზაციის საფეხურების გააზრების შემდგომ „ანტიფაქტები“ გვრჩება, რომლებიც პროგრესის გათავხედებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას სულიერების მხრივ გვიცვლის.
3192. იმედი ჩანაფიქრის რეალიზების გარანტი არ არის.
3193. სიცილიც, ღიმილიც, დამუღამებას მოითხოვს თავის წარმოსაჩენად.
3194. ვნების სიმძლავრე დროებით ჭკუის „ღრძობაშია“.
3195. მსჯელობით ადვილია სხვათა დაინტერესება, პიარის კეთებაა ძნელი.
3196. მოთმინებასაც ზოგჯერ ძალის დემონსტრირება სჭირდება, რათა უკადრებელი არ გაკადრონ.
3197. სამწუხაროა, რომ გონიერების ფარგლებში არც წყენინება შეგვიძლია და არც – მიტევება.
3198. ყველა თავისებურად ცოდვილია, მაგრამ ამ ცოდვის საზღვრების დადგენაა ძნელი, რადგან გააჩნია გარემოს, სადაც ყოფნა გვიხდება.
3199. ცოდვილის დასჯას ისევ მისი გულწრფელი მონანიება ჯობს.
3200. საუბარს მოსმენა ამშვენებს გააბასებით და შედეგით.
3201. მტრის დამარცხება მისთვის შესატყვისი „პატივის მიგების“ შედეგადაა შესაძლებელი.

3202. ხშირად საკუთარ შეცდომებზეც ვერაფერს ვსწავლობთ, რადგან ალიყურის მჭმეველიც არავინაა.
3203. მტრის დამარცხებას ისევ მისი დაყოლიება სჯობს, იმ შემთხვევაში, როცა ის სრულ ჭკუაზეა.
3204. უზრუნველყოფის სინონიმია „მადა ჭამაში მოდის“.
3205. მტრადქცეული მეგობრის დამარცხება ძნელია, რადგან მასთან კვლავ რაღაც გაკავშირებს და ერთმანეთის რაღაც-რაღაცები ზედმეტად იცით.
3206. სიმართლე მსხვერპლთუნარინია, ჭეშმარიტება – უგუნურთუგუნურიანი.
3207. ქვის ზომას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია მასზე ფეხი არ წაიტეხო ან თავში არ მოგხვდეს.
3208. ზოგი საყიდლებზე არ უნდა გაუშვა, თვალის „ჭამის“ შედეგად იმდენ უსარგებლოს და გამოუყენებელს ყიდულობს.
3209. მიუხედავად ცოდნისა, დროსტარების შედეგის წინასწარ 100%-ით განჭვრეტა შეუძლებელია.
3210. შინაგან მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად უამრავი „ვიშ-ვიშია“ საჭირო თავის წარმოსაჩენად და „მათლაფასთან“ მისაახლოებლად.
3211. ზომიერების დაცვა სიმახინჯის დემონსტრირებასაც სჭირდება და სილამაზესაც.
3212. ბოროტება გასაქცევად მუდამ მზად არის, რადგან სამაგიერო აფრთხობს.
3213. ძნელი ასატანია ვითომ სულელი, ვითომ უმწეო, რომელიც სინამდვილეში შენს გაბრიყვება-გაბიაბრუებას ცდილობს.
3214. ენა თუ მოგიბრუნდება, ყველაფრის თქმა შეიძლება, ამიტომაცაა, რომ მას სინდისი უნდა ჰქონდეს და არა – ძვალი.
3215. სიმართლის მოსმენა ადვილია, მისი გადახარშვა და მონელებაა ძნელი.
3216. ნაკლს თუ თავის მომხიბვლელობა და შარმი აქვს, შეუმჩნეველია.
3217. გრძნობათა ჭიდილის შეცნობა მხოლოდ მისი კვადრატში აყვანით იწყება.
3218. გონივრული გადანაწილების ცოდნა, შენი ბუნების საიდუმლოებაა, ბედის მოხმობით.
3219. აუტისტი 100%-იანი სულელი არ არის, მაგრამ მაინც იდიოტების კატეგორიას მიეკუთვნება.
3220. გარყვნილება და გონების ფაქტორი დღესაც გაუგებარია, რადგან ბუნების კანონების მოშველიებას კორექტივები შეაქვს ჩვენს ცნობიერებაში.

3221. სიცილს არასერიოზულობა და არასერიოზული ხალხი არ უყვარს და არც სწყალობს.
3222. მიზანი ამრავლებს საშუალებებს, თავზე დაფიქრების გარეშე.
3223. ენის თვითმყოფადობა ბუნებრივად უნდა გამდიდრდეს და არა – ხელოვნურად, ახალი სიტყვების ყურით მოთრევით.
3224. ბოლომდე სხვადასხვა როლის განსახიერების უფლებას გაუსაზღვრისობა არ გვაძლევს.
3225. ჩლუნგი არც დანა უქნია ღმერთს, არც სახნისი და არც ადამიანი.
3226. შეფასება ნიჭის და იმის ცოდნას მოითხოვს, რის შეფასებასაც აპირებს.
3227. სამყაროს მეგაბაიტი შეზღუდულია და ამის დასაფარავად თავს ნაძალადევად იწონებს.
3228. სიტყვაც ტყვიასავით მომაკვდინებელია, გააჩნია დროს, მაყურებლის და ხასიათის შერჩევას.
3229. ზოგი აბსურდიც იმიტომ გვწამს, რომ მომხიბვლელია.
3230. სილამაზე დამცველად ჭკუის ჩაფხუტს უნდა ატარებდეს.
3231. ბუნების გათავხედებაც შეუცნობელი და პირობითია ხშირად მხოლოდ ერთი შეხედვით, თუ ჩვენს ცოდვებს არ გავიხსენებთ.
3232. სიკვდილის არ უნდა გვეშინოდეს, უბრალოდ, უნდა ვერიდებოდეთ.
3233. უმიზნოდ მე „გაქანებაც“ არ მეხალისება, ამიტომაცაა ყბედობა ჩემთვის მიუღებელი და ნერვების ამშლელი.
3234. ჩემი მიზანია კულინარიაში ნედლეულის ისე „გარყვნა“, რომ დამგემოვნებელმა მას თავი და ბოლო ვერ გაუგოს, მაგრამ მის შემადგენლობას თუ გაუგებს, ის ჩემში პატივისცემას იმსახურებს, როგორც გურმანი.
3235. შეცდომებს გონიერებაც სჩადის, მაგრამ გააჩნია შეცდომის ხარისხს და შედეგს.
3236. ბოროტებას ზოგჯერ ცნობიერებასთან შერკინება იწვევს.
3237. საკუთარი სწავლების შექმნა, ბოლომდე ბრძოლის სინონიმია, სხვა სწავლებათა გაჯეჯილების წინააღმდეგ.
3238. ღამეს დარიდება არ უყვარს, რადგან პარტნიორმა უნდა იგრძნოს ადამიანური და ხვადური მეობა.
3239. ტანსაცმლით თავის წარმოჩენა, იმ იმედის ვარიანტია, რომელიც ადამიანს თავის უცნაურობებს შეახახვისთავებინებს.
3240. მართალია, „არ ვიცი“, „ვიციზე“ უკეთ ფასობს, მაგრამ ამ უკანასკნელს დივიდენდების მოტანის შანსს უტოვებს.

3241. ცოდვილთა შორის ყოფნაც თავისებური კაიფია, თუ პირველი ხარ.

3242. კაცი, რომელიც თავის ნაწერს ვერ კითხულობს, აქვს გასამართლებელი საბუთიც და ალიბიც მრავალფეროვანი საკუთარი გამოცემები და მოზღვავებული აზრების ჩაუწერლობის შიში.

3243. პოსტულატების გაცნობიერება და მათი ამეტყველება დღევანდელ უგუნურებას, ხვალინდელი უგუნურებისაგან განსხვავებით, არ შველის.

3244. „ღირსეული დამარცხებაც“ მოსაწყენი და მიუღებელია.

3245. ნიჭია, რასაც აკეთებ, რისიც გჯერა, ხოლო თუ ეჭვი გეპარება – განათლება.

3246. ჭამის კულტურა, დღეს უფრო მაღლა დგას, ვიდრე ოდესმე, რადგან ყოველივე ხილულ შეფასებას, განსჯას, ექვემდებარება.

3247. მეხსიერებასაც თავისი შუამავალი სჭირდება სხვადასხვა საგნებთან ერთად დამახსოვრებით და წარმოდგენით.

3248. საიდან მივდივართ და „ვისი გორის“ დანატოვრები ვართ – მეტნაკლებად ეს არის განცდა.

3249. სიკვდილ-სიცოცხლესთან შეხვედრას ყველა ასაკი თავისებურად განიცდის.

3250. ამბობენ, ბოროტება ბოროტებს უბრუნდებათო, მაგრამ არაა დადგენილი, ამ თუ იმქვეყნად.

3251. აფორიზმს გონების საჭყლეტი მასშტაბები სჭირდება.

3252. მეტაფორაც თავისებური ფსიქო-თერაპიაა, რომელიც ყველა ასაკს შესატყვისად მკურნალობს.

3253. ზოგჯერ მოწინააღმდეგე მხარე გონიერებით გამოტენილი ღვეზელია, რომლის დაგემოვნებისას ყველა აღფრთოვანებას განიცდის.

3254. ვარსკვლავები იღიმებიან, იცინიან, განიცდიან, ჩვენს ცრურწმენაზე მიჯაჭვულობას, მაგრამ ხირომანტიის გავლენა ძალზე დიდია.

3255. გონიერება სხვების ჭკუიდან გადასვლასაც მშვიდად უნდა შეხვდეს, რათა თავად ფსიქიატრთან არ მოხვდეს.

3256. საქართველოს მტერი რუსეთი კი არ არის, არამედ ქართული ამბიციები და თავისი ადგილის არცოდნა ამ სამყაროში, ზომა-წონაში, ურთიერთობაში.

3257. დღეს გაფეტიშებული „ამერიკული ოცნების“ უგვანობის მიბაძვისათვის მთელი სამყარო „იხდის“.

3258. ჩემთვის ავტორიტეტი არ არსებობს, უმთავრესია პერსპექტივით მოჩალიჩე გონება.

3259. ხიბლის რეალიზაცია, წარმოსახულთან შედარებით, ყოველთვის მოიკოჭლებს.
3260. უგუნურებას, უნიჭობას, არ ერკინებიან, რადგან მათთან შერკინება „შეაყარე კედელს ცერცვის“ ტოლფასია.
3261. სიტყვიერ შეხლა-შემოხლას გაცილებით დიდი დრო მიაქვს, ვიდრე „სიმართლის“ დასადგენ მუშტიკრივს.
3262. ღვინო სხვისი გულის დანახვასაც ცდილობს.
3263. წარმოსახვითი ორეულის არა მარტო უფროსობა არ გვინდა, არამედ სახელის შერცხვენაც.
3264. გონიერების მათრახი თუ ღამის სიზმრებს გაროზგავს, შედეგიც არ დააყოვნებს.
3265. მტერს არ უნდა შევეკრათ, თავი არ უნდა მოვუხაროთ, მაგრამ მისი აზრი უნდა გავიგოთ, გავითვალისწინოთ და გავფრთხილდეთ.
3266. ირონია თავისებური ჭიდილია, ანეგდოტი ფარიკაობაა, დაცინვა კრივია თავის ნოკდაუმით და ნოკაუტით.
3267. ოქროს ნალით მორბენალი ეშმაკი არასოდეს იღლება.
3268. ანდატრას და ვირთხას, ორივეს გრძელი კუდი აქვს და ორივე თაგვის ოჯახს მიეკუთვნება, მაგრამ პირველს პიარი აქვს, ყველა მას უმესიჯებს და მასზე ოცნებობს და მისი შეძენა უნდა, რადგან საწყალ ვირთხას პატრონი არ ჰყავს რეკლამის სახით, თორემ ამ საზოგადოების შემყურეს, შესაძლოა, ყოველივე პირიქით მომხდარიყო.
3269. სიკეთე და სილამაზე თვალის შევლებას შეცნობით მოითხოვს.
3270. სილამაზე იმედის და სიამაყის სინონიმია.
3271. ბუნებრიობის შეცნობაც ნიჭს მოითხოვს, უნდა გაიაზრო რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მოვლენა, ნიჭი, ქმედება, სილამაზეს.
3272. ბიოლოგიას ყოველთვის სხვა ტიპის ღირებულებები აქვს და ეს თაობათა ცვლის შედეგია.
3273. ეშმაკობა ჩვენი ხუმრობის ხელოვნებაა, სასუსნავის გამოდნობით.
3274. შიმშილობა ნებაყოფლობითი იძულებაცაა, როცა ფსონში სილამაზე, ჯანმრთელობა და თავის მოწონება დევს.
3275. სწორი გზა მრუდე ქვეყნებში მრუდეა, რეალური მოთხოვნების მიუხედავად.
3276. ყველა აზრი აზარტულია, თუ მას ფანტაზიის საწყისი ახლავს.
3277. დაპირისპირებისათვის თავყრილობა ხშირად შემთხვევით უთაობას იწვევს, გასამრჯელოს გარეშე.

3278. წესრიგის დაცვა ათავისუფლებს კანონმდებელს, რადგან მისი ჩალიჩი კანონიერების მიმართ აღარავის სჭირდება.
3279. ოპერატიული აზროვნების კურსები გონიერების მომჭიმავი სწავლებით იწყება.
3280. ზოგი ისეთი ბუნებისაა, საკუთარ თავსაც, ინტუიციასაც, არ ენდობა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს.
3281. ძველი შეცდომების ანალიზი, ხშირად, ახალი შეცდომების გარანტიაა „კვადრატში“, „კუბში“, გააჩნია დროს და ასაკს.
3282. მახსოვრობას დამსახურება სჭირდება თავისი დავიწყება–არდავიწყებით.
3283. გულსაც გრძნობათა პარამეტრები აქვს, რომლის ამპარტავნებასაც ზოგჯერ ინფარქტამდე მივყავართ.
3284. კარგისაგან განსხვავებით, ცუდის შემჩნევა გონიერებას არ უნდა.
3285. ცუდად მოცეკვავე ქალს ცუდად მოცეკვავე მამაკაცს რომ უსაქმურად ჰკიდია, ის უშლის.
3286. ღირსებაც ზოგ მიღწევას მაშინ გვითვლის, თუ მას ჩვენი არ ესმის და არა გაეგება რა.
3287. ეშმაკის გარეშე ანგელოზი ფასს ვერასოდეს დაიდებდა და არც ვინმე გაიხსენებდა.
3288. ეშმაკს მისთვის გასაგებ სრულყოფამდე მრავალი ფუთი მარილის შეჭმა მოუწევს.
3289. რქებდამტვრეული ეშმაკი ოპოზიციაში მიიპარება, ვისთან და რისთვის, უკვე მნიშვნელობა არ აქვს.
3290. ანგელოზებად ჩაისახებიან, მაგრამ რატომღაც ეშმაკებად მაინც იბადებიან და არა – ხდებიან.
3291. განაწყენებული ანგელოზი აფექტში ყველა დემონზე უარესია.
3292. დემონის მორალს თეორიულად უარყოფენ, მაგრამ პრაქტიკულად მისი გამოყენების წინააღმდეგნი არ არიან.
3293. დარბაისლობა გონიერების ალტერნატივაა, სიყვარულისა – ალიმენტი.
3294. უძილობის „ხეირი“ ისაა, რომ ჭკუას დასვენების საშუალებას არ აძლევს.
3295. არის რაღაცა, რომელსაც მე არ გავაკეთებ, არის რაღაც, რომელსაც სხვა ვერ გააკეთებს და ჩვენს შორის სხვაობა ამ სახის ნიჭით იწყება და მთავრდება.
3296. ჯუჯა აზრები ყოფიერების მაძღრად წარმოჩენას ხელს უშლის.

3297. გოროზი აზროვნება სიყვარულისთვის ბაჟს და ყოფისათვის გადასახადს არ იხდის.
3298. ვირის მოწოდება მუშაობა არ არის, უბრალოდ, თავის გამოჩენას აძალებენ.
3299. გონიერება უგუნურებას ან ვერ ამჩნევს ან არ უნდა დაინახოს, რადგან რჩევა-დარიგებით ის არ გამოსწორდება და დაუძალებლად არ აღმოიფხვრება.
3300. სიბნელესთან შეჯახება სინათლის მადლს გვაცნობიერებინებს.
3301. მობილურ სივრცეს მომხიბვლელი და უნიკალური აზრების ცისარტყელა ახლავს.
3302. უწესრიგობა, უპირველესად, ჰარმონიის წინააღმდეგია.
3303. საქართველოს „მამლუქები“ უფრო წარმატებულნი არიან სხვა ქვეყნებში, ვიდრე თავიანთ სამშობლოში, რადგან სხვაგან ერთმანეთის საშუროდ, „საკბენად“ და ფეხის დასადებად ვერ იცლიან.
3304. ორაზროვნებით იუმორისთვის შანტაჟის მოწყობა ფილოსოფიაა თავისი სახალისო მეობით.
3305. მამლის ყივილსა და სისხლის ყივილს შორის ის მსგავსებაა, რომ ორივემ შეიძლება თავი წააგოს თუ მოთმენა გონიერებით და მოხერხებით არ შეაშველა.
3306. მშვიდობიანად მყეფარე ძაღლებისაგან ახალი ჯიშის ძაღლები გამოიყვანეს: თავისუფლებისთვის მყეფარები, უფულოზე მყეფარები, უსინდისო მყეფარები და კიდევ ამგვარი, მრავალი გამოუყენებელი უაზროდ მყეფარების ჯიში და ჯილაგი.
3307. კმაყოფილებასა და უკმაყოფილებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი დადებით შეფასებას იმსახურებს, მეორე იგივეს ოღონდ შეუფასებლად უარყოფითს.
3308. დღეს ეშმაკთან ჩალიჩიც მისაღებია, რომელიც გამორჩენის მიზნით თავის ჭკუაზე მიშვებული ჰყავთ.
3309. მონის თავაშვებულობას, ისევ მონური სიმშვიდე სჯობს.
3310. ბედს, უმთავრესად, ჩასესხება მოსწონს და არა ჩუქება.
3311. როგორ გაუმართლა წმინდა ელენეს კუნძულს, რომ აქ ნაპოლეონი გარდაიცვალა, თორემ დღეს ვის ეცოდინებოდა ატლანტიკის ოკეანეში აფრიკასთან მიგდებული ბრიტანეთის ეს კუნძული.
3312. ყველა აფორიზმში რაღაც ჩვენთვის მისაღების ნახვა შეიძლება, თუ კარგად ჩავუფიქრდებით.
3313. კუზიანს სამარე ასწორებს და არა – კუბოში ჩასვენება.
3314. მიწა ის მშობელია, რომელიც ცდილობს ცას ჩაგვაბაროს უმტკივნეულოდ და უდრტვინველად.

3315. ტროას ცხენის შეცნობას, აზროვნებასთან ერთად, თანამედროვე ეშმაკი ჭკუა და ყოფის გამოცდა სჭირდება.
3316. ებრაელი რომ არ დაჩაგრო, ეტყობა, ეს თავად ამ ხალხის წინაშეა დანაშაული: ამის მაგალითია საქართველო. საუკუნეთა მანძილზე უდრტვინველად ცხოვრობდა ებრაელი ერი ევერიაში და სამყაროსთვის ცნობილი ერთი ებრაელიც კი არ გამოერიათ.
3317. უპასუხისმგებლო ჭკუა გაცილებით უარესია, ვიდრე შეუშინებელი, ყველაფერზე წამსვლელი იდიოტი.
3318. ენას გონების ცდუნება-შეცდენა ყოველთვის შეუძლია, მიუხედავად ამ უკანასკნელის ავტორიტეტისა.
3319. ქურდმა „მამაოს“ ოქროს ჯვარიც მოპარა და ხისაც და თან სთხოვა მისთვის შეენდო. მღვდელი იძულებული გახდა შენდობის წესის და ჯვრის არქონების ნიშნად, ქურდს მისთვის მამაკაცის ღირსებაზე ემთხვია.
3320. გულთამპყრობლობა მექალთანეს ხელობაა, ის ქალს უფრო გულს უმაგრებს, ვიდრე გულს უწყალებს, რადგან რეკლამირებულ ქალების მუსუსთან ვნების გაზიარება თავისებური რეკლამა და სიამაყეა.
3321. იდიოტობიდან გენიალობამდე ერთი ნაბიჯია, თუნდაც იმიტომ რომ ანეგდოტები ზოგჯერ არც ერთს არ ესმის.
3322. გონება ცდილობს ახალი აფორიზმი აღმოაჩინოს, რათა უკვდავებასთან შეთამაშების უფლება დაიმკვიდროს.
3323. ყველა ფრთიანი სიტყვა, იუმორით ნათქვამი, გონების გამონათებას ემსახურება.
3324. ანეგდოტი ყველა დროში გონების მსუყე საკვებია, თუ ის „სიახლის ფხიანობითაა შეზავებული“.
3325. ბუნებასაც, გამონათების სახით, სტრიპტიზის ჩვენება უხდება, ზომიერების ფარგლებში და კატაკლიზმების გარეშე.
3326. შიმშილს სანელებლები არ სჭირდება მადის მოსასვლელად და ამიტომაც გამოიყურება „ტანწერწეტად“.
3327. იუმორი მხატვრულ საწყისზე აგებული სისულელეების სასიამოვნო კონსტრუქციაა.
3328. გრძნობებს ფაქტების შეცვლა არ შეუძლიათ, მაგრამ გარკვეულ შემოქმედებას ახერხებენ.
3329. სიცრუის თქმის სურვილი ის აცრაა, რომელიც ყოფის „უსამართლობისგან“ გიცავს.
3330. კრივს სხეულის ორი ნაწილი აინტერესებს მოწინააღმდეგის ყბა ნოკაუტით და ნიკაპი-აპერკოტით.

3331. მაკიაჟით მორთულს სახეში ყურება არ მოსწონს.
3332. უხმაუროდ ნახმარსა და უხმარად „ნახმარს“ შორის სხვაობა დიდია.
3333. სწავლა სიბერემდე და არა სიბერეში, უკვე დაგვიანებულია და სათანადოდ გამოყენება ჭირს.
3334. კრივი საკუთარი ჩრდილთან შერკინებაა, მოწინააღმდეგის დანოკაუტებით.
3335. აფორიზმი მოკლე რომანია, აზროვნების ალგებრაა, გეომეტრიული ალიბია, აზრთა პირუეტია, მკურნალი ვექილია, მწარე წამალია და რაც მთავარია, სულის ფილოსოფიაა, რომელიც გათავისების შედეგად სიამოვნებას განგაცდევინებს.
3336. დღეს რუსეთში მუშა კვებავს გლეხს ნავთობის და გაზის რეალიზაციით, ისეთ დაბალ დონეზეა სახელმწიფოებრიობა.
3337. დილეტანტს ოცნებით უნდა იმის მიღება, რაც სხვამ ოფლით და გონებაზე წიხლის დაჭერით მოიპოვა.
3338. უდროოდ სიკვდილის მიზეზი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ექიმთან მკურნალობის შედეგიც იყოს.
3339. ენა ზოგჯერ გონებაზე მეტად ქმედითია, რადგან უძვლოა და საყრდენს არ ეძებს.
3340. წარსულის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ მაკიაჟი და დიზაინის გადაკეთება შესაძლებელია.
3341. მოჭარბებული ვნება რწმენის და რიდის საშუალებას არ ტოვებს.
3342. სიდედრმა სიძეს ისე მწარედ არ უნდა აწყენინოს, რომ ამ უკანასკნელმა ბანკი გაქურდოს და თითის ანაბეჭდი სიდედრისა დატოვოს.
3343. ჭკუას შიგადაშიგ დასუფთავებაც და მოწესრიგებაც სჭირდება ოპონირებით და შეცდომების გამოსწორებით.
3344. ვერიდოთ იმათ, ვინც უსამართლო ტკივილი გამოსცადა, შეიძლება შურისძიების ხასიათზე დადგეს და ჯავრი ჩვენზე იყაროს.
3345. გურმანისთვის მთავარია მხედველობა, ყნოსვა, დაგემოვნება, შემდგომ მოდის შეფასების უნარი განსჯით.
3346. მუცელს ვნების და გონებისა არ ესმის, თუ ამოყორვა მოუნდა.
3347. ხანდახან ცხენსაც თავის მეწყვილე ენატრება, იმისდამიუხედავად, მოსწონს ამ ეტლის თრევა თუ არა.
3348. ეშმაკსაც თავისივე ეშმაკობა აწვალებს, თუ თავის მოძმე ტარტაროზი შეუჩნდა.
3349. ყველა დავის და კამათის წამალი გულიანი სიცილია, სიტყვამზეობით და მახვილგონიერებით.
3350. ყოფიერებას ფერწერის დიდი ნიჭი გააჩნია, მთავარია, ვის როგორ გაუმართლებს.

3351. ყველაზე დიდი უსამართლობა მოაზროვნის უდროოდ გარდაცვალებაა.
3352. უნიკალური სისულელის ჩადენა ამ სისულელის სისულელედ აღიარებას ეჭვქვეშ აყენებს და გაოცებას იწვევს.
3353. აფორიზმის ფორმულა: სიტყვების მინიმუმი, აზროვნების მაქსიმუმი და ორაზროვანი სანელებლებით შეკმაზვა.
3354. დღეს „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ დიქტატურული აღზრდის ლაიტმოტივია, რადგან დემოკრატიის და თავისუფლების პირობებში ეს აფორიზმი არ მუშაობს, რადგან დაფიქრების საშუალებას იძლევა და სიკვდილი, თუ ვინმემ არ წაგაქეზა, მაინც ძნელია.
3355. სატანაც ჩვენთვის გაუგებარი იუმორით ცხოვრობს და ხალისობს.
3356. ლაკონური, დამთავრებული, სიტყვებში გამოხატული, კონცენტრირებული და ტირაჟირებული აზრების ალგებრა აფორიზმია, რომელიც გონიერთათვის მისაწვდომი და გასაგებია.
3357. აფორიზმებს დამოუკიდებლად ყოველთვის ქმნიდნენ გამოჩენილი თავები და მსოფლიო პოლიტიკის ცვალებადობა მასზე ვერასოდეს მბრძანებლობდა.
3358. აფორიზმი ხშირად იმ ვექილის როლს ასრულებს, რომელიც მოსარჩელეს და მოპასუხეს მწარე აზრიანი სიტყვებით შეურაცხყოფის გარეშე მკურნალობს, ურთიერთმორიგების პერსპექტივით.
3359. ყოველდღიურობის რუდუნიზმისაგან განსხვავებით, ფილოსოფიის ბაზისი ტრაგედია, იუმორი და ყოფის მრავალფეროვნებისკენ მისწრაფებაა.
3360. ინსტინქტი, ინტუიციას იშვიათად ეპუება და უმთავრესად ალღოს მცდელობით მოქმედებს.
3361. სასურველია ვიცოდეთ რა მოსწონს ჩვენს მოწინააღმდეგე-მოქიშპეს, რათა გონიერებით, ეშმაკობით, მისი მოღორება შევძლოთ.
3362. არის ერთგულ ექიმთა კატეგორია, რომელიც თავის ყველა ავადმყოფს იმქვეყნად ისტუმრებს, რათა იქაც თავისი პაციენტები ჰყავდეს და უმუშევარი არ დარჩეს.
3363. ცხოვრებაში მიზნის მისაღწევად, გვინდა – არ გვინდა, ხმლის ქნევა მაინც გვიხდება.
3364. ზოგჯერ გარემო აუტისტთა (ნასწავლი იდიოტების) ყბედობით უფრო ნაგვიანდება, ვიდრე უადგილო ადგილზე ნაგვის გადაყრით.
3365. ზოგი ფიზკულტურის და დიეტის დახმარებით იმქვეყნად უდროოდ მიდის, ოღონდ იდეალური ფორმით და გამოჯანმრთელების იმედით.

3366. აფორიზმი არის გონიერების ნაღები, ცხოვრების გზის მაჩვენებელი, ოცნების მამოძრავებელი, წინააღმდეგობის დამძლევი, ხელის გამართვის ჯადოსნური კვერთხი.
3367. ეშმაკობა უდიდესი გონიერებაა, თუ ინტელექტს თვითგანათლებით იმაღლებს.
3368. ნაპერწკლის გაჩენას ყველგან და ყოველთვის უნდა ვერიდოთ, რადგან ხანძარი მოსდევს.
3369. წაგებული ყოველთვის მოგებულია, ნადავლია, რა ხასიათიც უნდა წარმოჩნდეს და რა ალიბიც უნდა მოირგოს.
3370. ტვინს ცენზორი არ ჰყავს ად არც საჭიროებს, მთავარია ენაზე კბილის დაჭერის ცოდნა.
3371. გონიერება უგუნურებისგან ვერავითარ ხეირს ვერ ისწავლის, რაც უნდა ამ უკანასკნელის აზრები გადაიხარშოს, გადაწუროს, დააღვინოს.
3372. დანაშაულით ჩადენილი საწყისია საქმიანობა, რაც უნდა ვალამაზოთ, სიკეთე ვაკეთებინოთ, მუდამ ამ საწყისის შელამაზება-მიფუჩეჩებაში ვიქნებით.
3373. ჩემთვის მთავარია წარმატების აღმოჩენა, ვიდრე სიტუაციის ფლობა.
3374. ხშირად მიფიქრია, რამდენ „გემრიელ“ ქალს გაუვლია ჩემ ხელში, ხომ შეიძლებოდა მათთან შვილები მყოლოდა და რა ბედნიერება იქნებოდა, დღეს ის გაუთხოვარი და უშვილო ქალები და მეც როგორ ამ შვილების მამა, მაგრამ ყველაფერში „ტრადიციებია დამნაშავე და აღზრდა“. შედეგად ერი მცირდება და თავის მეობის შენარჩუნება უჭირს.
3375. გრძნობები არც განსჯას ექვემდებარება და არც ანალიზს, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ესეც განუსჯელია.
3376. მჭერმეტყველება, გონების მიყოლების გარეშე, ვაჭრობის ტოლფასია.
3377. ზოგჯერ კუჭის დამოძღვრაზე ძნელი არაფერია, განსაკუთრებით, თუ გურმანი ხარ და ჭამა გიყვარს.
3378. მეტყევის „ღაღადი“, გონების მოხმობით, ბუნების სულის და ხორცის შეცნობის მცდელობაა.
3379. თვალების ახელა-დახუჭვა გონიერების დამუღამებაზეა დამოკიდებული.
3380. სიმდიდრე და სიბრძნე ერთმანეთს ხშირად ვერ უგებენ.
3381. ჰორიზონტზე, გამოჩენილი „ჰორმონების“ ჰარმონიის ჯამის გათავისება, წყვილს უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს.

3382. სექსი მომხიბვლელობის საიდუმლოებიდან მოპარული იარაღია, რომელსაც უპირობოდ ვემორჩილებით.
3383. ჭკვიანი ცოდნის გადაფასებაზე დროს არ ჰკარგავს, ის მხოლოდ იძენს.
3384. თანასწორობასაც თავისი მასშტაბები აქვს, იმქვეყნიურ წარმოდგენათა რაობით.
3385. მდედრი და მამრი ამ სამყაროს მშვენებაა თავისი მუდმივი გაუგებრობით.
3386. ეშმაკი სახეიროს ისეთს არაფერს გვირჩევს, რომ ჩვენი მეობის რაღაც მონაკვეთს არ ავნოს.
3387. ხშირად ენას არც უფალი აკონტროლებს და არც ტვინი, იმდენად თავნება და თვითნაბადია.
3388. სამყარო იმაზე უკეთესია, ვიდრე გვეჩვენება და სინამდვილეშია.
3389. ზოგი ნაძალადევი ნაგებობა ქალაქს შეურაცხყოფს, ზოგიც – ბუნებას.
3390. ბუნებას ცუდი სქესი არ აქვს და მისი გადაცდენა განსჯას არ ექვემდებარება.
3391. საკუთარი შეცდომების შემჩნევა უფრო ძნელია, ვიდრე სხვისის გაფეტიშებით.
3392. ნანახს თავის გამოდებას სიზმრის ამხსნელ თანამეინახეთა შერჩევა სჭირდება.
3393. გიგანტის გადაცდენები შეუმჩნეველია, განსაკუთრებით, მისი სიკვდილის შემდგომ.
3394. ბუნებით დამპალი აზროვნება შეხებას ვერ იტანს.
3395. დღევანდელობის გადასახედიდან დემოკრატიის სოციალიზმთან სავაჭრო კონკურენცია – ონანიზმია.
3396. ცეცხლის წყალში დანთებაც შესაძლებელია გააჩნია თანამედროვე ალქიმიკოსების ჯადოქრობის ნიჭს.
3397. ყველანი საკუთარი ბედის ტორეადორები ვართ, იმისდამიუხედავად, ხარი გვერჩის, თუ ჩვენ ვერჩით.
3398. უმადურობა და მადლიერება შეუთავსებელია, პირველზე თანგადაყოლის მიუხედავად.
3399. იმედი ადრე დარგულ ხეს მოგვაგონებს, სურვილი – ახლად დამყნილს.
3400. იმედი ის კაიფია, რომელთანაც სურვილის აღსრულების სიამოვნება ახლოსაც ვერ მივა.
3401. საწყისია ყოველივეს საძირკველი, ყველა სიმაღლის ამღები და დამპყრობი.

3402. აზროვნებას თავისი კაიფი ახლავს, თუ ჭკუის ნახლაფორთალია და ლამაზი დიზაინიც ახლავს.
3403. ადამიანსა და პირუტყვს შორის ის სხვაობაა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით მეტია და თავზე იმაზე მეტს არ იღებს რაც შეუძლია.
3404. პირველ რიგში მე ფილოსოფოსი ვარ და შემდგომ – ქვეყნის მოქალაქე.
3405. აფორიზმის უმთავრესი დანიშნულებაა ჭკუის უჯრედის გამოღვიძება.
3406. ბედის შემსუბუქებას ცხოველიც და ადამიანიც თავისი გადასახედიდან საჭიროებს.
3407. მტრის წარუმატებლობა უნდა გვიხაროდეს და არა – მისი დამარცხება, რათა არ მოვდუნდეთ და მისი შეცდომები ჩვენც არ გადმოგვედოს.
3408. ცოდვილთა შენდობა ჩვენი სიცოცხლის ფასად ყოველთვის არ ღირს, ვერც გაგვიგებენ და არც დაგვიფასებენ.
3409. დედაზე მეტად შვილი არავის უყვარს, მათ შორის, მის შვილიშვილზე შებერებულ რძალსაც.
3410. სისულელის თქმა ცოდვა არ არის, მაგრამ მისი სიჭკვიანედ აღქმაა სისულელე.
3411. ყველა ჩადენილი ცოდვა განცდებს იწვევს, მაგრამ მაინც თავისი გეგმით მისივე გადასახედიდან.
3412. უგუნურს ჯობს ახლო არ გაეკარო, მოგებული დარჩები.
3413. საკუთარი ნების ძალადობა გონიერებისთვის ძნელი ასატანია.
3414. სიბინძურეს თუ კარგად გავქექავთ, შეიძლება მასში სისუფთავის საწყისიც აღმოვაჩინოთ, გააჩნია, რა ხასიათზე ვართ.
3415. ძალად „ტრაკაწეული“ არც ხელისუფლება უქნია ღმერთს, არც ხალხი და არც ქვეყანა.
3416. ფეხის ხმას აყოლილი უნიჭო ინტერესიანობის მაჩვენებელია.
3417. აფორიზმების შეცნობას აფორისტული ნიჭი თუ არა, გონებაგახსნილობა მაინც სჭირდება.
3418. ფრენის სურვილ-უნარი ბედნიერების სინონიმია.
3419. მტრის შესაძლებლობებს პატივს უნდა ვცემდეთ, მაგრამ არ უნდა გვძულდეს, რადგან გვაფხიზლებს და მისგან რაღაცას ვსწავლობთ.
3420. ძაღლი ჯეელობის გამოუცდელობას უყეფს და არა – ასაკის გამოცდილებას.
3421. ზოგჯერ ენა აზროვნებას უსწრებს, მაგრამ არა – ადამიანის ბუნებას.

3422. მტრების შეყვარებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მათგან რომ ბევრი გამოსადეგის სწავლა შეიძლება, ეს უდაოა.
3423. სხვათა კარგ ჩვევებზე ამოფარება არც ისე ადვილია, რადგან შენი არ არის.
3424. დიდ იმპერიას დიდი ხერხემალიც აქვს, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო ადვილად განიცდის დეფორმირებას, ვიდრე პატარა იმპერიები.
3425. სწავლა სერიოზულობის განხრით იძლევა შედეგს.
3426. სწავლების ობიექტი ბევრია, მაგრამ მის ხარისხს მაინც ჩვენი მენტალიტეტი წყვეტს.
3427. სიმამაცეს მიმბაძველი ჰყავს ცოტა, რადგან მამაცებად იბადებიან.
3428. პრინციპებსაც თავის აშვების უფლება არ უნდა მივცეთ, ცუდად მთავრდება.
3429. გონიერებაში „გაჩითული“ მეგობრობაც კი მსხვერპლს მოითხოვს.
3430. მტერთან ყაიმით არ კმაყოფილდებიან, უბრალოდ ორივენი დაიღალნენ და დროს ურჩევენ ერთმანეთს.
3431. შედეგისთვის გათვლილ საუბარზე ძნელი არაფერია – კონკრეტულობა ბატონობს.
3432. პატარებიც, მათდაუნებლიედ, საკუთარ „მეს“ აყოყლოჩინებენ.
3433. გონებამახვილობა სიკეთეს უნდა თესავდეს და სიამოვნებას გვანიჭებდეს.
3434. ბოროტებას მსხვერპლად ისევ ბოროტება იზიდავს და თავის გემოზე „ახრამუნებს“.
3435. ბოროტებას ხანდახან ურთიერთობა უჭირს და ეს მისი გამჟღავნების პირველი „სიმპტომია“.
3436. ოჯახში გაუგებრობა, აყალ-მაყალი, უფრო თანდაყოლილი უნიჭობის ბრალია, ვიდრე ბედის.
3437. გმირის ქანდაკებას მისი რაობა ამშვენებს და შემდგომ მოქანდაკის ნაღვაწი.
3438. წინხედვა წინასწარმეტყველების ბიძაშვილ-მამიდაშვილია.
3439. ბუნება არ იტყუება, ის თავის ავ-კარგს საჯაროდ და უდრტვინველად აკეთებს.
3440. სიცილით მრავალი დაავადების განკურნება და მრავალი ჯანმრთელი გულის მოპოვება შეიძლება.
3441. შენდობას ის არ ითხოვს, ვისაც ამქვეყნად ცოტა ხნით მაინც უნდა დარჩენა.

3442. ოჯახის ყოველდღიური გაუგებრობის ქვაბი დიდხანს თუხთუხ-ებს, მაგრამ როდის ამოხეთქავს, ვის იმსხვერპლებს, გაუფრთხილე-ბლობის შედეგად, არავინ უწყის.
3443. სისულელე, მოხერხებით ჩადენილი, გონიერებაზე პრეტენზიას აცხადებს.
3444. თუ ჩვენს ნახლაფორთალ აზრს ემთხვევა ე.ი. „ჭკვიანია“.
3445. სწავლული სტატუსია და არა იმის ცოდნა, რაც ჩვენ გვჭირდება.
3446. ორაზროვანი ხუმრობა აზრს კარგავს თუ მის განსჯა-ოპონირე-ბას დავიწყებთ.
3447. ცოლის ბრძნული გამონათქვამი, მოთხოვნით, ქმრის ნერვების მოშლის საშუალებაა.
3448. ჭამა-სმის ოდენობით ძალის აღდგენაც შეიძლება და ხორცის და-თრგუნვაც – გააჩნია მადას.
3449. სექსი პოეზიაა, ვნების სიყვარულში არევით და ურთიერთშერწ-ყმით.
3450. ბოროტებიდან სიკეთე ვერ აღზევდება.
3451. ანგარიში ანგარება კი არა, უკეთილშობილესი საქმეა, ყველა სადაოს თავის ადგილს მიუჩენს.
3452. დაუგეგმავი „მარცხენა“ სექსში, ვნების მოყერჭებასაც შველის, ცოლს ახლებური ვნებით აღიქვამ და ოჯახსაც ამაგრებ.
3453. ყოველივე გადაჭარბებულს მისთვის გაუცნობიერებელი კაურები ახასიათებს.
3454. სიცარიელეს რაც უნდა გონებით, მონდომებით, ეჩალიჩო, მაინც სიაცრიელედ რჩება.
3455. ბრიყვს ყურში ნურაფერს ეტყვი, შეიძლება „რუპორად“ წარ-მოიდგინოს.
3456. დაძალებით სწავლებას მოწოდებით სწავლება ჯობს.
3457. უმთავრესია ჰორმონებმა გაუგონ ერთმანეთს და აქ წყვილის გე-მოვნება არაფერ შუაშია.
3458. მინიშნებით შურისძიება იმაზე მიუთითებს, რომ შურისმაძიებელს „შეურაცხადად“ მოექცნენ.
3459. ზოგჯერ საქმის კეთებისას ინტუიციაა უმთავრესი და არა – ჭკუა.
3460. ძნელია იმ გვარს, დაბას, ქალაქს, პატივი მიაგო, რომლებსაც არც ერთი თავის წარმომადგენელი არ ჰყავს ენციკლოპედიაში დაფიქ-სირებული.
3461. ხშირად ყველაფერზე კვერის დამკვრელი მაშინაც მოგვწონს, როდესაც შეუმჩნეველად დაგვცინის.

3462. ყველა ხუმრობას თავისი საწყისი უნდა ჰქონდეს მომხიბვლელობით და ორაზროვანი ფინალით.
3463. ბრიყვი ქმრები მუქთახორა ცოლებს მხოლოდ მატერიალიზმით „იმორჩილებენ“.
3464. სიმახინჯესაც ზოგჯერ ის მახასიათებლები აქვს, რომელიც თავს გვაწონებს.
3465. ქვას და ყვავილს სიცოცხლის ხანგრძლივობის სხვა და სხვა პარამეტრები აქვთ, ერთს – პასიური და ხანგრძლივი, მეორეს – აქტიური და მოკლე.
3466. ძალას სიცრუე არ სჭირდება, ის პირდაპირიცაა და შეუდრეკელიც.
3467. საკუთარ ხალხზე ბორკილების დადება, დაცინვის უფლებით, ერთეულთა ხვედრია.
3468. თავის წარმოსაჩენად ჭკუას მცირე ინფორმაციაც ყოფნის.
3469. დიპლომატია შენიღბული პატრიოტიზმია.
3470. ზოგჯერ ხოხვას გაქცევად გითვლიან და სირბილით თავს აღარ იწუხებ.
3471. შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონს ბუნებაც ემორჩილება, განგების ნებაც და ადამიანის გადატრიალებული ჭკუა-გონებაც.
3472. სათნოების მოპოვებაც გარჯას მოითხოვს, თავის გამოდებით.
3473. რატომღაც სიმპათიური უცნობი ჩვენზე წესიერი გვგონია და ესაა უცხო ადამიანთან დაახლოების ერთ-ერთი მიზეზი.
3474. საუბარი მსმენელის გარეშე შეუძლებელია.
3475. მოურიგებელი და გაჭიანურებული დავა მხარეთა სისუსტეზე მიუთითებს.
3476. სუფრა, კარგი თამადობით, ზოგჯერ წიგნის, ტელევიზორის და ინტერნეტის სასიამოვნო ალტერნატივაა.
3477. ჩვენმა მტრებმა ჩვენი სუსტი მხარე ზოგჯერ ჩვენს მეგობრებზე და ჩვენზე მეტად იციან.
3478. სიტყვა ძალაუფლებას არ ნიშნავს და მოსმენა – მონობას, მთავარია, ურთიერთობა საქმის საკეთებლად.
3479. საუბარი სიტყვათა ცეკვაა საინტერესო საკითხის გარშემო, რომელიც მსმენელში ოვაციას უნდა იწვევდეს.
3480. წერა თუ არ გეხერხება, აზრი ისე უნდა გადმოსცე, რომ ოპონენტი შეიცოდო.
3481. ყველას საკუთარ ჭკუაში მომწიფებული ზრუნვა მოსწონს და გაფეტიშებას ცდილობს.

3482. სილამაზე განყენებულია, ის არავის აზრს, გემოვნებას, შეხედულებას, არ ექვემდებარება.
3483. ყველა ეტაპი შედეგის მომტანი უნდა იყოს, რათა ჩვენმა ცნობიერებამ კაიფი განიცადოს.
3484. ყბედობა სხვათა ნაკლოვანებების წარმოჩენაზეა აგებული.
3485. ბრძნული აზრების კითხვა-გაცნობიერება წესად უნდა გავიხადოთ და გონების ნარკოტიკიც ესაა.
3486. აფორიზმების კრებული არა მარტო შემოქმედი ხალხისთვის განკუთვნილი, ჭკუის საღრძობ-გამოსაყენებელი, ლექსიკონია.
3487. სხვის ბაღნარში საქმეც აწყობილია და „ყვავილებიც“ მოვლილია, მაგრამ მიზეზის დადგენას არავინ ცდილობს.
3488. გონებამახვილობის აზრზე მომყვანი დასამახსოვრებელი იუმორია.
3489. გაშინაურებული უცნობის გაშიფვრა გაცილებით ადვილია.
3490. „ვიცი, ვიცი“ მეტ შეცდომას უშვებს, ვიდრე „არ ვიცი“ გადამოწმებით.
3491. „ზოგიერთი“ ყოველთვის კერძოსთან და პირველთან კავშირშია.
3492. ამაღლებული ყველაფერი კარგია, მაგრამ კისრის ზედმეტად დაგრძელება მავნებელია.
3493. ძლიერება ძალის რეგულირებას გულისხმობს და არა – მისი შესაძლებლობის დადგენას.
3494. თავად საფრთხე გვაფრთხილებს და არა საფრთხეში მოხვედრა, რადგან გამოსავალს ვეძებთ და აქ განსჯის დრო არ არის.
3495. ოთახის გაფართოების საკითხს ხასიათი წყვეტს და არა – კვადრატული მეტრები.
3496. ჭკუის დასარიგებელ მაგალითებს შერჩევა უნდა, რათა მან თქვენი მცდელობის საწინააღმდეგო აზრი არ დაბადოს
3497. სიცარიელესაც უნდა მისთვის უცნობი შეიკედლოს, რათა რაღაც სასარგებლო ამრავლოს.
3498. სიტყვებიც ძველდება, ფრაზებისაგან განსხვავებით, რადგან ამ უკანასკნელს ყოველთვის ახლავს თანამედროვეობისთვის გასაშიფრავი კოდი.
3499. ზოგჯერ მოსმენას უფრო მეტი ნიჭი სჭირდება, ვიდრე – ლაქლაქს.
3500. შეცოდების რეციდივიდან არავინაა დაზღვეული, მათ შორის, გონიერებაშიც.
3501. სიკვდილის აღქმა ტანჯვა-წამების პარამეტრების შეცნობაზე ხელს გვაღებინებს.

3502. კარგზე უკეთესის შექმნაც შეიძლება, მაგრამ კარგს ჩრდილს ვერ მოაყენებს.
3503. ზოგისთვის გაჭირვება თვითდამკვიდრების საშუალებაა, როდესაც უკანდასახევი ყველა გზა მოჭრილი აქვს.
3504. ჩვენს ნაკლს სხვა უკეთ ამჩნევს, ტენდენციურობის მიუხედავად.
3505. შინაურსა და გარეულ ღორს შორის ის სხვაობაა, რომ ეს უკანასკნელი ნადირობის ხასიათზე გვაყენებს.
3506. ყველა ბიბლიოთეკა სამყაროს წმინდანების აკროპოლისია, რომელთა უმეტესობა გონიერებას ეთაყვანება.
3507. სინანული, ჩვენდაუნებლიედ, „ყვერებზე ფეხის დაბიჯებით იწყება“.
3508. ალჰოკოლი სულის საცდუნებელი, მშველელი, დავაადებაა და ადამიანის უცნაური ბუნების გამოცანაა.
3509. ნიღბის აკვრა ზოგჯერ ხილის გაწვნის შეთავსებაა.
3510. ბუნებას უყვარს „ჭუის სწავლება“ გადამლაშებისათვის და უგუნურებისთვის.
3511. ორიგინალობას სრულყოფისკენ მსიწრაფება სჭირდება.
3512. ბედის მეტისმეტ გულახდილობას მომჭირნეობა უხდება გონის მოხმობით.
3513. სინდისის ქეჯნის ალიბის უქონლობა, ყველაზე დიდი გაუგებრობაა.
3514. სულს გააზრებით, თავის მოთოკვით, მკურნალობა უხდება, სხეულს – მდედრის მოწადინება-მონადირება.
3515. აფორიზმი მწერლის ნაწარმოებიდან ამოღებული დაუვიწყარი ფრაზებია, რითაც ის ორმაგად ფასობს.
3516. ბრმის შეყვარება-შეძულებას ხშირად გონიერება ეთანხმება და ოპონირებას ვერ უწევს.
3517. ყველაზე გამანადგურებელ დარტყმას, ჩვენივე „ხარაკირის“ შემდგომ, დედაბუნება გვიწყობს.
3518. ეპილოგი უფრო საინტერესოა, ვიდრე პროლოგი, რადგან ამ უკანასკნელს ხშირად ჩვენთვის მოულოდნელი ვითარება ახლავს.
3519. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემი წიგნები ხტუნვა-ხტუნვით არ იკითხება, მას მომზადებული და ერთგული მკითხველი სჭირდება.
3520. ანგელოზი და სატანა ერთად არ იღვიძებენ და ვერც ერთად ახერხებენ საქმის კეთებას, არა და ბევრი სასარგებლოს შექმნა შეეძლოთ.

3521. აბსტრაქტული აზროვნების კვლევას დღეს ყველა სფეროში ცდილობენ და ზოგჯერ წარმატებასაც აღწევენ.
3522. ფეხმოკლე სიამოვნებამ სწრაფი დაკოჭლება იცის.
3523. საშინელებაა ის, რაც ჩვენი ცნობიერებისთვის მიუღებელია კვადრატში, კუბში.
3524. მღვრიე ყველაფერი ცუდი არ არის, თუ მას მჩქეფარებაც ახლავს და იმედია დაწმენდისა, მაგალითად, მთის მდინარე.
3525. პერსპექტიული და დაღვინებული ძის ყოლა ყველა მშობლისთვის იმედის მომცემი ბედნიერებაა.
3526. ცოდვაც მოკვდავია და ისიც დასაფლავებას ითხოვს.
3527. სიბრიყვის გამოჭერა მახვილგონიერების დღესასწაულია.
3528. ყველა ბოროტება თავის წილ ქენჯნას უნდა განიცდიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორფეხა ცხოველთან გვექნება საქმე.
3529. ჭკუა არენდით არ გაიცემა, ის თანდათანობით უნდა გასხვისდეს.
3530. შეცდომების ჩადენის და გამოსწორების პროფილაქტიკა, როგორც საგანი, სკოლებში უნდა ისწავლებოდეს.
3531. ჭეშმარიტი აფორიზმი ისაა, როდესაც გაცნობიერების შემდგომ, ახალი აფორიზმი არ იბადება.
3532. გატეხილი არასოდეს ისე არ გამრთელდება, რომ ნაჭრილობევი არ დაიმჩნიოს.
3533. სიცოცხლის მჩქეფარება გვამების გაქსუებას უნდა მოერიდოს, რათა ერი გადარჩეს, ფუნქცია არ დაკარგოს.
3534. მოტყუებული ყოველთვის ბრიყვია, რა ალიბიც უნდა მოიშველიოს.
3535. გაისმა, გახმიანდას, გაიჟღერა იმით სჯობს, რომ უფრო იდუმალია, საკაიფოა, ამბიციურია.
3536. დიალექტიკა მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ რაოდენობრივი გადადის თვისობრივში. თუ სიმახინჯეებს შევკრებთ და თვალს შევაჩვევთ, რომელიმე მათგანი ლამაზადაც მოგვეჩვენება და დღეს მიუღებელი ხვალ მისაღები იქნება.
3537. შავი ფერი ზოგჯერ მომხიბვლელია, მაგრამ საშიში, ამიტომ მის გაფეტიშებას უნდა ვერიდოთ.
3538. სხეულის ვარჯიში ტვინის დაძალების შედეგია.
3539. აფორიზმის გაგებას ერუდიცია სჭირდება, ანეგდოტისას – იუმორის გრძნობა.
3540. სინამდვილეც ამ ყოფის ამაოებისთვის იღვწის.

3541. მოჭარბებული არც კახური ღვინო უქნია ღმერთს და არც – იმერული, თუ ერთი ჭკუას ძირავს, მეორე მუცელს გიბერავს და შედეგად ორივე ნათრობზე გამოსვლას გთხოვს.

3542. ჭკუა საუკეთესო საქონელია, მაგრამ არა – შერყვნილ-შერყეულ-გადახარშული.

3543. ყველაზე ძნელი ზოგჯერ საკუთარი შვილის სასიკეთოდ შეცნობაა.

3544. აზრის შეცვლაზე ადვილი ისევ საწინააღმდეგო აზრის დაყადაღება მოსახერხებელი.

3545. აზროვნება ამოძრავებს სამყაროს სასიკეთოდ, თუ – პირიქით, არავინ უწყის.

3546. საქმის გამოძიებისას არის ძაფი, არის სქელი ბაწარი. მთავარია, ვის რა აინტერესებს, რის დანახვა თუ მიჩქმალვა უნდა.

3547. სამყაროს მომავალზე ჭკუის უნაყოფო ჭყლეტას უნდა შევეშვათ, რადგან მილიონი წლების შემდგომ რა მოხდება, ჩვენი გამოსაცნობი არ არის.

3548. სიკვდილი შეიძლება იყოს ღირსეული ან სამარცხვინო, მაგრამ არა მშვენიერი და ლამაზი.

3549. ხუმრობა გონიერების ყველაზე დიდი დასაყრდენია, რათა ჩვენს ბედს ძაღლმა არ დაჰყეფოს.

3550. ყველაზე საუკეთესო იარაღი ქვეყნების დასაპყრობად მათი მოსახლეობის „ფსიქოტრონებით“ ზომბირებაა.

3551. რუსეთ-საქართველოს ევრო-აზიის მიჯნაზე ყოფნა არ აძლევს „საშუალებას“ სინამდვილეში რომელ კულტურას მიეკედლოს გამორჩენით.

3552. მე იმ დონის შემოქმედი ვარ, რომელსაც ყბედობა არ შეუძლია და მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მრევლი სჭირდება.

3553. სიმაღლიდან გალავნის კენჭებს არ ისვრიან, რადგან ეს მას საბოლოოდ დაანგრევს.

3554. ხშირად აწმყოს წარსულიც ფეხებზე ჰკიდია და მომავლის პერსპექტივაც, მთავარია დღეს იყოს კარგად და გამძღარი.

3555. გაფურჩქვნილ ყვავილს თუ კარგად დავაკვირდებით, თავისებურად და დასამახსოვრებლად იღიმება.

3556. ჩემთვის რომ 65 წლის ასაკში ქვეყნის პრეზიდენტობა შემოეთავაზებინათ, არ დავთანხმდებოდი, ხოლო 35 წლისა მზად ვერ ვიქნებოდი, ისეთი ხელისუფალი ვყოფილვიყავი, როგორიც დღეს წარმომიდგენია.

3557. „გიყვარდეს შენი მტერი“ ოღონდ „სისხლი სისხლის წილის“ დაუვიწყებლად.
3558. ყველა ეთნოსი პოულობს სხვაზე მაღლა თავის დაყენების და არა მცდელობით წარმოჩენის მიზეზს.
3559. მზის მოხატვასაც გემოვნება სჭირდება.
3560. სამყაროში ვარსკვლავის აფეთქება მის ახალ სიცოცხლეს იწვევს. ღმერთმა ნუ ქნას, ამ სამყაროს დედამიწა ვარსკვლავად მოეჩვენოს.
3561. სამყარო უტყვია, მაგრამ საქმით ყველაზე მეტყველი და თუ დასჭირდა, ავის მქნელია.
3562. ყველა სიცარიელე სიბილწის მატარებელია.
3563. სიჩუმეს, სიწყნარეს და მდუმარების შენარჩუნებას წინდახედული გონიერებაც ვერ უძლებს.
3564. მზის დაბნელების აღქმას სულის ფორიაქი და გონიერების ჭიდილი უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება შეუმჩნეველიც დარჩეს.
3565. დედამიწამ შიგადაშიგ რომ გაგვიხსენოს, თავის ბევრ რაღაც უცნაურს და ჩვენთვის უცნობს დროთა განმავლობაში მოიმოქმედებს.
3566. სექსი შეიძლება იყოს მოვალეობის მოხდით, დაძალებით, დაფინანსებით, გაპიარებით, ამაღლებულიც, მაგრამ შედეგად რა მეგაბაიტის პირმშოს მოუვლინებენ ამ ქვეყანას, არავინ უწყის.
3567. თავისუფლება და თავისუფლობა სინონიმებად ვერ გამოდგებიან, რადგან ამ უკანასკნელს ყოფის მუხრუჭები აშვებული აქვს.
3568. სიყვარულიც, მიბაძვაც, ჯანმრთელობაც, გადამდებია, რადგან კეთილთვისებიანი „დავადებაა“.
3569. დუმილი სისულელის დაფარვაში იხდის ფულს.
3570. უბადრუკობას ჭკვიანი არასოდეს შეეგუება და დანებდება.
3571. სამყაროს უხილავ ზემოქმედებას დედამიწის ყველა არსება განიცდის თავის კატასტროფებით და შეჯანჯღარებით.

ბიზნესი

3572. ვაჭრობისთვის საუკეთესო რეკლამა მუდმივად მაღალი ხარისხით კლიენტის მოზიდვაა.
3573. სიმდიდრე კარგი მსახურიც არის, კარგი პატრონიც და პატივის მიმგებიც, გააჩნია ვის ჩაუვარდა ხელთ, დაბადებით ბიზნესმენს თუ შემთხვევით გამდიდრებულ ვაჭრუკანას.
3574. ხარჯვა, საკუთარი ენერგიიდან დაწყებული ელექტროენერგიით დამთავრებული, მომჭირნეობას მოითხოვს და შეუმჩნეველ დივიდენდებს იძლევა.
3575. ბიზნესი ჯენტლმენების საქმე არ არის, მაგრამ არც ვაჭრუკანებმა უნდა დაიჩემონ, რადგან ბიზნესი სტრატეგიაა, რომელიც ტაქტიკის ხედვით წარმატებას აღწევს.
3576. ზოგს ლამაზად საუბარი შეუძლია, ზოგსაც საქმიანად, მაგრამ ეს დიდ შემოსავალს არ იძლევა, რადგან ბიზნესს აღურიცხავი ფული, ფანტაზიის ნიჭი და ფორტუნას შიგადაშიგ „ჩამოქროლვა“ სჭირდება.
3577. სირცხვილის გრძნობა, გარკვეულ დივიდენდებს იძლევა, მაგრამ დღეს ბიზნესს გამოადგება თუ არა, სადაოა.
3578. სიმდიდრეს რაიმეს გონივრული დასპონსორება უყვარს, მოსალოდნელი შედეგის ჭვრეტით და მადლიერება-დაფასებით.
3579. ბიზნესმენისთვის უმთავრესია მომგებიანი შემოთავაზება, რათა იძულებითი წამგებიანი შემოთავაზება („ქველმოქმედება“) დააფინანსოს და „სახელი დააგდოს“.
3580. ბიზნესი „ლედი“ ბიზნეს „ბატონის“ ხასიათის ხდება, თუ ფული იშოვა და თავი თავისუფლად იგრძნო.
3581. ბიზნესი გონების ხელმრუდეობასთან ყოველთვის ჩახუტებულია.
3582. მუნჯი ბიზნესმენად იმიტომაც ვერ გვევლინება, რომ ენა არ უჭრის ე.ი. ბიზნესი მარჯვე ყბედობით დარწმუნების შედეგია.
3583. ბიზნესის საწყისია საკუთარი კაურების არგააფეტიშება საქმისთვის შემართებით მიძალება.
3584. დღეს „ბიზნესლედების“ მომრავლებაც განგების დამსახურებაა, მან ისინი სასიამოვნო გარეგნობით წინასწარ დააკრედიტა.
3585. ყველა დაწყებულ-წამოწყებული საქმის სადავეებს მეწილეს გარეშე თავად უნდა ვფლობდეთ, თუ გვინდა ნაჯაფ-ნაღვაწი განხეთქილების გარეშე შეგრჩეს.

3586. ბიზნესის წესიერებას, არც ბაზრის უგვანობა ამშვენებს და არც ხელისუფალს ამოფარებულ „რეკეტთან“ ურთიერთობა. შედეგად პროდუქცია ყოველწლიურად რამდენჯერმე ძვირდება, ხარისხი ეცემა და ამ მდგომარეობას გამოსწორების იმედი დღეს აღარავის აქვს.
3587. ყველაზე წარმატებული აქტივები ცხოვრებაში ბიზნესში და სახელმწიფო სამსახურის სცენაზე არიან მოკალათებულნი და არა – თეატრის შენობაში.
3588. ბიზნესში და ცხოვრებაში რეალობის შეცნობით რაიმეს დანერგვა ჭირს, რადგან ხელისუფლებაში კარგი სურვილებით შეიძლება ისეთი შემთხვევითი ადამიანი მოვიდეს, რომ სულ თავდაყირა დააყენოს ქვეყნის რაობა და მისი ეკონომიკა.
3589. ბიზნესი ცნობილი ზღაპრის, „რწყილი და ჭიანჭველას“, მარკეტინგია და ბოლო კეთილია.
3590. საქმის კეთებას სასურველი შედეგი ამშვენებს, მათ შორის, ანგარებითაც.
3591. ბიზნესში წესრიგი და შემართება ყველანაირი წარმატების თავიცაა და ბოლოც.
3592. ყველა ცდილობს სარგებელი რეკლამით მიიღოს, რათა არ დაივიწყონ შემდგომი დასაქმებისთვის.
3593. სიკეთე სიყვარულით უნდა ვაკეთოთ, ბიზნესი – ნიჭით და გამორჩენის ცოდნით.
3594. პოლიტიკა და ბიზნესი თეორიულად სხვადასხვა მიმართულებაა და პრაქტიკულად უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.
3595. მიზნის შესაძლებლობას განხორციელების მცდელობა მხარში უნდა ამოვუყენოთ, რათა ჭკუა და შემართება უქმად არ გაცვდეს.
3596. ღირსებას და ძალას, შესაძლებლობებისაგან განსხვავებით, ხშირად კერძო საკუთრების მრავალფეროვნება და ექსკლუზიური ნივთების ფლობა გვმატებს.
3597. ბიზნესი ფასდება დროის ვერაგობის, შეზღუდვათა შესატყვისად და იმით, თუ რა ნიჭი, მცდელობა, მოითხოვა მისმა აღსრულებამ.
3598. ქმედება ბიზნესში უნდა შეესაბამებოდეს განსახორციელებელ მიზნებს, გონიერების დაუვიწყებლად.
3599. შესაძლებლობებსაც თავისი მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვთ, რაც დროულად უნდა გამოვიყენოთ.
3600. ბიზნესში სტრატეგიულ უპირატესობას კონკურენცია ვერას დააკლებს.
3601. დაცემა და წამოდგომა ბიზნესში ძმები არიან, თუ ერთმანეთს არ გაწირავენ და საბოლოოდ ფეხს არ წაიტეხენ.

3602. ბიზნესი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებაა განგების გვერდით დგომით და ბედის გადმოხედვით.
3603. ბიზნესის მიზანია კლიენტის „დასაჭურისება“, შებმა და მისი არ-დაკარგვა.
3604. განგება ბიზნესში მათ ეხმარება, ვისაც მიზანი აქვს და შეუპოვ-რობა ახასიათებს.
3605. ყოფის აქტივებს დღეს იმისდამიხედვით ვიძენთ, დასაქმების ბა-ზარი რა ვაკანსიებს გვთავაზობს.
3606. ბიზნესში სხვათა აზრების ჩაწვდომას და საქმისათვის სასიკეთოდ მოთარგმნას, მოწოდება და გამჭრიახობა სჭირდება.
3607. ბიზნესის კონსულტანტი ისაა, ვინც ფულს იღებს იმ პასუხებზე, რომელთაც უფასოდ სთავაზობს მეუღლეს.
3608. ბიზნესში საბოლოო შედეგი წყვეტს ყოველგვარი წამოწყების რაობას და ვარგისიანობას.
3609. ბიზნესში შეცდომა და რისკი სინონიმებია, ურისკოდ ვერც ბიჯს წარვდგამთ წინ და ვერც ბოლომდე დავიხარჯებით.
3610. სიტყვასა და საქმეს შორის ცდომილება ბიზნესში მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს, საქმეს, ახასიათებს და ეს ცოდვა არაა, ეს საქმი-ანობის პროცესია.
3611. სიღარიბე უცოდინრობის, ხელგაშლილობის და უყურადღებობის შედეგია.
3612. მცირედან ბევრის მიღება შეიძლება, თუ გონება გიჭრის და შრო-მა არ გეზარება.
3613. ყველაზე წამგებიანი ქორწინების დამზღვევი კომპანია იქნებოდა, ამასთან დაზღვევის თანხის მისაღებად, გაყრის შემთხვევაში, ვინ რა კაურებს მოიმოქმედებდა, არავის უწყის.
3614. მადლიერების გრძნობის მოპოვებასაც ტენდერზე გატანა და აუ-ქციონზე სარფიანი გაყიდვა სჭირდება, რათა მისი რეალური ფასი შევიცნოთ.
3615. ახალი ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად ძველი ფინანს-ური ჩვევები ყოველთვის არ გამოდგება, რადგან ისიც ცვლილებას მოითხოვს თანდათანობით.
3616. ვიგინდარა ბუნების, ამბიციების მქონე და უნებისყოფო ადამი-ანები იყვნენ და მუდამ იქნებიან. მათ განგებამ მცდელობის უნ-არი მისცა, მაგრამ ღირსება დაუკარგა და ამ უკანასკნელის „მო-საპოვებლად“ და სხვისთვის „თვალებში ნაცრის შესაყრელად“ ისინი ყველაფერს იკადრებენ. ეს ბრბო დღეს თავს ბიზნესმენს უწოდებს.
3617. ბიზნესის ფილოსოფია ფულის თვლაა, ხელსაყრელი კონტრაქტის დადებით და ამ საქმიანობაში მჯობნის-მჯობნის გარკვევით.

3618. გაკოტრებულს მეგობრები არ ჰყავს, მხოლოდ თანამგრძნობნი, ისიც დროებით და შიგადაშიგ.
3619. ბიზნესში ზოგჯერ გვხვდება ისეთი პარტნიორიც, რომელიც დაგვიანების ალიბად ყოველთვის სულის ამაფორიაქებელ შემთხვევას მოიშველიებს.
3620. დღეს მდიდარი, შემძლე „სამეგობროს“ გაცნობაც ფული ღირს ან – წილში ჩაჯდომა.
3621. წინათ შეუძლებელი იყო ბიზნესის უფსკრულზე ორი ნახტომით გადავლება, დღეს, თანამედროვე რეფორმათა მოშველიებით, უკვე ახერხებენ, რადგან დასაძლევი უფსკრულის დაფინანსება გახდა „მომგებიანი“.
3622. რეკლამის მოვალეობაა გაგვაბრიყვოს, ჩვენი მოვალეობაა ერთხელ მაინც დავაჭაშნიკოთ და შევაფასოთ.
3623. სჯობს რეკლამისთვის განკუთვნილი თანხები ისევ რეკლამის ხარისხის გაუმჯობესებას მოვახმაროთ, ვიდრე პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, რადგან რეკლამით გაბრუებული მყიდველი ამას მაინც ვერ შეამჩნევს.
3624. შრომით და ბიზნესით გამდიდრება სხვა და სხვა განზომილებაა, ერთს ხელების დაკაპიწება სჭირდება, მეორეს – არაორდინალური თავის განძრევა.
3625. ბიბლიოთეკა თუ უფასო ინფორმაციის ცენტრალური ბანკია, მაშინ ინტერნეტი საერთაშორისო ინფორმაციის კერძო ბანკია, ხელმისაწვდომი ფასების ქსელით.
3626. ბიზნესი ის საქმიანობაა, რომელიც დროის ყივილზე, მისწრაფებაზე, მოზიდულ და მოუზიდავ შემთხვევაზეა დამყარებული.
3627. უმაღლესი კლასისაა ის რესტორანი, რომელსაც ჰყავს მორიგე მძღოლები ნასვამი კლიენტების მათივე მანქანებით სახლებში დასარიგებლად.
3628. ძალაუფლება, ბინძური ფულის კეთების, „ბიზნესის“, ერთ-ერთი სახეა.
3629. გამბედაობა და თავხედობა ზოგჯერ ბიზნესში არ კმარა, თუ ნაცნობობა არ დაეხმარა.
3630. ბიზნესს გამბედავი, გონებამახვილი და სულით ძლიერი ადამიანები უყვარს.
3631. ბიზნესის ხელოვნებად აღქმა დროის უგუნურების ბრალია, რადგან პირველი შემთხვევაზეა დამოკიდებული, მეორე – ნიჭზე, მაგრამ გამართლება ორივესთვის აუცილებელია.
3632. მკითხაობაც კერძო წარმოება და მცირე ბიზნესია, რომელსაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს – გადასახადიდან უნდა გაათა-

ვისუფლოს, რადგან ამდენ უნიათოს ნერვებს უმშვიდებს და იმედს უსახავს.

3633. შეუძლებელი ყოველთვის შესაძლებელია ნიჭიერი ავანტურისტის და გენიოსის ხელში.

3634. ვისაც ციფრებთან არ უყვარს ურთიერთობა, მისი წარმატება მუდამ შემთხვევითი იქნება.

3635. კორპორაცია, მონოპოლია, ბიზნესი, კონკურენცია – მიზანი ყველას ერთი აქვს: რაც შეიძლება მეტი მოიგოს.

3636. ვაჭრობა ის ხელოვნებაა, რომელიც მარკეტინგის ნიჭთან ერთად, საკუთარ „მეს“ პატივს მიაგებს და კლიენტს არ კარგავს.

3637. დიზაინი „ისე რა“ შესახედაობის ქალსაც ასაღებს და საქონელსაც, გააჩნია ენით შეფუთვის ხელოვნებას და შეთავაზების უნარს.

3638. ყოველ წარმატებას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შერკინება სჭირდება, სხვანაირად, მიღწეული შედეგიც უდროოდ გაგვიფრინდება.

3639. ყველა წარუმატებლობა ბიზნესში წარმატების საწინდარია, თუ საკუთარი თავის ბოლომდე გჯერა.

3640. შემოსავლის ზრდა ხარჯების გაზრდის სინონიმი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში – „არამია შენთვის“.

3641. სიმდიდრის ფლობა მომავალში მისი გაორმაგების სურვილს აღვიძებს.

3642. კარგი მენეჯერის შოვნა კი არ არის ძნელი, არამედ მისი ამბიციების შესატყვისი ანაზღაურების გადახდა.

3643. ბიზნესში ყველანაირი საქმე გულით უნდა ვაკეთოთ, ეს სხვისი გულის მოსაგებად იქნება თუ საკუთარი „მეს“ სასიამოვნებლად.

3644. სურვილსა და შემოთავაზებას შორის ის სხვაობაა, რომ ბიზნესში საქმიანობას ეჩვევი.

3645. შედეგს ძალისხმევა იძლევა, ეს გონიერების მობილიზებით იქნება, ხელის განძრევით თუ ბიზნესის წარმოებით

3646. ბიზნესში წვრილმანებთან შეხებასაც თავისი კაიფი აქვს, რადგან ხშირად შედეგთან მივყავართ.

3647. ბიზნესის სტრატეგია: განსხვავებული აზროვნება, დროისათვის ფეხის აყოლა, ფილოსოფიური ოპტიმიზმი, ღირებულებათა დაცვა წითელ შუქნიშანზე გადაუსვლელად.

3648. „ღვინო, დუდუკი, ქალები“ ბიზნესს არ უხდება, მაგრამ მიზანს გვიხალისებს, გვართობს და ახალი ხელშეკრულების დასადებად გვმოძღვრავს.

3649. ბიზნესში უკეთ გარჯა გარანტიაა კლიენტის საიმედოდ მოსაზიდად, „დასაბმელად“.
3650. ხშირად ჭკუის დაბანდებას საქმის კეთებით ვცდილობთ, ოღონდ შესატყვისი დაფინანსებით და „მეს“ წარმოჩენით.
3651. ბუღალტერია აზროვნების დამხმარე „აგენტია“, რომელმაც ყველა წამოწყება, ნიჭთან ერთად, სწორ გზაზე უნდა ატაროს.
3652. ინოვაცია ბიზნესში გვაიძულებს მასთან ვიმეგობროთ, რადგან წარმატების გზა მის გარეშე მოჭრილია.
3653. სიმდიდრე სხვადასხვა პარამეტრით განისაზღვრება და სხვადასხვა გზით მოიპოვება, მაგრამ საქმიან ხალხში ტრიალი და ყოფნა ყველა შემთხვევაში აუცილებელია.
3654. საწარმოს სიმძლავრე ხშირად მოთხოვნას არ შეესაბამებ, რადგან ის იმაზე მეტს მუშაობს, ვიდრე ბაზარს სჭირდება, მაგრამ სხვადასხვა მაქინაციებით რეკლამით, ფასდაკლებით, მოგების შემცირებით, ასაღებს და ამით მომხმარებელიც და თავადაც კმაყოფილია.
3655. ბრიყვთან ბიზნესში საქმის დაჭერაც ძნელია და საქმის დაძალებით მოგვარებაც, რადგან რას მოიმოქმედებს მისი უგუნურება, უცნობია.
3656. ბიზნესს წარმატების დროულად მისაღწევად შეცდომების რაოდენობა იზრდება, ოღონდ გონიერების ფარგლებში.
3657. ბიზნესში „შენ – ჩვენ, ჩვენ – შენ“ ყოველთვის წინასწარაა დასაზუსტებელი, რომ არ „გადაგვაგდონ“.
3658. უნიათობა ბიზნესში სიბრიყვე არც მოყვარეს ინდობს და არც მტერს, რადგან სარგებლის გადანაწილებაში სრულად ვერ ერკვევა.
3659. ბიზნესშიც საქმე საამაყოდ იმ შემთხვევაში კეთდება, თუ პირადულზე არ ფიქრობ, მაგრამ თავიც არ გავიწყდება.
3660. ბიზნესი მცდელობაა, ანალიზის უნარი და გამართლებაა, წინხედვით.
3661. იყიდე, გაყიდე, მოიგე, სხვას აჯობე – სულის თავისებური კორუფციაა, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება, რადგან ბიზნესის პრიორიტეტი ამ დამოძღვრაზეა აგებული.
3662. მშვენიერზე-მშვენიერია, ნაზზე-ნაზია, საჭიროზე-საჭიროა, ლამაზზე-ლამაზია და ყველა ამ ეპითეტს, რეკლამით, ტუალეტის ქაღალდიც იმსახურებს, უხიაგი კაცივით თუ მისი წარმოჩენა და იმიჯის ამაღლება უნდათ.
3663. სიმდიდრის გამოყენებას, აზროვნებასთან ერთად, ჩასაფრება და დროის შერჩევა სჭირდება, რომ იბარტყოს.

3664. ბიზნესი ხშირად შემთხვევა და გარემოს შერწყმა უფროა, ვიდრე წინასწარჭვრეტა.
3665. ფირმებს, კორპორაციებს დროსთან ჭიდილი და ბედის მოფერება გამოაცოცხლებს და არა მხოლოდ განსჯა და წინხედვა.
3666. ზოგს საქმე ბიზნესში სამი თითის კომბინაციასავით აქვს აწყობილი: მეტოქეს მუდამ ბიშტს უჩვენებს.
3667. იღბალი მუდამ საქმიან ხალხს უღიმის, მაგრამ მოდუნების შემთხვევაში მწარე დაცინვასაც არ აკმარებს.
3668. საქმიანი კაცისთვის მუდმივი და დაკანონებული არც დასასვენებელი კვირა დღე უქნია ღმერთს და არც მძიმე ორშაბათი.
3669. საიმედო პარტნიორის გვერდზე ყოფნა განვითარების საწინდარია თუ ყოფისათვის განკუთვნილ პურს ზომიერად მიირთმევ და შემოსავალი სამართლიანად ნაწილდება.
3670. წარმატება ბიზნესში ჭირვეული რამაა, სულ ფრთხილად უნდა იყო, რადგან სად შეცდები, ფეხი სად დაგიცდება, და ბედი როდის გაგიღიმებს, უცნობია.
3671. წარმატების მიღწევა თვითგვემაზე, თვითდარწმუნებაზე, თვითგანვითარებაზე, თვითრეალიზაციაზე, თვითდაფინანსებაზეა, ე.ი. ხუთ „თ“-ზეა დამყარებული.
3672. ძველი ნაწარმის გვერდზე მოსროლა გვიან არასოდეს არ არის, მაგრამ ამით დასპონსორება და ვიღაცის მომადლიერებაცაა შესაძლებელი.
3673. ყიდვა-გაყიდვას, ვაჭრობას, შინაგანი ინტუიცია, გამოცდილება, სჭირდება და მას ვერავითარი განათლება, წიგნიერება, ვერ შეცვლის.
3674. გაცემა მოგების საწინდარია, მაგრამ არა უაზროდ და ღმერთზე გადაბრალებით.
3675. ბიზნესში შენდობა ყველაზე მეტად მასში მომსახურე პერსონალს სჭირდება, მოვალეობის ჩაგონებით და მატერიალური წახალისებით, რადგან მათ ნიჭზე და მონდომებაზეა დამოკიდებული კომპანიის წარმატების 50%.
3676. ბაზარი ყოველთვის მართალი არ არის, მაგრამ ის ადგენს რეკლამის მოშველიებით, დღეს რომელი კომპანიაა აღიარების ღირსია.
3677. სიფრთხილე და წინდახედულება, კარგად წამოწყებულ საქმეს უფრო სჭირდება, ვიდრე სათუოს და ახლად წამოწყებულს.
3678. თავისადმი შენი რწმენა, გარეშესაც აღაფრთოვანებს, თუ მასში სარგებელს დაინახავს.
3679. წარმატების მისაღწევად აუცილებელია საკუთარი და სხვისი

შეცდომები არ გაიმეოროთ – მთლიანობაში მაინც.

3680. მიზანს ყოველთვის ადამიანური საწყისი უნდა ჰქონდეს, რათა სახეიროს შეწვდეს და სიკეთე თესოს.

3681. უხიაგ კაცთან არ იმუშაო! კარგი პოსტულატია, მაგრამ დარჩები უმუშევარი და თავსაც ვერაფერს შესძენ.

3682. ბიზნესში მთავარია დღევანდელი მოგება, რადგან ხვალინდელს შესწავლა, რისკი და გამრთელება სჭირდება.

3683. მარკეტინგით მოხიბვლა ვაჭრობის მამოძრავებელი ძალა და კლიენტის მოზიდვის გარანტიაა.

3684. ბიზნესს გონივრული ჩასაფრება, მოთმინება, დროული შეტევა, ყველა სიავეს ინელებს და ყბედობას ნიშანს უგებს.

3685. „ბადრაგი“, რომელიც შემოსავალს იძლევა, „ბადრაგი“ კი არა, ფირმაა.

3686. ყველა გასარკვევ საკითხს გარკვეული ფასი ადევს, თავის თავანით და პროცენტით.

3687. კაპრიზი ქალს ხელს არ უშლის ბიზნეს დედაკაცად ან ბიზნეს ქალბატონად იქცეს.

3688. საფონდო ბირჟა მოხერხებული ადამიანის საქმეა და არა – წესიერი კაცის.

3689. წარმატება შეუპოვარ ძიება-ქმედებას მოაქვს, რომელსაც ბედიც გამოედევნება და შემთხვევაც.

3690. შედეგი ყველა გაუგებრობას „ჩამოწერს“ და აქ საშუალებათა გახმოვანება არ ღირს.

3691. მყიდველ-მომხმარებელი იდიოტი არ არის, მაგრამ გამყიდველის, ბროკერის დანიშნულებაა ასეთად აქციოს.

3692. უპირველესად რეკლამა ვაჭრობს საქონლით და არა საქონელი თავის ხარისხით.

3693. ბიზნესში საქმეს მაინც სიჯიუტე აგვირგვინებს, რადგან განათლება, მცდელობა, მაინც მეორადია.

3694. ბიზნესში თუ ამოცანად დავისახავთ ვიყოთ წარმატებული და არა – პირველი, ამ სურვილის აღსრულება შესაძლებელია.

3695. არის საქმე, რომლის ფინალი ცნობილია, მაგრამ რისკის, ფორტუნის, „იქნებ“ – ის, მოიმედენი ვართ.

3696. მთავარი ლაღად ცხოვრებაა და არა მდიდრულად, მაგრამ ბიზნესი ამას ვერ იგებს, რადგან მისი ცნობიერება ფულის შოვნაზეა მორგებული.

3697. მუდმივი პრობლემების აქსიომაა, სად ვიშოვოთ საჭირო ფული, დაფინანსება.

3698. ბიზნესში მეგობრობა არ არსებობს, აქ უფრო ურთიერთგაგება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გონიერი კონკურენციის გათავისებით.

3699. წარმატების ფორმულა: შრომისმოყვარეობას მიმატებული იღბალი კვადრატში.

3700. ბიზნესი და მორალი სხვადასხვაა, თუმცა ორთავენი ხატებზე ლოცულობენ, მაგრამ იმ ხეირს ცალ-ცალკე ვერ ნახულობენ, რისთვისაც შინაგანად მოწოდებულნი არიან.

3701. ბიზნესი პასუხისმგებლობაა მორალის გარეშე, რადგან მისთვის მთავარია მოგება.

3702. დაუმთავრებელ საქმეზე ცუდი არაფერია, სულ სინანულს განიცდი – „რომ გამოსულიყო“.

3703. ბიზნესში კონკურენცია და კაცობა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, რადგან ეს უკანასკნელი მუდმივია და მისთვის ფეხის დადებას ფორტუნა არ გვაპატიებს.

3704. საქმიანი და ორიგინალური შეთავაზება დაფინანსების გარეშე არ უნდა გამჟღავნდეს, რათა ყურის გდება ასწავლო და არა ყურების პარტყუნი.

3705. იღბლიანი ბორბლის დატრიალების გარეშე შედეგს ვერ მივიღებთ, იმისდამიუხედავად, პროცესი დადებითად წარიმართება თუ არა.

3706. ბიზნესში ყოველი წარმატება ოპტიმიზმის დამსახურებაცაა.

3707. საწყისი ყოველთვის სამართლიანი და საქმიანი უნდა იყოს, შემდგომ მოდის პატარ-პატარა შესაძლო გადახრები გამოსწორებებით.

3708. შოუბიზნესის პროდუქცია მალფუჭებადია, უცხოა, ხოლო რაც შეეხება ხარისხს, გემოვნებაზე არ დაობენ, რადგან მას თავისი მომხმარებელი ჰყავს.

3709. მცირე ბიზნესი იქ შოულობს ფულს, რაზეც დიდ ბიზნესს წარმოდგენა არ აქვს.

3710. ბავშვობისას რომ საკონტროლო წერა გადამაწერინა, იმას გამიხსენებენ თუ იმას, სამუშაოდ რომ წავიყვან და ისე არ ვამუშავებ, როგორც მას უნდა. ამიტომაცაა, რომ მეგობარი, ამხანაგი, ნათესავი, საქმეში ახლო არ უნდა გაიკარო, რადგან მათ შენი წარსული იციან, საკუთარ თავზე მაღლა შენი დაყენება უჭირთ და აქ დამქირავებლის და დაქირავებულის ინსტიტუტი თავისი ალგორითმით არ მუშაობს.

3711. პოლიტიკიდან მოსული ბიზნესმენი ოლიგარქია, რომელიც ვერც ფულის კეთებას ანებებს თავს და კარიერისკენაც თვალი გაურბის, შედეგად სიკეთის მოტანა ბოლოში არ შეუძლია.

3712. ზოგის შემოქმედება ქვაფენილზე წყლის წვეთებით ლექსის წერას მოგვაგონებს.
3713. ბიზნესი თავისებური მოწოდებაა თავის ატკივებით, რისკის გაწევით, დიდი იმედით და დრო და დრო გაწბილებით.
3714. დღეს შოუბიზნესში თუ თავს არ „დაკარგავ“, ისე ვერ მოხვდები – პროფესიაა ასეთი.
3715. დღეს ძველი ნივთების კოლექციონერსა და ბიზნესმენს შორის ზღვარი წაშლილია, რადგან ნივთი, რაც რარიტეტია, იშვიათია, თანდათან ძვირდება და მისი ფლობა უწვალებლად მომგებიანი ხდება.
3716. საქმის მკეთებელი კაცი თანამდებობაზე, საჩუქრებზე, მოგებაზე, არ ფიქრობს, მისთვის უმთავრესი სამუშაოა და შედეგად, რომ სარგებელს მიიღებს, შინაგანად გრძნობს.
3717. ბიზნესი და არმია პოპულარული ხდება თუ გასტროლებს საზღვრებს გარეთ მართავს და სათავისო შედეგს აღწევს.
3718. ყველაზე უფრო ფეხის აშვება-დაჭერის მუხრუჭის ცოდნა ბიზნესში საქმიან საუბარს სჭირდება.
3719. ბიზნესში გამბედაობა, შემართება, საქმის ნახევარია.
3720. სიტყვა შეიძლება იყოს მასალაც და საქმის საშენი დუღაბიც, გააჩნია ვინ, როგორ და რა გზით ცდილობს შენებას.
3721. ბიზნესში წარმატებას დანაკარგები ნაკლებად აინტერესებს, მაგრამ სამძიმარს ხმამაღლა გამოთქვამს.
3722. საქმიანი კაცია ის, ვინც კანონს კი არ არღვევს, არამედ თავის მოხერხებულობით კანონს ეხმარება რეალური საქმე აკეთოს და თავის სანთელ-საკმეველიც არ დაკარგოს.
3723. ბიზნესისაგან პოლიტიკა შორსაა, მაგრამ ყველა წილშია.
3724. თანამშრომლობა და მეგობრობა სხვადასხვა ცნებაა და მათი გაიგივება საქმიანობას და ურთიერთობას ვნებს.
3725. ბიზნესისთვის კეთილმდომელთაგან თავის დაღწევაა ძნელი, თორემ კონკურენტებს თავად მოუვლის და შეერკინება.
3726. ყველა სახის განცდის ყიდვა შეიძლება, თუ ის პერსპექტიული და მომგებიანია.
3727. ზოგი შეცდომებს, ბიზნესში გამოცდილების მიუხედავად, კვლავ უშვებს, თანამეინახის მიერ გამოსწორების იმედით.
3728. წარმატება ყურებით უნდა დავითრიოთ, კბილებით უნდა გვეჭიროს, რათა ხელიდან არ დაგვისხლტეს.
3729. ბიზნესში უხმაუროდ, ფუჩუნ-ფუჩუნით, საქმის კეთება უდიდესი ნიჭია და განგების ნებაც, რომ ამ დონის პარტნიორები შეგხვდა და შემოგრჩა.

3730. რეკლამა პროვოკაციული ბიზნესია და წამხედურობით ხშირად იმასაც ითვისებს, რაც მას არ ეკუთვნის და არ სჭირდება.
3731. პიარის კულინარიაზე არა მარტო შოუ-ბიზნესი, არამედ მეცნიერების და ყოფიერების არც ერთი დარგი უარს არ ამბობს.
3732. უგუნური, უმწიფარი, უზნეო, კანონების გამო, წესიერი ბიზნესმენიც კი იძულებულია საქმის საკეთებლად იქურდოს, იმამაძაღლოს და თავი დამნაშავედ და ცოდვილად არ იგრძნოს.
3733. ალბათ, ყველაზე დიდი ბიზნესი ის დარჩენილი ცხოვრების წლებია, რომელიც სიბერეში სიცოცხლის ბოლომდე უნდა ავკრიფოთ.
3734. სილრმის აღქმა საქმეს ხარისხით გაგვაკეთებინებს.
3735. ზოგჯერ აღებ-მიცემობაც მოთმინებას, გონების გახსნით დავიწყებას, მოითხოვს – ნერვებისთვის უკეთესია.
3736. სიყვარულშიც დღეს შოუ-ბიზნესი თავის გაპიარებით შეიჭრა და ისეთ ინტიმურ ამბებს აჯირითებენ „მასმედიის“ მოშველიებით, რომ მათ გონიერებაში ეჭვი გვეპარება.
3737. ყველა წამოწყება ისეთი ვერ იქნება, როგორიც ჩვენ გვინდა, მაგრამ ის მაინც საქმედ უნდა ვაქციოთ.
3738. საქმეს ჯერ შეცნობა სჭირდება, შემდგომ შეყოლა შედეგის დაგვირგვინებით.
3739. სიხარბეს და უნამუსობას საზღვარი არ აქვს, განსაკუთრებით, მტრულად დაშორებულ პარტნიორებს შორის.
3740. ფულის მშოვნელსაც ჭკუაზე მოყვანა სჭირდება, რომ არ „გადაგვაგდოს“ და არ „გადავაგდოთ“.
3741. ბიზნესის წარმატება ყოფის „ახალი ფორმულის“ შემოთავაზებაა და გაპიარებაზეა დამოკიდებული.
3742. საქმე ინტუიციიდან გამომდინარე საუბარს ვერ იტანს და არც ამართლებს.
3743. ნდობა შესაძლებელია, მაგრამ უკეთესია აღებმიცემობის მოშველიებით და ერთმანეთისთვის დაუმადლებლად.
3744. ჩვენი საქმიანობა ყოველთვის „უნიკალური“ და საჭიროა, თუ მის კეთებაში ვინმე ხელს არ გვიშლის.
3745. შედეგი წინასწარ უნდა გავითვალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გონებით გაჯეჯილება არ ღირს.
3746. ბიზნესიც სპორტია თავისებური ნაღველით და დანანებით: „ეს მე რატომ ვერ შევძელი“, „რატომ დროულად არ მომაფიქრდა“.
3747. ბიზნესში შერკინება, ფანტაზია, პიარი, თავისებური კაიფი და საკუთარ თავთან შეჯიბრია.

3748. ყიდვასაც თავისი წესი, აზროვნება და შემოქმედების უნარი სჭირდება.
3749. საქმე თუ რეალურ ფანტაზიებს შიგადაშიგ მხარს უბამს, ლელოც გატანილია.
3750. ნაკლის შესაფუთად სიტყვების ხარჯვა საქმის მაკიაჟია.
3751. კონკურენცია გასაგებია, გაკოტრება გაუგებარი.
3752. საქმით ვართ დაკავებულნი თუ საქმისმაგვარი სისულელეებით, ისიც ჩვენი „თავკონტროლის“ გასარკვევია.
3753. თავის გაკონტროლება და თავისათვის ძალის დატანება წარმატების ერთ-ერთი პირობაა.
3754. ყიდვა-გაყიდვასაც ნიჭი სჭირდება, მარად მოგებული რომ დარჩე.
3755. ბიზნესი, წესით, ყველა ვნებაზე მაღლა დგას, თუ თანდაყოლილი ნიჭის თავქარიანობას დაუჯერებს.
3756. ბიზნესის წარმატების საწინდარია მცდელობა, აზროვნება, ემოციების გარეშე, გამართლება, ენაზე კბილის დაჭერა და უცხო ხალხისთვის თავის მოწონება.
3757. უნიათოს თუ შეიცოდებ და საქმეში ჩააყენებ, გაარკვევ, ხელს მოათბობინებ – მოგვიანებით ჭკუის სწავლებას დაგიწყებს.
3758. ყველა საქმე სიტყვის დასტური და მეგობარი უნდა იყოს.
3759. გონიერების მუხრუჭი წარუმატებელ საქმიანობაშიც აუცილებელია.
3760. ვაჭრობა თავისებური ურთიერთპატივისცემაა, მისთვის გასაგები სიამოვნების მიღების მცდელობით.
3761. ბიზნესი ერთის ან გონიერი ორისაა, რომლებსაც ემოციების მუხრუჭები მწყობრში აქვთ.
3762. ზოგჯერ აღებ-მიცემობის უნარი ადამიანის სიდიდეს განსაზღვრავს.
3763. არსებულის მოვლა, პატრონობა, შენარჩუნება, დიდი მიღწევაა ბიზნესში.
3764. ძნელია თავის შეფასება, მაგრამ უფრო ძნელია კონკურენტი კოლეგის დაფასება.
3765. სიმდიდრე, „ხელგაშლილი“ სიღარიბისაგან განსხვავებით, მომჭირნეა, ყოველ კაპიკს ითვლის და ნახევარს საქმეში აბანდებს.
3766. დღეს თითის მოკაკვას აზრი მაშინ აქვს, თუ შემოსავალს იძლევა.
3767. პირობები თავადვე უნდა შევქმნათ, რადგან მას არავინ შეგვიქმნის, მით უმეტეს, დაძალებით.

3768. ბიზნესი ის ხელოვნებაა, რომლის ათვისება ჩუმად ყველას სურს.
3769. ბიზნესს ყველა დროში მეგობრობისთვის განსაზღვრული პარამეტრები უნდა ჰქონდეს დაწესებული.
3770. საუბრის ცოდნა ის ბიზნესია, რომელსაც ხშირად გაუთვალისწინებლად დიდი მოგებაც მოაქვს, თუ პარტნიორს თავს მოაწონებს.
3771. შექებას სხვადასხვა გზებით იმსახურებენ, ყიდულობენ, ასე, რომ ისიც თავისებური ბიზნესია.
3772. ბიზნესი ყოფასთან მიახლოებული თამაშია, რომელიც ფანატიზმს, თავდადებას, ბედის გაღიმებას და გონის შეჯერებას მოითხოვს.
3773. სიფრთხილე, ნიჭით და შემართებით, თავისებური ბიზნესია.
3774. ბიზნესი ყველა ხელისუფლებას თვალებში შესცი‌ცინებს, რადგან ის გარკვეულ გარემოში გამბედავიცაა და მხდალიც.
3775. იმისათვის, რომ შესაძლებლობები არ გაუფერულდეს, გაუთავებელი ვაჭრობა მიზანშეუწონელია.
3776. კაპიტალს ვინც თავისი სიამოვნებისთვის, მოწოდებით, აკეთებს, ის უბედნიერესი ბიზნესმენია.
3777. ბიზნესის აყვავების საწყისი, ბლომად ფულის გონივრული დაგროვება-ხარჯვაა.
3778. დამქირავებელმა დაქირავებულს შეღავათები არ უნდა მისცეს მისი ნაღვაწის მიღებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში პროფესიონალიზმი ბეჩავდება და საქმიანობას ივიწყებს.
3779. მოგება ყველას გვინდა, ეს გადატანითი მნიშვნელობით იქნება თუ პირდაპირით.
3780. ბიზნესში უპირველესი ინტერესებია, სიახლის მოტვინვაა და შემდგომ ფული. ვინც ამას თავიდანვე ვერ ითვალისწინებს, ის სიამოვნებასაც ბევრს ჰკარგავს და მისი ბიზნესიც ხშირად „ჭრაჭუნს“ განიცდის.
3781. ბიზნესიც ჯავრს იყრის მომხმარებელზე, რომლის გულის მონადირება რეკლამის გარეშე ვერ შესძლო და მასზე გაწეულ ხარჯებსაც მას ახდევინებს.
3782. ბიზნესი და ძალაუფლება ერთი სატანაა, რადგან იძულებულნი არიან ერთმანეთს გაუგონ.
3783. ბიზნესი ყველგან ხარობს, თუ მის ფანტაზიას ხელისუფლება ხელს არ უშლის.
3784. ბიზნესი ჰობია, მოწოდებაა, შემართებაა, დიპლომატის ნიჭით და უკანდასახევი გზის მოჭრით.

3785. ბიზნესი გონიერების ეიფორიაა კანონიერების ფარგლებში.
3786. ბიზნესი ილუზიონისტის ნიჭსაც მოითხოვს, პოლიტეკონომიის ფარგლებში.
3787. ბიზნესი თავისებური სპორტია მცდელობით და ბედის ყურით მოთრევით.
3788. ბიზნესს თავშეკავების მუხრუჭები მუდამ მოშლილი აქვს, რადგან ფულის კეთებისაგან თავს ვერ იკავებს – ეს ხომ მისი ხელობაა.
3789. წესიერებას აფასებენ, მაგრამ შესატყვის პატივს არ მიაგებენ, განსაკუთრებით, ბიზნესში, რომლის მიღწევები სწორედ ამ პატიოსნების მოხერხებულად მოტყუება-მოღორების შედეგია.
3790. ბიზნესს მხრის შეშველება სჭირდება, საჭიროებისამებრ ფეხის დადებით.
3791. ბიზნესი აზარტის გარეშე „გაუსვენებელი მკვდარია“, რადგან საქმეს ბოლომდე თავს ვერ აბამს.
3792. ბიზნესი მაინც „უწესო“ საქმიანობაა, ფორტუნას მერყეობის გამო.
3793. შაბლონით ბიზნესის კეთებას ფული მოაქვს და არა – სიამოვნება, სიმდიდრე.
3794. კრედიტის ბანკში აღება ამბიციურ ხალხს მოითხოვს, ბიზნესში გარკვევის მცდელობით და რისკის გაწევით.
3795. ბიზნესი, კანონის ფარგლებში, „მამაძაღლობის“ გარეშე ვერ იარსებებს, რადგან თავად კანონია უდღეური და გაბახებული უნიათო ხელისუფალთა ხელში.
3796. ბიზნესის წარმოებას მობილიზება, მუდმივი ერთგულება, აზარტი, სტიმული, სჭირდება, გარკვეულ ტალანტთან ერთად.
3797. ის მდიდარია, გონიერია, ვინც ფულის ყადრი იცის, თავის საქმეს ჟინით აკეთებს და გრძნობს, რომ ფორტუნა ყოველთვის მის მხარეს არ იქნება.
3798. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ხელოვნება, სპორტი, ქველმოქმედება, ჩვეულებრივი ბიზნესი გახდა, რადგან მათაც კარგი ცხოვრება და თავის წარმოჩენა უნდათ.
3799. მომნუსხველი ღიმილი, გონიერი წამლიქვნელების უნარი, ვაჭრობის დედაა, ხოლო რეკლამა მამობას იჩემებს.
3800. დეფიციტი საქონლის „მაზანდის“ და ფასის ასაწევად იქმნება, თორემ სახლი შეიძლება გამოტენილი გქონდეს.
3801. ბიზნესის დაწყება საშიში არ არის, მაგრამ მოგების განაწილება და ქრთამის გაცემის ცოდნაა რთული.
3802. სტადიონზე კონცერტი ფულის კეთების ხელოვნებაა.

დრო

3803. სიახლეს გონიერება ღეჭავს, სულიერება ინელებს, დრო კი დროდადრო იხსენებს.
3804. დროის არჩევა-შერჩევას გამოცდილება და გონის ალიყური სჭირდება.
3805. დრო ყველაზე კარგად გრძნობს სამყაროს სულიერ, მორალურ და ფიზიკურ რყევებს.
3806. დრო ცხოვრების შესაძლებელ ვარიანტებს გვთავაზობს და არა – ბედს.
3807. ყველა დროს თავისი ფასი აქვს, ყველა სიცოცხლე დროის შესატყვისი „ბაითით“ ცხოვრობს.
3808. ერთი შეხედვით შედეგი მიუღებელია, მისაღწევიცაა და შესაძლებელიც, ოღონდ დრო სჭირდება.
3809. მტკიცება ფაქტებს მოითხოვს, ფაქტის მოპოვებას დრო სჭირდება, დროს კი – ფული, ასე, რომ თუ ფაქტებს და ფულს არ ფლობ მტკიცებისათვის დროის დაკარგვა არ ღირს.
3810. ბედნიერების შეცნობასაც თავისი განზომილებები სჭირდება დროის და გარემოს შესატყვისად.
3811. არის პიროვნება, ნააზრევი, რომელთა წარმოჩენას დროის გაცვლა სჭირდება. მათი შეფასების ხარისხი მომდევნო საუკუნეთა და თაობათა ხელშია.
3812. მოთმინებას დრო მოთმინებითვე მკურნალობს.
3813. თუმცა ჩვენი დროის უკანასკნელი მოჰიკანები ვართ, ეს ჩვენს ყოფაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.
3814. წარმატება, რაც უნდა ნიჭის და ცოდნის საბურველში იყოს გახვეული, მისი აღიარება მაინც დროისა და ბედის პრეროგატივაა.
3815. დროს ასაკი არ ირჩევს, მას ემსახურება, ეწყობა ან დროებით „იატაკქვეშეთში“ მიდის და სულიერად პარტიზანობს.
3816. ყოველ საუკუნეში ზოგჯერ ისეთი უგნურების დრო დგება, რომ შეშლილებიც კი ჭკუიდან გადადიან და ყოველივე გონიერს დაუნდობლად ტორავენ.
3817. დროს ფასს, მისი შესაძლებლობების გამოყენება ადებს.

3818. ძველი რომის კოლიზიუმში სისხლისღვრა იმ ხალხის წარმომადგენლებსაც ართობდა, რომლებიც დღეს სამყაროს გენიოსთა სიაში მოიხსენებიან. ასე, რომ ყოველივეს დრო, მენტალიტეტი, პოლიტიკა, წყვეტს და არა – კაცთმოყვარეობა, გენი და სულიერება.

3819. სიბრძნე მისთვის შესაფერის დროში ცხოვრებას მოითხოვს, თუ გაუმართლა.

3820. მუყაითობისაგან განსხვავებით, სიზარმაცეს დროის „მოკვლა“ უჭირს.

3821. ჩასაფრება-დროის მოგებისთვის ხელისუფლებას პასუხი კი არ უნდა ვაგებინოთ, არამედ შიდა პოლიტიკის უგერგილობისთვის.

3822. ზოგჯერ გსიამოვნებს იმ მხარის სახელის გაგონება, გახსენება, მონახულება, სადაც ოცნებით გიღვაწია, პრაქტიკულად დრო გიტარებია, იმისდამიუხედავად, რომ დღეს ამ მხარესთან არაფერი გაკავშირებს და არც გჭირდება.

3823. დროის ყივილს ყველა და ყველაფერი ემორჩილება და უსასრულობისაკენ მოაქანებს.

3824. დროს ასაკში უკეთ ვხედავთ, ვამჩნევთ, ვაფასებთ, მაგრამ უკვე დაგვიანებულია.

3825. თავისუფალი დროის ნაწილი ტექნიკური პროგრესის აღქმის, მუსიკის მოსმენის და დეტექტივების კითხვასაც უნდა მოვახმაროთ, რათა ყოფისთვის შეუმჩნეველი დარგები უყურადღებოდ არ დაგვრჩეს.

3826. დროის სუნთქვის რითმის რეგულირება საკუთარი თავის შეცნობის მცდელობაა გონიერების დამუღამებით.

3827. დროს გაუფრთხილდი და მის ყივილს ყური მიუგდე, თუ გინდა სიცოცხლე დროის შესატყვისად უკეთ გაიარო.

3828. დრო ყოვლად უაზროდ იკარგება, თუ მასზე სათანადო მოთხოვნები არ ვრცელდება და არავის სჭირდება.

3829. დრო ყველა თაობისთვის უცვლელია, რადგან ყველა თავის დროს ემსახურება და ცხოვრობს.

3830. დრო ყველაზე კარგი მრჩეველიცაა, მკურნალიცაა, არბიტრია და ჩვენი დედის მატირებელიც.

3831. თავისუფლების რეკლამირებამ რატომღაც უკეთესობისკენ ვერ შესცვალა დროის ყივილით დამუნათებული „პენიცილინის ახალგაზრდობა“.

3832. ცივილიზაციაში ცხოვრება და შეგუება ძნელი არ არის, მთავარია ამ დროში მცხოვრებთა ბუნების გამოცნობა.

3833. ერთი მიზეზი მეორე მიზეზთანაა კავშირშია და ზოგჯერ მესამეს ბადებს, რომელთა გამოსწორებას განუსაზღვრელი დრო და მოჭარბებული გონიერება სჭირდება.
3834. თვალთმაქცობასაც თავისი საგარანტიო დრო აქვს და სანამ ითვალთმაქცებს, არავის უწყის.
3835. მარტოობას, სიცარიელეს, სიმშვიდეს მხოლოდ მცირე დროით მოაქვს სიამოვნება.
3836. ზოგჯერ დრო გარდაუვალი დაპირისპირების წინაშე გვაყენებს და აქ გონის მოხმობის ალტერნატივა გამორიცხულია.
3837. დროის ყივილის შესატყვისი მმართველობის მონახვა, ყოველთვის ძნელი იყო და იქნება.
3838. უნდა ვეცადოთ დროის მიერ შეწერილი ვალი პირუთვნელად გადავიხადოთ.
3839. სიცოცხლის „აიწონა-დაიწონა“, ცხოვრებას გაკეთებული საქმეების შესატყვისი წონით აფასებს.
3840. საუბარში მთავარია აზრების ფრქვევა ვის ჭირდება და რისთვის არის გამიზნული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დროის გასაყვანი ყბედობაა.
3841. დრო უკანმოუხედავად წინ მიიწევს და მას ჩვენი ტკბილი გახსენებანი უკან ვერ დააბრუნებს.
3842. დროის და ტექნიკური პროგრესის მოძალება ქმნის ახალ სიტყვებს და გვკარნახობს კიდეც.
3843. სიდიადე წარმატების გარეშე შეუძლებელია, აქ მარტო გონიერება არ შველის, დრომაც მხარი უნდა აგიბას.
3844. შემოქმედის ნაღვაწს დროის მტვერი ფასს უმატებს და მის სახელს ადიდებს.
3845. მომჭირნე ირგვლივმყოფთ არ უყვართ, მაგრამ ანგარიშს უწევენ, რადგან დრო და შემთხვევა მის მხარეზეა.
3846. დროს ხელისუფალნი უყაირათოდ იყენებენ, მაგრამ თავის სასარგებლოდ მისი გამოყენების წინააღმდეგნი არ არიან.
3847. სამყარო, დრო, იმედი, დამსახურება, კანონი, ახალგაზრდობა, სიბერე, ტყუილი, მართალი, ყოველივე დაცოცავს, ღოღავს, ოღონდ სახეშეცვლილი, მაგრამ არაფერი ქრება, ყოველივე აღდგება, სანამ დროის ყივილი იარსებებს.
3848. სიყვარულსაც ბოლოს ასაკის სიცივე და დროის უკუღმართობა უღებს.
3849. აკეთო ის, რაც შეგშვენის, ამასაც ჩასაფრება და დროის შერჩევა სჭირდება.

3850. ძუნწს სხვისთვის განკუთვნილი დროს ხარჯვა თავის ჭკუაზეც არ ემეტება.
3851. ბუნება და მეცნიერება საკმარისად იღვწის იმისათვის, რომ ადამიანმა თავისი მოთხოვნები დროის შესატყვისად და პლუსით დაიკმაყოფილოს.
3852. დრო ყოველივეს თავის ფასს ადებს, შესატყვისი შეფასება-გადაფასებით.
3853. ზოგ ორიგინალს ასლი სჯობს, მაგრამ დაგვიანებულია, რადგან დროის მტვერი გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მტვერმოცლილი რეალობა.
3854. შფოთიანი დრო გვაიძულებს, წინ ვიაროთ და ბრბოში გავერიოთ, თუ გვინდა ხელი სახეიროს გამოვკრათ.
3855. საჩუქარს საჩუქარითვე გადახდა დრო და გარემოს შერწყმით უხდება.
3856. რა არის ბედნიერება? სახელის დატოვება, უდარდელად ყოფნა თუ უზრუნველი ცხოვრება, დღესაც არავის უწყის, დრო და ადამიანის მენტალიტეტი იმდენად ცვალებადი და საეჭვოა.
3857. გონიერებაც დროის ყივილს და ფულის შოვნის პარამეტრებს ემორჩილება და აქ აღზრდას და ტრადიციებს არად მიიჩნევენ, თუ რეკლამების და გამორჩენის საშვალებები გამოჩნდა.
3858. სამყაროს ყველა ცოცხალ არსებას დრო თავის ადგილსამყოფელს მიუჩენს.
3859. მეცნიერულად ყოველდღიური კვება დიდებულია, მაგრამ ზოგჯერ ტვინსაც განტვირთვის დღე სჭირდება.
3860. ცოდნა ის „აიწონა-დაიწონაა“, რომელსაც ხშირად გონიერების არბიტრაჟი ვერ განსჯის, იმდენად სპეციფიური შეიძლება იყოს და დროის ჩარევა მოითხოვოს.
3861. ენამახვილობას ნიჭი, სიდინჯე, დროის შერჩევა სჭირდება, რათა ხალხმა იმხიარულოს და არავინ გაანაწყენო.
3862. თანამდებობა გვამაღლებს და გვანარცხებს კიდეც, გააჩნია დროის გათავხედებას.
3863. თანამდებობას კი არ ვემსახურებით, არამედ იმ მოვალეობას, რომელიც გარკვეული დროით გვინდა.
3864. წარმატებებისთვის განკუთვნილი საკეთის გასაღები, ყველას ხელთ უნდა გვეპყრას, რათა დროს მოვერგოთ და მისი გაღება არ დავაგვიანოთ.
3865. სიკეთეს და სიავეს შესატყვისი შედეგი მოაქვს – გააჩნია დროს, დაფინანსებას და ვისი ხელით კეთდება.

3866. დროის მოგებასა და დაყოვნებას შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს სტრატეგი ჯერ არ დაუმუღამებია.
3867. ზოგჯერ ყველაზე ძნელია იმის შეცნობა, რა დროს რა გვწყინს და რა გვიხარია.
3868. სხვათა სიბრიყვე ჩვენი შესაძლებლობების ასპარეზია და კეთილ-ისმდობის ხელის წამორტყმის და კარიერის კიბეებზე დროულად არბენის დრო.
3869. სიმდიდრეს თავის დაცვა ყოველთვის შეუძლია, თუ მისი მფლო-ბელი დროის ყალთაბანდობაში ერკვევა და საქმის მოგვარებას არ დააგვიანებს.
3870. ყველა სიახლეს თავისი ეშხიც ახლავს გარკვეულ დრომდე და შემთხვევამდე.
3871. სიმართლეს და სამართლიანობას თავიანთი განზომილებები აქვთ, რომელთაც დროის ყივილი არეგულირებს.
3872. დრო უპატიოსნესი სულიერების ზარია და არასოდეს იტყუება.
3873. ბედის და ყოფის არჩევა არ გვეშლება, თუ ბედმა თავი ჩვენს ჭკუაზე აგვარჩევინა.
3874. ტალანტის შეცნობასაც დროის ყივილი და ყოფის გამათრახება სჭირდება.
3875. ყველა ეპოქას თავისი გონიერება და სისულელე მოაქვს დროის ფუჩეჩით.
3876. შემთხვევა დროსთან შეუთანხმლებლად შედეგს არ იძლევა.
3877. ადამიანი დროს არ აუმჯობესებს, უბრალოდ ამ დროში უწევს ჩალიჩი, შემთხვევის და მომავლის იმედით.
3878. ყველა დროში ბრიყვთა რაოდენობა, გონიერებას გაცილებით სჭარბობდა და ვერას გავაწყობთ, რადგან ეს სამყაროს გონიერების „ბზიკია“.
3879. დიადს ხშირად დროის ყივილი გვხდის და არა – შემთხვევა.
3880. მოთმინების მკვახე ნაყოფსაც მოსამწიფებლად დრო სჭირდება, რათა მიზანს მივაღწიოთ და სიავე სიკეთედ ვაქციოთ.
3881. გონიერებას დროის ყივილის არ ეშინია – ერიდება.
3882. ინსტინქტსაც თავის შემართება დროის შესატყვისად სჭირდება.
3883. არაორდინალური სილამაზე შესამჩნევია და ყველას მოსწონს, მა-გრამ არაორდინალური გონიერების მოწონებას დრო და დაფინან-სება სჭირდება.
3884. დროის მოკვლის პრობლემა, გარკვეულ ასაკში, ყველას აწუხებს, გენიოსთა გარდა.

3885. ყველა ნიჭი დროის ყივილს უნდა მოერგოს და თავის დროს აჯობოს, თუ უნდა საუკუნეთა მახსოვრობაში დარჩეს.
3886. დროს ნუ განვსჯით, მან ჩვენი წილი გაჭირვება, უყურადღებობა და უგნურება უნდა გვარგუნოს და გადაგვატანინოს.
3887. დრო ყველას „დედას უტირებს“ და თავის ჭკუაზე აცეკვებს, მათ შორის, იმათაც, ვისაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და ცხოვრებას მათთვის სილა არ გაუწნია.
3888. უტოპია არ არსებობს, უბრალოდ, მას ტექნიკურ პროგრესთან და თავისი დროის ყივილთან მორგება სჭირდება.
3889. ყველა თაობა ახალგაზრდობას თავის დროში უნდა ეზიაროს, რათა ასაკში თავი სინანულით არ გამოყოს.
3890. პროგრესს თუ დასჭირდა, მორალსაც გადათელავს და სულიერებასაც, გააჩნია რა დროში რა ცხოვრების დონეს შემოგვთავაზებს.
3891. ნათრობზე დაკარგული დრო ზოგჯერ სინანულს გვგვრის და მეორე დღეს ცდილობ უკეთ დაიხარჯო.
3892. ღირსებას მხოლოდ თეორია დარჩა, რადგან ფორმულა დროის შესატყვისად იწერება.
3893. საქმეზე გადაყოლილი კაცი იმითაც დაწყევლილია, რომ ქალისკენ გასახედი დრო არ რჩება.
3894. კერპების გაღმერთების დრო წავიდა, მაგრამ გონიერებას თუ არ გავაღმერთებთ, მატერიალურად ხელი მაინც უნდა შევუწყოთ და დავაფინანსოთ.
3895. ჩვენ საკუთარი ავეჯის დანამატები და შემაწუხებლები ვართ დროის გარკვეულ მონაკვეთში და ამას სიამოვნებით ვაცნობიერებთ.
3896. შრომა და ჭკუა ხშირად არასრულფასოვნად ფასდება, თუ ისინი ერთმანეთს დროულად არ შეამჩნევენ და ურთიერთს მხარში არ ამოუდგებიან.
3897. დროს არ უნდა დავუწვეთ, დროს უნდა ავყვეთ და ფეხი ავუწყოთ.
3898. დრო იმდაგვარად უნდა დავხარჯოთ, რომ რეალური შედეგით საქმემ წარმოგვაჩინოს.
3899. დასჯა და დაყვავება, მათრახი და სასუსნავი ყველა დროში და წყობაში საუკეთესო შედეგს აღწევდა.
3900. დროის შენს გემოზე ხარჯვა, უპირველესად სულის განწყობას უნდა ეთანადებოდეს.
3901. მარადიულიც, დროთა განმავლობაში, გულის და გონების პროფილაქტიკას ითხოვს.

3902. დგება, სამწუხაროდ, ისეთი დროც, როდესაც ცხოვრებას ვერაფერს წაართმევ და ნაღველი შეგეყრება.
3903. მოწოდებას არც ათავხედებენ და არც ჩქმალავენ, სათანადო დროს და შემთხვევას უცდიან.
3904. დედამიწასაც წესრიგში მოყვანა და დასუფთავება სჭირდება, მაგრამ დღევანდელობას ეს არ ესმის.
3905. ფილოსოფიამ ყველასთვის მოსაწონი დიდაქტიკური სიტყვების ფრქვევა არ უნდა იკადროს, რადგან მას ჭეშმარიტების ძიებისთვის მიაგებენ პატივს და არა – ლამაზი სიტყვებისთვის.
3906. ის, რაც გასაკეთებელია, დროულად უნდა გაკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნიათობა და უზნეობა გარანტირებულია.
3907. სინდისის მიძინება-გამოღვიძება ხშირად დროზე და ხელისუფალზეა დამოკიდებული.
3908. ტალანტსაც შეძახება, თავის მოქაჩლება და დროის შესატყვისი დაღვინება სჭირდება.
3909. უკეთესი დრო რომ დადგება, ამის იმედი ყველას გვაქვს, ოღონდ კოორდინატის და წლების მიუთითებლად.
3910. საუკეთესო წინაპარი არ არსებობს, არსებობს საუკეთესო დრო, რომელმაც ამ წინაპარს თავის წარმოჩენის უფლება მისცა.
3911. მომხსენებელი უმთავრესად, საკითხის რეალურად გადაჭრის შესაძლებლობებს კი არ გვთავაზობს, არამედ ყველასათვის ცნობილი საკითხის აქტუალობას აღნიშნავს. ასე უგნურად დროის გაყვანა ნერვებს გვიშლის და მოთმინების ფიალაც თუხთუხს იწყებს.
3912. ყველა თაობა ცდილობს იმაზე მეტს ეზიაროს, ვიდრე ამის საშუალებას დრო, შემთხვევა და სახელმწიფოებრიობა იძლევა.
3913. დღეს ცნობადობის გარეშე დარჩენილი ადამიანი, შეიძლება ძალზე გონიერიცაა, მაგრამ დრომ ასე ინება.
3914. მამაკაცს, უპირველესად, სიყვარულის ფორმის დადგენა სჭირდება, ქალს – მამრისადმი შეგრძნების ადაპტირების მოთოკვა, რაც შეეხება ვის, რას? ის ყველა დროში ბრმა და ამად დარჩება.
3915. სიცოცხლის ბედის ნაჩუქარი წამებით ტკბობა უნდა მოვასწროთ და ვეცადოთ ეს დრო როგორმე გავიგრძელოთ.
3916. მწუხარება, რომელსაც დრო ჰკურნავს, სულის ტრაგედიის ნაწილია, რომელიც ერთი განზომილებიდან მეორე განზომილებაში გადასვლის შედეგად დაიკარგა.
3917. დრო იმქვეყნად ყველას ისტუმრებს: ვისაც რაღაც წარმოდგენა აქვს თავზე და იმათაც, ვინც საერთოდ არაპრეტენზიულია.

3918. ადამიანის ძირითადი მისწრაფებაა, დროის შესატყვისად იცხოვროს და ზოგჯერ უკეთესადაც.
3919. სიდიადეს დრო აფასებს და ტექნიკური პროგრესის წინსვლა განსჯის.
3920. აჩქარება კი არ გვართმევს დროს, არამედ ამით გამოწვეული უაზრო ფაცი-ფუცი.
3921. ხელისუფლების სათავეში ძლიერ პიროვნებას, უპირატესად დრო ითხოვს და არა – ხალხი.
3922. სიავის და სიკეთის განზომილებაც დროთა განმავლობაში პოზიციას იცვლის.
3923. სტანდარტული გენიალური არასოდეს იქნება და მისი გათავისებაც, დროის დაუხმარებლად, ყოველთვის გაჭირდება.
3924. მასპინძელს, სუფრაზე შემორჩენილ სტუმრებს წასვლის დრო, სახეზე ეკითხება.
3925. მეტიჩრობის დრო და საუკუნე მუდმივია, რადგან ისიც, რაღაცის განვითარებას, ეტყობა, ხელს უწყობს.
3926. ვაჟკაცობა პასუხისმგებლობით მოკლე დროში გაბედული და გამოუცდელი გადაწყვეტილების მიღებაა.
3927. აფორიზმებს უმთავრესად მამაკაცები წერენ და ქალები ავსულებად გამოჰყავთ. მატრიარქატის დროც დადგება და მაშინ ვნახავთ ვინ – ვინ იქნება.
3928. ტალანტს დროის ყივილი ღვთაებრივ სილაღეს აპკურებს და აახალგაზრდავებს.
3929. რჩევა-დარიგებას ფუფუნებისთვის სარგებელი მაშინ მოაქვს, თუ ის თავის დროს უწყობს ფეხს.
3930. სიბრძნის არეალს საზღვარი არ აქვს, მაგრამ მაინც თავის დროის ნაყოფიერების შვილია.
3931. დრო ცვალებადია, ყოველივე აღდგენილია, რადგან სამყაროში უკვალოდ არაფერი ქრება.
3932. დროის ყივილს, უმრავლესობა უსიტყვოდ ემორჩილება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაუგებარია, მაგრამ სიახლე გარკვეულ ინტერესს იწვევს.
3933. დღეს ჩვენი თავისუფლება თავაშვებულობაა, დემოკრატია საკუთარ თავზე დაცინვაა, სახელმწიფოებრიობაზე ყბედობა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, ხოლო ხალხი ყველა დროში, როგორი ბრბოს სიმტომებითაც უნდა იყოს დაავადებული, მასად რჩება, თუ დრომ თავისი მათრახი დროდადრო არ გადაუჭირა.

3934. ყბედობა ასაკის ბრალია, პოლიტიკაზე ლაქლაქი – მოჭარბებული დროის.

3935. გენიოსთა უმრავლესობა არაორდინალურად მოაზროვნე ხალხია და ქვეყანაში ბუნტის დროს წარმოჩინდებიან, ე.ი. გენიოსები ყველა დროშია ხახლში, უბრალოდ, მათ წარმოჩენას საუკუნის მოთხოვნები და დროის ყივილი სჭირდება.

3936. ქვეყანას სიკეთე რომ მოუტანო და ნიჭი გამოამზეურო, ამის უფლება დრომ და ხალხმა უნდა მოგცეს, რათა მათ გასათვითცნობიერებლად და მათთან ყბედობით თავის წარმოჩენისთვის დრო არ დაკარგონ.

3937. დიდი დრო ძლიერ სახელმწიფოებს და დიდ ადამიანებს წარმოაჩენს, ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე იქნება თუ ჩვენს წელთაღრიცხვით.

3938. გონიერებით გამობრწყინებას დროის მიმხრობა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა მხარდაჭერა სჭირდება.

3939. თავისაუფალი დრო რომ მოკლა, რაღაცის ფანატი უნდა გახდე, რაიმე ახალი უნდა მოიგონო, სანამ სისულელებზე ფიქრის ლიმიტი არ ამოგეწურება.

3940. გენიოსიც კი თავის წარმოსაჩენად დროის მოთხოვნებს უნდა დაელოდოს.

3941. დრო სიავის მომტანიცაა, სიკეთისაც და მოდუნებისაც, გააჩნია რას როგორ გამოვიყენებთ.

3942. წარმატება მცდელობის, შემართების, გონიერების ხელშია, პლუს შემთხვევა და დროის ყივილი.

3943. დროსთან გონივრული ვაჭრობა და მისი გამოყენება განგების ნაბოძებია, ნანატრია, რომელსაც ვერც ვამჩნევთ და ვერც ვაფასებთ.

3944. გონიერებასაც დროის მოთხოვნებზე მორგება, ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა სჭირდება.

3945. გამოცდილება ცდილობს დროს მოუფრთხილდეს და გონივრულად დახარჯოს, გამოუცდელობა – როგორც მოესურვილება.

3946. დრო წლებს, ასაკის შესატყვისად, ტაშ-ფანდურით გვართმევს.

3947. საქმის საკეთებელი დროის არეალი იმდენად შეამოკლა ტექნიკურმა პროგრესმა, რომ დღეს „აგურის აგურზე“ დადება საკმარისი არ არის.

3948. ყველა საუკუნე გარდატეხის, აღმავლობის და ცოდვის წლებითაა დაკომპლექტებული, რაც უნდა გავაფეტიშოთ.

3949. ყველაზე საინტერესოა ის დრო, რომელშიც ცხოვრობ, გაღელვებს და შენს ჭკუაზე გადაკეთებას ცდილობ.
3950. დროის „მოკვლის“ საუკეთესო ხერხი დღეს ინტერნეტში სიამოვნებით ჩალიჩია.
3951. ყველანი ჩვენი დროის მომსახურე მონები ვართ, შინაგანად ამას ვგრძნობთ თუ არა.
3952. რა არის სამართალი და რა – არა, ამას დრო განსჯის და არა – ადამიანი.
3953. ყველა დროში კრიზისს გონიერება განიცდის და არა – ქვეყნის ეკონომიკა, რადგან კონსენსუსზე და ახალი იდეების შექმნა-დანერგვაზე მანამ არ ფიქრობენ, სანამ კრიზისი თავში არ წამოარტყამთ.
3954. ჩვენი დროის იმ იდეალებს ხშირად უშედეგოდ ვეჭიდებით, რომელიც, ფაქტობრივად მას არ გააჩნია.
3955. სიკეთის შემჩნევა – დაფასებასაც, ნიჭთან ერთად, დრო სჭირდება.
3956. ამჟამინდელი ინტელიგენტი დღევანდელი ჯენტლმენის და წარსულის რაინდის ნაჯვარია, დროის მოთხოვნის შესატყვისად.
3957. ბედნიერებაა, როდესაც შენი სიცოცხლე ისე განვლე და იცხოვრე, რომ განვლილი დროის ყველა ეტაპი მახსოვრობაში დაგრჩა, მათ შორის, ცრემლის შერევით და მოლხენით.
3958. არა მარტო მონური წყობა ქმნის ტიტანებს, არამედ დროც.
3959. პიროვნულ და ეროვნულ ღირსებას დრო ქმნის და აყალიბებს აზროვნებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან და სინდისის გულუბრყვილობასთან ერთად.
3960. ყველა სახის მიღწევა ძველდება, ის ტექნიკური პროგრესის შესატყვისად უნდა შეიცვალოს და არა – მოდის ყაიდაზე.
3961. მარადიულობა საუკუნეებს ემსახურება და არა გასული წლის მოკლე მონაკვეთებს.
3962. ჯერ-ჯერობით, XXI საუკუნის დასაწყისი, წინა საუკუნის დასაწყისის მსგავსად, უაზროდ, უნიათოდ, გამოიყურება, ოღონდ ფონს ტექნიკური პროგრესის ხარჯზე გადის და მოჩვენებითობას, სხვისთვის თვალებში ნაცრის შეყრას და ფუფუნებისკენ მისწრაფებას ემორჩილება. ე.ი. ჯერ-ჯერობით, გადაგვარების ბილიკზე ვდგავართ და განგებამ ნუ ქნას, რომ გავივაკოთ და გადაშენების გზისკენ გავიჭვრიტოდ.
3963. წარჩინების მცდელობა დროისთვის ვალის გადახდაა, რათა ის მუქთად არ გაილიოს.

3964. ვისთანაც არც ჩაწყობა გადის და არც მოქრთამვა, დროა მისი ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი მოწინააღმდეგე.
3965. თავისუფალი პროფესია და უამრავი გამოუყენებელი დრო, რომელსაც ფიქრს ანდომებენ, ძალზე საზიანოდ მოქმედებს გონიერებაზე, რადგან მუდამ მისი „ნაჟურის“ ძებნაში არიან.
3966. მომავალი ყველას გვიღიმის, მაგრამ რამდენადაა ჩვენთვის მისაღებ-მოსაწონი, სხვა საქმეა.
3967. ყველა ნაციონალისტი იმ დროის ბედნიერ ბანქოზე ფიქრობს, რაც ჩვენს წინაპრებს ხელში კოზირად ეკავათ და შესატყვისი დროის არდადგომის მიუხედავად, რევანშის წინააღმდეგნი არ არიან.
3968. დროის ხარჯვას ყოველთვის უნდა ანაზღაურებდეს ჩვენი სიამოვნება.
3969. კონფლიქტის და სიკეთის კეთებასაც, მაინც დროის ქანქარის ჩართვა სჯობს, რადგან დღევანდელი აზრი ხვალ როგორ შეიცვლება და რა მდგომარეობა იქნება ქვეყანაში, არავინ უწყის.
3970. წარსულს თავისი მინუსები აქვს, მომავლის პლუსების იმედით.
3971. უწარსულო მომავალი, გარკვეული დროით, ჩანჩალისთვისაა განკუთვნილი.
3972. ალბათ, დადგება იმ მოდის დრო, როდესაც ახლადაქორწინებულები საქორწილო ბეჭდებს ცხვირში გაიყრიან, თითზე წამოცმის ნაცვლად, ერთმანეთს ყნოსვით შეიცნობენ და ისე ჩაკოცნიან.
3973. გუშინდელი, ძალზე კარგიც, მოსაბეზრებელია, თუ მოდას ჩამორჩა.
3974. ჟურნალისტიკა პროზაცაა და პოეზიაც – დროის შესატყვისად.
3975. ნიჭი დროის და არა ცხოვრების გამოყენებას სჭირდება, რადგან ეს უკანასკნელი თავის ჭკუაზე მილასლასებს.
3976. ნოსტალგია, ფაქტობრივად, საკუთარი წლების, შესაძლებლობების და ჩვენთვის სამყოფი დროის რევიზიაა.
3977. „ყველანი ჩვენი დროის მძევლები ვართ“ და არა – უპერსპექტივო ტყვეები და დასაქმების არმოსურნე მონები.
3978. მიზნის მიღწევას დროის შერჩევა და ბედთან ჩალიჩი სჭირდება.
3979. წერილს დღესაც არ დაუკარგავს თავის იდუმალება და მშვენიერება, მაშინაც კი, თუ „SMS”-ით და ინტერნეტით არის გამოგზავნილი.
3980. დღევანდელი მასმედია და მწერლობა, ხვალინდელისაგან განსხვავებით, უფრო ხალხის დასამუნათებლად არის მოვლენილი, ვიდრე მათი მისწრაფებების და ვნების დასაოკებლად და საუკუნის შესაფერ სწორ გზაზე დასაყენებლად.

3981. დაუჯერებელია, რომ დღეს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალი თაობის გენიოსები არ გვყავდეს, მაგრამ არ ჩანან, რადგან ისინი არავის აინტერესებს არც კარგად, არც – ავად.

3982. საოცარია, მაგრამ ფაქტია, 21-ე საუკუნე ყბედობის საუკუნე გახდა, ეს ცივილიზაციის გათავხედების ბრალია, თუ ბრბოს უსაქმურად დატოვებისა, ძნელი სათქმელია.

3983. ნადირობა, თევზაობა, დროის „მოკვლის“ საამაყო საშუალებაა თანამენაიხეებთან ერთად.

3984. მომავალ ბიო-ენერგეტიკულ იარაღთან შედარებით დღევანდელი ბირთვული იარაღი მშვილდისრის ასოციაციას დატოვებს.

3985. ალკოჰოლი და საჭე შეუთავსებელია, მაგრამ ტექნიკური პროგრესი მალე ამასაც მოუვლის: ან ძრავა არ ამუშავდება ან რობოტი დაგეხმარება მანქანის მართვაში.

3986. სხვა დროში ძილის წინ გადასახლება სამშობლოს სიყვარულის და ერის რაობის დადგენის სურვილია.

3987. აწმყოთი ცხოვრება უნდა ვცადოთ, შეძლებისდაგვარად მომავლის ჭვრეტის გარეშე, რადგან ხვალ რა იქნება და რა მოგველის, არავის უწყის.

3988. გემოვნებას და დროს მენტალიტეტი განსაზღვრავს: მივქარავთ თუ მოსათმენად კარგად ვიქცევით.

3989. შეხედულება და გემოვნება სხვადასხვა ცნებაა, მაგრამ განსჯას, დროს შესატყვისად, ორთავე ექვემდებარება.

3990. დრო ფულზე გადასაცვლელი ანაბარია.

3991. დრო მასწავლებელიც არის, ცხვირში ამომრტყმელიც და ნიშნის მიმგებიც.

3992. ასაკი ჩუმად გვიახლოვდება და წლებიც შეუმჩნევლად გარბიან.

3993. დრო არასოდეს კვდება და ცვდება, ის სამყაროს უცვლელი თანამგზავრია.

3994. ბუნებას შესანიშნავი ოთხი დრო აქვს, რომლებიც რიგის მიხედვით იკავებენ ერთმანეთის ადგილს, მაგრამ ბუნების თავქარიანობა მათ იმიჯს უფუჭებს.

3995. წარმატება და დროის ყივილი ჩვენი წარმოჩენის და ტირაჟირების მქნევარა, „პერპეტუუმ-მობილეა“.

3996. დრო მარადისობის მტერია.

3997. იყო ჭკვიანი ან ძლიერი, დიდი განსხვავებაა, რადგან რომელი რომელს აჯობებს, ამას დროის ყივილი წყვეტს.

3998. ყველაზე მეტად მაინც დრო იფლანგება, იმისდამიუხედავად ხელმომჭირნედ ხარჯავ თუ არა.

3999. მე თანამედროვეთა აზროვნებას ვერ ვენდობი, სადაც გამოკითხული რესპონდენტები, ას საუკეთესო ინგლისელს შორის, პირველ ათეულში, პრინცესა დიანას ასახელებენ და შექსპირს და ნიუტონს ამ ათეულში ადგილის მოძიება უჭირთ.

4000. ყველა თაობა მისთვის გასაგებ სამყაროს უნდა ქმნიდეს, თავის დროში უნდა ცხოვრობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განგების მათრახი, აწმყოს გაუგებრობა და სულის კატაკლიზმები გარანტირებული აქვს.

4001. ძველ და ახალ იდეებს, დროის მათრახის ქნევის შესატყვისად უნდა ეჭიდაო, ზოგჯერ ამართლებს.

4002. დროს ის მოერგება, ვისაც ჭკუა აქვს და ტვინს ტყუილუბრალოდ არ აწვალებს.

4003. ასაკში ყველას გვენანება მუქთად დაკარგულ-გაფლანგული დრო, რომლის დაკვალიანება დღევანდელობის გადასახედიდან გაცილებით უკეთ შეიძლებოდა.

4004. როგორი ინფორმირებულიც უნდა ვიყოთ, მაინც უვიცები ვართ და ამას არც ინტერნეტში ცხვირის ჩაყოფა შველის და არც გონების ხახუნი, იმდენად რთულია სამყაროს და ბუნების ცვალებადობის შეცნობის ალგორითმი.

4005. მოვიდა დრო, როდესაც ადამიანი გენს საკუთარი გაჯანსაღებისთვის „აჩალიჩებს“, რაც დღევანდელობისთვის საოცრებაა, მაგრამ ხვალ მოძველებული იქნება და იმის მერე რას მოიფიქრებს ადამიანის გონება არავინ უწყის.

4006. აწმყოს ნებას ვემორჩილებით ვისაც ამ დროში ცხოვრება გვინდა.

4007. ლოგიკურ აზროვნებას ხშირად პრაქტიკული საქმიანობის დროს არ იყენებენ და ეს სამწუხაროა.

4008. ადამიანები, ძირითადად, დროს ეგუებიან, მასში იღვწიან, რაღაცას აღწევენ, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც დროზე მორგებას უკადრისობენ, მის მიმართ პრეტენზიები უჩნდებათ და პრობლემებს ძალად იქმნიან.

4009. ყველა დროში უნარი ფასდება და არა – ცოდნა, რომელიც როგორ მოიპოვე, არავის აინტერესებს.

4010. დრო ჩვენი ცხოვრების ჩუმი აღმრიცხველია და ხშირად იმქვეყნად გადაბარგების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

4011. თანამედროვე ცივილიზაციას ნაკლებად აინტერესებს ყბედობა, მთავარია, რის კეთება შეგვიძლია, აქედან რა გამოდნება და შევძლებთ თუ არა სხვაზე მეტი ხეირის ნახვის.

4012. საქმის მკეთებელი წუთების გამოყენებით მჟღავნდება, უსაქმური – დროს გაყვანით.
4013. უჯრაში შესანახ ფიქრებს, დრო და დრო, მარტოობის დღესასწაული იწვევს.
4014. ყველა დროს თავისი ახირება ახლავს, დღეს ტანის მოხდენილი ტარება, უკანალის ვნებისმომგვრელი თამაში, ხელოვნებად იქცა, ამასთან ბიზნესიც გახდა და თავის წარმოჩენის საშუალებაც.
4015. ჩემოდანში ჩადებული ფიქრების გამოყენებაზე დახარჯული დრო „მარტოობის დღესასწაულს“ იწვევს.
4016. ცოდნას რატომღაც ამბიციებიც ბიშტს უჩვენებს, რაც ჩვენი დროის საოცრებაა.
4017. ყველა დროს თავის ხუშტურები აქვს, ყველა ქვეყანას – ხუშტურა ხელისუფალი და აქ სამყაროს გონიერება არაფერშუაშია.
4018. ყველანი ჩვენი დროის მანკიერების შვილები ვართ და გვინდა – არ გვინდა, მას ანგარიშს ვუწევთ ვებრძვით, ვემორჩილებით.
4019. დღეს პიარის გარეშე გაკეთებული საქმე „უგუნურებაა“, არც ფასი ადევს, არც გიმადლიან, არც გიმახსოვრებენ.
4020. თუ ზღაპარში ბოროტება ისჯება, რეალობაში სიკეთის მკეთებელს სჯიან, ეს გაუგებრობის ბრალია თუ საზოგადოების გადაგვარების, ძნელი სათქმელია, რადგან პირველს მეოცნებე ადამიანი თხზავს, მეორეს – დრო, ამ დროის შესაფერისი ქცევა და ყოფის კანონები.
4021. ყველანი, მეტ-ნაკლებად, დროის შესატყვისი „მოაზროვნე“ ვხდებით, ასაკის მიუხედავად.
4022. დამნაშავე ყოველთვის დროის ყივილია და არა ის წლები, რომელიც ჩუმად მიიპარება.
4023. გუშინდელი უარყოფილი დღეს შეიძლება ჭეშმარიტებად იქცეს.
4024. ჩანაფიქრის რეალიზაცია დროის ყივილს ემორჩილება და არა – სურვილს და ცოდნას.
4025. ყოყმანის და „ასჯერ გაზომვის“ დრო წავიდა, რადგან დღევანდელი ცივილიზაცია „დასწრებაზეა“.
4026. წინასწარი ხელშეკრულება ყველგან ყველაფერზე და ყველასთან უნდა დაიდოს, რადგან არავინ იცის, სად, როგორ და რისთვის გამოგვადგება – დროა ასეთი.
4027. ყველა ჩვენგანი, ავად თუ კარგად, თავისი განვლილი დროის კმაყოფილია.
4028. სწრაფი აზროვნება, ინფორმაციის ფლობა, თანდაყოლილი მოხერხებულობაა, საქმის ცოდნა დროს 90%-ით ზოგავს.

4029. საქმის კეთების ოდენობას და ხარისხს დროის უცნაურობა განსაზღვრავს და განსჯის.
4030. სიახლე და ხარისხი ინადირებს ერთდროულად ყველას გულს და თავისი დროის ბრენდია.
4031. უიდეო საუკუნეებად XX-XXI საუკუნეთა დასაწყისი ითვლება, რომელმაც საქართველოს უამრავი პრობლემები მოუტანა, ხოლო 21-ე საუკუნე როგორ დაგვმოძღვრავს, იღვაწებს და გაგვწირავს, არავინ უწყის.
4032. ყველა თავისებურად აზროვნებს, მაგრამ ისე იქცევა, როგორც დრო, შემთხვევა და საკუთარი ბუნების მცდელობა კარნახობს.
4033. გაწყვეტილი ფრაზა აუხდენელი ოცნება, გულაცრუებული გრძნობა, დროსთან ვაჭრობა, ჩვენი გრძნობების ბარომეტრია, ასაკის მატების შესატყვისად.
4034. დღეს უგემოვნებობის, „ჩახეთქვის“, საუკუნეა, სადღაც გაუგიათ კარგი რაა, მაგრამ დაგემოვნება, რეალურის შეფასების უნარი, დაქვეითებული და წართმეული აქვთ.
4035. იუმორზეც ცივილიზაციაც გავლენას ახდენს და მას ახლებურად წარმოჩენა, შელამაზება, სჭირდება.
4036. კარგის და ცუდის შეცნობას ზოგჯერ საუკუნეთა გათავხედება ხელს უშლის.
4037. არეულ დროში ყველაზე ძნელი რეალური გმირების გამოვლენაა და არა ცრუ კერპებისა, თავიანთი ბახი-ბუხით.
4038. ხელისუფლებამ ადეკვატურად უნდა უპასუხოს დროის გამოძახილს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის სახელმწიფოებრივი შეგნება გადაგვარდება.
4039. დღევანდელი ცივილიზაცია გონიერების დებეტ-კრედიტზე დაყრდნობით გაიძულებს დროის გათავხედების შესატყვისად იაზროვნო.
4040. ზოგჯერ დროის შესატყვისად გვჭირდება სიდიადის, სიწმინდის წარმოჩენა ახლის გათავისებით, ძველის გათვალისწინებით.
4041. ცრუ მსოფლმხედველობას და იდეოლოგიას დროის კაპრიზი კისერს უგრეხს.
4042. დროს უსაქმურობა ახრჩობს, შედეგის მიუხედავად.
4043. სამყარო და დრო უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, მაგრამ დაპირისპირება და პრობლემები მუდმივი აქვთ.
4044. ჭადრაკის თამაშიც დროის გაყვანის საშუალებაა, ოღონდ დაფიქრებით და სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით.
4045. საათი ჩვენთვის განკუთვნილ წამებს აღრიცხავს და გვართმევს.

4046. მობილური ტელეფონი სამუშაოსთვის განკუთვნილ, ეფექტის მომცემ, დროს უაზროდ გვახარჯვინებს და ზოგჯერ ნერვებსაც გვიშლის.

4047. განზრახ მკვლელობა არ მოისპობა, მაგრამ მოვა დრო, როდესაც მომდევნო თაობები გაკვირვებულნი დარჩებიან ხორცით ჩვენი მუცლის ამოყორვის დონით, როგორც დღეს ჩვენ კანიბალიზმი გვიკვირს.

4048. ყველა ეპოქა დროის შესატყვის ავანტურებს ბადებს კარგი სურვილებით და სათუო შესაძლებლობებით.

4049. ეპოქას ქმნიან და არ აკრიტიკებენ, რადგან ის თავის დროის პროდუქტია.

4050. ერთ დამყაყებულ პერიოდს მიმატებული ერთი ან ორი გარდამავალი პერიოდი საუკუნეში, ეპოქაა დროის კაურებით.

4051. წლების მატების აქსიომა ყველა ეპოქისთვის ერთნაირია, მაგრამ მას უნდა მოძღვრავდეს დრო და აზროვნების შესაძლებლობანი.

4052. დრო ჩვენს ყველა ჩანაფიქრს ზურგს შეაქცევს, თუ რეალური არ არის.

4053. მარადისობისკენ უნდა ვისწრაფოთ, იმედი ვიქონიოთ, იქნება ვისმეს გავახსენდეთ „ვიზუალურად“.

4054. მხოლოდ აწმყო, აწმყო და აწმყო – ცხოვრების სადავეები მას ეკუთვნის.

4055. დრო ყოველივეს უვლის, ასწორებს, კურნავს, მაგრამ არა – ადამიანის ბუნებას და გენს.

4056. მომავლის იმედი და წარსულით ტკბობა აწმყოს შეღავათს ვერ აძლევს.

4057. დრო რომ ყველაფერს კურნავს, ცნობილი აქსიომაა, მაგრამ არიან პოლიტიკას მიტმასნილნი, რომლებსაც ეს მკურნალობა ხელს არ აძლევთ ამბიციების დასამშვიდებლად.

4058. იმას რომ წარმოვიდგენთ, რაც ჩვენ წინაპრებს თავის უგუნურებით სჯეროდათ, იმ დროის გონიერებაში ჩაწვდომა გვიჭირს.

4059. ზოგი ისეთ ჩმახს, აბდა-უბდას, უჯერებს, რომ მისი ამ დროში ყოფნა სახიფათოა, რადგან თვალდახუჭული ყველას გაჰყვება.

4060. მოდა უფრო ტექნიკური პროგრესის პრეროგატივაა, ვიდრე ადამიანის ფანტაზიის, რადგან დღევანდელი კოლგოტკების გარეშე მოდელიერთა მცდელობა უშედეგო იქნებოდა, განსაკუთრებით, ცივ ქვეყნებში.

4061. ოცნება ერთია, ბედი – მეორე, ცხოვრებაში გარკვევა – მესამე და მიუხედავად ამისა, ყოველივე დროის ყივილის მორჩილია.

4062. დრო ყოველთვის გვაიძულებს ყოფითი ამოცანების გადაჭრას ჩვენი ჭკუით, ოღონდ მისი კარნახით.
4063. მომავალზე გადამეტებით არ უნდა ვიფიქროთ, ისედაც დაუკითხავად მოგვადგება და საკმაოდ სწრაფადაც.
4064. დროში ყოველთვის ის იწვის, ვისაც სერიოზულად არაფრის კეთება არ უნდა.
4065. ჩვენთვის განკუთვნილი დრო კი არ ხანგრძლივდება, არამედ იბერება, იფუყება, თუხთუხებს და სკდება.
4066. ყველანაირი უგვანობის გენზე გადაბრალება იმის მომასწავლებელია, რომ მალე გენის გადამცემი საჭირო აღარ იქნება, გაქრება, მას ხელოვნურით შეცვლიან.
4067. ადრე თუ გვიან, გულის კაპრიზის დასაშოშმინებლად, მაგრამ არა ჭკუა-გონების მოსახმარად, ყველაფერი ცნობილი ხდება.
4068. დროის ყივილზე შიგადაშიგ ჭკუის დავარცხნა ერთეულ ალღოსმქონეთა ხვედრია.
4069. შინაგანად არავის ვპატიობთ, უბრალოდ დრო, ასაკი, გარემო, თავისას შვრება და მახსოვრობას „აჩმორებს“.
4070. არცოდნა ყოველთვის სამარცხვინო არაა, თუ ის შენს პროფესიონალიზმს არ ვნებს.
4071. დროის რაციონალურად გამოყენების ცოდნა ნაბოძები ნიჭია, განგებისაგან დაუმადლებლად.
4072. დრო ის უდიდესი მღვრიე და ადიდებული მდინარეა, რომელშიც ცურვა უნდა მოახერხო.
4073. საკუთარი ხალხის შეცნობასაც დროის გამოძახილი თავისი გაჭირვებით და ქვეყნის არეულობით სჭირდება.
4074. ყველა თაობას ყოველი მხრიდან თავისი დროის ცეცხლი ეკიდება, რომელთანაც შერკინებას და თავის დაღწევას საკუთარი მეობის და დროის ყივილის შესატყვისად ცდილობს.
4075. არეული დრო სინდისთან გაუცხოებულ თაობას გვაძლევს, თავისი კაურებით და გაგებული – გაუგებრობებით.
4076. სანამ რაღაც სასიკეთო-სარფიანს მოვიფიქრებდეთ და დროს დავეწეოდეთ, თავად დრო მუქთად გარბის.
4077. რეალურ და გამოუსწორებელ ისტორიულ შეცდომას დრო უფრო მტკივნეულს და დასანანს ხდის.
4078. რიგში რომ დგახარ და რაღაცას უცდი, გგონია დიდი დრო გავიდა, მაგრამ დახედავ საათს და ხედავ, რომ დრო თავისი რიგით მიიზლაზნება. ამიტომაცაა, რომ დროის გამოყენება იმ მათემატიკურ

სიდიდეს უნდა დავუმორჩილოთ, რომელსაც სამყაროსთან ურთიერთობა არ ეშლება.

4079. მთავარია დროის რეალობის აღქმა და არა ის, რა გვაცვია, რას მივირთმევთ და ვისთან ვკოტრიალობთ.

4080. გაზაფხული გაარშიყებაა, ზაფხული – დაწყვილება, შემოდგომა – დაფეხმძიმება, ზამთარი – კაპრიზის გამოჩენა. ყოველ შემთხვევაში, წელიწადის ოთხ დროს მე ასე აღვიქვამ.

4081. დროის კაურებსაც ქვეყნის ინტერესებისათვის ჩვენი შეგნებით ვემსახურებით, რაშიც დაძალება და მოწოდებაცაა შეზელილი.

4082. დროის ფასის ცოდნა იმის გარანტიაა, რომ შეხვედრაზე არასოდეს დააგვიანებ.

4083. რა მოგვიტანა „პერესტროიკამ“ კარგი, დიდი არაფერი, გარდა იმისა, რომ დალაქს სტილისტი შეარქვა, მკერავს – დიზაინერი და სპეკულიანტს – ბიზნესმენი.

4084. დიდებულ წარსულს გარკვეულ საუკუნეთა დასვენების შემდგომაც შეიძლება ის ცუდი წარსული აწმყოში მაინც არ ჰქონდეს.

4085. ყველა არეული დრო გარდამავალ მთავრობას გვთავაზობს, ფაქტიურად, ქვეყნის პოზიციების შეუცვლელად.

4086. წამის გაელვებას, დროის გათავხედებას, ჩვენ ვერ ვეჭიდავებით, მაგრამ სიბერის მოახლოებას ფეხი რომ დავუდოთ და შევეწინააღმდეგოთ გარკვეულ წლებში, შესაძლებელია და აუცილებელიც.

4087. დაავადებას თავისი შემჩნევის და განკურნების დრო აქვს ე.ი. არც მეტი – არც ნაკლები, ამიტომაცაა დროული დიაგნოსტიკა აუცილებელი, რომ დაავადება კლინიკაში არ გადაიზარდოს.

4088. ის რაც მიღებულია, ყოველთვის კარგ შედეგს არ იძლევა დროის, გარემოს და მენტალიტეტის გაუთვალისწინებლად.

4089. დროულად მომწიფება დროს არ გვაკარგვინებს სისულელეზე ფიქრზე და მის გამოსწორებაზე.

4090. უნდა ვეცადოთ დროს ფეხი ავუწყოთ და შეძლებაზე მეტი ვაკეთოთ, რადგან მუქთად ყოფნისას დრო უფრო ჩქარა გვეცლება ხელიდან.

4091. დრო განსაზღვრავს და განსჯის ჩვენი აღზრდის კაურებს თავისი ნიჭიერებით და განუმეორებლობით.

4092. დიპლომატიის უდიდესი კაიფია, როდესაც მტერს მოყვარედ აქცევ.

4093. დროის ყივილის ზეგავლენა იმათაც აცდენს, ვინც გადაცდენისათვის არ არის დაბადებული.

4094. მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი დროის მსხვერპლნი ვართ, მისი გულის მონადირების მცდელობით.
4095. დღევანდელი ჩვენი ფიზიონომია იმის გარანტია არ არის, რომ რამდენიმე საუკუნის და ცივილიზაციის გაჯეჯილების შემდგომ დღევანდელ სიფათს შევინარჩუნებთ.
4096. დროის გამოცდის წინაშე ყველანი ვდგებით, ჩვენი ამბიციების და შესაძლებლობების მიუხედავად.
4097. ყველა დრო და გარემო ძვირფასია, თუ მას დროულად ალღოს ავუღებთ და გამოვიყენებთ.
4098. დროსაც თავის დინება აქვს, ყოფის ინტეგრალების ცოდნით.
4099. მომავლისთვის ჭკუის ჭყლეტას ისევ აწმყოს საქმის ცოდნა სჯობს, რადგან პირველისგან როდის და რა გამოდნება, არავის უწყის.
4100. მაცდუნებელი არ იცვლება, რაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო, ის დარჩა დღესაც.
4101. სამყარო განუსჯელია და მარად ამად დარჩება, ჩვენი სურვილის და მცდელობის მიუხედავად.
4102. დღევანდელი გადასახედიდან წარსული ან ძალზე კარგი გვეჩვენება ან ძალზე ცუდი, მაგრამ რეალურია ის, თუ აწმყოში რას გრძნობ.
4103. ცოდნა, რომელსაც ვერ იყენებ, განათლებაა და არა – გონიერება.
4104. ფსიქოლოგიური თავგასულობა ყველას გვაწუხებს გარკვეული დროით და გასარკვევი გადახრებით.
4105. საჭირო დროს ენაზე კბილის დაჭერა, აღტკინების დამუხრუჭება, გონიერების გვირგვინია.
4106. დროის უსაქმოდ გაყვანა, ხარჯვა, საშინელებაა თუ ამის უნარი ფეტიშით არ შეგწევს.
4107. ის, რაც გუშინ მიუღებელი იყო, დღეს მისაღებია და საჭირო, ხვალ კი მოძველებული და არქაული იქნება. ამას ევოლუციას ვუწოდებთ და მისი მორიგი კაურები რა კატასტროფამდე მიგვიყვანს, არავის უწყის.
4108. დრო ჩვენგან მეობის გამოხატვას, თავის წარმოჩენას ითხოვს და არა – ყოფის საინტერესო წუთების უაზროდ გაცდენას.
4109. ჩვენი თაობის მიერ გამოჩხრეკილი სიბრძნის ფასი მაინც დროის ფაქტორთან შეჭიდებით უნდა შეფასდეს.
4110. დღეს უსაქმურობის დასაფარავად და გართობის ინსტრუმენტად ინტერნეტს და მობილურ ტელეფონს იყენებენ და ყოველ წუთს რომ დაფასება და საქმიანი გამოსავლის მოძიება სჭირდება, არად დაგიდევებენ.

4111. წარსულის ნაიარევი გვამახსოვრდება, მაგრამ აღარ გვაღიზიანებს.
4112. შემართება, ნებისყოფა, ბევრ წარმატებას აღწევს, მაგრამ დროის ყავლიც უნდა ამოუდგეს მხარში.
4113. არის საიდუმლოება, რომლის ტირაჟირება არც ერთ დროში არ ღირს.
4114. ყველა დროს თავისი დონე ესაჭიროება, ადამიანის გონებას რომ შეეჭიდოს.
4115. ყველას ჩვენი დროის გაგების უგუნურება გვახასიათებს ლამაზი შეფუთვნით.
4116. დროს დაფასება უნდა გამოყენებით, ყისმათით და თავის შეძახებით.
4117. პროგრესს შეხლა-შემოხლა და დროის ყმუილი წინ მიათრევს, რადგან თავის გადასარჩენად მას სხვა გზა არ დარჩენია – გაჩერება მისთვის სიკვდილის ტოლფასია.
4118. დრო ყველაფრისთვის თავისებურად მიედინება მჩქეფარებით და მოდუნებით, ოღონდ ფინიშზე ფეხის დადებით.
4119. ზოგჯერ ისეთ დროც დადგება, ჭკვიანის და სულელის გარჩევა შეუძლებელი გახდება, რადგან საღი აზროვნება, გამოცდილება, არც ჭრის და არც არავინ ეპუება.
4120. დროის გამოყენება-დასაქმება, ჩვენი მეგაბაიტის პრეროგატივა.
4121. საძაგელი, ბილწი, დროის დახურდავება-გადაგდების უნარი ყველას არ შესწევს, თუ განგებამაც არ ინება.
4122. მორალის, პატიოსნების, ღირსების, პარამეტრები არეულ დროში დევალვირდება, აზრს ჰკარგავს და დასაცინიც კი ხდება.
4123. დღევანდელობა: ბირჟის ინფორმაცია, იდეების გადინება გართობის ინდუსტრიით დაკავებული ცივილიზაციის მოშველიებით, დემოკრატიის და თავისუფლების იარლიყით და მათი არასწორი გაგებით.
4124. იბადებიან პიროვნებები, რომელთა ბიოგრაფიის შესწავლით იმ დროის აღქმა შეიძლება, რომელშიც ისინი იღვწოდნენ, ცხოვრობდნენ და „კისერს იტეხდნენ“.
4125. გვინდა – არ გვინდა, მეტნაკლებად ყველანი ჩვენი დროის ჯარისკაცები, მსტოვრები, ვიგინდარები, ვართ. ის, რაც ბუნებრივია, სამარცხვინოც არ არის, მაგრამ რიდს და მალვას მაინც მოითხოვს გარემოებათა შესატყვისად.
4126. დროის შესატყვისად ჭკუის მოდერნიზირება კაურებზე ფეხის აწყობის საშუალებას იძლევა.

4127. სასწაული განრიგით არ მოდის, ჩვენი სურვილისამებრ არც ბედის წყალობას გვჩუქნის განგება, რადგან ყველაფერს თავისი დრო და ხუშტურები აქვს, რომელსაც ვერასოდეს ჩავწვდებით.
4128. ბავშვის ინტერესები იმაზე მეტია, რასაც მშობლები ისურვებდნენ, რადგან ყველა თავის დროს უნდა ემსახურებოდეს და მისი შვილი გახდეს.
4129. აწმყო ყოველთვის დაუნახავია და პრეტენზიულია გუშინდლობის და დღევანდელობის მიმართ.
4130. დროს არც არავინ სძულს და არც არავის დანდობა სურს, მას თავისი ალგორითმი აქვს.
4131. მაცდუნებელ დანაშაულს ყველა დრო თავისი გადასახედიდან ეჭიდავება.
4132. ყველა დრო თავის „ყომარს“ თამაშობს ან უზნეობის ნარკოტიკით ან იმედის ნარკოზით.
4133. დროის შესატყვისი წყობიდან, დაწყებული მონათმფლობელობიდან-კომუნიზმით დამთავრებული, ყველა კარგია, მაგრამ ხელისუფალ-აღმსრულებელი უნდა ჰყავდეს ღირსეული, რადგან „ზ. ფალიაშვილის მუსიკას თუ შემსრულებელი ხეირიანად ვერ უკრავს, ფალიაშვილი არაფერშუაშია“.
4134. მთავარია, რა დროში გვიხდება ცხოვრება და არა ის, რა გვსურს.
4135. საოცარი რამაა მოდა: როდესაც გაცრეცილ და გახუნებულ ჯინსებში ახალგაზრდას დაინახავ, გეცოდება. როცა გავიგებთ, რომ ეს მოდაა, უკვე გვშურს. ასეთია მოდის ძალა!
4136. ყველა ჩვენგანი ნიღაბს ატარებს და როდის აეხდება, დროზე, გარემოზე და შემთხვევაზეა დამოკიდებული.
4137. წლების ყაირათიანად გამოყენების ფასს ასაკი ადგენს.
4138. დროის დაკარგვა აუნაზღაურებელ ზარალს გვანიჭებს, რომელსაც ვერც ერთი სადაზღვევო კომპანია ვერ აგინაზღაურებს.
4139. დროის ხარჯვას სულიერების „მომჯობინების“ ცოდნა სჭირდება.
4140. დრო ყველას თავის ჭკუაზე გვატარებს, იმისდამიუხედავად, შედგა ჩვენი ამქვეყნად ყოფნა თუ არა.
4141. დრო გვისვამს კითხვებს და არა – ჩვენი ცნობიერება და აღზრდა.
4142. ცივილიზაციის თავაშვებულობა მსხვერპლს მოითხოვს, დროის რაობიდან გამომდინარე, ყოფის უგუნურებით.
4143. ვნების ნებას გონიერებაც ემორჩილება, დროებით მაინც.

4144. ყველა დრო ჩვენი ბუნებისათვის საკაიფო საქმეს გვთავაზობს, მთავარია, ეს საქმიანობა ვიპოვოთ და გავითავისოთ.
4145. ჩვენი ჯეელობის განუსჯელ ენერგიულ დროზე უკეთესი დრო არც არის და არც შეიძლება იყოს.
4146. აწმყოს მომავლის იმედიანად გაზვიადება უყვარს.
4147. ყველაფერს თავის დრო აქვს, სიცოცხლის შეღიტინებით.
4148. სიდიადეს დრო აფასებს და თანდათან მიაგებს იმას, რაც მას სიცოცხლეში ეკუთვნოდა.
4149. სიბერეს, გაცნობიერებასთან ერთად, ნიჭიც უნდა, მოთმინებით და დროზე მორგებით.
4150. წარსული ეპოქა ხშირად ჩვენი მეობის ძეგლების და სულიერი პრეტენზიების წარმოჩენის უფლებას გვიტოვებს მხოლოდ საკუთარ თავთან.
4151. ღირსებაც თავისი დროის შესატყვის გამოყენებას მოითხოვს.
4152. დროს დაკარგვა ყველას გვანაღვლებს, მაგრამ გააჩნია ამას ვინ როგორ განიცდის და რას აკეთებს მის გამოსასწორებლად.
4153. იაპონელებმა დღეს ადამიანის „ქაქიდანაც“ საკვები გააკეთეს, ყოველ შემთხვევისათვის – ვინ იცის, რა დრო დადგება.
4154. კანონმა და ხელისუფალმა ერებს, პარტიებს, დაჯგუფებებს, განხეთქილების თესლის ჩათესვის საშუალება არ უნდა მისცეს, რადგან ამის სურვილი მოგვიანებით, სხვებსაც გაუჩნდებათ.
4155. სამწუხარო ის კი არ არის, რომ ჩამორჩენილ დროში უნდა იცხოვრო, არამედ ის, რომ ამ დროში დაბადებულ ამბიციებს და თავზე წარმოდგენის მქონე ხალხს უნდა გაუგო, რომლებსაც საქმის კეთებას ყბედობით დროის გაყვანა ურჩევნიათ.
4156. ჩვენს სრულყოფას დროის ჭაშნიკის დაგემოვნება სჭირდება, შიგდაშიგ ყოფის ალიყურის წვნევით.
4157. მიღწეულით რომ დატკბე, დრო და დრო უნდა განერიდო, შეისვენო, შეირგო და კვლავ იღვაწო, რათა მოსაბეზრებელი არ გახდეს და ყოველდღიურობად არ იქცეს.
4158. დროისთვის წინააღმდეგობის გაწევა უპირველესად გონიერებას სჭირდება, რათა დასახულ მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწიოს.
4159. ხელისუფლება ხალხზე ჭორაობას უნდა ერიდოს, რათა პოლიტიკური შულერობა არ შეამჩნიონ და ბიშტი არ უჩვენონ.
4160. მშვენიერება, მომხიბვლელობა, მეტ-ნაკლებად ყველა დარგს და დროს გააჩნია, თუ მათ ანალიზს გავუკეთებთ და ჩავწვდებით.
4161. დროის ტვირთის აწევას მცდელობით და თავის დაკვრით უნდა შევეცადოთ, რადგან აქ გაამაყება ხშირად საზიანოა.

4162. ვეცადოთ ჩვენთვის განკუთვნილ დროს დროულად დავეწიოთ და ცხოვრება გაჯეჯილებით განვვლოთ.
4163. დრო და აღზრდა, შემთხვევასთან ერთად, ადამიანის ბედისწერის აკვანია.
4164. პროგრესი რისკის გაწევაა, რომლისთვისაც თავის გადადებაც ღირს, თუკი მომხიბვლელად საინტერესოა.
4165. აღზრდა და ადამიანის ბუნება ერთმანეთს ეჭიდებიან, მაგრამ შედეგს მაინც დროის ყივილი გვამცნობს.
4166. წარსული და აწმყო შეჯერებას მოითხოვს და არა – შეჭიდებას.
4167. სინანულს დროის ჭირ-ვარამი მფარველობს.
4168. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ადამიანის რაობას, ნიჭთან ერთად, ეპოქა განსაზღვრავს და არა მხოლოდ მცდელობა და შემართება.
4169. წარსულთან ჩალიჩს ისევ აწმყოში მომავლისთვის ჩალიჩი სჯობს, უფრო შედეგიანია.
4170. საუკუნეთა ჯირითი, მატება არა მარტო ადამიანის ცნობიერების, არამედ დედამიწის დავადება-გადაგვარებასაც იწვევს.
4171. წლების მატება უმთავრესად იმაზე მიგვითითებს, რომ მომდევნო წლების ლიმიტი იწურება.
4172. დროის საშლელით წაშლა შეუძლებელია, ჩვენ კი გვშლის სამუდამოდ.
4173. დროულად დამუხრუჭება ყველა დროში და ყოველ საქმიანობაში მთავარია.
4174. დროის მიერ ჩვენს დაცინვას და გაბიაბურებას ჩვენ მიერ შეთხზული ლოგიკით, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, ვეგუებით.
4175. ჩვენთვის სასურველი წამის გაელვებას მარადისობა ჰქვია.
4176. მითოლოგია სიძველეს, ახალსა და მომავლის პერსპექტივას შორის გაგების ენაა.
4177. ჭეშმარიტებაც, სიბრძნეც, შრომის მოყვარეობაც, უმთავრესად, დროის გათავხედებას უნდა მოერგოს, რადგან უამისოდ ვერაფერს მიაღწევს.
4178. წარსული აწმყოს განსჯას არ ექვემდებარება, რადგან მაშინ დრო და ჩვენი ასაკი სხვა იყო.
4179. არის თავისი დროის ნიჭიერი პოპულისტი, რომელსაც აწმყო წყალობს, მაგრამ მომავალი გაქრობას უქადის.
4180. დრო მასწავლებელსაც ჰკლავს, მის მოსწავლესაც და მათთვის განკუთვნილ საჯილდაო წამებსაც.

4181. დროს გაფლანგავ – არ გაფლანგავ, მაინც თავისი გზით მიდის და მიფრინავს.
4182. ჩვენთვის განკუთვნილი ყველა წამი უკანმოუხედავად გასავლელია, ასაკის ხრიკების მიუხედავად.
4183. ყველა დრო თავისი ამოსახსნელი და ამოუხსნელი ალგორითმებით გვანათლებს და მათ გამოსაყენებლად წაგვიბიძგებს.
4184. დევიზი: გააკეთე ყოველივე თავად ან აკონტროლე თავად! – თავის სანთელ-საკმეველს არც ერთ დროში არ კარგავს.
4185. ზოგის ნაკლი აღფრთოვანებას იწვევს, ზოგისას ვერ ვამჩნევთ, ან ამჩნევენ და ალიბს უძებნიან, რადგან დრომ ამ ნიჭიერ კაცს „დაცვის სიგელი“ აჩუქა.
4186. ყველა ჩვენგანში მივიწყებული დინოზავრის სული სუფევს და ძველ დროს დღესაც პანაშვიდს ვუხდით.
4187. მუდმივ, უცვლელ, ღირებულებებს დროის ყველა ჟანრის ყივილიც კი ვერაფერს აკლებს.
4188. დრო და დრო ღირებულებანი შეჯერებას მოითხოვს, დროის ყივილის და საზოგადოების მენტალიტეტის შესატყვისად, რათა ის უფრო აწმყოსთვის ხელმისაწვდომი და გასაცნობიერებელი გახდეს.
4189. ყველა დრო მოსაწონი და სექსუალურია, თუ დროსტარება და დროის გაყვანის ხელოვნება იცი.
4190. აწმყო მომავალით, წარსულით, აღფრთოვანებას არ გამორიცხავს, მაგრამ გონებაზე წიხლის დაჭერით და ნაღვაწის გათვისება-განსჯით.
4191. წარსულის ლანძღვა ადვილია, ახლის კეთება – ძნელი, რადგან ის კუბში აყვანილი უნდა აკეთო, რომ მას აჯობო.
4192. ცივილიზაციის დროებით ჩასვენების პერიოდი ყველა საუკუნეს გარკვეული დროით ახასიათებს.
4193. ჩვენთვის განკუთვნილ დროს მეტ-ნაკლებად ყველა „ვჭამთ“, მაგრამ გააჩნია რა გემოს ვაყოლებთ.
4194. წამის გაელვება ყოველთვის წინ უსწრებს ჩვენს ოცნებას, იმედს, მცდელობას.
4195. სულელობა და ჭკვიანობა ერთმანეთთან ძალზე ახლო დგას, მაგრამ გააჩნია დრო ვის აჩალიჩებს და ვის როგორ გაუმართლებს.
4196. დრო მაცდურად მოგვეპარება, მაგრამ წარსულის გახსენების სიამოვნება, მას რამდენიმე წამით აყოვნებს.
4197. დრო კარგი მასწავლებელია, მაგრამ ალიყურის ჭმევას საქმის წამოწყებამდე არც კისრულობს და ვერც ასწრებს.

4198. დრო ყოველივეს ჩვენთვის გაუცნობიერებელი თვალით უყურებს და მისადმი უპასუხისმგებლობის გამო გვსჯის თავისი შეხედულებისამებრ.
4199. რა არის სისულელე და მიუღებელი, ამას დრო, მოდა და ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობები განსაზღვრავს და განსჯის.
4200. დროის მსვლელობის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ მისი მოთოკვა, მიყურადება, დროის გაყვანა, საჭიროცაა, სასარგებლოც და ზოგჯერ აუცილებელიც.
4201. მეგობრები იმ დროს გვპარავენ, რომლის დაკარგვის წინააღმდეგი არც ჩვენ ვართ, რადგან არ ვიცით, როგორ გამოვიყენებთ.
4202. როდესაც დროის უგუნურების ქარი უბერავს, მასთან მოლაპარაკება შეუძლებელია.
4203. დროს არ აჩერებენ, მას უბრალოდ მიჰყვებიან.
4204. ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას თავისი დროის შესატყვისი მოქალაქეობა და მოქალაქენი სჭირდება.
4205. დღეს „მასმედია“ ყეფს და ტექნიკური პროგრესი წინ მიიწევს – ეს დროის ყივილია და არა – რომელიმე წყობის გონიერების.
4206. ენთუზიაზმის ნებისყოფად გადაკეთებას დრო სჭირდება, ორივეს – მომაბეზრებელი ასაკის მატება.
4207. ნამყომ, აწმყომ და მომავალმა ერთმანეთს პერსპექტივით უნდა გაუგონ, თუ უნდათ გონიერების „ფეიერვერკი“ მოაწყონ და ისტორიის საკუთრება გახდნენ.
4208. მომავლის გამოგონებაც შეიძლება და გამოცნობაც, თუ წარსულის გონებით მობილიზებას და განსჯას მოვახერხებთ.
4209. დროს ცხოვრებაში ჩვენი დაბრუნებაც შეუძლია და ამ დროში ჩვენი განავარდებაც.
4210. ხშირად დროს მაშინ ვეწევით და ვასწრებთ კიდეც, როდესაც ამის სურვილი შინაგანად უკვე დაკარგული გვაქვს.
4211. ცოდნა თავისებური პიარია, თუ მას დროის შესატყვისად იყენებ.
4212. ვინც თავის დროს ვერ უგებს, არც ბედი და არც ამ დროისთვის დამუღამებული აზროვნება აქვს.
4213. განშორებასაც გრძნობათა თავისი კოეფიციენტი აქვს, რომელსაც დროის ხანგრძლივობა განსაზღვრავს და განსჯის.
4214. დროის ხარჯვის მარგი ქმედების კოეფიციენტი განსაზღვრავს ეს წუთისოფელი აზრიანად განვვლეთ თუ უაზროდ.
4215. მოდაზე აზროვნება გონიერების დევალვირების მაჩვენებელია, მაგრამ მის მომხიბვლელობას სად გაექცევი.

4216. სურვილების სიმრავლის დაძლევა ძნელია, თუ დროის გაყვანის ფენომენს დროულად არ დავიხმართ.
4217. ცოდვებსა და სათნოებას დროის ყივილი ფერფლავს, გვავიწყებს, გვახსენებს, საჭიროების და განწყობის შესატყვისად.
4218. უაზრო ყბედობა გართობა კი არა, დანაშაულია, რადგან იმ ძვირფას დროს ვკარგავთ რომელიც არასოდეს დაბრუნდება.
4219. საქმის კეთებას სწავლის სურვილი სჭირდება, რაც შეეხება დროს ის მუდამ ცოდნის მხარესაა.
4220. კეთილი საქმეც ზოგჯერ დროის უკუღმართობის შესატყვისად განისაზღვრება და არა – მისი საჭიროებით.
4221. წუთის სასიკეთოდ და დასამახსოვრებლად გამოყენების უნარი უდიდესი ბედნიერებაა.
4222. ბევრია რამაა ისეთი, რაც არც სხვაში მოგვწონს და არც საკუთარ თავში, მაგრამ ამისათვის ნურც ნურვის განვსჯით და ნურც სასოწარკვეთილებას მივეცემით, დრო ყოველივეს მოინელებს და მოახლაფორთებს.
4223. გონიერების ციებ-ცხელება ახალგაზრდობის ხვედრია და ხშირად მის განკურნებას დრო უფრო შველის, ვიდრე დარიგება და ძალის ჩვენება.
4224. ადამიანის ბედისწერა ათამაშებს, მაგრამ მასაც ჩასაფრება და დროს შერჩევა სჭირდება.
4225. ბოროტება შეიძლება თავაშვებულიც იყოს და თავშეკავებულიც, გააჩნია დროის ყივილს და შემთხვევას.
4226. ცოდნა ბევრს იძლევა, მაგრამ დროის ყივილის და გამოცდილების გარეშე, ფრთების გაშლა უჭირს.
4227. სიწმინდიკენ, სიკეთისკენ, მისწრაფება ყველას გვაქვს, დროის ვიგინდარობა ხელს რომ არ გვიშლიდეს.
4228. დედაკაცების საქმე წყევლაა, მაგრამ დღეს მოდაში აღარ არის, რადგან ქალებიც თავიანთი საქმიანობით „გამამაკაცდნენ“.
4229. წლებგადაგორებული ასაკოვნებისთვის დაისის წლები ძალზე სწრაფად და უკანმოუხედავად მირბის, ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ეჩვენებათ.
4230. უმრავლესობის პრინციპი ყოველთვის არც ჰუმანურს ნიშნავს და არც რეალურს და მისი სისწორე დროს ჭიდილმა თავის ალიყურებით უნდა განსაჯოს.
4231. დრო შეღავათს არ იძლევა, ის ზურგზე წამებმოკიდებული წამებით გარბის.

4232. დრო შეღავათებს არ ითხოვს, ის ისტორიაში დასარჩენად თავდაუზოგავად გარბის.
4233. ვინ ცოდვილია, ვინ ალამართალი, ამას დროის ყივილი და ეპოქის შემოძახილი ადგენს.
4234. წარსულს მომავალი აწმყოს თვალით ყოველთვის უჯოკრავს, რაც ტექნიკური პროგრესის დამსახურებაა და არა – გამოცდილების.
4235. რისხვის ჩაცხრომას დრო სჭირდება, ხოლო დრო უსაქმოდ ყოფნას ვერ იტანს.
4236. თავზესაყრელი დრო საშუალებას გვაძლევს პუნქტუალურები ვიყოთ.
4237. ძალაუფლებას აწმყო ვერ განსჯის, მან მომავლის წინაშე უნდა აგოს აპსუხი.
4238. რწმენით ცურვა ბედნიერებაა, თუ დროის მიერ დაბერილი მკრეხელობის ქარიშხალი არ ამოვარდება.
4239. ზოგი დროს ატარებს, ზოგიც იყენებს, ზოგმა კი არ იცის ჭარბ დროს რა მოუხერხოს.
4240. საათის წამების გადაადგილების ხანგრძლიობა ასაკის რაობას განსაზღვრავს და განსჯის.
4241. კარგი ადამიანი რომ გახდე, დრომაც უნდა გაიძულოს, აღზრდა-განათლებასთან, რწმენასთან, ერთად.
4242. დრო სიცოცხლის ქსოვილს ქსოვს, გონიერება ღებავს, ასაკი ახუნებს და ანტიკვარულს ხდის.
4243. სიმართლის თქმას დროის შერჩევა სჭირდება.
4244. დროზე მორგებას წინხედვით გონის დაწიხვლა სჭირდება.
4245. აწმყო პატარებს უფრო უგებს, ვიდრე მათ მშობლებს და ბებია-ბაბუებს.
4246. აწმყოში დასამახსოვრებლად ცხოვრება უფრო დროის ყივილის დამსახურებაა, ვიდრე ბედის.
4247. გეგმიური ცხოვრება მაშინ არის მისაღები, თუ დროის შესატყვისად არის შედგენილი.
4248. დრო ჭრილობებს გვიახლებს ირგვლივმყოფთა უსამართლობით.
4249. დღეს ინფორმაციის ოდენობა და არა – ცოდნა ინტერნეტის ხელშია.
4250. წარსულის ცოდნა, მომავლის გამოცნობით, ყოველთვის აწმყოს რაობას ეხმიანება, რადგან ყოველივე მეორდება.
4251. დროის რაობის აღქმას, გონიერების ჩალიჩი სჭირდება პლიუსით.
4252. დრო მათ არ ყოფნით, ვინც მას წინასწარ არ გეგმავს ან დაგეგმილს ფეხდაფეხ არ მიჰყვება.

4253. წარსული ჩვენი მშობელია, აწმყო – შვილი, მომავალი – შვილიშვილი.
4254. დაკარგულ დროს არ ეძებენ, უბრალოდ გონიერება ეძებს დროს დანაკარგის აღმოსაფხვრელად.
4255. დროის შესატყვისად ძველს უნდა დავემშვიდობოთ და ახალს უნდა შევეჭიდოთ, უფრო სახალისოცაა და სასარგებლოც.
4256. საშინელია ის დრო, როდესაც სინდისი ვაჭრობის საგნად იქცევა.
4257. სიყვარულის და სილამაზის აღქმაც, პოლიტიკური უგუნურების და ქვეყანაში არეულობის დროს, ამ უკანასკნელთა მენტალიტეტს ემორჩილება.
4258. დრო დაღვინება-დაჭაშნიკების შემდგომ გვაძლევს თავის წარმოჩენის უფლებას თუ ბედმა არ გვიმუხთლა.
4259. გემოვნება სათუო და სადაო საკითხია, მაგრამ მისი ქონება – არ ქონება, მაინც დროის ყივილზე და ახალი მოდის აღქმაზეა დამოკიდებული.
4260. ბედნიერებას არ განსჯიან, მხოლოდ დრო გვჭირდება მასში გასარკვევად.
4261. ცივილიზაციასთან ერთად ჩვენც ვიცვლებით, ამიტომაცაა, რომ დროის ყივილს ყურს ვუგდებთ.
4262. სწავლა დავიწყებისთვის განკუთვნილ დროის პარამეტრებს ემორჩილება.
4263. სიკეთეს უკეთურობა ვერასოდეს აჯობებს, რაც უნდა აღვჭურვო დროის პიარით.
4264. ხალხს არც მასად გადაქცევა უჭირს და არც – ბრბოდ, გააჩნია, დროის რა უგუნურების ქარი დაჰბერავს.
4265. მეცნიერების აღმართის დეტალიზაცია ყოველთვის უცნობია, რადგან დროის გაჯიუტებაზეა დამყარებული.
4266. მართალია, ბრძენი პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ მაინც დროის შესატყვისად.
4267. სიცრუე არ იფარება, მაგრამ მის გამომზეურებას დროის შერჩევა სჭირდება.
4268. ქვეყნის კონსტიტუციის და კანონების ვარგისიანობა-უვარგისობას დროის სამართალი გადაამოწმებს.
4269. მარტოობა გამოსავლის ძებნაა, მოჭარბებული, გამოუყენებელი დროის დასახარჯად.
4270. ყველა დროს გათავისება და ჭკუაზე მორგება სჭირდება, რათა მასში სიკეთის კეთებით ცხოვრება შევძლოთ.

4271. ყოველივე ახალი, მათ შორის წესდება და კანონი, დროის შესატყვის აღმოჩენას მოითხოვს.
4272. სიბრძნეს ბევრი უპირატესობა აქვს, თუ დრომ განგების დახმარებით ფეხი არ დაუდო.
4273. შრომა დროის ხარჯვას, თავისი დასვენებებით, სწორად გვასწავლის.
4274. დროს გადადებ-გადმოდება არ უყვარს, მისი ფასი დასახული საქმის კეთების პირდაპიპროპორციულია.
4275. სიბრძნეც დროის დაჭიტლაყებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისიც „არასრულფასოვანია“.
4276. საუბარში ყველა თავის სარგებელს ეძებს, რათა დრო უაზროდ არ გაეპაროს.
4277. ყველა დროს თავის სათამაშო ხელისუფლება სჭირდება, ზოგჯერ „თავში წამორტყმით“ და აზრზე მოყვანით.
4278. ჯობს დროულად შევცდეთ, რათა გამოსწორებისთვის დრო გვეყოს.
4279. წარმატებას წინააღმდეგობათა დაძლევით და დროის ყივილის შესატყვისად აფასებ-გადაფასებენ.
4280. ზოგჯერ ჩვენი დროის ფსიქოთერაპევტი გვჭირდება, ამ სამყაროში იმდენად დაუწყობელია ყველა დრო.
4281. სიცოცხლეს მოხდენა და დამშვენება დროის მოდაზე უნდა.
4282. ადამიანი დროს ეჭიდავება და აქედან რა გამოვა, დიდად არ ანაღვლებს.
4283. მოდა ყველაზე და ყოველივეზე იმარჯვებს, დროის ყივილის შესატყვისად. წინა საუკუნეებში უგუნური „დუელის“ მოდა იყო, დღეს კი – „ტატუ“-სი.
4284. სწავლაზე დროის ყივილი არ მოქმედებს, რადგან ის თადათანობით უფრო მეტად საჭირო ხდება.
4285. დრო ერთს ანგრევს, მეორეს აუმჯობესებს და ესაა ცივილიზაციის ანიც და ბანიც.
4286. დროის ყადრის შეცნობას სიცოცხლის ბოლომდეც ვერ ვახერხებთ.
4287. დროისთვის ხარკის მიგება გონიერებაა.
4288. მაყურებელსაც მომზადება და შემზადება უნდა და ამას დრო თავისი რეკლამით აკეთებს და არა – აღზრდა.
4289. ყველანი დროის პროდუქტი ვართ, სულიერების წაწყმენდა-განწმენდით, ამღვრევა-დაწმენდით.

4290. რომ არ დაბერდე, დროს ფეხი უნდა აუწყო, დროს რომ ფეხი აუწყო, ამას გარემოებამაც ხელი უნდა შეუწყოს და რაც მთავარია, ეს გარემო შენ უნდა შეარჩიო, შექმნა.
4291. გარყვნილებას და ვნების დაუფლების ხელოვნების ზღვარს ისევ დროის ყივილი განსაზღვრავს და განსჯის.
4292. დრო ყველა ჭეშმარიტებას აღვინებს და თავის ჭკუაზე დროებით მაინც მოთარგმნის.
4293. სწავლა, გონიერების გარეშე, დროსთან შეუთვისებლად, უცოდინრობას უტოლდება.
4294. მწერლობა ფაბულის მოძიებაა, ფაბულას იძლევა ხალხზე დაკვირვება ფანტაზიით, რაც შეეხება ნიჭს, ის მეტ-ნაკლებად ბედთან ერთად გადასახარშია, რადგან ამ მცდელობისგან რა გამოვა, მწერლისთვისაც უცნობია.
4295. დროის გასაყვანი მჭერმეტყველება ტაკიმასხარას შთაბეჭდილებას ტოვებს.
4296. დაუხარჯავი დრო გაუცხოებული სიცოცხლის ტოლფასია.
4297. ადათ-წესების მადლს ყველა დრო თავისი გადასახედის ფილტრით წმენდს და ისე გვპასუხობს.
4298. ტექნიკური პროგრესის ავტორიტეტი შესატყვისი დაფასების გარეშე იღვწის, იმგვარად, რომ გაკვირვებასაც ვერ ვასწრებთ.
4299. დროს მეტ-ნაკლებად ყველა კლავს, მაგრამ „იარაღს“ ირჩევენ სხვადასხვას.
4300. ამბობენ, დრო ყველაფერს ჩამოგვაწერს, განსაკუთრებით იმქვეყნად გადასახლების შემდგომო, მაგრამ ნამოქმედარს გააჩნია.
4301. დროის მოკვლაც შეიძლება და შემოქმედებითად გამოყენებაც, გააჩნია რა ხასიათზე ხარ და რა აწუხებს დღეს შენს დაუოკებელ ცნობიერებას.
4302. დროის გაუმჯობესებას ყველა ჩვენგანი ცდილობს, მაგრამ უმეტესად უშედეგოდ.
4303. ბედნიერებაა თუ შენი საუკუნე ამქვეყნად შენთვის განკუთვნილ დროს რამდენჯერმე გაჯეჯილების უფლებას მისცემს.
4304. ზოგჯერ დრო სიბრძნესაც კვანტს უდებს.
4305. გონიერების დაყადაღებას არა მარტო ასაკის მატება, არამედ დროის ყივილი და რწმენის გაუფასურებაც ხელს უწყობს.
4306. ყველანი ჩვენს დროს ვემსახურებით, მომდევნო საუკუნეთა გადასახედიდან.
4307. ქანდაკებების ნგრევა მათი დამსახურების ნგრევას არ ნიშნავს, უბრალოდ, დროის უგვანობამ უძლურების ბოღმა ამოანთხია.

4308. სულიერების კრიზისს დრო განცდის და არა – ამ დროში მცხოვრებნი.
4309. უაწმყოო წარსული მომავალს ვერ გააჯირითებს.
4310. ხშირად აწმყო წარსულს ეჭიდავება მომავლის იმედით.
4311. წარსულის დაჯერება, ფაქტების მოშველიებითაც, ეჭვს იწვევს თუ არ გჭირდება.
4312. დრო იმ საზოგადოების ქოფაკი ძაღლია, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი ბედიც და ყავლიც.
4313. როგორც ცნობილია, ყველა შემთხვევა აუცილებლობიდან გამომდინარეობს, ოღონდ მთავარია, დრო მას როგორ შეხედავს და უპატრონებს.
4314. დრომ, ქვეყნის უნიათო პოლიტიკოსების დახმარებით, შეიძლება ქვეყნის განვითარება საუკუნეებით იმგვარად შეაჩეროს, რომ ეს ბევრისთვის შეუმჩნეველი დარჩეს.
4315. მოცდა-ჩასაფრებას, დროის არჩევას, არა მხოლოდ ნიჭი, არამედ გენიც უნდა.
4316. უნდა ვეცადოთ ჩვენთვის განკუთვნილი დრო დაუკმაყოფილებლად არ დავტოვოთ.
4317. წამები ფაქტიურად მშვენიერებას აღრიცხავენ და არა დროის გაელვებას.
4318. ყველანი ჩვენს დროში ვცხოვრობთ, მაგრამ სხვა დროში ოცნებით ვჩალიჩობთ.
4319. ადათ-წესები, დრო და დრო, გადახედვას მოითხოვს, ცივილიზაციასა და დროის ყივილთან შეთანხმებით.
4320. დროის ყივილს აყოლილი უპასუხისმგებლობა საშიში დანაშაულია, როგორც სამოდელო ბიზნესში, ასევე პოლიტიკაში.
4321. დრო დროებით სტრუქტურებთან ჩალიჩია, რადგან ის ისტორიულ მოვლენებს ემორჩილება.
4322. დღევანდელი „შემილიტინე – ვერ გავიცინე“ იუმორი ჩემს გაგებას აღემატება.
4323. აუტიზმის ფეხის გამოყოფა დროის უგუნურების ბრალია.

ეკონომიკა

4324. ხელისუფლება, მისივე დაუხმარებლად ჯერ არც ერთ მილიონერს არ გაუკოტრებია, ხოლო – პირიქით, მაგალითები უამრავია.

4325. ეკონომიკური კრიზისი კომეტა არ არის, საიდღანაც რომ მოფრინდეს, ეს მთავრობის უპასუხისმგებლობის, უნიათობის, უცოდინრობის, უნიჭობის და წინდაუხედაობის შედეგია.

4326. ხშირად დავას ის საჭირბოროტო ეკონომიური საკითხი იწვევს, რომელიც არ ესმით, მაგრამ წინა პლანზე გაყოფის ნაცვლად, მითვისებაა წამოწეული.

4327. მატრიალურისაკენ მცდელობა კარგიც არის და ცუდიც, მაგრამ ხშირად ფეხის დაცდენა იცის.

4328. სახელმწიფო, რომელშიც მოსახლეობის თუნდაც ერთი პროცენტი საყვარელი საქმითაა დაკავებული, ეკონომიკურად ძლიერია.

4329. ეკონომიკას ხალხის ნიჭი და გონიერი პოლიტიკის გვერდზე დგომა, სჭირდება, ბიზნესს – ფორტუნა და ხელისუფლების ლოლიაობა.

4330. სიმდიდრის იმდაგვარად გამოყენება, რომ ირგვლივ მყოფნიც კმაყოფილნი დარჩნენ, განსაკუთრებულ ნიჭს და შემართებას მოითხოვსა.

4331. ციფრებით ყველაფრის დამტკიცება შეიძლება მათემატიკის და პოლიტ-ეკონომიის უცოდინარებისთვის.

4332. ყველა რეფორმა, პირველ რიგში გონიერების და მორალის შეცვლას ცდილობს ე.ი. ძველს ყოველივეს ხაზი ესმება, რაც მისი დიდი ნაკლი, შეცდომაა.

4333. ეკონომიკა ავი და დაუნდობელი მეცნიერებაა, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც მასზე მხოლოდ წარმოდგენა აქვს და ხელისუფლების სავარძელშია მოკალათებული.

4334. მომჭირნეობას რაციონალიზმი, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და შევაჭრების ცოდნა სჭირდება.

4335. დღევანდელი ეკონომიკის და ბიზნესის კაპრიზია მოთხოვნათა ჩამოყალიბება და არა – მოთხოვნა და შემოთავაზების პრაქტიკა, რომელმაც უკვე ჭირი მოგვჭამა.

4336. დროს მორგებულ პოლიტ-ეკონომიკურ კვლევებს მათემატიკური გაანგარიშებები უნდა უქმნიდნენ საფუძველს.
4337. წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება, დიდი საქმეების კეთების საწინდარია.
4338. გასავალ-შემოსავლის გათვალისწინების გარეშე თვით უანგარო სიყვარულიც კი „ფუფლოა“.
4339. ეკონომიკას დროის გაცდენა, უყურადღებობა და უნიჭო ხალხი არ უყვარს.
4340. ეკონომიური „ფოკუსი“ ინტელექტუალური საკუთრებაა, სანამ მისი დანერგვის მექანიზმს გავხსნიდეთ. გავხსნით და თავიდან ყველა გაოცებულია, კრიტიკასაც მოინდომებენ, გაითავისებენ, სხვადასხვა უმწეო ვარიანტებს შემოგთავაზებენ, შემდგომ ჭკუის სწავლებასაც გაგიბედავენ და ცხოვრებაში მის დასანერგად თითს თითზე არ დააკარებენ.
4341. მიწა საუკეთესო ცნობარია, რათა ამოვიკითხოთ, დიდი მოსავლის მოსაყვანად როგორ უნდა გავისარჯოთ.
4342. ქვეყანაში ბევრია ეკონომიკის დარგის პროფესორი, მაგრამ ორგინალური და შემოქმედი პრაქტიკული აზროვნების ან არ ჰყავთ ან ახლო არ იკარებენ.
4343. სიმდიდრისკენ მისწრაფებას ფეხი უნდა ავუბათ, მაგრამ არ უნდა გადავამლაშოთ.
4344. ადამიანთა უმრავლესობა არაეკონომიურია და ხელის ზედმეტად განძრევა ეზარება, მაგ., ხომ შესაძლებელია ქალაქის ოთხი ოჯახის წარმომადგენელმა აკრიფოს ფული და სოფლად ბითუმად შეიძინონ 100 კგ ღორი. აქვე დააკვლევინებენ, დასვენების დღეს სახლში გადაამუშავებენ და დაინაწილებენ. შედეგად სამჯერ მეტად მოგებულნი არიან და თან „ღორის ქელეხის“ სუფრასაც ხელს გამოკრავენ.
4345. მიზნის რეალიზება შესაძლებლობის დაფინანსებას მოითხოვს.
4346. ყველანაირ მორალს ეკონომიკური საწყისი აქვს.
4347. გონივრული შრომა სიმდიდრის წყაროა.
4348. ეკონომიკის 99% ციფრებია, 1% – ქვენა აზროვნება, რომელსაც პოლიტიკაც უნდა შევაზილოთ ეკონომიკის პრიორიტეტის შემცირების ხარჯზე.
4349. ეკონომიკა გონიერი ციფრების თამაშია ქაღალდზე, პოლიტიკა მისი მხარის დამჭერია ცხოვრებაში, ამიტომ ყველა რეფორმა, სიახლე პოლიტეკონომიის შერწყმით უნდა გაკეთდეს და არა ცალ-ცალკე, სამწუხაროდ, დემოკრატიას ამოფარებული გონიერება ამას ვერ ხვდება.

4350. ქვეყნის ბიუჯეტმა ისეთი ხელისუფალი უნდა ინატროს, რომელიც გადასახადს ყველას გადაახდევინებს, მათ შორის, მათხოვარს, ქურდს, მექრთამეს და წინდახედულ მიცვალებულსაც.

4351. ამბობენ, ეკონომიკა ავი მეცნიერებაა, რადგან მას უვიცი და უნიჭო მდგმურები ბევრი ჰყავსო, მას კი საქმის საკეთებლად ტალანტი და ქვეყნის პოლიტიკის მხარდაჭერა სჭირდება.

4352. სიახლის კეთება მომჭირნეობის და ეკონომიკის სახელით იღვწის.

4353. ეკონომიკა ყოველთვის შტორმის ამოვარდნასთანაა კავშირში, ხოლო პოლიტიკა – მოჩვენებით სიფიცხესთან და დაყვავებასთან.

4354. ეკონომისტობა ინფორმაცია, პრაქტიკული ცოდნა, კი არ არის, არამედ თანდაყოლილი ტალანტია, რომლის გარეშე ამ პროფესიაზე ხელი უნდა აიღოთ.

4355. ინფლაცია ეკონომიკის სასჯელია, მისი უპატივცემულობისათვის.

4356. „საბაზრო ოპტიმიზმიც“ მომაკვდავია და მის დასაფლავება, ხვალ თუ არა ზეგ, ეკონომიკის სასაფლაოზე, გარანტირებულია.

4357. პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, დივიდენდებს არავინ გაურბის.

4358. გადასახადის გადამხდელის ტრიუმფია, თუ გარდაცვალების შემდგომაც ქვეყნის ბიუჯეტს ავსებს (სხვადასხვა საპრემიო ფონდების დატოვებით) და სახელმწიფოს ძლიერებას იმქვეყნიდან ეხმიანება.

4359. გეგმაზომიერ განვითარებას ზოგჯერ დაუგეგმავი განვითარება სჯობნის, ვინაიდან მოთხოვნა-შემოთავაზებაზეა აგებული.

4360. მართვის მთავარი ფორმულა: იმედი არასოდეს დავკარგოთ.

4361. ინოვაციისადმი უყურადღებობა ეკონომიკის უგულებელყოფაა.

4362. პოლიტიკის და ეკონომიკის შერწყმა-მორგებას, უცოდინრობის გამო, იშვიათად თუ ვინმე ცდილობს.

4363. ის, რაც მორიგეობასთან, პროტექციონიზმთან, სკამთანაა, კავშირში პირველ რიგში, პოლიტიკაა, ხოლო რაც მოგებასთან, სამუშაო ადგილებთან, მოგებასთან – ეკონომიკა, მაგრამ ისიც პოლიტიკის ზედამხედველობით და ნებით, ამიტომაცაა, რომ ასეთ ქვეყნებს ფეხზე დადგომა უჭირთ.

4364. ფასადურ რეფორმებს პოლიტიკაში შედეგი ვერ მოაქვს, რადგან ეკონომიკა მხარს არ უჭერს.

4365. პოლიტიკა მოჩვენებით პოზიციათა ასპარეზია, რომელიც ეკონომიკასთან საქმიან ურთიერთობას ვერ ახერხებს.

4366. ეკონომიკური რეალობის წინაშე ქედს ყველა იხრის, ხოლო პოლიტიკა – დროებით და ისიც თავის სასარგებლოდ.

4367. ეკონომიკური აზროვნება უპირველესი ხალასი ნიჭია, სათანადო განათლებით, დროზე და ქვეყნის პოლიტიკაზე მორგებით.
4368. სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, ეკონომიკაში ავანტურისკენ მისწრაფება არ ამართლებს.
4369. სიღარიბე და ეკონომიკა გონიერებისთვის შეუთავსებელია და მასში პოლიტიკა ცხვირს ვერ ჩაყოფს.
4370. ეკონომიკა ნიჭს და აზროვნებას მოითხოვს და იმ განათლებასაც, რომელიც ყველასათვის საინტერესო არ არის.
4371. საქონლის ღირებულება ინფლაციას ვერ იტანს, გადაფასებას და გაუფასურებას იწვევს.
4372. ტექნოლოგიასაც თავისი „ბზიკი“ ჰყავს: თუ წარმოება გაუმართავად მუშაობს, ისიც სოლიდარობას უცხადებს და წუნი სახეზეა.
4373. შტატების შემცირებას უსახსრობა და ინფლაცია იწვევს და არა – დაბრძენებულ-პროფესიონალი თანამშრომლების დეკვალიფიკაცია.
4374. პოლიტეკონომია მაშინ იზეიმებს, როცა სამინისტროები თვითდაფინანსებაზე გადავლენ, რის შედეგად გამდიდრებულ ბიუჯეტს ქვეყანაში პროგრესის დანერგვას მოახმარენ და პატიოსნად იცხოვრებენ. ყოველივე ეს შესაძლებელია გონიერი ხელისუფლის ხელში.
4375. კრიზისის პარამეტრები დასადგენიცაა და დასაძლევიც.
4376. ცხოვრების ანალიზი, პოლიტეკონომიაში, უნდა შეესაბამებოდეს ასოების მოშველიების შედეგად „ნაჩალიჩარ“ მეტყველებას.
4377. რისკი კონტრაქტის გარეშე და რისკი დაკვეთით, გამომუშავება და ფულისთვის თავის გადადება, ბრძოლაა.
4378. ერთი შეხედვით, კრიზისი გამოუცნობი რამაა, მაგრამ იმათთვის, ვისაც ხელს აძლევს და ამით სარგებელს ნახულობს.
4379. ეკონომიკური წნეხი ყოველთვის უფრო შედეგიანია, ვიდრე იდეოლოგიური, რადგან პირველს კავშირი კუჭთან, ჩვენს მამოძრავებელ ძალასთან აქვს, მეორეს – ცნობიერებასთან, რომელიც ხშირად ცვალებადია.
4380. თავის დროზე ხელისუფლებამ ხალხს თავი მოაბეზრა „მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლის“ მოწოდებით, როდესაც ეკონომიკური საკითხები მოუგვარებელი ჰქონდა. საპასუხოდ მაშინვე შემოვიდა ალტერნატიული მოწოდება: „მსოფლიოს – მშვიდობა, სომხებს – ფული“.
4381. ნაღდი ეკონომიკა, პოლიტიკისაგან განსხვავებით, ელამ ჭკუას და დაუვარცხნელ პატიოსნებას ვერ ეგუება, რადგან თავად მომადლებული თვითმყოფადი ნიჭის მესაკუთრეა.

4382. მომჭირნეობა, ანგარიშგასწორება, სიძუნწე, მათი სხვადასხვაობის მიუხედავად მაინც ურთიერთგანსჯის საგანი ხდება.

4383. წინასწარი დაგეგმილი მცდელობა გეგმიური „ხარჯთაღრიცხვის“ ნუსხაში არასოდეს არ ეტევა.

4384. ქართველმა ერმა ერთი რამ უნდა გაიგოს: ევროკავშირს, აშშ-ს და სხვა რომელიმე ამბიციების მქონე მძლავრ სახელმწიფოს უკანალში თავი რაც უნდა ღრმად შეუყოს, თუ საკუთარი თავმოყვარეობა ეკონომიკის შესაძლებლობებით არ გავამყარეთ, მუდამ სხვათა უკანალის შემყურენი დავრჩებით.

4385. ზოგჯერ დეფიციტ-პრეფიციტი განსაზღვრავს და განსჯის ჩვენს რაობას, მეობას, საჭიროებას.

4386. დამსახურების შესატყვისად გადანაწილება ძნელია, მაგრამ საშუალო შეწონილი არითმეტიკულის გამოყვანა შესაძლებელია.

4387. სამყაროს ფინანსურ სისტემაში ოქრო ჯერჯერობით ყველაზე მეტ ნდობას იმსახურებს, რადგან მსოფლიო სპეკულიანტების კადრები მას ვერას აკლებს.

4388. წესით ასაკში დანახარჯები უნდა მცირდებოდეს, მაგრამ ამის უფლებას არ გვაძლევს შვილები, შვილიშვილები და კეთილისმდომი ახლობლები.

4389. ხალხს გადასახადები არ მოსწონს, მაგრამ არც უნდა შევაზაროთ.

4390. პოლიტიკა და ეკონომიკა დროის ყივილზე და განგების ნებაზე დამორჩილებული მეცნიერებაა.

4391. სტოლიპინმა რუსეთის იმპერიას რეფორმებისთვის 20 წელი მოსთხოვა. მე ამ ვადას დღეს ხუთ წლამდე შევამცირებდი, მაგრამ ამის გაგონებაც არ უნდათ, ასეთი ძალა აქვს დამყაყებულ უნიათობას.

4392. ეკონომიკასაც თავისი საუკეთესო ისტორიები აქვს და მისი აბუჩად აგდება არ იქნება სწორი, თუ მისი დროის ზნეს არ გავესაუბრებით.

4393. კანონიერების დაურღვევლად ზოგჯერ მართლმსაჯულებაც ვერ აღსრულდება.

4394. სახელმწიფოებრიობა ეკონომიკის ბაზაზე უნდა აშენდეს, გონიერებით შეილესოს და შეღებვით წარმოჩნდეს.

4395. ეკონომიკა, დიდი და განსაკუთრებული ნიჭის გარეშე, არარაობაა და ზოგჯერ ზარალსაც გვაყენებს.

4396. ვინც კორუფციას, ინფლაციას, ეკონომიკას, ეთამაშება, ადრე თუ გვიან მასზე დაიწინდება და დაქორწინება მოუწევს.

4397. ტოტალურ, ქურდულ, ეკონომიკას პასუხისმგებლობის გრძნობა დაკარგული აქვს და ქვეყნის საყრდენი, გადასახადების აკრეფაც, დევალვირებულია.

4398. ეკონომიკა კანონის რიდზე, თავის განძრევაზე და შრომის შემოქმედებით ნაყოფიერებაზეა აგებული.

4399. სექსუალური კრიზისისგან განსხვავებით, ეკონომიკური კრიზისისგან თავის დაღწევაც შეიძლება და თავის წარმოჩენაც.

4400. ქვეყანა „გრძნეულთა“ ყოფაა, რომელიც სურვილის მიუხედავად, კომერციის კაურებს ვერ ემიჯნება.

4401. ეკონომიკა მცდელობის რწმენაა, თანამოაზრეთა მონახვაა, რეალური საქმის კეთებაა სხვათა საკეთილდრეოდ.

4402. ეკონომიკა მეცნიერების ის განყენებული სფეროა, სადაც ყოველივე უნდა იცვლებოდეს უკან მოხედვით, წარსულის ანალიზით, მომავლის ჭვრეტით და პოლიტიკის ჭკუაზე მოყვანით.

4403. ეკონომიკა, პოლიტიკისგან განსხვავებით, აზროვნებისა და ყოფის მამათმავლებს და ლესბოსელებს ვერ ეგუება.

4404. მომჭირნეობა ხშირად დასახული მიზნის განხორციელების მცდელობის შედეგია და არა ძუნწი ბუნებისა.

4405. ვისაც ეკონომიკაში ილუზიონისტობა შეუძლია, უნდა იქნეს არჩეული მინისტრად საზოგადოების საკეთილდღეოდ.

4406. ეკონომიკა ექვემდებარება ეკონომიას, ტექნიკურ პროგრესზე დაყრდნობით და პოლიტიკაზე ხელის წამოკვრით.

4407. ეკონომიკა პოლიტიკის შემოტევას, საქმიანობაში სისხლის აღრევას და ფასების გაუმართლებელ მატებას ვერ იტანს.

4408. კრიზისი უგანრიგოდ მოდის და მიდის, ახალი წელი კი განრიგით მოდის, ჯიბის აუცილებელი გამოფხეკით.

4409. გლობალური ეკონომიკა წარმოების საშუალებებს აფართოებს, მაგრამ არავითარ გარანტიას არ იძლევა.

4410. ვთქვათ ნაცნობს 10000 ლარის ერთი წლით სესხად მიცემის ნაცვლად, ამ თანხის ერთი წლის დანარიცხი 10% ე.ი. 1000 ლარი აჩუქეთ. შედეგად ნაცნობი უფრო კმაყოფილი დარჩება ნაჩუქრით, ვიდრე მოზრდილი თანხის სესხებით, რადგან ერთია საჩუქარი, მეორე მოზრდილი, დასაბრუნებელი, თუნდაც უპროცენტო თანხა.

4411. გონების ხარჯვას, ღარიბი, რატომღაც, შრომად არ მიიჩნევს, რადგან თავად ამ სიმდიდრეზე წარმოდგენა არ აქვს.

4412. ეკონომიკის განვითარებას, პირველ რიგში, მორალი სჭირდება, რომელიც მოგებაზე გამოკიდებას არ უნდა გადავაყოლოთ.

4413. დამნაშავის შებრალება მაშინ უნდა იყოდ შესაძლებელი, თუ რეციდივის შემთხვევაში მას სამუდამო პატიმრობა მიესჯება.
4414. სამართლიანობა ეკონომიკის საწყისებსაც უნდა ფლობდეს, თუ უნდა დიდხანს იღვაწოს და დაამახსოვრდეთ.
4415. დეფიციტს ყოველთვის ფასი ადევს, პრეფიციტთან შედარებით, რადგან პირველი გამახსოვრდება, გაყალიბებს, მეორე – მეხსიერებას გიქვეითებს და ყოველივე სულიერს ფეხებზე გაკიდებინებს.
4416. სარწმუნოება მორწმუნეებს მეათედს სთხოვდა საჩუქრად, ხოლო ხელისუფლება გვთხოვს დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) გადავიხადოთ, რომელსაც თავად აწესებს და უმატებს ჩვენსავე გასაყიდ საქონელს.
4417. ეკონომიკა არის ანონიმური თამაში, პოლიტიკის მიერ ყველა ლეგალიზებულ სფეროში ნებადართული.
4418. სანამ პოლიტ-ეკონომიაში მათემატიკა ფეხს არ გაიდგამს თავისი ინოვაციებით, აზროვნებით, მანამ მის განსჯას ფასი დაკარგული აქვს.
4419. დღეს ხაზინის, ბიუჯეტის, შევსების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ ყველას სჯობს მოჭრილი, მარტივი და სავალდებულო – გადასახადები.
4420. განახევრება, თუნდაც სამართლიანი, არასოდეს არაა სრულყოფილი.
4421. შემოსავალი ფულივითაა, არ ყარს, მიუხედავად მის წარმოშობისა.
4422. ცოლებს ეკონომიკაზე საუბარი არ უყვართ და ესირცხვილებათ.
4423. რა უნდა ქნას ეკონომიკამ, თუ ზოგიერთი პოლიტიკოსის პირის გაღება რა დივიდენდებს მოუტანს, არავის უწყის.
4424. ფინანსებს „რომანსების“ დამღერების საშუალება არ უნდა მივცეთ, ყოფის აპლოდისმენტებს არ იმსახურებს..
4425. ქვეყნის დოვლათის სამართლიანად გადანაწილებას იმდაგვარად, რომ მოქალაქენი კმაყოფილნი იყვნენ, ვერც ერთი სახელმწიფო წყობა, ხელისუფლება ვერ ახერხებს და ვერც მოახერხებს.
4426. ის, რაც ზოგჯერ პოლიტიკურ სიბრიყვეს უცოდინრობით ეპატიება, ეკონომიკას კისერს სტეხს.
4427. ქვეყნის ეკონომიკური უგუნურება ხელისუფლების რეგვენობის სინონიმია.
4428. ეკონომიკის ფილოსოფიური ქვა ყაირათიანობაა და არა – სიძუნწე.

4429. ყაირათიანობა დანაზოგის მოხერხებული დაბანდებაა.

4430. ბიუჯეტს ნამუსიანი ხალხი უნდა ადგენდეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინააღმდეგნი არ არიან ზომიერად და ალიბის მოშველიებით ხელი მოითბონ.

4431. ეკონომიკას შავი ხვრელები ყოველთვის ჰქონდა და ექნება, თუ დროულად გონივრულად არ მოვიქცევით.

4432. გეგმიურ და თავისუფალ ბაზარს 60:40 შეფარდება სჭირდება, რათა ქვეყანამ თავის შესაძლებლობები წარმოაჩინოს და ხალხის ინტერესები გაითვალისწინოს.

4433. გეგმიური ეკონომიკა ოჯახის ბიუჯეტის ყაირათიან ხარჯვას გვასწავლის, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობას არ მოსწონს.

4434. ეკონომიკამ არასოდეს იცის, პოლიტიკა ხვალ რას მიჰქარავს, ხოლო პირიქით – ცნობილია და შედეგიც მოსალოდნელი, რადგან ყველა კრიზისი არეულობის გამომწვევია.

4435. პატიმართა ამნისტია გარკვეული შეღავათის მიცემაა ქვეყნის ბიუჯეტისათვის.

ზნეობა

4436. საკუთარი მესთვის ჭკუის სწავლება უდიდეს ძალისხმევას და მოხერხებულობას მოითხოვს.
4437. მეგობრობის ეფექტს, რატომღაც, ყავლი სიბერეში გასდის და მხოლოდ სასიამოვნო მოგონებაღა რჩება.
4438. უმთავრესია თანამოაზრეთა საქმე, რომელიც მეგობრობის გამოცდის საქმეს აგრძელებს.
4439. მშველელს საშველის მორჩილება და მონდომება სჭირდება, თორემ შესაძლებელია ორივენი დაიღუპონ.
4440. თავმოყვარეობა ზოგჯერ ისეთ რამეზე წავა თავისი „მეს“ დასამტკიცებლად, რომ წარმოდგენა ჭირს.
4441. ცხოვრებაში მიზანს ის აღწევს, ვინც საკუთარი „მეს“ ფასი იცის, მაგრამ თავზე დიდი წარმოდგენა არ აქვს.
4442. თავზე მუშაობა საკუთარი „მეს“ გამოყენების უფლებას იძლევა.
4443. სიამაყეს თავისი უძლურების პარამეტრები ახლავს, იმისდამიუხედავად, მხარს უბამენ თანამოძმენი თუ არა.
4444. ზოგი საქმიანობას იმიტომ იცვლის, რომ თავისი მორალის შესატყვისი სამუშაო მოიძიოს.
4445. აზროვნებას და გემოვნებას ხშირად ერთად ძოვა უჭირთ.
4446. საკუთარი თავის, „მეობის“, შეცნობა დიდ მცდელობას მოითხოვს, მაგრამ ამაზე დროს დაკარგვა არ ღირს, რადგან შეფასება მაინც არაობიექტური იქნება.
4447. საკუთარი „მეობის“ შეცნობასაც დრო სჭირდება აპლოდისმენტების ჟღერადობით.
4448. სიამაყეს ჩვენი „მე“ ვერსად დამალავს და დაახურდავებს.
4449. დღევანდელი ცივილიზებული სასიძოსთვის ქალწულობის ინსტიტუტი უცხო ხილია.
4450. ახლობლებთან კინკლაობა არავითარ შემთხვევაში მეგობრობის სტატუსს არ უნდა შეეხოს.
4451. ეცადე საკუთარ „მეს“ ყოველთვის ასიამოვნო, მასზე უკეთესი შენ არაფერი გაგაჩნია.
4452. არიან ადრეული ასაკიდან შემორჩენილნი მეგობრები, რომლებისთვისაც თავის დროზე დღევანდელი გადასახედიდან რომ შეგვეხე-

და, არავითარ შემთხვევაში მეგობრად არ გავიხდიდით.

4453. მეგობრების დაცვის იმუნიტეტია თქვენს ურთიერთობას საერთო ბიზნესი და ფული ახლოსაც არ უნდა გააკაროთ.

4454. ცხოვრების ცოდნაა: კანონზე მორგება, საკუთარი „მეს“ შენარჩუნება და სხვებისადმი პატივისცემა.

4455. მეგობარმა მხარი მაშინ უნდა დაგიჭიროს, როდესაც მთლად მართალი არ ხარ, მაგრამ კომპრომისი შესაძლებელია.

4456. საკუთარი თავის შეცნობა უმადური და უიმედო საქმეა, ჯობს შევეშვათ, მაგრამ კონტროლი არ უნდა მოვაკლოთ.

4457. ზოგჯერ მეგობრების მიბაძვაც აუტანელი ხდება.

4458. წყვილის სიყვარული შეიძლება მეგობრობაში გადაიზარდოს, მაგრამ არასაიმედოა.

4459. მეწვრილმანეობა მეგობრობას, თანადგომას, თანდათანობით ჟანგავს და ჩვენდაუნებლიედ გვაშორებს.

4460. თავის ყველაზე დიდი პატივისცემაა, თუ პასუხისმგებლობას არ უფრთხი.

4461. ალბათ, ერთი ნახვით შეყვარებაც არსებობს, მაგრამ ისიც დროით გადამოწმებას მოითხოვს.

4462. სინანულის გამოხატვისას მოპირდაპირე მხრიდან უნდა იგრძნობოდეს, რომ თქვენი სინანული მიღებულია.

4463. რატომღაც სიღარიბით ყველაზე მეტად ახალგამომცხვარი მდიდრები ტრაბახობენ, ალბათ, ამით პირად „მეს“ როგორც საკუთარ, ისევე სხვის თვალში, აფეტიშებენ.

4464. არის რაღაც, რომელსაც ვერსად შეიძენ. ეს არის ხელით დაჭერილი თევზი და თანამედროვეობასთან უდრტვინველად შენი მეობით გაწვდილი ხელი.

4465. ბედნიერება სიკეთით კეთდება იმ ადამიანებისათვის, რომლებივ შენს, „მეობასთან“ ახლოა და შენი „გული მოძოვა“.

4466. მამაკაცი მანამ არის თავისი ამაყი „მეს“ მორჩილი, სანამ არ დაოჯახ–დაწვრილშვილდება.

4467. ცოდვების ჩადენაში საკუთარმა ბუნებამ და არა კანონისადმი შიშმა უნდა შეგვიშალოს ხელი.

4468. ქალი შესანიშნავი სავარგულია სახნავ-სათესად გონიერი მამაკაცითვის, რაც შვილების მოშენება – აღზრდას, ვნების მოთოკვას საკუთარ მეობის წამოწევასაც ემსახურება.

4469. ღირსებამ სიავე ახლოსაც არ უნდა გაიკაროს, თუ გვინდა მისი სტატუსი ვიწამოთ.

4470. ჭეშმარიტი მეგობრობა იმ ღალატს, გადაცდენას, არასოდეს

დაუშვებს, რომელიც მეგობრობას ვნებს.

4471. სამართლიანობის საწყისზე დამეგობრებას გონიერების საყრდენი სჭირდება.

4472. გონიერება უგნურებისაგან და უმადურებისგანაც კი მათ-დაუნებურად მადლიერებას იმსახურებს.

4473. საუბრის აკრძალვაც თავისებური დიქტატურა და დემოკრატიაზე ბიშტის ჩვენებაა, რაც უნდა კარგ მოსაზრებას ემსახურებოდეს.

4474. მეგობრებმა თავადვე უნდა წარმოგაჩინონ, ნებაყოფლობით და თავისთავად.

4475. სჯობს სიმდიდრის ფლობა და მეგობრის ყოლა ერთმანეთს არ გააკარო, რათა ან ერთი არ დაკარგო, ან მეორე.

4476. ყველა სახის ჭკუა და მცდელობა გაფილტვრას მოითხოვს, რათა „სანთელ-საკმეველმა თავისი გზა გაიკვლიოს“.

4477. სურვილების და თავის „მესთვის“ ჯობნა, გონიერების გადასახე-დიდან, ყველას არხელეწიფება.

4478. სინდისის თავისუფლებას ისიც სახალხოდ ითხოვს, ვისაც სინ-დისი გააჩნია.

4479. დანაშაულის ჩადენის მცდელობა სინდისის უქონლობის ბრალია.

4480. გონიერებას მეგობრობის ცოდნაც სჭირდება, რათა მისი უკვდავ-ება გაატირაჟონ და სათანადოდ დააფასონ.

4481. ზნე კეთილისთვის, არავითარი ადამიანური უცხო და მიუღებელი არ არის.

4482. მიწეპებული მეგობარი მძიმე ტვირთია.

4483. მეგობრობას ასაკი, მანძილი და დროსტარების შესაძლებლობე-ბის დაქვეითება ძალიან ვნებს – იშვიათად ვხვდებით.

4484. მეგობრის ნაკლი შენივე ნაკლია, თუ მასთან მეგობრობას აგრ-ძელებ.

4485. პიროვნება პატივის მიგებას მლიქვნელობით ვერ იტანს და არც აკადრებენ.

4486. მეგობრობა იქ მთავრდება, სადაც ფულის გაყოფა, ჩადება, სესხ-ება, მასობრივ ხასიათს იღებს.

4487. სიტყვა „მეგობარი“ კარგად ჟღერს, მაგრამ გამოცდილი და ჭეშ-მარიტი მეგობარი უკეთ ასოცირდება.

4488. მეგობრული სიყვარული გაუგებრობის გამო ზოგჯერ ხურდავდე-ბა, მაგრამ ახლობლის სიყვარული სავალდებულო და უცვლელია.

4489. სიმართლის ენა მარტივია და ზოგჯერ „ძირშია მოსაჭრელი“ თუ მასზედ დროულად კბილის დაჭერა არ იცი.

4490. ენას თავხედობა უხდება, ზომიერების და ზრდილობის ფარგ-

ლებში.

4491. ზედმეტი თავმოყვარეობა შეიძლება ზადიც არის, მაგრამ აუცილებელია ღირსების წარმოსაჩენად.

4492. კრიტიკით კარგის წარმოჩენა უფრო მისაღებია, ვიდრე ქებით ძირითად ღირებულებათა მიმალვა.

4493. შვილის ყოლა პასუხისმგებლობას გვმატებს საკუთარი თავის წინაშე და ამის დავიწყება საკუთარი მეობაზე წიხლის კვრის ტოლფასია.

4494. სხვისთვის ჭკუის დარიგების სურვილი საკუთარი მეობის ჩუმი რეკლამაა.

4495. საკუთარი თავის შეცნობაც შესაძლებელია და ისიც სხვათა დახმარებით და კეთილი სურვილებით.

4496. ყოველმა ჩვენგანმა ყოფის, ქცევის და ჩაცმის თავის სტილს უნდა მიაგნოს.

4497. დღეს პატიოსანი სიტყვა და ნდობა, ქაღალდზე დამოწმებულ გარანტიას ითხოვს.

4498. წარმატებულს „მეგობრები“ და „კეთილისმდომნი“ არ ელევა.

4499. საკუთარ თავში ძლიერი მხარეების შეცნობა უფრო მოგვწონს, ვიდრე სხვისაში.

4500. ღირსების უპირატესობას არავინ ანიჭებს, გარდა გონიერებისა.

4501. მორალს დახვეწილი ქცევის ნორმები არ გააჩნია, რადგან ის თავად უნდა გააცნობიერო.

4502. მორალის დანიშნულებაა, რომ ადამიანმა თავის ვალდებულებები კეთილსინდისიერად და შეუფერხებლივ შეასრულოს.

4503. წუთისოფელი ყველას ჩვენი წილი გმირობის ჩადენის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ როგორ და რანაირად, ამას ჩვენი „მეგაბაიტი“ და შემთხვევა წყვეტს.

4504. სინდისი და კანონიერება ძმები არიან, მაგრამ არ მეგობრობენ, რადგან ორივეს სათანადო ობიექტურობა აკლიათ.

4505. მორალი სიკეთეს თესავს თავისუფლების აღთქმა-დაპირებით.

4506. ზრუნვა ჩვენი კეთილისმდომისთვის ყოფის ანიც არის და ბანიც.

4507. ვიღაცის და რაღაცის სამსახური, სიამოვნებას უნდა გვანიჭებდეს და არა მოვალეობის მოხდის განცდას.

4508. მორალის უგულებელყოფა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

4509. მორალი მოვალეობის უმწიკვლო შესრულება და სხვისი ღირსებისთვის პატივის მიგებაა.

4510. გემოვნება ბუნების ნაჩუქარი მრჩეველია ჩვენი მეობის ჩამოყალიბება-შექმნით.

4511. მეგობარს არ ეძებენ, თავად ურთიერთობა ეძებს შესატყვის სულიერებას, რომელიც თუ მოერგო მეგობრობაში გადაიზრდება.
4512. სიმართლეს შელამაზება არ სჭირდება, თუმცა სიმართლეს გააჩნია.
4513. ღირსების შესაძლებლობებს სურვილები აფასებს.
4514. მთავარია მტერმა სინდისი არ წარგვტაცოს და მეგობრობა არ დაგვიხურდაოს.
4515. სარეცელშიც სუფთა სინდისით უნდა ვწვებოდეთ.
4516. პატიოსნებასაც, სათანადო დაფინანსების გარეშე არსებობა უჭირს.
4517. მეგობრობა შეუძლებელია თუ ერთნაირი ხასიათი, საერთო ინტერესები აქვთ და ერთმანეთს ხუმრობით მაინც არ უპირისპირდებიან.
4518. გონიერება და სამართლიანობა ყველანაირი სიკეთის მომტანია.
4519. მორალის გავრცელება-გათავისებაა ძნელი და არა მარტო მასზე დაყრდნობა.
4520. მეგობრის რჩევა, თუ ის შენს ნაღვაწს გაეცნო, უდიდესი პატივია რადგან ეს რეკლამის გარეშე გააკეთა და ოპონენტად მოგევლინა.
4521. ღირსება, ძალა, ზურგში დგომა, ყოველთვის მშვიდია, რადგან რწმენას გრძნობ და იმედი გაქვს.
4522. სამართლიანობა ყველას ჩვენი სიამოვნების შესატყვისად გვესმის.
4523. გონიერებას ყველა ეწინააღმდეგება, სანამ თავის საბოლოო „მეს“ არ იტყვის და კამათის არსს წერტილს არ დაუსვამს.
4524. თავისადმი უპატივცემულობა და უპრინციპობა ძნელი ასატანია
4525. „პიროვნება“ ყოველთვის „მართალია“, საქმიანია, სანამ თანამდებობა უკავია და მის სიტყვას ფასი აქვს.
4526. სინდისი, ჭკუისაგან განსხვავებით, სკლეროზით არ ავადდება.
4527. „მეზობელო კარისაო, მოყვარე ხარ თავისაო“, მაგრამ მასთან მეგობრობა თუ არ გვაკავშირებს, სტატუსი უნდა ეცადოთ კეთილი მეზობლის შეინარჩუნოთ.
4528. ვერაგულად მოკლული აშშ-ს პრეზიდენტის ქვრივი მილიარდერს მისთხოვდა, ცნობილი რუსი რეჟისორის და მსახიობის ქვრივი ქმრის სიკვდილის შემდგომ, შოუმენს გაჰყვა ცოლად, როდესაც პირველი სიმდიდრეს მისთხოვდა, მეორე – გაფულიანების იმედს. შედეგად არც ერთს არ გაუმართლათ, ერთი კვლავ ადრე დაქვრივდა, მეორე – დროულად დაშორდა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ატარებენ კვლავ პირველი ქმრების გვარებს?!

4529. თუ სხვას სასიკეთოდ ეხმარები, უკვე პიროვნება ხარ.
4530. სინდისს, გონიერებისგან განსხვავებით, არ აქვს დროგასულობის ვადა.
4531. თუ სიყვარულით გააზრების უნარი შეგწევს, საკუთარ ღვთაებასაც დაინახავ და საკუთარ „მე“-საც.
4532. ღირსებასაც თავისი სილამაზე, მეობა და კაპრიზიც უნდა გააჩნდეს – უფრო ღირსულად წარმოჩინდება.
4533. თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა გაამაყებს, მაგრამ მისი შედეგი ხშირად გვაღონებს.
4534. ნაღდს, ფონის შექმნა და თავგამოდება არ სჭირდება.
4535. მცდელობა, ნიჭის და შესაძლებლობათა გამოვლენის საუკეთესო და უტყუარი საშუალებაა.
4536. ამომრჩევლის ბიულეტენთან გასაუბრებას სინდისი, გონიერება და გული ჭირდება.
4537. პატიოსნებას მისაკუთრება არ სჭირდება და არცა ჰყავს მსურველი.
4538. გამოუვალ მდგომარეობაშიც შესაძლებელია „ქაქი“ ბოლომდე არ ჭამო.
4539. მორალი ეშმაკს ვერ ვნებს, მაგრამ უცაცხანებს.
4540. მოუთოკავი ინსტინქტები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებს.
4541. ერთმანეთს ურთიერთგაგებაზე უკეთესს ვერაფერს შევთავაზებთ.
4542. უნდა ვეცადოთ ჩვენს თავში ტირანი დავთრგუნოთ.
4543. გმირს აქვს უფლება აფექტში თავისა სიცოცხლეს ისე მოეპყრას, როგორც ჩათვლის და არა – სხვათა წაქეზებით და დაძალებით.
4544. შექებამ და წამლიქვნელებამ მიჩვევა იცის და ბოლოს მოთხოვნილებად გექცევა.
4545. მოჭარბებული არასოდეს ღირებული და დასაფასებელი არ არის, რაც უნდა აუცილებელი იყოს.
4546. მეგობრობას ვალის აღება არ უყვარს, რადგან აქ, მატერიალურზე მეტად ხშირად სულიერება ზარალდება.
4547. ძველი და გადამოწმებული მეგობრობა არასოდეს ბეჩავდება და არ კვდება.
4548. მეგობრობა არ ჭკნება, მაგრამ არ ყვავის.
4549. სინდისი გულის მჩქეფარებას ეხმაურება.
4550. ხშირად უმადურობის მიზეზი ჩვენი „მეს“ გათავხედება და თავის წარმოჩენაა, „მეც ხომ რაღაცას წარმოვადგენ“, სურვილით.

4551. სიკეთის მომტან აზრებს, გამგონიც და დამფასებელიც უნდა ჰყავდეს, ოღონდ ერთდროულად.
4552. არაფრის კეთება, როგორ შეიძლება ბედნიერება იყოს, ჩემი „მეგაბაიტისთვის“, ჯერ-ჯერობით, გაუგებარია.
4553. მოვალეობა და შემართება ყველა ასაკში თან უნდა გვახლდეს.
4554. მორალს აბსტრაქციონიზმზე წარმოდგენა არ გააჩნია, რადგან ძალზე მიწიერია.
4555. ცნობისმოყვარეობა ყველა აკრძალვაზე მაღლა დგას.
4556. უვიცობა ყბედობის მუქთი საწვავია, სად და როგორ გამოიყენოს ყბედობის უნარი, მისთვის უცნობია.
4557. სინდის-ნამუსსაც თავისი ეგოისტური პარამეტრები ახლავს.
4558. გადამეტებით მგრძნობიარობას, სიკეთე არ მოაქვს.
4559. სინამდვილეს ყოველთვის უჭირდა აღმა სიარული მხარდაჭერის გარეშე.
4560. სინდისიც ზოგჯერ ჩვენს ხასიათს ემორჩილება.
4561. როდესაც სიკეთე-სიავის საკეთებლად არჩევანი წამოიჭრება, სასწორის პინა ყოველთვის პირველისკენ იხრება, იმისდამიუხედავად, რომ ხშირად სიკეთის კეთებისას გაწბილება მეტია, ვიდრე მადლიერება.
4562. პროფესიონალიზმს, ნიჭს, სახელს, ჯიბის ქურდიც უფრთხილდება და ქუჩის მეძავიც, მათაც თავიანთი „მე“ აქვთ და ერთმანეთისგან ღირსებით, თავიანთი დაუწერელი კოდექსის მიხედვით გამოირჩევიან.
4563. ღირსება და ღირებულება მოწყენილობას და უსაქმურობას ვერ ჰგუობს.
4564. ცივილიზაცია საზოგადოებას ალიყურის ჭმევებით ანვითარებს, მაგრამ ადამიანი მაინც თავისი „მეს“ წარმოსაჩენად ჩალიჩობს.
4565. რასაც მე სიამოვნებით ვაკეთებ, სხვა იმას ვერ გააკეთებს, ხოლო სხვისი საკეთებელი თუ მომეწონა, მასზე უკეთ თუ არა, ცუდად არ გავაკეთებ, რადგან თანდაყოლილი ფხა მაქვს ასეთი
4566. „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაგრამ საშუალებაც ღირსეული უნდა იყოს.
4567. ბრიყვსაც მისთვის გასაგები სინდისის ზომიერება სჭირდება, თორემ დაიღუპება, დაჩმორდება.
4568. პრინციპების გარკვევა საჭიროა, რადგან მასაც თავისი მოუთოკავი „მე“ აქვს და „ოფოფები“ ჰყავს.
4569. მოკრძალება ზრდილობიანობის ერთ-ერთი ეგზოტიკური ფორმაა.

4570. მამაცობა, გამბედაობა, თავის დადების, თავის შეწირვის სინონიმებია.
4571. დღევანდელ ველური თავისუფლების სამყაროში ადამიანი არარაობად იქცა, რადგან მოხვეჭის და ფულის გულისთვის იმასაც დათმობს, რაც სწამდა ძველად.
4572. ეჭვის საფუძველი ყოველთვის წვრილმანებში ჩახედვა და მისი ანალიზია.
4573. ასკეტიზმსაც ჩვენთვის უცნობი ხელგაშლილობა ახასიათებს.
4574. სიამაყეს სიდინჯე უხდება და არა უმნიშვნელო რაღაცაზე ავარდნა და გადარევა.
4575. გამარჯვებულს მორალი არ აინტერესებს, რადგან გასამართლებისას მორალის რაღაც ალიბს აწაპნავს.
4576. პრინციპს სათაყვანებლად თავისი ვარსკვლავები ჰყავს.
4577. სიბრიყვის სიმპტომებს გულახდილობა შეიცავს.
4578. რწმენა და მორალი სულიერ კრიზისიდან გამოსავალს უნდა ეძებდეს.
4579. ყველა გადაწყვეტილებას, კანონს, აღიარება და ღირებულება უნდა ახლდეს.
4580. მორალი მოვალეობის განსჯას არ ითხოვს, მისი პარამეტრები მეტ-ნაკლებად დადგენილია.
4581. პრინციპებს მორალი და ფაქტები უნდა უჭერდეს მხარს, თუ გვინდა რომ იზეიმოს.
4582. სიტყვა ჯობს მოკლე გადამჭრელი, საზრიანი, საქმიანი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის და შეფუთვნის გარეშე.
4583. ბედნიერებისკენ მისწრაფებაც, ხშირად, მორალს არად დაგიდევთ.
4584. მორალიც პროგრესისაკენ ილტვის, ზნეობის გაუარესებით და პრინციპების დათმობით.
4585. იყო მოსამართლე, უდიდესი პასუხისმგებლობაა საკუთარი სინდისის წინაშე, რათა რაიმე არ შეგცდეს, უდანაშაულო დამნაშავედ არ აღიქვა ან პირიქით.
4586. შეცდომას ყველა უშვებს, განსაკუთრებით, ჩვენი მეგობრის თამადობით.
4587. იდეალების დევალვირებამ, სამყაროს მრავალმხრივი ქაოსი გამოიწვია და სანამ გაგრძელდება ეს ყოფის „ხაბა-ხუბა“ არავის უწყის.
4588. მეგობროულმა გაკილვამ გული არ უნდა გატკინოს, პირიქით უნდა გაგაამაყოს: შეგამჩნიეს და შენი მოხერხებულობა ღიმილით

წარმოაჩინეს.

4589. მორალს, არაორდინალობის და მახვილგონიერების წინაშე, თავისი „მეს“ გატანა უჭირს.

4590. ზნეობაც დიდ განცხრომას იძლევა, თუ ოცნებაც გონივრულადაა შერჩეული.

4591. იდეა, ფანტაზიის მოშველიებით იმ მატერიის აღმოჩენაა, რომელიც აზროვნებამ უნდა აღასრულოს.

4592. დღეს ისიც პიროვნებაა, ვინც ზედმეტ წონას თავიდან იშორებს, სიგარეტს თავს ანებებს და ნარკოტიკი არ უგემია.

4593. უსინდისობას შეიძლება მტკიცე ალიბი და მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ამართლებს.

4594. ტყუილი მომხიბვლელია, თუ ის ადამიანის უკეთ წარმოსაჩენად და სიკეთის სათესად არის გამიზნული.

4595. სიტყვის პატრონიც უნდა იყო და სიტყვის მონაც, თუ გინდა კაცად იქცე და არა მის „პროვოკაციად“.

4596. ზოგჯერ დგება ის უგუნური დრო, როდესაც სინდისი დაბნეულია და გზის გაკვლევა უჭირს.

4597. გარკვეული დონის საზოგადობაში აზრიანი წამლიქვნელება დიდი საჩუქარია.

4598. ყოველივე ლამაზი და კეთილი უანგარო მხარდაჭერას საჭიროებს.

4599. უმრავლესობა რატომღაც უმიზეზოდ, უმტკივნეულოდ და თავისდაუნებლიედ იტყუება, მხოლოდ იმიტომ, რომ ნათქვამს თავისი ნაოცნებარი შეაზილოს.

4600. თავად სიკეთის კეთებაა დიდი კაიფი და არა – სიკეთის კეთების გრაფიკის ცოდნა.

4601. მორალი, როგორც მინიმუმი, რელიგიაა, როგორც მაქსიმუმი – გონიერება, გამოცდილებაზე დაყრდნობით.

4602. ზოგჯერ სინდის-ნამუსის გაგებაც მოსაწესრიგებელია, დროის შესატყვისად.

4603. ზნეობრივია ყველაფერი, რაც ურთიერთპატივისცემას და კანონიერებას ემსახურება.

4604. ღირსება გენის ნებაა, თავისებური სილამაზით და აუცილებლობის შეგნებით.

4605. სიკეთის კეთების მოთხოვნილება გონიერების მუდმივი განზომილებაა.

4606. ბუნებისგან მინიჭებული მოვალეობის ღალატი არავის ეპატიება.

4607. ღირსებაც და ნაკლიც ზომიერების ფარგლებში, ადამიანს ამშვე-

ნებს, გონიერებას მატებს და მიზანს უსახავს.

4608. ზომიერება ყველაზე მეტად ალკოჰოლით დროსტარებას სჭირდება, ნათრობზე გამოსვლით.

4609. მეგობრობა ურთიერთგაგება, ურთიერთმომსახურება, არ არის, ის თანმხვედრ სულთა გამოძახილია.

4610. დროის შესატყვის მორალსაც დროის ყივილი და ადამიანის ყოფის რაობისკენ მისწრაფება ქმნის.

4611. პასუხისმგებლობის შეგნებაა ყველაფრის მომწესრიგებელი და არა – შიში.

4612. ადამიანის გასვრა ადვილია, მისი გაწმენდა, დიზაინი, ხელახლა რეკლამირება, სახელის დაბრუნება, ძნელი და ძვირია.

4613. სიკეთე სიყვარულის ანბანია.

4614. ყველაზე ძნელია პრინციპების დათმობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ღირსებები შეზღუდული გაქვს.

4615. მრავალცოლიანობა იმითაც არის კარგი, რომ ქალები ერთმანეთზე სერიოზულად არ ეჭვიანობენ, ერთმანეთს მხარში უდგანან და ერთი მამაკაცი ჰყავთ, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება.

4616. ადამიანს ვინმეზე ზრუნვა ხასიათში აქვს, რომელსაც ყოველთვის არ იყენებს გაუცნობიერებელი გარემოს გამო.

4617. უგუნური ჩვევების მოთოკვა ადამიანის მუდმივი „აქილევსის ქუსლია“.

4618. სინდის-ნამუსის კოეფიციენტს დღეს მოდა ადგენს.

4619. ვნებაც და ღირსებაც თავიანთი ინსტინქტების შესატყვისად ცხოვრობენ, ოღონდ მოთოკვით.

4620. მადლიერება, უმთავრესად, დავიწყების კანდიდატია.

4621. ენის დაგრძელებას, ხშირად, არც გონიერება შველის და არც გამოცდილება, თუ საიდუმლოს განდობით ვიღაცას გული უნდა ატკინო.

4622. გინება, ბილწსიტყვაობა, ზოგჯერ უძლურების სამკურნალო წამალია.

4623. დიდსულოვნების, იდეალების, თავმოყვარეობის გარეშე კაცობრიობას არსებობა გაუჭირდება.

4624. სალაპარაკოდ ფულიანი და მდიდარი ხალხი არ უყვართ, მაგრამ მათ დაანხვაზე თვალები უბრწყინდებათ და ყველას გამორჩენის თავისი გეგმა აქვს გამზადებული.

4625. ეჭვიანობა ზოგჯერ ხელს უწყობს სიყვარულის და თავისუფლების ახალი ვარიანტების გაცნობიერებას, ძიებას.

4626. სამწუხაროდ, პატიოსნებაც ხშირად ბითუმად იყიდება, თუ სას-

წორის მეორე მხარეს კარიერა და დიდი ფულია.

4627. შენი სხეულის რომელიმე ნაწილის დედიშობილად წარმოსაჩენად ან გამბედაობა უნდა გეყოს ან თავხედობა, თუ ის ელიტარული და განუმეორებელი სილამაზის არ არის.

4628. თვითკონტროლი თვითდამკვიდრების მცდელობაა.

4629. საკუთრებასაც მორალი უნდა ჰქონდეს, მხოლოდ მოხვეჭაზე არ უნდა ზრუნავდეს.

4630. რწმენა და პატიოსნება სიავე-სიკეთის ბალანსის დადგენას ითხოვს.

4631. სიკეთის სახელით თაღლითის ანკესზე წამოგებაა საწყენი.

4632. მთავარია საკუთარი თავი თავადვე მოგვწონდეს და სხვასაც მოვწონდეთ, ოღონდ ჩვენი ჯიბის გარეშე.

4633. თანდაყოლილი სიმორცხვე განგების რიგგარეშე და მოულოდნელი საჩუქარია.

4634. სინდისს, კეთილშობილებას, პატიოსნებას, სხვადასხვა მხრიდან უყურებენ, მათი მქონენი და არმქონენი.

4635. სიყვარული, ნდობა, მეგობრობა, ერთმანეთზე იცვლება, მაგრამ არ იყიდება.

4636. მორალი ერთდროულად აღიქვამს და განსჯის რელიგიის, ტრადიციების და სახელმწიფოებრიობის ნებას, რადგან განყენებულად და მხოლოდ თავისთვის მორალი ვერ იარსებებს.

4637. სინდისი ვარჯიშს არ ექვემდებარება, ის გაქვს ან – არა და „ბასტა“.

4638. სიკეთის კეთება სიკეთემიღებულისაგან მომდევნო სიკეთის კეთებას უნდა ემსახურებოდეს.

4639. მლიქვნელობა თანდაყოლილია, მონის ბუნებით და გამორჩენის იმედით.

4640. სიკეთის მკეთებელი იმ შემოქმედს მოგვაგონებს, რომელიც „ქაქიდან“ სარგებელს და ფულს ადნობს.

4641. ქალი, მამაკაცის მაგივრად, ვერც თავს მოაწონებს ვინმეს და არც მისი მცდელობა დასჭირდება ვისმეს.

4642. პრაგმატიზმი ზოგჯერ საშუალებას იძლევა მორალური მხარე გვერდზე გადავდოთ.

4643. მიზანს თავის ღირსებაც გააჩნია, პატიოსნებაც და დროშაც.

4644. ყველა უხამსობა, უგვანობა, ჩადენილი დანაშაულის თანამოზიარეა.

4645. ეჭვს იწვევს ის ავადმყოფური პატიოსნება, რომელმაც ადამიანი ღირსეულად ვერ აცხოვრა.

4646. სიმამაცე გონიერებამ უნდა მოიტანოს და არა აფექტში ვიღაცის მოწოდებაზე აყოლამ.
4647. სიმართლეს, პატიოსნებას, გონიერებასთან ერთად, გამოზოგება სჭირდება, რათა ცხოვრების ბოლომდე ბითუმად გეყოს.
4648. უწყინარი ცოდვის ჩადენასაც ცოდნა, სილამაზე, ეფექტი, სჭირდება, რათა შეგინდონ და შენი შეშურდეთ.
4649. „მასმედია“ იმდენად გაირყვნა, რომ მისი მხილება და კრიტიკა მეძავი ქალის ლანძღვის ტოლფასია
4650. გულმოწყალებასაც თავისი პრეტენზიები აქვს ცოდვებთან მიმართებაში, რათა ახალი ცხოვრების დაბადებას ხელი არ შეუშალოს.
4651. გულგრილობა და ღირსება შეუთავსებელია.
4652. მლიქვნელობას ჩვენდაშეუმჩნეველი ცინიზმიც ახასიათებს.
4653. მონანიებას ფასი უნდა ედოს და არა ზრდილობის წარმოჩენისთვის კეთდებოდეს.
4654. ყველა ღირსება ერთგანზომილებიანია და ახსნა არ სჭირდება.
4655. ყველა მორალური დოგმის მიზანი ადამიანთა ბედნიერად ყოფნაა, ოღონდ უკომპრომისოდ.
4656. ხშირად ჩხუბობენ არა იმისათვის, რომ მტყუან-მართალი გაარკვიონ, არამედ ხელებს გავარჯიშების, გულს ბოღმის გადმონთხევის და ენას ბილწსიტყვაობაში გაწაფვის საშუალება მისცენ.
4657. სიავე სიკეთის კეთებამ უნდა შეარცხვინოს, დათრგუნოს, ზოგჯერ ალიყურის ჭმევითაც.
4658. ავიც და კარგიც დროის, გარემოს და შემთხვევის შესატყვისად გვიბრუნდება.
4659. ჰუმანიზმი კაცობაზე მარად თავის დადებას გვთავაზობს, მაგრამ ამის იმედი არ აქვს.
4660. როდესაც სასიკეთო საქმეს აკეთებ და დრო არ ითმენს, ზოგჯერ საკუთარ სინდისსაც უნდა აჯობო.
4661. ინტერნეტი, განუსაზღვრელი ცოდნის მიუხედავად, მასწავლებლად მაინც ვერ გამოდგება, რადგან მას ზნეობა არ აქვს, ხოლო ამის გარეშე ყველანაირი ცოდნა „დაჭიანებულია“.
4662. ვინც საქმეს მოვალეობის მოხდის მიზნით, დაძალებით აკეთებს, ბუნებით მონაა და დიქტატისათვისაა განწირული, ვინც საქმიანობის შემოქმედებითად უდგება, თავისუფალია და სიამოვნებთ იღვწის.
4663. ღირსების რაობაზე, ასე თუ ისე, რაღაცა ვიცით, მაგრამ ყველა რატომღაც მის დეკლამირებას თავის სასარგებლოდ ცდილობს.

4664. ყველაზე ძნელი საკუთარ, თანდაყოლილ, უგუნურებასთან ბრძოლაა.

4665. სირცხვილის გრძნობა არ ხუნდება.

4666. ზოგჯერ საკუთარი „მეს“ მოთოკვა ჭირს, რადგან საკუთარ ჩვევებს და „ამბიციურ ჭკუას“ ამზეურებს და შექმნილ ვითარებას ანგარიშს არ უწევს.

4667. სიკეთე, უპირველესად, საკუთარ სულში უნდა აგებდეს რწმენის სახლს, თუ უნდა გაატირაჟოს, სიყვარულის ტაძრების მშენებლობისთვის გამოიყენოს და სიკეთე სალოცავად აქციოს.

4668. სიკეთეზე მეტად ბოროტება ამახსოვრდებათ და ისიც – დიდხანს.

4669. ცოლის მოყვანა კი არ არის მთავარი, არამედ მოვალეობის შეცნობა და „ოჯახობანას“ გათავისება.

4670. კარგსა და ცუდს პირადად შეხვედრა, შევაჭრება და გადამოწმება სჭირდება.

4671. ზოგს განგების მიერ გამოგზავნილი ლუკმის დაღეჭვაც არ უნდა და აქ უბედობაზე ჩივილი, ცხადია, უაზრობაა.

4672. ჭორის გავრცელების არ უნდა გვეშინოდეს, ზოგიერთი სიმართლის გავრცელებასთან შედარებით ეს არაფერია.

4673. უსამართლობას, უპატიოსნებას, უტვინობას, დიდი სურვილი აქვთ სჯობნიდნენ სამართლიანობას, პატიოსნებას, გონიერებას და ამას ზოგჯერ ახერხებენ კიდეც.

4674. ყველანი ცოდვილნი ვართ და რაღაცებს მივქარავთ, მაგრამ მთავარია ადამიანობაში, კაცობაში, მეობაში, ერთგულებაში, სიყვარულში, თანადგომაში, მეგობრობაში, სიტყვის მიცემაში, დროულად გახსენებაში, უფროს – უმცროსობაში, არ ჩავიჭრათ ჩვენი ცხოვრების ყველაზე რთულ და ექსტრემალურ ვითარებაში.

4675. მიუკერძოებელი სიმართლე, თავისი კაიფით, დღევანდელობას თუ არა, მომდევნო თაობას გამოადგება. შედეგისაგან მიუხედავად სინდისის წინაშე ვალის მოხდას ყველანი ვცდილობთ, რადგან შედეგის წინაშე ვალის მოხდა ერთეულთა ხვედრია.

4676. სიყვარულისთვის, მშობლებისთვის, შვილებისთვის, სამშობლოსთვის, რწმენისთვის, მეგობრებისთვის, ჩადენილი გადაცდენა ცოდვად არ მიიჩნევა ან გარკვეული ალიბის მოშველიებით არცოდვად უნდა ვაქციოთ.

4677. ცოდვები, რომელიც მონანიებას არ იმსახურებს, განსჯის ღირსიც არ არის.

4678. ცნობისმოყვარეობა კარგია თუ მეცნიერებას, აღმოჩენას, სიკე-

თის კეთებას, ემსახურება. ცუდია, ღორობაა, თუ სხვის საქმეში ცხვირს დაუკითხავად ჰყოფ, რათა ჭორად გაატირაჟო და უგვანო კაიფი მიიღო.

4679. ზედმეტს, მათ შორის, გაკიცხვასაც, არაფერი სიკეთე არ მოაქვს, თავის ტკივილის და ნერვების წყვეტის გარდა.

4680. ეცადეთ დაეუფლოთ საკუთარი თავის ხელში აყვანის და მისთვის შეძახების ხელოვნებას.

4681. ღირსება ცოდნას არ მოითხოვს, ის თავად უნდა წარმოჩინდეს.

4682. სხვისი მარცხისაგან, სირცხვილისაგან, განსხვავებით, საკუთარი მარცხის წარმოჩენას ვერიდებით და გვრცხვენია.

4683. ქველმოქმედება და პატრიოტიზმი დიდად არ მეგობრობენ, რადგან ხშირად ურთიერთგამორჩენას ცდილობენ.

4684. მადლიერება აღიარებას არ ითხოვს, მაგრამ ვერც უმადურობას ურიგდება.

4685. მადლიერების გრძნობისაგან განსხვავებით, უმადურების გრძნობით გულის დასენიანება – დაბოღმვა გასარკვევია და გაუგებარია, თუ შურს გამოვრიცხავთ.

4686. გაბრაზებისას გულის მოთოკვის ერთ-ერთი უებარი წამალია გემრიელი „შეკურთხება“ ბილწსიტყვაობით.

4687. ხალხის უმრავლესობა, სინამდვილეში, მიამიტია, მექრთამეა, მათი მოჩვენებითი გონიერების, ვაჟკაცობის, პატიოსნების, მიუხედავად.

4688. ლანძღვა-გინებაც ცოდნას მოითხოვს, რათა მან „ჯიგარი“ აგიწვას და არა – პატივმოყვარეობა.

4689. უზნეო კაცის გონიერებას, საზოგადოებისთვისაც უზნეობა მოაქვს, თუ მას არ მოვთოკავთ და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთებას არ ვაიძულებთ.

4690. სიკეთის კეთების სურვილი ხშირად რეალურ შესაძლებლობებზე მაღლა დგას.

4691. რატომღაც დანაშაულს, გადაცდენას, მათთვის განკუთვნილი სინდისის მინიმუმს სთხოვენ და მათთვის ეს გაუგებარია.

4692. სიცრუე ლამაზმანივითაა: მისი მოსმენა ყველას უნდა, რადგან მეძავივით ყველასთვის მისაწვდომია.

4693. შექება გულს სალბუნად ეფინება და ჩვენდაუნებლიედ გაუკეთებელს გვაკეთებინებს.

4694. ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის, ჩვენში დარჩეს და მე დიდ სხვაობას ვერ ვამჩნევ, მაგრამ თუ საქმიანობას სჭირდება, მათი გარჩევა შესაძლებელია.

4695. ლამაზმანობა თავისებური ხელოვნებაა, რადგან ამდენ უნიათო

მამაკაცს თავი უნდა მოაწონო და მოემსახურო, რომლებსაც იმის შნოც კი არ აქვთ „ივაჟკაცონ“ და ქალი უფულოდ მოხიბლონ.

4696. შენდობა შეიძლება მოწინააღმდეგეს ვთხოვოთ, ხოლო შეცოდება – მხოლოდ საკუთარ თავს.

4697. სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი ურთიერთპატივისცემაზეა აგებული და არა – თხოვნის შემოპარებაზე.

4698. თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა პატივმოყვარეობის, ამპარტავნების, ნაყოფია და არა – აზროვნების.

4699. კაცს, რომელიც თავის თავს ვერ სჯობნის, ეტყობა, გენი ნაძირალასი აქვს.

4700. მონანიება ზოგჯერ ახალი ცოდვების ჩადენის სურვილიცაა, თუ დროულად ალიყურს არ უთავაზებთ.

4701. ცოდვების ჩადენა და მონანიება ყოფნა-არყოფნის საკითხია, განსჯის გარეშე.

4702. ბოდიში და ბოდიშობანა, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, რადგან ეს უკანასკნელი არასერიოზულობით გამოირჩევა, მობოდიშებებითაა დაკომპლექტებული და ბოდიშის მოხდა მისთვის ჩვეულებრივი „ხილია“.

4703. იყო გულწრფელი და გაგებული, გამართლებაა ბედის გადმოხედვით.

4704. გულწრფელობა და გულახდილობა, ხშირად, იდიოტების პრეროგატივაა.

4705. გულუბრყვილობა, გულწრფელობა, გულახდილობა, ზოგჯერ თავისებური კაპრიზია, რომლითაც ვიღაცას, რაღაცას და საკუთარ „მეს“, გინდა თავი მოაწონო.

4706. კარიერის საფეხურებს შორის შურის მეტი არაფერი ხარობს.

4707. ზოგი იმიტომაცაა პატიოსანი, რომ არასოდეს ჰქონია შემთხვევა მუქთად ხელი მოეთბო, ამასთან, ცხოვრების დროც წესიერი შეხვდა და გენიც არ ჰქონია უკუღმართი.

4708. სინდისიერება ვალის დროულად დაბრუნებაცაა და გაჭირვებული კაცის გვერდში ამოდგომაც.

4709. ალბათ დიდი ნიჭია, როდესაც ყველას უყვარხარ და ქვენა გრძნობებით შენი არავის შურს.

4710. სიამაყეა, როდესაც მოწინააღმდეგე სათხოვნელად შენთან მოდის, ხელს უმართავ და საკუთარი თავით აღფრთოვანებული და მისი მადლიერი ხარ.

4711. ფაქტების დამახინჯება და თავის შეხედულებებისამებრ მოთარგმნა კორუმპირებულ ჟურნალისტსაც არ ეპატიება.

4712. ჟურნალისტიკა კარგსაც და ავსაც, რეკლამას უკეთებს, ოღონდ სტატია საინტერესოდ წარმოჩინდეს და ქვეცნობიერად იკითხებოდეს.
4713. ჟურნალისტიკა ხშირად წერს იმაზე, რასაც დაავალებენ, რასაც დაივალებს და ზოგჯერ იმაზეც, რაც სულის გასანათლებლად და იმის გასახსენებლად სჭირდება, რომ ის ნაღდი ჟურნალისტია.
4714. დაპირებას შესრულებაც უნდა და წესიერების თანდაყოლილი გენიც.
4715. დღეს ღირსებამ და ღირებულებებმა გარკვეული სტატუსი დაკარგეს და როდის აღიდგენენ, არავის უწყის.
4716. მორალი და გონიერება ერთ საქმეს აკეთებენ, მაგრამ სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა ხერხებით.
4717. მორალისთვის ყურის გამობმა ადვილია, მისი წესრიგში მოყვანა და რეაბილიტაცია – ძნელი.
4718. უსიამოვნება წყენის სინონიმია და სჯობს ის დროულად და ერთად მოვინელოთ.
4719. უნამუსო, მედროვე, არაკაცი, ხშირად გონიერების მანტოთია შენიღბული. მის გამოსამჟღავნებლად დრო და შემთხვევაა საჭირო.
4720. სიღარიბისთვის ეგოიზმი და შური უცხოა.
4721. უმადურობა სიზმრებშიც კი სამარცხვინო საქმეა.
4722. ზოგი ვექილი ისეთი „ჯიუტი და ერთგულია“, მზად არის კლიენტის მაგივრად ციხეში ჩაჯდეს, თუ მას სათანადოდ გადაუხდიან.
4723. პროტექცია იგივე რეკლამაა და დაფინანსებას ითხოვს.
4724. რწმენა ფაქტიურად ნდობაა, რომელსაც დამსახურება სჭირდება.
4725. დაუსჯელობა უსინდისობის დედაა და გათავხედების მამა.
4726. სინდისსაც შეუძლია გამონახოს მისთვის საჭირო ალიბი.
4727. გამარჯვებულ-წარმატებულს სინდისის დემონსტრირება არ სჭირდება, სინდისით წარუმატებლები იწონებენ თავს.
4728. თუ უფროსი ხარ და საკუთარი აზრიც გაქვს, მაშინ ქვეშევრდომებს რა უშლის ხელს, რომ შენი აზრი წამლიქვნელობით არ გაიზიარონ.
4729. თვალთმაქცობა ძალას, შემართებას, გაკარგვინებს და ენერგიას გართმევს.
4730. გააჩნია მსუბუქ ყოფაქცევაში რას ვგულისხმობთ: ქალის ჰაეროვნებას, სითამამეს თუ საზოგადოების მიერ მიღებულ ქცევის ნორმებს, რომელიც ოფიციალურად არავის დაუკანონებია.
4731. თავდაჭერილობა, თავმდაბლობა, მორიდება, მოკრძალება, დიდე-

ბული და მისაბაძი თვისებაა იმ შემთხვევაში, როცა ვინმე დაინახავს, გაითავისებს, გაატირაჟებს.

4732. დღეს შფოთისთაობა, ვნების დაკრედიტება, საკუთარ თავზე ჭორების გავრცელება, დამწყებ შემოქმედებს ჩვევიათ. იციან, რომ საჯაყო საქმეა, მაგრამ რეკლამას იკეთებენ, სახელს და ფულს იხვეჭენ. მათი კარიერის დასაწყისი კი აღარავის ახსოვს.

4733. თანაგრძნობა, დახმარების გარეშე, ყურით მოთრეული ფასეულობაა.

4734. საკუთარი სინდისის მომსახურება სიამაყეც არის, მონობაც და კაიფიც – ადამიანს გააჩნია.

4735. დღეს სინდისის შეძენა იმ კრედიტითაც შეიძლება, რომელიც უკან არასოდეს ბრუნდება.

4736. იმის ცოდნას, რაც არ შეგეფერება და არც გეკადრება, ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, არ უნდა ეცადო.

4737. ზიზღი ყველაზე მიუღებელი და უაზრო რამაა.

4738. ენაზე კბილის დაჭერას და საიდუმლოს არგამხელას, ზოგჯერ გარკვეული ზარალი მოაქვს როგორც ერთისთვის, ისე – მეორისთვის – „სიმართლე იჩაგრება“.

4739. გამარჯვება, აღიარება, ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ საკუთარ ხუშტურებზე გამარჯვებას ვერ შეედრება, განსაკუთრებით, თუ ის ხუშტურებით შენს მეობას და სახელს ვნებს.

4740. სიამაყე, სხვაზე დაყრდნობით, უგვანობაა, მაგრამ ზოგჯერ ამართლებს.

4741. ბოროტების კეთებამაც მიჩვევა იცის, დროთა განმავლობაში ის საშინლად აღარ გვეჩვენება და ზოგისთვის პროფესიადაც კი იქცევა.

4742. კლეპტომანია და ხელცივობა ორივე ქურდობაა, მაგრამ პირველი დაავადებად ითვლება, რადგან ეს ავადმყოფობა, ძირითადად, შეძლებულ ხალხს სჭირთ.

4743. „მასმედია“ სიმართლის „ყურით“ მოთრევას უნდა შეეშვას, რათა ხალხის სული არ გაუხეშდეს და გადაგვარდეს.

4744. „მასმედია“ მსუბუქი ყოფაქცევის დედაკაცივითაა, მასზე დაქორწინებას არავინ ფიქრობს, მაგრამ მათთან შეცოდების წინააღმდეგნი არ არიან.

4745. თავხედობა ზრდილობის ნორმებსაც და მიზანსაც უნდა ითვალისწინებდეს, მკაცრად რომ არ განსაჯონ.

4746. საჩუქარს მოხდენილი კომპლიმენტი სიამით ფუთავს.

4747. კომპლიმენტი, რომელიც სიმართლეს ეთამაშება, გულსაც სიამ-

ოვნებს, გონიერებასაც და საკუთარი „მეც“ თავხედდება.

4748. ყველამ თავისი სახე ისე უნდა წარმოაჩინოს, რომ მხრებზე დადგმული თავის არ შერცხვეს.

4749. ადამიანები ისე შეეჩვივნენ უპირობას, რომ ამას ვერც გრძნობენ და თავიც მოაქვთ.

4750. „ლაითი“ პირფერობა არ გვრყვნის, გვსიამოვნებს, ხოლო მიზანდასახული მლიქვნელობა გონებას გვირევს და თავზე ყალბ წარმოდგენას გვიქმნის.

4751. შექების ალგორითმია: „შენ – მე, მე – შენ“, ხოლო მლიქვნელობა უპროცენტო კრედიტი, იქნებ რაღაც გამოდნეს.

4752. მოვალეობის, პასუხისმგებლობის, გაცნობიერებაა ძნელი და არა – აღსრულება.

4753. მოვალეობა, რომელიც თავად იკისრე და აღასრულე, საკუთარი თავის წინაშეც გაამაყებს.

4754. ტრაბახი და დაჩივლება სინონიმებია, გააჩნია, იმ დღეს რა ხასიათზე ვართ და ვისგან რას მოველით.

4755. სიხარბე ადამიანს გენში უზის, მაგრამ ზოგი მის მოთოკვას ახერხებს, ზოგიც ვერა და აქ განათლება-წარმომავლობა არაფერშუაშია.

4756. არც ერთი უგუნურებით გამოწვეული ლანძღვა-გინება ჩვენ არ შეგვეხება, თუ მას უყურადღებოდ დავტოვებთ და უგუნურებს თავს არ გავუყადრებთ.

4757. ერთი ფრთიანი ფრაზისთვის ან ამ ფრაზით სხვისი ჩანისკარტებისთვის ზოგი ბევრ რაღაც ძვირფასს გაიღებს.

4758. საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობა დიდი ნაკლია, ხოლო მათი დამალვა უაზრო თაღლითობაა.

4759. სისხლს და ჯიშს გადახალისება სჭირდება, გენის შეჯერებას – ზომიერება, რათა არც ეროვნულობის საწყისი დაიკარგოს და ვერც სხვა ჯიშმა დაგამადლოს-რა.

4760. სიავეც თავხედობით, შემოქმედებით, ოცნებით უნდა ჩაიდინო და აქაც პირველი უნდა იყო, თუ გინდა ისტორიამ სტრიქონი დაგითმოს.

4761. თავისმართლება უნიათოთა ხვედრია, სხვათა დადანაშაულება უსაქმურთა მცდელობაა.

4762. თავისუფალი, მართალი, კეთილშობილი, მთავარია, თავის წინაშე იყო, რადგან დრო ვის როგორ გაუღიმებს და დასცინებს, არავის უწყის.

4763. ჩვეულება ბოროტებად იქცევა თუ ყოფისთვის განკუთვნილ ვნე-

ბას დროულად ლაგამს ვერ ამოვდებთ.

4764. შეცდომის არაღიარება, დამალვა, ალიბის მოძიება, სიჯიუტის ნიშანია და არა გონიერება-განსჯის, რადგან სასურველ შედეგს არ იძლევა.

4765. შური და სისასტიკე ძმები თუ არა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები მაინც არიან.

4766. იყო ყოველთვის თავაზიანი – სურვილია, გეპყრობოდნენ თავაზიანად – მოთხოვნილება, მიაჩნდე ყველას თავაზიანად – კაპრიზია, ამასთან ყველა თავაზიანობა ალოგიკურია, თუ ის სათანადოდ არ ფინანსდება და მასში რობოტის სული არ არის ჩადებული.

4767. ადამიანის ცოდვები უმადურობიდან და გაუტანლობიდან იწყება, რადგან შურს და ამბიციებს ვერ თოკავს.

4768. ლაჩრობის განტოლება: უმწეობას მიმატებული შიში, გამრავლებული სამაგიეროს გადახადზე და გაყოფილი სისასტიკეზე.

4769. ღირსებას ისევ ღირსეულნი აღიქვამენ და აფასებენ.

4770. მზაკვრობაც თავისებური მოწოდებაა, მაგრამ არა მთლად დალაგებულთათვის.

4771. თავად შურია ყველაზე მშიშარა და თავკერძა.

4772. სიამაყე პატივმოყვარეობის სინონიმია, უგუნურების ჩამოშორებით.

4773. სირცხვილი სიკვდილს არ ნიშნავს, პირიქით კი – სიკვდილს სირცხვილი ჩამობანილი აქვს.

4774. სინდისს ვერ იყიდი, ის საკუთარი მცდელობით შეიძინება.

4775. ძალაუფლებას ეროვნება არ აქვს, მან მტკიცედ იცის, რომ უნდა იყოს პირველი.

4776. უსამშობლოსთვის, უთვისტომოსთვის, სიყვარულის გარეშე დარჩენილისთვის არ არის ქმედება, რომელსაც იგი არ იკადრებს, თუ საქმე მის კეთილდღეობას ეხება.

4777. სინდისი ხშირ რეცხვას ვერ იტანს, ის გაქვს ან არ გაქვს და აქ მოჩვენებითობით ფონს ვერ გახვალ.

4778. ღარიბი მდიდარს შურით უყურებს და არა – მცდელობით, ოცნებით, თავის გამოდებით.

4779. ქართველს ბევრი ისეთი ღირსება აქვს, რომელსაც უქონლობა სჯობდა, მაგ. უაზრო ამპარტავნება.

4780. სიფრთხილესაც, მორიდებასაც, კაიკაცობასაც, ზომიერება სჭირდება.

4781. ნდობის დახურდავება დანაშაულია, მაგრამ ვინაა „გამკითხავი“ თუ ეს ადამიანთა მოდგმის თანდაყოლილი დაავადებაა.

4782. ღირსება და სიღარიბე სინონიმები არ არიან, მაგრამ ზოგ ამპარტავან უქნარას ამის მტკიცება ხელს აძლევს.
4783. ყველა ჩვენგანი საკუთარი ნამუსის ქუდის მორგებას ცდილობს.
4784. სიბრიყვის, პრიმიტივიზმის, შურისგან, თავის დაღწევა ადამიანს უჭირს, რადგან ეს ნაკლიც გენეტიკურია.
4785. შიში, კარიერისკენ მისწრაფება, მატერიალური კეთილდღეობა და არა – რწმენა, აი რა არის ხალხის დასამორჩილებელ-დასამუნათებელი საშუალება. ამის შესანიშნავი მაგალითია: 1937 წელს, ქრისტეს აღდგომის დღეს, სიონის მთავარ ეკლესიაში მხოლოდ ორად ორი მლოცველი მოვიდა. ე.ი. რწმენამ შიშს ვერ აჯობა და სასუსნავის დაკარგვა არავინ მოინდომა.
4786. მორალური კოდექსის ვალია საკუთარი თავის შემოტევებს გაუძლოს, აჯობოს, მაგრამ არ გაამაყდეს.
4787. უზნეობა გამოხმაურებას ითხოვს, მისი დავიწყება ყველასთვის კარგია, მაგრამ შანსი იმისა, რომ არ განმეორდება, გამორიცხულია.
4788. პატიოსნება და საყვარელი საქმე განუყოფელია და მათ დაშორებას უსუსურობამდე მივყავართ.
4789. ზოგჯერ სიმართლესაც აცდუნებენ, ტყუილი ფეხებს იბამს და ზეიმობს.
4790. ქალი ნეტარებისთვის, ხიბლისთვის, ტკბობისთვის, არის გაჩენილი და მამრის ჟინზეა დამოკიდებული მისთვის განკუთვნილი სიამის მიღების ოდენობა.
4791. ახალგაზრდობაში უფროსების სახელის გაფრთხილებით უნდა ვიცხოვროთ, რათა ასაკში ჩვენც იგივე პატივისცემა მოვიპოვოთ და პატივისცემის დადებითი ბალანსით ვიცხოვროთ.
4792. სიკეთის კეთებას დღეგამოშვებით მაინც უნდა შევეცადოთ და კვირაში ერთხელ მაინც მოვახერხოთ, რაც საზოგადოების რაობის წარმოჩენისთვის დიდი სერიალია.
4793. მოვალეობის შეცნობა-შეგრძნებით, პირველ რიგში, საქმემ უნდა იხეიროს, შემდგომ მოდის კაცთმოყვარეობის მოტივები, ვინ რა წვლილი შეიტანა და ვის რა პატივი მიაგეს.
4794. შური ჩვენდაუნებლიედ გამომუშავებული შხამია და ამ გესლით ვუმკურნალებთ თუ სხვას სიცოცხლეს გაუმწარებთ, ჩვენს გენზეა დამოკიდებული.
4795. დემაგოგია შეიძლება იყოს: ეთნიკური, სამხედრო, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა მრავალი, მაგრამ არა – ადამიანური, თუ მას მოვალეობის გრძნობა არ გააჩნია და ყბედობაზე, სიტყვების

აჟღერებაზეა, გადასული.

4796. მადლიერება-უმადურობაზე სერიოზულად დაფიქრება სიბრიყვეა, რადგან მაშინ ჩვენ რომ ადამიანები ვართ, უნდა დავივიწყოთ.

4797. სარგებლის მოტანა სიკეთეზე ფიქრსაც შეუძლია, თუ ეს „მცდელობა“ ცოდნა-გამოცდილებით არის შემაგრებული.

4798. სიტყვის სილამაზეს ცოტ-ცოტა შელამაზებული ტყუილი უხდება და სიტყვას ფრთას ასხამს.

4799. არის სიკეთის მკეთებელი, რომლის უმწიკვლობის არ გვჯერა, არის დანაშაულის ჩამდენი, რომლის დამნაშავედ ცნობა არ გვინდა, რადგან იმდენად დიდ როლს თამაშობს მათი წარსული ჩვენი ცნობიერებისთვის.

4800. სიკეთის მოხმარება, ნიჭთან ერთად, დაღვინებას და ცხოვრების გამოცდილებით ყოფის ლაბირინთებში ხეტიალს მოითხოვს.

4801. ამბიციების მქონე ადამიანს რაც უნდა კარგი გაუკეთო, მაინც „ვალს“ ავად გიბრუნებს.

4802. საკუთარ „მეს“ კი არ ეჭიდავებიან, საყვედურობენ, უნაწყენდებიან, რადგან საკუთარი თავის ჯობნა ჭირს.

4803. დღეს ყველა თავის სიამოვნებისთვის, გამორჩენისთვის, იღვწის, რადგან სახელის მოფრთხილება მეორადი გახდა.

4804. სიმართლის შიში, ტყუილისგან განსხვავებით, ყველას გვაქვს, რადგან პირდაპირი და უცოდველია.

4805. შურის და ბოღმის დაძლევას გაპატიოსნების ნიშანია.

4806. სათნოება ასაკის მატებისას, სიძნელეების დაძლევისას, ჩვევების გათავისებისას უფრო მატულობს და რატომ, განსჯას არ ემორჩილება.

4807. უზნეობა, წრეგადასულობა, ყოველთვის მავნებელია, უმთავრესად, ძალაუფლებისთვის, სიყვარულისთვის.

4808. მოვალეობა და სინდისი ერთნაირ მიდგომას ვერ იტანს, მაგრამ სიკეთეს ემსახურებიან.

4809. სიბინძურეს ვერავითარი საფარველი ვერ დამალავს.

4810. თავმდაბლობა დიდებული თვისებაა, მაგრამ არა – გადამეტებული.

4811. სიცრუე, ორპირობა, წაყრუება, ამრავლებს ცუდს და თანაც ორმაგად.

4812. ღირსება წვრთნას მოითხოვს, გმირობა – აფექტს, ხოლო ქვეყანას რომ გამოადგე, სწავლა, შემართება და საქმის სიყვარულია აუცილებელი.

4813. პირადად მე გარემოების მსხვერპლად ყოფნა გამიჭირდებოდა,

მაგ. დავრდომილის მოვლა, რადგან ამ თავდადებას ასაკი, მოვალეობის გრძნობა და უდიდესი სიყვარული სჭირდება, რაღაცის და ვიღაცის მიმართ, რადგან ეს ჩირაღდანი ჩემში თითქმის ჩამქრალია.

4814. ბოროტებაზე ხელი რომ არ წაგიცდეს, დიდი ბედნიერებაა, მაგრამ უბედურებაა, როცა ყველა ასე არ ფიქრობს.

4815. პიროვნება უნდა განვსაჯოთ მოწინააღმდეგესთან, მოყვარესთან, ფულთან, იდეასთან, მისი დამოკიდებულებით და იმით, თუ რამდენად ეხმიანება ყოფიერების კანონებს.

4816. დემაგოგია ცნობიერების მიზანმიმართული მანიპულირებაა ტყუილ-მართლის განურჩევლობით, როცა გვაჯერებენ იმას, რაც თავად არ სჯერათ.

4817. სიმართლე თუ არ მოეწონათ, არ გაპატიებენ.

4818. ღირსება ბედის უკულმართობას არ ემორჩილება, ის განყენებულად დგას და თავის „ბაირამს“ უცდის.

4819. ღირსება კონტრაბანდა არ არის, მას გავლენის გასამტკიცებლად ოფიციოზის სტატუსი სჭირდება.

4820. სინდის-ნამუსთან ბრძოლა ხშირად ასაკში მთავრდება – ვეღარა სცოდავს.

4821. ძმობას დაღლის და დასასრულის უფლება არ აქვს, ასაკის მატების და სხეულის „ჭრაჭუნის“ მიუხედავად.

4822. გულწრფელობა სიძლიერის მაჩვენებელია, მაგრამ მის სინონიმად არ გამოდგება.

4823. პატიოსანს სირცხვილი სხვათა უგუნურ ქმედებაზეც ეუფლება, ხოლო საკუთარ უნებლიე გადაცდენას გამოსავალს ვერ უძებნის და იჩაგრება.

4824. ბოროტების საწყისი გენი, უსაქმურობაა. და არა მარტო, დრო, აღზრდა.

4825. რისხვისგან თავის დაღწევას მისი თავიდან მოთოკვის ცოდნა სჯობს, თუ პირველს თავის დაჭერას ვასწავლით, მეორე მარად ყალყზე შემდგარი იქნება.

4826. ტყუილის თქმა სირცხვილია, მაგრამ არა პროფესიონალთა მეტყველებაში.

4827. პატარ-პატარა დეფექტების გარეშე არ შეიძლება საკუთარი თავის წინაშეც მართლები ვიყოთ.

4828. ცინიზმი იდიოტიზმის ბიძაშვილია და უნიათობის მამიდაშვილი.

4829. ცნობიერება, რომელიც სიძულვილით და შურითაა დასახიჩრებული, ყველაფერს იკადრებს, თუ იგრძნო, რომ ამღვრეულ წყალში

რაიმე ხელშესავლებს დაიჭერს.

4830. ეგოიზმის დაძლევა არც ისე ადვილია, როგორც ეს კაცმოყვარეობას ეჩვენება და არც ის ძნელია, თუ მას „მჯობნის-მჯობი“ დაუპირისპირდება.

4831. მოთმინებასაც საზღვარი აქვს, რომლის დარღვევა ძვირი გვიჯდება.

4832. ცოდვა ჯიუტია, მორჩილებას ვერ იტანს.

4833. ყველაზე დიდი ლოცვა: „მთავარია, სხვებს ვჭირდებოდეთ და ისინი არ დაგვჭირებოდნენ“. ვერაფერს დაგვამადლიან და ვერც ჩვენი „ვალიდან“ ამოვლენ.

4834. უგუნურებას, მომხვეჭელობას, შურს, ზღვარი არ აქვს და მანამ არ ისვენებს, სანამ სხვას ფეხს არ დაუდებს და თავადვე კინჩხს არ მოიტეხს.

4835. მოღალატისგან განსხვავებით, ნაძირალას გამართლება არ აქვს, რადგან პირველი გარემოების პროდუქტია, მეორე თანდაყოლილი გენის.

4836. გრძნობათა იმპერია ცუდის დავიწყებას და კარგის გაფეტიშებას ცდილობს.

4837. ამქვეყნურ ცოდვებს მომავლისადმი რწმენა გარეცხავს.

4838. პატიოსნება, უპატიოსნებისაგან განსხვავებით, თითქმის შეუმჩნეველი რჩება და ალბათ, ისიცაა მიზეზი, რომ ადამიანი უგუნურების ჩადენას არ ერიდება.

4839. სიკეთის უგულებელყოფა ბოროტებაა, განსაკუთრებით, საზოგადოებაში წესრიგის დამყარებისას, როდესაც ადამიანის სულიერების ბედი ბეწვზე ჰკიდია.

4840. ხშირად გრძნობები ხორციელ მოთხოვნებს ეწირება, მიუხედავად ჩვენი სიმორცხვისა და კეთილი ბუნებისა.

4841. მარტო რწმენისათვის და ეროვნებისთვის ბრძოლა დაუღვინებლობის და აფექტის შედეგია, თუ მას შენი მეობა, ზნეობა, მომავლის იმედი, შთაგონებით და შთამომავლობის მოაზრებით არ ახლავს.

4842. ლამაზი ტყუილი ზოგჯერ თავის წინაშე მართლების უფლებას გვაძლევს, მოხდენილი ალიბის მოშველიებით.

4843. ყველას უნდა ვესაუბროთ, ასაკის შესატყვისად, იმ ენაზე, რაც მას ესმის და სიამოვნებს, პატივის მიგებით, რიდის დანერგვით.

4844. ზოგისათვის მთავარია სეირის მოწყობა და რა შედეგი ექნება დიდად არ ანაღვლებს.

4845. მლიქვნელისთვის ქება-დიდება ყოველთვის საშური საქმე იყო და არა იმისათვის, ვისაც დროის შესატყვისად „კოჭს უგორებენ“ და

სიყვარულს „აშხეფებენ“.

4846. სიჯიუტე და უზნეობა ყველა ახალგაზრდამ თავის გამოცდილებით და დროის ყივილის შესატყვისად „ბატონებივით“ უნდა მოიხადოს.

4847. უგვანობა ნიჭის საწყისად პროტექციითაც კი არასოდეს გახდება.

4848. სხვის სიმდიდღეს თვალის შევლება, გონიერების განსჯით, დაფიქრებით, სჭირდება და არა შურით და ბოღმით, რათა შენც მიბაძო და გამდიდრდე.

4849. შურთან ერთად, სამწუხაროდ, ამპარტავნული სიზარმაცე გვახასიათებს, რადგან მიგვაჩნია, რომ უფრო უკეთესის, სერიოზულის, საკეთებლად ვართ მოწოდებულნი.

4850. ილია ჭავჭავაძე რომ არ მოეკლათ, წმინდანად არავინ აღიარებდა, ასე, რომ წმინდანად აღიარებასაც თავისი „შავი ბედი“ სჭირდება.

4851. ნდობა და პატიოსნება ზოგჯერ დაცინვის საგნად იქცევა.

4852. ეგოიზმი, შური, წარმატებისკენ წამბიძგებელიცაა, თუ ჭკუა თან ახლავს და შემართება მხარს უჭერს.

4853. სინდისი ჩვენი მოხერხებულობის მტერია.

4854. უმადურობა ადამიანს გენში უზის და მისი განსჯა არ ღირს, რადგან გარკვეული წარმატებების შემდგომ, მას უღიმღიმო წარსულის დავიწყება სურს.

4855. არის ნაძირალას სახე, რომლის წარმოჩენის უფლება მსახიობსაც კი არ აქვს – მისაბაძი რომ არ გახდეს.

4856. ცხოვრება ეს სისხლის, გონიერების, გრძნობების, ურთიერთგადასხმა-გადარევაა, ოღონდ ერთმანეთში აურევლად.

4857. პატიოსნება, წესრიგი, სამართლიანობა, ყველას გვინდა, მაგრამ ჩვენი ჩასწორებებით.

4858. სიზარმაცე და ფუფუნებისკენ მიდრეკილება ხელს უწყობს სიავის გათავხედებას.

4859. მეგობრობის ალგორითმი ქებას მაშინ იმსახურებს, თუ ყოფიერების იქსის და იგრეკის გამოცდას გაუძლებს.

4860. მრისხანებასაც თავისი პარამეტრები აქვს, დასაშვებს არ უნდა გადავამეტოთ – შემობრუნება იცის.

4861. ვეცადოთ პატივი ყველას მივაგოთ, რაღაც მაინც დაგვიბრუნდება.

4862. უზრდელობის გამკიცხავი ბევრია, მაგრამ მისი „ტაშ-ფანდურის“ შეუმჩნევლობაც უზრდელობაა.

4863. პატიოსნება ნაკლი არ არის, მაგრამ დიდი ბედოვლათობაა თუ კარგად ცხოვრების საშუალებას არ გაძლევს.

4864. სირცხვილის გრძნობა, მონანიება, სიკეთის კეთება, ადამიანის დამახასიათებელია, თუ ის საზოგადოების შემძლე და ღირსეული წევრია.
4865. თავაზიანობა, სისადავე, ეთიკა, ტაქტი, ცხოვრების ბოლომდე უნდა გავიყოლიოთ, რათა მარად პიროვნებად აღგვიქვან.
4866. ცდუნებაც ნერვების დამამშვიდებელი პროფილაქტიკაა დროის და გარემოს შესატყვისად.
4867. ზომიერება და თავშეკავება ნებაყოფლობითი გონიერებაა, რომელიც ყოველთვის არ ამართლებს.
4868. მშობლის აუგად მოხსენიება შთამომავლობის უზნეობას მოწმობს.
4869. სიმართლის თქმასაც თავის „დოზატორი“ და დიზაინი სჭირდება.
4870. ზედმეტად კარგი კაცობა და ნდობა ვიგინდარებს ამრავლებს.
4871. პატიოსნებაზე და სამართლაიანობაზე ქადაგებას მაშინ ვიწყებთ, როცა ცხოვრებაში რაღაცას ვაღწევთ და კიდევ რაიმეს იმედი გვაქვს.
4872. ყველა მშიშარა „ძველი ბიჭია“, განსაკუთრებით, თუ სხვისი იმედი აქვს.
4873. ზნეობადაკარგულთ დროის ყივილის ზარ-ზეიმი და გონიერად მოქნეული მათრახის „ტლაშანი“ სჭირდება.
4874. ეჭვიანობას თავისი გემო, შარმი, გამოცანა, უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვარძლში გადაიზრდება.
4875. ზოგის ენას ლაგამის ამოდება, სატუჩეს აფარება, არ შველის.
4876. ცოდნას იყენებენ, მაგრამ ამით არ ტრაბახობენ.
4877. ადამიანი, რომელიც არ გიყვარს და მაინც მეგობრობთ, უკეთურობაა – ითანამშრომლეთ.
4878. სიავე ყოველთვის ცუდს არ ნიშნავს, თუ შენი ერიდებათ და საქმის კეთებას, ადამიანად ჩამოყალიბებას, რგებს.
4879. ხშირად მეგობრის იმედი გვაქვს, მისი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე.
4880. მეწვრილმანე ბუნების მქონე მეგობრად არ გამოგადგება.
4881. სიკეთის კეთებას არ ახმაურებენ, ამით ჩუმად კმაყოფილდებიან.
4882. სიავის კეთებასაც გენის კეთილგონიერება სჭირდება.
4883. გულახდილობის ეფექტურ გამოხატვასაც ამისთვის განკუთვნილი ვარჯიში სჭირდება.
4884. პატიება – ეს სიკეთე თავს ისე უნდა ვასწავლოთ, რომ სხვისი შენდობა არ დაგვჭირდეს.
4885. ყველა აღსარება ხელშესავლებია, რადგან განგებასთან მისი

„მიმტანი“ კულტის მსახურიც ადამიანია, რომელსაც ყოველთვის ვერ ენდობი.

4886. სიკეთის კეთებას სიჩუმე უხდება, მაგრამ თავის წარმოჩენის ბაცილას სად გაექცევი.

4887. მორალს დრო ქმნის და სინდისის საწყისად ყოველთვის არ გამოდგება.

4888. სინდისის კანონი და თანდაყოლილი სინდისი იშვიათად ემთხვევა თვითგვემის მძიმე ტვირთს, თავაშვებული დროის მხრიდან ბლოკირების გამო, რომელიც ადამიანს რყვნის და ზომბად აქცევს.

4889. ქველმოქმედებაში თუ უკუგორება არაა ჩადებული, დანაშაულია.

4890. მკაცრი მორალისკენ მისწრაფებას შეზღუდული ურთიერთობა და „მასმედიის“ უგულებელყოფა იწვევს.

4891. შენდობის სწავლებაც აუცილებელია, რათა მხარდამჭერი გვყავდეს და არა ჩვენს მიმართ უარყოფითად განწყობილი მოწინააღმდეგე, ოპონენტი.

4892. ყველას რომ ის სიმართლე გვეთქვა, რასაც ვფიქრობთ ერთმანეთზე, დღესაც ხალხი ქვის ხანაში იცხოვრებდა, რადგან შემოქმედებისათვის განკუთვნილ დროს დაპირისპირება მოინელებდა.

4893. სინდისი დიდი ტვირთია და მისი მოხდენილი ტარება ღირსებას მოითხოვს.

4894. მსოფლმხედველობის ღალატი ყველაზე დიდი დანაშაულია საკუთარი სინდისის წინაშე.

4895. საკუთარ თავზე მაშინ გაქვს შეფობა აღებული, როცა საკუთარ შეცდომებს და ცოდვებს სხვას არ გადააბრალებ.

4896. თანაგრძნობა გულისხმიერების, მადლიერების, თანადგომის უმაღლესი ფორმაა.

4897. პატიოსნებისთვის ადვილი და ძნელი საქმე ერთნაირი მცდელობით საკეთებელია.

4898. სინდისი, მორალი, დროებითი პოსტულატია, მას დრო განსაზღვრავს და შემთხვევა განსჯის.

4899. ზიზღს ადამიანში უ[ირველესად უგუნურება იწვევს შენთვის სხვა მიუღებელთან ერთად.

4900. შეწყალება განგება არ არის, ის უფრო მოვალეობის მოხდა დამკვიდრებული მორალის წინაშე.

4901. სიავე, ღვარძლი, სინონიმები არ არიან, მაგრამ სიკეთის და მიტევების ორივე წინააღმდეგია.

4902. ეგოიზმს პლუსით ეგოიზმი მინუსით აბათილებს და გვრჩება მხოლოდ ცარიელი ჩივილ-წუწუნი.

4903. მოტყუება და ჭორის შეთხზვა ერთიდაიგივე არ არის, მაგრამ ორივე მერკანტულ მიზნებს ემსახურება.
4904. მცირე ცოდვების და ნაკლის შენდობა მეგობრებად გახდომის თავანია.
4905. გარკვეულ დრომდე, გარკვეული მიზნით, სიავე აყვავებას განიცდის, სხვანაირად განგება მისი ახსნის აუცილებლობის წინაშე დადგებოდა.
4906. ბოროტება უგუნურების მეგობაიტია და ისიც დიდი მინუსით.
4907. სიავეში ზებუნებრივი ძალაა, რომელშიც ეშმაკის ხელიც ურევია და თანდაყოლილი ნაძირალა გენიც.
4908. მრავალი ადამიანია, რომელსაც სიკეთე უმადურად აქცევს და ათავხედებს.
4909. ვინც არაფერს აკეთებს, ის მუდამ „წმინდანია“ და უსაქმურობა რომ დანაშაულია, ვერ აცნობიერებს.
4910. სიმართლე არავის უყვარს, მაგრამ მას ყველა ხელზე იხვევს და მისი წარმოჩენისთვის „იბრძვის“.
4911. მეგობრობა, შუღლი, ოპონირება, შეურიგებლობა, ზოგჯერ საჭიროა, ოღონდ უზნეობა-უაზრობაში არ უნდა გადაიზარდოს.
4912. ზოგჯერ სიკეთის კეთებას სახელმწიფო ბიურიოკრატია წინ ეღობება, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს მისგან საერთოდ ხელი ავიღოთ.
4913. სიკეთესაც დაფასება უნდა ანგარებით, თავის მოქონვით, რათა ის უაზროდ, დაუბრუნებლად, არ დაიკარგოს.
4914. უაზრო და დროსთან შეუფარდებელ სამართლიანობას უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სიკეთე.
4915. სიმართლე, რომელიც ხშირ მტკიცებას მოითხოვს, სიმართლე კი არა, მისი სუროგატია.
4916. ცოდვა შეიძლება უნებლიედ ჩავიდინოთ, მაგრამ უნდა მოვინანიოთ, რათა ცოდვილნი არ დავრჩეთ.
4917. მადლიერება კვლავ სიკეთის კეთებისკენ მოგვიწოდებს და სიამის კაიფს გვმატებს.
4918. ბოროტებისკენ მიდრეკილება უფრო გარემოს და გენის ბრალია, ვიდრე შემთხვევის და აღზრდის.
4919. მეგობრის ნაკლის წარმოჩენაც დიდ ადამიანურ ტაქტს მოითხოვს.
4920. მატყუარას გამოჭერა ადვილია, მისი სიმართლის მთქმელად გადაკეთებაა შეუძლებელი.
4921. ბოროტება ურთიერთგაუგებრობა, უსაქმურობა, ყბედობაა,

რომელიც პირველ რიგში ეროვნულობას ვნებს და მის სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის.

4922. მეგობარია ის, ვინც მზადაა თქვენს უგუნურებას გაუგოს და შეგინდოს.

4923. გმირობა შანსს გვაძლევს ყოველგვარ უგუნურებას ფეხი დავუდოთ და ნიშანი მივუგოთ.

4924. განცდა კეთილშობილი გრძნობების გაღვივების მცდელობაა.

4925. რომ ისწავლოთ ოპონირება და არა ლანძღვა, საკუთარი მესთვის პატივის მიგების უნარიც უნდა გქონდეს.

4926. გიყვარდეს საკუთარი თავი წარმოჩენით, ალბათ ეგოიზმია, მაგრამ მისაღები და პატივსაცემი.

4927. ზნეობა თუ გონიერების ზეობა, იქნებ ორთავე ერთად – ამას დრო განსჯის.

4928. სიტყვის შეკმაზვა მლიქვნელობის გარეშე არ ხერხდება.

4929. ბოროტი აზრების და ჭორების გავრცელება ძირითადად უსაქმური, უიმედო, ბედოვლათების საქმეა, რომლებმაც გართობისთვის და ნიშნის მიგებისათვის სხვა უკეთესი ვერ მოიფიქრეს.

4930. წარმოჩენისთვის ადამიანმა ყველაფერი არ უნდა იკადროს, მათ შორის, დროის უგუნურებით ნებადართულიც.

4931. პატივმოყვარეობა არა მარტო სენია, არამედ საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაცაა და უგუნურთაგან თავის დაღწევის საშუალებაც.

4932. მიამიტობა კარგ კაცობას არ ნიშნავს და მასაც თავისი საზღვრები აქვს.

4933. სიტყვის მიცემასაც თავისი ფასი აქვს, ის, რაც იწონება და არც იზომება, უნდა აღსრულდეს.

4934. პატივისცემის დაკარგვა ხომ ყოველივე საღს, რეალურს, მისაღებს, „აჩმორებს“ და აკოტრებს.

4935. შენ „სიაფანდი“ დაუძახე და ტკბილი სიტყვა, ზრდილობა-მოვალეობისთვის მოკითხვა, არაფრისმთქმელი გაღიმება, ბედისგან დაჩაგრულ ადამიანებსაც ძალიან ახარებს.

4936. თავდაჭერილობას რა სჯობს, მაგრამ ის ბოლომდე ნდობას არ იმსახურებს, რადგან ასე მომხიბვლელი და თავაზიანი პიროვნება შეიძლება ფარისეველი აღმოჩნდეს.

4937. გარყვნილება, დროის შესატყვისად მიჩუმათებით, ყოველთვის ფასობდა, ფარული იქნებოდა თუ აშკარა.

4938. ყველა ასაკს სიკეთის საკეთებლად „თავკონტროლი“ და გულის შეძახება სჭირდება.

4939. სინდისთან უბრად ყოფნა არც მტერს რგებს, არც მოყვარეს და არც საკუთარ თავს.
4940. სიმართლეც ზოგჯერ შეურაცხმყოფელია. მაგ.: თუ წამოგძახებენ: „დედაშენი ბოზია!“
4941. ზნეობას გაუზრდელობის ვირუსი არ უნდა შევყაროთ.
4942. თავაზიანობას რა სჯობს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში და გადაუმუშავებლად.
4943. თავაზიანობის გარეშე, ყველა ჩვენი მეგაბაიტის მონაპოვარი ფასს კარგავს.
4944. დამცირება ყველაზე დიდი ცოდვაა ადამიანის რაობისთვის, ცნობიერებისა და შთამომავლობისთვის.
4945. ცბიერები მორჩილებასაც თავის სასრგებლოდ იყენებენ: წარუმატებლობის შემთხვევაში ყველაფერს ზემდგომს გადააბრალებენ.
4946. ზოგიერთს ჭკუის დარიგებისკენ და ბილწსიტყვაობისკენ მიდრეკილება უჩნდება ალიბად უსუსურობის გამო.
4947. სიმართლის დაცვა სიკეთის კეთებით ყველა ხალხის ამომავალი წერტილი და მძიმეა.
4948. ყველა გამარჯვების საწინდარი პასუხისმგებლობის შეცნობა და უნარია.
4949. დღეს ბოზ დედამთილსაც რძალი უბოზდება, რადგან ორივენი უნიათო ქმრების და უმუშევრობის გამო თავს ამ ძირძველი ხელობით ირჩენენ.
4950. სიმართლის პირში მიხლაა ძნელად მოსანელებელი და არა – თავად სიმართლე.
4951. მოყვასი გიყვარდეს, მაგრამ არ გადაყვე და თავიც არ დაივიწყო.
4952. ხელისუფალია ის, ვინც გადასახადს ქურდსაც ახდევინებს, ფსიქიურად დაავადებულსაც, ზოგ შემთხვევაში, გარდაცვლილსაც და ისიც ყოველწლიური მატებით.
4953. სიკეთეს მანკი გვერდს უვლის, მაგრამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, რომ არ დაგესლოს.
4954. მადლიერება იმიტომაც ბერდება სწრაფად და დავიწყებით, რომ მას სიკეთის კეთებაში მარად ეცილებიან.
4955. მადლობის თქმას და მის გამოხატვასაც დროის შერჩევა უნდა.
4956. თავჩაქინდრული არც სინდისია მოსაწონი და არც უსინდისობა, რადგან გონიერება მასზე ზეწოლით კაიფს ვერ იღებს.
4957. სიმართლეს ხშირად მატყუარები დარაჯობენ და მასთან თანამშრომლობას ცდილობენ.
4958. ვექილსაც თავისი სალოცავი ღმერთები ჰყავს: ეშმაკი, სატანა,

ტარტაროზი, რომელთა გარეშეც ვერც საქმეს მოაკვარასჭინებდა და მშიერიც დარჩებოდა.

4959. სამხრეებზე ვარსკვლავების ოდენობა ამძიმებს მის მფლობელს პასუხისმგებლობით და საკუთარი ღირსების შეცნობით.

4960. ტყუილსა და მართალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია.

4961. ხალხის ნებას დიქტატორული ნიჭის პოლიტიკოსი წარმოაჩენს, როცა ქვეყნის სათავეში მოექცევა.

4962. იდიოტიზმი, აყვანილი პირფერობის კვადრატში, უკვე „გენიალობის ძიებაშია“.

4963. სიავის გონიერებით გაფილტვრის შემდგომ მისი შემართება ქვეითდება.

4964. სიავისთვის ხელის დაფარება და გამოქომაგება რყვნის საზოგადოებას და ღმერთის წინაშე მიუტევებელ ცოდვას ვიდებთ.

4965. ზოგჯერ უგუნურებით დაწყებულ ტყუილს გრძელი ფეხები უნდა გამოვაბათ, რათა ნდობის დრო გაიხანგრძლივოს.

4966. ზნეობასაც თავის კაურები აქვს, რომელიც ზოგისთვის ხშირად გაუგებარია.

4967. ფულისგან განსხვავებით, სინდისის ფლობას იშვიათად გვედავებიან და გვართმევენ.

4968. ღირსება ან გაქვს ან არა და აქ ყოფის განტოლებების შედგენა სისულელეა.

4969. ბოროტება გვძულს, მაგრამ სამწუხაროდ, მისგან შორს არ ვდგევართ.

4970. სინდისის გამოსყიდვა შეუძლებელია, მაგრამ მისი მიჩუმათება, მიფუჩეჩება – შესაძლებელი.

4971. სალამ-ქალამს ყველა დროში თავისი პეწი და სილამაზე ახლავს.

4972. სიმართლეს, გარკვეული სარგებლის მოტანის უნარის მიუხედავად, ბევრი გაურბის და ვერ ეგუება.

4973. სირცხვილ-ნამუსის ალგორითმს დრო წერს, ფული ამოხსნის და გონიერება ტოლობის დადგენას ცდილობს.

4974. პასუხის გაცემა ღიმილითაც შეიძლება, თუ ის მეტყველი და მომხიბვლელია.

4975. მადლობის თქმა მანამ არ გვავიწყდება, სანამ ჩვენსას არ გავინაღდებთ.

4976. თეორიულად სიმართლე ყოველთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე ყველაზე ლამაზად შეთხზული ტყუილი – პრაქტიკაში პირიქითაა.

4977. ზნეობის სესხებაც შეიძლება, ვალის დაუბრუნებლად.

4978. სიცრუეს, ფარისევლობას, მლიქვნელობას, წინასწარ შემზადება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ის გინება, დამცირება, ლანძღვა, გამოგვივიდეს.
4979. სიცრუე თავისებური დავადებაა, რაც საკუთარ უაზრო თავმოყვარეობას კოჭს უგორებ.
4980. ადამიანის რაობის უმთავრესი საზომი ზრდილობაა, შემდგომ მოდის მისი ნიჭი და შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მასწავლიდნენ.
4981. სინდის-ნამუსისგან განსხვავებით, გემოვნებაზე რატომღაც არ დაობენ.
4982. ფეთქებადი ხასიათი ბევრს დაობს და სცოდავს, მაგრამ შედეგით ჭკუას მაინც ვერ სწავლობს.
4983. მზაკვრობა უფრო გულის პრეროგატივაა, ვიდრე გონიერების.
4984. „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, მაგრამ დიდი ამბიციებით და საეჭვო იმედით.
4985. საკუთარ ნაკლს და შესაძლებლობებს ყველანი ვალამაზებთ და საკმეველს ვუკმევთ, ირგვლივმყოფთა შესატყვისად.
4986. არის თაღლითობა რომელიც, ჩემი აზრით, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. ეგრეთწოდებულმა მამამ, რომელსაც შვილი ჩასახვიდან 30 წლამდე არ გახსენებია, ქორწილის დღეს შანტაჟი მოუწყო და ფულის გამოძალვას შეეცადა, როდესაც გაიგო, რომ მისი შვილი ცნობადი და შეძლებული კაცის ქალიშვილს ცოლად ირთავდა.
4987. სიკეთეც ზომიერების ფარგლებში „აიწონა-დაიწონათი“ უნდა იქნეს მოპოვებული, რათა მისმა შედეგმა ცხვირში არ ამოგვცხოს.
4988. შეიძლება მორალიც კანონებით ავამეტყველოთ და ჭეშმარიტებად ვაქციოთ, თუ ხელისუფლება დროის შესატყვისი იქნება და ხალხი – უზრუნველყოფილი.
4989. ხშირად ვსაუბრობთ მომხიბვლელობაზე, ლამაზზე, შთამბეჭდავზე, მაგრამ არა სამართლიანობაზე, სიკეთეზე, მოყვარეობაზე.
4990. ზურგში შეფურთხება უსაფრთხოა და ამით ნაძირალა და მშიშარა სულის „ვაჟკაცები“ სარგებლობენ.
4991. სინდისის, პატიოსნების, საკუთარი მეობის, შენარჩუნება „აჭრილ ქვეყანაში“ ყოველთვის ძნელია ყოფის საცდუნებლების კაურების დროს.
4992. ეროვნულობის, მშვიდობის, სახელის, წარმოსაჩენად არაზნეობრივი ქმედება დასაშვებია ჩუმი მონანიებით.
4993. ყოველი თავხედობის საწყისი უზნეო, უაზრო და უადგილო საუბარია.

4994. ყბედობა და უსაქმურობა სინონიმებია, თავის წარმოჩენის სურვილით.

4995. ადამიანები ერთმანეთს კი არ ვატყუებთ, არამედ, პირველ რიგში, საკუთარ თავში ვთესავთ ტყუილების მარცვლებს და უზნეობას ვიმკით.

4996. ხალხს ცოდნის ათვისებაზე მეტად, ყბედობის გათავისება მოსწონს.

4997. უგვანობის ჭუჭყის თეთრი ხელთათმანებით წმენდა შეუძლებელია.

4998. მარად ერთგულებაც თავისებური კეკლუცობაა საკუთარი მეობის, რაობის წარმოჩენის მცდელობით.

4999. ზნეობა ზოგჯერ გონიერებას მხარს ვერ უმშვენებს, მაგრამ მინიმუმის ფლობა აუცილებელია.

5000. სიცრუე სიზარმაცის ბიძაშვილია, საქმიანობისთვის ვითომდა თავის გამოდებით.

5001. სინდისიერება ბედნიერებაა თუ მის წართმევას, მოქრთამვას, გადაბირებას, არავინ ფიქრობს.

5002. დავის დაწყებას იმდენად მიზეზი არ სჭირდება, რამდენადაც სურვილი და საკუთარი „მეს“ წარმოჩენის მცდელობა.

5003. ბავშვთა ამალის წინაშე ჩადენილი ყველა სახის გულგრილობა დანაშაულია და ის მკაცრად უნდა განიკითხოს.

5004. ყბედობა, კურკური, ლაქუცი, უსაქმურობის ხობია.

5005. ზრდილობა-თავაზიანობას, ინტელექტს, თავის ხუშტურები აქვს და სიტყვათა დისკრიმინაციას გვთავაზობს: თუ ადამიანის სხეულის ნაწილები – თავი, თვალები, მკერდი, თითები მოწონებით ჟღერს, კუნთი, მუშტი, ცხვირი – ამაყად, ფეხები, ტუჩი, კბილები ნეიტრალურად, ხოლო ტრაკი, ბაყვი, ძუძუ ქვენა გრძნობებს იწვევს, ყლ...ს, მუ...ს, ფანჩრის, დასახელებისას სირცხვილით ვიწვით, თუ მას სიტყვებით: მამაკაცის ღირსება, ფალოსი, ვნებათა ყურე, ხუჭუჭა თმები, არ ჩავანაცვლებთ.

5006. ჰუმანიზმი კარგია, მაგრამ მისი სამართლიან გზაზე დაყენებაა ძნელი.

5007. ძალიან უნდა სცემდე საკუთარ თავს პატივს, რათა სხვას ანგარიში გაუწიო და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდო.

5008. ორგულობა არ მოგვწონს, მაგრამ მის საწინააღმდეგოსაც არაფერს ვაკეთებთ.

5009. სალამის მიცემა ის ზრდილობიანი ფორმაა, რომელიც მისთვის განკუთვნილ მადლის აღქმას მოითხოვს.

5010. ქცევის მანერებს დრო გვთავაზობს, საზოგადოება ამტკიცებს და პიროვნება თავის სარგებლით ითვისებს.
5011. ორგულობა და ღალატი სინონიმები არ არიან, მაგრამ ბიძაშვილობაზე თავს დებენ.
5012. ხშირად კომპლიმენტში სიმართლეში შეზავებული დიდი და სასიამოვნო ტყუილია.
5013. იყო დახელოვნებული მატყუარა – ნიჭია, იყო ყოველთვის უცოდველი და მართალი – უნიჭობისკენ იხრება.
5014. სინანულის გრძნობა ასაკის მატებასთან ერთად მატულობს და ნერვებს გვიშლის, იმ შეცდომების ჩადენისათვის, რომელიც დღევანდელობის გადასახედიდან არ უნდა ჩაგვედინა და გამოსწორებას არ ექვემდებარება.
5015. ცნობიერების მუდმივი განზომილება გონიერება, სინდისთან და პატიოსნებასთან შეხლა-შემოხლას ვერ იტანს.
5016. დილეტანტობა, გარდა საკითხის ზერელე ცოდნისა, გაურკვევლობა და უაზრობაა, თავის წარმოჩენის მცდელობით.
5017. მორალს ვეტრფით, ვაღიარებთ, ვეთაყვანებით, მაგრამ თავად ვიყოთ ზნეობრივი, ხშირად ძალა არ შეგვწევს.
5018. გარემოებათა შესატყვისად, სამწუხაროდ, ხშირად სინდისის დახურდავებაც შესაძლებელი ხდება.
5019. სიკეთის ის ჩამონათვალი, რომლითაც თავი მოგვაქვს, ჩვენი დამსახურება გვგონია და ამიტომაცაა, რომ ყველა მოხვეჭისკენ მიილტვის დროზე და განგების ნებაზე დაუკითხავად.
5020. ტყუილსაც თავისი სილამაზე და მომხიბვლელობა აქვს, თუ ის ადამიანებს ამხიარულებს და არ აბრიყვებს.
5021. მწამებელი უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე თავად წამება, რადგან ის ადამიანის მეობას თელავს და არად დაგიდევს.
5022. სათნოებით არ ამაყობენ, მისით წარმოჩნდებიან.
5023. ტყუილის სხვადასხვა ხარისხში აყვანაც შეიძლება თავის პლუს-მინუსით: ტკბილი ტყუილი, მავნე ტყუილი და გაცუცურაკება.
5024. სიცრუე და ორპირობა ზოგის არც გულს ვნებს და არც სულს, პირიქით – კაიფობს კიდეც.
5025. უგუნურება თანდაყოლილი ნაკლია, მაგრამ გააჩნია, ვინ როგორ წარმოჩნდება ამ ნაკლით სხვათა დასანახავად.
5026. სიბრძნე აშკარა ქებას ვერ იტანს, მაგრამ მის ტირაჟირებაზე უარს არ ამბობს.
5027. ღირსება უღირსობას თავს არ უყადრებს და თავის წილ ალიყურს შეუზღუდავად უგზავნის.

5028. ზნეობის დონე გონების მეგაბაიტს, ადამიანის პირად თვისებებს და მის სიდიადეს, განსჯის და მისი სარგებლობის პროცენტს ადგენს.
5029. ინტელიგენციის ნაწილი ყოველთვის გამყიდველი, შურიანი, უნიათო, იყო, რადგან მას ქვეყანაში არეულობა და ბუნტი თავის წარმოჩენა-გამოჩენის საშუალებას დაუმსახურებლად აძლევს.
5030. მშიშარა შინაგანად მაინც მხდალი რჩება, მას აუფროსებენ თუ არა.
5031. მატყუარაც თავისებური თაღლითია, ის ჩვენი გონიერების ნაწილის გაბახება-გაბრიყვებას ცდილობს.
5032. სათნოების შეცნობაც ხშირად ნეტარებას განგვაცდევინებს.
5033. თავმდაბლობა მოთმინებით, ჩასაფრებით და დროის მოგებით გაცილებით მეტს აღწევს, ვიდრე ცარიელი მორცხვობა და რიდი.
5034. კეთილის და ბოროტის განსჯა ისევ გონიერებას უნდა ვანდოთ და არა – აუტისტთა უაზრო კამათს.
5035. ფეთქებადი ხასიათი ბევრს ცოდვას სჩადის და რაც მთავარია, თავს ვნებს.
5036. ზნეობას დიდი არსენალი აქვს, გააჩნია, მას რას დავესესხებით და როგორ გამოვიყენებთ.
5037. გონება და გონიერება ადამიანს უფრო სათნოებისთვის სჭირდება, ვიდრე ეშმაკობა-მამაძაღლობისთვის და ამბიციების დასაოკებლად.
5038. საკუთარი თავის გამოსწორებაზე ადვილი არაფერია, თუკი მიზანს დაისახავ და ოცნებით გაიჯეჯილებ.
5039. გუშინდელი ნასუფრალით სარგებლობა, მუქთაობა, წალაქუცება, სულსაც რყვნის, სხეულსაც და ჩვენს მეობასაც.
5040. პირფერობას ვერიდებით, მაგრამ არ გავურბივართ რეალობასთან შეჭიდებით რადგან ადამიანური სისუსტე თანდაყოლილია.
5041. ზომიერების ფარგლებში ყოველივე მისაღებია და საჭირო, მათ შორის, ავის კეთებაც.
5042. ყველა თავისი მასტის ხალხს ეძებს სამეგობროდ.
5043. ვაჟკაცობაა იმქვეყნად ღირსეულად წასვლის მცდელობა.
5044. ზოგჯერ ჩვენი ცნობიერება ტრაბახით ერთობა და კაიფობს.
5045. საუბარიც და გაჩუმებაც ზრდილობის ფორმების დაცვას მოითხოვს.
5046. ცოდვებსაც დროულად მონელება უნდა, რომ ბოროტებაში არ გადაიზარდოს.
5047. სურვილი აუცილებელია, მაგრამ სურვილების კორიანტელის დაყენება – უგვანობა.

5048. გონიერება თავს არ იქებს, მაგრამ წამლიქვნელების წინააღმდეგი არ არის.
5049. ვინც საკუთარ თავს ზოგჯერ შეუკურთხებს და ხელსაც გაულაწუნებს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მისი გონიერება ღირსების დაკარგვას არ აპირებს.
5050. ძლიერი განცდა, ყოფის ალიყური, უფრო კეთილშობილებისკენ გვიბიძგებს, ვიდრე უგვანობისკენ.
5051. ზნეობაზე უზნეობის შეზელვა და ზნეობად წარმოჩენა მომდევნო თაობათა წინაშე დანაშაულია.
5052. იყო გულით მართალი, ძნელია, მაგრამ რენტაბელურია და საამაყოც.
5053. ცუდი ზნის ადამიანის კაურებში გარკვევა თვით ამ ზნისთვის გაუგებარია.
5054. სიკეთის კეთებაც ყოველთვის შეიძლება ჭეშმარიტების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ მისი კეთება აუცილებელია.
5055. მზაკვრობა თავის ნიღბებს ატარებს ღიმილით და უცოდველი კისკისით.
5056. მატყუარა გონებასაც გვირევს და სასიკეთოდ გახაზირებულ დროსაც გვაკარგვინებს.
5057. სინანული ის გონიერებაა, რომელსაც უკანსვლა არ აქვს.
5058. იყო ყოვლთვის მართალი, არ ნიშნავს, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებ, რადგან საქმის კეთებას თავის სიმართლის კაურებიც ახლავს.
5059. სინდისი თვითმყოფადობის სინონიმია.
5060. პატარ-პატარა სიცრუე თანდაყოლილია, დიდი – შეძენილია.
5061. სინანული ის ალგორითმია, რომელიც ბოლომდე ამოხსნას არ ექვემდებარება.
5062. სინდისი პრივატიზაციას ექვემდებარება, თუ საქმეში ფული, კარიერა და ძალადობა ჩაერევა.
5063. ყველაზე დიდი უმადურობაა რაც გაქვს, იმის დაუფასებლობა და განუსჯელად იმაზე მეტის მოთხოვნა, რაც არ დაგიმსახურებია.
5064. მორალს ძალადობის უფლება აქვს, რაც გეგმაზომიერად უნდა განახორციელოს.
5065. ბევრს სიმართლის თქმა თავის სასარგებლოდ და თავისივე მოთარგმნით უყვარს.
5066. სნეულება უზნეობის სინონიმია, მიზეზთა მიუხედავად.
5067. ბრიყვს ისევ ბრიყვი ურჩევნია უფროსად და დამმომძღვრელად.
5068. მამლაყინწობას თავის კაურები ახასიათებს, ხშირად პასუხისგე-

ბით.

5069. კარგის და ცუდის საწყისიც თავხედობაა, იმისდამიუხედავად, რომ მას ამრეზით უყურებენ.

5070. თავის წარმოჩენა-განსჯისაგან განსხვავებით, თავის მოტყუების მცდელობა ადვილია.

5071. ხელისუფლად ყოფნა უღელიცაა და განცხრომაც, გააჩნია, ვის რა ზომის სინდისი აქვს და ვინ რის მოხვეჭას აპირებს.

5072. თეორიულად სინდისთან გარიგება ამორალურია, რა კარგი მიზანიც უნდა გვქონდეს.

5073. პატიოსნება ჩვენ დროში თავისებური კლინიკაა, გადახრაა, რადგან ამ ბაგაჟით ცხოვრების მოწყობა ჭირს.

5074. როდესაც წმინდა იკარგება, ურცხვობა თავს გამოყოფს, „მეც ნახირ-ნახირო!“, ყოველივე უზნეო სააშკაროზე გამოაქვს და მის დამკვიდრებას ცდილობს.

5075. არც ისე ადვილია პატიება, მიტევება, შენდობა, ამასაც სწავლა უნდა კეთილ ნებასა და ბუნებასთან ერთად.

5076. ეჭვიანობა, ფული და უაზრო შური ყველა უბედურების საწყისიცაა და ბოლოც.

5077. ყველა ერში მოიპოვება კარიერის მონა, დაბოღმილი ნაძირალა, რომელიც თავის გამოჩენის მზინით ყველანაირ სამსახურში შევა.

5078. თავაზიანია ის გოგონა, რომელიც იმის თქმას არ გაკადრებს, რასაც შენზე ფიქრობს.

5079. ის რაც ბუნებრივია, არც სამარცხვინოა, მაგრამ რიდს და მალვას მაინც მოითხოვს, რათა არ გაუფასურდეს.

5080. ღალატს მჭერმეტყველება და სიტყვების დიზაინი არ შველის, რადგან ღალატი ღალატია და მას გამართლება არ აქვს.

5081. გულგრილობა ყველაზე დიდი დანაშაულია, რომელსაც საყრდენად ხელისუფლების უნიათობა უდევს.

5082. ერთგულების სერთიფიკატის მოპოვებას კაციც ცდილობს და ქალიც, ეს უკანასკნელი უფრო სერთიფიცირებულია: მის შრომას ფული და აღიარება მოაქვს.

5083. პატიოსნებად იბადებიან, მაგრამ პატიოსნად ცხოვრების უფლებას მაინც დრო და გარემო იძლევა.

5084. მორალი ყოველთვის რწმენას არ ეთანხმება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს განტევების ვაცის როლი ავკიდოთ.

5085. არის რაღაც, რასაც გონიერების მეგაბაიტი ვერ ხსნის. კაცს გადაყვები, ფეხზე დააყენებ, ის კი ნიშანს გიგებს და თავისი ჭკუით დაგცინის, რადგან ცხოვრების ალგორითმებში ჯერ ვერ გარკვეულა

და უგვანობისთვის ჯერ არ მოხვედრია.

5086. გადამეტებული წესიერება და ყოველთვის სიმართლის პირში მიხ-ლა სიბრიყვეა და გამართლება არ აქვს.

5087. სიძუნწე, მიჩვევა, კანონის უპატივცემულობა, კორუფცია, შიშზე ძლიერია, რადგან ამ დროს ადამიანის ბუნება გამოუსწორებლად მოღორებულია.

5088. ზრუნვა, სიყვარული და პატივისცემის უკუგორება ის ალგორით-მია, რომელიც ჩვენი შთამომავლობის „ტყვედ“ გვაქცევს.

5089. სინდისზე, ღირსებაზე, კანონის დაცვაზე, საუბარი ზედმეტია თუ ამას ჩვენი გენი, აღზრდა და მომავლის იმედი არ დააფიქსირებს.

5090. ხშირად გაკვირვებას იწვევს რატომ ერევა „არამკითხე მოამბე“ იმ საქმეში, რომელშიც განგებასაც კი უჭირს გარკვევა.

5091. „ქვეშიდან“ გამოსვლაა, როდესაც თანამოაზრესთან საკითხს წი-ნასწარ განსჯი, გადაწყვეტ, შეათანხმებ, საერთო აზრს დააფიქ-სირებ, მაგრამ საკმარისია ხელმძღვანელმა თავისი აზრი გამოთქვას და ამ შეთანხმებული საკითხიდან არაფერი რჩება, იმდენად დიდ-ია მლიქვნელობის, კარიერის შენარჩუნების და თავის გამოჩენის ძალა პატარა ადამიანში, რომელიც აქამდე შენს თანამოაზრედ და პიროვნებად მიიჩნევდი.

5092. ბიწიერებას თავისი ადგილი და სიცოცხლის გაგრძელების საკუ-თარი ალიბი აქვს ამ ცხოვრებაში.

5093. ადამიანი ყოველთვის იტყუება. ზოგს ამის მიზეზი აქვს, ზოგს – ჩვევა, ზოგიც ტყუილს დიზაინს უკეთებს და თავის მოწონებას ცდილობს.

5094. რეკლამირებულ რობინ ჰუდს, არსენა მარაბდელს, გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს ახალგაზრდების აზროვნებისთვის, ვიდრე ჩვეუ-ლებრივ ნაძირალა ყაჩაღებს.

5095. ვნებათა ღელვას მოთოკვა სჭირდება და არა დაჩმორება და მასზე „გამარჯვების“ მიღწევა.

5096. გონიერებისთვის აპეურების მოჭერა და ყოველდღიური ძალადო-ბა ღირსებასაც გვაკარგვინებს და თავის პატივისცემასაც.

5097. სხვის ბედნიერებაზე დაყრდნობით საკუთარ ბედნიერებას ვერც შეცვლი, ვერც არგებ და იმედსაც გაიცრუებ.

5098. საოცარია, რამდენი ვიგინდარა შოულობს ფულს დაუსჯელად, დაუმსახურებლად.

5099. სიჯიუტის, პრინციპების, გამო, ხშირად ღირსება შესაძლებლო-ბათა გარეშე რჩება.

5100. სამართლიანობა, პირველ რიგში, კაცობაა, საკუთარ მესთან თავ-

ის წარმოჩენით.

5101. ზოგ ადამიანს სიკეთის კეთება შინაგანად, გენეტიკურად აქვს ჩადებულ-მომადლებული და მას ცუდ ადამიანად ვერც დროის ყივილი აქცევს და ვერც განგების ნება.

5102. სამართლიანობა თუ ზნეობა, სახელმწიფოს ინტერესები თუ პირადი ინტერესების დაცვა, მეგობრობა თუ კანონის მონობა – ამ ცხოვრებიოსეულ ალგორითმებთან ჭიდილი ძნელია, თუ მას საათანადო იდეოლოგია და აღზრდა თან არ ახლავს.

5103. სათნოებასაც თავის დამგემოვნებელი სჭირდება, რათა მისი მადლი გაიგოს.

5104. ბლომად სიკეთე არ არსებობს – ზომა-წონა ვერ ეგუება.

5105. პატიოსანსა და პატიოსან დებილს შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში თავზე ფიქრობ და საერთო სასიკეთო საქმეს აკეთებ, მეორე შემთხვევაში არაფერს აკეთებ და პატიოსნებაზე თავს დებ.

5106. სამყაროსადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რატომღაც, მთელი ცხოვრება თან გვდევს და სინდისიც არ გვაწუხებს.

5107. სიმართლე ყველას სახეზე გვაწერია, მაგრამ მისი ანბანი ყველამ როდი იცის.

5108. ზოგი თავისი ზომის ორმოს, ამბიციების დასაკმაყოფილებლად, სხვას უთხრის, მიუხედავად იმის ცოდნისა რომ შეიძლება მასში თავად ჩავარდეს.

5109. კაცების და ქალების მეგობრობა იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ერთი შეფარდებითაა შესაძლებელია, მეორე შეუძლებელია და არც არსებობს.

5110. მორიდების უნარი და გონების გაბრწყინება სინონიმებია თუ სასიკეთო საქმეს ვაკეთებთ.

5111. მზაკვრობა გულის პრეროგატივაა, სიცრუე სათუო გონიერების ნაყოფია.

5112. ქველმოქმედს თუ მადლიერებით უკუგორება არ აქვს, თავის მიზანს ვერ აღწევს.

5113. იუმორი ყოფასთან შერკინებას გვასწავლის გონიერების მოხმობით და გართობა-თამაშით.

5114. მეგობრობის დაწყება ადვილია, მისი ხარჯის და პრეტენზიების გარეშე შენარჩუნებაა ძნელი.

5115. მეგობარს გარკვეული დროით ირჩევ, სამუდამოა თუ გაგიმართლა.

5116. სიკეთეს ბოროტება სტანჯავს და არა – პირიქით, ამიტომაცაა,

რომ მტანჯველს უნდა ვებრძოლოთ.

5117. გონიერების სიცარიელეს, დეფიციტს, ძალა აბოროტებს და უგვანო გზაზე აყენებს.

5118. ქება სასიამოვნოა, მაგრამ უგუნურებისთვის ვნება მოაქვს.

5119. ცრემლი ჩვენი ყოფის ერთ-ერთი ატრიბუტია, რათა ამდენი უგვანობის შემყურე თვალს სირცხვილი მოვხოცოთ.

5120. ღირსება გრძნობებს ეჭიდავება, მაგრამ საქმენი მისნი ამჟღავნებენ.

5121. ავტორიტეტს ტყუილსაც „უჯერებენ“, რაც უნდა მოკლე ფეხები ჰქონდეს.

5122. ადამიანი დღეს სამარცხვინო საქმეებსაც არ მალავს, რადგან პიარისთვის და თავის ზედმეტად შესახსენებლად სჭირდება.

5123. სიზარმაცე ის დაავადებაა, რომელსაც ძალის ჩვენება არჩენს და არა – მოფერება და შენდობა.

5124. ცოდვის ჩადენასაც თავისი გამოძახილი აქვს და ხშირად შურს შთამომავლობაზე იძიებს.

5125. სიკეთის კეთებაც თავისებური იარაღია, ის გულებს იპყრობს და არა – ტერიტორიებს.

5126. კეთილშობილება იგივე ადამიანობა და კაცობაა კვადრატში აყვანილი.

5127. სირცხვილს და პატიოსნებას თავიანთი წონა აქვთ გონიერი ხალხისთვის და – არა ბრბოსთვის.

5128. თუ ალიბი გაქვს, სხვათა ნაჯაფის დაგმობა ძნელი არ არის, თანაც ნიშნის მიგებით.

5129. საკუთარი ცოდვები იმდენად ახლოა ჩვენთან, რომ ზოგჯერ თავის მოსაწონებლად ვიყენებთ გარკვეულ გარემოში.

5130. არსებობს ზნეობრივი სიბრიყვე და მოუთმენლობა, რომელსაც ზიანი მოაქვს, განსაკუთრებით, სიყვარულში.

5131. ცოდვისთვის თავის არიდება ზოგჯერ ძნელია, მაგრამ მისი რეციდივი შეუძლებელი უნდა გავხადოთ.

5132. როგორც ამქვეყნიურ, ისევე იმქვეყნიურ სასუფეველში მოხვედრა ვნებათა ღელვის მოთოკვას მოითხოვს.

5133. შეურაცხყოფილი შეურაცხმყოფელის სიყვარულს შეძლებს, თუ ამის სურვილი დროს და განგებას ექნება.

5134. საუკეთესო ჩვევებიც მარად უნდა იხვეწებოდეს, იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს.

5135. ანგარება დიდი მსახიობია, უფლება რომ მისცენ, უანგარობის როლსაც დიდი მონდომებით შეასრულებს.

5136. უგუნურებს სხვათა ნაკლზე უყვართ ჭორაობა და მისი გაბუქება.
5137. მგრძნობიარე ადამიანი სხვათა ჭირს თავისაზე მეტად განიცდის და ასე გადააგორებს წუთისოფლის ძვირფას დროს.
5138. ტყუილი მანამ ინარჩუნებს თავის რაობას, სანამ საზოგადოებას აწყობს და მოსწონს და სანამ სიმართლის პირში მთქმელი არ გამოჩნდება და ალიყურის გაწვნას არ მოინდომებს.
5139. მორალს ტრადიციები და ყოფის ადგილმდებარეობა განსაზღვარვს და არა – ეროვნულობა.
5140. გონიერებაც, მისდაუნებლიედ, ზოგჯერ ფლიდია და თავისი ამბიციების შეხახვისთავებისკენ მიისწრაფის.
5141. საკუთარი თავის შველით სხვათა შველაც გამოდის, რადგან ამ სიკეთის კეთებით ისიამოვნე და თავი ადამიანად იგრძენი.
5142. სიმართლის კაიფი ბოროტმზრახველის გენეტიკას არ ესმის.
5143. სინდისი პირადი საკუთრებაა და ის მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის დროის, გარემოს და ალიბის მოძიების შესატყვისად.
5144. სირცხვილი ჩვენი არასრულფასოვნების წარმოჩენაცაა და დამფასებელიც, გააჩნია, წლებთან ჭიდილი როგორ გამოაწრთობს.
5145. მოჩვენებითი თავმდაბლობა ყველა სახის მლიქვნელობაზე უარესია.
5146. გათავხედება მანკია, ის შეძენილი იქნება თუ თანადყოლილი, ამიტომ მას გონების მოხმობით და ზოგჯერ გალაწუნებითაც უნდა ვუმკურნალოთ.
5147. ჯიბრმა მეგობრობა არ იცის.
5148. პირფერობა, მლიქვნელობა, გვინდა – არ გვინდა, ზომიერების ფარგლებში გვსიამოვნებს და საჭიროცაა, რათა შემოქმედი ბუნების ადამიანმა უკეთ იღვაწოს.
5149. არის ცოდვა, რომელსაც ვერც ცრემლები შველის, ვერც ლოცვა, ვერც მონანიება, ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავთან მიმართებაში.
5150. გაცხადებული ცოდვების მონანიება უფრო ადვილია, ვიდრე დაფარულის.
5151. იმის ნაცვლად, რომ სიცილით ვემშვიდობებოდეთ წარსულს, ჩხუბით ვეძებთ იმ სამართალს, რომლის შედეგის შეცვლა უკვე შეუძლებელია.
5152. მეტყველება, რომელიც აზრების მალვით ხმოვანდება, ქვეშქვეშა და თაღლითია.
5153. ზნეობა ფაქტიურად მოვალეობის შეცნობაა.

5154. ურთიერთ ჯიბრს, საღი აზრების შერკინებისგან განსხვავებით, სიკეთე არავისთვის მოუტანია.
5155. გაბრაზება შეიძლება მრჩევლად ყოველთვის არ გამოდგეს, მაგრამ არც უიმისობა ვარგა, ავტორიტეტი ითრგუნება.
5156. ბოროტმოქმედს ყველაზე მეტად სირცხვილის გრძნობა აქვს დაკარგული.
5157. შეუძლებელია პირფერს და მლიქვნელს, თავის უსუსურობის გამო, შხამი არ უგროვდებოდეს და როდის გადმოანთხევს, არავინ უწყის.
5158. სინდისი ადამიანს შინაგანად მარად თავის გადასახედიდან „უკაკუნებს“ და თავსაც ახსენებს.
5159. „წყენის ქვა“ გულში არ უნდა შევინახოთ, რადგან სიკეთე საბოლოოდ არც ერთი მხარისთვის არ მოაქვს.
5160. სიმართლე-სიცრუის ალგორითმი ზნეობის დამკვიდრებული ფორმულით იშიფრება.
5161. ბოროტება ყოველთვის თავის „დიპლიპიტოთი“ გვეხმარება და აუგად ნაკეთებსაც ამღერებს.
5162. შეძულება, მოტყუება, თაყვანისცემა – ადამიანთა უმრავლესობა ამ განუსჯელი პარამეტრებითაა დაავადებული.
5163. ღირსებას გამბედაობა და რისკი ამშვენებს.
5164. სიმართლის თქმასაც ვაჟკაცობა უნდა.
5165. გმირობა არის აფექტის შედეგად კვადრატში აღსრულებული მოვალეობა.
5166. ბოროტება ავისმქნელია ყოველგვარი მიზეზის გარეშე.
5167. უმადურობა პატიებას არ იმსახურებს, მაგრამ იძულებულნი ვართ შევუნდოთ.
5168. შესაძლებლობის ფარგლებში სიკეთის კეთებაც პატიოსნებაა.
5169. სიკეთის კეთებასაც ჭკუის მიტანება სჭირდება, რათა ისიც სადაო არ გახდეს.
5170. ურცხვობა უნამუსობის დაყოვნებული სინონიმია.
5171. შინაურებში სიმართლის თქმა ვაჟკაცობაა, რადგან მას ყველა მათგანი ემალება.
5172. პოლიტიკა, პირველ რიგში, ინტუიცია და დროის შერჩევაა გამბედაობით.
5173. კომპლიმენტი თავისებური ძალადობაცაა, ცნობიერების დასათრგუნავად და გულის დასაპყრობად.
5174. ცრუ იდეალებს დაწაფებული ადამიანი უშინაარსოდ იტყუება და ამითაც კმაყოფილია.

5175. ღალატიც თავისებური იარაღია, უმთავრესად, საკუთარი თავის მიმართ.
5176. ღალატი, უმადურობა, შური, ფულის იარაღია.
5177. უბედურებას, უზნეობას, უგულობას, არ უნდა შევეგუოთ, თუ გვინდა კვლავ კარზე არ მოგვადგეს.
5178. ბოროტება, გარდა იმისა, რომ თვითდაჯერებულია, უსირცხვილოცაა და ქვეშქვეშაც.
5179. ფილოსოფოსად თავის მოჩვენება არც ისე ადვილია, მაგრამ ზოგიერთი ჭკუანაღრძობი ამას ახერხებს.
5180. ზოგ ჩადენილ ცოდვას იმქვეყნად მიჰყვება ამქვეყნიური მოგონება.
5181. დანაკარგი და დავა, ზარალი და აყალმაყალი, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი პატივისცემას გვართმევს.
5182. უნდა ვეცადოთ სინდისის ნაღვაწი წარმოვაჩინოთ ფულის სახით იქნება, შვილების სახით თუ სიყვარულით.
5183. ყოველი დახვეწილი თავს მუდამ ღირსეულად გრძნობს.
5184. ანგარების სიკეთისთვის დაქვემდებარება ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ მიზანს დაუსახავთ.
5185. სიმდაბლის გამოვლინებაც ადამიანის უაზრო სიჯიუტის შედეგია.
5186. სინდისთან ჭუკ-ჭუკი არარეალურია, ის ან გაქვს ან – არა.
5187. ადამიანს სიკეთისთვის თავზე ხელის წამორტყმა უჭირს, რაც საჭიროცაა და სხვებისთვის სასარგებლოც.
5188. შეგნებული ავკაცობა ნაძირალობაა კვადრატში.
5189. შელახული ღირსების აღდგენისთვის ადამიანი ხშირად ყველაფერზე მიდის.
5190. ჩვენი ყველანაირი საქმიანობა ღვარძლის და გულის მოფხანის გარეშე უნდა განვსაჯოთ, ¤თუ გვინდა რეალობას წარმატებით შევეჭიდოთ.
5191. ცუდი მახსოვრობა გაიძვერათა ნავსაყუდელია.
5192. ყოველგვარი უპრინციპობის ფინიად ყოფნა სავალალოა, მაგრამ ზოგი ამას ველარ გრძნობს.
5193. ღირსებას შურის გვერდით ყოფნა უჭირს.
5194. სიკეთე თავისი ზრახვებით იღვწის და იმარჯვებს.
5195. ჩვენი არჩევანი ჩვენივე ღირსების წარმომჩენია.
5196. ვაკეთოთ სიკეთე! სადღაც, ოდესღაც, ხომ მაინც გაგვიხსენებენ, დაგვიფასებენ და ამის შეგნებით ლაღად ვიცხოვრებთ.
5197. სიკეთის ჩათესვა ჯანსაღი თესლით უნდა მოხდეს, რათა ის

სასიკეთო საქმეების საკეთებლად მომწიფდეს.

5198. სინდისი ის ცნობილი ლაკმუსია, რომელიც ჩვენს ამქვეყნიურ რაობას განსაზღვრავს და განსჯის.

5199. მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენი სინდისი, აღზრდა, გვკარნახობს, ზოგჯერ ისიც განსჯას მოითხოვს და სათუოა.

5200. იუდათა რაოდენობა მოუწყობელ ქვეყანაში თანდათან მატულობს, რადგან გაჭირვება, რწმენის დაკარგვა, ყოველგვარი უგვანობისკენ უბიძგებს.

5201. მოვალეობა პირნათლად უნდა შევასრულოთ და ამისათვის არც საჩუქარზე უნდა ვთქვათ უარი, თუ გვინდა მადლიერების იმპულსი დახმარებულს გავუორკეცოთ.

5202. კეთილი საქმეების კეთება იერიშობანას ვერ იტანს, რადგან ის მუდმივი განზომილებაა.

5203. ბოროტება, უგუნურებასთან ერთად, უძლურებაცაა საკუთარი მეს წინაშე.

5204. მხარდაჭერა და წახალისება, გადაუმეტებელი ქებით, ყველა გონიერ და სიკეთის მკეთებელ ადამიანს სჭირდება მის გასაორმაგებლად.

5205. შეცდომების არაღიარება, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვნებს.

5206. უნდა ეცადო მამალი ჭკუის მოძიებას და არა – ჭკვიანად თავის წარმოჩენას.

5207. აყალმაყალს უაზროდ სიტყვების სროლა იწვევს და არა – გონიერთა შეჯიბრი.

5208. უსულგულობა საკუთარი თავის არა მარტო უპატივცემულობაა, არამედ ზარალის მომტანიც.

5209. გათამამებული სიბრიყვე ჭკუის სწავლებას ემორჩილება მხოლოდ ალიყურებით, ისიც რამდენჯერმე დაუნდობელი გალაწუნებით.

5210. კაცობრიობის საყრდენი ყოველთვის ღირსება იქნება როგორც ამ, ისე – იმქვეყნად.

5211. „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, რადგან ის თვითკმაყოფილებას იწვევს და სიახლეს დროის მოთხოვნის შესატყვისად ვერ აღიქვამს.

5212. სიკეთის კეთებასაც ჭკუა უნდა, მარტო გული და გენი არ ყოფნის.

5213. სიზარმაცე შეიძლება მოჩვენებითიც იყოს, ცრუ აქსესუარებით.

5214. ქება-ძაგება ხშირად ძმები არიან, გააჩნია, ვის მხარეს ხარ და ვის ახმოვანებ.

5215. მორცხვობა პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ არა – თანადგო-

მა.

5216. ერიდეთ გადამეტებას, შურისძიებას, ნიშნის მიგებას, თუკი ეს შესაძლებელია.

5217. სინდის-ნამუსის პრობლემა, დროის ყივილის შესატყვისად, ყოველთვის იყო და იქნება.

5218. სინდის-ნამუსის პრობლემა, დროის ყივილის შესატყვისად, ყოველთვის იყო და იქნება.

5219. ცოდვების მონანიებას ლოცვით თავის დაძვრენა არ შველის.

5220. მესამე პირის ღალატი მტრებსაც კი არიგებს და ერთ მიზანს უსახავს – მოღალატე დასაჯონ.

5221. სტუმარი, ქართული გაგებით, ღმერთის მიერ გამოგზავნილი კაცია, ამიტომ, მასპინძელს უნდა სიამოვნებდეს მისი გამასპინძლება, მიღება და არა მოვალეობას იხდიდეს.

5222. ამბობენ, უსინდისობას სიკვდილი ჯობს, მაგრამ ეს პოსტულატი დღეს მოდაში არ არის, რადგან სინდისსა და უსინდისობას შორის ზღვარი უკეთესი ცხოვრებისკენ ლტოლვამ წაშალა.

5223. თავმდაბლობა ბედნიერებაა სულიერებისთვის, მაგრამ ხორციელებას მეტი სჭირდება.

5224. მახინჯი მიზნებით სილამაზისკენ ლტოლვა მკრეხელობაა.

5225. თავაზიანობაც თავისებური ბიზნესია, თუ იცი სად და როგორ ჩადო და დააბანდო.

5226. ამპარტავნება თავისებურად სულმდაბლობა და დროზე ადრე თავის წარმოჩენის მცდელობაა.

5227. ნაძირალა ნათესაობაც, ახლობლებიც, კადრულობენ შენ შეცდენას თუ რაიმე გაუვათ.

5228. ზოგს ისეთი გამყიდველი ბუნება აქვს, ლხინშიც გიღალატებს, ჭირშიც და მაშინაც, როცა შენთან არაფერი ესაქმება.

5229. სიძუნწე, ფაქტობრივად, სიცოცხლის კაიფის დაუნახაობაა.

5230. მადლობის თქმა განსაკუთრებით იმათ მიმართ გვიჭირს, ვინც ჩვენზე გადაყოლილია და ვალად ვუთვლით.

5231. არის ხალხის კატეგორია, რომელიც ვერასოდეს იტყვის „დამდეთ პატივიო“, იმდენად შელახული აქვთ ღირსება.

5232. ზნეობის საწყისი ცოდნაა, ტრადიციების დამოძღვრით და ახლის სათანადოდ გათავისებით.

5233. ურთიერთმოწიწება, მორჩილება, პატივის მიგება, ბორკილებს არ ნიშნავს და არც უგუნურებასთან გაიგივებას.

5234. ზნეობის სფეროში რეალური პერსპექტივის გამოთხრა ბედნიერებაა, რომელიც სულიერებასაც აკმაყოფილებს, გონიერებასაც და

სხვათა წინაშე მოვალეობის შეცნობასაც.

5235. სიკეთეს და ბოროტებას თავისი გზა აქვს და აზროვნების მოთოკვას არ ემორჩილებიან.

5236. სხვათა დაპყრობა-დამონების ცდა თავისებური გართობაა, რომელიც ძნელი მოსათოკავია.

5237. ბოროტება კანონიერი ბოროტებით და სიმკაცრით აღმოიფხვრება, მაგრამ მახსოვრობა აქვს „ბოროტი“.

5238. ბევრი თავმომწონე ცხოველიც კი არ იკადრებს ზოგიერთი ზნედაცემული ადამიანთან შედარებას.

5239. ცოდვილის განსჯა ადვილია, მაგრამ თავად რომ იყო უცოდველი გაცილებით ძნელია.

5240. ქედმაღლობა, განსჯის გარეშე, აზრს კარგავს და ნაოცნებარს ვერ აღწევს.

5241. პატიოსნება არ ისწავლება, პატიოსნად იბადებიან, იღვწიან და ასევე პატიოსნად გადაბარგდებიან იმქვეყნად.

5242. კაცთმოყვარეთა და გულმოწყალეთა შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ანალიზის უნარი შესწევს მოსალოდნელი შედეგით, მეორე უაზროდ გულკეთილია, შედეგის უყურადღებოდ მიგდებით.

5243. სიძვის დიაცი, სიმპათია, საყვარელი, ცოლი – მათ სხვადასხვა აურა აქვთ და აქ ღალატი არაფერშუაშია.

5244. ცოდვა საკრალურ სისტემათა დარღვევის მცდელობაა დროსთან, გარემოსთან და მსოფლმხედველობასთან შეუთავსებლად.

5245. თუ მოსარიდებელს ვერიდებით, ღირსების შენარჩუნებით, ვაჟკაცობაა.

5246. სიავე გონიერებისთვისაც მავნებელია და უგუნურებისთვისაც, ამიტომაცაა, რომ მისი მოთოკვა ზომიერების ფარგლებში უნდა ვისწავლოთ.

5247. ანგარება, სიძუნწე, შური, მუდამ სხვათა საზარალოდ იყო მიმართული.

5248. სინდისის და განსჯის დრო და დრო კარგვა, ადამიანს მეობას აკარგვინებს.

5249. გონიერება ბოროტებისგან შორსაა, მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ იკავებს და უხიაგობით ერთობა.

5250. წმინდა გრძნობების ცდუნებით გარყვნა უაზრო ამპარტავნების უგუნურობასთან შერწყმის შედეგია.

5251. ბავშვს და ლამაზ ქალს არ ატყუებენ, რადგან მათ ზომაზე მეტად გულით განაწყენება იციან.

5252. შინაგანი კეთილშობილების გარეშე ადამიანი ვერც წარმოჩინდება

და ვერც თავის ქვეყანასა და ხალხს წარმოაჩენს.

5253. სინდისსაც აქვს ის პარამეტრები, რომელზეც გადაბიჯებაც არ შეიძლება.

5254. გარეშეთათვის თავდადება გენის ბრალია და არა – აღზრდის, რადგან გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს არ დაეხმარო, კეთილი გენი უფლებას არ მოგცემს.

5255. ღალატი ღალატად რჩება, რა ალიბის საწებელიც უნდა გამოინახოს.

5256. რადგან წარსული ცოდვებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია, ვალის გადახდა ამქვეყნად თუ არა, იმქვეყნად მაინც მოგვიწევს.

5257. საკუთარი შეცდომების აღიარება ჭირს და ამიტომაცაა, რომ მარად ალიბის ძებნაში ვართ.

5258. სიკეთის ენის საჭიროება თავად უნდა იგრძნო – არ ისწავლება.

5259. დაუსაბუთებლად და უმიზეზოდ სხვათა აუგად მომხსენიებელი გვერდით არ უნდა გაიკარო.

5260. სიკეთის ქმნასაც თანდაყოლილი ნიჭი, გარემო და მასწავლებელი სჭირდება.

5261. ბოროტება მისთვის „განჩინებულ“ კაიფს ვერ მიიღებს, თუ სიკეთეს დავუპირისპირებთ.

5262. ადამიანს ლოცვა-ვედრება ვერაფერს შესძენს, თუ სიკეთე-მოვალეობას გულით არ მიუდგა.

5263. განზრახ ჩადენილი დანაშაული, საკუთარ სინდისზე გადაბიჯების, გარემოსთან მოჩვენებითი შეხმიანების შედეგია.

5264. ცოდვილი და უცოდველი არ არსებობს, თუ საქმე თავკერძა და გაამაყებულ ადამიანთან გვაქვს.

5265. განგების კაპრიზია ადამიანს რომ ცოდვების მიდრეკილებით ბადებს, ხოლო აიძულებს შეძენილი რწმენით გამოსწორდეს.

5266. ვაჟკაცობა, თავდადება, ყოველთვის ღირსების მწყობრში დგას.

5267. წუწუნა ადამიანი, ფაქტიურად, სხვათა ნაღვაწით ტკბება და ამას რატომღაც ვერ ხვდება.

5268. მეგობრის ცოდვებს შემგუებლურად ვხვდებით, თუ ჩვენ არ გვეხება.

5269. მეგობრობა სადღეღამისო უნდა იყოს, რადგან ის განუსჯელია.

5270. უზნეო აზრების გამოთქმისთვის, სამწუხაროდ, დღეს აღარავის არ სჯიან.

5271. კინკლაობის სურვილის აღტკინებას, დროის გონიერება არ შველის.

5272. უგუნურება უზნეობის წამახალისებელია.

5273. იყო მუდამ მართალი, არარენტაბელურია.
5274. გაცემის შედეგი თავადაც უნდა იგრძნო და დაინახო, – რაღაც უნდა დაიკლო.
5275. სათნოებას გონების დროულად მოხმობა ალამაზებს.
5276. ჭკუის სწავლებასა და რჩევას შორის სხვაობა დიდია, მაგრამ ქართული ამპარტავნება ამ სხვაობას ვერ აღიქვამს, რადგან მიუღებელიცაა და არც სჭირდება.
5277. პრაქტიკულად ღირსებას, სამართლიანობას, მხნეობას, ფულით ვერ იყიდი, მაგრამ ყბედობით ამასაც ახერხებენ.
5278. ზოგჯერ სიტყვასაც სიკეთის მოტანა შეუძლია, თუ მისი მთქმელის გონიერება სიკეთითაა აღჭურვილი.
5279. სინანული ზოგჯერ გონების გამონათების და შენი ნამოქმედარის ანალიზის შედეგია.
5280. სინდისიც კარგი საქონელია, მაგრამ მასაც სათანადო შეფუთვა, პიარი, სჭირდება, რომ ღირსეული და კონკურენტუნარიანი იყოს.
5281. ხორცის ტკბობა და სინდისის დევალვირება სხვადასხვაა, მაგრამ გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ და პერსპექტივაში რას ველით.
5282. ღირსებამ უღირსობის განსჯა-დასჯა არ უნდა დაიზაროს, თუ უნდა მას პატივს სცემდნენ.
5283. გულგრილობა-დაუნახაობა სიკეთის კეთების მადლს შეურაცხყოფს – „აოხრია და ამიტომაც გვაძლევს“.
5284. ორპირობა უფრო მიუღებელია, ვიდრე სამპირობა (ატყუებ, გატყუებს და მზად ხარ გაცუცურაკებისთვის), რადგან აქ თავადაც იბნევა, მისი მზაკვრობა სახეზეა და მიზანს ვერ აღწევს.
5285. გასაკიცხი შეიძლება ყველა ჩვენგანში აღმოვაჩინოთ, მაგრამ აქ მთავარია, არ გამოვაჩინოთ.
5286. ყველაზე დიდი დანაშაული მომადლებულ შესაძლებლობათა აღუსრულებლობა, გამოუყენებლობაა, რადგან სინდისის ქეჯნას სიცოცხლის ბოლომდე განიცდი.
5287. ბოროტება უნდა გვძულდეს, მაგრამ თუ საჭიროა, ბოროტებას ბოროტება უნდა დავუპირისპიროთ.
5288. სიმართლე და სამართლიანობა, წინასწარ განწირული მსხვერპლის დასაცავად, ყოველთვის არ გამოდგება.
5289. თავის მოტყუებაც თავისებური ხელოვნებაა, თუ ამას შენი სიამოვნებისთვის აკეთებ.
5290. ჩვენი ქმედება ხშირად „ვირგატოვს“ (მროზგავს) იმსახურებს, მაგრამ სხვათა გაროზგვას ვირჩევთ სიტყვების ბრახა-ბრუხით.
5291. თეორიულად სიკეთე იმარჯვებს გულგრილობაზე, მაგრამ რატომ-

ღაც ეს უკანასკნელი არ ისპობა, რადგან სიკეთის კეთება ძნელია, გულგრილად ყოფნა კი ადვილი.

5292. უსირცხვილობა, უსინდისობაც მოდაში შემოვა, თუ მას სათანადო პიარით დავაფინანსებთ.

5293. ამბობენ, სინდისიც კარგი საქონელიაო, მაგრამ არა „ჩაწოლილი“.

5294. გადამეტებული პატივმოყვარეობა და თავმდაბლობა ორივე მიუღებელია, საზოგადოების რაობის მიუხედავად.

5295. სიხარულის და მწუხარების გაზიარება მისი გარკვეულ ნაწილის გადანაწილების ტოლფასია და ეს გარკვეულ შვებას გვაძლევს, თავის წარმოსაჩენად და მწუხრის ჩამოსაშორებლად.

5296. სიამაყე ყოველთვის თან უნდა ვატაროთ, სათანადო დამსახურების შესატყვისად.

5297. ცუდში სიკეთის ძებნა უფრო ძნელია, ვიდრე „ალიბის“ აღმოჩენა.

5298. შეიძლება ბევრი რამ დაინახო, მაგრამ არ შეიმჩნიო, რომ შეამჩნიე, რაც თავისებურ აღზრდაზე, ბუნებაზე, მიუთითებს.

5299. პატივმოყვარეობასაც თავისი წყალქვეშა რიფები აქვს, რომელშიც „უავარიოდ“ სეირნობა რთულია.

5300. სათნოებაში ვარჯიში საბოლოო შედეგს არ მოგვცემს თუ ბუნებით სათნო არ ხარ.

5301. სიკეთის კეთებისთვის საზღაურს არ იღებენ, მაგრამ „თავსდავნატრით“ გულისხმობენ.

5302. ღირსება არ ხურდავდება, მას ჯილდო და პატივის მიგება ვერ ცვლის.

5303. გამოცდილი „ექიმი“ პაციენტს ისეთ დაავადებებს მოუნახავს, რომელიც ამ სამყაროსათვის, ჯერჯერობით, უცნობია.

5304. გაუგებრობა ზოგჯერ მისდაუმებლიე ბოროტებასაც სჩადის.

5305. მშიშრები მამაკაცთა მარულაში უხალისოდ ებმებიან.

5306. სიძულვილი კონტროლდაქვემდებარებული მრისხანებაა.

5307. ყოველგვარ უნდობლობას ბოლო უნდა მოეღოს, თუ სიტყვის არადანიშნულებისებრ ხმარების შედეგია, რადგან გონიერება ამ საკითხის მიმართ სხვა აზრისაა.

5308. სიმართლის თქმასაც თავისი პარამეტრების დაცვა სჭირდება დროის და გონების მოხმობით.

5309. სიკეთის კეთებას მცდელობაზე მეტად ბედი სჭირდება.

5310. ცუდს სიკეთით უნდა ვაჯობოთ, რომ ჩვენზე აუგი არ სთქვან.

5311. ბოროტებას სისულელისკენ მიდრეკილება აქვს ბაზისად,

თანდაყოლილი ავი გენით.

5312. სიმართლის გაბახებაც ადვილია, თუ სიცრუეს გვერდს ვიგინდარა ხელისუფალი უმშვენებს.

5313. უაზრო გაამაყება უკმაყოფილების ალგორითმია, რომელსაც ხშირად სიბრიყვემდე მივყავართ.

5314. საიდუმლოს შენახვა ორივე სქესისგან ერთნაირ მცდელობას მოითხოვს, რადგან აქ ხშირად ადამიანის ბედთან გვაქვს საქმე.

5315. დაცემული ერთხელ უნდა წამოაყენო, ფეხზე დააყენო და ჭიტ-ლაყიც უნდა უთავაზო, რათა მეორედ აღარ წაიფორთხილოს.

5316. ბოროტი გენი გულის სიკეთისკენ მიდრეკილებას არ ემორჩილე-ბა.

5317. ანგარება მარად ახალგაზრდაა, უცვლელია და მოდაშია.

5318. ავი ადამიანი თანამეინახედ ავს ეძებს და მასთან შერკინებაში პოულობს სიამოვნებას.

5319. ედავე ვისიც გესმის, მაგრამ მის თავმოყვარეობას ნუ შეეხები.

5320. დაცინვა სიმართლის წკიპურტებით, იუმორისგან განსხვავებით, აუტანელია.

5321. თავს პატივი უნდა მიაგო, მაგრამ არა იმდენად, სხვას არ გამო-ადგე.

5322. კეთილი გული მადლიერებას არ ითხოვს, რადგან შინაგანად თავ-ის კმაყოფილია.

5323. მხდალებთან, ჩამშვებებთან, უაზროებთან, ხშირი ურთიერთობა ან ზნეს გვიცვლის, ან გუნებას, ან იმიჯს.

5324. თავმდაბლობა გულგრილობის გვერდით ვერ ძოვს.

5325. ჭკვიან გაჭირვებულთან მეგობრობას ისევ მდიდარ უგუნურთან დაახლოება ჯობს, პირველისაგან განსხვავებით, შეიძლება ხელი რაიმეს გამოკრა.

5326. მეგობარს გული ირჩევს და გვაგრძნობინებს მის საჭიროებას და არა – გონიერება.

5327. სიავეს გონიერება, ნიჭი, შემართება, ვერ თოკავს, რადგან ეს გე-ნეტიკურია.

5328. სიმართლეს ბევრი მტერი ჰყავს და ცოტა – მოყვარე, მაგრამ მაინც პირველია.

5329. უსაქმურობა გარკვეული გენეტიკური დავაადებაა და არა – მიდრეკილება.

5330. ტყუილუბრალოდ არავინ შეგაქებს და არც არავინ შეგიძულებს, თუ გამორჩენის იმედი არა აქვთ.

5331. ფაქტობრივად, ვცდილობთ ჩირქის მოცხების გარეშე ამქვეყნი-

დან უდრტვინველად გადასახლებას.

5332. რა დროს რა ჯობს ამქვეყნად, ყოველთვის გასარკვევია.

5333. სიბრძნეც და სიცრუეც ზნეობის პარამეტრებში უნდა ჯდებოდეს.

5334. სინდისის ინკვიზიციას ჯერ ვნება არავისთვის მოუტანია.

5335. ავი და კვიმატი ენა ავი სურვილებით გულშია ნაშობი.

5336. ცოდვის ჩადენაც გადამდებია თუ შინაურებში რეკლამირებულია და თავგადასავლებს გვპირდება.

5337. მხოლოდ ღირსეულს აქვს უნარი აღიაროს სხვათა ღირსება.

5338. ისტორიას პატიოსნება წერს გონიერების მოშველიებით, რომელიც სიმართლის თქმას ქვეყნის საწინააღმდეგოდაც არ ერიდება.

5339. ადამიანთა უმრავლესობა ვიგინდარაა, ამ თანდაყოლილი დაავადების აღმოსაფხვრელად რწმენა, რიდი და ძალა უნდა გამოვიყენოთ.

5340. პატიება შეიძლება სუსტთა და სულელთა საქმეა, მაგრამ გონიერება და ცხოვრების გამოცდილება შენდობის მომხრეა.

5341. ჭორაობა საზოგადოების მიერ დაგმობილი გართობაა, მაგრამ „მასმედია“ თავის უნიათობით და მუქთა ფულის შოვნისათვის ლამისაა საწოლში შეუძვრეს პოპულარულ პერსონაჟებს.

5342. უძლურებას მოვთხოვოთ გულწრფელობა საკუთარი მეობის წინაშე – მკრეხელობაა.

5343. „ბედით უცოდველთა“ გამოსწორება შეუძლებელია, თუნდაც ცოდვებს განზრახ სჩადიოდნენ გართობის მიზნით.

5344. მცირედი ეჭვიც წესიერებას შეურაცხყოფას აყენებს.

5345. ზოგიერთი ნაკლოვანება ადამიანურ ღირსებებს გვიბრუნებს.

5346. უნიათოს ამპარტავნობა არ შეჰფერის – სასაცილოს ხდის.

5347. თავმოყვარეობასაც თავის აღებ-მიცემობის ინსტიტუტი აქვს.

5348. ვისიმე საიდუმლოს შეცნობის სურვილი თაღლითობისკენ გვიბიძგებს.

5349. ჩვენს დაურიდებლობას გონიერებამ ყური არ უნდა ათხოვოს.

5350. კეთილგონიერება ზოგჯერ პატიოსნების და სიბრძნის სინონიმია.

5351. ბოროტს სხვისი ქმედებაც ბოროტებად ეჩვენება.

5352. უსაქმურისთვის ყველა დრო უცვლელია.

5353. მწარე სიტყვა ყოველგვარ გაროზგვაზე მძიმე ასატანია.

5354. ნდობა–უნდობლობა, განსჯასთან ერთად, ყველა შემთხვევაში სიფრთხილეს მოითხოვს.

5355. ძალაუფლება და სინდისი ერთმანეთს ხშირად ვერ ეთვისება.

5356. ტყუილის თქმას, ზიანთან ერთად, გარკვეული სიამოვნებაც მოაქვს, ფანტაზიას და გამომგონებლურ ნიჭს წარმოაჩენს.
5357. სიავე და ყოფასთან შეუთავსებელი ხასიათი უგუნურებისკენ და მავნებლობისკენ გვიბიძგებს.
5358. ბუნების ქველმოქმედებასაც გადახდა უნდა.
5359. უდროო დროს ნუ მოეფერები და წაუმლიქვნელებ, ვინც შენზე ძლიერია, ვინ იცის, რა ხასიათზეა და რას „გამორჩები“.
5360. ახირებული ადამიანის მორჯულება არ ღირს, მაინც აგიხირდება.
5361. ზოგჯერ ბოროტებას სიკეთედ და გმირობად ნათლავენ გარკვეულ გარემოებათა გამო. ამიტომაცაა, რომ მასთან ბრძოლა დღემდე გრძელდება.
5362. ექიმი, მასწავლებელი და საერთოდ, საზოგადოებისთვის საჭირო პიროვნება რომ გახდე, ნიჭთან, უნართან, ერთად, კაცობაც უნდა გქონდეს.
5363. იმედი, რომ პატიოსნება იზეიმებს და ბოროტება დაისჯება, ზოგჯერ სიკვდილის კარზე მოსვლისაც არ მართლდება.
5364. სილამაზეს ხმამაღლა რეკომენდაციას უწევენ. პატიოსნებას – დუმილით.
5365. ცოდვა მძიმეა, მადლი მსუბუქია, გააჩნია, ვის როგორი „ვარჯიში“ მოსწონს.
5366. დაურიდებელი ენა ჭკუას ვერავის ასწავლის, პირიქით, მის საწინააღმდეგოდ განაწყობს.
5367. ერთგული გულით ნამსახურები იშვიათად იწიხლება.
5368. ყველა ცდილობს ბოროტებას ხელი ჰკრას, მაგრამ ბოროტება თავადაა ხელის მკვრელი.
5369. ღალატიც, სამწუხაროდ, დაფინანსებაზე და კარიერაზეა დამოკიდებული.
5370. ღირსება ბედნიერ გამონაკლისთა ხვედრია, ბოლომდე მისი შენარჩუნების უნარით.
5371. ზნეობას ყველა მისტირის, მისი მქონეც და არმქონეც.
5372. ჭკუის დარიგება, სულგრძელობა და დროის დალოდება რომ ყოველთვის არ ამართლებს, „ილია ჭავჭავაძემ“ თავის თავზე გამოსცადა, როცა უგუნურებმა ტყვიით მოკლეს.
5373. დღეს სიმართლის თქმაც მოდად იქცა, რადგან მას ყურად არავინ იღებს.
5374. სხვისი ცუდის გატირაჟებას არავინ გვთხოვს, ჩვენი ამბიციების და ყოყლოჩინობის გარდა.

5375. კეთილშობილება სხვათა ყოფის ამოუხსნელი განტოლების ამოხსნის მცდელობაა.
5376. გონიერება სხვათა აზრების გაუთვალისწინებლად საკუთარი სიყრუის და სიჯიუტის მაჩვენებელია.
5377. დღეს მორცხვობით და თავმდაბლობით ლელოს გატანა ძნელია – დროა ძალზე აჩქარებული.
5378. „სინდისის ქეჯნა“ უნებლიე დანაშაულსაც არ გვპატიობს და მარად თავს გვახსენებს.
5379. გული თავის სიმრუდეს გულიანად ფარავს.
5380. ხშირად იმ ხალხის იმედი გვაქვს, რომელიც ორ შაურად გაგყიდის და შაურად დაგახურდავებს.
5381. კაცს გაცუცურაკება და მოტყუება აბოროტებს და კეთილგონიერებაზე ხელს აღებინებს.
5382. კეთილშობილება გონიერების თავისებური სამსახურია.
5383. მადლიერებას სიტყვათა რახა-რუხით გამოხატვა არ უხდება.
5384. ვინც გაჭირვების ჟამს ზურგს არ შეგაქცევს და არ მიგატოვებს, სამუდამო მეგობარია.
5385. მლიქვნელობასაც ბატონობისკენ აქვს მისწრაფება, პატრონებზე ამოფარებით.
5386. მადლიერების გრძნობა ადამიანთა უმრავლესობას დაკარგული აქვს, რადგან ჰგონია, რომ არასოდეს არაფერში გამოადგება.
5387. სიმართლე და სამართლიანობა წყვდიადს ანათებს, მაგრამ არა – ჯოჯოხეთს.
5388. გონიერება ვერც ვულგარულ შეხუმრებებს იტანს და ვერც უაზრო სიცილს.
5389. ზნეობა მთლიანად სიმართლეზე და სამართლიანობაზეა აგებული და ამით საზრდოობს.
5390. სულგრძელობა დიდი „გამოგონებაა“, მაგრამ ხელის გალაწუნების გარეშე ყველას არ ესმის.
5391. უსაქმურობა-უზრუნველობა-უზნეობა სიცოცხლის მადლს უაზროდ გადააფასებს.
5392. ვეცადოთ სახელის აღსადგენად საქმე არ გავიხადოთ.
5393. პატივმოყვარეობა საკუთარ ამბიციებზეა დამოკიდებული გონიერების განუსჯელად.
5394. ბედს თავისი დრამა აქვს, თუნდაც ის, რომ მან დროულად არ გადმოგვხედა.
5395. უსინდისობის დღესასწაული არასოდეს არც დამთავრებულა და არც დამთავრდება, სანამ გონიერებას ცხოვრება ჯობნის და თავის

ჭკუაზე ათამაშებს.

5396. ცუდი ქმედებაც მისაბაძი ხდება, თუ შენს ირგვლივ იმ დროისთვის მსგავსი გარემო და ყოფაა.

5397. სინდისის ქეჯნას ყველა განვიცდით გარკვეული მიქარვების შემდგომ, მაგრამ შედეგის ხარისხის დადგენაა ძნელი.

5398. კაცობრიობას გადამეტებული სიცრუეც ვნებს და წინგაუხედავი პატიოსნებაც.

5399. გაჭირვება და იმედის გადაწურვა ადამიანს აგიჟებს და ზოგჯერ მისთვის შეუფერებელ ისეთ რასმეს აკადრებინებს, რომელსაც მისგან არავინ მოელოდა.

5400. ერთის უკულტურობა მეორის უგუნურებას კვებავს, რადგან ერთმანეთს ეგუებიან.

5401. ჩვეულებრივი ადამიანური უსინდისობა-უმადურობა ადამიანთა მოდგმის უმეტესობას ახასიათებს, მიუხედაავდ იმისა, რომ ყველა მათგანი თავს წესიერებაზე დებს.

5402. გულით ნაკეთები საქმე უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს და გონებაც ლაღობს.

5403. ცოდვილისაგან განსხვავებით, „ვირეშმაკი“ ადამიანის მოთვინიერება უფრო ძნელია და ძვირადაც გვიჯდება.

5404. უწიგნურობა და უხამსობა თითქმის სინონიმებია.

5405. საკუთარი სინდისისთვის კითხვის დასმა უფრო ძნელია, ვიდრე ალიბ-მოშველიებული პასუხის გაცემა.

5406. საკუთარი თავისთვის პატივის მიგება ამპარტავნებაა, ხოლო პატივის მიგუებლობა – უსინდისობა საკუთარი ჯილაგის და გენის მიმართ.

5407. ცდუნებას დიდი ძალა აქვს და სიკეთე-ბოროტების რა გზაზე დაგვაყენებს, არავინ უწყის.

5408. უსინდისობის დღესასწაული არასოდეს დამთავრებულა და არც დამთავრდება, სანამ გონიერებას მომხვეჭველობა სჯობნის და თავის ჭკუაზე ათამაშებს.

5409. შინაურებისაგან არც შენდობა გვაქვს და არც მხარდაჭერა, მაგრამ ნიჭის, მცდელობის, რეაბილიტაციის, შემთხვევაში, ყველა ნაცნობი წილში ჩაჯდომას ფიქრობს.

5410. ლამაზი ტყუილის დაჯერებაც შეიძლება, თუ ცნობიერებას დრო და დრო შეათბობს.

5411. საქმით ღირსებას არ ვაფასებთ, სიტყვით კი ამ ზურგზე ენის გადაკიდებასაც არ ვერიდებით.

5412. ცრემლები კათარზისის, განწმენდის, მცდელობაა და მოჩვენები-

თობას და „სიაფანდს“ ვერ იტანს.

5413. მოსმენის უნარი ნიჭია, რათა სხვათა გაჭირვება გულთან მიიტანო და განიცადო.

5414. მცდარ აზრებს, რაც უნდა მომხიბვლელი იყოს, უნდა ვერიდოთ, რადგან ზოგჯერ ბოროტებისკენ გვიბიძგებს.

5415. სიკეთის კეთების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, თუ ამის სურვილი გარემოსთან შეთანხმებით დაისახება.

5416. ქველმოქმედება გონების, შემოქმედების და მადლის ქმნის სინონიმია.

5417. გონიერების დეფიციტი ავანტურისკენ გვიბიძგებს.

5418. ფიცი-მტკიცის გარანტი მაინც აღზრდაა, საზოგადოება და საკუთარი „მე“ და არა – ხელშეკრულება და ვექილი.

5419. თავიდან ყველანი სიმართლის და სამართლიანობისკენ მივისწრაფვით, მაგრამ შემდგომ რაღაც უცნაურობა მოგვდის – ვცდილობთ სამართალს ზურგი ვუჩვენოთ.

5420. განზრახ არ ცდებიან, განზრახ სხვებს აცდენენ.

5421. სიმდიდრეს თავისი გონივრული პოსტულატები ახლავს, მაგრამ შემთხვევის წყალობით გამდიდრებულნი მას ქედმაღლობით, ამპარტავნობით, უზნეობით, რყვნიან.

5422. ჩადენილი ცოდვაც სინდისის ქეჯნის ხარისხით მოწმდება და არა სხვის ცოდვებთან შედარებით.

5423. ანგარება მეტ-ნაკლებად ყველა რწმენას, იდეოლოგიას, საქმიანობას ახასიათებს.

5424. შეშლილებსაც მათთვის გაუგებარი სიმართლე და სამართალი აქვთ.

5425. სახეში შეფურთხება აზრს ჰკარგავს, თუ მისი მოწმენდა არ ესირცხვებათ.

5426. სინდისი ინდივიდუალური გრძნობაა აღზრდის, დროის და ირგვლივმყოფთა ზეწოლით.

5427. ადამიანი ზოგჯერ უნდა წითლდებოდეს თავის ნამოქმედარზე, თუ სურს ადამიანად დარჩეს.

5428. სიკეთეზე ზრუნვა ამცირებს ბოროტებას და არა – მასთან შერკინება.

5429. სადაც ადამიანია, იქ სიკეთის კეთებაც შეიძლება, ბოროტებისაც და არაფრის კეთებაც.

5430. ზოგჯერ შემოქმედს ყველაზე ერთგული მრჩევლის, რედაქტორის, შენიშვნებიც აღიზიანებს, იმდენად დიდია ყველა ჩვენგანში საკუთარი „მეს“ გაამაყება-გათავხედება.

5431. წყენის ატანაც შესაძლებელია, თუ ის შენს ღირსებას მტკივნეულად არ ეხება.
5432. სიამაყის მოთოკვა ძნელია, ის სხვადასხვა რაკურსებით ამოყოფს თავს და გონების სხვადასხვა ხვრელში დაძვრება.
5433. უნდა ვაკეთოთ ის, რაც აუცილებელია, საჭიროა და არა ის, რაც სათავისოა.
5434. ლანძღვა-გინება, ქება-დიდება, გონიერებას ვერაფერს აკლებს, მაგრამ ხასიათის გვიფუჭებს.
5435. ძნელია სხვის ამბიციებს საკუთარო ამბიციებით ესაუბრო და გაუგო.
5436. ყოფილი ცნობადნი, ყავლგასულნი, პიარის და კვლავ თავის დამახსოვრების მიზნით, ზოგჯერ ისეთ ღია „სტრიპტიზულ“ გადაცემებში გამოჩნდებიან, რომ მათ მაგივრად გრცხვენია.
5437. ამბიციების მონობა წყვეტს ყველაფერს, რაც ზოგჯერ უგუნურება გამოდის.
5438. კორუფციაში ზომიერების გრძნობის დაკარგვა იმპერიების ნგრევას იწვევს.
5439. ზოგ გონიერს სასიკეთო საქმის საკეთებლად და მოსაგვარებლად ხმა ვერ ამოუღია, რადგან ყველგან „ვერას“ ან „არას“ გაიგონებს, ვინაიდან ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.
5440. სხვისი ძაგება და თავის შექება ადვილია, პირიქითაა ძნელი.
5441. ცოდვებსაც თავის გასავლელი საფეხურები აქვს, მაგრამ ზოგი ნიჭიერი ცოდვილი ამ საფეხურებს თავზე ერთი ამოსუნთქვით გადაევლება და ისტორიაში ადგილს დაიმკვიდრებს.
5442. ნუგეში დიდი ნიჭია, თუ მისი გაცემა-მიღება იცი.
5443. ზოგჯერ ისეთ ქანდაკებას და ისეთ უადგილო ადგილზე დგამენ, რომ მისი ავტორის ხსენებაზე „კუჭი გეშლება“.
5444. საკუთარ თავში დამნაშავეს არავინ ეძებს, ყოველთვის სხვაა დამნაშავე, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ შენს საკეთებელს სხვას ვერ აჰკიდებ.
5445. ხელის ჩამორთმევას ბევრი ცდილობს, მაგრამ ღირსებით ხელის გამომწვდენი ცოტაა.
5446. იყო მართალი საკუთარი თავის და მეობის წინაშე, ყველა სამართალზე და განსჯაზე მაღლა დგას.
5447. მანკიერება გონიერებას ებრძვის და პირიქით, მიუხედავად ურთიერთ კეთილი სურვილებისა.
5448. მოჩვენებითი არც მორცხვობა უქნია ღმერთს და არც სიამაყე.
5449. შეცდომების აღიარება საკუთარი თავის წინაშე მაინც უნდა შე-

ძლოთ, რომ თქვენში ბოროტებამ არ დაისადგუროს.

5450. თავმდაბლობა ყველაზე ადვილი შესაძენია სხვა ღირებულებებთან შედარებით.

5451. მძულვარება, სიყვარული, გულგრილობა, მალვას მოითხოვს.

5452. სულით ინტელიგენტისთვის უმთავრესია ცხოვრება ანგარების გარეშე.

5453. სიკეთის საკეთებელს საკუთარ თავში ვეძებთ, უკეთურებისას – სხვაში.

5454. კუდაბზიკობაა, როდესაც არ იცი რაზე ლაპარაკობ და მაინც მეტყველებ.

5455. მოჩვენებითობა არაფერს არ უხდება, უპირველესად, თანაგრძნობას და სიკეთის კეთებას.

5456. გონიერება მოწოდებული უნდა იყოს, რათა სიკეთე უმთავრესად სხვაში დაინახოს.

5457. სიკეთეს თუ გიფასებენ, დიდად მადლიერიც უნდა იყო, იმდენად უგვანო, გაუგებარი და სადაოა ადამიანის ბუნება-გუნება, განწყობილება.

5458. ლანძღვა-გაჭორვამ, შენზე აუგის თქმამ, არ უნდა შეგაშინოს, რადგან ეს შენი ბრალია – ირგვლივ ბრბო არ უნდა გყოლოდა.

5459. გვინდა – არ გვინდა, ცოდვებს საკუთარ თავს ვპატიობთ, თუნდაც სკლეროზის მომიზეზებით.

5460. სინდისი ზნეობის ფუნდამენტია.

5461. მადლიერებაც აღებ-მიცემობის გამოხატვაა, თუ გვინდა მისი მადლი ორივე მხარემ შეიცნოს.

5462. ინტელიგენტი ეს გაბუქებული შეხედულებაა თავზე, უტანოდ.

5463. ინტელიგენტის უპირველესი კრედო ის სინდის-ნამუსია, რომელიც თავისი დამოძღვრით ესმის.

5464. ღირსების ცნებას, სიტყვის ფასს და სიყვარულით თავდავიწყებას უღირსი, უნიჭო, ვერასოდეს გააცნობიერებს.

5465. სიკეთე უნდა ვაკეთოთ, მოყვასი უნდა გვიყვარდეს, მაგრამ უკუგორებაზე არ უნდა ვიფიქროთ – ის, ადრე თუ გვიან, თავად მოვა.

5466. თეორიულად თავმდაბლობა მისასალმებელია, მაგრამ პრაქტიკულად განათლებულ თავდაჯერებულობას ვერ სჯობნის.

5467. საკუთარ სიჯიუტეს თავიდანვე უნდა ამოვდოთ ლაგამი, სანამ ამას სხვები გააკეთებენ.

5468. სინდისი ის შეუცნობელი სიმდიდრეა, რომელსაც ყველგან ფასი აქვს, მაგრამ მის შეძენას არავინ ცდილობს.

5469. ფუფუნებისკენ სწრაფვა თუ ხელებდაკაპიწებულ შრომას არ

გამორიცხავს, მისაღებია, მაგრამ მაინც უნდა ვუფრთხილდეთ – გარყვნილებისკენ აქვს მიდრეკილება.

5470. ღირსება უღირსობიდან შორს დგას, მაგრამ ურთიერთის ფასი ორივემ კარგად იცის.

5471. უგუნურების თესლის თესვა შედეგია ბოროტების, მომხვეჭელობის, უპერსპექტივობის და საკუთარ თავზე გადამეტებით ზრუნვის.

5472. ლაქლაქი, კვეხნა, სხვათა განკითხვა სიკეთის კეთებას მადლს უკარგავს.

5473. მოწყენილობას და ცნობისმოყვარეობას ანგარებიან ქორწინებამდე მივყავართ.

5474. სახელის შემთხვევით გატეხვასაც უნდა ვერიდოთ, რადგან მისი პირველად მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია.

5475. გონიერების განადგურებას ისევ გონიერება ცდილობს, რადგან მასაც უგნურების და თავის მოწონების ბზიკი უჩნდება.

5476. სიკეთის კეთებას ისევ გონიერება ცდილობს, რადგან მასაც საკუთარი მეობა და თავის მოწონების ბზიკი უჩნდება.

5477. რატომღაც მდიდრები უფრო მგლის ბუნების და მსუნაგები არიან ფულის შოვნისას, რადგან ეს მათი მოწოდებაა.

5478. მეგობარს დაპატიჟება არ უნდა სჭირდებოდეს, არც დაგეგმილ ლხინში და არც დაუგეგმავ ჭირში.

5479. როგორც მეძავს არ შეუძლია იყო წესიერი, ასევე ჟურნალისტსაც – საცხოვრებლად პიარი ფულთან ერთად სჭირდება.

5480. გაამაყებული „მე“ ცხოვრებით გაუამაყებელ მეგობარს ვერ იტანს.

5481. დღეს უზრდელობისთვის ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის, უბრალოდ შენ ასე ხარ გაზრდილი, რადგან როდესაც ძაღლი ჩაისვრის, ისიც ბოდიშს უზრდელობისთვის არ იხდის.

5482. ყველანი ჩვენი გათავხედებული დროის ჯარისკაცები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დეზერტირობას ცდილობს და ცხოვრების აწყობა სხვის ხარჯზე უნდა.

5483. პირფერობას და ფარისევლობას ყველა საზოგადოება წარმატებით იყენებს, რადგან ეს ყოფა მათრახის და სასუსნავის ალგორითმზეა აგებული.

5484. გულიანობა კაცობის მაჩვენებელია, მოპირდაპირე გულის ფეთქვის უნარიანობის შესატყვისად.

5485. ყავარზე კუდის გადება ჩვენი გენია, ბედია, ხვედრია, ნიჭის ბოძებით და მცირედი გამოყენებით.

5486. მზაკვრობა ყველგან არ გადის, მაგრამ სიცოცხლისუნარიანია.
5487. ზოგჯერ ადამიანის უსინდისობას საზღვარი არ აქვს, განსაკუთრებით, ყოფილი ახლობლების ცოლების მიმართ.
5488. დღეს პატიოსნებაც პირობითია და დროის ყივილს ემორჩილება, რადგან პატიოსნების აქსიომა დასაცინი და წამგებიანი გახდა.
5489. სიცრუე და ორპირობა, უღიმღამო ქვეყანაში, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და „მუშაობს“.
5490. სიკეთის მკეთებელსაც შექება და გამოკვება უნდა, რათა არ განგვიდგეს და მტრად არ გვექცეს.
5491. უსაქმურობა, სხვაზე დაყრდნობა და ბედისწერის უშედეგო ლოდინი, ნებისყოფის გაბაიბრუებაა.
5492. ნდობა, კაცობა, სიყვარული, ყოველთვის დაუცველია.
5493. გულგრილობა ყველას მეტ-ნაკლებად, ხასიათის შესატყვისად, გვახასიათებს, მაგრამ არა საკუთარი მეს და პერსონას წინაშე.
5494. მედიდურობა კარგი არ არის, მაგრამ დროებით თავის განებივრება სიამის მომგვრელია და შესაძლებელი.
5495. ფანატიზმი აურაცხელ სიმდიდრეს ეპოტინება, ეს სულიერი იქნება თუ ნაოცნებარი.
5496. კვანტს ყველა იხმარს, თუ გაუჭირდა და იკადრა.
5497. შენდობის ხელოვნების ცოდნა და დამოძღვრა ახლადდაქორწინებულთათვის უმთავრესია.
5498. დღეს სირცხვილი სხვა განზომილებებში აღიქმება და არც მისი დაკარგვაა ცოდვა, პირიქით, ცნობადობა, რეკლამა და ფული შემოაქვს.
5499. ფილოსოფიურად თავისმართლებას ვერავითარი ჩვენ მიერ ჩადენილი „ვერაგობა“ წინ ვერ დაუდგება.
5500. ცხადს და ნათელს არ გაუგო ძნელია, თუ სინდისი გაქვს.
5501. პოზის დაჭერას მაშინ აქვს „უაზრო აზრი“, თუ სხვა არაფერი დაგრჩენია საკუთარი „მეს“ საშველად.
5502. იდეა ბეჩავი „ჭეშმარიტების“ დოგმებს არ ეპუება და არც არად აგდებს.
5503. ჭაობი ყიყინს არ მოიშლის, რაც უნდა ვასუფთაოთ და „სულიერი“ ბაყაყები ვხოცოთ.
5504. წმინდანები ცოლს იმიტომ არ ირთავენ, რომ არ უნდათ თავიანთი ცოდვილი ხასიათის გადამკიდენი უწმინდურობას ეზიარონ.
5505. უღირსობის დროებით გადამალვა შეიძლება, მაგრამ არა – დამალვა, მაინც გაჟონავს.
5506. ღირსება და ღირებულება რეკლამირებას არ მოითხოვს, მაგრამ

შეფასება – დაფასება დროის შესატყვისად აუცილებელია, რათა დევალვირება არ განიცადოს.

5507. სიკეთეს დამსახურება და დამახსოვრება სჭირდება, თუ გინდა მომავალშიც ხელი წაგაშველოს.

5508. საყვედურის თქმა ადვილია, მის არდამსახურებაა ძნელი.

5509. სხვათა ცოდვების, „აიწონა-დაიწონას“, გატირაჟებას ყველა ცდილობს, მისთვის გასაგები საწონებით.

5510. სიკეთე ეკოლოგიურად სუფთაა, მაგრამ ვიგინდარებმა ჭუჭყი რომ არ წასცხონ, არ შეუძლიათ.

5511. ჰუმანიტარული დახმარება მეტრობით იზომება და სანტიმეტრებით რიგდება, რადგან დანარჩენი „უგვანოებს“ მიაქვთ.

5512. „უსაქმურობის“ გამართლებაც არაადეკვატურ შეხედულებათა ჩოჩქოლს მოითხოვს.

5513. ზოგჯერ ერთგულებაც თავისებური დასაქმება და სამსახურია.

5514. „მუხლებზე დგომა“ და თხოვნა ქალის მიმართაც კი დამამცირებელია, რადგან საქმის კეთების და სიყვარულის მოპოვების შნო არ გაქვს თავის მოუდრეკლად და დაუმცირებლად.

5515. „პატარა ქართველი“ არ არსებობს და ხშირად ეს არის ჩვენი უბედობის მიზეზი.

5516. ყოველივე ცისფერი ამ „გალუბოებმა“ შეარცხვინეს და შეგვაძულეს.

5517. შარლატანობაც, თაღლითობაც მეცნიერების, ხელოვნების, ცოდნის, მოშველიებას ცდილობს, იმაზე მეტის მიღებით, რაც მას არ ეკუთვნის.

5518. გაუმაძღრობას ზოგჯერ ზღვარი არ აქვს.

5519. გაუმაძღრობა მწარე წამალსაც კი მადიანად, მსუნაგად, მიირთმევს.

5520. გადაჭარბებული სიძუნწე თავისებური მავნებლობაა, პოზაა, თვითკმაყოფილებაა. ზოგიერთისთვის – დაავადება გახლავთ.

5521. ძუნწი არავის და არაფრის კმაყოფილი არ არის და სასაყვედუროსაც ყოველთვის ნახულობს.

5522. ძუნწი ყოფიერების თამასას ყოელთვის თავისკენ ექაჩება, იმისდამიუხედავად, ეკუთვნის თუ არა.

5523. ღალატი უმთავრესად შურის, სიხარბის, სიბრიყვის, აღზრდის და გენის შედეგია.

5524. გაუტანლობა, უწიგნურობა, შური, გაუმრავლებლობა, ურყევი რწმენის უქონლობა აქცევს ქვეყანას და არა – მტერი, რომელიც საჭიროა ერის გამოსაწრთობად.

5525. სიყვარულს, ერთგულებას, ფულის ძიებას, ვახმართ მთელ ცხოვრებას და სანაცვლოდ სიღატაკე, გაუტანლობა და „გადაგდება“ გვხვდება.
5526. ლოდინზე, შეუმოწმებელ ეჭვზე, ახლობლის ღალატზე, საშინელი არაფერია.
5527. აზარტული თამაში აცარიელებს ადამიანის ბუნებას, ეიფორიასა და უგუნურების იმედის აზარტში გადაჰყავს. ეს „დაავადება“ მკურნალობას არ ემორჩილება, სანამ მოთამაშე არ გაღატაკდება და სულიერად არ დაბეჩავდება.
5528. სასურველი ჭორის მოსასმენად ყველა მზადაა, მთავარია, ვინ აიღებს ინიციატივას ამ ჭორის შესათხზველად.
5529. მორალს ყოფიერება წერს.
5530. უსულგულობა, უნიათობა, უგულობა კორექტირებას არ ექვემდებარება.
5531. თუ განგაშს არავინ ტეხს, გამოუსწორებელ გულგრილობასთან გვაქვს საქმე და ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.
5532. უტაქტობა ლიმონს აწითლებს, ბროწეულს ათეთრებს და მათ მასხრად აგდებას ცდილობს.
5533. ცუდს საშუალოდ ყოფნა სჯობს, საშუალოს – კარგი, კარგს – უკეთესი, უკეთესს – უკეთესი, რადგან ადამიანის ბუნების სიმსუნაგე ასეა მოწოდებული და ოქროს შუალედს ვერ იცავს.
5534. ყველაზე მეტად თავზე დიდი წარმოდგენა გვვნებს და არა – ჩვენი ბედი.
5535. ცხვირის ჩაყოფა ხელის ჩაყოფის საწინდარია.
5536. ყველანი ვცდილობთ საკუთარი „მეს“ გაამაყებას, იმისდამიუხედავად, გვაქვს ამის პოტენციალი თუ არა.
5537. აზროვნებით შებოლილი და სულიერებით განწმენდილი ენა სასიამოვნო მოსასმენია, რასაც ვერ ვიტყვით სალაყბოდ გამზადებულ ხაოიან ენაზე, რომელზეც არც კბილის დაჭერა მოქმედებს და არც თანდაყოლილი რიდი.
5538. ზოგის ენა ყველა საფრთხობელას ფორას აძლევს, ერთად აღებულს.
5539. ღირსებას, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს, ყველა ჩვენი გადასახედიდან ვხედავთ და ჩვენი ჭკუით მოვითარგმნით.
5540. საკუთარი ავტორიტეტის კმაყოფილი თავადვე უნდა იყო, თუ გინდა სხვასაც გამოადგე.
5541. სიტყვა და სინდისის თავისუფლება შეუთავსებელია, რადგან თავის წარმოჩენის სურვილი ადამიანის გენეტიკური დაავადებაა,

ხოლო თავის გამოჩენას სინდისთან ვაჭრობა სჭირდება.

5542. სიძუნწე და სიღარიბე ერთიდაიგივეა ყოფისთვის, მაგრამ პირველს ავტორიტეტი აქვს – იქნებ შეცდეს.

5543. ყველაზე დიდი სინდისი იმ ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს, რომელსაც ხელები სისხლში აქვს მოსვრილი, რადგან მან თავისი საქმე გარდაუვალობის გამო აღასრულა.

5544. გონიერი სუსტს არ აწყენინებს, ძლიერს არ გააბრაზებს და უგუნურ ყარაჩოხელობაზე თავს არ დადებს.

5545. უგულო, უაზრო, უნიათო მასას ზოგჯერ მაღალი წრის საზოგადოებად ნათლავენ და ამ ჭკუანაღრძობებზე, ჭკუაუღრძობები ფულს აკეთებენ.

5546. გაიძვერას არსებული ფაქტი არ აინტერესებს, რადგან თუ დასჭირდა გონიერებისთვის მისაღებ ახალ ფაქტებს თავადაც შექმნის.

5547. ყველა ჩვენგანს ენაში საწამლავი აქვს დამალული, უბრალოდ, ზოგი აღზრდა-განათლების გამო ვერ იყენებს, ზოგმაც საჭირო დოზით გამოყენება არ იცის.

5548. სიმართლეზე და სამართლიანობაზე ყოველთვის დიდი მოთხოვნაა, ოღონდ ჩვენივე გადასახედიდან.

5549. გულგრილობა მიუკერძოებლობასაც მოითხოვს.

5550. ქართველს ერთიდაიგივე კაცზე თაფლის გადასხმაც შეუძლია და „ქაქისაც“, თუკი მისი კონკურენტია.

5551. დიდებას, მლიქვნელებს, უნდა ვერიდოთ – ზარალიანია, რადგან შენგან რაღაცას მოელიან.

5552. ყველანაირი ყურადღება – გულკეთილობის ნაწილია, იმისდამიუხედავად, ვინ როგორ გამოიყენებს.

5553. პატიოსნად ყოფნას კანონის ცოდნა არ სჭირდება, აქ მთავარი გენი და აღზრდაა.

5554. დეპრესია ისტერიკის თანამზრახველი და მეგობარია.

5555. კარგი ხელისუფალიც მანკიერების გარეშე ვერ იარსებებს.

5556. მატყუარა მლიქვნელობის სანელებლებით იკაზმება, რათა გონება მოგიდუნოს და საკბილო უკეთ დაგტყუოს.

5557. ტყუილს, რომელიც ბრბოს მოსწონს, დავიწყება არ უწერია.

5558. სიკეთე დროულად უნდა ვაკეთოთ, რადგან ასაკში მისი კეთების ხალისს მოვალეობის გრძნობა ცვლის.

5559. გარდაცვლილისთვის პატივის მიგება და მისი საფლავის მოვლა-პატრონობა სერიოზული საქმეა და ის უგულოთა ხელში არ უნდა ჩავარდეს.

5560. ცოდვებისკენ მიდრეკილება ხშირად ადამიანს სიცოცხლეს უგრ-

ძელებს და ფასსაც ადებს.

5561. უნაყოფო სექსი, პერსპექტიულისგან განსხვავებით, გარყვნილება და სულის გაორებაა.

5562. გადაძღომა ყველა პროფესიას და პროტეჟეს ვნებს.

5563. სამწუხაროდ, ადამიანს შეგნება და დაღვინება წინ არასოდეს უსწრებს.

5564. მუდამ თავაწეული სიარული ძნელია, ამბიციურ თავს რაც უნდა სიამაყე აწუხებდეს.

5565. მოთხოვნები აღსრულებული საქმიანობის შესატყვისად ფასდება, მლიქვნელობა – მადლიერების ნაძალადევი ფრქვევით.

5566. სიმართლესთან შეზელილი სანდომიანი და სასურველი ტყუილი ამბავს ძალზე ალამაზებს, რადგან სრულიად შესაძლებელია ამგვარი მომხდარიყო.

5567. სიმართლეს კაცობის, სიყვარულის, შენება სჭირდება, საშენი მასალის, კაცთმოყვარეობის, შერჩევით და ჭეშმარიტების მოშველიებით.

5568. სინდისიც, მისდაშეუმჩნევლად, მატერიალიზმს ემსახურება, ფიცი-მტკიცის მიუხედავად.

5569. თეორიულად სამართლიანობა, გულმართლობა, დიდი განძია ადამიანისთვის, მაგრამ მასაც თავისი კაურები სჭირდება, რათა ცხოვრება არ გაირთულოს.

5570. სიმტკიცესა და სიჯიუტეს შორის სხვაობა შეიძლება მცირეა, მაგრამ შედეგი ძალზე განსხვავებულია.

5571. ოჯახის შენარჩუნება ყველაზე მეტად სიჯიუტეს უჭირს.

5572. მეგობრობის გარეშე სამყაროს აღქმაც გაგვიჭირდება, სიკეთის მადლის შეცნობაც, არც საზოგადოება შედგებოდა, არც მტერ-მოყვარე და შური იქნებოდა.

5573. ზოგჯერ სისულელის ჩადენა გვინდა და არა – სულელად დარჩენა.

5574. მრისხანებას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ რამდენი პროცენტითაა სამართლიანი, ამის დადგენა ძნელია.

5575. რისხვა ცუდი, სამარცხვინო, მკაცრი მრჩეველი და აღმსრულებელია აფექტში.

5576. არც თუ ისე ცოტაა ხალხი, ვისაც უფრო ფული უყვარს, ვიდრე პიროვნება, შემოქმედი ადამიანი. დღევანდელ არჩევნებში ფულის გულისთვის თავიანთ ხმას უსინდისოდ კაპიკებში ყიდიან.

5577. სათანადოდ სიკეთე არასოდეს ფასდება, რადგან მის აღქმას აზროვნება სჭირდება და არა არსებული დროის უგულებელყოფა.

5578. სიკეთემ სიავეს უნდა დაუთმოს, მაგრამ არა ყოველთვის, რადგან სიკეთესაც სჭირდება ხოტბის შემსხმელნიც და ავტორიტეტიც.
5579. ჭამა ერთ-ერთი დიდი სიამოვნებაა, მაგრამ უფრო დიდი სიამოვნებაა კონტროლდაქვემდებარებული კვება, რადგან გეამაყება, რომ კუჭის დიქტატს მოერიე.
5580. სიკეთის და სიავის კეთება ორივე დაავადებაა, გააჩნია ჩვენს გენს, დროის შესატყვისად ჯანმრთელია თუ ავადმყოფი.
5581. მშობლების მაგინებელი შვილი, გარემოებათა მიუხედავად, ნაძირალა ბუნების არ იყოს, შეუძლებელია.
5582. დღეს წარმატების საწინდარია პატიოსნება და წესიერება შესაძლებლობათა ფარგლებში, დროზე მორგებით, შემთხვევის გამოყენებით და საკუთარი მეობის გათვალისწინებით.
5583. ადამიანი ალბათ ჭკუიდან გადაცდებოდა, რომ იცოდეს რამდენ ახლობელს და მოკეთეს მასზე ჩუმად ავი გაუვლია გულში.
5584. საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ბრძოლა ან ომი, მაგრამ ვიგინდარები ამ უკანასკნელის არჩევანს ალაფის მიტაცებით და სხვათა აზრის უგულვებელყოფით აკეთებენ.
5585. იმედს, სიყვარულს, მოვალეობას, ხშირად ჯობნის რწმენა, ღირსება, მიზანი.
5586. ღალატის ფენომენი ყოველთვის ჩვენზე არ არის დამოკიდებული. აქ დროის ვიგინდარობა, შემთხვევის გათავხედება და ეშმაკის ნებაც უნდა ჩაერიოს.
5587. ლოთობა და გარყვნილება სინონიმებია, მიუხედავად იმისა, რომ ერთი გონებას ვნებს, მეორე ხორციელს ანადგურებს.
5588. სიკეთის კეთებაც თავისებური გმირობაა, რადგან შენი სულიერების მოთხოვნებს ემსახურები და გარეშეთა დაპირისპირებას ყურად არ იღებ.
5589. ტყუილის ადვილად იმიტომ სჯერათ, რომ სასურველია და ადვილად მისაწვდომი.
5590. სიცრუესთან თამაში თავისებურ კომფორტს გვიქმნის, დროის გაწელვით და თავის დამშვიდებით.
5591. მორალის კითხვა და ჭკუის „დარიგება“ ადვილია, კონკრეტული შედეგის მიღებაა ძნელი.
5592. ხშირად პატიოსნება მისაღებია მანამ, სანამ ჩვენს სულიერ ინტერესებს არ ეხება.
5593. ცოდვების აღიარებაზე მეტად, საკუთარი უნიათობისა გვიჭირს.
5594. ყველა ჩვენგანი მოწოდებულია დაუფიქრებლად პატარა სისაძაგლის და გმირობის ჩასადენად.

5595. სასურველია იყო ამაყი დაუმცირებლად, დაუძალებლად, შურის გარეშე და საკუთარი ღირსების განცდით.
5596. ზოგჯერ სიმართლე უაზრობაზე, შეუსაბამობაზე უარესია, თუ ის ყურით არის მოთრეული, გარემოებათა გაუთვალისწინებლად.
5597. უღირსობას არც ბავშვები ჰყავს და არც მშობლები
5598. ადამიანი შეიძლება შეცდეს, მაგრამ არა სხვის ხარჯზე.
5599. მიუხედავად ჩვენი სურვილისა და რწმენისა, სიკეთე ყოველთვის არ იმარჯვებს.
5600. ზედმეტი ცოდნაც გარყვნილებაა, რადგან იქ ყოფს ცხვირს, სადაც მისი საქმე არ არის.
5601. კარგ გოგონებსაც მათთვის განკუთვნილი ნერვების აშლა ელით და ისიც დაუმსახურებლად, რადგან ასეთია „ჭორიკანა“ ადამიანის ბუნება.
5602. სამწუხაროდ, გამდიდრებას პატიოსანი დედა ვერ ეყოლება.
5603. სიმართლეს ბევრი ეკალი აქვს, სიცრუე უეკლოა, მაგრამ ამ უკანასკნელს, ცუდ შედეგთან ერთად, დაცინვაც ახლავს.
5604. ღრძო, ლაჩარი, კაცურ-კაცს ვერ იტანს და თუ შემთხვევა მიეცა, ყველანაირ სიბინძურეს აკადრებს.
5605. სამართლიანი საქმის კეთება აგვამაღლებს, გვაამაყებს, მიუხედავად მასთან შეჭიდების სიძნელეებისა.
5606. უმსგავსობას თეორიულად მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ გონიერ საზოგადოებაში და არა უგუნური მასისთვის.
5607. ქველმოქმედება დივიდენდებს ითხოვს საზოგადოებისთვის და არა – ანგარიშს, თუ მასზე რამდენი გაიღეს.
5608. სიბრძნე „აუგ საქმესაც“ გამოცდილებით, მოხერხებით, აკეთებს, რათა მომავალს არგოს და არა – დღევანდელობას წაემლიქვნელოს.
5609. აუგ და ცრუ კაცს ყველა გმობს, უპირველესად, საკუთარი თავი.
5610. მეგობარს, მისდაუნებლიედ, სული, გული, ეძებს და იძენს და არა – ჭკუა და გონება.
5611. ღალატი ღალატია და მის შეფასებას კოეფიციენტი არ გააჩნია.
5612. აფორიზმი გონიერებაა ამაოებასთან კავშირით, მეტყველების გათამაშებით და კარგი ქცევისკენ მოწოდებით.
5613. ფაქტობრივად, ბოროტება სიკეთის საკეთებლად და მის გასაფეტიშებლად მოვლენილ მასასთან შედარებაა განსჯის უფლებით და შედეგის დანახებით.
5614. ნაძრახი სიცოცხლე, რეკლამის მოშველიებით, მისაბაძი და უძრახი ხდება და ესეც დროის უზნეობის ბრალია.

5615. ზომიერება საქმეშიც საჭიროა და არ უნდა გადავამლაშოთ, რათა გონიერება არ გავრყვნათ.
5616. ზოგს სხვაზე აუგის თქმა, ბილწსიტყვაობა, სულს უნათებს, გულს უხარებს და რატომ თავადაც ვერ გარკვეულა, რადგან მისი ბუნებაა ასეთი.
5617. საკუთარ თავსაც პატივისცემა და შეყვარება ზომიერების ფარგლებში უხდება.
5618. ერთი უსაქმური მეორე უსაქმურთან „საქმიან მოლაპარაკებაზე“ ყოველთვის აგვიანებს, უამრავი „საქმით“ დატვირთვის გამო.
5619. სიამაყისთვის დაბადებული თავის „თავდავნატრის“ შესატყვისად ვერც კაიფს იმკის, ვერც ჭკუას უხმობს და ვერც გემოს უსინჯავს, ამბიციები ძალავს.
5620. სიკეთეა ის, რაც დღესასწაულს იწვევს შენს სულში და სურვილს აღგიძრავს შენ გემოზე იზეიმო.
5621. დაუჯერებელი სიავე ყოველთვის თავხედობს, ითავხედებს და ქრონიკულში გადაიზრდება, თუ მის გათავხედებას დროულად ლაგამს არ ამოვდებთ.
5622. სამწუხაროდ, წესიერება ახალი თაობისთვის, აწმყოსთვის, ყოველთვის მოძველებულია.
5623. ადამიანის ღირსება არც ვითარდება და დროის შესატყვისად არც უკეთესი ხდება, პირიქით, ხშირად უარესდება, უგულო და „სხვისი ჭირი – ღობის ჩხირი“ ხდება.
5624. ღირსების კრიზისი ფინანსურ კრიზისს ვერ შეედრება, რადგან ეს უკანასკნელი მასობრივად მოქმედებს და ყველანი რყვნის.
5625. უფხო ტყუილის შესატყვისია – „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.
5626. თავდაჭერილობა, მორიდება, მისასალმებელია, მაგრამ ყოველთვის კარგი არ არის, საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნება ჭირს ე.ი. ცხოვრებიდან უკმაყოფილო მიდიხარ.
5627. სიცრუესა და კაპრიზს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს „გრძელი ფეხი“ აქვს და დიდხანს გრძელდება.
5628. სიხარბის საწინააღმდეგო აცრა სამწუხაროდ ჯერ არ არსებობს და არც იარსებებს, რადგან საზოგადოება ინტერესის უქონლობის გამო გაქრება.
5629. „შეიყვარე თავი შენი“, გულგრილობის ჯინზე.
5630. სამართლიანობა-უსამართლობა ყველას ჩვენი გაგებით გვაქვს, თუ გაგვიმართლა სამართალია თუ არა და – უსამართლობა.
5631. უსინდისობა ნიჭსაც აუგად იხსენებს.
5632. სანამ საქმის ვითარებაში ვერკვევით, ჭორი თავის სისაძაგლის

ჩადენას ასწრებს: მოკლედ, „სანამ ხმის ამოღებას დავაპირებთ, ენითა თავს სჭრის“.

5633. მოვალეობას გრძნობა მეგობრობა არ არის, მაგრამ მეგობრობით ნაკეთებ საქმეს სჯობნის.

5634. სიმართლე, რომელიც არ „ისვრის“ ის „ღირსია“ გაუჩინარებას.

5635. მანკიერებას ებრძვიან, მაგრამ არ სპობენ, რადგან მასაც რაღაც გააჩნია ადამიანური.

5636. ყველაფრისადმი შეგუება ნებაყოფლობითი „დაუნობის“ მაჩვენებელია და მას ღირსებასთან საერთო არ აქვს.

5637. თუ სინდიდდ „ლითურგიული“ ძილიდან გამოვაღვიძებთ, მოგვიანებით ისიც შეიძლება ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში.

5638. დაცემას არ უნდა მივეჩვიოთ, სახეს და ნდობას გვაკარგვინებს.

5639. ზოგჯერ გადაუდებელი საქმის საკეთებლად უნამუსობაც შესაძლებელია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში.

5640. სიმართლის აღიარება ხშირად ერს ალიყურს აწნის, მაგრამ უნდა გაუძლოს და უნდა ისწავლოს.

5641. სიზარმაცესაც თავისი ალიბის მეგაბაიტი აქვს, მასაც არაფრისკეთება არ სურს.

5642. სინდისის ქეჯნა კარგია, მაგრამ უკეთესია, თუ არ დაგვჭირდება.

5643. სირცხვილ-ნამუსდაკარგული ადამიანი არ არის, ის უბრალოდ სათვალავში გვეთვლება.

5644. სიმართლის თქმა თავისუფლებას გვანიჭებს, გვადიდგულებს, თავზე წარმოდგენას გვიქმნის, ტვინს გვახალისებს, გონებას ავარჯიშებს.

5645. პატივმოყვარეობისთვის და თავმდაბლობისთვის წიხლი არავის ამოუკრავს.

5646. მეგობრობაში „აიწონა-დაიწონა“ არ მოდის, მას ბითუმად ყიდულობენ.

5647. პატიოსნების სახელით ზოგჯერ ისეთ სიმდაბლეს სჩადიან, რომ უკანასკნელ ნაძირალასაც კი პირი ღიად რჩება.

5648. სხვათა სახელის განდიდება გვაამაყებს, თუ მას ეროვნულობით, გვარით, წარმოშობით, წილში „უჯდებიან“.

5649. საკუთარი თავის მოტყუებაც ადვილია, თუ გსიამოვნებს და მიდრეკილება გაქვს.

5650. სულის სიმდაბლეს მისთვისაც გაურკვეველი ბუნება აქვს.

5651. სასურველია სხვის მეობასაც სიკეთის თვალი შევავლოთ, რათა მის მსოფლმხედველობას ჩავწვდეთ.

5652. გადამეტებული სიამაყე გენეტიკური, ქრონიკული, დაავადებაა და მას წამლები არ შველის.
5653. ნაკლოვანებებს მალვა უნდა, მაგრამ გამოსწორების მცდელობით, ცოდნით.
5654. ზოგჯერ შენი ავტორიტეტით, პოპულარობით, შეიძლება სხვისთვის სიკეთის თესვა, ასევე – მომკა.
5655. შემოპარული ბოროტების სულში მოძიება და გაგდება არც ისე ადვილია როგორც ეს ჩვენს გონებას ეჩვენება.
5656. „უჯიშო“ ადამიანი კაცი არ არის, მაგრამ მაინც „არსებობს“ ეგრეთწოდებულ პატიოსანთა ჯინაზე.
5657. ვნებას არ უნდა გადავყვეთ და არც უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ყურად უნდა ვიღოთ მისი სამართლიანი „მოთხოვნები“.
5658. „ცოდვების ჩადენის თავი არ მოგცეს ღმერთმა“ – თავისებური წყევლაა, რადგან დრო და გარემო რა „გმირობას“ მოითხოვს ჩვენგან, არავინ უწყის.
5659. პატიოსნებას ენა არ მტრობს, თავმდაბლობას კუზი არ ეზრდება, მისალმების დასწრება თქვენს მეობას არ ვნებს, მაშ რა გვიშლის ხელს ვიყოთ თავაზიანი.
5660. ყველაფერი ეშმაკს არ უნდა ჩამოვკიდოთ, ზოგჯერ ადამიანები უარესსაც სჩადიან.
5661. უსაქმურობა სულის მოუმწიფებლობის, გაუწრთვნელობის, დაუღვინებლობის, ბრალია.
5662. სიკეთეც და ბოროტებაც ერთი დედის რძით იკვებება.
5663. სიამაყე თავისებური სიამოვნებაა და მისი დახურდავება, სარფიანი დივიდენდების მისაღებად, არარენტაბელურია და ყოველთვის არ ღირს.
5664. კარიერის საფეხურზე აღზევების სურვილთან და თავის წარმოჩენის მცდელობასთან ერთად სინდისის მუხრუჭების მართვაც უნდა ვისწავლოთ.
5665. მლიქვნელი მისთვის გასაგებ ჯავშანჟილეტს ატარებს, სხვისი დაცინვით და თავისის განაღდების მცდელობით.
5666. ღირსებას უღირსობა ყოველთვის ებრძოდა, მაგრამ აწმყოში მათი შერკინება ხშირად ყაიმით მთავრდება, მიუხედავად იმისა, რომ მომავალში მაინც ღირსება ჯობნის.
5667. უსინდისობა ყოველთვის დასვენებულია, რადგან ის თავის ნამოქმედარს არ განიცდის.
5668. სიმართლეს არ იძიებენ, მაგრამ ხშირად გაუგებრობაში აყურყუტებენ.

5669. ურთიერთპატივისცემა, ნიჭთან ერთად, შინაგანი მოთხოვნაცაა თუ თანამედროვეობის კაპრიზებით გარყვნილი არაა.
5670. მიტევებაც თავისებური ნიჭია, თუ მას გონიერი წინდახედულება თან სდევს.
5671. სიბრძნე მოკეთეს ახარებს, მტერს აკვირვებს, მაგრამ მათ პატივისცემას ორივე მხრიდან იმსახურებს.
5672. სიკეთის თესვა ადვილია, შედეგის მომკა ძნელი, რადგან ყოველივე დროის ჭირვეულობას ანგარიშს უწევს და ემორჩილება.
5673. ასიამოვნო ღირსეულ ადამიანს, კმაყოფილებას გვგვრის და საკუთარ თვალში გვამაღლებს.
5674. მეგობრობა მიჩვევის ფენომენს ვერ იტანს, ზოგჯერ ისიც სხვადასხვა ქმედებებით უნდა „შევახუროთ“, გამოვაცოცხლოთ, რათა ურთიერთგაგების მადლი არ დაობდეს.
5675. სიავის მკეთებელს აზროვნება დამუჟუჟებული აქვს.
5676. გონებამახვილობა მორალს მხარს უჭერს, ოღონდ თავისი გადასახედიდან.
5677. ზოგჯერ სასურველი ტყუილი გულს მალამოდ ედება, იმედის გაცრუების მიუხედავად.
5678. სიმართლისთვის თვალებში შეხედვა ერთეულ უდრტვინელ ნიჭიერთა ხვედრია.
5679. ცოდვები უნდა მოვინანიოთ იმ შემთხვევაში, როცა რეციდივს ადგილი არ ექნება.
5680. მლიქვნელობა, შურიანობა, გაუტანლობა, გულისტკივილით მეჩვენება, რომ ქართველებზე უკეთ, თანაც არტისტიზმით, არავის შეუძლია.
5681. ცოდვის ჩადენას დაუმსახურებელ სასჯელთან და ლანძღვა-გინებასთან შებმა სჯობს.
5682. იტყუება ის, ვისაც ცხოვრების აწყობის შანსი, თავისი შესაძლებლობებით, მიზერული აქვს.
5683. ცუდი არც საკუთარ თავს უნდა აკადრო და არც სხვაზე თქვადაისჯები განგების დაუწერელი კანონით.
5684. ბოროტება უფრო საკუთარი ბუნების შედეგია, ვიდრე ბოროტი მრჩევლების.
5685. სათნოება თავის წარმოჩენის მცდელობაცაა, რათა ის მისაბაძი გახდეს.
5686. ბიწიერება ბევრია, მაგრამ ჩვენი სული თავისი ვნება-განსჯის შესატყვისს ერგება.
5687. ღირსების შელახვას უნდა ვერიდოთ, რადგან სიმართლის

დადგენის მიუხედავად მისი მთლიანობაში აღქმა ვერ ხერხდება.

5688. ცილისწამებასაც ცოდნა უნდა, რათა შენ მიერ შეთითხნილი მოტ-კბო შხამი შარბათივით შეისვას, მაგრამ არ ავნოს.

5689. სიმართლეს ნეტარება დიდხანს არ უწერია, რადგან ცოდვილთა და შეცოდების მსურველთა ოდენობა ყოველთვის მეტია.

5690. ღირსების და ღირსეული კაცის დაკარგვა ადვილია, მისი აღდგენა და შემცვლელის პოვნაა ძნელი.

5691. გმირობის ჩადენას გარეგნობა არ შველის, თუ ჟინი და უზომო სიყვარულის უნარი არ დაგყვა.

5692. თავი უნდა გიყვარდეს, მაგრამ არა სხვაზე მეტად.

5693. შეცდომა და მიტევება ანალიზს მოითხოვს.

5694. ქების მოსმენა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე იმ ნაკლზე მითითება, რომელიც თავად მოგეხსენება.

5695. მიტევება მოწმობს, რომ შენ მასზე მაღლა დგახარ რაღაცით.

5696. ხშირად კეთილი იძულებით ხდები, რადგან უკეთურობამ მრავალ-გზის ალიყური გაჭამა.

5697. პატიოსნებაც ფული ღირს და ბევრს ამის გაცნობიერება არ უნდა, რადგან მარტო მორალურ პრინციპებზე ცხოვრება არ ხერხდება და პატიოსნებაც ხელიდან გვეცლება.

5698. ღირსება ნიჭია, განუსჯელად ბოძებული, რომლის ჩუქებაში განგების ხელიც ურევია.

5699. ლანძღვა-გინებას მაშინ ედება ფასი, თუ ვინმე უსმენს, წინააღმ-დეგ შემთხვევაში, ის გულის ფხანაა და მეტი არაფერი.

5700. სიამაყეს ნიჭი და სათნოება სჭირდება, რათა მისი პატრონი პიროვნებად აღვიქვათ და არა – ვიგინდარად.

5701. კეთილი საქმე ლმობიერებას და ადამიანურ სისუსტეს არ გამორ-იცხავს, თუ ქვეყნის სასიკეთოდ კეთდება.

5702. სამართლიანობა და სიმართლე მათთვის გასაგებ დაფინანსებას მოითხოვს.

5703. სამართლიანობა და სიმართლე იმ დოზით უნდა მოიხმარო, რომ არ შეერცხვე და არც თავი გადააყოლი.

5704. კეთილი სიტყვაც, წამლიქვნელებაც, მატერიალურია.

5705. ტყუილს ცოდნის, უკმარისი არგუმენტის, შესავსებად იყენებენ.

5706. სჯობს ნაკლი პირში ვუთხრათ ახლობელს, ოღონდ დაყვავებით, მზვრუნველობით და ჭკუის სწავლების გარეშე – უფრო გვიგებს.

5707. ზოგჯერ თანაგრძნობა, ყოველგვარ მატერიალურ მხარდაჭერაზე მეტია თუ ის დროულია და შენს სულსაც ელაციცება.

5708. ნაძირალა შეიძლება იყოს ბუნებით და შეიძლება მივიღოთ აღზ-

რდით, მაგრამ გამოსწორებას არც ერთი არ ექვემდებარება.

5709. სიკეთის დამახსოვრება და მადლიერად ყოფნა დიდი ნიჭია.

5710. სიკეთის კეთება საკუთარ თავსაც არ უნდა მოაკლო, რათა სიკეთით გასხივოსნება სხვებმაც დაგიფასოს.

5711. ზნეობა და კანონის მონობა ჩვეულებრივ მოკვდავთა პრეროგატივაა, ხოლო ხელისუფალს მეტი ორიგინალობის და მოხერხებულობის გამოჩენა სჭირდება, რათა ზნეობა და კანონი მის სურვილებს მოარგოს ისტორიაში დასარჩენად და შთამომავალთა წინაშე თავის გასამართლებლად.

5712. ზნეობით იბადებიან, რაც აღებ-მიცემობას არ ექვემდებარება.

5713. სიკეთის კეთებაც თავის „აიწონა-დაიწონას“ მოითხოვს, რათა მის მკეთებელს ვიგინდარებმა არ დასცინონ.

5714. ცოდვის „სიტკბო“ შეიძლება მონანიებით გააბათილო, რათა შემდგომ მოგონებებით „სინანულით“ დატკბე.

5715. ყველა კარგი ქცევა, ქმედება, მანერა, წახალისებული უნდა იქნეს, მათ შორის, მატერიალურადაც, რომ იბარტყოს.

5716. ცოდვის ჩადენასაც ნიჭი და აზროვნება სჭირდება, რომ ასახსნელ-განსასჯელი გახდეს.

5717. საიდუმლო ჯობს არ ვიცოდეთ, რადგან ყველას გვიჭირს მისი „დამარხვა“.

5718. სიკეთის კეთებასაც წაქეზება სჭირდება, რომ ზოგჯერ წარმოჩინდე და სხვაც წარმოაჩინო.

5719. სითამამე თავხედობის სინონიმი არ არის, მაგრამ ხშირად ასეთად იქცევა.

5720. ეტიკეტის დარღვევა, რატომღაც, საზოგადოების გაუგონარ ინტერესს და გულისწყრომას იწვევს.

5721. საკუთარი ცოდვებისთვის თვალის ახელაც თავისებური ვაჟკაცობაა საკუთარი „მეს“ წინაშე.

5722. საკუთარი ცოდვებისთვის ალიყურის ჭმევა თავისებური ვაჟკაცობაა.

5723. დღეს ზნეობა, სინდისი, ურთიერთგაგება შეძენილია, მაგრამ ერთმანეთს კარგად უგებენ.

5724. პირმოთნეობა მლიქვნელობის ერთ-ერთი სახეა, ზოგს ამით თავიც მოაქვს და უნიკალურობას „გვიმტკიცებს“.

5725. ხშირად შიში ზიზღს იწვევს, ხოლო სიძულვილი – უგუნურებას, თითის დაქნევით.

5726. ჩვენი უმნიშვნელო ღირსება ჩვენს დიდ ნაკლს ვერ ეპუება.

5727. უმადურობას ხშირად კეთილისმყოფლის მიმართებაში გამოვხ-

ატავთ, რადგან თავს გვაბეზრებს მისი ავტორიტეტი და საკუთარი თავის წარმოჩენაც გვინდა.

5728. ადამიანს, უპირველესად, სიკეთის კეთება, ნახელავის შეცნობა-დაფასება, უნდა ვასწავლოთ და შემდგომ მოდის აღზრდა და ჭკუით დამოძღვრა.

5729. რბილი ხასიათი ზოგჯერ ბოროტებაში გადადის, რადგან მასაც მოთმინება ეკარგება.

5730. ადამიანი იმ ცოდნა-ცნობისმოყვარეობით უნდა მოწამლო, რომელიც აიძულებს სიკეთე აკეთოს.

5731. საკუთარი უგუნურების, ცუდი ხასიათის, ვირეშმაკობის, მალვა დიდ ხელოვნებას მოითხოვს.

5732. დღეს წარმოშობით ვერ იტრაბახებ, მაგრამ დატოვებული ქონებით ტრაბახი კვლავ მოდაშია.

5733. თავმოთნეობა პირველ რიგში საკუთარ თავს ვნებს, მაგრამ გვ-სიამოვნებს.

5734. სახეზე ღიმილის აკვრა დიდებული სანახავია, თუ არ ფარისევ-ლობ და მხოლოდ ლაღი სიხარულია.

5735. დადებითი თვისებების მოხმარება მოსკორვითაა საჭირო, წი-ნააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი უარყოფითია.

5736. მადლიერება სწრაფად დნება, გვავიწყდება, უმადურობაში გად-ადის, რაც ადამიანის ავყია ბუნების ბრალია.

5737. ღირსებას ყავლი არ გასდის, მარადიულია.

5738. დღეს თავმდაბლობა, მორცხვობა, მოდაში არაა, მაგრამ სიმ-პათიებს მაინც იმსახურებს.

5739. მლიქვნელს თვალი ოცნებით ყოველთვის უფროსობაზე უჭირავს.

5740. რატომღაც მადლსაც და მადლიერებასაც სწრაფად ივიწყებენ, მა-გრამ მადლის გამცემთ ეს არ აშინებთ, რადგან ამისათვის ბუნებით არიან მოწოდებულნი.

5741. სიამაყე თავმდაბლობას ვერ იტანს, მაგრამ მათი შეჯერება აუცილებელიცაა და საჭიროც.

5742. გაბრაზება ხშირად ჩვენი სარკეა და იმისდამიხედვით უნდა შეგვა-ფასონ, დაგვაფასონ.

5743. სხვისი დამორჩილებით თავს ნუ იწონებ.

5744. გონება, რომელიც სიკეთეს არ ემსახურება, უნდა განადგურდეს.

5745. თაღლითს სასჯელი უნდა გაუორმაგდეს, რადგან მატერიალური ზარალის მიყენებასთან ერთად მან „კლიენტს“ დასცინა და მორ-ალური შეურაცხოფა მიაყენა.

5746. სინდის-ნამუსიც, შეღავათის გარეშე, განგების საჩუქარია.
5747. წესიერებას ქების მიმართ გარეგნული გულგრილობა და სიმორცხვე ახასიათებს.
5748. პატივმოყვარეობა გონიერების სიძულვილს იმსახურებს.
5749. კაცობაზე, სამართლიანობაზე, წესიერებაზე, ის დებს თავს, ვისაც ამის ბაზისი რეალობაში არ აქვს და მას ეს „პროპაგანდა“ პოლიტიკაში ფსონის ჩასადებად სჭირდება.
5750. სხვაზე ზევიდან ყურება უგუნურებაა, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ ამ თანდაყოლილ გენს არც ისტორიის გამოცდილება და არც მისი ალიყური შველის.
5751. ზოგი, ალიბის მიუხედავად, განსასჯელ საკითხებზე მაინც წუწუნებს და უბედურებას გრძელი ენის გამო გადაეყრება.
5752. ლაჩარს სისასტიკე თავის დთრგუნული მეობის და რევანშის აღებისთვის სჭირდება.
5753. ნებისყოფა ადამიანს არც დიდს ხდის და არც პატარას, მაგრამ პატივისცემას ინარჩუნებს.
5754. პატიოსნებას ბოროტება აოცებს და აკვირვებს, რადგან ამ უკანასკნელის პოსტულატები მისთვის მიუღებელია.
5755. სიმართლეს ნახევრადსიმართლე ყოველთვის ფეხს უდებს.
5756. მშველელი გადარჩენილის მიმართ ჭკუის დარიგებას უნდა მოერიდოს, ყოველივე ისედაც ნათელია.
5757. ბოროტებას, ავის საქმნელად სურვილი, სულიერების გარყვნა, უბიძგებს.
5758. ზნეობა არ ისწავლება, უბრალოდ, ზნეობით იბადებიან, ვითარდებიან, კვდებიან.
5759. სიავის განზიმილებაა სიხარბე, უნიათობა, შური.
5760. სიავეს ხშირად ჩვენი უგნური გენი სჩადის და არა ჩვენი აღზრდა, ცნობიერება.
5761. ზომიერება გაცილებით მეტს აღწევს ფინიშზე, ვიდრე მისი მოჭარბება და საერთოდ უქონლობა.
5762. ცინისკოსმა თავისი ფასი იცის, ის ღირებულებებს არად დაგიდევთ.
5763. მრისხანებას ყოველთვის გამოძახილი აქვს, მაგრამ ზოგჯერ არც თუ ისე მისაღები და სასიამოვნო.
5764. მოჭარბებული სიამაყე სხვათა ღირებულებებს ანგარიშს არ უწევს.
5765. სიცრუე და სიბრიყვე ბოროტების საწყისია.
5766. ფიცს და მტკიცს ის არღვევს, ვისაც ის ჰარიჰარალოდ აქვს დადე-

ბული და მისი რაობა ვერ გაუთავისებია.

5767. ზნეობის დაცვას მათრახი არ უხდება.

5768. სათნოება გონიერი ადამიანის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს.

5769. ბოროტება, ძირითადად, გულგრილობა-უსაქმურობის შედეგია.

5770. სურვილის და ვნების მოთოკვა ზოგჯერ ყველაზე მეტად უნდა ფასობდეს.

5771. თავდაპირველად, შესაძლებლობებთან ერთად, ამბიციური მოთხოვნები უნდა მოვთოკოთ.

5772. ზოგჯერ მომაბეზრებელი „მადლიერება“ სიკეთის კეთების სურვილს გვიკარგავს, განსაკუთრებით, თუ ჩვენზე „აკიდებას“ ცდილობენ.

5773. სირცხვილს შიში ქმნის და ასაზრდოებს გონების დათრგუნვით.

5774. ანტიპათიას უგუნური პატივმოყვარეობა იმსახურებს და არა – გონივრული, რომელიც პატივით მოპყრობას მოითხოვს ზომიერების ფარგლებში.

5775. დროული მადლიერება გულში აპლოდისმენტებს იმსახურებს.

5776. თავაზიანობა ზრდილობის ერთ-ერთი სახეობაა კვადრატში.

5777. გინებამაც მიჩვევა იცის, მიუხედავად იმისა, რომ გონიერება ამას აპროტესტებს.

5778. გაწითლების ნიჭიც კი ყველასათვის არ ჩამოურიგებია მამაზეციერს.

5779. სათნოებას და მანკიერებას რეალობაში ვერც გაჭირვება ავლენს და ვერც კეთილდღეობა.

5780. მერყეობა დიდი ზადიც არის და უნიათობაც.

5781. გულისწყრომას დაძლევა სჭირდება, მრისხანებას – განგების ნებაც, აფექტში რომ არ მიჰქაროს.

5782. სათნოება ყოველგვარი სულიერი ბოროტებისაგან დროულად გვათავისუფლებს.

5783. მონანიებას ჭეშმარიტების და სინდისის აურაც უნდა ახლდეს.

5784. საკუთარი თავის მოტყუებაზე უგუნურება არაფერია, მიუხედავად ვირტუალური სიამოვნებისა.

5785. სისასტიკე უსუსურობა-უნიათობის ერთ-ერთი სახეობაა, მაგრამ ზოგჯერ, სამწუხაროდ, აუცილებელიც.

5786. სიმორცხვე პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ არა პატივს, დიდებას, წარმოჩენას.

5787. მშიშარა ყველას მიენდობა, აეკიდება, დაუფიქრებლად, ვინც მას დაიფარავს, დაიცავს, თუნდაც განტევების ვაცად.

5788. სინდისის გადახურდავებას ყოველთვის „შეპირებული“ შედეგი არ

მოაქვს.

5789. ვეცადოთ წარმოსახვითი სიმკაცრეც კი დესპოტიზმში არ გადაგვეზარდოს.

5790. ნახევრად სიცრუე ზოგჯერ თავის შესაძახებლად გვჭირდება.

5791. უსამართლობა ყოველთვის დასაგმობია, მათ შორის, მისი ჩამდენისგანაც, რადგან მისი რეციდივი ვის კარებში შემოაბიჯებს, არავინ უწყის.

5792. ზომიერება წინასწარგანზრახვით კვანტს არავის უდებს.

5793. გულის მწუხარება მორიდებული და უჩინარია.

5794. ტყუილს მრავალსიტყვაობაც ახლავს, ყურით მოთრეული კაურებით.

5795. მოტყუების სურვილი უფრო დიაგნოზია, ვიდრე შემთხვევით შეყრილი დაავადება.

5796. ბრიყვისაგან განსხვავებით, კეთილგონიერება ჩასაფრებით შეურაცხყოფას მალავს.

5797. სულმოკლეობა საკუთარი თავის სხვაზე მეტად შეცოდებაცაა.

5798. სიამაყეს თავისადმი პატივისცემის პოსტულატები უნდა ამშვენებდეს ზომიერების ფარგლებში და გონების მოხმობით.

5799. ღირსებას სულიერება უფრო ამჩნევს და გრძნობს, ვიდრე გონიერება.

5800. სიამაყე მოსმენის მიმართ ყოველთვის მწყრალად არის განწყობილი.

5801. ცხოვრება სიკეთის კეთებაა, მადლიერი თვალების დანახვით.

5802. ზოგიერთ ვნებააშლილ უჯიშოს, მცდელობის მიუხედავად, ირგვლივყოფთათვის არავითარი სასიკეთოს არც კეთება, არც მოტანა არ შეუძლია.

5803. სიმართლის ნიღაბის მორგებით, პირველ რიგში, თავს ვატყუებთ და შემდგომ – სხვას.

5804. ვეცადოთ ჩვენი მეხსიერება ნაძირალა არ იყოს.

5805. სულმდაბლობა პატივის აყრაზეა გაწაფული.

5806. თავგანწირვასაც თავისი ეგოიზმი ახლავს, მოწინაარმდეგემ როგორ უნდა მაჯობოსო.

5807. ზოგჯერ უკეთესია გულით უყურო, ვიდრე გონებით.

5808. ყველა მილიონერი, „გულუხვი“ ღარიბისგან განსხვავებით, სულით „წუწურაქია“.

5809. უპასუხისმგებლობას, სიბრიყვეს, თავის მოფხანა და გმირობა არ შველის.

5810. დამნაშავის გამართლებას და უდანაშაულოს დასჯას ტვინის არც

ერთი უჯრედი დადებითად არ ეხმიანება, მაგრამ არც დაშვებულ შეცდომებსაც განიცდის დიდად.

5811. ჩვენი ბიწიერება სხვის ბიწიერებასთან რა მოსატანია, სხვებთან შედარებით ჩვენ ხომ „ანგელოზები“ ვართ.

5812. დედის რაობის განზომილების ალგორითმის ამოხსნა მარად უსასრულობაში გადადის.

5813. ნებაყოფლობით გაკეთებული სიკეთე, უპირველესად, გულს სიამოვნებს და გონებას ახალისებს.

5814. დილეტანტს შემთხვევითი წარმატება უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს და ათავხედებს, რის გამოც თავი ყოვლისშემძლე ჰგონია.

5815. სიამაყეს ზოგი წარმოდგენითაც ახერხებს და თავსაც არწმუნებს.

5816. ბუნებით სამართლიანი, უსამართლობის აღსაკვეთად, მისდაუნებლიედ, მოქმედებას იწყებს.

5817. თეორიულად ტრაბახი დასაგმობია, პრაქტიკულად პიარს იკეთებ და ავად თუ კარგად, თავს აცნობ.

5818. სინდისს დამოძღვრა, მოწოდება, სწავლება, არ სჭირდება, ის ან გაქვს ან – არა.

5819. სიამაყე ვალს აბრუნებს, ეგოიზმი ვალს იხდის.

5820. სიკეთის კეთების დაწყებაა ძნელი და არა – მისი გაგრძელება.

5821. სიმართლეს ასაკიც ეჭიდავება, მაგრამ ხშირად ვერ სჯობნის.

5822. თავზე გადამეტებული წარმოდგენა სხვათა ტყუილების მახეში გვახვევს.

5823. მატყუარას ყველაზე დიდი დასჯაა „მასმედიაში“ გამოჭენება, რომ არავინ ენდოს.

5824. სინდისი, ღირსება, კაიკაცობა სინონიმებია.

5825. ღირსება სხვას კვალში არ უდგება, ის ამ კვალს სწავლობს და თავის კვალს ტოვებს.

5826. ყველა შეცდომის დაცვა და მასზე „პრინციპული“ დგომა სიბრიყვის ნიშანია.

5827. უდარდელობა კარგია, მაგრამ შედეგს და დაფასებას არ იძლევა.

5828. სიმამაცის ჩასადენად გულმა უნდა გიბიძგოს, მოვალეობის შეცნობით და არა – ვიღაცის ხათრით და დავალებით.

5829. ზოგჯერ ადამიანი თავის წარმოჩენას იმას ცდილობს, რომ მას სერიოზულად არასოდეს უღვაწია და მარად თავის სიამოვნებისთვის იღვწოდა.

5830. სიმართლისადმი დამოკიდებულება ყველას თავისი გაჯეჯილებული გადასახედიდან აქვს.

5831. მტერი შეიძლება იყოს შინაური: უვიცობა, სიზარმაცე, სიღარიბე, უინიციატივობა, გარეული: შური, ამპარტავნობა, დაუნახაობა, გაუტანლობა.
5832. მედიდურობა, აზრის გარეშე, დაცინვის საგანი ხდება.
5833. დაუმსახურებელი მივიწყება ბევრ ცოდვას სჩადის, რაც ღირებულებათა დაკნინების ბრალია.
5834. უსაქმურობა ადამიანის ყველაზე დიდი გადაცდენაა.
5835. სიმხდალე, შური, მლიქვნელობა, ყოველთვის არაგულწრფელია და სანდოც არაა.
5836. თავქარიანობას არც ნიჭი სჭირდება, არც ღირსება, ის ამ მხრივ ალბინოსია.
5837. თავად ღირსებაა ყველაზე მეტად ღირსების დამფასებელი.
5838. უხასიათო კაცისთვის პატივის მიგება შესაძლებელია, თუ შენს ბუნებას ესალბუნება.
5839. ღირსება, გამოყენების გარეშე, უღირსობას უდრის.
5840. ბოროტი სიჯიუტე დაუნდობლად უნდა იქნეს აღგვილი მიწისპირიდან.
5841. ნაკლოვანებებსაც მოვლა უნდა გაფეტიშებით და არა – დაცინვით.
5842. ურთიერთდაახლოება ზომიერებას დღესვე ითხოვს.
5843. მოჭარბებულ-გადამეტებული თავის სიყვარულიც მოსაბეზრებელია.
5844. ეჭვიანობა სიკეთეს უფრო ვნებს, მაგრამ ჩოჩქოლის პროფილაქტიკასაც ემსახურება.
5845. გამცემლობას, სიბრიყვეს, მაინც საიდუმლოს შენახვასთან აქვს კავშირი.
5846. სიამაყე, მოთოკვის გარეშე, შეიძლება ბოროტებას დაუძმაკაცდეს.
5847. მოჩვენებითი ხელგაშლილობა სიღარიბეს ახასიათებს, რადგან გადასანახი არაფერი აქვს.
5848. ცბიერება, ურცხვობა, სიამაყე არც ჭკუას სჭიროებს და არც ღირსებას, უბრალოდ, მიდრეკილებაა დროის უგუნურების შესატყვისად.
5849. ვისაც ბევრი სძულს, ყველაზე უფრო უნდა შესძლოს თავის მოთოკვა.
5850. ხშირად ერთისადმი მორჩილება, მეორის მონობის მცდელობაა.
5851. თავმდაბლობას სურს ღირსების გვერდზე დადგეს, ხოლო სიამაყე ხშირად ღირსების გვერდზე ჩავლას ცდილობს.

5852. ნაკლი, რომელიც ჩვენს ინტერესებს არ ეხება, ნაკლებად გავწუხ-ებს.
5853. პატიოსნებაც სუბორდინაციას მოითხოვს, მან თავს ოჯახის ინ-ტერესები უნდა ამჯობინოს, ოჯახისას – სამშობლოსი, სამშობლო-სას – კაცობრიობისა. ეს თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად სად გინდა გამოთხარო ასეთი ღვთისნიერი ხალხი.
5854. ღირსებას და სათნოებას ფული და კარიერა ყოველთვის მოუ-ჯოკრავს, რადგან ადამიანის ცვალებადი ბუნება ასეთია.
5855. სირცხვილისთვის მათრახის გადაკვრა უფრო ქმედითია, ვიდრე – შიშისთვის.
5856. ბრიყვი შეცდომების ჩადენის დროსაც ჯიუტი და უანგარიშოა.
5857. ზოგი საკუთარი მეობით შეთხზულ უბედურებას სატრაბახოდ იყენებს.
5858. მლიქვნელობა თავის დროზე შეუმჩნეველ „საწამლავს“ აფრქვევს.
5859. ჯიუტობა სიკეთის ჩადენას ხელს არ უშლის.
5860. არამზადის არც სინდისის გაღვიძებას უნდა ველოდოთ და არც გადაკეთებას, უბრალოდ, უნდა გავრიყოთ.
5861. ზნეობისთვის გონიერების საზომი მანძილი დაუდგენელია.
5862. ყოველივე გადამეტებული, მოჭარბებული, ქედმაღლობაა.
5863. ანგარება ყოველთვის ცუდი არ არის, თუ ის სახელმწიფო ბი-უროკრატიის მხარდასაჭერად და საქმის საკეთებლადაა მოწოდე-ბული.
5864. ძალმომრეობას და სიავეს ფესვები ძირშივე უნდა დავაჭრათ, რათა არ გალაღდეს.
5865. ბედნიერებისთვის, სამართლიანობისთვის ბრძოლა სულმოკ-ლეობას და უკან დახევას ვერ იტანს.
5866. ზოგი თავისი გამოცდილების ბაზისზე ვერ სწავლობს ჭკუას, იმ-დენად ამბიციურია.
5867. ვაჟკაცობაც რწმენას, დასახულ მიზანს, აღზრდას, მოითხოვს მოყვასის თანდაყოლილ სიყვარულთან ერთად.
5868. ყველა ახლადწამოწყებულ საქმეს, წინ ეშმაკი უდგას ჩვენი სიზარმაცის და უნიათობის სახით.
5869. უგუნურების გამოცდა ყოველთვის სიკეთისკენ შემოტრიალებას არ ნიშნავს.
5870. სინდისი ის ამხანაგური სასამართლოა, სადაც განსასჯელი თავის თავს ასამართლებს დამსწრეთა გარეშე.
5871. ამბიციური მაშინაც ხარ, როცა იმ საქმეს ჰკიდებ ხელს, რომლის-

განაც არ იცი რა გამოვა, სიკეთე თუ სიავე, თუ ორივე ერთად.

5872. სიკეთის კეთება მოწოდებაა, ხოლო დაძალებით კეთებას არც ძალა აქვს და არც მადლი.

5873. უსამართლობას სიტყვით ყველა ებრძვის, განსაკუთრებით, მისი პოტენციური ჩამდენი.

5874. სიმართლის მთქმელს მეხსიერების გადამოწმება არ სჭირდება.

5875. ჯერ-ჯერობით, ძაღლს ერთგულებაში ბადალი არ ჰყავს, რადგან ის მადლიერების და მოვალეობის აღქმაში „ვუნდერკინდია“.

5876. თავშეკავებას და დასვენებას უდრტვინველი ცოდნა უნდა, ვნების მოთოკვით.

5877. სიფრთხილე და მოფრთხილებაა საჭირო ყველგან და ყველაფერში, ოღონდ ერთდროულად ხელგაშლილობით და სტუმართმოყვარეობით.

5878. ხშირად ეტიკეტი დარღვევას კი არა, ოდნავ გადაცდენასაც ვერ იტანს.

5879. დღეს სიკეთე და ბოროტება განზომილებებს იცვლიან.

5880. ნდობის ფაქტორი სიკეთის გამოვლენაა, ოღონდ ზომიერების ფარგლებში.

5881. მზაკვრობას იმიტომაც ჰქვია მზაკვრობა, რომ ის გონიერების ელემენტებს იყენებს.

5882. განზრახ და უმიზეზოდ ბოროტების ჩადენა ქილერის ქმედებაზე უარესია, რადგან ეს უკანასკნელი ფულის მოხვეჭით მაინც არის დაინტერესებული.

5883. ზნეობა სიკეთის კეთებაა გულში ბოროტების გავლების გარეშე.

5884. კეთილშობილება, ტირაჟირების გარეშე, ნაკლია, იმისდამიუხედავად, გვაქვს ამის შეძლება თუ არა.

5885. საკუთარი აზრის „დეკლამირება“ ზოგისათვის უფლება კი არა, დანაშაულია, რადგან არ იციან რა უნდათ.

5886. ჩასაფრების უნარის მქონე ადამიანის მოთმინება ყოველთვის საშიშია – მრისხანებაში გადადის.

5887. საწყენის მოხსნა მაშინ შეიძლება, თუ გონიერების ჩანთაში ჩაწყობილ ნაკლოვანებებს დროულად დავათვალიერებთ.

5888. სისულელის თავში მოქცევას, რატომღაც, ყველა სიბრიყვე ცდილობს.

5889. სიძულვილის უმტკივნეულოდ მოშორებას ტვინის დასუფთავება ტვინითვე სჭირდება.

5890. სხვათა მიერ ბოროტების ჩადენის გამო სირცხვილის განცდას, სჯობდა ასეთი ბოროტებისთვის ურცხვად „ფეხი დაგვედო“.

5891. ცხოვრებას მათრახი ყოველთვის სჭირდება, რათა კარგმა და ცუდმა უცაბედად ადგილები არ გაცვალონ.
5892. კარგ ადამიანს უნდა მოვუსმინოთ, რაღაც სასიკეთო უნდა ვაკეთოთ, რათა ბოროტებამ არ იზეიმოს.
5893. ზოგჯერ უპატიოსნო ქმედებაზე ფიქრი პატიოსნების შენარჩუნებას ხელს უწყობს.
5894. სამართლიანობისკენ გადამეტებული სწრაფვა ზოგჯერ უსამართლობის ხარჯზე ხდება.
5895. თუ სისულელეზე არ ფიქრობ ე.ი. კეთილ საქმეს ემსახურები.
5896. კეთილგანწყობასაც გრძნობათაღელვის დათბუნება სჭირდება.
5897. კეთილშობილება მარად ახალგაზრდობის სამსახურია.
5898. სიკეთის ოდენობამ რომ იბარტყოს, მადლიერება გრძნობით უნდა წარმოვაჩინოთ.
5899. მრისხანებას თავის შეკავება უხდება, შემდგომში გონიერების მათრახის გამოყენებით.
5900. ტყუილის შეძულება თანდაყოლილი ნიჭია, გარემოსთან შერწყმით.
5901. ბოროტების მკურნალი მარტოობაა, თავდაუზოგავი შრომით და მიზნის დასახვით.
5902. საკუთარი ცოდვების დასაფლავებას პანაშვიდი მარტომ უნდა გადაუხადო.
5903. ჭორის არმოსმენა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ ადამიანობაზე დებ თავს.
5904. ცოდვებს მალვაც სჭირდება, მოსკორვაც, რათა ფეხი არ გაიდგას და არ გატირაჟდეს.
5905. მოწყალე გულს ზოგჯერ უწყალო სჯობს, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა.
5906. დღეს გაუფასურებული ვერცხლი ოქროზე ჰყიდის სულს და ბრილიანტებში აბანდებს.
5907. ღირსეულთა დახმარება წესად უნდა გავიხადოთ, მაგრამ უღირსნი ახლოს არ გავიკაროთ.
5908. სინდისი საიმედო მოწმეა, მაგრამ არა ყოველთვის სამართლიანი, რადგანაც ადამიანი ხარ.
5909. თუ პატიოსნება გსურს, თავის შერცხვენას ერიდე.
5910. სიცრუეს ბევრი რამ დასაწუნი აქვს, მაგრამ ის მაინც ცოცხლობს, რადგან ადამიანთა მოდგმას მისი არსებობა სჭირდება.
5911. სათნოება დიდი განძია, რადგან უგვანობის თესლი მასზე არც ითესება და არც იხარებს.

5912. გაიძვერას თავმდაბლობა და წამლიქვნელება მის ყველანაირ გათავხედებაზე სახიფათოა.
5913. სიცრუის გარეშე ზოგჯერ არც კეთილი საქმე კეთდება, გააჩნია, რა დროა და ვის ხელშია სიცრუე როგორც „იარაღი“.
5914. სიცრუეს უამრავი მახე აქვს დაგებული და გულმავიწყობის გამო, თავის მიერ დაგებულ რომელ მახეში გაემბება, თავადაც არ უწყის.
5915. უხეშობა, უგვანობა, უკმეხობა, გონებაშეზღუდული ადამიანის ნაკლიცაა და გენიოსისაც, გააჩნია მათ ირგვლივ მყოფთ, ვის როგორ უშლიან ნერვებს თავიანთი ქცევით და უადგილო შეკითხვებით.
5916. სიკეთის გზაზე სიარულს, აღზრდასთან ერთად, ნიჭიც სჭირდება.
5917. სინდისი ყველაზე სამართლიანი ლაკმუსია დანარჩენ გრძნობებს შორის.
5918. პასუხისმგებლობის გრძნობას სინდისი ვერსად გაექცევა და არც იკადრებს.
5919. უსინდისობას, უპირველესად, საღი აზროვნება აქვს წართმეული.
5920. ეგოიზმისთვის ავტორიტეტი არ არსებობს.
5921. გრძნობათა ცდუნებას სიყალბის შემოპარება არ უნდა ვაკადროთ.
5922. უნდა ვისწავლოთ დაპირების შესრულება ან „ყვერებში მახათი არ უნდა გავიყაროთ“, არ უნდა დავპირდეთ.
5923. საკუთარი შეცდომების შელამაზება, ალიბის მოძიებით, უსირცხვილობას აფეტიშებს.
5924. ყველა უტიფარი ჭიტლაყის ღირსია კუბში.
5925. კეთილშობილებაც გენეტიკაა, რადგან ასეთად ყველა გარემოში უნდა დარჩეს.
5926. სისულელე საყვედურს ითხოვს და სიკეთე – წახალისებას, მაგრამ გააჩნია ამას რა დონის ავტორიტეტი აკეთებს.
5927. გონიერებას შეიძლება სულელმა დასცინოს და არა მასზე ჭკვიანმა.
5928. თავგამოდებული გამბედაობა, რაღაცის და ვიღაცის გამო, ყოველთვის ეჭვს ბადებს.
5929. წყენას ერთდროულად სმენა და მხედველობა აღიქვამს და თუ ამას „გულის ტკენა“ და „ყნოსვის უნარი“ დაემატება, განუკურნებელია.
5930. უზრუნველი ცხოვრებისკენ ყველა მიილტვის, გონიერთა გარდა, რადგან მათ ესმით, რომ ფუფუნება დამღუპველია.

5931. ღირსებას რატომღაც მეტი ჩუმი მტერი ჰყავს, ვიდრე უღირსობას – აშკარა.
5932. სიჯიუტე უმეცარი ძალაა, პრინციპულობისაგან განსხვავებით.
5933. ნდობა ხშირად პატიოსნების სინონიმია პარტნიორთან დამოკიდებულებაში.
5934. ზოგის დანაშაულებრივი ქმედება გარკვეულ ნაწილს მოსწონს, იმისდა მიუხედავად, რომ მის წინაშეც იმავეს ჩაიდენდა.
5935. უყურადღებობა, უარი, არცოდნა, მომდევნო თაობებს რყვნის, რადგან ცხოვრებას მზა-მზარეულზე, მოუმზადებელნი ხვდებიან.
5936. უმოქმედობა ისჯება, უგულობა გვაწბილებს, ხოლო უგუნურებისთვის ყველაფერი სულერთია.
5937. ბოროტება მოქმედებს, გვაფრთხილებს და გვაიძულებს – მას უნდა ვებრძოლოთ.
5938. მარცხის არ უნდა გვრცხვენოდეს, თუ წარმატებას გულით გვინდა მიავღწიოთ.
5939. ნერვების სისუსტე ზოგჯერ კეთილ გულს მოთაფვლით ითხოვს.
5940. ზოგჯერ გონიერებას ჭკუანაღრძობი თავმდაბლობა თვალთმაქცობით ახასიათებს.
5941. ბოროტებას ზოგი მლიქვნელობას უთავსებს, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს.
5942. დარიგებამ, რჩევამ, განკითხვამ, შეურაცხყოფის ფორმა არ უნდა მიიღოს.
5943. წესიერებაც ზოგჯერ მოხერხების, წარმოჩენის, გარეშე მისთვის განკუთვნილ პატივს ვერ იღებს.
5944. თავმდაბლობა გონიერების დამსახურებაა, რადგან სიამაყე არც ამართლებს და ზარალიანიცაა.
5945. ეგოიზმს არც ერთი დადებითი პარამეტრი არ გააჩნია და ის ყოველთვის იმად რჩება, რაც არის.
5946. გულახდილობას არანჟირებას იუმორით უნდა ვუკეთებდეთ.
5947. სიბრძნისთვის სისაძაგლის კეთება შეუძლებელ-შეუთავსებელია.
5948. მორალს პიროვნებათა დადგენა სჭირდება და არა – ცოლ-ქმრის ურთიერთობისა.
5949. პატივმოყვარეობა დიდი ჭკუის დაჩემებაა, როცა ჭკუის საწყისი ნედლია და გარანდვას მოითხოვს.
5950. სამართლიანობა, პატივის მიგების გარეშე, სიცრუის დედად იქცევა.
5951. ფეხმრუდი, ხელმრუდი, ჭკუამრუდი, ყველა თავისთვის „ქურდობს“, ჩალიჩობს და თავის შეხედულებისამებრ ანგარებას ეწევა.

5952. მათხოვრობა კარგა ხანია პროფესიად იქცა და პასტულატმა, „სჯობს უმადურობის მსხვერპლი გავხდე, ვიდრე გაჭირვების“, ჭირი მოგვჭამა.
5953. სხვის მაგიერ განწითლების უნარი ჩვენს შინაგან კულტურაზე მიუთითებს.
5954. შეცდომების ჯიუტად დაცვა დიაგნოზია და არა – პრინციპულობა და მისი დაცვა.
5955. მარტოობაში ადამიანს უფრო ეშმაკობისკენ მიუწევს გული, ვიდრე წმინდანად ყოფნისკენ.
5956. არამზადის სინდისზე შეგდება, არც სილის გაწნით ხერხდება და არც დაჭიტლაყებით, რადგან გენი აქვს ასეთი.
5957. „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მიახლოებით, თვითკონტროლით და გამონაკლისით: არ შეიძლება ადამიანის საშუალებად ქცევა.
5958. კეთილშობილზე საუბარი გაიძვერებს უნდა აუკრძალო.
5959. უნებისყოფო ყოველთვის მერყევი და ქარაქუცაა.
5960. ხშირად კარგს ვაფეტიშებთ, მაგრამ თავად ცუდად ვიქცევით.
5961. სათნოება დამორჩილებას და ძალადობას ვერ ეგუება.
5962. ყველა სიკეთე დაფიქსირებას მოითხოვს დროული გაცემით.
5963. მადლიერების გრძნობა იმ შემთხვევაშია კარგი, თუ დიდხანს გაგყვება.
5964. რატომღაც სხვისი უბედურება ზურგს გვიმაგრებს და სასოწარკვეთილებას თავიდან გვაშორებს.
5965. სიკეთის კეთება გვაბედნიერებს.
5966. განუსჯელობა, მოუთმენლობა, შური, ნაკლის წარმომჩენი ბუდეა.
5967. იყო ყოველთვის სამართლიანი, ძნელია, რადგან სამართალი მრავალნაირია, კუდის გამობმით და დაგრძელებით.
5968. ხშირად ისიც გვშურს, რაც არ უნდა გვშურდეს და ჩვენი ბუნებისა არ არის.
5969. კარგის თესვა ყველა დროშია შესაძლებელი, მთავარია, შედეგს ვინ მოიმკის და როდის.
5970. წესიერი ადამიანის შეცდომები მიტევებას იმსახურებს, იმისდამიუხედავად, ყვირის თუ აყვირებენ.
5971. სიხარულიც და მწუხარებაც მოყვასთან გაზიარებას მოითხოვს.
5972. სიხარბეს ფინიში ყოველთვის მწარე აქვს.
5973. სხვისი უბედურება უნდა განვიცადოთ თანაგრძნობით, მაგრამ დროული დავიწყებით.

5974. ეჭვი სიყვარულს დამატებული სიძულვილია.
5975. მლიქვნელობა ყალბი ფულით გვახარებს, სანამ არ გამოაშკარავებენ და არ დაისჯება.
5976. მოვალეობის შეცნობას სიკეთე დაუფიქრებლად მოაქვს.
5977. ბუნებით პატიოსნებას შესატყვისი სადავეები ახლავს.
5978. თავის წარმოჩენის მცდელობაც ავადმყოფობაა, მაგრამ განკურნებას ექვემდებარება.
5979. ძუნწს და მომჭირნეს რაღაც მაინც აქვთ საერთო.
5980. სამართლიანობას, კანონის უზენაესობის და ძალის გარეშე, თავის წარმოჩენას არ ანებებენ.
5981. შეიძლება საკუთარი თავიც ვერ იცნო, თუ ხუშტურებმა შემოგიტია.
5982. გაუმაძღრობა ცუდია, მაგრამ ეს ბიზნესს არ ეხება, რადგან მისი მართვა მოხერხებული კაცისთვის „გართობაა“, სერიოზულობის შეთავსებით.
5983. პირფერობა ზოგს კაცობის სტატუსს „უბრუნებს“.
5984. ბოროტების მოთმენა, მისი უგულებელყოფა, გულგრილობა-უგუნურებაა კვადრატში.
5985. სხვათა სიკეთის დროულად შემჩნევა შენს კარგ კაცობაზე მიანიშნებს.
5986. გონიერების დანიშნულებაა ბოროტებისთვის ფეხის დადებით სიკეთის კეთება.
5987. სიმამაცე კონფლიქტში იშვიათად ერევა.
5988. გონებაშეზღუდულები გონებაგახსნილების გაქიაქებას თავის წარმოჩენის მიზნით ცდილობენ.
5989. როდესაც გჩუქნიან, რაც არ გეკუთვნის, ეს კეთილი ნება კი არა, შენი ფსონში ჩადების ცდაა.
5990. კაცური კაცები არაკაცებს არ იკარებენ.
5991. უსუსურობა ყოველთვის რაღაც გაფეტიშებული უნიათობის მიბაძვას ცდილობს.
5992. უვიცობასაც აზრების დოლი აქვს, თავისი „წარმატებებით“.
5993. პატიოსნება პატიოსნებას ბადებს და პატიოსნებს პატიოსნად აზიარებს.
5994. მეგობრის შეცდომა თავადვე უნდა გაითავისო და ერთად გამოასწოროთ ყოველგვარი მითითებების გარეშე.
5995. ადამიანი რატომ იტყუება ხშირად, თავადაც ვერ გარკვეულა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს არ სჭირდება და არანაირ დივიდენდებს არ სძენს.

5996. წესიერებას უბრალოება და გულის სითბო ახასიათებს.
5997. ძლიერ ადამიანში, ნებსით თუ უნებლიედ, სიკეთესთან ერთად ბოროტებაც იმალება.
5998. სიძულვილი ჭეშმარიტ სიყვარულსაც ივიწყებს, თუკი გაანაწყენეს.
5999. ყველა მცდელობა დავიწყებას უნდა მიეცეს, განსაკუთრებით, წყენა სხვის დასანახავად თუ არ მიუყენებიათ.
6000. მწუხარება თანაგრძნობას იმსახურებს, ბედნიერება – არამკითხე შურს.
6001. უმრავლესობის აზრი არასოდეს არ ყოფილა ზნეობის საფუძველი.
6002. სისულელის ჩადენის ლოკომოტივი ჩვენი პატივმოყვარეობაა.
6003. სიმხდალე გმირობის ჩადენისაგან შორსაა, მაგრამ არც წამქეზებლად უქნია ღმერთს.
6004. უადრდელობა დიდხანს ცოცხლობს, რადგან ყოფის ხარისხი არ აინტერესებს.
6005. შეცდომის აღიარებასაც დრო და ადგილი სჭირდება.
6006. ადამიანის ხასიათი მისი ნაკლოვანებების ბუდეა, გონიერებისაგან განსხვავებით.
6007. სიკეთის კეთება უმადურობას ბლოკავს, მაგრამ ვერ კურნავს.
6008. ერთიდაიგივეზე საუბარი მომაბეზრებელია და ნერვების დათრგუნვას იწვევს.
6009. დაგვიანებული ან ნაჩქარევი მადლის ქმნას თავისი გამოუსწორებელი ხარვეზები აქვს.
6010. საკუთარი სახის დაკარგვას უნდა ვერიდოთ დროის და ბედის მუხანათობის მიუხედავად.
6011. „აკრძალული ხილი ყოველთვის ტკბილია“, ხშირად მისი მოპოვება გადაცდენას ითხოვს.
6012. სხვისგან იმ ღირსებას, გონიერებას, მოვითხოვთ, რისი ღირსებიც არ ვართ.
6013. ეჭვიანობა გვამცირებს, მაგრამ ჩვენს ცნობიერებას ამდიდრებს.
6014. გაკიცხვა, თუნდაც სასარგებლო, შექებისაგან განსხვავებით, არაფრის მომცემია.
6015. ზიზღი უნითობის შედეგია, სიძულვილი – წინათ უსუსურობის, შური – უძლურების.
6016. უხიაგი ადამიანის მიერ სიკეთის კეთებაზეც ფიქრიც კი საშიშია.
6017. ვენდოთ – არ ვენდოთ, ყველა დროში საკითხავი სწორედ ეს არის.

6018. პატივმოყვარეობა ნაადრევად წარმოჩენის მცდელობაა, თავზე ყალბი წარმოდგენის შექმნით.
6019. სიმამაცეზე და კეთილშობილებაზე ყბედობით, ძირითადად, არაკაცები ერთობიან, სხვებისთვის თვალებში მტვრის შეყრის მცდელობით.
6020. ეტყობა, პატიოსნებაც ძალზე პირობითი რამეა, თუ მასში ხელფასი და დაფინანსება ერევა.
6021. მოულოდნელად და გაუთვალისწინებლად ფეხისდადება არაკაცებმა იციან.
6022. იყოს მოყვასი, გულთბილი, თავმდაბალი, ხელშეუხებელი „მეთი“ – ხელეწიფება მხოლოდ გონიერებას.
6023. სიბილწის ნიშნების ზოგჯერ სიცარიელეში მოხვედრაც შეიძლება.
6024. უთანხმოება ბოროტების თესლია, გაღვივდება თუ არა, ეს სხვა საქმეა.
6025. მატერიალიზმი სათნოებას ყოველთვის კრიჭაში ედგა და ბიშტს უჩვენებდა.
6026. პატიოსნება და სიმდიდრე ერთი ინტეგრალით არ ამოიხსნება.
6027. სინდის-ნამუსიანი კაცი გამდიდრდება და ისიც უნამუსობისკენ იხრება, რადგან სიმდიდრის დაგროვება პატიოსნებას ვერ უთავსდება.
6028. ზოგჯერ ცხოველთა თანდაყოლილი ღირსება მეტ პატივს იმსახურებს, ვიდრე ადამიანისა.
6029. ზოგჯერ განმსჯელი მოსამართლე, თავისი განჩინებით მეტ დანაშაულს სჩადის, ვიდრე განსასჯელი, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სხვადასხვა სკამზე არიან მოკალათებულნი.
6030. მედიდურობა, უგუნურება სასოწარკვეთილებას თესავს, არაკაცობა მისი მომკისთვის იღვწის.
6031. ობი უსაქმურობამ იცის.
6032. ანგარება ბოროტებაცაა და დაინტერესებაც და მის გარეშე ადამიანთა მოდგმა ვერ იარსებებდა თუნდაც დღევანდელი სახით.
6033. პატიოსნებას თავის სიმშვენიერე აქვს, რომლითაც უპატიოსნება არ ხარბდება.
6034. დანაპირების შეუსრულებლობა წესიერებას სტანჯავს.
6035. მეგობრის ღალატს ვერც ერთი დაუძინებელი მტრის კვანტი ვერ შეედრება.
6036. ბოროტება გულს სიძულვილს და შურს აჩვევს.
6037. დაუგეგმავი სიკეთის კეთებას ჭკუა მოეთხოვება კვადრატში.

6038. სიზარმაცეს არც ბედი სწყალობს, არც – შემთხვევა და არც – განგება, თუ მისი გამოსწორების იმედი არ აქვთ.
6039. ვისწავლოთ იმათგან, ვინც კეთილ და აზრიან რჩევებს იძლევა, ვიდრე ვუსმინოთ სხვათამძრახველ „მეს“.
6040. ქველმოქმედება ხასიათის მუდმივი თვისება უნდა იყოს, რომ სიკეთედ აღვიქვათ.
6041. უსაქმური ადამიანი გაფუჭებულ საათს წააგავს, რომლის შეკეთებისთვის დროს არ კარგავენ.
6042. გაუგებრობაზე დამყნობილი სათნოება სიძულვილია.
6043. განუვითარებლობის მიზეზი ხშირად უსაქმურობა, განცხრომა და გულგრილობაა ყველაფრის მიმართ.
6044. სიმართლეს ფეხი არ უნდა დავუდოთ, ის მაინც წამოდგება და სამაგიეროს მოგიზღვევს.
6045. სიცრუე ხშირად ყალბი ფულივითაა, თუ ვინმე შეაცდინა, ხომ კარგი, თუ არა და თავის ჟინს მოიჭამს.
6046. საშინელებაა, როდესაც საკუთარი თავის გრცხვენია.
6047. წყენის ღირსეულად ატანა ვაჟკაცობაა.
6048. კრიტიკას სინაზე, მორცხვობა, არ უხდება, მაგრამ არც „დედის ხსენება“ ამშვენებს.
6049. უგუნურება ყოველგვარ მოძღვრებას ეწაფება, ოღონდ როგორმე თავი წამოყოს.
6050. სიღარიბე უტიფარია, რადგან ყოველგვარ საქმაინობაზე ხელს გვაკიდინებს.
6051. ზნეობის სიწმინდის დაცვას სათუო აკრძალვები ყოველთვის ჩრდილს აყენებს.
6052. უანგარობას, სიკეთეს, დაფასება გააზრებით სჭირდება.
6053. სულმდაბლობა რატომღაც ღირსების შეძენას ცდილობს და რისთვის სჭირდება, თავადაც ვერ გარკვეულა.
6054. ურთიერთსიძულვილს ადამიანები ურთიერთგამოთქმებით ებრძვიან.
6055. სამწუხაროდ, ადამიანებში სულმდაბლობა უფრო მეტია, ვიდრე სულმაღლობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უფრო მეტად იკვეთება, ვიდრე პირველი.
6056. მადლიერების გრძნობა დიდ შესაძლებლობებს გვიხსნის, თუკი გვაქვს და მადლის კეთებაც ხელგვეწიფება.
6057. ზნეობას უმთავრესად ასაკი მისტირის, მაგრამ ამით არაფერი იცვლება და ტექნიკური პროგრესიც თავისი ჭკუით დათარეშობს.
6058. საქმიანი ამბიციებისაგან განსხვავებით, პატივიმოყვარეობა დაა-

ვადებაა.

6059. თვითკმაყოფილება უგვანობაა, მაგრამ თვითგვემას და ცხოვრებაზე განაწყენებას მაინც ჯობს.

6060. ნარკოტიკების გასაღებიდან შემოსულ ფულს უფულობა სჯობს.

6061. ყველა თაობა ზნეობის საკუთარ ნორმებს ადგენს.

6062. პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლების მიცემამ „თვალისცემა“ იცის.

6063. მეგობრობაში გაჩენილი ბზარი, რაც უნდა კარგად „მოვქონოთ“, მაინც აღმავალია.

6064. სათნოებასაც თავისი პარამეტრები აქვს: რატომ, რისთვის ან ვის სჭირდება შენი ღვაწლი.

6065. კეთილდღეობის სხვაზე გადანაწილება მაშინ გვახარებს, როცა იგი კვადრატში მაინცაა აყვანილი.

6066. ზოგს იმ სიკეთის გაცემაც უჭირს, რომელიც მას არ ეკუთვნის და არც არასოდეს იქნება.

6067. სიკეთის კეთება ადვილია, მისი თხოვნით კეთებაა ძნელი.

6068. ბოროტება და მზაკვრობა აღზრდას არ უნდა გავაკაროთ, ეს გონიერებამ უნდა იკისროს ზომიერ სიმკაცრესთან და სირბილესთან ერთად.

6069. ბოროტების თესლი პატივმოყვარეობაა, მაგრამ მის გარეშე ადამიანი თავის ღირსება-მეობას ვერ შეინარჩუნებს.

6070. უგუნურება გულუბრყვილობასთანაც მეგობრობს და სიბრიყვესთანაც, გააჩნია, რა დროში ვისი იმიჯი არ მოსწონს.

6071. ტყუილი ტყუილია, დროის გარკვეულ პერიოდში რაც უნდა ჩვენს მხარეს იყოს და გვშველოდეს, რადგან სინდისის ქეჯნას ვერსად გაექცევი.

6072. უფლება უნდა გამოვიყენოთ გადიდგულების და თავის წარმოჩენის გარეშე, თუ გვინდა მისი სიკეთით ვისარგებლოთ.

6073. უმთავრესია პასუხისმგებლობის თავზე აღება და არა – ჭკვიანურ რჩევათა ფრქვევა.

6074. სიყვარული, ზომიერება, თანადგომა, ყველა დროის, ყოფის, გამოყენების ალგორითმია.

6075. სიკეთის თესლის თესვას ცოდნა უნდა, რადგან ის მოუმზადებელ ნიადაგზე არ ხარობს.

6076. ტყუილით მიყენებული ჭრილობა ან გვიან ხორცდება ან ქრონიკულად დაავადებულ მახსოვრობას იძენს.

6077. გონიერება ყველა ცოდვის საწყისს წინ უნდა აღუდგეს, რათა მიჩვევად არ გადაიქცეს.

6078. არის ნაკლი, რომლისგანაც თავის დაღწევა შეიძლება, მაგრამ ამის სურვილიც უნდა გქონდეს.
6079. მეწვრილმანეობა სულსაც გადააგვარებს და გულსაც და აუტანელი ხდება ირგვლივმყოფთათვის.
6080. მთავარი ადამიანში კეთილი გულია, გონების მოხმობით.
6081. სასურველია საუბარი კეთილგონიერად წარმართო, გარკვეული შენიშვნებით და გამახალისებელი შექებით.
6082. სიკეთეს ყლორტების გამოტანის საშუალება უნდა მივცეთ, რომ „იბარტყოს“.
6083. ტრაბახისკენ მიდრეკილება ერსაც ახასიათებს და ბერსაც.
6084. უსაქმურობა იმდენად საშინელება არ არის, რამდენადაც საშიშია, რადგან ადამიანი მორალურად ირყვნება და ჩაჩანაკდება.
6085. ზნეობა უფრო გულს, სულიერებას წვრთნის, ვიდრე გონიერებას.
6086. სიამაყე და ქედმაღლობა ტყუპისცალები თუ არა, ძმები მაინც არიან და იშვიათად გრძნობენ თავიანთ ნაკლოვანებებს.
6087. მჭერმეტყველებას, გონიერი შედეგის მისაღწევად, სიმართლეც უნდა უმაგრებდეს ზურგს.
6088. თავის შეცნობა ჭკვიანად საკუთარი თავის პატივისცემას იწვევს, ხოლო აღიარება – გარეშეთა დასანახავად მორცხვობას.
6089. სხვათათვის სიკეთის მიგება ხშირად საპასუხო რეაქციას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ უმადურებიც გამოჩნდებიან.
6090. სიმართლე არ გვიყვარს, მაგრამ მისდამი პატივისცემა გვჭირდება ამ სამყაროში ადამიანად დასარჩენად.
6091. რატომღაც, პრაქტიკული გონებისგან განსხვავებით, სინდისის პრივატიზაციას ასაკი ცდილობს.
6092. არასრულფასოვნების შეგრძნება სირცხვილის შეცნობის უნარს გვიორკეცებს.
6093. თვითკმაყოფილება და უდარდელობა, ხშირად სისულელეების ჩადენის ხუშტურზე გვაყენებს.
6094. ჩვენ ხშირად ვებრძვით იმას, რაც ასე ახლოა ადამიანის ბუნებასთან: ღორმუცელობას, სიძვას, ანგარებას, მრისხანებას, გულის გლოვას, პატივმოყვარეობას, ცრუ დილემას, ღალატს, სხვათა ცდუნების მცდელობას, რადგან სხვანაირად ადამიანს ამ სამყაროში შემორჩენა გაუჭირდება.
6095. სიკეთის კეთება რწმენაცაა და სარწმუნოებაც.
6096. პრაქტიკულად ჩვენ მანამდე ვმეგობრობთ ერთმანეთთან, სანამ გვიჭირს და გვჯერა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად მეგო-

ბრობა სამუდამოა.

6097. „გარდაიცვალა“ და „მოკვდა“ მაინც სხვადასხვა ცნებაა ღირსების თვალსაზრისით.

6098. ვაკეთოთ სხვისთვის სიკეთე, თუ გვინდა საკუთარი ბედნიერება გამოვადნოთ მარად პლუსით.

6099. კეთილშობილება მოწოდებულია სიკეთით ბედნიერება გამოთხაროს.

6100. სიმართლის თქმასაც მოწოდება, ვაჟკაცობა, დროის შერჩევა და გონების გამჭრიახობა სჭირდება.

6101. ღირსება ყველას არ გააჩნია და ალბათ, არცაა საჭირო, რადგან მაშინ შეუმჩნეველი დარჩება.

6102. დღევანდელი ყოფა გულგრილობას გვასწავლის, მაგრამ ადამიანად მაინც სიკეთის თესვა გვაქცევს.

6103. უსაქმურობაც თავისებური ტვირთია და თუ დროულად არ მივხედავთ, ქრონიკულში გადაიზრდება.

6104. სამართლიანი და სასიკეთო საქმის კეთებაა, ცოდვების ჩადენისგან რომ გვფარავს.

6105. საცდუნებლიდან თავის დაღწევა ყველას არ ძალუძს და ეტყობა, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სხვანაირად ღირსების შეფასება გაჭირდებოდა.

6106. ცოდვების ჩადენისაკენ მიდრეკილება განგებას თუ არა, გენის წვრთნას მაინც უნდა დავაბრალოთ.

6107. სათნოება სიცოცხლის რაობის თავისებური გაცნობიერება და ყოფის სიტკბოს შეცნობის საწინდარია. აუტისტები ყოველთვის „ჭკვიანები“ არიან უკანა რიცხვით თავის დაყვედრებით და ნიშნის მიგებით.

6108. ენის მალვაც შეიძლება და „აქაფებაც“, გააჩნია და რა დროს რა ფასობს.

6109. შეიძლება ვისიმე რაღაც არ მოგვწონს, მაგრამ პირში მიხლას უნდა ვერიდოთ.

6110. არის რაღაც, რომელიც სხვას არ უნდა გავანდოთ და იმ ცოდვებთან ერთად უსიტყვოდ უნდა გადავბარგდეთ იმქვეყნად.

6111. მოთმინება დიდი და შედეგიანი ძალაა, მაგრამ ნერვების დაწყვეტაც იცის.

6112. ღირსებას, უპირველესად, საზოგადოებრივ აზრთან შეთანხმებით ჩვენი მეობა იმსახურებს.

6113. სიზარმაცე და უსაქმურობა ასაკში უფრო გვვნებს და სიკვდილთან გვაახლოებს.

6114. აკეთო სიკეთე სხვათა დაუნახავად, დიდ შინაგან სიკეთეს და ღირსეულ აღზრდას მოითხოვს.
6115. სულით მდაბიოს არც სამშობლოს სიყვარული დაეჯერება და არც მისი წარსულით ტრაბახი.
6116. ყველაზე მეტად ზოგჯერ საკუთარი „მე“ გვარცხვენს და „თავსაც გვჭრის“.
6117. ტრაბახი თავისებური ქრონიკული დაავადებაცაა, რომელსაც ცხვირში ამორტყბა და ცხოვრების კაურებთან შებმა ვერას ასწავლის.
6118. ვინც რა უნდა იფიქროს, მაგრამ სიხარბისთვის თავის გადადებას, ისევ სიცოცხლისთვის ბრძოლა და ღარიბად დარჩენა სჯობს.
6119. კაცობრიობის ნაოცნებარი სიკეთით და სიმართლით ცხოვრება იმის გარანტიას არ იძლევა, რომ ეს საბოლოოდ არ აღიგვება.
6120. თუ სხვისი ქცევა გაღიზიანებს, სასურველია საკუთარსაც დაუკვირდე და თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევ, გამოასწორე.
6121. სიკეთის ცნებაც ზოგჯერ სადაოა, როგორც მისი შესატყვისი ბედნიერება.
6122. ბოროტების ჩადენაც, ნებსით თუ უნებლიედ, ყოველი ჩვენგანის გულგრილობის ბრალია.
6123. სულიერებას ხორციელზე მეტი მანკიერება, გარყვნილება და ღალატი ახასიათებს.
6124. სიკეთეზე ფიქრი დაუნანებლად გაგვრევს კარგ საქმეში.
6125. სინდისი ჩვენი საქმიანობის მოწონება-განსჯის საუკეთესო ლაკმუსია.
6126. უნდა ვებრძოლოთ სიავეს და არა – საქმისთვის სილის გაწვნას, რომელიც ცდილობს მომდევნო გადაცდენა – არ დაუშვა.
6127. მორცხვი ამბიციებია, ადამიანის რაობას რომ წარმოაჩენს და არა – ყოყოჩობა.
6128. სინდისის ქეჯნაც თავისებურ პარამეტრებს მოითხოვს, რათა ადამიანი საბოლოოდ არ დაითრგუნოს.
6129. უსაქმური არ შეიძლება პატიოსანი იყოს, სულ ცოტა, თავის გამოკვება ხომ უნდა?
6130. უნიჭობა, თავხედობის გარეშე, ვერც ფულს იშოვის და ვერც წარმატებას მიაღწევს.
6131. ის, ვინც სხვას დიდ ბედნიერებას ჩუქნის, თავად ნაკლები ბედნიერება ხვდება, მაგრამ ამითაც კმაყოფილია.
6132. ბოროტების შეცნობის გარეშე, ეტყობა, არც საჩოთირო საქმე გაკეთდებოდა და ვერც სიკეთის მადლს შევიცნობდით.

6133. კეთილი გულის მადლის შეცნობა ყველას შესწევს თუ ბუნებით უმადური არ არის.
6134. დიდებასაც და ჩვენს მაქებარსაც ლაგამი უნდა ამოვდოთ და განსაზღვრული დოზებით უნდა მივიღოთ, სიცოცხლის ბოლომდე რომ ვისიამოვნოთ და ვიამაყოთ.
6135. მოჭარბებული თავმოყვარეობა თავისებური დაავადებაა, რომელსაც ხშირად სიყვარულიც ვერ ჰკურნავს.
6136. ზნეობის ზუსტი საზომი ჯერ არ გამოუგონებიათ, რადგან ზოგი მას თავის გადასახედიდან ხედავს.
6137. მოყვასის განსჯა თავისებურად სულის წარწყმედაცაა, რადგან მას უნდა ურჩიო და არა – განსაჯო.
6138. ტკბილი და ალალი სიტყვა თავისებული მადლია, რომელიც ადამიანის გულს სიამით ეფინება.
6139. მუშტი და ძალა გონიერებას არ სწყალობს.
6140. სულელისათვის სულერთია ვის ინტერესებს იცავს, ოღონდ სხვათა ჯინაზე შეაქონ, დაასაქმონ, დააფინანსონ.
6141. ყველაზე მეტად ტირანის კონკურენციის ეშინია, ამიტომაცა დაუნდობელი მოყვასთა მიმართაც.
6142. უვიცობის დოღი სიღატაკისკენ მიგვაჭენებს, ხოლო უნიათობამ უკვე გაგვღლიტა.
6143. მადლის კეთება თხოვნას ამშვენებს თუ ის აუცილებლობით არის გამოწვეული.
6144. საკუთარი მდგომარეობის შეცვლის მცდელობა ყოველთვის უკეთეს შედეგს არ იძლევა, თუ მასში უმადურებაა დაბუდებული.
6145. მოყვასის სიყვარული კარგია, მაგრამ მადლიერების გრძნობას ვერ ჯობნის.
6146. ბოროტების საწყისი ყველა ჩვენგანის თანდაყოლილ ნაკლოვანებაშია.
6147. ღირსეულ ადამიანებს ყოველთვის ითვალისწუნებდნენ, უსწორდებოდნენ, მაგრამ მათდამი შურისძიება დროის შესატყვისად იხვეწება და უფრო ცივილიზებული ხდება.
6148. უცნაურობისკენ მისწრაფება პატივმოყვარეობით დაავადების სიმპტომია.
6149. იმედი უგვანოთაგან მადლიერების მოლოდინიცაა.
6150. ადამიანი ყველაზე მეტად საზოგადოების ზნეობრივ დაცემას ეგუება და მისთვის ადრე მიუღებელს ითავისებს.
6151. იუმორი, სიმართლის წილის გარეშე, ვერ „გაჯეჯილდება“.
6152. პატიოსნება ზოგჯერ იძულებითია, რადგან უპატიოსნებას

გასაქანი არ მისცეს.

6153. სიკეთე ფუჭიც არსებობს, თუკი ყლორტებს არ ისხამს და ფესვებს არ იმაგრებს.

6154. ვერც ერთი რელიგია, საზოგადოება, სახელმწიფოებრიობა, ვერ იარსებებს შურის, უთანასწორობის და ურთიერთპოლემიკის გარეშე.

6155. ანეგდოტებში, სახუმარო ამბავში, პატივისცემაც უნდა იგრძნოდეს.

6156. ზნეობა თავად უფრო მეტ სიამოვნებას გვანიჭებს, ვიდრე სხვას.

6157. მდიდარი ადამიანი, ბევრის გაგებით, „უსინდისოა“, რადგან სხვას არაფერს უგდებს და არც წილში გაჰყავს.

6158. უმადურებს, უნამუსოებს, შურიანებს, რა გამოლევს, მაგრამ მთავარია თავად ადამიანად დარჩე.

6159. სინდის-ნამუსი, ალბათ, მალე წითელ წიგნში შესატანი გახდება.

6160. ფუფუნება სიცოცხლეს გვიმკობს, გონიერებას აობებს, ვნებას თრგუნავს და ამქვეყნიური მისწრაფება ყოველდღე ფეხებზე ჰკიდია.

6161. დაუჯერებლობა, საკუთარი „მეს“ უაზრო გაფეტიშება, ფეხს, ადრე თუ გვიან, წაგვატეხინებს.

6162. ზნეობა სირცხვილ-ნამუსის სინონიმია.

6163. თუ ქალთა მოდგმა სათავეში არ უდგას, ზნეობა დევალვაციას განიცდის.

6164. თავმდაბლობა მისასალმებელია, თუ მას დამფასებელ-შემფასებელი ჰყავს და არა – გამკილავ-დამცინავი.

6165. არა ტვინი, არამედ შემძლე აღწევს წარმატებებს ცხოვრებაში.

6166. შედეგს სიმკაცრე იწვევს უკომპრომისო ძალისხმევით.

6167. „მეტი მინდა“, არ ნიშნავს, რომ შენ ამას იმსახურებ და ამ ნაჩქარევი სურვილის აღსრულების ღირსი ხარ.

6168. შურისძიება, ფაქტობრივად საბოლოოდ ვერ არჩენს იმ ჭრილობას, რისთვისაც ის ჩაიდინე და ზოგჯერ სულიერებასთან დაპირისპირებასაც ამწვავებს.

6169. სიკეთე თავის შეძახების და ტანჯვის გარეშე უნდა გავრცელდეს, თუ გვინდა იბარტყოს და სხვასაც სასიკეთოდ უწიოს.

6170. სიკეთის კეთებამაც დაავადება იცის, ის ქრონიკულად გექცევა და გაიძულებს სხვათა მადლი მოისხა.

6171. შინაგანად აუთვისებელი, მექანიკური, ზნეობა შეიძლება უბედურების საწყისად იქცეს.

6172. ღირსება, ძირითადად, შრომის დამსახურებაა და არა იმდენად

ჭეშმარიტებასთან გაბაასება და მასში ჩაწვდომის მცდელობა.

6173. სიკეთის კეთებასაც ცოდნა უნდა, რომ ავად არ შემოგიტრიალდეს.

6174. ქურდობამ საჭიროება არ იცის, მას სხვისი ქონების მითვისების სურვილი ამოძრავებს.

6175. ზნეობას, კაცობას, მოკლებულ გონიერებას სიკეთე არ მოაქვს.

6176. უცოდველია ის, ვინც შინაგანად კეთილი საქმის კეთებას არ ეწინააღმდეგება და ღვთისნიერებას და ბუნებაში ყოფნის სურვილს გვმატებს.

6177. ამპარტავნება ხშირად თავისი მეობის მოხერხებული ტყუილის შემოპარებით ცდილობს და ზოგჯერ შედეგსაც არწევს.

6178. ერთგულება არსებობს, მაგრამ მას გამოცდასთან ერთად, რწმენა სჭირდება.

6179. უმადურებისთვის, უსაქმურებისთვის, სამსახურის გაწევა უსინდისობაა.

6180. ღვარძლის მკურნალია სხვაზე აუგის თქმა, წაჭორავებით.

6181. წმინდა სინდის-ნამუსი ღვარძლიან იუმორსაც აიტანს.

6182. გაუტანელი კაცისთვის თავის გამოდება სახიფათოა და საზიანო.

6183. ქედმაღლობა, ზიზღით უარყოფილიც, მაინც ქედმაღლობად რჩება.

6184. სიმამაცე და თავხედობა სინონიმებად იქცევიან, თუ მათ გონიერება არ გარიყავს.

6185. ბოდიშის მოხდა, ზომიერების ფარგლებში, მისაღებია, თუ მის უკან დანაშაული არ დგას.

6186. ღირსების შეგრძნების აღზრდას ბავშვობიდან წრვთნა და მოვლა სჭირდება.

6187. ნაკლი ფაქტობრივად არ სწორდება, იგი სხვა სახეს იღებს.

6188. ბედნიერებას ხშირად სინდის-ნამუსის შენარჩუნება უჭირს, იმდენადაა დაშორებული სხვათა უბედურებას.

6189. ადამიანი უნდა დავმოძღვროთ იმგვარად, რომ განათლება, მჭერმეტყველება, სიმამაცე, გულთბილობა არ გადაიზარდოს უგუნურებაში, გამასხრებაში, გაუთავებელ ყბედობაში და მლიქვნელობაში.

6190. მადლი და კეთილი საქმის კეთება მარადისობაში გადადის, იმისდამიუხედავად, დაგვაფასებენ თუ არა.

6191. მაამებლობა სხვათა ცდუნებას ნიშნავს და ყველაზე მეტად ამ მასტის ხალხს არ უნდა ვენდოთ.

6192. სასოწარკვეთილობისთვის თავის მიცემა უგუნური საქმეა.

6193. ადამიანს რაღაცა უნდა სწამდეს, რაღაც წმინდა უნდა ჰქონდეს,

ვიღაცა უნდა უყვარდეს ან პატივს მიაგებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გადაგვარებას წინ არაფერი დაუდგება.

6194. ზნეობა ყველა განსაცდელს ერკინება და საბოლოოდ იმარჯვებს.

6195. ჩვენი უყურადღებობით და ამპარტავნებით ხშირად ეშმაკს ვუმეგობრდებით.

6196. თავმდაბლობა მისასალმებელია, თუ მოჩვენებითი არ არის.

6197. პატივმოყვარეობა ხშირად საღ გადაწყვეტილებებსაც ფეხს უდებს.

6198. ჩვენთვის ცნობილი ნაკლოვანებები საშუალებას გვაძლევს, ჩვენი ქცევის ნორმებს ლაგამი დროულად ამოვდოთ.

6199. სიზარმაცე უპასუხისმგებლობის სინონიმია.

6200. უანგაროდ არა მარტო ადამიანთა და ქვეყნებს შორის ურთიერთობაში, არამედ სამყაროშიც არაფერი ხდება.

6201. სამწუხაროდ, საკუთარი სასურველი ტყუილის უფრო გვჯერა, ვიდრე რეალობის და არასასურველი სიმართლის.

6202. ყველა ხელმოცარულის, უნიჭოს, ვიგინდარას, უმთავრესი დასაყრდენი „პატრიოტიზმია“, რომელიც განსჯა-შემოწმებას არ ექვემდებარება.

6203. სინდისისთვის ზურგის შექცევა უმთავრესად არ ამართლებს.

6204. ერთხელ თავის გადადება და გამარჯვება სურვილის საქმეა, ხოლო მარად გამარჯვებისკენ სწრაფვა შემართებაა.

6205. ეგრეთწოდებული ეროტიკა, სექსშოუ, ჩვენებურად, მეძავობა, ხასა, დიაცობა, პრესტიჟული პროფესია გახდა. რაც ყოფის „გაფოფინების“ მცდელობის დამსახურებაა.

6206. უზნეო საქციელის ჩადენის განზრახვაზე გადამეტებული ყბედობა გარანტია იმისა, რომ ჩაუფიქრდები და არ ჩაიდენ.

6207. გადამეტებულ-გადაჭარბებული სიკეთის ქმნაც თავისებურად ხინჯი და ნაკლია, რადგან ყველა მუქთად რაღაცის მიღებას ელის.

6208. ბოროტებას გამართლება არ ექნება, თუ ალიბი გვერდში არ ამოუდგება.

6209. შერკინებამ, მოხვეჭამ და თავის წარმოჩენის მცდელობამ არც უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი იცის და არც სტუმარ-მასპინძლობისა.

6210. ექიმი შეიძლება შეცდეს, მაგრამ გულგრილობის უფლება არ აქვს.

6211. ზურგსუკან ჩვენზე ხუმრობენ, შურთ თუ გულს იფხანენ, ძნელი გასაგებია.

6212. გულმოწყალების გამოყენებაც შესაძლებელია, თუ ბედი ჩვენს მხარეზეა.
6213. დღეს პატიოსნებასაც „აიწონა-დაიწონას“ პინებზე ათამაშებენ.
6214. მოვალეობა კი არ უნდა მოვიხადოთ, არამედ შინაგანად უნდა ვიგრძნოთ და შეგვაწუხოს.
6215. პატივმოყვარეობა, განდიდებისკენ მისწრაფება და თავის წარმოჩენა ყველა ჩვენგანის საყვარელი და სასიამოვნო ცოდვაა.
6216. ჭკვიანი ადამიანი არასოდეს უსამართლოდ და უღირსად არ მოიქცევა, რაც უნდა დიდ გამორჩენას ელოდეს.
6217. ყველაზე მეტ სამართლიანობას სხვისი შრომით სარგებლობა და დაფასება მოითხოვს.
6218. ტყუილის ან სიმართლის სარგებლიანობა, ხშირად გარემოზე, დროზე, პროპაგანდაზე და ხალხის სურვილზეა დამოკიდებული.
6219. სხვათაგან გამორჩევის მცდელობა, უმთავრესად, პატივმოყვარეობის ბაცილის შეყრის შედეგია და არა – სიახლისადმი სიყვარული.
6220. დღეს საქართველოში დახვეწილი, გაპიარებული, გარყვნილება შემოდის მოდაში ფულის შოვნის და სარფიანი ოჯახის შექმნის მიზნით.
6221. „წარსულის შეცვლა თვით ღმერთსაც არ შეუძლია“, მაგრამ მის განქიქებას და ახლებურად წარმოჩენას ყველა განათლებული ვიგინდარა ცდილობს.
6222. ბედნიერებაა სიბრძნესთან ჭიდილი, ლაღად ცხოვრება და დაფინანსებით გამაგრებულ-გაამაყებული სილამაზის აღქმის უნარი.
6223. სიცოცხლე საინტერესოდ რომ აღვიქვათ, თავისი კაურები სჭირდება, შიგადაშიგ ფეხის ლაღად დადებით.
6224. სიცოცხლე მაინც ანალიზს დამორჩილებული წლებია და არა მხოლოდ ამქვეყნად მოვლინება ლაღი ცხოვრებისთვის.
6225. ყველა მეტ-ნაკლებად ვცოდავთ, მაგრამ უმრავლესობა ამას ვერც გრძნობს და არც განიცდის.
6226. კეთილი საქმის საკეთებელად წინამძღოლი რწმენასაც სჭირდება და კაცსაც, ერთს ახსენებენ, მეორეს შთააგონებენ.
6227. თუ საკუთარი თავი გარჯით გიყვარს, მაშინ შენგან შორს უნდა იყოს ყბედობა და უნიათობა.
6228. ადამიანს პატივმოყვარეობის ჭია უფლებას არ აძლევს თავი არ გამოიჩინოს.
6229. ანტიპოდია ყველა ვინც ქვეყნიერებისთვის საკეთებელ საქმეს თავის სასარგებლოდ ახურდავებს და სამშობლოს სიყვარულზე

უსირცხვილოდ ყბედობს და თავს დებს.

6230. ადამიანი ყოველთვის პარადოქსების სამყაროში ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამქვეყნად ყოფნის მადლის შეცნობა გაჭირდება.

6231. გონიერებას, პირველ რიგში, სინდისით გაჯეჯილება სჭირდება.

6232. დამთხვევა და პლაგიატი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს და განზრახ არ უნდა გავაბუქოთ – ეს პლაგიატობაზე მეტი უსინდისობაა.

6233. ენის აბუჩად აგდება არც მტერს ეპატიება, არც მოყვარეს და არც ყველაფერზე თავის მოქიცინე „ადამიანს“.

6234. პატიოსნება, ჭკუის დროულად მოხმობის გარეშე, მარად არსებობისთვის არის განწირული და არა ცხოვრებისთვის.

6235. ყველა სიმართლეში ტყუილის საწყისის მოძიებაც შეიძლება თუ ძალიან მოვინდომებთ.

6236. პარაზიტ ადამიანზე საშიში არც ერთი პარაზიტი მცენარე არ არის.

6237. აუტისტები ყოველივეს დასცინიან და მასხრად იგდებენ, მაგრამ ვერასოდეს ერკვეოდნენ, რა არის კარგი და არ ცუდი.

6238. სიმართლე სიცრუეზე არ ემყნობა, მაგრამ საერთო ენას ნახულობენ და რაღაც სუროგატსაც იღებენ.

6239. ქართველები ხშირად ვიყოფთ იმას, რაც გასაყოფი არ არის: თავზე გადამეტებულ წარმოდგენას.

6240. დავიღუპეთ: დღეს არც ღმერთია მოდაში და არც ფული და ვგონებ, განათლებაც, რადგან მეძავობა ეროტიკის ალიბით შემოდის.

6241. სამწუხაროა, რომ მსოფლიოში ცნობილ, საქართველოში დაბადებულ-დავაჟკაცებულ პირებსაც ვერ ვაფასებთ, ვერ წარმოვაჩენთ და ხშირად ჩვენი უგუნურებით და შურით ფეხსაც ვუდებთ.

6242. დღეს დახვეწილი გარყვნილებაც ნიჭის გაპიარების საშუალებაა.

6243. უადგილო ქება ზოგჯერ იმდენად თავმომაბეზრებელია, რომ გგონია ვიღაცის და რაღაცის წინაშე უგვანობა ჩაგიდენია.

6244. მომავალს უსაქმურობა, უპრინციპობა და წარსულის გადამეტებული გაფეტიშება აფერხებს.

6245. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ზღვარს განგება ადგენს, მაგრამ ყოველივეს მაინც ბედი წყვეტს, შემთხვევის დახმარებით.

6246. გასახალისებლად ნათქვამ ტყუილს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, არავინ უწყის, თუ დროულად არ აღიქვეს ხუმრობად.

6247. ნიშნის მიმგებ და მოქირქილე კაცზე სიცოდავი არაფერია.

6248. პატიოსნებს და არაპატიოსნებს შორის დღეს ზღვარი თანდათან იშლება, რადგან პირველი ნაკლებად მომგებიანი და სარფის მომტანია.
6249. სამართლიანობა და სიმართლე რადგან ყველას ჩვენი გვაქვს, ის დამრეც გზაზე არ უნდა დავაყენოთ.
6250. სხვისთვის ცუდის სურვება საკუთარი მეობის დახურდავებაა.
6251. სიცრუეში დაოსტატება ნიჭს, განათლებას, შემართებას და ურცხვ შუბლს მოითხოვს.
6252. მორალს ჭეშმარიტებასთან გაპაექრება არ სჭირდება.
6253. კეთილშობილებას ცენზორი და რეკლამა არ სჭირდება, ის ისედაც ხიბლავს ჭკუათმყოფელთ.
6254. სულმდაბლობას, ალიბის მიუხედავად, გამართლება არ აქვს.
6255. რა ადვილია სხვათა დამოძღვრა და რა ძნელია თავად ამ პოსტულატებით იცხოვრო.
6256. ღვარძლის წამალი ისევ მისი დაცინვა-დამცირებაა კვადრატში.
6257. მავანის სინდისი გამართლებას მხოლოდ თავისი ქცევის ანალიზში უნდა ხედავდეს.
6258. სინდისი სიკეთისთვის კეთილსინდისიერად იღვწის.
6259. ზოგჯერ ზნეობის გადასინჯვა დათრგუნვის მეთოდებითაც უნდა მოხდეს.
6260. როდესაც კაცუნები გენიოსებზე ოხუნჯობენ, არაკაცობაა.
6261. ადამიანს უანგაროდ რომ დაეხმარო, იმ წუთში არც პროცესზე და არც შედეგზე არ უნდა იფიქრო.
6262. მოვალეობა ნორმებით აღჭურვილ გრძნობათა ქოთქოთია.
6263. უზნეობას ხშირად ზნეობაზე უყვარს ლაყბობა და თავის „დადება“.
6264. ზნეობრივი პატივი მტერსაც და მოყვარესაც უნდა მივაგოთ, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ მოყვარე თავის უგვანობით მტერზე უფრო მეტად გბოღმავს.
6265. თვითნებობა არა მარტო გათავხედებაა, არამედ ადამიანის შეგნებისთვის უბოდიშოდ ჭიტლაყის ამორტყმაა უკანალში.
6266. მოყვრის დავიწყება ზიანის მომტანია, ხოლო უსაქმურობა – გაუთვალისწინებელი ჭუჭყის.
6267. მლიქვნელობა არა მარტო მოწოდებაა, თავისებური ბიზნესიცაა, რადგან იმაზე ზევით ვერ მოიკალათებს, რის ნიჭიც მისთვის განგებას მიუცია.
6268. დღევანდელი პატიოსნება ხშირად დროით გადაგვარებულ გონიერებას ეჭიდავება.

6269. მართალი ბრბოს ვერაფერს შეასმენს, მაგრამ რა უნდა ჰქნა, თუ ზოგჯერ ხალხს ბრბოს სტატუსში ყოფნის სურვილი უჩნდება.
6270. ადამიანს ანგარება და შური არ აძლევს საშუალებას გონება მოიკრიფოს და უფრო მოყვასი გახდეს, რათა თავსაც არგოს და ქვეყნის ინტერესებსაც.
6271. შეუძლებელია სამართლიანი ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილო იყოს.
6272. ჭკვიანებს მხოლოდ სულელები დასცინიან და ისიც – თავის დაყ-ვედრებით.
6273. სხვის მოტყუებას ჩვენს გონიერებას მივაწერთ და არა – სისაძა-გლეს.
6274. უსაქმურობას ყოველთვის აქვს გასამართლებელი საბუთი, გაუ-მართლებლად და განუსჯელად.
6275. ჭორაობა ადამიანებს ამხიარულებს, უგუნურ ცნობისმოყვარე-ობას უკმაყოფილებს და დროს აკვლევინებს.
6276. მოატყუებ – ბრიყვია, მოგატყუებს – ბრიყვი ხარ. აქ ალიბი: ვენდე, მეგობარია, ნათესავია – არ „მუშაობს“.
6277. უსაქმურობა ყველას ფეხებში ებლანდება ან თავად სიბეჯითეს უდებს ფეხს.
6278. სიკეთის გაცნობიერებას, აღზრდასთან ერთად, დრო და სათანა-დო გარემო სჭირდება.
6279. სიმართლე ნაკლს ებრძვის, სამართლიანობა ამ ნაკლს აღმოფხ-ვრის და გამოსწორებას ცდილობს.

თავისუფლება

6280. არის სასიამოვნო ჟღერადობის სანუკვარი სიტყვა თავისუფლება, რომელიც სინამდვილეში არც მწირი შესაძლებლობების ადამიანს სჭირდება და არც მცირე ერებს, მაგრამ მასზე უარის თქმა უზნეობაა.

6281. სიწყნარე ყველაზე დიდი ფუფუნებაა, ვინც მისი ფასი იცის.

6282. თავისუფლება საოცნებო სიტყვაა, მაგრამ მის გამოყენებას ზომაწონის ცოდნა და ადგილის შერჩევა სჭირდება.

6283. მორალი თავისუფლებასაც აკონტროლებს, მაგრამ ხელს არ უშლის ზომიერების ფარგლებში მის თავაშვებულობას.

6284. თავისუფლებასაც თავისი მეობა აქვს და სიკეთის კეთებას უნდა ემსახურებოდეს.

6285. თავისუფლებას სამართლიანობისკენ აქვს მიდრეკილება, ხოლო სამართლიანობას – გონიერებისაკენ.

6286. თუ საკუთარ ვნებასა და ნებას ემონები, თავისუფალი ხარ, თუ სხვისას, თუნდაც საყვარელი ქალისას, მონა.

6287. თავისუფლებას ყიდულობენ, ყიდიან, მოიპოვებენ, ჩუქნიან, აგირავებენ, მაგრამ მისი ფასი მაინც არ იციან.

6288. თანასწორობა და თანასწორუფლებიანობა მორიგი ბეგარა და ბლეფია, რომელიც კანონიერებაზე ამოფარებას ცდილობს.

6289. თავისუფლებისკენ ლტოლვას, გონიერების მიერ აღმოჩენილი რწმენა სჭირდება.

6290. თავისუფლებისკენ ლტოლვას, გონიერებით, რწმენით, აღმოცენება და მოვლა სჭირდება.

6291. თავისუფლებას კრიტიკას და უარყოფას ვერ ვაკადრებთ, მადლს დაუკარგავთ.

6292. თავისუფლებაც და დემოკრატიაც თავის ტყავში უნდა დაეტიოს და არ უნდა გადაამლაშოს – არ ამართლებს.

6293. ეტყობა, მონამაც თავის დროს ნახევრად დაუმორჩილებლობით უნდა დაუცადოს, თორემ იმქვეყნად უდროო წასვლით თავისუფლებისკენ სწრაფვა ოხრად დარჩება.

6294. თავისუფლებისკენ ლტოლვა, რომელიც გვაიძულებს მუდმივად დაძაბული ვიყოთ, სულის წამებაა და არა – ბრძოლა.

6295. მოვალეობის უღელის დადგმის გარეშე, ვერც თავისუფლების ფასს შეიცნობ და ვერც ოჯახის იდილიას გაუგებ გემოს.

6296. თავისუფლებასაც გონის მოხმობა, გამოყენება და დამუღამება სჭირდება.

6297. თავისუფლების სურვილი დაბადებიდანვე უნდა დაგყვეს, ან შეგნებით გაითავისო, მისი სწავლა შეუძლებელია.

6298. თავისუფალი ფული რეალური თავისუფლებაა, რა გონორითაც არ უნდა უყურებდნენ მას პოლიტიკური მეძავები, რომლებიც ამომრჩევლის ხმისთვის ყველაფერს კადრულობენ.

6299. თავისუფლებისკენ სულიერი ლტოლვა ღირსების ტოლფასია, ხორციელი სათუო ღირსებისაა, გამართლების იმედით.

6300. დემოკრატია, თავისუფლება, იმითაც არის საინტერესო, რომ მათ ცხოვრებაში რეალურად დანერგვას, ათას უხიაგობაზე, ეშმაკობაზე, გადამხტარი გონება სჭირდება და არა მხოლოდ სურვილი.

6301. მსოფლიოში ერთი ფული, ერთი ენა, ერთი დამწერლობა იმიტომაცაა საჭირო, რომ ხალხი ერთმანეთს თარჯიმნის და სახელმწიფო ხელისუფლების შუაკაცების გარეშე უნდა ელაპარაკოს, რადგან მათი აზრი ხშირად სხვადასხვაა, ხოლო სახალხო დიპლომატია გაუგებრობებს გადაჭრის და ომის საშიშროება აღარ დაგვემუქრება.

6302. თავისუფლება, მისი ფასის ცოდნასთან ერთად, თავისივე გამოკვების უნარს მოითხოვს.

6303. თავისუფალი მაშინ ხარ, როდესაც ჭკუის სწავლებას ვერავინ გაკადრებს და ძალადობას ვერავინ გაგიბედავს.

6304. დემოკრატიის, თავისუფლების ქარტიის დამყარება ყველაზე ძნელია საკუთარ სახლში, თავში და შენიანებში.

6305. ხელისუფალი ქვეყანაში სასარგებლო საქმის საკეთებლადაა მოწოდებული და არა გიჟის პერანგის ხალხზე ჩამოსაცმელად. თანამედროვე დემოკრატია ხალხთან პოლემიკას უფრო აფასებს, ვიდრე ერთი ხელის დარტყმით მათთვის სასარგებლო საქმის კეთებას.

6306. თავისუფლება სუფთა სინდისიცაა, პატიოსნებაც და კაცობაზე თავის დადებაც.

6307. ყოველგვარი ფუფუნება, გარყვნილება, ზნეობის დაცემა სახელმწიფოებრიობის ნგრევას და ერის გადაგვარებას იწვევს. ეს უნდა გაითვალისწინოს თანამედროვეობამ, რადგან ქუჩაში სახალხოდ

კოცნაობა ცივილიზაციის და თავისუფლების ნაყოფი კი არ არის, არამედ დემოკრატიაში არეული უზნეობაა.

6308. თავისუფლება ბედნიერება არაა, თუ მას გონიერება, შემართება და პასუხისმგებლობა არ ახლავს.

6309. თავისუფალმა სულმაც დროის შერჩევა უნდა ისწავლოს.

6310. ზოგს სიტყვა „თავისუფლებაზე“ აღფრთოვნებისგან „ტვინი ეკეტება“, მაგრამ მას რომ დროის შერჩევა-გამოყენების ცოდნა და თავის მოქაჩლება სჭირდება, ვერ აცნობიერებს.

6311. განუსაზღვრელი თავისუფლება კანონიერების ფარგლებშიც კი მავნებელია, რადგან ავი გენით დაბადებულთა ოდენობა ხელოვნურად გაიზრდება.

6312. თავისუფლებას ადამიანი ხშირად ავად იყენებს, თუ მას კანონის მარწუხების არ ეშინია.

6313. თავისუფლებას განსჯა და შეცოდება არ სჭირდება, იმისდამიუხედავად, იცი მისი გამოყენება და გინდა მას ემსახურო თუ არა.

6314. თუ თავისუფლების მოხმარება არ იცი, მისთვის თავის გამოდება არ ღირს, დრო თავად მოგიგდებს და გასწავლის.

6315. თავისუფლება ბუნებრივი მოთხოვნილებაა და არა განსჯის შედეგად მიღებული სურვილი.

6316. თავისუფლებას თუ წინხედვა, გამოცდილება, გონიერება, არ ახლავს და თავის მოთოკვა არ შეუძლია, სიავე მოაქვს.

6317. ის კი არ მაინტერესებს, ჩემი თაობა იცხოვრებს თუ არა თავისუფალ საქართველოში, არამედ რა რაოდენობის იქნება დალხინებული მოსახლეობა საქართველოში, სამყაროში. რაც შეეხება თავისუფლებას, ის უნდა მომწიფდეს, რადგან „მკვახე“ საყველპურო თავისუფლებას სიკეთე არც ეროვნულობისთვის, არც საზოგადოებისთვის, არც მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისთვის, არ მოაქვს.

6318. თავისუფლებას არც ჩუქნიან, არც იპარავენ, არც მოიპოვებენ, უბრალოდ, ქვეყანას თავისუფლებისათვის ამზადებენ, დროს ურჩევენ, მიზანს აღწევენ და პოლიტიკოსებად კი არა, ადამიანებად კვდებიან.

6319. ზედმეტი თავისუფლება მორალის უარყოფაა. ინფორმირების მოჭარბებული ოდენობა გენიოსს ვერ გამოავლენს, რადგან ყოველი ნიჭი მოვალეობის შეცნობის უნარით უნდა იყოს დაკვალიანებული.

6320. დემოკრატია და თავისუფლება სულიერების ფოლაქების სამართლიანად და სწორად შეკვრით იწყება, საკმარისია უმნიშვნელო შეცდომა და ყოველივე თავიდან დასაწყებია.

6321. თავისუფლებისკენ მისწრაფებასაც შეცდომები ახასიათებს, მაგრამ არა წინასწარი განზრახვით.
6322. იყო შინაგანად თავისუფალი, ნიშნავს იზრუნო სხვაზე დაუმადლებლად, მოუბეზრებლად.
6323. ხშირად თავისუფლების ფასი იმითაც არ იციან, რომლებიც აფექტში მზად არიან თავი გასწირონ.
6324. თეორიულად ადამიანი „განწირულია“ თავისუფლებისთვის, მაგრამ უმრავლესობა დიქტატურის დროს თავს უკეთ გრძნობს, თუ სასუსნავი საკმარისი აქვს და სხვისი არ შურს.
6325. თავისუფლება საზოგადოების მრწამსის მონობა არ არის, მაგრამ იქეთკენ გვექაჩება.
6326. თავისუფლების განსაზღვრას ყველა თავისი წარმოსახვით ცდილობს, მაგრამ გარკვეული დანაკარგების გარეშე მისი საზოგადოებაზე მორგება ჭირს.
6327. თავისუფლება თავის საყრდენს და საფუძვლებს ითხოვს.
6328. თავისუფლებასაც თავისი რიდი და რიგი სჭირდება.
6329. მთლად თავისუფალი გიჟია, რომლისთვის განკუთვნილი ადგილსამყოფი ჩვენ არ გვიზიდავს.
6330. თავისუფლებასაც დოგმების აღიარება და სულიერების დაყადაღება სჭირდება.
6331. თავისუფლება პასუხისმგებლობაა, დემოკრატიისგან განსხვავებით, რომელიც მუდამ საკუთარი მეობის ძიებაშია.
6332. თავისუფლება, თავთან მარტო დარჩენის გარეშე, შეუძლებელია, მაგრამ ყოველთვის არაა სასურველი.
6333. ადრე თუ გვიან, ადამიანები ნაღდი თავისუფლების დაფასებას ისწავლიან, რადგან თავისუფლებისადმი სიყვარული განგების ნაბოძებია და აქ გამოცდილების პლუს-მინუსი არ შველის.
6334. დღეს თავისუფლებას არ მოიპოვებენ, მას გჩუქნიან.
6335. თავისუფლება ხალხს აახლოებს, დემოკრატია საზოგადოებას ამყარებს, სოციალიზმი თანასწორუფლებიანს ხდის, სამივე ერთად კი სამყაროს აამაყებს და ანათებს.
6336. თავისუფლება არაფერია ზნეობის, განათლების, მატერიალური უზრუნველყოფის და კანონიერების დაცვის გარეშე.
6337. თავისუფლების მოპარვაც შეიძლება, თუ საკუთარ მეობაზე ხელს არ აიღებ და ბანძი ხელისუფლების გვერდით დადგები.
6338. უბედურება თავისუფლების გარანტად არ გამოდგება, რაც შეეხება ბედნიერებას, ის შემთხვევის საქმეა და არა – თავისუფლების.

6339. თავისუფლება, რომელსაც ტირანია მოერევა, თავისუფლებაა საყრდენის გარეშე ან მისი აჩრდილი.
6340. მარტოობა ყოველთვის თავისუფლებას არ ნიშნავს, მაგრამ სულიერება მისკენ დროებით მიილტვის.
6341. კლასიციზმი ვითარდება იქ, სადაც თავისუფლების სიყვარულია, ნაციონალიზმის შეცნობა და ინდივიდუალიზმის შესაძლებლობაა.
6342. თავისუფლების შეცნობის ნება საშუალებას გვაძლევს გულით ვიმოგზაუროთ ჩვენს ნაოცნებარ მხარეში.
6343. ადამიანები მუდამ ითხოვენ იმ მასშტაბის თავისუფლებას, რომლის გამოსაყენებლადაც შინაგანად მზად არ არიან.
6344. მარტოობა ზოგჯერ საკუთარი „მეს“ გაჯიუტების შედეგია, რადგან დროებით თავისუფლება მოუნდა.
6345. დაწყვილებულებმა, თავისუფლების მოსაპოვებლად, გამოცდები ერთმანეთს მანამ უნდა აბარონ, სანამ ამ „სისულელეს“ თავიდან არ ამოიგდებენ, რადგან ოჯახი, პირველ რიგში, მოვალეობაა.
6346. ზოგს თავისუფლებად მარტოობა მიაჩნია, ზოგსაც – ხალხთან ყოფნა და მათზე უფროსობა.
6347. თავისუფლებაც ილუზიურია, თუ მას სიყვარული არ ახლავს და მხოლოდ მიჩვევაზეა აგებული.
6348. თავისუფლებას პათოლოგიური პატიოსნებაც ვნებს და სხვის მიმართ მარად სიკეთის კეთებაც, რადგან თვისთვის ვერ იცლი და ყოველივე ეს ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი ხდება.
6349. თავისუფლება და ობიექტურობა იძლევა დროის დამაკმაყოფილებლად შეცნობის შესაძლებლობებს.
6350. გულუბრყვილობა არც გონიერებისთვისაა მომწიფებული და არც – თავისუფლების ნაყოფის მოხმარებისთვის.
6351. „თეორიულად შეუძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ცდები ტარდება“ – დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს თავისუფლება ამდაგვარად გამოიყურება: თეორიულად შეგვიძლია დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გამოგვდის, რადგან ერთმანეთის დაჭმას ვუნდებით.
6352. ბავშვობიდან შეთვისებული იუმორის გრძნობა ყველაზე დიდი თავისუფლებაა.
6353. თავისუფლებას ყველა იცავს, მაგრამ შეიარაღებულ ძიებზე უკეთ ამას სხვა ვერ ახერხებს.
6354. თავისუფლების მადლს შეცნობა უნდა, გენის მხარდაჭერით.
6355. დემოკრატია-თავისუფლება ხალხის მცდელობის შედეგია და არა – დაუსრულებელი ქიშპი, ყბედობა, თავის მოწონება.

6356. საუკუნეთა მანძილზე ცალკეული მონიშნული ტერიტორიების თავისუფლების ეგიდით „გამონათებას“, სახელმწიფოდ ჩამოყალიბება უჭირს.
6357. სიტყვის თავისუფლებას ხშირად გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს საზოგადოებისთვის, ვიდრე სიტყვის პატივისცემას, „თავკონტროლს“, ცენზურას.
6358. თავისუფლებასაც, დემოკრატიასაც, სახელმწიფო სტანდარტები უნდა დავუწესოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაგვარდებიან.
6359. თავისუფლებაც, დემოკრატიაც, თარეშობს, თუ ის მოუმზადებელ-მოუმწიფებლად არის მოსული.
6360. მარტოობას თავისუფლება ვერ კურნავს.
6361. თავისუფლება ბედნიერებაა, თუ მას სიწყნარე და სტაბილურობა ახლავს ტექნიკური პროგრესის შეზელვით.
6362. თავისუფლებისკენ მისწრაფება კანონის მორჩილებაა გვერდში მდგომთა აღმაფრენით.
6363. თავისუფლების შეცნობით ტკბობა და მისი გამოყენება ერთეულ გონიერთა ხვედრია.
6364. თავისუფლებაც შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონს ემორჩილება.
6365. თავისუფლება რეალობით ტკბობა და არა – ოცნებით.
6366. თავაშვებულობა და თავისუფლება ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, რადგან ამ უკანასკნელს თავის ღირსების ალგორითმები აქვს.
6367. ტირანია და თავისუფლება ერთმანეთს ვერ ეწყობა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჩასაფრება უნდა შეძლოს.
6368. თავისუფალი შეგნებით უნდა იყო და არა – მოწოდებით, რადგან ეს უკანასკნელი ზოგჯერ საფრთხეში გვაგდებს.
6369. თავისუფლებას შეცნობა, აღქმა, გამოყენება, სჭირდება და არა – ბრმად თავზე მოხვევა.
6370. თავისუფლებაც, გონიერების მოხმობით გათავისებას მოითხოვს.
6371. თავისუფლების მოთხოვნილება უნდა გვეონდეს, მხოლოდ ამის შემდგომ – მისი სწავლა და გამოყენება.
6372. თავისუფლება და თავგასულობა ერთმანეთში რომ არ აგვერიოს, სახელმწიფოებრიობა ქვეყნის კონსტიტუციამ, სარწმუნოებამ, კანონის უზენაესობამ და რაც მთავარია, გონიერებამ უნდა არეგულიროს.
6373. თავისუფლება და მორჩილება ეს გენზე, გარემოზე და სასუსნავის ოდენობაზეცაა დამოკიდებული.

6374. სიტყვით ყველაფერი ნებადართული უნდა იყოს, ოღონდ რეგულირებით, რათა უაზრო თავისუფლებამ ქვეყანა ანარქიამდე არ მიიყვანოს.

6375. თავიდან ყველა თავისუფლების ყლუპს ითხოვს, შემდგომ თვრება და გამოფხიზლებული რომ ნახულობს ნათრობზე რა ჩაიდინა, რცხვენია და თავის თავაშვებულობა როგორ გაამართლოს, ვერ გარკვეულა.

6376. თავისუფლება შეიძლება სიკეთის საკეთებლადაც გამოვიყენოთ და ბოროტებისაც, გააჩნია, რა წრეში, დროში, მოვხვდებით.

6377. თავისუფლებას, დემოკრატიას, ბევრი ჩუმი მტერი ჰყავს, განსაკუთრებით, თუ ის მოუმწიფებელია და საზოგადოების გულგრილობის გამო არ ამართლებს.

6378. თავისუფლება, უპირველესად, უსაფრთხოებას და წესრიგსაც უნდა ითვალისწინებდეს თავისი მოქალაქეებისას.

6379. დღეს სიტყვის თავისუფლებით აცუნცრუკებამ, ცოდვების გამომზეურების გაპიარებით „მასმედიამ“ „ქაქის“ ქექვა ინსტიტუტად აქცია, რადგან ეს შემოსავლიანი დარგი გახდა, ხალხს სულიერების გარყვნის დაბანდებით.

6380. განგება ზომიერების ფარგლებში „გვიჩმახებს“, შემდგომ შეგვეშვება და თავისუფლებას გვაძლევს.

6381. თავისუფლებასაც მორგება და ტარების ცოდნა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დანაშაულია.

6382. თავისუფლება, დემოკრატია, სიკეთის კეთებაზე და ბოროტებაზე მაღლა დგას, გარემოებათა გათვალისწინებით.

6383. თავისუფლება დიდი ტვირთიცაა საკუთარი მეობის და გონიერების წინაშე.

6384. თავისუფლებამ მისთვის განკუთვნილი ყოფიერების კრედოს, მხარი უნდა აუბას და დაემორჩილოს.

6385. თავისუფლებას მაშინ აქვს ფასი, თუ ჩვენს სიცოცხლეს, სინდისს, მეობას, არ ემუქრება.

6386. შინაგან თავისუფლებას ბუნება იძლევა ან თანდაყოლილია და არა – სახელმწიფო წყობა, რომელიც ყოველთვის ცვალებადია.

6387. სიტყვის პასუხისმგებლობა, სიტყვის თავისუფლება და ყბედობა იმით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ პირველი პარქტიკულ ჭკუას არსებული მოვლენების შეცნობით ახმოვანებს, მეორე თავის უკმაყოფილებას კარგი სურვილებით ატირაჟებს, ხოლო მესამე გულს აყოლილი ამბიციების ლაზღანდარობით ერთობა.

6388. შინაგან თავისუფლებას მდგომარეობით მოპოვებული თავისუფლება ვერ შეედრება.

6389. კომპრომისი იარაღსა და თავისუფლებას შორის მარადჟამს საძებარია.

6390. თავისუფლება საკუთარ უსაფრთხოებას არ უნდა ვანაცვალოთ, მაგრამ გააჩნია თავისუფლების ინსტიტუტი ვის ხელშია, რა მასტის პროპაგანდას ეწევა და ამისთვის რას ითხოვს.

6391. საყოველთაო თავისუფლება აბსტრაქციაა, რადგან ყველა თავისი ჭკუით ჭრის და კერავს ამ სანატრელი სიტყვებს.

6392. სიტყვის თავისუფლება ბევრში რატომღაც ენის ქავილს იწვევს და ამიტომაა, რომ ყბედობას ჭკუას არ ატანს.

6393. საოცარია, ძალად მორთმეული თავისუფლება უაზრო დემოკრატიას მოაქვს, რომლის დაღვინებასაც დროსთან ჭიდილი სულ შეხლა-შემოხლით სჭირდება.

6394. სიტყვის თავისუფლება აზრის გაბახებით და „მასმედიის“ გარყვნილებით არ უნდა შეიცვალოს, რათა ამ უკანასკნელმა თავისი უნიჭობა, უნიათობა, უსუსურობა, მიღწევად არ შემოგვასაღოს და საზოგადოება არ გარყვნას.

6395. რადგანაც სიტყვის თავისუფლებაა, ზოგს ჰგონია, რომ ყველაფრის ლაპარაკი და განსჯა სახალხოდ შეიძლება, მათ შორის უაზრო, უშედეგო, ყბედობითაც.

6396. ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ რამდენად მოსწონს, იყენებს, თავი მ.ქ.კ., ეს, მის გენზე და გარემოზეა დამოკიდებული.

6397. თუ თავისუფლება დროულია, ამ შემთხვევაში უნდა ვიბრძოლოთ მისთვის.

6398. თავისუფლებასაც ათვისება უნდა განათლებით, შეგნებით, მოთმინებით, განსჯით, სხვათა აზრის მოსმენის უნარით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისუფლება გაუგებრობად იქცევა.

6399. თავისუფლებას ხმასაყოლილი უნიათონი, არშემდგარი თავისუფლებისთვის იპოვებენ.

6400. ზოგჯერ თავისუფლების მოპოვებას დალოდება სჯობს, რადგან თავისუფლებას არეული დრო გვაპოვნინებს და არა – ხალხის ნება, ეს კი ხშირად საზიანოცაა და საზარალოც.

6401. თავისუფლებაა ისიც, თუ შენს მაგივრად ამ საქმიანობაში გაწვრთნილნი ფიქრობენ და არ გაიძულებენ გაწვალდე, როდესაც თავად მის არსში გარკვევის თავი არ გაქვს.

6402. თავისუფლებაა, თუ შენი ქმედებით სხვის კანონიერ ინტერესებს, ქმედებებს, არ ზღუდავ და არ ეწინააღმდეგები.

6403. სხვაზე ზრუნვა ჩვენს თავისუფლებას ზღუდავს, მაგრამ სიამოვნებას გვანიჭებს.
6404. სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს სულიერების თავისუფლებას, რადგან მისი რაობა ბუნების კანონზომიერებებს და გონების დროსთან შერწყმას უნდა ემორჩილებოდეს.
6405. გონიერება, მორჩილებისგან განსხვავებით, მონობას ვერ იტანს, რადგან პირველ შემთხვევაში განგების ნებას ემორჩილება, მეორე შემთხვევაში თანასწორის გათავხედებას და მის ბუნებას.
6406. თავისუფლებისაგან გაქცევის სურვილს დაუცველი თავისუფლება გვაიძულებს.
6407. თავისუფლების აღქმასაც ცოდნა და განსჯის უნარი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უბედურება მოაქვს.
6408. აზროვნებას თავისუფლება სჭირდება, ოღონდ განსჯით და ოპონირებით, თუ გვინდა მისი მადლი შევიგრძნოთ.
6409. თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რადგან მუქთად მიღებული არაფერი არ ფასდება.
6410. თავისუფლების ძიებას, ხშირად მარტოობის სურვილამდე მივყავართ.
6411. თავისუფლების გაყიდვაც შესაძლებელია, თუ მოგება-გამორჩენა ჩვენს შესაძლებლობებზე მეტია.
6412. თავისუფლებას ბევრი განზომილება აქვს, მაგრამ უმეტესობა ამას ვერ აცნობიერებს.
6413. ხშირად ჩვენი გაგებით თავისუფალი თავისუფლებას ებრძვის იმ თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელსაც თავისუფლების კრედოდ მიიჩნევს.
6414. თავისუფლებასაც ჭკუის დაყოლება სჭირდება, მასში ცხოვრება რომ არ გაჭირდეს.
6415. თავისუფლების გამოყენების არცოდნა მონობაზე მეტად სავალალო და დასაცინია.
6416. ნაჩქარევ თავისუფლებას ათასჯერ სჯობს მისი მოთმინებით მოპოვება.
6417. თავისუფლება, უპირველესად, სწავლაა და შემდგომ – თავისუფლების სხვა ატრიბუტები.
6418. აზროვნების უფლებას გვაძლევს თავისუფლება.
6419. თავისუფლებაც მისთვის განკუთვნილ კალაპოტში უნდა მიიზლაზნებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უგუნურება, პოლიტიკური სტიქიური უბედურებით, გარანტირებულია.

6420. თავისუფლებაც მისთვის სასურველი ბარტყების გამოჩეკას ცდილობს, მაგრამ რამდენად სასურველ შედეგს იღებს დროისა და გარემოს მცდელობით, ეს სხვა საქმეა.
6421. ბუნებით თავისუფალი ადამიანი სულიერებას მონობას არ აკადრებს.
6422. ლოცვა-ვედრება სულიერებას წმენდს და თავისუფლებას ანიჭებს.
6423. ყველა ჩვენგანმა საკუთარი თავისუფლების სასიკეთოდ დაბანდება უნდა ვისწავლოთ.
6424. იყო თავისუფალი, სიამაყეა, მაგრამ უსახსროდ არ უნდა დარჩე, რათა შეინარჩუნო.
6425. თავისუფლებას გამარჯვებით მოიპოვებენ, ეს მტერზე იქნება თუ საკუთარ თავზე.
6426. ადამიანი შინაგანმა თავისუფლებამ უნდა წარმოაჩინოს, რადგან ეს თვითნაბადი ნიჭია და არა ძალით ბოძებული, მოდაზე აყოლით ვალის მიგება.
6427. თავისუფლების მოხმარებასაც ცოდნა უნდა, ზოგჯერ წინასწარ ალიყურის ჭმევით.
6428. ზოგჯერ ყოფის ჭაობში სიარულიც სასურველია, თუ მისი ამოშრობის გეგმებს ადგენ.
6429. სამწუხაროდ, ადამიანი არასოდეს მზად არ იქნება იმ თავისუფლებისთვის, როგორიც წარმოუდგენია.
6430. თავისუფლების შეცნობის ნიჭით უნდა დაიბადო, რადგან ნასწავლი თავისუფლება ვერ ამართლებს.
6431. თეორიულად თავისუფლება ბუნებრივი ნიჭის გამოვლენაა, მაგრამ უკეთეს შედეგს ნიჭი წრთვნის, დაყვავების, ხელის გალაწუნების შიშის შედეგად იძლევა.
6432. გონიერების უდიდესი დამსახურება ისაა, რომ შინაგან თავისუფლებას გვაძლევს.
6433. ძალა და სამართალი, პირველ რიგში, იმ რეალური თავისუფლების დამცველია, რომელსაც დემოკრატია გვიკიჟინებს.
6434. თავისუფლების ფასი ერთეულებმა იციან და ისიც თანდაყოლილი ნიჭის წყალობით.
6435. თავისუფლების „პერპენტუუმ მობილე“ მარად გამოუყენებელი დარჩება მათთვის, ვინც ცხოვრებას დროულად ალღოს ვერ აუღებს.
6436. „სიტყვის თავისუფლება“ თავისებური კაიფია, სულიერების გაჯეჯილებით და აუტიზმის წარმოჩენით.

6437. მოჭარბებულ თავისუფლებას გულგრილობამდე მივყავართ და სიკეთე არავისთვის მოაქვს.

6438. თავისუფლება სიამაყეა, სიამაყე კი რწმენის შედეგია, რწმენა ცხოვრების სასიკეთო მაგალითებით მაგრდება.

6439. ტექნიკური პროგრესიც თავისუფლებას თავისებურად გვიზღუდავს, თუნდაც „მობილური კავშირი“.

6440. თავისუფლებას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ დროებით მის დაკარგვას გარემოება, შური, ურთიერთმტრობა და უნიათო ყარაჩოღელობა იწვევს.

6441. თავისუფლება სულით უნდა გავაღმერთოდ და არა – გონით, რადგან მის კაზუსებში გარკვევას დრო სჭირდება.

6442. „იყავი თავისუფალი ან მოკვდი“, დღეს სწორედ ამ თავისუფლების გათავისებაა სადაო, გაუგებარი და ყოფიერებისთვის უაზრო.

6443. ანარქია ჰარმონიის გარეშე, დატყვევებული თავისუფლებაა.

6444. თავისუფლება სულიერი კომფორტის შეცნობა-აღქმაა.

6445. ყოველთვის უკანმოუხედავად აკეთო ის, რაც თავისუფლებას განიჭებს, სიამოვნებას გგვრის, ბედის დიდი წყალობაცაა და ვაჟკაცობაც.

ისტორია

6446. ისტორიის ბორბალი კვლავაც იტრიალებს, მაგრამ ხალხი ვერაფერს სწავლობს და არ ემგზავრება.

6447. საყოველთაო პოპულარობა, თუ შემთხვევის წყალობით ერთხელ გამარჯვების ოლიმპზე დგომა ჯობს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისტორია გულში გამარჯვებულებს იკრავს.

6448. ისტორია ერის ცხოვრების აზრია და პატრიოტიზმის სანელებელი, მაგრამ წარსულის სერიოზულად დამუღამება, მომავალში შეცდომების თავიდან აიდება, არავის უნდა.

6449. გუშინდელი გმირი დღეს მოღალატეა, ხვალ კვლავ გმირად წარმოაჩენენ და ისტორიის ამ პოლიტიზირებულ ცინიზმს, გამოცდილებით ალიყურის მიუხედავად, ბოლო არ უჩანს.

6450. ძველ არშიყს ცხოვრება დაგვიანებით უჩვენებს, რომ ჯერ სიყვარულისთვის უნდა მიეხედა და მერე ეტარებინა დრო ქალებში, რადგან ასაკი რაღაც სათუთს და ხელშესავლებს ითხოვს.

6451. ისტორიას მონანიება არ უყვარს და არც შეუძლია, რადგან ყველა ქვეყანას, ხალხს, თავის დროზე იმდენი აქვს „მიქარული“, რომ მთელ სამყაროს მტყუან-მართლის ძიების ციებ-ცხელება აიტანს.

6452. ისტორიის შეფასებისას უყვართ ლაზღანდარობა, ჭორაობა, ნიშნისმიგება, რადგან წარსულის სრულფასოვანი შეფასება და დიაგნოზის დასმა უჭირთ და ამ ნაკლს ღადაობით ავსებენ.

6453. ისტორიის შემქმნელ ხალხს ყოველთვის ეჩქარებგა იმ მოვლენების გადასწრება, რომელიც ევოლუციიის და გონიერების მომწიფების შედეგად გარდაუვალია და ეს მოუთმენლობა მას ყოველთვის ძვირად უჯდება.

6454. ყველაზე დიდი „პიროვნება“ ისაა, ვისაც ისტორია გაუმართლებლად იმახსოვრებს და ყველა ოპონირებს ფაქტების წინაშე ალიბი მოძიებული აქვს.

6455. როდესაც ქვეყნების და ჩვენ ისტორიას გადახედავ, გაოცებული რჩები: ომი, უპირველესად, მოხვეჭის, გართობის, ამბიციების დაკმაყოფილების საშუალება ყოფილა და არა – სამშობლოს დაცვა.

6456. ისტორია გადამღერებული ფაქტების და დროის ყივილის მონაა.

6457. ისტორიის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ არა მასში შენი ამბიციებით და დაფდაფებით, გაკუნტრუშებით.

6458. ისტორია ვალდებულია ყველაზე მიუკერძოებელი და პატიოსანი იყოს, მაგრამ მომდევნო თაობები თავიანთი შეხედულებისამებრ „აბახებენ“.

6459. როდესაც ისტორიის, „კვამლ-ბუქს“ გადახედავ პირველ რიგში, ხელისუფლის უგნურება გაკვირვებს, რატომ ჩააგდო თავისი ქვეშევრდომები ამა თუ იმ განსაცდელში.

6460. სუსტ ხელისუფალსაც მფარველი უჩნდება და მისთვის გამოხურული ისტორიის კარების გახსნას ზარ-ზეიმით ცდილობს.

6461. ყველა საუკუნეს თავის მედროვე და მლიქვნელ-მეხოტბეთა ჯოგი ჰყავს.

6462. ძველ ტრაქტატებში ზოგჯერ ისეთი რამ აღმოჩნდება, გიკვირს, მის გათავისება რომ აზრადაც არ მოგსვლია.

6463. გადამეტებულ გონიერებას ზარალის მოტანა შეუძლია თუ სიკეთის, გაურკვეველია, მაგრამ ატომის გახლეჩვამ და თერმული იარაღის შექმნამ, ჯერ-ჯერობით, მესამე მსოფლიო ომს უკან დაახევინა.

6464. სამწუხაროა, რომ ვერასოდეს დავინახავთ შთამომავლობა, რატომ და როგორ ჩალიჩობს ჩვენი სახელის ისტორიისთვის შემონახვაზე.

6465. ყოველივე იხვეწება, ვითარდება, უკეთესი ხდება, მაგრამ ისტორია მაინც საქმის დამწყებს იხსენებს.

6466. ისტორიის ქარცეცხლში ოცნებით მოგზაურობა სიამოვნებაა.

6467. გონიერი ხელისუფალი თავის ხალხს ისტორიის ჭუჭყს თანდათან ჩამოაშორებს და ახალ სიბინძურეს ახლოს არ გააკარებს.

6468. ხალხის ისტორია ანეგდოტების მოშველიებით უნდა გადმოიცემოდეს, უფრო ჭკუის სასწავლებელიც იქნება და მკითხველიც გაცილებით მეტი ეყოლება.

6469. ისტორიას არც პროკურორი ჰყავს და არც მოსამართლე, მისთვის ჭკუის კანონებით განსჯა უმთავრესია და დროც ამასობაში მიიზლაზნება.

6470. ისტორიის მიზანია მისი ნაღვაწ-ნაჩალიჩარიც შეაფასონ-დააფასონ.

6471. ერის საწყისი ქვეყნის ისტორიაა, პატრიოტიზმით აკინძული.

6472. ისტორია რადგან მეორდება, მისი დანიშნულებაა აწმყოში დავჭკვიანდეთ.

6473. რევოლუცია ისტორიის ის „ლოკომოტივია“, რომელიც სჯობდა სულიერების ბოღმიდან არ ამომძვრალიყო და ამდენი უნიათო და

გაავებული ბრბოთი სავსე ვაგონები არ გამოება, რომელთა უმეტესობა გონიერების ჩიხში ვერასოდეს მოხვდება.

6474. ისტორია ისეთ არაფერს არ გვასწავლის, რომ მომდევნო თაობებმა შედეგით გამოიყენონ ე.ი. რაც გამოყენებულია, ის არც განსჯას ითხოვს.

6475. არაორდინალური ხელისუფალი, გარკვეულ პირობებში, შეიძლება ვიგინდარაც იყოს და ერის მამაც, გააჩნია მის ნაღვაწს ვინ როგორ შეაფასებს.

6476. ისტორია სავსეა შემთხვევითობით, განსაკუთრებით, ქვეყნის „აქოთებისას“, სადაც ხელისუფლების სადავეები ხელში გივარდება და ამ შანსის გაშვებას თავს ვერ აპატიებ.

6477. ზოგიერთი ქვეყნის ისტორიას რომ გადახედავ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ისინი მხოლოდ რეფორმების საკეთებლად არიან მოწოდებულნი.

6478. დღეს ყველას ცხვირი ისტორიაში ზერელედ აქვს ჩაყოფილი, უფრო ჭორების გასავრცელებლად, ვიდრე მის აღსაქმელად და ცოდნის მისაღებად.

6479. წარსულის მოქრთამვაც და გამოსწორებაც შეიძლება, თუ მოვინდომებთ და საკმარისად დავაფინანსებთ.

6480. მინორული საზოგადოება არ მოგვწონს, ევოლუციის პროცესების დასაკვირვებლად დრო არ გვყოფნის, მაგრამ არც ამ რევოლუციებში ყრია სახეირო, ამ პარამეტრების განთავსების მიუხედავად, ისტორიული გამოცდილება სახეიროს და ჩვენთვის მისაღებს მაინც ვერაფერს გვასწავლის.

6481. ხელოვანიც თავის ეპოქის შვილია, მაგრამ ის რჩება ისტორიაში ვინც თავის დროს საგრძნობლად გაუსწრებს.

6482. ისტორია იძულებულია ზოგ ფაქტს გადახედოს, შეალამაზოს, დროის შესატყვისი ბუნტი ჩამოაგდოს, რათა დავიწყებას არ მიეცეს და თავი მეცნიერების სამსახურში იგრძნოს.

6483. ისტორიის ვალია იმ დიდებული ხალხის გახსენება, რომელთა მცდელობამ დღევანდელი თაობები აქამდე მოიყვანა.

6484. ხსოვნა ძეგლის დადგმით დაფიქსირებას მოითხოვს.

6485. წარსულის ყველა დივიდენდი დღევანდელობის გადასახედს ემორჩილება.

6486. მატიანე და ისტორია ჭეშმარიტების სამსახურისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ საკითხავია, ვის ხელშია მისი გასატირაჟებელი წარსული.

6487. მერკანტილობის შედეგია ისტორია რომ სცოდავს და მედროვეებს თავს უყადრებს.
6488. ისტორიის პარალელების გავლება, ცოდნასთან ერთად, ინტუიციას მოითხოვს.
6489. ისტორიას მაშინ დაედება ფასი, როდესაც თავის დროს თავადვე გამოუტანს განაჩენს.
6490. ისტორია სუროგატი დროის, რელიგიების, ბრბოს, აღწერითაც ირთობს თავს, გარკვეული გასამრჯელოს საფასურად.
6491. ისტორიის ლეგენდები უნდა გამოვიყენოთ ხალხებს შორის მეგობრობის აღსადგენად, ერთმანეთის მოსაფერებლად და არა – დასაპირისპირებლად და საომრად.
6492. გადახედავ ისტორიას და მის დასამახსოვრებელ ინდივიდებს და ხვდები, რომ ამხელა იმპერიების და ხალხების ბედი ერთი მოხერხებული წინამძღოლის „ქეიფზეა“ დამოკიდებული და საკუთარი თავი გეცოდება.
6493. ბუნტისა და არეულობის მიზეზი ისტორიამ არა მარტო უნდა აღნიშნოს, არამედ ანალიზიც უნდა გაუკეთოს დროის გადასახედიდან, ამიტომ სკოლებში ისტორიის ანბანი კი არ უნდა ისწავლებოდეს, არამედ ახალი საგანი „ისტანალიზი“.
6494. ისტორია ეროვნულობის წარმოსაჩენი მაზოხიზმი არ არის – ისე, უბრალოდ, დაშვებული შეცდომების გამოსწორებას გვთავაზობს.
6495. სიკეთის მოხმობის გარეშე ქვეყნის ისტორიის შესწავლაც არ ღირს.
6496. ისტორიის სანაგვეში ვისაც რა ნაგავი მოსწონს, იმას გამოჩიჩქნის თუ „ფუის“ საძახებლად ემზადება.
6497. ისტორიის მიზანია ყველა პოლიტიკურ რეალობას თავისი სახელი დაარქვას და ხალხებს შორის მტრობა, დაპირისპირება, არ თესოს.
6498. ისტორიის განვითარება ხანგრძლივი პროცესია, ხოლო პოლიტიკანობა – ისტორიის მცირე და ისიც დასავიწყებელი ნაწილი.
6499. ისტორიაში ხშირად წარსული დროის დასმული ამოცანების ამოხსნა უფრო ადვილია, ვიდრე წარსულში მოყვანილი ფაქტების რეალობაში დარწმუნება.
6500. ისტორია ხშირად სულით გათავხედებულ ადამიანთა ქმედების შედეგრია, რადგან მათ ცხოვრება სხვაგვარად არ შეუძლიათ.
6501. საშინელებაა, როდესაც ხელისუფლებას ღირსება არ აქვს და არც თითზე წასასმელი ჭკუა. სამწუხაროდ, ასეთი მმართველების თავებითაა სავსე ისტორიის გილიოტინის კალათა.

6502. თუ კაცობრიობის ისტორიას გადავხედავთ, ადამიანი მუდამ ებრძოდა საერთო უბედურებას, კონკრეტულ შემთხვევებს, გამარჯვებასაც დროებით ზეიმობდა და იმასაც გაუცნობიერებლად. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ უგუნურება თავს არ გვანებებს და მასთან შერკინება დროდადრო გვიხდება.

6503. ისტორიას ქმნიან მოაზროვნე წინასწარმეტყველები, კრიზისი, ომი, შერკინება, შემთხვევათა გათავხედება და არა – გონიერების გამოცდილების ანალიზი.

6504. ისტორიას ერთი უცნაურობა სჭირს: ეპოქის წარმატებათა უმრავლესობას ის არ იზიარებს, თავის რეცენზიებს აღნიშნულ პერიოდზე წარმოაჩენს, საწინააღმდეგო აზრს არ ითვალისწინებს და წარსულს ფაქტიურად დღევანდელობის გადასახედიდან ეჭიდავება. მაგ. ი. სტალინს იმდენი უსაქმოდ დარჩენილი „დამსახურებული“ პარაზიტი პარტიული მუშაკი ერგო მზითევში ვ. ლენინის თანამებრძოლების სახით, რომ იძულებული გახდა ამ ამბიციების მქონე ოპონენტებისთვის „გულაგები“ შეექმნა თავისი რეპრესიული აპარატით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დაპირისპირება ქვეყანას დაანგრევდა. რატომღაც, ამდაგვარ აქსიომებს ისტორიის მთხზვნელნი არ ითვალისწინებენ და დღევანდელი გადასახედიდან თავიანთი ჭკუის დემოკრატიით „ბურთაობენ“.

6505. ისტორიის გადასახედიდან „უღმერთო და დაპირისპირებათა საუკუნეში ერებს მეტი წარმატება ჰქონდათ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ქვეყნის წარმოჩენაში, ვიდრე ფანატიკური რწმენის დროს.“

6506. რუსეთის ისტორიას ყველა თავისი გადასახედიდან ეჩალიჩება, თავად რუსების გარდა.

6507. იტალია სიყვარულისთვის, ფერწერისთვის, მუსიკისთვის, გაჩენილი ქვეყანაა, მაგრამ მას რატომღაც რომაელები ჯიჯგნიდნენ და მუდამ სხვადასხვა რელიგიის მორგებას ცდილობდნენ.

6508. ისტორიას დროის პროვოკაციების და პროვინციებიდან ახლად გამოჩეკილი, წარმატებული, ჯენტლმენების გარეშე არსებობა უჭირს.

6509. ქვეყნის ისტორია უნდა შეაფასოს არითმეტიკამ და დააფასოს მათემატიკამ.

6510. სინამდვილეში ისტორია დიდი მასწავლებელია, მაგრამ მოსწავლეები ჰყავს უნიჭო, უდღეური და წვრილმანი კარიერისტი.

6511. ისტორიულ რეალობას, ჭეშმარიტებას, რატომღაც პოლიტიკოსები უაზროდ მარხავენ და რატომ, რა მიზნით, თუ ქვეყნის მსახური ხარ, ვერ გამიგია.

6512. ისტორიასაც თავის მიუკერძოებელი მოსამართლენი უჩნდება რეალობის და არა დროის შესატყვისად.

6513. სამწუხაროდ, ყველა ცივილიზაციას, ხალხს, თაობებს, ურთიერთობას, პროვოკატორ-გამყიდველი ჰყავს და რატომ, რისთვისაა საჭირო, ჩვენი გონება ვერ სწვდება.

6514. ყველა წესიერი ადამიანი ისტორიკოსი უნდა იყოს, დროის შეცნობით, საუკუნეთა ყნოსვით და წარსულის ანალიზის უნარით და არავითარ შემთხვევაში, სხვის დაკრულზე მოცეკვავე.

6515. კაცურად, დაუმადლებლად, ამქვეყნიდან წასვლა დიდი ვაჟკაცობაა, მაგრამ ვისთვის, თუ ისტორია ამას არ აფიქსირებს და მომდევნო თაობებს გასახსენებლად არაფერს უტოვებს.

6516. ისტორიას ფასი მაშინ დაედება, თუ ქვეყნის ყველა ხელისუფალი, მატიანის გამყალბებლებს თავის ადგილს მიუჩენს.

6517. საქმიანობა პროგრესული და შედეგიანი უნდა იყოს და ამას როგორ მოვახერხებთ, ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

6518. განუსჯელი ძალაუფლება, უაზრო ფანატიზმი, იძლევა დიქტატორს, ინკვიზიციას, რომელიც ისტორიის შავი სამოსის წლებია და მასვე უნდა ამოვაფაროთ, რადგან სამარცხვინოა ასეთი წინაპრის ყოლა.

6519. ყველა ქვეყნის ისტორია სავსეა გულუბრყვილობის და სიბეცის მაგალითებით, რადგან ის, ვინც შერკინების კანონზომიერებებს და მისი წარმართვის კანონებს იცავს, მუდამ „დამარცხებას“ ზეიმობს, მოწინააღმდეგის მოჭარბებულ ძალებს თავს არ აკლავს და დროებით ეგუება.

6520. ერს ძირითადად, მისი ისტორიისთვის დასამახსოვრებელი პირები წარმოაჩენენ და მათი შექება-გინების უფლება არ გვაქვს, ეს დროის ნავსაყუდელმა უნდა გადაწყვიტოს და არა თაობათა ხუშტურებმა, რომელიც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ფორმაციებზეა მიბმული და მათი დღევანდელი მსოფლმხედველობა, ძველის შეუფასებლად, უდღეურია.

6521. ისტორია მისთვის გაუგებარი განვითარების გზით მიდის და მას მორალი, ოპონირება, ვერას აკლებს.

6522. საზოგადოება დილემის წინაშე დგას: ამოარტყას მისთვის მიუღებელი ისტორიის „უგუნურებას“ ჭიტლაყი თუ დაჰყვეს მის ნებას, რადგან მასთან შერკინებას ისევ უგუნურებამდე მივყავართ.

6523. ისტორია მარტივ ცნობიერებასთან არ მეგობრობს, არც „კარტს“ უხსნის, ვინაიდან თავისი ლაბირინთები აქვს, რომელიც დროის, შემთხვევის და ბედის სარკაზმითაა შენელებულ-შეკმაზული.

6524. ისტორია აგებულია ტრაგიკომედიაზე, ღირსების დაცვაზე და მემატიანის პატიოსნებაზე.

6525. ხშირად რომელიმე დარგში, ერთი პიროვნება აკეთებს იმდენს და იმაზე მეტს, რასაც ვერ ახერხებენ მოზრდილი ქვეყნები, სახელმწიფოები, თავიანთი ხელისუფლებით, ხალხით. ისტორიაში ასეთი პიროვნებები თითზე ჩამოსათვლელია, ოღონდ საუკუნეთა გამოტოვებით.

6526. ჩვენი ისტორია ერთმანეთის დაჭმის, ამბიციების გამოჟონვის, გაუხედნავი ნიჭის წარმოჩენის, მცდელობაა, რომელიც მუდამ მლიქვნელობის და ღალატის სამოსელში იყო გახვეული, თუმცა ზოგჯერ გონიერი და მკაცრი მმართველი გამოერეოდა, რათა ეს ქვეყანა, ერი, საბოლოოდ არ გადაგვარებულიყო.

6527. ისტორია, მეორე, მესამე ნომრებს, პირველისაგან განსხვავებით, მატიანეში დასამკვიდრებლად იშვიათად სწყალობს, თუ გინდა პირველი, შემთხვევით, ბედის გახუმრების შედეგი გახდეს.

6528. მეფედ, ხელისუფლად ბევრი იბადება, მაგრამ ისტორიას ერთეულები შემორჩებიან და მასში ყოფნას იმსახურებენ.

6529. ყოველივე იმის შესატყვისად ფასდება, „ნაღვაწი“ რამდენად ეზიარება მარადისობას და არა ის, თავის დროზე რა ფურორს ახდენდა.

6530. კაცობრიობის განვითარება „ვინ-ვის“ პრინციპზეა აგებული.

6531. ქვეყნის ისტორიის ობიექტური შეფასება თავის სამშობლოზე უზადოდ შეყვარებულ ერთეულ პრაქტიკოს გენიოსთა ხვედრია და საშუალო ნიჭმა, პატრიოტიზმმა ამ საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდოს.

6532. ოცნების „სისხლის წვეთები“ წინაპრისას უნდა შევურიოთ, რაღა ისტორიის ამაოებას გვერდი დაუმშვენოს.

6533. ისტორიის სამსჯავრო არ ცნობს ჰუმანიზმს, დამარცხებას, ტერიტორიების დაკარგვას, ზნეობრივად ხელისუფალი რაც უნდა დიდი პიროვნება იყოს.

6534. მჭერმეტყველება აღგვაფრთოვანებს და აზრის სიდიადეში გვარწმუნებს, მაგრამ „სიდიადე“ მივიწყებაში გადადის და ისტორიის საჩიჩქნი ხდება.

6535. არც ერთი ქვეყანა გაქრობისთვის არ არის განწირული, ამიტომ განგების ნაბოძები ქვეყნის ისტორიის გაბახებას უნდა ვერიდოთ, რადგან კარგი ტყუილი, მტერი, უგუნურება, არ არსებობს, უბრალოდ, ყოველივე ზეციურ ნებას ემორჩილება და შეძლებისდაგვარად, მის შესატყვისად უნდა ვიმოქმედოთ.

6536. ისტორია თანაგრძნობას, აღფრთოვანებას, მოითხოვს და არა – ნიშნის მიგებას.

6537. ერი, უპირველესად, შეხლა-შემოხლის შედეგად ძერწავს თავის ისტორიას, შემდგომ მოდის სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა დასაფიქრებელი ატრიბუტები.

6538. ზოგჯერ ქვეყანას იქაური პიროვნების სახელით სცნობენ. ამ დიდი კაცის ისტორიული რეიტინგი სახეზეა და მისი განსჯის უფლება თანამემამულეებს არ აქვთ, მაგ. ი. სტალინი.

6539. ქართველ ხალხს მუდამ ისტორიული ამნეზია სჭირდა და მის განკურნებას საუკუნეთა გამოცდილება არ შველის.

6540. ცოდვები ქმნიან ისტორიას, თორემ ანგელოზების ადგილი, ეტყობა, ზეცაშიც აღარაა.

6541. ისტორიას წერდა და დაწერს ბედის მქონე დიდი ხელისუფალი, რაც შეეხება ხალხს, ის ყოველთვის სამშენებლო მასალა იყო და ისე აშენებდა ძალაუფლებას, როგორც აშენებინებდნენ.

6542. დღეს ისტორიის განვითარების „ბორბალი“ „ბოძალით“ (ისრით) შეიცვალა, რადგან სამყაროს განვითარების ალგორითმმა დედამიწიდან კოსმოსში გადაინაცვლა.

6543. ყველა ისტორიკოსი ფილოსოფოსია თუ მისი იუმორი წარსულის გადაცდენების გამოსწორებაში გვეხმარება.

6544. რასაც ისტორია მოვალეობის გამო აფიქსირებს, ხშირად ხელოვნება ჩუმი აღფრთოვანებით წარმოაჩენს და ინახავს, მაგ. მუსიკას.

6545. ზოგჯერ სიკვდილმისჯილისთვის სიკვდილით დასჯა პატივის მიგებაა, რადგან ამით მან ისტორიაში შესასვლელი და დასამკვიდრებელი კარი შეაღო.

6546. სიყვარულს და აღიარებას ისტორია განკარგავს, დაადგენს ვინ რის ღირსია, ამიტომ საქმე სინდისის ზეწოლით უნდა ვაკეთოთ.

6547. ისტორიული სინამდვილე და წარსულის ნაგლეჯები, ხალხს არ უნდა დავუმალოთ, ვინ იცის, მომდევნო თაობები სად გაიხსენებენ და როგორ გამოიყენებენ.

6548. ისტორიაში საქართველოს, უმთავრესად, მგზავრის როლი ჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ ქვეყნის სადავეების ხელში ჩაგდებასაც ახერხებდა, რა დროით და წარმატებით, სხვა საქმეა, მაგრამ სიამაყისთვის, წატრაბახებისთვის, ადგილს ყველა დროში იტოვებს.

6549. სიმდიდრის განაწილებას გონიერება სჭირდება, ცოტა – შთამომავლობას, ბევრი – საკუთარი სახელის დატოვებას ქვეყნის და

მსოფლიოს ისტორიაში, რათა ბოლოში ყველანი, შთამომავლობაც და საზოგადოებაც, კმაყოფილი დარჩეს. მაგ., ალფრედ ნობელი.

6550. ისტორიულ პიროვნებად ის უნდა ჩაითვალოს, რომელიც ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნების შემთხვევაშიც კი წარმატებული გამოვა.

6551. ისტორია ყოველთვის იყო ვაჭრობის საგანი ტყუილ-მართლის და გულმავიწყობას შორის.

6552. ყველა ქვეყანას თავისი დიდების ისტორია აქვს, რომელსაც არ უფრთხილდებიან, მაგრამ ნიშნის მოგებით იხსენებენ.

6553. დასახული მიზნის მისაღწევად ხელისუფლება ხშირად ისტორიის ფალსიფიცირებას ცდილობს.

6554. ყველა თაობა ისტორიას კითხვებს უსვამს და თავისი დროის პოლიტიკას შესატყვისად ახმოვანებს.

6555. სახელმწიფო დაკავებული უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკით, ხოლო ისტორიამ უნდა მიხედოს სიძველის „ყორღანებს“ დროსთან შერწყმით და ძველის ანალიზით.

6556. ზოგჯერ ეპოქის ცვლა აიძულებს ისტორიას ფაქტების „გადაწერას“.

6557. იმ დროის გაწვრთნას ვცდილობთ, რომელშიც ვცხოვრობთ, ისტორია კი წვრთნის მათრახს არ ემორჩილება.

6558. ისტორიის ანალიზზე სამყაროს მცხოვრებთ, რატომღაც, ხელი არ მიუწვდებათ.

6559. ისტორიამ ჩვენი გენეტიკის კოდის უგუნურ განყოფილებას ვერაფერი ასწავლა თუმცა ვიცით, რომ წინაპართა შეცდომების გათვალისწინება ჩვენს შესაძლებლობებს საგრძნობლად აამაღლებს.

6560. ზოგჯერ მცირე ბოროტების ჩადენა აუცილებელია, რათა დიდი ბოროტება თავს არ დაგვატყდეს და ფესვი არ გაიდგას, მაგრამ ისტორიას ამის განსჯა ყოველთვის უჭირს, რადგან ის ფაქტების მონაა.

6561. ისტორიულ ფასეულობები, რომელსაც დროის ყივილის შესატყვისად გადახედვა და „შეჯანჯღარება“ არ სჭირდება, ჩუმი ბედნიერებაა ერისთვის.

6562. ისტორია თავისთვის იღვწის, ხალხი თავისთვის „ჩალიჩობს“, ამასთან ურთიერთგამოცდილებას უყურადღებოდ ტოვებენ, რადგან თავისი წილი ფეხი ყველამ თავის დროში უნდა წაიტეხოს.

6563. საქართველოს ილია ჭავჭავაძისთანა დემოკრატი, გიორგი ბრწყინვალესნაირი ავი დიქტატორი და დავით აღმაშენებლისნაირი კეთილშობილი მეფე არ ჰყოლია, მაგრამ ქართველს არც საკუთარი

ისტორიისადმი რეალურად თვალის შევლება ეხალისება, არც სიახლის სწავლება მოსწონს და ამქვეყნად სასიკეთოდ გამოსაყენებელ დროს თავისი ამბიციებით მიერეკება.

6564. ისტორიისთვის საჭირო ხალხს ქალები აჩენენ, ხოლო მამაკაცები მათზე წერენ, თავის სახელსაც შიგ აკვეხებენ და უკვდავყოფენ.

6565. ისტორიაში ყველაფერი აპრობირებულია, მაგრამ ხალხია გულმავიწყი, – საზოგადოება კი – ბითური.

6566. ისტორიული გარდაუვალობა თავად ალაგებს მოზრდილი იმპერიების აღზევებას და დაცემას, ხოლო რაც შეეხება პატარა ქვეყნებს, ამ პროცესებს ფრთხილად და მომავლის იმედით უნდა შესაციცინებდეს, რათა ამ დიდი ქვეყნების გარდაუვალი ტრაგედიის ნანგრევებში არ მოჰყვნენ და მათდაუნებლიედ არ აღიგავონ.

6567. ყველაზე ძნელია ისტორიის კურიოზებში გარკვევა, რადგან დღევანდელი გადასახედიდან ჩვენთვის ცნობილ კანონებს არ ემორჩილება.

6568. ისტანალიზის დანიშნულებაა, რომ ქვეყანა, სახელმწიფო წყობა, გარდაქმნამ, რეფორმამ, არ გადააგვაროს, ტერიტორია არ დააკარგვინოს, მოსახლეობა არ შემცირდეს და არა – მხოლოდ მატიანის შესწავლა და წინაპრების დანანებით გახსენება.

6569. ფაქტოლოგია და ისტორია ხშირად ერთმანეთს ვერ ეწყობიან, მაგრამ თანადგომას ასე თუ ისე ახერხებენ.

6570. ისტორია პოზიციის გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ პოზიციაც საშუალო-შეწონილი უნდა იყოს, ამასთან დროისათვის გასაგები და ყველასათვის ასე თუ ისე მისაღებიც.

6571. ყველა ისტორიაში იმ უნივერსალური ანკესით შეიძლება ჩალიჩი, რომელიც რასაც გინდა იმას ამოათრევს იმ დროის მღვრიე მდინარიდან.

6572. ისტორიის შეურაცხყოფაა მომავლის ნეგატიური შეფასება-პროგნოზი, რომელიც პირველ რიგში სამშობლოს ინტერესების გაცნობიერებას უნდა ემსახურებოდეს და არა – საკუთარ კეთილდღეობას.

6573. ისტორიისთვის დაკარგულია ის საზოგადოება, რომელიც წყალს ამღვრევს ათასი სისულელეების და ჭორების ყურით მოთრევით, ვითომდა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

6574. ფაქტობრივად ისტორიის მეპატრონენი არიან დიდი და ძლიერი სახელმწიფოები, ხოლო მათ რაობას დრო განსაზღვრავს და განსჯის საუკუნეთა გადასახედიდან.

6575. ისტორიაში მომხდარი ყველა ამბავი თოვლის ფიფქია, მთავარია, რა დროს და როგორ ისტორიას ვაგრძელებთ და ეს ისევ ქვეყნის შესაძლებლობებზეა დამყარებული.

6576. ისტორიას ყოველთვის უნდა ახლდეს იდეოლოგიის ზომიერება, შედარებით ჭეშმარიტების დასადგენად, რადგან ის მაინც ზოგად მეცნიერებას განეკუთვნება და არა – ზუსტ მეცნიერებას.

6577. ყველა მემატიანე შეცოდების ღირსია, განსაკუთრებით ისინი, ვისაც საქართველოს მსგავსი ქვეყნის ისტორია აქვს აღწერილი თავის სალამ-ქალამის გათვალისწინებით.

6578. მეთანხმებით – არ მეთანხმებით, მოსახლეობას მაინც ერთი გამორჩეული ხელისუფალი ჰყავს, რომელიც ერის ისტორიას თავისი თავით წარმოაჩენს.

6579. ისტორიამ ბევრი კარგი ცხოვრებისეული წესი, სიბრძნე და გამოცდილება დაგვიტოვა, მაგრამ რატომღაც ადამიანები რაციონალური მარცვლისთვის ფუჩეჩის მოცილებას ვერ ახერხებს და არც ცდილობენ.

6580. ისტანალიზს საკუთარი ბავშვობის გამოსწორებაზე ხელი მიუწვდება თუ წარსულის და აწმყოს მაჩვენებლებს ყოფის დროის ინტეგრალებით გაეთამაშება.

6581. კარგი საქმის უდრტვინველი კეთებაც კი ისტორიაში ადგილს გვიჯავშნავს, გვიმზადებს.

6582. ყველა ხელისუფლება ისტორიაში ხელს უფათურებს და თავის წარმოჩენისთვის იღვწის.

6583. ისტორიაში ბევრი არასასურველი მოწმე და მოწმობა რჩება, რომელთა განადგურებას ბოლომდე ვერც მეხსიერება ახერხებს, ვერც მატიანე და რეალობაც მათ მხარეზეა.

6584. ისტორიის გადაწერას ის ხალხი უწყობს ხელს, რომლებსაც შემდგომ ან ხვრეტენ ან სულიერად იმორჩილებენ.

6585. სამწუხაროდ, წინასწარმეტყველებას ისტორია უგდებს ყურს და არა – დრევანდელობისთვის მიუღებელი აზრები.

6586. ისტორიას თუ გადავხედავთ, ჭირი, ომი და შიმშილი, ნარკოტიკთან და ალკოჰოლთან ერთად, ადამიანთა გასანადგურებლად და „დასაჩმორებლად“ არის შემოგზავნილი.

6587. ისტორიის შეცდომებს რომ თავი ავარიდოთ, მისი მენიუდან საბოლოოდ უნდა ამოვიღოთ რევოლუცია, „პერესტროიკა“ და ვითომდა რეფორმები.

6588. ზოგჯერ შენი ერის წარმატებით ამაყობ, ზოგჯერაც ნაღველი შემოგაწვება, მაგრამ საკაცობრიო ისტორიას თავისი გეგმა და

ზრახვები აქვს, ერის აღმა-დაღმა სიარულისთვის.

6589. ყველა ეპოქა თავის დროის კაურების შიშს განიცდის, რათა ქვეყნის ისტორიის წინაშე არ შერცხვეს და ბიშტი უჩვენოს.

6590. ადამიანი, ფაქტობრივად, იმაზე მეტად ხდება ისტორიული გარდატეხის მონაწილე, ვიდრე თავად აცნობიერებს და ჰგონია.

6591. ისტორია იწყება იუმორით, სისხლით, ლექსით, აგრესიით, სიკეთისთვის ცხვირის მოხოცვით, ყოფის თავიდან დაწყებით და თავის წარმოჩენით.

6592. ისტორიას რომ ავანტურისტები არ ჰყოლოდა, არც დაიწერებოდა.

6593. როგორც ისტორიის გამოცდილება გვკარნახობს, ინტელექტუალურად დაუმახინჯებელი და კეთილი ბუნების ადამიანს ქვეყნის მართვა და სახელმწიფოს გაძღოლა არ უნდა ვანდოთ, რადგან ხელისუფალი გონივრულად მოხერხებული უნდა იყოს და კანონმორჩილად მკაცრი.

6594. ისტორიას ცუდი და კარგი დრო არ აქვს, გააჩნია, ვინაა შენი მეზობელი, ვინაა ქვეყნის სათავეში და ხალხს რა ხუშტურის გუნებაზე დააყენებს.

6595. ივაჭრო გაპიარებული სახელით პრობლემა არაა, განსაკუთრებით, მათთვის, ვისაც ისტორიაში ადგილის დამკვიდრება უწერია, მთავარია, დამსახურება შთამომავლობამ ჩაუთვალოს.

6596. ისტორიას ის ხელისუფალი შემორჩება, რომელიც შედეგზე აგებს პასუხს და არა – პროცესზე.

6597. ფანატიზმი ყოველთვის ცუდი სიტყვა არ არის, ზოგჯერ ჩვენს სახელს ისტორიაში აბანდებს.

6598. ფიქრით ჩვენს წარსულს და მომავალს ვაწუხებთ და აწმყოს კი – დღევანდელობის რეალობით.

6599. ცხოვრების ალიყურების დამსახურება უდიდესია კაცობრიობის ისტორიის წაღმა შემოტრიალებაში.

6600. წარსულის შეცვლას, რაც თვით ღმერთსაც არ შეუძლია, დღევანდელი პოლიტიკის კონიუნქტურებს აყოლილი ისტორიკოსები ცდილობენ.

6601. ქვეყნის მატიანედან მხოლოდ ფაქტებით გაჯეჯილება „ისტანალიზის“ – გააზრების გარეშე, ისტორიის რაობის მადლს დააკნინებდა.

6602. სამყაროს საწყისი, ასე თუ ისე, მეორდება, თუ გონიერებას არ მოვუხმობთ და მოსახლეობა იმ დონეზე გამრავლდება, რომ საკვები საძებარი გახდება, კანიბალიზმის მოდაც არ დააყოვნებს და უკვე განვლილი ევოლუცია თავიდან დასაწყები გახდება.

6603. სამწუხაროდ, ისტორიკოსებს უახლესი წლების განსჯა და სამართლიანად აღწერა უჭირთ, თორემ რამდენიმე საუკუნის წინანდელ ამბებს არც განსჯას აკლებენ და არც „ჭკუის დარიგებას“.

6604. სიცრუეზე აგებული ისტორია ერს მისდაუნებლიედ წამლავს და რა შედეგს გამოიღებს გარკვეულ გარემოში, არავინ უწყის.

6605. რეფორმატორები და ისტორიის გასახსენებელი პირები, საბოლოოდ, უფრო მეტს ანგრევენ, ვიდრე აშენებენ, მაგრამ პროგრესს მაინც ისინი უდგანან სათავეში.

6606. მთავარია ისტორიაში დარჩე და არა გარკვეული კარიერის აღმასვლის შემდგომ უკვალოდ გაგაცილონ.

6607. აწმყოსთვის ისტორია მომავალი ჩვენი ყოფიერების, სარკეა, მაგრამ რატომღაც მის ანარეკლს სჯერდება.

6608. ისტორიკოსს უფლება არ აქვს ხელისუფლებას საამებლად უკანალში შეუძვრეს და ისტანალიზი თავდაყირა წარმოაჩინოს.

6609. ისტორია მაინც „ნაძირალა“ მეცნიერებაა, რადგან ყველაზე უკეთ ის ემსახურება მედროვეებს.

6610. ისტორიული მეხსიერების გარეშე არც ეროვნულობა არსებობს, არც სარწმუნოება, არც თავისუფლება და არც ქვეყნის მოქალაქედ დარჩენის სურვილი.

6611. დღევანდელი ისტორიისთვის განკუთვნილი კაურები წარსულის გამოცდილების არავითარ მაგალითს არ ითვალისწინებენ.

6612. ისტორიის ზიგზაგები მასის ცნობიერებაზე ცუდად მოქმედებს, განსაკუთრებით, თუ მასში გაუმართლებელი ამბიციების და ისტორიის გაკვეთილების უცოდინარი და ახლად აღმოჩენილი „ელიტა“ ჩალიჩობს სამშობლოს, თავისუფლების და პატრიოტიზმის „ბაიათით“.

6613. ხშირად ისტორია კორექტივების გარეშე მეორდება, მაგრამ ხალხი ამას რატომღაც უკორექტივოდ, დაუფიქრებლად, იღებს.

6614. ისტორია ბევრ მწარე ფურცელს ინახავს, რომელთა გადაფურცვლასაც მომდევნო თაობები უხალისოდ ცდილობენ, იმის მაგიერ, რომ მონდომებით გადაფურცლონ და წარსულიდან რაღაც ისწავლონ.

6615. ისტორია ის დეტექტური რომანია, რომელიც შეიძლება იყო, შეიძლება არ იყო, მაგრამ აქვს შანსი მატიანეს შემორჩეს.

6616. ისტორიის სამსჯავროში არაორდინალური ხალხი გრიალებს, მაგრამ არა – გონიერი.

6617. ისტორიისთვის ადამიანი, პიროვნება, ხელისუფალი, სხვადასხვა ცნებაა და მათ სხვადასხვა მოვალეობა აწევთ, აკისრიათ, სამშობ-

ლოს და ერის წინაშე, ხოლო მათ ქმედებათა გაიგივება დანაშაულია ქვეყნის და სამყაროს წინაშე, რადგან რაც ერთს ეპატიება, მეორეს მომდევნო თაობები არ აპატიებენ.

6618. ისტორია ან იყო, ან არ იყო, ან შელამაზებულია, მაგრამ სინამდვილის პწკარედებს მაინც შეიცავს და გონიერების უჯრედებს საქმეს უჩენს.

6619. ისტორიას თავისებური უცნაურობები სჭირს, ხან ერთ ადგილზე გაიყინება, ხანაც ხტუნვა-ხტუნვით წინ მიიწევს, მაგრამ ყველაზე უფრო მისი ევოლუციური განვითარება ამართლებს ყოველგვარი დაძაბულობის, გარდატეხის და „პერესტროიკის“ გარეშე.

6620. ისტორია ფალსიფიცირებას ვერ იტანს და მუდამ დაღვინებისკენ მიისწრაფვის, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საუკუნეთა „მეღვინეები“ თავიანთი პოლიტიკური წყლით ფალსფიცირებას ცდილობენ.

6621. ზოგჯერ ისტორიის მახსოვრობა უცნაურიცაა და დამცინავიც, ყველამ იცის, არტემიდას უმშვენიერეს ტაძარს ხანძარი ვინ გაუჩინა და დაწვა – ჰეროსტრატეს სახელი, მაგრამ ვინ ააშენა და შექმნა, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი ეს მშვენება, დღემდე უცნობია.

6622. ჯილდოს იმსახურებენ და პროტექციითაც იღებენ, მაგრამ მის „კაშკაშს“ ამით არაფერი აკლდება, რადგან ისტორია ამ ჯილდოებს აფიქსირებს ყოველგვარი განმარტების გარეშე.

6623. ისტორიაც მატერიალურია და ისიც დროის განწყობას, პოლიტიკოსების გათავხედებას, ემორჩილება, მაგრამ დროებით.

6624. ისტორია ფასს მაშინ იდებს, როდესაც მასში აღწერილ შეცდომებს მომდევნო თაობები ითვალისწინებენ, პოლიტიკანობის გაუმეორებლად.

6625. ჩვენი ისტორია მარად გონიერების ალიყურს იმსახურებს, მაშინაც კი, როდესაც დიდების კვარცხლბეკზე იდგა, რადგან მომავალი ვერ განჭვრიტა.

6626. უგუნურების დოღი ისტორიაში შემონახულ ყოფის ალგორითმებს ვერას აკლებს.

6627. არც ერთ ჩვენს წინაპარს იმ სწორ გზაზე არ უვლია, რომელსაც დღევანდელი ცნობიერება ბოლომდე მხარს დაუჭერდა.

6628. კაცობრიობის ისტორიას გარკვეული დროის სირცხვილი ხან კვადრატში აჰყავს, ხან – კუბში და აანალიზებს, მაგრამ ვერ გარკვეულა.

6629. ერის ისტორიის სასიკეთოდ „მოთარგმნა“, მის გამოცოცხლება-გაამაყებას იწვევს.
6630. ისტორია ყოველთვის მეორდება, მაგრამ არა გეგმაზომიერად, დროის განუსჯელად და ამიტომაცაა, რომ მას მარად მოუმზადებელი ვხვდებით.
6631. ისტორიას ადამიანთა მიერ შელამაზებული ნამოქმედარი უფრო სჭირდება.
6632. წარსულს არ ასწორებენ, მასზე მსჯელობენ, სიამით ან ნაღველით იხსენებენ, აწმყოს გადასახედიდან.
6633. მორალი და ისტორიული ფაქტები, დღევანდელობის გადასახედიდან, ხშირად ერთმანეთს ვერ უგებენ.
6634. ისტორიის ჩარხის შემობრუნება, თანაც ვიღაცის ჭკუაზე, შეუძლებელია.
6635. ზოგჯერ ისტორია მისთვისაც გაუგებარ „ზღაპარს“ თხზავს, რომ თანამედროვეებს ასიამოვნოს.
6636. ისტორიაში წინასწარ ჩაფიქრებული და განუხორციელებელი ფაქტებიც ანალიზს მოითხოვს, რათა მომდევნო თაობებმა მოსალოდნელი შეცდომები გაანალიზონ.
6637. ისტორია, უპირველესად საუკუნეების ნაჯიჯგნი აზრებით ლაქლაქია.
6638. მტერს არ უნდა შევეპუოთ, მაგრამ მისი განსჯა და გამართლება უნდა ვისწავლოთ, თუ ეს ისტორიულად აუცილებელია.
6639. ისტორია, დრო და დრო, დადგენილ დოგმებს ალიყურს აჭმევს დროის ყივილის, ტექნიკური პროგრესის და ახალ თაობათა მენტალიტეტის შესატყვისად.
6640. რატომღაც მომდევნო თაობა წინა თაობას გმირობად უთვლის იმას, რასაც თავად დღეს ამას არ გააკეთებდა, მაგ. 1924 წლის აჯანყება კომუნისტების წინააღმდეგ, რომელსაც ამდენი ხალხი უაზროდ შეეწირა. რადგან გმირობა მეხსიერების გასაჯეჯილებლად კი არ გვჭირდება, არამედ რეალური საქმის საკეთებლად და შედეგის მისაღებად.
6641. უდრტვინველი, მშვიდობიანი, ყოფა, ისტორიის არასაჭიროებაზე მიუთითებს.
6642. ჩვენ შინაგანად ყველანი იმისთვის ვიღვწით, რომ ისტორიამ დაგვიმახსოვროს და არა იმიტომ, რომ ისტორია დავიმახსოვროთ და მისი განსჯით შემოვიფარგლოთ.
6643. ისტორიაში ბედნიერი ეპოქები ოაზისებივითაა მიმოფანტული, რათა ადამიანებს, ერებს, გასახსენებელი ჰქონდეთ და ახალი ოაზისების შექმნის იმედი საბოლოოდ არ გადაეწუროთ.

6644. ისტორიის მთქნარება და როკვა მშვიდობა-ომის განზომილებაზეა დამყარებული.
6645. ისტორია კულტურის გარეშე კი იარსებებს, მაგრამ უმისოდ ცხოვრება ჭირს.
6646. ისტორიის „ნაგავი“ უნდა კარგად დაამუშაო – რაღაც გამოსაჩხრეკი მაინც დარჩება.
6647. ზოგჯერ ისტორია რეზიუმეს სახით მხოლოდ გენიოსის სახელს შემოგვინახავს მისი ბიოგრაფიის და საქმიანობის მინიშნების გარეშე.
6648. ყველა სახის სიდიადე ფასობს, რაც ისტორიას შემორჩება.
6649. ისტორიული მომენტების „სათავისოდ“ აღდგენა ის კაიფია, რომელიც ერს იმედს უსახავს და წინაპართა სახელით გმირობისკენ უბიძგებს..
6650. ისტორიის დანაშაულია, „ავისმკეთებლებს“ რომ გუნდრუკს უკმევს და სიკეთის მკეთებლები ხშირად თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან.
6651. ისტორიაში შეიძლება ყველა ნაძირალა მოხვდეს, ხოლო მატიანე ქვეყნის სიკეთის მომტანთათვისაა განკუთვნილი.
6652. ცნობილ და ყველას მიერ შერისხულ ადამიანს, ისტორია სავარძელს უთმობს.
6653. ერთმა თაობამ ერის ისტორიისთვის ისეთი სისულელე-შეცდომა არ უნდა ჩაიდინოს, რომლის გამოსწორებაც მომდევნო თაობებს გაუჭირდეთ.
6654. ქვეყნის ისტორიას თვალის შევლება სჭირდება თავისი ანალიზით და არჩევანით.
6655. ისტორიას დისტანციის დაცვა არ უყვარს, ის უფრო კატაკლიზმების მომხრეა, თავისი დამახსოვრებით და განსჯით.
6656. ისტორია აზრთამპყრობელთა ნაკლულობას ყოველთვის განიცდიდა.
6657. პიროვნების ადგილს ქვეყნის ისტორიაში დრო აფასებს, აწმყოში ეს მისია მათემატიკამ უნდა იკისროს, რადგან მხოლოდ აღქმით შეფასება უმეცრებაა.
6658. ისტორიას ყოველთვის დროს გაყვანა და დისტანცია სჭირდებოდა და დასჭირდება ჭეშმარიტების დასადგენად.
6659. „ძლევამოსილი“ ბიჭები დროის მიერ მოვლენილი პიროვნების ნებას ემორჩილებიან და თუ გაუმართლათ, ისტორიასაც შემორჩებიან.

6660. მატიანეში მთავარია ვის რამდენი გმირი ჰყავდა ერის წარმოსაჩენად და არა – ვის რამდენი რაკეტა აქვს სხვათა გასანადგურებლად და „ფორის“ მისაღებად.

6661. ყველა ერს მატიანის ძვირფასი ფურცლები ეროვნულობის აღმავლობის წარმოსაჩენად აქვს შემონახული, ამით აწმყოსთან თავი მოაქვს და უკეთესი ისტორიისთვის იმედს იტოვებს.

6662. მეისტორიეებს წარსულის ასლებს თავიანთი შეხედულებისამებრ ავრცელებინებენ ძლიერნი ამა ქვეყნისა.

6663. ბედნიერია ის ერი, ვინც თავისი უკვდავების ისტორიას სამყაროს გაქრობამდე მიიტანს.

6664. წარსული არ შეიძლება გადამწიფებულ ხესავით მოვჭრათ, თუ აწმყომ ფეხის გადადგმა ღირსეულად ვერ მოასწრო, რადგან ერის ისტორია დაჩიავდება, სადავო გახდება.

6665. ისტორია ხშირად მის მიერ დახატული ასლებით ცდილობს თავის წარმოჩენას, ერის გაამაყებას და თანამედროვეთა „გაბახებას“.

6666. ისტორიას უამრავი ოქრო-ვერცხლი აქვს დამარხული, ამოუბრწყინებელი ნიჭის წყალობით.

6667. ისტორიის უაზრობას ვერც ასაკი აკლებს რაიმეს, ვერც საუკუნეთა ყივილი და ვერც ტექნიკური პროგრესი.

6668. ისტორიის საწყისისაგან განსხვავებით, მისი ფინალი ყველას ამახსოვრდება.

6669. ისტორია ძირითადად ავ გენიოსებს შვილობს.

6670. ისტორიის ბანქო დიდი ხანია გახსნილია, მაგრამ ბევრი დღესაც მასში შულერობას ცდილობს.

6671. ისტორია იმიტომ არსებობს როგორც მეცნიერება, რომ მისგან რაღაც უნდა ვისწავლოთ, დასკვნები გამოვიტანოთ და უკეთ შევიცნოთ საკუთარი ხალხის ბუნება და ხუშტურები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საჭირო არ არის და ბრბოს გონებას უბნევს.

კანონი

6672. მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ ის კანონის გამგებელია და არა – შემთხზველი.

6673. შთაგონება დაუყოვნებლივ ხელების დაკაპიწებას და შედეგს მოითხოვს.

6674. დანაშაული და სასჯელი ყოველთვის არაადეკვატურია, რადგან არავინ უწყის აქედან რა გამოდნება.

6675. ძნელია პერსპექტივის მქონე ცდუნებას გაუძლო, მიუხედავად კანონის სიმკაცრის ცოდნისა.

6676. ორი სიმართლე და დაპირისპირებული ყაიმი არ არსებობს, თუმცა გააჩნია ვექილს.

6677. დღეს ერთმანეთს არც შეურაცხყოფილი სწყალობს და არც შეურაცხყოფის მიმყენებელი, რადგან კანონში გამოჩნდა მუხლი, რომელიც შეურაცხყოფისათვის ჯარიმას ითვალისწინებს.

6678. კანონის აღსრულებას თუ პოლიტიკური ნება ძალის გამოყენებით არ ახლავს, ის კანონი ვერ მუშაობს.

6679. როდესაც კანონი უსუსურია, პროფილაქტიკას ვერ ეწევა და მისი უზენაესობის დიქტატი ნაკლებად აინტერესებთ, ასეთი საზოგადოება და კანონის შემთხვზელნი ფურთხის ღირსია.

6680. კანონის მოხერხებულობად დარღვევა ამშვენებს და სულს – კანონისადმი მოწიწებით ნაჩვენები ბიშტი.

6681. თეორიულად სამართალი და სიმართლიანობა უკვდავია, პრაქტიკულად – ვერაგია და გამყიდველი.

6682. მართლმსაჯულება თავის „მეობას“ და კანონის უზენაესობას ერთდროულად უნდა დღესასწაულობდეს.

6683. კანონის სიმრავლე და მისი მოუმზადებელი დეკლარირება, დანაშაულის ზრდას იწვევს ცხოვრების ყველა სფეროში.

6684. თავშეკავების უნარი და კანონის პატივისცემა, მისი ცოდნა – არ ცოდნის მიუხედავად, ერთიდაიგივეა.

6685. სიმართლე და სამართალი ხშირად თავის გზას ნახულობს და წარმატებას ნაღველით ზეიმობს.

6686. უსამართლობა ყველაზე საშიში იარაღია, მაგრამ არეული ქვეყნის მცხოვრებთა დასაწყნარებლად მას ხშირად კანონსა და დადგენილებებს ამოფარებულს იყენებენ.

6687. კანონი ხალხსაც უნდა იცავდეს და თავის დაცვაც არ უნდა უჭირდეს.

6688. კანონი იმისათვის კი არ არსებობს, რომ მეძავი ქალივით ყველას ასიამოვნოს და გასამრჯელო მიიღოს, არამედ იმისათვის, რომ ყველას მისი რიდი ჰქონდეს და უპირობოდ აღსრულდეს.

6689. უსამართლობას მრავალი სახე აქვს ყველა სამართლიანი კანონის და ტრადიციების საწინააღმდეგოდ.

6690. თავისუფლება, დემოკრატია, საკუთარი თავის პატივისცემა, კანონის მონობისგან და მისი უზენაესობის შეცნობისგან იწყება.

6691. კანონის გათავისებას სულის მოფერება სჭირდება, რათა ადვილად ასატანი იყოს.

6692. ხელისუფალი კანონის მონა უნდა იყოს, ხოლო კანონი ხელისუფლებას, მასზე დაუკითხავად, ქვეყნის მართვის უფლებას უნდა აძლევდეს, რათა კანონების შემუშავების დრო მუქთად არ დაიკარგოს.

6693. სასამართლოს კანონის თოხარიკით ტარების უფლება რომ ჰქონდეს, გადაცდენას ლაგამი უნდა ამოსდოს და დამნაშავე საკადრისად დასაჯოს.

6694. წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, მხარდაჭერის გარეშე, კანონს კანონიერების ძალის დაცვა უჭირს.

6695. ყველა კანონს თავისი ღირსება, ღირებულება, რწმენა, უნდა გააჩნდეს, რათა მან სარგებლიანად ილვაწოს.

6696. არის დანაშაული, რომელსაც კანონისაგან განსხვავებით, საზოგადოების გარკვეული ნაწილი „მხარს უჭერს“, რადგან ამ საკითხში ხელისუფლების მცდელობა სრულყოფილად არ მიაჩნია.

6697. გონიერად დაწერილ კანონს, ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის შემოღების შემდგომაც, ჩასწორება არ დასჭირდება.

6698. საკუთარ შეცდომებს, გადაცდენებს, კანონის და მითითების გარეშე უნდა მივხედოთ და მოვუაროთ.

6699. კანონი და აკრძალვები ერთმანეთს უგებენ, მაგრამ საწყისი სხვადასხვა აქვთ.

6700. ზოგს კანონის ეშინია, ზოგსაც – ბედის სიმუხთლის, გააჩნია, ვის რა ცოდვა აწუხებს და რა მიზანი აქვს დასახული.

6701. თავისთვის მსჯავრი ყველას თავის სასარგებლოდ გამოაქვს.

6702. გარდაუვალობისთვის კანონი, მორალი, კაიკაცობა, არ არსებობს.
6703. თავად სირცხვილი უფრო მეტია, ვიდრე ყოვლისმომცველი კანონი.
6704. დამნაშავე ციხეს რომ არ მიეჩვიოს, ხომ არ სჯობდა პირველ დანაშაულზე გაფრთხილებით და ფეხზე „ელექტრობორკილის“ დადებით დავკმაყოფილებულიყავით, უფრო იაფიც დაგვიჯდება, რეციდივიც ნაკლებად გამეორდება, რადგან უმეტეს შემთხვევაში ციხე დამნაშავეს არ ასწორებს.
6705. ბუნებრივ და ქვენა გრძნობებს, ჯერ-ჯერობით, კანონს ვერ უყენებენ.
6706. დღეს, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, კანონის დიქტატორების გარეშე ბევრი მოწინავე ქვეყანა ვერ იარსებებდა.
6707. კანონიერების პირველი მტერი ფულია, მის დამცველს ან კარგი ჯამაგირი უნდა დავუნიშნოთ ან თვითდაფინანსებაზე გადავიყვანოთ და სხვადასხვა დანაშაულებიდან ამოღებული თანხიდან გარკვეული პროცენტი მივცეთ.
6708. გონიერება ყველაზე მეტად კანონების შეთხზვას სჭირდება, რათა ის სამართალიანი და აღსრულებადი გახდეს.
6709. სიტყვა და კანონი ლაკონიურობით იმსახურებს პატივისცემას.
6710. ყველაზე დიდი საშინელება ყასიდად კანონს და კანონიერებას ამოფარებული წინდახედული ხელისუფალი, რადგან მისი დროულად მოშორება საეჭვო ხდება.
6711. სიკეთის კეთების სურვილი ყველასთვის მისაღები სამართალია.
6712. ჭორს ბევრი ოჯახი აქვს დანგრეული, მაგრამ უფრო მეტი – სიმართლიანობის ძიებას.
6713. სიკეთის კეთება ზოგჯერ კანონის დარღვევის დასაფარავად არის ჩაფიქრებული.
6714. დასჯას პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს და ტვინადუღებულებს მათთვის შეუმჩნევლ რემონტს უტარებს.
6715. ყველანი უცოდველები ვართ, სანამ ფაქტი ცხვირში არ ამოგვარტყამს.
6716. „წარუმატებელი“ სიმართლე სიმართლედ არ აღიქმება, რადგან მას სრულყოფა, დაღვინება და კანონთან შეჭიდების ცოდნა სჭირდება.
6717. კრიტიკა თავისუფალი და საქმიანია მაშინ, თუ „სადაც ჯერ არს“ რეაგირებენ და არა „წერე და იკითხესავით“ გვერდზე მიაგდებენ.
6718. „ჭკუაგახსნილებს“ ამა თუ იმ სათაო საქმის კეთება იმიტომ არ სჭირდებათ, რომ კანონის სიმკაცრე ამის სურვილს უსპობთ.

6719. სამართლიანობა აერთიანებს იმ რესპუბლიკებსაც, რომლებიც ეროვნულობის მომიზეზებით, ერთმანეთს უმადურად დაშორდნენ.
6720. სამართლიანობის მიმდევრები ბრძოლის უნარს არ კარგავენ, მაგრამ თანდათან ბრძენდებიან, ნაკლებად პრინციპულები ხდებიან და გამონაკლისსაც უშვებენ.
6721. კანონის კანონიერების გამოხატვის მცდელობა სინდისიერებას მოითხოვს კვადრატში.
6722. პროფილაქტიკა დედაა წესიერების, ხოლო უწესოებისათვის თავის მოკვეთა კანონის მამას ევალება.
6723. თავისუფლება დიდებული სიტყვაა. მაგრამ თავისთვის უფლების მიცემას ხშირად კანონი განსაზღვრავს.
6724. კანონს და კანონიერებას მუდმივად მფარველობა, განახლება და მოვლა სჭირდება, რადგან მისი გავერანებაცაა შესაძლებელი.
6725. სამართლიანი სამართალი ამღვრეული გონიერების დაწმენდის საშუალებაცაა.
6726. მაგარ-მაგარი სიტყვები კანონის ძალას ვერ ფლობს, მაგრამ გარკვეული ეფექტი ახლავს.
6727. მორალის აღზრდაც შეიძლება კანონის და იდეოლოგიის წახმარებით.
6728. კანონი მარტო შეგნებაზე დაყრდნობით არ ამართლებს, თუ ყურს მათრახის ტლაშუნიც არ ესმის.
6729. კანონის ძირითადი დანიშნულებაა პროფილაქტიკა, შემდგომ – ძალა და დასჯა.
6730. შედეგის მისაღწევად ზოგჯერ კანონის უგულებელყოფაა საჭირო და ამას, გამონაკლის შემთხვევაში, სახელმწიფო სჩადის და მას საგანგებო მდგომარეობას უწოდებს.
6731. სიმართლე და სამართლიანობა ყოველთვის ვერც პურს სჭამს და ვერც ბოლომდე იცინის, რადგან ამ დაულაგებელ ქვეყანაში შეიძლება მისი სიცილი საბოლოო გამოდგეს.
6732. კანონს ყველანი ვემორჩილებით შეძლების და შესაძლებლობათა გათვალისწინებით.
6733. ყოფის კანონების სწავლა კი არ არის ძნელი, არამედ მისი გათავისება, რომ არ შეგაცდინონ.
6734. ბედნიერებაა, დღესვე და გადაუდებელად, ოცნების მარადისობის კანონია.
6735. კანონის და კანონიერების პატივისცემის სწავლების გარეშე, ყველა მცდელობა ადამიანის სწორ გზაზე დაყენებისა გამორიცხულია.

6736. რა არის პატიოსნება, ძნელი სათქმელია: თუ შენ კაცის შველა შეგიძლია, ოღონდ კანონის დარღვევით და ამას არ გააკეთებ, ჩემთვის ასეთი ადამიანი კაცი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მე კანონმორჩილი და მისი პატივისმცემელი ვარ.

6737. ყველა საქმეს ორივე მხრიდან დანახვა სჭირდება და სწორედ ამის შემდგომ ხდება მისი გარჩევა ძნელი.

6738. გარეგნულად ერთი ადამიანი მეორეს ასამართლებს, ფაქტობრივად კანონი თავისი ძალის ჩვენებას ზეიმობს.

6739. სამართლიანობის ალგორითმები ამ ბოლო დროს ისე მომრავლდა, რომ თავად სამართლიანობას სამართლიანობის გარკვევა და განსჯა უჭირს.

6740. კანონი ტრადიციებთან, თანამედროვეთა შეგნებასთან, ახლოს უნდა იყოს, თუ გვინდა უნაკლოდ „იმუშაოს“.

6741. სამართლიანობა ისიცაა, თუ შენთვის განკუთვნილ საქმეს აკეთებ, თუნდაც დაძალებით.

6742. ყველა დანაშაულს მიზეზი და ყველა სასჯელს ამ მიზეზთა „ცხვირის მოწმენდის“ უფლება აქვს.

6743. უსამართლობას მხოლოდ ადამიანის ზადი არ გაურბის, უსამართლობა ნაკლითვე უნდა გამოვასწოროთ.

6744. კანონის სიმკაცრით დანაშაულის აღმოფხვრა შეუძლებელია, კანონის მოხერხებულობისაგან განსხვავებით, როცა კანონის უზენაესობა მომჩივნსაც აწყობს, მოპასუხესაც, კანონის მსახურთაც და ქვეყნის ბიუჯეტსაც.

6745. ყველა კანონი მოწონებას ვერ დაიმსახურებს, მაგრამ ყველა მათგანმა ძალის ჩვენება უნდა შესძლოს.

6746. იცხოვრო მუდამ საღი აზროვნებით, კანონის მორჩილებით, შეძლების შესატყვისად, მოსაბეზრებელია, მაგრამ უნდა ვეცადოთ.

6747. კანონს სიბრიყვე არ ეპატიება, ის ყველა საკითხს დაუყონებლივ უნდა წყვეტდეს, თუნდაც წილისყრით.

6748. სამწუხაროდ, სიმდიდღეს ნაძირალები ფლობენ და არამზადებს გვერდში იყენებენ, რაც ამ ქვეყნის კანონის უძლურებაზე მიუთითებს „უდანაშაულობის მტკიცების“ მომიზეზებით.

6749. კანონი გონიერების ძალით უნდა საუბრობდეს და არა – ყბედობდეს.

6750. კანონის „უგუნურებაში“, ერთი შეხედვით, დიდი გონიერება უნდა იმალებოდეს, რათა მისი დარღვევა და გვერდის ავლა ვერ შეძლონ.

6751. სამართალი მაშინ მოგვწონს, თუ კანონიერადაც არ ვზარალდებით და მხოლოდ გვაჯარიმებენ.

6752. სამწუხაროდ, ზოგჯერ უკანონობა, უკანობისვე გამოსწორებას ცდილობს, რაც ყველაზე დიდი საძრახისია სახელმწიფოებრიობისთვის.

6753. სამართლიანობის დამყარებას ნების გამოვლენა და დიქტატი სჭირდება.

6754. თუ პიროვნება ვარ, ხელისუფლება და კანონი ვალდებულია პატივი მომაგონ და ჩემი სამართლიანი მოთხოვნები ყურად იღონ და დააკმაყოფილონ, ასე მარტივად მესმის ჩემი და სახელმწიფოს ურთიერთობა.

6755. კანონის სიმკაცრე, ჯალათი, კანონის დარღვევათა რაოდენობას ამცირებს, მაგრამ კანონის ჯიუტად დამრღვევნი გენიოსებივით იბადებიან.

6756. კანონთა უმრავლესობა მოპასუხეთა სასარგებლოდ იწერება და თუ ამას თავის სასარგებლოდ და სათანადოდ ვერ იყენებენ, საკუთარ თავს და დამცველის არაპროფესიონალიზმს დააბრალონ.

6757. აკრძალვის გაცუცურაკება ადამიანის ვნებისთვის შეუცნობელ კაიფს იძლევა.

6758. კანონს და კანონიერებას ამოფარებული იდეოლოგია, გონიერი ხელისუფლის ხელში, სასწაულებს ახდენს ქვეყნის აღმავლობის საქმეში.

6759. ბუნებაზე კი არ უნდა ვიძალადოთ, არამედ გარკვეული სიახლის და წარმატების იმედით მისი მოხმარება-დამუშავების ნება უნდა გამოვთხოვოთ.

6760. კონსტიტუცია, კანონი, ის ფენომენია, რომელიც ქვეყანას აძლიერებს, საზოგადოებას აყალიბებს, შედეგს იძლევა და თუ ხალხიც ემორჩილება, ბუნტის და უდღეურ ლიდერთა წამოტივტივება გამორიცხულია.

6761. პიროვნულ და ეროვნულ დონეზე ცდუნება, ყოველთვის დანაშაულისკენ მიილტვის, გონიერებასთან იქნება კავშირში თუ არა.

6762. ღარიბ, უსახო, უმწეო ქვეყანაში, კანონიც და სამართალიც მათხოვრულად უცნაურია.

6763. კანონი ყველასათვის ერთია, იმისდამიუხედავად, უპირობოდ პატივს მიაგებთ თუ მასთან ვაჭრობას შეეცდებით.

6764. კანონთა სიმრავლე და ხშირი გადახალისება "ჯენტლმენურ შეთანხმებას" გადაგვარების გზაზე აყენებს.

6765. წესრიგი ბორდელშიც საჭიროა, რათა მან თავისი რეალური დანიშნულება შეასრულოს: სექსის მსახურნი გააფულიანოს, სახელმწიფოს ბიუჯეტი შეავსოს, ხოლო მამაკაცებს ვნების წარმოჩენა ასწავლოს და სექსაობაში კვალიფიკაცია აამაღლებინოს.

6766. პატარ-პატარა დანაშაულს ყველანი ჩავდივართ, გადაცდენისაგან თავს ვერ ვიზღვევთ, შეცდომას ყველანი ვუშვებთ, კანონს ვარღვევთ, ოღონდ კანონის გაწყრომის და კანონმდებლობის უცოდინარობის ფარგლებში.

6767. მართლწერას ყველაზე უკეთ კანონმდებლები უნდა ფლობდნენ, რადგან ზოგჯერ სასვენი ნიშნის დასმის ადგილსაც კი მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სიტყვას და შინაარსს.

6768. საკუთრება, რომელსაც სარგებელი არ მოაქვს, სახელმწიფოს საკუთრებად უნდა იქცეს, კანონის კაურების შესატყვისად.

6769. ზოგჯერ კანონის და გონიერების პოსტულატების დარღვევის გარეშე სასიკეთო საქმე და სიახლე არ კეთდება, მაგრამ ჩვენი თავის წინაშე მართლები უნდა ვიყოთ.

6770. ზოგჯერ სინდის-ნამუსიც კანონს ვერ უგებს და აქ კანონის უზენაესობა არაფერშუაშია, რადგან ის მოწოდებულია საყოველთაო თამაშის წესები დაიცვას, ხოლო თუ ვინმე გონებაამოტრიალებული, გონებამახვილურ კომბინაციას ჩაუტარებს, შეაცდენს კანონის ფარგლებში, ეს სინდის-ნამუსის წარმატებაა და არა – უკანონობის გამარჯვება.

6771. კანონი ყველასათვის ერთნაირად იწერება, მაგრამ ზურგიანი და ფულიანი ხალხისთვის კორექტირებას ითვალისწინებს.

6772. კანონი, რომელიც საძრომიალოს, შემოვლის, დაძალების, გარეშე მუშაობს და იღვწის სამართლისთვის, დიდი დღესასწაულია.

6773. რიგით კუთვნილის მიღება კანონის ზეიმია, ურიგოდ – უკანონობის, მაგრამ სიამოვნების მომტანია, ვიღაცისთვის ბიშტის ჩვენებით.

6774. თავისი საქმის მცოდნე ვექილი ბევრს მუშაობს, პატიოსნად ცხოვრობს, ისე, რომ ანდერძის დატოვებით კვდება. ეს თეორიულად, პრაქტიკულად კი ასეთი ვექილი არ გვხვდება.

6775. კლიენტისგან განსხვავებით, ვექილი მარად მოგებულ-დაფინანსებული რჩება, თუ კოლეგებთან იმიჯის დაქვეითებას არ გავითვალისწინებთ.

6776. ზოგჯერ არეულობას, გაუგებრობას, მოკლე ხნით მეტი სიკეთე მოაქვს, ვიდრე კანონის და წესრიგის ხანგრძლივ „სიაფანდ“ მონობას.

6777. არის კანონი, მოვალეობა, სურვილი, რომელთა გარეშე ვერც საზოგადოება შედგება და ვერც ადამიანი ჩამოყალიბდება.
6778. ხშირად დანაშაული და სასჯელი ერთმანეთს არ შეესატყვისება, თუკი კანონმა მოპასუხე და მოსარჩლე ერთნაირად არ განსაჯა და დასაჯა.
6779. დღეს ქრთამი კანონით კუთვნილის აღსრულების მამოძრავებელი ძალაა, რადგან ფულის საცხის გარეშე კანონიერების ბორბალს გადატრიალება უჭირს.
6780. არის კანონი, წესი, ტრადიცია, რომლის გარეშე ადამიანი არასრულყოფილია.
6781. ყველაზე გასაგებად და ლაკონურად ქვეყნის კონსტიტუცია და მისგან გამომდინარე კანონები უნდა იწერებოდეს, სადაც ძრომიალი შეუძლებელი იქნება.
6782. ლიბერალიზმიც კონსტიტუციის და კანონიერების მონა-მორჩილია, მაგრამ სახელი აქვს საცდუნებელი და დამუღამებული თავისუფლების მომცემი.
6783. კანონი მაშინ მზეობს, როდესაც საზოგადოებას გამოსწორებულ დამნაშავეს დაუბრუნებს.
6784. სიმართლე და სამართალი ერთი არ არის, მაგრამ რატომღაც სინონიმებად აღიქვამენ.
6785. უთანასწორობა თავისთვის ჩალიჩობს და მისი ცხოვრებაში გამოყენება, კანონმდებლობის შესატყვისადაც კი, მოსარჩლისათვის მიუღებელია. მგ. მშობლების მიერ დატოვებული ანდერძი ქონების გადანაწილებაზე.
6786. ბოროტებას კანონის უზენაესობით, ყოფის გაუმჯობესებით, რწმენის ჩასახვით, უნდა ვებრძოლოთ და არა მარტო ძალის გამოყენებით, რომელიც შედეგს არ იძლევა.
6787. წესით სამართალი ისე უნდა განვსაჯოთ, როგორც ჩვენ გვესმის და არა ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს, ასე უფრო მისაღები და სამართლიანი იქნება ჩვენი სინდისის წინაშე.
6788. შეცდომას იმ შემთხვევაში არ იმეორებენ, თუ ის გამჟღავნდება და მკაცრად დაისჯება.
6789. კანონი, რომელსაც შეიძლება შეუღრინო, უკბინო და შენს ჭკუაზე ატარო, კანონიერებას ამოფარებული უკბილო ავი ძაღლია.
6790. სამართლიანობის ალგორითმს, უპირველესად, „ყიდვა-გაყიდვის“ ინსტიტუტი სჭირდება.
6791. შესანდობი შეცდომა, გადაცდენა, ყველას მოგვსვლია, მაგრამ განზრახ დაშვებულის პატიება არ შეიძლება, თუ მას განსჯასთან და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობასთან არ შევაჯერებთ.

6792. სამყარო არასამართლიანობის დაშვებაზე და სამართლიანობის „პურის ჭამაზეა“ აგებული.
6793. ბოროტების პროფილაქტიკისთვის სიკვდილით დასჯა საშინელებაცაა და შვებაც, მაგრამ ამის დაჯერება ყველას არ უნდა.
6794. კანონი იმგვარად უნდა იყოს დაწერილი, აღსრულებითაც უზრუნველყოფილი, რომ მისი დარღვევა ან მასზე გადაბიჯება ბუნებით ყველაზე დიდ ავანტურისტსაც კი უნდა მოერიდოს.
6795. მარჯვე წესი კანონს არ არღვევს – „არც მწვადს წვავს და არც – შამფურს“.
6796. უწესობა ყველა საქმეში ბოროტებას ეხმიანება და ხალხის აბუნტების გარანტიაა.
6797. ბოროტება სასწორით არ იწონება, რადგან ბოროტება და მეტნაკლებობა, „აიწონა-დაიწონა“, აქ მსჯავრის დასადგენად არ გამოდგება.
6798. ზოგჯერ კანონი გაქათქათებულ სიმართლესაც „აშავებს“, თუ ამას ზემდგომი, ფული და დროის ვიგინდარობა მოინდომებს.
6799. კანონი ძალას და ავტორიტეტს მაშინ კარგავს, როდესაც ყველაფერი აკრძალულია და არჩევანის უფლება ფაქტიურად წართმეულია.
6800. ყველა კანონი იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას, მაგრამ იდეურად არ უნდა გაბახდეს და სულიერად არ უნდა გაირყვნას.
6801. გონიერება ყოველთვის კანონიერების გვერდით დგას, რათა მისმა უზენაესობამ დაღი არ დაასვას ქვეყნის რაობას.
6802. ბუნების კანონების საბოლოოდ მოტყუება შეუძლებელია, მაგრამ დროებით შეცდენა შესაძლებელია და ესაა რომ „ჰომო საპიენსს“ ათავხედებს.
6803. კარგი კანონების შექმნას ცხოვრების გამოცდილება, საერთაშორისო კანონების ცოდნა და ხალხის სიყვარული სჭირდება, მის აღსრულებას – პატიოსნება, ლმობიერების შეცნობა და პროფილაქტიკის აუცილებლობის გაცნობიერება.
6804. ყველა კანონის კანონიერება კვადრატში უნდა ავიყვანოთ, თუ გვინდა დანაშაულის პროფილაქტიკა კუბში მოგვევლინოს.
6805. ბუნებას აქვს გამოხშირვის კანონები, „ძლიერი უნდა დარჩეს“, რომელიც ბევრს არ მოსწონს, მაგრამ კანონი – კანონია და მას უნდა დავემორჩილოთ.
6806. ყველაზე მეტად ცოდნის და რწმენის უნდა გვჯეროდეს, შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონის და კანონზომიერების მოლოდინით.

6807. მოსამართლეს განაჩენი გონიერების ალფაბეტის შესატყვისად უნდა გამოჰქონდეს. აქ ასოების თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, კანონის აღსრულების წესი არ დაირღვეს.

6808. მიზნის მისაღწევად ზოგჯერ მოძველებული კანონის გვერდის ავლა საჭიროცაა და საპატიებელიც, თუ მიზანი დიდია.

6809. პროფილაქტიკის მიზნით ადამიანის წინასწარი დასჯა დანაშაულია, მაგრამ ხშირად დადებითი შედეგი მოაქვს და „თითით საჩვენებელიც ხდება“, ასე, რომ ეს „უსამართლობაც“ ზოგჯერ გარკვეულ გარემოში დადებით შედეგს იძლევა.

6810. დღევანდელი მენტალიტეტისთვის სიკვდილით დასჯა, შურისძიება, სიმკაცრის გამოჩენა, მიუღებელია, ამასთან შუამდგომლობა, მცდელობა, დამნაშავეთა შეცოდებისათვის, არ მცირდება.

6811. სამართალი კანონმდებლობიდან კანონს ახმოვანებს, ოღონდ თავისი გადასახედიდან.

6812. განზრახ მკვლელს იმ ქვეყნის კანონის უზენაესობა დასჯის, მაგრამ რა ვუყოთ ამქვეყნიურ ჰუმანიზმს, მორალს და იმ სახელს, რომელსაც შენდობა – არშენდობის ორჭოფი და ადამიანი ჰქვია.

6813. განაჩენი, კანონის უზენაესობით, სექსივით უნდა იყოს, მოპასუხე და მოსარჩლე მსჯავრით, საბოლოოდ, ასე თუ ისე, კმაყოფილნი უნდა დარჩნენ.

6814. საყოველთაო კანონმდებლობის წინაშე გმირობასა და დანაშაულს შორის სხვაობა ხშირად უმნიშვნელოა, რადგან კაცის კვალი ვინმეს ინტერესების დასაცავად დანაშაულიც არის და გმირობაც.

6815. ადამიანური და საღვთო კანონების დარღვევა კორუფციის განვითარებას იწვევს და თითის დამქნევიც აღარავინაა.

6816. არის დანაშაული, როცა დამნაშავე არავინაა, მაგრამ დანაშაული ჩადენილია და მომავლისთვის მას გათვალისწინება და გამოკვლევა პროფილაქტიკისთვის სჭირდება.

6817. კანონიერება ყოველთვის სამართლიანობას არ ნიშნავს, მაგრამ კანონს უნდა დავემორჩილოდ.

6818. კოსმოსის უმაღლესი კანონია გონიერების მისწრაფება პროგრესისკენ, ოღონდ ზომიერების ფარგლებში და უდანაკარგოდ.

6819. კანონის უზენაესობა იმიტომაცაა საჭირო, რომ იგრძნო სახელმწიფოში ცხოვრობ და არა ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა თავად დაიწყებს კანონის მორგებას და ახლის გამოცემას.

6820. უპირველესად საკუთარი სინდისის და მერე კანონის წინაშე უნდა ვიყოთ მართლები.

6821. კანონის მორჩილთ ზოგჯერ უფლება არ აქვთ სინდისით იღვაწონ, რადგან კანონიერების სამართლიანობააში დაეჭვება არ შეიძლება – საზოგადოება გადაგვარდება.
6822. კანონთან თამაში არ შეიძლება, თავში წამორტყმა იცის.
6823. სამართლიანობის პრინციპები კანონებს ვერ ცვლის, მაგრამ კანონს სწორ გზაზე აყენებს.
6824. კანონი ხშირად ძალის უფლებით გველაპარაკება და სამართლიანობასთან ახლოს ყოფნას ცდილობს.
6825. კანონის მოწინააღმდეგე მხარის ყასიდად მხარის დამჭერი დაფინანსებული ვექილია.
6826. გადაცდენა შეცდომას იწვევს, შეცდომა – ბრალის დადებას, ბრალისდადებას კანონის ძალასთან მივყავართ, ხოლო ეს უკანასკნელი რას გადაწყვეტს, არავის უწყის.
6827. კანონს სიმკაცრე არ ვნებს, მისი შეუსრულებლობაა უფრო სავალალო.
6828. კანონმდებელმა, პირველ რიგში, მოპასუხის გამოსწორებაზე უნდა იფიქროს და შემდგომ მოსარჩლის ინტერესებზე. რაც შეეხება კანონს, ის ყველასათვის ერთი და ხელშეუხებელი უნდა იყოს.
6829. დაოჯახებაც შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონს ემორჩილება თავისი ალბათობის თეორიებით.
6830. ცოდვების მომრავლების მოთოკვას კანონების სიმრავლით ცდილობენ, ფაქტიურად კი ეს სიმრავლეა, რომ ამ კანონებს ძალას უკარგავს და საძრომიალოს უტოვებს.
6831. ბიუროკრატიასთან ბრძოლა დროის დაკარგვაა, მას მოხერხებულობა და საქმის ცოდნა უნდა დაუპირისპირო, რადგან კანონშემთხზველთა უგვანობის გამო არ უნდა დავიჩაგროთ და მათი მოხერხებულად გაცუცურაკება კანონის უპატივიცემულობად არ უნდა ჩაგვეთვალოს.
6832. სიტყვის მასალად ნათქვამსაც დაფიქრება და განსჯა სჭირდება, რათა კანონის მრისხანებამ არ შეამჩნიოს.
6833. სახელმწიფოებრიობა, სამართლიანობა და კანონის მორჩილება სინქრონულად უნდა იღვწოდეს.
6834. ყველა კანონს მორგება, შეჩვევა, გათავისება, სჭირდება ჩვენივე სასარგებლოდ.
6835. სამართლიანობას ფულთან ურთიერთობა ოფიციალურად ეკრძალება, მაგრამ კანონის ძალით მასთან ურთიერთობის წინააღმდეგი არ არის.
6836. კანონი უგნურება-უნიათობის სუნით არ უნდა ყარდეს.

6837. ბუნების კანონებს, ადამიანის მიერ შექმნილი კანონები ვერ უპირისპირდება და არც განსჯას ექვემდებარება.

6838. კანონს შეძლებისდაგვარად ყველანი ვემორჩილებით ან გვაიძულებს დავემორჩილოთ.

6839. კანონი შეიძლება ვისმეს არ მოსწონდეს, მაგრამ მის აუცილებლობაში ეჭვი არავის უნდა შეეპაროს.

6840. თუ გვინდა კანონიერებას პატივი მივაგოთ, ისეთი კანონი უნდა მივიღოთ, რომ ხელსახოცივით არ ვიცვალოთ.

6841. სახელმწიფო კანონებისაგან განსხვავებით, ბუნების კანონი უფრო მკაცრია, სამართლიანიც და აღსრულებადიც და ამასთან მისი გასაჩივრება არავის აზრადაც არ მოსდის.

6842. საგადასახადო კანონი, რომელიც ორმაგ ბუღალტერიას ვერ ებრძვის, კანონი კი არა, მისი პროვოკაციაა.

6843. დადგენილება და კანონი ერთმანეთს ვერ ეგუება, მაგრამ ორივე ძალებით სარგებლობს, ერთი – გარკვეულ დრომდე, მეორე – გარკვეულ ცვლილებამდე.

6844. ადამიანს, რაც უნდა კარგად აღვზარდოთ, დავმოძღვროთ, კანონის რიდი უნდა ჰქონდეს, რადგან ნებისმიერი დღე-ღამეში ორი საათით მაინც ვირის ჭკუაზე დგება და რა დროს რას მოიმოქმედებს, არავის უწყის.

6845. ყველანი ცოდვილნი და კანონის დამრღვევები ვართ, თუ მათ პატიოსნად მოვჩხრიკავთ საკუთარ თავში.

6846. უსუსური და მრავალაზროვანი კანონები რყვნის საზოგადოებას და მისი გარკვეულ ნაწილს ნაძირალობისკენ უჩნდება მიდრეკილება.

6847. ქვეყნის პრეზიდენტის მოტყუება, გაცუცურაკება, სასჯელის უმაღლესი ზომით უნდა ისჯებოდეს, მაშინ იქნება ქვეყანაში წესიერი, რეალური საქმის კეთება.

6848. რთული კანონის შეთხზვა კი არ არის, არამედ საკითხის ადამიანურად განსჯა, რათა დაპირისპირებულმა მხარეებმა სამართლიანობის ნუსხაში შეიტანონ.

6849. მოქალაქის ვალის ამსრულებლის და „ჩამშვების“ ბუნება სხვადასხვაა, მაგრამ მათი ქმედება ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება, რადგან ორივე კანონიერების დაცვას ემსახურება.

6850. ნიჭმა კომპლიმენტების მარაგი ტომრით უნდა ატაროს, მაგრამ კანონის რიდით, პატივისცემით, რომელიც ყოველთვის თან უნდა გვახლდეს.

6851. კანონით, კანონიერებით და მოვალეობის გრძნობით ცხოვრება, თუ ქვეყანა აწყობილია, უდიდესი კაიფია.
6852. კანონს, სამართალს და სამართლიანობას თავისი სიამაყე უნდა ახლდეს, რომელსაც ყველა პატივს მიაგებს და ანგარიშს უწევს.
6853. კანონი იმგვარად უნდა იყოს გახმოვანებული, რომ მან ცდუნებაზე ხელი აგვაღებინოს და დანაშაულის ჩაფარცხვის შანსი მოგვისპოს.
6854. კანონი და სამართლიანობა თუ არ მეგობრობენ, ერთმანეთს უნდა უთანაგრძნონ მაინც.
6855. სამწუხაროდ, კანონსაც აუტისტები და ნაძირალები თხზავენ, ერთს ცხოვრების გამოცდილება არ ჰყოფნის, მეორე ზედმეტად გამოცდილია, ამიტომაცაა ამდენი საძრომიალო კანონში, რომელიც მის ძალას აუფერულებს.
6856. კანონი, ერთი შეხედვით, შეიძლება იყოს ბრიყვი და მიუღებელი, რადგან ადამიანის უფლება ირღვევა, მაგრამ საჭირო და აუცილებელიც, რადგან ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას ემსახურება.
6857. ლოგიკა და ინტუიცია ყველაზე ძლიერი იარაღია სამართალდამცველთათვის და კანონების მთხზველთათვის.
6858. ხშირად ეჩვენებათ, რომ კანონები კანონდამრღვევთათვის იწერება, მაგრამ მის გარეშე უდანაშაულოთა უმრავლესობა „ვირის აბანოში“ ამოჰყოფდა თავს.
6859. გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, უმუშევრობა, იწვევს იდეის, რწმენის და პერსპექტივის არქონას, რაშიც ყველაზე მეტად ქვეყნის ხელისუფლებაა დამნაშავე.
6860. კანონის წინაშე შეიძლება პატიოსნები ვიყოთ, მაგრამ საკუთარი სამჯავროს წინაშე ხინჯი შემოგვეპაროს და არ მოგვასვენოს, ისიც ადამიანის კეთილი ბუნების გამოხმაურებაა.
6861. დაუწერელი კანონების ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა, მათ შორის იმათვისაც, ვინც კანონს პატივს სცემს და იმათთვისაც, ვისაც კანონი არაფრად მიაჩნია.
6862. კანონს წერენ, მაგრამ ჩინოვნიკებს კანონის სწორად წაკითხვას არ ასწავლიან.
6863. ხშირად კანონი კარგია, მისაღებია, დამტკიცებულია, მაგრამ მას ამოქმედების უფლებას, ჩვენი უგვანობა-უგუნურების გამო, არ ვაძლევთ.
6864. ქვეყანაში მთავარია წერიგი და კანონის უზენაესობა და არა სამართლიანობა და თავისუფლებისთვის ბრძოლა, რადგან ეს უკა-

ნასკნელი ყველას თავის გადასახედიდან ესმის და ხშირად ქვეყნის მართვის ეს დილეტანტიზმი ხდება ყველა უბედურების და სახელმწიფოებრიობის კრიზისის მიზეზი.

6865. თანამდებობა ისეთი ოხერია, რომ რაც უნდა წესიერი კაცი იყო, კანონს მაინც დაარღვევ და წესიერებას უნებლიედ ჩირქს მოსცხებ.

6866. დანაშაულის ჩადენის მოსურნე ყოველთვის პოლიცია და კანონი იქნება, რადგან მაშინ ისინი არავის დასჭირდება და მშივრები დარჩებიან.

6867. ვინც კანონის და კანონიერების პოსტულატებს გულით ეუფლება და პატივს მიაგებ, მას დრო არ რჩება მის დასარღვევად და კუდის გამოსაბმელად.

6868. ნაძირალად დაბადებულს კანონის სიმკაცრე ანგელოზად ვერ აქცევს, მაგრამ ზედამხედველობა და მისთვის ადგილის მიჩენა აუცილებელია.

6869. მსჯავრის და სასამართლოს ზეიმია, თუ მომჩივანს და მოპასუხეს სადაოს და სააპელაციო ალიბს არ უტოვებს.

6870. ეკოლოგიას ერთი „ცუდი თვისება“ აქვს ის ეკონომიკის გადაგვარების, ქურდობის და აღვირახსნილობის მტერია.

6871. განძის შენახვის საიდუმლოება და უდანაშაულობის პრეტენზია ყველას არ ეხება, რადგან ზემდგომს ყოველთვის აქვს დატოვებული კანონში და კანონიერებაზე საძრომიალო ალიბის მორგებით.

6872. უხერხემლო კონსტიტუცია და უსუსური კანონები აძლევენ საშუალებას აუტისტ ვიგინდარებს თავი წამოყონ და ქვეყნის მართვის პულტთან აღმოჩდნენ.

6873. გვინდა კანონის მორჩილნი ვიყოთ, მაგრამ ჩვენი უპრინციპობის და საზოგადოების გარყვნის შედეგად არ გამოგვდის.

6874. სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს ყოველივეს, გარდა მოქალაქეთა სურვილისა, გამოხატონ ნება კანონიერების ფარგლებში.

6875. დღეს ფიცი-მტკიცი მოდაში აღარაა, ყოველივე კანონის ფარგლებში, ქაღალდზე უნდა დავაფიქსიროთ.

6876. ამქვეყნად ადამიანის მოვლინება ჩვენთვის უცნობ კანონზომიერებაზეა დამოკიდებული.

6877. როდესაც დანაშაული ჩადენილია, მაშინ ყველა თავის გასამართლებელ ალიბს ეძებს.

6878. ისეთი სრულყოფილი და ყოვლისმომცველი კანონები უნდა შეიქმნას, რომ მისი უგულებელყოფა გულშიც არავინ გაივლოს.

6879. კანონი არავის არაფერს ჰპირდება, ის სჯის, მაგრამ არ განსჯის.

6880. მოსამართლემ განაჩენი უმთავრესად ადამიანის თვისებების და მისი წარსულის შესატყვისად უნდა გამოიტანოს და არა იმის მიხედვით, რა დანაშაულზე წაუცდა ხელი.

6881. ღონისძიება აუგს, კანონის საწინააღმდეგოს, აკონტროლებს და გავრცელების უფლებას უზღუდავს, ხოლო ბრძოლაა, როდესაც აუგს საბოლოოდ სპობ და ანადგურებ და რეციდივს არ იძლევა.

6882. ხელისუფლებას, თუ უნდა, მარცხენა საქმიანობას „ღრუბელსაც უპოვის“, სიტყვის გადახარჯვასაც დასწამებს, საპროცესო შეთანხმებასაც ნებაყოფლობით და კანონების მოშველიებით გამოსძალავს.

6883. უპირველესად კანონის სიღრმეს, მცდელობას, შესაძლებლობებს, უნდა ჩავწვდეთ და შემდგომ მის რაობას, თუ გვინდა კანონმა იკანონოს.

6884. შრომის, გარჯის, დაცვის კანონები დაწერილია სისხლის გამოდენის, გამოცდილების, ხარჯზე.

6885. მახვილი სამართლიანი არ შეიძლება იყოს, მაგრამ მის დაცვას უნდა ცდილობდეს.

6886. წესი, კანონი, რომელიც გამონაკლისს მოითხოვს, არც წესია და არც კანონი – შეწყნარების, ლმობიერებისგან, განსხვავებით.

6887. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ძალა წყვეტს სამართალს, იმისდამიუხედავად, ვინმესთვის მისაღებია თუ არა.

6888. განხეთქილების თესლს ძალამ და კანონმა გაღვივების საშუალება არ უნდა მისცეს და სასარგებლო ფქვილად უნდა აქციოს.

6889. სამართლიანია ის, რაც განსჯილი და დადგენილია.

6890. ყველა საკითხში წესრიგი და კანონი მათემატიკური გათვლით უნდა დავიცვათ, მათ შორის, ალბათობის თეორიის გამოყენებით.

6891. ადამიანმა შინაგანად უნდა იგრძნოს რა არის კანონიდან გადაცდენა, რა არის საჭირო, რაა მოჩვენებითი და უგვანო.

6892. სამართლიანობა მისი ქმედების ხანგრძლიობის ექვივალენტურია.

6893. ყოველგვარმა თავაშვებულობამ პასუხი უნდა აგოს.

6894. კანონი ყალყზე შემდგარ რაშს უნდა მოგვაგონებდეს რიდით და პატივისცემით.

6895. კანონს სიდარბაისლეც უხდება, თუ თავის ძალის ჩვენების უნარი შესწევს.

6896. სიმართლე სამართლიანობის სინონიმად უნდა აღვიქვათ და აღვასრულოთ ყველა გარემოში.

6897. მოვალეობა, უმთავრესად, კანონის აღსრულებაა.

6898. კანონის და სამართლის პროსტიტუციას საზღვარი არ აქვს, თუ მოჩვენებითი სამართლიანობის ანბანს მივყვებით.

6899. სიმდიდრეს მოიპოვებენ და სამართლიანად წაიჩალიჩე თუ უსამართლოდ, ეს დღეს არავის უნდა აღელვებდეს, თუ მან კანონს „ცხვირი მოხოცა“ და მის წინაშე მართალია.

6900. კანონი და სასჯელი სინონიმებია იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთს მოერგნენ და დროის ყივილს უგებენ.

6901. კანონს თუ გავითავისებთ და პატივს მივაგებთ, მასში ბევრ საძრომიალოს და ალიბის შესაძლებლობებს მოვიპოვებთ.

6902. კანონი, რომელსაც არ შეუძლია ადამიანის ყოფის და ცნობიერების გაუმჯობესება, უვარგისია და ალიბად ვითომდა დემოკრატიასაა ამოფარებული.

6903. რეციდივიც არასრულყოფილი კანონის მერყეობას ეთამაშება და ამიტომაცაა, რომ დანაშაულის ოდენობა არ მცირდება.

6904. კანონის უზენაესობა, საძრომიალო ხვრელების გარეშე, საზოგადოების სიძლიერის მაჩვენებელია.

6905. კანონმორჩილებას დოზას ვერ დაუწესებ, საზოგადოება ირყვნება.

6906. მეგობრის, ახლობლის, ღალატი კანონით ორმაგად უნდა ისჯებოდეს, რადგან ის გონიერების, სიკეთის, ნდობის ინსტიტუტს რყვნის და დისბალანსი შეაქვს ადამიანის ცნობიერებაში და მის აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

6907. ყველა დანაშაული, ქმედება, დაკვალიანება-განსჯას მოითხოვს, რათა კანონმა სრულყოფილად იმუშაოს.

6908. ბოროტებას კანონში ძრომიალიც ეხერხება, თუ არ გაუმართლა და მასთან შეხვედრა მოუწია.

6909. ჩვევები კანონზე ყოველთვის უმტკიცესი არ არის, მაგრამ მას ძირს უთხრის.

6910. კანონები დაწურვას, დაწმენდას, გამოსავლის მოძიებას მოითხოვს, რათა ის სამართლიანიც იყოს, აღსრულებადიც და ჭკუის სასწავლიც.

6911. გონივრული და წინდახედული კანონები, პირველ რიგში, ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება და შემდგომ – მოქალაქეთა დროულ დაღვინება-დაჭაშნიკებას.

6912. კანონი დროის შესატყვისად სამართლიანი უნდა იყოს და არა – სასტიკი.

6913. დასჯა ყოველთვის გამოსწორების ინსტრუმენტად არ გამოდგება, მაგრამ დაუსჯელობის სინდრომს გაცილებით ჯობს.
6914. საზოგადოება სამართლიანი კანონების მარწუხების მოჭერა-შერბილებით იმართება.
6915. ყველა კანონს თავისი მათრახი აქვს და მოპასუხის გონიერებაზეა, მოიხვედრებს თუ აიცდენს.
6916. კანონი მკაცრიც უნდა იყოს და სამართლიანიც, ოღონდ დროის მენტალიტეტის და ქვეყნის ინტერესების შესატყვისად.
6917. მამრთან ჩხუბის დასრულება თუ განახლება ყოველთვის ქალის გონიერებაზე და მის ბოლო სიტყვაზე იყო დამოკიდებული.
6918. მდედრთან ასაკი კი არ ირცხვენს თავს, არამედ განგების ნება და მისი უკუღმართი კანონები.
6919. განაჩენის გამომტან მოსამართლეს მოსარჩლე და მოპასუხე სჭირდება თავისი ამბიციებით თავის წარმოსაჩენად.
6920. ბუნებაზე არ იმარჯვებენ, მის კანონებს ემორჩილებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ჩვენი აჯობებს“.
6921. კანონების შექმნა მისმა საჭიროებამ უნდა განსაზღვროს და არა – მიმბაძველობამ.
6922. კანონი და სამართალი ერთია, იმისდამიუხედავად, მოპასუხეს მოსწონს ეს თუ არა.
6923. უფლება ხშირად ძალას ჯობნის.
6924. სიმდიდრის თესვას ხშირად უნიათო კანონები უგულებელყოფენ და არა – უსამართლობა და ძალადობა.
6925. ჭკუა ის ვექილია, რომელიც სულის და სხეულის ურთიერთდამოკიდებულებას გულის სამართლით აწესრიგებს.
6926. მხოლოდ გაუბაზრებელი და გადამჭრელი კანონები იძლევა ვიგინდარების შემცირების საშუალებას.
6927. კანონის ცოდნა და პატივისცემა ბევრი ცდუნებისგან გვიცავს.
6928. კანონი, რომელსაც ერთი „დარტყმით“ არ შეუძლია მოდავეთა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა, ის კანონი არ არის და არც ისაა სახელმწიფო, რომელმაც ეს კანონი გამოსცა.
6929. კანონის შემოვლაც ადვილია და ავლა-ჩამოვლაც, თუ დემოკრატიის ზურგს უსუსურობაა ამოფარებული.
6930. კანონი ადამიანის ბუნებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ არც გათავხედების უფლებას აძლევდეს.
6931. სიმართლე-სამართალი ურთიერთგაგებას, კანონის გათვალისწინებით, უნდა ეცადონ.

6932. სიკვდილ-სიცოცხლე არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, ის, ფაქტიურად, შემთხვევის საქმეა.
6933. კანონი მტერ-მოყვრისთვის ერთია, მაგრამ სამართალი შეიძლება სხვადასხვა იყოს.
6934. წესრიგი ერთია და ის კანონს არ ეჭიდავება.
6935. კანონის საწყისი სამართლიანობაა დროის და გარემოს ჭვრეტით.
6936. თანასწორობა მხოლოდ კანონის და კანონიერების წნაშე უნდა იყოს და არა – შრომა-გარჯის, ქონების დაგროვება-ხარჯვის, რევიზიის და პასუხისგების ვიღაცის და რაღაცის წინაშე.
6937. თავისუფლება, დემოკრატია, ხალხთა ძმობა, კანონიერების და ძალის გარეშე, არარაობაა.
6938. კანონის დაუცველობა ხელისუფლებისთვის ბიშტის ჩვენებაა.
6939. კანონებს ცხოვრების დაუსრულებელი გამბიტი ქმნის და არა – ჩვენი სურვილები.
6940. არა თანასწორუფლებიანობა, არამედ „ქალის კულტი“ აქცევს მას ოჯახის დედოფლად.
6941. ყოველი ფინანსური რეკეტი ხელისუფლებასთანა შეთანხმებული და კანონით არის გამაგრებული ხალხის დაუკითხავად.
6942. კანონი გამოუსწორებელი ლოთის და რეციდივისტის წინაშე უძლური და ცხვირმოხოცილი არ უნდა დარჩეს.
6943. ბოროტების დაჭიტლაყებაც შეიძლება და მისთვის ფეხის დადებაც, თუ კანონი სრულდება და უგვანობა შემცილებლად არ ჰყავს.
6944. კანონების სიუხვე ინდივიდუალურ გამოცდას გადის ხშირად უკანონო ძალის მოშველიებით და ფულის „შებედვით“.
6945. კანონები კანონზომიერებისთვის, სამართლიანობისთვის და რწმენის გასამტკიცებლად უნდა იწერებოდეს და არა მხოლოდ ქაღალდზე არსებობისთვის.
6946. ბოროტებასთან ბრძოლა გაადვილდება, თუ კანონის უზენაესობის განუხრელი სურვილი ჩვენს თანდაყოლილ კაურებს წინ გადაეღობება.
6947. კანონიერებასთან „მორცხვად მყოფი“ ქვეყნის კონსტიტუციას და კანონებს ჩვენი მტერი ენდო.
6948. ერთი კანონის დამრღვევად იბადება, მეორე ასეთად გარემოებათა გამო ხდება, მაგრამ ორივე ერთნაირად ისჯება და ესაა კანონის უზნეობა.
6949. რეალურ წესრიგს ქვეყანაში გონივრული კონსტიტუცია და კანონების აღსრულება ამყარებს და არა – დიქტატურა, რომელიც კორუფციაში გადადის.

6950. კანონზომიერებას ბედი უთანაგრძნობს, მაგრამ არ ემორჩილება, რადგან გზა თავადვე უნდა გავიკვალოთ.
6951. სიბრძნე ზნეობის კანონს არ ეწინააღმდეგება, რადგან ბუნების კანონების რებუსიც, ასე თუ ისე, გაშიფრული აქვს.
6952. კანონი თავისუფლებას არ სჯის, უბრალოდ მის ცუდად გამგებს ალიყურს სთავაზობს და აფრთხილებს.
6953. გონიერება კანონიერების მორჩილია და არა – კანონის.
6954. დამოუკიდებლობა გვაძლევს საშუალებას დავინახოთ თუ რა ნაძირალები ვართ სხვებზე გადაუბრალებლად.
6955. კანონს, ცოდნაზე მეტად, პატივისცემა და აღსრულება სჭირდება.
6956. კანონებს გამოსცემს და უგულელყოფს დრო და გარემო და არა – ადამიანთა სურვილები.
6957. ნაკლს სამართლიანობა ებრძვის, მაგრამ კანონის გამკაცრების გარეშე შედეგი უმნიშვნელოა.
6958. კანონი აბსოლუტურად უნაკლო და ყველასათვის მისაღები ვერ იქნება, მაგრამ არც აბსურდის ნაწილაკებს უნდა შეიცავდეს, რათა ადამიანები უაზროდ არ დაიხარჯონ.
6959. შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონის თეორია არსებობს, მაგრამ მისი კანონზომიერების და სამართლიანობის წარმოდგენაა ძნელი.
6960. სამართალს პურს პროფესიაზე შეყვარებული მოსამართლე აჭმევს და არა – სამართალი.
6961. გონიერების დაჭაშნიკების კანონიც უნდა არსებობდეს და მისი შენახვისაც, თუ გვინდა მომდევნო თაობებს რაღაც სასარგებლო დავუტოვოთ პლუსით.
6962. კანონების ავკარგიანობის ბაზისი: ჯერ ყოფის კანონზომიერებათა ბალანსი გონის მოხმობით უნდა შევაჯეროთ ტრადიციის, თუ გვინდა კანონმა შედეგიანად იმუშაოს.
6963. ყოველ ახალ იდეას უფლება კანონით უნდა მივანიჭოთ, თუ გვინდა მას დროულად ვეზიაროთ.
6964. ვექილის სიძლიერე გამოძიების უსუსურობის, კანონმდებლობაში დატოვებული შავი ხვრელების და მოსამართლესთან მის „კარგი“ ურთიერთობის დამსახურებაა.
6965. ვექილი დაქირავებული „სამართლიანობაა“, კლიენტის შესაძლებლობების შესატყვისად.
6966. მტკიცებას მოკლებული დანაშაული ყველგან კარგი სასუსნავი ბაგაა იურისპრუდენციისთვის.

6967. გონიერი ხელისუფლება მის მიერ გამოშვებულ კანონებს დემონ-სტრატიულად ემორჩილება.
6968. მომთხოვნი, მკაცრი და ობიექტური კანონმდებლობა ყოველთვის ერთ საქმეს არ ემსახურება.
6969. კარგი ვექილის ხელში ფაქტების მეტ-ნაკლებად მონელება და ჩასწორება შეიძლება.
6970. კანონმა შეიძლება ყოველივე ვერ გაითვალისწინოს და ყველას ვერ მოერგოს, მაგრამ უნიათობა არ ეპატიება.
6971. ყველაზე მეტი გაფრთხილება კანონს და კანონიერებას სჭირდ-ება, რათა მას საძრომიალო არ დაუტოვონ და ყველა მოხერხებული ვექილი მის გაბახებას არ შეეცადოს.
6972. თემიდაც ხშირად ხელისუფლების ნებაზე მორგებული სასწორით ვაჭრობს და კანონს ანაგვიანებს.
6973. ყველა კანონის ნაკლი ის არის, რომ ის წინასწარ არ ჭვრეტს თუ მოსარჩლეს და მოპასუხეს რა მოელის კანონის აღსრულების შემდგომ, ხოლო კანონის უზენაესობის სწავლება, მისი შედეგების დაკვალიანება, გარკვეული ოდენობით შეამცირებდა აფექტში ჩადე-ნილ დანაშაულობებს.
6974. მეგობრებს კანონების დაცვით ცხოვრება უნდა ვუსურვოთ, მტრებს – პირიქით და დაუყოვნებლად.
6975. შრომა, ქმედება, რომელიც შემოსავალს იძლევა გონიერი კანონის ფარგლებში, რეალურ დასაქმებად უნდა ჩაითვალოს.
6976. სამართლიანობა ყოველთვის კანონიერი არ არის და არც კანონის და გონიერების უზენაესობას ემორჩილება.

ლიტერატურა

6977. მწერალი ის შემოქმედია, რომელსაც ადამიანის სულიერება აინტერესებს და არც ხორციელ ტკბობაზე ამბობს უარს.

6978. პოეზიის სულიერების გათავხედების მეგაბაიტი ყოველთვის სჯობდა პროზის ხორციელი „გარყვნილებისკენ“ მისწრაფებას.

6979. მთარგმნელმა ნაწარმოებს იმაზე მეტი სისხლი და ხორცი უნდა შემატოს, რაც ამ ნაღვაწის შესაძლებლობაშია.

6980. მწერალი ზოგჯერ სიამოვნებით ადის ცეცხლის ალით დასახრუკ ეშაფოტზე, რათა თავის იდეალები დაიცვას სახელის დასაგდებად და პირდაპირ ღმერთის მისაღებში მოსახვედრად.

6981. პოეზიის საწყისი სიყვარულია, შემდგომ მოდის ნიჭიერება, სამართლიანობის გრძნობით „გაფრენა“, ვნებათა ღელვა და პიროვნებად ჩამოყალიბება.

6982. ლიტერატურა სიტყვების ის ზანდუკია, რომელიც მკითხველმა ლამაზად და სიამოვნებით უნდა გახსნას.

6983. არის ორაზროვანი ფრაზები, გამოთქმები, რომელიც „მასმედიამ“ და კინომ უნდა გაატირაჟოს, ფრთები გამოასხას, მასობრივად მსმენელამდე „ახსნა-განმარტების“ ხელოვნებით მიიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გონებამახვილი ფრაზები წიგნის მკითხველისთვის იდუმალებად დარჩება.

6984. „პოლიგლოტი“ მოცეკვავეებიც არსებობენ, მაგრამ კლასიკას მაინც თავისი ეშხი და პეწი აქვს.

6985. შემოქმედი, ინფორმაციის გამტარია ცასა და დედამიწას შორის, ის ვალდებულია ზოგი საჭირო და აუცილებელი ჩვენს ცნობიერებაში დაამაგროს, გაგვაცნოს.

6986. წიგნის საბეჭდი მანქანის გამოგონებამ დასცა სიტყვის ფასი, ხოლო ინტერნეტმა გააუფასურა წიგნი.

6987. დღეს ავტორს მართლწერაში კომპიუტერი ეხმარება, ალბათ, ხვალ ავტორი, კომპიუტერს ფაბულას მისცემს და წიგნის წერასაც მას დაავალებს.

6988. კარგი წიგნი რამდენჯერმე გადაკითხვას ითხოვს და ამას ნებაყოფლობით გონიერება ახერხებს.

6989. ფრაზების ლამაზად გადაბმის ხელოვნება, მოჩვენებითობის ხელობაა.
6990. მთავარი ორაზროვნება კი არაა, მთავარია, რა აზრს ვსვამთ ტექსტში და რა სახის გულახდილობით გვინდა „ავაფეთქოთ“ მკითხველის ცნობიერება.
6991. ვინც წიგნის პრეამბულას არ ეცნობა, ის წიგნის გადამფურცვლელია და არა მკითხველი.
6992. ავტორისთვის უპირველესი საქმისადმი მისწრაფება და სიყვარულია, შემდგომ მოდის სიკეთისმდომი კრიტიკა.
6993. ფოლკლორში ბევრი ისეთი ზღაპარია, რომელიც სინამდვილეს და დღევანდელობას შეეფერება.
6994. სიტყვას არ იპარავენ, მას ნახულობენ, ქმნიან, ითვისებენ და აზროვნების სხვადასხვა რაკურსში წარმოაჩენენ.
6995. მწერალია ის, ვინც დროის ცვალებადობას, გათავხედებას თავისი კაურებით უძლებს და ყოველთვის მოდაშია.
6996. ყოველივე ახალს მისთვის შესაფერი, გონიერებით მოხმობილი, სიტყვის გამოგონება სჭირდება.
6997. მაღალი დონის და თავისუფალი მთარგმნელი, თანაავტორობის ღირსია.
6998. პოეზიაა მთრთოლვარე აზრები, დათაფლული სიტყვები, შემპარავი ტკბილხმოვანება და რითმი, რაც ჩვენი ცნობიერების დამუნათებას იწვევს და მის სიღრმეს ვერ წვდება.
6999. კრიტიკოსები ერის „გლადიატორები“ არიან მწერლების, ხელოვანების, მეცნიერების, მეშვეობით ქვეყნის წარმოსაჩენად.
7000. შემოქმედის ერთტომეული დელიკატესებით გაწყობილი სუფრას წააგავს, რომელსაც უნდა მიუჯდე და სული და თვალი ასიამოვნო, რადგან ნაღვაწს შემოქმედების ფუჩეჩი დილეტანტი მკითხველისათვის მოშორებული აქვს.
7001. შემოქმედება იდეათა ჩოჩქოლია, გენიალობით გადახარშული.
7002. პოეზია სიტყვათა თამაშია, გრძნობათა შეჯანჯღარებით, რომელსაც ნიჭი, ფანტაზია, განწყობა უნდა ამშვენებდეს.
7003. აღიარება, დიდება, მატერიის უგულებელყოფით, როგორც საზრდო, ნაყოფი მაცივარშიც ცუდად ინახება ავტორის სიცოცხლეში.
7004. წიგნი ისე არ უნდა დაიწეროს, რომ ყველა დონის მკითხველმა თავისი „მე“ აღმოაჩინოს.
7005. ყველა დროს დაღვინება სჭირდება, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ამდენი ფართომოხმარების მაკულატურით მკითხველის გატაცება.?!

7006. ნაღდი ოპონირებისას რესპოდენტი ისე უნდა გააკრიტიკო, თავადაც წარმოჩინდე და ნაწყენიც არავინ დატოვო.
7007. მწერლის უმთავრესი იარაღია წარმოსახვის ნიჭი, ფანტაზიის უნარი, რაც შეეხება მკითხველს, მისი განსჯა მწერლის საქმე არა.
7008. ზოგიერთი მწერლის ნაღვაწი გვაღელვებს, გვაოცებს, ავტორს შორიდან ვეტრფით, გაიცნობ და აღმოჩნდება, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, თავისი ყოფითი პრობლემებით.
7009. მკითხველს დრო და თანამედროვე მიღწევები ამზადებს.
7010. დღიურის ყოველდღე წერა და საკუთარი განწყობის გადმოცემა თავისებური მაზოხიზმია, რომელიც თავისებურ ნიჭს და დაღვინებულ შემართებას ითხოვს.
7011. კლასიკურ და სერიოზულ ლიტერატურას, ახალგაზრდობაში უნდა გაეცნოთ, სანამ სულიერება გაურკვეველი და გონიერება სუფთაა, თორემ შემდგომ მისი წაკითხვის არც დრო გექნებათ და არც გონების გადაღლის სურვილი.
7012. ლიტერატურას მკითხველი სჭირდება და არა – სხვათა მონაყოლით გაცდენა.
7013. ადრე მკითხველი კეთილგანწყობილი იყო მწერლის მიმართ, ეხლა ეს გრძნობა მსახიობთან მიმართებაში გადაიტანეს, რადგან წიგნს არ კითხულობენ, კინოს უყურებენ და მსახიობის პერსონაჟით ტკბებიან.
7014. მწერლის დანიშნულებას სწორად ვაფასებთ, მაგრამ მისი ნაწარმოებების კითხვის სურვილი დაკარგული გვაქვს.
7015. წიგნში თუ საერთო მისაღები შეხედულებები და დოგმები დროის შესატყვისად არ არის აღწერილი, მას მკითხველი ნაკლები ჰყავს და ტირაჟიც გაუყიდველი რჩება.
7016. პიროვნება რომ გავიცნოთ, აღვიქვათ, მაქებარი თუ არა, მძაგებელი მაინც უნდა ჰყავდეს, დღეს სანახევროდ ასეთ დღეშია მწერლობა კრიტიკის უქონლობის გამო.
7017. როგორ დაზიანდება ვაჟა-ფშაველას ენა, მისი პენი, რომ მას თავიდან „გრამატიკული ქართულით“ ეწერა.
7018. რომანის ზოგიერთი პერსონაჟი ავტორს მოგაგონებს, თუ მის ხასიათს იცნობ.
7019. რომანს დეტექტური დასაწყისი უნდა ახლდეს, მოულოდნელი ფაბულით, გონებაგადმობრუნებული ხლართებით, სასიყვარულო ფონით, თუ გინდათ მკითხველმა მოიწონოს და „ჯიბეც“ კმაყოფილი დარჩეს.

7020. ჩემზე შეიძლება ითქვას, რომ წიგნიერი ვარ, გარდა ერთისა: რელიგიურ ლიტერატურას, მცდელობის მიუხედავად, გულს ვერ ვუდებ.
7021. გმირს მწერლის სულიერება ბადებს, ნიჭი და ცხოვრების ცოდნის გამოცდილება ხორცს ასხამს.
7022. საკუთარი დღიურის გადაკითხვას შეჩვეული თვალი მეტ აღმაფრენას იწვევს, ვიდრე სხვის მონათხრობზე დაწერილი წიგნი.
7023. სიტყვების მომხიბვლელობაა, ჩვენს დაჯერებას და შეცდენას რომ ცდილობს.
7024. პოეზია მოსწონთ არ მოსწონთ, შინაგანად ყველა ეთაყვანება, ოღონდ დეკლამირების ხარისხსაც გააჩნია.
7025. დღევანდელი ფართო მოხმარების წიგნები სიძვის დიაცებს დაემსგავსნენ, გადაიკითხავ და დავიწყებას ეძლევიან.
7026. ერის სინდისი სახელოვანი მწერალია, უსინდისობა მისი სახელით სპეკულიანტობაა, როდესაც მის წარმოსაჩენად ხალხი თითქმის არაფერს აკეთებს.
7027. ნაღდმა მკითხველმა მწერლის ნაღვაწის აღქმას საკუთარი ფანტაზიაც უნდა დაახმაროს.
7028. პოეზია განგების მადლია თუ წყევლა, არავინ უწყის, რადგან მათ შორის გენიალური და აღიარებული იშვიათია.
7029. ცოდნის შეძენა უფრო გატაცებაა, ვიდრე წიგნისადმი სიყვარული.
7030. სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიება, წიგნიერების დასამტკიცებლადაა საჭირო, მხატვრულის მოშველიება – რომანტიკული სულის აღსაქმელად.
7031. ბელეტრისტიკა ზოგჯერ მწერლობას ფონს უქმნის და „იავნანას“ უმღერის, დროის შესატყვისად.
7032. დეტექტივს ერთი ცოდვა აძევს, უნდა – არ უნდა, წიგნის გმირია გაათკაცებული დიდებით და გმირის საცვლებით უნდა შეიმოსოს.
7033. პოეტი ბუნებაში უდრტვინველად უნდა ცხოვრობდეს, თუ უნდა რაიმე სულის საზრდო გვიძღვნას.
7034. შედევრს გენიალური წარმოსახვის უნარი და ნიჭით დატენილი ავტორის წარმოჩენა სჭირდება.
7035. ადამიანი ყოფის მოსავლის მისაღებად უგნურებასაც თესავს და გონიერებასაც, მაგრამ მეტ სიამოვნებას პირველის ნაყოფის გახსენება ანიჭებს.
7036. მწერალი უნდა ცდილობდეს თავისი ნაღვაწის, აზროვნების, მკითხველის თანაავტორი იყოს.

7037. წინათ ერისთვის სახელი და დიდება, მხედარმთავრებთან ერთად, მწერლობას მოჰქონდა, დღეს ინტერნეტის გადამკიდენი რა იდეალებს უნდა ვეზიაროთ და რა არის უმთავრესი, ჩვენთვის უცნობია. მაინც, ალბათ, ქვეყანაში წესრიგზე უნდა ვიფიქროთ.

7038. წიგნისაგან განსხვავებით, ინტერნეტთან ამხანაგობენ, მაგრამ არ მეგობრობენ, რადგან მასში ბევრი მოჩვენებითი და სადაოა.

7039. წიგნს ყურადღებით წაკითხვა სჭირდება და არა – გადაფურცვლა, რათა მასში ჩადებული სულიერების მადლს ჩაწვდე.

7040. მწერალმა უნდა შეძლოს მისთვის ცნობილი, უცხო ენიდან შემოსული, ღირებული სიტყვების მოთარგმნა და გამოყენება.

7041. ენა ყველაზე მეტად ითხოვს დროის დიზაინზე მორგებას და მოდაზე ამეტყველებას.

7042. პოეზია თავის განუმეორებლობას, სულის სილამაზეს, ბუნებას ჰპარავს.

7043. ქაღალდი ინტონაციას ვერ გადმოსცემს, ამიტომ მწერლის ნაღვაწი მსხიობმა უნდა გაახმოვანოს ან მკითხველმა წარმოსახვით იგრძნოს.

7044. რომანი, რომელშიც ჭუჭყია, საიდუმლოებათა ამოხსნის გარეშე, მხოლოდ სასიყვარულო კაურების ჩვენებით, ინტერესით არ იკითხება.

7045. კარგი წიგნი დაფიქრება-მიხვედრის სტრიქონებით უნდა იყოს დაწერილი, რომ მას ფართე მკითხველი ყავდეს და არა ვინმე ერთ თემაზე დაკომპლექსებული ფანატი.

7046. მწერლობაში კომერციული თვითნებობა, ძალადობა, უფრო ძნელი გამოსავლელია, ვიდრე ადრინდელი ცენზურა, რომელიც მწერალს აიძულებდა საეჭვო და სადავო ადგილები ან ამოეღო ან ჩაესწორებინა ე.ი. ოპონენტები ჰყავდა, დღეს შემოქმედებას არც კრიტიკა აქცევს ყურადღებას და არც ოპონენტები მუშაობენ უფულოდ, სწორედ ამ უყურადღებობის შედეგია, რომ დღეს ფუნდამენტური ლიტერატურა არ იქმნება.

7047. დღევანდელი მწერლობა მომთაბარე ცხოვრებას ეწევა სულიერების საროსკიპოდან ხორციელების „ბორდელამდე“, ასეთ ნაწარმოებებს ხშირად წერენ ლიტერატურის მონები, რომლებიც პოპულარულ მწერალთან მუშაობენ, მისი სახელით გამოსცემენ და ფულსაც ამდაგვარი გარყვნილებით შოულობენ.

7048. სამწუხაროდ, თანამედროვე ლიტერატურა არა მარტო ბავშვებისათვის, დიდებისთვისაც თითქმის არ არსებობს, რადგან მისი რეკლამირება ძვირი ჯდება და შედეგად ამდაგვარი წიგნის გამოცემა არავის უნდა.

7049. მწერლობა ნიჭის წარმოჩენის სასიამოვნო დაავადებაა.

7050. ბიზნესში ჩვენს მცდელობას და საქმიანობას მაშინ აქვს ფასი, თუ ჩვენს კომპრომისებს, დასახული მიზნის შესრულებისას კუდს არ გამოაბამენ და თანამეინახეებს არ აგვიბუნტებენ.

7051. ლიტერატურა შეიძლება იყოს: მეცნიერული, სიტყვაკაზმული, ფანტასტიკური, სპეციალიზებული, ეროტიკული. პირველი გონიერების ხახუნს ხელს უწყობს, მეორე – გხიბლავს, მესამე – სულ ჰაერში გვასეირნებს, მეოთხე – დასაქმების აუცილებლობას გვახსენებს, მეხუთე – ვნების შესაძლებლობებს გადაგვამოწმებინებს.

7052. რომანი თუ გულდასაწყვეტი შემთხვევების აღწერით და გულში ჩამწვდომი ბრძნული აზრებით არ არის შეფუთვნილი, დეტექტივია.

7053. გადამეტებულ ფიქრს ზოგჯერ მეცნიერულ ლიტერატურასთან მივყავართ, ხოლო ფანტაზიასთან ჭიდილს – მწერლობასთან.

7054. წიგნმა ღირებულება დაკარგა და არა – ღირსება.

7055. ხშირად „სამეცნიერო“ შრომები „მეც ნახირ-ნახირასთვის“ არის განკუთვნილი.

7056. პროზა სულის ფილოსოფიაა, გულის პოეზიაში შერეულ-შერწყმული.

7057. სატირა კარგი მოგონებაა, მაგრამ ყველას მოწონებით არ სარგებლობს.

7058. ის წიგნია საინტერესო, რომლის არაორდინალურ ფაბულაზე „მოჩვენებითი ფილოსოფია“ ახალი მსოფლმხედველობით ჩალიჩობს და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

7059. სსრ კავშირში ხელოვნების მუშაკებს და მათ შორის მწერლებს, რაღაც-რაღაცები ეკრძალებოდათ, არც კრიტიკას აკლებდენ და არც ვირის აბანოში ყოფნას. შედეგად მკითხველიც კმაყოფილი იყო ხარისხოვანი ნაღვაწით და მწერალიც – დაფასება-დაფინანსებით. დღეს ყველაფერი ნაბადართულია, არავის არაფერი არ აინტერესებს, შედეგად ეს „წერე და იკითხეს“ პოლიტიკა ყოფის რა უგნურებამდე მიგვიყვანს არავინ უწყის.

7060. სიტყვის მადლის ახსნა, თავის მოქაჩლებით, ტვინის „დანთხევით“ და ფანტაზიის მოშველიებით, მწერლის ვალია.

7061. თარგმნას თავისი შარმი უნდა ახლდეს დედნის შეუცვლელად.

7062. ლექსიკონი დიდი გამოგონებაა, მაგრამ ძირითადად შრომის ნაყოფია და არა – შემოქმედების.

7063. წიგნს სხვადასხვა ნიჭი და დროის მოთხოვნა წერს, მაგრამ აფასებს საუკუნეთა გადასახედი.

7064. სიკეთე და გულწრფელობა ნაწარმოებს ნათელს მატებს, ადვილად აღიქმება და სიამეს გვიტოვებს, გმირის საბოლოო ბედის მიუხედავად.
7065. ლიტერატურაც თავის სტილს და მოდაზე აყოლას მოითხოვს დროის და გარემოს შესატყვისად.
7066. ლიტერატურა მკითხველისთვის გმირებს ისტორიის დაუხმარებლადაც ქმნის.
7067. ლიტერატურაზე საზოგადოების ერთდროული „გადაგვარება“ აწესებს მოთხოვნას.
7068. ყველაზე მეტი დაღვინება მწერლობას სჭირდება, რათა მისი ნაწარმოების გმირები ყველა დროის ჰანგებს ხმას უწყობდეს.
7069. შედევრებს გაცნობიერება სჭირდება და არა გადაკითხვა, ამასთან, შედევრის გასათავისებლად უნდა დაიბადო.
7070. პოეტი მონადირე ძაღლივით მუდამ ყალყზე შემდგარი უნდა იყოს, რადგან რა დროს რა რითმა წამოუფრინდება, სიტყვის რა მადლი წამოეწევა, თავადაც არ უწყის.
7071. კარგი მკითხველი მწერლის სპონსორიცაა და ერის წარმომჩენიც.
7072. პროზა მუსიკალურად უნდა ჟღერდეს, გენიალურად უნდა აზროვნებდეს, ფაბულა გონს უნდა გვიბნევდეს და სიამოვნებით უნდა იკითხებოდეს, რაც შეეხება შინაარსს, სათვალავში ჩასაგდები არ არის.
7073. წიგნის კითხვა, ინტერნეტი, საინტერესო შრომაცაა და დროის გაყვანის საშუალებაც, გააჩნია, ვის ხელში მოხვდება წიგნი, ინფორმაცია და ვინ რას „გამოადნობს“ მისგან.
7074. ლექსის ექსპორტი უდანაკარგოდ არ ხერხდება, მაგრამ მისი პრივატიზება ხალასი ნიჭის მქონე მთარგმნელის მეშვეობით, საჭიროცაა და აუცილებელიც სხვა ერების სულიერების გასამდიდრებლად.
7075. წიგნის კითხვა გრძნობათა პოეზიაა, სულიერების პროზაა, გულისთვის – დრამატურგია, ჭკუისთვის – კომიქსი, ხოლო ინტერნეტით იგივე ნაღვაწის გაცნობიერება თავისებური კაიფია, მაგრამ წიგნს ვერ შეედრება, ყოველ შემთხვევაში, წინა თაობას ასე ჰგონია.
7076. დღეს მწერლის ფინანსურ მოთხოვნებს მკითხველთა ოდენობა ვერ აფინანსებს, თუ კინო-ტელე მაყურებელიც არ ჩაერია.
7077. ყველა ავტორი თავისი ცხოვრების, შეხედულებების, პლაგიატია.
7078. წიგნის სასიკეთოდ აღქმას, დრო და დრო, თვალის გადავლება სჭირდება, რომ ის საინტერესო გახდეს და ბესტსელერად აღიქვა.

7079. წიგნის ავ-კარგს დრო განსჯის და არა – ახალგამომცხვარი მკითხველი.
7080. მწერლობის ნაყოფი გამოცემული წიგნია, ხოლო დაჭაშნიკება „მედღე-ხვალიე“ მკითხველების.
7081. კრიტიკა თავმოყვარეობის დენთია, ამიტომაც მას სიფრთხილით მოპყრობა სჭირდება.
7082. ბუნებრივი აღქმის გარეშე ფილოსოფოსი, ლექსების მთხზველი ფართე მოხმარების პოეტია და არა – შემოქმედი.
7083. უაზროდ დავა და შეცილების მცდელობა ხშირად უგვანო სიამოვნებად გვევლინება.
7084. კარგი ლექსი თავადაა ჭეშმარიტება და სულიერად ამაღლებული ხალხის მიმხრობი.
7085. მწერლისთვის გონიერი ხალხის სიყვარული მატერიალურად წამგებიანია, რადგან ისინი ძალზე ცოტანი არიან და ისიც – უფულონი.
7086. თუ მწერალი ჰონორარს არ იღებს და მის წიგნებს არ ყიდულობენ, ამაში დამნაშავე ინტერნეტია.
7087. წიგნთან გასაუბრება ბედნიერებაა, თუ მასში შენი გუნება-ბუნების გმირებზეა საუბარი.
7088. კრიტიკა პოტენციური მკითხველის ნდობით აღჭურვილი პირია, მიუხედევად იმისა, რომ ყველა შემოქმედის შეფასება და მისი ნაღვაწის გაცნობა მას არ ძალუძს.
7089. მთავარი ის კი არ არის, რას წერ, მთავარია მას როგორ აღიქვამს და იგებს მკითხველი ან როგორ შეაფასებს შარის მოსადებად გამზადებული, ჭკუით „დატვირთული“, ოპონენტი.
7090. მწერლობა მომხიბვლელი სიტყვების თამაშია აზრის მოტანით, ორიგინალურ ფაბულაზე ხორცის შესხმით და დასამახსოვრებელი აფორიზმების შეზელვით.
7091. თითით საჩვენებელია ის არგუმენტი, რომელიც მსმენელს სიტყვის დამაჯერებლობას უორკეცებს.
7092. წერას ჭკუის მიტანება უნდა, მაგრამ დაწერილის ერთი წაკითხვით გაგებას და გათავისებას – ორჯერ მეტი.
7093. დიდ შემოქმედებას კარგი წამკითხველიც უნდა ნიჭის გამომჟღავნებით.
7094. პოეზია აპეურებს ვერ იტანს, სული ეხუთება, გონება უბნელდება და აღმაფრენის მინიჭების უნარს კარგავს.
7095. საბუთი, დრო, მენტალიტეტი, განსჯის ისტორიულ სამართლიანობას და ამაზე შექმნილი ლიტერატურის ხარისხს.

7096. ყველა ავტორი თავის ნაცოხნარ-ნაოცნებარი ცხოვრების რაღაც ნაწილს მოიხმარს, ფანტაზიის შეზელვით და ნიჭის დეკლარირება-წარმოჩენით.

7097. ფეხებზემკიდია აზრების და ძარღვიანი სიტყვების კონით ენის სილამაზის წარმოჩენა – აი, რა არის მწერლობა და მისი ჯადოსნური მარგალიტების ფრქვევა, რომელიც მარად სამშობლოს სიყვარულს ქადაგებს.

7098. წინათ მწერალი დაფასებული, ჭკუასაკითხი და უზრუნველყოფილი პიროვნება იყო, დღეს თანამედროვეობის აყოლას ბიზნესში ფეხის ჩადებით ცდილობს.

7099. წიგნი ჩვენი თანამოსაუბრეა და არა ჭკუის მასწავლებელი.

7100. ლექსი თავადაა ფილოსოფია და სტრიქონების გარყვნას ზედმეტი მცდელობით და ტვინის ღრძობით სასურველი შედეგი არ მოაქვს, რადგან მას ბუნებრივობის ხიბლი აკლდება.

7101. დღევანდელი წიგნის უმთავრესი დანიშნულებაა გართობა და არა – სწავლება.

7102. მწერალი ეპოქის მემატიანე უნდა იყოს, რათა თაობებს დროის კაურები დაუტოვოს.

7103. მწერალს თავისი მიკერძოებული მკითხველი უნდა ჰყავდეს, თუ უნდა თავი შემოქმედად აღიქვას.

7104. მწერლობაში სიტყვაკაზმულობას, აზრთა ნაკაზმს, ფილოსოფია უნდა ამშვენებდეს.

7105. მწერალია ის, ვის გამონათქვამებსაც იზეპირებენ და იყენებენ თავის წარმოსაჩენად.

7106. უნაზეს პოეზიას შესაცნობად აზრიანი და ერუდირებული მკითხველი სჭირდება, რათა ლექსის იმ განწყობას ჩაწვდეს, რითაც სტრიქონები დაიწერა.

7107. წიგნი, ბიზნესის გარეშე, ან ლიტერატურაა ან მაკულატურა და არა – „ბესტსელერი“.

7108. პოეზიას გახუნება არ უწერია, ის საზოგადოების ცნობიერებასთან ერთად ყოველთვის განახლებული გვევლინება, ვნებათა ძველი დატვირთვით.

7109. სამწუხაროდ, კომიქსებს უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი პრიმიტიული გასართობი ლიტერატურის სახედ მოიხსენიებს, ეტყობა, ამ ლექსიკონების ავტორთ ამ ნაღვაწის შედევრები არ უნახავთ.

7110. ყველა წიგნს თავისი მკითხველი უნდა მოერგოს მოძიებით, განსჯა-აზროვნებით და გართობით.

7111. წიგნი გართობის და დროის მოკვლის საშუალებაა, თუ მისგან არაფერ სახეიროს არ იძენ.
7112. თავმოყვარეობა და წარმოჩენის სურვილი გვაიძულებს წიგნი ვიკითხოთ, ინტერნეტი კი გვართობს ახალი ნაცნობების მოძიება-ჭორაობით.
7113. კარგმა წიგნმა შეიძლება ადამიანად გვაქციოს, მაგრამ არა – ინტერნეტმა, რადგან ადამიანი „სუსტი“ არსებაა და მასში გარყვნილებას, სათუოს, ეძებს და საჭიროზე მეტს ნახულობს.
7114. წიგნში საკუთარი ისტორიის მსგავსი უნდა ეძებო, თუ გინდა კითხვამ გაათმაგებული სიამოვნება მოგანიჭოს.
7115. წიგნის კითხვას დროის შესატყვისად მომზადებული მკითხველი სჭირდება, რათა მწერლის შეხედულება სათანადოდ აღიქვას.
7116. დღეს ლიტერატურული ნაღვაწის ხარისხს უვიცები ადგენენ და ასაღებენ, რადგან ნაღდი წიგნის შეძენა მიუწვდომელი ფუფუნებაა.
7117. წიგნში საკუთარი მსოფლმხედველობის და სიბრძნის მოძიება დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.
7118. მუზა მოწოდებულია მკითხველის დასატკბობად და გასაოცებლად.
7119. ყველაზე კარგად ის წიგნი იკითხება, რომელსაც ავტორმა ბაზისად სული და გული ფანტაზიით დაუდო.
7120. პოეზია განგებასთან ნაზიარები მუზაა, სულიერების აღმაფრენით.
7121. მკითხველისთვის მთავარია წიგნის გმირის სულისკვეთება, რაც შეეხება მსჯელობას, შეძილება თქვენსას არ ემთხვეოდეს.
7122. ერის სიდიადის პარამეტრებს მაინც ხელოვნება-ლიტერატურით ადგენენ, განუმეორებელი შვილების წარმოჩენით.
7123. ლიტერატურა თუ უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი და ჭკუის სალესია ე.ი. ნაღვაწი შესდგა.
7124. პოეზიას, რომელსაც ხალხურად აღიქვამენ, მარადისობისკენ გზა გაკვლეული აქვს.
7125. კრიტიკა ის კრუხია, რომელიც კვერცხებზე დამჯდარ ქათმებს პიარს უკეთებს.
7126. ლექსის თხზვა ძნელი არ არის, ძნელია იყო დიდი პოეტი და ერის წარმომჩენი შვილი.
7127. კალმის შედევრს ყველა თავისი გაგებით აღიქვამს, მაგრამ შედევრი მარად შედევრად რჩება.
7128. კითხვა სულიერების ვარჯიშია. სხეულის „წვალების“ ვარჯიშისგან განსხვავებით.

7129. კრიტიკა, უპირველესად, მოუსყიდავი გემოვნებაა, ტვინის განძრევით და მომავლის ხედვით.
7130. წაკითხვა კი არ არის მთავარი, არამედ იქიდან გონიერებისთვის საჭირო მარგალიტის გამოთხრა.
7131. კრიტიკა, ნიჭსა და მოჩვენებითობას შორის დაუფასებელი შუამავალია.
7132. მოსმენის და საუბრის ნიჭს შორის სხვაობა დიდია, მაგრამ ურთიერთს პატივს მიაგებენ.
7133. მწერალს და მკითხველს სულით ნათესაობა უნდა აკავშირებდეს, თუ უნდათ ურთიერთპატივისცემით განიმსჭვალონ.
7134. რაც მხოლოდ გვართობს და რამე ხელშესავლებს და დასამახსოვრებელს არ გვაწვდის, იმ წიგნის წაკითხვა დროის დაკარგვაა.
7135. მწერლის ხელწერა, შემოქმედება, თუ არავის ჰგავს, მწერალია, თუ ჰგავს – ლიტერატორი.
7136. ორიგინალური, საინტერესო, ჩონჩხის გარეშე ნაწარმოები, ნაღვაწი, უკვე ინვალიდია.
7137. წიგნის ფურცელი, რომელიც დასვენებას გვთავაზობს, ის გასართობი წიგნია, რომელიც სულიერებას გვიმღვრევს, კლასიკაა, თუ მასში აფორიზმებიც მეტყველებს და დაჭაშნიკებას მოითხოვს.
7138. ყველა ნაღვაწში, მეტ-ნაკლებად, ავტორის ბიოგრაფიის შეფერადებულ-ნაოცნებარი დევს.
7139. მწერალმა მისი გმირები ღმერთის სიმაღლემდე უნდა აიყვანოს, რათა მკითხველს გააცნოს ეროვნული სული.
7140. ცოდოა ეს ულამაზესი ქართული ენა და დამწერლობა ჭკუაბლუების ხელში.
7141. მწერალი კრიტიკის გარეშე შემოსავალსაც კარგავს და სათანადო სიმაღლესაც, ასე, რომ კრიტიკას კი არ უნდა გავებუტოთ, მოვეფეროთ და გვერდში წაქეზებით ამოვიყენოთ.
7142. კარგი და გასაგები წიგნი გონიერებასთან გასაუბრების ტოლფასია.
7143. ჩონჩხის, ფაბულის, ემოციური დატვირთვის გარეშე ყველა ნაღვაწი უსუსურია.
7144. „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“, ხოლო კარგ მწერალს – აზრიანი და კუდის ამწევი მკითხველი.
7145. პოეზია ანკარა წყაროა, რომელსაც ყველა ვერ შეიგრძნობს და მას სხვადასხვა გამაგრილებელ, მოდერნისტულ, ვეჟინიან, ლექსებს ამჯობინებენ.

7146. პოეზიის მადლის შემცნობი ისევ წიგნიერი, უსაქმოდ დარჩენილი, მკითხველია.
7147. პოეტის ნაღვაწი ფაქტიურად არ იყიდება, ის უბრალოდ იცვლება სულიერებაზე, სიყვარულზე და გახსენების იმედზე.
7148. ძახილის ნიშანს მწერლობაშიც თავის ავტორიტეტი და მნიშვნელობა აქვს თავის წარმოჩენის ცდით.
7149. მწერალი თავის რეალურ შესაძლებლობებს თავის ნაღვაწში თავისივე გადასახედიდან ახორციელებს და ფანტაზიას აზელს.
7150. ხშირად წიგნის გმირები მწერლის ფანტაზიის მიხედვით ცხოვრობენ, რაც მკითხველისთვის ხშირად გაუგებარია, მაგრამ ამ დროებითი გაუგებრობით ორივე მხარე კმაყოფილდება.
7151. წიგნის ხარისხს მისი ცხოვრებისეულობა, შემდგომ კი სტილი და ფანტაზია განსაზღვრავს.
7152. წიგნის გმირს ავტორი ქმნის, განუმეორებლობის რანგში კი მკითხველს აჰყავს.
7153. სტროფებს შორის აზრს ყველა თავის „მეგაბაიტის“ გარყვნის შესატყვისად იგებს.
7154. მწერლის ნაწარმოებში თუ სულიერების მუსიკის ჰანგები არ ჟღერს, ის პოპულარული ვერ გახდება.
7155. წიგნის ფაბულაში საყველპურო მათემატიკის სილამაზეც უნდა იგრძნობოდეს, თუ გვინდა ხელშესავლები ნაღვაწი მივიღოთ.
7156. მწერალი უნდა საზრდოობდეს იმ ცნობიერების „დანაღმული მინდვრით“, რომელშიც მისი თხზულების გმირები ცხოვრებას აპირებენ.
7157. პოეზია ერთეულებს სწყალობთ, ისიც დიდი შერჩევა-გადარჩევით, ტრადიციებზე დაყრდნობით და ეროვნულობის წარმოჩენით.
7158. მწერლის შემოქმედების ხარისხს სიტყვების წარმოსახვითი ონანიზმის „ფარფატი“ და განათლებულ-განსჯის უნარის მქონე მკითხველი განსაზღვრავს.
7159. მწერალი დროის მსაჯულია, მკითხველი ამ დროის „დასჯილი“ მოპასუხე, რომელსაც რაიმე რეალურის შესმენა არ სურს.
7160. მოვიფიქრე, გამიტაცა, გამოვაქვეყნე (მწერალი).
7161. წიგნის კითხვა გართობის საშუალებაცაა და წიგნიერების გამომხატველიც.

მამაკაცი

7162. ყველაფერი მამაკაცური საპატიო და საპატიებელია, რასაც სხვისთვის ვნება არ მოაქვს.

7163. შენს ირგვლივ ქალები თუ წრეს არტყამენ, კვლავ სანუკვარ მამაკაცად გთვლიან.

7164. მამაკაცს უმთავრესად ქალის ხმა, ქცევა, წარმომავლობა აბამს და არა – მისი ფუტლიარი.

7165. მამაკაცი ქალს ვერასოდეს გაუგებს, თუ ქალმა არ შეიცოდა.

7166. სიმორცხვე, რომანტიზმი, მელანქოლია შესანიშნავი მიზეზია მამაკაცისთვის, ქალს რქები რომ დაადგას.

7167. მამაკაცები მდედრთა გადამეტებულ ყურადღებას, მზრუნველობას, ვგრძნობთ – ეს დედიკოს სახით იქნება თუ ცოლიკოსი.

7168. მამაკაცს კრედიტით აღებული სიყვარული გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე ბითუმად და ერთჯერადად.

7169. არაკაცობა უსუსურობის, მიზნის არქონის, სიზარმაცის, ნაყოფია.

7170. ქალი სიტყვით და მოქრთამვით უნდა დაიმორჩილო, ვნებით „დაახრჩო“, შენს ჭკუაზე უნდა აწანწალო. შედეგად დიდებული და შეუცვლელი მამაკაცი ხდები მის თვალში.

7171. პატიოსნება თავისებური სიმდიდრეა, რომელსაც დღეს მამაკაცები ქალის ქცევაში იშვიათად ეძებენ.

7172. სიფხიზლე რომ სიმთვრალეს ჯობია, გასაგებია, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრების მოსიყვარულე კაცისთვის ყევლასთვის ეს ასე არაა.

7173. ჭკვიანი მამაკაცის საჩუქარიც განძია, ჩვეულებრივი მამაკაცის მორთმეული კი ტრადიციების გათვალისწინებით მახსოვრობისთვის დასავიწყებლად გამზადებული ძღვენია.

7174. ერთი ნახვით შეყვარება ყველა მამაკაცის ოცნებაა, რადგან ეს გულის თავხედობაა, რომელიც შედეგზე პასუხს არ აგებს.

7175. მამაკაცის უნივერსალური სიტყვა, „მინდა“, იმ ტონალობაში უნდა იყოს ნათქვამი, რომ ქალმა უარი აღარ გაკადროს.

7176. კაცი ქალს უსინდისოდ სიყვარულს მაშინაც ეფიცება, როდესაც მასთან ყოფნის დროს სხვა ქალზე ფიქრობს და მის სხეულს წარმოდგენით ელაციცება.
7177. ყველა მამაკაცი ქალმა გულში რომ ჩაიკრას თანახმაა, ოღონდ მისი მშვიდობიანი დატოვება უნდა შეეძლოს.
7178. ქალს მამაკაცზე „აწეპება“ სიამოვნებს, მაგრამ მამაკაცსაც უნდა მივცეთ დასვენების და დროებით თავისი ცხოვრებით ცხოვრების საშუალება.
7179. მამაკაცების კამპანიას ზოგჯერ ქალების კამპანიის სუვერენიტეტის არ ესმით და პირიქით.
7180. ძნელია იმ კაცზე აუგის თქმა, რომელიც გონიერებით რისკავს და ყოველივეს კანონის პატივისცემით და ალიბის მოშველიებით აკეთებს.
7181. მამაკაცებს რომ სოლიდარობის გრძნობა გააჩნდეთ და ერთმანეთს კონკურენციას არ უწევდნენ, ქალები ღალატზე ხელს აიღებდნენ, მაგრამ იქნებოდნენ კი ისეთი ვნებიანი ქალები, რომლებიც დღეს მამრებს გონებას ასე ურევენ?
7182. ქალის ვნება და ნება ხვადი მამაკაცისთვის უზენაესი კანონი უნდა იყოს, იმისდამიუხედავად, მოსწონს მას ეს მდედრი თუ არა.
7183. მამაკაცი დღეს ვნების მოპოვებით ცხოვრობს, ხოლო ქალი ამ დღის იმედით, გახანგრძლივებით და მისი პრივატიზების მცდელობით.
7184. არის რაღაც, რაშიც დახმარება არ შეიძლება და არცაა საჭირო, რადგან აქ საკუთარი ყნოსვა და ფხა უნდა გამოიჩინო, რათა ქალები შენს მიმართ ვნებით განეწყონ.
7185. ჭკვიანი მამაკაცი შეიძლება ქალისთვის საჩუქარი არ არის, მაგრამ ის უკეთ უგებს, ვიდრე ქალის ოცნების რჩეული.
7186. ბერბიჭობა ქალებში ეჭვიან იმედს ბადებს, რადგან ამდენი ხნით მარტოობა, ქვენა გრძნობების შესაძლებლობებზე კითხვის ნიშნებს სვამს.
7187. მამაკაცს მოგოგმანე აუწყობელი გიტარა უფრო მოსწონს, ვიდრე სიმებაწყობილი და სმენადი მდედრი.
7188. მამაკაცი სხვის ფულს, სიმდიდრეს, თანამდებობას არ უნდა დახარბდეს, განსაკუთრებით, ცოლისას.
7189. მამაკაცს ვნების დაკმაყოფილების სურვილი მიზანს უსახავს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.
7190. ასაკის მატება მამაკაცს დედაკაცზე უფრო „აწეპებს“ და ერთ თვინიერ „სატანად“ აქცევს.

7191. მართალია, ოჯახში კაცი თავის ფუნქციას ასრულებს – ქალი კისრისას, მაგრამ კისერი იმ მხარეს უნდა ტრიალებდეს, საითაც მამაკაცს უნდა და ოჯახიც შემდგარია ყოველგვარი ექსცესების გარეშე.

7192. მამაკაცობას კაცობა მოაქვს, ქველობას – ღირსება.

7193. მამაკაცები დამგზავრებულ ქალს და ქარს სიამით ელაციცებიან.

7194. ქალს მუდამ უნდა ეტრფოდე და ყურადღების ცენტრში გყავდეს, მაგრამ ამ ფუფუნების შემდგომ ღალატს გულში გაივლებს თუ არა, ეს შემთხვევაზე და ყოფის განტოლებაზეა „ასხმული“.

7195. მამაკაცის უმთავრესი მოვალეობაა გონიერი შთამომავლობა დატოვოს, რათა მისი ჯიში არ გადაგვარდეს, შთამომავლობის ძირი არ შეწყდეს და წაწყდეს.

7196. უცოლო კაცი ან ძალზე პატიოსანია ან რაღაც „ჭირს“.

7197. როდესაც მამაკაცის სამზარეულო და ბინა ძალზე დაულაგებელია, იმის მაჩვენებელია, რომ მას ქალის მშვენიერება აღარ აინტერესებს.

7198. თეორიულად ჭკვიანი ქალი ჯობს ლამაზ ქარაფშუტას, მაგრამ მამაკაცის ღირსება პრაქტიკულ არჩევანს აკეთებს.

7199. ჟრუანტელის მომგვრელი სილამაზე, დათაფლული ენა, შეფუთვნილი განცდებში და სასურველი მამაკაცის პრივატიზება უტყუარია.

7200. მამაკაცს რქების დადგმის ეშინია – ღირსება ეცემა, როცა სხვას რქებს ადგამს – ღირსება მატულობს და ეს შეუთავსებელი აქსიომა, რატომღაც მამაკაცთა მოდგმას არ აწუხებს.

7201. მუსულმანებს მრავალცოლიანობის უფლება აქვთ და ქალებიც თანხმდებიან სარეცლის გაყოფას, მაგრამ სარწმუნოება ქალს მაინც ავ არსებად მოიხსენიებს. ჩემთვის გაუგებარია, მეტი რა დათმობაზე უნდა წავიდეს ქალი ე.ი. მამაკაცთა მოდგმაა დამნაშავე, ქალს რომ ვერ უგებენ და არ ეთაყვანებიან.

7202. ყველა მამაკაცი მოწოდებულია ქალის უდიდესი ნდობა ოცნებით 50%-ით მაინც გაამართლოს.

7203. ქალი სანამ გასასაღებელ არსებად ითვლებოდა და მამაკაცს მისი არჩევის „უფლება“ ჰქონდა, ყურში საყურეს არ იყრიდა და კოსმეტიკას არ ეძალებოდა. მატრიარქატის მოძალების შედეგად ხვადად წოდებულების არჩევა ქალებმა ითავეს. ეს თეორიულად დემოკრატიასთან კეკლუცობაა, პრაქტიკულად – მამაკაცთა გადაგვარების საწყისი.

7204. შინაგანად ყველა მამაკაცი მოწოდებულია სიყვარელი ქალის ოცნებათა უმეტესობა შეასრულოს.
7205. ხშირად მამაკაცის რაობა ცოლის „გიჟ-ვრაცუობის“ ამპარტავნებაზეა დამოკიდებული,
7206. კაცს ქალებთან ურთიერთობის ძიება აწრთობს, ავაჟკაცებს და ნაღდ მამაკაცად აქცევს.
7207. მდედრის შეუმჩნეველი სიმდიდრის პოვნა, მიძინებული გრძნობების გამოღვიძება და მისი სულიერების გამომზეურება, რჩეული მამაკაცის ხვედრია.
7208. ქორწინება მამაკაცის დანებებაა, რადგან მობეზრდა ამდენი უაზრო თავისუფლება.
7209. მამაკაცს ქალისათვის ყოველთვის უნდა ჰქონდეს განუმეორებელი სიტყვები, რომლებსაც დაუგვიანებლად გახმოვანება სჭორდება.
7210. ეჭვიანობის მიზეზი ხშირად მამაკაცის მიერ ხვადობისგან თავის შეკავებაა.
7211. სულიერად ყველა მამაკაცი ალფონსია, მაგრამ სინამდვილეში პირიქითაა.
7212. ტირანიაა, როდესაც ძლიერი სუსტზე მძლავრობს. ქალის და მამრის ურთიერთობაში სუსტი არსება მძლავრზე ძალადობს, მაგრამ ტირანი მაინც მამაკაცია.
7213. იდეალური მამაკაცისთვის ქალი საზოგადოებაში ღვთაებაა, საწოლში – „კახპა“ და ამ სუბორდინაციის ალგორითმით ორივე მხარე კმაყოფილია.
7214. მამაკაცს სიამოვნებს, თუ მას ქალი ზეკაცად აღიქვამს, მაგრამ ამ იმიჯს მატერიით გამაგრება რომ უნდა, არას დაგიდევთ.
7215. მუდმივად შეყვარებულ მამაკაცს ოჯახის შექმნა უჭირს და არც სჭირდება.
7216. მამაკაცს სიყვარულით ასაფეთქებლად მასში ჩადებული, მიძინებული, სიბრიყვის გამოღვიძება სჭირდება.
7217. აზროვნების რადიკალიზმს სათანადო მტკიცებანი სჭირდება.
7218. ყველა სტაჟიანი ქმრის ოცნებაა იყოს ცოლიანი, ოღონდ ბერბიჭა.
7219. ძალზე კარგი მამაკაცი მამად არ გამოდგება და თანაც საცოდაობაა მის ერთ ქალზე გაცდენა.
7220. მამაკაცებმა ქალებზე კი არ უნდა იძალადოს, არამედ ამ საქმისთვის ალერსით უნდა მოამზადოს, რათა ქალმა თავდავიწყება იგრძნოს და არა უხეში სექსი.

7221. მამაკაცის ენთუზიაზმს, რომელიც დაოჯახებით არ მთავრდება, ხვადობაზედ აქვს პრეტენზია და არა – ქმრობაზე.

7222. ყველა ცოლი, თავისებურად, ქმრის უკმაყოფილოა, მაგრამ სასიამოვნოა ჩემი ცოლი რომ საერთო ნაცნობებს მადარებს და თავისი ბედით კმაყოფილი რჩება. ასე, რომ „მეგობარ-ნაცნობების“ არჩევაც უნდა ვიცოდეთ, მამაკაცებო!

7223. მამაკაცებს ხშირად უყვართ იმ სიტყვათა გამოყენება, რომლის მნიშვნელობას ბოლომდე ვერ წვდებიან და არც აინტერესებთ.

7224. საქმით დაკავებულ მამაკაცს ქალმა უაზრო შეკითხვებით და სინაზის მოძალებით თავი არ უნდა მოაბეზროს.

7225. მამაკაცი იმიტომ კი ვერ იტანს ქალის ღალატს, რომ მის საქმეს სხვა მამაკაცი აკეთებს, არამედ იმიტომ, რომ სხვისი ნაშიერი შვილად არ დააწერონ და საზრუნავი არ გაუხადონ.

7226. მამაკაცის გრძნობათა დამუნათებას ქალის ენის თერაპიით მკურნალობა სჭირდება მისი „მეს“ წარმოსაჩენად.

7227. უსუსური და ავყია მეგობარი უგუნურების აგენტია.

7228. ცოლში სითბოს ვეძებ, საყვარელში – სიახლეს, მაგრამ თუ სიახლის აღმოჩენის თავი არ გაქვს, ამ უკანასკნელს უნდა შეეშვა, რადგან ცოლი შენი შვილების დედაც არის და კვლავ აღმოსაჩენი ქალიც.

7229. ასაკში მამაკაცს პატივს განვლილი ცხოვრების მიხედვით მიაგებენ, ხოლო მოწიფულობაში მის მიერ დაკავებული თანამდებობებით და გაკეთებულ საქმეთა ხარისხით.

7230. მეგობრობას, ერთნაირ აზრებთან ერთად, ერთნაირი შემოსავლებიც უწყობს ხელს, რათა რომელიმე მათგანი ისე არ ამაღლდეს, რომ დანარჩენებს ზემოდან დაუწყოს ყურება.

7231. მამაკაცისთვის მომავალი თაობის ჩასახვა მოვალეობაა და ქალისგან განსხვავებით, უსიყვარულოდ არ უნდა დაქორწინდეს, რათა შვილები მას არ დაემსგავსონ. რაც შეეხება დედობას, ეს ვალი ქალს განგების ნებით აქვს გადასახდელი და რა გზით, ეს არავისი საქმე არ არის.

7232. ერთგულება მამაკაცად ჩამოყალიბების წინაპირობაა, დედაკაცისთვის თავის დამადლების ერთ-ერთი ხერხია.

7233. მამაკაცებს ხშირად ქალთან ყოფნა უყვართ, მაგრამ შედეგი არ აინტერესებთ, ხოლო ქალები კიდევაც ინტერესდებიან და თავიანთ გრძნობებს და უფლებებს მფარველობენ და თუ საჭიროდ ჩათვლიან, პასუხსაც მოგვთხოვენ.

7234. ყველაზე ცუდი ის დროა, როდესაც კაცები ქალებზე ჭორაობას თავს ანებებენ, პოლიტიკაზე ყბედობენ და თავისუფალი დრო როგორ მოკლან, არ იციან.
7235. ქორწინება მამაკაცის მიერ საცხოვრებელი ადგილის მონიშვნაა, ოჯახის უღელში თავის გაყოფის მონანიებით.
7236. მეგობრობა სულიერ მოთხოვნათა ურთიერთდაკმაყოფილებას ნიშნავს, შესაძლებლობათა ფარგლებში.
7237. უპირველესად სასურველია პარტნიორი დავარწმუნოთ, რომ თქვენ ეჭვიანობის ობიექტად არ გამოდგები.
7238. ეჭვიანობა ქალს საშუალებას აძლევს თავისი „ფართო მოხმარების მამაკაცი“ ადრინდელზე მეტად შეიყვაროს.
7239. წარმატებული სექსი და ყასიდად ქალის შექება დიდი პერსპექტივაა მომდევნო აქტისთვის.
7240. სექსუალური შესაძლებლობების „მოთოკვას“ სიბერეში მონანიება არ შველის.
7241. ყველანაირ ქალებში სიარულის უფლება იმ მამაკაცებს აქვთ, ვისაც ამის შესაძლებლობა და გამოცდილება შესწევთ, რათა სახლში არაფერი შეიტყონ და სავალდებულო „სექს-მინიმუმს“ მეუღლესთან ვნებით ჩაბაროს.
7242. ცოლს ქმარი უნდა უყვარდეს, უფრთხილდებოდეს, ხოლო ლამაზმანი პატივს უნდა მიაგებდეს მამაკაცური შესაძლებლობების მიხედვით.
7243. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადატვირთვის გამო მამაკაცს საშუალება ესპობა დამგზავრებული ქალი ქვემოდან ზევით შეათვალიეროს და მის მახსოვრობას რჩება ბედისგან განაწყენებული უკმაყოფილო სახე.
7244. მომდევნო საუკუნეთა ცივილიზაცია ბევრ პრაქტიკულად გამოსაყენებელ „უგნურებას“ შემოგვთავაზებს, მათ შორის, ჩამოწერილი მამაკაცის ნაცვლად „ვნებით აღჭურვილ“ რობოტებს.
7245. ყველა მამაკაცი ოჯახის „ვირია“, თავად გრძნობს ამას თუ აგრძნობინებენ.
7246. მამაკაცი არ უნდა შეეცადოს დედის ხასიათი ცოლს მოარგოს.
7247. ქალის შინაგანი სითბოა მამაკაცისთვის უმთავრესი და არა მისდამი განწყობა.
7248. მეგობრობას ობი მაშინ არ ედება, როდესაც არა მარტო ტელეფონით საუბარს, ერთმანეთის ნახვასაც ვახერხებთ.
7249. ზოგ მამაკაცს ასაკი პასპორტში ჩახედვის შემდგომ ახსენდება, ხოლო ქალი პასპორტში საერთოდ არ იხედება.

7250. მამაკაცის აზროვნების საწყისი ქალია, როგორც ძილის წინ, ასევე გაღვიძების შემდეგ.
7251. კაცი ქალის მფარველი ანგელოზია.
7252. ხვადობის ხარისხს ქალების ოდენობა კი არ განსაზღვრავს, არამედ მამაკაცის შესაძლებლობა.
7253. მამაკაცი თავის „ღირსებას“, სექსის დროს, ყალამივით უნდა ხმარობდეს, რათა ბავშვი ლამაზი გამოვიდეს და „ხელწერა“ არ გაიფუჭოს.
7254. მამაკაცებს მოსწონთ ცოლის უფროსობა სახლში, ოღონდ მათი ხელმძღვანელობით.
7255. მამაკაცი მარად უნდა იყოს ქალის ინტერესების დამცველი „პერპეტუუმ-მობილე“.
7256. მამაკაცი ქალთან ურთიერთობისას გონიერებას კარგავს, ქალი კი იძენს.
7257. კაცი, რომელიც თავისი სექსუალური შესაძლებლობებით მეგობრებში ტრაბახობს, მამაკაცია, ოღონდ „ჩამოპლაცკარტებულ“-ჩამოქვეითებული.
7258. მამაკაცს სულიერად ერთ ქალთან ყოფნა ამაღლებს, მაგრამ ხორციელად აბეჩავებს და მოვალეობის მონად ხდის.
7259. მამაკაცის ყველაზე უკეთესი შემფასებელი სექსის შემდგომ ქალის თვალებზე გაბრწყინებული მადლიერების ცრემლია.
7260. წუთიერ, თვალშეუვლებელ, მამაკაცს რა სჯობს, თუ რაღაც ხელშესავლებს ტოვებს, ბავშვის გარდა.
7261. ყველა მამაკაცი ქალის ცხოვრების მოწყობას ცდილობს, მაგრამ ხშირად პირიქით ხდება.
7262. „ძვირფასოს“ ინტონაციაზეა დამოკიდებული თქვენი შეფასება – რამდენად იყოჩაღეთ სექსში.
7263. ქვრივის საყვარლად ყოლა, ბედნაცვალისგან განსხვავებით, მისი დასპონსორებაა კვადრატში, რადგან ის ისევ ვნების ფსონშია ჩადებული და თამაშობს.
7264. მამაკაცს რომ ოჯახზე ზრუნვით ფრთები არ ჰქონდეს შეკვეცილი, კარგა ხანს საუკეთესო საყვარელი იქნებოდა.
7265. ამბობენ, სიმელოტე მამაკაცის ჭკუის მაჩვენებელიაო, მაგრამ ეს საკრედიტო ბარათის გარეშე არ სჯერათ.
7266. ქალებთან ურთიერთობაში გამოცდილ მამაკაცს, თავისი ოლიმპის გადასახედიდან ასაკი „უტეხავს“.
7267. წარსულის მქონე ქალების სიყვარულით დამუნათება ხვადის გენს და მამაკაცობის დიდ ნიჭს მოითხოვს.

7268. მხოლოდ გამოუცდელი და მასზე ყურებამდე შეყვარებული მამაკაცის ხელში ათავხედებს მდედრი თავის კაპრიზს.
7269. ქალის დასაპყრობად მამაკაცს მისი წუთიერი სისუსტის, უმწეობის, დროულად გამოყენება სჭირდება, რათა შანსი ხელიდან არ გაუშვას და მდედრსაც ალიბი მიუგდოს „წუთიერი სისუსტით“ თავის სამართლებლად.
7270. შეუფერებელია მამაკაცისთვის უარის თქმა ქალის თხოვნაზე, თუ მისი ჯანმრთელობა და მსოფლმხედველობა ფეხს არ ითრევს.
7271. ჭკვიანი მამაკაცი ქალს თავდავიწყებით არ შეიყვარებს, მაგრამ მამაკაცისთვის რაც აუცილებელია – ოჯახს, კვლავწარმოებას, არ უნდა გაექცეს.
7272. მამაკაცმა ქალების წარსულში ნაჩალიჩარით არ უნდა იტრაბახოს, ხოლო ქალმა თავისი წარსული არ უნდა გაახმოვანოს.
7273. მსახიობი მამაკაცი თავისი ხელოვნებით კუბში აყვანილი მაინც უნდა იყოს, რომ კვადრატში აყვანილ მსახიობ ქალს გაუტოლდეს.
7274. არიან ძალად მაცხონე, უვარგისი, მოღალატე, ქმრები, რომლებიც სხვა ქალებთან, ირგვლივმყოფთა დასანახად, იმიჯის ასამაღლებლად „დაეთრევიან“, თორემ როგორც მამაკაცი-ხვადი ღმერთს არ უქნია.
7275. მამაკაცს მიმწოლი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რეალობასთან შეხებით, ქალს დამთმობი კაპრიზის მოშველიებით, იმგვარად, რომ არც ერთმა საკუთარი „მე“ არ დაკარგოს.
7276. მამრმა პირველ რიგში თავი უნდა მოიაზროს ყოფასთან შერკინებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სტატუსი გაურკვეველი იქნება, განსაკუთრებით, ქალებთან მიმართებაში.
7277. მამაკაცს მსჯელობა შველის, ქალს მისი „ყურადღებით“ მოსმენა, თავისქნევით და სარგებლის გამოთხრით.
7278. ეს ოჯახის „მუჭუჭი“ მამაკაცი, როგორც არ უნდა ატრიალო, მაინც საბანკო ბარათია, ხოლო ცოლი ამ ბარათის გამომღრნელი მატლი.
7279. მამაკაცს გული ჭკუა-გონების მოსახმობადაც უნდა და სიკეთის საკეთებლადაც.
7280. მამაკაცი, რომელიც სავალდებულო სექს-მინიმუმს სახლში ვერ ასრულებს, სხვა ქალებში არ უნდა დაეთრეოდეს.
7281. მამაკაცი ქალში ახალ სასიყვარულო თავგადასავალს და „სექს ყუმბარას“ ეძებს, ხოლო ქალი კაცში თავის ოცნების პატრუქს, რომელიც მამაკაცის ნებაზე აღაგზნებს, „ააფეთქებს“.

7282. მეგობრობა არ ხუნდება, სიყვარული არ ქრება, მაგრამ ასაკში ერთისთვის დროს ვერ ნახულობენ, მეორე კი მოვალეობა ხდება.
7283. მეგობარს, ეტყობა, მაინც გენი ირჩევს, ხასიათი აჭაშნიკებს, დრო გამოცდის.
7284. თუ მამაკაცი ხარ, ქალები უნდა გიყვარდეს, პატივს უნდა მიაგებდე, ვნებას არ უნდა ამადლიდე განურჩევლად ასაკისა, განათლებისა, გარეგნობისა, რადგან ყველა ქალს თავისი მომხიბვლელობა, შარმი გააჩნია და მათი დაჭერა მამაკაცს უნდა შეეძლოს და აქ „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო...“ არ გამოდგება.
7285. მამაკაცს ქალთან ყოფნა ალამაზებს, ამ კაცის უკან რა სახელი და შესაძლებლობაც უნდა იდგეს.
7286. ღირსეული მამაკაცი ზოგჯერ „ძუკნაზე“ ქორწინდება და სიცოცხლის ბოლომდე ერთად არიან, მაგრამ სულიერი პარამეტრები აკავშირებთ, თვით განგებისთვისაც, ალბათ, უცნობია.
7287. მამაკაცმა მრავალჯერ ბედნაცვალ ქალზე დაქორწინებისაგან თავი უნდა შეიკავოს, რათა მდედრის აურამ მასზე არ იმოქმედოს. ამდაგვარ ქალთა რეკლამირება ქალიშვილობის მაზანდის დევალვაციას იწვევს და ტრადიციებს აკოტრებს.
7288. ტრაგიკული სიმღერა, „დაიკარგა ქალი“, მაყურებელ მამაკაცთა აღფრთოვანებას იწვევს და ბისზე აცილებენ როგორც ავტორს, ასევე შემსრულებელს.
7289. მამაკაცი, გარკვეულ ასაკამდე, თავისუფლებისმოყვარე ცხოველია, მაგრამ როცა ბერდება, თავის სამყოფელის არეალის „მონიშვნას“ იწყებს.
7290. ზოგიერთი ქალის მზრუნველობას მამაკაცი სიგიჟემდე მიჰყავს, რადგან თავი ციხეში ჰგონია.
7291. არც ერთმა მამაკაცმა მისთვის განკუთვნილი ქალის არჩევა არ იცის, ისინი, უბრალოდ, ქალის სატყუარას ეგებიან.
7292. მამაკაცები ხშირად არ არიან ღირსნი იმ სიყვარულის, რომლისთვისაც ქალები იღვწიან და ლოცულობენ.
7293. მამაკაცი ქალს აძლევს და ახმარს იმას, რაც საუკეთესო აქვს და ქალმა ეს უნდა გაითვალისწინოს.
7294. მამაკაცის ყველაზე დიდი განძი „გარკვეული იმიჯის მქონე“ ქალებთან დაკავშირებული ლამაზი თავგადასავლებია.
7295. მე იმ მამაკაცების სადღეგრძელო მინდა შევსვა, ვინც ჩვენს ცოლებს დაუნდობლად ხმარობს, ექსპლუატაციას უწევს და სიამოვნებას ანიჭებს. ნუ გაოცდებით, მათი ქმრების სადღეგრძელოა.

7296. მამაკაცს ქალის შესარჩევად რევერანსები სჭირდება, ხოლო გამორჩეული მამაკაცი რევერანსებს არ სცნობს, ნაღდი ქალი კი – რევერანსებით დაკავებულ მამაკაცს.

7297. კარგი მამაკაცის ნაკლებობას ქალები ყოველთვის განიცდიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები გაცილებით მეტი იბადებიან, ვიდრე გოგონები, მაგრამ ბუნების ეს კანონზომიერება ხარისხიანი მამაკაცების ოდენობას ვერ ამზეურებს.

7298. ცინიზმსაც თავისი დროული მუხრუჭები სჭირდება, რათა იუმორით შეთხზული კალამბური სიავეში არ გადაიზარდოს და შენდამი კეთილგანწყობაზე ხელი არ აიღონ.

7299. მამაკაცმა ქალი ისე უნდა წვრთნას, რომ მდედრს ეს პროცესი პირიქით ეგონოს.

7300. ყველა მამაკაცს აქვს წუთიერი გატაცება, რომლებსაც ცოლები ღალატად ნათლავენ, ხოლო მამაკაცს ეს გადაცდენა „სავარჯიშოდ“ და საკუთარ „მესთან“ წასატრაბახებლად სჭირდება.

7301. არის მამაკაცის კომპლიმენტი, რომელიც ქალს აღაფრთოვანებს, ხოლო პირიქით მამაკაცს შეურაცხყოფს (მაგ., ჩემს ყველა ქალს ჯობიხარ, ან ჩემს ყველა მამაკაცზე მაგარი ხარ).

7302. მამაკაცს გულში მაინც საყვედურობენ სხვის წარმატებას და მის წარუმატებლობას.

7303. თუ ცოლს ღალატობ, ისეთ ქალთან უნდა უღალატო, რომ მის თვალშიც ამაღლდე და გულში თქვას: ეს რა ყოჩაღი ქმარი მყოლიაო.

7304. მაინც მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის უფროსი, იმისდამიუხედავად, ცოტას გამოიმუშავებს თუ ბევრს, რადგან ღმერთმა ევა ადამის ნეკნისაგან შექმნა და არა – პირიქით.

7305. ვერც ერთი მამაკაცი ცოლს ღალატს ბოლომდე ვერ აპატიებს, რადგან შთამომავალი, გვარის გამგრძელებელი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

7306. ცოლის პატივისცემა მამაკაცს მაშინ უორკეცდება, თუ სხვა ქალში იმ თვისებებს აღმოაჩენს, რასაც საკუთარ მეუღლეში.

7307. მამაკაცებს რომ ერთმანეთს გაგება შესძლებოდათ, ალბათ, არც ომები იქნებოდა, არც ქალები იჯირითებდნენ მათზე და ვერც სამყაროს აღვიქვამდით ისე, როგორც დღეს არის.

7308. მამაკაცის ყვერები ის აუცილებელი წარმოებაა, რომელმაც ძის და ქალის ხარისხიან პროდუქტი უნდა აწარმოოს ქალის საშოში და-

საბანდებლად. ღმერთმა ნუ ქნას მან წუნი გამოუშვას, რადგან ის მთელი ცხოვრება მძიმე ტვირთად აწვება, მშობლებს, ხალხს და სახელმწიფოს.

7309. თავის დროზე ჯარისკაცობა ყველა მამაკაცმა ნებაყოფლობით უნდა იკისროს.

7310. დღეს მარტო იმის თქმა, რომ მამაკაცი ხარ, არ კმარა, ამას დამტკიცებაც უნდა.

7311. დღეს მამაკაცებს დიდად გაუმართლათ, მეცნიერების მიღწევებით მათ შვილის ამოცნობა შეუძლიათ, თორემ აქამდე მათი 23% სხვის შვილებს ზრდიდა.

7312. საყვარელი მამაკაცი ქალის ვალიდან ვერასოდეს ამოვა, თუნდაც მისკენ არც კი გაიხედოს.

7313. ერთი ქალის ვნების კმაყოფაზე ჩემი მტერი იყოს, რადგან მამაკაცი ამ ცხოვრების შესაცნობადაა მოვლენილი და არა – ვალის მოსახდელად.

7314. გინეკოლოგი ის მამაკაცია, რომელიც ფულის გულისთვის იმ ქალსაც ეჩალიჩება, ვისზედაც ვერასოდეს იფიქრებდა და იოცნებებდა.

7315. ქრისტიანი მდიდარი მამაკაცები მრავალცოლიანობას დღეს სამოქალაქო ქორწინებით, მეგობარი ქალის ყოლით და „ბიზნეს ლედისთან“ ურთიერთობის აუცილებლობის ალგორითმებით ამკვიდრებენ და ესეც ნაღდი მამაკაცების შემცირების ხარჯზე ხდება.

7316. მამრს, რომელიც ვნების დასაოკებლად მდედრის არჩევისას ცხვირის აწევას დაიწყებს, ხვადობის მეგაბაიტი დაქვეითებული აქვს.

7317. სიტყვას ტვირთიც უნდა ავკიდოთ და მათრახიც უნდა დავანახოთ, რათა მან, უსაქმოდ კი არ იყბედოს, საქმის საკეთებლად იღვაწოს.

7318. დღეს ცივილიზაციის მიღწევებით გაბახებული მოსახლეობა რომ არ შემცირდეს, არ გადაშენდეს, მატრიაქატზე არ გადავიდეს და მამრი მამაკაცად დარჩეს, მას ერთი მეუღლე უნდა ჰყავდეს და რამდენიმე მეგობარი ქალი, თავისი ჭუჭულ-ბუჭულებით.

7319. მამაკაცი ძალზე სუსტი არსებაა, თუ მის წინაშე „სექსბომბა“ და ნამდვილი ქალია.

7320. მამაკაცს ქალზე ხელის აღების უფლება არ აქვს, მისი საქციელი, კაპრიზი, რაც უნდა გამომწვევი და გაუგებარი უნდა იყოს.

7321. მამრს ასაკის ცვალებადობა სხვადასხვა გამოყენებას სთავაზობს: ახალგაზრდამ თვალებით უნდა ჭამოს მდედრის მკერდი, გავა,

ფეხები, მოზარდი ქალის ვნებათა ყურეს უნდა ეჩალიჩოს მთელი შეგნებით.

7322. გინეკოლოგი მამაკაცი მოვალეობის გამო, საჭიროზე მეტად იმას ნახულობს და ხელსაც უფათურებს, რაზედაც სხვა მამაკაცები ოცნებობენ და ფულს იხდიან.

7323. მამაკაცის უპირველესი ღირსება სამშობლო („ვისი გორისა ხარ“) და მოყვასის სიყვარულია.

7324. გვინდა – არ გვინდა, მამაკაცები ოჯახის ჯარისკაცები ვართ, ჩინის, წოდების, შესაძლებლობების მიუხედავად.

7325. ნაღდი მამაკაცის ნაკლებობა ყოველთვის იყო და იქნება, ხოლო ქალის ოცნების მამაკაცი ჯერ არ დაბადებულა და არც დაიბადება.

7326. დღეს მრავალცოლიანთა პროფკავშირების შექმნა აუცილებელია, რათა კვლავწარმოება ნაღდ მამაკაცებს ვანდოთ.

7327. მამაკაცურად მოქცევისადმი ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, რათა თავი პიროვნებად ვიგრძნოთ.

7328. კაცს სექსისკენ მიდრეკილება აყალიბებს მამაკაცად და არა – წლების მატება და გამოცდილება.

7329. ნამდვილი მამაკაცის ხვადობის წესია ქალი ორგაზმის გარეშე სარეცელზე არ დატოვოს.

7330. კაცი ყოველთვის ამაყი უნდა იყოს, მათ შორის, ქალის მოწონებაარჩევისას.

7331. ნაღდ მამაკაცს დედიშობილა ქალის ჰაეროვნება სიტიტვლეში არ აერევა.

7332. ერთი ხვადი მეორისგან იმით განსხვავდება, რომ ერთი სექსის დროს ვნებით ტკბობას ცდილობს, მეორე სიყვარულზე ფიქრობს, მესამე – სხვა ქალზე, მეოთხე – სამსახურზე, მეხუთე – მოვალეობის მოხდაზე, ხოლო დანარჩენი სექსისთვის არააფიშირებულ ამდაგვარზე.

7333. ჯეელი, რომელიც ქალის არჩევას დაიწყებს, „ხვადი“ აღარაა, ის უკვე მამაკაცია.

7334. მამაკაცს ქალის ხიბლი თრგუნავს და არა – გარეგნობა, რაც შეეხება მის მატერიალიზებას, ამისათვის ჭკუასაც უნდა მოვუხმოთ.

7335. ნამდვილმა მამაკაცმა წინასწარ თავს უნდა ჩაუნერგოს ცოლად რა საქმიანობის და მასტის ქალს არ მოიყვანს, რათა სიყვარულის სატყუარას ანკესზე არ წამოეგოს.

7336. მამრის დანიშნულებაა შეცდომა დანაშაულად არ აქციოს, მდედრისა კი – შეცდომა არ „გააბაზროს“.

7337. კახელს ბალეტი იმიტომ მოსწონს, რომ ქალი ხაშლამასავით შემოაქვთ სცენაზე.
7338. კაცის რაობას მდედრი ადგენს, თავის მადლიერებით, უმადურობით, წუნკლობით.
7339. კაცებს ნაადრევად დაყადაღებული ჟინი, „მეობის“ საბოლოოდ წარმოჩენაში ხელს უშლის.
7340. მამაკაცებს ქალების მიერ მისი წარსულის დაფასება უფრო მოსწონთ, ვიდრე მომავლის სათუო პერსპექტივაა.
7341. მამაკაცური ამბიციებისთვის ყველა სანდომიანი ქალის გაცნობა დაგვიანებულია.
7342. სულიერად გაღატაკებული მამაკაცი, თავის მომხიბვლელი გარეგნობის მიუხედავად, ვერც ერთი დედაკაცის პროექტში ვერ ჩაჯდება.
7343. კაცის ხუშტურებს სიყვარული თოკავს და არა – თანადგომა.
7344. შეყვარებულმა მამაკაცმა ქალის ყოველი კაპრიზი, სიტყვიერი დაპირებებისაგან განსხვავებით, პრაქტიკულადაც რომ უნდა დააკმაყოფილოს, მისთვის უცნობია, თუმცა მის ცოლად მოყვანას ცდილობს.
7345. მამაკაცს გულუბრყვილობა არ უხდება, მაგრამ ქალის ფანტაზიას გასაქანს აძლევს.
7346. მამაკაცი მოწოდებულია ყველა ასაკში ჯეელი იყოს, რათა თავისი ხასიათი გაწვრთნას და თავადაც გაიჯეჯილოს.
7347. მამაკაცის ავ-კარგიანობა ქალებთან ურთიერთობით განისჯება.
7348. მამაკაცის ღმერთი, ღამის ვნებიანი დედაკაცია.
7349. უძილო ღამეების ფეირვერკების მდედრისთვის მოწყობა, უმთავრესად, ხვადი მამაკაცების საქმეა.
7350. მამაკაცს უყვარს სიახლე, თავგადასავლები, თავის წარმოჩენა, ამიტომაცაა, რომ ქალმა მას ანგარიში უნდა გაუწიოს და ტახტზე არ უნდა მიაჭედოს.
7351. როცა ქმარი ოჯახის ბიუჯეტს მთლიანად ცოლს ანდობს და თავად უფულოდ რჩება, მასში კაცის ამოცნობა ძნელია.
7352. რამდენი მამაკაცი ნანობს ნაოცნებარის აღსრულებას, რადგან თავის დროზე უარი რომ ეთქვა, დღეს მასზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა.
7353. ნამდვილი მამაკაცი ქალებს „ბრძოლით“ მოიპოვებს, ხოლო ფართომომხმარების მამაკაცებს ქალები თავად ეჩალიჩებიან ოჯახის შესაქმნელად.

7354. ნამდვილი მამაკაცები დროის სატარებლად ცოლთან ერთად არ დადიან, უბრალოდ მოვალეობას იხდიან.
7355. მამაკაცთა უმრავლესობა უფრო ქალის ღალატს და „გადაგდებას“ განიცდის, ვიდრე სიყვარულის დაკარგვას და უაზროდ ფულის ფლანგვის შედეგს.
7356. მამაკაცი ის ცხოველია, რომელიც ქალის ვითომდა „შესაცდენად“ და მიზნის მისაღწევად ბევრ დაპირებებს იძლევა, ხოლო ქალი ის დამყოლი „ოფოფია“, რომელიც ამას „ვერ ხვდება“, რადგან ქალის ბიოლოგია შვილის ყოლას და ოჯახის შექმნას მოითხოვს.
7357. ამ ბოლო დროს ქალები იმდენად გალამაზდნენ, რომ მამაკაცები იძულებულები არიან, ცოლებსაც საყვარლებივით მოექცნენ და მათი ოდენობა გაზარდონ.
7358. მამაკაცის მამობრივი ინსტინქტი ქალის დედობრივ ინსტინქტთან ახლოსაც ვერ მივა თუ მათ ბიოლოგიური გადახრა არ აწუხებთ.
7359. ხშირი გადაადგილება ქალებთან მამრს ფასს ადებს.
7360. მამაკაცმა რომ წინასწარ იცოდეს ვის ირთავს ცოლად, შეიძლება მარად ბერბიჭად დარჩენილიყო.
7361. ქალზე საუბრისას მამაკაცს ტრაბახი არ ეკადრება, მხოლოდ ქათინაურების და კომპლიმენტების ჩუქებაში უნდა იყოს.
7362. ღირსეული მამაკაცია, თუ ქალს მისთვის დანებების სურვილი გულწრფელად თავში უტრიალებს.
7363. ზოგი მამაკაცი სხვის ცოლს უფრო იცნობს, ვიდრე თავისას, რაც მისი ყავლის გასვლაზე მიუთითებს.
7364. მამაკაცის „მარცხენა“ ცოდვად არ ითვლება, თუკი მეუღლის საამებლად, გამოცდილების ასამაღლებლად, იღვწის.
7365. მამაკაცსაც თავისი ბზიკი უნდა ჰყავდეს ქალთან მიმართებაში, თუ უნდა მდედრი მოხიბლოს.
7366. ყველა ლამაზი და მომხიბვლელი ქალის დანახვისას, მამაკაცთა მოდგმა თავს წუთიერად საყვედურობს: „რატომ არ ვარ უცოლო ან რა გვეჩქარებოდა!“
7367. ყველა მამაკაცი თავის წილ ანჩხლ ქალს ხვდება, თავის მინუს-პლუსით და მინორ-მაჟორით.
7368. ცოლი, შევიყვარებ – არ შევიყვარებ, სულერთია, ის მაინც ის ცომია, რომელიც ალერსით და დაპირებებით უნდა „მოზილო“.
7369. მამაკაცი მაინც „დამარცხებულია“, თუნდაც ქალი იძულებით ან ნებით დაიპყროს, პირველ შემთხვევაში ციხე ან შეთანხმებითი ქორწილი არ ასცდება, მეორე შემთხვევაში – ოჯახი და შეუთანხმებელი ციხე თავისი ზნეობით, ზრუნვით, ზეობით.

7370. ჩემი მსოფლმხედველობის მიუხედავად, ქალის გამოთქმა: „თუ მამაკაცს ფული არ აქვს, ის კაცი არ არის“, დღევანდელმა დემოკრატიის და თავისუფლების ზეობამ მთლიანად დაადასტურა.
7371. თუ ხვადს „საქმე“ გადაუდეს, 24 საათს აცდენს იმაზე ფიქრით, რომ კიდევ არ გადაუდონ.
7372. ვინც ქალს მომნუსხავ მზერას და ქათინაურს ამადლის, უჯიშო კაცია.
7373. მსუბუქი ყოფაქცევა ნაკლი არ არის, თუ ის ბიჭებს მამაკაცებად აქცევს და ასწავლის, ქალს რა და როგორი სიამოვნება და პატივი უნდა მიაგო.
7374. მამაკაცისთვის მთავარია ალღო აუღოს ცოლად მოსაყვანს და სასაყვარლოს, რათა ქალებმა ოჯახის განმტკიცებას ხელი შეუწყონ.
7375. საქმროს, ქმრისგან განსხვავებით, გულგრილობა არ ეპატიება.
7376. წინათ მამაკაცის ღირსება ის იყო, რომ ქალის შემყურე პარაზიტი არ იყო, დღეს ცოლის ხელის შემყურეა და ხელის გაძრევაც არ უნდა, რადგან ცხოვრების ორომტრიალმა დათრგუნა.
7377. მრავალცოლიან კაცს, ერთცოლიანთან შედარებით, გაცილებით უადვილდება „ნავსაყუდელის“ მოძიება, რადგან კონკურენცია დიდია.
7378. საჯიშე მამაკაცების დოღი შეუხედავი ბავშვების გაჩენას არ დაუშვებს, ამ ბავშვების დედები რაც უნდა ულამაზონი იყვნენ.
7379. მამაკაცის ასი მცნება: 1. მექალთანეობით არ იტრაბახო; 2. ბერ-ბიჭად არ დარჩე; 3. მჭერმეტყველება დაამუღამე; 4. ისწავლე ქა-თინაურების თქმა; 5. ენას კბილი დააჭირე; 6. იყავი სულით რაინდი; 7. მცირეზე არ დახურდავდე; 8. ეცადე იყო არაორდინალური; 9. შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა; 10. ისწავლე ქალისთვის ორგაზ-მის მინიჭება, ალერსი; 11. დაუფიქრებლად საქმე არ აკეთო; 12. კარიერას დროულად მიხედე; 13. ეცადე მუდამ საჭირო იყო; 14. ცდუნების ხელოვნებას დაეუფლე; 15. ქალებთან ურთიერთობა და ხასიათის მორგება აითვისე; 16. იყავი მარად მამაკაცი; 17. ვნე-ბა ინტერნეტით არ დაიკმაყოფილო; 18. ქალი დააფასე და ყურ-ადღება არ მოაკლო; 19. ეცადე იყო მუდამ ხვადი საწოლში; 20. ოჯახის შექმნას ნუ დააგვიანებ; 21. მეგობრის ცოლისკენ თვალი არ გაგექცეს; 22. საჩუქრის მირთმევა მიზეზით და უმიზეზოდ არ დაივიწყო; 23. მეუღლესთან მცირე ხნით განშორება-შეყრა დღესას-წაულად აქციე; 24. საზოგადოებაში გამოჩენის ხელოვნებას დაეუ-ფლე; 25. ისწავლე მოხდენილი ჩაცმა; 26. იქონიე საკუთარი „მე“;

27. მასწავლებლები დააფასე; 28. სულიერების აღმაფრენას ხელი შეუწყვე; 29. ეცადე პატარ-პატარა წარმატებებით ცხოვრება გაიხალისო; 30. ვალდებულებებს არასოდეს გაექცე და საერთო საქმეს არ უღალატო; 31. ეცადე სიყვარულის საოცრება გამოსცადო; 32. შარიანი ხალხი ახლოს არ გაიკარო; 33. იყავი მარად ბეჯითი და ისწავლე შრომის ფასი; 34. ფანტაზიის უნარი მარად შეინარჩუნე; 35. ეცადე შენში ქალებმა მარად პერსპექტივის მქონე მამაკაცი დაინახონ; 36. დაიმახსოვრეთ: როგორც მამაკაცი, სექსში მწვრთნელი ხარ, ხოლო შენი პარტნიორი სამყაროს მომავალი ჩემპიონი; 37. სამსახურის „პრობლემები“ ეცადე სახლში არ მიიტანო; 38. ეცადე ყველა დროს მოერგო და მოირგო; 39. ისწავლე თამადობა; 40. ეცადე საჭმელ-სასმელი დააგემოვნო; 41. ქალს კულინარიული ხელოვნება არ დაუწუნო; 42. ეცადე მეუღლესთან ერთად საზოგადოებაში ხშირად გამოჩნდე; 43. შეხვედრებზე არ დაიგვიანო, იყავი პუნქტუალური; 44. იქონიე ის „ნაკლი“, რაც ქალებს შინაგანად მოსწონთ; 45. სიყვარულის ნაფლეთების შენარჩუნებას ნუ შეეცდები; 46. იქონიე ჰობი; 47. იყავი ყველგან ტაქტიანი, მორიდებული; 48. ისწავლე დროსტარების ფასი, დროის გაუცდენლად; 49. ისწავლე დროისათვის შესაფერი „ქიციც და ქიცმაცურიც“; 50. ეცადე ხელმოცარული არ დარჩე არც ერთ საქმეში; 51. თავად იყავი წესიერი და ყველგან წესრიგის მომხრე; 52. იყავი ანგარიშიანი, გულკეთილი; 53. მშობლებს მოეფერე და მოუფრთხილდი; 54. ისწავლე ბავშვების მოფერება, დაყვავება; 55. სიზარმაცე ახლოს არ გაიკარო; 56. ეცადე ჭამაში დაიცვა ზომიერება; 57. გაარკვიო, რა მოგწონს და რა გსიამოვნებს; 58. ეცადე ტრადიციები დაიცვა; 59. ეცადე შეიცნო ქალის შინაგანი სამყარო; 60. ქალის უსაფუძვლო კაპრიზებს ყურადღებას ნუ მიაქცევ, ეს მას თავის წარმოსაჩენად სჭირდება; 61. არ იტრაბახო, საქმით წარმოჩნდი; 62. ეცადე იყო ქვეყნის ჯარისკაცი, მოქალაქე; 63. უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს მარად პატივი მიაგე; 64. თავის კონტროლი არასოდეს დაკარგო; 65. იქონიე მოსაგონარი თავგადასავლები – „თავდავნატრი“; 66. იქონიე თბილი ურთიერთობა ცოლის ნათესავებთან, მაგრამ ნუ გაიშინაურებ; 67. შეეცადე შეიყვარო სულის დამუნათების გარეშე; 68. შვილებს მიეცი განათლება, საცხოვრებელი ფართი, მაგრამ ნუ გადაყვები; 69. შვილს ასწავლე – აიძულე ახალგაზრდობიდანვე დასაქმდეს და თავის სახარჯი ფულის ნაწილი თავად იშოვოს; 70. ფუფუნებაში ნურც შენ იცხოვრებ და ნურც სხვას აცხოვრებ; 71. იყოლიე აუცილებლად გვარის გამგრძელებელი თუნდაც სხვა ქალთან; 72. ეცადე იყოთ

კარგი და საჭირო მეზობელი; 73. მეგობრებს დრო და დრო შეეხ-მიანე, ნუ დაივიწყებ; 74. ეცადე ასაკში არაფერი წაგაყვედრონ; 75. შვილიშვილებს თავზე ნუ დაისვამ, მათთან „იამხანაგე“ და „იმეგობრე“; 76. სახლეს გაუფრთხილდი მარად და ყოველთვის; 77. ისწავლე რეალობის აღქმა; 78. საიუბილეო და დაბადების დღეების მილოცვა ნუ დაგავიწყდება; 79. ახალგაზრდობაში არც ერთ ქალს უარი არ უნდა უთხრა, ვისაც შენი ხვადობის წარმოჩენა-გამოცდა უნდა; 80. ეცადე სექსუალური განათლება მიიღო გამოცდილ ქალებთან; 81. ეცადე ქალებს მოემსახურო და არ ემსახურო; 82. ეცადე იყო კარგი კულინარი და დაამუღამო რომელიმე საფირმო კერძი; 83. იყავი ხელმარჯვე, ისწავლე რაღაც ხელობა, რათა ოჯახში წვრილმანი რემონტი, რასაც კაცის ხელი სჭირდება, თავად აკეთო; 84. ყველგან იყოლიე შენი ერთგული და საჭირო ხალხი; 85. ყველა სურვილი მცდელობით გაამაგრე; 86. ისწავლე რეალობასთან ურთიერთობა; 87. ეცადე თანამეინახეთა, რჩეულის გაოცება, გაკვირვება; 88. ნათელ-მირონობის ინსტიტუტი გაითავისე, იყოლიე ნათლულები; 89. თანამდებობას ემსახურე, თუ გინდა, რომ ისიც გემსახუროს; 90. სათუო და საეჭვო საქმეებს ხელს ნუ მოჰკიდებ; 91. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ნურც ფიზკულტურას დაივიწყებ; 92. ქალს, რომელსაც თავზე წარმოდგენა აქვს და ინტელექტით მაღლა დგას, ეცადე არ გაიკარო; 93. ეცადე ყველგან და ყველაფერში იყო ლიდერი ზომიერების ფარგლებში; 94. იქონიე გარკვეული დანაზოგი, რომელიც ოჯახის წევრებს არ ეცოდინება; 95. ეცადე, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ მამაკაცის ღირსება, თანამედროვე მედიცინა ამის საშუალებას იძლევა; 96. საკუთარი ფანტაზია დახვეწე და ისე წარმოადგინე; 97. იყოლიე საკუთრივ დანტისტი და ექიმი, რომელსაც ენდობი; 98. იმეგობრე ხელოვნების მუშაკებთან, სპორტსმენებთან, ცნობილ ხალხთან; 99. იმოგზაურე საზღვარგარეთ, სამშობლოში, რათა მეტი აღიქვა და იცოდე; 100. დაეუფლე რამდენიმე უცხო ენას, ის საქმიანობაში გამოგადგება.

7380. მამაკაცის ყველაზე უკეთესი გამომცდელი ვნებამოჭარბებული დედაკაცია.

7381. მამაკაცი მარად დიდ ბავშვად რჩება და ასაკის მატება ვერას აკლებს.

7382. ზოგჯერ მამაკაცები იმაზე მეტად ბრიყვები არიან, ვიდრე მათი საქციელი გვეუბნება, განსაკუთრებით, ეშმაკი და მოხერხებული ქალების ხელში.

7383. მამაკაცს უნდა ეყოს იმდენი გამბედაობა, რომ საქმე, რომელიც მის გარეშე არ კეთდება, თუნდაც მთლად კანონის ჩარჩოებში არ ჯდებოდეს, აკეთოს, რადგან ის მამაკაცადაა დაბადებული და გარკვეული რაღაცისთვის, თუ კანონი უძლურია, თავი უნდა გადადოს.

7384. მამაკაცს ხშირად უწევს დაუგეგმავი ღალატისთვის თავისმართლება, თუნდაც საკუთარი სინდისის წინაშე.

7385. თუ მამაკაცი ნაღდი საქმითაა დაკავებული, მისთვის არ არსებობს ცხოვრების წესი, თანაგრძნობა და გარკვეული დროით, მეგობრებიც.

7386. მამაკაცთა უმრავლესობა ქალთან ურთიერთობას ყოველგვარი ვალდებულების და ფლირტის გარეშე ცდილობს.

7387. „იავარქმნილი“ ყველა ის მამაკაცია, ვინც ოჯახის შექმნას ერის გამრავლების მიზნით გადაწყვეტს.

7388. ცოლის მოყვანის დროდამდგარი მამაკაცის მისწრაფებაა სერიოზული ურთიერთობა ქალებთან გარკვეული ვალდებულების გათვალისწინებით, ხოლო ქალისთვის უმთავრესია ფლირტს, სიყვარულს და მოწონებას თავისი ადგილი მიუჩინოს მისთვის აუხსნელი შედეგით.

7389. მამაკაცსა და ქმარს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს ახსოვს ვისთან ჰქონდა საქმე, მეორეს კი იმის დავიწყებაც კი უნდა, რომ ეს ქალი მისი ცოლია.

7390. ყველა მორალი მისაღებია, თუ ის ხალხის გამრავლებას ხელს უწყობს და შემოსავალს იძლევა.

7391. მამაკაცმა ქალი კარგად უნდა აცხოვროს, მაგრამ არ გაატუტუცოს.

7392. ქალის მიერ ნაცარშეყრილ მამაკაცს თვალები უკეთ აეხილება.

7393. დადედლებული არც კაცი უქნია ღმერთს და არც – მამალი.

7394. კარიერის კიბის წარმატებით დასაძლევად, მამაკაცს გონიერი მეორე ნახევარიც სჭირდება.

7395. მამაკაცს ქალთან აქტიური ურთიერთობა აქცევს მამაკაცად.

7396. კაცის დანიშნულებაა ქალებში საბოლოო გარკვევა, რათა იმასთან დაიდოს საბოლოოდ ბინა, ვისთანაც მისი ცნობიერება ახლოა.

7397. იაპონიაში თუ მამაკაცს გეიშა, საკე, ჰარაკირი ღუპავს, საქართველოში – ღვინო, დუდუკი, ქალები.

7398. მალე რობოტები სიყვარულის ახსნას ისწავლიან, აი, მაშინ დედა ეტირებათ თავის დროის უდღეურ მამაკაცებს.

7399. ყველა ქმრის ოცნებაა ცოლი მისით ამაყობდეს, ნერვებს არ უშლიდეს, ყველა მის თხოვნას ღიმილით ასრულებდეს და რაც მთავარია, ცოტა რჩევა-დარიგებებს აძლევდეს.

7400. მამაკაცები იცვლებიან, მათზე მოთხოვნა იზრდება და ბევრი ამას ვეღარ აუდის, რადგან გენეტიკა რჩებათ ძველი.

7401. ნაღდი ქალის საწყისი ყველა მამაკაცს ამუნათებს და მის ფანატად ხდის.

7402. მამრის მხრიდან ერთგულების წინააღმდეგ თავად ბუნება გამოდის, რადგან მდედრი რომ აირჩიოს, გაითავისოს, გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარება უხდება.

7403. მოყირჭებისას მამაკაცს ქალის სიშიშვლეც ბეზრდება.

7404. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მამაკაცები ტიროდნენ, მიუხედავად იმისა, მათი ცრემლი საგანგაშოცაა და წმინდაც.

7405. დაქორწინება ის „სახადია“, რომელიც ყველა ჯანმრთელმა მამაკაცმა უნდა მოიხადოს, ყოველგვარი ტვინისჭყლეტის გარეშე, რადგან კვლავწარმოების ვალი დასაბრუნებელია.

7406. ხანდახან ცოლის გაკაპასებაც მამაკაცის გონივრულ ქმედებამოქცევაზე მიუთითებს.

7407. მამაკაცია ის, ვინც ოჯახში დასაბრუნებელ ალიბს ყოველთვის იტოვებს.

7408. მამრი მაშინ არის „ერთგული“ და სასურველი, თუ მუდმივად ხვადია და მუდმივი „ძუკნები“ არ ჰყავს.

7409. ყველა დაოჯახებული მამაკაცი თვითნასწავლი ფილოსოფოსია, ყოველგვარი სწავლა-განათლების გარეშე.

7410. კაცი, რომელსაც მარად ქალის დახმარება სჭირდება, ხვადად ვერასოდეს იქცევა.

7411. მამაკაცის ცნობიერებას ქალის მომხიბვლელობა კი არ იპყრობს, არამედ – მისი ხასიათი.

ნიჭი _ გენი _ გონიერება

7412. სიბრძნე ჭეშმარიტებას ელადავება და ამ შეხუმრებით ორივენი კმაყოფილნი არიან.
7413. შეჭიდება ცოდნის საწყისია, ცოდნა კი – რაღაც სასიკეთოს კეთების.
7414. გენიოსის ადვილად მიტევებაც შესაძლებელია, რადგან ის დღევანდელობით არ ცხოვრობს და ფიქრით მომავალს ემსახურება.
7415. გონიერებისათვის შეცდომის გამოსწორება ცოდნის შეძენის სინონიმია.
7416. გონიერების დანიშნულებაა ყველა ყაიდის ხალხს ისე მოერგოს, რომ ავტორიტეტიც მოიპოვოს და პატივიც.
7417. საღ აზროვნებასაც თავისი მუხრუჭები სჭირდება, რათა უმრავლესობისათვის გასაგები და მისაღები გახდეს.
7418. გენი ხშირად გონიერებას წყალს უმღვრევს და სანამ გაგრძელდება ეს თავხედობა, მედიცინის უსუსურობის გამო, არავინ უწყის.
7419. გონიერების მოვალეობაა საინფორმაციო და აზრობრივი ქაოსი ჰარმონიაში მოიყვანოს და გასაგები გახადოს.
7420. შესაძლებლობა, სურვილი, ნიჭი, უკვე დამოუკიდებელი შემოქმედებაა.
7421. რჩევა მას უნდა მისცე, ვინც იმსახურებს, გთხოვს და მისი გონიერების იმედი გაქვს.
7422. ღრმა სიბერის მიღწევას, სიცოცხლის გახანგრძლივებას, საჭირო გენი სჭირდება და არა – გონიერების მცდელობას ამოფარებული კანონზომიერება.
7423. გონიერებამ წარმატება უნდა იზეიმოს, რათა ის ვიწრო წრის საკუთრება არ გახდეს და დავიწყებას არ მიეცეს.
7424. ბრძენი სულ შემართული და შემოქმედება-ძიების ხასიათზე უნდა იყოს.
7425. გონიერება კარგს და ხელშესავლებს არაფერს კარგავს, უბრალოდ, მათი მოძიებაა ძნელი.
7426. სიბრძნე თანდაყოლილია, ცოდნა შეძენილია, მაგრამ ორივეს მოვლა-პატრონობა და სწორ გზაზე დაყენება სჭირდება.
7427. გონიერი სიტყვაძვირია, რადგან გონიერების ფასი იცის.

7428. ნიჭი ვერც ტრადიციების და ვერც დამოძღვრილი გონიერების ჩარჩოში ეტევა, რადგან ის სიახლის საკეთებლად თავადაა მოწოდებული.
7429. ჭკუას თავისუფლება სჭირდება, გამოცდილების კონტროლით.
7430. ნიჭი ერთსახა და სტანდარტული ვერ იქნება, მასაც აღმაფრენის და გაფრენის საშუალება უნდა.
7431. ყველაზე დიდი დანაშაული ნიჭის უაზროდ ფლანგვაა, ყველაზე დიდი ბოროტება – მისი შეუმჩნევლობა და უყურადღებოდ დატოვება.
7432. საქმესთან ერთად თავის ჩვენება-წარმოჩენა უდიდესი ხელოვნებაა.
7433. გამოგონებასაც თავისი სპეკულანტები ყავს და ისინი მისგან ხეირს ნახულობენ.
7434. გონიერებასაც ცრურწმენის სახით უგნურება შეეპარება და მასზე ყურადღების გამახვილება ნერვების დამშვიდებაში ხელს უწყობს.
7435. გონიერებას ჭკუის ახლებურად შესაკაზმად, იმპორტით შემოტანილი სანელებლებით შენელება უხდება და უფრო მისაღებს ხდის.
7436. გონებამახვილობას არც რეცხავენ და არც აუთოებენ, პეწს კარგავს.
7437. დაღვინებული გონიერება ენის მუხრუჭიცაა და თავის გაფრთხილების საშუალებაც.
7438. გონიერების ნაჯაფ-ნაფიქრს ბრბო ვერ იგებს, ამიტომ მისი ტირაჟირება ყოველთვის საჭირო არ არის.
7439. სიბრიყვის გამარჯვება ინფორმირებულ ცოდნაზე უგნურებაა კუბში.
7440. ნიჭიერება ყველაფერს უნდა ეცადოს, რომ თავის შესაძლებლობის ფენიქსად არ იქცეს.
7441. გონიერებას წუნის შიგთავსი არ ასვენებს, და არა – მისი გარეგნობა და მოცულობა.
7442. ქება-დიდება არავის უნდა დაამადლო, მაგრამ ნაღდი საქებარი გულმა უნდა გიკარნახოს და გონიერებამ დასტური თქვას.
7443. ენით ფარიკაობის სწავლებას გაცილებით მეტი ნიჭი და მცდელობა სჭირდება, ვიდრე – ხმლით.
7444. ცოდნა არა მარტო დარიგების, განათლების, ხარჯზე, არამედ შეცდომების გამოსწორების ხარჯზეც მიიღება.
7445. გონიერება სიახლის „ასორტით“ უნდა ვკვებოთ, რათა თავი უკეთ შევიცნოთ.
7446. სიახლეს, გონიერების ხელში ბედნიერება და შესაძლებლობა მოაქვს.

7447. ნიჭი ნიჭის მიმართ სიმპათიურადაა განწყობილი და რა თქმა უნდა, კეთილი შურით.
7448. ორიგინალური იდეა ფასეულია და გონიერებისთვის გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მისი პრაქტიკაში დანერგვა.
7449. ადამიანს გაცილებით მეტი სურვილი აქვს, ვიდრე შესაძლებლობა, მაგრამ ნიჭით სურვილების ნაწილს მაინც იკმაყოფილებს.
7450. ნიჭი შემოქმედის სურვილით ანაწილებს სამუშაო დროს და არა სიბრძნეს.
7451. ცელქობასაც თავის ნიჭი და ორიგინალობა სჭირდება, რათა ერთმა მხარემ სიამოვნება მიიღოს თავის ნამოქმედარით, ხოლო მეორე გაკვირდეს და ისე ისიამოვნოს.
7452. ყოველივე საწყისს, რომელსაც გონიერება კონკურენციას არ უწევს, ის ურთიერთობადაც არ უნდა ჩაითვალოს.
7453. გონიერებას სიმართლეს არ უმალავენ და არც მიკიბ-მოკიბვით ესაუბრებიან.
7454. გენიოსებიც შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონს უსიტყვოდ ემორჩილებიან.
7455. ჭკუით უნდა ეცადო ყველაზე გონიერი იყო, მაგრამ არ გაატირაჟო – არ გაპატიებენ.
7456. ალბათობა თანდათან ავსებს და ხვეწს შემეცნების მცდელობას და გონიერების მარაგიც თანდათან მატულობს.
7457. გონება უკეთ აზროვნებს, თუ ძალებს რაციონალურად და საჭიროების შესატყვისად ხარჯავს.
7458. ყველა იდეა მატერიაა, თუ განვახორციელებთ.
7459. სიკეთის კეთებასაც გამოცდილება და გონიერების „აიწონა-დაიწონა“ სჭირდება.
7460. ღირსება თავისუფლება, სილამაზე, გონიერებაა, რათა თავი კაცად იგრძნო.
7461. სურვილი ქმედების გარეშე მხოლოდ ბედის იმედზე არსებობს.
7462. დღეს გონიერებამ უნდა უზრუნველყოს თავისუფლება და არა – შერკინებამ და დაპირისპირებამ.
7463. მაგიდასთან ჯდომის ცოდნასაც გონიერების სადავეების ხელში აღება სჭირდება.
7464. მოხერხებულობა ყველა წინააღმდეგობას ძლევს და ზოგჯერ ამიტომაც ვაყენებთ წინ გონიერებას.
7465. ავტორიტეტს წყაროზე დაყრდნობა მისი „დამიწებით“, თავის მოწონების და შენი განსწავლულობის და ჩვენების ცდა.

7466. გონიერება, ცხოვრებაზე განსჯით, შთამომავლობის ბედნიერებისათვის.
7467. გრძნობათა მოჭარბება გონიერებას ყოველთვის ჩაგრავდა და ფეხის წატეხვისკენ უბიძგებდა.
7468. გენეტიკურად გონიერებას ერთ ადგილზე გაყინვა უჭირს და აქ ფუფუნება და ფული არაფერშუაშია.
7469. წარსულის იდეათა მარულა და აწმყოს კაპიტალის დოღი აზრთა შეკეთებას საჭიროებს და არა – შეცვლას.
7470. ანალიზი იმ გონიერების ნაყოფია, რომელიც იმასაც ხედავს, რაც სხვებისათვის შეუმჩნეველია.
7471. ჭკუას გამიზნული და მიზანდასახული წვრთნა ძალას მატებს.
7472. რაიმე რომ აითვისო და გაითავისო, თავის ქალაში უნდა ჩაიწურო და დაადულო.
7473. ტალანტი პრაქტიკულად ყოველთვის ისე არ იქცევა, როგორც თეორიულად მის ნიშას ეკადრება, მაგრამ როგორც ტალანტს, მომდევნო თაობების სახელით შეუნდობენ და დროის ხანმოკლეობა პატიებს.
7474. ქალთან სისულელეების თამაშის დეკლამირება, ხშირად მამრის მოწონების გარანტიაა.
7475. გონიერება, ხუმრობით აღქმით, დიდი ნიჭია და მსმენელის გონიერების ტვინის საჭყლეტიც.
7476. ინტერნეტი იმითაც არის საინტერესო, რომ ზოგ „ჭკუანაღრძობს“ ინფორმაციით კვებავს, რაღაც საოცარზე დააფიქრებს და აღმოაჩენინებს.
7477. ნიჭიც თავისებური დავადებაა, ის გაიძულებს აკეთო ის, რაც გსიამოვნებს დროის და ადგილის შეურჩევლად.
7478. ნებას, გონიერებაზე დამყნობილს, თავისი ღირებულებები გააჩნია.
7479. ყველა ტალანტი ვირტუოზულობასთან არის „შეკრული“.
7480. აზრი, რწმენა და ფული სხვადასხვა განზომილებაა, მაგრამ გონიერებას სამივე სჭირდება.
7481. სიბრძნე სიახლის, ოცნებების, პერსპექტივების, შეცნობის ტყვეობაში ატარებს თავის გონიერებას და დროს.
7482. სიბრძნე თავისი ჩვენთვის გაუგებარი „დავადებებით“, სანამ არ გამოცდი, ძნელი გასაგებია.
7483. ბრიყვებსაც თავისი გამომგონებლური ნიჭი ახლავთ, რომლის მსგავსის მოფიქრება გონიერესაც გაუჭირდება.

7484. სხვადასხვა აზრის შეკრება, შერწყმა, მოთვინიერება და სიახლედ წარმოჩენა გენიოსთა ხვედრია.
7485. გონიერებას ნაყოფიერს ხდის: აზროვნების ვარჯიში, უცნობ საკითხებთან ჭიდილი და შედეგი, რომელიც გასაყოფი არ არის.
7486. ჭკუა და ქმედება, რომელიც მოგვწონს და აგვაღფრთოვანებს, განსჯისთვის არ გვემეტება.
7487. გონიერება ვნების მრჩეველია და არა – მისი მბრძანებელი.
7488. გონიერება უგუნურების თავის ჭკუაზე ტარებას არ უნდა შეეცადოს, რადგან უგნურება გენეტიკურია და მასზედ დროს ხარჯვა არ ღირს.
7489. გენიოსობა თანდაყოლილი ნიჭია, პლუს განუმეორებლობა კვადრატში.
7490. დიდი ადამიანები თავისი დროის შვილები არიან, მომავლის იმედით და დროისათვის გაუგებარი აზრებით.
7491. ნიჭიერ კაცს ცოლად ის ქალი სჭირდება, ვინც მისი ნიჭის ფასი იცის და მას არაფერში ექიშპება.
7492. გონიერების დანახვას ისევ დაღვინებული გონიერება სჭირდება, ნიჭიერისას – ინტუიცია.
7493. გონიერებას ავან-ჩავანი და შუა კაცი არ სჭირდება, ის მისდაუნებლიედ გვიზიდავს. ახალი აზრის დაჭერა და შენებაა ძნელი და არა – ძველის და გამოცდილის, რომელსაც ოპონენტები არ ჰყავს.
7494. მეხსიერებასაც გონიერებასთან ჩალიჩი სჭირდება, იმისდამიხედვით, რას დაივიწყებს-დაიმახსოვრებს და გამოიყენებს.
7495. სურვილების მართვა გონების მოხმობით. განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს.
7496. სიამოვნება თუ მოვალეობას ემთხვევა და გონიერებაც გვერდზე უდგას ის საქმე გაუკეთებელიც კი გაკეთებულად უნდა ჩაითვლება.
7497. გონიერებამ ენა უნდა გაწვრთნას, მხედველობა უნდა გაამახვილოს, გულს მოუფრთხილდეს და მოსმენა ისწავლოს.
7498. სამართლიანობას გონიერების ხმა სჭირდება და არა – ბრბოს სიმრავლე.
7499. იმის გაცნობიერება, რომ ერთხელაც იქნება დედამიწა გაქრება ან კატაკლიზმებში დაიღუპება, გონიერებას ხელის განძრევის სურვილს უკარგავს, მაგრამ ნიჭს თავისი გააქვს, უსაქმოდ არ ტოვებს.
7500. გონიერება, მარტოობასა და ოპტიმიზმთან არის წილნაყარი.
7501. სამყაროში, ჯერ-ჯერობით, გენიოსების მატება ერთ სულ მოსახლეზე მცირდება, იმიდსდამიუხედავად, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მატულობს.

7502. გენიალობა დაუცხრომელი ხასიათის და შემოქმედებითი ნიჭის შედეგია, განგების წახმარებით.
7503. გონიერებისთვის სიბრიყვე ძნელი გასაგებია, რადგან ეს უკანასკნელი არ ფიქრობს, როდესაც რაიმეს მიჰქარავს.
7504. გონიერებას ეჭვი არასოდეს არ უნდა ეპარებოდეს თავის გაფილტრულ აზრებში.
7505. ქალის ტალანტი სილამაზეა, მამაკაცისა – გონიერება. პირველი დროთა განმავლობაში ძმარდება და მოგონებას ეძლევა, მეორე ღვინდება და უკვდავებაში გადადის.
7506. დღეს გენიოსისათვის საუკუნის უკან მოტოვება ძნელია, მაგრამ თუ ინფორმაციას ფლობს, მაინც შესაძლებელია.
7507. ნიჭი გონიერების ის ვირთხაა, რომელიც ყველა ხვრელიდან შემოძვრება, თუ მიზანში ამოგიღო.
7508. ყველა იმ ნიჭით, შეძლებით, მცდელობით, უნდა დაკმაყოფილდეს, რაც გენმა გვარგუნა.
7509. გემოვნება ან გვაქვს ან არა და ესეც სადაო ნიჭის საკითხია.
7510. აწმყოში ყველა ნიჭი დაფინანსების გარეშე იყინება და მომდევნო თაობების აღმოსაჩენ-დასაფინანსებელი და ასაღიარებელი ხდება.
7511. შენი მისწრაფებებისთვის გამოსადეგ ცოდნას წინასწარ მოძიება სჭირდება, რათა სწავლაში მუქთად დრო არ დაკარგო და დროებით სხვა საქმეში არ დაიხარჯო.
7512. გენიალობას ხშირად პრიმიტიული გემოვნება აქვს, რომლის გასავითარებლად მას არ სცალია.
7513. ტალანტი შეუცვლელია და კონკურენტის არ ეშინია.
7514. გონიერების ყველაზე დიდი მტერი უვიცობაა, რადგან ისიც სტატუსის შენარჩუნებას ცდილობს.
7515. გონიერების მიზანი უკვდავებაა, სხვანაირად ამქვეყნად სიცოცხლის გაგრძელება შეუძლებელია.
7516. გონიერება გაყოფილი მოხერხებაზე, დახმარებაზე, გენიოსობის ტოლია.
7517. უბრალოება გენიოსთა ხვედრი და გონიერებისთვის დამახასიათებელი „დავადებაა“.
7518. სიზმარზე „განაწყენება“, განქიქება, დაუბალანსებელი გონიერების ხახუნის შედეგია.
7519. უგნურების ათვისებაც ძალიან ძნელია, თუ გენში არ გიზის.
7520. ყველა გენიოსი დუმილის და მარტოობის სიდიადეს აღიარებს მხოლოდ იმისათვის, რომ უკეთ დაიხარჯონ და წარმოჩინდნენ ხალხის წინაშე თავიანთი ნაღვაწით.

7521. გენიოსთა უმრავლესობას ყოფის ხელწერა არ უვარგა, ე.ი. წინდაუხედაობა აკლიათ.
7522. ვეცადოთ ჩვენი ცუდი ჩვევები შთამომავლობაზე არ გადავიდეს და ამისათვის, თუ საჭიროა, საკუთარ გენსაც უნდა „ვაჭამოთ“ გონიერების ალიყური.
7523. გენიოსი ხარ, თუ უაზრობაში რაღაც გამოსაყენებელს ნახულობ.
7524. ყველა სახის „ქაქის“ სასარგებლოდ გამოყენება შეიძლება, თუ ტვინს გავანძრევთ და მცდელობას არ დავაკლებთ.
7525. გონიერებას ხშირად გული სჯობნის, რადგან უმთავრესად ბედის მსახურია.
7526. ზოგი გენიოსს უხასიათობით აფასებს, რადგან მისი ნიჭის დანახვის უნარი არ გააჩნიათ.
7527. ინტელიგენტური პიროვნება, სათუთია, მაგრამ გამოუყენებელია, განსაკუთრებით, არეულობის „ქარიშხლიან“ დღეებში.
7528. გონიერებას ეშმაკი მახეს უგებს, არ ებრძვის, მაგრამ ერთობა.
7529. ნიჭს და ფენომენს დამოძღვრილი მორალი არ სჭირდებათ, მათი დანატოვარი იმდენად დიდია.
7530. ტალანტს დროულად შემჩნევა და მხარდაჭერა სჭირდება, რათა არ გადაგვარდეს და საზოგადოებას მისი ნიჭი და მცდელობა ძვირად არ დაუჯდეს.
7531. აღმაფრენა ყოველთვის გონიერების გვერდითაა და მისი უპრეტენზიო საწვავია.
7532. გონიერებას ხალხის მასა და მათი აზროვნების ფუჩეჩი იმიტომ სჭირდება, რომ მათში რამდენიმე გენიოსი შემოაპაროს და რეალური საქმის საკეთებლად დააკვალიანოს.
7533. გონიერი, მისთვის არასასიამოვნო აზრს შინაარსს გამომეტყველებით ხვდება.
7534. აზროვნებას თავის კვების რაციონი და გონიერების დატვირთვის პარამეტრების დადგენა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულყოფილი ვერ იქნება.
7535. გონიერებას სათავისო „ჭუკ-ჭუკი“ გაუგო და ესეც უდიდესი ნიჭია.
7536. სიცოცხლის გახანგრძლივება გონიერებისათვის ყველაზე სასიამოვნო ხარკია.
7537. გონიერებმა ერთმანეთი არ უნდა დაჯაბნონ და მოინელონ, ეს მათი იმიჯისთვის მიუღებელია.
7538. იდეური საუბარი ცოდნის დემონსტრირებას ცდილობს, გონივრული – ჭკუიდან მტვერის ჩამოშორებას.

7539. გონიერების კაიფი, იმაშია მდგომარეობს, რომ მილიონები შეიძლება ფიქრობდნენ ერთს, შენ სხვას და მართალი იყო.
7540. გონიერებას უიმედობის ჭია არ უნდა ღრღნიდეს.
7541. ყველაზე ძნელია გონიერების არქიტექტურის აღქმა, ნიჭის შესატყვისად და გამოყენებით.
7542. გონიერება და ხასიათი აღაფრთოვანებას იწვევს, თუ პიროვნებას ეკუთვნის.
7543. სიბრძნე ყოველთვის „გამოჟონავს“ თუ ამას მოითხოვს სიტუაცია.
7544. ცოდნის, აზროვნების, ფანტაზიის, გარეშე გონიერება ფალსიფიცირებულია.
7545. ყველა ჭკვიანური გამოთქმა გონიერების საშვია.
7546. გონიერება ყოველთვის „დეფიციტია“, მაგრამ ზოგი მის გარეშეც ადვილად გადის და ცხოვრებაზე გული არ ეთანაღრება.
7547. გონიერება კამათში წაგებულიც მოგებული რჩება, რადგან რაღაც ახალი გაითავისა.
7548. გონიერებისთვის დასვენების გამოძებნა თავად გონიერებას უჭირს.
7549. აზრი მისაღები თუ არაა, საინტერესო მაინც უნდა იყოს.
7550. უგნურებაზე გონიერება, გალაწუნების გარეშე, გავლენას ვერ ახდენს.
7551. გონიერებასთან საუბარი „დანაგვიანებული“ ჭკუის განტვირთვა და გაწმენდაა არასაჭირო ინფორმაციით.
7552. ლამაზი, საშური, საინტერესო, ცოდვებიც კი გონიერთა და ჭკუაგადაბრუნებულთა პრეროგატივაა.
7553. ყველა ასაკს თავისი პრაქტიკული გონება აქვს.
7554. მიღებული „დოგმა“ ხშირად გონიერება ანტაგონისზმისკენ ეწევა.
7555. ყველაფერი მოულოდნელი, ბუნებრივი, თავდაწყვეტილი გამონათქვამი, ნიჭის გამოვლენის განსახიერებაა.
7556. ჟინი, გატაცება, გონიერების ის რეაქტიული საწვავია, რომლის ხარჯვას დიდი სიკეთე მოაქვს.
7557. ის, რაც გონებას არ გიღრღნის, არ გახსენდება, ძალდატანებით არც უნდა გაიხსენო, რათა თავს გვემა არ მიაყენო.
7558. უგნურებას თავგადასავლები მოსწონს, გონიერებას – ამ თავგადასავლებიდან თავის დაღწევა და მისი პროფილაქტიკა.
7559. გონიერების გამოყენებასაც მიზნის დასახვა და ხასიათი სჭირდება.

7560. ტალანტი, გენია, ნიჭი, ყოველთვის კვადრატში, კუბში, მაღლა დგას ჩვეულებრივ მოკვდავებზე, მაგრამ მათი რატომღაც სერიოზულად არ შურთ, რადგან ისინი ბედნიერები არიან თუ არა, ამის გარკვევა უჭირთ.
7561. ნიჭის სწორ გზაზე დაყენებას, ხშირად მთრახის ტლაშუნი სჭირდება.
7562. სხვისი ტვინის შეზღუდვაზე ფიქრი, საკუთარის გავერანებას იწვევს.
7563. გონიერებას ტვინის ჭყლეტა არ უნდა მოვაკლოთ, თორემ გადაგვარდება, გაზარმაცდება, გათავხედდება.
7564. გული ინტელექტთან არ მეგობრობს, უბრალოდ – მოსწონს.
7565. უაზრობის, უგნურების საშველი, გონიერებაზე და გამოცდილებაზე აწეპებაშია.
7566. გონიერებას მას შემდგომ უფრთხიან, რაც უგნურებამ ტექნიკური პროგრესის შედეგად სული მოითქვა.
7567. ყველა წინააღმდეგობა, გონიერების ხელში, საძრომიალოდ იქცევა.
7568. გენიოსი მხოლოდ შემოქმედი არ არის, წინასწარმეტყველიცაა, რადგანაც მისი აზრები დროს წინ უსწრებენ.
7569. ცოდნა, რწმენა, შემართება, ბევრ წინააღმდეგობას გადახნავს სიახლის თესვით და შედეგის მომკით.
7570. ჯიში და ჯილაგი თითქმის არ იცვლება, თუ გვარში ვაჟები სჭარბობენ, რადგან გენის მთლიანად შეცვლა შეუძლებელია ისე, რომ წინაპართაგან რაიმე არ დაგყვეს.
7571. ყოველთვის იმაზე გაცილებით მეტი უნდა ვიცოდეთ, რაც დასახულ მიზანს სჭირდება.
7572. ნიჭს, ფანტაზიას, ცოდნის მცდელობა ვერ შეედრება.
7573. აზრთა სხვადასხვაობა და დაპირისპირებით განსჯაა საინტერესო.
7574. სისწრაფე, გონიერებასთან შერწყმული, საქმის კეთების ორი მესამედია.
7575. ყველა დაპირისპირებულ აზრში გარკვევა შეუძლებელია, ამიტომ გონიერება ერთ-ორს ირჩევს.
7576. გონიერება სამყოფისთვის უნდა იღვწოდეს და არა – სიმდიდრისათვის, ამაზე დროს ხარჯვა იმდენად შეუფერებელია მისთვის.
7577. კარგი მრჩეველის მოძიებას ბედი უნდა, არჩევანის გაკეთებას – გონიერება და მოსმენის უნარი.
7578. საქმე არა მარტო საპატიოა, სარისკოცაა თუ გონიერებას ემსახურება.

7579. იმ სიტყვას აქვს ფასი, რომელიც თავში ჯდება და იქიდან დაღვინებულად გამოდის.
7580. სიმართლის და ჭეშმარიტების მუგუზალი ყოველთვის ღვივის, გააჩნია გონიერების ფიჩხს ვინ მიაწვდის და შეუკეთებს.
7581. სასარგებლოს ნახვა ყველგან შესაძლებელია, თუ გონიერება ფანტაზიით „თოხნის“.
7582. ჩვენ ის გვწამს, რასაც ვიგებთ და გონიერებით ვწვდებით და არა ის, რაც არ გვესმის და ჩვენი გონებისთვის მიუღებელია.
7583. ზოგის მოხერხებული ჭკუა დამარცხებას გამარჯვებაზე უკეთ იყენებს, რადგან თავს ზვარაკად წამოადგენს.
7584. სიახლე გონების მოხმობით და გაურყვნელად უნდა გაკეთდეს ყოველგვარი ავანტურის გარეშე.
7585. არორდანალური აზროვნება, ხარისხის მიუხედავად აღწერილი და გათვალისწინებული უნდა იყოს, ვინ იცის ვის და რას გამოადგება.
7586. გული მოცდისთვის და თავშეკავებისთვის არ არის განკუთვნილი, ეს უფრო ჭკუის პრეროგატივაა.
7587. ანტიპათია და სიმპათია უცნაური გრძნობაა, რადგან მასში თანდაყოლილიც ბევრია და შეძენილია ისეთიც, რაც გონიერებას არ ემორჩილება.
7588. ნიჭი გონიერებასაც ატარებს და ცნობისმოყვარეობასაც თავის ჭკუაზე, მაგრამ სწავლებაზე თავს დიდად არ იწუხებს.
7589. დიდ საქმეთა კეთება, ნიჭის გარეშე, გაწვრთნილი გონიერებითაც შეუძლებელია.
7590. გონიერებასაც არ უნდა მივენდოთ, ისიც ცვალებადია.
7591. გონიერება ორაზროვან ხუმრობებსაც ბადებს, რომელიც ყველას კბილს გაკრავს, მაგრამ ნაწყენს არავის ტოვებს.
7592. დიდი საქმის კეთებას ორიგინალური და ღვთით მომადლებული ნიჭი სჭირდება, თანამოაზრეთა მონახვის უნარით.
7593. პოეტი სიტყვით ფრთების გამოსხმის ნიჭითაა დაჯილდოებული ის, რომელსაც შინაგან ბუნებაც ახლავს.
7594. გენიოსს ყველა სირთულის გაუგებრობა ორჯერ ორის მნიშვნელობამდე დაჰყავს და ესაა მისი გენიალობის მეორე მხარე.
7595. გენიოსი შეუმჩნეველია, თუ დროს არ სჭირდება.
7596. ჭკვიანობაზე გამოდევნებას ზოგჯერ აბსურდამდე მივყავართ, მაგ. ზოგიერთი გენიოსი წერს, რომ „ცოლის მოყვანა დიდი სისულელეა“, მაგრამ ამ სისულელეს თავად დიდი მონდომებით სჩადიან.
7597. გენიოსს თანდაყოლილი მომხიბვლელობა და დაჰიპნოზების უნარი აქვს, ამიტომ მათ წინააღმდეგ შეთქმულებას ერიდებიან.

7598. ბრძენი, ეშმაკი, არ შეიძლება გენიოსი იყოს, რადგან ეს უკანასკნელი განგების ნაწყალობევია.
7599. ცნობისმოყვარეობა გენიოსთა აქილევსის ქუსლია.
7600. ნიჭს ბუნება ბადებს, რათა მასთან ერთად ადამიანმა გამოიყენოს.
7601. ტალანტი, ვირტუოზი, გენია, ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან, მაგრამ ყველას თავისი პეწი, ადგილი და მომხიბვლელობა აქვს.
7602. გენიალობა განსჯას არ ექვემდებარება, რადგან ის უნიკალურია.
7603. შთაგონება გვაიძულებს ვაკეთოთ ისიც, რის კეთების ხასიათზეც არ ვართ.
7604. შემოქმედს არაორდინალური და მოძალებული ენერგიის გადმონთხევა ნიჭის და გემოვნების შესატყვისად ესაჭიროება.
7605. უინტერესო დროში ცხოვრება ძნელია, რადგან ვერც ტალანტს ამჩნევენ ხეირიანად და ვერც გენიას.
7606. მოსახლეობის მატება გენიოსებს შესატყვისად არ ამრავლებს, პირიქით – ზოგჯერ უყურადღებოდაც ტოვებს.
7607. შემოქმედის ბედნიერებაა სიახლის მარად ფანტაზიით კეთება.
7608. შენი ნიჭით და ფანტაზიით სხვისი ცოდნის შელამაზებით საქმის კეთებაც დიდი ნიჭია.
7609. განათლება ტექნიკური პროგრესის „ლოკომოტივია“, ხოლო ნიჭი – ძრავა და გასაფრენად გამზადებული რაკეტა.
7610. ინტელექტუალურ ნიჭს აღზრდა და განათლება იმდაგვარად უნდა შევაზილოთ, რომ სპონსორების რიგი დაგვიდგეს და თავისი წილი სარგებელი ყველამ ნახოს.
7611. გონიერება შედევრს აღიარებასა და სიყვარულთან ერთად იძლევა.
7612. მეცნიერება ხალასი ნიჭის სისტემაში მოყვანის ცოდნაა, უვიცობის აღმოსაფხვრელად და ცოდნის წინ წასაწევად.
7613. გენიოსიც ჩვეულებრივი მოკვდავია ადამიანური ბუნების და მოთხოვნების წინაშე.
7614. გენიოსის ბიოგრაფიას დრო და საუკუნეები წერენ.
7615. გენიას, უნდა – არ უნდა, ბრბოსთან ერთად ცხოვრება უწერია და ამიტომაც გამოირჩევა მისგან.
7616. ნიჭი ქვეყნის შესაძლებლობებს, რეიტინგს, ავლენს და არა – პირიქით.
7617. ტალანტი არ იყიდება, მაგრამ ბითუმად მისი შეძენა შეიძლება, თუ დრო და შემთხვევა ინებებს.
7618. გონიერებაც ზოგჯერ, ცოდნას უვიცებისგან, უგუნურებისგან, იძენს და აგროვებს, იმდაგვარად, რომ ისინი ვერც კი ამჩნევენ – მოკლედ, გამოცდილებას იღებს.

7619. გენიოსთა აზრები შეიძლება ჩვენგან შორსაა, მაგრამ მათი შედეგები ახლო და მომხიბლავია.
7620. გენია ქაოსში და გაუგებრობაში ნახულობს საკბილოს.
7621. გენიალური აზრების ოხუნჯობით გადმოცემას თავისებური ნიჭი, მიჩვევა, გათავისება სჭირდება, რომ გონიერება დატკბეს.
7622. ჯერჯერობით, მოკლესიტყვაობა დაფარული ნიჭის კიდევ ერთი ნაკლია.
7623. სასურველია გენიოსი იმ ქვეყნებში და საზოგადოებაში დაიბადოს, სადაც სჭირდებათ, ხელს შეუწყობენ და გააღმერთებენ და არა იქ, სადაც მისი გაცნობიერების და მოვლის უნარი არ აქვთ.
7624. გენიოსის არ შურთ, რადგან ჩვენი მიწა-წყალისაააო – ამაყობენ.
7625. ნიჭი უფრო დაფინანსებას საჭიროებს, ვიდრე კეთილგონივრულ დამოძღვრას.
7626. დაკვირვების ნიჭი და უნარია მეცნიერების საწყისი და არა მხოლოდ განათლება.
7627. მხოლოდ ბრიყვია დარწმუნებული 100%-იან შედეგში, ხოლო გენიოსისთვის 200%-იც ცოტაა.
7628. ზოგი ნიჭი „ნერვების მომშლელი“ გენეალოგიისაკენ იქაჩება, ოღონდ საზოგადოების თავის განძრევის და დაღვინების შემდგომ.
7629. გენიოსებს, „ჭიჭიკას და ბიჭიკას“ ტაშის დამკვრელები არ სჭირდებათ, მათ საუკუნეები უკრავენ ტაშს.
7630. გენიოსი ის მოვლენაა, რომელიც საგრძნობლად უსწრებს თავის დროს ან პრაქტიკულად განუმეორებელია, ემორჩილება მხოლოდ მათემატიკის კანონებს და ბუნების კანონზომიერებას.
7631. გონიერება ფხის გამორჩენას არ ცდილობს, მისი ქმედება, მისდაუნებლიედ, ამას აკეთებს და ლელო გააქვს.
7632. გონიერების დატოვებული „ფუჩეჩიდან“, თუ მოვინდომებთ, რაღაც აზრიანის მოძიებასაც შევძლებთ.
7633. დილეტანტის აზრებში ბევრი უმაქნისი სიტყვა და ფუყე აზრია, მაგრამ გონიერებას აქაც შეუძლია სასარგებლოს ნახვა.
7634. საქმის დაწყება-დამთავრება გონიერების უხილავი ალგორითმების დალაგებას მოითხოვს.
7635. სიტყვას ამკობს და აფასებს ჭკუა, ზნეობა და არა უაზრო, სასიამოვნო ყბედობა, რომელიც ინტელექტზე პრეტენზიის მქონე ბრბოსთვის არის განკუთვნილი.
7636. გონიერება, მოხერხებულობა, თუ თავისთვის გამუშავებს, იმის მაჩვენებელია, რომ მათ მარაქაში პერსპექტივა გაქვს.

7637. კიდევ კარგი, არსებობს ბევრისთვის გაუგებარი, თამამი გონება, რომლის გარეშეც დღეს ქვის ხანაში „ვიგრიალებდით“.
7638. “მარტოობის დღესასწაულის“ გონივრულად გამოყენება ერთეულთა ხვედრია.
7639. მომსახურების ორგანიზაცია და ხარისხი დამყოლი ხალხისთვის და არა – საქმის მცოდნე შემოქმედისთვისაა უმთავრესი.
7640. გონიერება არც სხვის საიდუმლოს ფლობს და არც თავისას ანდობს არავის.
7641. გენიალობა განწირულია მარტოობისთვის.
7642. გენიოსსა და კრიტიკოსს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მუდამ შეუცნობადი და ჭკუის სავარჯიშოა, ხოლო მეორე ფრაზებს თუთიყუშივით იმეორებს ინტელექტის წარმოსაჩენად.
7643. არის გენიალური ნაწარმოებები, რომლებიც მომდევნო საუკუნეებისათვის ხელმისაწვდომია, ამიტომ მის წარმოსაჩენად კინოში, თეატრში, ხელოვნების სხვა დარგების და ტექნიკური პროგრესის სათანადო განვითარებას უნდა დავუცადოთ.
7644. გონების მოთხოვნილებებს ჩვენი მოწიფულობა ხშირად არ ემთხვევა.
7645. შეუსაბამობაა, როდესაც გენიოსი არ ამაყობს თავისი წარმოშობით, ხალხით და ყოველივე პირიქით ხდება.
7646. ორატორობა განათლებაცაა, ნიჭიც და მისწრაფებაც.
7647. გენია მუდამ ახალგაზრდაა და საუკუნე ვერ აბერებს.
7648. ორიგინალური აზროვნება, სიახლის სანელებლებით, გენიოსთა ხვედრია.
7649. შენს ავტორიტეტს, ხშირად შენი ქვეშევრდომი შენ დაუკითხავად უკეთ იყენებს, ვიდრე თავად შენ, რაც ქვეშევრდომის ნიჭზე მიუთითებს, შენგან განსხვავებით.
7650. ნიჭი დიდებას ქმნის, დიდებას – რეკლამა, რეკლამას – ფული, ფულს – ნიჭი და ეს წრე ასაკის მატებასთან ერთად იცვლება, იფერფლება.
7651. გონიერების ხშირ-ხშირად გამოცდა აუცილებელია, რათა ზოგჯერ თავის კმაყოფილი დარჩე.
7652. გენიალობის მომხიბვლელობა ყველას აღაფრთოვანებს და ტვინს უხსნის, მაგრამ მის აღქმას და რეალობაში ჩაწვდომას, ის დრო და ტვინის ხახუნი სჭირდება, რომელსაც ასაკის მატება ხშირად არ გვანებებს.
7653. ტალანტი, ერთდროულად, შეუპოვრობის და თავშეკავების შედეგია, ნიჭთან ერთად.

7654. ჭკვიანი ბევრია, საქმის მცოდნე – ცოტა, გენიოსი იშვიათია, მისი შესაფასებელი დრო განუსაზღვრელია.
7655. ტალანტია ისიც, როცა საკუთარი ტალანტის და უნიკალობის გაცნობიერების შემთხვევაში, საკუთარ მომავალზე არ ინერვიულებს.
7656. სირცხვილისგან განსხვავებით, როგორც ქართველს, მტკივა, ასეთი ნიჭიერი ხალხის ჭკუა რომ დაფანტულია და გაუტანლობის გამო, ერთად ვერ მოგვიგროვებია.
7657. სამწუხაროდ, ხშირად გენიოსებსაც სიკვდილის შემდგომ წარმოაჩენენ.
7658. თუ მომავალში სინჯარებში შეეცდებიან გენიოსების გამოყვანას, მაშინ ამ სამყაროს გაქრობაც არ დააყოვნებს – დედამიწა ამდენ ჭკვიანს ვერ აიტანს – ისიც ლიმიტირებულია განგების მიერ.
7659. ტალანტთან მუშაობა სიამოვნებას გვგვრის, გენიოსთან – აღგვაფრთოვანებს.
7660. გენია ტალანტია კუბში და ნიჭია მეათე ხარისხში.
7661. გონიერების სიბრძნის კბილს ყველა ჩვენგანი უნდა ლესავდეს და უფრთხილდებოდეს.
7662. მარადისობა დროის ყივილთან შეთანხმებით ნიჭის გათავხედებაა, რომელთან შეხების უფლება ზოგჯერ, ჩვეულებრივ მოკვდავებსაც ეძლევა.
7663. კოლექტიური გონიერება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას ისეთი ლიდერი ჰყავს, რომელსაც გაყოფა, გამრავლება, დაჯამება, შეუძლია სასურველი შედეგით.
7664. კულინარიის ხელოვნებას ბევრი იბრალებს, მაგრამ ორიგინალური კერძების მომზადება-დაგემოვნება ერთეულ ნიჭიერთა ხვედრია.
7665. გონიერებასაც გული კვებავს, ხოლო გულს შექმნილი გარემო აღაფრთოვანებს.
7666. შვილებისთვის გენიოსი მამაც ჩვეულებრივი მოკვდავია, მიუხედავად იმისა, რომ ისტორია მას წინასწარ აღმერთებს და ხალხი ეთაყვანება.
7667. გონიერება თავისი მცდელობის შეფასებას მოითხოვს და ცდილობს თავისადმი მოწიწება და რწმენა არ დაკარგოს.
7668. გონიერების ბერკეტს ფული ვერასოდეს გადაუჯოკრავს, რადგან ის უპირველესი საყრდენია სამყაროს ამაოების შეცნობაში.
7669. გონიერება სიბრძნესთან დაახლოებას და მის განსჯა-კრიტიკას არ უცხოობს, რადგან შედეგად უფრო საქმიანი და შემოქმედი ხდება.

7670. გონიერება, რეალურად, პენსიაში არასოდეს გადის და ავადმყოფობისაგან განსხვავებით, ასაკს არ ეპუება.
7671. დემაგოგი, რომელიც კითხვებს სვამს და თავადვე პასუხობს, ან გენიოსია ან ბუნებით დიდი ავანტურისტი.
7672. გენიოსები გარეგნულად თავმდაბლები არიან, შინაგანად კი სხვებზე უკეთ გრძნობენ თავიანთ ფასს მომდევნო თაობების და საუკუნეების წინაშე.
7673. აზროვნება უფრო ნიჭის, გენის, ბუნების, შედეგია, ვიდრე სწავლის, აღზრდის, დაბადების.
7674. გონიერების დიეტის დაცვა მტერ-მოყვარესთანაც უნდა მოახერხო და საკუთარ თავთანაც.
7675. მომავლის განსჯა ადვილია, მასში ჩვენი ბედის შეცნობაა ძნელი.
7676. გონიერებაც თავისებური ხელოვნებაა და მას აზრს საქმის კეთების სურვილი აძლევს.
7677. თუ ბედი ჩვენზე კაიფობს და ჩვენ ბედით ვკაიფობთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.
7678. ბედნიერების მოძიებასაც ცოდნა, გამოცდილება, შემთხვევა და მათი დაჭაშნიკება სჭირდება.
7679. ბედნიერება და სიმდიდრე ერთიდაიგივე არ არის, მაგრამ მათი საკლებ-მაკლების ტოლობა ერთმანეთს ძალზე ამშვენებს და ყოფას პეწს მატებს.
7680. თანამემამულედ გენიოსის ყოლა ერის წარმოჩენის საწინდარია, რომელიც ქვეყანას იშვიათად მოევლინება სულის ასაფრიალებლად, ტვინის ასარევად და ახლებურად იმის დასანახად, რაც წინათ ვერც კი წარმოედგინათ.
7681. თუ ნებაყოფლობით აკეთებ, რაც მოგწონს – ჭკვიანი ხარ, ხოლო თუ თავს იმას აკეთებინებ, რაც საჭიროა და არ მოგწონს – გენიოსი.
7682. ცუდად აღზრდილ ნიჭს უნიჭობაზე მეტი ზარალი მოაქვს.
7683. გენიოსები მომდევნო საუკუნეებს უგებენ და პატრონობენ თანამედროვეთა „სალანძღავად“.
7684. უნიჭობის დიდი დამსახურებაა თუკი „თავის მოწოდებით“ არაფერს აკეთებს.
7685. გენიალობა, გვინდა – არ გვინდა, ყველა საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობს, რადგან მის გარეშე, ხეირიანად უმნიშვნელო საკითხიც არ წყდება.
7686. გონიერებისთვის პრობლემა არ არსებობს, პრობლემა თავად ჩვენშია, მენტალიტეტშია, რომლის მოთოკვა ჩვენი მერკანტულობიდან გამომდინარე, ცნობიერებასაც უჭირს.

7687. ზოგჯერ ამბიციებით დატვირთულ გონიერებასთან შერკინებას შეიძლება აზრიც არ აქვს, მაგრამ უამისოდ მჯობნის მჯობი არ გამოვლინდება.

7688. გონიერება თავისას ვერასოდეს იღებს, მაგრამ ზომიერება მაინც უნდა დაიცვას.

7689. დაღლილი ნიჭი დაუღლელს ყოველთვის „უჯოკრავს“.

7690. სიბრიყვე არ მომწონს, მაგრამ „პატივს ვცემ“, რადგან მის გარეშე გონიერების გამომზეურება გაჭირდებოდა.

7691. ნამდვილი შემოქმედი მხოლოდ თავისი „სიამოვნებისთვის“ იღვწის, რადგან შემოქმედებით წვას თანდაყოლილი ნიჭი აიძულებს.

7692. უზომოდ ნიჭიერებას უფრო თანადგომა, დახმარება სჭირდება, ვიდრე მეცნიერებაში ჩალიჩი.

7693. ცუდის კარგად მოჩვენებასაც ნიჭი სჭირდება – არა უბრალო და „საყველპურო“.

7694. სინონიმები ბევრ ჭკვიანურს ღაღადებენ, მაგრამ მათი გამოყენება უნიჭობას არ უნდა ვანდოთ.

7695. ნაპოვნის მოვლა-შენარჩუნებას ნიჭი სჭირდება, რათა ის შენს რაობას მოერგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ტვირთად აგეკიდება.

7696. გენიოსის „დახურდავებაც“ შეიძლება ეშმაკად ან ანგელოზად, თუ დემაგოგის ტვინს მოვიშველიებთ. მაგ. დიდი გალაკტიონი, ერთი შეხედვით, ეშმაკის შეჩენით ლოთი იყო, მეორე მხრივ, ანგელოზად მონათლული გენიოსი, განგების რჩეული და ზეციდან გამოგზავნილი პოეტი. ამასთან ის ადამიანიც იყო და ისე იცხოვრა, როგორც შეეძლო და ის დატოვა, რაც შეეძლო.

7697. ნიჭიერი კაცის გაგება იმიტომაც ჭირს, რომ ის თავის დროს უსწრებს, ხოლო მის მოსასმენად და „ჭკუის საღრძობად“ იშვიათად, რომ ჩვეულებრივი მოკვდავი დროს იმეტებდეს.

7698. ნიჭისთვის უმთავრესია: წესრიგი, რიდი, ქვეყნის ძლიერება, უნიჭობისთვის – ყურით მოთრეული დემოკრატია, თავისუფლება და გადამთიელის იმედზე ყოფნა (მაგ. სტრასბურგის სასამართლო) პირველი საქმის კეთებისთვისაა მოწოდებული დროის მარწუხებით, მეორე – თავის წარმოსაჩენად ყველას ფეხებში ედება და აღარ იციან, როგორ მოიშორონ თავიდან.

7699. ნიჭის ხელის შეწყობა პატრიოტიზმი და გონიერების მიმართ ვალის მოხდაა.

7700. ვისაც მშვიდობიანობის აღქმა-ჭვრეტის ნიჭი დაჰყვა, ის ტყუილუბრალოდ არ მოსულა ამქვეყნად, რადგან ეს ნიჭი სიკეთის კეთების სინონიმია.

7701. ადამიანს თანდაყოლილი ნიჭის გარეშე მარადიულობის შეცნობაც უჭირს და მშვენიერების აღქმაც.
7702. პიროვნებად ხდებიან, ყალიბდებიან, იღვწიან, ბედის, ნიჭის და შეუპოვრობის წყალობით.
7703. გონიერება გაცილებით მეტს ხედავს და სათუთია, ვიდრე თვალები.
7704. ხელქვეითობაც ხელოვნებაა და მას თავმდაბლობასთან ერთად, მისთვის განკუთვნილი მიკერძოებული და მოკრძალებული ნიჭი სჭირდება.
7705. გონიერება ბირჟაზე სერიოზულად არ თამაშობს, მისით ერთობა და თუ პირიქით ხდება, ეს პროფესიულ დაავადებად იქცევა და გონების მკურნალობის საჭიროება არ დააყოვნებს.
7706. ნიჭი უნდა აღმოვაჩინოთ, განვითარებაში ხელი შევუწყოთ, მაგრამ ძალად შექმნას არ უნდა ვეცადოთ.
7707. შემოქმედი ადამიანისათვის ძნელი მუდამ წინსვლაა, თუ შენს წინაშე ბრბო კედლადაა აღმართული, რომელსაც არც სიახლის კეთება სურს და არც პერსპექტივის დანახვა, რადგან იგი „მიჩვეულს ნუ გადამაჩვევ“ პრინციპით ცხოვრობს.
7708. არის გენიოსი, არის მირონცხებული გენია, პირველი ხალხის ჭკუის ნაყოფია, მეორე – გონიერებასთან შეზელილი სულიერებისა.
7709. მარტივი, მშვენიერი, „ჭკუანაღრძობი“, ყოველთვის დიდებული, გენიალური, ღვთაებრივია.
7710. საუკუნეგამოვლილ გონიერებას არც სახელი სჭირდება და არც – პატივის მიგება, ის ყოფიერებას თავისთავად აქვს გათავისებული.
7711. სისხლიან გენიოსებს სისხლიანი დროის კაპრიზი აღაზევებს და არა მათი ტალანტი.
7712. გონიერების მიზანია არა „300 სპარტელის“, „300 არაგველის“. „9 ძმა ხერხეულიძეების“ და მისთანების არყოლა, არამედ მათი გმირობის დაუჭირვებლობა.
7713. ჰორმონები ჩვენი მიმზიდველობის ლაკმუსია და ვის რა სურნელ;ი მოსწონს, ეს გენზეა დამოკიდებული და არა სურვილზე.
7714. გონიერება ბედის შემოტრიალებასაც იყენებს და მის დროებით ზურგის შექცევასაც, ჩასაფრებით, მოთმინებით, წინხედვით.
7715. ზოგჯერ დაუჯერებლის რწმენაც აუცილებელია და განსჯაც, ვინაიდან შესაძლებელია მისგან რაღაც გენიალური გამოდნეს.
7716. გენიოსს საზოგადოებისაგან სტიმულის მიცემა სჭირდება, რათა მისი შესაძლებლობა გაორმაგდეს და მაქსიმუმი გაიღოს.

7717. ნიჭი, სიზარმაცის მიუხედავად, განათლებულ ბეჯითს ხშირად უჯოკრავს.
7718. გენიოსები თავიანთი ჭკუით ქმნიან სამყაროს, ხოლო სამყარო მათ თავის წარმოსაჩენად იყენებს.
7719. ორიგინალურის, განსხვავებულის, დანახვა-აღქმას თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.
7720. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ ადამიანი იმიტომ ხარ, რომ ეცადო ეს უაზროდ არ მოხდეს.
7721. გენი გათავხედების თავისებური პარადოქსია, რადგან გენიოსებიც „იდიოტი“ მამებისგან ჩნდებიან.
7722. წინასწარ იმის ცოდნა, რას გააკეთებ და რას – არა, თავისებურ ნიჭს, ინტუიციას, მოითხოვს.
7723. ნიჭი მცირედით კმაყოფილდება პირად მოთხოვნილებები და არა – შრომაში, მცდელობაში, თავის წარმოჩენაში.
7724. ნიჭიერება ამაყია, დამოუკიდებულია, თვითმყოფადია, საშუალო ნიჭი დამოკიდებულია, მოკრძალებულია, შრომისმოყვარეა, ამბიციურია, მაგრამ ცხოვრებაში ვის როგორ გაუმართლებს და ვინ ვის უჩვენებს „ბიშტს“, არავინ იცის.
7725. გონიერება ვნებას არ ეპუება, თუმცა ამ „სახადის გადატანის“ წინააღმდეგი არ არის, ოღონდ გონების მოთოკვით და საქმეზე ხელის არშეშლით.
7726. გონიერება პროფესიის ავან-ჩავანის კონკრეტულ „დახარკვას“ მოითხოვს, რათა სხვისი საკეთებელიც მას არ აჰკიდონ.
7727. გენიოსის და მოჭკვიანო იდიოტის გარჩევა ერთეულთა ხვედრია, რადგან ერთი რას მოიმოქმედებს, ან მეორე როგორ მოგვაჩვენებს თავს, არავინ უწყის.
7728. გონიერების გამოყენებასაც შემთხვევა და დროის მომწიფება სჭირდება.
7729. რწმენა, მიზანი, შემართება, მიუღწეველს მოგვაღწევინებს, თუ გონიერება, შემართება, გვერდით დაუდგება.
7730. ნიჭიერების კაპრიზი საზოგადოებამ უნდა აიტანოს ზომიერების ფარგლებში, რადგან ქვეყნის ამოგდება-შენება მისგან იწყება.
7731. მხოლოდ დარგობრივი ნიჭი, ორგანიზაციული ან ავანტურისტული ნიჭის გარეშე, კაცობრიობის წინსვლას არ ადგება და ვერც რაიმე ხელშესავლებს ტოვებს, ვინაიდან გაუბედავი და მორცხვია.
7732. ადამიანს, სინამდვილეში, თანდაყოლილი ნიჭი უფრო სჭირდება, ვიდრე ნაჯაფი და ესეც განგების ჩვენთვის გაუგებარი ხუშტურია.

7733. საბოლოოდ ძალას გონიერება სჯობნის, მაგრამ საწყისი ყოველთვის ძალის მხრესაა, რადგან გონიერება პრობლემის მოგვარებაში გვიან ერევა.
7734. უგუნურებასთან შეგუება ძნელია, მაგრამ თუ მას სიკეთის საკეთებლად დროებით ახერხებთ, ისიც დიდი გონიერებაა.
7735. ხელისუფლებასა და ხალხს ყოველთვის უჭირდა გენიის გაგება, მიუხედავად ერთ დროში ცხოვრებისა.
7736. მხოლოდ გენიოსების ზურგს ამოფარებული ხალხია ბრძენი და არა – გენეტიკურად ბრბოდ, მასად, ქცევისკენ მიდრეკილების მქონენი.
7737. გონიერებასაც ახალი რესურსებით შესავსებად დრო და დასვენება სჭირდება.
7738. სხვის კეთილდღეობაზე უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ საკუთარი „ნიჭის“ მოთხოვნები არ უნდა დავივიწყოთ.
7739. ჭკვიანი კაცი სანამ ცოცხალია, კონკურენტი და ნერვების მომშლელი ტალანტია, მოკვდება და გენიოსის სახელს იმკვიდრებს და ნერვებსაც არავის უშლის.
7740. ჩვენი გენიალობის და უნიკალობის გამოხატვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს, რომელსაც ან სათანადოდ ვერ წარმოვაჩენთ ან მსმენელი არ არის გაზიარების ღირსი.
7741. გენიოსის ხელში სიტყვა ბადებს აზრს, რადგან სხვანაირად მისი გაგება გაჭირდება.
7742. გონიერებისათვის ყველაფერი დასაშვებია, მათ შორის, მიუღებელიც.
7743. გონიერებაც და გემოვნებაც თანდაყოლილი ნიჭია, მაგრამ სად რომელი გამოგადგება, არავინ უწყის.
7744. არ უნდა ინერვიულო, თუ სხვაში გენიალობას აღმოაჩენ.
7745. გენიოსების გარეშე ცხოვრება შესაძლებელიც არის და დროებით მოსათმენიც, მაგრამ უაზრო ცხოვრება შეუძლებელია.
7746. გონიერებამ ყველა ვალი უნდა გადაიხადოს, მაგრამ არა – ბოლომდე, რადგან რაღაც თავსაც უნდა შემოუნახოს, რაღაც ახლის აღსაქმელად.
7747. განათლების მიღება, დაძალების გარეშე, ჭირს, განსაკუთრებით ეს ნიჭს სჭირდება, რადგან ნაკლებ ნიჭიერებას ბეჯითი მეცადინეობით ავსებენ, ხოლო ნიჭიერება დაძალებას ეწინააღმდეგება და გზას სიახლის კეთებით იკვლევს.
7748. გენიოსი ზოგჯერ თავს უფლებას აძლევს დედამიწაზე დაეშვას და დაბალზე იფრინოს, რათა ჩვეულებრივ მომაკვდავთა აღფრთოვანება, შური და პატივისცემა გამოიწვიოს.

7749. გონიერება ბედნიერების რეცეპტებს არიგებს, თუ მას კარგად მოვუსმენთ და მის აზრებს შემოქმედებითად გავითვალისწინებთ.
7750. შემოქმედის ტვინი „სასუსნავის“ გარეშე ვერ ანათებს, არ ვითარდება – „ბუუტავს“.
7751. ქვეყნის, ერის, ხალხის, წარმომჩენი გენიალური და არაორდინალური პიროვნებები არიან და მათ თავიანთი სიამოვნება-მცდელობის ხარჯები თანამემამულეებმა უნდა გადაუხადონ.
7752. გამარჯვებაც შესაძლებელია თუ ძალიან გინდა, ოღონდ ნიჭის მობილიზებით და თავის გაკონტროლებით.
7753. წონასწორობის აღქმა-შენარჩუნებას დამოძღვრილი ნიჭი სჭირდება.
7754. ყველა ნიჭი თავისებური მეტიჩარაა მოწიფულთა თვალში.
7755. მარტოობის კაიფის რეალური აღქმა, უმთავრესად, გენიოსთა ხვედრია.
7756. მარად სიახლის ძიების კაიფი ერთეულ გონებაამოტრიალებულთა ხვედრია.
7757. იფიქრო, შექმნა, ნაღვაწით ისიამოვნო, დიდი ბედნიერებაა კაცად დაბადებულისათვის.
7758. ცენზურაც საჭიროა ზომიერების ფარგლებში, თუ მას ნიჭთან აქვს საქმე, ნაღვაწის დაღვინება-დაჭაშნიკებასაც ხელს უწყობს და უფასო-დაუყვედრებელი რეკლამაცაა.
7759. ნიჭის შეფასება, შესადარებელი ნიჭიერების გარეშე ძნელია.
7760. მრავალმხრივი ნიჭიერება უდიდესი ტალანტის მაჩვენებელია კუბში და განგების სასიამოვნო შეცდომა კვადრატში.
7761. საცოდაობაა, როდესაც ტალანტი „უტრაკო“ ქვეყანაში იბადება და შემოქმედებითი წლები უცდება.
7762. ტალანტი შორიდან ჩანს, მისი აღმოჩენა ძნელი არ არის, მისი სარფიანად გაყიდვა კი ძნელია.
7763. ტალანტი ზოგჯერ ბევრ რაღაცას ედება, რომ წარმოჩინდეს და ხალხს არგოს.
7764. ნიჭი არ შეიძლება ბერწი იყოს, მან რაღაც საინტერესო უნდა შვას.
7765. გენიოსი რომ კლასიკოსად იქცეს და ისტორიას შემორჩეს, საცხოვრებელიც იღბლიანი უნდა აირჩიოს და სამოღვაწეო ასპარეზიც.
7766. ყველა ნიჭს დროულად წარმოჩენისათვის მასშტაბი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუცნობელ დროს მტვერი ედება და როგორ მოაშორებენ ამ მტვერს, არავინ უწყის.

7767. გენიოსის წარმოჩენის მასშტაბს დროის ქარცეცხლში გამოტარება სჭირდება.
7768. გენიოსი ყველგან შეიძლება დაიბადოს, ამიტომ მას პირველ რიგში აღმოჩენა-პატირონობა სჭირდება.
7769. ყველა კონკურსი ინტრიგაა ახალი ტალანტის წარმოსაჩენად.
7770. არის ღვთის ნაბოძები ნიჭი, „რომელსაც ყველაფერი აქვს, რის სწავლაც არ შეიძლება“ და ეს ირგვლივმყოფთათვისაც ბედნიერებაა.
7771. გონიერებას კოკისპირულ წვიმაშიც კი უგუნურების წვეთი არ ეკარება.
7772. ნიჭიერებას წარმატების კვარცხლბეკზე შემოსკუპება ყოველთვის უჭირდა, რადგან მისი შურთ და კონკურენტს ხედავენ.
7773. კულტურა ნიჭის და უანგარო მცდელობის დამსახურებაა და არა ტრადიციების.
7774. ნიჭისთვის სიზარმაცეა დამახასიათებელი, სანამ პერსპექტივას არ ხედავს.
7775. სანამ გონიერებას ეროზია შეეპარება, მანამ ბობოქრობს, ქუხს და „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად“.
7776. სურვილების ტექნოლოგია, რატომღაც, დაუფასებელი ხელოვნებაა, რომლის გარეშე ვერც ერთი ნიჭი ვერ წარმოჩინდება.
7777. საკუთარ ნიჭს ვერსად გავექცევით, ამიტომ ის ზომიერების ფარგლებში და ჭკუით უნდა გამოვიყენოთ.
7778. კომპრომისზე წასვლას წინასწარ გათვლის ნიჭი სჭირდება და არა – ჯიუტობა.
7779. ცოდნის, ინფორმაციის, გააზრებით გამოყენება ნიჭის პარამეტრების დაღვინებას მოითხოვს, რათა წარმატებას მიაღწიოს.
7780. ისაუბრო მომხიბვლელად და იმდაგვარად, რომ არაფერი სთქვა ხელშესავლები, ამას, ნიჭთან ერთად, დიპლომატიაც უნდა.
7781. იუმორის მადლი რომ შეიცნო, გონებამახვილობა სჭირდება კვადრატში.
7782. გონიერება ფართოდაა ინფორმირებული, ცოდნა შეზღუდულია.
7783. ტალანტს არც ადგილსამყოფელი აქვს და არც – ეროვნება, ის ჰაერში დაფარფატებს და დრო მაშინ წარმოაჩენს, როცა განგება ისურვებს.
7784. სასიხარულო გაკვირვება იმ ნიჭის და შესაძლებლობების აღმოჩენაა, რომელსაც არ მოელი.
7785. გენიოსის სიტყვაში ეჭვი არ ეპარებათ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ სჯერათ.

7786. გონიერება სხვის სიბრძნესაც ეძებს, ოღონდ სიახლის წამატებით, თავის გამოჩენით, სარგებლით.
7787. დაწვრილმანება და წუწურაქობა ტალანტის ყველაზე დიდი მტერია.
7788. გენიოსის ცხოვრება იმდენად მოკლეა, რომ იძულებულია მხოლოდ სახელის დატოვებაზე იფიქროს.
7789. გონიერებას ზოგჯერ თავისი „ბზიკის“ აშვება უყვარს და ვინც გაუგებს, ენით დაგესლავს.
7790. გონიერთა გაერთიანებას პრობლემა ყველა დროის აქილევსის ქუსლია.
7791. გონიერებისადმი რწმენა საშუალებას გვაძლევს ჭკუის შესატყვისად ვიმუშაოთ და ვიმოქმედოთ.
7792. გონიერება ბრმა მორჩილებას და ავტორიტეტებს ვერ იტანს, სანამ იგი მისაღებ ჭეშმარიტებად არ იქცევა.
7793. არის შემოქმედთა კატეგორია, რომელთა შექმნაში ეშმაკის ხელი არ ერიოს, შეუძლებელაი.
7794. ყველა გენიოსს გარკვეული დროით სიკვდილი უწერია, მკვდრეთით აღდგომით.
7795. ყველა ნიჭს მარტოობა აწუხებს, რადგან თეორიულად მხოლოდ ოცნებასთან და სურვილთან ყოფნა არ აკმაყოფილებს, თორემ პრაქტიკულად ცხოვრებით კმაყოფილია.
7796. გონიერ ადამიანს აქვს უფლება ხალხს დიდხანს უყუროს და მისგან გონიერების ნაყოფი ამოხაპოს, რათა სხვასაც არგოს.
7797. ნიჭს მომავალი არ აქვს, თუ მან დღესვე არ იღვაწა – სხვანაირად შთამომავლობას, ისტორიას, მახსოვრობას, ვერ შემორჩება.
7798. სისულელეშიც გონიერება რაციონალურ მარცვალს ეძებს და ზოგჯერ პოულობს კიდეც.
7799. გონიერების კარნახის დაფასებას დროის წიხლი სჭირდება.
7800. უცოდინრობით თავის მოსულელება გონიერთა სახალისო გასართობია.
7801. თუ ურთიერთობა მოგვარებულია, გონიერებას სასწაულის მოხდენაც შეუძლია.
7802. გონიერება უგუნურებიდან თავის დაღწევას ცდილობს და არა – პირიქით.
7803. გონიერებისთვის ბევრი რამ არის მისაწვდომიც და განუხორციელებელიც, გააჩნია, დრო რამდენადაა მის მხარეს.
7804. ეშმაკობის უნარი ნიჭია, მაგრამ მისთვის მოულოდნელად კონტრდარტყმის მიყენება ხელოვნება და ნიჭია კვადრატში.

7805. ზოგჯერ ერთი შეხედვით სისულელეშია დამალული გენიალობა, სილამაზე და პრაქტიკული გამოსავალიც.
7806. ნიჭი, მისწრაფება, შრომა, ბედი, შემთხვევის და დროის ყივილის ნაწილია.
7807. ნიჭიერება დროის დაცლილ ჭურჭელს ავსებს და ამ დროს გასაგებს და გამოყენებულს ხდის.
7808. ბუნების სიმშვენიერის შეცნობა-აღქმის უნარი ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.
7809. გენიოსებს განგება სხვათათვის აღვაწებს და არა მარტო თავისი სიამოვნებისთვის.
7810. მოაწონო ვიღაცას რაღაც, ნიჭთან ერთად „გადატრიალებულ“ აზროვნებას მოითხოვს.
7811. ზოგი გენიოსი ბუნებას არა მარტო კაბას ხდის, არამედ „ნიფხავსაც“ ზედ მიაყოლებს სიახლის აღქმის მცდელობისას.
7812. გონიერება ემოციებით არ უნდა გადავტვირთოთ და გავაუფასუროთ.
7813. ცის და დედამიწის ურთიერთგაავების სილამაზის გამოხატვას შემჩნევა და აღქმის ნიჭი უნდა.
7814. ნიჭის გარეშე ადამიანს ვერავითარი სწავლა-განათლება ვერ უშველის, რომ შესამჩნევი იყოს. უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება დარგის გასახსენებელი გახდეს.
7815. ხელისუფლებაში „მაიმუნობასაც“ ხალხისთვის სასარგებლო თანდაყოლილი ნიჭი უნდა.
7816. გონიერებასაც მოფრთხილება უნდა, რათა ის ძვირად გავყიდოთ.
7817. ზოგჯერ საქმეზე და გამართლებაზე მეტად გამოუყენებელი ნიჭი რჩება, რომელიც ქაღალდზეა დამაგრებული. მაგალითად, მაკიაველი.
7818. გონიერება ჩვენს უვიცობას გულშიც კი არ დასცინის. ამიტომაცაა ის გონიერება.
7819. ეშმაკობა, მოხერხებულობა, გაქნილობა, არის გონიერება, სხვადასხვა ცოდნათა შეზელვით.
7820. შემოქმედთან შეხვედრა პასუხიმგებლობასაც მოითხოვს, განსაკუთრებით, თუ ის შენგან დახმარებას მოელის.
7821. დ. მენდელეევს სამი სპეციალობა-გატაცება ჰქონდა: ჰაერნაოსნობა, ქიმია და ჩემოდნების კეთება, მაგრამ საინტერესოა ისაა, რომ გარკვეულ დრომდე მასა მას ამ უკანასკნელი სპეციალობით იცნობდა და აფასებდა.

7822. ყველაზე უკეთ სარფიან გამორჩენას ბავშვები ხედავენ, თუ თანდაყოლილი აზროვნება და ეშმაკობა არ აკლიათ.
7823. თანდაყოლილ ნიჭს და ცოდვას ყველა ალკოჰოლთან ურთიერთობისას ამჟღავნებს.
7824. საწყისში ზოგჯერ ის იმკის დიდებას ვინც გენიალობას ამჩნევს და წარმოაჩენს და არა ის, ვინც გენიალობა შექმნა.
7825. სილამაზეს ყველა აღიქვამს, გენიალობის გაგებას ყველა არ ცდილობს.
7826. რატომღაც ყოველთვის იმის გაკეთება მიწევდა, რაც ჩემის ჭკუით მოყვასის ავტორიტეტს და შესაძლებლობას უნდა ეკეთებინა. აი, ცხოვრებისაგან სასიამოვნოდ გასახსენებელი დაცინვა.
7827. განგება ნიჭით მეტ-ნაკლებად ყველას გვაჯილდოებს, გააჩნია, ეს ნიჭი რა დროში, გარემოში და ცივილიზაციაში ამოჰყოფს თავს.
7828. დაძლევა-გონიერება გამორჩეული ხალხის ხვედრია, რადგან ისინი სხვებს არ ჰგვანან.
7829. ნიჭი, რომელიც გაორებას, ნაძირალად გახდომას, განაპირობებს – საშინელებაა, მაგრამ არ განისჯება, თუ ის სამშობლოს ინტერესებს ემსახურება, მგ. მზვერავის პროფესია.
7830. დიდი ნიჭი განგების სასიამოვნო მსჯავრია, სიცოცხლის ბოლომდე „სასჯელის“ მოსახდელი წლებით.
7831. ნიჭი და უსაქმურობა შეუთავსებელია, იმისდამიუხედავად, დროის ყივილი მის მხარეზეა თუ არა.
7832. გენიალობას ბოროტება არ მოსწონს, მაგრამ მიზნის მისაღწევად ზოგჯერ თვალების დახუჭვას ახერხებს.
7833. გონიერებას ბევრი რამის აღიარება შეუძლია თავის მეობის, იმედის და „დაჩმორების“ გარდა.
7834. ნიჭსაც მშობლები ჰყავს და როდესაც იაფფასიან პიარს იკეთებს, მან დედ-მამის რაობაზე უნდა იფიქროს.
7835. გონიერებას ბევრი უბედურების თავიდან აცილება შეუძლია, მაგრამ შემთხვევის სიმუხთლეს ვერაფერს უხერხებს.
7836. ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა ერთი ნიჭია, შეფასების უნარი – მეორე, ხოლო მათ შორის მეგობრის მოძიება უკვე მესამე და დიდი ნიჭია.
7837. გულიანი სიცილის უნარი, ბედნიერებასთან ერთად, დიდი ნიჭია.
7838. სიახლის პერსპექტივის შეცნობის უნარი და მისი დამუღამებაც დიდი ნიჭია.
7839. ყველაზე დიდი ნიჭიც თავისებურად ზარმაცია, ხან აუღებელ ციხეებს იპყრობს, ხანაც არაფერს აკეთებს, ისვენებს და ამითაც კმაყოფილია.

7840. ნიჭი პიროვნებებს უნდა ეძებდეს და ესაუბრებოდეს და არა – მასას, თუ უნდა საქმე აკეთოს. რაც შეეხება ხალხს, უნდა ეცადოს ტაშის დასაკრავად გამოიყენოს.

7841. ყოველი ნიჭი თავისი დროის შემოქმედია, სიბრძნე კი საუკუნეებს ეხმაურება, ხოლო გენიალობა მარადისობისთვის იღვწის და მარად აწმყოსთან ჭიდილშია.

7842. პოპულარობასა და გენიალობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ერთჯერადია, აწმყოს საკუთრება და დავიწყებადია, მეორე მრავალჯერადია, დაუვიწყარი და მარადიულია.

7843. იშვიათი ნიჭია ფოტოაპარატით საკუთარ სხეულთან საუბარი, მაგრამ უფრო დიდი ნიჭია ფოტოზე მისი საზრიანად დაფიქსირება და წარმოჩენა.

7844. ზოგ „ვუნდერკინდს“ ისეთი გადაბრუნებული ჭკუა აქვს, სახლის ნაგავისგან ატომურ ბომბს გააკეთებს და მის გამოცდასაც არ მოერიდება.

7845. ნიჭს არაფერი არ უკვირს, უნიჭობა კი ყოველივე წამხედურობის დასაწყისი და უბედურების მომტანია.

7846. ნიჭი გვაიძულებს რაღაც ხელთშესავლები დასამახსოვრებელი შევქმნათ.

7847. შემოქმედება, ნიჭთან ერთად, ინტუიციასაც ითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ დროზე, შემთხვევაზე, გამართლებაზე.

7848. ტალანტს და სილამაზეს ვაღმერთებ, თუ მას სინდისიც თან ახლავს.

7849. ზომიერების გრძნობა, მოწესრიგებულად ყოფნა და მარად ახალგაზრდულად თავის აღქმა, უდიდესი ნიჭია.

7850. ზოგჯერ გენიალობასაც, სიკეთესთან ერთად, დიდი ბოროტებაც მოაქვს აუტისთა ხელში.

7851. ტექნიკურ პროგრესს გონიერების გახსნა ვერასოდეს დაეწევა და მარად მაჩანჩალა იქნება, ერთეულ გენიოსთა გარდა.

7852. მომსახურების ცოდნა ნიჭია, იგი კარიერისკენ, სიმდიდრისკენ, მიმავალ გზაზე გვაყენებს და წარმატებასაც შედარებით ადრე ვაღწევთ.

7853. გენიოსია ის, ვინც თავის დროს ერთი საუკუნით მაინც უსწრებს და პრაქტიკულად მომავალში გამოსაყენებელ წინადადებებს, აზრებს გვთავაზობს.

7854. სულის განგაშთან გონებით შეხმიანება ერთეულ გენიოსთა ხვედრია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ თავკონტროლის უნარი შესწევს.

7855. ნიჭი იმ საზოგადოებაში წარმოჩნდება, რომელსაც ამის სურვილი და ბაზარი გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გამომზეურებას სხვაგან უნდა შევეცადოთ.

7856. უნიჭობაზე გულდასაწყვეტი გამოუყენებელი ნიჭიერებაა, რომელსაც გადაგვარებისკენ აქვს მიდრეკილება.

7857. ნიჭს უსაქმურობა, მათრახის გადამკვრელის და ხელის წამკვრელის არყოლა უყურადღებობა ღუპავს.

7858. ნიჭიდან გამომდინარე პრაქტიკულ ცოდნასთან, განათლება ახლოსაც ვერ მივა.

7859. გენიოსები წარმოაჩენენ სამშობლოს, ხალხს, კულტურას.

7860. ზადის და ნაკლის შელამაზებას ყველანი ვცდილობთ ნიჭის და შესაძლებლობათა მიხედვით.

7861. სულიერი სიმშვიდის აღქმა, გონიერებაზე დამაგრებულ თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს.

7862. გენიალობა და ბოროტება ერთად ვერ ძოვენ, მაგრამ გარემოებათა გამო ურთიერთს ანგარიშს უწევენ.

7863. გონიერებას წიხლის სროლაც უნდა შეეძლოს, თავის აწევით და მოთოკვით.

7864. გონიერება კარგსაც უნდა მისწვდეს და ავსაც, რათა ცხოვრებასაც ეზიაროს და სიცოცხლის მადლსაც.

7865. ვისწავლოთ – სასურველია, ვიცოდეთ – ნიჭია.

7866. გენიალობა თავისებური ბოროტებაა, რადგან სულს გვიფორიაქებს, ძველს ანგრევს და ახლებურ რელსებზე გადავყავართ.

7867. ნიჭიერი ბევრია, მაგრამ ნიჭის აღმომჩენი და დამფასებელი – ცოტა და გულგრილი.

7868. გონიერების დოღს, მზაკვრობას, ვერავითარი ვერაგობა ვერ შეედრება თუ ამისთვის მოწოდებულია გენეტიკურად.

7869. ნიჭის დღესასწაული საზოგადოების განვითარების პროდუქტიაა და არა მხოლოდ განგების მადლისა.

7870. ტალანტი ყურებს გვაცქვეტინებს, გენიალობა ჩამოგვაყრევინებს იმის შეგრძნებით, რომ მას ვერასოდეს შევწვდებით.

7871. თუ შენი აზროვნება სხვის აზრს არ ეგუება და დაწევის იმედი ძალზე ძნელია, ნიჭი არ მოგდევს.

7872. სიცილის ხელოვნებას ყველა თავის ჭკუაგახსნილობის მეგაბაიტის შესატყვისად ფლობს.

7873. გონიერებას ლოდინი არ უყვარს, მაგრამ გარემო პირობებს ითვალისწინებს.

7874. ნიჭს განგება გვჩუქნის დროის, გარემოს და საკუთარი ხუშ-ტურების შესატყვისად.
7875. ზოგჯერ გენიალობაც და ბოროტებაც საერთო ენას ნახულობენ, თუ მიზანი უცნობია, მაგრამ რაღაც პერსპექტივა ჩანს.
7876. ფუჩეჩში გონიერების მარცვლის მოძიება ძნელია, მაგრამ ნიჭი ამას ახერხებს.
7877. დიდი ნიჭი ყოველთვის თავისებურად გაუგებარია, საოცარია, საამაყოა.
7878. წარსულის და დღევანდელობის უმტკივნეულოდ შეუღლება-შერწყმა მხოლოდ გენიოს ავანტურისტთა ხვედრია.
7879. ცხოვრებიდან წასულის გამოცდილებიდან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, მაგრამ ნიჭის გარეშე აქაც არაფერი გამოდის.
7880. გენიოსად დაბადებული ცოდოა: თუ მცირე ერის შვილია – გასაქანი არ აქვს, ხოლო ერმა, რომელიც მისთვის არაფერს აკეთებს, თავის წარმოჩენის უფლება მუქთად მოიპოვა.
7881. ყველა ბავშვი ნიჭიერი იბადება, თუ დრო და განგება ზურგს არ შექცევს.
7882. ის, რაც გენს თავისთვის გასაგები ეჩვენება, სხვა ამას ვერ იგებს და არც ცდილობს, შედეგად გენიალობაც იფერფლება და სასიკეთო საქმის კეთებაც ამაოდ გვინდა.
7883. სიბრძნესა და გენიალობას თავისი კაურები აქვს და საერთო ჭკუას, მსოფლმხედველობას, ვერ ეგუება და არ სცნობს.
7884. გენისოსს პირადი ცხოვრება არ გააჩნია და არც ჩვეულებრივ მოკვდავს აქვს მასში ცხვირის ჩაყოფის უფლება.
7885. გენიოსი დროის დადგენილი წესებით ვერც მეცნიერებაში იღვწის და ვერც ცხოვრებაში, ამიტომააცაა, რომ ერთდროულად შერისხვას და აღფრთოვანებას იმსახურებს.
7886. ნიჭის მრავალმხრივობა, თუ არ გამოვლინდა, საცოდაობაა.
7887. ახალი მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ შეუცნობელ გენიოსთა პრეროგატივაა და ამას როგორ აღიქვამს აწმყო, რატომღაც მომავალს არ აინტერესებს.
7888. გენიოსია, ვინც ყველა დროის მიღწევებს აცნობიერებს და მათ დროის შესაძლებლობების შესატყვისად აღიქვამს.
7889. გადავადებას, მომაბეზრებელი სწავლისთვის თავის დანებებას, ნიჭიერები ხშირად წარმატებისკენ მიჰყავს.
7890. როდესაც სურვილი გიჩნდება გენიოსს შენი ნებით დაუჩოქო, ბედნიერებაა არა მარტო ერისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

7891. გენიალობა თავისი რჩეულ ქომაგებს, სულიერად თუ არა, ფიზიკურად თან უნდა მიჰყვეს, რათა იმქვეყნადაც მათი აპლოდისმენტები არ მოაკლდეს.
7892. დედაენის ცოდნაც თავისებურ ნიჭს მოითხოვს, რათა ისე აამეტყველო, რომ სხვამ მისი გენიალობა და სიდიადე იგრძნოს.
7893. საკუთარი თავის აზრიანად და შეძახებით ფლობა უდიდესი ნიჭია.
7894. გენიოსს თავისიანები იშვიათად აფასებენ, რადგან ის მათთვის მაინც „შინაური მღვდელია“.
7895. მარტო ტალანტი წარმოსაჩენად არ კმარა, რადგან ფეხის დამდები ბევრია.
7896. ლამაზად იყბედო, ბრბო დაამუნათო და არაფერი დაჰპირდე, ამორალურია, მაგრამ მაინც ნიჭია.
7897. ყველა გენიოსი თავისებურად დაულაგებელი და მოუწესრიგებელია და ესაა ხშირად მათი არაორდინალური ნიჭის უკვდავების გარანტი.
7898. დიდსულოვნება თავისებურ ნიჭს, აღზრდას და გონების სიკეთით მოხმობას მოითხოვს.
7899. უმანკოება ხელოვნებით შეფუთვნილ ნიჭში უნდა აღმოვაჩინოთ.
7900. ნიჭის რაობას საუკუნეთა ჭიდილი გამოცდის და წარმოაჩენს.
7901. ყველა ნებისყოფას, ნიჭს, ცოდნას, თავისი გზის მაჩვენებელი, ადრე თუ გვიან, აკითხავს.
7902. ნიჭი თავის დღესასწაულს მარად აპლოდისმენტებით აღნიშნავს.
7903. ბობოქარ სულს, ნიჭის სახით, სიბრძნეც უნდა ახლდეს, თუ გსურთ სიკეთე აკეთოს.
7904. სიბრძნე, შემართება და „გადაბრუნებული“ ჭკუა ისეთ დაპირისპირებას არ დაუშვებს, რომ უაზროდ სისხლი დაიღვაროს.
7905. ორატორობა თანდაყოლილი ნიჭია, ხელოვნებაა და ის უნიჭობას, ხელოსნობას, ვერ იტანს.
7906. შემართება, ნიჭი, მოქმედება, ყველა ცოდნაზე მაღლა დგას, რადგან ცოდნის შეძენა ყოველთვის შეიძლება პირველი სამისაგან განსხვავებით.
7907. სახელი ის სიმდიდრეა, რომელიც არასოდეს ბერდება, არ იხრწნება და არ ხუნდება.
7908. პატარა ვასაკა (ხის ბაყაყი) შეიძლება დედოფლად იქცეს, თუ ბედთან ერთად განგების მომადლებული ნიჭი ახლავს.
7909. გენიოსი თავისი დროისთვის ყოველთვის გაუგებარი და შეშლილი დარჩება, თუ მას არ დააფინანსებენ, არ დაასაქმებენ.

7910. ნიჭს, ყველაზე მეტად, საღი აზროვნების ყურადღება და მისგან გამორჩევა ამშვენებს და წარმოაჩენს.
7911. აზრის ნათლად წარმოჩენა და ახლებურად სულის შთაბერვა გენიოსის საქმეა განგების კურთხევით.
7912. ის, რაც ყოფისთვის აუცილებელია, ნიჭმა უნდა მოგვცეს და არა – დარიგებამ.
7913. ყოველივე განუმეორებელი გენიალობასთან გვაკავშირებს.
7914. გენიოსის ხედვა და აზრები ჩვეულბრივ მოკვდავთათვის მარად მიუწვდომელი და გაუგებარია და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან შავი საქმეც ხომ ვიღაცამ უნდა აკეთოს.
7915. გენიოსი არც შეფასებას ითხოვს და არც რესტავრირებას, მისი გენია თავისი გზით „მიიზლაზნება“.
7916. უხილავი სამყარო ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს ჩაწვდეს სიბრძნის გენიალურ „ცოდვებს“.
7917. გენიოსი წარმართავს ჩვენს მომავალ ცხოვრებას და გვკარნახობს თუ სად არის ის შუქი, რომელიც ჩვენი ყოფის გარკვეულ მომენტებს გააცისკროვნებს.
7918. გენიალური აზრები ხშირად ღამენათევი შემოპარებაა ჩვენს ცნობიერებაში და საშველს არ გვაძლევს მანამ არ გავითავისებთ.
7919. გენიოსის დანიშნულებაა სამყაროს თავი დაამახსოვროს და ერი წარმოაჩინოს.
7920. გენიოსობა და უცნაურობა სინონიმებია და მისი შეფასებისას ეს უკანასკნელი ყურად არ უნდა ვიღოთ.
7921. ღირებულებათა გათავისებას, უპირველესად, ნიჭი სჭირდება და შემდგომ – აღზრდა.
7922. სიბრძნეს გონიერების ბუნტი წარმოქმნის, თანდაყოლილ ნიჭთან ერთად.
7923. მშვიდობიანი თანაარსებობის ნებაც, თანდაყოლილ ნიჭს და შემართებას მოითხოვს.
7924. გონიერების გამოფენასაც ნიჭი უნდა, თავმდაბლობასთან ერთად.
7925. ზოგჯერ უცნაური ხასიათის ადამიანები გენიოსებად გვევლინებიან.
7926. გულწრფელობის უნარი ნიჭია და ყველა ამ საეჭვო სიკეთით არაა დაჯილდოვებული.
7927. სიბრძნეს გამოცდილების დაღვინება იძლევა, ნიჭს – განგების კაპრიზი და დასახარჯად გამზადებული ენერგია.
7928. ნიჭს ყოველთვის სიზარმაცე და უსაქმურობა ფეხს უდებდა, რადგან ეტყობა, განგებამ ნაჩუქარ მადლს შეუპოვრობა დააკლო.

7929. გენიალობას უბრალოება ახასიათებს, სიახლის დანახვის უნარით.
7930. ზოგი პირმოთნეობის ნიჭით და დროის შერჩევით იმდენს იმკის, რასაც ძალა ხშირად ვერ ახერხებს.
7931. გენიოსი იმ შემთხვევაში ხარ, თუ მაქებარი და მოშურნე, მტერი და მოყვარე შენს ჭკუას ერთნაირად აღიარებენ.
7932. გენიოსები თითქოს არაფერს აკეთებენ, მაგრამ არც სანახევროდ საქმის კეთება უყვართ.
7933. ყვლა თაობა მისთვის გაურკვეველ საკითხებზე მომდევნო თაობას შეკითხვებს უტოვებს, ხოლო გენიოსი – მთელ შთამომავლობას.
7934. გონიერებას მრავალი ცოცხალი და გასაცოცხლებელი უჯრედი აქვს, რომელთა ხარისხი ჩვენს მცდელობაზეა დამოკიდებული.
7935. ცოდნა კაცობრიობის მონაპოვარია, ხოლო ამ ცოდნით გალაღება თანდაყოლილი ნიჭია.
7936. უსულო ბუნების, საგნების, გაადამინურება შემოქმედების საქმეა.
7937. ლამაზად დაშორებასაც, გონიერებასთან ერთად, თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, გენისთვის ყურის აწევით.
7938. გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ გონიერება განსჯა-გამოცდილებით მის დაყოლიებას ახერხებს.
7939. სიმდიდრეს, კვლავწარმოქმნით, შემოქმედების უნარი იძლევა და არა – დანატოვარის მოვლა-გაფრთხილება.
7940. აკვიატებული აზრისაგან თავის დაღწევა ნიჭს ძალზე უჭირს.
7941. უმეტესობა თავისი „უნიკალური გენიალობით“ გვაწუხებს.
7942. ზოგი ძაღლს, კატას, თუთიყუშს, უფრო უგებს და ელაციცება, ვიდრე ახლობელს, რადგან მასთან ურთიერთობის ნიჭიც შეუცნობი ხელოვნებაა.
7943. მე დღეს, ახლავე, უნდა წარმოვჩინდე, ნახოთ ჩემი ნიჭი, შესაძლებლობა – ეს არის ხელოვნება, შემოქმედება, არჩეული საქმისადმი სიყვარული.
7944. როცა გენიოსთა აზრებს ეცნობი, ხვდები, რომ დღეს არაფერი ითქმება ისეთი, რაც მათ არ იცოდნენ და არ უგრძვნიათ.
7945. გონიერებისთვის უპირველესია საკუთარი თავის სიდიადის შეცნობა განსჯით, სხვებისთვის ყურის გდებით, ზომიერების ფარგლებში.
7946. სიბრძნის გამოყენებასაც ზევიდან მომადლებული ნიჭი უნდა.
7947. ზოგი იმდენად გენიალურია, რომ თანდაყოლილი ნაკლიც უხდება და ალამაზებს.

7948. არა მხოლოდ მრავალმხრივი, არამედ თავზარდამცემი გენიოსიც არსებობს, რომელიც ავადმყოფობის და სიცოცხლის ხანმოკლეობის მიუხედავად წარმოუდგენელ აღმოჩენებს აკეთებს მეცნიერებაში.
7949. გენიოსებს მატერიალურად ძლიერი და ფეხზე დამდგარი ქვეყანა ბადებს.
7950. პოლიტიკური მოღვაწეობა, ნიჭთან ერთად, კვლევა-ძიებას მოითხოვს, ზუსტი და სხარტი ფორმულა-თეორემების შექმნით, რომელიც მთლიანად მორგებული იქნება ე.წ. ხალხზე, დროის ყივილზე, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაზე გათვლით.
7951. გენიოსისთვისაც სამყარო მარად შეუცნობელი, უსასრულო და მარადიული დარჩება. თავისი ქვენა გრძნობებით და დაუკმაყოფილებლობით.
7952. დღეს უამრავი ნაძირალა ჰყავს ამ სამყაროს და ასე მცირე სიკეთის მკეთებელი და გენიოსი კი – თითებზე ჩამოსათვლელი.
7953. უბადრუკობა და სიდიადე გენიალობის სინონიმებია და ბედნიერებაა თუ თავს ასეთად ვგრძნობთ.
7954. საკუთარ ნიჭში ჩაკეტილი დიდი შემოქმედი თუ სხვათა მიღწევებს არ ამჩნევს, მთლად ნორმალური არ არის.
7955. ნიჭიერება ხშირად იჩეხება აბსოლუტურად გაუცნობიერებელ ბურუსის მომავალში და ეს ჯერ კიდევ მისი მისწრაფებების გაუცნობიერებლობის ალგორითმია.
7956. ბედნიერება თუ ხელოვნურად შექმნილი პიარით კი არა, არამედ ბუნებრივად გახდები პოპულარული საკუთარი ნიჭის შესატყვისად.
7957. მზარეულს, პირველ რიგში, შემოქმედებითი თავხედობა უნდა ახასიათებდეს, თუ უნდა სტუმარს თავი დაამახსოვროს.
7958. ახალგაზრდები ნიჭიერები არიან, ხოლო მათ დაბრძენებას დროსთან ჭიდილი სჭირდება.
7959. დიდება თავად მოვა, თუკი ბაზისად ნიჭი, შესაძლებლობა, სურვილი უდევს.
7960. გონიერება უსიტყვოდ საუბრობს და ამ გზით ამრავლებს გენიოსებს.
7961. მრავალფეროვნებისკენ სწრაფვა განგებისგან მომადლებული და დაუფასებელი ნიჭია.
7962. გენიალობა იმიტომაც იღვწის თავდაუზოგავად, რომ იმედი აქვს, რომ საბოლოოდ აღიარებენ და მომდევნო საუკუნეებს გაესაუბრება.
7963. ნიჭი არ უნდა მოვთოკოთ, მის შესაძლებლობებს ბოლომდე უნდა მივყვეთ, რადგან აქ განგების ნებაც ჩალიჩობს და რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს.

7964. ჩვენს ბუნებას, გონიერების მეგაბაიტს, ბევრი რამის კეთება არ სურს, მაგრამ რაც სურს, ნიჭის წყალობით, მის სულიერებას ესალბუნება.
7965. საიდუმლოს შენახვას თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, რადგან აქ მარტო წვრთნა და შეგონება უძლურია.
7966. ჩვეულებრივ მოკვდავსა და გენიოსს შორის ის სხვაობაა, რომ რასაც პირველი აკეთებს, თუ დასჭირდა, მეორე უკეთ გააკეთებს, ხოლო მეორეს პირველის შესაძლებლობებთან ახლოს გავლაც კი არ შეუძლია.
7967. გენიალობასა და სიგიჟეს შორის ადგილი, თავად ბედმა უნდა განსაზღვროს.
7968. ნიჭიერ კაცს, ყველგან და ყველაფერში, ყოფის წერტილის და მძიმის დასმა უჭირს.
7969. სიმართლის თქმასაც ნიჭი უნდა, რათა ის უკიდურესობაში არ გადაიჩეხოს.
7970. საშინელებაა თუ ნიჭი ადამიანს არ ემსახურება, სასიკეთოს არაფერს აკეთებს და იკარგება.
7971. რატომღაც გენიოსების „მტრობას“ აუტისტები ცდილობენ.
7972. გონიერებას გაფრენის და „ბუდის შენების“ უფლებაც უნდა მივცეთ.
7973. გონიერი ადამიანი მარად თავის საწყისის ძიებაში უნდა იყოს.
7974. გონიერებაც, ნიჭიც, ზოგჯერ შემთხვევით მჟღავნდება, რაც დროის და ბედის დამსახურებაა.
7975. გენიოსი შეუცვლელია და თავის დროის განუმეორებელი შვილია, მომავალში ფესვის გადგმით.
7976. შემთხვევითობის და აუცილებლობის თეორია ადამიანის ნიჭის შემთხვევით გამომჟღავნების ალგორითმია.
7977. გონიერებას სათავისო გზის არჩევა არ ეშლება.
7978. ენთუზიაზმი ბუნებით ნაბოძები გადაუმოწმებელი ნიჭია.
7979. გონებას ბევრი რამ შეუძლია, მათ შორის, გრძნობებისთვის თავის მოყრა და მათი გაბიაბურებაც.
7980. გონიერებას გაკვლეული ბილიკით სიარული არ სიამოვნებს.
7981. უჩვეულოს და მოულოდნელის მთესველი ადამიანური ტალანტია.
7982. ჭკვიანის მაგვარი ბევრია, თუ მათ შორის ერთი გენიოსია.
7983. საკბილოს მოძიება ადვილია და ძნელიც, გააჩნია ნიჭს მაძებარისას.
7984. გონიერება მოთმინების სადავეებით და შემოქმედი ბუნების ჭიტლაყით იმართება.

7985. რაც გონიერებასთან წილნაყარია, შემოქმედებისკენ და სიახლისკენ მიუწევს გული.
7986. გენიოსობა დროსთან თავისებური თამაშია, დაკვირვების უნარით, სიახლის დანახვით და თავის წარმოჩენით.
7987. რამდენი უდანაშაულო ხალხის სისხლი დასჭირდა ნიჭიერ მხედარმთავარს, რომ მისი სახელი ისტორიას შემოენახა – ასე, რომ ნიჭიც ყოველთვის უცოდველად არ იღვწის.
7988. ცუდის გარჩევასაც თაბდაყოლილი ნიჭი უნდა, რადგან შეძენილი ყოველთვის სანდო არ არის.
7989. სურვილის მიუხედავად, ყოველი ჩვენგანის ბუნება თავისებურად ჯიუტიცაა და შემოქმედიც.
7990. პროვინციული დაავადებაა, როდესაც გენიოსის დათრგუნვა უნდათ ინფორმაციული სიბილწეებით.
7991. გენიალობა ერთეულთა ხვედრია, უცნაურობათა მიუხედავად, მას ყველა უგებს და ეამაყებათ კიდეც.
7992. გამომგონებლობა და მოხერხებულობა თითქმის სინონიმებია, რადგან ორივე ნიჭის ნახელავია.
7993. ნიჭის გარეშე ყოველივე დიადს: ოცნებას, ქმედებას, მცდელობას, აზრი დაკარგული აქვს.
7994. სათანადო საუბარს ცოდნა უნდა, ხოლო საჭირო ადგილზე დამუხრუჭებას, გაჩერებას, ნიჭი.
7995. აწონილ-დაწონილ ცნობიერებას ზოგჯერ გენიალობისკენ მივყავართ.
7996. ბავშვობა და გენიალობა სინონიმებია, რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხედო.
7997. თვითკმაყოფილებამ კაიფი უნდა მოგვიტანოს – ეს ჩვენი რაობის შეცნობით იქნება თუ სიკეთის კეთებით.
7998. საკუთარი მეობის სასიქადულოდ წარმოჩენის მცდელობა ან უნიჭობის შედეგია ან ნიჭით მომადლებული შემოქმედებისა.
7999. ნიჭს ბევრ რასმეს პატიობენ და შეუნდობენ, მაგრამ არც ისაა ჩვენს მიმართ გულგრილი, როდესაც მას ვერ უგებენ.
8000. ნიჭი თვითგანადგურების მუხტს ატარებს. ამიტომ დროულად უნდა შევამჩნიოთ და გვერდში ამოვუდგეთ.
8001. ადამიანის მენტალიტეტზე მორგება, საკუთარი იმპროვიზებით, დიდი ნიჭია.
8002. ნიჭისთვის ერთიდაიგივეს კეთება საშინელებაა, სხვისთვის რაც უნდა სასარგებლო და აუცილებელი იყოს.

8003. გენიოსები, შემოქმედები, ცნობადი პირები, თავიანთი ბედ-იღ-ბალით იბადებიან.

8004. გონიერი კაცის ნაფიქრალს ნიჭი ღაღადებს, რეალობასთან თანადგომით.

8005. ნიჭს, გონიერებასთან ერთად, სულიერებამაც პატივი უნდა მია-გოს, თუ გვინდა უნდობლობის „რუბიკონი“ გადალახოს.

8006. უნიკალობა, ერთეულ გენიოსთა ხვედრია, ბედის დროულად გაღიმებით.

8007. გენიალობა უკვდავია, მას არც ობი, არც ხავსი, არ ედება და მო-შურნეთა კაურები ვერას აკლებს.

8008. ცოდნაც ნიჭმა უნდა განსაზღვროს და განსაჯოს ყოფიერებისკენ მისწრაფებით.

8009. ტალანტი უმაღლესი ხარისხისაა, თუ ის გვაღელვებს და სიახლის აღქმისკენ მოგვიწოდებს.

8010. სიახლის არამკითხე მოამბეს ბევრი ოპონენტი ჰყავს, მაგრამ ხალასი ნიჭის წინაშე ყველა ქედს იხრის და გაყუჩებულია, სანამ წერტილის დამსმელ სიტყვას არ იტყვის.

8011. ბევრი ნიჭიერი ადამიანი იკარგება ამქვეყნად, მაგრამ რაც წარ-მოჩინდება, ისიც საკმარისია, რომ სამყაროს ცნობიერებამ ზურგი არ გვაჩვენოს და ხელი არ ჩაიქნიოს ჩვენს განვითარებაზე.

8012. ნიჭიერება დღეს სამწუხაროდ სპონსორის ძებნაშია, რადგან ხე-ლისუფლება მოქალაქეთა შინაურ საქმეებში არ ერევა.

8013. ქვეყნის და ცივილიზაციის ავტორიტეტს ისტორიის წინაშე მათ მიერ აღზრდილი და აღზევებულნი, გამოჩენილი, გენიოსობას გა-ტოლებული, პირები წარმოაჩენენ და განსაზღვრავენ.

8014. ნიჭი ყველა ადამიანის აფრაა, რომლის სიდიდეზე და გონიერების ანძაზე მორგებაზეა დამოკიდებული მისი წარმოჩენის სიჩქარე.

8015. შედევრის შექმნა ჯოჯოხეთურ ძალისხმევას მოითხოვს, უმეტეს-ად, ნიჭით, შემართებით და საინტერესო ფაბულისთვის შემთხვევით ხელის გაკვრით.

8016. შეუმჩნეველი, პატარა, ერები არ არსებობენ თუ მათში 500 წელი-წადში ერთხელ მაინც გენიოსი ან სამყაროსთვის დასამახსოვრე-ბელი პიროვნება გამოერევა.

8017. გენიალურია ის, რასაც გონიერება ბოლომდე ვერ სწვდება, რადგან მისი შესწავლა, ანალიზი, ჭკუისათვის ნაშთის დაუტოვე-ბლად, შეუძლებელია.

8018. პოზიციის სწორად აღქმას ნიჭი სჭირდება, რათა წინასწარ გამოი-ტანო დასკვნა, შემდგომში რა მოხდება და მოსალოდნელ გაუგე-ბრობაში არ „გაიჭყლიტო“.

8019. ქართველი ერი ხშირად ობლად რჩება წინდაუხედაობის, დაუდევრობის, ამბიციების და თავის ადგილის დაუდგენლობის გამო საამყაროში, მაგრამ ყველა ნაკლს ნიჭიერება ფარავს.
8020. გონიერება მის ირგვლივ მიმოყრილ აზრებს კრეფს, შეაჯერებს და ზოგჯერ გენიალობასაც გამოთხრის.
8021. ახლობლის გვერდით დროულად ყოფნაც ნიჭია.
8022. ნიჭი და შიმშილი ადამიანის მამოძრავებელი ძალაა და ჯერ-ჯერობით, უკეთესი სატყუარა არ ჩანს.
8023. „წითელ წიგნში“ ბევრი ნიჭიერი ადამიანია შესატანი, რომლებმაც თავიანთი განუმეორებლობა მთლიანად ვერ გამოავლინეს.
8024. ცნობილი ნიჭი რომ იყო, შრომა უნდა, მაგრამ ბედიც საჭიროა.
8025. პროფესიონალიზმი ცალკე ნიჭია და მას ხშირად სწავლა, მცდელობა, არ შველის.
8026. ტალანტს თავისი დაბუდებული ძალა აქვს და ადრე თუ გვიან თავისას აღწევს.
8027. ტალანტი ხელოვნებაა, თუ მისი სასარგებლოდ და გასაგებად გატირაჟების ნიჭიც გაქვს.
8028. ტალანტს მომწიფება სჭირდება პრაქტიკაში გამოსაყენებლად და არა – გადამწიფება თეორიების „საჯიჯგნად“.
8029. ტალანტი, მუზა, მიზანი, განუყრელია და ერთ ქვაბში იხარშება.
8030. ტალანტს ზომიერი აპლოდისმენტები სჭირდება საქმის საკეთებლად და თავის წარმოსაჩენად და არა – მქუხარე ოვაციები.
8031. უნიჭობა ტალანტის დასასამარებელ ადგილს ყოველთვის უდროოდ და უმიზნოდ ეძებს.
8032. ტალანტის მოპარვა არ შეიძლება, გონიერება კი ამით ტკბობას ახერხებს.
8033. ტალანტი კუთვნილს ვერასოდეს იღებს, იმისდამიუხედავად, დააფინანსებენ მას თუ არა.
8034. ტალანტს ნაპერწკლის გაჩენის უნარი მუდამ უნდა ჰქონდეს.
8035. საცოდაობაა, როდესაც ტალანტი კრიმინალზე იხარჯება. ამ დროის საზოგადოებაა დამნაშავე გულგრილობისა და უყურადღებობის გამო.
8036. ტალანტი ჯერ უნდა გამოთხარო, წარმოაჩინო და შემდგომ უნდა ჩაფლო, რომ ვინმე დაინტერესდეს, დააფინანსოს და ეროვნულ სიმდიდრედ აღიაროს.
8037. მოვალეობა ტალანტის ჩირაღდანია უგნურების წყვდიადში სასიარულოდ.

8038. გენიოსები მაშინ ევლინებიან სამყაროს, როდესაც ამის დრო მოსულია მათ გამოსავლენად და საზოგადოების გარკვეული ნაწილი მზადაა მათ მისაღებად, დასაბინავებლად.
8039. აქსელერაცია ბუნებრივი მოვლენაა თუ შერეკილთა დამსახურება, ძნელი სათქმელია, რადგან მასში ხშირად გარკვეული ნიჭიცაა.
8040. ტალანტი მისთვის განკუთვნილ დროს უნდა აღმოცენდეს, რათა მისთვის სასუქის მოყრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვას.
8041. ტალანტს რაც არ უნდა, „ქაქი“ ვასხუროთ ის მაინც ვარდად აღმოცენდება.
8042. ტალანტს მისთვის გასაგები ბედის ჭიტლაყი სჭირდება.
8043. ბავშვის ჩასახვის საქმეში, განგების ნებასთან ერთად, ალბათობის, ფარდობითობის და პირობითი ეტალონების თეორიაც რომ ურევია, ამაზე გენიოსთა ოდენობა და მათ გაგების შესაძლებლობაც მიუთითებს.
8044. გონიერი ადამიანი არც ღარიბად უნდა ცხოვრობდეს და არც მდიდრულად – მის ნიჭიერებას არ ეკადრება.
8045. ნიჭს აღზრდაც უნდა ამშვენებდეს და პედაგოგის ხსოვნაც.
8046. არასაჭირო აზრების თავმოყრას და შეჯერებას, ზოგჯერ გენიალობამდე მივყავართ.
8047. გონიერება თავადაა თავისი ცენზორი, რადგან ის მომდევნო თაობების წინაშე აგებს პასუხს.
8048. გონებას შედეგი, უმნიშვნელო გამოსავალით, სჭირდება, რომ თავს შეუძახოს და ამით დატკბეს.
8049. ზოგჯერ გონიერებასაც ზიანი მოაქვს, თუ მუხრუჭები აშვებულია.
8050. იყო მასწავლებელი, ხელოვნებაა, მაგრამ იყო კარგი და დასამახსოვრებელი პედაგოგი, ნიჭია კუბში.
8051. ტალანტის არც ხელოვნურად გამოყვანა შეიძლება და არც მყნობით მიღება, რადგან ის თავად უნდა იშვას.
8052. ხალასი ნიჭი ყველას ახარებს, მათ შორის, მოქიშპეებსაც და უნიჭოებსაც.
8053. ნიჭი გონიერებაში მომხდარი მოკლე ჩართვის ნაპერწკლის წარმოქმნის შედეგია, რომელსაც დროულად დაფიქსირება სჭირდება მარადისობაში სამოგზაუროდ.
8054. ტალანტის უდიდესი მტერი ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აკიდებული მეგობრები და ის საზოგადოებაა, რომელიც მის ნაღდ ღირებულებას გამადიდებელი შუშით ხედავს, მაგრამ რეალურ შეფობას არ იღებს.

8055. ტალანტის გაუმჟღავნებლობა და უდროოდ გვერდზე მოსროლა დანაშაულია შთამომავლობის წინაშე.
8056. ტალანტის ტირაჟირება ძნელი არ არის, მისი მხარდაჭერა, რეკლამირება და დაფინანსებაა ძნელი.
8057. საშუალო ნიჭი ყველა პრობლემას მყარი ხელით წყვეტს და თანმიმდევრობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.
8058. ტალანტთან ჭიდილი ავტორიტეტს გვმატებს მატერიალურზე ხელის შევლებით.
8059. დღეს ტალანტის, ნიჭის, შემოქმედების, რაობა ძნელი გასარკვევია, რადგან ყველას „მატერიალური“ აწუხებს. შემდგომ მოდის სულიერება და სახელის დატოვება.
8060. ტიტანები, გენიოსები და ჭკვიანები შემთხვევით არ იბადებიან, აქ განგების სურვილიც არის ჩადებული, რომელიც ლატარეას თამაშობს: რომელმა ქვეყანამ, მხარემ, რა დროს, როგორი, ერის საამაყო შვილი უნდა მოიგოს.
8061. გენიოსისთვის ნიჭი უსაზღვრო საჩუქარია, შემდეგ მოდის თვითგვემა.
8062. საკუთარ დროზე მორგება, მისი რაციონალურად გამოყენება და აწმყოში წარმოჩენა ყველა გენიოსის ხვედრი არ არის, რადგან დრომ რომ გაგიგოს და მოგეფეროს, იშვიათია.
8063. ნიჭის თავის დროსთან შეთავსებას მის შესატყვის ქვეყანაში დაბადება და გონიერი ხელისუფალი სჭირდება.
8064. გონიერი კაცის „სულელურ აზრებშიც“ ჭკუის საბადო იხსნება, მომავალში ასათვისებლად.
8065. ნიჭსაც ინფორმაციის მარაგით უნდა შევერკინოთ, რომ უფრო ქმედითუნარიანი გახდეს.
8066. ტალანტსაც თავის „ოფოფების“ ყოლა სჭირდება, სასიკეთოდ რომ იბარტყოს.
8067. ტალანტსაც მუზის, შთაგონების და აღმაფრენის შენელება სჭირდება.
8068. შთაგონების გარეშე ყველა ნაღვაწი უხარისხოა, რაც უნდა ნიჭიერების ნახელავი იყოს.
8069. ნიჭი ყველა დროში ემოციების გამოძახილია, ყოველგვარი დაძალების გარეშე.
8070. გენია განგების ლიმიტით იბადება და ამიტომაც უმრავლესობისთვის გაუგებარია.
8071. ორიგინალური აზროვნების ნიჭს და ძალას დროულად რეალიზაცია სჭირდება, რათა თავის დროს გამოადგეს და ემსახუროს.

8072. შემოქმედის უპირველესი ვალია ნიჭს რეალიზაცია გაუკეთოს და წარმოაჩინოს, რათა უაზროდ არ დაიკარგოს.

8073. მეძავეობა და მსახიობობა ორივე თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს, რათა მათთვის განკუთვნილი ცხოვრების კარაქიან პურს ხიზილალაც გადაუსვან.

8074. მოხერხება და ნიჭი ზედმეტი არასოდეს არ არის, რა საზოგადოებაშიც უნდა გვიხდებოდეს მოღვაწეობა, ცხოვრება.

8075. აღმოჩენებს ანგელოზები მფარველობენ, ხოლო მითვისებას ეშმაკები ცდილობენ.

8076. ტალანტი იმას აკეთებს, რაც მოსწონს და ახალისებს ოპონირების მიუხედავად.

8077. შემოქმედებითი ნიჭი, საქმის კეთებასთან ერთად, მოჩვენებითობასაც მოითხოვს, რადგან საქმის მცოდნე ცოტაა.

8078. გემოვნება თანდაყოლილი ნიჭია, მაგრამ სწავლა მაინც სჭირდება.

8079. ნიჭს რომ მისი შესაძლებლობის 10%-მა გაუმართლოს, მის ბედს არც ძაღლი დაჰყეფს, არც ბანკში გადანახული ფული და არც გარეშეთა სიყვარული.

8080. თანამედროვე გონიერება დღევანდელი ცივილიზაციითაა გაღადავებულ-გათამამებული, თორემ ვინ იცის, წარსულის რამდენი გენიოსი დღეს ფორას მისცემდა თანამედროვე მეცნიერებს.

8081. შემოქმედი ბუნების ადამიანს ყოველთვის მეტი უპირატესობა აქვს თავის წარმოსაჩენად, იმისდამიუხედავად, შესძლებს ამას თუ არა.

8082. ნიჭიერი ბევრია, მაგრამ რომ უმართლებს, ცოტა.

8083. გონიერება სახელმწიფო წყობას არ ებრძვის, თავის ჭკუაზე ირგებს, ერგება და ყოფის მადლს სათავისოდ აჭაშნიკებს.

8084. კულტურის აღქმასაც ცოდნა და ნიჭი სჭირდება და არა ინფორმაცია და სანახაობებზე დასწრება.

8085. შთაგონებას, აღმაფრენას, უგონობა-უნიჭობასთან ხანდახან საქმის „ჩაწყობა“ უხდება.

8086. საკუთარი ხასიათიც ნიჭია, მაგრამ დროისთვის შესაფერია თუ არა, ეს სხვა ყოფის ალგორითმია.

8087. ყველა გენიოსის საწყისში განგების შეუმჩნეველი ხელი ურევია და კარგია, რომ ამას გენიალობა ვერ გრძნობს.

8088. უაზრო საწყისს ზოგჯერ აზრიანი დაბოლოება აქვს თანდაყოლილი ნიჭის და შემთხვევის მოშველიებით.

8089. მარადისობა პრივატიზებას ერთეულ გენიოსებს არგუნებს, ისიც დროის გათვალისწინებით და შერჩევა-გადარჩევით.

8090. დედამიწაზე ნიჭით „დარეხვილი“ ხალხის ოდენობა არ მცირდება, რაც სამყაროს სიახლეთა შეცნობის უდიდეს შესაძლებლობებს იძლევა.
8091. ნიჭი ყოველთვის იღვწის, თუ გონიერება სარგებელს ხედავს.
8092. ტალანტის ნაღვაწით, ძირითადად, მომდევნო თაობები სარგებლობენ და მის პატრონს, შიგადაშიგ, აღფრთოვანებით მოიხსენიებენ.
8093. შორსმჭვრეტელობა გენიოსობის ძმაა.
8094. აზრის მოთოკვა და მისი გარკვეული მიმართულებით დამოძღვრა გენიოსთა ხვედრია.
8095. გენიოსი მოვლენაა, განგების შეცდომაა, ბუნების მცდელობის, დროის აუცილებლობის თუ მშობიარობის დროს მიყენებული ტრავმის, ჯერ კიდევ უცნობია.
8096. ერთი სიცოცხლე გენიოსისთვის ცოტაა და თავად იმ ხალხისთვისაც, სადაც ის ცხოვრობს, იმდენად დიდია მისი შესაძლებლობის გამოყენების მარგი ქმედების კოეფიციენტი.
8097. გმირი და ნიჭი თავის დროს დაეძებს, მაგრამ ბრძენისთვის დრო უცვლელია თუ გარემოებაც გვერდში ამოუდგება.
8098. გენიოსს, ეტყობა, ზემოდან კარნახობენ, რადგან უდროო დროს ისეთ რამეს გამოთხრას, თავადაც გაკვირვებულია.
8099. საიდუმლოს შენახვას თანდაყოლილი ნიჭი უნდა და არა – გონიერება.
8100. ყველაზე დიდ სისულელეში ხშირად გენიალობაა დამალული, რომლის აღმოჩენას დროსთან შერწყმული გონიერება სჭირდება.
8101. სამწუხაროდ, გონიერების ნაცვლად ნიჭი დაგვაბერტყა განგებამ, ამიტომაცაა ქართველები თავაწეულნი დავდივართ, მაგრამ ხშირად – ალიყურნაჭამიც.
8102. სრულქმნილებას, განგების მადლთან ერთად, მცდელობა და ნიჭი სჭირდება.
8103. შარლატანობასა და გენიოსობას შორის მანძილი ძალზე მოკლეა, გააჩნია, ვის როგორ გაუმართლებს რეალობაში, რადგან გუშინდელი არარეალური დღეს რეალობაა.
8104. გულზე კაკუნის დასაბუთებას სიყვარულით მომადლებული ნიჭი სჭირდება.
8105. ყველაზე საოცარი და უნიკალური ნიჭიერი ადამიანის აზროვნებაა, რომელსაც ხშირად ისეთი საკითხები აწვალებს, რაც ბევრისთვის გაუგებარია და აზრადაც არ მოუვა.
8106. სხვას ისე ასწავლო, რომ მისგან შენც შეუმჩნევლად რაღაც შეიძინო და ისარგებლო, უდიდესი ხელოვნებაა, ნიჭია.

8107. თავისი დროის გენიოსებს, თანამედროვენი ისე ვერასოდეს დაა-ფასებენ, გაიაზრებენ, აღიქვამენ, როგორც ვალდებულნი არიან.
8108. ინდივიდის ნიჭის და უნარის გარეშე არ არსებობს გონიერება.
8109. შემოქმედ ხალხს კრიზისი ვერას აკლებს, უბრალოდ, ისინი უკრიზისო ქვეყანაში გადასახლდებიან, რადგან მათზე მოთხოვნა უცვლელია.
8110. ცდუნების და ნიჭის გარეშე სამყარო ისევ ქვის ხანაში დაბრუნ-დებოდა.
8111. საკვირველის, დასამახსოვრებლის, კეთებას უფრო ნიჭი სჭირდ-ება, ვიდრე შრომა და შემართება.
8112. გენიოსი უნდა გრძნობდეს მისი სიტყვის მათრახის საჭიროებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მან შთამომავლობისთვის გზავნილი წიგნ-ის სახით უნდა წეროს და პოლიტიკაში არ ჩაერიოს, რადგან მისი გზავნილის მომსმენ-განმსჯელი ამ საუკუნეში ჯერ არც მომწიფე-ბულა და არც დაბადებულა.
8113. სიმდიდრის განკარგვასაც ნიჭი სჭირდება, რათა შენი სახელი დიდხანს შეინახონ ან უკვდავყონ.
8114. აფექტში განსჯის შენარჩუნება გენიალობის ტოლფასია.
8115. ყველა გენიოსმა უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი თავ-ისი ინტერესების შესატყვისად თავიდან ბოლომდე უნდა ჩაიკითხოს, რათა ახალი აზრიანი სალექსიკონო სიტყვები შექმნას.
8116. ნიჭს ყოველთვის უნდა ვენდოთ, თუ მის რემონტს გონიერებაც ესწრება.
8117. სამწუხაროდ, ის ქველმოქმედებაც დავიწყებას ეძლევა, რომელ-მაც გენიოსი აღმოაჩინა, ხელი გაუწოდა და სამყაროს საკუთრებად აქცია.
8118. გონიერება დროს არ ეჭიდავება, მას ერგება და თავისი გააქვს.
8119. ნახევრად უგუნური ბევრია, მთლიანად უგუნური – ცოტა, მაგრამ ალბათობის თეორიის მიუხედავად, ამ უკანასკნელში გენიოსთა აღ-მოჩენა უფრო შესაძლებელია.
8120. ჩვენზე უფრო ჭკვიანის ატანა ძნელია, თუ გენიოსი არ არის და ორი თავით ჩვენზე მაღლა არ დგას.
8121. მიმართულების მიცემას, საქმის წარმართვას, შემჩნეულ-დაფასე-ბული ნიჭი სჭირდება.
8122. ნიჭი უვიცობასთან არ ჯვარდება, არც იმყნობა და არც ერწ-ყმის.
8123. გენიოსის შეცდომა გადამდებიცაა და განსჯის საგანიც იმ იმედ-ით, რომ იქნებ არ შეცდა.

8124. მძიმე წუთების ენამოსწრებულობით განტვირთვა ერთეულ შემოქმედთა ხვედრია.
8125. გენიალობა და უგუნურება ერთმანეთს ვერ ეწყობიან, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს დანანებით უგებენ.
8126. დაუმუღამებელი ნიჭი ცოდნად ვერ გადაიქცევა.
8127. საუბრის „ბაზრის“ შედეგს ნიჭი განსაზღვრავს და განსჯის.
8128. გონიერებას, ნიჭს, უცხონი უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ნაცნობები და შინაურები.
8129. ნიჭი უკეთურ სამსახურში არ უნდა ჩავაყენოთ, მიუხედავად მაღალი დაფინანსებისა, საბოლოოდ ყველას გვავნებს.
8130. სიღარიბე, უპირველესად, ნიჭის მტერიც არის და მოყვარეც.
8131. გენიალობას ყველაზე მეტად უგუნურება ეწინააღმდეგება.
8132. შემოქმედის ყველა ნაღვაწი ერთნაირად კარგი ვერ იქნება, ამიტომ აქაც მათემატიკა უნდა გამოვიყენოთ მისი ნაღვაწის ხარისხის დასადგენად.
8133. ადამიანად ჩამოყალიბების პროცესი ზოგჯერ გენიისათვისაც გაუგებარია.
8134. გენიოსების „სპრინტი“ იყო და მარად იქნება ამ სამყაროში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექნიკური პროგრესი ჭირს მოგვჭამდა.
8135. ადამიანის შეცნობა უფრო ნიჭია, ვიდრე ხელოვნება.
8136. არიან ადამიანები, რომლებსაც შთამომავლობა უნდა უმადლოდეს და მისი სახელობის პრემიას უნდა აწესებდეს. უბრალო მექანიკოსმა, იოტისმა, ლიფტის ვარდნის დამცავი მექანიზმი გამოიგონა და უამრავ ადამიანს სიცოცხლე პოტენციურად შეუნარჩუნა.
8137. გენიოსი აღმოაჩენს, ქმნის, ხოლო დანარჩენები მას ეხმარებიან ან ხელს უშლიან.
8138. ძალა და ნიჭი გენეტიკაა, სიმდიდრე – გამართლება.
8139. გენიოსთა ნაღვაწი იმათი საკუთრებაა, ვინც იგი სისხლის შეძენით მოიხმარა.
8140. სიფრთხილის და სიყვარულის ბილიკებზე სიარულს ცოდნა და თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.
8141. სიცილის ნიჭი ყველა უგვანობა-უცნაურობათა გამოსწორების საწინდარია.
8142. როდესაც ბუნებით ბოძებულ ნიჭს წარმოჩენა, თანამდებობა და დივიდენდების მიღება სურს, წინ ვერავითარი არგუმენტი, მტკიცება, განსჯა ვერ აღუდგება.
8143. სხვის თავში სიმდიდრის აღმოჩენა დიდი ნიჭი და ქველმოქმედებაა.

8144. უგუნურების ჩადენასაც მრავალფეროვანი ნიჭი უნდა, რომ არავის ავნოს.
8145. წაკითხულის გაგება, იქედან საჭიროს ამოკრეფა-გათავისება, ნიჭს მოითხოვს.
8146. ცოდნის საქმის საკეთებლად მოთარგმნა ნიჭია.
8147. ბედის რაციონალურ გამოყენებასაც ნიჭი სჭირდება.
8148. სიბრძნე გამოცდილებას არად აგდებს, ის თავად ქმნის ახალ სიბრძნეებს.
8149. გენიოსების ხვედრია სიკვდილის შემდგომ თავის წარმოჩენა შარავანდედით, მაგრამ წინასწარ დანანების გარეშე, რომ მას სიცოცხლეში საკადრისი ვერ მიაგეს.
8150. მიზანს ხშირად უცნაურობა და ორიგინალობა აღწევს და არა – მოსაბეზრებელი ყოველდღიურობა.
8151. სასიკვდილოდ გადადებულ ნიჭს, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალს, კიდევ აქვს შანსი რაღაც იჩალიჩოს და დასამახსოვრებელი დატოვოს.
8152. გენიოსისთვის შეცდომის დაშვება საზარალოა მისი ავტორიტეტის გამო, რათა ვიგინდარამ თავის წარმოსაჩენად არ გამოიყენოს.
8153. ნიჭს აღზრდა უნდა არტახების გარეშე.
8154. ნიჭი შედეგიანი ზარმაცია, შემოქმედებითი გარჯის მოყვარეობით.
8155. ზოგჯერ გენიოსის ერთი გვერდი, სხვის მთელ ორ-სამ წიგნს უდრის, მასში ფილოსოფია და ყოფის რაობა იმდენად ორაზროვნად, სადაოდ და დასამახსოვრებლად არის მოტანილი.
8156. ნიჭი ყველა სახის ცხოვრებას და ყოფას ალამაზებს, ამკობს.
8157. იმის კეთება, რაც გსიამოვნებს, გსურს, შემართებასთან ერთად, თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება.
8158. ზოგჯერ გამოუვალი მდგომარეობა გამოგონების ხასიათზე გვაყენებს და საამისოდ ნიჭს გვჩუქნის.
8159. გენიოსის ცხოვრება ყოველთვის მისაბაძი ვერ იქნება, მაგრამ გასათვალისწინებელია.
8160. გონიერებას ხშირად ხალხთან ყოფნა უჭირს, ბრბოზე რომ არაფერი ვთქვათ.
8161. გონიერება ხშირად ლაპარაკს არ ითხოვს, რადგან მისთვის ულაპარაკოდაც ბევრი რამ ცნობილია.
8162. გენიალობას და უგუნურებას თავისი წარმოსაჩენი საცხოვრებელი წუთი და სამყარო აქვთ, მაგრამ მაინც ერთ დროში იღვწიან და ცხოვრობენ.

8163. დიადის კეთება, შენება და ნგრევა გენიალობის გარეშე არ ხდება.
8164. წვრილმანი შეცდომები იმდენს არაფერს გვასწავლის, რასაც გენიოსის რეკლამირებული შეცდომები.
8165. გონიერება თავის უკვდავ ნათებას მარად ინარჩუნებს როგორც ამ, ისე იმქვეყნად.
8166. გაცემის ნიჭია სიხარულის მომნიჭებელი და არა – დახმარების მცდელობა.
8167. სიბრძნე-გამოცდილება ცოდნის შვილია, ხოლო მოხერხებულობა – ნიჭის.
8168. გენიოსი ძალაუფლებასაც თავის ჭკუაზე ატარებს, თუ ხალხს ბრბოდ, მასად ქცევის სურვილი არ აქვს.
8169. შეუძლებელის შესაძლებლად გარდაქმნა გენიალობის ბენეფისია.
8170. ბედნიერებასაც მოჯოკვრა-ჭიკჭიკი სჭირდება, მაგრამ ამისათვის ნიჭია საჭირო.
8171. ერთი გონიერი, თავისი ფასეულობების მიუხედავად, მაინც ერთია და ნულების მიწერას ისევ გონიერთაგან ითხოვს.
8172. ცხოვრების ელფერის შეცნობა გენიოსთა ხვედრია.
8173. გენიოსობისკენ მისწრაფება ტვინის ხახუნს თავში წარმორტყმით თხოულობს.
8174. გენიალობას სიტყვების რახა-რუხი არც სჭირდება და ვერც იტანს, ის თავის წარმოჩენისთვის არის მოვლენილი.
8175. გენიალურებსაც თავიანთი კაურები ახლავთ და მათი ბავშვობა ყოველთვის განსხვავებული იყო. აინშტაინი 9 წლამდე არ ლაპარაკობდა, ძმები ბორები დებილების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.
8176. ნიჭიც ხასიათს ავლენს თავისი მეობის გამოვლენით.
8177. ნიჭს ყოველთვის თავის წასაყრუებელი კაურები ახლავს.
8178. გონიერება მოქნილი ჭკუით და მახსოვრობით ყოველგვარ სილამაზეს ფორას მისცემს და ჩამოიტოვებს.
8179. მიუღებელია, როდესაც ნიჭიერი თაობა, პიროვნება, წუთიერ ეფექტებზე ხურდავდება თავის გამოჩენისათვის.
8180. მართალია ნიჭი შენი საკუთრებაა, მაგრამ ის სიყვარულით უნდა შეფუთო, გამოამზეურო და დაუნანებლად გაიღო.
8181. არ დააბეზღო, ესეც თანდაყოლილი ნიჭია.
8182. სწავლა გვამდიდრებს, გვაამაყებს, თანამდებობას გვაძლევს, მაგრამ ნიჭს ბიშტს ვერ უჩვენებს.
8183. ეროვნულობის წარმოჩენას ჩვენი გენიალური თანამემამულის წარმატება ხელს უწყობს, რომელსაც, სანამ ცნობადი გახდებოდეს,

მატერიალურად მხარდაჭერა სჭირდება, თუნდაც მისი ნაღვაწის შეძენით.

8184. განათლება, ცოდნა – პრაქტიკულია, ჭკუა არაორდინალურია, ხოლო ნიჭი განგების ნაბოძებია.

8185. ნაპოლეონი იმიტომაცაა დიდი მხედართმთავარი, რომ თავისი დროის უნიჭიერესი შვილია და ამდენი სისხლის უაზროდ გამოშვებას ამიტომაც ჰპატიობენ.

8186. გაღუნულ სიტყვას თუ გავასწორებთ, ხშირად მასში გენიალობის დანახვაც შეიძლება, ოღონდ გამსწორებელი ბუნებით შემოქმედი უნდა იყოს.

8187. სიბრძნის ყველაზე დიდი მონაპოვარი სიმშვიდე და ყოველგვარი უგუნურების უყურადღებოდ დატოვებაა.

8188. გენიოსზე ობიექტურად მსჯელობა მომდევნო საუკუნეთა ხვედრია.

8189. სიმშვენიერის აღქმას, სილამაზისგან განსხვავებით, ნიჭი უნდა კვადრატში.

8190. ნიჭს გონიერება აუცილებლად საღი აზრით უნდა შევაზილოთ, რათა კუთვნილი დიდება ლაღად მიიღოს.

8191. ეშმაკის ნიჭიც შეიძლება კეთილ საქმეს მოვახმაროთ, თუ ამის სურვილი გვექნება.

8192. გენიოსისთვის ყოველივე უცხო დასაშვები და მისაღებია განსჯის შემდგომ.

8193. ჭკუას განათლება, აღზრდა, ტრადიციები, დრო და შემთხვევა იძლევა, ხოლო ნიჭს – განგება.

8194. თავისუფლად მობანავე გონიერებას კანონიერ მარწუხებშიც უჭირს ცხოვრება.

8195. ნიჭიერებას, ასაკის მატების ბედნიერების მიუხედავად, საბოლოოდ თავის საქმიანობაზე კითხვის და ძახილის ნიშნის ერთდროულად დასმა უჭირს, რადგან თავისი შემოქმედებაში საბოლოოდ ვერ გარკვეულა.

8196. გენიოსებს მომავალზე ფიქრის და სახელის უკვდავყოფის გარეშე არსებობა უჭირთ, რადგან მათი გონიერება ასეა დაპროგრამებული განგების მიერ.

8197. ვერც ერთი ტვინი, ნიჭი, თავისი ინტელექტის საზღვრებს ვერ გასცილდება.

8198. ადამიანების ჩვევების ჩამოყალიბებას ნიჭი სჭირდება, რადგან ყმაწვილობიდან სახეირო აღზრდაც ხშირად არ კმარა.

8199. ყველა ნაჭრილობევიდან სამკურნალო „წამლის“ მიღება შეიძლება თუ გონიერება მოინდომებს.
8200. გენიოსი ზოგჯერ სახელს უხვეჭს ხალხს, რომელსაც ეს არ დაუმსახურებია.
8201. თუ სიამოვნებით გვისმენენ და ჩვენი აზროვნების გარკვეულ ნაწილს სწვდებიან ე.ი. მჭერმეტყველება თავის სიმაღლეზეა.
8202. საუბრის სრულყოფილებას ნიჭი შვენის, რადგან მხოლოდ განათლება არ კმარა.
8203. ჭკუის და გამოცდილების გამოყენება ყველგან შეიძლება, თუ ღვთის მომადლებული ნიჭი თან გახლავს.
8204. შესაძლებლობების გამართლებას ყურისგდების ნიჭი უნდა, სიახლის და დროის შესატყვისად გადახარშვით.
8205. გონიერებს არავისი არაფერი არ უკვირთ, გარდა სამყაროს საოცრებებისა.
8206. საქმის მკეთებელ შემოქმედს ყბედობის არ ეშინია.
8207. გარდასახვა და პიარი ის ნიჭია, რომლითაც ყველა შემოქმედი სულიერად უნდა დაავადდეს, თუ სურს რაიმე ხელშესავლები დატოვოს.
8208. ზოგჯერ ბედის სიმუხთლე და შემთხვევისგან ფეხის დადება დროებით „გვანადგურებს“, რაც, ეტყობა, განგების ჩუმი თანხმობით ხდება.
8209. ყველა ეპოქა გავლენას ახდენს ხელოვნებაზე, მაგრამ იბადებიან ისეთი გიგანტი შემოქმედები, რომლებიც თავად კარნახობენ.
8210. ის რჩევაა მისაღები, რომლის გამოყენების ნიჭიც განგებამ დაგვამადლა.
8211. ზღვარგადასული ნიჭი მომდევნო თაობების განსჯისთვის არის განკუთვნილი და აწმყოს განსჯაში არ უნდა ჩაერიოს.
8212. ნიჭი, მეტნაკლებად ყველას აქვს, მაგრამ მისი გამოყენების უნარს ყველა ვერ ფლობს.
8213. ჭკუას, ინფორმაციაზე მეტად, ინტუიცია, და ნიჭი შველის.
8214. ყველა ადამიანის არსებაში ჩაწვდომის მცდელობაც ნიჭია.
8215. სიბრძნე ბუნების ნაბოძები ნიჭია, განსწავლულობა ნიჭის მცდელობის შედეგია, მაგრამ პირველთან ვერ მივა, რადგან ის თანდაყოლილია.
8216. გენიოსს, ეტყობა, ზევიდან კარნახობენ, რადგან ზოგჯერ ისეთ რაიმეს გამოთხრის, თავადაც კარგახანს გაკვირევბულია.
8217. ნიჭი ერთია, სწავლა მეორეა, გამოცდილება მესამეა, ხოლო მათი შეჯერება გონიერებაა.

8218. თუ ნიჭს უნიჭობა აფასებს, სიყალბე გარანტირებულია.
8219. დიდი ნიჭია, თუ ვგრძნობთ რა არ უნდა ვაკეთოთ, ვის არ უნდა ვენდოთ და რას უნდა ვერიდოთ.
8220. ყველა ფილოსოფოსს პოეტის ნიჭი უდევს სულში.
8221. შემოქმედებაში „ქონდრისკაცები“ უფრო აქტიურობენ, ვიდრე ამ დარგის გენიოსები, რადგან პირველნი სხვანაირად ვერ წარმოჩნდებიან.
8222. გენიოსი თუ ხარ, ტვინის ჭანჭიკები ან მოშვებული უნდა გქონდეს ან ზედმეტად მოჭერილი.
8223. გენიოსია ის, ვისაც მიაჩნია, რომ საზოგადოების ყველაზე დიდი კრედიტი მას აქვს აკიდებული, ვალის დაბრუნების მცდელობით.
8224. გენიოსის ვალდებულებაა ყოველივე უდანაკარგოდ გამოიყენოს, რასაც გრძნობს, აღიქვამს, კაცობრიობისთვის მისაწვდომ ფორმებში.
8225. არიან გენიოსები კვადრატში, რომელთა ნაღვაწის სიდიადე მის ოპონენტებს არ სჯერათ და თანაავტორთ დღესაც ეძებენ.
8226. გონიერება ზოგჯერ იმდენად გართულია თავისი გაფეტიშებით, რომ ვერ გრძნობს უგუნურების მტრობას.
8227. გონიერებამ ყოველგვარი წიხლის დაჭერა და წნეხი უნდა აიტანოს, ის ხომ, ძირითადად, ამისათვისაა მოწოდებული.
8228. გონიერებას საქმე შეიძლება იმქვეყნადაც აქვს, რა ვიცით, შეიძლება იქაც სჭირდებათ ჭკვიანი.
8229. ნიჭიერება ხშირად გვიან ფასდება, მაგრამ თუ ფასდება, დიდებულად.
8230. უბრალოებას გენიალობასთან უყვარს ჩახუტება და საქმის დაჭერაც.
8231. ნიჭი ყველა თაობის ოცნებას თავისებურად ეხმაურება და რეალობად აქცევს.
8232. გენიოსებს თავისი საუკუნე სათანადოდ ვერასოდეს უგებს.
8233. ბეჯითი სწავლა და თავის განძრევა თავის გამოჩენის სურვილებზე და ნიჭზეა დამყარებული.

ომი

8234. ქვეყნებს შორის კინკლაობა ომით გრძელდება და მთავრდება. ომში მოგებული ხალხი არ მდიდრდება. საომარი ავანტიურები მაინც გრძელდება.

8235. ომობანაზე დიდი სისულელე ამ სამყაროში არაფერია, მით უმეტეს, იმის ცოდნას, რომ ბოლომდე არაფერს შეგარჩენენ.

8236. თეორიულად ომი უგნურებაა, პრაქტიკულად კი ძალა ისევ ძალამ უნდა აღმოფხვრას და გაანეიტრალოს.

8237. ყველა პრობლემის, სულიერი დაავადების გადაჭრა და პროფილაქტიკა შეუძლებელია ომის კანონის ძალით, რადგან ეს „ცოდვა“, საქმის კეთებისგან განსხვავებით, დავიწყებისთვის არის განწირული.

8238. ყველაზე დიდი სირცხვილი ერისთვის, ქვეყნისთვის, სამოქალაქო ომია. მოქალაქეებს იმდენი ჭკუა არ ყოფნით, რომ ვიღაცის ამბიციებს, მოძღვრებას, სიცოცხლე და მეობა არ ანაცვალონ.

8239. დამარცხებული ყოველთვის დამნაშავეა, გამარჯვებულისგან განსხვავებით, რადგან იმ შერკინებაში, ომში, ჩაბმის და გამარჯვების თავი თუ არ გაქვს და მხოლოდ სასწაულის მოხდენის იმედით ხარ, დანაშაულია.

8240. ომს, ეტყობა მოსახლეობის რაოდენობის რეგულირებისთვისაც იწყებდნენ, რადგან მაშინდელი ტექნიკური პროგრესი იმ ოდენობის მოსახლეობის გამოკვების საშუალება არ იძლეოდა, და მარად სხვადასხვა გადამდები დაავადებათა ხარჯზე ვერ იქნებოდნენ.

8241. მესამე მსოფლიო ომი ტერორიზმის სახით უკვე მიმდინარეობს, ხოლო მშვიდობისათვის იმიტომ ვიბრძვით და ხელშეკრულებებით ვაფორმებთ, რომ ეს უაზროდ მომწიფებული დაპირისპირება არ შევამჩნიოთ.

8242. ომს უმთავრესად ფული და ტექნიკური პროგრესის გათავხედება იწვევს.

8243. ომი არასოდეს დაიწყება, თუ მათ შორის გამარჯვებული არ გამოვლინდება და ორივეს განადგურება დაემუქრება (მაგ., ატომური და სხვა მისდაგვარი შეიარაღებით დაპირისპირება).

8244. წინათ მოსახლეობის გამოსახშირად „ომობანას“ იყენებდნენ, დღეს – „ბოევიკს“ და გარყვნილი ცხოვრების რეკლამირებას.
8245. მშვიდობას მოლაპარაკება იძლევა, ხოლო ბრძოლით მას დროებით მოიპოვებ.
8246. ხელისუფლება ომის დაწყებას, სამხედროებს არასდროს ეკითხება და ფაქტის წინაშე აყენებს.
8247. დედამიწიდან ვარსკვლავებს ოცნებით ვუყურებთ, ხოლო ვარსკვლავზე მოკალათებულებიც, ალბათ, დედამიწაზე ოცნებობენ.
8248. ომსაც თავის დაწერილი და დაუწერელი კანონები აქვს, მაგრამ მათაც თავის შეხედულებისამებრ იყენებენ.
8249. ხალხი, რომელიც ამბიციის მქონე ვიგინდარების წაქეზებით თავის ტყავში ვერ ეტევა, მუდამ სამოქალაქო ომის, სეპარატიზმის და რევოლუციების საფრთხეშია. თუნდაც დღევანდელი საქართველო ავიღოთ.
8250. შინა ომში ყველა წყალწაღებულია, მათ შორის, ის ვიგინდარაც, ვისი ქვენა მიზნებისთვის ეს დაპირისპირება შესაძლებელი გახდა.
8251. რატომღაც განგება, მშვიდობის მოსურნე მტრედებს, ომის მსურველ ყორნებზე მეტად სჯის, ეტყობა, ომობანაც რაღაც გარკვეული გართობა და სანახაობაა მისთვის.
8252. ცხოვრება ომია და ის იმარჯვებს, ვისაც მეტი მსმენელი ჰყავს.
8253. დიდება-ძლიერებას ხელისუფალნი, უმეტესად, სისხლის ნაკადის ჩანჩქერად ქცევით მოიპოვებენ.
8254. ზოგი ზადი მოდად იქცევა და მის თავიდან მოშორებას დრო და ახალი მოდის „შემოჯლიგინება“ სჭირდება.
8255. კარგ საომარ მოქმედებას და ცუდი მშვიდობის შენარჩუნებას ორთავეს პიროვნება სჭირდება ხელისუფლების სათავეში.
8256. ფულსა და შურს ბარტყობა ახასიათებს, ერთს – გონიერთა, მეორეს – უგნურთა ხელში.
8257. ომი და დაპირისპირება ურთიერთგაგების სურვილის ძალად დაკარგვაა, ქვენა მოსაზრებათა სასარგებლოდ.
8258. პატარ-პატარა ომების წამოწყებას და ფანატიზმ-ტერორიზმს, ვერც ტექნიკური პროგრესის განვითარებამ უშველა და ვერც ინტელექტის საერთო ამაღლებამ.
8259. სამართლიანობა დამარცხებას იტანს და არა – ომის წაგებას.
8260. ომის აცილების საშუალება ისევ ძალის დემონსტრირებაა, სათანადო სადაზვერვო მონაცემებით.
8261. ზოგჯერ იძულებულნი ვართ გაძაღლებას „ძაღლობითვე“ ვებრძოლოთ, რათა გაძაღლება კვადრატში არ მოგვევლინოს.

8262. ომი მოსახლეობის უმუშევრობის შემცირების, მათი გამოხარშვის, საუკეთესო საშუალებაა უგნურ ხელისუფალთა ხელში.
8263. პატრიოტიზმი ხშირად სიკვდილს, თავის გაწირვას ითვალისწინებს, ზემდგომის ბრძანების შესატყვისად.
8264. მშვიდობის შეცნობა დიადი და მომხიბვლელი უნდა იყოს.
8265. ახალგაზრდობას ომი თავგადასავლად ეჩვენება და ამიტომაცაა, რომ „ქვეყნის მამები“ ომს ასე მოუფიქრებლად და არხეინად იწყებენ.
8266. ომი სიბრიყვის კვადრატში გამოვლენის კიდევ ერთი საშუალებაა.
8267. მტერსაც თეთრი ბაირაღის ქნევით უნდა დაემშვიდობო, რათა დაპირისპირების სურვილი მოუსპო.
8268. არც ერთი დაპირისპირების, ჩხუბის გამართლება, საკუთარი მტკიცების მიუხედავად, არ შეიძლება, რადგან გონიერი კომპრომისისთვის ადგილი ყოველთვის დასატოვებელია.
8269. მესამე მსოფლიო ომი დიდი ხანია დაწყებულია, ნარკოტიკების გავრცელებით ახალი ფსიქოტროპული წამლების „გაჩაღებით“ და როდის დამთავრდება, არავის უწყის.
8270. რევანშისკენ მისწრაფებას ბოლო რომ მოეღოს, დაპირისპირება და ომობანას თამაში უნდა დამთავრდეს.
8271. თავდასხმის ძალა შემართების შეკუმშვაშია.
8272. „ომში დაღუპულთა წინაშე ცოცხლები ყოველთვის დამნაშავენი და ვალში ვართ“, რადგან ბევრი საეჭვოდ და დაუფიქრებლად მოიქცა.
8273. გონიერება ომს არ იწყებს ე.ი. ბრბოდ მოხსენიებული ხალხი უგნურია, რომელმაც თავზე ისეთი ხელისუფალი წამოისვა, რომელსაც სისხლისღვრის საშუალება მისცა.
8274. გენერლებს ომი ეხალისებათ, რადგან მისთვის მზადების მცდელობა დიდიხანია მობეზრდათ.
8275. სუსტი და სხვაზე მოიმედე, ყოველთვის შეიძლება ომში ჩაითრიო, თუ მას ჭკუა არ ეყოფა და პროროვოკაციაზე წამოეგება.
8276. რა არის სწორი ცხოვრება არავინ უწყის.
8277. ძალის გამოყენება თუ საქმის კეთებას, მიზნის ასრულებას, სიცოცხლის შენარჩუნებას, ეხება, აქ სასირცხო და კრიმინალი არაფერია.
8278. ომის შედეგების შემთხვევაზე, სხვაზე, გადაბრალების უფლება ხელისუფალს არ აქვს, მას ყოველივე წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინა.

8279. საოცარია, დაღვინებული ასაკიც რატომაა ასე განუკითხავი ომის დაწყებისას. ამ ომში, ხომ მათი შვილებიც უნდა დაიხოცნონ, ყველა სახსალამათად და გმირად ვერ დაბრუნდება, მაგრამ ადამიანის გაურანდავი გონიერება რატომღაც ამდენს ვერ ტვინავს.

8280. მოწინააღმდეგის შეცდომის დაშვების იმედზე, გეგმები არ უნდა ააგო, მაგრამ არის იმის ალბათობა, რომ შეცდომას დაუშვებს და ამ დროს მოწინააღმდეგეს ცრუ მანევრებით უნდა „დაეხმარო.“.

8281. ომი გვაიძულებს უგნურ ხელისუფალთა ამბიციების და შეცდომების გამოსწორებას პატრიოტიზმის სახელით, „მასმედიის“ მოწოდებებით და ჩვენი უგნურების გაყუჩებით.

8282. ომში ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმა სახიფათოა, რადგან მის უკან შეიძლება საძმო სასაფლაო ჩანდეს.

8283. ომი ბარბაროსთა საქმეა და ეს გენი ჩვენი ვითომდა გაადამიანებისა, კიდევ დიდხანს წაგვყვება.

8284. ომი, უპირველესად, გონიერებას და დაგროვილ ცოდნას ებრძვის და ანადგურებს, მტყუან-მართალის განურჩევლად.

8285. ომის ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ სიკვდილი, დასახიჩრება, სტატისტიკაში გადადის და ადამიანთა განცდები ციფრების შესატყვისად ვლინდება.

8286. ხშირად მშვიდობის შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე ომის შედეგის პერსპექტივაში განჭვრეტა.

8287. ომის დაწყებაში ყველაზე მეტი დანაშაული მიუძღვით იმათ, ვინც მმართველობაში კარისკაცის როლს ასრულებს და ვითომ არაფერშუაშია, რადგან თუ არა მათი მორჩილება, უსუსურობა და უპრინციპობა, ხელისუფლება ომს ვერ დაიწყებდა და გონიერებას მეტად მოუხმობდა.

8288. ომი უგუნურების დემონსტრირებაა, ტერიტორიების მიერთებით და ძალის პოლიტიკის გაბატონებით.

8289. ომი შეიძლება ორი დაპირისპირებული გუნდის შერკინებად ჩაგვეთვალა, მხედართმთავრები – მწვრთვნელებად, ადამიანთა სისხლი რომ არ იღვრებოდეს.

8290. წინათ ქვეყნები კრიზისიდან ომის წამოწყებით გამოდიოდნენ, მოსახლეობას ამცირებდნენ, დანგრეულს აღადგენდნენ და თავს ამგვარად იძვრენდნენ. დღეს, ომის უაზრობის გამო, სხვა ვაი-ეშმაკობებია მოსაძებნი.

8291. იარაღი გონიერებისათვის სიკეთის და ბოროტების მარად შეუცნობელი მსაჯულია.

8292. სერიოზული მომზადების მიუხედავად, უსამართლო ომში, რწმენის გარეშე, კარგი ჯარისკაცი ვერ იქნები, რადგან სიმართლე შენს მხარეს არაა და ჯიგარს არ გიწვავს.

8293. თუ დიქტატორი კანიბალია, არც დემოკრატიაა ვეგეტარიანელი, რადგან მათი შერკინება-დაპირისპირება ომია, ხოლო ბრძოლაში მეთოდებს არ არჩევენ.

8294. შედეგის მიუხედავად, ომი „განტევების ვაცის“ როლს ასრულებს, რადგან ომის გაჩაღებით დაპირისპირებიდან გამოსავალი არ არის.

8295. სამხედრო აღჭურვაში იდეოლოგია, რწმენით და ფულით აღჭურვაც დიდ როლს თამაშობს, რათა ჯარისკაცი უფრო მობილური და ბრძოლისუნარიანი გახდეს.

8296. ომს უდანაშაულო ადამიანები უსახელოდ ეწირებიან, ხოლო მისი წამომწყები დამნაშავენი თავსაც იძვრენენ და ზოგიერთ მათგანს ისტორიაც აფიქსირებს.

8297. იარაღის ჟღარუნი არც სიყვარულს სწყალობს და არც აღებ-მიცემობას, მაგრამ ხელისუფლების ამბიციები ორივეს სჯობნის და ომობანას თამაშის საშიშროებას ბოლო არ ეღება.

8298. ომი გამოუსწორებელი გამოცდაა, რადგან რევანშის სურვილი დავიწყებას არ ეძლევა.

8299. ჯარისკაცის სულის აღმგზნები მხედარმთავრის კულტია, გამარჯვებაზე დაფუძნებული და მის სიკვდილ-სიცოცხლის საფრთხე არად მიაჩნია.

8300. ომის, შერკინების, დროს ყველაზე მეტად ჭეშმარიტება და სამართლიანობა ზარალდება, რადგან ის ყველას თავისი აქვს და თანაც ამბიციური.

8301. გმირობა ომში ზოგჯერ უკან მდგომი „გადამღობი ჯარების“ დამსახურებაცაა, თუმცა გმირობა არ განისჯება.

8302. „ცივი ომი“ და „ცივი მშვიდობა“ სინონიმებია, მაგრამ პოლიტიკოსები უკანასკნელს ამჯობინებენ.

8303. ბრძოლის და ომის მოგება სხვადასხვა, შედეგს იძლევა, რადგან პირველი დროებით წარმატებაა, ხოლო მეორე საბოლოოა და განსჯას არ ექვემდებარება.

8304. ომის საბაბი უზნეობაა, მიზეზი სხვათა სიმდიდრის მითვისებაა, საკუთარი სიცოცხლის სასწორზე შეგდების ხარჯზედ.

8305. ძალმომრეობა იმ შემთხვევაში ზღუდავს უფლებებს თუ ოპონენტი უპრინციპოა.

8306. ომს ქაოსის და ღალატის ეშინია, მაგრამ ზურგის შექცევა ორივეზე უარესია.

8307. მოგება-წაგება სპორტულ შერკინებაში ძმები არიან, მაგრამ არა – ომის გაჩაღებასა და სისხლისღვრაში.
8308. სამხედრო სტრატეგია ბედის წყალობაცაა, რადგან მოწინააღმდეგეს შენთვის სასარგებლო შეცდომა არ უნდა დაეშვა.
8309. მასიურ ხოცვა-ჟლეტას ხელოვნება დაარქვა – მკრეხელობაა, მაგრამ გამარჯვებული სამხედრო ხელოსნობა ხელოვნებასთან გატოლებას ითხოვს.
8310. არმია ეს თანამედროვე შეიარაღება და წესრიგია სტრატეგიული დაგეგმარებით.
8311. მთავრობას, ვინც გინდა ედგას სათავეში, არ აქვს უფლება ხალხის სიცოცხლე სასწორზე შეაგდოს და ომი დაიწყოს.
8312. პოლიტიკოსები ყოველთვის ღალატობდნენ ხალხს, განსაკუთრებით, ომის დროს, როდესაც სათანადო აღჭურვის და მომზადების გარეშე მებრძოლებს ფრონტის წინა ხაზზე აგზავნიდნენ.
8313. ომი ყოველთვის წამგებიანია მოლაპარაკებასთან შედარებით, მაგრამ ეს აქსიომა ამბიციებს წინ ვერ ეღობება.
8314. ომი ყველაზე მეტად ითხოვს სისხლს, ცრემლს, ბედს, მის უგვანობაზე რომ არაფერი ვთქვათ.
8315. ომი ყველაზე ცუდი გამოსავალია გამოუვალი მდგომარეობიდან და მას რეალური პოლიტიკის უქონლობა იწვევს.
8316. იქ, სადაც ომის წარმოებას ხელოვნებად აღიქვამენ, სიცოცხლის გაწირვას – პატრიოტიზმად და გმირობის ჩადენას – მოვალეობად, ასეთ ქვეყანაში ომის საწინააღმდეგოდ რაიმეს თქმასაც სიმდაბლედ და სიმხდალედ ჩაგითვლიან.
8317. ფულის შოვნაც თავისებური ომია, მაგრამ საბედნიეროდ ხშირად მოლაპარაკებით მთავრდება.
8318. ხალხს საერთო მიზანზე მეტად ომი აერთიანებს, თუ მას ღირსეული მხედარმთავარი ჰყავს.
8319. სამხედრო სიბრძნეს სტრატეგიის შემთხვევამაც ზურგი არ უნდა უჩვენოს, თორემ ამ მცდელობისაგან აღარაფერი დარჩება.
8320. დროის კაურები აომებთ ადამიანებს, როდესაც ერთ-ერთის სიმდიდრეზე თვალი გაურბით და არა სიმდიდრით მოყირჭებულთ, რომელთათვისაც მთავარია მშვიდობა შემოქმედებითი გარჯით.
8321. ომის მოგება იმის გარანტიას არ იძლევა, რომ სამყარო არ ამოტრიალდება, გამარჯვებულს ბედი ზურგს არ შეაქცევს და დედას არ უტირებს.
8322. ომის დაწყებას ჭეშმარიტების წინაშე დგომა სჭირდება და არა – შური, მტრობა და მოხვეჭის სურვილი.

8323. ყველაზე ნაკლებად ომი და დაძაბულობა სამხედროებს აძლევს ხელს, მაგრამ ისინი რატომღაც ომის დაწყებას წინ არ აღუდგებიან, რადგან დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება და სამხედრო პოტენციალი რეალიზაციას ითხოვს.
8324. ომი უმთავრესად უსაქმურობის, უგუნურების, უტვინობის, მიზეზია, რეალური შედეგის განუსჯელად.
8325. მართალია, ბრძოლას ჯარისკაცები იგებენ, მაგრამ გააჩნია, ვინ სარდლობს ჯარს და რა სამხედრო ეშმაკობას იყენებს.
8326. ომის, შერკინების, დაწყების მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს, ისტორიისთვის მთავარი შედეგია და გამარჯვების სულის ჩამდგმელი.
8327. ომის შედეგების გადანაწილებაა ძნელი და არა – საერთო ეიფორიის.
8328. ომი ის ფენომენია, რომელიც კანონებს თავი ჭკუაზე წერდა, წერს და დაწერს.
8329. ომი ომის სახით თუ არა, დაპირისპირება-შეჭიდების სახით ყოველთვის იქნება.
8330. ბრძოლის ველზე, უპირველესად, გონიერების ალგორითმებმა უნდა იღვაწოს და შემდგომ – იარაღმა.
8331. ხალხის მოყუჩებული გონიერება, დღესაც კი ომს თავიდან ვერ აიცილებს, რადგან გენეტიკურად მარად ვიღაც ვიგინდარას სურვილებს დაჰყვება და მიჰყვება.
8332. ომს გაწვრთნილი ჯარი იგებს ნიჭიერი მხედარმთავრით და არა – ჯარისკაცთა ოდენობით.
8333. სამართლიანი ომი არ არსებობს, რადგან მის დასაწყებად სამართლიანი მიზეზის მონახვა თითქმის შეუძლებელია.
8334. მშვიდობიანობის დროსაც დაპირისპირება და თეორიული ომი არ წყდება.
8335. ყველა ომი „უკანონო კანონებს“ გვთავაზობს, რომელსაც მისთვის არასასურველი ბევრი პირის „ჩამოწერა“ შეუძლია.
8336. ომის რაობის მიუხედავად, დროთა განმავლობაში ხალხები მის შედეგებს ივიწყებენ და სიკეთისთვის იღვწიან.
8337. ადამიანთა ამპარტავნება, შური, მიტაცების მცდელობა, ომის სარეველას ვერ სპობს.
8338. რატომღაც სიმდიდრით და შესაძლებლობებით გაქსუებულ ქვეყნებს დიდი ხნის მშვიდობიანობა სწყინდებათ და თვალი პატარ-პატარა ომობანობისკენ გაურბით.
8339. ომს სარდლის ნიჭი იგებს განგებასთან შეთანხმებით, და არა ყოფის ავტორიტეტების რჩევა-დარიგება, რათა მოწინააღმდეგემ ის-

ეთი რამ არ შემოგთავაზოს, რაც რეალურ გამარჯვებას ცხვირს მოხოცავს.

8340. ომის და მშვიდობის ფარსის შეცნობას საუკუნეთა ჭიდილი არ შველის.

8341. ომის მოგება ყოველთვის ქვეყნის წინსვლას და გაჯეჯილებას არ ნიშნავს.

8342. დღეს ახალი ტერიტორიების, სივრცეების მითვისების ნაცვლად, საღმა გონიერებამ უნდა გაიმარჯოს, რადგან დღევანდელი დაპირისპირება და ომი ყველასათვის დამღუპველია.

8343. ომში, დრო და დრო, შერკინების პარამეტრებს მთავარსარდალი განსაზღვრავს, შედეგს ხელისუფალი განსჯის.

8344. ომის დროს კანონის უზნეობას თავი უხმაუროდ უგუნურების ბუჩქებში აქვს შეყოფილი.

8345. რეგვენთა ომის მიზეზს ცივილიზაციასთან კავშირი არ აქვს.

8346. ყველა ომი დანაშაულია, თუკი საქმე სპეცსამსახურების გამოყენებით შეიძლება მოგვარდეს.

8347. ბრძოლას მთავარსარდლისადმი რწმენა და ავტორიტეტი იგებს, შემდგომ მოდის გონების გამჭრიახობა, ორგანიზაციული ნიჭი და განგების მხარდაჭერა.

8348. სამოქალაქო პირები კი დასცინიან სამხედროებს სიხისტისთვის, მაგრამ თავიანთი „მოქნილობით“ საკმარისად არ ცდილობენ რომ ცხელი წერტილები არ შეიქმნას, ომი არ დაიწყოს, მათ დაქვემდებარებაში არ მოხვდნენ და ჯარისკაცის ფორმის ჩაცმა არ მოუწიოთ.

ოცნების კოშკს ავაგ

8349. მეგობრობის გარანტია იმედია.
8350. სიმართლეც ზოგჯერ მალვას მოითხოვს, რათა კარგი ტრადიცია და ჩვევა არ გაუფასურდეს.
8351. საკურორტო რომანი ყოველთვის იმედით იწყება, „ჰარი-ჰარალოთი“ მთავრდება და დავიწყებისათვის არის განწირული.
8352. ერთსა და იმავე ქალთან, ბუნების უკუღმართობის გამო, სექსი მოსაბეზრებელია, მაგრამ შესაძლებელია თუ გიყვარს და რაიმე წარმოსაჩენი, თვალშესავლები აბადია.
8353. იმედი ჭეშმარიტების დადგენის პერიოდს, გარკვეულ დრომდე, აზრს მატებს.
8354. თუ გინდათ აპლოდისმენტები დაიმსახუროთ, დასრულებული საქმე უნდა გამოამზეუროთ, რადგან ტაშის დამკვრელებში ცოტაა პროფესიონალი, რომელიც გაიგებს იმას, რაც სხვისთვის ხმის ასაყოლია.
8355. აზრისთვის გზის გაკვლევაა უმთავრესი, საკუთარი ფანტაზიის მოშველიებით.
8356. ფორტუნის იმედი ყველაზე მეტად უსაქმურებს აქვთ.
8357. მევახშეობა პრესტიჟული პროფესია არ არის, მაგრამ ყველა ძალად საქმოსნის იმედია.
8358. იმედით ვცოცხლობთ, მაგრამ ამით არსებობა შეუძლებელია.
8359. ფიცით უფრო მეტი ხალხი ტყუვდება, ვიდრე, სასუსნავის დაპირებით.
8360. ნატვრა ხშირად ლოგიკას არ ემორჩილება და გარკვეულ მომენტში გონებას რჩევას არ ეკითხება.
8361. იმედს ჩაძირვა არ უწერია – იმქვეყნად მაინც.
8362. ოცნების, ფანტაზიის და ვნების გაჭენება ძილის და საწოლიდან ადგომის წინ უდიდესი სულიერი სამოთხეა, რომლის ბატონ-პატრონიც თავად ხარ და არავისი შურის, გაკიცხვის არ გეშინია.
8363. ბედნიერება და სიამოვნება ყოველთვის სინონიმები არ არის, რადგან მათ თავიანთი განსასჯელი უცნობები ხ და ყ ჰყავთ.
8364. ბედნიერებაა „თავსდავნატრი“ და არა – როცა სხვა შემოგნატრის.

8365. თუ რაიმეს კეთება არ შეგიძლია, მარტო ფორტუნას იმედით არ უნდა „იღვაწოთ“.
8366. ავტობიოგრაფიასაც საკუთარ თვალში შელამაზება უხდება.
8367. სიამოვნებაა ყოველივე რასაც ცნობიერებით აკეთებ, ცხადში იქნება ეს თუ სიზმარში.
8368. სიკეთის მსურველნი, მისდაუნებლიედ, მის წართმევას თავიანთი გადამეტებული ყურადღებით ცდილობენ.
8369. წესიერებას თავზე ფუყე და არარენტაბელურად დიდი წარმოდგენა აქვს, მაგრამ ავიწყდება, რომ კუჭი ამოსაყორია.
8370. ბედი და შემთხვევა მეტ-ნაკლებად ყველას აკითხავს, მაგრამ მათზე დროულად ხელის ჩავლებას ყველა ვერ ახერხებს, რადგან მცდელობის კოეფიციენტი სიზარმაცესთანაა დამეგობრებული.
8371. სასიამოვნო მოულოდნელობაა ყველა ის მცდელობა, რომელიც თქვენი ხუშტურების გასასწორებლად დააფინანსეთ და დადებითმა შედეგმა ბედის წყალობა არ დააყოვნა.
8372. უზნეო ხრიკების მოგონება და გატირაჟება მომთოკავი ნიჭის შედეგია.
8373. ცოლს უნდა ვენდოთ, ან ისეთი სახე უნდა მივიღოთ, რომ დაიჯეროს.
8374. დღეს ყველა ლეგენდის შექმნა და ცნობილ სიბრიყვეზე აგება შეიძლება, თუ შესატყვისად დავაფინანსებთ.
8375. მემუარების წერის სურვილი ყოველთვის სიბრძნის დაგროვების ნიშნად არ გამოდგება, მითუმეტეს თუ ასაკს თავის მოწონება და შექმნა სწადია.
8376. დახლებთან რიგის დაყენების ხელოვნება გენიალური რეკლამის ტოლფასია.
8377. შიზოფრენიაა, როდესაც ყურადღების მისაქცევად საკუთარ თავს ხაფანგს უგებ და ებრძვი.
8378. ნდობის და შენს მიმართ კარგი განწყობის აღსანიშნავი ამბორი, თვალების დაჟუჟუნებას და წამით თვალების მოხუჭვას მოითხოვს.
8379. SMS ბევრს გვპირდება და ბევრსაც ითხოვს იმედის სახით.
8380. კომუნიზმი ადამიანის ოცნების ნაღვაწია, ხოლო ოცნებას არ ღალატობენ, რადგან ის, ადრე თუ გვიან, ახდება ოცნების სახით მაინც.
8381. ბედნიერების კაიფს მაშინ შეიგრძნობ, თუ შენს გასაფრენად გამზადებულ ოცნების ნაწილს ზოგჯერ ახდომა უწერია.
8382. ყველა ოცნების ახდენას თავისი დრო აქვს, ყველა მცდელობას თავისი ფორტუნა ახლავს.

8383. ვნება ჟინით გატაცებაა და ყოფის სასიყვარულო ალიყურია.
8384. ბედი წყვეტს მომავლის მცდელობას თუ რომელი საუკუნე, ნიჭს რა დროს უნდა მოეფეროს და სად.
8385. დიდი ჭკუა ყოველთვის გვაშფოთებს, რადგან ვერ ვწვდებით, ხოლო პატარა არ გვაინტერესებს და რას მივეტმასნოით ხშირად არ ვიცით.
8386. ბედი ყოველთვის ნიჭიერი მხედართმთავრის მხარესაა, რომელსაც სიტყვა უჭრის, ჯარისკაცებს სჯერათ მისი და განგებაც საკმეველს უკმევს.
8387. „ოფიციოზს“ თავისი დანაღმული უფლებები აქვს, გენიალობას – თავისი საზღვრების დაცვისა.
8388. შეუპოვრობა ხშირად მიზანს აღწევს, ეს თავზეხელაღებული იქნება, ცოდნით, თუ გარდაუვალი აუცილებლობით.
8389. ბედნიერებაა, თუ შენი მცდელობა, იდეები, ნაღვაწი, რესტავრირებას განცდის და კვლავ სიკეთის კეთებას ეხმიანება.
8390. ზოგჯერ სიმართლესაც დროის შესატყვისად შელამაზებაც და არსებული ალიბის „ყურით მოთრევაც“ სჭირდება, თორემ ხიბლის გადმოცემა და სწორ გზაზე სიარული გაუჭირდება.
8391. თავის შენახვა დაუძალებლად, დაუხმარებლად, ყველას არ შეუძლია თუ ოცნების გულდაჯერებას თავის სასარგებლოდ არ გამოყენებს.
8392. ბედი ხშირად გვაოცებს, მაგრამ ვეჩვევით და შედეგსაც ნერვების დაძაბვის გარეშე ვიმკით.
8393. ბედნიერება და სიამოვნება ურთიერთკავშირშია, რადგან უერთმანეთოდ სიხარულის კაიფს ვერ აღიქვამენ.
8394. დამსახურებისათვის პატივი რომ მოგაგონ, ის არაორდინალური ნიჭია საჭირო, რომლის დამუღამების უნარი ბევრს არ გააჩნია.
8395. ღირსეულად და ღირსებით ცხოვრებას არც განათლება შველის და არც ცხოვრების ალიყური – მხოლოდ ბედი.
8396. სასიამოვნოდ მოსაუბრეს მსმენელთა რიგი უდგას აღფრთოვანების გამოსახატავად და არა – ნათქვამის გასააზრებლად და გამოსაყენებლად.
8397. შემთხვევა ის უცნაური ფენომენია, რომელიც მოულოდნელ სიამოვნებას გვანიჭებს.
8398. სიკეთის კეთება სიხარულის მომტანია და არა – ბედნიერებისა, რადგან ამ უკანასკნელს აღსაქმელად თავისი პარამეტრების ცოდნა სჭირდება.
8399. რეკლამა ყველა შემთხვევაშია სასარგებლო, შენ გაკრიტიკებენ თუ შენ აკრიტიკებ, განსაკუთრებით უფასო.

8400. ჩვენთვის ყველა პრივატიზებული ჩვევა სიამოვნების მომტანია, იმისდამიუხედავად, გარეშეთათვის მისაღებია თუ არა.
8401. შელამაზებულ ხსოვნას ასაკისათვის კაიფი მოაქვს.
8402. მთავარი ის კი არ არის, პესიმისტები ვართ თუ ოპტიმისტები, მთავარია დასამახსოვრებელს რას ვტოვებთ.
8403. სიკეთის საკეთებლადა ყველა მზადაა, ოღონს თავის შეწუხების გარეშე.
8404. მოთმინებას მოთვინიერება სჭირდება, ოღონდ კვადრატში, კუბში.
8405. დღეს მწარმოებელს სიახლის გამოშვება კი არ უჭირს, არამედ მათზე „მომგებიანი“ სახელის დარქმევა, რეკლამირება, გასაღება.
8406. შემთხვევის და ბედის წყალობის გამოყენება პესიმისტის საქმე არ არის – დააგვიანებს, ვერ მოტვინავს.
8407. ხსოვნა ყველაფრის შეიძლება, ხოლო დამახსოვრება მხოლოდ იმისა, რაც გსიამოვნებს.
8408. დაწყებული გეგმების დასრულება, უმეტესად ფორტუნას წაშველებით ხდება.
8409. „რატომ?!“ – ყველასაგან და ყველგან ახსნა-განმარტებას ითხოვს, მაგრამ მარად უკმაყოფილოა.
8410. გვინდა არ გვინდა, ყველანი საკუთარ თავს ვებრძვით, საკუთარ ხასიათს ვაკონტროლებთ და თავის მოწონებაც არ გვავიწყდება.
8411. გულში ჩამწვდომი სიტყვა მეტყველების სილამაზეს, სულის დიზაინს და გონების წამოთაქებას მოითხოვს.
8412. მარადიული ცხოვრება, მრავალჯერ უკან დაბრუნების რეციდივით, პრაქტიკულად გამორიცხულია, მაგრამ არსებობს თეორიული მითი, რომელიც „უკანმოუხედავი იმედით“ ჩვენს სულიერებას იპყრობს.
8413. ყველა „მსუქანას“ დიეტის რეციდივი გამოცდილი აქვს, მაგრამ გახდომა „თავკონტროლას“ გარეშე გამორიცხულია.
8414. რჩევა, რომელსაც ჩვენი სურვილით ვიძლევით, კრედიტის გაცემის ტოლფასი გვგონია.
8415. ყველა მონანიება თავის მოწონებას უფრო ცდილობს, ვიდრე შენდობას, რათა გაგებას თავი შეახსენოს და იმქვეყნიურ დივიდენდებსაც ხელი გამოჰკრას.
8416. ზოგიერთი ქალის გულს სულით იმპერატორები იპყრობენ.
8417. სიმღერა თავისი მელოდიურობით უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სიყვარულის გამჟღავნებ-გათავისების კიდევ უამრავი ვარიანტი არსებობს.

8418. ზოგჯერ ნანატრი თუ არ აგიხდება, ესეც გამართლებაა, რადგან ეტყობა, შენს ბედს ეს არ სჭირდება.
8419. თუ სხეულები ერთმანეთისკენ მიისწრაფიან ვნებით გაამაყებული, ეს ტრფობაა, თუ სულები მიისწრაფიან – სიყვარულის გრძნობებშია გახლართული.
8420. წარმატება მაშინაა სასიამოვნო და საამაყო, თუ მისთვის განკუთვნილ მსხვერპლს არ ამჩნევს ან არ ითხოვს.
8421. გახსოვდეს, ჩვენს მიერ დასმულ წერტილს ვერც კითხვის ნიშანი უნდა შეედაოს და ვერც ძახილის ნიშანმა აკადროს რაიმე.
8422. ტრფობას და კულინარიას გამზადებული რეცეპტები არ უყვართ, რადგან ისინი შემოქმედის უზენაესობას მოითხოვენ.
8423. ქალის და მამაკაცის ურთიერთობას თვალების კრთომა-დაჟუჟუნება, განსაზღვრავს, განსჯის, აფასებს.
8424. ბუნებას სათუთად და მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ, რათა მისი ჰაეროვნების მადლი შევიგრძნოთ და შევიცნოთ.
8425. სიზმარი, ოცნება, მიზანი, დაცინვას და კრიტიკას ვერ იტანს.
8426. ქორწინება ყველა დროში სასიამოვნო და მსუბუქად აღსაქმელი იქნება, თუ ერთად სეირნობა, ყოფნა, არ გწყინდებათ და ირგვლივმყოფთ თქვენი არ შურთ.
8427. სიცოცხლის დღესასწაულზე სიკვდილმაც თავი უნდა შეიკავოს და შემდგომ აკეთოს თავის საქმე.
8428. ზოგს ერთი ესიზმრება, მეორეზე ფიქრობს და მესამესთან მოვალეობას იხდის.
8429. დროებითი სიძნელეები და დროებითი გათხოვება სინონიმებია და ზოგი ამაშიც თავისებურ სიამოვნებას ნახულობს.
8430. ბუნების კატაკლიზმებთან ბრძოლაც ერთ-ერთი პირობაა ამ პლანეტაზე ჩვენი ყოფნისა.
8431. იყო ყველაფერში მართალი და უმწიკვლო, შეუძლებელია, ამაზე თვით ტექნიკური მიღწევებით აღჭურვილი რობოტიც კი ვერ „გაიქაჩება“.
8432. სიცოცხლით ტკბობა და მზის ქვეშ დიდხანს ყოფნა იმ მოხერხებულთა ხვედრია, რომლებიც პატიოსნებას ვირეშმაკობით კაზმავენ.
8433. ასაკის სერიოზული მატება ბედის ფუფუნებაა, მაგრამ არა უჯავრო და უპასუხისმგებლო.
8434. ზოგი საკუთარი და სხვისი ყოფის „კალიგრაფიის“ გასაფუჭებლადაა მოვლენილი ამქვეყნად.
8435. სიცოცხლის რაობა რომ შეიცნო და ამქვეყნად მოსვლა გაამართლო, ოცნებით და ამბიციებით უნდა იცხოვრო.

8436. უბრალოდ გიყვარდეს, ამბიციების გარეშე, დიდი ნიჭია.
8437. სიმდიდრე ის საუნჯეა, რომლის მადლი ყველას არ სცხია, რადგან მის გამოყენებასაც ცოდნა და არა მხოლოდ დაგროვება სჭირდება.
8438. დიდების ტარების ტვირთი მძიმეა, რადგან ყველას შენი იმედი აქვს და ყველა შენგან იმას გამოელის, რისთვისაც არც შინაგანად, არც ძალმოსილებით ყოველთვის არ ხარ მზად.
8439. სიმართლის თქმასაც თავისი განსასჯელი პარამეტრები აქვს, რათა ყველასათვის მისაღები და სასიამოვნო იყოს.
8440. სიკეთის კეთებასაც ბედი უნდა, რათა დროზე გარემომ და შემთხვევამ არ დაგცინოს.
8441. ყველაფერი განხორციელდება, თუ დრო და ტექნიკური პროგრესი მხარს დაგიჭერს.
8442. ბედნიერების ფუძეა იმის შეგნება, რომ შენ როგორც ადამიანმა, ამქვეყნად მოსვლა გაამართლე, მოვალეობა აღასრულე და იმქვეყნადაც შენი კარნახით უნდა გადაბარგდე.
8443. მშვიდობა, შრომა, ჭკუის მოხმობა, ეს არის სიმდიდრის და გულმოწყალების ძირი.
8444. ცხოვრების წინახედვა ნერვების დამშვიდებას მოითხოვს, დამოძღვრით – „ცივილიზაციის ბედი ასეთია“.
8445. მართალია, „სიკეთის კეთება ტყუილ-უბრალოდ არ იკარგება“, მაგრამ ამ კანონზომიერების დამდგენი ყველასათვის უცნობია.
8446. ხვალინდელი დღის ყველას გვჯერა, მაგრამ დიდად არ ვენდობით.
8447. ჩანაფიქრს არ ატირაჟებენ, მაგრამ გაზიარების და პაექრობის სურვილს ინარჩუნებენ.
8448. იმედი ყველაზე დიდი კაიფია, რაც კი ადამიანის ცნობიერებას შეუქმნია.
8449. იმედის მონა თანახმაა ყველას ემონოს, ოღონდ იმედმა გაუმართლოს და თავი მის მბრძანებლად იგრძნოს.
8450. ბედნიერებაა, როდესაც ამ ცხოვრების „აიწონა-დაიწონაზე“ და ყოფის კრედიტ-დებეტის დაბალანსებაზე არ ფიქრობ.
8451. არის რაღაც, რაც ერთხელ უნდა ჩაიდინო, „მიჰქარო“. მგ. ცოლის მოყვანა, მაგრამ შემთხვევას და ბედს თავისი გააქვს და კიდევ ბევრ გადაცდენაზე ხელს გვაწერინებს.
8452. სანამ გვიმართლებს, ბედს არავინ უჩივის, როგორც კი გამართლება კოჭლობას დაიწყებს, საყვედურების კორიანტელიც იწყება.
8453. დასვენების სიკვდილში ძებნა სიცოცხლეშივე ბედისადმი დაცინვაა.

8454. სიტყვისათვის უმთავრესია დროის, აუდიტორის, ადგილის, შერჩევა რათა მან თავისი მცდელობით ლელო გაიტანოს.
8455. სიტყვას და აზრს ფასი მაშინ ედება, თუ შთამომავლობას მათი გამეორება და გააზრება სიამოვნებს.
8456. ჩვენ ხელშეუხებლად გვიყვარს ჩვენი იდეები, მეგობრები და ხშირად ამით ვამაყობთ.
8457. რატომღაც სხვის დანთებულ სანთელს მეტ პატივს მივაგებთ და ვეთაყვანებით, ვიდრე საკუთარი გონიერებით ნაღვაწს და ნაჩალიჩარს.
8458. ყველამ ყველაფერი იცის და ზოგისთვის ყურიც მოუკრავთ, მაგრამ მაინც ბედის და წინათგრძნობის გვჯერა.
8459. მიზნის დასახვის გარეშე საქმის კეთება რწმენასაც უჭირს და გონებასაც.
8460. გულდაჯერება, ურყევ რწმენასთან და ნიჭთან ერთად, სასწაულებს ახდენს.
8461. ბედნიერებას და უბედურებას საკუთარი თავის ამაღლება-დადაბლების განტოლება განსჯის.
8462. მოყირჭება „ოფოფების აფრენას“ ითხოვს, როდესაც ბედი უსამართლოდ გიღიმის.
8463. ნიჭიერი კაცისთვის გართობა იმის კეთებაა, რაც არ შეიძლება, თორემ რის კეთებაც ნებადართულია, ის სამუშაოა.
8464. იყო სამართლიანი და მართალ საქმეს ემსახურო, უმადური რამეა ბრბოსათვის, მაგრამ შენი სულის საამებლად საჭირო და საერთო საქმის საკეთებლად აუცილებელი.
8465. წესრიგს ბუნების კანონიც მოითხოვს, განგების ნებაც და ადამიანის გონიერებაც, მაგრამ ყველა მათგანი მას თავის სიამოვნებისთვის არღვევს.
8466. სურვილების, მისწრაფებების, ოცნებების გატირაჟებით, ადამიანის ბუნება უკეთ შეიცნობა.
8467. ყველა შემთხვევის და ბედის დაცინვის წინასწარ გამოცნობა შეუძლებელია, მაგრამ ამისათვის შინაგანად მზად ყოველთვის უნდა იყოთ.
8468. სიამოვნებაზე, ფუფუნებაზე გონებით ბატონობა, ერთეულ გონიერთა ხვედრია.
8469. სიამოვნებაზე ბატონობა და ზოგჯერ მისი თავიდან მოშორება, ცხოვრებით გარკვეულ ტკბობას იწვევს.
8470. სიამოვნებას, სიკეთის კეთების შედეგად მიღებული ანალიზი იძლევა და არა შედეგამდე მცდელობა.

8471. იმედის გაფლანგვაც შესაძლებელია, თუკი მას გადამეტებით მივენდობით.
8472. მოხერხებულობას განათლებაზე მეტად აფასებენ და ნდობასაც მეტს იმსახურებს.
8473. მადლიერების გრძნობა გაუკეთებელს გვაკეთებინებს.
8474. მადლიერება, ზოგჯერ კრედიტის დროულად დაფარვის ტოლფასია.
8475. სამუშაოს „მატერიაც“ უნდა მოჰქონდეს, შედეგიც და აღიარებაც, სიამოვნების მინიჭებით.
8476. მლიქვნელობასაც შემოწმება სჭირდება, რაიმე ქათინაური ხომ არ დაგაკლო და სხვისთვის გადაინახა.
8477. ბედნიერებასაც გონიერებისთვის სათუო პარამეტრები აქვს.
8478. იმედის გაცრუება სულიერების უდიდესი კრახია ორივე მხრისათვის და განსჯას არ ექვემდებარება.
8479. გონიერება ყოველთვის ბედნიერებაა, მას ამად აღიქვამენ თუ არა.
8480. ჩვენი ყოფიერების ალგორითმი მაინც ბედის და არა გონიერების მონაა.
8481. ყველა მოსაზრება, იდეა, სიახლეს და მომავლის იმედს უნდა ემსახურებოდეს.
8482. ბედნიერი სიკვდილზე არ უნდა ფიქრობდეს, თუ უნდა სიცოცხლის მადლი ნაღდად შეიგრძნოს.
8483. გონიერებისათვის ჯობს აზროვნება იყოს ახალი, ორიგინალური, და უპრეტენზიო.
8484. იმედში ფულს, ცოდნას, გამოცდილებას, აბანდებენ, არ ყიდულობენ.
8485. შემთხვევა ბრმაა და რა უნდა, რას გააკეთებს, თავადაც არ უწყის.
8486. გონიერების სასიკეთო მოხმარებასაც, დროის შერჩევა სჭირდება.
8487. ადრე თუ გვიან, ჩვენს ინტერესებსაც მხრის დამჭერი გამოუჩნდება.
8488. ზოგჯერ კარგიც მთავრდება და გაუგებრობაც იწყება. და აქ ბედი არაფერ შუაშია, რადგან ყველაფერს თავის რიგი აქვს.
8489. ბედია, რომ თავის შეხედულებისამებრ გვჭმუჭნის და გვაუთოებს.
8490. მოულოდნელობა ხშირად გონებას გვიბნევს, მაგრამ ინტელექტი გვშველის.

8491. სიკეთის კეთებასაც ნაცნობობა სჭირდება.
8492. ბედი, ჩვენს სასიარულო გზაზე, მისთვის გასაგებ ქვაფენილს გვიგებს.
8493. გამოგონებას მაშინ აქვს ფასი, თუ მისი რეალურად გამოყენება შეიძლება და ტექნიკურ პროგრესს ეხმიანება.
8494. იყო რაღაცაში პირველი – ბედნიერებაა.
8495. ხასიათის განწყობის მართვა, გონების მოთხოვნის შესატყვისად, ყოველთვის არ ხერხდება.
8496. ყველა მამაკაცს აქვს საშუალება ქალი ბედნიერი გახადოს, თუ ბედი ერთ-ერთის მხარეს მაინც იქნება.
8497. ბედნიერებასაც ხშირად ნდობის კოეფიციენტი დაქვეითებული აქვს – ეშინია დაკარგვის.
8498. რეალურად შრომა ბედნიერებაა, მასზე რაც უნდა აუგად საუბრობდნენ.
8499. საკუთარი ბედნიერება არც სხვას უნდა ანდო და არც უნდა მიატოვო – დაგეკარგება.
8500. ბედნიერება და გონიერება ხშირად ერთად ვერ სძოვენ.
8501. დაყოვნება ყოველთვის საშიშია, როდესაც ძალა თავხედობს.
8502. გარდაუვალობას წინ ვერავინ აღუდგება და ჯობს ეს გონიერების მოშველიებით აღსრულდეს.
8503. წინასწარმეტყველს წამალი არ გააჩნია, ის მომავლის იმედის პერსპექტივით გვმოძღვრავს და იმედით გვკურნალობს.
8504. მთავარია დიდებამ, „საჭირო“ კაცობამ, საკუთარი თავის მონად არ გაქციოს.
8505. ხშირად სიამოვნებას სირთულეთა დაძლევა გვანიჭებს და ესეც განგების ნებაა.
8506. ვის მთვარის შუქი სულს ეამება, ვის – მზის ნათება, მაგრამ საჯილდაოდ გამოყენებულ შემთხვევას არაფერი ჯობს.
8507. სიტყვას ცრემლების არ სჯერა, პირიქით კი შეიძლება მოფერებით დავაჯეროთ.
8508. ფორტუნა „ფრაერს“ არ ირჩევს.
8509. ხელიდან გაშვებულმა შემთხვევამ ზურგის შექცევა იცის და იშვიათად შემოგვიტრიალდება.
8510. სურვილი ყველას აქვს, მაგრამ მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს ერთეულნი ფლობენ.
8511. ბედნიერება უდრტვინველი და მუდმივი ვერ იქნება.
8512. ბედნიერება ერთგულებით გვაახლოებს, მწუხარება უმეცრებით გვაშორებს.

8513. მოსაწონს მითვისების მსურველი ბევრი ჰყავს.
8514. ბედნიერებასაც ეიფორია ახასიათებს, პატარ-პატარა სისულელეთა ჩადენით.
8515. ქალს ბრილიანტს ვჩუქნით, ქალი ბავშვს გვჩუქნის, ბავშვი – შვილიშვილს, შვილიშვილი – შვილთაშვილს, ასე და ამრიგად, ერთმანეთის დასაჩუქრებასა და საჩუქრების გაცვლა-გამოცვლაში ვართ.
8516. ხვალინდელი დღის ყველას გვწამს, მაგრამ ეჭვი გონს გვიღრღნის და პერსპექტივა სათუოდ გვესახება.
8517. მხიარულება გულში განცდით წარმოქმნილ ნაოჭებს სიამით აუთოებს და ასწორებს.
8518. სიამოვნებასაც თავისი პასტულატი უნდა ახლდეს, რათა შენს მომავალს არ ავნოს.
8519. იმედის დაკარგვა ყველაზე დიდი უბედურებაა.
8520. ვეცადოთ მხიარულება არ მოვიკლოთ, გონიერების მხრის აბმით.
8521. გამდიდრების ტახტზე მოხვედრა ყოფის ყველანაირი სოროდან შეიძლება, თუ ბედი შენს მხარეზეა.
8522. ბედნიერება, ურთიერთობის კაიფის გარეშე, ბედნიერება არ არის.
8523. ბუნებაზე მორგება სჯობს, რადგან მისი შეცვლა ძნელია და არცაა საჭირო.
8524. როდესაც მიზეზი გაქვს, აღმაფრენა უდიდესი სიამოვნებაა, მაგრამ მასაც სადავის დაჭერა სჭირდება.
8525. ბრძენი კვდება, მაგრამ იმ იმედით, რომ მას გაიხსენებენ, და მისი სახელი დავიწყებას არ მიეცემა.
8526. სიხარულიც თავის ჩარჩოში ჩატევას და ჩარჩოს ზომის შერჩევას მოითხოვს.
8527. სიღარიბეს ხელისუფლების ცვლა არაფერს აძლევს, მბჟუტავი იმედის გარდა.
8528. საოცრებასაც ყავლი გადის, ვეჩვევით და თანდათან ფართომოხმარების მოსაბეზრებელი საგანი ხდება.
8529. სამყაროს უსასრულობას მხოლოდ გონების ჩარევით აღიქვამთ.
8530. ზოგჯერ დაუკმაყოფილებელი სურვილებიც გვაკმაყოფილებს, ჩვენი ოცნებებიდან გამომდინარე.
8531. სიკეთის უშედეგო მცდელობა და სიკეთის კეთება, სხვადასხვა სიხარულს განგვაცდევინებს და გაურკვეველ შედეგს გვპირდება.
8532. სხვისთვის ცხოვრებასაც ზოგიერთებისთვის კაიფი მოაქვს, რადგან ამ სახით ზრუნვა თანდაყოლილია იმ იმედით, რომ მის ახლობელს წაადგება.

8533. ბედი დაგვცინის, თუ ყოფა გვიჭირს, ხოლო თუ პირიქით, მაშინ ნაბოძვარს ვერ ვაფასებთ.
8534. სამართლიანობას იმდენად მატერიალური სარგებელი არ მოაქვს, რამდენადაც გვაამაყებს.
8535. კარგ აზრს ალიყურს არ აკადრებენ, თუ მას კარგი მენეჯერი და პროტექტორი ჰყავს.
8536. ბედს, შემთხვევისაგან განსხვავებით, გულახდილობა აკლია და არასოდეს არ ვიცით, რეალურად რას გვიმზადებს.
8537. დამარცხებულებისაგან განსხვავებით, გამარჯვებულებს არ რცხვენიათ, ეს გამარჯვება რაც უნდა უსამართლო და შემთხვევის წყალობა იყოს.
8538. დიდება ყველამ თავისი მცდელობით უნდა გამოთხაროს.
8539. დაუჯერებლის დაჯერება სურვილის ბატონობის შედეგია და არა – გონიერების.
8540. კეთილი ნიშნებია ის, რაც კარგად გვაქვს დაცდილი.
8541. სიცოცხლეს ჩვენი დანატოვრის იმედით ვიხანგრძლივებთ, თუ გაგვიმართლა და უკვდავგვყვეს.
8542. სასარგებლოს პოვნა უგნურებაშიც შეიძლება, თუ ტვინი „გადატრიალებული“ გაქვს და გონება გიჭრის.
8543. მართალია, ცრურწმენა სისულელეა, მაგრამ თუ გწამს. იმედს გმატებს.
8544. მომავლისაკენ სწრაფვას დღევანდელობის გონით დაჭიტლაყება სჭირდება.
8545. თავის მოსაწონებლად, რატომღაც, „ექსკლუზიურ“ ნივთებს ვიძენთ და არა – ცოდნას, გონიერებას.
8546. ნაჩუქარი ბედნიერება ირგვლივმყოფთა ვალსაც გადებს.
8547. დიდებისთვის ზურგის შექცევა და მასზე უარის თქმა თითქმის შეუძლებელია.
8548. გონიერება გაცილებით უკეთ ხედავს, ვიდრე ჭორებს აყოლილი თვალები და ყურები.
8549. მჭერმეტყველების ფრქვევა, ანალიზის გარეშე, თქვენს სიბრძნეზე ჯერ კიდევ არ მიუთითებს.
8550. ბედიც წესრიგის დამყარებას, უპირველესად ჩვენს თავში მოითხოვს.
8551. შორ მანძილსაც სიტკბო-სიყვარული მოაქვს, თუ სიძე-სიდედრი, რძალ-დედამთილი, ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობს.
8552. ნება უმთავრესია, რათა სურვილი დაიკმაყოფილო.

8553. გზაზე გამოცდილება გვაყენებს, საქმეს რქებით მიწოლა აკეთებს, ხოლო შედეგს მაინც ბედის ხუშტური აგვირგვინებს.
8554. კაიფს სხვისთვის საჭირო და დროული დახმარების გაწევაც იძლევა, რადგან ადამიანის ბუნება ასეთია.
8555. მოწყალებას გასცემენ, წყალობას იღებენ და შედეგს იმედით იმკიან.
8556. ზოგჯერ ყველაზე ჭკვიან აზრებს, საწოლში გამთენისას, დასვენებულზე ვიმკით, რაც ძილის წინ, ჩვენდაუნებლიედ დაღლილ გონებაში ჩავტენეთ.
8557. საკუთარი თავის შექება, წატრაბახება, თავის წარმოჩენა დღეს აუცილებელია, რადგან პიარი და რეკლამა მართავს სამყაროს, მაგრამ რა გზაზე გვაყენებს, ამას არავინ კითხულობს.
8558. ძალადობაც მისაღებია იმ შემთხვევაში, როცა საბოლოო შედეგის მიღწევის გარანტია არსებობს.
8559. გამბედაობა და რისკი ჩვენდამი ზოგჯერ ცუდად განწყობილ ბედს ბიშტს უჩვენებს და უკეთ განაწყობს.
8560. ბედთან დამეგობრებას ყველანი ვცდილობთ, მაგრამ შემთხვევა ამას ზოგჯერ უკეთ ახერხებს.
8561. მიზნის მიღწევა ყოველთვის ბედნიერებაა, მიუხედავად იმისა, შინაგანად აღვიქვამთ თუ არა.
8562. სიკეთეს არ აფასებენ, არ იმკიან, უბრალოდ, თანდაყოლილი ბუნება მისთვის გასაგებ კაიფს განიცდის.
8563. ბევრის „შეყვარება“ შეიძლება, მაგრამ მაინც შერჩევით ჯობს.
8564. სიცრუით დაკაწვრა ზოგიერთისთვის, რეკლამა და არსებობის პურია.
8565. გენიალური ნაღვაწი დავიწყებას არ ეძლევა, მაგრამ მას მაინც მოდა აკონტროლებს.
8566. ბედნიერებას ავყიები, მშიშრები და გაუტანელნი არ უყვარს და მათ ახლოს არ იკარებს.
8567. ზოგჯერ ცოდნა ხელს არ გვიშლის ბრიყვად გამოვიყურებოდეთ და ვერთობოდეთ.
8568. მიზანმიღწეული და გამარჯვებული არც თავს იმართლებს და არც მფარველს ეძებს.
8569. გაკვირვება გაკვირვებასვე იწვევს, როდესაც შენგან არ მოელიან და სათანადოდ არ გაფასებენ.
8570. კარგზე საუბარი სიტყვების მოძიებას არ საჭიროებს, გულით ნათქვამი ყველა სიტყვა ესადაგება.

8571. სიამოვნების აღქმასაც გონიერების პარამეტრები სჭირდება, რათა არ მოგვყირჭდეს.
8572. უმტკივნეულო დაცინვა ახლობლისთვისაც კი ნიჭს და ხელოვნებას მოითხოვს.
8573. ბედნიერი სიკვდილი არ არსებობს, მაგრამ რატომღაც, ამ უკანასკნელის შინაგანად გვწამს.
8574. სიავემ ფეხი რომ არ გაიდგას, შესატყვის დაცვას მოითხოვს, კანონის ძალით იქნება თუ მის გარეშე.
8575. ბედნიერება, როგორ მტკიცედაც უნდა აგვეკრას, ზურგს ისე შეგვაქცევს, ხელის დაქნევას და დამშვიდოდებასაც ვერ მოასწრებ.
8576. ფორტუნას აყოლილი ჭკუა დაწმენდას მოითხოვს, ხოლო შედეგი – დამაგრებას.
8577. ტრიუმფს ყველა ემონება, ეს დამსახურებით იქნება მიღწეული თუ პირიქით.
8578. შეცნობა-შეგრძნობის, სურვილი-მცდელობა, დაუმთავრებელ-დაუვიწყებელია.
8579. განათლება მორიდებულია, უვიცობა თავხედია, მაგრამ ყოფის მოსაწყობად რომელი აჯობებს ბედის და შემთხვევის ნომენკლატურაა.
8580. აზროვნება ხშირად იმასაც იპყრობს, რაც დასაპყრობად არ ემეტება და დაპყრობას არ ექვემდებარება.
8581. იყოს პირველი, ზოგს ამის მიღწევა თანამდებობრივი საფეხურების გაუვლელად უნდა ე.ი. სახლი – უფუნდამენტოდ.
8582. ზოგჯერ გულწრფელი შექება, ადგილის და დროის შერჩევით კარგი საჩუქრის სინონიმია.
8583. ბედნიერებაა, თუ შემთხვევა არ გვატყუებს და გვერდზე ჩუმად არ ჩაგვივლის.
8584. სიკეთის კეთება ერთი შეხედვით უაზრობაა, მაინც არავინ გიფასებს, მეორე შეხედვით სიბრძნეა, რადგან თავადვე გსიამოვნებს.
8585. ზოგს ინტუიცია დიდი ხნის წინათ სანაგვეში უნდა მოესროლა, მაგრამ მისი იმედი მაინც აქვს.
8586. ბედთან კამათი უაზრობაა, მას თავი უნდა დაუკრა, ჩაუსაფრდე და სასურველი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა.
8587. ხსოვნა დიდი იმედია სიცოცხლეგაცვეთილი გონიერებისათვის.
8588. სიხარულის ოდენობას ჩვენი გრძნობები განსაზღვრავენ და მომავალს იმედიანად უყურებენ.
8589. ზოგიერთი დაძალების გარეშე საკუთარი სიამოვნებისთვისაც არ იღვწის.

8590. ყველა ჩვენგანი სიამოვნების ნიღაბს თავისთვის ჩუმად ატარებს და მისი სახიდან ჩამოხსნა ხშირად არარენტაბელურია.
8591. ასაკს მიკედლება ახასიათებს, მბჟუტავი, მისთვის შეუცნობი იმედით.
8592. ძველი ცხოვრების „SMS"-ების გადათვალიერება ღიმილს გვგვრის და გვართობს.
8593. უვიცობასაც ფანატიზმი ახასიათებს, თუ გაუდის.
8594. მლიქვნელები, ილუზიონისტებივით, იმას გვთავაზობენ, რაც სინამდვილეში არ არსებობს.
8595. წყვილმა, ერთმანეთის სიყვარულის გახსენება, ვნების გადახალისებით უნდა დაიმსახუროს.
8596. გრძნობებს უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ მის ხმამაღლა ტირაჟირებას ვერიდოთ.
8597. ბოთლში ზოგი ბედნიერებას ხედავს, ზოგიც – სხვის უბედურებას, მაგრამ ამისათვის ბოთლი არავის „მოუსვრია" – ის ხომ არაფერშუაშია.
8598. იცხოვრო შენს ჭკუაზე, უფლებაა და არა – წყალობა.
8599. ბუნება, თავისი ყველანაირი გათავხედებით, მშვენიერია, საინტერესოა, დასაფიქრებელია, იმისდამიუხედავად, მოგვწონს თუ არა მისი „ექსტრემი".
8600. ყურადღება წვრილმანებით იწყება, წვრილმანებისგან შესდგება და იმედსაც დაწვრილმანება გვიცრუებს.
8601. ყველა მიზანი ძნელად მისაღწევი უნდა იყოს, თუ გვინდა თავი პიროვნებად ვიგრძნოთ.
8602. გატაცებაც დავაადებაა, რადგან ნებისყოფის მოთოკვა და მისი წარმართვა ჭირს.
8603. პატივის მიგებაც ულუფებით მიართვით, ასე აჯობებს.
8604. მრავალფეროვნებისკენ და საკუთარი თავის სიამოვნებისკენ მისწრაფება ბედნიერების გარანტიაა კვადრატში.
8605. ცნობისმოყვარეობა ინტელექტის მოთხოვნილებაა.
8606. ბედს შეუპოვრები, მომზადებულები, დასახული მიზნის და საქმის ფანატიკოსები უყვარს.
8607. ზოგჯერ ჩვენი ჩადენილი გადაცდენები, ასაკში თავადვე გვშურს და გვახალისებს.
8608. წინდახედულად საკუთარი თავის შეკურთხება, ზოგჯერ საკუთარ თავთან წამლიქვნელებაზე მეტია.
8609. იყო ბუნებით არისტოკრატი, გენეტიკურია, განგების წყალობაა. ის განსწავლას და შემთხვევის წყალობას არ ემორჩილება.

8610. მარადიული უასაკოა და მისი გამოცდა და ოპონირება მიუღებელია.
8611. ბედნიერების შეცნობას, სულიერების განცდები სულ ასკინკილათი უნდა დასდევდეს.
8612. შემოქმედისთვის სამყაროს „სიბრძნის ენციკლოპედიის“ ერთტომეულში მოხვედრა დიდი პატივია მის ხალხთან, ქვეყანასთან და ეროვნებასთან ერთად.
8613. ყველაზე დიდ საქმეს შემთხვევა მხარს უჭერს ან კვანტს უდებს, ასე, რომ წინასწარ რაც უნდა კარგად გათვალო შემთხვევის გვერდში დგომა, აუცილებელია.
8614. დაუზარებელი მხოლოდ აზრიანი შრომაა, რომელიც ყველა სიძნელეს გადალახავს და ბედსაც გვერდში ამოიყენებს.
8615. უმოკლესი გზა ბედნიერებისაკენ – „არ დაიდარდოა“.
8616. ბედი ყოველთვის თავში გვიკაკუნებს, რომ არ მოვდუნდეთ და საჭიროებისას მხარი აუბათ.
8617. „თითქმის მოგვარებულია“ ძალზე იმედიანი და სათუო სიტყვა, რომლის შედეგი ისევ უცნობია.
8618. იმედი, ოცნება, ის საკუთრებაა, რომელსაც წლობით ვაგირავებთ და როდის გამოვიხსნით არ ვიცით.
8619. ტალანტს არ შეუძლია ცხოვრების და ყოველდღიურობის იმდაგვარად მოწყობა, როგორც ჩვენი წარმოდგენით მას ეკადრება.
8620. დღესასწაულების, შეხვედრების, დროსტარების, დანიშნულებაა თანდაყოლილი და შეძენილი ზადისგან დროებით განთავისუფლება.
8621. მეტყველება, მხედველობა, სმენადობა, ყნოსვა, სიყვარული, აზროვნება, საოცრებაა, რომლის ტოლფასის შექმნა წარმოუდგენელია.
8622. ყველაფრის დაძლევა შეიძლება, თუ გონიერება, მოთმინება და ფორტუნაც თან გახლავს.
8623. მორცხვობასაც თავის პეწი აქვს და თავის ადგილს იკავებს გულის არეში.
8624. თუ ქალი გიყვარს და შენთვის ძვირფასია, მის უხასიათობასაც ეჩვევი და მისი უმიზნო მოთხოვნების აღსრულებასაც.
8625. თუ გსურს, რომ შენს გვერდით ბედნიერები იყვნენ, გავლენა და ხასიათი უნდა გაგაჩნდეს.
8626. რეალური ბედნიერება მხოლოდ ჩვენ უნდა მოვუტანოთ საკუთარ თავს, რადგან ნაჩუქარ-ნაანდერძებში ბედის ხელიც ურევია.
8627. ასაკში სანუკვარი გრძნობების შენარჩუნება ბედნიერება და განგების დიდი წყალობაა.

8628. სრულყოფის მიღწევა ძნელია, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რათა თავი აწმყოს შვილად ვიგრძნოთ.
8629. ქმრისაგან განსხვავებით, საყვარელს არჩევა სჭირდება, რათა აკრძალული ხილით დაქალებში თავი მოიწონო.
8630. იმედსაც ჯიუტი ხასიათი სჭირდება, ოღონდ განძრევით.
8631. გულია გონიერების ძრავა და არა – პირიქით, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.
8632. დღისით ყველაფრის გადატანაა შესაძლებელი, თუ ღამით ლოგინში თავს არ შევირცხვენთ.
8633. ყველა მდედრი და მამრი თავის მეწყვილეს ოცნების ფერებით ხატავს, რასაც რეალობასთან კავშირი არ აქვს.
8634. დასახული მიზნისკენ ლტოლვა, პატარ-პატარა მიღწევებით, იმედს გვისახავს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.
8635. მამაცობა და პატივმოყვარეობა მათთვის განკუთვნილი სადავეების დაჭერას მოითხოვს.
8636. ოცნებათა ასორტიმენტი ღამ-ღამობით უნდა შევცვალოთ, გადავახალისოთ და ახალს შევეჭიდოთ.
8637. როგორც სიავის, ისე სიკეთის მოტანა ყველას შეუძლია, გააჩნია, გონიერებით და ბედით როგორაა დაწიხლული.
8638. განზრახ რაღაცის მოგონება კარგი სურვილებით, ხშირად ყოფის აუცილებლობითაა გამოწვეული.
8639. თუ გსურს დაინახო და იწინასწარმატყველო, ანალიზის უნართან ერთად შემთხვევაც გვერდში უნდა დაგიდგეს.
8640. დღეს მეგობრად ინტერნეტიც შეიძლება ჩავთვალოთ, ყველაფერი გავანდოთ, დავაფიქსიროთ, თუ შენთან დასაკავშირებელ საიდუმლო კოდს არ გაამხელ.
8641. ალბათ, მომავალში მჭერმეტყველების ნოტები შეიქმნება, იმდენად დიდია მომხიბვლელად წარმოთქმული სიტყვის მნიშვნელობა.
8642. სასწაული ყოველთვის ჩვენს გვერდითაა, მაგრამ ვერ ვამჩნევთ, თუ თავად არ შეგვეხმიანა.
8643. დღეს ქორწინებაც შოუბიზნესის ერთ-ერთი სახეა რეკლამირებით, თავის გამოდებით, გატირაჟებით.
8644. წარმატებას თავისი ბარიკადები ეღობება, რაც წარმატებით დაძლევას მოითხოვს.
8645. ილუზიებით ნაკვები იდეა აუცილებლად ხელს რაღაცას გამოჰკრავს.
8646. ხშირად იმას ვერტფით, რაც გაგვიგონია და არა იმას, რაც გვინახავს და რაზეც წარმოდგენა გვაქვს.

8647. ბედის მოულოდნელ დარტყმებს, გონიერების აპერკოტით და ნოკდაუნით უნდა გავუსწორდეთ და იქნებ ქულებით მაინც დავამარცხოთ.
8648. სტილი ინდივიდუალური ყოფის კოსმეტიკაა.
8649. მზე იყო და დარჩება როგორც დედამიწის, ასევე მასზე მცხოვრებთა ბედის განმსაზღვრელი შემოქმედი.
8650. ბედნიერების კარზე მოდგომაც საჯაროდ უნდა აღვნიშნოთ, რათა „ჩვენი ბედის წყალი იქნებ ვინმეს გადაესხას“.
8651. იდეალებისათვის თავის განწირვა არ ღირს – არავინ დაგიფასებს, ისევ ჯობს მომდევნო თაობებს გადავულოცოთ, იქნებ რაიმე ხეირი ნახონ.
8652. სიცოცხლე უხარისხოდ და განუსჯელად ჩაგიქროლებს, თუ ნაოცნებარის მცირე ნაწილს მაინც არ აისრულებ.
8653. მოწონებას ასაკი არ აქვს, სანამ შენს წინ სასურველი პიროვნებაა.
8654. ვინც ბედის გადმოხედვის კმაყოფილია, მას ბედნიერების თაობაზე კრიტიკულ კითხვებს არ უსვამენ.
8655. ყველაზე ძნელია აუხსნელი არჩევანის გაკეთება.
8656. ბედნიერება გვიღიმის ან ზურგს გვაქცევს და ისიც თავის გადასახედიდან.
8657. პირველ რიგში, იმედი და დაპირებაა უღელის დამდგმელი, შემდგომ – მოდის ყოფის გუთნის გაწევა და „აცე-აცე“.
8658. შოუბიზნესი, მისდაუნებლიედ, დამიზნებულზე უკეთ უნდა ისროდეს, თუ უნდა „ხალხში გაერიოს“.
8659. ბედნიერება თავად ჩვენს წარმოდგენაში, ოცნებაში ინახება, იმალება.
8660. ეცადეთ სხვის შემთხვევას არ გადაეყაროთ და სხვისი ფორტუნით ხელი არ მოითბოთ, საყვედურებიდან ვერ ამოხვალთ.
8661. სურვილი და საქმე სხვადასხვა განზომილებაა პირველი ოცნებას მიეკუთვნება, მეორე შედეგის დღესასწაულია.
8662. ბედნიერება, ხელებდაკაპიწების გარეშე, კეთილდღეობის ფუჩეჩშია გახვეული.
8663. ქაღალდი შეიძლება იყოს შესაფუთი, ტუალეტის და იმ ინფორმაციის მატარებელიც, რომელზეც ბედი ჰკიდია.
8664. სიყვარულიც წვრთნას მოითხოვს, რათა მის სულიერებას ვნება მოერგოს და ხორცს შეერწყას.
8665. მიმზიდველობა, თავისი წილი სირცხვილის გალაღებასაც ახერხებს და თაყვანისმცემლების შეგროვებასაც.
8666. დღევანდელი სიკეთე თავდავიწყებული ოცნების შედეგია.

8667. ოცნებასაც გონიერების დაგროვება და სულის თავდავიწყებით შენთება სჭირდება.
8668. ბედნიერ დღეებთან შეხვედრასაც ხასიათზე ყოფნა შვენის.
8669. ზოგჯერ ბედის კაპრიზისაგან თავის დააღწევასაც ვცდილობთ.
8670. ყველა დღე უკეთესი „ხვადი წლის“ მოლოდინშია.
8671. აზროვნება და სიზარმაცე ერთმანეთს ვერ ეგუება, მაგრამ შიგადაშიგ ურთიერთგაცვლაზედ უარს არ ამბობენ.
8672. წინაპრებისაგან განსხვავებით, ხელები უნდა დავიკაპიწოთ, გონს მოვუხმოთ, იქნებ მომდევნო თაობებმაც ჩვენით იტრაბახონ.
8673. საკუთარ თავში უკვდავების მოძიებაც დიდი კაიფია.
8674. დღეს ბრიყვის სახელის მოპოვებაც ძნელია, იმდენად დიდი რიგი დგას თავის რეკლამირებისთვის მის ჩასადენად.
8675. დალხენილ ჭკუას გულის სიმკაცრე ვერ შველის.
8676. ბედნიერებასაც დროული გამოყენება სჭირდება, რადგან ფორტუნა როდის და სად დაგვიდებს ფეხს, არავის უწყის.
8677. ბედნიერების მოპოვებასაც თავისი დრო აქვს და კარგი იქნება, თუ მას დროულად მოვესწრებით და გონივრულად გამოვიყენებთ.
8678. დაუძალებელი მასლაათი, თავშეყრის გვირგვინია.
8679. სიმყუდროვის სამოთხის შექმნას სიცოცხლეშივე უნდა ვეცადოთ.
8680. ფანატთა უმრავლესობა სულით „იდიოტია“, მაგრამ საჭიროა, რათა კერპი შეამჩნიონ და დააფინანსონ.
8681. ხშირად თავიც უნდა მოატყუო, შეუძახო, წაემლიქვნელო, თუ გინდა შემთხვევას ხელი გამოკრა.
8682. არის ყველასათვის მოსაწონი ტყუილი, რომლის ჟღერადობით ყველა კმაყოფილია, ასე, რომ ამგვარა ტყუილზე თქმას: „მოკლე ფეხები აქვსო“, ვერ ვიკადრებთ.
8683. ბედნიერებაა, თუ რაღაცა სახეიროს კეთება გინდა და ახერხებ.
8684. ბედნიერებაა იმის შეცნობა, რაც რეკლამას და კარნახს არ საჭიროებს.
8685. სასიამოვნოა, როდესაც ზურგსუკან გაქებენ და ამას შემთხვევით იგებ.
8686. სიამოვნება ძალზე მარტივია, თუ მას გაბუქება-გართულებას არ მოუნდომებთ.
8687. ხშირად სიმართლეს იმიტომ კი არ ვამბობთ რომ საჭიროა, არამედ მისი გახმოვანება სიამოვნებას გვგვრის.
8688. სიცოცხლის მიზანია საკუთარი უნაკლობის და შეუცვლელობის წარმოჩენა საკუთარივე თავის წინაშე.

8689. წარმატებასაც თავის გაფრენა და ჭკუის გარეკვა სჭირდება.
8690. ცოდვილიც იმედით ცხოვრობს, რადგან წარსულმა თავი მოაბეზრა.
8691. სურვილს ნება არ უნდა უსწრებდეს, მაგრამ გააჩნია მსურველს.
8692. საკუთარი ნახელავით თავადვე გაკვირვება, უდიდესი ბედნიერებაა.
8693. დაჟინება ბედს ჩვენს კანდიდატურაზე აჩერებს.
8694. დღეს რატომღაც აწმყოს ვეჭიდებით, არც წარსულის გახსენება გვინდა და არც – მომავალზე ფიქრი. იმდენად აიშვა ტექნიკურმა პროგრესმა თავი, რომ მისი დაწევა, ჯერ-ჯერობით, ძალიან გვიჭირს.
8695. ძირითადი სურვილი სიცოცხლის ტკბილად და შენს გემოზე გატარების მცდელობა.
8696. ბედნიერებასაც ბარტყობა უყვარს, რითაც ბედნიერ ხალხს ამრავლებს.
8697. იდეალების შექმნას ზოგჯერ რეალობაც მხარს უნდა უბამდეს.
8698. ჩვენი ილუზიებიც სხვასთან შედარებით უკეთესია.
8699. ბედს არ ებრძვიან, უბრალოდ, ყოფის სხვა ლიანდაგებზე მის გადაყვანას ცდილობენ.
8700. ბედი ყველა ჩვენგანს თავის დაწერილ ჰიმნს გვიმღერის.
8701. იმედის დიაგნოზი ყველა წამალზე უკეთესია.
8702. ბედიც და შემთხვევაც თავიანთ მომსახურებას ჩვენდაშესამჩნევად ფასს ადებენ და როდის მოგვთხოვენ ვალის დაბრუნებას, არავის უწყის.
8703. ყველა დაუმორჩილებლობა ინტელექტის განვითარების შედეგია.
8704. საკუთარ შესაძლებლობათა გამოვლენა, პირველ რიგში, სიცოცხლის კვლავწარმოების მცდელობით უნდა გამოიხატოს.
8705. სურვილზე, ცნობისმოყვარეობაზე, მცდელობაზეა დამყარებული ამ სამყაროში ჩვენი ყოფის ავ-კარგი.
8706. გულის ტევადობა განსაზღვრას არ ექვემდებარება.
8707. ბედნიერებაა სხვისთვის ცხოვრებაც, ოღონდ თავის დაუვიწყებლად და სათანადო დაფასებით.
8708. სიმდიდრე თუ კეთილდღეობა? ალბათ, ეს უკანასკნელი ჯობს, უფრო მოსვენებული ხარ და ნერვებიც ნაკლებად გეშლება.
8709. ძველ ტანსაცმელს ალბათ იმიტომ ვინახავთ, რომ მასში ოდესღაც „ჩატევს“ იმედი გვაქვს.
8710. ფანატიზმი, ზომიერების ფარგლებში, სასარგებლოცაა და აუცილებელიც სიკეთის, საქმის, საკეთებლად.
8711. ფანტაზიის მოშველიების გარეშე შემოქმედების ნაყოფი ფუჭია.

8712. ინტელექტს თაყვანისცემა არ შველის, ის უნდა გამოვიყენოთ.
8713. ოცნებას სურვილს ვერ დაუშლი, ისიც გადაგვარდება.
8714. უცნაურობა მთელი სიცოცხლე თავგადასავლებით ცხოვრობს, მაგრამ ამ ახირებას ვერ ამჩნევს.
8715. ლეგენდა, თუნდაც ყურით მოთრეული, მაინც სასიამოვნო ასოციაციას იწვევს.
8716. ყველა სასაუბრო თემა საინტერესოა, თუ მას მჭევრმეტყველება გვაახლებს.
8717. სიცილი უმტკივნეულოდ სჯის უნიათობას.
8718. ფხიანი და კვიმატი აზრები ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს, განსაკუთრებით, თუ ჩვენ არ გვეხება.
8719. მთავარია, ჩვენთვის ბედის მიერ გაჭრილმა გზამ არ დაგვკარგოს, თორემ საკუთარ გზას თუ ზემოდან არ გაგვიმრუდებენ, როგორმე გავიგნებთ.
8720. ფანტაზია, ყოველთვის გონიერების კუნჭულში უნდა გვყავდეს დატყვევებული, რათა ტვინიდან დაუკითხავად არ გამოფრინდეს.
8721. ილუზიებით თამაშს რეალობასთან ხშირად ჩვენდაუნებლიედ მივყავართ.
8722. დანაყრებასაც სიამის მისაღები ადაპტირება ახლავს, რომელიც ხშირად საქმის საკეთებლად განგვაწყობს.
8723. სიდიადეს ყოველთვის უბრალოება ახლავს, გონიერების მცდელობით და სიკეთის კეთების სურვილით.
8724. ნაჩალიჩალი ბედიც არსებობს, თავისი სიხალასით და მეობით.
8725. საველე რომანს სუფთა გარემო ახლავს თან და არა – სუფთა სიყვარული.
8726. ბედნიერებას ხშირად მატერიალიზებით შეთბობა სჭირდება.
8727. ურყევი ბედნიერება არ არსებობს, რადგან ყველა ბედნიერება შიშით და მოულოდნელობებზე საფიქრალით არის დაკავებული.
8728. დიდების მოსაპოვებლად ყველა ჩვენგანმა თავისი „რუბიკონი“ თავადვე უნდა გადალახოს.
8729. სასურველ შედეგს რისკის გაწევის ცოდნა სჭირდება და არა ცარიელი გამბედაობა.
8730. კადნიერება, გამბედაობა, შეუპოვრობა, იმედი, პრაქტიკულად ზოგჯერ იმ შედეგს აღწევს, რომლის მიღება თეორიულად, სკეპტიციზმით, თითქოს შეუძლებელი იყო.
8731. კუჭი და გონიერება მუდამ საკვებს უნდა ითხოვდნენ, მაგრამ ნახევრად მშივრები უნდა დავტოვოთ, რათა სხეულმა და გონიერებამ სიკეთის საკეთებლად იღვაწონ.

8732. კარგი და ცუდი იმდენად ინდივიდუალური და პირობითია, რომ საბოლოო პასუხს არც ასაკის დაღვინება იძლევა.
8733. ბედნიერებისთვის, მიზნისთვის, სიყვარულისთვის, უნდა იბრძოლო, რათა იმასაც წაადგეს, ვისთვისაც იბრძვი.
8734. ჭკუა სახელის დაგდებაზე ფიქრობს, მაგრამ გონიერება რა ოცნებებს ებღაუჭდება, არავის უწყის.
8735. ყველა ჩვენგანს უჩალიჩო ბედის წყალობაც აქვს, რომელსაც უნდა ვეთაყვანოთ და მოვუაროთ.
8736. ბედს გონიერებაზე მეტად შემართება არ გულზე არ ეხატება, რადგან მასაც თავისი ამბიციები აქვს.
8737. ერთგულებას ვერც სიმამაცე შეედრება და ვერც ეშმაკობაზე აწყობილი ტვინი.
8738. ხშირად ენა უფრო უფრთხილდება თავს, ვიდრე – პირიქით.
8739. ზოგს ძალზე მწარე და მახვილი ენა აქვს და მისი დემონსტრირების საშუალებას ხელიდან არ უშვებს.
8740. გულმოდგინეობას, სიბეჯითეს, გულუბრყვილობაც ახლავს, რადგან ჰგონია, რომ მცდელობას უსათუოდ დაუფასებენ.
8741. ნიჭს ასპარეზის არეალის გაფართოება სჭირდება და არა – წაყრუება და ფეხის დადება, რადგან, საბოლოოდ, საერთო საკუთრება ხდება.
8742. სიკეთის მთესველს გაცილებით მეტს სთხოვენ და მის შესაძლებლობებს არად აგდებენ.
8743. მტრისაგან კეთილშობილებას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ გონიერი მოწინააღმდეგისგან დასაშვებია.
8744. მთავარია ერთგულება, შემდგომ მოდის გამბედაობა, გონიერება, სიყვარული.
8745. აზროვნებისთვის ყურისგდება და შემართება იმიტომაა საჭირო, რომ სასიკეთოდ ნასროლი ქმედება უკან ვნების მიყენებით არ შემოგვიბრუნდეს.
8746. დარწმუნების უნარი დიდი ნიჭიცაა და შედეგიანიცაა.
8747. საქმიანობა, რომელიც გღლის და ამ დაღლას სიამოვნება არ მოაქვს, უნდა შეეშვა.
8748. შემთხვევას ყველანი ვუსაფრდებით, თუ სადმე გამოჩნდა.
8749. წინასწარ რომ ჩვენი ბედი გვცოდნოდა, იმასაც რაღაცას ვუხიმანდებდით.
8750. ბედნიერებისთვის სურვილის ასრულება კი არ არის მთავარი, სურვილის მცდელობით მოპოვებაა.

8751. ყველა ოცნება, იდეა, იმედი, სულიერების შესაფუთი მატერიაა, რომელსაც აზროვნება ებღაუჭება.
8752. იმედს და ოცნებას თავისი მუხრუჭები უნდა ჰქონდეს, თუნდაც მცირე ნაწილი რომ რეალობად იქცეს.
8753. ბედნიერება ოცნებების და სურვილების აღსრულების სხვაობათა შესატყვისად განისაზღვრება.
8754. ბედნიერება ეს ყველაფერია, თუ შენით გაკვალულ გზაზე დადიხარ და დასეირნობ.
8755. ბედნიერებაა, როდესაც შენით ვიღაც ამაყობს და უყვარხარ.
8756. ოცნებაში ეჭვი არ უნდა შეგეპაროს, რაც უნდა აუხდენელი გვეჩვენოს.
8757. ვისწავლოთ ოცნების ფასი და მისი სინამდვილედ ქცევის შესაძლებლობა.
8758. შთაგონება, ნატვრა, წარმოდგენა, ოცნება, ადამიანის არსებობის განუყრელი ნაწილია.
8759. როდესაც ძილის წინ, ოცნების შელამაზებით ჩვენი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთზე დავფიქრდებით, ხშირად ეს უამრავ სიამოვნებას განგვაცდევინებს.
8760. ქალის რაციონალური შეყვარებაც ხელოვნებაა, როდესაც წინასწარ საზღვრავ აქედან რა გამოვა და გამოდნება, როდესაც ცხოვრება მოუწყობელია და ყველაფერი წინა გაქვს.
8761. სურვილების და რეალური ოცნებების გარეშე დარჩენილი ადამიანი კლინიკის პაციენტია.
8762. დღეს სიახლენი, გამოგონებანი, უპირველესად, ჩვენს ოცნებას კვებავს და ახალი აღმოჩენებისკენ უბიძგებს.
8763. ალბათ, ნაოცნებარიდან რაღაც-რაღაცების მიღწევა შეიძლება, თუ შეუპოვრობა გვეყოფა და შემთხვევაც გვერდით დაგვიდგება.
8764. საკუთარი სახლი ბედნიერებაა, მაგრამ შენი ცოლის ნაოცნებარი სახლი ამქვეყნად და იმ უბანში, სადაც მას უნდა, ბედნიერებაა კუბში.
8765. ჩვენი კეთილისმდომის დაწინაურებაში, ჩვენი ოცნების, „ნეტას“, ნაჩალიჩევიც არის ჩადებული განგების ნებით.
8766. მარადისობასაც ჩვენი ოცნებების უდარდელობა აწუხებს.
8767. მესამე განზომილებაა, როდესაც სხვათა კერპებს შენი ოცნებით აცხოვრებ.
8768. ჭკუა, ოცნება, ფიქრი, მცდელობის მიუხედავად, სინონიმებად არ გამოდგება.
8769. ზოგჯერ იმედი რეალობის გარეშე თავს უკეთ გრძნობს და ხარობს.

8770. ამაყად დაქორწინება განუსჯელი სიამოვნების მოზიდვაა, ოცნებით.
8771. შეჩვეულ ილუზიებს ძნელად ვემშვიდობებით, რადგან მაშინვე უგუნურად გატარებული წლები თავს წამოყოფენ.
8772. ფანტასტების იმათ შურთ, რომლებსაც წინხედვის უნარი დასაჭურისებული და დაქვეითებული აქვთ.
8773. ფიქრი დამღლელია და მოსაბეზრებელიც, თუ შედეგს არ იძლევა.
8774. საკუთარ თავზე წარმოდგენა ოცნებითაც უნდა ვიქონიოთ, რათა დროის გათავხედებას ავყვეთ და ცხოვრებას არ ჩამოვრჩეთ.
8775. თვითმფრინავი სწრაფად გადაადგილების საშუალებაა, მაგრამ ოცნების გაფრენას ვერ სჯობნის.
8776. ყველაზე ძნელია საკუთარი თავი იმ ნაფიქრალის საზღვრებში ნახო, რომელშიც შენ ინატრებდი.
8777. საკუთარი ილუზიები ყველა ასაკში ოცნებით უნდა დავაკრედიტოთ.
8778. წარმოსახვით ციხე-სიმაგრეთა აღება ძილის წინ, ყოველღამეულად სიამოვნებას გვანიჭებს.
8779. ილუზია, იდეალების წარმოებისთვის, ჭკუის დაბეგვრას ითხოვს.
8780. ოცნებით ყველას გვსიამოვნებს იმის კეთება, რაც რეალობაში შეუძლებელია.
8781. უძილობა ძალზე დამღლელია, თუ ის ფიქრით და ოცნებით არ არის დამუხტული.
8782. ფიქრით და იმედით ყველა კონტინენტი ჩვენი ოცნების ხორცშესასხმელად გამოდგება.
8783. ადამიანს თავისი ოცნების დაფასებაც უჭირს და რეალიზაციაც და იმითაც კმაყოფილია, რომ ამ მცდელობას არავინ უშლის.
8784. რაც ჩვენ ძილის წინ, ოცნებით ქალები „გაგვიიმასქნებია“, ყველას რომ შვილები გაუჩნდეს დიდი ბანკროტები ვიქნებოდით, თუ ალიმენტს მოგვთხოვენ, თუ არა და – ყველაზე „მუქთახორა“ მდიდრები.
8785. ყველანაირი ფანტაზია შემოწმება-გადამოწმებას, ანალიზს, მოითხოვს, რადგან ბევრი მათგანი რეალობის ნაშობია.
8786. ფანტაზიის მოვალეობაა ყველა სახის ჯურღმული სასახლედ აქციოს.
8787. საინტერესო საკითხზე ჭორაობა ქმნის ლეგენდას, რომლის ხარისხი და სიმართლესთან მიახლოება ჩვენს ფანტაზიაზე და ინტელექტზეა დამოკიდებული.

8788. ლამაზი ქალის ტირაჟირება, ოცნებითაც კი, სიამოვნებას გვგვრის.
8789. დანაშაულია ისიც, რაც სიზმარში ან ოცნებაში ეჭვის და შურიანობის შედეგად ჩაგიდენია.
8790. ოცნების და რეალობის 25% რომ ერთმანეთს შეახვედრა, ადამიანის ბედნიერებისთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა.
8791. ოცნება ის სანუკვარი ელექსირია, რომელიც ყველა ასაკს ამშვენებს და თავისი კაიფით იღვწის.
8792. ოცნებებისგან თავის შემსუბუქებაც თავისებურ ნიჭს მოითხოვს.
8793. ოცნებების გაბახებას და მასზე ხელის აღებას სინდისი არ გპატიობს.
8794. ყოფა თავის ოცნებას ეხმაურება, ეთამაშება, ილუზიების სერიოზულად სჯერა და მისი რეალიზაციის მცდელობაშია.
8795. მოგებით ტკბობა ძველი ოცნებების დამსახურებაა კვადრატში.
8796. ოცნებით გახსენებულ ძველს შემდგომ გასახსენებელი კარგი ახალი კონკურენციას ვერ უწევს.
8797. განუხორციელებელი ოცნების, სიზმრების, ხატვის გარეშე, ცაზე ვერც ცისარტყელა იკაშკაშებდა და ვერც ჩვენ მიერ გონით წარმოდგენილი „საოცრებები“.
8798. ყველა ჩვენგანი საკუთარი ოცნების მეორე ნახევრის პოვნას ვცდილობთ, მაგრამ უშედეგოდ და იძულებულნი ვხდებით, თავს კორექტივის უფლება მივცეთ.
8799. სამწუხაროდ, ჩვენ ვეღარ ვაკონტროლებთ ხარისხიანად იმას, რაზეც ადრე ვოცნებობდით.
8800. დღეს ზღაპრის, ნაოცნებარის, აღსრულების მეტი შანსია, ვიდრე უტოპიის, რადგან პირველი ფანტაზიის ნაყოფია, ხოლო მეორე მეცნიერების დაწუნებულ-გადამოწმებული არგუმენტების.
8801. საზოგადოებაში უტოპიისთვის ადგილი თანდათან მცირდება, მაგრამ ჭკუის ზელვა მაინც არ ისვენებს.
8802. ცოდნის და ოცნების გაერთიანების გარეშე აპლოდისმენტების მოპოვება ძნელია.
8803. იმედს, ფიქრს, ოცნებას, წამქეზებლად ნიჭი და დროის მოძახილი გრძელდება.
8804. ნატვრას, სურვილს, მცდელობასაც, შეღავათები სჭირდებათ, რადგან მაქსიმალიზმი არც ოცნებაში ამართლებს.
8805. რეალური ფანტაზია კარგია, უაზრო – შემაწუხებელია.
8806. ვინც არ ოცნებობს, ის არც ცოცხლობს – მხოლოდ არსებობს.
8807. ოცნების დევალვირება საშინელებაა, ხოლო ოცნებაზე ხელის აღება საშიშროებაა კვადრატში.

8808. თეორიულად ინტერესის, ოცნების მიზნის, გარეშე ცხოვრება უაზრობა, მაგრამ პრაქტიკულად გრძელდება.

8809. დღეს ჩვენ ისეთ განვითარებულ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ ოცნების იდუმალებაც კი წართმეული გავქვს, მაგრამ გვჯერა, რომ დროთა განმავლობაში თითქმის ყველა ჩვენგანის საიდუმლო ნაოცნებარს ახდენა უწერია.

8810. დამარცხებული ხალხი ლეგენდებით და ზღაპრებით უნდა იკვებოს, თუ უნდა მკვდრეთით აღდგეს და სახელი მომდევნო საუკუნეებს შემოუნახოს.

8811. ოცნება ღალატს ვერ იტანს, განსაკუთრებით, ბავშვობისას.

8812. ფილოსოფიამ არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ უნდა დატოვოს, რადგან ინფორმაციის უქონლობა მან ფანტაზიის უნარით უნდა შეავსოს.

8813. ყველაზე ძნელია როგორც წარმოსახვითი, ასევე რეალობას მიახლოებული ილუზიების მსხვრევა, რადგან განგებამ, ჩვენმა ბედისწერამ, დღეს ასე ისურვა.

8814. ასაკის მატება ფანტაზიების მატების უკუპროპორციულია.

8815. ყველანაირი ოცნების კვერთხი გვაქვს მოყუჩებული ოქროს ზარდახშაში და იმედით ვუყურებთ.

8816. მეოცნებე ოპტიმისტი სულელი არ არის, მაგრამ კლინიკა ამაზე მიუთითებს.

8817. ილუზიები თეორიულადაა ბედნიერების მომტანი და არა – სინამდვილეში.

8818. ნაოცნებარ, ნანატრ, ქალთან ოჯახის შექმნას რა სჯობს, ოღონდ ოცნებით.

8819. ოცნებით სახლის შენებაზე და ყოფის მოწყობაზე ადვილი არაფერია, არც სამშენებლო მასალა უნდა და არც მშენებელთათვის განკუთვნილი ფული.

8820. იმისთვის, რომ მომავლის ოცნებაში აზრიანად იხეტიალო, აწმყო უნდა დაამუღამო განათლებით და ფანტაზიით.

8821. გონიერების ალქიმიას ოცნებით ძილის წინ და ძილის შემდგომ თავისებური ბედნიერება მოაქვს.

8822. გემოვნებასაც თავისი ფერი აქვს, ყოფის შეცნობით და ოცნებათა გაჯეჯილებით.

8823. მონობა დიდი ხანია გადავარდა, მაგრამ ზოგი დღესაც თავისი ოცნების და არარეალობის მონაა.

8824. ცოდნას, დიდებას, სიყვარულს, ყველა ოცნებით ეტრფის გამონაკლისის გარეშე.

8825. ზოგჯერ ჩვენი ოცნებით შეთხზული ლეგენდით თავს ვიტყუებთ, მაგრამ ძალზე გვსიამოვნებს მასზე ფიქრი, განსაკუთრებით, ძილის წინ.
8826. ნერვებაშლილობა ოცნებათა დაუკმაყოფილებლობის ბრალია, რაღაცაზე და ვიღაცაზე გადაბრალებით.
8827. ხშირად იმას ვიგებთ, რაც ჩვენ გვინდა, ხოლო ჩვენთვის გაუგებარის გაშიფვრას ოცნების მოშველიებით ვცდილობთ.
8828. რეალობისაგან განსხვავებით, ლამაზი ტყუილი მხოლოდ შემოქმედისგან არის მისაღები და ოცნებით გასათავისებელი.
8829. დაქორწინება და ყველა ოცნება წარმავალი და ზღაპარი ხდება და იწყება ყოველდღიურობა, ურთიერთშერწყმით და თავის მოქაჩლებით.
8830. პოპულარობა საბოლოოდ არ ამართლებს, არც ნაოცნებარი ბედნიერება მოაქვს და მშვიდი ცხოვრებისთვის საბოლოოდ არ გამოდგება.
8831. ახალი სამყაროს შექმნაზე ოცნებითაც კი არავინ ფიქრობს, იმდენად გაუგებარი და შეუცნობადია დღევანდელობა.
8832. სურვილი, ოცნება, გვმოძღვრავს და სიცოცხლის ძალას გვმატებს.
8833. სიხარული იმ ამბის ნაყოფია, რომელზეც ფიქრობ და ელი.
8834. ფანტაზიის და ორიგინალობის შემოტევას არ უნდა ვერიდოთ – სიცოცხლის ელექსირია.
8835. იმედს მოთმინების და ამოუწურავი ფანტაზიის შეხახვისთვების უნარი გააჩნია.
8836. უსაქმურობა ადამიანსაც ღუპავს, ოცნებასაც და მის მახლობლად მყოფ იმედსაც.
8837. ზოგჯერ ცრუ და მოგონილი სიზმრებით კაიფი მიუღებელი და დანაშაულია.
8838. ოცნების არ უნდა გვეშინოდეს, რაც უნდა მიუწვდომლად და დროისთვის შეუფერებლად გვეჩვენებოდეს.
8839. ადამიანს მატერიალიზებული ოცნება აძლევს საშუალებას ჩანაფიქრს შეუტიოს და განახორციელოს.
8840. წარსულის დაბრუნება მხოლოდ ოცნებით შეიძლება, ისიც დროებით, წამის გაელვებით და თავის გამოდებით.
8841. კოსმოსის, ოკეანის, მატერიკის „წინააღმდეგობა“ დაძლეულად უნდა ჩაითვალოს თუ საშუალება გვეძლევა მასში ვიმოგზაუროთ, ვიოცნებოთ, კაიფი განვიცადოთ.
8842. ყველა ოცნების ციხე-საიმაგრის ამღები უეცრად მოვარდნილი სიყვარულია.

8843. მარტოოდენ ფიქრით თავის დარწმუნება ძნელია, თუ მას ოცნება მხარს არ უმშვენებს და შემართება გვერდით არ უდგას.
8844. სწორ გზაზე დაყენებული ოცნებაც აღსრულებადია.
8845. რეალური იმედის მოპოვებაზე ძვირფასი არაფერია.
8846. პერსპექტივა ის მატერიალური ოცნებაა, რომლის რეალიზებისთვის არ ვდუნდებით.
8847. ოცნება გვაიძულებს ცხოვრებას ფეხი ავუბათ, მოვერგოთ და სურვილები ავისრულოთ.
8848. გრძნობები და მსოფლმხედველობა ადრე თუ გვიან ნაგვიანდებიან, დევალვირდებიან, რადგან რეალობა და ოცნება სხვადასხვა გზაზე გვაყენებს.
8849. მიუწვდომელზე ოცნება ზოგისთვის ბედნიერებაზე მეტია.
8850. შეუძლებელია დაიბადო ადამიანად, თუ პასუხისმგებლობა ოცნებით მაინც არ გაკისრია.
8851. ზოგჯერ რეალობასთან გამოგონილი ახლოსაც ვერ მივა და აქ სცენარის ავტორის უსუსურობა არაფერშუაშია.
8852. ოცნება და წარმოსახვა მარად იყო და არის ადამიანის ცდუნების წყარო.
8853. წარმოსახვა მისთვის შეუწვდომელს უაზრო ფასს ადებს.
8854. ნაყოფიერი შრომის შემდეგ დასვენებას ოცნებისკენ ნეტარებით მივყავართ.
8855. ჩვენი გონებისთვის მუდმივი საყრდენი ჩვენივე ნაოცნებარია.
8856. ყველა ოცნება, რაც სამოქალაქო ომს იწვევს, სიკვდილის ღირსია, რათა ნაოცნებარი სიკეთე სისხლისღვრაში და ქვეყნის ეკონომიკის ნგრევაში არ გამოიხატოს.
8857. მიწიერი ტკბობა უფრო შეუმჩნეველი რჩება, ვიდრე ზეციური, რადგან იქ ოცნებით დანავარდობ.
8858. ცხოვრებას ყველანი ჩვენი ოცნებით ვეთამაშებით.
8859. ცხოვრება წარსულის მომავლის იმედით გამოსწორებაზე ოცნებაა.
8860. ბავშვური ოცნება ან გვავიწყდება ან სხვა განზომილებაში გადადის.
8861. სიკვდილის შემდგომ რა იქნება, ჩვენი მეოცნებე „ბაითის“ მოკრძალებული იმედის გარდა, არავინ უწყის.
8862. ოცნება, მოგონება, იმედი, ჩვენი ყოფის ყოველდღიური თანამგზავრია.
8863. იმედსაც თავისი ალგორითმები აქვს და მის სამომავლოდ ამოხსნა – დაპროექტებას გონიერების ოცნებით გარჯა და განსჯა სჭირდება.

8864. თავს ოცნება გვატყუებინებს და არა – გონიერება.
8865. სულს აზრთა ფუფუნება და მისთვის განკუთვნილი ოცნების ამოუწურავი ლიმიტი არ ასვენებს.
8866. არაორდინალური მიზნები, ოცნებები, ამოცანები, უფრო ადვილი მისაღებია, რადგან თავისი სიახლით, ორიგინალობით, სხვებსაც აღაფრთოვანებს.
8867. ოცნებას არ ღალატობენ, იმისდამიუხედავად, მას ლელო გააქვს თუ არა.
8868. ჩვენი ოცნებების უმეტესობა სასიამოვნოდ აუხდენელია.
8869. ოცნების გათავხედებამ „ცოხნის“ ფილოსოფია უნდა დაგმოს და ციფრების ანალიზის შესაძლებლობები გაითავისოს.
8870. ოცნებით ყველა შესაძლო თანამდებობა ხელთ გვიპყრია და მისი განუმეორებელი მსახურნი ვართ.
8871. ოცნება თავის ეპოქას უსწრებს, მაგრამ მის პოსტულატებს ემორჩილება.
8872. ჭკუა ოცნების, დასახული მიზნის მიღწევის, საწინდარია.
8873. ზოგჯერ სულის გაჯეჯილება ბევრ ჩვენს სანუკვარ ოცნებას ამუნათებს და ამშვიდებს.
8874. საკუთარი ოცნებისთვის მიზნის დასახვა რატომღაც გვიჭირს.
8875. სამყაროს შეცვლა ადამიანს ოცნებითაც არ ძალუძს.
8876. დაკვირვებული თვალის ფანტაზიის აღმავალ უნარს ვერც ერთი გონიერება ვერ შეედავება.
8877. იმედს და მახსოვრობას, ზოგჯერ, ფანტაზიას შევაზელთ და თავს სიამით ვიტყუებთ.
8878. ოცნება, იმედი, ადამიანს ახალისებს და მომავალს თავდაჯერებით უყურებს.
8879. გული ოცნების შვილია, გონიერება – აწმყოსი, ხოლო სული მარადისობისკენ მიილტვის.
8880. ადამიანის მიზანია წარმატებით მოღვაწეობა, რაშიც ფანტაზიის უნარიც მხარს უნდა უჭერდეს.
8881. ქორწინება ხშირად უიღბლოა, რადგან წყვილთა გამოუცდელ, მოჭარბებულ, ოცნებებს განგებამ რატომღაც ცივი წყალი აპკურა.
8882. საუკუნეთა გამოცდილება მომავლის იმედს ოცნებით გვიტოვებს.
8883. არარეალური ოცნების ასრულებაც ზოგჯერ შესაძლებელია.
8884. სასურველის დაჯერება ჩვენი ოცნების პერსპექტივაა.
8885. ოცნებას არც ეხუმრებიან და არც ერკინებიან, ხშირად უარყოფით შედეგს იძლევა.

8886. მეცნიერება ოცნების ვარაუდია, გათვლით და შედეგის მიღწევით.
8887. ჩვენი ოცნება მარად სასწაულთანაა კავშირში.
8888. ბუნების კიბის ქვეშ შეძვრომა და მის მოუკრებავში ხეტიალი, ყველა მეცნიერის ოცნებაცაა და ვალიც.
8889. იმედი ყოველთვის „იმარჯვებს“ გამოცდილებაზე, სანამ შესწევს ფანტაზირების და ფიქრის უნარი.
8890. საკუთარი თავის წინ უაზრო ოცნებებით სირბილს სიკეთე არ მოაქვს.
8891. სიღარიბე, იმედის გარეშე, დიდი ხნის წინათ მიმართავდა ევთანაზიას.
8892. ოცნებაც ხშირად რეალობას და სინამდვილეს ანგარიშს უწევს და ემორჩილება.
8893. ხშირად არარეალური ოცნებაც „მსხვერპლის შეწირვას“ ითხოვს.
8894. იმედი მიზანზე განცხრომით ფიქრია.
8895. იუმორი თუ დროის გამოცდილებას უძლებს და პოპულარულია, ის ცხოვრების რეალობიდან ნაჟური ნაღვაწ-ნაოცნებარია.
8896. იმედისთვის დაკარგული არაფერი არ არის, მათ შორის, იმქვეყნად უდროოდ წასულებთან შეხვედრაც.
8897. საწყისი ქმედება მომავალს ჭვრეტს ოცნებაზე ხორცშესხმით.
8898. ფანტაზიის უნარს, ყველაზე უკეთ, ფილოსოფია ესადაგება და ეგუება.
8899. ოცნებებიც კი გონიერების საცერში უნდა გავატაროთ, რათა ნანატრი განხორციელდეს და ადამიანებს სარგებლობა მოუტანოს.
8900. არაორდინალური ოცნების განხორციელების უნარი, უდიდესი ნიჭია.
8901. ზეციურ სატრაპეზოში მოხვედრას ყველანი ვცდილობთ, ჩვენი ოცნების გადასახედიდან.
8902. ჩვენ მუდამ იმის ძიებაში ვართ, რაც ჩვენთვის უცხოა, ხოლო ოცნებისთვის ასე ახლო და სანატრელია.
8903. ყველა ოცნებას ახდენა არ უწერია, მაგრამ ერთიც რომ ახდეს, უკვე ბედნიერი ხარ.
8904. ოცნების მიზანია სხვას სჯობდეს, ცხოვრებას ასწავლიდეს, ყოფის „ფორას“ აძლევდეს, თავისი გადასახედიდან.
8905. დროში ოცნებით სეირნობა გონიერების სივრცის ათვისებას არ ნიშნავს.
8906. ოცნებით ბედთან გათამაშება ადვილია, მიზნის დასახვა-მიღწევაა ძნელი.

8907. ჰორიზონტი ოცნების ის კაიფია, რომელსაც როგორც არ უნდა მიუახლოვდე, მაინც გშორდება და შენი არ არის.
8908. ოცნებას გაფრენა არ უნდა აუკრძალო, მაგრამ გონიერებას მისთვის დასაფრენი ადგილი ყოველთვის გამზადებული უნდა ჰქონდეს.
8909. ფიქრი ოცნებებით ლამაზდება და ჩვენს გადაწყვეტილებას მეტ ძალას ჰმატებს.
8910. ხშირად მიუღწეველს ვეთაყვანებით და ბედნიერებად ვთვლით წარმოსახვით მის გვერდით ჩავლას.
8911. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ ჩვენი ოცნების მატერიალიზებას, ის მაინც წამის გაელვებაა.
8912. ოცნების საზღვრები შეუზღუდავია.
8913. სულიერი კატასტროფის შემდგომ ოცნებები გვეწყება, თუ მას რაიმე რეალური დასაყრდენი აქვს.
8914. იმედი ჩვენს ფანტაზიაზე და გარეშეთათვის ნიშნის მიგების ოცნებით მცდელობაზეა დამოკიდებული.
8915. თუ საქმე არ გამოგვდის, ვეცადოთ ცხოვრება მოქარგული ოცნებებით გავატაროთ.
8916. ჩვენს სიცოცხლეს დაღად აჩნდება ოცნების ბზარები, დროის გაყვანით და მიდგომ-მოდგომით.
8917. ერთი შეხედვით, ყველა სულელური ოცნება აღსრულებადია, თუ ცდას არ დავაკლებთ.
8918. ოცნების დიდი მოქანდაკე გონებაა, ხოლო მის წარმოსაჩენად ენის გალესვაა საჭირო.
8919. არაფრის კეთებაც გარკვეულ დრომდე და მიჩვევამდე დიდი ბედნიერებაა, თუ ოცნებითაა შეფუთვნილი და წინაპართა ფუძის წარმოჩენაზეა დაყრდნობილი.
8920. ყბედობას ზარალის მეტი არაფერი მოაქვს, მაგრამ თავსაც ვერ ვანებებთ, იმდენად ეხმაურება ჩვენს ფანტაზიას, ოცნებებს.
8921. ოცნებაც მასობრივი ფსიქოზია, ოღონდ დაკვალიანებული აფექტით და შესაძლო ეფექტით.
8922. სილამაზის აღქმას დაფარული გრძნობა სჭირდება, რადგან ისიც წარმოსახვითი და შენი ოცნების გარანდვის ნაყოფია.
8923. ადამიანს ბუნების სილამაზის მთლიანობაში წარმოდგენა ოცნებითაც უჭირს, რადგან ის განუმეორებელია.
8924. ადამიანის ჩანაფიქრის, ოცნების, მიზნის, გარკვეული ნაწილი, ადრე თუ გვიან, მაინც ახდება, დღეს რაც უნდა უცნაურად გვეჩვენებოდეს.

8925. უძილობა ოცნებით „საქმის კეთებაა“ საკუთარი შესაძლებლობების გაფეტიშება-გადახედვის ხარჯზე.
8926. ილუზიები გვაიძულებენ, უნაცვალგებოთ ვტანჯოთ ჩვენი ოცნებები, მიზნები, შესაძლებლობები.
8927. ოცნება, იმედი და ბედნიერებისკენ სწრაფვა უკვდავია.
8928. ხშირად, ძილის წინ, ადამიანი თავის მომავალზე ოცნებით და არა აზროვნებით ძალადობს და შედეგად სიამოვნებით იძინებს.
8929. ოცნებასაც თავისი გასამართლებელი ციფრების მოტანა სჭირდება.
8930. „ოქროს თევზის“ დაჭერასაც იმედში, ოცნებაში, შემართებაში, შეზელილი სატყუარა სჭირდება, რათა ბედს ხელი გამოჰკრა და „მე“ წარმოაჩინო.
8931. ოცნების და იმედის ადგილი ადამიანს ყოველთვის დატოვებული აქვს, მაგრამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ამქვეყნიური ყოფა აქვს შეზღუდული.
8932. შედეგი ხშირად მიზანს ვერ უტოლდება, მაგრამ იმითაც ვკმაყოფილდებით, ნაოცნებარს რაც გამოვტყუეთ.
8933. ოცნებას ვერასოდეს დავეწევით, იმდენად უცნაური და გაუმაძღარია.
8934. თავიდან ახალგაზრდობას ცხოვრების მიმართულება არ სჭირდება, ისედაც თავს კარგად გრძნობს, მართალია, ამბიციური ოცნებით, მაგრამ ბედნიერად.
8935. ჩვენი ოცნებების და მისწრაფებების „ქარის წისქვილები“ მუდამ სხვა პლანეტაზეა და მიუწვდომელია.
8936. ძილის წინ ყველა ჩვენი წამიერი გატაცება, ოცნება, უნდა შევაგროვოთ, მივენდოთ და ასე ვიცხოვროთ-ვისიამოვნოთ.
8937. ზოგჯერ, როდესაც საკუთარ თავს სხვას ვადარებთ, ჩვენი ოცნების მოთხოვნებთან შედარებისა გვრცხვენია.
8938. გემოვნება სუბიექტურია, ოცნებაც, მაგრამ ძნელად განსახორციელებელი.
8939. ყოველი თავზეხელაღებული მოსაბეზრებელია, ულამაზოა, დაუფასებელია, ხოლო იშვიათი, უცხო და ძნელად მისაწვდომია საოცნებო და მცდელობის საგანი.

პოლიტიკა

8940. უსაქმურობა და მედიდურობა, და ის კარიერის მაძიებელიც, ალიყურს იმსახურებს, რომელიც მზადაა ყველა საპროტესტო აქციას მიეწებოს, რათა შეამჩნიონ.

8941. ყველა ძალაუფლება თავისუფლების შემზღუდველი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლის უნიათო და მისი არჩევა არ ღირს.

8942. პოლიტიკური ონანიზმი და უგერგილო დემოკრატია, კარზე მომდგარ კრიზისს ვერასოდეს ფხიანად გამოჩენით ვერ შეებრძოლება.

8943. ყველა ხელისუფალი ცდილობს ნიჭის გადმობირებას მერკანტილური მიზნებით, რათა ქვეყანასაც არგოს და სარჩევნო ხმებიც გადმოიბიროს.

8944. ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულებაა დასმული საკითხი, ავად თუ კარგად, საბოლოოდ გადაჭრას.

8945. პოლიტიკურ ლობიო-სათქვლეფს ბევრი ცნობილი პიროვნება დაუფიქრებლად მიეყიდება – სხვამ არ დაასწროს.

8946. ხელისუფლის, მშობლის ეგოიზმი, ხალხის, შვილების, მიმართ ყოველთვის ცუდი არ არის, თუ მას სარფიანად და ზომიერების ფარგლებში გამოვიყენებთ.

8947. ხელისუფლების მთელი უბედურება ის არის, რომ მას სახელმწიფო სამსახურში არ უნდა მოაზროვნე მოხელე რომ ჰყავდეს, რადგან მას თავის კონკურენტად თვლის.

8948. დიქტატორი, ხელისუფლების სათავეში მოსული, ნახევრად გენიოსია ან მთლიანი ნაძირალა.

8949. ვნებათა შეჯერება მსხვერპლს არ თხოულობს.

8950. ქალი პოლიტიკით მაშინ უნდა გაერთოს, თუ გენით აფთარქალია.

8951. როდესაც უფლება მოვალეობად იქცევა ესაა დემოკრატია.

8952. ინტელიგენცია კლასი არ არის, ეს ინფორმირებულ ადამიანთა ბრბოა, რომლებიც ერთმანეთს ჭამენ ერის ინტერესების დაცვის ლოზუნგით და სახელმწიფოებრიობას რომ საფუძველს უთხრიან – ვერ გარკვეულან.

8953. ბევრი ხელისუფალი დღევანდელ მდგომარეობას თავის უნიათო ბავშვობაზე სიამოვნებით გაცვლიდა.

8954. დემოკრატიაზე არ კამათობენ და არც აუგს ამბობენ, როგორც მიცვალებულზე.

8955. ხელისუფლება პერსპექტივით საკეთებელ ქვეყნის საქმეზე ხალხს არ უნდა დაეკითხოს, მთავარია, მომდევნო თაობებმა დააფასონ და პატივით მოიხსენიონ.

8956. ოპოზიციის დევიზი უნდა იყოს: „ყოველთვის კმაყოფილი და უკმაყოფილო ჩემი მტერი იყოს“.

8957. თანამდებობას ერთი ეშმაკობაც აქვს თავს ისე იჭერს, თითქოს განსასჯელად დასმული საკითხი პირველად ესმის, ნერვებს განგებ მოიშლის, რითაც მომჩივანს კმაყოფილს ტოვებს. რაც შეეხება საკითხის სამართლიანად გადაჭრას, მას ბიუროკრატიული მანქანა და დროის გაწელვა შთანთქავს.

8958. იმუნოდეფიციტი პოლიტიკასავითაა, წინდაუხედაობამ, გაუფრთხილებლობამ თავადაც დაავადა და სხვასაც შურისძიების მიზნით აავადებს.

8959. ახლადგამომცხვარი ქალწული პოლიტიკოსისათვის ქვეყნის მართვის სადავეების ჩაბარება საშიშიც არის და სარისკოც, როდესაც ირგვლივ ამდენი ვიგინდარა და კორუფციული ჭუჭყია.

8960. შემდეგში ხელისუფალი იმისათვის უნდა იღვწოდეს, რომ ხალხს იმაზე მეტი არგოს, რასაც არჩევნებამდე დაჰპირდა.

8961. მცდელობის, ფორტუნის და განჭვრეტილი შესაძლებლობების, ფარული როლი ქვეყნის პოლიტეკონომიკური ძლიერებისათვის განუსაზღვრელია, თუ ქვეყანა გონებაგახსნილ, მოსმენის უნარის მქონე და ნაღდ ხელისუფალს ავირჩევთ.

8962. ყველა შემოქმედი გამომგონებელი და სიახლის მოტრფიალეა, თუ მას სახელმწიფო ხელს არ შეუშლის, დროულად შეამჩნევს და წაახალისებს.

8963. ხელისუფალმა თუ არითმეტიკა არ იცის და მოსმენის უნარი არ გააჩნია, იმ სახელმწიფოს საქმე ყოველთვის ჩანჩალი და მოჩვენება იქნება.

8964. უნიათო ხელისუფალი კრიზისის დროს მოსახლეობას კი არ ასაქმებს, არამედ „აგლახავებს“ და დროის გასაყვან დასაქმებას იგონებს საარსებო ხელფასით, რათა ხალხი არ აიჭრას და რევოლუციისკენ გულმა არ გაუწიოს, რაც შეეხება კრიზისის მოწესრიგებას, დროსა და თვითმოწესრიგებას ანდობს.

8965. დღევანდელი თაობისაგან განსხვავებით მომდევნო თაობები, ხელისუფალთა შეფასებისას, მათემატიკას იყენებენ და მათ ნაღვაწში ძირითადად პლუსებს ეძებენ, მინუსების მიჩუმათებით და ასე შეჰყავთ ქვეყნის ისტორიაში შესაფერი ზედმეტსახელით.

8966. XX საუკუნე გიგანტების, უდიდესი უგნურების და დიდი ნახტომების საუკუნე იყო, მიუხედავად ამისა, მე არ ვისურვებდი შემდგომში ამგვარი საუკუნის განმეორებას.

8967. ხელისუფალი თავის ამომრჩეველს რაც უნდა გადაყვეს, მაინც გამოტყვრება ამბიციების მქონე კონკურენტი, რომელიც მის შეცვლას მოინდომებს.

8968. ხელისუფლებამ, ხალხის გასაერთიანებლად, უნდა მოიფიქროს: სამუშაო ადგილები, წესრიგის დაცვა, ნარჩენების შეგროვება და სხვა ამგვარი პოლიტეკონომიკური ალგორითმი.

8969. ძნელია იმ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელსაც ამდენი დაუგეგმავი, უგნური რევოლუციების მოწყობის მსურველი გიჟი ჰყავს.

8970. ყველა მომდევნო თაობა, მის მიერ უგულებელყოფილი წინა თაობის ცხოვრებას მისტირის, რადგან ჭკუა არ ეყოთ კარგის დატოვების და სათუო იდეალებზე, მმართველობაზე უარის თქმის.

8971. ბალანსი სახელმწიფოებრივი ინტერესების და ხალხის ინტერესების შერწყმის უნარია, გონიერი ხელისუფლის მიერ.

8972. გონიერი ხელისუფალი ამომრჩეველს მისთვის სასურველი დაპირებებით კვებავს, რათა არჩევის შემდგომ ის აუცილებელი საქმე აკეთოს, რაც ქვეყანას გამოადგება. ეს ვირეშმაკული მცდელობა გენიოსთა ხვედრია.

8973. პრაგმატიზმი და რომანტიზმი პოლიტიკაში ურთიერთ შესაძლებლობათა გამოხატვის სურვილია.

8974. პოლიტიკას ისეთი შეუმჩნეველი სვლების გაკეთება უნდა შეეძლოს, რომ მოწინააღმდეგის მცდელობა მოულოდნელად შამფურზე წამოაგოს და სიამოვნებით „მიირთვას“.

8975. ხელისუფალი, რომელმაც არ იცის მის გარეშე რას სჩადიან მინისტრები და მთავრობის წევრები, ბრიყვია.

8976. უნიათ ხელისუფალს თავისი საჯდომი სავარძელზე შეუცვლელი ჰგონია.

8977. სახელმწიფოს მადლდასმული განათლება ამაყად ფიგურირებს, რადგანაც ის დროის ალიყურს უძლებს.

8978. ბედნიერების მაძიებელი ბევრია, ოღონდ ერთნი ამას თავგამოდებით ცდილობენ, მეორენი ფორტუნას უცდიან და თავს არაფერზე არ იწუხებენ.

8979. მონარქია დასაშვებია, თუ ქვეყანა დემოკრატიულ ღირებულებებად შენდება და თავისუფლებისკენ მისწრაფება მძლავრობს.
8980. ხელისუფალთა შეცდომა ყოველთვის კრიზისის წინაშე გვაყენებს, თუკი ომის უბედურებას გადაურჩა.
8981. კლასიკით ყველა ამაყობს – იშვიათად კითხულობენ, მეცნიერებას ყველა პატივს მიაგებს, – მისი მტკიცების მოსმენა არ სურთ, პოლიტიკა ერთადერთი დარგია, რომელიც ყველას აინტერესებს და შიგ „ეტენება“ საყველპურო აზრებით და ამბიციებით.
8982. იყო წარმატებული და პოპულარული სახელმწიფო მოღვაწე, საკუთარ თავსაც ღირსების რაღაც ნაწილს არგუნებ.
8983. პოლიტიკური ამბიციებით თავმობეზრებულ საზოგადოებას ზოგჯერ ყველაზე მეტად სიწყნარე მოსწონს.
8984. გონიერ ხელისუფალთ ფინჯან ყავაზეც შეუძლიათ მსოფლიო რუკის მშვიდობიანი გადანაწილება.
8985. ხელისუფლის მოკლევადიანი თავის მოქაჩლება, მცდელობა, პოლიტიკური აფერაა, აგიტაციისთვის გამიზნული.
8986. არის მამაკაცი, რომელიც ქალზე ძალადობს და შედეგად ორივე კმაყოფილია. არის მეორე ვარიანტიც როდესაც ძალადობას ცდილობს, თავისას ვერ ისრულებს და შედეგით ორივენი უკმაყოფილოა. სწორედ ისეთ ვარიანტებს შეესაბამება სახელმწიფო მართვა, ხელისუფალმა ხალხზე ისე გონიერად და წინხედვით უნდა იძალადოს, რომ ბოლოში ხალხიც და შთამომავლობაც მადლიერი დარჩეს.
8987. მსოფლმხედველობის ფუნდამენტალიზმის, წინამორბედთა შეცდომების, გაუთვალისწინებლად ძალზე ძნელია ქვეყნის სტაბილური მართვა და პოლიტეკონომიკური კატაკლიზმებისაგან თავის დაცვა.
8988. სახელმწიფო მართვა, ალტერნატივის და კონსენსუსის ძიების გარდა, ზოგჯერ ხელისუფლის ხასიათის ჩვენებაცაა.
8989. ხელისუფალმა შეიძლება დიდხანს იპარაზიტოს, თუ ადამიანის ცნობიერება ობობას გზააბნეულ ქსელში ეყოლება გახვეული.
8990. პოლიტიკა უბინო საქმე არ არის, მაგრამ არც იმ გაავებულთა საქმეა, რომლებიც ყველაფერს იკადრებენ, ოღონდ სათავეში მოექცნენ და სახრავთან ახლოს მიჩოჩდნენ.
8991. დღეს ხალხმა ხელისუფალი ეტყობა უვადოდ უნდა აირჩიოს და ვინ-ვის ჯობს, თავი არ უნდა იმტვრიოს და დრო არ დაკარგოს, რადგან ერთი ანდაზის არ იყოს, „რამდენი ცხენიც ვიყიდე, ყველა კუანა გამომადგაო“.
8992. ვულგარული თავისუფლებისაკენ და ველური დასავლეთისაკენ მიდრეკილება, გონიერება-ყოფიერების ფუფუნების და „მუქთაობის“ შედეგია.

8993. ხელისუფალი, რომელიც რადიკალურად ვერ წყვეტს საჭირბოროტო, „გადაუჭრელ“ საკითხებს, მის ლობირებას ვერ ახერხებს და ყოველივეს დროის გაყვანის მკურნალობას ანდობს, დაპანღურების ღირსია, ხოლო ამ ხელისუფლების მომთმენი ხალხი, – ცხვირიდან ძმრის დენისა.

8994. ზოგჯერ ხელისუფლება ხალხს ბრბოდ აქცევს და ამით მასაც გარკვეულ დრომდე კმაყოფილია, სანამ შიმშილი, უმუშევრობა და შინააშლილობა არ შეაწუხებს.

8995. ხელისუფალს მოწინააღმდეგის უპატივცემლობის, კანონის იგნორირების, მოდუნების, უფლება არ აქვს. ის ყველგან და ყოველთვის ოპტიმალური გამოსავლის ძებნაში უნდა იყოს, როგორც სიტყვით, ისე საქმით.

8996. ქვეყანაში ღალატის ბაცილის გავრცელება, უპირველესად, ხელისუფლის უგნურების, უძლურების და უპასუხისმგებლობის შედეგია და არა – შექმნილი გარემოსი.

8997. „საქმეს ასე სჭირდება“ – უცვლელი პასტულატია ხელისუფლებისათვის.

8998. ბევრ პოლიტიკოსს არც აიეტის მჭერმეტყველება წაუკითხავს და არც ფარტაზისა, არა და, ვინც ხალხს დაარწმუნებს თავის შესაძლებლობებში, სიმართლეში, მას უნდა ვანდოთ ქვეყნის ბედი.

8999. პოლიტიკა სახელმწიფო წყობის და არა – შინაარსის დაცვას ცდილობს.

9000. კარგი ხელქვეითი და თანამშრომელი ჰყავს იმ უფროსს, რომელიც მომთხოვნია, შემოქმედია და „მათრახის და სასუსნავის“ პოლიტიკას არ ივიწყებს.

9001. როდესაც პოლიტიკური წყობის ფორმა და მმართველობა ვითომ იცვლება, ფორმაციებს შორის ბალანსის კეთებას თავს ყველა არიდებს, რადგანაც როგორც ირკვევა ამ სისულელის ჩადენაში ყველას ხელი ურევია, არა და, ამ წყობის შეცვლა თურმე არ ღირდა.

9002. პოლიტიკა სახელის დასაგდებადაა მოწოდებული და არა იმის გულთან მისატანად რას ფიქრობს და რას ჭორაობს ხალხი.

9003. უზნეო ხელისუფლება შიშით ვაჭრობს და არა – რეალური საქმის კეთებით, რათა თავისი სკამი შეინარჩუნოს.

9004. საფრთხე ყველგან და ყოველთვის გასათვალისწინებელია, არის მისი შეყრის შანსი თუ არა.

9005. უძლურებას საშინელი რისხვა ჩვევია.

9006. ყოველი მარტივი და უსახო დანატოვარის გარეშე რჩება.

9007. სიკეთის კეთებას ხშირად სიავით პასუხობენ, რადგან დასპონსორებულთ თავიანთი უნიათობაის უსუსურობის, აღიარება არ უნდათ და ჰგონიათ ამით თავს იცავენ.
9008. ზადი ყოველთვის ადვილად შესამჩნევია, ვიდრე გამორჩეული კარგი.
9009. სიავემ უგნურთა ხელში გაათმაგება იცის.
9010. ბრიყვთან მეგობრობა, გინდა – არ გინდა, გაწბილებით მთავრდება.
9011. ჯობს ენას კბილი დააჭირო, ვიდრე მოუფიქრებელი და განუსჯელი სიტყვა წამოგცდეს, საზიანოცაა და სადავიდაროც.
9012. დეპუტატსა და ამომრჩეველს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი იმას უნდა ასრულებდეს, რასაც დაგვპირდა, მეორე – რასაც დაავალებენ.
9013. გონიერებასთან ახლო ყოფნა სჯობს, ამასთან ხელისუფლებისგან ცოტათი მოშორებით, თუ პოლიტიკას არ „ეჩალიჩები“.
9014. ანარქია მაშინ იწყება, როდესაც ყველა თავის კუთვნილს ითხოვს და დაკმაყოფილების წყარო არავის აინტერესებს.
9015. რეალური პოლიტიკისთვის უმრავლესობის აზრი ზოგჯერ მიუღებელია და ბოროტებაცაა, მიუხედავად იმისა, რომ საწინააღმდეგო ქმედებას გარკვეული დროის შემდგომ სიკეთე და კანონების განმტკიცება მოაქვს, ამიტომაც პოლიტიკოსმა საქმე თავის შეხედულებისამებრ უნდა აკეთოს.
9016. ყოველ ახალ „მუტანტს“ ზღვარგადასულობა ახასიათებს, სანამ მის საწინააღმდეგო ვაქცინას არ შექმნიან. ასევეა პოლიტიკაც.
9017. ხელისუფლებას მოთხოვნები კი არ უნდა სძულდეს, არამედ შველოდეს, ასაქმებდეს, კანონის მათრახს უტლაშუნებდეს, რათა ლოთობას და უსაქმურობას გადააჩვიოს.
9018. პოლიტიკა ხშირად დანაშაულს სჩადის თავისი დროის და ხალხის წინაშე, მაგრამ წარმოჩინდება მომდევნო თაობების ცნობიერებაში.
9019. სახელმწიფოებრიობას ძირი მაშინ ეთხრება, როდესაც ხელისუფლება წინდაუხედავად დილეტანტს ხელთ უვარდება და თავისი პოლიტიკის გასავლელი გზა ვარდებით მოფენილი ეჩვენება.
9020. ხელისუფლის ყველაზე დიდი უფლება თხოვნაა, რომელსაც უარს ვერავინ აკადრებს.
9021. პოლიტიკაში და ცხოვრებაშიც ზოგჯერ ის იგებს ბრძოლას, ვინც მასში არ მონაწილეობს და ჩასაფრებული იცდის.
9022. სახელმწიფოს ჰარმონიული მართვა ყველასათვის სასიამოვნო მუსიკის მოსმენას უნდა ჰგავდეს.

9023. სახელმწიფოებრიობას თავის წარმოსაჩენად ის შეუმჩნეველი სახელმწიფო მრჩეველი სჭირდება, რომელიც არ ჩანს და ხელისუფალი მისი რჩევის კვალს მიჰყვება.

9024. სახელმწიფო გადატრიალება ყველას მძიმე ტვირთად აწვება, რადგან ძალადობას გონიერი ხალხი არ უყვარს.

9025. ზეიმის მიზეზი, შედეგის მიუხედავად, ყოველთვის მოინახება თუ ხელისუფლებას სჭირდება.

9026. ქვეყნის სათავეში დიდი ხნით მოსული ხელისუფალი მარად მტრის ძებნაშია, რათა მასზე „გამარჯვებით“ განაღდებული ჰქონდეს ქვეყნის პირველი კაცის სავარძელში ჯდომა.

9027. მთავარია რეპუტაციას გავუფრთხილდეთ, რაც შეეხება სინდისის, პატიოსნების გაუფასურებას, ის როგორღაც დაიფარება. ასე მოითხოვს პოლიტიკა.

9028. არის პროფესიონალი, რომელიც ყველგან ცხვირს უნდა ყოფდეს, მაგრამ არსად არ უნდა ჩანდეს – სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი.

9029. ბუფერული პოლიტიკაა, როდესაც არაკაცს გავლენიანი პირი მფარველობს და ეს „დროის ნაბიჭვარი“ თავს ამაყად გრძნობს.

9030. ხელისუფლებამ ყოფის სიავე და ხალხებს შორის დაპირისპირება საწყისშივე უნდა ალაგმოს, ამიტომაც ჰყავს მას სპეცსამსახურები.

9031. ავტონომიის მქონე ხალხები დროულად უნდა „მოიშორო“ – ცალკე სახელმწიფოებად უნდა გამოყო ან რეფერენდუმის მოშველიებით საყრდენი ავტონომია გააუქმო, სხვანაირად წურბელებად იქცევიან და თუ სახელმწიფოებრიობას „ფეხი გადაუბრუნდა“, თავსაც დაგაყვედრიან და მტრადაც გექცევიან. ამიტომ მათი ფედერაციის ფარგლებში შენარჩუნება უშედეგო მცდელობაა.

9032. უსაქმურობა ნაკლის მამაა, უპასუხისმგებლობა – დედა, ხოლო დამნაშავეა ხელისუფლება, რომელმაც ხალხი ვერ დაასაქმა.

9033. ვისაც დღეს ყველაფრის უფლება აქვს, ის თავად უნდა იკვეცავდეს უფლებებს, თუ უნდა ყველაფერი ერთდროულად არ დაკარგოს.

9034. ხელისუფალსაც ხალხისათვის შემოსავლის გაყოფა უნდა ეხერხებოდეს, თუ უნდა თავის ადგილს დიდხანს შემორჩეს.

9035. უმრავლესობა ერთს ყბედობს, უმცირესობა მეორეს მეტყველებს, ხოლო ცენტრი თავის საქმეს აკეთებს და ჭორი დიდად არ აინტერესებს.

9036. იუმორით ლამაზი მეტყველება, პოლიტიკოსის ერთ-ერთი უტყუარი იარაღია.

9037. ყველა „უტრაკო“ ხელისუფალი ღვარძლით ნიშნის მიგებას ოპონენტთა მიმართებაში თავის წარმოჩენით ცდილობს.
9038. ხელისუფლება, უმთავრესად, პოლიტიკური ონანიზმით იხარჯება.
9039. გონიერთა უგნურების „დოღი“ ძნელი ასატანია, მაგრამ რა ჰქნან, თუ ქვეყნის ხელისუფალი დღეს ამ რანგის მხედარია.
9040. გონივრული, განუსაზღვრელი ძალაუფლება, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ხელისუფლის ხელში, მართველობის უკეთესს შედეგს იძლევა, ვიდრე ვითომდა დემოკრატიას ამოფარებული თავაშვებულობა, რომელსაც ლაგამის ამომდები არ ჰყავს.
9041. სახელმწიფო გადატრიალება ყველას ბრალია, მაგრამ ხელს ისინი ითბობენ, რომლებსაც ამბიციები აწუხებთ და გამორჩენას ხედავენ.
9042. უგნური ხელისუფლების მოშორებას ასე თუ ისე ვახერხებთ, მაგრამ სამწუხაროა, რომ რეციდივისაგან თავს ვერ ვიცავთ.
9043. მშვიდობის დროს ხელისუფლების სათავეში გონიერი მმართველი მოდის, არეულობის დროს – ვიგინდარა და ავანტურისტული ბუნების, მაგრამ ამ სათუო აქსიომას ერთი გაუგებრობა ახლავს: რატომ უშვებს გონიერება ქვეყნის არევის შესაძლებლობას და ქვეყნის სათავეში შემთხვევითი კაცის მოსვლას?
9044. კანონთა და დადგენილებათა ხშირი ცვლა ხელისუფლების არაპროფესიონალიზმზეა და უნიათობაზე მეტყველებს.
9045. გამორჩენის გარეშე დღეს მამალიც არ ყივის, მით უმეტეს, ჩინოვნიკი.
9046. ხელისუფლებამ, პირველ რიგში, სხვადასხვა ბუნების ადამიანთა მართვა უნდა ისწავლოს.
9047. ხელისუფალმა იშვიათია თავის დონის შემცვლელი აღზარდოს, არა და, ამაზე უკეთესი რა უნდა გააკეთოს თავისი სახელის დროულად წარმოსაჩენად.
9048. ყველა ხელისუფალი ერთიდაიგივე შეცდომას უშვებს, მაგრამ სხვადასხვა სახით და სხვადასხვა დროში.
9049. ბედნიერია ის ქვეყანა, ხელისუფალი, ხალხი, რომელსაც ცხოვრებით დაბრძენებული მრჩეველი ჰყავს და არა – კონიუნქტურას აყოლილ მრჩეველთა ჯოგი.
9050. სახელმწიფო იძულებულია უამრავი მუქთა ხალხი შეინახოს და პარაზიტული აპარატი არჩინოს, რათა ქვეყნის შიგნით და გარეთ მშვიდობიანი შრომის და ყოფის საშუალება შეინარჩუნოს.
9051. ძალაუფლებას ძირითადად ემსახურებიან, ხალხის, სარწმუნოების და სამშობლოს სახელით.

9052. სახელმწიფოებრიობა მაშინ ზეიმობს, თუ სარწმუნოებამ თავისი ადგილი იცის, ჯარმა – თავისი და საზოგადოებამ იცის თუ რა უნდა.
9053. თავისუფლება მაინც მატერიალურია, რადგან ცარიელი თავისუფლება ბუნტია, დაპირისპირება და მტყუან-მართლის ძებნაა.
9054. ხელისუფლება ყველა თავის წამოწყებას ცოდნით და ლაღად უნდა აკეთებდეს, რადგან სერიოზულობა და მოღუშულობა ნდობას არ იწვევს.
9055. ოპონენტი, რომელიც მთავრობის ნაკლს სიხარულით „კუდს აბამს“, „მეხუთე კოლონაა“ ქვეყანაში, ხოლო ოპოზიცია, რომელიც ნაკლის გამოსწორებას ეკონომიკის მეშვეობით გვთავაზობს და ციფრებით გვესაუბრება, ქვეყნის მოჭირნახულეა და პირველ რიგში ქვეყნის ინტერესები აწუხებს.
9056. დიპლომატია სიტყვების ძრომიალის ხელოვნება უფროა, ვიდრე შედეგის დაფიქსირების.
9057. „პერესტროიკა“ გამყიდველებს ამრავლებს და ძველი მისაღებ-კარგიდან თითქმის აღარაფერს ტოვებს.
9058. ვერც ერთი იმპერია მკვეთრ გარდაქმნას ვერ იტანს, ის ევოლუციის გზით უნდა განვითარდეს.
9059. სიბრიყვე უძახე და მთელი სახელმწიფო აპარატი „ძალად ბრიყვებითაა“ დაკომპლექტებული და თუ დასჭირდათ, ბრიყვობაზე თავის დადებასაც არ თაკილობენ.
9060. ძველ საძირეზე ახლის მყნობით შეიძლება სახელმწიფოში არეულობის თავიდან აშორება, თუ პოლიტიკაში ევოლუციურ პროცესებს დროულად მოვერგებით.
9061. ცვლილებები, სიახლეები, სახელმწიფო მმართველობაში, დროის და ტექნიკური პროგრესის შესატყვისად, აუცილებელია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების შენაცვლებით, ხალხის ვნების დასამშვიდებლად, მაგრამ სახელმწიფო სტრატეგია უცვლელი უნდა იყოს.
9062. თავისუფლება, რომელიც გონიერების ფესვებს გაიდგამს, უკეთ გაიხარებს, თუ შიგადაშიგ უგუნურების სარეველას გამოვხშირავთ.
9063. პოლიტიკა ფარსის შექმნის ხელოვნებაა, რათა აქედან გარკვეული სარგებელი გამოთხაროს.
9064. არჩეულთა უმეტესობა, ამომრჩევლებთან შედარებით არც ჭკვიანია და არც მომხიბვლელი, მაგრამ არჩევის საკითხს უმრავლესობის ნება წყვეტს, რადგან სხვანაირად საარჩევნო არითმეტიკა არ გამოდის.
9065. პოლიტიკოსს მოკლე მახსოვრობა და გაფეტიშებული მიზნები აქვს.

9066. ხელისუფალი თავისი პრობლემების თავის მოხვევას უნდა ერიდოს, თავადვე უნდა „მოგუდოს“.

9067. დღეს უნიათო ხელისუფალი დემოკრატიის კონგლომერატის გაფეტიშებასაა გადაყოლილი, ქვეყნის გაფართოების და მისი კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის ნაცვლად.

9068. ხელისუფლება ხშირად პოლიტიკური ონანიზმითაა დაკავებული კანონიერების და სახელმწიფოებრიობის ყურით მოთრეული ალიბის მოშველიებით და რეალური, გადამჭრელი და პერსპექტიული ქმედებისთვის ვერ იცლის.

9069. გონიერ სახელმწიფოში იდეების მყიდველი და დამფინანსებელი სამინისტრო უნდა არსებობდეს.

9070. ზოგი თანადგომით და მხარდაჭერით სარფიანად ვაჭრობს და ესეც პოლიტიკაა.

9071. ეშმაკობას იქ იყენებენ და აქებენ, სადაც კანონი უსახო და უძლურია და ჩინოვნიკთა შტატი ძალზე გაბერილია.

9072. პოლიტიკური პარტიების შექმნის მიზანია უსუსური აზრების ამოტივტივება, კრიტიკით თავის წრეში თავის გამოჩენა და რაღაც მანდატების მოპოვება.

9073. სოციალისტურ წყობას ერთი დადებითი თვისება ჰქონდა: ყველაფერში სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი.

9074. დიქტატორებზე, მათი სისხლისმსმელობის მიუხედავად, გონიერებაც მორიდებით საუბრობს და კრიტიკის სიმართლეში მთლად არაა დარწმუნებული, რადგან ამ დიქტატურის გარეშე იარსებებდა თუ არა ის დიდი ეპოქები, რომელიც შთამომავალთა სულს ასე ელაციცება და აამაყებს, არავინ იცის.

9075. პატრიოტობას ხშირად სახელმწიფოებრიობა „გვიბრძანებს“ და არა – ხალხისადმი დამოკიდებულება.

9076. დიპლომატია მოლაპარაკების ის ხელოვნებაა, როდესაც შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდგომ, ორივე მხარე ცალ-ცალკე კმაყოფილია.

9077. სამწუხაროდ, ბრძენს არ გააჩნია ის მოხერხებულობა, ეშმაკობა, რომ ხელისუფლის სავარძელში მოიკალათოს.

9078. ტირანიიდან თავის დახსნას ყველა ხალხი ცდილობს, მაგრამ უმეტესობა არ იმსახურებს, რადგან ქვეყანა დიქტატორის სამართავად არ უნდა გაეხადა.

9079. დღევანდელი დემოკრატიის შემხედვარეთ სოციალიზმისადმი მეტი ნოსტალგია და პატივისცემა უჩნდებათ.

9080. პრაქტიკულად, სიკეთის თესვა და ხალხისთვის თავის გადადება ხელისუფლებას ეზარება, რადგან ამისთვის არც ნიჭი ყოფნის, არც მოვალეობის გრძნობა და არც ხალხის მადლიერების იმედი აქვს.

9081. თანამდებობა და შექმნილი ვითარება რყვნის ხელისუფალთ და დღეს სიტყვით ლმობიერი, ხვალ დიქტატორად გვევლინება.

9082. მჭერმეტყველებას და დამუნჯებას ხელისუფლებაში მყოფნი, შექმნილი სიტუაციის მიხედვით ფლობენ.

9083. ხელისუფალმა ყველაფრის კეთება საკუთარი თავზე არ უნდა აიღოს, რათა რარაც-რაღაცების სხვაზე გადაბრალების საშუალება ჰქონდეს.

9084. სახელიმწიფოს და მის ქვეშევრდომებს, ყველაზე მეტად ხელისუფლის ხელოვნების დაღლა ვნებს.

9085. ყველა რევოლუციის, „პერესტროიკის“, უბედურება ისაა, რომ პურის გამოცხობის მეწაღე იწყებს და წაღების შეკერვას – მეპურე, სანამ ქვეყანა დალაგდებოდეს.

9086. კოლექტიურ აზროვნება, ხშირად ქვაყანა არეულობასთან მიჰყავს.

9087. ქვეყანაში წესრიგი რომ დამყარდეს, მოხელე გადაცდენისთვისაც გაცილებით მეტად უნდა ზარალდებოდეს, როგორც მატერიალურად ასევე მორალურად, რათა წაგლეჯვას, ბატონობას და ხელის მოთბობას შეეშვას.

9088. ყველა ვიგინდარას თავი პოლიტიკოსად მიაჩნია, ცხოვრების ყველა უცოდინარს – ბიზნესმენად, ხოლო ორივეს რომ შერწყმა უნდა, ამაზე არავინ ფიქრობს.

9089. პოლიტიკა ქლესაობის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან მისი სულის გარკვეული ნაწილი ეშმაკის ხელშია.

9090. პოლიტიკას სათნოება არ გააჩნია, მხოლოდ კარიერა და გამორჩენა აინტერესებს.

9091. ლიბერალური შეგნება გარყვნეს და სიავედ აქციეს დღევანდელმა ვაიპოლიტიკოსებმა და უვიცმა პოლიტმენეჯერებმა.

9092. დემოკრატიაა თუ ბრიყვს და ჭკვიანს ერთნაირად ხმის ამოღების უფლებას მივცემთ, დიქტატურა – თუ ბრიყვთ ცენზურას დავუწესებთ და ხალხს არ „გავრყვნით“.

9093. ხალხის გულის მოგებას უმთავრესად ნიჭი უნდა და არა ჭკუა.

9094. დემოკრატიის დამოძღვრა „აკეთე ის, რაც გეხერხება“ კანონის პატივისცემით, რეალობაში არ გამოდის და დემოკრატიას მიმზიდველობაც ეჭვის ქვეშ დგება.

9095. თეორიულად ხალხი ერთი კაცის ჭკუაზე არ უნდა დადიოდეს, მაგრამ პრაქტიკულად მოხერხებული გონების და ხალხზე გადამკვდარი ხელისუფლის ჭკუაზე სიარულს არაფერი სჯობს.

9096. იმისდამიუხედავად, დიქტატორია თუ დემოკრატი, ხელისუფალი მაინც მწყემსია, ხალხი ცხვარია, ხოლო ოპოზიცია და გარეშე ძალები მგლის როლში გვევლინებიან. მწყემსის დანიშნულებაა ცხვრის ფარა მაქსიმალურად გაამრავლოს, დაანაყროს და სარფიანად ივაჭროს. მწყემსი დიქტატორი ფარის სადგომის ღობეს შემოავლებს, შიგ ცხვრებთან ერთად ძაღლებს ამყოფებს, წინასწარ თადარიგს დაიჭერს, ირგვლივ რამდენიმე ორმოს ამოთხრის, შიგ მარგილს დაამაგრებს, ბელტის საფარს გადააფარებს და ზედ დაჯაგულ ცხვრებს დააბამს, თავად წამოწვება და დაისვენებს. მგლები ცხვრებს ღობის გარეთ ეძგერებიან, სიმძიმით ორმოში ჩავარდებიან და მარგილზე წამოცმულები სულს განუტევებენ, ხოლო ხშირად დაჯაგული ცხვარი რატომღაც გადარჩენას ახერხებს. დემოკრატი მწყემსი ღობეს არ ავლებს და ძაღლებს ანდობს მათ დაცვას, ხოლო თავად მორიგეობს და თოფი შეყენებული უჭირავს. შედეგად მგლები ფარაში მაინც შეიჭრებიან, რამდენიმე ცხვარს თუ არ გაიტაცებენ, დამხვრჩალს ტოვებენ, მომავალში თავდასხმის რეციდივით. პირველ შემთხვევაში მეორისგან განსხვავებით, მგლების ხროვას რამდენიმე თავდამსხმელი გამოაკლდა და შემდგომ მათ ექნებათ რეციდივის განმეორების სურვილი, საკითხავია. ამრიგად, ამომრჩევლის გემოვნებაზეა დამოკიდებული რა მოსწონს, გადამჭრელი შედეგი თუ გადაუჭრელი მცდელობა.

9097. ერთმა ასაკოვანმა ორმოზე გადახტომა მოინდომა, ორმოში ჩავარდა და თან დააყოლა: „სად არის ჩემი ახალგაზრდობაო“. როდესაც ორმოდან ამოსულმა ირგვლივ ვერავინ დაინახა, თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა ქაქიც ახალგაზრდობაში ვიყავი, სიბერეშიც ის დავრჩი“. ასევეა დღეს ზოგიერთი ასაკოვანი ოპონენტი და მრჩეველი, რომელსაც არც თავის დროზე უკეთებია საქმე და დღესაც ვერაფერ სახეიროს სჩადის.

9098. დღევანდელი დემოკრატიის უგნურება პოლიტ-ეკონომიისაგან მოითხოვს ქალი სექსაობით ისე ასიამოვნოს რომ ქალწულად დარჩეს, რადგან გარკვეული ძალადობის გამოყენების გარეშე ჩამორჩენილობა ვერ აღმოიფხვრება, გადატრიალებული გონიერება წაღმა ვერ ამოტრიალდება. ეს იმ ანეგდოტს წააგავს: „ერთი ჭიჭიკიას ცოლი მომცა და ბიჭიკიას პენისი, რას ვისიამოვნებდიო“.

9099. გონიერ და მომთხოვნ ხელისუფალს, სახელმწიფოს მართვის საადავეები, აშკარად თუ შეუმჩნევლად, მუდამ ხელთ უპყრია.

9100. გონიერებისთვის პოლიტიკა უდიდესი კულტურაა, რომლის გატარაჟება ნიჭის და მონდომების გარეშე არ ხდება.

9101. ხელისუფლება და მეუღლე, რომლებიც შეცდომა-გადაცდენას აღიარებენ, ალიბს ვერ გამოთხრიან, დევალვირებულები არიან და უნდა გამოიცვალონ.

9102. გაუხედნავი სოციალიზმი დედა რესპუბლიკის და თავისუფლება – მამის მკვლელად ითვლება, ხოლო გახედნილ-გამოცდილი დედასაც წყალობს და მამასაც აკვალიანებს.

9103. ხელისუფლების ცვლა კიდევ ერთი საეჭვო ტვირთია ხალხისთვის.

9104. ძალოვნების სწორად გადანაწილება-გამოყენება ქვეყნის სინქრონულად მართვის საშუალებას იძლევა.

9105. რევოლუცია, „პერესტროიკა“, სახელმწიფო გადატრიალება, იმ ქვეყნებში ხდება, სადაც ხელისუფლება უვარგისია და სახელმწიფოებრიობა ლპობის სტადიაშია.

9106. გონიერი და საჭირო გადაწყვეტილებათა კრიტიკა, დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე ამოფარებით, არ ამართლებს.

9107. ცარიელი თავისუფლება ბლეფია, თუ მას დასაქმება, კანონის უზენაესობა, თავის ადამიანად შეგრძნება არ უბიძგებს.

9108. სამწუხაროდ, ქვეყნის სათავეში ინტრიგანები უფრო მოდიან, ვიდრე საქმის მცოდნე, შემოქმედნი.

9109. ხალხს რომ თავის უნიათობისთვის გამართლების საშუალება მივცეთ, საარჩევნო სისტემა უნდა შეუცვალოთ: ბრბომ ხალხი უნდა აირჩიოს, ხალხმა – პიროვნებები, პიროვნებებმა – დეპუტატები და მათ „დედა უნდა ვუტიროთ“, თუ ღირსეულ ხელისუფალს არ აირჩევენ, თორემ დღევანდელი სახალხო-საყოველთაო არჩევნები არც ხეირიან ხელისუფალს იძლევა და არც – „გასალახ“, დასაბრალებელ, ხალხს.

9110. მხოლოდ დროებით დაპირისპირება და მოლაპარაკებაა დღეს დედამიწის არსებობის ალგორითმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სამყაროს თავს დაუკრავს.

9111. ყველა რეფორმა თავისებურად ბლეფია, თუ მას წინასწარ დასახული გეგმა მათრახით და სასუსნავით მხარს არ „უმშვენებს“.

9112. ზოგი პოლიტიკური პარტიის „საჯდომი“, მათ თავს ჯობს – უფრო შესამჩნევია.

9113. სახელმწიფოებრიობის ნგრევა და შეცვლა ყველა შემთხვევაში დანაშაულია, როგორც ხალხის, ასევე შენი მომხრეების, თანამოაზრეების და ერის წინაშეც.

9114. დიქტატურა თავის დოგმებს ახვევს ხალხს ოღონდ „კარგი სურვილებით“.
9115. პოლიტიკის დევიზი უნდა იყოს: დღეს რა ვაკეთოთ და არა რა ვიყბედოთ.
9116. სასურველია ხალხიც და მთავრობაც ერთი ხასიათისა იყოს და არა – ერთი ჭკუის, სახელმწიფოებრიობას ძვირად უჯდება.
9117. უპრინციპობის პრაქტიკა სახელმწიფოებრიობას ასუსტებს.
9118. დაპირისპირებისას, უმთავრესია რეალური მიზეზის დადგენა, შემდგომ მისი აღმოფხვრის ცდა მოხერხებულობით და ძალის გამოუყენებლობით სურვილით.
9119. ყველა უდღეურ პოლიტიკურ სისტემას, წყობას, მმართველობას, დროული „გადადნობა“ სჭირდება, ახალ ყალიბში ჩამოსხმით და შეფასებით.
9120. დღევანდელი „ფეხებზემკიდიაობით“ გაუცნობიერებელი სამშობლოს სიყვარული, პოლიტიკური ყაყანი, სანამ გაგრძელდება არავის უწყის, მაგრამ სასიკეთო რომ არაა, ცხადია.
9121. ხელისუფლის უდიდესი ნიჭია, გონიერ მრჩეველთა და მოხელეთა შერჩევა იმდაგვარად, რომ მათ არ შეეცოდონ.
9122. ლოთი ხელისუფალი, სიმთვრალეშიც კი, თავის წინაშე ლომად არ გამოიყურება.
9123. რევოლუცია და ახალი დრო ძეგლებს ანგრევს და არა – პოსტამენტს, ახალი ძეგლებისთვის გამოადგება.
9124. დათბუნებულ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ფლუგერივითაა – საიდანაც სიო უბერავს, იქით მიტრიალდება.
9125. ზოგი უჩინ-მაჩინის ქუდის მორგებით ცხოვრობს, ყველა მთავრობას ერგება და ორივე მხარე კმაყოფილია.
9126. რუსეთის სახელმწიფოებრიობის გზაზე დაყენების ერთადერთი საშუალებაა უფროს-უმცროს შემსრულებლის სისტემის დანერგვა და სახელმწიფო ძალადობა, სიახლის იმპორტით, ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო.
9127. კომუნიზმი იდეოლოგიის მონაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დიდხანს ვერ იბოგინებს.
9128. იდეები ხორციელდება ხელისუფლების ხელშეწყობით, წახალისებით და ზოგჯერ წაყრუებითაც.
9129. სახელმწიფოებრიობამ, თავისი მეობის შესანარჩუნებლად, ზოგჯერ ერთი შეხედვით „უსინდისო კანონებიც“ უნდა მიიღოს, რაც მისი ავტორიტეტისათვის აუცილებელია.

9130. პოლიტიკა ეშმაკთანაც მოლაპარაკებას ითვალისწინებს და აქ ქალწულობა არ გამოდგება.
9131. ქვეყანაში უგნურების ზრდა, პოლიტიკური პარტიების უაზრო ზრდას ითხოვს.
9132. ქვეყნის მეხრეს მორჩილი ხალხი სჭირდება თავის ძალოვანებით, რათა მისი აჩქარებული სასიკეთო მცდელობა არეულობაში არ გადაიზარდოს.
9133. კრიზისს ხელისუფლების ახსნა-განმარტება არ სჭირდება, აუცილებელია დაუყოვნებელი რეაგირება.
9134. ყველა მდიდარი და პატარა ქვეყანა, ფუფუნებას, სიმშვიდეს, უზრუნველობას ეჩვევა და მათ „გამოფხიზლებას“ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო მოწოდებებით და დებატებით ცდილობენ.
9135. გონიერების შემართებამ, პოლიტიკოსების დატოვებული ჭუჭყი სუფთა გულით უნდა დასუფთაოს და წესიერება და წესრიგი მიახმაროს.
9136. ღირსეული მოღვაწეც კი პოლიტიკაში ქალწულად და სუფთა ხელებით ვერ დარჩება.
9137. რატომღაც რეფორმის წამომწყებთ საბოლოო შედეგი მაინცდამაინც არ აღელვებთ და თავს ყოველთვის გამართლებას უძებნიან.
9138. გონიერება რაც უნდა მექაჩებოდეს, სულითჲსაჭურისს პოლიტიკაში მხარს ვერ დავუჭერ, რადგან პოლიტიკოსს, უპირველესად, კაცობა უნდა გააჩნდეს.
9139. სახელმწიფოებრიობის უდიდესი ზეიმია, თუ გადასახადების აკრეფას უდანაკარგოდ ახერხებს.
9140. როდესაც საჭიროა, ხელისუფლებამ ხასიათიც უნდა გამოაჩინოს, რადგან მარტო დიპლომატია ყოველთვის შედეგიანი არ არის.
9141. პოლიტიკა, სათანადო წარმატებული მაგალითის გარეშე, მორიგი ყბედობაა და მოვალეობის მოხდა პოტენციურ ამომრჩეველთა წინაშე.
9142. გონიერ ადამიანთა გამოვლენა და ტირაჟირება-დაფინანსება ქვეყნის ძლიერებას და მისი ბიუჯეტის შევსებას ძალზე წაადგებოდა და ამასაც სახელმწიფოს სათავეში გონიერ ხელისუფალთა მოსვლა სჭირდება.
9143. ხელისუფლების პრივატიზების ყველა ყოველთვის შეუმჩნევლად ცდილობს თუ გამოუვა.
9144. ბიუროკრატიასთან შერკინება ქვეყნის მართვის „სამზარეულოს“ ცოდნას და მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩატარების ნიჭს მოითხოვს.

9145. სახელმწიფოებრიობას სინდისით ემსახურები თუ უიმისოდ, სულერთია, თუ ქვეყნის სათავეში პიროვნება არ დგას და ხალხს პატიოსანი და მშვიდი ცხოვრება არ ძალუძს.
9146. სახელმწიფოს ხეირიანად ყოველთვის პიროვნებები მართავდენ და არა – იდეებით აღჭურვილი პოლიტიკანები.
9147. მოუწესრიგებელ ქვეყანაში პოლიტიკას „ბაზარი“ უყვარს, ხალხს მისი მოსმენა და სალაყბოს მოძიება.
9148. ყველა წარუმატებელი ხელისუფალი სისხლის სამართლის დამნაშავეა და სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებს, ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო.
9149. ბიუროკრატიასთან ბრძოლა და მისი კაპიტალი, დროდადრო შეკეთებებით უნდა შემოიფარგლოს, რადგან მათ გარეშე ქვეყანა არ იმართება, იმისდამიუხედავად, ხელისუფალი მომზადებულია ქვეყნის სამართავად თუ არა.
9150. დღეს ჩინოვნიკის ყოველ „დაცხინკებაშიც“ ფულს გახდევინებენ, რადგან მათი ღირსეულად შენახვისათვის სახელმწიფოს სახსრები არ ყოფნის.
9151. სსრ კავშირის დაშლის მიზეზი „ხალხი ბრძენიას“ თეზისის დაჯერება იყო, რადგან მასას დაძალების, კანონის რიდის და პირადი გამორჩენის გარეშე აბუნტების ვირუსი ეყრება და მისი მკურნალობის საშუალება ისევ ძალის ჩვენებაა სალაფავის მიგდებით.
9152. რევოლუციის მომწყობ პირებს თუ გადავხედავთ, თითქმის ყველა მათგანი ნაძირალაა და ყველაფერს კადრულობენ მიზნის მისაღწევად, როგორ სასიამოვნოდაც უნდა მეტყველებდნენ.
9153. როგორც ირკვევა, ლენინი გერმანიის აგენტი ყოფილა, ტროცკი აშშ-სი. ერთი სტალინი გამოდგა ამ მხრივ უცოდველი, რომელმაც „კავის რუსეთი ჩაიბარა და ატომური ბომბით დატოვა“. რაც შეეხება რეპრესიებს, როგორც წარსულის და დღევანდელობის ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, ბრბოს ამყოლიებელი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი უნდა გაანადგურო, რათა ფეხის ამწყობი არ ჰყავდეთ.
9154. სახელმწიფო ფსიქიურად დავადებულთა საავადმყოფო არ არის, ვისაც რა მოესურვება, ის იყბედოს, არ დაიხარჯოს და სალაფავი და თვისუფლება მოითხოვოს.
9155. სახელმწიფო ვალდებულია მუდამ მზად იყოს იმ დანაშაულის აღსაკვეთადაც, რომელიც იშვიათად ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრბო გაირყვნება და გათამამდება.
9156. საბჭოთა კავშირში მაღაზიები ასორტიმენტის გარეშე, დეფიციტით, იღვწოდა, მაგრამ სახლში მაცივრები გამოტენილი ჰქონ-

დათ, რადგან ქურდობა ქვეყანაში წესად იქცა. ამის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ სერიოზულად ხმას არავინ იღებდა. შედეგად დაირღვა სოციალიზმის ძირითადი და პრინციპი – აღრიცხვა და კომუნიზმზე მეოცნებე წყობამ, სოციალიზმმა, უდროოდ „თავი დაგვიკრა“.

9157. საწყალი სოციალიზმი, ჭკუით ყველა მას ეწეპება და პრაქტიკულად მისი არსის შეცნობა არავის სურს.

9158. ქვეყნის მართვას, თანდაყოლილ ორგანიზაციულ ნიჭთან ერთად, საკუთარი ნების წარმოჩენის ნიჭიც სჭირდება.

9159. პოლიტიკას მორალი არ გააჩნია, დღეს იმას უწევს აგიტაციას, რაც ხვალ გამოადგება და ზეგ მის „მეობას“ წარმოაჩენს, რაც შეეხება საქმის რეალობას, მაინცდამაინც არ აინტერესებს.

9160. როდესაც რუსეთის და საქართველოს პარლამენტის საქმიანობას და დეპუტატების მსჯელობას უყურებ, თუ არა დემოკრატიას მიტმასნება, სულ კინწისკვრით და უკანალის ჯოხის აჭრელებით გამოსაყრელნი არიან ეს უსაქმური სენატორები.

9161. სიბნელემ არ იცის სინათლის ფასი, რადგან ის ხეირიანად არასოდეს უნახავს, ავიღოთ თუნდაც ჩვენი დემოკრატია.

9162. ბევრი კარგის მკეთებელს ხშირად ვერ უგებენ, ხელისუფლებამ თუ არ წარმოაჩინა და მისი აღიარებისთვის თავი არ მოიქაჩლა.

9163. ქვეყნის დემოკრატია და სიკეთის მთესველი ქალბატონი შედეგით ძალიან გვანან ერთმანეთს, ერთი განსაზღვრული დროით მართავს ქვეყანას, მეორე სხვაზე ზრუნვით უდროოდ ბერდება, ასე, რომ ის რაც აზროვნებით გვხიბლავს, ყოველთვის არ ამართლებს.

9164. საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XIV-ის თეზისი: „სახელმწიფო ეს მე ვარ“ – დღესაც ნირშეუცვლელად მოქმედებს დემოკრატიაზე ამოფარებით.

9165. „ჯიხადის“ გადამკიდე ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება შუშის სახლში ცხოვრობს და ამ ვითარებაში პოლიტიკური ენერგიით დამუხტული ქვების ერთმანეთისთვის სროლას უნდა ვერიდოთ.

9166. დღევანდელი დემოკრატია უსუსურია. პარტიებს შორის არის სხვადასხვა აზრი, უთანხმოება და ურთიერთგაგებაც და ამას რომ სინამდვილეში ერთპარტიულობამდე მივყავართ, არად დაგიდევენ პოლიტიკის მამები.

9167. რაც არ გერგება, ადრე თუ გვიან, არ შეგერგება და ყველაზე უკეთ ეს ანდაზა ხელისუფალმა უნდა გაითავისოს.

9168. პოლიტიკაში პოზა, მოჩვენებითობა, უფრო მეტია, ვიდრე რეალური ზრუნვა, საქმეთა ჭიდილი, წინხედვა.

9169. პოლიტიკა სწორხაზოვნებას, სიჯიუტეს, უსახობას, ვერ იტანს, მაგრამ ხელმოცარულნი მაინც ამ გზას ადგანან.
9170. პოლიტიკა, სიკვდილ-სიცოცხლის ბოლომდე მისული რამაა, მაგრამ საზოგადოებას ეს დიდად არ აღელვებს.
9171. ხელისუფლის პასუხისმგებლობა კანონის და ხალხის წინაშე ორსამჯერ მეტი უნდა იყოს, „თავის გაგდებინებით“, რათა ყველა ვიგინდარამ და უნიჭომ ქვეყნის პირველი კაცის სკამზე წამოსკუპება არ მოინდომოს.
9172. „დამკვირვებელთა“ ოდენობის ზრდა, გამოსაზოგებელი დროის მუქთად ნაყვა, „გაეროს“ უნიათობაზე, უსუსურობაზე და მოჩვენებითობაზე მიუთითებს.
9173. სოციალიზმს რომ ადამიანური სახე მიეღო და გონით აღჭურვილ პიროვნებებს ემართათ, მისი ვარგისიანობა საეჭვო არ იქნებოდა.
9174. „გაეროს“ სტატუსით გამაგრებულ, ვეტოს დადების უფლების მქონე, ხუთ აყლაყუდა ქვეყანას, არ უნდა თავიანთი პრივილეგიების დაკარგვა, რათა მსოფლიო სასამართლომ თერთმეტი უპატიოსნესი პიროვნების შემადგენლობით, გადაწყვიტოს სამყაროს საჭირბოროტო საკითხები, მაშინ როდესაც მსოფლიოს თვალის ასახვევად ეს ხუთი ქვეყანა მუდამ სამართლიანობაზე გაჰყვირის.
9175. პოლიტიკა ხშირად თაღლითობს, გარკვეული შეცდომების აღიარებით, ცოდვების მოუნანიებლად.
9176. პოლიტიკაში უმთავრესია, საკომპრომისო საქმე სადაო არ გავხადოთ, რადგან ამ დაპირისპირებას მშვიდობა მოჰყვება თუ ომი, არავის უწყის.
9177. თუ გნებავთ წარმატება იზეიმოთ, ხალხის გარკვეულ ნაწილს თქვენი ნება „ნებაყოფლობით“ უნდა მოახვიოთ თავის ძალის და გონიერების ჩვენებით.
9178. პოლიტიკა ყოველთვის სულით საჭურისი იყო და იმადვე დარჩება.
9179. სხვაზე მიკედლებულ ხელისუფლებას, იმ ქვეყნის შესაძლებლობებიც თავისი ჰგონია.
9180. სხვათა სიმდიდრის, ტერიტორიათა, მიმტაცებლებს, ზურგს უკან ყოველთვის რევანშისტები ჰყავთ ჩასაფრებული და თუ შემთხვევა მიეცათ, დანის ჩარტყმას არ დაზარდებიან.
9181. ხალხის შეგნებას, დროის შესატყვისად, პოლიტიკა აკონტროლებს და არემონტებს.
9182. ზოგჯერ მოწინააღმდეგის „კვება“ უფრო სასარგებლოა, ვიდრე ძალას მოიკრებდე და მერე, შენი სიძლიერის შემყურე, ერთი დაცაცხანების შემდგომ თავადვე შეგეშვება.

9183. არჩეული ხელისუფალი და მისი წარმომადგენლები გადაცდენის და უნიათობის შემთხვევაში სიკვდილით უნდა დაისაჯონ, შედეგად ხალხიც მოისვენებს და სახელმწიფოებრიობაც და მასში ძრომიალს ვიგინდარები შეეშვებიან.

9184. გონიერი ხელისუფლება მეზობელ სახელმწიფოებს ყველაფერზე თავს უქნევს, ზოგადად ეთანხმება და საქმეს მაინც თავის ჭკუაზე აკეთებს. ქართულად ამგვარ ქმედებას „გოთვერნობა“ ჰქვია, მაგრამ პოლიტიკაში ასეთი ქმედება რატიფიცირების გარეშეც მიღებულია.

9185. მშვიდობიანი თანაარსებობა, თავდაცვის შესაძლებლობის საუკეთესო მაჩვენებელია.

9186. ძალაუფლების კაიფია, თუ ხალხს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობა აქვს, ე.ი. ტყუილად არ უღვაწია.

9187. ჩემი აზრით, სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულებაა გადასახადები უდანაკარგოდ ყველას გადაახდევინოს, სიღარიბე და უმუშევრობა აღკვეთოს, ხოლო პროფესიონალ მათხოვრებს, რეციდივისტებს, სამუდამო საცხოვრებლად თავისუფალი გასახლება მიუჩინოს, ტერიტორიის დაუტოვებლად, მათთვის განკუთვნილ რაიონებში და ინვალიდებს, უპოვარებს ქალაქები აუშენოს თავისივე ინფრასტრუქტურით.

9188. ერს თუ ნაციონალურ ავტონომიას უქმნი, ჯობს გამოყო და ცალკე სახელმწიფოდ აღიარო, უფრო იაფი დაგიჯდება და მადლიერიც დაგრჩება, რადგან როგორც კი ფეხი დაგიცდებათ პოლიტიკურ ასპარეზზე, გამოგეყოფა.

9189. კეთილშობილებაა მას ემსახურო, ვინც ხალხმა თავისი უგნურებით თავზე წამოისვა მომავალ არჩევნებამდე, რადგან ბუნტს და ზეგეგმიურ სისხლისღვრას ქვეყნისათვის სიკეთე არასოდეს მოუტანია.

9190. ხალხის აბუნტება და შექმნილი მდგომარეობით ვიღაცების „სპეკულირება“ ხელისუფლების ბრალია, რადგან ბუნტის საწინააღმდეგო „ბინძური ვირეშმაკუნობის“ პოლიტიკური ვაქცინა დროულად ვერ გამოიყენა.

9191. ქალის და ხალხის დაყვავების შერწყმა პოლიტიკური დიდოსტატობის ნაწილია.

9192. ხელისუფლება ძალაუფლებას ბოროტად იმიტომ იყენებს, რომ ხალხი ბაიბურში არაა.

9193. ხელისუფლება, რომელიც თავის მოსახლეობას დაუსაქმებლად ტოვებს, ყბედობის მეტს არაფერს აკეთებს და დროის გაყვანას

ტკბილი სიტყვებით ცდილობს მომდევნო არჩევნებამდე, ფურთხის ღირსია, რადგან უსაქმო ლიქნით ქვეყანას ვნებს.

9194. ყურით მოთრეულ დემოკრატიას ამოფარებულ ლოთს, ნარკომანს, უსაქმურს, არაფერზე პასუხისმგებლობა და თავის მოქაჩლება არ უნდა, ძალას იხმარ და ადამიანის საყოველთაო უფლებები „დარღვეულია“.

9195. ის, რაც გონიერებისთვის მომგებიანია, ყველასთვის მისაღები არ არის და სწორედ აქაა დაძალება საჭირო.

9196. მხოლოდ პრობლემის შემჩნევა, ნაკლოვანებების აღიარება და ვითომდა საქმის გამოსწორების მცდელობა სულით ნაძირალა პოლიტიკოსთა წესია.

9197. ყველა ტირანს, ადრე თუ გვიან, ძალა ეცლება და ეს ხალხის კი არა, არამედ ასაკის მატების და იმქვეყნად გადაბარგების დამსახურებაა.

9198. პოლიტიკას, უმთავრესად, მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად უნდა ვიყენებდეთ და იშვიათად სხვა რაღაც-რაღაცების მოსაგვარებლად.

9199. ყველაზე ძნელი და სასარგებლო, დროის და ხელისუფალთა გათავხედების არჩევნებამდე შეცნობაა.

9200. თანამდებობას მაშინ აქვს აზრი, თუ მას შედეგის მიხედვით შეაფასებენ და მკაცრ პასუხს აგებინებენ ჩადენილი დანაშაულისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის „სასუსნავის“ მითვისებას დაიწყებს.

9201. პოლიტიკას გულმავიწყობა სჭირს, თუ გარემოებათა წისქვილის დოლაბი მის სასარგებლოდ არ იტრიალებს.

9202. პოლიტიკა ხელსაყრელი მომენტების დაჭერაა, ქვეყნის გაერთიანების, გაძლიერების და ტერიტორიების შემომატების მიზნით.

9203. ყველა რეფორმა თანდათანობით და შეუმჩნევლად უნდა ჩატარდეს, თუ გინდათ მან რეალური შედეგი გამოიღოს.

9204. დიქტატურასაც მოუთოკავი ენერგია აქვს თავისი მარგი ქმედების კოეფიციენტით.

9205. როდესაც კითხვები საქმიან პასუხებს გაცილებით სჭარბობს, ეს ხელისუფლების გონიერებაზე არ მიუთითებს.

9206. ხელისუფალმა თავისი ყველა არასწორი ნაბიჯით შეიძლება ქვეყანა საძმო სასაფლაოდ აქციოს.

9207. ძალის ჩვენება იმიტომაც იწვევს ხალხის მხარდაჭერას, რომ უფრო სწრაფ და რეალურ შედეგს იძლევა, ვიდრე დემოკრატია, რომელსაც სწავლა, დრო, გათავისება, სჭირდება.

9208. კარგი ხელისუფალი თავისი მმართველობის პერიოდში, უპირველესად, მოქალაქეთა გონების დასუფთავებას თავის ჭკუაზე უნდა ცდილობდეს, რათა მათ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე აკეთებინოს.

9209. პრაქტიკული ჭკუა იმას მოეკითხება, ვისაც ენაზე კბილის დაჭერა შეუძლია და სულით დიპლომატია.

9210. თავისუფლებასაც, დემოკრატიასაც და მშვიდობის დაცვასაც ჩვენის დახმარებით ფესვების გადგმა სჭირდება, რათა მისი ნაყოფი ვიგემოთ, დავაჭაშნიკოთ, შევეჩვიოთ და ამის შემდგომ ვისიამოვნოთ და ჭკუით ვიცხოვროთ.

9211. სისხლის გამოშვების, უსაქმურთა დასჯის და გარკვეული პოლიტიკური კაურების გარეშე, ხელისუფალი ვერ ჩამოყალიბდება, გენიოსიც რომ იყოს.

9212. ხელისუფლებამ ადამიანი, რწმენის ჩანერგვის მოშველიებით, სიბერემდე უნდა აღზარდოს.

9213. პოლიტიკაში არის ცოდვები, რომელთა ჩადენა ხელისუფლისთვის აუცილებელია, რათა მეტი ცოდვა არ მოხდეს, გაცილებით მეტი სისხლი არ დაიღვაროს და უდანაშაულო ხალხი არ გაწყდეს. გიორგი ბრწყინვალემ, ცივის მთაზე მოწვეულ „სტუმრებს“ (კავკასიაში უდიდესი ცოდვაა სტუმრების ხელის ხლება) თავები დააჭრა და ამით ქვეყანა იხსნა მორიგი დაპირისპირებისაგან.

9214. უკიდურესობას და კაპრიზს ვერც ერთი პოლიტიკა ვერ იტანს.

9215. პოლიტიკური აქციების შეძენას მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც უნდა მიეძალოს, იქნებ გაუმართლოს და ხელისუფლებას ხელი გამოკრას.

9216. ისტორია ფაქტებით ვაჭრობის ბაზარია, სადაც ფულს ხელისუფალი იხდის, თავის პოლიტიკური კრედოს შესაბამისად.

9217. პოლიტიკას მიტმასნილს ყველას თავი „ტალეირანი“ ჰგონია, ხოლო ამ უკანასკნელთან შედარება რამდენ წინასწარ დაგებულ მახეზე გადახტომას და ეშმაკობას გულისხმობს, წარმოდგენა არ აქვთ.

9218. ყველა ხელისუფლება მეტ-ნაკლებად დამნაშავეა და კრიმინალთან თანამშრომლობაზეც უარს არ ამბობს.

9219. დემოკრატიის თერაპიისაგან განსხვავებით, რევოლუცია ქირურგიაა, მას მაშინ იყენებენ, როდესაც თერაპიამ ყველა შესაძლებლობა ამოწურა ან მკურნალობა არ მოინდომა.

9220. პოლიტიკა პრინციპების და დოგმების გონივრული გადახედვაა, სარგებლით.

9221. ყველა ხელისუფალი თავისებური რეჟისორ-მსახიობია, სპექტაკლებს თავად დგამს და თავადვე ანსახიერებს, მრჩევლების ტაშის დაკვრით და მლიქვნელთა ოვაციებით.
9222. დემოკრატია შესატყვის არისტოკრატიზმს უნდა ახსიათებდეს, თუ უნდა ხალხს გაუგოს და მასაც გაუგონ.
9223. დემოკრატია მხოლოდ სიმართლის თქმის და აზრის გამოხატვის უფლება კი არ არის, არამედ გაუჯანჯლებლად ღონისძიებათა მიღება და დაუგვიანებლად საქმის გადაწყვეტა.
9224. ხელისუფალს თანდაყოლილი ნიჭი ზრდის და არა – ხალხი, ხოლო თავად ხალხის აღზრდასაც ცდილობს და კიდევაც ამუნათებს.
9225. კომუნიზმის დევიზია „ყველას მოთხოვნილების მიხედვით, ყველასგან – უნარის გათვალისწინებით“ ე.ი. ყველა დასაქმებულია და საშუალება გეძლევა თავი გარიყულად არ იგრძნო, შენი ადგილი მოიძიო ცხოვრებაში და რაც მთავარია, სულიერად არ გაღარიბდე და არ გაირყვნე.
9226. პოლიტიკას ფილოსოფია არ აქვს, ის დოგმებით საზრდოობს.
9227. პოლიტიკოსისთვის მთავარია, ყველაზე და ყველაფერზე ყურით მოთრეული მაგალითებით და იუმორით იყბედოს, რადგან მის აზროვნებას ცოტანი ამჩნევენ და უამრავლესობა ვერც იგებს და არც სჭირდება.
9228. ხელისუფლებისკენ ლტოლვა პათოლოგიაა, რადგან ამ „დაავადების“ წარმატებით მკურნალობა გამორიცხულია.
9229. პოლიტიკაა ისიც, როდესაც საკუთარი ინტერესებს გინდა არგო, სხვისი ინტერესებიც არ უნდა დაივიწყო და შენი ინიციატივით დააბალანსო.
9230. სოციალისტურ წყობასა და კაპიტალისტურ წყობას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველს საერთო პრეტენზიებს წარუდგენენ, მეორეს – საკუთარ თავს.
9231. ყოველი გაჭირვებული და გაბახებული ძალადობა ტირანიაში გადადის.
9232. დაუგეგმავი პანაშვიდების, მტკიცე ხელის და მოხერხებულობის გარეშე, ცივილიზაციის მომძლავრების მიუხედავად, ქვეყანა შემოქმედებითად და ღირსებით არ იმართება.
9233. დემოკრატიულ, ლიბერალურ, თავისუფალ, მოძრაობას ისე არაფერი არ ვნებს და ძირს არ უთხრის, როგორც მათზე აკიდებული სხვადასხვა მასტის ვიგინდარები.
9234. „თავადა ხარ სულელი და ბრიყვი „ცილინდრში“ – დღეს ამგვარი შემტევ-მოყბედო დაპირისპირებული პოლიტიკა იმარჯვებს.

9235. პროფესიონალი იდიოტები ყველაზე საშიშნი პოლიტიკაში არიან.
9236. პოლიტიკა ე.ი. მიზანდასახული ყბედობა, არასოდეს ყოფილა დიდი შედეგის მომტანი.
9237. ეგრეთწოდებული არისტოკრატია და ინტელიგენცია, სახელმწიფოს მართვას ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ, რადგან ისინი ცხოვრებას არ იცნობენ და მის გადაკეთებას უსაგნო ფანტაზიით მოინდომებენ.
9238. ხელისუფალი, რომელსაც რეალურ პრობლემებზე თავის გამოდება არ შეუძლია და მის მოგვარებას ვერ ახერხებს, პრეტენზიას არ უნდა აცხადებდეს ქვეყნის პირველკაცობაზე.
9239. არეულობის დროს ყველაზე ძნელია მართვის ტექნოლოგიების უცოდინარი იმ იმპოტენტების ქვეყნის სათავეში მოსვლა, რომლებსაც თვალი მხოლოდ ქურდობისკენ და გამორჩენისკენ უჭირავთ.
9240. მონანიებას მაშინ აქვს აზრი, თუ სხვა, „ქაქნაჭამი“ ქვეყნის, პოლიტიკოსიც ასევე იქცევა და ექსპანსიის მცდელობას ადგილი არ აქვს.
9241. ძალაუფლებაც, ეტყობა, შემთხვევის ნებაა და არა – განგების, თორემ ამდენი შემთხვევითი და ვიგინდარა როგორღა უნდა მოხვედრილიყო ხელისუფლების სავარძლებში.
9242. დიპლომატის შრომის აღიარების ბანკეტია ქაღალდზე გაფორმებული ხელშეკრულება.
9243. ხელისუფლების დანიშნულებაა ყველა დარგის სპეციალისტს მოეფეროს, საქმე აკეთებინოს და არა თითი უქნიოს, ტკბილი სიტყვებით უნდა მოთაფლოს და ქვეყნისთვის განკუთვნილი სამართავი დრო „რამე-რუმეების“ კეთებით მშვიდობით გადააგოროს.
9244. პოლიტიკაში „მხედრად“ უნდა მოხვიდე, რადგან პაიკად ყოფნა იშვიათად იძლევა ხელისუფლების სათავეში მოხვედრის იმედს, თუ გენიოსი არ ხარ და ბედი და დრო შენს მხარეს არ დგას.
9245. პოლიტიკოსები უპირონი არიან, ხოლო – ოპოზიცია უპასუხისმგებლო და გულმავიწყი, განსაკუთრებით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.
9246. პოლიტიკის ძალა დემოკრატიაა ქვეყნის კონსტიტუციის და კანონიერების ფარგლებში და მას ჭკუის სწავლება არ სჭირდება.
9247. შედეგი განაპირობებს პოლიტიკური ანატომიის სამართლიანობას და არა ყბედობა და უაზროდ ქუჩაში მომიტინგე ხალხი.
9248. რევოლუცია გადამდები ძალმომრეობა და ჭირია, ზოგჯერ უზნეო ხელისუფლების ხელში აუცილებელიც, წინააღმდეგ შემთხვევაში,

ძალაუფლება შიშის სიმპტომს დაკარგავდა, საზოგადოებას დაამყაყებდა და გაქრობის პირას მიიყვანდა.

9249. პოლიტიკური პარტია „სიბინძურის“ ნავსაყუდელია, რაც უნდა ბევრი იყბედოს ქვეყნის და ხალხის სიყვარულის ამაღლებული გრძნობებზე.

9250. პოლიტიკა თავისებური მაზოხიზმია: მაქსიმალური სიტყვების ფრქვევით, აზროვნების მინიმალური გაღებით ყველასი და ყველაფრის კრიტიკით, კაურებით და ჩასაფრების იმედით.

9251. ხელისუფლებას თუ თავზე წარმოდგენა აქვს ხალხის საკეთილდღეოდ, აქ ტირანიისკენ მიდრეკილება არაფერშუაშია, უბრალოდ, მას საქმის კეთება და ქვეყნის სიძლიერე უნდა, თავისი ნიჭის, შეძლების შესატყვისად.

9252. პოლიტიკურ ხიბლს და გონიერებას ერთად ცხოვრება უჭირთ, რადგან პირველი ყოველთვის ჯობნის მეორეს ხალხის თვალში.

9253. ქვეყანა, უპირველესად, პოლიტიკურ ფიგურას გამოჰყავს კრიზისიდან და არა პოლიტიკოსების ყაყანს.

9254. ყველაფრის ცოდნის უფლებას გარკვეული ასაკი იმსახურებს და არა – ამოტრიალებული ჭკუის მცდელობა, რომელსაც მომწიფება, დაღვინება, სჭირდება და არა მარტო ხალასი ნიჭი, რომლის დანაგვიანებას დროზე ადრე შეუდგა.

9255. სამწუხაროდ, პოლიტიკა, გამყიდველების ხელში, შინაურსაც ვერ ენდობა, თუ სათანადო იმედის დივიდენდებით არ აღჭურვავ და არ დააფინანსებ.

9256. ქვეყნის დალაგებას კარგა მოზრდილი დრო და ძალისხმევა უნდა, დანგრევას – „ძალად უკმაყოფილოთა“ ერთი დღის „მუშაობა“.

9257. ამომრჩევლის სიყეყეჩეს მიმატებული გაუცნობიერებლობა და გულგრილობა უგვანო ხელისუფლის თავზე წამოჯდომის ტოლია.

9258. ხშირად საქიშპო და გასაყოფი, მათ შორის, პოლიტიკაშიც, არაფერია, უბრალოდ, მოსმენის ნიჭი არ გაგვაჩნია და „ჩემის“ და „შენის“ გათავისებას რომ მიჩვევა სჭირდება, ვერ ვხვდებით.

9259. ქვეყნის ნგრევა მაშინ იწყება, როდესაც „გაურანდავი ვაგონები“ შემადგენლობის სათავეში ხვდებიან და „ელმავლობას“ იჩემებენ.

9260. შვების გრძნობის დაუბანდებლად არც ერთ ქვეყანას მომავალი არ აქვს.

9261. პოლიტიკური აზროვნების „ნაცოხნი“ ამომრჩევლის დროულად დაღვინება და დაჭაშნიკების ცოდნაა.

9262. ხელისუფალია ის, ვინც მოქალაქეებს აიძულებს ყველანაირი გადასახადის გადახდას ქვეყნის ბიუჯეტის შესავსებად, მათ შორის – იმქვეყნად წასულებსაც.

9263. დღეს ინტერნეტი დაუსაქმებელი ხალხის გართობის და იმედის მომცემი საშუალებაცაა, რომლებიც მათთვის საინტერესო ჭორებს ელექტრონული ინფორმაციით იგებენ, ავრცელებენ, რაც თავისებური პოლიტიკაა ფსიქოთერაპიით, რომელიც საქმის გარეშე დარჩენილ ხალხს „საქმიანად“ დროს აფლანგვინებენ, ამუნათებენ.

9264. ხშირად ოპოზიცია დემოკრატიის უსუსურ-უაზრო ნაგლეჯების ალიბად აფარებას ცდილობს და ჰგონია შემართების და ზნეობრივი ქცევის გარეშე რაიმეს მიაღწევს.

9265. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ძლიერება, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის ერთი კაცის „პენისის“ ქეიფზე იყო დამოკიდებული, რაც ვერავითარი პარლამენტარიზმი და დემოკრატიის პოსტულატები ვერ შეცვლის.

9266. სახელმწიფოს მართვის დასაწყისში, სანამ გამოცდილება მოვიდოდეს, საქმეს ნიჭი, შემართება, აკეთებს და არა საზღვარგარეთის პოლიტეკონომიის რამდენიმე კურსზე „გადამხტარი“ ახლადგამომცხვარი ხელისუფლება.

9267. პოლიტიკა, ფაქტიურად, ყოველთვის თავისი სარგებლით ფერების შერჩევის და მოხატვის ნიჭია და სხვა არაფერი.

9268. პოლიტიკა პოზიციათა ასპარეზია და არა – უნიათობით გამოწვეული „ონანიზმი“.

9269. ქართული პოლიტიკის „აქილევსის ქუსლი“, სამწუხაროდ, ყოველთვის უაზრო და „უტრაკო ყარაჩოხელობა“ იყო, ხოლო ეკონომიკისა – შური, დაუნახაობა, გაუტანლობა.

9270. ყველა პოლიტიკური მიმართულება სარგებელს ნახავს, თუ მათ იდეოლოგიას პატივს სცემენ და ზომიერების ფარგლებში განსჯიან, აკრიტიკებენ.

9271. არჩევანს ხშირად ჩვენი შეუგნებლობა და ხასიათი ზღუდავს და ხმას იმას ვაძლევთ, ვინც ამას არ იმსახურებს.

9272. სახელმწიფოებრიობის სინონიმებია: „ჯერ წესია საქმე, მერე საქმეა საქმე“ და თუ ამ პოსტულატებს უგულებელყოფს, იმ ქვეყნის საქმე წასულია.

9273. პოლიტიკა, უმთავრესად, თავის წარმოჩენის, გამორჩენის, საშუალებაა და არა – თავის გამოჩენის, საქმის კეთების.

9274. მთავრობაში ფეხით კარს ის აღებს, ვისაც გაპიარებული ტვინი გინებით აქვს დატვირთული და ხელები – ძღვენით. ხშირად ეს უკანასკნელი უფრო მეტ პატივშია.

9275. პოლიტიკოსმა წინჭვრეტა, ყოფის ჭადრაკის თუ არა, შაშის თამაშის შესატყვისად მაინც უნდა შეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ადგილი ქვეყნის სანაგვეშია.

9276. განსხვავებული ოცნებები პოლიტიკაში ხშირად დაპირისპირების საბაბად იქცევა და ეს ყველა დროის ცივილიზაციის უგუნური გამოხდომაა.

9277. კარიერის საწყისი მლიქვნელობაა, ადგილის ცოდნით და იმ გარემოებით, რამდენად ხარ საჭირო როგორც მსახური და არა – კონკურენტი.

9278. პოლიტიკა მოწოდებითაა ამორალური.

9279. ხელისუფლებაც ხშირად ქუჩაში აგდია, იმდენად დიდია უკმაყოფილო ადამიანთა ქარიშხლის ამოვარდნის საფრთხე, ერთი გაბედული ნაბიჯი და ხელისუფლება ციხეშია.

9280. პოლიტიკური არითმეტიკის ცოდნა ყველა ამომრჩევლისთვის სავალდებულოა, რათა ის სიტყვების რახა-რუხს არ ენდოს. რა იყო წინათ კარგი: გარანტირებული სამსახური, დასვენება, მცირე კომუნალური ხარჯები, ადამიანს მეტი დაფასება ჰქონდა და სიტყვით მაინც ზრუნავდნენ მასზე. ცუდი: ვერ მიდიოდა თავის ნებაზე საზღვარგარეთ – ახლაც, თუ ფული არ გაქვს, იგივეა. სიტყვის თავისუფლება შეზღუდული იყო, მაგრამ თუ გაახმოვანებდი, დამნაშავეს დასჯიდნენ. დღეს რაც გინდა წერე და იკითხე, ილაპარაკე, თუ ვინმე დაინტერესებული არ არის, არავის სჯიან, ყბედობა დაშვებულია. ყველაფერი დევალვირდება, საკვები პროდუქტების ხარისხი დაეცა და გაძვირდა, ასორტიმენტი მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადად უხარისხოა და ა.შ. მხოლოდ ანალიზის შემდგომ უნდა გადაწყვიტოს ამომრჩეველმა ვის მისცეს ხმა.

9281. ყველა გიჟს თავისუფლება უნდა, ასევეა პოლიტიკაც, მაგრამ როგორ გამოიყენებს და სად, ამაზე ჭკუა არც გიჟებს მიუწვდებათ და არც გიჟის პერანგჩამოცმულ პოლიტიკოსებს.

9282. განგების ვერდიქტით დროებით არჩეული ზესახელმწიფოები 300 წელზე მეტს ვერ „ბლატაობენ“ და მათი კატასტროფა გარდუვალია, ხოლო ხარისხი ხელისუფლის გონიერებაზეა დამოკიდებული, ნგრევა კატასტროფაში გადაიზრდება თუ საყოველთაოდ მისაღებ სიმშვიდეში დარჩება.

9283. ყველა წყობის და მმართველობის რყევის შედეგად წესიერი ხალხის ზურგზე დადიან ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც ქვეყნის კულტურას, განათლების სისტემებს, ტრადიციებს, ყიდიან თავის წარმოსაჩენად და სამწუხაროდ, ბრბოში მხარდამჭერებსაც პოულობენ.

9284. უვიცობა, უნიჭობა, მეტიჩრობა, ყველაზე ცუდი საამშენებლო მასალაა ხელისუფლების ასაგებად.

9285. პოლიტიკა მომენტების დაჭერა და გათავისების მცდელობაა გარკვეული ვადით.

9286. პოლიტიკა შედეგების თანდათანობითი მოპოვებაა, წარსულის დაფასებით და ახლის გათავისებით, მათ შორის, ქვეყნის თავისუფლების მოპოვებაც, რადგან ძალადობა და დაპირისპირება გარკვეული დროით კრახს იწვევს ქვეყანაში და აუფასურებს პატრიოტიზმის, დემოკრატიის, თავისუფლების და ხალხთა შორის დაძმობილების პოსტულატებს.

9287. სახელმწიფოებრიობის სიძლიერის გარანტია გონიერი ხელისუფლის სათავეში მოსვლა არ არის, თუ დრომ და გარემომ ხელი არ შეუწყო, მაგრამ სახელმწიფოს რეიტინგის ბალანსის ცალსახად წარმოჩენა შესაძლებელია.

9288. პარლამენტარიზმი იგივე კოლექტივიზაციაა, დილეტანტიზმთან შეთანხმება-შეჯერების მცდელობით.

9289. საოცარია პოლიტიკური ამბიციები, ჯერ ერთმანეთს ვაძაგებთ და შემდგომ საერთო ენის გამონახვას და იდეურად „დაძმობილებას“ ვცდილობთ.

9290. „მშვიდობის მტრედი აშშ“ ზოგჯერ იძულებულია უღალატოს იდეალებს და თავი „გაიგიჟოს“, რადგან შემქმნელი გარემო ამას „აიძულებს“, რათა დაპირისპირებამ ქვეყანა კატასტროფამდე არ მიიყვანოს.

9291. პოლიტიკის დანიშნულებაა „ამან ეს ქნა, იმან ის თქვა“ და ისტორიის ამდაგვარ კრებებზე დასწრებას, მხიარულების ნაცვლად, სინანული მოაქვს.

9292. სახელმწიფოთა კრიზისის დროს ყველა უბედურება ჯარისკაცების კისერზე გადადის, თორემ უთავო პოლიტიკოსები არ ზიანდებიან. დროთა განმავლობაში თუ ერთმანეთთან არა, მომდევნო თაობებთან საერთო ენას ნახულობენ და ჩადენილი უგუნურების მიუხედავად, სიცოცხლეს აგრძელებენ.

9293. დემოკრატია ხალხის ნებაა, ნება კი ძალაა, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად დემოკრატიის პოსტულატი ამგვარად ჟღერს.

9294. დამპყრობლის, მიმთვისებლის, მიზანი ყოველთვის ერთია, მაგრამ დროის შესატყვის მეთოდებს იყენებენ დემოკრატიაზე და რაიმე სხვა მოდურ მიმდინარეობაზე ამოფარებით.

9295. პოლიტიკაში დებეტ-კრედიტის დამთხვევა აუცილებელია, მაგრამ ამ პროცესს ართულებს წვრილმანები და მეწვრილმანეობა.

9296. ოპოზიციას, პირველი კაცის ადგილის გარდა, რეალობაში რა უნდა, ხშირად თავად არ უწყის.

9297. გონივრული თავისუფლება, მისაღები დემოკრატია, შეწონილი პოლიტიკა, მეზობელ ქვეყნებთან თბილი დამოკიდებულება, ესაა ნაციონალიზმი უღრუბლოდ.

9298. როდესაც პოლიტიკოსთა „ვაი-შერკინებას“, ყბედობას, უყურებ, კიდევ ერთხელ „საეჭვო სიბრძნის“ მხარეს დგები: „ათი კაცის ჭკუას გამწევი ვირის ჭკუა სჯობნის“ და სამწუხაროდ, პრაქტიკა ამ აფორიზმის უკვდავებას ამტკიცებს.

9299. ხელისუფლებამ ხალხს ისიც უნდა აკეთებინოს, რის კეთებაც დაუძალებლად შეუძლიათ, მაგრამ ისიც თავისი თამადობით და ვითომდა ხელის შეწყობით.

9300. პოლიტიკოსს მისი საწინააღმდეგო ფაქტი, რა და როგორ იყო, არასოდეს აინტერესებდა, მისთვის მთავარია, რამდენად დამახინჯებით და წარმატებით შეიძლება ამ ფაქტის გვერდის ავლა და ყურით მოთრეული ალიბის გამოყენება.

9301. არის კანონი, სამართლიანობა რომლის კონსტიტუციის შესატყვისად განხორციელება დიდ დროს მოითხოვს და წამგებიანია სახელმწიფოს ფეხზე დროულად დასაყენებლად. ამიტომ ავანტურისტი ბუნების და ეშმაკი ხელისუფალი, კონსტიტუციას დროებითი დადგენილებებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით, ცვლის და ფარულ დიქტატურას ამყარებს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფ აღმავლობას და კონსტიტუციას ამოფარებული დემაგოგების საქმის საკეთებლად წარმართვას.

9302. უნდა შესწირო-გასწირო, რომ წარმატება იზეიმო, ამრიგად, ხალხი პირველკაცისთვის ყოველთვის პაიკი იყო და იმად დარჩება, თუ ლაზიერში გასვლისთვის არ ჩალიჩობს.

9303. მთავრობა ყოველთვის იქ ცდილობს უსინდისოდ ცხვირის ჩაყოფას, სადაც პირადად მისთვის რაღაც დარჩება მისათვისებლად.

9304. პრივილეგია, ცალკე სახელმწიფო, ჯილდოა და ამის საბუთიც უნდა გაიცეს.

9305. ხელისუფლების საწყისი ნებართვის მიცემა – არ მიცემაა, რადგან მის გარეშე ის არც არავის სჭირდება და არც არავინ შეეპუება.

9306. გულგრილობა ყველაზე ცუდი დაავადებაა, რომლის გამავრცელებელი უგვანო ხელისუფლებაა.

9307. რეფორმისთვის მიმართულების მიცემაც შეიძლება და დაფინანსებაც, მაგრამ მის განმხორციელებლის მონახვაა ძნელი.

9308. დროზე და ადამიანის შეგნებაზე ადრე დაუღვინებელი რეფორმა ყველგან კატასტროფით მთავრდება და კვლავ ახალი რეფორმების წამოწყება ხდება საჭირო.

9309. რუსეთს, როგორც ყოველთვის, დღესაც, სასიკეთოდ თუ „საზიანოდ“, სჭირდება დემოკრატიას ამოფარებული მათრახი.
9310. საქართველოში ბევრი უნიჭიერესი იბადება, მაგრამ ქვეყანას რატომღაც ხელმოცარული „ჭკვიანები“ მართავენ.
9311. რევოლუცია განგების რისხვაა, როდესაც არსებული მთავრობის სხვა გზით გადაყენება შეუძლებელია.
9312. რწმენა, ნდობა, იმედი, საერთაშორისო ურთიერთობაში არ არსებობს და ბოლომდე არავის უნდა ვენდოთ.
9313. დიპლომატიაა ისიც, თუ კოლეგას ძნელად გადასაჭრელ საკითხს აუხსნი თავაზიანად, არგუმენტების მოტანით, არაფრისმთქმელი დაპირებებით და დროის გაყვანით.
9314. დისიდენტობა, ჩემი დაკვირვებით, უფრო კლინიკაა, თავის წარმოჩენის მიზნით, ვიდრე თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლა, დღეს ეს დღევანდელმა უდღეურმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაადასტურეს, რომლებსაც ყბედობას არავინ უშლის, მაგრამ საქმის კეთებისთვის თავი ვერ მოუბიათ.
9315. დღეს ქუჩაში, შინაურებში, საზოგადოებაში, ხელისუფლებაში სასაუბრო ენა აირია, სიტყვამ ფასი და პასუხისმგებლობა დაკარგა და ამას დემოკრატიის მონაპოვრად მივიჩნევთ.
9316. სახელმწიფოსაც თავისი შულერები უნდა ჰყავდეს პოლიტიკაში, რომ გარემოებათა გამო წაგებული არ დარჩეს.
9317. წინათ ხელისუფლების საქმიანობის მატიანეს წერდა კარის ერთი მწიგნობარი, დღეს ეს საქმე ქვეყნის პარლამენტმა უნდა იკისროს, რათა ჯოგ-ჯოგად წარმოჩინდნენ ისტორიაში.
9318. ნაციონალიზმის და სახელმწიფოებრიობის შერწყმა მაშინ არის კარგი, თუ ქვეყანას გონიერება მართავს, ამბიციების გარეშე.
9319. გონება დღეს მთებსაც და კოსმოსსაც ხიდებით აკავშირებს და ხალხის დაკავშირება რა დიდი საქმე უნდა იყოს შემოქმედ ხელისუფალთა ხელში.
9320. როგორც შევიტყვე, ოპოზიციას მიემხრობი – არ მიემხრობი, მაინც განგება „ტირის“ როლს გვარგუნებს, იმდენად გაუგებარია ისტორიის კაურების გადასახედი.
9321. თეორიულად დამოუკიდებლობის მოპოვება არ უნდა იწვევდეს ძირძველი მოსახლეობის შემცირებას და ცხოვრების პირობების გაუარესებას, მაგრამ პრაქტიკულად ამის მაგალითები უამრავია.
9322. ხელისუფლების მიზანი ქვეყნის სამართავად ხალხებს შორის სიყვარულის დანერგვის პოლიტიკის გატარება უნდა იყოს და არა – დაყოფის და ბატონობის, რომელსაც დიდი დღე არ უწერია.

9323. მიზანდასახული შემოქმედი ხელისუფალი ყველაფერს მიაღწევს გონიერების ფარგლებში.

9324. ახალი პარტია პოლიტიკაში მოიცავს ხალხის იმ ნაწილს, რომელიც დაბნეულია და ვის მიეკედლოს, ვინ აიკიდოს თანამზრახველად, მისთვის გაუგებარია.

9325. სიღარიბეს გულმოწყალება არ სჭირდება, რადგან მასზე ან სახელმწიფოს ბიუჯეტმა უნდა იზრუნოს ან ხელისუფლების ალიყურმა.

9326. პოლიტიკა ჭადრაკის თამაშია პოლიტიკომან-გროსმაისტერებისთვის, მაგრამ რატომღაც ტურნირებს მოყვარულები აწყობენ.

9327. პოლიტიკოსები თავიანთ ამომრჩეველს იმიტომ არ ასწავლიან, თუნდაც დაძალებით, კარიერის თეზისებს, რომ მათი კონკურენციის ეშინიათ.

9328. პოლიტიკამ, პირველ რიგში, ხალხის ხუშტური უნდა განსაჯოს და ამის შემდეგ მოჰკიდოს ხელი ქვეყნის მართვას.

9329. ასაკოვან ხელისუფალსა და მეუღლეს შორის ის მსგავსებაა, რომ ერთს ქვეყნის მეთაურის მოვალეობის შესრულება უჭირს, მეორეს – ცოლის.

9330. პოლიტიკოსი მოწოდებულია ხალხს ძალა და შესაძლებლობა აგრძნობინოს და არა – ხელისუფლების შესაძლებლობებით იტრაბახოს.

9331. პოლიტიკოსთა უმრავლესობა ბუნებით ნაძირალა და მოწოდებით გამომძალველია და ხალხი რატომ ანდობს თავის ბედს და ქვეყნის მართვას, ხშირად მათთვისაც გაუგებარია.

9332. ყველაზე „არასერიოზული“ საქმე ცნობიერებისთვის პოლიტიკაა, მის უკან ხალხის ბედი რომ არ იყოს და არ ზარალდებოდეს.

9333. პოლიტიკაა ისიც, რომ დღეს მეზობელს გავესაუბრეთ, გავუღიმეთ და მისი კეთილი განწყობა დავიმსახურეთ.

9334. პოლიტიკა ხელოვნების ერთ-ერთი დარგია თუ თანდაყოლილ ნიჭს გონიერებით მართავს.

9335. პოლიტიკა, ასე თუ ისე, სხვათა სიდიადეს ვერ იტანს და მუდამ ყალყზეა შემდგარი, თუ მისგან რაიმეს არ ხეირობს.

9336. ხელკეტი პოლიტიკაში ხშირად დიქტატის მომხრე ხელისუფალს სჭირდება და არა – პოლიტიკას.

9337. დივიდენდებს პოლიტიკაში, ფეხის ხმის აყოლილი საქმის კეთებაც იძლევა.

9338. პოლიტიკა დროის შერჩევაა, რასაც თავად უნდა მიხვდს.

9339. პოლიტიკოსი, გარემოებათა გამო, ზოგჯერ იძულებულია უღალატოს თავის საარჩევნო დაპირებებს და ამომრჩეველს, რაც ყოველთვის მისი უსუსურობის ბრალი არ არია, რადგან შექმნილმა გარემოებმა ის არჩევანის წინაშე დააყენა.

9340. პოლიტიკა თავისებური ბანქოს თამაშია, სადაც პოლიტიკური შულერობა მაინც და მაინც არ იგმობა.

9341. პოლიტიკას თავის ქვეყანაზე შეყვარებულ ნიჭიერ და შემოქმედ ხალხი სჭირდება და არა გამორჩენისათვის მიწეპებული ვიგინდარები.

9342. პოლიტიკაში შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ აღიარება უჭირთ.

9343. პოლიტიკაში თუ არ აქტიურობ და სერიოზულად არაფრის კეთებას ცდილობ, ვერ დაგიმახსოვრებენ, არც გაგინებენ და ვერც გაგიხსენებენ.

9344. პოლიტიკა მაინც საყველპურო დარგია, ამბიციურობით და თავის წარმოჩენის შესაძლო ვარიანტებით.

9345. რეფორმები, ცვლილებები, ქვეყნისათვის მორიგი გამოცდაა და მას სახეირო, ფაქტიურად, არაფერი მოაქვს, მაგრამ ადამიანის ინიციატივიანი უგუნურების მოთოკვა შეუძლებელია.

9346. დიპლომატიაში უარი – საკითხზე ფასის აწევაა და არა – მოლაპარაკების გაგრძელების შეუძლებლობა, ხოლო თანხმობა ანგარებასაც გულისხმობს.

9347. მრავალპარტიულობის დროს სახელმწიფოს სათავეში მოხვედრილი პარტია სხვა პარტიებს იმდაგვარად „უთანაგრძნობს“, რომ მათ ქვეყნის „სასუსნავთან“ ახლოს არ უშვებს.

9348. ნაციონალიზმსაც თავისი პარტია სჭირდება, რათა სამშობლო უკეთ „შეიცნოს“, თანამდებობასა და სასუსნავზე ხელის გამოკვრით.

9349. პოლიტიკა ქანქარასავითაა, უნდა იქანაოს, თუ საით და როგორ, ამას შექმნილი გარემო და ხალხის განწყობილება განსაზღვრავს.

9350. პარტია, რომელიც ადამიანს არ აკვალიანებს, მოგებისა და ფულის შოვნისთვის არ იღვწის, სარწმუნოებაა და არა – პარტია.

9351. სხვის მანქანაზე დაჯახება იგივეა, რაც სხვისი ცოლის გაუპატიურება ან ამის მცდელობა.

9352. კრიზისს ხელისუფალთა „უკუგორებით“ ფულის შოვნა და მექრთამეობა იწვევს და არა – ეკონომიკა, რომლის პროგნოზები პოლიტიკას ფეხებზე ჰკიდია, მაშინ, როდესაც მას გვერდში უნდა ედგეს.

9353. თუ პოლიტიკას შეუძლია თავი ანგელოზად მოგვაჩვენოს, ეშმაკისათვის სულის მიყიდვასაც არ მოერიდება.
9354. კომუნიზმის იდეა კარგია, მაგრამ დიქტატის და შემოქმედი ხელისუფლის გარეშე განუხორციელებელია.
9355. ძალაუფლების მთავარი პოსტულატია: „მე დაგიცავთ სიავისაგან“ და არა – პირიქით, და მაშინ როდესაც მას ასარჩევად ხმების რაოდენობა სჭირდება.
9356. ზოგი პატრიოტ-პოლიტიკოსად იღვწის ყბედობით, მომავალი თაობის ჩასახვის და ერის გამრავლების გარეშე.
9357. ხელისუფლების სათავეში მოსვლის მთავარი არგუმენტია „მე ეს გავაკეთე“ და არა – „უნდა გამეკეთებინა“.
9358. ქვეყანა კონსტიტუციით თავისუფალიც არის და დემოკრატიულიც, მაგრამ არა – ხალხი და მისი მსოფლმხედველობა.
9359. ზოგი ამომრჩეველი იმ პოლიტიკოსს აძლევს ხმას, რომელზეც ძვირს ლაპარაკობს და ეს ოპოზიციონერობა ჰგონია.
9360. ყველა ძალაუფლება სათავისოდ ფულისთვის ჩალიჩობს. ეს ამომრჩეველს, რატომღაც, ვერ წარმოუდგენია და ავიწყდება, რომ ხელისუფალიც მისნაირი ადამიანია, ოღონდ მასზე მეტად ვიგინდარა.
9361. ტიტველ და მშიერ ხალხზე პოლიტიკური ექსპერიმენტების ჩატარება არ ღირს, სანამ რიგიანად არ დააპურებ.
9362. ხელისუფალმა, უპირველესად. ხალხის მექისეობა უნდა იკისროს, უნიათობის ჭუჭყი უნდა ჩამოაშოროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამდებობას დროზე ადრე დაატოვებინებენ.
9363. გადასახადის გადახდას კონსტიტუცია იმდაგვარად უნდა აწესრიგებდეს, რომ ყველა საძრომიალო ამოქოლილი იყოს, გადასახადს ერთსახად და მათ დაუკითხავად, წინასწარ შეთანხმების შედეგად, იღებდეს.
9364. ვისთვისაც განგებას ორგანიზაციული ნიჭი და მოხერხება არ დაუმადლებია, პოლიტიკასა და ქვეყნის ეკონომიკაში ჩალიჩს უნდა შეეშვას – ქაოსი მოაქვს.
9365. პოლიტიკასაც თავისი ქაფი ადევს, რის გარეშე მას მომხიბვლელობა აკლდება და ხალხი მხარს არ დაუჭერს.
9366. მშვიდობის შენარჩუნებასაც თავისი ფასი და გადასახდელი ადევს.
9367. გინდა მშვიდობა? ისწავლე: მოთმინება, მლიქვნელობა, დათმობა, ჩასაფრება, დროის შერჩევა და რევანშით „დედისტირება“.

9368. სამყარო თეატრია, მაგრამ ხშირად მასში მოთამაშე პოლიტიკოსი – მსახიობები და მაყურებელი-ამომრჩეველი თავიანთი დანიშნულების შესატყვისად ღმერთს არ უქნია.

9369. ძნელია ის აკეთო, რაც ხალხს არ მოსწონს, მაგრამ პერსპექტიულია. არც იმის კეთება შეიძლება, რაც დროებით მოსაწონია, მაგრამ მომავლის საქმეს ვნებს და უპერსპექტივოა. ამიტომაა ძნელი ხელისუფლებაში ყოფნა.

9370. პოლიტიკა უცოდველებს ვერ იტანს, კარიერის დაიღლიავებით, ქალწულად დარჩენით და პატიოსანი ზრახვებით – მან პერსპექტივაზე, მომავალზე, ერის და ქვეყნის უკვდავებაზე უნდა იზრუნოს.

9371. ევოლუცია ერთ ადგილზე არ დგას, ის ყველა დარგში ვითარდება, გარდა პოლიტიკისა და აქ თვალის ასახვევი პოლიტტექნოლოგიები მოსატანი არ არის.

9372. რატომღაც, კაცობრიობის გონიერების გამონათებას, განსაკუთრებით პოლიტიკაში, ჯერ-ჯერობით, საშველი არ ადგება.

9373. ძალაუფლების ყველაზე დიდი მონაპოვარი ის სავარძელია, რომლის პრივატიზაციას პოლიტიკოსი თავისი გადასახედიდან ცდილობს.

9374. საყოველთაო არჩევნებსაც სისულელემდე მივყავართ, როდესაც მასში ათასობით უვიცი, ვიგინდარა, მერყევი და მედროვე ბუნების, მასა აკეთებს არჩევანს გაუცნობიერებლად და იმ დღეს რა ხასიათზეა, იმის მიხედვით.

9375. პოლიტიკოსები მხედართმთავრების შეცდომაზე და ხალხის გულგრილობაზე პასუხს რატომღაც სიცოცხლით აგებენ.

9376. წესიერი პოლიტიკოსი ისაა, ვინც დანაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიზეზთა მიუხედავად, როგორც სიტყვის კაცი და ღირსების ოფიცერი, ტყვიას შუბლში იკრავს და სისხლით გამოისყიდის უპირობობას.

9377. არჩევნებში, ძირითადად, ქილიკა პოლიტიკოსები იღებენ მონაწილეობას და ამიტომაც ჰყავთ შესაფერისი უნიათო და ტაშის დამკვრელი ამომრჩეველი.

9378. საყოველთაო არჩევანსაც აქვთ არჩევითობის არასრულყოფილი ფორმა, რომელსაც ვიზუალური თავმოწონების გარდა, პრაქტიკულად სხვა არგუმენტი არ გააჩნია.

9379. საკმარისია დიქტატურას, ქვეყნის ავტორიტეტს, მიეძინოს, მასა უმალ თვალს „ახელს“ და დროშებით მიტინგებზე სირბილს იწყებს.

9380. ხალხს, ზომიერების ფარგლებში, მათრახის გადაჭერა არასოდეს ვნებდა, წყობის და შეგნების სხვადასხვაობის მიუხედავად.

9381. ქვეყნის კონსტიტუცია, რაც უნდა გონიერების ნაღვაწი იყოს, თუ მისი გარანტი ხელისუფალი ღმერთს არ უქნია, მიმზიდველობას ჰკარგავს და ვიგინდარათა საჯიჯგნი ხდება.

9382. შიდა პოლიტიკა წარმართავს საგარეო პოლიტიკას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში აშლილობა გარანტირებულია.

9383. სპორტსმენები ერთმანეთს წონითი კატეგორიების შესატყვისად ერკინებიან, პოლიტიკოსები – რანგის მიხედვით, ხოლო გონიერებას კატეგორიები და რანგი არ სჭირდება აზრის შესაჯერებლად და ჭეშმარიტების დასადგენად.

9384. სახელმწიფო მმართველობაში ყოველთვის იყო და იქნება კარიერისტების მარულა.

9385. დღეს ხალხის შეხლა-შემოხლის და ურთიერთდაჭმის შესაჩერებლად გარკვეული აკრძალვების შემოღება საჭიროა, რადგან საშუალო ნიჭი ყველაფერს კადრულობს პიარის გასაკეთებლად და ფულის საშოვნელად და ხალხის ქვენა გრძნობათა შესაკავებელი მანიპულაციები ფეხებზე ჰკიდია.

9386. თუ დღევანდელი პოლიტიკოსების პაექრობას გადავხედავთ, კიდევ ერთხელ და ვრწმუნდებით, რომ ადამიანებს კანიბალიზმისთვის საბოლოოდ თავი არ დაუნებებიათ.

9387. კონსერვატიზმი ლიბერალიზმს მკურნალობს დროდადრო ყურის აწევით.

9388. დემოკრატია, რომელიც კანონს აძლევს უფლებას საძრომიალო დაიტოვოს და შემოვლის საშუალებებს არ უსპობს, დიდხანს ვერ იბოგინებს და არც ხალხს გამოადგება.

9389. დემოკრატია იმ აუხდენელ მცდელობათა კრებულია, რომელზეც ხშირად გვიოცნებია, ყოფის გამოცდილების გარეშე.

9390. დემოკრატია, ქვეყნის კონსტიტუციის და კანონიერების უზენაესობის გარეშე, აზრს კარგავს, რადგან შეუძლებელია სადავეების კეთილი სურვილებით მოზიდვა და ქვეყანა ირევა.

9391. ნულს მივუმატებთ თუ გამოვაკლებთ ნულს, არითმეტიკისთვის ერთიდაიგივეა, მაგრამ პოლიტიკაში პერსპექტივა და რაღაც „დამაიმედებელი“ ჩნდება.

9392. ცენტრისტობა იმის გარანტიაა პოლიტიკაში, რომ როგორც მემარცხენეებთან, ასევე მემარჯვენეებთან საერთო ენის გამონახვა შეგიძლია, მაგრამ ქვეყნის პირველკაცობაზე პრეტენზიის გარეშე.

9393. პოლიტიკაში სიკვდილს, შეუვალობას. ჭეშმარიტებას, ყოვლისშემძლეობას, წინხედვასთან ერთად, ერთმანეთისგან თითო ნაბიჯი აშორებს.

9394. სიკეთის და ბოროტების ჩადენას, პოლიტიკაში, ქვეყნის სიძლიერე და მისი უსაფრთხოება განსაზღვრავს.

9395. პოლიტიკა მომავლის ხედვაა, ჭკუაზე წიხლის დაჭერა, ამბიციების მოთოკვა, ვაჭრობა და არა ის, დღეს რა სარგებელს ნახულობ და ტაშით გაჯილდოებენ თუ არა.

9396. პოლიტიკის მომავალი წერტილია „ვიძენთ და ვასაღებთ“, მოკლედ, რა სარგებელი „გამოითხრება“.

9397. პოლიტიკა რეალური მომენტების დაჭერაა, მოხერხებული აზროვნებით და იუდას ხელით ქვეყნის საქმის კეთებით.

9398. ხელისუფალი ოჯახის მოწყობის უნარის მიხედვით უნდა ავირჩიოთ და არა, იმით როგორ გვამუნათებს და რა „სიაფანდით“ გვმოძღვრავს.

9399. იცოცხლო, ისიამოვნო, იცხოვრო და სხვასაც აცალო, ასწავლო ყოფის ეს ანბანი, პოლიტიკისთვის რატომღაც მიუღებელია, ალბათ, ამბიციურობის გამო.

9400. გაყიდე ცოდნა – იყიდე ნამუსი, კრედიტში ჩადე კაცობა – გამოისყიდე ვაჟკაცობა, მოთაფლე მასა – დააგირავე ხალხის კეთილდღეობა, აი ეს არის დღევანდელი პოლიტიკის საწყისიც და ბოლოც.

9401. უსამართლობა, თავქარიანობა, ტრადიციების და კანონის ის უპატივცემულობა, აყენებს ოპოზიციას ქვეყნის კონსტიტუციის „ღალატის გზაზე“, რაც ხელისუფლების ძალით ხელში ჩაგდების მცდელობაში გამოიხატება.

9402. ხელისუფლება ხალხის საწყისიდან, ბუნებიდან, უნდა გამომდინარეობდეს და გამიზნული იყოს ფართო საქმიანობისთვის, თავის მოწონება-წარმოჩენით.

9403. ძალაუფლებასაც უხდება ზოგჯერ ხალხის მასებთან მოლაპარაკება, ლაქუცით და თავის მოდრეკით, რადგან უამისოდ დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს და ვერც საუფროსო სკამს შეინარჩუნებს.

9404. ხშირად ხალხი იმ ხელისუფლებას იმკის, რომელსაც წესით სხვა მოსავალი უნდა მოეცა.

9405. ყველა ჩვენგანი სიცოცხლეში რაღაცის დაგროვებას ემსახურება, მატერიალური იქნება თუ სულიერი, წესიერი გზითაა შეძენილი თუ უწესოთი, ხალხის სიყვარულითაა ნაცადი თუ პოლიტიკაზე გამოკიდებით.

9406. ზიზღი პოლიტიკის განუყრელი ნაწილია, რადგან მას საწინააღმდეგო აზრები, ქმედებები, აფრთხობს და კონკურენციას უწევს.

9407. ხელისუფალი, რომელიც საჭირო სიჩქარით, ხელსაყრელ გარემოში, შეტევაზე არ გადადის და საჭიროების ჟამს აზრიანად უკან არ იხევს, პოლიტიკისთვის და უფროსობისთვის უვარგისია.

9408. ხელისუფლებაში ყველაზე საშიში საეჭვო იდეებთან თამაშია, რომელიც გაამართლებს თუ არა, არავინ უწყის.

9409. ძალა პოლიტიკური გარემოს „აღმართს“ ხნავს და არა – გონიერებას, ღირსებას, მსოფლმხედველობას.

9410. დემაგოგია არაჯანსაღი რამაა, მაგრამ ზოგი მის გამოყენებას პრაქტიკულად ახერხებს და ზოგჯერ წარმატებითაც, განსაკუთრებით, დიქტატორები, „ერის მამები“ და თავზე წარმოდგენის მქონე ხელისუფალნი.

9411. ინვესტიციების მოზიდვას ხელისუფლების მფარველობით, კორუფცია ჰქვია, მაგრამ მას ხელის კვრას ვერავინ უბედავს.

9412. რევოლუციის საფრთხე ყველა ხელისუფლების დროს არსებობს, თუ ქვეყნის კონსტიტუცია ძალად გადემოკრატიულებულია, დროის ყივილისთვის შეუფერებელია და ქვეყნის მმართველობაში „უგუნურების დოღია“ გამართული.

9413. ბევრი რამ თავისით, დროის გაყვანით, არ გვარდება და ხშირად ეს არის ზოგიერთი პოლიტიკოსის შეცდომა, რადგან საზოგადოება იცვლება.

9414. სამწუხაროდ, ქვეყნის კრიზისი პიროვნებას ითხოვს, დროებით დიქტატორის მანტიაში გამოწყობილს.

9415. სამწუხაროდ, ზოგისთვის შური, ღალატი, ამბიციები და „ბაცნობა“ თავის წარმოჩენა-მოწონების საშუალებაა და ამის საუკეთესო მაგალითია ქვეყნის ეკონომიკა, პოლიტიკა, მუდამ სხვის „უკანალში“ ყურებით, ნიშნის მიგებით, თავის წარმოჩენით, უაზრო ბიშტის ჩვენებით. არა და, რა სჭირს საამისო ამ უნიჭიერეს ერს, გაუგებარია.

9416. დღეს პოლიტიკა სანახაობა, პიარის საშუალებაა და არა – სერიოზულ პოზიციათა ასპარეზი, საქმიან წინადადებათა შემოთავაზებით, თავზე პასუხისმგებლობის აღებით.

9417. ზოგიერთ ქვეყანაში საყოველთაო არჩევნებს ისე აქვს სახელი გატეხილი, რომ უკეთესია კანდიდატების არჩევა ლატარიის გათამაშებით შევცვალოთ, უფრო საქმიან დეპუტატებს ავირჩევთ და არჩევნებიც სამართლიანი და შემოსავლიანი იქნება.

9418. ზოგჯერ პოლიტიკოსები გაზაფხულზე ისეთ მოუსავლიანობას წინასწარმეტყველებენ, რომ იმითაც ვკმაყოფილდებით, თუ მერცხლებს მშვიდობიანად დაბრუნებულებს ვიხილავთ თბილ ქვეყნებიდან.

9419. ქვეყნის კონსტიტუცია სახელმწიფოებრიობის მამაა, თუ მისი შედგენისას მამობილებმა არ „წაიჩალიჩეს“.
9420. პოლიტიკაში რეალობას ყველა თავის მხრიდან უყურებს და პირდაპირ დებატებს, რატომღაც, თავს არიდებენ.
9421. პოლიტიკა ყოველთვის იყო და დარჩება პირად დაინტერესებად, კომპრომისზე წასვლის მომიზეზებით.
9422. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც თუ მიქარული აქვს, არ გაიყიდოს, არ არსებობს ხელისუფალი, რომელიც, თუ ჭკუით მოინდომეს, არ ჩამოაგდონ.
9423. იყო პოლიტიკოსი, აღზრდის და „კადრების“ საკითხია.
9424. „საქმიანი დემაგოგია“ პოლიტიკის ერთ-ერთი განუყრელი ნაწილია, სხვაგან მისი მოაზრება ჭირს.
9425. თუ ქვეყანას მოხერხებული ხელისუფალი ჰყავს, ოპოზიციასთან მუშაობა ადვილია, დაავალეთ მას იმ საქმის გამოსწორება, რაზედაც გსაყვედურობენ, თუ შესძლო, დაუყვავეთ, შეაქეთ, თქვენ მხარეს გადმოიბირეთ, თუ „ჩაისვარა“, ოპოზიციის ყველა კოზირი გაჭრილია.
9426. პოლიტიკაში ტოლერანტობა-მოთმინება იმუნოლოგიურია იმ უცხო ძალების შერწყმით, რომელთა გარეშე დაცვითი სიმპტომების მობილიზება და გონიერების უსაფრთხოების იმუნიტეტის გამომუშავება არ ხერხდება.
9427. სახელმწიფო ერთი კაცია და ეს აქსიომა, რატომღაც, ხშირად ამართლებს.
9428. ხშირად პოლიტიკა მარტო დამიზნებით არ კმაყოფილდება, ცეცხლს უხსნის მოწინააღმდეგეს და შედეგის მიუხედავად, შეტევაზე გადადის.
9429. ქვეყნის კონსტიტუციის უმაღლესი ნება უნდა იყოს იმ არჩეულ პირთა ჩაქოლვა, რომლებიც დაპირებას არ ასრულებენ, ამით ქვეყანასაც ეშველება და ხალხიც ასე ხშირად ბრბოს სიმპტომით აღარ დაავადდება
9430. პოლიტიკაში ხშირად ამზადებენ იმ ზომის ტყვიებს, რომლის გასასროლი თოფი არ გააჩნიათ.
9431. ხელისუფლების მოვალეობაა საჭირო და სასიკეთო საქმის კეთება, ზომიერების ფარგლებში „თავის დაუვიწყებლად“.
9432. ადამიანებს, რატომღაც იმათი ესმით, ვინც ვითომ მათთვის თავს სდებს, გოლგოთას ესაუბრება, ჭეშმარიტებას „ტანჯვით“ ეზიარება და ყველას ბედი, სინამდვილეში, ფეხებზე ჰკიდია, განსაკუთრებით, კარიერის დაკარგვის და მისი „ფუკაში“ აღების შემდეგ.

9433. ყველა ერს შეუძლია მაქსიმუმს მიაღწიოს თუ მისწრაფებას ავლენს, ჩასაფრება შეუძლია, დროის შერჩევის უნარი შესწევს და ზოგჯერ სათავეში გაწონასწორებული ხელისუფლება ჰყავს.

9434. პოლიტიკაში, სპრინტერის მონაცემების და წვრთნის გარეშე, ელმავლის წინ სირბილი უფრო საშიშია, ვიდრე დაწევა, რადგან პირველს გენიალობასთან ერთად, შემთხვევის გვერდით ყოფნა სჭირდება, ხოლო მეორეს ელმავლის დასაწევად სტაიერის მომზადება და წინასწარი გათვლაც ყოფნის.

9435. უსამართლობა გონიერებასთან არ მეზობლობს და არც მისი აზრი აინტერესებს, ეს ყველაზე უკეთ უნდა გაითავისონ პატარა ქვეყნებმა და „უკანალის“ თამაშს თავი უნდა ანებონ, გარკვეულ დრომდე.

9436. ქვეყნის ხელისუფლის ავ-კარგიანობაზეა დამოკიდებული ერის შეკავშირება, მისი ერთი დაძახება ერისკენ, ქვეყნისკენ, შემოგვატრიალებს, რადგან ყველა ჩვენგანი ეროვნულობას ემსახურება.

9437. რესპუბლიკა ნიშნავს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ფუნქციების გამიჯვნას, ხოლო მკაცრი დემოკრატია უმცირესობის უმრავლესობისადმი მორჩილებას და საქმიანობის უზენაესობას, მაგრამ რომელ მიმდინარეობას ითვისებენ ქართველები, ჩემთვის გაუგებარია, ალბათ, „აჯაფსანდალურ“ წყობას, სადაც ვინ რა უნდა აკეთოს და ვის რა მოეთხოვება, ვერ გარკვეულა.

9438. ბოროტებას და აგრესიას თავისი ახირება აქვს და მათთან ბრძოლა და მოლაპარაკება დროებით დათმობას და ჩასაფრებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც სახელმწიფოებრიობა იხეირებს და ვერც მისი დროული განვითარება.

9439. ერთპარტიულობა, ხელისუფლების უზურპაცია, დიქტატურა, ბოლოს სახელმწიფოებრიობის ნგრევას იწვევს, რადგან მათ უჭირავთ დაგროვილი ცოდვების გამოსაშვები სარქველის სახელური.

9440. დღევანდელი სახელმწიფოს მეთაურს უფრო მწვრთნელის ფუნქცია უნდა ებაროს და არა ლიდერის, რადგან თამაში გუნდმა უნდა მოიგოს, არა მარტო გონივრული კანონების მიღებით, არამედ მათი დამოძღვრით, წარმართვით და ინიციატივის გამოჩენით ყოფასთან შერკინებისას. ამასთან გუნდის წარმატება წარმატებას უნდა მიყვებოდეს, რადგან წარსულის ღვაწლს ბოლომდე არავინ დაუფასებს. ამიტომ, უიღბლობის შემთხვევაში, დროულად უნდა გადადგეს.

9441. დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა გარე ვაჭრობას მოგვაგონებს, როდესაც ყველა თავისთვის ჩალიჩობს, გადარჩენამოხვეჭაზე ფიქრობს და ქვეყნის ბედი „ისე რა“ აინტერესებთ.

9442. სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკა სათუთი ქსოვილიდან იქმნება, რომელიც საკუთარი ხალხის სიყვარულის ძაფით იქსოვება და მისი პატრონობა მას უნდა ვანდოთ, ვისაც ამ სიმდიდრის დაცვა შეუძლია.

9443. სამართლიანი და საყოველთაო არჩევნები შემდეგნაირად უნდა ხდებოდეს: ბრბო ირჩევს ხალხს, ხალხი ირჩევს პიროვნებებს, პიროვნებები ირჩევენ დეპუტატებს, დეპუტატები ირჩევენ ხელისუფალს და არჩევანის გაწბილების შემთხვევაშიც პასუხი შესატყვისი თანმიმდევრობით უნდა აგონ.

9444. ყველა პოლიტიკა დრამატურგიაა, სხვადასხვა იმპროვიზაციით და სათუო შედეგით.

9445. ეროვნული უმრავლესობის კეთილდღეობაზეა დამყარებული ეროვნული უმცირესობის „გაკაიფება“ თავის ხუშტურებით და ურთიერთპატივისცემით.

9446. გაბედული აზროვნება, ქმედება, შეუპოვრობა, მასშტაბი ზოგიერთი შეცდომის მიუხედავად, გვაიძულებს ვიაროთ წინ, რადგან მხოლოდ ეს იძლევა სოციალიზმის გამომზეურების უპირატესობას სხვა „იზმებთან“ შედარებით.

9447. პოლიტიკაში მთავარი ყურისგდება, მოსმენის უნარი, ანალიზი, მომხიბვლელობა და ენით ვის როგორ „დააბამ“.

9448. დემოკრატიის ნაკლი ის არის, რომ თანასწორუფლებიანობას ქადაგებს და ადამიანებს ერთმანეთთან აიგივებს, მაგრამ ეს რომ ცოდნის მორგების, გამოცდილების, გარეშე შეუძლებელია, არ აინტერესებს.

9449. პოლიტიკური კულტურა ვალდებულია გაუგოს „ეროვნულ უგუნურებას“, რადგან აქ მთავარია ერის წარსულის ხარისხი, დროის ყივილი და არა – ავანტურიზმი.

9450. პოლიტიკაში ტალახის სროლა და მოწმენდა ძნელი არ არის, მთავარია, საქმე აქამდე არ მიიყვანო.

9451. დღევანდელი ვაი დემოკრატიის გადამკიდეს, სიამოვნებით გახსენდება სოციალიზმი და სსრ კავშირში შემავალ სხვა მოძმე რესპუბლიკებზე უკეთ მცხოვრები საქართველო, რომელსაც თურმე „სამართლიანადაც“ არაფერს ეკითხებოდნენ, მაგრამ სხვა რესპუბლიკებზე უკეთ ცხოვრების საშუალებას აძლევდნენ.

9452. ყოფის გასაუმჯობესებლად პოლიტიკური „ტაბიკების“ მტვრევა საჭირო არ არის, აქ მთავარია ევოლუციურ პროცესებზე აყოლა და ტვინის და ხელის დროულად განძრევა.

9453. ეს სამყარო შემთხვევითი ხალხით არის სავსე და ძალზე ცოტაა გონიერი, უფრო ცოტა – მოწოდებით ლიდერი და ერთეული – ვისაც შეიძლება ქვეყნის მართვა ვანდოთ.

9454. ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკაში ისეთი რამ არ უნდა იკადროს, რომ მის შთამომავლობას წამოაძახონ და ერს ავნოს. მაგ. სომხების და ებრაელების გენოციდი.

9455. პოლიტიკაში, უმთავრესად, სტრატეგია და ტაქტიკა დომინირებს, დროის და პერსპექტივის შეცნობით. რაც შეეხება დანაპირების შესრულებას და ურთიერთგაგებას – მეორეხარისხოვანია.

9456. პოლიტიკაში თანადგომას, დაპირებას, მეგობრობას, საერთო ინტერესები სჯობს, რადგან ჩვენი ნაღვაწით შთამომავლების წინაშე ვაგებთ პასუხს, ხოლო მეგობრობის ინსტიტუტი დავიწყებას ეძლევა.

9457. დიპლომატი, ყავახანაშიც კი, ახლობლებთან საუბარს საცერში უნდა ატარებდეს, ხოლო კოლეგებთან – ფილტრში.

9458. პოლიტიკოსები ხშირად ლამაზი, გაცვეთილი, სიტყვების რახარუხით თავს ირთობენ, როდესაც საქმიანი სათქმელი არ აქვთ, შეხვედრა კი ეტიკეტით სავალდებულოა.

9459. სურვილების და პოლიტიკის ნდობა ბოლომდე არარეალურია, განსაკუთრებით – პოლიტიკის.

9460. ქვეყნისთვის ბედნიერებაა, როდესაც მისი მართვის სადავეები ვიგინდარას ხელში არ ხვდება, მაგრამ უბედურებაა, თუ მის აღებაზე გონიერება უარს ამბობს და პასუხისმგებლობას ერიდება.

9461. წარმატებული პოლიტიკოსი ნიღაბს ატარებს და მისი სახიდან მოხსნის არ ეშინია.

9462. დღეს პოლიტიკოსისთვის მთავარია ყბედობის დიზაინი, რომელიც ბრბოს უნდა ხიბლავდეს, რათა მასებმა ზურგი გაგიმაგრონ და ხმა მოგცენ.

9463. ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების სიმრავლე ხალხის „აზროვნების“ დომხალზე და მის უაზრობაზე მიგვითითებს.

9464. დიპლომატიასაც თავისი კაურები სჭირდება ალიბით, მაგ. „ეს დიდებული ადამიანია, ვიდრე სინამდვილეში“. მიდი და გაიგე, რა სთქვა, კარგი თუ ცუდი.

9465. ხელმძღვანელობის უნარი ყოფის წკიპურტების ცოდნას მოითხოვს.

9466. პოლიტიკაში აზრი, რომელსაც მათანალიზი არ გაუვლია, ეროვნულობის დემაგოგიაზე და რწმენის სპეკულაციაზეა აგებული.

9467. წარსულში ცოდვილს და დღევანდელ ხელისუფალს ხშირად დროის შესატყვისად წმინდანად ან სატანად თავიდან ნათლავენ. ეს

დამოკიდებულია პოლიტიკაზე, დღეს რა იდეოლოგია აწუხებს და რით უნდა ხალხი დაამუნათოს, გააბრიყვოს.

9468. „გაბახებული“ ძალაუფლება, არეულობის დროს, ქუჩაში იმისთვის დაეხეტება, რომ იმას ჩაბარდეს, ვისაც ქუჩაში დროულად გასვლა, ყბედობა, არ ეზარება, ხალხზე „ზრუნვის“ მომიზეზებით.

9469. პოლიტიკაში დიდოსტატებიც არსებობენ, თუ განგებამ თავი მოიქაჩლა და დრომ ასე ინება.

9470. ქართველი ერი უტვინო არ არის, მაგრამ ძალზე ბევრი უპრინციპო და გაუტანელი პოლიტიკოსი ჰყავს, ამასთან ყველა თავის „ჭკუით“ ჩალიჩობს და ისტორიის გამოცდილების ცხვირში ამორტყმას არად დაგიდევს.

9471. ქართული გულუბრყვილობაა, როდესაც მას „სამყაროს ზნეობის“ სათავისოდ სწამს და მისი სიმართლის დაცვის გულისთვის „სხვა ერი ვენებს გადაიჭრის“. ცხოვრებაში ამგვარი ალიყური მრავალჯერ უწვნევია ქართველ ხალხს. მიუხედავად ამისა, ეს სასიამოვნო უგუნურება დღემდე თავიდან ვერ ამოუგდია, რადგან ჩვენი უნიათობის პოლიტიკურ დასაყრდენს მარად ახალ „მფარველ ქვეყანაზე“ აკიდებით ვცდილობთ.

9472. მონური ცხოვრების და სულმოკლეობის დაძლევის ვარიანტი ქვეყნის ფეხზე დაყენებაა, წარსულის გამოცდილების გაცნობიერებით.

9473. თუ სახელმწიფო მართვის სისტემას რაიმე ხინჯი შეეპარება, ეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი უწყებების აღრევის შედეგია, მაგრამ თუ კატაკლიზმები დაიწყო ეს უკვე სახელმწიფო აპარატის გარყვნის ბრალია.

9474. შურისძიება, სამწუხაროდ, საქმეს არ შველის, განსაკუთრებით, პოლიტიკაში.

9475. ზოგი ხელისუფალი ისეთ გარემოს ქმნის, ან ხელიდან უნდა წახვიდე, ან – ქვეყნიდან, რაიმეს რომ მიაღწიო და თავი გადაირჩინო.

9476. ნაციონალისტების არჩეული ხელისუფლება უმეტესად სახელმწიფოს სათავეში დიდხანს ვერ ძლებს, რადგან პოლიტიკურად უვიცია, მოწინააღმდეგის აზრს არ ითვალისწინებს და პატივს არ სცემს.

9477. პოლიტიკა და ინტრიგა განუყრელია, თუმცა სხვადასხვა ჯგუფის სისხლი აქვთ.

9478. დაფასებული ხელისუფალია ის, ვინც თანამდებობას მოხერხებით ემსახურება, ხალხს აიძულებს სასარგებლო საქმე აკეთოს, სასარგებლო რჩევებს დაეძებს და კადრების შერჩევის უნარი აქვს.

9479. ხშირად გონიერების ჟანგბადი ტყუილ-უბრალოდ იხარჯება, თუ ქვეყანას სათავეში ვიგინდარა უზის.

9480. განვითარებადი ქვეყნის მართვას მარტო „ელმავლად“ დაბადებული ხელისუფალი არ შველის, მან მთელი „დეპო“ უნდა შექმნას კადრების მოზიდვით და გადამზადებით, რათა „ვაგონებად“ წოდებული ხალხი ქვეყნის განვითარების რელსებზე მარტოკამ არ ათრიოს.

9481. კომუნისტებსა და დემოკრატებს შორის ის სხვაობაა, რომ პირველნი ერთმანეთს უგებენ, ხოლო მეორენი ერთმანეთს ვერ უგებენ, მაგრამ ერთმანეთის მაინც ესმით.

9482. იმპერიის გავლენის გაფართოება და ტერიტორიების მიერთება მოგვიანებით იწვევს მისი ნგრევის აუცილებლობას, ეს ყველა ზე-სახელმწიფომ და მათი კუდის ამწევმა ქვეყნებმა უნდა გაითავი-სონ.

9483. ხეს ნაყოფის ოდენობით აფასებენ, ხელისუფლებას – შედეგით.

9484. პოლიტიკა კომპრომისების და შესაძლებლობათა ხელოვნებაა, ავანტურისტული ნიჭით, ფორტუნას იმედით, გადამლაშების გა-რეშე და თვითკონტროლით.

9485. ხელისუფალი ცოდვებს ნისიად სჩადის და „ვალის ჩამოწერის“ მიუხედავად, მისი შთამომავალი, ავად თუ კარგად, პასუხს აგებს.

9486. გონიერი ხელისუფლის სისხლში გასვრაც კი, წარსულის ძვლებზე, მომავლისთვის გადებული ხიდია, იმისდამიუხედავად, რას იტყვის მასზე შთამომავლობა.

9487. ქართველი თავისი ამბიციურობით ვერ ეგუება იმას, რომ არაავ-ტორიტარული ქვეყანა ვართ და უაზროდ მისკენ მიილტვის.

9488. პოლიტიკურ ლიდერს საზოგადოებრივი განწყობა და დროის გაუ-კუღმართებით გამოწვეული ისტორიის ყივილი ქმნის.

9489. ქვეყნის მართვას, გამართლებასთან, მოხერხებასთან, ერთად მაინც მათრახი და სასუსნავი სჭირდება გონიერებით.

9490. ზოგ ხელისუფალს იქამდე მიჰყავს ქვეყნის საქმე, რომ მასში მცხ-ოვრებთ არც მზის გამონათება ახარებთ, არც დაღამება და არც „იმედის მამლის“ ყივილი.

9491. ნებისმიერი დიდი მეზობელი იმპერია პატარა ქვეყნისთვის უბე-დურებაა, სანამ ის კისერს არ მოიტეხს, გაღორებული მადლის შედ-ეგად.

9492. ხელისუფლების წინაშე ზიზღს არ გამოხატავენ, ნორმალური ორი-ნეტაციის პოლიტიკის მქონე ქვეყნები მას უბრალოდ არ ეპუებიან, მისდამი მოყირჭებას გამოხატავენ და თავიდან უმტკივნეულოდ იშორებენ.

9493. ხშირად ქვეყნის ბედის განჭვრეტა, მისი უგუნური ხელისუფლის და პოლიტიკა – ეკონომიკის გამო, შეუძლებელია.

9494. სახელმწიფოს მოვალეობაა ინტელექტუალური მიღწევების ათვისება, შრომის კულტურის დანერგვა, ყველა პროფესიის დაფასება, სასამართლო სისტემის და კანონების გონივრულად გადახალისება, გონივრული საგადასახადო სისტემის დანერგვა, დანარჩენს თავად მოევლება.

9495. სახელმწიფო კატაკლიზმების გარეშე მაშინ იმართება, თუ მას სამართლიანი კონსტიტუცია აქვს, ყველასთვის მისაღები კანონებით და ქვეყნის მართვის ფუნქცია მკაცრად და პასუხისმგებლობით არის განსაზღვრული. მგ. სსრ კავშირში რომ კონსტიტუციით კომუნისტურ პარტიასთან ერთად მეორე პარტია სოციალისტურიც ყოფილიყო იდენტური პროგრამით, სახელმწიფო არ დაინგრეოდა, რადგან ნაკლის ერთმანეთზე გადაბრალების და ბიშტის ჩვენების საშუალება ექნებოდათ, ეს კი მოწინააღმდეგეზე „გიჟის პერანგის“ ჩამოცმის საშუალებას იძლევა.

9496. „ფრაერული“ პოლიტიკაა, როდესაც ზურგის გასამაგრებლად „ბაცნებს“ შემოიკრებ, რომლებიც კარიერისთვის და სასუსნავისთვის ყველას და ყოველივეს გასწირავენ, მათ შორის, თავის „პროტეჟესაც“, თუ შეატყეს, რომ სკამი ერყევა. მაგ. დღევანდელი საქართველოს ოპოზიცია.

9497. ყველანაირი დამყაყების და დაბეჩავების მიზეზი პოლიტიკური უკულტურობა და ეკონომიკური უგუნურებაა, რომელშიც უინიციატივო და „ფეხებზემკიდია“ ხალხის ხელიც ურევია.

9498. პიროვნება, ხელმძღვანელია ისაა, ვინც ქვეყნის საქმეს ხალხის ნიჭის გამომჟღავნებით და მოშველიებით ქმნის.

9499. ზოგჯერ მტრის ჭკუაზეც უნდა იარო, ოღონდ საკუთარი კომპასით.

9500. ყალბი, მოჩვენებითი, არც დიქტატურა უქნია ღმერთს და არც დემოკრატია, რადგან სიყალბეს ვერც სიმკაცრე იტანს და ვერც ლმობიერება.

9501. პოლიტიკური მოროდიორობის შედეგია, როდესაც სახლი შიგნიდან ტყდება და საათივით აწყობილი ქვეყანა სხვათა ჭკუის დასარიგებელი და საჯიჯგნი ხდება.

9502. ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მტერი არ არის, მაგრამ მასთან არც მეგობრობაა გარანტირებული.

9503. დღეს ყველა სხვის გაოგნებას ცდილობს და ეს ყოფის პოლიტიკად მიაჩნიათ.

9504. ძალაუფლების გამოყენების უნარი ადამიანის გამოუყენებელი შესაძლებლობების გამჟღავნების ლაკმუსია.

9505. ინტელექტუალური საკუთრება თავისთავად დიდი კაპიტალია, რომლის ყოფაში დაბანდებას ფეხზე მდგარი და არა – გარემოებათა მიერ დაჩიავებული სახელმწიფო ითხოვს.

9506. კეთილისა და ბოროტის რკვევას საუკუნეთა ანალიზი სჭირდება ტექნიკურ პროგრესთან, აზროვნების უნართან, ერთად, თუკი პოლიტიკასთანაა კავშირში.

9507. სახის ტერიტორიის მოწესრიგება-გასწორების ხელოვნებას, ყველა პოლიტიკოსი ნერვების მოთოკვით უნდა ფლობდეს.

9508. საზოგადოებას, ამომრჩეველს, სიტყვების შეყრა აბნევს, რასაც პოლიტიკოსები მოხერხებულად და ვერაგულად იყენებენ.

9509. ხალხმა ხელისუფლებისაგან ის უნდა მიიღოს, რასაც მოითხოვს და არა ის, რაც მას სურს.

9510. თავდაცვა შეტევით, ჩასაფრებით, ფეხის დადებით, მოხერხება თავის გამოჩენით, გონიერება მომწიფებული აზრებით, შექმნილი გარემოს შენს სასარგებლოდ წარმოჩენით, შემართება ძალისხმევით – ეს არის პოლიტიკა, რომელსაც ბედი და დროის გამოძახილი თან უნდა ახლდეს.

9511. სახელმწიფოებრიობას სოლიდარობა სჭირდება, რათა ქვეყნის ტკივილთან მარტო არ დარჩეს და რაც მოპოვებული აქვს, ისიც არ დაკარგოს.

9512. ხელისუფლების დეფორმირება აშკარაა, თუ მას კაპიტალური შეკეთება სჭირდება.

9513. პოლიტიკა ზომიერი ცხოვრების საღვაწო არენაა, მეხამრიდის როლის მორგებით.

9514. ზედმეტად პოლიტიზებული საზოგადოებისთვის, პოლიტიკა ზედმეტად შემაწუხებლად კარგია.

9515. პოლიტიკოსი პირველ რიგში, მოწინააღმდეგის შესაძლო სვლებს და ამბიციებს უნდა სწავლობდეს, მხოლოდ ამის შემდგომ უნდა გააკეთოს საკუთარი, რადგან მოწინააღმდეგის შეუფასებლობა, უპატივცემულობა, იწვევს მარცხს, რომლის გამოსწორება ხშირად შეუძლებელი ხდება.

9516. ხალხის არჩევანი თითქმის ყოველთვის მცდარია, მაგრამ საზოგადოებას ქვეყნის აღსაშენებლად და ბრბოს უგუნურების დასამშვიდებლად დღეს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

9517. საათივით აწყობილ ქვეყანაში, ყველაზე ცოტა, ორი იდენტური სამთავრობო პარტია მაინც უნდა არსებობდეს, რათა სახელმწიფოებრიობამ სვლა-გეზი არ შეცვალოს, ხოლო ხალხმა არჩევნების

მოშველიებით „ორთქლი“ გამოუშვას და უვიცობის ბოღმა გადმოანთხიოს.

9518. მოსახლეობის დამუნათება, გამოთაყვანება, ზომბირება, ყველა პოლიტიკის ნაწილია, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებში მხარს არავინ დაგიჭერს და შენი მცდელობაც გაკოტრებულია.

9519. უგუნურება, გნებავთ კარგი ზრახვებით, მთელ სახელმწიფოებრიობას ანგრევს, მით უმეტეს, თუ ხალხმა ცუდის და კარგის გარჩევა არ იცის, გონიერების მოსახმობად მზად არ არის და ეროვნულობის ჭია ღრღნის.

9520. პოლიტიკური პარტია, იგივე ბანდა, სტრუქტურა, მაფიაა, რომელიც სათავისო მიზნებს ემსახურება, ხალხზე ზრუნვის აზრით.

9521. დღეს შეშლილის და ჭკვიანის დადგენა გაძნელებულია, ყველა მისთვის მისაღები პოლიტიკური პოსტულატებით მკურნალობს.

9522. საქართველო ქვეყანაა და არა – სახელმწიფო, რომელიც სულ „აჩუ-აჩუს“ იძახის და თავისი პოლიტ-ეკონომიის ჯაგლაგა ცხენი საით შეატრიალოს, სწორ გზაზე დასადგომად, დღემდე ვერ გარკვეულა.

9523. დიპლომატია ეს „დასაბუთებული“ „არას“ თქმის ხელოვნებაა იმგვარად, რომ მხარეები ნაწყენი არ დარჩნენ.

9524. უნარი საჭიროების ჟამს ერთმანეთს მოვუსმინოთ და დროებით ერთად დავდგეთ – პოლიტიკა თუ არა პოზიცია მაინც არის.

9525. ხალხი ყოველთვის მზადაა ითანამშრომლოს პოლიტიკასთან, რომელზეც წარმოდგენა არ აქვს.

9526. პოლიტიკა მშვიდობიან გამოსავალს ყოველთვის ეძებს, ოღონდ გამორჩენით და სარგებლით.

9527. პოლიტიკა „ძველი ციხე-სიმაგრის ხსოვნას“ ყოველთვის ალმაცერად უყურებდა და უყურებს, მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვების ჟამს მასზე ამოფარებას ცდილობს.

9528. ყველაზე ადვილი „სახელმწიფო ნდობის კულტის“ ფლანგვაა, თუ მას ეკონომიკის მცოდნე პოლიტიკოსი გვერდში არ უდგას.

9529. ინფლაციასთან ბრძოლა იმ საქმიანობის სახელითაა საჭირო, რომელიც დღეს, ერთი შეხედვით, წამგებიანია, მაგრამ ხალხის დასაქმების საშუალებას იძლევა, მაგ., გზების, საცხოვრებელი ბინების, დიდი ჰესების, ახალი კვლევითი ინსტიტუტების, მშენებლობა.

9530. დიქტატურას შემწყნარებლობის ბაცილა ღუპავს, საკმარისია დემოკრატიისკენ მცირედი ფეხის გადადგმა და ამდენი სისხლის

ფასად მოპოვებული სახელმწიფო ძლიერება ბუშტივით სკდება და თანამედროვენი მასზე იმდენ პასკვილს თხზავენ, რომელიც მას სიზმრადაც არ მოლანდებია.

9531. ევროპის პოლიტიკურ გამოცდილებაზე და ამერიკის სიმდიდრეზე თვალი გაგვირბის, მაგრამ ყოფის მოწყობას მაინც ტრადიციების შესატყვისად ვცდილობთ და ამიტომაცაა, რომ აზიელობას თავს ვერ ვანებებთ, ეს ძალად გაევროპიელებული ქართველები.

9532. ხალხთან ურთიერთობა თავის მოწონებით – დიპლომატიაა, ხოლო საზოგადოებაზე ზრუნვა, საკუთარი დავიდენდების გათვალისწინებით – პოლიტიკა,

9533. პოლიტიკაში ან თავად უნდა დაბეჩავდე ან სხვები დააბეჩავო, სხვანაირად გონიერება არ ფასდება.

9534. სოციალიზმის უპირატესობა ისაა, რომ ადამიანებს ნებაყოფლობით აქვთ შეზღუდული კეთების სურვილი, ნაკლებია შური, თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და ერთმანეთს ანგარიშს უწევენ. რაც შეეხება ეკონომიკას, ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მოვა ქვეყნის სათავეში.

9535. რევოლუციური „ახურებისაგან“ განსხვავებით, ნაციონალიზმი ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ყველა ერი ამ სამყაროში თავის კუთვნილ ადგილს ეძებს.

9536. ძლიერი ხელისუფლება აუცილებელი „ცოდვების“ გარეშე ვერ იღვაწებს, მაგრამ ხალხი მას შედეგის შესატყვისად შეუნდობს.

9537. ქვეყნის მართვა ერთდროულად პოლიტეკონომიის ცოდნასაც მოითხოვს, ქვეყნის სამართავ სხვა პარამეტრებზე რომ არაფერი ვთქვათ.

9538. „ვინ იცის“, „იქნების“, „ეგების“ – იმედის ამ ანეგდოტზე მთელი რიგი პატარა ერები სხედან, როგორღაც თავიც გააქვთ, სათქმელსაც ამბობენ და თავის წარმოჩენასაც ახერხებენ.

9539. რატომღაც დემოკრატიას მიტმასნილი ადამიანები თავს უარესად გრძნობენ, ვიდრე დიქტატურას შეგუებულნი, რადგან პირველი გაიძულებს იფიქრო, გაერკვე, თავი იმტვრიო, მეორე შემთხვევაში რაღაც-რაღაცები წინასწარ გარკვეულია და ფიქრსაც არავინ გაძალებს.

9540. ძალაუფლება ტკბილი ხათაბალაა, მუდმივი მცდელობით, თავის შეწუხებით და მარად უსაფრთხოებაზე ფიქრით.

9541. ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს ის სამართლებრივი ნორმები, რაც პირველ რიგში სახელმწიფოს, ხალხის გასაერთიანებლად გამოადგება.

9542. ემიგრაციის მიზეზი ქვეყნის უგუნური მმართველობაა, რომელიც დემოკრატიას ამოფარებულ ქვეყანას საუკეთესო შვილებს უკარგავს, მათ შორის, უმეტესობას, დაუბრუნებლად.

9543. სახელმწიფოს მართვა, ანგელოზების საქმე არ არის, მას თავის ქვეყანაზე, მოვალეობაზე, უზომოდ შეყვარებული ფანატიკოსი და ბუნებით ამპარტავანი ნიჭიერი „ნაძირალა“ სჭირდება.

9544. ტერიტორიას, ქვეყანას, სახელმწიფოებრიობას, შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მუდამ მისთვის გაუგებარი დემოკრატიაზე ყბედობს, მთლიანობისთვის იბრძვის და ღლეტვაც არ ავიწყდება, მეორეს ყოველივეს პირველი კაცი წყვეტს, მთავრობა სტატისტის როლით კმაყოფილდება, სალაფავის მიგდებით, მესამე – რეალური უმრავლესობა იღვწის, პარლამენტი საღი აზრის ძიებაშია და მატერიალურად შედარებით ყველა კმაყოფილი და თავისებურად პრეტენზიულია.

9545. არჩეულ მთავრობას, გადამთიელ მოყვარეს და თავსაც კი, ხელაღებით არ უნდა ვენდოთ.

9546. სახელმწიფო მოღვაწის კარიერა „ამყაყებულია“ მიზანდასახული თავგადასავლებით და სპონსორობით.

9547. პოლიტიკას ხშირად ისტორიის სიმართლე და ისტორიული სამართლიანობა არ სჭირდება, რადგან ვინც წარსულს თავის ჭკუაზე „მოთარგმნის“ ის უკვე „ პოლიტიკას ფლობს“.

9548. ხალხის მართვა-მოთოკვის ფორმულამ, „სანახაობა და პური“, ყველა დროს და ფორმაციას გაუძლო.

9549. ზოგი ხელისუფალი თანამდებობას „ხელეჩოსავით“ იყენებს და კაიფი, რისთვისაც აირჩიეს, უკვე დაკარგული აქვს.

9550. მომრავლებული კრიზისი იმაზე მიგვანიშნებს, რომ უნიათო ხელისუფლებას ჩვენ ბანკებში დაგროვილი ფულის „გაბახება“, „გაუპატიურება“, სურს.

9551. დემოკრატია სურვილების თამაშია, გამოცდილებათა გარეშე, სამართლიანობის მომიზეზებით და თავის წარმოჩენის მცდელობით.

9552. პოლიტიკა სიფრთხილის და რისკის კოქტეილია, დაგემოვნების ცოდნით და გამართლებით.

9553. კრიზისის წყალობით ნაციონალიზმი ფესვს იმ ქვეყნებშიც იდგამს, სადაც წინასწარი გათვლის თანახმად ნაციზმს აქ არ უნდა ეხარა.

9554. სპორტი, უპირველესად, პოლიტიკაა, ერის წარმოჩენით, ახალგაზრდობის დასაქმებით, ქომაგების მომრავლებით. მოკლედ, ახალგაზრდობას მოჭარბებული ენერგიის და დროის ხარჯვის საშუალებას ვაძლევთ და ამიტომაც ხმარდება ამდენი ფული.

9555. დიქტატურა რეორგანიზაციას და სენტიმენტალიზმს ვერ ეგუება, ემხობა.

9556. ტირანიას სწრაფი ქმედება ახასიათებს, დემოკრატიას გაზვიადებული ფიქრი.

9557. ტოტალიტარიზმი, დესპოტიზმი, ტირანია, დიქტატურა, ყველა ერთი ოხერია, მაგრამ ვირეშმაკობის და ქვეყნის ტლაპოდან ამოთრევის უნარი დროულად შესწევთ.

9558. დიქტატორებმა: პეტრე პირველმა და სტალინმა რუსეთი გააძლიერეს, ხოლო ძალად დემოკრატებმა, ნიკოლოზ მეორემ და გორბაჩოვმა, რუსეთი დაანგრიეს, პირველთ ხალხი ადიდებს, მეორეზე რა თქვან, არ იციან.

9559. დაძალება, რომელიც საბოლოო მიზანს აღწევს და ხალხს გაჭირვებისგან თავს დააღწევინებს, ძალადობად არ უნდა ჩაითვალოს.

9560. გენიალურია ის ხელისუფალი, რომელიც ქვეყანაში შექმნილ ყველა გარემოს ხალხის სასარგებლოდ გამოიყენებს, ხოლო განგების ნებით ქვეყანაზე „გადანაწილებულ“ გადაგვარებულ ხალხს სახელმწიფოს ინტერესებს მოახმარს. მგ. კრიმინალებზე, მათივე თანხმობით, სამეცნიერო ექსპერიმენტებს ჩაატარებს, ნაციონალისტებს ერის გასამრავლებლად გამოიყენებს, აჩა-ბაჩა პოლიტიკურ პარტიებს უნიათობას დაუმტკიცებს.

9561. ქვეყნის მართვის იდეალური ფორმულა: სახელმწიფოს პარაზიტული აპარატი თავს აფინანსებს, ბიუჯეტიც ძალადაუტანებლად ივსება და კანონის წინაშეც მართლები ვართ.

9562. ხელისუფლებას თავისი ავტორიტეტით, ხელის ერთი დაკვრით, აქტიური საკითხის გადაჭრა არ შეუძლია, ის ვერავითარ კანონგარეშე პრობლემებს ვერ შეებრძოლება და სულ მოჩვენებითობის თამაშით იქნება დაკავებული.

9563. ევოლუციური ოპტიმიზმი იდეალურ საზოგადოებას იძლევა, მაგრამ დროის უკულმართობის და ეტყობა, განგების ცნობისმოყვარეობის გამოც, რევოლუციით და ნაციონალიზმით იცვლება.

9564. ყველა რევოლუციას დეგრადირებული ცნობიერების ინტელექტუალები ამზადებენ, მაშინაც, როდესაც საზოგადოება მიძინებულია და ევოლუციური პროცესების დაჩქარება ხდება.

9565. პოლიტიკაში მერყევს წინდახედულად უნდა უბიძგო, ქულებში ჩაგეთვლება.

9566. ხელისუფლის არჩევისას ხალხისათვის მთავარია სახელმწიფოს სათავეში შემოქმედი, მომთხოვნი „დიქტატორი“ მოვიდეს და არა – დემოკრატიის პოსტულატებს ამოფარებული უპრინციპო „როსკიპი“.

9567. დღევანდელი ხელოვნების პოსტულატია ცოტა შემოქმედება, ბევრი ტვინის ჭყლეტა, რეკლამით და ინტერნეტში განთავსებით.
9568. ზოგჯერ პოლიტიკოსის კოზირია მოსალოდნელი ომის პროპაგანდით პანიკის თესვა, თავად კი „მშვიდობის მტრედად“ გვევლინება.
9569. ძნელი ასატანია უგუნური ხალხის მცდელობა დემოკრატიის და თავისუფლების სახელით და სხვის ხარჯზე ქვეყნის მოწყობა, შედეგის გაუთვალისწინებლად.
9570. პოლიტიკურ პარტიებს შორის სერიოზული დაპირისპირება მაშინ იწყება, როდესაც ხელისუფლება პარლამენტში გადაადგილების „საგზაო ნიშნების“ დარღვევას ცდილობს.
9571. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ბედი მაინცდამაინც სხვა ქვეყნებს არ აწუხებთ და არც იმ კითხვებს გვისვამენ, რომელზეც თავს ვალდებულად ვთვლით პასუხი გავცეთ ან ჩვენი აზრი გამოვთქვათ.
9572. მარტო გამორჩენისათვის ბრიყვი ხელისუფლებისგან სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება არ ღირს, მაგრამ უმეტესობა ამას ვერ აცნობიერებს, რადგან წინგაუხედავად ცხოვრობს.
9573. დემოკრატია ამართლებს რეალური პოლიტიკის, ტრადიციების, მქონე ქვეყნებში, სადაც კანონიერების „ცენტრიდანული“ ძალა მოქმედებს.
9574. პოლიტმიმომხილველის ვალია ხელისუფალთა მიერ წარმოთქმულ დაპირებათა სიცარიელეში რაღაც ისეთის მონახვა, რაც მსმენელს ოდნავ მაინც დააიმედებს.
9575. არჩევნებისას უმთავრესია ქვეყნის სათავეში კანონმორჩილი, შემოქმედი დიქტატორი მოვა, თუ დემოკრატიის პოსტულატებს ამოფარებული მედროვე „პრასტიტუტკა“.
9576. პოლიტიკის ცნობილი ფორმულაა: თუ საზოგადოების ზადის დამარცხება არ შეგიძლია, ეცადე ამ ზადს „მოერგო“, თავად უხელმძღვანელო, თანდათანობით შენ ჭკუაზე ატარო. ეს ყველა წყობაში ამართლებს, თუ ქვეყნის სათავეში პიროვნებაა და არა ხალხის არჩეული „მედროვე“.
9577. ხელისუფლებამ ხალხი ისე უნდა „იხმაროს“, რომ მან დროულად იგრძნოს სამართლიანობის შედეგი და სიამოვნების ფასი.
9578. პოლიტიკაში ქვეყნისთვის თავის მოყრა ყველაზე დიდი ნიჭია.
9579. ცივილიზაციასა და ტექნიკურ პროგრესთან შეთანხმების გარეშე, ყველა სახელმწიფო წყობა უვარგისია.
9580. გვასმენინებენ ერთს, ვხედავთ მეორეს, ვგრძნობთ მესამეს და ამბობენ, ეს პოლიტიკაა.

9581. პროფესიონალ პატრიოტებს არც ერთი ერისთვის სიკეთე არ მოუტანიათ, რადგან ეს სულიერად დავადებული ხალხის პრეროგატივაა.
9582. ხალხის აზროვნებიდან მარგალიტის გამორჩევას ხელისუფლება არ ცდილობს, რადგან მომხვეჭელობას ჭაობში აქვს ფეხი გადგმული და ქვეყნის და ხალხის ბედი დიდად არ ანაღვლებს.
9583. რეფორმა მოხერხების, დაძალების და კანონზე მორგების გარეშე არ ხორციელდება.
9584. პოლიტიკომანია, უმთავრესად, ტალანტს მოითხოვს და არა მარტო გამოცდილებას, ცოდნას.
9585. ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულებაა ყველგან და ყველაფრიდან შემოსავლის მიღება, ხალხის დაყვავება, მომავლის პერსპექტივით და დაძალებით, კანონების მათრახის გატყლაშუნებით, რადგან ბოლოში ისტორიას შედეგი აინტერესებს და არა – ვის „დედა როგორ ეტირა“ პროცესში.
9586. სეპარატიზმის მამა უგუნური ეკონომიკაა, დედა – გაუმართლებელი აკრძალვების პოლიტიკა და ხელისუფლების მონაცვლეობაზე უარის თქმა.
9587. ყველა ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს და პირიქით, მაგრამ ეს დიპლომატიის უგუნურების შემცირებას არ შველის.
9588. საღ აზრებს გაცრა არ სჭირდება, მაგრამ ხელისუფლებას ამის გაგება უჭირს.
9589. თანასწორუფლებიანობა სხვაზე დამოკიდებულებას ვერ იტანს.
9590. ძალაუფლების გამოცდილება ახალი დროის სიოს ქროლას ხშირად ვერ ეწევა.
9591. სახელმწიფო წყობა სხვადასხვა პოლიტიკურ „იზმებში“ იფუთნება, მაგრამ მთავარი მიზანი: უკეთესი ცხოვრება, სამუშაოთი უზრუნველყოფა, მშვიდობის შენარჩუნება, თავის წარმოჩენის მცდელობა, უცვლელი რჩება.
9592. სამწუხაროდ, ჩვენს წარმოჩენას გატირაჟებული რეგალიები სჭირდება და არა გაუტირაჟებელი ნიჭის თვითმყოფადობა და ქვეყნის სიყვარული.
9593. ყველა ქვეყანას ჰყავს ნამდვილი და დანიშნული გმირები, რომელიც პოლიტიკას ასაფარებლად სჭირდება.
9594. სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის ორი სიმართლე აქვს, წელში ვერასოდეს გაიმართება.
9595. როდესაც სახელმწიფო წყობა დევალვაციას განიცდის, ხოლო ხელისუფლების შენარჩუნების ფასი იგივე რჩება, მასში პური, სინდისი, სანახაობა თანდათან მცირდება.

9596. ნაციონალიზმი ფსიქიკური ნორმაა, ეროვნულობის გაფეტიშებით, ნერვების ძალად დაწყვეტით, უგუნურების ხარჯზე.

9597. ნაციზმი ნაციონალიზმის და პატრიოტიზმზე ძალადობის უკიდურესი გამოხატვაა.

9598. ყველა დემოკრატიას დიქტატურისკენ აქვს მისწრაფება, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში, რომლებიც გარემოებათა გამო სახელმწიფოებად არიან წოდებულნი.

9599. პოლიტიკას კატა-თაგვობანა არ უყვარს, მაგრამ მთელი ეპოქა ამ თამაშს ეღადავება.

9600. პოლიტიკოსის ხელოვნება დიდი ხანია დეგრადირებულია, მაგრამ ამის დანახვა მათ არ სურთ, ხოლო ხალხისთვის ყველაფერი სულ-ერთია.

9601. „ლირიკებმა“ „ფიზიკებს“ პოლიტიკაში ვერავითარი სახეირო ასწავლა, მაგრამ პირიქით შესაძლებელია, რადგან პირველის ლამაზ მცდარს მეორის ანალიზის უნარი უპირისპირდება შედეგით.

9602. დიპლომატია სიტყვით გამარჯვების ხელოვნებაა, რომელსაც არაორდინალური გონიერება და ქვეყნის პოტენციალი მხარს უნდა უჭერდეს.

9603. ყველა წყობა მისაღებია, თუ მას შემოქმედი ხელისუფალი და ხალხის გონიერება მართავს, რადგან „ბეთჰოვენი არაა დამნაშავე თუ მის ნაწარმოებს ორკესტრი სათანადოდ ვერ ასრულებს და დირიჟორი ფართომოხმარების მუსიკოსია“.

9604. იდეოლოგია ის ქუჩუბოა, ჩენჩოა, რომლის გარეშეც სახელმწიფო ვარგისიანად არ იმართება.

9605. სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველო თავაწეულ პროვინციას წარმოადგენდა, განდგომის შემდგომ „მეტიჩარა“ სოფლელად იქცა. ამასთან რომელი რას სჯობს ძნელი ასახსნელია, მაგრამ ქვეყნის აღმშენებლობისთვის განკუთვნილი დრო, რომ მუქთად იკარგება. მოსახლეობის შემცირების, იმედის დაკარგვის და ურთიერთდაპირისპირების ხარჯზე, ეს უდავოა.

9606. დღეს დემოკრატიულ ღირებულებებზე გადასვლა უფრო დროის კაპრიზია, ვიდრე შენების აუცილებლობის.

9607. ადათ-წესების უპირველესი მტერი ცივილიზაციაა, რომელსაც ბურჯად ტრადიციები უდგას და ვინ ვის აჯობებს, ამას მაინც დროის ყივილი, ქვეყნის პოლიტიკა, განსაზღვრავს და განსჯის.

9608. დუმილის და ენაზე კბილის დაჭერის ფასი დაიკარგა, იმდენად დიდია პიარის და ყბედობით თავის წარმოჩენის სურვილი ყურით

მოთრეული თავისუფლების მქონე, ვითომდა დემოკრატიულ, ქვეყნებში.

9609. გონიერი ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები სახელმწიფოებრიობის მართვის საუკეთესო ინსტრუმენტია.

9610. პოლიტიკოსობა უზენაესი ზნეობის მომიზეზებაა, საკუთარი უზნეობის დასაოკებელ-წარმოსაჩენად.

9611. პოლიტიკაში ორმხრივი მოძრაობაც დასაშვებია და სამმხრივიც, თუკი ხელისუფალი მოიწადინებს.

9612. სახელმწიფო ერთი კაცია, თუ მას გონიერება და გაწვრთნილი ჯარი გვერდზე უდგას.

9613. პოლიტიკა, პირველ რიგში, პასუხისმგებლობაა სხვათა მოსაზრებების წინაშე, მოვალეობის შეგნებით, ქვეყნის სიყვარულით და უკეთესობისკენ მისწრაფებით, ამიტომ პოლიტიკურ მოღვაწეს, სულ მცირე, ხუთი შვილი მაინც უნდა ჰყავდეს, მათ შორის, ნაშვილებიც, რათა მან პირადი ოჯახის წარმართვით და თავის ნაშიერთა აღზრდის ხარისხით გვანახოს რისი შემძლეა და აქვს თუ არა მორალური უფლება პოლიტიკაში ფეხის ჩადგმის.

9614. მართალი სიტყვის სიძულვილი ავტომატის ტყვიების ჯერის დაშენას უდრის, ყველა დაულაგებელი სახელმწიფოსთვის და მისი უნიათო ხელისუფლებისთვის.

9615. შემთხვევით დავესწარი ცნობად პოლიტიკოსთა თავშეყრას და გაოცებული დავრჩი: თუ ამდენი ბუნებით ნაძირალა „პოლიტიკოსი“ ჰყავდა ქართველებს, ნამდვილად არ მეგონა.

9616. კონსენსუსი პოლიტიკურ ამბიციებს ვერ ეგუება, მას საქმის საკეთებლად დამჯდარი ჭკუის ხალხი სჭირდება.

9617. ყველა მთავრობა უნიადაგო სურვილის ნაძირალაა, თავისი ამბიციებით, საქმის კეთებით, ისტორიაში ადგილის დამკვიდრების მცდელობით.

9618. მოხერხებული პოლიტიკოსი ხალხის პატრიოტულ გრძნობებს შამფურზე წამოაგებს და ისე ატრიალებს ცეცხლის ალზე გარკვეული დროით, როგორც მოეხასიათება.

9619. საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, ნაძირალა იყო, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, თანაც, სამწუხაროდ, ცუდი ნაძირალა.

9620. პოლიტიკაში ძირითადად მიძვრებიან ნაძირალა ბუნების ადამიანები. რაც შეეხება პატრიოტიზმს, ის საფარია თავის გამოსაჩენად და პროტესტის გამოსახატავად, რადგან პოლიტიკოსთა უმრავლესობა, პირველ რიგში, თავისი გამორჩენისთვის იღვწის, ამას თავად

აცნობიერებს თუ არა. რაც შეეხება ხალხს, სხვადასხვა ინტერესებით და გამორჩენის მიზნით მოქმედებს და რეალობაში თავადაც არ უწყის, რა უნდა.

9621. შესაძლებელია თუ არა საქართველოში დემოკრატიის დამყარება?! თეორიულად კი, მაგრამ პრაქტიკულად ხელისუფლის დიქტატურის გარეშე – არა.

9622. თეორიულად დემოკრატია შენი ბედის თავად გადაწყვეტის მცდელობაა, პრაქტიკული ძალისხმევით და შეუპოვრობით.

9623. დიქტატორის პატრიოტულ ანკესს უამრავი ხალხი წამოეგება, მაგრამ ისტორია ამ დიქტატორის სახელს აფიქსირებს და არა იმ ადამიანებისას, რომლებიც დიქტატორის ამბიციებს განტევების ვაცად შეეწირნენ.

9624. რეალური უმრავლესობა 55%-იც არ არის, უმრავლესობა 75%-დან იწყება, ამიტომაც არჩევნების შემდგომ ტური უნდა დაინიშნოს და მეორე ადგილზე გასულ კანდიდატთან ერთად იყაროს კენჭი.

9625. პოლიტიკოსი, რომელიც მათემატიკას არ იყენებს ისტორიული ფაქტების და პერსპექტიული ეკონომიკის ანალიზისთვის, პოლიტიკოსად კი არა, პოლიტიკანადაც არ გამოდგება.

9626. ორპარტიულობა თუნდაც იმიტომაა საჭირო, რომ ხალხი, ამომრჩეველი, დარწმუნდეს არჩევანის „არარაობაში“ და ჩუმად თითი მოკაკვოს, რათა ქვეყანას შფოთის ვირუსი არ შეეყაროს რევოლუციით, ძალის უნაყოფო ხარჯვით.

9627. ყველა დროში ნაკლებად სჯეროდათ დემოკრატიის და არასოდეს ბოლომდე არ ენდობოდნენ ხელისუფლებას.

9628. როცა სახელმწიფო ფაქტიურად თავს არიდებს უპატრონო ბავშვების აღზრდას, იმის მაჩვენებელია, რომ მის სამართავ პულტთან ნაძირალებმა მოიკალათეს.

9629. დღევანდელი ევროპის ფუფუნებით გარყვნის საგარეო პოლიტიკა ყველა სისაძაგლეს იკადრებს მის ტერიტორიებზე ფსევდომშვიდობის შესანარჩუნებლად და ხვალ რა მოხდება ვაიპოლიტიკოსებს დიდად არ აღელვებთ.

9630. რეალური პოლიტიკა სიბეცეს, სიბრიყვეს და წინგაუხედაობას ვერ იტანს, ადრე თუ გვიან თავს წამოყოფს და უნიათო პოლიტიკანებს „დააჩმორებს“.

9631. „ბომბონერკა“ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას ჩვენი მტერი ენდო.

9632. ზოგჯერ დემოკრატიასა და შიზოფრენიას შორის სხვაობა მცირეა, თუ ქვეყანა აუწყობელია, საზოგადოება დაულაგებელია და პოლი-

ტიკური პარტიები კვანტის გამოკვრას არ თაკილობენ „სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

9633. საქმე ის კი არ არის, რომ პატარა ქვეყანა დიდ მეზობელს დაუპირისპირდი, ომში ჩათრევის საშიშროების წინ დგახარ და ეს გაუგებრობის ალიყური შენც გაჭამეს, არამედ აგრესიის მცდელობა სათავეშივე უნდა მოიგუდოს, სამყაროში შენი ადგილის ცოდნით და შეძლებით, რადგან შემდგომ დაგვიანებული არ იყოს.

9634. იმ ქვეყნის სახელმწიფოდ შედგომა, რომელიც ფაქტიურად არ ახალისებს შობადობის გაზრდას და ბავშვთა აღზრდა-მოვლა-პატრონობას, ნაკლებად დასაჯერებელია.

9635. ყველა დიქტატორი ძველი თაობის განადგურებას ცდილობს, რათა საკუთარი პოლიტიკა უმტკივნეულოდ დაამყნოს გამოუცდელ თაობებზე.

9636. პოლიტიკას მიტმასნილ ხალხს რაინდობა არ ახასიათებს, მათი მთავარი იარაღია ურთიერთლანძღვა და ფეხის დადება.

9637. ხელისუფალს სახელმწიფოებრიობა და სასუსნავი ერთმანეთში არ უნდა აერიოს და ეცადოს ორივეს თავისი ადგილი მიუჩინოს, ზომიერების ფარგლებში.

9638. ხელისუფალთა დაპირისპირება, ხალხთა შორის გაუგებრობა, ერთია, მაგრამ გონების მოხმობა და საერთო ენის გამონახვის სურვილი და მცდელობა ჯერ არავის აუკრძალავს.

9639. დემოკრატია პოლიტიკის გარდამავალი, მომხიბვლელი, შვილობილია და თვალი ყველას მისკენ გაურბის შედეგის გაუცნობიერებლად.

9640. თუ ხელისუფლებას ხალხის ეშინია, ის ქვეყანას სახეიროდ ვერასოდეს გაუძღვება.

9641. პოლიტიკას აურზაურის ატეხვა არ შვენის, მაგრამ საქმიანობაში ეთვლება.

9642. სად და რა დროს რომელი სჯობს, რკინის ხელი თუ „ოქროს კანონი“, არავინ უწყის.

9643. მოხერხებულ პოლიტიკას კორუფციაზე აცრის ჩატარებაც შეუძლია, თუ სინდისს და გონიერებას ერთდროულად მოუხმობს.

9644. ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი, საკუთარი ქვეყნების კრიზისმა წარმოაჩინა ქვეყნის სათავეში დიქტატორებად იმისდამიუხედავად, რომ ისინი წარმოშობით პროტექტორატებიდან, პროვინციებიდან, იყვნენ. მათი გაჯეჯილება მომავალი იმპერიის შექმნის იმედით, უკეთესი ცხოვრების ილუზიით და წარსულის დამცირებით იყო გამოწვეული. ამიტომაც სახელმწიფოებრიობა ყველა სტადიაში

გაფრთხილებას მოითხოვს და მისი ნგრევა, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული, დანაშაულია.

9645. სახელმწიფო ონანიზმია, როცა ხელისუფლება ფარისევლურად „იბრძვის“ ნაკლოვანებების გამოსწორების მცდელობით და იდეოლოგიის დევალვირებით.

9646. სახელმწიფოს მართვაც თავისებურ არქიტექტურას მოითხოვს დროდადრო განახლებით.

9647. ზოგჯერ რაც „კარგია“ მოსახლეობისთვის დღეს, ის ცუდია მომავალში სახელმწიფოებრიობისთვის და ქვეყნის რეალური ინტერესებისთვის.

9648. სახელმწიფოს ასაშენებლად მის საფუძველზე უნდა დაიხარჯოს გონიერების ყველაზე მეტი საშენი მასალა, რათა ნაშენების ფასადითაც დავტკბეთ და შენების პროცესითაც.

9649. ხელისუფლების დანიშნულებაა ახალგაზრდობის დროზე დაღვინება, რათა მათთვის განკუთვნილი სისულელეები ნაკლები ჩაიდინონ.

9650. სამწუხაროდ, პოლიტიკა მადლიერების გრძნობასთან ყოველთვის მწყრალადაა.

9651. პოლიტიკა ნათელ და ბნელ მხარეთა გარეშე ვერ იარსებებს, რადგან სხვანაირად ის ქვეყნის, ხალხის და საკუთარ ინტერესებს ვერ დაიცავს.

9652. ძალაუფლებამ უაზროდ და კომპრომისის გარეშე უკან არ უნდა დაიხიოს, თორემ კისერსაც მოსტეხენ და ქვეყანაც აიჭრება.

9653. ხელისუფალმა რომ თავისი მმართველობის ისტორია მოსახლეობას დაამახსოვროს და ისინი ხალხად აქციოს, ბედთან ერთად დროის ყივილიც უნდა.

9654. გამოცდილი დიპლომატი „ვა ბანკზე“ საკითხს განსახილველად არასოდეს არ დებს, საძრომიალო ალიბს ყოველთვის იტოვებს.

9655. ჩვენი ამომრჩეველი ის გადაგვარებული წყალმცენარეა რომელსაც ნათელთან კავშირი აღარ აინტერესებს, ისედაც უზრუნველად, ჭკუის ღრძობის გარეშე ცხოვრობს ან ცხოვრობენ.

9656. ხელისუფლება მკაცრი ხელის, ახლებურად ხედვის და ღიმილით გადასახადების გადახდევინების გარეშე ღმერთს არ უქნია.

9657. თანდაყოლილი ნიჭის, დროის შერჩევის და განგების სურვილის, გარეშე ხელისუფლებაში მოსვლა არ ღირს – გინებით გაგიხსენებენ.

9658. მოსახლეობა ხელისუფალს თავად უნდა ირჩევდეს, სინამდვილეში პირიქით ხდება: ხელისუფალი იმ ხალხს ირჩევს, რომელიც თავად უნდა იმსახუროს.

9659. ხელისუფალი, თუ სავარძელში ჯდომა-მოსმენა არ შეუძლია, მრჩევ-ელები წინასწარ შეგუებული არ ჰყავს და წინასწარ დასახული მიზანი არ აქვს, ქვეყნის მმართველობას ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ.

9660. ქვეყნის პოლიტიკურ ბიუჯეტს მოხერხებული აზროვნება უნდა ავსებდეს და არა – ძალის გამოყენება.

9661. შემოქმედი ხალხის ლიდერობაზე სასიამოვნო არაფერია, თუ მას ქვეყნის მართვაც ეხერხება.

9662. საერთაშორისო დაძაბულობის გაბუქებით ხელისუფლება ხშირად თავის უნიათობას ფარავს.

9663. დიქტატურა, ტირანია, დემაგოგიის გარეშე ვერ იარსებებს.

9664. პოლიტიკაში მთავარია თევზის ჭერა და არა ის, თუ ვინ ამღვრევს წყალს.

9665. პოლიტიკა ვერ იტანს ციტატას: „ერთი ჭიჭიკიას ცოლი მომცა და ბიჭიკიას ფალოსიო, მაშინ უნდა გენახათ ჩემი ხვადობაო“.

9666. ნაციონალიზმის სწორ გზაზე დაყენებაც შეიძლება, თუკი მას მრავალშვილიანობას და მათ აღზრდას ავკიდებთ.

9667. მოსახლეობას, რომელსაც ერთმანეთში საერთო ენის გამონახვა და საკუთარი პოლიტიკის გატარება არ შეუძლია, უნდა – არ უნდა, გადამთიელს უნდა აეკიდოსს და უკანალი ულოკოს, ბოლოში დაყ-ვედრებით.

9668. იმისათვის, რომ გავერკვეთ თუ როგორი ხელისუფალი სჭირდება ამ ტერიტორიას, მოსახლეობის რაობა უნდა დავადგინოთ მის წარ-სულთან ერთად.

9669. ეტყობა, ხალხებს პოლიტიკური კატაკლიზმები თავის შესანარ-ჩუნებლად სჭირდებათ, რათა ზედმეტად არ გამრავლდნენ, არ მო-დუნდნენ და უზრუნველი ცხოვრების გამო არ გადაგვარდნენ.

9670. სტატისტიკა და საყოველთაო არჩევნები ის რეალობაა, რომლის სისწორეში მარად ეჭვი გვეპარება.

9671. ყველა ხელისფლებამ თავისი ლელო უნდა გაიტანოს, რადგან ის-ტორიის წინაშე ის აგებს პასუხს და არა მისი ამრჩევი ხალხი.

9672. ხელისუფლის დანიშნულებაა ქვეყნის განვითარება დროს და გა-რემოს შეუთავსოს ფუფუნების გარეშე.

9673. დასუსტებული ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას ოპოზი-ციასთან ყბედობას აქცევს, ვიდრე საღ აზრს და საქმიან წინადადე-ბებს.

9674. ხალხებიც მანამ მეგობრობენ ერთმანეთთან, სანამ საერთო ინ-ტერესები აქვთ და ურთიერთი სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევა-ში, დიპლომატიური სალამ-ქალამი და „ბასტა“ ფიგურირებს.

9675. მ. გორბაჩოვი თეორიული წყობის ნაძალადევი ოპოზიციური მთავრობის კარგი პრეზიდენტი იყო სურვილებით, მაგრამ პრაქტიკულად ცუდი ხელისუფალი.

9676. ხალხზე დაყრდნობა და მათი ნდობა რომ მათრახის გარეშე არ შეიძლება, „პერესტროიკამ“ გვიჩვენა, რა შემოგვთავაზა მ. გორბაჩოვმა: თავისუფლად ილაპარაკეთო, საქმე აკეთეთო, ბიზნესს ხელი მოჰკიდეთო, მოკლედ, თავისუფლად იცხოვრეთო. შედეგად გამოტყვრა ათასი ნაძირალა, თავისუფლების და დემოკრატიისთვის მებრძოლი კარიერისტ-აუტისტი ოპოზიცია და ყველა სასიკეთო წამოწყებას თავიანთი გამორჩენის იმედით წერტილი დაუსვა. შედეგად დღეს ბევრი რამ თავიდან არის აღსადგენი და საკეთებელი.

9677. ორჯერ ორი ფილოსოფიაშიც, სიყვარულშიც, პოლიტიკაშიც, ოთხია, მიუხედავად მისი ტოლობისადმი ოპოზიციური განწყობისა.

9678. დიპლომატია თავისი ქვეყნის კონკრეტულ დავალებას ასრულებს, მაგრამ ფართო გაგებით და პერსპექტივის მიჩუმათებით.

9679. სოციალიზმის კაპიტალიზმთან შერწყმა უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მათი დაპირისპირება ამ უკანასკნელის გარკვეული დროის უკან მოსკორვით, ამას დღეს ყველაზე უკეთ ჩინეთის პოლიტიკა ამტკიცებს.

9680. დემოკრატიის დომხალია, როცა ტირანიას წესრიგის დასამყარებლად იწვევს.

9681. რატომღაც ლიბერალ-დემოკრატს თავისი ქმედების არც განმარტებას სთხოვენ და არც პასუხს.

9682. პოლიტიკაში ამბიციებით გამარჯვებული დემოკრატია ვერ ამართლებს, რა დონის სახალხო არჩევნებითაც უნდა იყოს ქვეყნის სამართავად მოსული.

9683. დემოკრატიის იდეებით გასულელებული ხალხი ღირსესანიშნავს ვერაფერს ქმნის თუ მას კანონისშემოქმედი და მოხერხებული ხელისუფალი თავზე არ ადგას.

9684. პოლიტიკაში ისეთი „ოქროს შუალედია“ გამოსაჯირკნი, როდესაც ხალხს და ხელისუფალს ერთმანეთის კი არ ეშინიათ, არამედ ერთმანეთს რიდით და პასუხიმგებლობით ექცევიან.

9685. მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ მოწინავე შეიარაღებით და გონიერი მეზობელი ქვეყნების მხარდაჭერით.

9686. პოლიტიკურ პარტიებს, დროთა განმავლობაში, თავიანთი უნიათობა, ცოდვები და დროის ყივილი კლავს და ასამართლებს, ფენიქსად აღდგომის იმედით.

9687. ძალაუფლების დაკარგვა-შეძენის ყველაზე დიდი განცდა, ალბათ, ტალეირანს აქვს გადატანილი, ის ხომ სხვადასხვა პრინციპების, წყობის, შეგნების, ხელისუფალთ ერთნაირი წარმატებით „ემსახურებოდა“.

9688. გააჩნია ღორს, შემთხვევას, მეზობლებს, თორემ ღლონტის ღორი პატრონის გვარს არ დაირქმევდა „დაადო თავი ღლონტის ღორივითო“ ე.ი. დაუკითხავად, დაუპატიჟებლად ვიღაც არასასურველი პირი სტუმრად მოევლინათ. სამწუხაროდ, ასევეა პოლიტიკაშიც, როდესაც შემთხვევითი პირი ხელისუფლად მოგვევლინება.

9689. ერთიდაიგივე ტრაგედიებს სხვადასხვა ხელისუფალი-რეჟისორები დგამენ ერთი შედეგით, საბოლოოდ ფეხის წატეხვით.

9690. დემოკრატია არაფერშუაშია, თუ ხალხს არ გაუმართლა, მისი არჩეული ხელისუფალი ღმერთს არ უქნია და პასუხს არაფერზე აგებს.

9691. დიპლომატია ის ხელოვნებაა, რომელიც ვითომდა დათმობების, შეზღუდვების, ხარჯზე საერთო საქმეს მაინც წარმატებულად ართმევს თავს.

9692. პოლიტიკაში „ბოზების“ და ვიგინდარების დოღი ყოველთვის იყო და იქნება, მთავარია დიდი ხნით მარულაში არ გადაიზარდოს.

9693. ეჭვს ყველა ხელისუფალი და ხელისუფლება იწვევს, მათ შორის, ისტორიაში მტვერგადაწმენდილიც.

9694. დემოკრატია ყველას უფლება არ არის, მან კანონის დაცვით და გონების მოხმობით უნდა იღვაწოს.

9695. ისტორია, მეცნიერება, გემოვნება, პოლიტიკაში დელიკატური კულინარიის შედევრის შექმნის სტარტიცაა და ფინიშიც.

9696. პოლიტიკური ნება, ზომიერი დიქტატურის, უმკაცრესი კონტროლის და ქვეყნის სათავეში შემოქმედი ხელისუფლის მოსვლის გარეშე შეუძლებელია.

9697. კარნავალი და შოუ ის უჟანგავი გვირგვინია, რომელსაც ხელისუფალი მასისთვის აწყობს, სკამის შესანარჩუნებლად.

9698. ადამიანობა და წესიერება, გამჭირვალე კონტროლი და კანონისთვის პატივის მიგება, სახელმწიფო სტრუქტურები და მათი შემოქმედებითი პატიოსნება – ესაა და ეს სახელმწიფოს აყვავების გარანტიც და ქვეყნის კონსტიტუციაც.

9699. მჭერმეტყველი, რომელიც არითმეტიკაში ვერ ერკვევა, ცხოვრების გამოცდილების ნაკლებობას განიცდის და ისტანალიზზე წარმოდგენა არ აქვს, პოლიტიკაში არ უნდა მიძვრებოდეს, რადგან მისი საუფროსო სკამზე წამოსკუპება ქვეყანას ძალზე ძვირი უჯდება.

9700. დღეს ევროპა ტრაკაწეულ პოლიტიკას ეწევა, რომელსაც რეალურ დემოკრატია-თავისუფლებასთან საერთო არაფერი აქვს. იმის ნაცვლად, რომ სხვა ქვეყნებს, ხალხებს, მისცეს უფლება „ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს“, რაღაც მითიური გამორჩენის მიზნით, ცხვირს ჰყოფს სხვის საქმეში და ბოლოს ემიგრანტთა შემოსვლით თავად ისჯება, რადგან ძირძველი ეთნიკური მოსახლეობა მცირდება.

9701. სიბრძნის დაბანდება-რეალიზაცია პოლიტიკაში დიდ შემართებას მოითხოვს.

9702. პოლიტტექნოლოგია თავსაც იტყუებს და სხვასაც ატყუებს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და თანაც ეგრეთწოდებული უნიათო ამომრჩევლისთვის იბრძვის.

9703. როდესაც ლოთის, ნარკომანის, მათხოვრის, საქმიანობაში ხელისუფალი არ ერევა ადამიანის უფლებათა გაფეტიშების მომიზეზებით, ეს დემოკრატიის ინსტიტუტების დაცინვაა, საკუთარი უნიათობის დასაფარავად.

9704. არარეალური დემოკრატიით, თავისუფლების ყბედობით, „მოსიარულე“ სახელმწიფო, ხარახურა ქვეყანა ხდება, სადაც ყველა ვაჭრობს, ფულს შოულობს, უაზროდ ერთობა და ერის, სამშობლოს და ხალხის ინტერესები ფეხებზე ჰკიდია.

9705. პირობითი აქსიომა, „ძველი წყობა ახალს არ სჯობნის“, სამწუხაროდ, ხშირად მართალია, რადგან პირველყოფილი თემური წყობიდან დაწყებული, სოციალიზმის ჩათვლით, მანამ არ ამართლებს, სანამ ქვეყანაში დროის შესატყვისი ხელისუფალი არ მოვა და ხალხს და სახელმწიფოს თავის ჭკუაზე არ მოსკორავს.

9706. ქვეყნის გარდაქმნის მცდელობა კიდევ ერთი აქსიომაა, რომელმაც დაგვანახა, რომ ჰუმანიტარები და ჰუმანისტები მთავრობაში არ უნდა შეუშვა დილეტანტიზმის გამო.

9707. რუსეთის იმპერია ისტორიული განსაცდელის დაწყების წინ სწორ გზაზე იდგა, როდესაც სსრკ შექმნა, მაგრამ უგუნურმა წამბაძველობამ დემოკრატიისკენ და ჩვენც „ნახირ-ნახირას“ უაზრო და გაუმართლებელმა ძახილმა მის ძლიერებას და ამბიციებს წირვა გამოუყვანა.

9708. ხელისუფალს უნდა ერჩიოს მასზე ცუდი თქვან და ქვეყანამ მომავალში მისი მმართველობით იხეიროს, ვიდრე მასზე კარგი ილაპარაკონ და ქვეყანა დაკნინდეს (მაგ.: ი. სტალინი და მ. გორბაჩოვი).

9709. პოლიტიკის ვალია მომავლის ხედვა, შესაძლო კრიზისთა თავიდან აცილებით.

9710. დღევანდელი მოჩვენებითი და გაუმართლებელი „დემოკრატიის“ „ტრაკის თამაში“ ბევრი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას „გაჟიმავს“.
9711. ხელისუფალს, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის არ იბრძვის, ეტყობა, არც არაფერი ისეთი დაუთესია, რომ მის შედეგზე პრეტენზია განაცხადოს.
9712. ლიბერალიზმის უცბად დიქტატურისთვის თავზე მოხვევა სახელმწიფოებრიობას ანგრევს და ზვარაკად, ავანტურისტთან ერთად, ბევრ უცოდველ ხალხს იწირავს.
9713. ქვეყნის მართვისთვის უმთავრესია ღირსება, იდეოლოგიის განმტკიცება და მიზნის დასახვა. რაც შეეხება მასას, ხალხს, ის მანამდეა ცხვარი, სანამ სახელმწიფოებრიობას საფრთხე შიმშილის, უმუშევრობის და არეულობის სახით არ დაემუქრება.
9714. დღეს წარსულში აშკარა და გამოუსწორებელი დისიდენტების უმრავლესობა საბჭოთა კავშირის წყობას და ი. სტალინს ნატრობს, რადგან ამ ცრუ დემოკრატიამ და სიტყვის უაზრო თავისუფლებაყბედობამ, ქვეყანა გაქრობის გზაზე დააყენა.
9715. ყველა ქვეყანას თავისი ბედი და დანიშნულება აქვს სამყაროში, რომელიც დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებზე, განგებაზე და დროის ყივილზე.
9716. ქვეყნის კონსტიტუციის შემქმნელები იმაზე კი არ უნდა ფიქრობდნენ „რას იტყვის ხალხი“, არამედ რას მოიმოქმედებს და როგორ მოირგებს-გაითავისებს ამ კანონებით დამოძღვრილი საზოგადოება ქვეყნის საკეთილდღეოდ.
9717. ქვეყნის სათავეში ზოგი იმიტომ მოდის, რომ ქვეყნებში სახელმწიფოს ხარჯზე იმოგზაუროს და ტურიზმის განვითარებას ხელი შეუწყოს, რაც შეეხება საგარეო ურთიერთობას, ამას ისევ დროს, შემთხვევას და განგების ნებას ანდობს.
9718. დიპლომატია და წინ ყურება სჭირდება, განსაკუთრებით, ოჯახის, ქვშევრდომთა და ხალხის მწყემსს.
9719. პური გონიერების, იდეოლოგიის, კაცობის, საწყისია, ხოლო გართობა – ძალაუფლების შენარჩუნების.
9720. ეჭვის ქვეშ დაყენებული ხელისუფლება ალიბს კი არ უნდა ეძებდეს თავის გადასარჩენად და „პოლიტიკური ონანიზმით“ კი არ უნდა ერთობოდეს, არამედ ხელებს უნდა იკაპიწებდეს და ჭკუა უნდა მოიძიოს გამოცდილების ხარჯზე.
9721. როგორც ახალი იდეების არმქონეს მეცნიერებაში არაფრის კეთება არ შეუძლია, ასევე პოლიტიკაში თვითნაბადი ნიჭის და ცხოვრების ცოდნის გარეშე წასვლა დანაშაულია.

9722. პოლიტიკოსისთვის უპირველესია ავტორიტეტი, ხალხში, ოპონენტებში, წარმოჩენა მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი აზრის განსჯა, შეფასება, გათავისება.

9723. ქალის პოლიტიკური გავლენა ქვეყანაში თეორიულად მეტია, ამომრჩეველთა ხმის ოდენობით, მაგრამ პრაქტიკულად ქვეყნის მართვის სადავეებს მაინც მამაკაცებს უტოვებენ.

9724. ვითომდა საქმის კეთება იგივე სიზარმაცეა სხვებისთვის თვალის ასახვევად და გონების დასაბნევად.

9725. მზაკვრობაზე საშინელი არაფერია: გიღიმის, მეგობრობას გეფიცება, ჩუმად კი ორმოს გითხრის და თავის მართლებისთვის ალიბსაც ნახულობს.

9726. პოლიტიკოსობას არც ცოდნა ყოფნის, არც გამოცდილება, არც მრჩეველთა ოდენობა, მხოლოდ ალღო, ნიჭი და შემთხვევის წყალობა.

9727. პატრიოტის გონიერება, ოპოზიციას და პოზიციას ერთნაირი ძალისხმევით უნდა ებრძოდეს, რათა საჭირო საქმის საკეთებლად თუ რაიმე კარგი აქვთ, წამოაცდინოს და თავად გამოიყენოს.

9728. ხელისუფალი ცხოვრების ყველაზე დიდი აქტიორი უნდა იყოს, ნიჭის და მომხიბვლელობის ფრქვევით ამდენ უსახო მაყურებელს თავი რომ მოაწონოს.

9729. რაც უნდა დიდი ნიჭი მართავდეს ქვეყანას, ის, პირველ რიგში, სახელმწიფოს ინტერესებზე ფიქრობს და არა – ხალხზე, რომლის ბუნება უმადურია და ხშირად დაუნახავიც.

9730. პოლიტიკა ნიჭია, მოწოდებაა, დროის ყივილის და ბედის შეცნობით.

9731. პოლიტიკაში, გვინდა – არ გვინდა, მაინც უმეცრები ჩალიჩობენ, თავის გამორჩენით და ამას არავითარი არჩევნები არ შველის.

9732. ყველა ხელისუფალი ეჭქვეშ დაყენების ღირსია.

9733. პოლიტიკოსი, რომელმაც იცის, რომ სიცოცხლეში არაფერს დაუფასებენ და მაინც პოლიტიკაში მიძვრება, ან განგების ნებაა ან ბუნებით დიდი ნაძირალა მოსულა ქვეყნის ამოსაგდებად ან გადასარჩენად.

9734. ხელისუფალმა ქვეყანა რომ ღირსეულად მართოს და ხალხის ნება წინხედვით გვერდით ამოიყენოს, ნიჭთან, აღზრდასთან, ერთად მორალური უფლება უნდა ჰქონდეს.

9735. ყურით მოთრეული საკითხის „მომსახურება“ ძალზე ვნებს საერთაშორისო ურთიერთობას და ეს უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. მაგ., ერაყის პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის, ჩამოგდება და სიკვდილით დაჯა.

9736. ხელისუფალს სიკეთის საკეთებელი მანტია უნდა ჰქონდეს მოსხმული, იმისდამიუხედავად, ის ამ ნაჭერს სასარგებლო საქმის კეთებისას მოიხმარს თუ უსარგებლოსას.

9737. თავისუფლება და საჯაროობა ყოველთვის იყო განტევების ვაცი სუსტი ხელისუფლების, უნიათო ქვეყნის კონსტიტუციის და საძრომიალო კანონების ხელში.

9738. დამსმენი, ინფორმატორი, ჯაშუში, მზვერავი, ჩამშვები, სექსეტი და პოლიცია – ყველა მათგანი თავისებურად ქვეყნის უსაფრთხოებას, კანონიერების დაცვას და დანაშაულის პროფილაქტიკას ემსახურება.

9739. სახელმწიფო უნდა მოემსახუროს კულტურას და არა – პირიქით, რადგან ის ხალხის საკუთრებაა და ქვეყნის ტრადიციების შემქმნელიც.

9740. პოლიტიკა მომენტების შერჩევაა კეთილი სურვილებით და უმტკივნეულოდ სარგებლის ნახვით.

9741. სახალხო მმართველობა თეორიულად მიმზიდველია, მაგრამ პრაქტიკულად უაზრო საქმის საკეთებლად ბევრი დრო გაჰყავს.

9742. ინფლაცია და პოლიტიკა სინონიმებია, რადგან ხელისუფლის უნიათობაზე და მთავრობის უვარგისობაზე მიუთითებს.

9743. სახელმწიფოს ძირითადად მხდალი კარიერისტები მართავენ, რომლებიც თავიანთ დღევანდელ მდგომარეობაზე ფიქრობენ და ხვალ რა ელის ქვეყანას, ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებენ.

9744. პოლიტიკოსი თუ ქვეყნის სათავეშია, თავის გემოზე გაქარების უფლებაც კი არ აქვს და ამას რაც უფრო დროულად გაითავისებს, მით უკეთესია საზოგადობისთვის და პირადი ავტორიტეტისთვის.

9745. დემოკრატია უმთავრესად ადამიანის შეგნების სისტემაში მოყვანისთვის ზრუნვაა, რათა რაც შეიძლება მეტი არგოს როგორც საკუთარ თავს, ასევე ირგვლივმყოფთ.

9746. დემოკრატია ის ლამაზი მანდილოსანია, მართვის სისტემაა, რომელსაც შორით ვეტრფით, მაგრამ როგორც კი გავიცნობიერებთ-გავითავისებთ, ირკვევა, რომ ისიც ჩვეულებრივი ქალია, წყობით, კაპრიზებით, სურვილებით, მცდელობით და ოცნებით.

9747. სიტყვა „დემოკრატია“ მეტად ჟღერს, ვიდრე მისი გაუთვალისწინებელი შინაარსი, რადგან ისიც ცხოვრების კანონების მკაცრ კაპრიზებს ემორჩილება.

9748. სამართლიანობის ყიდვაც შეიძლება არენდით თუ მას დრო და შექმნილი გარემო მოითხოვს პოლიტიკის დაკვეთით.

9749. პოლიტიკა მკაცრიც არის და უსამართლოც, რადგან არსებული წყობის ინტერესებისთვის ისჯება ის ხალხი, ვინც ამას არ იმსახურებს.

9750. პოლიტიკოსია, ვინც თანდაყოლილ და შეძენილ ნაკლს ივიწყებს და ხელს უწყობს ქვეყნის ინტერესების დაცვა-გაძლიერებას.

9751. პოლიტიკა ქვეყანაში შექმნილ გარემოებათა მიხედვით შეფერილობას იცვლის, მაგრამ ადამიანის მომთხოვნი და ვერაგი ბუნება ამით არ იცვლება.

9752. სახელმწიფო აპარატი, ძირითადად, უნდა დაკომპლექტდეს ნაკლებ ნიჭიერი და მოწესრიგებული პიროვნებებით და არა – ვუნდერკინდებით, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ გონიერთა მხრიდან ორმაგი თამაშის შესაძლებლობები.

9753. პოლიტიკაა ის, რაც სახელმწიფოებრიობას ამტკიცებს, მოქალაქის მისწრაფებებს, ყოფას, რწმენას, რგებს და არა ყურით მოთრეულ სიტყვის თავისუფლებას.

9754. ამბობენ, პოლიტიკოსებმა „პამპერსები“ ხშირად უნდა გამოიცვალონ, რადგან ხშირად ისვრიანო.

9755. პოლიტიკას სულით საჭურისობა ყოველთვის ახასიათებდა, რადგან სხვანაირად მას თავის გამოჩენა-შეხსენების უნარი ეზღუდება.

9756. ყოველთვის გამოჩნდებიან ბუნებით ავანტურისტი ერთეულები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ქვეყანას ერთი ხელის მოსმით გადააბრუნებენ და მის აყვავებას შესძლებენ. თუ ისინი დროულად არ მოვიშორეთ, თავიანთ ჩანაფიქრს ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთჟლეტის, შედეგად განახორციელებენ.

9757. სიტყვით ყველა ხელისუფალი სახელმწიფოს პრობლემებითაა დაკავებული, საქმით კი ონანიზმს ეწევა და ადგილის შენარჩუნებას ცდილობს.

9758. ხალხებს შორის მეგობრობის საფუძველი ინტეგრაციაა და არა ასიმილაცია და თუ ხელისუფლება ამას აცნობიერებს, ქვეყანა სიმშვიდეს ჰპოვებს.

9759. ვიგინდარების დოღი ფსევდოდემოკრატიის დაბრუნებაა, ხოლო უგუნურებისთვის მარულა – სიტყვის უპასუხიმგებლობით ყბედობა, ჯერ-ჯერობით ასეა, შემდგომ რა იქნება, ეტყობა, ჩვენ ვერ მოვესწრებით.

9760. ყველა სახელმწიფო წყობიდან „დელიკატესების“ კეთება შეიძლება, – მთავარია ვინაა ქვეყნის კულინარი.

9761. ქვეყნის მართვა პროფესიონალებს უნდა ვანდოთ, იმისდამიუხედავად, რომ მათზე ყოველთვის დიდი წარმოდგენისანი არ ვართ,

რადგან ავანტურისტ, პოლიტიკის კაურების უვიც, ფსევდოპატრიოტებს, ქვეყანა ნგრევისკენ მიჰყავთ.

9762. პროცესის დამუნათება და დროის გაყვანა პოლიტიკაში ყველაზე დიდი დანაშაულია მომდევნო თაობების წიანშე, რადგან ყველა თაობამ თავის კუთვნილი ტვირთი უნდა იტვირთოს.

9763. პოლიტიკა როგორც უნდა ისე გარყვნის ჩვენს სმენადობას, ცნობიერებას, ვნებათა ჩქროლვას, თუ ნიჭიერი და ხალხის გულის მოფხანის მცოდნე ეშმაკი ხელისუფლის ხელშია.

9764. შეიძლება ქვეყნის მმართველი კარგი ადამიანი იყოს, მაგრამ ცუდი ხელმძღვანელი, რადგან მმართველობის სიკარგეს თავისი განზომილება აქვს.

9765. სახელმწიფო ვალდებულია გამოკვებოს, ჩააცვას, დაიცვას, დაასაქმოს ხალხი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყნის ხელისუფალი ერის პროვოკატორია და ნაძირალა და მას თავის გამართლების ალიბი არ აქვს.

9766. ხელისუფალს გაუბედაობას, წინდაუხედაობას, პოლიტიკურ ონანიზმს, ვერც ერთი ქვეყნის ისტორია ვერ აპატიებს.

9767. პოლიტიკის და ამინდის პროგნოზი ერთნაირად გვიფუჭებს ხასიათს, რადგან ჩვენ ნდობას, აღმაფრენას და სურვილს ხშირად აბუჩად იგდებენ.

9768. შედეგიანი პოლიტიკა ყველა ჩადენილ სისაძაგლეს შეიხახვისთავებს და წარმოჩინდება, თუ წარსულ დროთა გაუგებრობის მომიზეზებით ისტორია გატრუნულია.

9769. ხშირად სიმართლეს ზოგჯერ შელამაზებულ-წამოდგენითი ტყუილი ჯობს, რაღაცისადმი რწმენას და იმედს მაინც გვიტოვებს.

9770. ფორტუნა, შემთხვევა, ბედი, ხელიდან არ უნდა დაგისხლტეს, რათა ამქვეყნად ყოფნის მიზეზი დააგემოვნო და თავით კმაყოფილი დარჩე.

9771. დემოკრატია, თავისუფლების პრინციპების დაცვა, მზაკვრობას არ უნდა გამორიცხავდეს თუ ეს ნაკლებ სიავეს მოგვიტანს და უბედურებას თავიდან აგვაცილებს.

9772. ხელისუფალთა უმეტესობა „პოლიტიკური ონანიზმით“ კმაყოფილდება და აქ საინტერესო ისაა, რომ ამომრჩეველიც, ასე თუ ისე, მხარს უჭერს გარკვეულ დრომდე „უშფოთველი ცხოვრების ხათრით“.

9773. მართო ქვეყანა ისე რომ ისტორიას დაამახსოვრო, პოტენციური „დანაშაულია“, თავის ნებაზე მიუშვა მართვის სადავეები –

უგუნურებაა, მაგრამ მახსოვრობა, „დედის გინებით“, გარანტირებულია.

9774. ძალაუფლების მოპოვებას ხალხის ცნობიერების დათრგუნვა სჭირდება საკუთარი „მეს“ მოპოვებით და თავზე წარმოდგენის შექმნით.

9775. სახელმწიფომ თავისი კანონებით, ეკონომიკის გათვალისწინებით, პოლიტიკური, ინტელექტუალური საკითხების მოშველებით, დანაშაულის ჩადენას ბაზისი უნდა გამოაცალოს.

9776. ქვეყნის ლიდერობა საქმის კეთებაა და არა მხოლოდ დიქტატი გონებასთან შეუთავსებლად.

9777. ხალხს ყური უნდა მიუგდო, მაგრამ არ უნდა აჰყვე, თუ გინდა მათვის სასიკეთო საქმეებით გაისარჯო.

9778. პოლიტიკა დიდი თეატრია, მაგრამ ხშირად რეჟისორი და მსახიობები ჰყავს აუტისტი და წინგაუხედავი, ხოლო მაცქერალ-ამომრჩეველი აუდიტი (ინფორმირებული იდიოტი) – ხელგაუნძრევლად კარგი ცხოვრების მოსურნე.

9779. გონიერებას თავის საძირე აქვს, ხოლო მასზე თუ პოლიტიკურ წყობას დავამყნობთ, ისეთივე მოსავალს მივიღებთ.

9780. ერს ურთიერთგაყოფა-გათიშვისაგან დიქტატორის ხელი იხსნის რწმენის და მომავლის იმედის ჩანერგვით.

9781. ჟღერადი ხმის დაყენება ყველაზე კარგი რეკლამაა პოლიტიკოსისთვის არჩევნების დროს.

9782. პოლიტიკაში რწმენა, მორალი, ერთია, ხალხი, ბრბო, მასა მეორეა, აქ მთავარია, მათ საერთო ენა გამონახონ და ურთიერთგაგება ისურვონ.

9783. სახელმწიფო პოლიტიკა ონანიზმს ვერ იტანს, ის წინასწარ უნდა ჭვრეტდეს ქვეყნის მომავალს, დროს გაყვანით არ უნდა იყოს დაკავებული და ინტრიგებს არ უნდა აწყობდეს მომავალ არჩევნებამდე.

9784. აუტიზმის პოლიტიკა იმ ქვეყნისთვისაა დამღუპველი, რომელსაც არც პროცესზე აქვს წარმოდგენა და არც საბოლოო შედეგზე. ჩინელებმა თავის დროზე მარცვლეულის შენარჩუნების მიზნით, ბელურები მასობრივად გაჟლიტეს, შედეგად ბუნების მწერებთან თანაარსებობის გრაფიკი დაირღვა, სხვადასხვა ჯიშის მწერები მომრავლდნენ და ხორბლის მოსავალი გაცილებით ნაკლები აიღეს. იძულებული გახდნენ სხვა რეგიონებიდან შემოეყვანათ ბელურები. „ქრთამად“, ფრენის მთელ მანძილზე, გზაზე ხორბალს უყრიდნენ, ამიტომ პოლიტიკა შემთხვევითი და წინგაუხედავი ხალხის საქმე არ არის.

9785. პოლიტიკაში თუ სუსტი ხარ და ხალხს ვერ იყოლიებ, მაშინ ხელს რა გიშლის ჯერ საკუთარ თავს შეუძახო.

9786. თვითმარქვია, არაპოლიტიზებული, საზოგადოებაც კი მისდაუნებლიედ პოლიტიკის ორომტრიალში ეხვევა.

9787. დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების, ქარტიის მოშველიებით, დილეტანტი და უვარგისი ხელისუფალი თავის უნიათობას, უძლურებას და პროფუსარგებლობას მალავს.

9788. ყველა პოლიტიკური ბრძოლა გონებით შეიძლება მოიგოთ, მაგრამ პრაქტიკულად წააგოთ, თუ ხალხს სათუო მოწოდებებით არ დამუნათებ და საყოველთაო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებ.

9789. ყოველი ახალი იდეა, განსაკუთრებით პოლიტიკაში, ავანტურაა და ცხოვრების მცოდნე ფანატიკოსს უნდა ვანდოთ განსახორციელებლად.

9790. ყველაფერი შემთხვევის ხელშია, მათ შორის, ქვეყნის პოლიტიკა, მოქიშპეთა უეცარი გარდაცვალება და თვით არჩევნების ჩატარებაც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა ქმედებამ გარკვეული მოგება უნდა ნახოს.

9791. რეალური პოლიტიკოსის მომზადება ამბიციების მქონე ყველა ქვეყანაში დაბალია და მათ შორის, საქართველოშიც, ნიჭიერების მიუხედავად.

9792. შიშის, პანაშვიდების და სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის გარეშე ჯერ-ჯერობით სახელმწიფო არ იმართება.

9793. როგორი მასტის ხალხიც ვართ, ისეთივე მასტის ხელისუფალი უნდა ავირჩიოთ, თუ გვინდა ქვეყანა სახელმწიფოდ ვაქციოთ.

9794. ქართველს არ შეუძლია სხვათა კვალზე სიარული, ის საბოლოოდ თავის სავალ გზას უბრუნდება, რომელშიც ოღრო-ჩოღროც ბევრია.

9795. დემოკრატია თავისებური გამოცდაა, რომელსაც ქართველმა ხალხმა ვერც ალღო აუღო და ჯერ-ჯერობით, ვერც დააჭაშნიკა.

9796. ქართველები დემოკრატიას სოციალიზმის იდეების საწყისებით, მენტალიტეტით, უნდა ეზიარონ, თუმცა ჯერ-ჯერობით, არაფერი გამოსდით.

9797. ყველა წყობა პოლიტიკური თითლიბაზობაა, თუ ქვეყნის ღირსეული მმართველი არ გამოჩნდება, რადგან პოლიტიკაში, ქვეყნის მმართვაში, ყველაზე საშინელება დილეტანტობა, საკუთარი ხალხის ბუნების უცოდინრობა და რეალურ ეკონომიკაზე წარმოდგენის არქონაა.

9798. საქართველოს გადამკიდე პოლიტიკოსები ღმერთსაც კოშმარებს უწყობენ.
9799. პოლიტიკა უპირველესად სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიჭია, შემდგომ მოდის ხალხისთვის ღიმილით და უმტკივნეულოდ ალიყურის ჭმევის უნარი, მათსავე სასარგებლოდ.
9800. ხელისუფლების დანიშნულებაა მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტა, შედეგის გათვალისწინებით.
9801. ცივილიზაცია, რატომღაც, აუტისტებს ამრავლებს დემოკრატიის და სიტყვის თავიასუფლების ეგიდით.
9802. ხალხის აზრს ნუ შეეწინააღმდეგები, მაგრამ შენი იქონიე, მიახლოებით გატანით და თანდათანობით შენს აზრზე გადმოყვანით და ესაა დღევანდელი საყოველთაო პოლიტიკის ანიც და ბანიც.
9803. ყველა შემთხვევითი პოლიტიკოსი პარლამენტისკენ იყურება და ეს ქვეყანაში „უძაღლოდ ყეფის“ ბრალია.
9804. პოლიტიკოსს სახელმწიფო სკამზე წამოსკუპებაში ბევრი თანამეინახე ეხმარება, მაგრამ თუ გაინაღდა, იძულებულია მხრისდამჭერ უმრავლესობას ზურგი აქციოს, რადგან მათი ოდენობა გაცილებით დიდია, ვიდრე მისი შესაძლებლობა.
9805. საბაჟოს ცხოვრება კონტრაბანდისტების გარეშე „გაჭირდებოდა“, რადგან მათ რაოდენობას შეამცირებდნენ, შედეგად – გაყინული ხელფასი და უმუშევრობა.
9806. კორუფცია კი ჭამს ქვეყანას, მაგრამ არც მის გარეშე გამოდის რამე დაუწყობელ და არეულ ქვეყანაში.
9807. სსრკ უკულმა ნაშენები ქვეყანა იყო, მაგრამ დღევანდელი „დემოკრატიის“ გადამკიდეს, თუ წაღმად მომეჩვენებოდა, არ მეგონა.
9808. ვერც ამბიციების მქონე ქართულმა პოლიტიკამ ისწავლა ჭკუა და ვერც ეროვნულობით თავმომწონე ხალხმა: იგი ხომ ევროპისთვის და სხვა გადამთიელებისათვის პოლიტიკაში წვრილმანი ხურდაა და მისი ბედი არავის ანაღვლებს.
9809. ხელისუფალი სიმდიდრის საფუძველს, ბაზისს, უნდა ჰქმნიდეს მოხერხებით, დაძალებით და გონივრული გადაწყვეტილებებით.
9810. სამყაროში არსებული პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, მე შევქმნიდი „ჭკუადამჯდარი ხალხის პარტიას“. იქნებ ამდენ „ანაცუა-ბანაცუა“ პარტიებში მას მაინც გაეკვალა საქართველოსთვის სამყაროს პოლიტიკურ ლაბირინთებში სასიარულო სწორი გზა.
9811. დარგის სპეციალისტი პოლიტიკურ უგვანობაში არ უნდა გაიხარჯოს, რადგან მას გენი პრაქტიკული ყოფის შესაცნობად სჭირდება

და აქ განათლება, ინტელექტი და რეალური სამშობლოს სიყვარული, ნაძირალა ბუნების მქონე პოლიტიკოსების წინააღმდეგ ვერაფერს გახდება და არც ხალხი გაჰყვება, როგორც დარგის „უიღბლოს“.

9812. ზოგჯერ შორიდან ყველაფერი კარგად ჩანს ან პირიქით, მაგრამ ხელისუფლის ვალია რეალობას თვალებში ჩახედოს და ისე იღვაწოს.

9813. ქვეყნის მართვა და ხალხის დამოძღვრა გადაქანცული და ძალაგამოცლილი ენთუზიაზმით დანაშაულია.

9814. ხელისუფლებას, ფაქტობრივად, დროის ყივილი და განგების ნება ცვლის და არა – ყბადაღებული, ყურით მოთრეული, ოპოზიცია და არჩევნები.

9815. პოლიტიკანებისთვის მთავარია ვინ მიუგდებს სასუსნავს და არა – ხალხის რეალური ინტერესები.

9816. კულტურული რევოლუცია შეუთავსებელია ეკონომიკასთან, პოლიტიკის ლიბერალიზაციის გარეშე, შიგადაშიგ დიქტატის მოშველიებით.

9817. პოლიტიკა სამივე ფერის შუქნიშნის ანთებას ერთდროულად ცდილობს პიარის და საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად.

9818. მყარი იდეოლოგიური საძირკვლის უქონლად ნებისმიერი სახელმწიფო დანგრევის საფრთხეშია.

9819. პოლიტიკის დანიშნულებაა მტერი მოყვარედ აქციოს, ხოლო მოყვარე არ გაანაწყენოს, შეინარჩუნოს და მტრად არ აქციოს.

9820. საქართველოს პოლიტიკა, ეკონომიკა, საუკუნეთა გადასახედიდან ხშირად უშვებს სტრატეგიულ და ზოგჯერ გამოუსწორებელ შეცდომებს თავისი ამბიციურობით, დილეტანტობით და სხვათა მოიმედეობით.

9821. ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობისას უნდა გაითვალისწინო, რას ნიშნავს იყო ქვეყნის პირველი პირი და რა უნდა იღონო, ამომრჩევლის იმედი რომ გაამართლო.

9822. როდესაც ხელისუფლება ყაჩაღის როლში გვევლინება და ვითომდა კანონის მოშველიებით რეკეტს ეწევა, იმ ქვეყნის ნგრევა, რევოლუციით, გარანტირებულია.

9823. ზოგი პოლიტიკოსი, იმის მაგიერ, რომ ხვალინდელ დღეზე ფიქრობდეს, გუშინდელი დღით ცხოვრობს.

9824. ხელისუფალმა ქვეყანა გახსნილი შუბლით უნდა მართოს და არა გახსნილი გულით.

9825. დროის გამოწვევას ყველა ხელისუფლება მხნედ უნდა შეხვდეს, ეს დემოკრატიის თუ დიქტატურის სახელით იქნება.

9826. დემოკრატიამ უპირველესად გონიერი დამოძღვრა, სხვათათვის ყურის გდება და მოთმინების სწავლა უნდა შესძლოს.
9827. დემოკრატია შენს მიერ არჩეული პირის მხრდაჭერაა ჯანმრთელი ოპონირებით, რადგან სხვანაირად მას არსებობა უჭირს.
9828. საკმარისზე მეტი სალაფავი, მუცლის ამოყორვით, თუ მოჭარბებული იდეოლოგია გონების დასაბინდად – რომელი ჯობს პოლიტიკაში, ძნელი სათქმელია.
9829. სამწუხაროა, როდესად ოპოზიცია და ხელისუფლება უაზრო სადღეგრძელოებს ისვრიან და მასპინძლობის მადლი და ხარისხი დიდად არ ანაღვლებთ.
9830. ზოგიერთ პოლიტიკოსს სათავისოდ ისეთი მახსოვრობა აქვს, რომ ასაკით გამოწვეულ სკლეროზს და ამნეზიას ახლოსაც არ „იკარებს“.
9831. მოძალებულ „გრძნობების სახრჩობელას“ უნდა ვერიდოთ და პოლიტიკას ახლოს არ უნდა გავაკაროთ, რადგან ის მოხერხებულობის გონიერებასთან ჭიდილის ანარქიაა.
9832. მშვიდობიან დროს ტექნოკრატულ მთავრობას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, ხოლო არეულობისას – პოლიტიზებულს, რადგან ხალხი აჭრილია და გონიერებისგან შორსაა.
9833. სანამ პოლიტიკაში მათემატიკა ცხვირს არ ჩაყოფს, გონების მოხმობით, მანამ ხალხის არჩევანი არასწორი იქნება.
9834. ხელისუფლების სათავეში იმ ასაკში უნდა მოხვიდე, რომ ქვეყნისთვის საჭირო ცოდვების ჩადენაც მოასწრო და ზრდილობის გულისთვის მონანიებაც.
9835. ხალხისთვის სიკეთის მთესავი უნდა ავირჩიოთ ქვეყნის მმართველად თუ ჭკვიანი და მოხერხებული? ალბათ ეს უკანასკნელი, მაგრამ მასა მაინც პირველს აძლევს ხმას.
9836. მე ვერ ვცემ იმ ხალხს პატივს, ვინც სოიოს ხორცს ნაღდი ხორცისგან ვერ არჩევს და მოხარშულ ძეხვს თევზის ფილესგან. ასევეა პოლიტიკაშიც: საქმიან კაცს უსაქმურისაგან ვერ არჩევენ და ხელისუფლებისთვის მოწოდებულს – ნაძირალასგან.
9837. სამწუხაროდ, ჩვენში უაზროდ ურთიერთდაპირისპირებული, „ქუჩური“, პოლიტიკური პარტიები ჩამოყალიბდა.
9838. არც ერთი პატარა ქვეყანა რეალურად დამოუკიდებელი არაა, მან, უნდა – არ უნდა, ძლიერ ქვეყნებს კუდი უნდა უქნიოს.
9839. პოლიტიკა, წარმატების მიუხედავად, მოსაბეზრებელია, რადგან უფრო მეტი და უკეთესი გვინდა, ამიტომ პოლიტიკოსმა უნდა იგრძნოს როდის წავიდეს და ამომრჩეველს თავი როგორ და როდის უნდა მოანატროს.

9840. ხელისუფლებისთვის გაჯირითება ყოველთვის პროგრესისკენ ლტოლვას არ ნიშნავს, რადგან ხშირად ის მლიქვნელობას და სიყალბეს ბადებს.
9841. ქვეყნის ინტერესები ყოველთვის ყველა სხვა ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს, რადგან მომავლის წინაშე ვაგებთ პასუხს.
9842. საკუთარი თავის ოპონირებით შეჯანჯღარებამ. ბედის გაღიმება იცის.
9843. პოლიტიკური მოღვაწე რომ გახდე, შეიძლება რომელიღაც სულელურ გაერთიანებას „პროტესტის გამოხატვით“ გაუძღვე.
9844. პოლიტიკურ სითამამეს ზოგჯერ პოლიტიკური „მორცხვობა“ ცვლის დროის, გარემოს და ამომრჩევლის ხუშტურების შესატყვისად.
9845. იყავით მარტივი, ხელმისაწვდომი და მასაც თქვენს გვერდით დადგება.
9846. „საღეჭი“ ტვინი პოლიტიკოსისთვის აუცილებელია, იმისდამიუხედავად, გამოადგება თუ არა.
9847. ხალხზე ხელისუფლებამ რაც უნდა გონების მოხმობით იზრუნოს, დროთა განმავლობაში მაინც მოსაბეზრებელი ხდება, ამიტომ მას გონიერება უნდა ეყოს, გარკვეული საარჩევნო წლების გამოტოვებისთვის, რათა ის კვლავ მოენატროთ.
9848. პოლიტიკაში ვერც ერთმა დამარცხებამ გამარჯვების მსურველ ავანტურისტს ჭკუა ვერ ასწავლა.
9849. დიდ პოლიტიკას განგების გამოგზავნილი ერთეული გადამთიელები ქმნიან (კუნძულ კორსიკიდან საფრანგეთში – ნაპოლეონ I, ავსტრიიდან გერმანიაში – ჰიტლერი და საქართველოდან რუსეთში – სტალინი) და ეგრეთწოდებული ხალხი.
9850. პოლიტიკას უპრინციპობაც ახლავს, ვაჭრობაც, გამყიდველობაც, ჩაშვებაც, კომპრომისებიც და სისხლიც, რა თქმა უნდა, მისთვის გასაგებ მისწრაფებებთან და თანდაყოლილ ნიჭთან ერთად.
9851. ქვეყნის ჰიმნის შესრულება უპირველესი პატივის მიგებაა ქვეყნის სახელმწიფოებრიობისადმი.
9852. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თუ ბუნებით „ნაძირალა“ არ ხარ, ხელისუფლებაში ვერ მოხვდები და ვერც ისტორიისთვის დასამახსოვრებელ მმართველად დარჩები.
9853. პოლიტიკაში, ძირითადად, ჭკუანაღრძობი, ამპარტავანი, მცირე მეგაბაიტის ხალხი მიძვრება და ამიტომაცაა, რომ უმრავლესობას ისტორია არ სცნობს და ახლო არ იკარებს.
9854. დემოკრატია, უპირველესად, კანონებისა, საკუთარი თავის და უმრავლესობის აზრის, უდიდესი პატივისცემაა.

9855. სამწუხაროდ, ევროპის გაერთიანება მოჩვენებით „ყარაჩოხელთა“ და ვითომ სიკეთის მსურველთა კლუბია.
9856. ყველა პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად ბრიყვია, რადგან უმადურ საქმეს, ხალხის გაკეთილშობილებას, „ჭკუის სწავლებით“ ემსახურება.
9857. პოლიტიკაში დამალულ ცოდვებზე არაფერს ვამბობთ, ოფიციალურზე წიხლებს ვისვრით, მიუხედავად იმისა, დღევანდელობისთვის აუცილებელია მისი გატარება თუ არა.
9858. ასაკს ცხოვრების მწარე გამოცდილება აქვს, ჯეელობას – გამოუცდელი ილუზიები, მათი გონივრული შერწყმა კი იძლევა იმ ბალანსს, რომელსაც სიცოცხლის კაიფი ჰქვია.
9859. დემოკრატიის სახელით ხშირად უთავმოყვარეო საზოგადოებას ვიღებთ, რომელიც ზოგჯერ ქვეყნის მმართველობაში დიქტატურის ელემენტებს მოითხოვს.
9860. ქვეყანას ცოცხალი გვამები არ უნდა მართავდნენ, მაგრამ არც „ნაბიჭვრებს“ უნდა ვანდოთ, რადგან ქვეყნის მართვის ხელოვნება ზევიდანაა დამადლებული.
9861. რატომღაც ხალხის უმრავლესობა პოლიტიკურ ძალას არჩევს ჭკუის და ხელის განძრევის გარეშე.
9862. პოლიტიკაც თავისებური კარტის თამაშია, თუ „იბლეფე“ და გაგიმართლა, გმირი ხარ, თუ არა და – „ტაპისტი“. ასევე მოუვიდა საქართველოს, როდესაც ეგონა ამერიკის დახმარებით „ნატოში“ ურიგოდ შევიდოდა 2008 წელს. მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, ძველი ევროპელი პოლიტიკოსი „ბოზები“ თუ გამორჩენას არ ხედავენ, ყველას და ყველაფერს გაჰყიდიან.
9863. საქართველომ ერთი რამ ვერ შეიგნი და ალბათ, თავის ამბიციების გადამკიდე ვერც ვერასოდეს შეიგნებს, რომ საქმით სხვა ქვეყნებს „წელსქვევით ვკიდივართ“.
9864. ზოგჯერ ნაძირალა პოლიტიკურ ინტერესებს და ყურით მოთრეულ პატრიოტიზმს საღ აზროვნებას ვწირავთ და ამ უგვანობას ვერ ვგრძნობთ. მეორე მსოფლიო ომის ქართველ ვეტერანებს პატივს აღარ მიაგებენ რუსეთის ჯინაზე, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, ფაშიზმს რომ გაემარჯვა, რა დღეში იქნებოდა დღეს საქართველო.
9865. ხელისუფალმა ადამიანთა ღირსებას სიტყვიერი პატივი მაინც უნდა მიაგოს, თუ უნდა ხელისუფლების სკამზე მეორედ ჩამოჯდეს.
9866. დაუღვინებელი დემოკრატია ფულს კი არ შოულობს, იპარავს.
9867. ნიჭიერები მიდიან ადრე, თორემ ფართო მოხმარების და „შემაფურთხე – ვერ მოვიწმინდავ“ პოლიტიკოსები დიდხანს ცოცხლობენ, დამოძღვრას არ იშურებენ და არც თუ ურიგოდ ცხოვრობენ.

9868. დემოკრატია, თავისუფლება, განათლებელ ხალხს იმ ზედმეტ მოვალეობებს აკისრებს, რისთვისაც მზად არ არიან.
9869. პოლიტიკაში უმთავრესია ქმედება და არა ყურში ჩაჩურჩულებით საქმეების მოკვარახჭება-ჩაწყობა.
9870. დემოკრატია ისაა, რაც მომავალ თაობებს, აწმყოსთან შედარებით, ცხოვრების უკეთეს პირობებს აძლევს.
9871. ყველა მოდერნიზაცია არსებული წყობის ერთპიროვნულ მმართველობას ემსახურება და ხალხს აიძულებს ხელისუფლისთვის „გასაგები“ სწორი გზით იაროს.
9872. პოლიტიკა, რომელიც სამუშაო საათებში ექვს საათს მაინც ეკონომიკაზე არ ფიქრობს, განწირულია.
9873. პოლიტიკურ სითამამეს ზოგჯერ პოლიტიკური მორცხვობა ცვლის დროის, გარემოს და ამომრჩევლის ბუნება-გუნების შესატყვისად.
9874. ვისაც ხუთ შვილზე ნაკლები ჰყავს (მათ შორის ნაშვილებიც უნდა იყოს) ის პოლიტიკას ახლოს არ უნდა გავაკაროთ, რადგან მათ ბავშვებთან კამათი, მათი ამბიციების დაოკების მცდელობას და მათი სწორ გზაზე დაყენების ხელოვნებას არ ფლობენ. ეს კი უსათუოდ სჭირდება ამომრჩეველს ე.ი. პოლიტიკას, ქვეყნის ეკონომიკას. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება მივანდოთ მათ პოლიტიკური პარტიების შექმნა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება.
9875. თავის დროზე რომ კომუნისტებს ევაჟკაცათ და კომუნისტური პარტია გაეყოთ სტალინის კონსერვატიული და კომუნიზმის პერსპექტიულ პარტიებად, არც საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა და სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობაც გაიზრდებოდა, ურთიერთობაც გაფართოვდებოდა, მიძინების პერიოდი ეკონომიკაში არ იქნებოდა და ცხოვრების დონეც გაცილებით ამაღლდებოდა დღევანდელთან შედარებით, მაგრამ ეტყობა, ზებუნებრივი ძალები ხალხზე ჩატარებული ექსპერიმენტებით ერთობიან.
9876. სოციალისტებმა კომუნიზმის ზღაპარი იმიტომ მოიგონეს, რომ ადამიანი ცოტა უკეთესად, თავის გუნებაზე ყოფილიყო და თავის უგუნებო გამოვლინებები მოეთოკა და ამას ზოგჯერ ახერხებდა კიდეც.
9877. ოპოზიცია თავისებური პოლიტიკური ორღანია, რომელიც იდეებს სხვადასხვა ჰანგებზე ატრიალებს, პოპულარული მუსიკის დასაწერად, მაგრამ ხმოვანება სიამოვნებას ვერ გვგვრის.
9878. როცა გარემოებათა სტიქიური უბედურებაა პოლიტიკაში, ბედნიერებაა, თუ შემოქმედი ხელისუფალი გამოჩნდება, ხალხის

უგნურებას გადააბიჯებს, მათ მეობას წინ წამოსწევს და ისტორიაში დარჩება.

9879. პოლიტიკური პარტიების სინდისი იმდენად ჭუჭყიანდება, რომ რეცხვისგან ცვდება და შესაცვლელი ხდება.

9880. ზოგიერთი ახლადგამოჩეკილი სახელმწიფოსთვის „მათხოვრობა“ თავისებური პოლიტიკაა და ხშირად ამას დამხმარეს აყვედრიან, თუ ეკონომიკის ეს ნაძალადევი აყვავება, მათ პოლიტიკურ ამბიციებს არ ემთხვევა.

9881. ზოგი ხელისუფალი საკეისროთია დაბადებული, ზოგიც „აბორტ-მახერის“ შეცდომის შედეგად და ხალხიც მათ ამ ორი უკიდურესობის მიხედვით ირჩევს ზემდგომს, იმის ნაცვლად, რომ ჩვეულებრივი, დედის საშოდან დაბადებული, აირჩიოს, რომელიც ქვეყანას ევოლუციის გზით წარმართავს და რევოლუციის კედლებს თავს არ „ახათქუნებს“.

9882. პოლიტიკის რეალობა ისაა, რომ მას წარსულის გამოცდილება, აზრების ციფრებით ბალანსირება, არ აინტერესებს, მისთვის მთავარია დღევანდელი ამბიციების დაკმაყოფილება თავის წარმოჩენით.

9883. დღევანდელ დაჭიტლაყებულ დემოკრატიას და გაპამპულავებულ თავისუფლებას, ისევ კანონის მორჩილი დიქტატურა და იდეებით მოჩუქურთმებული, იმედის მომცემი სოციალიზმის „მონობა“ ჯობს, რადგან როგორც პიროვნება დევალვაციას არ განიცდი და სამშობლოს სიყვარული ეჭვქვეშ არ დგება.

9884. პოლიტიკა ენის ლესვაზეა დამოკიდებული, რადგან მუნჯი და ლიყიანი ჯერ ხელისუფლების სათავეში არასოდეს მოსულა.

9885. მშვიდობისკენ ლტოლვამ გამოიწვია დღეს ქალების მომრავლება პოლიტიკაში.

9886. პოლიტიკის „ვაი ჭკუისაგან“ ყველას გვაწუხებს, განსაკუთრებით, თუ ქვეყანა არეულია და უგნურება-უვიცობის ინსტიტუტი ფრთაასხმულია.

9887. თეორიულად დემოკრატია კოლექტიური პასუხისმგებლობაა, პრაქტიკულად – ქართული „ბარდაგია“.

9888. გუშინ წარმოუდგენელი იყო, თუ დღეს შექმნილი უსუსური, უსაგნო პარტიები ასე აჯობებდნენ ამ მობილიზებულ მონსტრს, კომუნისტურ პარტიას, მათივე წაყრუებით.

9889. ეროვნულობის ქალწულობის დაკარგვა პოლიტიკური მეძავეობის ტოლფასია.

9890. სახელმწიფოს პროფესიონალები და შემოქმედი ბუნების მქონე

განათლებული ადამიანები უნდა მართავდნენ და არა უცოდინარი მხარდამჭერნი და პოლიტიკოსი ოფიციანტები.

9891. საზოგადოებაში შიზოფრენიის როლს კანონმდებლობა ასრულებს, კიბოსას – კორუფცია, კარდიოლოგის – საყოველთაო გულგრილობა და ყოველივე ამას უგნურთა პოლიტიკა ჰქვია, რომლის რაობაში გარკვევას ამომრჩეველი იშვიათად ცდილობს.

9892. ამერიკელებს, რუსეთის ჯინაზე, ჩვენი ერისთვის მიუღებელ პოლიტიკურ რევერანსებსაც ვუკვეთთ, მაგრამ ჩვენს დაღვინებას საშველი არ ადგას, რადგან არც ჩვენი ადგილი ვიცით ამ სამყაროში და არც წარსულის გამოცდილებიდან ვსწავლობთ რასმეს.

9893. დემოკრატიას, თავისუფლების რომანტიზმს, გამოცდილების, ტრადიციების და კანონმორჩილების გარეშე, სიკეთე არც მოუტანია და ვერც მოიტანს.

9894. დღეს ხელისუფლებას ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკა დემოკრატიის სახელით აინტერესებს და არა ქვეყნის რეალური ეკონომიკური შედეგით.

9895. რევოლუციას რწმენა და ათეიზმი კი არ აძლევს ხელს, არამედ უფხო ხელისუფალი და გაჭირვება.

9896. დღევანდელი პოლიტიკოსები მსახიობებს პიარში ეჯიბრებიან, რაც ამ საუკუნის კუთვნილი უგუნურების გამოძახილია.

9897. ანარქიის „წესრიგი“ საზოგადოების „გაპეტუხების“ წილხვედრია.

9898. ანარქია და ქაოსი იმ პოლიტიკის ნიჭიერ ნაბიჯებს ამოატივტივებს, რომელიც საზოგადოების არაექსტრემალურ პირობებში განვითარების შემთხვევაში, მარად ჩაძირული იქნება.

9899. სიკეთის კეთების მცდელობაც დაბალანსებით, უკვე პოლიტიკაა.

9900. თავისუფლების და დემოკრატიის სახელით, უპასუხისმგებლო ქვეყნები ამრავლებენ მექრთამეებს, ქურდებს და უნიათ მოხელეებს – „შემთხვევის ჯარისკაცებს“.

9901. ყველა პოლიტიკოსი ავანტურისტი და ნაძირალაა ბუნებით, ოღონდ მატყუარა ღიმილით და თავის წარმოჩენის მცდელობით.

9902. სამწუხაროდ, ვიგინდარების პოლიტიკა ხალხის განწყობას, მის ხუშტურს და უპოვარობას ეყრდნობა.

9903. პოლიტიკა წინხედვა-ჭვრეტის ხელოვნებაა, გარკვეულ დივიდენდებზე ხელის წამოვლებით.

9904. ზოგჯერ კონსერვატიზმის პოლიტიკაში დროებით შემოტრიალება დადებით შედეგს იძლევა, რადგან სხვა ახალი „იზმების“ დატოვებულ ჭრილობებს გამოცდილი პოლიტ-ეკონომიური მეთოდებით მკურნალობა სჭირდება.

9905. დღეს პოლიტიკა დაპირებებს და ოცნებებს ყიდის და ამ უვარგისი საქონლის რეალიზაციით საარჩევნო ხმებს შოულობს.

9906. დიპლომატის და ილუზიონისტის ხელოვნება ერთმანეთს ძალზე ჰგვანან, ერთი კოლეგებს აოცებს, მეორე – მაყურებელს.

9907. ხშირად რომელიმე ამბიციური პოლიტიკოსი თავისი ქვეყნის რომელიმე საელჩოში დიპლომატად გვევლინება გარკვეულ თანამდებობაზე, რადგან მის მიმართ „არც მწვადის და არც შამფურის“ პოლიტიკა ხორციელდება.

9908. „ნეხვის ყუმბარებით“ პოლიტიკის შეიარაღება არ ღირს, მაგრამ საყოველთაო არჩევნებში მის გარეშე გამარჯვება თითქმის შეუძლებელია, როდესაც დაპირისპირება თითქმის თანაბარია.

9909. პოლიტიკის მიზანია მომენტის ძალაუფლების საყრდენად გამოყენება.

9910. დემოკრატია თავისებური ხალტურაა პოლიტიკაში და ბალახტარობა ეკონომიკაში.

9911. პოლიტიკაში ყველა ხიდის გახსნაც შეიძლება და დახურვაც, ამას დრო განსაზღვრავს და ჩვენთვის გაურკვეველ-შეუცნობადი ძალები.

9912. ყველა პოლიტიკოსი „მასმედიის“ პროდუქტია, თუ მას ძალზე ეფექტური წარსული არ აქვს.

9913. პოლიტიკა ხორციელ საკვებს არ იძლევა, მაგრამ მის გარეშე ეკონომიკის აყვავება შეუძლებელია.

9914. პოლიტიკოსები დღესაც ერთმანეთს ყბედობით ებრძვიან, რადგან რეალურის შემოთავაზება და საქმის კეთება უჭირთ, მაგრამ მასა მათ დაპირისპირებისთვის ირჩევს და არა – უნარისთვის, რადგან ამ უკანასკნელის აღქმას ტვინი, განსჯა, სჭირდება.

9915. დემოკრატიას ბევრი ცუდი თვისება უვითარდება ყველაფრის უფლებების სახით, ხოლო დიქტატურას – უფლებებს შეკვეცის მცდელობით, მაგრამ მისაღებია სიკეთის კეთება კანონის უზენაესობის გარანტიით.

9916. დიქტატურის დროს ერთი ლაპარაკობს და ყველა უსმენს, დემოკრატიის დროს ყველა ყბედობს და არავინ უსმენს და ამას მივიჩნევთ მმართველობას საუკეთესო ფორმად, რადგან ადამიანს, რომელსაც არ შია, ყბედობის ჩაროზზე – დესერტზე უარს ვერ ამბობს.

9917. ნაძალადევი თავისუფლებაც შესაძლებელია და დემოკრატიაც, თუ ის მოვალეობის გრძნობით, ქვეყნისადმი სიყვარულით და კანონის უზენაესობით არ არის წარმოჩენილი და სახელმწიფო მართვის საადავეები ავანტურისტთა და უგვანოთა ხელშია.

9918. ცუდი და კარგი პოლიტიკაში ძნელი აღსაქმელია, რადგან თუ თანამედროვენი სახელმწიფო წყობის კმაყოფილნი არიან, შთამომავლობა უკმაყოფილოა, ამასთან ის, რაც ხალხს მოსწონს, ხშირად სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის და ეს მანამ გრძელდება, სანამ განგება, ზებუნებრივი ძალები, ხელისუფალს არ მოუვლენს ქვეყანას წინა საუკუნეების წამხდარ საქმეთა გამოსასწორებლად და რევანშის ასაღებად (დღევანდელი ჩინეთი, ინდოეთი, მალაიზია და სხვ.).

9919. შესაძლებელია, თუ საჭიროა და პირიქით ყოველთვის მისაღები და მხარის ასაბმელი არ არის – ეს პოლიტიკაა.

9920. პოლიტიკურ თამაშებს, ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად, ბევრი უგვანოც ეწევა, მაგრამ ფინალში ის გადის, ვინც ამომრჩეველს თვალს უხვევს და მათთვის გასაგები „მჭერმეტყველებით“ ამუნათებს.

9921. ინტელიგენცია პოლიტიკაში ხშირად „აუტისტის“ როლში გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ სიავის კეთების წინააღმდეგია და სულიერად დაძმობილებულიც საკმარისად ჰყავს.

9922. დისიდენტური მოძრაობის ნაკლია ის, რომ მას შემოქმედების უნარი დაქვეითებული აქვს, შექმნილ მოვლენებს რეალურად წინასწარ ვერ ჭვრეტს, სახელმწიფოებრიობის ინტერესებს არ ითვალისწინებს და ყველაფერს, მისთვის გაუგებარს, უარყოფს, მიუხედავად იმისა, რომ გამბედავი და თავდადებულია.

9923. პოლიტიკური პარტია, თუ წინასწარ გათვლილი მამოძრავებელი იდეოლოგიის ქანქარა არ გააჩნია ქვეყნის სათავეში მოსასვლელად, პარტიის სუროგატია.

9924. ნაძირალა შეიძლება თავისუფლებას და დემოკრატიას ამოფარებული პოლიტიკოსიც იყოს, მაგრამ აუტისტ (სწავლულ იდიოტ) პოლიტიკაზე უარესი არაფერია.

9925. ქართულ გენზე მწყდება გული, თორემ უნიათო და უგვანო პოლიტიკოსებს ამქვეყნად რა გამოლევს.

9926. გვირაბში სინათლის დაუნახავად, ვერც ადამიანის ბუნებას მოთოკავ, ვერც ცხოვრების სწორ გზაზე დააყენებ და საბოლოოდ, არც რეპრესიები უშველის, რადგან მიზანს მხარს უნდა უჭერდეს საშუალებები, იმედი და ჭკვიანური პოლიტიკა.

9927. პოლიტიკა მწყერისაგან ძეხვის დამზადების „ხელოვნებას“ მოგვაგონებს, რომლის საძეხვე ფარშში 10 ცალი მწყერის და ერთი ხარის ხორცია შერეული.

9928. პოლიტიკური აზროვნების კულტურაზე საუბარი ზედმეტია, თუ ქვეყნის ინტერესები, რამდენიმე წლით ადრე ჭვრეტას ითხოვს და

არა – ყბედობას, რადგან ძლიერ სახელმწიფოებს დროც ჰპატიობს და მეზობელი დემოკრატიის იდეოლოგიას ამოფარებული სხვა ქვეყნებიც, თუკი მათ რაიმე საფრთხე ამ გათავხედებული დამპყრობელისაგან დროებით მაინც არ ელოდებათ.

9929. ყველაზე ჭირვეული პოლიტიკაში, ქალბატონი დემოკრატიაა, რომელიც ცოლის მოყვანასავით საჭიროა, მაგრამ უაზრო ჭირვეულობის გამო, ხშირად რა მოვუხერხოთ, არ ვიცით.

9930. დიქტატურა შთამომავლობისთვის დასამახსოვრებელს, ხელშესავლებს, საამაყოს, ტოვებს (ჩინეთის კედელი, პირამიდები, ბაბილონის გოდოლი, სტალინის მრავალსართულიანი სახლები), ხოლო დემოკრატია – დასავიწყებელს, ხელშეუვლებელს, დამამცირებელს, იმისდამიუხედავად, რომ ხალხი აწმყოთი ცხოვრობს, ფუფუნებისთვის იღვწის.

9931. პოლიტიკაში ფილოსოფოსობა, მომავლის განსჯით ცაში ვარსკვლავების მოძიება-შეცნობის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე აწმყოს ინტერესებთან შერწყმულ იმ მმართველ „ვარსკვლავთა“ ხალხში მოძიებას, რომლებმაც აწმყოს ისტორია დროის შესატყვისად უნდა შექმნან და ქვეყნის გაძლიერებას ემსახურონ.

9932. პოლიტიკურად უიღბლოს, რომლის უკან არავითარი წარმატება არ ყოფილა, ნაძალადევი სიკვდილის შემდგომ ხშირად უსაფუძვლოდ წმინდანებად აღიარებენ.

9933. ხალხს სამართავად სჭირდება ქვეყნის ავ-კარგში გარკვეული მწყემსი და არა – დემოკრატების იდეალებს აყოლილი აუტისტი (სწავლული იდიოტი).

9934. მე, მოწოდებით, ცოდნით, პროფესიით, „დამგემოვნებელი“ ვარ და არ მაინტერესებს სასმელი, საკვები, რომელმა ცნობილმა ფირმამ აწარმოვა. მე, უბრალოდ, ხარისხს ვადგენ. ასევეა პოლიტიკაშიც: ხელისუფალი ქვეყანაში მიღწეული შედეგების და რეალური პერსპექტივების შესატყვისად უნდა შეფასდეს და არა იმის მიხედვით, თავს როგორ იწონებს, რა ალიბს იშველიებს დასახული მიზნის შეუსრულებლობის გამო, ეს „მსოფლიო კრიზისი“ იქნება თუ „როგორ შეაცდინეს“, რადგან ქვეყნის მეთაური სულ მცირე 10-15 წლით წინ უნდა იცქირებოდეს.

9935. რუსეთის მიყრუებული სოფლების 100 კომლიდან ყველა ლოთობს, ხოლო 50 000 ჰექტარი, სანავ-სათესი მიწა დაუმუშავებელია და ეს არავის აღელვებს, რადგან დღეს დემოკრატიაა და ყველამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც მოეხასიათება. მაგრამ თუ გამოჩნდება ვინმე მკაცრი ხელმძღვანელი ან ბიზნესმენი, რომელიც აიძულებს

ამ ხალხს იმუშაოს, აუკრძალავს სმას, თამბაქოს მოწევას და ზოგიერთ „მათგანს მილიონერსაც გახდის, ეს „დიქტატურა“ 21-ე საუკუნეში არ „მუშაობს“, რადგან დემოკრატიის პრინციპები ხალხის ბუნებას, აღზრდას, არ ერგება და ქვეყნის მომავალს ამუხრუჭებს. ამის შესანიშნავი მაგალითია დღევანდელი რუსეთი, საქართველო.

9936. პოლიტიკოსისთვის, ხელისუფლისთვის, მთავარია ქვეყნისთვის გადამწყვეტ წუთებში შეცდომა არ დაუშვას, თუ უნდა ისტორიამ გაამართლოს, ჩადენილი ცოდვების მიუხედავად.

9937. პოლიტიკა ის კონცენტრირებული ეკონომიკაა, რომელიც მხოლოდ ევოლუციის გზით უნდა ვითარდებოდეს, თუ გვინდა სასიკეთო შედეგი მდგრადი იყოს.

9938. „სახელმწიფო ეს მე ვარ“, სამწუხაროდ ამის თქმის უფლება, ისტორიის გაანალიზებით შედეგად, ხალხს არასოდეს ექნება და მარტო სურვილად და „ქაქის“. გასამართლებლად დარჩება.

9939. რევოლუცია, ბუნტი, ავანტურისტი ბუნების ხალხს საშუალებას აძლევს თავდაყირა დააყენოს სახელმწიფოს, ხალხის და საკუთარი ბედიც. ეტყობა, ეს ყოფის „როტაცია“ განგების შემოგდებული ფანდია, რათა თავადაც ცოტათი გაერთოს, იმხიარულოს რევოლუციური სპექტაკლის დადგმით.

9940. პოლიტიკა, გვინდა – არ გვინდა, ბოლოში მაინც ანალიზს უნდა ვანდოთ.

9941. პოლიტიკა ციფრებში უნდა გამოიხატოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ავანტურაა.

9942. წესით ომს სარდალი იგებს და არა – პოლიტიკოსი, თუმცა გააჩნია მათი ქვეშევრდომების ნიჭიერებას.

9943. დემაგოგია თავის მოკატუნებას დღეს დემოკრატიის „უცოდველობის“ ხარჯზე ცდილობს.

9944. დიქტატურა ხშირად წესრიგის დედაა, მანამ, სანამ ახალი პრობლემები თავს წამოჰყოფდეს.

9945. პოლიტიკოსს, გარდა უფროსობისა, ხშირად რა უნდა, თავადაც არ უწყის.

9946. დამოუკიდებლობას და თავისუფლებას თავისი განსჯა აქვთ – ხშირად უერთმანეთოდ.

9947. ხალხის მწყემსვა, გაცნობიერებული შეცდომები, დარეგულირების ხელოვნებაა.

9948. ხელისუფლისთვის სისუსტე და უკან დახევა დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, ეს ტკივილს მიაყენებს თუ არა.

9949. თუ ერს ნაძირალა პოლიტიკური ელიტა ჰყავს, მისთვის ქვეყნის დამოუკიდებლობაზე საუბარიც კი ნაადრევია, რადგან წინ ბევრი გაუთვალისწინებელი უბედურება ელის.

9950. პროპაგანდისტული ნაგავი, მსუბუქი ყოფაქცევის პიარი, პოლიტიკის მამოძრავებელი ძალაა.

9951. კაცობას თავისი საუბარი, გაგება, აქვს, პოლიტიკას თავისი სჯაბაასი სარგებელით და გამორჩენით.

9952. „არიქას“ რეჟიმით იწყება ყველა პოლიტიკური აქტივობა, როდესაც არჩევნები ახლოვდება და იმპიჩმენტის საშიშროება გაჩნდება.

9953. პოლიტიკა პედანტების, ჭკუანაღრძობი და ყბედების საქმე არ არის, მაგრამ მასში მაინც ამ მასტის ხალხი მიძვრება.

9954. ლირიკოსებს რაღაც გაეგებათ პოლიტიკაში, მაგრამ არაფერი შეუძლიათ, ფიზიკოსები პოლიტიკაში ცხვირს არ ჰყოფენ, მაგრამ ლირიკოსებზე მეტი შეუძლიათ, ხოლო ბოტანიკოსებს, მასას, არც არაფერი გაეგებათ თუ ვინმე თვითმარქვია წინ არ წაუძღვა.

9955. პოლიტიკაში მთავარია განტოლების უცნობის წინასწარი გამოცნობა, რეალობაში რას მოგვცემს, მოგებას თუ პროპაგანდას.

9956. ხალხს უნდა დაეკითხო, მაგრამ საკითხი მომავლის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტო, რადგან ხშირად მისი აზრი გამოუსადეგარია.

9957. დღევანდელი დემოკრატია საზოგადოებაში მოუმწიფებელი აზრებით ჟონგლიორობს, ილუზიების მოშველიებით.

9958. დღევანდელი დემოკრატია გიჟის პერანგს უპერსპექტივო, პოლიტიკურად მოუმწიფებელი-გაუნათლებლების, ჩასაცმელად ამზადებს, სამუდამოდ „ისტორიის სანაგვეში“ მოსასროლად.

9959. ტოტალური ტყუილი განსჯადი პოლიტიკისთვის შეუთავსებელია, სასურველი ეფექტის მიუხედავად.

9960. დემოკრატიას ერთი „დადებითი თვისება“ აქვს: შენი უნიჭობა, უფხობა, ხალხის ნებას და მის არჩევანს უპრობლემოდ გადააბრალო.

9961. სტალინმა ლენინის განდიდებით გაცილებით მეტი მოიგო, ვიდრე მისი ლანძღვა-გაკრიტიკებით მიაღწევდა, ამიტომაც ხელისუფალი უნდა ცდილობდეს მასზე პერსპექტიული პიროვნება დატოვოს და არა უნიათო, რათა ისიც დააფასონ და მისი ნაღვაწიც.

9962. სახელმწიფოს მართვას, გონიერებასთან ერთად, მოხერხებულობა და „გადაბრუნებული“ ტვინი სჭირდება, რომელიც განტევების ვაცის როლის შემსრულებლის მსურველთ საკმაოზე მეტად ამრავლებს.

9963. ქვეყნის მმართველის შეცვლას აჯანყება არ შველის, უბრალოდ, ბედს ჭკუის მყნობით და დაცდით უნდა ვეწიოთ.

9964. მთავრობა არსებობს რეალური, კონსტიტუციის მორჩილი და არა – იდეალური, მაგრამ არსებობს ოცნებით ნახლაფორთალიც, რომელიც იმ დემოკრატიას ქადაგებს, რომელიც ქვეყნის წინსვლას არ ადგება და მის ნაქადაგებ პროპაგანდას ისტორია სანაგვეზე მოისვრის.

9965. სახელმწიფო მოღვაწის უპირველესი დანიშნულებაა ისტორიაში დასატოვებელი პირობების გამოვლენა, ხელის შეწყობა, მზრუნველობით და „დედის გინებით“.

9966. მოუმწიფებელი დემოკრატია უფრო პოლიტიკურ ჭკუანაღრძობებს გვიმრავლებს, ვიდრე ქვეყნის ინტერესებისთვის დამაშვრალი პარტიების „მამებს“.

9967. სახელმწიფო მართვას წინმჭვრეტი, ავანტურისტული ბუნების, მოხერხებული ხელისუფალი უფრო სჭირდება, ვიდრე გონიერი, მშვიდი, უდრტვინველი, ქვეყნის კონსტიტუციის მონა, რადგან მას არც ისტორია სწყალობს და არც შთამომავალთა ამბიციური ბუნება.

9968. პოზიცია და ოპოზიცია ძველი მტერ-მოყვარენი არიან, გააჩნია ვინ როდის წაეპოტინება ქვეყნის მართვის სადავეებს.

9969. არჩევნების ჩატარება კი არ არის ძნელი, არამედ არჩევანის უნარის მქონე ამომრჩევლის მოზიდვა.

9970. ხალხი სახეირო გზაზე რომ დადგეს, მისი თანხმობით სახელმწიფოს სათავეში „წამოსკუპებულმა“ ხელისუფალმა უნდა გაულაწუნოს.

9971. დიპლომატი ათას ვიგინდარა პოლიტიკოსთან ნაძრომიალები უნდა იყოს, რათა ეშმაკის კერძი არ გახდეს.

9972. პოლიტიკის სახარებას, ხშირად უგუნურების კოროზიის კანონი უთხრის ძირს და მისგან აღარაფერი რჩება.

9973. უნიათო, ძალად პოლიტიკოსი, საბაზრო გარყვნილების კრეტინიზმს შემოგაჩეჩებს და მისთვის განკუთვნილ უკუგორების წილს ხელიდან არ უშვებს.

9974. ხელისუფალს, გონიერებასთან ერთად, პოპულარობა, მოხერხებულობა, ჩასაფრება, დროს შერჩევა, წინხედვა, ავანტურისტული ნიჭი და ბედი სჭირდება, რათა ის თავის დროს მოერგოს და ქვეყნის მომავლის წინაშე პასუხი აგოს იმის შეცნობით, რომ ის ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის.

9975. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის დღეს ის ანტაგონიზმი წარმოიშვა, რომ თავის დროს მობეზრებული პროფესიონალი ბაცნები, დროის უგუნურების ყივილის შედეგად აღზევებულმა, ალიბის

მქონე „ყაირათიანმა“ ყაჩაღებმა შესცვალეს, რომლებიც ფსევდოდემოკრატიას თავს გვახვევენ და თავსაც გვამადლიან.

9976. პოლიტიკოსი მარტოობის ჩიხში უნდა ჩერდებოდეს დასაფიქრებლად, ნეტარების ბილიკებით უნდა დაძვრებოდეს საქმეთა მოსაკვარახჭინებლად, თავისუფლების ქუჩაზე უნდა მიმოდიოდეს თანამდგომებთან შესახვედრად, შვების პროსპექტზე უნდა დასეირნობდეს ავტორიტეტის ასამაღლებლად, ვალმოხდილთა აღმართით უნდა ბრუნდებოდეს სახლში, სიმშვიდის აღსაქმელად.

9977. პოლიტიკამ უშედეგო მცდელობა სირცხვილის გრძნობის გარეშე არ უნდა შეიხახვისთაოს.

9978. ხალხის სიბრძნე ბუნების მხრიდან მრავალჯერ მისთვის თავში წამორტყმამ განაპირობა, მაგრამ პოლიტიკას ეს არ ეხება, რადგან მას ჭკუის სასწავლებლად ცხვირპირის დამტვრევა არ შველის.

9979. პოლიტიკას აღზრდა სჭირდება, ხალხის ბუნებაზე, ტრადიციებზე, დემოკრატიის მყნობა-დამკვიდრებით.

9980. მაკიაველიზმი პოლიტიკის უხეშ ძალადობაზეა აგებული, რომელიც მიზნის მისაღწევად ზნეობას არად დაგიდევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ხელისუფალნი ქმნიან სახელმწიფოს, რჩებიან ისტორიაში, რომლითაც მომდევნო თაობები ამაყობენ და ყველაზე მეტად ერიც მათ აფასებს.

9981. სეპარატიზმთან ბრძოლაზე ადვილი არაფერია: გამოიყოს პირობითად სახელმწიფო, მაგრამ მას არავინ არ უნდა დაეხმაროს, თუ თავს გაიტანს დათქმულ ვადაში, ღირსი ყოფილა ცალკე სახელმწიფოს შექმნის, თუ არა და, თავის ყოფილ „პატრონს“ დაუბრუნდება თუ კი ის ამ ტვირთის ტარებას კიდევ მოინდომებს.

9982. დღეს ყველა ვაი-პოლიტიკოსი ისტორიის ფალსიფიკაციებით ერთობა.

9983. დემოკრატიულ აზროვნებასაც დიქტატორული მიდგომა სჭირდება, რათა ქაოსად არ გვექცეს და დიქტატურა სანატრელი არ გახდეს.

9984. ძალად პატრიოტი პოლიტიკოსები ამბობენ, ოჯახიდან ნაგვის გატანა არ ღირსო. მაშ რა ვქნათ, დავაგროვოთ და ერთიანად ავმყრალდეთ?

9985. დიპლომატია ძალასთან დაპირისპირებაში უძლურია, მაგრამ მიზერულ იმედს გვიტოვებს.

9986. დემოკრატია თანასწორუფლებიანობის ეგიდით, ქვეყნის კონსტიტუციის და კანონის შესატყვისად, უნდა მივიღოთ როგორც შესაძლო გათანასწორება.

9987. ნაკლის მოძიება დემოკრატიაშიც შეიძლება და თავისუფლებაშიც, გააჩნია მენტალიტეტს.

9988. პოლიტიკა შუბლგამძლე, ტყავჩამოცმულთა და ენით აბჯარასხმულთა საქმეა.

9989. ხელისუფლების სკამზე წამოსკუპების შემდგომ, არც ყოფის სარკეში იყურებიან და მის შესაცნობად არც გამადიდებელ შუშას ხმარობენ, რათა არამარტო თავს, სხვასაც არგონ.

9990. მასზე ჭკვიანის შეწყნარება და გვერდში ამოყენება პოლიტიკოსს უჭირს.

9991. უსაზღვრო პოლიტიკა სულით მეამბოხეებს, მოლაყბეებს და ჭკუანაღრძობ ოპტიმისტებს ამრავლებს და იწირავს.

9992. პარლამენტში ძირითადად დილეტანტები ხვდებიან, პოლიტიკოსობის ამბიციით.

9993. ზოგჯერ სახელმწიფო გადატრიალება ქვეყნის ჯოჯოხეთიდან გამოყვანის უკანასკნელი შანსია, რადგან ხალხი უვარგისია.

9994. პოლიტიკას რეციდივისტივით, შედეგის მიუხედავად, დაპლომატია ემსახურება.

9995. პოლიტიკოსის ხმა თუ არ ისმის, ეტყობა, ჩასაფრებულია და რაღაცისთვის ემზადება.

9996. პოლიტიკოსებს ყბედობა უფრო მოსწონთ, ვიდრე აქტუალურ საკითხზე დალაგებული პასუხის გაცემა.

9997. პოლიტიკოსს ეშმაკობისკენ მიდრეკილება ისეთ რაღაცებიდან თავის დასაძვრენად შველის, რაც უმრავლესობას არ მოსწონს.

9998. პოლიტიკას ბევრი ყოფითი კაურები და ადამიანური სისაძაგლე ახასიათებს, მაგრამ ის მაინც მშვიდობის შენარჩუნებას ცდილობს და მისი მებაირაღეა.

9999. პოლიტიკოსს ზოგჯერ ისინი უგებენ, რომლებსაც სტატუსით მისი მხარის აბმა არ ეკუთვნით.

10000. ქვეყნის კრიზისიდან სწრაფად გამოსაყვანად დიქტატურაა საჭირო, სულერთია, ეს დემოკრატიული იქნება თუ კომუნისტური, რადგან სხვა გზა ქაოსია, ანარქიაა, რომლისგანაც ქვეყნის გამოყვანა დროს და სხვათა დახმარებას მოითხოვს.

10001. ყველა ხელისუფალი თავისი ოცნების, ამბიციების, „ოქროს ურდოს“, შექმნას ცდილობს თავის „მეს“ დასაკმაყოფილებლად და ქვეყნის ისტორიაში დასარჩენად.

10002. დემოკრატიის მთავარი პოსტულატი უნდა იყოს საქმე და არა – დაპირება.

10003. ყველა პოლიტიკოსი ვალდებულია, თავისი გვირაბის თხრა დაიწყოს, გვირაბის ბოლოში სინათლის გამოჩენამდე.

10004. მოძალადე ან დიდი დიქტატორი უნდა იყოს ან საერთოდ არ უნდა იყოს, რადგან ძალადობას ძალადობამდე, რევოლუციამდე, მივყავართ, რაც ხშირად ყველა დიქტატურაზე უარეს შედეგს იძლევა.

10005. ოპოზიციას არ უნდა მივცეთ უფლება „ვა ბანკზე“ წავიდეს და ხალხს ის დაპირდეს, რასაც ვერ შეასრულებს, რადგან ასეთი ეშმაკობით მოსული ხელისუფლება გაცილებით ძვირი ჯდება.

10006. დიპლომატიას პატიოსნება არ ანაღვლებს, მისთვის მთავარი შედეგია, პოლიტიკური დივიდენდების შეძენით.

10007. სიტყვის თავიუფლება შედეგით, თუ ყბედობა უშედეგოდ, პოლიტიკის კრედოა.

10008. დიპლომატია ხელოვნებაა, მაგრამ მისი მსახურნი არ არიან ხელოვანები, რადგან მთავრობა წინასწარ მოძღვრავს და მათ ნიჭს ჩარჩოში აქცევს.

10009. ძალაუფლება საკუთარ ვნებათა მოჯოკვრაცაა.

10010. დღეს, სამწუხაროდ, ვისაც „ფალოსზე წასაცხები ჭკუაც კი არ გააჩნია“, პოლიტიკაში მიძვრება.

10011. დიპლომატია ზოგჯერ არასასიამოვნო საუბრის დავიწყებაცაა.

10012. პოლიტიკოსის უმთავრესი მიზანი არჩევნებში ხმის მოპოვებაა და არა – თანამოაზრეებისა.

10013. ძალაუფლება ფასდაუდებელი ნარკოტიკია, განსაკუთრებით ავანტურისტი ბუნების მქონე ხალხისთვის.

10014. უგვანო ხელისუფლის ხელში აცუნდრუკებულ-გატუტუცებულ პოლიტიკას ბოლო არ უჩანს.

10015. პოლიტიკა სიწყნარეს ვერ ეგუება, რადგან მისი საჭიროება სათუო ხდება.

10016. დიდი რეფორმატორიც კი, ძველის ნგრევის გარეშე, ახლის შენებას ვერ ახერხებს, რადგან მიშენება, შენება, მიმდინარე რემონტი, პოლიტიკაში შედეგს არ იძლევა.

10017. სამწუხაროდ, უგუნურება პოლიტიკაში, თავს ილუზიური თავისუფლებით იტყუებს და ყბედობისთვის ადეკვატური პასუხის დაუბრუნებლობა დემოკრატიის გამარჯვება ჰგონიათ.

10018. პოლიტიკას და პოლიტიკოსს მხილების, განსჯისა და დასჯის უნდა ეშინოდეს, რათა ღირსება შეინარჩუნოს.

10019. ხელისუფალი, უნდა – არ უნდა, ნაძირალაა მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს, ნაძირალა ხდება

კვადრატში, თუ სახელმწიფოს ინტერესებს თავის ინტერესებს მოახვევს, ნაძირალად იქცევა კუბში, თუ მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იღვწის, ხოლო ნაძირალად ჩამოყალიბდება ბინომში თუ საზოგადოების და ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდია და ბედის წყალობით ამქვეყნად დროის სატარებლად ყბედობითაა მოსული.

10020. ჯარისკაცს თავისი ღირსება აქვს, პოლიტიკოსისგან განსხვავებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ხანდახან ისტორიაში სახელის დატოვებას ახერხებს.

10021. ხელისუფლება, კარგია თუ ცუდი, ძირითადად მაინც პირადი ინტერესებისთვის იღვწის.

10022. პოლიტიკოსი რომელმაც ყველა მხარდამჭერი დაკარგა, კვლავ ქვეყნის პირველ პირს ადანაშაულებს.

10023. გონიერ და წესიერ ხელისუფალს, საბოლოოდ, მოხერხებული და ძალოვანი სჯობნის, რადგან გაუტანელი ხალხის ბუნება მან უკეთ იცის.

10024. დღევანდელი პოლიტიკა ცუდის მარად კარგად წარმოჩენის მცდელობაა ხალხის გაბაიბურებით.

10025. ყველა პოლიტიკური პარტია იქმნება ერთი კაცის წარმოსაჩენად.

10026. უნიჭო ხელისუფლებას ყოველთვის გვერდს უმშვენებს უიღბლობა, უნიათობა და თანამდებობის დაკარგვის შიში.

10027. დემოკრატიის იმიტაციას ყველა ხელისუფალი თავისი პოლიტიკური ცნობიერების გარყვნილების შესატყვისად ცდილობს.

10028. რეალური პოლიტიკა პლაკატებით სირბილი კი არ არის, არამედ იმ საკითხების შემოთავაზებაა, რომელიც სახელმწიფოს ძლიერებას შემატებს, ბიუჯეტს გაზრდის და სარგებლის მოტანით გადანაწილდება, ხოლო ხალხს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და დამატებითი სამუშაო ადგილების გამოუძებნის კანონის და კანონიერების უზენაესობით.

10029. ხალხის გონიერება იმაში მდგომარეობს, რომ მან დამპყრობელი გამოიყენოს და თავისი ეკონომიკის და ადგილობრივი (აბორიგენი) მოსახლეობის სასარგებლოდ აღვაწოს. რაც შეეხება დამოუკიდებლობას, თავადვე „გაჩუქებენ“, როდესაც შენში ენაქველ „წურბელას“ შეიცნობენ და მათი დამპყრობლური ამბიციები შენელდება და დამპყრობელიც უკეთ ცხოვრებას მოინდომებს. ეჰ, ვინ მისცა ჭკუა ქართველებს, მათ რომ მოთმინება გამოეჩინათ და უსაფუძვლო ამბიციები დაეცხროთ, რუსეთზე „სანატრელი“ დამპყრობლები არ ჰყოლიათ. გონიერმა ერმა მშვიდობის ჩამოვარდნით უნდა ისარგებ-

ლოს და გამრავლდეს, რადგან მამაკაცის ფალოსზე ძლიერი იარაღი დღეს განგებას არ გაუჩენია, თუ მას გონივრულად გამოვიყენებთ და მომავალ თაობებს ნაღდ პატრიოტებს გამოვზრდით. როგორც ამას დღეს კომუნისტური ჩინეთი აკეთებს.

10030. პოლიტიკოსი, უპირველესად, თავისი ხალხის მენტალიტეტს, გუნებას და საზოგადოების ისტორიას უნდა იცნობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მისი მცდელობა უშედეგოა.

10031. ავტორიტარიზმი ყოველთვის ცუდი არ არის, რადგან ადამიანთა უმეტესობა „ჩაჟანგებული ვაგონია“ და ხშირად მათ თავიანთი შესაძლებლობების განსჯის უნარი წართმეული აქვთ.

10032. „დემოკრატია“ ბანალური და გაცვეთილი სიტყვა გახდა, რადგან არავინ უწყის მისი რეალური ხიბლი და ყადრი, მისი მოწესრიგებული სასიცოცხლო გარემო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პოლიტიკოსი მისი სახელით მიძვრება ხელისუფლებაში.

10033. პოლიტიკოსის უმთავრესი მიზანია ალტერნატივის ძებნა ხელისუფლებასთან, რათა რაღაც შედეგი მივიღოთ და არა მისი ნაკლოვანებების გაფეტიშება და საკუთარი ამბიციების სამსახური.

10034. ისტორიული ფარსი უსასრულოდ მეორდება, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკოსები ჭკუას მაინც ვერ სწავლობენ.

10035. ჩვენს თავებში ხდება პოლიტიკური ძვრები და ვის თავში გამოჟონავს პრაქტიკული შედეგი შემთხვევით, არავინ უწყის.

10036. არჩევნების შედეგი ოპოზიციისთვის ყოველთვის საეჭვო და „მიუღებელია“ თუკი მარცხდება, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეებისთვის განკუთვნილი ფული ხელთ იგდო, პარლამენტში დასაკავებელი ადგილების ნაცვლად.

10037. ძალაუფლების მქონე ადამიანი პოტენციურად საშიშია, თუ მას ხალხის „სამსახური“ არ მობეზრდა ან თავად არ მობეზრდათ.

10038. კანონს ზედმიწევნით ამოფარებული დემოკრატია იგივე დიქტატურაა, თუ ქვეყანას გონიერება მართავს.

10039. ტექნიკური პროგრესისადმი უმადურობა პოლიტიკურად მოუმწიფებელი ხალხის მომრავლებაზე მიუთითებს.

10040. პოლიტიკანობა ყოველთვის ტაკიმასხარაობას მოგვაგონებს, რადგან ყველა მათგანი ხელისუფალთა წაყრუებით სპონსორდება, რათა უპასუხისმგებლო ამბიციები დაიკმაყოფილონ და შეიქმნას შთაბეჭდილებს, რომ ქვეყანაში დემოკრატიამ დაისადგურა.

10041. განვითარებული საზოგადოების პოლიტიკოსები იმ კუებს ჰგვანან, რომლებიც თავის დაცვის მიზნით თავს ჯავშანში ჰყოფენ და ამ სიამოვნებას ნიშნის მოგებით განიცდიან.

10042. არ შეიძლება მთავრობა ხალხის წინაშე ასე ხშირად ცდებოდეს თავის სასარგებლოდ.

10043. ხშირად სიყვარულში ხელმოცარული ქალები პოლიტიკაში მიძვრებიან და კლავენ გადაგვარებული ვნების მოთხოვნებს.

10044. ადათ-წესებიც ევოლუციას განცდის დროის, გარემოს და ხელისუფალთა ნების შესატყვისად.

10045. ცივილიზაცია, ტექნიკური პროცესი, კბილებამდე შეიარაღებულ მშვიდობას მოითხოვს, რათა ეს დედამიწა სამყაროდან არ გაქრეს.

10046. პოლიტიკა, ტყუილის და უღიმღამო წარსულის სასიამოვნოდ „მოთარგმნის“ გარეშე, წარმოუდგენელია, რადგან სხვანაირად ვერც ხალხს აიყოლიებ და მხარს არც არავინ დაგიჭერს.

10047. პოლიტიკა, კონკურენტუნარიანობის გარეშე, ღადაობა და ხალხისთვის უაზროდ თვალებში მტვრის შეყრაა.

10048. დემოკრატია საოცნებო ექსპერიმენტია, სხვადასხვა ხედვით და ჩვენს მიერ ნაფიქრი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად.

10049. მოხელე, ხელისუფალი, პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს თავის თანამდებობას და შემდეგ ხალხს, თუ უნდა უპირველესად ქვეყანასაც არგოს, ხალხსაც და საკუთარ თავსაც.

10050. ბიუროკრატია ეკონომიკის პირველი მტერია და პოლიტიკის საკამოდ „ჩამშვები“ – ძირგამომთხრელი.

10051. დღევანდელმა გადემოკრატიებულმა წყობამ უხიაგი თავისუფლება შემოგვთავაზა, ქვეყნის პირველი პირი ქალს ურცხვად, მოურიდებლად ხელს უფათურებს, უკანალზე ალბათ, „იმიჯის“ ასაწევად, ხოლო „უგვანო“ ამომრჩეველი ამას „თავისუფლების გამოვლენად“ მიიჩნევს, მას ხმას აძლევს და ირჩევს. მაგ. იტალიის პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონი.

10052. დღეს მოდაშია უაზრო, უსაგნო, ყბედობა დემოკრატიის და თავისუფლების სახელით, საკუთარი ამბიციების წარმოსაჩენად.

10053. დემოკრატია დროით ტკბობისთვის, თავის წარმოჩენისთვის, არის გამიზნული და არა – საქიშპოდ და ურთიერთ ნიშნის მიგებისთვის.

10054. ერი ყურით მოთრეულ გმირს არ უნდა ეძებდეს, თუ უნდა სახელმწიფო აშენოს და თავისი საქმე აკეთოს.

10055. მონებად დაბადებულთ პოლიტიკურ წყობათა მრავალფეროვნების ლანგრით შემოთავაზება არ შველით – სასიკეთო არჩევანს მაინც ვერ აკეთებენ.

10056. ჩვენი პლანეტის ყველაზე საშიში მტრები პოლიტიკოსები არიან და არა – ბუნების ძალები.

10057. მიზანი თუ პოლიტიკას დაუძმაკაცდა, არც დანდობა იცის და არც შენდობა, რადგან მისთვის უპირველესი მიზანდასახულობაა.

10058. პოლიტიკაში თავისუფლებაზე, დღევანდელობაზე, მომავლის ჭვრეტის გარეშე ფიქრი შეცდომაა.

10059. ხელისუფალი თავის თავზე ორჯერ-სამჯერ მეტად უნდა ამაღლდეს, რათა ქვეყნის ინტერესებს რეალური შედეგებით ემსახუროს.

10060. რევოლუცია, გარდაქმნა, ეს არის „სტიქიური უბედურება“, ფაქტობრივად, ერთი კაცის ხელმძღვანელობით და ამბიციებით.

10061. ერმა უნდა იცოდეს თავისი გენით რა საქმის შემძლეა და ამასთან მის ხელისუფალს რა უნდა, რომ ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსოს და მასა ხალხად იქცეს.

10062. გონივრული პრინციპების, სახელმწიფო ფულის და ძალაუფლების განსხვავების უფლება ხელისუფლებას არ აქვს, რადგან ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დადგება.

10063. უძაღლო ქვეყანაში აყეფებულ პოლიტიკოსს პატივს ვერ მივაგებ, რადგან ის ჩემთვის მიუღებელია.

10064. პოლიტიკა ყოველთვის განიცდის ნდობის კრიზისს და ამიტომაცაა, რომ მას სიახლის ნიღაბს ყბედობით აცმევენ.

10065. ძალაუფლება, უმთავრესად, ხალხის განწყობაზე და დროის ყივილზეა დამყარებული.

10066. როცა ხელისუფალი დამოუკიდებლობის და ეროვნულ სტატუსს წინ წამოსწევს, აშკარაა, რომ მის პოლიტიკას, ეკონომიკას, რაღაც ისეთი უჭირს, რომელსაც აშკარად ვერ ამხელს და ეროვნულობას „განტევების ვაცად იყენებს“.

10067. პოლიტიკას ბევრი რამ ეწირება, მაგრამ ის მაინც უკვდავად მიმზიდველია. მისი სათუო პერსპექტივით ბევრი ვიგინდარა მზადაა თავი გადადოს, ოღონდ წარმოჩნდეს და მოიხვეჭოს.

10068. კაცობასა და პოლიტიკოსობას შორის დიდი სხვაობაა: ის, რაც პირველს არ ეპატიება, მეორეს ეპატიება, შედეგსაც აღწევს და ისტორიაში სახელსაც იმკვიდრებს.

10069. პოლიტიკა თავისებური სექსია, ვნების და ჟინის დაკმაყოფილებაა.

10070. მშიერი ავტორიტარიზმის „ფუნდამენტზე“ რეალური პოლიტიკა არ შენდება.

10071. ცუდია, როდესაც პოლიტიკა წარსულ დროს ალღოს ვერ უღებს და აწმყოში „ფლუგერობს“ – პოლიტიკურ პროსტიტუციას ეწევა და „მარიაჟობს“.

10072. დემოკრატიას იმდენი ყოფისთვის ამოუხსნელ-განსასჯელი ალ-გორითმი ახლავს პოლიტიკაში, რომ ხშირად მის გარეშე ცხოვრება უფრო მომგებიანია.

10073. პოლიტიკაში ღარიბები დახმარებას გულით გვიწევენ, მდიდრები – ფულით.

10074. შეიძლება კარგი პიროვნება იყო, მაგრამ კაცი არ იყო, რადგან ანგარიშს დროს უწევ და არა – სამართლიანობას. ვაიპოლი-ტიკოსებს არქიმედივით გონიერების საყრდენი არ სჭირდებათ ისე აცუნდრუკებენ ბრბოს და ანგრევენ დაწყობილ ქვეყანას.

10075. უმცირესობა უმრავლესობის ხარჯზე მართავს ქვეყანას და თუ როგორ, ამაზე უმრავლესობას საერთოდ არ აქვს აზრი.

10076. სნაიპერის „ყისმათი“ უგვანო მბრძანებლისგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებაა და არა ქვეყნის ნგრევა, იდეოლოგიის და წყობის შეცვლა, მაგრამ ამ ქმედებას ქვეყნის, შენი ხალხის, უსაზ-ღვრო სიყვარული სჭირდება და არა – ყბედობით თავის წარმოჩენის ცდა დემოკრატიის მოშველიებით.

10077. გარეგნულად „თავდავნატრით“ ფაქტიურად გაუთავებელი პრე-ტენზიები, ჩაუძირავი პოსტულატებით ესა და ეს ქართველ კაცის პოლიტიკანობის კრედო.

10078. დემოკრატია საქმის ლანდია, თუ ის გონიერებას არ უხმობს და ეშმაკობას არ იხმარს.

10079. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის დაკარგვა არც ხალხს უქადის არაფერ კარგს და არც – ქვეყანას.

10080. პოლიტიკა ნაძირალათა გარიგებაა, რომლებიც ერის სახელით ლაპარაკობენ.

10081. პოლიტიკის აქსიომაა „ვყიდით და ვყიდულობთ“, რაც შეეხე-ბა დანარჩენ ადამიანურ გრძნობებს, კაცთმოყვარეობას, სამარ-თლიანობას – უკანა პლანზე გადადის.

10082. პოლიტიკა სანაგვეა და თუ მისი გაწმენდა – გამოსწორების უნ-არი არ შეგწევს, ხელი არ უნდა ახლო.

10083. კულტურას, პირველ რიგში, პოლიტიკური მზრუნველობა ეს-აჭიროება და შემდგომ მატერიალური.

10084. უგვანი პოლიტიკით შეკმაზული აზროვნება მიჰქრის, მიგელავს, არც უნაგირი ადგას და არც ღირსეული მხედარი ჰყავს.

10085. ხელისუფალმა არარეალური დაპირებებით, დემოკრატიის მოშველიებით, პირველ რიგში, ხალხი უნდა გაასულელოს, რათა ხე-ლახლა აირჩიონ და დროებით ქვეყანა მართოს ხველებ-ხველებით.

10086. კომუნიზმისკენ თუ უკან, კაპიტალიზმისკენ? „ტრაკაწეული პოლიტიკოსები“ დღესაც ერთმანეთს ამ საკითხის გადასაწყვეტად ხოცავენ, რადგან სსრ კავშირის ნგრევის და ჩინეთის საპირისპირო მაგალითებზე სათანადო დასკვნა ვერ გამოუტანიათ.

10087. პოლიტიკოსს ემოციების აყოლა ღუპავს და თამაშგარე მდგომარეობაში ამყოფებს.

10088. დღევანდელი პოზიციის და ოპოზიციის დიალოგი ყრუ-მუნჯთა გასაუბრებას მოგვაგონებს, როდესაც მეტყველი ყრუ-მუნჯს ვერ უგებს.

10089. სახელმწიფოს მართვა ყოველდღიური თავსატეხია, ზოგჯერ უმიზეზოდ „ყვერებში მახათის გაყრით“.

10090. ხელისუფლება ჯუნგლებია, საიდანაც ვეღარ გამოდიან.

10091. პოლიტიკა ქვეყანაში შექმნილი კლიმატია, რომლის ცვალებადობა ხალხს და ქვეყანას ძვირი უჯდება.

10092. დღეს პირდაუბანელი, ცხვირმოუხოცავი, სიარული პოლიტიკაში მოდაშია, რადგან „დემოკრატიის“ კეთებით დაკავებულ ხელებს ამისთვის არ სცალიათ.

10093. საზოგადო, პოლიტიკური, მოღვაწე, მომხიბვლელ ღიმილთან ერთად, მარტორქის სქელ ტყავსაც უნდა ატარებდეს.

10094. თავისუფლებას ბევრი თვითნებობად აღიქვამს და დემოკრატიას – სხვათა უფლებების უგულებელყოფად.

10095. პოლიტიკა თვალთმაქცობის გარეშე რა პოლიტიკაა.

10096. მოწოდებით პოლიტიკოსი პასუხს შემდგომი თაობის წინაშე აგებს და აწმყოს თავის ჭკუაზე ატარებს.

10097. დამპყრობელსაც მოფერება, დაფასება, თავის დაქნევა უნდა, შედეგად დამპყრობელი მოდუნდება შენი კარგი ქცევით და საბოლოოდ დროის უკუღმართობით შენგან მომსახურებაზე თავად იტყვის უარს, მაგრამ ვინ მისცა ამის ჭკუა და მოთმინება ამბიციურ ქართველებს და პატარა ერებს.

10098. პოლიტიკური პარტია, ძალაუფლებისკენ მისწრაფებასთან ერთად, უფრო თავის გართობა-წარმოჩენის საშუალებაცაა.

ჟამთა სიავენი

10099. საქმეს სანამ ბოლო წერტილს არ დავუსვამთ ძახილის ნიშნით, მოგვარებულად არ უნდა მივიჩნიოთ.

10100. ძნელია სპონსორობაზე უარის თქმა ისე, რომ არ აწყენინო.

10101. ზოგი ისეთი ღრძო ბუნებისაა, ლუკმას მათლაფას გადააყოლებს.

10102. გამოუყენებელი ცოდნა მადადაკარგულია და ჟანგიანი ხმალივითაა.

10103. ფუფუნება ადრე თუ გვიან ნებივრობისთვის ისჯება.

10104. ფუფუნებას მუშტის ჩვენების გარეშე თავხედობისკენ აქვს მიდრეკილება.

10105. ყველა ჩვენგანი საკუთარი ვირეშმაკობის მძევალია.

10106. იდიოტებს მათთვის გასაგები ნიშნის მიმგები უაზრო აზროვნება აქვთ და ამით ამაყობენ.

10107. აკრძალვა, ცენზურა, რეკლამაა იმ ნაღვაწისთვის, რომელიც სინამდვილეში ამდენ აურზაურს არ იმსახურებს.

10108. წყენას გონიერების ჭიტლაყი შველის.

10109. თავზეხელაღებული არც ნდობას იმსახურებს, არც დანდობას და არც შეწყნარებას.

10110. მოწინააღმდეგის დაფასება შეიძლება, მაგრამ არა – შეყვარება. მაშინაც კი თუ გარკვეულის მასტის ხალხის მიმართ ნდობა დაკარგული აქვს.

10111. ცოდნა იმისა, რაც სხვას არ ეხება, არ უნდა გავატირაჟოთ.

10112. სიჭკვიანე დროებითია, სისულელე მუდმივია და არც შემცილებელი ჰყავს.

10113. ცუდი ცნობები, კარგთან შედარებით ყოველთვის დროულად მოდის და ადრესატიც არ ეშლება, რადგან პირველის ცოდნა, მეორესთან შედარებით მოვალეობა, აუცილებლობაა, „ვალის მოხდით“.

10114. თვალი ყველაფერს ხედავს, სმენაზე უკეთ განსჯის, სუნზე უკეთ გრძნობს იმ საშიშროების მოახლოებას, რომლის შესაცნობადაც გონება დღეს მზად არ არის.

10115. ეგოიზმი, მცდელობის მიუხედავად, ყოველთვის ყოფის ხეიბრად დარჩება.
10116. კომპრომისების დიდოსტატს მოწინააღმდეგის ფაფხური ფეხებზე ჰკიდია.
10117. გამოუსწორებელი დანაშაულის გათვითცნობიერება, სხვებს ამ დანაშაულის არჩადენისკენ უბიძგებს.
10118. შეურაცხმყოფ ალიყურს ჩასაფრება მოთმინებით სჭირდება, აუცილებლად სამაგიეროს გადახდით, თუ გინდა შენი რევანში უკეთ დაამახსოვრო.
10119. ცდუნებას არ გაურბიან – ერიდებიან.
10120. ყოველივე იშვიათი, მიუწვდომელი, არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას იწვევს.
10121. სიბრიყვისათვის „ფეხის წატეხვა“ გარანტია არ არის, რომ რეციდივს ადგილი არ ექნება.
10122. უძლურებს იცოდებენ, მაგრამ მხარში არ უდგებიან.
10123. ცილის დაწამება ცოდვაა, უფრო დიდი ცოდვაა მისი აფიშირება.
10124. მრისხანებას თუ თავისი მოთოკვის უნარი არ ახლავს, მასვე ეწირება.
10125. ზოგიერთს ისეთი უგონი ხასიათი აქვს, რომლის მსგავსი სხვაგან არც შეგვხვედრია და არც გვინდა შეგვხვდეს.
10126. სიავის კეთებასაც ნიჭი უნდა. სხვებს მან ჭკუა ასწავლოს და არა ჭკუიდან გადაიყვანოს.
10127. ხასიათის სიკარგეს მანამ ვერ გრძნობ, სანამ ცუდთან შედარების საშუალება არ მოგეცემა.
10128. როგორც თხოვნის, ასევე დაპირების, შესრულება ყველას არ ეხერხება, ერთს გადამეტებული თავმოყვარეობა ამის უფლებას არ აძლევს მეორეს შესაძლებლობათა ალღოს უქონლობა.
10129. ფუფუნებისკენ ყველა მიისწრაფის, რითაც სხეული ზარმაცდება და სული ირყვნება.
10130. დღეს იმ საქმიანობის კეთებაც შეიძლება, რომელიც შედეგს არ იძლევა, თუკი დაფინანსება დაუბრუნებელი კრედიტით და „უკუგორებით“ ხდება.
10131. ფორმალიზმი ახსნა-განმარტებას იმათაც აწერინებს, რომლებსაც არც ასახსნელი და არც თავის გასამართლებელი არაფერი სჭირთ.
10132. ცინიზმს დიდი პრეტენზიები აქვს, მაგრამ ოპონენტად არ გამოდგება.

10133. ვიგინდარასაც მოფერება და გონების დავარცხნა აკლია.
10134. ზოგჯერ იძულებულნი ვართ წარსულით დავტკბეთ, თუ აწმყო უვარგისია და მომავალი უღიმღამო.
10135. სიძულვილს, ანტიპატიას ეტყობა თავისი ნაღმი და ვირუსი აქვს, რადგან ზოგჯერ არ გსიამოვნებს იმ ადამიანთან ყოფნა, რომელსაც შენთვის არაფერი უწყენინებია.
10136. ცუდად გაგებას გაუგებარი სჯობს, მაგრამ რა ვუყოთ ცნობისმოყვარეობას და წაჯიკავების სურვილს.
10137. სამწუხაროდ, ზოგი ისე ქრება ამ ქვეყნიდან, თითქოს არც დაბადებულიყოს.
10138. სიბრიყვე და გაჯიქება სინონიმებია ზარალის მოტანაში, განსაკუთრებით თუ წინ ვერ იხედები და საქმე არ იცი.
10139. კოლექციონერობა თავისებური კლინიკაა, რომლის მიერ შეგროვილი ნივთები ღაღადებენ მფლობელის ბედისწერაზე და მოვალეობის აღსრულების თაობაზე – შთამომავლობას რაც შეეძლო, ის დაუტოვა.
10140. მორალი და სამართალი სიმახინჯეს და წარყვნილ გაგებას ვერ ითმენს.
10141. ტალანტისთვის საშინელებაა, როდესაც ეპოქის მენტალიტეტით თავხედობს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას მისწრაფება აქვს უსასრულო არეულობისკენ.
10142. იმაზე საშინელება არაფერია, როდესაც ახლობელს ვერ ეკითხები როგორ ხარო, იმდენად ცნობილი და ნათელია მისი მწუხარება.
10143. საოცარია ზოგიერთი დიდი პიროვნების ბედი, პირველი ასი წელი აკრიტიკებენ, განსჯიან, ცუდსაც ამბობენ, ხოლო მომდევნო საუკუნეები მის უნიკალურობას და ნიჭს სიამაყით აღნიშნავენ და თავსაც იწონებენ.
10144. წესით გონიერების წინაშე ყველა ქედს იხრის, მაგრამ მედროვე ავანტურისტებს ეს არ ეხებათ.
10145. აზროვნების სიზარმაცე გონიერების მტერია, რადგან ფიქრიც, შედეგის მიუხედავად, უდიდესი შრომაა.
10146. სიავეს გზა ყველამ უნდა გადავუღობოთ, მაგრამ უმეტესობა, „მე არ მეხებათი“, თავს იმართლებს.
10147. ჩივილი თითქმის ყოველთვის მთხოვნელის როლში გვევლინება.
10148. ზოგჯერ სიმკაცრეც საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ გონიერება-გამოცდილების ფარგლებში და საბოლოო დაყვავებით.
10149. სიღარიბის ბედი საბოლოოდ წარუმატებლობაა, მცდელობის ნიჭის უქონლობის გამო.

10150. სიბრიყვე პატიოსნებასაც ახასიათებს და უპატიოსნებასაც, მთავარია, შემთხვევა ვის როგორ „გაგვილაწუნებს“.
10151. სულელის ჭკუაზე მოყვანა-მორჩენის საშუალება არ არსებობს.
10152. უბედურების საწყისი სიბრიყვეა, სიბრიყვის საწყისი გენია, გენის საწყისი მშობლებია, რომელთა წინაპარმა სადღაც, როგორღაც, რაღაც მიჰქარა.
10153. ანგარებას არც მეგობრები ჰყავს და არც სადღესასწაულო დღეები აქვს, ის მუდამ გაყუჩებულია.
10154. უზრდელობა, ყოველგვარი ვიზის გარეშე, ტრადიციული საზღვრების დარღვევას ცდილობს.
10155. ისეთი რამ არ უნდა მოიმოქმედო, რაც სანანებლად გაგყვება და შენს სინდისს როგორც ამ, ისე იმქვეყნად აწვალებს.
10156. გადამეტებული, მათ შორის მონდომება, მცდელიბა, თავისებური ზადია, რადგან ჩანაფიქრი ყოველთვის არ ამართლებს და შენს არაკეთილ მოსურნეებს ავლენს.
10157. სიბრიყვეს სიავის დაგროვებისაკენ აქვს მიდრეკილება, მიუხედავად იმის შეგრძნებისა, რომ მას ეს „სიმდიდრე“ არ გამოადგება.
10158. სიმდიდრის ცოდვის ჩადენით მოპოვება უგვანობაა, მაგრამ უმეტესობა უარს არ ამბობს, თუ მომენტი ხელთ იგდო.
10159. ყველა სიძულვილს დასაწყისი აქვს, მაგრამ დასასრულის მოძიებას გონის უდრტვინველი მოხმობა სჭირდება.
10160. შთაგონებას, დარწმუნებას ზოგჯერ ძალის გამოყენება სჯობს, გარკვეულ დრომდე, რათა დაძალება „ქრონიკულში“ არ გადავიდეს.
10161. მძიმე დანაშაულის ჩადენაში უმთავრესი აღზრდა, გარემოა, მაგრამ იარაღის ტარების უფლება უნდა აიკრძალოს, რათა ზოგ „ვირის ჭკუაზე“ მოკალათებულ ადამიანს „გონება გადმოუბრუნდეს“, ნერვები დაიწყნაროს და აფექტში სისულელე არ ჩაიდოს.
10162. ის, რაც შენი ბუნების მოწოდება არ არის, არ უნდა გაითავისო, მაგრამ ცხოვრების უკულმართობა ხშირად ასე არ ჭრის.
10163. სიმდიდრეს ცნობიერებამ გამოცდა უნდა ჩაუტაროს, როგორც სიკეთით ასევე ბოროტებით.
10164. ყველა ჩვენგანს უნდა შეეძლოს უსამართლობის გადატანა, ოღონდ ზომიერების ფარგლებში და რეციდივის გარეშე.
10165. ადამიანი სიკეთის გენით იბადება თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ზოგს ბოროტებისკენ მიდრეკილება ბავშვობიდანვე აქვს.
10166. სიკვდილს კარებს სიხარულით არ უღებენ, მაგრამ არ მიუხურავენ, რადგან მასაც თავისი ამბიციები, გეგმა და გადაუდებელი საქმე აქვს.

10167. კამათის დროს ყველა თავისი აზრს გამოთქმას ცდილობს, იმ-ისდამიუხედავად, ჩაწვდა საკითხის პრობლემებს თუ საერთოდ საკითხზე წარმოდგენა არა აქვს.
10168. მსოფლიო დღეს საერთო მტერს – ტერორიზმს – ებრძვის, რათა თანხმობა, ურთიერთგაგება და კონსენსუსი გამოჩხრიკოს.
10169. ზოგჯერ მოსმენაც დანაშაულია, თუ გრძნობ, რომ ცილისწამე-ბა, ჭორი, სურთ სიმართლედ შემოგასაღონ.
10170. ავსიტყვაობის წამალი ისევ მწარესიტყვაობაა ენაზედ აცრით, მაგრამ ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს.
10171. ყველა ჩვენგანში პატარა დიქტატორი და დროის სატარებლად გამზადებული ეშმაკი ზის.
10172. მოწინააღმდეგე თავად უნდა შეაცდინო და არ უცადო მის შეც-დომას.
10173. ცუდის დანახვას, ისევ ცუდის მოსმენა და თანაგრძნობის გამოხ-ატვა სჯობს.
10174. მტრის სიკვდილს უფრო მისი დაჩმორებული ნახვა ჯობს – სამ-აგიეროს მიგება მეტად გვსიმოვნებს.
10175. უსამართლობის მოთმენა შესაძლებელია, მაგრამ არა – შეჩვევა.
10176. არის დანაშაული, რომელიც რა უცოდინარობითაც უნდა იყოს გამოწვეული და რა გასამართლებელი ალიბიც უნდა გააჩნდეს, არა-ვის ეპატიება, რადგან სარისკო ქმედება წინასწარ განზრახვით არის ჩადენილი (მაგ., ქვეყნის მთლიანობის ღალატი, შთამომავლობის არდატოვება, იდეალებით ვაჭრობა).
10177. შერცხვენამ შეიძლება რამდენიმე სიკვდილი გადაიტანოს, ხოლო პატიოსნება სიამაყით ერთ სიკვდილსაც ვერ გადაიტანს.
10178. ჩუმ სიავეს ყოველთვის აქვს საკვები, რომელიც შემთხვევას ეძებს სისაძაგლის ჩასადენად.
10179. ვისაც ამაღლება უნდა, ყოველთვის აქვს შანსი ფეხი დაუდონ.
10180. ის, რის დავიწყებაც გინდა, შენს ძალებს აღემატება და მეხ-სიერებიდან არ ამოიღება.
10181. აღორძინება, განახლება, სიკვდილის მოახლოებას არ გრძნობს.
10182. დანაშაულის ჩადენა ყოველთვის დასაგმობია, სიკეთის კეთების რა ამბიციებზეც თავი უნდა დადოს.
10183. უძლურებისთვის რისკის გაწევის მცდელობა ტყუილი ყმუილია.
10184. ვერცხლი ოქროზე იაფია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ვიღაც მოისყიდოს.

10185. შექმნილ მდგომარეობას, დროის გათავხედებას, თავი უნდა დავუკრათ, მაგრამ არ დავემორჩილოთ და ვეცადოთ ყოფის ეს პერიოდი როგორმე „შევიხახვისთაოთ“.
10186. უნიჭობას არც გპატიობენ და არც „დავიწყებისთვის“ ემეტებათ.
10187. გათავხედებამ ფესვი რომ არ გაიდგას, შიგადაშიგ თავში წამორტყმა სჭირდება, რათა სარგებელი მოგვიტანოს.
10188. სიავის გადატანასაც ცოდნა გამოცდილებით სჭირდება.
10189. ყველაზე მეტად სხეულს უსაქმურობა აბეჩავებს.
10190. სიტყვით სიავის დაძლევა შეიძლება, მაგრამ ამით მისი არსი არ იცვლება.
10191. ჩვენთვის არასასიამოვნო ადამიანის გამოხედვაც კი ნერვებს გვიშლის.
10192. დგება დრო, როდესაც მოქიშპეს მეორე ლოყა არ უნდა დავახვედროთ, რადგან ეს თავის და ხალხის წინაშე დანაშაულია.
10193. სიავის აღმოფხვრა შესაძლებელია და არა სიავის მკეთებელთა მოშურნეობის.
10194. უსინდისობით დაკოდილი ჭრილობა არ ხორცდება.
10195. შემოპარული სიავე თავის საქმეს შეუმჩნევლად აკეთებს.
10196. ხიფათში თავის ჩაგდება ზოგჯერ სიკეთის კეთებასაც სჭირდება.
10197. სინდისის დაკარგვა ზოგიერთისთვის ზედმეტი ტვირთის მოშორებაა.
10198. სევდას, ყბედობის სურვილი ნაღველის მოწოლის შედეგად, დაკარგული აქვს.
10199. სიმკაცრე, უგულობის უაზროდ გამოყენების შედეგია.
10200. გაჭირვება ზოგჯერ გვაიძულებს არაადეკვატური და შეუმოწმებელი გადაწყვეტილებები მივიღოთ.
10201. უგვანო ბუნების და „ქაქი“ ხასიათის კაცთან არც უნდა დალიო და არც ახლო გაიკარო.
10202. სიამოვნების ზადი ზოგჯერ გიჟის პერანგის მორგებას იმსახურებს.
10203. მომჭირნეობის, სინანულის, თვითგვემის სურვილი მაშინ გვეუფლება, როდესაც სიმდიდრე გაფლანგულია.
10204. გამდიდრების სურვილი ყველას გვაქვს, ხელის გაუნძრევლად, მუქთად და ზოგჯერ ყველაფრის კადრებით.
10205. დიდ დანაშაულს წინ პატარ-პატარა ცოდვების შერჩენა უძღვის.

10206. შეცდომა ზოგჯერ მისდაუნებლიედ დანაშაულს „უძმაკაცდება“.
10207. უვიცობა ზოგჯერ ახდენს თავისი უვიცობის ჩასწორებას, მაგრამ მაინც უვიცად რჩება, რადგან მეორდება.
10208. უგნურება და სიამაყეც სიკვდილს დუელში იწვევს.
10209. დღეს იმ საიდუმლოს შენახვაც ჭირს, რომელზეც წარმოდგენაც არ გვაქვს – ინტერნეტია დამნაშავე.
10210. დამნაშავის შეცოდებას ისევ შეწყალება სჯობს – უფრო ადამიანურია.
10211. საკუთარ ზადს სხვის ზურგს ყოველთვის ამოვაფარებთ.
10212. ზადი და ზნე ხშირად ერთმანეთში გაეყრებიან, მაგრამ ისევ ერთად წარმოჩინდებიან.
10213. გამარჯვებულს მსხვერპლი დიდად არ აინტერესებს, ხოლო მოწინააღმდეგის განცდები სულაც ფეხებზე ჰკიდია.
10214. როდესაც დასაკარგი არაფერი გაქვს, ყოფის თავში წამორტყმა სასარგებლოცაა.
10215. შემთხვევით და ადვილად მოსულზე ყველა ხელაკაპიწებულია და ვისი საკუთრებაა, არ კითხულობენ.
10216. გულუბრყვილობა, მისდაუნებლიედ, ხშირად თავს საფრთხეში უმიზეზოდ იგდებს.
10217. ზადის საწინააღმდეგო აცრა ბრბოსთვის, ჩუმი ბიშტის ჩვენებაა.
10218. რისხვის რისხვასთან შერკინება გაცილებით მეტ გულისწყრომას რისხვითვე იწვევს.
10219. დაბნეულობას სიკეთე არ მოაქვს, ხოლო პიროვნებისათვის და მისი ავტორიტეტისათვის უზომო ზარალია.
10220. როდესაც ამბობ და წერ რაც გინდა, ეს ბედნიერება კი არა დაცინვაა, თუ არავინ ყურს არ გიგდებს და ვინც ჯერ არს, ისიც ფეხებზე დაგიკიდებს.
10221. მზაკვრობა ჩასაფრებული მტერია და მის შეუმჩნევლობას გამართლება არ აქვს.
10222. მზაკვრობიდან თავის დაღწევა გაცილებით ძნელია, ვიდრე საპასუხო მზაკვრობის ჩადენა.
10223. ნაყოფიერი მიწების გავერანება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება უდიდესი დანაშაულია არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის წინაშე.
10224. უფროსობას მიჩვეული კასტა განსაკუთრებული შახამით არის „მოწამლული“.
10225. ხელისუფლების სკამი, საკუთრივ პატიოსნებას ძალიან ვნებს.

10226. სიძულვილის მარგი ქმედების კოეფიციენტის ენერგიად გარდაქმნა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, დღეს არც ნავთობი დაგვჭირდებოდა და არც გაზის მარაგი.

10227. სიძულვილის განახლებას, სურვილის შემთხვევაში, ხელს ვერაფერი შეუშლის.

10228. ყბედობა და ჭორაობა, ცხოვრების საუკეთესო წლებს შეუმჩნევლად გვართმევს.

10229. სიავეს მხედველობაც და სმენადობაც განზრახ დაქვეითებული აქვს.

10230. უგნური აკრძალვები საწინააღმდეგო შედეგს იძლევა, აღმოსავლეთის ქვეყნებში მან ნარკოტიკების მოხმარების კულტი შექმნა, ხოლო დასავლეთის ქვეყნებში ადამიანები „ბარმატუხით“ გადააგვარა.

10231. სიმართლის თქმა ყოველთვის საჭირო არ არის, თუ ახლობლის პირად ინტერესებს ეხება, რადგან არ იცი, მას ამ სიმართლის გაგონება შენგან უნდა თუ არა.

10232. აკეთო ის, რაც მოგეხასიათება და რაზეც ფანტაზია მიგიწვდება, ეს თავისუფლება კი არა, ანარქიაა.

10233. შეცოდებული მტერი ყოველთვის შეგაგინებს – წყენას ვერ დაივიწყებს და კუდს გამოაბამს.

10234. საეჭვო და ცუდი ჩვევების გავრცელებამ ბარტყობა იცის, თუ დროულად არ დავამუხრუჭებთ.

10235. გულჩათხრობილობა განზრახვის და დროის შერჩევის შენიღბვაა.

10236. უპატიოსნესი რამაა სიკვდილი: მისი არც მოქრთამვა შეიძლება, ვერც თავს შეაცოდებ, თორემ მაშინ უნდა გვენახა ქვეყნებში არეულობა და კორუმპირების მასშტაბური „გრიალი“.

10237. ყველა ზარმაცის ოცნებაა თავის მიდებით წიგნის ათვისება, მაგრამ რაში გამოიყენებს ამ ცოდნას, არ აინტერესებს.

10238. თუ სხვისი სიმდიდრე გშურს და გახელებს, ეცადე მაშინ მისი მოჩვენებითი კეთილგონიერებაც არ ნახოთ და ნერვების გარეშე არ დარჩე.

10239. ყავლგასული კუმირი ყველაზე განაწყენებულია და თავს გვამადლის.

10240. უხიაგები ჭკუასა და კაცობაში იჭრებიან, თორე თავის მართლება არ ეშლებათ.

10241. „ბოროტების“ ზომაზე მეტად გამოყენება, რაც უნდა კარგ მიზანს ემსახურებოდეს, ბოლოში მაწყენარია.

10242. სიავეზე ყოველთვის სიკეთე გაიმარჯვებს, თუ ყოფის მათრახი გონიერთა ხელშია.
10243. როცა შავის თეთრად წარმოჩენას ცდილობენ, ეს საქმე უიმედოა და საწყისშივე გაკოტრებულია.
10244. დემონის მოტყუება ცოდვად არ ითვლება, მაგრამ ეშმაკი ამას ითვალისწინებს და ფეხის დასადებად მუდამ ჩასაფრებულია.
10245. ყოველთვის შეიძლება გამოსავლის მონახვა, თუ ჩასაფრება და მოძიება არ დაგვეზარება.
10246. გაუბედაობა, მოდუნება, უფრო დანაშაულია, ვიდრე წამოწყებული საქმის დაუმთავრებლობა.
10247. ძალით გარდაქმნა რადიკალურ შედეგს იძლევა.
10248. სისასტიკეს, ულმობლობას, სიმკაცრეს, ხშირად გონიერების წინსვლა და მომავალზე ზრუნვაც ვერ ამართლებს.
10249. სამწუხაროა გონიერების და ძალის ურთიერთქიშპობა, ერთად ხომ უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლიათ.
10250. შეცდომას ყველა უშვებს, მაგრამ მიქარვა არ ეპატიება.
10251. რისხვასაც დასვენება-შესვენების უფლება სჭირდება – თან არ გადაყვეს.
10252. ბრიყვს ვერ დააჯერებ სისწორეში, სანამ ორივე ფეხს არ წაიტეხს და სიარულის თავი აღარ ექნება.
10253. სიკეთეს სიავე თან იმიტომ დაყვება, რომ ცხოვრების მადლი უკეთ შევიცნოთ.
10254. უგნურება სულიერების კანიბალიზმია.
10255. ყველაზე დიდი ცოდვა, ბუნების დაუფასებლობა, ალიბის მოთრევით თავისმართლება, უაზრო რევიზია და უმადურობა.
10256. ბრიყვთა სიმრავლე ბრძენთა სიმტკიცეს, ხშირად, ყოფის საწმლავის შესმას აიძულებს.
10257. საკუთარ შეცდომებს გადავიწყება უხდება, რადგან მათი მოძიება თვითგვემის გარდა, სახეიროს არაფერს გვაძლევს.
10258. ზადს მიდრეკილება აქვს სისუსტისაკენ, გაუგებრობისაკენ, უბედობისკენ.
10259. მწარე განცდებსაც სიამოვნება მოაქვს, თუ ბოლოს კეთილად მთავრდება.
10260. ბევრს არმად ნაშოვნი სიმდიდრე უმოკლებს დღეს და არა – ბედთან თანხმობით გატარებული სიღარიბე.
10261. სიკვდილს გადარჩენილიც კი ბედის წყალობას არად აგდებს, რადგან სიკვდილ-სიცოცხლის შეჭიდება დავიწყებას ეძლევა.
10262. მდიდრებისადმი ზიზღი ბედზე განაწყენების შედეგია.

10263. უგნურობას სუსტი სჩადის.
10264. აღიარება თუ ნაძალადევია, პატიოსნების მოკირწყლულ გზაზე ვერ გაივაკებს.
10265. ზოგი ისეთ უგნურებას ჩაიდენს, რომ გამართლების სურვილს თავად მისი კეთილსმდომიც კარგავს.
10266. ბუნებრივ და დასჯით სიკვდილს შორის დიდი სხვაობაა: ერთი დროის კაპრიზია, მეორე ძალადობაა.
10267. ეჭვი ჭუჭყიანი ფანტაზიის საწყისი და შედეგია.
10268. მატყუარამ, უნდა – არ უნდა, ტყუილს სიცოცხლე და ნდობა უნდა გაუხანგრძლივოს.
10269. პატივმოყვარეობა, ამბიციები, მცდელობა, შემართების გარეშე სასურველ შედეგს არ იძლევა.
10270. მტყუანი ყოველთვის გაბრაზების და პროტესტის ხასიათზეა.
10271. რადგანაც ცოდვები ხშირად იდუმალებითაა მოცული, ამიტომაა, ზოგი რომ მის ჩადენას რისკავს.
10272. ცილისმწამებელს, სიკეთის მთესველი ბოლომდე ვერ ებრძვის, მაგრამ მაინც ჩაგრავს.
10273. ყველა უბედურება წესრიგის უგულებელყოფის შედეგად მოდის.
10274. ყალბი გონიერება, თავის წარმოსაჩენად, რწყილსაც ნალს აჭედებს.
10275. მტერს გონიერება კი არ პატიობს, არამედ უძლურება და იშვიათად, აღზრდაც.
10276. კეთილგონიერება, ფანატიზმის გარეშე, სიდიადეს ვერ უახლოვდება.
10277. უსაქმურთათვის პატრიოტიზმია „თავის გამოყოფის“ უკანასკნელი შანსი.
10278. კარგი ცხოვრება იმიტომაცაა ხანმოკლე, რომ არ გვაქვს მისი შეფასების ალგორითმი.
10279. მხატვრის თვალები, მისდაუნებლიედ, ყოველთვის შეყვარებულია, სხვანაირად ის ვერც ფერებს აღიქვამს და ვერც შიშველ ნატურას.
10280. უნიადაგო იდეა ოპოზიციურად განწყობილ ინტელიგენციას აწვალებს, თავისი უნიათობით და არასერიოზული საქმის კეთებით.
10281. ამ სამყაროში ყველაფერი მოწესრიგებულია, სრულყოფილია, დაზღვეულია, მაგრამ სანდო მაინც არ არის.
10282. დაბნეულობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ უმეცრებისაგან განსხვავებით, მას თავს წარმატებით ვაღწევთ.

10283. სასიამოვნო და საამო სიტყვებიც მწარდება, თუ საქმე და დაპირება არ მოჰყვება.
10284. ბრიყვები მონად არ უნდა გაიხადო, სიბრიყვე გადაგედება.
10285. ძაგება ადვილია, მისგან თავის დაღწევაა ძნელი იმდაგვარად, რომ მძაგებელს ავნო.
10286. ჭორის განზრახ გავრცელება, აგრესიის ერთ-ერთი სახეა.
10287. უჭკუო კაცი შემზარავი და გაუსვენებელი მკვდარია.
10288. ქველმოქმედებასაც თავისი მოშურნეები და შორიდან ჭკუის დამრიგებლები ყვანან.
10289. სიზარმაცე გულზე ჟანგის მოდების სინონიმია.
10290. თეორიულად თაღლითსაც უნდა პატიოსანი იყოს, მაგრამ პარქტიკულად ვერ ახერხებს.
10291. საერთოდ, ნაღდი ქალბატონის ადგილი სარეცელშია, მაგრამ დღეს ამ ადგილს არატრადიციული ორიენტაციის ბატონები იკავებენ და კონკურენციაც სახეზეა.
10292. ბილწსიტყვაობის ბოროტად გამოყენება ცუდია, განსაკუთრებით, თუ თავს კონტროლს ვერ უწევ.
10293. მლიქვნელობაც თავისებური კრიმინალია და თაღლითობას და ყალთაბანდობას ეხმიანება.
10294. მადლიერება დავიწყებადი გრძნობაა, რადგან საკუთარი მეობის გათავხედებას გონიერება ვერ სჯობნის.
10295. სიავე, ენატანიანობა, ჭორი, უგნურებასაც თავის წილ ჭკუას აკარგვინებს.
10296. უსირცხვილობა-უნამუსობა ყველა წყობის მტერია და ქვეყნის იმიჯს დაბლა სწევს.
10297. სამართლიანობის პატივისცემას, უსამართლობის ყურება გვასწავლის.
10298. მე, კიდევ გარკვეული თანხის დაკარგვა დამჭირდა ცოლის დასარწმუნებლად, რომ მისი ნათესავი უპირო, უნიათო და უვარგისია, როდესაც ჩემს მიერ დაფინანსებულმა მისმა ბიზნესმა კრახი განიცადა.
10299. უკონტროლობა ყოველივე ავის საწყისია, თავიც და ბოლოც.
10300. სინდისის მატყლი ხშირად უნდა დავჩეჩოთ, რომ მისგან წესიერების მქსოველი ძაფი მივიღოთ.
10301. თავში ხელს ხშირად ვირტყამთ, მაგრამ სხვათა დაუნახავად.
10302. ბედნიერების ყიდვაც შეიძლება კრედიტით, მაგრამ არ ამართლებს.

10303. სიამაყის სუბორდინაციაზე ამაღლების მცდელობა ძვირი გვიჯდება.
10304. მადლიერება, გულით ერთგულია, ჭკუით – მახსოვრობადაქვეითებული.
10305. რწმენა საკუთარ უცოდველობაში სიბრიყვის დარწმუნების მცდელობაა.
10306. წინათ თუ ორს ერთმანეთი უყვარდათ, მესამე ზედმეტი იყო, დღეს პირიქითაა და სარეცელსაც უთმობენ.
10307. ბოროტებასაც, თავის წარმოსაჩენად, „სიკეთის კეთების“ და დროის ალიბი სჭირდება.
10308. თუ იკადრა, შინაურზე უარესი გამყიდველ-ჩამშვები არ არსებობს, რადგან თავის ქმედების გასამართლებლად ყველაფერს იკადრებს.
10309. ოპტიმალური, საკუთარი სამართლიანობის სხვაზე თავსმოხვევაც ძალადობაა.
10310. შეხუმრების ენის აღქმა, გათავისება, ინდივიდის ნიჭზეა დამოკიდებული.
10311. სახელმწიფო გონიერებით მომარაგება-ვაჭრობაა თუ დაუგეგმავი, თავისუფალი შემოტანა-გასაღება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტი ერთია, პირველ შემთხვევაში ამდენი უხარისხო და მრავალფეროვანი საქონელი არ იყო.
10312. ადრე თუ გვიან ყველას, ხელი მითვისებისკენ წაუცდება, რადგან ზემდგომს კეთილდღეობა თავისი ჩალიჩიც ჰგონია.
10313. ქალის გარკვეულ ნაკლოვანებაზე თვალები უნდა დავხუჭოთ, ხოლო ნაკლი კარგად წარმოვიდგინოთ და ორმაგად დავტკბეთ, ერთი საკუთარი „მოხერხებულობით“ და მეორე – ქალის „მომხიბვლელობით“.
10314. ოცნება, რომელიც ეჭვს არ იწვევს, ზოგჯერ გვიმუხთლებს.
10315. გულზე სხვადასხვა მცირედი ჭრილობების მიყენებას ისევ ერთხელ „გულის განგმირვა“ სჯობს.
10316. ზოგჯერ სიავეს შეღავათებიც უნდა მივცეთ, მაგრამ არ უნდა გავამრავლოთ.
10317. უძლურება თავის უნიათობას გადაფარავს ბილწსიტყვაობით ცდილობს.
10318. გამცემლობა ყველაფერ წმინდას სახეში აფურთხებს და კლავს.
10319. ცოდვა სამარეშიც მყოფსაც, სამაგიეროს გვიხდის.
10320. მძვინვარებასაც თავისი პარამეტრები აქვს და მის ჩარჩოებს არ უნდა გავცდეთ.

10321. ზოგიერთისთვის ბოდიშის მოხდა კვლავ შეურაცხოფის მიყენების ტოლფასია საკუთარი თავისთვის.
10322. ზოგ სიტყვას გონიერება ვერ ეწევა და იწყება მტყუან-მართლის დადგენა.
10323. ფანატიზმი ანარქიის დედა და წესრიგის მამაა.
10324. ღირსების შენარჩუნება, მოწინააღმდეგისათვის ცხვირ-პირის ამონაყვის გარეშე, ჰუმანიზმის გამოხატვაა, მაგრამ ხელისუფლების ინსტიტუტის წინაშე დანაშაულია, რადგან მოწინააღმდეგეს ჩასაფრება და დროის შერჩევის შესაძლებლობა დავუტოვეთ, ეს კი სახიფათოა.
10325. ზოგი სადაოს და გასაყოფს იქაც ნახულობს, სადაც აზროვნებას ხელი არ მიუწვდება.
10326. სიბრიყვეზე ფულის კეთება მომგებიანი კომერციაა, მაგრამ ხშირად ამარზენია (მაგ., ნარკოტიკები).
10327. ნარკომანიაც ვითარდება უგნურების ბიორითმების დაჭერით, რომლის შემცვლელად ხვალ შეიძლება ელექტროიმპულსები, მოგვევლინოს და ტრადიციული ანაშა-ჰეროინი გვერდზე მოისროლოს.
10328. შეცდომასაც თავისი ფასი ადევს და მას გამოსყიდვა სჭირდება.
10329. ეჭვი მტკიცების გარეშე უაზრო ნერვების წყვეტაა.
10330. სიმართლეს მეტ-ნაკლებად ყველანი ვღალატობთ, რადგან მისი პირში მიხლა, სასურველ შედეგს არ იძლევა.
10331. უსამართლობას დაუნახავადაც ვგრძნობთ.
10332. ძნელია როდესაც უგნურების მონა ხარ, მაგრამ სხვანაირად ყოფნაც რომ არ შეგიძლია?
10333. გამქცევს სინდისი არ აწუხებს და გონიერებას არ უღრღნის.
10334. სიავე ყოველთვის სიავედ რჩება, რაც უნდა „ველური გონიერებით“ შევფუთოთ.
10335. გამოუცდელობა რისკისკენ წაგვიბიძგებს, ხოლო რისკს ხშირად სიავემდე მივყავართ.
10336. ღალატი ყველაზე ბინძური და სარფიანი საქმეა, თუ საკუთარ მეობაზე ხელს აიღებ და პროფესიად აქცევ.
10337. ძვირფასის და არა ძვირადღირებულის დაკარგვა კუბოს კარამდე მიგვყვება.
10338. ვერაგი ხასიათის მქონე თანამეინახედ არ გამოდგება, მისდაუნებლიედ გიმზაკვრებს.
10339. ზოგჯერ, უბედურებას იმისდამიხედვით საზღვრავენ, ვინ უფრო მოხდენილად გაახმაურებს.

10340. უვიცობა, სწავლის ნაცვლად, ყოველივე ახალს წინ ეღობება და ხელს უშლის.
10341. ხშირად მორალს ის უკეთ ქადაგებს, რომელსაც არ გააჩნია.
10342. ბინძური ჭორებით თქვენი მომმარაგებელი, თქვენთვის კეთილ-ისმდომიც არ არის.
10343. უიმედობას ეჭვი არ აწვალებს, აწამებს.
10344. ფულმა და უაზრო თავისუფლებამ ბევრ კაცურ საწყისს „ცხვირი მოხოცა“, დღეს დაქირავებული დეტექტივები კამერით აფიქსირე-ბენ ღალატის სცენას.
10345. მზაკვრობაც კი სიკეთის ჩარევით უნდა ვაკეთოთ, რათა არ გა-დავამლაშოთ და არ შემოგვიტრიალდეს.
10346. ჭორი, უმთავრესად, წინწაგდებული უზნეობით არის შეკაზმულ-აღჭურვილი.
10347. ბედნიერება თუ ხშირად შენს მხარესაა, ყველა ეჭვის თვალით გიუყურებს.
10348. დანაშაულია, როდესაც ერთი მეორეს ვერ უგებს და მესამე ჩაე-რევა.
10349. გადამეტებული მოწყალება ცოდვების ბაცილების მომრავლებას ხელს უწყობს.
10350. ბუნებრივ ცოდვებს მორიდებით ჩავდივართ, არაბუნებრივს – ჩვენდაუნებლიეთ და თავზე კონტროლის გაუწევლად.
10351. ზოგი ყველგან ინარჩუნებს თავის გასაოცარ უგვანობას, ამფ-სონსაც პოულობს და თავისებურად ერთობიან.
10352. მანკიერებასაც თავისი მიმზიდველი ძალა აქვს, რომელიც უხამ-სობაში არ უნდა გადაიზარდოს.
10353. უსიამოვნება უსიამოვნებად, მაგრამ ზოგი ნერვებაშლილი ჯა-ვრის შეხახვისთავებას ახერხებს.
10354. სიკეთის კეთებას და ზედმეტად ნდობას ხშირად უმადურობით გვიხდიან და თავადვე ვართ დამნაშავე, რადგან თავის საკეთებლის კეთებას ყველა თავადვე უნდა შეეცადოს.
10355. ზოგჯერ მტრის შერჩევაც დიდი ხელოვნებაა, თუ მას დივი-დენდების მოტანა შეუძლია.
10356. საქმის კეთებისას ზოგი მის არსს კი არ ეძებს, არამედ რაიმე „საკლიაოზნიკოს“.
10357. ცინიკოსია ისიც, ვინც ყველაფრის ფასი იცის, მაგრამ მის რე-ალურ ღირებულებაზე წარმოდგენაც არ აქვს.
10358. მონანიების არსი სიავემაც უნდა გაიგოს.

10359. სიკეთე და მოკრძალება, რატომღაც, სათანადოდ არასოდეს ფასდება.
10360. ყველა გული თავისი ოცნების „ნაჯახს“ ფლობს სხვათა გულის „გასაგმირად“.
10361. სიკეთის კეთება, გონიერების ჩაურევლად, ხშირად სიავით მთავრდება.
10362. უგნურება ყოველთვის ბუნტის ხასიათზეა და უსაქმურებს და ავანტურისტებს აიყოლიებს.
10363. ინტელექტიც ვიგინდარებისგან დაცვას ითხოვს, რათა მათი საჯიჯგნი არ გახდეს.
10364. ვისაც ყველაფერი დაუყოვნებლად უნდა, ის თავის თავის ქილერია.
10365. გადარეულსაც კი გადარევის მიზეზი აქვს და რომ უმკურნალო, მარტო მიზეზის მოსპობა არ უშველის.
10366. დაპირისპირება სიძულვილს გვასწავლის და ეს უგნურება წარმატებისთვის ზოგჯერ აუცილებელია.
10367. ბევრმა გენიოსმა, სისულელით, თავიც დაიღუპა და ერის გონიერების სამზარეულოსაც ბევრი რამ დააკლო.
10368. უბედური შემთხვევა სიცოცხლის ვალს დროზე ადრე სიცოცხლითვე აბრუნებს, ახლობელთა მწუხარების თავნით.
10369. სიავეს არ უნდა შევეპუოთ, მაგრამ უგნურებით არც თავი გადავაყოლოთ.
10370. საქმის კეთება სიძულვილითაც შეიძლება, როდესაც მოწინააღმდეგეებს ვიღაცა ერთდროულად ხელს უშლის, მაგრამ ხელის შემშლელს თავიდან მოშორების შემდგომ შესაძლებელია ერთმანეთსაც დაერიონ.
10371. ასაკში გონიერებას მისთვის დამახასიათებელი დაავადებანი, ეჭვიანობა და სკლეროზი, ეწვევა.
10372. წიგნს სანამ გამოსცემდეთ, დასაღვინებლად ერთი წელი მაინც დაუთმე, ხელახლა დააჭაშნიკე, რომ საკუთარი ნაღვაწი ობიექტურად შეაფასო.
10373. დღეს სიკეთის და სიავის ფასი ზნეს იცვლის და ხვალ შეიძლება მათი დაშორიშორება შეუძლებელი გახდეს.
10374. ფული კანონს ყოველთვის ექიშპება და კონკურენციას უწევს, მიუხედავად კანონის უზენაესობისა და ზოგჯერ არის მისი წარმატების პრეცედენტი.
10375. თეორიულად მომაკვდავი არ ქორწინდება, მაგრამ დღეს პრაქტიკულად ძალად აქორწინებენ ბინის და ქონების „ხათრით“ და გამოსარჩენად.

10376. ნაცნობსაც უნდა დავეხმაროთ აუცილებლობის და გონიერების ფარგლებში, მაგრამ იმდაგვარად, რომ საქმეს არ ევნოს და სიკეთის კეთება უკმაყოფილებაში არ გადაიზარდოს.
10377. უგნურება დანაშაულს სჩადის, ხოლო ენა ამ დანაშაულს ატირაჟებს და ამრავლებს.
10378. მე არ ვიცი როგორ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ სამყაროს მოსახლეობის ასე უგონოდ გამრავლება და ასეთი ტემპით განვითარება არ შეიძლება, რადგან „სამყაროს სამართლიანობა“ ისეთ განსაცდელს მოგვიწყობს, რომ მოსახლეობის ოდენობა კატასტროფულად შემცირდება და კვლავ „ნოეს კიდობნის“ იმედზე დაგვტოვებს.
10379. ავსაც და კარგსაც თავისი გამოსავალი, ლოგიკა, ალიბი ახლავს, თავისავე სასარგებლოდ.
10380. უბედურებასაც თავის საძრომიალო აქვს, თუ თავს დროულად მოვთოკავთ და „ავითესებით“.
10381. ახლობელთა უგნურებას, მეგობართა გაუტანლობას, ღალატს, დროდადრო მწარე გახსენებით და თანდათან ობის მოდებით ვივიწყებთ.
10382. როდესაც კარიერის კიბეს გვამების ხარჯზე იპყრობენ, იძულებულნი ხდებიან დრო და დრო გვამებზე იარონ, რათა მოპოვებული ძალაუფლება შეინარჩუნონ.
10383. სიბრიყვე „აჩუ-აჩუთი“ დააჭენებს და მათი ოდენობა არ მცირდება.
10384. მერყეობის დაჭერა და გამოჭერა ძნელი სამსახურია.
10385. არიან წესიერების განმსახიერებელი ადამიანები, რომლებიც დღეს მხოლოდ წიგნებში დარჩნენ.
10386. პარაზიტული აპარატის გაბერვა, ქურდობა-უსაქმურობისკენ წაბიძგებაა.
10387. ხშირად უბედურებას წვრილმანებში გაუგებრობა იწვევს და მათ მომრავლებას უნდა ვერიდოთ.
10388. ვინც ჭორს იჯერებს, ჭორის გამავრცელებელზე არანაკლებ დამნაშავეა, რადგან მას ჭორის დაჯერება სწადია.
10389. ისტორია გვასწავლის, რომელი ცოდვებიდან შეიძლებოდა მომავალში, დაფიქრების შემდგომ, თავი დაგვეხსნა.
10390. რეპუტაციას მოფრთხილება სჭირდება და მასზე ხელის წამოკვრა და აუგის თქმა არავინ უნდა გვაკადროს.
10391. ყველა ცივილიზაციას თავისი წილი გარყვნილება მოაქვს, რომელიც უნდა შევაფასოთ, შევევაჭროთ და ისე შევაგუოთ ახალგაზრდობას, დროულად დაღვინების იმედით.

10392. საოცარია პიროვნების ბედი, პირველ 100 წელიწადს მას აგინებენ, ხოლო მომდევნო, დაღვინებული, საუკუნენი, მის ქება-დიდებაში არიან.

10393. ქართველები მათთვის განკუთვნილ სამოთხეს ხშირად ჯოჯოხეთად აქცევენ და თუ რატომ, დღემდე ვერ გარკვეულან. ალბათ, ასეთია ჩვენი ბედი და ბუნება, რათა ისტორიული გამოცდილება ყურად არ ვიღოთ და ყველა ცოდვა სხვებს გადავაბრალოთ.

10394. ზოგი დამპყრობლის ხელში ქართველებს თითქმის „დე ფაქტო“ თავისუფლება ჰქონდათ, მაგრამ მოთმინების უქონლობის გამო ყოველივეს „დე-იურე“ თავისუფლებას სწირავდნენ, რომელსაც ხშირად ერთმანეთის დასაჭმელად იყენებდნენ.

10395. დღევანდელ ბრძოლებში გამობრძმედილ ჭკუასაც ბოლომდე არ უნდა ვენდოთ, იმდენად დიდია ყოფის უკულმართობა.

10396. ერის აღზევება და ხსნა, ეტყობა, ისევ განგების ნებაა, თორემ ამდენი ისტორიული გამოცდილების „თვალში თითის ტაკების“ შემდგომ, ერთიდაიგივე შეცდომაზე კისერს რატომ ვიტეხთ.

10397. ჩინელები და რომაელები მრავალი საუკუნე პარპაშობდნენ, არაბებმა და მონღოლებმა სამასი წელი იბაირამეს, ჯერ-ჯერობით, რუსებიც და ამერიკელებიც მაგრად დგანან, მაგრამ წყალი შემდგარი აქვთ, ხოლო ქართველები ყველა დროში „ძლიერნი და დაუმარცხებლები იყვნენ“, რადგან თავიანთ უგუნურებას, ურთიერთქიშპობას, შურს, მარცხად არ თვლიდნენ, არადა, განგების მიერ დანათლული ნიჭი, გენი და ამბიციების მარგი ქმედების კოეფიციენტი მათი გონიერების არეალში არასოდეს ეტეოდა.

10398. შეუძლებელია წარსულ საუკუნეებს დღევანდელობის გადასახედიდან უსაყვედურო, მენტალიტეტი დაუწუნო, გონიერება დაუკენწლო, რასაც დღეს ბევრი „განათლებული დებილი“ ცდილობს, მაგრამ ერის კოდს არ გამოეხმაურო, წარსულის შეცდომები არ გააანალიზო – აწმყოსთვის ზარალის მომტანია.

10399. ქართველთა ისტორიული ბედნიერება-უბედურება ის არის, რომ მისთვის განკუთვნილი გონიერების და ყოფის საზღვრებში ვერ ეტევა და ყველგან თავის წარმოჩენას ცდილობს, დროის და პოლიტიკური სივრცის შეცნობის გარეშე.

10400. ღირსეული წინაპარი, თავისი უღირსი შთამომავლობის გამო, მართალია, საფლავში არ ტრიალდება, მაგრამ ყოველივეს ქვევიდან ხედავს და ითმენს, მომავალში მათი გამოსწორების იმედით.

10401. ზოგს ისეთი ნეკროლოგით ისტუმრებენ იმქვეყნად, რომ მისი ბიოგრაფიის გაცნობა არ ღირს – გაწბილდები.

10402. ზოგი იმიტომ არ მუშაობს, რომ დავალებულ საქმეს არ ავნოს, ისეთი ხელმარცხიანია.

10403. სიკვდილს მაშინ აქვს ფასი, როდესაც შენი ამქვეყნიდან წასვლა არავის ენანება.

10404. სიკვდილით დასჯის მანიაკსაც ეშინია, მაგრამ თავის დაავადებას ვერ სჯობნის.

10405. დიდება უკვდავია, პოპულარობა წარმავალი და დავიწყებისათვისაა განკუთვნილი.

10406. დედის საშოდან ზოგს ბევრი სიცუდე დაჰყვება, მაგრამ მიზეზი გენში უნდა მოვიძიოთ.

10407. უჭკუობის მიუხედავად, ზოგი საკუთარი უგუნურების გაფეტიშებას ძალით ცდილობს.

10408. უგუნურებას ჭკუის ტარება ეზარება და ჰგონია ხელის გამოღებით. მეტს მიაღწევს.

10409. სიმართლე ყოველთვის მარტოა, ტყუილი შემთხვევის ამოფარებას და თავისი უგვანობის დამალვა-გადაბრალებას ცდილობს.

10410. სუსტს და ძლიერს, ორთავეს პრობლემები აქვთ, ერთს მუდმივი, მეორეს – შიგადაშიგ.

10411. ბედის ირონიას ვერსად გავექცევით, მაგრამ თავი მაინც არ უნდა დავაჩაგვრინოთ, რადგან ჩვენ შენდობაც შეგვიძლია და ბიშტის ჩვენებაც.

10412. პრობლემებს, ეტყობა, ძალად ვიქმნით და მის გადასაჭრელად ძალისხმევა რატომღაც არ გვეზარება.

10413. ეტყობა, ქართველები ისტორიული უკუღმართობებისაგან ჩვენმა „ფეხებზემკიდიაობამ“ გადაგვარჩინა, მოკლედ, უგუნურების კაიფის დაჭერა შეგვეძლო და ისიც იუმორით.

10414. 21-ე საუკუნის დასაწყისმა საქართველო უორიენტაციო ქვეყანად აქცია, რომელიც დღემდე სხვის იმედზეა და აქტიურ პოლიტიკურ „ონანიზმს“ ეწევა.

10415. ეგოიზმსაც გამართლება აქვს – უნიათობა, უსუსურობა.

10416. პროგრესის, სამართლიანობის და სხვათა ინტერესების დაცვის მომიზეზებით საკუთარი თავის ღალატი და იდეალების გაწირვა არ ღირს, რადგან ამას არც დაგიფასებენ და არც დაგიხსომებენ.

10417. სიბერეში გონების ჭრაჭუნს სკლეროზის ფონზე ამჩნევ, გარეგნობისას – ახლად გადაღებული ფოტოსურათით.

10418. ყველაზე დიდი ცოდვაა იმის დაჯერება, რომ შენ ვერასოდეს გაგაცურაკებენ.

10419. სიკვდილისთვის ყოველთვის მზად და შემართულნი უნდა ვიყოთ, გვაქვს ამის მიზეზი თუ არა.
10420. უგუნურება გრძნობათა ჭიდილის სასიკეთოდ გარდასახვას ვერ ეგუება.
10421. „საიმედო“ ვერ ითმენს არაპროფესიონალიზმს, უპასუხისმგებლობას, ხალტურას, თავს თავად იჭამს და მისთვის ეს მოურჩენელი დაავადებაა.
10422. სტრესი და სექსუალური მახსოვრობა, მცდელობის მიუხედავად, ერთმანეთისგან შორს დგანან.
10423. ამქვეყნიდან მოვალეობის მოუხდელად, გულნატკენი, წასვლა ყველაზე დიდი დანაშაულიცაა და საცოდაობაც.
10424. თავქარიანობა ხშირად უსაქმურობის შედეგია და არა – ვნებათა ჭიდილისა.
10425. ნელი წამებით სიკვდილი მისაღებია, თუ მის უკან ჩვენი სანუკვარი მიზნის გარდაუვალობა იმალება.
10426. სხვაზე უფრო სიჭკვიანეს ნიშნის მიგებით გამოვხატავთ და სხვის საქმეში მარად ჭკვიანები ვართ.
10427. ხმამაღლა ფიქრს საკუთარ თავთანაც უნდა ერიდო, რადგან ვინ იცის, რა წამოგცდება.
10428. ზარმაცი მარად მოუცლელია, რადგან სიზარმაცეს თავს ვერ ანებებს.
10429. ერთმანეთის ჯინზე, რიგის დაუცველად, კარგი ცხოვრება გვინდა და ამ სულწასულობას საშველი არ დაადგა.
10430. ბრიყვებსაც მარად უღიტინებთ უგუნურებით გაჯირითების სურვილი.
10431. ლოთობა, ხშირად სმა, პიროვნების დასასრულია.
10432. უბადრუკობაა სხვათა თვალებში ყურება ხელის გაუნძრევლად და სხვათა იმედით.
10433. ისტორიას ბევრი აბსურდი ახასიათებს, რომლის დამუხრუჭება გონიერებას არ ძალუძს, რადგან „ისტორია გვასწავლის იმას, რაც არაფერს გვასწავლის“.
10434. ყველა ეპოქა მისთვის განკუთვნილი ტრაგედიით ჩალიჩობს, ჭკუის მოხმობის გარეშე.
10435. დროთა განმავლობაში ყველა სახელმწიფო წყობა ლპობას განიცდის გარკვეული აღმასვლის მიუხედავად.
10436. ვნებათაღელვის შენ ჭკუაზე მართვა, ნიჭთან ერთად, ნერვების მოთოკვას მოითხოვს.

10437. გაორებულ გარემოში ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაც უჭირს და თავის დროის ყოფის აღქმაც.
10438. წინათ თუ რუსების უკანალში გვქონდა თავი შეყოფილი და ჩვენი საჩალიჩო ადგილი ვიცოდით, დღეს ამერიკელები, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, თავს არ გვაყოფინებენ, ხოლო ჩვენგან დამფრთხალი ევროპელები ტრაკსაც კი არ გვიჩვენებენ, რადგან თუ ღმერთი გაუწყრათ და როგორმე შევუძვერით, თავსაც დავამადლით და ჭკუის დარიგება-სწავლასაც ვაკადრებთ.
10439. შეცდომას ყველა ამჩნევს, საქმის კეთების უნარს ყველა ვერ აღიქვამს.
10440. ღირებულებათა არმქონე ეპოქაზე საშინელება არაფერია.
10441. სიკვდილი ყველა ჩვენგანს მისჯილი აქვს, ქცევის, ცნობიერების, მოწამეობის, მიუხედავად.
10442. მიზანი ზოგჯერ სიცოცხლეზე მეტად ფასობს, მაგრამ ამ აქსიომას სხვათა დაუხმარებლად, შენი გონებით, გუნებით და აღზრდით უნდა მიხვდე.
10443. უგუნურებას ზოგჯერ ტკბობა მოაქვს ავად დაბადებულთათვის.
10444. ჯიუტი ოპტიმიზმი შესაძლებლობათა ალბათობის მაჩვენებელია.
10445. ამქვეყნად მოსვლის ფასს სათანადოდ ვერასოდეს გავიგებთ და დავაფასებთ.
10446. მიხრწნას და დავრდომას ყველა მასტის უგუნურება სჯობს.
10447. უმეცრება საშინელებაა, თუ ხელს გაძლევს და მიეჩვევი.
10448. სათნოება და გონიერებაც ზოგჯერ აუტანელია, თუ ხასიათზე არ ხარ.
10449. ბრიყვი ისეთ რაიმეს განდიდებას შეეცდება, რაც არც ერთ სულელს აზრადაც არ მოუვა.
10450. სასარგებლოს გათავისებას დაუღვინებელი ალიყურის ჭმევაც სჭირდება.
10451. რჩევა-დარიგება ხშირად ყველაზე მეტ უკმაყოფილებას მაშინ იწვევს, თუ კოლეგის დამსახურებაში თქვენი რჩევის ელემენტებია გამოყენებული.
10452. უგუნური ცხოვრების უვიცია, მაგრამ მაინც კმაყოფილია.
10453. რატომღაც ავს უფრო ხალისით ვიგონებთ და ვატირაჟებთ ვიდრე – კარგს.
10454. ბოროტმოქმედებას ბევრი გაქექილი ვექილი ჰყავს, ყურით მოთრეული აზროვნების ალიბით.
10455. სიდინჯეს, თავშეკავებას, წარუმატებლობა ნაკლებად ემტერება.

10456. საუბარი ყბედობის გარეშე, რომელიც შენს თანამოსაუბრეს ჩვევია და აინტერესებს, შედეგს არ იძლევა.
10457. გონიერება ფიქრობს, ყური ისმენს, თვალები ხედავს, მიუხედავად ამისა, ხშირად მავანი ყბედობს, რაც ენაზე სპონტანურად დაადგება და ყველანაირ მცდელობას ცივ წყალს გადაასხამს.
10458. რაღაცის მიმართ პათოლოგიური ზიზღი ხშირად შემართებას გვმატებს.
10459. წყენა ყოველთვის მტკიცე ნაბიჯებით დააბოტებს ჩვენს მეხსიერებაში.
10460. წაფორთხილება ჩვენი უყურადღებობის ბრალია და არა იმ ადგილისა, სადაც ჩვენ გადავადგილდებით.
10461. შეცდენა-გადაცდენა დასაშვებია, თუ სიჯიუტე არ ახლავს.
10462. უგუნურებთან „ბაზარიც“ დაფასებულია, თუ მათ რამდენიმე ხნით უგუნურების ჩადენას გადავაფიქრებინებთ.
10463. ხშირად, აზრები, რომელიც არც გაფილტვრას ექვემდებარება და არც გონიერებას ემორჩილება, არ გვცილდება.
10464. ბედნიერების განცდა ყველას ერთი აქვს, ხასიათი სხვადასხვა და გაუგებარი.
10465. ჭკუას ზოგჯერ მალვა და ფარვა უნდა, უგვანობა რომ არ შეგამჩნიონ.
10466. გარეგნობა მატყუარაა, მაგრამ არც მჭერმეტყველებას დაეჯერება ყველაფერი.
10467. ის, რაც აღტაცებას იწვევს, ყოველთვის მისაღები არ არის, მაგრამ დასაღვინებელი ასაკის „აბდა-უბდა“ ამას არად დაგიდევს.
10468. მონაა, ვისაც სამსახური, თავის „ბორკილებით“ და თავისქნევით, მოსწონს.
10469. შეცდომის გამოსასწორებლად პირში მიხლას, ზოგს ზურგსუკან თქმა ურჩევნია, რადგან ძველებურად ხელს არ ანძრევს მის გამოსასწორებლად.
10470. სისულელის ბაცილის მოშორება ყოველთვის ძნელი იყო და იქნება.
10471. ბრიყვი ჭკვიანის როლს ირგებს, არ თამაშობს.
10472. ნიჭი მისთვის სასურველ სწავლა-განათლებას დაუძინებლად ისრუტავს.
10473. ტანჯვა-წამების აცილება ცოდნის, გამოცდილების მქონეთა და ბედის ნებიერთა ხვედრია.
10474. ისტორია, ძირითადად, ჩვენი წინაპრების „ყვერებზე ფეხის დაბიჯების“ აღწერაა.

10475. ყველა ხალხის ისტორიას ბნელი საუკუნეები უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ნათელი, ხოლო თუ ეს მცირედი გამონათება ზოგმა სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბლებლად დროულად ვერ გამოიყენა თავს დააბრალოს.

10476. გამოჯანმრთელება არა მარტო დღევანდელ საზოგადოებას, არამედ ქვეყანის წარსულსაც სჭირდება, ზოგს ისეთი ისტორია აქვს გავლილ-გადატანილი.

10477. სისხლი მუდამ უაზროდ იღვრებოდა, ადამიანს თავის განძრევა, ხელის სასიკეთოდ გამოღება და გონიერებით გაჯირითება ყოველთვის ეზარებოდა, რადგან თვალი მარად გმირობაზე და სხვისი ქონების მითვისებაზე ეჭირა.

10478. დროის სიმუხთლეს თავისი არტახები აქვს ჩვენი ცნობიერების დასათრგუნავად.

10479. დღევანდელობის ბნელი მხარეები იმ უნიათო საუკუნეებს უნდა შევადაროთ, რათა მომავალი განვსაზღვროთ.

10480. ზოგჯერ ისტორიაც ერის დაავადების მოწმე ხდება.

10481. მეძავობა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით მუდამ იყო და იქნება, მაგრამ აქ მთავარია ადამიანის უფლებების დაცვის მომიზეზებით აზროვნების გაფეტიშება, რამაც არა ერთი წარსული იმპერიების განადგურებას დაუდო საფუძველი. ისინი გაცილებით მეტს ფიქრობდნენ აწმყო „ბედნიერებაზე“, ვიდრე რაიმეს დატოვებასა და შთამომავლობაზე.

10482. ეტყობა, ყველა ერთიდაიგივე სტანდარტით წინასწარ დაპროგრამებულია, რადგან ყველა იმავე შეცდომას უშვებს, რაზეც ჩვენს წინაპრებს ფეხი წაუტეხიათ.

10483. პანიკიორი ყველაზე ჯანმრთელად გამოიყურება, რადგან მარად ნერვების დაძაბვა სხეულის სხვა ნაწილებსაც აიძულებს ხშირად „ივარჯიშონ“.

10484. არის დაწყევლილი თემა, რომლის ამოტივტივებას ისტორიის ჯურღმულებიდან არ უნდა შევეცადოთ, ან ხალხი დაგსჯის თავისი გულგრილობით, უყურადღებობით, ან განგება დააჩქარებს ნერვიული სტრესის მოშველიებით იმქვეყნად თქვენს გადაბარგებას.

10485. „სამშობლოს ნურვინ წაგვართმევს, ნურც ნურვის შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“ – სამწუხაროდ, გულით ნათქვამი ბოღმაა და მეტი არაფერი, თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ.

10486. ისტორია ზოგჯერ გარკვეულ პირთა დიდი შეთქმულება, საერთო ტკივილია, რომლებიც მას თავის სასარგებლოდ იყენებენ შექმნილი გარემოს შესატყვისად.

რედაქტორის ფონდი

10487. ფანტაზიის საცერი მეცნიერებაა, აღმოჩენის დამწმენდი შედეგით.

10488. ხალხი კი მრავლდება, მაგრამ დროის შესატყვისად არც ჭკუა ემატება და გონიერიც არ ხდება.

10489. გონიერება ჩვენ მიერ გაუვლელი გარკვეული მანძილია, რომელიც რატომღაც გავლილი გვგონია.

10490. თითქოს გამოცდილებამ ჭკუა უნდა შეგმატოს, მაგრამ სათანადო გენის გარეშე ეს არ ხერხდება.

10491. ბრბო ტაშს ადვილად გიკრავს და ასევე ადვილად გივიწყებს, ამიტომაცაა კოლეგების ტაში ასე ძვირფასი.

10492. სიტყვა ტყვიასავითაა, შეიძლება დაგჭრას, მოგკლას, შეიძლება აიცდინო კიდეც, გააჩნია პაექრობაში როგორ ნაწრთობი ხარ.

10493. ხალხს სიბრიყვე არ აკლია, მაგრამ თავის უნიათობას იუმორით ფარავს.

10494. ფორტუნა ბრმაა, მაგრამ ვისი დახმარებაც უნდა, იმას თვალებაკრულიც კარგად ამჩნევს.

10495. სამყარო შესაძლებლობების ნაიღვარია, რომელსაც ჩვენი ოცნებების წალეკვაც შეუძლია და აღსრულებაც.

10496. ქალი ისე არ უნდა გავაკაპასოთ, რომ ისიც არ დაიბრალოს, რაც არ ჩაუდენია.

10497. ცნობისმოყვარეობას, უმთავრესად, იწვევს ის, რაც ჩვენი არ არის და საერთოდ არ გვეხება.

10498. სიცოცხლე კრედიტია, ცხოვრება ამ კრედიტის გამოყენების მცდელობაა.

10499. საუბრის ხელოვნებას, ნიჭთან ერთად, ხმის ტემბრის დაყენება და ერუდიცია სჭირდება.

10500. მარტოობას და განმარტოებას სხვადასხვა მოთხოვნები და სურვილები აქვთ და მათ ერთმანეთთან თითქმის არაფერი აკავშირებთ.

10501. ქალმა რისთვის იტირა, არ ახსოვს, ხოლო რისთვის და ვისთან უნდა წაიტიროს, წინასწარ გეგმავს.

10502. არის უაღრესად საჭირო ვაკანსიები, რომელთა დაკავების განცხადებას ვერცერთ „მასმედიაში“ ვერ შეხვდები: გვჭირდება დარგის მინისტრი, ჭკუის დამრიგებლები, ალიყურის მჭმეველები ასე და ამრიგად.

10503. წაგება ხშირად ის გაკვეთილია, რომელიც არაფერს გვასწავლის.

10504. ტელეფონზე საუბრის დროსაც თქვენს ხმაში „ღიმილი“ უნდა ისმოდეს.

10505. წელიწადში თუნდაც ერთხელ სულის სამკაულად და ნერვების დასამშვიდებლად თავს მარტოდ ყოფნის დღესასწაული აჩუქეთ.

10506. კინკლაობისას წარსული არ გაიხსენოთ, ჯობს აწმყოზე იდავოთ და ფრეზე შეთანხმდეთ.

10507. კანონის ცოდნა და პატივისცემა საშუალებას გვაძლევს ზოგჯერ წესრიგი უმტკივნეულოდ დავარღვიოთ.

10508. სიყვარული, ერთმანეთისკენ ლტოლვა, ბუნების ნაჩუქარი სასწაულია, რომელსაც ალბათ განგების რეზოლუციაც ადევს.

10509. ზოგჯერ სიტყვები განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ აზრი მაინც გაუგებარია.

10510. „კი“-სგან განსხვავებით, „არას“ თქმა გაცილებით ნაკლებპრობლემატურია.

10511. კიდევ კარგი, ბავშვები მშობლების სურვილისამებრ არ იზრდებიან, თორემ ამდენი გენიოსის დასაქმება შეუძლებელი გახდებოდა.

10512. უვიცობას თავისი „დადებითი“ გამოსავალიც აქვს, არავინ აწუხებს.

10513. ყველანი ნიღაბაფარებულნი დავდივარ და ვცხოვრობთ, ხოლო ზოგი მის მოხსნას ძილის წინ ახერხებს.

10514. ყველანი ბედნიერებას ვეძებთ და ხშირად სიყვარულით ვკმაყოფილდებით.

10515. უპირველესად საკუთარ თავს უნდა მივხედოთ და გავუფრთხილდეთ, თუ გვინდა სხვასაც გამოვადგეთ.

10516. ადამიანი სხვათა განსჯა-დახასიათებისას თავის ბუნებას და ხასიათს წარმოაჩენს.

10517. ბრმა ამბიციებს, წინამორბედის ჯობნის სურვილით, იმპერიები ნგრევამდე მიჰყავდა და მიჰყავს.

10518. ეგოისტი ეგოისტს, როგორც კოლეგას, პატივს მიაგებს, რადგან ერთმანეთში კონკურენტს ვერ ხედავენ.

10519. ამბიციები რომ წარმოაჩინო, საზოგადოებაში მდგომარეობა შენი ამბიციების შესატყვისად უნდა გეჭიროს.

10520. ზოგჯერ უსამართლო სასჯელი ბადებს იმ დანაშაულს, რომელიც წინათ გულში არ გაგივლია.
10521. ნაღდი ბედნიერება ანდერძით ჯერ არავის უბოძებიათ.
10522. უნდა შევიყვაროთ მოყვასი, მაგრამ არაფერი ვასესხოთ – დაგვეკარგება.
10523. თუ ღმერთი ერთია, და ყველა სარწმუნოებისკენ მიმავალ გზებს მამაზეციერი აკონტროლებს, მაშინ სადაოც და გასაყოფიც არაფერია და შეგვიძლია ჭეშმარიტება ერთად ვიწამოთ.
10524. ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს, სამყაროს კი ერთადერთი – ადამიანი, რადგან მის შეცნობას ცდილობს.
10525. მამაკაცის გონიერება ქალებთან უთანაბრო ჭიდილშია გამობრძმედილი.
10526. ზოგჯერ ღირსშესანიშნავია, თუ ღირშესანიშნავი არაფერი ხდება.
10527. ასაკის მატებასთან ერთად გონება ქარაფშუტობისკენ მიიწევს, რათა მეორე ახალგაზრდობა გაიხსენოს და საბოლოოდ კუდი მოიქნიოს.
10528. სჯობს საკუთარ გულს და ინტუიციიას უსმინო, ვიდრე საზოგადოებრივ აზრს, მას უნდა მოერგო და შენი საქმე აკეთო.
10529. ზოგჯერ პასუხის გაუცემლობა გაცილებით მეტ ეფექტს იძლევა.
10530. ზოგი ისეთი დანაშაულს სჩადის, რომ მისი თვითმკვლელობაც კი აღშფოთებას იწვევს.
10531. ადამიანი ყველაზე უპასუხისმგებლო თავის ოცნებებშია.
10532. უცოდინრობაზე დიდი ჭუჭყი ტვინისთვის არ არსებობს.
10533. სხვის ცოდვას ფუჩეჩში შეფუთნილსაც ვხედავთ, საკუთარს დედიშობილასაც ვერ ვარჩევთ.
10534. ზოგი დეპუტატი ხალხის მსახური კი არა, რვაფეხაა, რომელიც მოჩვენებითი ღიმილით ყველაფერს ისრუტავს, რაც მის მახლობლად დევს.
10535. გონიერების მაკიაჟი მისი ნაკეთები საქმეებია.
10536. ყოფის მწვერვალებს ერთეულები იპყრობენ და მათ მიღწევებს უმრავლესობა შურით დაკრული ტაშით გამოხატავს.
10537. აზროვნების სიჩქარეს გადაადგილების ვერც ერთი საშუალება ვერ შეედრება.
10538. რწმენის დანიშნულება, ხალხის გაერთიანება – დაახლოებაა და არა მათი დაყოფა – დაპირისპირება, ჯერ-ჯერობით, ამას ყველაზე უკეთ ათეიზმი აკეთებს.

10539. ეცადეთ, მოწინააღმდეგეს მისცეთ საშუალება აზრი ბოლომდე გამოთქვას და რაღაცა წამოცდეს, რათა დრო იქონიოთ საკუთარი აზრის მოსამწიფებლად და კონტრშეტევის გეგმის შესამუშავებლად.
10540. მკვდრების არავის შურს და პატივსაც მიაგებენ დაუნანებლად.
10541. ადამიანები შეიძლება ყოველთვის ერთად ვერ „ძოვდნენ“, მაგრამ ახალ „საძოვრებს“ ერთად უნდა ეძებდნენ.
10542. ცოდნა გენიოსის თავშიც კი ალბათობაა.
10543. გამოცდილებას მაშინ ვაგროვებთ, როდესაც მისი გამოყენების თავი აღარ გვაქვს.
10544. მეზობლის საქმეში მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიო, თუ მის სახლს ცეცხლი გაუჩნდება.
10545. ყველაფრის დაკარგვა შეიძლება, სინდისის გარდა, რადგან ის თანდაყოლილია და არც საქურდლად ეტანება ვინმე.
10546. შემოსავლის ოდენობა კი არ არის მთავარი, არამედ – ხარჯვის ცოდნა.
10547. სხვის დაშინებას ზოგი იმიტომაც ცდილობს, რომ თავადაა მშიშარა.
10548. ზოგი საყვედურების კორიანტელს დედის საშოდან თავის გამოყოფისთანავე იწყებს.
10549. ზოგჯერ მკურნალობა უფრო საშიშია ავადმყოფისათვის, ვიდრე თავად ავადმყოფობა.
10550. ხშირად იმ დროსაც არ ვიმსახურებთ, რომელიც ჩვენთვისაა განკუთვნილი.
10551. მთავარია ძალაუფლება, ჯარი, ფული, რაც შეეხება ხალხს, მათი გასულელება ძნელი არასოდეს არ ყოფილა.
10552. კაკტუსი ცხოვრებაზე განაწყენებული და გაბრაზებული კიტრია.
10553. ამბობენ, ფილოსოფოსის სიმდიდრე მისი სიბრძნეაო, მაგრამ მისი ოჯახის წევრები ამ აქსიომას არ იზიარებენ.
10554. მეცნიერებასა და ბიზნესს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თავისი მცდელობის შედეგს ლომის ხახიდან იღებს, ხოლო მეორე – ლომის უკანალიდან.
10555. უძლურს იმორჩილებენ, ძლიერს ემორჩილებიან, სიმდიდრეს ემსახურებიან.
10556. გმირობა სიყვარულის, ერთგულების და რწმენის ფესვებზე აღმოცენდება.
10557. ყველა გამცემლობაში, ღალატში, გამორჩენის სურვილი იმალება.

10558. შაქარიც და დამტკბარი სიტყვაც საწამლავია, თუ მათ უზომოდ და უდროოდ მივიღებთ.
10559. თავხედისთვის მტერი და მოყვარე ერთია.
10560. ოცნება ზოგჯერ საგვარეულო ანდერძივით გადადის და მისი განხორციელება მომდევნო თაობებს ეკისრება.
10561. ყველა ქორწინება, გარკვეული წლების შემდგომ, აღდგენით სამუშაოებს და კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს, ოჯახის კედელს ბზარი რომ არ გაუჩნდეს და არ დაინგრეს.
10562. დღეს რომ ვინმე ყალთაბანდობაში ამხილო, თავად უნდა იყო ორჯერ მეტი ნიჭის მქონე აფერისტი.
10563. სისულელეს წვრთნა და ვარჯიში არ სჭირდება, თავს უამისოდაც არხეინად გრძნობს.
10564. ბევრი რამ უნდა იცოდე, რომ ის მცირე გამოიყენო, რაც ცხოვრებაში გამოგადგება.
10565. სერიოზული კამათი ჭადრაკის სვლებს უნდა მოგვაგონებდეს, რადგან გარკვეული აზრობრივი კომბინაციები წინაწარ უნდა იყოს მომზადებული.
10566. ჯოჯოხეთში უამრავი თავზე ხელაღებული ხალხი ცხოვრობს და უმეტესობას ძალზე საინტერესო ბიოგრაფია აქვს.
10567. ასაკს გაცილებით მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე გამოსადეგი ჭკუა.
10568. ფილოსოფიის საწყისი ეჭვია და შთაგონება.
10569. ჭეშმარიტება თვითნაბადი ოქროს ზოდია, რომელსაც დამუშავება და გაბრჭყვიალება ყოველთვის არ უხდება.
10570. წესრიგის დამყარების გარეშე ვერც ხალხისთვის მისაღები ხელისუფლება იარსებებს, არც არმიის ნდობა შეიძლება და არც სახელმწიფოებრიობას აქვს დიდი დღე.
10571. დღეს იმდენი საინფორმაციო საშუალებაა, რომ არცოდნა უკვე ცოდვაა.
10572. ჯოჯოხეთია, თუ ცოლი ჭირვეულია გყავს და ენის შამფურზე შენი წამოგება და ტრიალი ეხერხება.
10573. სულით ნაძირალები, ყოველთვის პატრიორიზმს, სამართლიანობას და რელიგიას აეწეპებიან.
10574. ზოგჯერ ახლობელზე გადაყოლას თავში წამორტყმა ჯობს, იქნებ ტვინის თუ არა, ხელის განძრევა მაინც ისწავლოს.
10575. სიმდიდრეს სიხარბის შემცირება მფარველობს.
10576. დღეს „მასმედია“ უსარგებლო ინფორმაციის გადატირაჟებასთან ერთად, ნერვების აშლის და გამოთაყვანების საშუალებაცაა.

10577. სახელმწიფოს რომ ტყუილის თქმაზე ჯარიმა დაეწესებინა, იმ ქვეყნის ბიუჯეტს „ძაღლი არ დაჰყეფდა“.
10578. პოლიტიკა პატარ-პატარა სიავის კეთებაა, დიდი სიავის თავიდან ასაცილებლად.
10579. დღეს ჯოჯოხეთით ვერავის დააშინებ, იქაც ძალიან საინტერესო და ნიჭიერი ხალხი აღმოაჩინეს.
10580. სიყვარულით შემთბარი სიტყვა ყოველთვის მიზანში ხვდება.
10581. გადამეტებული ცოდნა ზოგჯერ აღმოჩენას აყოვნებს, რადგან დამოუკიდებელ ოცნებას ხელს უშლის.
10582. თუ შეგიძლია მოწინააღმდეგეს გაუგო და შენს სასარგებლოდ რაიმეს გამორჩე, გამზადებული დიპლომატი ხარ, ოღონდ, ეტყობა, პატრონი არ გყავს.
10583. სიცრუით გზის გაკვლევა ადვილია, უკან დაბრუნებაა საშიში და სახიფათო.
10584. ჩვენი სათქმელი ჩვენ უნდა ვთქვათ, რათა მომდევნო თაობებს თავის სათქმელის თქმის საშუალება მიეცეთ.
10585. ყბედობა და საუბარი ორივე ხელოვნებას მოითხოვს, პირველმა იმდენი უნდა იყაყანოს, რომ გასაგები გაუგებარი გახადოს, მეორემ ზედმეტი ხმის ამოღების გარეშე გაუგებარი გასაგებად აქციოს.
10586. ყველა რელიგია აღმოცენების ადგილის შესატყვის წეს-ჩვეულებებს სარწმუნოების დოგმებად ხდის და აკანონებს. მუსლიმანები მიცვალებულს მზის ამოსვლამდე იმიტომ მარხავენ, რომ სიცხეში იხრწნება, მონღოლები მიცვალებულს ხეზე დებენ ან ბუჩქებში, რადგან მიწის გაჭრა ეროზიას იწვევდა ე.ი. საძოვრის დაკარგვას, ბუდისტები იძულებულნი არიან მიცვალებული დაწვან, ნაყოფიერი მიწების სიმცირის გამო. ასე, რომ სარწმუნოების დოგმებიც ეკონომიკას და ყოფის კვლავწარმოებას ემორჩილება და არა – სულიერების უკვდავების „ბაიკას“.
10587. ცხოვრებაზე გაავებული ადამიანის ბოლო საყრდენი, თავშესაფარი, მაინც სარწმუნოებაა, მათ შორის, ვიგინდარებისათვისაც.
10588. მეცნიერების ვალია არა მარტო ცოდნის გამოყენება-გაღრმავება, არამედ მიმართულების შეცვლაც, თუ მას სარგებლის მოტანა შეუძლია.
10589. მუდამ მართალი და უშეცდომო ადამიანი თეორიულადაც აუტანელია.
10590. ფულზე აღნიშნული ნოლებიდან, უმაღლესი ხარისხის ბორკილი კეთდება.
10591. მუნჯს გრამატიკული შეცდომები სახეზე ეხატება.

10592. „ღმერთს – ღმერთის, კეისარს – კეისრისა“ და ხალხს – სამი თითის კომბინაცია.

10593. პოლიტიკა განაწყენებულთა საქმე არ არის.

10594. უკბილო ტირანი ყვერებით ჩამოკიდების ღირსია, რადგან ტირანის სახელს არცხვენს.

10595. „რელიგია ხალხის ოპიუმია“, მაგრამ არც რევოლუციაა ნაკლები ნარკოტიკი ხალხის გონების გასაბრუებლად.

10596. აზრის დაბადებას ბებიაქალის გამოცდილება სჭირდება, რათა დაბადებამდე არ შემოგვაკვდეს.

10597. მხოლოდ ღმერთისადმი სიყვარული, თუ ის მოყვასზე არ ვრცელდება, ბარბაროსობაა.

10598. თავისუფლების სტატუსი, სიღარიბის შესატყვისად უნდა განვსაზღვროთ, სჭირდება კი თავისუფლება ღარიბს, რომლის სიღარიბის მიზეზი ლოთობა და უნიათობაა.

10599. ხშირად „სიფათი“ უფრო გასაგებად მეტყველებს, ვიდრე ენა.

10600. ერთი უგნური გადაწყვეტილების ჭკუაზე მოსაყვანად ათეული წლებია საჭირო.

10601. მამაკაცი ცოლში საყრდენს ეძებს, საყვარელში ყოველივე იმას, რაც ცოლმა მასთან ერთად ვერ გამოამჟღავნა.

10602. ეტყობა, ღმერთმა ადამიანი გადაღლილმა შექმნა, თორემ ეშმაკთან ასე დაახლოების უფლებას არ მისცემდა.

10603. ადამიანს აქვს ვიღაცის „გაღმერთების“ მოთხოვნილება და ალბათ, ეს არის სარწმუნოების მთავარი კოზირიც.

10604. მთვარის ყურება მაშინ გვსიამოვნებს და გვართობს, როდესაც დედამიწაზე სიმშვიდეა და ხალხი მაძღარია.

10605. საკუთარი ბედით და ქონებით არასოდეს იტრაბახო, მოშურნეებთან ერთად მტრებსაც გაგიჩენს.

10606. სანამ სამოთხეში მოვხვდებოდეთ, დრო აქ უნდა ვატაროთ, თორემ იქ წესიერ ცხოვრებას მოგვთხოვენ და მოსაგონარიც აღარაფერი დაგვრჩება.

10607. ღმერთი კი ერთია, მაგრამ საინტერესოა, მას რომელი სარწმუნოება ან ვისი მრევლი მოსწონს.

10608. ყველა აჭრილ დროში წიგნის წერას პოტენციური მკითხველები იწყებენ და მწერლები უსაქმოდ და უსახსროდ რჩებიან.

10609. ოპონირება და კრიტიკა ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, რომ პირველი შემოქმედებითიად განიხილავს ნაღვაწს და საქმიან რჩევებს იძლევა, მეორე – ძირითადად თავს იწონებს.

10610. საზოგადოების უმრავლესობას თაღლითობისკენ აქვს მისწრაფება, მაგრამ მას კანონის შიში „აპატიოსნებს“.

10611. ცივილიზაციასა და გარყვნილებას შორის ზღვარის დადება თანდათან ჭირს, იმდენად დიდია ფუფუნებისკენ და „მუქთაობისკენ“ თანამედროვეთა მიდრეკილება.

10612. ქალის გონიერ არსებად გადაქცევის მცდელობა, მამაკაცს სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს.

10613. სიყვარული სურვილით ცხოვრობს, ვნებით დაფრინავს, გონება გათიშული აქვს, სმენადობა – გამახვილებული, თვალები – დაელამებული, სიტყვებით და ოცნებით საზრდოობს.

10614. საზოგადოების საყოველთაო სიკეთის კეთებით დაავადებას მკურნალობა არ სჭირდება.

10615. ტექნიკური პროგრესის წინსვლის შედეგად ახალი სამუშაო ადგილების „გამოგონება“ გაცილებით გაძნელდა.

10616. ხშირად მაშინ გვთავაზობენ სიახლეს, როდესაც მოძველებულია.

10617. ცივილიზაციის წინსვლა, ეტყობა, ისევ მატრიარქატს გვიქადის, ბიზნესლედებით, ფულის მშოვნელი ქალებით და ემანსიპირებული დედაკაცებით.

10618. რელიგია სულის მოთხოვნის შედეგია ჭკუის უძლურების სანაცვლოდ.

10619. თავისუფლება, ღირებულებათა დაცვის გარეშე, ფასს კარგავს, კვადრატში, კუბში.

10620. დღეს საზოგადოებისთვის ცნობილ ყველა „სარეველას“ ფასს თავიდან ადებენ, განსჯიან და კანონს უსადაგებენ.

10621. ამქვეყნად ჩვენი ყოფნის დრო სიკეთის კეთების მცდელობით განისაზღვრება და განისჯება.

10622. ღმერთსა და ადამიანებს შორის მეგობრობა შეუძლებელია, რადგან ერთი მორჩილებას მოითხოვს, მეორეს თვალი სულ მამაძაღლობისკენ უჭირავს.

10623. ჩვენი ცხოვრების გამეორებას ისევ მისი გაგრძელება სჯობს.

10624. ზოგი თავით ფიქრობს, ზოგიც – ფეხებით, მაგრამ ეს უკანასკნელი განსაცდელს თავს უკეთ აღწევს.

10625. დროს ბევრი გენიოსის აზრი დაუფიქსირებია, მაგრამ დაფასებაგამოყენებით თავი დიდად არ შეუწუხებია.

10626. სიმართლეს იუმორიც უნდა მივაშველოთ, რათა ადრესატის თავმოყვარეობას ქვასავით არ მოხვდეს სულში.

10627. სიმდიდრე ორი სახისაა: ინტელექტუალური და მატერიალური, ერთმა მეორე უნდა შექმნას, მეორე პირველს თავის წარმოჩენაში

დაფინანსებით უნდა დაეხმაროს, რადგან უერთმანეთოდ თაობათა დასამახსოვრებელს, ცალ-ცალკე, ვერცერთი ვერ შექმნის.

10628. ასაკში წყვილი ურთიერთვნების გაღებას, რომ არ ამადლის, ამაზე მეტი ბედნიერება ცხოვრებაში რა უნდა ჰქონდეთ შეძენილი და ნანატრი.

10629. ზედმეტი თავისუფლება ადამიანებს ვნებს, რადგან უპასუხ-ისმგებლობაში გადადის.

10630. „გმირულად სიკვდილი სჯობს ულირს ტრიუმფს“, მაგრამ დღევან-დელობის შემხედვარე, ასაკის გადმოსახედიდან, ვერც შოთას გე-ნიას დაუჭერ მხარს და ვერც ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვას, რადგან დრო ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს და მარტო იდე-ისთვის სიცოცხლის გაწირვა არ ღირს, რომელიც ერთხელ მოდის და უნიკალურია, მითუმეტეს, თუ თანამედროვეთა უმეტესობა ვერ გაგიგებს და თავგანწირვას არ დააფასებს. თუმცა ვინ იცის, სახე-ლის უკვდავებისთვის შეიძლება თავის გაწირვაც ღირდეს.

10631. ქალისთვის მოხდენილი და დროული ქათინაურის თქმა, ყვავილების მირთმევის ტოლფასია.

10632. საკუთარ თავს ყველაზე მეტ შეურაცხყოფას ჩვენივე უვიცობა აყენებს.

10633. ხალხის შეცნობა მხოლოდ საუბრით შეუძლებელია, ის ყოველთ-ვის ერთს მეტყველებს, მეორე სურს, მესამეს ფიქრობს, მეოთხეს აკეთებს, მეხუთეს სხვას ავალებს.

10634. მშვიდობის დასამყარებლად და კარგი ურთიერთობების ასაწ-ყობად ზოგჯერ საერთო მტრის გამონახვაა საჭირო.

10635. ქალი მამრის მიტყუება-მოტყუებას ცდილობს, მაგრამ ხშირად თავადვე რჩება მოტყუებული.

10636. რატომღაც კარგის გაფუჭება უფრო გვეხერხება, ვიდრე ცუდის გამოსწორება.

10637. პოლიტიკაში სუსტი მოწინააღმდეგე თავის შესაძლებლობებს აბუქებს, რათა ძლიერს დაანახოს, რომ მას გაცილებით მეტი შეუ-ძლია, ვიდრე სინამდვილეშია.

10638. დღეს მწერლობა კონიუნქტურას, შემოსავალს, რეკლამას, მეტ ანგარიშს უწევს, ვიდრე თავად წიგნის შინაარსს.

10639. სინდისის შეძენა, დაკარგვისგან განსხვავებით, გამორიცხულია.

10640. ვგონებ, განგება ჩვენს სულებს „მიქსერში“ თქვეფს და ისე აქრობს ამ სამყაროდან.

10641. ტელე-არხების სიმრავლემ ხელოვნებაში უნიჭობის დოღი გამ-ოიწვია. არხები ერთმანეთს, რეკლამის ხათრით, უნიჭობაში ეჯი-

ბრებიან, რამაც ხალხის გემოვნების და შეგნების დაქვეითება „გვიბოძა“.

10642. საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, არსებობს თავში ჩადებული ვიღაცის ნება, რომელსაც ხალხი ბოლომდე ვერ ტვინავს და არც აინტერესებს.

10643. სახელმწიფომ კონტროლი უნდა დააწესოს შემთხვევით გამდიდრებულ ხალხზე, რათა მათ ეს თანხა კაზინოში არ წააგონ და რესტორანში არ დატოვონ, რადგან ფულმა ფული უნდა აკეთოს, უნდა იბარტყოს და საზოგადოების ინტერესებს მოემსახუროს.

10644. დანაშაულის სათანადოდ არდასჯა უფრო დიდი დანაშაულია.

10645. „მინდას“, „მერგება“ სჯობნის.

10646. სილამაზესაც მენეჯერი სჭირდება სარფიანად დასაბანდებლად.

10647. მდიდრები სწორედ სიმდიდრისთვის არ უყვართ, მათაც კი, ვინც მათგან გამორჩენას მოელის.

10648. მეცნიერება სიტიტვლეს ვერ იტანს, მარად ფანტაზიით უნდა იყოს შემოსილი.

10649. ასაკმა ახალგაზრდული სული უნდა შეინარჩუნოს და არა – ქცევა.

10650. ერთი საოცრება არსებობს – ფულს ჭკვიანიც შოულობს და უჭკუოც, ხოლო უკანასკნელი სტაბილურად და ზედმეტი გართულებების გარეშე.

10651. ჭკუა ფილოსოფოსებს უნდა დავესესხოთ, ცხოვრების ყადრის შეცნობა – გამოცდილებას, სიამის განცდის უნარი – პოეზიას, ჰანგებით ტკბობის უნარი – მუსიკას, სულის გაცისკროვნება – მხატვრობას. ასე სესხება-ჩასესხებით იქმნება ადამიანი და მისი ბუნება.

10652. დღევანდელ ბავშვებს გაუმართლათ, წინათ თამაშს უკრძალავდნენ, რომ ესწავლათ, დღეს კომპიუტერით იმიტომ თამაშობენ, რომ ისწავლონ.

10653. რწმენა, უმთავრესად, ჩვენს გულს სჭირდება და არა – ცნობიერებას.

10654. დაკარგული კბილები ენას კი არ ათავისუფლებს, ჩლიფინს აწყებინებს.

10655. მამაკაცს ქალთან ყოფნის აწმყო აღელვებს, ქალს – მამაკაცთან დარჩენის მომავალი.

10656. გონიერება ყველაზე იაფი და უკრედიტო კაპიტალია, რომლის ხელსაყრელად დაბანდება დიდ მოგებას იძლევა.

10657. ყველაზე დიდი დანაშაული უკვე დაშვებული შეცდომის გამეორებაა.

10658. ყველაფერი ძველი, მათ შორის, ღირსება და სიყვარული, კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.

10659. საწყალი ქალი: საზოგადოებაში ქალღმერთი უნდა იყოს, სამსახურში პროფესიონალი, ლოგინში – მეძავი, სახლში – ცოლი, სამზარეულოში – დიასახლისი, შვილისთვის – დედა, შვილიშვილებისთვის – ბებია და ამდენი „სპეციალობის“ მქონეზე როგორღა უნდა ვთქვათ ჭორიკანა და ჭირვეულიაო.

10660. სიცოცხლის ფარდის დროულად დაშვებასაც აპლოდისმენტები უხდება.

10661. იმქვეყნურ სამოთხეში ცხოვრებას ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ცხოვრება გვირჩევნია, რადგან პირველი მირაჟია, მეორე რეალობაა.

10662. ყველას თავისი განვლილი ცხოვრება მოსწონს, სანამ დაფიქრდებოდეს და გაანალიზებდეს.

10663. ზოგიერთის სინდის-ნამუსს დიდი ხანია ლეთარგიული ძილით ძინავს.

10664. ბავშვების კითხვებზე პასუხის გაცემა იმიტომაცაა ძნელი, რომ ისინი იმ მოულოდნელ კითხვებს სვამენ, რომელიც ყველა დიდისთვის ცნობილია, მაგრამ პირდაპირი პასუხის გაცემა უხერხულია.

10665. ყველა მისთვის გასაგებ ღირსებას და სახელს უფრთხილდება, მათ შორის, ქურდი, კახპა და ხელისუფალიც.

10666. ასაკი იმ ჭკუას გვმატებს, რომელსაც ახალგაზრდობის უჭკუობის წლებზე სიამოვნებით გადავცვლიდით.

10667. ოპტიმალური შემოსავალია ის, რაც ცოლს აკმაყოფილებს.

10668. დღეის გადასახედიდან, როგორც ირკვევა, გადამეტებული არც დემოკრატია უქნია ღმერთს და არც დიქტატურა. ორივე ჭირს წაუღია.

10669. დღეს ცოდვებსაც მოდის შესატყვისად, რეკლამით და გაპიარებით სჩადიან.

10670. ყველა მოპატიჟებული სტუმარი ოჯახში რევიზიას გვიტარებს, მაგრამ არ იმჩნევს.

10671. ზოგს საკუთარი თავიც კი სხვის ხარჯზე უყვარს.

10672. რევოლუცია, ბუნტი, გარდაქმნა, თავისი ხუშტურებით მოდის და მიდის, მაგრამ გაბრიყვებული ყოველთვის ხალხი რჩება.

10673. გენიოსს მეტოქე არ ჰყავს.

10674. ქვის სროლას და სიტყვის წამოსროლას ცოდნა სჭირდება, რათა მიზანში მოხვდეს.

10675. ფანტაზიას მეტ პატივს მივაგებთ, ვიდრე რაციონალურს და რეალურს.

10676. დიდ ადამიანებს დიდი სისუსტეებიც ჩვევიათ.
10677. მოძალებული იმპორტი სტუმარს მასპინძლად აქცევს.
10678. სიბრიყვე მოლოდინით და იმედით ცხოვრობს, გონიერება – რისკით და მოხერხებით.
10679. მიზნის გარეშე გონებაჩლუნგები ვხდებით.
10680. სიმდიდრეა ის, რასაც ტოვებ და არა – რასაც ფლობ, პატივის მიგებაა ის როგორ მოგიხსენიებენ და არა – როგორ გემლიქვნელებიან, კაცობაა ის, როგორ დაგიმახსოვრებენ და არა ის, როგორი პატივით გიღებდნენ.
10681. საკუთარი ცხოვრების წიგნს თუ ბოლომდე ვერ წაიკითხავთ, ეცადეთ ოცნებით მაინც გადაფურცლოთ.
10682. ეჭვიანობის ფორმულა: სიყვარული გამრავლებული ტანჯვაზე და გაყოფილი მოთმინებაზე.
10683. გულის დაპყრობა და გულის პრივატიზება ერთი არ არის, პირველი შენი მცდელობის ნაყოფია, მეორე – ორივეს თანხმობის.
10684. ინფორმაცია ცოდნა არ არის, მაგრამ გონიერებას ცოდნის მოპოვებაში ეხმარება.
10685. ურთიერთგაგებას ყველაფერი გადაჭარბებული ვნებს.
10686. გონიერება გაცვეთილ გზაზე სიარულს ახალი გზის მშენებლობისთვის იყენებს.
10687. სიჯიუტე ბოლოს მაინც ბოროტების წისქვილზე ასხამს წყალს.
10688. დაქორწინება სათუო სურვილების მოვალეობაში გადაყვანის პროცესია.
10689. „შინაურს მანამ არ აქვს შენდობა“, სანამ სხვები, გადამთიელები, არ წარმოაჩენენ და რეკლამას არ გაუკეთებენ. შემდგომ იწყება თანამემამულეთა თავის გამოდება და „შენ ხარ ვენახის“ ძახილი.
10690. შიმშილი ბევრი წარმატების თანაავტორია.
10691. ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, მეორედ მოსვლა არ მოგვინდეს.
10692. ძალაუფლებას იარაღი ბადებს და უგუნური ეკონომიკა ძირს უთხრის.
10693. გმირობა შექმნილ გარემოში გაუაზრებელი ქმედებისკენ მოწოდებაა.
10694. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ირჩევს არითმეტიკული უმრავლესობა და არა – პოლიტიკაში გარკვეული უმცირესობა.
10695. ბიუროკრატია სახელმწიფოს საჭირო და მოუშუშებელი დაავადებაა.
10696. ყველაზე ძნელია დადგენილების პარაგრაფებთან ბრძოლა.
10697. ეკონომიკა ცდილობს ყველა ერთნაირად და სამართლიანად

დაბეგროს, ხოლო პოლიტიკა „თავისიანებისთვის“ მარად შეღავათის მოძიებაშია.

10698. მოჩვენებით ეკონომიკას, მოჩვენებითი პოლიტიკისაგან განსხვავებით, დიდი დღე არ უწერია.

10699. წინათ ჭკუა-ინფორმაციას თავით ატარებდნენ, დღეს – დისკეტზე გადააქვთ.

10700. ღირსებას ადამიანურ სისუსტეებთან ბრძოლის უნარი წარმოაჩენს.

10701. არასოდეს ეკამათო იმ ადამიანს, ვინც ამის ღირსი არ არის, მოუსმინე თავი დაუკარი და თბილად გამოემშვიდობე.

10702. ლამაზი ქალი იმ სიამოვნებისთვის მომზადებული შხამია, რომლის შესმაზე მამაკაცები უარს არ ამბობენ.

10703. სიმართლე სოლისტია, მაგრამ სიცრუე მის მოძახილად გახდომას ცდილობს.

10704. სიმართლესაც, გარკვეული „მაკიაჟის“ და მხარდაჭერის გარეშე, ეფექტის მოხდენა და თავის გატანა უჭირს.

10705. ცხენის ნალს გაცილებით მეტი ბედნიერების მოტანა შეუძლია, თუ ის ოქროსი იქნება და არა – ჟანგიანი რკინის.

10706. მათხოვარსაც გაკოტრება ემუქრება, თუ მას „საქმიანობას“ აუკრძალავენ.

10707. საუბარს მაშინ აქვს ფასი, თუ მასში სიტყვის „ჩადგმის“ უფლებას გაძლევენ.

10708. დღეს „მასმედია“ იმ მეზობელს მოგვაგონებს, რომელიც ყველაფერზე გეჭორავება, გართობს, მაგრამ შენი არ ესმის და დიდად არც აინტერესებს.

10709. საკუთარი თავის ფასი თავადვე უნდა დავადგინოთ, ხოლო შეძენის უფლება განგებას უნდა მივანდოთ.

10710. უეშმაკო კაცს თევზაობაშიც კი არ უმართლებს.

10711. რუსეთში რუს ქალზე ძვირფასი და მიმზიდველი ისევ რუსი ქალია.

10712. სახლში რომ გემრიელად ისადილო, ინტერნეტში რესტორნის ფასებს უნდა გაეცნო.

10713. დიპლომატიის ვალია მტრისაგან შექმნას ნეიტრალი, ნეიტრალისაგან – ნაცნობი, ნაცნობისაგან – ამხანაგი, ამხანაგისაგან – მეგობარი, ხოლო ეს უკანასკნელი სიყვარულზე და ერთგულებაზე უნდა დავამყნოთ.

10714. საოცრად ლამაზი სიტყვაა „აკაპიწებული“, რომელსაც ფასს ფაბულა და კუთხის მენტალიტეტი ადებს. გურული ახლადგაცნო-

ბილ აჭარელ მუსულმანთან ერთადაა აბანოში და წინადაცვეთილ აჭარელს ეკითხება, რაში დაგჭირდა, ძამა, მაგის აკაპიწებაო.

10715. ხშირად გულწრფელობა და გულახდილობა გამოუყენებელი ტვირთია, რომელიც გარკვეულ პრობლემებს გვიქმნის.

10716. საკუთარი აზრების გამტყუნება არც თუ ისე ადვილია.

10717. დედამიწა ის კარუსელია, რომელიც ადამიანს თავის ღერძის გარშემო უფასოდ ასეირნებს და თან ვარსკვლავებს სთავაზობს, რათა მომავალში მათზე გადასახლება აქედანვე იფიქროს.

10718. ზოგიერთი ქალის დაგებულ ხაფანგს ვნების ისეთ სურნელი ასდის, რომ შეუძლებელია მამაკაცი არ გაებას.

10719. იმდენი არ უნდა ივალო, რის გადახდაც გაგიჭირდება და იმდენი არ უნდა ასესხო, რამდენის დაკარგვასაც ვერ შეურიგდები.

10720. ახალი წლის დადგომა ასაკის მატებას ნიშნავს და არა – ახალი ცხოვრების დაწყებას.

10721. დღეს თუ ნუდიზმი მოდაში საყოველთაოდ შემოვა, მოდელიერები უმუშევრები მაინც არ დარჩებიან, რადგან სხეულის სხვადასხვა ნაწილში ამოსული თმების მოდელირებას მიჰყოფენ ხელს.

10722. საზოგადოებრივი აზრის ყიდვაც შეიძლება და გაყიდვაც, გააჩნია მის დამფინანსებელს.

10723. საზოგადოების უმეტეს ნაწილს საერთო აზრი და საერთოდ, აზრი არ აქვს და ისინი უკმაყოფილების გამოთქმას აზრად მიიჩნევენ.

10724. გამოცდილებათა „სუპერმარკეტის“ გახსნა, რატომღაც, არც ერთ ბიზნესმენს თავში არ მოსდის.

10725. ოპოზიცია მარტო კრიტიკით რომ არ იყოს „დასაქმებული“, მას ქვეყნის რომელიმე რეგიონი უნდა მივანდოთ სამართავად, რათა დაამტკიცოს თავისი შეძლება საქმით და არა – კრიტიკით.

10726. ადამიანი „გონიერ ძმებს“ სამყაროში ეძებს და არა – დედამიწაზე, ვინაიდან ეს უფრო საინტერესო და საიმედოა.

10727. ადამიანი, წესით, მაშინ უნდა ისვენებდეს, როდესაც მის სულს მოეპრიანება და არა ვიღაცის მიერ დადგენილ შაბათ-კვირას.

10728. ოჯახის ბიუჯეტის მფლანგველი ცოლია, რომელიც გაფლანგვისთვის პასუხს არ აგებს.

10729. დემოკრატიას, დიქტატის ელემენტების გამოყენების გარეშე, მხოლოდ ადამიანის შეგნებაზე დაყრდნობით და მოწადინებით, საქმის კეთება უჭირს, რადგან მოვალეობის გრძნობა შიშის გარეშე არ ვითარდება.

10730. ბრბოს კეთილშობილების, ხალხის გონიერების, საზოგადოების

მხარდაჭერის, ადამიანის შეგნების, იმედი ჩვენს მტერს ჰქონდეს.

10731. დიდი ბედნიერებაა, როდესაც არ გვასწავლიან როგორ გახდე ბედნიერი.

10732. გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ კარნახი შესაძლებელია.

10733. ოცნებას ფრთები ხელოვნურად უნდა გავუზარდოთ, თუ „ბუნებრივად“ არ ეზრდება.

10734. ყველა მემუარს მცირე რემონტს ავტორი უტარებს, კაპიტალურს – რედაქტორი.

10735. ისტორიაც, „მაკიაჟის“ გარეშე, მომხიბვლელობას კარგავს.

10736. ელექტორატი – ბრბოს სინონიმია, კულტურულ ფორმებში და უცხო სიტყვებში შეფუთვნით.

10737. დღეს, კონკურენციის შედეგად, პროდუქციის შიგთავსი უარესდება და დიზაინი მიმზიდველი ხდება.

10738. ქალისთვის მთავარია ირგვლივმყოფთ აჯობოს და არა – ყველას.

10739. ნულების დოღს ფასი და წონა მაშინ ედება, თუ წინ რაიმე სხვა ციფრს დავუსვამთ.

10740. პირფერობა აუტანელია, მაგრამ დედისგინებას მაინც ჯობს.

10741. ზოგი ადამიანი ბოლოკივითაა: თუ არ „გათალე“, ვერ ხვდები მორცხვობის სიწითლე სჭარბობს თუ მოჩვენებითი სითეთრე.

10742. არც ერთი რწმენა, ლოცვა, შემართება-გარჯის გარეშე შედეგს არ იძლევა და ვერც ვერავითარ სასწაულს ახდენს.

10743. ყველაფერმა შეგუება იცის, თუ ოცნებას და იმედს დავთმობთ.

10744. იმქვეყნიური ცხოვრების „ბლეფი“ ამქვეყნიურად უკეთ ცხოვრების სურვილს აღვინებს.

10745. ქალს, რომელიც საღამოს შემოჭრილი სექსუალური „მანიაკისგან“ თავის დაღწევას მხოლოდ დილის საათებში ცდილობს და ისიც სამსახურში წასვლის წინ, ღმერთთან არაფერი აქვს სასაყვედურო.

10746. გადამეტებული სერიოზულობა ფილოსოფიასაც არ უხდება, მასაც იუმორი უნდა წავაშველოთ.

10747. გამოცდილება ფლობს კომპრომისების ხელოვნებას, გამოუცდელობა – პრინციპების უზენაესობას.

10748. დაბალი ინტელექტი ადვილად იღებს დაოჯახების გადაწყვეტილებას, ყველა ქერქეტი ქალი გათხოვილია.

10749. არის ქალი, რომელსაც თვალს ვერ აშორებ, არის ისეთიც, რომელიც თვალს არ გაშორებს, პირველი სანატრელი არსებაა, მეორე – ცოლია.

10750. რელიგია აზროვნებას, განსჯას, ეჭვს, ათეიზმად ნათლავს.

10751. ბრძენია, ვისაც დღეს უგებენ, გენიოსია, ვისაც ხვალ გაუგებენ.

10752. კლასიკური გაგებით პატიოსანია ის, ვისაც ენდობი, გენდობა, ფულზე არ დახურდავდება და ღალატს გულში არ გაივლებს.
10753. დღეს ჩემს ქვეყანას „გალსტუკიანი ხვლიკები“ მართავენ, რომლებსაც თავი ნიანგებად წარმოუდგენიათ.
10754. ხალხი ის გაუგებარი ფენომენია, რომელიც დღეს მოედანზე ჩამოგახრჩობს, ხოლო 100 წლის შემდეგ, ამავე მოედანზე ძეგლს აგიგებს და სინდისის სერიოზული ჯიჯგნის გარეშე ზარ-ზეიმით გეთაყვანება.
10755. ქალის მოთოკვა მძიმე და უმადური სამუშაოა, რომელსაც მთელი ცხოვრება უშედეგოდ ეწირება.
10756. დღეს არატრადიციული სექსის მიმდევარი უმცირესობა, ტრადიციული სექსის მიმდევარ უმრავლესობას იმდენ პრეტენზიას უყენებს, თითქოს ეს უკანასკნელი იყოს დამნაშავე მათ დაავადება – გადაგვარებაში.
10757. ბიზნესი „გაიძვერობის“, საღი გონების და რისკის გარეშე ვერ იარსებებს.
10758. გაცნობამდე ადამიანში კარგს ვეძებთ, გავიცნობთ და მისი ნაკლი თავადვე გვეცნობა.
10759. საქმის წამოწყებისას, პირველ რიგში, წაგების საშიშროება უნდა განსაზღვრო, თორემ მოგება სად გაიქცევა.
10760. ადამიანს რომ ფუტკარივით თაფლის გამომუშავება შესძლებოდა ქაქის ნაცვლად, მისი ბზუილი და თავის წარმოჩენა მაშინ უნდა გვენახა.
10761. თანამდებობის სკამს ბევრი სახელმწიფო „გვამის“ უკანალი ახსოვს, მათ შორის, გამორჩეულისაც, მაგრამ ყველას ერთნაირად ემსახურებოდა.
10762. საშიშია ის ადამიანი, რომელიც არავის სჭირდება და არც არაფერს აკეთებს.
10763. სასურველზე ფიქრით ბრძოლას ვერ მოიგებ, სანამ შერკინებას არ ისწავლი და მოხერხებას არ დაიმოყვრებ.
10764. გაიძვერა ხმამაღლა სხვაზე ფიქრობს, ჩუმად თავის თავზე – გამორჩენით.
10765. ჩვენი გემოვნების ქალები სიზმარში გვხვდებიან და ისიც დროებით.
10766. მოყვრის შეცდომა მეტ ზარალს გვაყენებს, ვიდრე მტრის დროებითი წარმატება.
10767. პროფესიონალია ის, ვინც ადრე დაშვებულ შეცდომებს აღარ იმეორებს.

10768. სიღარიბე მსოფლმხედველობის დაკნინება უფროა, ვიდრე ფულის უქონლობა.
10769. მშობლიური ენა პიროვნების წარმოჩენის ღვთაებრივი კოდია, სხვა ენებს რაც უნდა დიდებულად ფლობდეს.
10770. სიყვარულით თრობა ყველას აწყობს, მაგრამ „პახმელია“ აქვთ სხვადასხვა.
10771. სიმდიდრეს ბევრ ვალდებულებას ჰკიდებენ, მაგრამ მის შექმნაში იშვიათად მონაწილეობენ.
10772. სიტყვას შთაგონების ძალა აქვს. მიზანსაუცდენელი სიტყვები და გამოთქმები არ იწვის და სულს გვინათებს.
10773. ბევრი ამომრჩეველი თავის რჩეულს ფეხებით – საარჩევნო უბანზე მისვლით აძლევს ხმას და არა – განსჯით და გონიერებით.
10774. ფულს ხშირად ხელის ჭუჭყს უწოდებენ, მაგრამ ამ ჭუჭყით გასვრის წინააღმდეგი არავინაა.
10775. აუცილებლობის შემთხვევაში წუნი ისეთი უნდა გამოუშვა, რომ არ „იყვიროს“, რადგან 80% მას ვერ შეამჩნევს და ახიცაა მათზე.
10776. საქმეს თუ რისკი არ ახლავს, მას პეწიც აკლია, კაიფიც და კმაყოფილების გრძნობაც დაქვეითებული აქვს.
10777. ავტომობილის ტარება სექსივითაა: ყველა დარწმუნებულია თავის შესაძლებლობაში, სანამ ნამდვილი ქალი და გადატვირთული ტრასა ოპონირებას არ გაუწევს.
10778. ზოგი „ბავშვის მომყვანი წერო“, უეცრად უჩინარდება და სირცხვილით თავი ვერ გამოუყვია, თავის „ექსპედიციის“ ნახელავს რომ უყურებს.
10779. ეშმაკობა იმალება მილიმეტრებში, წარმატება მჟღავნდება სანტიმეტრებში, წარუმატებლობა – მეტრებში.
10780. ცხოვრება ქარში ანთებული სანთელია, რომელსაც ყველა მხრიდან საფარის შექმნა და მოფრთხილება სჭირდება.
10781. ცოლ-ქმრული ურთიერთობის სიამტკბილობით შენარჩუნება მარად დარჩება დიპლომატიის უმაღლეს პოლოტაჟად.
10782. გმირობის ჩადენა გაცილებით ადვილია, ვიდრე მარად ადამიანად დარჩენა.
10783. ლომის ცოლი ლომია, ხოლო ხარის ცოლი – ძროხა. ესაა და ეს სხვაობა პიროვნებასა და კაცს შორის.
10784. შეიძლება ყველას მოსწონდე, საკუთარი თავის გარდა და ეს მსაჯული არ მოგვიშალოს ღმერთმა.
10785. მტერი ნეიტრალად უნდა ვაქციოთ, ნეიტრალი – ნაცნობად, ნაცნობი – ამხანაგად, ამხანაგი – მეგობრად, მეგობარი სიყვარ-

ულზე უნდა ვამყნოთ – ესაა პოლოტიკა.

10786. მარტონი ვკვდებით, მაგრამ სასაფლაოზე მეზობლებს ვიძენთ.

10787. დროის ფასს ვერასოდეს შევიცნობთ, მის რაციონალურად გამოყენებას ვერასოდეს ვისწავლით.

10788. დღეს კითხვა ერთგულ მკითხველსაც მობეზრდა და წერა დაიწყო.

10789. განგებას პატიოსნები უყვარს, აფასებს, მაგრამ რატომღაც არ სწყალობს.

10790. ქალისთვის ქათინაური სიტყვიერი ამბორია, ყვავილების თაიგული უსიტყვო კოცნაა, ხოლო ძვირფასი ნივთის ჩუქება ორგაზმია.

10791. დედაქალაქის „დასაპყრობად“ ჩამოსული პროვინციალები გაცილებით მეტ ყოფით წარმატებებს აღწევენ, ვიდრე მკვიდრნი და ალბათ, ასეცაა საჭირო.

10792. სიბერე სიკვდილის დროებითი მოგერიებაა, სხვადასხვა წამლებით და ექიმთან კონსულტაციებით.

10793. სიდიადის შექმნას რწმენა სჭირდება, გასაკვირის – აზროვნება, მომხიბვლელობის – სიყვარული.

10794. დღეს ტელევიზორსაც, ინტერნეტსაც, პრეზერვატივი უნდა ჩამოვაცვათ, რათა უასაკო გოგონები არ დაფეხმძიმდნენ.

10795. ფულის გონივრული ხარჯვა მის შოვნაზე მეტად ფასობს.

10796. „მაიმუნმა“ ყველა ადამიანში შესაძლებელია გაიღვიძოს.

10797. ქცევის დიზაინი სტუმრად მიპატიჟებას და პაემანზე დაპატიჟებასაც სჭირდება.

10798. თუ გნებავთ ადამიანს სიმართლე დასტყუოთ, მისი აზრის საწინააღმდეგო თქვით, იმსჯელეთ, გააქილიკეთ.

10799. ადამიანის გონება, ყველაზე მეტად, გამოუყენებელი ინფორმაციით ნაგვიანდება.

10800. ადამიანი საინტერესოა არა იმით, რასაც ამბობს, არამედ რასაც მალავს.

10801. „შავი ბერების, მონაზვნების“ სულიერების ჩამოყალიბებაში ეშმაკის ხელიც რომ არ ერიოს, შეუძლებელია. ამის დამადასტურებელია მათი უნაშენოდ, უძიროდ, გადაშენება.

10802. ქალისთვის მამაკაცი „პავლოვის ძაღლია“ – მისი მიზანია თვალები აჭყეტინოს და ნერწყვი აყლაპოს.

10803. ბნელ ოთახში კატის დაჭერა ადვილია, თუ მისი კუდი ხელში გიჭირავს.

10804. ვინც მიეჩვევა ძალაუფლებას და ფულს, მისთვის სამშობლო, პატიოსნება, ეროვნება, ფიქცია ხდება.

10805. გამოამჟღავნო, აღმოაჩინო, საკუთარი ტალანტი, ყველაზე სწორი გზაა ბედნიერებისკენ.
10806. სისულელეს უფრო იჯერებენ, ვიდრე ჭკვიანურს, რადგან პირველს აზროვნება და ჩაძიება არ სჭირდება.
10807. თუ შენთან დამშვიდობება ვისმეს გულს ტკენს, ჩათვალე რომ ადამიანი ხარ.
10808. უნდა ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, რომ აღსარების თქმა არ დაგვჭირდეს.
10809. ცინიზმი თავის დაცვის ერთ-ერთი არასაიმედო ფორმაა,შემოტრიალება იცის.
10810. ამხანაგობაა, როდესაც შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებით, ხოლო მეგობრობა, როდესაც შესაძლებლობაზე მეტს ვცდილობთ.
10811. კანონის დარღვევა ყოველთვის დანაშაული არ არის, ზოგჯერ აუცილებელიცაა, რათა თავი ადამიანად იგრძნო და არა კანონს ამოფარებულ რობოტად.
10812. ცნობილი შეიძლება ფულის დახმარებით გახდე, დაფასებული მხოლოდ ნიჭით.
10813. პათოლოგიური სიყვარული ხშირად გამოუცდელობის და ქალებთან ურთიერთობის უკმარისობის ბრალია.
10814. სიცილს ხშირად შემოტევისგან თავდასაცავ ფარად ხმარობენ.
10815. თუ სხვისთვის თავგანწირვის მოტივებს ვერ აცნობიერებ, მაშინ არც ამქვეყნად დარჩენის საფუძველი გაგაჩნია.
10816. იუმორის გრძნობის არქონა სიცოცხლის მადლის არქონის ტოლ-ფასია.
10817. გამარჯვებაში შეიძლება ბევრი ადამიანური სისაძაგლეც იდოს, მაგრამ გამარჯვებულს ყველაფერს პატიობენ და მისით ამაყობენ კიდეც.
10818. ბუნების საიდუმლოებას ადამიანის გონება ვერასოდეს ჩაწვდე-ბა, მაგრამ ამ გარემოებას არასოდეს შეეგუება.
10819. დაუღვინებელ გრძნობებს დაძმარებისკენ აქვთ მიდრეკილება.
10820. გულგრილობას ადამიანურობის სტატუსი დაუფიქრებლად უნდა ჩამოვართვათ.
10821. ჭირ-ვარამი ხშირად სწორ გზაზე გვაყენებს.
10822. ფილოსოფია ფანტაზიის მეგობარია, მაგრამ მასთან მდგმურად ყოფნას ვერ იტანს.
10823. ფილოსოფია სულის ის მკურნალია, რომელიც მკურნალობის რეცეპტს თავის თავს თავადვე უწერს.
10824. მატყუარას მსმენელისთვის არც ერთი ტყუილი არ ენანება.

10825. ჯანმრთელი აზრი უზნეოთა ხელისხლებას ვერ იტანს.
10826. იმდენად სისულელის თქმა არ არის ცოდვა, რამდენადაც სისულელესთან ჭიდილი.
10827. ზოგჯერ ცრურწმენა იმედს გვისახავს და შემართებას გვ-მართებს.
10828. ბრძენის ოპონირება ჩვეულებრივი მოკვდავისათვის ბედნიერე-ბაა, რადგან ის შეამჩნიეს.
10829. ის ადამიანია უბედნიერესი, რომელმაც შეიცნო ამქვეყნად მისი დანიშნულება.
10830. ჯობს თავხედად გთვლიდნენ, ვიდრე იყო საწყალი და სიბრალუ-ლით გიყურებდნენ.
10831. თავისუფლება ყველას მოსწონს, მაგრამ მის დაჭაშნიკებას, უვი-ცობის გამო, უმეტესობა ვერ ახერხებს.
10832. ყველა ისტორიული მოვლენა მეტ-ნაკლებად ფალსიფიცირდება დროის, გარემოს, იდეოლოგიის და ხელისუფლების საჭიროების მიხედვით.
10833. ახალგაზრდა მელაკუდა რომ ბებერ მელას მოტყუებას მიუნ-დომებს, ეს არ ნიშნავს, რომ მომავალი კადრების კვლავწარმოება საიმედო ხელშია.
10834. თავისუფლება მოსახლეობამ უმტკივნეულო ყლუპებით უნდა მიიღოს, რომ არ დაიხრჩოს.
10835. სამყარო იმგვარად გვიმასპინძლდება, როგორი სტუმრებიც ვართ.
10836. ქალი ვერასოდეს გაიგებს იმას, რის გაგებაც არ უნდა.
10837. ხელოვნებას მასობრივი მომხმარებელი არ მოსწონს, მაგრამ მის გარეშე ფულის შოვნა უჭირს.
10838. სექსში ხვადებიც კი ცოლთან ავტომატს ვერ ისვრიან, მაგრამ შაშხანიდან გასროლას ახერხებენ.
10839. სულს მხედველობა არ აქვს, მაგრამ გულში მოსაყუჩებელ ადგ-ილს ყველაზე უკეთ ხედავს.
10840. იუმორი იქაც დასეირნობს, სადაც გზა დაკეტილი აქვს.
10841. პესიმისტს ოპტიმისტად დიდი ფულის შოვნის იმედი აქცევს.
10842. სწავლა ცოდნას არ ნიშნავს, რადგან შედეგი ნაღვაწმა უნდა დაგვანახოს.
10843. სიკვდილისთვისაც მომზადებაა საჭირო, თუ ამის შესაგნებად დრო გვეყო.
10844. უფრო დიდი ბედნიერებაა ძიებაში, ვიდრე შედეგში და დაფასე-ბაში.

10845. დემოკრატიას ავტორიტარიზმი არ მოსწონს, მაგრამ ავტორიტეტების გარეშე ცხოვრება უჭირს.
10846. წესით ხალხი შემკვეთია, მთავრობა შემსრულებელია, მაგრამ პრაქტიკაში საწინააღმდეგოდ ხდება.
10847. ყველა რევოლუცია სისხლის სამართლის დამნაშავეებს, უსაქმურებს, ყბედებს, იზიდავს, აწინაურებს და იმქვეყნად უდროოდ ისტუმრებს.
10848. თუ გაგვიმართლა – ინტუიციაა, თუ არა და – ბედის სიმუხთლე.
10849. ადამიანი რომ მაიმუნისაგან არის წარმოშობილი, თავად ხშირად გვიმტკიცებს.
10850. ზოგჯერ საქორწინო კაბა პატარძალზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს და განსჯის საგანიც ხდება.
10851. სიღარიბეს წამბაძველი ცოტა ჰყავს, ხოლო სიმდიდრის მიბაძვა ვერ ხერხდება.
10852. სხვის ხარჯზე ყველა ჭკვიანი და ხელგაშლილია.
10853. კეთილი სურვილები, დაფინანსების გარეშე, ბლეფია და ვერაფერს აღწევს.
10854. ეკლესიასა და რესტორანს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი სულიერებით, ხოლო, მეორე ალკოჰოლით გვიმასპინძლობს – შედეგად „ცა ქუდად არ მიგვაჩნია და დედამიწა – ქალამნად“.
10855. ნადირობას ტყუილი თავის მოსაწონებლად სჭირდება, ომგამოვლილს – ნერვების დასაწყნარებლად, დეპუტატობის კანდიდატს – არჩევნებში გასამარჯვებლად.
10856. ინტელიგენცია და მოსახლეობა ხშირად ერთმანეთს ვერ უგებს, მაგრამ ინტელიგენციას ეს ხელს არ უშლის ხალხის სახელით ილაპარაკოს.
10857. ხელოვნებას ყველა თავის ჭკუაზე წარმოაჩენს და თავის გემოზე რყვნის, რათა თავად წამოჩნდეს და შეამჩნიონ.
10858. კარგი მუსიკა ლოცვაა, ლექსი ვედრებაა, ცეკვა – შთაგონება და ყოველივე ეს – სულიერებისთვის სანთლის ანთება.
10859. სიკეთეს ხშირად მისი არამთესველნი იმკიან.
10860. ღირსების დაკარგვა უღირსთ ვერ აერთიანებთ.
10861. თავისუფლება რჩეულთა ხვედრია, დანარჩენს კი კანონის მუშტი და ენის მათრახი სჭირდება.
10862. თავისუფლებას ყველა ყოველდღიურად ცვლის ფულზე, კარიერაზე, სიყვარულზე და სხვა ამდაგვარ „ხაბა-ხუბაზე“.
10863. დამარწმუნებელი ტყუილი პოლიტიკის ერთ-ერთი მონაპოვარია.

10864. ბრძენმა ყველას გასაგებად რომ იაზროვნოს და ილაპარაკოს, ბრძენადაც არავინ ჩათვლის.

10865. საზოგადოება იხეირებდა, ამომრჩეველი მშვიდად იქნებოდა, ქვეყანა აყვავდებოდა, პოლიტიკური მოღვაწენი რომ თავის საარჩევნო დანაპირებს ახორციელებდნენ. დანაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონით უნდა აგებდნენ პასუხს თაღლითობისათვის, რადგან როდესაც ერთ კაცს ატყუებ თაღლითად გნათლავენ, როდესაც მილიონებს – სახელმწიფოს სათავეში წამოგასკუპებენ.

10866. ქალები დაბადების წელს თავადვე ირჩევენ.

10867. ადამიანის სხეულის ყველაზე ინტიმური ნაწილებია სიცოცხლეს რომ ბადებს, ჩვენ კი მის ხმამაღლა დეკლარირებას ვერიდებით, არანორმატიულ ლექსიკად და უზრდელობად აღვიქვამთ.

10868. ვალუტის კურსი და ხელისუფლება ცვალებადია, რაც ხშირად ქვეყანას ძვირად უჯდება.

10869. სამწუხაროდ, კოლექტიური სიბრძნე არ არსებობს, არსებობს კოლექტიური უგუნურება.

10870. ფაქტსაც თავისი მხარდამჭერი, წამქეზებელი და მედგრად დამდგომი სჭირდება.

10871. წამლიქვნელება სამშობლოსაც არ უხდება.

10872. პურის, გართობის, რწმენის და იმედის დეფიციტი იწვევს ანარქიას.

10873. ძალა ყოველთვის პოულობს თანადგომას და მიმბაძველს.

10874. პოლიტიკა თავისებური ვაჭრობაა იდეების მწარმოებელსა და გადამყიდველს შორის ხალხის გასაბრიყვებლად.

10875. ნათელი ათეიზმი ერთეულ გონიერთა საქმეა, ხოლო მასამ ღმერთი უნდა იწამოს თავისი იგავ-არაკებით და ცოდვების მონანიების უფლებით.

10876. რეფორმის არსი მის უმტკივნეულოდ შემოპარებაშია.

10877. დიდი ცოდვები ისტორიის საკუთრებაა, პატარა კი ჩვენი უნიათობის.

10878. აწმყო მომავლის გამოსაჩეკი კვერცხია.

10879. კრედიტით ნასესხები, დებეტის მოიმედე, ცხოვრება სიცოცხლეა.

10880. მთავარი სიმდიდრე კი არაა, არამედ მისი შემოქმედებითი, წინდახედული, მოხმარება.

10881. ერთი ჰკარგავს, მეორე ნახულობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამართლიანობამ იზეიმა.

10882. ცრურწმენა თეორიულად დასაგმობია, მაგრამ პრაქტიკულად ზოგჯერ ცხოვრებას გვიადვილებს, გვამშვიდებს და არასასურველს გვავიწყებს.
10883. ადამიანი თავს უკეთ მაშინ შეიცნობს, როდესაც სხვისი დახმარების იმედი ამოწურული აქვს.
10884. ხშირად მასწავლებელი მეტ ცოდნას აგროვებს თავის მოსწავლეებისგან, ვიდრე – პირიქით.
10885. სითამამესაც შიგადაშიგ სიმორცხვე ამშვენებს.
10886. ბრიყვს სიბრიყვის დასავიწყებლად სკლეროზი არ შველის.
10887. გრძნობათა ჩოჩქოლს ზოგჯერ უნდა ავყვეთ, მაგრამ არ უნდა გადავყვეთ.
10888. ადამიანი, რომელსაც არაფერი უკვირს, პოტენციური დებილია.
10889. ძველის გინება იმის დასტურია, რომ არ შეგიძლია შექმნა უკეთესი ახალი.
10890. უსუსურობის დამალვას ხშირად უაზრო სიცილით და ნაძალადევი ირონიით ცდილობენ.
10891. „ტალეირანისთვის“ განგების ნაჩუქარი ნიჭის გაშიფვრა დღემდე უშედეგოდ გრძელდება.
10892. მოჩვენებითი ჰუმანიზმის და სხვათა დასანახად სიკეთის კეთების უკან კრიმინალი იმალება.
10893. მიმზიდველობა უდიდესი გამოცანაა.
10894. ჭეშმარიტი მოქალაქეა ის, ვინც ქვეყანას გადასახადს სიკვდილის შემდგომაც უხდის.
10895. კორუფცია სხეულის დავაადებაა, რომელსაც სულიერების აღქმა და პატიოსნების გაგება აღარ შეუძლია.
10896. ჭორით შეიძლება სარჩელი მოიგო, მაგრამ იმიჯი სამუდამოდ გაგიხუნდეს.
10897. ბედნიერების ოკეანეშიც გონიერების კომპასით სიარული აუცილებელია, რადგან ბედი, შემთხვევა, ცვალებადია.
10898. პატრიოტიზმი ხშირად სიბრიყვეში გადადის, თუ აქაც ზომიერების დისტანცია არ არის დაცული.
10899. ყველა ჩვენს ცოდვას საწყალ სატანას, ტარტაროზს, ავკიდებთ, რომელიც ხშირად არც ჩვენ გვცნობს და არც მასზე შეწერილ ცოდვებს.
10900. ადამიანი შრომით ფასდება, პიროვნება – კაცობით, მოხელე – თანამდებობით.
10901. ამურის მიერ შემოთავაზებულ ალგორითმებს მათემატიკის ვერც ერთი განტოლება ბოლომდე ვერ წვდება.

10902. ქალებს სამოთხის ჩიტებად აღვიქვამთ, ისინი კი ყვავობასაც არ თაკილობენ.
10903. სიმართლე ის ცხარე სანელებელია, რომელიც პირს გვიშუშხავს, მაგრამ საჭმელს მაინც ვაყრით.
10904. სირცხვილი, სინდისი, გულისხმიერება, კარგი „საქონელია“, მაგრამ დეფიციტია.
10905. დარდი ის სიმსივნეა, რომელიც შეუმჩნევლად ხრავს და თრგუნავს სხეულს.
10906. ბრძენს და უმეცარს უმალ ამჩნევენ, რადგან მათ გამჟღავნებას ლაკმუსის ქაღალდი არ სჭირდება.
10907. ბოროტება დასაგმობია, მაგრამ ისიც ხომ განგების მიერ სანქცირებულია.
10908. დაკარგვა ისე არ გვწყინს, როგორც დაკარგულის ნახვა გვახარებს.
10909. ერთ ადამიანზე დატეხილი უბედურება ქვეყნის უბედურებად უნდა აღვიქვათ და მაშინ ვიქნებით სახელმწიფო, ხალხი და არა – ტერიტორია და ბრბო.
10910. უსაქმურობა ადამიანთა მოდგმის ყველაზე მავნე დავაადებაა.
10911. საკუთარი თავის მორჯულებაზე ძნელი არაფერია.
10912. ერთდროულად ჭკვიანი, ლამაზი, მდიდარი და მოყვასი ქალი მამაკაცის ფანტაზიის ნაყოფია.
10913. ყველაზე პატიოსანი კაცის მონათხრობშიც კი 10% სიცრუე მაინცაა.
10914. სიბერეში ხშირად იმით ვკმაყოფილდებით, რაც ჯეელობაში ხელს არ გვაძლევდა.
10915. სულიერებით ხედვა გვალამაზებს, მაგრამ თვალი მაინც ხორციელზე გვრჩება.
10916. არ შეიძლება იმის გაყიდვა, რის ყიდვაც შეუძლებელია.
10917. ქალს აინტერესებს, რამდენი გადაუხადეს, მამაკაცს – ხომ შეიძლება ამდენი არ გადაეხადა.
10918. სხვათა აზრის გაზიარება საკუთარ აზრებს ზღუდავს, მაგრამ ხარისხს აუმჯობესებს.
10919. უვიციც მისაღებია თუკი გონიერთა დავალებებს უსიტყვოდ ასრულებს.
10920. ინტერნეტმა ხელისუფალთა ჩაკეტილობას და დიქტატს ბიშტი უჩვენა.
10921. დღეს სისულელის და სულელების დადგენაც ძნელი გახდა თუ ისინი რეკლამირებულნი არიან.

10922. ბიუროკრატია ნიღაბაფარებული ტირანია.

10923. ყველა დროში სახელმწიფოს რეალური ინტერესები მაღლა უნდა იდგეს ხალხის ინტერესებზე, თუ გვინდა სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ.

10924. როდესაც სიცოცხლე თავს დაგვიკრავს, რჩება ხსოვნა, როდესაც ხსოვნა მივიწყებას ეძლევა, ადამიანიც მაშინ კვდება.

10925. უიმედო, უმიზნო და რწმენადაკარგულ ადამიანზე უარესი, საშიში და საცოდავი არაფერია.

10926. ცხოვრება რომ შეცვალო, სტრესი უნდა გადაიტანო, სტრესი რომ გადაიტანო, აზროვნებაა საჭირო, აზროვნება რომ იქონიო, შესაძლებლობაა საჭირო, შესაძლებლობა რომ გქონდეს, ფული უნდა იქონიო, ფული რომ იშოვნო, უნდა გარდაიქმნა, რომ გარდაიქმნა, ყოფას უნდა ეჭიდაო და ბოლოს, განა ღირს ამდენ წვალებად ეს ყოფა, თუ ხვალ რა იქნება, ყველასათვის უცნობია.

10927. დავივიწყოთ ცუდი, გაუფრთხილდეთ სიცოცხლეს, დავამყაროთ ურთიერთგაგება, ვიქონიოთ გატაცება, შევქმნათ საკუთარი თავი, დავისახოთ მიზანი, დავაფასოთ რაც გვაქვს, ვიაზროვნოთ პოზიტიურად, ვაკეთოთ რაღაც, დროდადრო შევცვალოთ მოძველებული, ნიჭს გზა მივცეთ, წვრილმანები ყურად არ ვიღოთ, მოვთოკოთ საკუთარი ამბიციები, ვეცადოთ სხვაც იყოს ბედნიერი, თავს მობილიზება გავუკეთოთ, გვიყვარდეს და ვუყვარდეთ – ესაა და ეს ბედნიერი ცხოვრების ანიც და ბანიც.

10928. მართალია, ჩვენ ამ სამყაროს სტუმრები ვართ, მაგრამ მასპინძლობაც უნდა გავწიოთ, რათა უსახელოდ და დაუნდობლად არ გადავეგოთ.

10929. ვაკუუმში არავითარი ახალი არ იქმნება.

10930. დაბადების დღეზე მიძღვნილი საჩუქარი სტუმრებს არ აჩვენო, ვინ იცის, ამ დაწესებული საჩუქრის გადასაჩუქრება რომელ მათგანზე მოგიწევს.

10931. პოლიტიკას თავისი ეროტიკა აქვს, ამომრჩეველს ამდენს ჰპირდება, უმეტესობას ვერ ასრულებს, სიტყვებით ონანიზმს ეწევა და მაინც პოლიტიკაშია.

10932. ტალანტის შეფასების კრიტერიუმები მის გარდაცვალების შემდგომ დგინდება.

10933. ვიგინდარების და მედროვეთა დოღის მოთოკვა, რომელიც საზოგადოებას ამღვრევს და სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის, გონივრული მათრახის და ცენზურის გარეშე შეუძლებელია.

10934. სისულელის დაფარვას პირჯვრის გადაწერა ვერ შველის.

10935. ადამიანზე პირველი ძალადობა, მისთვის სახელის და გვარის მინიჭებით იწყება.
10936. მოჭარბებულ მახსოვრობას ზოგჯერ ვნება მოაქვს, დროულად დავიწყებას – სიმშვიდე.
10937. კლასიკურ და მასობრივ კულტურას შორის იგივე სხვაობაა, რაც ოქროსა და ბიჟუტერიას შორის.
10938. როგორც მხეცს არ შეიძლება ბოლომდე ვენდოთ, ასევე არც ყოფილი პოლიციელის ნდობა შეიძლება, რადგან როდის გაიღვიძებს მასში „ძაღლის ბუნება“ და მაძებრის სული, არავის უწყის.
10939. ფუყე ადამიანი ყოველთვის ჩასაფრებულია, იქნებ ვინმე ცნობადმა გაუღიმოს, ხელი ჩამოართვას და ამით თავი მოიწონოს.
10940. ნიჭი სწავლის გარეშე მოიკოჭლებს, ხოლო სწავლა ნიჭის გარეშე ფეხს იტეხს.
10941. რევოლუციები შოუთი, გართობით, ცხოვრების მოყირჭებით, იწყება და თავების დაყრით მთავრდება.
10942. პატრიოტული ახურება მტყუან-მართალს, ჭეშმარიტებას არ ეძებს.
10943. საჭურისის წინაშე თავის ხვადად წარმოჩენა უზნეობაა, ხოლო ბოზის პატიოსნებაზე ლაპარაკი – უზრდელობა.
10944. როცა პოლიციას ხალხი არ ენდობა, იმ ქვეყნის საქმე წასულია.
10945. ხალხი არ იცვლება, მათი გასულელება ყოველთვის შეიძლებოდა და შეიძლება.
10946. საკუთარი თავის მართვასაც რეცეპტების გამოწერა სჭირდება.
10947. ჩემი დაკვირვებით პოლიტიკა მაინც ჭკვიანი ნაძირალა პიროვნებების საქმეა, ხოლო ეკონომიკა – შემოქმედი ავანტურისტების.
10948. უფალთან ჩივილი ყველას შეუძლია, მაგრამ განაჩენის ლოდინს მიაქვს დიდი დრო.
10949. ვთესოთ სიკეთე, ვეძებოთ ბედნიერება სხვისთვის, თუ გვინდა საკუთარი ვიპოვოთ.
10950. ყველა მამაკაცს ვუსურვოთ სიცოცხლის ბოლომდე აფთიაქში მხოლოდ პრეზერვატივის შესაძენად გარბოდეს.
10951. ეკლის მთესველი ვერც ეკლიან ვარდს მოიმკის.
10952. უზნეო მიზნის მიღწევის შედეგი უფრო თვალსაჩინოა.
10953. ცარიელი ცნობიერება უამრავი სიბილწითაა სავსე.
10954. თვითგვემა თვითმკურნალობის სინონიმად არ გამოდგება.
10955. სიყვარული ის მუსიკაა, რომლის აჟღერებას დირიჟორი არ სჭირდება.

10956. მამაკაცის პრივატიზება შეიძლება, მაგრამ კერძო საკუთრებად მაინც არ ჩაითვლება.
10957. ზოგჯერ ისეთი ქალი რჩება გაუთხოვარი და ოჯახის გარეშე, რომ თვით განგებაც გაკვირვებულია.
10958. წმინდა მცნებების გააზრება, გაჯეჯილება, ადვილია, მათი რეალიზაციაა ძნელი.
10959. უგუნურისთვის შეუძლებელი არაფერია.
10960. ცხოვრებით უკმაყოფილონი სიკვდილს მაინც წიხლებით უმასპინძლდებიან.
10961. დროს უსაქმურობით კლავენ და არა – თოფით.
10962. ცრემლი ბევრ სისულელეს აფარებს ხელს.
10963. არამზადას მკურნალი ალიყურია.
10964. ღირსებას უგუნურთა შემოტევა ვერაფერს აკლებს, პირიქით – ავტორიტეტს უმაღლებს.
10965. ქალის გულის კუნჭულის გასაღები კომპლიმენტია.
10966. ჯობს გონიერება ვათოხარიკოთ, ვიდრე სწავლა-განათლებას გადავყვეთ.
10967. სიყვარული გრძნობების გენერატორია და გულის ექსპლოატატორი.
10968. ყველა მამაკაცს შუბლზე რქების დასადგმელი ადგილი მეტ-ნაკლებად მონიშნული აქვს.
10969. ობიექტურობას, კაცთმოყვარეობას, სიმართლეს, ნაციონალობა არ აქვს.
10970. ომის მძიმე არტილერია, პირველ რიგში დიდი ფულია.
10971. ფართომოხმარების ადამიანი ფართომოხმარების ცხოვრებისთვის იღვწის.
10972. პიროვნებად რომ იქცე, ჯერ ადამიანად უნდა ჩამოყალიბდე.
10973. ქართველები ევროპულ-ამერიკულ ცივილიზაციას ბაძავენ, მაგრამ მაინც აზიური მენტალიტეტით ცხოვრობენ.
10974. დღეს ფულის, გასამრჯელოს, გარეშე ცეკვა-თამაშიც კი ეზარებათ.
10975. სიამაყე საკანში გამომწყვდეულიც კი თავისუფალია.
10976. ხშირად წინათ იმას ვმალავდით, რითაც დღეს თავი მოგვაქვს და ვტრაბახობთ.
10977. მატრიარქატი უკვე დაბრუნდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გვიმხელენ.
10978. შექება ყოველთვის გულწრფელი არ არის, ხშირად სხვას ყასიდად აქებენ, რათა თავადაც შეაქონ.

10979. კრიტიკა ხშირად დიეტაზე მყოფ აგიტატორს მოგვაგონებს.
10980. გონიერი მუდამ იმაზე ფიქრობს, რა გააკეთოს, და არა იმაზე, რა გააკეთა.
10981. წყვილის ურთიერთნდობას, ნდომას, ქორწილი უსვამს წერტილს.
10982. სხვათა ცოდვების მოშველიება საკუთარი ცოდვების გასამართლებლად უზნეობაა.
10983. მომავლის იმედით ვცხოვრობთ იმისდამიუხედავად, რომ აპოკალიფსი დედამიწაზე, ადრე თუ გვიან, გარდაუვალია.
10984. ხელს თუ არ გიშლიან, უდიდესი დახმარებაა.
10985. გონიერი კაცი მტერსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.
10986. რასაც ამბობ, თუ ზედმიწევნით არ იცი, წარმოდგენა მაინც უნდა გქონდეს.
10987. ჭორი ცუდ ამბებს უფრო ენერგიულად ავრცელებს, ვიდრე კარგს, რადგან ამ უკანასკნელში მისი შურიცაა ჩადებული.
10988. კურიოზი გავიკვირვეთ, გავიცინეთ, დავივიწყეთ.
10989. გვიყვარდეს და გადავრჩებით, ვიმოქმედოთ და გავმდიდრდებით, ვიფიქროთ და გავნათლდებით.
10990. სახელმწიფოს მიზანია ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობა და არა – ვისმეს დამარცხება და დაპყრობა.
10991. წინათ თუ დიდი ადამიანები ქმნიდნენ ისტორიას, დღეს ამას დიდი ფულიც ახერხებს.
10992. პატივისცემას არ ითხოვენ, მას იმსახურებენ.
10993. ფუფუნება და სარწმუნოება შეუთავსებელია.
10994. ბრბოს განსჯას ერთი კაცის განსჯა სჯობს.
10995. ადამიანი არ იცვლება, ის უბრალოდ დროის და ტექნიკური პროგრესის შესატყვისად ტყავს იცვლის და შექმნილ გარემოს ეგუება.
10996. ბრბოდ ქცეულ ხალხს მტერი ენდო, თუ დასჭირდა, ვიღაცის ან რაღაცის ჯინაზე მაინც გაგყიდის.
10997. უგუნურება და სიამაყე ერთი და იგივე არ არის, მაგრამ გვერდი-გვერდ დგანან.
10998. მოაზროვნე სული თავს უბადრუკად გრძნობს სამყაროს წინაშე და სინანულით უყურებს ირგვლივმყოფთ, რომელთაც ეს ვერ გაუცნობიერებიათ.
10999. მტრის გარკვევა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადაც უღალატო მოყვრის.
11000. გულში დაგუბებულ რისხვას ჭკუა არ უნდა გადავაყოლოთ.

11001. ჭეშმარიტების უარმყოფი დებულება უკვე თავადაა ჭეშ-მარიტების პრეტენზიების მქონე.

11002. ბუნებით ზოგი ისეთი ამბიციურია, რომ სხვის ქორწილში სიძეობა უნდა და პანაშვიდზე მიცვალებულის ადგილას ყოფნა. დღეს ზუსტად ასეთი ხალხი მიძვრებიან პოლიტიკაში და თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც გამოდის სათუო ფინიშით.

11003. ხშირად მორალი ქვეყნის პოლიტიკაზე, კარიერის ასარბენ კიბეზე და დაფინანსებაზეა დამყარებული.

11004. ცხოვრება რთულია, ხოლო ადამიანი – მარად უკმაყოფილო და უმართავი.

11005. ადამიანისთვის თანადგომაა უმთავრესი და არა პრობლემებზე განსჯით ბაასი.

11006. როცა გონივრული აზრები გვესტუმრებიან, მათ დაუყოვნებლივ „გამასპინძლება“ სჭირდებათ.

11007. დღეს სიყვარულის ბალადა სექსის ბაზრად იქცა.

11008. დღეგრძელობის კოეფიციენტი ყველა საუკუნეს, დროს, თავისი აქვს და დღეს შეიძლება ამგვარადაც გამოიყურებოდეს: ერთი თვისა – ჩვილი, 5 წლამდე – ბავშვი, 10 წლამდე – ყმაწვილი, 15 წლამდე – მოსწავლე, 20 წლამდე – ახალგაზრდა, 30 წლამდე – დასაწყვილებელი, 45 წლამდე – დაღვინებული, 60 წლამდე – შუა ხნის, 70 წლამდე – ჭარმაგი, 80 წლამდე – ხანდაზმული, 90 წლამდე – მოხუცი, 100 წლამდე – დღეგრძელი, 101 წლის შემდეგ – მზეგრძელი.

11009. ჯობს ხალხს ცხოვრებისეული კომფორტის შექმნა ასწავლო, ვიდრე შენ შეუქმნა, რათა სხვის იმედზე ცხოვრებას არ დაეჩვიოს.

11010. ბედს არ უნდა დაველოდოთ, მისკენ ნაბიჯები უნდა გადავდგათ და დროულად შევეგებოთ.

11011. სიმდიდრის ზრდას მოშურნენი უპატიოსნებასთან აიგივებენ, მაგრამ წინააღმდეგნი არ არიან თავადაც ასეთივე ცოდვილები იყვნენ.

11012. სიბერისთვის ჯეელობიდანვე უნდა ვემზადოთ, თუ გვინდა ღრმა სიბერეს ფეხზე მდგომი და სკლეროზის გარეშე შევხვდეთ.

11013. გულით ნაკეთები სიკეთე საზღაურს არ ელის.

11014. სიკეთე და სიავე გონის მოსახმობად გვერდიგვერდ დააბიჯებენ.

11015. უაღრესმა პატივმოყვარეობამ გულის გაქვავება იცის.

11016. ყველაზე უღირს ადამიანსაც კი ერთხელ მაინც აღფრთოვანებით ეგებებიან – როცა დედის საშოს ტოვებს.

11017. მარადისობასთან კავშირი გონებამ სიცოცხლეშივე უნდა განსაჯოს და გაითავისოს.
11018. მარად ბავშვად დარჩენის გენი თავისებური ჯილდოა.
11019. მეგობარი იქაც უნდა ვეძიოთ, სადაც ამის თეორიული ბაზისიც კი არ არის.
11020. კარგია თუ დღევანდელი დღე ხვალინდელს პერსპექტივას უსახავს, ზეგინდელს კი ჭკუას ასწავლის.
11021. დღევანდელობა მეტ დაფასებას მოითხოვს, რადგან ხვალ რა იქნება, არავინ უწყის.
11022. გაკიცხვა გამკიცხავს გაკიცხულზე მაღლა არასოდეს წარმოაჩენს.
11023. განკითხვას ისევ გამოკითხვა სჯობს, მეტ სარგებელს იძლევა.
11024. ხშირად სიტყვას სეტყვაზე მეტი ზიანი მოაქვს.
11025. ხშირად ჩვენივე ჭორის მძევლები ვხდებით.
11026. ინტერნაციონალური ეკონომიკა გაცილებით მეტ სარგებელს იძლევა, ვიდრე ამპარტავნული ნაციონალური.
11027. ცხოველის დონეზე მცხოვრები ადამიანი პროტესტს არ გამოთქვამდა, მაგრამ როგორც კი ცხოვრების პირობები შეუქმნეს და პიროვნებად აღიქვეს, მაშინვე უკმაყოფილების და პროტესტის სურვილი გაუჩნდა.
11028. ზოგიერთი თანამეინახის ყოლას მოწინააღმდეგის ყოლა ჯობს, მასთან შეჯიბრით მაინც გაირთობ თავს.
11029. ხშირად დიდ საფრთხეს თავს ვარიდებთ, მაგრამ პატარა გამოტყვრება და ბოლოს გვიღებს.
11030. სიზარმაცე მარად მისთვის მიუწვდომელი სამუშაოს ძიებაშია.
11031. ყოყოჩი ნუ იქნები, მაგრამ არც საკუთარი მეობა უნდა „დაკოდო“ ზედმეტი მოკრძალებით.
11032. ბრიყვების აზრი, ჭკვიანების აზრებისაგან განსხვავებით, ერთმანეთს ემთხვევა.
11033. ფული ყველაფერი არ არის, მაგრამ უფულოდ ვერაფერს შექმნი.
11034. სამწუხაროდ, ზოგჯერ ყველაზე უხერხულად ის სტუმარი გრძნობს თავს, რომელიც დათქმულ დროზე მოდის და პუნქტუალურია.
11035. შრომა, შედეგის გარეშე, უაზრობაა, ხოლო წარმატების გარეშე – დაუფასებელია.
11036. ცხოვრება თავს გადამხდარი თავგადასავლებით იზომება და არა – წლებით.

11037. სიტყვის თავისუფლება ფსიქიკურად დავადებულთა ოდენობას ამცირებს, რადგან თქვა უაზრობა და მოგისმინონ, ისიც მკურნალობაა.
11038. სიბრიყვე სიბრძნის მარიონეტია და მის წარმოჩენას ემსახურება.
11039. რაც გვაქვს, სათანადოდ ვერასოდეს ვაფასებთ, მათ შორის, ფულს, სიყვარულს, შთამომავლობას.
11040. ღმერთმა ნუ ქნას, ფეხი დაგიცდეს, თორემ ჭკუის დამრიგებელთა და კეთილისმდომთა არმია აღლუმის გამართვას დაგიწყებს.
11041. ის, რაც ჩვენ გვინდა და მოგვწონს თეორიაა, ხოლო რაც არ მოგვწონს – პრაქტიკა და რეალობა.
11042. ბოროტებასთან ჭიდილი ადამიანად გვაყალიბებს.
11043. სილამაზე ჭკუას არ ეტრფის, ამ უკანასკნელს კი სილამაზის შურს.
11044. ღარიბის ტანზე დანახული დახეული ტრუსი ნაღველს იწვევს, მდიდრის ტანზე – სიცილს.
11045. ჭკვიანმა თავისი შესაძლებლობა იცის და უკმაყოფილოა, ბრიყვმა არ იცის და კმაყოფილია.
11046. ზოგიერთისთვის ცოდნა-განათლებაც ბოროტების საწყისია.
11047. კარიერისკენ სწრაფვა ყოფის წესების დაცვას ვერ იტანს.
11048. ჭკუის დამრიგებელი ბევრია, მაგრამ მათში მოძღვრის ამორჩევა ძნელია.
11049. საზოგადოების ფეხის ხმას აჰყევ, მაგრამ არ ენდო.
11050. სანახევრო ყველაფერი მიუღებელია, შედეგის მიუხედავად.
11051. მარადიულობა კარგია, მაგრამ არა სიცოცხლე, ნაკლებს იწვალებ.
11052. ფილოსოფია აზრთა ჭიდილია, შერკინების თავიდან დაწყების ტენდენციით.
11053. ბრიყვის გათამაშება დანაშაულია.
11054. გრძნობათა ღელვის დაღვინება ჭკუის დამაჭრებით ხდება.
11055. უგუნურის იარაღი, უსინდისოს ძალაუფლება, მექრთამის ფული – ესაა ქვეყნის ამოგდების წინაპირობა.
11056. სიყვარულის ფიზიკა, ვნების ქიმიაზე, შერწყმის ბიოლოგიაზე, გათვლის მათემატიკაზე და ენის ამეტყველებაზეა დამყარებული.
11057. უაზროდ გარჯას, უაზროდ ნებივრობა სჯობს, სხვას მაინც არ ავნებ.
11058. ჯეელობაში ოცნებაც თავქარიანობით გამოირჩევა.
11059. ჭეშმარიტებით შეფუთული შეცდომები საშიშია.

11060. გაბუქებული მუქარა და ისიც სხვათა იმედით, სუსტთა ხვედრია.
11061. ღმერთის რწმენა ხშირად ჭკუის არარენტაბელურად დაბანდების ბრალია.
11062. უმეცრებასთან ჭიდილი უმეცრებაა კვადრატში.
11063. დასნეულებულ აზრებს მედიკამენტები არ შველის.
11064. ცრემლსაც თავისი სიტკბო, სილამაზე და ვნება ახლავს, გააჩნია ვისი თვალებიდან ცვივა.
11065. ყველაფრის ბოლოში არაფერია.
11066. თუ სხვამ იცის, რომ შენ ის იცი, რაც მან არ იცის, ისიც ცოდნაა.
11067. ყველა მონაყოლის შერყვნა შეიძლება, გააჩნია გამხმოვანებელს.
11068. ცხოვრება რთულია, მაგრამ მის ლაბირინთებში ხეტიალი ღირს.
11069. სულელებს ყველა ჭკუას ასწავლის და ამით ხშირად ჭკუის მასწავლებლები ზარალდებიან, რადგან სულელი ისევ სულელად რჩება, ხოლო ჭკუის სწავლება ყბედობად დარჩება.
11070. უაზრობაც აზრს შეიძენს თუ ფილოსოფია წაეჩალიჩება.
11071. ერთ უგუნურს მრავალი ჭკვიანის გატუტუცება შეუძლია.
11072. ხალხს მარად „ბუს კვერცხები“ რჩება.
11073. რა კარგი იქნებოდა, ბრძენი რომ ისევე მიერეკებოდეს სიბრძნის საძოვარზე ადამიანებს, როგორც მწყემსი ჯოგს მიერეკება.
11074. მასას საქმისადმი სიყვარული, თავდადება, არ ახასიათებს, ამასთან ერთს ლაპარაკობს, მეორეს ფიქრობს, მესამე გამოსდის და თავი „ტალეირანი“ ჰგონია.
11075. უპოვარნი, რატომღაც, მდიდრებს ზნეობის არქონაზე მიანიშნებენ, მაგრამ ადგილს სიამოვნებით გაუცვლიან.
11076. ბრბოს სიყვარული-სიძულვილი პირობითი და არასანდოა, რადგან მისი ხასიათის ცვალებადობა ხშირად თავში ერთ წამორტყმაზეა დამყარებული.
11077. ცოლს, ადრე თუ გვიან, შევირთავთ, მაგრამ სიბერეში უცოლოდ ყოფნის პერიოდი გვაქვს სასიამოვნოდ გასახსენებელი.
11078. დღევანდელი ქართული პენსია სიკვდილის უვერტურაა.
11079. ქართველები „ღმერთის რჩეული“ ხალხი ვართ, მაგრამ ეტყობა, ღმერთს დავავიწყდით ან ჩვენზე არც კი უფიქრია.
11080. სიცილს, ღიმილს, იუმორს, ბევრი საჭირბოროტო საქმის მოგვარება შეუძლია.

11081. დღეს ოქროს ბორკილი უფრო მოსწონთ, ვიდრე ცარიელი თავისუფლება.
11082. „მასმედიის“ თერაპია უსაქმოდ დარჩენილ ხალხს „მკურნალად“ ვერ გამოადგება.
11083. ბედს ის ახსენდება, ვინც მიზანდასახულია, გადაადგილება არ ეზარება და თავიც არ ავიწყდება.
11084. ღმერთი ერთია, სხვადასხვა შეხედულებათა ჭიდილის მიუხედავად.
11085. ზოგჯერ აუცილებლობა გვაიძულებს ბოროტების ანბანს ვეზიაროთ.
11086. ტყუილით სიამოვნების მიღება გახალისების დროებითი მუხტია.
11087. უგვანოთა გატკეპნილ გზაზე სიარული პატიოსნებას გვაშორებს.
11088. ვეცადოთ საკუთარი თავის მსახურები ვიყოთ, თუ გვინდა მოყვასსაც გამოვადგეთ.
11089. დაკარგვა გვაგრძნობინებს ხელახლა მოპოვებულის მადლს.
11090. ხელში თუ ძალაუფლების ჩაქუჩი გიპყრია, ყველა ქვეშევრდომი ლურსმნად გეჩვენება და ყოველთვის შეგიძლია მათ თავში ჩარტყმით გაუმასპინძლდე.
11091. ცრურწმენას, რატომღაც, ასაკის მატება საკმეველს უკმევს.
11092. ღმერთი თუ ჩვენშია, მაშინ არც ცოდვების ჩადენის უფლებას უნდა გვაძლევდეს და თუ გვაძლევს, მონანიებაც არ უნდა მოგვთხოვოს.
11093. წარსულს არ უნდა დავემდუროთ, რათა მომავალთან შეხვედრა არ გაგვიჭირდეს.
11094. ვინ იცის, რამდენი რძალი ნანობს, დედამთილმა რომ დროულად აბორტი არ გაიკეთა.
11095. ინტელიგენტია, ვისაც ყველაფერში ეჭვი ეპარება და მათ შორის, საკუთარ თავშიც.
11096. პოლიტიკოსი ცინიკოსია, ინტელიგენტი მარად მერყევია და უიღბლოც.
11097. საკუთარი თავისადმი სიყვარული გარეშეთა შურს არ იწვევს.
11098. სიკეთის და სიბრძნის შერწყმა ადამიანს პიროვნებად, მოქალაქედ და ქვეყნის მოჭირნახულედ აქცევს.
11099. ცოდვის აღიარება კარგია, მაგრამ მთავარია მისი არგამეორება.
11100. ბედნიერი შემთხვევის და იღბლის ხელის წამოკვრის გარეშე, წარმატებას იშვიათად თუ ვინმე აღწევს.

11101. ღამეებს სასიამოვნო ფიქრებთან ვაჭრობით ვატარებთ.

11102. ჯარისკაცობა ხშირად ხელფასის სიცოცხლეზე გადაცვლის რეალური რისკია.

11103. ფაქტობრივად კალენდარი ჩვენი იმქვეყნად გადასაბარგებლი დღეების დასათვლელად არის მოგონილი, სადღესასწაულო დღეების მონიშვნით და ყოფის გალამაზებით.

11104. ენაზე კბილების დაჭერა-აშვების ალგორითმი დღემდე შეუსწავლელია.

11105. ქილერის ყველაზე საყვარელი სალოკი თითია, რადგან მისთვის ის სამუშაოს შემსრულებელიცაა და ფულის მომტანიც.

11106. ჩვენ ეშმაკს კი არ ვატყუებთ, არამედ ის თავს თავად იტყუებს, რადგან ზოგჯერ კარგ ხასიათზეა და გართობა უნდა.

11107. სიყვარულში ჩაძირულ ჭკუაზე ვერავითარი ამომგდები ძალა ვერ მოქმედებს.

11108. სულიერების სუროგატზე ნაჯვარ თაობას ყველა საუკუნე თავისი ლიმიტით უშვებს.

11109. სიყვარულის, რიდის, მადლიერების, მოვალეობის, განსჯის, სურვილი როდესაც იკარგება, ფაქტიურად ცხოვრებაც მოთავებულია.

11110. სიბრძნე და სიბრიყვე ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ იუმორი თუ სხარტია, ორივეზე გულიანად იცინის.

11111. ეკლესიის მსახური სხვათა ცოდვებს ამქვეყნად ისმენს და შეუნდობს, ხოლო მის ცოდვებს იმქვეყნად ისმენენ და შეუნდობენ თუ არა, საკითხავია.

11112. დროის და გონის ყივილის შესატყვისად, დევალვაციას სექტების სახით, რწმენაც განიცდის, რადგან ღმერთი ერთია, სარწმუნოება – მრავალი, ხოლო ადამიანის ავყია ბუნება თავის გამოჩენა-წარმოჩენის სურვილით უცვლელია.

11113. სამუშაო შედეგით ფასდება და არა – მასზე დახარჯული დროით.

11114. ძუნწს ფული აღიზიანებს, მექალთანეს – ქალი, მეცნიერს – ახალი იდეა, ასე, რომ ყველა თავისი სტიმულის შესატყვისად იღვწის.

11115. ცივილიზაცია ძველი ლამაზმანია, რომელსაც დაფინანსების გარეშე არაფრის კეთება არ უნდა.

11116. სამხედრო ბიუჯეტი ის უძირო ქვაბია, სადაც პატრიოტიზმის ყურის მოთრევით, ყველას ხელის მოთბობა შეუძლია, თუკი მასთან საქმე აქვს.

11117. პოლიტიკა კი არა, მთელი ცხოვრება შოუ გახდა, რადგან სიტყვის მადლმა ფასი და ადრესატი დაკარგა.

11118. კონკურენციის, ურთიერთდაპირისპირების და გამოთაყვანების გარეშე რომ ცხოვრება არ შეიძლება, ამაზე თუნდაც სარწმუნოებათა სიმრავლე მიგვითითებს.

11119. აფორიზმი გონების ჩახმახზე შეყენებული სასროლი იარაღია, რომლიდან ნასროლი სიტყვა მიზანში ხვდება.

11120. აფორიზმი ის ზვიგენია, რომელიც ყბედობისთვის გამზადებულ აზრებს სიამოვნებით სანსლავს.

11121. ჯოჯოხეთში ცხოვრება შეიძლება, ოღონდ სამოთხეზე ოცნებით.

11122. ჯოჯოხეთი არალეგიტიმური სამოთხეა აქტიური და შემოქმედი ხალხისთვის.

11123. ცხოვრება ცირკია, სადაც კლოუნადას უმეტესობა აპლოდისმენტების გარეშე ამთავრებს.

11124. სიყვარული მონობა თუ არა, დროებით სიამოვნებით თავისუფლების დაკარგვა მაინცაა.

11125. ქალი კომპლიმენტს დროებით ნებდება, მაგრამ ტყვედ არ ბარდება.

11126. რეალობასთან შერწყმულ ათეიზმს ვერც ერთი რწმენა ვერ სჯობნის, რადგან მას საქმე აწმყოში აქვს გადასაჭრელ-საკეთებელი.

11127. ჭკუის სიღარიბეს ყველა სახის გაჭირვება და უქონლობა სჯობს.

11128. ახალგაზრდობას ენერგია და ცნობისმოყვარეობა აიძულებს საყვარელ ქალს უღალატოს, სიბერეს ცოდნის გაფართოების სურვილი აწუხებს, მაგრამ ღალატის თავი არ აქვს, საინტერესოა, საბოლოოდ ცოლს რა მოსწონს: ახალგაზრდული ღალატი თუ ბებრული ერთგულება.

11129. იყო ადამიანი პროფესიაა, იყო კარგი ადამიანი – მოწოდება.

11130. მწყემსი აჩვენებს ცხვრებს თუ საით უნდა წავიდნენ, ხოლო მორჩილი ძაღლები – საით არ წავიდნენ. ესაა და ეს ქვეყნის და სახელმწიფოებრიობის ალგორითმი.

11131. დემოკრატიული აზროვნების და ტექნიკური პირობების წინსვლის შედეგად ციხეში ყოფნა შედარებით გაიოლდა. ვინ იცის, შეიძლება მომავალში ჯოჯოხეთმაც პროგრესი განიცადოს და იქ ყოფნაც შესაძლებელი და მისაღები გახდეს და ამდენი მონანიებაც ღმერთის წინაშე არ დაგჭირდეს.

11132. სიცოცხლის გარკვეული ნაწილი ეშმაკისთვის უნდა ვიცხოვროთ, თორემ რწმენის ძალას ვერ შევიცნობთ, რადგან პატიოსნად ნაცხოვრებს მოსანანიებელი და შესანდობი აღარაფერი გვექნება.

11133. ხანდახან წაგება თავისუფლებას გვანიჭებს და დასვენების უფლებასაც გვაძლევს.

11134. ფული შესაძლებლობაა და არა – ბედნიერება.

11135. კრიზისის, გაკოტრების, ნაკლი ისიც არის, რომ ვალში ყველაფერს ჰკარგავ, გარდა ცოლისა და სიდედრისა.

11136. ყველა რევოლუციას, გადატრიალებას, ბუნტს, მასა ტაშ-ფანდურით მიჰყვება, მაგრამ შედეგზე პასუხისმგებლობა არავის უნდა.

11137. ზოგჯერ სიმართლის თქმაც დანაშაულია, რადგან შურისძიების და რევანშის სურვილს იწვევს სამართლიანობის აღდგენის სახელით.

11138. ყველა წამის დამახსოვრებას უნდა შევეცადოთ, რადგან ის არასოდეს განმეორდება.

11139. ყველა უფულო ოჯახში ცოლი გადასახადის ამკრეფს მოგვაგონებს, რომელსაც ქმარი ურჩ გადამხდელთა სიაში ჰყავს შეყვანილი.

11140. ისიც საქმეა, თუ ვინმე გძულს და სძულხარ, ექიშპები ან გექიშპება ე.ი. დროს მუქთად არ აცდენ, არ უსაქმურობ.

11141. ბედიც თავისებური მატარებელია, რომელიც არასოდეს არ მოდის განრიგის და წინასწარი გრაფიკის მიხედვით.

11142. თუ ქალი საერთოდ გამოცანაა, მაშინ ცოლი ამოუხსნელი რებუსია.

11143. დღეს ნგრევაც პროფესიონალიზმს მოითხოვს.

11144. ზოგი ისეთი ქალი იბადება, რომ მასთან ეშმაკობას ეშმაკიც გაურბის.

11145. ზოგჯერ ქალი მობილური ტელეფონივითაა, ან თან უნდა ატარო, ან გამუდმებით ელაპარაკო და დღის ანგარიში ჩააბარო.

11146. აკეთო ის, რაც შეგიძლია და სხვასაც მოეწონოს, დიდი ბედნიერებაა.

11147. მექალთანეა ის, ვისაც ლამაზებისკენ თვალი გაურბის, მაგრამ მახინჯებსაც სწყალობს.

11148. ზოგჯერ იმასაც არ გვპატიობენ, რაზეც არც კი გვიფიქრია.

11149. აზრის დაღვინება მისი „ჩამოსხმის“ საშუალებას იძლევა.

11150. ბოროტება ყოველთვის სიკეთის ჩათრევის ცდაშია.

11151. მამული, ენა, სარწმუნოება, იმ ქვეყნაში, სადაც წესრიგი არ სუფევს, მხოლოდ ყბედობის საგანია.
11152. ქალები სახიფათონი არიან, მაგრამ დიდი სარგებელი მოაქვთ სიყვარულის და კვლავწარმოების საქმეში.
11153. სიცოცხლე სამყაროს შესაცნობი პატარა კარის დროებით გაღებაა, ხოლო სიკვდილი ამაოების კარებისა – ფართე და სამუდამო.
11154. მრავალფეროვნება სიამოვნებისთვის გამოღვიძებული ვულკანია.
11155. პწკენა-პწკენით ცნობიერება ირყვნება, ხოლო წკიპურტებით – პატიოსნება.
11156. რომელიმე საუკუნეში „შეშლილად“ ცნობილს, მომდევნო საუკუნეები გენიოსად აღიარებენ.
11157. ფარხმალის დაყრა არცერთ ასაკს არ ეპატიება.
11158. მოევლინე, წაიჩალიჩე, წაჩანჩალდი – ესაა და ეს ცხოვრების ალგორითმი.
11159. ტყუილის თქმა ცუდია, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება პეწს ჰკარგავს და არც გამოდის.
11160. მადლს მადლის წილი არ უნდა შეევაჭროს.
11161. შეუთავსებლის შეთავსებას ხშირად სარწმუნოება და პოლიტიკა ცდილობს.
11162. საღვთო მოძღვრება ფილოსოფიასთან მიახლოებას ცდილობს, მაგრამ ჭეშმარიტების მოძიების თავის გზას ეძებს.
11163. წყენის მიტევება ყველას არ შეუძლია, თუ სიყვარულს არ ჩავრევთ.
11164. ხორცს ზოგჯერ სულიერებისაგან გათავისფლება ძალას ჰმატებს და სიხარულსაც ჰგვრის.
11165. ხალხს ბოლომდე არ უნდა ვენდოთ, რადგან დღეში ერთი საათი მაინც, მისდაუნებლიედ, უგუნურად ყოფნა ეხალისება.
11166. ის, რაც დღეს ჯეელისთვის ადრეა, შუა ასაკისთვის აუცილებელია, რადგან ხვალ გვიან იქნება.
11167. არამზადა ყოველთვის იმის მხარესაა, ვისგანაც ხეირს გამოელის ე.ი. მოსახლეობის 90% მაინც არამზადა ყოფილა.
11168. პოლიტიკური ოპოზიცია, ძირითადად, მაინც განაწყენებულ და ხელმოცარულ ადამიანთა ხვედრია.
11169. უაზროდ გაშვებულ დღეთა შესანდობარს ყანწით არავინ სვამს.
11170. პოლიტიკაში თანამდებობების გაყოფაა ძნელი და არა – იდეოლოგიის.
11171. ცხოვრება მარათონული სირბილია, სპრინტერული აჩქარებით.

11172. ტუალეტის ქაღალდი პროგრესია, სატუალეტე ლიტერატურა – რეგრესი.
11173. ქალები მამაკაცს სიყვარულის ახსნის ლიცენზიით თვალების დაჟუჟუნებით აჯილდოებენ.
11174. ქალს ყოველთვის უნდა დაედევნო, თუ დაწევა ჯერ კიდევ შეგიძლია.
11175. არის საიდუმლო, რომელიც არც სხვას უნდა გაანდო და თავადაც თანდათან უნდა დაივიწყო.
11176. კერპებსაც თავიანთი ცვეთის დრო აქვთ.
11177. არცოდნის უფლება ცოდნის შეძენით უნდა მოიპოვო.
11178. არის ცოდვა, რომლის მონანიებას წმინდანების პროტექციაც არ შველის.
11179. სიყვარულისთვის კოცნა სინჯის აღების მცდელობაა.
11180. სიავე ყველა ადამიანის გულში თესია, მაგრამ მას გახარების უფლება არ უნდა მივცეთ.
11181. სიზმარში ჩადენილ დანაშაულსაც სისხლის სამართლის მუხლი უნდა მივუყენოთ.
11182. ლიტონი სიტყვებით ქადაგი ფულის უქონლობამ იცის.
11183. სხვათა ნაკლის ძიება საკუთარი ნაკლის დაფარვის მცდელობაა.
11184. ეშმაკი ვერას დაგვაკლებს თუ ღმერთმა წაყრუება არ ინება.
11185. გულგრილობის დამალვა შეუძლებელია.
11186. თანაგრძნობა ადამიანად გვაყალიბებს.
11187. ფილოსოფია ამაოების შეცნობით იწყება.
11188. გულუბრყვილობაა ყველგან სამართლის ღაღადი, რადგან ზოგს ტყუილნარევი სიმართლე ურჩევნია.
11189. საკუთარი ცოდვებით ზოგი თავს იწონებს.
11190. წიგნის კითხვა ბრიყვს ჭკუას ვერ მატებს.
11191. ბოროტებას აქტიურად უნდა ვებრძოლოთ, რადგან მარტო გულზე ხელის ბრაგუნი არ კმარა.
11192. ლოგინში ანგელოზზე ფიქრს, ისევ რეალობაში მეძავთან წოლა სჯობს.
11193. მეცნიერება სიცოცხლის უკვდავი ხეა, თუ მას უგუნურები მოჭრას არ მოუნდომებენ.
11194. საკუთარი არარაობის გააზრებაც ზოგჯერ რეიტინგს გვიმაღლებს.
11195. თანასწორი ძალები მშვიდობიან თანაარსებობას არჩევენ.

11196. წარსული არ უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ზოგიერთი რამის მიფუჩეჩება მოგვიწევს.
11197. საკუთარი თავის შეფასება არ ღირს, მაინც არაობიექტურები ვიქნებით.
11198. სიტკბო-სიმწარის გეგმაზომიერი მიღება ჩვენი ყოფის ანი და ბანია.
11199. ეცადე შენი პირადი საქმიანობა სხვისთვის მაგალითი იყოს.
11200. ნაჩქარევად არაფრის კეთება არ ღირს, თვით ბავშვებისაც.
11201. „მეგობრების“ ოდენობა შენი კარიერის და შესაძლებლობების შესატყვისად დიდდება ან მცირდება.
11202. სიცოცხლის ხანგრძლივობა ცხოვრების შინაარსით ფასდება, ხოლო ფინიში – ღირსეული დანატოვარით.
11203. ტყუილმა მიჩვევა იცის.
11204. სასჯელი დანაშაულის წინაშე სირცხვილით არ უნდა გაწითლდეს.
11205. უგუნურთან აკადემიურ დონეზე დავა შეუძლებელია, ამიტომ საქმის სასარგებლოდ, დროებით, მის დონემდე უნდა ჩამოქვეითდე.
11206. დაუეჭვებელი ადამიანი ნახევრადბრიყვია.
11207. ვეცადოთ ასაკს გარეგნულად ჩამოვრჩეთ.
11208. ხელისუფალი გონიერი, მომთხოვნი, შემოქმედი, ეშმაკი, უნდა იყოს და არა – ფრთებგამოსხმული ანგელოზი.
11209. სიკეთის კეთება სიკვდილის შემდგომაც შეიძლება.
11210. ყველა ჩვენგანს აქვს მთვარისებური უხილავი უკანა მხარე, რომლის სინათლეზე გამოტანას ვერიდებით.
11211. თანხმობა და თანადგომა ყველა სიძნელეს ბიშტს უჩვენებს.
11212. უგუნურება დავაში ყვირილზე გადადის, რადგან არგუმენტი გამოელია.
11213. გამოცდილება ის საჩუქარია, რომლითაც უგუნურები არ სარგებლობენ.
11214. ცხოვრების პირველ ნაწილს თავის დამკვიდრებას ვუძღვნით, მეორეს – შვილების ფეხზე დადგომას, მესამეს – შვილიშვილებზე ზრუნვას, მეოთხეს – თავის მოსაფხანად ვიყენებთ, რადგან ფინიში ახლოსაა.
11215. გონიერება სიამაყისგან გვათავისუფლებს.
11216. გენია აღმოაჩენს, ნიჭი აპროექტებს, ხელები აშენებს.
11217. ზოგჯერ უმნიშვნელო გადაცდენაც კი ბედისწერის როლს ასრულებს.

11218. ამბიციურ ხალხთან მეგობრობა საკმაოდ ძნელი და უიმედო საქმეა.
11219. ტყუილის ტკივილს ერთი წმოკივლება-შეყოვნებით ვითმენ, მწარე სიმართლეს კი წვეთ-წვეთობით და ხანგრძლივად.
11220. ზოგჯერ პოტენციურ კონკურენტს თავი უტვინოდ უნდა მოაჩვენო, რათა არ შეშურდეს და კარიერის კიბეზე ასვლაში ხელი არ შეგიშალოს.
11221. ეჭვიანობა უჭკუობაცაა, დაავადებაც და საკუთარი თავის უპატივცემულობაც.
11222. ბედისწერასაც გონიერება თავის ჭკუაზე ფუთავს.
11223. სხვის კვალში ჩადგომა დაკვირვებას მოითხოვს, თავად რომ გაკვალო – ნიჭს.
11224. ყველას რომ ენდო, სიბრიყვეა, ხოლო ტოტალური უნდობლობა ბოროტებაა.
11225. ბოროტების მიჩუმათება არ შეიძლება, ფესვებს იდგამს.
11226. ძლიერი შემოქმედი ყოველთვის ოპტიმისტია.
11227. კულინარია განეკუთვნება მეცნიერებას, რომელშიც თავმოყრილია მისი ყველა დარგის საწყისი, ხელოვნების დამატებით და დაგემოვნების თანდაყოლილი ნიჭით.
11228. სული ოცნების, ქმედების, მცდელობის, გარეშე, ბუშტის გასაბერი ჰაერია.
11229. ეჭვის გაღვიძება ადვილია, მისი გაფანტვაა ძნელი.
11230. ფეთქებად ხასიათს უგუნურების ასაფეთქებელი ზონარი უნდა დავუგრძელოთ.
11231. წარსულის რაიმე ნაპერწკალი ყველა ჩვენგანის სულს უნდა ათბობდეს.
11232. ბრძენი ახალ სიბრძნეს ეძებს.
11233. არასწორი ცოდნა უვიცობაზე უარესია.
11234. სიძულვილის დავიწყებას „სკლეროზიც“ კი ვერ ახერხებს.
11235. მამაკაცმა ქალს ისე ვნებიანად უნდა შეხედოს, რომ მაშინვე ლოგინის გაშლა მოუნდეს.
11236. არაკაცის შემოთავაზებულ დახმარებას, სამსახურს, უნდა ვერიდოთ.
11237. პატისონებაც მოსაბეზრებელი ხდება, თუ დივიდენდებს არ იძლევა.
11238. წარსული „დასამახსოვრებელი“ ფერუმარილითაა შემკული, აწმყო – ჩალიჩით, ხოლო მომავალი – იმედით. ესა და ეს ჩვენი ამქვეყნად ყოფნის აქსიომა.

11239. უჭკუოები ჭკუას დასდევენ, ჭკვიანები – ფულს.
11240. გველს მისი შხამი არ ვნებს ენისგან განსხვავებით.
11241. ოპონენტი ხშირად იმაზე გვედავება, რის გაკეთების თავი თვითონაც არ აქვს.
11242. პატრიოტიზმი ხშირად ერთ თარგზე მოჭრილ ინდივიდებს ამრავლებს.
11243. მჭევრმეტყველება თვალებს უფრო დაეჯერება, ვიდრე – ენას.
11244. პოლიტიკას დიდი ყურები და მხარზე გადაგდებული ენა უნდა ჰქონდეს.
11245. ტანჯვას მახსოვრობა არასოდეს ღალატობს.
11246. ზოგს სხვისი პომპეზურად დასაფლავებაც კი შურს და აფექტში თანახმაა ადგილები გიცვალონ.
11247. ბრძოლის დაწყებამდე ერთი კუბური მეტრი მიწის ამოღება ჯობს თავის დასაცავად, ვიდრე შემდეგ ორი კუბური მეტრისა დასამარხავად.
11248. გულკეთილობა ხშირად ზვარაკის როლში გვამყოფებს.
11249. თამადა, რომელიც ფულს იღებს და არა – ძღვენს, თამადა კი არა – კულტმუშაკია.
11250. აზრიანი და უაზრო ცხოვრება ხელიდან ერთნაირად გვეპარება.
11251. ბედის ვარსკვლავის დასანახავად მოწმენდილი ცა აუცილებელი არ არის.
11252. უმთავრესია არა იმდენად ცოდნა, რამდენადაც მისი გამოყენების უნარი.
11253. ხარჯვას ცოდნა უნდა, ცოდნას – დაფინანსება, დაფინანსებას – ფულის შოვნა, ფულის შოვნას – ცოდნა, ცოდნა.... ცოდნა.
11254. არ უნდა ვიწუწუნოთ იმაზე, რაც არ გვაქვს, ჩვენი არ არის და არც არასოდეს იქნება.
11255. ფილოსოფიაა, რაც სიკეთეს ემსახურება და ბოროტების აღმოფხვრას ცდილობს.
11256. სახელმწიფო მოღვაწე, ქვეყნისთვის თავდადებული ხელისუფალი, ფიქრობს რას იტყვის მასზე მომავალი თაობა, ხოლო პოლიტიკოსი – ხვალ რამდენი ამომრჩეველი დაუჭერს მხარს.
11257. ანგელოზად ვიბადებით, მაგრამ ეშმაკებად ვკვდებით.
11258. ხშირად ისაა „პატრიოტი“, ვისაც გასაქცევ-წასასვლელი არ აქვს.
11259. მეგობრობა გაჭირვების დროს მორთმეული ნობათია.
11260. ამპარტავნება ხმელი ტოტივოთაა, ხელს შეავლებ და იმტვრევა.
11261. ჩათვალო ცოდვად ის, რის გახსენებაც გსიამოვნებს, ძნელია.

11262. უამრავი პლუსის მიუხედავად, ზოგჯერ ადამიანი მაინც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.
11263. ოჯახი მაშინ უნდა ჩაითვალოს შექმნილად, როდესაც ქმარს ცოლის საყვედურები, ჭკუა-დარიგება, იავნანად ესმის და ერთი ყურიდან მეორეში უდანაკარგოდ ატარებს.
11264. ცილისმწამებელი ახლოს არ უნდა გავიკაროთ: ცილს დაგვწამებს, რომ ცილი დავწამეთ.
11265. თანამდებობას ხშირად ძველი ნაცნობების მიმართ გულმავიწყობა სჩემდება, სანამ ჩამოაქვეითებენ.
11266. სინდისი სულის ინკვიზიტორია და მოზღვავებული გრძნობების ჯალათი.
11267. აზროვნებას სისადავე უხდება.
11268. ბრიყვის გამოსწორებას არ ცდილობენ, უბრალოდ, ერიდებიან.
11269. უმეტესობას თავში წამორტყმა და უკანალის დაჭიტლაყება გაცილებით მეტ საქმეს აკეთებინებს, ვიდრე ჭკუის დარიგება და გამოცდილების გაზიარება.
11270. ადამიანთა უმრავლესობას რეალური საკუთარი აზრი არ აქვს და საინტერესო ისაა, რომ არც სჭირდებათ.
11271. ბოროტებას სარგებელი არ აინტერესებს, მთავარია ვისმეს ავნოს.
11272. საკუთარ შეცდომებში რევიზიით განავარდება უკვე გამოცდილებაა.
11273. აზრთან კამათი აზრიან შედეგს იძლევა.
11274. გენიალობას თავისი კრედიტი აქვს გახსნილი სამყაროს გონიერების ბანკში, საუკეთესოს დასაგროვებლად და დაინტერესებულ პირებზე გასაცემად.
11275. გაუხარელი სიყვარულის მახსოვრობა უკვდავია.
11276. ყველა დიდი საქმე პატარათი იწყება.
11277. ახლობელს ხშირად მისი დაკარგვა გვაყვარებს.
11278. რწმენა ჭეშმარიტებად მიიჩნევს იმას, რასაც ვერ ხედავს.
11279. ჟურნალისტიკა მსუბუქი ყოფაქცევის ლიტერატურაა.
11280. მდუმარე მწუხარება ათმაგი ტანჯვაა.
11281. სიძვირის რაობას შემოსავლების ოდენობა განსაზღვრავს.
11282. ბევრის ცოდნა მეტი ცოდნის შეძენის სურვილითაა დაავადებული.
11283. ცხოვრების თავიდან დაწყება ყველა მომდევნო საუკუნეში უნდა ხდებოდეს, რათა შედარების საშუალება გვქონდეს – ღირდა კი მეორედ მოსვლა?

11284. ფიქრით, ოცნებით, ფანტაზიით, თესვა პურის მოსავალს არ იძლევა.
11285. ზოგჯერ რამდენჯერმე ცხვირის დაცემინებაც კი მკურნალად გვევლინება თავიდან სისულელის გამოსადევნად.
11286. აზროვნება ცოდნას მოითხოვს, ცოდნა – მეტყველებას, მეტყველება – კი ენის მუხრუჭის რეგულირებას.
11287. სანამ ახლობელი სიყვარულის აფექტშია, ნურც გაეკარები და ნურც ნურაფერს ურჩევ.
11288. ტირილს ტირილით ხმა არ უნდა აუწყო, რადგან მოტირალს დამშვიდება სჭირდება.
11289. დუმილიც პოზიციაა, რომელიც ჩვენს არაკომპეტენტურობას ლამაზად ფუთავს.
11290. ბუზღუნა დაავადებას ტკბილი სიტყვებით არჩენენ.
11291. სიკვდილით დასჯას ჯალათი აღასრულებს, მაგრამ თავად არაფერშუაშია.
11292. მეგობრობაში ხელის მოცარვას ისევ უმეგობროდ დარჩენა სჯობს.
11293. ზოგჯერ ცეკვაში კოჭლსაც უმართლებს, თუ საცეკვაოდ „განდაგანას“ მელოდია იჟღერებს, რადგან ეს ცეკვა ფეხმოკლე კაცის შექმნილია.
11294. ხუმრობა ის მარილიანი სანელებელია, რომლითაც საუბარს კმაზავენ.
11295. ძველი ახლით უნდა შეიცვალოს, მაგრამ წარსულს არ უნდა „გადავუაროთ“.
11296. კაცობრიობას რატომღაც ნაწამები ხალხი უფრო მოსწონს, ვიდრე გონიერი, რომელმაც ამ უგუნურ წამებას თავი აარიდა [ბრუნო – გალილეი].
11297. ადამიანის მოშინაურება უფრო ძნელია, ვიდრე ცხოველის, განსაკუთრებით, თუ სხვებს ზემოდან უყურებს.
11298. სიძულვილი საკუთარი თავის დასჯაა.
11299. თუ ბევრს ისურვებ, ცხოვრებით კმაყოფილი ვერსოდეს დარჩები.
11300. ადამიანს სიკეთის დამახსოვრება უჭირს, თორემ ბოროტება დეტალებით ამახსოვრდება.
11301. განათლება ის გარდაუვალი დახმარებაა, რომლითაც მოთხოვნისთანავე ყველა უნდა აღვჭურვოთ.
11302. უვიცობა დანაშაულის ორიენტირია.
11303. ნიჭიერი წლებს უსწრებს, გენიოსი – საუკუნეს.

11304. ძაღლების უდიდესი დამსახურება იქნება კაცობრიობის წინაშე, თუკი ისინი პატრონებს მათგვარი ერთგულებას ასწავლიან.
11305. სხვათა ნაკლის გაშიშვლება საკუთარის დანახვას არ ნიშნავს.
11306. სიკვდილზე ფიქრი სიცოცხლის საზრისთან გაახლოებს.
11307. მასპინძლისთვის სტუმარი საცდელი თაგვია, იმის გარკვევით, შემდგომში დაიმსახურებს მიპატიჟებას თუ არა.
11308. ხშირად ადამიანი თავს იმით იწონებს, რაც არასოდეს უსწავლია და არც დასიზმრებია.
11309. ბიუჯეტის სიმცირე კი არა, გონიერი ხალხის უსაქმურად დატოვება ანგრევს ქვეყანას.
11310. კაცობრიობა თანდათან წინ მიიწევს და ეს „წინსვლასაც“ ეტყობა, რაც მისთვის წერტილის დასმასთან მიახლოებასაც მიანიშნებს.
11311. მოგების უზომო წყურვილს ზოგჯერ გამანადგურებელი გვალვა მოსდევს.
11312. სხვათა მიქარვები ჩვენი მოჭკვიანების გარანტი არ არის.
11313. ბოროტებას თანამზრახველები ჰყავს და არა – მეგობრები.
11314. სიცოცხლე, თუნდაც დიდებული, ძველის გამეორებით მაინც სასჯელია.
11315. მარგალიტი დასნეულებული ნიჟარის ნაყოფია, ასევე ემართება ზოგ გენიოსს, როდესაც მათი შეუცნობელი და „სნეული“ სული შედევრებს გვჩუქნის.
11316. განმარტოება უჭკუობის ან დიდი ჭკუის ნიშანია.
11317. ზოგჯერ უტოპიური გეგმები ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს.
11318. ჩხუბის ხარისხი ხშირად შედეგით განისჯება და არა – მიზეზით.
11319. გონების ბოროტად გამოყენება ბირთვული იარაღივით უნდა აიკრძალოს.
11320. თუ ქალი მოდის მიმართ გულგრილი გახდა – მისი დაისიც დაწყებულა.
11321. მშვენიერების და გონიერების წინაშე ბუნებით ნაძირალაც კი ერთი წუთით მაინც ქედს იხრის.
11322. ნაკლით თავის მოწონებაც შეიძლება, თუკი მოდაშია.
11323. ვისიმე სიძულვილი რომ მოიშორო, თავი მასზე მაღლა უნდა დააყენო.
11324. გულისთქმას უნდა მოუსმინო, მაგრამ არ უნდა აჰყვე.
11325. ყბედობის უფლებასა და სიტყვის თავისუფლებას შორის სხვაობაში ჩვენი ხალხი კიდევ კარგა ხანს ვერ გაერკვევა.

11326. სიბრძნე ბიზნესთან შეუთავსებელია, მაგრამ დაფინანსებას მაინც საჭიროებს.
11327. ვერც ერთი კულტურა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას ვერ იტანს.
11328. სიამაყე ქედმაღლობა არაა, გააჩნია რა გაამაყებს.
11329. საქმის კეთებას სიჩუმე ამკობს, სიმარჯვე კი ფრთებს ასხამს.
11330. საცდუნებელი ბევრია, რაზეც უარის თქმა ძნელია და სწორედ ამ შერკინებაში ყალიბდება ადამიანი.
11331. ჭეშმარიტებას კრიტერიუმები არ აქვს, ის, უპირველესად, ჩვენი სულიერებისთვის უნდა იყოს მისაღები.
11332. შესაძლებლობა კრედიტია, რომელსაც ან გადაიხდი ან – არა.
11333. ჩვენ იმას ვხედავთ უმთავრესად, რის დანახვასაც ვცდილობთ, ხოლო რაც არ მოგვწონს, თვალსაც ვარიდებთ და ყურსაც ვიყრუებთ.
11334. არაჩვეულებრივი ყოველთვის ჩვეულებრივი ხდება მომდევნო არაჩვეულებრივის მოლოდინში.
11335. საათი დროს გვიჩვენებს და არა დროის ყივილს.
11336. საკუთარი სიცოცხლე ბევრჯერ ფეხებში გვეხლართება დროის უგუნურების და საკუთარი უგერგილობის გამო.
11337. „ყოვლისმცოდნე“ დილეტანტზე საშიში არაფერია.
11338. პოლიტიკაში ხალხის საყოველთაო სიყვარული ხშირად საყოველთაო სიძულვილად იქცევა.
11339. დაპირისპირებას ერთის აქტიურობა იწვევს, მაგრამ ჩხუბის შემთხვევაში ორთავე დამნაშავეა.
11340. სხვათა გადაცდენა ჩვენთვის თვალის ამხელი უნდა იყოს და ჭკუის სასწავლებელიც.
11341. სარკის გაცუცურაკება შეიძლება, მაგრამ ფოტოკამერას ვერ მოატყუებ, ყველა ნაკლს დაუნდობლად ასახავს.
11342. ჯობს მოჩვენებითმა სიყვარულმა ბევრჯერ შეგვაცდინოს, ვიდრე მთლად უსიყვარულოდ დავრჩეთ.
11343. რატომღაც ყველა ერი თავის გადაგვარებას სხვა ერს აბრალებს, მაგრამ იმაზე კი არ ფიქრობს, რომ ყველაფერში თავადაა დამნაშავე, რადგან ისე არ გამრავლდა, გაისარჯა, იღვაწა, რომ სხვა ერებს მისთვის უხიაგი არ გაებედათ.
11344. ვიღვწით ფულისთვის, ეს შრომით იქნება, თუ თაღლითობით, მაგრამ ფულის მომგონის ლანძღვა არ გვავიწყდება.
11345. ენას ზომიერი მჭერმეტყველება უხდება, ჭკუას – აზრის ზომიერი ხარჯვა.

11346. შეხედულებათა გადახარშვას ცხოვრების ხელუკუღმა ტყლაშატყლუში სჭირდება.
11347. მომავლისკენ სწრაფვა აწმყოს სულაც არ სწყინს.
11348. რეკლამის გადამკიდე დღეს ბოროტების დადგენაც გაძნელდა.
11349. გონიერების ნაგები შენობა ძნელად დასანგრევია.
11350. თანამდებობის და სასუსნავის გარეშე დარჩენილი პოლიტიკოსი ყოველთვის ოპოზიციონერია.
11351. ზოგჯერ „მონობაც“ სასიამოვნოა თუ „მონათმფლობელი“ გაქებს, გენდობა და სიყვარულით გექცევა.
11352. ყველაფრის ახსნის მცდელობას სულიერ დაავადებამდე მივყავართ.
11353. ფრთებშესხმული სიყვარული როგორ იფრენს და სად და როდის დაფრინდება, არავინ უწყის.
11354. ღმერთთან სიკვდილზე ფიქრი ან თავს გადამხდარი უბედურება გვაახლოებს.
11355. ბრბოს ჰგონია, რომ ყველაფერი ესმის და ამიტომაცაა საშიში.
11356. ქმრებს ცოლის ხნოვანება ახსოვთ და არა – დაბადების დღეზე მისატანი საჩუქარი.
11357. მიწიერი არგუმენტები ლოცვის დროს უნდა დავივიწყოთ.
11358. წარსული დიდების გამონაგონ სიზმრებს ქართველი კაცი ვერ ელევა.
11359. კორუფცია ფულის შოვნის მცდელობის შედეგია.
11360. ფულს შესაძლებლობა მოაქვს და არა – ბედნიერება.
11361. ყოველი დათხოვნა თანამდებობიდან თავისებური დრამატურგიაა: მას რევიზიას უგზავნიან და დაჭერას იმ გადაცდენა-დანაშაულისთვის უპირებენ, რომლის ჩასადენად თავადაც მზად არიან.
11362. სიბრაზეს უნდა მოვერიოთ და უსიტყვოდ წყენაში გადავიტანოთ.
11363. დაღვინებულ აზრებს დაძმარების საშუალება არ უნდა მივცეთ, დროულად უნდა „შეისვას“.
11364. უნიათოს ბედისწერა მიათრევს, ბეჯითი კი თავად უძღვება წინ.
11365. ჩვენს უკან დამწვარი ხიდის ფერფლი არავის სჭირდება.
11366. განათლებული ადამიანი, სულ ცოტა, სიბრძნის ტრფიალი უნდა იყოს.
11367. თუ შენი სარგო მეგობარს ერგო, დაკარგული არ არის.
11368. სიმართლით შეზავებული ტყუილი უფრო მავნებელია.

11369. ყოველდღიური გათენება-დაღამებაც კი მოვლენაა დედამიწის მცხოვრებთათვის.
11370. ქალის ტრიუმფალური თაღის სვეტები მისი ფეხებია, სვეტებშორის ვნებათა ყურით.
11371. რად გვინდა სიმდიდრე – დიდება, თუ გვერდში არ გვეყოლება ის, ვისთანაც ურთიერთობა გვიხარია.
11372. მეგობრობა მყარია, თუ ერთმანეთს „შენობით“ მივმართავთ და „თქვენობით“ ვეპყრობით.
11373. ადამიანად ჩამოყალიბების უცვლელი ფორმულაა: გიყვარდეს საკუთარი თავი, სახლი, მოყვასი და სხვას პატივი მიაგე დამსახურებისამებრ.
11374. „არ ვიცის“ თქმის უნარი თავისუფალ გონებას შესწევს.
11375. ბოროტების ადგილი ჯოჯოხეთშია, მაგრამ იქაც ბევრი საინტერესო ხალხია გამოკეტილი.
11376. ოქროსაც ჭუჭყი ედება, თუ მას დრო და დრო არ გააპრიალებ.
11377. ყველაფერზე კომპეტენტური აზრების მქონე ადამიანი აუტანელია.
11378. აღსარებას იმდენად მოსანანიებლად არ ამბობენ, რამდენადაც სულს იმშვიდებენ და განგების წინაშე მოვალეობას იხდიან.
11379. შემართების, შეჭირვების გამოცდილების, არმქონე და რისკის გაწევის უუნარო ადამიანი გაუსვენებელი მკვდარია.
11380. დაბადებას და სიყვარულს არავინ გვეკითხება.
11381. ხალხს ჩვენი მტერი ენდო, ხოლო ხალხის არჩეულს – ეშმაკი.
11382. სამყაროს ისტორიის უფსკრულს, ეტყობა, ამოვსება არ უწერია.
11383. ქცევით ყველა ქართველი გულივერია, იმისდამიუხედავად, ლილიპუტებში ცხოვრობს თუ გოლიათებში.
11384. სიცოცხლეში ჯერ ერთმანეთს ქვას ვესვრით, მერე საფლავზე დიდი ქვის დადება გვიწევს.
11385. პრივატიზაციას ოლიგარქია ეწევა თავისი პლუტოკრატიით, ვიროკრატიით, ძღომაკრატიით და ღოროკრატიით.
11386. უგუნური მეგობრის ყოლას, ისევ გონიერი მტრის ყოლა სჯობს, მომზადებული მაინც დახვდები.
11387. უმეცრება უფრო რისკიანია, ვიდრე დაღვინებული გონიერება, რადგან პირველს დასაკარგი არაფერი აქვს.
11388. ყველა რევოლუცია სახრჩობელებს სამართლიანობის სახელით ამრავლებს.
11389. ბევრი პოლიტიკოსი კატა თავს ვეფხვობაზე დებს, ესაო და ერთი ოჯახიდან ვართო.

11390. კონკურენციის გარეშე სიყვარულიც კი პეწს ჰკარგავს.
11391. მტერი ვირტუალური მაინც უნდა გაიჩინო, თუ გინდა ცხოვრებას ფეხი აუწყო და რაღაცას მიაღწიო.
11392. ხელისგულზე კვერცხის მოწვაც შეიძლება თუკი ხელი სხვისია.
11393. ყველაზე ადვილი, ალბათ, სულიერების გადანერგვაა, მაგრამ მოთხოვნილებაა ძალზე მცირე.
11394. აზროვნებასაც საცერში გატარება უნდა, რათა თავში ქატო არ დაგროვდეს.
11395. სამწუხაროდ, სიკეთის თესვის და მოსავლის ამღები კომბაინი ჯერ არ გამოუგონებიათ.
11396. რაიმე რომ შექმნა, ჭკვიანი უნდა იყო, სასიკეთოდ რომ გამოიყენო – უჭკვიანესი.
11397. ხელმოცარულობის თავი და თავი ისევ ჩვენი თავია.
11398. შურისძიება ბოროტების ერთ-ერთი სახეა, რა ალიბითაც უნდა იყოს შეფუთვნილი.
11399. ფიქრი ყბედობის საწინააღმდეგო ელექსირია.
11400. საზოგადოება თავისებური ცირკია, სადაც განუწყვეტელი კლოუნადაა.
11401. მშიერი კუჭის მოთვინიერება არა რწმენის, მოვალეობის, შეცნობით, არამედ ხორციელი სასუსნავის მირთმევით შეიძლება.
11402. მოგზაურობა ხშირად სატრაბახო პიარდავადებაა.
11403. ჭკუის ძებნა მისასალმებელია, მაგრამ ჭკვიანად ყოფნა ძნელია.
11404. გონიერი, წმინდა, მართალი. ჩამოფასებას არ ექვემდებარება.
11405. ნაციონალიზმს და ნაციზმს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შენი ხალხის სიყვარულია, მეორე კი სხვა ხალხების სიძულვილია „ვითომდა“ საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ.
11406. მხდალის პასუხისმგებლობა პოლიტიკაში ძალზე საშიში მოვლენაა და ძნელად გასარკვევ-განსასჯელია.
11407. სიმართლესაც სათანადო გაპრიალება და შეფუთვნა სჭირდება, რომ მისი მომხმარებლისთვის მისაღები გახდეს.

საზოგადოება

11408. საზოგადოება, რომელიც თანდათან ტუტუცდება, ეს მოდის აყოლის, ფულის შოვნის და იდეალების დაკარგვის ბრალია. ასეთი საზოგადოება სიკვდილის გარეშე დიდხანს ვერ იბოგინებს.

11409. დრო, ახლობლები, ხელისუფლება, ჭრილობების მისაყენებლად არიან გაჩენილნი და აქედან თუ მცირე ზარალით გამოხვალ, სიხარულით უნდა დასჯერდე.

11410. დაკარგული თაობა, გაურკვეველი დრო, უმუხრუჭო შთამომავლობა, საზოგადოების გადაგვარებას და ქვეყნის დანგრევას იწვევს.

11411. აცა-ბაცა ტვინი, საყველპურო ზრდილობა, „ვაიმე ბიჭო საზოგადოება“ მათი გადახარშვა, გონიერებას მეგაბაიტის შესაძლებლობებს აღემატება.

11412. დღეს გართობა – საქმიანობა, ხოლო „კლინიკა“ ცხოვრების ნორმაა და ეს გაურყვნელად საზოგადოებაში დიდად არავის აფრთხობს.

11413. დროით გაამაყებული ხალხი ირგვლივ სხვას ვერ ამჩნევს, სანამ არ „ჩამოაპლაცკარტებენ“.

11414. წესიერი ხალხის დამახსოვრება აუცილებელია, რადგან ისინი სამყაროდან თანდათან აღიგვებიან და წითელ წიგნში შესატანი გახდებიან.

11415. როგორ შეიძლება დღევანდელ საზოგადოებას ცენზორის როლი ვანდოთ, როდესაც ყოველივე სქესით და მისი ნაძალადევი რეკლამირებით იზომება.

11416. საბედნიეროდ, არის მოსახლეობის უმცირესი შემოქმედი ნაწილი, რომელთათვის სახელის „დაგდება“ უმთავრესია და არა ფულის შოვნა.

11417. ხალხს არ უნდა მიენდო, თუ დაჭირდება, გაგწირავს.

11418. ხალხისთვის მთავარი ის კი არ არის, როგორ ცხოვრობ, არამედ მასზე უკეთ არ უნდა გამოიყურებოდე.

11419. ხალხში ყოველთვის მოიძებნება ხელისუფლების ისეთი ოპონენტი, რომლებსაც კარიერის კიბის საფეხურებზე არბენაში არ გაუმართლა და ბუნტის მიზეზს ეძებს, ხალხზე ზრუნვის და სამარ-

თლიანობის მომიზეზებით.

11420. რატომღაც დანაშაულებრივ ფუძეზე ნაშენები სახელმწიფოები დღეს გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე მათი ძირძველი სამშობლოს წარმომადგენლები, რადგან ახალ ქვეყნებს შემართება და ავანტურისტული ნიჭი ქმნიდა (აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია).

11421. არის ხალხის კატეგორია, რომელთათვის კანონის მონობის ჯაჭვის ახსნა ყველა დროში ნაადრევია.

11422. ხალხს ხშირად უნდა შევახსენოთ თუ „ვისი გორისაა“ რათა არ მოდუნდეს, ფუფუნებას არ გადაყვეს და ცხოვრების სტიმული ჰქონდეს.

11423. წინა საუკუნეების მეტნალიტეტით მცხოვრებ ხალხთან ყოფნა საშინელებაა გონებისათვის, მაგრამ ვეჩვევით და ყველაფრის მიმართ ჩვენც გულგრილნი ვხდებით.

11424. დახვეწილი ეტიკეტის დაუფლებას სათუთი განათლება, სულიერი კულტურა და „საზოგადოება უკანა აზრებით“ სჭირდება.

11425. სახელმწიფოს, საზოგადოების ინფორმატორებზე წუწურაქობა, გაცილებით ძვირი უჯდება, შემოსავლების დაფარვის და მექრთამეობის განვითარების ხარჯზე.

11426. ბრბოს ხმის ამოღების, კრიტიკის, განსჯის, უფლება არ უნდა მივცეთ, იგი უნდა დავაპუროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში არეულობა დაიწყება.

11427. ზოგჯერ ანგარების ძალას სიყვარული ვერ ჯობნის და ეს ადამიანური კი არა, საზოგადოებრივი ხინჯია.

11428. ხალხის დაუდგრომელი და გაუტანელი ხასიათის გამოა, ვიღაც ხელისუფალს მისივე თხოვნით რომ ვქირაობთ და თავზე ვიჯენთ.

11429. გულით ურთიერთობა და პატივისცემა მხოლოდ მცირე დასახლებებშია შესაძლებელი, სადაც ზედმეტად გადადგმული ნაბიჯიც კი ყურადღების ცენტრშია.

11430. საზოგადოების ის წყობაა მისაღები, რომელიც არ იძლევა საშუალებას ადამიანური სისუსტენი და უგვანობა გამომჟღავნდეს.

11431. ბრიყვი არასოდეს მორცხვობს, პირიქით, ხალხში გამოჩენა და საზოგადოებაში თავის წარმოჩენა სურს.

11432. უმრავლესობის მიერ შენი აზრების უგულებელყოფა არ ნიშნავს, რომ მართალი არ ხარ, უბრალოდ არ ცდილან რომ გაეგოთ, რადგან საზოგადოების სამსჯავროა დღეს ასეთი.

11433. თავად საზოგადოება კი არ არის ცუდი, არამედ მასში შემოპარული „ბუნტარი თავები“, რომლებიც თავიანთი ამბიციების დასაამებლად რას იკადრებდნენ, თავადაც არ უწყიან.

11434. „გაპენსიებული“ თანმიმდევრობის პირი თეორიულად თავის ადგილზე რჩება, თუ მან ეს პრაქტიკულად „გადახარშა“.

11435. ოფიცრობა საზოგადოების ის ელიტაა, რომელიც საზოგადოების კისერზე აწევს, მათი აუცილებლობის და მასების შეგნების უგნურობის გამო.

11436. აუდიტორიას სიბრძნე არ უყვარს, მას მარტივი და დაღეჭილი უნდა მიართვა, იქნებ ყურად იღოს და მისთვის სასარგებლო გაითავისოს.

11437. წინაპართა ხსოვნის და დაფასების გარეშე საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდება, ხოლო მათი შეცდომების გათვალისწინების გარეშე, თანდათან დევალვირდება.

11438. ზოგჯერ ნომენკლატურა ისე მრავლდება, თუ არ გამოხშირე საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების მომიზეზებით და შტატების შემცირებით, სახელმწიფო აპარატი საროსკიპოს ემსგავსება და მექრთამეობაზე ხელის აღება უჭირთ.

11439. ფსიქოტროპული ბაქტერიებია: ენა, „მასმედია“, ჭორი, რომელთაც ადამიანი ჭკუიდან გადაჰყავს და „სიგიჟის“ ბაცილებს ავრცელებს.

11440. საზოგადოება ყოველთვის ზომბირებულია დოგმებით, ხოლო ჭეშმარიტება და მტკიცება ყოველთვის ცალკე დგას.

11441. ყველა საზოგადოებას თავისი გონიერების ფორმა და გავრცელების არეალი აქვს და მასვე უნდა ემორჩილებოდეს ევოლუციის გადახრები და ტექნიკური პროგრესის კაპრიზი.

11442. წინაპრებს თავიანთი არცოდნა არცოდვად უნდა ჩავუთვალოთ, რადგან ისინი აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ თავიანთი ფანტაზიის, ცოდნის და ინტერესების შესატყვისად, რაც დღესაც გრძელდება ტექნიკური პროგრესის და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების მიუხედავად.

11443. ხალხი ყოველთვის მზად არ არის მუქთად თავისუფლების მისაღებად, მას ურჩევნია ის „ბრძოლით“ მოიპოვოს, მაგრამ თეორიისაგან განსხვავებით, მისი პრაქტიკაში გამოყენება არ იცის.

11444. იმისათვის, რომ უნიჭობამ ფული იშოვნოს, სულიერების გარყვნის უფლება არ უნდა მივცეთ და არც უნდა წარმოვაჩინოთ, რადგან ეს საზოგადოებისთვის სახეში შეფურთხებაა.

11445. ყველა კამათი და დაპირისპირება დღევანდელობის გადასახედიდან უნდა განვსაჯოთ, თუ გვინდა შედეგი ორივე მხრისათვის მისაღები იყოს.

11446. ხალხს იმაზე მეტი უნდა მივაგოთ, რასაც იმსახურებს, რასაც

შთამომავლობა დაგვიფასებს.

11447. უმადური საქმეა ხალხს ის აუხსნა, რაც მან უპირველესად უნდა აკეთოს, რადგან ამის შეცნობის სურვილი და უნარი დაკარგული აქვს.

11448. ცარიელ სიტყვებს და ჭორომანიას გახმოვანება არ უხდება, სერიოზული ხალხი ვერ გაგვიგებს.

11449. უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც ხალხი გაფასებს, შენზე მომავალს ამყარებს და არავითარ უფლება არ გვაქვს, მათი იმედების გაბახება-გაცუცურაკების, ამ მძიმე ტვირთის „ძალად აკიდების“ მიუხედავად.

11450. „ზოგი რომ ერთ ადგილს გაისუქებს“, ამ ადგილის სიგამხდრე ავიწყდება. რას ვიზამთ, ეტყობა, ასეა, რადგან ყველაფერი რომ გავიხსენოთ და მადლიერნი ვიყოთ, საზოგადოება ვერ განვითარდება და სულ „გმადლობთ“ ძახილში იქნება.

11451. ეპოქის მსხვერპლი საზოგადოება მაშინ ხდება, როდესაც წესრიგის სადავეები მიშვებულია, სასუსნავი შემცირებულია და ალიყურის მჭმეველიც არავინაა.

11452. ბრბოს სუსტი წერტილი სისტემის მობეზრებაა, მისი უპატივცემლობა და სხვა საქმეებში ცხვირის ჩაყოფა თანასწორუფლებიანობის და უკეთ ცხოვრების მომიზეზებით. ფაქტიურად არაფერშუაშია სახელმწიფო წყობა, რომელსაც დახვეწა სჭირდება და არა – მოსროლა, რათა ხალხი ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ გადაიჩეხოს.

11453. „დარაჯების მთავრობა“ დღევანდელ ხელისუფალთა უნიათობის შედეგია, რომლებმაც ხალხის რეალური საქმიანობა-დასაქმება ვერ შეძლეს და ნედლეულის უგერგილო ვაჭრობის ხარჯზე დღეს მთელი რუსეთი მოჩვენებითი კეთილდღეობის ონანიზმით ცხოვრობს და არსებობას. ყველა ოფის, საწარმოს, ბიზნესმენ დაცვა იცავს და ასე „ასაქმებენ“ უსაქმურად დარჩენილ აქტიურ ხალხს.

11454. ჭეშმარიტებას მოქიშპე ოპონენტებიც აღიარებენ.

11455. წესიერ საზოგადოებაში „რაფინირებული ინტელიგენცია“ თავის საკადრის თავშესაფარს და საზოგადოებისთვის სარგებელის მომტან საქმიანობას მონახავს.

11456. ხალხი უნდა გიყვარდეს, მაგრამ მათ ყოველთვის არ უნდა ენდო.

11457. პიროვნებას მუდამ დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, თუ შემთხვევა მის მონდომებას მხარს აუბამს.

11458. სახელმწიფოებრიობის ციხე-სიმაგრე ძველებურაადაა აშენებუ-

ლი და დროდადრო ძვლების ჩატანების მოთხოვნის მოტანა ჩვენ დრომდე.

11459. სამწუხაროა, როდესაც წინაპართა შეცდომებზე პასუხს არ ვაგებთ, რადგან მომდევნო თაობები უფრო დაკვირვებით და განსჯით მოეკიდებოდნენ თავიანთ დროს, რათა თანდაყოლილი გულგრილობის გამო მათი ნაშიერი არ დასჯილიყო.

11460. ქვეყნის ბედის წარმართვაში ხალხიც მონაწილეობს, მაგრამ სხვათა კარნახით.

11461. არავინ უწყის ბრძენი რომელ კონტინენტზე აღმოცენდება, რა ეროვნების იქნება და რომელი ქვეყანა და მისი ხელისუფალი გაუწევს მფარველობას.

11462. სამართლიანობა და შეძლება არის ქვეყნის ევოლუციური მართვის ბაზისი.

11463. რეალობაში გართობა და კანონიერება მეტ პატივს იმსახურებს, ვიდრე ორატორის ორაზროვანი ყბედობა, მაგრამ ბრბოს გართობაც სჭირდება და ამიტომაა რომ ეს უკანასკნელი ხიბლავს.

11464. ქვეყნის მართვისთვის, პრაქტიკულად, გონიერების დიქტატურა სჯობს, მაგრამ თეორიულად შენგან ნაოცნებარ ხელისუფალს ვერ შეედრება.

11465. ზოგჯერ გონიერების „მიზერის“ პატიოსნად გამოყენებაა საჭირო, რომ ქვეყნის კვლავ ფეხზეა წამომდგარი ნახო.

11466. წესით უმეცარი და უსინდისო ძალაუფლებას არ უნდა ეპოტინებოდეს, მაგრამ წესიერ და შემოქმედ კაცს, ხალხი გათავხედების გარეშე ვერ ამჩნევს. ამიტომაცაა, მთავრობაში რომ უწესრიგობის მარულაა.

11467. ვისაც თავისი ოჯახისთვის ვერ მოუვლია, სხვის ოჯახებს ვერ უპატრონებს და ასეთი ხალხი თანამდებობით არ უნდა აღვჭურვოთ.

11468. საქმის წამოწყება ძნელია, მაგრამ მისი დაგვირგვინება ხშირად დამოკიდებულია დროზე და ხელისუფალთა ნებაზე.

11469. ზოგჯერ უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობა განსაზღვრავს ჩვენი მოქალაქის სტატუსს, სამშობლოს არჩევას და ზოგჯერ – ეროვნებასაც.

11470. მრავალხელისუფლებიანობას სახელმწიფოებრიობა ვერ იტანს და ქვეყანაში გაუგებრობა იწყება.

11471. გამბედაობას ზოგჯერ საზოგადოების განწყობა და წაქეზება ბადებს, იმისდამიუხედავად, ეს ქმედება უმეცრებას მიეკუთვნება თუ შეგნებულად დასახულ მიზანს.

11472. კარგი წყობა და კარგი ხელისუფალი სხვადასხვა რამაა, სახელმწიფოებრიობითვის კი ეს უკანასკნელი სჯობს.
11473. ღარიბს, ლოთს, დაჩაგრულს, კი არ უნდა დავეხმაროთ, არამედ ისეთი სახელმწიფო სისტემა უნდა შევქმნათ, ისინი რომ აღარ აღმოცენდნენ და გამრავლდნენ.
11474. საზოგადოებრივ საკითხს საბოლოო გადაჭრა სჭირდება და არა სასამართლოებში ხეტიალი და დროის გაცდენა.
11475. კერძო პირისაგან დასპონსორება იმათ სჭირდებათ, ვინც მომავალში თავს და ქვეყანას წარმოაჩენს და არა იმათ, რომლებსაც თავიანთი უნიათობის გამო საჭმლის ფული ვერ უშოვიათ – ეს სახელმწიფოს საქმეა.
11476. ავტორიტეტი, საშუალო დონის განათლების ხალხს, აზრების დაღვინებაში ხელს უშლის.
11477. ხელისუფლება საყოველთაო სიყვარულის ბურჯზე უნდა იდგეს, თუმცა ძალაუფლება დროებითი და ცვალებადია.
11478. ხელისუფლებას ჭკვიან ხალხთან ურთიერთობა და მისი მხარდაჭერა დიდ პერსპექტივას და შემოსავლებს უქადის.
11479. ყველა ქვეყნის ბრბო ერთმანეთს ჰგავს და რას ჩაიდენს, თავადაც არ უწყის.
11480. სამხედრო სამსახური ერთეული ჯიშის ხალხის ხვედრია და აქ სხვა არ უნდა დასაქმდეს, რათა სული არ გაუუხეშდეთ და საზოგადოების დანამატი არ გახდნენ.
11481. უაზრო ცხოვრება საზოგადოების გარყვნას და ბრბოს გალოთებას იწვევს და ქვეყნის კრიზისიც არ დააყოვნებს.
11482. ბრბოს შეურაცხადობა მისი უგნური გამოხდომით განისაზღვრება, ვიღაცის წაქეზებით.
11483. უსამართლობა ყველა დროში დროებითია, თავისი რეციდივებით.
11484. უმადური ხალხი ბევრია, მათ რიგში, შეიძლება საკუთარი თავიც აღმოვაჩინოთ.
11485. ზოგჯერ უხიაგობა, ხშირად ხალხის საერთო ავლადიდებაა, რომლის გაყოფა-მითვისებას არავინ ცდილობს.
11486. ბრბოს ყოველთვის რაღაცის იმედი აქვს, რის, თავადაც არ უწყის.
11487. შექების გამოძალვაც დანაშაულია, ხალხი შეცდომაში შეგყავს.
11488. საზოგადოების გარკვეული ნაწილი რომ დაულაგებელია, ისიც მეტყველებს, რომ ვითომდა რაღაც იდეას აყოლილი, თავის წარმოსაჩენად სვასტიკიან ფაშისტურ ფორმას იცმევს და თავი მოაქვს

– მოკლედ, ახალმოდის დისიდენტია.

11489. ხალხის დაშოშმინება შეიძლება, თუ მათ პრობლემებს, ამოცანებს, შეხედულებებს დავიახლოვებთ და სადაოდ არ გავხდით.

11490. ხშირად ხალხი იმ რეგალიებს და ეპითეტებს არ იმსახურებს, რითაც გვინდა შევამკოთ.

11491. ერთის გადაცდენა მეორესათვის სასიხარულოც შეიძლება იყოს და მომგებიანიც – ასე ვითარდება საზოგადოება.

11492. სახელმწიფოს ვალია ადამიანის ქვენა გრძნობები, სოციალური გადახრები, უარყოფითი თვისებები, მოთოკოს, მოაწესრიგოს, შიშის და მოვალეობის შეცნობის ძალით გზაზე ატაროს.

11493. ხალხი უნდა გიყვარდეს, მაგრამ თავად თუ არ სჭირდები, არ შეგიყვარებს.

11494. პირველ რიგში, მოხელე თანამდებობის არს უნდა ემსახურებოდეს და შემდგომ – ხალხს.

11495. მე ცხოვრებაში შემხვედრია საკმაო ოდენობის ხალხი, რომლებსაც თავისუფლება და თავის ნებაზე მიშვება რყვნით, რადგან მათ ან ცუდი გენეტიკა აქვთ, ან ცუდი აღზრდა, ან ხელისუფლება არ უქნია ღმერთს, რომელიც თავზე გვაზის.

11496. ტყვიას რომ შეძლებოდა კარგის და ცუდის გარჩევა, საზოგადოება, დიდიხნის წინათ, კომუნიზმში იცხოვრებდა.

11497. ხალხი იმიტომაც ეგუება უდღეურ კანონებს და ცუდ მთავრობას, რომ დღეს მეტის მოთხოვნილება არ აქვს.

11498. საზოგადოება არასოდეს გამოირჩეოდა წინდახედულებით, გონიერებით და მახსოვრობით, მას უფრო გულმავიწყობა, სიტყვაქველობა, ფეხებზემკიდიაობა ახასიათებს და მუდამ ახალი გასართობის ძებნაშია.

11499. ნახევრადადამიანი, ნახევრადანგელოზი, ნახევრადეშმაკი, აი ჩვენი საზოგადოების შემადგენლობა, რომლის ოდენობა არ მცირდება.

11500. „მასმედიაში“ სისხლის სამართლის დამნაშავეთა გვარით და სახელით მოხსენიება უნდა აიკრძალოს, რათა მათი ნამოქმედარი ისტორიას გასატირაჟებელად არ შემორჩეს, რათა ზოგიერთისთვის ამ გზით მატიანეში მოხვედრა ცხოვრების მიზნად არ იქცეს.

11501. მოდამ, პირველ რიგში, ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა შესძლოს, მხოლოდ ამის შემდგომ აქვს გათავხედების უფლება.

11502. გონიერების მათრახის მხარდაჭერა, სიახლის დასადგენად, მუდამ საჭიროა, სანამ ადამიანები შეეჩვევოდნენ. მგ. ქალაქის საკვებ-

ის ნარჩენების შეგროვება-გადამუშავების შემთხვევაში, წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე თავისუფლად შეიძლება 6-8 კგ დამატებით ხორცის მიღება.

11503. ქვეყანას, ხალხს, სულით უნდა ვემსახუროთ და არა მხოლოდ გამორჩენის მიზნით.

11504. ხალხისთვის თავის მოწონების უნარი დიდი ნიჭია, მაგრამ მთავარია, რაში გჭირდება და რა ხეირს გაძლევს.

11505. ისტორიამ თავისი პრეტენზიები, დროს და ტექნიკურ პროგრესს უნდა წაუყენოს და არა – ხელისუფლებას და ხალხს.

11506. არა მარტო სიტყვებით შეხურება – „შეკურთხებაც“ ხელისუფლებას ძალზე რგებს.

11507. ნაციონალიზმს ბევრი ცუდი თვისება ახასიათებს, რადგან ის მაინც ბრბოს და მასის ნაყოფ-ნაღვაწია.

11508. თაობათა გონივრული და საშუალოშეწონილი ცვლა, მატებით, საზოგადოების სწორად განვითარებისათვის აუცილებელია.

11509. გონიერებას აღქმა სჭირდება, აღქმას – დაღვინება, დაღვინებას – დრო და ვინ იცის, მომავალში ვინ დააგემოვნებს ჩვენი ნაღვაწის ნაჟურს იმდაგვარად, რომ თაობებმა იამაყონ და გაითავისონ.

11510. გამართლებულ ისტორიას კრიტიკა ვერ ეკარება და განსჯას არ ექვემდებარება.

11511. საზოგადოების რაობაზე მოურგებელს საკუთარი ინტერესებით ლელოს გატანა ყოველთვის უჭირდა და გაუჭირდება.

11512. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ერი, მასა, ხალხი, მისი წყალობით გახელისუფლებულის სხვა ხალხების მიმართ ჩადენილ დანაშაულზე არც პასუხისმგებლობას გრძნობს არც სირცხვილს, რაც ადამიანის ბუნების პარადოქსია.

11513. ყველა წყობა და ფორმაცია აღზრდას, მოვლას, მოითხოვს ტრადიციების შექმნით და მომდევნო თაობებზე გადაცემით.

11514. დღეს პირადი მაგალითებით უზნეობას და გადაგვარებას ვერ გამოვასწორებთ, ისევ მათრახი და სასუსნავის ფორმულა უნდა მოვიშველიოთ, საზოგადოების დასასუფთავებლად.

11515. ხალხის როლი რაც უნდა გულით და გონის მოშველიებით გავაფეტიშოთ, გამრავლებას თუ არ ჩავთვლით, მისი როლი ისტორიაში მაინც ნულს უახლოვდება, თუნდაც იმიტომ, რომ ამდენი უაზრო სისხლისღვრა, მათი მორჩილების და უაზრო გულგრილობის ბრალია.

11516. დალაგებულ კოლექტივში ცხოვრება იმითაც არის კარგი, რომ ზედამხედველობა გაიძულებთ სიკეთე თესოთ და ცუდი გულში არ

გაივლოთ.

11517. საზოგადოების განვითარების ევოლუციური ტემპი მომავალში როგორ აიწყვეტს და თავს როგორ მოიგიჟიანებს, არავინ უწყის.

11518. ნება, სურვილი, მცდელობა, ხშირად ცოდნაზე მაღლა დგას, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრესი დაზარალდებოდა.

11519. განათლებული თაღლითი სახელმწიფოს სათავეში ხვდება, მიუხედავად ამის ცოდნისა, ხალხი გულგრილობას იჩენს და მისგან რატომღაც სიკეთეს ელიან, რადგან ამომრჩეველი ურიგო სარგებლის წინააღმდეგი არ არის.

11520. ხელისუფლება, თავისი წინდაუხედავი პოლიტიკით, ბიზნესის და მოსახლეობის სტრესს იწვევს, რასაც ხალხი ითმენს. ასეთი საზოგადოების ფასი ნულის ტოლია და ხელისუფალიც „მართალია“, რადგან კარგად იცნობს თავის ამომრჩეველს.

11521. როგორც ირკვევა, ხალხს არც არჩევანის უფლება უნდა ვანდოთ, რადგან ამ უფლებასაც უგუნურად და ფორმალურად იყენებს.

11522. ზოგიერთი მოდგმის და მასტის ხალხი გვაკვირვებს, ციხის კედლებში რატომ არ ზის.

11523. საზოგადოებას ყოველთვის თავისი ახალგაზრდა „მგლები“ ჰყავს, რომლებსაც ძველი არაფერი მოსწონთ, თავიანთი უმეცრებით თავსაც ვნებენ, ძველებსაც არად აგდებენ და ცუდად იხსენებენ.

11524. ჯანმრთელი კარიერიზმი ქვეყნისთვისაც სასარგებლოა და საკუთარი თავისთვისაც.

11525. დიდ მიზნებს გარკვეული სულიერი და მატერიალური „უხერხულობანი“ მოაქვს, მაგრამ ქვეყნის სიყვარულმა და მიზნის რეიტინგმა ყველა წინააღმდეგობა უნდა დაგვაძლევინოს.

11526. უგუნური ხელისუფალი ხალხს აიძულებს, მოჭარბებული და მექრთამეობაში გადაწაფული ძალოვნები მუქთად შეინახოს.

11527. ცნობისმოყვარეობა ცოდვა არ არის, რადგან მის გარეშე კაცობრიობა, წინ ფეხს ვერ წარსდგამდა.

11528. ხალხის სამსახური დიდი ბედნიერებაა, თუ დაგიფასეს.

11529. ტექნიკური პროგრესი ყოველთვის ცივილიზაციის მოსალოდნელ პარამეტრებს ვერ ერგება, მაგრამ წინაც რომ ვერაფერი დაუდგება?

11530. ჩვენ, ფაქტობრივად, მომავლისთვის ვიღვწით, მაგრამ ხშირად ამას ვერ ვამჩნევთ.

11531. ხელისუფალი თუ თავის დანაპირების შეუსრულებლობისთვის არ დაისაჯა, იმ ხალხის ფასი ნულია.

11532. პასუხისმგებლობა, ქვეყნის მართვისას, ის უმთავრესი ტვირთია,

რომელსაც ხელისუფალი და ხალხი ერთნაირად უნდა გრძნობდეს ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის, წინაშე.

11533. „არ მომიპარავს, მიპოვნია, ახლა ჩემია“ – ამ დევიზით ცხოვრება ბევრს ახალისებს, მაგრამ საზოგადოება რჩება მოღუშული და მკაცრი.

11534. საკუთარი ხალხიც მცირე დოზებით უნდა შეიყვარო, რათა გაწბილებისას მასზე გული სერიოზულად არ აიყარო.

11535. ყველაზე მეტად მიქარვა საყვარელი ხალხისაგან გვწყინს და თუ ისინი თავის შეცდომას მოინანიებენ, სიამოვნებით და დაუფიქრებლად შევუნდობთ.

11536. მეცნიერებაში, მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის, წოდების მინიჭება იგივეა, რაც წინანდელ საზოგადოებაში – აზნაურის და თავადის.

11537. დირექტორის შეფასებისას თანავტორები არიან: გონიერი რეფერენტი, გრძელფეხება მდივანი ქალი და უახლესი, მოდური მანქანა.

11538. ხალხმა ხელისუფლებაზე იმდენი უნდა იცოდეს, რომ მას ქვეყნის სამართავად ხელი არ შეუშალოს.

11539. ხალხისთვის, რომელსაც მოთმინების, წინხედვის, გონიერების უნარი დაქვეითებული აქვს, ამ დროში დაბადებული პიროვნების გონიერების, ნიჭის, მისწრაფების, მოცდენა არ ღირს, უბრალოდ, დრო შეხვდა ასეთი და ამ დროში მცხოვრებლებმა „საყმაწვილო სენი“ უნდა მოიხადონ, ხოლო გონიერებამ თავს დროულად უნდა უშველოს.

11540. ადამიანებს ცოტათი მათზე უკეთესი, ე.ი. კონკურენტი, არ უყვართ, ხოლო ვისაც ვერ შესწვდებიან, აღმერთებენ, მისი ნაცნობობით, მოსწავლეობით თავს იწონებენ ე.ი. ადგილი აქვს „მერკანტილურობას“.

11541. დღეს ფეხის ხმას აყოლილი, ჭკუანაღრძობი, მასა, ხალხად წოდებული, თავის „დემოკრატიას“ და „თავისუფლებას“ უბერავს მას რომ გაერთიანება, აზრთა შეჭიდება და საერთო ენის გამონახვა სჭირდება, შემოუვლელი კანონების და კანონიერების შექმნით, ჯერ-ჯერობით, ვერ გააცნობიერა.

11542. დღევანდელი სოციალური დაპირისპირება და ერთმანეთის უპატივცემულობა ანგრევს ყოველივე კარგს ჩვენივე და არა მტრის ხელით.

11543. საზოგადოება უკეთურია თუ მან დამშვიდების დროსაც არ იცის თავთან გარიგება.

11544. ქვეშევრდომთა მასობრივი ღალატი, დიდი ნდობის, იმედის, გაცრუების შედეგია, როდესაც ერთს ელიან და საპირისპიროს იღებენ.

11545. წიგნს რომ ინტერნეტი სჯობნის, ეს სადაო არ არის, უბრალოდ, ჩვევებს გადაფასება, წლების უკან მოსროლა და ტექნიკურ პროგრესს ფეხის აწყობა სჭირდება.

11546. „მონობა“, ხელქვეითობა, ზოგისთვის თავისუფლებაზე მეტად უნდა ფასობდეს, რადგან თავზე წარმოდგენის მიუხედავად, მას სხვათა დახმარება-მითითების გარეშე საქმიანობა არ შეუძლია, მაგრამ, როგორც კი კარიერის კიბეზე ფეხს შედგამს, გულმავიწყი გონება, გენი, თავის შესაძლებლობებს ავიწყებს და მასაც თვალი უფროსობისკენ უჭირავს და ამით რომ თავსაც, საქმესაც, ქვეყანასაც, ვნებს, არ აინტერესებს.

11547. გონიერება, რომელიც თავის საუკუნეს ეჭიდავება და აწმყოს ხელშესავლებს უტოვებს, საზოგადოების კონკურსგარეშე სიყვარულს და აღიარებას იმსახურებს.

11548. ეკონომიკა პოეზიაა, თვითნაბადი ნიჭია, შემოქმედებაა, ანალიზის უნარია, ფანტაზიაა, ბიზნესი – პროზაა, ავანტურისტული ნიჭია, მცდელობა, გამართლებაა, გამოცდილების დაგროვებაა, მაგრამ რეალური სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე ორთავეს პატიოსნად ცხოვრება და თავის წამოყოფა უჭირთ, რადგან ყოვლისმცოდნე „ხალხი ბრძენია“, ჩვეული ყოფის მოყირჭების ჟამს რა თავქარიანობას აჰყვება, რომელ ვიგინდარას წამოისვამს თავზე, ვის ანდობს ქვეყნის მართვის სადავეებს, რას მოიმოქმედებს და უგნურების რა მატლი შეუჩნდება, არავის უწყის.

11549. ძნელია მასასთან იმ ისტორიულ სიმართლეზე საუბარი, რომელიც მათ არ მოსწონთ. ალბათ, ჩვენ სხვებზე არაფრით უარესები არ ვართ – სწორედ აქ არის „ძაღლის თავი დამარხული“, უარესები კი არა, ზოგ შემთხვევაში უკეთესებიც ვართ და თვითმყოფადიც, მაგრამ ერის ჭირს: ყოყოჩობას, შურს, პირის გატეხვას, დროულად უნდა ვუმკურნალოთ, რომ ქრონიკულში არ გადაიზარდოს, რის მორჩენაც „ქირურგიული“ ჩარევის გარეშე არ მოხერხდება.

11550. მტრის და მოყვრის გამოცნობა სუფრასთან არ ხდება, რადგან ამ დროს მამაძაღლობის ადაპტორები მიძინებულია და აგრესიისთვის ვერ იცლის.

11551. საზოგადოებას ანგრევს ხელისუფლებასთან „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა და ეს დაპირისპირება წესის, კანონის, ურთიერთპატივისცემის, უგულებელყოფის შედეგია.

11552. ალოგიკური, პარანოიიანი, დროისმასწარა, პიროვნებები ჩნდებოდნენ, ჩნდებიან და გაჩნდებიან და საზოგადოების განვითარების ავ-კარგი მუდამ მათზე იქნება დამოკიდებული.

11553. ხალხი იყოფა სამ კატეგორიად: ადამიანი, მსახიობი, პოლიტიკოსი. დანარჩენი განგების დანამატი და ანომალიაა, დროის შესატყვისად და თავისი გადახრებით.

11554. საოცრებას, უგუნურებას, განზომილებები არ აქვს, რადგან კაცი, რომელსაც ერთ ბატს ვერ ანდობ, ჭკუას გვასწავლის, ხელისუფლებაშია წამოსკუპებული, ბაირამობს და ამ ყოფის განტოლებას საუკუნეები ამოუხსნელად გვიტოვებს.

11555. ალბათ, იქ არის ნაღდი საზოგადოება, სადაც მეფეც და ჩვეულებრივი მოკვდავიც სამართალს სასამართლოში ეძებენ და განაჩენს არ ასაჩივრებენ.

11556. ფანატიზმს ბედნიერება არ მოაქვს, თავად ხალხის ერთიანობა და ურთიერთგაგებაა სიკეთე-სიხარულის დივიდენდების მომტანი.

11557. პროსტიტუციის დოღი და მისი დღევანდელი უგვანო სახე მანამ იქნება თავშისაცემი, სანამ კეთილგანწყობილ ვნების „იპოდრომებს“ არ ავაშენებთ, წესრიგს არ დავიცავთ და ოფიციალურად გადასახადს არ გადავახდევინებთ.

11558. პროპაგანდა საუკეთესო საშუალებაა თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანების დასაწყნარებლად და დასამუნათებლად.

11559. დაქორწინება და გაყრა დღეს სინონიმად იქცა, რადგან გაყრილთა ოდენობა 63% აღწევს.

11560. ბედნიერებასაც მოფრთხილება და მალვა სჭირდება, რათა რადიკალიზმით დაავადებული ხალხი არ გავანაწყენოთ და ჯანყი არ გამოვიწვიოთ.

11561. შრომა-გამოსასწორებელი კოლონიების ჭკუის მოსაკრეფ-მოქალაქედ ქცევის კოლონიად გადაკეთებას, რატომღაც, არავინ ფიქრობს.

11562. პუბლიკა ტაშის დამკვრელია კარგი და არა – გაკრიტიკების მოსურნე.

11563. პუბლიკა, მაყურებელი, ქომაგი, სანახაობათა საკუთრებაა და ვინ როგორ მოაწონებს თავს, შემოსავალს იმის შესატყვისად იყოფენ.

11564. წინათ რეცენზენტის როლს ტრიბუნი კისრულობდა, დღეს ამას „მასმედია“ ახერხებს გაცილებით მეტი მსმენელით და მაცქერალით, მაგრამ უღიმღამო შედეგით, რადგან ამ უკანასკნელთ ტვინის განძრევა არ უნდათ.

11565. დღეს რეპუტაციის დაკარგვაც ადვილად შეიძლება და აღდგენ-

აც, გააჩნია „მასმედიას“ როგორ დააფინანსებ.

11566. დღეს რეპუტაცია რეკლამაა, ხარისხს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, შეგამჩნიონ.

11567. ინტრიგანობა რომ შეგამჩნიონ, ზოგჯერ გეშველება, მაგრამ რეპუტაციას ვერ მოიპოვებ.

11568. რეკლამა მრავალჯერ გვასულელებს, მაგრამ კარგ საქმიანობასაც ეწევა, ავად თუ კარგად, სიახლეს გვაზიარებს.

11569. მდივანი უფროსის მფარველი ანგელოზია, თავაზიანია, საჭირო ინფორმაციებს ფლობს, უფროსით ამაყობს და აბეზარი მთხოვნელებისაგან პირველ „დარტყმას“ თავად იღებს.

11570. ყველა მოწოდებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ეს პოლიტიკური იქნება თუ ეროვნული. არ უნდა ისპეკულიანტოს, ნაციონალიზმის ნიღაბს არ უნდა ამოეფაროს, რათა ხალხებს შორის უნდობლობა არ ჩამოაგდოს.

11571. ინტერვიუს მიცემა, პრესკონფერენციის ჩატარება, თავის ინტრიგით და კრიტიკით, იმ აზრთა გასავრცელებლად გვჭირდება, რომელიც საზოგადოებაში ზარ-ზეიმით გვინდათ გავახმაუროთ.

11572. ინტელიგენტი – განათლებული, დაუფასებელი ადამიანია, პრაქტიკულად შესაძლებლობების გარეშე.

11573. კარიერის კიბის ბოლო საფეხური ყოველთვის ჩამოვარდნით მთავრდება, უკეთეს შემთხვევაში, დაცურებით.

11574. ხშირად ჩვენი კარიერით, სამსახურებრივი წინსვლით, ჩვენი ახლობლები უფრო არიან დაინტერესებულნი, რადგან გამოვადგებით, გამოგვიყენებენ.

11575. კარიერის კეთება უფრო ნაცნობობა-გამოდგომის დამსახურებაა, ვიდრე ცოდნა-მცდელობის.

11576. ბრბოსთან ნაცნობობის გაბმა ადვილია, მაგრამ გონიერებისთვის მათ ჭკუაზე სიარულია ძნელი.

11577. ჟურნალისტიკა დილეტანტების ფაეტონით მოგზაურობაა დღევანდელ გაუგებარ სამყაროში.

11578. ჟურნალისტიკა მოდის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ყოფის „ალჩუს“ ერგება და საფასურს უხდის.

11579. ჟურნალისტები ძალიან ჰგვანან დინოზავრებს, ისინიც ძალზე ძველი წარმოშობის და პროფესიის არიან, ოღონდ გადაშენების გარეშე.

11580. ჟურნალისტიკა იმით განსხვავდება წარმოებისაგან, რომ ის პროდუქციას მაინც უშვებს, იმისდამიუხედავად, აქვს საჭირო ნედლეული თუ არა.

11581. ჟურნალისტისთვის მკითხველთა უმრავლესობა დაკომპლექსებული იდიოტია, მაგრამ ამას მას არ უმხელენ.
11582. ჩვენთვის საჭირო ხალხი მარად ჩვენზე მეტად „დაკავებულია“ და ჩვენთან შესახვედრად ვერ იცლის.
11583. ცოდნას და განათლებას ხშირად ვერც ამჩნევენ და არც აფასებენ, თუ ქვეყანაში უვიცთა დოღია გამართული.
11584. ეტიკეტი ფილოსოფიის იმ საკითხებთანაა ნაზიარები, რომელზე წარმოდგენაც ძალზე ორჭოფული და სადავო გვქონდა.
11585. საზოგადოება კარგად მრავლდება კომფორტის და თავდაჯერებისას, ხოლო ყოველივე ეს მომდევნო თაობამ ზომიერების ფარგლებში, ალიყურით უნდა იწვნიოს, რათა კომფორტი ფუფუნებაში არ აერიოს.
11586. გონიერი ხელისუფლების ხელში დეპუტატმაც შეიძლება კარგი საქმე აკეთოს, ხალხის და მთავრობის დაუკითხავად.
11587. თაობები არ იცვლება წინაპართა ჩვენ მიერ ოპონირებით და აწმყოსთან შეჩვევით და მასზე მორგებით.
11588. შვებულება კანონით ყველას ეკუთვნის, ხოლო იმსახურებს თუ არა, ეს სხვა საქმეა.
11589. არსებობენ ნახევრად რუსები, სომხები, ებრაელები, ქართველები და სხვა სხვადასხვა ერის ნახევრად შვილები, რომლებიც სანამ ერთ ეროვნებას არ აირჩევენ, მარად თავიანთ წარმოშობასთან ვაჭრობის სტადიაში არიან.
11590. ზოგჯერ შენი შესაძლებლობების ვიწრო წრეში ცნობადობა უფრო მეტს ნიშნავს ქვეყნისთვის, სახელმწიფოებრიობისათვის, ვიდრე საზოგადოებისთვის, მასისთვის.
11591. დიდება მალფუჭადი ნაწარმია, განსაკუთრებით, საზოგადოება-ჩამოუყალიბებელ, აცა-ბაცა, ქვეყანაში.
11592. ის ხალხი, ერი, კუთხე ერთმანეთს უფრო უგებს და სულიერად უფრო ახლო არიან, რომლებიც ურთიერთზე ანეგდოტებს ქმნიან და ერთმანეთს ნიშნს სიყვარულით უგებენ.
11593. განუსჯელი თათბირები, უაზრო მოხსენებები, სხვადასხვა კომიტეტები, დროის გაყვანაა, ფულის კეთებით და მასისთვის თვალებში ნაცრის შეყრით.
11594. რჩევა-დარიგება იმათ მივცეთ, ვინც თქვენს ავტორიტეტს პატივს მიაგებს და მასში ფულის გადახდა არ ეზარება.
11595. ყველაზე მომგებიანი აქცია ცოდნა-გამოცდილებაა, რომელთა ყიდვას და დაბანდებას, უგუნურ ხელისუფალთა ხელში, არავინ ჩქარობს.

11596. მთავრობის და ხალხის ურთიერთობა თამაშია: ვითომ ერთმანეთზე გამორჩენის გარეშე ზრუნავენ და ბრიყვებს ეს სჯერათ.

11597. ქვეყანაში ერთი დიდი პიროვნება ქვეყნის სამართავად ყოველთვის და ყველა დროში მოინახება, მაგრამ მას სერიოზულად არავინ ეძებს, თუ ისევ განგებამ თავი არ მოიქაჩლა და პირველი კაცის სავარძელში „ძალადობით“ არ დასვა.

11598. ძალაუფლებას გამოყენება და საზოგადოების კონტროლი სჭირდება, რომ არ მიჰქაროს.

11599. არის რაღაც, რომელიც სამსჯავროდ არ უნდა გამოვიტანოთ და ადგილზე უნდა „მოვგუდოთ“, რადგან ყური მიეჩვევა, გონიერება გაირყვნება, შეუძლებელი შესაძლებელი გახდება და საზოგადოებაც გადაგვარდება (მაგ., სისხლის აღრევა, პედოფილია).

11600. ცივილიზაცია კულტურის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც მოსაწონ-მისაღებს თანდათანობით და დაუძალებლად ნერგავს.

11601. სამყაროს დასასრულზე რა მოგახსენოთ, მაგრამ დედამიწის გარკვეულ ტერიტორიებს რომ თავის დროზე დედა ეტირება, ამაში ეჭვი არავის გეპარება, იმდენად დაუდევრად და უგულოდ ექცევა ადამიანი გარემოს.

11602. დადგა დრო, როდესაც უნდა შეიქმნას ფორმულა მასისაგან ხალხის დასადგენად. გაირკვეს ბრბოს, პიროვნებათა, მოქალაქეთა პროცენტული რაოდენობა, რათა არჩევანი გავიადვილოთ, დრო მუქთად არ დავკარგოთ.

11603. შესავალი, გეგმა, რეზიუმე, მომხსენებელს იმისთვის სჭირდება, რომ მსმენელს საკითხის არსი გააგებინოს, რადგან რეალური საკითხის მოსმენის და გაგების უნარი ხალხს, „ბუნებრივი სიჯიუტის“ გამო, დაქვეითებული აქვს.

11604. საზოგადოება, რომელსაც სულმნათი სულხან-საბა ორბელიანის საფლავი დღემდე მოსკოვში ეგულება და იქიდან საქართველოში მის გადმოსვენებას არ აპირებს, ფუყეა. ფუჭია ის დროც, სადაც ისინი „იღვწიან“, რეგალიებით თავმოწონების მიუხედავად.

11605. უკულტურაა საზოგადოება, რომელიც არჩევანს აფექტში აკეთებს და გაუმართლებლობის შემთხვევაში არჩეულის შეცვლას და დროის გაყვანას ცდილობს.

11606. ხალხი კი არ არის ბრძენი, არამედ მათში შემთხვევით გამორეული გონიერება და დროის უცნაურობა.

11607. შრომის სახეობების გაფეტიშება დიდ სიკეთედ იქცევა თუ თითოეული მათგანი სათანადოდ დაფინანსდება, წარმოჩინდება, ანაზღაურდება, რათა ყველამ ვალი მოიხადოს საქმიანობის შეჯერე-

ბით.

11608. კოლექტიური წარმატება ერთი გონიერი კაცის უნარზეა დამყარებული, რათა სხვებსაც დაანახოს, დააჯეროს, აგრძნობინოს ის, რასაც თავად პერსპექტივაში ხედავს.

11609. დღეს ხალხი „ონანიზმით“ საქმიანობს, განსაკუთრებით, მეწვრილმანეობასა და კვების წარმოებაში, რასაც სახელმწიფო მცირე ბიზნესად და დასაქმებად ნათლავს, რადგან სხვანაირად მას ხალხის რეალური საქმის საკეთებლად დაკავების „ტვინი“ არ უდუღს.

11610. ასაკი ყოველთვის მოიაზრებს თანამედროვეთათვის დიდ საქმეებს და აკრიტიკებს მისი შეუსრულებლობისთვის მომდევნო თაობას, იმის მიუხედავად, რომ თავადვე აქვს, თავის წინამორბედებისაგან გადატანილი ასეთივე „რეპრესიები“.

11611. ნაძირალა ის კი არ არის, ვინც ცუდად იქცევა, არამედ ირგვლივ მყოფი, უნიციატივო, უნიათო, მშიშარა, ხალხი, რომელიც ამის უფლებას იძლევა.

11612. სათნოებასაც საზოგადოებაზე მორგება თავისი მენტალიტეტით სჭირდება.

11613. „ჯუნგლის კანონი“ მაშინ მოქმედებს, როდესაც ამომრჩეველთა უმეტესობა არჩევნებით სერიოზულად არ ინტერესდება და „განტევების ვაცის“ როლის შესრულებაზე ჩუმ თანხმობას აცხადებს.

11614. სიკვდილი ყოველთვის ასწორებს, მაგრამ არა უხიაგი ხელისუფლების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას, რადგან მისი „ნაღვაწი“, დრო და დრო, თავს წამოყოფს.

11615. მაყურებელი, მკითხველი, მოქალაქე, ისაა, ვინც ერუდირებულია, გარკვეულ განათლებას ფლობს და რომელიც მასაში არ უნდა აგვერიოს.

11616. სადღეგრძელოს წარმოთქმაში ქართველები როგორც მობილიზებულნი არიან, ისე რომ ეროვნული საქმისთვის იყვნენ, რაღა გვიჭირდა.

11617. ქვეყანა პრეზიდენტს ირჩევს, სახალხო კონსტიტუციას რეფერენდუმი ამტკიცებს, ჯარი ჰყავს, მაგრამ სახელმწიფო არ არის, ნიჭიერი კოლექტივია, დიდი რეჟისორია, კარგი სცენარია, მაგრამ ხელოვნება არ არის, მომხიბვლელობა არ აკლიათ, ლამაზი შვილები ჰყავთ, მაგრამ ოჯახი მაინც არ არის, რადგან სიცოცხლის მადლი, გონიერების გამოცდილება, ყოფის წინჭვრეტა, გათავისებული არ არის.

11618. ყოველი კითხვა პასუხს ითხოვს, ყველა ქმედება – ანგარიშს, საერთო შედეგი – განსჯას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა თავ-

ისთვის იღვწის, სხვისი ბედი არავის ადარდებს და ანარქიის მაგვარიც ჩვენს წინაა.

11619. ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულებაა პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვიძება საზოგადოებაში.

11620. გმირი ყოველთვის გმირად უნდა დარჩეს და საზოგადოების განვითარების ოღრო-ჩოღროები მასზე გავლენას ვერ უნდა ახდენდეს.

11621. ქვეყნის ლიდერის არჩევაზე საზოგადოება აგებს პასუხს და არა – ხალხი, რადგან ეს უკანასკნელი პასუხს არაფერზე არ აგებს და მუდამ იმ ბრბოდ რჩება რაც იყო.

11622. არსებობს უცვლელი ღირებულებები, რომლებიც, ჯერ-ჯერობით, პროგრესს არ ემორჩილება და რომელთა შენარჩუნება (ოჯახი, სისხლის და ხორცით ნათესაობა, კვლავწარმოება, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი) საშუალებას გვაძლევს ადამიანებად დავრჩეთ, თვითმყოფადობა და ეროვნულობა შევინარჩუნოთ.

11623. ცივილიზაციისთვის ხარკის გადახდა თავად ხარკის გადამხდელს რგებს და მოსალოდნელი სარგებელი გაცილებით მეტია.

11624. ქვეყნის ვალი ყველამ ნამუსიანად უნდა მოიხადოს, მაგრამ „რატომ“ გულში არავინ უნდა გაივლოს.

11625. ბუნებით მონიჭებული გარეგნული სილამაზე, მადლი, ყველა ჩვენგანის საკუთრებაა, რადგან განგებამ ეს სიმდიდრე ხალხს ერთ-ერთი ჩვენგანის შექმნით უწყალობა.

11626. სიახლის ძიებაა პროგრესის თავი და არა ბიზნესს ამოფარებული მისი მიმთვისებლები.

11627. სახელის და აღიარების მოპოვება, ნიჭთან ერთად, მოსახერხებელია. ამას ეშმაკობა სჭირდება, რათა არა მხოლოდ მომდევნო ასწლეულებმა, საკუთარმა დრომ შეგამჩნიოს და გაღიაროს.

11628. ბრბოს ყველა რჩეული „მოზუზუნეა“ – ძალად გაპატიოსნებული თაღლითია, რომელიც ბევრს ყბედობს, „სხვისთვის“ ჩალიჩობს, თავისთვის სარგებლობს. ხალხი როგორი მასაც იყო, იმადვე რჩება, ასეთია, ალბათ, უმთავრესად ადამიანის გენის ალგორითმი.

11629. ებრაელი ერი, თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, სხვა ერის კულტურის და გონიერების წარმოჩენას თავისივე თამადობით ცდილობს და პიარს უქმნის, მაგრამ ამ ქვეყნის უხეირო შვილებს ისიც შურთ, რადგან ამ ერის წარმომადგენლის გამოჩენას და მაღლა დგომას „ვერ იტანენ“.

11630. „კაცის კაცი არ უნდა იყოს“ გულის მოსაფხანი ნათქვამია, მაგრამ საქმეს ხომ ვიღაცამ უნდა უხელმძღვანელოს, ნიჭი წარმოაჩი-

ნოს და ხალხი საქმის საკეთებლად აიყოლიოს.

11631. ტექნიკური პროგრესი გვაიძულებს, ფორმალურად მაინც, ერთმანეთზე პასუხი ვაგოთ.

11632. საზოგადოების „ხარაკირი“ ბუნტია, რევოლუცია, დაუმორჩილებლობა, მისი „გაუთლელობა“, წაყრუება, ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერის შესაძლებლობა.

11633. თუ საზოგადოებამ შეძლო მატერიალური და ინტელექტუალურ საკუთრებათა ინტუიციით შერწყმა, მაშინ აქვს აზრი მის წარმომადგენლებთან საუბარს და საქმიანობას.

11634. საზოგადოებას დიდხანს არ შეუძლია იყოს შიზოფრენულ მდგომარეობაში, როდესაც ერთი ფეხი წარსულის ტლაპოში უდგას, ხოლო მეორე ჰაერში აქვს გაჩხერილი და საით დააბიჯებს, არ იცის. მაგ. დღევანდელი საქართველო.

11635. გვინდა – არ გვინდა, თანამედროვე საზოგადოების მენტალიტეტს ანგარიშს ვუწევთ, ვემორჩილებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლესაც გავირთულებთ და შთამომავლობასაც ბევრ მიწიერ სიამოვნებას მოვაკლებთ.

11636. უმეტესობა მაინც მასის წარმომადგენელია და არა – ხალხის, იმდენად ცვალებადი და დამცინავია.

11637. გვინდა – არ გვინდა, ცივილიზაცია შედეგს სისხლის გამოშვების შემდეგ აღწევს.

11638. ხალხს იცნობ თუ გიცნობს შორის ის სხვაობაა, რომ ორივე მხარე თავისი „მეს“ წარმოჩენას ებღაუჭება, ცდილობს.

11639. ცივილიზაცია ითვისებს რაციონალური მიღწევებს, იკედლებს პოპულარულ იდეებს და არა შეცდომების უარმყოფელ ინდივიდებს და ამბიციებიან დემაგოგებს.

11640. ყველა სისტემის წინააღმდეგ წასვლა ძველის განადგურებას იწვევს და გარკვეული დროით – მომავლისასაც. ეს ეხება როგორც ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებრიობას, ახლის შენებას.

11641. უკულტურო, უნიათო საზოგადოებაში ყოველთვის ფასობდა „ჯიბის ფილოსოფია“, მატერიალური აზროვნება და უგვანოდ მომწიფებული ნაციონალიზმი უაზრო შედეგით.

11642. ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, მზაკვრობასთან, ვერაგობასთან დაპირისპირება მანამ არ შეუძლია, სანამ თავადაც თავს არ მოიგიჟიანებს, დროებით მათგვარი არ გახდება და „დედას არ უტირებს“.

11643. მომეტებული ამბიციები, შური – „იმან როგორ უნდა მაჯობოსო“, თავისებური ბრძოლაა, რომელიც ერთი მხრივ საზოგადოებას ავითარებს, მაგრამ მეორე მხრივ, ხალხს ორგულობით და ურთ-

იერთგაუტანლობით აავადებს.

11644. სექსაობის "მეცნიერების" უცოდინარი ჩვენი წინაპრები, შედეგიანები-მრავალშვილიანები იყვნენ, ხოლო სექსაობის „მცოდნე" მათი შთამომავალი უშედეგონი – ერთშვილიანები. ეტყობა, აქ განათლება არაფერშუაშია, ყველაფერში ფუფუნებისკენ მიდრეკილებაა დამნაშავე და მომავალში ეს ქვეყანა ვის დარჩება, დიდად არავის ანაღვლებს.

11645. ხალხი უმთავრესად დეკლარირებული უფლებებისთვის იბრძვის და არა – მათი დამკვიდრებისთვის.

11646. ხალხი, რომელიც დღევანდელობის ფეხის ხმასაა აყოლილი და წარსულის კარგს ივიწყებს, მყარ და გარანტიების მქონე საზოგადოებას ვერასოდეს შექმნის.

11647. ყველაზე მეტი პარტნიორობა იდეათა განხორციელებას სჭირდება, დაძალებით იქნება თუ შთაგონებით.

11648. ქვეყანას არგებ თუ ავნებ, დროის, ყოფის და საზოგადოების სურვილებზეა დამყარებული.

11649. კოლონიურ-სოციალური დანაშაულობებით დაავადებული ცნობიერება ალოგიკურად მსჯელობს და რატომ მიგვყავს საქმე აქამდე, ვერ გავრკვეულვართ.

11650. მთავარი დასჯა კი არ არის, არამედ მიზეზის, ქმედების, ობიექტური და სამართლიანი შეფასება იმდაგვარად, რომ საზოგადოებას გამოადგეს და მისი ინტერესები დაიცვას.

11651. ერთი შეხედვით, უვიცობა კანონზომიერია: ჯარისკაცმა რომ იცოდეს. ამ შეტაკებაში აუცილებლად დაიღუპება – რამდენ უბედურებას ააცილებდა სამყაროს. ასე, რომ ხალხის გაუცნობიერებლობა ხელისუფლებას საშუალებას აძლევს უგვანო მიზნები განახორციელოს.

11652. კლასიკური მუსიკა ცივილიზაციის მონაპოვარია, ჰარმონიულობა მუსიკის ზეიმია, მაგრამ ეს მოსახლეობის სამი პროცენტისთვის, ხოლო დანარჩენ 97 %-ს გასართობი და მსუბუქი მუსიკა ურჩევნია.

11653. რომ დაგაწინაურონ, მოხერხებული უნდა იყო, მაგრამ უციდველი ბრიყვის როლი უნდა მოირგო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემდგომის კონკურენტი ხარ და არა გაგახარებენ.

11654. დემოკრატია საზოგადოებასთან ნაჯვარია, რათა ხალხს შეეძლოს წესრიგი შეუმჩნევლად გადაამოწმოს.

11655. ღვაწლი საზოგადოების ცოდვებისთვის პასუხს არ აგებს, მათ უკეთესობისკენ გარდაქმნის და ზნეობის წინ წამოწევას ცდილობს.

11656. პიროვნება, რომელსაც ჩამოთვლილთაგან (წიგნიერება, პროფე-

სიონალიზმი, კორპორაციულობა, პასუხისმგებლობა, განცდის უნარი) თუ რაიმე აკლია, თანამდებობაზე არ უნდა დაინიშნოს.

11657. ხალხს გამარჯვებული აღმაფრენა-აღგზნებით უყვარს, დამარცხებული – დანანებით და არაორდინალური გამართლებით.

11658. ხალხს უფრო მზა აზრების მოსმენა მოსწონს, ვიდრე მათი განსჯა, გაანალიზება და იქიდან რაღაცის გამოყენება.

11659. საზოგადოებრივ და პირად საკუთრებას შორის ის სხვაობაა, რომ „ვირეშმაკობა“ ორივეს თავის სასარგებლოდ, ერთნაირად და ერთდროულად იყენებს.

11660. ჯოჯოხეთის სამოთხედ გადაკეთების მცდელობა სისულელეა, რადგან საზოგადოების განვითარებას მათ დაპირისპირება – შედარებაზე აღზრდა-ჩამოყალიბება სჭირდება.

11661. მეხსიერება კულტურას ჰგავს, შეიძლება დევალვაცია განიცადოს, მაგრამ არ უნდა შეცდეს, თუ გვინდა პირველი აღვიდგინოთ და მეორე აღდგეს.

11662. ყველა ერის წარმომადგენელს გამხნევება, შექება, იმედი, სჭირდება, უდრეკი სულის შეზელვით და „ვისი გორის არის“ გაცნობიერებით და იმის დაჯერებით, რომ მათი ამქვეყნად მოვლინება განგების ნება იყო, მაგრამ არა გადამლაშებით, რათა ეროვნულობა ნაციონალიზმში არ გადაიზარდოს.

11663. ხალხს დიდი საქმე არ უნდა ვანდოთ საბოლოოდ გადასაჭრელად: ან ნაციონალიზმის ხრამში გადაჩეხება, ან იდეოლოგიის ორმოში ჩავარდება, ან ეკონომიკა უფსკრულში გადაიჩეხება.

11664. ადამიანი მუდამ ყველაფრით უკმაყოფილოა და ეს არის საზოგადოების განვითარების დაჩქარება-შენელების ალგორითმი დროის და გარემოს შესატყვისად.

11665. მტრისთვის სახალხოდ დამუქრება და შეურაცხყოფის მიყენება „უტრაკო“, უმწეო, უნიათო ხალხის სიბეცეა.

11666. შთამომავლობისთვის უკეთესია, თუ წინაპარზე ჯინს იყრის და ერთმანეთს არ დაერევიან, სულერთია, ეს ანდერძის შედეგად იქნება, წარსულის ისტორიის ლაბირინთების გარკვევისას, თუ კარიერის კიბეზე ფეხის დადებისას.

11667. „მასმედია“ რესპონდენტს ზოგჯერ „დახმარების“ მიზნით შეურაცხყოფს, რაც თავისებური რეკლამაა დაინტერესებით, რადგან სხვანაირად ამ საქმიანობის მიმართ დაინტერესებას არავინ იჩენს.

11668. თუ ხალხს გათენება-დაღამების ეშინია, თავადაა დამნაშავე, რადგან თავის განძრევა-მობილიზების უნარი დასუსტებული აქვს.

11669. სიმკაცრეც ზოგჯერ კანონიერების ამომავალი წერტილია, სა-

ზოგადოებაზე ზრუნვის მომიზეზებით.

11670. უმსგავსოება დროულად უნდა იქნეს აღკვეთილი, რათა ფეხი არ გაიდგას და აქ „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“, არ გამოდგება.

11671. არაფრის კეთება, ნეიტრალიტეტის დაცვა, „მე არ მეხებათი“, ბოროტებას ხელს უწყობს.

11672. ჭორიც შეიძლება ზოგჯერ გამართლდეს და ვაი მისი გამავრცელებლის იმიჯს საკუთარი თავის წინაშე, თუ ის თავის ნასროლ ანკესს წამოეგო და სხვამ ღლავივით ამოათრია მისი ნაწინასწარმეტყველები.

11673. აიძულო თავი, აკეთოს საერთო საქმე, რომელიც ვიღაცას სიკეთეს მოუტანს, კმაყოფილების მომტანია.

11674. ბაზარი შევაჭრებას მოითხოვს, მეჯლისზე ყოფნა – ხელგაშლილობას და ეს პარამეტრები საკუთარი თავის შეფასება-დაფასებისას არ უნდა აგვერიოს.

11675. სპონსორობა ქველმოქმედება არ არის, მასში დაინტერესების მათრახიც უნდა იდოს, რათა დასპონსორებულმა ცხოვრების და მადლის ფასი ისწავლოს, მუდამ სხვის იმედზე არ იყოს და მომავალში თავადაც სხვის დასასპონსორებლად მოემზადოს, რადგან სპონსორობა მოვალეობაა, ქველმოქმედება – ერთჯერადი საჩუქარი.

11676. ყბედობა, უნიათობა, სიზარმაცე, ბრბოს სიმპტომის მოძალებაზე მიანიშნებს.

11677. აღზრდა-გამოსწორების დაწესებულებებში კონტიგენტის დემოკრატიული უფლებები შეზღუდულია, მაგრამ ამას მათზე ზრუნვის მომიზეზებით ამართლებენ, მიუხედავად იმისა, რომ შედეგი უარყოფითია.

11678. დასჯა-დაჯილდოება, ხშირად, დროზე, ხელისუფლების ნებაზე, გაუგებრობაზე და ხალხის ფეხებზემკიდიობაზეა დამოკიდებული.

11679. თავის გაფრთხილების იმუნიტეტი ბრბოდ ქცეულ ხალხს სახელმწიფოს „ინტერესების“ მომიზეზებით გათავხედებული ხელისუფლის „ტრაკის ჭიად“ აქცევს, რადგან საკუთარი სირეგვნის გამო თავზე წამოისვა და დაემონა.

11680. საზოგადოებას აინტერესებს შედეგები და არა ის, თუ პროცესი რატომ არ შედგა.

11681. საზოგადოება მაშინაა ძლიერი, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ კარიერას თანამდებობის მოთხოვნათა შესატყვისად ემსახურებიან. რაც შეეხება ადამიანურ ცდუნებებს, ის გარკვეულ წრეში უნდა დაკმაყოფილდეს დროის და გარემოს შესატყვისად.

11682. ერთიანობის უმთავრესი ალგორითმი ერთმანეთის ატანა, გატანა, წარმოჩენაა საქმის კეთების დაუმადლებლად.

11683. ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ხელოვნების მსახურთ განუსაზღვრელი უფლებები აქვთ, რადგან პირველის ერთი უშნო „გახუმრება“ პოლიტიკასთან და ხალხი შეღონებულია, ხოლო მეორის ხუმრობა მოსახლეობას კარგ გუნებაზე აყენებს და იმედს უძლიერებს.

11684. ჟურნალისტი „სიმართლის“ ფრქვევას ცდილობს, მაგრამ ვიღაცის ინტერესების და დამფინანსებლის შესატყვისად.

11685. საზოგადოებისთვის მთავარია სამართლიანობის განცდა, მის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ლიდერით და სიახლის დანერგვის კურაჟით, სხვა შემთხვევაში, საზოგადოების ერთიანობას ნაპრალი უჩნდება, აიშლება და ბუნტის მიზეზი ხდება.

11686. საზოგადოება ხშირად ეგება ამბიციურ ისტერიაზე არაფორმალური ორგანიზაციების წაქეზებით, რომლებიც თეორიულად კარგი საქმისთვის იღვწიან, მაგრამ პრაქტიკულად ფულს შოულობენ აქტუალურ თემებზე: მშვიდობისთვის ბრძოლა, ვეშაპების დაცვა, ფლორისა და ფაუნის მოფრთხილება, ზნეობა-უზნეობის ნორმების დადგენა და სხვა მრავალი. შედეგი, გარდა „ალიაქოთის“ ატეხვისა, არ ჩანს.

11687. უვიცობა-უცოდველობას ყველაზე უკეთ ნაციონალიზმი წარმოაჩენს, რომლისგანაც თავის დაღწევა, სხვადასხვა პატრიოტული მოტივის გამო, ძნელია.

11688. საზოგადოების ცნობიერებისაგან განსხვავებით, ეროვნულობა მუდმივი განზომილებაა და მისი ვარირება, ცვლილებათა განხორციელება, უარყოფით შედეგს იძლევა – გადაგვარებისკენ იხრება.

11689. უკვდავი საზოგადოება ორიენტირებულია ევოლუციურ განვითარებაზე და მის განსჯა-გადამოწმებას არ ახდენს.

11690. ამხედრებული, ყალყზე შემდგარი, საზოგადოება ვერავის იტანს, მათ შორის, საკუთარ თავსაც.

11691. დეტექტივებით გატაცება უკულტურო საზოგადოების პრეროგატივაა.

11692. აზროვნება ის ფენომენია, რომელიც მთლად უვარგისი არ შეიძლება იყოს, უბრალოდ, დღევანდელი საზოგადოება ვერ უგებს.

11693. ხალხის უგუნურება უამრავ მუქთამჭამელს ინახავს პარაზიტული აპარატის სახით, მაგრამ ყველაზე უკმაყოფილონი და „ჭკუის“ დამრიგებლები მაინც არაფრისმკეთებლები არიან.

11694. ბრბოდ გადაქცევის საფუძველია დაუსაქმებლობა და უხერხემ-

ლო ხელისუფლება, სხვა პარამეტრები ხელის შემწყობია.

11695. გონიერი ორატორის ხელში ხალხი ხან ბრბოდ იქცევა, ხან – მასად, ხანაც პოლიტიკურ დამქაშად და უკეთეს შემთხვევაში, თავის სახეს იბრუნებს.

11696. ცივილიზაცია და გულგრილობა ერთმანეთისკენ ილტვიან, რადგან თანდათან „დამოუკიდებელნი“ ვხდებით.

11697. „მასმედიის“ დანიშნულებაა ადამიანის გამოთაყვანება, რათა აიძულოს რეკლამას გაეცნოს.

11698. ხალხი ადვილად ეგება „ინტელექტით დაუზიანებელ“ გონიერებაზე, ყოფიერების კაურების შესახახვისთავებლად.

11699. თეორიულად ადამიანი საზოგადოების აზრზე მაღლა დგას და თავის ამაყ მეს ეკუთვნის, მაგრამ პრაქტიკულად მის კანონებს ემორჩილება.

11700. თუ გავითვალისწინებთ იმ მცირედ „ანცობებს“ სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში, აშკარაა, რომ ძალზე ბევრი შემთხვევითი ხალხია მოსული ქვეყნის მართვის სისტემაში, მათ ცინიზმზე რომ არაფერი ვთქვათ.

11701. ჩვენი მსოფლმხედველობისთვის ისეთი პატიოსანი პასუხის გაცემა, რომელიც თავადაც დაგვაკმაყოფილებს და სხვებსაც, ძალზე ძნელია.

11702. ხშირად უმრავლესობის აზრი პატივს არ იმსახურებს, რადგან ამით ყოფიერების ფორმულების ფილტრში არ გაუვლია.

11703. ძალად ინტელიგენტები თავისუფალ იდეებს ქადაგებენ, გაჭირვებას და ხელისუფალთა უნიათობას რევოლუციად აქცევენ, ერთმანეთს დიდხანს ვერ ჰგუობენ, კარიერის გულისთვის ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად ანადგურებენ, არშემდგარი პატრიოტები არიან, პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალებით. ანალიზის უნარი არ შესწევთ, პრაქტიკულად კარგს აკეთებენ თუ ცუდს, ვერ გარკვეულან, მუდამ თავს იმართლებენ და გამყიდველები არიან. სამწუხაროდ, თეორიისაგან განსხვავებით, ისტორიული რეალობა ხშირად ამდაგვარად გვაკვალიანებს.

11704. „ამქვეყნად სულელებს რა გამოლევს“, მაგრამ ჭკვიანებს და „ფართომოხმარების“ გონების მქონეთ არ უნდა აღემატებოდეს.

11705. საყვარლებიც და თაყვანისმცემლებიც ზომიერების ფარგლებში უნდა ვიყოლიოთ, მაგრამ სწორედ ამ საზოგადოების დადგენა და დაცვაა ძნელი.

11706. ჩვენი წარმომჩენია ის საზოგადოება, რომელშიც აღმოვცენდით, ბოლოში მოგვეწონება ამ აღმოცენების ნაყოფი თუ არა.

11707. დღეს რეკლამის და პიარის გარეშე აზროვნებაც და საქმის კეთებაც მოთხოვნის გარეშე რჩება.
11708. ყველა სამსახური, დასაქმება, ორგანიზაცია, მოწოდებულია ხალხს ემსახუროს, იმისდამიუხედავად, რეორგანიზაციას საჭიროებს თუ დეზორგანიზაციას, სხვაზე მიყიდვა-გადაცემით.
11709. ურთიერთგაუგებრობა დაპირისპირებას აღვივებს, რადგან სიბრძნე-მოთმინებისთვის ადგილი არ რჩება.
11710. თხოვნაზე უარის თქმას სახელმწიფო მოხელისთვის სიამოვნება მოაქვს, თანხმობას – დივიდენდები.
11711. სახელმწიფოებრიობის უპატივცემულობაა, როდესაც მოხელეს საქმის გადაწყვეტა არ შეუძლია და მთხოვნელის მომსახურებისთვის განკუთვნილ დროს მის თავიდან მოშორებაზე აცდენს.
11712. ტექნიკური პროგრესი და მისი ზრდა ეკოლოგიის „მონა“ უნდა იყოს.
11713. საზოგადოება უამრავი ადამიანისგან შედგება, მაგრამ მათში წინდახედულთა და გონიერთა ნახვა ძალზე ძნელია.
11714. ზოგი საზოგადოების მაღალ ფენებში ციტატების, აფორიზმების, კორიანტელს აყენებს და ასე მუქთად, სხვის ხარჯზე, გააქვს თავი.
11715. ყველა საუკუნეს თავის ხაფანგი აქვს, რომელშიც გამოცდილი ვიგინდარები იშვიათად ებმებიან. ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობა და უგუნურება კვლავ ხალხის კისერზე გადადის.
11716. ხალხის აზრი უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ არ ავყვეთ, რადგან ქვეყნის საქმე გონიერებით, წინხედვით უნდა ვაკეთოთ და არა მასების მოუმწიფებელი ნების აყოლით.
11717. სპორტი საყოველთაო გასართობი საშუალებაა, დაგროვილი უარყოფითი ენერგიის დაცლით და ნერვული სისტემის მოწესრიგებით.
11718. ფაქტი, რეალობა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია და გასაგებია, რეკლამირების გარეშე მაინც „უვარგისია“.
11719. „მასმედია“ ხშირად ისეთ ხალხს უკეთებს რეკლამას, რომლის გვერდზე ჩავლაც შეგვრცხვებოდა.
11720. „მასმედიის“ ყველაზე საოცნებო მეგობარია რეკლამა, რომელიც მის დაფინანსების შემდგომ მდარე ხელოვნებასთან და საეჭვო ჭეშმარიტებასთან გვაკავშირებს.
11721. ტელევიზია უფასო პრივილეგიაა იმათათვის, ვისაც შემოქმედებითი ნაღვაწის გათავისება ეზარება.
11722. „მასმედიას“ და ინტერნეტს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი

იმას გვაცნობს რაც მას უნდა, მეორე – რაც ჩვენ გვინდა და გონი მიგვიწვდება.

11723. „მასმედია“ ყოველივეს მასწავლებელია, მაგრამ ფაქტიურად, არაფრის, რადგან რეკლამით დამუხტულ ინფორმაციას გვაწვდის, რომელშიც გარკვევას ცოდნა-გამოცდილება სჭირდება.

11724. „ქვეყანა მდიდარია მოსახლეობით“ – მხოლოდ იაპონიაზე ითქმის, თუ მისი ბუნებრივი რესურსების რაოდენობას მოსახლეობის ოდენობაზე გადავიანგარიშებთ.

11725. ხალხი ზოგჯერ კახპა ქალივითაა და იმდენად დაუზოგავად უნდა დაასაქმო – „იხმარო“, რომ საბოლოო შედეგით კმაყოფილი დარჩეს და სასაყვედუროც აღარაფერი ექნება.

11726. კონფლიქტს ყოველთვის უმცირესობა წარმოშობს და აქ მტყუან-მართალის გარჩევა და მათზე სერიოზულად გამოდევნება არ ღირს, რადგან სხვანაირად, „ორთქლის გამოუშვებლად“, საზოგადოება არ იმართება.

11727. ხმასაყოლილი და სმასდაყოლილი ხალხი ბევრია, მაგრამ გონივრულად ხმის ამომღები იშვიათია.

11728. საზოგადოების განვითარება თავის წილ მსხვერპლს ითხოვს, იმისდა მიუხედავად, გვინდა შევამჩნიოთ თუ არა.

11729. ყველა პროფესიას თავისი ბედის დანახარჯები ახლავს.

11730. ყველა პროფესია თავის დაღს ასვამს ადამიანის ბუნებას, თუ მას მოწოდებით არ ემსახურება.

11731. ნაღდი ინტელიგენტია ყველა, ვინც პროფესიას, საერთო საქმეს, არ ღალატობს, მოხვეჭისათვის არ ირჯება, ამასთან ინტელიგენტის ქრომოსომები და გენიც, აღზრდასთან ერთად, შთამომავლობით აქვს.

11732. შინაგანი თაღლითობა და გონის მოხმობა სინონიმებია, რადგან ეს უკანასკნელი, დიდი გამორჩენის გარეშე, ვერც სახელს მოიპოვებს და ვერც საზოგადოების ინტერესებს მოემსახურება.

11733. უხამსობის გარკვეულ პროცენტს ყველანაირი საზოგადოება ითხოვს, რათა დროის და ყოფის პარამეტრებს თავისი ჭკუით მოერგოს.

11734. მუდმივ ღირებულებებს სახელმწიფო აფინანსებს, დროებითს – ხალხი.

11735. სამყარო თანდათან განათლებული, გამკაცრებული და უბოდიშო ხდება, რაც ტექნიკური პროგრესის და ფუფუნებისკენ სწრაფვის ბრალია.

11736. იუბილეს ყველა არ იმსახურებს, მაგრამ ყველა იხდის, ერთნი

თავისი ინიციატივით, მეორენი – სხვათა მეცადინეობით.

11737. საზოგადოება რყვნის ადამიანს თავისი კატაკლიზმებით და არა – პირიქით.

11738. თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ბედნიერებაა, მაგრამ მას რომ პატიოსნება, ცოდნა და თავის განძრევა სჭირდება, ნაკლებად აინტერესებთ.

11739. ანეგდოტს ძებნა არ სჭირდება, თუ დრო მახინჯია, ამომრჩეველი ამორალურია, ხელისუფლება უდღეურია.

11740. ღმერთს ძალზე ბევრი დარეხვილი ჰყავს, მაგრამ ზოგიერთის გარეშე ცხოვრება უინტერესო იქნებოდა და ტექნიკურ პროგრესსაც რაღაც-რაღაცები გაუჭირდებოდა.

11741. განვითარებულ საზოგადოებაში დემოკრატიისთვის მასზე მიტმასნილი ადამიანები იღვწიან.

11742. გმირობა დაუმსახურებლად ცვდება და დავიწყებას მიუგდებენ, თუ ის დროის ყივილს და ვიღაცის „წისქვილზე წყალის დასხმას“ არ სჭირდება.

11743. თამბაქოს, ალჰოკოლს, კაცობრიობასთან საკაიფო, ჩუმი, ხოლო ნარკოტიკს აშკარა ომი აქვს გამოცხადებული, მაგრამ საზოგადოება გულგრილობის და მერკანტულობის გამო, არც ერთს სერიოზულად არ ებრძვის.

11744. ევოლუცია მარტივიდან რთულისკენ ცვლის გარეშე ლტოლვაა.

11745. ხალხს ბრბოდ გადაქცევა იმიტომ მოსწონს, რომ თავისი საფიქრებელ-საკეთებელი სხვას აჰკიდოს.

11746. გონიერება ხშირად ადგილს უთმობს იმათ, ვისაც თავი ჭკვიანად მოაქვს ან ასეთად გვეჩვენება და მათ მიერ დროის შესატყვისად წამოთქმულ სიბრიყვეს სიმართლედ ვიღებთ, საეჭვო იმედით და ჩასაფრებით ვუყურებთ.

11747. ცივილიზაცია, იდეოლოგია, აღრევას ვერ იტანს, ისიც ევოლუციის პროტოტიპების შესატყვისად უნდა განვითარდეს.

11748. ვერც ერთი ცივილიზაცია დამყაყების პროცესს, ევოლუციის ლპობას და უძრაობას ვერ უძლებს, დროებით კვდება და დროგამოშვებით წარმოჩინდება.

11749. დღევანდელი ცივილიზაცია, ეტყობა, ძალზე ახალგაზრდაა, მაჭარია, თორემ ის რომ დაღვინებული იყოს, ადამიანი ამდენ სისულელეს და უგვანობას არ ჩაიდენდა.

11750. მასას რეალური ღირებულებებით ცხოვრება უჭირს, ვერც სასიკეთოდ აზროვნებს და რა დროში ცხოვროს, ვერ გარკვეულა. ქვეყანაში შედეგად იწყება ბუნტი, კატაკლიზმები და არეულობა.

11751. ადამიანს, პირველ რიგში, საკუთარი თავის დაცვა უნდა ეხერხებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერც სხვას დაიცავს, სიკეთის კეთება აზრს კარგავს და საზოგადოებაც, ბრბოდ გადაიქცევის ხარჯზე, გაქრება.

11752. წინაპრებს პატივი უნდა მივაგოთ, ხოლო სულით დაობებულები არ უნდა შევამჩნიოთ.

11753. განათლება ცივილიზებულ ადამიანს იძლევა და არა მოქალაქეს – ასეთად უნდა დაიბადო.

11754. იდეოლოგიათა შერკინება ესაა ბრძოლა იდეის, მოძრაობის, მოხვეჭის, სამართლიანობის, სახელით.

11755. სამყაროს ჰარმონიულობის ფორმულა: დიდი ერის წარმომადგენელმა მცირე ერის წარმომადგენელს არ უნდა დასცინოს, ხოლო პატარა ერის წარმომადგენლის ქცევამ დიდი ერის პატივისცემით გაკვირვება უნდა დაიმსახუროს.

11756. პრაქტიკულად ტალანტის დროზე აღმოჩენა-გამოვლენა, ხელისუფლის გონიერებაზე, სახელმწიფოს ინტერესებზე და სამოღვაწეო ადგილის არჩევაზეა დამოკიდებული, სადაც მას მეტ-ნაკლებად გაუგებენ, დაეხმარებიან, შეაქებენ.

11757. პროლეტარიატის იარაღი ნაღრძობი ტვინია, მოხერხებული ჭკუით და შორსმჭვრეტელობით და არა – სამოქალაქო ომი, რევოლუცია და „რიყის ქვა“.

11758. ხალხი არც საქონელია და არც ნივთია, იმისდამიუხედავად, რომ ხშირად ამის შთაბეჭდილებას ტოვებს, სანამ გაცხარდებოდეს და ტვინის გამზეურებას დაიწყებდეს.

11759. არის ნააზრევი, საფიქრალი, რომლის დრო ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მის გატირაჟება თუ არა, გახმოვანება აუცილებელია, რათა მომდევნო თაობებმა წინა თაობები დააფასონ, და შედეგები გაითავისონ.

11760. ბრბოს ინიციატივა, გადაზრდილი ქუჩის ინტელექტში, საზოგადოებრიობას ძვირი უჯდება.

11761. უნიჭობა საზოგადოებას რყვნის მოუმწიფებელი ახალაგზრდობის ხარჯზე, მაგრამ მას მანამ ვერ „ამჩნევენ“, სანამ რეკლამას ფული მოაქვს.

11762. ხალხის ძალის, ჭკუის და ყველაფრის ხედვის გვჯერა, მანამ ის ბრბოდ არ იქცევა და ყოველივე გონიერს არ წალეკავს.

11763. პრაქტიკულად წყევლაა იმ საზოგადოებაში ცხოვრება, მოღვაწეობა, სადაც თეორიულადაც კი ვერვის ენდობი.

11764. თუ გვინდა სახელმწიფო აპარატი ქურდობას გადავაჩვიოთ,

ფული არაორდინალური ცოდნის გამომჟღავნებით უნდა ვაშოვნინოთ, რაც გამოიხატება სიახლის დანერგვაში, სწავლებაში და საბოლოოდ მიზნის დასახვაში, რომელთა ღალატი მოხელეს უდიდეს მატერიალურ და მორალურ ზარალს მოუტანს.

11765. საზოგადოების ევოლუციის თანახმად, სოციალიზმს და ნაციონალ-სოციალიზმს ასეთი მახინჯი ფორმით არც საბჭოთა კავშირში და არც ფაშისტების გერმანიაში არ უნდა გაემარჯვა, მაგრამ ეტყობა, მამაზეციერიც ექსპერიმენტებს ატარებს და გამოუსადეგარ წყობას და ხელისუფალთ თავად უკეთებს ლიკვიდაციას.

11766. დღეს პროვოკატორობა რეკლამით და აურ-ზაურით საკმაოდ მომგებიან საქმედ იქცა და არა მარტო ეგრეთწოდებულ ხელოვნებაში.

11767. ახალი ამბებით თავის გამოტენვას მაშინ აქვს აზრი, თუ შენი ქვეყანის ინტერესებს და პირადობას ეხება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ „მტვერით“ თავის მეგაბაიტით დამტვერიანება და დროის გაცდენა არ ღირს.

11768. რჩევა-დარიგების მიცემა, მოვალეობის მოხდა, მცდელობისთვის გაცემული წვრილი ფულია, რათა საკუთარი თავის წინაშე მართალნი ვიყოთ.

11769. სიტყვა-პასუხის საღამოსაც გაწვრთნილი მაყურებელი სჭირდება.

11770. მთელი საზოგადოება მარიონეტების ხელშია, პოზიციას მივაკუთვნებთ თუ ოპოზიციას.

11771. ზოგი სიახლეს ჭორით იგებს, ზოგიც – „მასმედიის“ მეშვეობით, ხოლო სიმართლეა თუ ტყუილი, მათი გასაცრელი საცერი თავში უდევს.

11772. ინფორმაციის ისე მირთმევა, როგორც ჩვენ გვსიამოვნებს, ხშირად არ გამოდის, როცა სიმართლე არ მოგვწონს და ჩვენს სურვილებს ფეხს უდებს

11773. გაუზრდელთა ოდენობას დრო და საზოგადოების მენტალიტეტი განსაზღვრავს.

11774. „ხავერდოვანი საზოგადოება“ სახელმწიფოებრიობას რგებს თუ ვნებს ძნელი სათქმელია, მაგრამ დაპირისპირებულ მხარეებს უამრავი ფაქტს აძლევს თავის გასამართლებლად.

11775. მართვის ნიჭს ყველაზე მეტად ქაოსი საჭიროებს, რათა დროებით მოურჩენელი მუდმივი არ გახდეს და ქაოსი არ დაგვებედოს.

11776. მასმედიის „ტურფობის“ მიუხედავად მადლიერი უნდა ვიყოთ, ავად თუ კარგად, წარმოგვაჩენს, სახელს მატიანეს არ უკარგავს,

ხოლო ისტორია რას და როგორ განსჯის, ეს უკვე შთამომავლობა-ზეა დამოკიდებული.

11777. რისკის გარეშე საზოგადოება ვერ განვითარდება, ხოლო ამის საჭიროებას ხორცს შედეგი ასხამს.

11778. სახელმწიფო მოხელე მუდამ კარიერისტი, ფლიდი, მექრთამეა, ნდობას არ იმსახურებს და ამას ტექნიკური პროგრესი შველის.

11779. მოვა დრო და საყოველთაო არჩევნებს, სასამართლო პროცე-დურებს, ინტელექტუალურ რობოტებს ანდობენ, რადგან ადამი-ანთა პატიოსნებით დასნეულება – დაპროგრამება, ჯერ-ჯერობით, არ ხერხდება.

11780. შემოქმედება და ალტრუიზმი ცდილობენ ერთმანეთს შეეგუონ, ხოლო წესრიგი და განსჯა მათგან შორს დგომას ამჯობინებენ.

11781. ქალები გვეხმარებიან მამაკაცებს გვარის ტარებაშიც და გვარის გაგრძელებაშიც.

11782. უმრავლესობას გონიერების ნაჟურზე ხელი არ მიუწვდება, ამი-ტომ მას უფრთხიან, ფეხს უდებენ, ზურგში დანას ურტყამენ, მაგრამ თუ თავისი გაიტანა, გონიერებას ქედს უხრიან და ეთაყვანებიან.

11783. ხალხისაგან და საზოგადოებისაგან განსხვავებით, მტაცებელი ცხოველები და ბანდიტები ჯგოგურად ერთად დგანან, რადგან გაითავისეს, რომ ძალა ერთობაშია.

11784. მხოლოდ „ჭკუანაღრძობი“ რეალობა შეიძლება იყოს ჩვენი ყოფის კრიტერიუმი.

11785. სამართლიანობა ზოგჯერ ძნელი ასატანია, მაგრამ მათ აღქმის გარეშე არც კორუფცია მოისპობა და არც „ქურდული გაგება“.

11786. იფიქრო ორიგინალურად, იღვაწო ნიჭის კარნახით და ამას რომ გვერდზე დგომა სჭირდება დაფინანსებით, რათა რუდუნიზმმა, უგუნურებამ და ტოტალიტარიზმმა ფეხი საზოგადოებაში არ გაიდ-გას, ამაზე არავინ ფიქრობს.

11787. საზოგადოების უმთავრესი დანიშნულებაა „ჭკუანაღრძობი“ ხალხის ერთად მოქუჩება, უზრუნველყოფა და მათთვის დაკვეთის მიცემა, რადგან პროგრესი და კარგი ცხოვრება მათ ნაფიქრალ-ნახელავზეა დამყარებული.

11788. ზოგი მუდამ გაყუჩებულია და ამიტომ ჭკვიანი და მართალი ჰგონიათ, უმრავლესობამ ეს იცის, მაგრამ ენას ვერ აჩერებს.

11789. მოქალაქემ ყველა გადასახადი უნდა გადაიხადოს, მათ შორის, გართობისთვისაც, თუ უნდა ქვეყანასაც არგოს და საკუთარ თავ-საც.

11790. ცივილიზებულ საზოგადოებაში დაუზიანებელი სულის ადამიანი

იშვიათია, რადგან უმანკობა დღეს მოდაში არ არის და ფასიც დაკარგული აქვს.

11791. საზოგადოებას დეგრადირებას დრო განსაზღვრავს და არა – აზროვნება, რომელიც დროთა მსვლელობას ემორჩილება და არა – ევოლუციის კანონებს.

11792. სამწუხაროდ, კარგი საქმიანობით თავის მოწონება დღეს თანდათან ძნელი ხდება, რადგან რეკლამას ეს მაინცდამაინც არ აინტერესებს და არც შემოსავალს იძლევა.

11793. ანეგდოტი კლოუნადაა, ხოლო სენტენციები საზოგადოებისთვის მაშინ იქცევა სულიერი საზრდოდ, როდესაც უნდა დაივიწყოს უხეირო წარსული და „მეობა“.

11794. სოლიდარობა პრევენციული პრეროგატივაა დაუფიქრებლად მხარდაჭერით.

11795. სხვადასხვა კულტურათა შეჭიდება კარგს არაფერს იძლევა, თუ საწყისად მოთმინება და ურთიერთგაგება არ დავუდეთ, რათა ერთმანეთის საუკეთესო ფენომენები გავითვალისწინოთ.

11796. დღეს SMS-ის გაგზავნა გასართობი, დროის მოკვლის და ნერვების დამაწყნარებელი საშუალება გახდა, ოღონდ ფულის სატელეფონო კომპანიის ჯიბეში დაბანდებით.

11797. „ჭამა-ყლაპვის საზოგადოება“ ყოველთვის სჭარბობდა და ჭარბობს „ჭკუა-გონების“ განძრევის ასოციაციას.

11798. ხალხისათვის თავის მოწონება ადვილიცაა და ძნელიც, გააჩნია, რომელი დროის „ნაძირალა“ ხარ (კარგი გაგებით).

11799. ბედი თუ გვერდში არ ამოგიდგება, ისე პატივს არავინ მოგაგებს, როგორც ეს საუკუნეთა გამოცდილებიდან ირკვევა.

11800. უდიერი დავა ცუდია, მაგრამ პროგრესს მის გარეშე არსებობა გაუჭირდება.

11801. ალალმართლობას რა სჯობს, მაგრამ საზოგადოებაც უნდა იყოს იმ დონეზე, რომ დააფასოს.

11802. ყოველგვარი ინფორმაციის დეკლარირებამ და ზოგიერთ ფასეულობათა გადახედვამ შეიძლება მასების ბუნტი გამოიწვიოს.

11803. ბრბო რატომღაც იმ პიროვნებას ებრძვის, ვისაც მათვის სიკეთის მოტანა თანადგომით უნდა და არა ალიყურის ჭმევით.

11804. ხალხის მენტალიტეტი, ტექნიკური პროგრესისკენ მისწრაფება, ყბედობისკენ მიდრეკილება, ქმნის თავზე წარმოდგენას.

11805. აზრთა ურთიერთგაზიარება და არა – დავა, კამათი, ოპონირება, რომლებიც სასურველ შედეგს ყოველთვის არ იძლევა.

11806. მლიქვნელს ბატონობისკენ მიმავალი გზა საბოლოოდ მაინც

გადაკეტილი აქვს.

11807. განათლება, ნიჭი, შემართება, ცნობადობასაც, დაფასებასაც და ჰონორარსაც გულისხმობს, სხვანაირად მათი რაობა „დაჩმორებული“ და უღიმღამოა.

11808. ძველი თაობაც დროულად უნდა შეეგუოს ტექნიკური პროგრესის მიღწევების „კაურებს“, თუ უნდა სიცოცხლე გაიხანგრძლივოს, გაიხალისოს და მომდევნო თაობებს ტვირთად არ აეკიდოს.

11809. სიტყვის ძალა უსაზღვროა, მაგრამ მსმენელი უნდა ჰყავდეს პატრიოტი და გონების მომკრები.

11810. ხალხზე, ადამიანებზე მსჯელობენ მათი საქმეების ოპონირებით და დასამახსოვრებელი შეცოდებების გაფეტიშებით.

11811. მისაღები საზოგადოების შერჩევა უპირველესად უნდა ვანდოთ გამოცდილებას და არა – გონიერებას.

11812. კაცი, რომელსაც განვლილი ცხოვრებისთვის თვალის შევლებისა არ რცხვენია, უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება და ამ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა.

11813. დღესაც ისაა „მართალი“, ვინც თავხედია, შეიარაღებულია, მატერიალურად უზრუნველყოფილია და სამწუხაროა, რომ ჯერ-ჯერობით ამ მხრივ ადამიანთა ცნობიერება არ იცვლება.

11814. რა სახის მისაბაძი გმირებიც გვყავს, იმგვარივეა ხალხიც და ასეთია წყობაც.

11815. ხანდახან ჩემს საყვარელ ხალხზე გაბრაზებულმა მინდა მას უგუნური ვუწოდო, მის პოლიტიკოსებს კი – ნაძირალები, ღმერთო შეგცოდე და ამას თავიანთი ქომაგობით იმსახურებენ.

11816. ჩვენ, პირველ რიგში, ადამიანები ვართ და შემდგომ პოლიტიკოსები, ამიტომ ოპონირებით ერთმანეთი არ უნდა გავანაწყენოთ, რათა ქვეყნისთვის საკეთებელი საქმე ურთიერთშეწევნით ვეკეთოთ და არა – დაპირისპირებით, რომელსაც შედეგი არ მოაქვს.

11817. ქუჩური ჟარგონის აღრევა საზოგადოებაში მიღებულ მეტყველებაში და მისი „მასმედიით“ გახმოვანება ერის გადაგვარებაა.

11818. მე მესმის, რომ არც ერთ ბრბოდ ქცეულ ხალხს არ უნდა აკადრო, რომ „ტრაკია“, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ ამ ქვეყნის ისტორია, გამოცდილება, ეროვნული შეგნება და მისი დღევანდელი ხელისუფლება სხვა გზას არ გიტოვებს.

11819. თუ ჩვენ გახდომა გვინდა, დიეტა უნდა დავიცვათ, თუ გვინდა რაღაც ქვეყნისთვის დასამახსოვრებელი და პერსპექტიული რაღაც ვაშენოთ, დროებით ქამარი უნდა შემოვიჭიროთ, რადგან ცხოვრება ასე არ არის: „ერთი ჭიჭიკოს ცოლი მომცა და ბიჭიკოს ფალოსი,

რას ვიჟიმავებდიო!“

11820. დღევანდელი ტყის ხანძრები საქართველოში, რუსეთში, ევროპის ზოგ ქვეყნებში, აშშ-ში, უცოდინარობის ბრალია. რაღაც კაპიკებს ზოგავენ ტყის დაცვის სამსახურზე და მილიონობით ზარალს იღებენ, რადგან ტყისმცველის მოვალეობის გაუფასურება, რომელიც მოწოდებულია, თუ საჭიროა, დროულად თავად გაუჩინოს ტყეს დაბლივი ხანძარი, გამხმარ ბალახებს, მკვდარი საფარის დასაწვავად, რათა ახალი ბალახი, ქვეტყე წამოვიდეს და საქონელს საბალახო ჰქონდეს. და ეს საქმიანობა, დელიტანტების ხელით ჩადენილი, ქვეყანას გაცილებით ძვირი უჯდება.

11821. იქ, სადაც გონიერების სიკეთე უგუნურების ამბიციებს ვერ სჯობნის, უმთავრესად უხეში ძალა იმარჯვებს და ზეობის პოზიციებს იპყრობს.

11822. რეალური საზოგადოება მოწოდებულია ადამიანის ოცნებები არ დააავადოს, იმედი არ „დააჩმოროს“, ადამიანიდან პიროვნება მიიღოს და არა მასის წარმომადგენელი.

11823. დღევანდელ „შემაფურთხე – ვერ მოვიწმინდავ“ საზოგადოებას საერთო საქმისადმი გულგრილობა, მოჩვენებითობა, უიდეობა, ახასიათებს. სადაც ეროვნული შეგნება, პატრიოტიზმი და კაცობა დევალვირებულია, სადაც პოლიტიკაში არაპროფესიონალი და ნაძირალა ხალხი მიძვრება და ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებს საკუთარი კეთილდღეობისათვის იყენებს.

11824. ცუდ-უიღბლო წარსულს „განადგურება“ დავიწყებით სჭირდება და არა – გალამაზებით, თავის მოტყუებით.

11825. ცივილიზაცია ყოველთვის მეცნიერებას ეყრდნობოდა, მაგრამ მარად აღებ-მიცემობის იმედი ჰქონდა თავის გამოსაჩენად.

11826. ჭკუის დარიგების უფლებას ჩვენ იმათ ვაძლევთ და მოსმენას იმათგან ვკადრულობთ, ვინც ჩვენზე ერთი თავით მაღლა დგას, რეკლამირებულია და დახმარებაც შეუძლია, მაგრამ ასეთ ხალხს ჩვენთვის არ სცალია და ვართ ასე გაკვეხებული უგუნურებასა და უსაქმურობას შორის, ჩვენივე ამბიციებით.

11827. თაობა, რომელსაც სიახლის გათავისება ძველის ანალიზით არ შესწევს – მაჩანჩალაა.

11828. საოცარია: საზოგადოებაში შემოიჭრება რაღაც უცხო იდეა და ყველას აცდუნებს, რადგან ძველს, ეტყობა, უკვე ყავლი გასდის.

11829. რეალური კონკურენცია მისასალმებელიცაა და აუცილებელიც საზოგადოების განვითარებისთვის, ხოლო მოჩვენებითი და თვითმარქვია, რომელიც ყოველივე რეალურს ფეხს უდებს და თავდაყირა

აყენებს, ამოსაძირკვია.

11830. თავის გაწირვაც სწავლა-შეგნებით უნდა, თუ შენი ქვეყანა, ხალხი, მოყვასი, ამის ღირსია.

11831. ცოდნის შეძენა-დაგროვება, გონების გამდიდრება, არ იბეგრება, რადგან ყველას ეკუთვნის.

11832. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ „ლეგალიზებული ცისფერების“ ინსტიტუტი ფართო გაგებით რყვნის ხალხს, გადააგვარებს საზოგადოებას და ქვეყნის ძლიერებას ძირს უთხრის.

11833. არის ტრადიციული დარგის მართვა, იგი რაც უნდა არაპერსპექტიულად გვეჩვენებოდეს, მისი რეფორმირება, ხელის ხლება არ შეიძლება. მაგ. ტყის მოვლა-პატრონობის საქმე. ამის შესანიშნავი მაგალითია ტყის გაუთავებელი ხანძრები მთელ მსოფლიოში.

11834. ადამიანებმა ურთიერთპატივისცემა ყოველგვარი შეხსენების და დაძალების გარეშე უნდა იგრძნონ – მაშინაა საზოგადოება ჩამოყალიბებული და ქვეყნის მმართველობა წაღმა შემოტრიალებული.

11835. არის საჭირბოროტო თემა, რომლისადმი ყურადღება ყველა დროის ხალხმა უნდა გაამახვილოს და ხელოვნებას მარად უნდა აჰკიდოს მისი განსჯის საკითხი, რათა ერი არ მოდუნდეს და გულმავიწყობა არ დაჩემდეს.

11836. რატომღაც ქართველებს სულ გათითოკაცებისაკენ და „ძილისკენ“ გვაქვს მიდრეკილება. ხშირად განგების ალიყური არც ამას გვაკმარებს და უგუნურებასაც შეგვაზელს, ალბათ გონების საწრთობლად და თავის მოსაქაჩლებლად.

11837. დღეს ცივილიზაციის გათავხედებას და ტექნიკური პროგრესის გაჯირითებას ქვეყნის მენტალიტეტზე, ერის რაობაზე და ხალხის ტრადიციებზე მორგება სჭირდება, რათა მათ მიერ მათლაფით მოტანილმა სიკეთემ, ქვეყნის გადაგვარებას, ეროვნულობის მიფუჩეჩებას და ხალხის ფეხებზემკიდიაობას ხელი არ შეუწყოს.

11838. რადგან ყველა ცივილიზაციას ფუფუნებისკენ აქვს მიდრეკილება, უნდა ვირწმუნოთ ისიც, რომ მის გათავხედებას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

11839. დასანანია, როდესაც შენს ინტელექტუალურ საკუთრებას დიდი პრაქტიკული გამოსავალი აქვს, მაგრამ ძლიერთ ამა ქვეყნისას ეს არ აინტერესებთ ან ვერ ხვდებიან.

11840. ბიუროკრატიას ვერაფერს დავაკლებთ, ის უკვდავია.

11841. ცივილიზაციაც თავის გადასახადს მოითხოვს, რომელიც აწმყომ მომავლის ხედვით უნდა გადაიხადოს.

11842. საზოგადოებამ თავისი ინტერესების დაცვა უნდა ისწავლოს,

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაოსი და მეორედ მოსვლაა მოსალოდ-ნელი.

11843. მოსახლეობისათვის კარგი ხელისუფალი და ისტორიისათვის დასამახსოვრებელი ქვეყნის მმართველი შეუთავსებელია.

11844. ლამაზ ადამიანსაც კი მოდაზე ჩაუცმელობა არ ამშვენებს, იმ-დენად დიდია დღეს პიარის ფასი.

11845. „მუშტის მეთოდი“ და „შენობით ლაპარაკი“ ზოგჯერ უფრო სწრაფ შედეგს იძლევა, ვიდრე ჭკუა-დარიგება და ზრდილობიანი „სალამ-ქალამი“.

11846. ბანკი, რომელიც გვაღფრთოვანებს, ეტყობა, მთლად უზადო არ არის, რადგან რაღაც-რაღაცებს გვასწავლის და სადღაც-როგორ-ღაც გამოგვადგება.

11847. საყოველთაო მიზანი ბედნიერებით გაჯეჯილებაა.

11848. რეკლამა კულტურულად ხალხის გაყვლეფის სინონიმია, რადგან წინასწარ დაუგეგმავ ნივთებს შეგვაძენინებს.

11849. დიქტატურის და თავისუფლების ურთიერთმიმართების საო-ცრება ისაა, რომ ერთმანეთი დრო და დრო უნდა შეანაცვლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი და საზოგადოება გაიხრწნება და გადაგვარდება.

11850. საზოგადოების აზრი პოლიტიკურ აზროვნებასთან ვერასოდეს ახლოს ვერ მივა, რადგან პირველს დღევანდელობა გამორჩენით აინტერესებს, მეორეს – ქვეყნის ძლიერება და ბედი.

11851. უნიჭობის დოღია, გარყვნილების მორევში თავის წარმოჩენა-გამოჩენა-დაფინანსების მიზნით რომ მიგვათრევს ტექნიკური პრო-გრესის მოშველიებით.

11852. ხალხი ხან მოსახლეობად გადაიქცევა, ხანაც მასად და ბრბოდ, გააჩნია, დროის ყივილი როგორ მოინდომებს მათზე გართობას.

11853. დაპირისპირებას ხშირად გუნდური სულისკვეთება იგებს და არა – მარტო გამოცდილება და პროფესიონალიზმი.

11854. მოსახლეობის პასიურობა, რუდუნიზმი, პირდაპირპროპორციუ-ლია მის მიერ არჩეული ხელისუფლების უპასუხისმგებლობის და უნიათობისა.

11855. ახალ და საქმის მკეთებელ ნიჭიერ თანამშრომელს, ხელმოცარ-ული კოლეგები მარად კრიჭაში უდგანან, თუ მათ საქმეში არ გაიყ-ვანს.

11856. გარჯა-შემართებას რომ უსაქმურობა-გართობას ამჯობინებენ, იმ ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის დედაც ვატირე.

11857. მოსახლეობა რომ კვლავ ხალხად იქცეს, იმედების გაცრუება და

მკაცრი ხელი სჭირდება.

11858. გამარჯვებულს იმ შემთხვევაში არ ასამართლებენ თუ მისი გამარჯვებები ახსოვთ და დროის ყივილი მის მხარესაა.

11859. მოსახლეობას სერიოზულად არაფრის კეთება არ უყვარს და თვალი მარად ცუღლუტობა-გამორჩენაზე უჭირავს.

11860. დღეს ყველა ჭუჭყს, ნაგავს, უმსგავსობას, „მასმედია“ გადაამუშავებს, მეორად ნედლეულად გვაწვდის და ამ ბიზნესით ფულსაც კარგად შოულობს.

11861. თაობების, ქვეყნის, სინდის-ნამუსის, დღესასწაული ყოველთვის ცრემლნარევია.

11862. უმრავლესობის სიბრიყვე უმცირესობის გონიერებას ბოლომდე ვერ სჯობნის.

11863. ხალხის სახელს მოსახლეობა იბრალებს, მასისას კი – ბრბო.

11864. რევოლუცია საშინელებაა, მაგრამ სხვანაირად დამყაყება და რუდუნიზმი არ იკურნება.

11865. სიბრიყვესაც თავისი დღესასწაული აქვს და ზეიმობს, თუ ზედამხედველი არ ჰყავს.

11866. მოწინააღმდეგეში უმთავრესად ეძებეთ ღირსება და ღირებულება, რომელთა ანალიზის გარეშე მასზე გამარჯვება გაგიჭირდებათ.

11867. მოხელეთა უმეტეს ნაწილს პატიოსნების ინფექცია არ შეეყრება, რადგან მომხვეჭელობის საწინააღმდეგო აცრა არ აქვთ ჩატარებული.

11868. ხალხს შრომაც უნდა ვასწავლოთ, ფულის შოვნაც, მისი ყაირათიანი ხარჯვაც და დაბანდებაც, სხვანაირად ისინი მოქალაქეებად ვერ იქცევიან.

11869. პოპულარობა საჭიროა, მაგრამ გადამეტებული ღმერთს არ უქნია.

11870. ჩინოვნიკია ის მოხელე, რომელიც ქრთამისმაგვარი წაციცქვნით ოჯახს არჩენს და გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს თავისიანებში.

11871. ამ რჩეულთა სახელმწიფო საკრებულოში ბევრი საკუთარ თავზე შეყვარებული უსაქმური და ამბიციური დეპუტატია.

11872. სახელმწიფო თავის არსებობას ბიუროკრატების მიერ გაცემული ხარისხიანი ქაღალდების მეშვეობით ახერხებს.

11873. ბიუროკრატია უცილობო გადაწყვეტილებას არ იღებს, მაგრამ მის მიერ გაცემულ საბუთზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

11874. ჩინოვნიკების აპარატის სახელმწიფო გარყვნილებისკენ მიდრეკილების მიუხედავად, თუ ქვეყანაში რაიმე არ კეთდება, ხე-

ლისუფლის ბრალია და არა – მოხელის.

11875. ორმაგი ბუღალტერიის არსებობა ხელისუფლების გონება-შეზღუდულობის და უნიათობის ბრალია.

11876. „ბულიჟნიკი“ (ქვაფენილის ქვა), რევოლუციის დროსაც კი გამორჩენისთვის იღვწის.

11877. სახელმწიფო აპარატი მოწოდებული უნდა იყოს იმაზე მეტი სიბრიყვე არ ჩაიდინოს, რაც მისმა წინამორბედებმა.

11878. კომპრომისმა რომ იზეიმოს, ამისთვის ორივე მხარე უნდა იყოს მოწოდებული და არა – იძულებული.

11879. საყვედურებსაც გეგმაზომიერი გადანაწილება სჭირდება ქვემდგომზე, რომ არ მოდუნდნენ.

11880. პროსტიტუციისკენ მიდრეკილება ყველა არშემდგარ ქცეყანას აქვს და ეს კრიზისგან თავის დაძრომის საშუალება ჰგონია.

11881. დემოგრაფიული ორმოს ამოვსებას და სიზარმაცის ნაპრალზე სიარულს ნაციონალიზმი არ შველის, ის პატრიოტიზმმა, ერის გამრავლებით, საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

11882. ბედნიერებაა თუ ხელისუფლების და ხალხის ურთიერთობაში არაფერი იცვლება და პროგრესს ფეხდაფეხ მიჰყვებიან.

11883. სახელმწიფო ყველას მიმართ მთლად სამართლიანი ვერ იქნება, მაგრამ ამისათვის უნდა იღვწოდეს.

11884. სსრ კავშირის მოსახლეობის განათლებული ნაწილი თავის დროზე რომ გასცნობოდა აფორიზმებს დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე და გონებაში გადაეხარშა, ამდენ სისულელეს არ ჩაიდენდა და ასე უდროოდ და უაზროდ არ დაანგრევდა სოციალიზმს.

11885. საზოგადოება უმთავრესად შედგება ათეისტებისგან, ბუნებით დიქტატორებისაგან და წყალწაღებული ნაძირალებისაგან, როგორც ეს უკანაკნელი თავს წამოყოფს და კანონის დიქტატს შეეწინაღმდეგება, მაშინ იწყება ქვეყანაში „გამიშვი-გაგიშვებ“-ის ქაოსი, ეკონომიკის დაქვეითება და „ანაცუა-ბანაცუა“ პოლიტიკური პარტიების მომრავლება.

11886. ამბიციებსაც იმედიანი შეძახილი და გარეშეთა გვერდში დგომა სჭირდება.

11887. ავტორიტეტის მოპოვება შინაურებში ძნელი არ არის, ყველას დასამახსოვრებლად მისი რეალიზაციაა ძნელი.

11888. ჩვენი და სხვათა სოციალური უყაირათიანობის და ცოდვების გამოსყიდვა შემდგომი თაობების ხელშია.

11889. სრულყოფილების შეგრძნებაა, როდესაც გიგებენ, უგებ და დროის ყივილიც შენ მხარესაა.

11890. ფემინისტებს რატომღაც მამაკაცში ლაქიის დანახვა უფრო სურთ, ვიდრე ხვადისა.

11891. ბიუროკრატია პროგრესის მტერია, მაგრამ არც უიმისობა იქნება, სახელმწიოებრიობის სტატუსი „დაჩმორდება“.

11892. ბიუროკრატია, სახელმწიფოს ძლიერების გარეშე, ირყვნება და კრიმინალს მფარველობს.

11893. ყველა სახელმწიფო ცვლილება თავის მომხრე ბიუროკრატიას ამრავლებს, მოგვიანებით მათი შემცირებით და შეცვლა-გადახალისებით.

11894. დღესაც ბიუროკრატია ინტერნეტის, კომპიუტერის, მობილური კავშირის ხანაში, მეტ ქაღალდს ხარჯავს, ვიდრე მისი წინამორბედი კოლეგები.

11895. ზოგჯერ ხვდები, რომ ყველანი ბრბოს წარმომადგენლები ვართ, იმისდამიუხედავად, თავს ხალხს უწოდებთ თუ მასას.

11896. როყიოდ ნასროლი ყველა რიყის ქვა რევოლუციას საფუძველს უყრის.

11897. ყველა პირველ აპრილს დაბადებულს თეორიული შანსი აქვს სახელმწიფო მოღვაწე გახდეს.

11898. ხელისუფალთა უვარგის გადაწყვეტილებებს რომ ხალხის სიცოცხლე ეწირება, ამაზე ხელისუფლება პასუხს არ აგებს, მაგრამ საკმარისია ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანი შემთხვევით იმსხვერპლოს, რათა ის სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოცხადდეს.

11899. დადგა დრო, როდესაც ყველა ადამიანს თითის ანაბეჭდი უნდა ავუღოთ, ჯანმრთელობა შეუმოწმოთ და ერთი საბანკო ანგარიშის ნომერი მივანიჭოთ, მობილური ტელეფონის ერთი მუდმივი ნომერი იქონიოს, გადასახადი უკლებლივ გადაიხადოს, არჩევნებს თავი არ აარიდოს და ქვეყნის მოქალაქედ იქცეს.

11900. ნაციონალიზმი საყმაწვილო დავალებაა, პატრიოტიზმი – ჯეელური, ხოლო შუა ასაკი ოჯახის რჩენაზე და ქვეყნის ავ-კარგიანობაზე ფიქრობს და წინააღმდეგი არ არის იგივე დაავადებისაგან ერთდროულად გათავისუფლდეს.

11901. ნაციის ძლიერება მრავალშვილიანობაში, მიწის სიყვარულში და ტექნიკური პროგრესის ჩამოურჩენლობაშია.

11902. ინტერნაციონალიზმი მისასალმებელია იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ძირძველი მოსახლეობა 70%-ს შეადგენს, მათი ოდენობა არ კლებულობს და ტერიტორებისადმი პრეტენზიები არავის აქვს.

11903. ის „ველური“ სიხარული, რაც ამერიკელმა ხალხმა განიცადა ბინ ლადენის. მკვლელობასთან დაკავშირებით, მათი სახელმწიფოებრი-

ობის სისუსტეზე მიუთითებს, რადგან ამ ქმედებით მათ ტერორს ისტორიაში ადგილი მტკიცედ დაუმკვიდრებს.

11904. პროგრესს ზოგჯერ ბუნება ეწინააღმდეგება და ურჩობისთვის სათანადოდაც გვსჯის.

11905. ალბათ დროა, სახელმწიფო ტერიტორიების ნაყოფიერი მიწების შესატყვისად, მათზე მცხოვრებთა ოდენობა განისაზღვროს და დამტკიცდეს, რათა მოსახლეობის ნაწილი არ დაიჩაგროს.

11906. „მასმედია“ მაშინ იქნება ქვეყნის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, თუ მის მიზნად გამორჩენა არ იბოგინებს.

11907. ხალხი ყოველთვის ისეთად უნდა აღვიქვათ, როგორც არის, დროის ყივილის შესატყვისად გასულელდება თუ უგუნურება დააჭიტლაყებს.

11908. რაფინირებულ, განყენებულ, სამართლიანობას ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს, რადგან სამართლიანობის მიზანია უგვანობისთვის „ცხვირის მოხოცვა“, დასახულ მიზანთა შერწყმის უნარით. მაგ., საქალაქათშორისო ტრანსპორტი უფასო რომ გავხადოთ და კერძო ტრანსპორტით სიარულის სურვილი შევუზღუდოთ, ამისთვის საჭიროა ყველა მცხოვრებს შემოსავლიდან რაღაც პროცენტი დავუკავოთ. ეს ქმედება უსამართლოა, მაგრამ საერთო შეწონილ საქმიანობას არგებს, თუნდაც იმით, რომ უბილეთოდ არავინ იმგზავრებს.

11909. უბედურებაა თუ ხალხს გამოგონილი საამაყოც მაინც არ აქვს, რადგან გადაგვარება და ამ სამყაროდან აღგვა დაემუქრება.

11910. ხელისუფლების ხარისხს წარმოაჩენს, თუ რა ოდენობის პენსიის გაცემა შეუძლიათ, რომ ასაკოვანთა თანადგომა დაიმსახურონ.

11911. წარსულ შეცდომათა გამოცდილება რატომღაც ხალხს, პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, ჭკუას ვერ ასწავლის და ეტყობა, ესეც განგების ნება, სხვანაირად სიცოცხლე ჩაკვდებოდა, უინტერესო იქნებოდა და არც ღმერთს გავიხსენებდით.

11912. საქართველოში ტვინი ყველას ყურებიდან უჟონავს სხვათა კრიტიკის და ჭკუის დამრიგებლობის ხარჯზე.

11913. მოუწესრიგებელ ქვეყანაში სასწორზე სიტყვა-პასუხი იწონება და არა – საქმიანობა და ქვეყნის მომავალი.

11914. „ვაი ჭკუისაგან“ ამბიციების მქონენი არ აკლდებიან სახელმწიფოს მართვის ლოჟას და მასში მოხვედრას ყბედობით და ტყუილი დაპირებებით ცდილობენ.

11915. ბედნიერებაა თუ შემოქმედს არ ეკითხებიან, რატომ, ვისთვის და რისთვის იღვწის, რადგან ისინი ინტუიციით გრძნობენ, რომ საერ-

თო საქმეს აკეთებენ.

11916. ფულს და სახელს ბევრი სასიკეთოს კეთება შეუძლია, თუ საზოგადოება შინაგანად ამისათვის მომწიფებულია.

11917. ხალხის შეურაცხყოფა და განაწყენება დიდ ნიჭს არ მოითხოვს, მათი მიმხრობა კი გონიერთა ხვედრია.

11918. სანამ მეხსიერება არსებობს, მანამ იარსებებს ხალხი, ეროვნება, პატრიოტიზმის გამოძახილით.

11919. დიადია თუ დიდია ქვეყანა, უძლურების გრძნობა მანამ ახლავს, სანამ ერს ღირსეული პიროვნება ხელისუფლად არ მოევლინება.

11920. ფანატიზმი მისასალმებელია თუ ის სიკეთეს და სასარგებლო სიახლის კეთებას ემსახურება.

11921. გარდაუვალ რეალობას ვერც ერთი საზოგადოებრივი აზრი ვერ აღუდგება.

11922. ყოველი სურვილი გონიერების საპაექრო ფილტრში უნდა გავატაროთ და ასე მივართვათ ირგვლივმყოფთ.

11923. ფართო მოხმარების, საშუალო დონის, ამომრჩეველს გაცილებით უკეთ ესმის ეგერთწოდებული დემოკრატია, ვიდრე ცხოვრების კაურებგამოვლილ პრაქტიკულ გონებას, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი ხშირად მაინც ერთია, როცა უხიაგი ხელისუფალია ქვეყნის სათავეში.

11924. საზოგადოების დანიშნულებაა ყველა ადამიანი მისთვის დასაძლევ საქმიანობას მოარგოს და ქვეყნის რაობისთვის სარგებელი მოატანინოს.

11925. ხალხს, მასას, ბრბოს, შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ქვეყნის ავ-კარგზე რწმენით ფიქრობს, მეორე სხვას აყოლილია და თავის თავზე ფიქრობს, ხოლო მესამე არაფერზე არ ფიქრობს და ყველანაირი სულელური წამოწყების ამყოლია.

11926. ყველა ამორმრჩეველი თავისი უნიათობით ან უაზრო პრინციპების დაცვის მომიზეზებით სისულელეებს სჩადის. შედეგად სახელმწიფოს განვითარება ბრკოლდება.

11927. ბრბოდ და მასად ქცეული ხალხის არაფერი არ უნდა გვეწყინოს, დრო და განგება ყველას თავის ადგილს მიუჩენს და ზოგიერთ მათგანს ისევ ხალხად აქცევს.

11928. პირველკაცობას რიგში დგომა არ უხდება, ურიგოდ მალაყის გაკეთება კი სჭირდება და შვენის.

11929. ყბედობა და არაფრისმთქმელი საუბარი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს: პირველი – გართობაა, მეორე – ვერაგობა და შენგან რაღაცის გაგებას ცდილობენ.

11930. ყველასი ჩვენს მხარეს გადმოყვანა გაგვიჭირდება, მაგრამ ამისათვის უნდა ვიღვწოდეთ.
11931. ბრბოს მორალი არ აქვს, მაგრამ თუ აქვს, ისიც მათთვის გაუგებარი.
11932. ალკოჰოლს მიირთმევენ პროფესიონალი ლოთები, მოყვარული თანამეინახენი და უსაქმურნი, დროის ყადრის უცოდინრობით.
11933. უმუხრუჭო საზოგადოების სამართავად არც დიქტატურა უქნია ღმერთს და არც – დემოკრატია.
11934. ზოგი წამალსაც ლატარიაში იგებს და ამის შემდგომ მოიხმარს.
11935. ქვეყნის გაძლიერებას მძიმე ხელი სჭირდება, ხალხის გაჯეჯილებას – მსუბუქი და რომელი რომელს ჯობს, არავის უწყის.
11936. როდესაც ქვეყნის სათავეში შემთხვევითი ადამიანები მოდიან, ეს ხალხის გადაგვარება-გაცუღლუტების შედეგია.
11937. მიდებ-მოდებით, ეგრეთწოდებული კულტურული ინტელიგენცია, ვერავითარ მომნუსხველს და საერთოდ დასამახსოვრებელს, ვერაფერს გვთავაზობს.
11938. სისხლის სამართლის სოლიდურ დამნაშავეთა სიყვარული და ბიოგრაფია, ყოველთვის უფრო საინტერესო იყო, ვიდრე, პატიოსანი გლეხუჭას გრძნობების ფრქვევა, რადგან მას სხვათა გასაკვირი და საინტერესო არაფერი ჩაუდენია.
11939. მიზანს, შრომას, კაპიტალს, კორუფცია ყოველთვის წინ ეღობება და ხშირად პატრიოტიზმის მიუხედავად, ხელის მოთბობას ცდილობს.
11940. ხშირად სხვა მხარეში და სხვასთან ჩვენი თავი არ მოგვწონს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი რამაა ჩვენთვის უცხო, მოსაბეზრებელი და მიუღებელი.
11941. ხალხს, რომელიც ცივილიზაციას გაურბის, „დაუნშიფთინგი“ ეწოდება, ხოლო თუ რატომ გაურბის, ეს მოვლენა ჯერ არ აუხსნიათ.
11942. არსებობს ტიპი სხვადასხვა საჭიროებისათვის, არსებობს სხვადასხვა ვალდებულებისთვის, მაგრამ მათი ყოფის ტვირთი ერთია, დროის გათავხედების შესატყვისად.
11943. მეტისმეტი ინფორმაციის მიღება ადამიანის რაობის ხარისხს თანდათან დაბლა სწევს.
11944. უჭკუო თავის ჭკვიანად შემოსაღების მცდელობა ქვეყანას დიდ საფრთხეს უქმნის.
11945. მაღალ თანამდებობებს ბუნებით საერთო საქმის საკეთებლად მოწოდებული პიროვნებები უნდა იკავებდნენ და არა – დროის

ყივილს გამოკიდებული ყალთაბანდები, ვიგინდარები. მაგრამ ამ აქსიომას ამომრჩეველი არჩევნების შემდგომ ხვდება.

11946. გილიოტინა საშინელი გამოგონებაა, მაგრამ ისიც ტექნიკური პროგრესის ნაყოფია დროის პოლიტიკის მოთხოვნით.

11947. ყბედობას, ჭორს, უსაგნო „ბაზარს“, ჰოველთვის ჰყავს თავისი ამფსონი და ტაშის დამკვრელი.

11948. შეუმჩნეველი ხალხი შესამჩნევ თანამოქალაქეებს მანამ ვერ აფასებს, სანამ ვიგინდარები ბუნტს არ მოაწყობენ და მასად ქცეულ ხალხს თავიანთ უვიცობა-გამოუცდელობით ცხვირიდან ძმარს არ ადენენ.

11949. ღალატი, ორგულობა, მუხანათობა, დროის სიბრიყვის და უნიათო ხელისუფალთა ბრალია, რადგან მოწესრიგებული ქვეყანა საზოგადოების გარყვნას ვერ მოითმენს.

11950. ჩვენი ყისმათის მიუხედავად ცხოვრება დაუსრულებლად, დაუსვენებლად, უსასრულოდ გრძელდება.

11951. ჩვენგან განსხვავებით, სასიკეთო და სასარგებლო საქმიანობა არასოდეს ბერდება და ყავლი არ გასდის.

11952. ზომიერ სიმკაცრეს, მომთხოვნელობას და შთაგონებას ჯერ არავისთვის ვნება არ მოუტანია.

11953. თავის ქალაში ჩადებული ცნობიერების ატრიბუტები თანამედროვეობისათვის გაუშიფრავი წიგნია, რომელსაც ადამიანის გონება ადრე თუ გვიან ჩასწვდება და გამოიყენებს, მაგრამ რამდენად იქნება ეს სასარგებლო საზოგადოებისათვის, არავის უწყის.

11954. ბრძანების ზუსტ და განუსჯელ შესრულებას ზოგჯერ დანაშაულამდე მივყავართ.

11955. მდიდრებსა და ღარიბებს შორის უგუნურების ორმო იზრდება, მაგრამ უნდა ვეცადოთ ამ ორმოში არავინ ჩავარდეს, მიუხედავად ბიზნესის, ეკონომიკის, პოლიტიკის, საყოველთაო უცნაურობებისა.

11956. მაგალითების მოტანას დიდი ძალა აქვს, თუ ქვეყანა აწყობილ-დაწყობილია.

11957. შრომა არა მარტო მოწოდებაა, არამედ სურვილიცაა საქმესთან შეჭიდებისთვის, ხალხში თავის გამოსაჩენად.

11958. უმეცრებაც თავისებური ჭირია და კარგია, რომ მას ტაშის დამკვრელი ცოტა ჰყავს.

11959. ჭკვიანი კაცი მოხერხებულს უნდა ამოეფაროს და ისე უნდა აკეთოს დიდი საქმე, რათა ქვეყანაც ასარგებლოს და თავიც არ დაავიწყოს.

11960. რაც პატრიოტიზმზე, პატიოსნებაზე, კაცობაზე, ჭკვიანობა-

ზე, თავს ვდებთ, ამის 10%-ს რომ ვასრულებდეთ, დღეს არც ასე მცირედნი ვიქნებოდით და არც სხვას „თავის დამადლებით“ შევაჩერდებოდით უკანალში.

11961. სოციალური დემაგოგია და გაუმართლებელი ლიბერალიზმია, რომ ქვეყანას ძლიერებას აცლის და გონიერებას ცრუ პატრიოტიზმით რყვნის.

11962. რწმენის დახურდავება და აზროვნების დამუნათება საზოგადოების გადაგვარების საწყისია.

11963. ზომიერი ჯანყი ადამიანის ცნობიერებისთვის, ქვეყნის მართვისთვის და შემოქმედების წარმოჩენისთვის ზოგჯერ აუცილებელია.

11964. არის ჭეშმარიტი დედა, არის დედა-გუგული და აქ ბავშვი არაფერშუაშია. ისევ საზოგადოებამ უნდა ივაჟკაცოს და აღზრდის ტვირთი უნდა იკისროს.

11965. ჯიბის ქურდებისაგან განსხვავებით, დღეს აზრების მოქურდალნი მომრავლდნენ და აქაც ტექნიკური პროგრესის ხელი ურევია.

11966. ცოდვის შემოპარება რწმენაში ყველა წყობაში, დროშია, შესაძლებელი თუ საზოგადოების რაობას უიმედობა და ნოსტალგია შეეპარება.

11967. პროვოკაცია და კონფრონტაცია ოპოზიციის იარაღია. ერთმანეთს ერკინება ხელისუფლება და ოპოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად შედეგი ერთი „ქაქია“.

11968. მექრთამეობის მიზანია არა მარტო მოგემსახუროს, არამედ მომსახურება მატერიალურ მადლიერებად აქციოს.

11969. რას აკეთებ, როგორ აკეთებ და რა პიროვნება გამოხვალ, ისტორიასა და შთამომავლობას არ აინტერესებს, მათვის უმთავრესია მომდევნო თაობებს რა დაუტოვე ხელშესავლები და ამ დანატოვარს როგორ მიხედავ.

11970. „მასმედიამ“ თავისულების, დემოკრატიის და ინტელექტის სახელით ადამიანები ქაქის ჭამას დააჩვია და ამიტომაცაა, რომ ხალხი მის სუნს ვეღარ გრძნობს.

11971. თუ ხელისუფლებას ხალხის არ ეშინია, ის ყოველთვის უგვანოა და დანაშულისაკენ ხელი უცდება.

11972. ხალხად წოდებულ ბრბოს სიკეთე ისე უნდა გაუკეთო, რომ უცბად ვერ მიხვდეს, რადგან სასარგებლო საქმის კეთებაც დროის გამოცდას თავის ალიყურებით მოითხოვს.

11973. რატომღაც უგუნურება სამყაროს გულკეთილობით ვაჭრობს და თუ დაჭირდა, ეშმაკთანაც ხელშეკრულებას დადებს და „ქაქნაჭამი

ღორივით“ გაიტრუნება, თუ გონიერება ხელს არ გამოიღებს, რათა სამყაროს წარღვნა ავაშოროთ და ადამიანთა მოდგმა გადავარჩინოთ.

11974. მოქალაქეა ის, ვინც გადასახადს იხდის, მოვალეობას ასრულებს ქვეყნის, ხალხის და საკუთარი მეობის წინაშე.

11975. სანამ მამაკაცები ჩვრებად იქცეოდნენ, მანამ უნდა შველა არსებულ საზოგადოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა კრახს ვერსად წაუვა.

11976. დღევანდელი „მასმედიის“ გადამკიდეს, ადამიანს, ყველაზე მეტად, დეტექტივი და პერსონაჟთა შეხლა-შემოხლა-მკვლელობა, ართობს.

11977. ბედის დაცინვაა, როდესაც საკუთარ საქმეს დროებით არ გაკეთებინებს და სხვა საქმიანობაში გამოცდას გიწყებს.

11978. თეორიულად საშინელებაა, როდესაც ხელისუფალი დოგმებით აზროვნებს, სიახლეს ვერ ეგუება და თავის წარმოჩენაც არ ავიწყდება, მაგრამ პრაქტიკულად დღემდე ქვეყნის სათავეშია, ავად თუ კარგად ქვეყანას მართავს და საისტორიო ავტორიტეტსაც ინარჩუნებს.

11979. განუსჯელობის დოღი პლანეტაზე დღემდე არ წყდება და არც შეწყდება, რადგან ცოცხალ არსებებს ამგვარი ცხოვრება ეხალისებათ.

11980. თავის უგუნურების გამომჟღავნების საშუალებას დემოკრატია აძლევს ადამიანს და არა – გონიერების მარკეტინგი.

11981. საზოგადოებრივი პროცესების განვითარების დაგვიანება უკმაყოფილებას იწვევს, დაჩქარება – რევოლუციას, ფეხდაფეხ მიყოლა – ევოლუციის პროცესებთან შეგუებას და სიკეთის მოტანას.

11982. ადამიანს უნდა სწამდეს მომავლის, წინ იმედით უნდა იყურებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ამ მთავრობის დედა ვატირე“ და დაბოღმილი ცხოვრების ფინიში.

11983. საკუთარი მრწამსის, რაობის და „რის გამკეთებელი ხარ“ – შესაცნობად, დამოუკიდებლობა აუცილებელია.

11984. ყველაფერს მონელება უნდა, მათ შორის, თანამდებობასაც, მდგომარეობასაც და სიყვარულსაც.

11985. გონიერებას სიმართლის მარცვლის ყურით მოთრევა ყოველთვის შეუძლია, თუ ქვეყნის ინტერესებს ემსახურება და გულით დიპლომატია.

11986. ხალხის სიბრიყვე პირველ რიგში ერთმანეთის მოუსმენლობაში, უპატივცემულობაში, გონიერების შეუმჩნევლობა-დაუჯერებლობა-

ში გამოიხატება.

11987. გონიერება საქმეს ითხოვს და ყბედობის უფლებას არ გვაძლევს, რადგან ხალხი მისთვის ბრბოა და ფაქტობრივად ის მართალია.

11988. ეშმაკობაა, როდესაც უმნიშვნელო ზარალს აყენებ ირგვლივმყოფთ, რომლებიც შენი მოხერხებულობით გაკვირვებულნი რაღაცას სწავლობენ.

11989. პანიკა „პუბლიკის“ რაობის შესატყვისად ანგრევს ჩვენს ცნობიერებას, ქვეყანას, საზოგადოებას.

11990. დემოკრატია, თავისუფლება ნაღდი ხალხის თანადგომას მოითხოვს და არა – ნაყარ-ნუყარი, მაყურებელი მასისას, რომელიც ყველა დროსთან და გარემოსთან თანამშრომლობს.

11991. სიძულვილი გვაერთიანებს, მაგრამ სასურველ შედეგს არ იძლევა და ცხვირში ამორტყმაც იცის.

11992. ჭკუას ყოველთვის „ვაი“ არ მოაქვს, თუ საზოგადოება კომფორტშია, სახელმწიფო ქვეყანას ჰგავს და ყბედობა და ყურით მოთრეული იდეალების ფეტიში მოდაში არაა.

11993. დასამახსოვრებელი ხელისუფალი, ფაქტობრივად, თავისი ნებით, განგების დახმარებით და დროის ყივილის შედეგად მოდის და არა – საყოველთაო არჩევნებით და ხალხის სურვილით, რომლის რჩეული უმთავრესად გაუმაძღარი, მატყუარა და ალბათ, ბუნებით ნაძირალები არიან.

11994. სამწუხაროდ, ხალხს რომ უკვირდები, ესაუბრები, ეკამათები, ირკვევა, რომ რეალურად რა უნდა, თავადაც არ უწყის და ეტყობა მარად ასევე იქნება.

11995. ხელისუფალს თუ ჭკვიანი ხალხის შემოკრების და მათი მოსმენის ეშინია, იქ ქვეყანაც განწირულია, ხალხიც და ბოლოს, ხელისუფლებაც.

11996. რატომღაც თანამდებობას უღირსნი ეუფლებიან, ყოველ შემთხვევაში, ხალხს ასე ჰგონია, რომლის უნიათობამ კარიერისკენ მათ მწვანე შუქი აუნთო.

11997. დღეს „მასმედია“ აქტიურად საკითხს წამოჭრის, თანამშრომლებს ასაქმებს, რეკლამას ყიდის, იმ აზრს „ეჭიდავება“, რაც ხალხს აღელვებს, მაგრამ „ზევით“ ყურებს არავინ იბერტყავს და ბოლოს ყბედობით კმაყოფილდებიან.

11998. დახურულ და ღია საზოგადოებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს, მაგრამ ქვეყნის რეალური განვითარებისათვის, იმისდამიუხედავად, რომ პროგრესზე დაწევა უგვიანდება, პირველი ჯობს, რადგან მეორის შეცდომებზე სწავლობს.

11999. მოუმზადებელ საზოგადოებრივ აზრს ყოველთვის ხალხისთვის ზრუნვის დიდ ამბიციები აქვს.

12000. ურთიერთობაშიც მთავარი შედეგია და არა – პროცესების მართვა და წყენის კომპლექსი.

12001. პროფესიის პრესტიჟის დაცემა უდიდესი დანაშაულია მომდევნო თაობების და სახელმწიფოებრიობის წინაშე.

12002. წარმატებული ურთიერთობა ურთიერთგაგების, ურთიერთშეცნობის, ურთიერთგატანის, საწყისებზე შენდება.

12003. ოლიგარქიულია ის საზოგადოება, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად აღარაფერი აინტერესებს და გასაქცევად წინასწარ ყოველივე გამზადებული აქვს.

12004. სპორტი იგივე იდეოლოგიაა, მასში ქვეყნის წარმოჩენის ინტერესია ჩადებული და ის ხელისუფლებამ უყურადღებოდ, უპატრონოდ, უკონტროლოდ, არ უნდა დატოვოს.

12005. სილამაზე და აზარტული თამაში ვიგინდარების ხელში არ უნდა მოხვდეს.

12006. დღევანდელი გადასახედიდან ჩვენს წინაპრებს გაცილებით მეტის გაკეთება და დატოვება შეეძლოთ მომდევნო თაობებისთვის, დროულად ჭკუისთვის რომ ეხმოთ, მაგრამ თავად რა დასატოვებელს გავაკეთებთ მომდევნო თაობებისთვის ამაზე დიდად არ ვფიქრობთ.

12007. სპორტიც თავისებური ხელობაა თავის წარმატებებით, მოჭარბებული ენერგიის ხარჯვით და სათანადო ანაზღაურებით.

12008. ახალ სიმღერას, რომელიც შოუს დონეზე არ შესრულდება, ესტრადაზე დიდი დღე არ უწერია.

12009. მეცნიერება, ხელოვნება, ყოველთვის დროის, შემთხვევის, კუთვნილება იყო და არა – ეგრეთწოდებული ხალხისა.

12010. უმთავრესია პროტესტის გამოხატვა და არა – შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჩვენს სახელს იმახსოვრებს.

12011. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა პროგრესის მტერიცაა და მოყვარეც, გააჩნია, რა მხრიდან შევხედავთ.

12012. სამყარო იდეოლოგიურად რაც „ქაქი“ იყო, იმ „ქაქად“ დარჩა, უბრალოდ, „მასმედია“ გახდა უფრო ხელმისაწვდომი და მომხდარ შემთხვევათა გამბუქებელ-გამფასებელი.

12013. კლასიკას მოსახლეობის 2-3% ესწრაფვის და უგებს, მაგრამ ის ყოველთვის მაღლა დგას აბსოლუტურ უმრავლესობაზე, მათი აზროვნების სტილის მიუხედავად.

12014. უგუნურ ადამიანთა ხელისუფლებაში მოსვლა ისევ ხალხის, ბრ-

ბოს, მასის, დანაშაულია.

12015. ქება-ლანძღვას ყველა იმსახურებს, გააჩნია, რომელი მხრიდან და როგორ შევხედავთ.

12016. შრომა, შრომა და კვლავ შრომა, იმისდამიუხედავად, სიამოვნებისთვის იღვწის, საზოგადოებისათვის, ხელფასისთვის, თუ გამორჩენისთვის.

12017. უცხოს რატომღაც მეტ პატივს მიაგებენ, იმისდამიუხედავად, მისი მეგობაიტი, შინაურთან შედარებით ამას იმსახურებს თუ არა.

12018. დამოუკიდებლობა ხალხმა უნდა ისურვოს და მიაღწიოს და არა მისი სახელით – ბრბომ და მასამ.

12019. ბიძაშვილ-მამიდაშვილობა ყველა არეულ ეპოქაში ბრუნდება.

12020. ხალხი, ერი, კი არ არის ბრძენი, არამედ დროის ყივილი და შემთხვევა განგების ნებით.

12021. იდიოტიზმის სტრატეგია, პირველ რიგში, საკუთარ ხალხს ვნებს, რადგან „ოპონენტს“ გინდა ასიამოვნო, დაიახლოვო, ის კი გაყუჩებულია და შენგან მეტს ელის.

12022. გამოყენებითი იდიოტიზმია, როდესაც გადამთიელს ანათლებ, საქმეზე აყენებ და სანაცვლოდ არაფერს ითხოვ.

12023. ამბობენ სტატისტიკა ტყუილის ერთ-ერთი სახეობააო, მაგრამ მის გარეშე ზემდგომი ქვემდგომს ანაგრიოშს ვერ ჩააბარებდა.

12024. ყოფის ოკეანეში უკომპასოდ სიარული მანამაა საინტერესო, სანამ დაუღვინებელი ხარ და საზოგადოების და ოჯახის კურტანი ზურგზე არ გადევს.

12025. დაუსაქმებლობა, უყურადღებობა, ფეხებზედმკიდიაობა, ცივილიზაციის ყველაზე დიდი მტერია.

12026. ნარკომანიის უმთავრესი ჭირი ისაა, რომ ხელისუფლებაში მოხვედრილ ხალხს სულ უფრო და უფრო იახლოვებს და მათი შეგნების პრაქტიკულად დაპყრობას ცდილობს.

12027. ხელისუფალი, რომელიც ჭკვიან, შემოქმედ, ახალგაზრდობას არ იკარებს და კონკურენციის ეშინია, უსახო პიროვნებაა, რაც უნდა კარგი აკეთოს ქვეყნისთვის.

12028. თუ გვინდა განსაცდელს საბოლოოდ თავი დავაღწიოთ, უპირველესად ხალხმა, ქვეყანამ, უნდა განიცადოს და ამის შემდგომ ყოველივე ჩვენგანმა.

12029. გემოვნებაზე, სულიერებაზე, ცხოვრების წესზე არ დაობენ, მაგრამ ურთიერთგაკენწვლა მაინც ხერხდება.

12030. ზოგჯერ დამოუკიდებლობის მოპოვება და შეცნობა დროთა განმავლობაში სურვილს გვიჩენს საკუთარი თავი გავჯოხოთ და ყური

ავახიოთ.

12031. კარგი საქმის კეთება, მადლიერებასთან ერთად, მატერიალურადაც უნდა დაფასდეს, რომლის ჰონორარი მოგების 10%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

12032. ვირსა და ლომს, ორთავეს თავისი ჯამაათი ჰყავს დამფასებელ-შემფასებლებით, თუ ერთი უზომოდ შრომობს, მეორე უაზროდ ამპარტავანია და ასე იძენს ავტორიტეტს.

12033. ჭკუანაღრძობი ხალხის ოდენობა თანდათან მატულობს და მას არც ცივილიზაციის გაჯეჯილება შველის და არც საუკუნეთა გამოცდილების ალიყური.

12034. გვინდა – არ გვინდა, ჩვენი დროის ტექნიკურ პროგრესს და „მასმედიის“ ყბედობას უნდა მოვერგოთ.

12035. იდიოტიზმი მისთვისაც გაუგებარი სტრატეგიით იღვწის, რომელსაც ვერც ვერავინ ამჩნევს, არც არავის აუკრძალავს და არც არავინ ცდილობს.

12036. ქვეყნისთვის უკეთესია თუ ხალხი სულიერად მდიდარია, ძლიერია, ვიდრე ეკონომიურად ფეხზე დამდგარი, რადგან ეს უკანასკნელი, უნდა – არ უნდა, საზოგადოებრივ აზრს რყვნის და გადააგვარებს.

12037. ხელისუფლებაზე დაყრდნობილი ხალხი უფრო ამაყია, გამბედავია, შემოქმედია, ვიდრე თავისუფლად მონავარდე და დღევანდელობამ ეს თეორია აქსიომად აქცია.

12038. უცოდველი და წმინდა არც შემოქმედი უქნია ღმერთს და არც „შავი“ მუშა, რადგან საზოგადოება დარჩებოდა განცდების, აღმაფრენის და ჭკუისჭყლეტის გარეშე.

12039. ეს მოსაბეზრებელი მოხუცებულობა იმიტომაც იჩიჩქნება ამ სამყაროში, რომ მომდევნო თაობებს აჩვენოს არა მარტო ცხოვრების უნარი, არამედ როგორ უნდა დამაგრდეს ამქვეყნად ტექნიკური პროგრესის მშვენიერების საცქერლად.

12040. ყველანი მოდის და საკუთარი შეცდომების მსხვერპლნი ვართ.

12041. ფილოსოფოსს ხალხის, მასის, არაადეკვატურობა აოცებს თავისი ხუშტურებით, უფრო ხშირად გაუაზრებლობით, გაუგებრობით, წინდაუხედაობით.

12042. ცივილიზაციის მიღწევამ თუ ტრადიციებს ფეხი არ აუწყო, საზოგადოებას ტექნიკური პროგრესი გახრწნის და გადააგვარებს.

12043. როცა ქალები ტრადიციულად კრიტიკას მიჩვეულ საქმეს მასობრივად ეუფლებიან და ამით ოჯახის რჩენას იწყებენ, ის ქვეყანა და ხალხი საფრთხეშია.

12044. საზოგადოება, რომელსაც წმინდა და საერთო საქმისთვის თავის გაწირვის შეგნება არ გააჩნია, „გავძეხის“ უაზრობით დამუნათებული ბრბოა.

12045. როდესაც თავისუფლებას და დემოკრატიას ამოფარებული „მასმედია“ სხეულს ჰყიდის და სულიერებასაც ზედ მიაყოლებს, ასეთი საზოგადოება უდღეურია.

12046. საქმისადმი არასერიოზულ მიდგომას არც ერთი ქვეყნისთვის, პიროვნებისთვის, ჭიტლაყის გარეშე სიკეთე ბოლომდე არ მოუტანია.

12047. ძნელი ასატანია უნიათო ავტორი, უღიმღამო, უნიჭო, პოლიტიკოსი და უაზრო ამომრჩეველი, აქტიური ხალხის სახით.

12048. დროის გმირის ნახვა ხშირად შეუძლებელია, იმდენად აქვს გადგმული ფესვები გულგრილობას.

12049. ცივილიზაციის არც დაკნინება ხერხდება, არც ბრალის დადება, არც მოთაფვლა, მას ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ გონიერების მოკრეფით და ტრადიციების განსჯით.

12050. ყოველივეს დაშვება და ყველაფერზე ნების დართვა, უნიჭობას ძალას ჰმატებს და თავსაც წამოაყოფინებს.

12051. კლასიკას და ყოველივე ფუნდამენტურს ყურით მოთრეული დემოკრატია-თავისუფლება ვერ იტანს.

12052. მთავარია მიზნის და ამოცანის რეალობა და არა – მათი დეკლარირება.

12053. განუსჯელობა, დაუსჯელობა, საზოგადოების გარყვნის და ბუნტის წამოქმნის წინაპირობაა.

12054. თანამედროვე განათლებას ყველა საჭიროებს, იმისდამიუხედავად, აქვს მას სწავლისადმი მიდრეკილება თუ არა.

12055. სილამაზე ტყუილსაც ამშვენებს, თუკი უმრავლესობისთვის სასურველი და მისაღებია.

12056. დღევანდელი ცივილიზაციის მოთხოვნები მალე ინტეგრალების ამოხსნას მოითხოვს სექსში და არა – სიყვარულში.

12057. ეგრეთწოდებული რომანტიული საზოგადოების სიყალბეში ცხოვრების მცდელობა, ერის გაბახების და ხალხის გაბიაბრუების ტოლფასია.

12058. თავხედის და ინტელიგენტის „დამეგობრებაზე“ ან „დაპირისპირებაზე“ ცუდი ეროვნულ საქმეში არაფერია, რადგან ბოლოს სიკეთე არ მოაქვს.

12059. ერთდროულად ფული, რეპუტაცია, ცნობადობა და სახელი ბედნიერებაა და ერთეულ რჩეულთა მადლია.

12060. ეჭვი ყოველთვის იყო ტვინის გამორეცხვის საშუალება იმ ქვეყანაში, საზოგადოებაში, რომელსაც რეაბილიტაციისთვის დრო და ადგილი არ რჩება.

12061. საჯარო ინფორმაცია უმაღლესი ნაბიჯია ნამდვილი თავისუფლებისკენ, მაგრამ არა დაუღვინებელი ცნობიერებისთვის და სუსტი ეკონომიკის ხელში.

12062. ბედნიერებაა, როდესაც დიდი ხნის ნანატრს ისრულებ და იმედიანად ხარ.

12063. მოსახლეობის ნახევარზე მეტი უსაქმურია, მეორე ნახევარი ყოფას ნაძალადევად ეჭიდავება, მხოლოდ ერთეულები ქმნიან ამ „საზოგადოებისთვის“ სასარგებლოს და ცხოვრებას წინ მიათრევენ.

12064. მოძრაობა ეს ნაცნობობა-ურთიერთობაა სიახლის გამოჩხრეკით და საქმის კეთებით.

12065. შენი ხალხისადმი სამსახური დიდი პატივია და არა – თავის გამოსაჩენი რამ.

12066. სამწუხაროდ, სახელმწიფო მანქანას ჭკუა და ინტელექტი თანდათან აკლდება, რადგან ფუფუნებისკენ ისწრაფვის, ხოლო საზოგადოება გულმავიწყია, გულგრილია და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

12067. სამწუხაროდ, ერთეულ პიროვნებათა გამონაკლისის გარდა, უამრავი პოტენციური ნაძირალა რჩება ამქვეყნად, მაგრამ ამ მეტ-ნაკლებობის დადგენის გარეშე, ბუნებრივი კანონზომიერების დადგენა შეუძლებელი გახდებოდა.

12068. არის ყველაზე დიდი ძალა – სიკვდილი, რომლის წინაშე ყველა მასტის დიქტატორი, ნაძირალა, გენიოსი, თითს კაკვავს.

12069. „შეიძლება – არ შეიძლებას“ ფილოსოფიით „გაჯირითება“ ხალხის კულტურის მრწამსზე, მისწრაფებებზე მეტყველებს.

12070. თანამდებობას უფრო მეტ პატივს მიაგებენ, ვიდრე თავად პიროვნებას, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ პირველი გამართლებაა, დროებითია, მეორე მუდმივია და განგების ნებაა.

12071. კანონებს ამოფარებული ნაძირალა ყოველთვის იყო სახელმწიფო აპარატში და იქნება, რადგან ის ზევითაც სჭირდებათ.

12072. ვეცადოთ მოვინახულოთ, დავესწროთ, განვსაჯოთ, სიახლე, იმისდამიუხედავად, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, რათა თანამედროვეობას მხარი ავუბათ და დროულად გავშიფროთ მისი კაპრიზები.

12073. მფლობელის და პატრონის ცნება თითქმის ერთია, მაგრამ მოცულობაშია სხვაობა.

12074. ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა სახელმწიფო წყობაზე, არამედ ხალხის ხუშტურებზე – ვის ანდობს ქვეყანის მარ-

თვის სადავეებს.

12075. სამყარო გვაიძულებს კატაკლიზმების გამო მარად საგანგაშო მდგომარეობაში ვიყოთ.

12076. საზოგადოების, ქვეყნის, კეთილდღეობისთვის გაცილებით უკეთესია თუ ხელისუფლებას პატივს მივაგებთ და არა – უაზრო სიყვარულს.

12077. ხალხი არც ბრბოა, არც მასა და მასზე გონიერების პრეტენზიები არ მოქმედებს, ის უფრო დროის ყივილს ემორჩილება და მისთვის მთავარი მაინც ყბედობის უფლება, გართობა და მუცლის ამოყორვაა. რაც შეეხება ნაღდ რეალობას, სიყვარულს, საქმის კეთებას, პატისონებას, ეს ერთეულ რჩეულთა ხვედრია, რომელთაც იშვიათად ამჩნევენ.

12078. დემოკრატიის, სიტყვის თავისულების, უპასუხისმგებლობის მომიზეზებით ხალხის მოჭარბებული ინფორმაცია დანაშაულია, რამდენადაც მათ ცნობიერებას ვრყვნით.

12079. ხალხი ყველა დროში უნდა ვაჯანჯღაროთ, დავძაბოთ, რათა მიზნის, საქმის, მოვალეობის, შეცნობის გარეშე არ დარჩეს და გულგრილობა – უსაქმურობას არ შეეჩვიოს და ბუნტზე და პროტესტზე არ იფიქროს.

12080. გმირი, გვინდა – არ გვინდა, მაინც მშიერი და ტანჯული უნდა იყოს, რათა შთამომავლობამ სათანადოზე მეტად დააფასოს და განადიდოს.

12081. სანახაობას და პურს დღეს ინტერნეტიც უნდა დავუმატოთ, რათა ხალხმა თავისუფალი დრო მოკლას და მათი გონიერება უაზროდ არ გაიხარჯოს.

12082. როდესაც ფასები იკბინებიან, მოსახლეობა იძულებულია თავზე „ნამორდნიკი“ – სადინგე ჩამოიცვას და ისე იყნოსოს ცივილიზაციის სიკეთე.

12083. ტექნიკურმა პროგრესმა გლობალიზაციის სახელით აქცია სამყარო ერთ დიდ სოფლად.

12084. ქვეყნის სათავეში უგუნურთა მოსვლა ხალხის პასიურობაზე მეტყველებს, რადგან მისთვის სულერთია მომავალში ქვეყანა როგორი იქნება.

12085. როდესაც ხალხი, ბრბო, ქუჩებში დემონსტრაციებს, მიტინგებს, აწყობს, ეს იმის მაჩვენებლია, რომ ამ ქვეყნის კონსტიტუცია მოიკოჭლებს და ღმერთს არ უქნია, რადგან მასში მოჩვენებითი ბევრია და საწრაფოდ რეკონსტრუქციას ითხოვს.

12086. ფილოსოფოსის ყველაზე დიდი პრობლემა ის საზოგადოებაა, სა-

დაც იგი ცხოვრობს და რომლის მომსახურებასაც ცდილობს.

12087. ზოგისთვის ფილოსოფია იგივეა, რაც ადამიანისთვის ბრმანაწლავი, ნაღვლის ბუშტი, რომელთა ამოკვეთა სიცოცხლეზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ მათი უქონლობა რა ზარალს აყენებს მარად განსჯის საგანია.

12088. ახალგაზრდობას თავისი პრობლემები ახლავს, მაგრამ უფროსების მიერ დაშვებულ შეცდომებთან შედარებით „უცოდველი კრავია“.

12089. დღევანდელობით ვცხოვრობთ და წარსულით ვარსებობთ, ამიტომაც ვალდებულნი ვართ ამ უკანასკნელისთვის ვიღვაწოთ, რათა ჩვენი სახელიც რაღაცნაირად შემორჩეს.

12090. მიბაძვა დღევანდელი ცუდისა შეიძლება, რადგან არავის უწყის მომავალში რა იქნება კარგი-ცუდი, როგორ მოდაზე შემოტრიალდება საზოგადოების ჭკუა-გონება და რა ამაოების ფლირტს გაეთამაშება დამუნათებული ადამიანის აზროვნება.

12091. თანდათან მოდაში შემოდის უჯეგირო სიყვარული: შეგიძლია ფიზიკურად უღალატო ქმარს, მაგრამ სულიერად გიყვარდეს. ძალზე საეჭვო თეორემაა, პრაქტიკულად ვინ იცის, როგორ გაამართლებს, თუმცა მამრისთვის განკუთვნილ საქმეს თუ სხვა აკეთებს, ტექნიკის პროგრესს უნდა დავაბრალოთ.

12092. ღირსებადაკარგული საზოგადოება სულიერების გაკოტრების გზას ადგას და ხორციელადაც დევალვირებას განიცდის.

12093. ძალაუფლების დევალვაცია საზოგადოებისადმი უპატივცემულობის შედეგია.

12094. ეთნიკურობა ხშირად კორუფციის შენაძენია და ხშირად მის დაცვას და მასზე დგომას ცდილობს.

12095. საზოგადოება, რომელიც ახალგაზრდობის უფლებებს ყიდის, მათ სათანადოდ არ ხედნის და გაუმართლებელ ლიბერალიზმს იჩენს, დამნაშავეა, რადგან ყველა ასაკმა თავისი წილი დროის მათრახი უნდა იგემოს და გამოიწვრთნას ყოველგვარი შეღავათების გარეშე.

12096. თუ ადამიანი ადამიანის ექსპლუატაციას თავს არ დაანებებს, რევოლუციების საშიშროება ყოველთვის იქნება და აქ ტექნიკური პროგრესი არაფერშუაშია.

12097. მასას თავისი საცხოვრებელი ტერიტორია არენდით აქვს აღებული და თუ მან ეს ტერიტორია ქვეყნად ვერ აქცია, ხალხად და სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა, არენდას გააუქმებენ და ეროვნულობაც გაქრება.

12098. ყოველი განუხორციელებელი სასიკეთო მცდელობა მსხვერპლია უგვანო ძალაუფლების და უნიათო მმართველობისა.

12099. ამ ბოლო დროს აუტისტთა რაოდენობა მატულობს და ამაში ბრალი, ალბათ, ინტერნეტს და სამუშაო ადგილების შემცირებას უნდა დავაბრალოთ.

12100. აბსოლუტური ფუფუნება, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, გონიერებას ათაყვანებს, საზოგადოებას რყვნის და სახელმწიფობრიობას თანდათან აჩლუნგებს, რადგან ქვეყანაში აუტისტებს ამრავლებს.

12101. მთავარია, ადამიანი პოპულარული და შესამჩნევი იყოს, თორემ მასში ჭკუის, გემოვნების, მომხიბვლელობის მონახვა და იმას შემჩევა, რაც აზრადაც არ მოუვა, „მასმედიას“ არ შეეშლება.

12102. აბსოლუტური ფუფუნება, ყველანაირი ძალისხმევის და მცდელობის გარეშე, რყვნის არა მარტო პიროვნებას, არამედ მთელ ერს და ყოველგვარი ძალადობის გარეშე ზურგზე დასცემს.

12103. ხალხი რატომღაც დიდხანს სიფხიზლეს და საღ გონებაზე ყოფნას გაურბის, რაღაც ახლის რეკლამირებას ებღაუჭება და ამ სიახლის ძებნაში რას ჩაიდენს და ხელს რას გამოჰკრავს, მისთვისაც უცნობია.

12104. ხალხი გარკვეულ მომენტში „ძღება“ ყურით მოთრეული თავისუფლებით, დემოკრატიით, დროის ყივილის ხატით და კვლავ უნდა გონიერებას, კლასიკას, კანონს და მის უზენაესობას დაემორჩილოს.

12105. უზარმაზარი ძალისხმევაც არ გიშველის, ჭორებს რომ ყური არ უგდო, შურიანი ხალხი ახლოს არ გაიკარო და იმაზე მეტი არ მოინდომო, რაც არ დაგიმსახურებია და გეკუთვნის.

12106. პოპულარობას, პიარს, თავისი ჰანგების კონსერვატორია სჭირდება, რათა მარად მათთვის გასაგები პარამეტრების ოლიმპზე იდგნენ.

12107. კაცს საკუთარი ოჯახისთვის ვერ მოუვლია, თავს კონტროლს ვერ უწევს, მას კი ქვეყნის პირველკაცობას ვანდობთ, ამის შემდგომ გვინდა ამ ხალხს ამომრჩეველი ვუწოდოთ. ეტყობა, დროც თავის ხუმრობით და თვალთმაქცობით ცხოვრობს და ეგრეთწოდებული ხალხის გაბითურებით ერთობა.

12108. არმია ქვეყნის სინდისი, ძალა, იმედია, პოლიცია – ამ პარამეტრებზე კანონიერების დაცვის და ალიბის გარანტი.

12109. ვარსკვლავებს ვინ მართავს არავინ უწყის, მაგრამ ერთმანეთთანაც თანამშრომლობენ, სუბორდინაციასაც იცავენ და ურთიერთ-

საც პატივს მიაგებენ.

12110. მობილური ტელეფონი, ინტერნეტი, ტელევიზია, ის ჭირია, რომელსაც ვერც ერთი ცივილიზაცია თავს ვერ დააღწევს და წარსულის ბევრი კარგი ტრადიცია უსიტყვოდ შეეწირება.

12111. „მასმედიის“ უდიდესი ცოდვა, სიბრიყვე, ისაა, რომ დღევანდელი პიარი-დაფინანსების გამო, საწოლში უვარდება თავის „კლიენტს“.

12112. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში მიცვალებულს სამარხვო ქელეხით ასვენებენ და აღმოსავლეთს „ჰკიცხავენ“ ხორცის ჭამისთვის, მაგრამ თუ აღმოსავლეთში მწუხრის დღეს მოხვდებიან, ხორცს დიდი სიამოვნებით მიირთმევენ. დაახლოებით ასეთივე დაპირისპირებაა მართლამდიდებლებსა, პროტესტანტებსა, სუნიტებსა და შიიტებს და სხვა კონფესიათა შორის, რასაც ყველა ღმერთის სახელით კუდს აბამს, ალბათ, იმიტომ, რომ მრევლთან ერთად შემოსავალი და პატივისცემა არ დაკარგონ.

12113. უნიჭობის დღესასწაულზე საშიში არაფერია, თუ ფულსაც იხვეჭს და თაყვანისმცემლებსაც.

12114. ერის გამრავლებისთვის უკეთესია, რაც ნაკლებად განათლებული და უპრეტენზიო ხალხი ჰყავს და ოცნების ნაჩალიჩევს არ დასდევს.

12115. დემოკრატია შეგნება, პასუხისმგებლობა, კანონების ცოდნაა. სიტყვის თავისუფლება აზრის მოკრეფა, ჭეშმარიტებასთან შეჭიდება, პატიოსნება, ხოლო სამართლიანობა – გონიერებასთან შეჯერება, მისი გადახარშვაა, ამბიციების მოთოკვით.

12116. მოყვარეთაგან განსხვავებით, მტრები არ იბადებიან. ასეთად ხდებიან მცირედი გაუგებრობის გამოც კი, ამიტომ დაპირისპირებულთა შერიგება ისევ შემთხვევამ და განგებამ უნდა იკისროს.

12117. ბიუროკრატია სახელმწიფოს ისედაც ელამ თვალებს უფრო აბეცებს და მის დაბრმავებას ცდილობს.

12118. ყველა ხელისუფლის ფინიში მივიწყებით მთავრდება, ხოლო ზოგის საერთოდ დავიწყებით.

12119. ზოგჯერ ქვეყნის სათავეში ისეთი უგერგილო ხელისუფალი აღმოჩნდება, რომ ცოტათი თუ არ იქურდე, მოხერხებულობა და მამაძაღლობა არ დაიხმარე, შენც და ხალხსაც მშიერს ამყოფებს.

12120. ხალხი სისულელის კეთებას თავს ვერ ანებებს, რადგან მასაც ორიგინალობა გართობით უნდა.

12121. ხალხის აზრი, არჩევანი და იმედი ორჯერ ორი არ არის, რადგან ზოგჯერ მისგან არც ერთი საღი განტოლება არ დგება.

12122. ამომრჩევლისთვის მთავარია სიტყვა მის ყურს როგორ ესალ-ბუნება და არა – გონივრული განსჯა.
12123. ადამიანებს შორის ურთიერთობა, უმთავრესად, ურთიერთ-დარწმუნების გაცნობიერებაა, ვიდრე მოვალეობის შესრულება და ტრადიციებისთვის ვალის მოხდა.
12124. კულტურის დანერგვაც ხშირად დაძალებით ხდება, განსა-კუთრებით, ყოფითისა ანუ მასკულტურისა.
12125. იყო შენი ქვეყნის პატრონი და არა – არენდატორი, მარტო სურ-ვილი არ კმარა, საზოგადოება ამისთვის უნდა მომწიფდეს.
12126. ხალხი ყოველთვის უკეთესობისკენ არ იცვლება, განსაკუთრებით, თუ ცხოვრებამ შემოუღრინა და ფეხი დაუდო.
12127. საზოგადოებრივი ხელშეკრულება აუცილებლად უნდა არსებობ-დეს მოქალაქეებს შორის, ქცევის ნორმებით, ჩაცმულობით, გონ-იერი პატრიოტიზმით, უხერხულობაში ჩაუგდებლობით.
12128. ჩინოვნიკს ყოველთვის ხელი წაუცდება უკანონო ფულისკენ. ჯობს მას ეს ფული რაიმე სიახლის დანერგვის საფასურად ვაშოვნი-ნოთ – ქვეყანაც და მოხელეც კმაყოფილნი დარჩებიან.
12129. სიკეთის, სამართლის და კაი-კაცობის გამოჩენას ხშირად მუშ-ტის შემართვა და ხელის გამოღება სჭირდება.
12130. აუტისტურ და გადაჭარბებულ ლიბერალურ ღირებულებათა დაცვა ყველგან ცუდად მთავრდება, რადგან ცხოვრებას პრაქტიკუ-ლი ცოდნა-გამოცდილება სჭირდება და არა უაზრო წამბაძველობა და ქარის წისქვილებთან ბრძოლა.
12131. დიდი პიროვნებები რატომღაც გამოჩნდებიან იმ ქვეყნებში, სა-დაც მათი აყვავება დაწყებულია.
12132. თაფლში ჩაყოფილი ხელები იმ მოხელემ უნდა გაილოკოს, ვინც ქვეყანას შემოსავალს აძლევს და მის ინტერესებს წინ აყენებს და არა უვიცმა, ბრიყვმა, მოხელემ, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტში ხე-ლის ჩაყოფის მეტი არაფერი აინტერესებს.
12133. უგუნურებასაც გრძნობით გამოხატვა და შეძახება სჭირდება.
12134. მტრობა ხშირად გაუგებრობით იწყება და ავტომატის ცეცხლით მთავრდება, ამიტომაცაა, რომ საქმე ურთიერთგაუგებრობამდე არ უნდა მივიყვანოთ.
12135. სიახლის ხედვა და კეთება ერთეულთა ხვედრია, მაგრამ მხარის ამბმელიც თითო-ოროლაა.
12136. ყველა ცივილიზაცია დიდებისკენ მიისწრაფვის და ამისათვის წვრთნის გონიერებას.
12137. უამრავი სასარგებლოს ნახვა შეიძლება ინტერნეტში, მაგრამ

გაცილებით მეტი უსარგებლოსი და უაზროსი.

12138. დღეს ინტელიგენტი იმ „უაზრობასაც“ აფიქსირებს, რაც წინათ აზრადაც არავის მოსდიოდა.

12139. გონიერები ხელისუფლის უგუნურების წინააღმდეგ აშკარად არასოდეს გამოდიან, მას უგუნურებისთვის შეუმჩნევლად სჯიან.

12140. მათდაუნებლიედ, მშობლები, მომდევნო თაობებს ხშირად იმ ტვირთს აჰკიდებენ, რომლის ტარება თავად ვერ შესძლეს.

12141. წინათ სამართლის მთქმელს ცხენი უნდა ჰყოლოდა შეკაზმული, დღეს კი ყბედობად და გართობად მიიჩნევენ დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების მომიზეზებით.

12142. სიმამაცე-სიმხდალე, ღირსება-უღირსობა, ცოდნა-უცოდინარობა, სათანადო განსჯას მოითხოვს, წინაღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების არსი საბოლოოდ გაუგებარი დარჩება.

12143. შენს სიტყვას, რჩევა-დარიგებას, თუ ფაქტიურად უგულებელყოფენ, შეეშვი, რადგან მაინც არაფერი გამოვა.

12144. სამართლიანობა და სიბრძნე სინონიმებია, მაგრამ ერთმანეთის გარეშეც თავს კარგად გრძნობენ, რადგან ყოველი მათგანს თავისი ტაშის დამკვრელი ჰყავს.

12145. ყოველივე არასტანდარტული, ახალი, რაც შემოსავალს და ცნობადობას იძლევა, უმრავლესობისთვის მისაღებია და აქ გონიერების ჩოჩქოლი და ჭიდილი ვერას ხდება.

12146. საზოგადოებრივ საწყისებზე განათლებას ანდაზები, იგავ-არაკები, ზღაპრები და ანეგდოტები გვაძლევს.

12147. ის, რაც ერთისთვის კარგია, შეიძლება უმრავლესობისთვის დროებით მაინც მიუღებელი იყოს, ამიტომაცაა ცუდისა და კარგის განსხვავების ბოლომდე ჩაწვდომა ასე ძნელი.

12148. მოწინააღმდეგე მისივე ვნებათა შეჭიდების შედეგად უნდა დავძლიოთ.

12149. პატიოსანი კაცის სტატუსით მისი რაობა და საზოგადოებაში მდგომარეობა არ განისაზღვრება.

12150. საზოგადო საქმის სამსახურს ასი თვალის და ყურის გამობმა უნდა, წესიერების დაცვის მცდელობით.

12151. დანაშაულსაც დრო, გარემო, წყობა, ინტერესები, ხელისუფალი, განსაზღვრავს და არა – საყოველთაოდ მიღებული პოსტულატები.

12152. ზოგჯერ არის სანატრელი ნაკლი, „სტანდარტიდან გადახრა“, რომელიც ცნობადობას და პოპულარობას გმატებს.

12153. როდესაც საზოგადოების ავ-კარგს ვაფასებთ, ლაპარაკია ხალხის მასაზე და არა იმ გონიერებაზე, რომელსაც განგება ზევიდან

ლიმიტით გზავნის.

12154. გარკვეული უკანონო, მიუღებელი, აკრძალვების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს, ის სამუდამოდ გაირყვნება-გადაგვარდება.

12155. არის საზოგადოების განვითარების რაღაც პერიოდი, რომელიც ჯობს საზოგადოებამ გამოტოვოს, რათა ხალხმა არ იზარალოს და ყოველივეს თავიდან დაწყება არ მოუხდეს.

12156. მოქალაქე ქართული ენციკლოპედიის და მწერალთა ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნების გაყიდვას რომ დაიწყებს, თავის გადარჩენის ან მათი არასაჭიროების „შეცნობით“, უკვე გადაგვარების გზას ადგას.

12157. თანადგომა და არა უაზრო მორჩილება – აი, რას მოაქვს სასურველი შედეგი.

12158. ბრძენკაცს, გმირს, პროფესიონალს, პატივს მიაგებენ, მაგრამ არც შურიანობა აკლიათ „კეთილმომწყობთა“ მხრიდან.

12159. მიწის ვალი ყველას კისერზე ადევს, ინტელიგენტი იქნება თუ მიწის მუშა, რადგან გლეხობაა ის უპირველესი ფენომენი, რომელიც გვკვებავს და ფაქტობრივად, ჩვენს სიცოცხლეზე ზრუნავს.

12160. ბიუროკრატიზმი იმდენად კანონის გაფეტიშება და ბრმად მორჩილება არ არის, რამდენადაც ქრთამის გამოძალვის საშუალება „ნაძალადევი პატივისცემით“.

12161. „დაწყევლილი სამოთხეა“ ნარკომანია, ლოთობა, გარყვნილება, რომელთა ანკესზე სუსტი და მგრძნობიარე ბუნების ხალხი ეგება, დღევანდელი დღით რომ ცხოვრობენ.

12162. საზოგადოების დანიშნულებაა ბუნების უზენაესობის კაურებში გაერკვეს და ურთიერთშორის კავშირი მოაწესრიგოს.

12163. ჩვენ ხშირად იმ აუტისტს ვგავართ, რომელიც საზოგადოებაზე განაწყენდა, ხოლო ამ უკანასკნელმა ის საერთოდ ვერ შეამჩნია.

12164. ინტიმის ტრუსებში ძრომიალის გატირაჟებას საბოლოოდ სიკეთე არ მოაქვს საზოგადოების განვითარებისთვის. ეს ცნობილია, მაგრამ იმდენად დიდია უგნურების მომძლავრება უნიჭობის რეალიზაციის და ფულის შოვნის სურვილით, რომ ხალხად წოდებული მასა, ამდენი ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, ავანტურით „უკეთ ცხოვრების“ სურვილს თავს ვერ აღწევს.

12165. საზოგადოების ნაღებსაც განგება ქმნის, მაგრამ მისი დამგემოვნებელი ხალხია, რომელიც ჯერ კიდევ გაუნათლებელია და ამ ცხოვრების აზრზეა მოსაყვანი.

12166. ორატორობაც თავისებური სამსახურია, რადგან მასას იმდენად სიტყვის აზრი არ აინტერესებს, რამდენადაც მჭევრმეტყველების

ეფექტი.

12167. დღეს შრომის არსი, სიმბოლოებიც, შეცვლილია, რადგან ფიზიკური შრომა-საქმიანობისკენ მისწრაფება დღითი-დღე უპრესტიჟო ხდება და იმას აიძულებს ფიზიკურად იშრომოს, ვინც ამ საქმისთვის თითქოს გამოსადეგია, რადგან თავისი შესაძლებლობით სხვა საქმით ვერ დაკავდება.

12168. კაცობრიობის განვითარებას ნიღაბიც სჭირდება და უნიღბოდ თავის წარმოჩენაც, რათა საზოგადოების წინსვლა არ შენელდეს.

12169. ნდობა ზოგჯერ მტრებს გვიმრავლებს, უმთავრესად „კეთილისმდომთა“ შორის.

12170. უმთავრესი ადამიანთა დამოკიდებულებაშიც პროფილაქტიკაა და შემდგომ – განსჯა „მკურნალობით“.

12171. ხშირად ტექნიკური პროგრესის განავარდების ბაზისს ადამიანთა წაკიდება-შერკინება იძლევა.

12172. დღევანდელი ცივილიზაციის უმიზნო გაჯირითებას რომ უყურებ, ეტყობა, შვილსაც ადამიანი საკუთარი მეობის წარმოსაჩენად და გასართობად აჩენს და არა – ერის გასამრავლებლად და სამშობლოს სიყვარულით.

12173. თუ ერები ერთმანეთზე ანეგდოტებს სილაღით და სიყვარულით ყვებიან, მათი მეგობრობისთვის წყლის შეყენება ძნელია.

12174. გენეტიკურად კეთილ ადამიანებს ცხოვრება უჭირს, მაგრამ მათ გარეშე საზოგადოებას გაუჭირდებოდა არსებობა.

12175. სამწუხაროდ, ზოგჯერ ისეთი დრო დგება, ერის ნაღდ გმირებს ვერ ვაცნობიერებთ და უყურადღებოდ ვტოვებთ, მაგ. გ. აბესაძეს, რომელმაც თავი იმიტომ დაიწვა, რომ ქართველები გაერთიანებულიყვნენ და საერთო ენა გამოენახათ.

12176. ერთმანეთის ქიშპობით ყველანი ვმარცხდებით. ამის გაცნობიერების მიუხედავად, ჩვენი გენის გადაკეთება არ ხერხდება.

12177. უწმინდესი, უნეტარესი, უდიდესი, ჩვენი მომავალი ბავშვებია, წინაპართა გახსენებით.

12178. ხალხს რაღაც უნდა სწამდეს, სჯეროდეს, ეთაყვანებოდეს, ეს გენეტიკის მოთხოვნაა, შინაგანი კულტურაა და ამ როლს დიდებულად ასრულებს ყველა ჯურის კულტურის მსახური და ღმერთიც, რადგან ადვილია მასზე ყველაფრის აკიდება, გადაბრალება.

12179. დღეს ღირსეული ხვადთა და პერსპექტიულ მამაკაცთა ოდენობა უომრადაც ისე მცირდება, რომ დროა მრავალცოლიანობის ინსტიტუტის შეიქმნას, რათა ქალებს თავიანთი მეობის წარმოჩენის საშუალებაც მივცეთ და დედობის ვალის მოხდისაც.

12180. ზოგჯერ ისეთ საზოგადოებაში გვიწევს ცხოვრება, რომ ბუნებრივი სიკვდილით, სახელის შეუბღალავად, იმქვეყნად გადასახლებაც დიდი ვაჟკაცობაა.

12181. ფემინიზმი მამრთა ბუნების გადაგვარების მცდელობაა, თუმცა მდედრთა საწინააღმდეგოდ.

12182. ზოგი ნერვებამშლელად „ჭკვიანია“, რაც საზოგადოების უმეტეს ნაწილს აღიზიანებს.

12183. „ქიციც და ქიცმაცურიც“ პატრიოტულად განწყობილი ხალხისთვის მიუღებელია, მაგრამ მისი ცოდნა საჭიროცაა და გასათვალისწინებელიც.

12184. გონიერება, ერის სიყვარული, საზოგადოების რაობაზე და მის უკეთ წარმოჩენაზე ფიქრობს, სამწუხაროდ ამ მცდელობიდან ხშირად ცოტა რამ გამოდის.

12185. შინაგან ბუნებას ადამიანს განგება ჩუქნის, ჩვეულებებს კი – საზოგადოება, იმისდამიუხედავად, მოსწონს მას ეს თუ არა.

12186. დღესაც საქორწინო გვირგვინი წყვილს ვნებათა გალაღებისკენ და საზოგადოებაში თავშეკავებისკენ მოუწოდებს, მაგრამ ცივილიზაციის „მიღწევებს“ არ ითვალისწინებს.

12187. არიან საზოგადოებისთვის კრისტალურად სუფთა ადამიანები, რომლებსაც ჭორაობის ჭუჭყი ახლოსაც არ ეკარებათ.

12188. დღეს ხალხის გამოთაყვანება, მასმედიის მოშველიებით, დეტექტივების და მისი მონათესავე ამბებით ხდება, ხოლო კომუნისტები ამას ხარისხიანი კომედიების წარმოჩენით და კრიტიკით ახერხებდნენ.

12189. მაყურებელი, მაცქერალისგან განსხვავებით, არასოდეს ბერდება, პირიქით, ახალ ინფორმაციას იძენს და ვითარდება.

12190. ზოგჯერ სიმართლეზე თავის დადებას და წმინდანად ყოფნას ზარალი მოაქვს, რადგან განუსჯელი ერთფეროვნება თვით ტექნიკურ პროგრესს თრგუნავს.

12191. თავისუფლებისკენ ლტოლვამ აყოლა იცის, ამიტომ საჭიროა წინასწარ მის ჭეშმარიტ ღირებულებებს განსჯით ვეზიაროთ, რათა ხალხს რაიმე არ შეეშალოს და წაგებულები არ დავრჩეთ.

12192. შემწყნარებლობა ადამიანურობის გამოსაჩენად კარგია, მაგრამ საქმის კეთებაში მაინც სიმკაცრე და მომთხოვნელობაა აუცილებელი.

12193. დანაშაულს რომ ამდენი გულგრილი ხელისშემწყობი არ ჰყავდეს, საგრძნობლად შემცირდებოდა.

12194. დღეს ფემინიზმი მატრიარქატს არ იძლევა, მაგრამ ქალის როლს

საზოგადოებაში საჭიროზე მეტად ამაღლებს.

12195. ადამიანს ადამიანად საზოგადოება აყალიბებს და არა მხოლოდ ნიჭი და მცდელობა.

12196. უმტკივნეულო გაუგებრობა უფრო მეტ ჭორს და დევნას იწვევს, ვიდრე გაგებული და შეჩვეული უგუნურება.

12197. რატომღაც ჭკვიან ადამიანს ჭკუაზე მწყრალად მყოფნი გაურბიან და ერიდებიან, არა და მათ უჭკუობას შეიძლება რაღაც შველებოდა.

12198. ადამიანებს ბევრი საერთო სისულელე აკავშირებთ და აქ განგება არაფერშუაშია.

12199. ვანდალიზმი სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრების ნაწილია, რაც კულტურის დეფიციტზე და საზოგადოებას ჩამოუყალიბლობაზე მიგვანიშნებს.

12200. ერთნაირი აზროვნების ადამიანები ადვილად უგებენ ერთმანეთს სხვათა ჯინაზე.

12201. მთავრობის გონიერების ხარისხს, მისდამი ხალხის თანადგომა, საყვედურების შემოპარებით, განსაზღვრავს.

12202. ქვეყანაში უმადური ორფეხების დოღია გამართული და ხანდახან ოთხფეხებსაც ემსგავსებიან.

12203. ნიჭის გამოვლინებას ფული სჭირდება, ფულის მოპოვებას – სახელმწიფოს სიძლიერე, სახელმწიფოს სიძლიერეს კი – გონიერი კაცის შერჩევა.

12204. სახელმწიფოებრიობას ბევრს მატებს ის აღიარებული ადამიანები, რომლებიც ქვეყანას თავის განუმეორებელი ნიჭით ემსახურებოდნენ.

12205. სანამ გასაყოფი არაფერია, ყველა ერის საქმეს აკეთებს, გამოჩნდება გასაყოფი და ყველა თავის საქმეს კეთებითაა გართული.

12206. ყველა ერს თავისი სიბრიყვე მოსწონს სხვისი განსჯით და თავის მოწონებით.

12207. თუ გულგრილობას აზროვნებაში გადახარშავ, გონებაც მოუხმობ, ქვეყნის საკეთილდღეოდ იღვაწებ, თუ განგების ნებაც იქნება.

12208. ვცადოთ გარემოს და დროის შესატყვისად სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს და საქმიანი რჩევა-დარიგებაც არ დავამადლოთ.

12209. ყველა შედეგს შტურმით აღება სჭირდება და არა მარშით სიარული, ყბედობით და თავის წარმოჩენით.

12210. ერის მენტალიტეტის საბოლოოდ შეცვლა შეუძლებელია, რადგან ყველა ერს უკვდავების ზევიდან მომადლებული გენი აქვს.

12211. მადლიან მიწაზე, ბედის ნებიერმა ხალხმა, თავისი ამბიციების გამო შეიძლება თავს უღალატოს, მაგრამ არის რაღაც დაუნგრეველი, ერის აღმდგენელი, რომლის გარეშე სამყაროში ამ ხალხს ცხოვრების უფლება არ აქვს.

12212. ყველა ერს თავისი გაელვება აქვს დროის და ბედის შესატყვისად, რომელთა იმდროინდელი წარმატებაც დღევანდელი გადასახედიდან ხშირად დაუჯერებელია.

12213. დღეს კაბის სწრაფად აწევის და ტრუსის უცბად ჩახდის რეკლამირებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ამას ცივილიზაციის ბრენდად მივიჩნევთ.

12214. ყბედობას ენაზე კბილის დაჭერა სჯობს, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ გული ამოვარდნაზე გაქვს და ტვინი ირევა, როცა ამბავს ისე არ ატირაჟებენ, როგორც შენ მოგწონს და წარმოგიდგენია.

12215. ბევრისთვის წიგნის კითხვა, კომპიუტერში ჩალიჩი, გართობაა და მიღებული ინფორმაციის სარგებლით გამოყენებას არ ცდილობენ.

12216. საზოგადოებისთვის დომხალის აცილება, ყოფის ფორმულის შექმნით და მისი მკაცრი დაცვითაა შესაძლებელი.

12217. ყველაზე დიდი დანაშაულია ადამიანთა უქმად ყოფნა და არა მათთვის განზრახ სიძნელეების შექმნა.

12218. მოწოდებით დასაქმებულ ადამიანს დიდი სარგებელი მოაქვს თავისთვისაც და სხვისთვისაც.

12219. ყველა საქციელისთვის პასუხი უნდა ვაგოთ, თუ გვინდა პერსპექტივის მქონე საზოგადოება ჩამოყალიბდეს.

12220. რევოლუცია საშინელებაა, მაგრამ დამყაყებულ საზოგადოებას სხვა მკურნალობა არ შველის.

12221. გონიერება-უგუნურების ინსტიტუტი თვისებების რეორგანიზაციას მოითხოვს თანამედროვე გადასახედიდან, მაგრამ მათი დამოკიდებულების პარამეტრები მაინც უცვლელი რჩება.

12222. სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი მოწოდებულია დროის ყაირათიან ხარჯვისთვის.

12223. იმ პიროვნებას, რომელიც ხალხმა ტაშ-ფანდურით თავზე წამოისვა, ქვეყნის აშენებაც შეუძლია და დაქცევაც.

12224. „ბოროტ გენიას“ ლამაზი ჟესტები ამშვენებს, ძალას ჰმატებს, ხალხსაც აბრუებს და თავს აყვარებს (ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი, ჰიტლერი).

12225. ურთიერთობაში მთავარია არა სიყვარული, არამედ ურთიერთპატივისცემა.

12226. წელსქვევითია „ჟურნალისტიკა“ საზოგადოებას რყვნის, თრგუნავს, რადგან ადამიანებს სიკეთის და ბოროტების შეცნობის უნარს უკარგავს.

12227. გონიერება არ უნდა ნერვიულობდეს იმ მასის ქმედებით, რომელსაც ხალხს ვუწოდებთ. დრო და განგების ნება ყველაფერს მოუვლის და თავის გზას გაუყენებს.

12228. წელსქვევითა ჟურნალისტიკა იმ ცნობიერებას აკნინებს, რომლის აღდგენა „მათრახის“ მშვეობით უნდა მოხდეს.

12229. ყოველთვის იყო და იქნება მამათმავალი, უნიათო, საზოგადოება და აქ ხალხად წოდებული ბრბო არაფერშუაშია, რადგან დროის ხუშტურებმა ასე ინება.

12230. გონიერთათვის ხელისუფლების ტყუილის მოსმენა ძნელია, მაგრამ აუცილებელია, რადგან შეიძლება მის წინააღმდეგ გამოიყენოს.

12231. შთამომავლობა შემოინახავს ღირსეულ წინაპართა სახელებს, რადგან მისი კონკურენტი არ არიან და თავის წარმოსაჩენად, პიარისთვის, სჭირდებათ.

12232. თეორიულად უხვი, მრავლის გამცემი, გმირებზე მეტია, მაგრამ პრაქტიკულად გადამდები არ არის და გულმავიწყობაც ახლავს.

12233. დაპირისპირება საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის შენარჩუნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების ფუფუნებისკენ აჩქარებულ მისწრაფებას მივიღებთ სავალალო ფინიშით.

12234. დემოკრატია, ნიჭი და წვრთნა ერთმანეთს არ ეთვისება, რადგან ადამიანს თანდაყოლილი ხუშტურები აქვს, რომელსაც დასაოკებლად ხშირად სიყვარულით მუშტის ჩვენება სჭირდება.

12235. ხალხი ტრავმირებულია პროპაგანდის მანქანით და სწორ არჩევანს ამიტომაც ვერ აკეთებს.

12236. ყველაზე ძნელია იმ საზოგადოებაში მოღვაწეობა, რომელშიც ადამიანებს თავის სიტყვაზე, ქმედებაზე, პასუხისგება არ უნდათ და „ყბედობა“ სიტყვის თავისუფლებად მიაჩნიათ.

12237. ძალადობა ადამიანის ბუნების ნაწილია, მაგრამ მას დროდადრო უშედეგოდ ეღობება ის იდეოლოგია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ძალადობას წინ ვერ აღუდგა და „ჭკუა ვერ ასწავლა“.

12238. სოციალური დარვინიზმის კანონები ლიბერალიზმსაც ძალადობის იარაღად წარმოადგენს და იმედი იმისა, რომ ძალადობა ჭირს მოგვჭამს, არ უნდა გვქონდეს.

12239. კულტურა ყველაზე დემოკრატი და თავისუფალი დესპანია სხ-

ვადასხვა ეროვნების სულიერებას შორის.

12240. დღეს სილამაზის, ჭკუის, რომანის, სახალხოდ წარმოჩენას ბიზნესის მოდელი და პიარი ჰქვია.

12241. საკუთარი სიცოცხლის უგულებელყოფა ყველაზე დიდი დანაშაულია შენი მოიმედე ხალხის წინაშე.

12242. დღევანდელი „მასმედია“ ახალგაზრდობას რყვნის, მაგრამ ამაზე პასუხს არ სთხოვენ, რადგან „უპატრონო ეკლესიას ტურა-მგელი დაესია“.

12243. დიდი საქმის მკეთებელი პირისპირ გაჰკიცხე დაშვებული შეცდომებისთვის, მაგრამ საჯაროდ ქება-დიდება შეასხი – ამართლებს.

12244. სიმართლის თქმა ძნელი არ არის, მისი თქმით პატივისცემის დამსახურებაა ხშირად ძნელი და საშიში.

12245. ლიბერალიზმი სიტყვით კარგია, მაგრამ საქმის კეთებას ვნებს და კოლექტივს რყვნის.

12246. დაუპატიჟებელი სტუმარი, თუნდაც სასურველი, დიდ სიძნელეს გვიქმნის, რადგან უკეთ გვინდოდა მიგვეღო.

12247. ქცევის მანერებს ახალი თაობა გვირყვნის და გვინერგავს.

12248. სულელების დაჯგუფებას თავისთვის ხეირიანად შეძახება უჭირს, რადგან მათი აზრით, ამას არ საჭიროებენ.

12249. დღევანდელი ინტერნეტი „დასაბუთებული“ ჭორის შეთხზვის და გავრცელების საუკეთესო საშუალებაა.

12250. დღევანდელი სექსის დაფარული რეკლამა „მასმედიაში“ ასეთია: თუ ტელეფონზე აკრიფავთ ერთიანს, თქვენ ჩვენს ღიმილს დაიმსახურებთ, თუ ორიანს – ჰაეროვან კოცნას, სამიანს – თვალების დაჟუჟინებას, თუ ოთხიანს – გაეცნობით მოხდენილი სიარულის ხელოვნებას, თუ ხუთიანს – გასწავლით ქალი სავარძელში როგორ უნდა მოკალათდეს, თუ ექვსიანს – გასწავლით რა მნიშვნელობა აქვს ქალის მკერდს სიყვარულში, თუ შვიდიანის აკრეფას არ დაიზარებთ – თქვენს ხელთ იქნება მოხდენილი ქალი, იჩქარეთ, არ დააგვიანოთ.

12251. კარგი მანერების და აღზრდის დამუღამება გონების მოშველიებითაც შეიძლება, მაგრამ გააჩნია ვინ უძღვება ქვეყანაში დემონსტრაციას.

12252. სიბრძნე, დამსახურება და სახელი ასაკის გადასახედიდან სხვაა, ჯეელობის შემართებიდან – სხვა, მაგრამ საქმის კეთება მაინც ახალგაზრდებს უნდა ვანდოთ, რადგან პროგრესისკენ მათი მისწრაფება და ენერგია გამოუცდელობის ყველა ნაკლოვანებას ფარავს.

12253. მოუწყობელი ქვეყანა პირველ რიგში ღირსეულ მოქალაქეებს მტრობს და გარკვეული დროით წყობის უგუნურების ტყვეობაში ამყოფებს.
12254. საზოგადოების კატასტროფას სიცილით უნდა გავუმკლავდეთ და ვებრძოლოთ.
12255. საერთო საქმის კეთება მარად დაფიქრებას მოითხოვს საკუთარი თავისათვის ყურის აწევით.
12256. მშვიდობის შენარჩუნებას მოპოვება, დაფასება და ზოგჯერ თავის მოხრა უნდა, ხოლო მშვიდობის განმტკიცებას შობადობის გაზრდით და მათი ღირსეულად აღზრდით უნდა მივაღწიოთ.
12257. „ხალხი საღად აზროვნებს“ იძულებული ვარ ყურით მოთრეული ეს აქსიომა „ვაღიარო“, წინააღმდეგ შემთხვევაში, საყოველთაო არჩევნების უგულვებელყოფა ქვეყანას უფრო მეტად არევს და ავნებს.
12258. უმეცარი და ამბიციების მქონე საზოგადოება ცნობიერების ავარიას იწვევს.
12259. ჯანმრთელი უნდობლობა კარგი საშუალებაა ერთობლივი უღალატო მუშაობისთვის.
12260. უკიდურესი სიჭკვიანისა და სისულელისგან განსხვავებით, მასა საშუალო ნიჭს და შესაძლებლობებს მეტ პატივს მიაგებს და ეს რომ ასე არ იყოს, სამყაროს ურჩი შვილები დღესაც ქვის ხანაში იცხოვრებდნენ.
12261. ადამიანებს ერთმანეთი ანგარების და შურის გამო სძულთ, სხვა მხრივ, საერთო ინტერესებს თუ გამონახავენ, შეყვარებაც შეუძლიათ, ოღონდ გარკვეულ დრომდე და შემთხვევამდე.
12262. ჩვენ ტირანს „მეს“ ლაგამი დროულად უნდა ამოვდოთ, რადგან მარტო ენაზე კბილის დაჭერის ცოდნა არ კმარა.
12263. ბრძოლაში, შერკინებაში, პირუტყვული ჟინის, გულმხეცობის და დაუოკებელი ამბიციების გარეშე, გამარჯვება ძნელად გამოიჭედება.
12264. კარისკაცები, სახელმწიფო მოხელენი, წინათ თუ ომის გაჩაღებით ერთობოდნენ, ფულს და დოვლათს შოულობდნენ, დღეს ამას ბიზნესში მონაწილეობით, წილში ჩაჯდომით, ფულის უკუგორებით, ახერხებენ.
12265. „მონობას“ დიდი გამჭრიახობა მართებს, რომ პატრონი არ გაწირო და არ გაგწიროს და თუ საჭიროა სიამტკბილობით დაშორდეთ.
12266. ხალხი ლიდერის გარეშე უსახურია, რა სწყინს და რა უხარია,

თავადვე ვერ გარკვეულა.

12267. სუბიექტური აზრი, რომელიც „მასმედიაში“ ხმაურდება, განსჯადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საშური საზოგადოება არ ჩამოყალიბდება.

12268. ყოველ მცდელობას მიმართულება უნდა მივცეთ, რათა მიზანი უშედეგოდ არ დარჩეს.

12269. საზოგადოების შესაქმნელ-გასაკეთებლად ყველა სახის გონიერება საჭიროა, იმისდამიუხედავად, ეს დღეს მოგვწონს თუ არა.

12270. სურვილი გვაქვს, ხელისუფლებამ ჩვენი ის სიქველე იწამოს, რომელიც სინამდვილეში არ გაგვაჩნია.

12271. ჯიბეში თუ 100 ლარი გაქვს და იქიდან 10 ლარი დახარჯე, არ შეიძლება ჯიბეში კიდევ 100 ლარი გქონდეს, მაგრამ ხალხის უმრავლესობას ასეთი ილუზიები უჩნდება, როდესაც საქმე დემოკრატიას ეხება.

12272. თავისი სიტყვებისთვის ყველამ პასუხი ხალხის და კანონის წინაშე უნდა აგოს, რათა ქვეყნის სათავეში შემთხვევითი და ნაძირალა ყბედები არ მოვიდნენ.

12273. დღეს თავის წარმოჩენა, პიარის და რეკლამის გარეშე, ბრძენსაც უჭირს და ჩვეულებრივ მოკვდავსაც.

12274. ბედნიერებაა, თუ მთავრობას ღამით მაინც მშვიდად სძინავს და ხალხი დროის ამ მონაკვეთს თავის ჭკუაზე საქმის საკეთებლად და გასამრავლებლად იყენებს.

12275. უგვანო ოპოზიცია თავის ტკივილია ქვეყნისთვის.

12276. ქვეყნის პრემიერმინისტრი, რომელსაც კარგი ჯანმრთელობა და ცუდი მეხსიერება აქვს, ან – პირიქით, ქვეყანას ბოლომდე ვერ გაქაჩავს.

12277. დღეს, წესით, ყველას ყბედობას უნდა ავუკრძალოთ, თუ გვინდა ქვეყნის სასიკეთო საქმე ვაკეთოთ.

12278. ხალხია უმადური და არა – თაობები.

12279. ბედის ირონია ანგრევს ქვეყნის წყობას და არა – ხალხის მცდელობა, მისი ხუშტურები და უგუნურება.

12280. ურწმუნო, უიდეო და დემოკრატიის გაუცნობიერებელი „ბაიათებით“ მებრძოლ ხალხს ჩვენი მტერი ენდო.

12281. კორუფციის გარეშე საზოგადოების ცხოვრება თეორიულად უტოპიაა, მაგრამ მოხერხებული ხელისუფლების ხელში პრაქტიკულად შესაძლებელია.

12282. ქვეყნის ინტერესებისათვის თავის გადადება ბევრ შეცდომებს შეგვინდობს.

12283. ცივილიზაციას ერთი დიდი ნაკლი აქვს, სანამ საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდება, შობადობა კლებულობს.
12284. ზოგჯერ დგება საზოგადოების გადაგვარების ისეთი დროც, რომ იძულებული ვხდებით გემოვნებაზე ვიდავოთ.
12285. ინტელიგენციასაც უნდა ჰქონდეს თავისი ზღვარი, მუხრუჭი, რადგან დაუღვინებელი და გამოუცდელი ნააზრევით გაჯირითებას სიკეთე არ მოაქვს.
12286. ყველა გადაწყვეტილებას თავისი დადებითი და უარყოფითი პარამეტრები ახლავს და ეს „ყოფის ფიალა“ თავად საზოგადოებამ უნდა აირჩიოს ან უნდა „ავარჩევინოთ“.
12287. მასა მწარე სიმართლის აღსაქმელად არასოდეს მზად არ არის.
12288. კითხვა: – შენ რა გაუკეთე ქვეყანას, რომ ის დაგეხმაროს? პასუხი: – ჩვენი მცდელობისთვის ხელშეწყობა ქვეყნის დახმარებაა.
12289. რეკლამით და ფუფუნებით გატუტუცებული მასა „გავააწეული“ საზოგადოების სინონიმია.
12290. პოპულარობა და ავტორიტეტი სხვადასხვა რამაა, რადგან ეს უკანასკნელი, პირველისგან განსხვავებით, დეპრესიაში არ ვარდება, როდესაც მისი „ჩამოპლაცკარტება“ იწყება.
12291. საზოგადოებრივი ტანჯვა, საკუთარ ტანჯვასთან შედარებით, უმტკივნეულოდ გადასატანია.
12292. საქმის კეთების საიდუმლო სურვილთა შეჯერებასა და ერთობაშია.
12293. ისე ვიღვწით, როგორც საზოგადოება ცხოვრობს და არა ისე, როგორც ქვეყნის კონსტიტუციაში წერია.
12294. სახელმწიფოებრიობას მთელი გულით და სინდისიერებით უნდა ვემსახუროთ, მაგრამ ამ სამსახურის მიმღებიც გონიერებით და ჭკუის მოხმობით უნდა შევარჩიოთ.
12295. ხშირად ძველის გადაკეთება-შეკეთებას ახლის შეძენა ჯობს, ამით საზოგადოება სამუშაო ადგილებს ინარჩუნებს, სიახლესაც ეჩვევა და თვალი პროგრესისკენ უჭირავს.
12296. დღეს ადამიანი თავზე მეტად უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით რომ ისარგებლოს, თავი „დამცირებულად“ და „უხერხულად“ არ იგრძნოს.
12297. ერთადერთი ადგილი მორგი იყო ამქვეყნად, სადაც ქურდობას და რეალობის გადაფასებას ადგილი არ ჰქონდა, მაგრამ „პერესტროიკამ“, ეტყობა, აქაც ცხვირი ჩაყო.
12298. წესრიგის დამყარება ზოგჯერ ალიბია და შენი უცოდველობა-პატიოსნების სინონიმია.

12299. არის რაღაც, რაც სხვას არ უნდა შევამჩნიოთ, არის ისიც, რაც სხვამაც არ უნდა შეგვამჩნიოს.

12300. ვნების წარმოჩენა-გაპიარებას თითქმის ყველა რწმენა და კონფესია ერიდება, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ მის გარეშე მრევლიც ვერ იარსებებდა და ადამიანთა მოდგმაც გაქრებოდა.

12301. კიდევ კარგი გამარჯვებული დამარცხებულად არ ცხადდება და არ განისჯება, თორემ მაშინ უნდა გვენახა სამყაროს „დომხალი“.

12302. „თამადობა“ ეს მეტყველება, წიგნიერება, მოხერხებულობა, მომხიბვლელობა, იუმორი და ორგანიზაციული ნიჭია, რათა თანამეინახენი აგყვნენ და დრო ატარონ.

12303. მასპინძლის დანიშნულებაა უცნობმა სტუმრებმა საერთო ენა გამონახონ და ამ მიწვევით კმაყოფილნიც დარჩნენ და სარგებელიც ნახონ.

12304. დამოუკიდებლობა და თავისუფლება სინონიმები არ არის, ორთავე დაღვინებას და ჭკუის მომხრობას მოითხოვს.

12305. რა სჯობს, უდრტვინელი პატრიოტიზმი, როდესაც ყველაფერში „მართალი“ ხარ, თუ ყოფის მათანალიზის ცოდნა წინხედვით – ძნელი სათქმელია, მაგრამ პირველს თვალებდახუჭული მიჰყვები.

12306. რას წარმოადგენდა ხალხი ნაპოლეონის, ჰიტლერის, სტალინის, დიქტატურის ხელში? უინიციატივო, მეოცნებე, არარაობას! რას წარმოადგენს დღეს ხალხი ობამას, სარკოზის, მერკელის, დემოკრატიის ხელში? ინიციატივიან არარაობას. ასე, რომ ძნელი სათქმელია ხალხი რომელ არარაობას „აირჩევს“ ან აარჩევინებენ.

12307. ადამიანის უფლებები ასაკის მატებასა და მოვალეობათა აკიდების შედეგად კლებულობს და მხოლოდ მოვალეობა გვრჩება.

12308. სიმდიდრე, წარმოჩენის და საქმეში დაბანდების გარეშე, „მყრალდება“, მცირდება. რაც შეეხება შურს და მისდამი ორაზროვან დამოკიდებულებას, ურყევად რჩება.

12309. ყველაზე საშიში იმედგადაწურული ხალხია, რომელიც რას მოიმოქმედებს, თავადაც არ უწყის.

12310. ზოგი ყოფის კარს გონიერებას მოარგებს და გააღებს, ზოგიც ამტვრევს, მაგრამ როგორც არსებობისთვის ბრძოლა გვიჩვენებს, კარის გაღება აუცილებელია.

12311. დამყაყებას, უმოქმედობას ყველაფერი ჯობს, მაგრამ დროის შერჩევა – ძალაში რჩება.

12312. უგუნურებთან მეგობრობას, ისევ გონიერ მტერთან ურთიერთობა ჯობს, ნაკლებად გვავნებს, რადგან სიცოცხლე არც ისე ხანგრძლივია, რომ მან ზრახვები ბოლომდე აღასრულოს.

12313. ხალხი, ავტორიტეტის გარეშე, ირყვნება.

12314. სიმდიდრე შეიძლება იყოს მატერიალური, სულიერი და ფასი მაშინ ედება, თუ ნაშიერი ნაღვაწს ავრცელებს და მისი გამრავლების ცდაშია.

12315. ადამიანთა უმრავლესობა, რაც აქვს, იმასაც სათანადოდ ვერ აფასებს, რადგან გაცილებით მეტი უნდა და ესაა ამ ქვეყნის განვითარების სტიმული და ყოფის „აქილევის ქუსლი“.

12316. სიბრძნის მოპოვებას უნარი სჭირდება, სიმდიდრესაც, მაგრამ მათი ურთიერთმხარდაჭერა, პროგრესის სასარგებლოდ, ორივესთვის აუცილებელია.

12317. მჭერმეტყველება, განათლებასთან ერთად, ხალხს მეობის მეგაბაიტის ოდენობის ცოდნად სჭირდება.

12318. ქვეყანაში ბრიყვების დოღია, მაგრამ ისტორიის ფინიშის გადაკვეთას, მასში მოსახვედრად, უმთავრესად, ვერ ახერხებენ.

12319. ფაქტობრივად საზოგადოებას ნაძირალები, თაღლითები, ენერგია – მოჭარბებული ვიგინდარები მართავენ, რადგან სხვაგვარად ამ დამყაყებულ „ხალხ-ვაგონებს“ ისტორია წარმოსაჩენ გზაზე ვერ ატარებს.

12320. ადამიანის ბუნება ყოფის ალგორითმებს წინ ვერ აღუდგება, ამიტომაცაა რომ ნაძირლების ოდენობა საზოგადოების არც ერთ ფენაში არ მცირდება.

12321. შრომას დაფასება სჭირდება, დაფასებას – სათანადო ანაზღაურება და სწორედ ეს უკანასკნელია, რომ შურს იწვევს.

12322. ხალხი საშიში მაშინ ხდება, როცა მას იუმორის, იმედის, გართობის ალგორითმს მოვაკლებთ. სხვა შემთხვევაში ის თვინიერი და დამყოლია.

12323. წესრიგი კარგია, მაგრამ წესრიგის მომყვანსაც უნდა ვენდობოდეთ და მისი გვჯეროდეს.

12324. სხვის უბედურებას ყველა ინტერესით უყურებს, გულიანად მსჯელობს და ზერელედ განიცდის.

12325. ჟურნალისტიკა და ცნობისმოყვარეობა სინონიმებია, მაგრამ პროფესია მაინც საზოგადოების გამოჯანმრთელებისთვის უნდა იღვწოდეს და არა – ფულის გულისთვის.

12326. შემოქმედი ხელისუფლის ინტერესები თუ მასის ინტერესებს არ ემთხვევა, უდიდესი ბედნიერებაა ამ ხალხისთვის.

12327. ნდობას ბოლომდე არავინ იმსახურებს, მათ შორის, ოჯახის ექიმიც და მზარეულიც, თუ ისინი სათანადოდ არ ფინანსდებიან.

12328. პოპულარობას მაშინ აქვს ფასი, თუ ის შემოსავლიანია, წინააღმ-

დეგ შემთხვევაში, ის ფაქტიურად „ზარალიანია“ და სიამოვნებისთვის ცხოვრებას გვიშლის, თუმცა გააჩნია პიროვნების ამბიციუობას და ხასიათს.

12329. სანახაობის და პურის დიქტატის ქვეშ ხალხი დუნდება და ხშირად თავში წამორტყმაც არ შველის.

12330. სიკეთე-სიავის ჩადენასაც ცოდნა-გამოცდილება სჭირდება, რათა მეორე მხარეს პატივი მიაგო, ან აჯობო და არ დაამცირო, რადგან არავინ უწყის მტერი მოყვრად როდის გექცევა და მოყვარე – მტრად.

12331. ურთიერთდაჭირვება რომ გვახსენებს და გვაახლოებს ჩვენს სისხლ-ხორცთან და მეგობრებთან, თორემ უიმისოდ გრძნობები იკარგება და მხოლოდ მათი მახსოვრობა გვრჩება.

12332. უნდა ვეცადოთ ყოველთვის ერთად ვიყოთ.

12333. საზოგადოების მართვისას იმაზე საშინელება არაფერია, როდესაც ყველამ ყველაფერი „იცის“ და მას ავტორიტეტი, წინამძღოლი, არ ჰყავს.

12334. კამათს ისევ ყურისგდება ჯობს, ნერვები მაინც არ მოგეშლება „უკეთურ-უვიცებთან“ შერკინებით.

12335. უნდა ვენდოთ ხალხის წიაღიდან წარმოჩენილ თვითნაბად რჩეულ შვილებს და არა – თავად ხალხს.

12336. ადამიანს მოქალაქედ მასზე მზრუნველობის შეცნობა და ქვეყნის ჯანსაღი სიყვარული აქცევს.

12337. განკითხულსა და განმკითხველს შორის ურთიერთგაგება და თანადგომა არ გამოდის, რადგან ჭკუის დაწმენდა და მოხმობა უჭირთ.

12338. მანკიერებას პიარი და საჯაროობა არ უყვარდა, დღევანდელობისაგან განსხვავებით.

12339. ზოგიერთი დანაშაული არც პარტიებს ექვემდებარება და არც დასჯას, რაც შეეხება განსჯას, სასარგებლოცაა და აუცილებელიც პროფილაქტიკისთვის.

12340. პროგრესი, საზოგადოების ცნობიერებას, ტრადიციებს, ცვლის, იმისდამიუხედავად, ადამიანის კონსერვატიზმი ერწყმის თუ არა.

12341. ხალხის შემართებას მაშინ მოაქვს შედეგი, თუ ის გონიერ წინდახედულებას წინ წაიმძღვარებს.

12342. სანდო ხალხის შემოკრებას გულიანი ხალხის შერჩევით და მათთვის საიდუმლოს განდობით ახერხებენ.

12343. ღირსეულის წარმოჩენისას, მასში ჩვენი საქმის გამგრძელებელს უნდა ვხედავდეთ და არა – კონკურენტს, თუ გვინდა მხარში ამომ-

დგომნი ვამრავლოთ.

12344. უნდათ თუ არა, ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან და აქ მარტო სიკეთის კეთება არ იგულისხნება.

12345. რატომღაც მომრავლდა მომდევნო საუკუნეში გასაცნობიერებელი, აწმყოში მოღვაწე, ადამიანები.

12346. საკუთარი თავის მოთოკვა, დაკვალიანება, განსჯა, დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა.

12347. დამთხვეულებსაც სერიოზულ ადამიანებთან ურთიერთობა ურჩევნიათ, რაღაცას ისინიც სწავლობენ – კარგს თუ ავს, ეს სხვა საქმეა.

12348. ხშირად კაცობრიობა იმ ნიღბით დადის, რომლის გაცნობიერებაც თავადვე უჭირს.

12349. ცუდის კარგად წარმოჩენას ერთეულები ახერხებენ, ხოლო კარგის ცუდად – მრავალნი.

12350. საინტერესოა, რა სახის საზოგადოებას მივიღებდით ყველა მამაკაცს ფული რომ ჰქონოდა და ქალის ყველა კაპრიზი დაეკმაყოფილებინა – ალბათ, სამუდამოდ გავქრებოდით.

12351. ადამიანებს ყოფის კაიფისკენ მიდრეკილება აშორებთ და არა ზომიერება და გონივრულად ყოფნა.

12352. მსახიობს, კულტურის მსახურს და ექიმს შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი გვახალისებს, მეორე ჩვენი სულიერებისთვის იბრძვის, მესამე ჩვენს ჯანმრთელობას ემსახურება, რათა ამქვეყნად დიდხანს შემოვრჩეთ.

12353. როდესაც მსახიობი პოეტის ლექსს წარმატებით კითხულობს, პირველ რიგში აპლოდისმენტებს ის იმკობს და არა – პოეტი, ასევე: გაუმართავ წარმოებას მატერიალურად დაეხმარები და ახლობელს ანდობ ბიზნესს. გადის დრო, ახლობელს თავზე წარმოდგენა ექმნება და შენი დამსახურებაც ავიწყდება. ასე, რომ ნდობა არავისი შეიძლება, თუ გვინდა ხელოვნებაში და ბიზნესში ყველამ თავისი წილი სამართლიანად მივიღოთ.

12354. ადამიანთა 99,9% წარმოადგენს საშუალო დონის შეგნებულ და შეუგნებელ მასას, რომელიც მოწოდებულია 0,1%-ზე ნაკლებ წარმომადგენელზე იზრუნოს, რომლებითაც ერმა, ქვეყანამ, თაობებმა, უნდა იტრაბახონ და წარმოჩნდნენ.

12355. ყველა რევოლუცია, გარდაქმნა, საწყის ეტაპზე „ტრაკაწეულ საზოგადოებაში“ გვაცხოვრებს. მიუხედავად ამის ცოდნისა, მომავალში მაინც იმედით იყურება.

12356. ადამიანებს შორის კლდეს ბედი, გარემო, აღმართავს და არა –

მათი სურვილები.

12357. ყოველი სასაცილო სატირალიცაა, თუ საზოგადოება შინაგანად თავისი რაობის გაცნობიერებას ვერ ახერხებს.

12358. ყოფის ეტიკეტის დარღვევა ყოველთვის სინანულს და გაუგებრობას იწვევს.

12359. სახელის მოხვეჭა მცირე პერსპექტივის გონივრულ გამოყენებაზეა დამოკიდებული.

12360. ყოველგვარი სიკეთის დავიწყება დანაშაულია საზოგადოების წინაშე.

12361. სხვათა დამოძღვრა და საკუთარი აზრის ქონა ზოგჯერ დიდ გამბედაობას და პასუხისმგებლობას ითხოვს.

12362. მოდა დაუნდობელია, მას ყოველი ძველი, თუნდაც კარგი, დაუკითხავად ეწირება.

12363. არა მარტო ბრძენის, არამედ სიბრძნის ნაყოფის წარმოჩენაც ხშირად გარეშეთა სურვილებზე და მათ დაფინანსებაზეა დამოკიდებული.

12364. „მასმედიისთვის“ მთავარი სარეკლამო სათაურია და არა – მისი შინაარსი, არსი.

12365. ერებმა ურთიერთთანადგომა უნდა ისწავლონ და არა ზურგში მახვილის ჩაცემა.

12366. ბუნების გათავხედებას და დიდი სოციალური მოვლენების მოზღვავებას გულდამშვიდებით თუ არა, ჭკუადამშვიდებით უნდა შევხვდეთ.

12367. ახალგაზრდობა შეძენილი ცოდნის სათესადაა გამზადებული, ასაკი – მოსავლის ასაღებად და დასაბინავებლად.

12368. საოცარია, მაგრამ ენის ტკივილი ყველაზე იშვიათი დაავადებაა, არა და. რამხელა სარგებელს მოუტანდა საზოგადოებას.

12369. დღეს ისეთი ტექნიკური პროგრესი ნავარდობს, რომ უფეხოებიც კი მსოფლიო რეკორდს ამყარებენ სირბილში, ასე, რომ ადამიანთა რობოტიზაცია უკვე დაწყებულია.

12370. თუ არა „ნაძირალა“ დიპლომატიის ნიჭი, ყველა გაუგებრობის და უბედურების გადახდა ხალხს მოუწევდა.

12371. უთანასწორობა არსებობს და იარსებებს, მაგრამ დემოკრატია, თავისუფლების დოგმები, ამას აფუჩეჩებს.

12372. ძალა ყოველთვის მშვიდობის გარანტიაა, როგორც შინ, ისე გარეთ.

12373. ძალა სენტიმენტალიზმთან ვერ მეგობრობს.

12374. შეცდომებისთვის უნდა დავსაჯოთ, მაგრამ ისე, სხვასაც რომ

დაამახსოვრდეს.

12375. მოძრაობა და სიმშვიდე დროის შესატყვისად შერწყმას მოითხოვს, რათა სარგებელი მოიტანოს.

12376. კამათი მარტოობისაგან თავის დაღწევის საშუალებაცაა.

12377. ხალხის სამსახურს, უპირველეს ყოვლისა, სიფხიზლე სჭირდება.

12378. გონიერებას, გამონაკლისის სახითაც კი, უგუნურების ჩადენის უფლება არ აქვს, რადგან ეს ერის გადაგვარებას იწვევს.

12379. კამათი, პაექრობა, სულელებს ჭკუის დაზიანების წარმოსაჩენად სჭირდება.

12380. გეგმები ყოველთვის გრანდიოზულია, მიზნები უფრო მოკრძალებულია და რეალობასთან თანმხვედრი.

12381. არც ჩემი გამოსწორება ხერხდება და არც – ხალხის. არის შეცდომა, რომელიც არც მე უნდა დავუშვა და არც ჩემს ირგვლივ მყოფმა ხალხმა, მე ადამიანის ნდობას ვერ ვეშვები, ისინი კი ნდობის გაწბილებას.

12382. ადამიანთა უმრავლესობა ბედნიერების მოპოვებას არა შრომით, არამედ ნაცნობობის დახმარებით და „ლატარიაში მოგებით“ ცდილობს.

12383. სიბრძნის მოძიება ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია თანამოაზრეთა მოძიება, რადგან გონიერი და ჭკვიანი ხალხი „სანთლით საძებარია“.

12384. მოტყუებულ ადამიანებთან ურთიერთობა არარეკომენდებულია, შეიძლება სამაგიეროს გადახდა მოინდომონ.

12385. პროგრესს ზოგჯერ უგუნურება, შური, წამხედურობა, უბიძგებს.

12386. ადამიანები იყოფიან ვაგონებად და ელმავლებლად, მაგრამ ვაგონების ამბოხი უშედეგოა თუ ელმავლებიდან რომელიმე მათ გათრევას არ მოინდომებს.

12387. ყველა ხელისუფალი ქვეყნის თავისებური ურჩხულია, ბრძენკაცი იქნება თუ „ისე რა“ მმართველი.

12388. გემოვნება მაჩვენებელია თუ რა დონის „გარყვნაზეა“ საზოგადოება თანახმა.

12389. ადამიანის გამოგონებული ავტომობილი ყოველდღე ასობით ხალხს ხოცავს „ავტოსაგზაო შემთხვევებში“, ადამიანის მიერ გახლეჩილი ატომი, თავისი ელექტროსადგურებით ცუდ დღეში აგდებს და ა.შ. რა ვქნათ, ქვის ხანაშიც დარჩენაც რომ არ გვინდა?

12390. ხალხი მარად უმადურია, რადგან თავის უმოქმედობის დანა-

შაულს ვერ აცნობიერებს და მარად განგების და სხვისი ხელის შემყურეა ამბიციებით და პრეტენზიებით.

12391. ქვეყნის ხელისუფლებას არც უნივერსალურობა უნდა აკლდეს და არც – ორიგინალურობა, თუ სურს ქვეყნის მართვის სადავეები ხელთ მყარად და დიდხანს ეპყრას.

12392. ხალხის დანაშაულია არა მარტო პოლიტიკური სიზარმაცე და ეკონომიკური უმეცრება, არამედ ის საქმიანი გულგრილობა, რომელსაც ქვეყნის და ახლობლების წინაშე ყბედობით ამჟღავნებენ.

12393. მთავარია სულით და შენი მეობით მონა არ იყო, თორემ ყველა გაერთიანება, კავშირი, მორჩილებასთან ასოცირდება, აქ მთავარია ადამიანის უფლება და ცხოვრების დონე და არა ის, ვის ზურგს ხარ ამოფარებული და პოლიტ-ეკონომიის რომელ წყობა-სარწმუნოებას უკმევ გუნდრუკს.

12394. ყველა ხალხი გარყვნილი იდეოლოგიის, დემოკრატიის და მოჩვენებითი თავისუფლების მიგდებით ადვილად სამართავია.

12395. ჩვენი დემოკრატია თითლიბაზობის და ილუზიების მომცველია, რადგან ხალხსაც და მთავრობასაც მამაძაღლობისკენ აქვს მიდრეკილება.

12396. ხალხის რაობის ნაშთის ბალასტი განუსაზღვრელად, წარმოუდგენლად დიდია.

12397. ერისთვის იშვიათი ბედნიერებაა, როცა ქვეყნის სათავეში სახელმწიფო „თავი“ მოდის და არა სახელმწიფო „ტრაკი“.

12398. მე ახალგაზრდობა კი არა, ჩემი ასაკის თანამედროვენი მაკვირვებენ, რომლებსაც მოკლე მეხსიერება აქვს, ქვეშევრდომობაც არ ეშლებათ და საღი აზროვნებაც დაკარგული აქვთ.

12399. ახალგაზრდა ხელისუფალს მოჭარბებული ენერგია აქვს, მოჭარბებული პატრიოტიზმი აწუხებს და დაგროვილი ენერგია რაში დახარჯოს არ იცის, ამასთან ხშირად სწორი გზიდან გადახვევა უხდება გამოცდილების უქონლობის და ჭკვიანი ხალხის უგულებელყოფის გამო. ამიტომაც ახალგაზრდობა დაღვინებამდე, დაბრძენებამდე, მოადგილეებად და მათზე ზედამხედველობით უნდა გამოვიყენოთ.

12400. ხანდახან ცივილიზაცია ფუფუნებით ისე გაიფხორება, რომ „გენიოსებს“ არად აგდებს, არც „სჭირდება“ და ამ განგების ნაჩუქარ სიმდიდრეს უყურადღებოდ ტოვებს.

12401. შესანიშნავის, საუცხოოს, დიდებულის, ბრწყინვალეს, საწყისი ლათინურად ბრბოა ე.ი. შესაძლებელია ბრბო ხალხად იქცეს თუ მას მათრახის გონიერი გამტყლაშუნებელი მოევლინება.

12402. „თეთრი ყვავი“ გამორჩეულია ე.ი. მიუღებელია, გადახრაა, შეუწვდომელია ე.ი. „ჩასაქოლია“.
12403. თუ ინდუიზმმა არსებობის მანძილზე უამრავ ღმერთს მოუყარა თავი, მაშ რაღად გვაკვირვებს დღევანდელ „ვარსკვლავთა“ ოდენობის ზრდა?
12404. სიმართლის და სამართლიანობის ქადაგება ხშირად მოდაში მაშინ შემოდის, როდესაც ქვეყანას უხეირო მმართველი ჰყავს და ხალხი „აჭრილია“.
12405. სიმართლე არ იმალება და ზოგჯერ მისი გამჟღავნება ტყუილის დამსახურებაა.
12406. საბოლოო მიზნისკენ მისასვლელი გზა უსასრულოა.
12407. მტრისგან ოპონირებას ყურიც უნდა მივუგდოთ და გავითვალისწინოთ – მოყვასის რჩევაზე მეტად გამოგვადგება.
12408. დღეს ქცევის კულტურაში რა არის კარგი და რა ზადი, განსჯას არ ემორჩილება.
12409. შვილი შეიძლება მამას არ სჯობდეს, მაგრამ ტექნიკური პროგრესის განვითარებას ეს არ აფერხებს.
12410. ის საზოგადოებაა დასაფასებელი, სადაც მომდევნო თაობებს წინაპრები ზრდიან და აკონტროლებენ.
12411. ის, რაც საზოგადოებას არ რგებს, არც სახელმწიფოს ინტერესებს გამოადგება.
12412. დედაქალაქის ძალა რეგიონებშია, მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესად ბუნტი და არეულობა სათაო ქალაქიდან იწყება.
12413. ადამიანს უფლებებიც დიდი აქვს და მოვალეობაც, მაგრამ ეს უკანასკნელი მისი შეხახვისთავებას ცდილობს.
12414. მტერს არ აქებენ, მას ებრძვიან და თავის მეს ანახებენ.
12415. ხშირად ქმედება უმოქმედობას არ ეწინააღმდეგება და პირიქით, რადგან ყოველივე დროზე და გარემოზეა დამოკიდებული.
12416. საზოგადოება უმთავრესად მასას ესაჭიროება, რადგან მისი უმეტესი ნაწილი აუტისტია და რას მოიმოქმედებს, პრაქტიკულად თავადაც არ იცის.
12417. ხელისუფალია ის, ვინც თავის მოქალაქეებს ნიჭის, შესაძლებლობების, მოწოდების, შესატყვისად გადასახადის გადამხდელ პიროვნებებად ასაქმებს და ზოგჯერ მათრახსაც გაუტყლაშუნებს, რათა მისდაუნებლიედ არ გადაცდეს.
12418. საკუთარი თავის პატივისცემა სხვებთან შედარებით უნდა დაიმსახურო.
12419. საუბარი სიბრძნის, სიახლის, გამოვლენით, ბედნიერებაა მსმე-

ნელისთვის და შემოქმედ-საქმიანი ხალხისთვის.

12420. სამწუხაროდ, ქართველს თავი არ უნდა „გაუყადრო“, მისთვის აუცილებელია „უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის გათავისება“, თუ გინდა ხარისხიანად და შემოქმედებითად საქმე აკეთოს, „არ გაგიტოლდეს“ და უფროსისადმი პატივისცემა ბოლომდე შეინარჩუნოს.

12421. ყველა ადამიანს რომ სინდისი გაღვიძებოდა, რამდენი სახელმწიფო მოხელე დარჩებოდა უმუშევარი, არასაჭიროების გამო.

12422. ამბობენ, არჩევანს აკეთებს ხალხი და არა – გონიერება, რაც ხშირად მაქინაციების შედეგია. ხალხი ფაქტიურად არჩევანს მაშინ აკეთებს, როდესაც გამწარებულია.

12423. არის მრავალმხრივ დაშტამპული გემოვნება, მაგრამ ძალზე მცირეა თავისუფალი და ინდივიდუალური, რომლებსაც ირგვლივმყოფნი გაიგებენ და გაითავისებენ.

12424. დაფასებული ადამიანი დაფინანსებასაც დაუყოვნებლივ მოითხოვს.

12425. ჩვენც სხვებივით ვცდებით, მაგრამ უფრო ორიგინალურად, ალიბით და თავის გამოდებით.

12426. უბრალოება, ურთიერთგაგება, ურთიერთნდობა, არის ადამიანთა ურთიერთობის ანიც და ბანიც.

12427. ცივილიზაცია ცრურწმენებს წარმატებით უჯოკრავს, მაგრამ რატომღაც ვერ აღმოფხვრის.

12428. ცოდნით შეიარაღება დიდი ძალაა, მაგრამ უგუნური ძალის აგიტაცია-პროპაგანდას ვერ სჯობნის.

12429. მოტყუებულს პატივი უნდა მივაგოთ და ჭკვიანად უნდა წარმოვაჩინოთ, რათა თავად უფრო ჭკვიანები გამოვჩნდეთ.

12430. ქვეყნისთვის ჩირქის მობანა ყველა ჩვენგანის ვალია.

12431. არის „ფურთხით“ ან სპერმით გაკეთებული ცოცხალი არსებანი, ერთნი ბუნებით ნაძირალანი, მეორენი ცდილობენ ადამიანად იქცნენ.

12432. ხელისუფალმა ხელაღებით არასოდეს უნდა აღიაროს ქვეშევრდომის დანაშაული.

12433. ქალებს კაცების გმირობა მოსწონთ, მაგრამ მათ თავის გაწირვას ქვეყნისთვის ზარალი მოაქვს, რადგან მათ ერი უნდა ამრავლონ.

12434. ხალხი, რომელიც რევოლუციას, სახელმწიფო გადატრიალებას, ახდენს უგუნურია, საცოდავია, რადგან მას ქვეყანაზე ფანატიკურად შეყვარებული, მომავლის მჭვრეტელი, გმირები არ ჰყავს.

12435. არიან ისტორიული პირები, რომლებიც მარად შესაცნობ სახელს

სტოვებენ, არიან ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ჩვენში ცხოვრობენ და მათ ნააზრევ-გამონათქვამებს დღესაც სიამოვნებით ვიყენებთ.

12436. ხელისუფლების დანიშნულებაა მომდევნო თაობებს დაუტოვოს რაიმე ღირშესანიშნავი, რადგან თანამედროვენი ქვეყნისთვის სასიკეთოს ქმედებას არ „დაინახავენ“.

12437. ხალხს პიროვნება წარმართავს და არა – პირიქით.

12438. ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს მორჩილებაზე: ის, რაც ერთში გაღიზიანებას იწვევს, მეორესთვის მისაღებია და კარიერასაც იკეთებს.

12439. წახალისება საზოგადოების „მეობის“ განვითარება-წარმოჩენით დიდ გავლენას ახდენს.

12440. „მასმედიის“ მიერ უარყოფითი ფაქტების ტირაჟირება, „გაბაზრება“, სიტყვის თავისუფლების სახელით, ცუდად მოქმედებს ადამიანის ცნობიერებაზე, რადგან ცუდის მიმართ შემრიგებელი ხდება.

12441. უთანასწორობა მარად იმ თანასწორობას მოითხოვს, რომელსაც ხშირად რა მოუხერხოს, არ იცის.

12442. ქვეყნის პრეზიდენტობა საკუთარი ხალხის უმადური სამსახურია კეთილი სურვილებით და მცდელობით.

12443. პერსპექტიული ქვეყნის დასახლების, კანონის მორჩილების, სურვილი, ყველა თავისუფლებაზე მეტია.

12444. ადამიანები იმ მობურთალებს მოგვაგონებენ, რომლებიც მსაჯის ზედამხედველობით ბურთს აგორავებენ და ყოფის ლელოს გატანას ცდილობენ მოსალოდნელი დივიდენდებით.

12445. მანკიერებას გამართლების და კუდის მოქნევის საშუალება არ უნდა მივცეთ – ის დროულად უნდა გამოვამზეუროთ.

12446. აწმყოს წარმატებები ისევე დავიწყებადია, როგორც წარსულის პატარ-პატარა დამარცხებები და უიღბლობანი.

12447. ადამიანი მაიმუნისაგან რომ არის წარმოშობილი, ამას თანამედროვე მოდის უცნაურობანი და მასზე დაუფიქრებელი მიბაძვაც ამტკიცებს.

12448. ერთი შეხედვით, შეუთავსებელის შეთავსება უგუნურებაა, მეორე მხრივ, ყოფის კაურების გადაჭრის საშუალებაცაა. მაგ. ეელექტროენერგიის ხარჯვის დასუფთავების გადასახადთან მიბმა, ჰაერის – სასმელ წყალთან და ა.შ.

12449. დაფინანსებისთვის გამზადებული მეორე უძველესი პროფესია, „მასმედია“, მუდამ მზადაა მეოთხე ძალაუფლება შეინარჩუნოს.

12450. ვიგინდარებიც რომ ეროვნული წმინდანების, ავტორიტეტების,

კრიტიკას გაბედავენ, იმ ქვეყანაში ყველაფერი რიგზე არ არის.

12451. დაუმსახურებელი დემოკრატიისკენ ლტოლვა თავისუფლებისთვის მოუმზადებელ სახელმწიფოთა „აქილევსის ქუსლია“.

12452. დღეს ჩვენი ხსნა არც ნიჭს უნდა და არც – განათლებას, რადგან პოლიტ-ეკონომიის ანბანი ჩვენთვის უცნობია.

12453. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: „მასმედიით“ კაცის შეცნობა-შეფასება არ შეიძლება, მას პირადად უნდა იცნობდე.

12454. „უტრაკო ყარაჩოხელებს“ ცხვირი იქ არ უნდა ჩავაყოფინოთ, სადაც გონიერებამ და მოთმინებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას და სამერმისოდ საქმეს არგოს.

12455. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: თუ ხალხს ძალზე არ გაუჭირდა, მისი ნდობა არ შეიძლება და არც მხარს აგიბამს.

12456. უგუნურებას ნუ გამოვაფხიზლებთ, რადგან მისი მიძინება უფრო იაფი გვიჯდება.

12457. ყოველ წარმატებას ხანგრძლივი დროის გასვლის შედეგად ვაანალიზებთ.

12458. დიქტატორი ხშირად საცოდავია და პატარაც, მაგრამ გამოერევა დიდი მასშტაბის დიქტატორი და დროებით ქვეყნის წინსვლის საწინდარიცაა.

12459. წინათ უმთავრესი იყო როგორ აფასებდნენ ადამიანს და არა როგორ ცხოვრობდა. დღეს ყველაფერი პირიქითაა, რადგან დასმული საკითხის გადაწყვეტა კოლექტიურად ხდება და არა – ერთპიროვნულად.

12460. „ოფის პლანქტონების“ მომრავლებამ უაზრო ღიმილის, თვალების დაჟუჟუნების და თავზე წარმოდგენის ოფის მენეჯერების ინსტიტუტი შექმნა, მაგრამ მომავალში მათი პერსპექტივა უცნობია.

12461. ტექნიკური პროგრესის ადრეულად შემოჭრა იგივე რვოლუციაა, რომელიც საზოგადოების „დოგმებს“ ეჭიდავება.

12462. ბედნიერება კოლექტიურიცაა, თუ შეგვიძლია ვისმეზე ვიზრუნოთ, შევუნდოთ, მოვეფეროთ, რადგან სხვანაირად მისი აღქმა, გაცნობიერება, შეუძლებელია.

12463. სიკეთის მოტანა ყველას შეუძლია, ვინც მოვლილი და დაცული ქვეყნის საძოვრებზე „ბალახობს“.

12464. ამომრჩეველი არჩევანს ღმერთის, სინდისის და გონიერების განსჯის შედეგად უნდა აკეთებდეს.

12465. ავანტურიზმი საშიში მოვლენაა – ზოგჯერ საწადელს აღწევს, სხვათა დამუნათების ხარჯზე.

12466. შეუპოვრობა, მოხერხებულობა, ავტორიტეტი, იმედით მართავს

ქვეყანას.

12467. სხვადასხვა კულტურათა სასიკეთოდ შერწყმა, ეროვნულობის დაუვიწყებლად, ქვეყანას სასიკეთო პერსპექტივებს უქმნის.

12468. დიდი ქალაქი ბოროტი ხალხისთვის პატარაა, სუფთა ხალხისთვის – სულიერების საგრიალო.

12469. იმპერიებს „სინდისის დევალვირება“, ხელისუფლების უგერგილობა, ბედის უკუღმართობა, ანგრევს, ხალხის უგუნურებასთან ერთად.

12470. ქვეყნის ძლიერების დასასრულს ხელისუფლების „უდიდესი“ უდღეური რეფორმები უსწრებს.

12471. „ნახირ-ნახირი“ ხალხი ყოველთვის იმას ამბობს და ფეხს უწყობს, რაც ზემდგომს მოეწონება.

12472. ხალხის ბედნიერებას მათდამი უპირობო სიყვარული სჭირდება, ეროვნულობის შეცნობით.

12473. სათქმელს, დეკლარირებით და თავის მოწონებით, დროის და მსმენელის შერჩევა სჭირდება.

12474. სასარგებლო სიახლე რეკლამის გარეშეც მისაღებია.

12475. შინაგანი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, გაიძულებს ქვეყნის უგუნურ მმართველობას ავად შეეხმიანო.

12476. ქვიშით სახლის შენების პრინციპებით უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთის შეხედვით სისულელეა, მაგრამ პროტესტი მაინც ღირებულია.

12477. ხელმოცარულობა და გაჭირვება სხვადასხვაა, პირველი ბედის ბრალია, მეორე – შემთხვევის და ქვეყნის დაჩაჩანაკების.

12478. კითხვები ისეთი უნდა დავუსვათ ზემდგომს, რომ ჩვენში პიროვნება დაინახოს და არა მოლაყბე.

12479. ქვეყნის ფორმალური თავისუფლება ცუდი ცხოვრებით, თუ ფორმალური ქვეშევრდომობა კარგი ცხოვრებით, პირველი სიამაყეა, რომლსაც სარწმუნოება ჰგმობს, მეორეს სარწმუნოება არც უარყოფს და არც გმობს.

12480. განათლებასთან ნაკურთხი საზოგადოება ყოფის კაურების ცოდნის გარეშე, ხშირად რეალობაში და პერსპექტივაში ცუდად ერკვევა.

12481. ხელისუფლის კმაყოფილი მატიანე, ისტორია, შთამომავლობა, უნდა იყოს და არა იმ დროში მცხოვრები, ხალხად წოდებული, მასა.

12482. ზოგი ყოფილი ცნობადი სახე „მასმედიაში“ იმიტომ აწყობს ყოფის და სულიერების მასობრივი „სტრიპტიზის“ დემონსტრირე-

ბას, რომ იგი საზოგადოებას მობეზრდა, განზე მოისროლა, ის კი თავის შეხსენებას კვლავ გახუნებული ამბიციებით ცდილობს.

12483. სამყაროს უნდა შეეხმიანო, გამოიწვიო, თავიც უნდა გაახსენო, რომ საკუთარი მეობის კაიფი იგრძნო და შენც ადამიანად გიცნოს.

12484. ფუყე ავტორიტეტს ისევ პერსპექტივით „მოჩალიჩე“ რიგითი გონიერება სჯობს.

12485. ინტელიგენტი მოწოდებით ორთქლმავალია, ვაგონად წოდებული ხალხის გადაადგილების მცდელობით.

12486. ინტელიგენტი თანასწორუფლებიანობას გვთავაზობს და არა თანასწორფასეულობას, რადგან მას ესმის რომ ადამიანები სხვადასხვა ნიჭისანი არიან.

12487. ინტელიგენტი ვალდებულია ყველას აზრი მოისმინოს, მაგრამ მარად ეჭვი უნდა ეპარებოდეს და ოპოზიციაში უნდა იყოს, რათა შემოთავაზებულმა სიახლემ ხალხს ვნება არ მოუტანოს და ხელისუფლებამ რაიმე არ „მიჰქაროს“.

12488. საწყალი მდიდარი, ყველა უკიჟინებს, ღარიბებს უნდა დაეხმაროო, მაგრამ რა დამსახურებისთვის, გარჯისთვის, არავის აინტერესებს.

12489. რაოდენობა ხარისხს ვერასოდეს აჯობებს, თუ ჩვენს ირგვლივ ადამიანებია და არა – გზააბნეული მასა.

12490. სიკეთე, უმთავრესად, მოვალეობათა შესრულების მცდელობაა.

12491. სიბრიყვეს არა მარტო მოთოკვა, დამუღამება, არამედ ნაოცნებარის თუ არა, ჩანაფიქრის ნაწილობრივ მაინც აღსრულებაში დახმარება უნდა.

12492. სამართლიანი საქმის კეთება გაცილებით ადვილია, ვიდრე სიმართლის ძებნა.

12493. იმ საზოგადოებაზე საშინელი არაფერია, რომელიც ოცნებით ფუფუნების ჭაობშია ჩაფლული, ხელის განძრევას სხვის დაუხმარებლად არ ცდილობს და მარად თავში წამომრტყმელი ლიდერის მოლოდინშია.

12494. არა მხოლოდ ტექნიკური პროგრესი, არამედ გაუაზრებელი და დაუმსახურებელი ფუფუნებისკენ მიდრეკილება რყვნის თაობებს, ერებს და სახელმწიფოებრიობას.

12495. სახელმწიფო ისაა, რომელიც მოქალაქეებს რეალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს კანონის და კანონიერების ფარგლებში და თავის მხრიდანაც ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს.

12496. წინამძღოლის „კისრის მოტეხის“ შემდგომ, მისი დამფრთხალი

ფარა საით გაიქცეს, ვის აეკიდოს და თავი ვის უკანალში შეყოს, არ იცის.

12497. ავტორიტეტი ძალაუფლებას ყოველთვის არ გვანიჭებს, თუ მოხერხებულობით შექმნილ გარემოს და დროს ფეხს არ დავუდებთ.

12498. არიან სამყაროსათვის, ერისთვის, სათუთი ადამიანები, რომელთა აუგად მოხსენიება მკრეხელობაა.

12499. საზოგადოებაში ინტელიგენტის დანიშნულება, „მიმზიდველობის“ მიუხედავად, ხშირად სიცოცხლის ბოლომდე ამოუხსნელია.

12500. ანგარიში უნდა გავუწიოთ მოწინააღმდეგის აზრებს, ქმედებებს, რადგან მოყვასისგან განსხვავებით, ის არაფერს გვპატიობს და მარად ჩასაფრებულია.

12501. შრომას, პირველ რიგში, სიამოვნება და იმის განცდა უნდა მოჰქონდეს, რომ შენ ვიღაცას, რაღაცას და საზოგადოებას სჭირდები.

12502. საკუთარი თავის გარდა მეტოქეობას ყველა გვიწევს, ეს აშკარად იქნება თუ ჩუმ-ჩუმად.

12503. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ნიჭთან ერთად, გამოცდილებას, ალღოს, მოითხოვს.

12504. ფიქრზე გადამეტებით აყოლა გვაგიჟებს, ცხოვრებას გვიმახინჯებს, რაც ჩვენი ემოციების და გაუწონასწორებლობის ბრალია.

12505. ყველა ხელისუფალი ვალდებულია თავის წინაშე ახალ ამოცანებს აყენებდეს და ხსნიდეს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

12506. ოჯახური კინკლაობის ეფექტით გამოტანა დღეს პიარია და თავის წარმოჩენის საშუალება.

12507. ბიუროკრატიზმის გარეშე საზოგადოება ვერც ჩამოყალიბდებოდა და ვერც არსებობას გააგრძელებდა.

12508. ჭკვიანიც გონიერ მსმენელს ეძებს თუ გაუმართლა.

12509. სსრ კავშირს გიგანტომანია ახასიათებდა: გიგანტური ეკონომიკა, მრეწველობა, მეცნიერება ქურდობით, კანონი დარღვევით, ცენზურით და ეს არ მოგვწონდა, დღეს ყოველივე პირიქითაა და საზოგადოება კვლავ ორადაა გაყოფილი, ყველა ყბედობს ნიშნის მიგებით, რადგან განათლებულნი არიან, მაგრამ ცოდნა არ აქვთ.

12510. დღევანდელ საზოგადოებას ქრონიკული უქეიფობა სჭირს, რადგან უცხოეთში ნათქვლეფი გონიერების ვიტამინებით იკვებებიან და არა თავის ნახელავი გონიერების საბაზისო აზროვნების საკვებით.

12511. საზოგადოება კვლავ ქვის ხანაში რომ არ დარჩენილიყო, იძულებული გახდა, ევოლუციური პროტესტებისთვის ანგარიში გაეწია და ტექნიკური პროგრესის წინსვლისთვის ფეხი აეწყო, რადგან მარტო

ინტელექტი და ცოდნის დაგროვება, რომელიც უმრავლესობისთვის გასაგებია, მოსწონს და ფასობს, მატერიალურად განვითარების შედეგს არ იძლევა. ე.ი. ჯერ ფიზიკოსები, შემდგომ – ლირიკოსები, განსაკუთრებით, ქვეყნის მართვა-გამგებლობისას.

12512. ზოგი თავდამზღვევი ხელისუფლების თქმით, ქვეყანას „აუტანლად“ დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ ზოგი „დაუნახავი“ ამას ვერ ამჩნევს.

12513. ობივატელს გონიერება არ სჭირდება – მაშინაც ვერ ილაყბებს.

12514. კლასიკური გაგებით მასობრივი კულტურა არ არსებობს, მაგრამ ყველა მისკენ მიისწრაფის – ადვილი გასაგებია.

12515. ტექნიკური პროგრესი და მუქთად რაღაც-რაღაცების მიღების ადამიანის თანდაყოლილი სურვილი, კომუნიზმის იდეოლოგიას გამარჯვებას უქადის. ხვალ ინტერნეტის არნახული მიღწევები მწერლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, ულუკმაპუროდ დატოვებს, რადგან მათი ნაღვაწის მუქთად ხელში ჩაგდება ძალზე გაადვილდება და სახელმწიფოც იძულებული იქნება მათ ხელფასი დაუნიშნოს ჰონორარის ნაცვლად ე.ი. სახელმწიფო ასაქმებს, არჩენს ხალხს და არა – პირიქით.

12516. ჩვენი შექმნილი და მასაზრდოებელი არტერია „მასმედიაა“, რომლის საქმიანობის გარეშე წინ ნაბიჯსაც ვერ წავდგამთ და შედეგად ვერც სხვას გამოვადგებით და ვერც საკუთარ თავს.

12517. „მასმედია“ და „გზავნილები“ ქმნიან მოვლენებს, ისინი აყალიბებენ ამომრჩევლის სათუთ აზროვნებას, რის შედეგადაც გვევლინება ქვეყნის პირველი პირი და მისი პოლიტიკა, რომელსაც ჩვენდაუნებლიედ გუნდრუკს ვუკმევთ კარგა ხანს.

12518. ჩვენს შექმნილს შთამომავალი მოიხმარს და თუ საჭიროა, გაითავისებს კიდეც. ჩვენ არავის გავახსენდებით, მაგრამ პროგრესს ხელი არ შეეშლება.

12519. ყველა ბრიყვი ბრძენის ნიღბის მორგებას ცდილობს და დროებით ზოგი ამას ახერხებს კიდეც, მაგრამ ყოფიერების ორომტრიალს მისთვის თავში წამორტყმაც არ ავიწყდება.

12520. თანამდებობას მანამდე შერჩები, სანამ მას ზემდგომი სათავისოდ იყენებს და შენი საქმიანობა ხელს აძლევს.

12521. არის ჩამოუფასებელი ღირებულებანი, რომელთაც არც ფასი უნდა დააკლო და არც მოუმატო.

12522. სარეველა ნაძირალების ოდენობა ქვეყანაში არ ილევა, თუ მას პოლიტიკის ღირსეული მხვნელი და ეკონომიკური „ჰერბიციდების“ გონიერი მფრქვეველი არ გამოუჩნდა.

12523. ქვეყანა აწყობილია თუ აუწყობელი, მაინც ბედოვლათების დოღია გამართული და ფინიშთან ვინ მივა პირველი, მაინც და მაინც, არავის აინტერესებს.
12524. გაფიცვის უფლება დიდი მონაპოვარია სულიერებისთვის ნიშნის მიგებით ე.ი. სამუშაო გაქვს.
12525. ღირსება თანამდებობის სინონიმად არ გამოდგება, უბრალოდ, თანამდებობით ადვილი შესამჩნევი ხარ.
12526. ცრუქაქუნა პარლამენტიც არსებობს, პრეზიდენტიც და ხალხიც, რომლებსაც ყბედობა – ყაყანის გარეშე, განსჯას რომ ეძახიან, არაფრის კეთება არ შეუძლიათ.
12527. ყველაფრის უფლება საზოგადოებას რყვნის და ვნებებს აბეჩავებს.
12528. კარიერისკენ სწრაფვა სინდისის დანაგვიანებაცაა, მაგრამ ზომიერების ფარგლებში, რათა შეუმჩნეველი არ დარჩე და ცხოვრება უაზროდ ხელიდან არ გაგიფრინდეს.
12529. გონიერების წისქვილი შედეგის მინდს შთამომავლობისაგან იღებს.
12530. მდივნის სამსახურებრივი რომანი სამუშაო სტაჟში უნდა შევიდეს, ხელფასის ნახევარიც უნდა დაემატოს ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და პენსიაზე დანარიცხები უნდა ემატებოდეს, იმდენად საჭირო და აუცილებელია ეს პროფესია ზოგიერთი უნიათო უფროსისთვის.
12531. წარსულის გონივრულად მოტანას და მომავალთან პერსპექტივით შეთამაშებას, ხალხის მარიფათი, კარგი ხელისუფლის არჩევა-წარმოჩენით, სჭირდება.
12532. დიდებაც დროებითია, რადგან რატომღაც წესით ისიც სხვას უნდა ვარგუნოთ.
12533. რევოლუციური ექსპერიმენტების მიუხედავად, პირვანდელი სახით ვერცერთმა ვერ გაამართლა და ევოლუციურ განვითარებას ბიშტი ვერ უჩვენა.
12534. ერთხმოვანება სიმღერაში და არჩევნებში მიუღებელია ე.ი. საზოგადოებრივი აზრი ჭრაჭუნობს.
12535. წურბელასა და სპონსორს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მეორეს სისხლს სწოვს, ჩუმი რეკლამის გასაკეთებლად და საზოგადოებაში მისი მეობის ცენზის ასაწევად.
12536. ზოგს პირადობის „მოწმობა“, მაგ. ქურდია, მატყუარაა, უნამუსოა, შუბლზე უნდა ამოვუსვირინგოთ, რათა მათთან ურთიერთობის მოსურნეებმა გაბრიყვება საკუთარ თავს დააბრალონ და კანონი არ

შეაწუხონ მათ დასასჯელად.

12537. ქვეყნისადმი ერთგულების დამსახურებას დაღვინება, დრო, სჭირდება და არა – თავზე მოჭარბებული წარმოდგენა და საპროტესტო პლაკატებით სირბილი.

12538. ინტერნეტი ინფორმაციას იძლევა ჭკუის დამატებით საკვებად და არა – ცოდნას, რომელსაც განსჯის უნარი, თანდაყოლილი ნიჭი და პროფესიონალად გახდომის დაუოკებელი სურვილი სჭირდება.

12539. ფლიდი ხშირად ჩვენს დამოძღვრას თავისი მენტალიტეტით ცდილობს.

12540. ბრბოს ხალხად გადაქცევას ყოფის საფეხურების შეკეთება სჭირდება, მასზე არბენით, დროის დანაკარგებით, ნიჭის და მცდელობის მოხმობით, ხოლო პირიქით – საფეხურების ჩარბენა, განუსჯელი ამბიციებით და თავის ფიქრით შეწუხების გარეშე.

12541. ბრბოდ გადაქცეული მასის ხალხად დაბრუნებას პიროვნება სჭირდება, რომელსაც მასა დაუჯერებს, აჰყვება, კვლავ ხალხად აქცევა და საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის იბრძოლებს.

12542. სახელმწიფოს სისტემაზე და ხარისხზეა დამოკიდებული მასში მცხოვრებთა ბედი. ამიტომ მის დაძალებით შეცვლას უნდა ვერიდოთ, რადგან „შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველს“ და ამ ჭირის თერაპიული მკურნალობა წინაპრებიდან მოგვდევს.

12543. სამყაროში დღეს 5000 ენაზე, კილოზე, მეტია და ის შეინარჩუნებს თავის ყოფადობას, ვინც გონიერ პატრიოტიზმს მისდევს და ცივილიზაციის მონატანზე, რევოლუციურ იდეებზე, არ ხურდავდება.

12544. გარკვეული უარყოფითი გამოცდილების მიუხედავად, ადამიანის კარგი ბუნებისა მაინც გვჯერა და ესაა საზოგადოების განვითარების ანიც და ბანიც.

12545. ჭკუის დასარიგებელი მომენტების პოვნა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ რამდენად გამოგვადგება ეს „უვერტურა“, სხვა საქმეა.

12546. საზოგადოების ფიზიკური მარცხი, ხალხის სულიერების გაქიაქებას არ ნიშნავს, რადგან მან ძველი თაობის მსოფლმხედველობა ახლით უნდა შეცვალოს და მის მიერ დაშვებული შეცდომები არ უნდა გაიმეოროს.

12547. ის, რაც ყველას არ მოსწონს, შეიძლება დროებითი იყოს, რადგან ცნობიერების ამღვრევა-აწეწვას დიდი დრო არ სჭირდება, გააჩნია მენტალიტეტს როგორ აფინანსებენ.

12548. „ჩამშვები“ შეიძლება საზოგადოების სანიტარია, მაგრამ მისი ენთუზიაზმის მიზეზი მაინც ისაა, რომ მან თავისი ადგილი ვერ მო-

ნახა ამ საზოგადოებაში და რა უნდა, თავადაც არ იცის.

12549. ერს, მეობის გარეშე, რომელიც მატერიალიზმით არ არის გამაგრებული, ერი არ ჰქვია, ის, უბრალოდ, დასახლებაა, თავისი სალაპარაკო ენით და უნიათო ამბიციებით.

12550. წყალწაღებულსა და ტაშწაღებულს შორის სხვაობა უმნიშვნელოა.

12551. დღევანდელი „სამოქალაქო ქორწინება“ მამაკაცთა გადატრიალებული „გონების“ დამსახურებაა. ამ პირობით თანამეცხედრეობის სუროგატს დაქორწინებას უწოდებენ, შედეგად დაოჯახების კულტურა იკარგება, მამაკაცთა მოდგმა ბეჩავდება „დედური სიყვარული და მამური ზრუნვა“ დევალვირებას განცდის.

12552. მასწავლებელსა და ჭკუის დამრიგებელს შორის ის სხვაობაა, რომ პირველით ვამაყობთ, მოგვწონს, ვიხსენებთ, მეორეს ვერ ვიტანთ, ვერიდებით, ნერვებს გვიშლის. გადის დრო, ყოფას ვაანალიზებთ, თავს ვლანძღავთ და ვხვდებით, რამენად უსამართლონი ვიყავით ამ უკანასკნელთან მიმართებაში.

12553. ჩვენ მათი დამსახურებით ვიგრძელებთ სიცოცხლეს, ვინც დროულად ნაკლზე მიგვითითა, ოღონდ მზრუნველობით და არა ნიშნის მოგებით.

12554. ზადიც პირობითია: ის, რაც დღეს შეიძლება უკეთურობად ჩაგვითვალონ, ხვალ აღმაფრენის მიზეზი გახდეს, რადგან ყოველივე დროის ყივილს ემორჩილება და არა აზროვნების ანალიზს, რომელსაც კუდს ყოფის ინტერესები იქით გამოაბამს, საითაც უნდა.

12555. დემონს ევოლუციური პროცესების განვითარების აუცილებლობა თავისებურად ესმის.

12556. ზადის კარგი შემცველებია თანამდებობა, ზურგი, ფული.

12557. ყბედობის გარეშე სამყარო ვერ განვითარდებოდა, რადგან მასში ზოგჯერ მისხალი ჭკუა გამოანათებს, რომელსაც აღქმა, გადამუშავება, სჭირდება.

12558. ქვეყანა ხშირად გარკვეული დროით, ერთი კაცის საკუთრება ხდება, თუ მოხერხებული ჭკუა აქვს, ბედიც მის მხარეზეა, დროც შერჩეული აქვს და ამასთან, დაუნდობელიცაა.

12559. ეროვნულ იდეას დროზე მორგებული ჭკუა სჭირდება, ერის სიყვარულით და ხალხის აყოლიების უნარით.

12560. სრულყოფილებას საზოგადოება ვერასოდეს შეწვდება, ის, უბრალოდ, გადაშენდება, გაქრება.

12561. გონიერება და ჩხუბი შეუთავსებელია, მაგრამ არა – აზრებით ფარიკაობა.

12562. ყველა ვალის გადახდა შეიძლება, თუ მასში სახელმწიფოს გონიერება ჩაერევა და მოინდომებს.
12563. ყველა მომდევნო თაობას განგების ნებით ბუნტისკენ აქვს მიდრეკილება, რათა საზოგადოება განვითარდეს და არ დამყაყდეს.
12564. ყველა თაობაში ბრბოს, მასის, ოდენობა სჭარბობს ხალხისას და ამ პროპორციის შემცირებას ვერც ტექნიკური პროგრესი შველის და ვერც გონიერების „მეგაბაიტის“ მატება.
12565. დღეს ქვეყნის პრეზიდენტობა ძნელი არ არის, ქვეყნის სათავეში სასიკეთოდ წამოსკუპებაა ძნელი.
12566. საქართველოში სიყვარულიც და სიძულვილიც ჭკუაგადაკეტილი იციან, მაგრამ მოჩვენებითობა უფრო მეტია და თავისი „ხოშის“ ამბიციებს ამგვარად ისწორებენ.
12567. წინაპრები ჩვენს გულში ნაპერწკალს უნდა აღვივებდნენ, ხოლო ღირსეული შთამომავლობა გონიერების ცეცხლს უნდა ანთებდეს.
12568. სახარება, მორალი, კაიკაცობა, სინონიმებად არ გამოდგება, თუ დრომ და გარემომ მხარი არ აუბა.
12569. სამუშაო არ შეიძლება არ გიყვარდეს, თუ ის შენს ბუნებას, ჭკუას ესადაგება, გსიამოვნებს და თავსაც იწონებ.
12570. უსაქმურები უფრო ნაკლებს ცოცხლობენ, ვიდრე საქმიანები, მაგრამ ამის გატირაჟებას რატომღაც პირველის მხარის დამჭერნი, ქომაგნი, ერიდებიან.
12571. დღესასწაულები რყვნის ხალხს, თუ ხალხი – დღესასწაულებს, დღესაც დაუდგენელია.
12572. ყველაზე ადვილია რამდენიმე სამსახურში საქმიანობა, თუ გაფორმებული ხარ, შენი გონიერება სჭირდებათ და შენთან ურთიერთობა სიამოვნებთ.
12573. „ბარდაგია“, როდესაც ყველაფერი თავდაყირაა და როცა ეს არც არავის აკვირვებს და აწუხებს.
12574. სამუშაო, რომელიც სიამოვნებას განიჭებს და სახარჯოდ ფულს იძლევა, ბედნიერებაა და არა – გარჯა.
12575. კარგი სამუშაო გართობაა და დროის მოკვლის შესანიშნავი საშუალებაა, დაფინანსებით.
12576. უსაქმურობა უფრო გარემო პირობების დამსახურებაა, ვიდრე ინდივიდისა, რადგან ის ბუნებით მოწოდებულია იაზროვნოს და რაღაც მისთვის მისაღები აკეთოს.
12577. სამუშაოა ისიც, რაც პერსპექტივაა და შედეგის მომცემი.
12578. სამუშაოს კი არ უნდა შეეჩვიო, არამედ უნდა შეიჩვიო შენი

დაოსტატების და პროფესიონალიზმის ამაღლების ხარჯზე.

12579. ზედმეტად თავის გამოდება სამსახურში ხშირად კოლექტივს აღიზიანებს და შენს წინააღმდეგ განაწყობს.

12580. ახლად წამოჩიტულ ქვეყნებსაც ახლადდაქორწინებული წყვილივით უნდათ ცალკე ცხოვრება, მაგრამ, მშობლებს, წარსულში გაწეული ამაგის გამო, არ უნდათ მათი ცალკე გაშვება.

12581. ჩვენთან სოფელიც შიმშილობს და იმპორტული საკვებით იკვებება, რომელიც ქალაქს უნდა ასაზრდოებდეს. ეს არავის უკვირს, რადგან ყოველივე უგვანოს და გაუგებარს მივეჩვიეთ.

12582. ურილოგიური იუმორი თეორიულად „მასმედიას“ არ ამკობს, მაგრამ პრაქტიკულად ფულს შოულობს, რაც საზოგადოების დაბეჩავებაზე, კულტურის დევალვირებაზე, მიუთითებს.

12583. როგორც ირკვევა, „მასმედიას“, სინდისის და აზროვნების თავისუფლებას, სათანადო მუხრუჭების გარეშე, სიკეთე არ მოაქვს, რადგან საზოგადოების უმეტესი ნაწილი ბრბოს სინდრომითაა დაავადებული.

12584. გლობალიზაცია, ეტყობა, გარდაუვალია, მაგრამ მას დღესვე სჭირდება სამყაროს კონსტიტუციით და ყველასათვის მისაღები საერთაშორისო კანონებით და კანონიერებით საფუძვლის დადება და არა მაშინ, როდესაც ის კარებზე დაგვიკაკუნებს.

12585. დღეს „ვივა“ უცოდინრობის დამფასებელი, საყველპურო, საზღვარგარეთული განათლება და „ვავა“ ცოდნა-ცოდვის მადლით დაუფასებელი კლასიკური მშობლიური განათლება ბოგინობს მხარდამხარ.

12586. ქათამმა წყალი რომ დალია, ყოველ შემთხვევისთვის მაინც ღმერთს შეხედა, ხოლო დღევანდელ უნიათო ხელისუფლებას თავის ქვეყნის სათავეში მოაზრების გარდა, სხვა რამის დანახვა არ უნდა.

12587. მოუვლელი ყველაფერი უვარგისია, პოლიტიკაში იქნება კანონმდებლობის სახით, ეკონომიკაში – ბიუჯეტის, თუ ოჯახში ცოლის სახით.

12588. აპლოდისმენტები ნაყიდიც შეიძლება იყოს და ჩაწყობილიც, გააჩნია ინტერესებს, გააჩნია მყიდველს.

12589. ხალხი საქონელია, მაგრამ საბედნიეროდ, მასში ჯიშიანიც გამოერევა, გენეტიკურადაც საშური და ქვეყნის მოქალაქედ დაბადებულიც.

12590. ის სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება თავს არიდებს პასუხისმგებლობას მოქალაქეთა დანაშაულზე, როგორც მართლმსა-

ჯულების, ასევე სამართლიანობის აღდგენის სახით დასანგრევია.

12591. მკაცრი მოთხოვნები, წვრთნა, ეფექტს იძლევა და „ჩაგრულსაც“ კი, შედეგის შესატყვისად, თავს აყვარებს.

12592. ხელისუფალი, რომელიც დღევანდელი დღით ცხოვრობს და აწმყოს „კოჭს უგორებს“, მომავლის დასამახსოვრებელი ვერასოდეს გახდება.

12593. წარსული უნდა განვსაჯოთ, გავიაზროთ, გაავანალიზოთ და არა – უარვყოთ, რადგან მასთან ბრძოლა წიანსწარ წაგებულია და ყოველთვის მარცხით მთავრდება.

12594. გონიერებისთვის ყველაზე ძნელია უცოდინარი მასისთვის ზრუნვა, რომელსაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და კარგი ცხოვრება უნდა ხელების დაუკაპიწებლად.

12595. აზარტული თამაში ლატარეის გათამაშებას არ უნდა ასცდეს, ისიც სახელმწიფოს ეგიდით და იმის შეგნებით, რომ ძირითადად ქველმოქმედებას ხმარდება, რათა მასში კეთილშობილების მოტივიც ჟღერდეს.

12596. აზარტის ნემსკავზე ძირითადად ის ხალხი ეგება, ვისაც რეალური და საყვარელი საქმე არ აქვს და მაინცდამაინც არც გონიერება აწუხებს.

12597. სხვის უბედურებას აივნიდან უყურო, არ დაეხმარო და მობილური ტელეფონით „ვიდეო“ გადაუღო და ისტორიას ფაქტი შემოუნახო, რომელი ჯობს, დღეს ძნელი გადასაწყვეტია.

12598. სიბრძნე ავტორის გარდაცვალების შემდგომ უკეთ „მეტყველებს“.

12599. ყველა ციტატს, აფორიზმს, სადღეგრძელოს, იუმორს, ორიგინალურ აზროვნებასთან ერთად, გადმოცემის უნარიც უნდა ახლდეს, საზოგადოებამ რომ გაღიაროს.

12600. სულელებს ბედი იმიტომ წყალობთ, რომ ჭკვიანებს მაგალითი მისცენ და აფექტში რაღაცის ინტერესებისთვის თავი გასწირონ.

12601. შენივე გონიერების არ უნდა გეშინოდეს, რათა ისეთი რამ არ მოგაფიქრდეს, რომ ვნება მოუტანო სხვასაც და საკუთარ თავსაც.

12602. ქვეყნისთვის ყველაზე მძიმედ გადასატანი უვიცობის დოღია ხელისუფლებაში, თუმცა ხალხი ყველაფერს ეგუება და ყოველივეს გადაიტანს.

12603. მოდის ავანტურას ყველა ინტრიგა ემორჩილება.

12604. თეორიულად სუბორდინაცია და უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი თავისუფლების, დემოკრატიის, მტერია, მაგრამ პრაქტიკულად მის გარეშე საშური საზოგადოება არ ყალიბდება.

12605. „ვარსკვლავებიც“ მზის ქვეშ ეძებენ ადგილს, რადგან უდროოდ ჩაქრობის ეშინიათ.

12606. ოპერისა და ბალეტის თეატრი, სამხატვრო გალერეა, ბიბლიოთეკა, ქვეყნის მენტალიტეტზე მიუთითებს.

12607. დღეს ფულს შოუბიზნესში ძირითადად უნიჭო „ძალად შემიღიტინე“ ხალხი შოულობს და ამის მიზეზი ხელოვნების აღქმისათვის მოუმზადებელი მაყურებლის ოდენობის ზრდაა.

12608. ხალხის „დაბმა“ არა მარტო შენი ნამოქმედარით შეიძლება, არამედ „მასმედიაში“ შენზე სასურველი ჭორების გავრცელებითაც.

12609. გიჟს რად უნდა თავისუფლება, გაუგებარია, თუკი მაშინვე ფეხს წაიტეხს. ასევეა ზოგიერთი ახლად გამომცხვარი ქვეყანა, რომელიც თავისუფლებისთვის მზად არ არის, რადგან ამ უკანასკნელს მოსაპოვებლად კულტურა, დაღვინება, დაფიქრება, გონების მოხმობა სჭირდება და არა აღმა-დაღმა უაზრო მიტინგობია და დროშებით ხეტიალი.

12610. ზოგჯერ ასლი უფრო სარფიანად გამოიყურება, რადგან მას ათასობით გამოყრიან ბაზარზე და შემოსავალს იძლევა, ხოლო დედანი გაყინული ანაბარია, რომლითაც ქვეყანა ამაყობს, მაგრამ შემოსავალი მცირე აქვს.

12611. ირგვლივმყოფთა რეალური შეცნობა ძნელია და არც ღირს, რადგან მაინც შეუცნობელი დაგვრჩება და დროსაც გავაცდენთ.

12612. სახელმწიფო ხალხის, მასის, ბრბოს, წინამძღოლია, მას თუ ღირსეული ხელისუფალი მართავს.

12613. ქომაგობა, ფანატობა, მასობრივი ფსიქოზის შედეგია და საინტერესო ის არის, რომ ეს გამოთაყვანებაც სიახლის ძიებაშია.

12614. აპლოდისმენტები ზოგს გულთან ახლოს მიაქვს და ავიწყდება, რომ ეს მოჩვენებითია, რადგან საკმარისია მასზე მჯობნის გამოჩენა და ამ ტაშიდან აღარაფერი დარჩება.

12615. ცუდსაც და კარგსაც ზოგჯერ ტაშით აჯილდოვებენ, გააჩნია, რაა მათთვის მისაღები და ვის რა მასტის მომხმარებელი ჰყავს.

12616. ინკვიზიცია ცეცხლზე წვავდა და აწამებდა ადამიანებს, მაგრამ ქრისტიანობაზე უარი არავის უთქვამს, რადგან დრო იყო ასეთი. მაშინ რა დააშავეს დამპყრობელმა დიქტატორებმა, რომლებმაც თავის ქვეყანას დროებით სახელი და ძლიერება მოუტანეს?

12617. „პუბლიკის“ ჭკუის ამღვრევი მათი საყვარელი აქტიორია, ურთიერთზე მოფერებით, აღფრთოვანებით და თავისებური დავიწყებით.

12618. ღარიბი ვექილი პროფესიონალი არ შეიძლება იყოს, რადგან თავის პროფესიას ვერც იყენებს და ეტყობა, არც პატივს მიაგებს.
12619. ავტორიტეტი თავისებური იმედია, რომელიც ზოგჯერ ქვისგან და ყინულის ხორგისგან შენდება, კონკურენტების თვალის დასაყენებლად.
12620. ხელისუფლება, რომელიც ორიგინალური აზრების მოსასმენად ვერ იცვლის, მის ავტორებთან შეხვედრას თავს არიდებს და მოსმენის უნარი არ აქვს, სახელმწიფოს მმართველად არ გამოდგება.
12621. ცივილიზაციის წინ სირბილი, თავის წილ ხარკის გაღებას მოითხოვს ოფლის მოდენით და ზოგჯერ სისხლის გამოშვებით.
12622. სახელმწიფო უშიშროებას უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობა განვითარებადი ეკონომიკით და არა – შეიარაღებული ძალები.
12623. პოლიტიკაში, ხელოვნებაში, ყველა თავისი ადგილის მოპოვებას ცდილობს, იმისდამიუხედავად, აქვს ამის ნიჭი თუ არა.
12624. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ერის ღირსეულ და ნიჭიერ შვილებს ყოველთვის ღირსეულად არ ეპყრობიან, რადგან მათში კონკურენტებს ხედავენ.
12625. გონება, წესიერება, წესრიგი, ანარქიას ვერ ჰგუობს და მის იდეებს ახლოს არ იკარებს.
12626. „ბარდაგს“ თავისი „მიმზიდველობაც“ აქვს ქვეყნის მართვისას, მაგრამ ბოლოს ისიც წესრიგს ემორჩილება.
12627. ანეგდოტი საყოფაცხოვრებო გასართობი საშუალებაა დროის შესატყვისი იუმორით და სიახლეში გადახარშვით.
12628. სხვაზე შენი ავტორიტეტის და ნების თავის მოხვევა საჭიროც არის და აუცილებელიც, თუ პიროვნება ხარ, რადგან უამისოდ საქმე არ კეთდება.
12629. ხალხი ხშირად მადლიერების ნაცვლად „ქაქს“ გვიბრუნებს და ამითაც კმაყოფილი უნდა ვიყოთ.
12630. ინტერნეტი სამყაროს გონების უდიდესი სცენაა, სადაც ყველა პროფესია დაკვალიანებას და განათლების მიღებას ცდილობს, რათა უკეთ აღიქვას, გაითავისოს, მისი ამქვეყნად მოვლენის ფასი.
12631. რა სახის დემოკრატიაც უნდა იყოს ქვეყანაში, ოჯახში, პასუხს ერთი პიროვნება უნდა აგებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყბედობაა ონანიზმით და ურთიერთნიშნისმიგებით.
12632. უსინდისო ხელისუფლებაზე საშინელი არაფერია, მაგრამ ხალხი რატომღაც გულარხეინად უყურებს და იტანს.
12633. წინდაუხედავი ხელისუფალი, ადრე თუ გვიან, ქვეყანას „ჩანჩურად“ აქცევს.

12634. ყველა ხელისუფალი თვითრეკლამის და ხალხის დამორჩილება-დაბეჩავების ხარჯზე ცდილობს ფონს გასვლას.
12635. პრივილეგიების, წახალისების, დაფინანსების, გარეშე საზოგადოება ვერ შედგება და კლასების დაპირისპირება აქ არაფერშუაშია, რადგან ძალაუფლების და წყობის რაობას, ექსპერიმენტის სახით, განგება განაგებს.
12636. საზოგადოება ხშირად გაუცნობიერებელი იდეებით ცხოვრობს, მაგრამ დადებითი აურით და ეს შველის.
12637. „მასაკრატია“ უკვდავია, ის მშობლიური იქნება თუ გარედან შემოპარული, რადგან მასა, ბრბო, ვიღაცამ უნდა მართოს, რათა ვინმეს მიბაძოს და რაღაც თავისიც შექმნას.
12638. უგუნურების შედეგად დანაგვიანებულ მდინარეში და საზოგადოებაში არც თევზი მრავლდება სათანადოდ და არც მოსახლეობა.
12639. მასა საღად იშვიათად აზროვნებს, მაგრამ უბედურების მოახლოებას გრძნობს.
12640. ხალხი ჭკუას არც ადრე სწავლობდა და ვერც მომავალში ისწავლის, ცხოვრებამ ალიყური რა ოდენობითაც უნდა უთავაზოს, რადგან უმეტესობაში უგუნური და უნიათო გენი სჭარბობს.
12641. პრინციპებზე მყარად დგომა და არა – სიჯიუტე, ხშირად მშვიდობის შენარჩუნებას ზეიმობს.
12642. ხალხი, რომელსაც ერის ისტორიაში კიდევ ბევრი რამ აქვს დასაფიქრებელი, ბედნიერია.
12643. იდეებისთვის, რწმენისთვის, მოხვეჭისთვის, თავის გადადებას არც ტექნიკური პროგრესი შველის და არც ცივილიზაციის წინ წაწევა, იმდენად დიდია და გულმავიწყი ადამიანის მარგი ქმედების კოეფიციენტი.
12644. უმეცრება და აზროვნებას მოკლებული კამათის სურვილი სინონიმებია.
12645. ყველა ეპოქა მისთვის განკუთვნილი პროგრესისთვის იბრძვის, თუ გაუმართლა და განგების გეგმიური კატაკლიზმები არ დაიწყო.
12646. სანამ ხალხი ხელოვნური ხორცის ჭამას არ ისწავლის, მანამ ყოველთვის იქნება სისხლდენის საშიშროება, რადგან ამ უკანასკნელის დანახვა არაადეკვატურად მოქმედებს და ადამიანებს აგრესიას უღვიძებს.
12647. ხალხს, რომელიც თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდას გაურბის, არც ქვეყანა უყვარს, ხელისუფლებაც უვარგისი ჰყავს და სახელმწიფოც უწესო.

12648. დღეს მეცნიერებაც, სამწუხაროდ, საბაზრო-ეკონომიკას საკმეველს უკმევს და მისი განვითარებას გზაზე როგორღა იმოქმედებს, არავის უწყის.

12649. საზოგადოებაში კლასები ერთმანეთს კი არ უნდა ებრძოდნენ, უნდა უგებდნენ, რადგან ყოველი მათგანი სწორი და თვითმყოფადი განვითარებისთვისაა საჭირო.

12650. ბუნება გამოცდას უწყობს ადამიანს და მას ცოდნა-გამოცდილების მარაგით ამდიდრებს, მაგრამ კაცობრიობა არც დიდად აფასებს ამ საჩუქარს და ვერც მხარს უბამს მის მცდელობას.

12651. მუდმივი დასაქმება: ნაგვის გადამუშავება, ნახევარფაბრიკატების გამოშვება, პოლიციაში, ჯარში, ხელისუფლებაში სამსახური, ვაჭრობა, გადაზიდვა. რაც შეეხება ნაწარმის გამოშვებას და სოფლის მეურნეობას, ეს დამოკიდებულია კრიზისზე, ხალხის უნიათობასა და უგერგილობაზე.

12652. გონივრულ სოციალისტურ წყობას კრიზისი არ ემუქრება, რადგან მან შეიძლება ისეთი სამუშაო ადგილები შექმნას, რაც კაპიტალისტურ წყობას არც დაესიზმრება.

12653. გონება მის მიერ გავლილ ყველა ბილიკზე კვალს სტოვებს, მიუხედავად იმისა, დიდ წინაპარზე დროებით „შესვენებული“ შთამომავლობა მას როგორ გამოიყენებს.

12654. ცივილიზაციას გონებით მორწყვა სჭირდება, მაგრამ მას ხშირად შეხლა-მოხლით და ურთიერთდაპირისპირებით ხელოვნურად რწყავენ.

12655. წმინდანთა უმეტესობა ღარიბი იყვო და ამიტომაც მოიპოვა მხარდამჭერნი ამდენ ღარიბსა და დროის გამოყენების უცოდინარ ხალხში.

12656. ღარიბი არასოდეს თავისუფალი არ არის და გამოთქმა, „სჯობს თავისუფალი ვიყო, ვიდრე ვინმეს ვემსახურო“, სიტყვის მასალა და ფუყე სიამაყისათვის ნიშნის მისაგებია.

12657. წარსულის სარკე არ უნდა გავტეხოთ, მასში მომდევნო თაობებს ჩახედვის საშუალება არ უნდა მოვუსპოთ – ჭკუის საწვრთნელად, ერის რაობის და საკუთარი მეობის დასანახავად გამოადგებათ.

12658. ხალხს, რომელიც საყველპურო კანდიდატების უნიათო დაპირებებს უჯერებს, არჩევანის უფლება უნდა ჩამოერთვას, როგორც ცხოვრების უცოდინარს და მათი პატრიოტიზმი უარყოფითად უნდა შეფასდეს.

12659. „მასმედია“ ხშირად გაურკვეველ-გადაუჭრელი სენსაციური აზრებით კვებავს მოსახლეობას, შედეგად მკითხველი ამ გართობით

კმაყოფილია და „მასმედიაც“ ფულს შოულობს.

12660. საწყალი აშშ, ყველას მისი შველის და დახმარების იმედი აქვს და ალბათ, მალე თავად გახდება დასახმარებელი და საშველი ამდენი უსაქმური და უნიათო ქვეყნების ხელისუფალთა ხელში.

12661. ყველა საქმიანობას მომწიფება, შეჯერება, შემართება, სჭირდება და აქ აჩქარება ყოველთვის გამართლებული არ არის.

12662. სახელმწიფოებრიობას სიცოცხლით სავსე საქმიანი ხალხი სჭირდება და არა ვიღაცის ფრთებს ამოფარებული „უტრაკო ყარაჩოხელი“ ყბედი.

12663. სჯობს ბრბოს, მასას, ვერჩოდეთ, ვურქინოთ, ვიდრე ერის ისტორიას – არ გვაპატიებენ.

12664. ეკონომიკას და პოლიტიკას ერთი ჭკვიანი ხელისუფალი სჭირდება დროსთან შეთანხმებით.

12665. მოჭარბებულ აზროვნებას რიდი მოაქვს და არა – დიდება, რადგან აწმყო გაიგებს და გერიდებიან.

12666. ვერავითარი ინტერნეტი და ტექნიკური პროგრესის მომავალი მიღწევა, ვერ აჯობებს გამოცდილებას, რომელსაც ასაკი უტოვებს მომდევნო თაობებს, რადგან ეს უცვლელი სიმდიდრეა.

12667. ხალხს არ აქვს უნარი განსაჯოს მომავალი, რა საერთაშორისო მდგომარეობა იქნება და როგორ იმოქმედებს ადგილობრივ დონეზე, ამიტომ მისი ვალია ერთეული გონიერის გამორჩევა და მასზე მინდობა.

12668. მოჭარბებული გონებაც სათუო ბედნიერებაა, რადგან სიცოცხლეს ირთულებ, იმისდამიუხედავად, გიგებენ გარეშენი თუ არა.

12669. ხალხმა რომ დაგიჯეროს, მათი ცოდვების დაწესებით უნდა მართო ქვეყანა.

12670. როდესაც მართალი ხარ, სიმკაცრე გამართლებულია, თუ თანამედროვენი არ დაგიფასებენ, ისტორია და შთამომავლობა შენს მხარეზეა.

12671. „მასმედიისთვის“, ფაქტიურად, ყველაზე შემოსავლიანია ის სტატუსი, რომელიც არ ქვეყნდება და „პატრონი“ ჰყავს.

12672. ძალაუფლება იმ სასუსნავ ბაგას წარმოადგენს, სადაც ყველა ხელის მოთბობას ცდილობს და აქ აღზრდა-განათლება არაფერშუაშია, უბრალოდ, დროა ასეთი და ხელისუფალია უნიათო და უინიციატივო.

12673. პატრიოტსა და ვიგინდარას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი გულით და მეორე ანგარებით აკეთებს ქვეყნის საქმეს.

12674. თანამდებობის დაკავება და საქმის კეთება ყოველთვის ერთი და

იგივეს არ ნიშნავს.

12675. ვანდალიზმი და პროგრესი არასოდეს ერთ ადგილზე არ დგანან და ორივენი თავისებურად ვითარდებიან.

12676. უნდა ვეცადოთ ადამიანთა სიძულვილი არ დავიმსახუროთ მენტალიტეტის, პოლიტიკური შეხედულების და რწმენის სხვაობის მიუხედავად.

12677. ქვეყნიდან „ტვინების გაჟონვა“ ხელისუფლებაში მედროვე და უგვანო ხალხის მომრავლების შედეგია.

12678. საქმის ერთად კეთება ადვილია, თუ ყალთაბანდები არ გამოერევიან და მიზანი ერთია.

12679. ხელისუფალი, პირველ რიგში, ჯანმრთელი უნდა იყოს, მოხერხება, ჭკუასთან შერწყმით, უნდა უჭრიდეს შენდობა-განსჯის გაუჭიანურებლად.

12680. გონიერების ამაგი მერმისისთვის დატოვებული ნათელი საქმიანი აზრია.

12681. ყაჩაღის სიმამაცეც გამოსადეგია, თუ ქვეყნის სათავეში პიროვნებაა.

12682. პიარის მოსაპოვებლად პატიოსნება, ყურადღებიანობა, ნიჭი, არ კმარა, რაღაც მატერიალურიც უნდა გაიღო.

12683. სიმკაცრე ყოველთვის სპრინტერია, მიზანს აღწევს და გამარჯვებულს ყოველივეს პატიობენ ე.ი. დემოკრატია და კოლეგიალობა სინამდვილეში კარგია, მაგრამ სტაიერია და უნიათო აზრების შეხლა-შემოხლას იწვევს.

12684. ხალხის მართვა ხელოვნებაა და უპირველესად ის უნდა მისცე, რაც მას შემდეგში გამოადგება და არა ის, რაც მას დღეს უნდა და თვალი გაურბის.

12685. სიღარიბე, უპასუხისმგებლობა, კორუფცია, გაუტანლობა, გულგრილობა, უმიზნობა სახელმწიფოებრიობის ყველაზე დიდი მტერია, ხოლო შთამომავლობის არყოლა, სიყვარულის და საკუთარი მეობის არქონა – ადამიანურობის.

12686. არჩეული კანდიდატი ხშირად დანიშნულზე უარესია, მაგრამ ამომრჩევლებს მაინც მოსწონთ, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა დილეტანტია და მათთვის არჩევნები გიჟის პერანგის ჩაცმის ტოლფასია.

12687. გარყვნილების მოშველიებით დღეს იმიჯსაც იკეთებენ, ასაკსაც ბიშტს უჩვენებენ და „მასმედიისთვის“ შესამჩნევიც ხდებიან.

12688. როდესაც ხალხის 93% ვაგონია, ე.ი. სხვისი სათრევია და რომელ ელმავალს გამოებას, თავადაც არ უწყის, მისთვის დემოკრატია და

თავისუფლება გასაბრიყვებლად და უსაქმოდ დასატოვებლადაა მოგონილი.

12689. ხელისუფალი, უპირველესად, ერის ისტორიის წინაშე აგებს პასუხს და არა – აწმყოში მცხოვრებთა მიმართ, რომელთა საყვედურებს დრო მტვრად აქცევს.

12690. იმქვეყნად გადაბარგებასაც მშვიდობიანი დროის შერჩევა სჭირდება, რათა საზოგადოებას დაენანო და გული დასწყვიტო.

12691. სინდისის ნაკლებობა ზოგს თავის გემოზე ცხოვრებაში და საზოგადოებაში წარმოჩენაში ხელს არ უშლის, რადგან აწმყო დრო და საზოგადოებაა ასეთი.

12692. ზოგჯერ კრიზისი ცუდი არ არის, რათა ადამიანმა დააფასოს უპირველესი, რაც აქვს – სამუშაო.

12693. ეფტანაზია „გენეტიკური ნაგვის“ მოშორების საშუალებას იძლევა და აქ ჰუმანიზმს ამოფარება და „ვაი-ვიშის“ ძახილი, საზოგადოების ინტერესების ხარჯზე, მიუღებელია.

12694. დღეს საზოგადოება მზადაა ყოველი უგვანობა განიცადოს „ვაი-ვიშის“ დონეზე, მაგრამ მზად არაა და არც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს მის გამოსასწორებლად.

12695. ამ ქვეყანაში ბევრი დებილია, ყოველგვარი დიაგნოზის გარეშე, რომელიც გამოვლენას ექვემდებარება და დროის გასილაქება სჭირდება.

12696. წინათ წიგნში რომ შენთვის საინტერესო მოგეძია, მთელი გვერდები უნდა გადაგეთვალიერებინა, ხოლო დღეს ამას ინტერნეტი კლავიშებზე თითის დაჭერით ახერხებს, მაგრამ წიგნში მოძიებულ სიამოვნებას ვერ შეედრება, რადგან მუქთაა. ეს იგივეა, ცოლს შეყვარებით მოიყვან თუ გარიგებით, იმისდამიუხედავად, რომ ეს უკანასკნელი უფრო შედეგიანია.

12697. კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება თვითმარქვია ხალხისგან თავის დაღწევა და მათი „ხელმძღვანელობიდან“ განთავისუფლებაა.

12698. მთავრობის ყველა საქმიანობა, მათ შორის, ქველმოქმედება, ქვეყნისათვის მატერიალურად მომგებიანი და არა მხოლოდ ქულების დასაწერი უნდა იყოს.

12699. ხელისუფალს აწმყო არ წყალობს, არ აფასებს, ამიტომ მან ის აუცილებელი კი არ უნდა აკეთოს, რაც დღევანდელობას გამოადგება, არამედ ის, რაც მას სახელს დაუტოვებს, ერთეულები გაუგებენ და მომდევნო თაობებს გამოადგებათ, რადგან მისი განმსჯელი ისტორიაა.

12700. აღმზრდელობითი აკრძალვებისათვის ზურგის ჩვენება სახელმწიფოებრიობისადმი ზურგის ჩვენების ტოლფასია, რადგან ამ უკანასკნელის რღვევას, ნგრევას და გაქრობას იწვევს.
12701. რატომღაც ერთ გზას ვაშენებთ, მეორე გზით სიარული გვსურს და ამ შეუსაბამობას ვერც ვამჩნევთ და არც გვაღელვებს.
12702. დღევანდელი საყოველთაო არჩევნები სახელმწიფოს შესაძლო მმართველს „მასხარად“ აქცევს და არჩევის შემდგომ მისგან სახელმწიფო მოღვაწის და „მამა-მარჩენალის“ მიღება გვინდა.
12703. თუ ქვეყანაში ყველას თვალი წაღლეტაზე უჭირავს, აქ კეთილგანწყობა და მშვიდობიანობა მოჩვენებითია და როდის დაიწყება ქაოსი და აშლილობა, არავინ იცის.
12704. გონება ყველაზე დიდი ავტორიტეტია, თუ დროში გაგიმართლა და საქმე ხალხთან გაქვს და არა ურჩ ბრბოსთან.
12705. ზოგჯერ არმია იმ მენაგვის როლში გვევლინება, რომელმაც „ქუჩები“ იმ ნაგვისაგან უნდა დაასუფთავოს, რომელიც მისმა შემნახველმა ხალხმა და მათ მიერ არჩეულმა უგვანო მთავრობამ თავიანთი უნიათობით, პოლიტიკური უკულტურობის გამო, დაყარეს და საზოგადოების აზრი დაანაგვიანეს.
12706. სისულელე და სულელი უძახე და ამ სამყაროს და სახელმწიფოს ნახევრადსულელი ნიჭიერები მართავენ, „ჭკვიანი“ ხალხის ნებართვით.
12707. მრისხანებას მხრის ამბმელიც და დამჭერიც ბევრი ჰყავს, გააჩნია აღზრდას, ინტერესებს.
12708. სხვის ტყავში ცხოვრება მაინც ძნელია, რაც უნდა მიგვაჩვიონ.
12709. მთავარია სხვებთან დამოკიდებულებაში საკუთარი ადგილის განსაზღვრა, ურთიერთობათა შერწყმა და არჩევანის გაკეთება.
12710. ანარქიას, არაადეკვატურ მოპყრობას, ზოგჯერ თავად საზოგადოება, მისდაშეუმჩნევლად, ითხოვს.
12711. უაზრო, მეორე-მესამე ხარისხის, საკითხებზე გაცილებით მეტს ბჭობენ, ვიდრე პირველადზე, რადგან ამ უკანასკნელს აზროვნება, ცხოვრების გამოცდილება და საქმის მკეთებელი ხალხი სჭირდება.
12712. ზოგჯერ ისეთი ხელისუფალი ევლინება ქვეყანას, რომ წარსული წლების ნაქურდალსაც ოლიგარქები ნებით აბრუნებენ.
12713. წარმატებას რომ მიაღწიო, სხვას რა მოსწონს, ისიც უნდა გაითვალისწინო და ზოგჯერ ანგარიშიც გაუწიო.
12714. სისულელის თქმასაც თავისი ადგილი და კამპანია სჭირდება, რათა ისე გაგიგონ, როგორც შენ გინდა.
12715. ქვეყნის უუნარო პრეზიდენტს არავითარი გამართლება არ აქვს,

თუნდაც ხალხმა ის თავისი სურვილით წამოისვას თავზე. თუ არ შეეძლო მართვა, არც უნდა გაერისკა.

12716. ოლიგარქიც თავისებურად მართალია, როდესაც მასას პატივს არ სცემს, რადგან მის წამოწყებას ხალხი მანამ არ იზიარებს, სანამ რეკლამაში უამრავ ფულს არ გადააყრევინებს.

12717. მართალია, ხალხის მიმართ კეთილგონივრულად უნდა ვიყოთ განწყობილი, მაგრამ სახალხო არჩევნების შედეგებს რომ ხედავ, ამას ვერ ახერხებ.

12718. გამოუსწორებელი შეცდომები ბევრია დაშვებული ამ სამყაროში, რომლის გათვალისწინებას რატომღაც არ ცდილობენ, რადგან საქმე უბერებელ „სიმახინჯეებს“: ძალაუფლების, კარიერის, ფულის, მოხვეჭას ეხება.

12719. რეკლამა, რწმენა, ადამიანის გონების ამღვრევის საშუალებაა და როგორღა დაიწმინდება, არავის უწყის.

12720. დღეს წესიერი ცხოვრება და რეალურ დემოკრატიაზე დაყრდნობით ქვეყნის მართვა „ნონსენსია“, რადგან სიტყვის თავისუფლებამ ვულგარული აზრი და შინაარსი შეიძინა.

12721. ხალხი ის „ორგული“ სქესია, რომელიც უპრეტენზიოდ უწყობს ხელს სარეველა პოლიტიკოსების აღმოცენებას უნიათო და უშედეგო ბრძოლით, მანამ სარეველა დაახრჩობს – შედეგად რევოლუცია, ბუნტი, რაც ქვეყანას გარკვეული ხნით აკნინებს, იმის მაგიერ, რომ ხალხმა ქვეყნის კონსტიტუციით, კანონის უზენაესობის დაცვით და გონიერების მოშველიებით, სარეველებს თავიდანვე თავის წამოყოფის საშუალება არ მისცეს.

12722. მრავალცოლიანობის პრობლემას საზოგადოება ისევ ქალების ინიციატივით დაუბრუნდება, იმდენად იკლებს ხვად მამაკაცთა ოდენობა სამყაროში, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური პროგრესი მალე ხელოვნურ რობოტ ქალებს და მამაკაცებს შემოგვთავაზებს და მათ მასიურ ტირაჟირებას დაიწყებს.

12723. კომფორტის, სიამოვნების, აღიარების, მიუხედავად ინტელიგენტი ის ადამიანია, რომელიც იმას არ აკეთებს, რაც არ უნდა იკადროს, რადგან საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას კულტურის საწყისები და გარკვეული ბარიერების აღმართვა სჭირდება.

12724. საზოგადოება, რაც ნაკლებად დაარღვევს მორალურ ღირებულებებს, ერის კულტურის საგანძურს და კონსერვატიზმის იდეებს მოუფრთხილდება, ტექნიკურ პროგრესს მოარგებს, თვითმყოფადობას დიდხანს ინარჩუნებს და გვიან გადასხვაფერდება-გადაგ-

ვარდება.

12725. ინტელიგენცია საქმიანობიდან გამოპანღურებული პრივილეგირებული წოდებაა, რომელიც მოწოდებულია ღირსებით და თავისი ჭკუით იცხოვროს.

12726. სულიერი ლიდერის კრედოა, რაც სასიამოვნოა, ის აკეთოს, თანამეინახენი აიყოლიოს და რაც მოსალოდნელია, მაინც მათ გარეშე მოხდება.

12727. ინტელიგენტობა მომხიბვლელი და საკუთარი თავის სპეკულირებით საშუალო პოლიტ-ეკონომიაა უცოდინარ, გაუთლელ ხალხში.

12728. ყველა ვალდებულება, დანაპირები, განაღდებას ითხოვს, მაგრამ ინტელიგენტი შინაგანად ამას არ ეთანხმება, რადგან მისი ყოფის რეალობას ოცნებით წარმოჩენილი იმედი ჯობნის და პასუხისმგებლობის გრძნობაც დაქვეითებული აქვს.

12729. მოდა, სიყვარული, სიმდიდრისაკენ მიდრეკილება, არ ბერდება. უბრალოდ, ახალ სახეს იღებს და აქ სახელმწიფო წყობა და ხელისუფლის ნება არაფერშუაშია.

12730. რადიკალური ლიბერალიზმის, ცრუ დემოკრატიის, თავისუფლების გათავხედება, ხალხის დამსახურება არაა, ეს დროის ყივილია და განგების ნებაც, ხელისუფლის სახელით თავზე ვის წამოგვასვამს.

12731. მსოფლიო ილუზიების სამყაროში ეფლობა და მისგან თავის დაძვრენას განათლების და ტექნიკური პროგრესის წინსვლა არ შველის.

12732. ზღაპრები მაინც უნიათო ხალხის სალაყბოა, რადგან მათ უწვალებლად, უშრომელად, იმის მიღება უნდათ, რომელზეც ხელი არ მიუწვდებათ.

12733. სამყარო ის საერთო საცხოვრებელია, სადაც მეგობრებზე მეტი მტრებია, რადგან სხვანაირად ადამიანთა მოდგმა ვერ ვითარდება და სიკეთისთვის არ იღვწის.

12734. ხელისუფალი, რომელიც არ ქმნის ქვეყნის დადებით, დასამახსოვრებელ და განსასჯელ ისტორიას, მეორედ არ უნდა ავირჩიოთ.

12735. ყველა ეპოქა, წყობა, ხელისუფალი, ადამიანზე გავლენას ახდენს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, რადგან სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა, ისიც ლიმიტით, დროში მოჭრილად.

12736. საღი აზრების დიქტატურაზე დამყნობა ხშირად ცუდ შედეგს იძლევა, მაგრამ გონივრულ ცენზურა-ოპონირებასთან შეჯერება ზოგჯერ შედეგრად გვევლინება, რადგან ყოველივე გენიალურს სიძნელეების დაძლევა სჭირდება.

12737. არის რაღაც, რაც პიროვნებისათვის შეუფერებელია, ხოლო პოლიციელისთვის სასახელო და დასაფიქრებელია, გააჩნია, რა როლში ემსახურება ადამიანი საზოგადოებას (დაბეზღება, თვალთვალი, ძალადობა).

12738. ყოველგვარი ფუფუნება რეალური კულტურის განვითარებას ფეხს უდებს.

12739. რაც უფრო ახლო ხარ ძალაუფლებასთან, მით უფრო ცდილობ დიდების მანტია მიიწებო და აქ ხერხი, საშუალება არად მიგაჩნია.

12740. ყვინჩილა, ენერგიული და ახალი აზრებით აღჭურვილი, ხელისუფალი ქვეყანას მაშინ ადგება, თუ ის ქვეყნის მოჭირნახულე ასაკოვან მრჩევლებს ჯაჭვით ჰყავთ დაბმული და ხანდახან ნებას აძლევენ ეს ჯაჭვი მოიშოროს.

12741. ეპიდემიასა და კორუფციას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ოდესღაც დამთავრდება, მეორე ქრონიკული დაავადებაა.

12742. სამწუხაროდ, ზოგჯერ კორუფცია საქმესაც აკეთებს, ბიუჯეტსაც ეხმარება და მადლიერებასაც იმსახურებს, როდესაც არშემდგარი ქვეყანა ფეხზე წამოდგომას ცდილობს. ასეთია პირველადი კაპიტალის შექმნის კანონები თუ განგების ნება.

12743. ზომიერად კორუმპირებული ხელისუფლება, ჩინოვნიკი, ადვილად სამართავია, ამიტომაც, რომ ქვეყნის პირველ პირს ლიბო აქვს თვალზე აფარებული.

12744. თანამედროვენი არაფერს დაგიფასებენ, გახსენება-დაფასების საქმე ისევ მომავალ თაობებს და ისტორიის დაღვინებას უნდა ვანდოთ.

12745. არჩევნებზე ხმის „გაყიდვა“ არა მარტო სულიერების, არამედ სამშობლოს გაყიდვის ტოლფასია, მაგრამ დროის უგუნურებას და ადამიანის ვაჭრულ, არასანდო, ბუნებას მაინც თავისი გააქვს.

12746. ადამიანს რომ ყოველთვის სიმართლე ეთქვა, ვერც მისი გონება განვითარდებოდა და ვერც საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდებოდა, სამყაროც კატასტროფის წინაშე დადგებოდა ქალების თავის მოგიჟიანებით.

12747. მდიდარი ყოველთვის თაღლითი არ არის, როგორც ეს მოქალაქეებს ეჩვენებათ, მაგრამ არც ანგელოზია და ამ კონსესუსზე ისიც მზადაა დაგვეთანხმოს.

12748. რევოლუციას ცხოვრების მსახიობები აწყობენ, მაგრამ რეჟისურას დრო და შემთხვევა კისრულობს თავისი საჯალათო კუნძით.

12749. ტვინის გარყვნა შესაძლებელია და ისიც მოკლე დროში, მაგრამ აქ მთავარია უგვანობამ საზოგადოების აზროვნება უკუღმა არ

გადახნას.

12750. გამყიდველი ნაციონალური ელიტა, ხალხებს შორის შუღლს თესავს ად ერთმანეთს უპირისპირებს, რათა ამღვრეულ წყალში თანამდებობას და ფულს რიგგარეშე ხელი გამოკრას და ხალხის ბედი, პატრიოტული ყბედობისგან განსხვავებით, არ ადარდებს.

12751. სახელმწიფოებრიობა მაშინ სუსტდება, როდესაც მისი მოქალაქენი სამხედრო-სავალდებულო სამსახურს თავს არიდებენ.

12752. გაყოფა დაყოფას არ ნიშნავს, რადგან პირველ შემთხვევაში ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ, რწმენა, ვნებები, მოვთოკოთ და არა – ჩვენი უგუნურების ავტონომიები შევქმნათ, ვიძახოთ: „ჩვენი სჯობია სხვისასა“ და საკუთარ ჭაობში დავმყაყდეთ.

12753. შეცდომების დაშვება შეიძლება, მაგრამ არა პერსპექტივის, მომავლის გაუარესების ხარჯზე.

12754. კანონიერება, სამართლიანობა, მოვალეობა, აღზრდა, ზრდილობა, სხვადასხვა განზომილებაა, მაგრამ ერთმანეთს უნდა ერწყმოდნენ და ავსებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ცალ-ცალკე გაფეტიშება ადამიანს ხშირად ვნებს.

12755. საზოგადოება იყოფა ფიზიკოსებად, ლირიკოსებად, აუტისტებად, „ბოტანიკოსებად“ და გაუსვენებელ მკვდრებად.

12756. ხელისუფლება უნდა იყოს აზრიანი მსახიობი, ყველა საქმის დიდი ორგანიზატორი, იდუმალებით მოცული ავანტურისტი და ბუნებით უფროსობისთვის მოწოდებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უვარგისია.

12757. როგორც კი სამშობლოს კეთილდღეობისათვის პირველობის მცდელობას პირადი კეთილდღეობისკენ მისწრაფება „გადაუჯოკრავს“, იმ ქვეყნის საქმე წასულია და ამ საზოგადოებას დევალვაციას, ნგრევას, გაქრობას, უქადის.

12758. მარადისობისთვის გამიზნულ სახელს ვერც თავისი დროის ძალაუფლება შეედრება და ვერც სიმდიდრე.

12759. მოხერხებულობა, ცოდნა, ნიჭი, არასოდეს იმალება, თუ ის ხალხში იღვწის და არა – ბრბოში.

12760. საქვეყნო საქმეს ჯაბანი კაცი ახლო არ უნდა გავაკაროთ, რადგან სიჯაბნის დასაფარავად ბევრ არაორდინალურ სისაძაგლესისულელეს იკადრებს.

12761. ადამიანს არც შეცდომები ელევა და არც შეცდომებზე ხელახლა ფეხის წატეხვის რეციდივი, მაგრამ ტექნიკური პროგრამა მაინც თავისი გააქვს და წინ მიიწევს ამ შეცდომების ხარჯზე.

12762. „მასმედიის“ მეძავი ბუნების ყოველთვის მადლიერი უნდა ვი-

ყოთ, ავად თუ კარგად ჩვენს სახელს „ახმოვანებს“.

12763. ოჯახში ტელევიზია და ინტერნეტი მასწავლებლის, აღმზრდელის, როლთან ერთად, ქუჩის როლსაც ასრულებს, თუმცა მათ უხამსობაზე სახალხოდ არ მსჯელობენ.

12764. მოთხოვნილება და ობივატელი, გვინდა – არ გვინდა, ქვეყნის ავ-კარგს განსაზღვრავს და აქ გონიერება ვერაფერს ხდება.

12765. ყველა ცივილიზაციას თავისი „სამართლიანად“ დასაღვრელი სისხლის ნორმა აქვს, რადგან უამისოდ ცივილიზაცია წინ არ მიდის.

12766. დედამიწის საერთო საცხოვრებლის წესდება დღესვე უნდა შეიქმნას, თუ გვინდა ტექნიკური პროგრესის ძალზე აჩქარებულ ტემპს ავყვეთ და ამ სამყაროდან ჩვენი აღგვის შესაძლებლობა შევამციროთ.

12767. საზოგადოებას უყვარს თავისი მკვდარი გმირები, მათი სახელის სპეკულირებით.

12768. დღეს ვერ გაიგებ, სექსით მეგობრობის დამტკიცება შეიძლება თუ გაფუჭება, იმდენად აიჭრა თანამედროვე ახალგაზრდების გონება და იმდენად გაურკვეველი მსოფლმხედველობის ხაბა-ხუბაშია არეული.

12769. ყველა თაობას თავისი ოფოფები ჰყავს მოდის, კუმირის და ღირებულებების სახით, გარემოს, აღზრდის და ტექნიკური პროგრესის შესატყვისად.

12770. პროფესიულ დონეზე კარგად შესრულებულ ყველა სამუშაოს სიამოვნება მოაქვს, იმისდამიუხედავად, მოგწონთ ეს სამუშაო თუ არა.

12771. ძნელია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, უსმინო იმ ხალხს, რომლებსაც ამის არაფერი გაეგებათ, უაზრო ამბიციებით ჰაერში დაუმუხტავად დაფრინავენ და პრაქტიკულად არაფერი რეალურის კეთება არ შეუძლიათ.

12772. ყოველი ცივილიზაცია და საზოგადოება დაპირისპირებაზე, სისხლის გამოშვებაზეა, აგებული და თავისი დროის სამართლიანობის გრაფიკის და ნორმის მატარებელია.

12773. დროა დედამიწაზე სამყაროს კონსტიტუციის მეშვეობით დაწესდეს მის საერთო საცხოვრებელში ცხოვრების ნორმები, თუ გვინდა ყველანი ერთდროულად ამ პლანეტიდან არ აღვიგავოთ.

12774. ბუნებას და მთავრობას ბოლომდე არც უნდა ვენდოთ და არც უნდა ვედავოთ, მხოლოდ უკმაყოფილება უნდა გამოვხატოთ.

12775. უძველესი პროფესიის ვეტერანები ყოველთვის „ფორმაში“ არ-

იან, მიუხედავად მათი ასაკისა და მენტალიტეტისა.

12776. თავსმოხვეული იდეოლოგიით აღზრდილი ხალხის იმედი, თუ ის მატერიალურად არაა შემაგრებული, ჩემს მტერს ჰქონდეს, რადგან კერპების დანატოვართა რევიზიას ვერ იტანს და იმ იდეებისკენ მიილტვის, რასაც სხვები ურჩევენ, მაგ.: დღეს ყოფილი კომუნისტების ყივილი, რომ ვითომ ღვთისმორწმუნენი გახდნენ.

12777. ძნელია იმ საზოგადოების მართვა, სადაც თავს აუტისტები (სწავლული იდიოტები) წამოყოფენ და მათ აზრის გამოთქმის უფლება საქმის კეთების გარეშე აქვთ და სიტყვისთვის პასუხს არ სთხოვენ.

12778. ყველა თაობას თავისი დროის უკულმართობის ომი მოსაგები და პრობლემები მოსაგვარებელი აქვს.

12779. მოვალეობისაგან გათავისუფლებული ინსტინქტი ყველაზე საშინლად მოქმედებს ადამიანის განვითარებაზე და ხშირად საზოგადოების რღვევას იწვევს.

12780. დემოკრატია ის ჭირვეული ქალბატონია, რომლითაც ყველა აღფრთოვანებულია, მაგრამ სინამდვილეში, უმეტესობა ვერ ეგუება.

12781. შიზოიდური ნაძირალა, თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა საზოგადოებაში, ბლომად გვხვდება, საბაზრო ფსევდოიდეოლოგიით და დილეტანტიზმით, რომლებიც, სამწუხაროდ ყურადღებას მაინც იპყრობენ.

12782. სხვისი ჯობნის და შურის გარეშე, სამყარო არც განვითარდებოდა და ვერც ადამიანი ჩამოყალიბდებოდა, რადგან თავის წარმოჩენას და პროგრესისკენ ფეხის წარდგმას სამყაროს ძალები გვაიძულებს. ასე, რომ შური და სხვაზე ჯობნა კრიმინალის გარეშე, როგორც ირკვევა, კარგიცაა და აუცილებელიც.

12783. თანასწორუფლებიანობა ყოფის მონობა არ არის, მაგრამ პირველის გათავისებას დრო სჭირდება, ხოლო კანონის მონობის სწავლებას აღზრდა.

12784. მოძალადემ, დამპყრობელმა, ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინოს, იკადროს, რომ მისი სახელის გახსენებას მომდევნო თაობები ერიდებოდნენ.

12785. ხელისუფალს არავითარი გამართლება არ აქვს, თუ შეცდა, შეაცდინეს ან ძალა იხმარეს, საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა.

12786. ზოგჯერ ქვეყანაში იმ დონის ეკონომიკური კრიზისი იჩენს თავს, რომ ქალები იძულებულნი არიან უცხოტომელებზე „სიყვარულით“ გათხოვდნენ.

12787. ჩვენს ნაკლოვანებებს სხვები უკეთ ხედავენ, განსაკუთრებით,

ჩვენი „კეთილისმდომნი“.

12788. ბოროტებს არ იწყალებენ, მათ სამაგალითოდ სჯიან, სხვათა დასანახავად და გასაფრთხილებლად.

12789. ყოფასთან შერკინების გარეშე ცხოვრება „გაუსვენებელი მკვდრის“ როლში გვამყოფებს.

12790. მომავლის გამოგონებაც შეიძლება და გამოცნობაც, თუ ამის რეალური სურვილი ხალხს აქვს.

12791. ზოგჯერ შეცდომას ხელის ჩაქნევით გვპატიობენ, მაგრამ გამოსწორებულ შეცდომას ხშირად გვაყვედრიან.

12792. შთამომავლები წინაპართა დამსახურების წარმოჩენა-გამოყენებას ცდილობენ, მაგრამ ხშირად არ უმართლებთ, „ხანდაზმულობის“ გამო.

12793. საშინელებაა გულგრილობა და უაზროდ გაამაყებული ბრბოს ყურება.

12794. ხალხი ყოველთვის უკმაყოფილოა, მაშინაც კი, როდესაც გონიერი ხელისუფალი ჰყავს.

12795. ამბიციების მქონე ბრბოს, მასას, ხალხს, თუ არ იცის რეალობაში რა უნდა, ჩვენი მტერი ენდო, რადგან განსჯის უნარი დაკარგული აქვს.

12796. ქვეყნისთვის რეალური, დროსთან შერწყმული, პერსპექტიული, ინტერესები უმთავრესია და მას უნდა დავუმორჩილოთ ყოველივე.

12797. თავი და მხოლოდ თავია ყველა დაავადების, უგუნურების, ავანჩავანი როგორც პოლიტიკაში, ასევე ყოფაში.

12798. სურვილებსაც წრთვნა და ხელის განძრევა დროულად უნდა, რომ დაიკმაყოფილო.

12799. გონიერებისთვის ძნელია იმ საზოგადოების აღქმა, სადაც სამზარეულო და დარბაზი გაერთიანებულია, რადგან რაც ერთმანეთში ითქმის, ის საზოგადოებაში გაფიქრებას არ ითხოვს და უხერხულია.

12800. წინხედვით და მომავლის საკეთილდღეოდ არაპოპულარული, მტკივნეული, გადაწყვეტილებების მიღება საჭიროცაა და აუცილებელიც და ამ დროს რეფერენდუმი მიუღებელია.

12801. საზოგადოებას ყოველთვის ჰყავდა და ეყოლება სამშობლოზე სათავისოდ შეყვარებული აუტისტები, რომელთაც ქვეყნისთვის სიკეთე არ მოაქვთ.

12802. მცდელობა, რომელიც საფუძველს არ აშენებს, ფულს არ შოულობს, მომავალს ვერ ჭვრეტს, ვერც ხალხს გამოადგება და ვერც – თავს.

12803. დამარცხებული ხალხის გმირები მაინც უფერულად გამოიყურებიან, პატრიოტული ღელვა-ფეტიშის და გონების მოხმობის მიუხედავად.

12804. სახელმწიფო ბიუროკრატიას უნდა მივცეთ სასიკეთო საქმეების დატოვება-დამახსოვრების საშუალება, როდესაც იგი ამა თუ იმ ცნობად პიროვნებას ეხმარება, ეს ნებართვის მიცემა იქნება თუ ფულის გამოყოფა რჩევა-დარიგებებით, მათი ინციალები ფრჩხილებში უნდა მოვიხსენიოთ, ავტორ-შემოქმედის გვერდით.

12805. პროფესიონალიზმი საქმისადმი დამოკიდებულება, ცოდნაა, ხოლო დილეტანტიზმი საქმისადმი მიდგომა, განათლება, რქებით მიწოლაა, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველს იშვიათიად ჯობნის.

12806. რამდენი ოთხფეხაა, რომელიც ქმედებით, დამსახურებით, ორფეხას ჯობნის, მაგრამ მისი უფლებების დაცვისთვის თავს არავინ იწუხებს.

12807. „გონორეას“ მოგზაურობას ბოლო არ უჩანს, რათა ვენეროლოგებს პური აჭამოს და მათი მოდგმა არ გადაშენდეს.

12808. პიროვნების გავლენა ხალხზე უსაზღვროა, ამიტომ ხალხმა ნედლეული სათანადოდ უნდა შეარჩიოს, რადგან პიროვნება თავად იბადება.

12809. ხალხი ყველა მთავრობის უკმაყოფილოა, განსაკუთრებით აწმყოში მოღვაწეობის, რადგან ჰგონიათ, რომ უკეთესს იმსახურებს.

12810. სიცილი, იუმორი, ანეგდოტი, მშვიდობის დამყარების იარაღია სუფთა ხელებით, მხურვალე გულით და დიდი შეგნებით.

12811. დღევანდელი უტოპია, ხვალინდელი შესაძლებლობა და ზეგინდელი რეალობაა მაზეგინდელი კრახის პერსპექტივით – გააჩნია ჩანაფიქრს, გამოხატვას, განხორციელებას, მოსალოდნელ კრახს, რაც სამყაროს ჩვენთვის შეუცნობი ორომტრიალის შედეგია.

12812. დღეს პოლიტიკა, იდეოლოგია, ეკონომიკა და არა მარტო გენი აკომპლექსებს ადამიანის ბუნებას, ქცევას, მოთხოვნებს.

12813. არის სხვათა გამოცდილება, რომელსაც რატომღაც ბოლომდე არ ვენდობით, და ეს აგვიძულებს საკუთარი გამოცდილება ვეძიოთ. ალბათ, ესაა კაცობრიობის განვითარების პერსპექტივა და შეიძლება მისი ფინალიც.

12814. დავიხარჯოთ ჩვენი ნიჭის და შესაძლებლობების შესატყვისად, სურვილი დიდია, მაგრამ უშედეგო, თუ დრომ, სახელმწიფოებრიობამ და თანამოქალაქეთა მხარდაჭერამ, მხარი არ აგვიბა, ან ქვეყნიდან გადასახლდი.

12815. ყველას საკუთარი „ჭკუის ჭრაჭუნი“ გვაწუხებს, განსაკუთრებით,

ახალგაზრდობას, რომელსაც თავი მოუთოკავი მოჩვენებითი შესაძლებლობების შესატყვისად სურს გამოიყენოს.

12816. დიდება და სახელი თეორიულად კარგია, მაგრამ პრაქტიკულად დაუკმაყოფილებელ მთხოვნელთა და განაწყენებულთა რაოდენობას გვიზრდის.

12817. იაზროვნო, ისიამოვნო, ქვეყნას გამოადგე, ყველაზე დიდი და ვალმოსახდელი სამუშაოა.

12818. ღირებულებათა შეცვლა ნაცრისფერ თმებს არ შეუძლიათ, ეს უკანასკნელი დღეს რაც უნდა პოპულარული, რაციონალური და რეკლამირებული უნდა იყოს, რადგან პირველი უცვლელია, მუდმივია და ერის აღმზრდელია.

12819. სახელმწიფო ქონების ქურდობას და ხელისუფლებისთვის ნაპარავის ნაწილის უკანგორებას არასოდეს მოუტანია სიმყუდროვე და გარანტირებული, საბოლოო, ბედნიერება.

12820. სულიერი და ხორციელი მემკვიდრეობა განუყოფელია და ეს ორი აურაცხელი სიმდიდრე არ უნდა დანაწილდეს. არც სხვაზე დამოკიდებულები უნდა დავრჩეთ, რათა წინაპართა ვალი გადაუხდელი არ დაგვრჩეს.

12821. ქართველ საყველპურო არისტოკრატიას, ინტელიგენციას, ყოველთვის მიდრეკილება ჰქონდა ახალი იდეებისკენ, რომლის არსი ხეირიანად არც ესმოდათ, მაგრამ თავის წარმოჩენის საშუალებას იძლეოდა, რაც ხშირად მეტოქის წისქვილზე წყალს ასხამდა, თუმცა ამას არ ეპუებოდა და ჯიუტად განაგრძობდა იმ იდეებით თამაშს.

12822. ფასადის და ფარსის კულტურის მომძლავრება საზოგადოებას გადააგვარებს, ყველაფრის მიმართ გულგრილს ხდის და „უჯიგროდ“ აქცევს.

12823. ტექნიკური პროგრესის გათავისება და მასში გონიერებით სეირნობა, მხოლოდ საკუთარ ფეხებზე დაყრდნობით შეიძლება, რათა შენს ჯიშს და ჯილაგს მომავლის იმედი დაუსახო.

12824. ადამმა და ევამ ღმერთის და სამოთხის ნეტარების უშრეტი წყარო ვერ დააფასეს, დაკარგეს და მიიღეს მიწიერი ყოფიერება, რაც მათ დაცემულ სულიერ მდგომარეობას შეესატყვისებოდა, რადგან ისინი ადამიანებად იყვნენ მოვლენილნი და იდეალურის გათავისება მათ ძალას აღემატებოდა. ასევეა დღევანდელი ყურით მოთრეული დემოკრატია საქართველოში, რომლის აღსაქმელ-გასათავისებლად არც გონიერება გვყოფნის, არც გამოცდილება და არც ჩვენი გენეტიკა უჭერს მხარს. ქვეყნისათვის საქმის კეთების ნაცვლად ურთიერთკინკლაობა, შურიანობა და ყბედობა გვრჩება ხელში.

12825. ის, რაც გუშინ ზნეობრივი იყო, დღეს სათუოა, ხვალ უზნეობაა და ზეგ როგორ დაფიქსირდება საზოგადოების აზრში, არავინ უწყის, რადგან უგუნურების განვითარების ტემპი დღესაც უცნობია.
12826. გონიერებას მარტოობა აწრთობს, ხოლო საზოგადოებაში ყოფნა აზრებს უჭაშნიკებს და წარმოაჩენს.
12827. კულტურა ენის „მათრახით“ უფრო მეტს იძენს, ვიდრე სიტყვების რახარუხით და დაყვავების მცდელობით.
12828. ამერიკული კულტურა სულიერი სიცარიელის შევსების მცდელობაა ვულგარიზმის, აღტკინების, განათლებაში შეფუთვნით.
12829. საზოგადოებრივი აზროვნება ბლეფია, რადგან ქვეყნის აღმშენებლობისთვის გამოუსადეგარია.
12830. თუ ღრმად დავუკვირდებით, ინტერნაციონალიზმი ყველაზე რეალური საყრდენია ეროვნულობისა, რადგან საკუთარ ეროვნებას უდრტვინველად იცავ იმით, რომ სხვის ეროვნულობას პატივს მიაგებ.
12831. კულტურული დანატოვარი უძლებს საუკუნეებს და არა – სარწმუნოებათა ყივილი.
12832. საზოგადოების ყოფის ჩარჩოებს პატივი უნდა მივაგოთ, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობებით უნდა ვიცხოვროთ.
12833. მასობრივ მკითხველს, რატომღაც, ავტორის ბიოგრაფის ექსკურსი და მისი პირადი ცხოვრება უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი გმირების ხასიათი და ბედი.
12834. ერზე იმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, რა რიგის საფლავები აქვთ და როგორ ეპყრობიან მიცვალებულთა გახსენება-პატივის მიგებას.
12835. ბუნებას არ იმორჩილებენ, მის კაპრიზს სწავლობენ და თავის სასარგებლოდ იყენებენ.
12836. კულტურის ღირებულებათა დოგმები საუკუნეებს უძლებს და არა – რწმენა, ტექნიკური პროგრესი, შეგნება.
12837. ლიბერალიზმი რწმენასთან შებმის საშუალება უფროა გართობის მცდელობით, ვიდრე საქმის კეთების თავგადადებული სურვილი.
12838. ქრთამის აღება-გაცემას თავისი დანიშნულება აქვს, ბიუროკრატიზმს ისე უნდა ებრძოლო, რომ საქმიანობას არ ავნოს.
12839. გაჭირვებულს ეხმარებიან, მათხოვარს ჩუქნიან, რადგან პირველი გარემოებათა გამოა უძლური და დახმარებას საჭიროებს, ხოლო მეორე პროფესიონალია და საწვრილმანოს ითხოვს.
12840. განათლება დანაშაულის შემცირების ერთ-ერთი ხერხია, მაგრამ მათრახს და ეკონომიკურად მომძლავრებას ვერ ჯობნის.

12841. ცნობადობას თავისი მინუსიც აქვს: ყველა შენგან ელის შველას, რჩევას, დახმარებას.
12842. ორგანიზაციული ნიჭი და ადამიანთა ხელმძღვანელობის უნარი განგების ნებაა.
12843. ნაკლოვანებებს სხვაში მეტსაც ვამჩნევთ და უკეთაც ვითვისებთ ჩვენი ყოფის გასამართლებელ-გასაუმჯობესებლად.
12844. რა არის ცოდვა, ამას საზოგადოების განვითარება განსჯის და არა – სარწმუნოება.
12845. ხელმძღვანელს, ორგანიზაციულ ნიჭთან, ცოდნასთან, ერთად, მსახიობის და რეჟისორის ნიჭიც სჭირდება.
12846. ვნება გარყვნილი არ შეიძლება იყოს, გააჩნია დროს, საზოგადოების მენტალიტეტს და მის რაციონალურ გამოყენებას სულის და სხეულის დასატკბობად.
12847. ერის კულტურას, მებაღეობას, ნიჭით აღსავსე აგრონომი სჭირდება, სიახლესთან შეჯერება-მოთხოვნით.
12848. დღეს-დღეობით სულის გასაყიდი სერთიფიკატის გამოშვებამ იმატა, სამაგიეროდ, მყიდველმა იკლო, რადგან ერი თანდათან გონს ეგება.
12849. სურვილების და შესაძლებლობების თეორია მაშინ დაუახლოვდება ერთმანეთს თუ ქვეყნის სათავეში გონივრულად ჯიუტი მმართველი მოვა.
12850. ბიო-სექსუალური პოლიტიკის გატარება ქვეყნის ეკონომიკის უსუსურობის შედეგია, რათა საზოგადოება გაიყიდოს, აზროვნება დაითრგუნოს, გაირყვნას, რაც საბოლოოდ ქვეყნის ნგრევას იწვევს.
12851. აჭრილი საზოგადოება, მტრის ხატის გარეშე, თამაშგარე მდგომარეობაშია, რადგან თვითშეგნება დაქვეითებული აქვს და სამშობლოს ბედი „ზრდილობის“ გულისთვის აინტერესებს.
12852. პროგრესის ძალა ხშირად ღმერთის ავტორიტეტს ამაღლებს, რადგან ჩვენს ცნობიერებას მომდევნო გაუგებარი კითხვაც ემსახურება.
12853. ხელისუფლის განსაკუთრებული მისიაა თანამედროვეთა წინაშე კი არ აგოს პასუხი, არამედ ერის ისტორიის და მის მომავლის კვლავწარმოების წინაშე.
12854. დღეს შეხვედრათა და განშორებათა მომენტები თავის არსით დამამშვიდებელია, რადგან ხმის ურთიერთმიწვდომის საშუალებები გაადვილებულია.
12855. ყველა ლამაზია, თუ მის შესატყვის რეკლამირებას ვახერხებთ,

მათ შორის, უცხო ქვეყანაშიც.

12856. მდიდარი ღარიბს უფრო უგებს, ვიდრე ღარიბი – მდიდარს, რადგან სიღარიბეს თავის უნიათობის აღიარება არ უნდა, მაშინაც კი, როდესაც შური გულს უღრღნის.

12857. რადგანაც ხალხი ხშირად ცდება თავის არჩევანში, დემოკრატიასაც კონტროლი სჭირდება, შეცდომის გამოსასწორებლად და ეს „უხუცესთა საბჭომ“ უნდა იკისროს.

12858. შვილის ყოლა ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ხოლო აღზრდა სამსახურია ქვეყნის, ისტორიის, წინაშე.

12859. იმ ქვეყანაში, სადაც ნიჭის გაყიდვა ჭირს, ყოველთვის თავს ვიგინდარები წამოჰყოფენ და ერის კუთვნილი გონიერება იძულებულია სხვაგან ეძებოს თავისი ნიჭის მყიდველი სამშობლო.

12860. ერთ-ერთ აღმოსავლურ რადიოს ეკითხებიან: შესაძლებელია თუ არა მამაკაცის დაორკეცება? თეორიულად არა, მაგრამ პრაქტიკულად ცდები გრძელდებაო!“ ასევეა საქართველოშიც: თეორიულად დემოკრატიის დანერგვა ქვეყანაში შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად აქედან, ჯერ-ჯერობით, სახეირო არაფერი გამოდის, ჩვენი ბუნების და გენეტიკის გადამკიდე.

12861. თუ ბიუროკრატიის წინააღმდეგ საქმეს აჩალიჩებენ და კოლექტივში ეს ქმედება პროტესტს არ იწვევს და ამას ვიღაც ამხელს, ის ადამიანი გამცემია. თუ სამსახურში რაღაცას ბაცნობ და ამით ცხოვრების პირობებს იუმჯობესებ და კოლექტივის ნახევარი წინააღმდეგი არა ასევე მოიქცეს და ამას ვინმე სადაც ჯერ არს იქ აცნობებენ, ის ადამიანი დამსმენია, ხოლო თუ ისეთი რამეს ჩალიჩობ, რომ კოლექტივი წინააღმდეგია, მაგრამ მავანნი ჩუმად მხარს გიჭერენ და ამ ქმედებას ვიღაც გაატირაჟებს, ის ადამიანი ჩამშვებია. ესაა და ეს გამცემის, დამსმენსა და ჩამშვებს შორის სხვაობა.

12862. სენტენცია აზრიანი ცნებების გაზიარებაა, ჭკუის სასწავლებელი გამონათქვამებით, მაგრამ დღეს ჭკუის დარიგება რომ ყველას ნერვებს უშლის და ამიტომაცაა, რომ წამლობა სასურველ შედეგს არ იძლევა.

12863. მტვერდაუდებელი ცნობადი პიროვნების 100-ის ფარგლებში დატოვება იმიტომაცაა საინტერესო, რომ მათ ახალი გენიოსი, პიროვნება, ძველის გამოკლებით ჩავანაცვლოთ, რათა გავიგოთ საზოგადოება როგორ ვითარდება და ტექნიკური პროგრესი წინ რა სიჩქარით მიიწევს.

12864. ძალა განათლების შედეგს ეპუება, სანამ ეს უკანასკნელი თავის დაუნდობელ ალიყურს არ აჭმევს.

12865. ეროვნულობაზე მყნობა შესაძლებელია, მაგრამ საძირე პირველად სახეს იბრუნებს თუ მოვლა-პატრონობა დააკლდება.
12866. დღეს ჩვენს ქვეყანაში კულტურა, სულიერება და კაიკაცობა „გრანტების“ ძებნაშია.
12867. სტაბილურად ცუდ პერიოდში დემოკრატიის ეგიდით ცხოვრება, ხშირად, დაგმობილ დიქტატურას მოგვანატრებს.
12868. უსაზრისო დემოკრატია ფსიქოდაავადებებთან გვაახლოებს და სამკურნალოდ გვხდის.
12869. გლობალიზაცია ფაქტიურად ნაციონალობის დაკარგვას გულისხმობს, რადგან დემოკრატიის საკითხებს დაფინანსება წყვეტს და არა უკანა პლანზე მოსროლილი აღზრდა, პატრიოტიზმი.
12870. ქვეყნის მწყემსობა „მეცხვარეობის შეცდომებზე“ ნასწავლი ხელოვნებაა.
12871. „მამული, ენა, სარწმუნოება“, იმ ქვეყანაში, სადაც ქაოსია, რჩება ამაოებად და სიტყვის მასალად.
12872. წესრიგი, მორჩილება, ტრადიციებისთვის პატივის მიგება, აღწევს შედეგს და არა – ქაოსი, ყოყლოჩინობა და სხვათა „მანტიის“ მორგების მცდელობა.
12873. ერს ფილოსოფოსი სჭირდება სატრაბახოდ, თავის წარმოსაჩენად და არა ჭკუის დასაღვინებლად.
12874. ენით „ბაზარი“ – გართობის მცდელობაა, ყბედობა – უსაქმურობის ტლიკინით გამართლება, მაგრამ არც ერთს თავის მოყვარული არ ელევა.
12875. ჩემთვის მიუღებელია ის წყობა, სადაც „დარეხვილები“ ვითომ ქვეყანას ქმნიან და მის სახელმწიფოდ წარმოჩენას ცდილობენ.
12876. ახალ იდეალებზე გადაგორება-წამოწოლას არც ერთი ერისთვის ხანგრძლივად სიკეთე არ მოუტანია, რადგან თავისი მეობის კოდს ვერ ივიწყებს.
12877. ქირურგის ხელები, თერაპევტის დაკვირვება და ფსიქიატრის „ნაღრძობი ჭკუა“ ყველა დაავადების მტერი და მკურნალია.
12878. ღირსებას ნაღვაწი აფასებს და დიდი მოგვიანებით – ხალხი.
12879. გონიერება, გამოცდილება, გვკარნახობს, რომ საკუთარ ხალხზე აუგი არ ვთქვათ, მაგრამ როგორ უნდა ვუწამლოთ, გამოვაფხიზლოთ, თუ ხანდახან ალიყურის გემოს არ ვაგრძნობინებთ.
12880. ცივილიზაციაც თავის გასამრჯელოს ითხოვს, ოღონდ კრედიტით.
12881. ხელისუფლის კაპრიზის დაკმაყოფილება ისევ ხალხის დაუკითხავად, მათივე ხარჯზე, ხდება.

12882. მდიდარია ის, ვისი ნაღვაწითაც ხალხი საუკუნოებით არსებობს.

12883. როგორც კი პატარა ეთნოსზე (მაგ., სვანებზე) უსვად დაიწყება ანეგდოტების შეთხზვა, ეს ქვეყნის პოლიტიკურ დაქვეითებაზე მიუთითებს, რადგან მან მასშტაბი დაკარგა.

12884. სახლი შენი მეობის შესაფერის საზოგადოებაში უნდა შეიძინო ან აიშენო.

12885. დღეს დაუმსახურებელი ბედნიერებით თავს მშვენივრად გრძნობენ, რადგან ბედნიერების სტატუსი შეცვლილია.

12886. ხალხი, რომელიც თავის წარსულს ვერ აცნობიერებს და მასში მოღვაწე „გმირებს“ დასცინის, პატივმისაგებ ერად ვერასოდეს ჩამოყალიბდება.

12887. რა შემთხვევითი ხალხიცაა, ის შემთხვევითი მთავრობაც ჰყავს არჩეულ-დანიშნული. აქ სხვებზე სასაყვედურო და საპროტესტო აარფერია.

12888. ინფორმაცია დღეს გართობის, დროის მოსაკლავ, საგნად იქცა და არა – ჭკუის სწავლებისა.

12889. ენაზე კბილის დაჭერა მტერსაც რგებს და მოყვარესაც, რათა მოუმზადებლად ერთმანეთს არ დაუპირისპირდნენ და მშვიდობა შეინარჩუნონ.

12890. რევოლუციის თესლი ყველა ქვეყანაშია ჩათესილი, გააჩნია მას როგორ „უვლიან“.

12891. ქრთამი ბიუროკრატიის კედელს ანგრევს და არა – კორუფცია, რომელიც სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის.

12892. ადამიანს საზოგადოება აყალიბებს, ქმნის და არა – პირიქით, როგორც ეს ზოგ-ზოგებს ჰგონია.

12893. ჭკვიანი ლიდერი სიამოვნებით ჩრდილში ცხოვრებას ამჯობინებს, თუ მას თავის ადგილის და პერსპექტივის შენარჩუნება უნდა.

12894. რეალური ბედნიერების გაგება-შეცნობა არც ერთი თაობის ხვედრი არ არის.

12895. დიდების გვირგვინს განგება ღირსეულთ უმზადებს, მაგრამ რატომღაც უღირსნი ეპოტინებიან და იტოვებენ კიდეც.

12896. ბედისწერას ჩვენი გონიერებაც ემორჩილება და ჩვენს მიმართ სხვათა მცდელობაც.

12897. უვარგის ხელისუფალს ქვეყნის სათავეში არეული დრო წამოასკუპებს, ჭკუააშლილი ხალხის ხარჯზე.

12898. ვაკეთოთ ნაკლები, მივიღოთ მეტი, ვიცხოვროთ მიბაძვით და ხალისით – ეს პოსტულატია დღევანდელი ქართველის აქილევსის

ქუსლი.

12899. უმრავლესობის მოწონება იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელობას ერგება.

12900. უსაქმურობა უფრო დასაძრახია, ვიდრე თუნდაც უვარგისის კეთება.

12901. გონიერება ქვეყნის მასშტაბით მაშინ ფასდება, როცა ხელისუფალი გონიერია.

12902. სამწუხაროდ, დღეს დემოკრატია ტერმინია, რომელსაც ხალხი და ხელისუფლება თავის მოსატყუებლად ებღაუჭება.

12903. ბრბოს, თუ შეგიძლია დროულად თავში უნდა წამოარტყა. თუ დაგვიანებულია, განერიდე, რათა ყველაფერი ხელისუფალს არ დაბრალდეს.

12904. იდეალური საზოგადოება არ არსებობს და არც იარსებებს, მაგრამ რომ ყველასათვის მოსათმენი იყოს შეხლა-შეძახილის გარეშე, შესაძლოა გონიერების ჩარევით.

12905. პატიოსნება ძალზე ზარალდება თუ დანაშაული მცირე დოზით მაინც არ ხდება.

12906. სტრესთან ომის წამოწყება ძლიერი სულის საქმეა.

12907. ურთიერთობას ზოგჯერ ურთიერთშეცდომების მონანიება ამყარებს.

12908. ყველა თანამდებობა დემონთანაა კავშირში და ფაქტიურად მისი ნომენკლატურაა.

12909. საშინელებაა თაობისთვის, როდესაც ნიჭიერი შემოქმედი უცნობია ან ნაკლებად ცნობილი.

12910. წინაპრის მიერ დატოვებული სახელი არც თუ ისე ურიგო ანდერძი და უძრავი ქონებაა.

12911. ადამიანის საერთო მოთხოვნები მის პირად მოთხოვნებზე მეტია.

12912. ადამიანის, კაცის, პიროვნების, მოქალაქის, მოძიება ხელისუფლის თანამდებობაზე ამ ხალხისაგან არ ხერხდება და ხელში უმთავრესად ნაძირალა ხელისუფალი გვრჩება.

12913. აუტისტთა ოდენობა ინტერნეტთან ურთიერთობამ ზომაზე მეტად მოგვიმრავლა.

12914. ყოფის ტალახის შეგუებაც უმადურობით დადაღული ჭკვიანების ხვედრია.

12915. თუ აკეთებ სამსახურში რაც გევალება, კარგი მოსამსახურე ხარ, თუ იმაზე მეტს, რაც დაგავალეს – უფროსის კონკურენტი. ე.ი. დროულად მოსაშორებელი ხარ.

12916. ორატორისთვის უმთავრესია ვის უნდა ელაპარაკოს, რათა შედეგად აპლოდისმენტები გაინაღდოს.
12917. იყო პირველი – მოწოდებაა, იყო მეორე – გონიერება, იყო მესამე – კუდის ამწევი არარაობა ხარ.
12918. ერთი განცხადებაც საკმარისია ინტერნეტში აჟიოტაჟის გამოსაწვევად თუ საკითხი ორიგინალური და საყოველთაოა.
12919. ერთი პიროვნების წარმოჩენა, მთელი ერის აღმოჩენა და სამყაროს საკუთრება ხდება.
12920. დემოკრატია არ ისწავლება, ის უნდა შეიცნო, შინაგანად გაითავისო და ქვეყნის მართვის ტრადიციად უნდა ვაქციოთ.
12921. დიდებას ქმნიან განგების ნებით და ხალხის მისწრაფებით.
12922. არაპოპულარული საქმიანობა გაცილებით მეტ შემართებას, თავკონტროლს მოითხოვს, ვიდრე პოპულარული.
12923. მოსმენით ყველას უნდა მოვუსმინოთ, მაგრამ გადაწყვეტილება, თუ აუცილებელია, ჩავასწოროთ, მაგრამ არ შევცვალოთ.
12924. ხალხებს სიყვარული, ურთიერთგაგება აერთიანებთ, მაგრამ მოჭარბებული პრეტენზიულებს ხდის და ერთმანეთს დროებით წაჰკიდებს.
12925. მორჩილება ზოგჯერ მისაღებია, მაგრამ გადამეტებული გვრთგუნავს.
12926. პირველობას არ უთმობენ, მას ჰკარგავენ.
12927. ადამიანს ნიჭის შესატყვისად თუ ვაღვაწებთ, ქვეყანას ქომაგად მოევლინება.
12928. სხვასასხვა სამყაროს ადამიანებს ურთიერთობა უჭირთ, განსაკუთრებით, თუ იმქვეყნადაც გინდა გააცილო და გაჰყვე.
12929. სხვებთან ჩვენი დამოკიდებულება განსაზღვრავს და აჯამებს ამქვეყნად ჩვენი ყოფის არსს.
12930. სულით მარგინალებს არ შეიძლება მათთვის მოსაწონი მთავრობა ჰყავდეთ.
12931. ადამიანის ამპარტავნული სისუსტის მიუხედავად, ცნობადობას მაშინ აქვს აზრი, თუ შემოსავალს იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთხოვნელთა მომრავლება და უამრავი დროს დაკარგვა გველის.
12932. სიმართლის თქმა, ნიშანში მორტყმით, გარეშეთა მხიარულებას, ღიმილს, იწვევს.
12933. ხელისუფლებამ ხალხს მზრუნველობა არ უნდა მოაკლოს სიყვარულით, ოღონდ დაძალებით და საქმის კეთებით.
12934. ყველა საუკუნე ღირსეული წინამძღოლების ძებნა-შეჯერებაშია და ხშირად – უშედეგოდ.

12935. დღეს არქონა, ქონებასთან შედარებით, ცოდვაა, ე.ი. უვარგისი ხარ.

12936. სხვისი დამფასებელი, ხშირად, იმ პიროვნებაზე გონივრულად გამოიყურება.

12937. უგუნურებას, ბოროტებას, გამასხარავება უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე დასჯა.

12938. ხშირად კარიერის ყოფის ბილიკზე იქ ვიტეხთ ფეხს, სადაც უმეცარნი მშვიდად დადიან და დასეირნობენ.

12939. მის პლანეტა, მის დედამიწა, სექსსიმბოლო, ქალის მკერდი, ქალიშვილის ტრაკი, მომხიბვლელი სიდედრი, საცნობი დედამთილი, ულამაზესი ტრანსსექსუალი და ათასი ამგვარი კონკურსი ტარდება თავისი პიარით, ტიტულებით, მოზრდილი დაფინანსებით, რასაც, გვინდა – არ გვინდა, საზოგადოების გადაგვარება მოჰყვება, რადგან ბოზობაა მოდაში და არა – შრომა.

12940. ძალაუფლება ქონებასთან და ფულთან ასოცირდება.

12941. ხელისუფლებას არ უნდა ვენდოთ, მაგრამ არც უაზრო ყბედობით უნდა დავწიხლოთ.

12942. ადამიანს ყველაზე მეტად თავკონტროლი სჭირდება, რომ სიკეთის კეთება ქვეყნის სასარგებლოდ ისწავლოს და თავი ღირსეულ მოქალაქედ იგრძნოს.

12943. ბრიყვის დიდების კვარცხლბეკზე წამოსკუპება გონიერების დაცინვაა.

12944. იმ ხალხის მართვაა ძნელი, რომელსაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და თავისი ნაფიქრალის სჯერა.

12945. მთავარია, ქვეყნის მოქალაქედ ვიქცეთ, თორემ ადამიანად ვიბადებით.

12946. მამები შვილებზე სიკეთის დანათვლას ცდილობენ, ისინი კი მათ ჩვევებს იღებენ.

12947. ოჯახის შენარჩუნების ინტერესებს, ხშირად, საზოგადოებრივი აზრი ღუპავს – „რას იტყვის ხალხის“ რაობით.

12948. თანამდებობის მომკას მოხერხებულობის თესვა სჭირდება, შესატყვისი დროის „მოთხოვნით“.

12949. დაპირისპირების ხანგრძლიობას ურთიერთცოდვების ოდენობა განსაზღვრავს.

12950. რუსეთს და აშშ-ს XXII საუკუნის დასაწყისში დედა აქვთ ნატირები თუ ერთი რეალური სოციალიზმის დიქტატს არ დაუბრუნდება და მეორე ფუფუნებას და ყოყლოჩინობას არ შეეშვება და რიგითი ქვეყნების სტატუსით არ დაკმაყოფილდებიან.

12951. პარაზიტი ელადაში დაუპატიჟებელ სტუმარს ნიშნავდა, ხოლო ჩვენში პარაზიტები სტუმრობის გარეშეც ბევრია.

12952. სხვის დაკრულზე ბუქნაობა ქართველს გენში უზის, ოღონდ მანამ, სანამ დამკვრელს სიქას გააცლის და ცოტა შესვენების შემდგომ კვლავ ახალ დამკვრელს ეძებს, რადგან მათ გარეშე თავის „ჭკუაზე“ ბუქნაობა ძალზე უჭირს.

12953. მტრებთან, მოწინააღმდეგეებთან, სპონტანური შუღლის ჩამოგდება უფრო ძნელია, ვიდრე მოყვარეებთან.

12954. სხვათა განათლება უფრო მეტ მცდელობას, შემოქმედებას, მოითხოვს, ვიდრე საკუთარი თავისა.

12955. მტერს, მოწინააღმდეგეს, შენს ნაკლოვანებებზე უფრო რეალური წარმოდგენა აქვს, ვიდრე შენს მეგობარს.

12956. სამართლიანობა, წესრიგი, კანონმორჩილება, თეორიულად ყველასათვის მისაღებია, მაგრამ...

12957. მდიდრების, კარიერისტების, ცოლებს, სიმდიდრე-თანამდებობის მოპოვებასთან ერთად, სიბრიყვეც ემატებათ.

12958. ზოგჯერ, რა სწყინს და რა სიამოვნებს, გონებაც ვერ ერკვევა, თუ მოღვაწეობა „აჭრილ“ დროსა და საზოგადოებაში უხდება.

12959. ურთიერთობაში ყველაზე დიდი ხელოვნება წყენის შეუმჩნევლობაა იმგვარად, რომ შემდგომ წყენინება ვერ გაგიბედონ.

12960. სიმდიდრის დაგროვება, სხვათა უნიათობის დამსახურებაა და არა მათი გაქურდვის შედეგი.

12961. გიჟებს გზას ზოგჯერ გონიერება უკაფავს თავისი დაუდევრობით და უნიათობით.

12962. ცოტას და აზრიანის თქმა მისასალმებელია, მაგრამ მისი გამგებ-დამფასებელის მოძიებაა ძნელი.

12963. საკუთარი გამოცდილების, გონიერების, ფრქვევა გაცილებით ძნელია, ვიდრე მისი „მასმედიიდან“ შეძენა.

12964. ცოდნა-არცოდნის შეჭიდების შედეგად მიღოღავს ეს სამყარო, მაგრამ საით, უცნობია.

12965. წინჭვრეტა ფილოსოფიის საქმეა, საქმის კეთება და გამოსწორება – ორგანიზაციული ნიჭის.

12966. ძალით რეკლამების დაჯერებას, ისევ მისი გამოცდა სჯობს.

12967. მთელი უიღბლობა დავადებულ საზოგადოებაში გაჩენა და ცხოვრებაა, რომელსაც, ჯერ-ჯერობით, მკურნალობა არ შველის.

12968. „პატარა ერები არ არსებობენ“, არსებობენ ამ ერების წარმომადგენელი ხელისუფალნი, რომლებიც იმაზე მეტად იქაჩებაინ, რაც ეკუთვნით და შეუძლიათ.

12969. ჭკუით დაკოჭლებულიც ხშირად თავისი პიარით ცხოვრობს.
12970. აკრძალვა, სიხარბე, იარაღის ფლობა, იწვევს სიღარიბეს, თავზე ხელის აღებას და ცრუ კერპების მომრავლებას.
12971. ცივილიზაცია ადამიანთა რაობის და მათი წარმოჩენის კონ-გლომერატია.
12972. ხალხის სტიქიას წარმმართველი სჭირდება, რათა მან სწორი გზა გაიკვლიოს.
12973. ინფორმაციის ნაკლებობა მცდელობის უნარსაც გვიზღუდავს და ცოდნის გამომზეურებასაც.
12974. მტერს ერთ სუფრას უშლიან, მოყვარეს – მეორეს და აქ სუფრის სიუხვე კი არ არის მთავარი, არამედ – გული.
12975. სურვილისაგან განსხვავებით, ჭკუით არავის უნდა ენდო.
12976. აკეთო ის, რაც ყველას ყურადღებას მიიქცევს და ცდილობენ ათვისონ, გონიერების ზეიმიცაა და დიდებაც.
12977. ყურადღება და დაფასება ადამიანად დარჩენის მსურველებს ზრდის.
12978. მასის ოდენობა ვერასოდეს ადამიანობის ხარისხს ვერ სჯობ-ნის.
12979. რეფორმებს ქვეყანაში დილეტანტები კურირებენ და გამოცდილების უგულებელყოფით ატარებენ, მაგრამ პასუხს რატომღაც არავინ სთხოვს.
12980. მშვიდობიანობის დროს ადამიანებს იმდენი საყოფაცხოვრებო პრობლემა ექმნებათ, რომ ერთმანეთისთვის ვერ იცლიან.
12981. ზოგიერთს მოსაწონი აზრის „ღეჭვა“ უხდება, რათა ხალხმა გაითავისოს.
12982. ქორწინება ყოველთვის მომგებიანი ლატარიაა, თუნდაც იმიტომ, რომ ახალი სიცოცხლე ჩნდება, შვილები მრავლდება ე.ი. საქმეს აკეთებ, ქვეყნისთვის იღვწი, რაც შეეხეება სიყვარულს და ურთ-იერთგაგებას, ის ყველა ოჯახის კარზე არ აკაკუნებს.
12983. პირველკაცებს მცირედსაც არ აპატიებენ და ავიწყდებათ, რომ ისინიც ადამიანები არიან.
12984. მრავალი ცოტას ყოველთვის ჯობნის, თუ მას რაღაცის კეთების თავი აქვს.
12985. ორატორი ყველგან მონოპოლიას ეძებს და ხშირად მიზანსაც აღწევს.
12986. ცრურწმენა, უნამუსობა, ვიგინდარებთან ერთად, განსაზ-ღვრავენ ზოგჯერ ქვეყნის ბედს, რადგან ხალხი უგუნურია და კუ-ჭის ამოსავსებად და გართობისთვის ყველაფერზე თავს ხრის.

12987. ხალხის კეთილგონიერება მის შეგნებაზეა დამოკიდებული და არა – ფუფუნებაზე.
12988. გეგმის შედგენას თანამეინახეები და კეთილმოსურნე ოპონენტები სჭირდება.
12989. ხალხს რა სურს, რეალურად თავადვე არ უწყის, მაგრამ მის „აზრს“ ხელისუფლება გამოხატავს.
12990. ხალხთან ურთიერთობის ცოდნა, თუნდაც მათი უგუნურებით „მხარის აბმა“, წარმატების საწინდარია.
12991. მოქალაქე რომ გახდე, ადამიანობა უნდა აიყვანო კუბში.
12992. განათლებული ხალხის მართვა კი არ არის ძნელი, არამედ უპრინციპოს, ქვეშქვეშას და ყველა რომ ჭკვიანია, ქართველებივით, ისეთის.
12993. ძალის გამოყენებასაც ტექნიკური აღჭურვილობა სჭირდება, დღეს სხვა დროა, უცოდინრობა ზარალიანია.
12994. გეგმაზომიერებისკენ მიმავალ გზაზე, სურვილის გათავხედება გადასწრებას ცდილობს და ხშირად ფერხდება.
12995. უზრუნველი ბავშვობა ყველამ უნდა გამოსცადოს, თუ გვინდა ქვეყნის მოქალაქე გახდე და არა – სტატისტი.
12996. რიდი, სიყვარული და შეგნებაა ადამიანს რომ მოქალაქედ აქცევს.
12997. საზოგადოების სასარგებლოდ ბევრი უცნობის და უცნაურის გამოყენება შეიძლება, თუ ის ამას გონებისგან იმსახურებს.
12998. პროფესიის შეცდომების გაანალიზების შედეგად აღმოცენდება პროფესიონალიზმი.
12999. საზოგადოებისათვის უმთავრესი ქალია და არა – კაცი, რადგან მის შვილებს შობს და სულიერებას უყალიბებს.
13000. ხელისუფლების დღევანდელი სანთელ-საკმეველი, მომდევნო თაობების რაობა-წარმოჩენის საფუძველია.
13001. ზოგჯერ გიჟებსაც მხარი უნდა ავუბათ, მათ რაობაში რომ გავერკვეთ და ზოგი მათგანი გონზე რომ მოვიყვანოთ.
13002. საზოგადოებისადმი უნდობლობას გონიერებას ვერ მივაკუთვნებთ, მაგრამ არც უგუნურებაა.
13003. მხოლოდ დამშეულს შეუძლია გაიგოს თანამოძმის განცდა-განწყობა.
13004. საუბრის უმთავრესი მიზანია კონტაქტის დამყარება, შემდგომ მოდის მიზანი და შედეგი.
13005. მთავარი ცნობადი საფლავის დატოვება კი არ არის, არამედ – დასამახსოვრებელი სახელისა ხალხის მეხსიერებაში.

13006. შეცდომებზე მითითება მაშინ შეიძლება, თუ ზემდგომი გონიერია და საქმის გამოსასწორებლად იღვწის, წინაღმდეგ შემთხვევაში, მლიქვნელობა და ყველაფერზე თავის ქნევა მოგვიწევს.

13007. სახელმწიფოს, ხელისუფლის, ინტერესები თუ ნაწილობრივ მაინც ხალხის ინტერესებს ემთხვევა, იმ ქვეყანაში სამოთხეს უკვე დაუსადგურებია.

13008. გონივრული სახელმწიფო მმართველობა განსაზღვრავს და განსჯის ჩვენი სირცხვილ-ნამუსის პარამეტრებს.

13009. ახალგაზრდობისთვის მთავარია იყოს თავისი ქვეყნის ისტორიის შემსწავლელი და არა დამკვირვებელი.

13010. დიპლომატი, „აიწონა-დაიწონათი“, ქვეყნისთვის სარგებლის გამოდნობას ცდილობს, სიცრუის და ქათინაურების ხელოვნებით, რომლის გარეშე მას დიპლომატის პორტფელს არავინ ანდობდა.

13011. პოლიცია ბალანსირებას ქვეყნებში, სადაც სუსტები სტატისტების როლში გვევლინებიან, ტაშის დაკვრით ან თავის ჩაღუნვით ახერხებს.

13012. მშვიდობას, ერის გამრავლებას და კულტურის შენარჩუნებას არაფერი სჯობს, მათ შორის, თავისუფლებისთვის ბრძოლაც, რომელიც ძირძველ ტერიტორიებს გვაკარგვინებს, მოსახლეობას ამცირებს და სხვა ქვეყნებში უკეთ ცხოვრებისთვის გვერეკება.

13013. ზოგ ქალს ასაკში ფული ქმარსაც ურჩევნია, საყვარელსაც, დაქალსაც, სექსსაც, რადგან ყავლი გასული აქვს და თავის წარმოსაჩენად ერთად-ერთი იმედი ფულიღა დარჩენია.

13014. ჩვენზე ცუდი აზრი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ჩვენთვის განაჩენის გამოტანას.

13015. ინდივიდი, ხალხი, ქვეყანა, როცა თავის ადგილს ვერ პოულობენ ოჯახში, საზოგადოებაში, სიმყაროში, გადამეტებული ამბიციების გამო, დაღუპისთვის არიან განწირულნი.

13016. წარსულის დოგმებისაგან გათავისუფლებას ნიჭი სჭირდება აწმყოს ალიყურით.

13017. ჭკვიანსა და ეშმაკს შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ, რადგან ორთავე მეტ-ნაკლებად ჩვენს ცდუნებას და წარმოჩენას ემსახურება.

13018. ჩივილი, საყვედური, კი არ არის მთავარი, არამედ ვის სჭირდება თქვენი მცდელობა, რამდენად აფასებენ და ანგარიშს გიწევენ.

13019. არიან ადამიანები, რომელთაც მხოლოდ შთამომავალთა გამრავლება შეუძლიათ და ღმართმაც ხელი მოუმართოთ, ხოლო ვისაც ხელი არ მიუწვდება, ისინი ვალდებულნი არიან ამ საქმეში დაეხმა-

რონ და პატრიოტიზმი ამგვარად გამოხატონ.

13020. იუმორის უნარი ნიშნავს, რომ ღვარძლი არ გვაკლია, მაგრამ ამას გაღიმების გულისათვის ჩავდივართ და თანაც ირგვლივმყოფთა სინდის-ნამუსის შეცნობას ვცდილობთ.

13021. სულელიც უაზროდ მრავლდება, თუ დრომ და გარემომ ხელი შეუწყო.

13022. ბოროტებას თუ ხელისუფლება საქმით ებრძვის, შედეგი აქვს, თუ ყბედობით – უშედეგოა.

13023. ზოგჯერ ჩვენი წარმატება-წარუმატებლობა სხვათა უყურადღებობის, უნიათობის, უგუნურების შედეგია.

13024. რა საზოგადოებაშიც უნდა ვიცხოვროთ, მაინც იარსებებს ორგანიზებული უმცირესობა არაადეკვატური ხედვით, რადგან მათ რეალური და შედეგიანი აზრი სახელმწიფოებრიობაზე არასოდეს ჰქონიათ.

13025. მარცვალს გაღვივების უნარი უნდა შესწევდეს, რათა ჯეჯილი პურად იქცეს. ასევეა ადამიანი, მას გამრავლების უნარი უნდა შესწევდეს, რომ მასა ხალხად იქცეს და ერად ჩამოყალიბდეს.

13026. ხალხის რაოდენობის მიუხედავად, მათში ადამიანის აღმოჩენა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით სჩანს.

13027. აზრი ძალით სარგებლობს და არა – პირიქით, რადგან ძალა გარკვეულ დრომდე ხელშეუხებელია და თავხედობს.

13028. ბრძოლა გამარჯვების შემდგომაც არ ცხრება, ამჯერად, სახელის წარმოსაჩენად.

13029. თუ მოინდომებენ, უწყინარ საქმიანობასაც კი დანაშაულის მუხლს აჰკიდებენ, გააჩნია, ვინ მართავს ქვეყანას, ხელისუფალი თუ კანონის უზენაესობა.

13030. ყველაზე მეტად საზოგადოებას გაუმართლებელი დახმარება ვნებს და თანაც უმადურობას იწვევს.

13031. წესიერება საზოგადოებაში მაშინ უნდა გამოჩნდეს, თუ ამის პირობაა შექმნილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაცინვის საგანი ხდება.

13032. საოცარია ადამიანთა მოდგმა, მათ უმრავლესობას როგორი პროპაგანდაც თავში ხელს წამოარტყამს, ისე ამეტყველდება, მცირედი ჩასწორებებით.

13033. ბუნება ხელოსნობას ვერ იტანს, მას თავისი საქმის პროფესიონალები სჭირდება, რათა არ ავნონ და მხოლოდ მისი შესაძლებლობანი გამოიყენონ.

13034. მეგობრობას რაღაც საერთო ინტერესებიც უნდა ჰქონდეს, რას-

აც მათი ურთიერთობა დაეყრდნობა.

13035. ხალხის გულის მოგება გვაიძულებს, მორევშიც შევტოპოთ, ჭუ-ჭყშიც ვიკოტრიალოთ და ზოგჯერ აბანოშიც განვიწმინდოთ, შემ-დგომ ყოველივეს თავიდან გასამეორებლად.

13036. დღევანდელი უკონტროლო, თავისუფალი და ფულს გამოკიდე-ბული „მასმედია“ ხალხს სულიერად აღარიბებს, მლიქვნელობისკენ და გადაგვარებისკენ დაუფიქრებლად უბიძგებს.

13037. საზოგადოებას უჭირს არაადეკვატური, გაუცნობიერებელი, ნი-ჭის გაგება.

13038. გამარჯვებას, იმედის გარდა, ღირსეული წინამძღოლი სჭირდ-ება.

13039. არც ერთი მთავრობა ხალხის მოსაწონი არ არის, იმდენად უმა-დურია ორივე მხარე.

13040. ესაუბრე, ეპაექრე, ყველას, მაგრამ მათს შენდამი კეთილგანწ-ყობას ნუ ენდობი.

13041. ქვეყნის მართვას, განათლებაზე მეტად, მოხერხებული ჭკუა სჭირდება.

13042. კარგი მთავრობაა ის, რომელიც ხალხს რაციონალურ შრომას და არა მარტო კარგ ცხოვრებას ასწავლის.

13043. მოჩვენებითი მომჭირნეობა და ალიბის მქონე პატიოსნება ხე-ლისუფლების შენარჩუნების და ხალხის ნდობის გარანტიაა.

13044. ფაქტობრივად ხალხი იცავს ქვეყანას და არა – არმია, რადგან თუ იგი ხალხმა დატოვა, არმია უძლურია.

13045. ბრიყვები „ბუნების დაცინვით“, ზოგჯერ ჭკვიანების დამცველად და წარმომჩენად გვევლინებიან.

13046. დამოუკიდებელი აზროვნების უფლება მხოლოდ ჭკვიანებს უნდა მივცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატიის პოსტულატები ვერ გაიხარებს.

13047. ქაოსი ყოველთვის წესრიგს მოითხოვს და უმთავრესად ძალის სამართლიანი გამოყენებით უნდა იღვწოდეს.

13048. პროგრესი და ხვალინდელი დღე ფუჭ სიტყვებად არ უნდა აღვიქვათ.

13049. პატრიოტიზმი, ეროვნულობა, პირველ რიგში, უგუნურებისგან თავის დაღწევაა პროფილაქტიკით და ზომიერი სიამაყით.

13050. არსებულისთვის წინააღმდეგობის გაწევა კი არ არის ვაჟკაცობა, არამედ მისი გაცნობიერება და სასურველ გზაზე დაყენება.

13051. ცივილიზაციას მარად თავისი გამოხდომები აქვს, მაგრამ ამას ყურად არავინ იღებს და მასზე ხელი არავის არ უკრავს.

13052. მეგობარს ვენდობით და არა მის აჩრდილს, რომელსაც თანამდებობა უჭირავს.
13053. ყველას გათანაბრებას ვიღაცის გამორჩევა სჯობს: უფრო მეტია ყოფის პერსპექტივა და შედეგი.
13054. სიმართლის მთქმელს ყოველთვის ქვებით დასდეევნ და ქოლავენ, თუ სათქმელს სათანადო დროს და ადგილს არ შეურჩევს.
13055. ხალხს პირზე ღიმილი ამშვენებს, ხელისუფალს – სერიოზულობა, ღიმილის „გაქცევით“.
13056. ხშირად სიტყვა ქცევის ნორმებს ეჭიდავება და ზოგჯერ იმარჯვებს.
13057. ინფლაცია, დევალვაცია, სიმდიდრის მოხვეჭის შოუა, რომლის უვარგისი შოუმენი ხელისუფლებაა.
13058. იყო დარგის სპეციალისტი, უკვე დაფასებული ცოდნაა.
13059. პატარა ერი უფსკრულიდან მოშორებით უნდა იღვწოდეს.
13060. ურთიერთგაგება საწინააღმდეგო აზრებით ურთიერთმომარაგების სურვილია.
13061. დანაშაულს ორი სჩადის, მაგრამ მათ შორის დაპირისპირებაში მაინც ერთი გამარჯვებული რჩება.
13062. ხშირად უალტერნატივოდ უმრავლესობის მხარდაჭერა, გონიერ აზრს აპარტახებს.
13063. არსებული პოლიტიკით „აღტკინებულთა“ სილაღეს, უგუნურთა ხელში, ბოლო არ უჩანს.
13064. ინტერნეტი დღევანდელობითვის მოუმზადებელ ბევრ ადამიანს რყვნის, მაგრამ მისთვის აღვირის ამოდების სისტემა ჯერ არ გამოუგონიათ.
13065. წინაპართა სახელს სათუთად მოპყრობა სჭირდება, რათა ჩვენი უნიათობით და საყვედურებით დაუმსახურებელი ჩირქი არ მოვცხოთ.
13066. ხელისუფლის სისუსტე ქვეყანას ახალ-ახალი კანონების და დადგენილებების წალეკვით ემუქრება.
13067. ყველანი ერთმანეთზე მეტ-ნაკლებ გავლენას ვახდენთ, ზოგჯერ იმათზეც, ვისაც არ ვიცნობთ და არასოდეს შეგვხვედრია.
13068. ხალხი შეიძლება სამუდამოდ ვერ გავაბრიყვოთ, მაგრამ მისი წინადაუხედაობა თავშისაცემ დროს ულიმიტოდ გვიტოვებს.
13069. სადაც კონკურენცია არ არის, ხალხი დუნდება, უსაქმურობის „ფუფუნებაში“ ეფლობა და ტექნიკური პროგრესის კუდში ჩანჩალს იწყებს.
13070. ყველა მცდელობა უნდა წავახალისოთ და ავარიდოთ უაზრო გა-

დავადებას.

13071. უმადურებთან საქმეს არ იჭერენ, თუმცა მათი თავიდან შეცნობა ძალზე ძნელია.

13072. საყოველთაო ბედნიერებას ხშირად პირად ბედნიერებასთან ვაიგივებთ.

13073. წარსული მარად მომავლისთვის ანათებს ან ბჟუტავს, გააჩნია რა თაობას ტოვებს.

13074. მთავარი თანამდებობა კი არ არის, არამედ ვინ ფლობს ქვეყნის მართვის სადავეებს.

13075. ყაირათიანობა ხალხმა სახელმწიფო ბიუჯეტის გონივრული გადანაწილებით უნდა ისწავლოს.

13076. პროგრესს უცნაურობასთან ჭიდილი მოსწონს, მისგან ზოგჯერ გენიალობას გამოადნობს.

13077. ქვეყანას თუ შუა ასაკი, ხერხემალი (40-65 წლები) გარიყული ჰყავს და მათ პოტენციალს სათანადოდ არ იყენებს, იმ ქვეყნის ფეხზე დაყენება ძალზე გაჭირდება.

13078. ფრთაასხმულ სიტყვას გაჯოხვა სჭირდება, გაღადავებით, რათა ის ყველასათვის მოსაწონი გახდეს.

13079. ბევრის მცოდნეს, სხვათა უვიცობის გამო, მათთვის საქმის საკეთებელ-დასარწმუნებელი სიტყვის თქმა უჭირს.

13080. საზოგადოება მაშინაა სრულყოფილი, როცა დასჯას ანალოგიური დანაშაულის ჩადენა არ მოსდევს.

13081. შენი აზრებით სხვათა თავების მათივე თანხმობით მყნობა, შენს გენიალობაზე თუ არა, პოპულარობაზე მაინც მიუთითებს.

13082. რეფორმები გონიერებას ეჭიდავებიან, მაგრამ მისი გარდაქმნა უჭირთ.

13083. ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების თუნდაც გონივრული ჭიდილი ხალხს ამხიარულებს და ართობს.

13084. კაცი, რომელიც თანამდებობას კარგავს, ნიშნის მიგებას ნაღვლიანი ღიმილით იწვევს.

13085. ქვეყანა, რომელსაც ზნეობის ნატამალიც არ შერჩენია, ზრუნვის ღირსიც არაა, მისი შემობრუნების მცდელობა გარკვეულ დრომდე, წლების ტყუილუბრალოდ დაკარგვაა.

13086. სამტროდ შეხვედრის ადგილს დანიშვნა არ უნდა, ეს მტრებისთვის ყველგანაა.

13087. ქვეყნის მართვის უხილავ სამზარეულოში ცხვირის ჩაყოფას ყველას ცნობიერება ვერ ეგუება.

13088. უცხო საზოგადოებაში გარკვევა ნიჭს მოითხოვს, ხოლო მისი

დროული დატოვება – გონიერებას.

13089. ადრე ისტორიაში ყველა დიდი საქმე სისხლით იწერებოდა, დღეს ღმერთმა ქნას და ეს საქმიანობა ინტერნეტს გადააბარონ.

13090. პროგრესი გონიერების თავისებური ალგორითმია და განგებ-ის ძალებს უფრო ემორჩილება, ვიდრე ჩვენს გათავხედებულ მის-წრაფებას ტექნიკური ფუფუნებისკენ.

13091. დღეს ხალხის სიყვარულის ყიდვაც შეიძლება, თუ „დასიაფანდე-ბული“ იმედით დააფინანსებ.

13092. მე ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ ხალხის უმეტესობა გონიერე-ბასთან მწყრალად არის და ეს მას დიდად არ ანაღვლებს.

13093. ნდობა ნდობით და საერთო საქმის კეთებით უნდა გამაგრდეს.

13094. კრიტიკის გარეშე არც ურთიერთობა არსებობს, არც – გაერ-თიანება, არც – წარმოჩენა და არც – სიკეთის მომტანი შური.

13095. შემოქმედ ადამიანთა სამყოფელი, თუნდაც პატარა ქვეყანაში, ხშირად დიდ და მდიდარ ქვეყნებს უჯოკრავს და სჯობნის.

13096. უჟმურ ხასიათს, მავნე საქციელს, მათრახის გატლაშუნებით მკურნალობენ.

13097. პროგრესი გონიერებისთვის ორჯერ მეტად დაჭიტლაყებას ნიშ-ნავს, ვიდრე საქმიანობა და მისგან თავის დაძვრენა.

13098. ყველა ადამიანს ოქროს წესის („არაფერი ზედმეტის“) შესა-ტყვისად რომ ეცხოვრა, სამყაროს ამდენი დივიდენდების გაღება არ მოუწევდა და ბუნებაც ამდენ ალიყურს არ გაგვაწნიდა.

13099. რაც მოხდა, ანალიზს მოითხოვს, რაც მოხდება – პროგნოზს.

13100. სასჯელი, თეოლოგია, სინანული – აი, ქვეყნის კანონიერად მარ-თვის და ჩვენი ჩამოყალიბების ანიც და ბანიც.

13101. სახელმწიფო მაშინ სუსტდება, როდესაც მისი მოსახლეობის „ნა-ღები“ ქვეყნიდან გარბის ხელისუფალთა გათავხედების, უგუნურე-ბის და უნიათობის გამო.

13102. დანაშაულის ჩადენას, გადაგვარებული გენის წინაშე უსუსური ხელს საზოგადოების უნიათობა უწყობს.

13103. გემოვნება თანდაყოლილია, მაგრამ მის აღზრდა-წარმოჩენას სა-ზოგადოების ჭკუა სჭირდება.

13104. რაც არაელიტარულია, ჩემთვის „სოფელია“, რაც უნდა სახალხო გადაცემა იყოს და მასობრივი მაყურებელი ჰყავდეს, რადგან გონის საჭყლეტი სანახაობა მიჯობს.

13105. პირველყოფილ, უკომპლექსო და ძალიან თავისუფალ ადამიანს კულტურა არ გააჩნია, ხოლო დემოკრატია – თავისუფლების ქარ-ტია, კულტურის გარეშე უაზრობაა.

13106. უაზრო თავისუფლების გაფეტიშებამ „პავლიკ კორჩაგინების“ მომრავლება იცის, დღეს დემოკრატიის პრეტენზიის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში შვილს შეუძლია მშობელი ტელეფონით დაასმინოს.

13107. სამყაროს განსჯის და მის არსში ჩაწვდომის უნარი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ხოლო „მსოფლმხედველობა“ – ყველასი, ვინც „მასმედიით“ ერთობა.

13108. ბოროტებისთვის ძალაუფლების მიცემა დანაშაულია საკუთარი ხალხის წინაშე.

13109. ხალხს თუ ფიზიკური განადგურება ემუქრება, თავს ვერ გადაირჩენს, რდგან რწმენა და ტრადიციები მეორადია.

13110. მორჩილება ცუდი როდია, თუ ზემდგომი ნახევრად შეშლილი არ არის.

13111. წინასწარმეტყველნი ყოველთვის მოდაში იყვნენ, მაგრამ ბოლომდე მათი არასდროს სჯეროდათ.

13112. ინტერნეტი ცნობიერებათა გაღიზიანების დიდი საშუალებაა, მაგრამ რამდენად გვიმდიდრებს ჭკუა-გონებას, ძნელი განსასჯელია.

13113. ყველაზე მეტი დაფინანსება გონიერებას უნდა, რათა ქვეყანა დასახულ და დაუსახავ მიზნებს სასიკეთოდ გაეპაექროს.

13114. საზოგადოების შენებას თამამი ხალხი სჭირდება და არა – საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი.

13115. კიდევ კარგი, საყოველთაო აღიარება ერთვეულთა ხვედრია, წინააღმდეგ შემთხვევაში რა გაუძლებდა ამდენ რეკლამას.

13116. ის, რაც ქვეყანას არ რგებს, არც მოქალაქეებისთვის მოაქვს სარგებელი.

13117. მოდა ცვალებადია, დოგმა მდგრადია, პირველს შერჩევა უნდა, მეორეს – გათავისება.

13118. დღეს თუ სენსაციები არ გამოჩხრიკე, ნაღვაწზე არ იყბედე, არც შეგამჩნევენ და „მასმედიაც“ ინტერნეტთან ერთად ზურგს შეგაქცევს.

13119. ყოველივე ცუდი და გაუგებარი, რაც კი ხდება სახელმწიფოში, ქვეყნის კონსტიტუციის, არასრულყოფილი კანონების და წინდაუხედავი ხელისუფლების უნიათობა-გადაცდენის ბრალია.

13120. სოფელთან დაშორებამ ადამიანები გაუუცხოვა ერთმანეთს, რადგან დღეს სოფლად დასვენება „სირცხვილად“ ითვლება ახალგაზრდებში.

13121. წყობის, პოტენციური გონიერების, ხელისუფლების, დანიშნულებაა, მოძალადე ცივილიზაციამ საზოგადოება დროზე ადრე არ გარყვნას.

13122. ყველა მანკიერების საბოლოოდ დამარცხება შეიძლება, თუ ამას ხელისუფლება ჭკუის და ძალის მოხმობით მოისურვებს.
13123. ადამიანთა ერთიანობის ხელის შემშლელია რწმენის დაკარგვა და მატერიალიზმის კაურები.
13124. დანაშაულის აღკვეთის ისეთი პირობები უნდა შეიქმნას, რომ მისი ჩადენის სურვილი თვით სულიერად დაავადებულ ავადმყოფებსაც მოესპოს.
13125. ადამიანების კატეგორიებად დაყოფაც შეიძლება და დანაწილებაც, მაგრამ ეს საზოგადოების ჩამოყალიბებას არ შველის თუ მას ლიდერი არ ჰყავს.
13126. დანაშაულს კომპლექსურად ებრძვიან, მაგრამ მის მოსპობას საუკუნეებთან შეჭიდება სჭირდება.
13127. ხალხთა მორალი სხვადასხვაა, მაგრამ მისი შეცნობის ალგორითმი ერთია – კონსენსუსი.
13128. გონივრული სიმკაცრე და მომთხოვნელობა ყოველ წამოწყებულ საქმეს დარგის დედოფლად ხდის.
13129. გონიერებისადმი მორჩილება სიმშვიდის მომტანია და ქვეყნის აყვავების გარანტიც.
13130. „ყოფის მათრახს“ მიჩვეულ საზოგადოებას დაუძალებლად, დაუყვედრებლად, დაუხმარებლად, დაუფინანსებლად, თავის გამოჩენა და ხელის გამოღება უჭირს და კიდევ დიდხანს გაუჭირდება თუ თაობები არ შეიცვალა.
13131. იმ ქვეყნის და ხალხის საქმე, სადაც ყველას თავისი სიმართლე აქვს, სავალალოა.
13132. მაგალითების ჩვენება იწვევს ქცევის ნორმების ელემენტების ათვისებას, ეს კარგი მაგალითების ფონზე იქნება თუ ცუდის გატირაჟებით.
13133. რეალურ და პერსპექტიულ საქმეზე მოლაპარაკე ხალხი ცოტაა, მაგრამ უფრო ცოტა – მისი გონივრული მსმენელი.
13134. ზოგჯერ სიჯიუტე, არაფრის კეთება, თავის დაზღვევის მცდელობაცაა „ძლიერთა ამა ქვეყნისგან“ აჭრილ ქვეყანაში.
13135. მართალმა სიტყვამ რომ ივაჟკაცოს, სათანადო გარემო და ჭკუადამჯდარი საზოგადოება სჭირდება.
13136. სამყაროში სიკეთეც ზეიმობს, მშვენიერებაც და სიმახინჯეც, რადგან უერთმანეთოდ ურთიერთშეცნობა გაჭირდებოდა.
13137. გამოზომილი სიტყვა, გონიერების საწებლით, ძვირად ფასობს, მაგრამ მისი დაგემოვნების უნარი ყველას არ შესწევს.
13138. ქვეყნის სიძლიერეც პირობითია, რადგან ის დროის ყივილზე,

ისტორიის უცნაურობათა კანონზომიერებებზე და განგების ხუშ-ტურზეა დამოკიდებული.

13139. ამბიციებით ჯიბრს და დავას სიკეთე არავისთვის არ მოუტანია, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის.

13140. ზომიერების ფარგლებში მრისხანება, გაწყრომა, საყვედური მტერსაც უხდება და მოყვარესაც.

13141. ხალხის სამსახურისთვის თავი უნდა მოვიქაჩლოთ, მაგრამ არც ხალხი უნდა დაგვრჩეს ვალში, თავი უკეთ რომ მოვიქაჩლოთ.

13142. კაცობრიობის მონაპოვარი ზოგჯერ განსჯას უნდა მივანდოთ, რათა აქსიომად არ აღვიქვათ და არ დავითრგუნოთ.

13143. საბოლოო მიზნისკენ მიმავალი ადამიანი ბევრია, მაგრამ მისავალი გზები აქვთ აბნეული.

13144. ბრბო მოსახლეობის ის უდიდესი ნაწილია, რომელსაც ნაღდი, წმინდა და საფიცარი ფაქტიურად არ გააჩნია.

13145. წყვილთა შორის მშვიდობის დასადგურება, მომთმენი გონიერების დამსახურება და ვალიცაა.

13146. ადამიანთა გულგრილობის ბრალია, რომ ლოთობს სუსტი ნებისყოფის ხალხი და ადგილს ვერ ნახულობს.

13147. გვერდზე გამდგარი ინტელიგენცია ქვეყანას სამსახურს ვერასოდეს უწევს, რადგან მარად გაქცევაზე უჭირავს თვალი.

13148. სოციალურ ღირსებათა სამართლიანობის სახელით წყალში გადაყრა, სისულელეა, მაგრამ, სამწუხაროდ, პატიოსანი ხალხი უინიციატივოა და არა – საკმარისად აქტიური.

13149. მოუთმენლობა სახელმწიფო შენებას ვერ იტანს და სიმწრით აშენებულსაც ანგრევს.

13150. გონიერებისთვის უმთავრესი ტაშის დაკვრა კი არ არის, არამედ მისი ნაღვაწის, შესაძლებლობების, დროულად გამოყენება.

13151. არაკეთილგანწყობა, დაუნახაობა, შური, წაქეზება, ადამიანთა ერთ მუშტად შეკვრას ხელს უშლის ერთიანი ბიზნესის მიუხედავად.

13152. ჯობს გონივრულად ქცევის ნორმები საკუთარი თავისთვის თავადვე დაადგინოთ, ვიდრე სხვამ დაგიდგინოს და პასუხიც მოგთხოვოს.

13153. სამსახურია ის, სადაც საჭირო ხარ, პატივს გცემენ და ანგარიშს გიწევენ და არა ის, სადაც ხელფასისთვის უხალისოდ და უსიტყვოდ დრო გაგვყავს.

13154. დღეს ყველაფრის კადრება „მოდის“, ოღონდ ვინმემ შეგამჩნიოს და პიარი გაიკეთო, რადგან ეს უკვე ფული და ცხოვრების წესია.

13155. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, როდესაც ყბედობის უფლება შეზღუდული იყო, ადამიანებზე გაცილებით უკეთესი წარმოდგენა მქონდა, ვიდრე დღეს, რადგან აუტისტებს „თავისუფალი“ სიტყვის თქმის უფლება შეზღუდული ჰქონდათ და იძულებით ენაზე კბილის დაჭერა მათ ჭკვიანებად და გამოუცნობ პიროვნებად წარმოადგენდა.

13156. „ტრაკის გამომხოცავ“ ე.წ. საზოგადოებას „პროგრესული იდეები და ერის ავტორიტეტი არ სჭირდება, რადგან მათთვის უმთავრესი ფუფუნებაა.

13157. ხალხის უმეტესობას – „ვაგონებს“, სურს თანამედროვე პოლიტ-ეკონომიამ პერსპექტიული ბავშვი შვას, ისე, რომ მათი მენტალიტეტი ისევ ქალწულად დარჩეს.

13158. კუზიან საზოგადოებას რევოლუციაც ვერ ასწორებს, რადგან ამ გენის ხალხს, მარად არეულობისკენ აქვს მიდრეკილება და ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის არც მოთმინება ჰყოფნით და არც გონიერება.

13159. „კუანა საზოგადოება“ მარად სხვათა ისტორიის დაჩმორება-წარმოჩენის ცდაშია და სხვათა გაბრიყვებას თავისი „გაქარებით“ ცდილობს.

13160. ხალხს უნდა საჩვენებელი მაგალითები, რათა მან დაგიჯეროს და სამშობლოს სიყვარულით შენი საქმიანობა იწამოს.

13161. ყველა ადამიანს შეიძლება დავეხმაროთ, თუ სათანადო უნარი და სურვილი გვექნება.

13162. კოლექტიური გონიერება სასურველ შედეგს არ იძლევა, რადგან ადამიანების ემოციები, შური, მატერიალური მდგომარეობა, ურთიერთგაგება სხვადასხვაა, რომელთა ერთ განზომილებაში ნებაყოფლობით მოთავსება შეუძლებელია.

13163. სატირას მაშინ აქვს აზრი, თუ ადამიანთა ცნობიერებაში რაღაცას ცვლის, აკეთილშობილებს და ასწავლის, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლოუნადაა.

13164. რეკლამის გაჯირითებამ ხალხის გადებილება გამოიწვია: ფულიან ადამიანს დღეს თუ არ უკიჟინე, რა უნდა იყიდოს, თავად ამის უნარი დაკარგული აქვს.

13165. სამწუხაროდ, ყველა ეროვნების უმეტესობა ბრბოსგან შედგება, რომელიც ფეხის ხმასაა აყოლილი და დროებით თავში წამორტყმასაც სიამოვნებით ემორჩილება, რაც შეეხება სახელმწიფოებრიობას და ქვეყნის მართვას, მასზე ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენაც არ აქვს და არც დიდად აწუხებს.

13166. ცივილიზაციისკენ მიმავალი გზა ყოველთვის ეკლიანია.
13167. მანკიერება, კეთილშობილება, ზოგჯერ ხალხის რისხვასაც იმსახურებს, მაგრამ დროებით.
13168. ყველა ადამიანი საზოგადოების ნაწილი გახდება, თუ ზოგჯერ ალიყურს ვაგემებთ.
13169. იერარქიას სარწმუნოებაც ითხოვს არა მარტო სულიერს, არამედ თანამდებობრივსაც, რადგან უამისოდ წესრიგი არც სულიერებაში და არც ხორციელ ცხოვრებაში არ დამყარდება.
13170. არეულ ქვეყანას, სამშობლოს, მაინც ე.წ. „ვაგონები“ გვინარჩუნებენ, რადგან „ორთქლმავლები“ მოუწყობელ ქვეყანაში ვერ საქმდებიან, გარბიან და იქიდან ეხმარებიან თავისიანებს. „ვაგონებს“ კი წასასვლელი არ აქვთ, რითაც ქვეყანას ინარჩუნებენ.
13171. ზოგიერთი ხელისუფლის შემხედვარეს გული გვერევა, მაგრამ მომავლის იმედით მაინც ვარსებობთ, იქნებ ჩვენც მოვესწროთ ხეირიან ცხოვრებას.
13172. სიბრძნეს გამოყენება სჭირდება, ცოდნას – ნადირობა, სიახლეს – შემჩნევა, ყოველივე ამას – დაფინანსება და ზემდგომის ნება, რათა დროულად აწმყოს მოემსახუროს.
13173. ტექნიკური პროგრესი აზროვნების შვილია და ცივილიზაციის ბიძაშვილი, გააჩნია ვინ როგორ იყენებს ამ ნათესაობას.
13174. ბრძანება სხვამ უნდა მოგვცეს, შესრულება ჩვენ უნდა ვიკისროთ, ხოლო პასუხი ბრძანების მომცემმა უნდა აგოს, ასეთია სუბორდინაციის წესი ჯარში და ხელისუფლებაშიც.
13175. უვიცობა დანაშაულს ამრავლებს და უდანაშაულოთ დამნაშავეებად წარმოაჩენს.
13176. ჩვენი ცივილიზაცია რომ მოკვდავია, ახლა ვხვდებით, მაგრამ ეს მომდევნო თაობებს არაფერს ჰმატებს.
13177. ადამიანთა სიმრავლისგან დედამიწამ თავი რომ იხსნას და არ გადაიტვირთოს, არის გამოსავალი: ერებს შორის უაზრო დაპირისპირების ნაცვლად მოსახლეობის გამრავლებაზე ქვოტა უნდა დამტკიცდეს, საარსებო პირობათა შესატყვისად.
13178. რევოლუცია თავზე უაზროდ შეყვარებული ხალხის პროდუქტია.
13179. რჩევების გაუთვალისწინებლობას შეგინდობენ, მაგრამ უარყოფით შედეგს მაინც არავინ გაპატიებს.
13180. ჩვენ ხშირად საგნებსა და ერთმანეთსაც სხვადასხვა თვალით ვუყურებთ, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების საზომი ძველი რჩება.
13181. დედაქალაქი ყოველთვის იყო უვიცთა, ავანტიურისტთა და იშვიათად, ბრძენთა, თავშესაფარი და ბედის საცდელი პოლიგონი.

13182. მოხსენებაში ბევრ სისულელეს ლაპარაკობენ, მაგრამ მის გარეშე ყურს არ დაგიგდებენ.
13183. ბრბო თაფლწასმული მათრახით და დაპირებებით ადვილად იმართება.
13184. ბრბოს სალაფავი აბამს, ქვეყანაში არეულობა ბუნებით ნაძირალებს წარმოაჩენს, შედეგად სისულელეს ვიღებთ.
13185. პოლემიკა ხშირად უგუნურებასთან დაუზარებელი შერკინებაცაა.
13186. გვინდა – არ გვინდა, მოგვწონს – არ მოგვწონს, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა მაინც მათემატიკით იზომება.
13187. ხალხი დაუნახავიცაა, სასტიკიც, გაუგებარიც, მაგრამ სიკეთის და მადლის დაფასებას მიგვიანებით მაინც ახერხებს.
13188. გონიერი, შემოქმედი, ადამიანის უსაქმოდ დატოვება საზოგადოების უნიათობის ბრალია.
13189. ძველთან შერკინება აუცილებელია, ახლის გათავისებით.
13190. ფასეულობები და ქცევის ნორმები საუკუნეთა ყივილისამებრ ხშირად უკეთურობისკენ იცვლება, მაგრამ ამისთვის ალღოს აღებას უნდა ვცდილობდეთ.
13191. ადამიანები დაპირისპირების და არეულობის დროს გამოიცნობა, თორემ დალხინების დროს ყველანი ძმები და ქვეყნის ერთგულნი ვართ.
13192. სამუშაოს მოცულობამ არ უნდა შეგვაშინოს და მის შესრულებაზე ხელი არ აგვაღებინოს, რადგან ყველა საქმე, მიუხედავად მისი „საფრთხობელად“ მოჩვენებისა, დაძლევადი და შესრულებადია, თუ მონდომება-შემართებას ჩავაქსოვებთ.
13193. ჩინური იეროგლიფები იმპერატორის მოხელემ, ჩან ჩინმა, შექმნა, რითაც ჩინელი ხალხიც გააწამა და ჩინური ენის შესწავლის მსურველიც, ასე, რომ გამოგონებას ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოაქვს.
13194. დღევანდელი გადასახედიდან ანბანის შექმნა გაცილებით ადვილია, ვიდრე იეროგლიფებისა, მაგრამ განგება რატომღაც რთულიდან მარტივისკენ გადასვლით გვაწყებინებს.
13195. კონკურენციის თავის და თავი სიახლის შექმნაა, ნიჭიერ მმართველობაზე მოთხოვნების მომრავლებით.
13196. ფსევდორეფორმები ადამიანის ინტელექტს უფრო ზღუდავს, მის უფლებამოსილებას კი ნაკლებად ზრდის.
13197. პოლიტიკას, ეკონომიკას, გონებადამჯდარი ამბიციები ქმნის, მეცნიერებათა მიღწევების მოშველიებით.

13198. ქვეყნის კატასტროფის მიზეზი ზღვარგადასული სიხარბე და რეალური კონკურენციის უქონლობაა.
13199. ქვეყანას ყველაზე მეტად ტვინდამთრგუნველი ხალხი ვნებს.
13200. ჩვენ ისე უნდა ვიცხოვროთ, ვიღვაწოთ, როგორც ამას საუკუნის პროგრესის და ქვეყნის შესაძლებლობასთან შერწყმული დონე გვაძლევს და არა ისე, ქვეყანა გაკოტრდეს და ფეხზე წამოდგომა გაუჭირდეს.
13201. ზოგჯერ უგუნურების დღესასწაულსაც ხალხი სიამოვნებით აღნიშნავს.
13202. საზოგადოება, რომელიც ავტორიტეტებს არ სცნობს, საბოლოოდ განწირულია, რადგან უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი იკარგება, რაც გადაგვარების საწყისია.
13203. ხალხს რომ მუშტის ჩვენების გარეშე ენდო, ამას რამდენიმე ევოლუციის გავლა სჭირდება, მატერიალური უზრუნველყოფით, სახელმწიფოებრიობის დაბრძენება-დაღვინების ტრადიციებით.
13204. გონიერება დროის მიერ დაწესებულ წეს-ჩვეულებებს რევიზიას უკეთებს, განათლების, ცივილიზაციის და საკუთარი თავის დაუკითხავად.
13205. კარიერას, თანამდებობას, უპირველესად, თავისი მიმართულება უნდა ჰქონდეს და არა მხოლოდ საუფროსო სკამზე წამოსკუპება.
13206. თანამდებობის მოპოვება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი სასარგებლოდ და დასამახსოვრებლად გამოყენება.
13207. მომხიბვლელ მჭერმეტყველებას თუ გვერდში შთამბეჭდავი ძალა უდგას, ის საქმე გამოსულია.
13208. ხალხი ყველაფრით კმაყოფილია და უკმაყოფილოც, თუნდაც დღევანდელი „ანაცუა-ბანაცუა“ საზოგადოება, რომელსაც ყბედობის უფლება ოფიციალურად დართეს და ისიც კმაყოფილია უკმაყოფილების გამოხატვით, შედეგის გარეშე.
13209. ქუჩის ბიჭების ნაცვლად ჩვენი გარყვნის შესაძლებლობა დღეს ინტერნეტის და „მასმედიის“ ხელშია.
13210. საქმე ენის ჭარტალს და მოშურნეთა ფეხის დადების მცდელობას არ უშინდება.
13211. მჯობნის მჯობნს რა დალევს, მაგრამ ეს უპირატესობის გამოხატვის საშუალებად არ უნდა ვაქციოთ.
13212. ძველს უნდა ვებრძოლოთ სიახლის რეალობის გააზრებით და განსჯით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძოლა წაგებულია.
13213. მსხვერპლი თუ პოპულარულია, ის დამახსოვრებისთვის არის განწირული

13214. ბუნებასთან თანამშრომლობა და თანადგომაა საჭირო, თავის მოდრეკით და ყურისგდებით.
13215. ხალხი გამოუსწორებელი „დებილია“ თავის სასარგებლოდ.
13216. შენიღბული მეძავეობისკენ მისწრაფება აკმაყოფილებს სამყაროს მოსახლეობის ქვენა გრძნობების უმეტეს ნაწილს.
13217. თეორიულად ქრისტიან-დემოკრატიულ, თავისუფალ-სოციალისტურ, ქვეყანაში ცხოვრებას რა სჯობს, ქვეყნის კონსტიტუციაზე პატივის მიგებით და კანონის მორჩილებით, მაგრამ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, როგორიც ავაშენეთ, დროის, გარემოს და ჩვენი უგუნურების შესატყვისად.
13218. ყოფის ძირითადი პრინციპები დაულაგებელ ქვეყანაში: გადარჩენა, კანონისთვის ზურგის შექცევით, რადგან ამას ვიგინდარები გვაიძულებენ, რომლებიც რაღაც მანქანებით ხელისუფლებაში მოხვდნენ.
13219. ბუნების კანონზომიერებებს არ უგულებელყოფენ, რადგან ის ჩვენი ყოფის უმთავრესი რევიზორია.
13220. დღეს ვარსკვლავი კლიპის გარეშე იგივეა, რაც ზამთრის გატარება თოვლის გარეშე.
13221. სამწუხაროდ, ხალხზე უკეთესი წარმოდგენა გვაქვს, ვიდრე იმსახურებს.
13222. სიმართლის თქმა ყოველთვის აპლოდისმენტებს ვერ იმსახურებს, რადგან ყველასთვის სასურველ რეალობას არ შეესაბამება.
13223. ყველა საქმეს პატივმოყვარეობა და აპლოდისმენტები უნდა ახლდეს, რათა მისი კეთების სურვილი მარად შემოგვრჩეს.
13224. ერთისთვის რაც დასაგმობია, ის შეიძლება მეორესთვის მოსაწონი იყოს.
13225. უგუნურთა და უგვანოთა ყბედობას, მათ გვერდში დგომას და საქმიანობის გაბაზრებას უნდა ვერიდოთ, მათთან რაც უნდა ნათესაური სიახლოვე გვაკავშირებდეს.
13226. წესრიგი არა მარტო ჩვენი ტრადიციების, წესის და რიგის, დაცვაა, არამედ სიკეთის ქადაგებით ფილოსოფიის ნაჟურიცაა.
13227. კაცობრიობამაც ჭკუა ვერ ისწავლა და ბოროტება კეთილით იმ ზომამდე ვერ სძლია, რომ მცირე დოზით მაინც დატოვოს.
13228. ზოგჯერ ქვეყნის ლიდერის დატირებაც ამ ქვეყნის დემოკრატიის და თავისუფლების სავიზიტო ბარათია.
13229. ადამიანები ერთმანეთს საკუთარი ბუნების დამთხვევა-შერწყმით უგებენ.
13230. ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ საზოგადოების ნაწილია და ირ-

გვლივმყოფთ სჭირდება, ეს მას ძალას, პატივისცემას და რწმენას ჰმატებს.

13231. თეორია რომ პრაქტიკას ემთხვეოდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა და დიდი ხანია რეალურ კომუნიზმში ვიცხოვრებდით.

13232. მართვის ნიჭი მოწოდებულია გარემო პირობების გონივრული შეფასებისთვის რისკის გაწევით.

13233. წარსულის ცოდნა მომავლის კეთილდღეობას განაპირობებს, რადგან ეს უკანასკნელი მის ანალიზზეა დამოკიდებული.

13234. ქვეყანას ჭკუანაღრძობი ხალხი აშენებს და ამშვენებს, თორემ უიმათოდ დღესაც ქვის ხანაში ვიცხოვრებდით ინსტინქტებით.

13235. რადგანაც ადამიანი მიღწეულით ვერ კმაყოფილდება, მან თავისუფალი არჩევანის უფლება უნდა მოიპოვოს, რათა თავად დარწმუნდეს თავის უუნარობაში.

13236. დღეს რომ ეგრეთწოდებული „ვარსკვლავი“ გახდე, მთავარია ურცხვად გატიტვლება არ დაიზარო და სხეულის რა ნაწილს წარმოაჩენ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს გამოთაყვანებულ „მაცქერალთათვის“, რომელსაც ხალხი ჰქვია და ბრბოდ გადაქცევისკენ აქვს მიდრეკილება.

13237. „ცივილიზაცია იუმორში“ ადამიანებს ერთმანეთთან გვაკავშირებს, გვართობს და ჭკუას გვმატებს.

13238. მარტოოდენ სულის წვრთნით რომ ყოფილიყო ადამიანი დაკავებული, გონიერების გაულაღებლად, მერწმუნეთ, დღესაც ქვის ხანაში ვიცხოვრებდით.

13239. საზოგადოების და ერის წინაშე მოვალეობის შეუცნობლად არც ერთი ადამიანი ქვეყნის მოქალაქედ არ გამოდგება.

13240. ხალხისთვის მოსაწონ და სწორ აზროვნებას ხშირად საზოგადოებისთვის შედეგი არ მოაქვს.

13241. პატივი რომ მოგაგონ და რიდი ჰქონდეთ, გონიერების მათრახი მარად ხელთ უნდა გეპყრას.

13242. ქვეყანას ვემსახურებით და არა ხალხად წოდებულ ბრბოს ნიჭის და საკუთარი მეობის შესატყვისად.

13243. ტექნიკურ პროგრესთან შეუთავსებლად მატერიალური სიმდიდრის დაუგეგმავი ზრდა ადამიანთა გადაგვარებას იწვევს.

13244. სიმართლე და სინამდვილე ხშირად გონიერ ოპოზიციონერ ოპონენტებში დევს.

13245. ფაქტიურად უაზრობის, ყბედობის, უგუნურების, ჯირითია სამყარო, ერთეულ გამონაკლისთა გარდა, რომლებიც მის რაობას პურმარილით ალამაზებენ.

13246. სოციალიზმი, გონიერი და გაპიარებული დიქტატურის გარეშე, უაზრობაა.
13247. ცივილიზაცია ყოფის რაობის გაცვლაა კაზინოში მოგებულ ფულზე.
13248. გამონაკლისი წესად იმ შემთხვევაში იქცევა, როდესაც საზოგადოებას ძველი მოყირჭებული აქვს და ახლის გამოჩენას ელის.
13249. კაცობრიობის ბედს და იღბალს ხშირად უგვანო ხალხი განაგებს, და ესეც საზოგადოების კვლავწარმოების გამოცდისთვისაა აუცილებელი.
13250. დიდი ჭკუა მისი მფლობელისთვის შეიძლება უბედურების მომტანი იყოს, მაგრამ არა – საერთო, საკაცობრიო საქმისთვის.
13251. მუქთად არ უნდა იაზროვნო და არც უნდა იმჭევრმეტყველო, რადგან უგუნურები ვერ გაგიგებენ, ხოლო გონიერები სათანადოდ არ დაგაფასებენ.
13252. ხალხი ყველას მიჰყვება, ვინც სავალი გზის არჩევანს პიარით გაუნათებს და წაუძღვება.
13253. პროგნოზების შედეგებთან შედარება არა მარტო საინტერესოა, არამედ იმის მაჩვენებელია, ვინ როგორ უძღვება საქმეს.
13254. ადამიანების უფლებები გათანასწორდა, მაგრამ ურთიერთშეხლაშემოხლა, პროგრესის გათვალისწინებით, გრძელდება.
13255. ზრახვების დამალვა შესაძლებელია, საქმისა – არა.
13256. დიქტატორსა და ტირანს შორის ის სხვაობაა, რომ ეს უკანასკნელი იშვიათად მიდის იმქვეყნად სხვათა დაუხმარებლად.
13257. დღეს პროფესიონალიზმს იმ დონის მოთხოვნილება აქვს, რომ ხვალ შეიძლება პროფესიონალ პატრიოტებად ქვეყნის ამაგდარი შვილებიც მოგვევლინონ.
13258. მშვიდობის შენარჩუნება სამართლიანობას სჯა-ბაასით და ურთიერთმიტევებით მოითხოვს.
13259. ყველა წყობა, მოგვწონს – არ მოგვწონს, ხორცით და სისხლით ნალესია.
13260. ფუფუნებისკენ მისწრაფებისგან თავის დაღწევაა ძნელი, რადგან გვერდში ტექნიკური პროგრესის მიღწევები უდგას.
13261. მონობა ბუმერანგივითაა, რაც უნდა ეცადო, ადრე თუ გვიან, უნიათო ხალხს უკანვე უბრუნდება.
13262. ჰუმანიტარულ დახმარებას ფაქტიურად მოგება მოაქვს გავლენის სფეროს მოპოვებით, იაფი მუშახელით, ნედლეულით სანატრელი ბაზარით და მომზადებული საზარბაზნე ხორცით, რომელიც გაჭირვების გამო მზადაა ყველას ემსახუროს, ვინც რაღაც სარჩოს

მიუგდებს.

13263. წყობის, ხელისუფლების, ავ-კარგზე მწყემსის ფორმულით უნდა ვისარგებლოთ, დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთ სულ ნერბზე რამდენი ბატკანი მივიღეთ და რამდენ ჯანმრთელ ცხვარს გამოვზრდით, უდანაკარგოდ, რეალურად და მიწერის გარეშე, რადგან ხელისუფლება მწყემსია, ხოლო ხალხი – ცხვარი („ბარან“). უკანასკნელს რუსული კაური უფრო უხდება.

13264. თუ სიტყვა „სახელმწიფო“ სიმშვიდეს, წონასწორობის დამყარებას და თანხმობის სიმფონიას ნიშნავს, მაშინ ყველა ნორმალური მმართველობის ქვეყანას „სიმფონური სახელმწიფო“ უნდა ვუწოდოთ. მაგ. სიმფონური სახელმწიფოებია შვეიცარია, შვეცია, ნორვეგია, ხოლო უბრალოდ „ტერიტორია“ საქართველო და მისთანები.

13265. ცუდის მქმნელს იმიტომ იცნობენ, კარგის მქმნელისაგან განსხვავებით, რომ პირველის ქმედება უმრავლესობისთვის უფრო გასაგებია.

13266. შემოქმედება, სპორტი დაუღვინებელი გონიერებისათვის კონტროლირებადი ქაოსია.

13267. ქართველეებს გველის წიწილასთან ბრძოლას და გამარჯვებას, რატომღაც გველეშაპთან შებმა და მარცხი გვირჩევნია.

13268. სახელმწიფოს მართვას მაშინ აქვს ფასი, თუ რეალურად მას ვინმე ეწინააღმდეგება, ან მხარს უჭერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მართვა კი არა, დროის გაყვანაა.

13269. ცივილიზაციისკენ მიმავალი ყველა გზა მოფენილია გონიერების იმ „თეთრი ყვავების“ გვამებით, რომელთა ხარჯზეც დღეს თანამედროვე ტექნიკური პროგრესის მქონე საზოგადოება ცხოვრობს და იღვწის.

13270. ხალხი ყოველთვის ტექნიკური პროგრესის უკან მიჩანჩალებს, რაც უნდა ეცადოს და თავზე წარმოდგენაც ჰქონდეს.

13271. უმრავლესობას ქვეყნის ჯარისკაცობას, კარისკაცობა, ურჩევნია, რადგან ეს უკანასკნელი პერსპექტიული და სარფიანია.

13272. წესრიგის დამყარება ძალას, შიშს, რწმენას და იმედს მოითხოვს, აუცილებელი მატერიალიზმის მოშველიებით.

13273. მეცნიერების მაგია იქ თოხარიკობს, სადაც ნიჭს გაჯეჯილების საშუალება ეძლევა. ამქვეყნად მოსვლა ყველა ჩვენგანისთვის მისიაა, ხოლო ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა გონიერებისთვის გამოუსწორებელი დანაშაულია.

13274. „მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“ – ამ ცნობილი ფრაზისაგან განსხვავებით, ქართველმა ყველაფერი იცის: ისიც, რაც არ უნდა

იცოდეს და არც არავინ ეკითხება.

13275. მოქალაქედ ადამიანი სახელმწიფო წყობამ უნდა ჩამოაყალიბოს თავის დასაქმებით და გასამრჯელოთი, რადგან დემოკრატიის სახელით ადამიანების თავის ჭკუაზე მიშვებამ დანაშაულებამდე და ქვეყნის ნგრევამდე მიგვიყვანა.

13276. ქვეყნის ბიუჯეტს არა მარტო ავსება, არამედ მოვლაც უნდა, რათა ათასი მაქინაციებით არ გააბერწონ.

13277. ფორმაციის შეცვლა იგივე ღალატია და ამიტომაცაა, რომ კომუნიზმის მშენებლობის მოღალატე ხალხს, ჯერ-ჯერობით, დედა აქვთ ნატირები – „ვისაც არ სჯერა“ ხუმრობად მიიღოს.

13278. საზოგადოების წყობის, ფორმაციის, შეცვლის მსურველნი ან „ფერს იცვლიან ან ზნეს“ და საზოგადოების ქონების აწაპვნისკენ მიდრეკილებაც უჩნდებათ.

13279. ქართველები უგვანო სიტუაციას ხშირად სხვას ვაბრალებთ და მითოლოგიით ვრანდავთ.

13280. რელიგია და მეცნიერება ყოველთვის ერთმანეთს ეპაექრებიან და ედავებიან, მაგრამ საზოგადოების განვითარების საწყისს ორივე ერთმანეთში ხედავს.

13281. ზოგჯერ მცირე ერები თავის მომავლის გაკაფვას არა მარტო უკუსვლით, არამედ უკუღმართი, გაუცნობიერებელი, გზით ცდილობენ დროის ყივილის და შექმნილი გარემოს არად ჩაგდებით.

13282. ხალხმა წინსვლა – უკუსვლა რევოლუციის გზით კი არა, ევოლუციის გზით უნდა ისწავლოს.

13283. ალბათ, არასოდეს იქნება ისეთი საზოგადოება, სადაც ციხის და პატიმრის საჭიროება გაქრება, რადგან მცდელობას თავისი გამართლება აქვს, გენეტიკას კი თავისი.

13284. სულიერებასთან სასურველ ჯილდაობას, ჭიდილს, საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის დაუმადლებელი სარგებელი მოაქვს.

13285. თავისი უნიათობის, უგუნურების გამო, თავის ტყავში ვერ დატეულ ერებს სხვათა აღზევების შედეგად ხშირად უხდება სიმწრის შეცნობა.

13286. დღეს სულიერებაც მატერიალიზებულია და დიდი ფულისათვის უკადრებელს კადრულობენ ისინიც, ვინც ერის დამოძღვრას და მოვლა-პატრონობას ჩემეულობს.

13287. რწმენადაკარგულ და „გაპეტუხებულ“ საზოგადოებაში სულიერებაც მიიპარება და ღმერთიც, რადგან მოდაში აღარ არიან.

13288. ხალხი, რომელსაც ღირსეული შვილების წარმოჩენა-პატრონობის უნარი დაკარგული აქვს, ერად არ უნდა ჩაითვალოს.

13289. საოცარია, მაგრამ აზროვნების ექსპორტ-იმპორტი ყველაზე მეტად პოლიტიკას და ეროვნულობას ვნებს.
13290. ინტელიგენციის იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს: ის მარად მერყევი იყო და მერყევი დარჩება, მიუხედავად მისი ამბიციების და განათლებისა.
13291. ქართველები სახელმწიფოს იმ დიქტატურის გარეშე ვერ ვქმნით, რომლითაც აწმყოში უკმაყოფილო ვართ, მაგრამ მომავალში ვაღმერთებთ.
13292. დღეს ინტელექტუალური საკუთრების ფეტიში იქამდე მივიდა, რომ ნებისმიერ „გაქარებასაც“ პლაგიატობად გითვლიან და პატენტს ითხოვენ.
13293. წყობა არაფერშუაშია, ყველაფერში დამნაშავე წინამძღოლის თითლიბაზობაა.
13294. საკითხებზე რაფინირებული „ინტელექტები“ ბჭობენ, გადაწყვეტილებებს კი ძალად „ინტელექტები“ იღებენ.
13295. იმისთვის რომ ქვეყანა წაღმა მართო, საჭიროა ხალხის ბუნების ცოდნა და მათი სიყვარული, წახალისებით იქნება თუ დასჯით.
13296. ერის ძალა ურთიერთანხმობაშია, მაგრამ ქართველი კაცის გენი ამას ძნელად ითვისებს.
13297. სიახლის გათავისება გამოყენება კი არაა, მისი შემჩნევა-აღმოჩენაა.
13298. უკეთესი ცხოვრებისკენ გზა ხალხებს ევოლუციამ უნდა გაუკაფოს და არა რევოლუციამ, რათა უკან დასაბრუნებელი გზის მოძებნა საჭირო არ გახდეს.
13299. დღეს დამკვირვებლები და მრჩევლები საქართველოს ხელისუფლებას არ აკლია, მაგრამ ხალხის ჭკუაზე მოყვანა და მათ რეალურ დასაქმებას არაფერი შველის.
13300. ჩვენ უფრო ფეხის ამყოლი ხალხი ვართ, ვიდრე გონების გამყოლი.
13301. დღევანდელ სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიას და ადამიანთა უპატივცემულობას, სსრ კავშირში ცენზურა, პროლეტარიატის დიქტატურა და დარგების მონოპოლიზაცია მერჩივნა, რადგან იმ დროში პიროვნებად ვგრძნობდი თავს, დღეს კი – არარაობად.
13302. ხელისუფალმა სახელმწიფოს ინტერესები უნდა დაიცვას და პრიორიტეტები წინ წამოსწიოს, თუნდაც ამომრჩეველს არ მოეწონოს, რადგან პირველ რიგში, ის ქვეყნის მსახურია და შემდგომ – მოსახლეობის.
13303. არის ასეთი ამოცანა: ატომურმა ეელქტროსადგურმა განიცადა ავარია. ბლოკის ჩასაქრობად საჭიროა გამოვიყენოთ ადამიანთა

ჯგუფი. ამ სამუშაოს შესრულება ფსიქიურად დაავადებულებს შეუძლიათ, სიკვდილმისჯილებსაც და ჯანმრთელ ადამიანებსაც. თუ ამ საქმეს პირველ ორს დავავალებთ, დემოკრატიის ხელყოფად ჩაგვითვლიან, თუ ნებაყოფლობით მოინდომებენ ამ საქმიანობის შესრულებას, გმირებად ჩაითვლებიან. ამიტომ ჭირს ზღვრის გავლება გონიერებასა და უგუნურებას, სიკეთესა და ბოროტებას შორის, ამიტომაა ქვეყნის მართვა ძნელი, რომ გადამწყვეტი სიტყვა ხელისუფალმა უნდა სთქვას და პასუხიც მან უნდა აგოს.

13304. მოჩვენებითი და გადაუმოწმებული სამართლიანობაც კი ოპოზიციაში დგომას ფიქრობს.

13305. მუნჯი სახეების პორტრეტებს დიქტატურა ხატავს.

13306. ზედაპირული განათლება ყველაზე მეტად სახელმწიფო მმართველობას ვნებს, განსაკუთრებით, თუ დამმოძღვრელს, მრჩეველს, ყურს ჯიუტად არავინ უგდებს.

13307. ძირითადად ძალაუფლება პირად ბედნიერებაზე იცვლება.

13308. უხიაგი ხელისუფალი წარსულს უმაგრებს საძირკველს, იმის ნაცვლად რომ ააშენოს და წარმოჩნდეს.

13309. ყველა ერის მოძღვარს თავისი ხალხის გაკიცხვა-განსჯა შეუძლია, მთავარია, რა გულით და სურვილებით აკეთებს ამას.

13310. უცხოელებს, უმთავრესად, ქართველების სტუმართმოყვარეობა მოსწონთ და არ იციან ჩვენი „გიჟვრაცუა“ ხასიათი.

13311. ქვეყანაში ძალაუფლება კერძო საკუთრება არ არის, ის ხალხის ნებას, სურვილს და კაპრიზს ემორჩილება.

13312. გაძვალტყავებულ სინამდვილეს არც ძალა აქვს და ფასსაც არავინ ადებს.

13313. ცივილიზებული და ფუფუნებით გათავხედებული ქვეყნების დაისი, სხვადასხვა დანაკარგებით, დიდი ხანია დაწყებულია.

13314. ყველა ხელისუფლება ხალხს გოლგოთას უწყობს.

13315. სიბრიყვეს, ყბედობას და არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობას სამუდამოდ კარი უნდა დავუხუროთ, თუ გვინდა გონიერებამ იზეიმოს.

13316. დღეს ოპოზიცია ოპოზიციას არ ჰგავს და სინამდვილე – ნაღდს.

13317. რეალობაც ძმარდება, თუ ქვეყნის მოვლას ვერ ვახერხებთ.

13318. ხშირად ქართული მენტალიტეტი და თვითდაჯერებულობა პროგრესის საწინააღმდეგოდ იღვწის.

13319. ქართველები თავიანთი მერყევი და მომხმარებელი ხასიათის გამო „დაშოკილები დადიან“ სუპერმარკეტში უფულოდ და თუ რატომ, თავადაც ვერ გარკვეულან.

13320. ქართველებმა ერთი რამ ვერ გავიგეთ, ადამიანს თავი იმიტომ აბია, რომ რაციონალურად და წინდახედულად იაზროვნოს და არა ვიღაცის უკანალში, ვიღაცის ჯინაზე, თავი შეყოს.

13321. ბოროტების აღკვეთა უფრო გარემო პირობებზე და ბუნების ძალებზეა დამოკიდებული, ვიდრე თავად ჩვენზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტების საწყისი აღზრდაში და იმ გარემოშია, სადაც ჩვენ ვიღვწით და ვშრომობთ.

13322. როდესაც სახელმწიფო ძლიერია, ქვეშევრდომების ზრუნვისთვისაც იცლის, ამიტომ სიახლე ასე მომხიბვლელი და მისაღებია.

13323. ადამიანისთვის აზრის სხვისთვის გაზიარებას სიამოვნება მოაქვს, მაგრამ სასურველი აუდიტორიის გარეშე ყბედობას დააბრალებენ.

13324. პოპულარობა რეალური საქმის კეთებას ხელს უნდა უწყობდეს და არა პირიქით.

13325. კაცი კი არ უნდა მოკლა ან შემოგაკვდეს, არამედ „ჭკუა უნდა ასწავლო“ ან „საქმის ცოდნის „მუშტით“ უნდა დაარიგო“.

13326. მოთმინებასაც თავისი საზღვრები აქვს და მოწინააღმდეგეს უნდა დავარღვევინოთ ჩვენი თავშეკავებით.

13327. ჭკუანაღრძნობი ხალხი უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ჭკვიანი, რადგან ის სულიერ სიღარიბეს ახლოსაც არ იკარებს.

13328. ხელოვნურად შექმნილი ახალი, ადრე თუ გვიან, ფასს ჰკარგავს.

13329. მიბაძვაც გეგმაზომიერებას მოითხოვს, რაც უნდა მომხიბვლელი და ჭკუის გასალაღებელი გვეჩვენოს.

13330. სიახლეს უდიდესი სიკეთე მოაქვს და მცირედი მორიდებაც, რადგან წარსულს მისხალ-მისხალ რაღაც აკლდება.

13331. სხვათა შეცდომებს ზარ-ზეიმით ვატირაჟებთ და თავსაც ვიწონებთ, რომ „ჩვენი ჭკუის“ გამო მის ადგილზე არ აღმოვჩნდით.

13332. წინაღმდეგობის დაძლევის ხერხების გამოგონებაა, რამაც კაცობრიობა დღემდე მოიყვანა.

13333. ერი ისტორიის სახვალიოდ გაჯეჯილებას მაშინაც ცდილობს, როდესაც აწმყო უსახური აქვს.

13334. ძალაუფლებას ის ფლობს, ვისაც თავში რაღაც ორიგინალური და საჭირბოროტო უდევს.

13335. დღეს ყველაფრის გადანერგვას ცდილობენ და ახერხებენ, მაგრამ რა მოხდება, როდესაც თავის ტვინის გადანერგვას დაიწყებენ, ამის წარმოდგენაც კი შემზარავია.

13336. სიამით გათავისებული ჩვევებისგან გათავისუფლება ძნელია, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ საზოგადოებისთვის ყველაფერი

მისაღები არაა.

13337. წინაპართა შექმნილ ლეგენდებს სიამოვნებით ვეთაყვანებით.

13338. ქაოსს, არეულობას, არ შეიძლება რაიმე მისია ჰქონდეს, გარდა თავის გადარჩენისა.

13339. „ბარბაროსობა“, პირველ რიგში, ერთმანეთის უმიზნოდ და უმიზეზოდ დაჭმაა.

13340. დღევანდელი ტექნიკური პროგრესის გაჯირითების შემყურეთ ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება თანდათან უჭირთ.

13341. მშვიდობის მოსაპოვებლად უმთავრესია თავდაცვის, შემართების, უნარი.

13342. ლტოლვას ყოველთვის შედეგი რომ მოჰქონდეს, ამქვეყნად ყოფნა კაიფს დაკარგავდა და განსასჯელიც არავინ იქნებოდა.

13343. ოჯახის ინტერესები, აგებული საზოგადოების ინტერესებზე, ქვეყნის ინტერესების ზეიმია.

13344. ცრურწმენათა მომრავლება ბედის დროებითმა ზურგშექცევამ იცის.

13345. პროგრესი წინ მიიწევს, მაგრამ ადამიანის ცნობიერება ძველებურად მოკრძალებულად ვითარდება.

13346. დღეს მთავარია შოვნა, თუ რა გზით, ამას საგადასახადო სამსახურის გარდა არავინ კითხულობს.

13347. მოუწესრიგებელი კანონები საზოგადოებას ბრბოდ აქცევს და რევოლუციისკენ უბიძგებს.

13348. სამხედრო სალამი წარმოგვაჩენს, მაგრამ ვალსაც გვადებს, რათა უკეთ ვიღვაწოთ.

13349. კერპთაყვანისმცემლობა დიდი ხანია გაუქმდა, მაგრამ თანამდებობა ადამიანს მაინც კერპად აქცევს.

13350. გმირების და სახელოვანი ხალხის ოდენობა ყველა ერში თანდათანობით იზრდება, მიუხედავად იმისა, საუკუნეთა კაურები მათ მხარს უჭერს თუ არა.

13351. ყველა სახელმწიფო და მისი ხელისუფალი თავისი დროის და ხალხის უნიათობის პროდუქტია.

13352. ბრბოსთვის მთავარია სალაფავი, გართობა და ყბედობის უფლება, რადგან აზროვნების და რეალური საქმის კეთების უნარი არ აქვს.

13353. ეროვნულობაზე გამძაფრებულად თავის დადებას, ჩვენდა შეუმჩნევლად, ქსენოფობიამდე მივყავართ.

13354. პატივმოყვარეობას უკანდახევა უჭირს, თუ საქმიან მუშტს არ უჩვენებ.

13355. ცივილიზაციის შემოტევის მიუხედავად ცრურწმენა, დრო და

დრო, ადამიანის რაობას სდევნის და იახლოებს მისი ცნობიერების მიძინებით.

13356. მიზანი, ხშირად, ცოდნას, გამოცდილებისაგან განსხვავებით, იარაღს აყრევინებს.

13357. განათლებულ მაყურებელს რა სჯობს, მაგრამ ეს არც ხელოვნებას აწყობს და არც მასთან მიტმასნილებს, რადგან მატერიალურად დაზარალდებიან.

13358. მშვიდობის მიღწევა თურმე კბილებამდე შეიარაღებითაც შეიძლება.

13359. ამ ქვეყნად ყოველივე შემთხვევითია, მათ შორის, რაც წინასწარ ჩაფიქრებული და დაგეგმილია.

13360. როგორ გინდა ხალხს უთხრა, რომ მათი არჩეული ხელისუფალი ნაძირალაა, რომელიც მან რატომღაც დაუფიქრებლად შეიყვარა.

13361. ადრე ნაგავი, ჭუჭყი, გარეთ არ გამოჰქონდათ, დღეს, „მასმედიის“ გადამკიდე, კარგის და ცუდის გარჩევა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისთვის, ძნელი გახდა.

13362. ყოველი ახალი თაობა მისთვის შეუცნობელ ახალ სამყაროს, „ინდიკო თაობას“, ქმნის.

13363. კითხვა: „საიდან, რა საშუალებით?“ – პატიოსან ადამიანს არ მოსწონს და პირად საქმეში ცხვირის ჩაყოფად მიიჩნევს, ხოლო სხვანაირად წესრიგი ქვეყანაში არ მყარდება.

13364. ხალხმა პიროვნების დაფასება უნდა ისწავლოს და არა – თანამდებობის.

13365. დღეს საბჭოთა წყობას იმასაც ვსაყვედურობთ, რომ ხალხი მიამიტი იყო და თუ ვინმე აფიორაზე წამოგებას გაუბედავდა, არავის ეგონა.

13366. ყველა რეფორმა სხვისი ტკივილის ხარჯზე იგეგმება, საკუთარი ტკივილის განცდის გარეშე.

13367. წინათ სიცოცხლე უშფოთველად უშიშარი და ოფიციოზით შეზღუდული იყო.

13368. სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების ევოლუციურ პროცესებს არღვევენ არსებულ ნაკლოვანებებზე დაბოღმილი უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებსაც ენერგია და თავზე წარმოდგენა დიდი აქვთ.

13369. ქვეყნის სასიკეთოდ მართვას ჯერ პიროვნება სჭირდება და შემდგომ ნიჭი, საკუთარი თავის პატივისცემა და ხალხის სიყვარული.

13370. გონიერება ქვეყნის ყველა ჭრილობის მკურნალია.

სამშობლო, დედის ძუძუ

13371. ქართველები უნდა იყვნენ შ. რუსთაველის მადლიერნი მისი „ვეფხისტყაოსნისათვის“ თუ რუსთაველი ქართველების – მისი გაჩენისთვის, ძნელი სათქმელია, რადგან ამ ურთიერთდამოკიდებულების რებუსში ვერდიქტის გამოტანა უმადური საქმეა.

13372. სამშობლოს, პროფესიის, ადამიანების წაქეზებით სიყვარული იგივე შემოქმედებითი საჭურისობაა.

13373. გამარჯვებულს არავინ ასამართლებს, ქართველების გარდა, თუ წილში არ ჩაისვა, იმდენად უცნაური, თავნება, შურიანი, კუდაბზიკა და ერის არასახარბიელი წარსულის გამოცდილების უკანმოუხედავად მომსროლელი ხალხი ვართ. ამასთან მუდამ ჩვენი ნიჭის და ყველაზე რომ უკეთესი ვართ, სერიოზულად გვწამს.

13374. მშობლიური ენის ბოლომდე შესწავლა, სიტყვების ჰარმონიებით და კილოკავებით, შეუძლებელია, ლექსიკონების „მეგაბაიტში“ გონიერება რაც უნდა გახვიო.

13375. პატრიოტი ის არის, რომელიც სამაგიეროს გადახდას არ ცდილობს, თუ არ აიძულეს.

13376. წინაპართა გენიალობის დასამტკიცებლად მათ მიერ ნაშენი საინჟინრო აზროვნებაც კმარა, რომელიც თანამედროვეთათვის ოცნებითაც მიუწვდომელია, იმდროინდელ ტექნიკურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

13377. არც საქმე, არც ადამიანი დავიწყებისთვის არ არის განწირული თუ ეროვნულობას საღი გონით შევინარჩუნებთ.

13378. ქართველი კაცი, თავისი ნიჭიერების მიუხედავად, მუდამ „ასოფანდურა“ მამრი იყო კარგი გაგებით, მაგრამ ეტყობა ამ „უპირატესობასაც“ თანდათან ჰკარგავს.

13379. კულტურას, აზროვნების უნარს, ერს მისი ცნობილი და გენიოსი შვილები იძლევიან და ტოვებენ.

13380. სამშობიარო ის დაწესებულებაა, სადაც ჯანმრთელი სიცოცხლეც და გონიერებაც უნდა ამშობიარო.

13381. ყველა დამწერლობას, ენას, ეროვნულობას, თავისი მეტყველების ნორმები აქვს და ის, ვისაც თავისი ერის წარმოჩენა უნდა, უპირობოდ უნდა დაიცვას.

13382. საქართველოს ისტორიასაც მუდამ ღალატის სირცხვილი დასდევს, რაშიც თვით ხელისუფალნი არიან დამნაშავენი, რადგან მის ასალაგმავად ან დიპლომატია უნდა მოვიშველიოთ, ან კანონის ძალა.

13383. რატომღაც საქართველოს თვითმარქვია „დავით აღმაშენებლებში“ არ უმართლებთ (ნოე ჟორდანია, მიხეილ სააკაშვილი) რადგან მათ გიორგი ჭყონდიდელივით დამრიგებლები არ ჰყავთ, არც კაცობაზე თავის დადება შეუძლიათ და მოსმენის და ხელისუფლის სკამზე ჯდომის უნარი წართმეული აქვთ.

13384. ნაციონალური შეგნების ფორმულა: ერი თავის ყოფნა–არყოფნის იდეას უნდა ეძებდეს, მოჭარბებულ მეობასთან ანგარიშსწორებით.

13385. როდესაც საქართველოს მატიანეს გადახედავ, გაკვირვებული ხარ, რატომ იბრძოდა ასე თავგამოდებით ქართველობა იმ მტრის მხარეს, რომელმაც გუშინ მისი ქვეყანა ააოხრა და რატომ არ „მეგობრობდნენ“ იმ დროს ძლიერ ხელისუფალთან, როდესაც შესაძლებელი იყო. ეტყობა სომხები მართლები იყვნენ, როდესაც „გიჟ ვრაცუა ქართველები“ შეგვარქვეს.

13386. ზოგი ბედის დაცინვას არ ეპუება და ბურთივით ერთი ადგილიდან მეორეზე „გადახტება“, მაგრამ ზოგი ერთ ადგილზე დაენარცხება, გადაადგილებას არ ცდილობს და სწორედ ეს „უინიციატივონი“ ინახავენ, ავად თუ კარგად, ეროვნულობას.

13387. სამშობლოს სიყვარული თანდაყოლილი არ არის, ის აღზრდაზე, დროზე, მენტალიტეტზე, ხელისუფლებაზე, დასაქმებაზე, პერსპექტივაზეა.

13388. მართალია, იმ ქვეყანაში ცხოვრება არ ღირს, რომელსაც სულით „ნაბიჭვრები“ და ცხვირმოუხოცავი ღლაპები მართავენ, მაგრამ რა უნდა ქნა, თუ ეს ქვეყანა შენი სამშობლოა და ბედმა შენი ყოფის „გადაგდება“ ასე ინება.

13389. სამშობლოს სიყვარული კარგია, თუ მასაც უყვარხარ, გამჩნევს და არ გაიძულებს დივიდენდების მისაღებად და თავის სარჩენად სხვა ქვეყანაში იხეტიალო.

13390. ერს თავისი მამები უნდა ჰყავდეს და არა სულით საჭურისი ხელისუფალი.

13391. ზოგი სამშობლო სიყვარულს იმსახურებს და არა – პატივისცემას, რადგან პირველი თანდაყოლილია, მეორე – შეძენილი.

13392. ქართველები ჭკვიანურად მსჯელობენ, მაგრამ საქმის კეთებას, მოწოდებით ვიგინდარებს ანდობენ.

13393. ეროვნულ მიწაზე უნდა ხნა და თესო, რომ მოსავლის აღება არ წაგაყვედრონ.

13394. სიბრიყვე ყოველთვის ნაკლი არ არის, ზოგჯერ ის, შედეგის წინასწარ ჭვრეტის გარეშე, ერის მამოძრავებელ ძალად იქცევა, ხშირად დადებითი შედეგითაც.
13395. სამშობლოს სიყვარული და გენის თვითმყოფადობა სადაც უნდა მოხვდე, თან დაგყვება.
13396. ერისშვილობით და ეროვნების გაფეტიშებით სარგებელის ნახვა გარყვნილებაა.
13397. სილამაზეს მხოლოდ სიკეთის კეთება და გონიერების აღმაფრენა სჯობნის.
13398. ქართველები იმ კატას მოგვაგონებენ, რომელიც საოცნებო თაგვს დასაჭერად ერთი სახლიდან მეორე სახლში ხტებიან, კისერს იტეხენ, თავისას არ იშლიან და ამ უაზრო ხტუნვის განტევების ვაცი „გარეშე ძალა“ ყოველთვის „მონახული“ ჰყავთ.
13399. სამშობლოს სიყვარულის ყველაზე დიდი კატალიზატორია ჩვენი და მისი წარსული.
13400. ყბედობა ოცნებით ზოგიერთ ქართველს ძალზე ეხერხება და სიამოვნებს.
13401. სიმართლე, რომელიც ერთ ერს მოსწონს, მეორისთვის შეიძლება მიუღებელი იყოს, ე.ი. სამართლის განსჯასაც თავის დიპლომატია სჭირდება, რათა დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.
13402. ენის ხარისხს მისი სარგებლის მომტანიანობა განსაზღვრავს, რამდენად ჯდება ის გონიერებაში და მას რა ხარისხით და მცდელობით იყენებენ.
13403. ცივილიზაციის გამოდევნებაც სამშობლოს სიყვარულს მოითხოვს, ზომიერების დაცვით და გადაშენების გარეშე.
13404. გვარისშვილობა სხვაა, ეროვნულობა – სხვა და ხშირად პირველის ქვენა გრძნობები სჯობნის.
13405. არქიტექტურას და გონიერებას ასაკის მატება ამშვენებს, ერთი ერის კულტურის ღირებულებად იქცევა, მეორე – ხალხის საკუთრებად.
13406. სამშობლოს სიყვარული და მოვალეობის გრძნობა სხვადასხვა გრძნობაა, მაგრამ ორივე ქვეყანას ემსახურება.
13407. დიდად ღირებულია: ცოლ-ქმრის რეალური თანხმობა, მოთმინების უნარი და შთამომავლობაზე ზრუნვა.
13408. ქართველებს საგარეო პატრიოტიზმი კაკანით და თავის წარმოჩენით უფრო გვახასიათებს, ვიდრე სახლში კვერცხის დება.
13409. ნიჭისთვის ძნელია თავის წარმოჩენა, თუ პატარა ერის შვილია და დროისთვის „შეუფერებელ“ ქვეყანაში ცხოვრობს. არა მგონია,

შექსპირი ასე პოპულარული ყოფილიყო მსოფლიოში, ის რომ იმ დროს საქართველოში დაბადებულიყო. ამიტომ პატარა და შეუმჩნეველი ერები უნდა ეცადონ თავიანთი გენიოსების დროულად წარმოჩენა-გატირაჟების, რათა თავადაც წარმოჩინდნენ და სამყაროს თავი გააცნონ.

13410. ნაციონალური ხასიათი, დროთა განმავლობაში, შეკეთებას თუ არა, დაწმენდა-გაპრიალებას მოითხოვს, რათა წამოჩნდეს და თანამედროვეობისთვის გასაგები და მოსაწონი გახდეს.

13411. მიხარია, მომწონს, გულით ვამაყობ, რომ ქართველი ვარ, მაგრამ გონიერების ჯურღმულში, ჩვენი ისტორიის და ხალხის გადამკიდეს, სიამაყეს ზადი ედება, განსაკუთრებით, დღევანდელ უმწეობას და სხვის იმედზე უიმედოდ ყოფნას.

13412. ნაციონალიზმი რაც უნდა დიდი უგნურება იყოს, ეროვნულობის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია.

13413. სამშობლო ემიგრანტებს ყველას გვიყვარს, უმეტესობას მატერიალიზმის გადასახედიდან.

13414. სხვა ერის წარმომადგენელი რომ იმ ერის შვილი გახდეს, სადაც ცხოვრობს, საჭიროა იქ დაიბადოს, მათ ენაზე ინსტიტუტი დაამთავროს და მეწყვილედ იმ ეროვნების წარმომადგენელი აირჩიოს. აქედან ერთ-ერთის ამოგდება მას კვლავ „ნაცმენად“ დატოვებს.

13415. ყველა ერი სახელმწიფო წყობას თავად ირჩევს, რადგან სხვანაირად „ერის შვილებს“ ყოფა არ შეუძლია.

13416. ყველას გვინდა სამშობლოს გამოვადგეთ, თუ ამის „უფლებას“ დროულად მოგვცემენ.

13417. ქართველები უნიჭიერესი ერია: ერთმანეთს საკუთარ ტყავში დაუტევლად და შეძახილით ეხმიანებიან: „შენ როგორ უნდა მაჯობო!“

13418. ნაციონალიზმს, განსჯის და თვითგვემის გარეშე, ხშირად სიავე მოაქვს.

13419. ქართველებს, ეტყობა, ბევრი რამ გვაქვს „აწაპნილი“ ძველი ბერძნებიდან, მათ შორის სიჯიუტე. ეს, კარგია თუ ცუდი, საკითხავია.

13420. ქართველებს ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით საკმაო რაოდენობის ინიციატივიანი ხალხი ჰყავს, მაგრამ ყასიდად ტაშის დამკვრელი გაცილებით მეტია.

13421. „ყოფნა – არყოფნის“ პრობლემას ყველა ერი სხვადასხვაგვარად განსჯის და აღიქვამს.

13422. გლობუსზე საკუთარი ქვეყნის მოძიების სურვილი ყველას გვიჩნდება, დედამიწის წინაშე გარკვეული დამსახურებისათვის.

13423. ვისაც გენიალობის „ბზიკი“ აწუხებს, უნდა წავეშველოთ, ვინ იცის, ერის წარმოჩენას რა სახით გამოადგება.
13424. ნაკარნახევი თავისუფლება არც ერთ ერს სრულად არ გამოსდგომია.
13425. სამშობლოს რომ გულით ემსახურო, სათანადო აღჭურვილობით უნდა შეგმოსონ, თანამედროვე იარაღით გავარჯიშონ, რათა სხეული სამშობლოს დამცველად შეიგრძნო და არა – საზარბაზნე ხორცად.
13426. სამშობლოს ვალის აღსრულება მაშინაა მისასალმებელი, თუ მიზანი სამართლიანია და შენ ცოცხალი დარჩები.
13427. ერს შრომისკენ, ტექნიკური პროგრესისკენ, ტრადიციებისკენ, მიდრეკილება წარმოაჩენს და არა – ბუნებრივი სიმდიდრე და დიდი ტერიტორიები.
13428. ზოგჯერ შეგიჩნდება გულის გამაწყალებელი და ტვინის გასახვრეტი ეჭვი, ხელისუფალმა თავისი ინიციატივით „ჩაისვარა“ თუ სხვის საამებლად „ჩაასვრევინეს“. საქართველოს მიერ დღევანდელი ტერიტორიები, იმედია, დროებითაა დაკარგული.
13429. პატრიოტიზმსა და ეგოიზმს შორის დიდი სხვაობა არ არის, გააჩნია რა მხრიდან შევხედავთ, ეროვნულობის თუ პირადი ინტერესების წარმოჩენით.
13430. ენა ნამდვილად ხალხის შექმნილია, განსხვავებით დამწერლობისა, სახელმწიფოებრიობისა, ჩვევებისა, ეროვნულობისა და სხვა რაღაცებისა, რომელსაც პიროვნების ზეციური ნიჭი სჭირდება.
13431. ყველა ერი იმ ენას ფლობს, რომელსაც მისი ხასიათი იმსახურებს.
13432. ყველგან ჩვენი ძირი და ფესვები უნდა ვეძებოთ, მათზე უკეთ დავემყნობით და აღმოვცენდებით.
13433. ამდენი გულკეთილი სტუმართმოყვარე „სიაფანდი“ ხალხი, ქართველებს რომ ჰყავთ, იშვიათია რომელიმე სხვა ერში.
13434. ქართველს შეიძლება სული ანდო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დიდი ფული – არ ამართლებს.
13435. მშვიდობიან მცდელობას, გვარის გაგრძელებისათვის მცდელობაც უნდა ახლდეს.
13436. მამულსა და სამშობლოს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი შენი ჯიშის და ჯილაგის წარმომშვებია, მეორე შეიძლება შეძენილი იყოს, თუკი წინაპრები საცხოვრებლად გადმოვიდნენ და დასხლდნენ.
13437. ებრაელებსა და ბოშებს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ცოტახნის უკან დაბრუნდა სამშობლოში, მეორეს ეს არ აღელვებს, ამასთან

ორთავე ნიჭიერი ხალხია მუსიკაში, ამასთან ებრაელებს ყველგან ცხვირი აქვთ ჩაყოფილი, რაც კაცობრიობის გონიერებას გამოადგება და ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით გაცილებით მეტი მიღწევები აქვთ მეცნიერების, ხელოვნების და ბიზნესის დარგში. ამით სხვა ხალხებს ბოღმავენ და „ბიშტს“ უჩვენებენ ყოველგვარი ნიშნისმიგების გარეშე. ხოლო ბოშებს ნიჭის თავისუფლება აინტერესებთ.

13438. სამშობლოსა და ხალხის სიყვარული ერთიდაიგივე არ არის, რადგან ამ უკანასკნელს შენი პატრიოტიზმი უნდა დაუმტკიცო, დაუდასტურო.

13439. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს ორი სამშობლოც არსებობს, როდესაც ერთში დაიბადე, აღიზარდე და მას შენი მოთხოვნების შესატყვისად აღარ სჭირდები, მეორეში ცხოვრობ, შენს ჭკუაზე იღვწი და შენს გემოზე დასაქმების უფლება გეძლევა.

13440. ბიჭი რომ მამაკაცად იქცეს, თავი სამხედრო ვალდებულად უნდა იგრძნოს და ექვს წელიწადში ერთხელ სამთვიანი ჯარის ბეგარა უნდა მოიხადოს. შედეგად ქვეყნის პატრიოტს და დამცველს მივიღებთ.

13441. ჩვენი სინდისი ხშირად წინაპართა გონიერების გამოძახილია.

13442. ერის კულტურა, შინაგანი ელვარებით, ძირძველობით და პეწით უნდა გამოირჩეოდეს.

13443. სხვა ეროვნების ხალხთან ჯობს შორიდან იმეგობრო, ვიდრე დაიახლოვო და ძალად „დაიმეგობრო“, ვერ გაიგებენ და მაინც გაგინებენ.

13444. სამშობლოს კვამლი თვალებს არ გვიწვავს და ჭვარტლი სახეს არ გვისვრის.

13445. ნაღდი მემკვიდრე ისაა, ვინც წინაპართა მიწაზე ცხოვრობს, ამუშავებს, შვილებს არჩენს და ერთ-ერთ შვილს ანდერძით მიწაზე დატოვებს სამუშაოდ. სხვა შემთხვევაში, ნაძალადევი მემკვიდრეა.

13446. კლასიკაა ის, რასაც ყველა ერის გონიერება სიამოვნებით აღიქვამს და ითავისებს.

13447. ზეშთაგონება ქვეყნის სანატრელ წარსულს უნდა მემკვიდრეობდეს თუ გვინდა საკუთარ ერს მეობა შევუნარჩუნოთ.

13448. არიან ერის შვილები და ერის ჭიაყელები, პირველი ერის მომავალზე გამოცდილებით და წინასწარი გათვლით ფიქრობს, მეორე აწმყოთი და თავის წარმოჩენითაა დაკავებული.

13449. დღეს რწმენას არჩევაც შეიძლება და რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაც, მანამ ამით რომ განგების ნება ირღვევა, არავის ადარდებს.

13450. „პატრიოტიზმს“ ხშირად მაინც შესაძლებლობანი და გაქცევის პერსპექტივის უქონლობა განსაზღვრავს.
13451. დროის და გარემოს შესატყვისად მოქმედებას ეროვნულობისთვის ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს.
13452. თანამემამულეებისაგან, ზარალის გარდა, ხეირი თითქმის არაფერია, გარდა იმისა, რომ სამშობლოს გახსენებენ სხვის ქვეყანაში.
13453. სამწუხაროდ, დაქირავებული ჯარისკაცის როლი სამშობლოს დაცვის საქმეში გაზვიადებულია, რადგან უმეტესობა ამ საქმიანობას გამოუვალი მდგომარეობის და დაუსაქმებლობის გამო ეწევა, რაც მისი პროფესიისადმი ერთგულებას სათუოდ ხდის.
13454. ერის ისტორია ზედმიწევნით კარგად უნდა ვიცოდეთ, მაგრამ შიგ იშვიათად უნდა ვიყურებოდეთ, რადგან ამდენი ურთიერთგაუტანლობის გახსენება „შეკურთხების“ ხასიათზე გვაყენებს.
13455. ყველა ნაციონალისტი მედროვეა. ამის გამოსავლენად სხვა ქვეყანაში ფულიანი დასაქმება უნდა შესთავაზო და ნახავ უკან როგორ უყოყმანოდ გამოგეკიდება და ერის სიყვარულის დამამტკიცებელ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს მაშინვე დაივიწყებს.
13456. საქართველოში პოლიტიკური ჭკუის, ურთიერთგატანის, ურთიერთსიყვარულის, დეფიციტია, ისე კი მშვენიერი და ლამაზი ქვეყანაა, განსაკუთრებით, საჭირო სტუმრებისთვის.
13457. სამშობლო ისაა, სადაც ჩვენი მშობლები ცხოვრობენ და ჯერ-ჯერობით, ჩვენს განათლებას აფინანსებენ.
13458. დღეს სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც ჩვენი ნიჭის და შესაძლებლობის უკეთ წარმოჩენის საშუალება გვეძლევა.
13459. სამშობლოს სიყვარულს აზროვნებაც უნდა მივაყოლოთ, რადგან ბრმა სიყვარულს შედეგი არ მოაქვს.
13460. პატრიოტიზმსა და ნაციონალიზმს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ერის სახელით საქმიანობს, შთამომავლობას ამრავლებს, მეორე ყეფს და ბერბიჭაა.
13461. მასობრივად ადამიანთა გაწირვას ვერც სამშობლოს სიყვარული ამართლებს და ვერც სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ინტერესები, თუ სიტუაცია ერის გადაშენებას არ ემუქრება.
13462. სამწუხაროდ, ხელფასის მოსამატებელი სასწავლო კურსები ჯერ არავის გაუხსნია.
13463. სამშობლო ფსონში არ იდება, მაგრამ არც მან უნდა იკადროს უკუგორებით ჩვენი ჯიშის და ჯილაგის მოღორება.
13464. არავის მტრები ჩვენ არ ვართ, უბრალოდ ქვეყნის პატრიოტები ვართ ზომიერების ფარგლებში, ზოგჯერ ემოციებით და

წინდაუხედაობით.

13465. ერის კულტურა საკუთარ ნაკლოვანებებთან ბრძოლაა და არა – თავს მოხვეული პრობლემების გაბუქება და გარეშეთა დახმარების ძიება წამლიქვნელებით.

13466. ეროვნულობის ხსნის უმთავრესი იარაღია რწმენა-პატიოსნება, ცოდნა-მოთმინება, მუშტის მოღერება.

13467. საქართველოში ვინ-ვინ არის, ყველა დროში დასადგენია, იმდენად დიდია მისი გენეტიკური „მეს“ ამბიციების გათავხედება.

13468. თავის გამოჩენის ქართველებზე მეტი უნარი იაპონელებს აქვთ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ისინი ამას ხორცს ასხამენ და მოჩვენებითობას რეალობად აქცევენ, ხოლო ჩვენ ეს მოჩვენებითობა სხვისთვის გვინდა, რაც საკუთარი თავის გაბიაბრუებად გვიჯდება.

13469. ყველანი სიტყვით სამშობლოს გადარჩენისთვის იბრძვის, ხოლო სინამდვილეში – თავისთვის და საერთო საქმის კეთებას თავის დასაძვრენ ალიბად იყენებს.

13470. რა თქმა უნდა, ერზე მეტი წარმოდგენის ვართ, ვიდრე მთავრობაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის უგერგილობა-გაბახების შედეგად, ერში ქვეყნის საუფროსო პიროვნების მოძიებაც გაჭირდა

13471. წინაპართა უკეთური საქმენი ენით კი არ უნდა ვასუფთავოთ დროის შესატყვისად, არამედ წარსულის გამოცდილების ანალიზით, გონიერების მოხმობით, თუ გვინდა ერიც გადარჩეს და მისი მარადიული ხსოვნაც.

13472. გონზე მოსულ ქართველებს საქმის კეთება ერთად, შურის გარეშე უფრო გამოგვდის, ვიდრე ერთმანეთის გაუტანლობა, მაგრამ ბედის და გენის უკუღმართობის გამო, რატომღაც ამ უკანასკნელს არ ვივიწყებთ.

13473. ნაციონალიზმის წამალი საინტერესო სამუშაო, დაფასება და საკმაო ანაზღაურებაა. რაც შეეხება თავისუფლებას და სამშობლოს სიყვარულს – მოგონებათა „წყვდიადზე გაუხსენებლად“ გატანება.

13474. ნაციონალიზმია ისიც, როცა სამარცხვინო თანამემამულის გვერდით ყოფნა გეუხერხულება.

13475. ეროვნულობა, ქვეყნის წარმოჩენის ავ-კარგი, ერთი-ორი გენიოსის სახელთანაა დაკავშირებული და ნაციონალიზმი და პატრიოტიზმიც ეგ არის.

13476. გამარჯვებულთა დაპურება, დაბინავება და დამსახურებელი პატივის მიგებაა ძნელი, ვიდრე მათი პატრიოტიზმის პროვოკაციაზე წამოგება და სასაკლაოზე მიგდება.

13477. სახელმწიფო სამშობლო არ არის, რადგან პირველი ისეთი უნდა

შექმნათ, რომ გეამაყებოდეს, მეორე ისეთი უნდა იყოს, რომ ცხოვრება შეიძლებოდეს.

13478. მამულსა და სამშობლოს შორის ის სხვაობაა, რომ პირველში იბადებიან, მეორეში ცხოვრობენ.

13479. პატიოსნება თუ იმედს დაკარგავს, ნდობა შეიძლება, მაგრამ არა – პირიქით.

13480. პატრიოტიზმი შთამომავალთა გამრავლებაა, ჩასაფრებით და დროის შერჩევით და არა – არაფრის მომტანი, უსუსური და სხვისი მოიმედე ყბედობა.

13481. დღეს დასვენებისთვის გამიზნული პლაჟი, სტრიპტიზიორთა პოდიუმია.

13482. პატრიოტია ის, ვინც სხვისი გამოცდილებით და თავის ხელებით აკეთებს საქვეყნო საქმეს და არა – პირიქით: სხვისი ხელებით და...

13483. პატრიოტს სამშობლო უნდა უყვარდეს ისეთი, როგორც არის და არა ისეთი, როგორც მას წარმოუდგენია და უნდა იყოს.

13484. ქართველებს ანბანში დიდი ასოები არ აქვთ, მაგრამ „მეს“ მაინც გამოკვეთილად წერენ.

13485. სამშობლოსაც უყვარს თავის „გონჯი შვილები“, არ ივიწყებს დროისა და გარემოს შესატყვისად.

13486. სახელმწიფოებრიობაზე ძვირფასი სამშობლოა, მაგრამ პირველის გარეშე მეორე დევალვირდება.

13487. ჩვენ ეროვნული „ჩონგური“ კი არ გვაახლოებს სამშობლოსთან, არამედ ამ ჩონგურზე გამობმული სიმების სასიამოვნო ჟღერადობა.

13488. ბედნიერებაა იმის კეთება, რაც სამშობლოს სჭირდება და პატრიოტიზმი ფუჭად არ იხარჯება.

13489. ერისთვის თავის დადებას ზოგი აფექტში უფრო ახერხებს, ვიდრე დაწყნარებულ გონებაზე.

13490. საქართველოს სულიერების საბედნიეროდ, მისთვის საკონტროლო ტყვიის დახლა ბევრ შინაურ თუ გარეულ ვიგინდარას უშედეგოდ უცდია.

13491. შურიან, გაუტანელ, ავი ზნის და ნიჭიერ ხალხს საქართველოში რა გამოლევს, მაგრამ ეტყობა, ამ გაუგებრობამ მოიყვანა ეს ერი დღემდე.

13492. ჩვენ ერის იმ კატეგორიას მივეკუთვნებით, რომელიც „საკუთარ ტყავში ვერ ეტევა“, მაგრამ ეტყობა, მაინც გვიმართლებს, რადგან არც ისეთი ბევრნი ვართ, რომ „გავიქაჩოთ“ და არც ისე მცირენი,

რომ აღვიგავოთ, თორემ ამდენი პოლიტიკურ კატაკლიზმებში მოხვედრილნი, შეიძლებოდა ჩვენს ამბიციებს გადავყოლოდით.

13493. სიტყვიერად ბევრ ქართველს „სხვის დაწყობილს თავის დაუწყობელი“ ურჩევნია, იმისდამიუხედავად რომ არეულობა მის ბუნებაში არ არის და მხოლოდ უაზრო თავის მოწონების და ამბიციურობის გამოხატვაა.

13494. ქართველები სხვა მდიდარი და შემძლე ქვეყნების „უკანალში“ ამბიციებით და ნიშნის მიგებით დაეხეტებიან და თავსაც გვაწონებენ.

13495. ეროვნულობა ზომიერების გარეშე, შეგნების ნულს უახლოვდება და ინსტინქტებით მოქმედებს.

13496. ქართველებს გენში გვიზის განაწყენების შედეგად ღალატი და სხვათა იმედზე ყოფნის ტრადიციები და ამ ქრონიკულ დაავადებას წარსულის გამოცდილება არ შველის და ჯერ-ჯერობით, არ განიკურნება.

13497. ჩვენი პატრიოტიზმის კრედოა უწვალებლად კარგი ცხოვრება: „თუ მთავრობის სააწინააღმდეგოდ გამოვალ, მე არაფერი მამივა“?

13498. ქართველის ახალი ჯიშის გამოყვანა გარკვეული ნაკლოვანებების მიუხედავად, დანაშაულია, რადგან ის სამყაროს ენდემურ ჯიშს განეკუთვნება და მის დაკარგვას კაცობრიობა არ გვაპატიებს.

13499. სამშობლოს სიყვარული, გარდა განათლების მიღებისა, დროზე დაოჯახებას და მრავალშვილიანობას მოითხოვს და არა – ყბედობას, გულზე ხელის ცემას და უაზრო ხეტიალს.

13500. შენდა სამწუხაროდ და ერის საბედნიეროდ, პატარა ქვეყანაში არ უნდა დაიბადო, როდესაც ხედავ რუსთაველს როგორ აღმერთებენ და როგორ მიივიწყებენ ქართველები, თუ თავის წარმოსაჩენად არ დასჭირდათ.

13501. აბსურდულ ძალისხმევას ხშირად ერი დაბეჩავებამდე მიჰყავს და ეს ჩემმა ერმაც უნდა გაითვალისწინოს, რადგან აბსურდული მის ქმედებაში ბევრია.

13502. ქართველს სამშობლოს სიყვარული და ნოსტალგია მარად თან ახლავს, მაგრამ რამდენად ემსახურება სამშობლოს ინტერესებს, ეს სხვა საქმეა.

13503. იმედი, კულტურა, მეცნიერება, ქვეყნის განვითარების საწყისია, ოცნება, ხელის დაკაპიწება, შემართება – ხალხად დარჩენის, ხოლო „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ერის გადარჩენის.

13504. ქვეყნის ჯარისკაცობა, ფორმას ატარებ თუ არა, ყოველთვის საპატიო და ძნელია.

13505. ქართველი ყოველთვის განიცდიდა ეპოქის პოზიციების ცოდნის დეფიციტს, ხოლო როდესაც ამ ცოდნას უგულებელყოფდა, მაშინ იწყებოდა სახელმწიფოებრიობის ნგრევა.

13506. ერს აკნინებს უბადრუკი ხელისუფლება, ყურით მოთრეული კანონები, კორუფცია და უნიათო პოლიტიკოსები.

13507. ეროვნულობას რომ არ მოვწყდეთ, საჭიროა ერთმანეთს მოვეფ-ეროთ, დავასაქმოთ, მხარი ავუბათ, შიში და შური გულში არ გავივ-ლოთ. ეს თეორიულად, პრაქტიკულად კი ამ დამოძღვრას ვერ ვახორციელებთ და ვერც მოვახერხებთ ჩვენ გენის და „ვაი-ჭკუათ-მყოფელობის“ გადამკიდე.

13508. ერი, რომელსაც გონიერებით დაჯავშნული ინტერნეტი არ გააჩნია, მუდამ რაღაცის დაკარგვის საფრთხეშია.

13509. ერის მთავარი იარაღი ინტელექტი, რწმენა, ღირსების შეგრძნე-ბა და გამრავლების უნარია.

13510. დროა ქართველები, საკუთარი ცოდვების სხვაზე გადაბრალებას შევეშვათ, დღემდე ამას არავისთვის სიკეთე არ მოუტანია.

13511. ეროვნულობაზე ყბედობას და ეროვნული საქმის კეთებას სხ-ვადასხვა განზომილება აქვს, ერთი თავის წამოყოფას ცდილობს, მეორე – ერის წარმოჩენას.

13512. ზოგჯერ საკუთარი ერის წარსულ ცოდვებს რომ გადახედავ, უკმაყოფილებას ვერ მალავ, როგორ შეიძლება ამდენი სიბრიყვე წინაპარს შეგნებულად ჩაედინა.

13513. ქართული გენი ყველგან და ყოველთვის იმუშავებს, თუ მას სივრცეს, გასაქანს მივცემთ და სარბიელს შევურჩევთ, რომელთა ნაკლებლობას მუდამ განიცდის.

13514. საქართველოს მუდამ ჰყავდა სულით საჭურისი და გამყიდველი ვიგინდარები, ვაი-პოლიტიკოსები და საეჭვო ერთგულების მქონე მეზობელი ქვეყნები, რომლებსაც ზოგჯერ ხალხი წინ აღუდგებოდა და ქვეყანაც განსაცდელიდან გამოჰყავდათ, თუმცა დროებით.

13515. სიკეთის თესლი ჩვენმა წინაპრებმა ჩათესეს დროის შესატყვისად, სელექციის მოთხოვნით, ამ უკანასკნელს კი ცოდნა, შემართება, ხე-ლის განძრევა სჭირდება, ჯიში გაუმჯობესდეს, ღირსეული საზოგა-დოება შევყაროთ, ეროვნულობა შევინარჩუნოთ, რათა თავადაც კმაყოფილნი დავრჩეთ და სხვებსაც თავი მოვაწონოთ.

13516. ადამიანის მოკვლა არც საშურია და არც საპატიო, მაგრამ სამ-შობლოს და საკუთარი მეობის დასაცავად საჭიროცაა და სამწუხ-არად, აუცილებელიც.

13517. თაობათა დამსახურება ერმა უნდა გაითავისოს და თავადაც

ხელი გამოიღოს, რათა თავად არ დაიჩაგროს, დამყაყდეს და მეობა ვერ წარმოაჩინოს.

13518. „სადაც კარგად ხარ, შენი სამშობლოც ისაა“, ამ ჭეშმარიტებას, ასაკში, ბედუკუღმართობით, უყურადღებობით დასჯილი ნაციონალისტიც ხვდება და პატრიოტიც, მიუხედავად იმისა, შეიმჩნევენ ამას თუ არა.

13519. საქართველო ოდითგან ამპარტავნობის, შურიანი ნაცარქექიების და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ხალხის ქვეყანაა, მაგრამ ამას ყველასთან ვერ იტყვი, გაგინაწყენდებიან და გაგრიყავენ.

13520. ქართული ენა სიტყვების მარაგით არც თუ ისე ღარიბია, მაგრამ ინტონაცია და ორაზროვნება აქვს მდიდრული და საყურადღებო.

13521. ყველა ქვეყანამ, ერმა, თავს უნდა მიხედოს, თავად უნდა გამოვიდეს ყოფნას არყოფნის კრიზისიდან, თორემ მსოფლიოს ამით არაფერი დააკლდება, ერთ პანაშვიდს გადაიხდის (მაგ., შუმერები, ბაბილონი, რომის იმპერია).

13522. ეროვნულობა ის ფუძეა, რომელიც არ უნდა მოვშალოთ.

13523. ყველა ჩვენგანმა საუკუნის ისეთ მშენებლობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომ მთელი სიცოცხლე ეამაყებოდეს, რადგანაც არგო როგორც ქვეყანას, ხალხს, ისე საკუთარ მეობას იმას შეგნებით, რომ ის ღირსეული ადამიანია.

13524. ნანოტექნოლოგია კი არა, დღეს ქართველებს ნანა და ნანაგამრავლება გვჭირდება, ყოველგვარი ალიბის მოშველიებით.

13525. ჩვენი ქვეყნის რაობის ყველას უდრტვინველად უნდა გვჯეროდეს მისი ნაკლოვანებების მიუხედავად.

13526. საქართველოს წარმატებაში ყველამ ჩვენი წილი უნდა ჩავდოთ, ნებსით იქნება თუ უნებლიედ.

13527. ქართველები მისდღეში ჩვენივე ამბიციების იმედზე ვართ.

13528. ქართველების უმთავრესი ვალია გამრავლება და არა – წარმოჩენა, რადგან მისი ბუნება ამას დაუმოძღვრავადაც გააკეთებს.

13529. ტოტალიტარიზმიდან, შიმშილიდან, რევოლუციიდან, გაქცევა, გარდა პროტესტის გამოხატვისა, თავის შველაცაა და ამისთვის გაკიცხვას არავინ იმსახურებს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულს მაინც ზვარაკი სჭირდება, რათა ის კვლავ ფეხზე დადგეს.

13530. გაქცევა-ემიგრირება ტოტალიტარიზმისაგან, შიმშილისაგან, დამცირებისაგან, პროტესტის გაცხადებით, ერთგვარი თავის შველაცაა და ამისათვის გაკიცხვას არავინ იმსახურებს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულს მაინც შესაწირად გამზადებული ზვარაკი სჭირდება, რომ ის კვლავ ფეხზე დადგეს და ერმა გაიხაროს.

13531. თუ არაპრესტიჟულ სამუშაოებს უმთავრესად სხვა ერის წარმომადგენელნი ასრულებენ, მაშინ ძირძველი ეროვნების საქმე საფრთხეშია, რადგან მას შეჯვარება-გადასხვაფერება ელის.

13532. დღეს განვითარების ვექტორი ბევრ ქვეყანას აქვს დაკარგული, მაგრამ საქართველოს ცარიელი თავი მაინც მაღლა უჭირავს.

13533. საქართველომ თავისი მეობით უნდა იცხოვროს, ოღონდ მოწინავე ქვეყნების ყოფის გათვალისწინებით.

13534. ყველაზე დიდი პატრიოტიზმია გამრავლება, ნაშიერთა ღირსეული აღზრდა და მათვის კვლავწარმოების კოდის ჩადება.

13535. გონიერება ზოგჯერ არ ისვენებს შთამომავლობაზე და ეს ქვეყნისთვის უდიდესი ბედნიერებაა.

13536. ძირძველი სამშობლოს გახსენებით სამშობლო იქ იწყება, სადაც კარგად გვიღებენ, გვიგებენ, ყოფის უფლებას გვაძლევენ და იქიდან წამოსვლა არ გვინდა.

13537. სამშობლო რაღაც ძალით გვეძახის ჩვენთვის შეუცნობი ვნებით და ჰორმონებით, რაც მაგნიტივით გვიზიდავს და ხშირად სიმშვიდეს გვაკარგვინებს.

13538. ქართველები მარად დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ მაინც ვიღაცის ხელით იმართებოდნენ, ამასთან „დაპყრობილი დამპყრობელზე“ უკეთ ცხოვრებას ახერხებდა და მაინც მუდამ უკმაყოფილო და ნიშნის მიგების ხასიათზე იყო.

13539. პატრიოტიზმი ბევრი შვილის ყოლაა, ქართული ადათ-წესებით ღირსეულად აღზრდით.

13540. მომავლის შანსად ზოგს უაჯოდ ნაშოვნი ფულით საზღვარგარეთ ნაყიდი უძრავი ქონება მიაჩნია, სამშობლოს ღალატის სუნი რომ ასდის, პრაქტიკულად ვერ გრძნობს.

13541. სამწუხაროდ, მე ისევ იმ ვითომდა „დაპყრობილ“ ამაყ საქართველოს ვირჩევდი, რომელიც ტრაკზე ბუზს არ ისვამდა, ვიდრე ვითომდა თავისუფალ, სულით „დაჩმორებულ“ ქვეყანას, რომელმაც დროის ნაჩუქარ ლატარეაში მოგებული დროებითი თავისუფლება როგორ გამოიყენოს არ იცის.

13542. წესიერების, კანონიერების, ტრადიციების, გარეშე ქვეყნის მართვა მის სახელმწიფოებრიობას აკნინებს, აკოტრებს, ანადგურებს და კულტურისთვის, შემოქმედებისთვის, იდეოლოგიისთვის, ადგილი არ რჩება, ხოლო სამშობლოს, ქვეყნის და ხალხის სიყვარული გაუფასურებული და მოჩვენებითია.

13543. სამშობლოსგან მოშორებით ყველა „ოქროს საწმისის“ ძებნაშია, ერთეულთათვის გამართლებული რეკლამით.

13544. სამშობლო გვაკმაყოფილებს, არ გვაკმაყოფილებს, ჭიპი აქ უნდა მოვიჭრათ, რადგან გახსენებითაც ყველაზე მეტად მას ვახსოვართ, უნდა მას ამის კეთება თუ არა.

13545. ეროვნული სიამაყის გაღვივება ბუნებრივი მოთხოვნაა, მაგრამ სხვათა პატივისცემით.

13546. უმეცრებისგან სამშობლოს დაცვის მცდელობა უდიდესი მოვალეობაა ყველა ჩვენგანისთვის.

13547. სამშობლო ჩვენს წინაშე მართალია თუ არა, ჩვენი ვალია დავიცვათ გადამთიელებისგან, რადგან მისთვის ნამუსის მოწმენდა და სიცოხლის გახანგრძლივება საშვილიშვილო საქმეა.

13548. ზოგ ქართველს თუ თავს გაუყადრებ და გვერდში დაიყენებ, იმ ჭკუის სწავლებას დაგიწყებს, რომელიც მას არ გააჩნია.

13549. საქართველო სასწაულების მომლოდინე და სხვათა მოიმედე ქვეყანაა.

13550. სამწუხაროდ, სამშობლოდ ის ხდება, სადაც მეტს გვიხდიან, ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ნაშიერის სამშობლო დამფინანსებელი ქვეყანაა.

13551. ახალი სამშობლოს უყურადღებობამ შეიძლება გამოიწვიოს ძველი სამშობლოს გახსენება და პატრიოტული გრძნობების ამოტივტივება და აქაც მერკანტულობის ხელი ურევია.

13552. მთელი ცხოვრება საქართველოს სიყვარულს ვეჭიდავები, მაგრამ ვჭირდები მას თუ არა, დღესაც ვერ გამიგია.

13553. ქართველს სტუმარი უყვარს, ღმერთს და საკუთარ მესაც პატივს მიაგებს, ახლობლობაშიც არ იბნევა, მეგობრობასაც ეტრფის და ტრადიციებსაც პატივს სცემს, მაგრამ უსახსრობას ვერ ეგუება და ამ უკანასკნელის გამო შეიძლება უკადრებელი იკადროს, რადგან მისი ბუნება თავის მოწონებისთვისაა მოწოდებული.

13554. მუსიკა, მჭერმეტყველება, კუჭი, განასხვავებს ახალ ქართველს ძველისაგან.

13555. განსხვავებული ამბიციების მიუხედავად, ქართლოსი და ჰაოსი ძმები არიან, რადგან მათ შთამომავალს ქართულ-სომხური ნათესაობის ფესვები არ ავიწყდება და აერთიანებს.

13556. ერის ჯანმრთელობის მაჩვენებლია – ბავშვების ოდენობა, იმედის – სტუდენტების მომზადების ხარისხი, სინდისის – ჩვენი აზროვნება, დაღვინების – მშობლები, წარსულის – დაჭმუჭვნილი ასაკი.

13557. სამშობლოს დატოვებისკენ, „ღალატისკენ“, ადამიანს ხშირად მატერიალიზმი და შური უბიძგებს და არა სამართლიანობისთვის ბრძოლა, ცნობისმოყვარეობა და იდეალებისკენ სწრაფვა, რასაც ალიბად იყენებენ.

13558. სამშობლომ უნდა დაგასაქმოს, დასაქმების შედეგი კი ფულია ე.ი. სამშობლო ფულია და თუ ვერ გვასაქმებს, მისი სიყვარულიც ფუჭია.

13559. ერთი „გაკუება“ ხალხი ვართ და რამდენს „ვაქარებთ“ სხვების დასანახად და თავის საზიანოდ, ვის უწყის.

13560. ჩვენ ნიჭიერი, მაგრამ წინდაუხედავი, ამბიციური, ხალხი ვართ, რადგან პირველი განგების ნაბოძებია, მეორე – გამოცდილების უგულებელყოფის და ფეხებზემკიდიაობისა.

13561. სამშობლოს სიყვარული მისი ამაგის აღქმით იწყება.

13562. ოჯახი პატარა ქვეყანაა თავისი დივიდენდებით, მორალით და ურთიერთპატივისცემით, რომელთა რაობა სამშობლოს გვიქმნის, პიროვნებებს წარმოაჩენს და ეროვნულობას გვინარჩუნებს.

13563. ერს წარმოსაჩენად თავის დროზე ხელის გამტყლაშუნებელი სჭირდება.

13564. ქართულ მზერაში მოჩვენებითი „სიაფანდი“ გაცილებით მეტია, ვიდრე ამ ხალხის მენტალიტეტს და ჭკუა-გონებას შეფერება.

13565. ქართველს წესრიგი და სამართლიანობა უფრო სხვათათვის მოსწონს.

13566. ქართველები პრეტენზიული ხალხი ვართ, ოღონდ სხვათა და სხვის მიმართ.

13567. ქართველებს ჩვენი ფეხებზემკიდიაობა ხშირად „მოგვიმკია“: სამაჩაბლოში და აფხაზეთში რომ ომი იყო, თბილისში ღრეობას არ ივიწყებდნენ.

13568. საქართველოს ვუმღერთ, მაგრამ მისთვის თითქმის არაფერს ვაკეთებთ.

13569. ქართველი კაცი თავის ქვეყანაში ხან ხიზანია, ხან ემიგრანტი, რადგან მარად ღალატისკენ გაურბის თვალი და ამბიციები ვერ მოუთოკავს.

13570. სიცრუის კვირტს თუ დავამუღამებთ ჭეშმარიტების საძირეზე, მივიღებთ დღევანდელ საქართველოს მსგავს ფუჭ ნაყოფს.

13571. სამშობლო ისაა, რომელიც შენ გისმენს და უსმენ, ერთმანეთს ჭირი-ლხინი გაინტერესებთ, შენზე ზრუნავს და თავადაც ზრუნვას არ აკლებ, შენს სიცოცხლეს უფრთხილდება და ცხოვრების საშუალებას გაძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ტერიტორიაა, სადაც დაიბადე.

13572. ქართველები წინდაუხედავი, ყურდაუგდებელი, ამბიციების მქონე, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი ხალხი ვართ, რაც ხვალინდელი დღის გამოსწორებაში გვშველის.

13573. მაინცდამაინც ამბიციის მქონე ქართველებმა უნდა მოიტეხონ კისერი ცივილიზაციის სასწავლებელში, იმის ნაცვლად, რომ ამდენი ისტორიული გამოცდილების მქონე ერმა დაფიქრება, ჩასაფრება და დროის შერჩევა ისწავლოს.

13574. საქართველოს ბრმად სიყვარულს, ისევ თავხედური განსჯა და ალიყურით „მოფერება“ ჯობს.

13575. რამდენადაც უნდა ვაქოთ ჩვენი ქვეყანა, მაინც ცოტად გვეჩვენება, რადგან პატრიოტიზმს გაუცნობიერებელი ამბიციები აწუხებს.

13576. სამშობლოზე ტკივილით, შთაგონებით, სიყვარულით, ნამღერი სიმღერა სულიერებას მალამოდ ედება.

13577. ქართველი რომ სხვაზე ჭკვიანი, შეუცვლელი და „შებერტყილი“ იყო, ჩვენგან ყველა საუკუნეში „აქსიომად“ იყო მიღებული, მწარე ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, თავი არავის გაუყადროთჩვენი გენეტიკა ასე გვკარნახობს.

13578. პატრიოტიზმი საერთო საქმის შემართებით წინდახედული კეთებაა და არა ლამაზი სიტყვების ფრქვევა.

13579. რა ვიყავით, ამის განსჯა გონიერების ხვედრია, რანი ვიქნებით – გენიოსების, ხოლო სამშობლოს სიყვარული მუდმივი განზომილებაა და ყველასთვის აუცილებელია.

13580. საბედნიეროდ, სამშობლოს არასოდეს გავუყიდივართ, პირიქით კი – შურიანობის და წინდაუხედაობის გამო.

13581. სამშობლო შენთვის განკუთვნილი ცხოვრების დაუმთავრებელი სიყვარულია.

13582. 30 წლამდე ქართველზე გულთბილი, ჭკვიანი ხალხი მე არ მეგულებოდა 31-40 წლამდე. ეჭვი შემეპარა, 41-50 წლისას, მათში შური, დაუნახაობა, შევიცანი 51-60 წლისამ, მათში უსაფუძვლო ამბიციები და უმადურობაც გამოჩნდა 61-70 წლისას გაუტანლობაც და უყურადღებობაც დაერთო 71 წლის შემდგომ ტრაბახი და ძველით თავის მოწონება. ეტყობა, არც სხვა ერებშია საქმე უკეთესად, მაგრამ მე ჩემი ხალხის ქომაგი ვარ.

13583. რეალურად სამშობლო ბევრისთვის სამოქმედო ასპარეზი და „მეწველი ძროხაა“.

13584. ყველა ერს ჰყავს გარკვეული ოდენობით შერეკილი ხალხი, მაგრამ ჩვენ მაინც თავის „ძალად გასულელების“ ოდენობით გამოვირჩევით.

13585. სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარული გენეტიკურია და აქ აღზრდა და დრო არაფერშუაშია.

13586. მამული ბევრს უყვარს, უფრო ცოტა ეთაყვანება, მაგრამ მისი

კეთილდღეობა მაინც გონიერებას და ერის დაღვინებას უნდა მივანდოთ, თუ გვინდა ეროვნულობამ კატაკლიზმები არ განიცადოს და ევოლუციური განვითარების პრინციპებით იცხოვროს.

13587. დღეს საქართველოს კაცობრიობისთვის არ სცალია, სულ დაუმსახურებელი თავისუფლების გამოყენების მცდელობაშია, სხვაზე მიბაძვაშია და არა შესატყვისი მეგობრების ძებნაში.

13588. გონივრული კანონების მოხმობის არსი, საბოლოოდ, სამშობლოს სიყვარულია.

13589. ადვილი გზა ქართველებს არასოდეს ჰქონიათ ამ სამყაროში დასამკვიდრებლად და არც არასოდეს ექნებათ, მიუხედავად დიდი ნიჭისა, რადგან უმთავრესად ურთიერთგაუცნობიერებლობით არიან დაავადებულნი.

13590. სამშობლოს რაობას, ტერიტორიებს, მაინც „ფართომოხმარების“ და „პირობითად უვარგისი“ ქართველები ინარჩუნებენ, ხოლო ნიჭიერი და „პირობით ვარგისნი“ წარმოაჩენენ. პირველნი თავიანთ ტერიტორიებზე ადგილს იკავებენ და ამით გადამთიელთა ჩასახლებისგან ქვეყანას იცავენ, ხოლო მეორეთ ნიჭი აიძულებთ სხვა ქვეყანებში წარმოჩდნენ, რადგან სამშობლოს მათი დასაქმების არ უნარი აქვს და არც – სურვილი (ამრიგად, მოგვწონს – არ მოგვწონს, გამოდის, რომ სამშობლოს დაცვა-შენარჩუნება ისევ „პირობითად უვარგისს“ და „ფართომოხმარების“ ქართველთა პრეროგატივა ყოფილა).

13591. ამბობენ, სამშობლოსათვის თავის გაწირვა სიკვდილის დამარცხებააო, მაგრამ გააჩნია ამ დროს სამშობლოში რა მასტის ხალხი ცხოვრობს და იმსახურებენ თუ არა თავგანწირვას.

13592. როცა სამშობლო სიცოცხლის შეწირვას ითხოვს, იქ შენიანების ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

13593. სამშობლოს საკითხს ყველა თავის მენტალიტეტის, გულის კარნახით და შემთხვევის შესატყვისად წყვეტს.

13594. სამშობლოს სიყვარული გულის მოთხოვნაა, აზრის აღზრდაა, გონების ვარჯიშია სულიერების წესრიგში მოყვანით.

13595. პატარა ძალაუფლებას, ავტორიტეტს, სამშობლოში ყველა უნდა ვფლობდეთ, თუ გვინდა თავი ქვეყნის შვილად აღვიქვათ.

13596. სიმდიდრესა და ნიჭს ფიქსირებული სამშობლო აქვთ, მათ მხოლოდ შესანახი და დასაბანდებელი ადგილი აქვთ და სადაც დაუყვავებენ სამშობლოდაც იმას მიიჩნევენ.

13597. სამშობლოს სიყვარულში დაეჭვება მაჩვენებელია, რომ კლასიკური გაგებით ის არ გყვარებია.

13598. ერთგულება ძალას გვმატებს, ნდობა – რწმენას, კარგი სიტყვა – აღმაფრენას, სამშობლოს სიყვარული – გმირობის მუხტს და ბოლოს, ქვეყნის და ერის სიყვარულიც ესაა.

13599. სიტყვა „სამშობლოს“ დიდი ძალა აქვს, თუ მას თავის ხალხზე შეყვარებული პირი ახმოვანებს.

13600. ენის ცოდნა, ტრადიციების დაჭაშნიკებით, ეროვნულობის საიდუმლო გასაღებია.

13601. ადამიანად ჩამოყალიბებას სამშობლოს რაობის შეცნობა უნდა, სიამაყით და კეთილშობილებით.

13602. ასაკში დღევანდელი სამშობლოსთვის თავის გაწირვისკენ ვერავის მოვუწოდებ, ამის აუცილებლობა პიროვნებამ თავადვე უნდა იგრძნოს.

13603. ეროვნულ ფასეულობათა გაფეტიშების გარეშე უფლება არ გვაქვს სხვა ქვეყანაში დროებით საცხოვრებლად წავიდეთ, რათა ჩვენთან ერთად და ნაშიერიც საბოლოოდ არ გადაგვარდეს და სამშობლოში დაბრუნების გზა არ გადაიკეტოს.

13604. სამშობლოს მიტოვებასა და დატოვებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველ შემთხვევაში მისგან გარბიან, როდესაც ქვეყანას უჭირს, მეორე შემთხვევაში მისგან მიდიან, როდესაც მათ დასაქმებაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს.

13605. მე ქართველებს კი არ ვაგინებ, არამედ ვნაღვლობ მათი ნიჭის მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოუყენებლობას.

13606. რწმენა გვაიძულებს სიცოცხლე გავწიროთ სამშობლოსათვის და არა – ნაციონალური იდეა, რადგან რწმენა აყენებს ქვეყანას ფეხზე და ხალხს შეუძლებელს შეაძლებინებს.

13607. ერთდროულად განათლება, ინტელექტი, პატრიოტული შემართება, არის ქვეყნის მსახური და არა მხოლოდ ცოდნა, რომელიც მარად „გუგული“ დარჩება სამშობლოსათვის, თუ ქვეყანა არ მოეფერა.

13608. ზოგს სამშობლო არცხვენს, ზოგიც სამშობლოს არცხვენს და ისიც „იძულებულია“ სამშობლო იცვალოს.

13609. სახლში კვერცხისმდებელი უჯიშო ქართველი მირჩევნია, ქვეყნის გარეთ კვერცხისმდებელ ჯიშიან ქართველს.

13610. გადაჭარბებული ამბიციები ყოველთვის იმას ხედავს, რის დანახვაც სურს და ამიტომაცაა, რომ ქართველებს აწმყო არასდროს „წყალობს“.

13611. ქალის, სამშობლოს და რწმენის წინაშე მუხლის მოდრეკა აუცილებელია თუ გვინდა საკუთარი ეროვნულობა შევიცნოთ და

შევინარჩუნოთ.

13612. საერთოდ, ქართული ტერიტორიების სიმცირე და ზოგჯერ დაკარგვაც, საქართველოს ეკონომიკაც, პოლიტიკაც უსუსურობის შედეგია, რადგან ყველა თავის თავზე ფიქრობს და გარჯა, უთიერთმოფერება, საქმე მიგდებული აქვთ.

13613. საქართველო ყოველთვის იყო მოჩვენებითი და დასნეულებული ინტელექტის ქვეყანა, სადაც ფაქტობრივად ყველა თავის თავზე ფიქრობს.

13614. ყველა ერს თავისი არსებობის მანძილზე ბევრი სიბრიყვე აქვს ჩადენილი, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს მას განვუდგეთ და სხვა ეროვნებას მივაკუთვნოთ თავი.

13615. ზოგჯერ სამშობლო გვარცხვენს, ზოგჯერაც ჩვენ ვარცხვენთ, მაგრამ ყოველგვარი წამოძახების და ანგარიშსწორების გარეშე.

13616. ქართველებს თავის დროზე არც ვახტან გორგასალი მოსწონდათ, არც დავით აღმაშენებელი, არც თამარ მეფე, არც გიორგი ბრწყინვალე, არც მუქთაობაზე აწყობილი საბჭოთა წყობა და არც დღევანდელი „თავისუფალი“ საქართველო, რადგან ხალხი ხელისუფლების არბიტრად ღმერთს არ უქნია, მათ მხოლოდ ქომაგობა უნდა მივანდოთ.

13617. ქართველობა დიდი ტვირთიცაა, მოვალეობაც, სიყვარულიც და დიდი შეგნებაც, რათა ზოგიერთი უგვანოს მიერ ჩადენილმა კაურებმა არ გაგაბოროტოს და ერის წარმომადგენლობას სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლით ზურგი არ შეაქციოს.

13618. ზოგი განაწყენებული მამულისთვის ცხვირის მოხოცვას, ჩირქის მოცხებით, საქმის ცოდნით ცდილობს.

13619. ამაყი რომ იყო, შენი სამშობლოს სიძლიერე და მისი საგარეო ავტორიტეტი ხელს უნდა გიწყობდეს.

13620. ჯარისკაცსაც ღირსების და ერთგულების თავისი კოდექსი უნდა ჰქონდეს – სამშობლოს სიყვარულით.

13621. საშინელებაა, როდესაც შენი ხალხის და სამშობლოსადმი სიყვარული დევალვირებას განიცდის.

13622. სამშობლოს, ტრფობა-გათავისების ნიჭთან ერთად, შემართება, მცდელობა და მტკიცე ხასიათი სჭირდება.

13623. სამშობლოს არც კარგი ცხოვრებისთვის ტოვებენ და არც კარგი ცხოვრებისთვის ბრუნდებიან, უბრალოდ, ქვეყანაში სამართლიანობამ უნდა დაისადგუროს.

13624. საქართველო მარად ვასალობისთვის გამზადებული ქვეყანაა, ამბიციებით, სხვებისთვის ჭკუის სწავლებით, საგარეო პოლიტიკაში

ცხვირის ჩაყოფით, გამორჩენის მცდელობით. იმ ნიჭის გამოუყენებლად, რომელიც ნაბოძები აქვს ზევიდან.

13625. სამშობლოს სიყვარული უდიდესი საგანძურია, თუ ის ქვეყანად იქცა და ხალხი – საზოგადოებად.

13626. საქართველო სტუმარ-მასპინძლობის, სიყვარულის და სიმღერის, ქვეყანაა ანუ „სამი რამ მინდა ამქვეყნად: ღვინო, დუდუკი, ქალები, ღვინოს ვსვამ, დუდუკს ვაკვნესებ, ქალებო, გენაცვალები“.

13627. მშობლიურ ენას ყველაზე მეტი მოფერება სჭირდება, რათა სიამოვნება მოგვგვაროს და გაგვაამაყოს.

13628. შემოქმედი, პირველ რიგში, სამშობლოს, ენას, უნდა მოეფეროს მაშინაც, როდესაც სხვა ენაზე მეტყველებს და მღერის.

13629. „ურაპატრიოტიზმს“ გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სამშობლოსადმი მშვიდ, უპრეტენზიო გულგრილობას.

13630. მთავარი ის კი არ არის, რომ უნიჭიერესი ხალხი ვართ, მთავარია, რას ვფიქრობთ და ვისთვის და რისთვის ვირჯებით.

13631. ერის გამრავლება ის უდიდესი პასუხისმგებლობაა, რასაც ყველა ღირსეული ქართველი უნდა გრძნობდეს, თუ მას სამშობლო უყვარს.

13632. სწორედ ქრისტესისხლის (ღვინის) დამსახურებაა, რომ ქართველები მხიარულობენ და კეთილისმდომთ იძენენ.

13633. ყველა ჩიტი გაზაფხულზე თავის ბუდეს აგნებს, დღევანდელ ზოგ ქართველს კი თავის ქვეყანაც გადაავიწყდა.

13634. ასპროცენტიანი სამშობლო მაინც ის ადგილია, სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ, ფული გვიშოვნია და დაუსაფლავებივართ, ერთ-ერთის გამოკლების შემთხვევაში ის ქვეყანა, ტერიტორია სადაც შეხება გვქონია.

13635. ზოგჯერ სიმართლე მალვას მოითხოვს, მაგრამ არა კვადრატში გასაიდუმლოებით, რადგან ის ვიღაცას, რაღაც დროში, უნდა გამოადგეს.

13636. ქართველებს, პოლიფონიური „ნიჭის“ გამო, ყოველთვის უჭირდათ ერთ ჰანგზე სიმღერა, სხვადასხვა კრიმანჭულის და მოძახილის ჩართვის გამო.

13637. ბევრი დღევანდელი მენტალიტეტის მქონე სამშობლოსაც გაჰყიდდა, მაგრამ მყიდველის ნახვა გახდა ძნელი.

13638. ეტყობა, მზის სხივთა გამონათება და ღრუბლის ჩამოწოლა საქართველოს ბედია და ასე ორჭოფობით, ურყევი ამბიციებით, ამ საუკუნეთა ავ-კარგს ეჭიდავება და მიათრევს ამ წუთისოფელს.

13639. ჩვენი წინაპრების უხიაგობამ, გაუტანლობამ, ავყიაობამ (ღმერთო, გვაპატიე) ორ ზღვას შორის მყოფი ტერიტორიაც კი ბოლომდე

ვერ „გადაჭრა“.

13640. დღეს ჩვენ შრომის, ცოდნის, მეცნიერების, არდამფასებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, დიდი ფულის შოვნის უიმედო იმედით და რის „დაჭერის“ იმედი გვაქვს, ძნელი სათქმელია.

13641. ქართველობა, პირველ რიგში, სხვათა შვილების გათავისება, მათზე ზრუნვაა, რათა ღვიძლ შვილებად გვექცნენ.

13642. ქართველს ყოველთვის აჩქარება, თავის ტყავში დაუტევლობა და დროის არასწორად შეცნობა ღუპავს, რადგან ის ევოლუციას და გონივრულ ჩასაფრებას პატივს არ მიაგებს, ყველაფერი „იცის“ და პირველობა უნდა.

13643. ქართველი შეიძლება ეროვნულობით იყოს „მოწამლულიც“ და მოუწამვლელიც, მაგრამ მე უკანასკნელის უფრო მჯერა, თუკი შთამომავლობას ამრავლებს, მასზე ზრუნავს, ყოველგვარი პრეტენზიის და პოლიტიკის გარეშე.

13644. მთელი ცხოვრება ემსახურო ისეთ საჭირო და სათუო პროფესიას, როგორიც ჯარისკაცობაა, ძნელია. ხოლო ქვეყნის სიყვარულის გარეშე ეს წარმოუდგენელია.

13645. მოვალეობის გაუთვალისწინებლად სამშობლოს ისტორია დესერტის როლში გვევლინება.

13646. საქართველოს ხშირად პატრიოტიზმით გამოწვეული იმედით აღვიქვამთ, ილუზიით, რომ მას ის ისტორია ექნება, რაც ჩვენ გვინდა.

13647. სამშობლო ზოგისთვის უგუნურების წარმოჩენის საშუალებაა, რაც თავსაც და მასაც სხვაზე მეტად ვნებს.

13648. ემიგრანტებს ფესვები ერთგან აქვთ, ბუდე – მეორეგან, ფულის შოვნას მესამეგან ცდილობენ, მაგრამ ეროვნულობის ყივილი არსად მოსვენებას არ აძლევთ.

13649. სამშობლო მაინც ისაა, სადაც ცხოვრების საწყისის 34% მაინც გარანტირებული გაქვს.

13650. თეორიულად არც საქართველოს შეუძლია მისი ღირსეული შვილების გარეშე ცხოვრება, მაგრამ ამას პრაქტიკულად შესანიშნავად ახერხებს, გარკვეულ, მოჩვენებით, „ვაი-ვიშს“ თუ მხედველობაში არ მივიღებთ.

13651. სამშობლოში დარჩენა და მისდამი ფაქტიური სიყვარული იმ ადამიანების საქმეა, რომლებსაც „გასაქცევი“ არ აქვთ, თორემ ქვეყანაში თანამდებობა და უკეთეს ყოფა-პირობებს გამქცევებენ დათანხმდებოდნენ.

13652. ხელისუფალი თუ უვიცია და თავის ადგილს შეუფერებლად იკავებს, ის სამშობლოს მოღალატეა.

სიყვარული _ სილამაზე

13653. რელიგიათა სხვაობა სიყვარულს, მეგობრობას, საერთო ინტერესებს, წინ ვერ ეღობება, პირიქით, ქედს უხრის და შენმდომი ხდება.

13654. ბედნიერება ვნებიან და ცოცხალ სიყვარულშია და არა ვაგადასულში და მოსაგონრად დაობებულში.

13655. დღეს საქორწინო ხელშეკრულება თუ არ გააფორმე, „სიყვარული“ საეჭვოდ გამოიყურება.

13656. სილამაზეს შესაძლებელია ოპონენტები გამოუჩნდნენ, რაც უფრო თავის წარმოჩენის სურვილია, ვიდრე შურისა.

13657. ყველა სილამაზეს შესაფასებელი სერტიფიკატი ახლავს.

13658. სიყვარული ის გამოუსწორებელი ოპტიმისტია, რომელსაც იმედი აქვს ვნების დანაკარგის წლებს აანაზღაურებს, მაგრამ საიდან „დაესხმიან“ თავს, მისთვის უცნობია.

13659. ასაკი იმ სანატრელ სიტყვას, რომელსაც სიყვარული ჰქვია, თანდათან ამძიმებს და ფუჭად აქცევს.

13660. სილამაზე ის ფენომენია, რომლის სრულყოფილი ასახვა ფორმულით შეუძლებელია.

13661. სიყვარული თავიდან თავდაჯერებულია, მაგრამ დროდადრო ეჭვის ბაცილა ეყრება.

13662. ეჭვი, რომელსაც სიყვარული კვანტს უდებს, ნამდვილი სიყვარულია.

13663. „შეიყვარე მოყვასი“ გადაუდებლად, თორემ სასიყვარულოც აღარავინ დაგვრჩება.

13664. სიყვარული ლაქას არ ტოვებს, იმისდამიუხედავად მასზე ჭორაობენ თუ არა.

13665. დღეს სიყვარული ჰიგიენიდან იწყება და კვლავ ვნებით მთავრდება, რადგან სექსი, თანამედროვე გაგებით, ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთგაგება და ურთიერთდახმარებაა.

13666. სილამაზე უნიკალური და უმდიდრესი განძია, რომელიც გადასახადით არ იბეგრება, პირიქით, სპონსორდება.

13667. სიყვარულზე გამოდევნება სასიამოვნო და სარისკოა, არავინ იცის, ფინიში როგორი იქნება.

13668. თუ ერთმანეთს ძალზე სჭირდებით, ეს სიყვარულია და ბასტა.
13669. სიყვარული ურთიერთობაში მაიონეზივითაა! ყველა შეცდომას და ნაკლს ასწორებს და აგემრიელებს.
13670. სიყვარულში მთავარია წყვილის სხეულთა საუბარი, არომატის და ვნების მოთხოვნათა განთავსებით.
13671. რეალური სიყვარული დღევანდელობით ცხოვრობს, ხოლო ყურით მოთრეული, ნაოცნებარი – გუშინდლობით და მეხვალიეობით.
13672. შეყვარება ძნელი არ არის, მისი შენარჩუნება და მოვლა-პატრონობაა მისასალმებელი.
13673. სიყვარულის დატირება ვერაფერს შველის, მაგრამ გულის მოსაფხანადაა საჭირო.
13674. სიყვარულს ანგელოზები უნდა მფარველობდნენ, ვნების სპონსორობით და სექსის გარდაუვალობით.
13675. საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა ბედნიერებაა, მაგრამ სიყვარულსაც ზოგჯერ დასვენება და სულის მოთქმა სჭირდება.
13676. წყვილისთვის ყველა ვარსკვლავი სიყვარულის მფარველი და გზის მაჩვენებელია.
13677. სიყვარულის აბდა-უბდას განსჯისას ზოგჯერ თვალები გულს არ ეთანხმება, ხოლო ამ უკანასკნელს – სულს ეწყება ვნებათა ჩოჩქოლი და გაუგებრობა.
13678. სიყვარულს გართობა სწყურია, მაგრამ ამისათვის საკმაო დროის გამოყოფა უჭირს.
13679. სიყვარული სულს ათრობს, სხეულს ამჩატებს, გულს მხურვალებას მატებს და ტვინს სასიამოვნოდ გვიბურღავს.
13680. ქალისადმი სიყვარული ის საყოველთაო სასწაულია, რომელსაც ჩვენი წარმოსახვა მხარს ვერ უბამს.
13681. სიყვარულმა თავბრუსხვევა და გულის ამოვარდნა იცის, მაგრამ ეს სიმპტომები სასიამოვნო დაავადებათა წინამორბედია, რომელიც ხშირად დაწყვილებით მთავრდება.
13682. სიყვარულის დავიწყება ძნელია და თანაც არარენტაბელური – დღეები იკარგება, დროში ვიწვებით.
13683. ხშირი და უსაფუძვლო შეხვედრები სიყვარულის მოხვეჭის გარანტიად არ გამოგვადგება.
13684. სიყვარული ვერავითარ გარანტიას ვერ იტანს, თუ სულმა ერთმანეთი არ მოიძია.
13685. სიყვარულის ჩასახვას სავსე მთვარე, სასიამოვნო ღამე, საამო ნიავი ხელს უწყობს, ხოლო თუ მას კოცნა, ვნება და ურთიერთგაგე-

ბაც ემატება, სიყვარულის თუ არა, ტრფობის საქმე მაინც მოკვარახჭინებულია.

13686. ზოგჯერ განშორება სიყვარულს ფრთებს ასხამს და ყველა წინააღმდეგობის გადასალახად მზად არის.

13687. ქალისადმი სიყვარული საკუთარი „მეს“ გარდა მეორე „მეს“ გვაძენინებს.

13688. სიყვარული სულის საიდუმლოებაა, რომელიც დროთა განმავლობაში გატირაჟებისათვისაა მოწოდებული.

13689. სიყვარული სამოთხის ბაღში შეხვედრას, სეირნობას და სულიერების ბაღნარად ქცევას გვპირდება.

13690. ტელეფონში ისე ვნებიანად უნდა შეგეძლოს საუბარი, რომ შენი დითირამნები ქალმა კოცნად წარმოიდგინოს და ისიამოვნოს.

13691. გული სიყვარულის ნიავსაც კი ამოვარდნამდე გრძნობს, ქარიშხალზე რომ არაფერი ვთქვათ.

13692. „SMS”-ის სიმრავლე სიყვარულისკენ მიმავალ გზებს ამაგრებს და მწვანე შუქს უხსნის.

13693. სიყვარულს თავიდან არაფერი აშინებს. შიშზე ფიქრი მაშინ ისადგურებს, როდესაც ოჯახი შეიქმნება და პატარები ჩნდებიან.

13694. შეყვარებას ტკბილი სიზმრები მოსდევს, რათა სიყვარულის ბერკეტები სიამით აღიქვა.

13695. ზოგჯერ თვალების უნებლიე შეჯახება სიყვარულის საწყისი ხდება.

13696. ნაღდ სიყვარულს არც ასაკი აინტერესებს და არც – გონიერების მეგაბაიტი.

13697. თვალებს ბევრი რაიმეს დავიწყება შეუძლია, სიყვარულის და საყვარელი ქალის საქციელის გარდა.

13698. სიყვარულთან გზები გვაშორებს და არა – სურვილები, ვნებები.

13699. ზღვის მოლივლივე ტალღები სანაპიროზე მოსეირნე წყვილს სულიერად ამშვიდებს და სიყვარულით დაოჯახების ჰარმონიას უქმნის.

13700. სიყვარულმა სინაზით და თრთოლვით შემოპარება იცის.

13701. ზოგს უშფოთველი, ანგარებიანი, წინასწარ განჭვრეტილი დაოჯახება და არა სიყვარულის ქარიშხალით შექმნილი მოსწონს.

13702. ზოგჯერ ცხოვრებას სიყვარელი ქალისთვის მოპოვებული იმედი გვასწავლის.

13703. სიყვარულის უმთავრესი დამოძღვრა, საერთო სარეცელის გაშლა, არ დაგვავიწყდეს.

13704. სიყვარულს თვალების დაჟუჟუნების ოქმი ამაგრებს, „სქესო-დრომზე“ დამოწმებული ვნების ბეჭდით.

13705. სიყვარული ის საამო დავადებაა, რომელიც ვნებით მკურნალობას მოითხოვს ყოველგვარი დანიშნულების და დოზირების გარეშე.

13706. სიყვარულის ყვავილის მოწყვეტა ყველას ხვედრი არ არის, ამიტომ ზოგი მასზე გაგონილი ჭორებით კმაყოფილდება, ზოგიც მისი ყიდვისთვის იღვწის.

13707. დროებით დაშორება, სიყვარულთან განშორების საწყისია.

13708. სიყვარული თუ სიყვარულის ინტეგრალებით გესიზმრება, შენი ხვედრია, თუ ვნების მრავალფეროვნებით – შენი ბედისწერაა.

13709. სიყვარულსაც თავის გემო, სუნი და ვნებათა ჩოჩქოლი ახასიათებს.

13710. ჟუჟუნა წვიმის ქვეშ წყვილის უზრუნველ სეირნობას სასიყვარულო კაიფი მოაქვს.

13711. სიყვარულმა გულის ამოვარდნა, ინტუიციის დაჩლუნგება, გონის გაბრუება, სულის გაამაყება და სინანულიც იცის, დადებითი შედეგის და ოცნებების ახდენის მიუხედავად.

13712. სიყვარულს ფიცი-მტკიცი უხდება და ამახსოვრდება, შედეგის მიუხედავად.

13713. სიყვარული აღმაფრენით იწყება, თხრობით მთავრდება, ხოლო „პახმელიაზე“ (ნათრობზე) როგორ ხასიათზე დადგები და რა აღმაფრენა შემოგრჩება, ეს სექსის შესაძლებლობის და ვნების თავისგამოდების პერსპექტივაა.

13714. სიყვარული გულით იგებს, სულის კორექტივებით და ხორცის თანხმობით.

13715. სიყვარულს გრძნობებით პარვა უხდება და არა უგრძნობო დაყაჩაღება.

13716. უსაფრთხო სექსი გონიერებასთან ახლოა, მაგრამ სიყვარულისგან გვაშორებს, რადგან წყვილის შემაკავშირებელ და განსამტკიცებელ დუღაბს – ბავშვის ჩასახვას – თავს არიდებს.

13717. გულიც დროდადრო პროფილაქტიკას მოითხოვს, ამდენი სასიყვარულო ისტორიიდან უნდა განიწმინდოს, გადახარშოს და ერთ-ერთი აირჩიოს.

13718. სიყვარული იმ დაძინებულ ვულკანს მოგვაგონებს, რომელიც როდის ამოხეთქავს გრძნობების სახით, სიყვარულის ლავა რას მოიმოქმედებს და ვის გრძნობებს როგორ წალეკავს, არავის უწყის.

13719. მე შენ გეტრფი, ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ვერ ვძლებ, ყოველივე ეს გულიდან მოდის და ჭკუის ნაჩალიჩევი არ არის. შენზე ბედნიერ ადამიანად დაბადებული, ამქვეყნად, არავინ უნდა ჩათვალო.

13720. სიყვარული აუცილებლობაა, მაგრამ შეყვარება ყველას ხვედრი არ არის.

13721. ქალის სილამაზეს შესწავლა და შეცნობა არ უნდა, ის ყველა დროში ერთნაირად აღიქმება.

13722. სილამაზეს ნაკლი არ აქვს, მაგრამ ოპონირებას ლამობენ და უგულონი შურით გულზედ სკდებიან.

13723. სილამაზე დიდი განძია, მაგრამ გონიერებას, შეცნობის შემდგომ, ვერ ჯობნის.

13724. შეყვარებულთ ყოველთვის ეჭვი ეპარებათ ყოფის აქსიომაში, ხოლო რაც მათ ოცნებას ეკუთვნის, სწამთ და სჯერათ.

13725. ბედნიერებას ბევრი განტოლება აქვს ერთი სასიამოვნო ტოლობით, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

13726. გაცბუნება, განცვიფრება, გაშტერება, სახტად დატოვება სიყვარულით, ყოველივე ერთდროულად მხოლოდ ქალის ოცნებაში შეიძლება იყოს.

13727. დიდი სიყვარული შინაგანი ვნებას, თავდავიწყებას, გონის დაბინდვას მოითხოვს, რაც შეეხება „სიყვარულის კულტურას“ ის საპასუხო სიყვარულის შედეგად იწყება და ტრფობად უნდა აღვიქვათ.

13728. ვნებიანი სიყვარული წრეგადასული, დაუოკებელი, გონდაკარგული ექსტაზია, რომელიც საყვარელ ქალის დანახვაზე გარკვეული წამებით გთიშავს.

13729. სიყვარულის ფასი მის უჩვეულობაში, მიუწვდენლობაში, განცდაში, განუსჯელობაშია, რომელიც თანდათან სულიერებასა და საფიქრებელში გადაიზრდება.

13730. სიყვარული ერთეულ ბედნიერთა, განგების მიერ ხელდასხმულთა, ხვედრია, სხვანაირად კი „დამინახე-დაგინახე“, „მომეწონე-მოგეწონე“, „შეგეწყვე-შემეწყვე“ და „ბასტა“.

13731. სიყვარულის ემბლემაზე უნდა დაიხატოს მძიმე, ორი წერტილი, ძახილის ნიშანი და უამრავი კითხვის ნიშანი, წერტილის გარეშე.

13732. ხორციელი უძახე და საყვარელი ქალის სარეცელს მაცდური, შენი სულის შესატყვისი, სურნელი ასდის და შენთვის სანატრელი სუნით ყარს.

13733. სიყვარულის გიჟმაჟი გრძნობების მოთოკვაა ძნელი, თორემ მამრის ხვადობას და მდედრის წაწლობის სურვილს სარეცელზე შერკინება შველის.
13734. „დამსხვრეულ ბედნიერებას“ უმთავრესად დავიწყებული სიყვარული შეეტყვისება.
13735. სიყვარული ის მოულოდნელი აფექტია, რომელიც ზნეობას და მოვალეობას დროებით გრძნობების სიჭარბით გვერდზე მოისვრის.
13736. დღეს სიყვარულის ურთიერთგადანერგვა ინტერნეტითაც ხდება, ყოველ შემთხვევაში, შედეგი – დაოჯახება – ხშირად სახეზეა.
13737. დღეს სიყვარული „ზნეობრივი ნამსხვრევების“ შემონახვას ცდილობს, რადგან „სიყვარულს რომ მალვა უნდა“ მოდაში აღარაა.
13738. სიყვარულს როგორც შენება, ასევე ნგრევა ახასიათებს და აქ მთავარია, ნანგრევებში შთამომავალი არ მოხვდეს.
13739. სიყვარულში დაუნდობლობა უგნურების გამჟღავნებაცაა და ბედნიერების რადიკალური ძიებაც.
13740. ბედნიერების მაძიებელი ხასიათი მოუთოკავი სიყვარულისთვის არის განწირული.
13741. ფარული ვნება, ოცნებით გატაცება, გულის ამოვარდნა-ჩავარდნებით, სიყვარულისთვის გამზადებული ზებუნებრივი ნიჭია.
13742. სიყვარულის მიწიერი გამოვლინების ფორმა სექსია, „ხვევნა-კოცნით, მტლაშა-მტლუშით“.
13743. სიყვარული თავისებური ანომალიური მოვლენაა კარგი გაგებით და შეუცნობადი შედეგით, რადგან ზოგჯერ მზადაა სანუკვარი გრძნობების ნაღვაწი დაუფიქრებლად მოსპოს, გაანადგუროს, რაც დიდი სიყვარულის აფექტში გამოძახილია (კოლხი მედეა).
13744. სიყვარული საამო ცელქობაა, რომელიც სულს აფოფინებს, ხორცს ახალისებს და გულიც საგულეშია.
13745. სიყვარული სამუდამოდ ცეცხლმოკიდებული გულია, რომლის ღადარი მუდამ მზადაა ასაალებად.
13746. სიყვარულის ყველა გამოხდომას, გათავხედებას, ხატოვანი ლოგიკით თავისი ალიბი ახლავს.
13747. სიყვარულს დაბნეულობა, ბედნიერება, გრაცია, პატივმოყვარეობა, სიმშვენიერე, გალანტურობა, გრძნობათა ჩოჩქოლიც ახლავს.
13748. საბედისწერო სიყვარულს, ამ გონიერებისათვის გაუგებარ ძალას ვინ იგემებს, მარადჟამს გაუგებარია.
13749. უიმედო სიყვარული ამქვეყნიური სანეტარო ტანჯვა, სულის წამებაა.

13750. სიყვარულს და მის ილუზიებს ოცნების დოზის ფარდაგში შეფუთვნა სჭირდება, იქნებ იყვავილოს.
13751. სიყვარულმა ვინ იცის რამდენი ამპარტავანი სულის მოზვირთებას ბოლო მოუღო და მიწიერებას აზიარა.
13752. ქალის კაპრიზს ვერ გაუგებ, ქმარს იმასაც აყვედრის, რომ ბოლო ბავშვი მისი არ არის და ამიტომაც უნდა გაეყაროს, დაშორდეს.
13753. სიყვარულს ზოგჯერ მიუკარებლობა ახასიათებს თავის გამონათებებით და მოვალეობის შეცნობით.
13754. სიყვარული განკურნებადი ჭრილობების მიყენების გარეშე არასრულყოფილია.
13755. „მე შენ მიყვარხარ“ – ეს სიტყვები ფუჭ ტყვიებს არ მიეკუთვნება, რადგან ის პირდაპირ გულში ხვდება თქვენს რჩეულს.
13756. სილამაზის ძიება ადამიანს ცუდ ჩვევებს გადააჩვევს და მის გენს სიკეთის საკეთებლად განაწყობს.
13757. სიყვარულს თავისი მწარე და უცნაური გამოცდილებაც ახლავს, მაგრამ მასზე ხელის აღებას არავინ აპირებს.
13758. შეყვარებაც და ტრფობაც თავის ოცნების გადასახადს იხდის, იმისდამიუხედავად, გაუმართლებთ სიყვარულში თუ არა.
13759. სიყვარულის სამკუთხედი გენეტიკური დავადებაა, რომელსაც საზოგადოების აზრი არ აინტერესებს.
13760. შეყვარებული გული და გონება სიმშვიდისათვის და გონის კონცენტრაციისათვის არ გამოდგება.
13761. საბოლოო გამარჯვება სათნოებას რჩება და არა – სილამაზეს.
13762. ქალის გამოსაფხიზლებელი და ენერგიის მიმცემი წამალი „უგზო-უკვლო“ სიყვარულია.
13763. სიძულვილის მოთოკვა, განკურნება, მხოლოდ სიყვარულის ვაქცინის შეშხაპუნების შედეგად შეიძლება.
13764. ვეცადოთ უკომპრომისოდ, უკანმოუხედავად, გარეგნული, სულიერი სილამაზის მაკიაჟით და ქველობის შენარჩუნებით ვიცხოვროთ.
13765. უკიდურესობა ყველა ქმედებაში უნდა გამოირიცხოს, მათ შორის, სიყვარულშიც.
13766. სილამაზე ნიჭს დროს გაყვანით ადუნებს, რადგან მისი ერთდროულად და მთლიანად აღქმა ჭირს.
13767. სილამაზის შერჩევას არც განათლება სჭირდება, არც აღზრდა და არც გენი, რეალობა იმდენად უდაო და ნათელია.

13768. რაფინირებულ სილამაზეს ასაკის მატება ვერას აკლებს, ის თავის ბუნებრივ წონას და აღზრდას ზომიერების ჩარჩოში სულიერად ინარჩუნებს.
13769. ბრძენიც შეიძლება დროებით უთაოდ დარჩეს, თუ საქმე ქალის სიყვარულს ეხება.
13770. რაც ლამაზია, აღსაფრთოვანებელია, ჭეშმარიტია, იშვიათი და შესამჩნევია.
13771. შეყვარებულთა შეკამათება, სიყვარულის საყრდენების გამაგრებაა.
13772. სიყვარული ძალას არ ემორჩილება, მაგრამ ნებდება.
13773. სილამაზეს და მშვენიერებას, სხვადასხვა რაკურსით არ ამოწმებენ, ერთიანობაში აღიქვამენ.
13774. ქალის მიერ სილამაზით დაგებულ მახეში, ყველა მამაკაცი მისდაუნებლიედ ებმება.
13775. გონიერებაში „შეზელილი“ სილამაზე, ყოველთვის წარმატების გარანტიაა.
13776. წუხილი და სიყვარული სინონიმებია და ურთიერთლტოლვის საძირკველზეა აგებული.
13777. სიყვარული ქარივითაა, საითაც დაუბერავს იქით მიგვატრიალებს და ვნებას ისეთ ვიღაცასთან აგვარებს, რომელზეც წარმოდგენაც არ გვქონდა.
13778. ეჭვიანობა სიყვარულის ზადია, მაგრამ უიმისოდ სიყვარულის მადლის შეცნობაც რომ ჭირს?!
13779. სიყვარულის წუთებია, ქალს მშვენიერებას და სათნოებას რომ მატებს.
13780. სიყვარულს წამლობა და ფსიქოთერაპია ვერ შველის.
13781. სიყვარული ზოგჯერ ისეთ რაღაცაზეც თანხმდება, რომელსაც ადრე ვერც წარმოიდგენდა.
13782. სილამაზე ავანსად გაცემული ინდულგენციაა, გააჩნია, ვინ როგორი ყისმათით „გააჩალიჩებს“.
13783. საყვარელს სიყვარული სჭირდება კვადრატში, თუ გინდა თავადვიწყებით, კუბში, შეგიყვარონ.
13784. გულში ადგილი უჭირავს ყველა ქვენა გრძნობას, რომელიც ვნების ადაპტორებთანაა შერწყმული.
13785. გაწბილებულ სიყვარულს რომ, სხვასთან ბედნიერება უსურვოდიდსულოვნებაა.
13786. სიყვარულში პირმოთნეობის მიზანია „გამორჩენა“ მოფერების ხელოვნების ცოდნით.

13787. ცოლის ერთგულებას, სიყვარულის ნამით მორწყვა სჭირდება.
13788. მშვენიერების აღიარება, გათავისება, დაუფიქრებლად ხდება.
13789. სიყვარული და სამსახური ერთდროულად ძნელი შესანარჩუნებელია.
13790. სიყვარულს მისწრაფებების მარადიულობა ახასიათებს.
13791. სიყვარულის სახელით ქმედება ბევრ რაღაცას გვპატიობს.
13792. განყენებული და მოდური სილამაზე სხვადასხვაა, პირველი მარადიულია, მეორეს მაკიაჟის და დიზაინის მოშველიება დროის შესატყვისად სჭირდება.
13793. ამღვრეულ სისხლს სიყვარული არ სჭირდება, რადგან ის ვნებასა და სურვილში ერევა.
13794. სიყვარულს მოწინააღმდეგე, მოქიშპე, არ უყვარს, მაგრამ მასზე გამარჯვება სიამოვნებას გვრის.
13795. ყველა უცხო მხრიდან მოფრენილ სიყვარულს, გრძნობების საცერი და გონის ფილტრი სჭირდება ვნების დასაწმენდად.
13796. სიყვარული გონიერებას უნდა ეთათბირებოდეს, თუ უნდა სტარტთან ერთად ფინიშიც სასურველი ჰქონდეს.
13797. სიყვარული, მოწონება, გამოხმაურებას ითხოვს მხოლოდ თავისი რჩეულისგან.
13798. ჭეშმარიტების და სიყვარულის განზომილება სიყვარულია.
13799. განსჯის შედეგად შემოპარულ სიყვარულს, დროის უქონლობის გამო, ტრფობასაც ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ამართლებს.
13800. დიდი სიყვარულიც ყველას უსიტყვოდ და თავგამოდებით ემსახურება, ოღონდ გარკვეულ დრომდე.
13801. ყველაზე ლამაზი ხშირად გამოყენებას არ ექვემდებარება, თუ მისი დანახვით გამოწვეულ სიამოვნება-გაკვირვებას მხედველობაში არ მივიღებთ.
13802. სიყვარულის შედეგია: მცდელობა, ქველობა, გამრავლება, ამბიციების გარეშე.
13803. სიყვარული ხელაღებით გვარწმუნებს იმაში, რაც სერიოზულად არ გვიფიქრია.
13804. სიყვარულის წინააღმდეგ მიმართული ყველა ქმედება უძლურია, როგორც ამ, ისე – იმქვეყნად, თუ ეს გრძნობა ნაღდია.
13805. სიყვარულიც ზოგჯერ ადამიანის ავტობიოგრაფიაზეა „დამყნობილ-დამყარებული“.
13806. სიყვარული-სიძულვილი შეყვარებულთათვის სინონიმებია, თამაშია, რომელიც ანალიზს და განსჯას არ ექვემდებარება.

13807. სიყვარული თავისებური ფილოსოფიაა, რომელსაც რეალობაში ახსნა არ აქვს.
13808. ეჭვიანობა საშინელებაა, მაგრამ სიყვარული მის გარეშე ფასს კარგავს.
13809. სიყვარული თანაგრძნობა-აღმაფრენის გარდა, პატივისცემას და სიკეთით მოპყრობას ითხოვს.
13810. სიყვარული დროებით ყველაფერს გვართმევს და გვატყვევებს, მათ შორის, გონიერებას, მეობას, თავისუფლებას.
13811. სიყვარულის ალტერნატივა ხშირად ეჭვიანობაა.
13812. სიყვარული თავისუფალი არჩევანისთვისაა მოწოდებული და არა – წყვილთა უსაზღვროდ თავისუფალი ურთიერთობისთვის.
13813. ნამდვილი სიყვარულისთვის გულის დახურული კარი არ არსებობს.
13814. სიყვარულმა გონის დაკარგვა იცის და ბევრი ისეთი რამ, რომელიც სისულელის ჩასადენად სრულიად საკმარისია.
13815. სიყვარული ერთეულთა ხვედრია, დანარჩენები მოწონებას სიყვარულად ასაღებენ და რეალობად იღებენ.
13816. სიყვარულის დაპირისპირებაში აღრეული ტრფობა, რომელიც გარეშეთ მტრობად ეჩვენებათ.
13817. რომანტიულ სილამაზეს ძნელია ვინმემ გაუძლოს.
13818. სიყვარულსაგან განსხვავებით, ღირსებას არ ივიწყებენ.
13819. გაცრუებული სიყვარული, მოდუნებული გრძნობების ასოციაციას ტოვებს.
13820. ქორწინება შეიძლება სიყვარულის შენარჩუნების გარანტია არ არის, მაგრამ სამართლიანია შთამომავლობის კვლავწარმოების საქმეში.
13821. სიყვარულს ტკბობით გამოყენება სჭირდება და არა ჩაშაქრება, რაც კაპრიზებს ამრავლებს.
13822. „მასმედიაში“ სექსის მოჭარბება, რეკლამის დაფინანსებაზეა დამოკიდებული და არა „მასმედიის გათავხედებაზე“.
13823. სიყვარულსაც ჰაერის გამოცვლა, გადახალისება და ურთიერთობის შეცვლა სჭირდება (შესაძლოა მეუღლესთანაც).
13824. ქალებს ხელგაშლილი მამაკაცები მოსწონთ, მაგრამ ამ აქსიომასაც სიყვარული თავის შეხედულებისამებრ წყვეტს.
13825. სიყვარული სტარტს ვერ აღიქვამს და არც ფინიში აინტერესებს.
13826. დაკარგული სიყვარულის დაბრუნება, ისევ სიყვარულის „აცრით“ შეიძლება.

13827. ჭეშმარიტების აღმოცენებას დასახული მიზნის ფენომენი და ერთგული სიყვარული სჭირდება.
13828. ყველა სულიერებას ნაპრალი უჩნდება, რომელიც გულზე მოქმედებს და ტვინს აღიზიანებს.
13829. სილამაზე აერთიანებს სიყვარულს, თავისუფლებას, მისწრაფებას, სიმახინჯე – შურს, სიძულვილს, დაპირისპირებას.
13830. პირველი სიყვარული საოცრებაა, რადგან ჯერ წმინდა სიყვარულთან თამაშს შეუჩვეველია.
13831. სიყვარულთან შეხება, შედეგის მიუხედავად, ბედნიერებაა, რადგან ამ გრძნობის გამოცდის საშუალება მოგვეცა.
13832. სილამაზეს სიკეთის კეთება და ჭკუის მოხმობა ამშვენებს.
13833. სიყვარული ზღაპარია, და იმ ბედნიერების მომტანია, რომელსაც ვნების კაიფიდან გამოსვლა უჭირს.
13834. განსჯით სიყვარული ხანგრძლივია, განუსჯელად მისი ხანგრძლივობა უცნობია.
13835. უმტკივნეულო სიყვარული კარიკატურაა, ცარიელი სექსია, თუ მას ვნებით აღჭურვილი გრძნობა არ ახლავს.
13836. განშორება სიყვარულის ოდენობის ბალანსის დადგენაა.
13837. სიყვარულის, ტრფობის მოწყვეტა ხელოვნება და ის ხელოსნობაში არ უნდა იყოთ.
13838. სიყვარული და ერთგულება გარკვეულ დრომდე სინონიმებთა, თუ მოყირჭება, ჰორიზონტზე პერსპექტიული მდედრით, არ გამოჩნდება.
13839. ჩვენს გარყვნა-გათვიცნობიერებას ირგვლივმყოფებზე მეტად „მასმედია“ ახერხებს.
13840. სიყვარული ცვეთადია, თუ მისი გადანაწილება შვილებზე, შვილიშვილებზე და შვილთაშვილებზე ხდება.
13841. ყველაზე დიდი სიმდიდრე, ალბათ საკუთარი სახლის განუხრელი სიყვარულია.
13842. სიყვარული ისტორიისათვის განკუთვნილი შემოქმედება, კვლავწარმოებაა, თუ გაუმართლა და ღირსეული ნაშიერი დატოვა.
13843. სიყვარული ვნების ფანტაზიის გამოცდაა.
13844. სიყვარული ის ქიმიური რეაქციაა, რომლის ზუსტი ფორმულის დადგენა შეუძლებელია.
13845. პრინციპების შერკინებაში სიყვარული მარცხს განიცდის.
13846. მორცხვობა, რიდი, დაბნეულობა, სიყვარულის უცვლელი ინგრედიენტია.

13847. ახლობლების და საყვარლის ერთგულება, პირველ შემთხვევაში ვალდებულებაა, მეორეში – მოთხოვნილება.
13848. სიცარიელეს არც სიყვარული ეკარება და ვერც უგებს.
13849. სიყვარული თვითმყოფადია და ხშირად გონიერებისათვის ადგილი არ რჩება.
13850. სილამაზე ის სანუკვარი სავიზიტო ბარათია, რომელსაც ყველა სიამოვნებით დაიტოვებდა, ამის საშუალება რომ ჰქონოდა.
13851. სილამაზე, აღფრთოვანების გარეშე, მკვდარია.
13852. ქალის სინაზე კაცის საკუთრებაა და მას სიყვარულით შეფუთვნა სჭირდება.
13853. სიყვარულის წინაშე თაღლითიც კი უძლურია.
13854. სიყვარულით ეფექტური წამლობა რომ შეიძლებოდეს, ყველა უხიაგი დაავადება და ზნე უკან დაიხევდა.
13855. სიყვარული არა მარტო აგვამაღლებს, არამედ საკუთარი მეობით წარმოგვაჩენს, და თავსა სიამით ვეღადავებით.
13856. საყვარლად ყოფნა უფრო ძნელია, ვიდრე ქმრად – შინ და გარეთ სულ ფორმაში უნდა იყო.
13857. სიყვარული მიჩვევაა, ცოლის მიმართ ძნელი მცდელობაა, მაგრამ ამას ასაკი და შთამომავლობა გააკეთებს.
13858. სიყვარული ეკლის დაჩხვლეტის და შეხლა-შემოხლის გარეშე უფერულობასა და მიჩვევაში გადადის.
13859. სიყვარული სულის დაძალებით, გულის ადაპტორებით, მოქმედებს და არა – ანალიზით და ანგარებით.
13860. პირველ რიგში სიყვარულის რაობაში უნდა გავთვითცნობიერდეთ, შემდგომ მოდის კომპიუტერი და სპეციალობა.
13861. სიყვარულს ფანტაზიორობის უნარი ამშვენებს.
13862. პლატონურ სიყვარულს საზოგადოების განვითარებისათვის სიკეთე არ მოაქვს.
13863. სიყვარული არ განიკითხება, არ განისჯება.
13864. „შეშინებული“ სიყვარული უფრო თავაზიანი და გამგები ხდება მეუღლის მიმართ, როდესაც ხვდება, რომ პირველი და ლაღი სიყვარულით თუ რა უღირსის ხვედრი უნდა გამხდარიყო.
13865. სიყვარულს თავისი პეწი და ავტორიტეტი ათბობს და ამტკიცებს და გონის დროებით გამოთიშვას წინ აღუდგება.
13866. სიყვარულია აღფრთოვანებული ცხოვრებით, თუ ცხოვრება აღსავსეა სიყვარულით – ერთიდაიგივე არ არის, აქაც თავისი ნიუანსებია.

13867. სიყვარულის სულიერებისაგან განსხვავებით, სექსი ხორციელი ლტოლვაა და სიცოცხლის გაგრძელებაა.
13868. სიყვარული რა უცნაურ ფორმებშიც არ უნდა მიმდინარეობდეს, ჭუჭყიანს ვერ უწოდებ.
13869. სიყვარულს თავისუფლება უხდება, მოვალეობის შეცნობით.
13870. შიშით და რიდით შექმნილი სიყვარული სხვადასხვაა, მაგრამ პროცესი ერთია.
13871. ყველაზე დიდი ბედნიერება სიყვარულზე გონივრული გამოკიდებაა.
13872. სიყვარული ეიფორიაში, მისი გამჟღავნებისას ისე იბნევა, რომ გარკვეული დროით თავის შეცნობა უჭირს.
13873. ჭეშმარიტი სიყვარული არასოდეს იყინება, ყინულიც კი სულის შთაბერვით თბება.
13874. სიყვარული სისუსტის თავისებური წარმოჩენაა, რომელსაც შინაგანად ვერ ვგრძნობთ.
13875. სიყვარულს, ხასიათის გამოკვეთა შეუძლია და არა – შინაგანად გარდაქმნა.
13876. სიყვარული ცალი ფრთით არ დაფრინავს.
13877. მთავარია, საყვარელ ქალს თავი არ დავამადლოთ, დღეს სექსაობის უდროობის მომიზეზებით.
13878. სიყვარულს არც დაბნეულობის მიზეზი აინტერესებს და არც ჭეშმარიტების პრობლემა – ის თვისთვის დაეხეტება და მუდამ მართალია.
13879. სიყვარული ყოფის ინტეგრალების ამოხსნისათვის არ არის გაჩენილი.
13880. სიყვარულით ყველა უნდა გვიყვარდეს, გულის მოწოდებით და სხვადასხვა ხარისხში.
13881. სიყვარული გვაიძულებს ნაძირალასაც ლმობიერად მოვეპყრათ.
13882. პირველი სიყვარული ყოველთვის მჩქეფარე, თავდავიწყებული და მორცხვია.
13883. სიყვარული და პატივისცემა სხვადასხვა განზომილებაა, მაგრამ მათი ერთდროული ამოხსნა აუცილებელია.
13884. სილამაზე არც გონიერებას გვმატებს და არც – გამოცდილებას, უბრალოდ ცხოვრება, განსჯის გარეშე, გარეგნობის პროტექციით იწყება და წინსვლისთვის გარკვეული ქულებიც დაწერილი აქვს.
13885. ქომაგის სიყვარული შენი აღიარებისთვის დასასწრები ბილეთების შეძენის გარეშე მერყევია და არასაიმედო.

13886. ტრფობასაც გაამაყება ახასიათებს თუ შესამჩნევი „შხვართი“ დაიიღლიავა.
13887. განაწვალებ სიყვარულს მისი მოტივირება არ უჭირს, რადგან გადაცდენა დროულად აღიქვა.
13888. სიყვარული კრედიტით იწყება და დაფინანსებით მთავრდება, შეყვარების ხარისხის მიუხედავად.
13889. უიმედო შეყვარება, გონების ბარბაროსული და უაზრო ექსპლოატაციაა.
13890. სიყვარული ლატარეაა, თუ გაგიმართლა, ხომ კარგი, თუ არა და ბილეთის ყიდვა და ტირაჟში ოცნებით მონაწილეობა მაინც შეგრჩება.
13891. სიყვარული ყველა დროს და ყველა ასაკს, სულით ეხმიანება.
13892. სიყვარულს დროდადრო სულის დაწმენდა და გულის შეთბობა სჭირდება.
13893. სიყვარულს ხშირად არათავმოყვარე სიამაყე ახლავს.
13894. სიყვარულის ტოლობა მარადისობაა, თუ გაამართლა.
13895. მამრის მოთვინიერება სიყვარულის გეგმაზომიერების ისრებითაც შეიძლება.
13896. სიყვარულს სულიერება უნდა ახასიათებდეს, მაგრამ ხორციელიც არ უნდა დავივიწყოთ – ძალზე უხდება.
13897. სიყვარულს ბევრი რამ ეპატიება, მათ შორის, სიყვარულითვე ღალატი.
13898. სიყვარულის არსია კიდევ მეტი სიყვარული კვადრატში, კუბში და ა.შ.
13899. სიყვარულის საწყისი ბუნების კარნახით, გენეტიკურად, მოდის.
13900. სილამაზე მომხიბვლელობის საწყისიცაა და გათავხედებისაც, გააჩნია, როგორი ამბიციები აქვს.
13901. სიყვარული ხშირად გრძნობების გაცრუებაა, ამბიციებზე აყოლით.
13902. სილამაზის შენარჩუნებასაც დაფიქრება და ხელის გამოღება სჭირდება.
13903. სიყვარული უგნურებაში არეული აღმაფრენის კოქტეილია.
13904. ბებრულ სიყვარულს ხშირად ფიცხი ჭირვეულობით გამოხატავენ.
13905. სილამაზე და მომხიბვლელობა ის საჩუქარია, რომლის მიმართ ყოველგვარი კითხვა უაზრობაა.
13906. სიყვარულიც ყოველწლიურად, საჩუქრების სახით, ხარკს მოითხოვს.

13907. სიყვარულის და საცდუნებლის აყოლა, თავისებურ გამბედაობას და რისკს მოითხოვს.
13908. სიყვარულს იმედიანად შემომყურე სარკე აქვს.
13909. ზოგჯერ სიტყვიერი დარდის გამჟღავნებას, სიყვარული მოაქვს.
13910. სიყვარულისთვის, აუხდენელი და შეუძლებელი არაფერია, განსაკუთრებით თუ მისი შენარჩუნების შანსი არსებობს.
13911. სილამაზის სილაღეს ხელს ისიც უწყობს, რომ ის არაფრის დამალვას არ ცდილობს.
13912. სიყვარული და სამართლიანობა პრაქტიკულად შეუთავსებელია, რადგან აქ „აიწონა-დაიწონას“ მსჯავრი მიუღებელია.
13913. ქალისა და კაცის სიყვარულს შორის ის სხვაობაა, რომ პირველს შეიძლება მამრი არ მოსწონდეს მაგრამ მაინც შეიყვაროს, მეორეს ამის ნიჭი არ გააჩნია და მოვალეობას იხდის.
13914. წმინდა სიყვარულის და წმინდანების ადგილი დედამიწაზე შტატების შემცირებაში ხვდება.
13915. დღეს სიყვარულში ფულის ოდენობა ერევა და ზეციურობასთან თანდათან კავშირს ჰკარგავს.
13916. ცალმხრივი სიყვარული ის სასიამოვნო წამებაა, რომლის შეცნობაც სხვათა გამოცდილების გარეშე შეუძლებელია.
13917. ყველაზე მეტად ღალატის ტრაგედიას, სიყვარული განგვაცდევინებს.
13918. ქალის სილამაზე ეკონომიას არ იძლევა – ისიც უმოწყალოდ ხარჯავს ამ ფერუმარილს.
13919. სიყვარული კინკლაობის გარეშე პეწს კარგავს.
13920. გვინდა – არ გვინდა, ქალ-ვაჟი ერთმანეთს უნდა ენდოს, რადგან სიყვარული ნდობის გარეშე ვერ ხარობს.
13921. ალალი მცდელობა სიყვარულს იმსახურებს, რეალიზებული – აპლოდისმენტებს.
13922. ყველაფერს სიყვარული არ უნდა ვუწოდოთ, რათა გარყვნილებაში არ აგვერიოს და არ შეგვრცხვეს.
13923. სილამაზე-მომხიბვლელობას ეშმაკიც სატყუარად იყენებს.
13924. სიყვარულიც თავის სამსახურს და პროფესიონალიზმს ითხოვს, თუ პირველი არ არის.
13925. სიყვარულის გარეშე ბედნიერება წარმოუდგენელია, ხოლო ბედნიერება სიყვარულის წინაშე ქედმოხრილია.
13926. დაქორწინების მიზეზი ხშირად სიტყვიერად „დაჭერილი“ სიყვარულია.

13927. სიყვარული თავისებური ბორკილია, რომლის ახსნას იშვიათად თუ ვინმე ისურვებს.
13928. სიყვარული ეჭვით შეზავებული კაიფია, კონკურენტის ჩამოშორებით.
13929. სულის მუსიკას სიყვარული ახმოვანებს და მცდელობით ალამაზებს.
13930. ყოველა დიდი სიყვარული დაწყვილებით არ მთავრდება და ესეც ადამიანის ბუნების უგნურების მაჩვენებელია.
13931. სილამაზე, თავისი „მეთი“, წინ უნდა წაიმძღვარო, თუ გინდა სული გაგითბოს და გაგინათოს.
13932. სიყვარულის სასმელი ყლუპებით უნდა მივირთვათ, რათა არ „დაგვახრჩოს“, დავაგემოვნოთ და სიამე ბოლომდე ვიგრძნოთ.
13933. წყვილის სიყვარულსაც ზღვარი ედება, თუ დაოჯახებით არ ბოლოვდება, ურთიერთგაგებაა დათმობების მცდელობით.
13934. საქმისადმი უანგარო სიყვარული თავისებური ახირებაა, თავგუნება საქციელია.
13935. სიყვარული რატომღაც სიხარულს ექიშპება და მასზე უკეთ სურს წარმოჩინდეს.
13936. სიყვარულის დაბნეულობა ზოგჯერ ძალიან მოგვწონს და რატომ, ვერ გაგვიგია.
13937. სიყვარულის გარდაუვალობისგან თავის დაღწევა არც ეშმაკს შეუძლია და არც ანგელოზს.
13938. სიავის ჩადენა-მოთმენა, ერთდროულად ცოდვაც არის, დანაშაულიც, სიყვარულიც და სიყვარულზეც გადიდგულებაც.
13939. სიყვარულის გარეშე არაფერი არ კეთდება, მათ შორის, მარად შეუცნობელი უგნურებისაგანაც.
13940. სიყვარულს და ძალას დარწმუნების დიდი უნარი აქვს.
13941. ზოგჯერ გულს უკეთ ესმის და ხედავს, ვიდრე ყურებს და თვალებს.
13942. სიყვარულის სახელით ჩადენილ უგნურებას რბილად განსჯიან ან სულაც თავს იკავებენ მისი განსჯისაგან.
13943. სიყვარულის განმტკიცებას ყოფის წინააღმდეგობათა დაძლევა რგებს, ამტკიცებს და საგარანტიო ვადას უგრძელებს.
13944. სიყვარული ინსტინქტის და სექსის გარდა, ყველაფერს აჩლუნგებს, აბრმავებს, აყრუებს, გარკვეულ დრომდე.
13945. დაძალებით სიყვარული შეუძლებელია, მაგრამ შეჩვევა-მოვალეობით შესაძლებელია, თუ ასარჩევი არავინაა და ბუნებრივი მოთხოვნილება ასაკს კარზე უკაკუნებს.

13946. სიყვარული დალხენის დროს გვათბობს, გაჭირვებისას გვაოცნებებს და იმედს არ გვაკარგვინებს.
13947. სიყვარული სულის მრავალფეროვნებაა, რომელიც სხეულს აიძულებს სულ ფორმაში იყოს.
13948. რაც მოგწონს ისა ლამაზი და „ბასტა“.
13949. სიყვარულის დაპანღურება, მიზეზთა მიუხედავად, გაუმართლებელი უმადურობაა.
13950. სიყვარული ტყუილს ვერ იტანს, მაგრამ მოსწონს, თვალებსაც ხუჭავს, ყურსაც იხშობს, გარკვეულ დრომდე.
13951. ზოგჯერ ნაძალადევი სიყვარული იმაზეა დამოკიდებული, რაც წინ გიდევს, ასარჩევიც არაფერია და შენი შესაძლებლობაც შეზღუდულია.
13952. სიყვარული უკან არაფერზე იხევს, ვერც ხინჯს ამჩნევს, რადგან იმ წუთების ბედნიერებას წინ ვერავითარი შთაგონება ვერ აღუდგება.
13953. ქალისადმი სიყვარული სულის აღმაფრენაა, ვნების მოჭარბებაა, გონიერების გარეშე.
13954. ხშირად ადამიანებს სულიერად ის გვაერთიანებს, რაც ხორციელად გვაშორებს – მოყვასის სიყვარულის სხვადასხვაგვარად გაგება.
13955. დიდ სიყვარულს რომ გონების მოხმობა და ანალიზი სჭირდება, დღეგრძელობისთვის საკამათო არ არის.
13956. სიყვარულს ხშირად გონიერების ანალიზი სჭირდება კითხვით: რად გიყვარს და რატომ უნდა გიყვარდეს?
13957. სიყვარულს პატარ-პატარა სიტყვიერი წკიპურტები არ აწყენს თანხმობის მოსაპოვებლად.
13958. ზოგს შთაგონებით მოწონება სიყვარული ჰგონია, მაგრამ ფინიში უკეთესი აქვს, ვიდრე აგზნებულ სიყვარულს.
13959. სიყვარულს ჯეელობა და განცდის ასაკი უნდა, რადგან ახლობლის დაკარგვას პირველი ბოლომდე ვერ აცნობიერებს, მეორე – აცნობიერებს და გულზე ხვდება.
13960. სიყვარული მომხიბვლელობაა და არშიყობისთვის მოსაწვევი ბარათია.
13961. ზრუნვა, შემართება, მიზანი, სიყვარულით მართავს სამყაროს.
13962. სიყვარულს გრძნობათა ქაოთ-ქოთი მოსდევს და მის დამშვიდებას კრედიტ-დებეტით მატერიალიზმის მოშველიება სჭირდება.
13963. ბენტერას შეყვარება ბუნების დაცინვაა და დასანახავადაც ძნელია, მაგრამ სიყვარულის კაურებს ვინ გაიგებს.

13964. ეჭვიანობა შეიძლება როგორც ხმამაღლა, ასევე ხმადაბლა და ხმის ამოუღებლადაც, მთავარი შედეგია.
13965. ერთადერთი, რასაც მარტოობა არ ვნებს, სიყვარულია.
13966. სიყვარულს რა ნაკლიც უნდა „ავკიდოთ“, მაინც სამოთხის ჩიტია.
13967. სიყვარულის ალფა და ომეგა გრძნობების გარკვეულ პარამეტრებში უნდა მოთავსდეს, იმისდამიუხედავად, რომ ის არც ერთ განზომილებას არ ცნობს.
13968. წარმოსახვითი ქალისადმი სიყვარულს ღალატის ჭია არ ღრღნის.
13969. ასკეტიზმს სიყვარულის ხლართებში არაფერი ესაქმება, ეს მისთვის გაუგებარია.
13970. ეროტიკა-პორნოგრაფიის მეხოტბეთა სულში, სიყვარულის ბაცილა არ ვრცელდება.
13971. თავში ყველაფრის ტარება შეიძლება, სიყვარულის გარდა, მას, უბრალოდ უნდა გრძნობდე.
13972. ბევრი ოცნებით სიყვარულის წარმოსახვას ცდილობს, იმისდა მიუხედავად, ამ მცდელობიდან გამოვა რაიმე თუ არა.
13973. სიყვარული სულიერებას ეტრფის, მაგრამ დიდხანს სტუმრად ყოფნას ვერ იტანს, რადგან მასპინძლობისთვის არის გაჩენილი.
13974. განაწყენებულ სიყვარულს ფულის და საჩუქრების მალამო ყოველთვის ვერ შველის.
13975. სიყვარულისაგან ბოლოს მაინც მიძინებული გრძნობა რჩება – სურვილთა ჭიდილში შეკედლებული.
13976. ნებით თუ უნებლიედ, სიყვარული მომდევნო შანსს ყოველთვის იმსახურებს.
13977. სიყმაწვილის გახსენება ფაქტიურად ტრფობის გახსენების ტოლფასია.
13978. სიყვარული მოლოდინით იწყება, შემართებაში გადადის, მშობლად გახდომით მთავრდება და მომავლის იმედით ყურებაშია.
13979. ბავშვის სამყაროს შეცნობა მისდამი უანგარო სიყვარულს ძალუძს.
13980. ქორწინება სიყვარულის გაგრძელებაა, საბუთებზე ხელის მოწერით.
13981. სიყვარული ყველას უხმობს, მაგრამ ვერ იძენს – ნიჭი და გამართლება სჭირდება.
13982. სიყვარული მრავალფეროვანია, მათ შორის, მეორე-მესამე სიყვარულიც, როცა აზროვნების დაღვინებაც ემატება.

13983. სიყვარული ერთდროულად: აზროვნება, ამპარტავნება, აქტიურობა, აღმაფრენა, აღტაცება, ბედნიერება, ბიძგია, ბოჰემა, გაახალგაზრდავება, გაგიჟება, გამბედაობა, გამოწვევა, გამართლება, განსჯა, გულისწყრომა, დაბნეულობა, დაყვავება, დღეგრძელობა, დღესასწაული, ერთგულება, ეროტიკა, ეჭვიანობა, ვალდებულება, ვალი, ზეობაა, ზმანება, ზნეობა, ზრუნვა, ზურგია, თავბრუხვევა, თავდავიწყება, თავსდავნატრია, თავქარიანობა, თანადგომა, იმედია, იღბალია, კეთილგონიერება, კეთილგანწყობა, კეთილშობილება, ლაზათი, ლოცვა, ლტოლვა, მადლიერება, მგზნებარება, მიგნება, მოკრძალება, მონდომება, მოპოვება, მოწყურება, მოულოდნელობა, მოწადინება, მოჯადოება, მშვენიერება, მხნეობა, ნატვრა, ნდობა, ნეტარება, ოპონირება, ოცნება, პასუხისმგებლობა, პრესტიჟია, ჟრუანტელია, რაინდობაა, რომანია, რწმენა, სიამაყეა, სიკაშკაშეა, სულიერება, სურვილია, სიბრალულია, სურნელია, ტრფობა, უზადობა, უმწიკვლობა, უანგარობა, უსიტყვოა, უკიდურესობა, უკვდავება, უცნაურობა, უზრუნველობა, ურთიერთგაგება, ფრთაშესხმა, ფიქრია, ქომაგობა, ღვთისნიერება, ღირსება, ყისმათია, ყოყოჩობა, შემართება, შთაგონება, ჩალიჩია, ციებ-ცხელება, ძალისხმევა, წარმოჩენა, წესიერებაა, წუხილი, ჭირვეულობა, სიხასხასე, ჯილდოა, ჰაეროვნება, ჰარმონია და ათასი სხვა სასიყვარულო „ხაბა-ხუბა“, სულიერების ყივილით.

13984. სიყვარული, მოფერებისაგან და საჩუქრებისაგან განსხვავებით, ცარიელ „გახედვნას“ არ ემორჩილება.

13985. სიყვარული ხშირად იმედს გვიცრუებს, მაგრამ მისი საამო ჰანგები გვამახსოვრდება.

13986. სიყვარულსაც თავისი „აიწონა-დაიწონა“ აქვს, ეჭვის გადასახედიდან.

13987. ეჭვიანობა ადამიანს სულს უღრღნის. მას ეწირება გონიერება, სიყვარული და ის, რაც გვწამდა მანამდე.

13988. პაემანს თავისი განტოლებაც აქვს, რომლის ამოხსნა ყველას არ ძალუძს.

13989. ნამდვილი სიყვარულის გამოსაცდელად, გადასახალისებლად და კორექტივების შესატანად ზოგჯერ ღალატი, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია.

13990. კბილების სილამაზე სხეულის არც ერთი ნაწილის სილამაზეს არ ჩამორჩება და ზოგჯერ მეტ ყურადღებას იქცევს და თანაც აქსესუარებით თავის მოწონება არ სჭირდება.

13991. სიყვარულსა და ზიზღს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი კაცის პრეროგატივაა, მეორე – ქალის.
13992. პლატონური სიყვარული ასაკის პრეროგატივაა და არა – ვნებამოძალებული ახალგაზრდობის.
13993. საკუთარი თავისადმი სიყვარული და ამპარტავანი „მე“ გვაიძულებს, სხვათა სიყვარულიც და სიძულვილიც შევძლოთ, რათა ვიღაცის წინაშე არ შევრცხვეთ.
13994. სიცოცხლის საწყისი მაინც სიყვარულია, თავისი ამბიციებით.
13995. სიყვარული ბედნიერების და წარმოსახვითი სამართლიანობის უმუხრუჭო დევნაა.
13996. გრძნობათა ჭიდილი იქ უფრო მეტია, სადაც სათანადო გარემო, მოვალეობა, სიყვარულია.
13997. ერთგულება და სიყვარული სინონიმია კონკურენციის და სასჯელის, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველთა კაიფს მეორენი ვერც შეიცნობდნენ და არც ინატრებდნენ.
13998. ზოგჯერ სიყვარული ოცნებით ნათქვამ ტყუილს ბაზისად და ბედნიერებად იყენებს.
13999. გრძნობებზე ყინულის ჰარმონიით მოფენას გონიერებაზე უკეთ სიყვარული ახერხებს.
14000. სიყვარული სულის სენსაციაა და გულიც მისთვის მარად ღია აქვს.
14001. სიყვარული გონიერების მუხრუჭებს თიშავს და არა – ტვინისას, რომელიც მისდაუნებლიედ მისკენ მიილტვის.
14002. ტვინის და გულის სინთეზი სიყვარულია, თუკი ურთიერთპატივისცემითაა შეფუთვნილი.
14003. სიყვარულს აღფრთოვანება, მოთმინება და თვალების ციმციმი კვებავს.
14004. მოჩვენებითი კეთილშობილება მოჩვენებითი სიყვარულის ტოლფასია.
14005. თვალები მეტყველებს, ენა ახმოვანებს, ყურები ისმენენ, გული თუხთუხებს, ჭკუა გონს კარგავს და ყოველივე ამას, გაერთიანებულს, სიყვარული ჰქვია.
14006. პირველი სიყვარული უცოდველია, განუსჯელია, უპრეტენზიოა, ამიტომაც მას მომდევნო სიყვარული ვერ შეედრება.
14007. სიყვარულს ყველა ადამიანური გრძნობა კვადრატში აჰყავს.
14008. ცივილიზაციის გათავხედების და დროის ყივილის „შემოძახების“ მიხედვით სიყვარულის გაუფასურება დანაშაულია.

14009. სიყვარულის შინაარსი იმპულსშია: იმ წუთში, იმ ადამიანთან, კარგად ხარ, ამაყობ და იმედიანად ხარ.

14010. სიყვარული აღმაფრენით, სიხარულით, მოლოდინით, იწყება და იმედის გაცრუებით, ეჭვით, უნდობლობით მთავრდება, თუ მას ბაზისად ურთიერთგაგება, შთამომავლობა და ფული არ ახლავს.

14011. სიყვარული ნდობის მოპოვების და ეჭვიანობის გვერდზე მოსროლის საწყისია.

14012. ნაღდ მამაკაცს და დედაკაცს ერთმანეთი უყვართ, იმისდამიუხედავად, წაასწრებენ ერთმანეთს საყვარელთან თუ არა.

14013. ფავორიტის კარზე რიდით „დაზარუნება“ სიყვარულის შეთავაზებაა, ვნების დაბანდებით.

14014. სიყვარულის შედეგი მრავალნაირია, მაგრამ ჩვენი ერთი გვწამს.

14015. სიყვარული თავისი გრძნობებით და ყოფის კაურებით, ჯერ-ჯერობით, ამოხსნას არ საჭიროებს.

14016. სიყვარული დიდებული გრძნობაა, მაგრამ პიროვნულ სიამაყეს ვერ უნდა აჯობოს, რათა არ დაბეჩავდეს.

14017. სიყვარული განსჯის უნარს გვართმევს.

14018. სიყვარული სულიერების თავისებური მარხვაა, რადგან სარწმუნოებად იქცა.

14019. გრძნობების ქირით გაცემას სიყვარულთან საქმე არ აქვს.

14020. სიყვარული მრავალუცნობიანი აქსიომაა, რომლის ალგორითმებს გაფრთხილება და ზოგჯერ ამოხსნა სჭირდება.

14021. სიყვარულს მოფრთხილება სჭირდება, თავად თუ მოგიფრთხილდა.

14022. სიკეთის სწავლებაც სიყვარულია, მოვალეობის შეცნობით.

14023. სიძულვილს და სიყვარულს ყველა ერთნაირად ვერ ეგუება და მათი გათავისება ლიცენზირებული უნდა იყოს.

14024. სიყვარული და ვნებათა ღალატი, გვერდი-გვერდ დადიან, რადგან არის ცოდვა, რომელიც შურს იწვევს და სანატრელია.

14025. დღევანდელი ლამაზი ტანის სტანდარტის ერთი დეტალი ასეთია: ქალის ბარძაყი 0,7 მეტრი უნდა იყოს, ხოლო მამაკაცის 0,9, ხოლო თუ ამ ზომების მიღებას ვარჯიშით მოვახერხებთ და ჩაცმულობასაც შევუხამებთ, მაშინ მომხიბვლელობის ალგორითმის ერთი მოქმედება ამოხსნილია თავის ხ-ით და ყ-ით, ხოლო დანარჩენ მოქმედებათა ამოხსნა სხვა დროის და მოდის საქმეა.

14026. სილამაზე სრულყოფილი და საყოველთაო ხატია, მაგრამ მისაღებია ის, რაც ჩვენს ჰორმონებს უგებს და შეეფერება.

14027. მედიდური ცქერაც სიყვარულის სინონიმია, ოღონდ დაჭერილის თუ გაფრენილი გრძნობის, გასარკვევია.

14028. სიყვარული სულის უჩვეულო სამოსელია, რომლის გადახალისების საჭიროება სიცოცხლის ბოლომდე გვახელებს.

14029. ქმრისთვის უპირველესი ცოლის მომხიბვლელობა და მორჩილებაა, მეორე ნახევრისთვის – ჯიბეების ამოტრიალებით სიყვარული და ქმარზე შვილებთან ერთად ზრუნვა.

14030. სიყვარული და გონიერება ერთად არ ძოვენ, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოსავალს ნახულობენ: იყრებიან, ან ერთად რჩებიან, ან თავიანთ გრძნობებს „მორატორიუმს“ უცხადებენ.

14031. სიყვარულის ისტორიას მყიდველიც ბევრი ჰყავს და გამსაღებელიც, რადგან „გულის ჭია-მაია“ ყველას სულში ბობოქრობს, არ ბერდება და ყველანი თავის პირველ ცდებს სიყვარულის ასპარეზზე, ერთნაირი სიამოვნებით იხსენებს.

14032. ფანტაზია სიყვარულის საწყისი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მის წარმოჩენას ხელს უწყობს.

14033. სიყვარულის კულტი დროთა განმავლობაში დევალვირდება, ფულის კულტს ეტმასნება და თავს უხრის.

14034. სიყვარული ზოგჯერ კუჭის ამოყორვასაც ემონება, განსაკუთრებით, თუ ის შენი სულიერების მდედრის ნახელავია.

14035. სიყვარული ბავშვობის ასაკიდან იწყება და ღრმა სიბერემდე გრძელდება, ხოლო რაც შეეხება ხარისხს, განსჯას არ ემორჩილება.

14036. „სიყვარულიც“ ზოგჯერ მომავლის კონტრაქტს ეშმაკის ხელით იმზადებს, რადგან ისიც სულიერია და კარგი ცხოვრება მასაც ცდუნებით უნდა.

14037. სამწუხაროდ, გრძნობებით, სიყვარულის მაგვარით ვაჭრობა შეიძლება, გააჩნია მყიდველს, დროს, შემთხვევას, რამდენად სახეიროა და ბოლოს რას იძლევა.

14038. სიყვარული ზოგისათვის ზეიმია, ზოგისთვის – ტრაგედია და გედის სიმღერა.

14039. სიყვარული თავმოყვარეობას არ სცნობს, რადგან ეს ცხოვრების „უნიგნურია“.

14040. სილამაზე და მომხიბვლელობა, რომელიც ჩვენს გრძნობათა ჩოჩქოლის თეორიაში ვერ ჯდება და ყოფის ფორმულის შედგენაც შეუძლებელია, აზრს კარგავს და მიუღებელია.

14041. თანდაყოლილი ინსტინქტი, ზოგჯერ, აღვირახსნილ სიყვარულსაც ახასიათებს.

14042. სიყვარული მაინც ნაჯაფის, ამაგის, შეცნობა-აღტკინებით და არა – მარტო გრძნობათა ლესვით, გვხიბლავს.

14043. სიყვარულს სიავის სიკეთედ ქცევა შეუძლია თუ გარეშენი ოპონირების გარეშე მხარს აუბამენ.

14044. სიყვარულის მარცვალი ზოგჯერ იქ უნდა დავთესოთ და გავახაროთ, სადაც სხვას აზრადაც არ მოუვა.

14045. ყველა სისულელე ყურით მოთრეულ სიყვარულს და გულის მოთხოვნას ბრალდება.

14046. სიბრიყვეს და გონიერებას სიყვარულის „მეგაბაიტი“ ერთნაირი აქვთ, ერთს – უაზრო, მეორეს – წინასწარ გააზრებული.

14047. მწარე სიმართლე, სიყვარულის გარეშე, ძნელი მისაღებია.

14048. სიყვარულის ნიჭი თუ არა გაქვს, ის მოხერხებით უნდა შეცვალო და არა მიბაძვით – მიგიხვდებიან.

14049. სიყვარული ურთიერთგარკვევას და თავის მოწონებას ცდილობს, სანამ ერთმანეთს არ შეეჩვევიან. შემდგომ იწყება ყოველდღიურობა, ხასიათის მორგებით, შთამომავლობაზე ზრუნვით და მანამ გრძელდება, სანამ მათ ერთად ყოფნას განგება ინებებს.

14050. სიყვარული ყველაზე მეტად აღზრდას და ტრადიციების „ვეტოს“ ემორჩილება.

14051. სიყვარულის ნიჭი გრძნობათა ჩოჩქოლში გვერევა, მომხიბვლელობა სილამაზეში, მაგრამ ამისათვის არ უნდა განგვსაჯონ, რადგან განგებას ყოველივე კვლავწარმოებისთვის ჰყავს მოვლენილი და მათ ნაშიერს რას დაანათლავს, არავის უწყის.

14052. სიყვარულის დევალვაციასთან დაკავშირებით, მომავალში ქორწინება ინტერესების მიხედვით შედგება და სელექციაც შესაძლებელი გახდება არა მარტო ადამიანის ჯიშის და ჯილაგის გათვალისწინებით, არამედ მათი თანდაყოლილი ნიჭის და შესაძლებლობების მიხედვით, რადგან სხვანაირად თანამედროვე ცივილიზაციის გამოდევნება ძნელი გახდება.

14053. ვნებათაღელვის ჩაცხრობის შემდგომ ურთიერთსიყვარულის პარამეტრები უფრო ანათებენ და საბოლოო შედეგს განსაზღვრავენ.

14054. სიყვარულში, სინაზესთან ერთად, სექსსაც დიდი ადგილი უჭირავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე თავის ფეტიშს დაკარგავდა.

14055. სიყვარულიც აღზრდას მოითხოვს, განსაკუთრებით, შვილების, ირგვლივმყოფთა, მიმართ, რათა მათ სულიერად გაღიარონ და შენში მშობელი, მზრუნველი, დაინახონ.

14056. კამათი, კრიტიკა, ოპონირება, სიყვარულისთვის არ არის განკუთვნილი, განსაკუთრებით, მათ მიმართ, ვისაც „ხვად კატასავით“ თავის ჭკუაზე სიარული ეხერხება.

14057. სილამაზე სათუთი და დამყოლია, სიმახინჯე – უხეში და პირდაპირი.

14058. დროთა განმავლობაში სიყვარული გრძნობების წინაშე ყოველთვის იტყუება, მაგრამ გადამოწმება გვეზარება და ასაკიც სხვაა.

14059. თუ ცხოვრება გიყვარს, შენც ვიღაცას უნდა უყვარდე და გიყვარდეს.

14060. სიყვარულისთვის არ სჯიან, მაგრამ შედეგი ზოგჯერ თავად გსჯის.

14061. სიყვარულისთვის ბრძოლა და მისი კაპრიზის დაკმაყოფილება, ყველა მამრის ხვედრი არ არის.

14062. მოფერებით გაჯავრება დიდი პატივის და სიყვარულის გამოხატვაა პიროვნების და მისი გონებამახვილობის მიმართ.

14063. მდედრი გინდა მზეთუნახავი იყოს, თუკი შენი სხეული ვერ ჰგუობს, უნდა შეეშვა, რადგან მაშინ ყველაფერი მოჩვენებითია, მათ შორის, სიყვარულიც.

14064. მეგობრებთან მასლაათში დაკარგულ დროს მათი სიყვარული ანაზღაურებს.

14065. ზოგჯერ სიყვარულს დროებითი „ათესვით“, მივიწყებით, იხანგრძლივებენ.

14066. დიდი სიყვარული ზოგჯერ სიძულვილის თანხვედრია, მაგრამ საკმარისია „ოპონენტის“ დროულად თითის შენკენ ღიმილით მოშვერა და შენდობაც გარანტირებულია.

14067. თვალებზე აკიაფებული ცრემლი ხშირად სიხარულის, ბედნიერების, სიყვარულის, „ათინათია“.

14068. დგება ასაკი, როდესაც ნაღდ, ვნებიან, სიყვარულს, მისი გულის ბუდეში უაზროდ დაბუდება აღარ უნდა.

14069. სიყვარულის ასი განზომილება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: აღმაფრენა, აღტაცება, აღტკინება, აღმაფრენა, ბედნიერება, ბუტიაობა, გატაცება, განცდა, განუსჯელობა, გაუგებრობა, გაბრაზება. გაღმერთება, გამონათება, გათავისება, დაბნეულობა, დამახსოვრება, დაბანდება, დაყვავება, დაწყვილება, დაქადნება, დამეგობრება, ეგოიზმი. ერთგულება, ერთიანობა, ეჭვიანობა, ვნება, ვედრება, ზეიმი, ზეობა, ზიარება, თავდადება, თანაგრძნობა, თამაში, თავმდაბლობა, თანადგომა, თვითგამორკვევა, თვითშეგნება, თრობა, ინტიმი, ინტრიგა, იუმორი, კდემამოსილება, კვნესა,

კაპრიზი, კომედია, მოფერება, მიზანი, მისწრაფება, მხნეობა, მეობა, მადლიერება, ნეტარება, ნატვრა, ოცნება, პარტნიორობა, პატივისცემა, პიარი, ჟრუანტელი, ჟღერადობა, რიდი, რაობა, რწმენა, საჩუქარი, სილამაზე, სიამაყე, სიამოვნება, სასწაული, სიხარული, სიცოცხლე, სერობა, სულიერება, სითბოა, სითამამეა, ტკივილი, ტკბობა, უმადურობა, უგონობა, ურთიერთგაგება, ფიქრი, ფილოსოფია, ქედუხრელობა, ქველობა, ღაღადი, ღიმილი, ღირებულება, ღირსება, ყურადღება, შური, შედარება, შეცნობა, შეცოდება, ჩოჩქოლი, ცრემლი, ძიება, წარმოჩენა, წყენა, ჭირვეულობა, ხელოვნება, ჯახირი, ჰაეროვნება.

14070. სიყვარულს მალვა უხდება, ტრფობის საწებელში შეფუთვნით.

14071. ნამდვილი სიყვარულის დეფიციტი აქვეითებს სიკეთის ურთიერთგაგების პარამეტრებს.

14072. სიყვარული აღზრდას, კარნახს, დიქტატს, ვერ იტანს და მის წინაშე პატიოსნები უნდა ვიყოთ.

14073. წყენა დავიწყებადია, მაგრამ არა პირველი სიყვარულისგან.

14074. სიყვარულსაც ცენზორი სჭირდება, რათა შეუთავსებელ-შეუფერებელი ბოღმად არ იქცეს და სიყვარულს სიბრიყვე არ დაბრალდეს.

14075. სიყვარული ის კი არ არის, რაც გვეჩვენება, არამედ ის, რასაც რეალობაში ვიღებთ ფეხის წატეხვისას, სულის დაწმენდის შემდგომ.

14076. სიყვარულის შანსი, სიყვარულის ნიჭისგან განსხვავებით, ყველას ეძლევა.

14077. სიყვარულს არ აინტერესებს, რა შეიძლება და რა – არა, რადგან დასახული მიზნისკენ მისი სწრაფვა უმართავია.

14078. ყველა სახის სიყვარული აღიარებას მოითხოვს, დაფარულიც და ღიაც, რათა თავი დაჩაგრულად არ იგრძნოს.

14079. სიყვარული ზოგჯერ ჩვენი მტანჯველია, მაგრამ მაინც სანატრელი და გაუგებარია.

14080. სიყვარულის სამკუთხედი თითქმის „ბერმუდის სამკუთხედის“ სინონიმია.

14081. ბრმა სიყვარული პიროვნებას აბეჩავებს და ფანტაზიას უზღუდავს.

14082. თეორიულად ადამიანში ღმერთისგან დაცული დიდი სიყვარულია დაბუდებული, მაგრამ პრაქტიკულად ხშირად უზრუნველყოფილი არაა, და სიყვარული დევალვაციას განიცდის.

14083. ყველა „ლამურს“ თავისი ტრიგონომეტრიული სახაზავი ახლავს.

14084. სუნი, სულიერი სინაზე, ფიზიოლოგია, მოვალეობა – ეს კოქტეილი სიყვარულია.

14085. გათახსირებული, ფლიდი, უნამუსო, სულმდაბალი, საძაგელი, საზიზღარი, არამზადა, ამ სიტყვებით შემკობის შემდგომ, ერთი ტკბილი სიტყვა და ყველა ზემოთ ჩამოწერილი ლანძღვის კრიალოსანი ამნისტირებულია გაღიმებით – აი, რა ძალა აქვს სიყვარულს.

14086. სიყვარული, პირველ რიგში, პასუხისმგებლობაა, შემდგომ მოდის გრძნობათა ჩოჩქოლი და ვნებათა დაცლა.

14087. ყველაზე ლამაზი, ალბათ, ქალის ცხოვრებაა, ვარდის კოკრებით შემკული, რომელთა მიმზიდველობას აღქმას სიცოცხლის, ფაუნის, ფლორის, სიყვარული სჭირდება, ჩვენთვის შეუცნობელი დიზაინით.

14088. პირველი სიყვარული ერთხელ მოდის და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ არ გავანაწყენოთ, არ გავაწბილოთ.

14089. სიყვარული ყოველთვის სულით ბალღია, უმწიკვლოა, მაგრამ თუ შეფობით გაიზრდება, ის შეეჩვევა, თანადგომას, ურთიერთგაგებას და სხვა ამგვარ მოვალეობებს მისდაუნებლიედ „სუროგატი“ ხდება იმ ნაღდი სიყვარულისა, რომლებზედაც მას უოცნებია.

14090. სიყვარულზე ოცნებას ნიჭი სჭირდება, ხოლო ოცნების რეალობას სიყვარული.

14091. სიყვარულის ფორმულაა: ვნებას მიმატებული ტრფობა, გაყოფილი ფინიშზე – დაოჯახებაზე.

14092. სიყვარულის ნათელი იმედია სექსუალური ზრახვები და შიგადაშიგ წოლის რეჟიმი.

14093. წუთი წამის გაელვებას იჭერს, თუკი შეყვარებულია.

14094. მოყვასის სიყვარული მრავალი ხიფათისაგან თავის დაღწევის საშუალებას გვაძლევს.

14095. პირველი სიყვარული ვერაფერს ისეთს ვერ გვასწავლის, რომ მომდევნო სიყვარულში გამოგვადგეს.

14096. სიყვარულის ბაცილის შეყრა იოლია, მკურნალობა – რთული.

14097. სიყვარულის სიღრმეს, სიგრძე-სიგანეს, განშორებისას, მისი პარამეტრები განსჯის.

14098. დღეს სიყვარულიც ეპიზოდებიდან შესდგება, რადგან მამაკაცის და ქალის უფლება გათანაბრდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

14099. სიყვარული დიდი ცოდვაა, როდესაც მოვალეობად იქცევა და „დაჩმორების“ გზას შეუყვება.

14100. რა არის კეთილგონიერება და რაა სიყვარული, ამას ჭკუა ვერც ეჭიდავება და ვერც განსჯის.

14101. სიყვარულსაც დრო აწრთობს, თავის მოწონებით და დროის ყივილით.
14102. სიყვარული ცოდვებსაც სიყვარულის გამო ჩადის, ამით ის შურს და კონკურენტებს უპირისპირდება.
14103. საკუთარი თავისადმი სიყვარული სიყვარულისთვის ღალატს არ ექვემდებარება.
14104. სიყვარულსაც ფართე გაგება აქვს, რადგან ფულს ფული უყვარს, ჭკუას – გამოსავალი, ხოლო ქალი სიყვარულს ირჩევს წინა ორის მოშველიება-შეზელვით.
14105. ყველაზე უძღები სიყვარულიც კრახის წინაშე დგება, თუ მას უსახსრობა და უბედობა შემოუჩნდება.
14106. სიყვარულს ხელი არ უნდა ვკრათ, მაგრამ არც განუსჯელად უნდა შევიხიზნოთ.
14107. სიყვარული მოცულობაში გვატყუებს და იმედსაც იმდენს გვიწონის, რამდენიც მოეხასიათდება.
14108. რამდენადაა სიყვარული, როდესაც კაცს კაცი უყვარს და ქალს – ქალი, ჩემი გაუცნობიერებელი მეგაბაიტისთვის დღესაც გაუგებარია.
14109. სიყვარული ურთიერთვნებიანი ხედვაა, განსხვავებული ბუნებით.
14110. სიყვარულის ჰორმონებს არც ჭკუა აინტერესებს, არც ეროვნება, არც გარეგნობა, აქ მთავარია ვნების გენების დამთხვევა.
14111. სიყვარული და სიძულვილი სინონიმებია, თუ ქალი ძალიან გვიყვარს და მისი კაპრიზი ნერვებს არ გვიშლის.
14112. სიყვარული ღალატს ვერ იტანს, მაგრამ გონიერების ფეხის დადებას ეგუება.
14113. ხელოვნების სიყვარული განსჯითია, ქალის – ანგარებითია, მიუხედავად ვნების ქარ-ცეცხლის შემოტევისა.
14114. სიყვარულსაც თავისი აზრი და ფასი ადევს, იმისდამიხედვით, თუ ვის აირჩევს.
14115. სიყვარული ილუზიების, სექსუალური მოთხოვნის, შვილის ყოლის სურვილის, გარეშე შეუძლებელი გახდებოდა.
14116. სიყვარული ლამაზი კონკურენციასთვისაა გაჩენილი და არა – ვულგარული, ღვარძლიანი შურისთვის.
14117. თეორიულად სიყვარულის ძალამ სამყარო სასიკეთოდ უნდა შეცვალოს, პრაქტიკულად კი ადამიანთა მოდგმა ჯიუტობს, უსიამოვნებებს გვაყენებს.
14118. ადამიანის პატივისცემა მისი სიყვარულით გახსენებაა.

14119. სიყვარული საწყისში ყველაფერია, სანამ დევალვირება არ დაეწ-ყება და ცხოვრების კაურები წყალს არ შეუყენებს.
14120. სიყვარული კანონს და კანონიერებას არ ემორჩილება, ის სტიქი-ური მოვლენაა და ამიტომაც კანონგარეშეა.
14121. სიყვარული უკვდავებისთვისაა განწირული თუ გაუმართლა.
14122. სიყვარული სიყვარულის დაკარგვას უფრო უფრთხის, ვიდრე ახლის შეძენას.
14123. გონიერებას, სულიერებას და ვნებათა ღელვას, სიყვარული მის-თვის განკუთვნილი ალგორითმების ამოხსნის მცდელობაში იჭერს.
14124. სიყვარულს სიღარიბე არ უყვარს, რადგან მისი ნერგი მოუვ-ლელობის გამო ვერ ვითარდება.
14125. სიყვარულს თავის კანონები აქვს და მისგან ამნისტიას ძნელად განიცდის.
14126. სიყვარულს კითხვის დასმა არ უყვარს, მას უფრო გაუჯანჯლე-ბელი პასუხი მოსწონს.
14127. სიყვარულსაც თავის კრედიტ-დებეტი სჭირდება.
14128. სიყვარულმაც ცეცხლის ანთება უნდა ისწავლოს, ოღონდ ხანძ-რის გაუჩენლად.
14129. სამწუხაროდ, სიყვარულსაც ნდობა და დამსახურება სჭირდება, რადგან გამოცდის გარეშე ხშირად არ ამართლებს.
14130. შესაფერის ქალთან დაოჯახება გაცილებით წყნარ ცხოვრებას გპირდება, ვიდრე სიყვარულით უცხო „განტოლების“ მოყვანა, რად-გან სიყვარულს აღმაფრენის გარდა ბევრი გაუგებრობებიც ახლავს და მალე ხუნდება, ხოლო ნდობა, განსჯა და სურვილი პატივის მიგების უფრო გამძლეა და ხანგრძლივი.
14131. სიყვარულის დაბანდება-რეალიზაციასაც ნებისყოფა სჭირდება.
14132. ყველა განშორება, გვინდა – არ გვინდა, სიყვარულს ეღადავ-ება.
14133. ნამდვილი სიყვარული არაფერს ითხოვს, ის მხოლოდ საყვარელი ადამიანის დანახვით ლაღობს და მისი სახელის გაგონება გულს უთბობს.
14134. სიყვარულს არ სთხოვენ, მისგან მოითხოვენ და გრძნობით ით-ვისებენ.
14135. ბედნიერება მაშინ დევალვირდება, როდესაც სულის ტკივილი კლებულობს და რჩება მხოლოდ უიღბლო სიყვარული.
14136. როდესაც სიყვარული მიდის, რჩება მხოლოდ მოვალეობა.
14137. ღირსეულ ადამიანად ვერავინ იქცევა, თუ მისთვის განკუთვნილ სიყვარულს არ შეეხმიანა.

14138. სიყვარულის ეტალონი არ არსებობს, რადგან ისიც პირობითი და დროებითია.
14139. სიყვარულიც სულიერ და მატერიალურ დაბანდებას მოითხოვს, იმისდამიუხედავად, გაგიმართლებს თუ არა.
14140. სიყვარული არც მოსვლას გეკითხება და არც წასვლას, სანამ ფულის და ოჯახის ცდუნებას შეეჭიდება.
14141. მწარე რეალობა სიყვარულსაც ჩაგრავს, ძმაკაცობასაც აუფასურებს და სამშობლოს სიყვარულსაც სათუოდ აქცევს.
14142. სიყვარულს წამლობა არ შველის, უბრალოდ, დროს ქრონიკულ დაავადებაში გადაჰყავს.
14143. სიყვარული თავის სიჩერჩეტით ისე მოვა და წავა, ვერც ხეირიანად შეიცნობ და არც არაფერს გკითხავს.
14144. შეყვარებული თუ სხვებთან მიდის შენი ფეხის დროებით დაცდენის გამო, არავის უწყის, შენ უფრო გაგიმართლებს თუ მას.
14145. სიყვარული „მონოს“ ნიშნავს ფართე გაგებით.
14146. იმისათვის, რომ გაიგო როგორ გიყვარდა, საყვარელს უნდა უღალატო, გაყიდო, უარესზე დაახურდაო და შემდგომ ინანო.
14147. გიყვარდეს – ნიჭია, უყვარდე – შენი ბედნიერების შესაძლებლობა.
14148. სიყვარულს ცეცხლის ალი არ აკმაყოფილებს, მას ცეცხლის გაჩაღება უფრო მოსწონს.
14149. სიყვარული ყოველთვის ნდობის ანკესზე წამოცმულ სიტყვებს ენდობა და მისი „აქილევსის ქუსლიც“ ესაა.
14150. ზოგჯერ სიყვარული აღტკინებით იწყება და გაუგებრობით მთავრდება, აქ წყვილის ჰორმონების შეუთავსებლობაა დამნაშავე.
14151. ხშირად იმიტომ ვუყვარვართ, რომ ვჭირდებით და არა იმიტომ, რომ ასეთი კარგები ვართ.
14152. სიყვარულიც თავისებური დილეტანტიზმია, რადგან სიცოცხლეს უძღვნი ერთ ქალს, როდესაც ირგვლივ ამდენი სექსაობას მონატრებული და უშვილო ქალია.
14153. ბოროტება და სიყვარული ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ ზოგჯერ ბოროტებას იმ მცდარი სიყვარულის სახელით სჩადიან, რომელსაც რეალურ სიყვარულთან კავშირი არ აქვს.
14154. სიყვარულს განშორება არ მოსწონს, მაგრამ ამას ხშირად ყოფის სხვადასხვა ბარიკადებზე ყოფნა ითხოვს.
14155. რომ უყვარდეთ, კარგი ადამიანი უნდა იყოთ, რომ გიყვარდეთ – თქვენზე უკეთესი.

14156. ყალბი, მოჩვენებითი, ყოველივე უდღეურია, მათ შორის, სიყვარულიც და მცდელობაც.
14157. სიყვარული, გვინდა – არ გვინდა, მცდელობაა ვიყოთ პარტნიორები, ვნებათა დაუზოგავად.
14158. შეხვედრის და განშორების მარგი ქმედების კოეფიციენტი სასიყვარულო თვალების ნათებით დგინდება.
14159. მზაკვრულად შემოპარულ სიყვარულს იმ გაუგებრობის კაიფი მოაქვს, რომელიც მთელი ცხოვრება გვამახსოვრდება, სახალისოდ თუ სანანებლად, ბოლომდე ვერ გავრკვეულვართ.
14160. სიყვარული უცბად მოდის, ამიტომ მისი მენტალიტეტით დაგემოვნება და დაგეგმვაა ძნელი.
14161. შეყვარებულს, უპირველესად, თვალები ჰყიდის, მორცხვი ღიმილით და თავის ჩაქინდვრით.
14162. სიყვარულის გასაჯეჯილებლად, უპირველესად, გზის და ხიდის დაპროექტება სჭირდება, შემდგომ მოდის გზის გაკაფვა და ხიდის გადება, ყოველდღიურობასთან შეჩვევით.
14163. სიყვარულისთვის მთელი ცხოვრების „გაბახება“, უიმედო იმედის ძერწვით, პრაქტიკულად არ ღირს.
14164. სიყვარულს საზღვარი არ აქვს დაშოკვამდე, გაწბილებამდე, იმედის გაცრუებამდე.
14165. რომ შეგიყვარონ, კარგთან გულიანი უნდა იყო კვადრატში.
14166. სიცოცხლე იგივე ვნებაა, რომელიც თავდავიწყებულ სიყვარულს გვანიჭებს თუ გაგვიმართლა.
14167. ვეცადოთ ასაკში თავი გუშინდელი სიყვარულის გახსენებით გავიმხნეოთ.
14168. სიყვარული ხშირად ტანჯვით გაბედნიერებაა.
14169. სიყვარული ჰორმონების ქიმიასთან თამაშია გრძნობათა მოზღვავებით და ინსტინქტით.
14170. სიყვარული ვერც ფილოსოფიას იტანს და ვერც ფორმალობას, მაგრამ შინაგანად, დროთა განმავლობაში, ეგუება.
14171. სიყვარულის გრძნობების თამაშია თუ ვნების მოთხოვნაა გარკვეული მასტის ადამიანებში დღესაც დავას იწვევს.
14172. სიყვარული განცდათა შეძენაა, მეობის გაღრმავებით და სატრფოსთვის თავის შესაღებით.
14173. სიყვარული, გვინდა – არ გვინდა, ფიზიკით – გრძნობათა მოზღვავებით იწყებს ნაპერწკლის გაღვივებას და ჰორმონების მიზიდვა-მორგებით, ქიმიით მთავრდება.

14174. ცრემლისდენის გარეშე სიყვარული გენის დამსახურებაა და გონიერების ნაღვაწი.
14175. სიყვარული კონკურენციას ვერ იტანს, მაგრამ არც უიმისობა ვარგა.
14176. სიყვარული ყოველთვის მოულოდნელად მოდის, უაზროდ მიდის და გონიერების კანონზომიერებას, გაუგებრობათა გამო, არ ემორჩილება.
14177. სიყვარული შეურაცხყოფას და გათავხედებას ვერ იტანს, რადგან ის ძალზე სათუთი და მსხვრევადია.
14178. სიყვარულის არ უნდა გვრცხვენოდეს, მაგრამ ზომა-წონას გადასული ყოვლად მიუღებელია.
14179. სიყვარული ის ფენომენია, რომლის დარიც ყველა ჩვენგანის გულში უნდა ღვიოდეს რწმენით, ეროვნების და მეობის მიუხედავად.
14180. სიყვარულს ნიჭი უხდება, ხვადური ენერგიით, სასიამოვნო მოგვერდით, ცოლთან სექსმინიმუმის მოხდით, რაც ოჯახს ამტკიცებს.
14181. სიყვარულსაც ეჩვევიან გარემოს კარნახით, ტრადიციების გათავისებით და ფეხის ხმაზე აყოლით.
14182. სიყვარულის სწავლებაც შეიძლება თუ მას აღზრდას, შთაგონებას და ქალურ მომხიბვლელობას სათნოებით შევაზელთ.
14183. სიყვარული ხშირად დაკარგვა-ნახვის იმედით ცხოვრობს და ღამეს ეს ნაღდი მორიგი სიყვარული ჰგონია.
14184. სიძულვილისაგან განსხვავებით, სიყვარული უმრავლესობას გვაერთიანებს ხარისხის და შედეგის მიუხედავად.
14185. გვინდა – არ გვინდა, სიყვარულშიც ფულის, კარიერის, პიარის ელემენტები ურევია და ეს ცოტა მოგვიანებით მჟღავნდება.
14186. ყველას მისთვის მისაღები სიყვარულის ფორმულა აქვს გამზადებული, იმისდამიუხედავად, გაამართლებს თუ არა.
14187. სიყვარულის სულიერება საყვარელ ადამიანში განთავსებაა ვნებით და მომავლის იმედით.
14188. გრძნობათა მოურიდებელი ჩოჩქოლი სიყვარულის სინონიმია.
14189. სიყვარული გარკვეულ დრომდე სასიამოვნო გამოთაყვანებაა, რომელიც ყველა ბედის რჩეულმა მოთმინება-მიტევებით უნდა გამოსცადოს.
14190. სიყვარულის სწორ გზაზე დაყენება და წარმართვა წყვილის ურთიერთგაგების მცდელობის და შერწყმის საქმეა.

14191. სიყვარული თავისებური აღებ-მიმცემობაა, დებეტ-კრედიტის დაუთვლელად, ბიზნესის გარეშე.
14192. დღეს სიყვარულის გაგებაც ცვალებადი და ორჭოფული გახდა, იმძლავრა წამხედურობამ, ფუფუნებისკენ მიდრეკილებამ და წყვილთა შორის უამრავი შეყრა-გაყრა დაფიქსირდა.
14193. სიყვარულს არდადეგები არ აქვს, იმისდამიუხედავად, წამოეგება მის ანკესზე ხვადი მამაკაცი, თუ მისი პროვოკაცია.
14194. სიყვარულს ვნებაც წილში უჯდება გულის და სულიერების მოხმობით თუ ურთიერთშერწყმაში და სექსში გაუმართლა.
14195. დებეტ-კრედიტის ცოდნა სიყვარულისთვისაც აუცილებელი და მას ახალ პერსპექტივებს უქმნის.
14196. სიყვარულიც თავისებური ლატარეაა, ზოგი იმედს ოცნებით იგებს და ზოგსაც ხელში რაღაც რეალობა შემორჩება.
14197. სიყვარული იმ გაუგებარ სასიამოვნო პრობლემებს გვიქმნის, რომელიც მთელი ცხოვრება არ გვავიწყდება და თან გვდევს.
14198. სიყვარული ნიჭს მოითხოვს, რომელიც დღევანდელობით და არსებულით არ კმაყოფილდება.
14199. სიყვარული ურთიერთზრუნვაცაა, რეალობაში გამოხატული.
14200. სიყვარულიც რეალური და ხელშემოსავლები უნდა იყოს, თუ გვინდა მისი მადლი ვიგრძნოთ.
14201. თავხედობას, თავდაჯერებას, ამბიციებს, ვერც სიყვარულის ძრავა უძლებს, გადახურდება, რეალობას დაკარგავს და ჭირს მოგვჭამს.
14202. სიყვარული თავისებური, სასიამოვნო, დემაგოგიაა, რომელიც ყოველთვის გაუმართლებლად მართალია.
14203. მოვალეობის შეგრძნება და პასუხისმგებლობის თავზე აღებაც თავისებური სიყვარულია.
14204. სიყვარულიც თავისებური ხათაბალაა, მარად თავის დაკვრა და „პაჟალუსტა“ სჭირდება.
14205. სიყვარული მრავალუცნობიანია და ამიტომაა, რომ მისი განტოლება ამოხსნას არ ემორჩილება.
14206. ბედისთვის წიხლის კვრა, წინდაუხედაობასთან ერთად, სიყვარულის უგულებელყოფაცაა.
14207. სიყვარულის, ღირსების, მეობის, კურსის გამაგრება ძნელია, რადგან დევალვირებისკენ აქვს მიდრეკილება.
14208. სიყვარული სულიერების თავისებური გაღებაა, ჭკუის ჭყლეტვით და გონიერების გაბაზრებით.

14209. სიყვარულსაც დროული არდადეგები სჭირდება, გრძნობების შემოწმება-გადამოწმებით.

14210. მისი უდიდებულესობა სიყვარულის ყვავილობას, პირველ ხანებში, არც ფული სჭირდება, არც მდგომარეობა და ჩვენი მენტალიტეტი, სანამ ყოფის მუხრუჭები თავს არ შეახსენებს და პრობლემებს არ წამოჭრის.

14211. რაიმე პირველი ყოველთვის საეჭვოა, სანამ შეეჩვევი, გაითავისებ და შენად იგრძნობ, მათ შორის, პირველი სიყვარულიც, პირველი მილიონიც და პირველი ფეხის წამოკვრაც.

14212. სიყვარული საყვარელი საქმის, ქალის და პრინციპების, გარეშე თავისუფლების საპყრობილეა.

14213. სიყვარულს, პირველ რიგში, პასუხისმგებლობის გრძნობა სჭირდება, ის ჰაი-ჰარალედ არც უნდა დაიახლოვო და არც უნდა დაკარგო.

14214. სიყვარული ხშირად უსუსურობის, უსულგულობის გამო სიძულვილში გადადის.

14215. ძლიერ სიყვარულს შესვენება და „ქაქობა“ არ უწერია.

14216. სიყვარული ყველაფერს გვაჩვევს და მტერ-მოყვარესთან საერთო პოზიციაზე გვაყენებს.

14217. შეყვარებული ბრმა, ყრუ, მოსულელოა, სანამ ამ სენითაა დაავადებული და მისგან განკურნებას არ ცდილობს.

14218. მოვალეობა ზოგჯერ სიყვარული გვონია და ეს არც თუ ისე ცუდია, მითუმეტეს, თუ სიყვარული ცვალებადია და გაუგებარი.

14219. სიყვარულთან ერთად ხშირად გონიერებაც დეგრადირდება, მაგრამ სიამოვნებით.

14220. სიყვარული თავისებური აღებ-მიცემობაა, რადგან საწინააღმდეგო სქესები ერთმანეთს იმას უზიარებენ, რაც მათთვის ყველაზე ძვირფასია.

14221. სიყვარულით არ ტრაბახობენ, ლაღობენ და „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა – ქალამნად“.

14222. სიყვარულით სიკეთის კეთება რეკლამას არ მოითხოვს, ის „საქმემან მისმან“ უნდა წარმოაჩინოს.

14223. სიყვარულის ცეცხლის ანთება ერთეულთა ხვედრია, ჩაქრობისგან განსხვავებით.

14224. ზოგჯერ სიყვარულს თვალებს ქორწინება უხელს მოვალეობათა გადანაწილების მცდელობისას.

14225. სიყვარულს სამი კაცი მაინც სჭირდება, მესამე ან მოშურნეა ან მეხოტბე, რადგან „დამკვირვებლის“ გარეშე ის ვერ გალაღდება.

14226. მოულოდნელი და პირველი სიყვარული ზოგჯერ ადებილებს ადამიანს, მაგრამ ღვთის წყალობით ამ მდგომარეობას უმეტესობა თავს დროულად აღწევს.
14227. სიყვარული გამომზეურებას ერიდება, მაგრამ არც წინააღმდეგობას უწევს.
14228. სიყვარული საკუთარი „მეს“ გაჯიუტებაცაა, თავის დარწმუნებამოწონებით.
14229. სიყვარულს რწმენა, იმედი და საკუთარი მეობის ფასი ცოდნას ამაგრებს.
14230. სიყვარულს სილაღე უხდება იუმორით, შემართებით, მის გარეშე კი სიცოცხლე რთულდება.
14231. სიყვარულის შემოტევას არ ეწინააღმდეგებიან, რადგან ბედის და შემთხვევის საქმეა, გონების მოხმობით.
14232. სიყვარულზე უარის თქმის უფლება არც ერთ გარემოში, დროში და სახელმწიფო წყობაში არა გვაქვს.
14233. სიყვარული ადამიანის მეობას არ უნდა შეეხოს და მის თავმოყვარეობას ფეხი არ უნდა დააბიჯოს.
14234. არშემდგარმა, უიმედო, სიყვარულმა შეიძლება უკადრებელიც იკადროს და მას უნდა ვერიდოთ.
14235. სიყვარულიც დაჭაშნიკების ცოდნას მოითხოვს.
14236. სიყვარული მოწოდებულია გულის კუნჭულის დასაუფლებლად და შიგ კომფორტის მოსაწყობად.
14237. მუქთად მიღებული სიყვარული თუ გამოგადგება, ბედს შენთვის უკაკანია.
14238. „შენ ხარ ვენახის“ ღიღინს სიყვარულისთვის ვნება არასოდეს მოუტანია.
14239. სიყვარული ზოგჯერ ისეთ ადამიანს თანაუგრძნობს, წინასწარ მისი ბიოგრაფია რომ სცოდნოდა, ახლოსაც არ გაიკარებდა.
14240. სიყვარული, სამწუხაროდ. ზოგჯერ ფულზე, კარიერაზე გადაიცვლება, თავის მოწონებით და გამოდებით.
14241. „მასმედია“ სიყვარულს რაობის გაგებას ხელს არ უშლის, მაგრამ შიგადაშიგ უგნურებით მოძღვრავს.
14242. „მასმედია“ ზოგჯერ სიყვარულის რაობაში ცხვირსაც ჰყოფს და ნაღდ გრძნობებს უნდობლობის სილას აწნის.
14243. ხშირად ცარიელი გონება სოცარიელის ამოვსებას სიყვარულით ცდილობს და სათუო გრძნობებს ეუფლება.
14244. სიყვარული „ვეტოს“ არ ემორჩილება, მაგრამ დაფიქსირება და ანგარიშის გაწევა მართებს.

14245. სიყვარული ერთგვარი დროებითი გამოთაყვანებაა, სურვილების გაურკვევლობით.
14246. სიყვარული ევოლუციას ეგუება, პერსპექტივას უღიმის და ცდას ემორჩილება.
14247. სიყვარული „მასმედიის“ პოსტულატებს ეცნობა, მაგრამ მას არც ეთანხმება და არც ემორჩილება.
14248. სიყვარული დიეტას ვერ იტანს, მის სულიერებას რჩეულთა რიგი უნდა ასაზრდოვებდეს.
14249. სიყვარულს გამოგონილი ამბებით შელამაზება უხდება.
14250. ვნების ყიდვა ბითუმადაც შეიძლება, საცალოთიც, ფასდაკლებითაც და მუქთადაც, გააჩნია მომხმარებელს.
14251. სიყვარულის ყველა დამწყებ შეყვარებულს სწამს, მაგრამ ბედი ვის რას უმზადებს, წინასწარ ვინ იცის.
14252. სიყვარული ყველას იმედს უღვიძებს, პერსპექტივისა და შედეგის მიუხედავად.
14253. სიყვარულს ამბიციებიც უხდება, მაგრამ ურთიერთგაგებით და პატივის მიგებით.
14254. სიყვარული მოწოდებულია ადამიანი უფრო გულთბილი, მოყვასი და მზრუნველი გახადოს.
14255. სიყვარული ის მანათობელი ციცინათელაა, რომელიც ნანატრი ქალისკენ გზას გვინათებს, მიუხედავად იმისა, დავეუფლებით მას თუ არა.
14256. იმქვეყნად გადაბარგებას ქალის სიყვარული და დანანებით გადმოღვრილი ცრემლები გვიადვილებს.
14257. სიყვარული სილამაზის პრივატიზებას არ ცდილობს, უბრალოდ, ითვისებს.
14258. სიყვარულს ყველა ეძებს, მაგრამ ნაღდსა და უღალატოს იშვიათად თუ ვისმე ხელს გამოკრავს.
14259. სიყვარული მრავალნაირია მისი უცოდინარობის გამო.
14260. სიყვარულია, როდესაც ერთს ყველაფერი მეორესთვის უნდა.
14261. სიყვარულს თანასწორობა და ურთიერთგაგება ასაკში ეწვევა, მანამდე ან ერთს უყვარს მეტად ან მეორეს.
14262. ადამიანის ყველა ასაკი სიყვარულს ემონება, 50 წლის შემდეგ – განსაკუთრებით.
14263. სიყვარულს თანასწორობა მოსწონს, მაგრამ მაინც ერთ-ერთის ლიდერობით და მეორის თანხმობით.
14264. სიყვარული ის თავქარიანობაა, რაც ყველამ უნდა გამოსცადოს, თუნდაც უიმედო და ჩაშლილი იყოს.

14265. გულს სიყვარულის გარეშე თავის მოვალეობის შესრულება უჭირს, იმისდამიუხედავად, რომ ეს ბევრ პრობლემას უქმნის.
14266. ყველა სახის სიყვარულს მოფრთხილება უნდა.
14267. სიყვარულიც აღზრდას საჭიროებს მოვლა-პატრონობა – შეძახებით.
14268. სიყვარული ის იმპულსური ვნებათაღელვაა, რომელიც აზროვნების პასუხისმგებელ ნაწილს თიშავს.
14269. სიყვარული გონიერების კომპასის გადაადგილებას არც ემორჩილება და არც ყურად იღებს.
14270. ფანჯრიდან შემოსულ გაჭირვებას სიყვარული კარებიდან ისტუმრებს, თუ დროულად მისი შეჩერება გაფულიანებით არ მოხდა.
14271. სიყვარულს დასვენებაც და წაძინებაც უნდა, თუ ის ხალასი, რეალური და ხანგრძლივი დროისთვის არის გამიზნული.
14272. სიყვარული მსხვრევადიცაა და მისი გამთელება შესაძლებელია, თუ ამას რომელიმე თანამეინახე გულით მოინდომებს.
14273. სიყვარულის მარადიულობაზე არ ფიქრობენ, რადგან ის დროში არ ეტევა და ამიტომაც უაზრობაა.
14274. უჯიშოთა სიყვარულს ჯიშიანთა წინაშე ფასი დაკარგული აქვს.
14275. სიყვარული რევანშის სურვილს არასოდეს ჰკარგავს.
14276. მინორი და მაჟორი სიყვარულის რაობისთვის აუცილებელი განტოლებაა, ამოხსნის გარეშე.
14277. სიყვარულს ის დიზაინიც უნდა ახლდეს, რომელიც მხოლოდ შეყვარებულისთვის არის მისაღები.
14278. სიყვარული გონებას გვირევს, ნერვებს გვაწყვეტს, გულს გვიფრიალებს, მაგრამ მის გარეშე ამქვეყნიდან წასვლა სასჯელია.
14279. სიყვარული ბოდვაა, მაგრამ დაოჯახების გარანტიაა.
14280. სიყვარული გარკვეული დროით აღფრთოვანებით დამუნათებულია და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად.
14281. შერყვნის საწყისის აუცილებლობის მოძიებაა ძნელი და ყოველივეს ტექნიკურ პროგრესს ნუ გადავაბრალებთ.
14282. სიყვარულს გადახრები ახასიათებს, კეთილი სურვილებითაც და უაზრო დრამატიზმითაც.
14283. ზოგჯერ სიყვარულს ალიბად ჭკუა სჭირდება, რათა სხვათა თვალში გაამართლოს.
14284. სიყვარულისთვის არ სჯიან, მაგრამ განსჯიან.
14285. გრძნობათა ღელვა სიყვარულის შეკვეთით, მშვენიერებასთან შერკინების მცდელობაა.

14286. ზოგს საყვარელი სიყვარულში ეშლება და ამით დაუფიქრელად ტრაბახობს.
14287. ზოგჯერ საკუთარ სიყვარულსაც გვერდიდან უნდა შეხედო, ნაკლი უკეთ ჩანს.
14288. სიყვარული და სულიერი ალიყური შეუთავსებელია, მაგრამ გულს სჭირდება.
14289. სიყვარულს პატარ-პატარა წმინდანების მაფია იცავს.
14290. სიყვარულის ფასი ჯერ კიდევ დაუდგენელია, მიუხედავად მისი ცივილიზებულობისა.
14291. სიყვარული, მორალის და პრინციპების გარეშე, ბევრ ისეთ რამეს ჰკარგავს, რომლის რეალობაში ანაზღაურება ჭირს.
14292. სიყვარულის საყრდენად უსაქმურობა არ გამოდგება.
14293. სიყვარულში საერთო ენის გამონახვა ადვილიცაა და ძნელიც, გააჩნია ინდივიდს და მის გაწვრთნას.
14294. სიყვარულით გალაღებული სული საკუთარ მეობას სიამით ეჭიდავება.
14295. როდესაც აღურიცხავი, მუქთა, ფული მოდის, სიყვარული პრეტენზიული ხდება, ხოლო თუ მძიმე-მძიმედ მოდის, სიყვარული გარჯას სწავლობს და მტკიცდება.
14296. პერსპექტიული ქალებისაგან თავის დაცვა დიდ სიყვარულს შეუძლია, ისიც დროებით, ყავლის გასვლამდე.
14297. სიყვარულს არ სწავლობენ, მას განგება გვჩუქნის.
14298. სიყვარული ბედნიერებაა, თუ მას გონების და სხეულის აღფრთოვანება ახლავს.
14299. სიყვარულისთვის სიავის მიყენება უგუნურებაა კვადრატში.
14300. სიყვარულის მაგია ყველამ უნდა გამოსცადოს, რათა ადამიანად ჩვენი ჩამოყალიბების პარამეტრებს არაფერი დააკლდეს.
14301. ყველაზე მეტად სიყვარული გულს უწევს ექსპლუატაციას დაავადება-განკურნებით.
14302. სიყვარულში მეცნიერულ მტკიცებასაც შეიძლება ჰქონდეს თავისი ალიბი, მაგრამ რეალური სარგებლის მოტანა არ შეუძლია, თუკი მასში ეჭვმა დაისადგურა.
14303. ხშირად სიყვარულთან დამოკიდებულების ცვალებადობას, ასაკთან ერთად, ადამიანის „ფუტლიარის“ ცვალებადობაც იწვევს.
14304. სიყვარულზე არ ჭორაობენ, მას განიცდიან, შურთ, იმედით უყურებენ, იქნებ მის წყალობას დროულად ეზიარონ.
14305. ჩვენთან შობილ ბოროტებას უსიყვარულოდ დარჩენაც იწვევს.

14306. ღალატი იქაა ჩასაფრებული საცდუნებლად სადაც დიდი სიყვარულია.
14307. „ცრუმორწმუნეობა“ საკუთარი რაობის გადამოწმება და მოყვასის უდიდესი სიყვარულია, რომ მათ რაიმე არ „ვავნოთ“.
14308. პიროვნებისადმი რიდი, პატივისცემა, აღიარება, სხვაა, სიყვარული კი – სხვა და ყველას, ერთად აღებულს, სჯობნის, რადგან მისი არ შურთ და ყველასია.
14309. სიყვარული მაინც შინაგანი ღირებულებაა.
14310. სიყვარული და შენდობა და არა – შურისძიება და ძალა, რადგან უნაკლო და უშეცდომო დღეს არავინაა.
14311. როდესაც ადამიანები ერთმანეთს უგებენ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სიყვარულმა გახუნება და მტვრის დადება დაიწყო.
14312. სიყვარულს თეორიულად დასასრული აქვს, მაგრამ პრაქტიკულად სხვადასხვა ვარიანტებს გვთავაზობს დროის ყივილის შესატყვისად.
14313. ქალისაგან განსხვავებით, სიყვარულს არ ღალატობენ, ის უცვლელი განზომილებაა და აქ ვნების მოთხოვნათა შემთხვევით დაკმაყოფილება მხედველობაში არ მიიღება.
14314. სიყვარულს განუსჯელია და მასზე ჭორაობას აჩმორებს.
14315. სიყვარულის შენარჩუნება ვაჟკაცობაა, ხოლო მისი განეიტრალება გულის გაუტეხლად, ახლის ძიებით, გმირობაა.
14316. მეგობრის არჩევა და ქალისადმი სიყვარული ამოუხსნელია, აქ უფრო ჰორმონები იღვწის, ვიდრე გონიერება.
14317. მრისხანებას ზოგჯერ სიძულვილთან შერწყმული სიყვარულიც ახლავს.
14318. სიძულვილიც სიყვარულის ამოხსნას თავისი „ინტეგრალებით“ ცდილობს.
14319. არის ღვთისნიერი სიტყვა „მიყვარხარ“ და ვისგანაც არ უნდა იყოს ნათქვამი, გულის კუნჭულს მაინც ათბობს და აღაგზნებს.
14320. ნაძირალასთვის სიყვარული გაუმართლებელი ფუფუნებაა, რადგან მას ალიბად იყენებს.
14321. სიყვარული მერყევი და დროებითია, თუ მას მოუთოკავ გრძნობათა ბაზისი არ ახლავს.
14322. სიყვარულს სხვადასხვა გემო აქვს, მათ შორის, სიყვარულის ახსნის ტონალობასაც, სიტყვებით „მე შენ მიყვარხარ“ და „მე უშენოდ ყოფნა არ შემიძლია“.
14323. სიყვარული თავისუფლებასაც გვიზღუდავს, რადგან სხვათა სიცოცხლე, ბედი, შენთვის ძვირფასია.

14324. სიყვარულს პატივისცემა, რიდი, კაცობა, ბარტყობით უხდება.
14325. გულიანობის ყველაზე უკეთესი მაძიებელ-აღმომჩენი სიყვარულია.
14326. შეყვარებულია ის, ვინც ჩვენ გულის ნახევრის პრივატიზებას ჩვენივე ნებართვით ცდილობს.
14327. ადამიანის ყველა ქმედება, თანდაყოლილი თუ შეძენილი, სიყვარულით უნდა იმართებოდეს, იღვწოდეს.
14328. დასპონსორებას, ყველაზე მეტად, სიყვარული მოითხოვს, მატერიალური იქნება თუ სულიერი.
14329. მოწოდება სიყვარულს არ შეურაცხყოფს და არ ძალადობს.
14330. სიყვარული სიკეთის და ბედნიერების აღმოსაჩენადაა დამოძღვრილი.
14331. შინაარსიანი სიყვარულიც განმარტებას ბოლომდე არ ემორჩილება, მაგრამ გამძლეა.
14332. სიყვარული ურთიერთგაცნობიერებას არ ითხოვს, როდესაც ვნების ქარიშხალი უბერავს და გრძნობები აზვირთებულ ოკეანეს მიაპობს.
14333. სიყვარულს ჭკუა-გონების ანალიზი არ სჭირდება, ეს მაშინ წამოყოფს თავს, როდესაც გრძნობები ნელდება, ვნება წყნარდება და უკეთესი ცხოვრების სურვილი დღის წესრიგში დგება.
14334. ზოგჯერ სიყვარულს უცნობი წყვილი იწყებს ნაცნობი სიძულვილის ბაზაზე.
14335. სიყვარული განსჯას თუ დაემორჩილა, მოწოდებაა და არა სიყვარული.
14336. ზოგჯერ სიყვარული ძალად განშორების შემდეგ პარტნიორებს სულიერად აახლოებს.
14337. ღამე სიყვარულს უფრო ურცხვს, სასურველს, სათავისოს ხდის და მოფერებისთვის, შერწყმისთვის, არასაჭირო რიდს აკარგვინებს.
14338. ნამდვილი სიყვარული განშორების წუთებსაც ადუღაბებს და იმქვეყნადაც კი ერთმანეთს უცდიან.
14339. ყოველი ექტრავაგანტურის სიყვარული ხორციელ სიამოვნებას ესწრაფვის.
14340. ნაღდ და ურყევ სიყვარულსაც კვება სჭირდება და ისიც თანდათან მატერიალურში უნდა გადაიზარდოს, რათა მცდელობის ფინიში დადებითად გამოიყურებოდეს.
14341. ლამაზი სიყვარული სურვილების მორიგი მითია და მას რომ ხორცი შეესხას, პირველ რიგში, მითს ყავლი უნდა გაუვიდეს.

14342. განცდებით მიღებული სიყვარულის ანა-ბანა უკეთ გვემსახურება პარტნიორის შენარჩუნებაში.

14343. სიყვარულს არც დაყოფა უხდება და არც დამოძღვრა, რადგან იდუმალებას კარგავს.

14344. ტყუილი ზოგჯერ სიყვარულის მაგივრობასაც გვიწევს, რადგან ხშირად არარსებული არსებულზე „მომხიბვლელია“.

14345. სიყვარული, რომელსაც უმთავრესად ყოფიერების მატერიალური მხარე ანაღვლებს, მოწონებას, გარემოებას, შეთანხმებას, ეხმიანება.

14346. სიყვარული შეიძლება იყოს ხალასი, შეძენილი, ანგარებიანი, მაგრამ თუ თავდავიწყება აკლია, სიყვარულს ვერ დავარქმევთ.

14347. სიყვარული და პასუხისმგებლობა განუყრელია, მაგრამ ურთიერთდაკბალების გარეშე.

14348. სიყვარულის „სასჯელისაგან“ გათავისუფლება უსიხარულო ფაქტია.

14349. სიყვარული სულიერებისთვის აუცილებელია, ხორციელების გასამხნევებლად.

14350. შეყვარება ორმაგი ბედნიერებაა თუ მცდელობა განაღდებული გაქვს და უაზროდ არ იტანჯები.

14351. სიყვარულს მიწაზე ფორთხიალი არ უყვარს, ის ოცნებით და იმედით უნდა აჯირითო.

14352. სიყვარულს სათავისო და მისთვის იმედის მიმცემი სიურპრიზები უყვარს და ეზმანება.

14353. სიყვარულს ხშირ-ხშირად მიწაზე დაშვება უწევს, რადგან საფრენად საწვავი არ ყოფნის.

14354. დაკონტაქტებული და დაკონტრაქტებული სიყვარული სხვადასხვაა: ერთი რელურია, მეორე – პირობითი.

14355. როდესაც წყვილის ურთიერთდამოკიდებულებაში კრედიტ-დებეტი სჭარბობს, ეს ბუღალტერია და არა – სიყვარული.

14356. სიყვარული, პირველ რიგში, ხელით ალერსია, სულის გაჯეჯილებით.

14357. ყველაზე დიდი ჯილდოა გარეშეთა სიყვარული დაფინანსების გარეშე.

14358. ახლობლების ემოციურ გაკიცხვას ბოლომდე ნუ მოუსმენთ – თქვენდამი სიყვარულის გამო გადამეტებულია.

14359. სიყვარული მარად ახალგაზრდა, ამბიციური და დაუვიწყებელია.

14360. წყვილის დანიშნულებაა ურთიერთფანტაზიის გაღიზიანება ვნების ფინიშით.
14361. სიყვარულს ძილი, მიძინება, სიფხიზლეც, ახასიათებს – გააჩნია, ინდივიდს და მის პერსპექტივებს.
14362. დაუმუხრუჭებელი სიყვარულის ატანაც ძნელია და დამუხრუჭებულისაც, მაგრამ თავის გამხნევება ორივე შემთხვევაში საჭიროა.
14363. სიყვარულს არც ანგარიშს სთხოვენ და არც „აიწონა-დაიწონას“, სანამ გვერდს გვიმშვენებს.
14364. სიყვარული ავია და ზოგჯერ დაუნდობელიც, მაგრამ ბედთან და ყოფასთან შერკინება აწრთობს და სიკეთის საკეთებლად იხრება.
14365. სულში მოკალათებულმა გრძნობებმაც თავის მობეზრება იცის, თუ დროულად სიყვარულის ნაკვერჩხალს არ „შევუგდებთ“.
14366. ცივი გონება სიყვარულს მხურვალე გონებაზე მეტად რგებს, რადგან ბოლოში ოჯახი გამძლეცაა და შემძლეც.
14367. ქორწინება თავისებური ციებ-ცხელებაა, რომლის საწყისი წამიერი, უგნური გრძნობით დარწეული სიყვარულია.
14368. სიყვარულიც თავისებური, ჰარმონიასთან შერწყმული, პირამიდაა, სანამ გიმართლებს.
14369. უგულო სიყვარული ნაწამები სიყვარულის აჩრდილია.
14370. ჩვენ სიყვარულის ლეგენდა გვხიბლავს და არა თავად სიყვარული, რომელიც გარკვეულ დროით დაავადებაა.
14371. დღეს შეყვარება ინტერნეტითაც შესაძლებელია, გააჩნია კანდიდატის „ფაილს“.
14372. სიყვარული სულიერების წამალია და მისი დაუნდობელ-დაუფიქრებელი მკურნალიც.
14373. სიყვარულს, ნაყოფის გამოსაღებად, გრძნობათა შეფრქვევა და თანადგომა სჭირდება, ხოლო მოსაკრებლად – ნაყოფის მომწიფება და მოთმინებით მოკრეფა-ტკბობა.
14374. სიყვარულის განცდასაც თავისი საათი და წამის გაელვება სჭირდება.
14375. სიყვარულს გარემო, მანძილი, დროის ყიამყრალობა, არ აშინებს, ის ყოველთვის გამოსავალს ეძებს და ნახულობს.
14376. სიყვარულსაც ზღვრის დადება სჭირდება, რათა უდროოდ ხელში არ შემოგვადნეს.
14377. სიყვარულის ნეტარებით ანთებული სასიამოვნო ტკივილი ზოგჯერ გონებას გვაკარგვინებს და ამითაც ნასიამოვნები ვართ.
14378. სიყვარულს შესამოწმებლად პატარ-პატარა ცოდვები და გადაცდენები სჭირდება და კიდევაც ეპატიება.

14379. სიყვარულის გარეშე ტალანტიც არარაობაა, ცხადია მარტო ქალისადმი სიყვარული არ იგულისხმება.
14380. ვნების კრიზისი ყველაზე მეტად სიყვარულის რაობის აღქმაში გვიშლის.
14381. სიყვარული ცდილობს თავის რჩეულს გაუგოს პირველ „შეძულებამდე“ იმისდამიუხედავად, იმსახურებს ამას თუ არა.
14382. ნაღდი სიყვარულია, თუ შენი რჩეულის დაკარგვის გეშინია და მზადა ხარ კომპრომისების კორიანტელზე წახვიდე.
14383. სიყვარულსაც ჯავშანჟილეტი უნდა ეცვას, მოშურნეთაგან თავის დასაცავად.
14384. სიყვარული აწმყოთი არსებობს და მომავლით ცხოვრებას აპირებს.
14385. სიყვარულობანას მანამდე „ვთამაშობთ“, სანამ მისი მოვლა, დაფინანსება, ურთიერთგაგება, მოვალეობაში არ გადაიზრდება.
14386. ხშირად სიყვარული უცნაური არჩევანის გაკეთებას ცდილობს, უყვარს ის, ვინც მას ვერ იტანს და ამით თავს რომ იღუპავს და იმცირებს, კარგახანს ვერ გრძნობს.
14387. სიყვარული იმდენი უნდა შეძლო, რასაც ასწევ, მოერევი, შეინარჩუნებ.
14388. სიყვარული, მოვალეობის გრძნობის გარეშე, დიდხანს ვერ იფოფინებს.
14389. ყველაზე ცუდი გაურკვევლობაა სიყვარულში, რადგან ვერ გაგიგია რატომ ხართ ერთად.
14390. სიყვარულის სამკუთხედი მაშინაა შესაძლებელი, თუ ყველას თავისი კუთხე ექნება და ერთის ნაცნობი ორი უცნობი ერთმანეთს არ იცნობს.
14391. გულიანი სიცილის უნარი სიყვარულის ერთ-ერთი ატრიბუტია, ხოლო გაღიმება – მოწონებისა.
14392. სიყვარულსაც ავი ნიჭი ახლავს, რადგან ხშირად მოულოდნელად და გაუგებრად მთავრდება.
14393. სიყვარულს უფრო შესახედაობა უფრთხილდება, ვიდრე საქმიანობისადმი ერთგულება.
14394. სექსისგან განსხვავებით, ძალდატანებულ სიყვარულს, არც ერთი მხრისათვის რეალური ბედნიერება არ მოაქვს, რადგან სული და გული არ იყიდება, უბრალოდ, ეჩვევა.
14395. სიყვარული ცოცხალი ღმერთია, ისე გვექცევა, როგორც უნდა.
14396. სიძულვილის წამალი სიყვარულია, მას დრომ უნდა უმკურნალოს და შემთხვევამ აცრას.

14397. სიყვარულზე აშენებული შენობის საძირკველი ხშირად მერყევია.
14398. სიყვარული მორალს არ ემორჩილება, მაგრამ მასთან საერთო ენის გამონახვას თავის გადასახედიდან ცდილობს.
14399. სიყვარული აღმაფრენაა, ჰაეროვნებაა, ქორწინება – დაღმაფრენაა, მიწაზე დაშვებით.
14400. სიყვარულისთვის დრო არ არსებობს, ხოლო დრო სიყვარულს ახუნებს.
14401. სიყვარულს თავისუფლება მისდაშეუმჩნევლი მარწუხებით ესმის.
14402. გულის საწვავი სიყვარულია, რომელსაც აზროვნების ძრავის გამორთვის ხარჯზე იძლევა.
14403. სიყვარული შეუძლებლის გაკეთებას მოითხოვს და ხშირად თავისას აღწევს.
14404. სიყვარულსაც თავისი ხუშტურები აქვს, ურთიერთობა მაინც-დამაინც არ აინტერესებს, უბრალოდ უყვარს და „ბასტა“ (მორჩა).
14405. სიყვარული ის განტოლებაა, რომელიც ამოხსნას არ ითხოვს, რადგან ყველასათვის ისაა ნაცნობი, რაც ყველა ჩვენგანისათვის უცნობია.
14406. უგვანო სიყვარული და სიძულვილიც, ხშირად, ფსიქიატრისთვისაც გაუგებარია.
14407. გაწბილებულ სიყვარულს ერთ-ერთი შურისძიების საყრდენი აქვს: უკეთესი პარტნიორის „დაბმა“.
14408. სიყვარული ყველას თავისი სიამით გვესაუბრება, საბოლოო შედეგის მიუხედავად.
14409. ნამდვილი სიყვარული იშვიათობაცაა და ბედნიერებაც, თუ ბოლომდე გაგიმართლა და უდროოდ არ გადაიწვი.
14410. დიდი სიყვარული მარტო გარეგნული მონაცემების და მატერიალურ შესაძლებლობათა შეგროვებით არ კმაყოფილდება, მას სულიერება უფრო აინტერესებს.
14411. სერიოზული სიყვარულისათვის დაბადებულნი გრძნობებთან თამაშს და გადამეტებულ ფლირტს ვერ ეგუებიან.
14412. შედეგიანი სიყვარულია, როდესაც ჯიშიანი წყვილი ერთმანეთს ხვდება ჯანმრთელი კვლავწარმოებისათვის, რომელსაც რატომღაც იშვიათად ვაფასებთ და ვბაძავთ.
14413. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სიყვარული სიცოცხლის უნარჩენო კომპრომისებზეა აგებული.

14414. სიყვარულისთვის განკუთვნილი პარამეტრები ძირითადად მოწონებაზე, იმედზე, დაპირებებზეა აგებული, თუ 50%-ს დანაპირებისას მაინც გავუნაღდებთ და გავუმართლებთ.

14415. სიყვარულს გარკვეულ დრომდე დამონებისკენ აქვს მიდრეკილება, სანამ გარემო პირობების „ჯაგი-ჯუგი“ და ასაკის დაღვინება ამ გრძნობას არ გაანეიტრალებს.

14416. სიყვარულსაც აქვს თავისი ხინჯი, რომელსაც ან ვეჩვევით ან სანამ თავდავიწყებით გვიყვარს, არ გვინდა შევამჩნიოთ.

14417. სიყვარული თავისებური საპყრობილეა, დაავადებაა, რომლისგანაც თავის დაღწევა ჭირს, სანამ ამ სასჯელს, სახადს არ მოიხდი ან ქრონიკულ დაავადებაში არ გადაიზრდება.

14418. ვინც უყვართ, იმისი სჯერათ, მიუხედავად ყოყმანისა და ფაქტების დაპირისპირებისა.

14419. უიმედო, უმწეო, სიყვარულიც კი „ნეტას“ პასუხის მოლოდინშია.

14420. სიყვარული გრიპივითაა, ზოგი სწრაფად მოიხდის, ზოგიც ყოფასთან შეჯერებით „მკურნალობს“, ზოგსაც ქრონიკულ „დაავადებად“ გადაექცევა და იმქვეყნად მიჰყვება.

14421. სიყვარულის ფიალა ბოლომდე და ანგარიშმიუცემლად უნდა შევსვათ, რადგან დაუცლელობას განგება არ გვაპატიებს.

14422. სიყვარულს მილიონები ამშვენებს, ამაგრებს, აამაყებს და თავისუფლება და საკუთარი „მეს“ წარმოჩენა მეუღლის წინაშე აღარ ახსენდებათ.

14423. მოწონება სიყვარულს არ ნიშნავს, მაგრამ არც დაქორწინებას გამორიცხავს.

14424. სიყვარულის საფუძველი სიყვარულითვე ეშმაკობანას თამაშია.

14425. სიყვარული თავისებური გაჯანჯლებაა, მაგრამ ბუნების და განგების ნებას სად გექცევი.

14426. სიყვარული ყოვლისშემძლე ელექსირია – მას ჩვენი გაახალგაზრდავებაც შეუძლია.

14427. სიყვარული გულთა მეფეა, მაგრამ გრძნობების მოზღვავებასთან ერთად შინაგან კულტურას, სიფაქიზეს, ყოფასთან შერწყმულ რითმს, მოითხოვს, ხოლო თუ მას სათანადო გარეგნობა, გემოვნება, მოყვასი ხასიათი, ერთვის, ის ხანგრძლივი დროისათვის გათვლილი ბედნიერებაა.

14428. თავბრუდამხვევი სიყვარული და წარმატება შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, რათა თავი ადამიანად იგრძნო.

14429. სიყვარული გარკვეულ დრომდე, თავისებური სასიამოვნო სამუშაოა, რომელიც აქტის აღსრულების შემდეგ დაფინანსებას გაცილებით მეტს მოითხოვს.
14430. სექსში შეიძლება მეორე იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – სიყვარულში, ეს გონებისთვის მიუღებელია.
14431. სიყვარულს ეჭვით შეთბობა და ნერვების აშლით გადამოწმება სჭირდება.
14432. სიყვარული სულიერების ხარჯვაა, ცვეთაა და ის ამ პროცესის საოცრების გადანაწილება – ჩუქებას გონიერებით მოითხოვს.
14433. სიყვარული სხვაა, დაფასება სხვა, რადგან ამ უკანასკნელს ანალიზის უნარიც სჭირდება, მაგ., მშობელი გვიყვარს, მაგრამ მისი ღვაწლს გარკვეულ წლებამდე სათანადოდ ვერ ვაფასებთ.
14434. სიყვარული ის დაავადებაა, რომლის შესაყრელად ყველა დროში მზად უნდა ვიყოთ.
14435. სიყვარულიც გადამდები დაავადებაა და მისი მკურნალობა სწორად უნდა წარიმართოს.
14436. მოწონება ვნებათა ღელვის შემკობა-შეკოწიწებაა, სიყვარულის მოხმობით.
14437. სიყვარული ხშირად თავიდან გვშობს და გვასაზრდოებს.
14438. ქალის და კაცის სიყვარული სექსსაც ითვალისწინებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უგვანობაა.
14439. სიყვარული ჩვენდა დაუკითხავად მოდის, მაგრამ ჩვენი უგუნურების, უნიათობის, გამო მიდის.
14440. გული ის ლაკმუსია, რომელიც ყოველივეს სინამდვილედ აღიქვამს და ვნებათა ჭიდილით განსჯის.
14441. ბედნიერებაა, როდესაც სიყვარულის კულტს, სამყაროს, ამდენი აბდა-უბდა ექსპერიმენტების მიუხედავად, გადაშენება, გაქრობა, არ უწერია.
14442. ზოგჯერ ცრურწმენას განათლება, ცოდნა, არ შველის, თუ საქმე საყვარელი არსების ყოფნა – არ ყოფნას ეხება.
14443. სიყვარული, გონიერების გარეშე, არაორგანიზირებული კომფორტია, რომელსაც აღმაფრენა და სიამოვნება ერთდროულად მოაქვს.
14444. ხელისუფალი მანამ არ კადრულობს ოპოზიციასთან სერიოზულ საუბარს, სანამ ცხვირში არ ამოარტყამენ, წყალს არ შეუყენებენ და ხალხი ეშეფოტზე არ აათრევს.
14445. სიყვარული თავიდან ფეხებამდე შეყვარების „სრულ პაკეტს“ მოითხოვს, გონიერების ყოველგვარი ჩარევის და განსჯის გარეშე.

14446. სიყვარულს ხშირად ხელები გახსნილი აქვს, რადგან მას სიყვარულის სახელით ბევრს პატიობენ.
14447. სიყვარულს სიყვარულითვე გაოგნებული, ბეჩავი, არ უყვარს.
14448. არის სიყვარულის ერთ-ერთი გაუცნობიერებელი სახე, რომელსაც ვერსად დაემალები.
14449. სიმდიდრით გაქაჩვა კარგია, მაგრამ სიყვარულის შედეგებით გაქაჩვას ვერ შეედრება.
14450. გულის დალაქავება უიმედო სიყვარულმა იცის.
14451. ყბედობის უნარი სიყვარულის მოპოვების გარანტად არ გამოდგება.
14452. სიყვარულს სიყვარულითვე გაოგნებული, ყოფის ბეჩავი, ვერ ინარჩუნებს.
14453. არა მგონია, საკუთარი თავის სიყვარული, გონიერების ფარგლებში, ბოროტება იყოს, პირიქით, ის უდიდესი ნიჭია, სიკეთეა, თუ შენ მომავალი თაობების კვლავწარმოებაზე, აღზრდაზე ფიქრობ.
14454. პრინციპულობა და სიყვარული სინამდვილეში ერთია.
14455. სიყვარული მაინც მატერიალურია, შემდგომში სარგებელის მიღების იმედით.
14456. სიყვარული, ფაქტიურად, გონებას აბრმავებს და აყრუებს და არა – თვალებსა და ყურებს.
14457. სიყვარული სულიერი რომანტიზმის ერთ-ერთი აუხსნელი და უხილავი ფორმაა, რადგან მამრი მდედრის მომსახურებისთვის არის გაჩენილი, შთამომავლობის დატოვების მოვალეობით.
14458. სიყვარული ბევრ შეცდომას აგვაშორებს, მაგრამ მაინც განსხვავებულს და დაუვიწყარს.
14459. სიყვარულსაც სწავლა სჭირდება, რათა მიუჩვეველი მოუკრეფავში უაზროდ არ გადაეშვას.
14460. სიყვარულის ნაპერწკლის გაჩენას პარტნიორის რეალობაში აღბეჭდვა სჭირდება, ცნობიერების დაღვინებით, ფიზიოლოგიური და ბიო-ქიმიური პროცესებით.
14461. სიყვარული იწყება: ფლირტით, გატაცებით, ემოციების ფრქვევით, რომელიც უდიდეს შინაგან კულტურას მოითხოვს.
14462. „მიყვარდას“ და „მიყვარს“ სხვადასხვა ჟღერადობა ახლავს.
14463. სიყვარული ჰორმონების შემოტევით იწყება და ხშირად ვნებათა შეუთავსებლობით მთავრდება.
14464. საცოდავია, ვისაც სიყვარულის გრძნობა არ განუცდია, ხოლო საშინელებაა ვისაც ამ გრძნობისთვის სათანადოდ არ მოუვლია.

14465. სიყვარულს სჭირდება დაფასება და არა – შეფასება, რომელსაც არ ექვემდებარება.
14466. სიყვარულსაც შემართება-შეძახება უხდება და არა ეჭვიანობა და ყოყმანი.
14467. რწმენა და სიყვარული გაგებას არ ემორჩილება, თუ არ გავითავისეთ.
14468. ნაღდი სიყვარული ყველა რეალურ წინაღობას გადალახავს და მის დამცველებს ფეხსაც ჰკრავს.
14469. სიყვარული გონების ჭყლეტას არ გამორიცხავს, მაგრამ არჩევანის პრეროგატივას იტოვებს.
14470. ვნებათა მოჭარბებამ განურჩეველი ქმედითი სიყვარული იცის, რომელსაც ადამიანთა სათავისო აღქმაში ბევრი რამ ეშლება.
14471. გამბედავებმა და მამაცებმა სიყვარული თავისი მეთი და პეწით იციან.
14472. შერჩეულ, მოსიყვარულე, ერთმანეთზე მორგებული წყვილის დანახვას არაფერი ჯობს.
14473. სიყვარული-სიძულვილი დები არიან, პირველის თამადობით.
14474. დღეს მხოლოდ სიყვარულის მონობა შემოგვრჩა ხელში, მარადიულობით და პრესტიჟით.
14475. სიყვარული მეტ პატიებას ითხოვს, ვიდრე მეგობრობა და იღებს კიდეც.
14476. ზომიერება ყველგან და ყველაფერში ფასდება, განსაკუთრებით სიყვარულში.
14477. სიყვარული სხვისი გამბედნიერებელიცაა, თუ გაუმართლა.
14478. გონიერებას მხოლოდ დიდი სიყვარული ახურდავებს და არა – დრო და გარემო.
14479. რეალური სიყვარული ვერც საქორწინო ბეჭდის უქონლობას იტანს, ვერც უფულობა-უშვილობას.
14480. სიყვარული შიშს ვერ ეგუება, მხოლოდ ემორჩილება და ისიც – დროებით.
14481. სიყვარული და მოვალეობა გვაიძულებს მოყვასისთვის მოვკვდეთ.
14482. სიყვარული სიკეთით ამაღლებაა და ადამიანის გონიერებაზე მიგვითითებს.
14483. ეგოიზმს და სიყვარულს თანადგომა და ურთიერთგაგება უჭირთ.
14484. ფარისევლური სიყვარული მარად დაფინანსებას მოითხოვს.
14485. ქალებს განსჯა მოსწონთ ხოტბის შესხმით.

14486. სიყვარული შიშს ვერ ეგუება, მხოლოდ რიდს, თანადგომას და ისიც დაფინანსებით.
14487. სიყვარულს იქით ქალისთვის ყველა გრძნობა დაბლოკილია და ბოლომდე ამოცნობილი არ არის.
14488. სიყვარულის ახსნას ცოდნა-გამოცდილება უფრო ამართლებს, ვიდრე ალალი ვნებით მისი წარმოთქმა.
14489. უგუნური სჯერდება ერთ სიყვარულს, ყოველგვარი ექსპერიმენტის გარეშე და ეს უნიათობა ერთგულებად მიაჩნია.
14490. ყოველივე ილუზიაა, მათ შორის, სიყვარულიც, რასაც ეს უკანასკნელი არ იმჩნევს
14491. მშობლისადმი სიყვარული სხვაა, ქალისადმი – სხვა, მაგრამ ორთავესთან მიმართებაში დამოკიდებულება ხშირად ერთნაირად დრამატულია.
14492. სიყვარული შალაშინია, რომელიც ცუდად გარანდულ, გაუგებარ, გრძნობებს, ასწორებს და აადამიანურებს.
14493. საკუთარი თავის სიყვარულში თუ ვინმე მეტოქეობას გიწევს, ბედნიერებაა.
14494. საქმიანობა თუ სიყვარულით არ ფინანსდება, მარტოოდენ ფულით დაფინანსება სულს არ ყოფნის.
14495. სიყვარულსაც სულიერების ალგორითმები აქვს ამოსახსნელი.
14496. სიყვარულის ნიჭის დევალვირება ერის დაკნინებას იწვევს.
14497. სიყვარული სიცოცხლეში რამდენჯერმე მოდის, მხოლოდ ნამდვილის და ერთადერთის დადგენაა ძნელი.
14498. შეყვარებულს გრძნობების „მარიაჟობა“ აწუხებს და გონებას უბნევს.
14499. ყველასადმი სიყვარული სიკვდილისათვის მზადყოფნას მოასწავებს.
14500. უყვარხარ – სიხარულია, გიყვარს – ბედნიერებაა, ჯამი უკვდავებაა.
14501. სიყვარული ის ქიმიური რეაქციაა, რომელიც მისთვის შესატყვის რეაქტივებს თავადვე ეძებს და აყენებს ცდებს გონების დაუკითხავად.
14502. სიყვარულის დუმილი სიმუნჯეს არ ნიშნავს.
14503. სიყვარული ის სენია, ჭკუის არევით, რომელსაც ყველა ნატრობს.
14504. სიყვარულის ბრძოლის ველს პირველი ის ტოვებს, ვინც ამ ცხოვრების აზრს დროზე მოეგო, ამ სიამოვნების „ბანგს“ თავი დააღწია და დროებით განიკურნა.

14505. სიყვარულის შენარჩუნებაც ძნელია და გადაყვარებაც, თუმცა გააჩნია ინდივიდს.
14506. ქორწინება ძირითადად მოვალეობაა გენის კარნახით, რომელსაც სიყვარული ამხნევებს და ლამაზად ფუთავს.
14507. წარსულ სიყვარულს ახალი სიყვარულის პოსტულატები ეღადავებიან და გულიდან აძევებენ.
14508. იუმორს სიყვარული კერავს, აცმევს და წარმოაჩენს.
14509. ხშირად სიყვარული მთავარი ფსიქიატრია.
14510. გრძნობათაღელვის მოჭარბება სიყვარულისთვის და შეცდომისთვის არის განწირული.
14511. სილამაზე მშვენიერებაა, სიკეთე – განძია, ერთად – გამართული სიყვარულია.
14512. სიყვარულს იმსახურებენ, იძენენ, ითავისებენ და თუ ამას ვერ ახერხებენ, დროის და ბედის ბრალია.
14513. სიყვარული არა მარტო შენი მეობა, მცდელობაა, არამედ სიკეთის გადანაწილებაა პარტნიორზე.
14514. დღეს სიყვარული ქალის ცხოვრებაში ეპიზოდად იქცა.
14515. სიყვარულს უჭირს სიცოცხლის კაიფის პარტნიორის გარეშე აღქმა.
14516. გონიერებას სიყვარული ამკობს, გრძნობათა ჩოჩქოლი ამოკლებს.
14517. ჭკუის მოხმობა შესაძლებელია, თუ მას სადავეებს სიყვარულით ამოვდებთ.
14518. ეჭვიანობა წყენა-სიყვარულის უშრეტი წყაროა.
14519. სიყვარული ზოგჯერ ურთიერთდამოკიდებულებას ართულებს, მაგრამ ცხოვრებას არ გვიშლის.
14520. ბოროტება მთელი არსებით უნდა ვაიძულოთ, რათა სიყვარულის არსი შეიცნოს და ჩაწვდეს.
14521. გულწრფელი სიყვარული ყველა სიკეთის საწყისი და თავია.
14522. სიყვარული „მზითევს აკიდებული სისულელეა“, რომელიც თავს გვიქონავს, გვიპირისპირდება და ზოგჯერ თავს გვანებებს და გვშორდება.
14523. სიყვარულს დუმილი არ უხდება, სექსს – ყბედობა.
14524. შეიყვარო ის, რაც არ გიყვარს, შესაძლებელია, თუ ამას ნიჭი, განგება და ქალი მოინდომებს, ოღონდ – ცალ-ცალკე.
14525. ასაკში შეყვარება გვაბრიყვებს, ჯეელობაში – გვაუგუნურებს, ასე, რომ დიდი სხვაობა არ არის.

14526. სიყვარულით ხშირი ჭიდილი და შეხლა-შემოხლა, საბოლოოდ, საკუთარ თავს გვაყვარებს.
14527. ეჭვიან სიყვარულს პარტნიორზე მეტად თავისი „მე“ უყვარს.
14528. ძალაუფლება, გარკვეული სიყვარულის გარეშე, ვერ ივაჟკაცებს.
14529. პაემნის ოდენობა, ხშირად, ურთიერთგაგებას და სიყვარულის ხარისხს აუმჯობესებს.
14530. სიყვარულს მფარველი ანგელოზი ჰყავს, განგების მფარველობით და ხელის შეწყობით.
14531. სიყვარულს ბევრი უხილავი ხერხი აქვს საიდუმლოს წამოსაცდენ-გასამხელად.
14532. ზიზღად ქცეული სიყვარულის დაბრუნება არ ღირს, რადგანაც ზიზღი არ იწმინდება.
14533. გული სიწმინდისკენ იმ შემთხვევაში მიილტვის, როცა სიყვარულით არის დასნეულებული.
14534. რატომღაც სიყვარულით შექმნილი ოჯახი, ცხოვრების ორომტრიალს ნაკლებად უძლებს, ვიდრე სხვა დანარჩენი მოტივით შექმნილი.
14535. სიყვარულის მოპოვებას აღზევება სჭირდება, მისი რაობის მადლი რომ გაითავისოს.
14536. უსაქმურობა ყოველივეს აუფერულებს და ღუპავს, მათ შორის, სიყვარულსაც.
14537. სიყვარულს არც მიზეზის შეცნობა შეუძლია და არც საბოლოო შედეგის.
14538. სიყვარული გულის კარნახის შედეგად იშიფრება, მაგრამ რას მოიმოქმედებს, არ იცის.
14539. სიყვარულს ბევრი ჩვენთვის უცნობი რაიმეს გაგებინება შეუძლია.
14540. სიყვარული ერთგულებას ითხოვს და არა თავის შეწირვას.
14541. შიმშილი და სიყვარული, ორთავე გონიერებას პრობლემას უქმნიან.
14542. სიყვარულს სიწმინდის პარამეტრები არ აქვს, იგი გაუცნობიერებელი ეტალონია.
14543. გადაყვარების უმთავრესი მიზეზი მონანიებაა და აქ სიძულვილმა რატომ უნდა დაისადგუროს.
14544. სიყვარული სიძულვილთან რატომღაც უფრო ახლოს დგას, ვიდრე – პირიქით.

14545. შეყვარებულს დანაპირების შესრულება ხშირად უჭირს, რადგან სიყვარული, ასე თუ ისე, ცვეთადია.
14546. შეყვარებულის ფიცი სულიერებისთვის განუმეორებელი ბედნიერებაა.
14547. სიყვარული წყვილის ურთიერთობას ადუღებს და ხასიათთა სხვაობის მიუხედავად ერთმანეთს ერწყმიან.
14548. სულიერად გაღატაკება, ყველაზე მეტად, სიყვარულზე მოქმედებს.
14549. ვეცადოთ შურს, ეგოიზმს, დაუნახაობას არ შეეწიროს იმ ახლობლის სიყვარული, რომელმაც გული გვატკინა და ჯერ-ჯერობით მაინც გვიყვარს და ვუფრთხილდებით.
14550. სიყვარულსაც პიროტექნიკის დაუფლება სჭირდება ურთიერთობის რეგულირებისთვის.
14551. ურთიერთპატივისცემა სიყვარულსაც შემოქმედებითს ხდის.
14552. სიყვარული ყველა ასაკშია შესაძლებელი, მაგრამ მდედრთან ურთიერთობა ამ საქმისათვის გამოყოფილი წლების გამოყენებას მოითხოვს.
14553. სიბრძნეს სიხარულიც მიეკუთვნება და სიყვარულიც, თუ წყვილი შინაგანად ურთიერთს ერგება.
14554. სიყვარული გულუხვობას მხოლოდ ერთისთვის იმეტებს.
14555. „შიში იმ სიყვარულსაც შეიქმს“, რომელზეც წარმოდგენა არ გვაქვს.
14556. სიკეთის გადახდა, სიყვარულის მოხმობის გარეშე უფერულდება.
14557. სიყვარულიც რეალური საქმის თავდადებული კეთებაა და არა – აზრს მოკლებული მოფერებითი ყბედობა.
14558. სიყვარულის აბდა-უბდა ისაა, რომ კინკლაობაც კი მის საწყისს ამყარებს და ანახლებს.
14559. ერთი მიზნისკენ ცქერა, მსვლელობა, სიყვარულსაც საიმედო ბაზისს უქმნის.
14560. ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები ცხოვრების გაკვეთილებს გვიტარებს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე ჭკუას სწავლობს.
14561. სიყვარული ჩვენი ცხოვრების წესი უნდა იყოს, რათა მტრობა მოვსპოთ და ურთიერთსიყვარული შევიშხაპუნოთ.
14562. რომ შეიყვარო, ჰორმონები ურთიერთს უნდა მოერგონ და ურთიერთსურნელი უნდა გააცნობიერონ.
14563. ზოგჯერ სიყვარულიც მოგება-წაგების ალგორითმს ემყარება დროისა და ბედის შესატყვისად.
14564. რადგანაც დღეს ნანო-ტექნოლოგიებშიც მათემატიკა ერევა, ჯობს ქალები იმ მამაკაცებთან დაწყვილდნენ, ვისაც წინასწარ გამოთვლით

შეეთვისებიან, რადგან სიყვარული ცვალებადია, დროებითია, ხოლო მათემატიკური გათვლები სამუდამოა და უკვდავი.

14565. პატარ-პატარა ცოდვების ჩადენა სიყვარულის სასიამოვნოდ აღ-ქმაში და მის რეალიზაციაში გვეხმარება.

14566. როცა გონება გრძნობებს ვერ აკონტროლებს მოწინააღმდეგე სქესის მიმართ, ეს შეუცნობელი სიყვარულია.

14567. სიყვარულს დიდსულოვნად შეუძლია პატიება, მაგრამ არა მრავალჯერ და გაუაზრებლად.

14568. „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, მაგრამ რამდენადაა ეს სიყვარუ-ლი, ძნელი ასახსნელია.

14569. რამდენიმე თბილი, მომხიბვლელი და კვიმატი სიტყვა ქალ-ვაჟს შორის და სიყვარულიც ჩახატულია.

14570. ცივილიზაცია სიყვარულსაც განსჯის უნარს სთხოვს, რათა ეს გრძნობა გონებამაც, გულთან ერთად, წინასწარ განჭვრიტოს და გაითავისოს.

14571. სიყვარული პრაქტიკულად განსჯას, წესრიგს, არ ემორჩილება, მაგრამ თეორიულად ცდილობს პატივი მიაგოს.

14572. სიყვარული ცხოვრებაა ისეთი ეიფორიით, რომლის შედეგებზე წარმოდგენაც არ გვაქვს.

14573. სიყვარულს ხშირად სათნოება ეწირება, უკანმოუხედავად.

14574. სიყვარულის წლები, მარად სიკეთის, სიმრავლის და დოვლათის შექმნა-მოპოვების მცდელობაშია.

14575. ღმერთსა და ადამს ერთმანეთის შეცნობა არ უნდა გაუჭირდ-ეთ.

14576. ყველა ჩვენგანი სიყვარულის შევსებას ცდილობს, რათა ყოფის კაიფის მადლი დროულად შეიცნოს.

14577. სრულყოფილი და მუდმივი თვით სიყვარულიც არ არის, ისიც ძველდება და ობი ედება.

14578. ქალის განცვიფრება მისი მონუსხვის, ხოლო მისი ღიმილის აღ-ქმა, თვალების დაჟუჟუნებით, სიყვარულის ჩასახვის ტოლფასია.

14579. სიყვარულიც რჩევა-ქებას-არშიყს ემორჩილება და არა – გონიერებას და წინხედვას.

14580. სიყვარულის ნიჭი კარგია, თუ ის სწორ გზაზე დგას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიანი მოაქვს, პირველ რიგში, სულიერებისთვის.

14581. ნამდვილ სიყვარულს გრძნობენ და ვერ ხედავენ, მაგრამ როგორც ცხოვრების ფინიშზე ირკვევა, ესეც განსჯადია.

14582. სიყვარული ურთიერთპატივისცემის, მორჩილების, გულუხვობის კონგლომერატია, რომელსაც გონების მოკრება უჭირს.

სულიერება

14583. სულიერებასაც მალვა და შეფუთვნა სჭირდება, რათა სხვისი დასატირი არ გახდეს.

14584. სულში ყველას თავისი გველი და ბაყაყი უზის, ერთი დასაგესლად, მეორე საჭიჭყინოდ-საყბედოდ.

14585. სულიერების ისტორიის „გაფეტიშებას“ საზღვარი არ აქვს, რადგან ის მთელი ერის ისტორიად გვინდა ვაქციოთ.

14586. სიფათზე ნაოჭების მატება, სულის დაჭმუჭვნის, დაჯაგვის, ტოლია.

14587. ბრიყვსა და ჭკვიანს შორის სხვაობა დღეს მაინც „მასმედია“ წარმოაჩენს, ვის როგორ, როდის და სად გამოხედავს.

14588. სულელს მორიდებულობა არ სჭირდება, პირიქით – ყველა მას ერიდება და გვერდს უვლის.

14589. დღეს ინტერნეტში ჭორაობა ცვლის „მასმედიის“ რეკლამებს და ცოლის დარიგებებს.

14590. ჟურნალისტებსაც პურის ჭამა უნდათ, ამიტომ წმინდანობას ვერ მოვთხოვთ.

14591. ტელევიზია „თავისებური საროსკიპოა“, სადაც მისი მომავალი თანამშრომლები ინსტიტუტებში იწვრთნებიან, კონკურენციას სწავლობენ, მერე გამოგონილი იდეალებით ხალხს მოძღვრავენ ინფორმაციული პროსტიტუციით ფულს შოულობენ.

14592. მიმზიდველი გონიერება ყველას ხიბლავს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და სულიერების ელექსირად გველაციცება.

14593. კეთილი სურვილები იმდენად წმინდა უნდა იყოს, რომ მის წარმოსათქმელად სიტყვის მარაგი არ გეყოს.

14594. ცარიელი სამართლის პრივატიზება, დაინტერესების გარეშე, მხოლოდ სულიერების ჭოჭმანს შეუძლია მიიღოს და ისიც დროებით.

14595. ხასიათს სულიერებასთან განსხვავებით, არ შეიძლება თავის მსოფლმხედველობა ჰქონდეს.

14596. დღევანდელობას განმარტოებული სულის შემომქმედები იჩემებენ, იმდენად დიდია მათზე „მასმედიის“ გავლენა და უახლესი ინფორმაციების დროულად აკრეფის სურვილი. ისინი თავისი ამბიციების დაკმაყოფილებას ცდილობენ რეკლამის მოშველიებით და

პოპულარობის მოპოვებით.

14597. ნაჩუმათევად საქმის კეთება, სასურველი დაბოლოებით, სიამოვნების მომგვრელია უპირველესად სულისთვის.

14598. თავმდაბლობას რა სჯობს, მაგრამ გააჩნია, ვისთან, რადგან ყოველთვის და ყველგან თავმდაბალი იყო და სულმა ბუნტი არ მოგიწყოს, შეუძლებელია.

14599. იდეები და იდეალები სხვადასხვაა და დაპირისპირებულნი არიან, მაგრამ გარკვეული რწმენა, რომ ჩვენი სულიერების ეტალონად მივიღოთ, ხელი არ უნდა შეუშალოს.

14600. ძველის ბუნება სულიერებას გვიგესლავს გულზე ზემოქმედებით.

14601. წარსულის გახსენების დიაგრამა ჩვენი ოცნებით ნატანჯი სულია.

14602. სიკეთის კეთება, არც თუ იშვიათად დაპირისპირებულ მხარეთა შორის კომპრომისს აღწევს.

14603. მიმზიდველობა სულიერების ის შარმია, რომელსაც მხედველობა, სმენადობა და გული კურირებს.

14604. მინორში ყოფნა და უიმედო სიყვარული უფლებას არ გვაძლევს სიცოცხლის მშვენიერებაზე არ ვიფიქროთ.

14605. სულით ყველანი რადიკალები ვართ, ოცნებით რატომღაც ხორციელს ვეტრფით.

14606. თუ ვნება ღალატს გვიბრძანებს, შედეგიც არ დააყოვნებს და აქ სიყვარული არაფერშუაშია, უბრალოდ, სულს გაკუნტრუშება მოუნდა.

14607. ნდობას მხოლოდ სულით ძლიერნი იმსახურებენ.

14608. ზოგი ქალი იმიტომაც ქოთქოთებს, რომ გამწარებულია ოცნებათა კაპრიზით და სურს რეალობას სული შთაბეროს.

14609. სერიოზული წიგნის წაკითხვის კაიფი „მასმედიით“ მოწამლულ თაობას როდის დაუბრუნდება, არავის უწყის.

14610. თავისუფლება სუფთა სინდისია, დანაპირების შესრულებით და აზროვნების წახალისებით.

14611. სულისკვეთება ყველაზე ძლიერი და საიმედოა, გონის მოხმობით მივიღებთ თუ უიმისოდ.

14612. სილამაზე თავისებური ეტალონია, რომელიც ჯიშის და ჯილაგის გამოკეთებას ემსახურება, სულიერების ამაღლებით.

14613. სხეულისაგან განსხვავებით სულს ჩასასვენებელი და დამარხვა არ სჭირდება, მაგრამ თავს ხშირად პროდუქტიულად გვახსენებს.

14614. სინდისის ღვთაებრიობა დასაცინი არ უნდა გავხადოთ.

14615. მიწის დამუშავებას და მოსავლის მოყვანას, სულით თავისუფალი მიწაზე შეყვარებული კაცი სჭირდება.
14616. ოქრო და პატიოსნება არ იჟანგება, მაგრამ მათაც თვითნაბადი ნიჭით გამოყენება სჭირდება.
14617. სულის სიგიჟე და გონის გათავხედება ყველა შეყვარებულის ხვედრია.
14618. სულიერად გარყვნილი საქმეს უნდა მოაშორო, თუ გინდა საერთო საქმემ წარმატებს იზეიმოს და აქ დემოკრატია და კაცთმოყვარეობის ქარტია არაფერშუაშია.
14619. ცუდი ცოლი, ლოთი ქმარი სულის „კალიაა“, რომლებიც სამყაროს გონიერების ნათესს პირწმინდად ანადგურებენ.
14620. ღირსების კანონების შეცვლა შეუძლებელია და არა – მათი სულიერების სრულყოფა.
14621. როდესაც სულიერება ყოყმანობს, ხორცი თავს იშვებს.
14622. დღეს სიტყვის და სულის ლამაზად გატიტვლებაც ისწავლეს.
14623. ჩვენი წარმოდგენა მუდამ ჩამორჩება ჩვენს ფანტაზიას და სულიერების ნებას.
14624. არის დასასვენებელი ადგილები, სადაც „უგნურება“ დროებით მისაღებიცაა და აუცილებელიც – სულმაც რომ უნდა დაისვენოს.
14625. ადამიანებისთვის საცხოვრებლად სამყაროს ყველა კუთხე გამოდგება, თუკი სულით ძლიერია.
14626. კოცნა სინაზის გამოსავლენად და სულიერების ნექტარის მისაღებადაა განკუთვნილი.
14627. სხეულისთვის სიამის მიყენება არ ნიშნავს, რომ სულიერება ამით კმაყოფილია.
14628. სანამ სული ახალგაზრდაა და გონიერების შენელებას არ ითხოვს, სერიოზულად არავის ვემორჩილებით.
14629. სულიერება წინაპართა გენის ფესვებზე უნდა აღმოცენდეს და გაიზარდოს.
14630. სულისკვეთებით და სულიერებით ცხოვრება ერთდროულად შეუძლებელია.
14631. ხელგაშლილობას სულიერებაც მხარს უნდა უბამდეს.
14632. ხალხის მეტყველება, აზროვნება, უმთავრესად ისეთია, როგორსაც „მასმედია“ მოინდომებს.
14633. სულიერ ჭრილობას ავი სიტყვით და სურვილებით არ უნდა შევეხოთ, გაუღიზიანდება.
14634. სულიერების ფასი ყოველთვის მაღლა იწევს, ხარისხის მიუხედავად.

14635. სინდისს უსინდისობის მიმართ გონიერების ჭმუნვა და ტვინის გამოხრა ახასიათებს, სინდისის ქეჯნით.
14636. ფულს, ქონებას, სულიერება ცხვირს აუბზუებს, მაგრამ არც ერთი სასიკეთო საქმე დაფინანსების გარეშე არ გვირგვინდება.
14637. დაბნეული და გზასაცდენილი სულიერება, ზოგჯერ შურისძიებაზეც არ ამბობს უარს.
14638. სულიერება მუდამ ხარისხიანი შთაბეჭდილების დაგროვებას ცდილობს.
14639. ყველა სულს თავისი მეტყველება და პროტესტის ბარათი აქვს ზურგზე აკიდებული.
14640. გონიერება და მცდელობა, სულიერების და ძალის გარეშე, შეუთავსებელია და ყოველთვის სასიკეთოდ ვერ იღვწის.
14641. ღირსება სინდისი არასოდეს არქეჯნაა.
14642. სულიერებაც თავის ბედით და გეგმით უნდა იღვწოდეს.
14643. თვალებით ლაციცი არავის უნდა დავამადლოთ, რადგან ესეც თავისებური სიკეთის დოპინგია მათთვის, ვისაც სულის გახალისება უნდა.
14644. ასაკის სული ყველა ჩვენს ქმედებაში უნდა აისახებოდეს.
14645. სულის გაფრენის სურვილის დაკარგვა და სულიერებაში ეჭვის შეტანა სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასია.
14646. გემოვნებას, სინატიფეს, მშვენიერებას, თავისი სულიერება ახასიათებთ.
14647. ყველაზე მეტ ჰარმონიას ბუნების წიაღში ვგრძნობთ.
14648. სულიერებას მუდმივად სიყვარულით განათება სჭირდება, რათა სიბნელემ არ მოიცვას და არ დაბეჩავდეს.
14649. სიბერეში ასაკის მატებისაგან განსხვავებით, ახალგაზრდა სულს დაბერება უჭირს და უძნელდება.
14650. „მასმედია“ თუ თავისუფალია, დაფინანსება სჭირდება, რომ დაგაფინანსოს, მისი ინტერესები უნდა დაიცვა, მისი ინტერესები რომ დაიცვა, „მასმედიის“ თავისუფლება ფიქციაა.
14651. წარმოსახვა მართავს სულიერ სამყაროს და შემდგომ მის სულის ჩამდგმელებს.
14652. სიკეთის კეთებას და ვერაგობასაც თავიანთი ხელწერა აქვთ.
14653. გარეცხილის დაუთოება ყველაფრის შეიძლება, მათ შორის, სინდისისაც.
14654. ყველაზე მეტი მოვლა სულიერებას სჭირდება, რათა სხეული არ დააავადდეს და გონიერება არ გაირყვნას.
14655. გონიერება სარკეში არა მარტო გარეგნულ ზადს ამჩნევს, არამედ

სულიერსაც, რომელიც სახეზე გვაქვს აღბეჭდილი.

14656. „მასმედიას“ ისტორიას წამების გადათვლა და მასში დარჩენა არ აინტერესებს. ის დღევანდელობით ცხოვრობს და ყველა სახის რეკლამით ფულს შოულობს.

14657. დღეს თაობას რყვნის არა მარტო ქუჩა, უგულობა, გარემო, არამედ „მასმედია“ და ინტერნეტი, რადგან ბავშვის აღზრდა და გაფილტვრა, შთაგონების მათ ტვინში ჩადება მათივე დახმარებით იწყება.

14658. სიმართლე შეულამაზებლად უფრო საჭიროა, რადგან ალალია, ყოველგვარი ქვენა აზრის გარეშე.

14659. ხელოვნება მატერიალურიცაა და ხელშესავლებიც, მაგრამ მასში სულიერი ღირებულება მეტია.

14660. მორალის კაპრიზის კაპიტალურ შეკეთებას, ტექნიკური პროგრესი და დროის მოთხოვნები ახორციელებს და არა – გონიერების მცდელობა.

14661. ოცნებით და იმედით, სხეულზე მეტად ჩვენი სული მოგზაურობს.

14662. ტელევიზიის კათედრაზე მოღვაწეთ, ყველა დაუძალებლად, სიამოვნებით და უსაქმურობის შედეგად უყურებთ.

14663. ყველა ცივილიზაცია ადამიანის სულიერებას და მის გონიერებას თავისებურად ასვირინგებს.

14664. სიზარმაცე სულიერი მონობის საწყისია.

14665. დღეს ინტერნეტით მოწოდებული ინფორმაცია ვალდებულია მომხმარებლისთვის იყოს სანდო იმდენად გაიზარდა მისი ავტორიტეტი და ნდობა.

14666. ყოველი უცნაური გაელვება ჩვენი სულის კაიფია.

14667. სულიერებას თავისი საწყისი და ბოლო უნდა ჰქონდეს, მაგრამ არც ძალზე ახალგაზრდა უნდა იყოს და არც ძალზე ასაკოვანი.

14668. სიკეთის კეთების აუცილებლობასაც თავისი ფორმულის დაწერა და გამოყენება სჭირდება.

14669. თვალი, ყური სულს ვერ ხედავს და არ უსმენს, მაგრამ მას შინაგანად გრძნობს და გვერდზე უდგას.

14670. გულღიაობა სულიერი მჭერმეტყველების თავისებური კოზირია ნდობის მოპოვებისათვის.

14671. „მასმედია“ დაპირისპირების ხიშტებს, რეკლამის მიზნით, რეალურზე მეტად წარმოაჩენს.

14672. ზოგჯერ „მასმედია“ ცდილობს ხალხის გამოთაყვანებას, ყოველდღიურობაზე მორგებას და ბუნტისკენ მისწრაფების სტიმულირე-

ბას.

14673. სასიამოვნო და სულისთვის მისაღებ ჭორს მითად ქცევას დრო და ასაკის დაღვინება სჭირდება, რომ ის გავითავისოთ.

14674. იმისათვის, რომ უნიჭობამ ფული იშოვნოს და გაუთვითცნობიერებელი მაყურებლის გული „მოიგოს“, რუსი ხალხი, ვითომდა იუმორით, მასობრივად ლოთებად გამოჰყავთ და ამით თაობათა სულს რომ რყვნიან, ამას არად დაგიდებენ ვითომდა ხელოვნებას და ფულის შოვნას დახარბებული „შემოქმედნი“.

14675. ურთიერთგაგებას, ურთიერთობას, ხშირად სულის და განსჯის სიახლოვე განსაზღვრავს და არა – საერთო კულტურა.

14676. სირცხვილი გონიერების განსჯის შედეგად სულიერების მიერ ატეხილი ბუნტია.

14677. სინდისი სულით პრივილეგირებული ხალხის საკუთრებაა.

14678. მცდელობას ფასი მაშინ ედება, თუ ის ჩვენს სულში ფესვებს გაიდებს.

14679. სევდა, დარდი, ნაღველი ზოგს ცხოვრების აზრს აკარგვინებს, მაგრამ შედეგად მაინც სულიერება კანონდება.

14680. სული სულ იმის ცდაშია, ჩვენს სხეულზე თავის გემოზე იმეფოს.

14681. სულში ანთებული ლამპარი მუდმივად ჩაუქრობლად უნდა ანათებდეს, თუ გვინდა სიკეთისკენ მიმავალი გზა შეუმჩნეველი არ დაგვრჩეს.

14682. საუბრის ხელოვნების სწავლა სულიერებიდან იწყება.

14683. წიგნი უკვდავია, მაგრამ მკითხველი უმცირდება, რადგან სულიერად ინტერნეტით საზრდოობს და ერთობა.

14684. დეტექტივის ჩვენება ტელევიზორში მომგებიანია, ფინალი არასოდეს გახსოვს და მას შეუნდობლელთ დრო-გამოშვებით უყურებ, შედეგად – რეკლამის თავს მოხვევა და ფული.

14685. აწყობილ-დაწყობილი ცხოვრების ნგრევა სისულელეა, მაგრამ სულის გათავხედება არაფერს გვეკითხება და არასასურველს გარდაუვალად ხდის.

14686. შხამს ყველაზე უკეთ „მასმედია“ ანთხევს, რომლის საწინააღმდეგო აცრა „ფეხებზემკიდიაობაა“, ანუ „წერე და იკითხე!“

14687. სულგრძელობა, სამწუხაროდ, არც გადამდებია და არც არავის ეწებება.

14688. ერთი ლამაზი ფრთიანი სიტყვის გულისთვის ზოგი სულსაც იმეტებს და ხორცის გვემაზე არ ფიქრობს.

14689. არის მაყურებელი, რომელიც ტელესერიალების ფანატია და

მთელ თავის ენერგიას, დროს მის ყურებს, განსჯას ანდომებს და კმაყოფილია.

14690. ზოგი სულიერების იმ დონის მიუწვდომელი დესპანია, რომ მის საჭიროებას ვერ ვგრძნობთ.

14691. სულიერების სიგონჯე საფლავის კარამდის გვაცილებს და იმქვეყნადაც თავს არ გვანებებს.

14692. განათლება იმ 5%-საც არ გვაძლევს, რაც ცხოვრებაში გამოგვადგება, მაგრამ ცოდნის დანარჩენი 95% სასარგებლოა სულიერებისთვის.

14693. ყველა ჩვენგანი საკუთარი სულის ნიღაბს ატარებს, რომლის ჩამოხსნას არ ვცდილობთ.

14694. სულიერ მშვენიერებას, ხშირად, ხორციელი სილამაზის მხარდაჭერაც არ სჭირდება.

14695. სულის და ნების დაკოდვის შემთხვევაში, ყოველივე უფასურდება და აზრს კარგავს.

14696. ჟურნალისტიკასაც ბოლომდე არ დაეჯერება, მასაც ჰყავს ოჯახი, თავის წარმოჩენა უნდა და თავის ჭკუაზე დროსტარება.

14697. ყოველი განვლილი დღის სიხარული სულის შემოქმედებითი ნაწილია, რომელიც სიკეთის კეთებისთვის არის მოწოდებული.

14698. სულის სინაზე ყველაზე უკეთ მოგონებაშია შეფუთვნილი.

14699. სულის ანარქია ხელოვნების მამა და შემოქმედების დედაა.

14700. სიკეთეს განსჯა არ სჭირდება, თავად სიკეთეა განმსჯელი.

14701. ღირსებას ადამიანს, ბავშვობაში ჩაწნეხნილი სულიერება აძლევს, თუ გონიერების ნაყოფიერ ნიადაგზე აღმოცენდება.

14702. „მასმედია“ ბევრსაც სცოდავს, მაგრამ ბევრ საჭირო ამბებთან გვაჭორავებს და გვაცნობიერებს.

14703. დღეს სიმართლესაც ლიცენზია სჭირდება „მასმედიაში“ სასაუბროდ.

14704. რატომღაც, ყველაზე სათუთს და ახალს, უცხოს უფრო ვანდობთ, ვიდრე შინაურს, რადგან ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგად გვიცნობს და ვიცნობთ და ჩვენი სულიერება ერთმანეთს ვერ უგებს.

14705. ქედმაღლური მობოდიშება, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, „მასმედიაში“ გამოუსწორებელი უგნურების და ავყიაობის მაჩვენებელია.

14706. ყველა ჩვენგანი თავისი წინაპრის სულიერების აგურს ატარებს.

14707. ფაქტის ფასი ნულია, თუ ის სულმა არ იწამა და არ დაიჯერა.

14708. ყველაზე მეტად სულის წუხილს ჩვენი ჰარი-ჰარალობა და დაუ-

ფიქრებელი ქმედება იწვევს.

14709. სული შენში უნდა ცხოვრობდეს და თავზე არ უნდა გადგეს, რადგან სულის გაამაყება გაუგებრობას იწვევს.

14710. სულმა საიდუმლოების შენახვა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ანდოს.

14711. სულიერების საზრისი ჩვენი რწმენის საფუძველია.

14712. „მასმედია“, მართალია, ხალხისთვის იღვწის, მაგრამ შემოსავლები და დაფინანსების ვარიანტები უფრო აინტერესებს.

14713. „მასმედიის“ გამოფხიზლების უდიდესი საშუალებაა სენსაცია, რაღაც არაორდინალურის გახმოვანება, შედეგად – რეკლამა, ინტერესი, დიდი ფული.

14714. სიხარული გვაიძულებს მჭერმეტყველიც ვიყოთ, გონებაგახსნილიც და სულიერებაც არ დავივიწყოთ.

14715. ხალხის წინაშე დამსახურების ხარისხს დღესაც „მასმედია“ განაგებს, იმედია, დროებით.

14716. საიდუმლოს სული კი არ უნდა ინახავდეს, არამედ მაშინვე უნდა კლავდეს, ივიწყებდეს – უფრო საიმედოდ შეინახება.

14717. გენიოსის არ უნდა შეგვშურდეს, მას სულის საჯიჯგნად ისიც ეყოფა, მის ირგვლივ რომ ამდენი უვიცია.

14718. ქვეყანაში სულელების მომრავლება იდიოტების სამხრეების ტარებითაა გამოწვეული.

14719. სული ადამიანის სხეულს ყოველთვის ნაადრევად არ ტოვებს და სხეულიც იმქვეყნად პატივით და დროულ გასტუმრებას მოითხოვს.

14720. როდესაც სული მღერის და სიახლის შექმნით არის დაკავებული, იმ კაცს სადარდებელი არაფერი უნდა ჰქონდეს.

14721. სიყვარული, უპირველესად, საკუთარი „მეს“ შემოძახილია საკუთარი სულიერების წინაშე, რომელმაც თავისი სულის მსგავსი იპოვნა.

14722. სულიერების სარკე ჯერ არავის შეუქმნია, რადგან ის უნდა იგრძნო და არა – დაინახო.

14723. წინათ გმირს, მეცნიერს, მზეთუნახავს, კარი ყველგან ღია ხვდებოდა, დღეს ვინც რეკლამის გაკეთებას მოინდომებს ტელევიზიით, ყველა ჩვენს სახლშია მოკალათებული.

14724. „მე – შენ, შენ – მე“ ყოფის დიდებული ფორმულაა, მაგრამ სულიერებას ვნებს და პეწს უკარგავს.

14725. სამწუხაროდ, მშვენიერება დიდხანს ჩვენთან არ რჩება, სულის მცდელობის მიუხედავად.

14726. ხელისუფლის დანიშნულებაა ხალხის სულიერად გაერთიანება, მატერიალიზმის მოშველიებით.
14727. დღეს ცნობილი ადამიანები თავიანთი ცოდვებს „მასმედიაში“, ინტერნეტში, გამოფენენ რეკლამის მიზნით.
14728. დღეს, „მასმედიის“ გადამკიდე, რა არის მორალი, ძნელი გასაგები ხდება.
14729. სულის სილამაზე ხშირად სხეულის სილამაზეს უჯოკრავს, თუ მის აღსაქმელად დროს დავიტოვებთ.
14730. არწივი შეიძლება მიწაზე დაენარცხოს, მაგრამ „ვირთხის“ სულამდე ვერ დამდაბლდები.
14731. უპირველესად სულიერებას სამყაროს მართვას აბრალებენ და ხორციელს რატომღაც გამორიცხავენ.
14732. ვიღაცის და რაღაცის გაფეტიშება სულს, რატომღაც, ზეიმს ჰგვრის.
14733. მარად ახალგაზრდა შესაძლებელია მხოლოს სული იყოს და ისიც პატარა გადახრებით.
14734. მეგობრობას სულიერი შეფასება-დაფასება სჭირდება.
14735. იყო დიდი ადამიანი თუ ჩვეულებრივი მოკვდავი, შესადარებლად არ კმარა, მთავარია სულიერება.
14736. სულის ტკივილს თუ ასოციაციური მახსოვრობაც აძლიერებს, არაფერი შველის.
14737. ყველა აუხსნელ კითხვაზე პასუხი ჩვენს სულში დაიძვრება, რომელსაც დათბუნება და მოფერება სჭირდება.
14738. ალკოჰოლიზმი ნარკომანის სულიერების დასამუნათებელი საშუალებაა.
14739. სიცოცხლისუნარიანობის გულმხურვალება სულიერების ყველაზე უკეთესი მკურნალია.
14740. ყველა სახის სულიერების ექსპორტ-იმპორტი არა მარტო იდეოლოგია, პოლიტიკაა.
14741. სულიერი მარტოობა, თუ ხორციელ სიამეს არ ვითხოვთ, ასატანია.
14742. სულიერებასაც ყურადღება და მოვლა სჭირდება, რათა არ გაუფასურდეს.
14743. ცოდვის ჩადენის წინ მთავარია სულის პროფილაქტიკა, ჩადენის შემდგომ – მონანიება, განწმენდა.
14744. სულს, გარეგნობისაგან განსხვავებით, მოდაზე ჩაცმა შეღავათს არ უკეთებს.
14745. ფილოსოფია ის მეცნიერებაა, რომელიც ცდილობს სულიერება

სილამაზეს აზიაროს, ამასთან ყოველთვის ამტკიცებს იმას, რისი მოაზრება სხვებს უჭირთ.

14746. ყველა უსულო საგანში გონიერების ნაღვაწი სული დევს.

14747. სულიერება „კუჭიერებასთან“ სულ ანტაგონიზმშია და მარად კონსენსუსის ძებნაშია.

14748. ვარსკვლავს ყველა სულიერად ეთამაშება, მისი რაობით დამუხტული გონიერების გარდა.

14749. ტრაგედია და სულის დაბეჩავებაა, როდესაც ჩანაფიქრის განხორციელება არ შეგიძლია, განსაკუთრებით, სამშობლოში.

14750. უნდა ვეცადოთ ჩვენი ასაკის გადიდგულებას ავყვეთ და ოცნებით ვიფრინოთ, რადგან ეს განუმეორებელი წლები უსაქმურობამ არ შეიხახვისთავოს და სულს და ასაკს გასახარ-გასახსენებელი არ დაუტოვოს.

14751. ცრურწმენის, რიტუალის, შესრულება, იმ წუთში გონების დამამშვიდებელი საშუალება და სულის წამალია.

14752. ღალატი ხშირად გონების დახშულობის, სულის გაღატაკების და შურის გაჩენის შედეგია.

14753. მონანიებას გადაცდენისთვის სულიერების რემონტი სჭირდება.

14754. სიცოცხლის ფასს ყველაზე ცუდად გონიერება შეიცნობს, თუ სხეულმა ფეხი არ აუბა და სულიერებამ მხარი არ დაუჭირა.

14755. აუცილებელია ის, რაც ჩვენს სულიერებას არ რყვნის და რევიზიას არ უტარებს.

14756. ხსოვნა და პატივის მიგება ღირსეულთათვის სულიერების გზის გამკვლევია.

14757. აფორისტი ცდილობს ყოფიერების მაღალ პრინციპებს ხელი გამოჰკრას გონიერების და სულიერების საამებლად.

14758. პროგრესს ის ცუდი თვისება აქვს, რომ ადამიანის სულიერებას, თავის მერკანტულობის შესატყვისად, დროზე ადრე აბითურებს, აბეჩავებ.

14759. სხეულის არქიტექტორი სულია, ხოლო ამ უკანასკნელს სხეული იცავს აშლილობისგან.

14760. პატივის მიგება სულის გამოძახილია, პატივისცემა გონიერების ნაჩალიჩარია.

14761. მატერიალური სამოთხე სიცოცხლეშივე უნდა შექმნა, რათა სულს მოწოდება საძებარი არ ჰქონდეს.

14762. მუდამ კარგ ხასიათზე ყოფნა, ოპტიმიზმი, სულიერების გაჯანსაღების ნიშანია.

14763. სექსი, პირველ რიგში, სულიერების მორგებაა, ორივესთვის მის-

აღები სურნელით.

14764. ძუნწი ყველაზე ძვირფასს თავს ჰპარავს – ცხოვრების მადლის შეცნობის შესაძლებლობას.

14765. ყველაზე მეტად სულიერებას უნდა გავუფრთხილდეთ, კაპიტალური შეკეთებისათვის არ არის განკუთვნილი.

14766. სულიერება და მორალი სინონიმებია, მაგრამ გააჩნია, რომელი რომლის ხელშია.

14767. სულიერი ტრიუმფისაკენ ქალი ყოველთვის უნდა ილტვოდეს, რადგან ეს არის მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირი.

14768. სიცილს ასაკი არ გააჩნია, ის სულის ვულკანია, რომელიც გრძნობს, რომ უნდა ამოხეთქოს, მაგრამ როდის, უცნობია.

14769. სულიერ სილამაზესა და მატერიალურ აუცილებლობას შორის კავშირი ისევ მათემატიკას უნდა ვანდოთ თავისი თეორემების და განზომილებების კაურებით.

14770. კლასიკასთან დამეგობრება სულიერების გადარჩენის მცდელობაა.

14771. წარმოსახვითი და რეალური შესაძლებლობა სულიერებისათვის განურჩეველი შეიძლება იყოს.

14772. ლამაზი ტყუილი დროებით სულს აფოფინებს, გულს აღაფრთოვანებს, გონებას ასაზრდოებს.

14773. სულიერებისათვის ჭრილობის მიყენება და მოშუშება ქალების უპირველესი საქმეა.

14774. სულს ეგოიზმი მაშინ ეუფლება, თუ შეყვარებულია.

14775. კულტურა ადამიანის სულს მაშინ გადაარჩენს, თუ მატერიალურად ფეხზე იდგება.

14776. ლექსს სულის აფორიაქება წერს და არა – აზრებისა.

14777. სინანული ზოგჯერ სულის აფორიაქებას შველის, რადგან ჩვენში კეთილშობილების ბაცილა იჭრება და იღვიძებს.

14778. პატიოსნება და სულიერება ღირსების ტოლობით განისაზღვრება.

14779. სულიერად ამაღლებაც მატერიალურია და აქ მთავარი ფული არ არის.

14780. სიმართლის გამოთხრა ყოველთვის არ ღირს – სულს ძვირად უჯდება.

14781. ყველანი ჩვენდაუნებლიედ, გამოუვალობის გამო, ვიჯერებთ ზეცაში სულის ფრენას.

14782. ლოცვა თხოვნის შემცვლელად არ გამოდგება, ის მხოლოდ სულიერებისთვის არის განკუთვნილი, სიმშვიდე რომ მოუტანოს და

იმედედით აღჭურვოს.

14783. როცა მომხიბვლელი ღიმილით თვალებს გვიჟუჟუნებენ, გონიერებას მადლი ეცხება, სული ნაზდება და სიცოცხლე სიამით ხანგრძლივდება.

14784. გმირის სული უკვდავია, უმადურობა ამაზრზენია, რადგან ეს უკანასკნელი მათ გადავიწყებას ესწრაფვის, ვინაიდან ამ სულიერების სიდიადემდე ვერ ამაღლდა.

14785. რეალურ ბედნიერებასაც დასასრული აქვს, მაგრამ მას სული შინაგანად უნდა აგრძელებდეს, უნდა იმუხტებოდეს, რათა არ დაიკარგოს და შთამომავლობამ გააგრძელოს.

14786. კომფორტს „მატერიალიზმი“ ქმნის, სულიერების წაქეზებით.

14787. სურვილზე, ნდომაზე, ფიქრს უტოპიამდე მივყავართ, მაგრამ სიამით ვიხსენებთ და ჩვენთვის ჩუმად „ვეღადავებით“.

14788. სული, ხშირად, შტორმის შედეგად ზღვის ნაპირზე გამორიყული სიბინძურისგან განთავისუფლებული, დაწყნარებული, ზღვის მშვიდ ლივლივს მოითხოვს, მაგრამ გარკვეული დროის შემდგომ ქარიშხლის ამოვარდნის წინააღმდეგი არ არის.

14789. მაძღრობა და ბედნიერება სხვადასხვა ცნებაა, ერთი ღორული ბუნების შედეგია, მეორე სულიერების შეფუთვნაა სიხარულით, გონიერებით.

14790. ფილოსოფია არის სულის მშვენებისთვის და ჭკუის ჭყლეტისთვის აგებული ულამაზესი სასახლე, რომელშიც ყოველდღიურობა ფეხის შედგმას ვერ ბედავს.

14791. საწოლში ქალს ინტეგრალებზე საუბარი არ უნდა, თუმცა ზოგიერთი მდედრის სულიერება ამას შინაგანად მოითხოვს, რადგან მას სექსზე მეტად მამაკაცთან ჟღურტული ურჩევნია. ასევეა ფილოსოფია – შესაძლებელია მისი ზოგიერთი უმაღლესი სკოლის პროგრამიდან ამოღება, როგორც პრაქტიკისთვის გამოუსადეგარი, მაგრამ ზოგი სტუდენტის ცნობიერება ფილოსოფიაში გარკვევას შინაგანად მოითხოვს, რადგან მარტო პურზე არ არის სამყარო დამოკიდებული.

14792. ერმა სულიერებაზე, პატრიოტიზმზე, კაცობაზე რაც უნდა იყბედოს, მაინც ბევრი რამ აქვს მოსაგვარებელი გონიერების წარმოებაში და სულიერების მეურვეობაში.

14793. სულიერების ნარკოტიკს ვერავითარი ხორციელი ვერ შეედრება, ოღონდ ეს შენ უნდა გეკუთვნოდეს და ირგვლივმყოფნი მხარს უნდა გიჭერდნენ.

14794. უბრალოება სულს მეტ სიმშვიდეს, სათნოებას და სახარულს

ჰმატებს.

14795. ადამიანის სულიერების ფურცელი, რომელიც ყოველდღიურად ივსება, რედაქციის გარეშე ყოფის ფურცლად ვერ იქცევა.

14796. გამოწრთობილი სულია საქმის მკეთებელი, ქვეყნის მშენებელი, ოჯახის შემქმნელი, მაგრამ რადგან მისი საწყისი უდარდელი ახალგაზრდული სულია, „ჭკუის სწავლება“ ჯეელობას არ უნდა ვაკადროთ.

14797. ხშირად უგუნურებისგან, ღალატისგან, ჩვენი სული სიცივეს განიცდის, მაგრამ არა იმდენად, რომ შეთბობა არ მოხერხდეს.

14798. გონიერების ზეიმი, სულის სიწმინდის დღესასწაული, ასე თუ ისე, ყველა ჩვენგანმა უნდა იგემოს, რათა ამქვეყნური ამაოება იმქვეყნად არ წაიღოს.

14799. მოხერხებული სული სხვათა გაკვალული გზით დადის, მაგრამ ყოფისთვის თავის შეხსენება და კითხვების დასმა არ ავიწყდება.

14800. აფორიზმი სულის ფილოსოფიაა გონიერების გამოსამზეურებლად და ჭკუის საჭყლეტად გამიზნული.

14801. ღვინო გულის გასაღებია თუ სულიერებისა, დღესაც გაურკვეველი და ამოუცნობია.

14802. სულის საზრდოს პრობლემის გადაჭრა იძლევა და არა სიახლის შიში და მხართეძოზე წამოწოლა.

14803. სული მაშინ ისვენებს სიამით, როდესაც მისი არსება აქტიურია და ნაღვაწითაც კმაყოფილია.

14804. ერთი შეხედვით, პრაქტიკა თეორიას სჯობნის, მაგრამ არა ისეთს, რომელსაც პრაქტიკა ვერასოდეს შეწვდება მგ. სულიერებას, რომლის გარეშე ადამიანი ცხოველს ემსგავსება.

14805. კულტურა ერის სულიერების, შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებაა და მას სერიოზული დაფინანსება სჭირდება.

14806. ფილოსოფია სულის სალაღობო მუსიკაა, რომელიც გვატკბობს, ეიფორიაში გვაგდებს, ღვთაებრიობას გვაზიარებს, მაგრამ არც დიდად დარდობს, თუ მისდამი ის წუთიერი აღმაფრენა დიდხანს არ გაგვყვება.

14807. სულიერების მარადიულ ახალგაზრდობას ასაკის კაურები ვერას აკლებს.

14808. ყველაზე ძნელია სულის მოსვენება და დაშოშმინება, რადგან მის გარეშე ხორციელიც არარაობად გამოიყურება.

14809. უსაქმურობა, უნდობლობა, ურწმუნოება, ხშირად ადამიანის სულიერების განიარაღების საშუალებაა.

14810. საბედნიეროდ, საქართველოს სულიერებისთვის საკონტროლო,

უშედეგო, გასროლა ბევრ შინაურ თუ გარეულ ვიგინდარას უცდია.

14811. სული საკუთარი სხეულის ნაწილად უნდა აღვიქვათ, რათა მასთან გონიერების შერწყმის კაიფს საკუთარი „მეს“ სიყვარული და სილამაზე „შევაზილოთ“.

14812. ზოგს სულიერების დასათბობად „მატერიალიზმის“ საწვავი სჭირდება, ზოგისთვის ოპტიმიზმიც პერსპექტიული საწვავია.

14813. სულს მარტოობა ახასიათებს, თუ ის არ გამოირჩევა ყოფიერების საცნობი განტოლებით.

14814. წარსულის განსჯით მომავლის შენება, სულიერების ფილოსოფიის შენების ტოლფასია, განგების ნებით.

14815. ფილოსოფია გონიერების დაღვინების, დაჭაშნიკების და საკუთარი შეფასების წარმოჩენა-წარმოდგენის მცდელობაა.

14816. ძველი გვარდია სულით არ ნებდება, გარდაცვალებულს სულიერება იმქვეყნად წაყვება.

14817. გულახდილობა ზოგჯერ სულის მოთხოვნაა, საკუთარი „მეს“ თავი რომ მოიწონო-მოისაწყლო.

14818. სული უნდა მოგზაურობდეს და არა – სხეული, რადგან ამ უკანასკნელს ასაკში ყველაფერი ეზარება და მათ შორის, თავის განძრევაც.

14819. 30 წლის წინათ ჩვენ სხვანი ვიყავით, მაგრამ სულიერება უცვლელი რჩება.

14820. კაცობრიობის სულიერებას ხსოვნა ინახავს, რომელიც განკუთვნილია ჩუმი ბედნიერებისთვის.

14821. ქალიშვილის ფიგურის შემონახვა შესაძლებელია მხოლოდ მოგონებებში და ამას პლასტიკური ქირურგია ვერ შველის, რადგან სულიერების გასაახალგაზრდავებელი ქირურგია ჯერ არ შეუქმნიათ.

14822. სექსში ფსიქოლოგიური პრობლემები სულიერებიდან იწყება, შედეგად ხორციელებაც იჩაგრება და „ვნების ალქაჯიც“.

14823. ბედნიერებაა იქ ყოფნა, სადაც შენი სულიერების მონათესავე ხალხი ტრიალებს.

14824. ფილოსოფოსსაც თავისი „ფილოსოფიური ქვა“ აქვს, რომელიც მთელი შემართებით ეძიძგილავება სულს თავისი „მეს“ წარმოსაჩენად და გონების საჭყლეტად.

14825. ფილოსოფია ყველას და ყოველივეს განსჯის უფლებას იტოვებს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

14826. ფილოსოფია თავის შემეცნების ორი ვარიანტი აქვს: ის, რაც გაგვაგებინა და რაც ვერ გაგვაგებინა, თუმცა ორივე შემთხვევაში თავის კმაყოფილია.

14827. რწმენა სულს აძლევს თავისუფლებას, ხოლო სარწმუნოება აკრძალვებით ხორცს აბეჩავებს: ეს არ გააკეთო, მარხვა შეინარჩუნე, არ იწანწალო და ა.შ.

14828. ცდის და შეცდომის ხარჯზე ჩვენი დევიზი უნდა იყოს სულიერად არასოდეს დავეცეთ, რადგან იმედი არასოდეს არ იკარგება.

14829. სულიერებით დამოძღვრილ ადამიანს ყველა ვერ შეწვდება, ეს ერთეულთა ხვედრია.

14830. წარსულის სულიერების ყორღანების გათხრა სათუო და სათუთი საქმეა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არაფერს ეპუება.

14831. მარტოობას ყველაზე მეტად სული უნდა უფრთხილდებოდეს, რადგან ცდუნებისგან თავის შეკავება ხორცს უჭირს.

14832. სულის გადარჩენაც დაკვალიანებულ ნიჭს მოითხოვს.

14833. ოქრო და სულიერება მაღალი ტემპერატურის იდეალებზე იჭედება, იწმინდება და ისე წარმოჩინდება ჩვენი მტრების თვალთა დასაბრმავებლად.

14834. ჩვენ არ გვსიამოვნებს, როდესაც გვიხსნიან როგორი იდიოტები ვართ, მაგრამ ზოგჯერ იდიოტობის ხასიათზე საკუთარი სულის მოთხოვნითაც ვდგებით.

14835. სულიერების საზრდო ლპობად ხერხემალს ვერ დაეყრდნობა.

14836. თვალები, მართალია, სულიერებას ვერ ხედავს, მაგრამ შესანიშნავად გრძნობს.

14837. არაორდინალური სილამაზე აღფრთოვანებისთვის, მოკრძალებისთვის და სულიერების გასაფოფინებლად არის წარმოჩენილი.

14838. ახალგაზრდაში სულმა უნდა იფორიაქოს და ვნებით იცხოვროს, რადგან სიბერეზე არ ფიქრობს.

14839. შენთვის განკუთვნილი და მოწონებული სამუშაო სულის „ბაღდადია“.

14840. ამქვეყნად მოვლინების ვალი სიკეთის და სიავის შესატყვისად უნდა გადავიხადოთ, თუ გვინდა სულიერებას არ ვავნოთ.

14841. როდესაც სულიერების ძიებაში სექტების და მათი კულტურების თაყვანისცემას უყურებ, თუ როგორ კონტროლს აწესებენ ადამიანთა შეგნებაზე, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ხალხის ნაწილი, რაც ბრბო იყო, იმ ბრბოდ დარჩება და მასზე ცივილიზაციის ვერავითარი მიღწევა გავლენას ვერ მოახდენს.

14842. ყველაზე დიდი ბედნიერება სულიერი კომფორტია, რომელსაც ხშირად არ ვაფასებთ, რადგან ცხოვრება გვინდა და არა – ამქვეყნად ყოფნის ბრახუნის გაგონება.

14843. რწმენა წარსული წყენის მივიწყების და ხალხის ძალად გადაადგ-

ილება-აღრევის გარანტია.

14844. არის რაღაც, რომლის არც ყიდვა შეიძლება, არც გაყიდვა. არც გარისკვა და ეს ფენომენი რწმენაა, რომელიც გულს გითბობს, სულს აამაყებს და ადამიანობის სტატუსს გვინარჩუნებს.

14845. სულიერ მარხვაზე ყოფნა გონიერების მოთხოვნებს უგულებელყოფს.

14846. სულის მარხულობა კუჭის მარხულობას ვერ შეედრება, მაგრამ სტატუსი ერთი აქვთ.

14847. რომანტიული სული მოუთოკავია, „მუხრუჭების“ გარეშეა.

14848. რწმენა პატრიოტიზმის მატარებელია ძალის და ფანტაზიის ზელვით.

14849. სულიერებაზე ძალაუფლების შესუსტება დიდ პარამეტრებს ქმნის ადამიანის ყოფიერებაში, რადგან კომფორტის შეგრძნება იკარგება.

14850. სულიერების მატება, გამდიდრება, მუდმივია, მატერიალურის – დროებითი?

14851. აზროვნება, საქმიანობა, სულიერების მოშველიებით, რომელიც რეალურ მოგებას არ იძლევა, უვარგისია, რაც უნდა მისაღები გვეჩვენებოდეს.

14852. ჩვენი სული მარად სხვათა სულიერების რკვევაშია და სხეულის გასასაღებლად დრო არ ყოფნის.

14853. მაკიაჟს, სიტყვას, ყველაფრის შეცვლა შეუძლია, გარდა სულიერებისა.

14854. ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა, სხვადასხვაა, მაგრამ სამივე ადამიანის სულიერ აღტკინებას ემსახურება.

14855. ადამიანის რაობაში სულიერება ყველაზე მაღლა დგას, მაგრამ მან ხორციელებას ფეხი უნდა აუწყოს.

14856. გემოვნებაზე, სულიერებაზე, გრძნობათა ჩოჩქოლზე, არ დაობენ.

14857. ცოდნა ტვირთია გონიერების დამუღამებით და სულიერების შეცნობით.

14858. კეთილმოყვარეობა სულიერების დაუწერელი შემოქმედება და გონიერების უხმაუროდ დაფასებაა.

14859. სულიერებაც იყიდება გარკვეულ დრომდე და გარკვეული პროცენტით.

14860. მუსიკა ის მორზეს ანბანია, რომელიც სულიერებას ესალბუნება, სიამით გვატკბობს და ჰანგები უნივერსალურ ენაზე გადაჰყავს.

14861. ყველას სულში რჩება ის ნალექი, რომელიც გაფილტვრას არ

ექვემდებარება.

14862. ყველა რევოლუცია, ჯანყი, „გარდაქმნა“, სულიერების გაქურდვაა, რომელთა ნახელავის გამოსწორებას ახალი დიქტატი და წლებთან ჭიდილი სჭირდება.

14863. მოთხოვნილება წლითი-წლობით იზრდება, მაგრამ ამით სულიერება არ ლამაზდება, ხოლო ხორციელი „ჩმორდება“.

14864. გადაჭარბებულმა ინტელექტმაც შეიძლება სული დაამახინჯოს და ხორციც გარყვნას.

14865. სულიერება სიცოცხლის მანძილზე ბევრ ისეთ დანალექს აგროვებს, რომლიდან თავის დაღწევა ჭირს.

14866. ყველა ჩვენგანის სულიერება მეტ-ნაკლებად საბანკო ბარათშიცაა მოთავსებული.

14867. ფილოსოფიას ყველას სახელით ერთეული გონიერნი ეჩალიჩებიან და მათივე სახელით რაიმე სიახლისათვის ხელის შევლებას ცდილობენ.

14868. ხშირად სულიერი გაცილებით იაფად ფასობს, ვიდრე ხორციელი თავისი მომხიბვლელობითჲ და მატერიალური ღირებულებებით.

14869. სხვათა სულიერების წყვდიადს, ჩვენი გონიერების გამონათება ვერ შველის, ყოველ შემთხვევაში, ოპონენტებს ასე ჰგონიათ.

14870. ცოდნაა რწმენის საძირე და არა – პირიქით, რადგან სულიერების გამოღვიძება ცოდნის შეზელვას მოითხოვს.

14871. სულიერება მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს უნდა ჰგავდეს და თეთრი დროშა მხოლოდ ღირსეულთ უნდა უფრიალოს.

14872. სულის სიმშვიდის მოპოვებას გონების გადახალისება, გადახარისხება და ზოგჯერ გადახარშვაც სჭირდება.

14873. სული ცნობიერების გასაწმენდად და ყოფის საკონტროლოდ გვაქვს მოცემული.

14874. სულიერების უმოქმედობა ყველაზე დიდ ზიანს მაინც ადამიანის ცნობიერებას აყენებს.

14875. გენეტიკას არ ებრძვიან, მხოლოდ საყვედურობენ და სულიერებას ავარჯიშებენ.

14876. ძნელია ღალატის გადატანა, მაგრამ ამაზე არ ვიშვიშებენ, ფხას იჩენენ და ამ უგვანობას სულიერებასთან შეჭიდებით ივიწყებენ.

14877. ბევრი სულიერ კრიზისს „მატერიალიზმის“ მოშველიებით უმკლავდება, განსაკუთრებით, თუ ნოსტალგიაშია და სამშობლოდან მოწყვეტილია.

14878. სულიერების განგაშის დაფარვა-მოწესრიგების უნარი განსაკუთრებულ შემართება-ნიჭს მოითხოვს.

14879. გულის გარეშე სიცოცხლე ფასს კარგავს, რადგან მარტო სულიერებას ყოფის ლელო ვერ გააქვს.
14880. მეცნიერებამ რა წარმატებასაც უნდა მიაღწიოს, მისდაუნებლიედ ადამიანის სულიერებას „აჩმორებს“.
14881. სილამაზეს თავისი ჰორმონები და სულიერების შარმი აქვს, რომელიც ზებუნებრივად ჩუმ სიამოვნებას გვანიჭებს.
14882. მშვიდობიანობისკენ სწრაფვა უფრო სულიერების მოთხოვნაა, ვიდრე ჭკუა-გონების ჭყლეტის და ისტორიის აზრიანი ცოდნის შედეგი.
14883. სულიერების, სიბრძნის, დაკარგვას სახელმწიფოებრიობას არავინ პატიობს.
14884. სული არ შეიძლება ბოროტი იყოს, თუ ის რეალობასთან კავშირშია.
14885. უაზრო ქმედება გრძნობებს აქვეითებს და სულიერებასაც ფიტავს.
14886. თუ სასურველს უყვარხარ – სული გაჯეჯილებით იღვწის.
14887. მომავლისთვის ძირძველი საქმის კეთება სულიერების ფსალმუნია, ბედნიერების შეცნობით.
14888. სულიერების მომხიბვლელობის და სიმშვენიერის შეგრძნება-შეცნობას ვერავითარი ვერაგობა და დაუნახაობა წინ ვერ აღუდგება.
14889. საკუთარი სულიერების განგაშის დაფარვა ხელოვნებაა.
14890. სულიერად ლამაზ და პეწით შემკულ ასაკთან საუბარს არაფერი ჯობს.
14891. თავის მოტყუების ხელოვნებას ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ფლობს.
14892. სულიერად დაცლილი ადამიანი ფაქტობრივად გარდაცვლილია და ქვეყნის ჯარისკაცად, დამცველად, არ გამოდგება.
14893. სულიერება მოწოდებულია აღიარებისთვის.
14894. სულიერების გარყვნა ფულის შოვნის მცდელობითაც შეიძლება და უიმისოდაც თუ გაჭირვება აუტანელია.
14895. თვალის ხედვის შესაძლებლობები სულიერებისას ვერ სჯობნის.
14896. სულიერება გაჯეჯილებას და მოთოკვასაც მოითხოვს, რათა სიწმინდის პარამეტრები შეინარჩუნოს.
14897. ფუჭმეტყველება სულიერების კრიზისის და უიმედობის შედეგია.
14898. მომდევნო თაობა, წინა თაობას ყოველთვის ვერ სჯობნის, პირიქით, მათდაშეუმჩნევლად, ტექნიკური პროგრესი მათ სულიერებას

რყვნის, რადგან პრაქტიკული ცხოვრების ცოდნით ცუდად არიან აღჭურვილნი.

14899. წამიერი ცეცხლის წაკიდება სულიერებას არ ვნებს.

14900. კულტურა ხელშეუხებელია, რათა რაღაცის მომიზეზებით არ დაასაჭურისონ.

14901. გონიერება ყველა ქაოსს და კატაკლიზმას ფსიქოლოგიურად მომზადებული უნდა შეხვდეს, რადგან ხორციელად მზადყოფნა ეს შემთხვევის და გამართლების საქმეა.

14902. არაოფიციალურია კულტურა, რომელიც სახალხოდ არ გამოაქვთ, მაგრამ მის ტრადიცია-წესებს დაფარულად ვატარებთ და ვიცავთ უცხო თვალისაგან.

14903. ფილოსოფოსის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ აზროვნება და კულტურა მის გარეშე სათანადოდ არ ვითარდება.

14904. ყველაფერი უნდა გაიყიდოს, რაც იყიდება, გარდა სამშობლოსი, მშობლის, შვილების და სიყვარულისა, თორემ ხელში შემოგვრჩება მარტოოდენ ფული და გადაგვარებული სულიერება.

14905. შემოქმედ ბუნებას, თავისი ნაღვაწის შესაქმნელად, სხვადასხვა ქალით გატაცება და შეყვარება სჭირდება.

14906. კულტურა თავისებური პროვოკატორია, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იქმნება, მაგრამ მაინც წინ უნდა იხედებოდეს წარსულის გამოცდილებით, რათა სულიერება არ გარყვნას, საზოგადოების რაობა არ გადაგვარდეს და შთამომავლობა არ გააქროს.

14907. აღსანიშნავ დღეს, პირველ რიგში, კალენდარი გვატყობინებს და შემდგომ – სულის დღესასწაული.

14908. სიტყვის ღირსება მის ტევადობაზე, მუსიკალობაზე, ორაზროვნებაზეა დამოკიდებული, რომლის ტემბრი ჩვენს სულს, ყურს, გულს უნდა ესალბუნებოდეს.

14909. ყველა ზღაპრის დამთავრება სინანულს იწვევს და გვამზადებს ახლის შესაქმნელად და სულის გასალაღებლად.

14910. ცხოვრება მარტო „კატლეტების ნაგლეჯების“ შეგროვებით არ უნდა შემოვფარგლოთ, სულიერებასაც უნდა მივხედოთ და ვანდოთ კეთილ საქმეთა კეთება-დატოვება.

14911. რაციონალიზმს შეიძლება ჭკუით გაუგო, მაგრამ სულიერად დაშორდე და მისი არსი ვერ იგრძნო.

14912. ხელოვნება ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ადამიანურ სურვილებზე, ინსტინქტებზე, ფანტაზიით კუდის გამობმაა.

14913. ყველა ჩვენგანი სიყვარულის და ნდობის მაძიებელია და ეს მცდელობა სულიერებას სასიამოვნოდ ლესავს და ფუთავს.

14914. ადრე თუ გვიან ყველანი გარეგნულ მიმზიდველობას ჰკარგავს, მაგრამ მთავარია, სულიერი სილამაზეც არ მივაყოლოთ.
14915. სიკვდილზე დინჯი ფიქრი სულიერებას დიდ ძალას და შეუდრეკელობას ჰმატებს.
14916. ერთი ღამის გაოგნებამ შეიძლება მთელი ცხოვრება სულიერად გასაზრდოოს.
14917. უკბილო ხუმრობა, ხშირად, შერკინების წინ, სულიერ განგაშს მალავს.
14918. ძლიერი, სუსტი, უსახო, სულიერებამ უნდა წარმოაჩინოს.
14919. სულიერების ბოლომდე განსჯა ძნელია, რადგან ის მაინც გარემო პირობებს ერგება.
14920. სულიერება თავის მუჯლუგუნებს გვთავაზობს ხორციელების ხარჯვაზე, სულიერების გამოსწორებით.
14921. ყველა სულიერს დროულად შეჯანჯღარება სჭირდება, რათა საკეთებელი იმქვეყნად არ გაიყოლოს.
14922. იყო მდიდარი და თავისუფალი, ერთეულ რჩეულთა ხვედრია, რადგან სიმდიდრე ადამიანის სულიერების უდიდესი ბორკილია.
14923. სულიერად ცუდის გამოსწორება ალიყურით უფრო ადვილია, ვიდრე კარგის გაცუდება.
14924. სულიერება გაცილებით სათუთია ხორციელებასთან შედარებით და მას მალამოდ კეთილი სიტყვა სჭირდება დაუმადლებლად.
14925. სულიერების შინაგანად აღქმა შეიძლება და არა – შეცნობა.
14926. ბედნიერება სულმოკლეობას ვერ იტანს, რადგან მასაც ხელის შეწყობა სჭირდება დროის მოსაგებად.
14927. თანაგრძნობა, მხარდაჭერა, სულის მალამოს ერთერთი სახეობაა.
14928. სტუმარ-მასპინძლობა, უპირველესად, სულიერების დანაყრებაა და არა – კუჭისა.
14929. გათრეული სულის ძახილი ასაკისთვისაა დამახასიათებელი.
14930. სულიერების ქვათა ღაღადს დრო წიხლს ვერ აჭერს, რადგან ის მარადიულია.
14931. სულის ამღვრევაც, დროისა და გარემოს მუხანათობაზეა დამყარებული.
14932. სისპეტაკეს მყარი საძირკველი აქვს, მთავარი სულიერება მასზე რას აშენებს, ფიქრობს.
14933. სულიერების მარგი ქმედების კოეფიციენტი გაცილებით აღემატება ხორციელისას, მაგრამ ხშირად სული იქ არ იმყოფება, სადაც საჭიროა და ხორციც უნებლიედ ცოდვებს სჩადის.

14934. სულიერება უნდა ცდილობდეს სამშობლო ხელშეუხებელი და ხალხით გამრავლებული დარჩეს.
14935. ცოდნა სულიერების გაფანტული მარგალიტების შეგროვებაა და ბრილიანტებად ქცევის მცდელობა.
14936. შემოქმედის ყველა ნერვის დაბოლოება გაშიშვლებული უნდა იყოს, რათა სულიერებას სხეულის მეშვეობით შეეპასუხოს.
14937. ძალის აღდგენის საშუალება ზომიერი კვება და ვარჯიშია, სულიერების მოხმობით.
14938. სულიერება ყველაზე წმინდა ფილტრში უნდა გატარდეს უგუნურების მოთოკვით, თუ გვინდა ბოლომდე შევინარჩუნოთ.
14939. ღირსების შენარჩუნებას არა ამრტო გამჭრიახი ჭკუა სჭირდება, არამედ თანდაყოლილი სულიერებისადმი პატივის მიგებაც.
14940. რწმენა ნიჭიცაა და მოვალეობაც საკუთარი სულიერების წინაშე.
14941. სიტყვა სულიერების გაჯეჯილებისთვის არის მოწოდებული და არა –გოდებისთვის.
14942. ერის ფერუმარილი მაინც მწერლობა, მეცნიერება და ხელოვნებისკენ მისწრაფებაა.
14943. ღირსეული ადამიანებისადმი პატივის მიგება გვაამაყებს და სულიერად აღვამაღლებს.
14944. სულიერი სიმშვიდე ყველგან, ყველასთან, ყოველთვის, უდიდესი ნიჭია.
14945. მატერიალურ საოცრებებს სულიერება დროულად ვერ ეგუება, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი გათავისება უხდება.
14946. სულიერებას სხეულზე მეტი წრთვნა ესაჭიროება, რათა ის იმქვეყნადაც შემოგვრჩეს.
14947. გულის ფანცქალს თუ სულიერებაც აჰყვება, იქ გონიერება ვერას გახდება.
14948. სიტყვით სულიერება პირველადია, მაგრამ შეგნების მიუხედავად, საქმით განხორციელებას კონკურენციას ვერ უწევს.
14949. ვნებათაღელვის მოჭარბება, უმთავრესად, სულის ბობოქრობის ბრალია და არა – სხეულის აღტკინების.
14950. სულის ტკივილს განსაკუთრებით მაშინ განიცდი, როდესაც სიმართლეს ღაღადებ და ეშმაკი უფრო მეტად გებრძვის.
14951. მუსიკის რაობის შეცნობა, არა მარტო ყურს, გულს, სულიერებას უნდა მივანდოთ, არამედ მისი ჟღერადობა გონიერებამაც უნდა შეიცნოს.
14952. სხეულს ერთი მიდრეკილება აქვს სიამოვნებისკენ, სულიერე-

ბას – უამრავი და ხშირად ერთნაირ მოვლენებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ.

14953. სულიერების სიმაგრე აუცილებელია, რათა ამ ცოდვილ დედამიწაზე მყარად იდგეს, რადგან ბედის სიმუხთლე რას გვიქადის, არავინ უწყის.

14954. სულიერად გახრწნილი ადამიანი ყოველივე უარყოფითს ხალისით ისრუტავს და კაიფს განიცდის.

14955. „ორი-სული“ ქალის აბორტი დანაშაულია, თუნდაც იმიტომ, რომ მან ჩანასახის ხორცი მოიშორა და მისი სული უპატრონოდ დატოვა.

14956. ადამიანი ისე არ უნდა დაჩაჩანაკდეს სულიერად, რომ მას აღარაფერი სჭირდებოდეს, რაღაც არ აკლდეს.

14957. მარტოობისთვის განწირულ სულს დაწყვილება არ შველის.

14958. სულიერი მღელვარების დაცხრომის შემდგომ, შედეგის მომტანი კამათიც შესაძლებელია და პატივის მიგებაც.

14959. განგების ძალით დაუფლებული სულიერება განსჯას არ ექვემდებარება.

14960. ბოროტება, უპირველესად, სულიერების უსაფრთხოებას ვნებს და შემდგომ გვაყენებს ხორციელ ზარალს.

14961. სასურველია სულიერებამ სხეულზე გამარჯვება მოიპოვოს, მაგრამ არ უნდა დათრგუნოს – თავადვე იზარალებს.

14962. განცდა, სულიერების დამწუხრება, შენი ნების გამომზეურების საშუალებაცაა.

14963. სულიერებისთვის რეალობაში რა არის საზიანო და სასარგებლო, არავინ უწყის, მაგრამ მას მატერიალურიც რომ გვერდში უნდა ედგას, ფაქტია.

14964. სულიერება ხასიათის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს, მაგრამ რწმენის მათრახს იყენებს.

14965. სიბერესაც აქვს თავისი დღესასწაული თუ სულიერების დასამახსოვრებლად ნაღვაწი გონიერებას ესადაგება.

14966. ქორწინება სულიერების კარნახით ხდება და არა – გონების, რადგან ადამიანს მარტოობა მობეზრდა და ახლა დაგეგმილ „თავგადასავლებს“ ეძებს.

14967. ხორციელება სულიერებას ხელს არ უშლის, თუ რწმენას არ ღალატობ და იმედი არ გღალატობს.

14968. ზოგჯერ სულიერებასაც სჭირდება საცერში გატარება და ამის შემდგომ დაჭაშნიკება.

14969. სულიერება გაჭირვების ხარისხზეა დამოკიდებული: ან ყველა-

ფრის მიმართ გულგრილი დავრჩებით ან ერთიდაიგივე მოვლენაზე გულიანად ვიცინებთ–ვიტირებთ.

14970. ცოდვის ჩადენასაც ღირსება უნდა, რომ მან სულიერებას არ ავნოს.

14971. სულიერების უბადრუკობას გაავებული სიამაყე გამოაჩენს.

14972. სულიერებისთვის ბევრი რამ, რაც გონებისთვის გაუგებარია, მისაღები და გასაგებია.

14973. მშვენიერება სულიერებაში ათქვეფილი ქაფია.

14974. პირდაპირობა ფილოსოფიის თავაზიანობაა, თავისი სალამ-ქალამით.

14975. ზოგჯერ სულიერებასაც მოდაზე ჩაცმა ახასიათებს.

14976. სულიერების ინფლაცია ყველა დროში თავისი მარაზმით მიდის და მიიკლაკნება.

14977. უფსკრულზე უღრმესი ადამიანის მოუთოკავი სულია, რომელსაც არაფრის განსჯა და არაფრის გაგონება არ უნდა ნაოცნებარი შედეგის გარდა.

14978. ჩვენს სულიერებაში ჩახედვა ჩვენსავე ცნობიერებას უჭირს.

14979. ბოროტების დამარცხება შესაძლებელია, თუ ამას ჩვენი სულიერება, გულის მოშველიებით, მოინდომებს.

14980. ყველანი ჩვენი ჭკუის და მასტის ხალხს ვეძებთ სულიერების შესაჯერებლად და მოჭარბებული ენერგიის დასაცხრობად.

14981. სულიერებისკენ მიმავალი გზა უსასრულოა შიგადაშიგ ბედის გადამოწმებით.

14982. სულიერი კავშირი მშობელსა და შვილს შორის არ უნდა გაწყდეს, რაც შეეხება ხორციელს და მატერიალურს, ასე თუ ისე, დასაშვებია, რადგან მშობელმა ასაკში თავის შესანახი უნდა შექმნას.

14983. მუზა გაჭირვების მეგობარია, რადგან ის უანგაროდ ასაზრდოებს პრაქტიკულად დაუსაქმებელ გონიერებას.

14984. სულიერების დამშვიდების საუკეთესო საშუალებაა ლოცვა, ე.ი. დროის გაყვანა სულიერების მკურნალობის ელექსირით.

14985. უხეშად აცრუნდუკებული გრძნობები სულიერებას აფორიაქებს.

14986. ხალხს „მოსწონს“, პოპმუსიკის ის მოდური ჭეჭყი, რომელიც მის სულიერებას ანაგვიანებს, ხოლო შემსრულებლებს ის ჰონორარი, რომელსაც სიამოვნებით იხდიან ამ ჭკუჭყში სულის კოტრიალისთვის.

14987. თუ თავის გაპიარებისათვის არ იღვწი ე.ი. შენი სულიერება კეთილი ბუნების ხალხის მიერ ჩამოყალიბდა.

14988. ცარიელი, სევდიანი, სულელური, თვალები შემოქმედებამ უკეთესობისკენ უნდა შეცვალოს და სიცოცხლის მადლი აღაქმევინოს.
14989. სულიერების სიღარიბე ტყავში არ გვეტევა და ფუფუნების მონად გვხდის.
14990. სიახლესთან შეჭიდება სულიერებასთან უფრო გვაახლოებს, ვიდრე გონიერებასთან, რომელსაც ჭეშმარიტებაზე პრეტენზია ექნება.
14991. სულიერ კრიზისს ვერც ერთი ეკონომიკური კრიზისი კონკურენციას ვერ გაუწევს.
14992. სულიერად მონისთვის, სიკვდილიც კი გაზარმაცებულია.
14993. დროზე ინტელექტით ჩამორჩენა სულიერად დაღუპვას ნიშნავს.
14994. სულიერი საზრდო ყოველგვარ აუგს და ნეგატიურს ბიშტს უჩვენებს.
14995. სულიერი სიმშვიდე ბუნების წყალობაა, თუნდაც იმიტომ, რომ სხვათა მიმართ დანაშაული არ მიგიძღვის.
14996. ზოგჯერ სულიერად ჩადენილი ბოროტება ხორციელზე უარესია.
14997. სულიერებაზე ზრუნვას, მატერიალური ზრუნვის გარეშე, სრულყოფილად ვერ აღვიქვამთ.
14998. სულიერი საწყისი ხშირად ცვლის ყოფის მიმართულებას, განსაკუთრებით, თუ ზოგჯერ ბედი არ გწყალობს, ცხოვრება ფეხს გიდებს და ღიზიანდები.
14999. იუმორი სულის ლამაზი გახელებაა მოზრდილ ზომებში.
15000. მირონს და მადლს თუ სიცოცხლის სიყვარულიც დაემატა, სულიერების მალამოდ იქცევა.
15001. მეგობრობას მიზიდულობის ის შეუმჩნეველი პარამეტრები აქვს, რომელსაც სულიერება ითხოვს და არა – გონიერება.
15002. წარსულ დროთა გახსენებას თავისი შნო, დიზაინი და სულიერების დღევანდელობის გადასახედიდან შეფუთვნა სჭირდება.
15003. ბიბლიოთეკა სულიერების გასამრავლებელი აკვანია.
15004. სულიერებისთვის სიამოვნების მომტანი გართობაა და არა – სამუშაო, რადგან ნერვულ სისტემას გვიწყნარებს.
15005. უსაქმურობას ყველაზე მეტად სულიერება განიცდის.
15006. დასაქმების გარეშე სულიერება არ სუფთავდება და ვერც თავის ადგილს პოულობს.
15007. საკუთარ დროში გაუკვირვებლად ცხოვრების ფასის არცოდნა სულიერ დევალვაციას განიცდის.
15008. სხეული შეიძლება საპყრობილეში იყოს გამოკეტილი, მაგრამ

სული სულ უნდა დანავარდობდეს.

15009. ყველაზე მწარეა სულზე ფეხის დაბიჯება.

15010. უპირველესად სულიერ ღირებულებათა შექმნას უნდა ვცდილობდეთ, რათა მატერიალურსაც სათანადო ფასი დაედოს.

15011. სინდისი ქეჯნას მაშინ განიცდის, როდესაც აუგს სხვაზე გულში გაიელვებს.

15012. ბედი ჩვენი სულიერების რომანტიზმს ემსახურება და არა – ჩვენს სურვილებს.

15013. კულტურა მომხიბვლელია, გონება მიმზიდველია, ეროვნულობა მოთხოვნაა, რათა სულიერების სილამაზე დიდხანს შევინარჩუნოთ.

15014. ყველაზე უკეთ მოსამართლის როლს მათემატიკა შეასრულებდა, მას რომ მოსარჩლის და მოპასუხის სულიერების ციფრებში გადატანა შესძლებოდა.

15015. პროგრესს ერთი უარყოფითი თვისება აქვს: ადამიანის სულიერებას დრო და დრო დევალვაციას უწყობს.

15016. თანამედროვე ტელევიზია, ინტელექტი, ხელოვნება, კულტურის „ჩამშვებია“ და სულიერად გარყვნილია, მაგრამ ხალხს ართობს, უსაქმურებს მათთვის უსარგებლო და ვითომდა საინტერესო ინფორმაციით ანათლებს ფულის გამოძალვის მიზნით.

15017. სულიერი სიამოვნებისთვის განხორციელებული მიზნის, პროექტის, სიდიდეს მნიშვნელობა აქ აქვს, რადგან ყველა სასიამოვნო ქმედება, ჩვენი მეობის შეუცვლელობას ემსახურება.

15018. მარტოობა ხშირად სულის გენიალობის მაჩვენებელია, რათა იდეა მატერიად იქცეს.

15019. ღალატსა და იმედგაცრუებას შორის დიდი სხვაობაა, მაგრამ შედეგი, რეალობისგან განსხვავებით, სულიერებისთვის ერთი და იგივეა.

15020. ქალის და მამაკაცის ურთიერთობაში სულით ვაჭრობა-გალაღება გაცილებით ძნელია, ვიდრე – სხეულით.

15021. სულიერება ყოველთვის გრძნობებზე მაღლა უნდა იდგეს, ესაა თვითმყოფადობის და ეროვნულობის შენახვა-შენარჩუნების გარანტი.

15022. სულიერ სიახლოვეზე, სულიერი ნათესაობის ქიმია მოქმედებს და ალბათ ამითაც განსხვავდებით ცხოველისაგან.

15023. სულიერებას ცხოველმყოფელობის გარეშე უჭირს, რადგან ინტელექტი შედეგის გარეშე აზრს კარგავს.

15024. იდეოლოგია უპირველესად სულიერების კომფორტისათვის იღვწის და შემდგომ მატერიალური უზრუნველობისთვის.

15025. ნუ გავაღიზიანებთ ჩვენს სულიერებას, მას სათუთი მოპყრობა, მინდობა, სჭირდება.
15026. გონიერებისკენ მიმავალი უმოკლესი გზა, უმთავრესად, სულიერების უსასრულობაშია.
15027. ბიოლოგიური მშობელი იმდენს არ ნიშნავს, რასაც სულების დაახლოება და გონის შერწყმა.
15028. მეგობრობის ხარისხს რაოდენობა არ განსაზღვრავს, რადგან ვიღაცას რომ უწოდო მეგობარი, შენი სულიერების ნაწილიც უნდა იყოს.
15029. შეუძლებელზე ოცნებით გამოკიდება სისულელეა, მაგრამ სულს საჯილდაოდ სჭირდება.
15030. თავის შექება-დაფიქრება, დაღვინების შემდგომ, ხშირად სულს ბედნიერებას ჰგვრის.
15031. მეცნიერების შედეგებს უდიდესი სიამოვნება მოაქვს შემოქმედის სულიერებისთვის.
15032. სულიერება სხეულის მარგი ქმედების კოეფიციენტის ხარჯვის შედეგია.
15033. სულიერად განწმენდა გონიერების პრეროგატივაა და არა – სხეულის.
15034. სულის დასნეულებას ყველა საშუალებებით უნდა ვებრძოლოთ.
15035. სულიერებაც ხშირ ბერტყვას მოითხოვს, რათა მტვერი არ დაიდოს.
15036. სულიერების სწორ გზაზე დაყენებას გონიერების მარწუხებში მოქცევა სჭირდება.
15037. ყველანი ჩვენი საკუთარი სულიერების კაპიტნობას უნდა ვცდილობდეთ.
15038. მაღალი რანგის სულიერებას სტაბილურობა ბადებს და არა – წყობა, იმისდამიუხედავად, მას დემოკრატიის ფირნიშით გამოვფენთ თუ დიქტატურისა.
15039. სულიერება მარტოობას ვერ ეგუება.
15040. სულის ლტოლვების შეცნობა გონიერების არავითარ პარამეტრებს არ ემორჩილება.
15041. მიზნის გარეშე ადამიანის სულიერებაც არარაობაა.
15042. სულიერება, ხორციელისგან განსხვავებით, უკეთ მოღვაწეობს, თუ მატერიალური მხარე მოგვარებული აქვს.
15043. სისხლისმიერ ნათესაურ კავშირს, ისევ სულიერი კავშირი ჯობს – უფრო საიმედო და გამძლეა.
15044. ყველა თავის სულიერების შესაფერ ინფორმაციას ეძებს გონის

მოხმობით.

15045. ადამიანში, უპირველესად, სულის სილამაზე უნდა აღმოვაჩინოთ, რაც შეეხება გონიერებას, ის მარად მის გვერდზეა და განსჯაშია.

15046. ჩვენი სულიერების მონაც ვართ და მბრძანებელიც, განსაკუთრებით, როდესაც გვიჭირს.

15047. ცნობიერებაზე მორგებული ლაკონური აზრები სულს გვიფოფინებს და სხეულს ძალას მატებს.

15048. სულიერებას იმედი ფუთავს, უფრთხილდება, წარმოაჩენს.

15049. მწუხარებას დროულად სჭირდება გონზე მოსვლა და დათბუნება.

15050. სულიერებაზე ყველა ქმედება დასამახსოვრებელ ანაბეჭდს ტოვებს.

15051. რაც მეტია სიმართლის და სამართლიანობის შეცნობის სურვილი, მით მეტად ვშორდებით მას სულიერად.

15052. ადამიანის მცდელობა წინასწარ სულიერების რედგენზე უნდა გატარდეს სასურველი შედეგის მისაღებად.

15053. სულიერების ამაღლებას გულის მხურვალება და ცივი გონებაც ხელს უწყობს.

15054. სულიერების ისტორიას თავისი ხიბლი აქვს, ჩვენი ოცნების „ბაიათით“.

15055. სულის დათბუნებას წარმატების ალი სჭირდება და არა – მიყუჩებული ღადარი.

15056. „ფუტლიარის“ გალამაზება თუ არა, შიგთავსი სულიერების გალამაზება, წარმოსახვით მაინც, ყველას შეუძლია.

15057. სრულყოფის შეგრძნებას ზოგჯერ სულიერების დაწიოკებაც გვაძლევს.

15058. სიკვდილის შემდგომ სულიერება „ბრძენად“ მაშინ იქცევა თუ მისი პატრონი გენიოსია.

15059. მომავალი ბედნიერი ცხოვრების დანაპირები რატომღაც ყოველთვის პრაქტიციზმზე დაჰყავთ და ადამიანის სულიერებას ივიწყებენ.

15060. შემოქმედება რწმენის და მოწოდების გარეშე არ არსებობს.

15061. აღსრულება სულიერების შეთბობის საშუალებაა.

15062. საკუთარ მარტოობასთან განშორება, სულიერების მარაგის დაცვას იწვევს.

15063. სულიერებასაც თავის მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხი, სალამ-ქალამი ამშვენებს.

15064. გულახდილობა სულიერების ყივილია, გაუგებრობისაგან თავის

დასაღწევად.

15065. სულის გაფოფინების გარეშე ადამიანს ბედნიერების აღქმაც უჭირს და ცხოვრებაც.

15066. უგუნურებას ძირითადად ტლანქი და მოუქნელი სული ითავისებს.

15067. სიცოცხლისადმი სიყვარულს არაფერი შედრება, მანამ სულიერებაში გონიერება პატრიოტიზმით არ ჩაერევა.

15068. ფიზიკური გამარჯვებისაგან განსხვავებით, სულიერებაზე გამარჯვება ხშირად შეუძლებელია.

15069. ფანტაზია ყველა ადამიანის საწყისია, რადგან მას ზოგჯერ უტოპიისაც სჯერა.

15070. სულიერების გაშიშვლებით ადამიანის რაობის გაშიფვრას ცდილობენ.

15071. სტუმართმოყვარეობა სულიერების გახსენებაა მოფერებით და სიმშვიდით.

15072. მშვენიერების აღიარებისა არ უნდა შეგვრცხვეს, თუ დროულად ვერ შევამჩნიეთ.

15073. მშვენიერებისთვის მარტო თვალის შევლება არ კმარა, გამოყენებაც უნდა იცოდე.

15074. სულის გამოძახილი გვხდის ბედნიერს, რაც უდიდესი ნიჭია.

15075. ოქრო უსუფთავესი ლითონია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ადამიანთა სულიერების წაბილწვაში.

15076. ამქვეყნად ყველაზე ძნელი შემომქმედების გონიერი მოთოკვაა.

15077. მშვენიერებასთან, გონიერებასთან, სილამაზესთან, შეხებას რა სჯობს, მაგრამ რატომღაც სათანადოდ ვერ ვაფასებთ.

15078. შემოქმედი რომ აღიარო, პირველ რიგში, გულმა უნდა გიბრძანოს და შემდეგ გონიერებამ.

15079. შემოქმედი არ შეიძლება ხილული იყოს, ის გულიდან, გონებიდან, ფანტაზიით ამოვარდნილი გაუცნობიერებელი საოცრებაა, რომელიც ოცნებით უნდა დაღვინდეს, რათა მისმა დაგემოვნებამ სიამოვნება და აღფრთოვანება მოგვანიჭოს.

15080. მთავარია მაინც სულიერი წონასწორობის დაცვა, რადგან განგების სხვა „აიწონა-დაიწონა“ ადამიანის ბუნებას ფაქტიურად ვერ ვნებს.

15081. სულიერება მარად ტანჯვისთვისაა გამზადებული, რადგან ცხოვრების კაურები, პირველ რიგში, მასზე მოქმედებს.

15082. სულიერებისთვის ჭკუის მორგებას ასაკის შესატყვისად უნდა ვეცადოთ.

15083. ლექსი ერთდროულად პლასტიკას, ლირიზმს, ფილოსოფიას, უნდა მოიცავდეს, გულის აჩქარებით, გონის აღმაფრენით.
15084. მაცქერალმა, მსმენელმა, შემოქმედის ნაღვაწი ისე აღიქვას როგორც ავტორს აქვს წარმოდგენილი, დიდი ბედნიერებაა.
15085. სულიერების ჭკნობის ფორმულა ჯერ კიდევ კვლევას და აღმოჩენას მოითხოვს.
15086. სულიერება გაცილებით სათუთია და მეტი მოვლა სჭირდება, ვიდრე ხორციელებას, რადგან ის მაინც განგების ძღვენია.
15087. რეალურ სულიერ განწყობას ვერც ერთი ალგორითმი და ნანოტექნოლოგიის მიღწევა ვერ გამოხატავს.
15088. ხშირად ცრემლის მიზეზი სულიერების გალაღება და დამუნათებაა.
15089. ფიქრს ბევრ უგუნურებაში ფრენა უწევს, მაგრამ ეს სულის გასაჯირითებლად აუცილებელია.
15090. ყოველივე კარგი და დიდებულია, რაც ჩვენს სულს ხინჯის გარეშე ესალბუნება.
15091. სამწუხაროდ, ადრე თუ გვიან, სულიერებაც იმას გვთავაზობს, რაც იყიდება, რაც ადამიანის სულიერებას თანდათან აკნინებს და ხორცს გადააგვარებს, რაც ისტორიის ოლიმპზე სხვა დროებით დაჩაჩანიკებული ხალხების წარმოჩენის საწინდარია.
15092. ღვთიური ქალბატონი, რომელთან მეგობრობა ყველას ხვედრი არ არის, მუზაა.
15093. ჩვეულებაც ყოველივეს ეგუება, მათ შორის, სულის რეორგანიზაციასაც.
15094. სულიერების საწყისი გონიერი ხელისუფლების არჩევაა თავისი ანით და ბანით, შეჯერებით და დაფასებით.
15095. სულიერად გადაღლა, ეს ფუფუნების თუ გაჭირვების შედეგად იქნება, ერის დაკნინებაა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ბრძოლა.
15096. გული სულიერად არ ბერდება, თორემ ხორციელად იცვლება კიდეც და დედაც ეტირება, თუ დროულად არ უმკურნალებ.
15097. სულიერებას დასვენების უფლება თუ არა, ზოგჯერ შესვენების უფლება მაინც უნდა უწყალობო.
15098. ზოგჯერ წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება სულიერების გააქტიურებას იწვევს.
15099. ყველა თავისი სულიერების შველას და დაცვას ცდილობს.
15100. ძირითადად სულიერი განწყობა განსაზღვრავს ჩვენს წარმატებებისკენ ლტოლვას და სათანადო ადგილს უჯავშნავს ცხოვრებაში.

15101. სულიერ ჭრილობათა მოშუშების მალამო ისევ გონიერებასთან სასიკეთო ჭიდილია.
15102. უჩვეულო და მოულოდნელი ყოველთვის განცვიფრებას იწვევს, მაგრამ არა – შემოქმედი ბუნების ადამიანისთვის.
15103. სული კაცთმოყვარეობას გვთავაზობს თავის გამოსაკვებად, მცირედი ანგარების დაშვებით.
15104. სულიერ სრულყოფილებას თავისმართლება არც სჭირდება და არც კადრულობს.
15105. სულიერება დაღვინებას და დაჭაშნიკებას ისევ გონიერებისაგან მოითხოვს.
15106. მუზა არაფერს გვეკითხება, მან უკეთ იცის, როდის უნდა გვეწვიოს და წამოგვაგდოს ლოგინიდან.
15107. სულიერების ქვევრი ლიტერატურა და ხელოვნებაა, შემდგომ მოდის რწმენა, სამშობლო, ხალხი.
15108. სულიერება ძვირფასი საგანძურია, მაგრამ მისი გონივრულად აღქმა და ხელის შევლებაა ძნელი.
15109. სულიერების თესვა მისთვის გასაგებ გამარგვლას მოითხოვს, რათა მან სათანადო ნაყოფი გამოიღოს.
15110. უპრეტენზიო ალალი ცრემლი სულის მშვენიერების განსახიერებაა.
15111. სულიერებისთვის ძნელი განსასჯელია, ემიგრანტად ყოფნა სჯობს თუ ხიზნად, როცა ქვეყანა შენი სამშობლოა.
15112. წყვილი ურთიერთმოწონების კაიფს სხეულით იწყებს და სულიერებაში ეძებს.
15113. ზომიერება ენის სულიერების კოშკია, რომელიც სილამაზით და სიმდიდრით გამოირჩევა.
15114. ჩვენი მეობა, რაობა სულიერების დოგმასთან შეჭიდებას მოითხოვს, რათა უკეთ წარმოჩნდეს.
15115. ტექნიკური პროგრესი სულიერებას თანდათანობით ძირს უთხრის, მაგრამ ვერ სპობს.
15116. სიბერეს სულიერების მოვლა-გაფრთხილება სჭირდება, რათა სიკვდილის მოახლოებამ არ დააფრთხოს.
15117. კულტურა, სულიერი ფასეულობის გარეშე, ანარქია და უკუკულტურობაა.
15118. სულმა მუსკულატურა რომ იქონიოს, იდეოლოგიასთან ერთად უნდა ვარჯიშობდეს.
15119. ეტყობა, ტექნიკური პროგრესი სამყაროს საოცრებათა გათა-

ვისების მცდელობაა, მაგრამ სულიერებას წყალს უყენებს და საეჭვოდ ხდის.

15120. ფიქრი, გრძნობა, განცდა, ყოველთვის სულთანაა კავშირში და ამ სამყაროს იმ ფერებში წარმოგვიჩენს, რა ხასიათზეც ვართ.

15121. დღეს ხორციელი მონობა იმ სულიერი მონობით შეიცვალა, რომელიც მარად იყო და ყოველთვის დარჩება ჩვენს ცნობიერებაში.

15122. სულიერების შეტკბობის უნარს თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, რადგან ეს არსად არ ისწავლება.

15123. სულიერების გამყინვარებას ხშირად გონიერების დათბობა არ შველის.

15124. გრძნობათა ნიაღვარს აუცილებლად გზა უნდა გავუკაფოთ, თორემ სულიერება ზარალდება.

15125. სულიერება, სიმდიდრისგან განსხვავებით, იმ ადამიანთან იდებს ბინას, ვისაც ღირსად ჩასთვლის.

15126. გულგრილობის სიავეს ყველაზე მეტად სულიერება გრძნობს.

15127. ჩვენი სულიერების სიძლიერე მის შეუცნობლობაში და მომავლის იმედშია.

15128. მშვენიერებას ბოლომდე მაშინ აღვიქვამთ, თუ უსიამოვნების საწყისს არ წარმოადგენს.

15129. ხელოვანი ცხოვრების ნაწილს მის მიერ შექმნილ სამყაროში ატარებს, სხვანაირად ის შემოქმედებას ვერ ეზიარება.

15130. სულიერებას ხორციელი სიტკბოს შეზელა უხდება.

15131. მუზა სულიერად მდიდარია და სიღარიბეს ახლოსაც არ ეკარება.

15132. სიბრიყვე ჩვენს სულიერებაში ფესვების გადგმას ცდილობს.

15133. ზოგჯერ გაჭირვება მუზასთან გვაახლოებს.

15134. სიწმინდე შეფასებას არ ექვემდებარება, მაგრამ განსჯას მაინც ვერ გადურჩება.

ტრადიციები

15135. სიყვარულიც ტრადიციების წინასწარ სწავლას მოითხოვს.

15136. წარსულსაც თანამედროვეობით გამოხმაურება და მხარის დაჭერა სჭირდება.

15137. ყველა ქცევას თავისი ალიბი აქვს ტრადიციებიდან „გამოჩხრეკილი“.

15138. სხვათა წეს-ჩვევის კოპირებას სიკეთე არც ერთი ხალხისთვის არ მოუტანია, ვინაიდან ეს საკუთარი ტრადიციების გაუთვალისწინებლობაა.

15139. დაქორწინებასა და ეგრეთ წოდებულ „სამოქალაქო ქორწინებას“ შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ოფიციალური ვალდებულებაა, მეორე – არაოფიციალური მოვალეობა.

15140. ოპტიმალური ვარიანტის მონახვა ყოველთვისაა შესაძლო თუ კომფორტს, ტრადიციებს არ გამოვეკიდებით და ბრბოს ხმას ყურად არ ვიღებთ.

15141. ერთიდაიგივე ქმედებას, ოღონდ განსხვავებული დიზაინით, სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, აფასებენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასში აღზრდა, ტრადიციები, ერევა.

15142. ყველა ჩვენგანი თავის ქვეყნის ტრადიციების ქომაგი და პროპაგანდისტია.

15143. ერის ტრადიციებს ამაყად და გაცნობიერებით ვატარებთ, მშობლების გენს – ჩუმად და გაუცნობიერებლად.

15144. ეროვნებას, ხალხს, ინარჩუნებს ოჯახი, ტრადიციები, საკუთარი მიწის ყივილი და საშუალო ნიჭი, იმის შეგნებით, რომ არავითარი მიზეზით ქვეყანას არ დატოვებს.

15145. საკუთარი თავის მართვის მოწმობას აღზრდა და ტრადიციები გვაძლევს.

15146. წესი და გამონაკლისი ამ ყოფის სუფრის წევრია, მაგრამ წესიერების თამადობით.

15147. შთამომავლობა გვარის გაგრძელების და შემონახვის სცენარს ან ჩაასწორებს ან აგრძელებს მარადისობასთან რევერანსებით.

15148. ადრე საქართველოს თავიც და ბოლოც სტუმართმოყვარეობა იყო თავისი სუფრით და თამადის კულტურით.

15149. ცეცხლის და ნავთის ერთად დატოვება არ შეიძლება, რაც უნდა კარგი ტრადიციები და იდეოლოგია ჰქონდეს.

15150. ქვეყნის ძლიერება, უმთავრესად, წინაპართა ძვლებზე დგას და არა მათ გონიერებაზე, რადგან „ჩვენი წარსული გვასწავლის იმას, რასაც არ ვითვალისწინებთ“.

15151. მენტალიტეტი, ტრადიციები, მითქმა-მოთქმა, დიდ ადგილს იკავებს ადამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ არა უკომპრომისო და შემოქმედი ხალხისთვის, რომლებიც საზოგადოების აზრის დასაღვინებლად და წარმოსაჩენად არიან მოწოდებულნი.

15152. ერის სიმდიდრე ტრადიციებია, რომელიც დროის კორექტივებს იტანს ძველთან შერწყმით და ახლის ფეტიშის გარეშე.

15153. თუ საზოგადოება სხვის დაუხმარებლად, საკუთარი შესაძლებლობებით, ვერ ცხოვრობს, ტრადიციები ქრება, ენა გადაგვარდება, ქვეყანა „ჭრაჭუნობს“ და ეროვნულობას დიდი ზარალი ადგება.

15154. „უსინდისობა რაციონალურიცაა“, ხალხის გუნება-განწყობა თუ ტრადიციებს არად აგდებს, თანამედროვე განვითარების დონეს, ამასთან ყოველივეს ევოლუციური პროცესები განსჯის და ჩვენი დღევანდელი წარმოდგენა ავ-კარგზე არავის დააინტერესებს.

15155. ყველა მისთვის გასაგები სიმდიდრის დატოვებას ცდილობს, ეს შთამომავლობისთვის იქნება განკუთვნილი თუ ქვეყნისთვის.

15156. ზოგჯერ დგება დრო, როდესაც ყველა ღირსებას, ღირებულებას, ტრადიციებს, წინხედვით დაცვა სჭირდება, რათა ერი არ გადაშენდეს და თავისი მეობის შენარჩუნება მოახერხოს.

15157. ადამიანის გრძნობათა მართვის სადავეები სიყვარულის და ტრადიციების ხელშია.

15158. რაციონალიზმი საკმარისი არ არის ისტორიის არენაზე გამოსასვლელად, თუ ტრადიციები ზურგს არ გიმაგრებს.

15159. ქალიშვილის აღზრდა ტრადიციებზე მორგებით უნდა განხორციელდეს, რაც შეეხება თანამედროვეობის ვნებებს, ის გზას მისკენ, ჩვენ დაუკითხავად გაიკვლევს.

15160. ყველა ჩვენგანს წარმომავლობის გენეტიკური კოდი აქვს, რო-

მელიც შთამომავლობამ სიამაყით და პეწით უნდა ატაროს, ამრავ-ლოს, თავი მოიწონოს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვსურს.

15161. წარსულის არც შეცვლა შეიძლება და არც კაპიტალური „შეკეთე-ბა“, შელამაზებისაგან განსხვავებით, მაგრამ მის ბაზისზე რომ მო-მავალს ვეჯახიროთ და ნაწილობრივ ჩვენს ჭკუაზე გადმოვიბიროთ, შესაძლებელია, თუ ბედი არ გაჯიქდა.

15162. ტრადიციები კარგია გაახლებით და რაიმე დასამახსოვრებლის შემოთავაზებით.

15163. ავანგარდი კრიზისს არ განიცდის, რადგან ის ძირძველ კულ-ტურასაც ამდიდრებს.

15164. ზოგჯერ ტრადიციების, აღზრდის, იდეოლოგიის, მოშველიებით იმის შემოპარებას ცდილობენ რაც ყოველთვის მისაღები არ არის, შემოთავაზება რაც უნდა სოლიდურად გამოიყურებოდეს და ავტო-რიტეტით სარგებლობდეს.

15165. კარგ ტრადიციებს დროის შესატყვისად ინარჩუნებენ, ცუდს უბრალოდ ტოვებენ.

15166. ზნე-ჩვეულებებისთვის თავისუფლების მინიჭება თანამედროვე ადამიანისგან გონიერების მაქსიმუმს მოითხოვს.

15167. ზოგჯერ, არქაული ტრადიციების დამცველებს რომ უყურებ, ერთი შეხედვით მათი შემსრულებლები გამოთაყვანებულები გვეჩვენება, მაგრამ რომ ჩაუფიქრდები, ეს ქმედებაა, რაც მათ სა-შუალებას აძლევს მეობა და ეთნოსი შეინარჩუნონ.

15168. საოცარია, წეს-ჩვეულებათა აღასრულებას არც განათლება შვე-ლის, არც ცივილიზაციის ალიყური და არც მატერიალურთან შე-ჭიდება, რადგან მავანთათვის წინაპართა ტრადიციების შესრულება სულიერი მოთხოვნაა, ინსტიტუტია.

15169. ყოფით გაწვრთნილი ტრადიციები ხშირად კანონზე მაღლა დგას და ანგარიშგასაწევია.

15170. ტრადიციები, პატიოსნება, მეგობრობა, ცხოვრების გამოც-დილებით რომ ჩაუღრმავდები, უფრო მატერიალურია, მიუხედავად იმისა, რომ სულიერების ეპარქიას განეკუთვნება.

15171. ქართველების უპირველესი საზომი სტუმართმოყვარეობა და სუფრა იყო. შემდგომ მოდის პოლიტიკა, ეკონომიკა და რეალური სახელმწიფო ინტერესები.

15172. ყველა წესს, კანონს, ტრადიციას, გონიერების მექანიზმის ჩარე-

ვა სჭირდება თანამედროვეობასთან შერწყმით, მის დასამახსოვრებლად.

15173. ყველა გართობა თავის კულტურა-ტრადიციებს უნდა ფლობდეს, თუ გვინდა დროთაგან განმავლობაში მივიწყებას არ მიეცეს ან უაზრობაში არ გადაიზარდოს.

15174. ტრადიციების მიმდევარ საზოგადოებასაც ფუფუნებისკენ სწრაფვა თანდათან რყვნის, საფუძველს აცლის, მაგრამ ამაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს, რადგან ხვალინდელ ქათამს, დღევანდელ დაუფიქრებელ კვერცხს ვარჩევთ.

15175. წინაპართა საქმის მოკვლევა არასოდეს გვიან არ არის, ვინ იცის რა დარგში გამოგვადგება.

15176. წინაპრების უნებლიე გახსენება ტრადიციების დამსახურებაცაა, დაცვაც და თავისთვის პატივის მიგებაც.

15177. ის ტრადიციებია მყარი, რომელთაც ცივილიზაციის საეჭვო პოსტულატები ვერას აკლებენ.

15178. ტრადიციებს არ უნდა ვუღალატოთ, მაგრამ პროგრესულს უნდა დავაწიოთ და გავალამაზოთ.

15179. გემოვნება სხვადასხვაა, მაგრამ ის კაცობრიობისთვის მისაღები ტრადიციების ფარგლებში უნდა ეტეოდეს.

15180. ახალგაზრდობა, უნდა-არ უნდა, მაინც წინაპართა ყოფაზე აგებული სპირალით ცხოვრობს.

15181. ადათებს, დოგმებს, ტრადიციებს, დაცვა სჭირდებათ, დროის და გარემოს საყვირის მიუხედავად, რადგან ისინი მარად ჩვენს ცნობიერებაში არიან მოკალათებულნი.

15182. ლმობიერება ყოველთვის უპრინციპობას არ ნიშნავს, თუმცა გააჩნია ვინ რა ტრადიციებზეა აღზრდილი.

15183. ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, თავისი მეობა აქვთ და ცივილიზაციის ავტორიტეტს ხშირად არ ეპუებიან.

15184. ძირითადად ჩვეულებები, ტრადიციები, გვმართავენ, შემდგომშია – გონიერება, სიახლის დაჭაშნიკება და სასარგებლოს შეცნობა-დაჭაშნიკებით.

15185. ჩვეულებებს, ტრადიციებს, ჩვენი მეობა თანდათანობით ემორჩილება და ითავისებს.

15186. ხშირად ტრადიციები, ჩვევები, კანონის საწყისს სხვაგვარად განსჯიან.

15187. გონიერება ტრადიციების დამოძღვრას ყოველთვის ვერ ჯობნის.
15188. წეს-ჩვეულებათა უარყოფა კანონის უპატივცემულობა და გულგრილობაა და ადამიანს დაკოჭლებული ცხოველად აქცევს.
15189. ჩვეულებებისთვის კისრის მოგრეხა ხშირად შეუძლებელია.
15190. ტრადიციები ბევრ სასიკეთოს გვასწავლის, ოღონდ თანამედროვეობის საცერში გაცრით.
15191. თამადობის ფენომენი ქართული ტრადიციების გახსენება და ურთიერთ პატივის მიგებაა, რომელიც პირველ რიგში სუფრასთან წესრიგს ითვალისწინებს, რაც ქართველებს, ასე თუ ისე, გვაკლია.
15192. წინაპართა უცნაურობებს გაუმარჯოს, რომლებითაც დღესაც გაოცებულები და კმაყოფილები ვართ ჩვენი ჯიშის და ჯილაგის გაჩენისათვის.
15193. ზოგჯერ წინაპართა გაუაზრებელ ფანტაზიებს სიამოვნებით ვეთაყვანებით და პატივს მივაგებთ.
15194. ადამიანი არა გონიერებასთან ჭიდილის და განსჯის, არამედ ტრადიციების დაპროგრამებული მონაა.
15195. ხალხი არავის და არაფერს ბოლომდე არ ემორჩილება, გარდა ტრადიციებისა და სარწმუნოებისა.

ფული

15196. ფული უქონელთათვის დიდი სიხარულია, მქონეთათვის კი სამუშაო ინსტრუმენტია, გონების ჭყლეტით და რისკის გაწევით.

15197. ფულის მოხვეჭის შესაძლებლობა გვაიძულებს ის პროფესიები ავითვისოთ, რომელზეც ადრე წარმოდგენაც არ გვქონდა.

15198. დაგეგმილი ფულის ხელიდან გაშვება სანატრელი ოცნებების გაცრუებაზე ნაკლებად არ გვაწუხებს.

15199. ფული უდიდესი და უსაჭიროესი გამოგონებაა და ამიტომაა, რომ მის ქონას თავის გადასახედის წარსულის შესაძლებლობებით ყველა განიცდის.

15200. მეძავი ყველაზე პატიოსანი ვაჭარია: საცალოდ ფული – სექსი, ბითუმად სექსი – ფული.

15201. თანამდებობის და ფულის რებუსი დღესაც გაუშიფრავია, რადგან შეიძლება „ქაჯი“ კაცად იქცეს და – პირიქით.

15202. ცარიელი სიმართლე, სიტიტვლით თავის მოწონების მცდელობას, სტრიპტიზიორს მოგვაგონებს, რომლის მიზანია ვნებააშლილმა მაცქერალმა ფულის კუპირებით შემოსოს.

15203. ოლიგარქიას ფულის შოვნაზე მეტად ჩუმი ძალაუფლება სჭირდება, რათა რეკლამა სხვისი იყოს და სახრავი მათი.

15204. ფულის კულტს ყველა სარწმუნოების მსახური კუდს უქიცინებს, რადგან ცარიელი რწმენით ცხოვრება ჭირს.

15205. გამართლება და გამოყენება სხვადასხვა ცნებაა, პირველი შეეტყვისება ფულს თუ „შემთხვევით“ იშოვე, მეორე დაბანდებას – თუ ფული სარფიანად გადამალე.

15206. ფულის შოვნის ალბათობა ჩვენს ირგვლივ ყოველთვის დაფრინავს, თუ მის დასაჭერი ვარიანტის ბადეს დროულად, გონის მოხმობით და ბედის წყალობით დავაგებთ.

15207. ფული აიძულებს ადამიანს სიძნელეებს შეეჭიდოს, გარისკოს და თანაც სიამოვნებაც მიიღოს.

15208. ფულს ფუფუნებისკენ მისწრაფება ახასიათებს, რადგან მისი მოხვეჭის და ძალის „მადლს“ სხვანაირად ვერ აღიქვამ.

15209. ბედნიერებასაც თანდაყოლილი გონიერება სჭირდება და არა –

შეძენილი, რომელსაც ფული ამაგრებს.

15210. ოქროს მარაგი ყოველთვის იყო და რჩება ეკონომიკის „განხეთქილების ვაშლად“.

15211. ფულიანი ცოლი ქმარზე უფროსობს, ხოლო გაფულიანებული ქმარი, ამას ყოველთვის არ კადრულობს.

15212. როდესაც ზადს ფული შემოაქვს, იქ წესიერება ვერ გაიხარებს.

15213. ფულის შოვნას გამაღიზიანებელი ადაპტორები აქვს, რომელიც გონიერებაში ცალკეა მოთავსებული.

15214. ფული საქმის კეთებისთვის გამზადებულ ხალხს ყოველთვის ნახულობდა და მონახავს.

15215. დაკვეთა ფულს იძლევა, ამიტომაც ფული ყველა მის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

15216. ზოგი ფულის კეთების „მონსტრად“ არის დაბადებული და მისი გართობაც ეს არის.

15217. ემსახურო სხვას დაუღალავად და უანგაროდ, საუკეთესო წლების დახურდავების ხარჯზე, ახალგაზრდულ ფანატიზმს ან თანდაყოლილ უგონობას მოითხოვს.

15218. პატიოსნება დიდებულია, რომელსაც ერთი ნაკლიც არა აქვს, გარდა უფულობისა.

15219. თავისუფალი დროის დახურდავება, არავითარ ფულზე არ შეიძლება.

15220. საკრედიტო ბარათზე ბევრი ჩვენგანის სულიერებაა ჩამოკიდებული და ხშირად არ გვიბიძგებს სიავის თუ სიკეთის საკეთებლად.

15221. რა არის ბედნიერება, უბედურება, სიმდიდრე, განსაზღვრა ჭირს, ხოლო ფული რომ ყოვლისშემძლეა, ყველამ ბრწყინვალედ იცის.

15222. საკუთარ საფულესთან მოლაპარაკება არასოდეს გვიან არ არის.

15223. ფულის ოდენობას მაშინ აქვს ფასი, თუ ფლანგვა შეგიძლია ჭკუის ჩაურევლად.

15224. ნებაყოფლობითი მორჩილებაც ანაზღაურებადია.

15225. სამწუხაროდ, ბედნიერება ფულის დახმარების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ დღეს ყველა ფულის შოვნის გზებს ამუღამებს.

15226. გვიჭირს უარის თქმა, თუ არ გვიჭირს, ახლობელს ფულის სესხებაზე უარი უნდა უთხრა, გამოცდილება და ფაქტი ასე გვირჩევს.

15227. მიზნისკენ და არა მხოლოდ ფულისკენ რეალური მისწრაფება აგვამაღლებს.

15228. ფულს ის ჩუმი და სათუო ღირებულება აქვს, რომ ბევრ გაუგებრობას კისერს უგრეხს.

15229. ფული, გარკვეულ ასაკში, დიდ გავლენას ახდენს ჩვენს მსოფლმხედველობაზე.
15230. ფული ის მჟავაა, რომელიც ყოველივე უკეთესს და საჭიროს ადნობს და ხშირად ჩვენს მეობას ითავისებს.
15231. ფული ფორმალური და აბსტრაქტული ექვივალენტია იმ აბსოლუტური ღირებულებისა, რომლის გარეშე დღეს ცხოვრება შეუძლებელი ხდება.
15232. გაფულიანებისგან განსხვავებით, უფულობა არ უნდა გაამხილო, რომ არ თქვან უფხოა.
15233. საქმე იმას უნდა შესთავაზო, ვისაც მისწრაფებასთან ერთად გარკვეული ფულიც აქვს და არა იმას, ვისაც ყოველივე მოყირჭებული აქვს და „ზრდილობის გულისთვის“ ფულს აკეთებს..
15234. კუტურიე ფულის შოვნის მიზნით ახალ-ახალ მოდებს იგონებს, ხოლო ფულიან ხალხს საშუალებას აძლევს ფული დახარჯოს.
15235. ხელოვნების წარმოჩენას მარტო ნიჭი არ შველის, მისგან ფულის გამოდნობაც უნდა ისწავლო.
15236. სუსტი ნებისყოფა ყველას თან გვდევს, გააჩნია მიზანს, ჩვენს წინაშე მდგომ მდედრს და ფულის მოხვეჭის პერსპექტივას.
15237. თუ დამარცხება გარდაუვალია, ჩასაფრება-სამაგიეროს გადახდის იმედით, შედეგი მშვიდად უნდა მიიღო.
15238. სიმდიდრე სპორტული ჟინის და მოუთოკავი მოთხოვნების დაკმაყოფილების მცდელობაა.
15239. ფული ხშირად ხასიათსაც გვიფუჭებს და შეგნებასაც, როდესაც ის გძალავს, ვისაც არ ეკუთვნის.
15240. უფულობა წელში გამწყვეტი დავადებაა.
15241. მრავალფეროვანმა ნიჭმა და ცოდნამ ფულის შოვნა იცის, რადგან ერთი სპეციალობა ყოველთვის არ ამართლებს.
15242. სიღარიბე ფულის შოვნაზე ფიქრობს, სიმდიდრე – ხარჯვაზე, საშუალო შეძლება ერთდროულად ორივეზე და ქვეყნის ავან-ჩავანი მასზეა დამყარებული.
15243. ბედნიერების შეცნობის ნიჭს, ფულის შოვნის ნიჭიც სჭირდება.
15244. ხშირად უგნურების კეთებას საქმედ წარმოაჩენენ, ასეულობით საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გაურკვეველი ფონდები, რომლებიც ყველას დახმარებას აღუთქვამენ „უკუგორებით“ და მცირედის გადმოგდებით, თანაც ფულის „გათეთრებას“ ქველმოქმედებას არქმევენ.
15245. რეალობაში არც პარტოკრატიამ გაამართლა და არც – დე-

მოკრატიამ, ორივეს ერთნაირი ნაკლი აქვს: ფულის კეთება. ერთი ამის ნომენკლატურის მეშვეობით ახერხებდა, მეორე – ამომრჩევ-ელთა მოქრთამვით, ეს სიტყვიერად იქნება თუ დაფინანსებით.

15246. პენსიას მოგიმატებენ – არ მოგიმატებენ, მაინც დევალვაციის და ფასების მატების მსხვერპლია.

15247. ფული უნდა განვკარგოთ, ვმართოთ, დავაბანდოთ, მაგრამ არ უნდა ემონოთ და ემსახუროთ.

15248. ფულთან ურთიერთობას და თვალთმაქცობას სხვადასხვა გაგრძელებები აქვთ, ერთი ფინიშით.

15249. ფულის მოპოვების ოთხი ძირითადი ხერხი არსებობს: ნიჭი-მარ-კეტინგი, ფულის ალიბით გადაღუნვა-უკუგორება, ქურდობა ალი-ბით და კუთვნილი ხელფასი.

15250. სიმდიდრის ძალა საკუთარი წრეგადასული ამბიციების მო-თოკვაშია.

15251. ფული ის სამუშაო იარაღია, რომელიც მოუფრთხილებელ ხმარე-ბას ვერ იტანს.

15252. ზოგი სიავეს ფულისთვის ფიქრობს, მაგრამ მისი ჩადენის თავი არ აქვს.

15253. იმედს ფულით არ ყიდულობენ, მაგრამ მისგან გამორჩენის და ფულის შოვნის პერსპექტივას იტოვებს.

15254. ღირსება და ფული დღეს ერთადაც სძოვენ და შეძლების-დაგვარად, სინდისის მობალახებასაც ახერხებენ.

15255. ფულის, ბანკნოტების, სილამაზეს რეკლამა არ სჭირდება, ის ისედაც მომხიბვლელი და სასურველია.

15256. ოქრო სასმისში ჩასხმული საწამლავია და საწამლავად რჩება, მისი ბზინვარება გონებას რაც უნდა გვიმღვრევდეს.

15257. მართალია რეკლამა და ვულგარულობა გულზე არ გვახატია, მაგრამ ფული მოაქვს.

15258. ფული ბევრს სცოდავს, მაგრამ უამისოდ სიკეთის კეთებაც შეუ-ძლებელია.

15259. საოცარია, ფული და თანამდებობა როგორ ცვლის ცუდისკენ ჩვენთვის სათნო და საყვარელი ადამიანის ბუნებას.

15260. „მასმედია“ და ჟურნალისტიკა უგვანობის აღწერა-გაფეტიშებას ყოველთვის ფულის გამორჩენის მიზნით ემსახურება.

15261. თავაწყვეტილ, დაუშინებელ, იდიოტებს რატომღაც ბევრი ფული აქვთ და ეს შეუსაბამობა, ყველაზე მეტად, გონიერებას წყინს და აღელვებს.

15262. სამწუხაროდ, ზოგჯერ ფულზე დაყრდნობით წარმოაჩენენ სულსაც, სხეულსაც და სილამაზესაც.

15263. ფულს ჯანმრთელობის, სიყვარულის, მოვალეობის, გრძნობის გარდა, ჯერ-ჯერობით, სხვა ვერაფერი უჯოკრავს, ვერ ჯობნის. რაც შეეხება მიქელ გაბრიელის მობრძანებას, ის ქრთამის საკითხში უცოდველია.

15264. ფული თავისებური თილისმაა, როდესაც ის გაქვს – თითქმის ყველაფერი გიმართლებს.

15265. როგორ გინდა გააგებინო აზარტს, რომ ფული არაფერს ნიშნავს, როდესაც შენი თავმოყვარეობა წაგებითაა შელახული.

15266. სადაც დიდი ფულია, იქ დაუოკებელი ემოციები დაუმარხავად მოქმედებს, ხოლო სადაც დიდი სიყვარულია, ფული მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ახსენდებათ.

15267. ფულის კეთებასაც თავის შარმი აქვს, მას არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი სიამოვნებაც უნდა მოჰქონდეს, რადგან ფული შენი ჭკუით, მოხერხებით, იშოვნე და არა – შემთხვევის წყალობით.

15268. არა მარტო პიროვნება, არამედ დიდი ფულიც ქმნის დასამახსოვრებელ ისტორიას.

15269. დიდი ფული სხვაზე წინ დგომას, ბედთან ერთად, ნიშნავს და აქ განათლება და მცდელობა არაფერშუაშია.

15270. სიბრიყვე ფულისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ფულს სიბრიყვის მიმართ ანტაგონიზმი ახასიათებს და რატომღაც ხელში უვარდება.

15271. ფული არ შეიძლება იყოს მეორეხარისხოვანი, ის იყო და დარჩება წარმმართველ ძალად.

15272. წაგება-მოგება ძმები არ არიან, რადგან მოგებულები მოგებულებს მხარს უჭერენ და წაგებულთა ოდენობა იზრდება.

15273. ღარიბზე მეტად ფულზე მდიდარი ფიქრობს, რადგან ეს მისი სამუშაო და ღირსების შემქმნელი ინსტრუმენტია.

15274. ფული გაცილებით მეტს ნიშნავს იმისთვის, ვისაც ის აქვს, რადგან უიმისოდ ის არაფერს ნიშნავს და არც არავის უნდა.

15275. არაფრისაგან რაღაცის კეთება, მატერიალური გამოსაკლებით, მძიმე ფულის კეთების ხელოვნებაა.

15276. ფული და დრო სინონიმებია, მაგრამ არა იმათთვის, რომლებსაც ანდერძით ცხოვრება გარანტირებული აქვთ და ყოფას, ჯერ-ჯერობით, ჭიტლაყი არ უკადრებია.

15277. ფულის დევალვაცია, არაოფიციალურად, უვარგისი ხელისუ-

ფლების მიერ ხალხის გაქურდვაა და რატომღაც ამ დანაშაულისათვის არავინ ისჯება.

15278. ყოველ კაპიტალს აქვს სამშობლო, მაგრამ ფულზე ადვილად იცვლება.

15279. ფულადი საჩუქარი საუკეთესო კრედიტია მასპინძლისთვის, მან ზუსტად იცის, შენი „რა მართებს“, როდესაც საპასუხო ვიზიტით რაიმე დღესასწაულზე გესტუმრება.

15280. ფულს ფულის კეთება გონივრულ სახელმწიფოში გაუჭირდება, თუ შრომა-დასაქმების ბაზისზე არ არის აგებული.

15281. ფულის საკეთებლად ზოგჯერ მეგობრობენ კიდეც, მაგრამ იშვიათად და არა – ბოლომდე.

15282. ფულიანობაც გარკვეული პრესტიჟია და ამის აღიარება არ უნდა გვეუხერხულებოდეს.

15283. ანდერძით ფული იმას უნდა დაუტოვოთ, ვინც მას აბარტყებს და არა იმას – ვისაც „სჭირდება“ და მოკლე ხანში „დედას უტირებს“.

15284. ფულის ფენომენი, ადრე თუ გვიან, მაინც ამოყოფს თავს სიყვარულშიც, რადგანაც მისი ქონება-არქონება გარკვეულ გრძნობათა გადაფასებას იწვევს წლების მატებისას.

15285. ყველა სახის ქმედება ფულის საჭიროებას განიცდის და ესაა გონიერების ყველაზე მეტი დაცინვა.

15286. ფულის დაბანდება იმდენად ცოდნას არ მოითხოვს, რამდენადაც – ბედს, შემთხვევას და დროის ყივილთან შეხმიანებას.

15287. ფულს წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს თუ გონიერების გაწვრთნა-დაღვინებას ემორჩილება.

15288. უბრალო საწერ კალამს რომ ფული მოუპარავს, ის თანხა არც ერთ ავტომატს არ დასიზმრებია.

15289. ფული ყველაზე ფაქიზ გრძნობებს რყვნის, მაგრამ კარგად ფუთავს.

15290. ფულის შოვნას, გადანახვას, ხარჯვას, სულთან ჭუკ-ჭუკი სჭირდება გონების მიყოლებით.

15291. ფული ყოფის მოსაწყობი „ბინძური“ ინსტრუმენტია, მაგრამ მხოლოდ პატიოსნებითაც სახეიროს რომ ვერაფერს აშენებ?!

15292. ფულს ბედნიერება არ მოაქვს, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც არც ერთი აქვს და არც მეორე და არც მისი მოპოვების იმედი.

15293. ფულს ხშირად უფრო მეტს მაშინ ვშოულობთ, როდესაც ეს რაოდენობა ფაქტიურად არ გვჭირდება. იწყება უაზრო ამბიციების დაკმაყოფილება და კაზინოში თამაში.

15294. „მატერიალიზმის“ ხელოვნებათა შორის ფულის მოხმარების ნიჭი, ყველა სხვა ხელოვნებაზე დიდია, რადგან მასში წინხედვა და მოხერხებულობის უნარიც შედის.

15295. ფულის კუპიურებთან ოცნებით შეთამაშება ყველა წამოწყების მამოძრავებელი ძალაა, რომელიც გვაიძულებს, მის მოსახვეჭად საქმე ვაკეთოთ.

15296. ფულის შოვნას, შემთხვევა, გამბედაობა, „ლაითი“ ანალიზი, თავის გაკონტროლებით, სჭირდება.

15297. საბოლოოდ ყველა ყალყზე შემართული გრძნობა დაბლა ეშვება, ქვეითდება, უინტერესო ხდება, თუ მასში ფულის შოვნის ელემენტები არ დევს.

15298. აზრის შეცვლა და მისი ახალი ვარიანტის შემოთავაზების ელექსირი ფულია, რომელიც ცხოვრებას აზარტს მატებს, ყოფას გვიხალისებს და წვრილმანებზეც არ ვხურდავდებით.

15299. ფული ის სათუთი მექანიზმია, რომელიც პარტნიორობას გვასწავლის როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა მიმართაც.

15300. ფული და სიყვარული თეორიულად ერთმანეთისგან შორს დგანან, მაგრამ პრაქტიკულად უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.

15301. ფულს უბრალოება შოულობს და არა – კუდაბზიკობა.

15302. ხშირად ადამიანს მისგან დაფინანსების მიხედვით აფასებენ, ჭკუას და წამოწყებას არ თხოვენ, ხოლო უჭკუო რომ ფულს ვერ შოულობს და პირიქით უნდა იყოს და შემკვეთია მთავარი, ამას არად დაგიდევენ.

15303. სადაც ფული ლობირებას ახდენს, იქ პატიოსნებაზე ფიქრი ზედმეტია, რადგან მაცდუნებელი ძალა და დაუსჯელობის ვარიანტი ბევრია.

15304. ფული ხშირად იმასთან იდებს ბუდეს, ვინც ბედს ეჭიდავება.

15305. სიახლეს ფულის შოვნის იმედი ნერგავს და არა – მეცნიერებისადმი ინტერესი.

15306. ბანკის სამუშაო იარაღი გაურყვნელი ფულია, დეპოზიტზე დადებული მზარდი მოგებით და თავის ტყავში დატეული უპრეტენზიო ხელისუფლებით.

15307. სიტყვა, რომელიც არაფერს წყვეტს, სიახლე არ მოაქვს და ფულს არ შოულობს, ყბედობაა და მეტი არაფერი.

15308. სისუფთავეს წმინდანობა არ სჯობს, მაგრამ კარიერა და ფული უნებლიე გასვრის გარეშე არ იშოვნება.

15309. პროფესიულმა ეთიკამ დიდი ხანია ჭირი მოგვჭამა, პოპულარო-

ბისკენ მისწრაფებამ და გაფულიანების მცდელობამ ტარდიციებზე აღზრდილებს დედა უტირა.

15310. არის საქმიანი, არის ადამიანური, დამოკიდებულება, მაგრამ ეს უკანასკნელი „მასმედიას“ არ აინტერესებს, მას თავისი „ნაღვაწის“ კურაჟი და დაფინანსება სჭირდება და აქ დასაგმობი არაფერია, თუ ყველა თავის პრობლემას გაგებით მოეკიდება – რესპონდენტი წარმოჩინდა, „მასმედიამ“ ფული იშოვა.

15311. ფულის დაბანდება მაინც ლატარეას მიეკუთვნება და ბედის პრეროგატივაა.

15312. ფული თავისუფლების მოპოვების საშუალებაცაა და თავის სასარგებლოდ ახლობელის „გადაგდებასაც“ კადრულობს.

15313. ფულს ვითომ მავანი არ აფასებს, მაგრამ მისი უქონლობა ყველასთვის აუტანელია.

15314. სამორინეში მდიდრები ფულისთვის არ თამაშობენ, უბრალოდ ერთობიან, დროს კლავენ და „მეც ნახირ-ნახირო“, თავს იწონებენ.

15315. ფულის ხარჯვას ემოციები აკონტროლებს და არა – გონიერება.

15316. ხშირად ფულის შოვნის გზები განსჯას არ იწვევს, მის დაკარგვას უჩნდება მსაჯული და ნიშნის მიმგები.

15317. შოვნა-დაკარგვის საშიშროება ფულს მუდამ თან სდევს, რადგან დიდი ფული ემოციების ბუდეა და ამიტომაც „კოკა ყოველთვის წყალზე ტყდება“.

15318. ოქროს შემცვლელი რწმენა ოქროთი შეფერვას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ აღიქმება და ვერც იწამებენ.

15319. ფული ხალხის სურვილებს ყოველთვის „ჟიმავდა“, „ჟიმავს“ და კვლავაც „გაჟიმავს“, სანამ ფუფუნებაზე მოთხოვნა და შემოთავაზების ფენომენი არსებობს.

15320. ემოციებს ფულის კონტროლი, განთავსება, ოპონირების გარეშე, ყოველთვის უჭირდა.

15321. უფულო კაცი ცხოვრების მადლს ვერასოდეს გაიგებს, რადგან მას თავისი „ხუშტურების“ გამოცდის და „გასწორების“ შესაძლებლობა არ აქვს.

15322. ცოდნისაგან განსხვავებით, ფულს შესაძლებლობები აქვს და არა – ძალა, როგორც ეს ზოგჯერ გვეჩვენება.

15323. რწმენის და იდეოლოგიის ნაცვლად თუ ფულის შოვნა ვიწამეთ, მაშინ ადამიანს დაჯარიმების შიში მაინც უნდა შთავუნერგოთ, თუ გვინდა ქვეყანა მართვადი იყოს.

15324. საქმეში წარმატების მისაღწევად გონიერება მარად ფულით

უნდა იყოს შეფუთვნილი.

15325. ყველა დაგროვილი კაპიტალი კანონის გვერდის ავლითაა ნაშოვნი, მაგრამ მას ფული თავზე ხელს უსვამს.

15326. ადამიანის შეცნობის უღალატო საშუალება მისთვის რამდენჯერმე ფულის სესხებაა.

15327. თეორიულად ფულსაც პრაქტიკული ჭკუის ხალხი უნდა აკეთებდეს, რათა ფულის მასის სარფიანი დაბანდება შევძლოთ, რაციონალურად გამოვიყენოთ, ფულმა იმუშაოს და ფუფუნებაში არ გავფლანგოთ.

15328. მომხიბვლელობა ფულს სხეულის სილამაზით შოულობს და არა – სულიერებით.

15329. პრობლემა სხვადასხვაა და დროებითია, ფულის შოვნა მარადიულია და ერთადერთი.

15330. ფულს მომსახურების გარდა თავის აგდებაც შეუძლია, გააჩნია, ვისი ხელიდან იხარჯება და ვის ხელშია მოხვედრილი.

15331. ის რაც პერსპექტივაში ფულს არ იძლევა, მხოლოდ ყბედობა, უსაგნო თავის მოწონებაა.

15332. ფული საუკეთესო საშუალებაა გონების სავარჯიშოდ, მაგრამ არა მოჭარბებულად, რის დადგენაც ყოველთვის ჭირს.

15333. პესიმისტის და ოპტიმისტის შესაძლებლობებს დაფინანსება განსაზღვრავს და არა მათი რაობა.

15334. მეცნიერებაში გონივრულად დაბანდებულ ფულს, ვერც ერთი ბანკის პროცენტი კონკურენციას ვერ გაუწევს.

15335. ფულს მომსახურება უნდა ვასწავლოთ, რათა ჩვენი მომსახურება არ დაიზაროს.

15336. დღეს ყველაზე დიდი დამპყრობელი-დამმონებელი ფულია, რადგან უიმისოდ არასაჭირო ადამიანი ხდები.

15337. ფულის უანგაროდ შეყვარებაც შეიძლება, თუკი მდიდარი მამიკოს ნაჩუქარია.

15338. ფული, რომელიც ჩვენ გვემსახურება, თავს გვიკრავს, ფული, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, მატულობს და ჩვენს წარმოჩენას ცდილობს.

15339. ფული უნდა ვიმსახუროთ გაორმაგებით, რათა კიდევ უკეთ გვემსახუროს.

15340. რჩევა-კონსულტაცია, მოზრდილი ჰონორარის გარეშე, ყბედობაა, რომელშიც ხურდაფულსაც არ იხდიან.

15341. ყველაზე კარგ მობილურ გზავნილს, მცირედი, საჭორაო, ფუ-

ლის ჩარიცხვა სჯობნის.

15342. ამბობენ, ნაოჭების სიმრავლე ჭკუის მაჩვენებელიაო, მაგრამ ქალები პლასტიკურ ოპერაციას ირჩევენ.

15343. როდესაც სხვის ფულს ვხარჯავთ, გულკეთილებიც ვართ, არც ვევაჭრებით და „მარიაჟობაც“ არ გვავიწყდება.

15344. ფული მრავალს აფუჭებს და რაღაცას აშავებს, მაგრამ ბევრსაც აკეთებს და ტექნიკურ პროგრესსაც წინ „მიათრევს“.

15345. დიდი ფული ყველას არ უნდა ვანდოთ, თორემ ზოგი უსაქმურობის გამო სულიერების გარყვნას ცდილობს: ხან გეი ხდება, ხან ტრანსსექსუალი, რითაც ერთობა და პიარს იკეთებს.

15346. დღეს ფულის შოვნის საქმეს ყველა ხელოვანი და მათ შორის, უნიჭოც, თავის მოწონებით ემსახურება.

15347. ფული ყველა წამოწყების აუცილებელი ატრიბუტია, მაგრამ ტვინის ხარჯვა მხოლოდ მის დასაგროვებლად, საცოდაობაა.

15348. ფული ყველაზე კარგ ადამიანსაც აუფასურებს, რყვნის და სიცოცხლის მადლს უკარგავს, რადგან დიდი ფული პატიოსნებით და უმწიკვლოებით არ იშოვნება, არა და მისმა მოხვეჭამ გატაცება, თავდავიწყება, იცის.

15349. ფულს, გვინდა – არ გვინდა, ყავლი არ გასდის და ზოგიერთისთვის ყველა თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე და კაცურ კაცობაზე მაღლა დგას.

15350. ფული გვასაქმებს, მაგრამ ზედმეტ თავისუფლებას გვართმევს, რომელსაც რა მოვუხერხოთ, არ ვიცით.

15351. ვაჟკაცობის კრიტერიუმებს დრო ცვლის. თუ წარსულში ეს მტერთან შერკინება იყო, დღეს სამშობლოს და მოყვასის სიყვარული ფულის მოხვეჭაა.

15352. მოზრდილი ფულადი ჯილდო ბევრ ისეთ რასმეში გვაღებინებს მონაწილეობას, რომელზეც ადრე არც ვიფიქრებდით და ვიკადრებდით.

15353. ოცნების საწებელში ამოსვრის გარეშე, ყველა წამოწყება შედეგის მიუხედავად უგემურია.

15354. სადაც „მაყუთია“, სამართალიც იქ ჩალიჩობს და სამშობლოს სიყვარულიც. რას ვიზამთ, ადამიანთა უმრავლესობა ყოფის ამ ჰანგებს ამღერებს და მასზეა აწყობილი.

15355. ფულისთვის თავისუფლებას ხშირად ლომბარდში ვდებთ.

15356. თუ კარგად დაუკვირდებით, გამუდმებით დიდი ფულის კეთება ავადმყოფობა და თავისებური დაუფასებელი ონანიზმია.

15357. მუქთად ნაშოვნი, მათ შორის, ფულიც, ადამიანს რყვნის, რადგან არ იცის, როგორ უნდა დააბანდოს, უპატრონოს, აბარტყოს, ამით სიამოვნება განიცადოს და სასარგებლო საქმე აკეთოს.

15358. ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი ფულია, რომელიც თითქმის ყველა ადამიანის სიჯიუტეს მეტ-ნაკლებად იმორჩილებს.

15359. ბედნიერი ხარ თუ უბედო, ფულის შოვნა დღეს აუცილებელია.

15360. რეკლამა და პიარი ფულის შვილობილები არიან და იმას აკეთებენ, რასაც ეს უკანასკნელი მოისურვებს.

15361. უცებ ბედად ნაშოვნმა ფულმა გაამაყება, გათავხედება და „ქაქის“ ჭამა იცის.

15362. ამბობენ, ფულს ბედნიერება არ მოაქვსო, მაგრამ მერწმუნეთ, უფულობა გვთრგუნავს და სიცოცხლის სასწაულის შეცნობის უნარს გვიქვეითებს.

15363. ფულის შოვნას თავის „კურაჟიც“ უნდა ახლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენდამი აღფრთოვანება დღითი-დღე დევალვირდება.

15364. დრო ნამდვილი „მონსტრია“, ყელში ხელის წაჭერას მაშინ იწყებს, როცა ჩვენს წარმოსაჩენ ადგილს ფული იკავებს.

15365. სასიამოვნო წვრილმანების კეთების უფლებას თავისუფალი ფული გვაძლევს და არა მარტო სურვილი და მოდაზე აყოლა.

15366. ფული პატარა ღმერთია, რომელსაც ყველა ეტრფის, მაგრამ ლოცვით მაინც მათ მიერ არჩეულ ღმერთზე ლოცულობენ თავის მოკატუნებით და რწმენის ყურით მოთრევით.

15367. ფული ამ სამყაროს საბანკო სისტემას ჩემმა მტერმა ანდო, მითუმეტეს, ქართულს.

15368. ფული ის საჭირო ინსტრუმენტია, რომლის საშუალებით თავი ადამიანად უნდა იგრძნო.

15369. ფული ისეთი ფენომენია, რომელიც ალიბის, რეაბილიტაციის და შენდობის უფლებას, შეწირულობების გაღებით, ყოველთვის იტოვებს.

15370. „თაღლითი ოქრო“ რატომღაც ყოველთვის ყოვლისშემძლე იყო და ამადვე რჩება, რადგან მასზე ყველაფერი იყიდება.

15371. ფული თავისუფლებაა მხოლოდ ნიჭისთვის, სხვა შემთხვევაში საფრთხობელაა, ურჩხულია, მონსტრია.

15372. ყველაზე კარგი სპონსორი ისაა, რომელიც ფულს ზედმეტი კითხვების და ანგარიშის გარეშე იძლევა.

15373. ფულმა თუ დროულად არ გამოიყენა თავისი „მუხანათური“ შესაძლებლობები, ძალა ყოველთვის აჯობებს.

15374. ფულიანი ხალხის გართობას რომ უყურებ, ხშირად „უტვინო“ ხალხის შთაბეჭდილება გრჩება, იმდენად არარაციონალურად, გაუმართლებელი ხელგაშლილობით იყენებენ ამ გართობისთვის განკუთვნილ „საფანტავ ფულს“.

15375. ფული და მეგობრობა დღეს ანგარიშს ითხოვს სულიერებით და განსჯის უფლებით.

15376. ფულის გაჯეჯილება ზოგჯერ სულიერების დათრგუნვის მიზეზია, რაშიც ხშირად ცივილიზაციის ხელიც ურევია.

15377. ფული ყოველთვის არ ყარს, მაგრამ მისი კეთების თაიგული სხვადასხვანაირ არომატს გამოსცემს.

15378. რჩევებს შემძლე ჰარი-ჰარალოდ არ აბნევს, თავად ახორციელებს.

15379. მშვიდობიანობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება, გვინდა – არ გვინდა, ფულია, იმისდამიუხედავად, ჩვენ მას ქრთამად აღვიქვამთ, სპონსორობად თუ „მაღარიჩად“.

15380. თეორიულად სილამაზეს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ პრაქტიკულად ფული ამას ახერხებს.

15381. სიმდიდრესაც თავისი საკაიფო ალგორითმები აქვს, თუ ის საინტერესო და კეთილ საქმეს ემსახურება.

15382. ფული ძალაუფლების ხელსაწყოა, სისტემის სისხლი, ჰაერი, მამოძრავებელი ძალაა და ვინც მას იპარავს, უდიერად ექცევა, ის საზოგადოების ერთიანობის და მისი კანონზომიერების მტერია.

15383. ფული კი არ არის უბედურების მომტანი, არამედ ფულის მოხმარების უცოდინრობა.

15384. ფულის კეთებას შეჩვეულ მეცნიერს მეცნიერების კეთება უჭირს.

15385. დღეს სულიერ საჭურისობაზე თითქმის ყველა თანახმაა, მას თუ ფულის სუნი ასდის.

15386. ზოგიერთისთვის მოჭარბებული ფული, თავისებური „თვალის ცემა“, ციხისკენ მზერით.

15387. ფული ერთდროულად ეშმაკის და ანგელოზის ნაჯვარია და ზოგჯერ მამაზეციერისაც.

15388. სამყაროში, ჯერ-ჯერობით, მაინც ფულს აქვს გასავალი, შემდგომ მოდის ფასეულობანი და მათი გააზრება.

15389. ებრაელები იმით გამოირჩევიან სხვა „მეტიჩარა იდეებით“ აღჭურვილი ერებისგან, რომ გაფულიანების პირველობას არ უარყოფენ.

15390. სიმდიდრეზე მოთხოვნილებაც გონიერებას მოითხოვს, რადგან

მის არად ჩაგდებას უგუნურებამდე მივყავართ.

15391. ფულის შეწირვა, რწმენის მუხლით იქნება გამართული თუ თანადყოლილი ტრადიციებით, ყველა სარწმუნოებას სჭირდება, აუცილებელი ხარჯების დაფარვის ალიბის მოშველიებით.

15392. თუ გვინდა ფული გვქონდეს, წესად უნდა გავიხადოთ, ვხარჯოთ 20-25%-ით ნაკლები შემოსავალზე, რათა გვქონდეს ყოველთვიური დანაზოგი და ვიცხოვროთ თამასუქების გარეშე.

15393. როგორც კი ანგარიშსწორებაში ფული გამოჩნდა, მადლიერებამ მისთვის დამახასიათებელი მომხიბვლელობა დაკარგა.

15394. ფულს ხელისუფლების ყიდვაც შეუძლია და ამომრჩევლების ხმებისაც და აქ ფული როგორც ინსტრუმენტი, ზნეობისაგან განსხვავებით, არაფერშუაშია.

15395. სიმდიდრესაც მომჭირნეობა-გადანახვა სჭირდება დროის შერჩევით და გონების მოხმობით.

15396. ფულს გაცილებით დელიკატური მოქცევა სჭირდება, ვიდრე ამას ქართველები ახერხებენ და იმ ქარს ატანენ, რომელიც ფულის უკან დამბრუნებელი არაა.

15397. ფულის შოვნა კი არ არის მთავარი, არამედ მასთან დელიკატური, სწორი და შემოქმედებითი დამოკიდებულება.

15398. ფული მის არმქონეს „სძულს“, სანამ მისცემდნენ.

15399. სხეულით მოვაჭრე დოგმას: „ფული რყვნის, რასაც ეხება“, არ ეთანხმება.

15400. სესხის აღების პარამეტრები დროზე უნდა გადაამოწმო, რადგან სესხის გაუსტუმრებლობას არავინ გაპატიებს.

15401. ფულის რაობა, სიბრძნესთან შედარებით, ეჭვს იწვევს, მაგრამ პირველის დაუფლება, მეორისგან განსხვავებით, უმეტესობას სწყურია.

15402. ფულით შენარჩუნებულ ერთგულებას, შიშით შენარჩუნებული ერთგულება კონკურენციას ვერ უწევს.

15403. გაიაფება ყველას მოსწონს, გამყიდველის გარდა.

15404. უფულობა ყოველივე ადამიანურს „აფუჭებს“ და უჟმურ ხასიათზე გვაყენებს.

15405. ფულს გონიერად, დათქმულად, განაწილება სჭირდება, რომ მუშტის ჩვენებას არ მიგვაჩვიოს.

15406. ყველაზე მეტი თავისუფლება და შეგნება ხალხებს ქაღალდის ფულის გამოგონებამ მოუტანა, ავ-კარგის შეცნობით.

15407. მსოფლმხედველობის უქონლობაც სიღარიბეა, მაგრამ დღეს

ჩვენში ამას უფულობას ეძახიან.

15408. ბედნიერების შეცნობას, გვინდა – არ გვინდა, მატერიასთან ჭიდილი სჭირდება – ფულად განზომილებაში გამოხატული.

15409. ფულის მოვლა-პატრონობა მისი სარფიანი დაბანდებაა, რომელიც ერთეულ, ბედის ვარსკვლავზე დაბადებულთა, ხვედრია.

15410. მეცნიერების სიმდიდრე ფულის მობილიზების უნარით არ გამოიხატება.

15411. კრედიტის აღება ფულის ფასს გვასწავლის, რათა უპასუხისმგებლოდ არ ავიღოთ.

15412. ფულს უძრავი ქონებით თავის მოწონება არ სჭირდება, ყველა ქონებაზე მაღლა დგას და თავისი დროც დაუდგება.

15413. ფულის ხელში მოგდება ისეთივე დღესასწაულია, როგორც პირველი შვილის დაბადება.

15414. ფულის ფუნქცია მარად მოახლეობა-მომსახურეობად უნდა დარჩეს, რადგან მის გაფეტიშებას ბევრი სიავე მოაქვს.

15415. გვინდა – არ გვინდა, ფულიანობა მდიდართა კატეგორიას მიგვაკუთვნებს, შედეგად ჭკვიანებიც ვართ, ლამაზებიც და გონებაგახსნილებიც, ყოველ შემთხვევაში, გაფულიანება ასეთ ტოლობას დასვამს.

15416. საოცარია, ყოვლისშემძლე ოქროს არ არსებობის შემთხვევაში, ადამიანი რამდენი ბოროტების და სიკეთის გარეშე დარჩებოდა.

15417. სიმდიდრე ადამიანის კეთილდღეობის გორგოლაჭებით გადასაადგილებელი, სასიამოვნო, ბარგია.

15418. ოქრო ყველა ჯიბეს და კაბინეტს აღებს.

15419. ფული ძალა და საჭირო ინსტრუმენტია, თავი ადამიანად რომ იგრძნო და არ დაგლახდე.

15420. ჭკუა თუ ძალა, ან სიხლის ხედვა? ალბათ, ფული, რადგან ის აბალანსებს და წყვეტს დღეს ყველაფერს ადამიანთა ურთიერთობაში.

15421. კეთილ და ჭეშმარიტ განზრახვებს, მათ შორის, ფულით მოტანილსაც, ზიანის მოტანა არ შეუძლიათ.

15422. საქმის საკეთებელ და საქმის მოსაკვარახჭინებელ ფულს სხვადასხვა ფერი აქვს და სხვა და სხვა სუნი ასდის.

15423. ყველა ფულს სუნი ასდის, მაგრამ ზოგის ნაშოვნი ფული მთელ თაიგულ სიმყრალეს ბოლომდე ინახავს.

15424. პროტეჟესთვის სიკეთის კეთება მასზე ფულის დაბანდებაშია და არა – ფულის ჩუქებაში.

15425. ფული მაინც ილუზიური კეთილდღეობაა, ვიდრე რეალური.

15426. ქარხნების სოლიდური შეკვეთებით დატვირთვა, სოფლის მეურნეობის და ტექნიკური პროგრესის მხარში ამოდგომით, შემდგარ ქვეყანაზე მიუთითებს.

15427. მუქთად ნაშოვნი ფული ცდუნების და უპასუხისმგებლობის ორმოა.

15428. არიან ფულის შემწერი, ფულის მთხოვნელი, ფულის მსესხებელი, ახლობელ-ამხანაგები, რომლებიც შენ სიყვარულზე თავს დებენ და სპეკულანტობენ იმ ადრეული ნაცნობობით, როდესაც ყველა ერთნაირად თამაშობდით და ერთობოდით.

15429. სათნოება და ოქრო საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან.

15430. დღეს ფული ამაღლებს, ამტკიცებს, სიყვარულს და არა – სიყვარული ფულს.

15431. როგორც კი ფულის ოდენობა დაიწყებს საზოგადოებაში ჩვენი ადგილის განსაზღვრას, ის საზოგადოება ფუფუნებისთვის და გადაგვარებისთვის არის განწირული.

15432. დღეს ფულია ძირითადი მამოძრავებელი ძალა და არა – მისწრაფება.

15433. ფულის ხარჯვაც ხელოვნებაა, მაგრამ უფრო დიდი ხელოვნება მისი შოვნა და სარგებლით დაბანდებაა.

15434. ფული ცხოვრების ის მუდმივი შემაწუხებელი მუწუკია, რომელიც თავის საჭიროებას მარად გვახსენებს.

15435. მოგვწონს – არ მოგვწონს, ჩვენს მომავალს ბაზისად, ნიჭთან ერთად, ფულიც უდევს.

15436. მარჯვე კაცი ფულზე უარს არ იტყვის და არც დაიბნევა, რადგან მის გარეშე არც პიარი გაკეთდება და არც ვისმეს ეცოდინები ამქვეყნად.

15437. ყველაზე დიდი დიქტატორი, ტირანი, მბრძანებელი, ფულია და მისდამი ლტოლვას რა გზებით დავაღწევთ თავს, არავინ უწყის.

15438. კულტურა კი არ არის ფუფუნება, არამედ მისი ლტოლვა „გამოძღომისკენ“ და „ფულის მოვეჭისკენ“.

15439. ყველა ხელისუფლის მორჩილება და მხარდაჭერა სათუთოა, თუ ფული თავისი სიყოჩაღით არ ჩაერევა.

15440. სამწუხაროდ, სინდის-ნამუსს, პატიოსნებას, ის ქადაგებს, ვისაც არც ფული აქვს და არც მისი შოვნის უნარი.

15441. სიმდიდრე ყოფის სიბნელის განათებაცაა.

15442. ფულის ბანკნოტები არასოდეს არ ყარს, მიუხედავად მისი შოვნის სხვა და სხვა გზებისა. ის თვინიერად ემსახურება ყველას, ვის

ხელშიც მოხვდება.

15443. დღეს ვიშ-ვიშის და „ხელი შემეშალა-მომეცარასი“ არავის სჯერა, რადგან ნდობის ერთადერთი არგუმენტი ფული გახდა.

15444. ზოგჯერ მთავარია არა ფულის შოვნა, არამედ ნაშოვნი ფულის გონივრული ხარჯვისთვის დრო გვეყოს და რათა მის ანდერძით დატოვებაზე არ ვინერვიულოთ.

15445. ფულის შოვნის შესაძლებლობა და სხვისი ჯობნის პერსპექტივა კარგი ცხოვრების პერსპექტივით, ძალზე სწრაფად ცვლის ჩვენს მენტალიტეტს და ყავლგასულ ტრადიციებს.

15446. სიმდიდრე მხოლოდ თავს ემსახურება და ისიც გამორჩენის იმედით.

15447. სამწუხაროდ, ფულს ბევრი რამ ემორჩილება და მათ შორის, გონიერებაც, კანონიც, პატიოსნებაც.

15448. ფულის გადახდით აღძრული პატრიოტიზმის გრძნობა პოტენციური მკვლელი და ყველაფრის მკადრებელია.

15449. ფულმა გარყვნა იცის, მაგრამ სიამოვნებასაც გვანიჭებს.

15450. არ არსებობს ცხოვრების გზაჯვარედინზე ისეთი დაკლაკნილი ბილიკი, სადაც მილიონი ევრო ეგდოს და ვინმემ გულგრილად ჩაუაროს.

15451. ფულის აღებასაც ცოდნა უნდა, რათა ქრთამი საჩუქრად და შემოსავლად მონათლო.

15452. დღეს აზროვნებაც დაპატენტებას ითხოვს, რადგან ახლა ყველაფერი ფულით ფასდება.

15453. ფულმა რომ არ განსაზღვროს წყვილის ბედნიერება, მათ სამყაროს ერთნაირი აღქმა და კომპრომისების მომხრე აზროვნება უნდა ჰქონდეთ.

15454. უგნურების შესაფუთი ყველაზე კარგი საშუალება ბლომად ფულია.

15455. უძრავ-მოძრავი ქონების რაციონალურად გამოყენებაა სიმდიდრე და არა დიდი ფულის შოვნა, რომელიც მარადჟამს ინფლაციას ეთამაშება.

15456. ზედმეტი ფული ხელს არ გვიშლის, უბრალოდ გვრყვნის.

15457. ფული კრედიტით „ბაირამს“ არ გვპირდება, ის ძალისხმევას, ოფლისდენას, წინდაუხედაობას, მომჯობინებას და ბედს მოითხოვს.

15458. ფული ყოველივე წმინდას წაწყმედს, მაგრამ აუცილებლობის ალიბით და ყოფის გაუმჯობესების ცდით.

15459. ცოლის „ფუი ეშმაკისაგან“ განსათავისუფლებლად დემონის

გამოსადენად და ხასიათის გამოსასწორებლად, ფულის მიცემაა საჭირო.

15460. ფულის შოვნაც პატარ-პატარა დღეასასწაულია, თუ ხშირად არ ხდება.

15461. ფულის კეთება დროს და ბედს მოითხოვს, ფორტუნას მობილიზებით და მცდელობით.

15462. ფული ყველა იდეოლოგიის სალოცავი ხატია და მასზე მეტნაკლებად ყველა თავის „გადასახედიდან“ და საჭიროებისამებრ „ლოცულობს“.

15463. ჯოჯოხეთში დევალვირებული ფულიც კი ანათებს.

15464. ფული ეკონომიკის სასუქია, მაგრამ მისი დაბანდება ზომიერ რისკს, ცოდნას და მომავლის ჭვრეტას მოითხოვს.

15465. დღეს ფულზე დახარბების საუკუნეა, სადაც „გმირისათვის“ ადგილი არ რჩება, რადგან შემოქმედი ადამიანი გაყუჩებულია ან ქვეყნის გარეთ მოღვაწეობს.

15466. ფული ძალას გვმატებს, გამბედაობასაც, მიზანსაც გვისახავს, იმისდამიუხედავად, ვართ ამისათვის მოწოდებულნი თუ არა.

15467. ფულს ისეთი ზემოქმედების უნარი აქვს, რომ მის წინააღმდეგ არც ერთი სარწმუნოება, სექტა, რწმენა, აშკარად არ გამოდის და ჩუმად მის კუპიურებს შესცინინებს.

15468. ადამიანის ყოფის სამი აუცილებელი მონსტრიდან (ჯანმრთელობა, ფული, ნიჭი) სამწუხაროდ, ფულს მაინც მეორე ადგილი უკავია, რაც უნდა ამის თქმას ვერიდებოდეთ, გვრცხვენოდეს.

15469. გონიერებით და შეუპოვრობით მოპოვებულ ფულს ხშირად დროის ვიგინდარობა, უდარდელობა და მასზე მინდობა გვაკარგვინებს.

15470. ყველაზე დიდი ცოდვაა, როცა ფულს ისეთ ახლობელს ასესხებთ, რომლის ხეირიან დაბანდებაზე მას წარმოდგენა არ აქვს.

15471. ფულიან ხალხს დროსთან შერწყმული დაუფასებელი და შეუმჩნეველი ჭკუა აქვთ, მიუხედავად გონიერების პროტესტისა.

ქალი

15472. ყველა ქალი ბუნებით მსახიობია. იმისდამიუხედავად განგებამ მას ამის ნიჭი დააბერტყა თუ არა.

15473. ქალს ბევრი რაიმე შეუძლია, მათ შორის, იმ მამაკაცის შეყვარებაც, რომლის დანახვაც არ უნდოდა.

15474. ახალგაზრდა ქალს იმდენი მამაკაცი მოსწონს სასიყვარულოდ, რომ თავადაც ვერ გარკვეულა ვინ იყოს მათში პირველი.

15475. საკუთარ თავზე შექმნილი ჭორის გატირაჟება ქალის მოხერხებული რეკლამაა.

15476. ლამაზი და გონიერი ქალი სახლში აუტანელია: ვერაფერზე შეედავებით და საკუთარი თავის მიმართ ეჭვი გიჩნდება.

15477. ყველა ქალი სანდომიანი და მორჩილია, თუ მას მამაკაცი, როგორც ხვადი, აკმაყოფილებს.

15478. ქალისთვის პატივმოყვარეობა სიყვარულზე და დედობის სურვილზეც მაღლა დგას.

15479. ქალი გულით გრძნობს, სულით აღიქვამს, ჭკუით განსჯის იმას, რაც სხვათა წარმოდგენისთვის გაუგებარია.

15480. თუ ქალი ერთხელ გაერკვა ვინ უყვარს, მას მეორედ შეყვარება უჭირს, მაგრამ თავს აჯერებს და ბედს ეგუება.

15481. მოდაზე ჩაცმა და თავის მსუბუქად დაჭერის უნარი ქალს აძლევს უფლებას შანსი გაათავხედოს.

15482. ქალის ინტელექტი ყველა შორსმჭვრეტელ კონკურენტს ფორას მისცემდა, თუ ბედი არ უგანებდა.

15483. ქალი ფაქტიურად მამაკაცის თანამეცხედრე, მეგობარია, რისთვისაც ყველა მამაკაცი სამწუხაროდ მზად არ არის.

15484. ქალისადმი სიყვარულს და ურთიერთობას ხანდაზმულობაში ფულის ოდენობა განსაზღვრავს („წვრილმანი ხარჯებისთვის“).

15485. ქალი ერთდროულად ვერაგი აფთარია, ჭკვიანი დელფინიც და ლამაზი ფარშევანგიც, გააჩნია რა გარემოზე სჭირდება მორგება.

15486. ქალისათვის ჩადენილი სისულელე მამაკაცს სიბრიყვედ არ უნდა ჩაეთვალოს, რადგან აქ სიყვარულის საწყისია ჩადებული.

15487. ყველა ქალს თავისი „მარილი“ ახლავს, რომელსაც შესაცნობად პატივის მიგება სჭირდება.

15488. ქალს „არ ვიყავი მართლის“ თქმა ეძნელება.
15489. ქალის მადლის შეფასებას მამრი ხეირიანად ვერასოდეს ისწავლის.
15490. ყველა ქალს ოქროს გული აქვს, მაგრამ ყოველივეს ოქროს დასამუშავებელი „ქეძაფი“ – აზოტმჟავა აფუჭებს, თუ „ოქრომჭედელი“ უვარგისია.
15491. ქალი უნდა ფლობდეს კატის მოქნილობას, წყენის დავიწყების უნარს და მოუშორებელ ღიმილს. შედეგად მამაკაცი განიარაღებულია და „დაბმულია“.
15492. ქალს საშუალო არითმეტიკულად არც სიძულვილი შეუძლია და არც სიყვარული, ის ერთ-ერთს ირჩევს დაუფიქრებლად.
15493. ქალს თუ ქმარი არ უყვარს, ის ოჯახში მოვალეობას იხდის ცოლქმრობის ვალით და გარეშეთათვის თვალის ასახვევად.
15494. ქალის სიყვარული გველის შხამივითაა: ან მოგიხდება, ან – არა.
15495. გასათხოვარი ქალის ყველაზე დიდი კონკურენტები დაქალებია, რომლებსაც ჯერ პატრონი არ გამოუჩნდა.
15496. ქალის გარეშე ცხოვრება დაკარგულია, ქალით – მოსაძებნია.
15497. ზურგით შეტრიალებულ ქალს მოფერება სჭირდება, რათა შენკენ შემოაბრუნო და შერიგების ნიშნად თვალები შემოგანათოს.
15498. ქალის კაპრიზისათვის უმთავრესია სურვილის დაკმაყოფილება და არა – კომპრომისი და თავის მოკატუნება.
15499. ქალისთვის კლიმაქსი კიდევ ერთხელ თავის წარმოჩენის საშუალებაა უარესობისაკენ მიდრეკილებით.
15500. ქალს საზოგადოებაში ყოველთვის დედოფალივით უნდა მოვექცეთ, მიუხედავად მდგომარეობის, მრწამსის, შესაძლებლობისა, სხვანაირად ის ყოველთვის ნაწყენი დაგვრჩება.
15501. თუ ქალი კარს ღიად ტოვებს ოცნებით, სასიამოვნო ვარიანტების გავლით, ის დაუკეტავი უნდა „დარჩეს“ – შეიძლება ვინმე შეცდეს.
15502. ჭკვიან ქალებს ცერცეტა მამაკაცები მოსწონთ, ხოლო უჭკუოებს სერიოზულები, შედეგად დაწყვილების საშუალო არითმეტიკული მიუღებელია.
15503. ქალის მოთვინიერება მხოლოდ თავდავიწყებული სიყვარულითაა შესაძლებელი, თუმცა დროებით და შიგადაშიგ.
15504. ქალის სიყვარულს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, რადგან მასში ვნებასთან ერთად მისდაუნებლიე გესლიც არის შეფუთვნილი.
15505. ქალის ყველაფერი გვხიბლავს, თუ მას თავდავიწყებამდე მივყა-

ვართ.

15506. მოდაზე ჩაცმული ქალის გამოჩენა მაყურებელთა დარბაზში იქ მყოფი მოდასგადაყოლილების ოპონირებას იმსახურებს.

15507. ქალებს სამართლიანობა მოსწონს, ოღონდ მათ სასარგებლოდ.

15508. არიან ქალები, რომელთა თანამეცხედრეობა ეშმაკსაც გაუჭირდებოდა.

15509. ქალის ვერც სიცილის ფასს იგებ და ვერც ტირილისას, – თვალთმაქცობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

15510. ქალის თანხმობის და აღიარების დასტური მისი დუმილია.

15511. ქალს ღმერთის წყალობა და ეშმაკის ვერაგობა ერთდროულად აქვს მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე მიმზიდველი და სანუკვარი ვერ იქნებოდა.

15512. ქალისთვის უმთავრესია ჯერ მოდა, შემდგომ – მამაკაცი თუ საქმე თავის მოწონებას ეხება.

15513. ლამაზი ქალი მამაკაცის გულს ადვილად იპყრობს, მაგრამ კაპრიზების გამო მისი საბოლოოდ მითვისება უჭირს.

15514. ქალის ყველაზე მძლავრი იარაღია მისი თილისმის მოჩვენებითობა.

15515. მდუმარე ქალი ქალი არ არის, ის ცხოვრებაგაცნობიერებული დედაკაცია.

15516. ქალის ბუნება, გუნება, ყოველთვის ცვალებადია, როდესაც არჩევანის საშუალება აქვს და მის ირგვლივ მრავალი პერსპექტიული მამაკაცია.

15517. ქალის ხუშტურია, ზოგჯერ ოცნებით მაინც ჩაყვინთოს საზოგადოების იმ სიბინძურეში, რომელიც ზოგჯერ ასე „მიმზიდველია“.

15518. ზოგჯერ ქალის მოქცევა ჩიხში ამწყვდევს მამაკაცს, მაგრამ თვალების გამონათებას ჩიხიდან გამოჰყავს შექმნილი მდგომარეობა და გამოსავალიც ნაპოვნია.

15519. ცხოვრების ყველა წესის საწინააღმდეგო აზრი ქალის გულში იკილათებს და მისთვის სასიამოვნოდ თუხთუხებს.

15520. ის ქალი, რომელიც შენ გაგიგებს და გაუგებ, განგების ვერდიქტია და სანთლით საძებარია.

15521. ქალი გონება-ყოფიერების ის საკმაზია, რომლის გარეშეც ყველა მცდელობა გაუფასურებულია და აზრს კარგავს.

15522. ქალი წამლიქვნელებას მოზრდილი ყლუპებით მიირთმევს, ხოლო ამაზე სიმართლის მირთმევის კანონის დაძალებითაც წინააღმდეგია.

15523. ქალობის დადებით და უარყოფით პარამეტრებს მამრის გონება

ვერასოდეს ჩასწვდება.

15524. არიან ქალები, რომელთაც აინტერესებთ რატომ შეიყვარეს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც ჰგონიათ რომ ეს სწორედ ასე უნდა მომხდარიყო.

15525. ქალის რაობას მისი გულიანობა განსაზღვრავს და განსჯის.

15526. ქალის ბუტიაობას მიზეზი, უმთავრესად, მისი თანდაყოლილი კაპრიზია, რითაც უნდა თავისი „მე“ წარმოაჩინოს.

15527. ქალისათვის ყველა მამაკაცი მომხიბვლელია, თუ მასში მისთვის მისაღებ შნოიან, ლაზათიან კაცს დაინახავს, ფულით შემკულს.

15528. ქალი თვალებში „ნაცრის შეყრის“ წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ცალი თვალით მაინც უნდა დაინახოს თუ ვინ ბედავს მის სულიერებისთვის ხელის ხლებას.

15529. ქალებს სიავე არ ახასიათებთ, უბრალოდ მამაკაცები ვერ ამჩნევენ, რაზეც ქალი ოცნებობდა.

15530. დაცინვა და კონკურენტი ქალის ყველაზე დაუძინებელი მტერია.

15531. გადამეტებული სიამაყის მქონე ქალს შეუძლებელია დემონის ხასიათი არ ჰქონდეს.

15532. მდედრს მედიდურ ქალად აქცევს სიყვარული, ოჯახის ფუფუნებით შეფუთვნა და ქმრის თანამდებობა.

15533. ყველა ქალი სიამტკბილობით იღვრება, სანამ ურთიერთობა მოყირჭდება და თვითგამორკვევებს დაიწყებს.

15534. ეჭვიანობა ქალის დამცველი ჯავშანია და გარანტია, რომ ის ძველებურად უნდა გიყვარდეს.

15535. ქალი იმ გადასახადის ამკრეფს მოგვაგონებს, რომელიც მზადაა მამაკაცის ყველანაირი გრძნობა დაბეგროს, ოღონდ სიყვარულის ძალაუფლება გვაგრძნობინოს.

15536. ქალს იმ ცოდვების აღიარებაც უჭირს, რომლითაც თავისთვის ჩუმად კაიფობს და ნეტარებას განიცდის.

15537. ბრილიანტი ქალის თავშეკავების სუსტი წერტილია.

15538. ქალს ყოველი ახალი ხასხასა სიყვარული ათრობს, ართობს, აბრუებს.

15539. ქალს სძულს ისეთი უიღბლო მამაკაცები, რომლებიც თავიანთი აფთარქალების შემხედავნი მზად არიან ოჯახს დროებით გამოეთხოვონ.

15540. ქალები კანონით თანასწორუფლებიანნი არიან, მაგრამ ამ კანონის გამოყენებას ნაწილობრივ ცდილობენ.

15541. ქალს ყველაფერი არც უნდა უთხრა და არც უნდა ასწავლო,

თორემ მათი ფანტაზია დამწირდება და აფთარქალობის უნარს დაკარგავს.

15542. ქალს თავის ნაკლოვანებების გადახურდავებას ჭკვიანი მამრის ყურადღების მიპყრობით ცდილობს.

15543. ქალს თუ შეცდენის ნიჭი გენში უზის, ის ყველა მამაკაცს შეაცდენს და თუ დაჭირდა პასუხს მოჰკითხავს.

15544. ქალებს მტკიცე ხასიათი არ ჩვევიათ, რადგან ისინი ლამაზად გამოფენილი, მოგოგმანე, სარეალიზაციოდ გამზადებული, ნივთები არიან.

15545. ყველა ქალს შექება უხდება, რადგან ჰგონია გაგაცუცურაკა და მის ნაკლს ვერ ამჩნევ.

15546. ქალში დაბუდებულია მონის და ტირანის სიმპტომი და მათ ამის შესატყვისად უნდა მოეპყრათ.

15547. ზოგჯერ ქალი იმიტომ ცრუობს, რომ ეს ტყუილი მოსწონს.

15548. ქალს მამაკაცთან თანასწორობა თავადვე უჭირს, რადგან ყურადღებას მიჩვეულია და სხვანაირად მას ქალად არავინ აღიქვამს.

15549. ქალის ყვრიმალზე კოცნას ცოდნა სჭირდება და დიდი კაიფია, თუ მისი შეგრძნების მადლი მოგდევს.

15550. ქალის სულის ასაფორიაქებლად და გულის გასათბობად, SMS და ინტერნეტში მაკიაჟებით შელამაზებული მისი გარეგნობის ტირაჟირება, მდედრის კაპრიზის დასაკმაყოფილებლად, დიდი გამოგონებაა.

15551. ქალს SMS ძალას მატებს, იმედს უნერგავს და გადაწყვეტილებას სიყვარულის თაობაზე დროულად აღებინებს.

15552. ქალს სულით უნდა ესაუბრო, გულით თავი მოაწონო და მისი ტელეფონის ნომრის გამოტყუებაც არ უნდა დაივიწყო.

15553. ხშირად სიყვარულზე ქალის მომხიბვლელი, ჰაეროვანი, ვნებით აღსავსე ხელები და მათი ლაციცი გვესაუბრება და ჭკუას გვაკარგვინებს.

15554. ქალის ილუზიები თავიდან ყვავილების ჩუქებით კმაყოფილდება, შემდგომ მატერიალიზმის ბერკეტებს აამოძრავებენ და ბრილიანტებს მოითხოვენ.

15555. ქალის მკერდის სიმკვრივე, თრთოლვის ტემპი და სუნთქვის სიმძიმე, სიყვარულის ხარისხს განსაზღვრავს და ადგენს.

15556. ქალი იმდენად ბედნიერი უნდა იყოს მამრის ხელში, რომ მას საოცნებო აღარაფერი დარჩეს.

15557. ოცნებაში გამოვლილი ქალი შეიძლება შენი ცოლი იყოს, მაგრამ ცოლი არ შეიძლება მარად ოცნებად დარჩეს.

15558. ქალი დაუცხრომელი ვნების და სექსის შედეგად ნაგემებ სიამოვნებათა „ჭრილობების“ შემდგომ, გაცილებით უკეთეს სიზმრებს ხედავს და აუხდენელი ოცნებების ფიქრზე დროს არ კარგავს.

15559. ქალის ლამაზი საცვლების დემონსტრირება პოდიუმზეა სასიამოვნო საცქერი და არა – საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

15560. ტიტველი ქალისათვის თვალის შევლება მაშინაა საკაიფო, თუ მოხდენილად ჩაცმულს ლამაზად გახდა შეუძლია, მასში თუ იდუმალება, სილამაზე, მომნუსხველობა და მაცდური ღიმილი კრთის და არა მხოლოდ – ვნება და ქვენა გრძნობები.

15561. ქალებს თანასწორუფლებიანობა და კანონის წინაშე თანასწორობა თავისებურად ესმით და ისიც კაპრიზების მოშველებით.

15562. ქალის შეხედულებათა განსჯა და რევიზია, კაცის გრძნობების გაკენწვლისას, შეუძლებელია.

15563. ქალის ძალა ქმრის „სათავსო პოპულისტობის“ რეიტინგშია.

15564. ქალი ფლობს მოხიბვლის ინტეგრალს და თავის შეყვარების თეორემას, რომელიც თითქმის ყოველთვის პლიუსს იძლევა.

15565. დღეს ქალები, ასაკთან ერთად, შემოსავალსაც მალავენ და იმ ჩოყლაყსაც, ვინც მათი ვნების დაკმაყოფილებას ფულისთვის თანხმდება.

15566. თუ ქალი გადაცდენის დროს ქმარზე ფიქრობს და შედარებას ახდენს, ამგვარ ღალატს შეღავათი უნდა მივცეთ, რადგან ცოლი კვალიფიკაციას იმაღლებს, რათა ქმარს უკეთ ესიყვარულოს და – პირიქით.

15567. ქალს განაზება და თავის შეკავება უხდება, მაგრამ „არას“ გაუმეორებლად.

15568. ლამაზ ქალს შესატყვისი დიზაინი და შეფუთვა სჭირდება, რათა სულთან ერთად ხორციც გაუთბოს.

15569. ლამაზი და ჩვენი ვნების შესატყვისი ქალის დანახვაზე სული პოეტად იქცევა იმისდამიუხედავად, ლექსის წერა შეუძლია თუ არა.

15570. ქალი ბედნიერებისთვის გაცილებით უკომპრომისოდ და უკომპლექსოდ იბრძვის, ვიდრე მამაკაცი და შედეგიც ხშირად მათ მხარესაა.

15571. არიან ქალები, რომლებიც თავიანთ ნაოცნებარ მამაკაცს ვერ ნახულობენ და „იძულებულნი“ არიან რამდენჯერმე ჯვარი იფსკვნან, რათა ნაოცნებარი ნაწილ-ნაწილ აისრულონ.

15572. ქალები ძირითადად იმით იმოსებიან, რაც მამაკაცის თვალს მოსწონს.

15573. თუ ლამაზი ქალები ერთიანდებიან, ეს ძალზე მომზიდველი

შეთქმულებაა მამაკაცთა მოდგმის დასამორჩილებლად, თავიანთი ჭკუაზე სატარებლად.

15574. ნაღდი ქალია ის ვინც მამაკაცს აიძულებს მასზე არა მარტო იფიქროს, არამედ ილოცოს კიდეც.

15575. ქალს სულის გაშიშვლებას ისევ სხეულის გაშიშვლება ურჩევნია პირველისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი ბევრის აღფრთოვანებას იწვევს.

15576. ქალები უფრო განიცდიან ქალის უწესობას და გადაცდენას, ვიდრე მამაკაცები, რადგან წესიერების დაცვა ქალებს ოჯახის შექმნის და ბუღას შენარჩუნების ვარიანტად მიაჩნიათ.

15577. ზოგ მოწესრიგებულ ქალს ფურთუხა მამაკაცთან ყოფნა სიამოვნებს, ალბათ, ერთმანეთს ავსებენ და იმიტომ.

15578. გათხოვილი ქალის ტრფობას ის უპირატესობა აქვს, რომ მასთან ჯვარის ფსკვნა აუცილებელი არ არის.

15579. პრაქტიკულად მდედრისთვის მთავარია იცოდეს რა მასტის მამაკაცი სჭირდება და ვისგან უნდა ჰყავდეს შვილი, დანარჩენი შემთხვევა და დროის პრეროგატივაა. ამიტომაც თავსაც დროსტარების და სიცოცხლის შეცნობას საშუალება უნდა მისცე.

15580. ყველაზე კარგი ქალია ის, ვინც შენს გადაადგილებას არ ამოწმებს და ტვინს არ გიხვრეტს თავის რჩევა-დარიგებებით.

15581. ყველა ქალმა შესანიშნავად იცის თავისი ნაკლი, რომლის გამოსწორებასაც გადამეტებული გულმოდგინებით ცდილობს, მაგრამ თანდაყოლილი კაპრიზი და ოჯახზე ზრუნვა ხელს უშლის.

15582. ქალს და ოქროს, ჯერ-ჯერობით, ყავლი არ გასდის.

15583. ქალის ხასიათი ის გენერატორია, რომელსაც სინათლე შემოაქვს ოჯახში, ამიტომ მას უნდა მოვუფრთხილდეთ, რათა არ გაბრაზდეს და სიბნელეში არ გვამყოფოს.

15584. „სუსტი“ სქესის რისხვას ყველა ერიდება, ანგარიშს უწევს, რადგან სიცოცხლის გამომშვები კონვეიერი ჯერ-ჯერობით, ისაა.

15585. ქალის გარეშე ოჯახი უღრანი ტყეა და მამაკაცი მასში მობინადრე ვითომ მგელკაცაა.

15586. გარყვნილი ქალი მამრის სულიერების შემრყვნელია, ეტყობა, მამრისვე უძლურებით და წაყრუებით.

15587. ქალს მოხდენილად გახდა უნდა შეეძლოს ვნების წარმოჩენა-დამახსოვრებით.

15588. ყველა ცოლს, ადრე თუ გვიან, ქმრის დამორჩილების იმედი კვებავს და რაში სჭირდება ასეთი მეორე ნახევარი, თავადაც ვერ გარკვეულა.

15589. ქალმა შეიძლება სერიოზულად იცრუოს, მაგრამ იმის შეგნება, რომ სერიოზულად მოტყუება შეუძლია, მას აღარაფერს ვნებს, სულს უთბობს, მის ყოფას კი ვერაფერი მატებს.

15590. წინათ ქალები თავს მორცხვობით უკეთებდნენ რეკლამირებას, ხოლო დღეს მოდაზე გახდით უკეთებენ დემონსტრირებას.

15591. ქალები ერთმანეთს უკეთაც უგებენ და უკეთაც „კბენენ“.

15592. რადგან ერთნაირ ასაკში მამაკაცები უფრო თავქარიანები არიან, ქალი ხშირად იძულებულია მასზე უფროს მამაკაცზე ჯვარი იფსკვნას.

15593. ქალის სურვილია სუფთა, მგზნებარე, ვნებიანი სიყვარული, მაგრამ უმეტესობას „კოვზი ნაცარში უვარდება“, რადგან თავიანთი ოცნების კადნიერება, არჩევისა, თავდაპირველად დიდ მოთხოვნებს უყენებენ.

15594. ქალის სიცილის, ტირილის, კაპრიზის, საყვედურების, არსში ბოლომდე ჩაწვდომა არც ერთი მამაკაცის ხვედრი არ არის.

15595. როდეაც საქმე ქალს ეხება, საზოგადოება ხშირად არაობიექტური ხდება და მათ შორის, მამაკაცებიც მის დაცვას ცდილობენ.

15596. ქალს სულის გარყვნა და სიმახინჯე არ ეპატიება, რადგან ის პოტენციური დედა, ბებია, აღმზრდელია.

15597. ვნება და ქალი მარადისობაზე ფიქრის საშუალებას არ გვაძლევს.

15598. ქალებს ზომიერად თამამი მამაკაცები მოსწონთ, რადგან მათაც ცხოვრებასთან შეჭიდება უნდათ და არა ყოფით დამოძღვრული არსებობა.

15599. ქალის პრინციპებს და კაპრიზებს გონის ჭყლეტა სჭირდება, თუ არ გაუმართლა და ვერ დაგიყოლია, კომპრომისზეც მიდის.

15600. ყველაზე დიდ სიმდიდღეს ქალი უცხო მამაკაცს ჩუქნის და მისგან ამ საჩუქარსაც უკან იბრუნებს. მშვენიერებას ბუნებრივობა უხდება, მაგრამ ქალებს მოკოხტავების და მაკიაჟის უფრო მეტად სჯერათ.

15601. ქალის გულის დატყვევება დიდი გამარჯვებაა მამაკაცისათვის, მაგრამ „ტყვე“ ხშირად ამას არ აფასებს.

15602. შნოიანი, მოხდენილი, ქალი, ანჩხლი ხასიათის და კაპრიზის მიუხედავად, ბუნების ნაღვაწი და მადლია.

15603. ქალის მომხიბვლელობის გარკვეული წილი კულტურის, რჩეული პარტნიორის და საზოგადოების დამსახურებაა.

15604. არის რაღაცა, რომლის უფლებაც ქალს არ აქვს: როდესაც ცოლად სხვა მამაკაცს მიჰყვება, პირველი ქმრის სახელით სპეკულან-

ტობს და სულის ღალატი არაფრად მიაჩნია.

15605. ღალატში ვნების გათავხედება და სულის თავქარიანობა ერევა, მითუმეტეს, თუ მის წინ, მხრებიდან დაწყებული ფეხების მქონე ვნებიანი ქალია, რომლის მომნუსხველობა დაფიქრება-განსჯის საშუალებას არ გაძლევს.

15606. ქალი მანამაა სანდომიანი და მომხიბვლელი, სანამ „ღმერთი არ გაგიწყრება“ და ცოლად მოიყვან.

15607. ქალს ფასს მამაკაცი ადებს, მამაკაცებს კი ქალები ბითუმად იძენენ, ისიც განვადებით და ფასს შემდგომ ადებენ.

15608. ქალები თავიანთ ხასიათს, თმების საღებავის ფერით გამოხატავენ.

15609. ქალმა თავის მოკოხტავება ისე მაინც უნდა შეძლოს, რომ შეუმჩნეველი დარჩეს და ანტიპათია არ გამოიწვიოს.

15610. ფაქტობრივად ყველა ისტორიული წამოწყება ქალის დამსახურებაა, მაგრამ ვინ უფასებს.

15611. ქალები შთამომავლობის გაჩენით „გვამდიდრებენ“ და მათი რჩენა-აღზრდის მომიზეზებით „ტვინს გვიხვრეტენ“.

15612. მანდილოსანია ის, ვინც ყოფის ანა-ბანა იცის, ნიჭიც ახლავს და აქ ასაკი მოსატანი არ არის.

15613. ქალი, რომელიც ერთ მამაკაცს გაეყრება და მეორეს შეეყრება, მისდაუნებლიედ, კიდევ ერთ მამაკაცს გამოცდილებით „აუბედურებს“.

15614. ქალის კაპრიზებს გონიერების და საზოგადოების კანონები ვერას აკლებენ.

15615. მორთულობას, ქალის მომხიბვლელობა უნდა ჩაგრავდეს, თუ პირიქით – ქალის რაობას უნდა წარმოაჩენდეს.

15616. ქალის ყოველი გადაცდენა მამაკაცის უნიათობის და უყურადღებობის ბრალია.

15617. ქალს ხასიათის შეცვლაში ვერც ერთი ქამელეონის ფერთა ცვლა ვერ შედრება.

15618. ქალის მიერ გაბრიყვებული მამაკაცი ხელზე მოსამსახურე და თითქმის არარაობაა.

15619. ქალი რომ მარად სათაყვანებელი და პატიოსანი დარჩეს, მას ღალატის ნიჭი წარმოსახვით უნდა ჰქონდეს და არა რეალურად.

15620. ქალი რა საგვარეულო მასალიდანაც უნდა იყოს ნაშენები, მაინც ქალია და ადრე თუ გვიან თავის კაპრიზს თავზე დაგვანთხევს.

15621. ყოველ ქალს თავისი მომხიბვლელობა აქვს და თავის დროის „მყიდველი“ ჰყავს, ასე, რომ ერთი ქალი მეორეს ვერ სჯობნის, მა-

გრამ ქალები ამას არ აღიარებენ და მუდამ თავისი ბედის ცდაში არიან.

15622. ქალთან გულითადი საუბრით აღწევენ შედეგს და არა მხოლოდ პაემანზე სიარულით.

15623. ქალისთვის უმთავრესია დედად ყოფნის მოთხოვნილება, პირმშოზე ზრუნვა, შემდგომ მოდის ქალური ჭკუა და მისი აუხსნელი კაპრიზი.

15624. ქალებს მოსწონთ, როდესაც მათ ჭორებს იჯერებენ და ზოგჯერ ამით აღფრთოვანდებიან.

15625. ქალის მშვენიერების შეცნობას გონის დაკარგვა სჭირდება, რათა აღფრთოვანება სიამოვნებით შევცვალოთ.

15626. თავმოყვარეობა მდედრს, მამრისგან განსხვავებით, სიცოცხლის ბოლომდე აწუხებს და ქალიც ამიტომაა.

15627. ზოგი ქალი, მეორე ქმრის ძებნაში გამოცდილების მოშველიებით, კინაღამ გაბოზდა.

15628. ქალი მამაკაცს ყოველთვის იმაზე მეტს აძლევს, რაც შეუძლია, მაგრამ უმადურები ამას ვერც ხედავენ და ვერც ბოლომდე აფასებენ.

15629. წინათ ქალები სასიყვარულო ამბების გახსენებით ირთობდნენ თავს, დღეს – სად შეხვდა ხვადი და რამდენი გადაუხადეს.

15630. სამყარო გამოუსწორებელი და ერთიდაიგივე შეცდომებზე ფეხწატეხილი ხალხითაა სავსე და მათ გამოსწორებას განგება არ დაუშვებს, რადგან ამქვეყნად ყოფნა უინტერესო გახდება.

15631. ქალის განიარაღება-შეიარაღების უპირველესი საშუალება სიყვარულია.

15632. ქალი მამაკაცს ნებდება: ცნობისმოყვარეობისათვის, გარკვეული ინტერესისთვის, ვნების დასაცხრობად, გამორჩენის მიზნით, მოწონებით, სიყვარულით, მადლიერებისთვის, აღგზნებისთვის, ოღონდ ოჯახის შექმნის ფინიშით.

15633. არცერთ ქალს, სიყვარულის წილიდან თავისკენ მითვლა არ ეშლება, თუ რაიმე „მოსაღუნია“.

15634. მამაკაცს დაქორწინებამდე ქალები იმიტომ პატიობენ მათთვის განკუთვნილი ვნების დახარჯვას, რომ ამ საქმეში უცოდინარობა მას არ ეპატიება.

15635. ქალს ძლიერი მამაკაცის მორჩილება სიამოვნებს, ოღონდ თავის გამოდებით და თავისი კაპრიზებით.

15636. ქალის დანიშნულება მამაკაცის კვლავწარმოებისთვის აღზნება და ბრუნვაა, რათა ნაშიერები, „აკეთებინოს“.

15637. ყველაზე ლამაზი ქალის სხეულში ეშმაკს წილი უდევს.
15638. დღეს ინტერნეტში წაჭორავება ქალის სულს მალამოდ ეცხება.
15639. ქალებს ყოველთვის ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ უსაქმურობას და დროის „ჭამას“ სჯობს.
15640. უბედნიერესია ის ქალბატონი, ვინც მისთვის საინტერესო მამაკაცი „ლატარეაში“ მოიგო.
15641. ქალის ოცნებით სიყვარულის გადანაწილება, პერსპექტიულ მამაკაცთა მიმართ განუსჯელ-განუსაზღვრელია.
15642. ქალის ქიმიური რეაქცია მამრის მიმართ, დღემდე ბოლომდე ამოუხსნელია.
15643. სიამოვნების მინიჭებული წუთებისათვის, ყველა ქალი გასამრჯელოს ითხოვს, მენტალიტეტის და უნარის შესატყვისად.
15644. ქალს აქვს უფლება კრიტიკულად გადახედოს თავის სიყვარულს და თუ არ აკმაყოფილებს, კორექტულად დაანგრიოს ოჯახად წოდებული შენობა და სხვასთან დაიწყოს ახლის შენება.
15645. ერთგულ ქალს ერთი მამაკაცის სიყვარული აკმაყოფილებს, საქმიანს – მრავალი მამაკაცის ყურადღება.
15646. ქალს პლასტიკურ ოპერაციას აკეთებინებს სიყვარულის ნაკლებობა, წამხედურობა და ყველაზე ნაკლებ სხეულის ხინჯი.
15647. ქალები, რატომღაც, ყველა მასტის მამაკაცებს „ასაღებენ“ ცოლად მიჰყვებიან და თუ დაჭირდათ, თავს გულმოწყალების დებად გაასაღებენ, ოღონდ კაპრიზის დაუვიწყებლად და თავის მეობის ჩვენებით.
15648. ქალს მამრის წარსული იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც დღევანდელობა და ეს მამაკაცისთვის გარკვეული ტვირთია.
15649. ქალები ცდილობენ არ „დაიბნენ“ განსაკუთრებით სასურველი მამაკაცის დაღვინებაში.
15650. ქალს ერთი ნაკლი აქვს, თუ უფულოდ დაგნებდა, სურვილი აქვს აგეწეპოს ან რაღაც აგაპწნოს.
15651. რას ვერჩით ქალებს, როგორც დავიმსახურებთ, ისეთები არიან.
15652. განგებამ ქალი შექმნა მამაკაცის ნეკნიდან, მამაკაცმა დაადგინა ქალის ქცევის ნორმები, ასე, რომ დღეს ქალების ემანსიპაცია კაცის ჩუმი წაყრუების და უნარის დაქვეითების ბრალია.
15653. ქალის სულიერების სიღრმეს ძირი არ უჩანს.
15654. ქალის ზიზღი და მომხიბვლელობა ერთი ენის ნაყოფია და მისი დამსახურებაა.
15655. ქალი შეიძლება ლამაზი ნივთიც იყოს და პიროვნებაც, გააჩნია ქმარს, ხასიათს.

15656. ქალებს, რომ ერთმანეთი სძულთ, მამაკაცი ასე შეძულებას ვერ მოახერხებს.
15657. ქალი, ჯერჯერობით, „პირველი ვიოლინოა“, რადგან კვლავწარმოება მის გარეშე შეუძლებელია.
15658. შემოქმედი ქალები, სანამ აღმაფრენას აუშვებენ, ძალზე მორცხვნი და მორიდებულნი არიან.
15659. ქალს იმდენად ბედი არ მუხთლობს, რამდენადაც მოჭარბებული ოცნება.
15660. მოდაში შემოსულ შავი სათვალის მიღმაც ეტყობა ნაღდ ქალს სურვილი, რომ ის სიყვარულით და ვნებით იყოს ათვისებული.
15661. გონიერი ქალი, მამაკაცის თავმოყვარეობაზე ფეხის დადგმას არასოდეს შეეცდება და არც საყვედური წამოცდება სიტყვებით „შენზედ უკეთესები მეძლეოდნენ“.
15662. ქალის, რომელიც მხოლოდ ქმრის იმედზეა დანდობილი, გამომეტყველება ძალზე სერიოზული და უღიმღამოა.
15663. ქალები რასაც გულით გასცემენ, იმასვე ჩუმად ითხოვენ ორმაგად.
15664. ყველა ქალს დეკორაციის შეცვლა უხდება თავის კაპრიზის დეკლამირებით.
15665. ყველა ქალს ერთი „ბზიკი“ ჰყავს – ყურადღების ცენტრში მოსწონთ ყოფნა.
15666. ქალი თავიდანვე კომპლიმენტებით არ უნდა განვაიარაღოთ, მიეჩვევა და უფრო მეტ საქმის კეთებას მოგთხოვს.
15667. ახალგაზრდა ქალის სასოწარკვეთილება კაბის დამოკლებით და მკერდის მოღიავებით მთავრდება.
15668. ქალს რაღაც დასამახსოვრებელი უნდა ვაჩუქოთ, ოღონდ არა ფული, რომელიც დახარჯვისთანავე დაავიწყდება.
15669. თავის თავში დარწმუნებული ქალი, ქმრის შესაძლო ცელქობაზე არასოდეს ეჭვიანობს.
15670. ჭკვიან ქალს ერთი შემძლე საყვარელი ყავს და ჩვარივით გამოსაცვლელი, მამაკაცად წოდებული ქმარი.
15671. ბოლომდე ვერც ერთი ქალი ვერ გვიგებს, მაგრამ ცოლები ამას თვალის ასახვევად ზოგჯერ ახერხებენ.
15672. ემანსიპირებული ქალები ძალზე დაკავებულნი არიან საზოგადო საქმიანობით და საკუთარი ოჯახისთვის დრო თითქმის არ რჩებათ – ესეც მოდაა.
15673. არასახარბიელო ემოციებს იწვევს, როდესაც 60 წლის ქალი 20 წლის გოგონასავით იცვამს და იქცევა და ჰგონია, ახალგაზრდობას

გაეთამაშა.

15674. შეყვარებული ქალისთვის, სულის რეაბილიტაცია მომდევნო სიყვარულია.

15675. თამამი ქალები მოსვენებას არ გვაძლევენ, წყნარები გვბეზრდება, რეალობაში: „შენ ის აღარ ხარ, რაც იყავ“.

15676. დაუცხრომელი წარსულის მქონე ქალს დღეს, მემუარების გამოქვეყნების პერსპექტივა აქვს.

15677. ქალი ყოველთვის იმას გრძნობს, ამჩნევს, ესიზმრება, რაც მას უნდა და რაზეც ყურადღებას ამახვილებს.

15678. ნაღდ ქალს გულუბრყვილობაც ეპატიება და სიბრიყვეც კუბში, თუ ის სიყვარულითაა შეფუთვნილი.

15679. ქალს მამაკაცში, უპირველესად, თავმდაბლობა და ქალის დაყოლიების უნარი მოსწონს.

15680. ეჭვიანობა ქალს ძალას, სითამამეს, თავისადმი პატივისცემას, მატებს, მაგრამ არ უნდა გადაამლაშოს.

15681. მიუხედავად იმისა, რომ ქალი სარეალიზაციო ნაღვაწია თავის დიზაინით და რეკლამით, მყიდველს თავად ირჩევს.

15682. ქალებს სულის ბურუსში უყვართ სეირნობა და იქ იმ წარმოუდგენელ სურვილებს ასხამენ ფრთებს, რაზეც ფანტაზია მიუწვდებათ.

15683. ქალის მთავარი სტიმულატორი მაინც მამაკაცია, მიუხედავად მისი წუნიანობისა და კაპრიზებისა.

15684. თანასწორობა, თავისუფლება, დემოკრატიის მქადაგებელი, ქალისთვის გაუგებარი მამრია, მას საწოლში, უპირველესად, ხვადი სჭირდება და არა – მოლაყბის აგიტაცია.

15685. ყველა ჩვეულებრივ მოვლენას აზროვნების ფერუმარილი და წინდახედული რეკლამა სჭირდება, თუ გვინდა სარფიან საქმედ ვაქციოთ.

15686. ქალი სულით უფრო ფანტაზიორი და ნაზია, ვიდრე მამაკაცი, რომელსაც სიზანტეც ემატება „ვაი ჭკუისაგან“.

15687. ქალზე ვიღაც უნდა ფიქრობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაულია მდედრთა მოდგმის და სასიამოვნო გახსენებათა წინაშე.

15688. ქალები ზოგჯერ ხმამაღლა გვემშვიდობებიან, მაგრამ უკანდასაბრუნებლად ჩვენი სიყვარულის იმედი აქვთ.

15689. დალაგებას ქალი ყოველთვის თავის ჭკუაზე ცდილობს, ეს სახლის იქნება თუ მამაკაცის ჭკუის.

15690. გამოთქმა: „ყველა ქალს შეუძლია მილიარდერი მამაკაცი მილიონერი გახადოს“, ქალთა 80%-ს შეესატყვისება, იმდენად დიდია

მათი დღევანდელი მისწრაფება „კარგი ცხოვრების“ და ფუფუნებისაკენ.

15691. ქალი მამაკაცს ეძებს დიდი მომავლის პერსპექტივით, კაცი ქალს – უმნიშვნელო წარსულით.

15692. ქალის ყოველგვარ უხასიათობას, კაპრიზს. მამაკაცის ღირსება აკეთილშობილებს, გამოასწორებს – უბრალოდ, ის სექსში უნდა „დაჩაგროთ“, აღაფრთოვანოთ შეგნებით, რომ მას ძალზე გაუმართლა თქვენს ხელში.

15693. ზარმაცი ქალისთვის დიდებული ვარიანტია იყოს ვიღაცის და რაღაცის „მსხვერპლი“, რათა თავი შეთხზული ალიბით იმართლოს.

15694. ქალი თავისი უგნურებით, მეძავობისადმი მიდრეკილებით, სათუოს ხდის მომავალს, მამაკაცი – კაცის ღირსების ჭკუაზე სიარულით.

15695. ასპროცენტიანი ქალი არ არსებობს, იმისდამიუხედავად, რომ არჩევანმა გაამართლა.

15696. ნაღდი და სათნო ქალი ის არის, ვინც ბერბიჭას ოჯახის შექმნის ხასიათზე დააყენებს.

15697. დღეს ქალი თავის სიმდიდრეს პატიოსნების, შემთხვევის, შესატყვისად აბანდებს და მოიხმარს.

15698. საყვარელი ქულების დაგროვებითაცაა შესაძლებელი, თუ ერთ-ერთი პარტნიორი ჩასაფრებულია, წლების მატებას არად აგდებს და თავის დროს უცდის.

15699. ქალს მამაკაცი უფრო სჭირდება, ვიდრე – პირიქით, რადგან ქალის გენეტიკა ბავშვის ჩასახვა-აღზრდას მოითხოვს.

15700. მომხიბვლელი ქალის წინაშე მამაკაცების ხროვა კუბომეტრობით თუ არა, ლარტყებად მაინც უნდა ეწყონ.

15701. ქალის საჩუქრად მირთმეული ყვავილები სიამოვნებს, შამპანური უხარია. მე, ყოველ შემთხვევაში, შამპანურს ვარჩევ მისართმევად და ჯერ არც ერთს საყვედური, შამპანური ყვავილებით რატომ არ შეცვალეო, ჯერ არ „უკადრებია“.

15702. ქალისთვის უფულო მამაკაცი ცარიელი ადგილი და მარად გაკილვის ობიექტია.

15703. ცოლს მამაკაცის გამოთაყვანებაც შეუძლია და გამოყენებაც, ოჯახის ზრუნვის მომიზეზებით, ხოლო საყვარელს ამის არც უფლება აქვს და არც ალიბი.

15704. ყველა მრავალშვილიანი დედა ქვეყნის დედოფლობის ღირსია.

15705. ქალის ღირსების და გარეგნობის პარამეტრები ყველა დროში გადახედვას და მოდაზე აყოლას მოითხოვს.

15706. ქალს ოჯახში საქმიანი და შემომტანი მამაკაცი სჭირდება და არა – რომანტიკოსი, რადგან პრელუდიის დრომ და სასიყვარულო ოფოფებმა ჭირი მოგჭამეს.
15707. პირველ რიგში, მამაკაცისთვის ქალი ვნებით სასუსნავია, შემდგომ მოდის მისი ოფოფები და კაპრიზი.
15708. ქალი – დედა კანონზე მაღლა დგას და მას საზოგადოების „ფურთხი“ არ ეცხება.
15709. ქალებს დიდხანს ცდა არ ეხერხებათ, მათაც თავის ოფოფები, სექსოლოგია და ყოფის კრედიტ-დებეტი აწუხებთ.
15710. ქალი, პირველ რიგში, თავის მამაკაცს უნდა შესტრფოდეს და შემდგომ უნდა უყვარდეს, ხოლო მამაკაცი მდედრით უნდა ტკბებოდეს და მისდამი სიყვარულს უნდა გრძნობდეს.
15711. ბედნიერ ქალს, უპირველესად, ქმარი სჭირდება და არა – ოჯახის უფროსის მანტიაში გახვეული „ქმარუკა“.
15712. ზოგიერთი მსახიობი ქალის მშვენიერების შემყურეს მისი რეალური ტალანტის აღქმა გიჭირს, რა უფრო მოგწონს მასში, ვერ გარკვეულხარ.
15713. დღეს ის ქალია პიროვნება, რომელიც ოჯახს ინახავს და მიღების საათები ქმრისთვის გამოყოფილი აქვს.
15714. ცოლს, რომელიც ყოველდღე „იავნანას“ გიმღერის, ნერვებს არ გიშლის, უსიამოვნო კითხვებს არ გისვამს, ორმაგი დაფინანსება სჭირდება.
15715. ვთქვათ – არ ვთქვათ, ქალისადმი ინტერესი ძირითადად ვნების დამსახურებაა და ბასტა.
15716. ქალის გულის ბოლომდე მოსაგები კომპლიმენტი ჯერ არავის უთქვამს.
15717. მორალს ქალები ქადაგებენ კაცების გასაგონად და საყურადღებოდ და მათგან მოითხოვენ სხვა ქალებთან ურთიერთობისას დაიცვან და არა – მათთან.
15718. ქალს, რომელსაც სახე მარად უღიმის, პარტნიორი მამაკაცის ნემსკავით მოძებნა არ გაუჭირდება.
15719. ქალის სილამაზე და საერთოდ, სილამაზე, თავადაა საკუთარი თავის სპონსორი.
15720. ცოლი, რომელიც ბავშვს არ აჩენს, „კურტიზანკაა“ და ოჯახს დედა ეკარგება.
15721. ქალმა ინტუიციით უნდა იგრძნოს, სად რა დათმოს და სად რა შესწიროს საბოლოო მოგების სანაცვლოდ.
15722. ქალი ბედნიერების საწყისია, მაგრამ ზოგჯერ გაუგებრობაც

მოაქვს.

15723. ქალი პრივილიეგიისთვის უნდა იბრძოდეს და არა – თანასწორუფლებიანობისთვის, თუ უნდა ქალად აღიქვან და ასეთად დარჩეს.

15724. ქალი მოწოდებულია შეცდომების, გადაცდენების, სისულელეების, ჩასადენად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ქალურობის ხიბლის აღქმა გაჭირდებოდა.

15725. სექსის პრიორიტეტი ყოველთვის მუშაობს, თუ ღირსეული პარტნიორის შერჩევა გვეხერხება.

15726. ქალს გუმანი და ინტუიცია კარგი აქვს, მაგრამ მოწონება – არ მოწონებას ყოველთვის ალღოს ვერ უღებს, იმდენი გაუთვალისწინებელი პარამეტრები აქვს დასამუღამებელი.

15727. ქალს ინტუიცია არასოდეს ღალატობს.

15728. სასურველია ვეძიოთ ჩვენი სულიერების სურნელის და ვნების ქალი გარკვეულ დრომდე, გარკვეულ შემთხვევამდე, თუ გაგვიმართლა, თუ არა და მოწონება, გარიგება და „მისი ჯანი“.

15729. „ფემინისტის“ ყველა ქმარი სულით დიასახლისია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ერთად ყოფნა გაუჭირდებათ.

15730. საბრალო ქალებს, დღევანდელი მოდის გადამკიდეთ, ასაკის მალვასთან ერთად, საკუთარი წონის მალვაც უხდებათ.

15731. ჯენტლმენზე ქალის წარმოდგენა დამოკიდებულია შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებაზე.

15732. უალერსოდ გადაგებული მანდილოსანი მდედრის ის ნაირსახეობაა, რომელიც ქალის „პროვოკაციის“ სახით მოგვევლინება.

15733. დიდი ბრიტანეთის „რკინის ლედის“, მარგარეტ ტეტჩერის, ვაჟიშვილი აფრიკაში კინაღამ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობისთვის დახვრიტეს, ქალიშვილი რასისტული გამონათქვამებისთვის ტელევიზიიდან გამოაბრძანეს. ამიტომაა ნათქვამი: „ქალი სახლში უნდა იჯდეს და ოჯახს მიხედოს“.

15734. პოეტი ქალს ლექსის მიძღვნით „აბამს“, მხატვარი – პორტრეტით, ხოლო დურგალია, საწოლს რომ სთავაზობს და თანაც დაუყონებლივ.

15735. ქალს მცირე ცოდვა უნდა შეუნდო, მაგრამ დიდი არ უნდა აპატიო, თუ გინდა მისთვის ღირსეული მამაკაცი იყო და ასეთად დარჩე.

15736. ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, კონკურენციას ვერ იტანენ, რადგან დროში „იჭრებიან“ და სასურველი მამაკაცის ძებნისთვის, ასაკის მატების გამო, დრო არ ჰყოფნით.

15737. ქალში უფრო მეტი პოეზია და დრამატურგიაა, ვიდრე პროზა და

დეტექტივი.

15738. ქალისთვის სახე სავიზიტო ბარათია, ტანი ავტოგრაფია, მკერდი ფაქსიმილეა, რომელთა გამოყენებით თავის „მეობას“ ადასტურებს.

15739. ქალთან მეგობრობას ისევ მისი საყვარლად გახდომა ჯობს, ნაკლები მოვალეობა გაკისრია.

15740. ქალმა რომ მამაკაცს აცალოს და არ წაეხმაროს, არასოდეს არ იქნება მზად დასაოჯახებლად, იმდენად სხვადასხვაა მათი დამოკიდებულება ქორწინების ინსტიტუტის მიმართ.

15741. ქალი „დროში იწვება“ და ოჯახს ამიტომ ქმნის, კაცი მოვალეობას, ინსტინქტით იხდის შთამომავლობის წინაშე.

15742. გათხოვილ ქალებთან ურთიერთობა უფრო ხელსაყრელია, ნაკლებად პრეტენზიულნი არიან, ამასთან, მის „დაგრილებაში“ ქმარი გეხმარება და რაც მთავარია, ცოლობას არ გთხოვს.

15743. ქალს თავისი უფლებები უფრო აინტერესებს, ვიდრე ამ უფლებებიდან გამომდინარე შედეგი.

15744. ქალი იმ აზარტულ მეთევზეს მოგვაგონებს, რომელიც ბადეში მოყოლილი თევზებიდან იმას ამოირჩევს სატრაბახოდ, რომლის მოწობების ხასიათზეა.

15745. ქალი თავის გულის გასაღების დუბლიკატს ოცნების მამაკაცისთვის ინახავს.

15746. ქალი ნაკლს მოდაზე ჩაცმით, კოსმეტიკით, მოხერხებით ებრძვის, კაცი – ფულით, ჭკუით, ქათინაურებით.

15747. ქალს პირველი და ბოლო მამაკაცის გახსენება უჭირს, როგორც მამაკაცის.

15748. მოხერხებული ქალები სიამოვნებისთვის ხვად და სექსაობის მცოდნე მამაკაცებს იქირავებენ, მაგრამ გათხოვებით პერსპექტიულ მამაკაცებს მიყვებიან, რადგან ხვადები „ქმრობას ვერ ქაჩავენ“ მატერიალურად.

15749. ქალს „ქარის“ დაწერილი ქათინაურები უფრო მოსწონს, ვიდრე რეალური, რადგან ის ასე მომხიბვლელი არაა.

15750. ყველა აზრიან ქალს პატივმოყვარეობა შეძლებისამებრ აქვს.

15751. ქალის სხეულის ორგანოებს, და მათ შორის, სულიერებასაც ერთდროულად გული ცვლის.

15752. ქალი თავაღებულია, როდესაც თავის ინტერესებს იცავს და შეუპოვარია, როდესაც მოდაზე ჩაცმა სურს.

15753. ქალს თავისი ინსტინქტი ბევრ გაჭირვებას და ყოფის გაუგებრობას გადაატანინებს.

15754. ქალი ერთდროულად ქორიცაა და მშვიდობის მტრედიც, გააჩნია, რა საკენკს გადაუყრიან და რა ხასიათზეა.
15755. ზოგჯერ სისულელეების ჩადენით ქალს შეიძლება თავი მოაწონოთ, მაგრამ დროებით და პერსპექტივა-დაფინანსების იმედით.
15756. ქალს ბუნებრივი დაბნეულობა ძალზე ამშვიდებს, თუ მასში ხელოვნების ნიჭის ელემენტებიც ურევია.
15757. ქალის მომხიბვლელობა ბუნების დაუმადლებელი ნიჭის შედეგია, რათა მამაკაცთა მოდგმამ მამაკაცად ყოფნა არ დაივიწყოს და არ მოდუნდეს.
15758. ქალს, მართალია თუ მტყუანი, ბოდიშის მოხდა მამაკაცმა უნდა დაასწროს მოხდენილად და მზაკვრობით, რათა სადავო და სასიყვარულო ამოიწუროს და კომპრომისის ძიებაზე დრო არ დაიკარგოს.
15759. ქალის ოცნებას მისი გამოყენების შეუძლებლობა ასხამს ცივ წყალს და არა ქალის სიამაყე.
15760. ქალის ვნების მოჭარბებას ზადს, ავ ზნეს, უხასიათობას, მიაწერენ და არა ბუნებრივ მოთხოვნათა გათავხედებას, რომლის მოთოკვა ქალის ძალას აღემატება.
15761. კრედიტით იქნება თუ ბითუმად, მოხერხებულ ქალს მამაკაცისგან თავის სარგო ყოველთვის მიაქვს.
15762. ქალი მამაკაცს ცხოვრების გზაზე მუდამ თან უნდა ახლდეს დაყვავებით, გაწბილებით, სიამოვნებით, იმედით და დატირებით.
15763. ქალის გულს მოხერხებული შემოქმედი იპყრობს და აწრთობს.
15764. ქალის მოთვინიერებას განგების ნება, შემთხვევა და დროის სასიყვარულო ყივილი სჭირდება.
15765. ქალის სიყვარულის ალგორითმი მისთვისაც გაუგებარია.
15766. ყველა ქალი სულით ინდივიდია და მისი სხვა ქალთან შედარება, სულიერებისთვის რევიზიის ჩატარების ტოლფასია.
15767. კოცნასაც, ცოდნის გარდა, ვნების მოჭარბება და ქალის სურნელის გათავისება სჭირდება.
15768. ქალი, ფაქტიურად, მამაკაცის ჩვევებს მიჰყვება ცოლად და არა – მამაკაცს.
15769. დღეს ქალების გააქტიურება, ინტერნეტის მოშველიებით, მამაკაცების დაბეჩავების და ვიზუალურად „სექსბომბა“ ქალების მომრავლების შედეგია.
15770. ქალს უნდა შეეძლოს მამაკაცის სულის გათბობა, გულის გალღვობა, თვალის ახვევა-ჩახუტებით.
15771. სათვალეს ქალები უმთავრესად თავიანთი შარმის, პეწის, წარ-

მოსაჩენად არჩევენ და არა იმდენად მხედველობისთვის.

15772. ხშირად ქალი სარკეში იმას ხედავს, რაც მის კაპრიზს სურს და გონება არ ეთანხმება.

15773. ზოგი ქალი ანგელოზად მოვლენილი ეშმაკია და გათხოვების შემდგომაც უკეთესი მამაკაცის დაიღლიავების იმედი აქვს.

15774. ქალი არასოდეს წყენას არ ივიწყებს, გადაგიხდის სამაგიეროს თუ არა, სხვა საქმეა.

15775. ქალი ქალბატონია თუ დედაკაცი, ამას ჯერ მისი ქცევა განსაზღვრავს, შემდგომ – ჩაცმულობა.

15776. მომხიბვლელობა ქალს ალამაზებს, ახლობლებს აამაყებს ღირსეული შთამომავლის დატოვების იმედით.

15777. ქალები აღფრთოვანებით იცვამენ მოდურ ტანსაცმელს და ვნებიანად იხდიან იმ მამაკაცის წინაშე, ვინც ამის შეძენის საშუალება მისცა.

15778. იუნონას, ვენერა, ეტილას, ცერერას და სხვა ქალღმერთებს ქალწულობაზე თავი არ დაუდვიათ, მაგრამ ღმერთობისთვის თავი არ დაუნებებიათ, გარკვეულ დრომდე და მივიწყებამდე.

15779. ქალს იშვიათად ჰყავს დაქალი, რომელიც მას ბოლომდე შემორჩება, ვინაიდან ის მაინც ქალი და კონკურენტია.

15780. ჩვენ რა უნდა მოვუხერხოთ ქალის კაპრიზს, თუ ყოველი მათგანი განგების ნების შესატყვისად არის „ნაჩალიჩევი“.

15781. ოჯახი დიდი გამოგონებაა ქალებისათვის, მათ ოფიციალურად ეძლევათ უფლება თავიანთი კაპრიზი, ამბიციები, შენიშვნები, გამოხატონ, ეს სამართლიანი იქნება თუ დემაგოგია.

15782. ქალი ვნების მოთხოვნით უნდა გაირყვნას, თორემ სული მუდამ სათუთი, მორიგი სიყვარულისთვის შეფუთვნილი და გამზადებული უნდა ჰქონდეს.

15783. ქალის მოხდენილი გარეგნობა აღგვაფრთოვანებს, მაგრამ მასთან სექსაობას არაფერი შეედრება, თუ ის შენს ვენებზე მორგებული „კახპა“ და ამ საქმეში განათლებულია.

15784. ყველაზე ძნელი სიახლის შეტანა და გამოგონებაა სექსში, მაგრამ გენიალობა აქაც თავის სიტყვას ამბობს, რადგან მას ყველა დარგში, დრო და დრო, თავისი სიტყვა აქვს სათქმელი.

15785. საწოლში ქალი რამდენიმე უცნობ განტოლებას და ერთ ნაცნობ აქსიომას უნდა ხსნიდეს.

15786. ქალის ცრემლის ამოხსნაც თავის თეორემას და მამაკაცისთვის გასაგები ფორმულას ითხოვს.

15787. ქალისთვის უმთავრესი ასაკის მატება კი არ არის, არამედ რამ-

დენი კილოგრამით დამძიმდა მისთვის სანატრელ წლებთან შედარებით.

15788. მომხიბვლელობა ყველა ქალში შეიძლება მოვიძიოთ, მაგრამ არა – ხარიზმი.

15789. ქალთან არაფრისმთქმელი „ჭუკ-ჭუკი“ გაღელვებს, მუსიკის ჰანგებად გეჩვენება და სიამეს გვგვრის.

15790. ქალის სულიერების საუკეთესო მკურნალია მოუთოკავი ორგაზმი საყვარელი მამაკაცისაგან.

15791. ქალი ცხოვრებას „ნაცემ-ნაგვემი არ უნდა ჰყავდეს“, თუ გვინდა მისგან ქალბატონი მივიღოთ.

15792. ქალი ყველა მამაკაცს პერსპექტივაში ხვადად აღიქვამს, ქმრის გარდა.

15793. ზოგი ქალი სულით მუდმივი პატარძალია, ისე უყვარს საკუთარ თავზე ხმების დაყრა.

15794. ქალის ვნებების ჩოჩქოლს მამრის ვნებათა ვერც ერთი ღელვა ვერ შეედრება.

15795. ქალს ექსპერიმენტების ჩატარების სურვილი, ყველაზე მეტად, თავის მამაკაცზე აქვს, მაგრამ სიმორცხვის გამო ამ ცდების ნახევარსაც ვერ ატარებს.

15796. ქალები იმიტომ ინტერესდებიან კაცებით მათზე მეტად, რომ სარეალიზაციოდ გამზადებული არსებაა, თუმცა არჩევანი მათ ეკუთვნით.

15797. კარგია ინტერნეტივით ქალი, როდესაც ხასიათზე ხარ, ჩართავ, გაეხუმრები, გამოიყენებ, ისიამოვნებ, მოგბეზრდება – გამორთავ და შენ ჭკუაზე დაისვენებ.

15798. ქალს, გვინდა – არ გვინდა, მეტ-ნაკლებად ვუჯერებთ, მაგრამ ანგარიშს ყოველთვის ვუწევთ.

15799. ქალი კაცისთვის მუდმივად გაუგებარი და ამოსახსნელი განტოლება უნდა იყოს, თუ მამაკაცს ჯანი მოსდევს და ასაკიც ხელს უწყობს.

15800. ქალი განგების ნებაა, ბედის წყალობაა, ეშმაკის მოგზავნილია, ანგელოზობისთვის იღვწის და იმ მამაკაცს დაჯავშნავს, რომელიც ყველა ამ განზომილებას ამართლებს და სიყვარულით დაკოდილია.

15801. ის მარსიანელი ქალებიც მომწონს, რომლებიც წარმოსახვითაც არავის უნახავს.

15802. საერთოდ, ქალი და კაცი, ერთმანეთის გასაბედნიერებლად არიან მოვლენილნი, იმისდამიუხედავად, ეს დაწყვილება პლუსით დამთავრდება თუ მინუსით.

15803. ქალის და მამაკაცის მცდელობას შორის დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ მაინც ქალის სასარგებლოდ ხდება.
15804. ანეგდოტებს ქალებზე მამაკაცები იგონებენ, ხოლო ქალები სიამოვნებით ისმენენ.
15805. ყველა ქალს, ოცნებით მაინც, გაუტირაჟებელი წარსული უნდა ჰქონდეს, რომლითაც ჩუმად ამაყობს.
15806. კაცის შესაძლებლობები ქალის მიმართ, განსაზღვრული და ლიმიტირებულია, ქალისა კი – განუსაზღვრელი და ოცნებით შესაძლებელი.
15807. ქალს საწოლში პოლიგამიაზე და ინტეგრალებზე საუბარი და ლექცია არ შველის, მას მოფერება და ასაკის მიუხედავად სექსის დაძალებაც უნდა.
15808. თუ ქალი ნაოცნებარი მამაკაცის მაგვარს გადაეყარა, დაოჯახებისთანავე მის „კაპიტალურ“ რემონტს იწყებს.
15809. ქალისადმი უყურადღებობა უღიმღამოდ გატარებულ წლებად და უაზროდ დახურდავებულ სიცოცხლედ გვჭირდება.
15810. ქალის მიამიტობა მომხიბვლელია, თუ მის იმიჯს უხდება.
15811. ყველა ქალი თავისებურად გონიერია, რადგან პოტენციური დედაა.
15812. ქალის ვითომდა მიამიტობა მოხდენილად დაგებული ხაფანგია, რომელშიც მამაკაცთა უმეტესობა ებმება.
15813. თუ საჭირო ობიექტი შეთვალიერებული არა ჰყავს, ქალის ცხოვრება უინტერესოდ მიიზლაზნება.
15814. ქალმა, თუ სურს სამართლიანი იყოს, ოჯახის წევრებზე სიყვარული თანაბარ-შეწონილად უნდა გადაანაწილოს.
15815. ქალების ჩუმი თანხმობით მამაკაცები ბევრ საინტერესო და კურიოზულ ამბებს თხზავენ მათზე, რაც მათ ღიმილს და თავის მოწონებას იწვევს.
15816. ქალი რას ფიქრობს მამაკაცზე, ეშმაკმა უწყის, ხოლო კაცს რომ დაცემული ანგელოზებისკენ აქვს მიდრეკილება, ამის შესახებ ყველა ქალმა იცის.
15817. ქალები ასაკს იმიტომ მალავენ, რომ სექსუალურად აღვიქვათ, ხოლო კაცები იმიტომ ამხელენ, რომ სექსში მარცხის შემთხვევაში, ყოველივე ასაკს გადააბრალონ.
15818. სიცოცხლის გახანგრძლივების უებარი წამალია რწმენა და ოპტიმიზმი. ყოველ შემთხვევაში, ქალები უფრო მეტს ცოცხლობენ, რადგან ეს მათ გაცილებით მეტი აქვს.
15819. ფაქტიურად ქალის მომხიბვლელობა, ქცევა, უბიძგებს მამაკაცს

ძალადობისკენ, მაგრამ პასუხს მარტო კაცებს თხოვენ.

15820. სილამაზე ქალის პასპორტია, მომხიბვლელობა – მისი ავტობიოგრაფია, ხოლო სხეულის სხვადასხვა ნაწილების სიამით აღქმა – შრომის წიგნაკი.

15821. ვინც ძილის წინ ქალზე ფიქრობს და რეაგირებს, ასაკის მიუხედავად, მოხუცად არ ითვლება, რადგან იმქვეყნად გადაბარგების საფიქრელად ვერ იცლის და არც სულით ბერდება.

15822. სარკე, გარდა ქალის გარეგნობისა, მის ხასიათსაც რომ აირეკლავდეს, წარმოაჩენდეს, მამაკაცთა მოდგმის ბედს „ძაღლი არ დაყეფდა“, მაგრამ საზოგადოება დღევანდელი სახით იარსებებდა თუ არა, სხვა საქმეა.

15823. დიდმკერდიანი ქალი, პატარა მკერდიანთან შედარებით, ნაკლებად გონიერია, რადგან პირველს მამაკაცების მზერა და ყურადღება გარანტირებული აქვს და ფიქრით და მცდელობით თავს არ იწუხებს, მეორეს ჭკუის მოხმობა სჭირდება ყურადღების მისაპყრობად.

15824. ქვრივისთვის მეორედ დაოჯახება და თავის ხელახლად მინდობა მეორე ნახევრისთვის გარკვეულ გამბედაობას მოითხოვს.

15825. მიცვალებული მეუღლე ყველაზე ტკბილი გასახსენებელია უკაცოდ დარჩენილ ასაკოვანი ქვრივისთვის, რომელსაც მეუღლის ადრეული წასვლა იმქვეყნად ღალატად მიაჩნია.

15826. ქალს ხშირად, სექსზე მეტად, კომპლიმენტი სჭირდება, რომ განუმეორებლად და ერთადერთად იგრძნოს თავი.

15827. კეკლუცობას, კოპწიაობას, სიყვარული და მომავლის შეცნობის უნარი ახალისებს.

15828. ქალი გვესაუბრება ღიმილით, თვალების დაჟუჟუნებით, დეკოლტეთი, ფეხების სიგრძით, მოხდენილი ჩაცმით, რომელსაც მამაკაცი შინაგანად გრძნობს და იაზრებს.

15829. მამაკაცს წინასწარ რომ სცოდნოდა, ქალს რა უდევს თავში, მაინც წაგებული დარჩებოდა, რადგან ქალი როდის რას გადაიფიქრებს, არავის უწყის.

15830. კეკლუცობა, ნიჭთან ერთად, ხელოვნებაა, რომლის ბრჭყალებს იშვიათად თუ დასხლტომია მამაკაცი.

15831. ქალის სილამაზე გვაბრიყვებს, ღიმილი გვრთგუნავს, სიცილი გულს გვინათებს.

15832. გარემოებათა გამო შეიძლება ქალი სექსში არ ვარგოდეს, მაგრამ ის რომ ქალია, არ უნდა დავივიწყოთ.

15833. სილამაზის თუ არა, მომხიბვლელობის შენარჩუნება სიცოცხლის ბოლომდე შესაძლებელია, თუ ნებისყოფას ფლობ.

15834. ქალებს მოსწონთ, როდესაც ჩუმად ემიჯნურებიან, ეტრფიან, განიცდიან და თავდავიწყებით შეყვარებულნი არიან, ოღონდ გახმაურების გარეშე.

15835. ფულით ქალის სიყვარული არ მოიპოვება, უბრალოდ, არენდით იღებენ ან ყიდულობენ გარკვეულ დროს.

15836. დღეს ქალები კომპლიმენტებს, თაყვანისცემას და სიყვარულსაც, საბანკო ბარათით ითხოვენ, ყვავილების ნაცვლად.

15837. ყველა მიმზიდველი, განათლებული, ოჯახში აღზრდილი, მდედრი პოტენციური დედაა, სანამ მამრი თავის გემოზე არ დაბუბნის და ქალად არ აქცევს.

15838. საოცარია, ლამაზი ქალის გრძელი ფეხები უფრო გვაღელვებს, ვიდრე მთლიანობაში ქალი და ცნობიერების ეს ფენომენი უდაოდ ამოხსნის ღირსია.

15839. ქალი ქალს უკეთ აფასებს, მაგრამ მამრი მათ შორის დიდ სხვაობას ვერ გრძნობს.

15840. ქალთა აუქციონზე, ფაქტიურად, თავად ქალები იძენენ მამაკაცებს, მათივე ფულით და არა – პირიქით, როგორაც ეს მამაკაცებს ჰგონიათ.

15841. ბოლოს შენ საყვარელ ქალში იმის მეათედის ნახვაც კი ვერ შესძელი, რაზეც გიოცნებია.

15842. ქალის მსხვერპლად შეწირვა ზარალია, უპირველესად, კვლავწარმოებისთვის.

15843. ქალი მამაკაცს მისი წარსულის მიფუჩეჩებისთვის უმადლის, ხოლო მამაკაცი ასაკში – მისი უსუსურობის დაფარვისთვის.

15844. ქალი და მეცნიერება დიდი კაიფია ერთი ფინალით: პირველით ტკბობას ასაკის უკუღმართობა თავს განებებინებს, მეორესას – უდროოდ შემოჩენილი სკლეროზი.

15845. ქვეყნის ეკონომიკას ფაქტიურად ქალები მართავენ: მამაკაცებს აიძულებენ მეტად იყოჩაღონ, ხელი გამოიღონ, თავი გაანძრიონ, კაპრიზები მოაგვარონ, მათი გულიც მოიპოვონ და თავადაც გალაღდნენ.

15846. ქალი არა მარტო ოჯახის აღმშენებელი-დამანგრეველია, არამედ მამაკაცის გონიერება-ცნობიერების დამღვინებელ – აღმაფრთოვანებელიც.

15847. გათხოვილ ქალთა 80-85% არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებოდა თავის დღევანდელ მეორე ნახევარს, ხოლო გაუთხოვართა 90-95% თანახმა იქნებოდა გაჰყოლოდა ყველა იმ მამაკაცს, ვინც შვილის გაჩენაში დაეხმარებოდა.

15848. ქალის გათხოვების შესაძლებლობას მისი გენი, ბუნება, გუნება, გარემო, განსაზღვრავს და არა – აღზრდა, ტრადიციები, საზოგადოების წესი, რომელიც ალიბის როლს ასრულებს გაუთხოვრობის გასამართლებლად.

15849. ქალის გაუპატიურება თვალებითაც შეიძლება, წარმოსახვითაც, კომპიუტერითაც, თუ ამის უნარი და გრძნობათა „გიჟმაჟი“ შეგწევს.

15850. ყველა ქალმა თავის მამაკაცზე უნდა შექმნას სიმართლისმაგვარი ლეგენდა გატირაჟებით, ეს არის და ეს მამაკაცის დაბმის ანიც და ბანიც.

15851. ქალის უმთავრესი სამსახური დასაქმება-დედობაა, რომელსაც სხვა საქმიანობას უთავსებს, რათა თავისებურად გაერთოს, ცხოვრებას არ ჩამორჩეს, გასამრჯელო მიიღოს და ოჯახს წაეხმაროს.

15852. ქალია ის, ვინც ყოველთვის ფორმაშია, შინაგანად ანათებს, მამაკაცის გრძნობებს სიამით მუხტავს და სულიერებას ხელშეუხებლად ინარჩუნებს.

15853. ქალს გვერდით „სწორი“ და არა – მართალი მამაკაცი უნდა ედგეს, თუ უნდა ბედნიერი იყოს პრაქტიკულად და არა – თეორიულად იმედების გაბაიბრუებით.

15854. ქალი ოჯახის ის აუცილებელი „პერპეტუუმ მობილეა“, ტალკვესია, რომელმაც მამაკაცზე მუდამ უნდა იძალადოს, რათა აიძულოს იქით გაისროლოს „სიკეთის ტყვია“, საითაც ოჯახსაც არგებს და ღირსეული მემკვიდრის აღზრდასაც.

15855. მე მინდა იმ ქალის სადღეგრძელო შევსვა, რომელიც გაჭირვების მიუხედავად, მამაკაცის „ღირსების“ რიგში დგომას, ყოფის ფრონტის ძიების რიგში დგომას ამჯობინებს, მილიარდერ შეიხს ცოლად არ მიჰყვება და მისთვის განკუთვნილი ერთადერთი მამაკაცის ლოდინშია.

15856. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით დღეს ქალის კაბა არ იჭმუჭნება, მაგრამ სახის და სხეულის დეფორმირება – „შელანძღულობას“ ექიმის ხელი სჭირდება.

15857. ქალში სილამაზის შემჩნევას ნიჭი სჭირდება, ვნების სურვილით.

15858. ქალს მშვენიერების გამოსხივების უნარი შესწევს, თუ ენით ლაქლაქს კონტროლს გაუწევს.

15859. ყველა ეროვნების ქალს აქვს თავის შარმი, მაგრამ, ამ ხიბლს ქართველი ქალის ერთგულებაც ეხმარება, ხშირად, კუბოს

ფიცრამდე.

15860. ქალის სიყვარულის და მომხიბვლელობის ფორმულა, ერთგულებაა.

15861. ყველა ეპოქას ლამაზი ქალები ჰყავდა და ეყოლება, რადგან სილამაზეც თავის დროის შესატყვისად აღიქმება.

15862. მომხიბვლელობის და მუდმივად „ფორმაში“ ყოფნის გარდა, ქალს დიპლომატიის ნიჭიც სჭირდება და საჭირო „ფორმონები“, რომლის სურნელი მამაკაცზე თავბრუდამხვევად მოქმედებს.

15863. ქალის დაფასება-შეფასების უმთავრესი ინდიკატორია მამაკაცის „ღირსების“ მდედრზე რეაგირება და მისი „დასაგრილებელი“ მოქმედება.

15864. ქალები თავიდან ცოტას ითხოვენ, მაგრამ გაცილებით მეტს იღებენ, ყოველ შემთხვევაში, კაცებს ასე სჯერათ.

15865. ქალთან ფუსფუსი სიყვარულია, ხოლო მისი მადლის შეცნობა – სიყვარულის ნიჭი.

15866. ქალის ექსპანსია ნამდვილი მამაკაცის მიმართ უცვლელია, თუ მდედრი „სექსბომბაა“ და მამრს ხელის შემოხვევით ეხსნება ასპარეზი.

15867. ოცნებისაგან განსხვავებით, კომპიუტერით აწყობილი, ულამაზესი სხეულის ნაწილებით შექმნილი ქალი ისეთი არ გამოდის, როგორც წარმოგვედგინა, რადგან ქალს ბუნებით მომადლებული შარმი, მოხდენილობა, ამშვენებს და არა – ხელოვნურად შექმნილი მიმზიდველობა.

15868. მომავალში, ქალწულობის მოდაში შემოსვლასთან დაკავშირებით, ბანკს შეუძლია ქალწულობის აღსადგენი კრედიტის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ ამდაგვარი კრედიტით წინათ არ უსარგებლიათ.

15869. ქალის ოცნება თბილადაა შეფუთვნილი და ბედი გამოამზეურებს.

15870. ქალისთვის ზოგჯერ ნაძალადევი „ქარაფშუტობა“ ის შარმია, რომლითაც მამაკაცის ყურადღებას იპყრობს, შინაგანი სილამაზის და მომხიბვლელობის წარმოსაჩენად.

15871. ქალი, ძირითადად, საკუთარი სიამოვნებისთვის იცვამს, მამაკაცის აღსაგზნებად იხდის, დაქალების ჯობნას ცდილობს, გარეშეთ თავს აწონებს და კონკურენტებისთვის ბიშტის ჩვენებას არ ერიდება.

15872. სილამაზესაც წარმოჩენა, გაფრთხილება, სულ ფორმაში ყოფნა, სჭირდება, რადგან განგებამ იმიტომ გაჩუქა, რომ სხვები აღაფრთოვანო, თავი მოაწონო და ასიამოვნო.

15873. ყველა ქალი თავისებურად ლამაზია, მაგრამ ზოგიერთი „მჯობნის მჯობის“ ანდაზას ახუნებს.

15874. ქალი ევოლუციის „გათავხედების“ სასწორზე კაცის ხასიათის ცვალებადობას, მისი გამოყენების საჭიროებას, უკეთ განსჯის, ვიდრე მამაკაცი, მაგრამ იძულებულია დროს და გარემოს გაუწიოს ანგარიში.

15875. ქალისათვის ღირსეული მამაკაცი შეძლებული ინვესტორია, მამაკაცისთვის ქალი გამაჯანსაღებელი, მომხიბვლელი წურბელაა.

15876. ახალგაზრდა „ქალღმერთის“ სიყვარული გვახალისებს, გვახარებს, ჯიბეს გვისუფთავებს, ხოლო ცოლად ქცევის შემდგომ ოჯახის ავ-კარგზე გვაფიქრებს, გაგვრჯის და კვლავ უფულოდ გვტოვებს.

15877. სილამაზე დიდი იარაღია, თუ მას ხმის სინარნარესთან ერთად ჭკუაც ახლავს და ყოველივეს ამას მარჯვედ იყენებ კონკურენტთან დაპირისპირებისას.

15878. დედის სიყვარული შეუცნობელია და მარად ასეთად დარჩება, მასში ჩაწვდომის სურვილის და მცდელობის მიუხედავად.

15879. ის მდედრი მუდამ ყურადღების ცენტრშია, რომელიც თავს მარად ქალად აღიქვამს და თავს, ყოველდღიურად, თავის მშვენიერებას უმტკიცებს.

15880. ქალი თუ გარეგნულად არ აღგაგზნებს, მისი აზრები მაინც უნდა აღგაფრთოვანებდეს.

15881. ქალისთვის ყველა „განზომილებაში“ აუცილებელია კარგი მშობლები, თაყვანისმცემლები, ფული და ზომიერი ენის მათრახი.

15882. ქალი მარტო დიპლომატიური ნიჭით არ იმართება, თუ მას მატერიალურსაც არ შევაშველებთ.

15883. ქალის „მაშველი“ – მაჭანკალია „მეძავის ფორმულა“ თავისმართლებით, ალიბით „იმას რომ არ შევეცდინე, ხომ არ გავბახდებოდიო“. ე.ი. ყველაფერში სხვაა დამნაშავე და თავად უცოდველია.

15884. ლამაზსა და ლამაზმანს შორის ის განსხვავებაა, რომ პრაქტიკულად ორივე მისაწვდომია. ერთის მზერა გვატკბობს, მეორის – ვნება, ყიდვის პერსპექტივით.

15885. ქალის კაპრიზის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა თავისივე გრძნობებში ხეტიალი, ცრემლის მოშველიებით და თავისადმი ნიშნისმიგებით: „მე რომ იმას გავყოლოდი“.

15886. ქალისადმი ინტერესის დაკარგვა არც ერთ მამრს არ ეპატიება, რადგან ეს იმ ქვეყნისკენ უდროოდ გზის გამკვლევია.

15887. გაბედნიერების ფორმულაში ქალის ამოუცნობი იგრეკიცაა

„მოთავსებული“.

15888. „არას“ თქმა ხშირად ქალის კაპრიზია, ხოლო მის „ჰო“-დ გადაკეთება და არშემჩნევა – მამაკაცური ხელოვნების.

15889. ზოგჯერ ქალისათვის იდეალური ხდება ყველა ის მამაკაცი, ვინც მასთან ჯვარს „იფსკვნის“, რადგან მის ჭირვეულობას ასაკის მატება თოკავს.

15890. ზოგი ქალი, თავისი წარსულის გამო, წესიერი კაცის სიყვარულს არ იმსახურებს, მაგრამ განგების ნებას ვინ აღუდგება, რადგან მას უწესოს და წესიერის შეთავსების უამრავი ცდა აქვს ჩატარებული.

15891. მამაკაცსა და ქალს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი მონადირეა, მეორე მოხერხებული „მსხვერპლი“, რომელიც მამაკაცის გვარის მიღების სანაცვლოდ ოჯახსაც შეაქმნევინებს, ნაშიერსაც აჰკიდებს და თავის ჭკუაზეც ატარებს. ამასთან, ქალისთვის დედობის ინსტინქტი თანდაყოლილია, მამრისთვის შეძენილია, თუმცა დღევანდელმა ცივილიზაციამ ისიც საეჭვო გახადა და გენი გადააგვარა.

15892. ქალი მამაკაცისთვის სანადირო ობიექტია და იმადვე რჩება, სანამ ვისმეს არ შეიყვარებს, უღელს არ დაადებენ და აპეურებს არ წაუჭერენ.

15893. ქალს ყვავილების მირთმევა ყოველთვის გამოცანის წინაშე აყენებს, რადგან თავადვე უნდა გაერკვეს, ეს სიყვარულის უვერტიურაა, მოწონების საწყისია, პატივისცემა, თუ ვალის მოხდაა.

15894. ქალი ჩვენთვის ატარებს ბედნიერებას, მაგრამ წინააღმდეგი არ არის სხვას დაუთმოს, თუ შენ მის გვერდით არა ხარ, ან დააგვიანე.

15895. ქალს, ეტყობა, ჭკუა და ინტუიცია ჰორიზონტალური აქვს, ხოლო კაპრიზი და ოჯახის უფროსობისკენ მისწრაფება – ვერტიკალური.

15896. ქალს აქვს უფლება საკუთარი შეხედულებებისამებრ თავისი მომხიბვლელობა და სილამაზე ვნებათა ღელვით განკარგოს, მაგრამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მისი „გატანა“ ქვეყნის ინტერესებს ვნებს.

15897. ზოგი ქალი თუ ისე არ გამოიყურება, როგორც მას უნდა, მისთვის ცხოვრება აზრს კარგავს, ამიტომაცაა პლასტიკური ოპერაცია აუცილებელი, თავის დავიშვიშებით და გამოსავლის ძებნით.

15898. ქალს სიმართლეს ერთი მაცდური ღიმილი და ლამაზად ნათქვამი ყალბი კომპლიმენტი ურჩევნია, თუნდაც მოჩვენებითი მოწიწებით და რიდით ნათქვამი.

15899. ქალს ოჯახური სკანდალი არ ავნებს, პირიქით გამოაცოცხლებს,

წაახალისებს, წარმოაჩენს და ოჯახური კარიერის კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით ასწევს.

15900. არიან ფანტაზიას და მოდას აყოლილი ქალი-ფანატები, რომლებიც სათაყვანო მამაკაცის ხელში მუდამ „ქალიშვილები“ არიან და მაინც ბედს არ ემდურიან.

15901. ქალები ღია აქსესუარების ტარებით ცდილობენ თავიანთი „დამორცხვებული მეს“, ლამაზად და ეფექტიანად გამოჩენა-წარმოჩენას და დაუფასებელი სათნოებისთვის ბიშტის ჩვენებას.

15902. მიმზიდველობის ფენომენის უქონლობას ვერც ცხვირიდან დაწყებული მკერდი შველის, ვერც ყურებიდან დაწყებული ფეხები და ვერც წელზე მიდგმული უკანალი.

15903. ტურფაა, მშვენიერია, მზეთუნახავია, მაგრამ ჩერჩეტია და აქ იწყება დაწყვილების „ჰოს“ თუ „არას“ ალგორითმი, რადგან ჭკვიანი და ლამაზი ერთდროულად ამ სქესისთვის „ალბათობაა“.

15904. ქალის გული „შტურმით“ უნდა ავიღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეტევა პენს კარგავს და თავდავიწყების მადლი უფერულდება.

15905. ქალია ის, ვისკენაც გული გაიწევს და გარკვეული დროით შენი ანგელოზი ხდება.

15906. თუ საძულველი მამაკაცი მასზე ფიქრობს, ქალი მაინც ინარჩუნებს, რადგან რეზერვს იქმნის, გაურკვეველ მომავლისთვის.

15907. ქალისთვის უმთავრესია მამაკაცში პრინციპი დაინახოს, შეეჩვევა თუ არა რეალობას, უკვე ბედის საქმეა.

15908. ქალის ოცნებაა ყველა აღაფრთოვანოს გონიერების წართმევით.

15909. პრაქტიკულად ქალის გაკაპასებას რეალური მიზეზი შეიძლება არ ჰქონდეს, მაგრამ თეორიულად საფუძველს მაინც გამონახავს, დაუდებს.

15910. ქალმა კარიერა ღირსების და ლამაზი ქცევის მოშველიებით უნდა აკეთოს, სხვანაირად, მის მოღვაწეობას მეძავის სუნი ასდის.

15911. ვნებით დაკმაყოფილებული ქალი თავისუფლებას არ ეძებს და სასაყვედუროდაც ვერ იცლის.

15912. ქალებს ის „პარტნიორი“ მოსწონთ, ვინც მათ გადაცდენას არ ამხელს და არც ვისმესთან ტრაბახობს.

15913. ქალის ლამაზი ტანი მუდამ მოდაშია და მის მოთხოვნებს თავად მოდა ემორჩილება.

15914. ქალს რომ სატყუარი არ ჰქონდეს, მამაკაცი მის ანკესს ღლავივით არ ამოჰყვებოდა.

15915. ქალი ბუნებით „დივერსანტია“, განსაკუთრებით, როდესაც მეო-

რე ნახევარს ეძებს.

15916. ქალი სახის შეკეთებას ყოველდღიური მასაჟის თერაპიით იწყებს, რომელიც მთავრდება მიკროქირურგიით. ამ კაპიტალური რემონტით ქალი ძალზე კმაყოფილია.

15917. რაც უფრო გვიან თხოვდება ქალი, მით უფრო ახალგაზრდა მამაკაცი ეკუთვნის დაკარგული და დასაკარგი ვნებიანი წლების ასანაზღაურებლად.

15918. ქალს თავის მოკვლის უფლება არ აქვს, ის ახალი სიცოცხლის გასაჩენად და საპატრონოდ არის მოვლენილი.

15919. სიდედრი თავისი ქალიშვილის არარეალური კონკურენტია, მაგრამ სამზარეულოში მაინც ქალია, თავისი კაპრიზებით.

15920. ქალთან „ბუდერშაფტი“ სიყვარულს მიახლოებული უვერტურაა, კოცნის უკრედიტო ავანსით.

15921. გონიერი ქალი ქმარს სიტყვის მადლის ნემსკავზე კალმახივით წამოაგებს, „ძმა-ბიჭების“ ჭაობიდან ამოათრევს და ფერხთით განართხობს.

15922. ქალები მამაკაცებზე დიდხანს იმიტომ ცოცხლობენ, რომ სიდედრები და ცოლისდები არ ჰყავთ.

15923. ქალი ზოგი ქალწულია, ზოგიც ქალბატონია, ზოგი დროს სატარებელი ნუგბარია, მაგრამ მათ გარეშე რომ ცხოვრება აზრს დაკარგავს – ეს აქსიომაა და მტკიცებას არ საჭიროებს.

15924. თუ მისწრაფება გაქვს ბედნიერებისკენ, შეიძლება უიღბლოდ დარჩენილ ქალზეც ააგოთ, ასაკის მიუხედავად.

15925. ქალის მკერდი უნიკალური ღირებულებაა, ფეტიშია და მისი ჰაიჰარად ჩვენება უგუნურებაა.

15926. ქალის სიბრძნე მისი ბედია, შემთხვევა და არა მისი ალიბი, „ბზიკი“ და ინტუიცია.

15927. ქალები არიან: სექსის მოყვარულნი, კოლექციონერები, „ქურდები“, არიან ისეთებიც რომლებსაც მოთხოვნილება არ აქვთ, მაგრამ მდედრის სტატუსის შესანარჩუნებლად მამაკაცებს ინტიმზე თანხმდებიან.

15928. დღეს უცხო, სათუთი, დაუჭაშნიკებელი, მათ შორის, ქალიც, დიდებულია.

15929. ყვავილი ბრილიანტს ვერ სჯობნის, მაგრამ თავიდან ქალზე შთაბეჭდილებას ახდენს.

15930. ათვალწუნებული ქალი ძნელი ასატანია, რადგან ის მუდამ სიყვარულის დამტკიცების ცდაშია.

15931. ვისაც ქალი პარტნიორის გარეშე ცხოვრება უაზროდ მიაჩნია და

უჭირს, მისი მკურნალია დრო, ე.ი. მოგვიანებით უნდა დაოჯახდეს.

15932. ქალებს ჩურჩულის პროცესი სიამოვნებთ და არა – მისი შინაარსი, რადგან პირველში ალერსსაც გრძნობენ.

15933. გულდაჯერებას ქალს მკერდი, ფეხები და თეძოების ხარისხი აძლევს, რადგან ესაა მისი სიამაყე, სილამაზე, ქალურობა.

15934. ქალები ყველაფერს გაპატიებენ, გარდა სილამაზის შეუმჩნევლობისა, რადგან მათი შური და რისხვა ამ საკითხში უალტერნატივოა.

15935. ყველა ქალი სიამოვნებით მოირგებდა მეძავის როლს, რადგან გარკვეული დროით მის ტყავში ყოფნა აინტერესებს.

15936. ქალის გარეგნობა მისი სამუშაო ინსტრუმენტია, სიმდიდრეა და უნდა ეცადოს რაც შეიძლება სარფიანად დააბანდოს.

15937. ქალისთვის უმთავრესია მის სექსუალურობა, შემდეგ აღიქმება მისი სილამაზის პარამეტრები და ქალურობა.

15938. ნახევრად დაფეხმძიმებულს და ამავე დროს პატიოსანს, თეორიაც კი ვერ ეგუება, მაგრამ პრაქტიკულად საკმაოზე მეტნი არიან და ამინდსაც ქმნიან, რადგან უცდველი უკანალის მქონე არავინაა.

15939. ნაცნობი ქალის სწრაფი თანხმობა „გაჟიმვაზე“, სხვა ნაცნობი ქალების გაკეთებული რეკლამის შედეგია და არა შენი მცდელობა-მომხიბვლელობის.

15940. ქალის ყველაზე დიდი მიღწევა ცხოვრებაში იღბლიანი ქორწინებაა.

15941. ქალი თუ მამაკაცს უსამართლოდ ედავება, მაინც მამაკაცია დამნაშავე: საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა.

15942. შინაგანად ყველა მდედრის თვალებთან საყვარელი უნდა კრთოდეს, თუ ის გენეტიკურად ნაღდი ქალია.

15943. სამწუხაროდ, ქალს ნაოჭები, უწინარეს, სახის იმ მიმზიდველ ნაწილში უჩნდება, რომელიც ჩვენში ამდენ აღფრთოვანება-აღტკინებას იწვევს.

15944. დღეს ქალებს მამაკაცებთან ურთიერთობისას, თანამეცხედრეობა, სიყვარლობის იარაღი არ მოსწონთ და მას სამოქალაქო ქორწინებად მოიხსენიებენ, ასე, რომ ყოველივეს თავის დიზაინი და ლამაზი შეფუთვნა სჭირდება.

15945. მდედრი უაღრესად მოსაფრთხილებელია თუ ის ჭკვიანია, მოხერხებულია, რადგან მამაკაცისგან იმას იღებს, რაც უნდა.

15946. სილამაზესაც წარმოჩენის უნარი იძლევა და არა მხოლოდ ცარიელი დიზაინი.

15947. ყველა ქალი სიყვარულის მსხვერპლია, გინდ რეალური იყოს,

გინდ ფანტაზიის ნაყოფი.

15948. უცხო ქალი ყოველთვის მიმზიდველია, სათნოა, საინტერესოა, სანამ გაიცნობდე-გაითავისებდე.

15949. ყველა ქალს დესპოტიზმისკენ აქვს მიდრეკილება, რადგან ის კი არ თხოულობს მოითხოვს.

15950. ქალების ემანსიპაციაში ყველაზე მეტად მამაკაცები არიან დამნაშავენი, თავიანთი უნიათობით, ყალთაბანდობით, ვირეშმაკობით.

15951. ულამაზობა, პირველ რიგში, საშინელებაა ქალისათვის, თორემ ხვადობისთვის მოწოდებულმა მამაკაცმა შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს.

15952. გათხოვებასაც თავისი ბაზისი და მარიფათი სჭირდება, თუ ბუნებით უნიათო არაა.

15953. ქალის გარეგნობა თუ მამაკაცში აღფრთოვანებას იწვევს, ქალიც იძულებულია ჭკუა მოიკრიფოს, რათა მისი არ შეშურდეთ და არ აითვალწუნონ.

15954. ბედს ქალის ჭკუის ჰორმონებიდან ძალზე ბევრი აქვს აღებული – ფრიად ცვალებადია.

15955. თუ ქალის სხეულის ყველა ნაწილს მამრის წარმოდგენით სურნელი ასდის, ასეთი მდედრი უკვე ღვთაებაა.

15956. ქალის გამომწვევი ჩაცმულობა ის ფაქტორია, რომლისთვისაც მამაკაცები ფულს ხარჯავენ, ხოლო ხვადები – ენერგიას.

15957. ქალი კაცს სიცოცხლეს უხანგრძლივებს თავისი სინაზით, მზრუნველობით, კდემამოსილებით, მამაკაცი კი – დაფინანსებით.

15958. წინათ ქალი ფასობდა, თუ „ლოგინს შეავსებდა“, დღეს – თუ ლატანს ვნებით შემოეხვევა და ინტიმურ ნაწილებს წარმოაჩენს.

15959. დღეს ქალებს მკერდი და უკანალი სილიკონისა აქვთ, ცხვირი და ტუჩები – გარემონტებული, გული და სულიერება – ფულზე გადაცვლილი და შედეგად მივიღეთ მსგავსი ქალები ერთი კაპრიზით – უკეთ გაჯეჯილდნენ მამაკაცებში სულის გაუნძრევლად. ცოტაც ვაცალოთ მეცნიერებას და ისეთ რობოტებს შემოგვთავაზებენ ორივე სქესისას, რომ მესამე წარღვნა საჭირო აღარ იქნება, ისე აღიგვება ამ სამყაროდან ამ უგუნური ფუფუნებით გატუტუცებული ხალხი.

15960. ქალს თავის კაპრიზი და ჭირვეულობა გასდის თუ არა, ნანატრს ოცნებით მაინც იკმაყოფილებს.

15961. დღეს ჭაღარათმიანი ქალების ნდობაც არ შეიძლება, მათაც თანამედროვე იდეოლოგიით თავი აქვთ გალაყებული.

15962. ქალს შინაგანად ყველაზე მეტად უიმედობა და მომაბეზრებელი ოცნება აბერებს.

15963. ქალი მამაკაცს დანებდება თუ არ დანებდება, მაინც გამარჯვებულია: ერთ შემთხვევაში ვნება დაიკმაყოფილა, მეორე შემთხვევაში ვნება დააოკა და ნიშნის მისაგებ კაიფად ესეც ჰყოფნის.

15964. ქალი მთელი თავისი ცხოვრებით არაორდინალური გამოცანაა, იმისდამიუხედავად, აქვს ამისკენ მისწრაფება თუ არა.

15965. კარგი ხვადის მოლოდინი ქალს დროს აკარგვინებს, მაგრამ იმედით აცხოვრებს.

15966. ნამდვილი ქალი, თუ გინდ ასაკოვანი, თვალს ყოველთვის გააპარებს სიმპათიური მამაკაცისკენ — ნეტა როგორ აღიქვა – დედაკაცად თუ ბებრუხანად.

15967. ადამიანი და განსაკუთრებით, მდედრი, ვიღაცაზე და რაღაცაზე ზრუნვისთვისაა გაჩენილი. ეს მას გენეტიკურად მოსდგამს, თუკი თანამედროვე უგუნურებით მასში გარყვნილება არ ჯირითობს.

15968. ყველა სრული გარეგნობის ქალს უნდა ჰყავდეს „განტევების ვაცი“ – დაქალი, რომელიც მასზე გაცილებით მეტს საჭმელს მი-ირთმევს, მაგრამ ჩხირივითაა.

15969. ქალიშვილობისაგან განსხვავებით, ქალობაში მდედრი ყოველთვის ირჩევს იმ მამაკაცს, რომელიც მას რეალურად გამოადგება, მაგრამ უკვე გვიანაა: „ასაკი ტეხავს“.

15970. ზოგ ქალს ქათინაური არ უნდა უთხრა, შეიძლება ვეღარ მოიცილო.

15971. ქალს რომ მამაკაცი მოეწონოს და სულის გასაჯეჯილებლად აღიქვას, ის ცოტათი უცნაური და თავისებურად „დარეხვილიც“ უნდა იყოს.

15972. არის მდედრი, რომელსაც უყვარს, არიან ისეთებიც, რომლებიც სიყვარულის ნებას გვრთავენ, არიან ქალები, რომლებიც სიყვარულს კრედიტ-დებეტის ფონზე განიხილავენ. მიუხედავად ზემოთქმულისა, ყველა მათგანი ოჯახის შესაქმნელად და კვლავწარმოებისთვის იღვწის. რას ვიზამთ, ბუნების კანონია ასეთი, რადგან ყველა მათი კაპრიზი დროებითია.

15973. ქალები მანამდე განაგრძნობენ უასაკო ცხოვრებას, სანამ დიდ ბებიად არ იქცევიან.

15974. ქალს ისეთი „არას“ თქმა უყვარს, რომლის „ხოთი“ შეცვლა უპრობლემოდ შეიძლება.

15975. ქალები გარეგნულად შეიძლება ერთმანეთს არ გვანან, მაგრამ შინაარსით ყველა ერთმანეთს მათდაუნებლიედ ემსგავსებიან.

15976. ჩვენი წარმატების ერთ-ერთი ძრავა ქალია.

15977. სილამაზე დიდი ფორაა და განგების ნაჩუქარი მუქთი კრედი-

ტია.

15978. ლამაზ ქალზე დაქორწინება სასიამოვნოცაა, საამაყოც და სარისკოც, რადგან მასზე მოთხოვნილება და კონკურენცია დიდია.

15979. ქალი მარად იმ კაცზე ოცნებობს, რომელიც მისთვის მთელ სამყაროს არ შეეპუება, მაგრამ ხელში რჩება ინტერნეტზე შეყვარებული, დამუნათებული, მამრი, რომლის გადაკეთებას აზრი დაკარგული აქვს.

15980. ქალი ხშირად მამაკაცს იმ ლამაზ „ლიმუზინად“ აღიქვამს, რომელშიც სხვათა თვალის საშურად ლამაზად მოიკალათებს და საჭეს იქით მიმართავს, საითაც გული გაუწევს.

15981. ქალის გულს ის იპყრობს, ვინც მის სურვილებს ეთანხმება და არა – აზრებს.

15982. ქალის ნატვრა დამჯერი მეუღლე და დაბინავებული შვილებია, საუკეთესო მეგობრად კი ისევ ბრილიანტები რჩება, ოქროს ჩარჩოში ჩასმული.

15983. მეტ-ნაკლებად ყველა ქალი მთელი სიცოცხლე თამაშობს და სხვადასხვა ნიღაბს ირგებს, რათა ცხოვრება მოიწყოს.

15984. კულტურა და ესთეტიკა ძალიან ცოტა ვისმეს თუ უყადრებს თავს, რადგან დედიშობილა ქალში უპირველესად სულის, სხეულის, სილამაზე უნდა აღვიქვათ და არა სექსი და ვნებათა ღელვა.

15985. ლამაზი ქალის ცხოვრება არც ისე უღრუბლოა, როგორც ეს ერთი შეხედვით ცხოვრებაში ნათრევ დედაკაცებს წარმოუდგენიათ.

15986. დედიშობილა ქალში მე მინდა მისი სილაამზე, განუმეორებლობა, სურვილთა აღმაფრენა, სიმორცხვე, დავინახო, მაგრამ, ფაქტიურად, ხელში გვრჩება ცხოვრებისგან ნათრევი ქალი, იმდენად ვულგარულად არის წარმოჩენილი „მასმედიაში“.

15987. ქალს და შეუმოწმებელ მეგობრობასაც ბოლომდე არ უნდა ვენდოთ.

15988. არც ერთი მდედრი ბედით კმაყოფილი არაა, რადგან მათი ბუნება შურიანია, მომხვეჭელია, ყველაზე უკეთ ყოფნა უნდათ და უცნაურობანი ახასიათებთ.

15989. უმეტესად კაცს ქალი აბამს და არა – პირიქით, იმისდამიუხედავად, მამრი ამას დაიბრალებს თუ არა.

15990. პირველ რიგში, ქალმა თავისი ხიბლის გამოყენება უნდა ისწავლოს და შემდგომ – სილამაზის წარმოჩენა.

15991. ყველა ქალი განუმეორებელია, მზეთუნახავია, სათნოა, ყოველ შემთხვევაში, ისინი ამგვარად უნდა მოვიწონოთ, შევაფასოთ, დავაფასოთ.

15992. სიყვარული და ფული ყველა ქალის ფეტიშია, მაგრამ მისი ოცნებით შექმნილ ოჯახზე ზრუნვას ვერ შეედრება.

15993. ქალი, რაც უნდა უკარება, წესიერი, კდემამოსილი, იყოს, „სასაქონლო“ სახე არ უნდა დაკარგოს, რათა მამაკაცთა მოდგმას საერთოდ ქალი არ შეაძულოს.

15994. ლამაზ და მომხიბვლელ ქალს ბევრს პატიობენ, რადგან ის ჩვენთვის სასურველი, საოცნებო არსებაა.

15995. ლამაზმანად, მსახიობად და დედაკაცად დაბადებული, მიუხედავად მისი მცდელობისა, ნიჭისა, სურვილისა, დედოფლად ვერ იქცევა, რადგან დედოფლობას ცხოვრების კაურების ცოდნა და თაყვანისმცემელთა ოდენობა არ შველის, დედოფლად, პიროვნებად, უნდა დაიბადო.

15996. ქალის გულის მოგებას ფანდის ცოდნა სჭირდება, თავის დაკვრით, აღფრთოვანებით და წარმოჩენით.

15997. ქალს წლების მატება ყველაზე მეტად უკანალის მოხდენილი ტარების დევალვირებაზე ეტყობა.

15998. საცვლების ფრიალი და რისკიპების აღლუმი, ადრე თუ გვიან, ამ მაღალ ცივილიზებულ ქალებს დედას უტირებს და ყოველივე მათთვის ჩადრის ჩამოცმით დამთავრდება.

15999. არც ერთი ქალი სხვას არ ჰგავს, ეს აქსიომა თავად უნდა შეიგნო და ქალსაც ამ ფორმულით უნდა წაუმლიქვნელო, თუ გინდა მისი განწყობა და უღრუბლო ცა მოიპოვო მასთან ურთიერთობისას.

16000. ქალის გულის უპირველესი რაინდი მის მიერ ოცნებით შექმნილი სიყვარულია.

16001. სანატრელი ქალის ყველა განზომილებაში წარმოდგენა შეიძლება, მაგრამ მისი თვალების შემონათებას არაფერი ჯობს.

16002. ქალს ყველაფერზე თავი უნდა ვუქნიოთ, თუ გვინდა მისი გული მოვიგოთ და ჩვენთვის საწადელი იმაზე ადრე მივიღოთ, რის გაცემაზეც თავადაც არაა წინააღმდეგი.

16003. ქალი შეიძლება იყოს ხმელი, პუტკუნა, ძონძროხა და აქ გემოვნებაზე არ დაობენ, ხოლო კაცი შეიძლება იყოს შლეგი, ქველი, უიღბლო და აქ მისი გარეგნობა არავის აინტერესებს.

16004. ქალის მკერდის წარმოჩენას, გონიერებისაგან განსხვავებით, თეძოების მომხიბვლელად შერხევაც სჭირდება.

16005. გასათხოვარი ქალის ჭკნობა უგულო საზოგადოების წესჩვეულებების ბრალია.

16006. ქალის ლოგიკა თეორიულად უვარგისია, მაგრამ პრაქტიკულად თავის ხუშტურებს ისრულებს.

16007. ქალი და პუნქტუალურობა შეუთავსებელია, რადგან ამას არც მისი ბუნება დაუშვებს, არც აზროვნება და არც თავის წარმოჩენისკენ მისწრაფება.
16008. არც ერთი ქალი ერთმანეთს არ ჰგავს, განსაკუთრებით ის, ვინც დღეს თქვენს გვერდითაა.
16009. ქალი ყველა სახის სიყვარულს გულით განიცდის, შურით იქნება გამოწვეული თუ არა.
16010. წამებაა, როცა ლამაზი ქალის დაუფლება შეგიძლია და ვერ ახერხებ, ჰორმონების გაჯიუტების გამო.
16011. ქალს შუა ასაკში სიყვარული უკეთ და შედეგიანად შეუძლია, რადგან ამ წლებში გრძნობები და აზროვნება მოწესრიგებულია და მათი შერწყმაც გაადვილებულია.
16012. ამბობენ, ქალის საუკეთესო მეგობარი ბრილიანტებია პლატინაში ჩასმულიო. ქალები კი ამ აზრს შინაგანად ეწინააღმდეგებიან.
16013. ცრემლზე მეტად, ქალის უცრემლოდ დაბოღმვის და სარკაზმული ღიმილის უნდა გვეშინოდეს.
16014. ვნების მოთხოვნით მამრის დაკმაყოფილება ქალისგან და საჩუქრების მიღება თავისებური სექსშოპინგია, ხოლო ვნების გარეშე მამაკაცის დაკმაყოფილება, ფულის აღებით, ბოზობაა.
16015. დაქალობა თეორიულად შესაძლებელია, თუ ცხოვრების ოცნებები და იმედები გადანაწილებულია და მეტს მათგან არაფერს მოელიან.
16016. ქალმა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს ვის უნდა ჩაუგორდეს ლოგინში უმაღლესი ნეტარების მისაღებად, ვისგან უნდა იყოლიოს ჯანმრთელი შთამომავლობა, ვისთან უნდა დაწყვილდეს და შექმნას ოჯახი და არა – უაზროდ გათხოვდეს და თითზე ნიშნობის ბეჭედი წამოიცვას.
16017. ქალები ხშირად კაცებს იმას არ პატიობენ, რაზეც თავად შენდობას და თვალის დახუჭვას ითხოვენ – მაგ. უყურადღებობას.
16018. ქალის უმთავრესი მიზანია ზეგარდმო ოცნებით გამოჩორკნილი საქმროს მოძიება, რათა ღირსეული შვილები შვას და აღუზარდოს.
16019. ქალის გული დამყოლია, მაგრამ არა იმდენად, რომ მატერიალიზმის საწყისები დაივიწყოს.
16020. ქალი ყოველთვის ვერც ჯანმრთელი ბავშვების ყოლას აფასებს სათანადოდ და ვერც ოჯახზე გადამკვდარ ქმარს, რადგან ეს მისი გენეტიკაა.
16021. პუნქტუალურობა და ქალი ერთად არ ძოვენ, ერთმანეთს არ ერწყმიან და სინონიმად არ გამოდგება.

16022. ქალი ალღოთი უნდა გრძნობდეს ვის უნდა ჩაუგორდეს ლოგინში და ვისგან უნდა იყოლიოს შვილი, რათა თავადაც წარმოჩნდეს, ბავშვმაც უკეთ უცხოვროს და ბედის ყაირათიანობით ისარგებლოს.
16023. ყველა ქალი წაწლობაზე ფიქრობს და გარკვეულ საჩუქრებისთვის მზადაა მოვალეობის ტვირთით დამძიმებული მამაკაციც კი დაუცხრომელ კუროდ აქციოს.
16024. ქალისთვის საკუთარი ამბიციური აზრები საშუალებაა, მაგრამ „ხვადის“ ბაირამობის შესაძლებლობებს მაინც ითვალისწინებს.
16025. სილამაზე საშიში იარაღია, განსაკუთრებით, თუ მოხერხებულობაც და მომხიბვლელობაც თან ახლავს.
16026. ყველა ქალს ერთნაირი ხასიათი აქვს, მაგრამ ზოგს ეს შედარება არ მოსწონს და გამორჩევით წუნკლობას ცდილობს.
16027. ქალისთვის კარგი სექსის მოლოდინი ბრწყინვალედ ცვლის მლიქვნელობის საწყის ყვავილს.
16028. გოგონებს იუმორის გრძნობა არ აქვთ, მათ ეფერებიან, თავზე ევლებიან, ისინი კი ფეხმძიმდებიან და დროსტარებისთვის და ხუმრობისთვის განკუთვნილ დროს იმოკლებენ.
16029. ყველა მიმზიდველი ქალი ქანდაკებად ჯდება ჩვენს ტვინში და მასზე გვაფიქრებს.
16030. ქალი ყველა ასაკში მოფერებისათვისაა დაბადებული თუ მას გენეტიკამ არ უღალატა და არა – წლებმა.
16031. ქალი იმ მამაკაცს მიითვლის სათვალავში, ვისთანაც ორგაზმი ჰქონდა და არა მათ, ვისთანაც ტანის უდრტვინველი ვარჯიში ჰქონდა.
16032. პრივატიზების მოიმედე ქალი, უნდა – არ უნდა, თავის სილამაზე-მომხიბვლელობას არენდით იძლევა.
16033. ქალისთვის ეჭვიანობა თავისებური გამოფხიზლებაა, ოცნებების რევიზიით და ახალი საგმირო საქმეების ფრთების გამოსხმით.
16034. ქალი, თუ ის დედაა, უნდა – არ უნდა, მაინც გმირია – იმშობიარა და თავი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დადო.
16035. ქალის კოქტეილია: შანტაჟი, ცოტათი სიყვარული და შური, დიდი ფულის ხელში მოგდების იმედით.
16036. ქალი გრძნობათა ჩოჩქოლის, ნერვების მოშლის და ხელის გამოღების საშუალებაა მამაკაცისთვის, კარგი გაგებით.
16037. ქალი ყველაფერს პერსპექტიული მამაკაცისთვის სჩადის, რათა თავი მოაწონოს, შეასაღოს და შემდგომ თავი დააყვედროს.
16038. ყველა ქალი ერთი მდედრისთვის დამახასიათებელი გენით არის დამოძღვრილი, ერთი განსხვავებით: ერთს გადამეტებული მოთხ-

ოვნილება აქვს სხვის მიმართ, მეორეს – საკუთარი ამაყი მეობის მიმართ.

16039. ქალი ისაა, ვისაც მამაკაცთა ჯოგი სმენაზე ჰყავს დაყენებული, მის ირგვლივ რიდით დადიან და ყველა უსმენს და ეთაყვანება.

16040. ქალისთვის ყველაზე კარგი პერიოდი სიყვარულია, თამაში – ფეხმძიმობა, ბავშვის აღზრდა – გართობა, შვილის დაკვალიანება – პროცესი, შვილიშვილის ყოლა – შედეგი, ხოლო შვილთა-შვილის მოსწრება – სიბერის კაიფია.

16041. არის სიყვარული მინუსით, მაგრამ ის თავის გრძნობათა ჩოჩ-ქოლით პლუსს არ ჩამორჩება და ზოგჯერ აჭარბებს კიდეც.

16042. ლამაზი ქალი ბუნების მოვლენაა და იგი უცოდველი თვალებით უნდა გააშიშვლო, რათა სულმა განუმეორებლობა, შთაგონება, მისი ძალა და სითბო იგრძნოს.

16043. გიყვარდეს ქალი და აღფრთოვანდე ქალით სხვადასხვა გან-ტოლებაა, რადგან მათ სხვადასხვა ემოციური დატვირთვა და ვნე-ბათა ჩოჩქოლი ახასიათებთ.

16044. ვინც ნაღდი სიყვარულის მადლი იცის, ის სხვის სიყვარულს პა-ტივს მიაგებს და რიდით ეპყრობა.

16045. ყველა ქალი თავისებური მსახიობია და აქ ნიჭი და მოწოდება არაფერშუაშია.

16046. არასაჭირო ნივთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრება, მეტ-ნაკლებად, ყველას ესაჭიროება, განსაკუთრებით, ქალებს.

16047. ქალი მანამდეა ტკბობის ობიექტი, სანამ მას უკეთ შეიცნობ.

16048. ქალის ნერვების „დაწყვეტა“ მისი მეობის „პერპეტუუმ მობილ-ეა“.

16049. არის ბევრი რამ ისეთი, რაც მდედრის ბუნებისთვის გაუგებარია. მამაკაცი ხშირად რატომ ვერ ამჩნევს, რაც მის იმიჯს წარმოაჩენს, თუნდაც თმის ვარცხნილობას.

16050. ქალთან სიყვარულით ხარ თუ აუცილებლობით, ის ყოველთვის გაგებას და მოფერებას ითხოვს.

16051. ქალი მუდამ მფარველობას ითხოვს, მაგრამ გააჩნია ვისგან.

16052. ფიფქიას ბედის ნატვრა და უეცარი გამართლება ყველა ქალის ბუნებაში შინაგანად დევს.

16053. ქალის უმადურობას მაინც საზღვარი არ აქვს, გინდაც ბედის მარყუჟს გამოჰკრას ხელი.

16054. ქალის განაწყენება შეიძლება მხოლოდ შენიშვნა-კომპლიმენტით და აღფრთოვანება – მის სიჯიუტეზე გადაკვრით.

16055. ქალი სასიამოვნო პრობლემებს გვიქმნის, თუ ის გვიყვარს და არ

გვანერვიულებს.

16056. ქალი სიყვარულით და იმედით უნდა გვემუქრებოდეს, თუ გვინდა კარგი მეოჯახე დადგეს.

16057. ქალმა თავისი მიმზიდველობა სასიკვდილო სარეცელზეც არ უნდა დაკარგოს და იმქვეყნად მომხიბვლელობით, პეწით და სხვათათვის გულის დაწყვეტით უნდა გადასახლდეს.

16058. ქალი მოჩვენებით მაინც უნდა გრძნობდეს თავს სუსტ არსებად მფარველის ყოლით, რათა თავი ნამდვილ ქალად იგრძნოს – ასეთია ქალის გენეტიკა.

16059. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბევრი ქალი სხვათა დაწუნებულ მამაკაცებთან იფსკვნის ჯვარს და თავის მეობას აჩენს.

16060. ქალი ყოველთვის იმ საკუთარი მეობის წარმოჩენას ცდილობს, რომელსაც ყოველთვის არც სერიოზულად იღებენ და არც აფასებენ.

16061. დღევანდელი ქალები ემანსიპაციისკენ თავიანთი მისწრაფებით იმდენს იზამენ, რომ კვლავ ჩადრის ქვეშ აღმოჩნდებიან, მითუმეტეს, რომ კაცებმა ტექნიკური პროგრესის დახმარებით უკვე ბავშვების გაჩენა შესძლეს.

16062. ქალთა მეგობრობა იგივეა, რაც კაცთათვის ურთიერთღალატი.

16063. ქალების ამბიციები დაუმთავრებელია, მაგრამ მათ ეს გათხოვებამდე არ უნდა ჰქონდეთ, რათა სიყვარული ანგარებაში არ აერიოთ.

16064. ქალისთვის ქორწინება სიმბოლური აქტია, უმთავრესად, თავისი „მეს“ წარმოსაჩენად.

16065. ქალის ყველაზე დიდი მეგობარი ის ბრილიანტებია, რომლის ფლობითაც ჯერ არ გაამაყებულა, მაგრამ იმედს არ ჰკარგავს.

16066. თვალების ხიბლით დაჟუჟუნება თანდაყოლილი ხელოვნებაა, ნიჭია, რომლის გათავისება მარტო მცდელობით არ ხდება.

16067. ქალის სამსახური ვაჟკაცობაცაა და დათრგუნვაც, თუ ის დიდხანს „აიწონა-დაიწონას“ გარეშე კეთდება.

16068. რადგანაც ქალის ბუნება-გუნება შეუცნობადია, მისი შეცნობის მცდელობა დროის უაზროდ ხარჯვაა.

16069. ქალი მოწოდებულია მამაკაცს სისუსტეები არ შეამჩნიოს და არც უსაყვედუროს.

16070. ზოგიერთი ქალი ვნების „ჯოჯოხეთისთვისაა“ დაბადებული და სიყვარულის „სამოთხისკენ“ არც კი იყურება.

16071. სხვათა ცოლები ყველა მოსაწონია და პატივსაცემია, განსაკუთრებით, სტუმრობისას – კარგად გმასპინძლობთ.

16072. ქალს შემთხვევითობა გვჩუქნის, ბედზე წაბორძიკებით.
16073. ზოგი პლასტიკურ ოპერაციას კაპრიზის გამო იკეთებს, რათა დაქალებში თავისი „მე“ წარმოაჩინოს.
16074. მამაკაცის ინიციატივით ქალთან განშორება ამ უკანასკნელს გარკვეული დროით „ჩამოაპლაცკარტებს“.
16075. ბედნიერების საზომი კიდევ კარგი ჯერ არ გამოუგონიათ, თორემ მაშინ გენახათ ქალების დასაბუთებული პრეტენზიები.
16076. სილამაზის შეგრძნების და ტანის ტარების უნარი ღმერთმა ქალს ნუ მოუშალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დედაკაცად მოგვევლინება.
16077. მოკრძალება, მოკრძალება და კვლავაც მოკრძალება – აი, ქალისადმი სიყვარულის ანიც და ბანიც.
16078. ქალებს უმთავრესად ბედი სჭირდებათ და არა – გარეგნობა და გონიერება.
16079. ძილის წინ და გამოღვიძების შემდგომ თუ ქალზე არ ფიქრობ, თანდათანობით სიკვდილზე ფიქრი აგეკვიატება და ამიტომ თავს დროულად უნდა შეუძახო.
16080. მთავარი არშიყობა არაა, მთავარია, მისი გული შენს სასიკეთოდ განაწყო.
16081. დღეს სასიყვარულო გარიგებით ინტერნეტშიც ჩალიჩობენ და დაწყვილების საქმეში კარგ შედეგსაც აღწევენ.
16082. ნაღდი სიყვარული ყველაზე მეტად სიტყვების „ონანიზმს“ ვერ იტანს.
16083. სიყვარულის ანბანს მაინც „მასმედია“ გვიხსნის და მისი დანიშნულებაა ჯეელები არ გამოათაყვანოს და მათი სულიერება არ გარყვნას.
16084. ლამაზი ქალი უნდა წარმოჩნდეს ან წარმოვაჩინოთ, რადგან სილამაზე საერთო საკუთრებაა.
16085. ქალმა უნდა შეძლოს გრძნობების სიყვარულით აჟღერება თავისი რჩეულისათვის.
16086. ქალი დიასახლისია იმ შემთხვევაში თუ მის ნახელავს სითბო და სითამამე არ აკლია.
16087. აფთარქალს სკანდალის გამოჩხრეკვა სიამოვნებს, რათა ვიღაცას რაღაცაში ნიშანი მიუგოს.
16088. უპირველესად ის ქალია თაყვანისცემის ღირსი, რომელიც მეორე-მესამე ქმრის ძიებისას არ გაბოზდება.
16089. ქალი, რომელიც მოვალეობას თავს არიდებს, იძულებულია სხვადასხვა „პროგრესულ“ მიმართულებას აეკიდოს ან უგვანობა აი-

კიდოს.

16090. ქალისადმი უყურადღებობა დანაშაულია, პირველ რიგში, საკუთარი თავის, შემდგომ განგების სურვილების, წინაშე.

16091. ქალში ალქაჯის დანახვაც შეიძლება და სათნოებისაც, გააჩნია, რა დროს რა მხრიდან შევხედავთ და შევეხმიანებით.

16092. ქალისთვის ერთფეროვნება დამღუპველია, მის მიზნებს, ოცნებებს, ნეტარებას, ფრთებს უკვეცავს.

16093. ზოგჯერ მამაკაცის „ძალადობა“ ქალების განზრახ წაყრუების მიზეზია.

16094. ქალმა თავისი ხიბლი, შემართება, დედაკაცობაზე არ უნდა დაიყვანოს.

16095. ქალი ყველა ასაკში გასაფრენად გამზადებული მოიმედე ფრინველია, სანამ მის დროის დამჭკნარ ყვავილს არ ესვრიან და უიმედოდ ძირს არ დაენარცხება.

16096. სარკეს ქალისთვის უამრავი სიამოვნებაც მოაქვს და საფიქრელსატანჯველიც, ასაკის შესატყვისად.

16097. ქალს თავისი ცხოვრების რევიზია აძლევს საბაბს იფიქროს, რომ მას დღეს წესით სხვა შვილი და შვილიშვილი უნდა ჰყოლოდა.

16098. მდედრის ნებას მისი ხასიათი განაგებს და არა – ცხოვრებისადმი მიდგომა.

16099. მამაკაცები ქალთან ურთიერთობაში მისი სასიყვარულო ინტერესების ამოხსნას ცდილობენ, ქალს კი ცოლობა აინტერესებს.

16100. ხშირად ქალებს დაუჯერებელის სჯერათ და სხვებსაც აჯერებენ, მიჰყვებიან ისეთ მამაკაცს, რომელსაც მისი ახლობლების აზრით ახლოსაც არ უნდა გაჰკარებოდა.

16101. ქალი იმ თილისმას უნდა გამოჰყოფდეს, რომელიც მისმა მამაკაცმა უნდა გაითავისოს.

16102. მოწოდების, მოვალეობის, სილამაზის, მომხიბვლელობის, თვითმყოფადობის, ქალის მიერ გაუფასურება დანაშაულია მამაკაცთა მოდგმის წინაშე, რადგან მათ გემოვნებას უქვეითებს.

16103. ქალმა მიზნის მისაღწევად ყველაფერი უნდა იკადროს, მათ შორის, უკვდრებელიც, რადგან ქალია, პოტენციური დედაა და თავისი ბედ-იღბლის გამომჭედელია.

16104. ამბობენ, ქალის საუკეთესო და საიმედო მეგობარი ბრილიანტებია, ოღონდ ვნების დაოკებით და საკუთარი თავის წარმოჩენითო.

16105. „მე შენ მიყვარხარ და ცოლად მინდიხარ“ – ქალის გულის უნივერსალური გასაღებია.

16106. ყოვლგვარი გულგრილობა, უნიათობა, უგულობა, მიმზიდველი

და ღიმილის ჯადოს მქონე ქალის წინაშე ქედს იხრის.

16107. ქალს არა მარტო კაბას უწევს, არამედ სულიერებასაც, როცა მას ქარი გაეთამაშება.

16108. ყველა ქალს დაღვინება მეტ-ნაკლებად აკლია, ასაკის და დროზე მორგების მიუხედავად.

16109. ქალის წინდახედული წინააღმდეგობა ხიბლს ჰმატებს მამაკაცის თვალში.

16110. ქალის მოწონება-მოუწონებლობა მკრეხელობაა, რადგან ის სათანადოდ ვერ აღიქვეს, შეაფასეს.

16111. ამაყი ქალი გარკვეულ მამაკაცებთან თავის „მეს“ აკონკრეტებს.

16112. ქალი ყოფის ტრადიციული პოსტულატების დაცვას ცდილობს, მაგრამ ყოველთვის ვერც ახერხებს.

16113. ქალს ყოველგვარი დივიდენდი აძლევს პროვოცირების გარეშე.

16114. ზოგჯერ ქალისთვის საკუთარი ტანჯვა-გართობაც გაუგებარია.

16115. ქალს დროის გარკვეულ მონაკვეთში, ვიღაცის ჯინაზე რა წყინს და რა უხარია, თვით განგებისთვისაც უცნობია.

16116. „ფაიზახი“, ნაღდი, ქალების ოდენობა გარკვეულწილად კლებულობს, განსაკუთრებით, ასაკის გადასახედიდან.

16117. ქალის კაპრიზია ყველაფერი ბლომად ჰქონდეს, მათ შორის, თავისი „მეობა“ და ამბიციები.

16118. წყნარ, მორცხვ, მუდო, „ფალოსის ქურდ“, ქალებს სექსში ვერავინ ჯობნის, რადგან დაგროვილ უწყინარ ენერგიას აქ აბანდებენ.

16119. ნაღდ ქალს ყველაზე მეტად სათანადო თაყვანისმცემელთა დაკარგვა აშინებს და აშფოთებს, რადგან ეს მისი ყავლის გასვლის საწყისია.

16120. ყველა ქალი ბუნებით შურიანი და შურისმაძიებელია, თუ ბედმა უმუხთლა და არ გაუმართლა.

16121. ყავლგასული ქალის „თილისმა“ მამაკაცებს „დასაბმელად“ მარადჟამს ეპატიჟება.

16122. გვინდა – არ გვინდა, ქალი ოჯახის ბურჯია, ხოლო მამაკაცი – ზედნაშენი.

16123. წინათ ქალები სექსს უთანაგრძნობდნენ, დღეს ითხოვენ და ხშირად შეტევაზეც გადადიან.

16124. „ქალი კი არა, ჯადოა“ ე.ი. მომხიბვლელია, დამთრგუნველია, ეშმაკია, მიმზიდველია, გონიერია, მეტი რა კომპლიმენტით უნდა შეამკო ქალი.

16125. არიან ქალის მოხიბვლის ნიჭის არმქონე მამაკაცები და არა – ქალის მიუკარებლობა და კაპრიზი, რადგან არ არის მდედრი, თუ მას კარგად „შეახვევ“, რომ გაჟიმვაზე არ დათანხმდეს.

16126. ქალს როცა უყვარს, იქ პოულობს მიმზიდველ მხარეებს, სადაც მისი აღმოჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია.

16127. ქალიშვილის გაფურჩქვნის დრო მოკლეა, ამასთან სექსის მომძლავრება ზოგს „დღევანდელ კვერცხს აარჩევინებს“, ზოგს – „ხვალინდელ ქათამს“ და ისიც ორ ფრონტზე იბრძვის; მოყვასის ცოლის როლიც უნდა მოირგოს და მეოჯახე ქალისაც. ზოგიერთი კი სხვა სასიყვარულო ფრონტზე „გაჯეჯილების“ წინააღმდეგიც არ არის, თუ შემთხვევა მიეცა.

16128. გაუთხოვარ ქალებს ოჯახის შექმნისკენ აქვთ მისწრაფება, დაოჯახებულ მამაკაცებს – მათგან დროებით თავის დაღწევისკენ.

16129. ლამაზ ქალბატონსა და ღმერთქალს შორის ის სხვაობაა, რომ ამ უკანასკნელს სილამაზესთან, მიმზიდველობასთან, ერთად მომხიბვლელი ჭკუა-გონება გააჩნია.

16130. ქალს აღზრდა ბევრ რამეს ჩუქნის, არის რაღაცა, რის ჩუქებაც არც გენს შეუძლია და არც დამოძღვრას – თუნდაც მისი საყვარელი მამაკაცის არჩევანი.

16131. ქალს თავის მეობას, ოცნებით ნაჯაფს, ასაკის მატება და საათანადო ბედის არქონა ათმობინებს და ნაკლებად მომთხოვნი ხდება.

16132. ქალი ბუნებით ისეთი სასუსნავი უნდა იყოს, რომ მისი სულიერებით დატკბე და შაქრის დავადება არ აიკიდო.

16133. ქვეყნის ინტერესებისთვის ზოგჯერ გაუნათლებელი და მორწმუნე ქალი ჯობს – ერს მრავალშვილიანობით ამრავლებს.

16134. ქალის „მოტყუება-შეცდენა“ იმ შემთხვევაშია სასარგებლო თუ ის ვერ თხოვდება. შედეგად ნაშიერი რჩება.

16135. ქალის ჰარმონიაში მოყვანის უმთავრესი მექანიზმი მამაკაცის გენია.

16136. სილამაზე თავის გემოზე სათოხარიკოდაა გაჩენილი, თუ ბედმა არ უმუხთლა.

16137. გამოცდილი ქალისათვის ყველა მამაკაცი კლიენტია, ურთიერთობა სიყვარულით იქნება თუ უიმისოდ.

16138. ქალისთვის ყველა მამაკაცი ერთნაირი ოხერია, ერთი-ორის გამოკლებით, თუმცა პრინციპში მეტი არც უნდა ჰყავდეს სატრფოდ და გასაჯეელებლად.

16139. გამოცდილებას ქალთან ურთიერთობაში, ვნების გაჯირითება

იძლევა.

16140. წვრილმანი კაპრიზი ქალს ამშვენებს, აამაყებს, ჰაეროვნებას ჰმატებს და რაც მთავარია, მიზანსაც აღწევს.

16141. ქალები, უნდათ – არ უნდათ, თავიანთ საყვარელ მამაკაცებს მაინც წამლავენ ფერ-უმარილის ქიმიით, რა ქნან – მუდამ ფორმაში ყოფნა სხვანაირად არ გამოსდით.

16142. ქალებს ომს არ უცხადებენ, ან იმორჩილებენ ან ემორჩილებიან.

16143. ფემინიზმი ქალის ამბიციების უპასუხისმგებლო გაჯირითებაა სულიერების დასამშვიდებლად.

16144. შინყუდრობა, უაზრო მორცხვობა, გაუბედაობა, ქალის ყველაზე დიდი ნაკლია.

16145. ყველა ქალი საყვედურს არ იმსახურებს, მაგრამ ყველა მაინც ამის ღირსია.

16146. ქალის ერთგულებას მანამ არ აქვს ფასი, სანამ მისი ღალატი კაცს თავის მეობას არ გადახედინებს.

16147. ოჯახისთვის ტვირთი ქალის გარეგნობა კი არ არის, მისი ხასიათია.

16148. ქალის უდიდესი ნიჭია კაცის უიმედოდ „დაბმა“ და საკუთარი ინიციატივის „მიბმა“.

16149. ქალი თავის რჩეულს ზოგჯერ ახლობლებისთვის გაუგებარი პარამეტრებით ირჩევს, რადგან საერთო მიღებული შეხედულებების წინააღმდეგია.

16150. მამრის ნანატრი ჯილა ჰარმონიული, დამჯერე, ოჯახის, ქალია, მაგრამ გამართლების შემთხვევაში მაინც სათანადოდ არ აფასებენ.

16151. ქალს ახალგაზრდობაში მრავალი თანდაყოლილი ხელშესავლები ბრენდი აქვს, მთავარია ასაკში რა შემორჩება.

16152. ყველა ქალს ბედნიერება ოცნების კაიფიდან ესმის და სულიერად ეხმიანება.

16153. ქალის ყველა სურვილი პირობითია, შედეგისკენ სწრაფვით და აღსრულების მცდელობით.

16154. ქალის დაჭაშნიკებას, შემთხვევასთან ერთად, ცოდნა-გამოცდილებაც უნდა, რათა მამაკაცად აღგიქვას და არა – კაცუნად.

16155. ყველა ქალში სატანა ზის, იმისდამიუხედავად გაუგებ თუ გაგიგებს.

16156. სუპერქალბატონის რაობას მისი ვნებიანობა და სექსაობის ცოდ-

ნა განსაზღვრავს და არა – ასაკი.

16157. ყველა ქალბატონი ბუნებით ავანტიურისტად უნდა იქცეს, თუ სურს ბედს არ უსაყვედუროს.

16158. მობილიზება ყველა ქალმა თავისი შესაძლებლობების, ნიჭის, მცდელობის, შესატყვისად უნდა იცოდეს.

16159. სილამაზის მოხმარებას ტარების და შენარჩუნების ბედი უნდა ჭკუის მოკრეფით.

16160. ქალის რაობა იმაში გამოიხტება, რომ კაცი ბოლომდე არ გააგიჟოს, მაგრამ „შეჩიჩხინება“ არ უნდა დააკლოს.

16161. ქალის მოხიბლვას გონივრული საუბარი სჭირდება, რათა მასაც მისცე ცოდნის, გამოცდილების, გამომჟღავნების და შენი მოწონების შესაძლებლობა.

16162. ქალი შეიძლება იყოს პირველი, პერსპექტიული, ცოლი, რაც შეეხება ერთადერთს – დროის „გატუტუცების“ შედეგია.

16163. ქალს სილამაზე, მომხიბვლელობა, საშუალებას არ აძლევს დიდხანს იყოს ხელუხლებლად, იმდენად დიდია მასზე მოთხოვნა კონკურენციით.

16164. ქალს „ტალახიანი ფეხებით“ და „ჭუჭყიანი ხელებით“ არც სიყვარულს ეფიცებან და არც ოქროს მთებს უდგამენ.

16165. დღეს ქალის სილამაზე გენზე, ჯიშზე-ჯილაგზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ კუტურიებზე, სტილისტზე, პლასტიკურ ქირურგზე და დროის უაზრო ყივილზე.

16166. ქალს ყველა უნდა მოსწონდეს, მათ შორის, ისიც, ვისზეც სერიოზულად არ ფიქრობს, რადგან ის მდედრია და არავინ უწყის, ვისი დახმარებით გააჩენს ნაშიერს.

16167. ეცადე ქალს თავი არ შეაყვარო, მოაწონე, რადგან შეყვარებული ქალისგან თავის დახსნა ჭირს.

16168. ზოგი ქალი მობილური ტელეფონივითაა: ან თან უნდა ატარო, ან გამუდმებით ელაპარაკო და დღის ანგარიში ჩააბარო.

16169. ქალის თავის გამოდებისას, მამაკაცის ღირსება, როგორც ხვადისა, იზრდება, მაგრამ როგორც პროფესიონალის – მცირდება.

16170. ბრილიანტებით დამძიმებული ყური ქალს ძალას, ავტორიტეტს და კაპრიზს ჰმატებს.

16171. საქმიანი ქალისთვის უმჯობესია საქმე ჰქონდეს ჯანმრთელ მამაკაცთან, მაგრამ „დასცინოს“ როგორც პროფესიონალს.

16172. ქალებს უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ ისინი მამაკაცებმა გააღმერთონ.

16173. ზოგჯერ დილემის წინაშე დგები: ქალი სჯობს სამკაულს თუ

სამკაული – ქალს. თუ რას აგვარჩევინებს ჩვენი გემოვნება, ეს მთლიანად ქალის მცდელობის და მისი მოხერხებულობის ნაყოფია.

16174. ქალისადმი დამოკიდებულება ერთდროულად: ფიცი, ერთგულება, ტრფობა, სინანული, სიყვარულია დროსთან შერწყმით და გამოცდით.

16175. ქალის ფილოსოფიას კაცის გონება ბოლომდე ვერც ჩასწვდება და არცაა საჭირო, რადგან მდედრი მარად გამოცანად უნდა დარჩეს.

16176. „მიყვარხარ, გიყიდი, ვიმოგზაუროთ“ – ყველა ქალისთვის სანატრელი სიტყვებია.

16177. ქალისთვის უმთავრესია ვის გვერდითაა, ხოლო ვისთვის და რისთვის აკეთებს ამას, დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

16178. სილამაზე, მიმზიდველობა, ქალისთვის სასჯელიცაა და თავისუფლებაც, ბედნიერებაცა და უბედურებაც, გააჩნია გენი და ბედი გვერდში როგორ ამოუდგება.

16179. „ბუნებით ღვთაებას“ ყველაფერი უხდება და ეპატიება.

16180. ჭკვიანი ქალი ისაა, ვინც მამაკაცს თავს ჟინით მოანადირებინებს.

16181. ქალს ერთფეროვანი არც ყოფა მოსწონს, არც ოჯახი და არც მასზე ერთგულებით შებერებული ქმარი.

16182. დღეს მთავარია ქალმა იცოდეს დროულად, რა დროს და ვის უნდა ჩაუგორდეს ლოგინში, შვილის გაჩენით თუ უნდა მისი „ნაჩალიჩევი“ ოცნებით ცხოვრების მადლი შეიცნოს და სექსპარტნიორს ქონებას ვნებით დაეპატრონოს.

16183. ქალის მრისხანებაზე საშინელი არაფერია, შურისძიება კი მისი სულისთვის ტკბილი და საამურია.

16184. სილამაზე ყოველთვის სათანადოდ არც აღიქმება, არც გაიგება, რადგან დღეს მისი შეფასებაც ცოდნას მოითხოვს, რათა ფართომოხმარების ჭინჭებში გახვეული და ფერუმარილით გათხუპნული ქალები დედოფლებად არ აღვიქვათ.

16185. ქალს სუსტ სქესს მიაკუთვნებენ, იმისდამიუხედავად, რომ მამრის ყველაზე დიდი ენერგია მასთან ურთიერთობას მიაქვს.

16186. ქალის მოვალეობაა გაიღიმოს, კაცისა – ეს ღიმილი დაიჭიროს, გაშიფროს და ეცადოს თავისად გამოიყენოს.

16187. ვნების სიმძაფრე ქალის „მოჩანგვლა-დაკმაყოფილებაშია“ და არა – მის დასაკუთრება-პრივატიზაციაში.

16188. თუ ქალს არაფრის ეშინია, ეს მისი მამაკაცის შინაგანი ძალის და ავტორიტეტის დამსახურებაა.

16189. სილამაზეს და მის მოწოდებას ალტერნატიოვა არ აქვს, თუ ობიექტი „ნატურალურია“, ბუნებრივია.
16190. სილამაზე წარმავალია, მაგრამ არა იმათვის ვისაც თავისი მეს „ჯავრი“ ყოფიერების ცოდნის მუშტით გააქვს.
16191. ყველაზე მეტი ყურადღება ქალს და მეგობარს სჭირდება, პირველს – აქტიური, მეორეს – პასიურიც აკმაყოფილებს.
16192. სამყარო ქალზეა დაყრდნობილი, მაგრამ მაინც მამაკაცის იმედით და დახმარებით.
16193. ქალმა თავი ძალადობის შედეგად გაუპატიურებულად არ უნდა ჩათვალოს, თუ ეს ძალადობა ორმხრივი ორგაზმით დამთავრდა ე.ი. კონსენსუსი ძალდაუტანებლად გამოინახა.
16194. მოწინააღმდეგე სქესის დამუნათების ნაცვლად, ზოგიერთი ქალი მოდის დიზაინს იყენებს და მამრის ნაცვლად ლამაზ ჭინჭთა მონა ხდება.
16195. ლამაზი ქალის ცქერით მრუშობა, ნაღდ მრუშობაზე უარესია, რადგან გაუცნობიერებელ ფანტაზიას ამორალურ გასაქანს აძლევს.
16196. შეიძლება ქალი ერთდროულად ღიმილსაც აფრქვევდეს და თავსაც გვჩუქნიდეს, მაგრამ გააჩნია მის ქცევას და „ფუტლიარს“.
16197. ქალის მომხიბვლელობას, სილამაზეს, ზოგჯერ მოდა განსაზღვრავს და არა – ეროტიულობა და სათნოება.
16198. ქალის ამბიციებს ზღვარი არ აქვს კაცების თავმოყვარეობის ხარჯზე.
16199. ქალთა კორპუსის სიმრავლე ხელს საყვარლების მომრავლებას უწყობს და არა – შეყვარებულების.
16200. მოუგერიებელი მომხიბვლელობის და თანდაყოლილი შარმის მქონე ქალის წინაშე ყველა მამაკაცური მწარე გამოცდილება და ცოდნა უძლურია.
16201. ქალს კითხვების დასმაზე მეტად პასუხის გაცემა უყვარს.
16202. ქალი უმთავრესად ხიბლით უნდა იცვამდეს, მოდაზე ჩამოურჩენლად.
16203. ქართველი ქალის გაფეტიშებული ლეჩაქის ნოსტალგია კიდევ ბევრჯერ შეახსენებს თავს ქართველ მამაკაცებს.
16204. ქალის ღირსების საზომი ის მამაკაცია, ვისზედაც „აფრენს“.
16205. მიწიერი მშვენება თუ შენთან პაემანზე დადის, ეს უკვე „თავდავნატრის“ ტოლფასია.
16206. ქალის გულის მოგება და დაკმაყოფილება ოცნებითაც შეუძლებელია, რადგან მას კაპრიზის უკვდავი ალგორითმი აქვს – „ჩემთვის

რომ დაგეჯერებინა“.

16207. ქალის მომხიბვლელობა-მიმზიდველობას სილამაზე ვერ შეედრება, მით უმეტეს, თუ შენთვის იწვის.

16208. ეტყობა, სიყვარულიც მატერიალურია თავის ვნებით, იმედით, სიამის შეცნობით.

16209. ქალის ჭკუას გონების საჭყლეტი ვერც ერთი განტოლება ვერ ხსნის.

16210. ქალი თუ მამაკაცის ინტერესებით ცხოვრობს, საყვარლობა განაღდებული აქვს, თუ არა და – ცოლობა.

16211. სასურველ ქალზე ფიქრი ხელს გვიშლის დაგეგმილი ცხოვრების რიტმით ცხოვრებაში.

16212. ვნებამოჭარბებული ქალის სისუსტით სარგებლობა ცოდვა არაა, პირიქით – დასპონსორებაა, ხორცის გალაღებით და სულიერების დათმობით.

16213. ზოგჯერ ქალის მზერა, ღიმილი, კისკისი, უფრო მეტყველია, ვიდრე მისი სიტყვები.

16214. შეყვარებულ ქალს ცოლად მოიყვან თუ არ მოიყვან, მაინც სიყვარული უცივდება, რადგან ეს დროის, წლებზე ხახუნის, შედეგია.

16215. ხშირად ქალმა რა უნდა, არ იცის, მაგრამ კაპრიზის დასაკმაყოფილებლად რაღაცის მოპოვებას ცდილობს.

16216. ქალი ოჯახის საძირკველია, თუ ტრადიციებს პატივს სცემს, წარსულის ფესვებს შთამომავლობას არ ავიწყებს და ოჯახის ფუძის მარადჟამს გამაგრების ცდაშია, ხოლო კაცი ოჯახის ამშენებელი კედელია, ცდილობს სულიერების გონიერებასთან შერწყმას, იმედიანად წინ იყურება და სამშობლოს სიყვარულის ფესვებს დროდადრო აფხვიერებს.

16217. გონიერი ქალი ოჯახში მაშინ ამართლებს, თუ ქმრის კონკურენციას არ გრძნობს.

16218. ქალი შეიძლება სიყვარულის იქით დროებით ვერ იხედება, მაგრამ ნაოცნებარის მატერიალიზებულ კუთვნილს მაინც ეპოტინება.

16219. ამქვეყნად ყველაზე რთული სამართავი ქალის გულია და არა მისი კაპრიზი და ინტუიცია.

16220. სილამაზე განუსჯელია, მომხიბვლელობა უცვლელია, სიტურფე სულის სინარნარეა.

16221. ქალი განგების უმთავრესი გამოგონებაა და არა – შეცდომა, როგორც ეს უნიათო მამაკაცებს ჰგონიათ.

16222. დღეს სიძვის დიაცის ცნება, შეფასება, დადგენა, ძნელი გახდა,

იმდენი თანამედროვე ალგორითმია ამოსახსნელი, რადგან ქალი თუ რამდენჯერმე გათხოვილი არ არის, დღევანდელ საზოგადოება არც წარმოაჩენს და თავის მოწონებაც უჭირს.

16223. ქალის სილამაზეს მოდა არ უნდა განსაზღვრავდეს, რადგან თვითმყოფადი და განუმეორებელი უნდა იყოს და დროს ყივილს არ ემორჩილებოდეს.

16224. ქალს კარგი მამაკაცის მორჩილება უნდა ერჩიოს ცუდ მამაკაცზე ბატონობას, თუმცა გააჩნია გენს, კაპრიზს, ხასიათს.

16225. ქალის პატიოსნებას მოვალეობა, დასაქმება და სიყვარული ასხამს ფრთებს და არა – ქარაფშუტობა, ფუფუნება და უსაქმურობა.

16226. ქალს მოუგერიებელი მომხიბვლელობა უნდა ჰქონდეს შინაგან სილამაზესთან და სიკეთისადმი განწყობილ ნიჭთან ერთად.

16227. ქალი, რომელიც მამრს ვერ აღაგზნებს, ქალი კი არა, ქალის „პროვოკაციაა“.

16228. ანგელოზი შეიძლება ქალიც იყოს, თუ გაგიმართლა და გაუმართლე.

16229. წინათ ქალები ნებას ითხოვდნენ თავიანთი უნარის წარმოსაჩენად, დღეს ამას ყოველგვარი ნებართვის გარეშე აკეთებენ.

16230. ქალის მოთხოვნებთან შედარებით მამაკაცის კაპრიზი რა მოსატანია.

16231. ქალი განგების ის ბედნიერი შეცდომაა, რომლის გარეშე სამყარო ვერ იარსებებდა.

16232. ცოლის უზომო მოთხოვნილების გაგება ძნელია, ხოლო რაც გასაგებია, შენთვის დიდი ხნით ადრეა ცნობილი.

16233. ლამაზი ქალის მოყვანას, გამბედაობასთან ერთად, მატერიალიზმთან გასაუბრება სჭირდება.

16234. ასაკის მალვა, წლების შეხახვისთავებით და ქათინაურებით, ქალს სიცოცხლეს უმშვენებს და უხანგრძლივებს.

16235. ქალი ის ნუგბარი, გოზინაყია, რომლის „დაღეჭვა-დაბუბნის“ ძალა-უნარი უნდა შეგწევდეს.

16236. სიცოცხლის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით ქალს ორი წლის მატება ერთ წლად უნდა ჩაეთვალოს.

16237. ჩვეულებრივ, ფართომოხმარების გარეგნობის, ქალს, ცხოვრებაში უფრო უმართლებს, ვიდრე ლამაზს და შესამჩნევს, რადგან ნაკლებად პრეტენზიულია.

16238. ქალები, მართალია, მამაკაცებზე არც თუ ისე კარგად ფიქრობენ, მაგრამ მათი „გამოსწორების“ იმედს არ ჰკარგავენ.

16239. ქალისადმი სიყვარული გულის, სულის, გონების, ბრძანებით

ხდება, მაგრამ ამ ბრძანებას ვინ იძლევა, ბოლომდე უცნობია.

16240. ქალის აღქმა-შეფასებას თავისუფალი დროის გამონახვა-მოძიება სჭირდება.

16241. ქალიც „სუსტი არსებაა“, განსაკუთრებით, თუ მიმზიდველი და ლამაზია, რადგან მასზე მოთხოვნა დიდია.

16242. მდედრი წამლიქვნელების, ქათინაურების, კაპრიზების, გარეშე თავს ქალად ვერ იგრძნობს.

16243. ზოგჯერ კაცის განკურნების საშუალება ქალის ჭირვეულობაა ზომიერების ფარგლებში.

16244. ქალისთვის უკეთესია, თუ მამაკაცს არ „გადაყვება“ და თანადგომას აგრძნობინებს.

16245. დღეს ქათინაურს, კოპწიაობას, სიკეკლუცეს, ქალიც იფერებს და კაციც, მაგრამ ამ უკანასკნელს იმიჯს უფუჭებს, ნამდვილი ხვადების თვალში.

16246. უფრთხილდი ქალს, სიკეთესთან ერთად ის უბედურების მომტანიცაა.

16247. ქალს სიყვარულის დაკონკრეტება არ სჭირდება, თქვენს მიმართ გრძნობების მოჭარბებაც საკმარისია.

16248. არასასურველი ქალი დიპლომატიურად უნდა აიძულო, რომ მიგატოვოს, რათა მისი თავმოყვარეობა დაკმაყოფილდეს და შენს მიმართ სასაყვედურო არაფერი ჰქონდეთ.

16249. ქალებს, უპირველესად, საჩუქარი, ოჯახზე ზრუნვა, დაფინანსება მოსწონთ, ბოლოს კი ფული, ფული და კეთილი გული, ოღონდ ისიც ფულით.

16250. ქალი ილუზიონისტივით იმ მოდური, მომხიბლავი, ტანსაცმლით იმოსება, რომლის არსის გაგება მამაკაცს უჭირს.

16251. ბევრი ქალი შემცოდებია, როდესაც ვხედავდი რა უგვანოსთან შექმნა ოჯახი, ნორმალურ მამაკაცთა ნაკლებობის გამო.

16252. ქალს არც უნდა აპატიო და არც უნდა გაპატიოს, რადგან შენდობას დროთა განმავლობაში შეურაცხოფად მიიღებს, კუდის გამოფსკვნით.

16253. ქალისადმი გამოხატული პატივისცემა მამაკაცს ყველას თვალში ამაღლებს.

16254. ვნების ამბიციებს მხოლოდ ქალის გული უგებს.

16255. ყოველთვის სიახლეს ვერ შეწვდები, ამიტომ ზოგჯერ არსებულით უნდა დაკმაყოფილდე.

16256. ცოლი ყველაზე დიდი მპყრობელია მამრის ცნობიერების, გონიერების, ჯიბის.

16257. ქალის სილამაზე, სექსუალობა, მომხიბვლელობა, პატიოსნებას ეურჩება, რადგან მონადირენი ბევრნი არიან.
16258. ქალები გვაძლევენ იმ განუმეორებელ სითბოს, რომლის მოცემაც არავის ძალუძს.
16259. წესით, გათხოვილი ქალი პატიოსანი უნდა იყოს თუ დროის უწესობა არ შეაცდენს და თავის ჭკუაზე არ „მიიზიდავს“.
16260. სისულელეს განათლება არ შველის, იქნებ ისევ ასაკის მატებამ უშველოს.
16261. მთავარია, ქალმა მამაკაცის ალერსს გემო გაუგოს და ის მამრის „დაბმას“ როგორმე მოახერხებს.
16262. მშობიარე ქალი ბუნების სასწაულია, თუ განგება მისი ნაშიერის ნათლიობას იკისრებს.
16263. ქალს დაფიქრების საშუალება არ უნდა მივცეთ, თორემ მისდაუნებლიედ, შეიძლება ისეთი რამ მოიმოქმედოს, რომელიც მასაც ავნებს და ჩვენც.
16264. ჩვენს ნაკლოვანებებს ქალები სიამით აღიქვამენ, თუ მოვწონვართ და ვუნდივართ.
16265. კაპასი და შეუხედავიც ქალია და მარად ასეთად დარჩება, მაგრამ ის მამაკაცი სჭირდება, რომელიც ქალობას აგრძნობინებს, დედობით გაახარებს და იმედს არ გადაუწურავს.
16266. ლამაზი ქალები ასაკში ნანობენ, რომ თავიანთი შესაძლებლობა მთლიანად, სარფიანად და ბედის შეძახებით ვერ გამოიყენეს.
16267. ქალი ჯალათიცაა, მწვალებელიც, მამრის დამღუპველიც – მხოლოდ უნიათო კაცებისათვის.
16268. სილამაზემ, მომხიბვლელობამ თავისი ქცევით იმედი არ უნდა გაგვიცრუოს, ხასიათი არ უნდა გაგვიფუჭოს.
16269. თუ ქალები გაუთხოვრები, ქალწულები, რჩებიან ან ორგაზმს ვერ ახერხებენ, ეს დანაშაულია ერის, ქალის უნიათობის და იმ ტრადიციების, რომელთა ყავლი უკვე გავიდა. კონსერვატიზმს უგუნურებამდე მივყავართ.
16270. თუ ქალი ხელიდან დაგისხლტა, შენ ხარ მის წინაშე დამნაშავე და არა – პირიქით.
16271. ქალის და მამრის მეგობრობა, ასაკის მიუხედავად, „წკიპზე“ ჰკიდია.
16272. შეყვარებული ქალი ყოველთვის იმის თქმას ცდილობს, რაც მამაკაცს მოსწონს, სანამ თავისად იგულებდეს და „დააბამდეს“.
16273. ქვრივი ქალი, საყვარელთან სექსაობისას, კედელზე ჩამოკიდებულ ქმრის სურათს ამუნათებს: შენ რომ არ გყვარებოდა ეს საქმე,

მე ამას არ ჩავიდენდიო.

16274. ქალმა თავისი წარმოჩენის ადგილი უნდა იცოდეს და ინტუიციით უნდა გრძნობდეს.

16275. ქალი მუდამ მამაკაცის აღზრდაშია და მისი რაობის წარმოსაჩენად იღვწის.

16276. ქალებს და ცხენებს, უპირველესად, გარეგნობით და იმის მიხედვით აფასებენ, თუ როგორ ატარებენ ტანასაცმელს და უნაგირს.

16277. ქალის სიყვარულს დროული გამოხმაურება სჭირდება, რომ შემდგომ საყვედურებით არ აგავსოს, როდესაც ცოლად მოიყვან.

16278. ქალის სურვილებს მამაკაცის შესაძლებლობები უმთავრესად დასეკვესტრებით სწვდება.

16279. ქალის საწყისია: მგრძნობიარე გული, გაუხედნავი სული, კაპრიზი და დიდი სიყვარული.

16280. ქალს წყენა-განაწყენება ნერვებს უვარჯიშებს და ხშირად ეს მისთვის დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ტოლფასია.

16281. ქალს ყველაზე მეტად მასზე მორგებული მამრი ამშვენებს.

16282. ქალის ღირსება მის სილამაზეს არ უნდა აღემატებოდეს, გრძნობები გაჯიქდება.

16283. ქალმა სიყვარულით უნდა დაგვკოდოს და არა – მომხიბვლელობით, რადგან ეს უკანასკნელი წარმავალია.

16284. ქალს სიყვარული, თაყვანისმცემლები და მოდაზე ჩაცმა აახალაგზრდავებს.

16285. ქალებს ინტუიცია თანდაყოლილი აქვთ, კაცებს – შეძენილი და ისიც ქალების დამოძღვრით.

16286. ქალები ისე იქცევიან როგორც მამაკაცებს სურთ, მაგრამ ერთი წაყრუება, სადავეების მოშვება და ყოველივე პირიქითაა.

16287. ჭკვიანი ქალი ბედნიერებაა, თუ განგება მის ვნებას საარჩევნო ჰორმონებს შეაზელს.

16288. ღირსებაზე ლამაზად ყბედობით ქალს ვერ მოხიბლავ, თუ ის შენთვის გაჩენილი არ არის.

16289. ქალი ბედის საძებნელად, იმედის დაუკარგავად, მარად შეიარაღებულია.

16290. ქალს თუ კაცის ხასიათის საწინააღმდეგო რაღაც-რაღაცები არ ექნა, მაშინ არც ქალად ივარგებს.

16291. ერთი ჯიშის ქალებს ბევრ მამაკაცთან ურთიერთობა აბედნიერებს, ხოლო მეორე ჯიშის ქალებს გაუთხოვრებს ტოვებს.

16292. ქალებს რა დროს რა უნდათ, რა უხარიათ, თავადაც ამინდივით არ უწყიან.

16293. ქალები უფრო ვერ იტანენ კონკურენტებს, ვიდრე მამაკაცები, რაც ქალის თანდაყოლილი ამბიციების და კაპრიზის დამსახურებაა.
16294. ქალის ვერაგ ბუნებას ბევრი „ვაჟკაცი“ დაუჩოქებია და ფინიად უქცევია.
16295. ეტყობა, ცოლებს ქმრები მაინც თავისებურად უყვართ და არ ამჟღავნებენ.
16296. ქალს შეფასება, გადაფასება, შეცნობა, კი არა, სიყვარული და თანადგომა სჭირდება.
16297. ხანშიშესული ქალის მიერ ახალგაზრდა მამაკაცის „შერთვა“ უკვე დანაშაულია, საბოლოოდ არშემდგარ ოჯახზე რომ არაფერი ვთქვათ.
16298. ვნების ზღვარი ხშირად ქალის მონდომების ინტენსივობას განსაზღვრავს.
16299. ქალს შეიძლება უყვარდეს ან არ უყვარდეს, მაგრამ გულგრილობის უფლება არ აქვს, რადგან ის მომავალი დედა, ბებია და სიცოცხლის წარმოშობის მსახურია.
16300. ყველა ქალი იმ სექსუალურ და ალერსიან მამაკაცზე ოცნებობს, რომელსაც არ ჰყავდა საყვარლები, ხოლო ვნების ფრქვევის განათლება როგორღა უნდა მიეღო, ეს არ აინტერესებს.
16301. ქალმა უნდა წარმოაჩინოს მხოლოდ ის, რაც მშვენიერი აქვს და არავითარი სხვა.
16302. ცივილიზაცია, ტექნიკური პროგრესი, თავისუფლების საწყისიცაა და თავისებური თავსატეხიც.
16303. ხშირად ქალების ხარისხი პიარზე და რეკლამაზეა დამოკიდებული და არა განსჯაზე.
16304. ქალი ლოდინისთვის, წარმოდგენისთვის, ბედის გაღიმებისთვის და სიცოცხლის წარმოქმნისთვის გაჩენილი არსებაა.
16305. გულწრფელ და გაუთხოვარ ქალს ხელი დროებით ყველაფერზე ჩაქნეული აქვს.
16306. ქალის ყურადღება მალვით უნდა მოვიპოვოთ, რათა გული მოვიპოვოთ და სულმა გვცნოს.
16307. არც ქალის გაღმერთება გამოდგება ოჯახის შესაქმნელად და არც უყურადღებობა, ცოლის შერთვას ანგარიში ანალიზით უნდა.
16308. ქალის ერთგულებას უმეტესად შემთხვევა წყვეტს და არა – მისი ბუნება და კდემამოსილება.
16309. ქალს სიყვარულის პარამეტრების დადგენაც უჭირს და მისი გათავისებაც.

16310. ქალის საწოლში კოტრიალი სექსში გვანათლებს, ხოლო მასთან საუბარი ახლობლების რაობაში გვარკვევს.
16311. ქალის სილამაზე სიყვარულს დასცინის და მამაკაცს შიშის ქვეშ ამყოფებს თუ მის ნებას არ ემორჩილება.
16312. ქალს ზოგჯერ ისეთი ვიღაც შეუყვარდება, რომ დედა კი არა, დიდი ბებიაც წინააღმდეგია.
16313. ქალის რაობის პარამეტრებს ხშირად მისი შეყვარების ხანგრძლივობა ადგენს.
16314. სილამაზე ქალს ამშვენიერებს და კეთილს ხდის, თუ უჯიშო გენის არ არის.
16315. სულით არშიყი ქალი, გონიერთაგან განსხვავებით, გულით ოჯახის შექმნას არ ფიქრობს.
16316. ზემდგომის გაღიმებას, ზოგჯერ ყველა ქალის ღიმილს ვამჯობინებთ ერთდროულად, რადგან აქედან შეიძლება ჩვენი მეობის წარმოსაჩენი რაღაც გამოდნეს.
16317. ქალის ეჭვიანობა თავმოყვარეობის შესაძლო შელახვისაგან თავის დაზღვევაა.
16318. ყველა ქალი ხორციელად „ბოზი“ არ არის, მაგრამ მაინც თავისუფალ საქმეზე ფიქრობს.
16319. სევდა-სიხარული, ზომიერების ფარგლებში, ქალს ამშვენებს და მაკიაჟის საჭიროებას დროებით გამორიცხავს.
16320. მდედრს, სექსაობის დროს, ვნებათა ინტეგრალების ამოხსნა თუ არ აინტერესებს, ის ქალი კი არა, გამოუსწორებლად შეუმდგარი დედაკაცია.
16321. როდესაც ჩემთან შედარებით ასაკოვან ქალს ურთიერთობა შევთავაზე, „გაკვირვებულმა“ მკითხა, იცი შენ მე რამდენი წლისა ვარო და ათი წელი წარბშეუხრელად შეიხახვისთავა, ასე, რომ ქალი გულწრფელი არც ამ აღფრთოვანებული პროტესტის დროსაა.
16322. მოხდენილი მდედრი ერთი ფეხით ვნებით უნდა წერდეს სიყვარულზე, მეორეთი მამაკაცს ამშვენებდეს, ხოლო მოხდენილი მკერდით და გავით თავის ქალობას ხაზს უსვამდეს.
16323. „შოპინგებზე“ ქალი მაშინ ფიქრობს, როდესაც ძალზე უყვარს ან ძალზე უჭირს.
16324. დახვეწილ ქცევას, აზროვნებას და ქალს დახვეწილი გემოვნების შემფასებელი სჭირდება.
16325. დაწყვილება თავისებური გამართლებაცაა, რადგან სასურველი შედეგის მიუხედავად, მდედრი თავისი ბედის მარად უკმაყოფილო

და „უმადურია“.

16326. ფემინიზმი ქალებისთვის თავისებურად ბოლომდე გაუაზრებელი „ხარკია“ მათივე საწინააღმდეგოდ, რადგან ისინი მამაკაცების გულგრილობას და სიზარმაცეს მათთვის „სასარგებლო“ მხრიდან იცნობენ.

16327. ქალის გული ყრუა, ფიზიკური კანონების, ქიმიური რეაქციების, ბიოლოგიური წარმონაქმნების, მათემატიკური გათვლების და საერთოდ, ფილოსოფიური ხედვის, მიმართ, თუ ის უყვართ და უყვარს.

16328. წინათ ქალის ქალობა ფასობდა, დღეს ქალის „კაცობაა“ მოდაში ოჯახის მარჩენალის სტატუსით.

16329. ქალს ყველა უნარის გამოვლინების, განვითარების, საშუალება მივცეთ, ოღონდ კდემამოსილების და დედად დარჩენის ფარგლებში.

16330. ქალთან ურთიერთობა მაინც აღებ-მიცემობაზეა დამოკიდებული თავისი განცდებით და ოცნებებით.

16331. სიყვარულის გარეშე ქალის დაუფლებას პიარი აკლდება, თორემ პრაქტიკულად შედეგი შეიძლება უკეთესი იყოს.

16332. ქალები, ხვადი მამაკაცების ხელში, თანახმანი არიან, რომ ფორმალურად მარად გაუთხოვარნი დარჩნენ.

16333. ქალის ნდომას გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე კაცის მონდომებას.

16334. ქალის ქცევა აწრთობს მამაკაცს, ხოლო მამრის ხასიათი მდედრს თავს აყვარებს.

16335. ჩემი მეგობრის ქალიშვილს, რომელიც 35 წლისა გაუთხოვარი იყო, ხუმრობით ურჩიე, ბიჭს რომ გაიცნობდა, ეთქვა, რომ უკვე ორი ქმარი გამოცვლილი ჰყავდა. არ გასულა სამი თვე და ამ საქალბატონემ ქორწილში დამპატიჟა, თურმე ჩემი ხუმრობით ნათქვამს მისთვის ბედი გამოუჩხრეკია. ერთ დღესაც ჩემი მეგობრის სტაჟიანი გინეკოლოგი მამა, მათთან სტუმრობისას მომიყვა, რომ რამდენიმე რუსმა გოგონამ მოსკოვში საქალწულე აპკი აღადგენინა, რაც მანამდე მის პრაქტიკაში არავის უთხოვია. მეოცე საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში არეულობათა გამო გარკვეული ნაწილი ახალგაზრდობისა რუსეთში გადასახლდა, შედეგად მათმა გამბედნიერებელმა რუსმა გოგონებმა მათი გაბედნიერება გაოცებით მოინდომეს. ასე რომ ყოველივე მოდის ყივილს და წამლიქვნელებას ემორჩილება. წინათ თუ გაუთხოვარი ქალები იყვნენ მოდაში, დღეს თუ ქალი სამჯერ მაინც არაა გათხოვილი, ის „ღირსეულ საცოლედ“ არ ითვლება.

16336. ქალს ვინ უყვარს და რა უყვარს, თავადაც არ უწყის, მაგრამ მამაკაცს მაინც „სიყვარულით“ მოჰყავს ცოლად.

16337. დღეს სიძვის დიაცებს გაუმართლათ, საკუთარი ბავშვის მამის დადგენაც შეუძლიათ და ალიმენტის გამოძალვაც – ადრე მეცნიერების ამ მიღწევაზე ვერც ერთი ლამაზმანი ვერც იოცნებებდა.

16338. მშვენიერების, ხიბლის, ჯადოქრული ღიმილის და თვალების დაჟუჟუნების გარდა ყოველივე წარმავალია.

16339. ქალების მიერ ნიფხვების გახდა ტექნიკური პროგრესის დამსახურებაა, რომელმაც გამჭვირვალე, თბილი „კოლგოტკები“ შემოგვთავაზა და შესაძლებელი გახადა ქალებს თავიანთ კონკურენტუნარიანი სიტიტვლე წარმოეჩინათ.

16340. ქალი ისაა, რომელიც არა მარტო სარკეში, არამედ ყველგან იხედება, რაც მის სხეულის ნაწილებს ირეკლავს.

16341. ქალი მამაკაცს ხაფანგს კი უნდა უგებდეს, მაგრამ არ უნდა დასდევდეს და ზედმეტი ყურადღებით არ უნდა აწუხებდეს, თუ უნდა თავისი ლელო გაიტანოს.

16342. ქალი მამაკაცის ღირსებას და ნაკლსაც სათავისოდ ეძებს, მისთვის გასაგები ალიბით.

16343. ქალს, უპირველესად, საინტერესო სამყარო უნდა ჰქონდეს, გონიერებით და დაუშრეტელი ფანტაზიით, თუ უნდა ყველა ასაკში ქალად აღიქვან.

16344. ანგელოზი არც კაცია და არც – ქალი, მაგრამ ამ უკანასკნელს შეურაცხყოფა ისეთ რაიმეს ჩაადენინებს, რაც კაცს არცკი დაესიზმრება.

16345. ვერაგობა ქალის გულში საშინელებად იქცევა და ის ყველაფერზე წამსვლელი ხდება.

16346. უმჯობესია ქალი გმირის ქვრივი იყოს, ვიდრე ლაჩრის ცოლი, პირველს ღირსეულ კაცზე მეორედ გათხოვების შანსი მაინც აქვს.

16347. დღეს ქალის გალამაზების საქმე მთლიანად მიკროქირურგების, ვიზაჟისტების, სტილისტების ხელშია. ასე, რომ მშობლებზე სასაყვედუროც აღარაფერი რჩება.

16348. ქალისთვის მთავარია მამაკაცმა მისი გაშიშვლებული უმწიკვლო სული შეიყვაროს, ვიდრე მისი შიშველი და აღმგზნები სხეული.

16349. ქალის სიყვარული მარად უცნაურია, ის ასაკში ყველაზე მეტად ქმარს ყვარობს, რომელიც როგორც მოქმედი ხვადი უკვე ჩამოწერილია.

16350. საშინელებაა, როდესაც ქალმა თავისი როლი და რეალური ფასი

არ იცის.

16351. შორეული დროის ეშხიანი ქალის გახსენება დღესაც სიამოვნებას გვანიჭებს.

16352. პერსპექტიული დედაკაცი სიყვარულს და გამოცდილებას ერთდროულად ეწაფება გარკვეული შედეგით.

16353. ქალი, მოთხოვნილებათა დაფინანსების გარეშე, ერთგულებას ვერ გაგიწევს.

16354. ქალი ყოველივეს მისდაუნებლიედ ალამაზებს, მათ შორის, უნებლიედ ჩადენილ ცოდვასაც.

16355. დამყოლი ქალი ხშირად იმაზე მეტ „დივიდენდებს“ იღებს, რაც ეკუთვნის და რის გათავისება სურდა.

16356. ქალის და მამაკაცის ურთიერთობა მთლად ფარსი არ არის, მაგრამ სახეზე გონიერების ნიღბის ტარება აუცილებელია.

16357. ქალებს იშვიათი ნიჭი აქვთ ყველაფერი გაართულონ, გააფუჭონ, თუ ხასიათზე არ არიან, დროის და გარემოს შეუცნობლად.

16358. ჯაჯღანი: „ვიღლები, ყურადღებას არ მაქცევთ, არ გეცოდებით“ და სხვა ამდაგვარი, ყველა ქალის საოჯახო რეპერტუარში მეტნაკლებად შედის.

16359. თვალებით ნანადირებ ქალს იმ წუთში არაფერი შეედრება.

16360. ყველაზე თავისუფალი ბუნების ქალიც, მათ შორის მეძავიც, სიყვარულზე იწყებს ლაპარაკს, ყველაზე და ყველაფერზე ვალის დადებით.

16361. ქალის ღიმილი და ვნებიანი კოცნა იმის გარანტიას ჯერ კიდევ არ იძლევა, რომ მისთვის შეუცვლელი და ერთადერთი ხარ.

16362. მლიქვნელის გამოყენება მანამდეა შესაძლებელი, სანამ მისი კარიერის პერსპექტივის სადავეები ხელთ გიპყრია.

16363. მიუწვდომელი კი არ უნდა ვაკეთოთ, არამედ შეუძლებელი, თუ გვინდა ქალის გული მოვინადიროთ.

16364. მშვენიერებას თავისი ჩრდილის მსგავსიც თან უნდა ახლდეს, თუ გვინდა მასზე ვიჭორაოთ და პიარი გავუკეთოთ.

16365. ქალის ჰარმონიული მშვენიერება ბუნების სასწაულია.

16366. თუ მომხიბვლელ ქალს იერით, სულიერებით, გონიერებით, კონკურენტი არ ჰყავს, ბედნიერია.

16367. მექალთანე თუ გამოუცდელ ქალს ხელზე კოცნის, დანაშაულია, რადგან ამით მას ასულელებს და უიმედოდ თავს აყვარებს.

16368. მოხდენილი ქალისადმი ლტოლვა ჩვენ ჯიბეში ხელის ჩაყოფას ცდილობს, ხოლო სიყვარული სულიერებაში დაუკითხავად მიძვრე-

ბა.

16369. ქალმა უნდა გაიხაროს, როცა მას ამჩნევენ და განსჯის საგნად ხდიან.

16370. ყველა ქალი თავისი ჭკუით, ოცნებით და მენტალიტეტით გამობრძმედილ მამაკაცს ეძებს.

16371. ქალის გულისთვის დაუფიქრებელი თავქარიანობა მამაკაცს ამკობს, მაგრამ კანონის სიმკაცრისაგან არ ათავისუფლებს.

16372. თუ ქალს სათანადო ანაზღაურება კომპენსაციის სახით შესთავაზე – უსიტყვო ღიმილით გიპასუხებს.

16373. ჯობს ღამეები ქალებს მივცეთ „სათამაშოდ“, ვიდრე დღეები, მამაკაცები ნაკლებად „დაზიანდებიან“.

16374. მამაკაცს, უპირველესად, ის ქალი სჭირდება, ვინც მის ხვადობას დაფარავს, შემდგომ მოდის დედა, და, ცოლი, ქალიშვილი.

16375. ქალს დიდი მცდელობა და ჯაფა სჭირდება, რათა მისმა მამაკაცმა ქმრის სახელი დაიმსახუროს.

16376. ქალის ცრემლი ყველაზე მისი გადაცდენის საიმედო ვექილია.

16377. ემოციური ქალი სიყვარულის დამტკიცებას მამაკაცისაგან, ქათინაურების შეხსენებით, ყოველდღიურად ითხოვს.

16378. ქალის სითბოს დეფიციტის საწვავია: მე შენ მიყვარხარ, მე შენ მჭირდები.

16379. ქალისთვის ფეტიში, შერიგება-გაყრის სახით, გართობის ერთ-ერთი სახეობა.

16380. ზოგ ქალს ამ ქვეყნად უნდა ვუფრთხილდეთ, რათა იმქვეყნად ზნე არ იცვალოს.

16381. ქალს ის მამაკაცი მოსწონს, რომელიც სხვებსაც მოსწონს, რაც შეეხება შეყვარებას – იძულებითი „ფანდია“.

16382. ქალში დეკორატიული გაცილებით მეტია, ვიდრე ტრადიციული თვითშეგნება და კდემამოსილება.

16383. ქალი გაზაფხულია და ამას განსჯა არ სჭირდება, უბრალოდ, უნდა მივიღოთ ეს ბედნიერება განუსჯელად, სულიერების აპლოდისმენტებით.

16384. ქალს ის არ უნდა აჩუქო, რასაც ვერ ატარებს და არც სხვისთვის გადასაჩუქრებისთვის დაენანება.

16385. ქალის ვალია ყველა შეხვედრა დღესასწაულად აქციოს, მათ შორის, არარენტაბელურიც და არარეალურიც.

16386. ქალის დასამშვიდებელი საშუალებაა კარგი სექსი და საშუალო ხელფასი ან დიდი ფული და ვალის მოსახდელი სექსი.

16387. ქალის კისრით ტარებას, ისევ ხელით ჯობს – შენც ისიამოვნებ.
16388. ქალებთან დავა მათივე სიამტკბილობისთვის შეიძლება, ისე კი დაყვავება, თავის ქიცინი და მათივე კლანჭებში გატრუნვა სჯობს – გაცილებით ამართლებს.
16389. ქალში, სანამ ჩვენი ცოლი გახდებოდეს, ათას ნაოცნებარ „სი-სულელეს“ ვეძებთ.
16390. ქალის გულუბრყვილობა გამოსარჩევია, რადგან მამრში მარად სიყვარულს ხედავს და არა – მეგობრობას.
16391. ქალი თავიდან ბოლომდე გულია, რომელიც სამყაროს უსასრულობაში ფრენისთვის არის მოწოდებული, მაგრამ როგორ აფრინდება და სად დაფრინდება, არავის უწყის.
16392. ქალებს რომ ყველა ვაჟი წინასწარ დაეგეგმათ და სიყვარულით ეშვათ, მომავალი მამების ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.
16393. სილამაზეს რაციონალური მოხმარება სჭირდება და არა უაზროდ ბედის სასწორზე დადება და „აიწონა-დაიწონას“ ცდა.
16394. ცოლი თავადვე უნდა შექმნა, ოღონდ არა საკუთარი ნეკნიდან, რათა მანაც შენი გენიდან იგივეს კეთება არ დაიწყოს, რაც ყოფის კაურებს არ შეეფერება.
16395. ქალი ქერაა თუ შავგვრემანი, ხასიათი ერთი აქვთ, მაგრამ პირველნი მეტ ყურადღებას იპყრობენ, ხოლო მეორენი შურიანობენ და მათ იმაზე მეტ ქარაფშუტებად წარმოაჩენენ, რაც არიან.
16396. ქალი საწოლში ვნების ინტეგრალების ცოდნას არ ითხოვს, მაგრამ მისთვის სიამოვნების მინიჭების უნარი აუცილებელია.
16397. დღეს ქალებს არა მარტო თავი, არამედ მხრებიც სტკივათ, პასუხისმგებლობის შეგრძნებით და შეუძლებელის კეთების მცდელობით, ამ „პერესტროიკის“ და ქვეყანაში არეულობის გადამკიდეს.
16398. თეორიულად ქალი ეკოლოგიურად სუფთა, სულიერად გაურყვნელი და ქმრის მოყვარული უნდა იყოს, მაგრამ დღევანდელი პრაქტიკა, დრო, განათლება, მსოფლმხედველობა, მიბაძვა, სხვაა და მამაკაცებიც დროის გათავხედებას ეჩვევიან რადგან თავის დროზე ზნეობიდან გადახრას ნაუყრუეს ქალებისათვის დაუგეგმავი ვნების გამოტყუების მიზნით.
16399. ქალის გულში მაინც მშვიდობის მტრედია, რაც უნდა აგრესიულად იყოს განწყობილი.
16400. ქალის გარეგნობა და ფეტიშია მოწოდებული ემანსიპაციისთვის და არა სული და დედობის გენი.
16401. ხშირად, თავის სასარგებლოდ, ენით, ქალი იმასაც ამზეურებს,

რაც არ უნდა გაეფიქრებინა და არ უნდა ეთქვა.

16402. ნაღდი ქალი ჩასაცმელის რაოდენობას კი არა, ხარისხს აფასებს, რათა ხაზი გაუსვას მიმზიდველობას.

16403. ქალის გონება ხშირად გაპუდრვას და სულიერების ფერ-უმარულს მოითხოვს.

16404. მოხერხებული ქალები „ლოველასებსაც“ მათდაშეუმჩნევლად, საქორწინო გვირგვინს ადგამენ.

16405. თუ ქალი გატაცებულია, უფრო ჭკუას ჰკარგავს და არა – კაპრიზს და „მეს“.

16406. მამაკაცის ყველაზე დიდი ოპონენტი ქალია.

16407. ქალისათვის სექსი მოთხოვნილება, მოვალეობა და ზოგჯერ ვალდებულებაცაა.

16408. ქალს ყველაზე მეტად იზიდავს მამაკაცის საბანკო ბარათში ჩამონტაჟებული ნოლების რაოდენობა.

16409. სილამაზე ზოგჯერ მოულოდნელ-განუსჯელ დანაშაულს სჩადის, რადგან იცის, რომ მის მშვენიერებას ყავლი გასდის, ხოლო კარგი ცხოვრებისკენ მისწრაფება უკვდავია.

16410. ქალის სხეულის მიმზიდველი ნაწილების ექსტრავაგანტულობა, მისი დახასიათება და ანკეტაა.

16411. ქალის ღიმილი მომნუსხველი და შეუცნობელი იარაღია, რომელსაც ბევრი სასურველი მამაკაცის „დაბმაც“ შეუძლია და დაოჯახებაც.

16412. ქალისთვის გულის კარების შემთხვევით გაღებას უნდა ერიდოთ, რადგან მერე შემდგომი მისი იქიდან გამოძევება ძნელია.

16413. გვინდა – არ გვინდა, ყველაზე უკეთესი მასწავლებელი მამაკაცისთვის ქალია, რადგან მას დაუფიქრებელი სიავის კეთებასთან ერთად შეცოდებაც შეუძლია.

16414. ყველა გენიოსი ქალისაგან დავალებულია, რადგან იგი ან მისი დედა იყო, ან აღმზრდელი, ან საყვარელი, მიუხედავად იმისა, რომ მათ იშვიათად მოიხსენიებენ.

16415. თუ არა კონკურენცია და ღირსეულ მამაკაცთა ნაკლებობა, ქალთა მეგობრობა მაღალ რანგში იქნებოდა აყვანილი.

16416. ქალს ბოლომდე არ უნდა დაუჯერო, მაგრამ ეს არ უნდა აგრძნობინო.

16417. თუ ქალები მამაკაცებს ძალზე შეაწუხებენ ემანსიპაციით, ფემინიზმითა და სექსის მოთხოვნით, სიზარმაცის მოყვარული მამრები მაშინვე რობოტ მამაკაცს გამოიგონებენ და თავიანთ საქმეს მათ

აჰკიდებენ, ასეთია მათი ბუნება.

16418. ქალი ერთ გულზე ორი თავის მოთავსებას ცდილობს: ერთს – სათავისოდ, ხოლო მეორეს – სხვისთვის და იმასაც თავის სასარგებლოდ.

16419. ქალის ასაკს მამაკაცთა მუზა ადგენს.

16420. ქალი ოცნების ალიბით და ფორტუნას იმედით მაინც დაფრინავს, იმისდამიუხედავად, ბედი როგორ შეხვდა და ცხოვრებაში როგორ უმართლებს.

16421. ქალი მარად ამოუხსნელი ღვთაება უნდა იყოს, რომ კაცი ბოლომდე შეინარჩუნოს.

16422. ცოლის ლამაზმანად წარმოდგენა ძნელია, მაგრამ უნდა ვეცადოთ, თუკი ჩვენი საყვარელი შვილების დედაა და მითუმეტეს, რომ არც არავინ შეგვიცვლის.

16423. ქალი იმ ინტუიციით სარგებლობს, რომელიც ფაქტიურად არ აქვს, მაგრამ მას დედობის ანგელოზი მფარველობს და მამაკაცებზე უფრო უმართლებს.

16424. სიდედრ-დედამთილის ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობა, ქალთა გულმავიწყობის ბრალია.

16425. იყო მეუღლე, ოჯახის დიასახლისი, დედა, ღირსეული არჩევანია ქალისათვის, იმისდამიუხედავად, მოსწონს მას ეს „პროფესია“ თუ არა.

16426. ქალისთვის „შოპინგი“ მაღაზიაში თავისებური სპორტია, ნავაჭრით კი მხატვრული ტანვარჯიშია.

16427. ზოგჯერ ქალის სურვილი იმდენად უცნაურია, რომ არა მარტო მისთვის, განგებისთვისაც გაუგებარია.

16428. მოხერხებული ქალი ყველა გარემოში მოგებულია, რადგან მის გულს ოპონენტად გვერდში აზროვნება უდგას.

16429. ქალისთვის ტყუილი აუცილებელია, მას ქათინაურის სახით ეტყვიან თუ თავად გაახმოვანებს, რადგან უწყინარი სიცრუე მას ახალისებს და სიცოცხლეს ჰმატებს.

16430. ქალის „ლოგიკას“ ზოგჯერ ვერც ცხვირწინ ფაქტების დადება შველის.

16431. ქალის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, მისი გარეგნობით რა კატეგორიის და ხარისხის თაყვანისმცემლები ინტერესდებიან.

16432. აფთარქალა მამაკაცს მის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც კი არ პატიობს.

16433. ქალის უპირველესი ბედნიერება განუსჯელ-აუწონავი სიყვარუ-

ლია.

16434. ქალს უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან ავად თუ კარგად ჩვენი სულიერების მამოძრავებელია.

16435. ქალი ყველაზე საშიში იარაღია, თუ მამაკაცი მისთვის „ჰობია“ და მისი ტკბობით „მოხმარა“ არ იცის.

16436. რედაქტირებას ყველაზე ხშირად ქალის რძე, ჩაცმულობა და ხასიათი მოითხოვს.

16437. კრიზისი ქალისადმი მიმართულ კომპლიმენტზეც მოქმედებს, ვინაიდან მატერიალურად უპერსპექტივოა.

16438. ქალის კდემამოსილება, პატიოსნება, სათნოება, ირგვლივ მყოფ მამაკაცებზეა დამოკიდებული.

16439. სილამაზის შეცნობა, აღქმა, მრავალი მშვენიერი მდედრის ნახვა, გაცნობიერებას მოითხოვს, რათა ქალის სინატიფეს მისი სულიერებაც წაეშველოს და საერთო სილამაზე წარმოაჩინოს.

16440. ასაკში გასახსენებლად ყველა ქალთან გატარებული დრო სასიამოვნოა, თუკი გაგახსენდა.

16441. სიძუნწე, ხელმომჭირნეობა, ერთფეროვნება, ზოგჯერ დროის დამსახურებაა, მაგრამ ქალის ბუნება მაინც ხელგაშლილობას ეტრფის და აზროვნების „აიწონა-დაიწონა“ არ აინტერესებს.

16442. გულმართლობა ქალს ამკობს, დროის დაცინვის გარეშე.

16443. ყველა ნაღდი მამაკაცის უკან შემოქმედი ერთგული და მეოცნებე ქალი დგას, რომელიც ხშირად შეუმჩნეველია.

16444. ქალი სულის სიმშვიდეცაა, თვალების სამოთხეც, სახლის დიასახლისიც და თავისი ნაშიერის დამცველი ძუ მგელიც. ამიტომაცაა, რომ მას ყოველივეს შევუნდობთ თუ არ გადაამლაშა.

16445. აფთარქალა გვაშინებს, თავზარსაც გვცემს, გვამუნათებს, კიდეც, რათა არ დავჩმორდეთ და კაცებად დავრჩეთ.

16446. ქალის გამაბედნიერებელი არც ერთი წარმოსახვითი მამაკაცი, მისი მოთხოვნების 100%-ს არ შეეფერება.

16447. ქალი მანამდე რჩება ქალად, სანამ მას ამჩნევენ და მასზე წარმოდგენით, ძილის წინ, ხვადები ვნებით გაინავარდებენ.

16448. ქალისთვის უმთავრესია ყოველი მომდევნო სიყვარულის მოსვლას უერთგულოს და სიყვარულითვე გააცილოს.

16449. ქალი ყველა ავია, საიდანაც უნდა შევხედოთ, მთავარია, ყურადღება არ მივაქციოთ და სიავის მაყუჩი მივაწოდოთ ფულის სახით.

16450. ქალი კაპრიზის, ულტიმატუმის, ვნების, გარეშე მხოლოდ მდედრია.

16451. ყველა ქალი ვნებიანი არაა და არც სექსზე გიჟდება, მაგრამ მოვალეობას ამ საქმეში შეგნებით უდგება და თუ საჭიროა, თავსაც ვნების კორიფედ მოგვაჩვენებს.

16452. ქალები მკერდს, გრძელ ფეხებს, მომხიბვლელ უკანალს მამაკაცების „დასაბმელად“ ეფექტით წარმოაჩენენ, მაგრამ ეს მამაკაცის საცურაო ტრუსებში წარმოჩენილ მამაკაცის ღირსებას ვერ შეედრება და თავადვე ხდებიან ამ მამაკაცზე მონადირენი.

16453. ქალის მთავარი კოზირია მიმზიდველობა, აღზრდა, სასურველი მეტყველება და არა ის, თუ ვისი ნაშიერია.

16454. მთავარია, ქალი კისერზე ჯდომას არ შევაჩვიოთ. სხვაგან მოკალათებას კი ნუ დავუშლით.

16455. მოხერხებულ ქალს თადარიგში მისთვის მოსაწონი მამაკაცებიც უნდა ჰყავდეს, საყვარელი მამაკაცის გარდა, ვინ იცის, რა დროს გამოადგება თუ ბედმა უმუხთლა და მასზე განაწყენებულმა ეშმაკმა მის გრძნობებს კვანტი გამოჰკრა.

16456. ცხოვრებას მოწყურებული ქალი სიცოცხლის რაციონალურად გამოყენებას ცდილობს და ვნების ფიალის ბოლომდე შესმას, ამიტომ ის წინააღმდეგი არ არის სულიერების კოდი ერთ მამრს გაუმხილოს და ხორციელისა – მეორეს, თუნდაც დროებით.

16457. ქალის რწმენას, სიყვარულს, იმედს, ამაგრებს მამაკაცის ღირსება და მისი ვნებიანობა.

16458. ქალი, უპირველესად, საკუთარ ბუნებას ებრძვის, როდესაც მას თვალი მარად გალამაზება-გაკეკლუცებისკენ უჭირავს და ცდილობს იმაზე უკეთ წარმოჩნდეს, რაც არის.

16459. „შოპინგთერაპია“ ყველა ქალის სანატრელი სულიერი საქმიანობაა, მიუხედავად იმისა, აქვს მოდური ჭინჭების ყიდვის შესაძლებლობა, ინტუიცია, უნარი, თუ არა.

16460. ცეტი და როყიო დედაკაცის მეუღლეობა ძნელია, მაგრამ ამ „სიმდიდრის“ მქონე მამაკაცთა უმეტესობა ამ მაზოხისტურ სასჯელს დაუნანებლად იხდის, რადგან მასში მამაკაცზე თავისებური ზრუნვაც იგრძნობა.

16461. მდედრის შესაძლებლობა და სურვილი ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ამ გაუგებრობის რეზუსიდან ქალი რაღაცა სასარგებლოს „გამოთხრას“ მაინც ახერხებს.

16462. ქალისთვის უპირველესი მაინც უახლესი აქსესუარებია, შემდგომ მოდის სიყვარული და სხვა რაღაც-რუღაცები სურვილებით და მცდელობით.

16463. სიბრძნე-სიცრუისა ქალის ცნობიერებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, სხვადასხვა ზომებს ფლობს და მისი ხასიათის შესატყვისად წარმოჩნდება.

16464. ცუდი მდედრი არ არსებობს, არსებობს მისი ბუნებისთვის შეუფერებელი გაუცნობიერებელი და სექსაობის ნიჭს მოკლებული მამრი.

16465. ქალს არასოდეს არ უნდა დავცინოთ, იმქვეყნად გადაბარგების შემდეგაც არ გვაპატიებს.

16466. სრულყოფილი არაფერია, მათ შორის, ქალის სილამაზე, მომხიბვლელობა, სათნოება, რადგან მათ სიავე, ცუდი ხასიათი, უსაგნო ყბედობის სურვილიც ახასიათებთ.

16467. მგზნებარე სიყვარული უხიაგ ქალსაც ანგელოზად აქცევს, თუკი დაიჯერებს და იწამებს.

16468. ქალის ასაკს ადგენს მისი აქსესუარები, ხასიათი და ვინ უყვარს და ვის უყვარს.

16469. არაფრის მაძიებელი და არავის დაკარგვაზე მოშიშარი მდედრი ქალი არ არის, რადგან ბუნებით უპერსპექტივოა.

16470. ქალს ყველაზე მეტად მისი საზოგადოებაში თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნა აღელვებს.

16471. დღეს ქალები სახელს, ფულს, თაყვანისმცემლებს, ამორალურის ზღვარზე მყოფი საქმიანობის გატირაჟებით შოულობს და ეს რომ საზოგადოებას გადაგვარებისაკენ უბიძგებს, უხამსი დემოკრატიის და თავისუფლების სახელით, არავის აღელვებს.

16472. ქალს აშკარად ტყუილით თვალებში ნაცრის შეყრა ახალისებს, სიამოვნებს, გარკვეული დროით ამით აღფრთოვანებულია და თავიც მოაქვს.

16473. არის ცოდვები, რომელიც ზოგიერთ ქალს უხდება, ყოფას უმშვენებს ისე, რომ საყოველთაო შურს არ იწვევს.

16474. მოხერხებული ქალი სხვათა შექებასაც თავისად უნდა იღებდეს, ითავისებდეს, ითვისებდეს და თავის სასარგებლოდ ყადაღას უნდა ადებდეს.

16475. სახის კოსმეტიკით შელამაზება უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ტანის მოდური ჭინჭებით, რაც ყოფის საოცრებაა, რადგან ამ უკანასკნელს მანიპულაციების შესაძლებლობები მეტი აქვს.

16476. ქალს საკუთარი თავის უფრო ეშინია ღალატში გამოჭერა-გამომზეურების შემთხვევაში, ვიდრე ქმრის ეჭვიანობისა.

16477. ქალისას ვერაფერს გაიგებ: იეჭვიანებ – ნერვიულობს, არ იეჭვი-

ანებ – სწყინს, უყურადღებოდ დატოვებ მის ქმედებას და შენი აჯობებს.

16478. ბრილიანტის ქონა ქალისთვის წინდახედული მდიდრული მშვენებაა ვიდრე მის გარეგნობა საკუთარი მეობის ფსონში ჩასადებწარმოსაჩენად, რადგან პირველის ღირებულება მუდმივი მეორის სათუო და შემფასებელ მოწმეებს მოითხოვს.

16479. ქალი იმდენად ხშირადაა შეყვარებით დაგეშილი, რომ მისთვის ძნელი სათქმელ-გასახსენებელია რომელი იყო ნაღდი.

16480. დღეს ვერც მორცხვ და ვერც თამამ ქალს ენდობი, რადგან ყველას, მეტ-ნაკლებად, ფულისკენ აქვთ მიდრეკილება.

16481. შეუხედავ ქალსაც თავისი ხიბლი აქვს, რომელსაც, გარემოსთან შერწყმით, წარმოჩენა, შეჩვევა სჭირდება.

16482. ქალის სულიერების შეფასებაა ძნელი და არა – მისი მოხდენილი ტანის აღქმა.

16483. ყველა ქალი თავისი გამოგონილი ცხოვრების რეჟისორია, იმისდამიუხედავად, აქვს ამისი ნიჭი თუ არა.

16484. ქალს, მომხიბვლელობასთან ერთად, თანდაყოლილი რიდი და მისდაუნებლიე ცბიერებაც ამშვენებს.

16485. ავი ქალის მოთვინიერებაც შესაძლებელია, მაგრამ დროებით და „სულიერების სასუსნავით“.

16486. ქალის სხეულის ყველა ნაწილით ავანსად უნდა აღვფრთოვანდეთ, რადგან არავინ იცის, ხვალ მოდა რა პარამეტრებს და სიახლეს შემოგვთავაზებს.

16487. ქალს უყვარს ან არ უყვარს, მაგრამ ქმართან მიმართებაში მაინც ნეიტრალურია, რადგან შეჩვევა ყოველთვის სიყვარულს არ ნიშნავს.

16488. ქალს, ქმრის პატივისცემასთან ერთად, მისი დაკარგვის შიში უნდა ჰქონდეს, თუ გვინდა ოჯახში დიასახლისად მოგვევლინოს და საზოგადოებაში შვილების აღმზრდელ დაფასებულ დედად.

16489. მთავარია ქალს ოქროს გული ჰქონდეს, რათა მისი „შემკობა“ მამაკაცს ქათინაურებით არ გაუჭირდეს.

16490. ლამაზი ქალი და მისი ქცევა დროის შესაფერი უნდა იყოს, ის მოდას არც უნდა ჩამორჩებოდეს და არც უნდა გაუსწროს, რადგან მას თავის წარმოსაჩენად ისეთი დიდი „ფორაც“ ეყოფა, როგორიც სილამაზეა.

16491. ქალს უნებლიე სიბრიყვე უხდება და არა მოჩვენებით სიჭკვიანეზე თავის დადება.

16492. ქალი, რომელიც მამაკაცის დანახვაზე კრთის და იბნევა, სიყვარულისთვის დაბადებული მდედრია, ხოლო რომელიც თვალსაც უსწორებს მამრს და კაპრიზობს, მისთვის უპირველესი ოჯახის შექმნაა. რაც შეეხება სიყვარულს, როგორც გამოვა და გაუმართლებს, დაახლოებით ისე, როგორც მაჭარსა და ღვინოს შორის არის სხვაობა.

16493. ქალისთვის მამაკაცი სასუსნავი არსებაა და ამიტომაც მის ნდობის მოპოვებას ცდილობს, რადგან თავადვე არ უწყის, საიდან დაიწყებს მის დაგემოვნებას, შესანსვლას, ეს სიყვარული იქნება, სიძულვილი თუ საკუთარი მეობის წარმოჩენა.

16494. ღმერთმა ქალი ადამის ნეკნიდან შექმნა ე.ი. მისი სხეულის ნაწილად, დამხმარედ, აღიქვა, მაგრამ მდედრს ამ „აქსიომის“ პარამეტრები არ აკმაყოფილებს და თავისას ცდილობს.

16495. ყოველივე უკუღმართი და კეთილი ქალის გულშია დაბუდებული. სხვანაირად ის შვილს ვერც შობს და ვერც გაზრდის.

16496. ყველა ქალს მიმზიდველობა, სათნოება, მშვენიერებასთან ერთად, განსაკუთრებული, მამრისთვის გაუგებარი რაღაც აქვს.

16497. ქალს თუ უყვარს, ეშმაკსაც ბიშტს უჩვენებს.

16498. ქალის ნიჭია გაგვახელოს, აღგვაგზნოს, დაგვამუნათოს, თავისი ნაკლოვანებები გამოგვიფინოს, მაგრამ მაინც მიმზიდველი, მომხიბვლელი და სასურველი დარჩეს.

16499. ეშმაკიც მდედრის მოგონილია, რათა თავისი უნებლიე ცოდვები მას გადააბრალოს.

16500. ქალის ცნობიერება გულია, როგორც ის კარნახობს, ისე იქცევა.

16501. ქალი მამაკაცს ყოველთვის მისთვისაც გაუგებარი საგმირო საქმეების საკეთებლად მოუწოდებს, იმისდამიუხედავად, აქვს მამრს ამის პოტენციალი თუ არა.

16502. მდედრი, მამაკაცის მოძალადე თვალების გარეშე, ქალად ვერ იქცევა.

16503. ქალი რაც უნდა მიმზიდველი იყოს, მისი დანიშნულების მრუდი, დიაგრამა, განსაზღვრულია: სექსი, დედა, აღმზრდელი და თუ გაუმართლა ბებია, დიდი ბებო.

16504. ქალის გაგების მცდელობას და მისთვის ახსნა-განმარტების მიცემას, ისევ მისი უსიტყვო სიყვარული და ყველაფერზე თავის დაქნევა ჯობს, დროც დაგეზოგება და ნერვებსაც მოუფრთხილდები.

16505. ისეთი ქალი, როგორიც ჩვენ გვინდა, არასოდეს შეგვხვდება, მა-

გრამ მიახლოებული რომ შეგვხვდეს, ცდა არ უნდა დავაკლოთ.

16506. როდესაც ქალთან მიდიხარ, მისთვის მწარე ენაც გამზადებული უნდა გქონდეს და ტკბილიც, არავინ იცის, მის მოსაფერებელ-დასამუნათებლად რომელი გამოგადგება.

16507. ქალს არც სიძულვილის დაეჯერება და არც სიყვარულის, იმდენად ცვალებადია მისი ხასიათი და იმდენადაა დამოკიდებული მისი განწყობა გარემო პირობებზე, მსოფლმხედველობაზე და შინაურთა რჩევა-დარიგებაზე.

16508. ქალს იმდაგვარად უნდა წაემლიქვნელოთ, ხოტბა შეასხათ, რომ მასში შენი განდიდებაც და განუმეორებლობაც იგრძნობოდეს.

16509. სექსს ნებაყოფლობითი „ძალადობა“ უხდება, რათა პარტნიორი მდედრიც მადლიერი დაგრჩეს.

16510. ყველა გათხოვილ ქალს თავის გამოსაცდელი ვადა აქვს, რომელიც ზოგჯერ მთელი ცხოვრება გრძელდება სხვადასხვა კაურებით.

16511. დღევანდელი მოდის შემხედვარემ, ალბათ, სამოქალაქო ქორწინება იმ ობოლ ქალთან უნდა გააფორმო, რომელსაც არც ბავშვები ჰყავს, არც მშობლები, არც ჭკუის დამრიგებელი დაქალები და არც ყოვლისმცოდნე ინტერნეტითაა გატაცებული.

16512. ზოგი ქალი ძალად ნერვების აშლით ოჯახში წონას იკლებს, მკურნალობის შედეგად მუდამ საბრძოლველადაა შემართული და „ფორმაშია“.

16513. როდესაც ქალი ხშირად უსვამს თავს შეკითხვას: რატომ მისთხოვდა ქმარს და გასამართლებლად სხვადასხვა ალიბს იშველიებს, ასეთი ოჯახის საქმე წასულია და მისი შენარჩუნების პერსპექტივა უმნიშვნელოა.

16514. ქალის ყველაზე უკეთესი მაკიაჟი მისი მილიონებია.

16515. ცხოვრებით კმაყოფილი და უკაპრიზო ქალი ალბინოსია.

16516. ნაღდი ქალია ის, რომელშიც ყველა ქალის მანკიერება და ნაკლი ერთდროულადაა თავმოყრილი და მისი ხასიათი, ბუნება, ძნელად ასახსნელ-გამოსაცნობია.

16517. ქალი გაცილებით მეტად ფასობს მამაკაცთან შედარებით, რადგან მომდევნო თაობათა სიცოცხლის წარმოების უმეტესი აქციები მათ ხელშია.

16518. ნამდვილი ქალია ის, ვის ირგვლივაც ვნებააშლილ მამაკაცთა ხროვა ტრიალებს და მშიერი თვალებით შესცქერიან.

16519. ზოგჯერ ქმრისთვის ქალის დუმილი დაუფასებელი საჩუქარია,

ხოლო უდიდესი პატივისცემაა თუ გარკვეული დროით, უჩინმაჩინის ქუდივით, სახლიდან „გაქრება“.

16520. ერთჯერადი ქალების მომრავლებამ მამრთა მოდგმას კაცობაც დააკარგვინა და მამაკაცობაც, რადგან მათი პასუხისმგებლობა გაუფასურდა.

16521. ქალის სიამაყე მისი ღირსების გრძნობაა, კაპრიზით იქნება თუ უიმისოდ.

16522. მოდა უფრო გემოვნების დამუღამებას ცდილობს, ვიდრე სიახლის ჭინჭებით ქალის შემოსვას.

16523. ყველა ჩვენგანს თავის ადამიანური სისუსტე აქვს, მაგრამ ქალური სისუსტე მუდამ ალიბითაა აღჭურვილი.

16524. თეორიულად ბედი ერთ ქალს გვიმზადებს „გასაბედნიერებლად“, მაგრამ პრაქტიკულად მრავალი ქალის გაბედნიერება, გამოცდა, გვიწევს უშედეგოდ ან საეჭვო შედეგით.

16525. ქალის ყველაზე საუკეთესო მკურნალი და ნერვების დამამშვიდებელი სექსია იმ მამაკაცთან, რომელთანაც ხვადობაში გაუმართლა და მოერგო.

16526. ბევრ ქალს ასაკში სექსი არ მოსწონს, მაგრამ მაინც სიამოვნებს თუ მასზე „იძალებენ“ და დაბუნიან. ახსენდება, რომ ჯერ კიდევ ქალია.

16527. ჩვენთვის სასურველს თუ საყვარელი ქალი ამბობს, განსაკუთრებით თუ ის დედაა, ამაზე სასიამოვნო მოსასმენი და გულის მოსახმობი გონისთვის არაფერი არაა.

16528. ქალის მოხდენილ და მომხიბვლელ სიცილს არაფერი არ შეედრება.

16529. ყველაზე თამამ ქალსაც კი სიმორცხვის ელემენტები ახასიათებს.

16530. ყველაზე უვარგისი ქალიც და ლანძღვას არ ექვემდებარება თუ ის დედა.

16531. ქალისთვის მოკოხტავების უნარი სატანას ნასწავლია, რათა მამაკაცებს თვალები დაებრმავოს.

16532. ქალი ადვილად იხიბლება, მაგრამ ძნელდება მისი შენარჩუნება რადგან ასევე ადვილადვე თავის ოცნებით წბილდება.

16533. ქალის ყველაზე ცუდი ხასიათის გამომზეურებაც კი მამაკაცის რაობის ბრალია.

16534. ზოგჯერ მამაკაცებს ავიწყდებათ რომ ქალიც ჩვეულებრივი ადამიანია თავის ხუშტურებით, ოცნებებით და მისთვის უცოდა ცოდვების ჩადენის სურვილით, რათა მოწინააღმდეგე სქესი მოხიბლოს.

16535. ქალს ბევრი საშუალება აქვს გაბედნიერება-გაუბედურების, გააჩნია, რა ხასიათზე იმყოფება იმ დღეს და რა ბზიკი უკბენს.
16536. საჭმლის მირთმევა დიეტის დაცვით შეიძლება, მაგრამ გემოს ვერ ჩაატან, ასეთივე როლს ასრულებს ქალი ჩვენს ცხოვრებაში, რომლის შესაცნობად ყოფის დიეტაზე ყოფნა არ გამოდგება.
16537. სასურველი შენთვის ცოლად განკუთვნილი ქალი ბავშვობიდან შენთან ერთად აღიზარდოს, რათა მის შეცნობაზე და მასთან შერწყმაზე მუქთად დრო არ დაიკარგოს.
16538. ქალი პოლიტიკაში არწივი თუ არა, ქორი მაინც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მოცდენას აზრი არ აქვს.
16539. ქალის მოწოდება, დანიშნულებაა, უყვარდეს, თუ ვინ, რატომ, რისთვის, განსჯას არ ექვემდებარება.
16540. ქალს საკუთარი ასაკის რეგულირება უხდება, სილამაზეს და ცხოვრების ხალისს მატებს.
16541. ქალისთვის სიყვარულს ბევრი რამის კეთება შეუძლია, მათ შორის, მისი უხასიათობას გამოსწორებაც და გრძნობების მოწესრიგებაც.
16542. ქალის პატიოსნება გარემოს, ვნების უკმარისობის და მისთვის გაურკვეველი შიშის შედეგია.
16543. ზომიერი ეჭვიანობა ქალს აახალგაზრდავებს.
16544. განათლება კარგია, ცოდნა უკეთესია, სიმდიდრე ღვთის წყალობაა, მაგრამ ქალს საწოლში ამ ღირსებით და ღირებულებით „ინტეგრალებით“ არ ეტრაბახებიან.
16545. ხშირად ლამაზი ქალის საუბარი გაუგებარია, მაგრამ მისი ხიბლის გამო უსმენენ.
16546. ძალად „წიწკვი“ ქალის ატანა, ასაკისთვისაც მძიმე ტვირთია.

შური _ შიში _ ღალატი

16547. შური ყველას და ყოველივეს მტერია, თუ მის სიშავეს არ გაათეთრებ.
16548. შურის დღესასწაული სხვა მოშურნეთა „ჩაძირვა“.
16549. ოპტიმიზმიც მომავლისადმი შიშით არის შენელებული.
16550. ეჭვიანობა სულიერი და ფიზიკური უკმარისობაა, შურია იმის მიმართ რასაც შენი გონერება ვერ შესწვდა.
16551. ჩვენი ანგელოზებიც მიწაზედ დადიან, ოღონდ მათ შემჩნევა და შეჩვევა სჭირდებათ, შურიანი ეშმაკების ჩაურევლობით.
16552. კარგი ცხოვრების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ იმ „ტონალობაში“, სხვანი რომ შურით არ გასკდნენ.
16553. შურს თავისი წარმატებისაც შურს სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.
16554. შურისძიება გაწიწმატებული სული და დასამშვიდებელი სატყუარია.
16555. რისხვა და მიზანი გვაიძულებს ვიცხოვროთ და შური ვიძიოთ იმ წლების უაზროდ გატარებისათვის, რაც გარკვეულ გაუგებრობათა გამო მიგვიხდა.
16556. შურმა „სასიკეთოდ“ შემოტრიალებაც იცის, ახლა შენი შურთ.
16557. რიდი თუ შიში? ქვეშევრდომთან ურთიერთობაში ეს უკანასკნელი უფრო ამართლებს.
16558. შიში და იმედი ადამიანის სულიერების შიდაწვის ძრავაა.
16559. ზოგჯერ სიყვარულს წყვილის კავშირი კი არ ამაგრებს, არამედ შიში და ქვენა გრძნობები რომ უერთმანეთოდ არ დარჩნენ.
16560. სიავესთან შერკინება ჯობს მის შესაძლო გავრცელების შიშს.
16561. სიმდიდრის შურთ, მისაბაძად აქებენ და მის გათვითცნობიერებას ცდილობენ.
16562. შიშისთვის გვერდის ავლას თანდაყოლილი ცოდნა სჭირდება.
16563. შიშს „დიდი თვალების“ გარდა დიდი ენაც აქვს და ლაქლაქებს.
16564. უბედურებას, ასე თუ ისე, ყველა იტანს, მაგრამ კეთილდღეობის „გადატანა“ ჭირს, სულ არდაკარგვის შიშია.
16565. მხდალი მასზე იწმინდავს ფეხებს, ვინც დაეცემა და დაუწვება.
16566. გონიერებას არა მტრები, არამედ „კეთილისმდომი“ მოშურნენი

ჰყავს.

16567. შური საკუთარ თავსაც ზიანს აყენებს და სსვისთვისაც ზიანის მიყენებას ცდილობს.

16568. ყველა დანაშაულს, თავისი გამაღიზიანებელი ადაპტორები ახლავს, რომელიც შემთხვევას უცდის.

16569. რაღაცისადმი შიში თითქმის სანუკვარის დაკარგვის ტოლფასია – მუდამ რაღაცას ამოწმებ და გადაამოწმებ.

16570. სიმდიდრესაც მაცქერალი და მოშურნე სჭირდება, რათა მისმა მფლობელმა თავი დაფასებულად იგრძნოს.

16571. შიშს მაშინ აქვს დიდი თვალები, როდესაც ყველა მბრძანებლობს და ბრძენებას არავინ ასრულებს.

16572. შიშს გადარჩენილს, ყველა მის გვერდით მდგომი მტრად და მეტოქედ მიაჩნია.

16573. შური იმათგან ითხოვს რიდს, ვინც მასზე ამაღლდა ან მისთვის თავის გატოლებას ცდილობს.

16574. შიში იმისა, რომ რაიმე სისულელე არ ჩავიდინოთ, შინაგანად თან უნდა გვახლდეს.

16575. ძირითადად იმათი გვშურს, ვინც კეთილდღეობას იმსახურებს.

16576. შიშიც აღსაფრთოვნებელ მატერიად იქცევა, თუ ის ზედმეტად ფიქრს არ მიეძალება.

16577. იმედს, მისდაუნებლიედ, ზოგჯერ შიში აეკიდება და სულს უღრნის.

16578. შიში რაიმე სანუკვარის წინაშე ცრურწმენას ამკვიდრებს.

16579. სიავეს თავის დამალვა უჭირს, შურს მხედველობის, ხოლო მოთმინება ამ ორი მონსტრის მორიგებას ცდილობს.

16580. ებრაელების უფრო შურთ, ვიდრე სძულთ, ხოლო შურს სიყვარულის ძალა არ შესწევს.

16581. გვინდა – არ გვინდა, ჩვენი მეობით, ავტორიტეტით, სიცოცხლით, ვაგებთ პასუხს ჩვენს ყველა წამოწყებაზე, კეთილდღეობაზე იმდენად დიდია შურის უკუღმართობა.

16582. ხელისუფლება ხშირად შიშის გამო „ონანიზმით“ საქმიანობს, კანონიერების და სამართლიანობის ყურით მოთრევით.

16583. შურს სიხარულის და აღფრთოვანების ადაპტირება დაქვეითებული აქვს.

16584. „შიში შეიქმს სიყვარულსა“, მაგრამ ტრფობის ალგორითმად არ გამოდგება.

16585. ცოდნა გამბედაობა-შეუპოვრობით ყველანაირ შიშს თრგუნავს.

16586. ზოგისთვის შური ნორმალური მდგომარეობაა, საქმის საკეთე-

ბლად ძალას მატებს.

16587. ცრურწმენა სიყვარულით გამოწვეული შიშის შედეგია.

16588. შური თავის უნიათობას ვერ გრძნობს და ჰგონია კუთვნილ ბედნიერებას ართმევენ.

16589. ზოგჯერ გაოცებას ვერ ვმალავ, როგორ შეიძლება ამ მოშურნეს „ნაჯღაბნში“ ამდენი გენიალური და საჭირო აზრი იდოს.

16590. უბრალო მყოფნი გაცილებით უკეთ იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე მათი კეთილისმდომნი.

16591. ბედნიერება გადანაწილებას მოითხოვს, მაგრამ რამდენზე და როგორ გადანაწილდება, შურს ეს არ აინტერესებს.

16592. „შიში შეიქმს სიყვარულსო“, რადგან ძალას პატივით, რიდით და შურით შესცქერიან.

16593. გარდაუვალობა და ვიღაცის მიმართ შიში გაუკეთებელს გვაკეთებინებს.

16594. შიშის და რიდის გრძნობა ბევრსაც გვაკარგვინებს და კიდეც გვძენს – თუნდაც სტაბილურად და უომრად ყოფნას.

16595. შურს მაშინვე ბრიყვები იძიებენ, ბრძენი ამას მოგვიანებით აკეთებს და ალიბით.

16596. ცრურწმენა სიცოცხლესთან მოლაპარაკების მცდელობა და შიშია იმათ გამო, ვინც შენთვის ძვირფასია.

16597. შიში და სილამაზე აღფრთოვანება-გაუგებრობის თავისებური სინონიმია.

16598. თანდაყოლილ შიშს შეძენილი ვერ შეედრება.

16599. ზომიერი ალტრუიზმი, ეგოიზმი, შური და სხვა ადამიანური ცოდვები მისაღებია გონიერების ფარგლებში, თუ გვინდა საზოგადოება განვითარდეს და ხალხმა ადამიანურად იცხოვროს.

16600. ებრაელი ხალხის საამაყო ის არის, რომ მან რეალურად იცის საკუთარი თავის ფასი, სხვა ერების შურს მის მიმართ გულგრილად უყურებენ და კიდევ უფრო მორწმუნენი ხდებიან, კარგად შეფუთვნილი სიამაყით.

16601. ბედნიერებაა, როდესაც შენი კეთილი შურით შურთ და შენით ამაყობენ.

16602. მსახიობები ლამაზმანთა ოჯახს მიეკუთვნებიან კარგი გაგებით და კეთილი შურით.

16603. წარუმატებლობის შიში ადამიანს უშიშარს ხდის, რადგან მას სხვა გზა არ დარჩენია წარმატების გარდა.

16604. გამარჯვებული მართალია, დაამარცხებული დავიწყებულია და თუ ვისმეს გაახსენდება, ისიც დროის „საკოჭაოდ“.

16605. შიში, ამბიციები, დაძალება, სიძულვილსაც შეიქმს და სიყვარულსაც, გააჩნია, დროის ბორბალი ვის მხარეს დატრიალდება.
16606. შიში შეიქმს დანაშაულებრივ რეალობას, რომელსაც ნამდვილ სიყვარულთან საქმე არ აქვს.
16607. შიშმაც შეჩვევა იცის და მას პროფესიონალიზმი და ფულის შოვნის იმედი ჰქვია.
16608. შური არ კვდება, ის მუდმივია ე.ი. ეს ფენომენი საზოგადოების განვითარების „პერპეტუუმ მობილეა“, რომელსაც არ ამჩნევენ, მაგრამ ის მაინც „ილვწის“.
16609. ერთმანეთზე სასიკვდილოდ გადამტერებულებიც კი, უნამუსობა და შური დროებით ერთიანდებიან, წესიერების და სამართლიანობის წინააღმდეგ.
16610. ღალატის ბაზისი ველური შურია, რომელიც ზოგჯერ პროგრესის ნაწილიცაა.
16611. ხელგაშლილობა, გულუხვობა, უნდა დიაბეგროს, რათა სხვებს ნერვები არ აუშალოს, შური არ გამოიწვიოს.
16612. შიში და რიდი სინონიმები არ არიან, მაგრამ სიყვარულის ჟამს ერთმანეთს გვერდში უდგანან.
16613. განსჯის უნარს შიში და აფექტი გვაკარგვინებს და როდის რას მოვიმოქმედებთ, არავის უწყის.
16614. ჭარბი, ზედმეტი დროის სათავისოდ გამოყენება, ყოფის გარკვეულ პერიოდში, ხელს არ გვიშლის, თავი რომ ამაყად ვიგრძნოთ, მაგრამ საბოლოოდ ყოველივე ბალანსს მოითხოვს, რათა შური არ გამოვიწვიოთ და სხვა არ გავანაწყენოთ.
16615. ბედნიერების გაელვება თავის წარმოჩენას და მოშურნეთა მომრავლებას იწვევს.
16616. ზოგჯერ ბედი ნიშანს გვიგებს და შურს ძიობს იმ წარმატებისთვის, რომელშიც მისი ხელი არ ურევია.
16617. შიში ყოველთვის სხვა და სხვაა, მასაც თავისი ინდივიდუალობა გააჩნია.
16618. მთავარია საქმის მიზეზის გარკვევა და არა – მოსალოდნელი უხერხულობა და შიში.
16619. გადამეტებული პატიოსნებაც უბედურებაა ყველა წყობაში, ხელისუფლებაში, რადგან მასაც მოშურნენი უჩნდებიან.
16620. გამოუყენებელი გონებაც სიავეს წარმოადგენს, რადგან შეიძლება შურს და უგუნურებას გადაეყაროს.
16621. მომხიბვლელობა ახალ სახეს იძენს საშიშროებისას, რადგან ყველას მისი შურს.

16622. ჭკვიანი და ინფორმირებული ბევრია, მცოდნე და საქმის მკეთებელი ერთეულია, მაგრამ მათი ფასის დადგენა აუქციონზე არ ხერხდება – შური და გაუტანლობაა ბევრი.

16623. „ბატონი იღბალი“ ცვალებადია, მაგრამ მისი სამართლიანობა ზოგჯერ ეჭვს და შურს იწვევს.

16624. გონებაშეზღუდულები სხვათა გონიერებას შურით უყურებენ და სულ იმის ცდაში არიან, რაღაც ავნონ.

16625. გაზიარებული და სასიკეთოდ აღთქმული ნიჭი სიამოვნებას გვგვრის და რაც მთავარია, შურს არ იწვევს.

16626. გონიერება საქმის საკეთებლად საკუთარ თავს სჯობნის, თუ მოვალეობის გრძნობა და შიში გვერდში უდგას.

16627. სხვაზე ჭკვიანი რომ ხარ, არც უნდა გაატირაჟო და ახლობლებს არ უნდა აგრძნობინო. ამას თავადვე უნდა მიხვდნენ, რათა შენით იამაყონ და შური გულში არ გაივლონ.

16628. ბედი ზოგს წყალობს, ზოგს არა, მაგრამ შური მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს ეუფლება.

16629. ცოდნა ყოველგვარ შიშს ჯაბნის.

16630. თუ ადამიანს შენი რიდი და შიში არ აქვს, თავსაც გადაგამეტებს და სკამსაც დაურიდებლად გამოგაცლის, თუ საქმე სკამის დაკავებაზე მივა.

16631. ყველა შიშს ჩვენთვის უცნობი თანამზრახველი ჰყავს, რომელიც მეობას უფრო თრგუნავს.

16632. კამათს, ოპონირებას, საქმის კეთების სურვილით სიკეთე მოაქვს, ხოლო შურით, დაუნდობლობით და ფეხის დადებით – ბოროტება.

16633. ბედნიერების გაზიარებასაც ცოდნა, ტაქტი და თავშეკავება უნდა, შურიანი ბუნების ხალხმა დაბოღმვა რომ ვერ მოასწრონ.

16634. მეგობარს უნდა ენდო, მაგრამ არა – დიდ ფულში და დიდ სიყვარულში, რადგან შურიანი სიყვარული თავისი ღალატის ალიბს ყოველთვის „გამოთხრის“.

16635. შინაური მოშურნე ყველა მასტის მოშურნეს ფორას მისცემს კვადრატში.

16636. ნაღდ გონიერებას არავისი შურს, თუ მისთვის გასაგებ უკეთეობისთვის იღვწიან და ცდილობენ.

16637. ქართველებს შემოქმედი ხალხი საკმაოზე მეტი გვყავს, მაგრამ მოშურნე აუტისტები გაცილები მეტია და ამიტომაა რომ დიქტატორის გარეშე არაფერი გამოგვდის და დემოკრატიის, თავისუფლების, პოსტულატები ყბედობად ვაქციეთ, რადგან რეალური საქმის კეთების სურვილი და უნარი მათრახის გარეშე დაკარგული გვაქვს.

16638. შური და მხიარულება ერთმანეთისაგან შორს დგანან, და გონიერების ასარევი სხვადასხვა სიმპტომები ახასიათებთ.
16639. გადახვეწილი ქართველი სხვის ქვეყანაშიც თავის ღირსეულად დაჭერა-წარმოჩენას ახერხებს, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში სასიკეთო საქმის კეთება თავის გამოჩენით უჭირს, რადგან უაზროდ უმადური და შურიანი თანამემამულეები ჰყავს კონკურენტებად.
16640. თანამშრომლობა შურთანაც საჭიროა, კარგი საქმენი რომ ვაკეთოთ.
16641. რისხვას, შურს, სიძულვილს, აქვს საფუძველი, როდესაც არაკაცები ცხოვრებას უკეთ იწყობენ.
16642. სრულყოფილება თვით სიხარულის აღქმაშიც აუცილებელია, რათა შური არ გამოიწვიოს.
16643. ის, რაც სხვამ არ იცის, არ უნდა „გააბაზრო“, შურს მოიმკი.
16644. შურის მოთოკვა ძნელი არ არის, განსაკუთრებით, თუ ის კეთილი შურია.
16645. ადამიანი შურს ვერ ერევა, რადგან უნდა სხვაზე უკეთესი იყოს და რატომ, ამის არც ანალიზის უნარი შესწევს და არც სურვილი აქვს.
16646. შურს ბევრი თავის გასამართლებელი ალიბი აქვს, მაგრამ საბოლოოდ შური მაინც შურია.
16647. შურისძიება ჩქარია, დაყოვნებას და დროის შერჩევას არ სცნობს.
16648. მრისხანება, ამპარტავნება, შური, სინონიმებია, მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა.
16649. ქართული ოცნებაა „ბრექით“ იცხოვროს, მაგრამ პრაქტიკა და ერის ისტორიის გადასახედი არ ეთანხმება, რადგან ურთიერთგაგება შურის გარეშე უჭირს.
16650. კომპლიმენტს და შურს სამოქმედოდ მცირედი სიმართლის მარცვალი სჭირდება.
16651. შური და ღალატი ტყუპისცალებია, იმისდამიუხედავად რომ „საშო“ სხვადასხვა აქვთ.
16652. შური ლოდინს, ჭკუის ჭყლეტას და შენდობას ვერ იტანს.
16653. საკუთარმა ბედმაც შურისძიება იცის, თუ მოყვასს დაუმსახურებლად აწყენინებთ და გაწირავთ.
16654. სიამაყე და შური სინონიმებია, ოღონდ საქმის კეთების გადასახედიდან.
16655. მოშურნე სხვისი საკუთრების მტერია თავის სასარგებლოდ.
16656. შურიანობას აფექტი აჩქარებს და დაფიქრების შესაძლებლობას

არ უტოვებს.

16657. შურიან კაცს სხვისი გაჭირვება იმიტომ ახარებს, რომ თავი მასზე დაჩაგრულად არ წარმოიდგინოს.

16658. ერთდროულად საკუთარი თავის და სიამაყის შეცნობა შურის მტერია.

16659. შური აგზნების და ცეცხლის ჩასაქრობად არ გამოდგება.

16660. შიშს ყველაზე მეტად ლაჩრები განიცდიან და მალავენ.

16661. ყველას უფლება აქვს სხვისი შურდეს, ოღონდ სასიკეთო საქმის კეთებით, მასზე გატოლებით და ჯობნით.

16662. პათოლოგონური შური უმთავრესად შემოქმედი სულის ადამიანებს ახასიათებთ, განსაკუთრებით, თუ მათ ცხოვრებაში არ გაუმართლათ და ფორტუნამაც ზურგი შეაქცია, სიღატაკე ემუქრებათ, რადგან ფიზიკური შრომისთვის ისინი არ ვარგანან.

16663. არის საშუალო ნიჭიერი პიროვნება, რომლისადმი შური უაზრობაა, რადგან მის დონემდე ვერასოდეს ავმაღლდებით.

16664. საქმე ბუნებრივად, უპრეტენზიოდ, ენაზე კბილის დაჭერით და წატრაბახების გარეშე უნდა აკეთო, რათა სხვათა შური არ გამოიწვიო.

16665. უზომო წესიერებაც ნაკლია, რადგან ცხოვრების გართულება არ უნდათ და მარად სხვის შემყურენი არიან.

16666. შიშის, უკეთურობის, ფენომენს ყველა ჩვენგანი უნდა ერიდოს და დროულად დათრგუნოს, მოგუდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოვრების ნაცვლად ამქვეყნად „დასტუკება“ გამოგვივა.

16667. შიშთან ბრძოლა შეიძლება წესებით, მცდელობით და საქმის სიყვარულით.

16668. ყველაზე დიდი „მხეცი“ შიშია, რომელსაც ყველა მასტის ნადირი ემორჩილება.

16669. შიში, ეტყობა, მაინც ქალური წარმოშობისაა, რადგან დაუფასებელ ემოციებთანაა კავშირში.

16670. შიშის წამალი მასზე არდაფიქრებაა.

16671. ადამიანი სიკეთის კეთებისთვისაა მოწოდებული, მაგრამ შიში, გამოუცდელობა, ხშირად ფეხს უდებს და სხვა გზაზე აყენებს.

16672. ნაკლსაც ღირსებით და პიარის შემკობა უნდა, რათა შენი შეშურდეთ.

16673. ზოგჯერ სიცარიელეს შურით ავსებენ და აქ გონიერება ვერას გახდება.

16674. შური უკვდავია და მის მარადიულობაში ეჭვი თვით გამოუსწორებელ ოპტიმისტსაც არ ეპარება.

16675. შურს ყველა ეზარება, მაგრამ მის მიმართ მიმართულ ზიზღს ვერ ეგუება.
16676. შური ყველას ფეხებში ჩაუვარდება, ოღონდ მის მიერ „ამორჩეულს“ აჯობოს და ნიშანი მიუგოს.
16677. უგუნურებასაც, რატომღაც, გონიერებასთან შეჭიდების სურვილი უჩნდება და ეტყობა, მასაც შურის ძალა ამოძრავებს.
16678. სამშობლოსთვის თავდადება და გაწეული ამაგი დაკარგული არ არის, თუკი გაახსენდი.
16679. იმედიანი შიში სულ „ნეტას“ გვაძახებინებს.
16680. შიშიც ქრონიკული დაავადებაა.
16681. ძალაუფლება შიშის და რიდის გარეშე არარაობაა.
16682. არარეალიზებული თავი შურს და ბოღმას იმსახურებს.
16683. გონიერება და სიბრძნე ერთი ჰაერით სუნთქავენ, მაგრამ ხშირად ერთმანეთის შურთ.
16684. არის განგების მიერ „შეწირული“ გენია, ვისაც ის ხალხიც კი არ აფასებს, რომელიც აწმყოს წარმოჩენას მომდევნო საუკუნეებით ფიქრობს. მიზეზი – გაუაზრებელი შურია.
16685. ეგოიზმი, შური, ადამიანის თანდაყოლილი დაავადებაა, რომელიც საჭიროცაა გარკვეულ წარმატებათა მისაღწევად, ოღონდ კლინიკაში არ უნდა გადაიზარდოს.
16686. შური, უნდა – არ უნდა, მისდაუნებლიედ, სიძულვილის ისრებს ისვრის და ვის მოხვდება, დიდად არ ანაღვლებს.
16687. თავის მოწონება – წარმოსაჩენად შურის ელემენტებიცაა საჭირო.
16688. შური ყველა მანკიერებაზე ხელს აწერს.
16689. დიდება იწვევს შურს და არა პიროვნების რაობა.
16690. ყველა სახის ვნება, მათ შორის, შიში და შური, თავისებურ სიამოვნებას გვანიჭებს, თუ ერთ საფრთხეს ხელიდან დაუძვრები და მეორეზე შური იძიებ.
16691. შურიანისთვის ის ადამიანია უღირსი, ვინც მას ჯობნის.
16692. ცოდნა ანეიტრალებს შიშს, მაგრამ ვერ ამარცხებს და არავინ უწყის შემდგომში რა გამოტყვრება.
16693. შური გულსაც ვნებს, სულსაც, ხორცსაც, მენტალიტეტზე რომ არაფერი ვთქვათ.
16694. შიში, შური, უმადურობა, თავისებური ტანჯვაა, გონების დაღლით.
16695. შურს თუ მიზნად აქვს შურის ობიექტს აჯობოს ზარალის მიუყენებლად, მისასალმებელია.

16696. შური თავისებური უმეცრებით, სიხარბით, გაუთლელობით, უფრო საკუთარ თავს სტანჯავს, ვიდრე სხვას.
16697. სიცილი ყოველგვარ შიშს უკანმოუხედავად ანადგურებს.
16698. ძუნწს დაკარგვის შიში უფრო აფრთხობს, ვიდრე ღალატის.
16699. შიში უფრო თავს ვნებს, ვიდრე სხვის თანაგრძნობას იწვევს.
16700. თანამეინახისთვის ცუდი არ გვინდა, მაგრამ თუ რაღაცაში გაგვისწრო, მცირე შური ჩვენში მაინც ისადგურებს.
16701. შურს სხვისი ბედნიერება იმიტომ შურს, რომ მისი ბუნებაა ასეთი.
16702. შიში რყვნის ყველას და ყველაფერს, მათ შორის სახელმწიფოებრიობას და მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულებას.
16703. მოშურნე ცინიკოსიცაა, რადგან მისი გენეტიკა თავს სხვისგან ასე გამოარჩევს.
16704. „სულ კარგ ხასიათზე ჩვენი მტერი იყოს“, მაგრამ მოშურნეებისთვის ნიშნის მისაგებად ასეა საჭირო.
16705. შურს სხვისი გამართლება და თავის გაუმართლებლობა წყენას უკიდურესობამდე უფართოებს.
16706. უანგარობას შური ვერასოდეს აჯობებს, მაგრამ ზოგჯერ გადაუჯოკრავს მისთვის სასურველი შედეგის მისაღებად.
16707. ჩვენს უმთავრეს ნაკლზე, სიამაყეზე, შური აღმოცენდება.
16708. სხვისი უძლურება, სიღარიბე, უნიათობა, შურს არ აწუხებს, ვინაიდან შესაშური არაფერია.
16709. შურის მიზანია ყველაფრის გათანაბრება ნიჭის, შესაძლებლობების, დამსახურების, გაუთვალისწინებლად, რომელსაც გენი, გონიერება, მცდელობა ვერ ურიგდება და მხარს არ უბამს.
16710. შიში და გაუბედაობა ყველაზე უკეთ გვიცავს შეცდომებისგან, მაგრამ ეს მაინც ცხოვრება არაა.
16711. შურის დათრგუნვა სიძულვილის დათრგუნვაზე ძნელია.
16712. „ჯანდაბა“ იმ შურიანს, რომლსაც მხოლოდ მდიდრების და თანამდებობის მქონე ბიუროკრატებისა შურს და თანასწორობისთვის ვერ იცლის.
16713. ზოგჯერ დაუგეგმავ სიმამაცეს შიში შეიქმს.
16714. შური ზოგჯერ ღირსეულის და უღირსის გადამოწმების საშუალებაცაა.
16715. შურიანს ზოგჯერ საკუთარი აჩრდილისაც შურს.
16716. ზოგჯერ მოჭარბებულ ვნებას შურიანები მანკიერებად თვლიან.
16717. უნიათოს ოპტიმიზმი შიშს ეფუძნება და ამიტომაა ის თავმდაბალი და დამჯერი.

16718. „უკაცობის კაცობა“ სინანულს შიშის გამო ამჟღავნებს.
16719. სიბრალულს ყველა სახის შური სჯობს.
16720. შური საჭიროცაა, რათა მობილიზებული იყო და რაღაცის მიღწევა მიზნად დაისახო, მაგრამ არ უნდა გაგვიბატონდეს.
16721. შიში ადამიანებს ერთნაირად თრგუნავს სხვადასხვა გამოსავლის მცდელობით, ზოგი ფრთებს გამოისხამს, ზოგსაც კი მიწაზე დაახეთქებს.
16722. იყოს სპეტაკი, ერთეულთა ხვედრია და ალბათ, ამიტომ ბევრი მოშურნე და აუგის მთქმელი ჰყავთ.
16723. შიშს თავზე შეძახებით ბიშტი უნდა უჩვენო და ის უკვე ისე საშიშად აღარ მოგეჩვენება.
16724. შიშს ისევ შიში ერევა კვადრატში.
16725. პატივმოყვარეობა შურის სინონიმია – ემანდ სხვამ არ აჯობოს.
16726. შური, ეჭვი და შიში – აი, რა ხდის ადამიანს მხეცზე უარესს.
16727. ზოგჯერ შურიანობის გამო ისეთი კაცი დაგიდებს ფეხს, რომ ვერც ერთი დაწერილი და დაუწერელი კანონით გაამართლებ.
16728. სილამაზისკენ ყველა ილტვის, ზოგი – შურით და ცუდი განზრახვით.
16729. შურს აწუხებს სხვისი ბედნიერება და ცდილობს მას ავნოს, იმის მაგიერ, რომ თავად ეცადოს სხვისგან რაღაც ისწავლოს და თავიც გაიბედნიეროს.
16730. შიში რიდიცაა, პასივისცემაც, საქმის კეთებაც და მეტ-ნაკლებად ყოველ ჩვენგანში ბუდობს.
16731. გარკვეული შიში ჩვენი ბედ-იღბალის საძირეა, გააჩნია როგორ იდეოლოგიაზე და დროზეა დამყნობილი.
16732. შური: ჯიბრის, გაუნათლებლობის, ამპარტავნების და უსუსურობის ნაჯვარია.
16733. სილამაზეს, სამწუხაროდ, ყოველთვის თან სდევს უგუნურება და შური იმის ნაცვლად, რომ მისი აღქმით ვისიამოვნოთ.
16734. სიმდიდრე ყოველთვის უზნეობა არ არის, თორემ მისი ასე ძლიერად არ შეშურდებოდათ.
16735. იმედს შიში ყოველთვის თან ახლავს.
16736. თუ შიში იმედის ბიძაშვილია, მაშინ შური უგუნურების ძმაა.
16737. შიშით და ჩურჩულით ერთმანეთს ვაძაბუნებთ და ყოფას აზრს ვუკარგავთ.
16738. მეზობელს შეიძლება შენი შეშურდეს, მაგრამ შენს შინაურ საქმეებში ცხვირი არ უნდა ჩაყოს.
16739. თეთრი შური ჩვეულებრივი შურისაგან იმით განსხვავდება, რომ

სხვას დაეწიოს და არა – დაიბოღმოს.

16740. შური, უგვანობა, ბოროტება, ადრე თუ გვიან მონანიებას გვთხოვს.

16741. შური ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რაც ხშირად საზოგადოების განვითარების „პერპენტუუმ-მობილედ“ გვევლინება.

16742. შური უმთავრესად პიროვნების სულიერებას ახასიათებს, მისი ქმედების განსჯით, განსაზღვრით.

16743. მიწის მოტანილი შემოსავალი უმეტესად შურს არ იწვევს, სუფთაა, ნაოფლარია.

16744. ანტისემიტიზმი უფრო შურის შედეგია, ვიდრე სიძულვილის.

16745. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ებრაელებისა შურთ და ვერც შესაძლებლობებით უტოლდებიან. შედეგად უგუნურები მათ მტრად აცხადებენ და არა – ღირსეულ მოწინააღმდეგედ, რადგან მათი დაწევა-გასწრების იმედი დიდი ხანია დაკარგული აქვთ.

16746. „შიშს დიდი თვალები აქვს“ და მრჩევლად არ გამოდგება, მაგრამ ზოგჯერ გამოსავალს მაინც პოულობს.

16747. მტრების შეძენაზე ბევრი უცნაური, უსაგნო, გარემო მოქმედებს, მაგრამ უმთავრესი მაინც შურია.

16748. დეპრესია გონებანაკლულობის, სულიერი კრიზისის, კარიერისკენ უიმედო ლტოლვის და შეძენილი შესაძლებლობების დაკარგვის შიშის შედეგია.

16749. მიმდინარეობის წინააღმდეგ თავის დადებით „მყვინთავი“ ადამიანი ყოველთვის შურს და შიშს იწვევს, იმისდამიუხედავად, რომ მასთან ყოფნა საინტერესოც არის, რომანტიკულიც და ზოგჯერ საშიშიც და უხერხულიც.

16750. ბედს სხვათა შურის გამო არ უნდა ვუსაყვედუროთ და ვეცადოთ ცხოვრება დროის და გარემოს და შინაგან მოთხოვნათა შესატყვისად მოვიწყოთ.

ცოლი და ცოლის დის ფონდი

16751. შეურაცხყოფის მომყენებელს, ვიდრე კანონი მუშტს არ უჩვენებს, რატომღაც მეტი პრეტენზიები აქვს.
16752. თხოვნაც თავისებური ხელოვნებაა და აქტიორის ნიჭს მოითხოვს, რათა თანაგრძნობა გამოსტყუო.
16753. უგრძნობი ადამიანი ცოცხალი რობოტია.
16754. პატივი ეცი სხვას და თუ იმსახურებ, ისიც პატივს მოგაგებს.
16755. საზოგადოებას ალამაზებს თუ ვინმე ღირსეულად აღზრდილი პირი გამოერია.
16756. მუდამ მეორე და თადარიგში ჩემი მტერი იყოს.
16757. უმეცარი ზოგჯერ უფრო ბედნიერია, ვიდრე მცოდნე, რადგან მას გულთან ახლოს არაფერი მიაქვს და არც არაფერი საკაცობრიო აღელვებს.
16758. პატარა ხალხი არ არსებობს, არსებობს პატარა, წინდაუხედავი ხელისუფალი და მასზე აყოლილი ბრბო.
16759. სიცოცხლე რომ ჯოჯოხეთად არ გვექცეს, ყველა დღე იმედის მომცემად უნდა მივიჩნიოთ.
16760. გენიალურობის საწყისი გაუგებარია, მაგრამ შედეგი აღფრთოვანებას იწვევს.
16761. გვინდა არ გვინდა, რისკს ყოველდღე ვეწევით თუნდაც ქუჩის გადაკვეთისას, ასე, რომ რისკი შემთხვევის თავქარიანობა და ბედის ხუშტურია.
16762. შეცდომების გაანალიზების და გამოსწორების უნარი დარგის პროფესიონალად გვაქცევს.
16763. როდესაც ეცნობი სხვის ენას, ამით საკუთარ ენას ამდიდრებ.
16764. მატყუარას ის უბედურებაც სჭირს, რომ თავის ნათქვამის, დანაპირების, თავადვე არ სჯერა.
16765. არაფრის დამკარგავი არაფრის შემნახავია.
16766. რაღაცა რომ დაკარგო, უნდა რაღაცა გქონდეს.
16767. ადამიანის ქმედების შეცნობა ძნელია, თორემ მხეცი რას მოიმოქმედებს ცნობილია და ამისათვის მზად ხარ.
16768. საინტერესო კითხვების დამსმელი სტუდენტი ლექტორისათვის ფუფუნება, სიამაყე, სიხარულია.

16769. რა საქმითაც უნდა ვიყოთ დაკავებულნი და რა დონის პროფესიონალებიც უნდა ვიყოთ, ყოველთვის ეჭვი უნდა გვეპარებოდეს შედეგის ავკარგიანობაში, თუ გვინდა საქმე სრულყოფილად დავაგვირგვინოთ.
16770. შურისძიების სურვილს კანონის სამართლიანობა და გარდაუვალი აღსრულება გვიკარგავს.
16771. თუ ჩვენს აზრებს ეთანხმება, მტერიც მეგობარი ხდება, თუ – არა, მოყვარეც მტრად გვექცევა.
16772. ოპონირება და შეცდომებზე კეთილი სურვილებით მითითება, ყველაზე დიდ მეგობრობაა.
16773. ცივი და მიუკარებელი ქალი არ არსებობს, არსებობენ კვალიფიცირებული სულის და უნარის არმქონე, არაპროფესიონალი მამაკაცები.
16774. შემოქმედს არ შეიძლება პატრონად მხოლოდ სპონსორი ჰყავდეს.
16775. ხელოვნება, მისდაუნებლიედ, გარდასახვას, მასში ცხოვრებას ითხოვს.
16776. ადამიანს სამართავად ძლიერი ხელი სჭირდება და არა შეწყალება და უაზრო ყბედობა, რადგან უპირველესი ქვეყნის ძლიერება და მისი ინტერესებია, თუ გვინდა შთამომავლობამ ისტორიაში ადგილი მოგვინახოს.
16777. ყველაფერზე თავის დამქნევი და მხრის დამჭერი მეგობრად არ გამოდგება, რადგან ეს მანამ გაგრძელდება, სანამ შენი ავტორიტეტით სარგებლობს.
16778. დღევანდელი ბედნიერება გუშინდელს თავის ადგილს უტოვებს ყოველგვარი კონკურენციის გარეშე.
16779. დრო ყველაფრის მიჩქმალვას ცდილობს, მაგრამ წლები ყველაფერს თანდათანობით ახსნას უძებნის.
16780. უმცირესობა უმრავლესობაზე ყოველთვის ნიჭიერი და ჭკვიანია, მაგრამ ქვეყნის მართვას რატომღაც უმრავლესობას ანდობენ.
16781. ერთიდაიგივე აზრი შეიძლება იყოს გენიალური და სულელურიც, გააჩნია ვინ წარმოაჩენს და რა მსმენელი ჰყავს.
16782. სხვისი წარმატება, ბედნიერება, ხშირად დაუმსახურებელ შურს იწვევს.
16783. მონდომებას ყველა საქმე ხელეწიფება.
16784. ერეტიკოსებს განსხვავებული აზროვნებისათვის კაცონზე წვავდნენ, მაგრამ ამას სიახლის მაძიებელთა ოდენობა არ შეუმცირებია.
16785. რადიკალიზმი და კონსერვატიზმიც ჩვენი ასაკის გასათელია.

16786. სიხარბე, გაუმაძღრობა, რომელიც ყველა დანაშაულს აწერს ხელს, უკვე გენის ბრალია და არა – ყოფის.
16787. ქალს სურვილისამებრ შეუძლია დაბრმავდეს და სხვაც დააბრმავოს, გაჯიუტდეს და დამყოლიც გახდეს, „სხვის თვალში ბეწვიც შეამჩნიოს, თავისაში – დირე ვერ დაინახოს“ და ამ სქესის წარმომადგენლებს გულუბრყვილო მამაკაცები სუსტ არსებად მოიხსენიებენ.
16788. ქალები დღეს თავის გულის დასაპყრობ გასაღებს ინტერნეტის კოდზე ცვლიან და ზოგჯერ საკმაოდ ეფექტურადაც.
16789. მასლაათს უშუალობა ამშვენებს, საუბარს დაფიქსირება.
16790. ძველის მოსროლა არ ნიშნავს, რომ ახალი უკეთესია, უბრალოდ მოდაშია.
16791. სხვისი გაკიცხვა, აუგის თქმა, საკუთარი თავის წარმოსაჩენად არ გამოდგება.
16792. სამართლიანობის ქალღმერთ თემიდას თვალები იმიტომ კი არ აქვს აკრული, რომ კანონი არ დაარღვიოს, არამედ სამართლიანად და ქვეყნის ინტერესების შესატყვისად განსაჯოს.
16793. დაწყვილებისას აუცილებელია პარტნიორის ხმის ტემბრის გათავისება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რევიზია და ოჯახის ნგრევა დაიწყება.
16794. წიგნის კითხვა სიამოვნებას გვანიჭებს, ტელევიზორის ყურება დროს გვაკარგვინებს, ინტერნეტი თვალებს ღლის და გონებას გვირევს.
16795. დღეს SMS-ით სიყვარულსაც იძენენ, ოჯახსაც ქმნიან, ბავშვებსაც აკვალიანებენ და ეს სუროგატად არ აღიქმება, რადგან დროის ყივილის შედეგია.
16796. სიყვარული ყოველივეს ალამაზებს, რაც მის გარშემოა.
16797. საზოგადოების დემორალიზების საწყისი და ყველაზე დიდი ავის ქმნაც საკუთარი ხალხის წინაშე უმუშევრობაა.
16798. შეიძლება ლოცვას გადავეჩვიეთ, მაგრამ ჩვენი კერპისათვის ლოცვა, სხვას არ უნდა შევთხოვოთ.
16799. მედიცინა უკვდავებას ვერა, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნების შანსს, გარკვეული დროით, გვპირდება.
16800. სამყაროს სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩაეყოფა არ შეუძლია, რადგან პლანეტებზე კონტროლს დაკარგავს.
16801. ღირსება დიდი სიმდიდრეა, თუკი გაქვს.
16802. გენიოსის ინტერესების და მომავლის ხედვის გაგება, ჩვეულებრივ მომაკვდავთათვის გაუგებარი და მიუღებელია.

16803. ვეცადოთ არავინ დავივალოთ, განსაკუთრებით ჩვენი მოიმედე ქალები, რადგან მათი „ყბიდან“ ვერ ამოვალთ.
16804. საზოგადოება ვითარდება მატერიალურად, ინტელექტუალურად, სულიერად, მანამ არ გადაგვარდება და თავიდან არ დაიწყებს.
16805. სხვათა საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაჰყო, მაგრამ თუ იძულებული ხარ, კონსენსუსის მოძიებაში უნდა დაეხმარო.
16806. შეცდომის გამოსწორება კი არ არის ვაჟკაცობა, არამედ მისი არ დაშვება და გამოსწორებაზე დროის არდაკარგვა.
16807. რადგანაც ახლობლებს, ნათესავებს ჩვენ არ ვირჩევთ, ერთმანეთის დახასიათებას მათ ცოდვათა შესატყვისად ნუ შევეცდებით.
16808. გონიერებას პატივმოყვარეობა შვენის, მაგრამ ძალის დემონსტრაცია არ ეპატიება.
16809. რომაელებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ისტორია ცხოვრების მასწავლებელია, მაგრამ შურს, სიხარბეს და გარყვნილებას წინ ვერაფერი აღუდგება და გრიპივით ყველა ერს გადაედება შექმნილი გარემოს და დროის შესატყვისად, ამის შესანიშნავი მაგალითია წარსული იმპერიების და მათ შორის, რომის იმპერიის, განადგურება.
16810. ბრძენს ჭკუას არ ასწავლიან, მას იდეას, აზრს, სთავაზობენ, რათა თავის გონიერებით გაისარჯოს და სასიკეთო გამოადნოს.
16811. შვილმა მშობელთან ურთიერთობაში თავი მეფედაც უნდა იგრძნოს, მსახურადაც და მეგობრადაც, თუ გვინდა პიროვნება აღიზარდოს და არა – ჩვეულებრივი მოკვდავი.
16812. მიმნდობი ადამიანის „გადაგდება“, „გაბიაბურება“, არც კაცობაა და არც მოხერხება, უბრალოდ – უსინდისობაა.
16813. ძლიერება და დაპირისპირება უკან იხევს, თუ მოწინააღმდეგე ერთ ბურთადაა შეკრული და მას მოხერხებული წინამძღოლი ჰყავს.
16814. ცოლს მაშინაც უნდა მოეფერო და უპატრონო, როცა ეჭვიანობ.
16815. გონიერ და კარგ ადამიანს მტერიც პატივის მიგებით იღებს.
16816. ღირებულება მუდმივია, იმისდა მიუხედავად, დღეს მას ფასი ადევს თუ არა.
16817. სიკვდილის ლანდი ყველგან თან დაგვდევს, მაგრამ გონიერებას უნდა მოუხმოთ და არ უნდა ვინერვიულოთ.
16818. ოჯახის შენარჩუნებას, ნელ ცეცხლზე სულიერების თუხ-თუხი და მოვალეობის აღსრულება სჭირდება.
16819. დამარცხებულს თუ კაცურად მოექცევი, შანსი გაქვს, რომ ის თანამოაზრედ იქცეს.

16820. შედეგის მისაღებად მწვრთნელის მკაცრი მოთხოვნების შესრულება არ ნიშნავს მოსწავლეზე ძალადობის, პირიქით, სიკეთის კეთებაა.
16821. დაწყვილების ბედნიერი პერსპექტივა ყოველთვის გადაუდებელი საქმეა.
16822. ღირსების შეცნობა და მისი გამოყენება, დროზე მორგებით, ყველაზე დიდი მეცნიერებაა.
16823. ხშირად ჩვენი ურთიერთობა გულგრილობაზეა და „სხვისი ჭირის ღობის ჩხირზედაა“ დამოკიდებული.
16824. სახლში სიამოვნებას და კეთილმოწყობას, ქალი უნდა განაგებდეს და მამაკაცსაც უნდა მისცეს საშუალება თავის ჭკუაზე დაისვენოს.
16825. მწვრთნელს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონს აღზრდის, დამსახურებული მწვრთნელის წოდებას ანიჭებენ. ასეთივე ფუნქცია აკისრია ცოლს, ოჯახის შექმნაში და ქმრის წარმოჩენაში.
16826. მიჩვევა და არა დაძალება, ყველა სიძნელის და ავადმყოფობის ამტანია.
16827. კომპრომისსაც თავისი ლაზათი და მოხდენილობა სჭირდება, გონიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
16828. დაუმარცხებელია ის, ვინც სულიერად არ კნინდება და შერკინების ჟინი მარად თან სდევს.
16829. გონიერი სიტყვა სულისთვის ყველაზე საუკეთესო წამალია.
16830. ყბედობის მოყვარული ქალის ცოლად მოყვანას ერიდე, რაც უნდა მომხიბვლელად გამოიყურებოდეს, სიცოცხლეს გაგიმწარებს და „მარტოობის დღესასწაულს“ არ გაგრძნობინებს.
16831. სამწუხაროდ, ჭკუის საზომი ხელსაწყო ჯერ არ არსებობს. თუ იქნებოდა, ქვეყანასაც ეშველებოდა და ამდენ უაზრო ყბედობას და საყოველთაო არჩევნებს გადავრჩებოდით, ხალხიც „ამოისუნთქებდა და მოისვენებდა“.
16832. მიჩვეულის გადაჩვევა არასასიამოვნო პროცედურაა, მაგრამ შესაძლებელია, თუ ძალიან მოვინდომებთ.
16833. მამის საქმის გამგრძელებელი შვილი მშობლის სახელს უკვდავყოფს.
16834. მშვიდობიანი მოლაპარაკება საბოლოოდ ყოველთვის მომგებიანია, თუნდაც დროს გაყვანით და მოლაპარაკების გაგრძელებით.
16835. მეუღლე, რომელიც გიგებს და მოვალეობის შეგრძნების უნარი აქვს, სიკეთის მთესველადაა დაბადებული.
16836. ღირსების სიმდიდრე, უპირველესად ისევ ღირსებაა.

16837. ცოლი დედასამშობლო არ არის, რომ მისი ღალატი არ შეიძლებოდეს, მაგრამ შენი შვილების დედაა და მოფრთხილება სჭირდება.
16838. ღორმუცელობა ადამიანის კუჭსაც ანაგვიანებს და ტვინსაც.
16839. გონიერებას და სურვილს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია, მათ შორის უმთავრესია სიმშვიდე.
16840. ცხოვრებას დაუწერელი კანონებიც აქვს, რომელთა უგულებელყოფა ძვირი ჯდება.
16841. სწავლისკენ მიდრეკილებაც თავისებური სენია, რომლითაც იშვიათად ავადდებიან.
16842. ბედნიერების უცვლელი განტოლებაა: სხვის უბედურებაზე საკუთარ კეთილდღეობას ვერ ააგებ.
16843. უფლება და უფლებამოსილება სხვადასხვა რამაა და ამ უკანასკნელს ხელისუფლება თავის სასარგებლოდ უკეთ იყენებს.
16844. სიღარიბე, უნიათობა, უხერხემლობა უგვანო მმართველობის შედეგია და აქ ბუნებრივი პირობები და გარემო არაფერშუაშია.
16845. სიკეთე შინაგანი მოთხოვნილებაა, ის არ შეიძინება.
16846. იარაღის ჟღარუნი პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას არასოდეს შველოდა და არც უშველის.
16847. სიმართლე და პატიოსნება სინონიმებია, მაგრამ ხინჯის მონახვას, საერთო ინტერესების მომიზეზებით ზოგი, მათშიც ახერხებს.
16848. აზროვნების განვითარებას წინ ვერავინ დაუდგება, თუ ინფორმაცია ახალი და საიმედოა.
16849. ფულით და მდგომარეობით ნაყიდი ერთგულება ყველაზე არასაიმედოა.
16850. ოპონენტები ძალაუფლების ყველა ქმედებას გამადიდებელი შუშით უყურებენ, რათა არც ერთი წვრილმანი არ გამორჩეთ.
16851. განგების უდიდესი წყალობაა გიყვარდეს და უყვარდე, ურთიერთგაგების ფინიშით.
16852. ერის შვილობა სხვა გაგებაა, ხოლო ერისშვილობის გამოყენების მცდელობა – სხვა.
16853. ერთისთვის პატიოსნება გარდაუვალია, მეორესთვის – ტვირთია, მესამე გულგრილადაა განწყობილი, ამიტომაც პატიოსნების კულტი ფეხს ვერ იკიდებს.
16854. მზაკვრობით თანამდებობის დათრევაც შეიძლება და შენარჩუნებაც, მაგრამ კაცად ვერასოდეს იქცევი.
16855. ცოლის სტატუსს ოჯახში შთამომავალთა რაოდენობა და ხარისხი აფასებს და არა – ქმარი.

16856. სიბრძნე კარიერაზე, სიმდიდრეზე, მაღლა დგას, რადგან ამ უკანასკნელთ დროის მტვერი ედებათ, ხოლო სიბრძნე მტვერდაუდებელია.
16857. გატირაჟებული ჭორი მაშინაც მოსაწყენია, როცა ის შენს წისქვილზე ასხამს წყალს.
16858. დაქორწინებას ის უპირატესობა აქვს, რომ სიყვარულის კერპებზე ლოცვა მთავრდება, ახალი თაობის დაგეგმარება-წარმოება იწყება და ყოფილი ღვთაება ოჯახში ცოლად და დედად გვევლინება.
16859. ხელისუფლის უნიათობას, გაუბედაობას სახელმწიფოებრიობა ნგრევამდე მიჰყავს.
16860. ზოგჯერ მშობლებს საკადრის პატივს ვერ მივაგებთ იმ ყველაზე ძვირფას საჩუქრისათვის, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.
16861. მეგობრებთან ურთიერთობა ხშირად დროს გვართმევს, მაგრამ სულიერებისათვის აუცილებელია.
16862. ზოგჯერ გული და ინტუიცია თვალებზე უკეთ ხედავს და ყურებზე უკეთ ისმენს.
16863. როდესაც ყელზე ლუკმა დაგადგება, სითხეს ეძებთ და არა – წყალს, ასევეა გაჭირვებისას, გამოსავალს ეძებ და შედეგზე ნაკლებად ფიქრობ.
16864. ცხოვრებაში ახალი გზის გაკვლევა ერთეულთა ხვედრია.
16865. ხშირად ადამიანის ხასიათი, ცხოვრებაში მიღწეული შედეგების შესატყვისად იცვლება.
16866. წარსულის და აწმყოს მწუხარება გონიერებას ვერას დააკლებს, თუ მომავლის იმედი აქვს.
16867. უაზრობაა დაპირისპირება და არა სხვადასხვა აზრის გამოხატვა და ისიც, რომ საერთო ენის გამონახვას არ ვცდილობთ.
16868. ადამიანი როგორ კარგადაც უნდა ცხოვრობდეს, მაინც უკმაყოფილოა საკუთარი თავისა და ხელისუფლების.
16869. მოვალეობა ყველას გვაკისრია, მაგრამ მისი გონივრული გადანაწილება გვიჭირს.
16870. აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მტკიცება და თავის მართლება არ სჭირდება.
16871. შრომას მაშინ მოაქვს სიამოვნება, თუ დასახულ მიზანს ემსახურება და თავისუალი დროის განკარგვა არ გეხერხება.
16872. თუ მშიერი არ კვდები და თავშესაფარი გაქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრობ.
16873. ოინბაზობასაც თავისი ასაკი და დროის შერჩევა სჭირდება, წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში, „ჩაგქოლავენ“ დაუნდობლად.

16874. ზოგს ცოლის შერთვაც „ავიწყდება“, იმდენად უყურადღებოა საკუთარი თავის და ყველაფრის მიმართ.

16875. „დაარწმუნო“ დიდი ხელოვნებაა, გონიერებასთან ერთად.

16876. სიყვარული დაქორწინებით თუ დაქორწინება შერჩევით, ეს უკანასკნელი უფრო რეალურია და ამართლებს.

16877. კაზინო გართობის საშუალებაა და არა – მოგების და იქ ჯდომა, გონიოერების ზადის მაჩვენებელია.

16878. პატიოსნება გვალამაზებს, ნაკლებად გვაპურებს, მაგრამ ზოგირთისთვის ცხოვრების აზრს წარმოადგენს.

16879. ჭკვიანი ცოლი დღესაც ჩვენი ჩრდილის უკან უნდა იდგეს და ქმარს აღმერთებდეს, თუ უნდა ოჯახს ოჯახი ერქვას და არა თავშეყრის ადგილი.

16880. ხასიათს ახალგაზრდობაშივე უნდა მივხედოთ, რომ ასაკის მომწიფებისას უგნურებაში არ გადაიზარდოს და თავსაც და სხვასაც პრობლემა არ შეუქმნას.

16881. თანასწორუფლებიანობას წყვილთა ჰარმონიული კავშირი სჭირდება ერთ-ერთის შეუმჩნეველი თამადობით.

16882. სიკეთის შექება მის შესაძლებლობებს აორკეცებს.

16883. ზოგჯერ სტუმრის სახლში მოწვევა აუცილებელია, რათა ცოლს მიზეზი ჰქონდეს ოჯახს დამატებით რაღაც ახალი ნივთი შესძინოს.

16884. მორალურია, თუ საზოგადოებას ჭეშმარიტებას არ დაუმალავ.

16885. სიკეთეს, მოფერება ამხნევებს და ძალას ჰმატებს.

16886. ჩვენ მიერ აშენებული სახლი, პატრონის ხასიათს გამოხატავს.

16887. ღიმილის ფასი დღემდე დაუფასებელია, მას ბევრი საკითხის გადაჭრა და მოგვარება შეუძლია.

16888. ცოლი უნდა გიყვარდეს როგორც საყვარელი, მაგრამ შიგადაშიგ უნდა გრძნობდე, რომ ცოლია და შენი ბავშვების დედა.

16889. ოჯახში შური, ჩხუბი, ბინის დალაგება, სახლში მიმდინარე რემონტის ტოლფასია.

16890. ოფიციალურ მეგობრობას კანონი მფარველობს და მას ოჯახი ჰქვია.

16891. ბუნება უანგარო სიყვარულს და რიდს უგნურებისაგანაც ითხოვს, რათა მათზე არ გამწარდეს და მიწის პირიდან არ აჰგავოს.

16892. ზოგი მარცხი ჭკუას გვმატებს და გონიერებას რევანშისთვის ამზადებს.

16893. წყვილი დაქორწინებით ურთიერთ სულიერ გარანდვას, სხეულის

შერწყმით და ვნებით, ცდილობს.

16894. მართალია, ტრფობა, მოწონება, გარიგება სიყვარულში არ უნდა აგვერიოს, მაგრამ დაოჯახების და მისი ხანგრძლიობის შედეგი გაცილებით უკეთესი აქვს.

16895. კარგი და საინტერესო ამბების მოსმენასა, სურვილთან ერთად, ნიჭიც სჭირდება.

16896. ზოგიერთ სტუდენტს ლექტორი კი არა, რეპეტიტორი სჭირდება, ისე დაბალია გონიერების არეალი.

16897. სიდედრის უმთავრესი დანაშაული ის არის, რომ ქალიშვილი ისე ვერ აღზარდა, როგორც სიძეს უნდოდა.

16898. ყველანი საკუთარი შეცდომების შეუცნობლობის მსხვერპლი ვართ.

16899. ზოგჯერ ექიმის დასმული დიაგნოზი ავადმყოფს ცოცხლად კლავს.

16900. კარგი ქმარია, თუ ოჯახს ნორმალურად ინახავს და საოჯახო საქმეში მანამ არ ებმება, სანამ ცოლი არ უკარნახებს.

16901. ცოლი ქმარს ყოველთვის სულით უნდა ეფლირტაოს, თუ უნდა მის მიმართ ყურადღება არ მოდუნდეს.

16902. ცოლ-ქმარი კინკლაობაზე დღეს გაცილებით ნაკლებ დროს ხარჯავს და ეს ინტერნეტის დამსახურებაა, რადგან შენი უხასიათობა, განწყობა, სამყაროს ამ საოცრებას შეგიძლია აჰკიდო.

16903. კარგი მეუღლე აღსაფრთოვანებელია, „ისე რა“ – თვითმყოფადია, ცუდი აუტანელია, მაგრამ არჩევანს ჩვენ არავინ გვეკითხება და მათი კატეგორიებად დაყოფაც ჩვენი საქმე არ არის.

16904. ქალიშვილის აზროვნებას მამიკოს შეფობა სჭირდება, დედიკოს გამოცდილების კარნახით.

16905. საკუთარი თავის უკეთ შეცნობა დროის და ირგვლივმყოფთა კეთილი სურვილებით გაკილვას მოითხოვს.

16906. ყველა შედევრი, განსაკუთრებით მათი ფაბულა, ღმერთის ნაჩუქარია.

16907. დედები არიან, სამართლიანობას რომ ამრავლებდენ ამ დედამიწაზე და ამას არც აფეტიშებენ.

16908. მსჯელობა თუ საქმე – ეს უკანასკნელი ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს.

16909. ხალხთა შორის სიყვარულს და მეგობრობას ვერაფერი შეედრება, მაგრამ ხელისუფალთა ურთიერთგაუგებრობა საზიანო და შეუთავსებელია ორივე ერისთვის.

16910. ცოლიც გონიერებამ, ხასიათმა, გულმა და შენთვის მისაღებ-

მა სურნელმა უნდა გაითავისოს, რადგან კუბოს კარამდე ოჯახის სიმტკიცეს მარტო აღფრთოვანება, სიყვარული, არ შველის.

16911. ოჯახი ის მატერიაა, რომელსაც დედის მცდელობა ეჩალიჩება.

16912. ყველა სახის შრომა პრესტიჟული არ არის, მაგრამ დასაფასებელია, თუ ოჯახს ინახავს და ქვეყნის ბიუჯეტს აფინანსებს.

16913. ცოლის მარად პატარძლად აღქმა შეუძლებელია, მაგრამ მისთვის „თვალებში მტვრის შეყრა დიახაც აუცილებელია“.

16914. სიავე, შური, უგვანობა, იმ ქრონიკულ დაავადებათა თაიგულია, რომელთა მკურნალობაც არაეფექტურია.

16915. ცოლს მუდამ იმ მამაკაცის დანახვა უნდა, როგორიც წარმოედგინა, მაგრამ მისი მცდელობიდან რომ არაფერი გამოდის, ამის გაცნობიერება ჯიუტად არ უნდა.

16916. ცინიკოსს, ჭკვიანისგან განსხვავებით, სული უგრძნობი აქვს, რადგან ყველაფერს ერთ განზომილებაში ხედავს.

16917. ზომიერების ცოდნის გათავისება საუკეთესო შენაძენია.

16918. ყოველდღიურობაში საოცრების დანახვა, სიახლის აღმოჩენა, გენიოსთა ხვედრია.

16919. დაწყვილების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, მაგრამ სახელი, პენი, თავის მოწონება, სხვადასხვა რამაა.

16920. ჩვენი ნაშიერები ახმოვანებენ, მათი მშობლები ცოცხლობენ თუ არსებობენ.

16921. ავი, კაპრიზი, ცოლები რომ არ ყოფილიყვნენ, ოჯახის ქალებს ვინღა დააფასებდა.

16922. ნიჭიერის უმეცრება გაცილებით საშიშია ვიდრე განათლებულის, რადგან ამ უკანასკნელმა იცის რის კეთება შეუძლია და რის – არა, ხოლო უმეცრება ყველაფერს იკადრებს, მაგრამ სად და როგორ გამოიყენოს, არ იცის.

16923. საკუთარი ერისადმი ამაზე მეტი უპატივცემლობა რა შეიძლება იყოს: რუსთაველს ყველა აღიარებს, რომ ერის უპირველესი პოეტია, მაგრამ ქართველ მკითხველთა 99 პროცენტს თავიდან ბოლომდე წაკითხული არ აქვს.

16924. კამათში მთავარია კომპრომისის მიღწევა და არა – სიმართლის დადგენა, რადგან ეს უკანასკნელი ყველას თავისი აქვს.

16925. ყველა დედა შვილისათვის წმინდანია, რაც უნდა ცუდი წარსული ჰქონდეს.

16926. ცოლი კერპია, რომელზე „ლოცვას“ მალე ეჩვევი და საჭიროებისამებრ წამლიქვნელებაც არ გავიწყდება.

16927. საქმის და სიკეთის კეთებას ყველა ვერ ერგება და ვერც იგებს,

მაგრამ უგნურება იბოღმება.

16928. ცოლი მოწინააღმდეგე კი არ არის, ოპონენტია და ეს როლი მას ძალიან მოსწონს.

16929. მეუღლის დაღვინებას წლების შესატყვისად ვაფასებთ, ვადარებთ და ზოგჯერ გულიც გვწყდება.

16930. კარგი ცოლი ერთდროულად: კეკლუცი ქალიშვილიცაა, მეოჯახე მეუღლეა, ლოგინში – ხასა, საზოგადოებაში – ქალბატონი, მზრუნველი დედა და ყველგან შენი დამცველი ბებიაც.

16931. ცოლის გარეშე სახლი უღრანი ტყეა, ცოლით „უნებური ამორჩევითი ჭრებით“ გავლილი კორომი.

16932. გენიოსი მიმდევრებს, თაყვანისმცემლებს, მომავალში მის გამხსენელებლებს, თავადვე ბადებს და ზრდის.

16933. ნაუცბათევად მოსული აზრების დაფიქსირება უნდა ვისწავლოთ, ხოლო განსჯა და დასკვნა დასვენებულ გონებას უნდა მივანდოთ.

16934. საქმიანი ქალის გულის მოგება თანდათან შეუძლებელი ხდება, რადგან კონკურენტები მრავლდებიან.

16935. მე იმ ხალხის მომავლის მწამს, რომლებიც „კედლის იქითაც“ ჭეშმარიტებას დაეძებენ.

16936. ჭეშმარიტებასაც აქვს მორალი, რომელიც გაგებას საჭიროებს და არა მხოლოდ მოსმენას.

16937. უნაკლო არავინაა, მაგრამ ნაკლი, აყვანილი კვადრატში, კუბში, უბედურებაა.

16938. ეშმაკობა, ქვეშქვეშობა, მოხერხებულობა, ერთ ტაფაში იწვის, ოღონდ სხვადასხვა გარნირით და საწებლით მიირთმევენ.

16939. თავის გადადება და ჭკუის ბოლომდე ხარჯვა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ გონიერების მათანალიზი მხარს გიბამს.

16940. ქალთან ხანგრძლივი ურთიერთობა მისდამი მორჩილებაა და ქათინაურებით მარად თავის მოქონვა ეშმაკსაც უჭირს.

16941. ეტყობა, ქალების საჭიროებას მალე „მოეხაზება“ : მამაკაცებმა ექსპერიმენტის სახით უკვე ბავშვების ჩასახვა-გაჩენა დაიწყეს.

16942. ყველა რელიგია, სახელმწიფო წყობა, მორალი, საზიანოა ადამიანის მეობისათვის, მაგრამ მის გარეშე ადამიანთა მოდგმა არ იმართება.

16943. დიასახლისობა ოჯახში დიდი თანამდებობაა, ოღონდ გააჩნია, ვინ როგორ იყენებს და ითვისებს.

16944. საზოგადოების დანიშნულებაა სიმწრით მოთვინიერებული ადამიანი კვლავ არ გაამხეცოს.

16945. ყველას საკუთარი და მიჩუმათებული მორალი გვაქვს, რომლის

გამოყოფას, ავტონომიის სახით, საერთო მორალიდან ვცდილობთ.

16946. ადამიანის მარტო უღელში შებმა არ კმარა, მას ყოფის სიკეთის ხვნა-თესვაც უნდა ვასწავლოთ.

16947. ძალზე მშიშარა არ იტყუება, მისდაუნებლიედ ცრუობს.

16948. მორალსაც ზოგჯერ საკუთარი ამბიციების დასუფთავება სჭირდება.

16949. სიკეთე სიავეს ამცირებს, მაგრამ ვერ სპობს, რადგან ამ უკანასკნელსაც სარეველა ბალახივით სიკეთე მოაქვს, რომელიც ნიადაგს ეროზიისაგან იცავს, ადამიანს კი – დამყაყებისგან.

16950. ცხოვრება ძველი ანეგდოტებისაგან შემდგარი ახალი ანეგდოტია.

16951. ოჯახში, ფაქტიურად, ყველა კოზირს ქალი ფლობს, მაგრამ გონიერი ქალი განზრახ წაგებასაც ახერხებს.

16952. რესპექტაბელური მამაკაცებისაგან განსხვავებით, ლამაზი ქალები არ ეჭვიანობენ – კონკურენტს ვერ ხედავენ.

16953. წარმატების საიდუმლოება: სხვისი გულის „მოკორტვნა“-მოხიბვლა როგორმე უნდა შეძლო.

16954. საშუალო-შეწონილის მონახვა საკუთარი შესაძლებლობებსა და ამბიციებში ძალზე ძნელია, მაგრამ მოხერხება ამბიციების მოთოკვას ახერხებს.

16955. კაცი ყოველთვის მდედრის „მსხვერპლი“ და მსახურია, მაგრამ დაჩივლებას მაინც ქალები ასწრებენ.

16956. ყოველი საიდუმლო ენაშია, ცნობიერება – სულიერებაში, გრძნობა – სიყვარულში, მაგრამ რატომღაც ვერც ერთს ხეირიანად ვერ ვიყენებთ და საამო ყოფისთვის ჩამოწერილი ვრჩებით.

16957. არის შეცდომა-გადაცდენა, რომელიც ადამიანმა თავისი ნებით უნდა დაუშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სისულელე მთელი ცხოვრება ნატვრად დაგვრჩება (მაგ. ცოლის მოყვანა, მანქანის ყიდვა).

16958. თეორიულად უპრიანია, თუ საქართველო ნეიტრალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, მაგრამ რეალობაში გენი და ბუნება ერს ამას არ ანებებს.

16959. იდეოლოგიას საბოლოო ჭეშმარიტება არ გააჩნია, როგორც უნდა, ისე „მოღვაწეობს“.

16960. მესამე განზომილებაა სხვის ყოფაში შენი ცხოვრებით ცხოვრება.

16961. ყველა ქალს ლამაზი სახელი აქვს, თუ მოგვწონს, რაც შეეხება გვარის მომხიბვლელობას, ეს პრობლემა არ არის თუ გათხოვებას

აპირებს.

16962. არც პესიმიზმს და არც ოპტიმიზმს გამოცდილება არ შველის, რადგან ეს სიმპტომი თანდაყოლილია.

16963. საუბარი დიდი კაიფია, თუ შენი ჭკუის „ვიგინდარას“ ნახავ და საერთო თემას გამონახავთ.

16964. ცოდნა, რომელსაც გაჭირვება და თავგადასავალი არ გადახდენია, მოიკოჭლებს.

16965. ბედნიერებაა ბედზე გამოდევნება, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე.

16966. შეუძლებელი არაფერია, გააჩნია, ვინ ცდილობს, ვინ ჩალიჩობს.

16967. ხალხს ცნობილი და დიდი ადამიანების ნაკლი უფრო აინტერესებს, ვიდრე მათი ნაღვაწი, რათა თავის ცოდვებს შეღავათი და ალიბი მოუძებნოს.

16968. არის ადამიანების კატეგორია, რომელთაც მკერდზე იარლიყით უნდა იარონ, იმდენად ძნელია მათი შეცნობა-დაგემოვნება.

16969. ბიჭები მამას პატივს ვცემთ, ზოგჯერ ვამაყობთ, დედას ვეჟღურტულებით და ვეთაყვანებით.

16970. შინაგანად ყველას მძიმედ გადააქვს ახალგაზრდული მისწრაფებების გარდაცვალება.

16971. ჭიანჭველა ბრძენი, მშრომელი, ავტორიტეტული არსებაა, მაგრამ მისი ჩვენს ტანზე აღოღება უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს, რადგან ის ჩვენს მარაქაში არ აგდია, ასევეა უცხო ქვეყნის შვილი, როცა მის წარსულს არ ვიცნობთ და რაიმე საერთო არ გვაკავშირებს.

16972. შეიძლება ხალხი გონიერია, მაგრამ საბოლოო ქმედება თვითნაბად პიროვნებას უნდა ვანდოთ და არა მასის აზროვნებას, სურვილს.

16973. ვაჟისთვის მამა სარწმუნოებაა, რიდის სიმბოლოა, დედა სიყვარულია, კამათის ობიექტია, ხოლო ქალიშვილისთვის მამა საყრდენია, იმედია, დედა – ჭკუის დამრიგებელი, გამგები.

16974. მორალი დროის შესატყვისად ცვალებადია და ყოფის მოწყობის ავ-კარგიანობას ემორჩილება.

16975. „ჰოს“ და „არას“ „შეიძლება“ არ უხდება, რადგან ეს უკანასკნელი ორჭოფობის, უგულობის, მაჩვენებელია.

16976. დედის ლოცვა და ფიქრი შვილებს არ ესმით, მაგრამ მათდაუნებლიედ გრძნობენ.

16977. შედეგის მიუხედავად, მარტოობა ბედნიერების მომტანი არასოდეს ყოფილა.

16978. ბედნიერებაა, როდესაც იცი შენსა და სხვას შორის სხვაობა და შენ მართალი ხარ.

16979. თუ გინდა ბედნიერად იცხოვრო, ცოლის ხასიათის მიუხედავად, ეჭვი არ უნდა შეიტანო მის სიტყვებში, რომ მას უყვარხარ და უშენოდ ვერ ძლებს.

16980. ჩვენ არასოდეს ვართ ჩვენი ბედის პატრონი, მას ყოველთვის უდროოდ ეჩხირება უგუნურების საწყისი.

16981. ყველაზე ძვირფასი ჩვენთვის საკუთარი აზრებია, რომელთაც ხშირად ხელაღებით ვასხვისებთ.

16982. ის, რის თქმის უფლებაც მშობლებს აქვთ, მისი გამეორების უფლება სხვას არ აქვს, ხოლო რასაც ცოლი ქმარს უსაყვედურებს, იმის გაფიქრების უფლება შინაურებსაც არ აქვთ.

16983. ყველა ოპტიმისტი სულით მაზოხისტია.

16984. წესით ყველა ქმარი ცოლს უნდა აღმერთებდეს, ეთაყვანებოდეს, მაგრამ ყველა მამაკაცისთვის ეს ნიჭი არ დაუნათლებიათ, ამიტომაცაა, რომ ოჯახი ისე ცხოვრობს, როგორაც ახერხებს.

16985. „მარტოობის დღესასწაულს“ ჩაშლა არ ელის, თუ ცოლი გონიერია და ამ „დღესასწაულის“ მოწყობისთვის რაღაცას გამოელის.

16986. ვნებათა ღელვა უკვდავების გარანტად არ გამოდგება, ისიც დევალვაციას განიცდის.

16987. ქალების ფეხბურთის თამაშით გატაცებამ ცოლებს უარყოფითი განწყობა ამ თამაშის მიმართ ვერ შეუცვალა, რადგან მათი ქმრების ამ თამაშით გატაცება, სიამტკბილობის კონკურენტია.

16988. ჭკვიანები არც თუ ისე ცოტანი იბადებიან, მაგრამ ჩერჩეტებს რაოდენობით ვერ სჯობნიან.

16989. ბერბიჭა ის ინვალიდია, რომელიც ქალებმა ვერ შეაცდინეს ან უყურადღებოდ დარჩათ.

16990. ოჯახში მამაკაცის ავტორიტეტს და ყოფის პარამეტრებს ცოლის ხასიათი ადგენს.

16991. სიცოცხლეს გულით გაჯეჯილება უხდება და არა აზრს მოკლებული გაჯიქება.

16992. სამყაროს ფაქტიურად ქალები წარმართავენ, მამაკაცების მომსახურებით და არა – მათი უფროსობით.

16993. სიმართლის მოსმენა ყველას გვწყურია, ოღონდ ჩვენი კორექტივებით.

16994. გრძნობების თავმოყრას, მოვლას, მოთოკვას, გამოცდილება და საკუთარი მეს „აკადემიის“ ჩამოყალიბება სჭირდება.

16995. ჭკვიანი აზრების მიგნება ხელოვნებაა, დაჭაშნიკება – ხელობა,

ტირაჟირება – ხელოსნობაა.

16996. ბავშვობის გახსენება აღფრთოვანებას, გაკვირვებას, იწვევს, თუ ასაკის ფუჩეჩი უკან მოსროლილი გაქვს.

16997. კამათის, სიტყვიერი შეჭიდების, დამთავრებამდე არ შეიძლება იყო „მშვიდობის მტრედი“ – შენი მეობა დაზარალდება და ვერ გაგიგებს.

16998. რჩევა მას უნდა მისცე, ვისაც ის დღეს სჭირდება, იმსახურებს, გაითავისებს, მადლიერი დაგრჩება და თქვენით წაიტრაბახებს.

16999. სენტიმენტალობა მგრძნობიარობის ტოლია, მაგრამ ბოლომდე ვერ ეხმიანება.

17000. გრძნობებსაც თავის გათავხედება ახასიათებთ – გაუგებარია მისი მოწონება და ანტიპათია.

17001. ცოლის, რომელმაც გასწავლა მის გარეშე როგორ იცხოვრო, ფასი დიდია.

17002. საკუთარ თავსაც ყოველთვის არ უნდა ენდო, რადგან მასაც ამპარტავნობა აწუხებს.

17003. გატაცება მაშინ გვანიჭებს პატარ-პატარა ბედნიერებებს, როდესაც ჩვენს ჰარმონიულობასთან შერწყმას ისწავლის.

17004. კარგი ხასიათის შენარჩუნებაც ნერვების წყვეტას, სულის გალაღებას და ასაკთან მოლაპარაკებას მოითხოვს.

17005. ცოლ-ქმარს ხშირად საერთო ალერგია აერთიანებთ და მკურნალობას ურთიერთგაგებით ცდილობენ.

17006. ცრემლის ღიმილად გადაქცევა უდიდესი სიამოვნებაა.

17007. ქმრების რაობაზე არ დაობენ, მაგრამ ცოლებს ჩვენი ჩაცმულობის პეწი არასოდეს მოსწონთ.

17008. ცოლისთვის ქმარი ანგელოზად ვერ იქცევა, მაგრამ სხვის „ცუდ“ ქმრებს უნდა შეადაროს, რათა ბედის უკმაყოფილო არ დარჩეს.

17009. ცოლი ის ერთი ამოსუნთქვით წაკითხული წიგნია, რომელიც თავიდან დაკვირვებით წაკითხვას თუ არა, შიგადაშიგ გადაკითხვას და დროსთან შერწყმას მაინც მოითხოვს.

17010. შეიძლება გონჯი ყველაზე მომხიბვლელი იყოს იმ მახინჯებს შორის, რომელიც შენ გინახავს.

17011. ცოლს სილამაზისკენ აქვს გართულება, მე – რეალობისკენ და ამიტომაცაა, რომ ერთმანეთს კარგად ვერგებით.

17012. ის საუკუნეები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და მომავალი თაობები იცხოვრებენ, მეტ-ნაკლებად ყურის აწევის ღირსია.

17013. დაოჯახება თავისებურად ციხე-სიმაგრის შენებაცაა, სადაც მის უფროსად ცოლი გვევლინება.

17014. ცოლს როდესაც შენი სჯერა, გქომაგობს და ყველაფერში გამართლებს, ეტყობა, მართლა სიყვარულით გყავს მოყვანილი და წლებთან ჯახირის მიუხედავად ობი არ ედება.
17015. ცოლისადმი სიყვარული მაშინ გასტანს დიდხანს, თუ მას ისე მოექცევი, როგორც შენი წარმოდგენით საყვარელ ქალს მოექცეოდი და მოემსახურებოდი.
17016. ლოთია ის, ვინც სასმელის მოყვარულია, ვინც გონებას ახალისებს, ხოლო ბრძენია ის, ვინც გონებას ყლუპის მოსმით აღიზიანებს.
17017. ბიჭები, გოგონებთან შედარებით გარკვეულ ასაკამდე „შტერები“ არიან, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით ინტუიციით, ინსტინქტით, მათთან მორცხვად გაიჯეჯილონ.
17018. ნებას გულის წაქეზება სჭირდება.
17019. პიროვნებაა ის, ვინც ყოველივე უცნაურს, ახალს, მოიზომებს, მოირგებს და თუ საჭიროდ ჩათვლის, სხვებსაც დააავადებს.
17020. თუ სხვისი ცოლი თქვენს თვალში გამოცანაა, მაშინ საკუთარი რებუსია კვადრატში, კუბში.
17021. ყველაზე დიდ ნიჭს ადამიანურად დალაპარაკება მოითხოვს, რათა ოპონენტი ისე დაითანხმოს, რომ საერთო საქმეს არგოს.
17022. კორუფცია ადამიანური ღირსების დამცირებაა და ყველას კაცუნებად გავქცევს.
17023. სიცოცხლეს ან ადამიანურად გაივლო ან ძაღლურად, გააჩნია, რომელი მხრიდან შეგიყეფს და შეუყეფ ბედს.
17024. ცოლები ხშირად ქმრებს „აჩმორებენ“, განსაკუთრებით, მათ, ვინც შედარებით წესიერია და სხვა ქალისკენ გულით არ იყურება.
17025. თავს ყველანი ვიტყუებთ და ხშირად ამით სიამოვნებას ვნახულობთ ვიღაცის და რაღაცის ჯინაზე.
17026. სიტყვა „ძუნწს“ განმარტება სჭირდება, რადგან აქ მთავარია ვინ აფასებს სხვის ხარჯზე ოცნებით „მოგრიალე“ უსაქმური თუ საქმის მკეთებელი ინდივიდი.
17027. სურვილი, სხვას ვჯობდეთ, მუდმივია, იმისდამიხედვით, გვაქვს ამის შესაძლებლობა თუ არა.
17028. მრისხანება და ფეთქებადი ხასიათი სინონიმებია, მაგრამ პირველი მეორეს ვერ ცვლის.
17029. სიმართლის მოსმენა უფრო ადვილი ასატანია, თუ ის გონიერებით არის დოზირებული.
17030. ზოგჯერ დუმილით, ხელის გაუნძრევლად, ალიყურის ჭმევაც შეიძლება და უსიტყვოდ დამცირებაც.

17031. უმანკოება რატომღაც ყველა ზომბირებულ „ფარს“ დაუფიქრებლად აეკიდება და ამით რაღაცის კეთება-ჩვენებას ცდილობს.
17032. გულის კარნახს ჭკუის დამოძღვრა იშვიათად ერწყმის.
17033. თავი გვეუბნება, რომ ჭკვიანები ვართ, მაგრამ გონიერებას ამაში რატომღაც ყოველთვის ეჭვი ეპარება.
17034. ცოლი არის ახალგაზრდობა, აზარტი, სიხარული და არა მხოლოდ ოჯახი, სამზარეულო, ბავშვების მოვლა, რადგან მოვალეობა და სიყვარული ურთიერთს არ გამორიცხავენ და არც ტერიტორიებს ყოფენ.
17035. სასიყვარულო თავგადასავლები მოდის და მიდის, მაგრამ ოჯახი, ცოლი და მისი წინდახედულობა რჩება.
17036. ეგოიზმს თუ კისერს მოვუგრეხთ, დავთრგუნავთ, ყველა ოჯახი მისთვის განკუთვნილ ფინიშს მაიღწევს.
17037. ქება-დიდება, თუნდაც დაუმსახურებელ ბრძენსაც სიამოვნებს და ბრიყვსაც, მიუხედავად მისი აღქმის სხვადასხვა რანგისა.
17038. გადამძღარი მგელი – ძაღლია, ქურდი – სექსეტია, მოხელე – ბიუროკრატია, ხოლო ქვეყნის ხელისუფალი ხალხის მტერია.
17039. „ჩამოპლაცკარტებული“, ჩამოფასებული-გადაფასებული, სიყვარული მეორად ტანსაცმელს მოგვაგონებს, რომლის ჩაცმა შეიძლება, მაგრამ თავს ლაღად ვერ ვგრძნობთ.
17040. მე წინააღმდეგი ვარ იმ წესიერების, რომელიც შედეგით არ ბრწყინავს.
17041. შეიძლება ისეთი ცოლი შეგხვდეს, რომ არა მარტო მას, არამედ სამშობლოსაც „უღალატო“ და სხვა ქვეყანაში გადაბარგდე.
17042. ყველა დროში უხერხული მოწინააღმდეგე ცოლია, რადგან შენს სუსტ მხარეს შენზე უკეთ აცნობიერებს.
17043. ვნების გარეშე ცოლის შერთვა მომავალი ღალატის საწინდარია.
17044. ცოლს არ უნდა „ეომო“, მის „ახირებულ ხასიათს“ ხელების აწევით და სიყვარულით უნდა ჩაბარდე.
17045. ასაკში ცოლთან ერთად უნდა დაისვენო, შუა ასაკში მასთან არდასვენების ალიბი უნდა მოიძიო, რათა ერთმანეთი უდროოდ არ მოგბეზრდეთ.
17046. სიმართლე ზედმეტი არასოდესაა, მაგრამ მისი „გათავხედებაც“ ყურს „გვჭრის“.
17047. ცოლი ის ქანქარაა, რომელიც ქმარს, უნდა – არ უნდა, სულ ამოძრავებს და წინ მიათრევს.
17048. ღირსეული ცოლ-ქმარი ერთმანეთზე ფიქრობს, ხოლო შემდგომ

დანარჩენზე და ამას ასაკში ხვდება, როდესაც შვილები უკვე თავის გზას ადგანან და მშობლები იშვიათად ახსენდებათ.

17049. მორყეულ საძირკველზე ნაშენი კედელი დიდხანს ვერ გაძლებს, თუ მის გამაგრებას ცოლ-ქმარი ერთდროულად არ ცდილობს.

17050. ცოლი, უმთავრესად, სულიერი მეგობარია, შემდგომაა სექსი და მამაკაცური შესაძლებლობების გამოვლინება.

17051. ქალური ალღო იმიტომ სჯობნის მამრისას, რომ მოწოდებულია ოჯახის გამყარებისა და სიცოცხლის კვლავწარმოებისთვის.

17052. საცოლეში, საყვარლისგან განსხვავებით, ის ბაზისი უნდა მოვიძიოთ, რომელზეც დაყრდნობაც დაუფიქრებლად შეიძლება.

17053. ცოლი საყვარელიცაა, თანამგზავრიც, გამგებიც და მომვლელიც, თუ უდროოდ არ გაგასწრო.

17054. ცხოვრების უცვლელი თანამგზავრი, მეგობარი, წესით ცოლია, მაგრამ მას სიყვარულის სტატუსიც ფანტაზიით უნდა „შევაზილოთ“, რათა საქორწინო „კონტრაქტის“ გადახედვა არც ერთმა მხარემ არ მოინდომოს.

17055. ცოლს თუ ისე ექცევი, როგორც გაუხედნავ საცოლეს, ეს ოჯახის შენარჩუნების გარანტიაა.

17056. ცოლის შერთვა შენზეა დამოკიდებული და არა ჩვენი თვალების დახუჭვა-გახელაზე.

17057. ქორწინება დამოკიდებულებისთვის ბრძოლაა, ცოლის ინიციატივით და მამრის გატრუნვით.

17058. ყველაზე უკეთ მამაკაცის მეობას, ქალის არჩევის უნარი ამოწმებს, განსაკუთრებით, თუ მასზე სერიოზულად ფიქრობს და ცოლად მოჰყავს.

17059. ცოლის არჩევისას ყურიც გამახვილებული გაქვს, თვალებიც, გულიც, მაგრამ რომელს დაუჯერო, არ იცი.

17060. ცოლის მოყვანას თუ აპირებ, მისი რაობა 60 წლის შემდგომაც უნდა გაიცნობიერო, იქნებ მოსავლელი გახდე, ანდა, პირიქით.

17061. ჩვენი მზეგადაცლილი – გახუნებული სიჭაბუკის სიკეთე ცოლის თვალებში უნდა წავიკითხოთ ჩვენდამი შემწყნარებლობით და ზრუნვით.

17062. ოჯახური სადავეები ყოველთვის საიმედო ხელში უნდა იყოს, ცოლს უპყრია თუ ქმარს.

17063. ცოლის ხასიათს ფულის გაღებით უნდა მოერგო და არა – ჭკუით და დარიგებებით.

17064. ცოლი საყვარელიცაა, თანამგზავრიც და მომვლელიც, თავისი სიკაპასით, დედობით, ჭორაობით.

17065. არიან განსაკუთრებული ნიჭის ცოლები, რომლებიც ქმარში დაბუდებულ-დამალულ ტალანტს სულ კინწისკვრით აღმოაჩენენ, გამოამზეურებენ.

17066. უმიზეზოდ ცოლის გაღვიძება საწოლში დანაშაულია, რადგან ქალს იმედის ნაპერწკალი გაუქრე.

17067. სინამდვილეში ერთგული ქმარი, რომელიც სხვა ქალებთან არ „ცელქობს“ და „მარცხენა“ არ იცის, არც ცოლს მოსწონს, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ეჭვიანობს და ყასიდად მისგან ერთგულება – პატიოსნებას მოითხოვს.

17068. მატერიალიზმით დაუინტერესებელი ქალი, ცოლი არ არის – ანგელოზია.

17069. მამაკაცისთვის ცოლი მთელი სიცოცხლე საყვარელი უნდა იყოს და ავად თუ კარგად მასთან უნდა ერთობოდეს, ხვეწდეს და ტკბებოდეს.

17070. ცოლის შერთვა ზოგჯერ მოვალეობაცაა და წინაპართა წინაშე აღებული ვალიც გვაიძულებს, რათა გვარს გამგრძელებელი და მომვლელ-პატრონი დარჩეს.

17071. სხვის სიზმარში გაღვიძებას საყვარელთან ერთად, ისევ ცხადში გაღვიძება ჯობს ცოლთან ერთად.

17072. პირველ რიგში ქალში მამაკაცი მეგობარს უნდა ეძებდეს, შემდეგ სექსს და ცოლს.

17073. მამაკაცმა ქალის ხასიათის მცირე ნაკლს უნდა წაუყრუოს, ხოლო ქალმა ქმრის გარკვეულ ნაკლზე თვალი უნდა დახუჭოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კარგს და ურთიერთმისაღებს ერთმანეთში ვერასოდეს აღმოაჩენდნენ.

17074. არიან ერთგული, უღალატო და ოჯახისათვის თავდადებული ცოლები, მაგრამ რაღაცის შესრულება მათ შესაძლებლობებსაც აღემატება. მაგ.: ქმართან ერთად ფეხბურთის მატჩზე დასწრება.

17075. ცოლი ოჯახის კერის, ბიუჯეტის მფარველია და საზოგადოებაში ჩვენი ქცევის ვექილია.

17076. ჩვენი საყვარელი ცოლების მრჩეველი სიდედრია, რომელიც ქმრებს, რატომღაც, კრიტიკოსად და ოჯახის მნგრეველად მიაჩნია.

ცხოვრების ფილოსოფია

17077. ცხოვრებაში ყველას რაღაც იდუმალების იმედი გვაქვს, რაც სერიოზულად ვერ გაგვიცნობიერებია.

17078. ყოფითი ალგორითმები და ჩვენი გეგმები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდის და ხშირად არც თუ ისე ცუდად.

17079. ცხოვრებაში ადგილის მონახვაც ძნელია და დაკავებაც, რათა განგების მცდელობამ და მშობლების იმედმა მუქთად არ ჩაიაროს.

17080. ყოველთვის პოვნაზე და დაკარგვაზე გამოკიდება ცხოვრების გახალისების მიზნით, ეს დიაგნოზია.

17081. ცხოვრება თავისებური მაგიაა, რომელიც ყოფითი ილუზიების გაფანტვას ითხოვს.

17082. რისკს ცუდი სუნი ასდის, მაგრამ გამართლების შემთხვევაში სასიამოვნოდ „ყარს“.

17083. რომ არ დაგივიწყონ, ხალხს თავი შენი უცნაურობებით უნდა დაამახსოვრო.

17084. სიცოცხლეს ასაკის გახანგრძლივება გვიგრძელებს და არავის აქვს უფლება სიბერე აუგად მოიხსენიოს.

17085. „ქაქი“ შეიძლება ხილფაფად მოგვეჩვენოს, თუ შენზე გაჭირვებულის ცხოვრებას შეესწრები.

17086. ცხოვრების ალგორითმი დედის საშოდან იწყება და იმქვეყნად გადასასახლებელი მიწის დაყრით მთავრდება.

17087. სიბერეს ყველა უჩივის, მაგრამ ასაკის დადგენის მარგის ქმედების კოეფიციენტი ყველასათვის ინდივიდუალურია, სხვადასხვა და ცვალებადია, რადგან განგების ნება ასეთია.

17088. ჩეჩმაც ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ცხოვრების სიამოვნებით გასავლელად.

17089. მთელი ცხოვრება პატიოსნად ყოფნა უფრო ძნელია, ვიდრე ერთხელ რისკის გაწევა, გმირად გახდომის შესატყვისი აპლოდისმენტების მიღება და თავის დაფასება.

17090. რატომღაც სიხარულის მონიჭებას სხვისგან და სხვაგვარად ველით, როდესაც ჩვენ მისი გამოჭედვა შეგვიძლია.

17091. მარტოობა დღესასწაულია, თუ – პირიქით, არავინ უწყის გააჩნია ასაკს, დროს, გარემოს და ადამიანის გემოვნებას.
17092. სიცოცხლე ყოველთვის გვინდა, იმისდამიუხედავად, მასზე რას ვიტყვით და აფექტში რას მოვიმოქმედებთ.
17093. პესიმიზმი და ოპტიმიზმი სხვადასხვა გენის ძმები არიან, მაგრამ საქმის საკეთებლად მოწოდებულნი.
17094. დღეს შორსმჭვრეტელი, მომავლის გამკითხავი, გაცილებით მეტია საჭირო, ვიდრე წინა საუკუნეებს სჭირდებოდათ, რადგან სამყაროში საოცრებები მომრავლდა.
17095. მორალის კითხვა ყველას ეხერხება, მორალის პრინციპებზე კუდის გამობმით ცხოვრება ძნელი.
17096. გენი თავისი ჯიშის და ჯილაგის პლაგიატია.
17097. გათავხედებაც თავისებური „ბედნიერებაა“, რადგან დღევანდელობით ცხოვრობ, წინ არ იყურები და მომავალში რა იქნება, არ ფიქრობ.
17098. მოთმინება ბედის ვარსკლავის ძიებისას უდიდესი ხელოვნებაა.
17099. რეალური მხარდაჭერა საქმის კეთების ნახევარია.
17100. საკუთარ სიამაყესთან წაგება, ცდის და შეცდომის თეორიის უგულველყოფის ბრალია.
17101. ცოდნა და გამოცდილება იმის უფლებას არ გვაძლევს, სიცოცხლეს უყაირათოდ მოვექცეთ და მუდამჟამს სერიოზულები და მიუკარებლები ვიყოთ.
17102. ზოგი ზედმეტი განათლებით ცხოვრებას იფუჭებს და დროს ტყუილუბრალოდ კარგავს, რადგან ის თავისუფალი ცხოვრებისთვის არის მოწოდებული და გენით ბუნების წიაღში ფერმერობის მსგავსი საქმიანობით უნდა იღვაწოს.
17103. ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც გინდა შენი სიცოცხლე რაც შეიძლება ძვირად და დასამახსოვრებლად გაყიდო, რაც ადამიანურ სისუსტეს მოწმობს.
17104. ცხოვრებასთან შერკინებას მაშინ აქვს აზრი, თუ შენი შემართებით რაღაცა დასამახსოვრებელს მიაღწევ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის გადადება არ ღირს – ვერ გაგიგებენ.
17105. ზოგჯერ ცხოვრება დაგვცინის და ჩვენც პასუხს სარკაზმით ვუბრუნებთ და თუ ალიყურსაც ვაჭმევთ, ეს უკვე დაუფასებელი ბედნიერებაა.
17106. გარკვეული წუწუნის და შეცდომების გარეშე ცხოვრების ფინიშისთვის არავის მიუღწევია.

17107. სიცოცხლეს ფასს მისი გამოყენების უნარი ადებს, ცხოვრებას – მისი ლაღად გატარების შესაძლებლობა.
17108. ცდუნების მოთოკვას საკუთარი გენის კოდის შეცნობა სჭირდება.
17109. მუდმივად საკუთარ თავზე მუშაობა, მცდელობის ბეგარით დაბეგვრა, პატიოსნების გარანტიაა.
17110. ხელმომჭირნეობა ზადი არ არის, ის ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ.
17111. ოპტიმიზმი იმქვეყნიური ცხოვრების ბუნდოვნების ნაყოფიცაა.
17112. გონიერი კაცის რჩევა-დარიგებიდან, რამე ახალი და სასარგებლო შენთვის არ გამოადნო, შეუძლებელია.
17113. ცხოვრებას სიცოცხლისადმი უზომო წყურვილი ახასიათებს იმისდამიუხედავად, თხოვს მას შემდგომ რამეს თუ არა.
17114. მარტოობამ შეიძლება ცხოვრების მუდმივად ამოუხსნელი განტოლება შემოგვთავაზოს, ხოლო განმარტოებამ – შესაძლო ამოხსნით.
17115. გაბზარულ ზარს ვერ მოვსთხოვთ ჩვენთვის დარეკოს, რადგან მისი ბზარის შესაკეთებლად ჯიბეც კი არ მოგვიქექია.
17116. სამყაროს უსასრულობის და მისი შეუცნობელობისადმი პროტესტის შედეგია დღევანდელი ტექნიკური პროგრესის თავის აწყვეტა, რომელიც სამომავლოდ რას გვიქადის, არავინ უწყის.
17117. ცხოვრებასთან შერკინება და ირგვლივმყოფებთან შეჭიდება მათი შეცნობის მიზნით, არასასიამოვნო პროცესია, გაურკვეველი შედეგებით.
17118. განმარტოებას ერთი ხეირი მაინც აქვს: არც ნერვებს გიშლიან და არც ნერვებს უშლი.
17119. საკუთარ ზადში ცუდად ვერკვევით, იმისდამიუხედავად, რომ ყველას საკუთარი ღირსების კოდექსი გვაქვს გათავისებული, რომელიც გვადგება თუ არა, ვერ გავრკვეულვართ.
17120. ცხოვრება ჩვენ ისეთი გვსიამოვნებს, როგორც გვესმის და არა ისეთი როგორც კეთილისმდომნი გვირჩევენ, რადგან ესეც განგების ნებაა და არა ჩვენი ჯიუტი სურვილი.
17121. საკუთარი თავისთვის ცენზის მინიჭება საჭირო ატრიბუტია, რათა ზედმეტ წამოყრანტალებას გადაეჩვიო.
17122. ნიჭიერი კაცი ცხოვრების თამასის სიმაღლეს თავად განსაზღვრავს და მის დაძლევას ცდილობს.
17123. ცხოვრების ფორმულაა: დავიცვათ გონიერად ყოფნის, ქცევის

წესები და შესაძლებისდაგვარად გაუფრთხილდეთ საერთო ღირებულებებს.

17124. დამარცხება ცხოვრების ჩვეულებრივ გაკვეთილად მიიღე და ეცადე წარმატებით გაანალიზო.

17125. ირგვლივ სულითაც ჯანმრთელი ხალხი იყოლიე, გადაგედება.

17126. ასაკში, როდესაც ადამიანი სინანულს გამოთქვამს, იმის გამო, რომ მის ცხოვრებაში სექსს დიდი ადგილი ეკავა, უნებლიედ წამოგცდება: მე ამ განგების დედა ვატირე ასეთ უმადურთა წყალობისათვის.

17127. ცხოვრება ილუზიონისტის ხელოვნებას მოითხოვს, რათა ადამიანი მუდამ გაკვირვებული იყოს და ახლის შეცნობის სურვილი არ დაკარგოს. მახსოვს, როდესაც გარემოებათა გამო ოდესიდან საქართველოში ერთი ბილეთით 22 რაგბისტი გამოვგზავნე, წინასწარ არავის სჯეროდა, მაგრამ როგორც ამ „ფოკუსის“ მექანიზმს ჩასწვდნენ და შედეგიც წარმატებული გამოდგა, მან ფასი დაკარგა და დავიწყებას მიეცა.

17128. ღირებულებებით არ ვაჭრობენ, არ კამათობენ ან ითავსებენ ან არ ამჩნევენ.

17129. დიდებისაკენ მიმავალი გზები ბევრია, მაგრამ მთავარია, ცხოვრებაში დროულად რას, როგორ და ვის დახმარებას აირჩევ.

17130. ცხოვრების სტარტზე ცხოვრებას ვერც დავაფასებთ და ვერც შევაფასებთ, სანამ ფინიშს არ მივუახლოვდებით და დროის ჭაშნიკი თავისას არ იტყვის.

17131. ზოგი მთელი ცხოვრება საკუთარი გონიერების მოტყუებას და გრძნობების მოსყიდვას ცდილობს.

17132. მოთმინებას და ანგარიშგაწევას ცოდნა და გამოცდილება უნდა, რათა თავზე არ წამოგაჯდნენ და ჭკუის სწავლება არ დაგიწყონ.

17133. ყველამ „საკუთარ ტყავში დატევა“ უნდა ვისწავლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფათერაკები და უცხო მხარეში გადახვეწა არ დააყოვნებს.

17134. სიკეთის და სიავის კეთებაც გადამდებია, გააჩნია, რა დროში გვიხდება ცხოვრება.

17135. ვინც ფეხის წატეხვას ყურადღებას არ აქცევს და მაინც წინ მიიწევს, ის უკვე პიროვნებაა.

17136. ზომიერ, თავდაჯერებულ ცხოვრებას რა სჯობს, მაგრამ სიცოცხლის ღირებულება უფასურდება, რადგან ცხოვრებას ჩვენი ურგებიც ვერ გამოვსტაცეთ.

17137. ნიჭიერი მხედართმთავარი წინასწარ შედგენილ გეგმას არ

ემონება, შექმნილ გარემოებათა მიხედვით კორექტივები შეაქვს და გამარჯვებასაც აღწევს.

17138. ცხოვრება ერთდროულად კომედიაცაა და ტრაგედიაც, გააჩნია, რას როგორ უყურებ, რა გენი დაგყვება და ვის როგორ გაგვიმართლებს.

17139. წარსულის გათვალისწინება აწმყოს რატომღაც უჭირს.

17140. ცხოვრებას რა აზრი აქვს, თუ ვერ დაგიმახსოვრებენ.

17141. ბრძენსაც თავისი პლუს-მინუსი აქვს, სიცოცხლის სიამის გართულებით და ნააზრევის სამუდამოდ შთამომავლობისათვის დატოვების მცდელობით.

17142. წარსულის ცუდიც კი იუმორით უნდა გავიხსენოთ, რათა აწმყოს ნერვების მოშლით ცხოვრება არ გავურთულოთ.

17143. გენიოსს, სიბრძნეს, თავის ჩაქინდვრა არ შეშვენის, საქმის დაგვირგვინების შემდგომაც.

17144. განგება სახელს, სულს გვპირდება და არა – ხორცის მარადიულობას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დაიმსახურებ.

17145. სიტყვას ფასს აზრის სიღრმე ადებს და არა გარეგნული ბრწყინვალება.

17146. სიყვარული ადამიანს ცვლის, მაგრამ გენს ვერაფერს უხერხებს, რადგან თავს როდის წამოყოფს, არავინ უწყის.

17147. მთავარია შედეგი, გამარჯვება და არა – პროტესტით, წარმატების მიღწევა, რომელიც შენ მოახერხე თუ შემთხვევამ გიშველა, შენთვის უცნობია.

17148. ცხოვრებაში უმთავრესია სიფრთხილე, თვითკონტროლი და მარადჟამს გონიერების მოხმობა, თუ გინდა დაგეგმილზე ადრე იმქვეყნად არ გადასახლდე.

17149. შეუძლებელი არაფერია შესაძლებლობის და გონების მოხმობის ფარგლებში.

17150. უიღბლოთათვის ცხოვრების ყველა ეტაპი უსამართლოა.

17151. გადამეტებით ის არ უნდა შეაქო, რაც მოგწონს და შენთვისაა განკუთვნილი – დაგიჯერებენ და „დაგაწერენ“.

17152. სანამ ცხოვრება გეფერება, დროსტარება უნდა მოასწრო, თუ ზურგს შეგაქცევს, დაღვინებულ-დამშვიდებული უნდა შეეგებო და კვლავ შენ ჯერს უნდა დაუცადო ასაკის შესაბამისად.

17153. კარგმა ცხოვრებამ მიჩვევა იცის, რაც ყველაზე არარენტაბელურია.

17154. ცხოვრება არც ისე მოკლე მოგეჩვენება, თუ მას შემოქმედები-

თად გამოვიყენებთ, ოღონდ ასაკის აურევლად და მისი მატების შესატყვისად.

17155. ცხოვრების ყველა საფეხური, იმქვეყნად გადასახლებამდე, ბრძოლით იწყება და ბრძოლითვე მთავრდება, სანამ ხელებაწეული ჩავბარდებით მიქელგაბრიელს.

17156. რადგან ცხოვრება თეატრია, ცირკია, ჩვენი მასში მონაწილეობა, მოღვაწეობა ნიჭის წარმოჩენით უნდა დაფასდეს და არა – ბრბოს აპლოდისმენტებით.

17157. უმიზნო ცხოვრება სიცოცხლის ტყუილ-უბრალოდ გაცდენის ტოლფასია.

17158. ყველაზე ძნელია დაგეგმო წინასწარ, რა უნდა გწყინდეს და რა გიხაროდეს, როდესაც ამ ცხოვრებაში რას აპირებ, თავადაც ხეირიანად ვერ გარკვეულხარ.

17159. ზადის მოშორებას ყველა ცდილობს, მაგრამ ამის უფლებას გენი და ცხოვრების უმწიფრობა არ იძლევა.

17160. ზადი უფრო გენეტიკურია, ვიდრე შეძენილი.

17161. ცხოვრების რამდენიმე შენთვის მისაღები წესის ცოდნაა აუცილებელი და არა – კანონის წიგნის გაზეპირება.

17162. ცხოვრებაში წუთითაც არაფერი არ უნდა გადადო, უნდა ეცადო დროულად ყოველივეს ეზიარო.

17163. გონიერებისადმი პატივის მიგება გვაიძულებს შემართებით ვიცხოვროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამყაროს გონიერება ერთ ადგილზე გაიყინებოდა.

17164. ბავშვობის, ჯეელობის, შუა ასაკის, სიბერის, დატოვება ცალ-ცალკე გვიხდება, მაგრამ ფინალი ყველასათვის ერთია.

17165. სიცოცხლის გასაგრძელებლად ყველას თავის პარტნიორი სჭირდება, დამტვერვა იქნება თუ სპერმის გამოფრქვევა.

17166. გონიებას, თავისივე გრძნობებთან, მისთვის გასაგები ჭეშმარიტების შერწყმა შეუძლია.

17167. მარტოობას მასასთან შერკინება უყვარს, ისიც ჩუმად, შეუმჩნევლად და თავისი გაგებით.

17168. დაცემულს ერთხელ უნდა გავუწოდოთ ხელი დაუყვედრებლად, რათა მუქთას არ მიეჩვიოს, არ გაირყვნას.

17169. ცხოვრება დროული გამოღვიძებაა და ყველას ხვედრი არ არის.

17170. ცხოვრება რწმენითაც ჭირს და ურწმენოდაც, რადგან ყოფის რაობაში გარკვევა გვიჭირს.

17171. უკვდავი საქმის მკეთებელს, განგებამ სიცოცხლის გახანგრძლივების კრედიტი უნდა გამოუყოს.

17172. გონიერება სიახლეს დროულად ეწაფება, რათა დროზე გამოიყენოს და სარფი ნახოს.

17173. დღეებს წონით უნდა ვაცილებდეთ და არა – გადათვლით.

17174. სიამოვნებით, უშფოთველად და საყვარელი საქმის კეთებით ცხოვრების განვლა ბედნიერებაა კუბში, მით უმეტეს, თუ სათანადოდ დამფასებელი გყავს.

17175. ზოგჯერ მეზობელთან ენის გამონახვა უფრო ჭირს, ვიდრე გადამთიელთან და ეს გენების შეუთავსებლობის ბრალია.

17176. ზოგჯერ მთავარია. მიღწეულის გონივრული გამოყენება და არა – სიახლისკენ ლტოლვა, მაგრამ მეცნიერის „გადაბრუნებული“ ცნობიერება ამას ვერ ეგუება.

17177. გონიერება წინაპართა ზურგს არ ეფარება, ის წინ მიიწევს, თავის წარმოჩენასაც ცდილობს და წინაპრებისაც.

17178. სიმამაცე გენის აფექტის შედეგია.

17179. გარკვეული სიმდიდრის გადანახვაზე ბრძენმაც უნდა იფიქროს და ჩვეულებრივმა მოკვდავმაც, რადგან ცხოვრების კაურებს ვერას გაუგებ.

17180. დრო და გარემო გვაიძულებს, ტექნიკურ პროგრესს გონიერების და უგნურების სისხლი ერთად ვადინოთ.

17181. რეალობაში ცხოვრება ფანტაზიის ნიჭს ხელს არ უშლის საფიქრებელ-საკეთებელი აკეთოს.

17182. ხშირად ამბობენ, ცხოვრების ხელახლა დაწყების შემთხვევაში, ისევ ძველი ვარიანტით ვიცხოვრებდიო. ეს ან ფანტაზიის უქონლობაზე მიუთითებს ან ამპარტავნობაზე, რადგან ახალი ყოველთვის საინტერესო და სახალისოა.

17183. მომავლის ხედვის უნარი ერთეულ გენიოსთა სვედრია, მაგრამ ხელისუფლის სავარძლის გვერდით დგომასაც კი მას არავინ სთავაზობს.

17184. მოხერხებული გონიერება ყოველთვის შეიარაღებულია, ყველა საეჭვო შემთხვევას მიზანში იღებს და ათიანში ურტყამს.

17185. ცხოვრების წლების გონივრული გადანაწილება, ძირითადად, შემთხვევა-იღბალზეა დამოკიდებული.

17186. ცხოვრების ლელოს გატანა ბედნიერების შეძენით უნდა შესძლო და არა – სიცოცხლის დროის გაყვანით.

17187. ცოდნა, ადრე თუ გვიან, მოსავალს იძლევა, მაგრამ შეიძლება ის შემდგომმა თაობებმა მოიმკას და ეს გულდასაწყვეტი არ უნდა იყოს.

17188. დასამახსოვრებელი ცხოვრება მისასალმებელია, მაგრამ არც

ხანგრძლივი ცხოვრებაი ისე ხელწამოსაკრავი, რომ ხარისხს ვანაცვალოთ.

17189. ცხოვრებაში ისიც დიდი ბედნიერებაა, თუ წარსულში თავშისაცემი და სიხარულის მომტანი არაფერი სისულელე ჩაგიდენია და ასაკი ამისათვის თვით გვემას არ გთხოვს.

17190. უზნეო ადამიანი, პირველ რიგში, სხვაში ნაკლს ეძებს, რადგან ცხოვრებამ თავის დროზე, ეტყობა, გაანაწყენა.

17191. ღირსებით ცხოვრებას საზოგადოება, დრო, განსჯის და განსაზღვრავს და არა ჩვენი ნაშიერთა მცდელობა.

17192. ფილოსოფიას პროვოკაციული კითხვები და პასუხები აქვს, რომელიც მას ძალზე ალამაზებს და მიმზიდველს ხდის.

17193. მბრძანებლობას, ცხოვრება და ირგვლივ შექმნილი გარემო გვასწავლის.

17194. ზადი გვეხმარება როგორც ყოფის წარმართვაში, ასევე ცხოვრების ნგრევაში.

17195. თავისუფლება ერთიანობას საჭიროებს, გონის მოხმობით და უფროს-უმცროსობის ინსტიტუტისადმი პატივის მიგებით.

17196. სამყაროს ყველა დიდი პიროვნების დიდებას თავისი ვადა აქვს.

17197. შრომის უნარი მცდელობით სინდისის სინონიმია.

17198. ცხოვრებაც ბანქოს თამაშს ჰგავს, სანამ არ გაგვიმართლებს, სულ ამ ცხოვრების გინებაში ვართ.

17199. ყველა სისულელეზე ნერვები გვეშლება, რადგან ყოფის რეალობაში ხეირიანად ვერ გავრკვეულვართ.

17200. ცხოვრებიდან ხიბლის წამების ამოწვას უნდა ვერიდოთ, რადგან რომელი იყო მათში მოსაფრთხილებელი, ყოფის დაისი გვიჩვენებს.

17201. ცხოვრება კაზინოა და ვინც რა ყისმათზე „გაჩითავს“ თავის ბედის ბანქოს, იმის შესატყვისად ცხოვრობს.

17202. ღირსეული ცხოვრება დასახული მიზნის ღირსეულად მოპოვების შედეგია.

17203. თუ გინდა ქალმა დაგაფასოს, მისი გონიერების შესაძლებლობები უნდა გაითვალისწინო და შენს ჭკუაზედ ატარო.

17204. როდესაც ცხოვრება უკანალს გვიჩვენებს, უნდა ეცადო ცხოვრება თავიდან დაიწყო, საკუთარ თავზე წამოთაქებით.

17205. სწორ გზაზე შემართება, მონდომება, რჩევა, გვაყენებს, ხოლო საქმე გამოცდილების მოპოვებით და რქებით მიწოლით კეთდება.

17206. სიკეთეში სიავის მოძებნა გენის ბრალია და აქ გონიერება არაფერ შუაშია.

17207. თუ სხვათა გაკეთილშობილებას ცდილობთ, თქვენი კეთილშო-

ბილება იზრდება და შინაგანად ბრძენდები.

17208. ოქროს, ამ ყვითელ „სათამაშოს“, არა მარტო ქვეყნების, არამედ სამყაროს მართვაც შესძლებია.

17209. ცხოვრებაში გზის არჩევის უამრავი ვარიანტი გვაქვს, მაგრამ იმ გზას ვადგებით, რაზეც ბედი დაგვაყენებს და შემთხვევა ხელს გამოგვიწვდის.

17210. გონიერებას არ უნდა წაუყრუო, ზურგის შექცევით დასჯა იცის.

17211. ვეცადოთ ჩვენს საუკუნეს თავი მიუძღვნათ და მასში გასახსენებელი სახელი მაინც დავტოვოთ.

17212. თუ ერთს დაეხმარე, მოთხოვართა რიგი დაგიდგება, შენი მცდელობა ყველას არ ეყოფა და უმადურებიც მოგიმრავლდება. ასე, რომ რა ჯობს, არავინ უწყის, გაცემა თუ მიზნობრივად სამუშაო ადგილების შექმნა.

17213. სჯობს საკვებად გამოსაყენებელი ნარჩენები გადაყარო, ვიდრე მის გადამამუშავებელ მუშებს სახლში გაიტანო – აუცილებლად იცულლუტებენ, მზა პროდუქციას მოგპარავენ.

17214. აწყობილი ცხოვრების შერგებასაც ჭკუა უნდა, რადგან მარტო განგების ნება არ ყოფნის.

17215. უბრალოდ უნდა იცხოვრო და ეცადო საკუთარ ცხოვრებას არ „დაასწრო“.

17216. დაბადება-აღზრდის ადგილი ყველას გვიყვარს, მაგრამ ქვეყნის ხელისუფალმაც უნდა ივაჟკაცოს, რომ მის შვილებს დასაქმების საშუალება მისცეს და ცხოვრება შეიძლებოდეს.

17217. ეგოიზმი დიდი ნაკლია, მაგრამ მცირე დოზით გარკვეულ სარგებელს იძლევა.

17218. რისკის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და უინტერესოც.

17219. თუ ახალგაზრდა მიდის იმქვეყნად, გვენანება, თუ ასაკოვანი – თანავუგრძნობთ, თუ ღრმად მოხუცია, თავისუფლად ამოვისუნთქებთ, რომ მის ახლობელს მისი პატრონობა კისერზე არ დააწვა, ეს მაშინ, როდესაც არც ერთ მათგანს საბოლოო, საქმიანი, სიტყვა არ უთქვამს.

17220. ცხოვრების საუკეთესო წლების გაცუდებას, გამოუყენებლობას, უგნურება, გამოუცდელობა და ის გარემო იწვევს რაც ჩვენთვის უცნობია.

17221. ცხოვრების ტემპს ჩვენი ტემპერამენტის შესატყვისი ტემპის შერჩევა სჭირდება.

17222. შემთხვევა ზოგჯერ ჩვენს ცნობიერებას და ცხოვრებას კაპიტა-

ლურად არემონტებს.

17223. მომდევნო თაობა წინა თაობას რაღაც-რაღაცებში ჯობნის და ეს ცხოვრების წინსვლის ალგორითმია.

17224. მხოლოდ იმ აზრების გათავისება შეიძლება, რომლის ავტორიც გონიერების სფეროში კარგ აღრიცხვაზეა.

17225. ცხოვრების გაუგებრობა თავისებური დრამაა, რომელსაც ჯობს არ გავეთამაშოთ.

17226. საუკუნეს ფეხის აწყობა სჭირდება, ხოლო დღეებს – სირბილით დაწევა.

17227. ცხოვრებაზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა ერთი ნიჭია, განათლებისადმი ლტოლვა და ცოდნის გათავისება – მეორე, მაგრამ უკეთ ცხოვრებას ის ახერხებს, რომელიც პრაქტიკას ცოდნას უკეთ მოარგებს.

17228. ხშირად ცხოვრება ზიგ-ზაგებით გვატარებს, მაგრამ მაინც სწორ გზაზე გასვლას ვცდილობთ და ჩვენი გაგებით დავდივართ კიდეც.

17229. პირადი ცხოვრების დავიწყების უფლება არც ერთ ასაკში და დროში არ გვაქვს.

17230. სიახლე იმას უნდა შესთავაზოთ, ვისაც ცხოვრება ჯერ არ მოყირჭებია და არც იმდენი სიმდიდრე დაუგროვებია, რომ ახლის კეთების ხალისი დაეკარგოს.

17231. სიცოცხლე იმიტომაცაა მოკლე, რომ ცხოვრება არ მოგვყირჭდეს და სხვას არ მოვბეზრდეთ.

17232. იდეალები მხოლოდ ოცნებებში ცხოვრობენ, იღვწიან.

17233. ცხოვრება გონიერებასა და სიკეთესთან დადებული ხელშეკრულებაა, რომელიც, სამწუხაროდ, არ ტირაჟირდება.

17234. ბედნიერება უნარია, საბოლოოდ შეაფასო შენი ცხოვრება და ნიშანი დაუსვა.

17235. სხვისი გამოცდილება და არა სხვისი ჭკუა – ჩვენ არ გამოგვადგება.

17236. ასაკის მატებასთან ერთად აზროვნებაც და ჩვევებიც შემრიგებლურები ხდებიან და გადახალისდებიან.

17237. ცხოვრების ტემპი ყველგან უნდა გავითავისოთ, გვაქვს ამის სურვილი თუ არა.

17238. ცხოვრების გზა ყოველთვის წინასწარ გაჭრილი უნდა გვქონდეს და თავადვე უნდა მოვკირწყლოთ.

17239. ცხოვრების უკეთ შეცნობის მოთხოვნებს ადამიანის მორალი და შეგნება არ შველის – მისი ბუნებაა ასეთი.

17240. გვინდა – არ გვინდა, ყველაფერი სისტემაში თავიდან მოსაყ-

ვანია და მის ავტორს უნდა ვენდოთ, რადგან ყოფის აქსიომების გარეშე ცხოვრება ჭირს.

17241. ცხოვრების ტემპის გაუმართლებელ აჩქარებას უაზრობამდე მივყავართ და სიცოცხლის მიზანიც ჩამოფასებულია.

17242. რწმენა, იმედი, მისწრაფება, შესაძლებლობებს ამრავლებს.

17243. ცხოვრებას გართულება არ სჭირდება, შეიძლება უამისოდაც მოგვარდეს საქმე.

17244. ცხოვრების ვარსკვლავს სათაყვანებლად ეძებენ და ზოგჯერ პოულობენ კიდეც, სხვადასხვა გართულებებით.

17245. ცხოვრება შარაგზებზე სიარულს გვთავაზობს, მაგრამ ხშირად შუკაზეც ვერ გავდივართ.

17246. პესიმიზმი უყაირათობის ერთ-ერთი ფორმაა.

17247. დედამიწა ძალზე მცირე ციური სხეულია სხვა პლანეტებთან შედარებით, ჩვენ კი ამ ტერიტორიაზე მცხოვრებნი გაუგებარი დაპირებებით და ამბიციებით. უპრიანი ხომ არ იქნება ამ ციური სხეულის მოსახლეობას ერთი, „პლანეტის კაპიტანი“, აგვერჩია, მასთან ერთად გვეცხოვრა სამყაროს სივრცეში და ყველანაირ დაპირისპირებასაც ბოლო მოეღებოდა.

17248. ზომიერების გრძნობა თანდაყოლილია – არ ისწავლება.

17249. ცხოვრება შედგება ბედის საჩუქრების, გაწბილების და იმედის გამართლება-გაცრუებისაგან.

17250. ცხოვრების პროზის ჩაგვრაა საწყენი, თორემ ცხოვრების პოეზიის ჩაგვრა მოსათმენიცაა და საპატიოც, რადგან შენი შურთ.

17251. ცხოვრება ფარსის და გროტესკის კოქტეილია, გააჩნია, მათი შერევა ვის როგორი დოზით მოსწონს.

17252. ცხოვრებას ყველა ვერ მოერგება და ამიტომაა ის ზოგისთვის უსამართლო.

17253. გვინდა – არ გვინდა, ცხოვრებას ბრძოლით ვეთამაშებით და რა დონეზეც ვიმარჯვებთ, ისევე ვცხოვრობთ.

17254. თანაშემწე და მრჩეველი მანამდეა საჭირო, სანამ გემორჩილება და საქმეს რგებს.

17255. სიმართლის წარმოჩენასაც პროფილაქტიკა სჭირდება.

17256. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, ყოველდღიური სიამოვნების ფასს ჩვენ ვერ ვგრძნობთ და ალბათ ესაა ჩვენთვის დამატებითი სტიმულის მომცემი.

17257. ცხოვრების ცოდნა საქმეს არ შველის, თუ ბედიც დროულად არ წამოგეშველა.

17258. მცდელობას და ნიჭს გასაქანი სჭირდება, უამისოდ შეგნება იბ-

ინდება და ქვეყანაც განვითარებას ანელებს.

17259. ზოგჯერ ცხოვრებაში უკეთ თამაშდება ფარსი, ვიდრე სცენაზე.

17260. ახალი ნაცნობობა უფრო საინტერესოა, ვიდრე ძველი, ცხოვრების ყივილის შედეგად ჩამოწერილი.

17261. საკუთარი საქმიანობა, სხვათა საქმიანობასთან შედარებით, ყოველთვის მოსაბეზრებელია, მაგრამ უფრო საჭიროა.

17262. აზროვნებამ, შედეგების მისაღებად, ტვინს თავის წილი ჭკუა უნდა ანთხევინოს.

17263. მოვალეობის გრძნობასაც სათანადო გენი და აღზრდა სჭირდება.

17264. ცხოვრება საკუთარ შესაძლობათა გამოყენებაა, მასში გარკვევით და „მეს“ თქმის უფლებით.

17265. გენი ეხმარება ბედს და არა – პირიქით.

17266. სიცოცხლე ზოგჯერ უმადურია, მაგრამ ხშირად მართალი და უპრეცედენტოა.

17267. ტექნიკური პროგრესის წინსვლამ, დღევანდელობის რწმენა მომავლის იმედით უნდა გააორმაგოს.

17268. ცხოვრება ყოველთვის დაორკეცებულია იმ ნეგატიური მოვლენებით, რომელსაც გონიერებასთან საერთო არ უნდა ჰქონდეს.

17269. სერპანტინების გარეშე ცხოვრების გავლა ძნელია და უფრო ძვირი ჯდება.

17270. ცხოვრება ადამიანთა ურთიერთგადაძახილი და ენის ტლაშუნიცაა.

17271. კეთილშობილი და საამაყო გრძნობების ჩასახვა ახალგაზრდობიდან იწყება და ცხოვრების კარიბჭესთან დევალვირებას განიცდის.

17272. გამგონსა და მორჩილს მრავალი სიკეთის კეთება შეუძლია, თუ საკადრისს დროულად მივაგებთ.

17273. ცხოვრება ეს სიხარული, ბედნიერება, იმედია, მოვალეობის შეცნობით, რომელიც სიცოცხლის საწარმოებლად აუცილებელია.

17274. მრავალფეროვნებისკენ მისწრაფება, გონიერების მოშველიებით და საკუთარი იდეების გამოჩხრეკვით, ჩემთვის ნაღდი ცხოვრებაა და სხვების რა მოგახსენოთ.

17275. თავს, კონტროლის გაწევა უხდება და არა – მოფრთხილება.

17276. სამყარო უფრო ცუდი კი არ გახდა, არამედ ჩვენ გავხდით უფრო დაკვირვებულნი და ინფორმირებულნი.

17277. ცხოვრებაში ყოველთვის სერიოზულობა შეუძლებელია და არცაა საჭირო.

17278. ხშირად წუთი იმას გვასწავლის, რაც წამებს არ აინტერესებთ.

17279. ხშირად ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლება დაძალებით და ნიჭის გათვალისწინებით ხდება, რაც მასაც ადგება და მრევლსაც.
17280. ყველანი საკუთარი ცხოვრების „ექიმბაშები“ ვართ და ისე ვცხოვრობთ როგორც გვიმართლებს.
17281. ცოდვათა გროვა და ცხოვრების გამოცდილება, უმეტეს შემთხვევაში, სინონიმებია.
17282. ცხოვრება ძირითადად, მორალის, თავაზიანობის, სიკეთის, გამოვლენის მცდელობაა.
17283. მორალზე ფიქრს კარგი ცხოვრება გვაწყებინებს და არა – სილამაზე, რომელსაც ნორმების დასაცავად არ სცალია.
17284. აზროვნება ყოფის აუცილებლობით გამოწვეულმა საჭიროებამ შექმნა და არა – ცარიელმა შრომამ, როგორც დღემდე ჩაგვჩიჩინებდნენ.
17285. ყოველი სიახლე, იდეა, მცდელობა, საყრდენის მოძიებას და მასზე კაცობით ფეხის შემოდგმას მოითხოვს.
17286. ქალი ინტუიციას ანიჭებს უპირატესობას, მამაკაცი – გამოცდილებას, ხოლო ცხოვრება ისე წარიმართება, ვისაც როგორ გაუმართლებს.
17287. მოხერხებით ცხოვრებაა რეალური და არა – სწორად ცხოვრება, რომელსაც ვერც დრო განსჯის და ვერც ასაკი.
17288. ამქვეყნად ყოფნა მანამაა საინტერესო, სანამ ცხოვრება გეფერება და საყვარელ ქალს შენზე გული შესტკივა.
17289. ტვინი არ შეიძლება მთლად გარყვნილი იყოს, მასში გარკვეული სახის წესიერებაც დევს, რომლის გამოყენებას გენის მხარის აბმა და კანონისადმი რიდი სჭირდება.
17290. საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრებას გამოცდილება და იმპროვიზაციის ნიჭი სჭირდება.
17291. ცხოვრებაზე მორგება ნიშნავს ყოფას კვადრატში.
17292. ვეცნობით სხვათა გენიალობას, ვცდილობთ მათ განსჯას, ვუდარებთ ჩვენს ნაღვაწს და დაუმორცხვებლად ვარკვევთ, რომ ჩვენც მათი ჯიშის და გენის ვყოფილვართ.
17293. თეორიულად სიცოცხლე ცხოვრების ხარისხით უნდა განსაზღვროს და არა წლების ოდენობით, მაგრამ პრაქტიკულად უღიმღამო წლების უგულებელყოფაც ძნელია.
17294. პატიოსნების პატარ-პატარა ჩასწორებები ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს ვიცხოვროთ და არა – ვიარსებოთ.
17295. ყველაზე ძნელია საკუთარ თავში სიმშვიდის შენარჩუნება-გამოზრდა.

17296. გარეგნულად ვიცით ვინ რას წარმოადგენს, მაგრამ შიგთავსს და გენს გაშიფვრა სჭირდება.
17297. გონიერებას უჭირს იმ ხელისუფლის დაყოლიება, რომელმაც მოსმენა არ იცის, რადგან უცოდინარი და არაპროფესიონალია.
17298. სიამოვნებით უნდა ტკბებოდე და მბრძანებლობდე, საკუთარ თავზე რომ არ გადაგვარდე.
17299. დღეს ვერ გაიგებ რა სჯობს, მდიდარი იყო თუ გონიერი, რადგან ორივეს დაკარგვა შეიძლება ერთის გაკოტრებით, მეორის სკლეროზით დაავადებით.
17300. უნდა ვეცადოთ, საკუთარი თავის საზრუნავიც არ ვიყოთ და მძიმე ტვირთად არ ავეკიდოთ.
17301. იმედის და ოცნების არარაციონალური ფლანგვაც დაუშვებელია, უნიათობისკენ გვიბიძგებს.
17302. ცხოვრებას არ უნდა შეეპუო და არც უკან დაიხიო, მაგრამ ამ სადაო სიჯიუტესაც დროის შერჩევა უნდა.
17303. სიცოცხლის წლების უკან დაბრუნება შეუძლებელია, თორემ ჩვენს ყოფას მაღალი ხარისხის კაპიტალურ რემონტს არ დავამადლიდით.
17304. კარგი ქორწინება, საბოლოოდ, პარტნიორობითꙋ მთავრდება და ამ შედეგით ორივე მხარე კმაყოფილია.
17305. პატივი რომ გცენ, განათლებული და სიტყვის კაცი უნდა იყო, პატივით რომ მოგეპყრან, თანამდებობას უნდა ფლობდე, შენი რიდი და შიში უნდა ჰქონდეთ.
17306. დაქორწინების ხარისხიც დროის ყივილზეა დამოკიდებული.
17307. მშვიდობაზე საუკეთესო ამქვეყნად არაფერია, რასაც ქვეყანაში არეულობის გამოცდის შედეგად ვაფასებთ.
17308. ყველანი ჩვენი ბედნიერებისთვის ვიღვწით და ვმუშაობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლის ფასს ვერ შევიცნობდით.
17309. სიცოცხლის დათმობა სისულელეა, თუ სიკვდილი რეალურად არ გემუქრება.
17310. მართალი, ნორჩი, უმწიკვლო, სულიც, ყოფის ფილტრში გატარებას მოითხოვს – გამოადგება.
17311. მთავარი ის კი არ არის, სად დაიბადე და რა დროში გიწევს ცხოვრება, მთავარია, შემთხვევას უნდა თუ არა შენთან შეხვედრა.
17312. ჩვენი ბუნების კაცი ფორტუნის ბორბლის ცენტრში ვერ იცხოვრებს, ის ან უნდა დაეცეს ან უნდა ამაღლდეს, თავის თავის წინაშე მაინც.
17313. სასიამოვნო ყოველთვის სასარგებლოთი უნდა შეიცვალოს თუ

გვინდა სიამოვნებიდან რაიმე დაგვრჩეს.

17314. დედისერთა ვაჟებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ განსაკუთრებით, მამების წინაშე და მათ უფლება არ აქვთ გვარის გამგრძელებლები არ დატოვონ.

17315. დასახული მიზნის მისაღწევად გონიერების წინააღმდეგ გაჯიუტებულ სულს და სხეულს მათთვის გათვალისწინებული ვარჯიშებით დატვირთვა სჭირდება.

17316. ჩვენს სიცოცხლის წამებს დრო ითვლის, წუთებს – ჩვენი მცდელობა, საათებს – ცოლი, დღეებს – შთამომავლობა, ხოლო ჯამს, ჩვენი დანატოვარი ანდერძი წარმოაჩენს.

17317. ზოგიერთი სამუშაო ადგილი პრესტიჟის მიხედვით უნდა ფასდებოდეს, მაგრამ, უფრო დიდი ხელფასის შედეგად ყველა საქმიანობა მიმზიდველი იქნება და აღარც უცხო სამუშაო ძალა დაგვჭირდება.

17318. ხშირად ჩვენ იმ ცხოვრებით ვცხოვრობთ, რომლის შედეგზე წარმოდგენაც არ გვაქვს.

17319. ამქვეყნად დასამახსოვრებელი სახელი თუ არა, წარმოდგენა მაინც უნდა დავტოვოთ ჩვენს ნაცნობ-მეგობრებში.

17320. ასაკს გაუჭირდებოდა გამოცდილებით ცხოვრება, რომ მას უკეთესი მომავლის იმედი არ ჰქონდეს, იმდენი გაუტანლობა და უკეთესობა უგემნია წინა თაობიდან.

17321. ფაქტები, გამოყენება-რეალიზების გარეშე, უვარგისია, მაკულატურაა.

17322. სიკვდილი არაფერს ასწორებს, უბრალოდ გვავიწყებს იმ შეცდომებს და ცოდვებს, რომელიც მიცვალებულმა სიცოცხლეში ჩაიდინა.

17323. ფორტუნის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არ აქვს, რადგან განგებამ ასე ინება.

17324. ჩვენი ცხოვრების წიგნიდან ზოგიერთი გვერდის რამდენჯერმე წაკითხვა-გადაფურცვლა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

17325. ზოგიერთისთვის ცხოვრება მირაჟია, ზოგისთვის სიცოცხლეა თავის მოწონებით, ვიშ-ვიშით.

17326. ცხოვრება იგივე დაუწერელი რომანია, ჩვენი მეობის შელამაზებით.

17327. ყოველგვარი საქმიანობა, შედეგის მიუხედავად, წინ გადადგმული ნაბიჯია, ყოფაზე მორგებით.

17328. დაქორწინების მიზნის დადგენა, თავისი კრედიტ-დებეტით, მათი ასაკის მობალახების შემდგომაც ძნელია.

17329. ბალახტარობა უძახე შენ და ზოგჯერ მის გარეშე კუჭის ამოყ-

ორვა და ოჯახის შენარჩუნება ჭირს, თან უნიათოდ და ზარმაცად გთვლიან.

17330. სიცოცხლე თავისებური თამაშია, მცდელობით და ყოფის გადამოწმებით.

17331. კარიერის კიბეების დასაპყრობად ბევრი მონური შემართებით იღვწის, მაგრამ შედეგის მიუხედავად მათ გონება არ ეხსნებათ, რადგან კარიერის ფორმულა („შენ ხარ უფროსი, მე – ჩერჩეტი, მე ვარ უფროსი, შენ ხარ ტუტუცი“) უცვლელი რჩება.

17332. სამყარო შეგნებული გაუგებრობაა, რათა ადამიანმა ცხოვრების ყადრი ისწავლოს და სიცოცხლე დააფასოს.

17333. მშობლების სურვილია თავიანთი ნაშიერი ფეხზე დამდგარი და ნაშიერებით დახუნძლული დატოვონ და ისე წავიდნენ ამქვეყნიდან, ხოლო შვილებს მშობლების სურვილის დაფასება-შეფასების მთელი სერიოზულობით აღქმა, ჯერ-ჯერობით, უჭირთ.

17334. ბედნიერების ფორმულაა: სიყვარულს მიმატებული თანხმობა კვადრატში, გამრავლებული მიზანზე.

17335. ძნელზე ძნელად მისაღწევი შედეგი ადვილად ასახსნელია თუ გამოცდილება და დაკვირვების უნარი შეგწევს.

17336. სიცოცხლე ყველაზე დიდი გამოგონებაა, რაც კი სამყაროს ოდესმე შეუქმნია.

17337. წარმოჩენის საშუალებას ხშირად ბედი იძლევა და უფლება არ გვაქვს, ხელიდან გავუშვათ და ჩვენს საქმიანობას რეკლამა არ გავუკეთოთ.

17338. ძლიერი-სუსტი ერთმანეთს უნდა ავსებდეს და ეს ბუნების ნებაცაა და ყოფის კანონიც.

17339. ღირსება და გონიერება ყოველთვის ერთად ვერ სძოვენ, მაგრამ უერთმანეთოდ ბევრი სიავის მოტანა შეუძლიათ.

17340. აღთქმის მიცემა გაჭირვებამ, გამოუვალმა მდგომარეობამ, იცის და რა დასანანია, ადამიანმა წესიერად რომ იცხოვროს, შიში და მათრახის გატლაშუნება სჭირდება.

17341. ცხოვრება რთულია და ყოფის დიალექტიკას, ფაქტიურად, არ ემორჩილება.

17342. ცხოვრების მთელი ფილოსოფია ერთ ფორმულაშია: ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

17343. მრავალფეროვნებაა სიცოცხლის ელექსირი და ცხოვრების კაიფიც.

17344. შემთხვევასა და ბედს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ერთჯერადია, ხოლო მეორე მთელი სიცოცხლე თან დაგდევს და შენი და

შენი შთამომავლობა მასზეა დამყარებული.

17345. ბედი გმირობის თანამონაწილეა და წილში უჯდება.

17346. იყო კონფლიქტში, იყო დასაქმებული, დიდი ბედნიერებაა და ამას ასაკში ხვდები, როდესაც თავისუფალი დრო მოყირჭებული და თავზესაყრელი გაქვს.

17347. ცხოვრებაში უმთავრესია თვითდამკვიდრება სიყვარულით და სიხარულით.

17348. ყველა ჩვენგანმა სიცოცხლის ფასი მისი კვლავწარმოებით უნდა დავფაროთ.

17349. ყოფა, მარტივი და უსახო, საბოლოოდ შთამომავლობის გარეშე რჩება.

17350. უსაქმურობა, ყოველგვარი კუდის გამობმის გარეშე, უაზრობაა.

17351. ზოგს სურვილის გამჟღავნებისაც რცხვენია, იმდენად მოუმზადებელია აწმყოსთან შესაჭიდებლად.

17352. სიცოცხლის გახანგრძლივება ყველას გვინდა ხელის განუძრევლად, ტვინის უწვრთნელად და ცხოვრების ყაიდის შეუცვლელად.

17353. ცხოვრების ცინიზმის გამოცდილება აწმყოს სწორად წარმართვისთვის აუცილებელია.

17354. მსოფლმხედველობის ხინჯი ყველას ჩვენი გვაქვს, მთავარია, რეალობაში ყოფის ხინჯად არ მოგვევლინოს.

17355. ზოგჯერ რისკის მიზეზი და მოსალოდნელი შედეგი გაუცნობიერებელი გაქვს, რაც ის უაზრო ცხოვრებაა, რომელიც შემდგომ შეიძლება ვიღაცამ დაგიფასოს.

17356. წინასწარ დაგეგმილი წაგებაც ცხოვრების გამოცდილებას და სტრატეგიის ცოდნას მოითხოვს.

17357. იმედი და იმედის გაცრუება ყოფის რეალობაა, მაგრამ ამით ცხოვრება არ მთავრდება და სიცოცხლისკენ ლტოლვა არ ქრება.

17358. ცხოვრება თავისებური წიგნია, რომლის ბოლომდე წაკითხვა შეუძლებელია.

17359. არსებობის უფლებას არავინ გვართმევს, მაგრამ მიზნის გატირაჟების გარეშე – ისიც რომ არ შეშურდეთ.

17360. რეალობა ზოგჯერ წარმოდგენაზე უფრო მძიმეა, მაგრამ გამოსავალი გონიერების ძიებაში და აზრის მოკრებაშია.

17361. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველა ჩვენი გადაწყვეტილების 1/3 სწორია, 1/5 ამართლებს, 1/10 შედეგს იძლევა, ხოლო 1/100-ია, კარიერის ოლიმპისკენ გზას რომ გვიხსნის.

17362. ცხოვრებაში რაც მეტად ამაღლდები ახლობლებთან შედარებით, ასაკში ყასიდად გაყვედრიან თავიანთ ამაგს, რადგან ყველა შენი

წარმატების წილში ჩაკვეხებას ცდილობს და ამით თავსაც და სხვასაც ეუბნებიან „მეც ნახირ-ნახირო“.

17363. ცხოვრება ბრძოლაა და ამ ომში საკუთარი ოცნებით შექმნილი ჯავშანჟილეტი უნდა ატარო, რათა ვიგინდარა თავდამსხმელისაგან თავი დაიცვა და ზოგჯერ შეუტიო.

17364. ერთი კარგავს იმას, რაც მას უნდა, მეორე იძენს, რაც არ უნდა და ზოგჯერ ამ გაუგებრობით ორივე კმაყოფილია.

17365. ღმერთმა წლების მატება, ჯანმრთელობის ჭრაჭუნი, მეტოქე, არ მოგვიშალოს, რადგან მათ გარეშე სიცოცხლეს ფასი ეკარგება და ცხოვრების ავ-კარგის დამახსოვრების ნაცვლად დრო გაგვყავს.

17366. ცხოვრების წარმართვას არა მრავალსვლიანის, არამედ ორსამსვლიანი კომბინაციის ჩატარება სჭირდება, რომელშიც გზის გაკვალვაც შედის და სხვათა ყოფის მოწესრიგებაც.

17367. ადამიანს, დროის გათავხედების მიუხედავად, ცხოვრება გამოცდილებას მატებს და კიდევ რაღაცის კეთებას ცდილობს.

17368. მდიდარი ქალის შერთვა ბედნიერება არ არის, უფრო მოვალეობა და სიცოცხლის ბოლომდე დასაყვედრებელია.

17369. ვეცადოთ მთელი ცხოვრება ჭეშმარიტებით მოკირწყლული და დამოძღვრილი გზით ვიაროთ, თუ დროის შესატყვისად გამოგვადგება.

17370. ყველას ჩვენი მოუწყობელი ცხოვრების, ყოფის, ბორკილი გვბორკავს, ეს სულიერი იქნება, ხორციელი თუ მატერიალური.

17371. ბედნიერების განცდას თავისი ალგორითმი აქვს.

17372. ბედნიერება ყოფის გარანტად მოგვევლინება თუ არა, არავინ უწყის.

17373. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქორწინება ის მშვიდი ნავსაყუდელი არ არის, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია.

17374. ქორწინება, ფაქტიურად, ძვირადღირებული საშუალებაა ჭკუის უფასო დარიგების მისაღებად და სექსი, რომელიც ყელში ამოგდის და მეორე მოვალეობად იქცევა.

17375. სიყვარულით შექმნილი ოჯახის წევრები გაცილებით მეტ მოთხოვნებს უყენებენ ერთმანეთს ვიდრე მოწოდებით დაოჯახებულების, რადგან პირველ შემთხვევაში გრძნობათა ჩოჩქოლი ჯერაც არ მოუთოკავთ და მოვალეობას ვერ გრძნობენ, ხოლო მეორეებმა დიდი ხანია ოჯახის შექმნა მოვალეობის შეგრძნებით დაიწყეს.

17376. ცოლის არჩევამდე, უპირველესად, სასიდედრო უნდა გაიცნო და სასიმამროს უნდა გაესაუბრო, რათა დაახლოებით მაინც დაადგინო რა ხვითო შეგრჩება ხელში.

17377. ადამიანებს რომ ცხოვრება სხვის შეცდომებზე ესწავლათ, კარგი მომავალი ექნებოდათ, მაგრამ ყოფიერების მადლის შეცნობა გაუჭირდებოდათ.

17378. დაქორწინება კონსენსუსის მუდმივი ძებნაა, შედეგის გაუთვალისწინებლად.

17379. ცხოვრება დროის მონაკვეთია დაბადებიდან სიკვდილამდე, ყველა წამის გათვალისწინებით, ყოველი წუთის მშვენიერებით, ყოველ საათში სიკეთის კეთებით, ყოველი დღის საქმით დაგვირგვინებით, ყოველი წლის შეჯერებით.

17380. კარგად და ცუდად ყოფნა სინონიმებია, გააჩნია, დღეს რა ხუშტურის ხასიათზეა თქვენი ბედი.

17381. არის სიამოვნება, არის კაიფი, როდესაც უგუნურებას თავზე არავინ გახვევს და თავს დავნატრით.

17382. ნათქვამია, „სწავლა სიბერემდეო“, მაგრამ მატერიალურ შედეგს უფრო ახალგაზრდობაში ვიმკით, როდესაც ამ შედეგის ხარჯვის უნარი თავის მოგიჟიანებით შეგვწევს.

17383. ბედნიერების აღქმა და თავად ბედნიერება სხვადასხვა განზომილებაა, რადგან შეიძლება მთელი ცხოვრება ისე განვვლოთ, ბოლომდე ვერ აღვიქვათ ამ სადავო სიტყვის არსი.

17384. გამონაკლისზე ცხოვრების აგება სარისკოა, მაგრამ სასიამოვნოა და საამაყოც.

17385. დასაფლავება ცხოვრების კომედიის დასასრულია, ხოლო საფლავში ჩადებისას თვალზე მომდგარი ცრემლი – მასზე გამოძახებით გამოთხოვება.

17386. ზოგი პრობლემის მოგვარება მოთმინებას და მარადისობას უნდა ვანდოთ.

17387. გამოსავალს ხშირად ყოფის ლაბირინთებში ძრომიალში ვპოულობთ.

17388. დაუძლეველი პრობლემები ან პრობლემის გარეშე დარჩენა ცხოვრებას აბეჩავებს და უინტერესოს ხდის.

17389. ცხოვრების კარგი მაგალითებიც გონიერების საცერში უნდა გავცრათ, რომ ჩვენს ჩვევებს მოვარგოთ.

17390. არის დასაქმება საამაყო, სასიამოვნო, „ისე რა“ – გააჩნია დროს, ასაკს, მოთხოვნებს.

17391. „ჩვენმა მტერმა უყურა ამდენ უაზროდ მთვრალ ადამიანს ფხიზელი თვალებით“ და შენც იძულებული ხარ, ხანდახან ალკოჰოლს შეეხმიანო.

17392. ტურიზმი უფრო „ნახირ-ნახირაა“, ვიდრე დასვენება და ქვეყნის

ღირშესანიშნაობათა მონახულების მცდელობა.

17393. პროტექცია, მფარველობა, კარიერის ასარბენ კიბეებს თამამად გვაძლევინებს, გარკვეული კრედიტის აკიდებით: შენ – მე, მე – შენ.

17394. კარიერა მაინც ბედის წყალობაა, თუნდაც იმიტომ, რომ მან დროულად შეგამჩნია და ხელი წაგკრა.

17395. ცხოვრება თამაშია, ხოლო სიცოცხლე ყოფის ოცნებებთან შეთამაშება-ლაზღანდარობაა.

17396. ზოგიერთის ცხოვრება იმთავითვე განდგომილია გონიერებისაგან.

17397. ცხოვრების თავიდან დაწყება, წარსულის შესწავლა-გადასინჯვებით, მაინც მიუღებელია, სიცოცხლეს არაკანონიერად იხანგრძლივებ და ყურით მოთრეული არგუმენტებით აფიორას ეწევი.

17398. ნოსტალგიის ობიექტი ის არარსებული სამოთხეა, რომელშიც ისე არასოდეს გვიცხოვრია, როგორც ვიგონებთ.

17399. გამოცდილებას თავისი კაიფი აქვს, თუ შედეგიანად დამთავრდა.

17400. უაზრობაა შენთვის განკუთვნილი სიცოცხლის წლების ხარჯვა რაღაც „ზედმეტის“ ქონება-შეძენის სურვილით.

17401. ცხოვრებოს ცოდნა ქალწულობას ვერ იტანს.

17402. სიფრთხილე და რისკი ძმები არიან, მათ გარეშე ცხოვრება ადგილზე გაიყინებოდა.

17403. მსუბუქი ავტომობილი ძვირადღირებული „დაავადებაა“, რომელიც ოჯახის ბიუჯეტიდან სულ უფრო მეტ დაფინანსებას ითხოვს.

17404. ზოგჯერ კრედიტის გაცემაზე ბანკის თანხმობა მეტ კაიფს გვაძლევს, ვიდრე მომხიბვლელი ქალის დაახლოება, მიუხედავად იმისა, რომ ნდობის მოსაპოვებლად ორივესთან „მიმნდობი“ სამუშაოების ჩატარება მოგვიხდა.

17405. გარეგნულად ცხოვრებას სერიოზულად უნდა მოვეპყრათ, შინაურულად – მხიარულად და ხელაღებით.

17406. ოჯახი ტკბილი ეკალია, რომელიც გჩხვლეტს, გაწუხებს, მაგრამ არ გტკივა და ამაყობ კიდეც.

17407. შესაძლებლობას მცდელობათა გაფართოება იძლევა შემთხვევებით და ვარიანტებით.

17408. სიძნელეებს მოხერხებულობა უფრო ძლევს, ვიდრე სურვილი და შემართება.

17409. მოწყენილობა ცხოვრების მადლს არ უხდება და – პირიქით.

17410. სიცოცხლეს აზროვნებაზე მეტად ამბიციური ბედი სჭირდება,

შენი მეობის წარმოსაჩენად.

17411. სპეციალისტი დილეტანტებს არ უყვართ, კონკურენტული ცოდნის, სიჯიუტის და კონსერვატიული ბუნების გამო.

17412. სიცოცხლის მშვენიერების შესაცნობი დროის გამოუყენებლობა დანაშაულია.

17413. ცხოვრება სიამის მომგვრელი ნარკოტიკია, თუ მას ალღოს დროულად აუღებ.

17414. საკუთარი თავიც არ უნდა დავზოგოთ, თუ სხეული დეფორმირებას და ასაკის მატებას თავს ვერ ართმევს.

17415. პატარა, ბავშვი, სახლში გასართობია და სათამაშოცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანთა კვლავწარმოებაზე მოთხოვნა შეწყდებოდა.

17416. ზოგჯერ ფორტუნასაც მახინჯი ნიღაბი უკეთია, რომელსაც უნდა შევეხმიანოთ და ვეცადოთ წინასწარ ამოვიცნოთ, მასთან გახუმრების სურვილით.

17417. ყოფის სიმაღლეების დაძლევა, ფორტუნას მხრიდან ზურგის შექცევის და ვარდნის გარეშე არ ხდება, მაგრამ არც შემთხვევაზე დროულად ხელის ჩაჭიდება უნდა შეგვეშალოს და არც ბედის გამოფხიზლება.

17418. ცხოვრებაში ყველაზე მეტი ჩავარდნა მაშინ გვაქვს, როდესაც ჩვენს აზრებს ყურად არ იღებენ.

17419. ხშირად „პოპულარობა“ ნაძალადევია, მოხერხებაა, მაგრამ რა გინდა – ფულს მეტს შოულობს.

17420. ყველას გვაქვს უფლება ეპოქას გავუსწროთ და მის შესატყვისად ვიცხოვროთ, ვიხტუნოთ, მაგრამ ამას აწმყოში მცხოვრებთა მენტალიტეტი არ გაპატიებთ.

17421. მოდურია ის, რაც ჯერ ბევრს ხეირიანად არც კი უნახავს, მაგრამ რეკლამის მოწოდება ესმის.

17422. კრედიტით ცხოვრება და პირობითი სასჯელი სინონიმებია, რადგან სულ დაძაბული ხარ – რაიმე არ მიჰქარო.

17423. ისე როგორც ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ, განგება ნებას არ გვაძლევს. როგორი ყოფის უფლებასაც გვაძლევს, ჩვენ არ მოგვწონს და ცხოვრებასაც ვერ დავარქმევთ.

17424. ცხოვრებასთან თამაშის უნარი ყველას არ შეგვწევს, მაგრამ თავი მაინც უნდა მოვიქაჩლოთ და ვეცადოთ.

17425. ძალიან დასანანია, როდესაც ცხოვრებაში შენი ადგილი მაშინ მოძებნე, როცა უკვე დაბერდი.

17426. ყველა საკუთარ ცხოვრებას უჩივის, მაგრამ საკუთარი თავის

დასჯას არავინ ჩქარობს.

17427. ცხოვრება მომავლისკენ აღფრთოვანებით ყურებაა სახვალიო შედეგით.

17428. ცხოვრება ვიღაცის და რაღაცის მიმართ სამსახურია და თუ ამით კმაყოფილი დავრჩებით ე.ი. სიცოცხლე წარმატებით გაგვივლია.

17429. დღევანდელი შოუ არც პირად ცხოვრებაში მომწონს და არც – ხელოვნებაში, რადგან მას მუქთახორების მოყვარულები ჰყავს შემოკრებილი, რომლებიც თავისებურად გეტმასნებიან, დროის გაყვანაში გეხმარებიან, ამასთან რაღაცაში გეცილებიან და თავსაც გვაყვედრიან.

17430. ზოგჯერ რეალობა სურვილის დაფასება-გადაფასებაა დროის შესატყვისად.

17431. ფუფუნება აუტანელი დაავადებაა, რადგან მომდევნო გონებამ-ოკრებილი თაობის გადასახდელი იქნება.

17432. ცხოვრების ორომტრიალი მოთმინებასაც გადახარშავს, იმედსაც და ბედსაც, გააჩნია, რა დროში ვცხოვრობთ და სიცოცხლის აზრად რა მიგვაჩნია.

17433. ვეცადოთ ვიყოთ ყოფის დიდი კულინარი და სიცოცხლის გურ-მანი-დამგემოვნებელი.

17434. ცხოვრება ჩვენი რაობის და ყოფის ფილოსოფიაა, მოკლე რეზი-უმეთი.

17435. ბედნიერებას ზოგჯერ დაუზოგავი შრომაც იძლევა, თუ მიზანი დიდია და საჭირო.

17436. მომავალს ბედის კოჭის ალჩუზე დაჯდომა განსაზღვრავს, დროის გათავისების შესატყვისად.

17437. ჩვევაც ჩვენი ყოფის ბარგია და ეს „ჩემოდანი“ ცხოვრების დაისზე როგორ სამსახურს გაგვიწევს, არ ვიცით.

17438. ნდობა-უნდობლობის ტოლობას, ცხოვრების გამოცდილება ად-გენს.

17439. ყველაზე ცუდია უმადური შთამომავლობის დატოვება, რომელ-საც დროზე მორგების და სიახლის კეთების თავი არ აქვს და წინამორბედთა ცოდვა-შეცდომებს დიდ კუდს აბამენ, ნაცვლად იმისა, რომ ხელები დაიკაპიწონ, ჭკუას უხმონ და უკეთესად იცხ-ოვრონ.

17440. მოულოდნელობის იმედი ცხოვრების იმედია – ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

17441. ორმაგი სტანდარტების ქვეყანაში, სადაც ტყუილი, ღალატი და მექრთამეობა, ყოფის წესია და ქვეყნის მართვის სამუშაო ია-

რაღია, ცხოვრება ჭირს, სულიერება ავადდება, მაგრამ სიცოცხლე „ბუქნაობს“ და ავად თუ კარგად, მაინც თავის გამოსავალს ეძებს.

17442. ცხოვრების ზოგიერთი ნაცნობ-უცნობი ამოცანის ამოხსნა, დიდი რისკის გარეშე, ზოგჯერ ბედს და შემთხვევას უნდა ვანდოთ, რადგან აქ გონიერება განმსჯელად არ გამოდგება.

17443. ყველა ჩვენგანი ბედს ელოდება, მაგრამ კომპრომისიც აუცილებელია, სათაყვანებელი მეორე ნახევრის თუ არა, გვარის გამგრძელებლის, სანატრელი ნაშიერის, ყოლის საბაბით.

17444. თეორიულად ცხოვრებაში არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, ამდენი უმეცრების, უგუნურების შეუმჩნევლობა, უგულებელყოფა.

17445. ბავშვობის გახსენება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ბავშვობის სილაღით ცხოვრებაა ძნელი.

17446. ქაოსი ზოგჯერ წესრიგის საწინდარია, რათა დაბეჩავებულმა ქვეყანამ თავი მოიგიჟიანოს და კალაპოტში ჩადგეს.

17447. ცხოვრების გამოცდილება ყოფის ნაიარევებით მტკიცდება.

17448. დაოჯახება მაინც ბედია და მას გამოცდა ვერ შველის, განსაკუთრებით თუ გიყვარს.

17449. ხარჯი ფინიშთან ყოველთვის პირველი მიდის, ჩვენი შესაძლებლობების უკან მოტოვებით.

17450. აზრი იბადება, ფასეულობა იქმნება, მომავალი ისახება და ცხოვრებაც აზრს იძენს.

17451. ის ქონებაა კარგი, რაც გსიამოვნებს, გიხარია და შურს ახლოს არ იკარებ.

17452. კეთილგონიერების მსურველი ჩვენი ცხოვრების შესალამაზებლად ყოველთვის არ გამოდგება.

17453. ცხოვრება წინააღმდეგობებზეა აგებული, მაგრამ დაპირისპირებისას ერთმანეთს უნდა გავუგოთ.

17454. ბევრი რამის კეთება ცხოვრებაში თურმე არ გვჭირდება და ამასაც გამოცდილებასთან შეთამაშების შედეგად ვხვდებით.

17455. ცხოვრებაში დგება არჩევანი, რომელიც სასიამოვნო მსხვერპლს მოითხოვს და მას შვილები ჰქვია.

17456. რადგან ერთხელ ვევლინებით ამ ქვეყანას, არავის აქვს უფლება სხვას ცხოვრება გაუმწაროს.

17457. პატარ-პატარა გამოსაფხიზლებელი იმპულსები ცხოვრებაში საჭიროცაა და აუცილებელიც ყოფის მრავალფეროვნების შესაცნობად, რომელიც ნანატრ სიმშვიდეს, სტაბილურობას უფრო მეტ ფასს და აზრს მატებს, ვიდრე წარმოგვიდგენია და გვგონია.

17458. ცხოვრება ნადირობაა მოპოვებით და სად და როდის აფრინდება იმედის ჩიტი, არავინ უწყის.

17459. ცხოვრება ბევრ ისეთს გვასწავლის, რომლის ცოდნა ერთი შეხედვით საჭირო არ არის, მაგრამ ის შენს აზროვნებაში უნდა იდოს და სად გამოგადგება, არავის უწყის.

17460. აჩქარება-დაფიქსირება, მოქმედება-ჩასაფრება, სულგრძელობა-შეწინააღმდეგება, ესაა ჩვენი არსი და ყოფის საწყისი.

17461. საკუთარი ყოფის და ბედის ფინიშის ცოდნის მიუხედავად, ადამიანის ბუნება არავის და არაფერს არ ეპუება, რათა ცხოვრების ყველა შესაძლო სიამე იგემოს.

17462. ყოფის ჩიხში მაშინ შევდივართ, როდესაც მოვლენათა განვითარებას სათანადოდ ვერ აღვიქვამთ და უგუნურებას ვუმეგრობდებით.

17463. რასაც ჯეელობაში ვერ აღწევ, ის სიბერეშიც სანატრელი და მიუწვდომელი რჩება, პირვანდელი სახით და აღქმით.

17464. ცხოვრების წინჭვრეტა უფრო ადვილია, ვიდრე გამარჯვებულის ქმედების გამოცნობა.

17465. სადარდებელია, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ასე მცირეა და ყოფის რიგითობა აუხსნელი.

17466. ცხოვრება სიკეთის თესვის გარეშე უაზრობაა, ამქვეყნურ კაიფს ვერ გრძნობ და ვერც იგებ.

17467. ადამიანისათვის უპირველესი გამბედაობა ამ ქვეყნის შეცნობის სურვილია და არა – მცდელობა იცხოვროს დიდხანს, სხვის დაუყვედრებელ-დაუმადლებლად.

17468. ლოგიკურს, რეალურს, „ფაიზახს“, ხშირად ულოგიკო ფორტუნა სჯობნის და ამ შემთხვევითი მოვლენის განსჯა, ყოფის კანონზომიერებას უჭირს თუმცა მას მათემატიკოსები „ალბათობის თეორიად“ მოიხსენიებენ, შემდეგი ახსნით, ერთხელ ცხოვრებაში ყველას უნდა გაუმართლოს.

17469. დემაგოგია, უვიცობა, ყოველ სასარგებლო წამოწყებას უგუნურების კვანტს უდებს და ღუპავს.

17470. რეალობასაც ზოგჯერ სჭირდება ასლის გადაღება, შთამომავლობის დასაშოშმინებლად და მომავალი გადაცდენებისაგან თავის დასაზღვევად.

17471. ცხოვრების ყველაზე დიდი დაცინვა უნაყოფობაა, რადგან ამქვეყნად მოსვლა ვერ გაამართლე, შთამომავლობა არ დატოვე.

17472. ზოგი „სლოკინ-სლოკინით“ გაივლის ამ წუთისოფელს და ვერავითარ სადავიდარაბოს ამქვეყნად ვერ ხედავს.

17473. ცხოვრება ბუქნით უნდა განვვლოთ, თუ გვინდა მისი მადლი შევიცნოთ და ყოფის ტაში დავიმსახუროთ.

17474. იუმორი გონების საღერღელია, აფორიზმი – გენიალობის, სენტენცია – კაცობის, იგავ-არაკი – გამბედაობის, ანეგდოტი – ვირეშმაკობის და ამ კოქტეილის შესმის შედეგად ჭკუა სიამით გვეღრძობა, სიცოცხლე ლაღობს.

17475. ცხოვრება რომ გამოვიდეს და სიცოცხლეს გემო ჩავატანოთ, ერთმანეთის იმედით უნდა ვიცხოვროთ, პატარ-პატარა წაკინკლავება-შერიგებით და იუმორის, ორაზროვნების, მოშველიებით.

17476. მომავალი, რომელიც არ გვაშინებს და უღრუბლოა, შეცდომაა, რადგან მუქთი ოპტიმიზმიც კი დანაშაულია.

17477. ხიფათის მოახლოების ცოდნა კი არ არის მთავარი, არამედ – დროულად თავის დაღწევა.

17478. წინააღმდეგობისთვის თავის არიდება, უმთავრესად, მოხერხებას და გამოცდილებას მოითხოვს.

17479. აუხსნელ, ნაჩუმათევ, მოვალეობებს ქვეყანა, მეობა, კარიერა არ უნდა გადააყოლოთ, რადგან ყველა შემოთავაზებას ახსნა და ალტერნატივა უნდა ჰქონდეს.

17480. ტკივილებს სათუო ცხოვრების გაუტეხელობა იძლევა და იმედი იმისა, რომ ყოველთვის ასე არ იქნება.

17481. მთავარია ცხოვრებამ გოდების შხამი არ შეგასხას, ყოფის სხვა შხამებს როგორღაც გავუძლებთ და გადავიტანთ.

17482. ადამიანებს თავის შემოწმებაც გვეზარება და გადამოწმებაც, იმისდამიუხედავად, რომ ცხოვრება ამას ყოველდღიურად ახერხებს.

17483. ყველა ჩვენგანი მანამდეა უცოდველი, სანამ ცხოვრების ლელო გააქვს და ბედი ამის უფლებას აძლევს.

17484. ადამიანის სიცოცხლე თეორიულად ფსონში არ იდება, თუ პრაქტიკულად დროის ფორტუნა მის მხარეზეა და ხელისუფლებას მოუმწიფებელი ამბიციები არ აწუხებს.

17485. სიცოცხლის უნარი და მისი კაიფის შეცნობა ყველა კითხვაზე პასუხის გამცემია, მათ შორის, გაუგებარზეც.

17486. სამწუხაროდ, გვირაბის ბოლოს, სკლეროზისკენ მიდრეკილება გვიჩნდება – ზოგჯერ იმდენად დაგვიანებულია ყოფიერების სინათლის დანახვა.

17487. ლეგენდად ქცეულ სიცოცხლეს მასზე შექმნილი მითები შველის, რათა ქვეყანა გმირების გარეშე არ დარჩეს.

17488. ყველას დიდი სურვილი გვაქვს ჩვენი წარმოდგენის შესატყვისი არჩევანი გავაკეთოთ, მაგრამ ყოფის „სიმუხთლე“ ასე ჰარი-ჰარალ-

ოდ ბედს არ გაწვევს.

17489. ხშირად ერთად ყოფნა და სექსი სიყვარულს არ ნიშნავს, უბრალოდ, თანამშრომლობაა ვნების დასაოკებლად, სულის დასამშვიდებლად, სიცოცხლის კვლავწარმოებისთვის.

17490. ცხოვრების თავიდან დაწყებას ხშირად „ვცდილობთ“, მაგრამ ფრთებს ვერ ვასხამთ და ჩვენში რომ დარჩეს, არცაა საჭირო.

17491. მართალია, ცხოვრება არარაობაა, მაგრამ მაინც უნდა ვაშენოთ, საკუთარ ცნობიერებაში მაინც, რათა ამქვეყნად მოსვლამ აზრი არ დაკარგოს.

17492. ასაკის მატება სიცოცხლეს ტკბობით აღვინებს, სხეულის „ჭრაჭუნის“ სიხშირის მატების მიუხედავად.

17493. სილამაზე ცხოვრების თავისებური კოზირია, განგების საჩუქარია, ბედის წყალობაა, მაგრამ გამოუყენებლობის შემთხვევაში ეს ფუფუნება ხელიდან გაგიფრინდება და „მშრალზე დარჩები“.

17494. შემოსავლის უნარიანობა საქმიანობას მიმზიდველს ხდის, პროფესიას მარჯვე სახელს უძებნის და პირს უკეთებს. მაგ. დალაქ-პარიკმახერი „სტილისტი“ ხდება, თერძი-მკერავი – „მოდელიორი“, ჩარჩი-სპეკულიანტი – ბიზნესმენი და ა.შ.

17495. საუკეთესო სურვილებს ქვეყნის კონსტიტუცია გვთავაზობს, ყოფიისთვის მისაღებ კანონებს ტრადიციები ითვალისწინებს, სიცოცხლეს ფასს ბედთან შეხლა-შემოხლა ადებს, ასაკის მატებას სხეულის „ჭრაჭუნი“ გვაგრძნობინებს, ღირსეული შთამომავალის დატოვება გვამშვიდებს,ხოლო გარდაუვალი აუცილებლობა, თავის დროზე, ჩვენ დაუკითხავად აღსრულდება.

17496. თავის წარმოსაჩენად უნდა ვირჯებოდეთ და არა საკუთარი თავის საამებლად, რაც ყოფიერების უკვდავ ალგორითმს „შენ – მე, მე – შენ“ მიეკუთვნება.

17497. გამოუვალი მდგომარეობა არსებობს, მაგრამ არის შემთხვევა, რომელიც გვაიძულებს ამ მდგომარეობიდან გამოვძვრეთ და ის საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, რისთვის ამქვეყნად მოგვავლინეს.

17498. წვრილმანებზე „დავა“, ერთი შეხედვით, სისულელეა, მითუმეტეს, თუ ოპონენტის პასუხს წინასწარ ხვდები, მაგრამ რა ვუყოთ „გართობას“ და თავისუფალ დროს, რომლის გამოყენება ჩვენთვის არავის უსწავლებია.

17499. ზოგჯერ ჩვენი ალოგიკური, არაორდინალური ქცევა, ყოფის თავისებური სანელებელია, რათა სიცოცხლის აზრი შევიცნოთ და ცხოვრების საოცრებას გემო ჩავატანოთ.

17500. წვრილმანების უგულებელყოფას შედეგი არ მოაქვს, მაგრამ არც

ამაზე უზომოდ გადაყოლა იძლევა ხეირს.

17501. ოჯახის სიყვარულიც პოლიტიკაა, გრძნობების მოთოკვით, ხოლო შენარჩუნება – ეკონომიკა, მოვალეობის თანხლებით.

17502. ცხოვრებაზე დაჩივლება არ ღირს, ადრე თუ გვიან წყენა გაგვივლის და ყოფის სურვილი კვლავ დაბრუნდება.

17503. რწმენა, შეძლება, სამართლიანობა – ნორმალური ყოფისათვის სამივე აუცილებელია, მაგრამ სამართლიანობის გარეშე მთელი სიცოცხლე ხინჯი გაგვყვება.

17504. ადამიანისთვის მომავლის იმედზე ყოფნა აუცილებელია, რათა ცხოვრებას აზარტულად თვალი შეავლოს და პოტენციური სარგებელი გაითავისოს.

17505. „უნახავმა რა ნახას“ ეფექტი ყველგან ერთნაირია – უარყოფითი, რადგან ქვეცნობიერად ქვეყნისთვისაც არასასიკეთოდ მიმდინარე ყოფას ამუხრუჭებს.

17506. გამარჯვებასაც თავისი ტაბუ ადევს, რომლის გაცნობიერება ერთეულთა ხვედრია.

17507. სიცოცხლე ერთია, ცხოვრება მრავალმხრივია, ნატვრა ბევრია, შესაძლებლობა განსაზღვრულია.

17508. ცხოვრების დაისზე ირკვევა, რომ ტყუილ-უბრალოდ არავის ყვარებიხარ და არც არავის სჭირდები.

17509. მნიშვნელოვანია შენ გვერდით ვინ იმყოფება: ოჯახში, საზოგადოებაში, სამსახურში, სიზმარში და იმქვეყნად გადაბარგების დროსაც.

17510. ახალის ძველთან შერკინება გარდაუვალია და თუ ისინი საერთო ენას გამონახავენ, საქმეს წაადგება, მომავალ შეჭიდებამდე.

17511. შეუღლება, პირველ რიგში, ზნეობის დაცვას გულისხმობს, შემდგომ – შვილების გაჩენა-აღზრდას და ერთმანეთთან შეჩვევა-მორგების დღესასწაულს.

17512. ქალი და მამაკაცი ერთი „სატანაა“, ზოგჯერ ერთმანეთს ამუხრუჭებენ, მაგრამ ურთიერთს მაინც ვერ ეშვებიან.

17513. სასურველი, მისაღები, შელამაზებული, ტყუილი, ყოველთვის სჯობნიდა არასასურველ სიმართლეს ირგვლივმყოფთა თვალში, მაგრამ არა – საქმისთვის და წინდახედულებისთვის.

17514. ადამიანთა ურთიერთობა ჩუმი ბრძოლის ველია, მაგრამ ეს შერკინება არ გამორიცხავს სიკეთის კეთებას და თანადგომას.

17515. პირდაპირ საოცრებაა, კარიერისთვის, ფულისთვის, თავის მოწონებისთვის, რამდენი „ჭკვიანი“ ადამიანი წინდაუხედავად „ხურდავდება“ და ამას მანამ ვერ „გრძნობს“, სანამ დათბუნებული ადგ-

ილიდან არ „გამოაბუნძულებენ“.

17516. საცოდაობის დანახვას უნდა ვერიდოთ თუ შველა და არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია.

17517. ცხოვრების გავლას ზოგი ყოფის ალოგიკური „სანელებლებით“ და თავისი ჭკუის შესატყვისად ცდილობს და სხვა ამას როგორღა აღიქვამს, არ აინტერესებს.

17518. სიცოცხლის გახანგრძლივების მცდელობაც ხელოვნებაა, იმისდამიუხედავად, ამ ხელობას დაეუფლე თუ არა.

17519. კეთილდღეობას საფუძველს ეჭვიანობა უყრის, რომელიც სათავისო ანალიზითაა გაამაყებული.

17520. ღვარძლის და წყენის მეშვეობით ადამიანი წვრილმანების მოგვარებას ცდილობს და ეს ყოფასთან შერკინება და მასზე გამარჯვება ჰგონია.

17521. თუ გამორჩენის ვარიანტები გამოჩნდა, მაშინ ურთიერთგაგების პროცენტი საგრძნობლად მატულობს.

17522. ადამიანი სხვის უბედურებას ისე რომ განიცდიდეს, როგორც თავისას, დღეს დაპირისპირება და ომობანას თამაში შეწყდებოდა, თუმცა ცივილიზაციის დღევანდელ დონეს ვერ მივაღწევდით.

17523. მშვიდობის გარანტიაა უდრტვინველი ცხოვრება, ფუფუნებისკენ მისწრაფება და ეს ამაოებაზე ფიქრის შეზღუდვა არ არის.

17524. ადამიანმა თავისი წილი სიკეთეც და სიავეც ზომიერების ფარგლებში უნდა აკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც გაუგებენ და არც დააფასებენ.

17525. მთელი ცხოვრება ჰარმონიული ყოფის ძიება-გამოცდილებაში ვართ და რა გვინდა, ვერ გაგვიაზრებია.

17526. თუ მოწყალებას მადლიერებამაც თანაუგრძნო, „სანთელ-საკმეველს“ თავისი მისია არ დაუკარგავს.

17527. ყველანაირი ვალი უნდა გადავიხადოთ, მათ შორის, დასამახსოვრებელიც და დროულად მოსაშორებელიც.

17528. ყველა ჩვენი ბავშვობის ზღაპრების ფურცლებზე ვრჩებით და სიამოვნებით ვიგონებთ იმასაც, რაც დავიწყებული უნდა გვქონოდა დიდიხნის წინათ.

17529. შრომის უნარი და შრომის სურვილი სხვადასხვაა, ერთი იძულებითი კეთილდღეობაა, მეორე თვითმყოფადია და სიამოვნების მომნიჭებელი.

17530. საკუთარი ჭკუით ცხოვრებას რა სჯობს, თუ ცხოვრების გამოცდილების მინიმუმს მაინც ხარ დაუფლებული.

17531. უფლებას მოიპოვებენ, ითვისებენ, გამოძალავენ, ხოლო ჭკუა-

გონებას მის მოსაპოვებელ ადგილს ძალზე მცირეს უტოვებენ.

17532. როდესაც რაღაც სიახლეს, იდეას, ეჭიდავები, ძველისთვის თვალის გადავლებით გონება უნდა დააჭიტლაყო, რათა შენი მცდელობა ბერწი არ გამოდგეს და ამდენი წვალება წყალში არ ჩაგეყაროს.

17533. ბედნიერებაა შემოქმედებითი მიცვალებაც, როდესაც არც უკან მოსახედი გაქვს და არც ცხოვრებაზე ხარ გულნატკენი.

17534. ყოფაც გადამდებია, თუ სხვისი კულტურა, ცხოვრების წესი შენ მოწონებას გულითაც იმსახურებს და გონებითაც.

17535. შრომა არსებობს: შემოქმედებითი, იძულებით, დაძალებით და მრავალი სხვა. ყველა თავის გადასახედიდან საქმეს აკეთებს და როგორ, ეს უკვე დროის „საღადაოა“.

17536. რას გეგმავ და რას აკეთებ სხვადასხვა რამაა, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა.

17537. სიცოცხლის კაიფის შეცნობა სიამით „ტანჯვაა“, რომლისთვისაც თავის დანებება გვიჭირს.

17538. კარიერას და ცხოვრებაში ადგილის მოპოვებას, ნიჭთან ერთად კოლეგების ყურადღების მოდუნება და მათთან საერთო ენის გამონახვა სჭირდება.

17539. ხანდახან ჩხუბი საჭიროცაა, რადგან შემდგომ ირკვევა, რომ სწორედაც უნდა გეჩხუბა.

17540. უკეთ ცხოვრების საშუალება მრავალია, მიზანი ერთია – სხვებს აჯობო, რაც ადამიანური და მიწიერი სურვილია.

17541. ბედისწერის შეცვლაც შეიძლება, თუ მუცლის ამოყორვას შევეშვებით და თავზე წარმოდგენას შევიქმნით.

17542. შრომა, დაძალებითია თუ ნებაყოფილობითი, სათანადოდ უნდა ანაზღაურდეს, სხვაგვარად, ყოველთვის განსჯის საგნად იქცევა და საყვედურებსაც ვერ აუვალთ.

17543. ბედს შეიძლება თავადვე ვჭედავთ, მაგრამ მაინც გარეშეთა დახმარებით და შემთხვევათა „წამოთაქებით“.

17544. შემთხვევით შერკინებაში მხოლოდ სულელები ებმებიან და ძირითადად უაზროდ ეწირებიან.

17545. მარტოობა ჯობს თუ დაოჯახება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ბერბიჭობას და შინაბერობას ყველაფერი სჯობს.

17546. უფროსის მოხერხებულმა შექებამ ბინომში, შეიძლება სარგებელი მოგვცეს კვადრატში.

17547. არაფერს ნელ-ნელა და უიმედოდ ვიღებთ, ყველაფერს – აფექტით და თავდავიწყებით.

17548. ნაჯაფის ერთი ხელის მოსმით შეცნობა ყველას ხვედრი არ არის,

ამასაც ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

17549. იაფად და მუქთად ამ ცხოვრებაში არაფერი მოდის, რადგან მოპოვებას ყოველთვის ნერვების დაძაბვა, ჭკუის დაწიხვლა, ხელების დაკაპიწება სჭირდება.

17550. უმეტესობისათვის სამართლიანობის განცდა უპირველესია, მატერიალურია, მანამ ეს უკანასკნელი თავს არ დაგვიკრავს და ყოველდღიურობაში არ აირევა.

17551. ჭკუას გამოცდილებით ვიძენთ, ხოლო ცხოვრებით აღტაცების შესწავლას გონიერების მოშველიება სჭირდება.

17552. ბოროტება და სიკეთე სინონიმები არ არიან, მაგრამ ერთად დასეირნობენ.

17553. ბოროტება ზოგჯერ ბოროტებითვე უნდა აილაგმოს, რადგან ბოროტების კეთებისაგან ნებაყოფლობით თავის შეკავება შეუძლებელია, რაკი ქრონიკული დაავადებაა.

17554. ბოროტება იშვიათადაა მეტყველი, ის უფრო დაკავებულია ფიქრით ვის როგორ ავნოს.

17555. ბედმა დანდობა არ იცის, თუ უსაქმურობისკენ მიდრეკილება შეგატყო.

17556. ჯეელობის ხუშტურები ახალგაზრდობაშივე უნდა მოვითავოთ, რათა დიდობაში ნაშთად არ გადმოგვყვეს.

17557. კარიერის კიბეზე აღმა-დაღმა სიარული, მოხერხებულობას გათავისებული აქვს და შეგუებულიცაა, რადგან დროის ვიგინდარობაზე ყოველთვის მორგებულია.

17558. ბედნიერება და შესაძლებლობა ერთმანეთის ზურგის გამაგრებას ხელს არ უშლიან, რათა თავი წარმოაჩინონ.

17559. სიკვდილ-სიცოცხლის განსასჯელი ფორმულა ჯერ არ შეუდგენიათ, ფილოსოფიურ მოსაზრებათა აღჭურვით.

17560. დილეტანტს ყველა საქმეზე ხელი „მიუწვდება“ და ეს არის უნიათობის ბაცილის გავრცელების საწყისიც და ქვეყნის ნგრევის უროც.

17561. ამდენი უგუნურების შემხედვარე იძულებული ხარ თავი უგუნურად მიიჩნიო, რადგან ამდენი ხანი მათ გვერდით ცხოვრობდი.

17562. ამ ცხოვრებიდან გაწბილებული წასვლა არავის გვინდა, მაგრამ თავად დაუძლურება დაბერება-გაწბილების სინდრომია.

17563. კვებასაც თავისი ყოფითი ფილოსოფია აქვს, კუჭის უაზრო გადატენვა უნდა მოვთოკოთ.

17564. ბოროტებისთვის თავის მოკვეთა გონიერების მოშველიებითაც

შეიძლება და თანაც უსისხლოდ.

17565. ბოროტება დამუნჯებას არჩევს, მაგრამ მისი საქმეები ყბედობენ.

17566. დაუტირებელი ფერფლის გაფანტვის აუცილებლობა გვაიძულებს სიკვდილის ტრაპთან შევყოვნდეთ, იქნებ სიცოცხლეში ვისმეს დავამახსოვრდეთ და შემდგომ მივიცვალოთ.

17567. ქალი, ფული და შური ყველა შეცდომის და გადაცდენის საწყისია.

17568. შემთხვევის მჯობი თანდაყოლილი ბედია, რომელსაც გონიერების შეზელვაც სჭირდება.

17569. გამართლება ბედის წყალობაა ცოდნის და მცდელობის გარეშე, რომელსაც ფეტიშით ინარჩუნებენ.

17570. ზოგჯერ ისეთ დროში გვიწევს ცხოვრება, რომ არავის უნდა ვენდოთ, უფრო მოგებული დავრჩებით.

17571. ორი ბედნიერებაც არსებობს: სრულყოფილი ოჯახი გაქვს, საყვარელი საქმით ხარ დაკავებული და აქედან რომელს მივანიჭოთ პრიორიტეტი, ჩემთვის ძნელი სათქმელია, თუმცა ერთდროულად საამაყოა.

17572. თავში უგუნურება არ უნდა გაივლო და იმ სიმძიმეს არ უნდა შეეჭიდო, რისი დაძლევაც არ შეგიძლია – რათა ცხოვრება არ გაირთულო.

17573. ბედნიერების ფორმულის შედგენას ბევრი ცდილობს, მაგრამ მისი ყოფაში გამოყენება ჭირს.

17574. ბედნიერებას თუ ჩვენი დანახვა არ უნდა და გვემალება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი გენი თავს გავიდა და ყოფის შესატყვისად ვერ მოიქცა.

17575. კარგის და ცუდის სახესხვაობათა შეცნობა და გარკვევა ამქვეყნად ჩვენი ყოფნის არსია.

17576. ყველას გვინდა ვიყოთ დალაგებული, მოწყობილი, სულიერად მშვიდი, მაგრამ ასაკი და თანამდევი დაავადებანი ხშირად მხარს არ გვიბამენ და იძულებულნი ვართ ისეთები დავრჩეთ, როგორებიც რეალობაში ვართ.

17577. ცხოვრებაში პაუზის დაჭერის ცოდნაც დიდი ნიჭია, რათა მან შედეგი გააზრების შედეგად მოიტანოს.

17578. ერთდროულად წარმატების, მეგობრობის და სიყვარულის გათავისება, ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

17579. ასაკში ყველას ავლადიდებისკენ გაურბის თვალი.

17580. გამარჯვება იმითაც არის საინტერესო, რომ მას „გასარკვევი“

არაფერი აქვს, ის ყოველთვის მართალია, სხვას ჭკუას არიგებს და ასამართლებს.

17581. ცხოვრება სასიამოვნო გახსენებებისგან და უსიამოვნო აუცილებლობებისგან შედგება.

17582. სიამოვნებით და უნარით ცხოვრება სხვადასხვაა, პირველი ბედის ნაჩუქარია, მეორე შეძენილია, მაგრამ ორივეს მათთვის განკუთვნილი ნიჭი და ყოფის დამუღამება სჭირდება.

17583. ბედს, შემთხვევას, დასვენება და ორიენტაციის შეცვლა სჭირდება, ამიტომაც მოსახდენი უნდა მოხდეს, ოღონდ შედარებით მისაღებ ფორმებში.

17584. სიცოცხლის ხანგრძლიობა დამოკიდებულია მის დაფასებაზე, ჩვენს მეობაზე და განგების ნებაზე.

17585. ასაკმა ყველა ხნოვანება უნდა შეიფეროს და წლების გალაღება – გაფრენის საშუალებაც უნდა დაიტოვოს, რათა სიცოცხლის წამებით ვისიამოვნოთ და არა ამქვეყნური ცხოვრების ჯამით.

17586. მთავარია ცხოვრებაზე სერიოზულად არ გავნაწყენდეთ, რადგან ამქვეყნად სიკეთის მკეთებელიც ბევრია და ავისმქნელიც.

17587. ზოგჯერ ბედნიერება და დარდი უსიტყვოა და დროებით გაუცნობიერებელია.

17588. გამარჯვებისათვის ბრძოლას წინასწარი სწავლა სჭირდება, ხოლო წარუმატებლობას უკანა რიცხვით – განსჯა.

17589. ადამიანს სიცოცხლის ძალზე დიდი კრედიტი და ცხოვრების ავანსი აქვს აღებული, მაგრამ თანდაყოლილი შური და გაუტანლობა ამ ვალის დაფარვას წინ ეღობება.

17590. ქირურგი, ლანცეტი, ავადმყოფი, ერთმანეთს ამშვენებენ და ავსებენ.

17591. ბედი „უკუგორებას“ არ ითხოვს.

17592. ბედი ჭკუას წვრთნის და ხასიათს „გვისწორებს“.

17593. ბედის მიერ გაცემულ კრედიტს თავდები არ სჭირდება.

17594. დამნაშავეს, კანონზე მეტად, ციხეში გასტუმრებული საკუთარი ბედის ეშინია.

17595. ასაკს და დაავადებას აჯობო ძნელია, მაგრამ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ, რათა განგებამ შეგვამჩნიოს, და მიქელ-გაბრიელს ჩვენი ასაკი შეუმჩნევლად დარჩეს.

17596. სისულელის ჩადენა ძვირადღირებული „სიამოვნებაა“, რომლის დებეტ-კრედიტი როდის გამოგიხტება, არავის უწყის.

17597. ზოგჯერ ჩვედაუნებლიედ ისეთ რაღაცას ჩავიდენთ, რომ თმები მელოტ თავზე თავდაყირა დგება.

17598. მეთევზე სიზმარში ანკესზე წამოგებულ იმ ზომის თევზს ხედავს, რომელიც სინამდვილეში არ არის, მაგრამ სიამოვნება-სიამაყეს ძილში ხომ განიცდის და „ბედნიერებისთვის“ ჰყოფნის.
17599. ყურადღებით განებივრებული, დროისთვის მიუწვდომელი, წყვილი სერიოზული მიზნებისთვის არ გამოდგება.
17600. კარგი ცხოვრება ნიჭს, შემართებას და ნერვების წყვეტას მოითხოვს, ამიტომაც, რომ მასში ყველა ვერ ერკვევა და არც ცდილობს.
17601. ყოფის ფორმულა: მე იმაზე კარგად მინდა ვიცხოვრო, გამრავლებული ვისზეც ნაკლები ვარ და გაყოფილი იმან როგორ უნდა მაჯობოს?
17602. იდეის, მიზნის, ოცნების, გარეშე ცხოვრება მყაყდება და სიცოცხლე უფერულდება.
17603. მამაკაცისათვის თუ „მესამე“ პრობლემაა, ქალისათვის სათადარიგოა და იმედის მომცემიც.
17604. მისწრაფებებს თავშეკავებაც უნდა ვასწავლოთ, თუ გვინდა მთელი ცხოვრება მადლიერნი ვიყოთ.
17605. სიმართლის და ძალის აღრევა არარეკომენდებულია, რადგან ხშირად ეს უკანასკნელი „უჯოკრავს“.
17606. მომსახურების წინასწარ ყიდვა კორუფციაა, ქრთამის გაღება მომსახურების შემდგომ, ძღვენი და მადლიერების გამოხატვაა.
17607. დააფასე ის, რაც გაქვს, მაგრამ ახალიც შეჰმატე, რათა გქონდეს თავის ბედნიერად აღქმის მიზეზი.
17608. ამ ქვეყნად, ალბათ, ლამაზი მოგონებების დასატოვებლად მოვდივართ, ჩვენივე შელამაზებით.
17609. კარიერის კიბეზე სვლა სველ გემბანზე სიარულს მოგვაგონებს, სადაც ყველა ფეხის გადადგმისას ყურადღებით უნდა იყო, რათა ფეხი არ დაგიცდეს და ზღართანი არ მოადინო.
17610. სამართლიანი კრიტიკა და ალიყურიც მისაღებია ზომიერების ფარგლებში.
17611. წარსული დავიწყებას ეძლევა, ასაკში კი გასახსენებელის შექმნა ძნელია.
17612. ცხოვრება მოწყობილია, თუ სერიოზული პრობლემები არ გაქვს და „სხვისი ჭირი ღობის ჩხირია“.
17613. ადამიანს მარტო თავის ხასიათით ცხოვრება გაუჭირდება თუ სხვას არ შეერწყმა და გაუგო.
17614. მუდამ მეორე ერთხელ მაინც პირველი უნდა იყოს, თუ განგება სამართლიანია.
17615. გრძნობათა ღელვის უნარი სიცოცხლის გახანგრძლივების ელექ-

სირია.

17616. პატივმოყვარეობას თანამდებობა და ფული იძლევა, ადამიანად დანარჩენის სურვილს – მათი გონივრული დახურდავება.

17617. თვითმყოფადობაც ცხოვრების ალიყურით შეიცნობა.

17618. ხასიათის გამოვლენას შორსმჭვრეტელობაც თან უნდა ახლდეს – რა დროს გამოადგება, არავის უწყის.

17619. უიღბლობას ბედიც და შემთხვევაც მათთვის გაუგებარი უხეირო გზით დაჰყავს.

17620. ხშირად ცხოვრების დონესაც მოდა და ამბიციები განსაზღვრავს და არა – რეალური მოთხოვნები.

17621. ინტელექტი განგების ნაბოძებია, მაგრამ ბედის გარეშე გაამართლებს თუ არა, არავინ უწყის.

17622. „საკუთარ თავს თავადვე დაეხმარე“ – ეს პოსტულატი ღირსებას არასოდეს დაკარგავს.

17623. ზოგჯერ, თეორიულად, „მიზანი სიცოცხლეზე მეტია“, პრაქტიკულად კი გააჩნია ადამიანს, მის სიჯიუტეს და კაცურ შემართებას.

17624. უცოლ-შვილო თეორიულადაა თავისუფალი და ყოფის „მადლიერი“, თორემ პრაქტიკულად ცხოვრების მადლი ბოლომდე არ შეუცვნია.

17625. საკუთარ სიცოცხლეს ვაზღვევთ იმისათვის, რომ შინაურებმა ხელი მოითბონ.

17626. სიბერე ფლირტისთვის თავს გვანებებინებს და სიკვდილთან იწყებს ვაჭრობას.

17627. ფაქტიურად სიბერე ბედნიერებაა, თუ თავის ფეხით ჩვენთან მოღოღავს.

17628. ძნელია იმ ვითარების გაცნობიერება, რომ სამყარო ახალგაზრდავდება, სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალება გამოჩნდა, ტექნიკური პროგრესის პერსპექტივა განუსაზღვრელია და შენ ყველა ეს შანსი ხელიდან უნდა გაუშვა, რადგან ადრე მოევლინე სამყაროს.

17629. სიბერის ჟამს სხეულის ყველა ნაწილი ცვდება და გონიერებას თავისი „მე“ აღარ ეჭიდავება.

17630. ღრმა სიბერე ღმერთის წყალობაა, მაგრამ ცუდი დამფასებელმაცქერალი ჰყავს შინაურების სახით,.

17631. ბებერი ხარ, როდესაც სული ჭოჭმანობს, დაავადებებზე ხურდავდება და ხორცი სიმძიმით ირყვნება და ჩიავდება.

17632. ცხოვრებას ყველანი პრეტენზიებს ვუყენებთ, რადგან ისე არ

გაგვიმართლა, როგორც ჩვენს მეზობელს და როგორც ჩვენ გვინდა.

17633. ბედნიერებას გადარიცხვით არ იღებენ, მის სიხასხასეს ხელი თავად უნდა წავუფათუროთ.

17634. ბედნიერებას გაჯანჯლება არ უყვარს, ის ერთი ამოსუნთქვით უნდა ვიგრძნოთ და გავითავისოთ.

17635. ბედნიერ დღეებს თვლა არ სჭირდება, ისინი სიამით უნდა გავაცილოთ.

17636. კარგი ხალხისთვის ბედნიერება საყოველთაოა და თუ მოვინდომებთ, ჩვენს გვერდით აღმოჩნდება.

17637. გამოცდილ ბედნიერებასაც რეკლამა და წახალისება სჭირდება.

17638. რკინის გაცვეთილ ნალს შეიძლება ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ ოქროსგან გამოჭედილ ნალზე ხელაღებით ვერაფერს ვიტყვით.

17639. ბედთან შერიგება შესაძლებელია, თუ შიგადაშიგ ჯიკავ-ჯიკავით წინ წაგწევს და ამის საფასურად უსაშველოს არ მოგთხოვს.

17640. სიდედრი და დედამთილი ორთავენი ქალები, დედები, ბებიები, ხდებიან, მაგრამ შვილების არჩევანით ხშირად უკმაყოფილონი არიან, თუმცა მათ ნაგრამზე, შვილიშვილებზე, მზე ამოსდით და თან ადნებიან.

17641. მოთმინებას თავისი აზრი, გამოსავალი და გონიერების ჭიტლაყიც გამზადებული უნდა ჰქონდეს.

17642. მოთმინებას მაშინ აქვს ფასი, თუ მის გარეშე რაიმე გადაწყვეტილების ან შედეგის მიღება შეუძლებელია.

17643. მოთმინება, დროის შერჩევით, სამაგიეროს გადახდის ყველაზე ეფექტური იარაღია.

17644. მოთმინების ქანქარა ხშირად ერთ მხარეს ქანქარებს, მეორე მხრის საზიანოდ.

17645. დაფასებისაგან განსხვავებით, თავის შეფასება, იცოცხლე, არ გვეშლება, მაგრამ ვინაა გამტირაჟებელი?

17646. ბედი, გამართლება, ფანტაზიის წყალობაცაა თუ დროულად მოვა.

17647. ნდობა-უნდობლობა, ურყეობა-ეჭვი, პრობლემა – მათი გადაჭრა ყოველდღიური საზრუნავია და რომელი რა დროით მოგვაკითხავს, არავის უწყის.

17648. ციხე, ფულით და ხმაურის ატეხვით, ყოველთვის შიგნიდან ტყდება.

17649. გადაცდენებში ზოგჯერ გვიმართლებს, „თემიდა“ ვერ გვამჩნევს

და კანონიც გვერდს გვივლის.

17650. სიმხდალე ზოგჯერ სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებაცაა, როდესაც, დაინტერესების მიუხედავად, შექმნილ გაუგებრობას შიშით უყურებ და ერიდები.

17651. შრომას მაშინ აქვს ფასი, თუ მიზანი გაქვს, შენი სიამოვნებისთვის იღვწი და არა – თავის შესანახად.

17652. ამბობენ, სიფხიზლე სიმთვრალეს სჯობსო, მაგრამ გააჩნია, ხელისუფლებას რა თვალით გინდა შეხედო.

17653. მეტ-ნაკლებად, ყველა ჩვენგანი თავისი ტრაგიკომედიით ცხოვრობს, რომელიც ოპონირებას არ საჭიროებს.

17654. უმრავლესობისათვის უმთავრესია საქონლის გაფორმება და არა – შიგთავსი, რადგან თავზე წარმოდგენის მიუხედავად, უმრავლესობისთვის დაგემოვნების ნიჭი განგებას არ დაუმადლებია.

17655. ყოფითი ამოცანების გადაჭრა, სულიერების მოშველიებით, მოითხოვს, იდეოლოგიის მათრახს და დროის ყივილის შეხიზვნას.

17656. ბედნიერება იშვიათად გვესხმის თავს, განსაკუთრებით, როდესაც ის საშუროა და ასე გვჭირდება.

17657. ბუნება ადამიანის დაწერილი სცენარის გარეშე იღვწის, წინააღმდეგ – შემთხვევაში, თავადაც გაქრებოდა და ადამიანთა მოდგმაც.

17658. ასაკში წარსულის გახსენება ძალას გვმატებს, ხოლო სასიამოვნო გახსენებანი – სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს.

17659. ვისაც სათავისო ნაღველი არ განუცდია, ის სიხარულის შესაცნობ კოეფიციენტს ვერასოდეს დაადგენს.

17660. ასაკს ცხოვრების ავ-კარგის ცოდნა „რყვნის“ და ახლის და მშვენიერის აღსაქმელად თანდათან უვარგისი ხდება.

17661. „ოქროს თევზისადმი“ თხოვნაც მორიდებული და გააზრებული უნდა იყოს, რადგან ყოველი ამბიციური და გადამეტებული მოთხოვნა სიკეთეს მადლს უკარგავს.

17662. ქალაქი ავი ძაღლია, რომლის მკვიდრთ ადრეულ ასაკში, შორიდან „ჩამოთრეულებიდან“ განსხვავებით, ფუფუნებისადმი მიდრეკილება რყვნით და აუძლურებთ.

17663. თუ ბედი ზოგჯერ გვიღიმის, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამქვეყნად არა მარტო გვიცხოვრია, არამედ კვალიც დაგვიტოვებია.

17664. სიცოცხლის მანძილზე ყველა ჩვენგანს გარკვეული როლი გვაკისრია და როგორ ვასრულებთ განგების განაწესს, შემთხვევის და დროის ყივილის საქმეა.

17665. ყველა ასაკს თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ არ უნდა გავახ-

მაუროთ.

17666. ცხოვრების მადლის შეცნობას ჩვენი მცდელობა და დროსთან ერთად „ჭიხვინი“ სჭირდება.

17667. ოჯახის „არქიტექტურას“, ასე თუ ისე, კაცი უძღვება, ხოლო მისი შენების ავ-კარგი ქალმა უნდა განსაზღვროს და განსაჯოს.

17668. გაწბილება, ხელის მოცარვა, გაბრაზებას იწვევს, სანამ მომავლის იმედი კვლავ არ გაუცრუვდება.

17669. სიხარულის აღქმასაც ცოდნა და ტაშის დამკვრელები სჭირდება აღმაფრენის „გადმოსანთხევად“.

17670. მარტოობა წმინდანების, ჭკუასთან მოჭიდავეების და ყოფაზე განაწყენებული ხალხის უფლებამოსილებაა.

17671. კარგი ცხოვრების სურვილი ხშირ გადაადგილებას და ადამიანთა ჭკუის მოხიბვლას მოითხოვს.

17672. იძულებით საქმის კეთება გმირობაცაა და დანაშაულიც საკუთარი მეობის წინაშე.

17673. შთამომავლობის შენდამი სიყვარული და გარდაცვლილი მშობლების წინაშე ანგარიშის წარდგენაც ბედნიერებაა.

17674. ახალგაზრდა, რაიმე სისულელის ჩადენის გარეშე, სიცოცხლის გალაღების წლებს კარგავს.

17675. დაცულია ის, ვინც გაფრთხილებულია, მაშინაც კი, როდესაც ინფორმაცია საეჭვო და მცდარია.

17676. ბედნიერება ბედის განკარგვებს ვერ გაექცევა და არც უნდა ვუსაყვედუროთ.

17677. ზოგ უსინდისოს უმართლებს, რადგან ბედის განრიგს ფეხი ვერ დაუდო.

17678. სიზარმაცე და სიღარიბე მათდაუნებლიედ მეგობრობენ, მაგრამ ეს მათ გამდიდრებას ხელს არ უწყობს.

17679. ფაქტის და სიმართლის არარეალიზებული ამბიციები, მთელი ცხოვრება თან გვდევს.

17680. ახალ თაობათა კაპრიზები ჩვენი ცნობისმოყვარეობისთვის ყოველთვის მისაღები არ არის, მაგრამ უნდა მოვერგოთ.

17681. საკუთარი თავისადმი ნდობა-უნდობლობის კოეფიციენტს შედეგის ხარისხი და დრო განსაზღვრავს.

17682. ყოველთვის ვიღაცა ვიღაცას ნიშანს უგებს და ყველა რაღაცით უკმაყოფილოა – ესაა ცხოვრების პროზა.

17683. გონიერებას ბევრი უგუნურება უშლის ნერვებს, მაგრამ ცხოვრება მაინც გვიხდება.

17684. ცხოვრებაში ყველას ჩვენი მიმართულება გვაქვს, რომლისკენაც

სიარულის უფლებას დრო და შემთხვევა გვაძლევს.

17685. ყველა დროსტარება მომდევნო დღის მსუბუქად მოწყენის და ქცევის განსჯის საწინდარია.

17686. ცხოვრებაში მთავარია ნაბიჯის გადადგმა, ვისკენ, როგორ და რანაირად, დროსთან შეთანხმებით უნდა მოახდინო.

17687. წესრიგის, პასუხისმგებლობის და რიდის გარეშე არც ერთ მიზანს, ოცნებას, ფრთა არ ესხმება.

17688. ზოგი იმისათვის ცხოვრობს, გაძღეს, გაქსუვდეს, იწუწუნოს და იმქვეყნად უდროოდ გადაბარგდეს.

17689. ყოველგვარი სიახლე ან გულით საკეთებელი, ან ახალგაზრდისთვის აუტანელია, მით უმეტეს, თუ თავისი წილი აპეურები დასაწყვეტი აქვს.

17690. საოცარია სექსი, ყველა მისკენ ილტვის და უმეტესობა უკმაყოფილოა, ვინაიდან უფრო მეტი სიამოვნების მოლოდინი ჰქონდა.

17691. ყველა ჩვენგანმა გაკვირვებისათვის ადგილი უნდა დავიტოვოთ, რათა ცხოვრების მადლის შეცნობის უნარი არ დავკარგოთ.

17692. მარტოობაში ყოფნის წლები დაკარგულია, მაგრამ არა იმისთვის, ვინც აზროვნებს.

17693. ასაკს, ნიჭს, უსაქმურობას, მოაქვს ახალი, საინტერესო, აზრები, ხოლო მისწრაფებას და დაინტერესებას – საქმიანობისთვის გამოსადეგი რეალური სიკეთე.

17694. ცოლად სათნოს მოიყვან თუ კაპასს, ბოლოში სულერთია, მაინც უკმაყოფილო და ბედის უმადური შეგრჩება.

17695. ცხოვრება ყოფას სიცოცხლის ბოლომდე გვასწავლის, მაგრამ ჩვენმა ცოდნამ სხვას არ უნდა ავნოს.

17696. პროფესიონალური სპორტი მავნებელია, მაგრამ უფრო მავნებელია და უფულოდ და გამორჩენის გარეშე დატოვება.

17697. სტუმრის დაპატიჟებას და სუფრასთან მიპატიჟებას სულიერი დიზაინი სათანადო დროის შერჩევასთან ერთად სჭირდება.

17698. კლასიკურ სილამაზეზე მეტად დღეს ცვალებადი ღირებულების მოდაში შემოსული სილამაზის პარამეტრები გვაინტერესებს.

17699. ძალლური ცხოვრება ზოგჯერ გადაწყვეტილებას იღებს და გამოსავალსაც ნახულობს, მაგრამ უმეტესობა მას ეჩვევა და თანდათან ბეჩავდება.

17700. დაქორწინება, სიყვარულის გარდა, შერკინებაა ყოფასთან, ბედნიერების შენარჩუნებასთან, სულის გაფოფინებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვების გაჩენის წარმოებასთან შეჩვევაა ან გაყრა.

17701. ცხოვრების უცოდინარი ბევრია, მცოდნე – ცოტა, პროფესიონალი ერთეულია, ჭკვიანი კი – თითებზე ჩამოსათვლელი, მაგრამ ქვეყანას მაინც ნიჭთან მიახლოებული ავანტურისტები მართავენ.
17702. პირანიები (თევზები) ერთმანეთს არ ჭამენ, ადამიანებისაგან განსხვავებით.
17703. გემოვნებაზე არ უნდა ვიდაოთ, მაგრამ სიამოვნება და ტკბობა უნდა მივიღოთ.
17704. გულისხეთქვა ადვილია, მისგან უცოდველად თავის დაღწევაა ძნელი.
17705. ყველა იუმორს საძირე, მოწონების შემთხვევაში, ჩვენს გონიერებაში ფესვის გასადგმელად აქვს.
17706. იუმორი რაც ხასხასაა და ახალია, მეტად ფასობს.
17707. ცინიზმი იგივე იუმორია მინუსით.
17708. ოპტიმიზმი, იმედი, ენთუზიაზმის საწყისია დროის და შემთხვევის გაუთვალისწინებლად.
17709. ზოგჯერ ნიჭი კი არ არის მთავარი, არამედ ვის სჭირდები და ვინ გაძლევს სამუშაოს.
17710. ყველა დამარცხებული მიზეზს სხვაში ეძებს და არა – საკუთარ აზარტში, მზად არყოფნაში.
17711. იუმორსაც მუხრუჭები სჭირდება, თუ მას ქალები და ხელისუფლების წარმომადგენლები უსმენენ – „სიფრთხილეს თავი არასოდეს სტკივა“.
17712. ყველანი სამყაროს მარიონეტები ვართ, გვინდა ამის შემჩნევა, თუ არა.
17713. გართობა სიამოვნებას ნიშნავს, სიამოვნების მიღებას კი ცოდნა-გამოცდილება სჭირდება.
17714. საკუთარი მეობის წარმოჩენის კომპონენტებია: ნიჭი, გემოვნება, აღზრდა, დრო, გონიერება და შემთხვევა.
17715. სიმართლე რწმენას გვიმტკიცებს, შედეგი იმედს გვმატებს, მიზანი აგვაღფრთოვნებს.
17716. ცხოვრებაში დამკვიდრებას ზოგი მლიქვნელობით ცდილობს, ზოგი – ცოდნით, მაგრამ გააჩნია როგორ გაგიმართლებს და ვინ შეგხვდება უფროსად.
17717. დასჯა ზოგჯერ შესაძლებელია სიყვარულით, დამადლებით, თავის მოწონებით.
17718. საქმე თუნდაც იმიტომ უნდა ვაკეთოთ, რომ შეგვამჩნიონ, დაგვიმახსოვრონ, დაგვაფასონ.
17719. რელიგია სიყვარულს ქადაგებს მოყვასისას, ხოლო ცხოვრება

ვისთან გვარგუნებს მეზობლობას, ბედის საქმეა.

17720. ცხოვრობ ერთია, მიზანი მეორეა, სიცოცხლის შეცნობა მესამეა და ამათი ჯამია ადამიანი, თავისი უცნაურობით.

17721. ყოფა და სიცოცხლე, მცდელობის გარეშე, დიდი ხნის წინათ დასრულდებოდა.

17722. ყველა სპეციალობა ადამიანის ხასიათზე გავლენას ახდენს, ხოლო კოლექტივი ხასიათს უცვლის.

17723. ბედნიერებაა თუ უბედურებათა აბდაუბდას უდროოდ არ შეეხები.

17724. სიცოცხლეს მასშტაბური ოცნებით ვაბანდებთ, მაგრამ მცირედით ვკმაყოფილდებით.

17725. თანამშრომელია ყველა, ვისთანაც საერთო საქმეს აკეთებ და შედეგით დაინტერესებულია, პარტნიორია, ვისთან ერთადაც საქმიანობ, საქმეზე პასუხს ორივე აგებთ და შეუმჩნევლად ერთმანეთს აკონტროლებთ. ამხანაგია, ვისთანაც საერთო ჰობი გაკავშირებს, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე, მეგობარი კი ის სულით რჩეულია, რომელსაც დაუფიქრებლად ენდობი და გენდობა.

17726. მოწინააღმდეგის ყველაზე დიდი „დაფასებაა“, თუ მას მოხერხებით აჯობებ და საბოლოოდ გაანადგურებ.

17727. თუ „სამუშაო მგელი არ არის და არსად გაიქცევა“, მაშინ ხელფასი ტურაა, რომელიც ხელიდან დაგიძვრება და სამსახურსაც დაგაკარგვინებს.

17728. „სამოქალაქო ქორწინება“ თავისებური გირაოა, ხოლო თუ საქმე სასამართლომდე არ მივა, „წინდის“ დაბრუნებას არავინ ითხოვს.

17729. გატაცება, მოწონება, სიყვარული, სხვადასხვა ცნებაა და ყოველთვის დაწყვილების ფინიშს არ იძლევა.

17730. გაუგებრობის ჭიაა უნიათო ახლობლები, რომელთა მოშორება არც ისე ადვილია.

17731. ჩვენი ცხოვრების ყველა ეპიზოდი დაუმთავრებელია ან ასეთად უნდა მივიჩნიოთ.

17732. უმოქმედობას ბედნიერება ლანგარით არ მოაქვს.

17733. აზროვნება სიცოცხლის წლებს ახანგრძლივებს, ახალისებს.

17734. სწორ გზაზე ყოფნა ყოველთვის არ ნიშნავს საქმის კეთებას, თუ მოხერხებას არ დაახმარ.

17735. ბედნიერება მუდამ ცხოვრების სტარტზე უფინანსოდ ყოფნაა.

17736. ბედს არ ეჭიდავებიან, ემლიქვნელებიან და მის კეთილგანწყობას იმსახურებენ.

17737. თრობის ფორმულა: სიამოვნების ორი საათი პირდაპირპროპორ-

ციულია უხასიათობის 24 საათისა.

17738. ცხოვრების წესის გამოცვლა საკუთარ „მეს“ და ბედს არ შველის.

17739. ასაკის ხელმომჭირნეობის მიზეზი მისი უძლურება და უიმედო ფინიშია.

17740. ბედნიერების ასი პოსტულატის გასათავისებლად უნდა ვისწავლოთ: ასაკის მოფრთხილება, არჩევანის გაკეთება, აზროვნების ფასი, ამბიციების მოთოკვა, ანგარიში, ავკარგიანობა, ბედთან შეჭიდება, ბავშვთა ცელქობის შენდობა, ბედის მუხრუჭებზე ფეხის დროულად დაჭერა, გაყოფა, გამოსავალის ძიება, გამოსარჩლება, გრძნობების მოფრთხილება, დროის შერჩევა, დროის გამოყენება, დროზედ მორგება, დემოკრატიის ფასი, ენაზე კბილის დაჭერა, ემოციების მოთვინიერება, ეკონომიკა-ბიზნესის ანბანი, ეროვნული კულტურის დაფასება, ვალის მოხდა, ზომიერი კვება, ზრდილობიანი სალამ-ქალამი, თავის დაჭერა, თანაგრძნობა, თამადობა, თანადგომა, თავის წარმოჩენა, „თევზის ჭერა“, თავის დაცვა, თხოვნა-მოთხოვნის ხელოვნება, იმედით ცხოვრება, კარიერის საფეხურთა დაპყრობა, კულინარიის ხელოვნება, კომპრომისი, კანონის პატივისცემა, ლიბერალიზმი, ლიდერობა, მიზნის დაბანდება, მცირედის გაღება, მოსმენა, მარტოობის ფასი, მოლხენა, მომჭირნეობა, მოდაზე ჩაცმა, მეუღლისთვის სიამოვნების მინიჭება, ნათესაობის დაფასება, ორატორობა, ომახიანად ყოფნა, ოპონირება, ოპტიმიზმი, პესიმიზმის უგულებელყოფა, პატიოსნად ცხოვრება, ჟინის მოთოკვა, რეალობით ცხოვრება, სახელის დაგდება, სიძნელეების დაძლევა, სხვისი აზრის პატივისცემა, სხვის შეცდომებზე სწავლა, საკუთარი „ოფოფების“ მოვლა, საიდუმლოს შენახვა, სამშობლოს სიყვარული, სიტყვის ფასი, საკუთარი ბედის გამოჭედვა, საყრდენის მომზადება, სინდისით ცხოვრება, ტრადიციების პატივის ცემა, უცხო ენები, უფროს-უმცროსობა, ფუფუნების გარეშე ცხოვრება, ფიზიკურად მომძლავრება, ფასის დადება, ფიქრების გაპატიოსნება, ფულის შოვნის ხელოვნება, ქცევის ნორმების გარანდვა, ღიღინ-ღიღინით ცხოვრება, ღირსეულ პირთა დაფასება, ყურადღებიანობა, შევაჭრება, შეცდომების აღმოფხვრა, ჩასაფრება– დროის შერჩევა, ცივილიზაციის მიღწევების გათავისება, ცოდნის ხარისხში აყვანა, ცხოვრებით ტკბობა, ცხოვრების ნიუანსებში გარკვევა, ცხოვრების მოკვარახჭინება, ძილი, ძრომიალა აზრების მოთოკვა, წვრილმანების შეუმჩნევლობა, წინაპართა პატივისცემა, ჭუკ-ჭუკი, ჭორის უგულებელყოფა, ხელშესავლების შექმნა, ხუმრობის შერჩევა, ხელმძ-

ღვანელობა, ხასიათზე ყოფნის ხელოვნება, ჯანმრთელი ცხოვრება, ჯარისკაცობა, ჰუმანიზმის ფასი.

17741. გონიერების საზღვრების უნებლიე გადალახვა ყოველთვის საეჭვო შედეგის მომტანია.

17742. გაჭირვებული ცხოვრება უპერსპექტივო, საეჭვო განათლების, მისწრაფების, ხალხის ხვედრია.

17743. ბევრი რამის დავიწყებას ვერ ვახერხებთ, მაგრამ – მაინც ვერაფერს ვსწავლობთ და ვშველით.

17744. უსასრულობისკენ ლტოლვა სიცოცხლის მარადიულობის გარანტიაა.

17745. მთელი ცხოვრება არჩევანში ვართ და სიცოცხლის ბოლომდე თავს ვერ ვანებებთ.

17746. მცდელობას ყოველთვის არც შედეგი მოაქვს და არც – ბედნიერება, მაგრამ მის გარეშე სიცოცხლე აზრს დაკარგავდა.

17747. ახსნა-განმარტების მიცემა, წერა, მაინც დამამცირებელი პროცედურაა ეს საყვარელი ადამიანის თუ გაქსუებული ზემდგომის წინაშე მოგიწევთ.

17748. ცხოვრებას აგდებულად უნდა მოექცე, მაგრამ გულისყური, ყოფის მაგალითები, ამის განმარტებას არ იძლევიან.

17749. სიცოცხლე რაც უნდა გავიხანგრძლივოთ და გამოვაჯანმრთელოთ, მუდამ უკმარისი იქნება.

17750. თუ საქმიანობა სიამოვნების რაღაც პროცენტს არ გვანიჭებს, ვერ ვიღვაწებთ დაძალების გარეშე.

17751. ბედთან შესახვედრად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ, გვაქვს ამის სურვილი თუ არა.

17752. ყველა დაგვიანება პოზიციებს გვაკარგვინებს და ჩვენი წარმატების ბალასტი ხდება.

17753. ვეცადოთ ყოველთვის ვიცოდეთ ჩვენს ირგვლივ რა ხდება და რა დივიდენდებს შეიძლება ხელი გამოვკრათ.

17754. ზოგჯერ დამორჩილება მიზანს მიაღწევს და აქ სათაკილო არაფერია.

17755. მდიდრები ბევრია, ბედნიერები – ცოტა, განსაკუთრებით, ისინი, რომლებსაც ფული ბედნიერებაში ერევათ.

17756. სადაც არ უნდა იცხოვრო და თავი რა ღვთისნიერადაც უნდა მიგქონდეს, ყოველთვის გამოჩნდება საძაგელი ოპონენტი, რომელიც შენს წარმოჩენას თავის გადასახედიდან შეეცდება.

17757. ზოგს დაწყობილი ცხოვრება, მომავლის პერსპექტივის ცოდნა, ნერვებს უშლის, რადგან მისი მისწრაფება, ყოველ დღე მოულოდ-

ნელი და თავგადასავლებით სავსე იყოს, მისი გენის გამოძახილია.

17758. ნუ შეგვეშინდება შეცდომის, მას ვნება სარგებლითაც მოაქვს.

17759. დღეს სპორტსმენს არა მარტო თავის გამოჩენა, არამედ მოწინააღმდეგის გეგმის წაკითხვაც უნდა შეეძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვარსკვლავად ყოფნა და უმაღლეს საფეხურზე მოკალათება გაუჭირდება.

17760. ბედნიერებაც შეიძლება ანონიმური იყოს, სულიერებით იქნება ეს მინიჭებული თუ ხორციელით.

17761. ოჯახი ის ფენომენია, რომლის ავტორიტეტის აწევას ყველა ცდილობს, ოღონდ თავიანთი გადასახედიდან და გამორჩენით.

17762. ღალატს ახსნა, გამართლება, არ აქვს, მაგრამ ზოგი ამას „აუცილებლობის“ ალიბით ახერხებს და შენდობასაც იმსახურებს.

17763. მთავარია, მხედველობითმა ინფორმაციამ არ გვიღალატოს, როდესაც ადამიანს საქმის საკეთებლად ვირჩევთ, რადგან გონიერება ხშირად პროვოკაციულ ამბავზე ეგება.

17764. ზოგისთვის ყოველდღიური ყურადღება ბედის საჩუქარია, ზოგისთვის – ცოდვა, გააჩნია ცხოვრებამ და დრომ ვინ როგორ გარყვნა.

17765. ახალგაზრდობისადმი უყურადღებობისაგან განსხვავებით ასაკი სიბერეში თავს გვახსენებს გადამეტებულად და მადლიერების ნაცვლად მის მიმართ პრეტენზიულს გვხდის.

17766. ბედნიერება იშვიათად გვანებივრებს, მაგრამ კუთვნილ წილს, ასე თუ ისე, მაინც გამოვტყუებთ.

17767. ცხოვრების პასპორტს გარემო გვაძლევს, სიცოცხლისას – მშობლები, მოქალაქისას – სახელმწიფო, გამოცდილებისას – ასაკი. ასე და ამრიგად, მივიწევთ წინ იმქვეყნად გადასაბარგებლად ყველა ზემონათქვამის ცოდნით.

17768. სიჯიუტის და მსუბუქი დაპირისპირების გარეშე სიცოცხლის ფასის და ყოფის მადლის შეცნობა გამორიცხულია.

17769. ცხოვრება ყველა ნაბიჯის გადადგმაზე წვრთნას გვიწყობს, რომელსაც ჩვენდაუნებლიედ ვემორჩილებით.

17770. ფულისთვის, კარიერისთვის, სხვის ომშიც იბრძვიან, ხოლო იდეისთვის, სიყვარულისთვის, თავს სწირავენ.

17771. ბედნიერება, დასახული ამოცანების გადაჭრის გარეშე, იშვიათია და აქ დროის ყივილი არაფერშუაშია.

17772. ცხოვრება სიყვარულია, ვალია, ურთიერთგაგებაა.

17773. ცხოვრება ჩვენს გაწვრთნას ცდილობს, რასაც სიჯიუტის გამო ხშირად არ ვემორჩილებით.

17774. სასიხარულოა, როდესაც დამსახურებას, ჯილდოს, აპლოდ-ისმენტებს, სიცოცხლეშივე იღებ და არა – შენი დავიწყებისთვის გამზადებული შთამომავალი.
17775. წინასწარმეტყველება მიგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ ფაქტიურად სხვა სამყაროში ვცხოვრობთ და წარმოსახვით სხვა გალაქტიკაში ვიმყოფებით. რაც შეეხება დედამიწას, ის ჩვენთვის ნაქირავები სახ-ლია.
17776. ერთმანეთს ხელი არ უნდა შევუშალოთ, არ ვავნოთ, არ დავა-კომპლექსოთ, ეს ყველაზე დიდი გონიერებაა.
17777. ბედნიერებაა, როდესაც სიცოცხლის შესაცნობად დასახარჯ დროს ისე ეპყრობი, როგორც შენ გსიამოვნებს.
17778. არის გაჯიქების წლები, როდესაც სხვას დახმარება არ შეუძლია და თავად უნდა ეცადო გამოსავლის პოვნა გარემოებათა ლაბირინ-თიდან.
17779. ადამიანმა გარკვეული წლები უნდა იცხოვროს ანცობით, სიყ-ვარულის გიჟმაჟობასთან შეხმატკბილებით, რათა უკმაყოფილო არ დარჩეს.
17780. არასასიამოვნო მოგონებები ის ფენომენია, რომელიც მთელი ცხოვრება ტვინს გვიღრღნის და ყოფის ვირზე უკუღმა გვსვამს.
17781. გაჭირვებაში მშვიდობიანი ყოფნა ჯობს, ვიდრე დალხინებაში დაპირისპირება – ცხოვრებას ამოკლებს, ყოფის ხარისხს სადაოს ხდის.
17782. იმქვეყნად გადაბარგებასაც მომზადება სჭირდება – ჭკუით, მოკრძალებით, აუცილებლობის შეგნებით.
17783. ყველა თამაშის წესების ცოდნა აუცილებელია, გარდა ცხოვრე-ბისა, რადგან მას „ობივატელი“ ბრბო განსჯის.
17784. თუ შენს წრეში თავს ყველაზე ჭკვიანად გრძნობ, გარკვეული ოდენობით წრე უნდა გააფართოო, გადაახალისო, მაგრამ ტაშის დამკვრელები უნდა დაიტოვო – გამოგადგება.
17785. სპორტი ღირებულებათა ჭიდილია ურთიერთპატივისცემით, წი-ნასწარ დაქადნების გარეშე.
17786. გააზრებისას ზოგჯერ ჩვენ არც სხვას ვცნობთ და არც საკუთარ მეს, რადგან არაადეკვატურ პირობებში ვინ რას მოიმოქმედებს, არ-ავინ უწყის.
17787. ურთიერთობის გარკვევასაც ურთიერთპატივისცემა, ანგარიშის გაწევა და კაცობა სჭირდება, რათა დამცირებულად თავი არავინ იგრძნოს.
17788. ასაკში ბედის გამოცდის ყველას გვეშინია, რადგან მან უკვე

გვაწვნია ცხოვრების შესაცნობი ალიყურები.

17789. გამოცდილებამ იცის დანაკარგის და ნაპოვნის ფასი და ისიც, თუ რა არის ბედის და შემთხვევის წყალობა.

17790. უნდა ვეცადოთ თანდათან გავითავისოთ ცხოვრების ცოდნის ხელოვნება და მისი გათავისების მაგია.

17791. გავრისკავთ – არ გავსრიკავთ, ბედი ჩვენთვის მაინც თავისას ჩალიჩობს.

17792. დღევანდელობით ცხოვრება გაცილებით ადვილი იქნებოდა, წარსული ცოდვები, შეცდომები და განგების ალიყური რომ არ დაგვამახსოვრებოდა.

17793. ცხოვრებაში მთავარია ურთიერთობათა აწყობა და ბედიც თავად გეახლება.

17794. პრინციპებიც წინასწარ არჩეული, განსაზღვრული და დროსთან შეჯერებული უნდა გვქონდეს, თუ გვინდა თავს ვარგოთ და არ დავიჩაგროთ.

17795. ვეცადოთ საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვროთ, თუნდაც მისი ყოველდღიურობის საცერში გატარება მოგვიხდეს.

17796. ვეცადოთ გავამართლოთ მშობლების და კეთილისმდომთა სურვილების 50% მაინც და ჩვენი ვალი ყველას მიმართ მოხდილი გვექნება თავნით.

17797. ბედნიერება ეგოიზმთან არ მეგობრობს, ის უფრო ალტრუისტებს ეტმასნება.

17798. მოულოდნელობას ყველა თავისებურად აღიქვამს, მაგრამ შედეგით ყველა დაბნეულია.

17799. ყოფა არის დღევანდელობა, აწმყო. ამრიგად, ზედმეტ ყურადღებას არც წარსული იმსახურებს და არც მომავალზე გადამეტებული ფიქრი, რადგან ამქვეყნად ერთხელ მოვდივართ.

17800. ზოგჯერ ჩვენი კარგად ყოფნა სხვის ცუდად ყოფნას იწვევს, რაც ყოველთვის უსაფრთხო არ არის.

17801. საკუთარი გზის კვლევა უფრო ადვილია, ვიდრე შენივე ნაფეხურების გათავისება.

17802. სერიოზულობას ყველა საქმე მოითხოვს, ოღონდ იუმორით, ხალისით და საქმის ცოდნით.

17803. უბადრუკობიდან თავის დაღწევის საშუალება: ვინმეზე მიკედლება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და თავდაუზოგავი შრომა.

17804. ცხოვრების თავიდან დაწყების სურვილი, წარსულის გამოცდილებით, ხშირად გვიჩნდება, მაგრამ ვივიწყებთ, რომ ეს სხვა დრო და გარემო იქნება, ხოლო შედეგი – თითქმის უცვლელი.

17805. შესაძლებლობას საზღვარი არ აქვს, თუ მისი დარღვევის სურვილი გაგიჩნდა.
17806. გადამეტებული და ზედმეტი ყველაფერი მავნებელია, მათ შორის, სიყვარულიც და ფუფუნებაც. ერთმა მოყირჭება იცის, მეორემ – სულის გარყვნა.
17807. მარტოობაზე ასაკი ხშირად ოცნებობს, მაგრამ რაში გამოადგება ეს იზოლაცია, როდესაც სიცოცხლე ასე მოკლეა, ვერ გარკვეულა.
17808. ზოგჯერ რომ არ ისულელო, ნერვების დიდ დაძაბვას და გონების ჭყლეტას მოითხოვს.
17809. ზოგჯერ საქმეს სენტიმენტალობა სჭირდება, მაგრამ სიმკაცრეს არ გამორიცხავს.
17810. გაუგებრობა, მოულოდნელობა, თავიდან შოკში გვაგდებს, მაგრამ თანდათან ვეჩვევით და ვითავისებთ.
17811. ჭამაში – სიმართლე, არაყში – მხნეობა, კანონში – კაიფია, ღვინოში – ჭეშმარიტებაა და ამ ბაითებით მივათრევთ ცხოვრებას.
17812. მამაკაცი საქმით ფასდება, ქალი – მომხიბვლელობით, ქმარი – ოჯახზე ზრუნვით, ცოლი – ოჯახის მოვლით და ამ აქსიომის შეცვლის მცდელობას ხეირი არ მოაქვს, მორალი იცვლება.
17813. რაიმეს კარგად კეთება ძნელია, მაგრამ უდიდეს სიამოვნებას გვგვრის.
17814. ცხოვრების ალიყური გვაიძულებს ასაკის მატებასთან ერთად დავჭკვიანდეთ, მაგრამ არც იმდენად, რომ კიდევ ერთხელ არ შევცდეთ.
17815. ჩვენი ამქვეყნად ცხოვრების ქირას ყველა წუთისთვის, ჩვენდაშეუმჩნევლად, ვიხდით.
17816. ეკლესიასაც კი ცოდვილნი შესაწირს – ქრთამს სწირავენ, რათა იმქვეყნად სამოთხეში მოხვდნენ, ხოლო ამქვეყნად ქრთამს ზემდგომს აძლევენ რათა ამქვეყნადაც სამოთხეში იცხოვრონ.
17817. ადამიანი მაშინ იწყებს ცხოვრებას, როდესაც ბედს აღიარებს და თავის უაზრო ქმედებებს წიხლს ამოჰკრავს.
17818. ავადმყოფობა და უიღბლობა ჩვენი გონიერების პარამეტრების დარღვევას და ნერვების წყვეტას მოაქვს.
17819. უგუნურება ქმნის იმ არაკეთილდღეობას, რომელიც საქმის კეთება ჰგონია.
17820. უმეტესობა დღევანდელობით ცხოვრობს, ხოლო სამშობლოზე, ხალხზე და ხვალინდელ დღეზე ფიქრი „სიაფანდია“ და თავის და სხვათა მოტყუება.
17821. სტიმულირების ავტორი, უპირველესად, გაჭირვებაა, შემდეგ

მოდის სახელი, ფული, შიში, რომელიც აიძულებს გონებას უკეთ იაზროვნოს, იფიქროს, იმოქმედოს.

17822. ზოგი განგების დამოძღვრით იღვწის, ზოგიც კანონის ზედამხედველობით და ვინ როგორ წარმართავს „შემდგომ“ ცხოვრებას, არავის უწყის.

17823. ოპტიმიზმი წარსულის „ონანიზმს“ ვერ ეგუება.

17824. ცხოვრებაში „ყვერებზე ფეხის დაბიჯება“ სინდისის დაკარგვის სინონიმია.

17825. სიცოცხლის მანძილზე ყველაზე ძნელი იმქვეყნად გადასაბარგებელი გვერდის გადაშლაა, მაგრამ მასაც გულისყურით უნდა გავეცნოთ, რადგან არავინ იცის, „იქ“ რაში გამოგვადგება.

17826. ყოველდღიურობის „ქაქით“ ცხოვრება მოსაბეზრებელია, შეუძლებელია, რადგან თანდათანობით ადამიანობის სტატუსი იკარგება და მიზეზშიც ვერ გავრკვეულვართ.

17827. თავად სიცოცხლე სასწაული არ არის, მისი წარმოშობის საწყისი გვაოცებს.

17828. თუ სასწაული არ ხდება, უფრო მოულოდნელ უბედურებასთან გვაქვს საქმე.

17829. არის საქმიანი ურთიერთობა, არის მეგობრობა, რომელი რომელს ჯობნის ურთიერთობისას, ამას დროის ყივილი წყვეტს და არა – ჩვენი მცდელობა.

17830. ინტერნეტით ზედმეტად გატაცება ის ფუფუნებაა, რომელიც კაცობრიობას ადრეულად გადააგვარებს, დააბეჩავებს, თუ მას ადამიანის გენეტიკა და თავის გადარჩენის თანდაყოლილი იმუნიტეტი წინ არ აღუდგება.

17831. კარიერის დასაწყისში რკინის ჭიქებში ჩასხმული არაყი, შავი პური, პოხი, მეტად ფასობს, გემრიელია, დასამახსოვრებელია, ვიდრე კარიერის ოლიმპზე ყოფნისას საუკეთესო რესტორანში გადახდილი ნადიმი დაგემოვნებით და ვალის მოხდით.

17832. გამოცდაგამოვლილი სიყვარული, მოთმინება, ადამიანობა, გადაგვატანინებს ყოველგვარ არაადამიანურს, გაუგებრობას და გონიერებისთვის შეუთავსებელს.

17833. ყოფის მაკიაჟი ყველას სჭირდება, ის გონებით გონჯი იქნება თუ ლამაზი.

17834. ცხოვრებაში ყოველივე წარმავალია, გარდა ამქვეყნად სახელის დატოვების.

17835. პაემანზე უნდა ვიაროთ სიყვარულით, სასოებით, ვნების ჩოჩქოლით, ხოლო უნდა დავოჯახდეთ იმედით, ანგარებით, ნაშიერზე

ფიქრით, რადგან პირველი თითქმის წარმავალია, დროებითია, მეორე თითქმის მუდმივია, წინასწარ გათვლით.

17836. მიზანს ემსახურებიან, ფულზე არ ახურდავებენ.

17837. ცხოვრება მაშინაა „საშიში“, თუ სიცოცხლე მოგბეზრდა და თან არავის სჭირდები.

17838. ამბიციების შერწყმა მიზანთან და შრომისმოყვარეობასთან, ორმაგი ხელოვნებაა.

17839. თუ საშუალება გვაქვს სამუშაო დღეებში 8 საათი ჩვენთვის სასიამოვნო-სასურველ შრომას მოვახმაროთ, მაშინ ბედნიერება ჩვენ გვერდზე მდგარა.

17840. ერთგულებაც მოსაბეზრებელი ხდება, თუ გაყვედრიან, რომ ამას კარიერისთვის აკეთებ.

17841. ყველა ჩვენგანი ცხოვრებაში რაღაც როლს ვასრულებთ და ვასახიერებთ, ხოლო რაც შეეხება მაყურებლის რაოდენობას და დაფინანსებას, ეს უკვე ბედის და შემთხვევის საქმეა.

17842. იმქვეყნად უცოდველად, უცოდინრად, უსახსროდ, გადაბარგება საშინელებაა, რადგან ამ ქვეყანაზე შენი ადგილი ვერ მოინიშნე.

17843. გული მარად სიკეთის „დაჭერას“ ცდილობს, თუ ცხოვრებამ არ გააბოროტა.

17844. ხშირად ყველანი ერთმანეთს ვეკინკლავებით, ერთმანეთის ჯინაზე აუგად ვირჯებით, ამ ცხოვრების ამაოებაში კი ვერ გავრკვეულვართ, ყოფის მორალი ვერ დაგვიმუღამებია, რადგან ცხოვრების „კაურებში“ გარკვევა გვიჭირს და ამისი არც დიდი სურვილი გვაქვს.

17845. სიღარიბეს ბევრი უარყოფითი სიმპტომი ახასიათებს, მაგრამ უმთავრესად – მოკლე ჭკუა.

17846. დაუგეგმავი დღე დაკარგულის სინონიმია.

17847. აზრიანად ინფორმაციის მიღება-გამოყენება კეთილდღეობის მაჩვენებელია.

17848. გიჟობასაც თავისი ფასი და კაიფი ახლავს, თუ თანამეინახენი ერთმანეთს უგებენ.

17849. ყველა წინააღმდეგობა დასანგრევია, გონიერების რკინა-ბეტონის ხიმინჯზე იგება თუ სილის მიწაყრილზე.

17850. ქორწინებაც თავისებური აღებ-მიცემობაა დროის უქმად ფლანგვის შემცირების მცდელობით.

17851. იმედიანი ცხოვრების ფასი არაფერია, შედეგის მიუხედავად, რადგან მომავალს აღმაფრენით უყურებენ.

17852. თუ შთამომავალი რომელიმე მშობელს დაემსგავსა, უკეთესი

ვარიანტით ეს ბედნიერებაა.

17853. ბრძენის მითითების უსიტყვო და განუხრელი შესრულება, გვათავისუფლებს მისი შედეგისგან და არა – გონიერებისგან.

17854. მიზანში მოხვედრა ძნელია, ასევეა ჩვენი მისწრაფებებიც, დასახულ მიზანს რომ მივაღწიოთ ბევრიც უნდა „ვიჩალიჩოთ“, ვივარჯიშოთ გონების წრთვნით.

17855. ამბიციური რჩევა-დარიგებაც მატერიალურია თავისი სარგებელ-გამოსავლით და თავის წარმოჩენის მცდელობით.

17856. ჭამა უფრო სიამოვნებაა, ვიდრე ენერგიის აღდგენა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ამიტომაცაა ზომიერება ყველაფერში კარგი.

17857. ყველა ჩვენგანი იმ ვიწროებში, ხვრელებში მიძვრება, რომლის გაფართოებაც შეუძლებელია.

17858. მთელი ცხოვრება შემთხვევაზეა აგებული და არავინ უწყის, სად, როგორ და როდის გაუმართლებს.

17859. ყველას უნდა ვუსურვოთ ბედნიერი და დიდიხნის სიცოცხლე, რადგან პირველ რიგში მათი კარგად ყოფნა და თანადგომა ჩვენ გვჭირდება, რათა ჩვენი მისახედი არ გახდნენ.

17860. შრომასაც და დასვენებასაც თავისი განზომილება, ეშხი, ახლავს.

17861. სურვილი – შეძლება – მიღწევა – დაფასება სხვადასხვაობის მიუხედავად მაინც ერთია, თუ დროულად ავუღებთ ალღოს.

17862. სანამ ცოცხლები ვართ, სახელოვანი მკვდრების არ უნდა გვეშინოდეს, ხოლო როდესაც იმქვეყნად გადავბარგდებით, სახელოვანი ცოცხლებისა, რადგან ყველას თავისი ეკალ-ბარდებით დაფარული ბილიკები აქვს გასავლელი.

17863. საინტერესოა იმ „სასახლის“ სადღეგრძელოს შესმა, რომელიც იმ მუხისაგანაა დამზადებული, რომელიც დღეს „შაბათობაზე“ დარგეს.

17864. ყოფის რეალობა იმას მიგვაგებს, რაცა ვართ და არა იმას, რაზეც პრეტენზია გვაქვს.

17865. არაფრის კეთებასაც ცოდნა-გამოცდილება, მიჩვევა და ნერვების მოთოკვა სჭირდება, სულიერების დამუნათებით.

17866. არის გარდამავალი ასაკი, რომელსაც რა ემართება, რა უნდა, თავადაც არ იცის. რას ვიზამთ, ასეთია ყველა დროის კაურების „შესატანი“ თაობათა შორის ურთიერთგაგების მოგვარებაში. ეს მშობლებმა თავიდან უნდა აღიქვან და გაითავისონ.

17867. კოცონში საკუთარი ამბიციების დაწვაც შეიძლება, თუ ის შენს მიერ არაა გაჩაღებული და სიავესთან ურთიერთობა არ გვინდა.

17868. გამოუსადეგარი ხალხი მაშინ მრავლდება, თუ მოყირჭებული ცხოვრების წესი არ შევიცვალეთ და სამუშაო ადგილებს არ გამოვნახეთ.

17869. ჩვენ შეიძლება კარიერა, ფული, იმისთვის გვინდა, რომ წარმოვჩნდეთ, ჩვენი ამქვეყნად მოვლენის აუცილებლობა ვიწამოთ, რაღაც სათუთს ვეზიაროთ, ჩვენი დამხსომებელი შთამომავლობა დავტოვოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვრჩება მუცლის ამოყორვა, ნაძალადევი პიარი და „იმან როგორ უნდა მაჯობოს“ (შური).

17870. შეცდომას ყველა სჩადის, მაგრამ აქედან არც პიარის გამოდნობა ღირს და არც ტრაგედიის, რადგან ხშირად გარემოზე, შემთხვევაზე და დაღვინებაზეა დამოკიდებული.

17871. თუ ყოველდღიურ შენთვის გასაგებ კაიფს ვერ იღებ – ე.ი. არსებობ და არა – ცხოვრობ.

17872. რეალობას და სასარგებლოს ერთეული ჭკუაგახსნილები ქადაგებენ, მაგრამ მოსახლეობა მაინც თავის გაუნძრევლად ცხოვრებას ირჩევს.

17873. შემთხვევასაც თავის კაპრიზები და ჩავარდნები აქვს, თუ მას შემართება-მცდელობას არ შევაგებებთ.

17874. შესაძლებლობების შესატყვისად ცხოვრება გვიჭირს და არცაა საინტერესო.

17875. თავდაჭერილობა დღეს არა მარტო ხვადებს, არამედ ძუკნებსაც ამშვენებს, ალამაზებს, იმდენად დაჩქარდა ცხოვრების ტემპი და აიჭრა ადამიანის გონება.

17876. ცხოვრების ცოდნა პროფესიაა და არა – თვითმოქმედება.

17877. ჩვენთვის განკუთვნილი ქმედებები, მათ შორის, ცოდვებიც, დროზე ადრე უნდა ჩავიდინოთ, რათა სიცოცხლისთვის განკუთვნილი უკეთესი წლები სიკეთეს მოხმარდეს.

17878. ცოდვების არჩადენაც ძნელია და მისი მიჩუმათებაც, მის არც გამომზეურებას უნდა ვცდილობდეთ და არც გამოსყიდვას, რადგან ცოდვების რეკლამირება, გატირაჟება, დანაშაულია.

17879. ცოდვა თანდაყოლილია და დაუკითხავად გაცდუნებს.

17880. ყველა დაუსჯელ ცოდვას გათავხედება-გაამაყება იწვევს და მისაბაძიც ხდება.

17881. პენსიაზე გასვლა სამოთხე არ არის, მაგრამ იმქვეყნად გადასასახლებელი კარის კოდს გვიტოვებს.

17882. სიბერე გაბანძული წლების გაგრძელებაა, შთამომავლობის საიმედოდ დატოვების მომიზეზებით.

17883. ტექნიკურმა პროგრესმა განათლება, გართობა, ინტერნეტით

მოგვართვა, მაგრამ ჩვენ ამით უკეთესნი ვერ გავხდით.

17884. საშინელებაა ხელფასის, პენსიის, მოლოდინში უაზროდ გახარჯული დღეების გაყვანა და გადათვლა.

17885. ახალგაზრდობაში ზღვაზე ორკვირიან აქტიურ დასვენებას საბაღე ნაკვეთში ერთკვირიან პასიურ დასვენებას ვუთავსებდი და ჯამში კარგი შვებულება გამომდიოდა.

17886. ყველა აზრიანი მცდელობის რეალიზება შესაძლებელია, თუ მას ძალ-ღონეს დაუფიქრებლად შეალევ.

17887. მიღწეული გვათამამებს, გვაყოყოჩებს და ახალ მიზნებს ვეჭიდებით.

17888. მოვალეობა, თავზიანობა, შემართება, კარიერის ყველა საფეხურზე თან უნდა დაგვყვებოდეს, თუ გვინდა თავი პიროვნებად ვიგრძნოთ.

17889. ყოველივე დაუმსახურებლად მიღებული ან არმად შეგვერგება ან ჩვევად გაგვიხდება.

17890. როდესაც ყოფის ოლიმპზე ხარ, ყველას სჭირდები და არა – უნდიხარ.

17891. გაჭირვება გონიერს ჭკუას ასწავლის, უგუნურს ათავხედებს და ორთავეს შესაძლებლობანი კვადრატში აჰყავს.

17892. ცოლ-ქმრის ღალატი, გვინდა – არ გვინდა, უპირველესად, შვილების წინააღმდეგაა მიმართული.

17893. დაძალება – მოწოდების, შეგნების, გარეშე ადამიანი 10%-თაც ვერ მოაწყობს თავის ცხოვრებას ისე, როგორც უნდა.

17894. ცხოვრება შინაგანი ბუნებით ძალზე უნდა გიყვარდეს, რომ მისი რაობის კაიფი სათავისოდ შეიცნო.

17895. მთავარია ჩვენს თავს მივხედოთ, ამით სხვასაც ვარგებთ, საკუთარ თავსაც და სიცოცხლის გახანგრძლივებასაც.

17896. თუ სიცოცხლის ტოლფას საქმეს ვეჩალიჩებით, უკვე ბედნიერნი ვართ.

17897. დღეს პურზე შავი ხიზილალის გადასმის მცდელობის გარდა, მოხერხებულობით გარჯაა საჭირო.

17898. კარიერის კეთება ჩაწოლა-დაწოლის და მლიქვნელობის გარეშე ერთეულ ღირსეულთა ხვედრია.

17899. ცხოვრება გვსჯის, როდესაც ერთმანეთს უსაფუძვლოდ ვატყუებთ.

17900. დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტია არაფრისმთქმელი თავაზიანი საუბარი.

17901. ხერხიანობა და სიბრძნე ძმები არ არიან, მაგრამ ბიძაშვილ-მამი-

დაშვილობას ერთმანეთს უწევენ.

17902. დარგში ოპონენტების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული ჩვენი კარიერა, წარმატება და ფული.

17903. ნამდვილი მტერი ვნების მიუყენებლად არასოდეს დაგტოვებს, ხოლო მეგობარი – მხარდაჭერის გარეშე.

17904. მტერ-მოყვარეს ზოგჯერ ერთიდაიგივე კაურებით ვეცნობით და გავუგებთ.

17905. ზოგი სხვათა მხრებით და თავისი ჭკუით სხვის ცხოვრებაში გაჯეჯილებას ცდილობს.

17906. ამბობენ, იმქვეყნადაც ცხოვრება გრძელდებაო. საშინელებაა, როდესაც განაღდებული დასვენების ნაცვლად შენთვის ნაცნობ გამოთაყვანებულს უნდა უყურო.

17907. ცუდს უნდა ველოდეთ, მაგრამ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რომ მისგან კარგი გამოვადნოთ და ვიხეიროთ.

17908. უაზრო ხეტიალიც ზოგჯერ შედეგს გადაეყრება – ე.ი. სუფთა ჰაერზე სეირნობა სასარგებლოა.

17909. სურვილი და შემართება ხშირად იმ სასიამოვნო მოგზაურობას გვპირდება, რომელზეც ადრე არც გვიფიქრია.

17910. დასვენება აქტიურიც არის და პასიურიც და რომელს მივანიჭებთ უპირატესობას, ამას დრო, გუნება და ასაკი განსაზღვრავს.

17911. სექსი ის წამიერი სიამოვნებაა, რომელსაც ჯეელობაში უამრავი ძნელად გასარკვევი პრობლემები მოაქვს.

17912. ბედნიერებას შეხსენება უნდა, რათა გარკვეული დროის ლიმიტით მოგადგეს.

17913. სიცოცხლე ტყუილების და ოცნებათა უვერტურაა შიგადაშიგ სასიკეთო საქმეთა მოკვარახჭინებით.

17914. სიფხიზლეს უნდა ვასწავლოთ, რათა მგლების ხელში არ მოხვდნენ, მაგრამ მგლებზეც უნდა ვიზრუნოთ, რათა მთლად არ გადაშენდნენ და სიფხიზლე არ მოადუნონ.

17915. ცხოვრება ისაა, რაც გამახსოვრდება, როდესაც გიმახსოვრებენ და ყოფის რაობას ინტუიციას აზელ.

17916. ანეგდოტი: სიდედრს გველმა უკბინა და გველი მოკვდაო, დღეს სინამდვილედ იქცა, როდესაც სილიკონის მკერდიან დედამთილს გველმა მართლაც შემთხვევით უკბინა და ორ საათში გველი გარდაიცვალა.

17917. აქტიური და საამო ცხოვრება მანამ გრძელდება, სანამ მდედრის უარი, პარტნიორზე მეტად, ქალს არ გაუხარდება.

17918. ბუნება თავისი სურვილის შესატყვისად დრამასაც გვიდგამს,

კომედიასაც და ყოველდღიურობისთვის თავის გასატან სპექტაკლ-საც.

17919. შემთხვევასაც თავისი კაპრიზები აქვს ფეხის დადებით, თუ იმ დღეს ხასიათზე არაა და დიდად არც შენ „ ეხატები გულზე“.

17920. იძულებითი ფხიანობა იქ იწყება, სადაც საკუთარი თავის გარდა სხვა ვერაფერს გიშველის.

17921. იდეურსა და ბრიყვს შორის ის სხვაობაა, რომ პირველისგან გან-სხვავებით, ბრიყვი დღესაც ცოცხალია.

17922. დაუმთავრებელ საქმეზე ცუდი არაფერია, მთელი ცხოვრება თავს გახსენებს და ჯავრად მიგყვება.

17923. ცხოვრების სრული წიგნის წაკითხვა სეუძლებელია, ამიტომაც უმთავრესად ინტუიციას და მცდელობას უნდა დავეყრდნოთ.

17924. ყოველი ახალი წელის დადგომა სიხარულს გვმატებს თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით ამქვეყნად დავდივართ.

17925. საბოლოო პასუხის გაცემა, ცხოვრების გამოცდილების გარეშე, არც ერთ ჩვენგანს დაბეჯითებით არ ძალუძს, რადგან მასში ყოვ-ელთვის ის ცდომილებაა, რომელსაც აწმყოც ვერ ამჩნევს.

17926. ბედის გაცუცურაკება ძნელია, ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც წინათგრძნობა გვკარნახობს და ჩვენი ადგილი მოვიპო-ვოთ ამ ცხოვრებაში.

17927. მშობლების წვალებით დაგროვილ სიმდიდრეს ხშირად შვილები უდარდელად ხარჯავენ და ხელში ყოფასთან კოჭაობა შემორჩებათ. მშობლების საქმიანობის რევიზიით და საყვედურით მეტის დატოვე-ბაც შეეძლოთ.

17928. მიჩვევა საოცარი რამ არის, ყოფის კაურებს არ ემორჩილება და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს.

17929. ხშირად სხვათა შეცდომებს ვითვალისწინებთ საკუთარ გად-აცდენათა დამატებით.

17930. წარსულს არ ედავებიან მის შეცდომებს ითვალიწინებენ რეკლა-მის ჩატარების და ანალიზის გარეშე და ამიტომაცაა, რომ შეც-დომების ოდენობა არ მცირდება.

17931. სხვათა განსჯას საკუთარ შესაძლებლობათა დემონსტრირება ჯობს სასუსნავის შემოგდება-გამრავლებით.

17932. შერიგება ურთიერთსიმპატიების დაკარგვის შემდგომაც შეი-ძლება, მაგრამ მეგობრობა-სიყვარულში არასოდეს გაიზრდება.

17933. რათა დაგიჯერონ, გარკვეულ წლებთან ვალის მოხდით შეთამა-შებაა საჭირო.

17934. ქალ-ვაჟს ერთმანეთი, მათდაუნებლიედ, ვარდისფერი სათ-

ვალეებით მოსწონთ, რომელიც მათთვის შესაცნობ ჰორმონებს გამოჰყოფს.

17935. გმირობას შეცდომების შედეგი მინიმუმამდე დაჰყავს, ხოლო გამარჯვება ყოველივე უხიაგს გვავიწყებს.

17936. ცოდნით გაკაიფება, გაჯირითება, ახალგაზრდას უფრო უხდება და აღგვაფრთოვანებს, ვიდრე ასაკს, რადგან ამ უკანასკნელის მეგაბაიტი გაკვირვებას ნაკლებად იწვევს – ეს ხომ ასეც უნდა იყოს.

17937. ცხოვრება დიდი ოინბაზობაა თავისი მანჭვა-გრეხით, რადგან სხვანაირად თავის წარმოჩენა არ ხერხდება.

17938. სიკვდილი ყველა ილუზიას, ამპარტავნებას, წერტილს უსვამს და სახელის დატოვების იმედს გვიტოვებს.

17939. სიკვდილი თავისებური ვალის გადახდაა, მომდევნო თაობების კვლავსაწარმოებლად.

17940. ცხოვრებამ რაც უნდა კვანტი გამოგვდოს, სიცოცხლის ფასი მაინც განუსაზღვრელია.

17941. ყველაზე მეტად დაძინებისწინა შენ ნაოცნებარ უვერტიურაში გაჯირითება ფასობს ილუზიებით, კაიფით და გონის მოხმობით.

17942. ალბათ, ყველაზე დიდი „კუში“ წლების მოგებაა, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

17943. გარდაუვალობა ადამიანს გამოსავლის ძებნას აწყებინებს და ხშირად შედეგსაც აღწევს.

17944. ურთიერთის აზრი რომ დავაკონკრეტოთ და საქმიანი გავხადოთ, შესაძლებლობები და გამორჩენის ნდომა სჭირდება.

17945. ვისიმე ასაკს რომ პატივი მივაგოთ, მისი ჯეელობაც უნდა წარმოვიდგინოთ საკუთარ თავთან შედარებით და ჩვენი მშობლების ხსოვნის აპრობირებით.

17946. მოთმინება ნიღბიანი სიკეთისკენ ლტოლვაა, ყალყზე შედგომით და დროის შერჩევით.

17947. ერუდიცია ის ფოკუსია, რომელიც თვალებს გვჭრის, მაგრამ ყოფის რეალობიდან ხშირად შორსა დგას.

17948. გულგრილობას, სიბრიყვეს და მომავლის იმედის დაკარგვას ვერც ერთი ცოდვა კონკურენციას ვერ გაუწევს.

17949. სიღარიბისგან თავის დაღწევას ლოცვაზე მეტად, ხელის განძრევა და გონების მოხმობა შველის.

17950. ეშმაკობა, მოხერხებულობა, სიბრძნე, ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან, მაგრამ გააჩნია, დროს ვინ როგორ გამოიყენებს.

17951. ეშმაკობაც პროფესიონალიზმს და ზოგჯერ „ყვერებზე ფეხების

დაბიჯებას“ ითხოვს, რათა უკეთ იღვაწოს.

17952. ზოგჯერ მოწინააღმდეგენი უფრო მეტად გვეხმარებიან კარიერის ხელის გამოკვრაში, ვიდრე თანამეინახეები.

17953. მოყვასი შეიძლება მტრადაც გექცეს და მეგობრადაც დარჩეს, გააჩნია, რას გამოელიან შენგან.

17954. ერთგულებაშიც ბევრი ნაკლია. თუ მას კარგად მოვჩხრიკავთ, გამოჩნდება: იმედი, გამორჩენა, შეუცვლელობა.

17955. გამართლება ცენზს გვიწევს, ცნობადს გვხდის და თავსაც მაღლა გვაწევინებს.

17956. „ჩვენ ცხოვრება გვინდა და არა – არსებობა“, მაგრამ გააჩნია, ვისთვის რა რა არის და რა – ხელმისაწვდომი.

17957. საკუთარი თავისადმი ირონია ბევრი ცხოვრებისეული კაურებისაგან თავის დაძვრენაში გვეხმარება.

17958. ცხოვრების კიბეს თუ ქვევით მივყვებით, მას ნაძალადევი ვნება და სიხარული უნდა დაუპირისპირო, რათა მიმდინარეობის ტალღებსზემოთ აღმოვჩნდეთ.

17959. ადამიანი ყოველთვის იყო და დარჩება ცხოვრების სკოლაში, თავისი იპოქონდრიით და თავის გამჟღავნება-გამორჩენის სურვილით.

17960. სახელოვანი წარსული ყოველთვის არ არის იმის გარანტი, რომ ამ ცხოვრებას ბოლომდე ღირსეულად გაათრევ.

17961. ამ ქვეყნად ბედნიერება საძებარია, მაგრამ ასე თუ ისე, სიმშვიდე და ნება თუ გონიერებას მოუხმობს, გარანტირებულია.

17962. შემთხვევა თავისი კაპრიზებით ჭრის და კერავს ჩვენს მომავალს.

17963. ჩვენი ადათ-წესების აღსრულებით, მადლობას ვუხდით ბუნებას, რომელმაც ამ საცხოვრებელ ადგილზე არსებობის უფლება მოგვცა.

17964. სიბერის საკვები ის გონიერება და გამოცდილებაა, რაც მან ახალგაზრდობაში „აკრიფა“.

17965. თუ ადამიანს თვისი ცხოვრება არ აქვს, ცდილობს სხვაზე შეფობა აიღოს, მისი ცხოვრებით იცხოვროს და სხვისი ყოფა განკარგოს.

17966. დილეტანტობა ყველა დარგში „მისასალმებელია“, თუ პატრონი გყავს, უპირველესად მას ემსახურები და არა – საქმეს.

17967. ცხოვრება პოვნა-დაკარგვის ალგორითმებისგან შესდგება, რაც ხშირად ამოხსნას არ ექვემდებარება.

17968. ამხანაგის შერჩევა უფრო ძნელია, ვიდრე მეგობრის, რადგან

პირველს აკონტროლებ, ზედამხედველობ, ხოლო მეორეს საქმიანობის გარეშე ხვდები.

17969. უპირველესია პური და გართობა, რაც შეეხება სწავლებას, არასოდესაა დაგვიანებული.

17970. ყველანი შეძლებისდაგვარად საკუთარ სიცოცხლეს საკმეველს ვუკმევთ და იმქვეყნიურ ცხოვრებას ვეღადავებით.

17971. კეთილდღეობას, უმთავრესად, სიცოცხლის მადლის შეცნობა სჭირდება.

17972. თუ გულით და ცოდნით საქმიანობ და თან კარგ საქმეებს აკეთებ, დაუყვედრებელი მადლიერება საჩუქრებით მარად შენს ირგვლივ იბზრიალებს.

17973. ახალგაზრდობაში სასიკეთოდ ნაკეთები საქმის გახსენება სიბერეს გვილამაზებს და გვიმკობს.

17974. სიბრძნისთვისაც აუცილებელია ცხოვრების გამოცდილება, რადგან მარტო ნიჭს ყოფის კაურებთან შერკინება გაუჭირდება.

17975. გული სიტყვებს არ წონის, ის მათ ისრუტავს.

17976. „ყვერებზე ფეხის დაუბიჯებლად“ ცხოვრების გავლა ძნელია, მაგრამ უნდა შევეცადოთ.

17977. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ცხოვრება ის ზღაპარია, რომლის გაფეტიშებით თავს მაინცდამაინც არ ვიწუხებთ და არც მისი სასწაულების შეცნობას ვცდილობთ.

17978. მცირე ცოდვებს იმიტომაც ჩავდივართ, რომ მოგვიტევონ, შეგვინდონ და დაივიწყონ, რათა კვლავ შევცოდოთ და თავი ადამიანებად ვიგრძნოთ.

17979. ადამიანს სასწაულებთან გონით გაჯირითება და მასთან შეთამაშება მოსწონს და საინტერესო ისაა, რომ ზოგჯერ უმართლებს.

17980. ადამიანი არა მარტო საწვალებლადაა გაჩენილი, არამედ გასახარადაც, გასამხნეველებადაც და სიცოცხლის შესაქმნელადაც.

17981. ცხოვრება მინდვრის გადარბენა არაა, მას დამუღამებას საკუთარი მეს დაბანდებით სჭირდება.

17982. ადამიანებისთვის უმთავრესია ცხოვრების არსის გაცნობიერება, გათავისება, ხოლო რაც შეეხება გამორჩენას, ეს შესაძლებელიცაა და მისასალმებელიც.

17983. ეს სამყარო არც ჩვენი მოგონილია და არც ჩვენი შექმნილია, მაგრამ მასში ცხოვრება ისე უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი მეობის დასამახსოვრებელი ადგილი საყოფაცხოვრებო ისტორიაში მაინც დავჯავშნოთ.

17984. ყველა ჩვენგანს ჭანჭიკები მეტ-ნაკლებად მოშვებული გვაქვს,

ამასთან ჩვენი შეხედულებით და ინსტინქტებით გარკვეული გარ-
თობაც გვინდა, მათ შორის, ძლიერთა ამა ქვეყნისათაც, მაგრამ ეს
სანახაობად და „მასმედიისთვის“ ხელმისაწვდომად არ უნდა ვაქ-
ციოთ.

17985. ვარჯიში, მცდელობა, თამაში, გზაა, გამარჯვება შედეგია.
მიუხედავად მათი ეტაპებად დაყოფისა, შედეგი მაინც ერთ სიბრ-
ტყეში განიხილება.

17986. ცხოვრება თავისებური გარიგებაა ნიჭის, მადლის და ბედის წყ-
ალობით.

17987. ადამიანის ყოფის უმთავრესი ალგორითმი მიზანია, ხოლო
ტოლობა – შედეგი.

17988. მოთმინება, დაკვირვება, სიკეთის კეთების სურვილი, ყოფის
შედეგს საბოლოოდ დადებითად აბალანსებს.

17989. ჩვენი ცხოვრების მართვის უფლება თვით სიკვდილისადმი შიშ-
საც არ აქვს.

17990. სხვადასხვა თვისებების შეჭიდება-შეჯახება ცხოვრების წრის
გაფართოებას იწვევს.

17991. ჯიუტ, მაგრამ მშრომელი ვირების რემას ერთი ამაყი ლომი
მაინც სჭირდება, ცხოვრების მადლის შესაცნობად.

17992. ძალზე გვღლიან ვითომ მეგობრები, თავსმოხვეული თანამშრომ-
ლობა და მოჩვენებითი კეთილისმდომნი, როდესაც ცხოვრება გაუ-
თვითცნობიერებული გაქვს, ოჯახი – აკიდებული და ყველა შენ
იმედზეა.

17993. ჩვენ რეალური ცხოვრების „გასაზრისიანება“ გვაწყობს და არა
დროის გაყვანა უპოვრობით, გულმავიწყობით და ჩვენზე იძულები-
თი ზრუნვით.

17994. აკრძალვების ალგორითმის თეორია ერთია, ხოლო რეალობა
ზოგჯერ საშინელებაა და მას გონების მოკრეფით მოვლა სჭირდ-
ება.

17995. ზოგჯერ „ვიცის“ „არც გამიგია“ სჯობს – უფრო მშვიდად იცხ-
ოვრებ.

17996. ღირშესანიშნავის, დასამახსოვრებლის, მისაღწევად სულ წინ
უნდა ვიაროთ და უკან არ უნდა მოვიხედოთ, რადგან იქ ველა-
რაფერს შევცვლით.

17997. სულიერებას ჯანმრთელი ცხოვრება უყვარს მოგზაურობით,
ხორციელს – მოჭარბებული სმა დროსტარებით.

17998. დღესაც სამყარო საღ აზროვნებას მოკლებული და წამგლეჯი
ხალხის ხელშია და ეს უგუნურება სანამდე გასტანს, არავის უწ-

ყის.

17999. სიახლის ფასის ცოდნა სრულყოფილების ერთ-ერთი პარამეტრია.

18000. სამყაროს ჩვენთვის გასაგები წესები და ჰუმანიზმი არ გააჩნია, ან უნდა გაგვაქროს, ანდა, მის სურვილებს და ამბიციებს დავემორჩილოთ.

18001. ყველანი სარკის, ფოტოსურათის, რეალობას გაურბიან, მაგრამ დროის კაურებს ვერსად წაუვალთ.

18002. ამ სამყაროს მდედრი სტაბილურობისთვის, ხოლო მამრი ევოლუციისთვის ევლინება და მათი ბუნების და სექსის ცვალებადობას არავითარი სიკეთე არ მოაქვს.

18003. ძუ, ხვადთან შედარებით, ყოველთვის მართალია, რადგან მშობავია თავისი ამბიციებით და სიცოცხლის საწყისით.

18004. ლოდინზე, უხასიათობაზე და უიმედობაზე მოსაბეზრებელი ამქვეყნად არაფერია.

18005. „რისთვისაც ვიბადებით, იმითაც გამოვდგებით“, ამ აქსიომას არც ერთი ჩვენგანი არ ეთანხმება და კორექტივების შეტანას ცდილობს.

18006. ზოგჯერ ისეთ ღვთაებრივ პიროვნებას გადაეყრები, რომ გინდა გჯეროდეს მომხიბვლელი სიბერის, დროული სიკვდილის და ამით თავს ბედნიერად გრძნობ.

18007. კარგ ადამიანსაც ხშირად ცხოვრება ჭმუჭნის და შემდგომ გაუშვებს, რათა მანაც ყოფას ალღო აუღოს, ცხოვრება ისწავლოს და სულიერად უდროოდ არ დაბერდეს.

18008. ასაკოვნებისგან განსხვავებით, ჯეელობა სიცოცხლეს უდიერად, დაუფიქრებლად, უპრეტენზიოდ ეპყრობა, რადგან მის ფასს ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს.

18009. გამოცდილება, ცოდნა, დიდი საქმეა, მაგრამ ბედის წყალობას, ფორტუნას, ვერ შეედრება.

18010. ცოლის მოყვანა და უღელში თავის გაყოფა დიდი ბედნიერება არაა, მაგრამ მოვალეობის მოხდაა გვარის, მეობის, ქვეყნის და ქალების წინაშე.

18011. ბედნიერებაა, როდესაც ისეთ თაობას ხედავ, რომელის ამქვეყნად დატოვება არ გეხამუშება და იმქვეყნად მშვიდად მიდიხარ.

18012. ცხოვრებას ჯერ ახურდავებენ, შემდგომ აუთოებენ, საყვედურის თქმასაც არ ივიწყებენ და ადამიანთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, ასეთია.

18013. სტანდარტებით ცხოვრება ძნელია, მაგრამ მათი გაუთვალ-

ისწინებლობაც კარგს არაფერს იძლევა.

18014. თავს ვერ აიძულებ მარად სხვას ჯობნიდე, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რათა არ ჩამოვრჩეთ.

18015. მიამიტობაა, როდესაც ფიქრობ ყველაფერს შევძლებო, მაგრამ თუ შემართებას შეაზელ, ეს გულუბრყვილობა, შეიძლება რეალობად იქცეს.

18016. სერიოზულობა, ყურადღებიანობა და მომხიბვლელი ღიმილი ასაკში უფრო გვაამაყებს და პატივს მოგვაგებს.

18017. ვეცადოთ ვნახოთ, დავაჭაშნიკოთ, განვსაჯოთ, უფრო ახალი, თანამედროვე, პერსპექტიული, ვიდრე მოძველებული, მოდიდან გამოსული, რათა ყოფის კაურებს არ ჩამოვრჩეთ და ასაკში ხინჯად არ დაგვრჩეს.

18018. მცდელობა სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, გვახარებს.

18019. სინანული მაშინ მოდის, როდესაც დაგვიანებულია და წახდენილ საქმეს ვერ ვშველით.

18020. თუ მაიმუნიდან ადამიანი შეიქმნა, რა უშლის ხელს ადამიანს ისევ მაიმუნად იქცეს და ჰარამხანა შექმნას ჯანმრთელი თაობის გამოსაყვანად, თუ მისი მოდგმა სულიერად გადაგვარების გამო გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

18021. არის შემოქმედი ხალხი, არის „საქმიანი“ ყბედები და ღმერთმა ამ უკანასკნელებთან საქმის დაჭერისგან დაგვიფაროს, რადგან მათთან ურთიერთობა დროის დაკარგვის გარდა, ცხოვრების არარაობას გვაზიარებს.

18022. ბედნიერება ყოველთვის ახლოსაც არის და შორსაც, გააჩნია, ფეხს რას და როდის წამოკრავ.

18023. საერთო ღირებულებათა დროულად გათავისება, აწმყოზე მორგების საფუძველიცაა და ბაზისიც.

18024. პროგრესის საწყისი ყოფის სხვადასხვა მხრიდან შემოტევაა.

18025. მთავარია ცხოვრებით დაბეჟილ-დაჟეჟილ სულს მომდევნო თაობებისთვის რაღაც დასამახსოვრებელი მაინც დავატოვებინოთ.

18026. კულინარია საუცხოო „უმსგავსობაა“, რომლისთვისაც დროულად თავის დანებება გვიჭირს.

18027. ცოლის მძიმე მშობიარობის დროს ქმრისთვის ძნელი ასარჩევია: ცოლის სიცოცხლე თუ ნანატრი ბავშვისა, განსაკუთრებით, თუ ბიჭია და გვარის გამგრძელებელი.

18028. როდესაც ჯეელობაში სიცოცხლე გიხმობს და გიხარია, სისულელეებს ისე სჩადიხარ, ვერც კი გრძნობ და ცხადია, ვერც ხვდები.

18029. ვაჟიშვილი არსებობის გაგრძელების ქვეცნობიერად შეგრძნების

უფლებას გვიტოვებს, ქალიშვილი კი მშვენიერების შეცნობისას და მოვალეობის მოხდისას.

18030. სასიკეთო საქმის კეთება ის ალგორითმია, რომელიც დასახული მიზნისკენ მიმავალ გზას არ აგაცდენს.

18031. ხშირად საფრთხე მაშინ გვემუქრება, როდესაც ცა მოწმენდილია, უღრუბლოა და ცხოვრების ასარევი ნიავი არსაიდან არ ქრის.

18032. სიკეთე და ბოროტება ანტიგნებია, მაგრამ მათ განსჯას მაინც გარემო, საფრთხის წინაშე დგომა და დროის დაღვინება ახდენს.

18033. სისულელეს და სიბინძურესაც დროულად ყურადღება სჭირდება, რათა ერთმა არ გვავნოს, მეორემ კი სარგებელი დროულად მოგვიტანოს.

18034. ცხოვრება დათმობას არ ექვემდებარება, სანამ წლების მატების მძიმე ტვირთი არ გვაიძულებს თავის წერტილ-მძიმეთი და გაგების ნიშნით.

18035. სიკვდილზე ფიქრით დრო არ უნდა მოვაცდინოთ, მთავარია სიცოცხლის მადლის შეცნობა და გამოყენება ვისწავლოთ.

18036. სიმდიდრის ფლობას ბედი უნდა, ხოლო სახელის უკვდავებას – ღვთის მადლი.

18037. ცხოვრებაში გარკვევას და ხეტიალს თავის კომპასი და ინტუიცია სჭირდება.

18038. ყველა თავის სწორს და ტოლს ეძებს, სანამ გაზულუქდება და რასმეს მიაღწევს.

18039. სიცოცხლეს თავისი შეფუთვა სჭირდება ვაჟკაცობით, სათნოებით და სიკეთის კეთებით.

18040. სურვილი უამრავია, მაგრამ მისი აღსრულების შესაძლებლობა შეზღუდულია.

18041. ყველა სიცოცხლეს უსაზღვრო ფასი ადევს, გააჩნია, ვინ როგორ და სად შეიძენს.

18042. სათანადო ჭკუა ყველას სჭირდება: ბრიყვსაც, ყეყეჩსაც და ამ ცხოვრების უბედურსაც.

18043. სურვილის აღსრულებასაც უნდა ჩავუსაფრდეთ, ოღონდ ხელის განძრევით და თავის მოქაჩლებით.

18044. წარმატებას აღარ აინტერესებს ეს შემთხვევის წყალობით მოხდა თუ ყურებიდან ჭკუის ჟონვის შედეგად.

18045. ცხოვრებაში უმთავრესია შენი ყოფის საჭირო კოშკის მონახვა, მასზე დაბრახუნება, რადგან დაკაკუნება ყოველთვის მოკრძალებულ შედეგს იძლევა.

18046. ფულის, საჭმლის და პატივმოყვარეობის მოხმარა ზომიერების

ფარგლებში არ ხერხდება, რადგან პირველ რიგში ადამიანები ვართ თავისი ცდუნებით, მორწმუნეობით და განგების „სიაფანდზე“ მოშიშარნი.

18047. უზომო ჭამა-სმისგან სნეულებას ვიძენთ, მარხვით სხეულს შვებას ვაძლევთ, შიმშილით ვმკურნალობთ, ეს იგივეა, გადასადგილებელ საშუალებაში ცუდ საწვავს ჩავასხამ თუ ნორმალურს. თუკი საერთოდ არ ვამოძრავებთ, „მანქანა“ დიდხანს ვერ გაძლებს.

18048. გმირობა ცხოვრების ცუდი მომწყობია, მაგრამ ყოფისათვისაა დიდი კაიფი.

18049. ცხოვრების წესი ჩვენი დადებითი თვისებების ტირაჟირება და მხარის დაჭერა უნდა იყოს.

18050. ცხოვრების მადლის შეცნობა ყოფის დებეტ-კრედიტით იწყება.

18051. განგება არ გვაძლევს იმის უფლებას, სხვას უფსკრულისკენ ვუბიძგოთ, მაგრამ ამას ჩვენი შეურაცხადი ამბიციების და გამორჩენის მიზნით მაინც ჩავდივართ.

18052. სამოთხე, კომუნიზმი, თეორიულად ნიშნავს: აუცილებელ სამყოფელს, მცირე შრომას, წმინდა და უშფოთველ ცხოვრებას, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელია, განგებას რომ არ მოსწონს და ადამიანიც გადაგვარებისკენ მიილტვის, თუ გარემოებამაც ხელი შეუწყო.

18053. მეგობარია ის, ვინც სიცოცხლის ბოლომდე შემოგვრჩება და მასთან ერთად როგორც პარტნიორთან, საერთო ბიზნესი არ გვქონია.

18054. უნიათობა ნიჭსაც ღუპავს, სიყვარულსაც და მასზე მოიმედე ქალსაც.

18055. სიცოცხლეში ფასი ყოველივე ქმედებას უნდა დავადოთ, თუნდაც ჩვენივე გადასახედიდან.

18056. გონიერების კაურები ყოფის მოსაწყობად უნდა დავიხმაროთ.

18057. ცხოვრება თავისებური კომერციაა, თავისი პოლიტეკონომიით და თვითმყოფადობით.

18058. ხშირად საკუთარი თავის შეცნობა და რეალობა გვაფიქრებს და აღარ ვიცით, ამ რეალობით ვიამაყოთ თუ ვაგინოთ.

18059. სიცოცხლეზე, შთამომავლობაზე, მოყვარეზე ფიქრია გონიერება და არა – სამოთხეში მოხვედრაზე.

18060. გაცუდებასაც ბედი უნდა, რომ შენმა მტერმა მასხარად არ აგიგდოს და არ გაიხაროს.

18061. ჭკვიანის ყოლას ისევ ერთგულის ყოლა სჯობია.

18062. ფხიან იუმორს უბიწო ტვინი ვერც ტვინავს და ვერც აჭაშნიკებს, რადგან ცხოვრების ანი და ბანი მისთვის ჯერ კიდევ უცხოა.

18063. მეორედ გასარტყმელად ლოყა შეუშვირო კი არა, ის პირველი არ

უნდა გაკადრონ, თუ საკუთარ თავს პატივს მიაგებ და ცხოვრებაში რაიმე პერსპექტივას ელი.

18064. ზოგჯერ ჩვენი საქმე ზებრაა, შავ-თეთრია ე.ი. გაუგებარია.

18065. თუ თავის დროზე რაღაცას ვფლობდით, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ და დღევანდელი მდგომარეობა ამრიგად უნდა მოვინელოთ.

18066. სიკეთის კეთებასაც შემჩნევა, აღქმა და საღი ჭკუა უნდა.

18067. სურვილი, აჯობო სხვას, ბოროტებაცაა და შემართებაც.

18068. ყველა აგურს, რომელიც ჩვენი ცხოვრების ასაშენებლად იდება, უნდა გავუფრთხილდეთ და თვალიც უნდა ვადევნოთ.

18069. ცხოვრებაში ბევრი უსამართლობაა და თავი ბედნიერად უნდა ჩათვალო, თუ საღსამალათად ხარ და შენთვის ყოფას ჯერ კიდევ ფეხი არ დაუდევს.

18070. რასაც აკეთებ და შედეგი მოაქვს, ბედნიერებაა და მას სხვა სიამოვნება ვერ შეედრება.

18071. ამ ცხოვრებაში ყველას თავის ჯვარი აქვს სატარებელი, იმისდამიუხედავად, ეს ბუნების შეცდომაა თუ აღზრდის, გარემოს, დროის.

18072. ხშირად განვლილი ცხოვრების შემხედვარეს თავში ხელისცემა გვიხდება, მაგრამ, კიდევ კარგი, დაგვიანებულია, რადგან მისი გამოსწორების საშუალება რომ მოგვცემოდა, რა გარანტიაა, რომ მეტ შეცდომას არ დავუშვებდით.

18073. სწავლა სიბერემდე, მაგრამ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი როდემდე გასტანს, პასუხის გაცემა ძნელია.

18074. იყო ცხოვრებით უკმაყოფილო, ყოველთვის ცუდი არ არის, ის ხელს გვიბიძგებს მცდელობისკენ, პროგრესისკენ, გაურკვევლობისკენ, თავდავიწყებისკენ, განაწყენებისკენ.

18075. აკეთო საქმე, თუნდაც მცირედი, შენთვის შესატყვის ლელოს ყოველთვის გაიტან.

18076. შემთხვევა ბევრსაც აკეთებს და აფუჭებს კიდეც, მაგრამ მისი იმედი ყველას გვაქვს.

18077. ჩვენი ზრახვები ხშირად კრახს განიცდის, მაგრამ თუ ერთმა მაინც გაიჯირითა, ყველა გაკოტრებისთვის ბიშტი ნაჩვენებია.

18078. მიზანი დაუნდობელია, თუ ის რეალობასთან ახლოა.

18079. ბევრი ძალ-ღონე მიაქვს კინკლაობას და კარიერისთვის ბრძოლას და ბოლოს ირკვევა, რომ ეს მცდელობაც ამაოებაა.

18080. ადამიანის ცხოვრებაში მთავარი პროფესია კი არ არის, არამედ მოწოდება და საკუთარი თავის ხუშტურების შეცნობა.

18081. ზოგჯერ განვლილ წლებს კარგი სურვილებით სჭირდება სიცოცხლის დაბრუნება, ფრთაშესხმა, გახანგრძლივება.
18082. ცხოვრება სასიამოვნო, მაგრამ უაზრო თამაშია, ყოფის ატრიბუტებით.
18083. ცხოვრება ძნელია, მაგრამ განგების ნაბოძებია, ამიტომ ბედის საჩუქარი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.
18084. რიტუალი, მათ შორის, მწუხრის, დროის მოკვლის, დარდის გადაყრის და გართობის ერთ-ერთი საშუალებაა.
18085. მარტივი ბაზისის გარეშე, ყველაფერი სევდით და „შენ რაღა გენაღვლებათი“ მთავრდება.
18086. ზოგჯერ იქმნება ისეთი გარემო, როდესაც გონიერება ჭირს მოგვჭამს და ხელში შემოგვრჩება განუსჯელი ნერვები.
18087. შრომის სიყვარული ნებაყოფლობითი, თანდაყოლილია, ზოგჯერ კი იძულებითი, ცხოვრების მათრახის შიშით შეძენილი.
18088. უბედურება-უკულმართობის გამოსწორებაც შეიძლება, თუ გონებას მოვუხმობთ და მობილიზებას გავუკეთებთ.
18089. სარგებლისთვის მტერი გვებრძვის, მეგობარი გვღალატობს და ეს უკანასკნელი უფრო დასამახსოვრებელი და მტკივნეულია.
18090. ყველა სიცოცხლეს დაცვა უნდა, იმისდამიუხედავად, ღირსებით ვატარებთ ამ ტვირთს თუ უღირსად.
18091. შემთხვევა ბევრს აკეთებს და აფუჭებს, კიდეც, გააჩნია, მცდელობას და ჭკუას როგორ მოვუხმობთ.
18092. სიკეთის კეთებასაც ჭკვიანი ხელის თავში წამორტყმა სჭირდება.
18093. ნაკლის შელამაზება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი ალგორითმის მალვა გვეხერხება.
18094. ყველა სიცოცხლე ფასს იდებს, ჩვენი ცნობიერება ჩასწვდება ამას თუ არა.
18095. ბედნიერება აუწერელი შედევრია, რომელიც მცირე შეცდომამ შეიძლება არარაობად აქციოს.
18096. ცხოვრებამ აუტში მცირედი ხანითაც არ უნდა გაგვიშვას და შენი აუტიდან შემოტანა გარეშეს არ უნდა დაავალოს.
18097. თავიდან ცხოვრების აწყობა, ერთეულ შეუპოვართა ხვედრია, თუ ბედმაც არ დაივიწყა.
18098. ცხოვრება არა მარტო აღმაფრენაა, დაღმაფრენაცაა თუ ყოფის კაურებს ვერ გაუგებ და ფეხსაც დაგიდებს.
18099. ცხოვრების უმთავრესი ინსტინქტი ჩვენი ნების ზეიმია.
18100. ყურადღების ნაკლებობას ასაკში მეტ-ნაკლებად ყველა გან-

იცდის, განსაკუთრებით, ვისაც ყავლი გასული აქვს და მის გამოყენებაზე აღარავინ ფიქრობს.

18101. ყველანი საკუთარი მისიის აღსასრულებლად ვართ მოვლენილნი ამქვეყნად და როგორ ვასრულებთ, ეს უნარზე, მონდომებაზე და ბედის წყალობაზეა დამყარებული.

18102. ბედის დარტყმას ადამიანთა უმრავლესობა ვერ უძლებს და გონიერება ვერ ეგუება, შედეგად ცხოვრება აზრს კარგავს და ადამიანიც „ჩმორდება“.

18103. ცხოვრება მაინც ლატარეაა, დროის გათავხედებაა, გარემოსთან შერწყმაა, იმისდამიუხედავად, წავიფორთხიალებთ თუ არა.

18104. დიდი ჯვრის ტარება ერთეულთა ხვედრია, მაგრამ ხშირად რატომღაც მასაც პიარის თითის ანაბეჭდები ახლავს.

18105. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ცხოვრება ყველა ეტაპზე „ყოფიერების მელოდიური სიმღერის გარეშე რჩება“ და ახლის შექმნას მოითხოვს.

18106. ცხოვრება თავისებური ორგანიზმია, რომელიც ასაკთან ერთად კნინდება, მაგრამ ტრაბახის მეგაბაიტი ეზრდება.

18107. უპირველესი სურვილი ურთიერთკეთილდღეობის სადღეგრძელოს შესმა უნდა იყოს, თუ შეხვედრამ გაამართლა და დასამახსოვრებლად დაგვრჩა.

18108. ერთმანეთს ჭკუა კი არ უნდა ვასწავლოთ, არამედ გამოცდილება ყოფის მაგალითებით უნდა გავანდოთ, შედეგად ურთიერთობა, ურთიერთპატივისცემა გაცილებით უკეთესია.

18109. უნდა ვიცხოვროთ საკუთარ დროში და დასამახსოვრებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე ფარსია.

18110. ცხოვრების გენერლები, სულით ყოველთვის მოქალაქეები იყვნენ და დიქტატს დასახული მიზნის მისაღწევად იყენებდნენ.

18111. ბედნიერების მოპოვება ბედთან ერთად ძალისხმევას მოითხოვს კვადრატში, კუბში.

18112. საბოლოოდ ხელი არც მეგობარს უნდა ჰკრა და არც მტერს, რადგან ეს ქვეყანა და ბედისწერა როგორ და რანაირად შემოგვიტრიალდება, არავის უწყის.

18113. დღევანდელობას, რეალობას, დაუნდობლად ვიშორებთ, მაგრამ მის ნაცვლად რას მივიღებთ – დიდად არ ვნაღვლობთ.

18114. იმედს წვრილ-წვრილ ნამცეცებად ვაგროვებთ, ხოლო გაწბილებას ერთბაშად, დაუთვლელად ვიღებთ.

18115. რასაც ვერ ვუვლით, კოსერზე გვაწევს. მათ შორის, ცოლი, შვილიც, უნდა გავასხვისოთ, რათა მათი ცოდვა არ ავიკიდოთ.

18116. ნატურალურ, მაღალი ხარისხის, პროდუქტს არ სჭირდება სხვადასხვა გემოვნების და თვალის ასახვევი დანამატები, მაგრამ იყენებს. წესით, არც ლამაზ ქალს სჭირდება ფერ-უმარული, მაგრამ ისიც ამას დიდი სიამოვნებით სმარობს და თავსაც მოდის შესატყვისად გვაწონებს.

18117. სამუშაოს, რწმენის, მიზნის, ქონა-უქონლობა იწვევს ადამიანთა ცნობიერების რეგენერაცია-განადგურებას.

18118. სილამაზის, მომხიბვლელობის, შესაძლებლობების, წარმოჩენა უმთავრესად ადამიანის ხასიათზე ყოფნას მოითხოვს, რეალობაზე, დაფინანსებაზე და შთაგონებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

18119. რწმენის, მიზნის, იდეების, გარეშე ცხოვრებას ყველაფერი ჯობს, რადგან მხოლოდ მუცლის ამოყორვაზე და გართობაზე ფიქრი თათქარიძეობაა.

18120. საკუთარი გამოცდილების დაბანდების გარეშე ცხოვრების გზის კვლევა ზოგჯერ შეუძლებელია.

18121. ყოფა საღი თვალით, უსაყვედუროდ, უნდა დავიახლოვოთ, რათა გაუმართლებელი ამბიციების გამო ცხოვრება უფრო მეტად არ გავირთულოთ.

18122. უიმედო ცხოვრება საშინელებაა კვადრატში თუ მას ოცნება და გამართლება თან არ ახლავს.

18123. ფუძის ანგელოზი შინაგანად ყველამ უნდა ვიყოლიოთ, რათა უფრო იმედიანად ვიცხოვროთ.

18124. ხშირად მეოცნებე, არაფრისმქონე, ხელმოცარული, მილიარდერის მომჭირნეობას დასცინის, „მაგის ფული მომცა და ჩემი ჭკუაო“, მე ვიცი, როგორც ვიცხოვრებდიო, მაგრამ მასაც რომ იმ გზით ეშოვნა ფული, ვინ იცის, როგორ მომჭირნე და წუწურაქი იქნებოდა საკუთარ თავისთვისაც.

18125. განათლებასა და გამოცდილებას შორის დიდი სხვაობაა, პირველი დროს ვერ ერგება, მეორეს კი დროს ყოველთვის გვერდში უდგას.

18126. ოცნება ტკბილია, რეალობა მწარე, სიცოცხლე ხალისია, ცხოვრება ძნელია, სიმართლე მისაღებია, სიცრუე მიუღებელია და ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელიც ყოველთვის არ გვადგება, რადგან ყოფას თავისი კაურები ახლავს ბედით, ხელის გამოღებით და გაბრძოლებით.

18127. გონიერებისთვის უბრალო ოჯახურ ბედნიერებაზე უკეთესი არაფერია.

18128. ზოგჯერ თეორიულად საზიანო პრაქტიკულად სასარგებლოდ იქცევა.

18129. დღესასწაულს ლოგინში განცხრომისას არავინ მოგვართმევს, მას მოყვანა, მოზიდვა და თავის მოფხანა უნდა.
18130. ჩვენ ყველანი ვეტმასნებით ფორტუნას და საინტერესო ისაა, რომ მისი გვჯერა და ზოგჯერ გვიმართლებს კიდეც.
18131. ზოგჯერ შენი გადასახედიდან დრო უნდა შეაჩერო, თავს შეუ-ძახო, გააკონტროლო, ყოფის წესი შეცვალო ან ცხოვრება ახლიდან დაიწყო.
18132. ზოგჯერ თავქარიანობაა საჭირო, რომ მიზანს მიაღწიო და საკუ-თარ „მეს“ პატივი მიაგო.
18133. ყველამ პირადად უნდა გამოჭედოს ცხოვრებაში თავისი რაობა, რადგან მას არც პროტექცია შველის, არც დაგიფასებენ და თავსაც წაგაყვედრიან.
18134. გონიერება იმიტომაცაა საჭირო, რომ ცხოვრების სიძნელეები აკრიფოს და თავის ჭკუაზე მოსკოროს-გაითავისოს.
18135. არის მარადისობის, არის უდღეურობის კანონი და ჩვენი ბედის ალჩუზეა დამოკიდებული რომელს ჩაგვახუტებს და დაგვმოძ-ღვრავს.
18136. ყველანი დრო-ჟამისაგან რაღაცის წაგლეჯას ვცდილობთ და ისე მივდივართ ამქვეყნიდან.
18137. უმეტესობა მიბაძვით ცხოვრობს, სხვას რომ არ ჩამორჩეს და არა – თავის სიამოვნებისთვის.
18138. ცხოვრება წუთებზე გამოდევნებაა სიჩქარეების გადართვით, დამუხრუჭება კი მორალის კოდექსზეა დამყარებული.
18139. ასაკის მატებას ორი განზომილება აქვს: გაიზარდო ჭკუა-გონე-ბის დააგროვებისთვის იღვაწო ან უნდა დაბერდე-დაჩმორდე და იმ-ქვეყნად წასასვლელად მოემზადო.
18140. სიბრძნე – გონიერების „აქსაკალობის“ კულტურა, გვინდა – არ გვინდა, დაბრუნდება. სხვანაირად საშუალო ასაკი არ მომწიფდება, სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს და საზოგადოებაც დაზარალ-დება.
18141. ცხოვრებაში ნაღდი გასახსენებელი ცოტაა, შეთხზულ-შემკუ-ლისაგან განსხვავებით, მაგრამ გახსენება გვსიამოვნებს და სულს გვიფორიაქებს.
18142. ყველამ თავის დროს უნდა უპატრონოს და თავის პოლიტიკას „ხელი უნდა გააწნას“, რათა ამქვეყნად ყოფნის მადლი აღიქვას და კმაყოფილი დარჩეს.
18143. წარსულის ღიმილით გახსენება ადამიანის უდიდესი მონაპო-ვარია ცხოვრების განსჯის უფლებით და ბედის შემოძახილით.

18144. ყველაზე მძიმე ტვირთია ასაკში სულიერების, რწმენის, ტრადიციების და რანიც ძველად ვიყავით, იმის თრევა.
18145. ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაში საკმარის გადასახადებს ვერ კრეფს, ან ბეყე და უვარგისია ან გამორჩენა-უკუგორებით არის დაინტერესებული.
18146. ზურგის ჩვენება არც ჩვენს ცოდვებს უყვარს, არც ჩვენს მეობას და არც ცოდნის დაუფლებას.
18147. ნათქვამია: „ვინც მოკვდება, იმან იკითხოსო“, თორემ ცხოვრებას თავისი კაურები აქვს და სიცოცხლეს თავისი ალები.
18148. გონიერება დასაწყვილებლად ოჯახის ქალს მოიძიებს და არა – ინტელექტუალს, რომელიც თავსწარმოჩენისთვის დაბადებულა და ოჯახის მეურნეობის აკიდებას სხვაზე ცდილობს.
18149. იცხოვრო და იღვაწო ეპოქის ხატის გვერდით, შედეგის, შეძლების, განსჯის, მიუხედავად, საამაყოა.
18150. ადამიანის რაობას შფოთიანი ცხოვრება აყალიბებს და არა – მშვიდი და ერთფეროვანი.
18151. ყველანი სიკეთის საკეთებლად ვართ მოწოდებული თუ გენმა, დრომ და შემთხვევამ უაზროდ ფეხი არ დაგვიდო.
18152. ყოველგვარი წარმატების გამოჭედვა შეიძლება, მაგრამ თუ ის შენი ბუნებისათვის განკუთვნილი არაა, ადამიანთა გულს ვერ მოიპოვებ.
18153. შემართება იმისთვისაა საჭირო, რომ შენი ბედის კარი მორგებული გასაღებით გააღო, ხოლო თავხედობაა ეს კარი რომ შეანგრიო და კუთვნილი მიიღო.
18154. ზოგჯერ გაგვიმართლებს და ისეთ წიგნს წავიკითხავთ, რომელიც მთელი ცხოვრება ჩვენთან არის და ჩვენს რაობას და ბედს თავის დამღას ასვამს.
18155. ზოგჯერ, სიყვარულის მომიზეზებით, ქრონიკულად დაავადებულ და ქარაქუცა ქალს შთამომავლობის ბედს ვანდობთ და ცოლად მოგვყავს, იმის იმედით, რომ გენეტიკა არ გაგვწირავს ან მეცნიერების მოსალოდნელი მიღწევები წამოგვეწევა მის განსაკურნავად. საინტერესოა, რატომ ვეჭიდავებით გენს და რატომ ვაგდებთ მომდევნო თაობებს საფრთხეში, თუკი შესაძლებელია ამ გატაცების დავიწყება, სხვაგან დროებით გადასახლებით.
18156. შემართება, სიახლის ძიება, ენერგიის დაცლის მცდელობა, ჩაუქრობელი ყოფის, თავის პატივისცემის და ამქვეყნად მოვლენის დაფასებაა.
18157. როდესაც ალკოჰოლს ეტანები, ვერ ხვდები, რომ რაღაცას მი-

ჰქარავ, ხოლო როდესაც ფხიზლდები, ხვდები, მაგრამ მაინც თავიდან იმეორებ.

18158. პუნქტუალურობა კარგია, თუ თავად ამით სიამოვნებას განიცდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისებური ქრონიკული დაავადებაა.

18159. მატერიალიზმი წესიერების ყველა პოსტულატს თავდაყირა აყენებს და ალიბს გამოუნახავს თუ გამდიდრება-მოხვეჭის შანსი გაჩნდება.

18160. რისკი, გამართლების გარეშე, შეუმჩნეველი რჩება.

18161. სიდედრი, რაც უნდა „დითირამბებით“ შევამკოთ, მაინც ჩვენი ცოლის დედაა, შვილების – ბებია და ჩვენი ოჯახის კეთილმოსურნე ექსპერტი.

18162. ყოფის მთავარი აქსიომა „ოქროს შუალედის“ მოძიებაა, თუ გენმა, გარემომ და განგებამ ხელი შეუწყო.

18163. თუ ცხოვრების ორომტრიალს ალღოს ვერ უღებ, თავადვე ხარ დამნაშავე, უბრალოდ, სხვა დროში უნდა დაბადებულვიყავი.

18164. ეტყობა, მაიმუნი არც თუ კარგი ცხოვრებისგან იქცა ადამიანად, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს მცდელობა პირიქითაა.

18165. შიში და სიყვარული, მიზანი და გამართლება, უდიდესი ძალაა.

18166. ხშირად რეალობა ვირეშმაკობაა და შურია, მაგრამ სურვილის მიუხედავად მისი მოსპობა არ ხერხდება, რადგან ადამიანის ბუნებაა ასეთი.

18167. უნდა ევცადოთ ჩვენი ცხოვრება პაროდიას არ დავამსგავსოთ, შთამომავლობა არ გვაპატიებს.

18168. მიმზიდველობა, ხიბლი, ყველა ნივთს, პროდუქტს თან უნდა ახლდეს, რათა ვისიამოვნოთ და სიამით მოვინელოთ.

18169. ბედი დასაპყრობი მწვერვალია, შეიძლება მოწყდე ან მის თავზე მოიკალათო.

18170. რომ ისულელო, არასოდეს გვიან არ არის, თუ შენს სულს, ნერვებს და გულის კუნთებს გახალისება სჭირდება.

18171. შვილის ყოლა იმიტომაცაა ბედნიერება, რომ ნაშრომ-ნაწვალები იცი ვის დაუტოვო და იმქვეყნად დამშვიდებული მიდიხარ.

18172. ტელეფონი, რომელიც არ რეკავს და ბულბული, რომელიც არ გალობს, ეს იგივეა, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთთან არ „ხიფინგობენ“ და სავალდებულო სექსმინიმუმს არ ასრულებენ.

18173. აკეთო ის, რაც სხვისთვის მიუწვდომელია, ბედნიერებაა.

18174. ნდობა კარგი თვისებაა, ოღონდ გადამოწმე და ისიც შენი ჭკუით.

18175. ცხოვრების დაწყებითი განათლების მიღება, სიცოცხლეს და ყო-

ფას ნაკლებ პრობლემას უქმნის.

18176. ოჯახის კეთილმოწყობა კუბში კომპრომისებით იგება და ორივე მხრიდან კვადრატში დათმობით მტკიცდება.

18177. მთავარია, ბედნიერი ყოველდღე იყო თუნდაც წამებში, მაგრამ არ უნდა შევეჩვიოთ, რადგან მოსალოდნელ უბედურებას ვერ გავითვალისწინებთ.

18178. ამ სამყაროში ვიღაცის სამართლიანობის იმედზე ყოფნა უტოპიაა, მაგრამ საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა და იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს.

18179. სამართალიან შურისძიებაზე ლამაზი არაფერია.

18180. მყისიერი შურისძიება სიბრიყვეა, ხოლო შურისძიებიდან ხელის აღება სიმხდალე.

18181. ზოგჯერ მადლობა იმისათვის უნდა გადაიხადო, რომ ყურადღება არ მოგაქციეს და არ დაგეხმარნენ, რადგან შენი ბედის ვარსკვლავის განზრახვებს ეს მფარველობა ძალზე ავნებდა და იმ გზას დაადგებოდი, რაც შენი არ იყო.

18182. ნაჭუჭიდან თავის დასხლტომას ყველა მეტ-ნაკლებად ცდილობს, მაგრამ მაინც შემთხვევის იმედად ვართ.

18183. უამრავი უმართავი სიხარული უნდა განვიცადოთ, რათა ამქვეყნად მოსვლის რაობის ავ-კარგი გავითავისოთ, შევისიხლხორცოთ.

18184. სამყარო ის სასტუმროა, სადაც დროებით ვსახლობთ, ხოლო ჩვენს შემდგომ ვინ იქნება მისი სტუმარი და როგორ წარმოჩინდება, დიდად არ გვანაღვლებს.

18185. მწვანე მოწყენილობა ის მელანქოლიაა, რომელიც ხშირად მარტოობის და მომაბეზრებელი უსაქმურობის შედეგია.

18186. პოსტულატი, არასოდეს დანებდე ცხოვრებას და აუხდენელი ოცნებების პროვოკაციას არ წამოეგო, უცვლელი განზომილებაა.

18187. საკუთარ დროის ყივილზე მორგება და მასში „ბაირამი“ ერთეულ ბედნიერთა ხვედრია.

18188. ბედნიერებას ძალას ჰმატებს, ამახსოვრებს, ამტკიცებს: სიყვარული, გატაცება, სასიამოვნო გახსენება, გონივრული დასვენება, მორალურ ღირსებებზე ფიქრი, საყვარელი საქმის კეთება, ყოველდღიურობის კონტროლი და იდეალების დამუღამება.

18189. იყო ბედნიერი და გახდე ბედნიერი, სხვადასხვა ყოფით განზომილებებს მოითხოვს ბედთან ერთად.

18190. ბედნიერებაა, როდესაც გიყვარს-უყვარხარ, გიგებენ-უგებ და მშვიდობის ატმოსფერო სუფევს, როდესაც არ ფიქრობ იმ სიმდი-

დრეზე, დიდებაზე, წარმატებაზე, რომელიც ასაკის შესატყვისად მოდის.

18191. ყველანი ცოდვილები ვართ, იმისდამიუხედავად, ვის როგორ გაუმართლებს და ცხოვრების ალიყურს და ყოფის ფეხის დადებას ვინ როგორ გაუძლებს.

18192. განსჯით გაჭიანურებული საქმის კეთებას ისევ სახელდახელოდ საქმის კეთება სჯობს, რადგან დიდ შედეგს ეჭიდავება და კაიფიც მეტია გამართლების შემთხვევაში.

18193. ხშირად სიკეთეს დაუფიქრებლად ვაკეთებთ და ეს ადამიანის თანდაყოლილი „უგუნურება“ ბედნიერებას გვანიჭებს.

18194. ცხოვრება ის მეტიჩრობაა, რომელიც, უნდა – არ უნდა, მგლის კანონს ემორჩილება.

18195. მთელი ჩვენი ცხოვრება შიშია გამონათებით, რაღაცის და საკუთარი თავის მიმართ.

18196. იმედის ჭიდილი არ გვარგებს, ის უნდა გავითავისოთ და მომავალი აღმაფრენით ვუყუროთ.

18197. მიზნები ჩვენი რაობის „აიწონა-დაიწონაა“, გატირაჟებული და სატრაბახო დაიწონა მცდელობით და შედეგით.

18198. სამწუხაროდ აზროვნებაც, ტანჯვაც და სიამოვნებაც, ბოლოს მაინც დასამახსოვრებელი სიკვდილისთვისაა განწირული.

18199. ეჭვიანობას არ გვპატიობენ, მაგრამ შინაგანად ეგუებიან.

18200. პატივმოყვარეობა ყოფის აიწონა-დაიწონაზეა დამოკიდებული.

18201. თავისათვის ყველაზე ძნელი იმ მიმართულების აღებაა, რომელიც მას ცხოვრების გერად არ აქცევს.

18202. უსაქმურობის შესანიშნავი მკურნალი უსაგნო ყბედობაა, ხოლო გამრთობი ინტერნეტია.

18203. საკუთარი თავის მოვლა-პატრონობას ჯეელობაში ყველანი უგულებელვყოფთ, რადგან გული უფრო თავის წარმოსაჩენ საქმისკენ მიგვიწევს.

18204. ცხოვრების აღსასრული ცოდვების ჩადენის და მიცვალების გარეშე შეუძლებელია.

18205. ნებისყოფა, შემართება, საქმის კეთების შესაძლებლობას იძლევა თუ შემთხვევამ არ გასწირა.

18206. სიმდიდრისკენ, კარიერისკენ, დიდებისკენ, ყველას თვალი გაურბის, ხოლო ვინც ვერ წვდება, ის სიწმინდეზე დებს თავს და „მეობას“ ამით გვაწონებს.

18207. მოგვწონს – არ მოგვწონს, სიყვარულიც, მეგობრობაც, ურთიერთობაც, საბოლოოდ მაინც მატერიალურისკენ იხრება, საჭიროე-

ბის შესატყვისად.

18208. არაფრის კეთებასაც ცოდნა და ნიჭი უნდა, იმგვარად, რომ სხვას თვალებში ნაცარი შეაყარო.

18209. ლანძღვა-გინებასაც ალღო უნდა აუღო და შენს სასარგებლოდ უნდა ამუშაო თუ გინდა შენი ოპონენტები დაბოღმო, ბიშტი უჩვენო და საკუთარ გონიერებას გაეჯიბრო.

18210. ბევრი რამ გვჭირდება ცხოვრებაში, მაგრამ მასში უპირველესის შერჩევა ჭირს.

18211. სიძნელეებით მაშინ ვამაყობთ, როდესაც ის დაძლეული და გარდასულია.

18212. სწრაფვა მუდამ პირველობას ჩემულობს, ბედნიერების შეცნობით.

18213. მარტოობის კაიფი დიდხანს არ გრძელდება და არც ბედნიერება მოაქვს.

18214. ზოგჯერ დასვენებაც შრომაა თუ შენი გონებიდან რაიმე სიახლე გამოიტყვრება.

18215. ბედის წყალობის შემჩნევა, ყოფის დროულ ალიყურზეა დამოკიდებული.

18216. ყველა ბედნიერების წამებთან შეთამაშების ღირსია, რათა ცხოვრება უქმად გატარებული არ გამოვიდეს.

18217. სიცოცხლე ის სიზმარია, რომლის ამოხსნასაც იმქვეყნად გადაბარგებამდე დრო და დრო ვცდილობთ.

18218. ცვლილება ყველას გვახარებს, იმისდამიუხედავად, მოვასწარით სიახლესთან შეჩვევა თუ არა.

18219. ჩვენ ნიღაბს ფაქტიურად არც ვიკეთებთ და არც ვიძრობთ, მაგრამ ჩვენდაუნებლიედ მაინც ნიღაბაფარებულები ვცხოვრობთ.

18220. თვითდინებას, ხელის წამოუკვრელად, ბოლომდე სიკეთე ვისთვის მოუტანია.

18221. ბედნიერება ერთია, მაგრამ ის ყველას თავისებურად ესმის და აქვს.

18222. ახალგაზრდობა თავის დაცვას უნდა ცდილობდეს მოჭარბებული ვნებებისაგან, ასაკი კი – ამ ვნებების გახსენებას.

18223. ბოროტებას სწორ და გატკეპნილ გზაზე სიარული არ ეხერხება.

18224. ცხოვრების პატიოსნად გატარება ხანგრძლივი სიცოცხლის პერსპექტივას იძლევა.

18225. ყველა ეჭვი ჩვენს სიცოცხლეს ეჭიდავება

18226. მოჭარბებული ბედნიერებაც სიცოცხლის გაფრთხილებაზე

დაფიქრებას მოითხოვს.

18227. სენტიმენტალობა და საგმირო საქმეები შორს დგანან ერთმანეთისაგან.

18228. სიცოცხლის შენარჩუნება ჩვენი „აქილევსის ქუსლია“.

18229. შეუპოვრობა დაუგეგმავი დაბრკოლებების გადალახვაა სიამოვნების მიღებით.

18230. ყავლგასულ სიცოცხლეს, დანანებით სიკვდილი ჯობს, შიგადაშიგ ახლობლების გახსენებით.

18231. სიცოცხლეს მანამ აქვს ფასი, სანამ ვაზროვნებთ და გვისმენენ, როცა რასმეს გვეკითხებიან და ვპასუხობთ.

18232. მექალთანეობისკენ მიდრეკილებას, ადრე თუ გვიან, მოევლება და ბურუსის უღელსაც დაიდგამს, რადგან ჯეელობას თავისი კერპი აქვს, ასაკს კი – თავისი მოთხოვნილება.

18233. ცოლ-ქმრული ჩავარდნები ხშირია, მაგრამ ოჯახიდან ამოვარდნაში არ უნდა გადაიზარდოს.

18234. სხვისი შვილები, ჩვენ შვილებთან შედარებით, რატომღაც სწრაფადაც იზრდებიან, ამასთან გენეტიკაც ცუდი აქვთ და აღზრდაც.

18235. დაწყვილება სასიკეთო შეჯვარებაა, ახალი სიცოცხლის წარმოსაჩენად.

18236. სწავლა ზოგჯერ სიმდიდრესაც იხვეჭს, მაგრამ სახელის მოხვეჭა ურჩევნია.

18237. ზოგჯერ ფორტუნა იმას ინებებს, რაც არც კი გვიფიქრია.

18238. ბედი თავის უფლება-მოსილებას ხშირად შედეგიანად და სარფიანად ვერ განაგებს ჩვენი უყურადღებობის გამო.

18239. ხშირად ცხოვრების ალიყურით ნაჭმევ მარულაში გვიხდება მონაწილეობა, ჩვენი ყოფის ფინიშის მიუხედავად.

18240. საქმეზე, რეალობაზე და მომჭირნეობაზე მოსაუბრე კაცი ცხოვრების ყველაზე უკეთესი მასწავლებელია.

18241. სიჯიუტეს ფრთებს ცხოვრება უმტვრევს და მიწაზე ანარცხებს, ყოფის ხელმეორედ შესასწავლად და საფრენად.

18242. მიზანი ერთია: იყო ცნობილი, მდიდარი, საჭირო, შენი მეობის და ცნობიერების შესატყვისად.

18243. კარგი წვრილმანები ზოგჯერ დიდ იმედებს ჯობნის, რადგან ნაღდი უკვე ხელში გვიჭირავს.

18244. სამზეოს დატოვება მოროდიორობის განაღდების შემთხვევაშიც ადვილი არაა, რადგან სამზეოს კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი.

18245. სკანდალს ჩვენ კი არ ვეძებთ, არამედ გვნახულობს, გვართობს და დროის გაყვანაში გვეხმარება.
18246. ლამაზად ცხოვრების სურვილს ვერავის აუკრძალავ, დამსახურებულად იქნება თუ დაუმსახურებლად.
18247. ზოგს ცხოვრება ისე ბეზრდება, რა გზას ეწიოს, არ იცის.
18248. ამქვეყნად ყველაფერი შესაძლებელია და ისიც, რაც შეუძლებელია.
18249. „უკანასკნელ გზასაც“ თავისი სურვილები და მოწოდებებით დამოძღვრა უნდა გააჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმქვეყნად გადაბარგება არ ღირს.
18250. ყველა ჭირი და გაუგებრობა შიშველი ფეხებით დარბის და ზოგჯერ ჩვენც მოგვადგება, თავი რომ შეგვახსენოს.
18251. სიმართლე ერთია, მაგრამ მას ორი მხარეც აქვს, განსაკუთრებით, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში.
18252. გონებისთვის ბევრის მოხვეჭა არ არსებობს თუ თავის ნაჯაფს გააზრებულად აბანდებს, მათ შორის, საქველმოქმედო საქმეშიც.
18253. დიდი საქმეების საკეთებლად მიზანიც დიდი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე დროის გაცდენა არ ღირს.
18254. მოთმინებით ზოგჯერ რისკი ამართლებს, მათ შორის, დაგვიანებულიც.
18255. ნებისყოფის გარეშე ყველა ჩვენი მცდელობა ფინიშს საჭირო დროში ვერ გადალახავს.
18256. დილით რომ მზე ამოვა და სინათლე ყველას გვექნება, გვჯერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველივე, მათ შორის, რწმენაც, ფასს დაკარგავდა.
18257. მოსაბოდიშებელი საქმის არჩადენაა ძნელი და არა – ჩადენის შემდგომ სინანული, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი ღირსება გააჩნია, თუ რეციდივს არ გაიმეორებს.
18258. ყოველი ჩვენგანის ცხოვრების კრედო პასუხისმგებლობით სხვა ადამიანებზე ზრუნვა უნდა იყოს, თუ გვინდა ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდეთ.
18259. კეთილშობილებას პატივი მივაგოთ, სათნოება გავითავისოთ, ხოლო ურთიერთჯიბრს და დაპირისპირებას განვერიდოთ – ესაა და ეს ადამიანის ყოფის პოსტულატები.
18260. ბედნიერებას, ყისმათს, მოხმარება სჭირდება ხელის ჩავლებით, გულმხურვალე ჩახუტებით და გონების განძრევით.
18261. აზროვნება, განცდა, ცხოვრების მადლის შეცნობა, შთამომავლობის გამრავლება – აი, რა არის სიცოცხლე.

18262. შერკინებას ის იგებს, ვინც თავს მეტ მოთხოვნებს უყენებს.
18263. ვალის ამღებს და მიმცემს შორის ურთიერთობა შინაგანად დაძაბულია, მათ ერთმანეთთან რაც უნდა კარგი დამოკიდებულება ჰქონდეთ, მადლიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
18264. მოყვასი ადამიანების გარეშე ცხოვრება თვითმკვლელობის ტოლფასია.
18265. დღეს დუმილი დაბალი სინჯის ოქროა ან ოქროს წყალში ამოვლებული ცხოვრების წესი.
18266. სარჩო-საბადებელი ჩვენი მსახურია, რათა ხვალ უკეთ ვიცხოვროთ.
18267. სიბრძნე, გამბედაობა, განსჯის მცდელობით, კარგ მომავალს გვპირდება.
18268. გამოცდილებაზე კარგი მოსახმარი და საიმედო არაფერია.
18269. საერთო რწმენა, იმედი, საქმე, თავდავიწყებაც, ზოგჯერ ჩვენი პარტნიორობის და მეგობრობის საწყისია.
18270. უნდა შევეცადოთ ჭკუა გამოვიყენოთ ეფეტურად აფექტის გარეშე.
18271. საეჭვოდ და სადავოდ მოპოვებულ შეძლებას ისევ შეუძლებლობა ჯობს.
18272. საქციელის განსჯა ადვილია, მისი მიზეზის განსაზღვრაა ძნელი.
18273. გონიერებას დიდი ჭკუის ნაჭერი სჭირდება, რომ მისი პატრონი ყოფის სწორ გზაზე ატაროს.
18274. სიცოცხლე ყოველდღიური სიამოვნების ძიებაა გონების მოშველიებით.
18275. ვალდებულნი არ ვართ ყველაფერი ვიცოდეთ, უმჯობესია, ის ვიცოდეთ, რაშიც გვენდობიან და გვიჯერებენ.
18276. ბოროტება ხშირად პირველ სანაძლეოს აგებს, რათა მომავალი მსხვერპლი ბლეფზე წარმოაგოს და „ტყავი გააძროს“.
18277. ცხოვრებაში ადამიანი რამდენჯერმე უნდა შედგეს, გარისკოს, თავს აჯობოს, სასურველი საქმე მოიძიოს, რათა ამქვეყნად ყოფნის და სიცოცხლის მადლი იგრძნოს, შეიცნოს.
18278. ზოგი შენი რჩეული ისეთი ლატარიის ბილეთია, ჯობდა არ „მოგეგო“, რათა მთელი ცხოვრება სასაყვედურო არ გაეხადა.
18279. შეცდომა-გადაცდენა სისულელის კეთების ალიბისგან უნდა დავაზღვიოთ.
18280. ჩვენი უდიდესი ნაკლი ისაა, რომ ყველანი „ჭკვიანები“ ვართ, ურთიერთის ნიშნის მიგებით.

18281. როდესაც გულის საწადელს არ ვუფრთხილდებით მინიმალურად, მაშინ გვერხევა მაქსიმალურად.
18282. სასწაული ხალხი ვართ, ხშირად ნაძირალებს კაცებად ვნათლავთ არა იმდენად გამორჩენისთვის, რამდენადაც სხვისი ჯობნისთვის.
18283. ვნების კაიფი ძიებაშია და არა მზა-მზარეულის მითვისებაში.
18284. ბედნიერებაა, როდესაც ხედავ იმას, რასაც სხვა ვერ ხედავს და ამას შენთვის აღიარება და სარგებელი მოაქვს.
18285. მშვიდობიანი ცხოვრების ჩვენი წილის მადლი ყველამ უნდა შევიცნოთ, გავითავისოთ, ვისიამოვნოთ, იმისდამიუხედავად, ჩვენს გუნება-ბუნებას მოსწონს ეს თუ არა.
18286. სიცოცხლე, პირველ რიგში, არა მარტო გაფრთხილებას, პატივისცემასაც მოითხოვს.
18287. წარმატების საწყისი თავის მოქაჩლებაა და არა – ყოველი შემთხვევისთვის ალიბის მოძიება.
18288. ყველას ცხოვრების საკუთარი სტილი უნდა ჰქონდეს, თუ უნდა მეობა შეინარჩუნოს.
18289. შეცდომებისაგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ მთავარია, ჩვენ მიერ დაგებულ მახეში თავადვე არ გავებათ.
18290. სიბერეს არ უნდა შევუშინდეთ, მისი დამსახურებაა, სიცოცხლე რომ აქამდე გაგვიგრძელდა.
18291. სასიკვდილო სარეცელზე მოკალათება და სიცოცხლის შემოკლება ხშირად ჩვენი უგუნური გატაცების ბრალია.
18292. სხეულის არც ერთი ნაწილი ურთიერთთანხმობაში არაა, მაგრამ იძულებულნი არიან ერთმანეთს მხარი აუბან და ისე იცხოვრონ.
18293. წყნარი ცხოვრების საწყისი უშფოთველად ყოფნის სურვილს უნდა ემთხვეოდეს ამქვეყნად.
18294. ცხოვრებასთან დაშორება ძნელი არ არის, მის რაობასთან მიახლოება, ჩახუტებაა, ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც.
18295. ეშმაკის თავშესაფარი არ უნდა გახდე, მაგრამ ეშმაკობის ელემენტებს უნდა დაეუფლო, რათა ყოფა გაგიადვილდეს.
18296. ჩვენს კეთილშობილებას, უმთავრესად, ჩვენი ნაკეთები საქმენი წარმოაჩენენ და არა – გაპიარება, რეკლამა.
18297. წყენა გულს გვიფორიაქებს, გონებას გვიმაღლებს, ხელებს გვიკავებს და აქ მთავარია მოვუხმოთ სხვათა გამოცდილებას.
18298. გაუწვრთნელი სურვილებით ცხოვრება სიცოცხლეს გვიმოკლებს.
18299. ჩვეულება ალიყურზე უმტკიცესია.
18300. თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს ხშირად არ ეთანხმებიან, მა-

გრამ უერთმანეთოდ ნაბიჯსაც ვერ სდგამენ.

18301. გონივრული შემოთავაზებაც, „მათრახის გარეშე“, ცხოვრებაში ადგილს ვერ პოულობს. ერთი ჩემი ახლობელი ავტომანქანაში მსხდომ მგზავრებს მოგვიწოდებდა უსაფრთხოების ღვედები შეგვეკრა. ეს მოწოდება მანამ დარჩა უპასუხოდ, სანამ ამ ქამრების შეუკვრელობისთვის მოზრდილი ჯარიმები არ დააწესეს. მოდით და ამის შემდგომ ენდეთ ადამიანთა გონიერებას და ტექნიკური პროგრესისადმი კეთილგანწყობას.

18302. იღბლისა და განცდების შერკინება შედეგიანია.

18303. გონიერება თავისუფლებას გვმატებს, ვნება გვიმონებს, მაგრამ სიცოცხლეს ხალისიანს ხდის.

18304. ცხოვრების ცოდნა სიცოცხლის დაფასებაა, თავისუფლებისაკენ ლტოლვა გააზრებულ მიბაძვას მოითხოვს, საკუთარი ინტერპრეტაციით და განსჯით.

18305. გამართლებაა თუ ცხოვრების ბორბალი, ყოველგავრი დამსახურების გარეშე, შენკენ შემოტრიალდება.

18306. სულმოკლეობა უკეთ ცხოვრებას, ბაითს, ტკბილი ჰანგებით გვპირდება, რეალობის გაუთვალისწინებლად.

18307. ცხოვრების დაისზე ხელის ჩაქნევა უმადურობაა, რადგან ყოფამ ისე არ გაგწირა, რომ კვანტი დაედო.

18308. რეალობაში ანგელოზი არც ქალი უქნია ღმერთს და არც კაცი, ცხოვრება საამო გახსენებების გარეშე უშნოდ, უსახოდ, მიიზლაზნება.

18309. ბედნიერება-უბედურება თავის გაძლებას, დაგეგმვას, დაგემოვნებას, მოითხოვს.

18310. შეუპოვრობა აკეთებინებს ადამიანს იმას, რაც მას ფაქტიურად სჭირდება.

18311. იღბლიან ადამიანს არ უნდა შეეწინააღმდეგო, მაინც დაგამარცხებს.

18312. ბედნიერებას ვერ უგებენ, ვერც აფასებენ, ვერც ყვარობენ, სანამ ცოცხლები და საღსალამათნი არიან და კიდევ ბევრი სასარგებლოს გაკეთება შეუძლიათ.

18313. ყველა ადამიანი თავის სარგებელს სხვის „კალათაში“ ელის.

18314. ქონების დაგროვების ცდუნება გვაიძულებს ვიმოქმედოთ და არა – მომავლის იმედი.

18315. საფიქრებელი უფრო ქონების დაგროვებაა, რომლის დაბანდება ნერვებს უფრო გვიშლის, ვიდრე უქონლობა.

18316. მოგონება, გახსენება, ისტორიაში ადგილის დამკვიდრება – ადა-

მიანის ფინიშია.

18317. ადამიანი ცხოვრებაში ზოგჯერ იმდენ შეცდომას უშვებს, რომ მის გამოსასწორებლად ორი სიცოცხლეც არ ეყოფა.

18318. მე ვცხოვრობ ისე როგორც მსიამოვნებს, ცოლი კი – როგორც „წესია“, შედეგად ვცხოვრობთ როგორც წესია და როგორც მსიამოვნებს.

18319. სასურველია მუდამ საქმის კურსში ვიყოთ, საქმეს გვერდში ვუდგეთ და შედეგს ვიყენებდეთ.

18320. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ უძლურებას ფეხი დავუდოთ და თავში წამოვარტყათ.

18321. უმთავრესია, ცხოვრების კაურებისაგან თავის დაძვრენა ვისწავლოთ, რაც შეეხება, ფულს, თანამდებობის, კარიერას – გარკვეული მცდელობის შემდგომ მეტ-ნაკლებად მისაწვდომია.

18322. კეთილდღეობასაც წინჭვრეტა, განსჯა და მოწონება სჭირდება.

18323. სიკვდილთან შედარებით ცხოვრება ამქვეყნად ყოველთვის ჭირდა, რადგან ეს უკანასკნელი განუსჯელ ჯაფა-წვალებას მოითხოვს.

18324. კაიკაცის შვილები ვირიშვილებად რატომ იქცევიან, ჩემთვის დღესაც გაუგებარია და აქ ბუნების სამართლიანობას ვერ გავიზიარებ.

18325. ჩვენი ამბიციების გამო ცხოვრება თავის გზით „მიეთრევა“.

18326. უკვე ისაა ბედნიერება, რომ სიცოცხლეს ვეხმიანებით და ცხოვრების ფასს ვიგებთ.

18327. ქონება-დაკარგვა, განცხრომა-ტანჯვა, აღება-მიცემა, აი ამ სამ პოსტულატზეა აგებული ჩვენი ცხოვრება.

18328. ის საქმიანობა, რომელსაც ოჯახისთვის რეალური შემოსავალი არ მოაქვს, რაც უნდა სასიამოვნო და სასახელო იყოს მამაკაცისთვის, ქალის გულს მაინც ვერ „მოკორტნის“.

18329. გადაწყვეტილებას მობილიზება სჭირდება, ნებას ასრულება და არა – ზევიდან განკარგვა.

18330. სიმარტივე და სირთულე ყოფის „ბაირამის“ დროზე შემჩნევა-შეუმჩნევლობაზეა დამოკიდებული.

18331. სიზარმაცე სამოთხისკენ უსინდისოდ მიილტვის ალიბით, მე რომ არ მეზარმაცა, არ იცით, რა სისულელეს ჩავიდენდიო.

18332. მცდელობა ქმედების ბიძაშვილია.

18333. ამბიციებს აყოლილები და წამხედურები ხშირად ვისმენთ იმას, რაც არ გვჭირდება, ასაკში დაფიქრებით და თავში სარტყმელად.

18334. ზოგჯერ სამყაროში ყოფნა სისულელედ გვეჩვენება, მაგრამ

იძულებულნი ვართ იმქვეყნად გადაბარგებამდე ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

18335. ცხოვრებას წიგნივით კითხვა სჭირდება დაკვირვებულად, გონების მოკრება-გადახარშვით, თუ გვინდა ის ღირსეულად განვლიოთ.

18336. ყველა საქმის კეთებას ყურება მასშტაბებით უნდა.

18337. ზოგჯერ სიბერეში იმას ვიმკით, რასაც ჯეელობაში ვიფიქრებდით და ხშირად არც დაგვიმსახურებია.

18338. სამართლიანობას პატივს მივაგებთ, ძალას ვემორჩილებით, რადგან გონება ჩასაფრებულია და თავის დროს ელოდება.

18339. მუშაობა თუ მოთხოვნილებად გექცა, შენს გენს უნდა უმადლოდე და არა – დროს და გარემოს.

18340. იმედი სიფხიზლეს გვამატებს, თუ ის გადამეტებული ოცნებით არ არის შეფუთული.

18341. ფიზიკური შრომის სათანადო პარამეტრები სიბერეშიც არ უნდა დავივიწყოთ.

18342. უნდა ვისწავლოთ არა ნიშნისათვის, არამედ სიამოვნებისთვის, თუ გვინდა განათლება ცხოვრებაში ჩვენც გამოგვადგეს და სხვასაც.

18343. განცდების უსიტყვოდ გამოხატვა სიამოვნებაა, თუ სათანადო მსმენელი და ტაშის დამკვრელი გყავს.

18344. გადაწყვეტილების მიღებას, გამოცდილებასთან ერთად, ცხოვრების ყადრის ცოდნაც სჭირდება.

18345. ჯანმრთელობა, განათლება, სიყვარული, ჩვენი ყოფის უმთავრესი და მთავარი პოსტულატია.

18346. ქვეყანაში სტაბილურობის ფასს ასაკში შევიცნობთ.

18347. არაფერი მოჩვენებითი, მათ შორის, ცოდნაც, სიკეთის მომტანი არ არის.

18348. ჯობს ტანჯვით გალიო წუთისოფელი და მიზანი გქონდეს, ვიდრე უმიზნოდ და განცხრომით.

18349. ზერელე ცოდნა, ნაცნობობა, ყველას ვნებს.

18350. ბევრ რაიმეს გამოცდილებით შეცნობა სჭირდება და არა მხოლოდ – სწავლა-განათლებით.

18351. სასოწარკვეთილება მიზნის მიღწევის პროცესში უნიათოთა საქმეა.

18352. არწივობა ყველას გვინდა, მაგრამ ძნელი როა?

18353. თხოვნაზე მეტად დასაბუთებული მოთხოვნა ამართლებს.

18354. იფიქრო, ილაპარაკო, აკეთო ერთიდაიგივე, წესიერების და ნებისყოფის მაჩვენებელია.

18355. საფრთხეს არ ელიან, ეგებებიან, ფეხს უდებენ, თავის ლელოს გატანას ცდილობენ.
18356. სურვილი ბევრია, ოცნება უფრო მეტია, მაგრამ რეალობა ერთია და ყველაფერი ამას უნდა მოვარგოთ.
18357. ხშირად გამარჯვებას ფორტუნა გვანიჭებს და აქ განსჯა, რაღაცის მტკიცება, უსაფუძვლოა.
18358. უსამართლობა-სამართლიანობის გარჩევაში ჩაერიო თუ არა, შენმა გონიერებამ და სულის ტემპერამენტმა უნდა განსაზღვროს.
18359. ბედსაც ხელის ჩავლება უნდა სარგებლით, რადგან სხვა დროს როდის დაიჭერ, ვინ უწყის.
18360. საკუთარი ოინბაზობის გახსენება სიცოცხლის გაჯეჯილების კაიფს გვახსენებს.
18361. თეორიულად ასკეტიზმს ვქადაგებთ, პრაქტიკულად – კარგ ცხოვრებას, ფუფუნების ნიშნებით, ვეტრფით და ვამაყობთ.
18362. პროფესიონალიზმი არ ხურდავდება იმ შემთხვევაში, თუ ის ერთ საქმეს საფუძვლიანად ეუფლება.
18363. „საწყალია“ პატიოსნებაც, თუ აუტიზმი გვერდს უმშვენებს, რადგან რეალობას ცუდად შეიცნობს და მისთვის ყოველივე გაუცხოებულია.
18364. ზოგჯერ, ალბათ, „ქაქის“ ჭამაც შეიძლება, ზომიერების ფარგლებში, რადგან ადამიანები მაინც ბუნების შვილები და განგების ნაღვაწნი ვართ.
18365. ახალგაზრდობის გადასახადი ყველამ უნდა გადაიხადოს იმ თავქარიანობისთვის, კაიფის მიღებისთვის, რომელსაც ასაკში სიამოვნებით იხსენებს.
18366. ცხოვრება ცოდნა და გაჯეჯილებაა და არა – ამქვეყნად მოსვლისას დაკაკუნება.
18367. სიკვდილს ყველა იძულებითი ღიმილით მიჰყვება, მრწამსის და სურვილის მიუხედავად.
18368. გამართლება, უმთავრესად, მცდელობა-შემართების წყალობაა და არა – ბედის გაღიმების.
18369. შერკინების სულისკვეთებაა დიდ შედეგს რომ იძლევა და არა – დაპირისპირება.
18370. ჩვენი ამქვეყნად ყოფნა, ეტყობა, მაინც თავისებური ვაჭრობაა საკუთარ თავთან, ზემდგომთან და თვით განგებასთან.
18371. ჩვენი ყოფა მაინც ფულისთვის ჩალიჩით მიედინება.
18372. მოგვწონს – არ მოგვწონს, გვინდა არ გვინდა, ადამიანის ბუნების სიხარბე, გათავხედება, გაუტანლობა, სახეზეა ბუნებასთან და

თვისტომთან ყოფისთვის ბრძოლის მომიზეზებით.

18373. მხედველობა უფრო ბევრ ფულს შოულობს, ვიდრე სმენადობა, რადგან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით პირველს გემოვნების დახვეწა უხდება.

18374. დაუხარჯავად იმქვეყნად წასასვლელი ადამიანი სიყვარულსაც დაგვიანებით იმკის ამქვეყნად.

18375. სიცოცხლესაც მოთვინიერება სჭირდება, რომ შენ გემოზე გაატარო.

18376. ბევრი გასაჭირს თავის გასართობად იგონებს, რადგან მისი მეგაბაიტი სიმდიდრეს თავის მოწონებით ვერ ეხმიანება.

18377. ცხოვრების კაიფი მის სასარგებლოდ გამოყენებაშია და არა – ხნგრძლივობაში.

18378. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ცუდსაც და კარგსაც, დროის დაფინანსების შესატყვისად, დაუფიქრებლად ვეჩვევით.

18379. დიდი, დიადი, ყოველთვის დაუფიქრებლად, ჩვენდაუნებლიედ, გვაღელვებს.

18380. ვნებაზე აყოლის დაუდგენელი პარამეტრები შეიძლება ჭკუის საზომ ერთეულად გამოვიყენოთ.

18381. ბედი ზოგჯერ დიდად გვიმართლებს, ხშირად კი ჩვენზე ფეხებს იწმენდს.

18382. იმედით ჩასაფრებულ დაჩოქილ სიცოცხლეს დროებით აღმამფრენი სიცოცხლე ვერ შველის, რადგან მოჩვენებითია.

18383. სიფრთხილე, წინხედვა, ჭკუის მოხმობა, ყველგან და ყოველთვის, ესაა ჩვენი რაობის გარანტი.

18384. სიფრთხილეში ვაჟკაცობაც იგულისხმება, რათა უაზრო ყოყლოჩინობა არ გააბახოს.

18385. საკუთარი თავის დაკმაყოფილებაც, დროის შესატყვისად, აზროვნების მოსკორვით უნდა მოხდეს.

18386. კარგ ფინიშს დასაწყისიც სასიხარულო უნდა ჰქონდეს.

18387. ჩვენი ყოფნა-არყოფნა ხშირად ჩვენივე განსჯის საგანი ხდება.

18388. პატარ-პატარა წარმატებები საკუთარ თავზე საბოლოო გამარჯვებას სრულიადაც არ ნიშნავს.

18389. ყველაზე სავალალოა დამადლებული ცხოვრება, სიცოცხლის წლების გათრევით.

18390. კარგია ცხოვრების სურვილი დიდია, მაგრამ შეძლებისდაგვარად ცხოვრება – ადვილი.

18391. თავის მოგიჟიანება ყოველთვის ბედნიერებისკენ სწრაფვას არ ნიშნავს.

18392. საყვარელი გაიჩინე?! შენს ნაცვლად ვინ იმუშავებს? საინტერესოა, რა სამუშაო გაქვს ასეთი, რომ ოჯახისთვის ვერ იცლი! შენი ხელფასი ვის რაში ყოფნის! ამდენ ფულს შოულობ და მე ერთი წავის ქურქით უნდა დავდიოდე?! მე ქურდს ცოლად არ გავყოლივარ, მე თქვენი მოსამსახურე ვარ. თანამშრომლებისთვის ყვავილის მირთმევა არ გავიწყდება. ასეთი მოფერება ვინ გასწავლა, სხვა ქალებში რომ არ გევლო, ახლა ხომ გამოგადგებოდა? ათასი სხვა ამგვარი საყვედური, რომელიც ქალს თავისი „მეს“ დასამკვიდრებლად სჭირდება, ხოლო მამაკაცს მოთმინება, შეჩვევა, უსაფუძვლო შენიშვნებისთვის წაყრუება და ასე და ამგვარად „მიეთრევა ეს სილაღისთვის გაჩენილი წუთისოფელი“.

18393. ცხოვრება თუ მაიმუნობაა, დღევანდელ დემოკრატიას მიტმასნილი წყობა ამის დამადასტურებელია.

18394. იმედი ის კაიფია, რომელიც გვაფხიზლებს და ძალას გვმატებს.

18395. ხშირად ვცდებით, მაგრამ იშვიათად ვაკეთებთ იმ საკეთებელს, სადაც არ ვცდებით.

18396. მეზობლის საქმიანი გამოხმაურება თუ ჩვენს მიზნებს არ პასუხობს, არ მოგვწონს, რადგან პირადს საერთოზე წინ ვაყენებთ.

18397. ქცევის ალგორითმის დამუღამებას დრო და გარემო მთელი ცხოვრება გვავალდებულებს.

18398. სასურველია თანამედროვე ტექნიკურ პროგრესს ნახევარი ნაბიჯით ჩამოვრჩეთ, რათა მისი შედეგები მოვტვინოთ და ისე გავაგრძელოთ ცხოვრება, რათა მის მომხიბვლელ სატყუარაზე უაზროდ არ წამოვეგოთ და არ გადავგვარდეთ.

18399. მთელი ცხოვრების ტკბილი ძილით განვლა შეუძლებელია თუ შიგადაშიგ გამოღვიძება-გამოფხიზლებით არ გავმხნევდით.

18400. უვიც, უპრინციპო და თავზე უაზროდ შეყვარებულებს უნდა ვერიდოთ და ახლო არ უნდა გავიკაროთ.

18401. შემთხვევის წყალობით თასით მორთმეული ბედნიერებაც მხოლოდ ბრძოლის შედეგად მოიპოვება.

18402. პრინციპში პანაშვიდი გვამის გადანახულებაა, რათა ჭირისუფალის წინაშე ვალი მოვიხადოთ და იმქვეყნად მის გადასახლებას დავესწროთ.

18403. სამართლიანობის მიმართ ყველას თავის დამოკიდებულება აქვს, იმათაც, ვისაც ცხოვრებაში უმართლებთ და იმათაც, ვისაც არ უმართლებთ, რადგან მათი „ყოფანალიზის“ შედეგად ყოველივე პირიქით უნდა მომხდარიყო.

18404. ცხოვრების ნავთსაყუდელის ძიებაში ზოგჯერ ისეთ გარემოში

გიწევს ყოფა, რომელსაც ადრე ვერც წარმოიდგენდი და ამითაც კმაყოფილი ხარ.

18405. სანამ ადამიანს სმის კულტურას ვასწავლიდეთ, მას მანამ ხარისხიანი სასმელების წარმოება და დაგემოვნება უნდა ვასწავლოთ.

18406. ბოროტებას სიკეთის მოტანა არ შეუძლია, მაგრამ ამ გამონაკლისს ზოგ შემთხვევაში ახერხებინებენ.

18407. ყველა მიილტვის ბედნიერებისაკენ, მაგრამ მისი ალგორითმი სხვადასხვაა, რომელშიც ბედის და შემთხვევითობის „ადამის ხელი“ ურევია.

18408. ბედის ყოფასთან შეჯიბრმა ფუფუნების გათავისებით ჩვენი მოაზროვნე ტვინი თანდათან გახრწნა და ყოველივე გაუგებარს და მიუღებელს ალიბი მოუძებნა და საბოლოოდ რომ გადაგვარდება, ამას არად დაგიდებთ.

18409. საკუთარი თავის შეცნობით, უმთავრესად, ჩვენივე თავს ვშველით და ცხოვრებას ვიწესრიგებთ.

18410. არის გარემოება, როდესაც გამოსავალი არ არის, იძულებული ხარ თავი მოიტყუო და ამით ნასიამოვნები დარჩე.

18411. საბოლოო სიტყვას ოჯახის წევრები მანამ არ თანხმდებიან, სანამ გადამჭრელ ნაბიჯს არ გადადგამ.

18412. ჟინის მოკვლის, თავდავიწყების და ოჯახიდან დროებით გარიდების ერთ-ერთი უმტკივნეულო საშუალება ნადირობა-თევზაობაა.

18413. „სოფელს“ მრავალფეროვნება ახასიათებს თავისი ხუშტურებით და ვნებათა გაჯირითებით.

18414. როდესაც ადამიანი რეალურ შესაძლებლობებს ხელიდან უშვებს და დასახულ მიზანს ვერ აღწევს, თავის ნაჭუჭში ვერ ეტევა და თავს შეკურთხებასაც არ აკლებს.

18415. მცდელობას ისევ რეალური გარჯა სჯობს, უფრო შედეგიანია და პიარსაც ნაკლებს მოითხოვს.

18416. მორჩილება, გონიერების ფარგლებში, მისასალმებელია, თუ ის პიროვნებაა, ვისაც უნდა დაემორჩილო და ანგარიში გაუწიო.

18417. „ადამის ჩანგალი“ რას აირჩევს საქმის საკეთებლად და ტვინი რას უკარნახებს, მისთვის უცნობია.

18418. ღალატი არ უნდა აპატიო, უბრალოდ, თუ შესაძლებელია, უნდა გადაყლაპო, არ შეიმჩნიო.

18419. ადამიანი ცხოვრებაში დასამკვიდრებელ საბოლოო გზას ხელის ფათურით და ბედის გადმოხედვის შესატყვისად დაეძებს, რადგან მისთვის ხშირად სამშობლოც პირობითია, რადგან უკეთესი ცხოვრებისაკენ ლტოლვა სად გადაგკარგავს, არავინ უწყის.

18420. ბედნიერებაა, როდესაც ყველაფერი წინ გაქვს და იმედი გკვებავს გონიერების შეზეთვით.
18421. რომანტიული თავგადასავლებისთვის ნებისმიერ ასაკში მზად უნდა იყო.
18422. ღამე ბნელი, ფიქრები მიუწვდომელი, სიყვარული სანატრელი – ყველას გულის კუნჭულში უცვლელად უნდა იდოს, თუ გვინდა ყოფის მადლი.
18423. ბედის კმაყოფილი არავინაა, თვით თავად ბედიც, რომელიც განგების ნებით უღირსს ემსახურება.
18424. კეთილი საქმე, მოყვასის სიყვარული და რეალობისთვის თვალებში ყურება ძალას გვმატებს ცხოვრების მადლის შესაცნობად.
18425. ზოგჯერ ჩვენ იმ ადამიანებსაც „ვუყეფთ“, რომლებსაც არ ვიცნობთ და შესაძლოა, გარემოებათა გამო, მომავალში ჩვენი მეგობრებიც გახდნენ.
18426. უთანასწორობა მრავალ უფლებებს თხოულობს ხელის განძრევის მცდელობის გარეშე.
18427. სიბერე გვაიძულებს საკუთარი სხეულის მსახურებას და მოყვასის მომსახურებას, საკუთარი მეობის წარმოსაჩენად, სასიამოვნო წარსულის გახსენებით.
18428. ანგელოზის იმედი ყველას გვაქვს, მაგრამ პრაქტიკულად ისევ მოყვასი გვშველის.
18429. მეგობრობას ისევ დროით გადამოწმებული ურთიერთობა ადებს ფასს და ამყარებს.
18430. მიცვალებულ-მიტოვებული იდეალები თავს ღირსებით გვახსენებენ, ყველა ნაბიჯზე ყურს გვიწევენ, რათა ჩვენი რაობა უგზოუკვლოდ არ მიიცვალოს.
18431. წყვილი უნდა ეცადოს ფულის არც მძევალი გახდეს, არც საწინდარი და არც მორჩილი მონა – სიცოცხლის არსს ვერ ჩასწვდებიან.
18432. მთავარია, უკან მოხედვის არ შეგრცხვეს, თორემ წინ გზას მცდელობის და ბედის შემწეობით, ასე თუ ისე გავიკვლევთ.
18433. მშობლების გაყრის შემდგომ ოჯახი ინგრევა და შვილებს რჩებათ ვალის მომხდელი ლატარეია დედა ან მამა.
18434. მიმბაძველობა უცხოს ფეტიშია, საკუთარის უგულებელყოფით და თავის წარმოჩენის მცდელობით.
18435. ადამიანს უნდა გააჩნდეს რაღაც ისეთი სათუთი, სანუკვარი, რომლისთვისაც სიცოცხლეს არ დაინანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ამქვეყნად გაჯირითების მადლი ეჭვს იწვევს.

18436. განვლილ ცხოვრებას ის საყრდენი ბერკეტი არ აქვს, უკან რომ დააბრუნო და ყოველი ძველი გადაცდენა გამოასწორო.

18437. როდესაც სიბინძურესთან გვაქვს საქმე, იძულებული ვართ, კეთილი სურვილებით და კანონის მიჩუმათებით თავადაც ჭუჭყში გავისვაროთ, რათა სისუფთავე დავამყაროთ.

18438. ტკივილის, გაწბილების და მარცხის გარეშე ცხოვრების ფინიშისთვის არავის მიუღწევია, მთავარია წინააღმდეგობათა დაძლევა ვისწავლოთ და ხელი არ ჩავიქნიოთ.

18439. ძვირფასია უბრალოება, თუ მძიმე ბავშვობა არ გქონია და საკუთარი თავის ფასი იცი.

18440. ჯანმრთელობა, სილაღე, „თავკონტროლი“, ადამიანის შინაგან მოწესრიგებულობაზე მიუთითებს.

18441. ცხოვრება უფრო გვიმორჩილებს, როცა მოვალეობა საყვარელი ადამიანის მიმართ გვაწევს.

18442. პაუზა ურთიერთობაში ზოგჯერ საჭიროცაა და აუცილებელიც.

18443. ყველაფრის გამომზეურება დაუშვებელია, რაღაც წმინდა ხომ უნდა დავუტოვოთ ჩვენს ქომაგებს და საკუთარ თავსაც, რათა საბოლოოდ ადამიანებად დავრჩეთ და არა წინასწარ დაპროგრამებულ რობოტებად.

18444. ჩვენ იმის იმედით ვცხოვრობთ, რომ იმქვეყნად გადავბარგდებით ამქვეყნიური დამახსოვრებით.

18445. ჩვენი ცხოვრება ექსპერიმენტია იმპროვიზაციით, სხვანაირად ნორმალურ ადამიანს ცხოვრება უჭირს.

18446. სიცოცხლესთან საქმიან ჩალიჩს ყველანი ჩვენი გადასახედიდან ვცდილობთ.

18447. მერკანტილურობა, რომელიც „გონიერებასაც“ იშველიებს და თავის სიამოვნებისთვის ცხოვრებას აპირებს, კაცობრიობას გადაშენებას უპირებს. ზოგი ქალი დღევანდელობის შემხედავი შვილის გაჩენას არ აპირებს, შვილისთვის აღსაზრდელ ხარჯებს საპენსიო ფონდში აბანდებს, სიბერეში კი კეთილმოწყობილ მოხუცებულთა თავშესაფარი გადადის საცხოვრებლად და ყოველგვარი შფოთის და თავის შეწუხების გარეშე იმქვეყნად უდარდელად მიდის, მითუმეტეს, თუ დღევანდელი შვილები დედებისთვის ვერ იცლიან და თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ.

18448. ყველაზე დიდი დამცირება სამსახურიდან გაგდებაა, შტატების შემცირების მომიზეზებით იქნება თუ რაიმე სხვა საბაბით.

18449. პირადზე ზრუნვას ზურგს უკან ნუ მოვისვრით, მაგრამ შინაურებიც უნდა გვიყვარდეს – ახლობლები ვერ გაგვიგებენ.

18450. გონიერება იმისათვის არ არის მოწოდებული, რომ ყოფის „უხ-მაურო მონებად“ გვამყოფოს და ყოველგვარ მიწიერებაზე უარი ვთქვათ რწმენის გამო.

18451. ეშმაკი იმიტომაც გვიგებს მახეებს, რომ ადამიანმა ისწავლოს თავის დაძვრენა.

18452. ბევრი და დიდი სისულელის ჩადენაში ის სხვაობაა, რომ პირველი გვავიწყდება, მეორე კი სამარის კარამდე მიგვყვება.

18453. ყველა ჩვენი კეთილისმდომია: სიცოცხლის მჩუქნებლიდან, აღმზრდელიდან, დამსაქმებლიდან მესაფლავემდე, ვინც ჩვენზე ზრუნავს, ვახსენებთ, როგორც ამ, ისე იმქვეყნად.

18454. მცდელობა და აზარტი გადამდები დაავადებაა, თუ მას რეალური გონიერება, საქმის კეთება, ახლავს.

18455. ჩვენ მიერ სასიკეთოდ დამახსოვრებული ყველა დღე სიცოცხ-ლეს გვიხანგრძლივებს.

18456. ცხოვრებას თუ ყოფის კაურებით დავტვირთავთ, სიცოცხლე მოკლედ მოგვეჩვენება.

18457. რომ გაიგო, უნდა გინდოდეს, რომ გინდოდეს, უნდა გჭირდე-ბოდეს, რომ გჭირდებოდეს, ყოფამ უნდა გაიძულოს.

18458. მოყვასს არ განიკითხავენ, მაგრამ თუ საჭიროა, ალიყურიც უნდა ვაწვნიოთ.

18459. კონკურენცია მშვიდობას და მიძინებულ მშვენიერებას ძირს უთხრის და სამყაროს თავის ჭკუაზე ანვითარებს.

18460. დღეს თავის დამდაბლება მოდაში არაა, გაგთელავენ, დაგთრგუ-ნავენ და შეუმჩნევლად გაქრები.

18461. განსაცდელის გარეშე განვლილი გზა, ერთი მხრივ, ბედნიერე-ბაა, მეორე მხრივ, უკმაყოფილებას გვიტოვებს, რადგან ცხოვრება „ათიანზე“ ვერ შევიცანით.

18462. ცხოვრება, გვინდა – არ გვინდა, ბევრ ჭუჭყს გაგროვებინებს, რომლისგანაც განთავისუფლებას ზოგჯერ ასაკის ხანგრძლივობა არ შველის.

18463. ასაკის გადასახედიდან, როდესაც დღევანდელობას უყურებ, ვხ-ვდებით, რომ ბევრი შეცდომა მოგსვლია და მიგვიქარავს, როგორც მშობლების, ასევე ჩვენი თვალით.

18464. ჩვენი სურვილია, ყველა ჩვენი ახლობელი თანამდებობას, სიმ-დიდრეს, გავლენას, ფლობდეს, თუ ჩვენც რაიმე შეგვხვდება.

18465. გამოცდილება ჭკუის სალესია, რომელიც თავის მცდელობაზე ოცნებით არის მიტმასნილი.

18466. თვალის ახელას პირის აცმაცუნება არ შველის, ხელიც უნდა

გაანძრიო.

18467. ხიბლსაც თავისი მადლი აქვს თუ ამჩნევ და გამჩნევენ.

18468. სიკეთის დავიწყება ადვილია უკეთურობის დავიწყებასთან შედარებით, თუმცა გააჩნია ინდივიდს, მის „მეგაბაიტს“, ცხოვრების გამოცდილებას.

18469. იმქვეყნიური ცხოვრების სასიამოვნო „ბაიათის“ მოსმენა სახალისოა, მაგრამ ჯობს ამქვეყნიური ცხოვრების მადლს მოვესწროთ.

18470. მართალია, „სხვის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩავყოთ“, მაგრამ გართობა და „დროის მოკვლა“ ხომ გვინდა.

18471. დაავადებას განკურნება და მკურნალის მიმართ მადლიერება სჭირდება.

18472. როცა არავისი გერიდება და გეშინია, ფაქტიურად ესაა ცხოვრების არსი.

18473. მშობლებს ასაკში ვაფასებთ, როდესაც ისინი ჩვენთან არ არიან, ან უკვე „ჭკუის სწავლების“ უნარი და ხასიათი დაკარგული აქვთ.

18474. ღირსეული ნაშიერის დატოვება ჩვენი იმქვეყნიური ბედნიერი ცხოვრების გარანტია, ყოველ შემთხვევაში, ასე გვინდა დავიჯეროთ.

18475. დროსთან შეგუება მისასალმებელია, თუ ოჯახის შესაძლებლობებს ამრავლებ და მრავლდები.

18476. არც საქმის უნდა გეშინოდეს და არც დაუმსახურებელი ლანძღვა-გინების, თუ საკუთარი თავის წინაშე მართალი ხარ.

18477. „ახალ ცხოვრებას“ ხშირად ვიწყებთ ძველის რეციდივით.

18478. წარსულის ანალიზი ყურით უნდა გვეჭიროს, მაგრამ აწმყოთი უნდა ვიცხოვროთ მომავლის იმედით.

18479. პრობლემების შექმნა ხშირად ჩვენივე ბრალია, მაგრამ რატომღაც ვცდილობთ სხვას გადავაბრალოთ.

18480. ჯეელობას ხვალის საკეთებელი განრიგი ყოველთვის სათუო აქვს.

18481. სხვის შეცდომებს ვხვდებით, მაგრამ საკუთარ შეცდომებზე „კისერს ვიტეხთ“.

18482. დღევანდელობიდან ყველანი საკუთარი ცხოვრების დაუმთავრებელ თამაშს მივსტირით.

18483. ტყუილის უთქმელად, სიმართლის შეულამაზებლად, ცხოვრება თავის მადლს, პეწს და კაიფს კარგავს, რადგან ის უმთავრესად საკუთარი თავის წარმოჩენისთვისაა განკუთვნილი.

18484. სიცოცხლე, სიკვდილის გარეშე, უაზრობაცაა და შეუძლებელიც, რადგან სამყარო ამდენ ჭკუანაღრძობ ხალხს ვერც დაიტევდა და

ვერც გამოკვებავდა.

18485. ახალგაზრდობაში აუცილებელია სიმაღლეთა დაძლევა, რათა ასაკში თავს არ ვუსაყვედუროთ და წარმოვჩინდეთ.

18486. მომავლის წინათგრძნობა ყველა ჩვენგანში მეტ-ნაკლებად ჩადებულია და თუ ყურად ვიღებთ ამ საჩუქარს, მაშინ ყოფასაც ალღოს ავუღებთ.

18487. მამების დამსახურებას და სიყვარულს შვილები შესატყვისად ვერ იყენებენ და ხშირად მათზე უკეთესები ვერ არიან.

18488. ამ სამყაროში ყველა ქმედებას თავისი შესატყვისი უარყოფა აქვს და ამითაა ამქვეყნად ჩვენი აზროვნებით ხეტიალი სასიამოვნო.

18489. ცხოვრება თავის გზით მიეხეტება, ოცნება ჰაერში დაფრინავს და ჩვენი ყოფის ბალანსს ამით ხელი დიდად არ ეშლება.

18490. პრობლემების მოზიდვა ადვილია, მათი თავიდან მოშორებაა ძნელი.

18491. სიზარმაცე შესაფერისი საქმიანობის უქონლობამ იცის, როდესაც ჭიტლაყის ამომრტყმელი არა გყავს.

18492. რჩევამ რომ იბარტყოს და საქმე აკეთოს, კარგი გამგონი, დამჯერი და შემოქმედია საჭიროა.

18493. მსჯელობა ადვილია, კეთებაა ძნელი, რადგან თავის გადადებას გთხოვს.

18494. სიყვარული ერთია, დაცოლშვილების სურვილი – მეორე და სად და ვისთან შემოჰკრავს დაოჯახების ზარი, არავინ უწყის.

18495. მუქთახორა, გამამაძაღლებულ, მთხოვნელთა ჩამოშორებას, ცხოვრების გამოცდილებით უარის თქმის სწავლა და ნიჭი სჭირდება.

18496. ლაბირინთებში ხეტიალი საინტერესოა, მაგრამ დამღლელი და საშიშიც.

18497. ცხოვრებას იმ საღი თვალით უნდა ვუყუროთ, რომელიც კალმით ხატავს და არა – ინტერნეტით.

18498. თავის დროებით მოტყუება და კაიფის მიღება შესაძლებელია სანამ გამოვიღვიძებთ და გამოვფხიზლდებით.

18499. აზრიანი პატივი მიაგე სხვას და შეუძლებელია აქედან რაიმე არ გერგოს.

18500. გვერდით მდგომელთა ყოლა კარგია, წარმატების შემთხვევაში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარი თუ შემოგრჩა.

18501. გაუხედნავი მეგობარი ზოგჯერ მტერზე უარესია.

18502. ალჰოკოლი ბევრ დავადებას „ჰკურნავს“, მაგრამ საბოლოო შედეგი ყოველთვის უვარგისია.

18503. საუბრის დასაწყებად საჭირო თემის მოძიებაა ძნელი და არა

შემდეგ ყბედობა.

18504. უზრუნველ ცხოვრებას სიკეთე არ მოაქვს, ინდეფერენტულს გვხდის და ბრძოლა-მოპოვების უნარს აქვეითებს.

18505. უკიდურესობას უნდა ვერიდოთ, რადგან მას სიკეთე არავისთვის მოუტანია.

18506. ხშირად ცოლის მოყვანას „ვეტოს ადებს“ ჩვენი ყოფისთვის მომადლებული, გალაღებული, საუკეთესო წლები.

18507. მომავალს, შედეგის მიუხედავად, მაინც ნეტარებით და იმედით უნდა ვუყუროთ ამქვეყნად, იმქვეყნად სულის ცხონებით.

18508. განსაცდელისაგან თავის დახსნა, ისევ ჩვენს მცდელობას უნდა ვანდოთ, განგების თანხმობით.

18509. ეტყობა სამოთხეც და ჯოჯოხეთიც პირობითია, რადგან ყველგან შესაძლებელია ცხოვრება, თუ გონიერებას გამოვიჩენთ და ამბიციებს მოვთოკავთ.

18510. ექიმთან, მართლმსაჯულებასთან, ნებით არ მიდიან, მათ ავადმყოფობა, თავის დაზღვევა და პროფილაქტიკა მიათრევს.

18511. მისვლა-მოსვლის, ერთმანეთის შეწუხების, გარეშე, ნათესაობაც იკარგება, მოვალეობის გრძნობაც ხუნდება და არც სიყვარული გამოდის.

18512. გონივრული დასვენება შრომის ფასს აორმაგებს.

18513. ვნებასაც მოსკორვა და გეგმური გადანაწილება სჭირდება, რათა ასაკში მისი მარაგიდან რაღაც შემოგრჩეს.

18514. სიცოცხლეს თავისი დირიჟორი სჭირდება, ხალხით გადაჭედილ დარბაზში, მხურვალე ტაშით მაყურებლის ჭკუის გასახსნელად.

18515. კეთილდღეობის შენარჩუნებას თავისი ფხა და მარიფათი სჭირდება, წინხედვით.

18516. მატერიალიზმით თავის მოწონებას ხშირად უკეთურობამდე მივყავართ.

18517. ყოველდღიური წარუმატებლობა შიშის და დაწვრილმანების ბრალია.

18518. ადამიანი თუ თავისი ყოფით კმაყოფილია – მონაა, თუ უკმაყოფილოა – „პიროვნება“, რა ჯობს, ვის უწყის, მაგრამ ბუნტზე და რევოლუციაზე უმჯობესი.

18519. პატარა დაავადება, წყენა, მტერი, არ არსებობს, ყველას დროულად წამლობა სჭირდება, რათა ჩვევად და ეპიდემიად არ იქცეს.

18520. ძაღლის თავი ხშირად იქაა დამარხული, სადაც არ ველით და საღ განსჯასაც ეწინააღმდეგება.

18521. სიბერე სულის და ხორცის არაორდინალური ცვეთის შედეგია

თავის ფასით და ხარისხით.

18522. სიცოცხლე ზოგჯერ ისეთ კითხვა-პასუხს მოითხოვს, რომ მათზე დაფიქრებაც არ ღირს.

18523. საკუთარი ჭკუით ცხოვრება ყოველთვის დაგვიანებულია.

18524. მრავალფეროვნებაც ფეხის აყოლას მოითხოვს, რათა არ ჩამოვრჩეთ და სიამოვნება განვიცადოთ.

18525. სიბერესაც სექსმოყირჭებული, დრომოჭმული და სათუო მოგონებებით უნდა შევხვდეთ.

18526. სიკვდილი სიცოცხლის გამგრძელებელია ახლის თესვით და ძველის მომკით.

18527. იმედი ყველაფრის უებარი წამალია, მათ შორის, უიმედობისაც.

18528. მსხვერპლის გაღებას საღი აზრი და შედეგი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში – დანაშაულია.

18529. საკუთარ ბუნებას წინ ვერ აღუდგები, მაგრამ ზოგჯერ გონიერების წიხლის ჩაზელვა აუცილებელია.

18530. აღებულ გზას, მისწრაფებებს, ყბედობა და შური წინ ვერ აღუდგება.

18531. თუ იმას აკეთებ, რაც სწორად გულით მიგაჩნია, შედეგის მიუხედავად, სადარდებელი არაფერია.

18532. ამ ცხოვრების კომედიაში ჩვენი როლი მონდომებით უნდა შევასრულოთ და თუ ტაშის დაკვრით და დამახსოვრებით გაგვაცილებენ, ამას რა სჯობს.

18533. ცხოვრებას თავისი მემორანდუმები აქვს, ყოფას კი – თავისი კანონები.

18534. სწორ გზაზე ხშირად გონიერებასთან უკომპრომისო ჭიდილი გვაყენებს.

18535. სიკეთის კეთებას თავისი მომხიბვლელობა აქვს, რომლის შეცნობა ყველას არ ხელეწიფება.

18536. დიდებასაც თავისი პარამეტრები ახლავს და ბედნიერებაა, თუ მას უმკლავდები.

18537. ცხოვრებას თავისი პრინციპები აქვს და ყოფას – სხვისთვის შეუცნობელი ხმა.

18538. უფლება ბოროტებაა, განუსჯელობაა, უგნურებაა ან პირიქით: საქმის დაჩქარება, პროგრესის გვერდზე დგომა, დროისთვის გასწრება, გააჩნია უფლების მფლობელს – ვის ანდო ხალხმა, უფრო სწორად კი – განგებამ.

18539. ხშირად ხვალინდელი დღის გაცნობიერების მცდელობას სიბეცემდე მივყავართ, რადგან წინჭვრეტა ერთეულ გონიერთა ხვედრია.

18540. ცხოვრება ყოფის სიღრმეში ჩაწვდომაა, ხოლო სიცოცხლე ამ სიღრმეში შენს ჭკუაზე ხელის ფათურია.
18541. ძალას გონიერების შეზელვა აორმაგებს და უფრო თავდაჯერებულს და მიზანდასახულს ხდის.
18542. ყველა წარმატება უაზრობის აზრიანად გარდაქმნის შედეგად ნაბარტყია.
18543. სადაც არაპროფესიონალია, იქ გადაცდენაც კი დანაშაულში გადაიზრდება.
18544. ცხოვრების თანამგზავრი, შეკეთებული ოცნებებით, სათანადო სიმაღლეზე სიყვარულით დიდხანს ვერ იფრენს.
18545. ცხოვრება ოინბაზობაა და თავის მადლს კარგავს, თუ დრო და დრო არ განვაახლებთ.
18546. ჩვევები ძალზე დიდ დროს გვაკარგვინებს და მათ შორის, ჯანმრთელობასაც (მაგ., სიგარეტი).
18547. რეალობის მორგებასაც დიპლომატია და ჩასაფრება სჭირდება და არა – წინააღმდეგობის უაზრო გაწევა.
18548. მისაბაძი მაგალითების გათავისება ადვილია, თუ ამ ნიმუშების მომცემი პიროვნება ობიექტურად არსებობს.
18549. ზოგ რეალობასთან ჭიდილი სიამოვნებას გვანიჭებს, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ მას ვერაფერს დავაკლებთ.
18550. ცხოვრების პარადისთვის უნიფორმა ყოველთვის გადანახული უნდა გვქონდეს.
18551. ცხოვრება ზოგჯერ ცდილობს ჩვენში, კარგთან ერთად, ცუდის გამოვლენასაც, ხოლო ადამიანის ვალია ამ უკანასკნელის, ზოგჯერ საჭიროსაც, ბოლომდე წარმოჩენას მოერიდოს.
18552. სიცოცხლე თავის ჭკუაზე მიდი-მოდის, მაგრამ მაინც სიკვდილის კაპრიზს ემორჩილება.
18553. ზოგჯერ ხდება სასწაული, როდესაც ცოლი ქმრის დაყადაღებულ ხელფასს მთლიანად არ ხარჯავს, რადგან ძვირფასი ქურქის საყიდლად ინახავს.
18554. გონიერება იმიტომ არის საჭირო, რომ სხვისი არ შეგვშურდეს და უგუნურება გვერდით არ გავიკაროთ.
18555. ხშირად ასაკს ჩვენი ოცნებების, ილუზიების, გაწბილება განსაზღვრავს და არა გამართლებული საქმიანობა და გალაღებული წლები.
18556. ცხოვრება თავისებურად იურისპრუდენციაში გარკვევის მცდელობაცაა.
18557. ცხოვრებაში ან ჩუბინი უნდა იყო ან სამიზნე, ოღონდ ეს უკა-

ნასკნელი გონიერების ჯავშანჟილეტით სჯობს, მეტი შანსი გაქვს ადამიანად დარჩე.

18558. იღბალი, ნიჭი, მცდელობა, წარმატების ერთმანეთზე გადაბმული ჯაჭვია, ყოფის სხვადასხვა პარამეტრებზე ხელის გამოკვრით.

18559. სიცოცხლეც გადამდებია, თუ გონიერების მუხრუჭები აშვებულია.

18560. სიახლის გაცნობიერება ჭკუას გვმატებს და გრძნობათა ამბიციებს დროულად თოკავს.

18561. მეგობრის არჩევას, თეორიულად, ტვინი, ინტუიცია, სჭირდება, პრაქტიკულად კი საწინააღმდეგო ბუნების ხალხს ჩვენდაუნებლიედ ვირჩევთ, რადგან ასეთია ბუნების დაუწერელი კანონი.

18562. მემკვიდრეობა გამართლებაა და არა – დამსახურება, რადგან შენ ბედად, შენზე უკეთესი თავისიანებში, ამ დროის მონაკვეთში, ვერ მოიძებნა.

18563. კეთილდღეობა ლამაზი დეკორაციაა თუ მას სულიერება და ტრადიციების დამცველი მუხრუჭები არ ახლავს.

18564. იუმორი სიცოცხლის ელექსირია, ჭკუის დაწურვით, სულიერების გალაღებით და შიგადაშიგ გონიერების „ჩაკეცვით“.

18565. სიცოცხლის წლებსაც იმქვეყნად მადლიერებით გათრევა სჭირდება.

18566. უმიზნოდ დახარჯული იდეა აღმაფრენის გვირგვინს თავზე ვერასოდეს დაიდგამს.

18567. სიკვდილს გულღიად არ ვხვდებით, მაგრამ თავის მოწონებას ვცდილობთ, იქნებ გადაგვივადოს.

18568. არის რაღაც, რომელსაც ვეგუებით, რადგან გარდაუვალია და ვერას ვუშველით, მაგ., წლების მატება, სიცოცხლის შემოკლებით, არის სხვა რაღაც, რომელიც გვაღელვებს, რადგან შეგვეძლო ეს შეცდომა არ დაგვეშვა. მაგ., დაგროვილი სიმდიდრის დაკარგვა.

18569. გონიერება ეძებს, რწმენა იმედს გვინერგავს, მცდელობა საქმის დაგვირგვინებას ცდილობს.

18570. აკეთო ის, რაც შენ გსურს, გონიერება მუდამ ვერ გაგიგებს.

18571. სიცოცხლე ისეთი ხანმოკლეა, რომ დაბნევის უფლება არ გვაქვს, რათა დროის შესატყვისად არ გავხარჯოთ.

18572. აწმყოთი ცხოვრება ბედნიერებაა თუ წლების მატებამ უდროოდ თავში არ წამოგარტყა.

18573. ბოროტება უჩინარიცაა, საგანგაშოც და ძირში აღმოსაფხვრელიც – თუ მოვინდომებთ.

18574. გამოცდილება სატრაბახოა, ჭკუის დაღვინებით და სარგებელზე

ხელის გამოკვრით.

18575. მასწავლებლებს თუ გვირჩევენ, მრჩეველი თავად უნდა შევარჩიოთ ჩვენი ცნობიერების შესატყვისად.

18576. სიმშვიდე ის მშვენიერებაა, რომელსაც ხშირად რატომღაც სიამით ვერ აღვიქვამთ.

18577. სამწუხაროდ, ცხოვრების გამოცდილება მკარნახობს, რომ ჭკუა ყოველთვის შეკაზმული უნდა გვქონდეს, ბოლომდე არავის ვენდოთ და ყველა საქმე ხელის გამოღებით დავაგვირგვინოთ.

18578. სულიერება რაც უნდა გაიქაჩოს, სიცოცხლე მაინც ყოფიერების პროდუქტია.

18579. ის ცოლ-ქმრული გაგება, რაც ასაკში მოდის, ჯეელობაში რომ ჰქონოდათ, ეს წყვილი ახალგაზრდობის წლებს ნაკლები შეცდომებით დაანაგვიანებდნენ.

18580. სიმდიდრე ისე უნდა დავაბანდოთ, რომ სიკვდილის შემდგომ ყოველთვის სასიკეთოდ გაგვიხსენონ, მაგ. ჩვენი სახელობითი სტიპენდია დავაწესოთ.

18581. პრობლემებს ზურგს არ აქცევენ, მაგრამ არც აღიზიანებენ და მის მოგვარებას ხშირად დროის გაყვანით ცდილობენ.

18582. გიყვარდეს და გძულდეს – ყოფის აქსიომაა, მაგრამ რატომ ის და სხვა – არა, ამ სახის განტოლება ამოხსნას არ ემორჩილება.

18583. ცხოვრება ლოცვაა, თუ ჩვენ მის ყადრს შევიცნობთ.

18584. სიკეთისკენ მისწრაფებას ვერავითარი გამოგონილი მუხრუჭები ვერ შეაჩერებს.

18585. ჩანაფიქრს მალვა უნდა, რომ არ მოგპარონ ან განუხორციელებლობის შემთხვევაში არ დაგცინონ.

18586. სიცოცხლე ერთი ადამიანის საკუთრებაა და ის თავის ჭკუით უნდა განვლოს, მაგრამ სხვათა რჩევის გონიერების ფილტრში გატარებით.

18587. ბედი ის სასუსნავია, რომელსაც ჩვენი ყოფის გამწარებაც შეუძლია და ჩატკბობაც.

18588. ბედთან შერკინებასაც თავისი დროის ყოფაში გაწაფული ტორეადორი სჭირდება.

18589. ცხოვრების თავიდან დაწყება, წარსულის შეცდომების გამოსწორებით, ყველას უნდა, „თავდავნატრი“ იდიოტების გარდა.

18590. ყველას თავისებური სიგიჟე გვახასიათებს, რაც ცხოვრებას გვიხალისებს, ურთიერთთან გვაახლოებს და თავის მოთოკვასაც გვასწავლის.

18591. ცხოვრების საზრისს და ფილოსოფიას ადამიანი ვერ აირჩევს,

თუ ის ყოფის რეალობას არ მოერგება.

18592. შუა გზაზე მიტოვებული ყველა საქმე უნიათობის, უპასუხისმგებლობის და რწმენის დაკარგვის შედეგია.

18593. ყველა ქმედებას თავისი ლოგიკა აქვს, ხშირად გაუგებარი და მიუღებელი.

18594. სისასტიკის ჩადენას ზოგჯერ შექმნილი გარემოება მოითხოვს და არა სიმამაცის წარმოჩენის სურვილი.

18595. ნამდვილი, წმინდა, გონივრული, ყოველთვის იშვიათია, რადგან მან დროის და ყოფის შემოტევას ერთდროულად უნდა გაუძლოს.

18596. ყველა ჩვენგანი დროებითი კეთილდღეობის მუდმივად გარდაქმნას ფიქრობს და ამით განგებას რომ ეწინააღმდეგება, ვერ გრძნობს, რადგან ამ სამყაროში ყოველივე რიგითობას ემორჩილება.

18597. ყველა ხსნა გვერდითაა, თუ ჭკუას დავწიხლავთ და ხელებს გავანძრევთ.

18598. ყოფა შემდგარია, თუ გასახსენებელი გაქვს, თავსდანატრი და ამქვეყნად ყოფნა გეამაყება.

18599. ვისაც ბიუროკრატიზმის დაძლევა და მისთვის თვალის ახვევა შეუძლია, ის აღწევს ცხოვრებაში წარმატებას.

18600. აღმაფრენა, დროსთან ჭიდილი, შემართება, ყველა შემოქმედის ამომავალი წერტილია.

18601. გულგრილობის მარაგი ყველა ჩვენგანს ცხოვრების გამართლების შესატყვისად აქვს გადანაწილებული.

18602. საკუთარი ცოდევების ტირაჟირებას და კულტის მსახურებისთვის აღსარების მიცემას, ისევ განვლილი გზის განსჯა, მათან მარტო დარჩენა და სიმშვიდის შენარჩუნება სჯობს, სულიერება არ იფანტება.

18603. მარტოობა და უსუსურობა სიკვდილზე გვაფიქრებს.

18604. მიზნის მისაღწევად ხშირად შთაგონება უფრო ამართლებს, ვიდრე ძალა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ხანგრძლივი, მეორე კი მოკლევადიანი ღონისძიებაა, მაგრამ პირველის შედეგი უკეთესია.

18605. ცხოვრების წესს და მისი გამოყენების ნებას განგება გვრთავს, ჩვენივე მონდომებით.

18606. მეგობარმა შენი ნაკლიც უნდა აიტანოს და წარმატებაც.

18607. კარიერის კიბეზე ასვლა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება და თანადთანობით დაბლა, ასაკის შესატყვისად, დაშვება.

18608. ზოგს ისეთი ბედი აქვს, გვირაბში სინათლეს უთიშავენ, რომ გვირაბის ბოლოს არ გავიდეს და სინათლე არ დაინახოს.

18609. გონიერება სიბერეში მოდის, შემოქმედების უნარი ქვეითდება,

მაგრამ ჯეელობის სურვილი გვერდს უმშვენებს.

18610. ღმერთთან იმსოფლად ჩახუტებას, ისევ ამქვეყნად განდიდება ჯობს – უფრო მატერიალურია, ხელშესავლებია და დასამახსოვრებელიც.

18611. მეგობრის ხარისხი გვერდში დგომით განისაზღვრება და არა – ნაცნობობის პიარით.

18612. მრისხანება თავისებური პროფილაქტიკაა იმათ მიმართ, რომლებიც მარად მზად არიან რაღაც შესცოდონ, მიჰქარონ, თუნდაც გასართობად.

18613. ცუდის და კარგის კეთებაც ხშირად შემთხვევის და ბედის ნებაა და ჩვენ არაფერშუაში ვართ.

18614. მოწინააღმდეგის განზრახვის ცოდნა გვაიარაღებს, უცოდინარობისგან განსხვავებით, მაგრამ შეძლება და ფხის გამოჩენის ძალაც უნდა შეგვწევდეს, რადგან ცოდნას ხშირად თავში წამორტყმა სჭირდება.

18615. ცხოვრებადაცდილი, ცხოვრებაგამოცდილი და ცხოვრების მცოდნე სხვადასხვა ცნებაა: პირველი მოულოდნელ ფათერაკებთან შენახვედრია, მეორე – ყოფის საფეხურებზე, რყევის შეცნობით, ასულა, მესამე ცხოვრების ყადრს სხვებს უზიარებს.

18616. ცხოვრება ბრძოლაა და აქ დამარცხებულ-გამარჯვებული არ არის, შეიძლება იყოს წარმატებულ-წარუმატებელი, წუთისოფლის გამომყენებელი-გამოუმყენებელი, დროულად შემჩნეული-შეუმჩნეველი.

18617. ბედნიერებასაც წაბიძგება სჭირდება სურვილების გადასახედიდან.

18618. პირველი ნაბიჯის გადადგმას გონიერების მოხმობა სჭირდება, რადგან ეს საბოლოო შედეგზე გავლენას ახდენს.

18619. უნებლიე დანაშაულის ჩადენასაც დაუგეგმავი მომზადება სჭირდება, რომლის რეალიზების შესაძლებლობა ხშირად მისთვის უცნობია.

18620. გონიერების მოპოვებას ცხადთან შეჭიდება სჭირდება თავის მოფხანით.

18621. ადამიანებს არც უნდა ემადლიერო და არც უნდა შეუშინდე, რათა ცხოვრება რეალობასთან შერწყმით განვლო.

18622. სარგებელი სურვილს არ მოაქვს, ეს უფრო შესაძლებლობათა პრეროგატივაა.

18623. შურისძიება, სამაგიეროს გადახდა, სარფიანი უნდა იყოს კანონების მოშველიებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აზრი არ აქვს.

18624. ინტიმის ლეგალიზების საშუალება ქორწინებაა, ხოლო შეწყვეტის – განქორწინება, იმისდამიუხედავად, რეალობაში ახერხებენ „რაიმეს“ თუ არა.

18625. ბედნიერების ჰორმონებია: რელაქსაცია, მოდუნება, ჩუმი სიმშვიდე, უსაფრთხოების განცდის უზრუნველყოფა, განუხორციელებელი არარეალური ოცნებებით და სულიერებათა შესაძლებლობებით.

18626. ყველა გატაცებას, პრაგმატიზმს, მცდელობას, მატერიალურ ღირებულებებში გადაყვანა სჭირდება რათა იმუშაოს წყვილთა სასიკეთოდ და მომავლის იმედით.

18627. ცხოვრების მადლი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენს იტვირთავ, ამ ტვირთს რა სიამოვნებით ატარებ და რა მადლს იმკი.

18628. დღეს ყოფის, სექსის, სიყვარულის, ელემენტებს „მასმედია“ გვასწავლის, მაგრამ მაინც უვიცები ვრჩებით, რადგან ცხოვრების უნარს ნიჭი ჭირდება, ბედზე ხელის ჩავლებით და მოთვინიერებაგათავისებით.

18629. თანდაყოლილი ნიჭის შესატყვისად საჭიროა გონიერებას მოვუხმოთ და საკუთარი პრობლემებით სხვები არ გადავტვირთოთ.

18630. ხშირად დაკარგული ცივილიზაციის უკანასკნელ მოჰიკანებად ვგრძნობთ თავს დროისა და ჯანმრთელობის მიერ გაავებული ასაკოვანი ხალხი.

18631. ფიქრს, აზროვნებას, მცდელობას, მარტო უხდება გონიერების მოშველიება, ნამოქმედარის ოპონირებით

18632. ჭკუა საბოლოოდ მაინც იღბალს ჯობნის, რადგან ეს უკანასკნელი მაინც იშვიათი და ერთჯერადია, ხოლო პირველი მარად თან გვახლავს და თანდათანობით ღვინდება.

18633. ცხოვრების რაობა, ფაქტიურად, მუზების ჭიდილის ხარისხით განისაზღვრება და არა – სიმდიდრით.

18634. ცხოვრება წვრილმანებისგან შედგება, მაგრამ ზოგი მათგანისაგან გათავისუფლება უნდა შევძლოთ, თუ გვინდა რეალური საქმე ვაკეთოთ და სიკეთისთვის განკუთვნილი აზროვნება გარყვნილებაში არ გადაიზარდოს.

18635. ბედი, ყისმათი, შემთხვევა, აზროვნებას ითხოვს ღირსეულად უკან დახევით და არა – აყოლას, თუ გვინდა ცხოვრება არ გავირთულოთ.

18636. მიწიერ სიამოვნებაზე უარის თქმა სიბრიყვეა, მაგრამ მასზე გადაყოლა – უფრო მეტი უგუნურებაა.

18637. ყოველივე ახლებური გვაკვირვებას იწვევს, სულერთია, საბო-

ლოოდ დადებითად აღიქმება თუ უარყოფითად.

18638. ზომიერება ყველგან და ყველაფერში საჭიროა, მაგრამ ცხოვრება პენს ჰკარგავს თუ თავი ზოგჯერ არ მოიგიჟიანე.

18639. ზოგჯერ მდუმარება და ენაზე კბილის დაჭერა ყველაზე კარგი საუბარია საქმის სასიკეთოდ დასაგვირგვინებლად.

18640. შეიძლება სიმდიდრეს ბედი გვაძლევს, მაგრამ მისი გონივრულად დაბალანსება – ხარჯვის უფლება თავად უნდა ვიტვირთოთ.

18641. სიხარულს თესვაც უნდა, მოვლაც და მოთმინებაც გონიერების ზვინის დადგმით.

18642. გრძნობიერებას საკეთებელს რა დაულევს, თუ გვერდში დაუდგებიან.

18643. რჩევა ვარიაციული სტატისტიკის პოსტულატებს არ ემორჩილება, რადგან საუკეთესო და შენთვის მისაღები შენივე ჭკუით უნდა შეარჩიო.

18644. გამოყენების გარეშე ყველა მცდელობა უვარგისია.

18645. ბედნიერებაც ტაშის დამკვრელებს და მის მორჩილ დამქაშებს ითხოვს.

18646. ასაკში სექსისადმი გულგრილობა გაჯეჯილებული წლების დამსახურებაა და იმის მაჩვენებელია რომ თავის დროზე ქალები არ გაუწბილებია.

18647. არასრულფასოვნება ხშირად ჩვენი დაცემის მიზეზია.

18648. აწმყოთი ტკბობა, მომავლის გათავისების ნიჭს და განგების მადლს მოითხოვს.

18649. „მოჩანგლვა-გაარშიყების“ თანხმობას, თავისი ქცევით, ქალი იძლევა, მაგრამ ხვადობის ქულებს, რატომღაც, კაცი იწერს.

18650. ასაკსაც თავისი მომხიბვლელობა აქვს: ან „ვსულელდებით“ ან ჭკუა გვემატება, ეს მაშინ, როდესაც მისი გამოყენება დაგვიანებულია.

18651. სიკეთის კეთებაც მეცნიერებაა, რადგან ის გონების გადახარშვას მოითხოვს.

18652. ცხოვრებას აჩქარებული ნაბიჯით გაივლი თუ დინჯად, ბოლოში მაინც ჩვენი გონიერების და ბედის უკმაყოფილო ვრჩებით.

18653. ორ ბოროტებას არჩევანი არ აქვს, მაგრამ არითმეტიკა მეტნაკლებად ერთერთს თავზე გვახვევს.

18654. გონიერება ცდილობს სისულელეებსა და სულელებს მოერიდოს, მაგრამ ესეც სინჯია, რადგან ისინიც ხომ ვიღაცამ უნდა აღზარდოს, გამოასწოროს, ჭკუა დაარიგოს, თუნდაც უშედეგოდ.

18655. სწავლას და სწავლებასაც პროფესია და საქმისადმი სიყვარული

ითხოვს.

18656. სიკვდილის სარეცელსაც თავის ხუმრობის პარამეტრები ახლავს, ან იმქვეყნად გაგისტუმრებს ან ამქვეყნად პირს გაბრუნებინებს.

18657. ზოგი შეცდომა სახელსაც გვაძლევს და მოგებასაც, გააჩნია, დრო და ბედი ჩვენს მხარეს რა ხნითაა.

18658. ცხოვრება გონიერებით და სიცოცხლის აღებ-მიცემობით ფასობს.

18659. ბედნიერების შემცვლელად ჩვეულება, კეთილი სურვილები, არ გამოდგება.

18660. კეთება ნებართვის გარეშე ცუდია, მაგრამ ზოგჯერ არც გაუკეთებლობა ვარგა, თუ ეს აუცილებელია მომავლის შეცნობით, შედეგით.

18661. შეცდომის გამოსასწორებლად ისევ გონიერებამ უნდა ივაჟკაცოს და უიმედობა ჩააცხროს.

18662. უგუნურებს არ დასცინიან, უბრალოდ, მათთან შეხვედრას ერიდებიან.

18663. სამართლის დევნას გაუძლებ, ამ ლაქის მოშორებაა ძნელი.

18664. ცხოვრების დრამატურგიაც ღმერთის ნაჩუქარია, თავისი იდეოლოგიით, რეჟისორი ხელისუფალი და მსახიობი ხალხით.

18665. დროსტარებასაც ცოდნა უნდა.

18666. მიზნებს, გეგმებს, ადამიანი განგების „სანქციით“ ახორციელებს.

18667. როცა გეკითხებიან, ვინ იყო მამაშენი, ე.ი. შენი წარმოშობა-რაობით ინტერესდებიან და პერსპექტივაც გეძლევა.

18668. ჩვენი ახალგაზრდული თავაშვებულობა დღევანდელ თავაშვებულობასთან მოსატანი არაა და ამას ასაკის დამუღამებისას ხვდები.

18669. იღბალსაც მოყვანა უნდა ოინბაზობით, შულერობით, თაღლითობით და ილუზიებით.

18670. ცოლის მოყვანაც ფილოსოფიის პოსტულატებს ემორჩილება, იმისდამიუხედავად, გაგიმართლა თუ არა.

18671. ის სიხარული გვანიჭებს ყველაზე მეტ ბედნიერებას, რომელსაც არ ელი და იშვიათია.

18672. სიკეთეს ზიგზაგები არ უყვარს, მაგრამ არც სიკეთის მკეთებელს უყვარს შემთხვევითი ხალხი.

18673. მიამიტობა და გულწრფელობაც გამოსადეგია, თუ მას გონიერება გვერდში უდგას.

18674. სიმდიდრეც და სიყვარულიც შესაძლებელია ხელიდან დაგვისხლტეს, ამიტომ მათ შორის არჩევანის გაკეთება არც ისე ადვილია.

18675. საქმის კეთებას უკან მოხედვა არ უყვარს, თუ ლელო გატანილია.
18676. თავად სისულელე კი არ არის დანაშაული, არამედ განზრახ სისულელის ჩადენა.
18677. საკვირველის შექმნა ყველას არ ძალუძს, ხოლო სასაცილოსი – ყველას.
18678. სიმართლესთან შეჭიდება ზოგჯერ წარმოგვაჩენს.
18679. ბუნების ცოდნა ზოგს ხელს არ უშლის ყოფაში დილეტანტი დარჩეს.
18680. ჯეელობაში საკუთარი მეობის აღმოჩენა-წარმოჩენით ოჯახის მოვლა ყველას უჭირს თუ მოთმინება-შეჩვევას დროულად არ გაითავისებს.
18681. ცხოვრებამ მტრების დამეგობრებაც იცის და მეგობრების ჩამოშორებაც, გააჩნია შენი გონიერების შესაძლებლობებს.
18682. რა თქმა უნდა, თვალის საამებლად ახალგაზრდა ქალის დანახვა ჯობს, მაგრამ სიბერეს თავისი მიმზიდველობა აქვს, რადგან დროის ამდენ ხაბა-ხუბას გაუძლო და ჯერ კიდევ ამქვეყნიურობით სუნთქავს.
18683. ზოგჯერ საქმის საკეთებლად უამრავი ყბედობაა საჭირო, რომ ერთმა მაინც გაამართლოს.
18684. შეცდომას შეფუთვნა-გალამაზება სტატისტიკად აქცევს.
18685. სილამაზე ყოველთვის სიმდიდრეს ვერ იხვეჭს, ხშირად სიღარიბეზე ხურდავდება.
18686. ღარიბები დამნაშავენი არიან იმიტომ, რომ კონკურენციას ვერ უწევენ ბედნიერთ და ყოფით გაქსუებულთ და რაც მთავარია, არც ცდილობენ.
18687. ძალა იმ შემთხვევაშია შეუპოვარი, თუ მას პერსპექტივა აქვს.
18688. ყველაზე შემაშფოთებელია, როდესაც ექიმებს რაიმე დაავადებაზე სხვადასხვა აზრი აქვთ.
18689. სიკეთის კეთების სურვილი ერთია, მცდელობა მეორეა, განხორციელება მესამეა, ხოლო მათი დაბალანსება-დაფიქრება ჭკუის მოხმობას მოითხოვს.
18690. სიამოვნება შეზღუდვებს ვერ იტანს, მაგრამ „თავკონტროლი“ აუცილებელია.
18691. სიბერე წარსულის შეცდომებში გვამოგზაურებს და წარსულთან გვავაჭრებს.
18692. შედეგი განსაზღვრავს, განსჯის და აფასებს ჩვენი ნიჭის, ქმედების, შესაძლებლობებს.

18693. ფიქრი ერთია, საუბარი – მეორე, საქმე – მესამე და შუაში უზის „დიდი მზღვარი“.
18694. საქმის კეთებაა, რომ აგვამაღლებს და დაგვცემს, შედეგის და დროის შესატყვისად.
18695. საშიშროებას კი არ უნდა გაექცე, უნდა დაემალო და ზურგიდან მახვილი ჩასცე.
18696. შენ მიერ სხვისთვის ნაჩვენები გზა, მთლიანად გონიერებით უნდა იყოს მოკირწყლული.
18697. გარდაუვალ შერკინებას ხშირად შედეგის წინასწარ ცოდნაც ხელს ვერ უშლის – იქნებ ბედი დღეს ჩვენს მხარეს გადმოიხაროს.
18698. სერიოზული საქმის კეთება, თავისი გამოჩენა-გამორჩენით, ჭკუის ჭყლეტას, თუნდაც მოჩვენებითს, მაინც მოითხოვს.
18699. გულის ჯილდაობის ხარჯზე არაფერ ნაკლს და ნაკლულს არ უნდა გავეკაროთ.
18700. ქვების დაშენას კარიერის კიბეზე არბენა იწვევს და არა ნაბიჯ-ნაბიჯ ასვლა.
18701. ვაკეთოთ ის სპონტანურად, რაც გვეხერხება, გვსიამოვნებს და ხელთ გვაქვს ბედნიერება.
18702. ნასწავლს და განსწავლულს ცხოვრების აზრი თავიანთ კაურე-ბით ესმით.
18703. ცხოვრებაში ზოგჯერ გვენატრება, რაც არ გვინდა, მაგრამ საჭიროა, სასრგებლოა და აუცილებელიც.
18704. ზოგჯერ რჩევა საწინააღმდეგო ხასიათის ადამიანისგანაც უნდა მიიღო, რათა შენი მცდელობა განსხვავებული ცოდნით შეივსო.
18705. არასასურველი მიმართულებით გამოცდილების შეძენა ის სიმ-დიდრეა, რომლის გამოყენებიდან თავი უნდა შევიკავოთ.
18706. ყველაზე მეტად საკუთარ თავს უნდა ეჭიდავო, ეჯახირო, თუ გინდა ყოფის მადლი გაიგო.
18707. მოვალეობას ბევრი ეჯახირება, მაგრამ შესრულების ხარისხია დაბალი.
18708. „რისკი შამპანურსაც სვამს“ და ყოფის რაობასაც შიფრავს.
18709. უსიტყვოდ მხოლოდ გაფილტრულ, დამჯდარ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, გონიერებას ვემორჩილებით.
18710. ყველაზე დიდი ბედნიერებაა გონის მოხმობა დასახული მიზნე-ბის რეალიზებით.
18711. ცხოვრების „ლაითს“, ბევრი კარი აქვს დარჩენილი, რომელსაც მორგებული გასაღებით გაღება სჭირდება.
18712. გონიერებას ყოველთვის თან უნდა ახლდეს შემართება – ჩვენ

შევძლებთ, გავაკეთებთ, მივხედავთ.

18713. აზრის, ჩვევების, ქმედების, დათესვა ხასიათს, სიყვარულს, თანადგომას, იმკის.

18714. მეტის ნდომის გარეშე სიმდიდრე არ გროვდება, საქმე არ კეთდება და სიყვარულსაც ვერ იძენ.

18715. ღალატს ზოგჯერ ცნობისმოყვარეობისთვის სჩადიან, შედეგის გაუცნობიერებლად.

18716. ყველაზე ძნელი ყველაფრისთვის თავის სახელის დარქმევა და მოძიებაა.

18717. იდეის უცნაურობათა გათავხედებაა, ადამიანს ზოგჯერ შეუძლებელს რომ აკეთებინებს.

18718. გამოყენების, დაბანდების, კვლავწარმოების, ცოდნის გარეშე, ყველაფერი, მათ შორის, სიმდიდრეც, აზრს ჰკარგავს.

18719. შეცდომა, რომლის შედეგების გამოსწორება შესაძლებელია, შეცდომად არ უნდა ჩავთვალოთ, უპრიანია – ჭკუის სასწავლებლად და გამოცდილების მიღებად მივიჩნიოთ.

18720. უმეცრება, დილეტანტობა, ზოგჯერ ბედის მიერ დაგებულ ხაფანგსაც აგვარიდებს, როცა არალოგიკურად ვმოქმედებთ და ვიქცევით.

18721. ხშირად აზროვნების მოშლა ფეხებზემკიდიაობის და მიზნის დაკარგვის ბრალია.

18722. ზოგადი კანონზომიერება მაშინ ირღვევა, როდესაც უნიჭობა ფულს შოულობს და თავის წამოყოფას ცდილობს.

18723. კეთილდღეობას, გონიერებასთან ერთად, საიმედო დაბინავებაც უნდა, რათა სიამოვნება გავიგრძელოთ.

18724. დაბურდული საქმე ისევ გონიერების უნარმა და მოხერხებამ უნდა გამობურდოს.

18725. დღეს სიკეთის კეთებას ცოდნა უნდა ანგარიშით.

18726. განვლილ წლებში დაშვებულ შეცდომებზე და ფეხის წატეხვაზე არ უნდა ვიდარდოთ, რადგან ასაკის გამო აღარ დაგვეწერება.

18727. გონიერებასთან მიახლოებაა, როცა დაშვებულ შეცდომას გამოსუწორებელ შეცდომად არ აქცევ.

18728. სასიამოვნო გასახსენებლად რჩება მრავალჯერ ჩვენს მიერ რეკლამირებული სურვილი.

18729. ცხოვრება, გვინდა – არ გვინდა, მიგვაჭენებს, კაურებით იქნება თუ უიმისოდ.

18730. ვეცადოთ ჩვენთვის განკუთვნილი წლები საჯილდაოდ გამოვიყენოთ.

18731. ჩვეულება ბოროტებას გვერდზეც არ უნდა გავაკაროთ.
18732. ცხოვრების 99% იხარჯება სისულელესთან ჭიდილში და მხოლოდ 1% ჭკუის მოსახმობად.
18733. გონიერების „აიწონა-დაიწონა“ კაცობის შეფასებაში გაცილებით ზუსტია.
18734. ძალასა და გენს შორის მომრიგებლად, უკეთეს შემთხვევაში, გონიერება გვევლინება.
18735. მიზანს პრობლემაც უნდა შეეტყვისებოდეს, ეთანადებოდეს.
18736. სანამ ადამიანი ბუნების რეალურ დაფასებას არ ისწავლის, მანამ მის მშვიდობიან ცხოვრებას საშველი არ დაადგება.
18737. გაუნათლებელი ფიქრი სახიფათოა და იმქვეყნიურ ცხოვრებას გვაწონებს.
18738. ცოდნის გაცვლა ორივე მხარეს ამდიდრებს, საქონლის გაცვლა კი თითოეულს ცალ-ცალკე.
18739. მიზანს ადამიანის ნებამ მხარი უნდა აუბას და წარმატებაც გარანტირებულია.
18740. სიხარული-მწუხარება ერთმანეთს თანაუგრძნობენ და უგებენ.
18741. გამოცდილებაც დაფინანსებას და დროის ალიყურს მოითხოვს.
18742. მის ადგილზე შენი „მეს“ დაყენებით უნდა განსაჯო – განსასჯელი იქნება თუ ოპონენტი.
18743. სილამაზე მრავალფეროვანია, მთავარია, თავად გავერკვეთ, რას ვეძებთ, რისი დანახვა გვინდა.
18744. საქებარი სიტყვები ყოველთვის სინამდვილეს არ შესაბამება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო, რომ ცხოვრების მეტი გამოცდილება გვქონოდა.
18745. სხვათა ცხოვრება ჩვენს ცხოვრებისეულ განცდებთან „ახლოსაც“ ვერ მოვა.
18746. ერთიდაიგივე ცოდვის ჩადენა, რეციდივი, დანაშაულია და არა – უნებლიე გადაცდენა.
18747. ჩვენ ვირჩევთ ცხოვრების გზას, თუ ბედი გვაყენებს ამ გზაზე, მარად გაუგებარი რჩება.
18748. სიმდიდრის ფლობა-შენარჩუნებას, მოხმარებით, ყოფის ალგორითმების ცოდნა-ამოხსნა სჭირდება.
18749. ტანჯული სიცოცხლე სიკვდილის მონატრებას არ ნიშნავს, უბრალოდ, მისი დრო დაკარგულია.
18750. განსჯას ზოგჯერ განუსჯელობა სჯობს, საქმის გამოსწორების მცდელობით.
18751. უზრუნველი ცხოვრება სულიერების სიმებს ვერ ააჟღერებს.

18752. მოსალოდნელ გარდაუვალობას წინასწარ არ უნდა ვეჭიდაოთ, რადგან რაც მოსახდენია, ჩვენი მცდელობის გარეშეც მოხდება.
18753. ბოროტებას ზოგჯერ ის „სიკეთე“ მოაქვს, რომ თავის უგუნური გაკვეთილებით გვაფრთხილებს და გვმოძღვრავს.
18754. ბოროტების ატანა მის გამრავლებას ხელს უწყობს და უარესი ბოროტებაა.
18755. გამუდმებული სწავლა მისასალმებელია და კარგია, თუ ასაკში „სკლეროზმა“ ხელი არ დაგვრია და ფეხი არ დაგვიდო.
18756. გარეგნული მშვენიერება ყოველთვის ჩვენი საქმიანობის მშვენიერებას არ წარმოაჩენს.
18757. სიკეთე ავტომატი არ არის, ყველას ჯერით მიაყარო, არ დაგიფასებენ, ვერ გაიგებენ.
18758. სასარგებლოს და კარგის შექმნა არასოდესაა გვიან, მათ შორის, საუკუნეგამოტოვებულის.
18759. ცხოვრების დაწყებისთანავე, იწყება მისი შეფასება-დაფასება.
18760. სასარგებლო, ცხოვრების შესაცნობ, შეცდომებს მხოლოდ ახალგაზრდები უშვებენ და ისიც გარკვეულ დრომდე.
18761. დაოჯახებაში გაწბილების შესაძლებლობა მეტია, მაგრამ არის სხვა ვარიანტებიც.
18762. ღირებულებისთვის ღირს ცხოვრება და არა მარტო არსებობისთვის.
18763. კოვზი საჭმლის გემოს ვერ აღიქვამს, მაგრამ მის საჭიროებას არ გამორიცხავენ, ასევეა სხვას აყოლილი ჭკუაც, რომლის გამოცდილება საჭიროა, მაგრამ შენი მცდელობა თუ არ შეაზილე, გემოს ვერ ჩაატან.
18764. ამბობენ, უბედურებას მკვდრად ყოფნა სჯობსო, მაგრამ სული ტკბილია და ყველას ევთანაზიით მოსვენება არ სურს.
18765. ცხოვრების ფერხულში ჩაბმა, ჩვენს დავაჟკაცებას, დაღვინებას და ბოლოს დაჩაჩანაკებას იწვევს კეთილი სურვილებით და მომდევნო თაობათა საქმეში ჩაურევლად.
18766. სამწუხაროდ, თუ რაიმე არ ხდება ჩვენს ირგვლივ, ცნობიერებაში მაინც რაღაც უნდა მოვახდინოთ, რათა რაღაცის და ვიღაცის იმედი ვიქონიოთ.
18767. ასაკს ადამიანთა შეცნობა უადვილდება, მაგრამ უკვე აღარ სჭირდება.
18768. შინაურებთან საქმის მოგვარებას არასწორად დატოვებული ან დაუტოვებელი ანდერძი აძნელებს.
18769. იმის წართმევა, რის აღდგენა-დაბრუნებაც არ შეიძლება, უდიდე-

სი ცოდვაა.

18770. ძალა გონიერებას უნდა შეეკრას, თუ უნდა ხშირ-ხშირად მის წინაშე „ხერგილი“ არ აღიმართოს.

18771. ფალოსის ჭკუაზე სიარულის გახსენებას ასაკში არაფერი სჯობს.

18772. კეთილისმდომს ცოტას ვუსმენთ, ბევრს ვუთმობთ, მაგრამ ბევრს ვსარგებლობთ.

18773. ბედნიერება ძებნას და მცდელობას მოჰყვება.

18774. მოთმინება სიცოცხლეს ამოკლებს და ახანგრძლივებს კიდეც, რადგან ექსტრემალურ სიტუაციაში, შექმნილ გარემოში, როგორღა უნდა მოიქცე, არავინ იცის.

18775. ხასიათისაგან განსხვავებით, ხშირად გონიერება უფრო მეტ უხერხულობაში გვაყენებს, თუ არ ვიცით მისი მოთოკვა.

18776. ღირსების და ნაკლის პიარით წარმოჩენას, გამოცდილება, მომხიბვლელობა და ცოდნა სჭირდება.

18777. კარიერის კიბეზე შეჩერება რაღაც პერსპექტივას გვიტოვებს, ვარდნა – ფინიშია.

18778. წინასწარ გაფრთხილების „მოპოვებაც“, შენს მეობაზე, რაობაზე, სარგებლიანობაზე, მიუთითებს.

18779. წარმატება დახარჯულ შრომაზე, ნერვების დაწყვეტაზე, გონების ჭყლეტაზე მეტია, რადგან შენს მოშურნეებს, მოწინააღმდეგეებს, ბიშტი უჩვენე.

18780. სიცოცხლეს მარად მისთვის განკუთვნილი იმ უცხო განტოლებების ამოხსნა უხდება, რომელიც მას ალამაზებს.

18781. ხშირად ერთის გადარჩენის ცდა, ორივეს დაღუპვას იწვევს, ამიტომაც რისკთან ერთად რეალური წინხედვაც საჭიროა.

18782. სიმართლეს ისმენენ და გემოს არ უსინჯავენ.

18783. დღეს ცხვირის დამოკლება მოდაშია, ალბათ იმიტომ, ყველგან რომ არ ჩაჰყონ.

18784. სიმართლის თქმა-უთქმელობა ზოგჯერ შეჯერებას მოითხოვს, რადგან არავინ უწყის, რა უფრო მეტად ზარალიანია.

18785. სილამაზეს, სიმდიდრეს, ძალზე ცოტა დრო რჩებათ იმისათვის, რომ ჩვეულებრივ ღირებულებებად იქცნენ, იმდენად დიდი ფორა აქვთ ცხოვრებაში.

18786. მთავარია ცხოვრების წესი, შემდგომ მოდის შესაძლებლობა, სიმდიდრე, კარიერა.

18787. სიმდიდრის გაორმაგება საზრუნავს სამმაგად ზრდის.

18788. სიამოვნების მიღებას გარჯა უნდა და არა – მოკირწყლულ

გზაზე სიარული.

18789. არარაციონალურ გატაცებას საწყისშივე უნდა ავუმხედრდეთ, რადგან შემდგომ დაგვიანებულია.

18790. ყველა სიბნელეს თავისი ჩირაღდანი აქვს, მაგრამ მის მოძიებას, ნიჭთან ერთად, შეუპოვრობაც უნდა.

18791. გაჭირვება ფიქრს გამოაცოცხლებს, სიმდიდრე კი – აზარმაცებს.

18792. სწავლა-განათლებას დაღვინება სჭირდება, რომ დაჭაშნიკების საბაბი გახდეს.

18793. საყველპურო მედიცინის ცოდნაც კი ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

18794. ცხოვრების ამფითეატრს გონიერებაც იკავებს და უგუნურებაც, მთავარია, სამთავრობო ლოჟაში რა ჭკუის და მასტის ადამიანი მოხვდება.

18795. ხასიათის მოწესრიგება სიცოცხლის რაობის შეცნობის სინონიმია.

18796. ცხოვრების უცნაურობათა შეცნობა ხშირად სიცოცხლის რაობის მიმართ ინტერესს გვიღვიძებს.

18797. ძიება, წინსვლა, კარიერის კიბეზე ფეხის შედგმა – ეს არის და ეს ცხოვრების არსი, ყოველ შემთხვევაში, ჭკუადალაგებულთათვის.

18798. ალბათ ცხოვრებაში იმ ადგილს ვიკავებთ, რაც გვეკუთვნის, თუ ქვეყანა არ აირევა.

18799. წარსულს ყოვლთვის ლამაზი შეფუთვნით ვიხსენებთ, მისი რაობის მიუხედავად.

18800. სიღარიბე ცხოვრების ნებაყოფლობითი წესია, როდესაც საქმის კეთებისკენ გული არ მიუწევთ და არც თავზე შეძახებას ცდილობენ.

18801. „მიზანი ამართლებს საშუალებას“, ოღონდ განსჯით და გადამლაშების გარეშე.

18802. ასაკისათვის მსითვის სასიამოვნო წარსულ დღეთა გახსენება სიცოცხლის გახანგრძლივების ელექსირია.

18803. სწორად ცხოვრება ხშირად სიცოცხლის რაობის შეცნობის სინონიმად არ გამოდგება.

18804. მიზანი, ქმედების გაცნობიერების გარეშე, არარაობაა.

18805. ფაქტიურად ჩვენ სხვას არაფერს ვართმევთ, რადგან მცდელობით იმას ვიღებთ, რაც სხვამ თავისი უნიათობის, გაუბედაობის გამო ვერ მიიღო.

18806. ჯობს ცხოვრება მოუმზადებლად დავიწყოთ და მომზადებაზე

დრო არ დავკარგოთ, რადგან თუ ბედი გწყალობს, ყველა ხარვეზი თავად მოგვარდება.

18807. უცოდნრობა უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე სწავლა-განათლებაში გაღებული ფული.

18808. მბრძანებლობის უფლებას შესაძლებლობები გვაძლევს და არა – სურვილი.

18809. შეცდომების შედეგი ყოველთვის უარყოფითია, მაგრამ მისი დანახვის სარკე სხვადასხვაა.

18810. სიღარიბეს სიკვდილი უფრო უჭირს, ვიდრე სიმდიდრეს, რადგან პირველს მეორესგან განსხვავებით ცხოვრების გამოსწორების იმედი კიდევ შემორჩა.

18811. მიზნისთვის გვერდის ავლა უმადურობაა საკუთარი მესადმი, რომელსაც ვერ გაგიგებენ და ვერც შენ აპატიებ ბოლოს საკუთარ თავს.

18812. ჩვეულებისაგან თავის დახსნა ძნელია, გონების მოხმობის მიუხედავად.

18813. სერიოზული საქმის კეთება ირგვლივმყოფთა შეწუხებას თავის გამოდებით, შემართებით და ფანტაზიით მოითხოვს.

18814. ფიქრი, კეთება, მცდელობა, ერთმანეთს ყოველთვის არ ერწყმის.

18815. დღეს ზოგი ცხოვრებას ინტერნეტით იწყებს და ინტერნეტითვე ამთავრებს.

18816. პატიოსნად თავის გადამოწმება მოსალოდნელ შეცდომებს აგვარიდებს.

18817. საკუთარი მარცხის ანალიზის ნაცვლად ისევ სხვათა შეცდომების გაფეტიშებას ვცდილობთ და ამით თავს ვიზღვევთ სიმართლის ალიყურისგან.

18818. მამრის გულის დაპყრობა, დამონება, ერთია, მისი შენ ჭკუაზე მართვა და ტარება – მეორეა და ყველა თავისი ნიჭით შეჯერებას მოითხოვს.

18819. ბედი ყოველთვის ბრმაა, მიუხედავად იმისა, გვწყალობს თუ არა.

18820. ერთდროულად მართალი და სარფიანი გზის მოძიება ძალზე ძნელია.

18821. ყოველივე გონიერებას ექვემდებარება თუ გულით მოვინდომებთ.

18822. სხვადასხვა ასაკს სხვადასხვაგვარად ესმის და უხარია ამ წუთისოფელში ყოფნა და დროის მოკვლა.

18823. მეგობრის განაწყენება ზოგჯერ მის მტრად მოკიდებას ნიშნავს ე.ი. მეგობრის შერჩევა არ გვცოდნია.
18824. მიზნის მიღწევას ზრდილობიანი „სალამ-ქალამიც“ ამშვენებს.
18825. მიზნის განხორციელების უნარი, სამწუხაროდ, ყველას არ შესწევს.
18826. სურვილის ასრულება ნერვების წყვეტას, ტვინის ჭყლეტას და ბედთან შეხმიანებას მოითხოვს.
18827. გაჭირვებისაგან თავის ნებაზე თავის დაღწევა არვის ძალუძს, რადგან ბედი, ყისმათი, როგორ შეტრიალდება, არავინ უწყის.
18828. სიღარიბე ქონების მაქსიმალური შემცირებაა, იმედის დაკარგვით.
18829. შეცდომების აფიშირება მორიგი შეცდომებისგან ვერ გვიცავს.
18830. გამოცდილებას თავისი პლუსები აქვს, მაგრამ ფანტაზიის გარეშე სიახლის წამოწყება უჭირს.
18831. ამ ცხოვრებაში იმ უაზრობასაც აზრი აქვს, რომელსაც ჩვენი მეგაბაიტი ჯერ-ჯერობით ვერ სწვდება.
18832. სამწუხაროდ, საშიშროება „ნისიაზე“, „პახმელიაზე“ და „იაფობის დროს“ ისახება და მათი გამოცნობა ძნელია.
18833. არის სისულელე, რომლის ჩამდენსაც კარგი ორგანიზაცია უნდა, რომ სისულელედ არ გამოიყურებოდეს და ზოგჯერ მიბაძონ კიდეც.
18834. ჩვენი ბედის ვარსკვლავს ხანდახან თვალის „ჩაპაჭუნება“ არ უნდა ავიწყდებოდეს, ჩვენ კი მადლიერებით თვალების „დაჟუჟუნება“.
18835. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზოგ ადამიანს მისი ცხოვრებაც არ უნდა ანდო, იმდენად უცნაური ბედი აქვს.
18836. ხშირად გამარჯვებას ის აღწევს, ვინც მართალია და არა – მრავალი, რადგან სიმართლის უკან ხშირად ეროვნულობის გადარჩენა დგას.
18837. ყველა კონკია წარმატებას მოჯამაგირეობით იწყება, ასევეა რეალობაშიც: ჯერ უნდა ეცადო, იწვალო, იმუშაო, თუ გინდა შედეგმა შეგამჩნიოს და ხელიც გაგიმართოს.
18838. ჯანმრთელობის გარდა, ყველაფერზე წარმატებით „წაპოტინება“ შეიძლება, თუ ბედი შენთან არის და მცდელობას არ აკლებ.
18839. ტანჯვა მომეტებულმა ფიქრმა და საქმის დაუზოგავმა სიყვარულმა იცის.
18840. მდიდარი არ შეიძლება ყველა გაჭირვებულს „მამიდა“ იყოს, თავად თუ არ უნდა „მამიდის“ ძებნა დაიწყოს.

18841. ადამიანს მოსმენა კი არ ვნებს, არამედ მოსმენილის თავის ჭკუაზე გატირაჟება.
18842. ზოგჯერ წყვილის „შერკინება“ და „ბრძოლა“, საკუთარი თავის სიყვარულია და არა – ოჯახის.
18843. მეტის სურვილის ნაკლებით დაკმაყოფილებაც შეიძლება, თუ სხვა შანსს მხრები ჩამოყრილი აქვს.
18844. სიცრუეს თავისი ნეტარება აქვს, ჭეშმარიტებას თავისი, გააჩნია, ვინ რისთვის და ვისთვის არის გაჩენილი.
18845. წარმატება-წარუმატებლობას თავისი საფეხურების „ბაზისი“ აქვს და მათში უმთავრესია აზროვნება.
18846. უკულმართი ბუნება-გუნება გვამჩნევს, მაგრამ ზოგს მის გარეშე ყოფნა არ შეუძლია და ამიტომაა, რომ ამ „მოლიპულ“ გზაზე სიამოვნებით დადის და ზოგჯერ სასარგებლოსაც „ადნობს“.
18847. ძალადობა დაპირისპირებას იწვევს, შედეგი – უპატიებელ სიბრიყვეს.
18848. ყველანი აწმყოს ვაჩალიჩებთ, მომავალზე ფიქრით, ზოგჯერ წარსულსაც ვიხსენებთ და ვარემონტებთ ჩვენი სულის გასახარად.
18849. ზოგჯერ „ვითომდა ნაკლი“ სიყვარულს და აღმაფრენას იმსახურებს და ამით ხარკს უხდის დროს.
18850. წვრილმანები იმიტომაც არ არსებობს, რომ მათ მიმართ უყურადღებობას სერიოზულ დარღვევამდე სწორედ ამის გამო მივყავართ.
18851. ჩვევები ან გვემსახურებიან ან ჩვენზე ბატონობენ, განსაკუთრებით, როდესაც შეზარხოშებულები ვართ.
18852. ფასეულობებთან კავშირი და შეძენა ცხოვრებას თავის მადლს ჰმატებს.
18853. სისულელეები უნდა მოვთოკოთ და არ უნდა გავრიყოთ, რადგან ცხოვრების არსს ვერ ჩავწვდებით.
18854. ჯობს სიმდიდრე საყვარელი საქმის კეთებას და საკუთარ სიამოვნებას მოვახმაროთ, რადგან საბოლოოდ არაფერს დაგვიფასებენ.
18855. მეტი მცირეს არასოდეს ცნობს და ემორჩილება და ეს გონიერებასთან ურთიერთობისას ძალზე ზარალდება.
18856. სასურველის მიღება, გონიერების გაჯეჯილებასთან ერთად, ხელის გამოღებას და ზურგის გამაგრებას მოითხოვს.
18857. წარუმატებლობა ხშირად ვულკანივით ბიძგს იძლევა და სად ამოხეთქავს და გაამართლებს უცნობია.
18858. მოწყენილობას, გაჭირვებას, მანკიერებას, მკურნალად შრომა

„პერპეტიუმ-მობილედ“ ევლინება, განსაკუთრებით, საყვარელი საქმიანობის მონახვის შემდგომ.

18859. გარემოების ყურის გდება და მისი ანალიზი ყველაზე უკეთ გვასწავლის ვისთან უნდა დავახლოვდეთ და ვიმეგობროთ.

18860. გული ბევრ კარგს გვთავაზობს, მაგრამ გონიერების, სულიერების და ჯანმრთელობის გარეშე მხოლოდ შემოთავაზებად რჩება.

18861. ფსიქიატრები ყველაზე „ბედნიერი“ ექიმები არიან ამ სამყაროში. მათ უმთავრესად „დიდ ადამიანებთან“ უხდებათ შეხვედრა, თანაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ასაკში.

18862. პატარ-პატარა საქმეების ძეწკვი, მონდომების შედეგად, დიდ საქმეთა ჯაჭვად იქცევა.

18863. დრო განსაზღვრავს, ხიფათში მხოლოდ ჩვენ გავყავით თვალი, თუ დანარჩენებმაც.

18864. წარმატება გვაამაყებს, გვათამამებს და გვადუნებს, მაგრამ ეტყობა, არც უიმედობა იქნება, რადგან მარად წარმატებული ან დაჩაჩანაკებული ჩვენი მტერი იყოს.

18865. რისკსაც ფსონში ჩასადები გონებით სჭირდება „დამოძღვრა“, რათა წაგების შემთხვევაში გაკოტრებული არ დარჩეს.

18866. შედევრთა გაცნობიერება სიცოცხლის ხანგრძლიობას ზრდის, გონიერებასაც აახალგაზრდავებს და ალამაზებს.

18867. ადამიანს, პირველ რიგში, ცხოვრების მოწყობა-აწყობა უნდა ვასწავლოთ და მერმე მივცეთ თავისუფლება და მისთვის სასურველი ყოფის ორგანიზების უფლება.

18868. ზოგჯერ ცხოვრება იმიტომაც ხდება მისაღები, რომ იმ ყოფის რაობასთან შეგუება ჩვენთვის უმთავრესია იმ მომენტში.

18869. საჭირო სიტყვის. საჭირო ადგილზე ჩაგდება პროტექცია კი არა, მომავალი „სპეცის“ დამოძღვრაა გონივრული მიდგომით.

18870. ერთიდაიგივე სიძნელის რამდენჯერმე დაძლევა ჩვენს უნიათობაზე მიუთითებს, რადგან სიძნელე ერთ ჯერზე უნდა მოვგუდოთ.

18871. განსაცდელის დაძლევა ვითომდა ჭკუას გვმატებს და გვგონია, რომ სულს გვიმშვიდებს.

18872. ცხოვრებისთვის უმთავრესია რის მიღწევა გსურს, რის გაკეთებას აპირებ.

18873. ზოგჯერ არასაჭირო და უზნეო ცოდნა პანაშვიდების ოდენობას ამრავლებს.

18874. ზომიერებაა, რომელიც არც მემკვიდრეობას ფლანგავს, არც ქვეყნის ქონებას, არც დროს და სამართლიანია როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა მიმართ.

18875. ხშირად დროსაც ვაცდენთ, დღესაც ვატყუებთ იმისათვის, რომ საღამოს სასიამოვნო ოცნებებით დავიძინოთ და დილას იგივე გავიმეოროდ.
18876. თავშისაცემი საქმე ხშირად დაუფიქრებლად მინდობამ იცის.
18877. გატაცებამ ხშირად გულგრილობა და დავიწყება იცის, მომდევნო გატაცებამდე.
18878. წესით იმაზე ვერთობით, რაც გვიყვარს, მოგვწონს, გვახალისებს, მაგრამ არსებობს დაფინანსებაც, რომელიც ყოველივეს პირიქით გვაკეთებინებს.
18879. ზოგი კაცის გულს მოიგებ, თუ ის შენი თანასწორი არ არის და მდგომარეობით შენზე მაღლა დგას.
18880. ყველაფერი ამაღლებული კარგია, ოღონდ თავის მოტყუების და ბლეფის გარეშე.
18881. განცდებთან ჭიდილი ადრე გვაბერებს როგორც გარეგნულად, ასევე გონებრივად.
18882. წუმპეში თავით გადაშვებას, ჯობს საკუთარ თავს ფეხი დაუდო და წუმპეში ჩავარდნამდე მოჯდე, განსასჯელ-დასაფიქრებლად.
18883. ცოდნა და გამბედაობა ორივე შემართებას მოითხოვს.
18884. აკეთო ის, რასაც სხვა არ აკეთებს, ისიც ბუნებაა, თუ სასიკეთო შედეგს იძლევა.
18885. ცხოვრების დანიშნულებაა ყოფიერებისთვის მომზადება და სიძნელეებისთვის ბიშტის ჩვენება.
18886. ყოველივე ცუდს, მიუღებელს, ჩანასახშივე უნდა მოვუაროთ, მოვხედოთ, მოვახრჩოთ.
18887. გამოცდილება ქცევის წესებსაც ხვეწს, საუბრის ტონსაც, შესატყვის მანერებსაც.
18888. სხვისი ბედნიერება, რატომღაც, ჩვენსას უჯოკრავს და ეს ყოვლთვის „არასამართლიანია“.
18889. ბოროტება, მთავარია, არ შემოგეპაროს და ცნობიერების დაპყრობა არ დაიწყოს, რათა მასთან ბრძოლა არ გაჭირდეს.
18890. ყოფის ალგორითმი იმას გვიტოვებს, რამაც დროის გამოცდას გაუძლო და ფასეულია.
18891. გამოუვალი მდგომარეობიდან ღირსებით გამოძრომა, ყოველთვის გონიერებას ევალებოდა.
18892. სიბრძნე უგუნურებიდან შორს არის, მაგრამ იძულებულია მის გვერდზე იღვწოდეს.
18893. წარმატების გამართლებას, წარუმატებლობისაგან განსხვავებით, არც ალიბი სჭირდება და არც – ვექილი.

18894. ყოფის წესების ცოდნა წესრიგისკენ მოგვიწოდებს და წესიერ ადამიანად გვაყალიბებს.
18895. ვცხოვრობთ ისე, როგორც ვახერხებთ და არა ისე, როგორც ჩვენს უდღეურ ფანტაზიას სურს.
18896. ორმხრივი მუხრუჭების გარეშე ოჯახის შენარჩუნება წკიპზე ჰკიდია.
18897. ოჯახის საწყისი სიყვარულია, მაგრამ უფრო ამართლებს პატოსნება და მოვალეობის შეცნობა.
18898. სიკვდილ-სიცოცხლის „ბაიათზე“ გამოცდილებამ უნდა იმსჯელოს, რათა ახალგაზრდული ფანტაზიის მაქსიმალიზმს გონიერებაში არ აერიოს.
18899. ცხოვრებისაგან მიღებულ განათლებას სკოლის კლასიკური განათლება და მშობლის დამოძღვრა ვერ შეედრება, რადგან ის უფრო გამოსადეგია.
18900. ბედნიერება ზომიერებას თავის ჭკუაზე ვერ ირგებს.
18901. სიკეთის კეთებაც ძალის ჩვენებით უფრო დაფასებულია, ვიდრე უიმისოდ.
18902. რჩევა-დარიგებით ზრუნვა ხშირად ახლობლებს გვავიწყებს, რადგან ყველა „ჭკვიანია“ და მათ დახმარება მატერიალურად და ნაღდ ანგარიშზე ურჩევნიათ.
18903. სამართლიანი საქმის გადარჩენას ისევ შექმნილმა გარემოებამ უნდა მიხედოს.
18904. უკანმოუხედაობა ბეჯითმა შრომამ, დარდისთვის ბიშტის ჩვენებამ, იცის.
18905. საკუთარ საქმესთან შეჭიდება, უკან დახევას და წყნარ ცხოვრებას ვერ იტანს.
18906. ცოდნის მოწესრიგებას, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, დროის და ხელისუფალთა შესატყვისად მოქმედება სჭირდება.
18907. ბოროტებასთან შერკინება მის დამარცხებას გარკვეულ დროის შემდეგ ახერხებს.
18908. თავის გაფრთხილებას უბედობასთან ასოცირების უფლება არ აქვს.
18909. ნახევრადჭკვიანი უფრო შედეგიანია, ვიდრე, ჭკვიანი, რადგან ის მოხერხებასთან თანამშრომლობს.
18910. პრაქტიციზმი ყველა თეორეტიკოსს ბიშტს უჩვენებს, მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე პირველი წინ ბიჯს ვერ წარსდგამს.
18911. გონიერება განსაზღვრავს ბევრ პარამეტრს არსებობისას, მაგრამ დასამახსოვრებელ სახელს მაინც ბედი და შემთხვევა ტოვებს.

18912. ყველა ცოდნა დაბანდებას მოითხოვს მატერიალიზებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ დაგიფასებენ და ვერც შინაურები გაგიგებენ.
18913. სურვილი და შემართება ყველა წინაღობის დაძლევას ახერხებს.
18914. სიკვდილს ჩუმად ყველა ეფერება იმქვენიური ცხოვრების იმედით.
18915. სრულყოფა საქმის გულით და უღალატოდ კეთებაა.
18916. დარიგება, რჩევა, რომ დააფასო, დაფასებულ-დაფინანსებული უნდა იქნეს.
18917. სიხარული ხშირად აზრების „გაუჯეჯილებლობას“ მოითხოვს.
18918. სიფრთხილე და თავშეკავება არც ერთი საკითხის დადებითად გადაწყვეტას არ ვნებს.
18919. გადაცდენების დაშვების გარეშე, შეცდომები არ მომრავლდება, რადგან ერთი მეორეს მიჰყვება, რიგით იქნება თუ ურიგოდ.
18920. შეცდომების რაოდენობა ჩვენი მცდელობის მარგი ქმედების კოეფიციენტზეა დამოკიდებული.
18921. ზნეობას აღზრდა სჭირდება, აღზრდას – განათლება, განათლებას კი – სასიკეთო გენი.
18922. ზოგჯერ ჩვენთვის უცნობი რამ მოსალოდნელიცაა და სარწმუნოც.
18923. ადამიანის ბედნიერებაც არ არის სრულყოფილი, თუნდაც იმიტომ, რომ მისი წინაპარი დღეს ამას ვერ ხედავს.
18924. დაუდევრობას ხშირად არც ალიბი აქვს და არც სხვა გამართლება, იმდენად გაუგებარია.
18925. წერტილის დასმა ყველა საკითხში აუცილებელია, ნერვების წყვეტისაგან გვათავისუფლებს.
18926. ყველა თავის ბედნიერების ფორმულის დადგენას ცდილობს, მაგრამ ტოლობა მაინც ცვალებადია.
18927. აკეთო ის, რაც შენ შეგიძლია, უკვე დიდი მიღწევაა.
18928. კარგი ყოველთვის დასამახსოვრებელია, მასაც შენარჩუნება, გაუმჯობესება და გათავისება სჭირდება.
18929. სიცოცხლე სადავიდარო განტოლებაა, რომელიც ხშირად ამოხსნას არ ემორჩილება.
18930. ყველა დარდი თავის სახელს უნდა ამშვენებდეს და ტოვებდეს.
18931. ცხოვრება მარად ხალისს გვანიჭებს, თუ მიზანი ცნობილია.
18932. შემთხვევა ბედს არ ეჭიდავება და პირიქით, რადგან მათი კავშირი განსჯას არ ექვემდებარება.
18933. სიცოცხლის არშიყს ცხოვრების კონფლიქტად ქცევა არ შეეფ-

ერება.

18934. ჭკუის მატება ზოგჯერ შემთხვევის დამსახურებაა, რადგან დაღვინებამდე კიდევ ბევრი დროა.

18935. ბედს ყველა სიამოვნებით უსაფრთდება თუ მისი მოსვლის რაღაც შანსი არსებობს.

18936. იდეისთვის თავის დადებას რაფინირებული განათლება სჭირდება და არა მხოლოდ გამბედაობა და „თავზე ხელის აღება“.

18937. უსაქმურობის ტოლობას სიბერე განსჯის.

18938. ჭირს სულ დედისგინებით და ჭკუის მოხმობით უნდა გავუმაგრდეთ.

18939. დედამიწაზე სტუმრობაა ძნელი, თორემ წასვლა მარტივია და ადვილი.

18940. შეცდომებისთვის თავის არიდება გონიერებას მოითხოვს.

18941. საკუთარი გატუტუცებული „მეს“ ატანა სიბერეში ძნელია.

18942. სიკვდილი ხშირად ხელს უწყობს ადამიანთა მორიგებას ამ სამყაროში.

18943. მწუხარებას დრო და საქმე ნაადრევად კურნავს.

18944. ქმედება, უმოქმედობისაგან განსხვავებით, სიყვარულს, სამართალს, გონიერებას, სწორ გზაზე აყენებს და შედარებით დამთმობს ხდის.

18945. ხელისუფალს ის ხალხი აღარ სჭირდება, რომელმაც ქვეყნის სათავეში „წამოასკუპა“.

18946. დასჯა ამ ქვეყანაშიც არსებობს და იმ ქვეყანაშიც, მაგრამ ცოდვები ამით არ მცირდება.

18947. ყველა მარცხი ჩვენი ბრალია: ან ვერ შევძელით ან ძალზე გავიქაჩეთ.

18948. ხასიათის სისუსტე ყოველნაირ ურთიერთობას წყალს უყენებს.

18949. გათხოვილ-დაწვრილშვილებული დედა ოჯახის გაცილებით ერთგულია, ვიდრე ცოლშვილიანი მამა, რადგან ცდუნების პარამეტრები სხვადასხვა აქვთ.

18950. ნაჩქარევად არაფერი უნდა ვაკეთოთ, მაგრამ გონება უნდა ვაიძულოთ დროულად იფიქროს.

18951. ცხოვრების სილამაზეს, მადლს, ჩვენი ყოფის გაჯეჯილება განსაზღვრავს და განსჯის.

18952. დღეს მოსაშორებელ ჭირს ხვალისთვის ნუ გადავდებთ და ზეგისთვის ნუ შევიხახვისთავებთ.

18953. ზოგჯერ გადაცდენასაც გემო უნდა გავუსინჯოთ, რათა ცხოვრების რაობაში გავერკვეთ.

18954. სიტკბო-სიმწარე ჩვენი ყოფის „ბაიათია“ და ბუნების კანონებს უნდა მოვარგოთ.
18955. ემოციების გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და უაზროცაა.
18956. ჩვენი ცხოვრება სხვებმა დააფასონ, ჩვენ კი უნდა დავეხმაროთ.
18957. ცოდნის გამოყენებას ყველა თავისებურად უდგება, მაგრამ ყველა მასში სარფს ეძებს.
18958. გაყრა სხვაზე გადაბრალების საბაბს ეძებს.
18959. მთავარია გადაცდენა შეცდომებით არ დაუშვა, თორემ გადაცდენით ცხოვრება გარკვეულ დრომდე შესაძლებელია.
18960. მარტოოდენ ბედნიერება არ კმარა, რადგან ის ცვალებადია და ბევრისთვის გაუგებარიც.
18961. ზოგჯერ ჩვენი დამალულ-მიჩუმათებულის უკან ისეთი რამ იმალება, რომლის გამზეურება საკმაოდ სადავიდარაბოა.
18962. ბედნიერება, ეტყობა, მაინც ხორციელია, მიუხედავად იმისა, რომ მასში სულიერება ჩალიჩობს და იღვწის.
18963. დაუდევრობა ბედს ვერ გვაპოვნინებს.
18964. ბედნიერება მრავალფეროვანია, მთავარია შენი პრიორიტეტის მოძიება.
18965. ყოფის მწვერვალის ყველა დალაშქვრა უფსკრულის პირს უნდა გვაგონებდეს, რადგან ფეხის დაცდენა ყოველთვის ჩვენზე არ არის დამოკიდებული.
18966. დასჯა ასუსტებს, აფრთხილებს, ან აბოროტებს, ხოლო მათ შორის შუალედს გონიერება ეძებს.
18967. ენის დამოკლებას ვარჯიში და ცხოვრების წკიპურტი სჭირდება, გარკვეული დროით.
18968. ცხოვრება, ავად თუ კარგად, დასამახსოვრებელ დღეთა კოქტეილია.
18969. დაუმადლებლად შენს ჭკუაზე ცხოვრება ერთგვარი წარმატებაა.
18970. ცოლი ის ცოცხალი მანეკენია, რომელიც არავითარ საყვედურზე არ რეაგირებს.
18971. ჩვენს ბუნებრივ იმპულსებსაც გონებით მოჯოკვრა სჭირდება.
18972. ახალგაზრდობაში, ჩვენდაუნებლიედ, ზოგჯერ ისეთ საქმეებს ჩავდივართ და გამოგვდის, ასაკში გაკვირვებას იწვევს. იძულებულნი ვართ, იმის შესახებ წიგნი დავწეროთ და ჩვენი ბიოგრაფია, გარკვეული დიზაინით, სხვასაც ვაუწყოთ.
18973. ძირითადად ცხოვრებაა ადამიანის ჭკუის მასწავლებელი და სხვა

არავინ.

18974. ეკლიანი ხის გამოყენებაც შესაძლებელია, თუ მას საძირედ მოვიხმართ და ზედ გონიერებას დავამყნობთ.

18975. ზოგჯერ თავის გასულელება სასიამოვნოცაა და სარფიანიც – „ასეთია ცხოვრება“.

18976. წვრილმანებისაგან თავის დაღწევა, სიძნელეებისაგან განსხვავებით, რატომღაც ყველას გვიჭირს.

18977. ცხოვრების ამოცანაა დაუზარელი შემოქმედებითი შრომა.

18978. სიკვდილს დაკაკუნებას, თანამდებობა, გაამაყებული „მე“, ვერ გადააფიქრებინებს.

18979. სიმდიდრე, გამოცდილების და დამრიგებლების გარეშე, არასაიმედო ქონებაა.

18980. მოჭარბება უფრო საზიანოა ცხოვრების უვიცისთვის, ვიდრე – ნაკლებობა.

18981. ჭკუა-გონებით წამოწყებულ საქმეს, გულმაც მხარი უნდა აუბას.

18982. მიზნის მისაღწევად დასვენებაც საჭიროა უკან მოხედვით, ოღონდ უკან დაუბრუნებლად.

18983. აზროვნება საქმის კეთების საწყისია, მაგრამ საქმეთა „მოკვარახჭინება“ გაცილებით ძნელია.

18984. ზოგჯერ უმიზნობა, დროს გამოუყენებლობა, ადამიანს უფრო ღლის, ვიდრე გარჯა და შრომა.

18985. ყველა მოვალეობა თავის საფასურს თხოულობს.

18986. ადამიანს ცხოვრებაში მრავალი მეორეხარისხოვანია როლის შესრულება უხდება, მაგრამ მთავარი როლის შესრულების იმედი ამ ცხოვრების თეატრში მარად წინ აქვს.

18987. გულის ნატვრის შეუსრულებლობა დიდი ცოდვაა და სიცოცხლის ბოლომდე მიგვყვება.

18988. ბედნიერება მიუწვდომელის მიწვდომაცაა.

18989. სისულელისთვის ყურის ართხოვება და წაყრუებაც ჭკუა-გამოცდილებას მოითხოვს.

18990. ცხოვრება ის კომედიაა, რომელშიც მონაწილეობა ყველას ერთნაირად არ ახარებს.

18991. უნდობლობა საფრთხეს ბადებს, სამაგიეროს მიზღვევით.

18992. გაჭირვება ზოგჯერ გაუკეთებელს გვაკეთებინებს და ჩვენც გაოცებას ვერ ვმალავთ.

18993. გამოცდილება შეიძლება კარგი მასწავლებელია, მაგრამ ცუდი ბანკირია.

18994. მიჩუმათებულ ჭკუის დარიგებას სახალხოდ მოწონება, შექება, სჯობს.
18995. მეგობრობა კარგი საჩუქარია, თუ ორივე მხარე შეიშნობს და „ბუზს სპილოდ არ აქცევს“.
18996. ბოროტება ხშირად სიკეთის კეთების ნიღბით გვევლინება და ესაა, რომ გვატყუებს და გვაცდუნებს.
18997. გამოცდილება დაკვირვების, ანალიზის, უნარი და შემართების გვერდში ამოყენებაა.
18998. ზოგჯერ დროულად „ფეხებით აზროვნება“ ბევრ საფრთხეს აგვაცილებს.
18999. უნდა ვეცადოთ ცხოვრებისაგან ის მივიღოთ, რაც ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებშია.
19000. სიცოცხლის ფასს დროის შემოქმედებითი და აზრიანი გამოყენება ადგენს.
19001. საქმე ყოველთვის წარმატებით არ გვირგვინდება, მაგრამ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ.
19002. შემთხვევა, ბედი, დრო, ყველაფერს წყვეტს, განგების ნებართვით თუ უიმისოდ.
19003. წინათ დაოჯახება ლატარია იყო – ან მოიგებდი და ან – არა, დღეს კი კაზინოში თამაშს ემსგავსება სხვადასხვა ფსონის ჩადებით და ბედის მოხმობით.
19004. სიცოცხლე რომ იგრძნო, უნდა იშრომო, რომ იშრომო, საქმე უნდა იცოდე, საქმე რომ იცოდე, უნდა ისწავლო, რომ ისწავლო ნიჭი უნდა გქონდეს, ნიჭი რომ გქონდეს, ასეთად უნდა დაიბადო, ნიჭიერად რომ დაიბადო, სიცოცხლე უნდა მოგცენ და ა.შ.
19005. ვარჯიში და ზომიერი ყოფა სიცოცხლის ელექსირია, ალკოჰოლის და დროსტარების ჩაურევლად.
19006. საკუთრება არამარტო ადამიანად, პიროვნებადაც გვაქცევს.
19007. თეორიულად გრძნობებს უნდა ვიმორჩილებდეთ, პრაქტიკულად ის გვიმორჩილებს და ხშირად ამის საწინააღმდეგოც არაფერი გვაქვს.
19008. უნდა ვიცხოვროთ საკუთარი აზრებით და სხვის მიმართ გრძნობების ფრქვევით.
19009. ადამიანი შეიძლება იყოს შემოქმედი, წარჩინებული, ფართე მოხმარების, მაგრამ ყველამ თავიანთი საქმე უნდა აკეთოს.
19010. ფრთები რომ გაშალო, ვნებამ უნდა შეგაწუხოს, გონების მოხმობით და წინააღმდეგობათა დაძლევით.
19011. განსაცდელის, გამოცდის, გარეშე ცხოვრებაც უიღბლოა, რად-

გან მშობლების მიერ ნაჩუქარი სიცოცხლე ვერ გაალაღე.

19012. ქალიშვილობის ინსტიტუტის სიკეთე ისაა, რომ თავისებურად აამაყებს მამაკაცს და მოვალეობის გრძნობას უღვიძებს.

19013. ვიღაც-ვიღაცების გარეშე ცხოვრებაც უნდა ვისწავლოთ და გრძნობების მოთოკვაც, თუ გვინდა საკუთარ თავს პატივი მივაგოთ.

19014. მთავარი შემთხვევითი დაცემა არ არის, მთავარია, როგორ საღსალამათად წამოდგები დაცემის მიზეზის გაცნობიერების შემდეგ.

19015. ასაკის მატებასთან ერთად ვიწროვდება საყვარელ ადამიანთა წრე და უიმედო ნაღველს იმქვეყნად წასვლის ფიქრსაც ვუმატებთ.

19016. სინამდვილეში ცხოვრება ძალზე მცირე ვარიანტებს გვთავაზობს, რომ თავი წარმოვაჩინოთ, რადგან ბედიც იშვიათად გვწყალობს.

19017. შემოსწრებული სტუმრის სადღეგრძელოს შეთავაზება და დამატებით სასმისი, სუფრის წევრებისათვის, ქართული სუფრის „ხარაკირია“.

19018. გვინდა – არ გვინდა, შვილი მამას მაინც სჯობნის დროისთვის ფეხის აყოლით.

19019. სიცოცხლის ხეა: მზე, წყალი, მიწა, სექსი, მეცნიერება და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი და ერთი შეხედვით უმნიშვნელო.

19020. მეგობრის იმედი ყოველთვის უნდა გქონდეს, ოღონდ საკუთარ თავზე შეძახებით.

19021. მოგზაურობა გამოცდილებას გვმატებს და არა – ჭკუა-გონებას.

19022. ქმედება უკუქმედებას იწვევს, თუ მის ზურგს უკან გონიერება არ დგას.

19023. ზოგჯერ თავის ზედმეტად დატვირთვა უარყოფითი ენერგიის მოშორების მცდელობაა კარგი სურვილებით.

19024. გონებრივ-შემართებითი დასვენება ერთი პატარა ცხოვრებაა, რომელიც შეიძლება მთელი სიცოცხლე სიამით დაგამახსოვრდეს.

19025. არის დღეები, რომლისთვისაც სიცოცხლე გაასკაცებით ღირს, როდესაც შენი ნაღვაწით, ნამოქმედარით, შენთან ერთად სხვებიც ნასიამოვნები და აღფრთოვანებულები არიან.

19026. იღბალი, ბედი, შემთხვევის ავ-კარგიანობა, საბოლოოდ მაინც მატერიით ბალანსირდება.

19027. „უშრომელი“ შემოსავალი შრომის, მცდელობის, გარჯის, შემართების, რისკის, გარეშე არ არსებობს, რადგან ისიც გარჯაა,

როცა თავს საფრთხეში იგდებ, აყაჩაღებ, რეკეტს ეწევი, ქრთამს იღებ და შენი ეშინიათ.

19028. ბედნიერებას თავად ვპოვებთ, კეთილდღეობას ხშირად გვჩუქნიან, რადგან ამ უკანასკნელს სათანადო გამართლების ბაზისი ჰქონდა პირველისგან განსხვავებით, თუნდაც ანდერძით, მშობლების მდგომარეობით, ცნობადი ნათესავით.

19029. ბედნიერების სწავლაც შეიძლება და შეძენაც, გააჩნია შენს მახლობლად ბედი როგორ გაინავარდებს.

19030. დაბრკოლებებს ზოგი ხტუნვა-ხტუნვით გადალახავს, ზოგიც – ჯიქური მიწოლით, გააჩნია დაბრკოლებას და მისი დაძლევის ნიჭს.

19031. იღბალი ცხოვრებასთან ჭიდილის უნარია, სიცოცხლის, ჯანმრთელობის და მონაგარის შენარჩუნებით.

19032. ადამიანს ბევრი სიყალბე, შური, ღალატი, გაუტანლობა, ახირება, ახასიათებს, მაგრამ ურთიერთდაჭირვება ნაკლს ნაწილობრივ ანეიტრალებს.

19033. წვრილმანი უძახე და ყოფის ალგორითმები მასზეა აგებულ-აწყობილი.

19034. ისწრაფეთ დროულად ისწავლოთ ცხოვრების სიძნელეების დაძლევა, რათა ასაკში ამ პრობლემას წარმატებით აუაროთ გვერდი.

19035. დიდი საქმის კეთებას მარტო მონდომება არ შველის, თუ დროც გვერდში არ ამოუდგა.

19036. მომთხოვნელობით და პუნქტუალობით საქმის კეთება მომდევნო საქმის საფუძველია.

19037. მოყვასის ყურადღება დიდად ფასობს, განსაკუთრებით, თუ ავტორიტეტია.

19038. ჩვენ ვებრძვით, ვინც ზიანს გვაყენებს და არა იმას, ვინც ეს დაგეგმა.

19039. გარდაუვალი სახელი თუ მისი ნაადრევი მოპოვება სიკვდილის შემდგომ, ძნელი კითხვაა, რადგან პრაქტიკულად სახელის დატოვებაც გვინდა და ამქვეყნად დიდხანს შემორჩენაც.

19040. არსებულ სინამდვილეში საკუთარი სიახლის შეტანა გვაამაყებს.

19041. წარმატება, უმთავრესად, ინტუიციის და შემართების დამსახურებაა.

19042. ახალგაზრდას ან ქუჩა რყვნის ან სახლი, რაც შეეხება, ბუნებაგუნებას, მის მოთოკვას, ნიჭთან ერთად, სწავლებაც შეძლებს.

19043. კაცი თუ მიზანდასახულია, უბოროტო, ნიჭიერი, თავის სანთელსაკმეველს ცხოვრებაში ყოველთვის მონახავს.

19044. რადგან შემთხვევით არაფერი ხდება, საკუთარ წარმატებასაც დაფასება, ხშირ-ხშირად თავის შეძახებით, სჭირდება, რათა წარმატება ხელში არ შემოგადნეს და ზურგი არ შეგაქციოს.

19045. ვისაც მხოლოდ სიყვარული უნდა, ის ოჯახის უღელს ბოლომდე ვერ გასწევს, ვერ გაქაჩავს, რადგან ოჯახის შენარჩუნებას ხელის დაკაპიწება ამბიციების გარეშე და ურთიერთგაგება დათმობით უნდა.

19046. ცოლ-ქმრობა, გრძნობათა ბარტყობით, ურთიერთყურადღებაა და ამ საქმიანობამ არ უნდა გადაგვღალოს.

19047. დაშორების უმთავრესი მიზეზი: არ ღირს აწამო შენი თავი და პარტნიორი, თანაც ეს ახალი ბრძოლაა ცხოვრობ გასაუმჯობესებლად, საკუთარი ოცნებებით და მიზნებით.

19048. ცოდნა-გამოცდილების შეძენა იგივე თავის წარმოჩენის და გამდიდრების მცდელობაა სხვათა ჯინაზე.

19049. ზოგისთვის ბედნიერად ცხოვრება დღე და ღამე ტელევიზორის ყურება და ინტერნეტში ჩალიჩია.

19050. სწავლა-განათლება, გამოცდილება, აუცილებელია, მაგრამ არა მათთვის, რომლებიც ამ საქმიანობაზე დროს ტყუილუბრალოდ კარგავენ.

19051. ყველა ადამიანი თანასწორი სიცოცხლისთვის არის მოვლენილი ამ ქვეყნად და არა – თანასწორი აზროვნებისთვის და საქმის შემოქმედებითი კეთებისთვის.

19052. საკუთარი ყოფის მოგვარება ყველამ უნდა ვცადოთ, მაგრამ არა – სხვის ხარჯზე და კონკურსის გარეშე.

19053. სიმამაცეს ზოგჯერ უგუნურებასთან აქვს კავშირი, მაგრამ მხოლოდ კარგი გაგებით და სხვაზე ზრუნვით.

19054. თვალი ყოველთვის ეჩვევა, გონება ყოველთვის ვაჭრობს, სულს ყოველივე აღელვებს, ყური უგუნურებას ახშობს, ცხვირი ყველაფერს აღიქვამს და გულიც საგულეს ნახულობს, ასე რომ „თავ-კონტროლი“ უნდა გავუწიოთ და ამ ყოფის „ბაირამის“ ფილოსოფიის პოსტულატებს უნდა ვენდოთ.

19055. ცუდის მოძიება ადვილია, კარგის აღმოჩენა, გაანშლაგებაა, ძნელი.

19056. საკუთარ თავთან ჭიდილს დროებითი თავის შეძახებაც არ შველის.

19057. სენტენცია მისაღებია, თუკი ცხოვრების გამოცდილებაზე მიგვანიშნებს.

19058. იუმორის გრძნობა ცხოვრებაგამოვლილი კაცის პრეროგატივაა.

19059. პატივმოყვარეობა თუ სათანადო მუხრუჭს ფლობს, მისთვის ყველა გზა ხსნილია.
19060. დანაშაულსაც სიმძიმე „ამშვენებს“, „აფეტიშებს“ და მათ დასამახსოვრებელს ხდის.
19061. არაფრის კეთებას თავისი გენი და ნერვების მოთოკვის ცოდნა სჭირდება.
19062. ის, რაც საჭიროა, ხშირად გვერდითაა და ამას, უმთავრესად, შორი გზის მოვლის შემდეგ ვაცნობიერებთ.
19063. ჭკვიან ადამიანსაც თუ მსმენელი არ ჰყავს, ცხოვრება უჭირს და არც გამოსდის.
19064. შემოთავაზებული სამუშაოსთვის ალღოს აღება და იმედის გამართლება თავისებური ბედნიერებაა.
19065. მცდელობა შედეგის საწინდარია, რადგან გაუბედაობას არავითარი სახეირო არ მოაქვს.
19066. ფასეულობათა გადახედვა დიდ სიფრთხილეს და ცხოვრების გაკვეთილებით გონიერების შეჯერებას მოითხოვს.
19067. ეს ცხოვრება სიბრძნე-სიცრუეზეა აგებული და მხოლოდ სიმართლით ცხოვრება გაჭირდება.
19068. მოხვეჭის მცდელობა დასაგმობი არაა, თუკი შეგრჩება და შეგარჩენენ.
19069. რეალური ცხოვრების ყადრის და მადლის შეცნობა გონიერებასაც უჭირს.
19070. ბედნიერება მრავალნაირია, მთავარია ბედი ჩვენთვის რას გაიმეტებს და მას ალღოს როგორ ავუღებთ.
19071. ყველა სახის გზაზე დგომა ჟინია, მოვალეობის შეცნობაა, ბედის გამოწვევაა, იმედია და სიცოცხლის რაობის აღქმაა.
19072. ცოდნა-უცოდინრობა თავისთვის იღვწის, ბედი თავისთვის ჩალიჩობს, ხოლო ეს უკანასკნელი ვის და როდის მიეკედლება, არავინ უწყის.
19073. ლოგიკა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების დაკმაყოფილებაცაა დროის ყივილის შესატყვისად.
19074. ბედს წილში ჩაჯდომა არ უყვარს, რადგან მისი პატრონობა-გაკონტროლება უჭირს.
19075. თუ გინდა წინაპართა საცხოვრებელი ფუძე შეინარჩუნო სოფლად, შვილს ზედმეტად არ უნდა ასწავლო, დაეხმარე სპეციალობის მიღებაში და ადრეულად დააქორწინე, წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილის და წინაპართა ფუძის გასხვისება გელოდება.
19076. ჯიბრი ჯიბრს სჯობნის, რადგან სხვა უფრო ჯიბრიანი შეიძლება

გამოტყვრეს.

19077. ამქვეყნად ყოფნა შესაძლებელია და შეუძლებელიც, გააჩნია, ვის როგორ ეხერხება ცხოვრების აღქმა-გათავისება-ტირაჟირება.

19078. პირველ რიგში მშობელი წინაპართა ფუძის შენარჩუნებაზე უნდა ფიქრობდეს და არა საკუთარ კეთილდღეობაზე.

19079. სიბერის ოხშივარს ასაკიც ახალისებს, ბედისწერასთან ჭიდილის შეცნობით.

19080. მთავარი მტერ-მოყვრის შეცნობაა იმგვარად, რომ მოყვარე მტრად არ გვექცეს და მტერი მოყვარედ ვაქციოთ.

19081. განცხრომა ბოლოს მაინც ტანჯვის მომასწავებელია თუ შენობას თანდათანობით არ შეეჩვევი.

19082. ბოროტება ფესვებს, უპირველესად, გულში იდგამს და თუ შემთხვევა მიეცა, ქმედებას არ დააყოვნებს.

19083. რას ჰქვია „უშრომელი შემოსავალი“, განა გონიერებასთან ჩალიჩი და რისკზე წასვლა შრომა და ბრძოლა არ არის?

19084. მთავარი ახალგაზრდობის შენარჩუნება კი არ არის, არამედ წლების სიმძიმის გამო არ დავჩაჩანაკდეთ.

19085. ცხოვრება სისულელედ აღარ მოგეჩვენება, თუ მისი მადლის შეცნობის სამყაროს საოცრებათა ჩაწვდომის სურვილით დაიწყებ.

19086. ფათერაკიან თავგადასავლებს რა სჯობს, თუ შენთვის მშვიდობიანად მთავრდება.

19087. ადამიანს თუ ცხოვრება მოსწყინდა, აქ თავადაა დამნაშავე, რადგან მან დროულად არც თავი გაანძრია და არც ხელები დაიკაპიწა, ვიღაცის და რაღაცის სასარგებლოდ.

19088. კერძო საკუთრება მაინც განსხვისებადია, სიცოცხლეში გამოიყენებ თუ გარდაცვალების შემდეგ ნაშიერს დაუტოვებ.

19089. წესით გონიერებამ უნდა იმეფოს დროის და გარემოს შესატყვისად, ადამიანის ხუშტურები ხელს რომ არ უშლიდეს.

19090. მოგზაურობა ბევრს გვასწავლის თუ ამის ნიჭი გვაქვს, თუ არა და დროს გვაკარგვინებს სხვებთან თავის მოწონებისას.

19091. ბოროტების საბოლოოდ აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ ფრთების შეკრეჭა შეიძლება.

19092. ბედნიერება ყველას გვინდა, მაგრამ თავად რაა ბედნიერება, ამაში გარკვევა ჭირს.

19093. სიზარმაცე, მისდაუნებლიედ, ცუდისკენ მიისწრაფვის.

19094. ხალხს და ცოლს ერთი პრეტენზიები აქვთ, მათი მოთხოვნები დააკმაყოფილო, ხოლო საიდან, როგორ, დიდად არ ანაღვლებთ, რადგან სხვა ქვეყნებში ოჯახები უკეთ ცხოვრობენ ე.ი. ხელისუ-

ფალი, ქმარი, ღმერთს არ უქნია და მათ არჩევანი შეეშალათ.

19095. ასაკში ბავშვობა გეჩვენება ბედნიერებად, რომელსაც თავის დროზე ვერც გრძნობდი და ყველაფერი გიხაროდა.

19096. ცხოვრება თავისებური თამაშია, რომელიც უმთავრესად ჩვენს განწყობაზე და ნიჭის დაჰიპნოზებაზეა დამყარებული.

19097. სიყვარული ურთიერთგაგების, გონიერების, სამშობლოს ფესვების, გათავისებით, ხშირად პირად ინტერესებზე მაღლა დგას.

19098. როდესაც ერთს იძენ, მეორეს ჰკარგავ, მაგრამ პირველს მეორის გარეშე ვერ დააფასებ.

19099. თუ კარგად დავუფიქრდებით, ბუნება ჩვენი ქცევის და ქმედების მოხარკეა და ვალსაც გვანაზღაურებინებს.

19100. ბუნებასთან გონიერი ჭიდილიც კი გრანდიოზულ საქმეებთან შებმას და კეთებას მოითხოვს.

19101. ცხოვრების სკოლის გაკვეთილების ათვისება გარემოზე, გენზე, მშობელზე და მასწავლებელზეა დამოკიდებული.

19102. მხოლოდ გენის, ბედის, შემთხვევის, წყალობით ხდება ადამიანი გმირი, ვაჟკაცი თუ „ვირიშვილი“.

19103. საბაბია დანაშაულის ჩადენის უმთავრესი მიზეზი, რომელსაც უგუნურება ყოველთვის მოიძიებს.

19104. კეთილ თვისებებს თუ გონიერებაც თან ახლავს, დაფინანსება – ქველმოქმედებით დიდება გარანტირებული გაქვს.

19105. ერთდროულად მრავალ საქმეზე მოჭიდება არ შეიძლება, რადგან აქ წარმატებაც შეიძლება შემთხვევითი და დროებითი იყოს.

19106. ადამიანის სტატუსი მაშინ ორმაგდება, როდესაც ცხოვრება თავში ჩაგარტყამს და შენ ისე წამოდგები, ვითომ არაფერი მომხდარა.

19107. ცხოვრება თავისებური დრამაა და არ უნდა ვეცადოთ, რომ კომედიაში გადაიზრდოს.

19108. სიკვდილის მოტყუება ძნელია, თუ ბედმა მოინდომა კვადრატში და შემთხვევას არ მოელაპარაკა.

19109. ზნეობა პირველ რიგში სულიერი სამყაროს დასუფთავებას მოითხოვს, ხოლო შემდგომ გონიერებისას.

19110. გონიერებას სხვადასხვა გზით ვივსებთ თუ გაგვიმართლა და ცხვირში არ ამოგვცხო.

19111. გაგებას და გააზრებას ბედი უნდა.

19112. სიცოცხლე მოთმინების კაურებით ცხოვრებაა.

19113. მიზნის მიახლოებას რწმენა მარად გვერდში უნდა ედგას.

19114. ფაქტობრივად ყველანი ჩვენსავე თავს ვმოძღვრავთ, ვართობთ და ზოგჯერ უკმაყოფილებასაც გამოვთქვამთ.

19115. საჭიროება ტკივილსაც გვიმსუბუქებს.
19116. სიმშვიდე ბედნიერებაა, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის – შესაძლებელია დავმყაყდეთ.
19117. შენ უბადრუკი სიცოცხლე უძახე და მის მეტი სხვა უკეთესი ადამიანს რა გააჩნია – მხოლოდ მოჩვენებითი სივაჟკაცე და აფექტში თავის გაწირვა.
19118. ბედნიერება – უბედურების ატანა გონების ხარჯვას და მოთოკვას მოითხოვს.
19119. დღეს ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ უმეტესობა ცხოვრების ანა-ბანაში ვერ გარკვეულა.
19120. იმის, რომ არ გვეშინოდეს, რაც ბოლოში „ცხვირს მოგვხოცავს“, მაშინ არც „ცხვირის მოსახოცს“ მოვიაზრებდით გასაკეთებლად.
19121. უნდა შევეცადოთ ყველანაირ უიღბლობას და ღრუბლიან დღეს მოვერიოთ.
19122. „ფიცი-მტკიცის“ საჭიროებას ჩვენი ცხოვრების წესის გაუგებრობა იწვევს.
19123. ზოგჯერ ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი სისხლის მდინარეებს იწვევს.
19124. ბედისწერასთან შერკინება ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ წინათგრძნობა გამახვილებული გაქვს.
19125. გარდასულ დღეთა გამოცდილებას თესვით გამოყენება უნდა, რომელსაც რატომღაც უმრავლესობა ვერ ახერხებს.
19126. იბადება ადამიანთა კატეგორია, რომელსაც სხვისი ზედამხედველობის და ყურადღების გარეშე ცხოვრება უჭირს.
19127. რძლებმა დედამთილის უფლებამოსილება სამზარეულოში ერთბაშად კი არ უნდა მიითვისონ, არამედ ნელ-ნელა გაითავისონ და ნებაყოფლობითი პრივატიზაციაც განაღდებული აქვთ.
19128. ცხოვრება შეიძლება ბევრ რამეს გვაკლებს, მაგრამ შურიანები და ავები არ უნდა გავხდეთ, თუ ხელის განძრევას დროის და გარემოს შესატყვისად ვისწავლით.
19129. შენთვის არასაჭიროს და სხვათათვის აუცილებლის მოშორება ძნელი არ არის, მაგრამ მისი მათთვის მიცემა, ვინც მას სასიკეთოდ გამოიყენებს, ძალზე ძნელია.
19130. განცხრომით ამაოების განცდას, ზოგჯერ შეიძლება კაურებით ცხოვრება სჯობდეს, ყოფას უკეთ შეიცნობ.
19131. ცხოვრება წარმატება-წარუმატებლობის ალიყური და ბიშტის ჩვენებით მისი შეცნობის ალგორითმია.
19132. ბედს არ უჩივიან, ის უნდა მოვირგოთ, ფეხი ავუწყოთ და იქით

წარვმართოთ, საითაც ჩვენთვის უპრიანია.

19133. ცხოვრება ბევრ გამოცდას გვიწყობს, მაგრამ პირველი გამოცდა მაინც სიყვარულის შემოპარებით, შეგრძნებით, აღქმით იწყება.

19134. კეთება შესაძლებლობათა დამუღამების სურვილია კვადრატში, კუბში.

19135. რომ იცოდე, უნდა ისწავლო, რომ ისწავლო, სურვილთან ერთად, გვერდში მდგომი დამფინანსებელიც უნდა გყავდეს – ასეთია დღევანდელი რეალობა.

19136. ზოგჯერ უკანდახევამ შეიძლება შენი განვლილი ცხოვრება „გააფარჩაკოს“ – გააბახოს და ამიტომაცაა, რომ უკან დახევას, დათმობას, ცოდნა უნდა.

19137. სიცოცხლე მარად კომედიად დარჩებოდა, იმქვეყნად გადასახლება რომ მას ტრაგედიად არ აქცევდეს.

19138. გვინდა – არ გვინდა, თანამოაზრეთა, მეგობართა, მოყვასთა, გარეშე ცხოვრება ჭირს, მიუხედავად მათი სიჭრელისა!

19139. სიცოცხლე, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თითზე ჩამოსათვლელი ბედნიერი და დასამახსოვრებელი დღეებისაგან შედგება.

19140. ბედნიერების მოპოვებას ბედთან, ნიჭთან, მცდელობასთან, ერთად, ლატარიაში შემთხვევით მოგებაც სჭირდება.

19141. მეტოქის დიდებას თუ „გადაუჯოკრავ“, ახლა ის დაგიკარგავს სიმშვიდეს და მისგან რევანშის სურვილი ჩვენც ნერვებს მოგვიშლის.

19142. მტერს მოხერხებით, წინხედვით, ებრძვიან და არა ჯიქურ მიჭრით.

19143. ლაღად გასატარებელ სიცოცხლეს თავისი ყოფის ალგორითმი და მადლი აქვს.

19144. თავდაჯერებულობა ცოდნა-გამოცდილებას მოაქვს, თავისი ნიჭის ირგვლივმყოფთა შესაძლებლობასთან შედარების უნარით.

19145. ადამიანი თავისუფალი იბადება, მაგრამ ცხოვრება, დრო, ბედისწერა, როგორ შეაფერებინებს, ამ ბედნიერებას სხვა საქმეა.

19146. ცოდნის მატების გარეშე დასახულ მიზნამდე ვერ მივდივართ.

19147. დაუგეგმავმა წასვლა-წამოსვლამ ზოგჯერ გამონათება იცის.

19148. წვრილმან ხელისკვრას, წკიპურტებს, მუჯლუგუნებს, ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან მათ გარეშე ცხოვრება უინტერესოა.

19149. უგუნურებასაც გამართლება აქვს, რადგან გონიერება მის „შესაძლებლობებს“ ჭკუის სასწავლად ვერ ითვალისწინებს.

19150. სიცოცხლეს ალტერნატივა არ აქვს, ის ყოველთვის ფასდაუდე-

ბელია.

19151. რა ვაკეთოთ?! – ვიცოცხლოთ, ვიმუშაოთ, ვიცხოვროთ.

19152. ცუდ შემთხვევასთან ურთიერთობა არავის უნდა, მაგრამ ასე მაინც ხდება, ამიტომ მასთან შესახვედრად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

19153. სიცოცხლე არის აზრიანი და ტკბილი სიბერისთვის ბრძოლა-მზადება.

19154. იცხოვრო სხვათა გამოცდილებით და საკუთარი სინდისის კარნახით, განსაკუთრებულ ნიჭს და გონიერებას მოითხოვს.

19155. გაჭირვება გონებას გიმახვილებს, სურვილს გიძლიერებს, მიზანს გისახავს, თუ ბუნებით ჯიუტი ხარ.

19156. შერიგებაც თავისებურ ტაქტს, ნიჭს, ღირსებას, მოითხოვს ურთიერთთანადგომის წარმოჩენით.

19157. მთავარია ცხოვრებამ გვერდზე არ ჩაგვიაროს და ყოფისთვის განკუთვნილი წლები მუქთად არ დავკარგოთ.

19158. მთავარია წვრილმანზე არ ვინერვიულოთ და თავისუფალი დროის სწორად გადანაწილება ვისწავლოთ, დანარჩენი კი ნიჭს და ბედის ხუშტურს უნდა მივანდოთ.

19159. სიმართლე, კანონიერება, მოთმინება, დროის შერჩევით, ყველაზე მძლავრი იარაღია.

19160. გაუკეთებელი, დაუმთავრებელი, საქმე სახელს ვერ მოგვაპოვებინებს, მათ შორის, ოცნებით გაჯირითების დროსაც.

19161. სიცოცხლისადმი ტრფობას რა სჯობს, თუ ბედმა დაგინდო და შემთხვევამ ფეხი არ გამოგკრა.

19162. დღეს მთავარია ყოფის ლელოს გატანა ვისწავლოთ და ცხოვრებამ ზოგჯერ ჩვენს ჭკუაზე გაჯირითების საშუალება მოგვცეს, რაც შეეხება სიყვარულს, შემთხვევითი და დროებითია.

19163. მხარდამჭერთა მოპოვება, საქმის კეთება, ხელის შემშლელთა და შურიანთა მოშორება ძნელი საქმეა.

19164. მთავარია ცხოვრების კინო, ცირკად არ გვექცეს.

19165. ცხოვრება რაღაც-რაღაცებს გვასწავლის, მაგრამ ცოდვების ჩადენისგან თავის დაღწევა გვიჭირს, რადგან მომხვეჭელობის თანდაყოლილი ინსტინქტი ამის საშუალებას არ გვაძლევს.

19166. ყველა საქციელს შედეგით აფასებენ და აქ პროცესი სათვალავში არ მიიღება.

19167. სხვის საქმეში ჩაურევლობის ნიჭს რა სჯობს, თუ შექმნილმა გარემომ, გენმა და გუმანმა ამის უფლება მოგცა.

19168. მხოლოდ შვილიშვილები გვკურნავენ იმისაგან, რითაც მშობლე-

ბი და შვილები „გვშხამავდნენ“.

19169. მშობელიც განგების ნაჩუქარი უნდა იყოს, რათა შვილებმა მშობლების ხელში თავი დამცირებულად არ იგრძნონ.

19170. თუ მეგობარი ცოდვებს გპატიობს და მაინც უყვარხარ, ის შენი სამუდამო მეგობარია და მარად ასეთად დარჩება.

19171. ფაქტებსაც თავისი კაურები ახლავს, რომელიც რეალობასაც არ ეპუება და ზოგჯერ საკუთარი თვალით დანახულსაც.

19172. ხელოვანი მის გასავლელ გზას ან ხტუნვა-ხტუნვით ფარავს ან გაკვალული გზის საწინააღმდეგოდ.

19173. უზენაესი რეალობის წინაშე დროებითი უსუსურობის გამოჩენა ცოდვა არ არის, რადგან შანსი გეძლევა დრო მოიგო და ჩაუსაფრდე.

19174. მიზანი დაუგეგმავ შესაძლებლობებსაც უნდა შეესატყვისებოდეს.

19175. სიკეთე ბოროტებას ყოველთვის წინ ვერ აღუდგება, ის მარად პირველი და განუსჯელია.

19176. ქართველებს შორის საუკეთესონი სხვაგან ცხოვრობენ, რადგან ადგილობრივი უკეთესნი სიტყვით მასზე უკეთესად გახდომას ცდილობენ.

19177. ქართველს სამშობლოს მოფერება-დაფასების გარეშე ცხოვრება უჭირს. ყოველშემთხვევაში თეორიულად მაინც.

19178. ყველა ჩვენგანმა ცხოვრება ჩვენ მიერ ოცნებით ანთებული ლამპარით უნდა გავინათოთ.

19179. პესიმისტი ცხოვრებაში ვერაფერს აღწევს.

19180. უმუშევრისთვისაც დრო ფულია, თუკი სამუშაოს ეძებს და შოვნის იმედი აქვს.

19181. სიმახინჯის რაოდენობა სილამაზეში არ გადადის, მაგრამ პირიქით შეიძლება მოხდეს, რადგან ლამაზებიც ლამაზებში გამორჩევას ცდილობენ, რაც შესაძლებელია სიმახინჯესთან დაახლოებით მოხდეს.

19182. ხშირად ბედის გასაღებს მაშინ გვთავაზობენ, როდესაც წასაღები აღარაფერია და მიქელგაბრიელიც კარზე აკაკუნებს..

19183. ჩვენ მარადიული აწმყოთი ყოფას უნდა შევეცადოთ, რათა ცხოვრება გახანგრძლივებით შევიცნოთ.

19184. სიცოცხლე ის უკვდავი ჩირაღდანია, რომელიც თაობიდან თაობაზე უნდა გადავიდეს გვარის გასაგრძელებლად და გასამრავლებლად, რათა იმქვეყნად ჩვენს ნაშიერებს სიყვარულით შევეხმიანოთ.

19185. „წინ ნუ აღუდგებით ბოროტებას“, რადგან ისიც თავის საქმეს აკეთებს, გამოხშირვას და ახლის წარმოშობას ხელს უწყობს.
19186. იმედის ხარჯზე ცხოვრება კარგია, თუ მას ბაზისი აქვს და რეალურ მომავალს გაკოტრებას არ უქადის.
19187. სამყარო ის შეუცნობელი საგიჟეთია, რომელშიც დრო და დრო გიჟის როლის მორგება მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანს უხდება.
19188. შეუმჩნევლად, ფარულად, შეიძლება კარგად იცხოვრო, მაგრამ ვერ ისიამოვნებ.
19189. ყველა ცრემლი თავის ბედისწერას მისდაუნებლიედ შიფრავს.
19190. ყოფის გათავხედება კუდს ვერ მოიქნევს, თუ განათლება და შემართება წინ აღუდგება.
19191. ცხოვრებას ისე უნდა ვეჩალიჩოთ, რომ სიცოცხლე გალაღდეს.
19192. ხშირად, საბოლოოდ ის შემოგვრჩება, რაზეც არ გვიფიქრია და ჩვენი ჭკუით, არ უნდა შემოგვრჩენოდა.
19193. ჩვევა ჩვენი ყოფის კაიფის ნაწილია.
19194. სიძლიერეს თავისი ნაკლი აქვს, ყველას რომ აჯობებს, უსაქმურობისგან თანდათან ჩაჩანაკდება.
19195. გაჭირვება ისევ გაჭირვებამ უნდა იხსნას იმედის გაფეტიშებით, თავის მობილიზებით და ხელის გაძრევით.
19196. ზოგი ნემსის ყუნწში ყოველგვარი საჭიროების გარეშე ძვრება.
19197. ცხოვრების ორომტრიალი მღერდება „ნოტებით“, მაგრამ ისე არ უნდა წავიდეთ, სანამ ჩვენი ყოფის ერთ „ბაიათს“ მაინც არ ვიმღერებთ.
19198. პატივი, დიდება, ყველას მოგვწონს და გვამააყებს, იმისდამიუხედავად, დავიმსახურეთ თუ არა.
19199. არაორდინალური ადამიანისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივმა მოკვდავმა ერთი მიმართულებით, უღალატოდ, უნდა იღვაწოს, თუ უნდა ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიოს.
19200. ცხოვრების ჰაეროვნებას უნდა მივყვეთ, თორემ დედამიწაზე უაზროდ ხეტიალი ისევ ორფეხა ცხოველად გვაქცევს.
19201. პაუზის კეთებას ცხოვრება მეტ-ნაკლებად ყველას გვაიძულებს.
19202. „ჭაობმა“ ჩათრევაც იცის და ჩაყოლიებაც და მისგან უკვალოდ თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია.
19203. 2×2-ის ოთხობას ყოველთვის ჩვენი ცხოვრების წესიც და საკუთარი ოფოფებიც უნდა მოვარგოთ.
19204. ჩვენს ყოფნა-არ ყოფნას, ხშირად შეცდომების ოდენობა განსაზღვრავს.
19205. მართლზომიერება ჩვენთვის შეუცნობელ ყოფასაც განსაზ-

ღვრავს და განსჯის.

19206. ჯილდო, პრემია, დიდება, ყოველთვის ღირსეულს ვერ პოულობს, თუ თავადვე არ „წაეხმარები“.

19207. უფრო დაუოკებელ ჟინს და მისწრაფებას მოაქვს სასურველი შედეგი, ვიდრე ბედს და შემთხვევას, რომელიც ზოგჯერ ალბათობის თეორიასაც კი არ ემორჩილება.

19208. ბედნიერების კაიფს უკეთ განვიცდით საეტაპო ნაბიჯების დასამახსოვრებელი გადადგმით.

19209. ოჯახის შექმნა არც სიყვარულით შეიძლება და არც – დაუფიქრებლად, რადგან სიყვარული მიდის, დრო იცვლება, შესაძლებელობა გადაფასდება, ამიტომ დაოჯახებისას აზროვნებაც უნდა ჩავრთოთ გენის ურთიერთმიმოხილვით.

19210. ოპტიმიზმი სიცოცხლის უცვლელი თანმხლებია.

19211. სიცოცხლე ამქვეყნად გაკაიფებით დიდხანს შემორჩენის მცდელობაა სხვათა ჯინაზე.

19212. გონიერება სიფრთხილით იღვწის, უგუნურება – რისკის იმედით და ზოგჯერ უმართლებს კიდეც.

19213. საკუთრებას ის უფრო აფასებს, ვისაც ახალი შეძენილი აქვს და უკვე გემოც გაუგო.

19214. ნაღდი სიყვარული ყველაზე უკეთ აფასებს მშვენიერებას და სილამაზეს.

19215. შესაძლებლობები მიზანსწრაფვით და გონივრული რჩევებით უნდა იყოს შეფუთული.

19216. ყოველი ჭირის მონელების საშუალება მისი გააზრებაა.

19217. შეცდომა თანამოაზრეებს არ თხოულობს, მას თანადგომა უნდა გამოსასწორებლად.

19218. ფიზიკური შრომა. გარჯა, ყველა სახის მადლს გვაპკურებს და იმედს გვისახავს, მაგრამ მას მაინც გაურბიან.

19219. შედეგს ჩვენი ხასიათი ურიგდება და არა გონიერება.

19220. იმისთვის, რომ თავი გამოიჩინო და გამოჩნდე, ბევრი უნდა ისწავლო, იწვალო, ხოლო რომ დაგიმახსოვრონ, ნიჭის დაბანდებით უნდა გაისარჯო.

19221. ცხოვრების მადლი რომ შეიგნო, უნდა იწვალო და სხვაც გააწვალო დადებითი ემოციებით და შედეგით.

19222. ყველანი ძმები ვართ, სანამ ცხოვრება არ გაგვაწბილებს და საქმეში პოლიტიკა და ფული არ ჩაერევა.

19223. მოკლე ბედნიერება, ყოფიერებისთვის დროებითი ქულების მომტანია.

19224. უბედურებას უბედურება უნდა დაუპირისპირდეს, რომ განეიტრალდეს.
19225. ბევრი რამ არც სხვაში მოგვწონს და არც საკუთარ თავში, მაგრამ ცხოვრება თავისი გზით გრძელდება.
19226. აზრების შეჭრა-შემოჭრა ყოფას გვიხალისებს და სიცოცხლის მადლს გვაგრძნობინებს.
19227. ცხოვრება, მისთვის დამახასიათებელი ხლართების გარეშე, მიმზიდველობას ჰკარგავს.
19228. გარემოსთან და ჭკუასთან შეჯერებული, მოხერხებული, საქმიანობა კრახს არ განიცდის.
19229. მორჩილებაც პირობითია, გააჩნია, ვისგან რას გამოელის.
19230. მოგზაურობაში რისკის, პატივისცემის, საგზლად და საგზურად გამოყენება ბედია.
19231. ნიჭი, შრომა და მოწოდება ყველა სიძნელეს ბიშტს უჩვენებს და აუცილებლად წარმოჩნდება.
19232. შესაძლებელია გარკვეულ მიზეზთა გამო განზრახ მოვტყუვდეთ, მაგრამ რეალობაში თავი არავის უნდა მოვატყუებინოთ, რათა თაღლითები არ გატუტუცდნენ.
19233. ეშმაკობა ბასრი იარაღია, ამიტომაც საჭიროა იცოდე, სად, როდის და როგორ გამოიყენო.
19234. სიკეთეს, ბედნიერებას, თანამდებობას, მორგება უნდა, რათა უდროოდ არ დავემშვიდობოთ.
19235. მარად ახალი საქმეების წამოწყების ცდებს ძველი საქმის კეთება ჯობს.
19236. ხასიათი, შემართება, მისწრაფება, ხშირად ბედის და შემთხვევის მომტანია.
19237. არაფრის კეთებას ხშირად მოუცლელობასაც აბრალებენ.
19238. ხშირად მოთმინება მრისხანებას ბიშტს უჩვენებს და გამარჯვებულიც რჩება.
19239. ენა ხანდახან ურთიერთობას გვასწავლის, სმენა – მოყვასის შერჩევას, აზროვნება – ცხოვრებას.
19240. მიზანი, ნებისყოფა კვადრატში, საკუთარი ძალების მობილიზებაა დროის ყივილის გათავისებით.
19241. მოჭარბებულ გონიერებასთან და გრძნობებთან შებმას განსატვირთად „ღვინო, დუდუკი, ქალებისკენ“ მივყავართ.
19242. თუ ბიზნესს მოეკიდები და თან ცნობადი, მდიდარი პიროვნებაც გინდა გახდე, ბევრი უნდა მოიხვეჭო, რათა მხოლოდ იმისათვის არ იცხოვრო და დრო არ გააცდინო, რომ მხოლოდ მოინანიო და არ

წაწყმდე, ამას არც ნიჭი უნდა და არც შემართება.

19243. საცოლეს ვაჟი ირჩევს, დედა კაპრიზობს, მამა თავს იკავებს, მიუხედაავდ იმისა, რომ მისი ნაშრომ-ნაამაგევი გვარის გამგრძელებელს უნდა დარჩეს. ამიტომაცაა, რომ რძლები დედამთილებს ვერ იტანენ და მეტ პატივს მამამთილს მიაგებენ.

19244. ბედის მოძიებას შემართების, მცდელობის, გარდა, ქცევაზე, ხასიათზე, ჩვევებზე, გონიერებაზე, დამყნობაც სჭირდება.

19245. ცხოვრებაში თავი ისე უნდა მოიმზადო, რომ ამქვეყნად ცხოვრების ღირსი გახდე.

19246. ზოგჯერ სისულელის ჩადენაც უგუნურებისაგან თავის დახსნის საშუალებაა.

19247. სისულელე უკიდურესობასთან არ უნდა მეგობრობდეს, ორივესთვის მძიმე შედეგი მოაქვს.

19248. უიღბლობა უვიცობის სინონიმიცაა და ახლო ბიძაშვილიც.

19249. ჩვენ იმ ბედნიერებისთვის ვიღვწით, რომელიც დღეს პრაქტიკულად მიუწვდომელია.

19250. მთელი ცხოვრება სანახაობაა და აქ მთავარ როლს ჩვენი ფანტაზია თამაშობს.

19251. გონიერი ფრაზები ცხოვრების გამოცდილების დამსახურებაა და არა – იდეურობის.

19252. ოპონირება ქების შესხმით და ნაკლოვანებებზე საქმის ცოდნით მითითებით – აი, რა არის კრიტიკის მიზანი.

19253. უნდა ვეცადოთ სხვისგან მეტი ვისწავლოთ, ვიდრე სხვას ჩვენი ნებით, დაუკითხავად, ვასწავლოთ.

19254. ბედის რჩეულები ვართ ან არ ვართ, მაგრამ ეს ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის უფლებას არ გვაძლევს.

19255. სისულელეს ან სჩადიან, ან მისდაუნებლიედ მის კლანჭებში ხვდებიან.

19256. თუ დაუკვირდებით, ყველა ჩვენგანი სხვისთვის ცხოვრობს, საკუთარ მეს რაც უნდა პატივი მივაგოთ.

19257. უსაქმურობა ამქვეყნად ყოფნასაც გვაბეზრებს თუ ჩვევად არ გვექცევა.

19258. აწმყო ყოველთვის უკეთესია, წარსული რაც უნდა უკან გვექაჩებოდეს.

19259. ზომიერების დაცვა ყველა საქმიანობაში, ურთიერთობაში, გრძნობათა ფრქვევაში, აუცილებელია.

19260. ადგილს ცხოვრებაში ყველანი დავეძებთ, მაგრამ იშვიათად ვპოულობთ და იმითაც ვკმაყოფილდებით რასაც ხელს გამოვკრავთ.

19261. სიცოცხლე ის ფენომენია, რომელსაც არ ვუფრთხილდებით, უდიერად ვექცევით, მაგრამ ამქვეყნად რატომღაც დიდხანს შემორჩენას ვცდილობთ.
19262. თავქარიანობის გარეშე ცხოვრება ეშხს დაკარგავდა.
19263. ზოგჯერ დამთავრებული საქმე გონების რევიზიას იწვევს და ფიქრს, როგორ დაიწყებდი მას ხელახლა.
19264. სიცოცხლე ბედნიერების სხვადასხვა მცდელობათა „ავადმყოფობაა“, კარგის კეთების სურვილით.
19265. ყოფის ბილიკების გასაკვლევად უმთავრესია ინტუიცია, შემდგომ მოდის ბედი და ცოდნა.
19266. სიცოცხლე თავისებური სიზმარია სხვა და სხვა მოჩვენებებით და ახსნის მცდელობით.
19267. ბედნიერება საყვარელი საქმის კეთებით გამაგრებას მოითხოვს.
19268. აწყობილი ოჯახი ხშირად ბედნიერების გასაღებს გვჩუქნის.
19269. შედეგის მიღებას დაფიქრება და შემართება სჭირდება თავის მოფხანით და გულის მიყოლიებით.
19270. უბედურების თავიდან აცილება შეიძლება, თუ წიანთგრძნობამ არ გიღალატა.
19271. დასაწყისია ძნელი, თორემ ფინიში თავიდანვე ცნობილია.
19272. შეცდომების დაშვება ძნელი არ არის, მის წინააღმდეგ ბრძოლა და უშეცდომოდ ცხოვრებაა ძნელი.
19273. სიცოცხლე მაინც ხანმოკლეა, მიქელგაბრიელს ჩვენი წაყვანა რაც უნდა დაავიწყდეს.
19274. დავას და აყალმაყალს, გონიერებასთან ერთად, თანდაყოლილი ბუნება და შემთხვევა გვარიდებს.
19275. ასაკი მოღალატეა, ცხოვრება ოხერია, რადგან ძალზე გვაშორებს იმას, რასაც ახალგაზრდობაში ვერც კი წარმოვიდგენდით.
19276. საღი გონებით დაბერება ბედნიერებაა, რადგან შენი ასაკის ადამიანებს ბიშტი უჩვენე და ამქვეყნად ჯერ კიდევ შემორჩი.
19277. თუ აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარი ერთად ცხოვრებისთვის მოწოდებული არ არის, ნაშიერის გულისთვის თავის გამოდება არ ღირს.
19278. წარუმატებლობა ყოველთვის ტკივილს გვაყენებს დროის გადაუხედავად.
19279. საჭირო აზრის სხვებისთვის გაგებინება არის გონიერება და ცხოვრების სტილი.
19280. მიზანი არც გზას დაგიდევთ და არც – ბილიკს, ის თავის „უსას-

რულობისკენ“ მიემართება.

19281. ცხოვრება მაშინაც მოსაბეზრებელია, თუ სიზმარში სიზმარს ნახულობთ.

19282. დავიწყებული ხშირად გასამეორებელია ახალი „გარნირით“.

19283. ხშირად იმედის ხარჯზე ამბიციებით ცხოვრება მოგვწონს და განგებაც იძულებულია შეგვეწინააღმდეგოს.

19284. ოჯახში სიყვარულის და ურთიერთგაგების კლიმატი დაფინანსების შესატყვისად იქმნება.

19285. წყვილის ერთად დიდხანს ცხოვრება მოსაბეზრებელია, მაგრამ ამას შთამომავალთა ინტერესები აგვარებს.

19286. დღეს ისეთი გახრწნილი დრო მოვიდა, რომ რაც მეტი გლანძღავენ, მით უფრო პოპულარული, ცნობადი და რეკლამირებული ხდები.

19287. მარად წინ უნდა ვიყუროთ, შიგა და შიგ უკან მოხედვით.

19288. ჩვენს კეთილგონიერებას ხშირად დრო, გარემო და ხასიათი განსაზღვრავს და განსჯის.

19289. სიძნელეების დაძლევას ცოდნა უნდა და არა – მიჩვევა.

19290. გონიერება თავის დროში ცხოვრობს მომავლის გათავისებით.

19291. ამ ქვეყნად რაღაც ძვირფასი, უპირველესად, შვილების სახით უნდა დატოვოთ.

19292. საბაბის გამონახვა ძნელი არ არის, მისი უყურადღებოდ დატოვებაა ძნელი.

19293. ზოგჯერ თავის მოგიჟიანება სიცოცხლეს ეშხს ჰმატებს, ხოლო „ბრიყვად“ ყოფნა სიცოცხლის ხანგრძლივობას უცვლელად სტოვებს.

19294. ავად თუ კარგად, ყველა ჩვენგანი თავის საკბილოს ძიებაშია.

19295. დიდი ხნის სიცოცხლემაც, ამბობენ, მობეზრება-მოყირჭება იცისო. არ ვიცი – არ მომისინჯავს.

19296. გარანტირებული მეგობრობა სიძლიერეს გვმატებს კვადრატში, როდესაც მეგობრობა ნათესაური კავშირით მაგრდება.

19297. მოგზაურობა არა მარტო ცოდნას და ხალისს გვმატებს, არამედ სიცოცხლის წლებსაც გვიხანგრძლივებს.

19298. საგნიანი საუბარი, ჩვენი მოწოდებების შესატყვისად, გვახალისებს და ვამაყობთ.

19299. თეორიულად სხვის საქმეში სიბრძნის მოძიება ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, პრაქტიკულად კი ყოველივე პირიქითაა.

19300. დაუფასებელი ბედნიერებაა, როცა ქონებას ნაშიერს უტოვებ და სხვა გარეშე კანდიდატების შესამჩნევად და ანდერძის დასატოვე-

ბლად ტვინს არ იჭყლეტ.

19301. ჩვენი ქცევა ჩვენივე ყოფის მონაა.

19302. დანიშნულების გაცნობიერება ცხოვრების სტიმულს გვაძლევს.

19303. ყოველი ახალი წელი თუ ძალისხმევის მოკრების უნარს გვა-ძლევს, ჯერ სიბერე შორს არის.

19304. ცოლ-ქმრობა, უმთავრესად, უნდა ითვალისწინებდეს როდის არიან ერთმანეთის საყვარლები, ღირსეული მეუღლენი და ოჯახის შემქმნელნი.

19305. თავად მიირთვი – სხვასაც შეეწიე, სამაგიეროდ, მიუგე-შეუნდე, დაუჯერე-თავადვე განსაჯე, ამრიგად, ერთი სხეულის გასაჯეჯილე-ბლადაა მოწოდებული, მეორე – სულიერებისა და ამ ყოველივეს, გამოცდილებით განსჯილს, ასაკით დაღვინება განაგებს.

19306. ზოგჯერ უდიდესი სიხარულის შეცნობა-შეგრძნება, ჩუმად და უხმაუროდ, სიამოვნებას საქმის კეთებით იწვევს.

19307. სანამ ადამიანი გონიერების ფრთებს არ გამოსახამს, მანამ ცხ-ოვრება გაუგებარი დარჩება.

19308. უფლება ყოველთვის იმ შესაძლებლობებს არ იძლევა, რომელიც თავიდან გვეგონა.

19309. უნდა ვეცადოთ ცხოვრებისგან გარიყული არ დავრჩეთ და ყოფის თამაშგარე მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ.

19310. ასაკმა ყველაზე უკეთ იცის სიცოცხლის ფასი, მაგრამ ყველაზე ნაკლებად განიცდის თანამეინახეთა გარდაცვალებას, რადგან იმ-ქვეყნად გადაბარგების აუცილებლობა მამაზეციერისგან უკვე შეგნებული აქვს, რომელმაც დღეს მას გვერდი აუარა, გაუღიმა და დაინდო.

19311. ცხოვრება სასიამოვნო წვალებაა ბედთან შებმით, ოცნებებთან შერკინებით და თავის წარმოჩენის მცდელობით.

19312. უვიცებისთვის ცხოვრება წვალებაა, ხოლო სიცოცხლის ფასი მარად შეუცნობელი.

19313. სიკეთე განყენებულად არ გამოიყურება თუ მას მეტ-ნაკლებად რეალური საქმე ახლავს.

19314. მთელი ჩვენი ცხოვრება მსხვერპლთა შეწირვაა, იმ აუცილებელი ცოდვების ჩასადენად, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ ვიცხოვ-როთ.

19315. დღეს რაც შენ გჭირდება, უნდა განიცადო, რათა ყოფის რაობა შეიცნო.

19316. გაჭირვებამ ქიშპობა იცის, ქართველებმა კი ჯიბრი: „იმან როგორ უნდა მაჯობოს“.

19317. ზოგი ცხოვრების იმდენად მცოდნე და ჭკვიანია, რომ მის წინაშე არა მარტო თავი უნდა დახარო, არამედ თითიც უნდა მოკაკვო, რადგან მასთან კამათი უაზრობაა.

19318. რაღაცის ხატებად წარმოდგნის გარეშე ცხოვრება ჭირს: ეს წარსულის ფასეულობათა გახსენება იქნება თავის მოწონებით თუ სხვა ახალ-ახალ მიმდინარეობათა შემოტევა იმედის მოცემით.

19319. ადამიანისთვის მთავარია ის სამყარო, სადაც ცხოვრობს და ხელის განძრევა ჭკუასთან ერთად უხდება.

19320. წარსული რესურსების გონებაში ამოტივტივება ძალას გვმატებს და სიცოცხლეს გვიმსუბუქებს.

19321. ყველა განცდა თავისი ჩუქურთმის სიღრმეს ეჩალიჩება და დავიწყების უფლებას არ გაძლევს იმისას რაც გინდა დაივიწყო.

19322. ილუზიებით ცხოვრება ადვილია, ილუზიებიდან თავის დაღწევა და რეალობით ცხოვრება – ძნელი.

19323. ჩვენი გონების შესაძლებლობების და ჯანმრთელობის ყოველწლიური ბალანსის დადგენა წლის ბოლოს ჩვენი გეგმების მოსალოდნელი შედეგების შესატყვისად უნდა მოხდეს და არა – წლის დასაწყისში.

19324. მთავარი ის კი არ არის, რას იტყვი, მთავარია, ამ ლაპარაკის შემდგომ რა გამოდის.

19325. ადამიანს ტელევიზიის სარეკლამო პაუზა უფრო ანერვიულებს, ვიდრე საკუთარ ბედზე აკიდებული „პაუზა“.

19326. დაღლა-გადაღლა ყოფის რაობაზე, ფულის შოვნაზე, ცოლის კაპრიზების დაკმაყოფილებაზე დაფიქრებამ იცის.

19327. ზოგჯერ ბევრი ვინმე გვიყვარს, მაგრამ მათ ჩვენ არ უყვარვართ, მათ შორის, ცოლს, სამშობლოს და იმას, რაც გვწამდა ძველად.

19328. იწამო ის, რაც არ გჯერა და მას ემსახურო, დაფინანსებას მოითხოვს ან კარიერის კიბეზე ფეხის შესადგმელ პროტექციას.

19329. სიმდიდრე თუ დიდი ხნის სიცოცხლე – ძნელი ასარჩევია, თუმცა გააჩნია რა „მასტის“ ხალხში გიხდება ყოფნა.

19330. მეტის ქონებას დამსახურება, ხელის განძრევა და ტვინის „ღრძობა“ შეგნებით უნდა.

19331. მოწონება – არმოწონებას მორცხვობა და ოფლის დენა არ შველის – ასარჩევი დროულად უნდა აირჩიო.

19332. ცხოვრების აღმავალ-დაღმავალი ზმანება ზოგჯერ ჩვენი ბედის მანათობელი შუქურაა.

19333. „ეთნოფსიქოლოგია“ ყველა ერს თავისებური აქვს, რომლისთვისაც ფონის შექმნას, გარჯას, პატივის მიგებით მოითხოვს.

19334. ჩვენ ზოგჯერ ვიწყებთ იმ საქმიანობას, რომელსაც ვერასოდეს დავამთავრებთ, მაგრამ ეს ჩვენი გენის, გონიერების, ბუნების, ნებაა, რათა ცხოვრება არ ჩაკვდეს.

19335. რატომღაც ისე არ განვსჯით ჩვენს განვლილ გზას, წარსულის შეცდომები რომ არ გავიმეოროთ.

19336. ცოლის შერთვა იმდენ შემთხვევითობასა და აუცილებლობაზეა დამოკიდებული, რომ ის არავითარ კანონზომიერებას აღარ ემორჩილება.

19337. ვისაც საკუთარის შექმნა არ შეუძლია, იძულებულია სხვისი კრიტიკით წარმოჩნდეს.

19338. ცოლად ის გამოდგება, ვისაც შენზე მეტი მოთხოვნილება არ აქვს ან არ ამხელს.

19339. ჭურში ჯდომა უპრობლემოა და განსჯასაც არ ითხოვს.

19340. „ქვედაქნეული“ ცხოვრება ბედის ლაბირინთებში არ გვატარებს.

19341. სიცოცხლე ხშირად ტანჯვაგამოვლილი ალგორითმებით ფასდება.

19342. თავდაჯერება, ზოგიერთ, მერყევი ბუნების, ადამიანს ცხოვრების ინსტინქტს უძლიერებს.

19343. სახელს და დიდებას დიდი ტვირთის ტარება უწევს და მას მარტო ნიჭი, ინტუიცია, ბედის გარეშე არ შველის.

19344. წინ მიმავალს ვეცადოთ დავეწიოთ, მაგრამ არ გადავუსწროთ, რათა მისი გამოცდილებით ვიაროთ: ვინ იცის, ჩვენთვის რამდენ ჭკუის სასწავლებელ შეცდომას დაუშვებს.

19345. ზოგჯერ საკუთარი შეცდომების შეუცნობლობის მსხვერპლნი ვართ.

19346. ან ხელიდან უნდა წახვიდე, ან – ქვეყნიდან, ამ ყოფაში რომ რაღაცას მიაღწიო.

19347. მოგზაურობა სულს აამაყებს ხორცის გვემის ხარჯზე.

19348. ყველა ჩვენგანს გონიერების ასაფრენ-დასაფრენი მოედანი სჭირდება დროის და გარემოს შესატყვისად.

19349. ამქვეყნად გაჯეჯილების სურვილი ხანდახან შემოგვიჩნდება და ეს დიდი ბედნიერებაა თუ გაგვიმართლებს და განგების ნებაც იქნება.

19350. სიცოცხლეს მშობლები გვჩუქნიან, ცხოვრებას დრო და გარემო გვასწავლის.

19351. ბედნიერებაა, როდესაც საკუთარ შანსს ადრეულ ასაკში იყენებ სიბერეში ტკბილად გასახსენებლად.

19352. ცხოვრებაში დაუკითხავად ზოგჯერ „უბედური შემთხვევაც“

მონაწილეობს, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება.

19353. წესით ან სულიერი ცხოვრება უნდა ავირჩიოთ ან ხორციელი, მაგრამ ყველას რომ სულიერება აერჩია, ვინღა იარსებებდა?

19354. „ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც“ – ასე, რომ ზოგი სულიერებას ეძებს, ზოგიც საკმარის სამყოფს, ზოგიც არაფერს და მიუხედავად ამისა, ყველა რაღაცას ნახულობს.

19355. საუკუნის ისტორია განსჯის და განსაზღვრავს ამქვეყნად ჩვენი ყოფის სასურველ რაობას.

19356. მთავარია, რა სახის „დითირამბებით“ ამკობ სიცოცხლეს და არა ის, მაძღრად ცხოვრობ თუ არა.

19357. გრძნობათა ღელვის და ყოფის გამოცდილება უგვანობაზე ადვილად არ ხურდავდება.

19358. ადამიანი მოწოდებულია არა მარტო ის აკეთოს, რაც შეუძლია და ხელი მიუწვდება, არამედ ისიც, რაც ერთი შეხედვით შეუძლებელია, რათა ცხოვრების მადლი შეიგრძნოს.

19359. ცხოვრების თავიდან დაწყება მაშინ ღირს, ოცნებას თუ არა, ჩანაფიქრს მაინც სულიერების გაჯეჯილებით რომ მიაღწევ.

19360. თუ ცხოვრებაში არ გიმართლებს, შენს წასაქცევად უბრალო დაცხინკებაც კმარა.

19361. სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა გაგვიმართლოს იმ დონეზე, რომ ეს დღე დაგვამახსოვრდეს.

19362. გამოცდილებით ჭკუის სწავლა დიდი სკოლაა, მაგრამ აქაც გამართლებაა საჭირო, ბედისთვის ხელის გამოკვრით.

19363. აზრთა ურთიერთგაზიარება ცხოვრების უნივერსიტეტია.

19364. წესიერი ცხოვრების მაგალითები, უმთავრესად, დადებითად მოქმედებს ჩვენი ნაშიერის ბუნება-განწყობაზე.

19365. მცირედი ოჯახური ეგოიზმი დასაშვებია მისი კეთილდღეობისთვის.

19366. ხორციელი ლტოლვის გარეშე ეს სამყარო ვერ იარსებებდა ე.ი. უცოდველობა თავისებური დანაშაულია.

19367. ხორციელი სიამოვნება საეჭვო „გმირობისკენ“ გვიბიძგებს, რაც ჩვენი ცხოვრების ნაწილია, მონანიებისთვის გამზადებული.

19368. სასწაულიც უნდა მოვხიბლოთ, ვაცდუნოთ, რათა ცხოვრებაში რაღაცას მივაღწიოთ და მათ შორის, ხელშესავლებსაც.

19369. ხშირად უნდა ვაკეთოთ ის, რაც საჭიროა და არა მხოლოდ ის, რაც გვსურს და გვახალისებს.

19370. ცხოვრება ჟურნალის ყდა არაა, რომელზეც ყველაფერი მიმზიდველად გამოიყურება.

19371. ამ ქვეყნად ისეთი რამ არ უნდა ჩავიდინოთ, რომ იმქვეყნად მისმა ნაბარტყმა არ მოგავასვენოს.
19372. ცხოვრებასთან შერკინების ბოლო თამაში ჩვენი კეთილმოსურნეებისთვის დაუვიწყარია.
19373. ჩვენს ბედს ზოგჯერ უგუნურების სიწითლე დაჰკრავს, თუ დროულად ვერ მოვნახეთ და მოგვნახა.
19374. ცოლის მოყვანა აუცილებელია, ხოლო დაქორწინება – რამდენჯერმეა შესაძლებელი, აბა, სულ ერთ ქალს ხომ არ „შევაჭმევინებთ“ თავს.
19375. სხვადასხვა საფულით ოჯახი დიდხანს ვერ იარსებებს, ხოლო მოხერხებულობით მისი გადამალვა შესაძლებელიცაა და მისასალმებელიც.
19376. სიცოცხლეს მშობლები გვაძლევენ, ხოლო წართმევას შემთხვევა ცდილობს.
19377. სიმდიდრე და სილამაზე ყოველთვის ერთნაირად არ აღიქმება, მაგრამ ერთმანეთს ძალზე ამშვენებენ.
19378. მატერიალურად შეიძლება ბევრი დაკარგო, მაგრამ სულიერება შეინარჩუნო, გააჩნია რა ბუნების და გენის პატრონი ხარ და ფსონში რა იმედის ჩადებას აპირებ.
19379. სიცოცხლის სასიამოვნოდ წვა, ბევრისათვის შინაგანად მიუწვდომელია.
19380. დაოჯახება სულიერ თანასწორობას მოითხოვს და არა – უფლებების განაწილებას.
19381. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლაა ძნელი და არა ფეხის „ყვერებზე დაბიჯება“ და კისრის მოტეხვა.
19382. შარიდან თავის დაძრენა ხელოვნებაა, თუ შეჭირვება შენთვის განკუთვნილ ბედოვლათობას არ ემორჩილება.
19383. ეს ცხოვრება მარად კომედიად დარჩებოდა, შიგადაშიგ ტრაგედია მხარს რომ არ „უმშვენებდეს“.
19384. შვილის ყოლა გენეტიკური მოთხოვნაა, თავისებური გართობაა, დაგროვილი ენერგიის ხარჯვით, წარმოსახვითი სიყვარულის გაწბილებით და სიბერეში მასზე დაყრდნობის მოვალეობით.
19385. დიდგულობა ფულმაც იცის, დაუფასებელმა ნიჭმაც და უგუნურებამაც, ხოლო არჩევანი ისევ ბედს უნდა ვანდოთ.
19386. გამართლება-სიხარული სინონიმებია, ოღონდ ხანმოკლე და დროული დავიწყებით, რათა არ დავმყაყდეთ და ბედმა ზურგი არ გვაქციოს.
19387. ასაკმაც თავის დროში უნდა ივარგოს, რათა იმქვეყნად წასვ-

ლაზე უდროოდ არ იფიქროს.

19388. გულის და ტვინის უქონლობას რეალობა აღმოაჩენს.

19389. სხვისთვის ჭკუის სწავლებას და რჩევის მიცემას ისევ ამ რჩევის დაკონკრეტება და საკუთარი ინტერესების ჩადებით გამოყენება ჯობს, უფრო ამართლებს და გიჯერებენ.

19390. სიმდიდრე შეიძლება ჭკუითაც იყოს ნაშოვნი, მოხერხებულობითაც და მცდელობითაც, მაგრამ უმეტესობა შემთხვევითი და მუქთია. ამიტომაცაა, რომ ხშირად „ქარის მოტანილი ქარსვე მიაქვს“.

19391. თუ გაგიმართლა და ცხოვრება გზამკვლევ მეუღლეს დაუკავშირე, ხომ კარგი, თუ არა და, თავად მოგიწევს ამ უმადური სამუშაოს წარმოება, ცოლის საყვედურებით, ჭკუის დარიგებებით და ნიშნის მიგებით.

19392. ყველას ჩვენი ვარსკვლავისა გვწამს, იმისდამიუხედავად, ვახერხებთ თუ არა ჩვენი ნაოცნებარით მის მოწყვეტას და ხელის შევლებას.

19393. ცოლის გაბედნიერება ყოველთვის შენს ბედნიერებას არ ნიშნავს, განსაკუთრებით, თუ ჯიბე ხშირად მოსაჩხრეკი გაქვს.

19394. ტყუილსაც თავის კაიფი ახლავს, თუ დროულად და საქმის საკეთებლად არის ნათქვამი.

19395. ყველაფრის ცოდნა, გაგება, შეუძლებელია, მაგრამ თუ საქმეს სჭირდება, საჭირო და აუცილებელი უნდა გავითავისოთ.

19396. მუდმივად ახალი ცხოვრების დაწყება და მისთვის მზადება უნიათობის სინონიმია.

19397. გონიერება და მოხერხებულობა სხვადასხვა განზომილებებს ეყრდნობა, რადგან ამ უკანასკნელს ფანტაზია აქვს მოუთოკავი, რისკის გაწევის დაუცხრომელი სურვილით.

19398. დაკმაყოფილდე იმით, რასაც მიაღწიე, დაბანდებას, ყოფის ანალიზის უნარს და განსაკუთრებულ ბუნებას მოითხოვს.

19399. უიღბლობის გამოსწორების მიზნით, ხელის გაუნძრევლად ძალად „შეტენვა“ ნაცნობობით, არ ამართლებს.

19400. სწორხაზოვნად, ჩვენს გემოზე, ცხოვრების უფლებას არავინ მოგვცემს, თუ შიგადაშიგ მასში ზიგზაგები არ შევურიეთ და ახალი გზების ძიება არ დავიწყეთ.

19401. ცხოვრებაში კოჭლობაა ძნელი, თორემ ფიზიკურად კოჭლი თავის გზას ნახულობს.

19402. სასიამოვნოა, როდესაც ყველაფერში გვეთანხმებიან, გვემლიქვნელებიან, მაგრამ, რეალობას ვშორდებით. ჯობს თუ გვაკრიტიკებენ, ჭკუას გვასწავლიან, რათა ფეხი არ წავიტეხოთ.

19403. ნაღვაწს ან იმახსოვრებენ ან ჭიტლაყით ისტუმრებენ, მაგრამ ეს ყველანაირი შემოქმედების წინაპირობაა.
19404. ყველაზე გონიერ წვრთნას ხასიათი მოითხოვს, რათა ის ჩვენი ოცნების, კარიერის, ცხოვრების, პარამეტრებს მოვარგოთ.
19405. წესიერი ხალხი ძნელად ეგუება რეალური ცხოვრების კაურებს, რადგან იცხოვრო როგორც შენ მოგწონს და გინდა, ძალზე ძნელი საქმეა.
19406. უნდა ვეცადოთ ჩვენი ასაკით ვიცხოვროთ, დროსთან შეუთანხმებლად და უკანმოუხედავად.
19407. ყველას მეტ-ნაკლებად უკან გვრჩება გაუცნობიერებელი ცხოვრების ჯავრი.
19408. ბედის ჭიტლაყის ამოკვრას გააჩნია, ვინ როგორი მოხერხებით და დროულად დაახვედრებს უკანალს.
19409. სექსი, უპირველესად, ერთმანეთისთვის ბედნიერების ჩუქების აქტია და არა – ვნებათა დამოძღვრა.
19410. ბედნიერება ჩვენი ოცნების ჰორიზონტს იპყრობს და ამ საკუთრებას სიამით იმკის.
19411. ბედნიერებას ხან სართული ეშლება, ხან – მისამართი, ხანაც – ქალაქი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გადასახედიდან.
19412. სექსი აშლილი ვნების დამშვიდების საშუალებაა და არა – ცოლის მოყვანისა. ამ უკანასკნელს სხვა განზომილება, დროს ყივილი და სიყვარულის შეყრა თუ არა, ანგარებიანი ანგარიში მაინც სჭირდება.
19413. ყოფის მინუსების მქონეს თუ პატრონი გამოუჩნდება, შეიძლება პლუსებად გადაკეთდეს და ზოგმაც გაითავისოს.
19414. მომკილ ბედნიერებაში დროულად ჭკუის დამრიგებლის ხელიც ურევია.
19415. ბედნიერებაც პირობითია, რადგან ყოფის ფინიშზე რა გამოხტება, არავის უწყის.
19416. დაოჯახების საწყისია: სიყვარული, გარიგება, მოწონება, მიჩვევა, ანგარება, მაგრამ მის შენარჩუნებას მაინც ბედი და გარემო სჭირდება.
19417. ბედნიერებას არც საზღვარი აქვს და არც საწყაული, რაც მეტია, მით უკეთესია და საკმაო არასდროსაა.
19418. ცხოვრების უნარი საკუთარი თავით სიამოვნების ნიჭია.
19419. ფაქტიურად სულ ცხოვრების ვალში და ვახშში ვართ და აზროვნებას წინაპართა გაცემული კრედიტის დასაფარავად ვატარებთ და ვხმარობთ.

19420. ყოფის თავსატეხი წაკინკლავების მიზეზია, ულტიმატუმი – გალახვით დამუქრება, დიდი დღესასწაული გაწბილებით მთავრდება, ფილოსოფიური ქვის ძიება – უდარდელი ცხოვრების სინუსია, ხიფათი – ყველა ჩვენგანის წარმოსაჩენი სარკე. ასე და ამგვარად, მიჩანჩალებს ჩვენი ყოფიერება თუ მიფრინავს, ჩვენთვის უცნობი და დღემდე გაურკვეველია.

19421. სამუშაოში კორექტივების შეტანა ყოველთვის შეიძლება, დასასვენებელი დროის გამოთხრის მიზნით.

19422. ადამიანისთვის, პირველ რიგში, რწმენის, გონიერების, ღვინის მადლის, დაჭაშნიკება-შეცნობაა აუცილებელი, რათა ცხოვრების ანბანს დაეუფლოს.

19423. სამსახური, ეტყობა, მაინც გართობაა, თუკი დროს საქმიანობა გართმევს, ხელფასს – ცოლი და შენი კარიერით შენიანები ამაყობენ.

19424. მუქთა ფუფუნება ყველას უნდა, მაგრამ თუ ვისმეს ერგო, არ აფასებს, რადგან ბედის წყალობა ჰგონია.

19425. ქვეყანაზე, ხალხზე, პოლიტიკაზე, ცოლზე და საკუთარ თავზე განაწყენება უფლებას გაძლევს აღარაფერს ყურადღება არ მიაქციო და ისე იცხოვრო, როგორც მოგწონს და შეგიძლია.

19426. იმედი შესაძლო ვარიანტების ბოლო გაფრთხილება არ უნდა იყოს, რადგან გარკვეული წინასწარი სამუშაოები უნდა გვქონდეს ჩატარებული, რათა ბედი გვეწვიოს და მცდელობამ გაგვიმართლოს.

19427. თვალებში ნაცრის შეყრა სამსახურში აუცილებელია კარიერის კიბეზე ფეხის შესადგმელად და მისი აღმასვლის გასალამაზებლად.

19428. ბედის წყალობა და ტალანტი სინონიმებია, მაგრამ პირველი დროის მომწიფებას არ უცდის, ხოლო მეორესთვის გარემოც და მის გვერდით მდგომთა აზროვნებაც გადასახარშია.

19429. ბედნიერების ინდექსია პრობლემების დროულად გადაჭრა-მოგვარება და არა – დაგროვება და შემდგომ მისი შტურმით აღება.

19430. მთავარი ის კი არ არის, როგორ ცხოვრობდი, არამედ ის, თუ რა მენტალიტეტით და ხალისით აღიქვამ წარსული ყოფის ელემენტებს.

19431. ყველა თაობას, ეტყობა, დროებით მკაცრი ხელი სჭირდება, ცხოვრების მადლი რომ იგრძნოს, სათანადოდ საქმე აკეთოს და უდარდელად არ გადაგვარდეს.

19432. ზოგჯერ ცხოვრება ბალახტარობად და ბაცნობად გეჩვენება.

19433. კარგი ცხოვრებაც მოსწრებაზეა: ან შენ უნდა დაასწრო, ან და-

გასწრებენ.

19434. ჭამა შეძლებაზეა, ჯობნა მორევაზეა, სიყვარული – გამარ-თლებაზე, ასე, რომ პირველის შესაძლებლობებს მეორის ქმედება განმარტავს, საბოლოოა და წერტილსაც ის დასვამს.

19435. ბედს არც ჩვენი „ვაი-ვიშის“ სჯერა და არც ჩვენი წამ-ლიქვნელების.

19436. ბედი წინასწარ არაფერს გვამცნობს, ის თავის საქმეს აკეთებს ჩვენი თანხმობის მიუხედავად.

19437. ბედი ერთს უღიმის, მეორეს ალიყურს სთავაზობს, მესამეს ხალისის უფლებას აძლევს და ასე და ამრიგად, გვეხმარება წუთი-სოფლის გათრევაში.

19438. ბედი ზოგს ცხოვრების შარბათს იმაზე მეტს სთავაზობს, რაც დაუმსახურებია.

19439. ბედი ზოგჯერ სხვის ხელში ფსონის ქაღალდის კოზირად გვაქცევს და ამით ცდილობს ჩვენს წინაშე ვალის მოხდას.

19440. ბედსაც შენი შესაძლო ვარიანტები უნდა შესთავაზო, რომ აგირ-ჩიოს და დაგეხმაროს.

19441. მონობა, ყმობა, მორჩილება, მისაღებია, თუ ბედი შენს მხარესაა.

19442. ბედი ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბებაშიც ერევა, იმისდამიუხედა-ვად, აკმაყოფილებს ჩვენს მადას თუ არა.

19443. ცხოვრებას წარსულის წარმატებები არ აკმაყოფილებს, მას აწ-მყოში თავის წარმოჩენა სჭირდება.

19444. ბედის წყალობას არ განიხილავენ, მას ითვალისწინებენ თუნდაც იმიტომ, რომ ხშირად „ზოგი ჭირი მარგებელია“.

19445. ზოგს ბედი ყოფის ხურდებით უმასპინძლდება, ზოგსაც ცხოვრების შესაცნობად უპროცენტო კრედიტს აძლევს, გააჩნია, რა ხასიათზეა და ვისი შემართების იმედი აქვს.

19446. ზოგი ბედის დარტყმისაგანაც ხეირს ნახულობს, თუ კრედიტით ჩუმად გადანახული იდეა ეგულება.

19447. ბედს უფრო ხელის გამძრევი ხალხი სჭირდება და არა – თავისა.

19448. ბედს არ უნდა უსაყვედურო, მან უკეთ იცის, რა დროს რა და როგორ გიწილადოს.

19449. ბედი ხაკერის ხელოვნებას ბოლომდე ფლობს თუ არა, არავის უწყის, განსაკუთრებით, იმათთვის, ვინც დროულად დამუხრუჭება შეძლო.

19450. ბედის სურვილს თვალდახუჭულად უნდა მივყვეთ, რადგან ის ხშირად ჩვენს მხარეზეა.

19451. ბედი არაა ვალდებული ყოველთვის ჩვენი პრობლემები ათრიოს, როცა ტვინის განძრევას ვერ ვახერხებთ.
19452. ზოგჯერ ცხოვრება ის ყაბზობაა, ბედისაგან მუდამ სასაქმებლის მოწოდებას რომ ელოდება.
19453. ზოგს უნდა ბედისგან ის საყოველთაო საბანკო ბარათი შექმნას, რომელიც მის მაგიერ ყველა პრობლემას მოაგვარებს და ჩვენს ყველა ვალს გადაიხდის.
19454. ბედს არ ესიყვარულებიან, ხელს სთხოვენ.
19455. ბედსაც ქრთამად გონიერების მიგება სჭირდება, რომ შეგამჩნიოს, ხასიათზე მოვიდეს და შენკენ გამოიხედოს.
19456. ბედმა თუ საჭირო საზოგადოებაში გაგრია, ეს უფასო კრედიტი მოხერხებით უნდა გამოიყენო და ბედი აღარ შეაწუხო, თავადვე უნდა იჩალიჩო.
19457. დროის ყივილი და ბედი მუდამ ურთიერთკავშირშია.
19458. ზოგჯერ დროული, გონივრული, დახმარება და ხელის გამოღება ბედის ტოლფასია.
19459. გარდაცვლილის სასიამოვნოდ გახსენება მის საფლავზე მიტანილი ყვავილის ექვივალენტია.
19460. სიბერე განვლილი ახალგაზრდობის ხარჯზე ცოცხლობს და იღვწის.
19461. უმეცრებას და არაკომპეტენტურობას გამართლება არ აქვს.
19462. ადამიანის კუჭის შესაძლებლობა უცვლელი რჩება, მაგრამ საკვებზე მოთხოვნილება მატულობს, რაც, ჩვეულებრივ, მოკვდავებზე და ბიზნესმენებზე ვრცელდება.
19463. დღეს რძალი იმ დედამთილს არ უბოზდება, რომელსაც გამოცდილება აქვს, ცხოვრების ავან-ჩავანში ერკვევა. ოჯახს მისი სახით ფსიქოთერაპევტი ჰყავს.
19464. აჩქარებას და დაყოვნებას დროის შერჩევა სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევა ბედის ხელშია.
19465. უძილობა ასაკს ადანაშაულებს, ასაკი – ნერვებს, ნერვები – ირგვლივმყოფთ, ეს უკანასკნელი კი – ისევ უძილობას, რომელსაც ასაკის კაურების დაძლევა აღარ შეუძლია.
19466. ახლობლები ხანდაზმულის ჭკუის ხარჯვას და დარიგებას არად აგდებენ, უფრო ფულის ხარჯვას და ნერვების აშლას სცემენ პატივს.
19467. სიბერის გადასახედიდან ახალგაზრდული წლების და იმ დროის განსჯა სისულელეა, რადგან დღევანდელ გონიერება და იმდროინ-

დელი ახალგაზრდული სული ერთმანეთს არ ეთანხმება.

19468. შენი წარმატების პიკზე თუ ასეთივე წარმატებული მეგობარი გვხვდება, რა სჯობს, არცერთს საშური და გასაყოფი არ გაქვთ, მხოლოდ აზრთა გაზიარება.

19469. ყოველი ფეხის გადადგმაზე, ავად თუ კარგად, ჩვენი წარსული ფეხებში გვედება და კარგია, თუ ის კარიერის კიბეზე ასვლაში ხელს არ შეგვიშლის.

19470. ბედის კოცნაზე ყველა თანახმაა, მაგრამ ქმრები პომადის წინააღმდეგნი არიან.

19471. ცხოვრების გარკვეულ ნაწილს უნიტაზზე სიამოვნებით ვატარებთ და ამ კაიფს, ყაბზობისას, უკეთ ვაფასებთ.

19472. ამბიციები, რატომღაც, იმ ხალხთან გვაპირისპირებს, ვისთანაც მომავალში შეიძლება ვიმეგობროთ.

19473. ამბიციები არ გვაძლევს უფლებას იმდაგვარად დავიხარჯოთ, რა ხელფასის მიღებაც გვინდა.

19474. ჩვენ ყველანი ჩვენი დროის შვილები ვართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინწასწარებულ ცხოვრებას აწმყო არ გვაპატიებს.

19475. ზოგჯერ ბედს წამები უნდა მოვპაროთ, წავგლიჯოთ, რათა ცხოვრებაში გასახსენებელი დაგვრჩეს.

19476. დასმულ კითხვებზე ანკეტის შევსება ცხოვრების პროზაა, მაგრამ ადამიანის შესაცნობად, ხშირად, მის დახასიათებას ჯობს.

19477. უნდა იცხოვრო საკუთარი სიამოვნებისთვის, ოღონდ სინდისთან შეთანხმებით და ამქვეყნიერ სიამეთა შერჩევით აკრეფით.

19478. მეგობრობა სულის და ურთიერთგასაგები აზრების საერთო ზეიმია და არა – ურთიერთმომსახურება.

19479. ოჯახურ ცხოვრებასაც თავისი მერყევი საწვავი აქვს სიყვარულის სახით, რომლის მომარაგება ასაკის მატებასთან ერთად ძნელდება.

19480. ოჯახში ბავშვი არა მარტო კერიას ამაგრებს, არამედ ანათებს და მოვალეობას გვიორმაგებს.

19481. სიამოვნებას შეიძლება ყველამ ხელი გამოკრას, თუ თავს შთაგონებს, რომ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული.

19482. როდესაც ცოლის დაქალი ახალ ნივთს იძენს, რატომღაც ქმარს ექმნება პრობლემა.

19483. სიბრიყვის ჩაუდენლობას სიბრძნე არ შველის, მთავარია, ყისმათი და შემთხვევა როგორ გაგეხუმრება.

19484. ფაქტიურად ყველანი ჩვენი სიამოვნებისთვის ვიღვწით,

რომელსაც ასაკი დამსახურებად გვითვლის.

19485. მომავალი, როგორც ჩვენ გვინდა, არასოდეს გვექნება, ამიტომ აწმყოს რეალობით უნდა ვიცხოვროთ, ოღონდ ხელის განძრევით და შემართებით.

19486. დღისით ნაჩხუბარი ცოლ-ქმარი ღამით კონსენსუსს ეძებს.

19487. დანარჩენებისგან განსხვავებით, პირველი არასოდეს გვავიწყდება და მოგონებად გვრჩება, მათ შორის, არასასიამოვნოც.

19488. ახალგაზრდობას თავის ჭკუაზე უნდა ცხოვრების მოწყობა, მაგრამ გამოცდილება ამის საშუალებას არ აძლევს, დარიგება და ჭკუის მოხმობა კი არ უნდა

19489. ახალგაზრდობა რომ გრძნობდეს სიცოცხლე რა მოკლეა და სიბერე როგორაა სიცოცხლეს მოწყურებული, თავისუფალ დროს ასე ჰარი-ჰარალოდ არ „გააიმასქნებდა“.

19490. ადამიანის სიცოცხლე ხეტიალია, ეს ოცნებით იქნება თუ რეალურად.

19491. გარკვეულ ასაკამდე ბედი ჩვენს მხარესაა, წლების მატების შემდეგ ჩვენ ვართ მის მხარეს კარნახით, ჭკუის დარიგებით, თუ როგორ უნდა დაგვეხმაროს.

19492. ისე არ უნდა გათავხედდე, რომ ბედს შენი დახმარების სურვილი დაუკარგო.

19493. ფორტუნა ხშირად ბრმა და ყრუა, რადგან ჩვენი „სამართლიანი“ პროტესტების, თხოვნების, მოსმენა და დანახვა არ შეუძლია.

19494. ზოგს ისეთი თანდაყოლილი ნიჭი, უნარი, აქვს, რომ საკუთარ ბედსაც ატყუებს, საკუთარ მესაც და ცხოვრების მაინც კმაყოფილია.

19495. საკუთარი ბედის გამოცნობა ძნელია.

19496. უნდა ვიცხოვროთ ორმაგი ცხოვრების ბედით და სამმაგი მოუცლელობით უნდა გარდავიცვალოთ, რათა იმქვეყნიური ფორტუნაც ჩვენს მხარეს იყოს.

19497. ბედიც ჭკუას გვასწავლის, თუ შეგვამჩნია და მოინდომა.

19498. გონება ბედსაც კომპრომისს სთავაზობს და ითანხმებს.

19499. ძლიერს ჰგონია ბედს თავად მართავს, მაგრამ არ დაიჯეროთ, უბრალოდ, მისი აქციები ერგო.

19500. ბედი ჩვენი ყოფის შეუმჩნეველი სარკეა.

19501. ბედი დახმარებისთვის ჩვენგანაც სიკეთეს გამოელის.

19502. ზოგჯერ ბედი ისეთ დროს შემოგიბრუნებს უკანალს, რომ აღარაფერი დაგრჩენია სიტყვების კორიანტელის და დედისგინების

გარდა.

19503. ბედი მსხმოიარე ხეს მოგვაგონებს, ზოგის ნაყოფი თავისით ჩამოვარდება, ზოგიც ხის დარხევის შედეგად, ზოგზე ხის ჯოხი უნდა იხმარო ნაყოფის ჩამოსაგდებად, მაგრამ პირს როგორ ჩაიტკბარუნებ, ამას შეცნობა სჭირდება.

19504. ბედი, შემთხვევა, არც „ფრაერია“, არც უაზრო და არც უგულო, ყოველივეს ანგარიშს უწევს და აბალანსებს ამ სამყაროში.

19505. ბედი გვაყვარებს ძველს და თუ დაჭირდა, ალიყურსაც გვაჭმევს სურვილის და საჭიროების შესატყვისად.

19506. ბედი გაგებას მოითხოვს და არა – მორჩილებას.

19507. დრო და ასაკი თუ გინდა დაიმორჩილო, მათზე აუღელვებლად ყურება უნდა ისწავლო.

19508. გარემოების მთავარი მტერია საყვარელი საქმის განხორციელების შესაძლებლობის უქონლობა.

19509. ვნებას, გზააბნეულობას, დაუფიქრებლობას, ხშირად მივყავართ სინდისის ქენჯნამდე მაშინ, როდესაც ნამოქმედარის გამოსწორება დაგვიანებულია.

19510. ეკლის ჩხვლეტის რაოდენობას მშობლების გულში ჩვენი განუსჯელი ქცევა განსაზღვრავს.

19511. სიბრძნის დამუღამება ბრძენად გაქცევს და არა – საქმის მკეთებლად, რადგან ამ უკანასკნელს ახალგაზრდული შემართება სჭირდება.

19512. ბრიყვი, კეთილი იქნება თუ არა, ახლოს არ უნდა გაიკარო, რადგან შეგეცოდება, შეგაცდენს და რაღაც არასასიამოვნოს გადაგყრის.

19513. სიამაყე ცხოვრებას გვიშლის, მაგრამ მის გარეშე ძნელია თავი ადამიანად იგრძნო და შენს „მეს“ აჯობო.

19514. თეორიულად ხალასი, სუფთა, ტვინი კარგია, მაგრამ პრაქტიკულად დანაგვიანებული, უგნურებაშერეული უფრო ამართლებს, ცხოვრების უკეთ შესაცნობად და ფხის გამოსაჩენად.

19515. სიცოცხლე თავადაა სამოთხე და იმქვეყნიურ სამოთხეში ჩანაცვლებაზე რაც შეიძლება დიდხანს თავი უნდა შევიკავოთ.

19516. ადამიანმა ყველა მცდელობა სამი განზომილებით უნდა დააპუროს: ჭკუით, სახელით, სულიერებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფის განტოლება არასრულყოფილია.

19517. ღმერთმა უწყის, ვინ ცხოვრობს თავის დროში გონივრულად, ალბათ, ის, ვინც თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრებას ასწრებს.

19518. სიცოცხლის მთელი ფილოსოფია სიცოცხლე – გარდაცვალებაშია, რათა შთამომავლობას და დროს მივცეთ თავისი საკეთებელი და წარმოსაჩენი.

19519. ცხოვრებაში ყველაზე სასარგებლოა ის, რაც იცი და შეგიძლია დროულად დაიწყო.

19520. თუ ბედი ღირსეულად მოგექცევა, შეეცადე მისგან ყოფითი მუჟუჟი მაინც გააკეთო, რათა მთლად ცარიელზე არ დარჩე.

19521. მომავალში ცოდვები რომ არ ჩავიდინოთ, ამისათვის დღესვე უნდა ვიყოჩაღოთ და ჩვენი ადგილი ცხოვრებაში დროულად უნდა მოვნახოთ.

19522. რომ იმუშაო, დაუოკებელი სურვილი უნდა გქონდეს და აქ მარტო ცოდნა-გამოცდილება არ კმარა.

19523. ცხოვრება გამარჯვება-დამარცხების „ფეიერვერკებისაგან“ შედგება, მაგრამ ძირითადად მდორედ მიედინება, საათის და წუთების უკან მოსროლით.

19524. ცხოვრების ავ-კარგს გადამეტებული განსჯა არც უხდება და ნერვებსაც გვიშლის.

19525. სამუშაო გეგმას ადამიანი მაშინ ადგენს, თუ პერსპექტივა და მიზანი აქვს საყვარელ საქმიანობაში.

19526. ცხოვრება ყოფის ის უნიკალური განზომილებაა, რომლის ამოხსნას ბოლომდე უნდა შევეცადოთ, წინააღმდეგობათა მიუხედავად.

19527. ქალი და კაცი, ორივენი ყოფის კატა-თაგვობანას თამაშობენ და ამ „გართობით“ ბოლოში ორთავე კმაყოფილია.

19528. მთავარია დაწყება, ხოლო უმთავრესია შედეგიანი დამთავრება ოპონირების გარეშე.

19529. როცა სინდისის კოვზის, სამართლიანობის დანის, გონების ჩანგლის, ხმარებას ვისწავლით, ასაკიც კარზე გვადგება.

19530. ფორტუნას ბორბალი ტრიალებს, იღბალი ჩასაფრებულია, თუ ადამიანი ბედნიერებისთვის იღვწის.

19531. ყველა ადამიანის ცხოვრებას თავისი მომხიბვლელობა და სილამაზე აქვს, გააჩნია, რა მხრიდან შევხედავთ.

19532. თუ ცხოვრებაში ხშირად ფეხს გიდებენ, დროა მათთან ჭიდილი გამოცდილებით ისწავლო.

19533. სიცოცხლეს აზრი მაშინ აქვს, თუ მისით გაჯირითება დრო და დრო გსიამოვნებს.

19534. შოვნასა და გამომუშავებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ფულს თავისი „მოხერხებულობით“ იხვეჭს, ხოლო მეორე საქმიანო-

ბის შედეგად ფინანსდება.

19535. იქ, სადაც გონების ცენზურა არ მოქმედებს, სიტყვის შერჩევა, გონივრული გაგება, არ ხდება, საუბრის ნაცვლად ყბედობა გამოდის, არანორმირებული ლექსიკის შეზელვით, საქმის გაუკეთებლად.

19536. ახალგაზრდობა ჯილდოა, სიბერე სასჯელია ახალგაზრდობის წლების უზრუნველად გატარებისთვის.

19537. სჯობს ერთხელ გასინჯო, გარისკო, ვიდრე 100-ჯერ ეჭვი შეგეპაროს, იჭვნეულობამ შეგჭამოს.

19538. ვიღაცას ხუმრობა სიცოცხლეს უხანგრძლივებს, ვიღაცას უმოკლებს და კარიერის კიბეზე ფეხს უდებს.

19539. ღირსებას ღალატობენ, მაგრამ „საბნის ქვეშ“ შერკინება უფრო ამართლებს და შედეგიანია.

19540. სიბერე ბევრნაირია ერთიდაიგივე ფინიშით.

19541. ლამაზი სიცოცხლისათვის უნდა იბრძოლო, რომ მისი მადლი შეიცნო და ამქვეყნად მოსვლის კაიფი იგრძნო.

19542. რადგან სიკვდილი ყველას იხსენებს და განურჩევლად „გვეპოტინება“, ყველამ ჩვენი ჭკუით უნდა ვიცხოვროთ, სანამ ვცოცხლობთ და გვეცხოვრება.

19543. იღბალი ყველას კარზე მოგვადგება, ოღონდ მცდელობით, გარისკვით, შეუპოვრობით.

19544. აწმყო მომავალზე მეტად უნდა გვაინტერესებდეს, რადგან ცხოვრება დღეს გვიხდება, ხოლო მომავლით ვსაზრდოობთ.

19545. დაქორწინება სიყვარულის ილუზიებისთვის ხარკის მიგებაა.

19546. ყველამ მომავლისათვის უნდა იცხოვროს, თუ უნდა ამქვეყნად მოსვლა გაამართლოს.

19547. ცხოვრების ყველა პერიოდში შეიძლება თავი ბედნიერად იგრძნო, თუ დროის შესატყვისი ჭკუა გეყო.

19548. ახალგაზრდობა და სისულელეების ჩადენა სინონიმებია, მაგრამ ზომიერების ფარგლებში და კრიმინალის გარეშე.

19549. ცხოვრების აზრი და სილამაზე მის მრავალფეროვნებაშია.

19550. როგორ პატიოსნად ცხოვრებასაც არ უნდა შევეცადოთ, სიცოცხლის ფინიშს მაინც ცოდვილნი გადავკვეთავთ.

19551. დროის ყივილთან ერთად თუ ნიჭი და შესაძლებლობა ერთმანეთს ემთხვევა, ტყუილად არ გიცხოვრია.

19552. სურვილის და ოცნების გარეშე ადამიანი ვერ იარსებებდა, რადგან თავად სიცოცხლე, პეწთან ერთად, აზრს კარგავს.

19553. ცოლ-ქმრის საქმეში ყველაზე ცუდი მოსამართლენი დედებია

სიდედრ-დედამთილის სახით და არა – ბებიები, რომლებიც შვილიშვილების საკეთილდღეოდ კომპრომისს ეძებენ.

19554. ოჯახის საფუძველს ურთიერთპატივისცემა უფრო ადუღაბებს, ვიდრე ცარიელი სიყვარული.

19555. მეგობართა შეხედულება და გული იშვიათად ცდება, მაგრამ დანანებით და გამოუსწორებლად.

19556. ბავშვები ჩვენი ცხოვრებაა, ეს ბედოვლათობად იქნება გაგებული თუ გაუგებრობის გასაგებში გადაყვანის მცდელობად.

19557. ხშირად დაღვინებულ შვილებს დაბერებული მშობლების ქცევისა არ ესმით, მიუხედავად იმისა, რომ მათ საქციელს დაბადებიდანვე თითქმის მიჩვეულნი არიან.

19558. ბავშვები მშობლებს სხვადასხვა სახის პრობლემებს უქმნიან და ამით მათ თავიანთ ბავშვობას ახსენებენ.

19559. ზოგი სამმაგ ცხოვრებას ეწევა, რადგან ამ არეულ და მოულოდნელობით აღსავსე დროში, არ იცის რომელი გამოადგება.

19560. ამქვეყნიდან „აბარგებულებს“, ვისაც გულზე ნაიარევი გვრჩება, დროულად იქნება თუ უდროოდ, ტყუილად არ გვიცხოვრია.

19561. ყველაზე დიდი დრამატურგი ცხოვრებაა, რომელსაც წარმოსაჩენად არც რეჟისორი სჭირდება, არც მსახიობი და არც პროდიუსერი.

19562. სიცოცხლის ყველაზე დიდი გამართლებაა, თუ მის შესაფერ დროში გაიელვებს და ცხოვრება არ დასცინებს.

19563. თუ სიცოცხლის მანძილზე მუსიკის ჰანგების მოსმენა გსიამოვნებდათ და ნერვებს არ გიშლიდათ, არც თუ ისე ცუდად გიცხოვრიათ.

19564. დაქორწინება სიყვარულია, სისულელეა, ანგარებაა, ვალის მოხდაა თუ აუცილებლობა, გონებისათვის ყოველთვის საკვლევი იქნება.

19565. სისულელის ჩადენას ყველანი ვერიდებით, მაგრამ მაინც ჩავდივართ, რადგან უიმისოდ სიცოცხლის მადლის და საკუთარი თავის შეცნობა გვიჭირს.

19566. თუ ადამიანი შეძლებულად ცხოვრობს, მას ყველა სახელმწიფო წყობა აწყობს და ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობა რომ არ მრავლდება, დიდად არავის აწუხებს.

19567. შვილები ის გათავხედებული კასტაა, რომლებმაც რაც უნდა გაგვაბრაზონ, „ფეხებსაც ვერ მოვჭამთ“.

19568. სიკვდილს არც მტერი ჰყავს და არც მოყვარე, არც მეგობარი,

მას არც არავინ საყვედურობს, რადგან შეიძლება ჩვენდა შეუცნობლად სიკეთეს აკეთებს, რაც სიავედ გვეჩვენება.

19569. საქმიანობა ბედნიერებაა, თუ მისკენ გული მიგიწევს და რაღაც სიახლის შექმნის შანსი და მცდელობა გიღიტინებს.

19570. უსაქმურობაზე საშინელება არაფერია, ვინც შემოქმედებით შრომას და ირგვლივმყოფთათვის თავისი „მეობის“ წარმოჩენასაა მიჩვეული.

19571. სამუშაო, როგორი საინტერესოც უნდა იყოს, გვბეზრდება, მაგრამ მობეზრების მკურნალობა, მოვალეობის შეგრძნება და ოჯახის დაპურება-რჩენის საჭიროება.

19572. ცხოვრების რეჟისორები ვართ თუ მსახიობები, ამას ჩვენი ნიჭი, მიზანი, მცდელობა და განგების „თავში წამოთაქება“ განსაზღვრავს.

19573. რძალი რომ მშობლებს შვილად აღიარებინო, დიდი ნიჭი და სიყვარულით მორთმეული გონიერების მათლაფაა საჭირო.

19574. სახლი, ოჯახი, ბავშვების დედას ეკუთვნის და ამას რაც დროულად გავაცნობიერებთ, ასაკოვანიც და უასაკოც, ყველასთვის სასარგებლოა.

19575. მშვიდობის და მყუდრო ცხოვრების ფასს მაშინ ვიგებთ ასაკოვნები, როდესაც ეს სიმყუდროვე ხელიდან გვეცლება და ომი და არეულობა იწყება, რომელიც უგუნურ ახალგაზრდობას ახალისებს, ხოლო ვიგინდარებს კარიერისკენ უხსნის გზას.

19576. ალბათ, ყველაზე დიდი ფასი ჩვენი სიცოცხლის გასავლელ წლებს ადევს, მაგრამ მისი მოფრთხილება და გამოყენება ყოველთვის ჩვენზე არ არის დამოკიდებული თუ შემთხვევაც გვერდში არ ამოგვიდგა.

19577. სიზარმაცე და სიბეჯითე, ადრე თუ გვიან, საერთო ენას ნახულობენ, განსაკუთრებით, ხანდაზმულობაში.

19578. რას ვიზამთ, ცხოვრება რთული შესაცნობი, გაუგებარი, ყოფილა. როგორც ირკვევა, თვით უილიამ შექსპირიც პლაგიატი ყოფილა, მაგრამ მის პიესებზე მუდმივი მოთხოვნის და დროის ყივილის გამო, რეჟისორებს ეს მითი აღარ აინტერესებთ.

19579. ყველანი გარდაუვალ სიკვდილს ვუცდით ჩვენდა შეუმჩნევლად და ჩუმი ფერება-შეშფოთებით.

19580. „ღვინო, დუდუკი, ქალები“ დაფინანსებას და შეძლებას მოითხოვს და აქ აშუღური ბუნება არაფერშუაშია.

19581. ცხოვრება თავისებური ჩოჩქოლია, იმისდამიუხედავად, ვამჩნევთ, ვგრძნობთ, გვკარნახობს ამას ვინმე თუ არა.

19582. საოცარი ოინია ცხოვრება, მაგრამ ჩვენი შურის გადასახედიდან მაინც უსამართლოა.

19583. ადამიანური ენერგეტიკა იმ იმედის კრედიტია, რომელიც სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს და ყოფის მადლს გვაგრძნობინებს.

19584. ხშირად ცხოვრების ქარიშხალი, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი ყოფის აფრებს უბერავდეს და დასახულ მიზნისკენ მიგვაქროლებდეს, სახეში გვირტყამს და გვაწბილებს.

19585. დღეს შეძლებული მშობლები და შვილები რაც უფრო მოშორებით ცხოვრობენ ურთიერთისგან, მით მეტად პატივს სცემენ და უყვართ ერთმანეთი – ცივილიზაციის ხარკია ასეთი.

19586. რაც რეალურია, ის მისაღებიცაა, იმისდამიუხედავად, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვიგებთ თუ ვერ ვიგებთ.

19587. ყველა ქმედებას შედეგი უნდა მოჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უნდა სასიამოვნო იყოს, იმედის გაცრუებას იწვევს.

19588. სასწაულს ვნებასთან შეხვედრაც ახდენს და გულში ჩამწვდომი სიტყვაც.

19589. მეგობრების შენარჩუნების ალგორითმი: საერთო ფინანსური საქმე არ იქონიოთ და ფული ერთმანეთს არ ასესხოთ, თუ საჭიროა, ერთმანეთს უთქმელად უნდა დაეხმაროთ.

19590. მართალია, ყოფის პროზა და სიყვარული ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, მაგრამ სულ პოეზიით ცხოვრების განვლაც შეუძლებელია.

19591. ცხოვრების მადლის შესაცნობად ადამიანს ყოფასთან შეუპოვარი თამაში უხდება და ალამაზებს.

19592. ცხოვრებამ არა მარტო თაობებზე დასვენება იცის, არამედ დაცინვაც, ამიტომ ზომაზე მეტი პრეტენზიები მის მიმართ არ უნდა ვიქონიოთ.

19593. ფაქტიურად ყველანი, ჩვენი წარმოდგენით, ჩრდილზე ვქორწინდებით, მაგრამ ამას ცხოვრების ფინიშზე და ასაკში ვგრძნობთ.

19594. მიზანი, რომელიც სიცოცხლის რაობაზე მეტია, თითქმის ყოველთვის ხორციელ შედეგს აღწევს.

19595. არ უნდა ვიცხოვროთ, მიზეზთა მიუხედავად, იმასთან, ვინც არ გვიყვარს ან გადავიყვარეთ, რადგან სიცოცხლე ასე მოკლე, მრავალფეროვანი და საოცრად გამოუცნობია.

19596. ფული, მეგობრობა, სილამაზე – ერთ-ერთის გამორჩევას ასაკი, გამოცდილება, თავის კონტროლის უნარი არ შველის, თუ ჩვენი ბედის, შემთხვევის და განგების ნებაც არ იქნება.

19597. იმედი დიდი ძალა, სანამ საბოლოოდ არ გაგიცრუვდება და ხელიდან არ გამოგეცლება.

19598. განცხრომასაც დროის შერჩევა სჭირდება, რათა არ მივეჩვიოთ და გავაუფასუროთ.

19599. ზოგჯერ ილუზიების დაკარგვა საშინელებაცაა და სასარგებლოც, რადგან რეალურ ცხოვრებაში ვერკვევით და ყოფის ანბანს ვსწავლობთ.

19600. შემთხვევას კუდში მაინც უნდა წავავლოთ ხელი, სულ ხახამშრალი რომ არ დავრჩეთ.

19601. მშობლების შვილისადმი სიყვარული და შვილების – მშობლებისადმი, განსხვავებულია, მაგრამ შვილები მშობლებს ასაკში უფრო მეტად აფასებენ და სინანულს განიცდიან, ახალგაზრდობაში რომ სათანადოდ არ ამჟღავნებდნენ მათ მიმართ სიყვარულს და პატივისცემას.

19602. ბედნიერებაა, თუ რაც გინდა იმას მთლიანად არ მიიღებ – მარჯვედ იქნები და ცხოვრების ჟინი არ დაგეშრიტება.

19603. ყველა მიზნის მიღწევას შეუპოვრობა სჭირდება, ეშმაკობის გამოცდილებით შეძენით და დროის შერჩევით.

19604. გამოუცდელის, გაუთვითცნობიერებელისთვის, რაიმეს სწავლის მცდელობა უგუნურება და დროს უქმად კარგვაა.

19605. ქრონიკული სიზარმაცე დაავადებაა, ხოლო დაღლილობის შედეგად გამოწვეული დროებითი სიზარმაცე-სიზანტე ყოველი ახალი საქმის ბუნებრივი საწყისია.

19606. რადგან რაც მოსახდენია, უჩვენოდაც მოხდება, სხვისთვის სერიოზული ზიანის მიუყენებლად ჩვენი ყოფა ისე უნდა „მოვთარგმნოთ“ და მოვაწყოთ, როგორც მოგვწონს და გვსიამოვნებს.

19607. სიცოცხლე, ნეტარება, ცხოვრება, სიმდიდრეა, ბედი – შემთხვევა, ამასთან არავინ უწყის ვინ როდის, როგორ და სად დაიბადება, მოკვდება, დაიმარხება, სახელის დატოვებით თუ დაუტოვებლად გაქრება, რადგან განგების წყალობაა ჩვენი გაჩენა, ხოლო საყვედურები საკუთარ თავს უნდა წარვუდგინოთ.

19608. ყოფის ბანქო მუდამ „აჭრილი“ უნდა გვქონდეს, იმისდამიუხედავად, აწყობილ დროში ვცხოვრობთ თუ არეულ-დაუწყობელში, რადგან ფორტუნის ძალას ყოველი დრო ემორჩილება და სად, როდის, როგორ, გამოხტება, არავის უწყის.

19609. არ შეიძლება იცხოვრო მაიმუნად და მოკვდე ანგელოზად, რადგან უღირსი ღირსეულად ვერ მოკვდება, მიუხედავად იმისა,

რომ ზოგჯერ მის დამარხვას მოჩვენებითი პატივით ახერხებენ.

19610. როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდება, არავინ იცის, ბედი ვის მხარეს დადგება და ვის როგორ და რამდენად გაუმართლებს.

19611. ადამიანის ყველაზე დიდი მკურნალი გარემოა, საქმიანობაა, დიეტაა, გონების ზომიერი დატვირთვით და მომავლის იმედით.

19612. ალკოჰოლიც თავისი ძალის საჩვენებლად სუსტ ადგილს ეტანება, უჭკუოებს თავში „უკაკუნებს“, ჭკვიანებს კი ფეხებში ურტყამს.

19613. საზრუნავს, გაუგებრობას, „ცურვა უნდა ვასწავლოთ“, რათა უგუნური შემთხვევითობისაგან თავის დასაღწევად წაგვადგეს.

19614. პრობლემების ერთი მესამედი თავად გვარდება, ნახევარი ჩვენ უნდა მოვაგვაროთ, ხოლო ერთი მეხუთედი არ გვარდება და ყოფის ეს პარამეტრები თავადვე უნდა გავითვალისწინოთ, შევეჩვიოთ, რათა თავი საყვედურებით არ ავიკლოთ და სიცოცხლე არ გავიმწაროთ.

19615. ზოგჯერ ბანალური მხარდაჭერა და რეალობაზე თვალის დახუჭვა, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სიმართლის თქმა, რადგან ამ უკანასკნელს დროის, განწყობის, შერჩევა სჭირდება.

19616. ბედს არ უნდა ვუსაყვედუროთ თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთვის გაუცნობიერებელი სიცოცხლე გვაჩუქა.

19617. დაოჯახების მიზეზია სიყვარული, ანგარება, სიბრიყვე და რატომღაც უმეტესობა ამ უკანასკნელს უჩივის.

19618. სტრიპტიზბარში ქმარი „იშტაზე“ მოდის, სახლში კი ცოლთან სავალდებულო სექსით კმაყოფილდება.

19619. ჭირიც ჩვეულებრივ გარდაუვალობად უნდა ჩავთვალოთ, რათა უფრო ადვილი მოსანანიებელი და დასავიწყებელი იყოს.

19620. ბედი ყოველთვის ჩვენს მხარეს ვერ იქნება, მას სხვებიც ჰყავს დასაჯილდოებელ-საპატრონო.

19621. სიმდიდრე გონიერების ნიშანი არ არის, ის უფრო შემთხვევის შეცდომა-გადაცდენაა მავანთან მიმართებაში.

19622. სიკვდილის გარდაუვალობას არ ეჭიდავებიან და ჯიბრში არ უდგებიან, უბრალოდ, საკუთარ ბედს „დედის ხსენებით“ მოიხსენიებენ.

19623. ეცადე მოყვარე არც ზედმეტად დაიმეგობრო და არც იმტრო: სხვასთან შედარებით გაცილებით ზარალიანია.

19624. წყნარი ცხოვრებისაგან განსხვავებით, ძალად აჩქარებული, სხვადასხვა თავგადასავლებით დატვირთული, ყოფის წლები სწრაფად გარბიან, ხოლო მშვიდი ყოფის უპირატესობას ასაკის მატებისა და

ტვინის დაღვინების შედეგად აღვიქვამთ.

19625. სიცილს და ტირილს თავისი აზრი, მადლი და სინაზე უნდა ახლდეს.

19626. არის ცხოვრებისეული სიმართლე, არის შემოქმედებითი, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევიან, მაგრამ ერთმანეთი სჭირდებათ და ალამაზებენ, რადგან დაფინანსების გარეშე ცხოვრება ორივეს უჭირს.

19627. პირველი შთაბეჭდილება ხშირად შემთხვევას ემორჩილება.

19628. უცნობი უცნობად მანამ დარჩება, სანამ საქმის საკეთებელი გაცნობა-გაცნობიერების სურვილი არ გაჩნდება.

19629. დაბრკოლებათა არცოდნა ხშირად წარმატების საწინდარია, რქებით მიწოლით და თავზე გადამსხვრევით.

19630. უფლებით იცხოვრო და უფლებით იღვაწო, ხშირად ერთმანეთის ინტერესებს არ ემთხვევა, რადგან ორივეს თავიანთი „მეს“ სათქმელად შემოსული დაფინანსება სჭირდება.

19631. ყოველთვის უბიწოდ ყოფნა შეუძლებელია, ცხოვრებას ვერ გაიგებ.

19632. წესით, ბედნიერებას მოიპოვებენ, მაგრამ „პერანგით“ დაბადებულთან ბედნიერება, ყველა კანონზომიერების გვერდის ავლით, თავის ფეხით მიდის.

19633. ცხოვრების გემო და არომატიც, წლებთან ერთად, გარეგნულად უფასურდება, შინაგანად კი სიცოცხლესთან გამოთხოვების დასაწყისია.

19634. სიცოცხლე ისე უნდა განვლო, რომ უაზროდ მტკივნეული არ იყოს და გული არავითარ ნამოქმედარზე გეთანაღრებოდეს.

19635. საკუთარი მცდელობა და ბედი უმთავრესი დამხმარეა გაჭირვებისას.

19636. არის ხალხი, რომელიც უბრალოდ ცოცხლობს, აშენებს, ან ცხოვრებით ტკბება ან მუდამ ცხოვრების უკმაყოფილოა, მაგრამ ყოფის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებს.

19637. სიბერეს მაშინ ვგრძნობთ, როდესაც ყოველდღიურად ძალა გვეცლება, ჭკუა გვაკლდება და ამის შემჩნევის უნარი დაკარგული გვაქვს.

19638. ბავშვობას, ყრმობას, აწმყოს ვერავითარი ლამაზი შეფუთვნა გასახსენებლად ვერ შეედრება, როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად.

19639. კარგი ქორწინება ისაა, რომელიც პარტნიორობით მთავრდება

და ოჯახში ვინ არის უფროსი, არ განიხილება.

19640. სტუმარი, რაც უნდა პატივსაცემი იყოს, „დამრჩომს“ ისევ წამსვლელი სჯობს.

19641. ფიქრი ყოველთვის ქმედებას არ შეეტყვისება, თუმცა გააჩნია ინდივიდს.

19642. ბედნიერებას თუ სიცოცხლის ბოლოს მაინც შეიცნობ, ნახევარი მაინც ისე გიცხოვრია, როგორც უნდა გეცხოვრა.

19643. გარკვეულ ასაკში, ყველანი, ჩვენი ნების მიუხედავად, საკუთარი დროის არამზადები ვართ.

19644. ბედნიერება ხშირად ადამიანის ბუნებაშია ჩაბუდებული და შესაფერის გარემოში რეალიზდება.

19645. არის მტერი, რომლის პატიება სიკვდილის შემდეგაც შეუძლებელია.

19646. ახალგაზრდობაში მშობლები გვიყვარს, ვედავებით, ასაკში – პატივს მივაგებთ და მათ ფასს ვიგებთ.

19647. ადამიანისათვის მთავარია არა – ცოდნა, არამედ აღზრდა, ნიჭი და კარიერა, რადგან უკანასკნელი ყოველთვის სასიკეთო შედეგს იძლევა.

19648. მეგაბაიტი თუ პროფესია? ალბათ, ეს უკანასკნელი გადაძალავს, რადგან ჩვენი მოწოდების, მიზნის და შემოსავლის ნაწილია.

19649. ცხოვრებაში განგება ზოგს იმაზე მეტს ჩუქნის, რასაც იმსახურებს, მაგრამ საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ბევრი მათგანი ნაბოძებს ვერ იყენებს, ვერ უვლის.

19650. პრაქტიკული შორსმჭვრეტელობა ყოველთვის იყო და დარჩება წარმატების საწინდრად.

19651. თანასწორუფლებიანობა და არა თანასწორობა, რადგან ადამიანს ადგილი უნდა დავუტოვოთ თავის ნიჭის წარმოსაჩენად თავის მეს გასაამაყებლად, სხვანაირად ცხოვრება მადლს დაკარგავს.

19652. ზოგჯერ შეცდომა დანაშაულზე მეტია, ხოლო განზრახ შეცდომა დანაშაულია კუბში.

19653. მიჩვევა-შეჩვევა ყველა ჩვენი ავ-კარგის, ბედის-უბედობის, გონიერება უგონობის მაჩვენებელია.

19654. ცხოვრება წილისყრის გარეშეც შეიძლება, თუ აზარტული არ ხარ და სიცოცხლე მშვიდობიანად გინდა განვლო, მაგრამ ყველას ასე უინიციატივო ყოფა არ შეუძლია.

19655. ადამიანისთვის დამახასიათებელია შეცდომა, მაგრამ უმთავრესად თავის სასარგებლოდ – ნებით თუ უნებლიედ.

19656. იყო მდიდარი, მოწოდება, პროფესიაა.

19657. ყველაზე ძნელია სხვის პრიორიტეტებით ცხოვრება, რადგან ფაქტიურად ეს არსებობაა, რომელსაც ვერ ვამჩნევთ.

19658. ცოლის მოულოდნელი სიტყვიერი ალერსი და მოფერება, ხშირად, გონიერების ფილტრში გატარებას მოითხოვს.

19659. რელიგია, ქალი და ცხოვრების გზა, ყველამ თავის მენტალიტეტით და საკუთარ მესთან შეთანხმებით უნდა აირჩიოს.

19660. გადამეტებულად ხანგრძლივი სიცოცხლეც ადამიანის დასჯაა.

19661. უბედურებაა, როდესაც ყურს უგდებ და არ გესმის, უყურებ და ვერ ხედავ, გრძნობ, მაგრამ გული არ რეაგირებს.

19662. ცხოვრება ყველას გვცემს, მაგრამ მთავარია ადგომა და ყოველივეს თავიდან დაწყება შეგვეძლოს.

19663. ზოგჯერ ცხოვრებაში ისიც გვადგება, რაც წესით არ უნდა ვიცოდეთ და უარყოფითია.

19664. ხშირად ვერ ვავლებთ ზღვარს სიცრუესა და სიმართლეს შორის და ამაზე დიდადაც არ ვნაღლობთ.

19665. უნდა ვუფრთხილდეთ საკუთარი ბედის გაღიზიანებას, ჩვენი უნიათობის შემხედვარე, მასაც ნერვები დაწყვეტელი აქვს.

19666. რწმენის გაუფასურების მიუხედავად იმედი მაინც ბოლომდე ცოცხლობს.

19667. ბოროტებასაც უნდა შევხედოთ საღი თვალებით, რათა მის მექანიზმს ჩავწვდეთ, ვებრძოლოთ, აღმოვფხრათ.

ჯანი მოგვცეს

19668. წინდაწინ ბოდიშს ზრდილობის გულისათვის იხდიან, რათა რაიმე უხიაგი რომ წამოსცდეთ, ავანსი გადახდილი ექნებათ.

19669. გულალალები უყვართ, მაგრამ არც გამასხრებას აკლებენ და არც უმტკივნეულო ტყუილს.

19670. შუბლზე ნაოჭები წარსულის გონის ჭყლეტის და საამო გაღიმებათა დანატოვარია, ასაკის მატებასთან ერთად.

19671. ჯანმრთელობის დამუღამების გარანტი ზომიერი და რაციონალური კვებაა, ალკოჰოლის გარეშე.

19672. მხნეობასაც დროსთან ჭიდილი იძლევა.

19673. ფსიქოანალიტიკა კულტურის მსახურია, ახალი მეცნიერული მიღწევებისა და რეალობის შეცნობით.

19674. სარეცელზე წყვილთა გადაადგილებით სექსაობის შედეგი არ იცვლება, მაგრამ ვნებას სხვა დატვირთვა აქვს და ქალის თვალებს მადლიერების ცრემლი ამშვენებს.

19675. ადამიანის ვნება ისეა დაპროგრამებული, რომ ვინმეს არ დაუპირისპირდეს და არ დაუმეგობრდეს, შეუძლებელია.

19676. ექიმი ზოგჯერ შუაკაცია სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, რომელიც ოპერაციებით და ნემსების ჩხვლეტით ავადმყოფს ფეხზე აყენებს, ასევეა შემოქმედი ხელისუფალიც, რომელიც ადამიანებს აიძულებს ზომაზე მეტად დაიხარჯონ, მაგრამ გაცილებით უკეთ იცხოვრონ.

19677. ექიმის მთავარი ხელოვნება განკურნების და იმედის ჩასახვაა ავადმყოფისთვის. დანარჩენში თავად უნდა ივაჟკაცოს, თუ განგების ნებაც იქნება.

19678. სიცილი ჯანმრთელობასაც ჰკურნავს და შეხლა-შემოხლის გაუგებრობასაც გვავიწყებს.

19679. ზოგიერთი პაციენტის განუსაზღვრელ მატერიალურ შესაძლებლობებს მედიცინის შესაძლებლობა ვერ ეწევა და თავს ირცხვენს.

19680. ფსიქოანალიტიკა ის „მოძღვარია“, რომელთანაც ცოდვების გასაზიარებლად თავად მობრძანდებიან.

19681. ძველ ჭრილობას ხელი არ უნდა ვახლოთ, რეციდივი გაცილებით მტკივნეულია.

19682. წამიერი სიცილი წუთიერი სიხარულის ტოლია და ერთი საათით ჯანმრთელობას გვმატებს.

19683. ჯანმრთელობის შენარჩუნების მცდელობა, ცხოვრების წესიცაა და განგების ნებაც.

19684. მხნეობას წარმატება იძლევა, წარმატება – პოპულარობას, ხოლო პოპულარობა სიცოცხლის ელექსირია.

19685. სწორად ცხოვრებაა, როდესაც შენც კარგად ხარ, შენს ირგვლივმყოფნიც, ჯანმრთელობაც მხარს გიჭერს, რაღაცა გწამს, მიზანი გაქვს და ოცნებობ.

19686. ამბობენ, ყველა დაავადება ნერვების მოშლილობის ბრალიაო, მაგრამ მასში უგნურების ვირუსიც რომ არ იყოს შეპარული, შეუძლებელია.

19687. იყოთ ყველას მიმართ მადლიერი, დანახარჯებს არ მოითხოვს, თუ პირიქით – ძალზე ძვირი გვიჯდება და ჯანმრთელობასაც ვნებს.

19688. სიკეთის კეთებასაც გონების ვარჯიში სჭირდება.

19689. ჯანმრთელობა დაუფასებელი სიმდიდრეა, ნდობა უდიდესი სიკეთეა თუკი დროის მოჭმამდე არ გიღალატებენ.

19690. ის პროფესია, რომელიც მოტყუების და გარდასახვის უფლებას გვაძლევს, რათა სიკეთე აკეთო და გასაკიცხი არ გახდე, ექიმობა და მსახიობობაა.

19691. სიბერე და ბეხრეკობაც ბედნიერებაა, თუნდაც იმიტომ, რომ სიკვდილთან მოახლოებას დროებით ბიშტი უჩვენო.

19692. ასაკის მატებას, ხშირად ავადმყოფობებიც თან დასდევს, რადგან სიცოცხლის გახანგრძლივებას ფიზიკური ვარჯიში უნდა და მას მუქთაობა არ უყვარს.

19693. აუჩქარებელი სირბილი ჯანმრთელობის ელექსირია და თუ ჯანზე მოსვლა გინდა, დილიდანვე უნდა იძუნძულო.

19694. ყველა ახალი საქმე ნერვებთან ურთიერთობის მოგვარებას მოითხოვს.

19695. გამარჯვებულს, თავად შერყეული ჯანმრთელობა და ომში დაღუპულის ახლობლებიც მხარს უჭერენ.

19696. დაავადების საუკეთესო მკურნალი სურვილი, შთაგონებაა, შემდგომ – ექიმი და მისი მცდელობა.

19697. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, მათ შორის, წამლის დროულ და ხანგრძლივ მიღებასაც.

19698. ყველაზე დიდი მეცნიერება ჯანმრთელობის შენარჩუნებაა, სიცოცხლის გახანგრძლივებით.

19699. სიამოვნების საბადო უძიროა, გააჩნია ვის აქვს მისი მოპოვების უნარი.

19700. გაჯანჯლება მხოლოდ იმქვეყნად გადაბარგებას უხდება, ისიც მაშინ, თუ ჩაწოლილი ავადმყოფი არ ხარ.

19701. შველის არ შველის, მიუხედავად სიავის სიკეთით მკურნალობა-თერაპია, მათრახით – ქირურგია.

19702. კარგი სიტყვა მალამოა, სასიხარულო ამბავი წამალია, მათი ჯამი ბედნიერებაა.

19703. არც ავადმყოფობას უხდება უყურადღებობა და არც მის მკურნალ ექიმს.

19704. ასაკის მატება მახსოვრობისადმი სინანულს განიცდის და არავითარ შემთხვევაში – წყენას.

19705. გულს ვერც უბრძანებ და ვერც დააძალებ, ის სხეულის ცალკე ავტონომიაა.

19706. ყველაზე დიდი უბედურებაა, როდესაც სკლეროზი არ გაძლევს საშუალებას, ასაკში შენთვის სასიამოვნოდ მოსაგონარი წლები გაიხსენო და დატკბე.

19707. ზოგჯერ ადამიანის ტვინი მტვრით არის დაფარული და სიზმრების ნახვით დაკავებული, რაც თავისებურ მკურნალობას მოითხოვს.

19708. ექიმს ღმერთი არ უნდა სწამდეს, მაგრამ სასწაულის მოხდენის იმედი ავადმყოფის გამოჯამრთელებაში, ღმერთის ჩარევით, ურყევად უნდა ჰქონდეს.

19709. დანაშაულია, როდესაც ჯიშიან ქალს შვილები არ ჰყავს, საცოდაობაა, როდესაც უჯიშო ქალს ღირსეული მამაკაცი არ ჰყავს, რომ შვილი გააჩინოს.

19710. ექიმი და პოლიტიკა, ორივე „ჭუჭყიან“ საქმეს ემსახურება, ერთი დაავადებული სხეულის გაჯანსაღებას ცდილობს. მეორე სულში დაბუდებული ბოღმის განკურნებას.

19711. ჯანმრთელობისთვის უმთავრესია სკოლებში საკვების მიღება-დაგემოვნება და გემოვნების დიდი ხნით შენარჩუნება ისწავლებოდეს, ამით ჯანმრთელ თაობასაც მივიღებთ და სხეულის სათანადო „გაბოროტებაც“ დაცული იქნება. მაგ. დელიკატესი უნდა მივირთვათ მცირე ულუფებით, დიდხანს უნდა მოუნდეთ მის მაცერაციას, გარკვეულ დროით სითხე არ უნდა მივიღოთ რათა საკვების გემო შევინარჩუნოთ და სხვა მრავალი. და ესეც ყოფის თავისებური ფილოსოფიაა.

19712. ასაკში უფრო გამოცდილებას და ინტუიციას ეყრდნობიან, ვი-

დრე დაგროვილ ცოდნას.

19713. საკუთარი სიცოცხლის მოწმედ ყოფნა, არსებობაა და არა – ცხოვრება.

19714. სიფრთხილის მარაგი და საფრთხის ალიბი, ყველა ჩვენგანს ოდესღაც გამოადგება.

19715. ახალგაზრდობაში კრედიტით გატარებულ სასიამოვნო წლებს, ასაკი საამო მოგონებებით იხდის.

19716. ასაკი აპლოდისმენტებით დაღლილი წლები უნდა იყოს, ამიტომ უნდა ვეცადოთ წლებს არაფერი დავაკლოთ.

19717. თავის დამშვიდების ცოდნა ყველაზე საჭირო ნიჭია.

19718. აღმაფრენა გვაახალგაზრდავებს, მწუხარება გვაბერებს, ხოლო წლების ყოველდღიური ტარება ასაკში თრევად გადაიქცევა.

19719. იყო მუდამ შეყვარებული ქრონიკული დაავადებაცაა და ბედნიერებაც.

19720. ბედნიერების პარამეტრების დადგენა ასაკის გასარჩევ-დასადგენია.

19721. განწყობილების შესატყვისი მუსიკა ნერვების მკურნალია.

19722. შეუწუხებულ სიბერეს რა ჯობს, მაგრამ დამფასებელი ჰყავს ცოტა.

19723. ექიმი და ეკლესიის მსახურნი პირად ჯანმრთელობას და ღვთისმოსაობას სხვებს უკიდურეს შემთხვევაში ანდობენ და ცდილობენ თავიანთ სხეული და სული თავადვე განკურნონ.

19724. ყველა ასაკოვანს სჭირდება სამედიცინო მომსახურება და არა – სასწრაფო დახმარება.

19725. ფსიქოსთენიის გარეშე ღირებულებები პეწს დაკარგავენ, რადგან საზრუნავი ხელიდან გამოგვეცლება.

19726. გამორჩეული ხასიათი თავისებური სიძლიერეა, რომელიც სულიერებით და ჯანმრთელობით უნდა იყოს გამაგრებული.

19727. სხეულის სილამაზის ფორმულა არავის დაუწერია, რადგან მისი მომხიბვლელობის აღქმა ყველას თავისი აქვს.

19728. შეუმჩნეველი ჯანმრთელობა, დაუნახავი ბედნიერებაა.

19729. ვერაგი ფიზიოლოგიური „ქავილი“ ყველა მამაკაცს აწუხებს და მისი შიგადაშიგ გარეთ დაკმაყოფილება, ღალატად არ უნდა ჩაეთვალოთ.

19730. რაგბი შესანიშნავი თამაშია უკმეხი გოგონებისათვის და აზროვნების მსურველი ბიჭებისთვის.

19731. ასაკის შესაბამისად სხეულის „ჭრაჭუნი“ ჯანმრთელობის შესაცნობი პროფილაქტიკაა და არა – ავადმყოფობა.

19732. გადაჭარბებული თვითდარწმუნება ფსიქიატრისკენ გვიბიძგებს.
19733. ცარიელი ჯანმრთელობა, სიყვარულის და ტკბობის გარეშე, სულის დავადებაა.
19734. ერთდროულად სულიერების, სიხარულის, მცდელობის, სურვილს შეუძლია დავადებული სხეული გააჯანსაღოს.
19735. ღალატსა და გამცემლობას სულიერება დიდად არ ანაღვლებთ, თუ სარგებელი ნახეს და ეს უზნეობა შერჩათ.
19736. რაციონალური კვება კულტურის და საკუთარი რაობის გახსენების ნაწილია.
19737. ვაჟკაცობაა ავად არ გახდე, ხოლო თუ შენს მორჩენაში ექიმი ჩაერევა, ეს უკვე მედიცინის „ვაჟკაცობა“ და არა შენი.
19738. რეალობაში ჯანმრთელობაზე ძვირფასი და ჭკუაზე მომხიბვლელი არაფერია, რასაც ასაკში ვგრძნობთ და ვხვდებით.
19739. ავადმყოფისთვის უმთავრესი სულის დიაგნოზის დადგენაა, ამის შემდგომ მოდის მკურნალობა და ფეხზე დაყენება.
19740. ფინიშისთვის ჯანმრთელობა და გამძლეობა სინონიმებია, მაგრამ ერთი და იგივე არაა.
19741. საავადმყოფო, კვლევითი ინსტიტუტის აბრევიატურით, ის ადგილია, სადაც გარკვეული დაავადებების თავმოყრა და მკურნალობა ერთ ადგილზე ხდება, შედეგად ექიმებს სამუშაო ემატებათ, მეცნიერებს ჭკუის საჭყლეტი, ხოლო საავადმყოფოს ცენზი.
19742. მართალია, ავადმყოფობა თავს გვაბეზრებს, სიცოცხლის ხალისს გვაკარგვინებს, მაგრამ არა იმდენად, რომ იმქვეყნად გადაბარგებაზე დავთანხმდეთ.
19743. ჯანმრთელად აღიარებული ადამიანი მუდამ ჯანზე ყოფნის მცდელობით სულიერად გამოფიტულია, თუ კარგად დავაკვირდებით.
19744. გულს პროფილაქტიკა და გამაჯანსაღებელი სირბილი არ შველის, რადგან როდის აიკიდებს ინფარქტს, ასაკმაც არ უწყის.
19745. წესით ჯანმრთელობა, სიმდიდრე და სიცოცხლის ხანგრძლივობა სინონიმები უნდა იყვნენ, მაგრამ ჩვენი ღმერთი ყოველთვის ასე არ „სწირავს“ – სხვა ღმერთებისა რა მოგახსენოთ.
19746. ადამიანის დამამშვიდებელ წამლებს შორის ფული, იმედი და სიყვარული პირველი სამეულია.
19747. სკლეროზი ყოველთვის მახსოვრობის დაკარგვას არ ნიშნავს, ზოგჯერ ჭკუის გაწმენდაცაა, არასაჭირო ინფორმაციის მოშორებით.
19748. კარგი ძილი ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთი პერიმე-

ტრია.

19749. ავადმყოფს ექიმი, უპირველესად, საუბრით, ზომიერი ჰონორარის მოთხოვნით, მკურნალობს, შემდგომ მოდის სწორი დიაგნოზის დასმა, ავადმყოფის მცდელობა და ღმერთის ნება.

19750. მკურნალობა გამოჯანმრთელების საწინდარია და არა – ჯანმრთელობის გარანტი.

19751. მედიცინის ფანტაზია დღეს „უსაზღვროა“, თუ პაციენტს „მატერიალიზმი“ მხარში უდგას, ისეთ დაავადებებს აღმოუჩენენ და უმკურნალებენ, რომელზეც ადრე მედიცინას წარმოდგენაც არ ჰქონდა.

19752. დილის ვარჯიში საღამოს დაღლის გასანეიტრალებელი ელექსირია, სიბერისთვის ბიშტის ჩვენებით.

19753. პიროვნებად ის იბადება, ვისაც დაბადებიდან ჯანმრთელი გენი, მოწყალე ბედი და გაბედული დრო ახლავს.

19754. გამოცდილება თუ მოინდომებს, ხანდაზმულობა ჯანსაც მოიყრის, ჭკუასაც მოუხმობს და ბევრ დროით გათავხედებულს ბიშტსაც უჩვენებს.

19755. ამბობენ მხიარული ბუნება ჯანმრთელობის საწინდარიაო, ეს შეუმოწმებელი აქსიომა ყოფილ კლოუნებს იმედით ასაზრდოებს.

19756. ხელოვნება უჯიათი ცხენობანას თამაშია, რომლის ზურგზე დიდხანს ამხედრება ძალზე ჭირს.

19757. ერის საქმიანობა რომ მუდამ „ალუჩზე“ იჯდეს, უმთავრესია მისი სულიერი ჯანმრთელობა, გონიერების და გამოცდილების გვარდით დგომით.

19758. თეორიულად ჯანმრთელობა ყოველთვის ფასობს, მაგრამ პრაქტიკულად ფასი სიბერეში ედება.

19759. ზოგჯერ ბრიყვად ყოფნაც აუცილებელია ჯანმრთელობისთვის.

19760. სხეულსაც სწრაფი უარყოფითი რეაქცია აქვს, თუ მიუღებელი და უცხო ხელი ეხება.

19761. ადამიანთა ჯანმრთელობას ყველაზე მეტად ფუფუნება ებრძვის.

19762. კომპლიმენტების ქარიშხალი ახალგაზრდა ქალებს ახალისებს, ხოლო ასაკოვნებს ჯანმრთელობაზე ფიქრს ავიწყებს.

19763. ჯანმრთელობა როგორც ფაქტი შეიძლება იყოს როგორც ფსიქიკური, ასევე ამბიციური.

19764. ხორციელ დავადებათა მკურნალობა, სულიერთან შედარებით, არაფერია, რადგან ეს უკანასკნელი იმქვეყნაადც მიგყვება.

19765. ეტყობა, დედამიწასაც პროფილაქტიკა, დასვენება, მკურნალო-

ბა, სჭირდება, მაგრამ მის მიერ გაამაყებული, გათავხედებული, ორ-ფეხა ცხოველი ფუფუნებას ვერ ელევა.

19766. მოძღვარი, პოლიციელი, მკურნალი; სულიერება, კანონიერება, ჯანმრთელობა; ხელშეუხებელი, ეჭვმიუტანელია და განსჯას არ უნდა ექვემდებარებოდეს.

19767. ჩვენს ჯანმრთელობას ღორმუცელობა, უსაქმურობა და უიმე-დობა ანადგურებს.

19768. სულიერება თავის დასაყრდენს ეძებს, სხეული – ჯანმრთელო-ბისთვის საჭირო „ციხე-სიმაგრის“ გამყარებას.

19769. ყველა ჭირის შეყრა, ძირითადად, უმეცრების შედეგია, განსა-კუთრებით, თუ მას ვერ ვკურნავთ.

19770. თუ განვლილი ცხოვრებით კმაყოფილი ხარ და თან დაგიფასეს, სიბერეს ყურად არ იღებ, რადგან ჯანმრთელობის ელექსირად სია-მაყე გევლინება.

19771. ჩვენს ჯანმრთელობაზე ექიმის ზრუნვაც გამორჩენის შედეგია.

19772. ჯანმრთელი სხეული ბევრი საჭირო და საქველმოქმედო საქმის საკეთებლადაა მოწოდებული იმისდამიუხედავად, აქვს ამის სურ-ვილი თუ არა.

19773. ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი ქრონიკული დაავადებაა და ის თერაპიულ მკურნალობას არ ექვემდებარება.

19774. გონიერება სხვადასხვა სულიერ დაავადებას ებრძვის, მაგრამ ვერ უმკლავდება.

19775. კულინარია ის ხელოვნებაა, რომლის შედეგრები სიამოვნებას გვანიჭებს, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე.

19776. ადამიანისთვის უპირველესია დაავადებათა არშეყრა, ჯანმრთე-ლობის აკრეფით, შემდგომ მოდის განდიდება და ფული.

19777. ყველა დაავადება ჩვენს ჯანმრთელობას ფეხს უდებს. ზოგი კი მის ქრონიკულ დაავადებაში გადაყვანასაც არ თაკილობს.

19778. დასვენება, მოძრაობის გარეშე, ჯანმრთელობისთვის მავნებე-ლია და ზარალის მომტანიც.

19779. მარხვა ადამიანს ხორციელად ფიტავს, ხოლო სულიერად აღამა-ღლებს, აჯანმრთელებს და ანაყრებს.

19780. ზომიერება ავადმყოფობის შეცნობა-მკურნალობასაც სჭირდ-ება.

19781. სენს შიში უფრო მეტად ასნეულებს.

19782. გონიერი ადამიანი მარად თავისი თავის, მეობის, განკურნების ძიებაშია.

19783. საკუთარი თავის ექიმი თავად ვიქნებით, თუ ჯანმრთელობის

შენარჩუნებისთვის პროცედურებს გავითავისებთ და მკურნალობის ანბანს დავეუფლებით.

19784. მცდელობა, შემართება, რეჟიმის დაცვა, ჯანმრთელობის სინონიმია.

19785. ადამიანის ჯანმრთელობასაც განგება განსაზღვრავს და მან უკეთ იცის, რა დროს რა სნეულებები უნდა აჰკიდოს ავადმყოფს, რათა ექიმები უმუშევრები არ დარჩნენ.

19786. ყველა სიამოვნებას ჯანმრთელობისთვის სარგებელი არ მოაქვს, მაგრამ ცდუნების დაძლევა ძნელია.

19787. ჯანმრთელობის გაუარესება ნაღდ სულიერებას ხელს არ უშლის და სისუსტეებზე არ ხურდავდება.

19788. დანაყრება კარგია, მაგრამ ჯანმრთელობისთვის ნახევარდდანაყრება სჯობს, უფრო ვბეჯითდებით.

19789. ზომიერი ტრაპეზის აკრძალვა ცოდვაა, მაგრამ ზოგჯერ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია.

19790. მხიარული ფიქრები, ოცნებები, ადამიანის გამოჯანმრთელებას ხელს უწყობს.

19791. ყველა სენი, ასე თუ ისე, იკურნება, მაგრამ არა – მთლიანად.

19792. წამალს და ქალს შერჩევა უნდა, რომ ჩვენს გამოჯანმრთელებაზე იზრუნონ.

19793. უაზროდ, ზედმეტად, დაფიქრება-განსჯა, ჯანმრთელობის პარამეტრებს ვნებს.

19794. ჯანმრთელი სხეულის ნეკნების მდგრადობა კეთილგანწყობის შენარჩუნების სინონიმია.

19795. ავადმყოფობა ოპტიმისტია, რადგან გამოჯანმრთელების ყოველთვის სჯერა.

19796. იმედი ყოველივეს წამლობს და არჩენს ესკულაპის გარეშე.

19797. მშვიდობის ცნება, უპირველესად, საკუთარი სხეულის ჯანმრთელობას ეხმაურება სულიერების დამშვიდებით.

19798. განკურნება, დროის დახმარებით, ყველაფრის შეიძლება, მაგრამ არა – უხინჯოდ.

19799. ჯანმრთელობა, უმთავრესად, სწორი აზროვნების შედეგიცაა და მიზეზიც!

19800. კარგი ექიმი სასარგებლო რჩევას შთაგონებით იძლევა, ზოგჯერ უსარგებლო წამლების შემოთავაზებით.

19801. ბედნიერება, უპირველესად, ჯანმრთელობის სინონიმია.

19802. სიცილი ბევრ რასმეს მკურნალობს, მათ შორის, გაუბედაობას და შიშსაც.

19803. თანაგრძნობათა თანადგომა ხშირად მკურნალად გვევლინება.
19804. საღი აზროვნება სხეულის ჯანმრთელ აღზრდაზეა დამოკიდებული.
19805. დღესასწაულებს, თავშეყრას, ხშირად ადამიანები თავიანთი ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე იხდიან, იმდენ დაუგეგმავ და მოჭარბებულ ალკოჰოლს მიირთმევენ.
19806. ალიყურის მადლი თუ არ ჰკურნავს, ბევრ უგუნურებას უხდება.
19807. სიტურფე და სილამაზე, თუ კარგად დავაკვირდებით და სწორად აღვიქვამთ, ჯანმრთელობაა.
19808. ზომიერი, კონტროლს დაქვემდებარებული, „გაფრენა“ ხშირად ჯანმრთელობას იგებს.
19809. ორთქლის აბანო სულიერებასაც გვიხალისებს და ტვინში დაბინდებულ უგნურების ბაქტერიებს მუსრს ავლებს, შედეგად ცივ და ცხელ გარემოში ყოფნა სხეულს ახალისებს და აწრთობს.
19810. ანეგდოტი შესანიშნავი სამკურნალო საშუალება სტრესის მოსახსნელად.
19811. ჩვენი ჯანმრთელობის მჭედელი ჩვენივე კუჭია, რომელიც გამოზომილი და ჯანმრთელი საკვებით უნდა აღვჭურვოთ, რათა სხეული არ გაირყვნას და სული არ გათავხედდეს.
19812. დროს დეფიციტი ზოგჯერ ავადმყოფის გამოჯანმრთელებას ხელს უშლის, რადგან სამკურნალოდ გარკვეული დროის მუქთად გაყვანა სჭირდება.
19813. ექიმი უფრო სულის მკურნალია, ვიდრე სხეულის, რადგან ავადმყოფზე მაგიურად მოქმედებს მისი ავტორიტეტი და გამოჯანსაღების იმედი.
19814. ვუსურვოთ ერთმანეთს სხეული ჯანმრთელი ორგანოებით გვქონდეს დატენილი, ხოლო ჯიბეები – ფულით.
19815. საკუთარ ნერვებს ისე უნდა მოვეპყრათ, რომ საბოლოოდ სხეულმა დროზე ადრე გაუცვეთელობისთვის მადლობა გვითხრას.

ჭეშმარიტება

19816. ჭეშმარიტებისათვის პატივის მიგება სიბრძნეს მოითხოვს და არა საკუთარი აზრების ლაბირინთებში სიარული.

19817. მეცნიერება დასვენებას არ სცნობს, მისი ყოველდღიური „ფიქსი“ შრომაა.

19818. რა საქმეც უნდა წამოვიწყოთ, ყოველივეს საკუთარ თავთან შეჯერება და ოპონირება სჭირდება.

19819. ცნობისმოყვარეობას თავად მეცნიერება სთავაზობს თანამედროვე მიღწევებს და არა პირიქით.

19820. ბუნებას კი არ უნდა შევებრძოლოთ და დავიმორჩილოთ, არამედ ჩვენი აზრები და აღმოჩენები გაუზიაროთ.

19821. გონიერება ყოველთვის იმას ჩალიჩობს, რაც ახალია, მიუღებელია, მოულოდნელია.

19822. შემოქმედი კლასიკოსი ყველა ცნობილია, მაგრამ იშვიათად თუკი ვინმე ეცნობა თუ თავის მოსაჩვენებლად და საქმიანობისთვის არ სჭირდება.

19823. სამედიცინო კარაბადინში თქვენი დაავადებების და მკურნალობას ხერხების ძებნას, სჯობს ისევ თქვენს ექიმს მიმართოთ, მას ამ წიგნში მოყვანილი მკურნალობის ზოგიერთი ხერხი დიდი ხანია ახალ მიმართულებებზე გადაცვლილია.

19824. გამომგონებლობის ჭიის შეჩენა-დიაგნოზია.

19825. დროულ პაუზას ჭკვიანური საუბარი ამშვენებს.

19826. გენიალური ფანტაზიის „დაჩმორება“, გენის სიკვდილის სინონიმია.

19827. ტალანტს აწმყოს „ყოფის ბაითები“ არასოდეს აკმაყოფილებს, რადგან ის მომავლისთვის არის დაბადებული.

19828. გენიოსებს აქვთ უფლება, ეს ცხოვრება ისე გახედნონ როგორც მოეხასიათებათ.

19829. ჭეშმარიტებასაც თავისი „პოხონდრიები“ აქვს და მის გათავისებას პატივის მიგება და დრო სჭირდება.

19830. ჭეშმარიტების საწყისი, შეცდომების გონიერების საცერში გატარებაა წარმატების მიღწევის მცდელობით.

19831. ჭკვიანი ცენზორი გონიერების და ხელოვნების დამთრგუნვე-

ლია, მაგრამ ხშირად აუცილებელიც და საჭიროც, რათა ნაღვაწმა სრულყოფილებას მიაღწიოს.

19832. მეცნიერის ბედნიერება სიცოცხლეში თავის ნაფიქრალის ნაღვაწად ქცევა, რეალიზებაა.

19833. გონიერებას, რომელიც მხოლოდ მეცნიერულ აღმოჩენებს ემსახურება და არა იმდენად ადამიანთა კეთილდღეობას, „კუდით ქვა ვასროლინოთ“.

19834. ოპტიმიზმის ოპონენტი პესიმიზმია, თუმცა საქმეს, ჭეშმარიტების დადგენას ემსახურებიან.

19835. ფილოსოფოსად ყოფის ლაბირინთებში ძრომიალი და დროის არაადეკვატურობა გვხდის.

19836. მეცნიერისთვის ის დღეა დასასვენებელი, როდესაც ახალი აზრები არ მოსდის. მაგრამ ამ „განცხრომას“ ვერ ეგუებიან.

19837. ჰუმანიზმი სიტყვის მასალაა, უპერსპექტივოა საქმის საკეთებლად, რომელსაც ადამიანი დაძალების, დაინტერესების, გარეშე უხარისხოდ აკეთებს.

19838. წარმატების შეფასებაც თავის ოპონირებას მოითხოვს.

19839. ცოდნის და თავში ჩადებულის ამოძირკვა არ ხდება, მხოლოდ შეკეთებაა შესაძლებელი.

19840. ჭკუას გამომგონებლური ნიჭი აქვს დანათლული, რომელიც „აუტისტების“ გონიერებას და საზრიანობას უკომპრომისოდ ეჭიდავება.

19841. დასაწყისს დასასრული არ აქვს და დასასრულს დასაწყისი“ და ალბათ ესაა სამყაროს გონიერება?! და სხვა არაფერი!

19842. ჭეშმარიტების ცოდნა თითქოს გაკვეთილებს გვიტარებს, გვწვრთნის და სიკეთის საკეთებლად გვამზადებს, მაგრამ დადებითი გენის გარეშე მისი მცდელობა ნულის ტოლია.

19843. გემოვნება თანდაყოლილია, საღად აზროვნება შეძენილია, პოპულარობა კეთილისმდომთა დამსახურებაა.

19844. სისულელის ჩადენის უფლება მხოლოდ გენიოსებს აქვთ და ისიც ექსპერიმენტის სახით.

19845. გონიერებას და მიხვედრილობას ის საქმე კარგად გამოსდის, რომელთანაც ადრე არაფერი ესაქმებოდა.

19846. მეცნიერისთვის გონიერი ხუმრობა მისი ჭკუის ძალა და მხნეობის საცხია.

19847. ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ მისკენ უნდა ისწრაფოდე.

19848. ჭეშმარიტებას ყველა ეძებს უნარის მიუხედავად.

19849. გენიოსს არ საყვედურობენ, კრიტიკასაც ვერ უბედავენ, მას მხოლოდ უსმენენ, იმის მიუხედავად უგებენ, თუ ვერა.

19850. გენიალობა ყოველთვის მზადაა „შემთხვევითი“ აღმოჩენისათვის.

19851. გონიერებას უგვანოც ეტმასნება, თუ მისგან გამორჩენას ელის.

19852. მეცნიერებას ყოველთვის რიდით და მოწიწებით უნდა მოვეპყრათ, რათა შემთხვევით საშიში გამოგონება სახელის მოსაპოვებლად კარგი სურვილებით არ შემოგვეპაროს.

19853. გენიალობა და შეუძლებლობა ძმები არიან, გააჩნია რა დრო შეხვდებათ, მათში რას დაინახავენ.

19854. ყოფის მცდელობით ჭვრეტა გენიოსის საქმეა და ისიც „დალაგებულის“.

19855. ჭეშმარიტება ძველებურად აღმოჩენებს აკეთებს, რადგან სხვანაირად მას ყავლი გაუვიდოდა.

19856. ღრმადპატივცემული ჭეშმარიტება, სიყვარულს და აღიარებას განუსჯელად მოითხოვს.

19857. გენიალობა არაორდინალური ნიჭია, რომელიც არა მარტო ქცევით, არამედ ოფოფების ორიგინალური გაფრენითაც უნდა გამოირჩეოდეს.

19858. ჭეშმარიტებას, თავის გადასახედიდან, ყველა ღაღადებს, მაგრამ თუ გამოიჭერ, დაბნევად ასაღებენ.

19859. ჭეშმარიტებასთან შეთამაშებას დაწყებითი განათლება მაინც სჭირდება, მასში ჩაწვდომის მცდელობას მსოფლიო და ეროვნული ლიტერატურის ცოდნაც ხშირად არ შველის.

19860. გენიოსია ის, ვინც თანამედროვეთა აზროვნებას ბიშტის ჩვენებით უსწრებს და კოლეგების ნაწილს ის „დარეხვილად“ მიაჩნიათ.

19861. ეტყობა განგებას გენიოსები საგანგებოდ გამოჰყავს და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში საუკუნეთა მენტალიტეტის და შესაძლებლობების შესატყვისად ანაწილებს.

19862. ფუნდამენტურ მეცნიერებათა შესწავლა ბუნების კანონებს ეხება, სადაც ინტუიციურად მისი „ურგები შვილი“, ადამიანიც, იგულისხმება, რომელიც საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით უშედეგოდ.

19863. გენიოსია ის, ვისაც ორიგინალური იდეები ებადება, ტალანტია, ვინც ამ იდეებს ახორციელებს და რაღაცას მატებს.

19864. ცოდნაც მომხვეჭელი უნდა იყოს და არც თუ ისე ცუდად არსებობდეს თავის პატრონთან ერთად, თუ გვინდა ფასი დაიდოს.

19865. ტექნიკური პროგრესი ზოგჯერ ათავისუფლებს ჭკუას შავი

სამუშაოსაგან (მაგ., კალკულატორი) რათა მან უფრო სერიოზულ საკითხებზე იფიქროს, ის კი „თავს ისულელებს“, ინტერნეტში გასართობ თამაშებს ეძებს და ჰგონია ტექნიკურ პროგრესს ამ მცდელობით ეხმაურება.

19866. გონიერებას მოსწონს, ხოლო ვისაც საკითხი ნაკლებად ესმის, ის აღფრთოვანებულია.

19867. უტიფარს გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე ყველა გონიერ ალქიმიკოსს ერთად.

19868. გონიერების დანიშნულებაა, აუცილებელი ცოდნის მიტანა და მისი არეალის გაფართოება იმგვარად, რომ ის საზოგადოების სასიკეთოდ გამოიყენოს.

19869. ცოდნას გამრავლება-მიმატება უხდება თავის წარმოსაჩენად და გაყოფა-გამოკლება თავის მოსაწონებლად.

19870. ცოდნა ინტერესების შესატყვისად უნდა დავამუღამოთ, რათა ასაკისთვის ყოველთვის სასიამოვნოდ მოსასმენი იყოს.

19871. მეცნიერება ცდილობს კონკურენცია გაუწიოს იმას, რაც განგების პრეროგატივა იყო, მაგრამ ეს ყოველთვის კარგია თუ არა და როგორი დაბოლოება ექნება, არავინ უწყის.

19872. უსაქმურობასაც გამოყენება სჭირდება: როდესაც ტვინი ყოველდღიური საზრუნავისაგან თავისუფალია, მაშინ მოსდის მას განსაცვიფრებელი და ხელწასავლები აზრები.

19873. ყოველი ახალი სიტყვის წარმოჩენა ენაში და მის სისხარტის აზრიანად მორგება მეცნიერული აღმოჩენის ტოლფასია.

19874. ცოდნის ნექტრისგან თაფლის მიღებას ყველა ფუტკარივით მშრომელი მეცნიერი ვერ ახერხებს, რადგან სიახლის კეთებას ფანტაზია და განგების ნება სჭირდება.

19875. სიბრძნე თავშეკავებითაც გამოირჩევა.

19876. გონიერებათა შერკინებას ასპარეზი სჭირდება და არა – მტრობა.

19877. ჭეშმარიტებას საკვებად სიცრუეც სჭირდება, რათა შემდგომ დაუნანებლად მოისროლოს.

19878. მეცნიერება დროისათვის შეუფერებელ ბევრ აზრს ბადებს, მაგრამ მათ შორის გენიალურიც გამოერევა.

19879. ზოგჯერ გონიერება ცის ღრუბლებიდან გამონათების ტოლფასია.

19880. ჭეშმარიტება ძუნწი არ არის, მაგრამ მომჭირნეობა ახასიათებს.

19881. გონიერება ჭეშმარიტებას არ ედავება და არც მის გადაკეთებას ცდილობს.

19882. მეცნიერებას იმის დამტკიცების უნარიც შესწევს, რაც არ გაკეთებულა და კარგახანსაც შედეგს ხელს ვერვინ შეავლებს.
19883. მეცნიერება უგნურებაზეც ზრუნავს: იქნებ დასაჭკვიანებელი გენი შექმნას.
19884. სიბრძნეს, გონიერებას, დრო აფასებს, აფეტიშებს და არა – მისი თანამედროვეობა, სადაც ის „ჭკუის ჟონვით იღვწოდა“.
19885. ჭეშმარიტებსითვის ხელის გამოკვრის სურვილი კარგ მცდელობად უნდა ჩაითვალოს.
19886. ჭეშმარიტებამ გულში უნდა დაისადგუროს, რათა გონების საჯიჯგნი არ გახდეს.
19887. სიახლის ათვისების უნარი საშუალებას გვაძლევს, სამართლიანები და საქმიანები ვიყოთ.
19888. ჭეშმარიტებისათვის უმთავრესია შთაგონება და არა – დაპირისპირება და ომი.
19889. გონიერება იმითაც კმაყოფილია, რომ გარკვეული საფეხურებით სხვაზე მაღლა დგას და ფეტიშისთვის არ იღვწის.
19890. ჭეშმარიტების ხმა ყველასათვის მისაწვდომია, მაგრამ თუ დრო არ შეერჩა, ვერ უგებენ.
19891. კონფუცი წერდა, წინათ სწავლობდნენ იმისათვის, რომ თავი სრულეყოთ, ხოლო დღეს სწავლობენ, იმისათვის რომ სხვები გააკვირვონ, საოცარია, რომ დღესაც იგივე მეორდება, სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებლებში „დაეხეტებიან“ არა სწავლის მისაღებად, არამედ ინფორმაციის დასაგროვებლად და თავის წარმოსაჩენად.
19892. ყველაზე დიდი გონიერება, ბუნებისათვის ყურის გდება და მისი მოვლენების კრძალვით შესწავლაა.
19893. ბრძენი ცოდნის შემფასებლებს და „კუდის ამწევებს“ არ ეძებს, ის თავისი ცოდნის რეალიზებითაა დაკავებული.
19894. გონიერებას სისულელესთან საუბარიც უჭირს, მოსმენაც და მათთან დგომაც, მაგრამ მასასთან ურთიერთობის აუცილებლობა მასთან ყოფნას მოითხოვს.
19895. განათლება და ცოდნა, სიბრძნე და საქმის კეთება, სხვადასხვა რამაა და ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს.
19896. ჭეშმარიტებას ბრბო, რატომღაც, სიავის წარმოსაჩენად უფრო იყენებს.
19897. ფილოსოფოსებს ის უპირატესობა აქვთ მდიდრებთან შედარებით, რომ ამ უკანასკნელთა მეცენატობა, ფილოსოფოსთაგან განსხვავებით, არავის ახსოვს.

19898. ეტყობა, მეცნიერებაც მოდაა ან განგებას რაღაც შეეშალა, თორემ წარმოუდგენელია ჩვენ წელთაღრიცხვამდე სამყაროს ამდენი გენიოსი, ბრძენკაცები ჰყოლოდა, რომლებმაც თავიანთ ფილოსოფიური სკოლები შექმნეს, თუნდაც ჩვენთვის ცნობილ ძველ საბერძნეთში.

19899. გონიერება იძლევა ფიქრის უნარის ბედნიერებას, რომელსაც ადამიანის გონიერება რეალურად ვერ აფასებს.

19900. მეცნიერებას ძალიან ბევრი მამა ჰყავს (მედიცინა, ისტორია, ფილოსოფია) რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს და დღესაც კვალს ავლებენ გონიერების მიღწევების სახნავ-სათესად.

19901. მოხერხებულობა, ეშმაკობა, ხშირად გონიერებას ვერ ჯობნის, თუ ეს უკანასკნელი ჭეშმარიტების კლასიკაზეა აღზრდილი.

19902. ფილოსოფიას აქვს უნარი, იმის სასარგებლოდაც ისაუბროს, ვინც არ მოსწონს, მაგრამ ჭეშმარიტებას და გონიერებას არაფერი ავნოს.

19903. ფილოსოფიისთვის უმთავრესია ბუნების იმ კანონების გაცნობიერება, რომელიც ცვალებადობას არ განიცდის.

19904. ფილოსოფია გვაძლევს გახალისების და რომელიმე ბრძენის არჩევის საშუალებას, ჩვენი გონიერების გასავარჯიშებლად.

19905. მარტოობის ფასი, განგების რჩეულ გენიოსთა საქმეა და ისიც ყველგან და არა ყველასთვის.

19906. კვლევა ჭეშმმარიტების ბაზისია, ხოლო გონიერების ფანტაზია – მისი საწყისი.

19907. ჭეშმარიტებასაც შემართების, მჭერმეტყველების, არბიტრის გარეშე, შერკინების მოგება უჭირს.

19908. ბუნებას მადლობა უნდა მივაგოთ, რომ ამდენ ტვინგადატრიალებულს ინახავს და ითმენს.

19909. ჭეშმარიტება და სიცრუე – ორივე თავის „აიწონა-დაიწონას“ თამაშობს.

19910. ყველანაირ მიწას ყველა მცენარის აღმოცენება და გახარება არ შეუძლია, მაგრამ ერთეული გენიოსები ამას ახერხებენ.

19911. გონიერების სიმდიდრეს ვერც ფული ცვლის, ვერც პროტექცია, ვერც მასზე ნათქვამი დითირამბები.

19912. ზოგჯერ ჭეშმარიტების გადმოცემასაც თავისი გადასახედიდან ცდილობენ.

19913. პატიოსან სიტყვას ენდე, მაგრამ ნდობის კოეფიციენტის დადგენას ნუ დაიზარებ.

19914. ჭეშმარიტება თავის „სანთელ-საკმეველს“ ადრე თუ გვიან ნახუ-

ლობს.

19915. დავა ზოგჯერ თავის წარმოჩენის და ჭეშმარიტების მაძიებელია.

19916. ძველი ფილოსოფოსებს სიძუნწე მომჭირნეობაში იმიტომ ერევათ, რომ მათი უმეტესობა სულ დახმარების და სპონსორის ძებნაში იყო.

19917. ფილოსოფია, სიკეთის და ჭეშმარიტების ქადაგების გარეშე, უინტერესო იქნებოდა.

19918. გენიალობაც ბიზნესის წინაშე დაცვას მოითხოვს, რათა გადაჭარბებული ყურადღებით, დაფინანსებით საზოგადოება არ გაირყვნას და დეგრადაცია არ განიცადოს.

19919. მეცნიერი თავისი აზროვნებით დამოუკიდებელია, მაგრამ მისი ნააზრევი სხვათა კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

19920. ჭეშმარიტების შეცნობის ბედნიერება, ყველა „ტვინიკოსად“ წოდებულის ხვედრი არ არის.

19921. მჭევრმეტყველება მეცნიერების ყველა დარგს ალამაზებს და ხშირად გასაგებს ხდის.

19922. ხშირად სიცრუე ჭეშმარიტებაზე თავს დებს, თუ მნახველი და გამკითხავი არავინ ჰყავს.

19923. მჭერმეტყველებაც სარისკო საქმეა, რადგან მსმენელი რომ დააინტერესო, რაღაც აქტუალური და საინტერესო უნდა თქვა, რაც შეიძლება ჭორი გამოდგეს, ხოლო „ჭორის პატრონი“ შეიძლება შენი მსმენელი იყოს!

19924. სიბრძნესაც მართვის შესაფერი დროის და აუდიტორიის გამოყოფა, სათანადო მსმენელით, სჭირდება.

19925. გონიერება გამარჯვების ხელოვნებას მაშინ დაეუფლება, თუ წინაპართა ნაღვაწს გულიანად ჩაუჯდება და სათანადო ნიჭიც აქვს.

19926. გონიერებას მორალური უფლება არ აქვს ღარიბი იყოს.

19927. მეცნიერი დაუმარხავი საგანძურია, რომელსაც დასაქმება და ხელის შეწყობა სჭირდება, რათა ქვეყანას იმიჯი და ბარაქა-დოვლათი შეემატოს.

19928. „ველური ნიჭი“ თვითმყოფადია და თუ მას მონდომება და დრო მხარს დაუჭერს, გენიოსად მოგვევლინება.

19929. ტალანტს არ შეუძლია ცხოვრება ისე მოიწყოს, როგორც ამას მომდევნო თაობები მისთვის გაიმეტებდნენ.

19930. შეუძლებელია გენიოსმა გარეშე ძალები არ იწამოს, იმდენად უცნაური, დაუღვინებელი ახალი აზრები ებადება.

19931. ტალანტს და არა მის კადნიერებას უნდა დავუთმოთ გზა.
19932. ფილოსოფია არასოდეს ბერდება.
19933. ჭეშმარიტების ზურგს ამოფარება ქვენა მიზნებით უფრო მოხერხებაა, ვიდრე გონიერება.
19934. ჭეშმარიტებასაც შეცდომებთან შეხლა-შემოხლა ეხმარება გზის მოძიებაში.
19935. ფილოსოფოსს ხელში ყოველთვის გონიერების მახვილი უჭირავს, მოდაშია მისი აზრები თუ არა.
19936. სიბრძნეს გონიერების დაჭაშნიკებაზე ხელს ვერაფერი ააღებინებს.
19937. ფილოსოფოსობა სულის და სხეულის დაავადებას ვერც ცალცალკე შველის და ვერც ერთდროულად. ამ საქმეში პროფესიონალი დასტაქრია ხელია საჭირო.
19938. სიბრძნეს, გონიერებას, ახსნა-განმარტება არ სჭირდება, ის უთქმელად ხედავს.
19939. ბრძენს სიახლის შეცნობა გონიერებას მატებს, უგნურებს ათაყვანებს და ათრობს.
19940. ძალაუფლება დროებითია, მაგრამ მიმზიდველია, სიბრძნე მუდმივია, მაგრამ უნიკალურია.
19941. სიბრძნეს ფაქტიურად არც რელიგია აინტერესებს და არც მავნე ჩვევები, ის ყველა მიწიერი ცოდვისგან თავისუფალია.
19942. სიბრძნეს არც დასასრული აქვს, და არც უგზო-უკვლოდ იკარგება.
19943. სიბრძნე სიცოცხლეს ეტრფის და მისი სიკეთით ხარობს.
19944. გენიოსს ეჭვი ცოდნაში ეპარება და არა მსოფლმხედველობაში.
19945. ტალანტის გრძნობებსა და შემართებას ასაკი მაინც თავის ჭკუაზე ატარებს და სიბერის მოახლოებას დიდხანს არ გვაგრძნობინებს.
19946. ჭეშმარიტებას, მრავალმხრივი ხედვის მიუხედავად, არც უნდა ვენდოთ, არც გავაპროტესტოთ და არც ორჯერ ორის ოთხობაში ეჭვი შევიტანოთ, რადგან გონიერების მოშველიებით ყველა შეხედულება თითქმის მტკიცებადია. დაუშვათ, ასესხეთ 5 ლარი, მას ადვილად დაგიბრუნებენ, მაგრამ თუ ასესხებთ ათასჯერ მეტს, ძნელი დასაბრუნებელია და სინდისის „დახურდავებასაც“ აღარ უფრთხილდებიან. აქ მორალის არსი ასეთია: 5 ლარი უნდა აჩუქო, ხოლო 5000 არ უნდა ასესხო – აი, ჭკუის სასწავლი ჭეშმარიტება.
19947. მეცნიერება გონიერების არაორდინალური გამბედაობაა გარკვეულ საკითხზე ინფორმაციის მოპოვებით.
19948. რატომღაც გენიოსებს „სახლში“ არ უმართლებთ, სანამ სახელს

სხვაგან არ მოიპოვებენ.

19949. გონიერება მიღწეულით არასოდეს დაკმაყოფილდება.

19950. ნაძალადევი, მათ შორის მეცნიერებაშიც, არაფერი ამართლებს, რადგან აქ მარტო ცოდნა საკმარისი არ არის, მეცნიერი აღმაფრენა-გაფრენისთვის დამუხტული უნდა იყოს.

19951. მეცნიერება მარადიულია, რადგან ადამიანს სიახლესთან გაბაასება მისთვის ხელის ჩაჭიდების გარეშე უჭირს.

19952. იყო ჭეშმარიტების შეგირდი, ყველას ბუნების და გენის ხვედრი არ არის.

19953. ჭეშმარიტება, გამრავლებული სიმართლეზე, პატიოსნებაა კუბში.

19954. ჭეშმარიტება და არჩევანი სინონიმებია, შედეგის მიუხედავად.

19955. დოგმების და სტერეოტიპული შეხედულებათა უკან მოსროლა მეცნიერებისთვის ხელის ჩამორთმევას ნიშნავს.

19956. მეცნიერების განვითარება აიძულებს საზოგადოებას ხალხში გონიერი პირები წარმოაჩინონ, რათა ტექნიკურ პროგრესთან ერთად ადამიანის სულიერებაც ამაღლდეს.

19957. მისტიკა ალეგორიებით სარგებლობს და ცდილობს ჭეშმარიტებას დაუახლოვდეს.

19958. მუდმივად სიახლისკენ ლტოლვა განგების უდიდესი გამოგონებაა.

19959. ყველა აღმოჩენაში განგების ხელი ურევია გონების წყალობით.

19960. ღირსების და ვნების გარეშე არავითარი ღირებული ღირსეულად არ კეთდება.

19961. ჭეშმარიტების და ღირსების შეცნობის განცდები თითქმის იდენტურია.

19962. გონიერება ზოგჯერ „გაფრენით“ აღწევს მეცნიერების აუღებელ სიმაღლეს.

19963. მეცნიერება, დროის უკამარისობის მიუხედავად, მაინც ახერხებს საოცრების აღმოჩენას, რომლის გათავისება და დავიწყება აწმყოს არ უჭირს.

19964. აღმოჩენა გენიოსთა საქმეა, სიახლის კეთება – გონიერების, ხოლო გამოგონება დაუღლელი და „გადატრიალებული“ ჭკუის.

19965. ფილოსოფია გონიერების მჭედელ გენიოსთა ხელოვნებაა.

19966. სამართლიანობა და ჭეშმარიტება ღირსების მაღალ ნოტებზე ჟღერს, მაგრამ მსმენელი ჰყავს ცოტა.

19967. ჭეშმარიტებასთან შერკინებას ვერიდებით და მაინც და მაინც არც გონება მიგვიწვდება.

19968. ყველა მეცნიერებას თავისი „მე“ ღირსებით და ღირებულებებით გააჩნია, მაგრამ მთავარია მათი დროულად დაინტერესება.
19969. სამყაროს ფიზიკა, რატომღაც, მშვიდობის წინააღმდეგია – სხვანაირად საზოგადოების განვითარება გაიყინება.
19970. ჩემი გაოგნება მეცნიერებას ეტრფის, მაგრამ სხვა გასაკვირველი და შეუცნობელიც ბევრია.
19971. სიბრძნე გენიოსების აზრებთან ტვინის ხახუნის შედეგია.
19972. ჭეშმარიტებას ყველა ეძებს, მაგრამ რაში სჭირდება, უმეტესობა ვერ გარკვეულა.
19973. ფილოსოფოსობა, კამათით და შერკინებით, უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს, შედეგის მიუხედავად.
19974. ჭეშმარიტებასაც თვითმარქვია მრჩეველი ევლინება.
19975. გენიალობა ყოველთვის ჭეშმარიტების გვერდზე დგას, იმ მომენტში მისი აზროვნება რაც უნდა მიუღებელიც არ უნდა იყოს.
19976. ჰიპოთეზების „უგნურებაზე“ და სიმრავლეზეა აგებული მთელი რიგი მიღწევები და აღმოჩენები.
19977. სიბრძნე, დაფინანსების გარეშე, გაუპოხავი ურმის თვალივითაა, ჭრაჭუნობს და თავის ტვირთს ასე თუ ისე მიათრევს.
19978. გამოგონების ნიჭის მქონე, სხვადასხვა პროფესიის პირებს ერთი რამე პრობლემატური საკითხის გადაჭრა უნდა დავავლოთ. აუცილებლად სიახლეს გამოთხრიან, იმისდამიუხედავად, წინათ ესახებოდათ ეს პრობლემა თუ არა.
19979. მათემატიკა, ციფრებით აჟღერებული ფილოსოფიაა, მაგრამ მას უფრო ნაკლები მსმენელი და გამკითხავი ყავს.
19980. ფილოსოფია უმეტესობას არ ესმის, მაგრამ გაუგონიათ, რომ გონიერი ხალხის ხელობაა და ამიტომაც პატივს მიაგებენ.
19981. რაში გვჭირდება ფილოსოფია, თუ მას პრაქტიკულად არავინ იყენებს ? ალბათ, თავის წარმოსაჩენად და სულის გასათბობად.
19982. ფილოსოფოსები საღადაოდ რას ფიქრობენ საკუთარ თავზე, ასე თუ ისე, ცნობილია, მაგრამ პრაქტიკულად თავი ძალიან უყვართ.
19983. ფილოსოფია ყველა საკითხის მოაზრება, გონიერების ზეიმით და არაფრის კეთებით.
19984. ჭეშმარიტება დაბნეულობის წინააღმდეგია, მაგრამ ლაბირინთებში ხეტიალი და თავის წარმოსაჩენად სჭირდება.
19985. ჭეშმარიტება ასაკში არ იყურება, არ სჭირდება.
19986. ყველა მეცნიერებაში, მათ შორის „ზოგადშიც“, თავისი ფილოსოფია დევს, საკუთარი ამოსავალი წერტილით.
19987. თავისი უნიკალობის, შეუცვლელობის, სიბრძნის, ყველაზე

მეტად გენიოსს უნდა სჯეროდეს – საწინააღმდეგო კი ხდება.

19988. ჭეშმარიტების მოშველიებას და სამართლის ძიებას ჯობს წინასწარ განსაზღვროთ, რამდენად მიზანშეწონილი და მომგებიანია ეს მცდელობა.

19989. ფილოსოფია ის საინტერესო საქმიანობაა, რომელიც ვერ მდიდრდება, მაგრამ მის ქონებაზე უარს არავინ ამბობს და ნატრობს კიდეც.

19990. სამართლიანობამ თავი დაჩაგრულად რომ არ იგრძნოს, ყველა დასმულ საკითხზე ამომწურავი პასუხი სჭირდება, ხოლო რამდენად დაეთანხმება, სხვა საქმეა.

19991. მეცნიერება წინამორბედთა ჭკვიანურ აზრებს სანსლავს და ეს „ღორმუცელობაში“ არ ეთვლება.

19992. ჭეშმარიტებას არც ფეტიში უხდება და არც – გადამლაშება.

19993. ზოგიერთი ფილოსოფია მოჭკვიანო, მოხდენილი, მსუქანი სიტყვების თამაშია, რათა პლაგიატობა არ დასწამონ, რომლის შიში გონიერებას მუდამ თან სდევს.

19994. მეცნიერული კვლევა, საქმიანობა, ონანიზმს ემსგავსება, თუ რეალური შედეგი არ აქვს და ქულების ჩაწერით კმაყოფილდება.

19995. გვამს არც განსჯა სჭირდება და არც მკურნალობა, მაგრამ მის გაჭრა და შესწავლა აუცილებელია – მეცნიერებას წაადგება.

19996. ფილოსოფია მოწოდებულია ადამიანებს სიცოცხლის ბედნიერად გავლა ასწავლოს.

19997. არის ორიგინალური აზრი, რომლის წარმომჩენი სიტყვების დაკარგვა დანაშაულია.

19998. ჭეშმარიტების დამწნილებაც შეიძლება, რათა მომდევნო თაობებმა დააგემოვნონ და რაღაც ისწავლონ.

19999. ფილოსოფიის შემოწმება-გადამოწმება შეუძლებელია, იმდენად პარადოქსულია და უჩვეულო.

20000. მათემატიკის შეყვარებაც შეიძლება, თუ მასზე მსჯელობ და ატყობ, რომ თანდათან სწორ გზაზე გაყენებს.

20001. ჰიპოთეზა სწორია, თუ არასწორი, არავის უწყის, ეს მტკიცებულებამ და მეცნიერების მიღწევებმა უნდა გამოავლინოს.

20002. ჭეშმარიტებასთან „შეხმიანებამ“ გულის აჩქარება და გონის გამონათება იცის.

20003. ჭეშმარიტება იმდენად ნათელია, რომ შეჯერებას არ საჭიროებს.

20004. ჭეშმარიტება სინჯარაში არ იზრდება, მას გონიერების არეალი სჭირდება.

20005. ჭეშმარიტებას დღესასწაული შეცდომებში ჩვენ გამოსაჭერად სჭირდება.
20006. ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს, მაგრამ ეს ევოლუციაზე არ ვრცელდება, რადგან მინუსით იქნება და პლიუსით, ის უნდა განვითარდეს.
20007. აზროვნებას და ჭეშმარიტებას დრო ვერაფერს აკლებს.
20008. თეორია ზოგჯერ იმ აღმოჩენასაც აკეთებს, რომლის დამტკიცება და პრაქტიკაში გამოყენება, ჯერჯერობით, შეუძლებელია.
20009. ხშირად მცირე ცოდნის, მაგრამ ნიჭიერი თვითნასწავლი, გაცილებით მეტს მატებს მეცნიერებას, ვიდრე კლასიკური განათლების მქონე ადამიანი.
20010. ჭეშმარიტებასაც ხშირი გამეორება სჭირდება, რომ ირწმუნონ.
20011. საკითხის არსში გარკვეულ კამათს, თუ თან გარკვეული ინტერესები ახლავს, სიამოვნება ორმაგად მოაქვს.
20012. ჭეშმარიტებასთან შეჭიდება უფრო კაპრიზის ბრალია, ვიდრე გონიერების მოთხოვნის.
20013. ჭეშმარიტებას ზოგი თავის ჭკუაზე მოთარგმნის, გააჩნია „მთაგმნელის“ ნიჭს და დამკვეთის შესაძლებლობას.
20014. ბუნება გზავნილებს იმ სახით გვიგზავნის, რომელთა ამოხსნაც მხოლოდ თავის განძრევითაა შესაძლებელი.
20015. ბუნება აღმოჩენებს ითხოვს და არა სიყვარულით მასზე ძალადობას.
20016. პროგრესი ყოველთვის უტოპიის მხარესაა, რადგან მისგან რაღაც სიახლეს ადნობს.
20017. ფანატიზმიც ჭეშმარიტებისთვის იღვწის და მას ექიშპება.
20018. ზოგჯერ თავსლაფის დასხმას მაყურებელიც იმსახურებს, როდესაც შემოქმედ გენიას აპლოდისმენტებს აკლებს.
20019. მეცნიერი ა. სახაროვი, მწერალი სოლჟენიცინი, პოეტი ი. ბროდსკი იმდროინდელი იდეებით გამოთაყვანებულ მთავრობას უნდა უმადლოდნენ ნობელის პრემიას და სახალხო აღიარებას, თორემ დღევანდელობის შემყურე ისინი ჩვეულებრივ მოკვდავ „გენიოსებად“ გადაბარგდებოდნენ იმქვეყნად.
20020. მეცნიერებისადმი სიყვარულიც გენეტიკურ დაავადებას განეკუთვნება.
20021. ეგოიზმი, ყველაზე ცნობილ ჭეშმარიტებას ზურგს აქცევს და ამ სიბრიყვეს გვიან ხვდება.
20022. ტალანტსაც, ვნება, შეუპოვრება გაუკეთებელს აკეთებინებს.
20023. ყველა ახალი ხედვა საქმისადმი შეუმჩნეველია, სანამ იდუ-

მალების ფუჩეჩს არ მოვაშორებთ.

20024. ტალანტის მოსმენასაც თავის პატივისცემა და თვითდარწმუნება სჭირდება.

20025. შემართება ძალის ტოლია.

20026. გენიოსს პლანეტის ხალხებთან მიმართებაში გაცილებით მეტი ტვირთი აწევს, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთ, რადგან განგების ნებით მას ამ ტვირთის ტარება არგუნეს.

20027. ტალანტი ყოველთვის „მართალია“ და ხელშეუხებელია, როგორც უნდა ცდებოდეს და რა აუგსაც მასზე თხზავდნენ.

20028. გენიოსები შედარებით უარესად ცხოვრობენ, ვიდრე ჭკვიანები, რომლებმაც იციან საზოგადოებას როგორ მოექცნენ, ხოლო გენიოსები, თავიანთ სიდიადის გამო, ამ ცოდნას საჭიროდ არ თვლიან.

20029. კლასიკოსებს ის „ბედნიერებაც“ სჭირთ, რომ მასა მათ არ კითხულობს, მაგრამ მაინც გენიოსებად რჩებიან.

20030. ყველასთვის გასაგები ჭეშმარიტება მარტივი, სახალისო და მიმზიდველია.

20031. დავიწყებული ჭეშმარიტება შეიძლება პარადოქსებში იყოს ამოვლებული.

20032. ჭეშმარიტების გათავისებას აბსოლუტიზმი და ფული არ სჭირდება, მთავარია ნიჭი და შთაგონება.

20033. ფილოსოფია ყოველთვის მართალია, თუ მას გამგები და გამგონი ჰყავს.

20034. სიბრძნეში სასარგებლოს დანახვა, უდიდესი ნიჭია.

20035. ბუნებამაც თავისი ღირსებით უნდა გვაზიაროს სამყაროს საიდუმლოებას, თუ უნდა მის გენიალობას პატივი მივაგოთ.

20036. ჭეშმარიტებას თვალები უფრო ქადაგებენ, ვიდრე გონიერების დანაოჭებული შუბლი.

20037. მეცნიერება ჭკუის ტანვარჯიშია, შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონზე დაყრდნობით.

20038. მეცნიერება მარტო ილუზიებით ვერ იცხოვრებს, მას რეალობაში ფეხის წინ წადგმა სჭირდება.

20039. არსებული სამყარო ის მატერიაა, რომლის შეცნობაში თანამედროვეობას გაცნობილი ფანტაზიაც უძლურია.

20040. ჭეშმარიტი გმირის წინააღმდეგია ყველა მედროვე, კონიუქტურის მიმდევარი და სხვა ათასი ვიგინდარა.

20041. სიკეთის კეთებას და სამართლიანობას მაშინ აქვს ფასი, თუ ჭეშმარიტებას ემსახურება.

20042. ტალანტს იმედიან დროსთან, სახელმწიფოებრიობასთან, შეხვე-

დრა სჭირდება, რათა სასახელოდ წარმოჩინდეს და უდროოდ არ დაიჩაგროს, ჩაიფერფლება.

20043. ტალანტი, უპირველესად, პასუხისმგებლობაა საკუთარი ნიჭის წინაშე.

20044. ზოგიერთის მწირი აზროვნებაც, ბრძენის გაოცებას იწვევს, იმდენად ხალასი, მომხიბვლელი და განუმეორებელია.

20045. ჭეშმარიტებას დრო ხშირად გადაამოწმებს და მანამ რჩება ჭეშმარიტებად, სანამ მასში ხინჯს არ მოიძიებენ.

20046. ყველა აღმოჩენის თანმდევი საქონელი იარაღია და აქ მეცნიერება არაფერშუაშია.

20047. სწავლული იდიოტები ყველაზე საშიში და ამბიციურები არიან, და მეცნიერებაში შეიძლება ისეთ რაღაცას გამოჰკრან ხელი, რომელიც მომავალში როგორ გავლენას იქონიებს სამყაროზე, არავის უწყის.

20048. ლოგიკაში ზოგჯერ ჭეშმარიტებასაც უჭირს გარკვევა, რადგან ორჯერ ორის ოთხობას ეჭვით უყურებს.

20049. ტალანტი მჟღავნდება, ის შეძენას არ ექვემდებარება.

20050. ბუნებას გონიერება უნდა მფარველობდეს და არა – პირიქით, რათა ერთმანეთი შეინარჩუნონ.

20051. სიახლისკენ ლტოლვა, მასზე ტვინის ჭყლეტა, უკვე მოვლენაა, განსაკუთრებით, თუ გაამართლა.

20052. ჭეშმარიტება უდრტვინველია, მაგრამ უგვანობას ალიყურის ჭმევას არ ამადლის.

20053. ჭეშმარიტება არასდროს ომობს და იბრძვის, უბრალოდ, თავის გზას იკვლევს.

20054. ავტორიტეტის მოშველიება კამათში, უფრო წიგნიერების გამოვლენაა, ვიდრე საკუთარი ცოდნით საკითხის გადაჭრის მცდელობა.

20055. უცოდინრობა არგუმენტი არ არის, როდესაც საკითხი საერთო საქმეს ეხება.

20056. დღეს წიგნის შინაარსი კი არ აინტერესებთ, არამედ მისი დიზაინი და გამოდგება თუ არა საჩუქრად.

20057. საქმიანი კამათი გონების დღესასწაულია და უსაქმო ჭკუის წუნია.

20058. სხვათა ჭკუა არ გამოგვადგება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რათა უკეთ ვიცხოვროთ.

20059. ციფრებს ყოველივე ხელეწიფებათ, თუ პრაქტიკული გამოცდილება და შემოქმედის ნიჭიც მხარს აუბამს.

20060. ფილოსოფიას გონიერი მსმენელი და კოლეგები სჭირდება.

20061. აწმყო-მომავალში დასაფასებელი აზროვნება, ყველა დროისათვის მისაღები და ჭკუით გაჟღენთილი უნდა იყოს.
20062. აზროვნებასაც თავისი დებიტ-კრედიტი აქვს, საქმიანობის და შედეგის მიხედვით.
20063. ჭეშმარიტებას ზოგჯერ იქ აგნებ, სადაც არ ელი და შენი ოპონენტის „მეგაბაიტიც“ აღფრთოვანებას აღარ იწვევს.
20064. სიახლისკენ მისწრაფება გონიერთა ზნეა და მათ ეს „ნაკლი“ სიცოცხლის ბოლომდე არ ასვენებთ.
20065. გონიერებას ხასიათი ამშვენებს, ხოლო შემართება აცისკროვნებს.
20066. ჭეშმარიტების დასადგენად რომ ზოგჯერ უსამართლობას პური ვაჭამოთ, საზოგადოების წინაშე მაინც დანაშაულია, რადგან კანონის პატივისცემას დაკარგავს, ჭეშმარიტების ფასი გაბახდება და დაბლა დაიწევს.
20067. გონიერება არ ყბედობს, ის, თავისი შენიშვნებით, სიახლის შემოთავაზებაზე საუბრობს.
20068. შეცნობა და შეცდომა გონიერებას ერთდროულად სჭირდება სიახლის შესაცნობად.
20069. სიბრიყვეს ჭკუის ეშინია, მაგრამ თავისას არ იშლის.
20070. თეოლოგიასა და ფილოსოფიას შორის ის სხვაობაა, რომ ერთი დოგმების, ტრადიციების მომხრეა, მეორე აზროვნებასა და სიახლესთან შეხვედრაზე ოცნებობს.
20071. გონიერება ქარაქუცა ადამიანს სიტყვიერად კი არ უნდა შეერკინოს, არამედ მის კისერზე მორგებული ეშმაკური სიბრძნის მაგალითი უნდა მოიყვანოს, ორაზროვნებით მასზე უნდა წამოაგოს და უსიტყვოდ განაიარაღოს.
20072. აზროვნება ფანტაზიის და ტვინის ხახუნის შედეგია.
20073. სხვათა გონიერების ნაღვაწი შენს ნააზრევს მხოლოდ განსჯის და ფილტრის შედეგად ერგება.
20074. აზროვნება ბუნების დამსახურებაცაა და მის ამოცნობაშიც გვეხმარება.
20075. ზოგჯერ ჭეშმარიტებასთან მისვლა მოხვეულ-მიხვეული გზებით გვიხდება.
20076. სამწუხაროდ, ჭეშმარიტების რაობას და მის შესაძლებლობებს დრო, პროგრესი, დაფინანსება, განსაზღვრავს.
20077. იდეას აზროვნება სჭირდება, მის განხორციელებას დროის შესაძლებლობანი, წინხედვით, პერსპექტივით, რეკლამით.
20078. ყველა აზრი არ იკბინება, უმეტესობა სიკეთის და სილაღისთ-

ვისაა განკუთვნილი.

20079. ცოდნას შეცდომების დაშვების არ ეშინია, რადგან ჭკუის მოსაკრეფად და ცოდნის შესაძენად ეს აუცილებელია.

20080. ხშირად გულს ჩვენი გონიერებაც ტყვედ აჰყავს და აწამებს.

20081. ჭეშმარიტია ის იდეები, რომელსაც მომავლის იმედი აქვს და მისი დაგმობის ეშინია.

20082. შეიცნო შენი გონიერება და შეაფასო, ცივილიზაციის დიდი მიღწევაა, რადგან გონიერების რაღაც ბანკი ეტალონად მივიჩნიეთ.

20083. საღი და ხასხასა აზრი, არასოდეს ბერდება და სულ მოთხოვნაშია.

20084. სად არის ზომიერება და სად – გადამლაშება, ეს უფრო ინტუიციის დასადგენია.

20085. გონიერებას ორჯერ ორის ტოლობა ყოველთვის არ მოსწონს, მაგრამ აქსიომაა და ემორჩილება.

20086. აზროვნების კვებაა ძნელი, თორემ კუჭის ამოყორვას და უგუნურებით მოსაქმებას ყველა როგორღაც ახერხებს.

20087. როდესაც უგუნურების ქარი უბერავს, მასთან მოლაპარაკება შეუძლებელია, ის ან თავადვე უნდა ჩადგეს ან უკეთეს დროს უნდა დაუცადოთ.

20088. აზროვნებას თუ თავისი კაიფი არ ახლავს, აზროვნება კი არა, ფართომოხმარების ფიქრია.

20089. დღეს ჭეშმარიტებაც თავის სტილს და მოდას დაეძებს.

20090. ფილოსოფიის გენიალობა: ერთიდაიგივე აზრი სხვადასხვა ტონალობაში ისე გააჟღეროს, რომ ტავტოლოგია არ დასწამონ.

20091. იდეების შექმნაში გონიერების შინაგანი ცოდვების გამოცდილება გვეხმარება.

20092. აზროვნებას თანდათანობით თავისი შემართების, ფანტაზიის, იმიჯის დაქვეითების შესაძლებლობანი აწვალებს.

20093. დავიწყებულმა ჭეშმარიტებამ ზოგჯერ თავისი წილი ალიყურის ჭმევაც იცის.

20094. მეცნიერება სიახლის მისაღებად მუდამ მზად არის. რაც შეეხება მის გათავისებას, შემოწმება-გადამოწმებას გვთავაზობს.

20095. მოვა დრო და მეცნიერება ცრემლის წვეთით დაადგენს, ადამიანმა ამქვეყნად ცოდვით იცხოვრა თუ ფეხბედნიერად.

20096. ლოგიკა სამყაროს განვითარების უცნაურობაზეა მიჯაჭვული, რადგან ამ სამყაროში ბევრი რამ არალეგალური ხდება და მისი ახსნა ჩვენს ძალებს აღემატება.

20097. აბსტრაქტული აზროვნებაც საჭიროა, ოღონდ გონიერების ფილ-

ტრში გატარებით, რათა მომავალში ფილტრის დანალექში რაიმე ხელშესავლებიც აღმოვაჩინოთ.

20098. ლოგიკა დიდი ძალაა და თუ მატერიალური მოსავალი და ბედიც აქვს, დროც მის გვერდში დგას.

20099. განსჯის უნარი, შემართება, საღი აზრი, ყოველთვის ათიანს ვერ იმსახურებს.

20100. ჭეშმარიტების გზას ყველა ვადგავართ, მაგრამ გავივლით თუ არა, არავის უწყის.

20101. ლოგიკა ფანტაზიის გამორიცხვას ცდილობს, ხოლო ეს უკანასკნელი ლოგიკით სარგებლობას ვირტუალურად ცდილობს.

20102. ჭეშმარიტებაც გონივრულად ამბიციურია და მას სხვათა ოპონირება ცვლის.

20103. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში რაიმე სიახლის აღმოჩენა ეკონომიკურ კრიზისს ალიყურს აწნავს და საუკუნის გარკვეულ დროს მოსანატრებელს ხდის.

20104. სიმართლე და ჭეშმარიტება გონიერების გზამკვლევია.

20105. ზოგჯერ ჭეშმარიტებას, უშნო სიმართლეს, ლამაზი ტყუილი სჯობს, რადგან ბოროტებისაგან დაშორებულია.

20106. არის რაღაც, რომელიც ინტუიციით უნდა მიხვდე, იგრძნო, გაითავისო ან სამუდამოდ დაივიწყო, სხვანაირად, ის მუდამ მძიმე ღალად ედება ცნობიერებას.

20107. სხვათა შეცნობა უფრო ადვილი გვეჩვენება, ვიდრე საკუთარი თავის და შესაძლებლობების.

20108. ღირსებაც ჭეშმარიტების გვერდში დგომას მოითხოვს, საფარად გამოადგება.

20109. აზროვნების სიკეთის თავზე წარმოდგენით შეჯერება, სხვადასხვა შედეგს იძლევა.

20110. ხუმრობა გვერდზე იყოს და ორი სისტემის დაპირისპირებამ და იარაღის სრულყოფამ უდიდესი დაფინანსებით, მაგარი ბიძგი მისცა მეცნიერებას.

20111. მეცნიერებასაც თავისი ბზიკი ჰყავს, მას დრომაც უნდა გაუგოს და ხელისუფლებამაც.

20112. მეცნიერება ცოდნის ის მარცვალია, რომელსაც გონიერება თესავს და უვლის, რათა მოსავალი ხალხმა მოიმკას.

20113. მეცნიერება ცოდნის და ნიჭის მაქსიმალური გამოყენებაა, შედეგის მისაღწევად.

20114. მეცნიერება, უპირველესად, საინტერესო საკითხის შეცნობაა, შემდგომ მოდის პრაქტიკაზე მორგება.

20115. მეცნიერება მამაკაცივით აზრებს ქმნის და აბანდებს, ქალივით შობს და ტრაბახობს, ბიზნესი ფულს აკეთებს, მდიდრდება, ხალხი იყენებს და საწყისი არ აინტერესებს.
20116. „არცოდნა არცოდვა არ არის“, თუ შემთხვევის იმედზე იმას აკეთებ, რაც არ შეგიძლია და არ იცი.
20117. ჭეშმარიტება, პატარ-პატარა დეფექტებით, შედარებით იაფია, მაგრამ თუ გონებით შემოქმედი – „რესტავრატორი“ არ ხარ, მისი შეძენა ზარალია.
20118. ჭეშმარიტება შეცნობის მცდელობაა, თანაც თავს ლაღად და მსუბუქად ვგრძნობთ.
20119. ჭეშმარიტებას, ფაქტს, არ ედავებიან, მას უსიტყვოდ იღებენ, აღიარებენ, აღფრთოვანდებიან, ემორჩილებიან.
20120. სალაპარაკო თემის მოძიება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ მასზე აზროვნების დამყნობაა ძნელი.
20121. ფსიქოლოგიას წარსული აქვს და მომავალი, მაგრამ დღესაც რეფლექსების დონეზე, რადგან ჯერ-ჯერობით, ჭკუა რემონტს არ ემორჩილება.
20122. ფსიქოანალიტიკა და რელიგია საერთო ენის გამონახვას ცდილობენ და ამ უკანასკნელის დოგმების დათმობის შედეგად რაღაც გამოსდით.
20123. მეცნიერება იქიდან იწყება, რაც შეუცნობელია, ახალია, უცხოურია და ჟინი გვაიძულებს შეუცნობელი შევიცნოთ.
20124. თანამედროვე ცივილიზაციის, სამყაროს, შეცნობის „აქილევსის ქუსლი“ – რწმენა თუ აზროვნება – დღესაც გაურკვეველია, რადგან თავიანთ პოსტულატებს ერთმანეთს ვერ უთავსებენ.
20125. აზროვნებაში ღირებული აზრის ნახვა ფილოსოფიაა.
20126. დიდი იდეები დოქტრინებს ვერ სჯობნის, მიუხედავად იმისა, რომ ფიქრის და მსჯელობის უფლებას არ ართმევენ.
20127. ცოდნა მაშინაა ძალა, თუ მას სიკეთის საკეთებლად ვიყენებთ.
20128. გონება სიბრძნეს ითვისებს, მაგრამ იშვიათად აქცევს მას რეალობისთვის გამოსაყენებლად.
20129. შეცდომის შეცდომითვე გამოსწორება მეცნიერებაში, გონიერების ზეიმია.
20130. ყველა გამოგონება დამოკიდებულია პროგრესის „გათავხედებაზე“ და დაუძლევლის დაძლევაზე.
20131. სიტყვას მაშინ აქვს ფასი, თუ ის ყველასათვის მიღებულ პოსტულატს ორაზროვანს ხდის და გონების გამონათებაც არ აყოვნებს.
20132. სიბრძნე ყოველთვის ჩვენთან დარჩება, თუ მის წარმომავლობას

გონიერებით „გავქექავთ“.

20133. სხვის აზროვნებას პატივი უნდა მივაგოთ, ოღონდ განსჯით და ემოციების გარეშე.

20134. აზროვნებას არ ებრძვიან, მას აჭაშნიკებენ.

20135. დისკუსია ცოდნის გატირაჟებაა თავის მოწონებით.

20136. აზროვნების კრედიტი სიცილის და კარგ ხასიათზე ყოფნის დასაფინანსებლად არის მოწოდებული.

20137. კამათში მაშინ იბადება ჭეშმარიტება, თუ ერთმანეთს უკადრისს არ ვაკადრებთ და ორივენი შედეგით დაინტერესებულნი ვართ.

20138. ჭეშმარიტებასაც, თავის მოსაწონებლად და ადვილად ჩასაწვდომად ჭორისმაგვარი დიზაინი სჭირდება.

20139. ცოდნას ის ნაკლი აქვს, რომ თუ არ შეჰმატე, მყაყდება და თანდათან გამოუსადეგარი ხდება, რადგან ახალი ცოდნა უჯოკრავს.

20140. მეცნიერება ბუნების დაუსრულებელი კვლევა და კამათია განგებასთან, რათა სამყაროს შესაცნობად იქნებ რაიმე გამოსტყუოს.

20141. მოუმწიფებელი შეხედულება თავდაჯერებაა, რომელიც ფეხებში ედება ჭეშმარიტებას.

20142. რწმენა, ცოდნა, ქმედება, კაცობრიობის მომწიფების ბაზისიცაა და საწყისიც.

20143. კომპეტენტური მოხელე ზოგჯერ მუხრუჭია მეცნიერებისთვის, რადგან სიახლეს ვერ ხედავს და ძველმა თავისი შესაძლებლობა ამოწურა.

20144. ცნობისმოყვარეობა ყველას გვაწუხებს, მაგრამ შეცნობის მცდელობის ზომა – წონა უნდა დავიცვათ.

20145. გონიერებას გამომჟღავნება და ყველაზე მეტად, ნდობა სჭირდება.

20146. ყველას ჩვენი აზროვნება გვაწუხებს და უკეთ ყოფნის ფორმულის გამოყვანას ვცდილობთ.

20147. მოსმენისთვის ყური უნდა ვავარჯიშოთ, თვალი უნდა გავწვრთნათ, გონიერებას უნდა შევუძახოთ და ენაზე კბილის დაჭერაც უნდა ვისწავლოთ, რათა ეს „აუტანელი“ ჭეშმარიტება გავითავისოთ.

20148. ცოდნა თავის გამოყენებას სასიკეთოდ მოითხოვს, რათა დაუფასებლობისას ბოროტებად არ იქცეს.

20149. ადამიანისთვის ბუნების საიდუმლოებაში გარკვევა შეუძლებელია, რადგან თავად ცდილობს იყოს მისი მბრძანებელი.

20150. ყველა თეორია, პრაქტიკის გარეშე, გემრიელ პურს ვერ ჭამს, განსაკუთრებით ის თეორიები, რომლებიც განუსჯელ პერსპექტივებს გვპირდება.

20151. აზროვნებას უაზრობა არ ეპუება, ვერ სჯობნის, დროებითი წარმატების მიუხედავად.
20152. ყველა ცოდნას, ნიჭის მიუხედავად, დაღვინება სჭირდება.
20153. ყველაზე დიდი საოცრებაა, როდესაც ადამიანს ბუნების საიდ-უმლოებათა აღქმის, დანახვის და მასში სათანადოდ ჩაწვდომის მეტ-ნაკლები უნარი შესწევს.
20154. ყველა მოაზროვნე თავისი „მეგაბაიტით“ მომდევნო საუკუნეებს ეკონტაქტება და მიაჩნია, რომ მისი ნააზრევი რეალობად იქცევა და გონიერების ფესვებს გაიდგამს.
20155. ფილოსოფიური აზროვნება ყველას გონების კუნჭულში ჩალი-ჩობს, გრძნობს ამას თუ არა.
20156. ბრიყვს, დილეტანტს, შეიძლება გენიალური რამ წამოსცდეს, მა-გრამ აზროვნება და საკითხის სიღრმე მისგან შორსა დგას.
20157. საკუთარი შეხედულებები იმას არ გააჩნია, ვისაც არაფრის დან-ახვა, სწავლა, არ სურს და გონიერებაც დამუხრუჭებულ-დამუნათე-ბული აქვს.
20158. მოსმენის უუნარობა ცრუ ბუნებას, მოუთოკავ ამბიციებს, მოწ-მობს, რაც სიბრძნეს კრიჭაში უდგას.
20159. ახლის უარყოფა, მისდამი გულგრილობა, უცოდინარობის და განსჯის უნარის მოკლების შედეგია.
20160. აღმოჩენას ის აკეთებს, ვისაც ცოდნასთან ერთად ფანტაზიორო-ბის უნარიც შესწევს და იმ დღეს შემთხვევაც მის მხარეზეა.
20161. ცოდნა თავისებური ბედნიერებაა, იმისდამიუხედავად, სარფი-ანად იყენებ მას თუ არა.
20162. ძილ-მღვიძარობა, ხშირად, ისეთ აზრებს გამოგვათხრევინებს, რომელიც კარგი ძილის მქონეთ არასდროს დაესიზმრებოდათ.
20163. ყოველი ქმედება, მისწრაფება, მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ მეცნიერება დაგეგმილზე გაცილებით მეტს.
20164. იმედგაცრუება სიახლის ძიებისას დიდია, მაგრამ სიახლეზე ხე-ლის გამოკვრის დღესასწაული, ყველა წარუმატებლობას გადაფარ-ავს და აანაზღაურებს.
20165. მომავალში ალბათ შესაძლებელი გახდება „დეენემით“ და არა სიყვარულით დაწყვილება, პერსპექტიული ოჯახის შექმნა, ღირსეუ-ლი თაობების კვლავწარმოება, რადგან სიყვარულის შენარჩუნება სათუოა, ხოლო მეცნიერული ნააზრევის გონიერებასთან შერწყმა – მუდმივი.
20166. შეიძლება ადამიანი შეცდომისათვის დავაჯილდოვოთ კიდეც, თუ მან სტიმული მისცა და კარი გაუხსნა ჭეშმარიტებას.

20167. ძალზე ძნელია მარტივად და ყველასთვის გასაგებად წერა, როდესაც ცოდნა რთულ ლაბირინთებში მოძრაობს.
20168. აზროვნება ჭეშმარიტების დასადგენი საშუალებაა, რომელიც ცხოვრების ალიყურის მოგერიებას გვასწავლის.
20169. სიტყვის მადლი და აზრი დაპირისპირებისას ფასდება და „ტრიუმფი“ მის „აიწონა-დაიწონაზეა“ დამოკიდებული.
20170. ახალი იდეების გონების ფილტრში გატარება, საშუალებას იძლევა ძველმაც იხეიროს და ახალსაც გვერდში დაუდგეს.
20171. ფილოსოფოსებმა მოძღვრება თავიანთი სიამოვნებისთვის შექმნეს აზრთა საჯილდაოდ და თავის წარმოსაჩენად და იმ ჭეშმარიტების დასადგენად, რომელსაც პრაქტიკულად არავინ იყენებს.
20172. ფილოსოფიის „აქილევსის ქუსლი“ მათემატიკური ფორმულების არქონაა, თორემ თეორიები და ჰიპოთეზები თავზე საყრელად აქვს, რაც მას სასიამოვნო მოძღვრებად აქცევს, თუნდაც სიცოცხლის აზრის საძიებლად, დასადგენად.
20173. ჭეშმარიტებას ჩვენი საქმიანობა ადგენს და არა ჩვენი სურვილები, „სახის შენარჩუნებით“.
20174. სიტყვიერი შეხლა-შემოხლა თუ ჭეშმარიტებასთან არ გვაახლოვებს, არც დიდად გვაშორებს, რადგან მომდევნო შერკინებისთვის მზადება უკვე დაწყებულია.
20175. არის ჭეშმარიტება, შემდგარი აქტი, რომლის დაჯერებაც გონებას არ უნდა, მაგრამ დრო ამას ითხოვს, ფაქტი სახეზეა და გონებაც იძულებულია „გადაჯლიგინებით“ ის იწამოს, რაც მისთვის მიუღებელია.
20176. დილეტანტი უფერო, უსახო, ფართო მოხმარების, სათუო ცოდნის ორფეხა ცხოველია, რომელსაც საუბრის უნარი შესწევს, მაგრამ რეალურ აზროვნებაზეა მწყრალად.
20177. შენი ნიჭი რომ აღიარონ, შრომა, ქველმოქმედებაა, საჭირო.
20178. ცხარე კამათს მოწესრიგებული სჯა-ბაასი სჯობს, რათა ყველას აზრს თავის ადგილი მიეჩინოს და გამოუსადეგარ ყბედობაზე დრო არ დაიკარგოს.
20179. გამოცდილებაც რაციონალურად გამოყენებას მოითხოვს, ტვინის განძრევით და მიმატება-გამოკლებით.
20180. ერთმანეთის მოსმენა აუცილებელია, გამოსადეგია აზრების გაცრის ცოდნით, ქატოს მოშორებით და პერსპექტივაში გამოყენებით. ადამიანის ბუნების ეს „ურთიერთმოსმენის ბზიკი“ უნდა გავითვალისწინოთ და ურთიერთპატივისმიგების შედეგად მიღებული სარგებელიც არ დააყოვნებს.

20181. ამბიციები ჭეშმარიტების წვდომაშიც ხელს გვიშლის, რადგან სურს ყველამ მის დაკვრულზე იცეკვოს.
20182. ჭეშმარიტება, ჯერაც დახრამული, დაუმუშავებელი, აუთვისებელი, გონიერების ყამირია, რომლის განსჯას თანამედროვე თეორიები, ფორმულები, სჭირდება.
20183. მათემატიკა ანალიზუნარიანი ლამაზი მეცნიერებაა, რომლის მომხიბვლელობის შეუმჩნევლობას ყველა მტკიცება ნულამდე დაჰყავს.
20184. განუსჯელი ჭეშმარიტება საერთო ჭეშმარიტებად ვერ იქცევა, რადგან ინტიმურია.
20185. უნივერსალური და ყველასათვის მისაღები ჭეშმარიტება არ არსებობს, რადგან ადამიანის გუნება, ბუნება, აღზრდა და დროის ყივილი სხვადასხვაა და სადაო, მაგრამ ტოტალიტარიზმი გარკვეული დროით ამას ახერხებს.
20186. ჭკუა და ცოდნა თითქოს იდენტურია, მაგრამ პირველი თანდაყოლილია, მეორე შეძენილია, ამასთან მონდომებას ნიჭი ყოველთვის ვერ სჯობნის, რადგან ამ უკანასკნელს სიზარმაცე ახურდავებს, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭი მასპინძელია და სწავლება ნაწვევი სტუმარია.
20187. მათემატიკას აზრობრივი სილამაზე აქვს, ციფრების მაკიაჟით შეზავებული და ამიტომაცაა ყველგან საჭირო და აუცილებელი, მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით ყოფნა ბევრს „აშინებს“ და მისი არცოდნა „უხერხულობას“ უქმნის.
20188. ფიქრი, ინიციატივა, ავანტურა, იმ აზროვნების ნაწილია, რომელიც ორჯერ ორის ოთხობას ხშირად ეჭვქვეშ აყენებს.
20189. სიბრძნე-სიცრუის შემეცნება გონების და მოხერხებულობის შერწყმისთვის აუცილებელია.
20190. ნივთების გაცვლისაგან განსხვავებით, გონიერების „მეგაბაიტით“ გაცვლა ორივეს დანაკარგის გარეშე ამდიდრებს და აამაყებს.
20191. სიბრიყვისთვის ხელის კვრა უპრიანია, მაგრამ თანდაყოლილმა აზროვნებამ, გენთან ერთად, ხელი არ უნდა შეგიშალოს.
20192. ჭეშმარიტების ძიებისას ღვინოს არ ეძალებიან, მაგრამ მის წარმოჩენას კარგ ხასიათზე ყოფნა ხელს უწყობს.
20193. გონების დაბნეულობა, გონების წართმევისაგან განსხვავებით, ზოგჯერ გამონათების საშუალებას იძლევა.
20194. თეორიები ყველა სწორია, თუ ფორმულებით არის დამუღამებული.
20195. ზოგჯერ აზროვნებას აზრწართმეული უჯოკრავს, რადგან ეს

უკანასკნელი ყოფაში იმ როლს გაითავისებს, რომელსაც გონიერება ვერასოდეს გაბედავს.

20196. ახალი გზების კვლევა გამბედაობასთანაა კავშირში, მაგრამ ბედის კარნახსაც ალღო უნდა ავუღოთ და მოსალოდნელი შედეგები აღვიქვათ, რადგან ხშირად სარისკო და საინტერესო ყოველანაირად დადებით შედეგს იძლევა.

20197. მუდმივად არც ვერტიკალურის მზერა შეიძლება და არც – ჰორიზონტალურის, რადგან ერთხაზოვნებას გონიერება არ დაუშვებს და სიკეთეც არ მოაქვს.

20198. გონიერება პრობლემის გადასაჭრელადაა საჭირო და არა მის შესაქმნელად.

20199. ჭეშმარიტებაზე არ დაობენ – ჭორაობენ, ერთობიან, გულს იჯერებენ მისი „კრიტიკით“.

20200. „არცოდნა – არცოდვა“ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ჭკუის გამოკითხვა არ გესირცხვება და აქედან სარგებელს ადნობ.

20201. ჭკუა გარეგნულ თავისუფლებას გვანიჭებს და არა – შინაგანს, რადგან ეს უკანასკნელი თავისი მსოფლმხედველობით და ბუნების მოვლენებთან „შერკინებით“ არის დაკავებული.

20202. ჭეშმარიტების გულით ძიება, სიკეთისკენ მიტრიალების საწინდარია.

20203. საპირისპირო აზრის, ქმედების, მცდელობის გარეშე, არც არაფერი არსებობს და ვერც ვერაფერი იარსებებს, ჩვენი ამბიციები რაც უნდა გონიერების საფუთვნში შევახვიოთ.

20204. ჭეშმარიტება ყოველთვის მოსაწონი ვერ იქნება, თუ ის ჩვენს ინტერესებს არ ეხმიანება და გვერდში არ უდგას.

20205. მეცნიერი ყველა გამარჯვების თანაავტორია. „იქნებ ასე სჯობდეს“ მისი დაფასება.

20206. ჭეშმარიტება ისაა, რასაც სულიერი და ხორციელი სიამოვნება ადასტურებს.

20207. ბრძენსა და ჭკვიანს შორის ის სხვაობაა, რომ ბრძენს ედავებიან, ხოლო ეშმაკ და მოხერხებულ ჭკვიანთან დავას აზრი არ აქვს.

20208. დილეტანტიზმის ერთი სიკეთე ისაა, რომ ის აქტიურობს და იშვიათად რაღაც სიახლესაც აღმოაჩენს.

20209. საკუთარი გრძნობების ღალატი აზროვნების მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგია.

20210. მათემატიკის სილამაზის უგულვებელმყოფელი მეცნიერება ფუყეა.

20211. გრძნობათა დაფ-დაფი აზროვნებაში არ უნდა აგვერიოს, რათა

აღრევა არ მოხდეს იმისა, „რაც გვწამდა ძველად“.

20212. ხელოვნებაში, მეცნიერებაში, მთავარია სიახლის შემოტანით ირგვლივმყოფთა გაკვირვება, შთაგონება შინაგანი წვით და არა – არსებული მიღწევების მრავალგზის გატირაჟება, თავის მოწონება.

20213. მეცნიერების მოვალეობაა ბუნებას ის საიდუმლოება გამოსტაცოს, რომელსაც გულმოდგინედ გვიმალავს, მაგრამ არ უნდა ავნოს და არ „გააბრაზოს“.

20214. ჭეშმარიტება განსჯის, ჭკუის წვალების, შედეგია, ხოლო ჭეშმარიტებას მიახლოებული სამშვენისი უღრუბლო ცხოვრების და ფუფუნების ნაყოფია.

20215. მათემატიკას უფრო მტკიცებათა ეშხი და სილამაზე აინტერესებს ვიდრე მისი სიზუსტე და ფორმულებში ქექვა, რომელთაც უმეტესობის ჭკუა ვერ წვდება.

20216. უტოპიას ის გამართლება აქვს, რომ შეიძლება ის ჯერ ფანტაზიად იქცეს, ფანტაზია – რეალობად.

20217. აზროვნება ის „აქილევსის ქუსლია“, რომლის გაბიაბრუება სხვის თვალში ყოველთვის ადვილია თუ ის შენი არ არის.

20218. აზროვნება თუ უსწრებს ქმედებას, გონიერების ზეიმია და არა – ბედის.

20219. ჭეშმარიტებას ყოველთვის სჯობნის ბედნიერება, თავისუფლება, ფული, რადგან მისი მოსმენა ბოლომდე არავის უნდა.

20220. ფილოსოფოსი რომ დაბრძენდეს, მას დროის ჭეშმარიტებასთან შეჭიდება და მასში გარკვევა სჭირდება.

20221. შემოქმედი ყოველთვის თავის ფანტაზიაზეა მოკალათებული.

20222. ყველა სიახლე ეჭქვეშ დგას ჩვენი ცნობიერების მეგაბაიტის შესატყვისად.

20223. რისკის, რომელიც არ ამართლებს, სხვადასხვა ვარიანტებით შეუპოვრად გამეორება სიბრიყვეა, მაგრამ არა – მეცნიერებისთვის.

20224. მიზანი სახავს ამოცანებს და მისი ამოხსნით ხშირად უკმაყოფილოა – უკეთ შეეძლო.

20225. შემთხვევით არაფერი ხდება, მისი საწყისი ცოდნა და ფანტაზიაა.

20226. ჭეშმარიტების დედანი აზრიანი სიყვარულია.

20227. პრაქტიკულად, მეცნიერული ცოდნისაგან განსხვავებით, ფილოსოფია არაფერს იძლევა.

20228. უმეტესობას ჰგონია, რომ ფილოსოფიურ აზროვნებას უგებს, ხოლო როდესაც საჭიროა მისი პოსტულატების „ამოღერღვა“, ირკვევა, რომ ვერაფერი გაუგია.

20229. სიბრძნისთვის სიყვარულის ახსნა, გონების რევერანსებით, ფილოსოფიაა.
20230. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც თავიანთი ფილოსოფია აქვთ, რომლებიც მათთვის გაუცნობიერებელ „ფილოსოფოსობის კანონებს“ ემორჩილება.
20231. ფაქტი ჯიუტია, მაგრამ გააჩნია, ვის ეჯიუტება და კისერს მოუგრეხენ თუ არა.
20232. ფაქტის განსჯა-გააზრება, მიზეზის გარეშე, აზრს ჰკარგავს.
20233. მეცნიერების 99% დროის ყივილს ეხმიანება, მხოლოდ 1%-ია, რომელიც წინხედვით მომავლისთვის იღვწის და მას მხარს უბამენ.
20234. აზროვნება, ნიჭი, წიგნი, ინტერნეტი, დღეს მთავარი ინსტრუმენტია მეცნიერებისათვის, დროულად დაფინანსებით.
20235. სიბრძნე ადრე თუ გვიან გონიერების ზოგიერთ ფანტს მაინც „გაეხახუნება“.
20236. სიბრძნე ჭორფლიანი შეიძლება იყოს, მაგრამ მაინც მომხიბვლელი და ლამაზია.
20237. ექსპერიმენტი ნააზრევის დამტკიცებას ცდილობს, მაგრამ თეორიას თავისი მოსაზრებები აქვს.
20238. ყველა „სასწაული“ დროდადრო ცნობიერების ახსნა-განმარტებას ექვემდებარება.
20239. აზროვნება კარგია, თუ ზიანი არ მოაქვს თავად აზროვნებისთვის.
20240. ციტირება ყველაფრის შეიძლება, მთავარია, სასაუბრო თემას და კამათს მოერგოს.
20241. ცინიკოსი, ძირითადად, ჭეშმარიტებას მეტყველებს, მაგრამ მისი ორაზროვანი სიმართლის მოსმენა არავის უნდა.
20242. სანამ სამყაროს შეცნობის მცდელობას არ შევეცდებით, მანამ ვიქნებით აპოკალიფსის საფრთხეში.
20243. სტატისტიკის რაც უნდა წინააღმდეგნი ვიყოთ, ის მაინც მისაღებია, რადგან რეალობას ციფრებით გვიხსნის და არა – სურვილებით.
20244. ბევრი თეორია დროთა განმავლობაში უაზრობისკენ იხრება და შესაცვლელია, თუ მას კარგად დავუკვირდებით.
20245. თეორია, ჰიპოთეზა, ფაქტი, ექსპერიმენტი, ფანტაზია, გონიერების სასუსნავია, რომელიც მეცნიერებამ იმდაგვარად უნდა ახსნას, რომ უფრო მეტი ასახსნელი მომავალ მცდელობას დარჩეს.
20246. თანამოაზრეებთან მასლათი ხელოვნებაა, მაგრამ მარტოობაში საკუთარ თავთან გაბაასებას ვერ შეედრება.

20247. ცოდნა სპეციალიზებით მეტად ფასობს, მაგრამ ერუდირებაც ხელს უწყობს მის წარმოჩენას.
20248. არავის აინტერესებს რა ჯდება ცოდნა, როგორ უნდა მოხდეს მისი უკუგორება სწავლების ანაზღაურებით.
20249. ერუდიცია და იდეა სხვადასხვა ცნებაა, ერთი ცოდნას აბარტყებს, მეორე ამ ცოდნას ფრთებს ასხამს და სიახლეს ქმნის.
20250. „არცოდნა არცოდვაა“, მაგრამ არა – პროფესიონალისთვის.
20251. აღმოჩენა ზოგჯერ შემთხვევითობას ახლავს, მაგრამ თუ შემთხვევითობაში ცოდნა არ დააბანდე, არც შემთხვევითობა გამოვა.
20252. სათანადო დაფინანსება და საბუნებისმეტყველო მეცნიერების „სპონსორობა“ მედიცინას მომდევნო საუკუნეებში შეუძლებელს გააკეთებინებს.
20253. ბრძენისათვის მარტოობა ახალი აზრების აკრეფა, დახარისხება და გონიებაში დალაგებაა.
20254. ჭეშმარიტებას ხშირად სიყვარული ავრცელებს, აფორიაქებს, ითვისებს.
20255. სიბრძნე ძნელად გამცემია, მაგრამ თუ გასცა, უნდა უყვარდეს და მისი იმედი ჰქონდეს.
20256. სიმართლე, ჭეშმარიტება, თავის გარდუვალობას გვიან დრესასწაულობს, მაგრამ საფუძვლიანად.
20257. აზრის მცირეოდენ ნაწილში ჩაწვდომაც კი უდიდესი მიღწევაა, რადგან საკითხის გადასაწყვეტად აზროვნებისთვის გზა გახსნილია.
20258. „რატომ“ ყველა კითხვას ესადაგება, ამპარტავანია და პასუხის გაცემას მოითხოვს.
20259. დაპირისპირებული აზრები ჭეშმარიტებისკენ ყურით მიგვათრევენ.
20260. არის მეცნიერული პრობლემა, რომლის გადაწყვეტა დადებითად იმოქმედებს თუ უარყოფითად კაცობრიობის განვითარებაზე, არავის უწყის (მაგ., ინტელექტუალური რობოტების საზოგადოების სამსახურში ჩაყენება, რომელმაც შეიძლება გარყვნას, გააზარმაცოს და გადააგვაროს „ჰომო საპიენსი“).
20261. ჭეშმარიტებაა ის, რაც ცხოვრებით მტკიცდება, ზღაპარია, რაც არ კეთდება და სასიამოვნო სიბრიყვე ახლავს.
20262. არის რაღაც, რაც ადამიანთა მოდგმას არასოდეს ეცოდინება და ეს უდიდესი სინანულის მომგვრელია გონიერებისთვის (მაგ., სამყაროს წარმოშობა).
20263. ყველა ცოდნას სიკეთე არ მოაქვს, მაგრამ უცოდინრობას

სჯობს.

20264. „ბაზარი“ წარმავალია, ხოლო ცოდნა – მუდმივი და ხელშეუხებელი.

20265. არაინფორმირებულობა ყველაზე უკეთ მეცნიერებას ადგება სიახლის აღმოჩენის საქმეში.

20266. ჭეშმარიტების ხმას შეიძლება ფეხი ვერ ააყოლო, მაგრამ განზრახ ტყუილი და შეცდენა სულიერების ღალატია.

20267. კამათს დილეტანტიზმიც იწვევს, ოპონირებით, საკითხის ცოდნით და კეთილი სურვილებით.

20268. დაბნეულობა ჭეშმარიტების მეგობარი არ არის, მაგრამ მის მფარველობას ცდილობს.

20269. ცოდნა გადამოწმებული გამოცდილებით რესტავრაციას და გადახალისებას მოითხოვს, რადგან დრო თავის მოთხოვნებს უყენებს.

20270. ჭეშმარიტების მიგნებას თანდაყოლილი ნიჭი სჭირდება, შეცდომების „გამოჭერის“ სურვილით.

20271. სიტყვა-პასუხიც თავის „აიწონა-დაიწონას“ მოითხოვს, გონების ჩარევით და ჭკუის ღრძობით.

20272. აზრიც მატერიალურია, ამიტომ მასაც მკურნალობა სჭირდება კარგი ამბების გახსენებით და გამამხნევებელი შეძახილით.

20273. ჭეშმარიტება თავისი ალგორითმებით ცხოვრობს და იღვწის, რაც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის გაუგებარია.

20274. გონებაშეზღუდულობა რატომღაც გონიერებისთვის ფეხის დადებას ცდილობს, იმის ნაცვლად, რომ თავადაც რაღაც ისწავლოს და გაიხალისოს.

20275. განათლება „მოწოდებულია“ სხვათა გაკვირვება გამოიწვიოს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში.

20276. ჭეშმარიტება ყველაზე მეტად უმოქმედობას გმობს და ეწინააღმდეგება.

20277. უვიცობას ბევრი ნაკლი აქვს, გარდა ერთისა: ჭკუის საჭყლეტად ვერ იცლის.

20278. ჭეშმარიტების დადგენა „უმადური“ მცდელობაა თუ მის არსს დროულად ვერ ჩასწვდებიან.

20279. კრიტიკასაც ჭეშმარიტების სილამაზის შემჩნევა სჭირდება, რათა ის სხვა მიმართულებით არ წავიდეს და ხელიდან არ გაგვისხლტეს.

20280. იდეას დიდი ძალა აქვს, თუ ის სხვა პერსპექტიული იდეით არ იქნა „გადაჯოკრილი“ – შეცვლილი.

20281. ყველა ჭეშმარიტება, თავისი გადასახედიდან, აღმოჩენას მოითხოვს.

20282. ძალას, სიბრძნეს და სიყვარულს ჯერ შემცვლელი არ გამოსჩენია.
20283. ბრძენი ხშირად იმასაც ხედავს, რის წარმოდგენა-გააზრება მის ირგვლივმყოფთ არ შეუძლიათ.
20284. ადამიანის გონებისათვის დაუპყრობელი არაფერია, თუ განგებამ არ უმუხთლა და დროც ეყო.
20285. აზრთა შეჭიდება იწვევს სიმართლის ღაღადს, სამართლიანობაზე დაფუძნებით.
20286. ცოდნა, ასაკის „დაჩმორების“ მიუხედავად, ბებერ მეძავს მოგვაგონებს, რომელიც თავისი პრაქტიკულ შესაძლებლობების დაქვეითების მიუხედავად, თავისი გამოცდილებით სიამოვნებას გვანიჭებს.
20287. მეცნიერებაში ხშირად ბოლომდე არაინფორმირებული ნიჭი აკეთებს აღმოჩენას.
20288. თავად მათემატიკის კანონებია რეალობა, რომელსაც უსასრულო კვლევა და გაცნობიერება სჭირდება.
20289. სიბრძნეს თავისი რჩეულები ჰყავს, რადგან ის საყოველთაო არ შეიძლება იყოს.
20290. თქვენ წარმოიდგინეთ, „პირობითობის ეტალონების თეორიაც“ ჩემი ნაჯახირებია გონიერების „უამინდობის“ დროს.
20291. ტვინის ვარჯიშიც ჭეშმარიტების ვარიანტების მოძიებაა.
20292. ჭეშმარიტებას სხვადასხვა ჭუჭყისაგან და „კეთილმდომთაგან“ თავის არიდება შერკინებით უხდება.Ი
20293. ჭეშმარიტება მარად მზად უნდა იყოს შერკინებისთვის. ჩხუბისთვის, ეს მის ღირსებას ჩრდილს მიაყენებს.
20294. ჭეშმარიტებასაც თავისი მხედველობა, ყნოსვა, მომხიბვლელობა, აქვს წინხედვით.
20295. რწმენის, იმედის, შემართების, კოქტეილი ჭეშმარიტებაა.
20296. ჭეშმარიტებას მარად დროის ოპონენტი ჰყავდა და ეყოლება.
20297. ჭეშმარიტებასთან უაზრო შერკინება სმენადობასაც გვიზიანებს, მხედველობასაც, გემოვნებასაც და გონიერებასაც ანაგვიანებს.
20298. ჭეშმარიტებაში გარკვევას ოპონენტებთან გონიერების წავარჯიშება სჭირდება.
20299. ჭეშმარიტების სიდიადის შეცნობა ოპტიმიზმის, შემართების და განგების დამოძღვრის გარეშე ვერ ხერხდება.
20300. ჭეშმარიტებას დათმობა არ უყვარს, ის პირდაპირი და შეუცვლელია ყველა შეცდომა-გადაცდენის წინაშე.
20301. თუ ახსნას ვერ ვუძებნით და ვერ ვერკვევით, უნდა ვიბრძოლოთ

ან ყოველივე უარვყოთ.

20302. ხელგაშლილსა და ძუნწზე მდიდარსა და ღარიბს ერთმანეთის საწინააღმდეგო ფილოსოფია აქვთ და პრაქტიკულად ორივე მართალია.

20303. სიბრძნე მომავალს ანგარიშს უწევს, მაგრამ უნიათო აწმყო ცუდად ესმის.

20304. სიბრიყვე გონიერებას რა შეფარდებითაც უნდა შეეპუოს, ვერ სჯობნის.

20305. პრობლემას ერთი მხარე არ შეიძლება ჰქონდეს, ის მრავალმხრივია.

20306. ჭეშმარიტებაც დროის ყივილს ეთამაშება და მისი უცოდველობა ხშირად ხელისუფლის ნებაზე დამყარებული.

20307. განცდა იმისა, რომ უცოდველი და მართალი ხარ, ჭეშმარიტების გვირგვინია.

20308. აწმყოში ხალხის სიბრიყვეს წინ მხოლოდ სიბრძნე აღუდგება მომავლის იმედით.

20309. მეცნიერების გონივრული დაფინანსება, გვჯერა – არ გვჯერა, საბოლოოდ ყველაზე დიდ შედეგს იძლევა.

20310. პრობლემას ორი მხარე აქვს, თავში და ბოლოშიო, მაგრამ ზოგი მესამის გამოთხრასაც ახერხებს ცენტრში.

20311. ზოგჯერ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემას ან ტყუილის თქმას ისევ თავის არიდება-გაჩუმება სჯობს.

20312. გონიერებასაც ოპონირება და თავის თავში დარწმუნება სჭირდება, რათა თავის მეობით წარმოჩნდნეს.

20313. საკუთარი აზრებიც კი რიგში გვიდგას და თავის დროს და ამ ქვეყნის აზრზე მოსვლას ელოდებიან.

20314. ჭეშმარიტება „შუაში“ ვერ იქნება, ის თავისი ბუნებით ან ღვინოა ან წყალი.

20315. თითქმის ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ ყველა აზრს თავიდან დაწურვა, დაღვინება და დაგეგმარება დროის შესატყვისად უნდა.

20316. ყველაზე კარგ წამოწყებას აზროვნების დიქტატურა სჭირდება თავის დაფინანსებით.

20317. სიძლიერე სიდიადეს ნიშნავს, თუ მას არაორდინალური აზროვნებაც ახლავს.

20318. უვიცობას ცოდნით ვერ წარმოვაჩენთ, თუ ის უცოდინარობისთვის ბუნებით არის მოწოდებული.

20319. ცოდნაა ის, რის კეთებაც შეგიძლია, დანარჩენი ინფორმაციაა, რომელიც ინახება და თუ გამოყენება ვერ ჰპოვა, თანდათან გვავი-

წყდება, ქრება.

20320. განათლება საკითხის შეცნობის გარეშე წყლის ნაყვაა. „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს“... (რუსთაველი).

20321. მამას პატივი, რიდი, დედას სიყვარული, მოფერება, ესაა და ეს შვილის დანიშნულება.

20322. ჭეშმარიტების აურ-ზაური არ მოსწონს.

20323. სიბრიყვე ის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც მკურნალობას არც ექვემდებარება და არც სჭირდება.

20324. აზრი, რომელიც ყველასათვის გასაგები და ხელმისწავდომია, გაუმჯობესებას მოითხოვს.

20325. საუბრის ბოლოს ტოლობა უნდა იყოს, არც ჰოთი და არც არა-თი.

20326. სიბრიყვე შესწავლას არ ექვემდებარება, განყენებული აქ-სიომაა.

20327. შემოქმედისთვის ფიქრია მბრძანებელი, ზოგჯერ გონიერებაზე ჭიტლაყის ამოკვრით.

20328. ხშირად გონების ჭყლეტაა უგუნურებასთან შეთამაშება შედეგის მიუხედავად.

20329. აღმოჩენასა და სასწაულს შორის შეჯიბრი ფოტო-ფინიშმა უნდა გაარკვიოს, იმდენად ჭირს მათში გამარჯვებულის დადგენა.

20330. პრობლემის გადაჭრა ძნელია იმგვარად, რომ ორივე მხარე კმაყ-ოფილი დარჩეს.

20331. გამოცდილება და სიფხიზლე სიბრძნესთან გვაახლოებს, მაგრამ არ „გვამკობს“.

20332. სიბრძნე ერთგულებისთვისაა მოწოდებული, თუ მას უგებენ და პატივს მიაგებენ.

20333. სიბრძნეს და უმეცრებას მაშინ აფასებენ, თუ თავიანთ დარგებს და საქმეს ემსახურებიან.

20334. ჩვენი ყოველი ფეხის გადადგმა ცდომილებაა, ჭეშმარიტებასთან მიახლოების სურვილით.

20335. ჭკუის მოღრეცილობას და ტვინის ჭრაჭუნს ხშირად გარანდვაც არ შველის, რადგან უკვე დაგვიანებულია.

20336. თეორიულად მთავარია ცოდნა და არა – მისი შეფასება, პრაქ-ტიკულად – დაფასება და არა ის, თუ როგორ მიაღწევ.

20337. ჭეშმარიტება ჩვენთან გაცილებით უფრო ახლოა, ვიდრე ჩვენ გვგონია.

20338. ფილოსოფიამ ყველას და ყოველივეს პასუხი უნდა გასცეს, მათ შორის, სიბრიყვესაც, რათა ყოვლისმცოდნეობის სტატუსი შეინარ-

ჩუნოს.

20339. მეცნიერება სამყაროს შეცნობის მონოპოლიას არ ფლობს, მაგრამ ჭეშმარიტება ყველაზე მეტად მასთანაა ახლო.

20340. გონიერების შიგადაშიგ დამუხრუჭება აუცილებელია რეალური შედეგის მისაღწევად.

20341. სიბრიყვეზე გარემოს ცვალებადობა და მისი დიზაინით წარმოჩენა არ მოქმედებს.

20342. აღმოჩენა არა მარტო ბუნებისმეტყველებათა მეცნიერებაშია შესაძლებელი, არამედ პოლიტიკაშიც, ეკონომიკაშიც. ამიტომ სანამ ამ მეცნიერებათა ნაღვაწი, ინტელექტუალური საკუთრება არ დაპატენტდება, ბედზე, შემთხვევაზე და ხალხის არხეინობაზე ჰკიდია.

20343. ჭეშმარიტებაა ის, რაც გვაერთიანებს, გონიერებას გვმატებს და ჩვენს ამქვეყნად ყოფნას აზრს ჰმატებს.

20344. ცოდნა ისაა, რაც შენ იცი და არა ის, რასაც ჩაგჩიჩინებენ და ვერ იგებ.

20345. მიწის, ჰაერის, წყლის, ცეცხლის, ურთიერთქმედება ამ სამყაროს თავიცაა და ბოლოც.

20346. შტამპიან-შაბლონური წინადადება ყოველთვის ლოგიკასაა მოკლებული, მიუხედავად მისი საჭიროებისა.

20347. ფილოსოფია ასეთ კითხვას სვამს: „აქვს თუ არა ფასი სიცოცხლეს, რაკი გარდაუვალი სიკვდილით მთავრდება?“ მსგავსი კითხვები აუცილებელია, რათა ფილოსოფიამ იარსებოს და ჩვენთვის გასაგები იყოს.

20348. გონიერება, გამოცდილება, აუცილებლობა, გუნება, სინონიმებია სიბრძნის, უმეტესობის, საზრიანობის, ცხოველმყოფელობის.

20349. უმეცრებას უგუნურება ახლავს, მაინც თავისთვის სასარგებლო მცდელობით.

20350. ხშირად დუმილი ჩვენ მიერ უხეშად დასმულ კითხვებს პასუხობს.

20351. გადამდებია ყველა უგუნურება და გონიერებაც, თუ მის გვერდით დგახარ.

20352. ჭეშმარიტების ძებნაში ხშირად საკუთარ თავს უშედეგოდ ვეჭიდებით.

20353. ჭკუანაკლებობა არ სწორდება, მაგრამ გონიერებას მისი გამოყენება შეუძლია სხვადასხვა ექსპერიმენტით და ცოდნის გამდიდრებით.

20354. ჭეშმარიტების აღქმას მხარს უნდა უმშვენებდეს ჯანმრთელობა, კარგი ცხოვრებისკენ ლტოლვა და იმის შეცნობა, რომ ის შეუცვ-

ლელი და ერთადერთია.

20355. უგუნურების ყველაზე დიდი მეგობარი ყბედობაა თავისი მსმენელი ძმაკაცებით.

20356. იუმორი ის ჭკუამახვილობაა, რომელსაც სისულელე აჰყავს კვადრატში სიკეთის საკეთებლად, გონების გადასახედიდან და ღიმილის მოსაგვრელად.

20357. სისულელეს არ ახარებენ, წარმოაჩენენ, რადგან შეფასება აქვს უარყოფითი და უცვლელი.

20358. წესით სიბრძნემ უნდა აღგავოს საწყისი ყოველივე თავხედობისა, მუხანათობისა, გაუგებრობისა, თუ მას ყურადღებით მოვუსმენთ.

20359. ცოდნასაც გადამუშავება-მონელება უნდა, რომ გამოსადეგი გახდეს.

20360. ფილოსოფია არაა ვალდებული სიბრიყვეს ყური ათხოვოს და განსაჯოს, რადგან ის დიდ იდეალებთან შერკინებისთვისაა მოწოდებული.

20361. უმეცრებასაც თავისი ამქარი ჰყავს და ამით ზოგიერთს მოაქცევს კიდეც თავის მარაქაში.

20362. უვიცობა და დილეტანტობა მცოდნესთვის სინონიმებია.

20363. აზრთა დათრგუნვა შესაძლებელია, მაგრამ არა – მათი მოკვეთა.

20364. კამათს ის განათლება, გამოცდილება სჭირდება, რომელიც ჭეშმარიტებას ბადებს.

20365. რაციონალური ყოველივე მისაღებია, ძვირფასია, როგორც გონიერებისთვის, ასევე ხალხისთვის.

20366. ალალად, დაუფიქრებლად, განუსჯელად, ნათქვამ სიტყვებზე დამაჯერებელი არაფერია.

20367. ზოგჯერ ჭკუის ორიგინალობის შემჩნევასაც და მის სასიკეთოდ მოთარგმნასაც გონი სჭირდება.

20368. კამათი, ჭკუის დარიგება, და ცხვირის აწევა, ზოგჯერ გამოცდილებას გვძენს და რეალობასთან ახლომდგომი აზრებით გვამარაგებს.

20369. კომპლიმენტების 80% თუ სიმართლეა, ის აბსოლუტურია და განჯას არ იმსახურებს.

20370. სიბრიყვე არ იძირება, ის „თვითნაბადია“.

20371. სიბრძნე და უგუნურება ზოგჯერ ერთმანეთს მხარს უბამს, თავიანთი გადასახედიდან.

20372. თუ სიბრძნე წმინდაა და გონიერება – ხელუხლებელი, ისინი მიზანსაც აღწევენ.

20373. ბრძენი, ჭკვიანი, გონიერი, სხვადასხვა განზომილებაა და სხვადასხვა მხრიდან შეხედვა-განსჯას მოითხოვს.
20374. ცნობიერების დარაინდებაც უნდა მოხდეს მისი თანდაყოლილი სენის, ნიჭის და შესაძლებლობის მიხედვით, რათა იმაზე მეტზე არ გაიქაჩოს, რაც მას შეიძლება აღემატება.
20375. შეკითხვებზე პასუხის გაცემა ისე ძნელი არ არის, როგორც გონივრული კითხვების იმგვარი დასმა, რომ გასაგები პასუხები მოისმინო.
20376. ცის ოკეანეში თავის ორბიტაზე ბზრიალს დედამიწა როდემდე შეძლებს, არავინ უწყის.
20377. მოღრეცილი ჭკუა არასოდეს თავის თავს არ ეწინაარმდეგება.
20378. საღი აზრი განსჯას ვერ იტანს, თუ მას თავის კაურებს არ დავუტოვებთ.
20379. კარგი მაგალითების წვრილ-წვრილად დახურდავება და ამგვარად წარმოჩენა არ შეიძლება.
20380. იუმორი ჭკუის სალესი საშუალებაა, გონების მოკრეფით და სულის გაჯეჯილებით.
20381. ცდომილებას მოღრეცილი ჭკუა აქვს, ხოლო ჭეშმარიტებას ჭკუის მოხმობა არ სჭირდება.
20382. ჭეშმარიტება ფუფუნებას და განცხრომას ვერ ეთვისება, რადგან აღზრდა და მენტალიტეტი სხვადასხვა აქვთ.
20383. საჭირო აზრთა ურთიერთგაცვლა კულტურაა და არა ყბედობა, ჭორიკნობა.
20384. ერთადერთი, რაზეც ფულის დახარჯვა დაუყვედრებლად შეიძლება, მეცნიერებაა, რადგან აქ უარყოფითი შედეგიც შედეგია.
20385. შინაგანი ჰორმონების ბალანსის დადგენასაც მათემატიკასთან გასაუბრება სჭირდება.
20386. ინტუიცია ცოდნის ნაწილია, შემართების მწვერვალია და გონიერების ნაყოფია.
20387. სამყაროს ძალებს შესწევთ უნარი ეს ცივილიზებული დედამიწა თვითმკვლელობამდე მიიყვანონ, რაც გამოწვეულია ადამიანის მიერ სამყაროს იდუმალების გაშიფვრისკენ მისწრაფებით. ეს კი იმ ძალებს ხელს არ აძლევს.
20388. ჭეშმარიტების ხმამაღლა ღაღადი, ადამიანური განცდის გამოხატვის მცდელობაა მსმენელთათვის ნიშნის მიგებით.
20389. გონების გამონათება უფრო გამოფხიზლებაა, ვიდრე ჭკუის მატება.
20390. ფილოსოფიის ჭეშმარიტებას გამოთხრა-დადგენა სჭირდება და

არა – ხალხის აზრი და მასის ყიჟინი.

20391. სიტყვაძვირობა, ენაშენახულობა, სიბრძნის ავლადიდებაა, მაგრამ ადამიანის ამბიციები და ნიჭი, გამოცდილების მიუხედავად, ამის საშუალებას ყველას არ აძლევს.

20392. ფილოსოფია აზრებისკენ მიისწრაფვის, რწმენა – ადამიანის გულისკენ, მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი პირველის მიმართ ყოველთვის მართალი არ არის.

20393. ფილოსოფია სამყაროს სასწაულების წინაშე მარტო დგას და კუდის ამწევს არ საჭიროებს.

20394. იდეები ყოველთვის ჰაერში დაფრინავენ, აქ მთავარია, ვინ როდის რას მონახავს და წარმოაჩენს.

20395. ჭეშმარიტება შუაშია, მაგრამ ის მაინც ერთ მხარეს დგომას მოითხოვს.

20396. ცოდნაა ძალა და არა – გამოუცდელი განათლება.

20397. კარგი, პირველ რიგში, უნდა იგრძნო, შემდგომ უნდა იცოდე.

20398. ადამიანი ფეხს წაიტეხს თუ გაუმართლებს, ცხოვრება მაინც უჭირს, რადგან ჭეშმარიტების შეუცნობელობა და მისდამი განგების განწყობა აწუხებს.

20399. ხშირად ჭეშმარიტება იქ დევს, რასაც ვერიდებით და გამხელა არ გვინდა.

20400. არის რაღაც, რომლის გაგება შეუძლებელია და შენი ცნობიერებისთვის მიუღწეველი, მაგრამ მისით აღფრთოვანებული იყო, ვალდებული ხარ, თუნდაც ამ სამყაროს წარმოშობის საოცრება ავიღოთ.

20401. გადამეტებული გონიერებაც საშინელებაა, რადგან გონების გადახურებას იწვევს და რეალური საქმიანობის სურვილს გვიკარგავს.

20402. აზროვნების და გრძნობათა ღელვის შეხახვისთავებას არავისთვის სიკეთე არ მოაქვს.

20403. შემჩნევა, დანახვა, ყოველთვის დარწმუნების ინსტრუმენტად არ გამოდგება, რადგან სამყაროს სასწაულებს თავისი ხუშტურებიც ახლავს.

20404. მეცნიერება ვითარდება, იფურჩქნება, დროის შესატყვის მწვერვალებს იპყრობს, მაგრამ ჩვენთვის შეუცნობელ ბუნების კანონებს თავზე ვერ გადაახტება.

20405. დღეს უნივერსალური განათლების გარეშე მეცნიერების ქანქარა ამაყად არ დაირხევა, რადგან ერთი რომელიმე დარგის ზედმიწევნით ცოდნაც სიახლის კეთებას ვერ შეძლებს და ყველა საღი აზრი „დაჩმორდება“.

20406. პლებისციტს რაც უნდა რეკლამა გაუწიოთ, ის მაინც პლებეური შეგნებისაა, შედეგის მიუხედავად, რადგან გონიერებას კენჭის ყრა და რეფერენდუმი არ სჭირდება.
20407. დამოძღვრილი, საიდუმლო, სერობა ადრე თუ გვიან მეცნიერების შეხმიანებით მაინც გაიხსნება.
20408. რა არის ჭეშმარიტება, ვინ უწყის, ისიც დროსა და გარემოზეა აკიდებულ-შეკიდებული.
20409. სამყარო ჩვენ მიმართ ყოველთვის გულკეთილი ვერ იქნება, რადგან თანდათან უნდა აღგვზარდოს.
20410. სამყარო გაცილებით იმაზე მეტად საინტერესოა, ვიდრე ჩვენ გვინდა, გვგონია, წარმოგვიდგენია.
20411. ახალი და კარგი იდეა დიდი კაპიტალია, თუ მას დროულად შეამჩნევენ და გამოიყენებენ.
20412. ჭეშმარიტება კამათში მაშინ დგინდება, თუ მხარეებს მოსმენის, განსჯის, უნართან ერთად ჭკუის ნატამალიც გააჩნიათ.
20413. სამყაროს ფართო თვალებით ყურებას სწავლა და დროულად ალღოს აღება უნდა.
20414. გაურჯელად სასწაულის შეცნობა ყველა ჩვენგანის სურვილია და არა – ხვედრი.
20415. შემოქმედება იქ იწყება, სადაც გონიერების, სიტყვის და ნაღვაწის შერწყმა აზრთა სხვადასხვაობას და შეხლა-შემოხლას იწვევს.
20416. თუ არც ჯოჯოხეთი არსებობს და არც სამოთხე, არც სიკვდილის ანგელოზი იარსებებს, უბრალოდ, ყოველივეს თავის საწყისი და ბოლო აქვს.
20417. პიროვნების ცნობიერებასაც საკუთარი ინტელექტით გაჯირითება, განათლების მოშველიების გარეშე, უჭირს.
20418. მოხერხებული და ნასწავლი ჭკუა სხვადასხვაა, მაგრამ პირველი მეორეს ჯობნის და მარად ბიშტს უჩვენებს.
20419. უმეცრება ბევრ უხერხულობაში გვაგდებს, უგუნურების ჭირის აკიდებაზე რომ არაფერი ვთქვათ.
20420. სიბრძნის რეალიზაცია ახალგაზრდობაში უფრო უპრიანია, მას სათანადო ენერგიაც შესწევს და შემართებაც ახლავს.
20421. სიბრძნე, ნიჭი, გენთან ერთად, თანდაყოლილი თვისებებია ჭეშმარიტების შემეცნების საქმეში, სხვადასხვა სწავლების მოშველიებით.
20422. ფილოსოფია იმასაც ამკევინებს და ალეწინებს გონებას, რაც მას არ აინტერესებს.
20423. ჭკუა ორიგინალობისკენ ილტვის, ხოლო გონიერება მას განახ-

ორციელებს.

20424. ბრიყვისთვის ჭკუის სწავლება ნონსენსია, ის თავის ინტერესებმა უნდა წარმოაჩინოს.

20425. ცნობისმოყვარეობაა სწავლების ძირი, თუ მას ალღოს დროულად ავუღებთ.

20426. ფილოსოფია ყოველთვის იყო ერთეულ გონიერთა დავიწყება-გახსენება ახალ იდეათა წარმოქმნით.

20427. მეტ-ნაკლებად ყველა ჩვენგანი უნდა შეეცადოს თავის გაწმენდას ფუჭი აზრებისაგან.

20428. მშვენიერებას სიმახინჯესთან შედარება გვაგრძნობინებს, სიკეთეს კი – ბოროტებასთან შეჯერება.

20429. მტარვალი სიბრძნეს ებრძვის და ისიც თავისი გადასახედიდან.

20430. ზოგჯერ იმ საქმიანობის არცოდნა უკეთესია, რომელიც არ გეხება და არ გაღელვებს.

20431. ზოგჯერ მიზეზის ახსნა უფრო ძნელია, ვიდრე დაწყებული პროცესის.

20432. საკმარისი ინფორმაციის ცოდნა გონებას ვერ წვრთნის, თუ შემთხვევა არ შეეხმიანა.

20433. წვრილმანი გულგრილობანი თავშივე უნდა მოვგუდოთ, რათა დასანანი გაუგებრობანი სხვადასხვა ხარისხში არ მოგვევლინოს.

20434. ყოველი აღმოჩენა „ამოტრიალებული“ გონების და ინტელექტის შედეგია.

20435. ჭკუა-გონების გახსნაც თავისებურ ვნებათა ღელვას მოითხოვს.

20436. ბუნებისმეტყველებას უპირველესად, რეალური ხედვა სჭირდება, რაც შეეხება სულიერების მართვას, ის თავისთავად მოდის და მიდის.

20437. ათეისტის დანიშნულებაა ძველი დოგმები არ იწამოს და ახალი დოგმებით თავი დაიტვირთოს.

20438. მტკიცების ალგორითმი თავისი რაობის პოსტულატებთან შეჭიდებას მოითხოვს.

20439. ვფლობთ ჭეშმარიტებას თუ არა, ჩვეულებრივი მომაკვდავისთვის დღესაც უცნობია.

20440. ბუნებრივი ნიჭის და ანალიზის უნარის მქონე ჭკუას ვერანაირი განათლება ვერ შეედრება.

20441. მშვენიერება ჩვენ გვეკუთვნის თუ სხვას, ის ნაკრძალია და ყველამ უსიტყვოდ უნდა დავიცვათ.

20442. დაავადებულ აზრებთან ჭიდილი ყველაზე მეტად ბრძენს უჭირს, რადგან მის დამოძღვრას ყურს არ უგდებენ.

20443. გონიერებას თუ განსჯის უნარი წართმეული აქვს, მისი არსებობა ფუჭია.
20444. მთელი შემართებით უნდა ვეცადოთ გავიაზროთ, რატომ მოვედით ამ ქვეყანაზე, ცხოვრების შესაჯერებლად თუ გასაცდენად.
20445. ცოდნა – არ ცოდნაც თავისი პარამეტრებით იღვწის მისივე გადასახედიდან.
20446. მათემატიკა ის მეცნიერებაა, რომელიც ყველა ამოუხსნელ ალგორითმს თავის ადგილს მიუჩენს, მაგ.: მამამ ჩასახა მრავალმხრივი გენიოსი, დედამ შობა, მაგრამ ისტორია გენიოსს მოიხსენიებს და არა – მის მშობლებს, რომელთა გარეშე ის ქვეყანას ვერ მოევლინებოდა.
20447. გონიერება თავის ბავშვობას და სიყმაწვილეს არასოდეს ივიწყებს, რადგან ეს სიბერის ღირსეულად გატარებაში ეხმარება.
20448. ჭეშმარიტებას დუმილში აზრის მოძიება უფრო მოსწონს და ეხერხება, ვიდრე უაზრო ყბედობისას.
20449. გლობალურ აზროვნებას შესატყვისად ინფორმირებული და გონებაგახსნილი საქმიანი მსმენელი სჭირდება.
20450. ვერიდოთ, დავუფიქრდეთ, განვსაჯოთ, ისიც, რაც მოგვწონს და რაც არ მოგვწონს, რადგან ამ უკანასკნელზე შეიძლება აზრი შევიცვალოთ.
20451. აზროვნება მრავალუცნობიანი განტოლებების ამოსახსნელი მექანიზმია.
20452. აზრებს მოფრთხილება უნდა და არა – მალვა, თუ ის ღირსეულია, სხვასაც უნდა გამოადგეს.
20453. წესიერების პოსტულატების დაცვას, ისევ გონების მოკრება ჯობს, დროის ყივილის შესატყვისად.
20454. ალღო აზროვნებას გაცილებით მიზანსწრაფულს ხდის.
20455. გულწრფელობა დიდი ბედნიერებაა, მაგრამ შემოსავალი აქვს მცირედი.
20456. წინხედვა და აზროვნებაა სიცოცხლის შემფასებელ-გადამფასებელი.
20457. ჭეშმარიტებასაც საუკუნეები გადაამოწმებენ, ზოგჯერ ხინჯსაც უპოვიან და ახლებურად წარმოაჩენენ.
20458. ჭეშმარიტების შეცნობა დიდხანს კმაყოფილების უფლებას არ იძლევა.
20459. მრისხანე, უსამართლო და უტვინო ღონეს ჭკუა და მოთაფლული ენა ჯობდა ყოველთვის.
20460. მეცნიერებას სხვათათვის შეუცნობელი აზარტი ყოველთვის

გვერდში უდგას.

20461. პრაქტიკულად მოაზროვნის ჭკუა ყოველთვის სჯობდა დაუფიქრებელ და აცვენილ ღონეს.

20462. აზროვნება, უმთავრესად, ჭეშმარიტების დასაცავად და სიკეთის საკეთებლად უნდა იღვწოდეს, თუ დრომაც ხელი შეუწყო.

20463. გონიერების დევიზია: საკუთარი თავის მარად უკმაყოფილონი ვიყოთ.

20464. აზროვნებას ჭეშმარიტებისაკენ აქვს მისწრაფება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ თავი უაზრობისკენ იხრება.

20465. ცხოვრება ხშირად ძველ ჭეშმარიტებებს გვაშორებს, ახლის შეუძენლად.

20466. გონიერებისთვის დარგის „სათავისო ენის“ ცოდნა ბევრი გაუხსნელი საიდუმლოს გამომჟღავნებელია.

20467. უსასრულობას ცოდნა – არ ცოდნა, ანგარიშს არ უწევს.

20468. აზროვნებაც ჭიტლაყის ამოკვრის გარეშე თავისას ვერ ქმნის.

20469. რწმენაში ფარისევლობა, მიმბაძველობა, უგუნურება, რიტუალი, უფრო მეტია, ვიდრე ჭეშმარიტების და რეალობის შეცნობის მცდელობა.

20470. მართალია, ყველა აზრი გონიერების ფილტრში უნდა გატარდეს, მაგრამ ფილტრის ხარისხიც ზოგჯერ დასადგენია.

20471. დაუოკებელი გონიერება ზოგჯერ საეჭვო მცნებებს დიდ გამოგონებად აქცევს.

20472. ჩვენ ხშირად კამათით, სიკეთით, „მეს“ წარმოსაჩენად ვიღვწით და არა – ჭეშმარიტების დასადგენად.

20473. გვინდა – არ გვინდა, დუმილი მაინც გონიერებას უახლოვდება.

20474. აზრმა უნდა მიანიჭოს სიტყვას ღირსება და არა – პირიქით.

20475. რეალური ჭეშმარიტება სხვათა სიმართლის ძიებაში და მისი რაობის ათვისებაშია.

20476. ჭეშმარიტების ძალა არაფერია, თუ ის მხარდამჭერს არ გამოთხრის.

20477. არც ერთი გამოგონება ისე არ მთავრდება, რომ მასზე ახლის შეზელვა არ შეიძლებოდეს.

20478. უმოქმედობით გონიერებაც ხმალივით ჟანგდება, თუ მოპაექრეებთან შერკინების საშუალება წართმეული აქვს.

20479. სიბრძნე მაშინ იხვეჭს რეგალიებს, როცა ვინმეს უზიარებ.

20480. ჭეშმარიტებას მცდელობა მოსწონს, ფაქტების აღიარებით და წარმოჩენით.

20481. ჭეშმარიტებისთვის ზურგის შექცევას ბევრი ახერხებს, მაგრამ

ეს საბოლოოდ ბედნიერს ვერ ხდის.

20482. სურვილი აზროვნების სიჯიუტეს ამუნათებს და ხშირად თავის მონად აქცევს.

20483. გონიერება პატივის მიგებას მოითხოვს სქესის, ცენზის და განათლების მიუხედავად.

20484. ჩემი აზრით, სიბრძნე, ფილოსოფია, ყველაზე უკეთ ორაზროვან აფორიზმებშია გამოხატული.

20485. ბევრის, ვითომდა ფილოსოფოსის, „მჭერმეტყველება“ მეცნიერება ჰგონიათ.

20486. საშინელებაა, როდესაც აზროვნებას ენა უსწრებს, შექმნილ გარემოში ვერ ერკვევა და არც პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია.

20487. სიბრძნეს, სულიერების და გულიანობის გარეშე, თავისი პოსტულატებით გაჯეჯილება უჭირს.

20488. შეცდომა სასარგებლოა თუ იქიდან ჭკუის ნამცეცებს გამოვიტანთ.

20489. გულიანი მოსაზრება ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს.

20490. იდეალების უქონლობას ყბედობა ვერ შველის.

20491. აზრის მოპარვა, სიკეთისთვის, დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს.

20492. ეტალონი ყველგან სიბრძნეს და აღიარებას უნდა ნიშნავდეს.

20493. ბოროტებას ბოროტების გარდა დასაკარგავი არაფერი აქვს და ამიტომაცაა საშიში.

20494. ზოგჯერ მწარე სიტყვა როზგზე და ციხეში ჩასმაზეც მეტია.

20495. მბრძანებლობა საკუთარ თავსაც არ უნდა აკადრო – მხოლოდ გაგება, ჭკუის მოხმობით.

20496. ცრემლისღვრასაც თავისი ჭეშმარიტება აქვს.

20497. საკუთარი „მეც“ გონიერების შემოძახილის ფორმულით უნდა განვსაჯოთ.

20498. თუ უგვანოს არ მოსწონხარ და არ „გეთაყვანება“, ბედნიერებაა.

20499. ცოდნა შეიძლება იყოს სერიოზული და არასერიოზული, გააჩნია რა დროს და ვინ როგორ გამოიყენებს.

20500. იდეა დამცირებას და გაჭირვებას ვერ იტანს, მაშინვე კრახს განიცდის.

20501. განსხვავებულ აზრთა შეთავსება, კონსენსუსის ძებნა, ყველა გაუგებრობის აღმოფხვრის და წარმატების საფუძველია.

20502. ბრძენი მარად სიბრძნის ძიებაშია, ხოლო უმეცარი მის უაზროდ ოპონირების მცდელობაშია.

20503. თუ საქმეში ყველა არამკითხე მოამბე ჩაყოფს ცხვირს, ჩხუბი და ჭეშმარიტებისთვის ფეხის დადება გარდაუვალია.
20504. რა არის ჭეშმარიტება, ძნელი სათქმელია, რადგან ტექნიკური პროგრესის შემოტევა ზოგჯერ ორჯერ ორის ოთხობაშიც ეჭვს აღგვიძრავს, რადგან დრო და გაგება სამყაროს შეცნობის შესატყვისად იცვლება.
20505. ჭკუის მოხმობა, სხვათა აზრების შინაგანი ოპონირებით გათვალისწინება, ზნეობის და საკუთარი მეობის ბაზისია.
20506. აზრები სამყაროს უსასრულო სივრცეში გვამოგზაურებს და ჭეშმარიტებასთან გვაახლოებს.
20507. ორი ჭეშმარიტება არ არსებობს, რადგან ჭეშმარიტება ან არის ან არ არის და მას „კაპიტალური რემონტი“ არ შველის.
20508. გონიერებას სხვათა საყველპურო აზრები კი არ აინტერესებს, არამედ ის რჩევა, რომელიც გამოსავალს იძლევა ან მისგან თავად გამოჩხრეკს.
20509. ჩაუწერელი, დაუფიქსირებელი, აზრი, ხშირ შემთხვევაში დაკარგულია და ველარ დაბრუნდება.
20510. ჭეშმარიტების სიდიადეს უპირველესად თავადვე უნდა გრძნობდე, რომ ის აღიარო და გაითავისო.
20511. საკუთარი სიდიადის შეცნობა ცნობიერების სასწაულია.
20512. სიტყვების ცვალებადობა ყოველთვის აზრთა ცვალებადობის დასტურად არ გამოდგება.
20513. ჭეშმარიტების ძიება ყოველთვის ბუნდოვანია, რადგან ყველა ჩვენგანი, ავად თუ კარგად, რაღაცის ძიებაში ვართ.
20514. ჭეშმარიტება სიკეთის ძიებაა განსჯით და თვითგანადგურებით, დროის და გარემოს შესატყვისად.
20515. მეცნიერება განსაზღვრავს ადამიანის და ღმერთის დაპირისპირება-თანადგომას. განგებას არ უნდა თავის საიდუმლოებათა გამხელა, ხოლო მეცნიერება საიდუმლოებათა ამოსაცნობადაა მოწოდებული და გარკვეულ წარმატებებსაც, დროის შესატყვისად, აღწევს.
20516. სამყაროს აღქმა უდიდეს ნიჭს და გონიერებაზე დამყნობილ გამოცდილებას მოითხოვს, რათა სამყაროს იდუმალებაში გაერკვე.
20517. სამყაროს საიდუმლოებას ჩვენი ფანტაზია ვერ წვდება და იძულებულნი ვართ ჩვენ მიერვე გამოგონებულ ღმერთს მივენდოთ.
20518. ჭეშმარიტებას ყოველთვის გვერდში უდგას სამართლიანობა, სისპეტაკე და სიყვარული, თავისი ანა-ბანით.
20519. განათლება და ცოდნა, ნიჭის და ბედის გარეშე, დასახულ მიზანს ვერ აღწევს.

20520. ჭეშმარიტების ფლობას, განმარტებისაგან განსხვავებით, „გაბა-ზრება“ არ უყვარს.
20521. არის მეცნიერების ისეთი დარგი, რომლის შედეგსაც სიცოცხ-ლეში ვერ იხილავთ, მაგრამ მას მთელი გულით უნდა ემსახუროთ, რადგან მომავალ თაობებს ემსახურება.
20522. ფილოსოფია გონების ის სასუქია, რომელიც მის დროულად მომწიფებას ხელს უწყობს.
20523. მეცნიერების დანიშნულებაა შეიცნოს გარეშეთა უბადრუკობა, აღმოფხვრას ის და ამოათრიოს შეძლებისდაგვარად „უცოდინარო-ბის ორმოდან“ დროის და გარემოს შესატყვისად.
20524. რაც აშკარა და თვალსაჩინო არ არის, არც უნდა ვენდოთ, რად-გან დანარჩენი ძიებას ითხოვს.
20525. მათემატიკა, გარდა იმისა, რომ ულამაზესი და თანაფარდობის აღმომჩენი მეცნიერებაა, ის უპირველესად სულის მოთხოვნა და გონების წადილია.
20526. აზროვნება გვამაღლებს საკუთარი თავის წინაშე.
20527. ზოგჯერ ჭეშმარიტებაც ბრმაა, ვინც მის რაობას წარმოაჩენს და მის სიმართლეს დაამტკიცებს, ესაა მისი ნათელმხილველიც.
20528. ცხოვრების აზრის ძიება, ტვინის ჭყლეტა და სიყალბისთვის მუშტის ჩვენებაა, იმისდამიუხედავად, თავზე დიდი წარმოდგენა გვაქვს თუ არა.
20529. ჭეშმარიტებას ანკესით ვერ დაიჭერ და ვერც სიბრძნის ღლავს ამოათრევ გონების ბადის გარეშე.
20530. უგუნურებას ხან ჩვენ ვუსხლტებით ხელიდან, ხანაც გულმავი-წყობას იჩენს და თავად გვისხლტება.
20531. გონება აუტკივარ თავს მაშინაც იტკიებს, როდესაც იცის, რომ მარადიულ კითხვებს პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ მცდელობას და ფიქრს არ აკლებს.
20532. მომავალში ეკოლოგიური ცოდნა გადაარჩენს ადამიანს და არა – სამყაროს შეუცნობელ კაურებში ჩაწვდომა.
20533. ჭეშმარიტებასთან მიახლოების მცდელობა ადამიანებს უფრო გონიერს და მოყვასს ხდის.
20534. ჭეშმარიტება მარადიულია და მისი ბაზისის ნგრევა ხელს არც მტერს აძლევს და არც მოყვარეს.
20535. სიმართლე ჭეშმარიტების თანამდგომია და სანთელ-საკმეველს არასოდეს დაკარგავს.
20536. ჭეშმარიტება ჩვენს ოპონენტებს და მსმენელებს დამშვიდებული გონებით უნდა შევაგებოთ.

20537. ჭეშმარიტება სამართლიანობის აღსადგენად, შერკინების საშუალებადაც შეიძლება იქცეს.
20538. სამართლის ძიება ძნელია, მაგრამ მიგნება კიდევ უფრო ძნელი.
20539. სამყარო ადამიანებს იმას უმხელს, რაც დღეს აუცილებელია მათი არსებობისთვის.
20540. ყველა ჩვენგანმა რაღაც საკითხების გადახაზვა უნდა ვისწავლოთ, როგორც უნდა გვიჭირდეს მისი დავიწყება.
20541. ენით აზროვნება ადვილია, თუ ჭკუა ამის საშუალებას გაძლევს.
20542. ყბედობა აზროვნების სიმწირის ნაყოფია.
20543. სიბრიყვე და გონიერება ერთმანეთს ვერ ეგუებიან, მაგრამ ურთიერთისგან რაღაცას სწავლობენ.
20544. ბრიყვს ჭკვიანი შეკითხვაზე არ პასუხობს და ისიც თავის უგუნური კითხვებით თავს იწონებს.
20545. სამყაროს საიდუმლოებას თანდათან ფარდა ეხდება, მაგრამ მაინც მარად შეუცნობელი რჩება.
20546. გონიერებას კაპრიზი, „აზრუკები“, წინ არ უნდა უსწრებდნენ.
20547. სულელური აზრების სიმრავლესთან ჭკვიანური აზრების რაოდენობა ახლოსაც ვერ მივა.
20548. შეკითხვები და პასუხები ჩვენი ყოფის „ბაიათია“, მასზე პასუხის ძიებით.
20549. უგუნურება ჭეშმარიტებას ყბედობით ღალატობს, ხოლო გონიერებისთვის ეს გართობა მიუღებელია.
20550. ჭეშმარიტება სამართლიანობას, სიკეთეს, გულით დამფასებელს, ეძებს, მაგრამ ხშირად უშედეგოდ.
20551. გაგება და ცოდნა, ასე თუ ისე, მაინც სინონიმებია.
20552. კამათს ხშირად „მეც ნახირ-ნახიროს“ საჭიროება მოითხოვს და არა – გონიერება.
20553. გონიერების „ჭრაჭუნი“ ემოციების მოზღვავებას იწვევს.
20554. სასურველია ქალი მოხდენილი საუბრით „აზროვნებდეს“, მამაკაცი – მოხდენილი ღიმილით და „ყველაფერზე“ თანხმობით.
20555. სულელსაც შეეხუმრებიან და ჭკვიანსაც, ერთი ამას დაცინვად იღებს, მეორე – გართობად.
20556. უვიცობას გაყუჩება უხდება, ცოდნას ტირაჟირება, მაგრამ გააჩნია აუდიტორიას და მათ ინტერესებს.
20557. სიბრძნის წარმოჩენასაც თავისი წილი მათრახი სჭირდება.
20558. აზრის ჩხრეკა და კირკიტი ყოველდღიური საქმიანობაა გონიერთათვის.

20559. სამყაროს ვერც საკუთარი თვალით დანახულით ვუგებთ რასმეს და ვერც სხვისით, მაგრამ მასზე მაინც თამამად ვმსჯელობთ.
20560. კითხვის ნიშანთა სწორად გადანაწილება წამოჭრილ საკითხთა გარკვევის საშუალებას იძლევა.
20561. შრომის და კეთილშობილების შეთავსება ცხოვრების სწავლის სინონიმია.
20562. თუ ზევით, კარიერის საფეხურებზე გინდა აძვრე, სხვისი ცხოვრებით უნდა იცხოვრო.
20563. განსჯით თავზე წარმოდგენა ჭკუის მასწავლებელია, განუსჯელად – უჭკუობის.
20564. სიახლისადმი მიდრეკილებას ოცნებათა მეგაბაიტი განსაზღვრავს, ხოლო აზროვნება განსჯის.
20565. ყველა პოლიტიკოსის ქმედებას მეცნიერებაში ერთი გონივრული ნაბიჯის გადადგმა სჯობს.
20566. სადაო აზრებს რა გამოლევს, მათი კონსენსუსამდე მიყვანაა ძნელი.
20567. ფილოსოფიის ისტორია „ტრაგიკომედიის“ ალგორითმებისაგან შესდგება.
20568. აზრებს სიყვარულივით მოფრთხილება და მალვაც უნდა.
20569. სიკეთით მოწოდებული აზრებიც გონიერებასთან უნდა გავახმიანოთ.
20570. სიბრძნეს ყველა წილში უჯდება, აქვს ამის შესაძლებლობა თუ არა.
20571. დილეტანტის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებანი და ქმედებანი სასურველ შედეგს არასოდეს იძლევა.
20572. გონიერების კარი მუდამ ღია უნდა იყოს, შეიძლება ვინმემ ურიგოდ ისარგებლოს.
20573. გონიერებას მოყვასი ბევრი ჰყავს, კეთილისმდომისაგან განსხვავებით.
20574. გონიერება სიძლიერეს იძლევა თუ მამაცობაც თან ახლავს.
20575. სიახლის აღქმა აზრების არსებულ ცნობიერებასთან შემოჭრა-შევაჭრებას მოითხოვს.
20576. თავში დაუკითხავად აზრების შემოჭრა, სიბრძნე-სიახლის მოძიებით, უდიდესი ბედნიერებაა.
20577. გონიერება თუ შეცდა, მთლიანად და ბოლომდე ცდება და არა – ნაწილობრივად და შიგადაშიგ.
20578. გენიოსთან ტალანტების შედარება ჭირს, რადგან ის ერთია და განუმეორებელი თავის სპეციალობაში.

20579. ისიც ცოდნაა, თუ იცი გარკვეულ საკითხზე სად უნდა მოიპოვო მასალა.
20580. ცოდნას სარგებელი მოაქვს ყველასათვის და პირველ რიგში, ქვეყნისთვის.
20581. ჭკუის გამოსამჟღავნებლად აზრების დალაგებით გამოხატვაა საჭირო.
20582. ჭეშმარიტებას გაჯეჯილების პირობები უნდა შევუქმნათ.
20583. ლოგიკა გრძნობათა შემოტევას ვერ იტანს.
20584. უამრავი თავში მოსული აზრიდან მხოლოდ მცირედის გადანახვა ხდება, ისიც სათუოსი და დავიწყებისთვის გამზადებულის.
20585. ჭეშმარიტების ძიების სურვილი არასოდეს უნდა ბერდებოდეს.
20586. აზრიანი სიტყვა საკვებად არ გამოდგება.
20587. ზოგჯერ აბსურდი მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ჭეშმარიტება, რადგან დღეს მის მხარეზე ვართ.
20588. ლოგიკას და გრძნობებს საუბარი უჭირთ, რადგან წინასწარ იციან, რომ ურთიერთს ვერ გაუგებენ.
20589. გონიერება, ჭკუა, სიბრძნე, მარად ცოცხალია, იმისდამიუხედავად, დროის ყავლი უწყობს მათ გახსენებას ხელს თუ არა.
20590. ყველაზე მეტად ადამიანს ბუნების იდუმალი მოვლენების გაშიფვრისკენ მიუწევს გული.
20591. სიმართლისთვის ბრძოლა ბევრ სირთულეს გვიქმნის, რაც ბოლოს მოგონებად რჩება.
20592. მეცნიერება სიცოცხლის ხეა, რომელიც რა დროც არ უნდა მოვიდეს, არასოდეს გარდაიცვლება.
20593. საღ აზროვნებას ყბედ აუტისტებთან თავის გაყადრება უჭირს.
20594. აზროვნება ყოველთვის თავის ჭკუაზე ჯირითობდა და იჯირითებს, რადგან მისთვის ვეტოს დადება არავის ძალუძს.
20595. აზროვნება სიცოცხლის უმთავრესი და დაუშრეტელი წყაროა.
20596. აზროვნება ერთია, აზროვნების გამოთქმის ფორმა მეორეა, აზროვნებით საქმის შედეგის გამოცნობა მესამეა და ა.შ.
20597. ძველი დოგმები მოსაბეზრებელია, მაგრამ იგი მაინც ახალი დოგმებით იცვლება და გარკვეულ დრომდე ჯირითობს ჩვენს ცნობიერებაში.
20598. მეცნიერებაც განგების ნაბოძები თავისებური სარწმუნოებაა, რომელიც ხშირად თავის ნაშიერთ ვერ მოძღვრავს, რადგან მათზე, რატომღაც, ბუნებაც ისვენებს და განგებაც.
20599. სამყაროს შეცვლაზე მეტად მისი შეცნობაა ძნელი.
20600. სიცრუე ყოველთვის ცდილობს ჭეშმარიტებას გვერდი „დაუმშ-

ვენოს“.

20601. მათემატიკის მშვენებას ყველაზე უკეთ გონიერების ფიზიკა აღიქვამს.

20602. აზრს სიმოკლე უხდება გონების მოკრებით და გახმოვანებით.

20603. ნიშანში მოხვედრილი ყველა სიტყვა ათინათია.

20604. სიბრძნის მაგვარის თესვა ადვილია, მისი მარცვლის პოვნაა ძნელი.

20605. ფილოსოფია დამჯდარ ჭკუას მოითხოვს, ნიჭთან გაბაასებით.

20606. კამათის არსს გაცნობიერება უნდა, რათა ყბედთა შერკინებას არ დაემსგავსოს.

20607. ზედმეტი ცოდნა არ არსებობს, ასე, რომ ტვინის გადატვირთვაც მისაღებია.

20608. ჭეშმარიტების მოძიებისთვის, სიკეთის კეთებისთვის, შექებას არ ითხოვენ, მხოლოდ – გაგებას და თანადგომას.

20609. დისკუსიების შედეგად წარმოჩენილი ჭეშმარიტება ზოგჯერ შოკის მომგვრელია.

20610. ფილოსოფიისთვის ჭეშმარიტება სიწმინდეა გონიერების მოთხოვნით.

20611. ციფრების ენას ვერავითარი ხიბლის ენა რეალობის წარმოჩენაში ვერ შეედრება.

20612. გონიერებას განსჯაში გული ვერ სჯობნის, მაგრამ ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება ჭირს.

20613. აზროვნებას, აზრის გამორჩევის ტენდენციები არ უნდა ახასიათებდეს. ის მთლიანობაში უნაკლო უნდა იყოს.

20614. მოპაექრენი ზოგჯერ ჩვენზე უკეთესადაც მსჯელობენ, მაგრამ გონება ამ რეალობით აღქმულ აქსიომაში მაინც საძრომიალოს ეძებს.

20615. სიახლის კეთებას შეჩვეული გონება, მის წინაშე დასმულ საინტერესო საკითხებს თამამად „ეჯაჯგურება“.

20616. მხარეთა შერკინებაში აზროვნების პრიმატი, ურთიერთგაგებით, – მეცნიერებაა.

20617. არის ჭეშმარიტება, რომელსაც ვერასოდეს შევიტყობთ, თუ ტექნიკური პროგრესის მიღწევები არ დაგვეხმარება.

20618. კამათი, ჭეშმარიტების მოძიების სურვილის გარეშე, უგვანობაა.

20619. კამათს დამაჯერებელი ბაასი სჭირდება, ურთიერთობის და ურთიერთშეთანხმების სურვილით.

20620. ჭეშმარიტებაც იტანჯება ადრეულ უგუნურ ქმედებათა გამო, რადგან მას მარადიულობისკენ მისწრაფება აღელვებს.

20621. ჭეშმარიტებისკენ ყოფის ციფრების კომბინაციებს მივყავართ.
20622. ცოდნა ჯიუტია, მარჩიელობას ვერ იტანს.
20623. განათლებულია ის, ვინც საკითხს თეორიულად ფლობს, მცოდნე – ვინც თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ერთმანეთთს უხამებს.
20624. სიმდიდრის მადლი სიბრძნისას ვერ შეედრება, რადგან პირველი დავიწყებადია, მეორე მარადიულია.
20625. გონიერება უფრო ჭეშმარიტების გასათავისებლად იღვწის, ვიდრე პატივის მიგებისთვის.
20626. ცოდნა გამართლებით ეშმაკთან წილისყრის ტოლფასია.
20627. გონიერების მაჩვენებელი უფრო არცოდნის აღიარებაა, ვიდრე ინფორმაციის სიუხვე.
20628. დღეს ჭეშმრიტების სულგრძელობაც მატერიალურისკენ მიილტვის.
20629. საუბრის წამოწყებას მაშინ აქვს აზრი, თუ დროის მოსაკლავად და გასართობად არ გვინდა.
20630. ჭკუას გონივრულად და დროულად დასმული შეკითხვა უფრო გამოხატავს, ვიდრე გრძელი მსჯელობით გაცემული პასუხი.
20631. სიბრძნე ჭეშმარიტებას ქადაგებს, გონიერების სინონიმიცაა და მარად პრაქტიკული გამოყენებსითვის მზადაა.
20632. ცოდნა თავის აკლდამის ამოშენებას მოითხოვს, რათა უცოდინარი მსახვრელის ხელი არ შეეხოს.
20633. ფორიზმი არა მარტო ფილოსოფიურ აზროვნებასთან ჭიდილია, არამედ ცხოვრების სარკეში ყურების მცდელობაცაა.
20634. დღეს ხაკერობა შემწყნარებლურ გაოცებას იწვევს, მაგრამ უფრო მეტად გვაოცებს, როცა ისინი გარკვეული დროის მონაკვეთის გარღვევას მოახერხებენ ჭეშმარიტების დასადგენად და არა – ბანკომატების გასატეხად.
20635. ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებას და დროის კარგვას, მასში დროულად გარკვევა სჯობს, შენივე გადასახედით და ჩასწორებით.
20636. აზროვნების მწვერვალზე ფეხი იშვიათად რომ ვინმეს გონიერების მოხმობით დაედგას თუ მას შემთხვევა არ დაეხმარება.
20637. ცოდნა გამოცდილების საცერში უნდა გაიცრას, მხოლოდ ამის შემდეგ გვაქვს უფლება მოვზილოთ გონიერება და გამოვაცხოთ პერსპექტივით.
20638. ჭეშმარიტებას შინაგანად ყველა პატივს მივაგებთ, მაგრამ მაინც ჩვენი ჭკუის კორექტივებით.
20639. ჭეშმარიტების ფაქტორებს, ყველა საკუთარი ალგორითმებით „ელადავება“, იმის ნაცვლად, რომ ორჯერ ორის სიმარტივის გარ-

დუვალობას დასჯერდნენ.

20640. მათემატიკა თავისი რაობის წარმოსაჩენად და თავის გასამართლებლად ყველა დარგს სჭირდება, რაც უნდა ჰუმანიტარული იყოს.

20641. დოგმა ჭეშმარიტებას ეჭიდავება და წვრთნის.

20642. დოგმა კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ თავისაზე, ჯერ-ჯერობით, მყარად დგას მაგ.: თალმუდი, სახარება, ყურანი.

20643. არის აზრები, რომლის გონებიდან მოშორება, წლების მატების მიუხედავად, არ ხერხდება, იმდენად დასამახსოვრებელია, აქტუალურია და ზოგჯერ გულდასაწყვეტიც.

20644. სუბიექტივიზმი ობიექტივიზმს არ ეთანხმება, მაგრამ თუ დასჭირდათ, საერთო ენას გამონახავენ.

20645. ადამიანის ტვინი ყველა დროში ძვირად ფასობდა, მაგრამ რატომღაც აწმყო შესატყვისად არ აფასებს.

20646. სისულელე დაჭიტლაყების ღირსია, მაგრამ გააჩნია ვის მიერ.

20647. დაუფიქრებელი „ვიცი“ სიბრიყვეა, დაფიქრებული „შესაძლებელია“ – სიჭკვიანე.

20648. მთავარი განათლება კი არ არის, არამედ კონკრეტული საკითხის ცოდნა.

20649. გონიერება და განსჯის უნარი სინონიმებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ „მაზანდა“ უვარდებათ.

20650. სიბრძნის ხელოვნება ის არის, რომ უგუნურება მის საწინააღმდეგოდ არ განაწყოს.

20651. აზროვნება შეიძლება იყოს ძლიერი ან სუსტი, მაგრამ დროის შესატყვისად და მომდევნო თაობათა გადასახედიდან.

20652. ბიბლიოთეკა გონიერების, აზროვნების ციხეა, რომელშიც დრო და დრო ჩაჯდომას წიგნის ყველა ავტორი ცდილობს.

20653. სასიამოვნო საუბარი გონიერების, სიტყვების მარაგის, დროული პოეზიის და დათაფლული ენის ნაჯვარია.

20654. ყოველ ჭეშმარიტებას თავისი ღირსება და ღირებულება აქვს საკუთარი მეობის შეცნობით.

20655. გონებას ხშირად უჭირს იმ სიახლის აღიარება, რასაც დროის გამოცდა არ გაუვლია, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკა მის გენიალობას, უნიკალობას, განუმეორებლობას, დღეს ამტკიცებს და სხვა ანალოგი არ მოეპოვება.

20656. ჭეშმარიტებას სიცხადე მოსწონს, რადგან ერთმანეთს უგებენ და ავსებენ.

20657. ჭეშმარიტ ღირებულებათა დადგენა ყველა დროში ჭირს, თუ

დროს მოთხოვნები არ გიკარნახებს.

20658. ათეიზმი და ფილოსოფია ერთმანეთს საკმაოდ კარგად უგებენ, რადგან ორივეს ეჭვი ეპარება ღმერთის არსებობაში.

20659. გონებას რეცხვა თუ არა ზოგჯერ დასუფთავება სჭირდება, რათა ძველი აზრები სიახლის პეწით წარმოჩნდეს.

20660. გონების ვაკანსიას ჭკუისგან რაღაც ახალი საკეთებელი ყოველთვის თავში უტრიალებს.

20661. მეცნიერები ყველა ქვეყნისა უნდა გაერთიანდნენ და ავტონომია შექმნან საყვარელი საქმის კეთებით და სხვაზე დაუყვედრებლად.

20662. ჭეშმარიტება აწმყოს ქალწულობაზე თავს დებს და არა მის მომავალ ქალობზე.

20663. აზროვნებას გამართლება ჩვენი ამქვეყნად მოვლენით სჭირდება.

20664. ბუნებას თავისი გაუხსნელი ფოკუსები აქვს, რომლის გამოცნობასაც მეცნიერება ხშირად უშედეგოდ ცდილობს.

20665. ის, რასაც ვერასოდეს ვერ გაჰყიდი და არც არავინ დახარბდება – სიღარიბე, უპოვარობა, ავადმყოფობაა.

20666. ჭეშმარიტებას ხშირად ჯობნის კადნიერი მჭერმეტყველება და ოჯახში აღუზრდელობა – საბედნიეროდ დროებით.

20667. დღეს ინსტინქტებით რომ არ გვეცხოვრა, მეცნიერება იძულებული გახდა თავი მოექაჩლა, იმისდამიუხედავად, დღეს მას აფასებენ თუ არა.

20668. მეცნიერს თავისუფლება სჭირდება დაყვავების, განწყობის და მისი საჭიროების შეცნობის ფარგლებში.

20669. მეცნიერება და ხელოვნება განუყრელი ძმები არიან, რადგან უერთმანეთოდ თავის წარმოჩენა უჭირთ, ერთს სიახლის უკეთ წარმოსაჩენად გონების ხელოვნება სჭირდება, მეორეს ხელოვნების უკეთ წარმოსადგენად – მეცნიერების მიღწევები.

20670. მეცნიერებას მიზანდასახულობა, სიჯიუტე, ეჭვიანობა, ფანატიზმი, ამშვენებს თანდაყოლილ ნიჭთან ერთად.

20671. ყოფიერება ცნობიერებას მოითხოვს, მეცნიერებაზე შეჯერებით და სიახლეთა შობით.

20672. მეცნიერებაში იღვწიან შემოქმედი მეცნიერებიც და ხელმოცარული ოპონენტებიც. ეს უკანასკნელნიც საჭირონი არიან, რადგან მათი შური პირველებს მობილიზებას უკეთებს და მეცნიერებაც მოგებულია.

20673. აზროვნება დროსთან ჭიდილია, ყოფისთვის ალიყურის ჭმევით და თანდაყოლილი ნიჭით.

20674. ჭეშმარიტებისკენ სწრაფვაში ინტერნეტი ვერ დაგვეხმარება, აქ გენმა უნდა ივაჟკაცოს გონების ხარჯზე.
20675. ყველანაირი ცოდნა განახლება-გადახალისებას ოპონირებით მოითხოვს, ეს როგორ ეგოისტურადაც უნდა გამოიყურებოდეს.
20676. იდეა ყოველთვის თავისაზე მყარად დგას, აქვს მას ამის რეალური საფუძველი თუ არა.
20677. ჭეშმარიტებისკენ მოქცევას ზოგჯერ სულის გმირად მოქცევა სჭირდება.
20678. ჭეშმარიტებასაც დაამება სჭირდება, გონის მოშველიებით და არა – ყურით მოთრევით.
20679. ფაქტები და რეალური აზრები მათემატიკის გარეშე უდღეურნი არიან.
20680. აზროვნება არ იბეგრება, სანამ ის ინტელექტუალური საკუთრებაა და არ იბარტყებს.
20681. გაუგებარი, რატომღაც, ყოველთვის განსჯას იწვევს, იმის მაგივრად, რომ მის შესაძლებლობებს ჩავწვდეთ.
20682. მეცნიერებასაც თავისი სულიერება აქვს, რათა მისი აღმოჩენის გათავისება ვნების მომტანი და გონებისთვის საწინააღმდეგო არ იყოს ამდენი ვაი-პოლიტიკოსის ხელში.
20683. სილამაზესაც თავისი პარამეტრები და ჭეშმარიტება აქვს, რომლის დადგენა მაინც გემოვნებაზეა დაყრდნობილი.
20684. ფილოსოფიასაც მოწესრიგება სჭირდება, რათა ღირებული აზრების ხაბა-ხუბას სწორი მიმართულება მისცეს.
20685. მეცნიერება იმას ხედავს, რაც უმრავლესობისათვის დაუნახავია.
20686. ჭეშმარიტების და შეცდომის გამრკვევ ავტორიტეტად „ღმერთის“ ზურგის ამოფარება არ გამოდგება.
20687. ფილოსოფოსობა ამქვეყნიური სიამოვნების მოყირჭების და გენის გათავხედების შედეგია, რადგან სიამოვნების მისაღებად აზროვნების მეტი არაფერი დაგვრჩენია.
20688. ჭეშმარიტება მაინც გზას იკვლევს დროის და საბოლოო შედეგის მიუხედავად.
20689. ფილოსოფიურ აზრთა ფორმულა აფორიზმია.
20690. ჭეშმარიტებაც დროის „ვაი-ჭკუისაგან“-ს ემორჩილება, გააჩნია, ვისი ან რისი დანახვა უნდა.
20691. მითების და სურვილების აღიარება უფრო ადვილია, ვიდრე გონიერების და ჭეშმარიტების გააზრება.
20692. გონებას უნდა დავუჯეროთ, მაგრამ ინტუიციაც უნდა დავგე-

შოთ და ვენდოთ.

20693. ფილოსოფია ყბედობა არ არის, თავისებურო პოეზიაა ფიქრის სამუშაოთი, ინტელექტის, სულიერების, ემოციების, მოშველიებით და სამყაროს შეცნობის მცდელობით.

20694. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჭეშმარიტება ფულის ქონება – არ ქონებაშიც დევს, რადგან შეძლების გარეშე ჭეშმარიტება იჩაგრება.

20695. ყველა თეორია მტკიცებას მოითხოვს, თუნდაც თეორიულად.

20696. სინამდვილე ზოგჯერ ყველა ილუზიას ბიშტს უჩვენებს, იმდენად გაუცნობიერებელია ადამიანის მეცნიერებისკენ ლტოლვის შესაძლებლობები.

20697. მეცნიერების შესაძლებლობები ამოუწურავია, თუ მასში გარეშე ძალა არ ჩაერევა.

20698. აზრს ყაირათიანობა სჭირდება, სულს – კეთილდღეობა.

20699. ცოდნა შეიძლება იყოს სერიოზული და არასერიოზული, გააჩნია ვინ რა დროს და როგორ გამოიყენებს.

20700. ხშირად ყველაზე მთავარი კითხვა უპასუხოდ რჩება და მას რატომღაც გასარკვევად მომავალს უტოვებენ.

20701. პრაქტიკა თეორიას ვერ უსწრებს, მაგრამ ხშირად ჯობნის.

20702. განსჯა ადვილია, მასში ამოცურებული საღი აზრის დაჭერა და მოხმარა – ძნელი.

20703. ჭეშმარიტება ხშირად ფუჭი ძიებითაა დაკავებული, რადგან დრო მხარს არ უბამს.

20704. ერთ გონიერებას მეორე გონიერებასთან საერთო ენის გამონახვა სურს, ოღონდ თავისი „მეობით“.

20705. ყველა მოსაზრების ნაკლს სახალხოდ განსჯა სჭირდება, რათა მან ჩვენი ცნობიერების დაღვინება შესძლოს.

20706. ცოდნა ყველაზე დიდი სიმდიდრეა, თუ მას მცირეოდენ ყურადღებას არ მოვაკლებთ.

20707. ჭეშმარიტების ძიებაში ხშირად სული უიმედოდ იღლება და ხორციც იცვითება.

20708. ჭკუის ნაღვაწის ენით მოთარგმნა-ამეტყველება, არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით სჩანს.

20709. შეხედულებებს დრო, გარემო, გონის ჭყლეტა, აყალიბებს და არა – თავსმოხვეული სარწმუნოება.

20710. ცნობისმოყვარე უცოდინარი ყოველივეს ღრუბელივით ისრუტავს, მაგრამ კარგისა და ცუდის გარჩევა უჭირს.

20711. სწავლას, ცოდნის დაუფლებასაც, „თავკონტროლი“ სჭირდება, რომ უგუნურებით არ გაგანათლონ.
20712. ვნებების მონობას, მოძალებას, რატომღაც ის სულიერება უარყოფს, რომლისთვისაც ჭეშმარიტებისკენ რეალურად მიმავალი ბილიკი უცნობია.
20713. ცოდნად ის უნდა აღვიქვათ, რაც ხვალ გამოგვადგება და არა ის, რაც მხოლოდ დღეს გვადგება.
20714. ბოლომდე დღეს ვერც დედამიწას ვენდობით, იმდენ ჩვენთვის აუხსნელ უცნაურობებს გვთავაზობს.
20715. ჭეშმარიტებისკენ გული მეტად მიიწევს, ვიდრე გონება.
20716. თეორიას მოსწონს ურწმუნო პრაქტიკისთვის ყურის აწევა, ბიშტის ჩვენებით.
20717. ფაქიზ აზრებთან ჩალიჩი, სათუთად შეფუთვნილი გონიერების საქმეა.
20718. ორჯერ ორის ოთხობას ჩვენი ეჭვებიც კი ვერას აკლებს.
20719. ხშირად უფრო სურვილი გვილახავს რეპუტაციას, ვიდრე რეალური მცდელობა.
20720. ძალისა და შემართების დაზოგვა გონიერებით შექმნილ შედეგებს არ ვნებს.
20721. ურთიერთგამომრიცხავი აზრები შეიძლება სხვადასხვა გარემოში, სულის გასალაღებლად და ჭკუის სავარჯიშოდ მოგვივიდეს, მაგრამ ჭეშმარიტებისკენ ადამიანის მისწრაფება უცვლელია.
20722. ჭეშმარიტებას ჭკუის ჭყლეტა ადგენს აზრთა რაოდენობის მომარაგება-მოზიდვით.
20723. მეცნიერება ბალანსირებასთან გვაახლოებს, მაგრამ ბუნებას ვნებს, მისი ზედმეტად ათვისება-გაკულტურების მცდელობით.
20724. გონიერებას ზოგჯერ ევოლუციური განვითარება აღიზიანებს, რადგან ესმის, რომ მისი დაჩქარება შესაძლებელია.
20725. ფილოსოფოსისთვის უმთავრესია ჭეშმარიტების მიგნება.
20726. ძალზე ძნელია იმ აზრისთვის პატივის მიგება, რომელსაც შინაარსი – არა, მაგრამ პრეტენზია აქვს.
20727. გონიერებას ორგანიზებული ვარჯიში სჭირდება კერპებზე მიბაძვით.
20728. უცოდინრობას, უძლურებას, უგუნურებას, განსჯა მაშინაც სჭირდება, როდესაც შედეგი სახეზეა.
20729. ჭეშმარიტებასთან მისვლა ძნელია, მისი დაცვა და თანამედროვეთათვის წარმოჩენა – უფრო ძნელი.

20730. წარმატებულია მეცნიერების ის დარგი, რომელსაც მათემატიკა შეეხიზნება, რათა მან თავისი მეორე „მე“ წარმოაჩინოს.
20731. სიბრძნის შეძენას, მისთვის შესატყვისი ტვირთის ტარება, ანიდან ბანამდე მცდელობით სჭირდება.
20732. გონიერების სწავლისადმი ლტოლვა უსასრულოა.
20733. გონიერებას ტვინის სიმძიმის თავის დახრის დროსაც არ რცხვენია.
20734. ზოგჯერ სასმენად სასიამოვნო სიტყვები სიმართლის ნიშანწყალსაც არ ატარებს.
20735. ზოგჯერ სიტყვა გონების ყველაზე რაციონალურად აღზრდის საშუალებაა.
20736. სწავლა სიკეთის ბაირაღია და გონიერების დროშა.
20737. ბრძენის მონახვას მცდელობა უნდა, უფრო მეტი გარჯა კი – მის გაგებას.
20738. სიბრიყვეს უფრო ხშირად ანახლებენ, ვიდრე გონიერების ნაჟურს.
20739. ბრიყვსაც თავისი „გონიერება“ აქვს, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის გაუგებარია და მარად ასეთად დარჩება.
20740. ხუმრობა და სერიოზულობა სინონიმებად იქცევა, თუ მათ გონიერება გამოყენების ადგილს შეთავსებით მიუჩენს.
20741. ჭეშმარიტებას ვაჭრობა არ უყვარს, ის ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიცაა.
20742. წინასწარ აკვიატებულ აზრს, მათემატიკის მოშველიებით, მრავალგზის გადამონმება სჭირდება.
20743. შემოქმედება დაუოკებელთა, გაუხედნავთა, ჯირითით ფასობს და არა – მორჩილებით და დამყაყებით.
20744. ამბიციები, ავყიაობა, უვიცობა, აი, ჭეშმარიტების უპირველესი მტერი.
20745. მათემატიკა, სიზუსტე, ისეთ დარგებსაც ესაჭიროება, რომლებსაც მათზე წარმოდგენაც არ აქვთ.
20746. საუბარი, პირველ რიგში, მეტყველების მოწონებას მოითხოვს და შემდგომ აზროვნებისას.
20747. არეული აზრების მოწესრიგება ფილოსოფიის საქმეა.
20748. ბრიყვთა დოღის შემდგომ უგუნურთა მარულაში გონიერება არ მონაწილეობს.
20749. ბავშვის სამართლეს გონება ვერ სწვდება.
20750. გონიერება კაცსაც შეიცნობს, პიროვნებასაც, მისი შესაძლე-

ბლობების პერსპექტივასაც.

20751. სიბრძნე აქსიომაა, როდესაც გონიერთა ხელში არაფრის მტკიცება არ სჭირდება.

20752. მჭერმეტყველება, „თავკონტროლის“ გარეშე, მზადაა სისულელის საფრქვევად.

20753. გენიოსთა აზრებთან გაჯეჯილება ყველაზე დიდი სიამოვნებაა გონიერებისთვის.

20754. ადამიანის საბოლოო შეცნობა, იმქვეყნადაც რომ გაჰყვე, შეუძლებელია.

20755. საკუთარი საწყისის ნახვა გონების მიღწევის მაქსიმუმია.

20756. გონიერება მხოლოდ დაკვირვებებით არ კმაყოფილდება, უნდა იმოგზაურო, იღვაწო.

20757. დაკვირვების უნარი გონების გახსნის მაჩვენებელია.

20758. საკუთარი თავის შეფასება, თავისებური აღებ-მიცემობაა, დაფასება-შევაჭრებით.

20759. ერუდიციის ფესვებზე ხშირად ჭეშმარიტება ვერ ხარობს, რადგან მან ცხოვრების კაურები არ იცის.

20760. ჭკუით ნაღრძობ ყველა აზრს გადამოწმება სჭირდება, იქნებ მასში რაღაც საინტერესომ და საიმედომ გაჟონოს.

20761. გონიერების სიშლეგესთან შერკინება გონიერებისვე გადამოწმებაა.

20762. გონიერების ალიყური სჯობს უგნურების მორთმულ ნობათს.

20763. ინტელექტი, ცოდნა, ინფორმაცია, თავს ყველგან იმედიანად გრძნობს.

20764. ფაქტი განსჯით უნდა მოვიპოვოთ, უიმისოდ კი ის შიშველ ფაქტად რჩება.

20765. მოკლე შინაარსიანი, ყველასათვის გასაგები, აზრი, სიტყვა, ძვირად ფასობს.

20766. გონიერებას წინჭვრეტა, გამოცდილება, ბედი, აძლევს უნარს, რომ უგუნურების კლდეზე არ გადაიჩეხოს.

20767. ზოგჯერ საქმიანი ყბედობა მისაღებია, რადგან სერიოზული საუბრისაგან განსხვავებით, უკეთეს შედეგს იძლევა

20768. ჭეშმარიტებაა ხშირად ჭეშმარიტების მტერი.

20769. საჭირო ცოდნის გამომზეურებას და არცოდნის დამალვას გონების მოხმობა სჭირდება.

20770. ბრძენი თავს თუ სულ ბრძენად გრძნობს და ბრიყვი ბრიყვად, ორივე გამოუსწორებელი ბრიყვია.

20771. განათლება ხვნაცაა, თესვაც, მოვლაც, მომკაც და დაბინავებაც.
20772. გონიერების ჩაქუჩს ყველასათვის მისაღები ბედის გამოჭედვა შეუძლია.
20773. თანამგზავრად აკიდებულ სისულელეს უნდა ვერიდოთ და ხშირ-ხშირად გონიერების წიხლით უნდა ჩავზილოთ.
20774. სისულელის თქმას ლაზათიანი ალიბი არ შველის.
20775. პოლიგლოტობა, ბევრის ცოდნა, კარგია, თუ მის რეალიზებას ახერხებს.
20776. სიტყვასაც განსჯით დაღვინება სჭირდება, თუ დროზე ადრე არ აყბედეს.
20777. დუმილის დარღვევა ისევ გონიერებამ უნდა ითავოს ფხიანი სიტყვით და აზროვნებით.
20778. ფილოსოფია ყველას ეხება გვერდში დაუდგომლად.
20779. ფაქტები, ჭეშმარიტების ძებნაში, ან იკარგება ან აღარ უნდათ მასთან მეგობრობა.
20780. მეცნიერს თავისმა აღმოჩენებმა გზა არ უნდა აურიოს, თორემ ნაღვაწი დაიკარგება.
20781. ჭეშმარიტების არსში ჩაწვდომა აზროვნების აქილევსის ქუსლია, აზრი ფეხებით გვიჭირავს, მაგრამ მის რაობას ბოლომდე ვერ ვწვდებით.
20782. გონიერება ჭკუის დანაგვიანებას უნდა ერიდოს და ეცადოს მისი სისუფთავე შეინარჩუნოს.
20783. საუბრიდან მიღებულ კაიფს, ზოგჯერ გონიერებაც კი ვერ ედრება.
20784. ჭკუის სრულყოფას დროულ ჭიტლაყზე უკეთ არაფერი უხდება.
20785. ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, მაგრამ ავანტურისტული გონება ამისკენ მიისწრაფვის.
20786. ჭეშმარიტების ოპონირება მასვე წარმოაჩენს და ეხმარება თავის მეობის დაცვაში.
20787. ცოდნის ათვისება განუსჯელობას მოითხოვს ოღონდ სიყვარულით.
20788. ახალი ჭეშმარიტება ძველი ჭეშმარიტების შეცდომებს ძნელად ინელებს.
20789. ჭეშმარიტება ღრმა ცოდნას ითხოვს, რადგან ზედაპირული მას ლაქას ამჩნევს.
20790. ძველი ცოდნის დაბნეულობა, არასრულყოფა, ახალს რატომღაც ფეხს უდებს.

20791. ჭეშმარიტება პატივის მიგებას გონიერებისაგან ითხოვს, რადგან უგონონი მას მაინც ვერ გაუგებენ.
20792. ჭკუა სიბრიყვის კაურებით უნდა ვისწავლოთ, რომ უგუნურებაში არ გავეხვიოთ.
20793. ჭკუას მომეტებული ლესვა-ფხეკა ვნებს.
20794. ჭეშმარიტება, რომელიც მარტივია, დიადიცაა, რადგან ყველასათვის მისაღებია.
20795. შრომა ნიჭის გარეშე და პირიქით, არაფერია, თუ გვინდა ამქვეყნად რაღაცას ვეწიოთ.
20796. წინჭვრეტას განსჯა მარად გვერდში უდგას, მოსალოდნელი უგუნურების „გამოსამზეურებლად“.
20797. ჭკუის სწავლა ყველგან და ყოველთვის შეიძლება, გააჩნია შენს შესაძლებლობებს.
20798. ფილოსოფოსი ის თერაპევტია, რომლის რეცეპტებს იწერენ, მაგრამ არ იყენებენ
20799. უვიცს ყველაფერი შესაძლებლად მიაჩნია და თქვენ წარმოიდგინეთ, მართალიცაა.
20800. ჰიპოთეზას უარყოფა არ უყვარს, მხოლოდ – ჩასაფრება, დროის შერჩევა და ტექნიკურ პროგრესზე ჩაბღაუჭება.
20801. ჭეშმარიტების ჩაწვდომას კაცობრიობის ყველა იმ საფეხურის შეცნობა სჭირდება, რაც მას გაუვლია.
20802. ჭეშმარიტება, მართალია, ავტორიტეტს არ ცნობს, მაგრამ იძულებულია ზოგ მათგანს ანგარიში გაუწიოს.
20803. ამომწურავი პასუხი სასარგებლოა – ზედმეტ კითხვებს აღარ სვამენ.
20804. დღევანდელობის ცოდნა მომავლის ცოდნის გარანტიაა.
20805. აზროვნებასაც თავისებური ხვნა-თესვა უნდა, გონიერების მოვლა-პატრონობით.
20806. გონიერებისთვის უმთავრესია მისი დანიშნულების ცოდნა ამ სამყაროში.
20807. ჭეშმარიტ ღირსება-ღირებულებასთან ჩახუტება ყოველთვის მომგებიანია.
20808. აზროვნება ის ელმავალია, რომელიც, ავად თუ კარგად, ადამიანის ცნობიერებას წინ მიათრევს.
20809. რატომღაც სიტყვაძვირობა მეტად ფასობს, ვიდრე საკითხის გასარკვევად ფაქტების მოტანა და სიმართლის მტკიცება.
20810. გაგონებისაგან განსხვავებით, მოსმენას აზროვნება სჭირდება

დასკვნების გამოტანით.

20811. დროს, ადგილის, ვარაუდის, მიზნის, გაერთიანება, წარმოსახვითი საუბრის ბაზისია.

20812. შედეგის მისაღებად, საუბრის უმთავრესი პარამეტრებია ძალისხმევა და მოპაექრის რიდი.

20813. ნორმალური მუშაობა ურთიერთდაპირისპირების დროს გამორიცხულია, მაგრამ აღმოჩენა და სიახლე შესაძლებელია.

20814. არის შეცდომა, რომელიც გამოსწორებას არ ექვემდებარება და დროულად უნდა იქნეს დავიწყებული.

20815. ჭეშმარიტების ძებნას თავისი გენი, ჯიში და ჯილაგი სჭირდება, რათა აღებული გზიდან არ გადაუხვიოს.

20816. ჭეშმარიტება მძულვარებას და პირფერობას უნდა ერიდოს, რადგან მათთან დაპირისპირებას უამრავი ენერგია მიაქვს, ხშირად უშედეგოდ.

20817. ბევრი თუ ხარისხში არ გადაიზრდება, ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს.

20818. აზროვნება სიახლეს მოითხოვს, ძველთან შეჯერებით და უკეთესად.

20819. ის, რაც არ ვიცით და არც ჩვენი საქმეა, უგუნურებმაც კი არ უნდა შემოგვთავაზოს.

20820. სისულელეების თქმა სიახლეს ვერ წარმოშობს, თუ გონიერება მას თავის ჭკუაზე არ მოთარგმნის და მასში აზროვნების ღლავის დაჭერას არ დაიწყებს.

20821. ვისაც თავიც და ცხოვრებაც ფეხებზე ჰკიდია, არც უნდა ეკამათო და არც უნდა დაიახლოვო.

20822. ჭკუას, გონებას, განსჯას, ისევ მათემატიკასთან ჩახუტება წარმოაჩენს, იმისდამიუხედავად, ადამიანი აცნობიერებს ამას თუ არა.

20823. საუბარში შეჩერება მაშინ სჯობს, როდესაც მსმენელს უყურადღებობას შეატყობ და დაძაბულობის მომენტი განეიტრალებულია.

20824. სიტყვების დასაჭურისება აზრთა გარყვნას იწყებს.

20825. ყველა სახის განძს, მათ შორის, სულიერს, ყოფიერს, საცოდინარს, მოვლა უნდა გონიერებაზე გასაღების მორგებით.

20826. მეცნიერებას ადამიანის რაობის აღქმა, ახსნა და სულში ჩაწვდომა ყოველთვის გაუჭირდება.

20827. ჭეშმარიტებას თავის გამოჩენა არ უყვარს, მაგრამ არც აღიარების წინააღმდეგია.

20828. მხოლოდ ანალიზის უნარი გვაძლევს უფლებას შევიცნოთ ადამიანის ბუნება.
20829. ზოგჯერ ინტუიციით იმასაც კი ვგრძნობთ, ჩვენი თანამედროვე როგორ მოიქცევა იმქვეყნად.
20830. სიბრძნე გონიერებას იმიტომაც „ეჭიდავება“, რომ მოსალოდნელი გაუგებრობა გასაგებად აქციოს.
20831. სიბრძნეს ყველა ადიდებს და პატივს მიაგებს, იმისდამიუხედავად, წვდებიან მის აზრს თუ არა.
20832. სისულელის მოსმენასაც ბრძენი შედეგიან, გამოსაყენებელ და გასათვალისწინებელ დასკვნებისთვის იყენებს.
20833. უგუნური აზრის დამარცხება ძნელი არ არის, მისი ფესვების ამოთხრაა ძნელი.
20834. ცუდის ცოდნაც კარგია, საერთო ცოდნას ხელს არ უშლის.
20835. აზროვნება, უნდა – არ უნდა, ყოველთვის წინააღმდეგობაში ვარდება.
20836. გონიერებამ თავისი აზრები სხვის აზრებზე მორგებით უნდა გამოხატოს.
20837. გონიერება ხშირად ენის აზროვნებაზე გამარჯვების შედეგად ვლინდება.
20838. უგუნურების თავის ტვინის ანაბეჭდს სხვა ათას ანაბეჭდში უშეცდომოდ ამოიცნობენ.
20839. მთავარია ორიგინალური აზროვნება, გადატრიალებული გონებით, რომელიც განათლებასაც იძენს და გამოცდილებასაც.
20840. გონიერებასაც მოთოკვა სჭირდება, რომ დროის შესატყვისად სწორ გზაზე დადგეს.
20841. სიბრძნე თანმიმდევრობითი ცოდნაა, საქმის კეთებით.
20842. უგუნურებას რა სურს, რით „დასაქმდება“, თავადაც არ უწყის.
20843. საქებარად ქცეული აზრიც სწავლა-მოხერხებას შემართებით მოითხოვს.
20844. გამოცდილებაც აღიარებას და დაბანდებას მოითხოვს.
20845. არასრულყოფილ ცოდნას არცოდნა სჯობნის იმ შემთხვევაში, როცა პირველი მის შევსებას დაღვინება-დაწმენდით არ ცდილობს.
20846. გონიერებას ყველაზე მეტად სიბრძნესთან ურთიერთობა სჭირდება.
20847. გონიერება ყველა ნათესავ-მეგობარს სჯობნის თუ ის დროულად გადმოგხედავს.
20848. გონიერება მარად ყბედობისთვის გამზადებული მუხრუჭით

გადაადგილებაა.

20849. ჭეშმარიტების შეცნობისთვის ტვინის ჭყლეტას ისევ საკუთარი თავის შეცნობაზე ტვინის ჭყლეტა სჯობს.

20850. გონიერება, ფანტაზიისაგან განსხვავებით, საგნებს ისე აღიქვამს, როგორც არის და არა ისე, როგორც მიაჩნია რომ იყოს.

20851. ფილოსოფია ყოველთვის სიბრძნის ოკეანის შუაშია და რომელ ჭეშმარიტებას მიადგეს, ვერ გარკვეულა.

20852. დუმილი და ენაზე კბილის დაჭერაც არგუმენტია.

20853. გონებისთვის, ჭკუის ჭყლეტით, ბევრი რამ მისაღებია.

20854. ფილოსოფია განგების პოსტულატებს უახლოვდება, მაგრამ მასთან არ ერთიანდება.

20855. გონიერება მეგობარს არ ეძებს, მას ჭკვიან ხალხთან „დავალდებულების“ გარეშე ურჩევნია ყოფნა.

20856. ცოდნის ხარისხს მისი შედეგიანი გამოყენება განსაზღვრავს.

20857. კამათს ავტორიტეტის მოშველიება ალამაზებს, მაგრამ ხშირად არ შველის.

20858. ჭკუის სასწავლად იმის მოსმენაც საჭიროა, რაც არ გვსიამოვნებს.

20859. გონიერება ძლიერ მოწინააღმდეგეს მასწავლებლად იყენებს და მისი უჩინარი და ბეჯითი მოსწავლე ხდება.

20860. გემოვნება-გონიერება, მიზეზი-შედეგი, პროცესი-მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ახლოს არიან, ძნელად უგებენ ერთმანეთს.

20861. ჭეშმარიტება სიყალბეს ვერ იტანს, მაგრამ დროის შესატყვისად ეგუება.

20862. აზროვნებასაც გარანდვა სჭირდება, რათა მისი ინსტინქტების მარგი ქმედების კოეფიციენტი ამაღლდეს.

20863. სისულელის „ჭკუის ჟონვა“ მაინც სისულელედ აღიქმება, მის რაობაში ღრმად ჩაწვდომამდე.

20864. ყველა ეჭვი დარწმუნებას, საბუთს, მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჭორია.

20865. ჭეშმარიტების მაძიებლისთვის შიში რა მოსატანია.

20866. სიბრძნესაც კბილების გაალმასება სჭირდება აზრის დასაღეჭად და მოსანელებლად.

20867. გონიერება შემთხვევას ვერ უგებს, მაგრამ მასთან დამეგობრების სურვილი დიდი აქვს.

20868. ურთიერთმიმნდობი საუბარი შედეგს იძლევა.

20869. ყველა საეჭვო, სათუო, ცოდნა შეცდომა-გადაცდენის დედაა.

20870. ჭკვიანის მსახური შექებაა და არა – სიმდიდრე.
20871. ფილოსოფია უცნაური დარგია, რადგან ფილოსოფოსის ტვინში რა აზრი წამოყოფს თავს, გამოუცნობია.
20872. მლიქვნელებს, პირფერებს, მხოლოდ ბრიყვები მიჰყვებიან ბადეში, ფეხის დაუსველებლად.
20873. აფორიზმი ჭეშმარიტების შეცნობაა არჩევით, რადგან ზოგის აზრს შენი ემთხვევა, ზოგს – არა, მაგრამ გონიერებათა ჭიდილი რომ არ იგრძნო, შეუძლებელია.
20874. გონიერება, უმეტესად, პარქტიკულ მიზნებს დასდევს და საკბილოსაც პოულობს.
20875. ხშირად პროგრესი და ცოდნა ძმადნაფიცებად გვევლინებიან.
20876. იდეა ყოველთვის რეალობაზე წინ დგას და ამიტომაც დროულ გამოხმაურებას მოითხოვს.
20877. ყველა აზრს გამარგვლა სჭირდება, რათა მისმა „გაჯეჯილებამ“ გაგვახაროს და გაგვაამაყოს.
20878. აზროვნებას, გონების გარდა, გენთან შეჭიდებაც სჭირდება.
20879. ფილოსოფია ცოდნის სალაროა, მაგრამ რეალობაში თითქმის არავინ იყენებს.
20880. გონიერება უაზრო დაპირისპირებას ვერ ეგუება.
20881. გონიერება სხვის შეცდომებს კარგად იყენებს საღი განსჯით და ჭკუის დამოძღვრით.
20882. ყველაზე მძლავრი იარაღი გონების ბოროტად გამოყენებაა.
20883. მრავალსიტყვაობა საქმის კეთებას ხელს უშლის.
20884. ღირსეულ აზროვნებას ღირსებით აღსავსე გრძნობათა ჩოჩქოლი სჭირდება.
20885. ყველა ჩვენგანის ცოდნა შემოსაზღვრულიცაა და უსასრულოც.
20886. ცოდნა, რომელსაც სარგებელი არ მოაქვს, ავტორიტეტით არ სარგებლობს და ალმაცერად უყურებენ.
20887. მარადიულ ჭეშმარიტებას ისტორიაზე მწყრალად მყოფი ხალხები ეწაფებიან, რომელთათვის დრო თითქოს არ იცვლება.
20888. ფილოსოფოსობა ადამიანის სულიერი თავისუფლების მაჩვენებელია, თანდაყოლილი ნიჭის და შეძენილი ცოდნის ხარჯზე, დროის ყივილის გათვალისწინებით.
20889. ნაადრევი ცოდნით დახუნძვლა, „ვუნდერკინდობა“, იშვიათად იძლევა გენიოსს. ამიტომაცაა, რომ ყოველივეს და მათ შორის, ცოდნასაც, დაღვინება სჭირდება.
20890. ფილოსოფოსობა, გულის ჩარევის გარეშე, ცარიელი, გამოუსა-

დეგარი, განყენებული ცოდნაა.

20891. ორიგინალური აზრები ინტელექტუალური საკუთრებაა და მის შეფასებას – გამოყენებას „გადატრიალებული გონება“ სჭირდება.

20892. ყოველი ძველის ახლებურად თქმა შეიძლება, იმგვარად, რომ ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად დარჩეს ახალ სამოსელში გამოწყობილი.

20893. რწმენა ემოციებს უფრო მეტი აქვს, ვიდრე ჭკუა-გონებას.

20894. კონსესუსისკენ მიმავალი დიალოგი შიშველი და გამჭვირვალე უნდა იყოს.

20895. სიბრძნე, გონიერი კაცისთვის, ცხოვრების ალიყურების და დაცინვის შედეგია.

20896. წერტილდასმული საბოლოო სიტყვა ყველა მანამდე ნათქვამი სიტყვების განმსჯელი ჯალათია.

20897. ყველა გაკვირვება ცოდნის შეძენის სურვილის დასაწყისია.

20898. რწმენა საკუთარი რელიგიაა, რომელიც ჭეშმარიტებასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს.

20899. ეჭვი სინამდვილესთან მიახლოებული მირაჟია.

20900. ყველანი ჭეშმარიტებისკენ ვილტვით და სულიერებას ვითბობთ, მიუხედავად მასში გარკვეული კაურების შემოპარვისა.

20901. სიბრძნეს იმთავითვე ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ რატომ, მათთვისაც გაუგებარია.

20902. სიბეჯითე, გარდა იმისა, რომ დიდი საუნჯეა, სიბრძნესთან მეგობრობას ცდილობს.

20903. ახალი აზრებით ვაჭრობა გონიერების გადახურდავებას იწვევს, მაგრამ შედეგს იძლევა.

20904. ყველაფერს საზღვრები უნდა დავუწესოთ, მათ შორის, სიბრძნის რეალიზაციასაც, რათა სხვათა გონების გადახურდავება არ მოჰყვეს.

20905. სიმართლეს ბევრი მტერი და აუგად მომხსენიებელი ჰყავს, მაგრამ ვერც ვერას ავნებენ.

20906. ჭკუა შეიძლებს იყოს ლამაზიც და ულამაზოც, მაგრამ მის დადგენის კრიტერიუმი ჩვენთვის უცნობია.

20907. ფილოსოფია სულიერების თავისუფლად აღზრდის მცდელობაა, მოჭარბებული გონიერების გარემო მოვლენებზე მორგებით და შეცნობით.

20908. ჭეშმარიტებასთან გაჯეჯილება და მისი პოვნა თავისებურ მსხვერპლს მოითხოვს.

20909. სიბრძნეს რეგალიები არ სჭირდება, მთავარია საყოველთაოდ მისაბაძი და აღიარებულ იქნეს.
20910. ჭეშმარიტებას ხილული ოცნება-გამოცდილების მქონე აზროვნება სწვდება.
20911. მეცნიერისთვის უმთავრესია სიახლის ხედვის ნიჭი.
20912. უგუნურება განსჯითაც და განუსჯელადაც უგუნურებად რჩება, რაზეც ტვინის ჭყლეტა არ ღირს.
20913. ცრურწმენას მეცნიერება ებრძვის და ცივილიზაცია დევნის, მაგრამ მისი ამოძირკვა არ ხერხდება, იმდენად დიდია სამყაროს საოცრება. და მის წინაშე ქედის მოხრის სურვილი.
20914. ცოდნის გამოყენება ყველგან შეიძლება, თუ ამის უფლებას დრო და ხელისუფალი გვაძლევს.
20915. „მგონიასა“ და „ვიცის“ შორის ის სხვაობაა, რომ ერთი მთლად არაა დარწმუნებული, მეორე სხვის აზრებსაა მიკერებული.
20916. ჩვენი აზროვნებაც თანდათან რევიზიას განიცდის, მაგრამ მის გამოსწორებას საშველი არ ადგას.
20917. ერთდროულად პოეზია, მათემატიკა, ლოგიკა-რიტორიკაა, ადამიანს ყოველმხრივ წარმოჩენას და დასამახსოვრებელ საქმესაც რომ აკეთებინებს.
20918. სწავლას, დამოძღვრას, საზღვარი არ აქვს, განსაკუთრებით, თუ მისი სასიკეთოდ და ყაირათიანად გამოყენება იცი.
20919. გონიერება საკუთარი თავის წინაშე მარად უცოდინარია, უგუნურისგან განსხვავებით.
20920. ცრურწმენას მეცნიერება ებრძვის, მაგრამ ვერ აღმოფხვრის, იმდენ ახალ „საოცრებას“ გვთავაზობს ბუნება.
20921. ცოდნა ის იარაღია, რომელსაც მარად გამარჯვებისკენ მივყავართ, თუ ნიჭიც მხარში ამოუდგება.
20922. გონიერებაა, რომელიც ამ სამყაროს საოცრებებში ჩაწვდომას ცდილობს, და ალბათ მომავალში შეძლებს კიდეც.
20923. სამყაროს ჩვენი აზროვნებისთვის საჭირო უამრავი შეუცნობელი და შავი მხარე აქვს, რომელზედაც ზოგჯერ დაფიქრებაც არ ღირს.
20924. გონიერებას მუდამ აუთვისებელ ყამირთან შებმა უწევს, სწორი გზაზე რომ იაროს.
20925. აზროვნება ცხოვრების მთავარი მონოპოლისტია.
20926. ჭეშმარიტების შეცნობასაც თავისი სილამაზე და კაიფი ახლავს.
20927. ზოგჯერ აზრობრივი სიხარული, მოთმინებით გამართლებას მოაქვს.

20928. დღეს გონიერებაც ხანდახან არაფოტოგენურია, მას ზოგჯერ კონკურენციას ვულგარული ცნობიერების გაპიარება უწევს.
20929. ინსტინქტი გონიერებასთან ვერ მოვა, მაგრამ ზოგჯერ განსაცდელის შეცნობას ახერხებს.
20930. წარსულის და მომავლის განსჯას ზოგს გონიერების უღრან ტყეში სიარული ურჩევნია.
20931. ჭეშმარიტება ყველას თავის საზღაურს მიუზღვევს, ფარულად იქნება ეს თუ აშკარად.
20932. საბოლოო დასკვნების გამოტანა ყოველთვის ძნელი და არასაიმედოა, რადგან არსებობს რაღაც შეუცნობადი, რომელსაც დროდადრო ანგარიში უნდა გაეწიოს.
20933. გონიერების „უნარი“ უბედურებაშიც გვადგება და ბედნიერებაშიც.
20934. ფილოსოფიას მრავალმხრივ განათლებული მოჭიდავე უნდა და არა უგვანოთა ყივილი.
20935. განათლებისგან განსხვავებით, კონკრეტული ცოდნა შეზღუდულია, რადგან მხოლოდ განკუთვნილი საქმით უნდა იღვაწოს.
20936. გონება არ შეიძლება ყველაფრის საზომი იყოს, მაგრამ უნდა ეცადოს.
20937. საეჭვო „ცათა შინა ნეტარებას“ ისევ დედამიწაზე მისი სწავლა, აღქმა და განცდა სჯობნის.
20938. იდეებთან და იდეალებთან ჭეშმარიტების შეცნობის მიზნით გათამაშება, ფილოსოფიას სახელს ჰმატებს.
20939. ყველა მითი მომავლის რეალობაა, ოღონდ გონიერების მოხმობით.
20940. გონიერებას არ აქვს უფლება უგუნურებას „ვალი“ ბოლომდე დაუბრუნოს.
20941. სასიამოვნო, ვნებიანი, შემოქმედებითი, აზრები ხშირად გულიდან მოდის, ჭკუის დაუკითხავად.
20942. სიბრძნე იძლევა იმ ფუფუნების საშუალებას, რომ მარად შენი თაობის, დროის და მეობის კმაყოფილი იყო.
20943. ყოფის დაფასება-დაუფასებლობა, ქონება – არქონება, ცნობიერების ანალიზის უნარზეა დამოკიდებული.
20944. გონიერება მარად ჭეშმარიტების დადგენისთვის იღვწის, ძველის დროდადრო ნგრევით კი ჩანაფიქრსაც აღწევს.
20945. ფილოსოფია მარად გზაჯვარედინზე დგას და საით გვირჩიოს წასვლა, პოლიტეკონომიის თვალსაზრისით, მის ძალას აღემატება.

20946. აზროვნება ცხოვრების უარყოფით ინსტრუქციებს სასიკეთოდ გარდაქმნის.
20947. ფილოსოფოსები უაზროდ არასოდეს ხუმრობენ, ამიტომაცაა, რომ მათ მჭერმეტყველებას კარგი გამგონე სჭირდება.
20948. ხშირად გულიც განათლებით, ერუდიციით, ამაყობს.
20949. გონიერებაში სინათლის გამონათება სიკეთის საკეთებლად რაციონალურად უნდა განაწილდეს და არა – ჭაღის ნათურებივით.
20950. ცოდნას თავისი პარამეტრები აქვს და ის განსჯას არ ექვემდებარება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შეცდომა გარანტირებულია.
20951. ზოგჯერ გაჭირვება სიბრძნესთანაც დაგაახლოებს.
20952. ფილოსოფოსი „ჭკუანაღრძობი“ მეცნიერია, განსაკუთრებით, აუტისტთა კამპანიისთვის.
20953. ჭეშმარიტება, უპირველესად, სულმა უნდა იგრძნოს და ხორცმა უნდა გაითავისოს, რადგან სხვანაირად მისი შეცნობა შეუძლებელია.
20954. ჭეშმარიტებას მარად სუფთა ფურცელი სჭირდება, ნააზრევის წარმოსაჩენად და დასაღვინებლად.
20955. ჭეშმარიტებას ზომა-წონა არ გააჩნია, ის მხოლოდ განსჯისთვის არის მოწოდებული.
20956. პატარა ნაკვესები, აფორიზმები, ზოგჯერ უზარმაზარ ჭეშმარიტებას ღაღადებენ.
20957. კამათი რეალურ შედეგს მაშინ იძლევა, როცა ის ულამაზეს მეცნიერებას, მათემატიკას, გაუამხანაგდება და მისი ტოლობის დასკვნებს ანგარიშს გაუწევს.
20958. ფილოსოფია ხშირად ზუსტ მეცნიერებებზე დამყნობას მოითხოვს.
20959. მეცნიერების სიახლეებს გონიერება ისრუტავს.
20960. ვერც ბრძენსა და ვერც ბრიყვს საშენოს ვერაფერს ასწავლი.
20961. ცოდნაც უვიცობის ყავარჯენია, თუ ეს უკანასკნელი მისი ნააზრევის გაზიარებას ისურვებს.
20962. ჭეშმარიტებას ანკესის სატყუარით ვერ იჭერენ, რადგან ის გონიერების დიდი ღლავია.
20963. აბსოლუტური ჭეშმარიტებაც კი ცნობიერების რამდენიმე აზრთა ფრაგმენტის ნაჯვარია.
20964. დღეს, სამწუხაროდ, „ცოდნა–არ ცოდნა“ – საკითხავი სწორედ ეს არის, რადგან ცოდნა ხშირად ინფორმაციაში ეშლებათ.

20965. ლოგიკაც მათემატიკური ფორმულების ასავალ-დასავალს უნდა ეყრდნობოდეს და ემორჩილებოდეს.
20966. ჭეშმარიტებას ალტერნატივა არ აქვს, ის ან არის, ან – არა და „ბასტა“.
20967. ფილოსოფიას ჭეშმარიტებასთან გაბაასების გარდა, თავაზიანობაც სჭირდება.
20968. იყო უნივერსალური აზროვნებისა, კარგია, მაგრამ დარგის სპეციალობისთვის ნაკლია, რათა ნიუანსებში ჩაწვდომისთვის დროს არ დაკარგოს.
20969. ფილოსოფია სიტყვათა ანატომიის კვლევაა გონების დასაშვებ საზღვრებში.
20970. გონების მეგაბაიტი ვერც სამყაროს საოცრებას ჩასწვდება და ვერც მასში იბატონებს, რადგან სამყარო მარად შეუცნობადია.
20971. აზროვნება, უპირველესად ამქვეყნად ყოფნის გააზრებაა.
20972. აზროვნება სიცარიელესთან ჭიდილია.
20973. აზროვნებას ყოველთვის უჭირს რეალობაში ჩაწვდომა.
20974. სიმარტივე ჭეშმარიტების მშვენიერებაა, რომელიც გონიერებას დროულად თავის წარმოჩენის საშუალებას ჰმატებს.
20975. ციფრების მშვენიერების აღქმა მათემატიკაზე უკეთ არც ერთ მეცნიერებას არ ეხერხება.
20976. უნდა ვიცოდეთ ქაფის და მტვრის ბული რას ვამსახუროთ.
20977. გონიერება ნაშთებს ვერ იტანს და მათ „ლიკვიდაციას“ ცდილობს.
20978. გონიერების სიმრუდესაც აღმოჩენა უნდა, რადგან მათში შეიძლება გენიალობა გამოტყვრეს.
20979. გონების საჭყლეტ უკვდავ აფორიზმებს აბორიგენებიც აფრქვევენ და ცივილიზაციის მოტრფიალენიც, მაგრამ მათი ბედი მაინც ჩვეულებრივ მკითხველზე ჰკიდია.
20980. გონიერების ნაკრძალში ყოფნა დასვენების გარანტი არ არის.
20981. აზრი აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ყბედობა და ენის ქავილია.
20982. აზრებს არ იპარავენ, უბრალოდ, პრივატიზებას უკეთებენ და თავისად წარმოაჩენენ, მოკლედ: „იყო შენი, გახდა ჩვენი“.
20983. ზოგჯერ დასაბუთებული ეჭვი, ფაქტად ვერ იქცევა კარგი ვექილის ხელში.
20984. აზროვნება განსჯისთვის არის მოწოდებული, შერკინების მიზეზის მიუხედავად.

20985. აბსურდულ ყოფას ფილოსოფიის მოშველიება არ შველის.
20986. მეცნიერება შედეგს უამრავი შეცდომის დაშვების ხარჯზე იძლევა.
20987. უთქმელობას სათქმელი ყოველთვის ვერ ჯობნის.
20988. შედეგი ანოყიერებს ცოდნას.
20989. ყველა ადამიანს აზროვნების თავისი ყალიბი აქვს, რომელსაც ცეცხლით წრთობა, გრდემლი და ჩაქუჩი სჭირდება.
20990. ცოდნას, შემოქმდებითი მუხტის გარეშე, მესაჭეობა უჭირს.
20991. ჭეშმარიტებასთან ჭიდილი ბოროტების და სიკეთის ზღვარზე დგას.
20992. აზრიანი პოლემიკაა მისასალმებელი და არა – წინასწარ „ჩაწყობილ“ კითხვებზე პასუხი.
20993. პოლემიკა მჯობნის-მჯობნის გამოჩენას ხელს იმ შემთხვევაში უწყობს თუ დაპირისპირებული ძალები გათანასწორებულია.
20994. ცოდნას, რწმენისგან განსხვავებით, ხილული მოსწონს.
20995. დაავადების მიზეზს უნდა ვეძებდეთ უპირველესად და არა – შედეგს უნაყოფოდ ვმკურნალობდეთ.
20996. სიცოცხლის შეფასება-გადაფასება აზროვნების პარამეტრებს შორდება.
20997. მიზნის გარეშე ჭკუა უგვანობაა.
20998. ფილოსოფიური აზროვნება ყოველმხრივი განათლების გამო პატივს იმსახურებს, იმისდამიუხედავად, რომ მის პოსტულატებს სხვათა ნიშნის მისაგებად იყენებენ.
20999. სიბრიყვის საწყისის მოძიება შესაძლებელია, შედეგის განსაზღვრაა ძნელი.

ხელოვნება _ კულტურა

21000. ხელოვნება ვალდებულია უარყოფითი, გაუთვალისწინებელი, ისე წარმოაჩინოს, რომ მან აღფრთოვანება გამოიწვიოს და უპირატესობა და სიახლე აჩვენოს.

21001. იყო საკუთარი თავის ცენზორი უდიდესი ხელოვნებაა, რათა დროისთვის რაც მიუღებელია უნებლიედ არ წამოაყრანტალო.

21002. ხელოვნების ყველა ძაფი მაინც სამხატვრო გალერეაში იყრის თავს.

21003. ხელოვნებას ბევრი რამ შეუძლია, მათ შორის ის, რასაც სიტყვით ვერ გამოხატავს და არც სჭირდება.

21004. ხელოვნებას სქესი არ აქვს, მაგრამ სქესით ნიჭის წარმოჩენის წინააღმდეგი არ არის.

21005. წესიერს, მართალს, რიგიანს და პატიოსანს, თუ მას თავში არაორდინალური ოფოფები არ უზის, ხელოვნება არ სწყალობს.

21006. კულტურის მიზანია მისი მაცქერალის ინტელექტის ამაღლება. რაც შეეხება განათლებას და ინფორმაციას, თავადვე უნდა გათვითცნობიერდეთ.

21007. ცრუ რეალიზმიც არსებობს და ცრუ კლასიციზმიც, მაგრამ გააჩნია კრიტიკას.

21008. მოდა და პროგრესი სხვადასხვა პარამეტრებისაა, მაგრამ მიზანი ერთი აქვთ – ხელი მოითბონ.

21009. ყველა ხელოვანს თავის ნამუშევარზე მოთხოვნა ათავხედებს, იმისდამიუხედავად, იმსახურებს რეალურ აპლოდისმენტებს თუ არა.

21010. მსახიობმა სცენა ისე უნდა გაჟღინთოს ნიჭიერებით, რომ მასზე ოცნებით სიარული თავისი აპლოდისმენტებით, მაყურებელსაც უნდა შეეძლოს.

21011. ხელოვანისთვის უმთავრესია იმის შეგრძნება, რომ ის სჭირდებათ და მის ნაღვაწს პერსპექტივა აქვს.

21012. სიგიჟის, შეშლილობის, უგნურების აღიარება საკუთარი თავის წინაშე ხელოვნებაა.

21013. წარმატებული ხელოვნება ჰაერში დასეირნობს, დაფრინავს და პარაშუტის გამოყენებაზე არ ფიქრობს.

21014. ჯინსზე მოხერხებული, უპრეტენზიო და ხასიათის გამსწორებელი ტანსაცმელი ძნელად მოიძებნება.
21015. ხელოვნებაა უსქესო და არა მისი მსახური.
21016. საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმუმის ამოწურვა, ყოფა, ის ხელოვნებაა, რომელიც არსად არ ისწავლება.
21017. ხელოვნება ყველა დარგის „ტიკი-ტომარაა“, კარგი გაგებით.
21018. ხელოვნებაში ყოველივე მლიქვნელობაზეა აგებული. მსახიობს უნდა მაყურებლის ტაში დაიმსახუროს, პოპულარობა მოიხვეჭოს, ხოლო მაყურებელი ტაშს იმიტომ უკრავს, რომ მსახიობმა თავის ხელობა დახვეწოს და მის ფანატად იგულოს.
21019. კრივი ფეხებით ცეკვაა, ხელებით – ფარიკაობა, ტანის მოხდენილად გადაადგილება და არა ცემა-ტყეპა და ფსონის მოგება, რომელიც ასე აღელვებს და ასულელებს მაცქერალს.
21020. სიყვარული მეტად ფასობს, თუ ორიგინალურია, არასტანდარტულია, უნიკალურია, შესაშურია, რისკიანია, განსაკუთრებით, ხელოვნებაში, ხოლო ცხოვრებაში – რაც ბუნებრივია და განსჯილია.
21021. კულტურა გასათვალისწინებელი შედეგებით და თვითმყოფადობით უნდა ცხოვრობდეს და იღვწოდეს.
21022. ხელოვნების ლაბირინთებში სიარული მამაკაცებს უკეთ ეხერხებათ, მათი გაცნობის პროვოცირება ქალების ზეწოლით ხდება და მამაკაცებიც იძულებულნი არიან ქალებს კავალრობა გაუწიონ.
21023. ყველა პრემიერა აღმაფრენით და განცდებით მუხრუჭია და მისი რაობის შეფასება-შეჯერება მხოლოდ მაყურებლის ტაშს და კრიტიკის ოპონირებას შესწევს.
21024. მუსიკის გარეშე დედამიწას თავის ორბიტის გარეშე ტრიალი გაუჭირდებოდა და მოწყენილობა დაეუფლებოდა.
21025. კულტურა წინასწარ გაუთვალისწინებელი შედეგების შესატყვისად და მის გარემოში ცხოვრობს.
21026. ტალანტად წოდებულ „ფართომოხმარების“ მსახიობს, თავისი მაყურებელი ჰყავს და მის შესანარჩუნებლად იძულებულია რეკლამა აიწეპოს.
21027. აბდა-უბდა, უგვანო, ტუალეტის ხელოვნება, ყველას აინტერესებს და წასახალისებელ ჯილდოსაც ხელს გამოკრავს და ნიჭისადმი ეს უპატივცემულობა მას მაყურებლისკენ გზას უხსნის და ამკვიდრებს.
21028. ხელოვნებით გატაცებულ-მოწამლულ ნერწყვის ყლაპვასაც ტალანტი სჭირდება და არა მარტო სურვილი.
21029. თეატრის სცენა პროვოკაციულია და არარეალობის ხედვით,

უკვე ხელოვნებაა.

21030. ხელოვნებაში ტანჯვა-წამება და ბედნიერება ერთდროულად მოდის.

21031. შემოქმედის ძიების ხარისხს დრო განსაზღვრავს და განსჯის და არა – თანამედროვეთა აღფრთოვანება.

21032. შემოქმედება ნიჭის სასიამოვნო ექსპლოატაცია და საყვარელი საქმის მონობაა.

21033. წმინდანად ყოფნა შემოქმედი ადამიანის დაწყევლაა – სიცოცხლის მადლს ვერ შეიცნობს.

21034. მუსიკა, ეთიკა, პოეზია, კაცთმოყვარეობის სიყვარულით გამოხატვაა.

21035. თავისუფალი დრო ჯობს ხელოვნების შეცნობა-შესწავლას დაუთმოთ, ამქვეყნად თუ არა, იმქვეყნად მაინც გამოგვადგება.

21036. ჩვენ განსახიერებულ როლს ვეთაყვანებით და არა – თავად მსახიობს, რომელსაც ჩვენი ფანტაზიის დაკმაყოფილება მის შემოქმედებას მძიმე ტვირთად აწევს.

21037. ხელოვნურად ცრემლისღვრის ხელოვნება ეშმაკის ვნებასთანაა ნაზიარები.

21038. მოდასაც თავისი საწამლავი აქვს, რომელიც ხშირად გველის ნაკბენ შხამზე უარესია.

21039. ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაა ადამიანის გემოვნების ამაღლება, მსოფლმხედველობის განვითარება და არა – დროის მოკვლა, საქმიანობისგან მოწყვეტით.

21040. სიკეთის კეთებაც, თავისებურ შემოქმედებად და ხელოვნების ერთ-ერთ დარგად უნდა მოვიხსენიოთ.

21041. მომსახურების ხელოვნებასაც გონიერების ალგორითმი სჭირდება, რათა ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს.

21042. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის ფილოსოფია ყოველთვის გვერდზე მდგომად დარჩება.

21043. კინო ყველგან ოცნებას ყიდის, იმ სხვაობით, რომ თუ ევროპა-ამერიკის გადაღებულ ფილმში სადმე იარაღი გამოჩნდება, ის აუცილებლად გაისვრის, ხოლო ინდოეთის გადაღებულ ფილმებში პერსონაჟი აუცილებლად იცეკვებს და იმღერებს.

21044. მხატვარი პორტრეტში ადამიანის იმ ბუნებას ხატავს, რომელიც მასში ზიზღს ან შიშს და ან აღფრთოვანებას იწვევს.

21045. სასიამოვნო მოუბარს ეს ხელოვნება ბევრ საჭირო ხალხს შესძენს და სიკეთესაც მოუტანს, თუ სათნოებასაც მოხერხებით დააყოლებს.

21046. ორიგინალობა და ზომიერად „გაფრენა“ ხელოვნების ხალხს წარმოაჩენს, ჩვეულებრივ მოკვდავთ – სამუშაოს ხარისხით კეთება და საქმის ბოლომდე მიყვანა.
21047. რობოტული ბუნების ადამიანები ერთ ადგილს დიდხანს შემორჩებიან, შემოქმედი ბუნებისანი – გაცილებით მცირე ხანს, რადგან უკანასკნელნი იმ ინიციატივას იჩენენ, რომელიც „დასჯადია“ და კონკურენციის სუნი ასდის.
21048. ფერწერას მისთვის გასაგებ „სერვირებას“, სუფრის გაშლას, უწყობს ბუნება.
21049. შემოქმედს, ხელოვანს, ვნებას, მთელი სამყაროს გონიერება საკუთარ ჯიბეში აქვს გამომწყვდეული.
21050. შემოქმედის ვნებას აფეთქება სჭირდება, რათა დაგროვილი ენერგიისაგან გათავისუფლდეს და ახალი შექმნას.
21051. ხელოვნების ხალხს ნურც გავაფეტიშებთ და ნურც მივბაძავთ, მიუხედავად დიდი სიამოვნების მონიჭებისა, რადგან მათი ყოფის ელემენტები ჩვეულებრივ მოკვდავთა გონიერებას არ ესადაგება.
21052. მსახიობის მოვალეობაა მაყურებლის ნაღვლიანი წუთების მოთვინიერება-შემცირება.
21053. ხელოვნება ბუნების უნაზესი აღქმაა, განსჯით და შეხედულებებით.
21054. ხელოვნება, რომელიც მსმენელს, მნახველს, აღაფრთოვანებს და სიამის ცრემლს მოადენს, განგების სურვილთანაა ნაზიარები.
21055. სიტყვაც და მუსიკაც მატერიაა, რომელიც ჩვენს გონებას იპყრობს და სულს სივრცეში გადაადგილებს.
21056. ხელოვნებაც ვერ იქნება ყოველთვის პატიოსანი, რადგან მასაც თავისი ამბიციები აქვს, თავის წარმოჩენა და დაფინანსება სჭირდება.
21057. სასიამოვნო მუსიკა, სასმელი, ქალი, გარკვეული დროით უკვდავებას გვანიჭებს.
21058. განცდა შემოქმედების აუცილებელი საწვავია.
21059. მხატვარი, ფანტაზიის წყალობით, ნახევრადღმერთია, მაგრამ ამის შესახებ მან არაფერი იცის.
21060. მაყურებელი მოწოდებულია მსახიობი შემოქმედებითი წვისთვის აღაგზნოს და როლი იმდაგვარად მოირგოს, რომ გარდასახვით უპირველესად თავად აქტიორი დარჩეს კმაყოფილი.
21061. მხატვრობა ჩვენთვის შეუცნობელი აზროვნებაა, ნატურის აღქმით და დამახსოვრებით.
21062. ხელოვნებას ის შეუძლია გვაგრძნობინოს კვადრატში, რაც გულ-

თან მიგვაქვს და ჩვენია.

21063. ვნების ხელოვნებასაც დაუფლება სჭირდება, მხოლოდ ამის შემდგომ ედება ფასი.

21064. ხელოვნება თავისუფლად უნდა სუნთქავდეს, აზრებს აფრქვევდეს, გონს გვიბინდავდეს – მაშინ განვიცდით სიამოვნებას.

21065. კარგი მსახიობი როლს თავად აფასებს, სუსტს კი თავად როლი აფასებს.

21066. შემოქმედებითი კადნიერება ყველა დროში დასაფიქრებელია, მისასალმებელიც და საშიშიც იყო და იქნება.

21067. მუსიკის, ხელოვნების, წიგნიერების და თქვენ წარმოიდგინეთ, პატიოსნების მოდა უსასრულოდ მეორდება.

21068. დიდი შემოქმედება იქ იმსახურებს თავისი ნახელავის შეფასებას, რაც ჩვეულებრივი მომაკვდავისათვის წარმოუდგენელია.

21069. კულტურა დიდი „გამოგონებაა“ იმათთვის, ვისაც აღზრდით და გენით არაფერი ერგო.

21070. ხელოვნებაში ბევრი რამ შეიძლება პირობითი იყოს, სულის აღმაფრენის გარდა.

21071. ბუნება, მხატვრობასთან ერთად, უდიდესი ილუზიონისტია, რომლის გამოხდომების შეცნობა ჭირს.

21072. ხელოვნებას ძირითადად ჰაეროვნება, ორაზროვნება, საოცრება, არასტანდარტულობა, უნდა ახასიათებდეს. რაც შეეხება გონიერებას, ტექნიკას, მცდელობას, მეორადია და დამხმარე.

21073. შეყვარებულთათვის ყველაზე კარგი მუსიკა ურთიერთ გულისცემა.

21074. სილამაზე, პოეზია, აღმაფრენა, სინონიმები და სიამოვნების წყაროა.

21075. წყევლა, გინების კულტურული ფორმაა.

21076. ხელოვნება, შემოქმედება ხშირად ტრაგი-კომედის ფაბულაზეა აკინძული.

21077. შემოქმედება საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნების გვერდზე დგას და ამით საზრდოობს.

21078. ხელოვნება სიცოცხლის სასიამოვნო დანამატია, რომლის გარეშე ყოფა გაუფერულდებოდა.

21079. მღვდელმსახურთ ალბათ უნდა სწამდეთ ღმერთი, რადგან რწმენის ხარჯზე იკვებებიან და მათთვის მისაღებ ყოფას აწესრიგებენ.

21080. მსახიობის იმპროვიზაცია, უპირველესად, მართალი უნდა იყოს, რათა მაყურებლისთვის მისაღები და დასამახსოვრებელი გახდეს.

21081. ხელოვნება, შემოქმედება, ის საქმიანობაა, რომლითაც ღმერთთან შეიძლება დაწმენდილი სინდისით მიხვიდე.
21082. ყველა შემოქმედი, თავის განცდებს, მსოფლმხედველობას, შინაგან სიყვარულს, ექსპლოატაციას უწევს, გატირაჟების და დაფიქსირების მცდელობით.
21083. ხელოვანის მოვალეობა, განახლებულ-გახალისებული ყოფის ხელახლა გადახალისებაა.
21084. სიმართლე ხელოვნებაში შეფარდებითია.
21085. მუსიკა, მოსასმენი საოცრებაა.
21086. კულტურას ჩაცმულობა არ განსაზღვრავს, მაგრამ მის ტენდენციას ამჟღავნებს.
21087. ხელოვნებაც მითიურ მწვრთნელს მოითხოვს, რათა სული გაუთბეს, რაღაც შეიმატოს და ფანტაზიასაც გაფრენის საშუალება მისცეს.
21088. ხელოვნება, სულიერების გამჟღავნება-გაჟონვაა რეალობაში.
21089. ხელოვნება ყველაზე უკეთ იზიდავს და განსაზღვრავს თავის მომხმარებელს.
21090. ხელოვნებას სქესი არ აქვს, მაგრამ მაინც მამაკაცები სჭარბობენ.
21091. ზოგჯერ თეატრის, მაყურებელი უფრო მოხდენილად გამოიყურება, ვიდრე მსახიობები და მათი დადგმული სპექტაკლი.
21092. მხატვრის ვალია სილამაზის შთამბეჭდავად წარმოჩენა და არა – რაიმეს მტკიცება.
21093. ხელოვნება და ბუნება განუყრელია, თუ აღფრთოვანების უნარი შემოქმედს არ დაუკარგავს.
21094. ხელოვნებაში ის ვერ ერკვევა, ვისაც თავზე ძალის დატანება ეზარება და უწიგნურია.
21095. ყველა მხატვარი, მისდაუნებლიედ, ღმერთთან მეგობრობს, სხვანაირად რწმენის გასამყარებელ სურათებს ისინი ვერ დახატავენ.
21096. არაორდინალურად იმქვეყნად გადასახლება, ზოგისთვის სახელიცაა და საინტერესოც.
21097. მხატვრობა, მუსიკასთან ერთად, განგების ნაჩუქარი ნიჭია, სხვანაირად მათი აღქმა ჩემთვის ძნელია.
21098. კულტურას სიავეც მოაქვს და სიკეთეც ახალგაზრდობის მოუმწიფებელი გონებისთვის.
21099. დღეს მხატვრობასაც ტექნიკური პროგრესისკენ აქვს მიდრეკილება და მომავალში ყალამს ალბათ კომპიუტერის კლავიში ან „თაგუნა“ შესცვლის.

21100. შემოქმედება სულისთვის აუცილებელია, რათა ნიჭი არ დაიკარგოს და მუქთად არ გაცდეს.
21101. დრამატურგიის და სპექტაკლის წარმატება ისიცაა, როცა მაყურებელს წარმოდგენილი სანახაობიდან ერთი ფრაზა მაინც დაამახსოვრდება და გონებაში ადგილს მიუჩენს.
21102. ხშირად ხელოვნება „ტილოგადაფარებული“ ჩარჩოთია წარმოდგენილი, რომლის ავტორითაც მოწონების შემთხვევაში ვინტერესდებით.
21103. შემოქმედის ბედნიერება ისიცაა, რომ ჯერ არშექმნილს ოცნებით უყურებს და წინასწარ ტკბება.
21104. ხელოვნებას მოსწონს და სჭირდება ეჭვის კორიანტელი და სხვადასხვა ხლართის დაგება.
21105. ხელოვნებას აღამაფრენისთვის, ჰაეროვნებისთვის, გონის გადატრიალებისთვის, სულიერებისთვის, ადგილი მარად რჩება.
21106. ხელოვნება შერჩევაა სულიერების კარნახით.
21107. ხელოვნება ბუნებრიობაზე ფეხის აწყობის მცდელობაა, ნიჭის შესატყვისად.
21108. დღეს, ხელოვნებაშიც კი, ტექნიკურ პროგრესს უდიდესი წილი უდევს.
21109. შემოქმედება ფანტაზიაა, მაგრამ ადრე თუ გვიან, განსჯას ემორჩილება.
21110. კულტურა თავისებური სინუსოიდია, ხან მაღლა იწევს, ხანაც – დაბლა, რაც ხელისუფლებაზე, დროზე და ტექნიკურ პროგრესზეა დამოკიდებული.
21111. მშვენიერების აღქმას აზრის დაწმენდა სჭირდება.
21112. ხელოვნება შემოქმედების იმ პროცესის სასიამოვნო უცოდინარობაა, რომლის დროსაც ქმნი.
21113. კულტურა არ იყიდება, მაგრამ ამით სპეკულირებას და ფულის კეთებას ბევრი ცდილობს.
21114. დღევანდელი ხელოვნება წესიერებას და გონიერებას ერთდროულად კარგავს და ამასაც რეკლამას უკეთებს.
21115. მშვენიერების შეფასებაც კი გონიერებაზე წიხლის დაჭერას მოითხოვს.
21116. კომპოზიტორსა და მუსიკოს-შემსრულებას შორის ის სხვაობაა, რომ პირველის ნაწარმოებს სხვები ასრულებენ, მეორე კი თავის და სხვათა შეთხზულს „ეგლახავება“.
21117. ხელოვნებაში ახალ იდეათა ძებნა საზოგადოების მოთხოვნათა გაფართოების შედეგია.

21118. პოეზია ის გაუგებარი აღფრთოვანებაა, რომელიც სულიერი ტკბობის ხასიათზე გვაყენებს და თავდავიწყებას ვეძლევით.
21119. მუსიკა სულს ახალისებს, ხოლო სხეულს ხალისით კვებავს.
21120. მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ერის თვითმყოფადობის ნიჭია, მეცნიერება კი ხალხის ერუდიციის და მეობის წარმომჩენია.
21121. მსახიობის დანიშნულებაა მაყურებელი თავისი იმპროვიზაციით და „მიხვედრილობით“ აღაფრთოვანოს და „გაატუტუცოს“.
21122. ხელოვნება აახლოებს არა მარტო ქვეყნებს, მხარეებს, არამედ ხალხის აზროვნებას და ტრადიციებსაც.
21123. მსახიობის ყველაზე დიდი უბედურებაა შეუსრულებელი როლები, რომელთა შესრულებაც შეეძლო.
21124. თეატრს მაყურებელი აკლია და წიგნს – მკითხველი, რადგან აქაც ყველაფერი დროის ყივილზე, მოდაზე და რეკლამაზეა დამოკიდებული.
21125. წინათ ხელოვნების დამსახურება შემოქმედის ხასიათის გახსნა იყო, დღეს ამ საქმეში კომპიუტერი ერევა და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. კარგია თუ ცუდი ხელოვნებისთვის, ამას დრო გვიჩვენებს.
21126. აქტიორის ხელოვნება იმ დონის სითამამეს მოითხოვს, რომელიც ხულიგნობის ზღვარზეა.
21127. ხელოვნებაში ძირითადად ძლიერი სულის კარგი ბიჭები და ლამაზი გოგონები უნდა წარმოვაჩინოთ და არა – სისხლის სამართლის დამნაშავენი, ნაძირალები, კახპები – სულიერება ირყვნება.
21128. აბსტრაქციონიზმს უფრო სულიერ მხარეს ედავებიან, ვიდრე მატერიალურს, რადგან როგორც ყოველივე ახალს და განსხვავებულს, თავისი „კლიენტი“ ჰყავს.
21129. ხელოვნებაც თანდათან მეცნიერების და ტექნიკური პროგრესის რელსებზე გადადის.
21130. ვნება, სექსაობა, ხელოვნებას ემორჩილება და არა – სიყვარულს.
21131. სცენაზე სკანდალური სიტუაციების გათამაშება ნაღდ ხელოვნებას მიგვაახლოებს.
21132. კლასიკა თავის წარმოჩენას უპრეტენზიოდ იწყებს, თანდათან აღგვაფრთოვანებს და სიამით გაიპარება, თან საგონებელს გვიტოვებს, ყოფის ამაოებას გვაგრძნობინებს, სათნოების მოზრდილ ლუკმას გადაგვაყლაპებს, სიკეთის საკეთებლად განგვაწყობს და სამუდამოდ თავს დაგვამახსოვრებს.
21133. ახლის გათავისებას დროსთან ჭიდილი, თვითმყოფადობის

მორგება და გონიერებასთან შერწყმა სჭირდება.

21134. ხელოვნება საკუთარ თავთან წესების გარეშე ბრძოლაა, ოცნებებთან შეთანხმებით, დროის შერჩევით და საკუთარი ადგილის მოძიებით.

21135. ხელოვნება ოცნებით თამაშია, ზოგჯერ წარმატებაზე ხელის გამოკვრით.

21136. ყველა ძალად „ვარსკვლავს“ მომსახურე სარეკლამო „ფურგონი“ დაჰყვება ფანატებით და დაქირავებული „ძალად მსახიობებით“.

21137. დიზაინი, სილამაზე, ესთეტიკა, გემოვნება, მაკიაჟი, ხელოვნებაა, ულამაზესი და მიმზიდველი შრომაა მისთვის, ვინც მათი ფასი იცის და მასზე მოთხოვნილება აქვს.

21138. დღეს ხელოვნებაც იძულებულია დიდი ფული იშოვოს, რომ ფანატები ჰყავდეს და იმიჯი ჰქონდეს.

21139. არის ხელოვნება, რომელიც თავად ქმნის თავის აუდიტორიას, არის აუდიტორია, რომელიც თავად აღმოაჩენს მისთვის განკუთვნილ ხელოვნებას.

21140. ხელოვნებაა ის, რასაც ერთეულები საწყისშივე ამჩნევენ, აღიქვამენ და სხვებსაც გაათვიცნობიერებენ.

21141. ხელოვნება ღმერთის ზედამხედველობის ქვეშაა, რომელიც ადამიანსაც ეზიარება.

21142. ოპერა, ბალეტი, ის მომხიბვლელი ფენომენია, რომელიც მეცნიერებასავით, ყველამ იცის, რომ ელიტარულია, მაგრამ არ ესმით და ამის თქმას ერიდებიან.

21143. იმის გამო, რომ „მეც ნახირ-ნახირ“ ხელოვანმა არ იცის თავისი ნიჭის შესატყვისად როგორ იცხოვროს, ის საზოგადოების დროზე ადრე გარყვნას ცდილობს, ამით სახელსაც იხვეჭს და კარგადაც ცხოვრობს.

21144. საოცარია, თანამედროვე პოპმუსიკაში იღვწის ის ხალხიც, ვისთვისაც განგებას ამის უფლება არ მიუცია.

21145. ხელოვნებაში წარსულის და მომავლის შენს ჭკუაზე მოთარგმნა დასამახსოვრებელ შედეგს იძლევა, თუ აწმყოს ხელს არ ახლებ.

21146. ხმა და სმენა განგების ნაბოძებია, მაგრამ შრომის და მონდომების გარეშე, იყო ოპერის აღიარებული სოლისტი, წარმოუდგენელია.

21147. ცეკვა ვნების და გონის გამოხატვაა სულიერების აღმაფრენით, რასაც ტანის ლამაზი რხევით ვცდილობთ.

21148. ქანდაკება მუზეუმის უძრავი ქონებაა, მას იშვიათად იპარავენ.

21149. მსახიობისთვის მაყურებელთა დარბაზის პარტნიორობაა მთა-

ვარი და არა – კოლეგების, რომელთა შეცვლა ყოველთვის შეიძლება.

21150. მსახიობისთვის თეატრი სულიერი საცხოვრებელია და არა – სამუშაო ადგილი მხოლოდ ნიჭის წარმოსაჩენად.

21151. ხელოვნების მადლი ის არის, რომ დროს წამებს ჰპარავს ყოველდღიურობიდან თავის დასაღწევად.

21152. მუსიკა გვაკეთილშობილებს, ნერვებს გვიწყნარებს, მინორში გვაგდებს, რადგან სულიერების მკურნალობის უნივერსალურ ენას ფლობს.

21153. არსებობს ხელოვნება და მისი აღქმა თანდაყოლილი ნიჭით და აქ ახლისა და ძველის დაყოფა და კრიტიკა არაფერშუაშია.

21154. შემოქმედება, „მოუწესრიგებელი“ ნიჭის გარეშე, დასამახსოვრებელ ხელოვნებად ვერ გვევლინება.

21155. ხელოვნება არ იტყუება, ის ფანტაზიორობს იმედის და პროგრესის ჩასახვით.

21156. კულტურა ფართო მოხმარების სფეროა, რომელიც ყველა დარგს უსათუოდ სჭირდება.

21157. ხალხის გულიანად გაცინება ერთეულ კომიკოსთა ხვედრია.

21158. შენ კინოს მსახიობი უძახე და რეჟისორსაც ხიბლავს, პროდიუსერსაც, თავსაც აფინანსებს, რამდენიმე ოჯახს ქმნის, სიცოცხლეში ცნობილია და ყოფიერების დაუწერელ კანონებს სიამოვნებით ბიშტს უჩვენებს.

21159. პოეზია და ლოგიკა ხშირად ერთად ვერ ძოვენ, მათ გონიერების სხვადასხვა განტოლებათა ამოხსნა სჭირდებათ, ერთს – სიტყვათა წყობის ჰარმონიის, მეორეს – სიტყვების რეალობის დანახვის.

21160. შემოქმედებას საკუთარ დოგმებთან შეჭიდება და მათი გათვალისწინება სჭირდება.

21161. პოეზიას, ოცნებაში მოფარფატე სიტყვების დასაჭერად, ბაზისი და ზედნაშენი სჭირდება.

21162. ხელოვნების ყველა ნიმუშის გამოფენაა საჭირო და არა – მისი შეფასება, რადგან ეს უკანასკნელი დროის, მოდის და გონიერების გამონათების საქმეა.

21163. ხელოვნება „ყოფის ჭიტლაყის“ გონიერებაზე დრო და დრო ამორტყმაა. ბედნიერების უკეთ შეცნობით.

21164. ხელოვნება უნდა იყოს თავისუფალი, დემოკრატიული, ზომიერი კრიტიკით და რეკლამის დიზაინით შეზავებული.

21165. ხალხის საკუთრება „მასობრივი კულტურაა“, ხოლო ხელოვნების შეცნობა ისევ ერთეულთა ხვედრია.

21166. ხელოვნება ყველა დროში გამოსავალს ბრძოლით, დაპირისპირებით, ახერხებს – აშკარაა თუ მომავლის იმედით მიჩუმათებული.
21167. ხალხი უნდა ამაღლდეს ხელოვნებამდე, მაგრამ ხელოვნებამაც უნდა გაითვალისწინოს მაყურებლის შესაძლებლობა.
21168. ხელოვნება თავისუფალია, მაგრამ იმათ ეკუთვნის, ვისაც ესმის.
21169. ხელოვნების რაობაში გარკვევა ძნელია, რადგან ის შეიძლება იყოს ელიტარული, თანამედროვე, „მოხმარებითი“, თავისი ფასებით და აუქციონით.
21170. მშვენიერების აღქმის უნარი სიმშვიდის მოპოვების ნიჭია.
21171. ხალხი ემორჩილება, ურიგდება, ხელისუფლების ხუშტურებს და აქ ქვეყნის მართვის ხელოვნება არაფერშუაშია.
21172. ხელოვნებაში მთავარია გაგიგონ, შემდგომ მოდის ნაღვაწის სილამაზე და მისი არაორდინალობა.
21173. მე ცირკს, როგორც ხელოვნებას, პატივს იმიტომ კი არ ვცემ, რომ ის მრავალფეროვანია, თვითმყოფადია, არამედ იმიტომ, რომ ცირკის მსახიობების კონკურსში უკეთესის გამორჩევა მიჭირს და ეს მათ „საოცრებაზე“ მეტყველებს.
21174. სინამდვილეში სილამაზე თვალით დანახულზე, გონებით აღქმულზე, გულის აჩქარებაზე, მეტია, თუ შენთვის შესაფერი სურნელი ასდის.
21175. ნაღდი ქალია ის, ვინც ყოფის ფერებას თავისი ხასიათის შესატყვისად აკონწიწებს, ქმნის და შინაგან სამყაროს თავისი „მეს“ შესატყვისად, ვნების გათვალისწინებით, აშენებს და უვლის.
21176. მდიდრულად ჩაცმა მეტ ხელოვნებას, ნერვების წყვეტას, მოდის აყოლას მოითხოვს, ვიდრე სადა, რადგან ის მჯობნის-მჯობობაზე არ ფიქრობს და თავის სიამოვნებისთვის ირთვება-იმოსება.
21177. ხელოვნებაში დაფიქსირებული კოცნა-ალერსი არ უნდა ზარავდეს ჩვენს ცნობიერებას და მის ადამიანურ ჟინს, რათა ხელოვნებამ სულიერად გამდიდრების მოწოდება უკანა პლანზე არ მოისროლოს.
21178. ხელოვნება რომ ხელობაში არ გადაიზარდოს, ნიჭთან ერთად მუზის სამსახურის ცოდნა სჭირდება, მითუმეტეს დღეს, როდესაც ინფორმაციის ოდენობას და პიარის ცოდნას, კომპიუტერის კაურებიც ემატება ხელოვნებაში.
21179. შემოქმედის ნიჭის წარმოჩენის გარანტი: სცენარის, იდეის ავტორი – მამა, რეჟისორი, სპექტაკლის დამკვალიანებელი – დედა, მსახიობები, დამხმარე პერსონალი – შვილები, მაყურებელი, შემ-

ფასებლები – ბებია, ბაბუა. მათი მცდელობა ერის კულტურის ნაწილია და თუ ნაღვაწს გაუმართლა, საგანძურშია შესანახი.

21180. ხელოვნების მადლია, როცა შენ ტკივილს სხვას ისე აგრძნობინებ, რომ მასაც ეტკინოს, მაგრამ არ შეწუხდეს.

21181. ეროტიკა, ეროტიკაშივე შეფუთვნილი, უკვე ხელოვნებაა.

21182. ხელოვნება სასიამოვნო წამების შეჩერება და აღქმაა.

21183. ესთეტიკა და ეროტიკა სხვადასხვა ჟანრია, მაგრამ მათი განცალკევება ჭირს, თუ ეს უკანასკნელი ხელოვნების ნიმუშია.

21184. ლამაზია, რაც არაორდინალურია, უცხოა, მის შეცნობას დროის დაჭაშნიკება არ სჭირდება.

21185. ხელოვნება იმიტომაც „თავხედობს“, რომ არსებულს და აღიარებულს არ დაეთანხმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მცდელობა და სიახლით გატაცება აზრს დაკარგავდა.

21186. ხელოვნება უფრო ნიჭია, ვიდრე სწავლა-განათლება, რომელიც მოწოდებულია ჩვენი სულიერების და ცხოვრების წესის შესაცნობად.

21187. ხელოვანს ალიბის მოძიების უფლება არ აქვს, თავის ყველა ქმედებაზე პასუხი მორალურად მაინც უნდა აგოს.

21188. ყველა მსახიობისთვის სცენა ნებაყოფლობითი ბატონია, მსაჯულია, რომლისგან თავის დაღწევას ის არასოდეს ისურვებს.

21189. დღეს შოუბიზნესში დაკავებულ, ჩამრგვალებულ, ბალერინების ცეკვას რომ ვუყურებთ „გედების ტბაში“, ისღა დაგვრჩენია, სახელი შევუცვალოთ და „სირაქლემების ტბად“ მოვნათლოთ.

21190. არაფრის და საკუთარი უცოდინრობის ლამაზად დამალვა ხელოვნებაა, უთქმელი აზრების ორიგინალური მიმიკით გადმოცემა – უნარია.

21191. არ არსებობს დრამატული თეატრის რეჟისორი, რომელსაც შექსპირზე არ ეფიქროს და მის დადგმაზე არ ეოცნებოს, რადგან ამ „ციხე-სიმაგრის“ დალაშქვრა მისი ნიჭის კატალიზატორია.

21192. რეჟისორი ყველა მსახიობის წარმოსახვითი საყვარელია.

21193. თეატრის სახელს რეჟისორის ტალანტი, მსახიობთა ნიჭი და კრიტიკის მცდელობა ქმნის.

21194. გარდაცვლილი დრამატურგი ხელოვნებაში ყველაზე უუფლებო პიროვნებაა, მის პიესას ისე დგამენ, რომ მას არაფერს ეკითხებიან.

21195. კლასიკის დადგმაში რეჟისორები ერთმანეთს ეჯიბრებიან და სურვილი აქვთ თავის დროის ფინიში პირველებმა გადაკვეთონ, არაორდინალურის, სიახლის შემოთავაზებით.

21196. თეატრი ის დაწესებულებაა, სადაც მსახიობები მაყურებლებს ნიჭის ნაჯაფს ჩუქნიან სპექტაკლზე დასასწრები ბილეთის ღირებულების შესაბამისად.
21197. ქორეოგრაფია ცეკვით გამოხატავს იმ აღმაფრენას, რის გამოსახვასაც სიტყვა ვერ შესწვდა.
21198. მსახიობის ნატვრაა მაყურებლის მქუხარე ტაში და დროულად სახლში წასვლა, იმ იმედით, რომ სხვა სპექტაკლზე კიდევ უფრო ომახიან აპლოდისმენტებს დაიმსახურებს.
21199. ალბათ, უახლოეს დროში მსახიობებს რობოტები შეცვლიან, რეჟისორები მსახიობებს წილში აღარ ჩაისვამენ და თავიანთი შემოქმედების ნაყოფს თავადვე მთლიანად მოიმკიან.
21200. მხატვრობა სათნოებაა, პოეზია საოცრებაა, მუსიკა ღვთაებაა და მათთან ზიარების შემდგომ ძნელია ურწმუნო და სულით ათეისტი დარჩე.
21201. ხელოვნება ეროვნულობის წარმომჩენია და არა ხალხის, რომელსაც უნიათობისკენ აქვს მიდრეკილება და ფეხის ხმასაა აყოლილი.
21202. მსახიობები სცენის მონები არიან და მათ ეს სტატუსი დიდ სიამოვნებას ანიჭებთ.
21203. არ შეამჩნიო და არ დაინახო, რაც ძნელია, ხელოვნებაა.
21204. აქტიორი სხვისი ცხოვრების წარმოჩენით ფასდება.
21205. მუსიკა სულიერების შემძვრელია, პოეზია სულის აღმაფრენაა, მათ გარეშე კაცობრიობას თავის შეცნობა და გრძნობების გამოხატვა გაუჭირდება.
21206. ხშირად მხატვარი არა მარტო გვაჩვენებს, არამედ იმის მტკიცებას ცდილობს რასაც თავად ხედავს.
21207. თუ ადამიანს სმენის ნატამალი გააჩნია, მუსიკა მისთვის სულიერების უდიდეს მკურნალად გადაიქცევა.
21208. ბევრი შემოქმედი ხელოვნებას ემსახურება, მაგრამ ძალზე ცოტაა მათში რეალური კულტურის ფანატი.
21209. არქიტექტურა მუზებსაც ააჭიკჭიკებს, თუ ამის ღირსია.
21210. ხელოვნება განსჯას არ „ემორჩილება“, მხოლოდ აღფრთოვანება, გათავისება, სჭირდება.
21211. ხელოვნებას ეჭვები ასაზრდოებს, წარმოაჩენს, აამაყებს.
21212. ხელოვნებას თავისი სურნელი, სუნი, არომატი, აქვს, რომელთა ბოლომდე აღქმა ერთეულ რჩეულთა ხვედრია.
21213. ხელოვნების დანიშნულებაა ადამიანის აღზრდა, რა კუთხითაც

უნდა შევეხოთ.

21214. მოჩვენებითი „ხელოვნებიკაა“ რეჟისორის უაზროდ გაზვიადებული, დროის გასაყვანი, სცენებისა და დიალოგების დადგმა-გადაღება.

21215. ხელოვნება სექსივითაა, მისი მიზანია ვნებიანი ადამიანების აღზრდა და სიამოვნების მინიჭება.

21216. მზაკვრობა, შურიანობა და ჭორის გავრცელება ყველაზე მეტად ხელოვნების მსხურთ ახასიათებთ, რადგან პიარის გარეშე თავის გამოჩენა-გამორჩენა ჭირს.

21217. მედიცინაც ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, რადგან ავადმყოფის დარწმუნება და იმედის ჩასახვა არც თუ ისე უმნიშვნელოა დაავადებასთან ჭიდილში.

21218. ნაციონალური მეცნიერება, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, არ არსებობს, თუკი ყველასათვის ვარგისია.

21219. შემოქმედებითი ტყუილი და არა – სიცრუე ყველა შემოქმედის ნაღვაწისთვის აუცილებელია.

21220. სილამაზე ბუნების შემოქმედებაა, ხოლო მისი დიზაინის წარმომჩენი – ხელოვნება.

21221. ხელოვნება ხშირად ფაბულის ხარისხზე და შელამაზებული ტყუილის გაჯეჯილებაზეა დამოკიდებული.

21222. სილამაზის დანახვასაც ცოდნა უნდა გემოვნების მოჩხრეკვით, „გონების მოხმობით, სხვათა გამოცდილებით“.

21223. შემოქმედებითი ხედვის გარეშე მხატვრის ნიჭიც არარად იქცევა.

21224. შემოქმედება ის სიამის ნექტარია, რომელმაც თავისი ნიჭით, მცდელობით, შრომით, მისწრაფებით, მაყურებელი უნდა აცდუნოს, აღაფრთოვანოს.

21225. ტირანის ნიღაბი აქტიორს სულიერი და ფიზიკური დაბერების უფლებას უსპობს, რადგან ის დასამახსოვრებლად და ოვაციებით უნდა მიიცვალოს.

21226. დიდი რეჟისორის, მსახიობის, შესაძლებლობას, სიდიადეს, კლასიკასთან ჭიდილი წარმოაჩენს და არა საყველპურო მოდა, რაც უნდა ბრბო მხარს უჭერდეს და რეკლამას უკეთებდეს.

21227. შემოქმედმა ბავშვობასთან კავშირი არასდროს უნდა გაწყვიტოს, თუ უნდა რაიმე დასამახსოვრებელი დატოვოს.

21228. ხელოვნება ყველა სახის კატასტროფას ცნობიერებით ეჭიდავება, გარდა ხალხის ბრბოდ გადაქცევისას.

21229. შემოქმედება აკრძალვებს და შიშს ვერ ეგუება და მარად კრი-

ჭაში უდგას.

21230. კულტურა მთელი ხალხის სიმდიდრეა, ხოლო ამ კულტურის წარმომჩენი ადამიანი – უკვე პიროვნება.

21231. ყველაზე მეტ ზრუნვას არაპროფესიონალი მაყურებელი მოითხოვს, რათა მან ნაღვაწის არსი თანამედროვეობის შესატყვისად გაიგოს.

21232. შემოქმედისთვის ისიც მთავარია, მის ნახელავს როგორ აღიქვამენ და ის გარემოც, რომელსაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

21233. სცენაზე უდიდესი კომიკოსები, ცხოვრებაში უმთავრესად უჟმურები, ტრაგიკოსები, არიან და ეს ბუნების კაურების კანონზომიერებაა, რომელმაც ბალანსი უნდა დაიცვას.

21234. წარუმატებელი ხელოვნება დამნაშავეა თაობების წინაშე, რადგან შთამომავალთა მიერ მისი შედეგების ლიკვიდირება დიდ დროს თხოულობს.

21235. დღეს ხელოვნებაში უაზრო „ონანიზმი“ უფრო ფასობს, ვიდრე რაღაც აზრიანზე დაფიქრება.

21236. ხელოვნება საკუთარი თავის გაცნობიერების, სიყალბისკენ მიდრეკილების, დეტექტივისთვის თავის დაკვრის, კრიზისიდან ყურით ამოთრევის და არაორდინალური ნიჭის ისტორიაა.

21237. შემოქმედების დანიშნულებაა სტერეოტიპებთან შერკინება და რეალობასთან წამლიქვნელება მისთვის ფეხის დადებით.

21238. სწორედ შემოქმედება გამოხატავს, აფასებს, საზოგადოებრივ ღირებულებებს, ღირსებას და ქვენა გრძნობებს.

21239. შემოქმედება თავისებური ბასრი დანაა, რომელიც მაყურებლის და დროის ყივილის შესაბამისად ან ხულიგანს უვარდება ხელში ან ქირურგს, სადაც ერთი ხელოვნების იდეალებს ასახიჩრებს, კლავს, მეორე კურნავს, სიცოცხლეს გვიგრძელებს.

21240. თუ ნაღვაწი ხელოვნების ტერიტორიაზე ძოვს, მისი მოსწავლეც შეიძლება აღმოჩნდე და ხარისხიანი ნაწარმოებიც შექმნა.

21241. მსახიობისთვის მაყურებლის დაჟინებულ-მომნუსხავი თვალები ყველაზე დიდი საჩუქარია.

21242. შემოქმედების სიდიადე ენაა და მის ნაღვაწი გმირების გონივრული ორაზროვნება.

21243. ჩემთვის გადაჭარბებული „ონანიზმი“ ხელოვნებაშიც დაუშვებელია, პოლიტ-ეკონომიკაზე რომ არაფერი ვთქვათ.

21244. კულინარია ხელოვნებაა და ის ხელოსნობამდე არ უნდა დავი-

ყვანოთ, რადგან თავის პეწს და საკვების მადიანად აღქმის უნარს ჰკარგავს.

21245. სცენაზე აუსვლელად მრავალი ტალანტი არსებობს, რომელთა გამომზეურებით ქვეყანა იამაყებს.

21246. შეცნობადი ხელოვნება სიამოვნებაა აღზრდით.

21247. ხელოვნება არა მარტო აღგვაფრთოვანებს, აღგვაგზნებს, არამედ გვანათლებს და სტაციონარის გარეშე გვაჯანმრთელებს.

21248. ლოცვა უფრო ნერვების დამშვიდებაა და ავანსის გაღება ჩვენი მომავალი ცოდვებისაგან დასაფარავად.

21249. ფართო მოხმარების მაყურებლის „დაბმა“ და კეთილგანწყობის მოპოვება ძნელი არ არის, ძნელია იმ 2-3% ელიტარული, პროფესიონალი, მაყურებლის აღფრთოვანება, რომელიც ხელოვნების ისტორიაში სახელს გვიმკვიდრებს.

21250. სამწუხაროდ, კომუნისტები მართლები იყვნენ, როდესაც შემოქმედებითი ნიჭის მქონე ხალხს ზედმეტ ფულს არ აძლევდნენ და სანაცვლოდ მათ მატერიალურად და სახელით უზრუნველყოფდნენ.

21251. ხელოვნებას ფანტაზია ასაზრდოებს და რაც მთავარია, გულგრილს არავის ტოვებს.

21252. ყველა სახის ხელოვნებას, თუ ის სიახლეს შეიცავს, თაყვანისმცემელი ჰყავს, მათ შორის, მოდას აყოლილიც, რომელსაც სიახლის დედა-აზრი არ ესმის და არც აინტერესებს.

21253. ხელოვნებამ ყოველთვის გამომხატველობა უნდა ეძიოს, თუ უნდა „განსასჯელიც“ იყოს, აღიარებულიც და ახალიც.

21254. ხელოვნებაშიც კი უნიჭობას და ურთიერთდაპირისპირებას ფული შველის.

21255. პროვოკაცია და პროვოცირება არა პირად ცხოვრებას, არამედ ხელოვნებას უხდება და წარმოაჩენს.

21256. ხელოვნება იყოფა: გარკვეული ელიტარული ნაწილისთვის გასაგებ და ყველასათვის მისაწვდომ შემოქმედებად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რესტორნის და ქუჩის „მაკულატურა“ ელიტარულში გადავიტანოთ.

21257. ხელოვნება, კრიტიკული აზროვნების და ოპონირების გარეშე, დროებითი პიარია, საბოლოო დავიწყებით.

21258. ფერებთან ჭიდილი და მისი ტილოზე, ქვაზე, გადმოტანა ფერმწერის საქმეა და აქ სარწმუნოებას ტაშის დაკვრის მეტი არაფერი ესაქმება.

21259. ფერწერას ფანტაზია სჭირდება პირველ რიგში, შემდგომ მოდის

განათლება და საღებავები.

21260. ხელოვნება, მეცნიერებისაგან განსხვავებით, ტყუილის დიდებულად და სასიამოვნოდ გაშიშვლებაა.

21261. მუსიკა გონებაში დაგროვილ ჭუჭყს თანდათანობით წმენდს, სულიერების გახალისებით.

21262. დიდი მსახიობია ის, ვინც ბუნებით იმპოტენტია, მაგრამ სექსსიმბოლოს როლს წარმატებით ადგამს თავს.

21263. არქიტექტურა – ეს არის პოემა ქვაში, რომლის მთავარ პარტიას ხუროთმოძღვარი ასრულებს.

21264. ხელოვნება დროსთან ბრძოლა და საუკეთესოს დაფიქსირებაა.

21265. ხელოვნება ლამაზი ტყუილის ჭეშმარიტებად წარმოჩენაზეა აგებული და დიდად ფასობს.

21266. ხელოვნებაც სხვათა აზრებში შემოქმედებით გაჯეჯილებას გაჯირითებით მოითხოვს.

21267. მშვენიერებასაც წარმოჩენა სჭირდება, რომ ის მასამ დაინახოს, აღიქვას და გაითავისოს.

21268. უგუნურებას ყველაზე უკეთ ხელოვნება ებრძვის.

21269. მუსიკა უენო, ამბიციური, ხელოვნებაა, ამიტომაცაა ის მშვენიერი და განუმეორებელი.

21270. ხელოვნებას, შემოქმედებას, თავისი ოფოფები უზის თავში და ღმერთმა კეთილი საქმეების საკეთებლად მოახმაროს, რადგან მის გარეშე სიცოცხლე ფასს დაკარგავდა.

21271. მაყურებლის მოქცევა ეშმაკადაც შეიძლება და ანგელოზადაც, გააჩნია მათ მოთხოვნებს, ამბიციებს, როგორ დავაკმაყოფილებთ.

21272. ხელოვნება ყოველთვის დღევანდელობით ცხოვრობს და ცდილობს აწმყო წარმოაჩინოს.

21273. მსახიობმა, შემოქმედმა, ყველა რესურსი უნდა გამოიყენოს არა მაცქერალთა აპლოდისმენტების მოსაპოვებლად, არამედ სულიერების ასამაღლებლად.

21274. რეალისტური, უნიკალური, ხელოვნებაც მხოლოდ ფანტაზიის შედეგია, რომელიც ნიჭთან ერთად იქმნება.

21275. ხელოვნება ის ფენომენია, რომელიც რწმენას აღვივებს და მის ქომაგად გვაქცევს.

21276. აქტიორი სხვის ცხოვრებას ირგებს, სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს, რითაც თავის გმირს აცოცხლებს და თავსაც გვამახსოვრებს.

21277. ხელოვნება, ემოციის გარეშე, წიხლების უაზროდ ქნევაა.

21278. ხელოვნება ჯანმრთელ სისხლს მოითხოვს, ჯანის შელევით, სი-

ყვარულის გამჟღავნებით, წესიერებით და ხელის ჩაჭიდებით.

21279. ხელოვნებაც ეჭვების შედეგად ვითარდება.

21280. ხელოვნებას ფანტაზია ქმნის ცხოვრებაში არსებული ყოფის ელემენტებს მხატვრული გამოყენებით.

21281. მაყურებელი, თავისი მენტალიტეტით, ალტერნატიული ხედვით და განცდებით, თავადაც უნდა მონაწილეობდეს სპექტაკლში, რათა გაითავისოს გმირის ბედი, თუ სურს ხელოვნების ძალა იგრძნოს.

21282. ხელოვნებას დღეს ადამიანურად წიგნთან და კლასიკასთან მისვლა უჭირს, რადგან მასკულტურის გავლენა მძიმე ტვირთად აწევს.

21283. ხელოვნებაზე გასაგებად საუბარი, უკვე ხელოვნებაა.

21284. ხელოვნება ფაქტიურად, გლობალური, კოლექტიური და შემოქმედებითი გარჯა-მსჯელობაა.

21285. ხელოვნების დანიშნულებაა ადამიანი აიძულოს ეზიაროს გარკვეულ ნაწილს შემოქმედის ჩანაფიქრისა და ყოველდღიურობას რამდენიმე წუთით ჩამოაშოროს.

21286. ხელოვნება სიმშვიდეში იქმნება.

21287. ხელოვნების დანიშნულება ადამიანის გაადამიანურებაა.

21288. შინაგანი ემიგრაცია და სიახლის ფეტიში ყველა დიდი ხელოვანის ხვედრია.

21289. ხელოვნებას პლასტიკის ენა აქვს, ის ყოველთვის ახერხებს ხალხური ხასიათის დაჭერას და თავის ჭკუაზე წარმოჩენას.

21290. იყო მსახიობი, ეს ნიშნავს, რომ შენზე მოთხოვნა მარად უნდა იყოს ე.ი. ამისათვის უნდა „ეწამო“, იერი და პეწი უცვლელად შეინარჩუნო.

21291. ხელოვნება კითხვებს უნდა სვამდეს და საჭირბოროტო საკითხებს არ პასუხობდეს აპლოდისმენტებით.

21292. საწყალი სცენარისტი, პიესის ავტორი, ყველაზე ბოლოს მას მოიხსნიებენ მსახიობის, რეჟისორის, შემდგომ, ისიც თუ გაუმართლა.

21293. აქტიორი შინაგანად მუდამ ბავშვად რჩება, მიუხედავად წლების და თაყვანისმცემლების მატებისა.

21294. მსახიობს გიჟმაჟი ექსტრავაგანტური ბიოგრაფია და დაუჯერებელი ჭორი გაცილებით ცნობილს ხდის და თაყვანისმცემლებს უმრავლებს.

21295. ყველა შედევრს მისთვის გასაგები ვნების აგონია ახლავს.

21296. ხელოვნება ეს ერის სახეა, ბუნება, მომავალია.

21297. ხელოვნება სილამაზეს მოითხოვს, ჭეშმარიტების გაუბახებლად.

21298. როგორც კლასიკურ ხელოვნებას, ასევე აფორიზმს, განათლებული, მომზადებული, მაყურებელი, მკითხველი, სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა მოსახლეობის 2-3%-ს არ აღემატება.

21299. წინათ თუ ხელოვნება პურით კმაყოფილდებოდა, დღეს „ბუტერბროდიც“ მისთვის ცოტაა.

21300. მაყურებელი სულელია, მაგრამ ხელოვნებას ღმერთი სწყალობს და ხალხს ჯიბეებს მოაქექინებს.

21301. მუსიკა ზოგჯერ ფსიქოთერაპევტის როლშიც გვევლინება, მაგრამ პოლიტიკიდან მაინც შორს დგას.

21302. ილუზიონისტი მოწოდებულია ადამიანთა გაოცებისკენ და არა – მოტყუებისკენ. ეს აზროვნების და ხელების გაწაფვის დიდი ხელოვნებაა, მიუხედავად იმისა, რომ ერთნი აღფრთოვანებით უყურებენ, ხოლო მეორენი თავს მოტყუებულად გრძნობენ.

21303. უბრალოების, სხვებისთვის შეუმჩნეველი სილამაზის, წარმოჩენა-გაფეტიშება ხელოვნების საქმეა.

21304. მაყურებელი მსახიობს დაბერება-მოდუნების უფლებას არ აძლევს, დროის მუხთლობის და წლების მატების კანონზომიერების ცოდნის მიუხედავად.

21305. ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაა სიკეთის გრძნობების გაღვიძება-გამოფხიზლება კვადრატში.

ჰე, ღმერთო ერთო

21306. განგებას ყველაფერს ვთხოვთ, მაგრამ უფლებას არ ვაძლევთ მისი ნაწყალობევის გამოყენება გადაამოწმოს.

21307. ათეიზმიც რწმენაა და მისი უგულებელყოფა სამყაროს გაუცნობიერებლობის შეგრძნობის შედეგია.

21308. ათეიზმიც მიუღებელია თუ მას მატერიალიზების პერსპექტივა არ აქვს.

21309. რწმენის უარყოფითი მხარეა მოძღვრის შუაკაცობით ყველაფრის ღმერთზე აკიდება და თავი დაძვრენის მცდელობა.

21310. ნამდვილი მაყურებელი ღმერთიცაა, ეშმაკიც და ანგელოზიც და შემოქმედის ნაღვაწით პირველ რიგში ისინი უნდა მოიხიბლონ, რათა შემოქმედმა განგების დასტური მიიღოს.

21311. სამყაროში ყველა სახეობას, ნივთს, ნაკეთობას, მტერი ჰყავს: ადამიანს – მეორე ადამიანი, ლომს – ახალგაზრდა ხვადი, რკინას – ჟანგი, ნოხს – ჩრჩილი... ამიტომაცაა, რომ „უმტრო კაცი ღმერთს არ უქნია“.

21312. სურვილის დაკმაყოფილება, თუ განგების ნებაც არ არის, ყოველთვის ბედნიერების აკვანს ვერ დაარწევს.

21313. რწმენა მაინც მერკანტილიზმის შედეგია: დამეხმარები გიწამებ, სასწაულს მოახდენ – შენზე ვილოცებ, ვედრებას შემისრულებ – სანთელს აგინთებ, დანარჩენი კი თანდაყოლილი რუდუნიზმი და მშობლების მიერ დანთებულს სარწმუნოებასთან შეჩვევაა.

21314. განგება ზოგ ვიგინდარაზე შეფობას იღებს, მაგრამ რატომ, გონიერება ვერ გარკვეულა.

21315. განგებამ ადამიანს ლაპარაკის საშუალება მისცა, მაგრამ რაც არ უნდა თქვას, იმის წამოყრანტალება არ აუკრძალა.

21316. ღმერთის, განგების, სამყაროს, გონიერება ეჭვს არ იწვევს, მათი მოციქულების წარმომავლობა და ამქვეყნად მოვლინება კი სადაოა.

21317. რატომღაც „ათეიზმს“ „ურწმუნო თომას“ სინონიმად აღიქვამენ, მაშინ, როდესაც მასაც აქვს თავისი რწმენა, მოსაზრებები და რეალობასთან შეხება.

21318. ცრურწმენას დავცინით, მაგრამ „ვაი შიშისაგან“ გენეტიკურად

თან დაგვდევს სათუო საქმის კეთებისას და ყოველ შემთხვევისთვის მისი დაცვაც არ გვავიწყდება.

21319. ღმერთს, ეტყობა, სათანადო დრო არ რჩება კულტის მსახურთა შესარჩევად, თორემ ამდენი შემთხვევით ხალხი ღვთის სახლს არ გააკარებდა.

21320. უნარი განგების წყალობაა, რომელსაც კარიერის გაკეთების სურვილიც უნდა შევაზილოთ.

21321. რწმენას ბევრი ტრიუმფიც ახსოვს და იმედის გაცრუებაც, მაგრამ ყოფის წინაშე თითს არასოდეს მოკაკვავს.

21322. როცა ადამიანს თავისი ღმერთის, სარწმუნოების, აზრის, უცვლელად სწამს მაშინ, როდესაც ამდენი ინფორმაცია არსებობს და ანალიზის უნარი შეგვწევს, ძნელი გასაგებია.

21323. განგებასაც მოხერხებული ხალხი უყვარს, მის შესაწუხებლად, სათხოვნელად, რომ არ სცალია.

21324. შეიძლება ღმერთი არ არსებობს, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, მაგრამ უმადურობა ჩვენი ბედის, შემთხვევის მიმართ, ეჭვს არ იწვევს და სახეზეა.

21325. ხალხი რომ ბრბოა ყველაზე უკეთ ის ამტკიცებს, რომ ახალ სარწმუნოებებს მეფეები იღებდნენ და ამკვიდრებდნენ თავიანთი ინტერესების შესატყვისად და არა მასები და მათი წარმომავლები. მაგ., მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, სუნიტები, შიიტები და სხვა. ეს მაშინ, როდესაც ღმერთი ერთია და სარწმუნოებაც ერთი უნდა იყოს.

21326. არის დანაშაული, შურისძიება, რომლის გაგებისთვის კანონი და კანონმდებლობა უძლურია და მის განსჯას ღმერთს ანდობენ.

21327. ღმერთი მხოლოდ მაშინაა ჩვენს მხარეს, თუ ყოფის და დროის შესაფერ წესებს ვიცავთ და გვახსოვს მოხერხებულობის გამოყენებით.

21328. ლოცვა ცნობიერების თავისებური რიტუალია, რომელიც ნერვებს ამშვიდებს, სულს აშოშმინებს, გონიერებას განსჯა-შეჯერების უნარს უბრუნებს.

21329. უინიციატივო იმ დოგმებით და გაგებით კვდება რასაც სარწმუნოება, გარეშენი ჩასჩიჩინებენ და ამიტომაც კმაყოფილია.

21330. რწმენა, მოკრძალება, თაყვანისცემა, პიროვნების მიმართ ერთია, ხოლო სიყვარული სხვაა და თანაც განუმეორებელი.

21331. სამოთხე კარგია, მაგრამ ფუფუნებაში ცხოვრება აუტანელია, ამბობენ სამოთხედან ჯოჯოხეთში გამოქცევა არაადეკვატური მოაზროვნენი და შემოქმედნი ცდილობენ.

21332. რწმენას და ურწმუნოებას ორთავეს ერთი ნაკლი აქვს, ან სასაცილონი ხდებიან ან ცოდვილნი, რადგან ბოლომდე ვერ სწვდებიან იმას, რისკენაც მიისწრაფოდნენ.
21333. განგების დამოკიდებულება სამყაროსადმი ბრმაა, ან დაბერდა და მეტი აღარ შეუძლია.
21334. სიწმინდე და უწმინდურობა ურთიერთკავშირშია, რადგან ურთიერთის გარეშე მათი შეფასება გაჭირდებოდა.
21335. მოთმინებით უნდა ვუცადოთ იმას, რასაც განგება ჩვენთვის გამოიმეტებს, ოღონდ მონდომებით და მოსავლის აღებით.
21336. გენიალური აზრები განგების მარქაფშია დაბევებული და მას გონივრულად და ფრთხილად მოპყრობა სჭირდება.
21337. რეალური ცოდნა სამყაროს და ღმერთის თაობაზე არავის აქვს, მათ შორის კულტის მსახურთაც.
21338. ღმერთი არ არსებობს, ღმერთი სამყაროს შეუცნობლობის ალიბი და განტევების ვაცია.
21339. გაჭირვება, სტიქიური უბედურების დროს, ხშირად მარტო ღმერთის ამარა რჩება.
21340. ჩვენი ღმერთი ჩვენი სინდისია ჩვენს ყოფაში მისი შესაძლებლობის გატირაჟებით.
21341. განგების ჩარევას სამართლიანობის გარკვევის საქმეში, ყოველთვის სიკეთე არ მოაქვს, რადგან ჩვენც მეტ-ნაკლებად ცოდვილნი ვართ.
21342. ბრბოს რაღაცის უნდა ეშინოდეს, მათ შორის, ღმერთისაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მართვა შეუძლებელი იქნება.
21343. ზოგჯერ უბედურება უღმერთობის რქებს გვადგამს და რა ცოდვისათვის, ვერ გავრკვეულვართ.
21344. ბუნების ნებას და განგების გათავხედებას ყველა უსიტყვოდ ვემორჩილებით.
21345. სიყვარულის ისარი შეიძლება შემთხვევით აგცდეს, მაგრამ სიკვდილის ცელის აცილება შეუძლებელია.
21346. ასაკოვნება სიკვდილს არ ებრძვის, მაგრამ დიდხანს ამაყადაა სხვათა შორის.
21347. უდანაშაულოდ დასჯა დიდი ცოდვაა თვით განგებისათვისაც, რომელმაც ეს უგვანობა უგულისყუროდ დატოვა.
21348. განგებასაც თავისი კაურები აქვს, ბრძენს სკლეროზით დაასაჩუქრებს, ბრიყვს ჭკუას დააბრალებს და სიტყვების ფრქვევის უფლებას მისცემს.
21349. წესით საყდარში სანთლის ანთება და ალზე თვალის შევლება

დამსახურების მიხედვით უნდა მოხდეს, მაგრამ განგებას ჩვენი გამოსწორების იმედი აქვს და მონანიების უფლებასაც გვრთავს.

21350. შემთხვევითობის და აუცილებლობის კანონი ომის დროსაც მოქმედებს, მაგრამ მაინც მთავარია ვის მხარესაა განგება.

21351. მოულოდნელ სიკვდილს ისევ მოსალოდნელი სჯობს, რათა კიდევ ერთხელ გადაავლო განვლილ ცხოვრებას თვალი, ანდერძი და დარიგება დატოვო და მშვიდად გაემზადო „გასამგზავრებლად“.

21352. განგება ზოგჯერ იმითაც გვმოძღვრავს, რაც თითქოს არასოდეს გამოგვადგება, მაგრამ ვინ იცის, შემთხვევა სად გადაგვეყრება და რა ხასიათზე იქნება.

21353. ღმერთი რისკიან და გამბედავ ხალხს წყალობს.

21354. სიწმინდისაკენ მისწრაფებაც გენეტიკურია, წესიერი ხალხის პრეროგატივა, იმისდამიუხედავად, რომ ხეირი მისგან შორსაა.

21355. ირგვლივ მყოფნი გვტოვებენ, მაგრამ მათი სიკეთის მარგალიტები მშველელ ვაქცინად გვევლინება.

21356. ფილოსოფიაზე გავლენას ფაქტიურად, ვერც ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული მრავალღმერთიანობა ახდენდა და ვერც ჩვენი წელთაღრიცხვით მოვლენილი ერთი ღმერთი, მრავალი სარწმუნოებით და რწმენით.

21357. სიკვდილისთვის წაგებულ-მოგებული სულ ერთია, ყველას დაუკითხავად იმქვეყნად მიერეკება.

21358. ურწმუნო ადამიანის მართვა კანონით და შიშის მათრახით შეიძლება, რწმენის მქონისა – სიტყვით, დაყვავებით.

21359. სამყაროს საწყისი მარად შეუცნობელია. რადგან ღმერთი ვინ შექმნა, ამ საკითხის დასმა არ შეიძლება – ვეტოდასმული, დაყადაღებულია.

21360. გონიერებისთვის ფილოსოფია მუდმივი კაიფია, ქალი და დრო როდესაც „იშტაზეა“.

21361. რწმენა ცხოვრების გზაზე გვაყენებს და გვაძლევს საშუალებას, ამ სამყაროს საოცრებას ღმერთის მოშველიებით ჩავწვდეთ.

21362. სარწმუნოების სახელმწიფოებრიობაში ჩარევას სიავის და რწმენის გაბახების მეტი არაფერი სასიკეთო არ მოაქვს. ამის უამრავი მაგალითებია ისტორიაში, ამიტომ სარწმუნოებაც თავის ტყავში უნდა დაეტიოს და იმაზე მეტი თავს არ უნდა იდოს, რაზედაც სასიკეთოდ ხელი არ მიუწვდება.

21363. სამყაროს უცილობელი კანონია: რაღაც უნდა დაიბადოს, განვითარდეს, მოკვდეს და ევოლუციის მოშველიებით ყოველივე მკვდრეთით აღსდგეს.

21364. ყველა რწმენა შიშზე და რიდზეა დამოკიდებული, ეს ჯოჯოხეთში იქნება თანამდებობით თუ სამოთხეში რწმენაზე ხელის აღებით.
21365. ღმერთი სასიკეთოდ დამუხტული ენერგიაა და რატომღაც ყოველთვის ჩვენს მხარეს არ არის.
21366. ჯოჯოხეთსაც ჰქონია თავისი წამების მეთოდები და ადგილები, თუ ყოფას ვერ მოერგები.
21367. ყველა სარწმუნოებას თავისი წილი ცოდვა ჩადენილი აქვს, რომლის მიფუჩეჩებას და დავიწყებას ცდილობს და მორწმუნენიც განზრახ გულმავიწყნი რჩებიან, რადგან სხვა უკეთესი დასაყრდენი და საიმედო სულიერების შესანარჩუნებლად მათ ვერაფერი გამონახეს.
21368. შრომისა და მცდელობის გარეშე სამოთხის კარებთან მიახლოებაც კი შეუძლებელია, როგორც ამ, ისე იმქვეყნად, რაც უნდა სიმდიდრე გქონდეს ნაანდერძები.
21369. სიკვდილის წინ ადამიანმა ის ცოდვებიც უნდა მოინანიოს, რომლის ჩადენაზეც უფიქრია, რათა მთლიანად განწმენდილი დატოვოს ეს ქვეყანა.
21370. დღეს ღმერთების შტატი ხელოვნებაში ძალზე გაიზარდა და სპეციალიზებული გახდა: სიყვარულის, სიცილის, მადლობის, ომის, ზღვის, მეგობრობის და სხვა ამგვარი მრავალი.
21371. როდესაც ბრბოს ვიღაცის გაღმერთება უნდა, აქ გონიერება, ანალიზი, ჭეშმარიტება, ვერას გახდება.
21372. ლოცვა უფრო საჩივარია უფლისადმი, ვიდრე ინფორმაციის მიწოდება და თხოვნა.
21373. რელიგია მორწმუნეებს დროდადრო სასწაულით კვებავს, რწმენის გასამტკიცებლად.
21374. განგებას სხვადასხვა სახის დიპლომატიური კორპუსი ჰყავს გამოგზავნილი დედამიწაზე (მღვდელი, რაბინი, მუფთა და სხვა), რომლებსაც ერთი მცდელობა აქვთ: გარეგნულად – სულიერი, შინაგანად – მატერიალური.
21375. რელიგია და კაცობა სულიერების საბოლოო საყრდენი არ არის, დროებითი თავშესაფარია.
21376. ღმერთი ბრბოს იცნობს და იცის, რა დროს, რა გზაზე და ვისი უფროსობით უნდა გაისტუმროს.
21377. დაავადებული სინდის-ნამუსი ცხოვრების გავლას ეშმაკობის ხარჯზე ცდილობს და ახერხებს კიდეც.
21378. ყველას ღმერთი თავის გადასახედიდან უყვარს და ახსენდება.
21379. ზოგ მორწმუნე მქადაგებელს, ეტყობა, ეს ცაც არენდით აქვს

აღებული, იმდენ საინტერესოს და აუხდენელს ჰპირდება თავის მლოცველებს იმედის ჩასახვით და „სანთლის ფულის“ გამოძალ-ვით.

21380. მოციქულებიც თავის კარიერას დაბალი საფეხურიდან იწყებდნენ (ქრისტე ხურო იყო, მუჰამედი – აქლემების მეხრე, მოსე – მწყემსი) და სულიერების მაღალ საფეხურზე გვევლინებოდნენ, ამიტომაც, დასაწყისში ყველა სპეციალობა სასურველი და თანაბარია.

21381. რელიგიას გონიერება არ უყვარს, უბრალოდ, ეტმასნება, მაგრამ მისი ნაღვაწის გამოყენებაზე უარს ამბობს.

21382. ყველა რელიგია სათავისოდ ჩალიჩობს, მაგრამ მრევლს ამას არ უმხელს და მათზე ზრუნვასაც აყვედრის.

21383. ღმერთმა ადამიანი შექმნა, მაგრამ ცოდვების ჩადენის უფლებაც მისცა ე.ი. წუნი გამოუშვა, ხოლო თანამედროვე ადამიანი რომელიც რობოტებს უშვებს, ცდილობს მის ნახელავს წუნი არ ჰქონდეს.

21384. რადიკალიზმისაგან არც ერთი რელიგია არ არის დაზღვეული, მაგრამ განგებამ ეს არ უნდა დაუშვას.

21385. სარწმუნოების და ღმერთის არჩევანი დროის ყივილზე, ხელისუ-ფლის ნებაზე და ტექნიკურ პროგრესზეა დამყარებული და არა – ადამიანის შეგნებაზე. გარე ცივილიზაციის წარმომადგენლები თუ ჩვენთან დაახლოებას იკადრებენ და თავიანთ მიღწევებს თავს მოგვახვევენ, ადამიანები მათ სარწმუნოებას იწამებენ.

21386. ყველა ახალი რწმენა, მიმდინარეობა ცრუ და გაუგებარია, რად-გან დაღვინება და დაჭაშნიკება აკლია.

21387. კონსულტაცია შეიძლება იყოს: ფულის გადახდით, გად-აუხდელად, სუფრაზე მიწვევით და ღმერთთან გასაუბრებით.

21388. ათეზმიც სამყაროს წარმოშობა-განვითარების თეორიებს ეჩალ-იჩება, მომდევნო „სარწმუნოების“ მოძიებით.

21389. რწმენა ყველაფერია, თუ მას რეალობაში სასუნავსაც „მი-ვუგდებთ“.

21390. რწმენას ალტერნატივა არ აქვს, თუ გულთან ერთად გონიერე-ბაც მხარს უჭერს.

21391. სამყარო გამოუსწორებელი და ერთიდაიგივე შეცდომებზე ფეხ-წატეხილი ხალხითაა სავსე და მათ გამოსწორებას განგება არ დაუშ-ვებს, რადგან ამქვეყნად ყოფნა უინტერესო გახდება.

21392. ჩვენი დრო და ჩვენ ერთად ვქრებით და ერთად განვიცდით ამ სამყაროს ამაოებას.

21393. სანამდის არ დაბერდები – დაჩამიჩდები, სიცოცხლის სიმოკლეს, სიმცირეს ვერც აღიქვამ და ვერცა გრძნობ.

21394. ზოგიერთი მუსიკალური ნაწარმოები გვაიძულებს იმქვეყნიური ცხოვრება შევიგრძნოთ და ვიწამოთ.

21395. გულის სიღრმეში და გონის კუნჭულში, ღმერთის არსებობის არ გვჯერა, მაგრამ მის გარეშე ცხოვრება ჭირს, განსაკუთრებით – ასაკში.

21396. რელიგიური სამოსის შემოცმა, გონიერების სამყაროს შეცნობას, ცნობისმოყვარეობას, გარკვეულ ტვირთს უხსნის.

21397. ზოგჯერ მოსახლეობა ხალხად იქცევა, ხალხი – ბრბოდ, ბრბო – მასად, მასა ისევ მოსახლეობად და რატომ ხდება „ეს ხაბა-ხუბა“ არეულობის ერთის ხელის დაქნევით, გაუგებარია – ალბათ, განგების გასართობად.

21398. როდესაც რელიგიათა ისტორიას ეცნობი, შეუძლებელია ამ ნაღვაწის ავტორებით არ აღფრთოვანდე, მაგრამ საკითხავია, მათ თავიანთი რელიგიებისთვის ეს ნაღვაწი თავად შექმნეს თუ სხვათა ნაღვაწს და ზეპირსიტყვიერებას რედაქტირება გაუკეთეს.

21399. ყველა რწმენა წინასწარ გათვითცნობიერებას მოითხოვს, რათა შექმნილ გაუგებრობათა გამო ზურგი არ შევაქციოთ.

21400. განგებას ზოგჯერ ჩვენს რისხვას იმიტომაც ვაგებინებთ, რომ უფლებას არ გვაძლევს ჩვენს ჭკუაზე ვიცხოვროთ.

21401. ყველა რელიგიას, ადრე თუ გვიან, ფანატიზმი დაღუპავს და არა – ტექნიკური პროგრესი.

21402. ზოგჯერ რწმენას სასწაულების მოვლენით თავის დაცვა და რეკლამირება სჭირდება, რათა კონკურენციას და ოპონირებას გაუძლოს.

21403. ღმერთს ჩვენი უგნურებით პრობლემები არ უნდა გავუჩინოთ, მასაც ანგარიშის გაწევა სჭირდება.

21404. ცრურწმენა თავის დამამშვიდებელი ალიბია და არა – გაუთვალისწინებლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

21405. ყველა რელიგია თავისი რწმენის გაზიარებას და განუსჯელ მორჩილებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთის გმობას, მკრეხელობას, დაგწამებენ, ე.ი. რწმენის მონად უნდა იქცე და არა მეგობრად.

21406. ყველა მოძღვარი მრევლს ეშმაკის და დემონის მოხერხებულობით უფრო აშინებს, ვიდრე ღმერთის ყოვლისშემძლეობის ქადაგებით.

21407. ყველა სარწმუნოება ბანგია, თუ მას ძალაუფლება არ მფარველობს და ხალხს იმედად სხვა არა დარჩენიარა.

21408. სიკვდილს სიბერე ყოველგვარი დაზღვევის და დაპირებების გა-

რეშე მიჰყავს.

21409. უგნურებას ჩავდივართ და „ღმერთის ნებას“ ვაბრალებთ.

21410. სარწმუნოებაც შედარებით დამთმობი და მოყვასი გახდა, როდესაც მათაც დაიწყეს თავიანთი შეცდომების სახალხოდ აღიარება, ნიუანსების მიფუჩეჩებით.

21411. კერპს არ უნდა გავუსწროთ, დროის შესატყვისად უკან უნდა მივყვეთ, ან გამოვეკიდოთ.

21412. ეშმაკი არასოდეს ხუმრობს, მას თავისი ქმედების შედეგი აინტერესებს.

21413. რასაც ჩვენ ერთმანეთს კეთილი გულით ვუსურვებთ, რომ აღსრულებულიყო, ადამიანებს, ალბათ, ღმერთად მოვევლინებოდით.

21414. დამამტკიცებელი საბუთები, რწმენის უსაბუთო მტკიცებას ვერ სჯობნის.

21415. უაზრო, უმიზნო, დაჩაგრული, ხალხი ძირითადად ეკლესიაში იყრის თავს და თავისებურად ერთობა, ხოლო შეძლებულები პარაკლისს უკვეთავენ, წირვას იხდიან, შესაწირს გაიღებენ და საქმიანობას ისევ დროის დაუკარგავად უბრუნდებიან.

21416. სიკვდილს აზროვნება არ სჭირდება, მაგრამ სიცოცხლე უნდა ვაიძულოთ იაზროვნოს.

21417. სამყაროში უმწიკვლო ანგელოზებიც დაფრინავენ, მაგრამ განგების წინაშე ყველანი ცოდვილნი ვართ.

21418. რწმენა ყოველთვის მოძრავია, თავისებურად მომხიბვლელია და შემოქმედი.

21419. სხვადასხვა კონფესიების მსახურნი ერთმანეთს რომ ხშირად სტუმრობდნენ, მთლიანობაში მორწმუნენიც მოიგებდნენ და საზოგადოების აზრიც – ერთმანეთს უკეთ გაუგებდნენ.

21420. სიკვდილსაც თავისი კომედიური საწყისი აქვს, იმქვეყნად ჩვენი სულის სამოთხეში მოხვედრა სჯობს, თუ ჯოჯოხეთში, არავის უწყის.

21421. იმქვეყნად გადაბარგებას წილისყრა და ლატარიის გათამაშება არ სჭირდება.

21422. ვარსებობთ ე.ი. ბედნიერები ვართ და არავითარი პრეტენზია განგების მიმართ.

21423. საფლავზე ყვავილების მიტანა, ცოდვების მონანიების ერთ-ერთი საშუალებაა, ვინაიდან გარდაცვლილს თავის დროზე ვერ მოვუფრთხილდით და მოფერება დავაკელით.

21424. სიბერე განუმეორებელია, ნაღველით აღსავსე თავისებური სიამოვნებაა, იმქვეყნად გადაბარგების შეცნობით.

21425. ასაკში ნათესავები თავს მაშინ გვახსენებენ, როდესაც იმქვეყნად გადაბარგდებიან და შენ ვალდებული ხარ სამგლოვიარო პროცესიაზე დასწრებით ვალი მოიხადო.
21426. მეცნიერებას ბევრი რელიგია მოუნელებია და მოინელებს, ეტყობა, ასეთია განგების ნებაც.
21427. საზოგადოებას წინმასწარა-მეტიჩარა არ უყვარს, მაგრამ ითმენს და თუ დასჭირდა, მათსზე ლოცულობს კიდეც.
21428. ჭეშმარიტების დადგენა ყველას უჭირს, სარწმუნოების გარდა, რადგან განსჯადი არ არის.
21429. მეშჩანური ცრურწმენა უპრინციპოა.
21430. დღეს არც კერპები არსებობენ და არც – ბელადები, მაგრამ რწმენა ასე თუ ისე, თავს იწონებს და სულიერების მოკვლის საქმეშია ჩაბმული.
21431. რელიგიის დანიშნულებაა უგუნურთა მოთოკვა, რაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობას ემსახურება.
21432. რწმენას ისევ „ბრიყვად დარჩენა“ აძლევს ხელს, რადგან აზროვნება მის დოგმებს ზიანს აყენებს.
21433. სიტყვით, მაინც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რელიგიურია. ეს იმის ბრალია, რომ ტექნიკური პროგრესის სვლამ, ჯერ-ჯერობით, უკეთესი ალტერნატივა აზროვნებას ვერ შესთავაზა.
21434. ტექნიკურმა პროგრესმა რელიგიაც მიიზიდოს და ის უფრო მიმზიდველი, აზრიანი, თანამედროვე და დამთმობი გახადა.
21435. ათეისტსაც ღმერთი ახსენდება მაშინ, როდესაც უჭირს და მისი იმედის ახდენა ბეწვზე კიდია.
21436. ცნობისმოყვარეობა ცოდვად ითვლება, მაგრამ სარწმუნოების მსახურნი მისი შედეგით სიამოვნებით სარგებლობენ.
21437. საკუთარი უცოდველობის შეცნობის მცდელობა სხვათა ცოდვასაც უცოდველს გახდის შენს თვალში.
21438. ღმერთი იმიტომაც გახდა უძლური, რომ მთხოვნელთა და მომჩივანთა ოდენობა გაეზარდა.
21439. ღმერთისადმი რწმენა ამ სამყაროს მარად შეუცნობლობის შედეგია და არა მისდამი რწმენის და სიყვარულის.
21440. რწმენა ერთია, ცხოვრების კაურებში ძრომიალი მეორეა და უფრო ახლოსაცაა ჩვენთან.
21441. მოვალეობის აღსრულება, რომელსაც სიხარული მოაქვს, განგების რიგგარეშე საჩუქარია.
21442. უმწეო ხალხი განგებასაც არ უყვარს, როცა საპატრონოდ მიუგდებენ.

21443. გადაჭარბებულ-განუსჯელი ღმერთს არ უქნია, განსაკუთრებით, ახალგაზრდული სიყვარული ოჯახის შეუქმნელად.
21444. სიცოცხლის ფინიშამდე თანამეინახენი უბრძოლველად გვაკლ-დებიან და თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ესეც განგების ნებაა.
21445. ლოცვა ცდუნების სამკურნალო წამალია, მაგრამ ცდუნე-ბასაც რომ შეუძლია ზოგჯერ სარგებლის მოტანა, ამაზე არავინ ფიქრობს.
21446. სიტიტვლე ანგელოზთა პრეროგატივაა, მაგრამ მოდას აყოლილი დღევანდელი ჭიპგადმოგდებული ტიტლიკანა გოგონები ანგელო-ზობაზე თავს არ დებენ – მოდაში არაა.
21447. თეორიული მეცნიერებისათვის ყოველივე ახსნადია, გარდა ერ-თისა, როგორ გაჩნდა სამყარო, ღმერთი.
21448. ანგელოზთა ვალია ჩვენ დაგვიფარონ და არა – პატიოსნებაზე თავი დასდონ.
21449. ყველანი იმ სახეს ვატარებთ, რომელიც დავიმსახურეთ და არა იმას, რაც განგებამ გვისახსოვრა.
21450. რადგან სამყარო შეუცნობელია, უვიცობის დასამალავად ღმერ-თის მაგვარს ადამიანი ყოველთვის იწამებს.
21451. „არ მოიპარო“ კარგია, მაგრამ ამ პოსტულატს მორწმუნენიც კი ყოველთვის არ იცავენ მონანიების და შენდობის იმედით.
21452. ასაკი თავისებურად აფასებს ყოველი განვლილი დღის ფასს, რომელსაც ღვთის წყალობით ესწრება.
21453. სარწმუნოებაც მდიდართა მხარესაა, მეტ შესაწირს ტოვებენ, რაც მორწმუნეთა შორის შურს აღვივებს და რწმენას აუფასურებს.
21454. ყველაზე დიდი ღმერთი პირადი საკუთრებაა, რომლის ხელის ხლება ყველა გონივრულ დამოძღვრას გვავიწყებს.
21455. საოცარია, ღმერთის ადამიანს რიდი აქვს და მაინც ამდენ და-ნაშაულს და უსამართლობას სჩადის, ეტყობა, აქაც სარწმუნოების შენდობის და აღსარების უფლების ინსტიტუტია დამნაშავე, მაგრამ უამისოდ სარწმუნოების მსახურება ასავის დასჭირდებოდა.
21456. რწმენის გარეშე ყოველივე მოჩვენებითია, არამყარი თავის მო-ტყუება და გრძნობებთან თამაშია.
21457. ღმერთი სიკვდილის არსებობას ასაკში ხშირად გვახსენებს, ეტყობა, იმქვეყნად გადაბარგების აუცილებლობას თანდათანობით გვაჩვევს.
21458. სიბერეშიც თავს შეძახება და გონიერების მოხმარება სჭირდება, რათა სხვაზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი.
21459. ღმერთს უამრავი შვილი ჰყავს და მათ კონკურსს უწყობს, მილ-

იონერს – ერთი ან ორი და ამიტომაც უკონკურსოდ ვირჩევთ.

21460. გენიოსისაც დიდი ხნის სიცოცხლე არ უწეერია, თუ დროულად თავის წარმოჩენას ვერ შესძლებს.

21461. მოთმინება და წყნარი ცხოვრებისკენ ლტოლვა, რწმენის მოშველიებით უნდა ვისწავლოთ.

21462. ჯოჯოხეთსაც, ეტყობა, სანატორიუმი აქვს მოხერხებული და ეშმაკობაზე დამყნილი ხალხისთვის.

21463. ყველაზე დიდი ნოვატორი შემოქმედია, რომელიც ძველს მიაძინებს და ახალს აღვიძებს.

21464. ზოგჯერ სარწმუნოება არც სისხლისღვრის წინააღმდეგია და არც ძალადობის, თუ საქმე მის გავრცელებას ეხება, არც სიბინძურეს ერიდება და არც ცოდვების აკიდებას, რადგან მისთვისაც უპირველესი შედეგია, დაფარვა-დავიწყების იმედით. მაგ. დღევანდელი შახიდები, წარსულში – ინკვიზიცია.

21465. ეშმაკის შეცდენა, თანამეინახეთა დახმარებით, სრულიად შესაძლებელია, რადგან ისინიც „აცვენილი“ ჭკუისანი არიან.

21466. საკუთარი თავისადმი რწმენა ყველაზე დიდი სარწმუნოებაა და სალოცავია ადამიანისთვის.

21467. ადამიანი ვალდებული იყო ღმერთები გამოეგონებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის დარაზმვა და მათი აზროვნების დამუნათება შეუძლებელი გახდებოდა ე.ი. საზოგადოებაც ვერ ჩამოყალიბდებოდა.

21468. სანამ ღმერთი შეუცნობელია და მისი მოძღვრება სულს ესალბუნება, მანამ ხალხის ცნობიერება მას იწამებს.

21469. სარწმუნოება ჩვენი გაურანდავი გონიერების ნაყოფია, რწმენა – ჩვენს მიერ განსჯილი სინდისის, ლოცვა კი სულის აღმაფრენა და სიავისაგან გულის დაწმენდაა.

21470. გასაჯანჯლებელი ღმერთს არაფერი უქნია, მათ შორის ფორტუნასთან შეხვედრის მცდელობაც.

21471. ქვეყანაში შექმნილ უგუნურების გარემოში რელიგია სულის უკანასკნელი დასაყრდენი და იმედის მომცემია.

21472. შენდობა, პატიება, ადამიანის საქმეა, მიტევება – ღმერთის.

21473. ღმერთი იძულებულია ზოგჯერ სიავესაც დაუყვავოს, რადგან მის გარეშე ადამიანის სწორ გზაზე დაყენება ჭირს.

21474. სამყაროში მეფობს უსამართლობა, უწესრიგობა, სიღარიბე და აქ რწმენასაც პასუხი მოეკითხება.

21475. რელიგიის დანიშნულებაა ხალხის უგვანობა სულის უკვდავების ინდულგენციების ბითუმად გაცემით მოთოკოს.

21476. რადგანაც თავი ბოლომდე არ გვემეტება ამ სამყაროდან აღგვისთვის, იძულებულნი ვართ, იმქვეყნიურ ცხოვრებაზე რელიგიური ზღაპრები ვიწამოთ.

21477. ადამიანს, ეტყობა რაღაც ოპიუმის მაგვარი სჭირდება, ეს რელიგია იქნება, რწმენა თუ რაიმე შთაგონება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის ტყავში ვერ ეტევა და თვალი „საგმირო“ საქმეებისკენ გაურბის.

21478. რელიგია დღეს არაფერს ანვითარებს, პირიქით, მორწმუნეთა დაშინებით თავის დაცვას ემსახურება.

21479. როდესაც დღეს ეცნობი თალმუდს, ბიბლიას, ყურანს, გაოცებული რჩები, რამდენი რამ პერსპექტიული წინასწარმეტყველს არ სცოდნია.

21480. თუ არა სამოთხე-ჯოჯოხეთის ბლეფი, მონანიების მოქრთამვით, მორწმუნეთა ოდენობა ძალზე შემცირდებოდა. მითუმეტეს, რომ უშეცდომო და უცოდველი ადამიანი არ არსებობს.

21481. თუ ღმერთმა იტალია მიქელანჯელოს ჩანაფიქრის შესატყვისად შექმნა, რატომღაც რუსთველისთვის ეს უფლება არ მიუცია.

21482. ჩვენი უმეტესობა მსახიობია, მაგრამ ჩვენი მაცქერალი დროც რომ საჩვენოდ ღმერთს არ უქნია?

21483. პრაქტიკულად თითქმის ყველა ათეისტია, სანამ არ გაუჭირდება და გაურკვეველი პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდება.

21484. ხან ქათმის გრიპით გვაშინებენ, ხანაც ღორის გრიპით და ეჭვი მეპარება, მავანი ხომ არ ჩალიჩობენ ფულის საკეთებლად, რადგან ბუნების ძალები და მამაზეციერი ხალხის დასასჯელად ასეთი მცირე პწკენა-პწკენით თავს არ შეიწუხებდა.

21485. ეშმაკი, სატანა, ტარტაროზი – ყველა მათგანი ღმერთის მსახურია რწმენის უშიშროების ხაზით, რათა ადამიანის სისუსტეები გამოსცადონ და სულიერად ზედმეტად გარყვნისგან „დაიცვან“.

21486. სარწმუნოება, კულტის მსახურთა მეშვეობით, ცასაც ისაკუთრებს და მიწის გარკვეულ რეგიონებს არენდითაც იღებს საღვთო დღესასწაულების მოსაწყობად – გააჩნია წმინდანს, მორწმუნეთა ოდენობას, მრევლის შესაძლებლობას.

21487. ყოვლისშემძლე ეშმაკს ხშირად აქ მივყავართ, სადაც თავად უნდა.

21488. გვინდა – არ გვინდა, ყველანი იმას ვაკეთებთ, რაც განგებას სურს, ყოველ შემთხვევაში, ეს ლოზუნგი ალიბად მაინც გამოგვადგება.

21489. ამ ბოლო დროს ღვთის სახლში სიარული შემთხვევით თანამ-

დებობებზე წამოსკუპებულებმაც დაიწყეს და მათმა მეზობლებმაც, იმდენად აშინებთ მათი ფავორიტის სატორტმანო მდგომარეობა მთავრობაში.

21490. დროის მუქთად გაყვანა, ეტყობა, ღმერთის ნებაა, თორემ ამდენ მუქთახორას ხალხი ვერ შეინახავდა.

21491. ბედის წინაშე ყველა თითს კაკვავს. მათ შორის, გონიერებაც და ვგონებ, განგებაც.

21492. ხშირად ზარმაცები, ბეჯითებთან შედარებით, უფრო ნიჭიერები და რაციონალურები არიან და საბოლოოდ უკეთ აწყობენ ცხოვრებას. ალბათ, აქაც განგების შემოქმედებითი ახირება ჩანს.

21493. ღმერთს არ სჭირდება ის „პრობლემები“, რომელსაც ადამიანი თავისი რწმენით, მოჩვენებითი მორჩილებით და თხოვნით უქმნის.

21494. მორწმუნეთა ალიბის მოტანა და შემდგომ მისი მტკიცება ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია მისი დაჯერება ღმერთისთვის, თუ მას თხოვნა ახლავს.

21495. საკუთარი თავის რეალიზებაში ჩვენს მცდელობას, კეთილისმდომელთა გარდა, განგების ხელიც ურევია.

21496. საკუთარი თავის ნდობა ყველაზე დიდი სარწმუნოებაა ამ ქვეყანაზე.

21497. განგებაა ერთი და არა – ღმერთი – ეს ცნობიერებამ დროულად უნდა გაითავისოს.

21498. მთავარია რწმენისკენ მიდრეკილება გვქონდეს, თორემ რელიგიურ წარმოსახვას წინ ვერაფერი დაუდგება.

21499. რელიგია წინაპრებისათვის პატივის მიგებაა.

21500. იყო წმინდანი და იყო პატიოსანი ერთი და იგივე არ არის, რადგან პირველი შეძენილია, მეორე თანდაყოლილია, ბუნებრივია.

21501. ღმერთისკენ მისასვლელი გზა ყველას ჩვენ-ჩვენი გვაქვს. მათ შორის საერთო და დრომოჭმული გაგებით.

21502. სარწმუნოება, უმეტესად, ღარიბთა პრეროგატივაა, ხოლო მდიდრები მორწმუნოებაზე თავს იმიტომ დებენ, ეშინიათ უქონელნი არ იქნენ და ღმერთი უფრო მეტად არ იწამონ.

21503. ათეისტიც იძულებულია, ადრე თუ გვიან, რაღაც იწამოს, რათა თავი უვიცად, დაუზღვევლად, არ იგრძნოს.

21504. ზოგ უფროსს პრინციპები აქვს, ზოგსაც – ნერვები, ხოლო საუფროსოდ ღმერთს არც ერთი არ უქნია.

21505. ღმერთის და ფულის მცირეოდენი დახმარება ყველგან საჭიროა. ამის გარეშე ვერც გონიერება, ვერც სულიერება, ვერ საზრდოობს და არც არავის უნდიხარ.

21506. სამყაროს საოცრების შემხედვარე გონება, რაღაცის რწმენის გარეშე ვერ იარსებებს, სარწმუნოება ამას ღმერთს უწოდებს, ხოლო ათეიზმი – სამყაროს ძალებს.

21507. რელიგიისკენ შემოტრიალების მიზეზი სხვადასხვა ღმერთების შტატების შემცირება და ერთ ღმერთზე დაყვანა იყო, დღეს რელიგიის გაძლიერებას ღმერთისკენ მიმავალი სხვადასხვა გზების გაერთიანებას და ერთ ტრასად გადაქცევას საჭიროებს, რასაც ეკუმენიზმი მოითხოვს.

21508. ყველა სარწმუნოების კოზირი იმ ქვეყანასთან კავშირის არსებობაა, რადგან სამუდამოდ გაქრობა არავის უნდა.

21509. განგება ცოდვების ჩადენის უფლებას იმიტომაც გვაძლევს, რომ ჩვენით ერთობა და დასჯის და შენდობის უფლებით თავს სურვილებისამებრ გვახსენებს.

21510. განგებას, ყოველ შემთხვევაში, მადლობა უნდა ვაახლოთ, იმისდამიუხედავად, ამქვეყნად მოსვლა კარგად თუ ცუდად დაგვამახსოვრა და ჩვენს გამოცდას შეეცდება თუ არა.

21511. „ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს“ – ამ პოსტულატზე აგებული პერსპექტივით ცხოვრობს მთელი სამყარო.

21512. ლოცვა და თხოვნა იმიტომაა საჭირო, რომ ჩვენთვის დავადგინოთ, ღმერთი არსებობს თუ არა.

21513. თუ განგებას უყვარხარ, ის აუცილებლად მოგვამზადებს გარკვეული მისიის შესასრულებლად, ჩვენი შესაძლებლობების მიუხედავად.

21514. ადამიანი უნდა უფრთხილდებოდეს რწმენას, ბედს და შემოქმედის სურვილს.

21515. რელიგიას და მითოლოგიას ერთი სურვილი აქვთ, მაგრამ პირველი დიდხანს ძლებს, მეორე ადამიანის მეხსიერებაში საჭიროებისამებრ ამოტივტივდება.

21516. რწმენა ზოგჯერ არსებული იდეალების გადაფასებაცაა.

21517. რწმენა დიდი ძალაა, თუ მას რეალობასთან შეჭიდების საშუალება ეძლევა.

21518. რადგან თავის წარმოჩენას ყველანი ვცდილობთ, განგებამაც კეთილი ინებოს და ამ სამყაროს იერარქიაში ყველას ადგილი, მაღალი ანაზღაურებით, მოგვიძებნოს – ყოველ შემთხვევაში, ასეთია სურვილი.

21519. საღმრთო მოძღვრება კრიტიკას ვერ გუობს, რადგან ეკლესიის მიერ აქსიომადაა გამოცხადებული.

21520. ღმერთს ვთხოვოთ, ჩვენი ასაკისთვის განკუთვნილი სკლეროზი

„ქრონიკულ ვნებაში“ გადაზრდილიყოს და ქალები ჩვენი გულმავიწყობის სექსით გაფოფინებულიყვნენ.

21521. ღმერთი ხშირად არ სჯის იმათ, ვისაც ამღვრეული გონება აქვს და არასწორად იქცევა, ისინი მას მორწმუნეთა ცხოვრების შესაცნობად სჭირდება.

21522. რწმენა ინტერესებზე არ იცვლება და პირიქით, მაგრამ თანადგომას ახერხებს.

21523. რწმენა, რომელიც გამონაკლისს უშვებს, თავდაცვის ალიბს ახლაფორთებს, განსჯისკენ გვიბიძგებს, რწმენა კი არა, თავის დამშვიდების საშუალებაა, პრობლემების მიჩქმალვით და დროის გაყვანით.

21524. უფალი „რეჟისორი“ ყოველივეს ხედავს, მაგრამ ყველაფრის პატიება არ შეუძლია.

21525. საკუთარი თავის უსაფრთხოებაზე გადაჭარბებული ფიქრი არ ღირს, რადგან ეს მაინც განგების ნებაა.

21526. სპონსორობასაც განგების მომადლებული ნიჭი სჭირდება, რათა თავადაც ისიამოვნო, წარმოჩინდე და სახელიც საუკუნოდ დატოვო.

21527. ადგომა, წამოდგომა, ადვილია, თუ ფეხი შემთხვევით დაგიცდა და არა – განგების განჩინებით.

21528. ბედნიერებაა, როდესაც შენი წინაპარი, მშობელი, სიამით საფლავში კოტრიალობს, როდესაც თავის შთამომავლის, ნაშიერის წარმოსაჩენ წარმატებას იგებს და მის იმქვეყნიურ სულში სიამე ისადგურებს.

21529. სიბერე სიცოცხლის „მაბეზღარა“ კუბოა, მაგრამ მასში „წამოსაკოტრიალებლად“ თავი არ გვემეტება.

21530. რელიგია არა მარტო რწმენაა, არამედ ცოდნა, გამოცდილება, სურვილი, მოთხოვნილება, იმედი, როგორც აქ, ისე იმქვეყნად.

21531. ღმერთი და მისდამი რწმენა სამყაროს შეცნობა-შემეცნებაში ჩვენი უვიცობის დასაფარავი ალიბია.

21532. თვითმკვლელობა და რწმენისთვის თავის გაწირვა, ორივე ერთნაირი ცოდვაა ღმერთის წინაშე რადგან აფექტი, სიბრიყვე, ფანატიზმი, თან წამხედურობით, გონიერებისთვის მიუღებელია.

21533. ღმერთს ბევრი უფლება და მადლი აქვს ნიჭიერისთვის მიცემული, მაგრამ მისი გამოყენება, გამომზეურება, ისევ შემთხვევაზე და საზოგადოების სურვილზეა დამყარებული.

21534. ზოგჯერ სიზმარში ჩვენს ბედისწერას ვიგებთ, რაც განგების მიერ მოცემული შანსია.

21535. ყველა რელიგია ორიენტირებულია რწმენაზე, თვითგვემაზე, თავგანწირვაზე, მარტივ ჭეშმარიტებაზე, ყოველივე ზემოაღნიშნულის ყურით მოთრევით.
21536. არჩევანის წართმევის უფლება არავის აქვს, რადგან განგების ნაბოძებია.
21537. რწმენა უიღბლობის დაძლევის უებარი ელექსირია, თუ ამას შემართებას შევაზელთ.
21538. რწმენა ყველას საკუთარი უნდა გვქონდეს, სხვათა აზრების ოპონირებით.
21539. ტიტანების დრო იშვიათად დგება განგების რაღაც დავალების შესასრულებლად.
21540. სილამაზეს, სიყვარულს, ხასიათს, პარამეტრები არ გააჩნია, ის უბრალოდ, განგების წყალობაა.
21541. ყოველივე აუხსნელი განგების ნებაა, სამყაროს მომავალია და ასევე აუხსნელი დარჩება აწ და მარადის.
21542. ყველანი ფორტუნას წინაშე მართლები ვიქნებით თუ დროდადრო ლატარიის ბილეთს შევიძენთ, ტელეთამაშებს დავუმესიჯებთ, რათა განგებას საშუალება მივცეთ ჩვენზეც იფიქროს.
21543. სამოთხე იმქვეყნიურ მზრუნველობას, მოფერებით, იმას სთავაზობს, ვინც დროზე ადრე გადასახლდება იმქვეყნად.
21544. შთაგონება, რწმენა, მისწრაფება, გვინდა – არ გვინდა, განგების ნაბოძებად უნდა ვიწამოთ, ზოგჯერ იმდენად რთულია მათში გარკვევა.
21545. ღმერთი უსამართლო იქნებოდა, თუ ყველა სიკეთეს ერთ ადამიანს მიანიჭებდა, მაგრამ ამ გამონაკლისს საჭიროების ჟამს სჩადის და დასასჯელად დიქტატორს, ხოლო სახეიროდ გენიალური ნიჭის ხელისუფალს გვიგზავნის.
21546. განგებამ ბევრი სასწაული შემოგვთავაზა, გარდა ერთისა, ადამიანები ურთიერთდაჭმას ვერ გადააჩვია.
21547. ადამიანის უგუნურებისაგან განთავისუფლება ძნელია, თუ განგებამ არ ინება.
21548. ფანატიზმს უგუნურება ასაზრდოებს, ხოლო გონებაარეული რწმენა მას აღასრულებს.
21549. ფანატიზმი და ბანდიტიზმი ერთად სძოვენ, მაგრამ სხვადასხვა იდეები, საქმენი, აწუხებთ.
21550. კულტის მსახურებმა შემდეგი შინაარსის საყოველთაო ლოზუნგი უნდა გამოჰკიდონ სალოცავ სახლთან: „ღმერთსაც მივცეთ დასვენების საშუალება, ყველას მისი შეწუხების უფლება არ აქვს“.

21551. ჩვენი ჭკუით ღმერთს ვესაუბრებით და მოძღვრის დახმარებით ცოდვებს ვინანიებთ. „კლინიკაა“, მაგრამ სხვანაირად ცოდვების მიფუჩეჩება გვიჭირს.

21552. რელიგია ყოფის ჩიხიდან რეალურ გამოსავალს არ ეძებს და ამიტომაცაა ის მისთვის მისაღები.

21553. ხანდახან ისეთ ხასიათზე ვდგები, წამომცდება: „ღმერთო, შეუნდე საქართველოს, რომ ამდენ ჭკუანაღრძობს ინახავს და ყურსაც უგდებს, საჭირო ხალხის სანაცვლოდ“.

21554. მამაზეციერიც, ეტყობა, თავისთვის სატირით ერთობა, ვიდრე იუმორით.

21555. განგება ბედის მომსახურების განრიგს იშვიათად არღვევს და ადამიანმაც მოთმინება უნდა იქონიოს.

21556. ეტყობა, განგება ბიზნესთან და ეკონომიკასთან მწყრალადაა, თორემ ასე უსამართლოდ ფულს და სიმდიდღეს არ გადაანაწილებდა.

21557. გამოუსწორებელი შეცდომა განგების ნებაცაა, რომელმაც იგი შენი უგუნურებით შეფუთა.

21558. განგებასაც ბევრი ხუშტურები აქვს: მიწისძვრის, წყალდიდობის, ქარიშხლის, სახით, რომელთანაც ადამიანს შებმა და მათი შედეგის წინასწარ გამოცნობა, ჯერ-ჯერობით, უჭირს.

21559. ხასიათით უცვლელ ადამიანებსაც განგება ქმნის და მათზე დროის გათავხედება არ მოქმედებს.

21560. განგებამ, ეტყობა, იცის, რომ ზედმეტად ჭკვიანი ხალხის მომრავლება საზიანოა, სამყაროსაც ძვირად დაუჯდება, დედამიწა თავის ორბიტას დროზე ადრე მოწყდება და ამიტომაა ეს პლანეტა ამდენი შემთხვევითი ხალხითაა გადატენილი.

21561. ათეიზმი ეტყობა, მომავლის რელიგიაა, რადგან ამდენი სასწაულების მომსწრე ადამიანი, ბოლოს რწმენის გარეშე დარჩება.

21562. გრძნობათა გაღვიძება ასაკშიც არაა ცოდვა, თუ განგება შენს მხარეზეა.

21563. სარწმუნოებაც და ათეიზმიც დიდი ძალაა თუ სიკეთის პოზიციებზე დგეხარ.

21564. განგებასაც მორჩილი უყვარს, ოღონდ თხოვნის და შეწუხების გარეშე.

21565. თუ საჭირო ხალხი შენიანად გთვლის და გეხმარება, ესეც ღვთის ნაბოძები ნიჭია.

21566. ხელოვნება ნახევრად ღვთაებრივი სამყაროა და განგების დამოძღვრილია.

21567. იყო „დედა“, ღვთითდამოძღვრილი, უნიკალური პროფესიაა.
21568. საღმრთო აღტკინებით სიმართლის ღაღადისას სიმართლესაც გაიგებენ და მასში შერეულ სიცრუესაც, რათა „სიმართლე“ უფრო მომხიბვლელად გამოიყურებოდეს.
21569. იდეალების გარეშე ვერავითარი წმინდა ვერ იარსებებს, ხოლო რწმენის გარეშე ყველაფერი სათუთი უფასურდება.
21570. ადამიანი, ეტყობა, მაინც ყოვლისშემძლეა, მათ შორის, ღმერთად ქცევაც ძალუძს, როგორც ეს პრაქტიკულად „ერთმა ებრაელმა ბიჭმა“ მოახერხა.
21571. განგება ჩვენს შესაძლებლობებს უკმევს სარკმელს და არა – შედეგს.
21572. განგებას ვთხოვთ, რათა ღალატი ჩვენმა ახლობლებმა უმტკივნეულოდ გადაიტანონ.
21573. სიკეთის კეთება ბევრს შეუძლია, მაგრამ ხელი არ მიუწვდება, რაც განგების „დამსახურებაა“.
21574. ყველა ჩვენგანი დროს და სარწმუნოებას ელაქუცება, იმისდამიუხედავად, სჯერა თუ არა, სწამს თუ არ სწამს, მოსწონს თუ არ მოსწონს.
21575. საინტერესოა, ღმერთს ამდენს რატომ ვავალდებულებთ, როდესაც ხელის განძრევა გვეზარება, სიავის კეთებით ნიშანს ვუგებთ ერთმანეთს და ყველაფერი წმინდა უარყოფილი გვაქვს.
21576. ვინ იცის, რამდენჯერ შეგვიცოდავს, მაგრამ უსინდისოდ მაინც ვლოცულობთ და განგებისგან გამორჩენას მოველით.
21577. სამწუხაროდ, დროს ადამიანი ვერ აუმჯობესებს, თუ ეს განგების ნებაც არ არის.
21578. ადამიანი იმაზე მეტს არასოდეს იმსახურებს რასაც მას დროის შესატყვისად განგება უწყალობებს!
21579. ბუნების გათავხედება კი არა, განგების ნება-სურვილია მარადიული.
21580. ადამიანის მიერ დროისა და სივრცის რეალურად აღქმა განგებასთან კონკურენციის ტოლფასია.
21581. სურვილის რეალიზაციას განგების ჩუმი თანხმობა სჭირდება.
21582. ფანტაზია, ჯიში, მცდელობა, გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე მხოლოდ განათლება, რადგან პირველში განგების ხელიც ურევია.
21583. სამყარო თავისებური თეატრია და რა სახის სპექტაკლს შემოგვთავაზებს განგება – მისი რეჟისორი, არავინ უწყის.
21584. როდესაც სამყაროს საოცრებას აანალიზებ და მის ისტორიას სწავლობ ასტრო-ფიზიკის თვალსაზრისით, აქ აშკარაა, ღმერთისთ-

ვის საბაირამო ადგილი აღარ რჩება.

21585. შეუცვლელი ხალხი უკვე ზეცაშია, განგებასთან არის ჩახუტებული და კვლავ დედამიწაზე მოსავლენად ემზადება.

21586. მთავარია მარხვის დროს სულით იყო ქრისტიანი, თორემ სხეული რა კაურებს შემოგთავაზებს მუცლის ამოსაყორავად, თვით განგებასაც უჭირს.

21587. შენდობის უფლებით ხალხმა რატომღაც სარწმუნოება აღჭურვა და განგების კვერი დააკვრევინა. ამით მორწმუნენი მოიმრავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი უმრევლოდ დარჩებოდა, მეორე – უღმერთოდ, რადგან უცოდველი ამქვეყნად არავინაა.

21588. ათეისტები შეიძლება ვიყოთ, მაგრამ სამყაროს საოცრებებზე ეჭვით უნდა გავიჯირითოთ.

21589. ცოდვის ჩასადენად დაგვიანებაც შეიძლება და გადაფიქრებაც, თუ განგების ნებაც იქნება.

21590. ყველა რწმენას თავისი სუროგატი ახლავს, რომლისგანაც გათავისუფლებას ხშირად არც ცდილობენ და არც უნდათ.

21591. საიდუმლო ზიარება კი არ უნდა განვსაჯოთ, არამედ უნდა ვიგრძნოთ და მივუტეოთ.

21592. ჩვენი ცნობიერებისთვის დედამიწა ძალზე პატარავდება და ხელმისაწვდომი ხდება, ხოლო სამყაროს საოცრება უფრო ხელმიუწვდომელია და სანამდე გაგრძელდება ეს პროცესი არავის უწყის, რაც შეეხება ღმერთს, ის აქ არაფერშუაშია, უბრალოდ განტევების ვაცის როლს ასრულებს ადამიანის ცნობიერების დასაოკებლად, რათა ყოველივე მას გადავაბრალოთ („ღმერთმა ასე ინება“).

21593. ათეიზმი მოჭარბებული და თამამი ინფორმაციის შედეგია, სარწმუნოება – ინფორმაციის ნაკლებობისა და მორცხვი სიღარიბის.

21594. რწმენა გრძნობების ქროლვასაც აკვალიანებს.

21595. წარმატება-წარუმატებლობასაც განგების „ალიყური“ სჭირდება.

21596. ღმერთი გვწამს – არ გვწამს, მასთან ურთიერთობას მოფრთხილება სჭირდება, რათა სამყაროს უცნაურობებს მოწიწებით მოეპყრა და ყველა გაუგებარი მოვლენა მას მიაწერო.

21597. საღმრთო წერილებიც ადამიანის შექმნილია, ჭკუის წვალებით, რწმენის მოშველიებით და სულის გაჯეჯილებით.

21598. თუ ღმერთს არ უქნიხარ, ვერც ერთ წყობაში, დროში, ქვეყანაში, ვერ იფარფაშებ.

21599. შვედ ალფრედ ნობელს ბევრი საინტერესო სასიკეთო გამოგონება ჰქონდა, მაგრამ სახელი და სიმდიდრე მას მაინც „ბოროტმა

გამოგონებამ“, დინამიტმა, მოუტანა. ასე რომ ამ განგებისას ვერაფერს გაიგებ.

21600. როდესაც სამყაროს საოცრებას უყურებ, ათეიზმი ასე ხელწამოსაკრავი აღარ გვეჩვენება, იმდენად უსუსურად გამოიყურება ჩვენ მიერ შეთხზული ღმერთი.

21601. ღმერთს ყველაფერს ვეუბნებით, იმისდამიუხედავად, აქვს მას მოყირჭებული ამბის მოსმენის სურვილი თუ არა.

21602. ღმერთის ნებას ჩვენი ცხოვრების ფინიში განსაზღვრავს და განსჯის.

21603. ეკლესია, სარწმუნოება, გლახაკებზე ზრუნვისკენ მოგვიწოდებს, მაგრამ იმაზე კი არაფერს ამბობს, რომ ეს გაჭირვებულნი და უნიათონი, თუ განგების შემწეობაა, არ უნდა ჰყავდეს.

21604. ამპარტავნებას ყველა სარწმუნოება ჰგმობს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ შეხება „ჰომო საპიენსთან“ აქვთ, რომლის იმ ადამიანად ჩამოყალიბება, როგორც განგებას უნდა, არ ხერხდება.

21605. საგნებში და მოვლენებში გარკვევის უნარს, ცოდნა-განათლება-გამოცდილებასთან ერთად, ღვთიური ნიჭი სჭირდება.

21606. ლოცვა ღმერთთან გასაუბრების მცდელობაა, საკუთარი აზროვნების რეალიზაციით.

21607. ღმერთს შინაგანად ყველა ვეჭუკჭუკებით, იმისდამიუხედავად, გვწამს მისი არსებობა თუ არა.

21608. იდეას და იდეურობას განგება გვიდებს თავში და ამას ჩვენი ყოფის და მცდელობის დამსახურებად ნუ ჩავთვლით.

21609. სარწმუნოების ვაქხანალიის დამცველთა უგუნურებას ზოგჯერ საზღვარი არ აქვს, მიქელანჯელოს „საშინელი სამსჯავროს“ ფრესკა რომ გადაერჩინა, მისი მოწაფე დანიელ და ვოლტერი, იძულებული გახდა ზოგიერთ მათგანისთვის „ჩაეცმია“.

21610. ათეიზმიც და რელიგიაც სინონიმებია, რადგან ორთავეს თავის იდეები აწუხებთ და თავიანთი შექმნილ ღმერთებს ეთაყვანებიან.

21611. იყო გონიერი, მარტო სურვილი არ კმარა, მასში განგების ნებაც უნდა ერიოს.

21612. მორწმუნეებსა და კომუნისტებს შორის ის სხვაობა იყო, რომ მორწმუნენი ღვთის სახლში თავად მიდიოდა ცოდვების მოსანანიებლად, ხოლო კომუნისტების ბიურო თავად მოგაგონებდა იმ ცოდვებსაც, რომლის ჩადენაც ვერ მოასწარით.

21613. განგებას ძუნწი უფრო უყვარს, ხელმომჭირნე თუ ხელგაშლილი და მფლანგველი, ეს კიდევ დასადგენია.

21614. რწმენას, საღი აზრისთვის რაც უნდა მიუღებელი იყოს, დიდი და

მაგიური ძალა აქვს მის მიერ შეთხზულ ისტორიასთან ერთად.

21615. ღმერთიც ჩამოდის მიწაზე, თუ ეს მის ავტორიტეტს ეხება.

21616. მარხვა მარტო კვების შეზღუდვაა არა, არამედ გართობის და დაზოგილი თანხით სხვისი დახმარებისაც.

21617. სამყარო მკაცრია, რაც განგების ნებაა, რათა ხალხი არ გაირყვნას.

21618. ზეციურთან დაკაკუნება, ადრე თუ გვიან ყველას მოგვიწევს და ის, რაც ნაღდია, გარდაუვალია, ამაზე არც ფიქრი ღირს და არც ტვინის ჭყლეტა.

21619. ნაკლის გამოსწორებას მობილიზება სჭირდება, მობილიზებას – შრომა, შრომას – სურვილი, სურვილი კი განგების ნებაა.

21620. რაც უნდა მოხდეს, უფლება არ გვაქვს ობიექტურნი არ ვიყოთ, განგება არ გვაპატიებს.

21621. განგება თუ ერთეულთა მიმართ ლმობიერია, უმეტესობას უნაყოფო გამოცდას გვიწყობს და ისე გვიყურებს, როგორც ძუკნა დედაკაცი პერსპექტიულ მამაკაცს.

21622. რატომღაც მეგობრები და კარგი ნაცნობები იმქვეყნად ადრეულად მიდიან, ჩვენი მტრები და ნაძირალები კი რჩებიან. ეს განგების საოცრებაა, ეტყობა, სიკეთის მკეთებელ დილეტანტებს გამოცდას უწყობს.

21623. მცდელობა და ქმედება ჩვენთვის რწმენაცაა და ღმერთიც.

21624. მცდელობას შედეგი და ქვეყნისთვის აყვავება მაშინ მოაქვს, თუ განგება ამ დროს გვერდით გიდგას და გასართობად და „საშაყიროდ“ არ სცალია.

21625. ყველა საუკუნეში ერთ კლოუნს მაინც გამოუძებნის საზოგადოებას მამაზეციერი ქვეყნის სამართავად, გასამხიარულებლად და დასათრგუნავად.

21626. განგება ყველა ჩვენგანს გარკვეული იღბლით გვასაჩუქრებს, იმისდამიუხედავად, შევეჩვევით თუ არა.

21627. განგება ჩვენს ამბიციებს არად აგდებს და თავის ნებას უმორჩილებს.

21628. უგვანობაც განგების ნებაა, რათა მრევლს კარგის და ცუდის შეცნობის უნარი აცოდინოს.

21629. ადამიანს, უნდა – არ უნდა, სწამს – არ სწამს, სჯერა – არ სჯერა, მაინც ზეცისკენ გაურბის თვალები და წყალობას იქიდან ელის.

21630. მოყვასი ღმერთმა უნდა შეგვაყვაროს თავისი ნაკლით და ცოდვების გამოსწორებით.

21631. ღმერთის შეცნობას ცოდვის ჩადენაც სჭირდება და მისი მონანიებაც, რადგან ჩვენ ადამიანის გონებასთან გვაქვს საქმე.
21632. ეშმაკი ღვთისმოძულე არ არის, რადგან იგი, ღმერთთან ერთად, ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებას ცდილობს.
21633. განგების ნების მთავარი ნაკლი ისაა, რომ ბოროტებას უშვებს და არა მხოლოდ – გადაცდენას, რადგან ეს უკანასკნელიც საკმარისი იქნებოდა მრევლის აღსაზრდელად და ჭკუაზე მოსაყვანად.
21634. ჩვენი რწმენა და ღვთისნიერება ისევ „საქმემან ჩვენმან“ უნდა წარმოაჩინოს.
21635. ალბათ, ლექსებს ღმერთი ქმნის და მისი რჩეულების საშუალებით ახმოვანებს იმდაგვარად, თუმცა ისინი ამას თავიანთ ნიჭს მიაწერენ.
21636. ღმერთი ყოფაში სიცოცხლის შესაცნობად გაჭირვების უფლებას გვაძლევს, მაგრამ გარკვეული დოგმების ფარგლებში.
21637. შეწყნარება, შეწყალება, თანაგრძნობა, ნიჭს მოითხოვს და ღვთისგან უნდა იყოს მომადლებული.
21638. ვნებაში მოწოდებით გახვევა განგების მიერაა სანქცირებული.
21639. ნაღველის მოხსნა, შემსუბუქება, განგების წყალობაა დროზე დროულად მორგებით.
21640. ბუნება ადამიანს ბევრს უთმენს, რაც, ეტყობა, განგების შუამავლობით ხდება.
21641. ყველა ადამიანი თავისებური არამზადაა და ეტყობა, აქაც განგების კვიმატი ხელი ურევია.
21642. დღეს ცოდვილის და წმინდანის სტატუსი კვლავაც დასადგენია.
21643. სიცოცხლე განგების ყველაზე მყიფე, სათუთი, მსხვრევადი, გამოგონებაა.
21644. ღმერთს ეძებენ ან არ ეძებენ, ემსახურებიან ან არ ემსახურებიან, გააჩნია, როგორ თარგზე არიან მოჭრილნი და ვის მიერ.
21645. სულელს და სისულელეს ყური უნდა უგდო, ზოგჯერ მათი სახით განგება გვკარნახობს რაღაც სიახლის და სიკეთის საკეთებელს.
21646. ფილოსოფოსების ნუგეში მაინც მაღალი ღმერთია..
21647. საბოლოოდ, ჩვენი მსჯავრმდებელი და ვექილი ღმერთია, გვწამს იგი თუ არა.
21648. სამყაროს ცვალებადობაც რწმენას მოითხოვს, კაცობრიობა რომ გადარჩეს.
21649. ადამიანი ღმერთს კი არ ეურჩება, არამედ ეჯუჯღუნება და ბავშვივით ეშმაკობს.
21650. ადამიანმა, რაც მისთვის გაურკვეველია, შეუცნობადია და დას-

აბუთების უნარი არ შესწევს, ღმერთს აჰკიდა, სხვა ყოველივე მის ქმედებაში მიმბაძველობა და ტრადიციებია.

21651. განგებამ რაც ადამიანის შექმნას დააკლო, მოჭარბებულად ცხოველებს მისცა (ყნოსვა, გამრავლების უნარი).

21652. ვითომ განგების ნებაა, როდესაც ერთი ერის, ქვეყნის, შვილი მეორისას, სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე, უდარდელად კლავს და ამას გმირობად უთვლიან.

21653. ყველა ჩვენგანი ღმერთს უნდა უყურებდეს და ისე იღვწოდეს, უპირველესად ეს ხელისუფალს, ბანკირს და ბიზნესმენს ეხება.

21654. რწმენა განგების მოგზავნილია, იმისდამიუხედავად, ნათლია ვართ თუ მონათლული.

21655. ადამიანმა თავი ბედნიერად რომ იგრძნოს, განგებით დაკისრებული მოვალეობაც სათანადოდ უნდა აღიქვას.

21656. აღსარება აანგარიშგებაა განგების წინაშე განვლილი ცხოვრების იმ გადაცდენებზე, რომელიც შეგეძლო არ ჩაგედინა.

21657. ცხოვრებამ რაც უნდა გვიმუხთლოს, მაინც არ უნდა გავემიჯნოთ, რადგან განგებას უმიზეზოდ არ მოვუვლენივართ ამქვეყნად.

21658. რწმენა ბევრ სულიერ და ხორციელ დაავადებას შველის, ყოველგვარი წამლობის გარეშე.

21659. უღმერთოდ ფონს გავლა ჭირს, რადგან ხორციელად თუ არა, სულიერად ვიღაცის და რაღაცის რწმენა ძალას გვიორმაგებს.

21660. ადამის მოდგმას რელიგიური დოგმების სისასტიკე თრგუნავს და არა – თავად ღმერთი და მისდამი რწმენა.

21661. რელიგიამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ არსებობს ღმერთი, ხოლო მოძღვარმა შთაგვაგონოს მისდამი რიდი.

21662. ყველა სიბრძნე თავისებური რელიგიაა, რადგან მისი შესატყვისი ჭკუა-გონება განგების ნაბოძებია.

21663. რწმენის გარეშე ადამიანს ცხოვრება უჭირს და ბედით ნაბოძებ ამქვეყნიურ ბედნიერებას ბოლომდე ვერ აღიქვამს.

21664. ზევსი ნებისყოფის ღმერთია, პალადასი – სიბრძნის, ვენერა – ვნების, ბახუსი – ღვინის. ამ ღმერთების გაერთიანება და ერთი სამმართველოს შექმნა ადამიანს თავად აქცევს ღმერთად.

21665. ურწმუნოებაზე მეტად რწმენისა უნდა გვეშინოდეს, რაიმე ხომ არ გვეშლება და ვისმეს გონიერებას ფეხს ხომ არ ვუდებთ.

21666. განგება ყველას კუთვნილ სისულელეს გვჩუქნის, გამოსაცდელად და ამქვეყნად აზრზე მოსასვლელად.

21667. ღვთის ნების აღსრულებასაც ზოგჯერ ჯანმრთელი ოპონირება სჭირდება.

21668. სიწმინდეთა გაფეტიშების გარეშე ადამიანის დამორჩილება და სწორ გზაზე დაყენება ძნელია.
21669. ღმერთის სამსახურის სწავლა ძნელი არ არის, თუ მასთან სიახლოვეს შეიცნობ.
21670. ღმერთის შეცნობა და მასთან „ჭუკ-ჭუკი“ ისევ ცხოვრების გაადვილებისთვის გვჭირდება.
21671. „ჰომო საპიენსზე“ მეტი ღირებულებისა ღმერთს არ შეუქმნია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვწამს.
21672. რწმენა იგივე კერპთაყვანისმცემლობაა, თუ არა დამსხვრეული კერპები, ადამიანი არც ერთ რწმენას ახლოსაც არ გაიკარებდა.
21673. ადამიანი მორალის გათვალისწინებით უნდა გაერკვეს, განგების მორჩილად თვლის თავს თუ არა.
21674. ღმერთის ნების შეცნობაა ძნელი და არა მისი უგულებელყოფა ან მორჩილება.
21675. ლოცვა სულიერების განწმენდის საშუალებაა თუნდაც იმ ცოდვებისგან, რომელიც ჯერ არ ჩაგვიდენია.
21676. იდეათა შეხლა-შემოხლა ზოგჯერ ქორწინებით მთავრდება, ზოგჯერ აღმოჩენით, ზოგჯერაც ერთმანეთის ქიშპობით, გააჩნია, ამ დღეს რა ხასიათზეა განგება.
21677. სასჯელი ღვთისგან მოვლენილიც კი აუტანელია, რადგან ის ვაჭრობის საგანი ხდება: „ასე მკაცრად არ უნდა დავსჯილიყავი“.
21678. გამოსავლის პოვნა სულელსაც შეუძლია, თუ იმ წუთში განგება მის მხარეზეა.
21679. ღმერთმა ღირსეული მსახური უნდა მოუვლინოს მრევლს, რათა მის რაობაში ეჭვი არ შეიტანონ.
21680. თავნება განგებას არ მოსწონს, რადგან მისი დოგმები ხშირად უყურადღებოდ რჩება.
21681. ასაკით „კუბოაკიდებული“ ხალხი ბევრია, მაგრამ განგება მათშიც ზოგიერთს ირჩევს.
21682. ამქვეყნად გათამაშებას ყველაზე ეეფქტურად განგება იყენებს გასართობად და უნიათოთა „დასასჯელად“.
21683. რელიგია სიკეთის კეთების მცდელობაა, უგუნურების გათავისებით.
21684. ვნებათა ძლევა – არძლევა, ხშირად, ჩვენს მეობას არ ემორჩილება, რადგან განგების ხუშტურზეა დამოკიდებული.
21685. რელიგიაც დაფინანსების, ძალის და მხარდამჭერთა, გარეშე უსუსურია.
21686. რაიმე „უხილავი“ რომ დაინახო, უნდა ირწმუნო, რომ ირწმუნო,

უნდა ეცადო დაინახო, ცნობიერებით მაინც.

21687. მოთმინება, ჩასაფრება, ყოველთვის ამართლებს, თუ ღმერთს არ დაავიწყდები შენს ბედთან ერთად.

21688. ადამიანთა უმრავლესობა დაუნახავია, გაუტანელია, მაგრამ განგებამ ასე რატომ ინება, გაუგებარია.

21689. რწმენა, ეჭვის გარეშე მიუღებელია.

21690. ლამაზი აზრები სარწმუნოებასთან გვაახლოებს.

21691. წინასწარმეტყველობას ღვთის მიერ მომადლებული ნიჭი უნდა და არა – ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა.

21692. ქართველები კი ვართ ნიჭიერები, მაგრამ, ეტყობა, ღმერთმა დაგვწყევლა – „შენი არ გაცოდინოს და სხვისი ნუ დაგანახოსო“, „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“, „ღმერთმა სავარძელში ჯდომის და მოსმენის უნარი წაგართვასო“, ასე შემდეგ და ასე ამრიგად.

21693. დრო და შემთხვევა განგების პრეროგატივაა.

21694. ხელისუფლებაში თუ სიმართლე მოიპოვე ისე, რომ გულთან მიიტანონ, ღვთიური ნიჭი გქონია მომადლებული.

21695. აზროვნებაც პირობითია, რადგან საღ და შემოქმედებით აზროვნებაში განგების ხელიც ურევია.

21696. უფალთან დაახლოების მცდელობა არ ნიშნავს ანგელოზად გადაქცევას.

21697. ღმერთიც და ანგელოზიც თავზე დაგვტრიალებს, მაგრამ ჩვენს გამოსწორება-გარდაქმნას საშველი არ ადგება, იმდენად დიდია ადამიანის მიერ ალიბად გამოგონილი ეშმაკის გავლენა.

21698. საინტერესოა, მოძღვარს რომ ცოდვების მიტევება არ შეეძლოს, რამდენი მორწმუნე შემორჩებოდა ღმერთს ამქვეყნად.

21699. მღვდლის წინაშე ღვთისმოსავი უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენი ცოდვები მას მიაქვს განსასჯელად მეუფესთან.

21700. მონანიებაც გონიერების გარკვეულ შესაძლებლობებს უნდა ემორჩილებოდეს, რადგან არის ცოდვა, რომელიც შენდობას არ ექვემდებარება.

21701. განგების მოტყუება შეუძლებლია, მაგრამ ვიგინდარები ცდას არ აკლებენ.

21702. ტანჯვა და ყოფის გამოცდა სხვადასხვაა და ღმერთთან მიმართებაში თავის მოსაკატუნებლად ერთდროულად არ უნდა გამოვიყენოთ.

21703. რწმენა ისევეა დავადებული, როგორც საზოგადოება და ქვეყნის მმართველობა.

21704. ღმერთის შეცნობას სულიერების სიმაღლეზე გონით შეცნობა სჭირდება.
21705. ღმერთს იმიტომ ვცემთ პატივს, აშკარად ჭკუას რომ არ გვასწავლის და ჩვენს ცოდვებზე პირდაპირ რომ არ გვითითებს.
21706. ზოგჯერ განგებაც განგებ ცდება, რათა კაიფი, „რას იტყვის ხალხი“, შეიცნოს.
21707. განმარტოება ზოგჯერ ღმერთთან საუბრის სურვილია, შენივე გადასახედიდან.
21708. ცოდვებთან ბრძოლა ზოგჯერ მათთან შერიგებით შეიძლება, წამოძახების გარეშე.
21709. ინტელიგენტი შუამავალია ხელისუფლებასა და ხალხს შორის და პასუხს აგებს ღმერთის წინაშე.
21710. უკიდეგანო სამყაროზე დაფიქრება, უსუსურობა, მის შეცნობაში ღმერთზე, ამაღლებულზე, დაგვაფიქრებს და რაღაცას ვიწამებთ.
21711. ღმერთან ჭუკჭუკი ყველას მოგვწონს, იმისდამიუხედავად, გვწამს გულით თუ არა.
21712. ღმერთისადმი რწმენა ერთია, მის საამებლად წირვა-ლოცვა მეორეა, ათეიზმი – მესამე, ასე, რომ რწმენისადმი მიდგომაც პატიოსნებას მოითხოვს.
21713. ღმერთი ყველასთვის სამართლიანი იქნება, თუ ადამიანებს შორის ძმობა და ურთიერთგაგება დამკვიდრდება.
21714. ყველა თეოლოგია, მეტ-ნაკლებად, ჩვენი რწმენის დაჯიჯგვნას ცდილობს.
21715. ადამიანი მრწამსს იშვიათად იცვლის, რადგან მისთვისაც გაუგებარი გონიერება-უგუნურების ბორკილი ადევს.
21716. სიკეთის და სიბრძნის ერთდროულად ჩუქება განგების ნებაა, თორემ ცალ-ცალკე შეიძლება ბედმაც გვარგუნოს.
21717. იმქვეყნად გადაბარგებამდე უნდა ვეცადოთ რაიმე სასიკეთო დავტოვოთ, თორემ განგებასთან შეხვედრის წინ მონანიება სულისთვის ვერაფერი შეღავათია.
21718. ჯოჯოხეთში ადამიანი უფრო ხშირად ივლიდა ტურისტული საგზურით, ვიდრე სამოთხეში, იქ რომ მათი მიღების შეუზღუდავი პირობები იყოს.
21719. ადამიანის ნათელი მხარის შემჩნევა, გაფეტიშების გარეშე, განგების ნაბოძები ნიჭია.
21720. ადამიანის ნამოქმედარი გარემოს მიმართ განგების შერისხვის ღირსია, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, გვიყურებს, გვპატიობს და თვალსაც ხუჭავს – როდემდის.

21721. სასწაულების დაჯერება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი საჭიროების გაგება და დამუღამება.
21722. სასწაულის ყველას გვწამს, განსაკუთრებით, თუ ჩვენს მცდელობას გაუმართლა და ზოგჯერ განგების ხელსაც შევიგრძნობთ.
21723. ღმერთისკენ მიმავალი გზა ყველა ცხოვრებისეული კიბის დაძლევის მცდელობით იწყება.
21724. სარწმუნოება თავისებური ჯვარია, გააჩნია, რა რწმენას შემოგაწერს მშობლები და რა დონეზე გაითავისებ მათ „ნაჩუქარს“.
21725. ეშმაკი ასაკოვან და უგერგილო ქალებს ხშირად განგებას გადაულოცავს და მის საპატრონოდ ხდის.
21726. სიცოცხლე-სიკვდილის ტოლობა იმაზე არაა დამყარებული ვინ სიცოცხლეში როგორ გაიხარა, უბრალოდ, გენეტიკა, გამართლება და განგების ნებაა ასეთი.
21727. ღმერთს მეომარი ჯარისკაცი შემწუხებლად არ სჭირდება, ისედაც შოკშია ამ ომის დაწყებით.
21728. სარწმუნოება მიზნის დასახვაა, ამიტომაც მისკენ უნდა ვისწრაფოთ და მასზე უნდა ვილოცოთ.
21729. ამ უსასრულო სამყაროს რუკაზე ერთი უმნიშვნელო წერტილია და ისაა შენი პლანეტა, ქვეყანა, სამშობლო და ჩვენი ამბიციების მიუხედავად, განგებისთვის არც ისე ადვილია, რომ შეგვამჩნიოს.
21730. განგების შეწუხება ყველას შეუძლია, თუნდაც უაზრო ლოცვებით და მერკანტილური მოთხოვნებით.
21731. განგებამ მასსა და ეშმაკს შორის ბუფერად ადამიანი შექმნა, რადგან მისგან მეტ გაგება-მორჩილებას ელოდა.
21732. ყველა ტაძარს, თავისი მისასვლელი გზის პროფესიონალებით დაკომპლექტებით, შენება სჭირდება.
21733. სამყაროს საოცრების მარტივად ამოსახსნელად, ერთ-ერთ უცნობად, ღმერთის ფენომენი იქნა შემოტანილი, რათა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობისმოყვარეობა ამით დაეკმაყოფილებინათ.
21734. სიბერე გარდაუვალი მოვლენაა და ღმერთმაც ხელი მოგვიმართოს უსკლეროზოდ დაჩამიჩებაში.
21735. განგების ნასროლ ბედის ისარს ვერც მიმართულებას შეუცვლი და ვერც თარიღს, იმის მიუხედავად, გინდა ამ დროში ცხოვრება თუ არა.
21736. ყისმათი განგების რეკომენდაციის შედეგია და არა მარტო ჩვენი მცდელობისა.
21737. ადამიანს ყოველდღიურად ზრდილობას შინაგანი ხმა უნდა უნ-

ერგავდეს და განგება სიკეთით კეთებისკენ მოუწოდებდეს.

21738. ვისაც ღმერთის არ ეშინია, ის არც ეშმაკს ეპუება და არც ანგელოზისა სწამს.

21739. ებრაელებმა იმიტომ აჩუქეს კერპთაყვანისმცემლებს ქრისტე, უნდოდათ მათთან დანათესავებულიყვნენ და მომავალში მათი პოტენციური მტრის, მუსლიმების, საწინააღმდეგოდ გამოეყენებინათ, რაც მათ ნაწილობრივ შესძლეს, მაგრამ ბოლომდე არ გაუმართლათ, რადგან ადამიანის ბუნება ვერ განსჭვრიტეს.

21740. თანამედროვე რწმენას ღმერთთან ყოფნის სურვილი აქვს, მაგრამ არაფრის განმარტება და პასუხისგება არ უნდა.

21741. ათეიზმიც რწმენაა, რომელსაც სწამს ღმერთის და ეშმაკის არარსებობა.

21742. ეტყობა, ყველა ღმერთს გენი ებრაული წარმოშობისა აქვს და მათს უმადურობაში ებრაელები თავად არიან დამნაშავენი, რადგან უმადური შვილები აკვანშივე უნდა ჩაეკლათ.

21743. ყველა ეშმაკი და ანგელოზი ღმერთის საიდუმლო მსტოვარია, იმ განსხვავებით, რომ ერთს მფარველობის ტვირთი აჰკიდა, მეორეს – სიავის ჩადენის და შედეგად ორივენი ადამიანის ჩამოყალიბების და განგების ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურებიან.

21744. ჯოჯოხეთსაც და სამოთხესაც თავის საძრომიალო აქვთ, გააჩნია, პროტეჟეს და პროტექციას.

21745. ჯოჯოხეთში და სამოთხეში მოხვედრასაც, სიცოცხლეში ცხოვრების მოსამზადებელი კურსების გავლა სჭირდება.

21746. ყველაზე დიდი სარწმუნოება გონივრულად შედგენილი გეგმაა, რომლის ხორცშესხმას ყველა უნდა ცდილობდეს, თუ გვინდა ხელში მხოლოდ „უქმის“ ლოცვა არ შეგვრჩეს.

21747. უნარი ყველა ბედნიერების საწინდარია და განგება შემთხვევის გამოგზავნასაც არ აყოვნებს.

21748. ყველა უსუსურის, უპატრონოს, უგუნურის, პატრონი ღმერთია, ყოველ შემთხვევაში, მათ ასე ჰგონიათ.

21749. რწმენას კაურები არ სჭირდება, ის უფრო გაუხსნელი გულის გამოძახილია, ვიდრე – გონების.

21750. ყველაზე დიდი „გამოგონება“ რწმენისადმი პატივისცემა და განგების თანდაყოლილი სიყვარულია, რომლის გარეშე არც შთამომავლობა იქნებოდა და ვერც „ჰომო საპიენსი“ იარსებებდა.

21751. ხშირად ჭკუის აზროვნებასთან ხახუნი სამყაროს საოცრებისაგან გაღწევას ცდილობს ან მარტივ გამოსავლამდე, ღმერთამდე, დადის.

21752. არა მგონია, ჩემზე მეტად რწმენას ვინმე პატივს სცემდეს, მაგრამ რწმენა სიყვარულს არ ნიშნავს.
21753. განგებას თუ შენი წარმოჩენა უნდა, თავად მოგნახავს, გაგაყოჩაღებს და ბრბოს თვალში აგამაღლებს. არადა, რამდენი ასეთი მაგალითია ისტორიაში.
21754. რამდენი ახალგაზრდა წასულა ამქვეყნიდან, რომელსაც გენიოსობაზე ექნებოდა პრეტენზია, განგებას მისი დატოვება რომ ენება.
21755. ორთოდოქსი მორწმუნე ამაოდ ფიქრობს, რომ ურწმუნოს არავითარი შინაგანი სიმდიდრე არ აქვს და თუ რაიმე ხელშესავლები მოეძევება, ისიც მოჩვენებითი და უნიადაგო.
21756. უსაქმურებიც იბადებიან, რადგან შემოქმედისთვის წარმოუდგენელია ეს მოკლე წუთისოფელი მათი მომრავლებით არ დასაჯოს.
21757. ღმერთთან ღირსებით წადგომასაც ამქვეყნიური რეკომენდაცია და შეულამაზებელი ბიოგრაფია სჭირდება.
21758. მეგობარსაც, ეტყობა, განგება გვირჩევს, ზოგჯერ იმდენად განსხვავდება მათი ხასიათი.
21759. ყველა რელიგია ცოდვილია, ის ხალხს უგზო-უკვლოდ აბრიყვებს, მაგრამ სიკეთის კეთებასაც შთააგონებს, თუმცა ამით სიავე ამქვეყნად არ მცირდება.
21760. ბავშვი იბადება სხვადასხვა უნარებით: სმენადობით, მხედველობით, ყნოსვით, მომხიბვლელობით, წინასწარმეტყველებითა და ტელეპათიით. ასაკის მატებასთან ერთად განგების წყალობა თანდათან აკლდება და ისე გადაბარგდება იმქვეყნად, რომ ნაბოძებიდან თითქმის აღარაფერი რჩება.
21761. განგება, გამოცდის თვალსაზრისით, ყველა ჩვენგანს სასიკეთოდ ერთხელ მაინც გადმოხედავს, იმისდამიუხედავად, მის წყალობას ვიმსახურებთ თუ არა.
21762. იქ, სადაც წინააღმდეგი ვართ ვიფიქროთ, რადგან ჩვენი ფანტაზია ვერ სწვდება, იწყება ღმერთი.
21763. კერპები ზოგჯერ ეპოქის ძეგლები ხდებიან, თუ დრომ მხარი აუბა და განგებამაც.
21764. გვინდა – არ გვინდა, განგების კაპრიზს ვემორჩილებით და მის ნებას ვასრულებთ ჩვენი გონების წინააღმდეგობის მიუხედავად.
21765. გულის დამშვიდების საშუალება ლოცვაა, მაგრამ ასაკიც უნდა გავითვალისწინოთ.
21766. ზეციური მართლმსაჯულება ამქვეყნიურ მართლმსაჯულებას

მანამ არ დაემთხვევა, სანამ ადამიანს ამქვეყნად უხდება ყოფნა და ჩალიჩი.

21767. ყოველდღიური ფიქრისაგან განსხვავებით, ნაყოფიერი ფიქრი განგების რეზოლუციის შედეგია.

21768. თუ განგებამ აგირჩია, ბედისწერას ვერ გაექცევი და შენზე მინდობილი საქმიანობა მოწოდებით უნდა აკეთო.

21769. ლოცვა უფალთან სულიერი კავშირის დამყარების მცდელობაა ხატის, სანთლის და შესაწირის მეშვეობით, მღვდელთა გასახარად.

21770. ტანჯვა-წამებას ჩვენზე რაღაცით განაწყენებული განგება გვივლენს.

21771. ადამიანი ღმერთს არ ეურჩება, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ზოგჯერ ასე ჩანს.

21772. შეცდომა მოხდა, როდესაც რძის ნაწარმი მარხვის პერიოდში აიკრძალა, რითაც მომთაბარე ტომები საკვების გარეშე დატოვა, შედეგად მაჰმადიანობამ იძალა და ღმერთთან მისასვლელი რწმენის სხვა გზა ააშენებინა.

21773. გონიერება მორწმუნესაც სჭირდება და ათეისტსაც, რათა ზომიერება დავიცვათ.

21774. სარწმუნოებაც თავისებური დიქტატურაა და ცდილობს წარსულის სულიერების დოგმებით იცხოვროს, მაგრამ ყოფიერების პროგრესის მიმართ გულგრილი არ რჩება.

21775. ვინმემ რომ გაგიგოს და გაუგო, რწმენა და იმედი ერთდროულადაა საჭირო.

21776. ხსოვნა-დავიწყება, სიყვარული-სიძულვილი, გონიერება-უგუნურება, ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია და განგების ნებართვით რა სახით და რა დროს გამოვიყენებთ, არავინ უწყის.

21777. რატომღაც რწმენაც, დოგმების და შურის გარეშეE ძნელი გასაგებია, ხოლო თანადგომის გარეშე სარწმუნოების შენარჩუნება ჭირს.

21778. რჯულის დაურღვევლად და საპასუხო დარტყმის გარეშე ვერც საზოგადოება იარსებებს და ვერც სარწმუნოება, რომელიც ასე ხელაღპყრობით ქადაგებს მიმტევებლობას.

21779. სარწმუნოებაც თავისებური დიქტატურაა, რომელიც აზრთა ჭიდილს და ფილოსოფიას ვერ იტანს და ცდილობს წარსულის სულიერი დოგმებით იცხოვროს, მაგრამ მატერიალიზმის მიღწევების გამოყენებით.

21780. რწმენას ფიცი-მტკიცი და ყოფიერების ალგორითმის ამოხსნა

არ სჭირდება, ის აქსიომაა მორწმუნეთათვის.

21781. სარწმუნოების დანიშნულებაა ისე ქმედითად ჩაერიოს პოლიტიკაში, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური, ალიბიც ჰქონდეს და გამართლებაც.

21782. ღმერთი შეიძლება ყოველთვის ჩვენთან არის, მაგრამ ვერ ვაცნობიერებთ.

21783. უფალი ყველას ზემოდან დაგვყურებს, მაგრამ ამის შემჩნევის სურვილი ყოველთვის არ გვაქვს.

21784. ეკლესიის მსახურნი რატომღაც ცოდვიანებს უფრო სწყალობენ, ვიდრე უცოდველებს, რადგან პირველთან მეტი ურთიერთობა აქვთ მონანიების სახით ე.ი. შესაწირავი მეტია.

21785. სულიერის და ხორციელის დაყოფა რწმენის ნაჩალიჩარია, ისინი ხომ უერთმანეთოდ არ არსებობენ.

21786. კადნიერნი უფალს არ უყვარს, მაგრამ ცხოვრება მათ უკეთ სწყალობს.

21787. გონიერებას ხარჯვა, თუ განგების ნებაც არ არის, ყოველთვის არც გვამდიდრებს და არც ცნობადად გვხდის.

21788. განსაცდელს ადამიანს განგება იმისათვის უვლენს, რომ მან არც ღმერთი დაივიწყოს და არც სოფლის ამაოება.

21789. ტკივილი ფულზე არ იყიდება, სიყვარული დარიგებით არ იცვლება, გონიერება არ ისწავლება და ყოველივე განგების ჩვენთვის გაუგებარ ნებას ემორჩილება.

21790. ღმერთის მორჩილება სულის მონობას არ ნიშნავს, რადგან ის ამქვეყნად სანავარდოდაა მოვლენილი.

21791. გაჭირვებულთ ღმერთის წყალობის იმედი გაცილებით მეტი აქვთ ვიდრე დალხინებულებს და ავანტურისტი ბუნების მქონეთ.

21792. ღმერთი ყველას სცდის, მორწმუნესაც და ურწმუნოსაც, პირველმა იცის რისთვის, მეორეს ეს არ აინტერესებს.

21793. ღმერთთან საუბარსაც თავისებური „ჭუკ-ჭუკის“ ცოდნა სჭირდება, რათა მაასლათით ორივენი კმაყოფილები დარჩნენ.

21794. ყველაზე ძნელი სააქაოში საკუთარი მისიის შეცნობაა, რადგან განგება ხშირად ივიწყებს ამქვეყნად ჩვენი მოვლინების მიზანს.

21795. ფორტუნა ხშირად განგების მოციქულად გვევლინება და მის კეთილგანწყობას ხელი უნდა შევაშველოთ.

21796. ლოცვა სულიერებისთვის სიმშვიდის მომტანია, სიმშვიდე კი იმ ნეტარების, რომლის გასაცნობიერებლად ხშირად მზად არ ვართ.

21797. ჩვენი ყოფის პოსტულატებს, ეტყობა, ზევით ადგენენ და ამით განგება არა მარტო ჩვენს განათლებას ცდილობს, არამედ თავსაც

ირთობს.

21798. ეშმაკი ცოდვების ჩადენას იმიტომ გვაიძულებს, რომ ცხოვრება მოსაყირჭებელი არ გახდეს და უფერულად არ განვვლოთ მაშინ, როდესაც მონანიებაც შეიძლება და ღმერთის გახსენებაც.

21799. სამოთხესაც თავისი ჩრდილოვანი მხარეები აქვს, რადგან ადამიანის ბუნება ნაკლს იქაც ეძებს.

21800. მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის ის სხვაობაა, რომ პირველი ვითომ არ არის პოლიტიკაზე მიბმული, მეორეს ვითომ პოლიტიკა რაიმეს ეკითხება.

21801. წმინდანები იბადებიან, სიწმინდით ცხოვრობენ და უშფოთველ გარემოში ზნეობას იძენენ.

21802. ღმერთთან მიახლოების მცდელობა სისულელეა, მაგრამ არც ამ იდეიდან ხელის აღებაა დიდი გონიერება.

21803. საკუთარ ცოდვებს თუ აღიარებ – მონანიებაა, სხვის ცოდვებს თუ გაატირაჟებ – ჩაშვება, ასე, რომ ხშირად განგება რას გვთხოვს, ეტყობა, მისთვისაც გაუგებარია.

21804. რწმენას მორწყვა, მოვლა და უნიჭო აზრების გამარგვლაც უნდა, რომ მან გაიხაროს და სარგებელი მოიტანოს.

21805. უფალს უპრობლემო ხალხი მოსწონს და არა – უკომპრომისო, რომლებსაც ყოფის შესატყვისად ვერას შეაგნებინებ.

21806. სამყაროს რომ ვერაფერი გაუგო ადამიანმა, შექმნა ღმერთები, სხვადასხვა რწმენა და განტევების ვაცის როლი მათ აჰკიდა, თავისი უვიცობის გასანეიტრალებლად.

21807. კაცის შესაცნობად მარტო მშობლების ნახვა არ კმარა, თუ განგება მასზე განაწყენებულია.

21808. ლოცვის საწყისი მიმბაძველობაა.

21809. მოძღვრება, რწმენა, მარადიულია, რადგან თაობათა აღსაზრდელადაა მოწოდებული.

21810. ბუნების კანონს, შვილი რომ სჯობდეს მამასა, რატომღაც განგება ხელს უშლის, ეტყობა, ეშინია ადამიანის ცნობიერება მის დონემდე არ ამაღლდეს.

21811. დღეს, ეტყობა, ღმერთსაც წამლიქვნელება სჭირდება, რომ მოგვიტეოს, იმდენად მრავალფეროვანი, მრავალჯერადი გახდა ცოდვები.

21812. ღმერთთან წესიერებასაც მივყავართ და უწესობასაც, გააჩნია ღმერთი იმ დღეს რა ხასიათზეა.

21813. განგების მოზომილი ბედ-იღბალი ხშირად ხელს არ გვაძლევს, რადგან განგება ზოგჯერ ძუნწობს.

21814. ღმერთის მტერს შესაფერისი მტერი ნუ მოუშალოს, ჩვენი კი – მათი დამმარცხებელი მოყვარე.
21815. გაჭირვება უნიათოს ლოცვას ასწავლის და ეკლესიისკენ უბიძგებს.
21816. ხშირად განგება სახლს მაშინ გვაშენებინებს, როცა ცხოვრების ფინიშია.
21817. გულგრილთათვის განგებას ჯოჯოხეთშიც ადგილი აქვს გამოყოფილი.
21818. რწმენა, რატომღაც, ცოდნას წინ ვერ უსწრებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ემორჩილებიან.
21819. მარხვის მრავალი სახე არსებობს სარწმუნოების შესატყვისად, მაგრამ რომელი გვიხმობს სამოთხეში, განგებისთვისაც უცნობია, რადგან ღმერთი ერთია, მაგრამ სარწმუნოება სხვადასხვა და ბევრი.
21820. კულტის მსხურნი სულ მომჭირნეობას ქადაგებენ, მაგრამ მდიდრების შესაწირზე არც უარს ამბობენ და არც თხოვნას უკადრისობენ.
21821. კულტის მსახურის სტატუსი განგების ნებას უნდა ეხმაურებოდეს.
21822. ღმერთს ადამიანთან შესარიგებელი არაფერი სჭირს, თუ საჭიროა, თავად გაარკვევს ურთიერთობას.
21823. კულტის მსახურნი გავრწმუნებენ, რომ კეთილი საქმეების კეთებისთვის უფალი ასმაგად მოგვაგებს, მაგრამ რას და რანაირად, არ გვეუბნებიან.
21824. ღმერთი მოწყალეა იმათ მიმართაც, რომელთა გამოსწორების იმედი დაკარგული აქვს.
21825. ზოგჯერ განგებაც ვერ გარკვეულა, ვინ საით მიდის, იმდენად არეული ჭკუა აქვს ზოგიერთს.
21826. სასურველია, თუ განგება თავის კუტიკარს დასამახსოვრებლად გაგვილებს.
21827. რატომღაც ხშირად სიძულვილი სიყვარულის სინონიმია, რაც განგების ვირეშმაკობაა.
21828. ზოგჯერ ვედრება სხვათა ანათემაზე გადაცემაცაა, ჩაშვებადაბეზღებით, შენი მაწყევარის მიმართ ცუდი სურვილებით.
21829. თუ ყოველი დაწოლის წინ განგებას სთხოვ, მას შენთვის ცოდვის შერჩევა გაუჭირდება და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებ.
21830. რწმენა დედიშობილა წყალში ცურვაა და რომელი სარწმუნოების კუნძულს მიადგები, მარადისობის იმედით, მშობლების გარდა,

არავინ უწყის.

21831. უფლის მოვალეობაა ბიწიერებისაგან გვიხსნას. რაც შეეხება თანადგომას და სიმშვიდის მოპოვებას, თავად უნდა შევძლოთ.

21832. რწმენას უფრო ერთგულება, მორჩილება, პროპაგანდა, ესაჭიროება, ვიდრე მის არსში ჩაწვდომა.

21833. რწმენის რაობას, ზუსტი არც ბალანსი აქვს და არც ჯამი.

21834. რელიგია სიკეთის კეთებაა სხვათათვის, თავის დაუვიწყებლად.

21835. განგებაც ზოგჯერ „უსამართლოა“: ცხოვრების კაიფს დიდხანს არ გვიტოვებს.

21836. ცოდვილებიც და უცოდველებიც თავს მორწმუნედ თვლიან, მიუხედავად იმისა, რომ ერთმა მოინანია, ხოლო მეორე ამისათვის „მიზეზს“ ეძებს.

21837. შეიძლება ღმერთი ყველა ჩვენგანს არსებობას აცნობიერებს, მაგრამ სამწუხაროდ, ამის იმედი არ მაქვს.

21838. ლოცვისკენ სწრაფვა ადვილია, მისი მომავალი შედეგების განსაზღვრაა ძნელი.

21839. ზოგჯერ ადამიანს სხვაზე გადაყოლაც აუბედურებს და საკუთარ თავზეც და აქაც განგების ნებაა უპირველესი.

21840. პროტესტანტობა, კათოლიკობა, სუნიტობა, შიიტობა და სხვა სარწმუნოებანი ხელისუფალთა ინიციატივით იქნა დაყოფილი და გავრცელებული გავლენის მოსაპოვებლად და აქ ღმერთი და რწმენა არაფერშუაშია.

21841. შთაგონება და ლოცვა ღმერთთან ურთიერთობას გვასწავლის, მოძღვართან კი – მლიქვნელობას.

21842. განგების ნება, ბედის ყივილი, გამართლება, ყველა მქონებელის ფავორიტია.

21843. ამბობენ, ჩვენი ბედი ზევით იწერებაო, ამიტომ მისი კორექტირების უფლებას არავინ მოგვცემს, თუმცა ზოგჯერ გაჯიქება აუცილებელია, სხვანაირად სიცოცხლის მადლს ვერ აღვიქვამთ.

21844. არაფრის კეთებას ან მოჩვენებით კეთებას და ადგილის შენარჩუნებას, მოხერხებულობასთან ერთად, განგების ნებაც სჭირდება.

21845. მორწმუნესთვის შეუძლებელი არ არსებობს, რადგან მათვის ღმერთი ყოველისშემძლეა.

21846. ყველა რწმენა გააზრებას მოითხოვს, გონის მოკრებით და დროსთან გაბაასებით.

21847. სიწმინდე ვერც თავხედობას იტანს და ვერც მოტყუებას.

21848. განგების მხარდაჭერა, ყოველთვის მის გვერდზე დგომას არ ნიშნავს.

21849. რატომღაც მორწმუნედ ღმერთსაც უპრეტენზიო, უპრინციპო, მორჩილი, ადამიანები სჭირდება, საინტერესოა, ეს მართლაც ასეა, თუ ეკლესიის მსახურთ ეშინიათ კონკურენციის.

21850. ტექნიკური პროგრესის განვითარება გონიერების გაჯეჯილებას იწვევს, განგების საიდუმლოებებს თანდათან ეწაფება და მასთან გატოლებას ცდილობს. ამიტომაცაა ადამიანის გათავხედების აღსაკვეთად ღმერთი მეორედ მოსვლას გვიმზადებს, რათა ყოველივე თავიდან დაიწყოს.

21851. გაჭირვების ჟამს ყველა დედას და ღმერთს ახსენებს, ერთს – სიყვარულით, მეორეს – გაუცნობიერებლად.

21852. რწმენა იმედის სინონიმია.

21853. ჩვენ მიერ გამოგონებული ღმერთი იმიტომაც არსებობს, რომ უნდა შევაწუხოთ კიდეც, რათა იმედი ჩაგვისახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი საჭიროება გამორიცხულია.

21854. დღეს ტექნიკურ პროგრესთან „გაჯეჯილებას“ რელიგიური ლიტერატურაც ცდილობს.

21855. ზოგჯერ დაწოლის წინ ღმერთს მაინც უნდა სთხოვო პატიება, თუმნდაც, არავისთვის ჯერ არაფერი დაგეშავებინოს, რა იცი, რაში გამოგადგება.

21856. მთავარია ჩვენზე განაწყენებულმა განგებამ, უნებლიედ, სულიერად ამაღლებაში ხელი არ შეგვიშალოს.

21857. დღევანდელი ცხოვრების უკუღმართობის მიუხევადად, ჩვენზე გაბრაზებული განგება, ადრე თუ გვიან, გვერდში ამოგვიდგება.

21858. ვინც ღმერთზე თამამად საუბრობს, ათეისტია, მაგრამ მასაც რაღაცა სწამს და აკვირვებს.

21859. მცირედით თავის დაკმაყოფილება ღვთის მომადლებული ნიჭია.

21860. მაცხოვართან მიახლოება გვამშვიდებს, გვაწყნარებს და იმ წუთებში საკუთარი თავის წარმოჩენაზე არ ვფიქრობთ.

21861. სამყაროს რაობის „მოთარგმნა“ ჩვენი აზროვნებისთვის მიუწვდომელია, ხოლო მასში ცხოვრება, ღმერთის მეშვეობით, ადვილიცაა და შესაძლებელიც.

21862. ანგელოზი ყველას მფარველობს, ვისაც ამის სურვილი აქვს, ოღონდ გონების და ხელფეხის სასიკეთოდ განძრევით.

21863. ლოცვის არსიც უნდა გვესმოდეს, სხვანაირად მას სიმშვიდე არ მოაქვს.

21864. მარხვა თუ დიეტას არ ჰგავს და ნებადართულ საჭმელს უზომოდ მიირთმევ, მაშინ მარხვა აზრს კარგავს.

21865. ყოველი საუკუნის რაღაც ნაწილში განგება სუსტ ხელისუფალს გვთავაზობს, ალბათ, შესადარებლად და ღირსეულთა დასაფასებლად.
21866. ხალხის „აჭრის“, ბუნტის, მიზეზი ზეციურ ძალებში უნდა მოვიძიოთ, ზოგჯერ იმდენად უცნაურია ხალხის აბობოქრება.
21867. ამქვეყნად სიკეთის გადანაწილება განგების რეკომენდაციის გარეშე არ ხდება.
21868. ღმერთის ცაში არსებობას მიწაზე არსებული ხალხის ცნობიერება მოითხოვს.
21869. აღსარება საკუთარი ცოდვების შეცნობით უნდა ვთქვათ, თორემ მოვალეობას დაემსგავსება.
21870. ღმერთი გაჭირვებულთ მხარში იმიტომ უდგას, რომ მათ მის გარდა შვების მომტანი არავიდან დარჩენიათ, შედეგად – ერთგულება და ღვთისმსახურება გაჭირვებულთა მხრიდან, ხოლო მდიდრები რწმენის საქმეში ყოველთვის საიმედონი არ არიან.
21871. განცხრომა და რწმენა ერთმანეთს ვერ ეგუება.
21872. ზოგჯერ გასაჯოჯოხეთებელ – გასაჯოხი ინდივიდი ჯოჯოხეთშიც ხვდება.
21873. სიკეთის დღესასწაული დრომ და განგების მადლმა უნდა აკურთხოს.
21874. რწმენა სიყვარულს გვასწავლის, განგების პოსტულატების მცდელობით.
21875. ღმერთი სიკეთის კეთებისკენ მოგვიწოდებს, გვმოძღვრავს, ალიყურსაც არ გვამადლის, მაგრამ ადამიანის უგუნურებას მაინც ვერ შველის.
21876. განგებამაც არ უწყის, ჩვენი გაზრდილი შვილი რას მოიმოქმედებს, თუკი გენი წამპალი და აჭრილი აქვს.
21877. ღმერთზე საუბარი შეიძლება, ბუნების ძალებზე – არა, რადგან ის მარად შეუცნობელი რჩება, ხოლო სარწმუნოებას, მისი ხელმძღვანელობით, თავიანთი „კონსტიტუცია“, ბიბლიის, თალმუდის, თორას და სხვა მრავალი სახით, უკვე დაწერილი აქვს.
21878. თავმოყვარეობის ინსტიტუტი უკვდავია, რადგან განგების კოდშია ჩადებული.
21879. რწმენა ხშირად ალღოს ვერ ეწინააღმდეგება.
21880. განგებამ ყველა ჩვენგანს საქმიანობა ბედთან ერთად ჩამოურიგა და ჩვენც, გვინდა – არ გვინდა, ხელები უნდა დავიკაპიწოთ.
21881. ეტყობა, განგება სულიერ არსებებს ხორციელად აქცევს და იმქვეყნად გზავნის, რათა სულიერება გააუმჯობესონ და კვლავ სუ-

ლიერება – შეცვლილი წარმოაჩინოს.

21882. ლოცვა-ვედრებაც, ეტყობა, თავისებური მლიქვნელობაა, რათა განგება ჩვენს მხარეს დადგეს.

21883. ლოცვა-ვედრებას პასუხს არავინ სცემს, მაგრამ დიდხანს არც უპასუხობა ვარგა.

21884. რწმენა ხშირად ვარაუდს ბიშტს უჩვენებს და თავისას ამბობს.

21885. ღმერთი ჩვენგან არა შიშს, არმედ, მხოლოდ თანადგომას და მორჩილებას მოითხოვს.

21886. ბუნების ხელდასმული მეცნიერი, რომელიც საყვარელ საქმეს ეჭიდავება, ზევიდან ბედდასმულიცაა.

21887. ზოგჯერ ჩვენი კითხვები იმდენად უცნაურია, რომ პასუხი ღმერთმაც არ იცის.

21888. სიცოცხლის კარგ და ბედნიერ მოხმარებას განგების ბეჭედდასმული ბედი სჭირდება.

21889. რადგანაც განგებამ შური, ბოროტება, დაუნახაობა, შექმნა, ეტყობა, მას ეს შესადარებლად და ჭეშმარიტების დასანახავად დასჭირდა.

21890. შემთხვევა ან თავად აგეწეპება ან შენ აეწეპები, ხოლო ბედის მომსახურება უკვე განგების ნებაა.

21891. განგებამ ქალს ალღო მიამადლა, კაცს – საეჭვო, სათუო, საჭოჭმანო გონიერება.

21892. აღსარების თქმით ადამიანი თავს კი არ იმტყუნებს, არამედ ცდილობს, გაერკვეს თავისი ცოდვების მიზეზში.

21893. განა განგების გულგრილობა არაა დამნაშავე, რომ მას ამდენი მიუსაფარი, მათხოვარი და გაჭირვებული ჰყავს, რადგან თუ ადამიანს სიცოცხლეს აძლევს ცხოვრების საშუალებაც უნდა მისცეს, ფუფუნებას ხომ არ თხოვს.

21894. უფლის შიში და რიდი იმის გარანტი მაინც უნდა იყოს, რომ ადამიანმა იცხოვროს და არა – იარსებოს.

21895. ცოდვილმა და ცოდვის ჩამდენმა თუ განგების რისხვას ამქვეყნად თავი დააღწია, იტყვიან, იმქვეყნად დაისჯებაო. არადა, ვინ იცის, რა მოსაზრებით გადაუდო განგებამ სასჯელი.

21896. ეტყობა განგებას მოსახლეობის დიზაინისთვის სჭირდება ხუთ მილიონამდე ნიჭიერი, „ასოფანდურა ხალხი“, როგორიცაა ქართველები. მათი ბუნების შეცვლას ნურც ვეცდებით და ნურც დიდად ვინერვიულებთ, რადგან განგების ნებას წინ ვერ აღვუდგებით.

21897. დაცინვას არ გვპატიობენ კერპები და არა – ღმერთი, რომელ-

საც შენდობის უნარიც შესწევს, იმქვეყნად რომ არც სჭირდებოდე.
21898. ლოცვით ღმერთის შეწუხება, სათნოების და სასოების გარეშე, უგვანობაა.
21899. ღმერთის ძალა ისაა, რომ ცოდვები არ უნდა ჩაგვადენინოს და არა ის, შეგვინდობს თუ არა.
21900. უფალი ყველასთვის გასცემს მოწყალებას, მაგრამ რატომღაც ეს მოწყალება ლატარიაში მოგებას ჰგავს.
21901. რწმენა შთაგონებაცაა, ცოდნაც და ჩვენი სამოქმედო არეალიც.
21902. რწმენა ბედნიერების ნაწილია, რადგან მთლიან ბედნიერებას ბევრი ისეთი რამ სჭირდება, რაც ჩვენთვის ხშირად უცნობია.
21903. იყო გულგრილი ირგვლივმყოფთა შეხედულების მიმართ და შენი საქმე აკეთო, ღვთის ნაბოძები ნიჭია.
21904. მორწმუნე მაშინ ხარ, თუ ღმერთს განტევების ვაცის როლი არ გინდა შეასრულებინო.
21905. ღმერთმა უწყის, თავის გამოდება საჭიროა თუ არა, მაგრამ ისიც ხომ მისთვის განკუთვნილ საქმეს აკეთებს, თუ გაუმართლა.
21906. რწმენა-შეგნება ადამიანისთვის აუცილებელია, რაც შეეხება არ-ჩევანს, ეს ყოველთვის მასზე არაა დამოკიდებული.
21907. რწმენისათვის შემეცნება დიდი ძალაა.
21908. რწმენა არის იმ დროის გაფართოება, შეჯერება, როდესაც ვაკხ-ანალიაში ცხოვრება გვიწევდა.
21909. მოუმზადებელი ღმერთს არაფერი უქნია, მათ შორის სიტყვის თავისუფლებაც და ქვეყნისაც.
21910. ღმერთი ერთია, მაგრამ საქმის გამრჩევი მიმდევრები და წინას-წარმეტყველები ჰყავს ბევრი.
21911. წმინდა, ხალასი, რწმენა არ განისჯება, მიუხედავად მისი არ-ქაულობის.
21912. ერთდროულად სულის სიმშვიდეს და მხიარულ გულს განგება თავის რჩეულებს ჩუქნის.
21913. ადამიანი ყველა დროში ჰყიდდა სულს ეშმაკს, მაგრამ მოწყალე-ბას და შენდობას რატომღაც ღმერთს სთხოვდა.
21914. ნეტარებასაც ალაგ-ალაგ და შემთხვევათა შესატყვისად იძლევა განგება, რათა ადამიანი არ გაირყვნას და არ გადაგვარდეს.
21915. ღმერთმა პატარ-პატარა წკიპურტები არ მოგვიშალოს, ესაა რომ გვაამაყებს და ცხოვრებას ფასს ადებს.
21916. ქართველები სტუმართმოყვარენი იმიტომაც არიან, რომ ჰგო-ნიათ სტუმრის სახით ღმერთს მასპინძლობენ.
21917. ხილულისა და უხილავის დაჯერების საწყისი მაინც რწმენაა.

21918. ცოდვის მიტევებაც მოძღვრის დაფინანსებას მოითხოვს, რათა მან ღმერთს გულით სთხოვოს შენთვის „პროტექცია“.
21919. რწმენის დაკარგვას უაზრობისკენ მივყავართ და უგუნურებისკენ მიგვერეკება.
21920. გვინდა – არ გვინდა, რწმენაც პოლიტიკასა და პიროვნების სურვილს ემორჩილება.
21921. რწმენის გაღარიბების მიუხედავად, იმედი მაინც ბოლომდე ცოცხლობს.
21922. განგება რაღაც საიდუმლო გარიგებებს, ალბათ, ჩვენი ფანტაზიის შესატყვისად გვპირდება.
21923. აზრის დალაგება უდიდესი ნიჭია, მაგრამ ამ აზრების თავში მოხვედრა, მაინც განგების ნებაა.
21924. ღმერთსაც ეტყობა მისთვის გასაგები იუმორის გრძნობა აქვს სტიქიურ უბედურებათა მოვლინებით, რომელთა აუცილებლობის შეცნობა ჩვენთვის ჭირს.
21925. განგება თავის განუსაზღვრელ მოწყალებასაც ზოგჯერ რისხვით ცვლის, თუ მისი რჩეული თავხედდება.
21926. ცოდვებთან კავშირი, ჩაუდენლადაც, მეტ-ნაკლებად, ყველას გვაქვს.
21927. მეხსიერებაც თავისებური ნიჭია და ის მარად ვარჯიშს და თანადგომას საჭიროებს.
21928. თუ გარანტირებული გვაქვს ცოდვების მონანიება სარწმუნოების დახმარებით, მაშინ ვერ გამიგია, რატომ უნდა ვიყოთ უცოდველი და ცხოვრება ჩვენს ჭკუაზე რატომ არ უნდა ვაჯირითოთ.
21929. სილამაზეა, რაც განგების მადლით შეგვიძლია აღიქვათ.
21930. ყველა სახის რელიგიაში უნდა ვეცადოთ სიახლე დავინახოთ სიკეთის სახით.
21931. ნათელი საწყისი ადამიანს ღმერთთან სულიერად მისახლოებლად სჭირდება, ყოველგვარი განსჯის გარეშე.
21932. ჩვენს „ლოგიკას“ ხშირად განგებაც დასცინიც, დროც და ჩვენი ოპონენტებიც. მაგრამ რწმენის შეცვლა ძნელია.
21933. თეოლოგია, ღვთისმეტყველება, მაქსიმებით და მოძღვრებით უმტკიცებს მრევლს თავის უპირატესობას.
21934. მარადისობისკენ მისწრაფება ღმერთებთან კავშირის სურვილს გვიჩენს.
21935. ცხოველს აშინაურებენ, ადამიანს ათვინიერებენ, მაგრამ ამით მათზე „ზრუნვა“ განგების მიერ არ წყდება.
21936. განგება წარმოგაჩენს, გააგამაყებს, შემდგომ გაგაშიშვლებს და

სიკვდილის მოლოდინისკენ შეგაბრუნებს, რათა საბოლოოდ იგემო ამქვეყნიური სიამოვნება.

21937. რატომღაც უფალს მფარველობას ვთხოვთ, ჩვენი ცოდვების, უნიჭობის, უნიათობისთვის. საწყალი უფალი, ის რომ ჩვენს ცნობიერებაში არ ყოფილიყო, ადრე თუ გვიან, მაინც გამოიგონებდა ადამიანთა მოდგმა, იმდენად საჭირო და აუცილებელია ჩვენი უნიათობის ალიბისთვის.

21938. რელიგია უთანასწორო ადამიანთა მომრიგებელი მოსამართლეა, სიმდიდრის მოგროვებით და შეხახვისთავებით.

21939. ორგინალობა ხშირად განგების მადლის და ჭკუის გამოჟონვის შედეგია.

21940. რელიგიური მორალი განყენებულად დგას და მისი გადამოწმება პრაქტიკულად აკრძალულია.

21941. უფალი ბევრ რასმეს სახეიროს შთაგვაგონებს, მაგრამ ჩვენს უნიათობაზე გაბრაზებული, ხშირად ჩვენზე ხელს იღებს.

21942. ამპარტავნებაც თანდაყოლილი თვისებაა და ეს ცოდვა ისევ განგებამ უნდა დაიბრალოს.

21943. ყველაზე დიდი მორწმუნე გულში მლოცველია.

წიგნის აწყობის შემდგომ დამატებული შეგონებანი

21944. ქეციანი სული, ხმა, ქცევა, ყოველთვის უგერგილო და ყალბია.
21945. ღრმადპატივცემული ჭეშმარიტებაც თანადგომას ითხოვს.
21946. ჯერ – პირადი, მერე – ოჯახი, შემდგომ – საზოგადო! თუ – პირიქით, საბოლოოდ უკეთეს შედეგს არ იძლევა, თუ თავად პიროვნებად არ მოევლინები საზოგადოებას ნაშიერებთან ერთად.
21947. მუქთად გამდიდრება დიდ შემართებას და გონების ლესვას მოითხოვს, რათა ქარის მოტანილი ისევ ქარს არ გავატანოთ.
21948. ქალის და კაცის მეგობრობა რაღაც საწყისებზე შესაძლებელია, მაგრამ არაორდინალურია.
21949. სექსაობის აფექტის ქვეშ მყოფი ქალის დითირამბები ანგარიშში არ მიიღება.
21950. სიბერეს ის „უგნურება“ სჭირს, რომ როდესაც ცხოვრება უკვე დაღვინებული ჭკუით გინდა გააგრძელო, სიცოცხლის ხანგრძლივობის ლიმიტი უკვე გადახარჯულია.
21951. ბავშვები ხშირად ჩვენი სურვილების შესატყვისად არ იზრდებიან და ზოგჯერ ესეც დიდი შეღავათია აწმყო-მომავლისთვის.
21952. გათხოვილი სანატრელი ქალის ზედმეტად დანახვა, შეთქმულებაა საკუთარი სულიერების წინაშე.
21953. უბედურებამ არ იცის რაა ბედნიერება, თორემ ისიც ბედნიერად გახდომას შეეცდებოდა.
21954. ქალის ბუნებას ვერ გადავაკეთებთ, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად მათში კორექტივის შეტანა ნაწილობრივ შესაძლებელია.
21955. ქალს ყველაზე მეტად თავის ასაკის „დახურდავება“ ხელეწიფება.
21956. ასაკის მატებას მხოლოდ უპერსპექტივო, ცხოვრებაზე ხელჩაჭიდებული, ქალები არ იხახვისთავებენ.
21957. კონფლიქტს უნდა თავი ავარიდოთ, მაგრამ თუ ეს გარდაუვალია, შერკინებაშიც პარტნიორები უნდა ვიყოთ.
21958. ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნა ოჯახში ნიჭს და ბედნიერების შეცნობის უნარს მოითხოვს.
21959. თვალებია მდედრის ის უნიკალური ლაკმუსი, რომელიც აგრძნობინებს მამაკაცს, მოსწონს თუ მასთან ურთიერთობა სჭირდება.

21960. კომპლიმენტების ნიაღვრიდან დახსნილი ქალი – ცოლია.
21961. წიგნს უნიკალობას მასში ჩადებული აზრების ორიგინალობა ანიჭებს და არა ტირაჟი, დიზაინი და შეფუთვა.
21962. ცოდვა-მადლისაკენ უამრავი გზა მიდის, მაგრამ უმეტესობა მოუკირწყლავია.
21963. წესიერებაც და ყურადღებაც ნერვებს გვიშლის, თუ ის მოჭარბებულია.
21964. ცნობისმოყვარეობა და ამპარტავნობა ისტორიის შექმნის ბაზისია.
21965. ჭეშმარიტებას ყოველივე ახლის ხარისხი აინტერესებს, რაც შეეხება გამოყენებას, მეორადია.
21966. მოვა ის ინტელექტუალური დროც, როდესაც ფულის საჭიროება მოისპობა და აღებ-მიცემობა ცოდნის გაცვლით იქნება,
21967. ლოთობას სხვა პარამეტრები არ გააჩნია, გარდა დღის უაზრო დროსტარებით გადაგორებისა.
21968. სული არ ჩანს, მაგრამ სულიერებას ყველა ხედავს და პატივს მიაგებს.
21969. დრო ყოველივეს „გადახნავს“ და მტყუანს-მართალს, განურჩევლად, ისტორიის საჯიჯგნად აქცევს.
21970. ჩემი მეგობრების დახმარება კი არ მინდა, არამედ ურთიერთობებში შეღავათი, რათა თავიანთი თხოვნის მადა მოთოკონ.
21971. დროს თავისი გამოუცნობი პირამიდები ახლავს და აქ წუთების ხარჯის პრობლემა მოსატანი არ არის.
21972. ხელისუფალმა თუ მაშსტაბური ხედვა და მომავალთან გონით შეთამაშება არ ისწავლა, ყოველთვის ექნება კონფლიქტის მიზეზი.
21973. ყველაზე მეტად ის ხალხი დაობს, რომელთაც საკითხი არ ესმით და არც მის რაობაზე აქვთ წარმოდგენა.
21974. საწყენია იმ ქვეყანაში და დროში ცხოვრება, რომელსაც ჭკუის მოხმობის და სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბების მხოლოდ პერსპექტივა აქვს.
21975. ოჯახში ჰარმონიას სიყვარულით გაზავებული სიმშვიდე ქმნის, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტის მინიშნებით.
21976. გმირობას, სიქველეს, მჭერმეტყველებას, თავისი სადავეთი დაჭერა სჭირდება, რათა ტრაბახად არ ჩაგითვალონ და თავის წარმოჩენა არ დაგაბრალონ.
21977. სიამაყე-სიძულვილი, ვნება-სიყვარული, მომხვეჭელობის უნარი – მათი მოთოკვა ადამიანს გზას უხსნის ბედნიერებისკენ.
21978. დიდი საქმეა მიტევება, რომელიც სულის სიმტკიცეს და გონიერე-

ბის ძალისხმევას მოითხოვს.

21979. ადამიანმა გზა რომ გაიკაფოს, უკან დასახევი უნდა მოსპოს და არც დასაკარგი უნდა დაიტოვოს.

21980. დიდ გონიერებას მცირე დოზით უგნურებით შეზღუდვა სჭირდება, თორემ ცხოვრება გაუჭირდება.

21981. საკუთარი თავის მონა და მტერი, გამოუცდელობის გამო, ჩვენდა შეუმჩნევლად, თავადვე ვხდებით.

21982. ადამიანის შესაძლებლობებს მისი ნახელავ-ნაღვაწი ახმოვანებს.

21983. სუფთა სინდისი მარად თავაწეული დააბოტებს.

21984. დღეს წარმატება, რეკლამის და გაფეტიშების გარეშე, დიდი გაუგებრობაა.

21985. მელანქოლია აღმაფრენის გარეშე არსებობს, მაგრამ სიცოცხლეს არ უჩივის.

21986. უფროსსა და მის მოადგილეს შორის მეგობრობა მოჩვენებითია, რადგან ამ უკანასკნელმა არ იცის ჩასაფრებით როდემდე დაკმაყოფილდება.

21987. უსასყიდლოდ და კეთილი სურვილებით გადაცემული სიახლე, საქმიან და მადლიან მომხმარებელს იშვიათად ნახულობს.

21988. შემთხვევამ ქვეყნის დამქცევადაც შეიძლება გვაქციოს და ამშენებლადაც, მიუხედავად ჩვენი სურვილისა.

21989. თავისუფლება და თავშეკავება სხვადასხვა ცნებაა, პირველი თუ მოვალეობის შეცნობას მოითხოვს, მეორე ამ მოთხოვნებს მშვიდად უყურებს.

21990. პოპულარული აფორიზმი შეიძლება ნახევრადჭეშმარიტებასთან არის ნაზიარები, მაგრამ გვხიბლავს ლაკონურობით და საღი ორაზროვნებით.

21991. ყველა სიტყვა თავის „სანთელ-საკმეველს“ მონახავს, თუ დროულად, თავის ადგილზე და სათანადო ინტონაციით ჩავსვამთ საპაექრო ფრაზაში.

21992. მჭერმეტყველებას სწავლა, სიყვარული, პატივისცემა, სჭირდება და არა – დაუმსახურებელი ტაში.

21993. ძლიერს პატივის მიგებით, თანამდებობით, აჯილდოებენ, სუსტებს – სიგელით და მცირე პრემიით.

21994. დიდი საქმის დასაწყებად მოწოდებაა საჭირო და არა – დაფიქრება და ჭოჭმანი.

21995. ზოგს გონიერების გადათხრა სჭირდება, მაგრამ ფოცხის მოსმითაც კმაყოფილდება.

21996. ხმის დაყრის ყველას ეშინია, ჭორის გავრცელებისაგან გან-

სხვავებით, რადგან ამ უკანასკნელის თავის წარმოსაჩენად დრო უნდა.

21997. სულს შურისძიება სწადია იმ დროზე, ხალხზე, ვის დამოძღვრაზეც დრო ფუჭად დახარჯა.

21998. გაჭირვებაგამოვლილი ცხოვრების მადლს და სიმდიდღეს უკეთ აფასებს, უფრთხილდება და ამრავლებს, თუკი ბუნებით უტიფარი და ავყია არ არის.

21999. მოხერხებულობა თანაგრძნობითაც სარფიანად ვაჭრობს და ჯიბეს ისქელებს.

22000. ჩვენი საუკუნის სიკეთე, ულუფებით უნდა გავსინჯოთ, რათა მასთან სასაყვედურო არ დაგვრჩეს.

22001. ზოგი მთელი ცხოვრება გამოუღვიძებლად, სამყაროს შეცნობის სურვილის გარეშე ცხოვრობს და თავისი ყოფის კმაყოფილია.

22002. სულიერებას უგნურების ნიავიც კი არ უნდა გავაკაროთ.

22003. ხალხის აზროვნების შეცვლა ძნელია, მაგრამ მისი „დახურდავებაა“ ადვილი.

22004. სინდისი დღეს შეიძლება მინიკაბასავით დამოკლებული იყოს და ჯინსივით გაცვეთილი, რადგან ასეთია მოდა, ხოლო ხვალ სინდისის რა სახის მოდა მოგვევლინება, არავის უწყის.

22005. ზოგჯერ კანონი ახალგაზრდისთვის აღმზრდელის ქცევა, სიტყვა-პასუხია.

22006. ბევრი თავს იწონებს, რომ მას ეს წიგნი აქვს, ხოლო ერთეულები – რომ მათ ეს წიგნი წაკითხული აქვთ.

22007. ყველა თაობა, მომდევნო თაობებს გარკვეულ გადაუჭრელ პრობლემებს უტოვებს, რაც ზოგჯერ ევოლუციის განვითარებას დროებით აყოვნებს.

22008. სულს მუდმივად შეთბობა სჭირდება და არა – დრო და დრო „დუღილი“.

22009. ხელისუფლება ხელისუფალიდან განსხვავებით, ქვეყნის იმიჯს და ხალხის რაობის წარმოჩენას ემსახურება, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვინდა დავიჯეროთ.

22010. ქვეყანაში წესრიგი აძლიერებს გამბედაობის, გამარჯვების და თავის დადების სურვილს.

22011. ნიჭს ფართე გზა სჭირდება, ჭკუის მოშველიებით, რათა ნამოქმედარმა „არც მწვადი დაწვას და არც შამფური“.

22012. უმთავრესია პიროვნებად დაიბადო, დანარჩენს თავად მივხედავთ.

22013. ქალს, თავისი სილამაზის წარმოჩენაც უნდა შეეძლოს და იმაზე

მეტისაც.

22014. ოცნება ახდენილია, სურვილი უსასრულოა, შედეგი გვირგვინია, ადამიანის მომხვეჭელობისკენ მიდრეკილება უცვლელია.

22015. გამოარჩიო ხალხი და შენი საჭიროების მიხედვით დაასაქმო, გამოცდილებასთან ერთად ნიჭის მოთხოვნაა.

22016. ადამიანისთვის პატივის ახდა ძნელია, თუ ის პიროვნებადაა დაბადებული.

22017. საზოგადოება ყოველთვის სამ ჯგუფად იქნება დაყოფილი: ხელმძღვანელი, შემსრულებლები, სათრევი.

22018. გონიერების ინტერნეტში ხეტიალი იგივეა, რაც ბიზნესმენის საქმიანი მოგზაურობა სარფიანი კონტრაქტების დადებით.

22019. სიტყვას რომ გირაოდ იღებენ, იმ საზოგადოების და ხალხის ბედის ჩარხი ყოველთვის წალმა იტრიალებს.

22020. ხალხი, რომელსაც სიცოცხლის კვლავწარმოება არ ეხალისება, გაქრობისთვის არის განწირული.

22021. როდესაც გონიერება და ახალი აზრი სხვა ქვეყანაში გარბის, იმ სახელმწიფოს ბედი ჩანჩალია.

22022. შურს, ეჭვიანობის, სიავეს, ადამიანთა მოდგმა ვერ მოშლის – მაშინ საზოგადოება არ განვითარდება.

22023. ხმალივით მჭრელი ენა ჯობს თუ შხამის მფრქვეველი, ძნელი სათქმელია, სანამ ორთავეს არ გამოცდი.

22024. საზოგადოებას საშუალო – შეწონილი, გასაშუალებული, სისულელის ფრქვევა ახასიათებს თავის გასახალისებლად.

22025. ფანტიზმი უფრო უინიციატივო და მობრიყვო ხალხის საქმეა, რადგან მათ ალტერნატივა არ აქვთ.

22026. ლაზათს, ხიბლს, წარმოჩენას, ყველა საქმიანობა ითხოვს, მათ შორის, არაპოპულარულიც.

22027. სიკეთის საკეთებლად ხელისუფლებამ ხალხი უნდა შეამზადოს.

22028. ყბედობას, ციფრების მოშველიება და მაგალითის ჩვენება სჯობს, მაგრამ უმეტესობას ისევ ყველაფერზე და არაფერზე ყბედობა ურჩევნია.

22029. ჩვენი წინაპრებიც დიდი „უტვინოები“ იყვნენ: 400 წლის წინათ მეცნიერს ცეცხლზე იმიტომ წვავდენ, თუ იტყოდა დედამიწა მრგვალია და თავისი ღერძის გარშემო ტრიალებსო, მათი შემხედვარე დღევანდელი „ვიგინდარა“ საზოგადოების კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, ყბედობისთვის ხელს მაინც არ გვახლებენ.

22030. დაპირისპირებაში ორივე მხარე დამნაშავეა, მიუხედავად იმისა, სადაო ვინ რა გამოჩხრიკა.

22031. ბრბოს ხარისხს ადგილი, ხელისუფალი, გარანდავს და ადგენს.
22032. ღირსეულმა ხალხმა გიწოდოს ფილოსოფოსი დიდი პატივია, ბედნიერებაა, მაგრამ თავისებური უბედურებაც, ვინაიდან ბრბო და შენიანების ნაწილი ამას ვერ იგებს.
22033. ღირსების და ღირებულებების ფასს, საზოგადოების აზრი განსჯის და თავის ადგილს მიუჩენს.
22034. დიქტატურასაც თავისი საჭიროება და გამართლება აქვს, როდესაც ხალხი აჭრილია, ქვეყანა დანგრეულია და ბრბო პოლიტიკაზე ყბედობით თავს ირთობს.
22035. ჩვენი სულიერების იარლიყი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.
22036. ტალანტი ჩვენი გონიერების და სისულელეთა კოქტეილია, რომლის შესასმელადაც მუდამ მზად ვართ.
22037. ჭეშმარიტება ყველა დროში სიყვარულის ბურუსში იყო გახვეული, რადგან უსიყვარულოდ ხეირიანი არაფერი იქმნება.
22038. რეპუტაცია, ხშირად გონიერ ხალხთან ურთიერთობა და მეტი არაფერი.
22039. სურვილები, შესაძლებლობები კანონს ყოველთვის ვერ ეხმიანებიან.
22040. ვინც ყველაფერს აღწევს, ის თავის ხუშტურების მონაა.
22041. უგნურ არჩევანს ალტერნატივა არ აქვს, რადგან ამომრჩეველია ხისთავიანი და გულგრილი.
22042. ფული ზოგჯერ ომის აცილების, სარაკეტო თავდაცვის, დანადგარია.
22043. ხალხი ხეზე გამოსხმულ იმ ფოთლებს მოგვაგონებს, რომლის გარეშე ნაყოფი-გონიერება ვერ იარსებებდა და ამ სამყაროს შექმნა აზრს დაკარგავდა.
22044. ქვეყანაში გენიოსთა ყოლა სახელმწიფოს ძლიერებას ზრდის, მაგრამ უმეცრებას ამცირებს და უგვანო ხელისუფალთა თავხედობას ძირს უთხრის (მაგ., ძველი ბიზანტია, რომი, ინგლისი).
22045. რეალური აზრის განვითარება-გამოყენებას, ნაყოფიერი, დალაგებული საზოგადოება, სჭირდება.
22046. ხალხს, რომელიც თავის ტყავში ვერ ეტევა, ყოველთვის გამოუჩნდება ცრუ კერპები, რომელნიც მას დაპყრობითი და სამოქალაქო ომის სამსხვერპლოზე მიიყვანს.
22047. არის საქმიანობა, რომელიც ერთი სახის პარაზიტობის აღსაკვეთად მეორე სახის „პარაზიტების“ დასაქმებას იწვევს და ქვეყნის ბიუჯეტს ტვირთად აწვება. მაგალითად, ძალოვანები, კრიმინალის აღსაკვეთად სახელმწიფომ უნდა შეინახოს.

22048. დროა დაიყოს საზოგადოება ადამიანებად და არაადამიანებად, რომელთა იზოლირება, პროფილაქტიკა და უსაქმურობა ქვეყანას ძვირი უჯდება.

22049. მოქალაქის და პიროვნების თავისუფლება, სხვადასხვაგვარად ჟღერს და მათი აზროვნება არეული ქვეყნის დალაგების ინტერესებს იშვიათად ემთხვევა.

22050. თანდაყოლილი გონიერება შემოქმედია და მას განათლებულ-ინფორმირებული გონიერება კონკურენციას ვერ უწევს.

22051. უხასიათობა გულსაც ახასიათებს, სულსაც და გონიერებასაც, გააჩნია დროს და ვის ხელშია გამოვლილი მათი წრთვნა და აღზრდა.

22052. რელიგია წამებულების ხარჯზე იღვწის რეაბილიტაციისთვის.

22053. საზოგადოების ჩამოყალიბება, ხარისხის მიუხედავად, განგების მხრებზე გადადის, გააჩნია, რა ხელისუფალთან აქვს საქმე.

22054. რადგან საზოგადოების ნაწილი ბრბოდან გამოსული ხალხისგან შედგება, მისი გადაგვარება, გარყვნა და გაქრობა ძნელი არ არის და კანონზომიერია, თუკი ხალხის უმეტესობა ზომიერებას, ევოლუციური განვითარებსიკენ მიდრეკილებას და გონიერებას არ დაიცავს.

22055. საზოგადოებას მოვალეობის გრძნობა უნდა ჩაუნერგოთ, წესიერებას შევაჩვიოთ, გავანათლოთ, რათა ქვეყნის რეალურ ინტერესებს ემსახუროს და არა მოჩვენებით კეთილდღეობას.

22056. უგნურებასა და ბრბოს შორის ის სხვაობაა, რომ ერთი ვერაფერს აღიქვამს, მეორე, თუ სათავისო არ არის, ვერაფერს შეამჩნევს.

22057. ხალხის მიერ მორცხვობის დაკარგვა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ტოლფასია.

22058. ქორწინება დიდი მორალური ღონისძიება და ვალდებულებაა სახელმწიფოებრიობის წინაშე.

22059. დღეს ინტერნეტს ნაზიარები ხალხი ცოდნის შთაბეჭდილებას ტოვებს და არა მცოდნეს.

22060. როდესაც კუდაბზიკა არისტოკრატია გვასწავლის დემოკრატიის და ცხოვრების წესს, ეს ხალხისთვის ყველაზე მტკივნეული დაცინვაა.

22061. ხალხის ყველაზე კარგი თვისება ამტანობაა, რაც შეეხება გონიერებას და გამოცდილებას, ის მაინც მოვა.

22062. ფილოსოფია „დომხალს“ და მოჩვენებით გონიერებას აზრთა დახლართვით, ვერ იტანს, რადგან საზოგადოება ვერ იგებს და ხალხის უმრავლესობა მის მიმართ გულგრილი ხდება.

22063. „შენია-ჩემია“ აზროვნებას გვაკარგვინებს და გვაძენინებს კიდეც, როცა ინტერესს გვიღვიძებს.
22064. ცოდნა საზოგადოებისათვის მავნებელია, თუ მისი მფლობელი ბუნებით ავანტურისტია.
22065. ყოფა აქტიური მოქმედებაა დროსტარებით და შენი სიამოვნებისათვის ცხოვრებით – ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესმის და ვახერხებ კიდეც.
22066. სიამაყე და მრისხანება არ მეგობრობენ, მაგრამ ერთმანეთს თანაუგრძნობენ.
22067. მოხელის მცირედი „ბაცნობა“, მის თანამდებობას არ ვნებს, ხოლო ხელისუფალს შეიძლება სკამი დააკარგვინოს, რადგან უფრო დიდი მოხვეჭისათვისაა მოწოდებული და ხალხი მას წვრილმან ქურდობას ვერ გაუგებს და არ აპატიებს.
22068. კიდევ კარგი, განათლებული ხალხი გენიოსების ნაღვაწთა გაცნობიერებით თავს იწონებს თანამედროვეთა წინაშე, თორემ ვის გაახსენდებოდა მათი სახელები დღეს, როდესაც საზოგადოება ასე აფუებულია და „ყველამ ყველაფერი იცის“.
22069. დღეს გონიერებასთან და სანუკვარ აზრებთან ჭიდილს ყველა ერიდება, რადგან დეტექტივით, პორნოგრაფიით და მელოდრამითაც ფონს კარგად გადიან.
22070. ბიზნესმენს ქონების შესატყვისად აფასებენ, აჯილდოებენ, ქველმოქმედებას ჩაადენინებენ და სპორტის რომელიმე სახეს აჰკიდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არავის სჭირდება.
22071. ხელისუფლებამ მისი ერთგული მოხელეები დროის და ვიგინდარების დასაცინ კლოუნებად არ უნდა აქციოს.
22072. მოდის დამსახურება ისიცაა, რომ მოდიდან გამოსული გაიაფებული ტანსაცმლით ღარიბები იმოსებიან, ხოლო მოდაში შემოსული გაძვირებულით – მდიდრები, შედეგად „არც მწვადი იწვება და არც შამფური“ და ქვეყნის ბიუჯეტიც საკმაოდ ივსება.
22073. საზოგადოების „აჭრის“ მიუხედავად გონიერება, ასე თუ ისე, მაინც პატივშია.
22074. სიმართლისათვის ზოგჯერ სამართლიანი ბრძოლა შეუძლებელია.
22075. მექალთანესგან განსხვავებით, ბერბიჭა საზოგადოების წინაშე ვალშია.
22076. სულს გადაადგილების უნარი შესწევს და არა ყოველთვის კარგიდან კარგში.
22077. ფილოსოფიასაც, გონიერებასთან ერთად, დაღვინება და საქმიან

წინადადებათა შემოთავაზებების უნარიც სჭირდება.

22078. ინტელექტი და თავაზიანობა ზოგჯერ მუხრუჭის როლს ასრულებს იმ საზოგადოებაში ყოფნისას, რომელსაც უფრო ხროვა უნდა ერქვას და არა – ადამიანთა შეკრება.

22079. ქვეყანა, მთავრობა, რომელიც ჭკვიან კაცს შეუძლია ისე გააცრუოს, რომ კანონი არ დაარღვიოს, არც სახელმწიფოა და არც ხელისუფლება უქნია ღმერთს.

22080. ქალი მთლიანობაში, ძირითადად, ხასიათია.

22081. სიყვარული სიკეთისთვისაა მოწოდებული და ისე არ უნდა გავაწბილოთ, რომ სიავის კეთება დაიწყოს.

22082. საწყენია, როდესაც ფუფუნებას, ფულის უაზრო ფლანგვას, ხალხი შორიდან უყურებს და ხელისუფლებაც შემწყნარებელია.

22083. ცოდნა, რომელიც მომავლისთვის გამოგვადგება და გზას გაგვიკვალავს, გონიერებაა.

22084. „გეცოდება“ ე.ი. გიყვარს და აქ სხვა არგუმენტის მოტანა და თავის მოტყუება არ ღირს.

22085. ცოდვა და ცოდვილი ბევრია ამ დედამიწაზე, მაგრამ ყველაზე მეტად ხელს ერთმანეთს უშლიან.

22086. ბრბოს თეორიულად ყველაფრის კეთება უნდა და „ეხერხება“, მაგრამ რეალობაში რა უნდა, თავადაც ვერ აუხსნია.

22087. რწმენა გამოუვალობის შედეგია, ფილოსოფიისაკენ ლტოლვა – მოჭარბებული გონიერების, ასე, რომ ხალხს ერთიც სჭირდება და მეორეც.

22088. ფილოსოფიას მასა ვერ იგებს, მაგრამ მისი „ბაზარის“ წინააღმდეგი არავინაა.

22089. თუ ცოლმა ოჯახის სხვის ოჯახთან შედარება დაიწყო, ე.ი. მამაკაცს საყვედური გამოუცხადა და ჭკუის სწავლებას შეუდგა.

22090. ხელისუფლების რაობას, მის დროში შექმნილი არქიტექტურის ბელეტრისტიკა აფასებს.

22091. უბედურია ის გემი და ქვეყანა, რომელმაც არ იცის საით მიცურავს და რა გზას დაადგება.

22092. საზოგადოებრივი აზრი პრინციპებს ვერ ეწყობა, მაგრამ პატივს მიაგებს.

22093. ხელოვნების და ლიტერატურის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ფულია, ეს მისი შემოქმედებით იქნება შესაძლებელი თუ დაპირისპირებით.

22094. ტყუილსაც თანმიმდევრობით თხრობა სჭირდება საუკეთესო მახსოვრობით, რათა რაიმე არ შეგეშალოს და დამაჯერებლობა არ

დაკარგოს.

22095. სულის ეიფორიას და ბუნების თერაპიას არავითარი სიწმინდე არ შეედრება.

22096. ხასიათის ურყეობას ვერავითარი ლოგიკის მოშველიება ვერ შველის.

22097. დღევანდელი საზოგადოება ყველაფერზე მიდის, ოღონდ ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს – მოდა ასეთია და თანაც სულს სიამოვნებს.

22098. სხვის ჭკუაზე ცხოვრება დამამცირებელია, მაგრამ უგნურობა მათრახის გარეშე არ იმართება. რაც შეეხება ხალხის აზრს – „ჩემი მტერი ენდოს“.

22099. ყველაზე ძნელია საკუთარი საუკეთესოს მონახვა.

22100. საღი აზროვნების გარდა ყველაფერი ძველდება.

22101. სოფლის მეურნეობის აღმავლობის, მისი ნედლეულის გადამუშავება-შენახვის, გარეშე, ქვეყანაში ყველა წამოწყებული საქმე მოჩვენებითი და დროებითია.

22102. გმირობის ჩამდენი ხალხია საჭიროა, მაგრამ მოწესრიგებულ ქვეყანას ეს არ უნდა სჭირდებოდეს.

22103. სიადიადეს და სამართლიანობას შორის ის სხვაობაა, რომ პირველს მასა უჭერს მხარს, მეორეს – ბრბოს წარმომადგენელი, ხოლო ორივეს ერთად – გამორჩეული პიროვნებები.

22104. ეგოიზმის და „მჯობნის-მჯობნის“ გარეშე ვერც ერთი საზოგადოება ვერავითარ ღირშესანიშნავს და დასამახსოვრებელს ვერ შექმნის.

22105. ხელისუფლება ვიგინდარაა, ხალხი ყოველთვის მართალია. რატომ?! ალბათ, პირიქით თქმა გვეუხერხულება, რადგან ხალხის რიგებშიც ზოგჯერ გენიოსიც გამოიჩხრიკება და ქვეყნის პატრონიც.

22106. შემოქმედის ბედსაც, ხალხის ხასიათზე ყოფნა წყვეტს და ხელისუფლების მერკარტილურობა.

22107. არის წუთები, როდესაც ხელისუფლების უგნურება, უნიათობა, თავგასულობა, ყოველგვარ გონიერებაზე, სიწმინდეზე, ხელს აგაღებინებს და იმედს გიკარგავს.

22108. ხალხი სხვის თავმოყვარეობას მახათს უყრის, თავისას ნემსით კემსავს.

22109. მოვალეობის შეცნობის და ვალდებულებათა შესრულების გარეშე, საზოგადოების, თანადგომა არ გამოდის.

22110. ღირსეული საზოგადოების ჩამოყალიბების უპირველესი პი-

რობაა, ყველა ჩვენი ღირსების გაცნობიერება.

22111. ვნება არ უნდა ჩავძიროთ, თორემ სიმართლე ისევ სათუო მისწრაფებად დარჩება.

22112. ღიმილის უნარი და შეგრძნება უმაღლესი ნეტარებაა, ვინც მისი ფასი იცის.

22113. ჩვენი ჩრდილიც სიცრუეა, მაგრამ ანარეკლია; ზოგჯერ მისი დანახვაც საჭიროა გასართობად, როგორც უმტკივნეულო ტყუილის თქმა.

22114. შეუძლებელია ამდენ „ფეხებზემკიდია“ და „ასოფანდურა“ ხალხში თავი ჭკვიანად არ იგრძნო.

22115. ხალხს ხან მასას არქმევენ, ხანაც ბრბოდ ნათლავენ, ზოგჯერ რქებდადგმულ ცხვარს ადარებენ, რადგან მან არასოდეს არ იცის რა უნდა.

22116. ისტორიის ვალია ფაქტების მოწოდება, მაგრამ მას არ შეუძლია იმ დროის ყივილის გადმოცემა, რაზეც ეს ფაქტები ღაღადებენ, ეს კი უმთავრესია ისტორიული სიმართლის დასადგენად.

22117. წიგნზე დამყარებული გონიერება, ცხოვრებაში ყოველთვის არ გამოგვადგება თუ გამოცდილებას არ დავახმარებთ.

22118. დღეს საზოგადოება ძალზე დაბალ დონეზე დგას, რადგან რწმენის ობიექტი, სული, რეალურად ვის ჩავაბარეთ, არავინ უწყის.

22119. მოულოდნელ შემთხვევასთან ბრძოლის ხერხებს წინასწარ არავინ გეგმავს, რადგან ის ჩვენთვის უცნობია.

22120. ერთისთვის ეს ადამიანი ნაძირალაა, მეორესთვის მოსისხლე მტერია, მესამისთვის გმირია – ეს გრადაციაც გონების ნაჩალიჩარია, კომენტარების გარეშე.

22121. ხალხის გაბრიყვებას წამლიქვნელება, დაპირება და მათთან ერთად ვიშ-ვიში ძალიან რგებს.

22122. იგავ-არაკში სჯობს ისევ ცხოველები იყვნენ განკითხვის გმირები, ვიდრე ადამიანები, რადგან ასეთი ალეგორიული წყობა უკეთ ამართლებს დაუღვინებელ სახელმწიფოში.

22123. საუკუნეთა გამოძახილი და დრო ადგენს ხალხის სიდიადეს და მის დაკნინებას.

22124. გაუმართლებელ დღესასწაულთა სიმრავლე საზოგადოებას რყვნის და სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრის.

22125. სიმდიდრე გათავხედებას ვერ იტანს, შემთხვევა სადღაც გიმუხთლებს.

22126. ფილოსოფოსსაც დასვენება სჭირდება, ახალი იდეა-აზრების ასაკრეფად და გონიერების ფილტრში გასატარებლად.

22127. სიკეთის საკეთებელი ჯოკერი ყველას ხელთ უნდა გვეპყრას.
22128. ხალხს იმის კეთებაც შეუძლია, რასაც არ ავალებენ, თუ მოინდომა და ლიდერი გამოუჩნდა.
22129. ხელისუფალს ხალხი არ ზრდის, ის განგების ნებით უნდა გამოჩნდეს და დრომ დასტურის ნიშნად ბეჭედი უნდა დაუსვას.
22130. ჭეშმარიტებას ამქვეყნად უნდა ვეზიაროთ, რადგან იმ ქვეყნის დოგმები ჩვენთვის უცნობია.
22131. სიდიადე, გენიალობა, ერთი შეხედვით, ხალხთან ურთიერთობის უნარიცაა.
22132. ყველა სახეს საზოგადოებას თავის მორალი გააჩნია პატარ-პატარა დეფექტებით და გადახრებით.
22133. საზოგადოების გეგმაზომიერად განვითარების კოდი შემოქმედებითი შრომაა, ჭკუის დახურდავებით.
22134. საყოველთაო ეიფორია მას ბრბოდ აქცევს, ხელისუფალს განსჯის უნარს უკარგავს და ქვეყანა რა დღეში ჩავარდება არ აინტერესებს.
22135. თუ საჩუქარი მინიშნებით და ორიგინალური არ არის, სჯობს ყვავილით, სასმელით, ან კონვერტში ჩადებული ფულით შევცვალოთ.
22136. ქვეყნის სიუხვეს მაშინ აძევს ფასი, თუ მას გაჭირვებული და უგნური არ ჰყავს.
22137. უგერგილო და დროებით ხელიდან წასულ ხალხს, სახელმწიფო ვალდებულია დასაქმების ძალა შესძინოს, ინტერესი გაუჩინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ქვეყანას დაუნდობლად კისერზე დააწვებიან.
22138. ყველაზე მეტ ზიანს ქურდობით, ქრთამის აღებით და უკუგორებით, სახელმწიფოს სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტდამთავრებულები აყენებენ ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე.
22139. სამყაროში, ძალზე ბევრი უდროოდ მიძინებული და გამოუძინებელი ხალხია, რომელთა გამოღვიძება, გონივრული დაკრედიტებით საზოგადოების სულიერებას გაცილებით მეტ სიკეთეს და დოვლათს შესძენს.
22140. თანხმობა ქვეყანასაც აშენებს და სიყვარულსაც ამშვენიერებს, უთანხმოება ერთსაც ვნებს და მეორესაც.
22141. ავანტურისტული ბუნების ხალხს, ქვეყანაში არეულობისას, თავი ყველას დროის ჯალათი ჰგონია და არა – მსხვერპლი.
22142. ხალხის რეალური ხასიათი შეუცნობელია, განსაკუთრებით, უცხო მხრის სტუმრისთვის, რომელსაც დიდი პატივით და თავის წარმოჩენით ეგებებიან.

22143. წვრილმანებს უნდა მივხედოთ, მაგრამ მის აღმოფხვრას არ უნდა გადავყვეთ – ვერ გაგვიგებენ.
22144. სახელმწიფო მოსამსახურეთა უმრავლესობა, ყველაზე ცოტა, „ჯიბის ქურდია“, მით უმეტეს, თუ გაუმართლა და შემთხვევა მიეცა.
22145. ბიჭი, გარკვეული თავგადასავლების გარეშე, კაცად ვერ იქცევა.
22146. ზოგი ჭუჭყიდან ხალხში გამოდის, რაც საზოგადოებისთვის გარკვეული ხეირია.
22147. საზოგადოებაში საერთო დიალოგის მოძებნა ყოველთვის ძნელი იყო, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყბედობის გარდა არავის არაფრის კეთება არ უნდა.
22148. სახელმწიფო მოწყალე და შემნდომი უნდა იყოს, ოღონდ არასოდეს შემწყალე, რადგან ხალხი კი არ უნდა შევიცოდოთ, არამედ საქმე ვაკეთებინოთ.
22149. ხალხის უმრავლესობას პრინციპები არ აქვს – ამით, ძირითადად, ვაჭრობენ.
22150. არის მომენტი, როდესაც გონიერება სულიერებამ უნდა შეცვალოს, განსაკუთრებით, თუ ეს საქმე სიყვარულს ეხება.
22151. გზააბნეული ხალხი ვიგინდარების მოსამრავლებელი ბუდეა, განსაკუთრებით ისინი მძინვარებენ, რომლებიც გაუნათლებელნი არიან და შეცვლილი დროის დახმარებით, კარიერის კიბეზე სულ ხტუნვა-ხტუნვით ავიდნენ.
22152. ქალს ქმრის საფლავზე კოსმეტიკის გარეშე გამოჩენა ეუხერხულება, რადგან მისი მიმზიდველობა და განუმეორებლობა ზევიდან უნდა შეახსენოს.
22153. თეორიულად, ქალი პოლიგამიის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ პრაქტიკულად მაინც მონოგამიისკენ მიილტვის.
22154. სხვისი აზროვნებისათვის პატივის მიგება თქვენს გონიერებაზე მეტყველებს.
22155. ბრბოს გულს მანამ ვერ მოიგებ, სანამ მათში არ აითქვიფები, ოღონდ გარკვეული დოზით და დროით.
22156. კამათი და ოპონირება სხვადასხვა გონიერებას და საზოგადოებას მოითხოვს.
22157. გაბრაზებულ ხასიათზე, მთელი სახელმწიფო აპარატის ბილწსიტყვაობით მოხსენიება როდესაც გულისფხანა, ერთი ფრაზითაც შეიძლება.
22158. ყველაფერზე და არაფერზე საუბარი გაძლევს შანსს, შენთვის

საინტერესო საკითხი ისე გაიგო, როგორც შენ გინდა.

22159. ფორმა და შინაარსი ყოველთვის მხარში უნდა ედგნენ ერთმანეთს.

22160. ხალხს დამარცხებული არ უყვარს, უფრო მეტიც, მისი გაქიაქება მოსწონთ დარიგებებით, ჭკუის სწავლებით.

22161. სურვილების უკმარისობაც საზოგადოებას გადაგვარებას გზაზე აყენებს.

22162. შიშის გაშიფრვა და მისი მოსალოდნელი შედეგების ცოდნა მთავარი სახელმწიფოებრიობისთვის და არა თავად შიში.

22163. დიალექტიკა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი დაუმთავრებელი შტრიხია, მაგრამ მთავარია ვინაა დაინტერესებული მისი ტირაჟირებით.

22164. მოსაწყენი ხალხი თავისებურად მისასალმებელიცაა, თავისი უდრტვინელობით ხელს არავის უშლიან და ამით ყველანი კმაყოფილები არიან.

22165. ძალაუფლების მომხიბვლელობას ზურგში მახვილის ბევრი ჩამცემი უდგას.

22166. საკუთარი იდეებისადმი ერთგულების გარეშე საზოგადოების განვითარების ტემპი ძალზე შენელდებოდა.

22167. ადამიანი უსაქმურად არ უნდა დავტოვოთ, რაღაცით უნდა დავასაქმოთ, მათ შორის, გამოუსადეგარიც, რათა არ დამყაყდეს.

22168. საომარი ხელოვნების ცოდნა, ქვეყნის სტატუსის მიუხედავად, ყველა სახელმწიფოსთვის აუცილებელია.

22169. ქვეყნის მოქალაქედ თავის შეცნობას აღზრდა, ძლიერი ეკონომიკა და სახელმწიფოს სათავეში ღირსეული პირის არჩევა გვაგრძნობინებს.

22170. სახელმწიფო მოღვაწე თაობებს აბარებს გამოცდებს, ჩვეულებრივი ხელისუფალი კი აწმყოს შედეგითაც კმაყოფილია.

22171. ცივილიზაციას თანდათან უჭირს, რეალურად და არა – მოჩვენებით, ბედნიერი ხალხის წარმოჩენა.

22172. მასის სიბრიყვე არც კერპთაყვანისმცემლობის დროს იწვევდა ეჭვს და არც ახალ რწმენათა მიღების შემდგომ, მითუმეტეს, რომ მათმა ცოცხალმა წარმომადგენლებმა თავი წინასწარმეტყველად აღიარეს.

22173. საზოგადოების აზრი, კვლავ ერთი კაცის, ხელისუფლის, აზრია, რადგან ხალხი ქვევრივითაა, რასაც ჩასძახებენ „მასმედიას“ მოშველიებით, იმასვე ამოგძახებს.

22174. იდეებსაც წვრთნა უნდა, ხალხისთვის რომ ეტალონად იქცეს.

22175. საზოგადოებას, დამუღამებული ერის ბიოგრაფიის გარდა, სრულყოფილი ფაქტობრივად მატიანე არ აქვს.
22176. ხალხს უნდა ვემსახუროთ და მათ ჩვევებს, სურვილებს, მცდელობას ფეხი უნდა ავუწყოთ.
22177. ჩვენი საუკუნე ცხოვრების უცოდინარი, ინფორმირებული ხალხის საუკუნეა.
22178. „წიკო-მაკოობა“ დიდი შეძლების ხალხსაც ახასიათებთ და წვრილფეხობასაც, განსაკუთრებით, ხელისუფლებაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში.
22179. კერპთაყვანისმცემლობა ხელისუფლის მმართველობის ერთ-ერთი „საწებელაა“.
22180. საზოგადოება დროებით დევალვაციას მაშინ განიცდის, როდესაც ღირებულებათა ხელახალი გადასინჯვა ხდება.
22181. საზოგადოებას დარეხვილების გარეშე ცხოვრება გაუძნელდებოდა, რადგან შესადარებელი „მჯობნის მჯობნი“ დაილეოდა.
22182. არისტოკრატია, პარტოკრატია, დემოკრატია, ერთი „ქაქია“, ყველას მუქთაობისკენ და შეტყაპუნებისკენ გაურბის თვალი.
22183. მორალის პოსტულატებს, ასე თუ ისე, ყველანი ვარღვევთ.
22184. არავინ არავის წინაშე არ არის ვალდებული, მაგრამ საზოგადოების შექმნას და ქვეყნის ჩამოყალიბებას ურთიერთგანსჯა, მოთმინება, სჭირდება, რათა ღირსეული არჩევანი გაკეთდეს, ყოფის თამაშის წესების სამართლებრიობა დადგინდეს.
22185. დღეს „გაეროში“ ვეტოს დადების უფლების მქონე ქვეყნების ქცევას რომ ვუყურებთ, მთლიანად ვეთანხმები ცნობილ აფორიზმს „ყველა დიდი სახელმწიფო დიქტატორია, ყველა პატარა – მეძავი და კუდის ამწევი“.
22186. ბრბოს გარკვეული ძალა აქვს, მაგრამ მას არაფერი დაეჯერება, რადგან მეათასე „პიროვნების“ ბუნება მას იქეთ წარმართავს, საითაც გაუხარდება.
22187. რომელიმე ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიის პარპაში დროებითია და საზოგადოების განვითარების ეს კანონზომიერება უცვლელია.
22188. ომში მონაწილეობას ის ასაკი უნდა იღებდეს, ვინც ომის დაწყება ვერ შეაჩერა და არა ის ჯეელობა, რომელიც ამ მხრივ უცოდველია და სიცოცხლე სწყურია.
22189. ხალხის დასარაზმავად მტრის მოძიებაა საჭირო, რათა მიძინებული სული გამოვაღვიძოთ.
22190. ძნელია იმ ხალხთან ფილოსოფიაზე საუბარი, რომლებიც ჩ.წ.ა.

მცხოვრებ გენიოსთა ნაღვაწს არ გასცნობია.

22191. საზოგადოების უკვდავება გარე ძალების გათავხედებაზეა დამყარებული, ყოველ შემთხვევაში, დღეს ამ აზრამდე მივედით.

22192. ჭეშმარიტება და გონიერება, არც ერთ დროში არ იყო სათაკილო.

22193. სიბრძნესაც მოხერხებულად და თანდათანობით გამოყენება სჭირდება, გარემოსა და ხელისუფალთა ნების შესატყვისად.

22194. ყველა ქალმა თავისი სილამაზე, სულიერი იქნება თუ გარეგნული, ბოლომდე უნდა გამოამზეუროს, რათა ასაკში თავს არ უსაყვედუროს შესაძლებლობათა მიჩქმალვა.

22195. გამბედაობაც, გმირობაც, სიკეთის კეთებაც, გადამდებია, თუ ქვეყნის სათავეში პიროვნებაა და არა, უბრალოდ, კარგი ადამიანი.

22196. ყველა პოლიტიკური სისტემა, წყობა, ხალხზე ფეხებს იწმენდს, მაგრამ თავად ხალხს ეს მაინცდამაინც არ აწუხებს, რადგან მტვერის დადება მათ ყოველგვარ უგვანობასთან შეხვედრა ურჩევნიათ.

22197. სახალხო მმართველობაც ღმერთს არ უქნია – არაპროდუქტიულია, ხალხი ყბედობასაა გადაყოლილი.

22198. ხელისუფალს ხალხის სიყვარული, გაკეთებული საქმე და თავისი ნაოცნებარის განდობა უნდა იცავდეს ოპონენტებისაგან.

22199. მხოლოდ სიცოცხლეს აქვს რეალური ფასი და არა მის ირგვლივ უკვდავებისთვის მოსასმენ „ბაიათებს“.

22200. ღმერთმა ქნას, რომ მარად ჩვენი შურდეთ და ჩვენ გაგვემართოს ხელი ვალის „შეტყაპუნებით“.

22201. „შებერტყილობა-მოხერხებულობა“, ძალა და სამართლიანობა, შესანიშნავი სამეულია ქვეყნის სამართავად, მაგრამ იშვიათად ნახულობენ ერთმანეთს.

22202. სიმდიდრის მოყირჭება ყველას ათავხედებს, განსაკუთრებით „უნახავმა რა ნახაოს“, შემთხვევის, წყალობით გამდიდრებულს.

22203. ვინც საკუთარ ოჯახს ვერ უვლის და შვილების აღზრდაში მოიკოჭლებს, ის სახელმწიფო მოხელის თანამდებობას არ უნდა გავაკაროთ, თუ აუცილებელია, მრჩევლად დავნიშნოთ, რადგან, ადრე თუ გვიან, თავის სისუსტეს კრიტიკულ მომენტში გამოავლებს.

22204. სიტყვა, რომელიც ყველასათვის გასაგებ და მისაღებ აზრს გამოხატავს, უკვე გენიალურია და მისი ორიგინალობა და გამოყენება ეჭვს არ იწვევს.

22205. სახის კავშირს ურთიერთგაგება კი არა, ურთიერთრიდი ამაგრებს.

22206. საკუთარი თავის წვრთნა ფიზიკურად და სულიერად არც მწვრთ-

ნელს მოითხოვს და არც ექიმს.

22207. საკუთარი თავის ჯობნის მცდელობა სიბრძნის ლაბირინთებში გვატარებს და გონივრულად გვააზროვნებს.

22208. სათანადო ამომწურავი პასუხის გაცემას სათანადო კითხვების ზრდილობის ფარგლებში დასმა სჭირდება.

22209. უკეთესისკენ ლტოლვა მარადიულია და უცვლელი.

22210. გენიოსს ასაჩქარებელი არაფერი სჭირს, მის უკან მარადისობა დგას.

22211. ადამიანს არა მარტო საქმე, სურვილებიც აქვს, რის აღსრულებასაც სხვისი დახმარებით აპირებს.

22212. ჩვენი ყოფის პრემიერა ყოველგვარი მუხრუჭების გარეშე იწყება საამო გახსენებით.

22213. კარგი და შენზე მორგებული ცოლი ბედის წყალობაა და ნაწილობრივ შენი დამსახურებაც.

22214. ცოლის მოყვანამდე კონსულტაციის მიღება დაოჯახების თაობაზე საჭირო არ არის, რადგან რჩევების მიხედვით თქვენი წილი შეცდომების დაშვება გარანტირებული გაქვთ.

22215. ხასიათის გამოჩენა, ყოველთვის რიდს, გაკვირვებას, პატივისცემას, იწვევს.

22216. ცოლის მოყვანა უპრობლემოდ, ცხოვრებას არ შველის, მაგრამ შვილების აღზრდის ჟრიამულისგან მიღებულ სიხარულს და მოვალეობის შეცნობის გრძნობას რას უშვები?!

22217. სიბერეს ბევრი გაწბილება, დაავადება და ძნელად გასატანი უბედურებაც მოაქვს, მაგრამ სიცოცხლის ფასი მარად შეუფასებელ-დაუფასებელია.

22218. საკუთარი ღირსების შეცნობის გარეშე ყოველივე უფასურდება და ყველაზე მტკივნეულად ამას ასაკი განიცდის.

22219. საკუთარი წვრილმანების დაუნახაობას და სხვების გაბუქებას, პირველ რიგში, ჩვენთვის მოაქვს ზიანი.

22220. სახლში ჩვენთვის ჯოჯოხეთის და სამოთხის მომწყობი ცოლია, გააჩნია რა ხასიათზე დავაყენეთ.

22221. ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს ლელო აქვს გასატანი და უნდა ვეცადოთ, კუდი არ გამოვაბათ.

22222. უგუნურების გამოსწორება გონიერებს ყოველთვის უჭირდათ და გაუჭირდებათ.

22223. მთავარია, საკუთარი თავის და ოჯახის წევრების წინაშე ვიყოთ მართალნი, საზოგადოება ან შეგვინდობს ან დაივიწყებს.

22224. ასაკმა ჩუმი სიმაყით იცის მის მიერ გაკეთებული საქმის შე-

ფუთვნა-შელამაზება.

22225. ცენზურა ცუდია, მაგრამ უცენზურობაც უბედურებაა, რადგან ხალხის გონიერებას, ანალიზს და დაფიქრების უნარს ჩემი მტერი ენდოს.

22226. იუმორის გრძნობა ხახუნით ჭკუის გახალისების მაჩვენებელია.

22227. უბრალოდ, სიცოცხლეს უნდა ვეტრფოდეთ და „ბასტა“.

22228. თავისუფლებას არა მარტო მოპოვება, მას დამუღამება, გამოცდილება და მისი შენარჩუნება სჭირდება.

22229. ვინ იცის, ძველი რიცხვით რამდენი ჩვენი სისულელის და შეცდომის გამოსწორება იქნებოდა შესაძლებელი.

22230. განვლილი წლების გამოცდილება, ცოდნა, თავიდან უნდა გადავხარშოთ და აწმყოს ცვალებადობას მოვარგოთ, მომავლის პერსპექტივით.

22231. უსაქმურობამ და სხვის ხარჯზე ცხოვრებამ მიჩვევა იცის, რადგან კანონით მკაცრად არ იხარჯება.

22232. ას წელს რომ მიაღწიო, ადგილსაყოფელიც უნდა აირჩიო, ხელისუფლებაც და მშობლების გენიც.

22233. შეცდომებისთვის კარის გამოხურვა შეუძლებელია, ჩვენი მეობა და ცხოვრება ერთმანეთს ვერ გაუგებენ.

22234. პრინციპებით ვაჭრობა ფულს იძლევა და არა საბოლოო შედეგს.

22235. ისტორია ერთი სახის საღებავით არ იღებება.

22236. ცხოვრებაში ყველამ ჩვენი გონიერების შესატყვისი საძრომიალო უნდა მოვნახოთ, თუ გვინდა ამქვეყნად სამოთხე მოვიწყოთ.

22237. ნასუფრალს დაჩვეულ ხალხს ქვეყნის სამართავ სუფრაზე არავინ მიიწვევს.

22238. „ბოტანიკოსების“, „ლირიკოსების“, „ფიზიკოსებისთვის“ სულ ერთია, დემოკრატიის სახელით ვინ იქნება ქვეყნის სათავეში.

22239. მწერლები წინათ ტყუილუბრალოდ ედავებოდნენ კრიტიკას, უფასო რეკლამა ჰქონდათ, დღეს, რომ ვინმემ შენზე თავი მოიქაჩლოს და კრიტიკა დაწეროს, ფული უნდა გადაუხადო.

22240. ელეგანტურობა სილამაზის, მომხიბვლელობის, გონივრული დაბანდებაა და მოხმარება სჭირდება.

22241. იდეა შემართების, პროტექციის, დაინტერესების, გარეშე, მკვდარია, ამასთან პატიოსნებით ცხოვრებაში გზას ვერ იკვლევს.

22242. ცხოვრების მიზანი, თავად სიცოცხლეა, ბედის და მარად ადამიანად დარჩენის შესაძლებლობათა გაფართოებით.

22243. მახვილგონიერებას, გონიერებასთან შედარებით, იუმორის მეტი

გრძნობა აქვს.

22244. ყველა ჩვენგანი უნდა ცდილობდეს თავისი ხსოვნის საფლავში დაიმარხოს.

22245. ცხოვრებით ყოველთვის ის არის უკმაყოფილო, რომელსაც სხვაზე მეტი აქვს, მაგრამ ჰგონია, რომ მეტის ღირსია.

22246. ცხოვრების მოულოდნელი დარტყმებისაგან თავის დაცვა მხოლოდ საყვარელი საქმის იუმორით კეთებით შეიძლება.

22247. თანამდებობის გარეშე მართვის ხელოვნების ცოდნას შედეგი არ მოაქვს.

22248. დაბადების დღის აღნიშვნა-განსჯით საშუალებას გვეძლევა განვსაზღვროთ, დღეს რამდენად ცუდად გამოვიყურებით წინა წლებთან შედარებით.

22249. დაბადების დღეზე ჩვენი წლების მატებას კი არ ავღნიშნავთ, არამედ ციფრების გადაადგილებას.

22250. უგუნურების კეთებას დასასრული არ აქვს, რადგან ადვილი საკეთებელია და ყველას ხელი მიუწვდება.

22251. არის საზოგადოება, რომელიც მარად „უცოდველია“, საკუთარი ცოდვებს სხვას აბრალებს და სხვის იმედზე უნდა ცხოვრება, ოღონდ თავისი „ჭკუით“ ე.ი. სულ „განტევების ვაცის“ ძებნაშია.

22252. სულმოკლეობისგან, უვიცობისაგან, დაწმენდილი ცნობიერება არ არის გარანტია, რომ მომდევნო საუკუნე, დრო, მას კვლავ არ დაანაგვიანებს.

22253. ძალზე ძნელია პოლიტიკაში მტყუან-მართლის გარჩევა, განსაკუთრებით, თუ ისინი შეთანხმების გზებს არ ეძებენ.

22254. გაჭირვება სხვათა აზრების კორიანტელშიც გამოსავალს ეძებს.

22255. რაღაცის კეთებაა მთავარი და არა მასზე მხოლოდ ფიქრი.

22256. უცოდინარობა, მისდაუნებლიედ, გონიერებას ფარულ გადასახადს უხდის.

22257. ყველაზე ძვირფასიც კი, მოცემულ მომენტში, საჭიროებას თავდავიწყებით ეწირება.

22258. ცნობილისაგან განსხვავებით, უცხო ფორმაციებთან შეჭიდებას ვერიდებით და წინასწარ ვნებდებით.

22259. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი, უსაქმურობის, ავადმყოფობის შიშის და აღზრდის შედეგია.

22260. ეროტიკა და პორნოგრაფია სინონიმებია, თუ ამ უკანასკნელს ვნებიანობა, ამდენი გმობა-კრიტიკის შემდგომ, კიდევ შემორჩა.

22261. ადამიანს იმის მოსმენა არ უყვარს, რაც მას ახალგაზრდობაში მოსწონდა და კომფორტს უქმნიდა, რადგან კომფორტი სიახლის

ათვისება, მასში გარკვევაა და არა – ძველმანებში ფათური.

22262. დაცინვა უფრო საკუთარი ნაკლოვანებებს უხდება, ვიდრე სხვათა ნაკლოვანებათა გამომზეურებას, როცა „ჩამშვების“ როლს კისრულობ.

22263. ცხოვრების უნარსაც თავისი ალგორითმის გამოყვანა და დამუღამება სჭირდება.

22264. საკუთარი გონიერების ალგორითმს ყველაზე მეტი სიამის წვენი უნდა გამოწურო.

22265. ჰუმანიტარული კვლევებიც მეცნიერებად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ მათი „ნაღვაწი“ ყოველთვის ამის თქმის უფლებას არ იძლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანბანს, წერა-კითხვას და მეტყველების ხელოვნებას, რომელის მთლიანად მათ კისერზეა.

22266. ქალს, მომხიბვლელობასთან ერთად, თანდაყოლილი ქალური ჭკუა ამშვენებს.

22267. ურთიერთობა, მოხერხების, მოწონების და საერთო ინტერესების გარეშე, გამორიცხულია.

22268. ხშირად ურთიერთდახმარება და კარგი ურთიერთობაა ისიც, თუ ერთმანეთს საქმიანობაში ხელს არ შევუშლით.

22269. ადამიანი პრინციპებს, შეხედულებებს, იმისდამიხედვით ცვლის, რაც მას ხელს აძლევს და დრო კარნახობს.

22270. ანტისემიტიზმი, ნაციონალიზმი, რასიზმი, უგნურთა იდეოლოგიაა, რადგან კაცთმოყვარეობისაგან ძალიან შორს დგანან.

22271. დაკანონებულ სექსს არავითარი გართულება არ ახლავს, რადგან გაუფრთხილებლობა იმდენ ბავშვს აჩენს, რაც განგებამ გარგუნა.

22272. ხელმძღვანელობა, მმართველობა, ითხოვს იმ ორგანიზაციულ ნიჭს და წინხედვის ალღოს, რომელიც უმეტესობას არ გააჩნია.

22273. თანამედროვე გასართობი მუსიკის კომპოზიტორობა კომპიუტერს დაეკისრა, სადაც რამდენიმე მუსიკალურ მოტივს „შეყრიან“ და ახალ პოპ-როკ „შადრევანს“ იღებენ, ამ ახალი „კომპოზიტორის“ წყალობით.

22274. იყო ახლობლებში რჩეული ეს ნიშნავს, რომ მათი „მოკრძალებული“ კაპრიზები და თხოვნები ნებაყოფლობით დააკმაყოფილო.

22275. რეცენზენტი, კრიტიკოსი, ოპონენტი, ადამიანია და მასაც დაპურება და თავის წარმოჩენა სჭირდება.

22276. ადამიანს მანამ ჩრდილავს აზრები, საქმიანობა, სანამ გაუგებარია, მიუღებელია, მაგრამ თანადგომით გადამოწმებულ-შემოწმებული რეკომენდებული ხდება და ამ სიახლესთან შეხვედრის წი-

ნააღმდეგი არ არის.

22277. იმედის მისაცემად და უსაქმურობის დასაფარავად უტყუარი განზომილება: გუშინ, დღეს, ხვალ, მაზეგ.

22278. კულტურას, ეროვნულობისაგან განსხვავებით, საზღვარი არ აქვს, რადგან თუ პირველი მისაღებია, ყველას საკუთრებაა, ხოლო მეორეს ვუფრთხილდებით და მისი დაკარგვის გვეშინია.

22279. ისტორია და იდეოლოგია არც წარსულის ფალსიფიცირებას ერიდება და არც აწმყოში გაყალბებას, მაგრამ მათი ჭირვეულობის გარეშე ცხოვრება ხალისს კარგავს.

22280. „კადრები ყველაფერს წყვეტენ“, მაგრამ მთავარია, ვინ არჩევს და სათავეში ვინ უდგას.

22281. წარსულის, აწმყოს, მომავალში ანალიზის ინტერპრეტირება – ჟურნალისტიკის საზრდოა.

22282. ცოდნას კი არ ვეწაფებით, არამედ ნიჭი და გარემო გვაიძულებს საკუთარ სიზარმაცეს ვაჯობოთ.

22283. ეშმაკობა, სიცრუისაგან განსხვავებით, ზოგჯერ კარგ საქმეს ემსახურება.

22284. დღეს ხალხს არც ფასების მატება აინტერესებს, არც მიწისძვრა და არც ყოფის სხვა კატაკლიზმები, იმდენად დაეჩვია სიახლის რატიფიცირებას.

22285. პოლიტიკა, უპირველესად, საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებაა ხალხის აზროვნების დაბეჩავებით.

22286. გრძნობა და აზროვნება ცალ-ცალკე დადის, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაერთიანებას ცდილობენ.

22287. იმის მიუხედავად, რომ ამინდის პროგნოზის ბიურო დღეს კარგად მუშაობს, ამინდზე გავლენას მაინც ვერ ახდენს.

22288. ქვეყნის სამართავად მოწოდებულია ის ხელისუფალი, რომლისადმი ხალხის პატივისცემა სიყვარულშია გადაზრდილი.

22289. შრომას არავინ მოუკლავს, უსაქმურობის კაიფს კი ბევრი იმქვეყნად ადრეულად წაუყვანია.

22290. გონებამახვილობის ინგრედიენტებია: მოკლე სიტყვა – უხეშად დაფქული, კალამბურებით მოზელილი და იუმორით გამომცხვარი.

22291. უკვდავება ბედნიერების მომტანი არ არის, ისიც ბეზრდებათ.

22292. უკვდავებაზე ფიქრი სულში ყველას გვიღიტინებს, მაგრამ მის მოსაპოვებლად თითქმის არაფერს ვაკეთებთ, თუ ნიჭმა არ გვაიძულა.

22293. უკვდავება, უიმედობისას, იმედის ის ნაპერწკალია, რომლის დაჯერება ყველას გვინდა.

22294. რადგან საზოგადოება სპირალის მსგავსად ვითარდება, ჩვენს მომდევნო ცივილიზებულ თაობებს საშინელი დაპირისპირება მოუწევთ იმ რობოტების მონობიდან თავის დასახსნელად, რომელსაც ტექნიკური პროგრესი შემოაპარებს „ტროას ცხენივით“.
22295. ნამდვილ აქტიორს სცენაზე, ეკრანზე, არც ეროვნება აქვს და არც – სახელმწიფო, მისი ნიჭი პლანეტის საკუთრებაა.
22296. ქორწინება თავისებური აზარტია და წუნიც, რომ არაფერი ვთქვათ სიყვარულ-მოწონება-გამართლებაზე.
22297. სენტიმენტალობა, გულისხმევისაგან განსხვავებით, ექიმის სტატუსს არ იძლევა.
22298. გულის აჩუყებისგან განსხვავებით, მისი შედეგი – ცრემლი, ლაქას არ ტოვებს.
22299. დროის ყივილის მოთხოვნებს და ადამიანის ამბიციების დაკმაყოფილებას ვერავითარი მონიტორინგი ვერ შველის.
22300. სექსუალურმა რევოლუციამ დიქტატორად „სპიდი“ მოგვივლინა.
22301. დამოუკიდებელია ის, ვისაც სხვისი დახმარება და მხრის აბმა არ სჭირდება ე.ი. არც ეჭვიანობის საბაბი ხდება.
22302. ცოლ-ქმრობის შენარჩუნების გარანტი, უპირველესად, მოსმენის უნარია.
22303. ცოლს ბევრი რამ უნდა ქმრისგან, მაგრამ რაღაც-რაღაცებში არ ეწინააღმდეგება, ასაკის გამოცდილების წყალობით მის ნათქვამს ერთი ყურიდან მეორეთი გარეთ უშვებს.
22304. ცოლი შენს ახლობელზე ცუდს ფიქრობს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ხშირად არ ცდება.
22305. მუზეუმი ჩვენი სულის გონიერებით შესაფუთი ადგილით წარსულისადმი ვალის მოხდაა.
22306. ცოლი რიგით მეხუთე მასწავლებელია, მშობლების, პედაგოგების, ქუჩის და მეგობრების შემდეგ.
22307. ქორწინების მოწმობის საფასურად ქალი ბავშვს, ჯერ-ჯერობით, მამაკაცის გვარზე წერს.
22308. ნალოლიავები ილუზიებისთვის, ჩვევებისთვის, ზურგის შექცევა ძნელია, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელია.
22309. „უკანა რიცხვით ყველანი ჭკვიანები ვართ“, მაგრამ მაინც ოცნებაში, დროებით და სიტყვის მასალად.
22310. დედ-მამის ქცევა, ზოგჯერ, პესიმიზმ-ოპტიმიზმში გვაგდებს, რადგან ურთიერთობაში დღემდე ვერ გარკვეულან.
22311. ხშირად მამაკაცს მეტად სიამოვნებს ქალის მოხიბვლა და თავის

ხვადად წარმოჩენა, ვიდრე ქალს, რომლისთვისაც გაიხარჯა, მოემსახურა და „ძუკნობა“ აგრძნობინა.

22312. ბოროტებას, ვნების მიყენების გარეშე, ცხოვრება უჭირს.

22313. ბედნიერებაა ისიც, როდესაც ცხოვრების სიბინძურეს გვიან ეცნობი და ადამიანის რაობაში ეჭვი ადრეულად არ გეპარება.

22314. მეცნიერება ისაა, რაც კვლევის დროს სამყაროს შეუცნობლობის სივრცეს აღგვაქმევინებს, სხვა შემთხვევაში რაღაცის კეთება, ხელოსნობა, „ჩირთი-ფირთია“.

22315. ყველაზე მეტად მდედრს მამრის სასიყვარულო „ცოდვების“ შურს, ხოლო მამაკაცს – ქალის უპასუხისმგებლო კდემამოსილებისა.

22316. ისტორიას, მატიანეს, რწმენას, ერთმანეთთან რაც უნდა ახლოს იყვნენ, ყოველ მათგანს თავისი ხუშტურები ახლავს.

22317. ყოფის გზა ყველამ უნდა მოვიძიოთ, ახალი ვაშენოთ, ძველი შევაკეთოთ, მომავლისა დავაპროექტოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს გემოზე გადაადგილება გაჭირდება.

22318. საკუთარი ბედის მართვას ვერასოდეს შევძლებთ თუ ხშირ-ხშირად შემთხვევაზე არ ვინადირებთ.

22319. ცოლისთვის ქმარი მარად პატარა ვირუკელაა და არა – ჩოჩორი, იმისდამიუხედავად, მამაკაცი ამას ხვდება თუ არა.

22320. ადამიანი თავს მაშინ შეიცნობს, როდესაც განიცდის, იტანჯება, ტირის, იცინის და ამ გრძნობათა კორიანტელში მაინც სიკეთისთვის იღვწის.

22321. გონიერებაა ისიც, როდესაც სხვა ხალხის უკეთ ცხოვრების მიზეზს იკვლევ და არ გშურს.

22322. სახლიდან გასული მამაკაცი ვნების მეურნეობის დასათრგუნავად, მისდაუნებლიედ, რაღაც-რაღაცებს მიჰქარავს, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ სულიერად თავის ოჯახთანაა.

22323. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ყველა მოხვეჭაზეა გადასული, მოვიწონებდით იმ დროს, როდესაც ყველა თითქმის ერთნაირი შეძლებით და მომავლის რწმენით ცხოვრობდა და საცხოვრებელიც უბრალო საკეტით იკეტებოდა. არა მგონია, რომ წარსულის პრიორიტეტები თავის დროს ჩაბარდა ყოველივე განმეორებადია თუ ყოფას თავის დროს მოვარგებთ.

22324. გაჭირვება – გადაცდენის ჟამს გულმოწყალების და შემთხვევის იმედი გვაქვს, იმისდამიუხედავად, გვჯერა ბედის თუ არა.

22325. სიკეთე მხოლოდ სიტყვის მასალად არ უნდა იქცეს, მას უფრო აღმშენებლობითი დანიშნულება აქვს.

22326. მოგება და წაგება ძმებია, მაგრამ ეს უკანასკნელი ძმობის და მეგობრობის ხარისხს ადგენს.
22327. დაკარგულის ძებნას ნუ გადავყვებით, თუ განგებას უნდა, უკეთესს მოგვცემს.
22328. რაიმეს გადაჩვევა ახალი ცუდი ჩვევის შეძენად არ უნდა გვექცეს.
22329. მსუბუქი ყოფაქცევისაგან განსხვავებით, მძიმე ყოფაქცევის დაგმობა არავის უცდია, რადგან ამ უკანასკნელის რაობაზე არავინ დაფიქრებულა.
22330. ხელოვნება ხალხისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ოღონდ მას არ უნდა ეკუთვნოდეს.
22331. მისთვის გასაგები ზეიმის მოთხოვნილება სულს მთელი სიცოცხლე აწვალებს.
22332. ადამიანმა ბევრი რამ იცის, მათ შორის, რა არის კარგი, რა – ცუდი, მაგრამ ეს ცოდნა მას ხელს არ უშლის რაღაც-არღაცები მიჰქაროს და ამიტომაც არის ბუნების შეუცნობელი შვილი.
22333. ცხოვრება ის ბრძოლაა, რომელიც სიამოვნებას იმ შემთხვევაში გვანიჭებს, როცა მისგან არ იღლები.
22334. ზოგი ჭკუით მარადი ქალიშვილია, ან ამაზე დებს თავს.
22335. საკუთარი ნაკლოვანებების მიმართ სიბრმავე თანდაყოლილი ქრონიკული დაავადებაა, მისი წამალი დროული ალიყურია და არა ესკულაპის წამლობა.
22336. ბიზნესი ყოველთვის წინა ხაზზე უნდა იღვწოდეს, ბედს უნდა ერკინებოდეს ამ საქმიანობისათვის გაწვრთნილი ხალხით.
22337. უნდა ეცადო რაღაცაში იყო პირველი, თუ რაში, ეს ფორტუნას და ფანტაზიას უნდა დაეკითხო.
22338. ფულის გასამმაგება, გაათმაგება ადვილია, საწყისი კაპიტალის მოპოვება და თავიდანვე გონივრულად დაბანდებაა ძნელი.
22339. ადამიანად დარჩენა ცხოვრების ყველა „მოხვეულ-მოხვეულში“ შესაძლებელია, განსაკუთრებით სიბერის ჟამს, იმისდამიუხედავად, ბედი გაძლევს ამის უფლებას თუ არა.
22340. გულახდილობასაც თავის ინტეგრალი აქვს და შეიძლება ჯობდეს ბოლომდე ყველაფრის არგაამხელა.
22341. სიშავე, შავი, ყოველთვის ცუდი არ არის, მაგრამ თეთრს, წმინდას, ვერაფერი შეედრება.
22342. ყველამ თავისი წილი შეცდომა, ხალისით და აუცილებლობის შეცნობით უნდა დაუშვას, იმისდამიუხედავად, დაიმსახურებს განგების ნაჩუქარ კაიფს თუ არა.

22343. სიამოვნებას რაც გვანიჭებს, ყველაფერი მისაღებია, გარდა მანიაკობისა.
22344. ბრმა და ყრუ, სურვილის და გაჭირვების მიუხედავად, ერთმანეთს ვერ უგებენ.
22345. ჭეშმარიტებას დრო ადგენს, ხოლო საუკუნეთა ვნებათა ღელვა მას მარადისობას ანიჭებს.
22346. ღოღვა, ფორთხვა, ადამიანის საქმე არ არის, ამისთვის დროის დაკარგვა დიდი ცოდვაა საკუთარი თავის წინაშე.
22347. შეცდომები სხვადასხვა ალიბის მოშველიებით, ჯიუტად, არ უნდა დავუშვათ, შევეცადოთ გამოვასწოროთ, რათა საკუთარ „მეობას“ არ ვავნოთ და დავიცვათ.
22348. გონიერება იმის ცდაშია, რომ როგორმე დრო საქმის საკეთებლად გამოიყენოს, ჭკუა – დრო როგორ ატაროს, ხოლო უგუნურება – დრო როგორ გაიყვანოს.
22349. შემოქმედება დასამახსოვრებელია კრიტიკის დიზაინით და კოსმეტიკით.
22350. ქომაგი დაუნდობლად სამართლიანია და სამართლიანად დაუნდობელია, რადგან ის ემოციების ქვეშ იმყოფება და თავისი ფავორიტისთვის წარმატება სურს.
22351. „მეამბოხე სულის“ ხალხი ან ქვეყნიდან უნდა გაასახლო, ან იმაზე მეტი უნდა მისცე, რაც სჭირდება, რათა მის ამბიციებს „კუდი შეაჭრა“ და ბრბო არ ააბუნტოს.
22352. ენასთან, მეტყველებასთან, მუშაობა იმდაგვარად, რომ სხვებსაც გააგონო და ტვინის ნაოჭებსაც აგრძნობინო, ძალზე ძნელია.
22353. ადამიანის ფიქრს თუ ეშმაკი არ შეუჩნდება, მისგან სასიკეთო არაფერი გამოდნება.
22354. „მყარი უგუნურება“ გაჯიქება, შეუვალობა, უკომპრომისობაა, ხშირად საბედისწერო შედეგით.
22355. სიცოცხლის გახანგრძლივების ფორმულა: დადებითი სტრესების ჯამია, აყვანილი კვადრატში.
22356. არ არის გადაცდენა, რომ „გამართლება“ არ ჰქონდეს. მაგ. ცოლი იმიტომ ღალატობს თავის მეუღლეს, რომ მისი ნაოცნებარი ვერ გაამართლა, ყოფაში საშუალო სტანდარტებს ვერ აცდა, მის თვალში ვერ ამაღლდა და „ფართო მოხმარების“ მამაკაცად დარჩა.
22357. თვალის ეშხის „ფიზიკა“ არ ბერდება, არ იკარგება, რადგან მისი „შარმი“ უკვდავია.
22358. თავმოყვარეობის არსი, სული, ამბიციური ფანატიზმით, საშინელებაა და ყოვლად გაუცნობიერებელ შედეგს იძლევა. მა-

მამ შვილს, უღირსი ქმედებისთვის, სახალხოდ სილა გააწნა, მან კი იუკადრისა და იქვე, მამამისის წინ, იარაღით თავი მოიკლა. ამ ქმედებით მან საზოგადოებას სილა გააწნა, გვარს შთამომავლობის გამგრძელებელი დაუკარგა, უგუნურებას წყალი აპკურა და უაზრო თავმოყვარეობა „კეკლუცად“ აქცია.

22359. მშვიდად მაშინ იძინებ, თუ ძილის წინ თავს ოპტიმიზმით დატვირთავ და კარგ რაღაცაზე იფიქრებ.

22360. სრულყოფილი სილამაზის ფორმულა ჯერ არ დაწერილა და არც დაიწერება, იმდენად ინდივიდუალური და ცვალებადია მისი აღქმა.

22361. დაწყვილება გრძნობათა აფორიაქების ნაწილია, რომელიც მოვალეობაში გადადის, ღვთაებრივ სიყვარულს წილში უჯდება და მიწიერს ხდის.

22362. სიყვარული თავისი არჩევანით ხშირად გვაოცებს, შედეგზე რომ არაფერი ვთქვათ.

22363. უტვინოსთვის თავი ფუტლიარია, ჭკვიანისთვის – ტვინის ჩასადები ყუთია, რომლის დიზაინს მისი „ოდენობა“ განსაზღვრავს.

22364. დაუჯერებლის დაჯერება იწვევს საკუთარი გულის, მხედველობის, სმენადობის, სასიამოვნო ღალატს.

22365. ტკბილი მოგონებები, სიამოვნების ულუფებით ყლაპვაა, სხვებისთვის გაზიარებით.

22366. გვინდა – არ გვინდა, ჩვენ ბედისწერას განგება განსჯის.

22367. პოლიტიკაში სხვის წისქვილზე წყალს მუქთად არ ასხამენ, რადგან დროის შესატყვისად წამოჭრილი ინტერესები სიკეთეს სწრაფად ივიწყებს და რჩება ის, რაც დღეს ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელია.

22368. სიყვარულის უაზროდ ფლანგვას განგების ნუგეში არ შველის.

22369. ყოველივეს დროის ყივილი აწესრიგებს, მოხერხებულობა განაგებს, პოლიტიკა მხარში უდგას, რაც შეეხება უაზრო ვაჟკაცობას, ნაციონალიზმის ბაცილას, სულის სარწმუნოებისთვის ამოფარებას, ხშირად ეს სათუო ისტორიის საკუთრებაა და მეტი არაფერი.

22370. „გამოუვალი“ მდგომარეობის გამოსავალი ისევ მოთმინება და იუმორია.

22371. საქციელის, ჩვევების, ხასიათის, წვრთნასაც ბედი სჭირდება.

22372. ლიდერობას, ფხის გამოჩენასთან ერთად, ზოგჯერ უხეშობაც სჭირდება დროის და გარემოს შესატყვისად.

22373. არის ტყუილი, რომლის დაჯერება ყველას უნდა, იმისდამიუხედავად, მოაქვს სარგებელი თუ პირიქით.

22374. აღმასვლა და დაცემა განუყრელია, რეალიების, დამსახურების, ხელთუქმნელობის მიუხედავად.
22375. დიდებას გზის გაკვლევა განცდის, ტანჯვის, ბედის და სხვისათვის „შემთხვევით“ ფეხის დადების გარეშე, უჭირს.
22376. აზროვნების დახვეწამ, შეიძლება ადამიანი შინაგანად გარდაქმნას, მაგრამ მის ბუნებას ვერ შეცვლის.
22377. სისულელის კეთებას რა სჯობს, თუ კეთილად დამთავრდება.
22378. კეთილდღეობაზე ზრუნვის ფორმულაა: მოთმინება, გამრავლებული წინხედვაზე, დამატებული შობადობა და ეკონომიკა კვადრატში.
22379. თანამდებობით თავის გამოჩენა ადვილია, მაგრამ ქვეყნის უცვლელ სიამაყესთან, მიწის მხვნელ-მთესველთან, ახლოსაც ვერ მივა.
22380. ცუდს მრავალი კითხვის ნიშანი ადევს, მაგრამ ჯობს ერთი ძახილის ნიშნით დავმოძღვროთ და ახლოს არ გავიკაროთ.
22381. თუ საკუთარი თავი განსჯით მოგწონს, შეუძლებელია სხვასაც არ მოსწონდე.
22382. იუმორს ბურთივით გონის აკენწვლა სჭირდება და არა – სხვისი წყენინება და გაკენწვლა.
22383. საქმე პროფესიონალმა უნდა აკეთოს, თორემ ბავშვის კეთება ყველას შეუძლია. პირველნი ცოტანი არიან, მეორენი – უამრავნი, რაც განგების ნებაა, ბლომად მორჩილი და მოიმედე რომ ჰყავდეს.
22384. ცდუნებიდან თავის დაღწევის სურვილი დიდია, მაგრამ ყოველივეს ბედი განჭვრეტს და განსჯის.
22385. სილამაზე უკვდავია და მისი მფლობელი – ბედნიერი, იმისდამიუხედავად, გაგიმართლა თუ არა, რადგან შენი შურდათ და შენთან ნაცნობობით ტრაბახობდნენ და შემდგარი ცხოვრებაც მეტი კი არაფერია.
22386. საკუთარ სიცოცხლეზე რომ ამაღლდე, სიკვდილთან ღირსებით შეხვედრის ნიჭი უნდა დაგყვეს.
22387. ზოგისთვის წამის გაელვებას მარადიულობა მოაქვს, ზოგისთვის – საუკუნეში უაზრო „ჩალიჩი“.
22388. საზოგადოება არა მარტო მთავრობის ქმედებას უნდა აკონტროლებდეს, არამედ ოპოზიციისაც, რათა სათუო დაპირისპირებებით ამომრჩეველი უგუნურების „ანკესზე“ არ წამოაგონ.
22389. სიყვარული და დიპლომატია, გვინდა – არ გვინდა, საბოლოოდ შედეგისკენ მიისწრაფვის.
22390. ვნების ცოდვები არ უნდა გვაშინებდეს, რადგან მის გარეშე

ცოდვა მიუტევებელი გახდებოდა.

22391. სარკე ყოფის და მოდის ყველაზე დიდი შემფასებელი და „ავანჩავანია“.

22392. სილამაზის დაფიქსირების საზომი, საკუთარ გარეგნობასთან ერთად, მეტყველების, ღიმილის, წარმოჩენაცაა სიარულის ცოდნით და სავარძელში ჯდომის უნარით.

22393. შემოქმედნი, ხელოვნების მსახურნი და ფართო მოხმარების ნიჭის მფლობელნი ყოველთვის შეყვარებულნი უნდა იყვნენ, სახელის და გვარის მინიშნების გარეშე, თუ უნდათ თავსაც და ხალხსაც თავიანთი ნაღვაწის რაღაც სახეირო ნაწილი შესთავაზონ.

22394. ყველამ იცის, რომ უნდა ისწავლოს, ხოლო რაში გამოადგება, უმეტესობას წარმოდგენა არ აქვს.

22395. ნანახი ყოველთვის სჯობს მონათხრობს, მაგრამ გააჩნია მნახველს, გააჩნია მთხრობელს.

22396. კეთილისმდომის შენიშვნა, ოპონირება, გონიერებისთვის წამალია, უგუნურისთვის – საწამლავი გაბუტვით.

22397. ბავშვს უფროსების მიბაძვა და პროტესტის გამოხატვა უფრო მოსწონს, ვიდრე მათი ჭკუის დარიგება და გადამეტებული ზრუნვა-„შეფობა“.

22398. ზოგს თავის ნამოღვაწარი ამშვენებს, ზოგსაც – საკუთარი ფუტლარი, მაგრამ გონიერებასთან რეალურად გამოცნაურებას არავინ ცდილობს.

22399. ბედნიერებას, ყველაზე მეტად, ოპონირებას ქორწინების ხარისხი და შედეგი უწევს.

22400. საკუთარ უგუნურებასთან შერკინება ყველა სხვა ბრძოლაზე ძნელია.

22401. წარსულის გახსენების წუთიერი ღიმილია აწმყოს სიამეს მომავლის ღიტინით რომ ამუნათებს.

22402. ოჯახის სიმტკიცეს გრძნობათა ლტოლვა გადაამოწმებს კვადრატში და არა ფულისადმი სიყვარული კუბში.

22403. ბედნიერება საინტერესოს განხორციელებაცაა, სიამოვნების თანხლებით.

22404. ვიღაცაზე წყენა, გაბუტვა, ყურების ჩამოყრის სინონიმია.

22405. შეცდომის დაშვება ყველას შეგვიძლია, მაგრამ მას ხელოვნური ალიბი და რწმენა არ უნდა მფარველობდეს.

22406. ღვინო ტვინის დათბობაში ხელს გვიწყობს, რომელიც ზოგჯერ თანამეინახეებსაც გაგვახსენებს.

22407. ყოფის ზოგ „დაავადებას“ ჩვენი გენი იმსახურებს და მასთან

შებმა უშედეგოა.

22408. ფრთხილად მოპყრობა, უპირველესად, ადამიანის სულს სჭირდება, რომელშიც ამდენი სასიყვარულო განძია მოთავსებული.

22409. ცოლი, აყვანილი დროის შესატყვის ხარისხში, გარკვეული უშფოთველი ცხოვრების გარანტიაა.

22410. ბოროტების ზღუდეს, თუ მოინდომებს, ყველა ფარისეველი და მედროვე ადვილად ანგრევს, რადგან ბოროტება მას თავისიანად მიიჩნევს.

22411. წარმატების საფუძველი ეჭვის, შურის და აღიარების კოქტეილიცაა.

22412. სხვის გაჭირვებას ფილოსოფიურად ვუყურებთ, საკუთარზე კი ფილოსოფიის ალგორითმების, ყოფის ფორმულების და კანონზომიერების მორგება გვიჭირს.

22413. ზოგის განათლებულობის ტრაგიზმი შემდეგშია: ყველაფერი იცის, რეალური საქმის კეთების გარდა. ასეთი ხალხი სახელმწიფომ უნდა დაასაქმოს, რეალური საქმე აკეთებინოს და მასზე გაწეული განათლების დანახარჯები ნამატით ამოიღოს.

22414. სიკეთეც და ბოროტებაც სწრაფად ვრცელდება, გააჩნია რეკლამას.

22415. ბიჭებს დედები უყვართ, მამებს ბაძავენ, გოგონები – პირიქით და ესეც ბუნების დაუწერელი კანონია, რადგან სიყვარულის, მიბაძვის და მცდელობის გარეშე საზოგადოება არ განვითარდება.

22416. ეგოიზმი ნაკლი კი არა, დაავადებაა, რომელიც ხშირად ქრონიკულში გადადის.

22417. საზოგადოება ხშირად მოუმზადებელია სიმდიდრის არამარტო მისაღებად, არამედ აღსაქმელადაც – ეს მისთვის არავის უსწავლებია.

22418. ბრბოს გენის მქონე ხალხი, ალიბს ეძებს სხვათა წარმატების გასაქიაქებლად, თავის უნიათობის, უგვანობის, დასაფარავად და წინააღმდეგი არაა სიკეთის მკეთებელი დასაჯოს.

22419. ბრბოს პოლიტიკა აინტერესებს, მასას – ეკონომიკა, ხალხს – შედეგი, ხოლო საზოგადოების შესაქმნელად იდეალების დამუნათებაა საჭირო.

22420. ქალს თუ მამაკაცის მფარველობის იმედი არა აქვს, ის საზოგადოება ფუყეა.

22421. ბრიყვს და უვიცს არ შეერკინოთ, თქვენგან განსხვავებით, მას არაფერი აქვთ დასაკარგი.

22422. ზოგჯერ მოდაზე გადაყოლა ირგვლივმყოფთათვის გაცილებით

მეტს ნიშნავს ინდივიდუალობის შესაფასებლად, ვიდრე გემოვნება და გონიერება.

22423. მსხვერპლად შეწირულს ყველას მაგივრად პასუხს აგებინებენ, მათ შორის იმ დანაშაულზეც, რომელიც არ ჩაუდენია.

22424. ძნელია ხალხის არჩეულ ნაყარ-ნუყარ წარმომადგენლებს საქმეზე ესაუბრო, როდესაც თვალი ბაცნობისკენ გაურბით, სამშობლოს და ერის სიყვარული სიტყვის მასალად და ფარად აქვთ აფარებული, რათა უკეთ იმამაძაღლონ და ითაღლითონ.

22425. ხალხს ყველაზე მეტად ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული ბუნტი აერთიანებს, მაგრამ ისიც დროებით და „ეჭვის ჭიათი“.

22426. მეცნიერის შემჩნევა დროის მოთხოვნაზე, განგების ნებაზეა, დამოკიდებული, ხელოვანისა – ერთ წარმატებულ წარმოჩენაზე და აპლოდისმენტებზე.

22427. დამოუკიდებლობის საფუძველია მსოფლმხედველობა, განათლება, შესაძლებლობა, შემდგომ მოდის დროისთვის მხარის აბმა, გამართლება, ხასიათი.

22428. სამართლიანობისათვის გადამეტებული ბრძოლა კრიზისს იძლევა. აქედან უმტკივნეულოდ გამოსვლა ჭირს.

22429. ჭეშმარიტებისთვის, ხელისუფლებისთვის, ბრძოლის მიზანი გამარჯვებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მცდელობა უგუნურებაა.

22430. საზოგადოებას განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქაოსიც სჭირდება, რათა ქვეყნის განვითარების ტემპი დაჩქარდეს და განვითარების რუდუნიზმიდან ამოძვრეს.

22431. ვეცადოთ ისე ვიცხოვროთ, ერთმანეთს არ დავაყვედროთ და ზოგჯერ კოლექტიურად თავიც მოვიგიჟიანოთ.

22432. ადამიანებს ყველაზე უკეთ იუმორის გრძნობა აერთიანებთ და საერთოსაც გაცილებით მეტს ნახულობენ.

22433. ქვეყნის კონსტიტუციის ვარგისიანობა განსაზღვრავს როგორ ემთხვევა ხალხის და ქვეყნის ინტერესები ერთმანეთს.

22434. ყველა დროში ისტორიის დანიშნულებაა წინაპართა გამოცდილების უგულებელყოფისათვის მომდევნო თაობებისთვის ცხვირში ამორტყმას.

22435. ზოგჯერ გამბედაობა, პირდაპირობა, სიძულვილის მიზეზიც ხდება, თუ ხალხს „ვიღაც-ვიღაცები“ თავიანთი სიმდიდრე-შესაძლებლობებით აბრმავებენ და ნასუფრალის მიგდებასაც პერსპექტივით ჰპირდებიან.

22436. ერთი გმირის მეორეთი შეცვლა ხალხის გაბითურების საშუალე-

ბაა.

22437. სიმართლე საშიში პრეცედენტია, ხშირად თავისიანებს უბარ-ტყუნებს და ამით სხვებსაც აფრთხობს და აშინებს.

22438. მსოფლიო ეკონომიკა ყოველთვის დრამატულად ვითარდება, კრიზისისა და უმუშევრობის მხარდაჭერით.

22439. სიყვარულია ისიც, როდესაც შენს სულში ელავს, დედამიწა კანკალებს მზე დამცხუნების ხასიათზეა და შენ არაფერი გად-არდებს.

22440. საიდუმლოს შენახვა განსაკუთრებულად მძიმე ტვირთია, როცა სატარებლად აგკიდეს შენი სურვილის, ნების, მიუხედავად.

22441. სიყვარულში ფოლკლორი არ გამოდგება, მას თანამედროვე მიდგომა და ყოფის გაუმჯობესება სჭირდება.

22442. სიყვარულს არ ახურდავებენ, პირიქით, დიდ კუპონებზე ცვლიან და იმედით აბანდებენ.

22443. სიყვარულის ახსნა აბსოლუტურ მუსიკალური სმენას ითხოვს, რათა ქალს დაფიქრების საშუალება არ მისცეს და ხმის ტემბრით აღფრთოვანებული დაუფიქრებლად დათანხმდეს.

22444. ფრთებს სიყვარული გამოგვასხამს და მისი „გაფრენის“ ვარიან-ტებს ეძებს.

22445. სიყვარული და სირცხვილი შეუთავსებელია, როგორც სექსი და სიმორცხვე.

22446. ქალთა მოდგმა, მეტ-ნაკლებად, ბუნებით „მეძავია“, ოღონდ სიყ-ვარულის ძიებით.

22447. სიკვდილსაც ცოდნა სჭირდება კაცობის, ხსოვნის და ლეგენდის დატოვებით.

22448. ქალის სიავე და ანჩხლი ხასიათი თავიდან ძნელი ასატანია, შეეჩვევი და „იავნანასავით“ ჩაგესმება.

22449. ქალისთვის ნერვების აშლა ნორმალური ყოფის ელემენტია, იმი-სდამიუხედავად, მამაკაცები ამაზე ფეთდებიან თუ არა.

22450. ქალის ყველაზე ერთგული ნაწილი გულია, შედეგის მიუხედავად ყოველივეს განიცდის.

22451. მომხიბვლელობასაც კი პოლიგლოტის სურნელი უნდა ასდიოდეს, რათა მრავალ ენაზე გაახმიანოს.

22452. ყველა ქალი მეტ-ნაკლებად პრობლემატურია, იმისდამიუხედავად, სიყვარულით მოიპოვეს მისი გული, სიმდიდრით თუ გარიგებით.

22453. ემანსიპაციის მიუხედავად, ქალი მაინც ძალაუფლებას და ფულს ეთაყვანება და ნებსით თუ უნებლიედ, ამ „ფენომენებს“ ნებდება.

22454. ენის მათრახს ქალის მოითმენს, თუ გასაქცევად არაა გამზადე-

ბული.

22455. ქალებს ბედნიერებისთვის, რატომღაც, ოჯახის იდეალებზე მიბმული მამაკაცი არ სჭირდებათ.

22456. იუმორი სამიზნესთან ერთად იბადება და მიზანში მოხვედრის შემდგომ, შედეგიანი და განვრცობადია, მინუსით.

22457. პირველი ქალი, ქალების ოდენობა და ერთადერთი ქალი, მათ შორის სხვაობა დიდია, რასაც ყოფის დაისზე შევიცნობთ.

22458. სიდიადე ყველა მიჯნას დაძლევს, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების ცენტრშია და ყველა შხამიანი ისარი მისკენაა მიმართული.

22459. ქალი მთელი ცხოვრება იმ მამაკაცს ეძებს, რომელსაც მისი სიყვარული მოუნდება.

22460. აზარტი თავისებური დაავადებაა, რომელსაც სიამოვნებაც მოაქვს, მაგრამ მისგან განკურნება ძნელია და სერიოზულად არც არავინ ცდილობს.

22461. სამყაროს შეგრძნება ასაკის მატებასთან ერთად იცვლება, მაგრამ ამას თითქმის არავინ განიცდის, რადგან „ფინიშს“ შეგუებულნი ვართ.

22462. ქალი იმაზე ლამაზი და საინტერესო აღარ იქნება, დღეს რომ არის, რადგან დღეების მატებას თავისი გააქვს.

22463. მამრის დასამუღამებელი, ეროტიკული გზავნილი, „თვალების დაჟუჟუნება“, ყველა ქალს უნდა ეხერხებოდეს.

22464. ქალს გულის ამაჩქარებელი სასიამოვნო ყბედობა აბამს და არა – მისი შინაარსი.

22465. ზედმეტი მორიდება, წესიერება, ზრდილობა, ქალს შინაბერად ტოვებს, მიუხედავად მისი უამრავი ღირსებისა.

22466. ქალი მარად სექსის ობიექტად და მამაკაცის ლუკმად უნდა დარჩეს, რაც შეეხება გონიერებას, მორალს, ეს ისევ ასაკის პროგატივაა.

22467. ხშირად ქალების მეგობრობა კონკურენტის ბედის დაჭმაა კვადრატში, თუ საქმე პერსპექტიული მამაკაცის დამუნათებას ეხება.

22468. როდესაც შთამომავლობაზე ბუნება ისვენებს, იმიჯი ქვევით იწევს, მაგრამ მომავლის იმედი არ იკარგება.

22469. სანამ ქალს ოფიციალურად ხელს სთხოვდე, კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდე, შენ უნდიხარ თუ შენი საქორწინო ხელშეკრულება.

22470. მკერდი ქალის ავტორიტეტია პროფილში, ტრაკი – ანფასში.

22471. ყვავილების მირთმევა წამლიქვნელების ერთ-ერთი სახეა, როდესაც არ იცი სარეცელზე შენთან შეხვედრით ქალი კმაყოფილი დარჩება თუ – პირიქით.

22472. არის რაღაცა, რომელიც არ ისწავლება, ის შენმა ბუნებამ უნდა აღიქვას და გეშით უნდა იგრძნო (მაგ., სამშობლოს სიყვარული, მოვალეობის გრძნობა).
22473. სახელმწიფო გაცილებით მეტს უნდა ფიქრობდეს ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე წინჭვრეტით, ვიდრე მის ფუფუნებაზე, ოღონდ თავისუფლების შეუზღუდავად.
22474. ზოგიერთი სახის არასწორი ნაკვთები უცხო სილამაზეს აფრქვევს, რომლისთვისაც თვალის მოწყვეტა ჭირს.
22475. ძალა შიშს იწვევს, ჭკუა – მორიდებას, ხოლო მათი ნაჯვარი სასწაულებს ახდენს.
22476. გრძნობასაც მოთოკვა სჭირდება, რათა მას სისულელისკენ მიდრეკილება არ გაუჩნდეს.
22477. მეტყველებას სიფაქიზე, სინაზე, სინატიფე, არ უხდება, ომახიანობა მეტ მსმენელს იზიდავს.
22478. სასაცილო ხშირად ზედაპირულია და ვისმეს გასაბრიყვებლად მისი ყურით მოთრევაც ძნელი არ არის.
22479. ბედნიერება იმქვეყნად გადასახლებაა იმ ასაკში, როდესაც შენი ამქვეყნად დაყოვნებით ყველა გაკვირვებულია და შენი გარდაცვალება გულს სერიოზულად არავის ტკენს.
22480. შეუპოვრობა, მცდელობა, ხშირად მონას „პატრონად“ აქცევს და განგების დროებით უსამართლობას ბიშტს უჩვენებს.
22481. შეგნებული ცოდვებია: განცალკევება, სიძულვილი, წყენა, განსჯა, უარყოფა, რაც ჩვენს ჯანმრთელობას, სულიერებას, დროზე ადრე აავადებს, ხრწნის.
22482. წყვილის მსუნაგი კოცნის პარამეტრები განსაზღვრავს მათი ურთიერთობის მომავალს.
22483. ალკოჰოლიზმია, როცა გინდა „პახმელიაზე“ გამოხვიდე, როცა წინა დღეს ალკოჰოლთან სურვილითაც კი შეხება არ გქონია.
22484. ვარსკვლავია, ვინც თავისი დროისათვის მიუწვდომელია, ბუნებრივია, თავისი მისაბაძი სიმბოლოა, მისი ჭვრეტა სიამეს გვგვრის და არ ხუნდება.
22485. სიჯიუტე ქალაქებსაც იღებს, ქალის გულსაც იპყრობს და უგუნურებსაც ანადგურებს.
22486. კარგი კაცი და გამოსადეგი სხვადასხვა რამაა, ერთს ეთაყვანებიან, რიდი აქვთ, მეორისა – იმედი და რწმენა.
22487. ხასიათის მართვა ჩვენ მცდელობაზე არ არის დამოკიდებული, მას გემოვნება და განწყობა სჭირდება.
22488. ყველა ჩვენგანი ფსიქიურად მეტ-ნაკლებად დაავადებულია, მა-

გრამ ზოგს ემჩნევა და ზოგს არა.

22489. თუ არაფერი არ შეგიძლია, მოკვდი, რათა ამქვეყნად შენი ყოფნის ვალი ჩამოგაწერონ.

22490. სიტყვა მაორგანიზებელი, მაორიენტირებელი, მოხვეჭის, საშუალებაა, გააჩნია, ვინ როგორ „ეხმიანება“ კაურების მადლის ალგორითმს.

22491. დედმამიშვილობა უპირველესად ბედის მსჯავრია, შემდგომ მოდის სიყვარული, ურთიერთგაგება და მოვალეობის აღქმა.

22492. იუმორის მოჭარბებული გრძნობა ფიზიკურად და სულიერად ჩვენს გაჯანსაღებას ცდილობს.

22493. სიმპატიები „კაურებთან“ ერთად, დაფარულ სიბრიყვესაც ახლავს.

22494. თუ დროის ფასის ცოდნა ჯეელობიდან არ დაგვყვა, მას ჭკუის მოხმობა არ შველის.

22495. მისწრაფება და გამბედაობა ყოვლივე საწყისის დაუღვინებელი თავია.

22496. შრომას მაშინ აქვს ფასი, თუ რეალური შედეგი მოჰყვება და სხვებსაც შენთან ერთად რაღაც შეხვდება.

22497. თანდაყოლილი სიცილის უნარი თუ სასიამოვნო ჩვევად გადაგექცევა, ბედნიერებაა.

22498. ცრუწმენასთან და მაგიასთან შეჭიდებით ყველა თავის ზოდიაქოს ეჩალიჩება, ნერვებს იწყნარებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბოლომდე არ სჯერა.

22499.

22500. სიამოვნების მოპოვება არ კმარა, მთავარია მისი ვნებით გათავისება.

22501. ზნეობა მაინც უპირველესია, უზნეობამ რაც უნდა ცხვირი აწიოს და რაღაცას მიაღწიოს.

22502. ტექნიკური პროგრესის ოპონენტიც ზნეობაა და არა – პირიქით.

22503. ხორციელ, სულიერ, სააზროვნო, ძახილში უმთავრესია მათში გარკვევა.

22504. შეუცნობელი გრძნობების იდილიაში გადაზრდა, ქაღალდზე დაფიქსირებით, პოეზიაა.

22505. ეშმაკობას მაშინ ედება ფასი, თუ სასიკეთო საქმისთვისაა მოწოდებული.

22506. ღირსება ეს ჩვენი მეა, თავისი მოქცევით.

22507. საკუთარი შეცდომების გატირაჟება ყოველთვიოს გულს გვი-

ღონებს.

22508. ნდობა შესაძლებელია მხოლოდ განსჯით, მაგრამ ხშირად არაა საკმარისი.

22509. ახლობელი, მოყვასი, ისე არ უნდა დაიახლოვო, გაიტოლო, რომ მან საყვედურის უფლება მოიპოვოს.

22510. უმადურობის აპოგეაა, როდესაც რამდენიმე წლის უმუშევარს ასაქმებ, ის კი მაინც უმადურია: „არ წამიყვანდა სამუშაოდ და მე ჩემს გზას მოვნახავდიო“.

22511. ხასიათი, ფხიზელი ლოთობა, ქალებში გრიალი გენით და ჯეელობით, მოგვსდევს ნიჭის და შეძლების მიუხედავად.

22512. თავდადება პატიოსნებით ყოველდღიურობას მოითხოვს.

22513. ჭორიკნობა, უსაქმურობა, უაზრო გართობისკენ მიდრეკილება, ადამიანს ხელეწიფება.

22514. ვირტუალურ სამყაროში ცხოვრება, რეალური სამყაროდან გაქცევის მცდელობაა საკუთარი უსუსურობის, სიზარმაცის და აკვიატებული ქცევის დასაფარავად.

22515. რადგან ადამიანები ნაძირალებადაც იბადებიან, მათ გამოსწორებაზე კი არა, გამოყენებაზე უნდა ვიზრუნოთ, იმგვარად, რომ სხვებს არ ავნონ.

22516. მიმტევებლობა სისუსტეში არ უნდა ჩაგვითვალონ.

22517. ჩვენ ყველანი ვალის გადახდასაც ვცდილობთ და შეხახვისთავებასაც, დროის ყივილის და გარემოს დამოძღვრით.

22518. გმირობის ჩასადენად მარტო ბედი და შემართება არ კმარა, გენიც უნდა მოგდევდეს.

22519. გონიერების ლაკმუსი გულია, რომელიც განუსაზღვრელი და განუსჯელია.

22520. მეგობრობა ურთიერთსიამოვნებას სულიერად უნდა აღწევდეს, ოღონდ ფულის ჩაურევლად.

22521. არც მეხსიერების მიძინება შეიძლება და არც ზედმეტად მისი გაჯეჯილება, მოსალოდნელი შედეგის გამოცნობის და გააზრების გარეშე.

22522. რასაც გულით აკეთებ, ის „გოიმობა“ არაა.

22523. პუნქტუალურობა თავისებური გენეტიკური დავალებაა და მისი დარღვევის შემთხვევაში თავს უხასიათოდ ვგრძნობთ.

22524. წარმატება, დიდი მცდელობის შემდგომ, მაინც შემთხვევის დამსახურებაა.

22525. იდეალების უქონლობა და უსაქმურობა ყველა უგუნურების სენია.

22526. დემოკრატია-თავისუფლების მღაღადებელ წყობაში იყო ღარიბი, ხალხის მოსახლეობად გადაქცევის ბრალია.
22527. ზოგი იმდენად შეგნებულია, რომ სიკვდილის გარდაუვალობას შეყვარებულის და იმედის თვალით უყურებს.
22528. იუმორის გარეშე საკუთარი ძალების მოსინჯვას და საკუთარ შესაძლებლობებზე სატირით გაჯირითებას დიდი სიამოვნება მოაქვს.
22529. შეცოდების გრძნობა დღეს დევალვირდება, რადგან „ოფიციალურად“ პირველ ადგილზეა პირადი კეთილდღეობა და კარიერა.
22530. გონიერებას „მოსკორვა“ და საქმის გაფუჭება შეუძლია, მაგრამ აღმაფრენით საქმისთვის თავის გადადება ერთეულთა ხვედრია.
22531. ზოგი უიღბლობასაც თავის სასარგებლოდ მოთარგმნის და წარმოაჩენს.
22532. ჩვენი გენის საწყისი საგვარეულოს ფესვებშია.
22533. ასაკს ერთდროულად ქალის და მოსახლეობის აზრი აღარ აინტერესებს.
22534. სიბრიყვე შინაგანად ყველა ჩვენგანში მეტ-ნაკლებად ზეიმობს.
22535. სიზარმაცის შემოპარებას ისევ შიშის ანტივირუსმა უნდა უმკურნალოს.
22536. თავისუფლება ერთდროულად ნიჭსაც მოითხოვს, პასუხისმგებლობასაც და კაცობასაც.
22537. თავისუფლება დაცვასაც ითხოვს, პროფილაქტიკასაც და მუშტის ჩვენებასაც მის შესანარჩუნებლად.
22538. თავისუფლებას არ ნატრობენ, იმით ცხოვრებას ცდილობენ.
22539. ეკონომიკა ბიუჯეტის დეფიციტზე მეტად უაზრობას და ძალდაატნებას ვერ იტანს.
22540. სომხები იგივე ქართველები არიან, ოღონდ ცუდ ხასიათზე ყოფნისას, ხოლო ჰაოსი და ქართლოსი იგივე სომხები არიან ცუდ გუნებაზე შექმნისას.
22541. უყურადღებო თვალი არ არსებობს, ის ცეცებისთვის და დაჟუჟუნებისთვის არის განკუთვნილი.
22542. ვინც თავის ცოდნა-გამოცდილებას არ იყენებს, ერთი მხრივ ბრიყვია, მეორე მხრივ – ფილოსოფოსი.
22543. რატომღაც ასაკი უფრო აფასებს წასულ მშობლებს, ვიდრე იმ წლებს, როდესაც ისინი ჩვენზე ზრუნავდნენ და მზე და მთვარე ჩვენზე ამოსდიოდათ.
22544. იმქვეყნად თუ ჯოჯოხეთში თავი არ გიკრეს, ამქვეყნიდან აპლოდისმენტებით მაინც უნდა გავეცილებინეთ.

22545. ადამიანებს სიკეთის კეთებისა უფრო უკვირთ, ვიდრე, სიავისა.
22546. ურთიერთგაგება გონიერების, მოთმინების, გარდა ქათინაურე-ბის შეზელვასაც მოითხოვს.
22547. სხვათა ცოდვებს მაშინვე განვსჯით, საკუთარ ცოდვებს კი არც ვაყოვნებთ და არც განვსჯით.
22548. მეგობრებს უნდა მოვუსმინოთ, ოღონდ ჭკუის დაურიგებლად.
22549. მეგობრებს ნაცნობობითაც იძენ, საერთო ინტერესებითაც და სულიერებითაც, მაგრამ არავინ უწყის, დროის ყივილის შესა-ტყვისად რომელი შემოგრჩება და გამოგადგება.
22550. ხუმრობის შეზავებას გონიერება ეტიკეტის ცოდნით სჭირდება.
22551. უაზრო და ხმამაღალ სიცილს აღზრდის არაფერი ეტყობა.
22552. იუმორში შეზავებული სიმართლის თქმა ღიმილს იწვევს, ნიშნის მიგებით კი – ხარხარს.
22553. თავაზიანობა ის ხელოვნებაა, რომელიც სხვებსაც აიძულებს თავადაც ასე მოიქცნენ.
22554. სასმელი ავლენს იმ შეფუთულ გენეტიკურ ნაკლს, რომელიც მა-მაზეციერმა შემთხვევით დაგვანათლა.
22555. შინაგანად უნდა ეცადოთ ყოველთვის სხვაზე მაღლად ვიდგეთ, მაგრამ ეს არ უნდა გამოვამჟღავნოთ.
22556. წიგნის კითხვა ცხოვრებას ვერ გვასწავლის, მაგრამ სასიკეთო საქმეებისკენ გვიბიძგებს.
22557. ნეკროლოგია მიცვალებულს რომ ამკობს და იმქვეყნად წასასვ-ლელ გზას „უმსუბუქებს“.
22558. დღეს ხელოვნება ფულის საკეთებელი ხელობაა, რომელსაც რე-კლამით და პიარით თუ კარგად გარანდავ, მატერიალური შედეგიც არ დააყოვნებს.
22559. ზოგჯერ სიკვდილიც არ გვათავისუფლებს მოვალეობისაგან, რადგან ბოლომდე მიუყვანელი საქმე, შენი სახელით, შენმა მოსწავ-ლეებმა, თანამეინახეებმა უნდა დაასრულონ.
22560. როდესაც შემართება ჭირს მოგვჭამს და რისკის გაწევისკენ გული არ მიგვიწევს, სიბერის საწყისიც სახეზეა.
22561. ღმერთს სულიერების გაჯეჯილებით უახლოვდებიან.
22562. ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ცრუობს, მაგრამ უმთავრესად კეთილი სურვილებით, უმტკივნეულოდ და სულის გაჯეჯილებით.
22563. კლასიკას ადამიანთა უმეტესობა სათანადოდ ვერ აღიქვამს, რადგან მის გაცნობიერებას მომადლებული ნიჭიც უნდა.
22564. ძირითადად სინანულს გონის დაღვინება და სხეულის „დაჩ-მორება“ იწვევს.

22565. სინდის-ნამუსის შენახვას ხშირად პატიოსნების მუხრუჭების უქონლობა ღალატობს.
22566. სიხარული-დარდი, სიყვარული-სიძულვილი, მეგობრობა-მტრობა, ჩვენი ზნეობის თავისებური მბრძანებელია.
22567. სიბრიყვე და გონიერება ერთმანეთს ცვლიან დროის ყივილის და გარემოს შესატყვისად.
22568. ზოგჯერ ინფორმაცია გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე საქმის არსი და ადამიანის ბედიც.
22569. ცოცხლებს არ სურთ იმ უნებლიე მკვდრების წინაშე პასუხიმგებლობის აღება, რომელთა უგუნურებით, უნიათობით, ფეხებზედმკიდიაობით, შეეწირონ ამ უტვინო „პერესტროიკას“ და არაფრის მომტან დემოკრატია-თავისუფლების უვერტურას.
22570. ერი ძალიან ბევრს კარგავს და სახელმწიფოებრიობა კარგახანს ჭრაჭუნებს, როდესაც ქვეყნის სათავეში ჩვენივე თანხმობით შემთხვევითი ხალხი და ბუნებით ნაძირალა მოდის.
22571. წარმოებას ის აღწევს, ვინც პრაქტიკულად საქმეს ცდას ვერ აკლებს და აუღებელი ციხე-სიმაგრეების თეორიულადაც დალაშქვრაზედ არ ოცნებობს.
22572. ჯიშის, ჯილაგის და საკუთარი გენის მოჩხრეკვის უნარი ბედის და შემთხვევის დიდი წყალობაა.
22573. ვეცადოთ გონიერნი ვიყოთ, მაგრამ თავზე გადაუმეტებელი წარმოდგენით.
22574. მოთმინებაც თავისებური ჩასაფრებაა, შედეგის მიუხედავად.
22575. ცხოვრების შეცნობას, ყოფის წინხედვას, დროის დაჭაშნიკება და დაუხურდავებელი ნიჭი სჭირდება.
22576. უყურადღებობაც თავისებურად დიდი სენია, იმისდამიუხედავად, თავს დამოუკიდებლად ვგრძნობთ თუ არა.
22577. ცხოვრებაზე და გამოცდილებაზე საშინელი არაფერია, მაგრამ ყოველივე ამ მუხანათურს და ვერაგულს საკუთრივ გენის შესაძლებლობები გვავიწყებს თუ ადამიანი ბუნებით მებრძოლი პიროვნება და შემოქმედია.
22578. ქურდი ხარ თუ სხვა რამ მამაძაღლი, პროფესიონალი უნდა იყო, რათა აღფრთოვანება დაიმსახურო.
22579. მამრის სხვა ქალებში ვნების გადასახალისებელი გაშრიალება და ზოგჯერ გამართლებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი „მარცხენა“, ისევ მდედრის საამებლად და ორგაზმის მისაღებად კეთდება, იმისდამიუხედავად, ქალი ამას „დაგიფასებს“ თუ არა.
22580. ხალხი ყველა პიროვნების მიმართ ობექტური ვერ იქნება, რად-

გან არის ბევრი ისეთი თანდაყოლილი რამ, რომელსაც ვერ გადააბიჯებს: შეწყალება, მადლიერება, აღფრთოვანება, გაოცება, გამოქომაგება, სამართლიანობა და სხვა ამგვარი.

22581. თავის მოტყუებაც თავისებური ნიჭი, ხელოვნებაა, საკუთარი მეობაზე შეძახებით.

22582. საკუთარი გრძნობები, მიზეზთა მიუხედავად, არ უნდა გავაჯეჯილოთ და შეძლებისდაგვარად მოვთოკოთ – უფრო მომგებიანია და საჭიროც.

22583. ძველი ჭუჭყი არ უნდა ვათრიოთ და წარსულის უსიამოვნებისაგან დროულად უნდა გავთავისუფლდეთ, ამით თავსაც ვარგებთ, სხვაც კმაყოფილი დაგვრჩება და უაზრო საყვედურებით და ჭორაობით დროსაც არ გავაცდენთ.

22584. შენს მიერ ნაკეთებ საქმეს თუ გარდაცვალება არ უწერია, ბედნიერებაა.

22585. სიტყვას „აიწონა-დაიწონათი“ გაყიდვა უხდება, როგორც ბითუმად, ასევე – საცალოთი.

22586. დუმილზე უკეთესი ალბათ, პეწით თავის დაჭერაა.

22587. თავის წარმოსაჩენად ზოგჯერ ისეთ რაღაცას წამოროშავენ, რაც მას და განგებას უნდა სცოდნოდა გაუტირაჟებლად.

22588. მოთმინების უნარი დიდი ნიჭია, ისიც გარკვეულ დრომდე და შემთხვევამდე.

22589. გულის სიმხურვალით გამონათებას გონიერების გამონათება ვერ შეედრება.

22590. გემოვნებაც განათლებას, დროის აღქმას და კეთილმადლიან მოვლენებს მოითხოვს.

22591. გრძნობათა ჭიდილი პოეზიაა, ხოლო მასთან გამოცდილების, განათლების, ფანტაზიის, შეზელვა შემოქმედებაა.

22592. როდესაც ადამიანს იახლოვებ, უპირველესად უნდა განსაჯო მისი მიზანი.

22593. ცრურწმენა, მეტ-ნაკლებად, ყველას გვახასიათებს, რადგან ჩვენს „ნეტას“ რწმენას მატებს და ნერვებს გვიმშვიდებს.

22594. ცაში ოცნებით ფრენას და სურვილების კაურებს, ისევ მიწაზე სიარული ჯობს.

22595. დუმილის კანონის დარღვევის უფლება გონიერებას არ აქვს, რაც უნდა გამორჩენა შესთაავზონ, ფინიში წამგებიანია.

22596. მთავარია, ქალის ბუნება და მისი სუსტი მხარე ვიცოდეთ და ისიც, ხელის გულზე როგორ დაგვადნება.

22597. იუმორი ჭკუაგახსნილობისა და სიცოცხლის ღიმილით აღქმის

„ჭაკი-ჭუკია“.

22598. შემჩნევა, რეკომენდაცია, დახმარების გარეშე რაიმე სერიოზულის მიღწევა ჭირს, თუ გამორჩეულ ხალას ნიჭს არ ფლობ.

22599. ბოლომდე საკუთარ თავსაც არ უნდა ენდო.

22600. ცხოვრების გამოცდილება, აღზრდა და რეალობა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ჩამოყალიბებაში მის მსოფლმხედველობაზე, კაცობაზე, პატრიოტიზმის სწორად გაგებაზე.

22601. ადამიანი იმდენად სიკვდილზე არ ფიქრობს, რამდენადაც სულის მოყუჩება-გაჯირითებაზე იმქვეყნად.

22602. ჩვენს ნაკლს დაუფიქრებლად ვალამაზებთ, რაც თანდაყოლილი თვისებაა.

22603. აზროვნებას, რაც უნდა ვეცადოთ, ფეხს ვერ დავუდებთ, ის გონიერების გაჯეჯილებისთვის არის მოწოდებული.

22604. არის სურვილი, რომელსაც გონიერების მეგაბაიტის მცდელობაც ვერ შეცვლის.

22605. რწმენის და ცოდნის ერთდროულად შეგრძნება ნეტარების უმაღლესი განცდაა და შთაგონების უკიდეგანო დამოძღვრაა.

22606. კანონი და კანონიერება ონანიზმს არ უნდა ეწეოდეს, რათა ხალხმა, მასამ, სამართალდამცველებს პატივი მიაგოს და რიდი იქონიოს, რაც ასე აუცილებელია საზოგადოებოს გონივრულად განვითარებისათვის.

22607. გრძნობებს არ ანაწევრებენ, მას აერთიანებენ, მუშტად კრავენ და მიზნის წინაშე ისე წარმოაჩენენ.

22608. ზოგჯერ ხუმრობით ნათქვამს: „არ ვიცი“ ან „დავბერდი, გამოვყეყეჩდი“, რომ არ გიჯერებენ, სწორედ ესაა პიროვნების აღიარება.

22609. ასაკის მეტამორფოზა, დაისის ხუშტურების სერენადით, ადრე თუ გვიან მამაკაცის ღირსებას გადაამოწმებს, მისი სექსუალური შესაძლებლობების კარზე დააკაკუნებს და უძლურების ბრახუნს ატეხავს.

22610. გულსაც შეიძლება ჰქონდეს სამი განზომილება: ერთი მოგწონს, მეორე გიყვარს, მესამის დანახვა გიხარია, რადგან შენი ჭკუისაა და ერთმანეთს უსიტყვოდ უგებთ.

22611. სიტყვებსაც თავისი ბაცილები აქვს და ვის როდის და რატომ შეეყრება, არავის უწყის.

22612. იყო ქალი – ხელოვნებაა, იქცე მამაკაცად – შემოქმედება.

22613. სტაბილურობას, ერთფეროვნებას, ზოგჯერ გამოთაყვანებამდე მივყავართ, რადგან უპრობლემოდ ცხოვრება ადამიანს მაჩანჩალად აქცევს.

22614. ბედნიერებასაც თავისი ტექნოლოგია აქვს, რომელიც ყველამ დროსთან შერწყმით უნდა იგრძნოს და დაამუღამოს.
22615. გრძნობების ნამდვილ ფრქვევას ენერგიის გამომუშავება სჭირდება და აქ მარტო სურვილი არ კმარა.
22616. მსახიობს ერთი „დამრტყმელი“ როლი მაინც უნდა ჰქონდეს განხორციელებული, რომ მაყურებელმა გაითავისოს, მარად ახსოვდეს და მისი ნათამაშევი გმირი ლეგენდად აქციოს.
22617. რწმენა, იმედი, სიყვარული, ყველა წინაღობას დაძლევს და ყველა სისაძაგლეს დათრგუნავს.
22618. ამ სამყაროს რომ ჩემი გონიერების მეგაბაიტით ვეგლახავები, თავი მეცოდება, იმდენად არარაობა ვჩანვარ.
22619. შეწირული ხარ თუ სული გეხუთება, თავადვე უნდა გაერკვე, რათა ბებერი ავი ძაღლივით, იმქვეყნად უდროოდ შენი წასვლა არ ისურვონ.
22620. ადამიანი ბუნებრივ რესურსებს, სიმდიდრეს, კი არ ანადგურებს, არამედ თავის შეხედულებისამებრ მოიპოვებს, გადაადგილებს, სახეს უცვლის თავისთვის უკეთესი ყოფის მოსაპოვებლად.
22621. არიან „მიმწოლი“ ბუნების ადამიანები, რომლებიც საფლავშიაც არ ისვენებენ, სანამ თავისას არ მიაღწევენ.
22622. ცივილიზაციას ბეჭედს ქალის მენტალიტეტი უსვამს, რადგან ის დედაა და შინაგანად გადასცემს პირმშოს ცივილიზაციაში ფეხის შედგმის საფუძვლებს.
22623. სამწუხაროდ, ფეხზე დაყენებული შვილებით ტკბობას მშობლები დიდი ხნით ვერ ესწრებიან. იმქვეყნად მიევლინებიან, ოღონდ ვალმოხდილნი.
22624. სილამაზე თავისებურად დიდი ფორაა, მაგრამ ბედნიერებისა რა მოგახსენოთ.
22625. სიტყვის სიმძიმე ყბედობის სიმცირეზეა დამოკიდებული.
22626. არაკაცის არც დახმარება გვინდა და არც მისი გულკეთილობა, ბოლო ქმედება მაინც არაკაცური იქნება.
22627. ცრემლების გადმოყრა, სილამაზესაც ამშვიდებს და თავსაც იწონებს.
22628. ყოველგვარ ყურით მოთრეულ რწმენას და დოგმებს გონიერება უარყოფს.
22629. ჭკვიანი ბრიყვის ნათლიაა, თუ ამ უკანასკნელმა მისი მცდელობა შეიშნო.
22630. სიბერეს ყოფის ფერების არჩევა უჭირს, რადგან ყველა დროულად წარმოჩენილი ფერი მისთვის მისაღებია.

22631. მკაცრი, ულმობელი, ეჭვიანი, ზოგჯერ კარგია – გადაცდენის შანსს გიტოვებს.
22632. რაობის თავი და თავი ზომიერებაა.
22633. თავზე ხელი იმას უნდა გადაუსვა, ვისაც ენდობი და კბენის არ გეშინია.
22634. კანონზომიერება და ქალი თავიანთი რეალობით შორი-შორს დგანან, მაგრამ ერთმანეთთან დაახლოებისთვის ცდას არ აკლებენ.
22635. ქვრივ და გაუთხოვარ ქალთა ნებაყოფლობით დამამშვიდებელ მამაკაცთა რაოდენობა თანდათან კლებულობს, რადგან ქალებმა ფული იშოვეს და მათთვის სასურველ მამაკაცს ან ქირაობენ ან ქმრებად ყიდულობენ.
22636. ყველამ ჩვენი ფასი უნდა ვიცოდეთ, მათ შორის, იმათაც, ვისაც ფასი არ აქვს, ეს გენიალობით იქნება ნაკარნახევი თუ სიბრიყვით.
22637. ქალის გატაცება მანამდეა გასაგები, სანამ ის თავის მამაკაცს არ ღალატობს, ხოლო მამაკაცისა – სანამ ქალის მიმართ გრძნობებს არ იცვლის.
22638. ქალი, რომელსაც ღვთაებად აღარ აღიქვამენ, უკვე დედაკაცია.
22639. კაცის მამაკაცად მქცეველი ქალი ბუნებით შემოქმედია.
22640. ქალის დაუგემოვნებლად იმქვეყნად გაშვება ერის წინაშე დანაშაულია.
22641. გონიერების აღსაქმელად ასაკს აღარა სცალია და ეტყობა, ვერც მოიცლის.
22642. სიყვარულს შენობით, ხოლო სამშობლოს მოწიწებით უნდა გაესაუბრო.
22643. სიბერეს ხელებით არ უნდა შევეხოთ, რადგან საკუთარი თავის წინაშე ჩვენ მარად პიროვნებად უნდა დავრჩეთ.
22644. ყველაზე მეტად ნაღდ სიყვარულს ამ საქმეში გამოუცდელობა რგებს – ალალი და თვითმყოფადია.
22645. მუსიკა სამყაროს მოფერების, გადარჩენის, საიდუმლო გზავნილია, რომელიც ყველამ გულით უნდა გაითავისოს.
22646. ქალის რაობა მჭერმეტყველებით კი არა, მასზე აფორიზმების შეთხზვით უნდა შევაფასოთ.
22647. მამაკაცის ყველა ღირსების აღქმა, აღიარება, სიყვარულის გაპიარების და თავის მოწონების მცდელობაა ქალთა მოდგმისთვის.
22648. ყველა ასაკს თავისი სილამაზე აქვს, მათ შორის, სიბერესაც, რომელიც კონკურენციას არავის უწევს და არც კომპლიმენტების თქმას ვისმეს ავალდებულებს.

22649. ამტანობა და გამბედაობა სხვადასხვაა, მაგრამ ერთმანეთს ამშვენებენ.
22650. ჭეშმარიტებაც მსხვერპლს მოითხოვს თუკი კერპად იქცა.
22651. ცხოვრების გამოცდილებას ოპტიმისტი არად დაგიდევთ და თავისი ოცნებით უაზროდ ჯირითობს.
22652. უიღბლო კაცი, ოცნებით და „ნეტათი“ ცდილობს თავისი უბედობის მოგვარებას.
22653. იდეოლოგიისთვის თავგანწირული იმაზე კი არ ფიქრობს, რატომ და რისთვის მოკლავენ, არამედ სად და როგორ დაასაფლავებენ.
22654. სიხარულის მოპოვება-გათვისებასაც გონების განძრევა უნდა.
22655. მგრძნობიარე თვალებს გაცილებით მეტი დაეჯერება, ვიდრე ყბედ ენას.
22656. კრედიტია, ადამიანს რომ მოვალეობის მოცდის აუცილებლობას ახსენებს.
22657. დიდება დიდი წარმატების ნაყოფია კუბში.
22658. კარგი იდეა ყოველთვის სასიკეთო წამოწყების საწყისია.
22659. ყველა მიუწვდომელი ჩვენი ოცნების კაპრიზია.
22660. ბიოლოგიური ყივილია შეყვარება, სექსი, ბუნებრივი მოთხოვნაა ოჯახის და ნაშიერის ყოლა.
22661. სითბოს და სიცივეს განსხვავებულ ასაკში სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.
22662. ჩვენი გენი სიტყვით მარადიულობას ემსახურება, მაგრამ რეალობით გარანდვა არ ხერხდება.
22663. სიბერის ჯილდო პიარით გასახსენებელი სიჭაბუკეა.
22664. სიკეთის აღმოსაჩენად ხშირად სიყვარულიც გვევლინება გონიერების კაურებით.
22665. ოცნება, ფიქრი და იმედი ყოველ ჩვენგანს ნუ მოუშალოს ღმერთმა – ყველაზე გონივრული დალოცვაა.
22666. მთავარია სიკეთის, სიამაყის, სილამაზის, შესრუტვა ვისწავლოთ გონიერებით და რიდით.
22667. არის გარემო, როდესაც ოცნებაც ფასს კარგავს, რეალობა იმდენად გთრგუნავს.
22668. ოცნებით ფრენა სულის ის ელექსირია, რაც ადამიანს იმედს ჰმატებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.
22669. „იქნებ ჩემ ხელში გამოსწორდეს“ – ამ ალიბით მიჰყვება ზოგი ყავლგასული ქალი უნიათ მამაკაცს, მიუხედავად წინასწარ ცოდნისა, რომ თავს იტყუებს.
22670. ცოდნა, ფანტაზიის გარეშე, ნაკლებ გამოსადეგია.

22671. გაჭენებული ოცნებაც განსჯას იმსახურებს, თუ ის არარეალური და მიუწვდომელია.
22672. უპირველესი მიშველებაა, რაც შეეხება დარიგებას და საყვედურს, ნაშველი თავადვე უნდა მიხვდეს.
22673. გრძნობებს უნდა ვფლობდეთ და არა – ვემორჩილებოდეთ.
22674. ხეირი ყველგან უნდა ვეძიოთ, მათ შორის, მთვარეზეც, ოკეანეზეც და საკუთარ ოცნებებშიც.
22675. ადამიანური მოვალეობებით ვცხოვრობთ და ოცნებებით ვცოცხლობთ.
22676. თავს დაიმდაბლებ – არ დაიმდაბლებ, თუ ჯოჯოხეთისთვის ხარ განწირული, არაფერი გეშველება.
22677. ნაცარქექიას მოხერხებულობას გაჭირვება და წინასწარ შეცნობილი შიში აძლევს.
22678. მიზნის გარეშე ყველა უსუსურია.
22679. ჭკვიანს შურის გარეშე არ დასცინიან.
22680. დროის, მეობის, რაობის, მენტალიტეტის, მიუხედავად გენის რაობა არ იცვლება.
22681. ნაღდი აზროვნება ისაა, რომელიც მომდევნო თაობებში განაგრძობს ცხოვრებას და ჭკუის მოკრეფას და გენით სიახლესთან შერწყმა-შეთამაშებას.
22682. გრძნობათა ღელვა მუდამ ვიღაცის წინაშე ვალშია.
22683. მხიარული ფიქრები, სანუკვარი ოცნებები, ხშირად სულიერების გამოჯანმრთელების საშუალებაა.
22684. მმართველად უნდა დაიბადო, ხელმძღვანელად დანიშნულს კი ბედმა არ უნდა გიმუხთლოს.
22685. შური ჩვენი ბედნიერების მტერია, რადგან დემონივით მარად თან დაგყვება.
22686. რომ შესცოდო, ნიჭი უნდა, რომ მოინანიო – გონიერება.
22687. ცრურწმენა აზროვნების მუხრუჭია.
22688. შრომა იძულებითაც და მოწოდებითაც უსაქმურობის დამთრგუნავია.
22689. სიამოვნების აღქმაც რწმენას მოითხოვს გონების მოკრეფით და სულიერებაზე დაფიქრებით.
22690. ამ პლანეტის ბევრ მცხოვრებს ჭკუა აკლია, მაგრამ ზოგი ამას ამჟღავნებს, ზოგს ამჟღავნებინებენ და ზოგიც გამოუმჟღავნებლად მიდის იმქვეყნად.
22691. ხორციელი ლტოლვისთვის ზურგის შექცევა ერთეულთა ხვედრია.

22692. თუ ცუდს ვერ ხედავ, სირცხვილია, თუ ხედავ და სდუმხარ – დანაშაულია, ასე, რომ პოლიტიკას არც სირცხვილი აკლია და არც დანაშაული.

22693. ცხოვრების გაუაზრებელი კაიფისთვის ზურგის შექცევა ძნელია, როდესაც ჯეელი ხარ და ყოფის გამოცდილება გაკლია.

22694. ღიმილი უნდა გიხდებოდეს, თუ გინდა სასურველი პარტნიორი იყო.

22695. შურით მიმბაძველობა ცუდი გრძნობაა, მაგრამ საჭიროცაა და აუცილებელიც, წინაალმდეგ შემთხვევაში, კაცობრიობა ცივილიზაციისკენ ფეხს ვერ წადგამდა.

22696. უსაქმურს არც ბედი შველის და არც – დაყვავება.

22697. შიში უფრო სულიერ სიყვარულს ეზმანება, ვიდრე ხორციელს.

22698. რამდენიც უნდა აქო სამშობლო, მაინც ცოტაა, რადგან „პატრიოტიზმის“ განტოლება ყოველთვის ამოხსნას არ ექვემდებარება.

22699. აზროვნებადახშული ადამიანი არ შეიძლება კაცად ჩავთვალოთ, რადგან ფლორა და ფაუნაც თავის სასარგებლოდ „აზროვნებს“ და იღვწის.

22700. ინსტინქტი, გული, სულიერება, გონიერება, ეტყობა, მაინც სხვადასხვა ნარევისაგანაა შექმნილი, თორემ ასე მკვეთრად განსხვავებული არ იქნებოდა.

22701. ის, რაც სულს ეწეპება და სულიერად გვაძლიერებს, ხელოვნებაა, რომელიც იმ შემოქმედისთვის იღვწის, რომელმაც ადამიანი შექმნა.

22702. ხელოვნება ხელოსნობის გარეშე ვერ იარსებებს, რადგან პირველი მუდმივია, მეორე კი ცვალებადია.

22703. სიძულვილი გაიძულებს გულით ირწმუნო შენი უძლურება შურის წინაშე.

22704. რასაც გულით ვგრძნობთ, რწმენაა, სიყვარულია, ინსტინქტებია.

22705. იყო კარგი ადამიანი, ეს უკვე პროფესია, თავის გონიერებით, ცენზით, გამოსავლით.

22706. სიყვარული, უპირველესად, მაინც სულის მონობაა ხორცის მხარდაჭერით.

22707. გონიერმა გონიერს გონება გონით უნდა მიაწოდოს და მოჭარბებული გონიერებით არ უნდა გააღიზიანოს.

22708. დღეს შრომა-მცდელობა ასაკს არ სიამოვნებს, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ სხვა დროში ცხოვრობს, სხვა შესაძლებლობების ფლობით.

22709. შური ბრმა, დაუნახავია და ამიტომაცაა, რომ გულზე სკდება.
22710. ზომიერება ყველგან და ყველაფერში გონიერების უპირველესი მაჩვენებელია.
22711. ზოგჯერ თვალზე სასოებით მოწყვეტილი ცრემლი მეტად ფასობს, ვიდრე ვიშ-ვიში და წიოკობა.
22712. ტყუილი ქურდ-ბაცაცობის სინონიმია.
22713. ზოგი ფსიქიურად დაავადებული კი არ არის, ის უბრალოდ ბედის ფეხის დაუდებლად ეგზოტიკური შტერია.
22714. ვეცადოთ სინანული ახლოს არ გავიკაროთ, რადგან რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, თუ ბედმა ასე ინება.
22715. ყველა წყალობას სათანადო და პატიოსნად დაფინანსება სჭირდება, მათ შორის, ბუნების ნაჩუქარსაც.
22716. გონივრული თავშეკავების უნარი, უპირველესად, ხელისუფლებისთვის არის აუცილებელი.
22717. მორჩილება და თავმდაბლობა კარგია, მაგრამ სხვადასხვა „პრობლემების“ მქონე ადამიანს არ გამოადგება.
22718. ხასიათის უქონლობა ნივთად გვაქცევს.
22719. გონივრულად თავის დაფასება მონატრებას იწვევს.
22720. ჩვენში გასაკიცხი შეიძლება აღმოვაჩინოთ, მაგრამ არ გამოვაჩინოთ.
22721. ხშირად ნაშიერის შეფასებისას ჯობს მშობელი გაჩუმდეს და ეს საქმე მის ახლობლებს მიანდოს, შვილის იმიჯისთვის გაცილებით მომგებიანი იქნება.
22722. გადამეტებულის მოთხოვნაც შეიძლება და მომკაც, გააჩნია, რა ხასიათზე ხარ.
22723. „ამბობენ ფულს ბედნიერება არ მოაქვსო“, ალბათ, იმათთვის, ვინც ასაკი დააჭაშნიკა და ფულის მოხმარების ყადრი იცის.
22724. შური სასურველია იმ შემთხვევაში, თუ ის ძალას და ენერგიას გმატებს სხვას რომ აჯობო ისე, რომ არ ავნო.
22725. მახსოვრობა და გულმავიწყობა სინონიმებია, თუ ორივეს დროულად და სადაც საჭიროა, იქ ვიყენებთ.
22726. სიზარმაცის მიზეზი მიზნის უქონლობაა.
22727. ნაკლის ურთიერთდანახვა აუცილებელია, მაგრამ გატირაჟების გარეშე.
22728. კარგში ცუდის ძებნა ავადმყოფობას მოგვაპოვებინებს.
22729. ვეცადოთ ადამიანად ყოფნა ყოველდღიურად მოვასწროთ.
22730. შვილებმა მშობლებზე მეტი უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, მაგრამ ხშირად მშობლებთან დამოკიდებულებაში რაღაც-რაღაცები

ეშლებათ, რაც ასაკში სანანებლად რჩებათ.

22731. რეალური ნაკლოვანებები შორიდან უფრო ჩანს, რადგან შენ არ გეხება.

22732. სიწყნარეს, სიმყუდროვეს, ფასს ასაკი ადებს, მაგრამ ამით არ „ვაჭრობს“.

22733. გამოცდილება თავისებური მეცნიერებაა, რომელიც თეორიული მეცნიერების საყრდენია.

22734. წყენა თუ ეჭვს ამტკიცებს, სიცილი აქარწყლებს.

22735. სიმდიდრეც თავისი მეობის გაუკვევლობის პარამეტრებში იხარშება.

22736. არც მდიდრებს უყვართ ღარიბები და არც ღარიბებს მდიდრები მათ შორის მარად შური ისადგურებს ურთიერთგამომძალველობის მცდელობით.

22737. სიძულვილსაც თავისი მადლი და „ბრანნი“ აქვს, თუ ობიექტი საინტერესოა.

22738. ცოლი ქმრის ნიჭს იმისდამიხედვით აფასებს, რამდენად შემოსავლიანი და ტრანსპორტირებულია ახლობლებში თავის წარმოსაჩენად.

22739. ლოცვა უფრო ვალის მოხდა და სულის დამშვიდების საშუალებაა, ვიდრე ცნობიერების და ხორციელის ურთიერთჩალიჩის მოთოკვა.

22740. ყველა ჭკუით კოჭლი თავის მანერით დადის, აზროვნებს და თავის მოწონება-წარმოჩენას ცდილობს.

22741. სიყვარული არც იმართება, არც განისჯება და ფინიშიც უცნობია.

22742. ჭკუა მორცხვობს, გული ვერ უგებს, ვნება აზრზე ვერ მოდის, რა უნდა უეცრად შემოფეთებულ სიყვარულს.

22743. ეჭვიანობა წამლავს და ამხნევებს სიყვარულს, გააჩნია ინდივიდს.

22744. გონიერებას აღება უნდა ვასწავლოთ ჭკუიდან და არა უგუნურების შტამპის აღებით.

22745. გონების მოხმობაა ძნელი და არა მისთვის მიმართულების მიცემა.

22746. წინათგრძნობა, წინხედვა, წინასწარმეტყველება, სიბრძნის „ბაირამზეა“ დაფუძნებული.

22747. მოთმინება ყოველივეს აღწევს, თუ ბედის კამათელი ხელთ გიპყრია.

22748. უძვლო ენით „აზროვნებას“, ისევ „პროტეზიანი“ ენით ყბედობა

სჯობს.

22749. ყველა ავადმყოფობის და ნერვების მოშლის თავი და თავი თავად ვართ.

22750. მრავალმხრივობა ბედნიერებაა, თუ მას მომხმარებელ-დამფასებელი ჰყავს.

22751. მეგობარი, რომელსაც პატიება-შენდობა სჭირდება, მეგობრად არ გამოდგება.

22752. სიბერე განაჩენი არ არის თუ მას ლამაზი შეძახილებით ატარებ.

22753. ბედს არ გაურბიან, ხასიათს არ ებრძვიან, გრძნობებს არ უარყოფენ, რადგან ეს თანდაყოლილი და შენია.

22754. კეთილდღეობაც ნივთია, ბედნიერების გაკონტროლება-შეცნობით.

22755. ხშირი დღესასწაულების ჩატარება ცოდვებს გვიმრავლებს.

22756. შიში დარწმუნების საშუალება არ არის, მაგრამ თავის ბინძურ საქმეს, მოჩვენებით, მაინც აკეთებს.

22757. ადამიანი იმ მომავლის იმედით ცხოვრობს, რომელიც ბოლომდე ვერც გაუცნობიერებია და მისი ბოლომდე არც სჯერა.

22758. შური ხშირად სიძულვილს „უჯოკრავს“.

22759. წყვილი მცირედი შეცდომების ჩაუდენლად ხშირად ერთმანეთს ვერ უგებს.

22760. ქართველებს სასურველად მიჩნეული სინამდვილის აღტკინებით აღქმა გვღუპავს.

22761. ერთ გონიერს მრავალი უგუნურის მოქცევა შეუძლია.

22762. ცდუნებას ბევრი მუხრუჭი აქვს, მათ შორის, სპორტი, რწმენა და განსახორციელებელ-დასაბანდებელი ნიჭი.

22763. ირგვლივმყოფთაგან შექება სიხარულს გვანიჭებს, იმისდამიუხედავად, ვიმსახურებთ ამ დითირამბებს თუ არა.

22764. ოცნებაში გახლართვა, იმედის მოლოდინით, სიყვარულით დავადებულ წყვილთა ხვედრია.

22765. სიბრძნე ხშირად მოთმინების, დაყვავების და სხვათა აზრის პატივისცემის შედეგია, ოღონდ შემოქმედებითი ანალიზით.

22766. ჭრილობათა მოშუშება ადვილია, მათი მიზეზის მონელებაა ძნელი.

22767. „განგების წყალობას მორჩილება იმსახურებს და არა გონიერება“, საეჭვო თეზისია, რადგან ცხოვრებაში დაუდგრომელ-დაუწმინდავი გონიერება ამართლებს და შედეგსაც იმკის.

22768. მტერს არ ურიგდებიან, უბრალოდ, დღეს ასე აწყობთ დაზავება, მომავალ შერკინებამდე.

22769. შეუძლებელის დაძლევა გამართლების დახმარებით ხდება, მაგრამ ეს კაიფის ხარისხზე არ მოქმედებს, რადგან გვგონია, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო.
22770. ნამდვილი მეგობრის პარამეტრების დადგენა ძნელია, რადგან შენი მტყუანი მეგობრისთვის მხარდაჭერა საზოგადოების ნებას ეწინააღმდეგება, რყვნის, ამას კი ვერავითარი მეგობრობის სტატუსით ვერ გაამართლებ.
22771. გონიერებასაც ზოგჯერ ყურის აწევა სჭირდება, რათა უგუნურების გავლენის ქვეშ არ მოხვდეს.
22772. ქვეყანა, რომელსაც არ შეუძლია უფასო განათლება, მედიცინა, ჰქონდეს და საცხოვრებელი მინიმუმით მოსახლეობის დაკმაყოფილება არ შეუძლია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასოცირებულ წევრად უნდა მიიღონ და არა უფლებამოსილად.
22773. ქართველები იმით განვსხვავდებით სხვებისაგან, რომ თეორიულად ვიცით როგორ უნდა ვიყოთ და რა უნდა მივიღოთ, ხოლო რაც შეეხება შედეგს, არც ერთი ერი წინასწარ ამაზე არ ფიქრობს.
22774. ცოდვებს გონის მოშველიება კურნავს და არა – აღსარება და მორჩილება.
22775. სირცხვილის უნარდაკარგულს უანგარობაზე არ ესაუბრებიან.
22776. ბედნიერი დროს არ კენწლავს, რადგან თავის გარჯას, ფორტუნას ენდობა.
22777. ნაბიჭვრებად დაბადებულნი ნაძირალები ხდებიან, რადგან ასეთი მისწრაფება აქვთ.
22778. პიროვნების დანიშნულებაა აღზარდოს და აცხოვროს შთამომავალი ისე, რომ წინაპარზე აუგი არ წამოსცდეს.
22779. ძუნწი თავსაც ვნებს და გარეშესაც, რადგან ცხოვრების მადლის შეცნობას არ ცდილობს და არც სხვას აძლევს.
22780. სიკვდილის ბრიყვსაც ეშინია და ბრძენსაც, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იმჩნევს, რადგან სამყაროს კანონზომიერებაში ბრიყვზე უკეთ ერკვევა.
22781. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ სჯობს თუ ეს რიგის დაცვით მოხდება და ისიც მოგვიანებით.
22782. ეშმაკს არ უნდა ვებრძოლოთ, უბრალოდ ბიშტი უნდა ვუჩვენოთ, რათა არ გათავხედდეს და ჩვენს შეცდენაზე ხელი აიღოს.
22783. ერთდროულად მოთმინება, გონიერება, გამბედაობა, ყველა წყალობაზე მეტია, თუ განგებამ დაგანათა.
22784. კომპიუტერს საკუთარი ტვინი არ აქვს, მაგრამ ტვინებზე მეტ ინფორმაციას ფლობს და ხშირად უფრო გონიერია.

22785. ლოცვა-ვედრება ცოდვილთა საქმეა, საქმით გაჯირითება – შემოქმედთა.
22786. გემოვნება, მიდრეკილება, ყველას ჩვენი გვაქვს და მისი შეცვლა გონიერებასაც უჭირს.
22787. გმირობა, უმთავრესად, აფექტის დამსახურებაა და არა – პროფესიონალიზმისა, რადგან ამას ეს უკანასკნელნი იშვიათად სჩადიან და ისიც მთელი შეგნებით და გარდაუვალი აუცილებლობით.
22788. გული გონიერების ინტეგრალებს იშვიათად ემორჩილება.
22789. „თავდავნატრი“ ყველაზე დიდი კაიფიცაა, სიმდიდრეცაა და გონიერების წარმომჩენი მცდელობაა ყველა ჩვენგანისთვის.
22790. თეორიულად სული განგების პრეროგატივაა, სხეული – ხელისუფლების, ჭკუა-გონება – დროის ყივილის და ყოველივე საუკუნეთა გადაძახილს ემორჩილება.
22791. სიკვდილის გარდაუვალობას მხოლოდ სიყვარულის და თვითშეგნების გრძნობათა ჩოჩქოლი თუ დაუპირისპირდება, რათა იმქვეყნად შენთვის გასაგები კაიფით და დაშოშმინებული წახვიდე.
22792. აფექტში აღქმულ ნაზრევს უფრო ვუჯერებთ, ვიდრე გონიერების მიერ გადახარშულ საღ აზროვნებას, რადგან პირველი ახალია, სარისკოა, საინტერესოა, მეორე მოძველებულია, ობმოკიდებულია და მის გადაწმენდასაც ამიტომ არ ვცდილობთ.
22793. „ბაზარნიკების“ აზრი არასოდეს მოსაწონი არ ყოფილა, რადგან ის ორი განზომილებით აღიქმება: ერთი უაზროდ ყბედად, მეორე უაზროდ მოვაჭრედ, რომელსაც ფიზიკური შრომა არ მოსწონს.
22794. ბოროტებაც ზოგჯერ სიკეთეს თესავს თუ ღმერთი შენთან არის.
22795. ზოგჯერ დაავადებანი იმასაც გვახსენებენ, რომ ჩვენ მაინც იმქვეყნის შვილები ვართ და საზოგადოდ იმ ქვესკნელს უნდა ჩავბარდეთ.
22796. ასაკს თავის წამოჩენა, დამოძღვრა, უხდება, ახალგაზრდობას – თავის შეკავება და რიდი.
22797. რჩევის მთხოვნელი შეგიძლია დაიახლოვო და უყოყმანოდ შენიანად იგულო.
22798. სიკვდილის შიშს ვერც კაიკაცობა შველის და ვერც ავკაცობა, რადგან ფინიში ორივესთვის ცნობილია.
22799. კარგის მთქმელს უკეთესი გამგონე უნდა, რათა სიტყვის კაიფი დაიჭიროს და იგრძნოს.
22800. ხინჯის შემჩნევა ძნელი არ არის, მისი შეუმჩნევლობაა ძნელი.
22801. დაწყვილებაც ბუნების კანონია, რადგან ჰორმონებს ერთმანეთ-

თან მოვალეობათა შეთავსება აკავშირებთ.

22802. რაც გაქვს, იმის დაფასებას გონიერება სჭირდება.

22803. შეირგო, რაც „მიირთვი“, ისიც გონების ხელოვნებაა.

22804. ხასიათს მორგება უხდება და არა – შეგუება.

22805. მთავარია, ნაკლს როგორ წარმოაჩენ და მისგან რა ხეირს გამოადნობ.

22806. ბედის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ საკუთარი თავისთვის შეძახება დაგვიანებული არასოდესაა.

22807. ან რჩევა ან ფული, ერთ-ერთი უნდა მივცეთ ან ვასესხოთ, რათა მავანმა თავის წარუმატებლობა, უნიათობა, მთლიანად არ აგვკიდოს.

22808. ყველაფერზე უარის თქმა და უარყოფა, უგულოს გვხდის და გვრთგუნავს.

22809. ყველაზე მეტად მიზანში ნასროლი სიტყვა აზიანებს მოწინააღმდეგეს და არა – ტყვია.

22810. იმედი დიდი ძალაა, შედეგის მიუხედავად.

22811. სხვისთვის სიამოვნების მინიჭება დიდი სიხარულია.

22812. სხეულის ძალაუფლება ზოგჯერ გონიერებაზე დიდია, რადგან სისხლი გიდუღს და დაგროვილი ენერგია სად წაიღო, არ იცი.

22813. მტრის ყოლა იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ ფხიზლად ხარ და შეუპოვრობა გახასიათებს ჭკუის მოხმობით.

22814. თავის პატარა ღმერთად წარმოდგენაა, სიცოცხლეს რომ გვიხანგრძლივებს.

22815. ფიქრის წინასწარ შერჩევა და დაგურმანებაც საჭიროა, რათა გარკვეულ დრომდე ისიამოვნო.

22816. სიამოვნება სასურველის მოძიება-მოპოვებაშია.

22817. ბედნიერებაა, როდესაც ორაზროვნებას უგებ.

22818. ზოგს ხშირი ნერვიულობა ნერვების დამშვიდების ელექსირად ევლინება.

22819. გრძნობათა ღელვა ვნებას „ესაუბრება“, მაგრამ გონიერებას ვერაფერს ასწავლის.

22820. ბედნიერების ალღო გონიერებას მარად გვერდზე უდგას.

22821. სანამ საჯაროდ აზრს წარმოაჩენდე, უპირველესად განსჯით უნდა გაითავისო.

22822. ყველა გაუგებრობისთვის გასაღების მონახვა შეიძლება თუ გონებას შევუძახებთ და გავრჯით.

22823. ხშირად გული გვკარნახობს იმას, რასაც მოგვიანებით გონიერება აკეთებს.

22824. დროსთან და ასაკთან ჭიდილი, ხშირად, გონების მოხმობას იწვევს.
22825. „ვნების ჭირვეულობა“, სამწუხაროდ, არც თუ დიდხანს გრძელდება.
22826. გონიერებას მიზნების მისაღწევად შემსრულებლები სჭირდება და არა – ჭკვიანები, რადგან მათთან განსჯის, დავის, თავი მას არ აქვს.
22827. ვნება უკვდავია ჩვენს ცნობიერებაში, მაგრამ ასაკის მატებას ანგარიშს უწევს.
22828. ნიჭი უნიჭობას არ ეცილება, მაგრამ ეს უკანასკნელი რატომ ვერ იტანს პირველს, გაუგებარია.
22829. ჭკუანაღრძობიც და გონიერიც თავიანთ ენაზე მოითხოვენ საუბარს.
22830. სიბრძნეს ის ნაკლი აქვს, რომ კონტრიბუციას არ ექვემდებარება.
22831. ძლიერი თავის წარმოჩენას არ ცდილობს, არც სჭირდება და ზარალიანიცაა.
22832. ცოლის არჩევანში გული და გონება უკეთ ჩალიჩობს, ვიდრე მხედველობა და სმენადობა.
22833. მოუხმარელი ჭკუა დაუჟანგავი რკინაა, რომელიც ჯართში ჩასაბარებლად არ გვემეტება.
22834. უმრავლესობის ნება სულაც არ ნიშნავს, რომ იგი სწორად აზროვნებს, თავის ნამდვილ სახეს გამოხატავს და თავის წინაშე მართალია.
22835. ხასიათის გამოსწორება ძნელია, რადგან ეს ქრონიკული დავადებაა.
22836. აკეთო შენთვის განკუთვნილი სიბრიყვე, გარკვეული ასაკის ვნებათა ღელვა მოგთხოვს.
22837. ქართველებზე ბევრი კარგი ჭორი და მომხიბვლელი ანეგდოტი დადის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სურვილების მირაჟია.
22838. სხვაში ხინჯის შემჩნევა ძნელი არ არის, ძნელია შენც ამ ხინჯით არ დაავადდე.
22839. ხასიათები უფრო უგებენ ერთმანეთს, ვიდრე – განათლება და ჭკუა.
22840. სიამოვნების მიღება ყლუპებით სჯობს, რათა არ გადაგვცდეს და დავიხრჩოთ.
22841. ყბედობა უსაქმურობის პირდაპირპროპორციულია, რადგან მასაც რაღაცით წარმოაჩენს.

22842. სილამაზე არ კვდება, იფერფლება და ზოგჯერ მეხსიერებაში ფენიქსივით აღსდგება.
22843. ზოგი უხილავს უფრო უფრთხის, ან პატივს მიაგებს, ვიდრე – ხილულს და ნაღდს.
22844. ჩვევებს ხშირად ჩვენი მეობაც ემორჩილება.
22845. არ უნდა ნახო და არ წაიკითხო ის, რაც არაა ღირსი, იცი, მაგრამ ცდუნებას მაინც ვერ უძლებ.
22846. წარმატების ერთადერთი საშუალება მონდომება-შემართებაა, ჭკუის მოხმობით.
22847. ბიზნესში თუ მოიგე – სპორტია, თუ წააგე – ომია.
22848. ბოროტებას უკანსვლაც აქვს, ოღონდ მისი ჩამდენის საწინააღმდეგოდ.
22849. ქალის „გულახდილი“ ჩაცმულობა მამაკაცის აღფრთოვანებას ქვენა გრძნობებით იწვევს, რაც ქალს თავის წარმოსაჩენად სჭირდება.
22850. გონიერება, სხეულისგან განსხვავებით, მაშინ მუშაობს და იღვწის, როდესაც მოეპრიანება და ხასიათზეა.
22851. ასაკში ზამთარიც გათბობს და ზაფხულიც გაგრილებს, თუ სწავლული ხარ.
22852. ქალისათვის თქმა, „სულელი ხარ“, მოფერებაა, მამაკაცისთვის – გულის ტკენა აყალმაყალით.
22853. არის წიგნი, რომელიც მხოლოდ ერთხელ უნდა წაიკითხო დაკვირვებით და განსჯით და შემდგომ არ უნდა გადაიკითხო – თუნდაც შენი ქვეყნის „უკუღმართი“ ისტორია.
22854. მწარე წარსულს, რატომღაც, აწმყოში – ღიმილით და სიბერეში ნიშნის მიგებით იხსენებ.
22855. მეგობრების, თანამეინახეების, წარმატება-დამარცხება ჩვენი რაობის ხარისხზე მოქმედებს და განსაზღვრავს.
22856. ცოდნა შემართებით იღბლის სინონიმია.
22857. საკვების ენერგიის უმთავრესი ნაწილი გონების ენერგიას უნდა მოხმარდეს.
22858. შვილიშვილს „ნაღდი“ მამა მაშინ ეყოლება, როდესაც მამამისი ბაბუას გაუგებს.
22859. სიყვარულზე ლაპარაკი და დარიგება მაგალითების მოყვანით ჯობს, ამასთან, საწყენიც ნაკლები დარჩება.
22860. გონივრული რისკის გარეშე ამქვეყნიური მადლის შეცნობა ჭირს.
22861. გონივრულ რეზიუმეს თუ გამგები გამოუჩნდება, მკვეთრად აუმჯობესებს ურთიერთობას.

22862. იმედს თვალი ყოველთვის შიშისკენ ეპარება, ვაი, თუ არ გამიმართლოსო.
22863. დალაგებული საუბარი სიყვარულის „პრელუდიას“ არც უხდება და ვერც იგებს.
22864. უძველეს პროფესიას არც ობი ედება და ყველა დროში გალაღებულია.
22865. მოკვლეული ჭეშმარიტება განუსჯელია.
22866. კეთილმოწყობა ვიღაცის და რაღაცის მიმართ თავისებური დახმარებაა.
22867. ცხოვრება ყოველნაირად შეიძლება: ფულით, უფულოდ, ფულისათვის – გააჩნია, ბედი ვის როგორ პანჩურს ამოჰკრავს.
22868. ზომიერების შეცნობა ყოფაშიც ზომიერების დამკვიდრებას ნიშნავს.
22869. ცხოვრების ამაოებას ყოველთვის სიყვარულით და კეთილი სიტყვებით კურნავენ.
22870. სიმდიდრეს ალბათ მრავალგანზომილებიანი ბედნიერება სჯობს, მაგრამ ამ უკანასკნელის შეცნობა და ხარისხის დადგენა სჭირს.
22871. დილეტანტი მისი ავ-კარგიანობის და ცხვირის იქ ჩაყოფის მიუხედავად, სადაც არ ელიან, მაინც უსაქმურობის მტერია.
22872. რჩევა-დარიგებას პიარი არ სჭირდება, რადგან საქმის საკეთებლადაა მოწოდებული და არა – სალაყბოდ.
22873. ყველა წინააღმდეგობა ჭკუას შერკინებისთვის ამზადებს და გონიერებას ფრთებს ასხამს.
22874. ცხრაკლიტულის ზედმეტად რეკლამირება და მისი გაპიარება დანაშაულის ჩასადენად მოპატიჟებაა.
22875. პოლიტიკოსი იმიჯის მოპოვებას უამრავი დაპირებებით ცდილობს, რომელთა შესრულების გარანტად თავად არ გამოდგება.
22876. დაბნეულობა სხვასაც აბნევს და თავგზასაც ურევს, თუ არ შეეჩვიე.
22877. ყველა ცოდნა რაციონალურ და შემოქმედებით გამოყენებას მოითხოვს.
22878. ასაკის შესატყვისად ქცევა ზოგჯერ ძნელია, თუ გული ჯეელობას არ იშლის და ირგვლივ ლამაზმანები „დააბოტებენ“.
22879. ცოლთან ცხოვრება შეიძლება ძნელი ასატანი იყოს, მაგრამ არც უამისოდ გამოგვდის რამე.
22880. ბედნიერება სიცოცხლის აღქმის და გახანგრძლივების ელექსირია.
22881. განათლება ხშირად ისაა, რასაც ჩვენი რაობის წარმოსაჩენად

ვიყენებთ.

22882. დაწყვილება განგების უდიდესი წყალობაა, ხოლო ოჯახი – კომ-პრომისული გამოგონება.

22883. ბრალის დადება პატიოსან გონებას მოითხოვს.

22884. ბოროტების თანავტორია უგუნურება, ცუდ აღზრდასთან ერ-თად.

22885. ზნეობა ჩვენს მეობას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რათა ის კარგ ხასიათად იქნეს მიჩნეული.

22886. უგუნურთ ჭკუის ღრძობა და დაკარგვა არ აწუხებთ.

22887. მარად კმაყოფილება დაავადებაა.

22888. გულწრფელობა ძლიერ და დამოუკიდებელ ხასიათს მოითხოვს.

22889. კანონი ყველამ უნდა მოირგოს და არა ყველას მოერგოს.

22890. ადამიანისთვის აღზრდა უმთავრესია, ქრისტიანი ქალის ქმარი თუ სხვა ქალებში დაძვრება, ღალატია და ქალი ამას ძლიერ გან-იცდის და შეიძლება გაშორდეს, მუსლიმანი კაცი სხვა ქალებში დაბ-რძანდება და ეს მას აამაყებს, ქალები შემწყნარებლები არიან და მოვალეობის მოხდად უთვლიან. ასე, რომ ქალის გაკაპასებაც აღზ-რდაზე და რწმენაზე ყოფილა დამყარებული.

22891. ყველა ვერ შეგიყვარებს, მაგრამ არც არავის უნდა სძულდე.

22892. რატომღაც ყველას გულის სისუფთავე აფიქრებს და არა – ჭკუის დანაგვიანება.

22893. ბოლომდე საკუთარი მეს შეცნობა შეუძლებელია, მაგრამ ცდა არ უნდა დააკლო.

22894. დრო და დრო სიბრძნეც და გამოცდილებაც „ხან გვერდს იცვ-ლის, ხან მხარს“ ტექნიკური პროგრესის მიღწევათა შესატყვისად.

22895. მოჩვენებითი თავისუფლება, უმთავრესად, მიმართულია ფულის შოვნისკენ.

22896. ეროვნული იდეა შემოქმედი სულის და მტკიცე ხელის გარეშე, უძლურია.

22897. სიყვარულმა გონიერება-ცნობიერების დაზღვევაც იცის: თუ მის კოდს დროულად ვერ ამოხსნი – უნდა შეეშვა.

22898. ღირსება, სამშობლო, არ იყიდება, მაგრამ დღეს გააჩნია, სან-აცვლოდ რას შემოგთავაზებენ.

22899. „ხელის ჭუჭყი“ წყვდიადშიც აღწევს და იქ ყოფნას შესაძლებელს ხდის.

22900. თავისუფლება საკუთარი სურვილების ასრულებაა კანონიერე-ბის, გონიერების, ფარგლებში ზოგჯერ თავის „მოგიჟიანებით“.

22901. ღმერთმა უწყის, ქალს როგორღა უნდა მოექცე, რომ ის შენი

ოჯახის, შვილების, ერთგული იყოს, მაშინაც კი, როდესაც „უყვარხ-
არ“ და სიტყვიერად უშენოდ სიცოცხლეც ვერ წარმოუდგენია.
22902. გულთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე გონიერებასთან.
22903. განგება ამ წიგნის ავტორის იმ გვერდებს უკომენტაროდ ფურ-
ცლავს, რომელიც მისი ნებითაა წარმოჩენილი.
22904. კოსმოსსაც თავისი დრამატურგია აქვს და ამას ყველაზე უკეთ
ვარსკვლავთა ჩაქრობა-გამოჩენა ამტკიცებს.
22905. ხელი უნდა ემორჩილებოდეს გონიერებას, თუ გსურს სასიკეთო
და სხვათა მოსაწონი საქმე აკეთო.
22906. სიბრძნე განგების ნაბოძებია, რადგან ბრძენმა ის უნდა დაინ-
ახოს, რაც ცხვირწინ დევს და დანარჩენებისთვის შეუმჩნეველია.
22907. ობიექტურობას არასოდეს უღალატო. რაც შეეხება გადაცდენას,
დასაშვებია და ზოგჯერ მისაღებიცაა ზომიერების ფარგლებში.
22908. ნაძირლობას შენდობის გზა მოჭრილი აქვს.
22909. ადამიანს ზედმეტ პატიოსნებას ნუ მოვთხოვთ, რადგან ისიც
ბუნების თავნება შვილია და ზოგჯერ შეიძლება სადღაც შეცდეს.
22910. სიცოცხლის წინწაგდებას გარჯა და გონების მოხმობა სჭირდ-
ება, დროსთან შეთანხმებით.
22911. უიმედოდ, სამოთხეში გადაბარგებულიც არ ღირს.
22912. ცივილიზაციის ერთ-ერთი უბედურება აუტისტების და აუტიდე-
ბის (ინფორმირებული დებილების) მომრავლებაა.
22913. ქალს სხვისი მომხიბვლელი რჩეულის სიყვარულიც თავისი ჰგო-
ნია, თუ ვისმეს ეთაყვანება და უყვარს.
22914. ბუნებას ძალუძს გვაგრძნობინოს მისი მშვენიერება და ამით
უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭოს.
22915. ნუ გავითავისებთ იმას, რაც სხვაში არ მოგვწონს, რაც უნდა
მომხიბვლელი და მომგებიანიც იყოს, ბოლოს არ შეგრჩებათ, რად-
გან თქვენი ბუნება-გუნებისაგან შორს სდგას.
22916. ჭკუის ჭყლეტას გრძნობათა ჩოჩქოლი უფრო უწყობს ხელს, ვი-
დრე წიგნის კითხვა და დაფიქრება.
22917. სიძულვილმა შეჩვევა იცის და ამიტომაც უნდა ვერიდოთ.
22918. რატომღაც ყველა უმეცრება უგუნურება-გენიალობას ეპოტინება.
22919. უგუნურებისაგან განსხვავებით, გონიერება ყველაში ჭკუას
ეძებს და მის გამოვლენაში ეხმარება.
22920. ზოგჯერ აზროვნება გონების გასაჯეჯილებელი საიდუმლო სე-
რობაა.
22921. სალაღობო ტყუილი გონიერებას გვიმხიარულებს, მაგრამ ჭკუას
არ გვმატებს.

22922. კანონის ცოდნა საჭიროა, მარად კანონებით ცხოვრებაა ძნელი, რადგან ადამიანი ხარ უცნაურობებით, ოფოფებით.
22923. გონიერებას, რწმენას, ხშირად ალღო უწევს წინააღმდეგობას.
22924. ტრაგედიების გარეშე ადამიანთა მოდგმა ვერც თავს დაიცავდა და ვერც იარსებებდა.
22925. თავისუფლება ქვეცნობიერად გულისხმობს უსამართლობასაც შეძენილ-თანდაყოლილი სახით, ამიტომ თავადვე უნდა ავირჩიოთ ან სახელმწიფო დიქტატურა ან სახალხო დემოკრატია.
22926. მთავარია სწავლებისკენ მიდრეკილება და არა პერსპექტივის უნაყოფო ძიება.
22927. სულიერება თუ კეთილდღეობა, ადამიანი ორივეს შერწყმას ცდილობს, მაგრამ ეს ზოგჯერ მხოლოდ ბუნებით გენიოსებს გამოსდით.
22928. პოლიტიკა აფერისტების და მოშაირეთა სფეროა.
22929. პოლიტიკაში უგუნურება გონიერებას ფეხს ვერ უდებს, მაგრამ ცდას არ აკლებს, რომ წარმოჩნდეს და ხალხი სხვადასვა მაქინაციებით გააბრიყვოს.
22930. კრიტიკის კრიტიკას პოლიტიკურ ონანიზმამდე მივყავართ.
22931. თაობებს შორის უნდა იყოს სწორი ურთიერთობა, საერთო ენის გამონახვის სურვილით და აქ ინიციატივა ისევ მშობელმა უნდა წარმოაჩინოს გონივრული დათმობებით და დაყვავებით.
22932. თავისუფლება, დემოკრატია, ფუფუნებაში, უპასუხისმგებლობაში, აუტისტთა ჭიდილში, არ უნდა აგვერიოს და იგი ვიგინდარათა შემოტევისგან უნდა დავიცვათ.
22933. პოლიტიკა არის ამბიციების მქონე, ნიჭიერ, უსაქმურ იმ დილეტანტთა თავშესაფარ-თავშესაყარი, რომლებიც განდიდების მანიით არიან შეპყრობილნი და ყველანაირ სისაძაგლეზე მოაწერენ ხელს.
22934. მოხერხებული ხელისუფალი პოტენციურ კერპს არ ჰკლავს, მის შეწყნარებას, გადმობირებას, გარყვნას, ცდილობს, რათა ხალხის თვალში არ ამაღლდეს და ისტორიის „გაუგებრობებს“ სახელით არ შემორჩეს.
22935. სახელმწიფოს ძლიერება და მოქალაქეთა კეთილდღეობა დამოკიდებულია ხალხის უნარზე, ინტუიციაზე, თუ ვის აირჩევს – „წამოისვამს თავზე“ ქვეყნის მმართველად.
22936. პოლიტიკაში მოდიან იმედით და მიდიან უიმედოდ, რადგან მათზე უარესს ჩაუვარდა ხელში ქვეყნის სადავეები.
22937. სახელმწიფო ინტერესები ყველა მეგობრობა-ნათესაობაზე, ნაცნობობაზე, მაღლა დგას, რადგან ეს პოლიტიკაა ქვეყნის, ხალხის და ეკონომიკის ბედით დაინტერესებული.

22938. აზროვნებაც მონდომების გარეშე უსაქმურობაა.
22939. პროვინციული პოლიტიკა ცდილობს, მაგრამ ფსონს ვერ გადის და მუდამ ვისიმეს კუდის აწევის ცდაშია.
22940. სიკეთის კეთებისკენ მისწრაფება შეძენილი ნიჭია.
22941. მექრთამეობა და გამოძალვა ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი არ არის, მაგრამ იგულისხმება მათი უნიათო ხელისუფლების წყალობით.
22942. კაციჭამია პოლიტიკოსები, უმთავრესად, თავიანთ მსხვერპლთა სახელით ლაპარაკობენ და ზოგჯერ მათ ვექილობასაც იბრალებენ.
22943. პოლიტიკოსთა ურთიერთდაახლოებას საწყისად ხშირად ელემენტარული ურთიერთმოსმენა სჭირდებათ.
22944. პოლიტიკური პარტია შეიძლება იყოს: ქვეყნის ინტერესების დამცველი, სიყვარულის მფრქვეველი, ჭკუადამჯდარ-ნაღრძობთა და სხვა მრავალი, მაგრამ უმეტესობას გავაერთიანებდი „ქვეყნის ამომგდები“ პარტიის რიგებში.
22945. ახლის შენებას ყველა რევოლუცია ითვალისწინებს, მაგრამ დიდი დანაკარგების გარეშე ამის კეთება უჭირს.
22946. ყველა პოლიტიკა დაბანდებას მოითხოვს და არა კონფონტაციას.
22947. ყველანი ჩვენდაუნებლიედ, პოლიტიზებულნი ვართ, მაგრამ ვერ ვაცნობიერებთ.
22948. შეუხედავ ქალს ყოველთვის თავდაცვის ამბიციები უნდა გააჩნდეს თავის წარმოჩენით: თქვენ მე ასეთ უვარგისი ხომ არ გგონივართ, თვალი გაახილეთ და ჩემშიც შეიძლება რაღაც ხიბლის აღმოჩენაო.
22949. პოლიტიკას თავისი კაურები აქვს. ნ. ხრუშოვმა ხალხი სარდაფებიდან ამოიყვანა და იმ დროის კომფორტში, „ხრუშოვკებში“, აცხოვრა, სული მოათქმევინა, ამასთან უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძული აჩუქა და მისი კმაყოფილი არავინაა, რადგან მან ერთი უდიდესი შეცდომა გადემოკრატიულობის სახელით დაუშვა, სტალინის გინებით ხალხის რწმენას შეეხო და თანამდებობიდან თავისი ნებით არ წავიდა. ამრიგად, არის რაღაც „ცოდვა“, თუ გინდ სიკეთის სახელით, რომელსაც თაობები არ ჰპატიობენ, დღესაც „ნიკიტუშკა დურაჩოკის“ სახელით მოიხსენიებენ.
22950. სილამაზე ფუფუნებაა, რომელიც სარფიანად უნდა გამოვიყენოთ.
22951. ხვნა, თესვა, მომკა, დაბინავება, შეუცვლელი მწკრივია და ამ თანმიმდევრობის დარღვევა არ შეიძლება.

22952. ქალები ჩვენს ჭკუიდან გადაყვანას ცდილობენ და ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველთვის ვერ ახერხებენ.
22953. ქალის თანადგომა აუცილებელია, იმისდამიუხედავად, ამ ურთიერთობას როგორ გავაფორმებთ, აღვიქვამთ და რა სახელს შევარქმევთ.
22954. ზოგჯერ შეუხედავი ქალი სექსში ისეთ ვნებიან კაურებს გვთავაზობს, ვერც ერთი სილამაზით შემკული მასთან ვერ მივა. ასე, რომ ბუნებაც კანონზომიერია, ერთს რასაც აძლევს, მეორეს იმას აკლებს, რათა ადამიანმა შედარება – შეჯერების უნარი არ დაკარგოს.
22955. ყველაზე ძნელი, ალბათ, გაძარცული სულის მოვლა-პატრონობაა.
22956. ქალი სულ სხვა ოცნებებს მიჰყვება ცოლად, უამრავი კითხვა-პასუხით.
22957. ქორწინების მთავარი მიზანია სულიერი ქალღმერთობიდან დევალვირებული ქალის საქმის ქალღმერთად აღქმა.
22958. მექალთანე ვერ ერკვევა რომელი ქალი მოსწონს, ხოლო მრავალცოლიანი – რომელი ცოლი რომელს ჯობნის.
22959. ქალის ინტრიგა სიყვარულის გამოხატვის მცდელობაა თავისი მეობის შეუცნობლად.
22960. ქალის სიძულვილის სინონიმი სიყვარულია.
22961. ძნელი სათქმელია ქალს გაგება უფრო სჭირდება თუ სიყვარული. ეტყობა, ამასაც ასაკის შეგრძნება წყვეტს.
22962. ქალისთვის მთავარია რჩეულს თავი მოაწონოს, რაც შეეხება სირცხვილს, დღეს მოდაში აღარ არის.
22963. მამაკაცს მომავლის იმედი და წარსულის შელამაზებული მოგონებები ამკობს.
22964. პატრიოტობა პონტია, ნაციონალობა პონტია, ზრუნვა პონტია, სამართლიანობა პონტია, მოკლედ, ამ არეულ ქვეყანაში ყოველივე სიაფანდი და პონტია.
22965. ფათერაკის მოძიება ადვილია, მისი გვერდზე მოსროლა და მოჯოკვრაა ძნელი.
22966. უცოდინრობის ახალგაზრდული კენწერო ყოველთვის ტკბილი იყო, ცოდნის და ასაკის ფესვებთან შედარებით, რადგან პირველი ემოციებითაა დატვირთული, მეორე – განსჯით.
22967. სამშობლოს სიყვარული თანდაყოლილი ნიჭია და შეძენილი სიყვარულისგან იმით განსხვავდება, რომ ის თავის ერის საკეთილდღეოდ და ქვეყნის სასურველი მომავლისთვის ყოველგვარ უხერხულობას შეეგუება და ერთხელაც არ დაიჩივლებს.

22968. უამბიციო არც ქვეყანა უქნია ღმერთს და არც ადამიანი. უნდა ეცადო იყო უკეთესი, პირველი და ზოგჯერ არანორმალურიც.
22969. ჭკუა ის წიაღისეულია, რომელიც არასოდეს არ თავდება, ასაკის მატება და იმქვეყნად გადაბარგება ხელს ხომ არ უშლიდეს.
22970. სისულელის კეთება ზოგჯერ სიამოვნებას იწვევს, მაგრამ არა გატირაჟება-დამახსოვრებით.
22971. ყველგან კარგი ხალხი ცხოვრობს, სადაც მიგიხარია.
22972. რატომღაც ქართველები გონიერების ნაცვლად წინდაუხედავი ემოციებით ცხოვრებას ამჯობინებენ და ეს რომ მათ ნიჭიერებას ვნებს, დიდად არ ანაღვლებთ.
22973. შეუძლებლის კეთებას ზოგჯერ განგება გვავალებს და ასე რიგად ვხვდებით გენიოსები.
22974. სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, ვიღაცის მტრად მოკიდების სინონიმია.
22975. ნიჭი ყოფის ამაოებაზე ხშირად თვალს ხუჭავს, რადგან საკუთარი მისია აქვს შესასრულებელი.
22976. დიდი ადამიანებიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, ოღონდ დასამახსოვრებელნი და საუკუნეთათვის საჭირო.
22977. მექალთანეა ის, ვისაც „სწორად“ ესმის ქალის სურვილი და სათანადო გენიც ხელს უწყობს.
22978. თუ ერთიდაიგივე ვნების ყურის ექსპლუატაცია მამაკაცს ხშირად უხდება, შეიძლება მობეზრების ნიშნად, დროებით ამ ყურეში მოგზაურობიდან თავი გაითავისუფლოს „ალიბის მოუძიებლად“.
22979. სწავლებისაგან განსხვავებით, ცოდნის ოდენობას პრაქტიკული შედეგი მოაქვს, თუ ის მარტო გონიერ უმცირესობას არ ეყრდნობა.
22980. წარსულს, შელამაზების გარეშე, აწმყო ვერ უგებს, რადგან ეს უკანასკნელი იმ დროის მენტალიტეტში ვერ ერკვევა.
22981. რეკლამა ყველაზე რთული და ექტრავაგანტური მომგებიანი ნაწარმოებია, მაგრამ თაღლითური შემოქმედებაა.
22982. ყოველი დაოჯახება პატარა რომანია, რომლის ფაბულაზე კარგი ნაღვაწის გამოდნობა შეიძლება.
22983. ბედსაც თავისუფლება მოსწონს, მაგრამ არა უხიაგი და უმიზნო.
22984. მასწავლებლის მოვალეობაა აღსაზრდელის შესაძლებლობათა ზღვარი დაადგინოს.
22985. კულტურა თავისებური თამაშია, საზოგადოების აღზრდა-წარმოჩენით, მათ შორის, ორდენების ჩამორიგებით, მოდაზე ჩაცმით, კომპიუტერზე გასართობად მიძალებით, ყველა ეს თამაში მოწოდებულია კულტურული საზოგადოების შესაქმნელად, რათა ადამიანი

ზომბად არ იქცეს.

22986. ქალის ყველაზე დიდი ეროტიული ზონა მამრისათვის მისაღები ჰორმონებია.

22987. ქალი იმიტომ არსებობს, რომ მასთან იცუღლუტო, მაგრამ ქალის ფასიც უნდა იცოდე და ცუღლუტობისაც.

22988. მარტოობის დღესასწაულია, როდესაც საკუთარ აზრებთან ყოფნა და იმ ხალხთან შეხვედრა გსიამოვნებს, ვისაც შენი სჯერა და გიგებს.

22989. სიყვარულის გულისთვის გმირობას სჩადიან და არა ბოროტებას.

22990. ეროტიკასა და პორნოგრაფიას შორის ის სხვაობაა, რომ პირველი თვალის დასატკბობად და ოცნებისთვის, იმედის მისაცემადაა განკუთვნილი, ხოლო მეორე – სექსზე ზეგავლენის მოსახდენად.

22991. არის ქალი, რომელიც კარგი ვერასოდეს გახდება, რადგან არ თხოვდება, ეს ზედმეტი ჭკუით თუ უბედობით მოსდის, არ ინტერესდება.

22992. ადამიანის ბუნება არ იცვლება, მხოლოდ შეკეთებას ვუხერხებთ, ისიც დროებით და სხვისთვის თვალის ასახვევად.

22993. არის არახდენილი ოცნება, რომელიც დიდი ბედნიერებაა და ამას ასაკის დამუღამებისას გრძნობ, როდესაც შენი ნიჭის შესატყვისი პროფესია იპოვნე ან შენი ხასიათის შესაფერისი ცოლი შეგხვდა.

22994. სიკეთე ხშირად მუშტით დაცვას მოითხოვს, რასაც ყურით მოთრეული დემოკრატიის პოსტულატების გამო არ უნდა მოვერიდოთ.

22995. უსუსურობა საშინელება და უღირსობაა, რადგან სიცოცხლის საუკეთესო წლებს ჩვენივე ნებით გვართმევს.

22996. აზრიანი ხუმრობა, ვადაგაუსვლელია, რადგან ყველა დროის მენტალიტეტს ერგება.

22997. გონიერება-უგნურებას საკუთარი თავის შეფასების უნარი, ნიჭი განსაზღვრავს და განსჯის.

22998. უმთავრესია საკუთარ თავს ვუშუამდგომლოთ, ვუმეგობროთ და ოფლი ვადინოთ.

22999. ხანდაზმულს ქალთან ენით ლაპარაკი და „მოჩანგვლა“ ეადვილება, მაგრამ მერე, ფინიშისკენ, უჭირს. ახალგაზრდას სტარტი უჭირს, თორემ ფინიშზე თუ მოუშვეს, მაგარია. ესაა ასაკის „ოხუნჯობის“ ანიც და ბანიც.

23000. ადამიანი კი ჟღერს ამაყად და ლამაზად, მაგრამ სამწუხაროდ, თავისი მეობით, ამ ჟღერადობის შინაარსს არ შეეფერება.

სარჩევი

ადამიანი	5
აღზრდა	105
აქეთური-იქეთური	128
ბიზნესი	210
დრო	224
ეკონომიკა	255
ზნეობა	263
თავისუფლება	361
ისტორია	372
კანონი	389
ლიტერატურა	409
მამაკაცი	421
ნიჭი – გენი – გონიერება	440
ომი	486
ოცნების კოშკს ავაგ	494
პოლიტიკა	525
ჟამთა სიავენი	614
რედაქტორის ფონდი	636
საზოგადოება	684

სამშობლო, დედის ძუძუი 821

სიყვარული – სილამაზე 842

სულიერება 894

ტრადიციები 925

ფული 930

ქალი 947

შური – შიში – ღალატი 1015

ცოლი და ცოლის დის ფონდი 1026

ცხოვრების ფილოსოფია 1045

ჯანი მოგვცეს 1199

ჭეშმარიტება 1208

ხელოვნება – კულტურა 1273

ჰე, ღმერთო ერთო 1292

წიგნის აწყობის შემდგომ დამატებული შეგონებანი 1332

მხატვრული რედაქტორი: პროფ. ლერი ჩანტლაძე
ტექნიკური რედაქტორი: პროფ. დავით თაქთაქიშვილი
მხატვარი: პაატა ყუფარაძე

კორექტორები: მერი შავლუხაშვილი,
ნანული ყუფარაძე

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: პაატა ქორქია

ლიტერატურულ-მხატვრული გამოცემა

გიორგი ვალერიანის-ძე ყუფარაძე

„მზემცინარობა“
“Мземцинароба”
“Mzemtsinaroba”

დროის შესატყვისი თანამედროვე სიბრძნე და
მახვილგონიერება
Современные мудрости соответствующие эпохе
Contemporary Wisdom and Thinking Corresponding to time

ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.09.08
ფორმატი საბეჭდი ქაღალდი: 60x90 1/16
ბეჭდვა ოფსეტური: პირობითი ნაბეჭდი თაბახი 86,9
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 57,9

გამომცემლობა „დანი“

გიორგი ვალერიანის-ძე ყუფარაძე
3.10.1942 წ.

მრავალმხრივი შემოქმედი, პროფესორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სპორტის ამაგდარი. ავტორია რომანების, პიესების, აფორიზმების, პოლიტეკონომიური, კულინარიული ლიტერატურის, ფილოსოფიური, სათავგადასავლო და სამეცნიერო ნაშრომების. მის მიერ შექმნილია სამყაროს შვიდი ახალი დამწერლობა და ორი ახალი ქართული შრიფტი. მისი ნაღვაწი გამოირჩევა ორიგინალობით, სიახლის ხედვით, რომელიც მომდევნო საუკუნეებს ეხმიანება.

თავდაპირველი პროფესიით მეტყევეა და ყველა სამეცნიერო ხარისხი და წოდება ამ დარგში აქვს მინიჭებული.

ის ორი ქვეყნის რუსეთ-საქართველოს მოქალაქეა და ოცნებობს ამ ქვეყნებს შორის დამკვიდრდეს სიამტკბილობა.

მისი ნაღვაწი რამდენიმე ენაზეა ნათარგმნი.